გონერ შრიდია

დაბეგვრის საფუძვლები

გამომცემლობა «ჟრიდიანი»
თბილისი 2014

„საშემოსავლო გადასახადი – ყველაზე უფრო რთულად გასაგები საგანია მსოფლიოში“ ამბობდა ცნობილი ფიზიკოსი ალბერტ აინშტაინი. მას ალბათ მხედველობაში ჰქონდა სახელმწიფოს მიერ მოქალაქეებისადმი შემოსავლის ნაწილის „წართმევის“ მართლზომიერების საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მსოფლიოში საკითხი ასე არ დგას, მწვავეა თვითონ საგადასახადო სისტემის ეფექტური ფუნქციონირების, ეტატიზმის და ამ სისტემის აღქმისა და გაგების საკითხები.

წიგნში განხილულია საქართველოში ფუნქციონირებადი საგადასახადო სისტემა და დეტალურად არის გადმოცემული ამ სისტემის ფართო სპექტრი.

წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ზოგადად დაბეგვრასთან დაკავშირებულ საინტერესო რეტროსპექტულ საკითხებს და საგადასახადო და საბაჟო ტერმინოლოგიას.

ვფიქრობთ, რომ წიგნი მნიშვნელოვან სარგებელს მოუტანს, როგორც დამწყებ, ასევე ამ სფეროს გამოცდილ სპეციალისტებს და აკადემიურ სექტორს.

ავტორი

რედაქტორი: **ნარიმან ტერაშვილი,** ეკონომიკის დოქტორი,
შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის
მთავარი ექსპერტ-აუდიტორი

© გონერ ურიდია
© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2014

ISBN 978-9941-10-891-4

დაიბეჭდა:
გამომცემლობა „მერიდიანი“, ალ. ყაზბეგის გამზ. №47
ტ. 239-15-22, E-mail: meridiani777@gmail.com

თავი 1. გადასახადის არსი და ფუნქციები

1.1 გადასახადების წარმოშობა, ცნება და ფუნქციები

საგადასახადო ურთიერთობები ფინანსური ურთიერთობების შემადგენელი ნაწილია. გადასახადები ფულს ფინანსებად აქცევენ, უფრო ზუსტად, რომ ვთქვათ – საჯარო ფინანსებად. გადასახადები გარდაიქმნებიან ფინანსებად, ხოლო ეს უკანასკნელი წარმოდგება, როგორც ეკონომიკური ურთიერთობების დამაგვირგვინებელი ფინალი გადანაწილებითი ურთიერთობების სახით. თვით „ფინანსების" ტერმინი ლათინურად სწორედ, „ფინიშიდან" არის წარმომდგარი და „დამთავრებას" ნიშნავს.

გადასახადების წარმოშობისა და განვითარების განმასხვავებელი პერიოდების მიხედვით დაბეგვრის ისტორიულ ეტაპებს 4 ნაწილად ჰყოფენ: ა) IV ს. ჩ. წ. აღრიცხვამდე – V ს. ჩ. წ. აღრიცხვით. ამ პერიოდში ჩნდება გადასახადები. იგი ატარებს არარეგულარულ ხასიათს და ამოიღება ნატურალური ფორმით. სახელმწიფო ხარჯების ზრდის კვალობაზე გადასახადები ამოიღება ფულადი ფორმით; ბ) V – XIII სს. უკვე არსებობს განსაზღვრული საგადასახადო სისტემები. გადასახადები შემოიღება განსაზღვრულ პერიოდზე, როდესაც ხაზინაში მთავრდება სახსრები. ამ პერიოდში პირველად შემოდის აქციზი შემოსატან და გასატან საქონელზე. ამ ეტაპზე გადასახადების აკრება წარმოადგენს სამეწარმეო საქმიანობას. გადასახადების ამოღების უფლება ცალკეული მოქალაქეების მიერ გამოიყიდება სახელმწიფოსაგან. გადასახადი ხდება სახელმწიფო ხაზინის მთავარი წყარო; გ) XIII საუკუნის ბოლო და XIX საუკუნის დასასრული. ხდება დაბეგვრის პრინციპების ფორმირება და გადასახადის ცნების განსაზღვრა. მუშავდება დაბეგვრის თეორიული საფუძვლები. გადასახადებს აწესებენ საყოველთაობის პრინციპიდან გამომდინარე; დ) XX საუკუნის დასაწყისი. ხდება თანამედროვე საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება დაბეგვრის მეცნიერულ პრინციპებზე. მთავარ ადგილს იკავებს პირდაპირი დაბეგვრა. იწყება დაუსრულებელი საგადასახადო რეფორმები ოპტიმალური მოდელის შესაქმნელად, რომელიც დღემდე გრძელდება.

გადასახადების წარმოშობა დოკუმენტურად დასტურდება 2500 წლის წინ. ეგვიპტეში გადასახადის ამკრებები იყვნენ ე.წ „გადამწერები". მათ საფლავში აყოლებდნენ ფარაონებს, რათა იმქვეყნად დახმარებოდნენ ფარაონებს გადასახადების აკრებასა და სახელმწიფო ხაზინის შევსებაში.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ რომის იმპერიაში აღრიცხულია 213 გადასახადი. აქედან ზოგიერთის მნიშვნელობა გაურკვეველია. ზოგიერთ მათგანს შემდეგი სახე აქვს: ბაზრის ზედამხედველის შენახვის მოსაკრებელი; დატვირთვისა და გადატვირთვის საპორტე მოსაკრებელი; საგზაო გამოსაღები; მოსაკრებელი ხელშეკრულების დამოწმებისათვის; მოსაკრებელი ვირების იარლიყისათვის; მოსაკრებელი ფულის გაცვლის ან დახურდავებისათვის; მოსაკრებელი აქლემების იარლიყისათვის; მოსაკრებელი გადასახადის გადახდის დროს ქვითრის გამოწერისათვის, ბეჭდის დარტყმისათვის; მოსაკრებელი ნახირზე; გადასახადი მონების ფლობაზე; მოსაკრებელი ღორებზე; მოსაკრებელი ხარებზე; მოსაკრებელი აქლემებზე; გადასახადი ვენახზე; მიწის გადასახადი; სპეციალური გადასახადი ზეთის პლანტაციებზე; სპეციალური გადასახადი ბოსტანზე; გადასახადი ღვინოზე; გადასახადო ხორბალზე; გადასახადი კიტრზე; მოსაკრებელი ფინიკის პლანტაციებზე; მოსაკრებელი ბინის საფასურზე; მოსაკრებელი თევზით მოვაჭრეებზე; მოსაკრებელი მეფორანეებზე; მოსაკრებელი მექისეებზე; მოსაკრებელი მღებავებზე; მოსაკრებელი მქსოველებზე; მოსაკრებელი ხალიჩების ოსტატებზე; მოსაკრებელი მეძავებზე; მოსაკრებელი თერძებზე; მოსაკრებელი მაუდის მთელავებზე; მოსაკრებელი დალაქებზე; მოსაკრებელი მენავეებზე; მოსაკრებელი გემის დურგლებზე; მოსაკრებელი მშენებლებზე; მოსაკრებელი ვირების მეხრეებზე; მოსაკრებელი მზიდავებზე; მოსაკრებელი ხელოსნებზე; მოსაკრებელი ტანსაცმლით მოვაჭრეებზე; მოსაკრებელი მეძველმანეებზე; მოსაკრებელი ზეთით მოვაჭრეებზე; მოსაკრებელი მეძეხვეებზე; მოსაკრებელი მემწვანილეებზე; მოსაკრებელი მეკერმეზე (ფულის დამხურდავებელზე); სულადობრივი გამოსაღები; გადასახადი ფინიკის შემოსავალზე; გადასახადი მინის რენტაზე; მოსაკრებელი უქონელთა შესანახად; მოსაკრებელი იმპერატორის სამონადირეო საქმის წარჩინებული მოხელის სასარგებლოდ; მოსაკრებელი აბანოების შესანახად; მოსაკრებელი არხების შენახვისა და რემონტისათვის; მოსაკრებელი სამონადირეო შუბზე; მოსაკრებელი სახელოვანი სტუმრის შესანახად; მოსაკრებელი პრეტორის იახტის შესანახად; მოსაკრებელი სამდინარო დაცვის შესანახად; მოსაკრებელი „გადასახადების გამომსყიდველების" (იმ ხალხის ვისაც იჯარით ჰქონდა აღებული მოსახლეობიდან გადასახადის ამოღების უფლება) სახლებში უქონელთა დასაპატიმრებელი ციხეების შესანახად; მოსაკრებელი გარნიზონის შესანახად; მოსაკრებელი სათვალთვალო კოშკების შესანახად; მოსაკრებელი პურის ნატურალური გადასახადის ამკრების შესანახად; მოსაკრებელი სა-

ყარაულო გემების ნავმისადგომის შესანახად; ოქროს გვირგვინის მოსაკრებელი, რომელიც გამოხატავს უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ ქვეშევდრომული ერთგულების გრძნობას; მოსაკრებელი ყარაულთა გასამრჯელოსათვის; მოსაკრებელი კაშხლების შენახვისა და რემონტისათვის; მოსაკრებელი გადასახადების გამოანმგარიშებელების შენახვისათვის; მოსაკრებელი სამთავრობო დანესებულებათა საკანცელარიო ნივთების შეძენისათვის; მოსაკრებელი წინამძღვრის შენახვისათვის; მოსაკრებელი სანახაობათა ან რელიგიური პროცესიების მოწყობისათვის; მოსაკრებელი რაიონის უფროსის შენახვისათვის; მოსაკრებელი გადასახადების ამკრებთა შესანახად; მოსაკრებელი ქველმოქმედებისათვის; მოსაკრებელი კანცელარიის პაპირუსისათვის; ნოტარიალური მოსაკრებელი იჯარაზე; გადასახადი სავაჭრო ბრუნვაზე; მოსაკრებელი საპონსა და პოტაშზე (ნივთიერება, რომელიც საპნის საწარმოებლად გამოიყენება); გადასახადი ფუფუნების საგნებზე; გადასახადი მონების გათავისუფლებაზე; გამოსაღებები საქონლის შემოტანასა და გატანაზე; გამოსაღები კარში გატარებისათვის; შიგა გადასახადები ღვინოზე, ზეთზე, ქსოვილებზე; მოსაკრებელი ნახირის ძოვებაზე.

ასევე საინტერესოა ბიბლიური ზაქესა და გადასახადების მიმართება. იესო ქრისტე იერიქონში იმყოფებოდა, სადაც ქალაქში შესვლისას მან ბრმა მათხოვარი განკურნა. იერიქონშიც უფალი ცათა სასუფეველს ქადაგებდა. და აი, სწორედ ამ დროს, როცა იგი ქალაქს გადიოდა, გზად ერთი კაცი შეხვდა, სახელად ზაქე, „მთავარი მეზვერეთაი“. მეზვერეები ყველა სახის გადასახადის ამკრებნი იყვნენ; პუნქტებს, სადაც გადასახადის აკრეფისათვის საჭირო შენობა იდგა, საზვერე ეწოდებოდა (მათე 9,9). მაგრამ ესენი მთავრობის მიერ დადგინებული და სახელმწიფო სამსახურში ჩამდგარი ადამიანები კი არ იყვნენ, არამედ კერძო პირები, რომელთაც სახელმწიფოსაგან შესყიდული ჰქონდათ უფლება გასაზღვრული გადასახადების აკრეფისა, ანდა ამგვარი პირების რწმუნებულნი იყვნენ. სხვაგვარად, თანამედროვე ტერმინოლოგიით, მეზვერეებს იჯარით ჰქონდათ აღებული სახელმწიფოსაგან გადასახადების აკრების უფლება. მათ ჰყავდათ მთავარნიც, როგორიც იყო ზაქე (ლუკა 19,2), იყვნენ სხვა მრავალი მეზვერენიც – „კრებული დიდი მეზვერეთაი“ (ლუკა 5,29). ადამიანთა ეს ფენა წარმოიქმნა იმის შედეგად, რომ რომის იმპერიის მთავრობამ, ხალხის მასებთან შეჯახების თავიდან ასაცილებლად და სახელმწიფო ხარჯების შესამცირებლად, დაპყრობილ ქვეყნებში შემოილო გადასახადების აკრების იჯარით გაცემის (გაყიდვის) სისტემა, რომლის თანახმადაც მდიდარი, გერგილიანი ადამიანები ხელმისაწვდომ საფასურად იძენდნენ ამ უფლებას და თვითონვე ახორციელებდნენ როგორც სულადობრივი გადასახადების, ასევე საგზაო და სხვა სახის ბაჟების მოკრებას. სახელმწიფო მეზვერეებს უწესებდა ნიხრებს, რაც ჩანს იოანე ნათლისმცემლის სიტყვებიდან მასთან სინანულისათვის მისული მეზვერეებისადმი: „ნურარას უფროის განწესებულისა თქვენისა იქმთ“ (ლუკა 3,12). მაგრამ ცხადია, რომ რაკი ასეთი საპასუხისმგებლო და სადავიდარაბო საქმისათვის მოეკიდათ ხელი, მეზვერეები ყოველთვის მკაცრად ღრი იცავდნენ დაწესებულ კანონებს და მათ შორისაც იყვნენ სამართლიანი და უსამართლონი, ხალხის შემავიწროებელნი, მჩაგვრელნი, რომელნიც ზოგჯერ დაწესებულზე ორჯერ მეტს სძალავდნენ ხალხს. ამისათვის ხალხს ძალზე არ უყვარდა გადასახადების ამკრეფნი და თვით სახელწოდებაც – მეზვერე – უსჯულოების მომქმედს, ცოდვილის სინონიმადაც კი იქცა. ამიტომ დრტვინავდნენ და მრისხანებდნენ ებრაელები, როცა ქრისტე მეზვერეებთან მიდიოდა სტუმრად და რჩებოდა კიდეც მათ სახლებში (მათე 9,11; ლუკა 19,7). ამავე მიზეზით უფლისადმი მტრულად განწყობილნი ფარისეველნი და მწიგნობარნი, რაკი სურდათ მისი ავტორიტეტი დაემცროთ ხალხის თვალში, ჩააგონებდნენ მას, რომ იესო მეზვერეთა და ცოდვილთა მეგობარია (მათე 11,19). მაგრამ მეზვერეთა შორისაც ზოგჯერ გვხვდებოდნენ შესანიშნავი, პატიოსანი და ღვთისმოშიში ადამიანები. ასეთნი იყვნენ, მაგალითად, მეზვერე ზაქე, რომელიც უფალმა განაბრძოლა და აბრაჰამის ჭეშმარიტ ძედ აღიარა, და მეზვერე ლევი, არჩეული ქრისტეს 12 მოციქულთა შორის და წოდებული მახარებელ მათედ. როგორც მეზვერე, ზაქე, რა თქმა უნდა, არ გამოირჩეოდა სხვა მეზვერეთაგან არც გულჩვილობით, არც დამთმობობით ღარიბ – გლახაკთადმი და შეჭირვებულთადმი, არც სამართლიანობითა და პატიოსნებით თავის, როგორც მეზვერის, მოთხოვნებში. პირიქით, თვით მის უფროსობაში მეზვერეებისა ისიც უნდა დავინახოთ, რომ რაკი ის ამ ადგილს ინარჩუნებდა, ესე იგი, ყოველთვის გულმოდგინედ აჰკრეფდა გადასახადებს და სხვებსაც აღემატებოდა ამ საქმეში გამოძალვისა და შეუწყნარებლობის განსაკუთრებული ხელოვნებით, ამიტომაც არავისი ვალი არ ჰქონდა და დიდი ქონების პატრონი იყო – „და ესე იყო მდიდარ ფრიად“. სიმდიდრე აცდუნებდა მას და საბოლოოდ დაღუპვით ემუქრებოდა, რამეთუ მახარებელიც ტყუილუბრალოდ როდი ამბობს ზაქეზე თხრობისას, იგი იყო მთავარი მეზვერეთა და მდიდარი ფრიად.

გადასახადებთან ისტორიულად უამრავი ღირსშესანიშნავი ფაქტია დაკავშირებული, რომელიც განხილული გვაქვს „სახალისო დაბეგვრის“ თავში. აქ აღვნიშნავთ, გადასახადების აკრებასთან დაკავშირებულ ამბავს ქრისტეს დაბადებასთან. კერძოდ, რომის იმპერიაში და მათ შორის იუდეაში

მიწის გადასახადის ამოღების მიზნებისათვის ე.წ „გადამწერები“ ანუ იგივე ცენზორები აღწერდნენ მოსახლების მიწებს, ხეებს და ამასთან, თვით მოსახლეობას. მოსახლეობის აღწერა ხდებოდა მათი დაბადების ადგილის მიხედვით, რაც იმას ნიშნავს, რომ დათქმულ დროს ყველა უნდა მისულიყო, მიუხედავად საცხოვრებელი ადგილისა, იმ ადგილას სადაც დაიბადა და დარეგისტრირებულიყო. ასე გააკეთა იესოს მამამაც. იგი მეუღლითურთ ჩავიდა მშობლიურ ბეთლემში, სადაც ამავე მიზნით ჩამოსული ადამიანების სიმრავლის გამო ყველა სასტუმრო ადგილი დაკავებული იყო. სწორედ ამიტომ დაიბადა იესო ქრისტე ბოსელში.

ჩვენს წელთა აღრიცხვამდე მე-18 საუკუნეში ბაბილონის მეფემ, ჰამურაბმა შეიმუშავა კანონები (ეს კანონები შავი ბაზალტის ბოძზე იყო ამოკვეთილი), რომელიც ეხებოდა სამართალწარმოებას, საკუთრებას და დაბეგვრას. გადასახადების გადახდა ევალებოდათ თავისუფალ მიწათმოქმედებს და ხელოსნებს. გადასახადი გადაიხდებოდა, როგორც ფულით, ასევე ნატურით. მისი ამკრებები იყვნენ მეფის ჩინოვნიკები, ხოლო გადასახადი შეადგენდა შემოსავლის ან ქონების 10%-ს. ასეთი განაკვეთია დაფიქსირებული ბიბლიაშიც.

სოლონმა (ძვ.წ.ა 638-558), რომელიც ათენის მმართველი იყო, თავისი კანონები დაფაზე ამოაკვეთინა და საჯარო ადგილებში დაადგმევინა. გადასახადებთან მიმართებით, საინტერესოა ის, რომ მან ათენის მოქალაქეები ოთხ კატეგორიად დაჰყო შესაბამისი უფლება-მოვალეობებით: ა) მსხვილ მიწათმფლობელებს მაღალი თანამდებობის დაკავების უფლება გააჩნდა, ხოლო მათი ვალდებულება იყო მაღალი გადასახადების გადახდა; ბ) შეძლებულ გლეხებს და ვაჭრებს უფლება ჰქონდათ საშუალო თანამდებობები დაეკავებინათ. მათი მოვალეობა იყო ცხენოსანი ჯარისკაცის რანგში მომსახურებოდნენ ათენს; გ) ღარიბ გლეხობას, ხელოსნებს და მეთევზეებს უფლება ჰქონდათ სახალხო კრებაში მიეღოთ მონაწილეობა. ისინი ვალდებული იყვნენ ათენის არმიაში საჭიროების შემთხვევაში ფეხოსან ჯარისკაცად ემსახურათ; დ) დაქირავებული მუშები უუფლებონი იყვნენ. მათი მოვალეობა იყო მეზღვაურებად და მსუბუქად აღჭურვილ ჯარისკაცებად სამსახური.

მე-2-3 საუკუნეებში ჩინეთში გადასახადის გადამხდელების 5 კატეგორია იყო:

ა) ახალდაბადებულები ანუ ძუძუმწოვრები;

ბ) 4 და 16 წლამდე – მცირეწლოვნები;

გ) 16 – დან 21 წლამდე – საშუალო ასაკის;

დ) 21 – დან 60 წლამდე – გამწევები ანუ მთავარი გადამხდელები

ე) 60 წლის ზემოთ – ბებრები.

ბუნებრივია აღნიშნული კლასიფიკაცია შემოღებული იყო სხვადასხვანაირად დაბეგვრისათვის. ამასთან, ასაკობრივი დაყოფა სხვადასხვა დროს მკვეთრად იცვლებოდა.

აღსანიშნავია, ლუგალანდას საგადასახადო პოლიტიკა. ლუგალანდა იყო ძველი შუამდინარეთის ქალაქ – სახელმწიფოს (ლაგაშის) შუმერი მეფე ძვ. წ. XXIV საუკუნეში. მისი საგადასახადო პოლიტიკა შეუზღუდავად და ყველაზე მახინჯ ფორმებში ხორციელდებოდა მოსახლეობის ფართო მასების მიმართ. მეფის ზედამხედველები დაძრწოდნენ თემებში და ძარცვავდნენ მოსახლეობას გადასახადების აკრების საბაბით. გადასახადები შეაწერეს ყველას: მეთევზეებს, მწყემსებს, თევზის სარეწებს და მეთემეებს. მეფისა და მისი პირველი კარისკაცის სასარგებლოდ საკმაოდ მოზრდილი თანხა უნდა გადაეხდა მამაკაცს, რომელიც გაეყრებოდა ცოლს. მწყემსი, რომელიც მიიყვანდა ცხვარს გასაკრეჭად სასახლეში, იხდიდა განსაზღვრულ თანხას, მაგრამ უფრო მეტს, თუ ცხვარი თეთრი იყო. როცა მიცვალებულს მიიტანდნენ სასაფლაოზე, აქ ჭირისუფალს ხვდებოდა მთელი ჯგუფი მოხელეების და გადასახადის ამკრებლების, რომლებიც სხვადასხვა მაქინაციებით გამოსძალავდნენ მიცვალებულის ნათესავებსა და ახლობლებს მეტ პურს, ლუდსა და სხვა ნივთებს, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო იყო ადრე მოქმედი კანონით. მძიმე გადასახადების შემოღების გამო მეფე იძულებული გახდა გადამდგარიყო.

საინტერესოა ძველი რომაელების მიერ დაბეგვრის კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების სიხშირე თანამედროვე დაბეგვრის სისტემის ცვლილებებთან შედარებით. კერძოდ, ასეთ პერიოდად რომაელები იყენებდნენ სიტყვა „ინდიქტიონს“. ისინი ამ სიტყვით 15 წლიან პერიოდს აღნიშნავდნენ, რომლის გასვლის შემდგომაც იმპერატორები გადასახადების შესახებ ახალ განკარგულებებს გამოსცემდნენ.

საქართველოში დაბეგვრის ისტორიის თვალსაზრისით საინტერესოა არაბი სარდლის ჰაბიბ იბნ მასლამას მიერ გაცემული დოკუმენტი ქართლის მოსახლეობაზე 654 – 655 წლებში – "დაცვის სიგელი". „დაცვის სიგელს“ არაბები აძლევდნენ ნებით დამორჩილებულ მოსახლეობას. სტეფაონოზ ერისმთავარი ქართლის საზღვართან შეაგება მას ელჩი ძღვენით და მორჩილება აღუთქვა. არაბები თბილისში შემოვიდნენ, ხოლომასლამამ მიღებული ძღვენი მომავალი ხარკის ანგარიშში ჩათვალა და

„დაცვის სიგელი" გასცა. სიგელის მიხედვით: არაბები ხელუხლებლად ტოვებდნენ მოსახლეობის სარწმუნოებას; მოსახლეობას უნდა გადაეხადა გადასახადი ჯიზიის სახით, კომლზე თითო დინარი; ორივე მხარე ვალდებულებას კისრულობდა არ შეეცვალა კომლთა რიცხვი გადასახადების შემცირების ან გადიდების მიზნით; ქართველ მოსახლეობას დაევალა სამხედრო სამსახური; თავისი ნებით გამაჰმადიანებულ დამპყრობელთა ძმად ცხადდებოდა და თავისუფლდებოდა ჯიზიისაგან. „დაცვის სიგელში" ენერა: „სახელითა ალაჰისა, ყოვლად მოწყალისა და მწყალობლისა, ესაა ჰაბიბ იბნ – მასლამას სიგელი ალ – ჰარმაზის ქვეყნის თბილისის მცხოვრებთათვის: გეწყალობათ თქვენ, თქვენს შვილებს, ოჯახებს, სენაკებს (მონასტრებს), ეკლესიებს, სარწმუნეობის შეუვალობა დამამცირებელი ჯიზიას აღიარებით, ყოველ კომლზე სრული დინარის (ოქროს მონეტა) რაოდენობით. თქვენ არ გაქვთ უფლება გააერთიანოთ სხვადასხვა ოჯახები ჯიზიას შესამცირებლად, არც ჩვენ გვაქვს უფლება, რომ დავყოთ კომლი ჯიზიას გასადიდებლად. ჩვენ გვექნება თქვენი გულწრფელობა და შეწევნა ალაჰისა, მისი მოციქულისა და მორწმუნეთა მტრის წინააღმდეგ".

მეორე მნიშვნელოვანი საგადასახადო დოკუმენტია დასტურლამალი. ეს არის ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის მიერ 1707-1709 წლებში შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტი. ამ დოკუმენტის მიხედვით გლეხები იხდიდნენ შემდეგი სახის გადასახადებს: სახელმწიფო, სამოხელეო, საფეოდალო, განსაკუთრებული (ფეოდალის ოჯახთან დაკავშირებით: ლხინი, ჭირი და ა.შ) და საკლესიო გადასახადი.

სხვადასხვა ენაზე სიტყვა „გადასახადის" ეტიმოლოგია სხვადასხვა საინტერესო მსოფლაღქმასთან ასოცირდება. ქართულად სიტყვა „გადასახადი" ცხადია უკავშირდება სიტყვა „სახადს" ანუ ჭირს. ძველ საქართველოში გადასახადს „ჭირსაც" ეძახდნენ. ამასთან გადასახადის ზოგად სახელად მიღებული იყო სიტყვა „მანყინარი" ანუ ის რაც წყენს, ვნებს ადამიანს, ცუდ ხასიათზე აყენებს მას და შესაბამისად მოწყენილობას გვრის. ბიბლიურად გადასახადი ანუ ვალი არის – თანანადები. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ 2011 წლამდე მოქმედ საქართველოს საგადასახადო კოდექსში გადასახადი განმარტებული იყო, როგორც ვალი სახელმწიფოს წინაშე, ხოლო მოქმედ კოდექსში გადასახადის, როგორც ვალის დეფინიცია ამოღებულ იქნა. შესაბამისად, ვალის გადაუხდელობა ცოდვაა ქრისტიანული თვალსაზრისით, ხოლო ვინაიდან გადასახადი კანონით ვალი არ არის, მისი გადაუხდელობა, შეიძლება ითქვას, ცოდვა არ არის (ეს რა თქმა უნდა სახალისო დაბეგვრის კონტექსტში. გ.უ).

აღსანიშნავია, რომ სიტყვა „ბაჟი", რომელიც თავისთავად სპარსული სიტყვაა და გადასახადს ნიშნავს, ძველქართულად არის „ზუერი". შესაბამისად ახალ აღთქმაში „მეზუერე" (მებაჟე) ყველგან ნიშნავს, არა მხოლოდ დღევანდელი ვინრო გაგებით საბაჟოს თანამშრომელს, არამედ საზოგადოდ ყველა სახის გადასახადის ამკრებს. პირველი მებაჟე ბიბლიურად მათე იყო – სახარების ავტორი, ხოლო ზაქე – მებაჟეთა უფროსი. აქვე, მინდა ვთქვა, რომ კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის მამა ადამ სმითი – ასევე მებაჟე იყო – შოტლანდიის საბაჟოში მუშაობდა.

ინგლისურად გადასახადი არის Tax, რაც ინგლისურ ეტიმოლოგიაში ნიშნავს „გრძნობას", „შეხებას" ანუ გადასახადის მიმართ ყველა მგრძნობიარეა და ამდენად გადასახადები სენსიტიურია და ეხება ნებისმიერ ადამიანს, რადგანაც ყველა იხდის მას პირდაპირ ან არაპირდაპირ (მაგ. პენსიონერი ან უმუშევარი იხდის არაპირდაპირ გადასახადებს საქონლის ან მომსახურების ყიდვის დროს). თვით სიტყვა თახ, მომდინარეობს ლათინური Taxare – დან (Tangere) – შეხება (ინგლისურად – Touch). ამასთან გადასახადის ეს ტერმინი უფრო აშშ-ში იხმარება. საკუთრივ ინგლისში გადასახადის აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინი duty, რომელიც ნიშნავს ვალს, მოვალეობას.

გერმანულად გადასახადი არის – Steur, რაც გერმანულ ეტიმოლოგიაში „მხარდაჭერას" ნიშნავს. გერმანელები, გადასახადს განიხილავენ, როგორც მოქალაქეების მხარდაჭერას სახელმწიფოსადმი, რაც სწორი პოზიციაა, რადგანაც ყველას მიერ გადახდილი გადასახადი უნდა დაიხარჯოს ყველას სასარგებლოდ, რადგანაც სახელმწიფო ყველას ინტერესების გამომხატველი უნდა იყოს.

ფრანგულად გადასახადს ეწოდება – „impot", რაც ეტიმოლოგიაში ნიშნავს „სავალდებულო გადასახდელს". იმავე წარმოშობისაა ესპანური – Impuestos და პორტუგალიური – Imposto.

რუსულად გადასახადს ჰქვია – Налог. ამ სიტყვას რუსულში აქვს ორი ეტიმოლოგიური ახსნა: პირველი, იგი მომდინარეობს სიტყვა Налон – იდან, რაც ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „საფასურს გატარებისათვის, გადატანისათვის" და მეორე – налагать – ნიშნავს „დაკისრებას, დადებას" ანუ გადასახადის დაკისრებას, დადებას. რაც შეეხება რუსულად გადასახადის იძულებითი შინაარსის გამომხატველ სიტყვას, იგი იყო – подати, რომელიც ნიშნავდა – იძულებით გადასახადს. ამ სიტყვის ანალოგიურია გადასახადი უკრაინულად – податок და პოლონურად – Podatko.

ჩინურად გადასახადს ეწოდება 税 (შუი). ეს იეროგლიფი ორი ნაწილისაგან შედგება, რომლის პირველი ნაწილი – 禾 – ნიშნავს „პურს, ხორბალს", ხოლო მეორე ნაწილი– 兑 – „გაცვლას, გადახ-

დას". შესაბამისად, ჩინეთში ეს სიტყვა ნიშნავს – „გადახდას ხორბლით", რადგანაც იგი წარმოადგენდა ისტორიულად ე.წ „რენტაპროდუქტებით" გადასახადს.

ცნების პრედიკატულ – სუბიექტური განსაზღვრის მეთოდოლოგიით, რომელიმე მოვლენის (მაგ. გადასახადის) არსებითი ნიშნების ასახვა უნდა მოხდეს, ისე, რომ არ დაიკარგოს ამ მოვლენის ატრიბუტული ნიშნები და ამავე დროს, მოხდეს ერთი მოვლენის დიფერენცირება მეორისაგან.

გადასახადის, როგორც ცნების(კატეგორიის) პრედიკატი ანუ განმსაზღვრელი ნიშანი თეორიაში ყოველთვის დაკავშირებული ჰყავთ სახელმწიფოსთან, რაც მცდარია. ინგლისელი ა. პორკი წიგნში „დაბეგვრის ისტორია", წერს, რომ „სახელმწიფო და გადასახადები გაჩნდნენ თითქმის ერთდროულად...სახელმწიფო – ბავშვია, რომელიც იბადება ერთი ხელით კოვზით და მეორე ხელით – ხმლით".

გადასახადებისა და სახელმწიფოს წარმოშობის თანადროულობა არ შეესაბამება სინამდვილეს. გადასახადები უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე სახელმწიფო ხარჯების დაფინანსებისათვის სახსრების მოძიების მეთოდი გადასახადების სახით. სახელმწიფოზე უფრო ადრე არსებობდა ერთი ტომის მიერ მეორე ტომის, თუ გვარის, თუ ჯგუფის დაპყრობა, ქონების წართმევა, ხარკის დაკისრება და მონური შრომა გარკვეული პირების სასარგებლოდ. ყველა ეს ქმედება წარმოადგენს საბოლოო ჯამში გადასახადს ანუ ერთი პირის(პირების) მიერ მეორე პირის(პირების) სასარგებლოდ იძულების წესით ქონების, თუ მომსახურების დათმობას. ამ თვალსაზრისით, რელიგიური მსხერპლშეწირვაც გადასახადის ფორმაა, რომელიც სახელმწიფოსთან არ არის დაკავშირებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გადასახადი არის იძულებაზე დამყარებული ეკონომიკური ურთიერთობა ვინმეს მიერ, ვინმეს სასარგებლოდ მატერიალური და არამატერიალური სიკეთის განაწილების სახით.

თანამედროვე პირობებში გადასახადი არის სახელმწიფოს მიერ პირებისათვის გაწეული ფუნქციონალური მომსახურების ირაციონალური და მონოპოლიური ფასი.

გადასახადებს ორი ძირითადი მაკროეკონომიკური ფუნქცია აქვს: ფისკალურ – განმანაწილებლობითი და მარეგულირებელი.

ფისკალური ფუნქცია არის გადასახადების „უნარი" შეავსოს ბიუჯეტი და მოახდინოს ფინანსების ფორმირება. ეს უნარი ამავდროულად ხორციელდება მთლიანი შიგა პროდუქტის განაწილებით და მიმართვით ბიუჯეტში. მარეგულირებელი ფუნქცია არის ეკონომიკის სტიმულირება ან შეფერხება. დაბალი გადასახადები და საგადასახადო შეღავათები იწვევს სტიმულირებას, ხოლო მაღალი გადასახადები ეკონომიკური ზრდის დამუხრუჭებას. რაც შეეხება გადანაწილებით ფუნქციას, იგი არა გადასახადების კატეგორიის, არამედ ფინანსების კატეგორიის ფუნქციაა.

გადასახადის შინაარსი „შემოსილია" გადასახადის ელემენტებით. გადასახადის ელემენტები არის გადასახადების ამოღების პრინციპების ერთობლიობა. მას მიეკუთვნება: დაბეგვრის სუბიექტი, დაბეგვრის ობიექტი, საგადასახადო ბაზა, დაბეგვრის ერთეული, გადასახადის წყარო, გადასახადის მასშტაბი, საგადასახადო განაკვეთი, საგადასახადო პერიოდი, გადასახადის გამოთვლის წესი, გადასახადის გადახდის ვადა.

1.2 გადასახადების სახეები და ელემენტები

თანამედროვე პირობებში გადასახადების კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს სხვადასხვა სოციალ-ეკონომიკურ – პოლიტიკური ნიშანი. ჩვენ არ შევუდგებით ამ ნიშნების წმინდა წყლის თეორიულ ანალიზს და პირდაპირ მიმოვიხილავთ გადასახადების შესაბამის სახეებს. კერძოდ, გადასახადები შეიძლება იყოს შემდეგი სახის: ფედერალური ან საერთო – სახელმწიფოებრივი, ადგილობრივი(მათ შორის რეგიონული), პირდაპირი და არაპირდაპირი, პროგრესული, რეგრესული, პროპორციული, ფიქსირებული. რაც შეეხება თეორიაში გადასახადების დაყოფას, მაგ. ისეთ სახეებად, თუ ქვესახეებად, როგორიც არის პირადი და რეალური გადასახადები, ფაკულტატური გადასახადები, სოციალური გადასახადები, ინდივიდუალური და უნივერსალური გადასახადები, შერეული გადასახადები, აბსტრაქტული გადასახადები, მიზნობრივი გადასახადები და სხვა, ჩვენ მას არ განვიხილავთ, რამდენადაც მიგვაჩნია, რომ გადასახადების ამ ასპექტით კლასიფიკაციას არავითარი თეორიული და პრაქტიკული სარგებლიანობა არ გააჩნია.

ფედერალური გადასახადები, როგორც წესი, მთლიანად მიიმართება ფედერალურ ბიუჯეტში საერთო – სახელმწიფოებრივი მოთხოვნების დასაფინანსებლად. ასეთ გადასახადებს მიეკუთვნება დღგ, აქციზი, საბაჟო გადასახადი, მოგების გადასახადი, საშემოსავლო გადასახადი და მათი სხვადასხვა სახელობითი მოდიფიკაციები სხვადასხვა ქვეყნების მიხედვით.

ადგილობრივი(რეგიონული) გადასახადები სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა ფორმით არსებობს

და იგი შესაბამისი დონის ბიუჯეტში მიიმართება. ასეთია მაგ. ქონების გადასახადი ან გაყიდვის გადასახადი და სხვა.

პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადები წმინდა შემეცნებითი თვალსაზრისით კლასიფიცირებული კრიტერიუმებია. ასეთი კლასიფიკაცია პირველად ინგლისელმა ფილოსოფოსმა ჯონ ლოკმა(1632 – 1704) შემოიღო. მისი აზრით, ყველა გადასახადო საბოლოო ჯამში გადაიხდება მინისმფლობელის მიერ. ამდენად საჭიროა ყველა გადასახადის გაერთიანება ერთ გადასახადში – მიწის გადასახადში. ლოკის მიხედვით, მიწის გადასახადი პირდაპირი გადასახადია, ხოლო სხვა დანარჩენი არაპირდაპირი, რომლებსაც გადააკისრებენ სხვა პირებს.

თანამედროვე გაგებით პირდაპირია ის გადასახადი, რომელსაც გადასახადის გადამხდელი სხვას ვერ გადააკისრებს და უშუალოდ იხდის, ხოლო – არაპირდაპირი ისეთი, რომლის გადაკისრება შეუძლია მის გადამხდელს სხვა პირებზე. თუმცა არსებობს არაპირდაპირი გადასახადების გადაკისრების თეორიაც, რომელსაც მაშინ აქვს ადგილი, როდესაც არაპირდაპირი გადასახადებით დაბეგრილი საქპნლის(მომსახურების) შეძენა გაზრდილი ფასების ან დაბალი შემოსავლების გამო არ შეუძლიათ ფართო ფენებს. ამ შემთხვევაში არაპირდაპირი გადასახადების მთელი სიმძიმე აწევებათ სხვა გადასახადის გადამხდელებს. არაპირდაპირი გადასახადების რეალური გადამხდელები არიან საქონლის(მომსახურების) მომხმარებლები, ხოლო ფორმალური გადამხდელები(ანუ ბიუჯეტში ამ გადასახადების შემტანები) საქონლის(მომსახურების) მიმწოდებლები. არაპირდაპირი გადასახადების გადაკისრება მომხმარებლებზე ფასების საშუალებით ხდება. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, გადასახადების დაყოფას პირდაპირად და ირიბად – წმინდა შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს. სინადვილეში, რეალურად ყველა გადასახადს საბოლოო ჯამში იხდის საქონლის(მომსახურების) მომხმარებელი, რადგანაც ფასის და შესაბამისად, ფასში ჩადებული მოგების ანაზღაურება ხდება მომხმარებლის მიერ.

პროგრესული, რეგრესული, პროპორციული და ფიქსირებული გადასახადები პირდაპირი გადასახადების განაკვეთების მიხედვით კლასიფიცირებული გადასახადებია. ისინი წესდება, ე.წ „სოციალური სამართლიანობის“ ან თავისუფალი ეკონომიკის პრინციპების გათვალისწინებით ან გაუთვალისწინებლად.

პროგრესული გადასახადის დროს საგადასახადო განაკვეთები წესდება დიფერენცირებულად შემოსავლების ზრდის მიხედვით ზრდადი საფეხურებრივი განაკვეთებით. პროგრესული განაკვეთები შეიძლება იყოს მარტივი და რთული. მარტივია დაბეგვრა, როდესაც განსხვავებულ შემოსავლებს მიესადაგება განსხვავებული შესაბამისი განაკვეთები. მაგ. შემოსავლები შეადგენს 100 ევროს, 200 ეეროს და 300 ევროს. 100 ევროს ჩათვლით გადასახადის განაკვეთია 5%, 101 ევროდან 200 ეეროს ჩათვლით – 10%, ხოლო 201 ევროდან 300 ევროს ჩათვლით – 15%. რთულია დაბეგვრა, როდესაც განსხვავებულ შემოსავლებს შკალის შიგნით მიესადაგება განსხვავებული განაკვეთები. მაგ. შემოსავლები შეადგენს 100 ევროს, 200 ევროს და 300 ევროს. 100 ევროს ჩათვლით გადასახადის განაკვეთია 5%, 101 ევროდან 200 ევროს ჩათვლით – 100 ევროზე 5%, ხოლო დანარჩენ თანხაზე – 10%. 201 ევროდან 300 ეეროს ჩათვლით – 200 ევროზე წინა დაბეგვრის მიხედვით, ხოლო დანარჩენ თანხაზე – 15%. პროგრესული დაბეგვრის დროს ფართოდ გამოიყენება ასევე დაუბეგრავი მინიმუმი.

რეგრესული გადასახადის დროს საგადასახადო განაკვეთები წესდება დიფერენცირებულად შემოსავლების ზრდის მიხედვით შემცირებადი საფეხურებრივი განაკვეთებით. რეგრესული განაკვეთების შემოღების დროს საგადასახადო ტვირთი მცირდება შემოსავლების ზრდის მიხედვით. მაგ. შემოსავლები შეადგენს 100 ევროს, 200 ევროს და 300 ევროს. 100 ევროს ჩათვლით გადასახადის განაკვეთია 15%, 101 ევროდან 200 ევროს ჩათვლით – 10%, ხოლო 201 ევროდან 300 ევროს ჩათვლით – 5%. რეგრესული განაკვეთი ასტიმულირებს მაღალი შემოსავლების მიღებას.

პროპორციული გადასახადის დროს საგადასახადო განაკვეთი წესდება პროცენტის სახით შემოსავლის მიმართ, მიუხედავად ამ შემოსავლის ოდენობისა. მაგ. 100 ევროზე ან 1000 ევროზე საშემოსავლო გადასახადის პროპორციული განაკვეთი შეადგენს 20 პროცენტს, ხოლო გადასახადის ოდენობა იზრდება შემოსავლების პროპორციულად.

ფიქსირებული გადასახადის დროს საგადასახადო განაკვეთი უდრის გადასახადის ოდენობას. მაგ. პირის შემოსავალი შეადგენს X ევროს, ხოლო გადასახადი მის მიმართ მყარია და უდრის 10 ევროს ფულად გამოხატულებაში. ფიქსირებული გადასახადი შეიძლება იყოს საფეხურებრივიც. მაგ. ყოველ 100 ევროზე 1 ევრო გადასახადის სახით. ფიქსირებულ გადასახადს მიეკუთვნებოდა მაგ. „გადაკვეთილი“-ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი განსაზღვრული გადასახადი ფეოდალურ საქართველოში, რომლის გადახდა აუცილებელი იყო გლეხის ოჯახისათვის – პატრონისადმი, თაობიდან თაობამდე.

როგორც აღვნიშნეთ, გადასახადის ელემენტებს მიეკუთვნება დაბეგვრის სუბიექტი, დაბეგვრის

ობიექტი, საგადასახადო ბაზა, დაბეგვრის ერთეული, გადასახადის წყარო, გადასახადის მასშტაბი, საგადასახადო განაკვეთი, საგადასახადო პერიოდი, გადასახადის გამოთვლის წესი, გადასახადის გადახდის ვადა. აქვე შეიძლება განვიხილოთ საგადასახადო ტვირთიც.

დაბეგვრის სუბიექტი არის გადასახადის გადამხდელი ანუ იურიდიული ან ფიზიკური პირი ან ასეთი სტატუსის არმქონე პირი, რომელიც კანონმდებლობით ვალდებულია გადაიხადოს შესაბამისი გადასახადი.

დაბეგვრის ობიექტი არის ყოველივე ის, რასაც ერიცხება გადასახადები და რაც არის დაბეგვრის საფუძველი. დაბეგვრის ობიექტებია: საქონელი, მომსახურება, ქონება, მოგება, შემოსავალი ან შესაბამისი ოპერაცია, რომელიც კანონმდებლობით ექვემდებარება დაბეგვრას.

გადასახადის წყარო არის კონკრეტიზირებული დაბეგვრის ობიექტი ანუ ის რესურსი, რომლის ხარჯზეც ხდენა გადასახადის გადახდა. მაგ. მოგება, ქონების გადასახადის შემთხვევაში შესაბამისი შემოსავალი.

დაბეგვრის ერთეული არის დაბეგვრის ობიექტის ზომის ერთეული. მაგ. შემოსავლის ზომის ერთეული-ევრო, მიწის ფართის ერთეული – ჰექტარი, საქონლის ზომის ერთეული – ლიტრი, ავტომანქანის ძრავის მოცულობის ერთეული – კუბური მეტრი და ა.შ).

დაბეგვრის პერიოდი არის პერიოდი ყოველი სახის გადასახადისათვის ერთი საგადასახადო ვალდებულების წარმოშობიდან შემდეგი საგადასახადო ვალდებულების წარმოშობამდე.

გადასახადის მასშტაბი არის დაბეგვრის ობიექტის ფიზიკური მახასიათებელი, რომელიც გამოიხატება დაბეგვრის ერთეულით. მაგ. დაბეგვრის ობიექტია მსუბუქი ავტომანქანა, გადასახადის მასშტაბი – ავტომანქანის სიმძლაერე, ხოლო დაბეგვრის ერთეული – ცხენის ძალა; ან დაბეგვრის ობიექტია მსუბუქი ავტომანქანა, გადასახადის მასშტაბი – ძრავის მოცულობა, ხოლო დაბეგვრის ერთეული – კუბური სანტიმეტრი.

საგადასახადო ბაზა არის დაბეგვრის ობიექტის ღირებულებითი, ფიზიკური ან სხვაგვარი მახასიათებლები. საგადასახადო ბაზის ერთეულს მიეყენება საგადასახადო განაკვეთი. საგადასახადო ბაზა გამოითვლება, როგორც გადასახადის ერთეულისა და ამ ერთეულის რაოდენობათა ნამრავლი. მაგ. 5 ჰექტარი მიწის შემთხვევაში, მიწის გადასახადის მიზნებისათვის საგადასახადო ბაზა იქნება – 1 ჰექტარი გამრავლებული ჰექტართა რაოდენობაზე ანუ 5-ზე, ე. ი – 5 ჰექტარი.

საგადასახადო განაკვეთი არის საგადასახადო დარიცხვის სიდიდე საგადასახადო ბაზის ერთეულზე. არსებობს საგადასახადო განაკვეთის შემდეგი სახეები: მყარი (ფიქსირებული), პროპორციული, პროგრესული, რეგრესიული.

საგადასახადო ტვირთი (წნეხი) არის ეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც ეკონომიკის სხვადასხვა დონეზე (მაკრო, მიკრო) გამოხატავს გადასახდელი გადასახადებისა და საგადასახადო ბაზის თანაფარდობის სიმძიმეს. მაკროეკონომიკური თვალსაზრისით, საგადასახადო ტვირთი არის ამოღებული (ამოსაღები) გადასახადების თანხის შეფარდება მთლიან შიგა პროდუქტთან. მიკროეკონომიკური ასპექტით საგადასახადო ტვირთი შეიძლება იყოს საწარმოს ან ეკონომიკის დარგის მიერ გადახდილი(გადასახდელი) გადასახადების თანხის შეფარდება მათ ერთობლივ შემოსავალთან ან მოგებასთან. მაგ. თუ ჩავთვლით, რომ საქართველოს მთლიანი შიგა პროდუქტი 25 მილიარდი ლარია, ხოლო ბიუჯეტში მობილიზებული გადასახადების თანხა – 6 მილიარდი, მაშინ საგადასახადო ტვირთი იქნება 24 პროცენტი. ზოგადად, საგადასახადო ტვირთს დაბეგვრის ნორმასაც უწოდებენ, რომელიც არის დაბეგვრის ობიექტებიდან ამოღებული შემოსავლის წილი.

1.3. საგადასახადო თეორიები

აქ საუბარი გვექნება ზოგიერთ ძირითად საგადასახადო თეორიაზე, რომელსაც ისტორიულად მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა ეკონომიკური აზრის ისტორიაში.

ერთიანი გადასახადის თეორია – კერძო საგადასახადო თეორია, რომელსაც უფრო სოციალურ-პოლიტიკური ელფერი დაჰკრავს, ვიდრე ეკონომიკური. ერთიანი გადასახადის შემოღების იდეა პოპულარული იყო სხვადასხვა დროს. მე–18 საუკუნეში, ინგლისში პარტიაც კი არსებობდა, რომლის დევიზი იყო ერთიანი გადასახადის შემოღება მშენებლობაზე. ამ თეორიის სხვადასხვა მომხრეები ერთიან გადასახადს სახავდნენ პანაცეად. ისი ამტკიცებდნენ, რომ ამ გადასახადის შემოღებით სიღარიბე მოისპობოდა, ხელფასი გაიზრდებოდა, ჭარბწარმოება შეუძლებელი გახდებოდა, მრეწველობა გაიზრდებოდა და ა.შ. ერთიანი გადასახადი წარმოედგინათ, როგორც განსაკუთრებული გადასახადი დაბეგვრის მხოლოდ ერთ ობიექტზე. მაგალითად მიწაზე ან მშენებლობაზე ან ხარჯებზე ან უძრავ ქონებაზე ან შემოსავლებზე ან კაპიტალზე და ა.შ. ამ გადასახადის ერთ-ერთი ყველაზე ძველი სახე

იყო მინის რენტა. ფიზიოკრატები თვლიდნენ, რომ მრეწველობა შემოსავლის წმინდა ნამატს არ წარმოშობს. ყველა სიმდიდრე თავმოყრილია მინაში და მომდინარეობს მისგან. ამიტომ საჭიროა ერთიანი გადასახადის დანერგება მიწის რენტაზე, როგორც შემოსავლების ერთადერთ წყაროზე. შესაბამისად ეს გადასახადი უნდა გადაიხადონ მხოლოდ მიწისმფლობელებმა. ერთიანი გადასახადის შემოღების საფუძვლად შემოთავაზებულია „მიწის საყოველთაობის" იდეა. მიწა არის ღმერთის საჩუქარი და ის უნდა ეკუთვნოდეს ყველას. უფრო მეტიც ყველა სიმდიდრე მოდის მიწიდან. რამდენადაც მიწა სინამდვილეში ეკუთვნის კონკრეტულ ადამიანებს, ისინი, როგორც სიმდიდრის ერთადერთი წყაროს მფლობელები, ვალდებული არიან იხადონ ერთიანი გადასახადი. მე-19 საუკუნის ამერიკელი ეკონომისტი ჰენრი ჯორჯი, რომელმაც წამოწია „ერთიანი მიწის გადასახადის" იდეა, განიხილავდა მას, როგორც საყოველთაო შემოსავლის და სოციალური სიმშვიდის წყაროდ. თანამედროვე პირობებში ერთიანი გადასახადის შემოღებას ეკონომისტები უტოპიად და არაპროგრესულად მიიჩნევენ.

კეინსიანური თეორია – ზოგადი საგადასახადო თეორია, რომლის წარმომადგენელია ჯონ მეინარდ კეინსი. ამ თეორიის მიხედვით, გადასახადი არის ეკონომიკის რეგულირების მთავარი ბერკეტი, რომელსაც თან უნდა სდევდეს ეკონომიკის განუხრელი განვითარება. ეკონომიკის განვითარებისათვის აუცილებელია „ეფექტური მოთხოვნა", რომელიც რეგულირდება არა მხოლოდ ფულად – საკრედიტო, არამედ საბიუჯეტო პოლიტიკით. კეინსი მხარს უჭერდა პროგრესულ დაბეგვრას, რამდენადაც პროგრესული დაბეგვრა ასტიმულირებს მეწარმის მიერ კაპიტალური დაბანდებების რისკის გაწევას. ამ თეორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ეკონომიკური ზრდის დამოკიდებულება ფულად დანაზოგებთან სრული დასაქმების პირობებში. თუ ეს არ არის, მაშინ დიდი დანაზოგები ხელს უშლის ეკონომიკურ ზრდას, რამდენადაც წარმოადგენენ შემოსავლების პასიურ წყაროს, რომელიც არ იდება წარმოებაში. ამიტომ ჭარბი დანაზოგები ამოღებულ უნდა იქნას გადასახადების სახით. ამისათვის საჭიროა სახელმწიფოს ჩარევა იმ მიმართულებით, რომ გადასახადების საშუალებით ამოღებულ იქნას დანაზოგები და მათ ხარჯზე მოხდეს ინვისტიციების განხორციელება, აგრეთვე მიმდინარე სახელმწიფო ხარჯების დაფინანსება. ამ თეორიის მიხედვით ეკონომიკურ სისტემაში გადასახადები მოქმედებენ, როგორც „მოქნილობის ჩაშენებული მექანიზმები". მაღალი პროგრესული გადასახადები ამ მიმართულებით დადებით როლს თამაშობენ. საგადასახადო შემოსავლების შემცირება ამცირებს ბიუჯეტის შემოსავლებს და ამძაფრებს ეკონომიკურ არამდგრადობას. გადასახადები, როგორც „ჩაშენებული სტაბილიზატორი" არბილებს ამ პროცესს: ეკონომიკური აღმავლობის დროს დასაბეგრი შემოსავლები იზრდება უფრო ნელა, ვიდრე საგადასახადო შემოსავლები, ხოლო კრიზისის დროს გადასახადები უფრო ჩქარა მცირდება, ვიდრე ეცემა შემოსავლები. ამრიგად, ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები დამოკიდებულია, არა მხოლოდ საგადასახადო განაკვეთის სიდიდეზე, არამედ იმ შემოსავლების სიდიდის ცვლილებებზე, რომელიც იბეგრება პროგრესული საშემოსავლო გადასახადით. რყევები ხდება ავტომატურად და იგი უფრო მნიშვნელოვანია საგადასახადო შემოსავლებში, ვიდრე საწარმოო შემოსავლებში. ეს თეორია პირველი მსოფლიო ომის წინ წარმატებით იქნა გამოყენებული ინგლისში.

მიწოდების ეკონომიკის თეორია – ზოგადი საგადასახადო თეორია, რომლის წარმომაგენლებია ბერნსი, სტაინი, ლაფერი. ამ თეორიის მიხედვით, გადასახადები არის ეკონომიკის განვითარების და რეგულირების ერთ-ერთი ფაქტორი. მაღალი განაკვეთებით დაბეგვრა უარყოფითად მოქმედებს მეწარმეობასა და საინვესტიციო აქტივობაზე, რაც ამცირებს საგადასახადო შემოსავლებს. საჭიროა გადასახადების განაკვეთების შემცირება და საწარმოებისათვის საგადასახადო შეღავათების მიცემა, რაც გამოიწვევს მკვეთრ ეკონომიკურ ზრდას. ამასთან საჭიროა სახელმწიფო ხარჯების შემცირება, რამდენადაც ბაზრის რეგულატორი თვითონ ბაზარია, ხოლო სახელმწიფო რეგულირება და მაღალი გადასახადები ხელს უშლის ბაზრის განვითარებას.

პირდაპირი და არაპირდაპირი დაბეგვრის თეორია – კერძო საგადასახადო თეორია. ადრეულ ევროპაში პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების შემოღება დამოკიდებული იყო საზოგადოების პოლიტიკურ განვითარებაზე. ადრეული შუასაუკუნეების ქალაქებში, სადაც ქონების მეტ-ნაკლებად თაობარი გადანაწილების გამო ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო დემოკრატიული წყობა, საგადასახადო სისტემა ეფუძნებოდა ძირითადად პირდაპირ გადასახადებს. არაპირდაპირი გადასახადები ითვლებოდა უარყოფითად, რამდენადაც ის ზრდიდა საქონლის ფასს. არისტოკრატიის მიერ ძალების მოკრების შედეგად დაწესდა ირიბი დაბეგვრის პრიორიტეტი, კერძოდ პირველადი მოხმარების საგნებზე. მეორე მოსაზრების მიხედვით, რომელიც შუა საუკუნეების ბოლოს ჩამოყალიბდა, ამტკიცებდა არაპირდაპირი გადასახადების აუცილებლობას. წარჩინებული ფენა სხვადასხვა შეღავათების საფუძველზე არ იბეგრებოდა არაპირდაპირი გადასახადებით. ამიტომ არაპირდაპირი დაბეგვრის მომხრეები ცდილობდნენ დაებეგრათ ამ გადასახადებით პრივილეგირებული ფენა, ხოლო ირიბ გადასახადებს გა-

ნიხილავდნენ დაბეგვრის გამოთანაბრების საშუალებად. ამ თეორიას მხარს უჭერდნენ აგრეთვე სმიტი და რიკარდო, რომლებიც თვლიდნენ, რომ ირიბი გადასახადები ნებაყოფლობითია, ვიდრე პირდაპირი, რადგანაც თუ არ იყიდი საქონელს, არაპირდაპირ გადასახადებსაც არ იხდი. მე-19 საუკუნის ბოლოს ეკონომისტები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებს შორის ბალანსის დაცვა. პირდაპირი გადასახადების ფუნქციაა პირების შემოსავლების გამოთანაბრება, ხოლო არაპირდაპირის-ეფექტური საბიუჯეტო შემოსავლების მიღება. ამასთან დაკავშირებით 1861 წელს ინგლისის პარლამენტში ლორდი გლედსტონი ამბობდა: „მე არასდროს არ ვფიქრობ პირდაპირ და არაპირდაპირ დაბეგვრაზე სხვანაირად, ვიდრე ორ მომხიბვლელ დაზე, რომლებიც მხოლოდ ისე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც დები. მე ვერ ვხედავ მათ თაყვანისმცემლებს შორის ბოროტი პაექრობის ვერავითარ მიზეზს. მე ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ორივესათვის პატივისცემის დადასტურება არა მხოლოდ შესაძლებელია, არამედ აუცილებელიც".

პროპორციული და პროგრესული დაბეგვრის თეორია – კერძო საგადასახადო თეორია. პროპორციული დაბეგვრის დროს საგადასახადო განაკვეთები დგინდება გადამხდელის შემოსავლის მიმართ ერთიანი პროცენტის სახით მიუხედავად ამ შემოსავლის ოდენობისა. ამ იდეას ყოველთვის უჭერდა მხარს შეძლებული ფენა და ამართლებდა მას თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპებით. პროგრესული დაბეგვრის მიხედვით საგადასახადო განაკვეთები იზრდება გადამხდელის შემოსავლის ზრდის პროპორციულად. დაბეგვრის ამ იდეას ყოველთვის უჭერდნენ მხარს მემარცხენე იდეოლოგები. ეს თეორია საბოლოოდ ჩამოყალიბდა მე-19 საუკუნის შუა წლებში, თუმცა მისი ელემენტები მოიპოვება სმიტის, რუსოს, სეის ნაშრომებში. დაბეგვრის პროგრესიის მიმდევრები ხაზს უსვამენ იმას, რომ იგი უფრო სამართლიანია, ვინაიდან ხელს უწყობს შემოსავლების გამოთანაბრებას და გადანაწილებას.

საჯარო ხელშეკრულების თეორია – ზოგადი საგადასახადო თეორია, რომლის წარმომადგენლები იყვნენ სპინოზა, ჰობსი, რუსო, რადიშევი. ამ თეორიის მიხედვით გადასახადი არის სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის ხელშეკრულების შედეგი, რომლის თანახმადაც მოქალაქე სახელმწიფოს უხდის განსაზღვრულ თანხას დაცვისათვის და სხვა მომსახურებისათვის. მას მეორენაირად გაცვლის თეორიაც შეიძლება ეწოდოს.

საგადასახადო ნეიტრალიტეტის თეორია – ზოგადი საგადასახადო თეორია, რომლის წარმომადგენლები იყვნენ სმიტი და რიკარდო. ამ თეორიის მიხედვით, გადასახადი ეს არის, სახელმწიფო ხარჯების დაფინანსება. გადასახადების როლი უნდა შემოიფარგლოს სახელმწიფო ხაზინის შევსებით. მათი გამოყენება ეკონომიკის რეგულირებისათვის დაუშვებელია.

ატომისტური თეორია – ზოგადი საგადასახადო თეორია, რომლის წარმომადგენლები იყვნენ მონტესკიე, ვობანი). ამ თეორიის მიხედვით გადასახადი არის რეალური და აბსტრაქტული მომსახურების საფასური.

გაცვლის თეორია – დაბეგვრის თეორია, რომელიც ეხება ევროპის შუა საუკუნეების დაბეგვრის პრაქტიკას, რომლის მიხედვითაც გადასახადი არის იმ მომსახურების ეკვივალენტი, რომელსაც სახელმწიფო უწევს ქვეშევრდომებს ომებისა და შინაური ძალმომრეობისაგან თავის დასაცავად. ამ თეორის ეყრდნობა შემდგომში ცნობილი მეტ-ნაკლებად ყველა თეორია.

ხელსაყრელობის თეორია – ზოგადი საგადასახადო თეორია, რომლის წარმომადგენელი იყო სისმონდი. ამ თეორიის მიხედვით გადასახადი ეს არის მოქალაქის მიერ გადახდილი ფასი, მისთვის სახოგადოებრივი წესრიგის, სამართლიანი სასამართლოს, პიროვნების თავისუფლების და საკუთრების უფლების უზრუნველყოფის მიღებისათვის ტკბობის გამო.

დაბეგვრის ზოგადი თეორია – სამეცნიერო ცოდნის განსაზღვრული ნაწილი გადასახადების არსის და მნიშვნელობის შესახებ, რომელიც ასაბუთებს დაბეგვრის სხვადასხვა მოდელებს. მაგ. საჯარო ხელშეკრულების თეორია, ატომისტური თეორია, ხელსაყრელობის თეორია, დაზღვევის თეორია, საგადასახადო ნეიტრალიტეტის თეორია, კეინსიანური თეორია, შემოწირულობის თეორია, მონეტარიზმის თეორია, მინდობის ეკონომიკის თეორია.

დაბეგვრის კერძო თეორია – სამეცნიერო ცოდნის განსაზღვრული ნაწილი, რომელიც თეორიულად ასაბუთებს ცალკეული გადასახადების ან დაბეგვრის ცალკეული ასპექტების არსებობას. მაგ. პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების თანაფარდობის თეორია, თვითდაბეგვრის თეორია, ერთიანი გადასახადის თეორია, საგადასახადო – საბიუჯეტო ფედერალიზმის თეორია, პროპორციული და პროგრესული დაბეგვრის თანაფარდობის თეორია, გადასახადების გადაკისრების თეორია.

გადასახადების გადაკისრების თეორია – კერძო საგადასახადო თეორია. ამ საკითხების კვლევები დაიწყო მე-17 საუკუნეში. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ საგადასახადი ტვირთის განაწილება შესაძლებელია მხოლოდ საქონელგაცვლის პროცესში, რომლის შედეგია ფასების ჩამოყალიბება. ამ

დროს გადასახადის იურიდიული გადამხდელი საგადასახადო ტვირთს გადააკისრებს სხვა პირს – საქონლის მომხმარებელს. ამერიკელი ეკონომისტების ბ. ატკინსონისა და ჯ. სტიგლიცის სიტყვებით, რომ ვთქვათ „ერთი ყველაზე უფრო სასარგებლო დასკვნა, რომელიც გამომდინარეობს სახელმწიფო ფინანსების ეკონომიკური ანალიზიდან, მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანი, რომელზეც ფორმალურად ვრცელდება დაბეგვრის დებულებები და ადამიანი, რომელიც იხდის ამ გადასახადს, სავსებით არ არის სავალდებულო ერთი და იგივე პირი იყოს". გადასახადების გადაკისრების თეორიის ფუძემდებლად ითვლება ინგლისელი ფილოსოფოსი ჯონ ლოკი, რომელმაც გააკეთა დასკვნა იმის შესახებ, რომ ყველა გადასახადი საბოლოო ჯამში ეკისრება მიწის მესაკუთრეს. მე-19 საუკუნის ბოლოს კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორმა ე. სელიგმანმა ჩამოაყალიბა ამ თეორიის ძირითადი დებულებები და აჩვენა მისი ორი სახესხვაობა: გადაკისრება გამყიდველიდან მყიდველზე, რომელიც ხდება არაპირდაპირი გადასახადების დროს და მყიდველიდან გამყიდველზე, როდესაც არაპირდაპირი გადასახადების დროს(მაგ. აქციზი), ამ საქონელზე მოთხოვნა არსებითად შეზღუდულია მაღალი განაკვეთის და შესაბამისად მაღალი ფასების გამო. გადასახადების გადაკისრების მექანიზმი საბოლოოდ გარკვეული არ არის. ამერიკელი ეკონომისტების მაკკონელისა და ბრიუს აზრით „გადასახადები ყოველთვის არ ამოდიან იმ წყაროებიდან, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას. ზოგიერთი გადასახადი შეიძლება გადაკისრებულ იქნას. ამ მიზეზის გამო აუცილებელია ძირითადი სახის გადასახადების შესაძლო გადაკისრების სფეროს განსაზღვრა და იმ საბოლოო პუნქტების გამოვლენა, სადაც გადაადგილდებიან გადასახადები".

შედულარული დაბეგვრის თეორია (სისტემა) – ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ბრიტანული სისტემა. დაბეგვრის შედულარული სისტემა დიდ ბრიტანეთში შემოიღეს მე-19 საუკუნის შუა წლებში და პირვანდელი სახით არსებობდა 1973 წლამდე, თუმცა დღემდე არსებობს შერეული სისტემის სახით. საშემოსავლო გადასახადის გაანგარიშება ხდება პირის მიერ მიღებული შემოსავლების შედულების ანუ ნაწილების სახით და არა ერთობლივი შემოსავლის მიხედვით, რადგანაც ყველა შედული განსხვავებული რეჟიმით იბეგრება. არსებობს შემდეგი შედულები: A (შემოსავლები უძრავი ქონებიდან); B (შემოსავლები ტყეების კომერციული გამოყენებიდან); C (შემოსავლები სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებიდან); D (სავაჭრო და სამრეწველო მოგება, თავისუფალი პროფესიების პირთა შემოსავლები, შემოსავლები უცხოეთიდან; E (შრომითი შემოსავლები, გასამრჯელო, პენსია); F (შემოსავლები ბრიტანული კომპანიებიდან მიღებული დივიდენდების სახით. შემოიღეს 1976 წელს). 1988 წელს B შედული გაუქმდა, ხოლო 1997 წელს – C შედული, რომლებიც გადანაწილდა სხვა შედულებში. 1973 წელს დიდი ბრიტანეთი გახდა საერთო ბაზრის წევრი და დაბეგვრის საერთო სისტემას შეუერთდა, თუმცა შედულარულმა სისტემამ მაინც შეინარჩუნა თავისი ფუნქცია საგადასახადო გამოქვითვების და შეღავათების ასპექტით. შედულარული სისტემის ელემენტები არსებობს აგრეთვე საფრანგეთში, გერმანიაში და დიდი ბრიტანეთის ყოფილ კოლონიებში.

ჰაუზერის კანონი – ამერიკელი ეკონომისტის ვილიამ კურტ ჰაუზერის მიერ 1933 წელს ფორმულირებული თეორია, რომლის მიხედვით ომის შემდგომ წლებში აშშ-ს ბიუჯეტში მობილიზებული გადასახადები შეადგენდნენ მთლიანი ნაციონალური პროდუქტის 19,5 პროცენტს მიუხედავად გადასახადების განაკვეთებისა. ამდენად, გაადიდებ, თუ შეამცირებ გადასახადის განაკვეთებს, საბოლოო ჯამში ამოღებული გადასახადები მაინც იქნება მთლიანი ნაციონალური პროდუქტის 19,5 პროცენტი. ამდენად სჯობს გადასახადების შემცირება, რადგანაც იგი იწვევს ეკონომიკის სტიმულირებას, დასაქმების ზრდას და შესაბამისად მთლიანი ნაციონალური პროდუქტის ზრდას. ამიტომ, ამ კანონის მიხედვით საჭიროა არა გადასახადების ზრდა, არამედ ხარჯების შემცირება.

ტიბოს ჰიპოთეზა (უხილავი ფეხის ჰიპოტეზა) – მტკიცება, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს შორის არჩევანის მეშვეობით, რომელიც განსაზღვრავს გადასახადებისა და მომსახურების სხვადასხვა კომბინაციებს, მომხმარებლებს შეუძლიათ ოპტიმალური ვარიანტისადმი მიახლოება.

თავი 2. ნორმატიული აქტების იერარქია დაბეგვრის სფეროში

2.1. ნორმატიული აქტის ცნება და კლასიფიკაცია

ნორმატიული აქტი არის სამართლებრივი აქტის სახე. იგი არის უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს. იგი, როგორც იურიდიული ნორმა სავალდებულოა შესასრულებლად ნებისმიერი პირისათვის, რომელსაც ან ნორმასთან აქვთ შეხების წერტილი.

ნორმატიული აქტი მოქმედების არეალის მიხევით სამი სახის არის: საქართველოს ნორმატიული აქტი, ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტი და ადგილობრივი თვითმმართველობის ნორმატიული აქტი.

საქართველოს ნორმატიული აქტი მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, თუ თვით ამ ნორმატიული აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, და სავალდებულოა შესასრულებლად.

დაბეგვრის მიზნებისათვის საქართველოს ნორმატიულ აქტებს განეკუთვნება:

1.საქართველოს კონსტიტუცია
2. საქართველოს კონსტიტუციური კანონი
3. საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება
4. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება
5. საქართველოს ორგანული კანონი
6. საქართველოს კანონი
7. საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი
8. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება
9. საქართველოს პარლამენტის დადგენილება
10. საქართველოს მთავრობის დადგენილება
11. საქართველოს მინისტრის ბრძანება

ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტი მოქმედებს ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, თუ თვით ამ ნორმატიული აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, და სავალდებულოა შესასრულებლად.

ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიულ აქტებს განეკუთვნება:

1. ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია
2. ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონი
3. ავტონომიური რესპუბლიკის კანონი
4. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს რეგლამენტი
4. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს დადგენილება
5. ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილება
6. ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის ბრძანება
7. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის დადგენილება

ავტონომიური რესპუბლიკის ზემოაღნიშნულ ნორმატიულ აქტებს გადასახადების რეგულირებასთან კავშირი არ აქვს და იგი მოგვყავს მხოლოდ საცნობარო მიზნით.

ადგილობრივი თვითმმართველობის ნორმატიული აქტი მოქმედებს და სავალდებულოა შესასრულებლად ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მთელ ტერიტორიაზე.

დაბეგვრის მიზნებისათვის ადგილობრივი თვითმმართველობის ნორმატიული აქტია საკრებულოს დადგენილება.

კოდექსი არის განსაზღვრული (ერთგვაროვანი) საზოგადოებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმათა სისტემატიზებული ნორმატიული აქტი. საქართველოს საგადასახადო კოდექსი არის საქართველოს კანონი.

საქართველოს ნორმატიული აქტები კლასიფიცირდება აგრეთვე საკანონმდებლო აქტების, კანონქვემდებარე აქტების და სხვა ნორმატიული აქტების სახით.

საკანონმდებლო აქტებს მიეკუთვნება:

1. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი;
2. საქართველოს ორგანული კანონი;

3. საქართველოს კანონი, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი.

კანონქვემდებარე აქტებს მიეკუთვნება:

1. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება
2. საქართველოს პარლამენტის დადგენილება
3. საქართველოს მთავრობის დადგენილება
4. საქართველოს მინისტრის ბრძანება

საქართველოს სხვა ნორმატიულ აქტებს მიეკუთვნება:

1. საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება
2. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება

ზემოაღნიშნულ, საქართველოს საკანონმდებლო აქტებს, კანონქვემდებარე აქტებს და საქართველოს სხვა ნორმატიულ აქტებს ეწოდება საქართველოს კანონმდებლობა.

2.2. ნორმატიული აქტის უპირატესი ძალის პრინციპი

საქართველოს ნორმატიული აქტები უპირატესი ძალის მიხედვით ჯგუფდება იერარქიის პრინციპით. თუ იერარქიის ზედა საფეხურზე მდგომი ნორმატიული აქტი ეწინააღმდეგება ქვედა საფეხურებზე მდგომ ნორმატიულ აქტებს, მაშინ მოქმედებს ზედა საფეხურის ნორმატიული აქტი. ერთი და იგივე საფეხურზე მდგომ ნორმატიულ აქტებს აქვთ თანაბარი იურიდიული ძალა, ხოლო თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება უფრო გვიან მიღებულ (გამოცემულ) ნორმატიულ აქტს. ნორმატიული აქტის მიღება(გამოცემა) არ ემთხვევა მის ძალაში შესვლას. მაგალითად, საქართველოს საგადასახადო კოდექსი მიღებულია 2010 წლის 17 სექტემბერს, ხოლო ძალაშია 2011 წლის პირველი იანვრიდან.

იურიდიული ძალის მიხედვით არსებობს ნორმატიული აქტების შემდეგი საფეხურებრივი იერარქია:

1. საქართველოს კონსტიტუცია; საქართველოს კონსტიტუციური კანონი
2. საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება
3. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება
4. საქართველოს ორგანული კანონი
5. საქართველოს კანონი; საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი
6. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება
7. საქართველოს პარლამენტის დადგენილება
8. საქართველოს მთავრობის დადგენილება
9. საქართველოს მინისტრის ბრძანება
10. საკრებულოს დადგენილება

2.3. საქართველოს კონსტიტუცია. საქართველოს კონსტიტუციური კანონი

საქართველოს კონსტიტუცია წარმოადგენს სახელმწიფოს უზენაეს კანონს. ყველა ნორმატიული და ზოგადად სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციას.

საქართველოს კონსტიტუციური კანონი წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის განუყოფელ ნაწილს და იგი მიიღება საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების და დამატების დროს ანუ კონსტიტუციის გადასინჯვისას.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით:

ა) საგადასახადო კანონმდებლობა მიეკუთვნება საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა ამოუ პარლამენტია და მთავრობის განსაკუთრებულ გამგებლობას;

ბ) თანალმდეგი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის დროს პირის ბოლო მოქმედი ანაზღაურება თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადისა და მოსაკრებლისაგან;

გ) საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია პარლამენტის დათხოვნიდან ახლადარჩეული პარლამენტის პირველ შეკრებამდე, განსაკუთრებულ შემთხვევებში, საგადასახადო საკითხებზე გამოსცეს კანონის ძალის მქონე აქტი – დეკრეტი, რომელიც ძალას კარგავს, თუ ახლადარჩეული პარლამენტი პირველი შეკრებიდან ერთი თვის განმავლობაში არ დაამტკიცებს მას;

დ) საქართველოა გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდა კანონით დადგენილი ოდენობითა და წესით;

ე) გადასახადებისა და მოსაკრებლების სტრუქტურას, შემოღების წესს ადგენს მხოლოდ კანონი;
ვ) გადასახადებისაგან განთავისუფლება დასაშვებია მხოლოდ კანონით;
ზ) საქართველოს კონტროლის პალატა უფლებამოსილია წარუდგინოს პარლამენტს საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფის წინადადებები.

2.4. საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება

საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება იერარქიის მეორე საფეხურზე მდგომი ნორმატიული აქტია საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს კონსტიტუციური კანონის შემდეგ. კონსტიტუციურ შეთანხმებას დებს პრეზიდენტი საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართმადიდებლურ ეკლესიასთან და მას ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი. სხვანაირად ამ შეთანხმებას კონკორდატს უწოდებენ.

კონსტიტუციური შეთანხმების მიხედვით ეკლესია წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. მის მიერ წარმოებული საღვთისმსახურო პროდუქცია – მისი დამზადება, შემოტანა, მიწოდება და შემონირულობა, ასევე არაეკონომიკური მიზნით არსებული ქონება და მინა გათავისუფლებულია გადასახადებისაგან.

დაბეგვრისაგან გათავისუფლებულ საღვთისმსახურო (საეკლესიო) პროდუქციას მიეკუთვნება:

1. ეკლესია – მონასტრები და საეკლესიო დანიშნულების ნაგებობანი(კათოლიკოს – პატრიარქის ან მღდელმთავრის რეზიდენციები, სასულიერო სასწავლებლები), მათი პროექტირება, არქეოლოგია, მშენებლობა, რესტავრაცია – კონსერვაცია;

2. საეკლესიო მხატვრობა;

3. საეკლესიო-საღვთისმსახურო ნივთები (ბარძიმ-ფეშხუმი, ლახვარი, სანაწილე, ოდიკი, გარდამოხსნა, ემბაზი, ანალოღია, შანდალი, ტაკუკი, ვარსკვლავი, საცეცხლური, სასაკმევლე, კიოტი, საეკლესიო ნახშირი, სკვნილი, კვერთხი, პანაღია, სუდარა, სანათლავი, კვართი, სარტყელი, საეკლესიო სამშვენისი, ნაკურთხი წყლის, ღვინის, მინის, ზეთისა და მირონის ჭურჭელი);

4. ხატი, ჯვარი, საეკლესიო სანთელი, საღვთისმსახურო (სარიტუალო) ღვინო, საკმეველი, საკანდელე ზეთი, წმინდა წყალი, სეფისკვერი (სარიტუალო პური);

5. სასულიერო პირის შესამოსელი;

6. მომლოცველობა;

7. საღვთისმეტყველო-საღვთისმსახურო და სასულიერო-საგანმანათლებლო ლიტერატურა, ასევე ამ დანიშნულების ტელე-კინო-ვიდეო-აუდიო და რადიო პროდუქცია.

რაც შეეხება დაბეგვრისაგან გათავისუფლებულ საღვთისმსახურო ქონებას მას მიეკუთვნება: ტაძრები, მონასტრები, საეკლესიო დანიშნულების ნაგებობანი, წმინდა ნაწილები, წმინდა რელიკვიები, საეკლესიო ნივთები.

2.5. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება

საერთაშორისო ხელშეკრულება არის საქართველოს მიერ უცხო სახელმწიფოსთან (სახელმწიფოებთან) ან საერთაშორისო ორგანიზაციასთან (ორგანიზაციებთან) წერილობითი ფორმით დადებული შეთანხმება, რომელიც რეგულირდება საერთაშორისო სამართლის ნორმებით, განურჩევლად იმისა, წარმოდგენილია იგი ერთი თუ რამდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებული დოკუმენტით და მიუხედავად მისი კონკრეტული სახელწოდებისა. საერთაშორისო ხელშეკრულება შეიძლება სხვადასხვა დასახელებით (სათაურით) იყოს წარმოდგენილი. მაგ. ხელშეკრულება, შეთანხმება, კონვენცია, პაქტი, ოქმი, წერილების გაცვლა, სხვა სახისა და სახელწოდების საერთაშორისო ხელშეკრულება.

მხოლოდ საქართველოს პარლამენტია უფლებამოსილი, მოახდინოს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიცირება, დენონსირება და გაუქმება.

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ კანონსა და კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიგასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.

ოფიციალურად გამოქვეყნებული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების დებულებები, რომლებიც ადგენენ კონკრეტული ხასიათის უფლებებსა და მოვალეობებს და არ საჭიროებენ დამაზუსტებელი შიგასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიღებას, საქართველოში მოქმედებენ უშუალოდ.

საქართველოს თანხმობა საერთაშორისო ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარებაზე შეიძლე-

ლობაში საერთო ბრუნვის თანხაში ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციების თანხის ხვედრითი წონის მიხედვით.

ძირითადი საშუალების მიხედვით, თუ იგი გამოყენებულ იქნა ან/და იქნება:

ა) მხოლოდ ისეთ ოპერაციაში, რომლის დროსაც დღგ-ის გადამხდელს აქვს ჩათვლის მიღების უფლება, პირს უფლება აქვს, ძირითად საშუალებაზე პირველივე საანგარიშო პერიოდში სრულად მიიღოს ჩათვლა, და ჩათვლილი დღგ-ის თანხა არ ექვემდებარება გაუქმებას;

ბ) მხოლოდ ისეთ ოპერაციაში, რომლის დროსაც დღგ-ის გადამხდელს არ აქვს ჩათვლის მიღების უფლება, პირს უფლება არ აქვს, ძირითად საშუალებაზე მიიღოს ჩათვლა;

გ) ერთდროულად ჩათვლის უფლების მქონე და ჩათვლის უფლების გარეშე ოპერაციებში და მათი გამიჯვნა შეუძლებელია, მაშინ:

გ.ა) თუ დღგ-ის გადამხდელის მიერ წინა საგადასახადო წლის მიხედვით ჩათვლის უფლების გარეშე დასაბეგრი ოპერაციების თანხა საერთო ბრუნვის 20 პროცენტზე ნაკლებია, პირს უფლება აქვს, ძირითად საშუალებაზე პირველივე საანგარიშო პერიოდში სრულად მიიღოს ჩათვლა, ამასთანავე, ყოველი კალენდარული წლის ბოლოს გასაუქმებელი დღგ-ის თანხა განსაზღვროს კალენდარული წლის საერთო ბრუნვის თანხაში ჩათვლის უფლების გარეშე დასაბეგრი ოპერაციების თანხის ხვედრითი წონის პროპორციულად;

გ.ბ) დღგ-ის გადამხდელს, გარდა „გ.ა" ქვეპუნქტში აღნიშნულისა, უფლება აქვს, ძირითად საშუალებაზე მიიღოს ჩათვლა მხოლოდ ყოველი კალენდარული წლის ბოლო საანგარიშო პერიოდის დეკლარაციაში წლის განმავლობაში საერთო ბრუნვაში ჩათვლის უფლების მქონე დასაბეგრი ოპერაციების თანხის ხვედრითი წონის პროპორციულად.

ზემოაღნიშნულ ძირითად საშუალებებთან მიმართებით ყოველწლიურად გასაუქმებელი ან ჩასათვლელი დღგ-ის თანხა გაიანგარიშება:

ა) შენობა-ნაგებობებზე-ექსპლუატაციაში მიღების წლიდან 10 კალენდარული წლის განმავლობაში, დღგ-ის თანხის ერთი მეათედის ოდენობით;

ბ) სხვა ძირითად საშუალებებზე-ექსპლუატაციაში მიღების წლიდან 5 კალენდარული წლის განმავლობაში, დღგ-ის თანხის ერთი მეხუთედის ოდენობით.

პირს უფლება აქვს, იმ ძირითადი საშუალების მიწოდებისას, რომლის მიხედვითაც არ მიუღია ან/და გაუუქმდა დღგ-ის ჩათვლა, დასაბეგრ ოპერაციაზე დასარიცხი დღგ-ის თანხა შეამციროს ამ ძირითადი საშუალების მიხედვით მიუღებელი ან/და გაუქმებული დღგ-ის ჩათვლის თანხის ოდენობით, შესაბამისი დოკუმენტის ან/და საფუძვლის არსებობისას.

ზემოაღნიშნული წესით განსაზღვრული დღგ-ის ჩასათვლელი თანხის გადაანგარიშება ან/და გაუქმება სავალდებულო არ არის, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ჩათვლის უფლების გარეშე დასაბეგრი ოპერაციების თანხა საერთო ბრუნვის თანხის 5 პროცენტზე ნაკლებია.

საწარმოს მინოდების შემთხვევაში თუ მხარეების მიერ წერილობითი შეტყობინებისა და საგადასახადო ანგარიშგების განხორციელების შემდეგ, საგადასახადო შემოწმებით დადგინდება, რომ განხორციელებული ოპერაცია არ არის საწარმოს ან ამ საწარმოს დამოუკიდებლად მოქმედი ქვედანაყოფის მინოდება, მყიდველი უფლებამოსილია მიიღოს კუთვნილი დღგ-ის ჩათვლა შესაბამისი შეზღუდვების გარეშე, ხოლო მიმწოდებელს ამ ოპერაციის მიხედვით საგადასახადო დეკლარაციაში გადასახადის შემცირებისათვის გათვალისწინებული სანქცია არ დაეკისრება.

დღგ-ის ჩასათვლელი თანხა არ ექვემდებარება გაუქმებას:

ა) დადგენილი წესით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ჩამოწერის შემთხვევაში;

ბ) საქონლის დანაკარგზე.

ჩათვლის მიზნებისათვის საერთო ბრუნვა არის პირის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქონლის მინოდებისა და მომსახურების გაწევის თანხათა ჯამი. ამასთანავე, არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულებისათვის მხედველობაში მიიღება მხოლოდ მუდმივი დაწესებულების მიერ განხორციელებული საქონლის მინოდება და მომსახურების გაწევა.

11.8 საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა

საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა არის მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი, რომელსაც საქონლი(მომსახურების) მიმწოდებელი გამოუწერს მის მიმღებს. ეს უკანასკნელი მას იყენებს ჩათვლის მიზნებისათვის.

დადგენილ შემთხვევებში საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა შეიძლება გამოიწეროს და წარდგენილ იქნეს ელექტრონული ფორმით (ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა), რომელიც არ

ბა გამოიხატოს:

ა) ხელშეკრულების ხელმოწერით;

ბ) ხელშეკრულების შემადგენელი დოკუმენტების (ნოტების) გაცვლით;

გ) ხელშეკრულების რატიფიკაციით;

დ) ხელშეკრულების დამტკიცებით;

ე) ხელშეკრულებასთან შეერთებით;

ვ) ხელშეკრულებაზე თანხმობის ნებისმიერი სხვა ურთიერთშეთანხმებული საშუალების გამოყენებით.

თუ საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული და ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილისგან განსხვავებული დაბეგვრასთან დაკავშირებული ნორმები, მაშინ გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმები. საერთაშორისო ხელშეკრულება შეიძლება იყოს საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული, მაგრამ არ იყოს ძალში შესული. ძალაში შესვლა გულისხმობს შიგასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულებას, მათ შორის ნოტების გაცვლას, მაგ. საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის.

საგადასახადო სფეროში არსებობს, როგორც ორმხრივი, ასევე მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები ორმაგი დაბეგვრის, იმპორტისა და ექსპორტის დაბეგვრის და სხვა საკითხებზე.

2.6. საქართველოს ორგანული კანონი

საქართველოს ორგანული კანონი მიიღება მხოლოდ იმ საკითხებზე, რომელთა მოწესრიგებაც საქართველოს კონსტიტუციის თანახმად საქართველოს ორგანული კანონით არის გათვალისწინებული. ასეთ სფეროს, რომელიც დაბეგვრასთან არის დაკავშირებული განეკუთვნება საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობაც.

მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსი არ ითვალისწინებს შესაბამის გათავისუფლებას – „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით ეროვნული ბანკი, მისი აქტივები, ქონება და შემოსავალი, აგრეთვე მის მიერ განხორციელებული საქმიანობა და ოპერაციები თავისუფლდება ყოველგვარი სახელმწიფო გადასახადის, სახელმწიფო გადასახდელის, მოსაკრებლისა და სახელმწიფო ბაჟისაგან. შესაბამისად, ვინაიდან ორგანული კანონი იერარქიულად უპირატესი ძალის მქონეა ვიდრე კოდექსი, ეროვნული ბანკი სარგებლობს აღნიშნული შეღავათებით.

2.7. საქართველოს კანონი. საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი

საქართველოს კანონი შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს გამგებლობაში არსებულ ნებისმიერ საკითხზე, თუ საქართველოს კონსტიტუციით სხვა რამ არ არის დადგენილი.

კოდექსი არის განსაზღვრული (ერთგვაროვანი) საზოგადოებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმათა სისტემატიზებული ნორმატიული აქტი. შესაბამისად, საგადასახადო კოდექსი არის ერთგვაროვანი ანუ საზოგადოებრივი ურთიერთობების იმ სფეროს მომწესრიგებელი კანონი, რომელსაც ეწოდება დაბეგვრის სფერო.

საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი არის კანონის ძალის მქონე ნორმატიული აქტი, რომელიც გამოიცემა საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ კანონს, კონსტიტუციურ შეთანხმებას, საერთაშორისო ხელშეკრულებასა და შეთანხმებას, ორგანულ კანონს.

საქართველოს პრეზიდენტი, ომიანობის თუ მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, სამხედრო გადატრიალებისა და შეიარაღებული ამბოხების, ეკოლოგიური კატასტროფების და ეპიდემიების დროს, ან სხვა შემთხვევებში, როცა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებული არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას, გამოსცემს კანონის ძალის მქონე დეკრეტებს, რომლებიც მოქმედებს საგანგებო მდგომარეობის დამთავრებამდე. დეკრეტები წარედგინება პარლამენტს, როცა იგი შეიკრიბება.

პარლამენტის დათხოვნიდან ახლადარჩეული პარლამენტის პირველ შეკრებამდე, განსაკუთრებულ შემთხვევებში, პრეზიდენტი უფლებამოსილია საგადასახადო და საბიუჯეტო საკითხებზე გამოსცეს კანონის ძალის მქონე აქტი – დეკრეტი, რომელიც ძალას კარგავს, თუ ახლადარჩეული პარ-

ლამენტი პირველი შეკრებიდან ერთი თვის განმავლობაში არ დაამტკიცებს მას.

საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი საგადასახადო და საბიუჯეტო საკითხებზე ძალაში შედის ოფიციალურად გამოქვეყნების შემდეგ, დეკრეტში მითითებული მომენტიდან.

2.8. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

საქართველოს პრეზიდენტი ბრძანებულებას გამოსცემს საქართველოს კონსტიტუციით, ორგანული კანონითა და კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და მათ საფუძველზე.

საქართველოს პრეზიდენტი ბრძანებულებას გამოსცემს იმ შემთხვევაშიც, თუ შესაბამისი საკითხი არ არის მოწესრიგებული საქართველოს საკანონმდებლო აქტით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საკითხი განეკუთვნება სხვა ორგანოს უფლებამოსილებას.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება ნორმატიული აქტია (გამონაკლისია ბრძანებულებები, რომლებიც საკადრო და პერსონალურ საკითხებს ეხება).

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა საქართველოს პარლამენტის დადგენილებისა და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა (თანამდებობის პირთა) ნორმატიული აქტების მიმართ.

საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიულ აქტს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა (თანამდებობის პირთა) ნორმატიული აქტების მიმართ.

საქართველოს საკანონმდებლო აქტით, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ნორმატიული აქტების მიღების (გამოცემის) უფლებამოსილების მქონე ორგანოებმა (თანამდებობის პირებმა) შეიძლება მიიღონ (გამოსცენ) ერთობლივი ნორმატიული აქტი.

2.9. საქართველოს პარლამენტის დადგენილება

საქართველოს პარლამენტის დადგენილება არის ნორმატიული აქტი, რომელიც მიიღება საქართველოს საკანონმდებლო აქტით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში. არანორმატიულია საქართველოს პარლამენტის მხოლოდ ის დადგენილება, რომელიც საკადრო ან პერსონალურ საკითხებს ეხება. არანორმატიული პარლამენტის დადგენილების მიღების სხვა შემთხვევები განისაზღვრება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით.

2.10. საქართველოს მთავრობის დადგენილება

საქართველოს მთავრობის დადგენილება მიიღება საქართველოს კონსტიტუციის, კანონებისა და საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტების საფუძველზე და მათ შესასრულებლად. საქართველოს მთავრობის დადგენილებაში უნდა მიეთითოს, რომელი ნორმატიული აქტის საფუძველზე და რომლის შესასრულებლად იქნა მიღებული იგი.

2.11. საქართველოს მინისტრის ბრძანება

საქართველოს მინისტრის ბრძანება შეიძლება გამოიცეს მხოლოდ საქართველოს საკანონმდებლო აქტით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებითა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებულ შემთხვევებსა და ფარგლებში. საქართველოს მინისტრის ბრძანებაში მითითებული უნდა იყოს, რომელი ნორმატიული აქტის საფუძველზე და რომლის შესასრულებლად გამოიცა იგი.

საქართველოს სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებსა და მისი სისტემის სახელმწიფო საქმეუწყებო დაწესებულებებს და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს არა აქვთ ნორმატიული აქტის გამოცემის უფლება, გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

2.12. ადგილობრივი თვითმმართველობის ნორმატიული აქტები

ადგილობრივი თვითმმართველობის ნორმატიული აქტი არის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალ-

ჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს. იგი მოქმედებს და სავალდებულოა შესასრულებლად ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მთელ ტერიტორიაზე.

საქართველოს ნორმატიულ აქტებს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა ადგილობრივი თვითმმართველობის ნორმატიული აქტების მიმართ.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს ნორმატიული აქტის მიღების თარიღად ჩაითვლება წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ მისი კენჭისყრით მიღების დღე.

სხვა ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) თარიღად ჩაითვლება უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ მისი ხელმოწერის დღე.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს (საკრებულოს) უფლება აქვს, საკრებულოს დადგენილებით, როგორც კანონქვემდებარე აქტით შემოიღოს ადგილობრივი გადასახადი.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს ნორმატიული აქტით შემოღებული გადასახადის (ზღვრული განაკვეთების ფარგლებში) გადახდა სავალდებულოა შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე.

თავი 3. გადასახადის გადამხდელის და საგადასახადო ორგანოს უფლებები და ვალდებულებები

3.1. გადასახადის გადამხდელის წარმომადგენელი, პირადი საგადასახადო მრჩეველი

გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, საგადასახადო ურთიერთობებში მონაწილეობა მიიღოს თავისი კანონიერი ან უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით. საგადასახადო ურთიერთობებში გადასახადის გადამხდელის პირადად მონაწილეობა არ ართმევს მას უფლებას, ჰყავდეს წარმომადგენელი, ისევე, როგორც წარმომადგენლის მონაწილეობა არ ართმევს მას უფლებას, პირადად მიიღოს მონაწილეობა აღნიშნულ ურთიერთობებში.

საწარმოს/ორგანიზაციის კანონიერ წარმომადგენლებად ითვლებიან მისი ორგანოები ან/და საქართველოს საკანონმდებლო აქტებითა და ამ საწარმოს/ორგანიზაციის სადამფუძნებლო დოკუმენტებით უფლებამოსილი სხვა პირები. ფიზიკური პირის კანონიერ წარმომადგენლად ითვლება პირი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე ახორციელებს შესაბამის უფლებამოსილებას.

გადასახადის გადამხდელის კანონიერი წარმომადგენლის ქმედება, რომელიც დაკავშირებულია საგადასახადო ურთიერთობებში ზემოაღნიშნული პირის მონაწილეობასთან, ითვლება თვით ამ პირის ქმედებად.

გადასახადის გადამხდელის უფლებამოსილ წარმომადგენლად ითვლება პირი, რომელიც ზემოაღნიშნული პირის რწმუნებით უფლებამოსილია წარმოადგინოს მისი ინტერესები საგადასახადო ორგანოებთან ან/და საგადასახადო ურთიერთობების სხვა მონაწილეებთან ურთიერთობებში, აგრეთვე სასამართლოში.

საწარმოს/ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენელი მოქმედებს ამ საწარმოს/ორგანიზაციის მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე, ხოლო ფიზიკური პირის უფლებამოსილი წარმომადგენელი – ამ ფიზიკური პირის მიერ გაცემული და სანოტარო წესით დადასტურებული მინდობილობის ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით მინდობილობასთან გათანაბრებული სხვა დოკუმენტის საფუძველზე, ასეთი მინდობილობით ან სხვა დოკუმენტით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში.

პირადი საგადასახადო მრჩეველი არის საგადასახადო ორგანოს თანამშრომელი, რომელიც გადასახადის გადამხდელს უწევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებას. პირადი საგადასახადო მრჩეველის მომსახურება არ ითვალისწინებს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულების თანხობრივი ოდენობის განსაზღვრას.

გადასახადის გადამხდელსა და პირად საგადასახადო მრჩეველს შორის ურთიერთობა, პირადი საგადასახადო მრჩევლის მომსახურებით სარგებლობის წესი და პირობები, მომსახურების ფარგლები და სახეები განისაზღვრება გადასახადის გადამხდელსა და საგადასახადო ორგანოს შორის დადებული ხელშეკრულებით.

საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ უფლებათა განხორციელებისას და დაწესებულ ვალდებულებათა შესრულებისას საგადასახადო ორგანოსთან ურთიერთობის ხელშეწყობის მიზნით, გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია ისარგებლოს პირადი საგადასახადო მრჩევლის შემდეგი მომსახურებით:

ა) გადასახადის გადამხდელისთვის ინფორმაციის მიწოდება საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების თაობაზე;

ბ) გადასახადის გადამხდელისთვის კონსულტაციის გაწევა საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებით;

გ) საგადასახადო ანგარიშგების ფორმების (დეკლარაცია, გაანგარიშება, ცნობა) საგადასახადო ორგანოსათვის წარდგენასთან დაკავშირებით კონსულტაციის გაწევა, მათ შორის, მათი შევსების ტექნიკურ საკითხებზე დახმარების გაწევა, გარდა გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულების თანხობრივი ოდენობის განსაზღვრისა;

დ) გადასახადის გადამხდელის მიმართ შედგენილი სამართალდარღვევის ოქმებსა და შემოწმების აქტებთან დაკავშირებით კონსულტაციის გაწევა;

ე) საჯარო ინფორმაციის მოძიებაში დახმარების გაწევა, მათ შორის, გადასახადის გადამხდელის შესახებ საგადასახადო ორგანოში არსებული ინფორმაციის გაცნობა;

ვ) გადასახადის გადამხდელის ინფორმირება კუთვნილი საგადასახადო შეღავათის შესახებ და შესაბამისი მტკიცებულებების (დოკუმენტების) საგადასახადო ორგანოსათვის წარდგენის ხელშეწყობა;

ზ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გადავადებული (მათ შორის, რესტრუქტურიზებული) საგადასახადო დავალიანების გადასახადის გადამხდელის მიერ დროული შესრულების მონიტორინგი;

თ) გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო ანგარიშგების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში განხორციელების მონიტორინგი;

ი) გადასახადის გადამხდელის მიერ შესრულებული საგადასახადო ვალდებულების გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე ასახვის გაკონტროლება;

კ) გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის პროცედურის განხორციელების ხელშეწყობა;

ლ) საგადასახადო ორგანოში გადასახადის გადამხდელის წერილობითი შეკითხვების განხილვისა და პასუხების გაცემის მონიტორინგი;

მ) საგადასახადო ორგანოდან საგადასახადო ანგარიშგების ფორმების, ასევე საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების (მათ შორის, სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების), ჩეკთან გათანაბრებული დოკუმენტების და აქციზური მარკების მიღების ხელშეწყობა;

ნ) საწარმოს/ორგანიზაციის ლიკვიდაციის ან/და რეორგანიზაციის შემთხვევაში, გასატარებელი პროცედურების განხორციელების ხელშეწყობა;

ო) ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების, მომავალი საგადასახადო ვალდებულებების ანგარიშში ჩათვლის ან სხვა გადასახადების გადახდის ანგარიშში გადატანის პროცედურების განხორციელების ხელშეწყობა;

პ) ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შედარების აქტის გაფორმების პროცედურების წარმართვის ხელშეწყობა.

ზემოაღნიშნულის გარდა, პირადი საგადასახადო მრჩეველი უფლებამოსილია განახორციელოს საგადასახადო ორგანოს კომპეტენციას მიკუთვნებული, გადასახადის გადამხდელთა მომსახურების ცალკეული სახეები.

3.2. ინფორმაციის მოთხოვნის უფლება გადასახადის გადამხდელის მიერ

გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, საგადასახადო ორგანოებისაგან მიიღოს ინფორმაცია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენების, გადასახადის გადამხდელის უფლებების დაცვის შესახებ, კანონით დადგენილი წესით გაეცნოს მის შესახებ საგადასახადო ორგანოებში არსებულ ინფორმაციას. კერძოდ, გადასახადის გადამხდელი სამი ფორმით – წერილობით, ელექტრონულად ან ვერბალურად(სატელეფონო) მიმართავს საგადასახადო ორგანოს კონკრეტული საგადასახადო ნორმის გაგების თაობაზე ან წერილობითი ან ელექტრონული ფორმით მიმართავს მის შესახებ არსებული ინფორმაციის მიწოდების თაობაზე. ასეთი ინფორმაცია(წერილობითი ან ელექტრონული ფორმით), როგორც წესი გადასახადის გადამხდელს მიეწოდება 10 სამუშაო დღის ვადაში.

საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია გადასახადის გადამხდელს გაუგზავნოს წერილობითი განმარტება, რომელიც გამოხატავს მის პოზიციას პირის მიერ შესრულებული ან შესასრულებელი სამეურნეო ოპერაციის განხორციელებისას საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენების შესახებ. აღნიშნული განმარტება არის რეკომენდაცია და მას იურიდიული ძალა არ აქვს. ასეთი ინფორმაციისთვის იურიდიული ძალის მისანიჭებლად საჭიროა წინასწარი გადაწყვეტილების მოთხოვნა გადასახადის გადამხდელის მიერ.

გადასახადის გადამხდელის თანხმობის შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელის შესახებ ინფორმაცია შეიძლება გაიცეს სხვა პირზე.

3.3. ინფორმაციის მოთხოვნის უფლება საგადასახადო ორგანოს მიერ

საგადასახადო ორგანოებს აქვთ უფლება მიიღონ შემდეგი ინფორმაცია ან განახორციელონ შემდეგი ღონისძიებები ინფორმაციასთან დაკავშირებით:

ა) სამსახურებრივი მიზნებისათვის სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისაგან უსასყიდლოდ მიიღონ მონაცემები, ცნობები, დოკუმენტები და სხვა საჭირო ინფორმაცია;

ბ) საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია პირს დაარიცხოს გადასახადი თავის ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე, თუ პირი მას არ წარუდგენს გადასახადის დასარიცხად საჭირო ინფორმაციას;

გ) გადასახადის გადამხდელისაგან წერილობითი ან ელექტრონული ფორმით მოითხოვოს სააღრიცხვო დოკუმენტაციის ან/და დაბეგვრასთან დაკავშირებული ინფორმაციის წარდგენა. ამ შემთხვევაში მოთხოვნაში უნდა მიეთითოს წარსადგენი სააღრიცხვო დოკუმენტაციის ან/და დაბეგვრასთან დაკავშირებული ინფორმაციის ჩამონათვალი და მისი წარდგენის გონივრული ვადა;

დ) დაავალდებულოს პირი, წარმოადგინოს თავისი ქონების ნუსხა;

ე) კომერციული ბანკი ვალდებულია უცხოური საწარმოსათვის საბანკო ანგარიშის პირველად გახსნისას ან ამ საწარმოსათვის ბოლო ანგარიშის დახურვისას აღნიშნულის თაობაზე 3 სამუშაო დღის ვადაში აცნობოს შემოსავლების სამსახურს და სამსახურის მიერ ამ ინფორმაციის მიღებამდე უცხოური საწარმოს ანგარიშიდან არ განახორციელოს გასავლის ოპერაციები. გარდა ამისა, იგი უცხოური საწარმოს მიერ მინოდებული ინფორმაციის საფუძველზე შემოსავლების სამსახურს წარუდგენს ინფორმაციას უცხოური საწარმოს საიდენტიფიკაციო ნომრის ან/და მუდმივი დაწესებულების ფაქტობრივი მისამართის შესახებ (თუ ასეთი ინფორმაცია არსებობს ან ანგარიშის გამხსნელმა პირმა ეს ინფორმაცია ბანკს წარუდგინა);

ვ) კომერციული ბანკი ვალდებულია 3 სამუშაო დღის ვადაში აცნობოს შესაბამის საგადასახადო ორგანოს მის მიერ მეწარმე ფიზიკურ პირს ან/და საწარმოს/ორგანიზაციისათვის ანგარიშის პირველად გახსნის ან მათთვის ბოლო ანგარიშის დახურვის შესახებ და საგადასახადო ორგანოს მიერ ამ ინფორმაციის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში აღნისნული პირის ანგარიშიდან არ განახორციელოს გასავლის ოპერაციები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გასავლის ოპერაცია უკავშირდება ბიუჯეტში გადასახადის თანხის გადახდას. თუ შემოსავლების სამსახურსა და საბანკო დაწესებულებას შორის დადებულია ხელშეკრულება ინფორმაციის (მათ შორის, საინკასო დავალების) ელექტრონული ფორმით გაცვლის შესახებ, ზემოთ მითითებული ვადები განისაზღვრება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მაგრამ არა უმეტეს ზემოთ გათვალისწინებული ვადებისა;

ზ) კომერციული ბანკი ვალდებულია ფიზიკური პირის მეწარმე ფიზიკურ პირად არსებობის ფაქტის დადგენიდან 3 დღის ვადაში აცნობოს საგადასახადო ორგანოს ასეთი პირის მოქმედი ანგარიშებიდან პირველის გახსნის ან მისთვის ბოლო ანგარიშის დახურვის თარიღი. თუ შემოსავლების სამსახურსა და საბანკო დაწესებულებას შორის დადებულია ხელშეკრულება ინფორმაციის (მათ შორის, საინკასო დავალების) ელექტრონული ფორმით გაცვლის შესახებ, ზემოთ მითითებული ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მაგრამ არა უმეტეს ზემოთ მითითებული ვადისა;

თ) კომერციული ბანკი ვალდებულია შემოსავლების სამსახურს მასთან დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრულ შემთხვევებში და ამავე ხელშეკრულებით დადგენილი ვადისა და პირობების დაცვით აცნობოს მეწარმე ფიზიკური პირის, საწარმოს(ორგანიზაციის), უცხოური საწარმოს ანგარიშების გახსნის ან/და დახურვის შესახებ;

ი) კომერციული ბანკი ვალდებულია შემოსავლების სამსახურის მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდოს მას ინფორმაცია გადასახადის გადამხდელის ანგარიშის გახსნის ან დახურვის შესახებ აღნიშნული მოთხოვნიდან 3 სამუშაო დღის ვადაში. შემოსავლების სამსახურს ამ ინფორმაციის მოთხოვნის უფლება აქვს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში(6

წელი), რომელიც აითვლება ანგარიშის გახსნიდან/დახურვიდან, ხოლო სხვა შემთხვევაში ინფორმაცია შესაძლებელია გამოთხოვილ იქნეს სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. თუ შემოსავლების სამსახურსა და საბანკო დაწესებულებას შორის დადებულია ხელშეკრულება ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცვლის შესახებ, აღნიშნული ინფორმაცია შესაძლებელია გამოთხოვილ იქნეს ელექტრონული ფორმით. ამ შემთხვევაში აღნიშნული ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

კ) კამერალური საგადასახადო შემოწმების ჩატარებისას საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, მოითხოვოს სააღრიცხვო დოკუმენტაციის ან/და დაბეგვრასთან დაკავშირებული ინფორმაციის წარდგენა;

ლ) საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, მოითხოვოს საგადასახადო ვალდებულებასთან დაკავშირებული სააღრიცხვო დოკუმენტაციის ან/და დაბეგვრასთან დაკავშირებული ინფორმაციის სათანადო წესით დამოწმებული ასლი, ხოლო გადასახადის გადამხდელის მიერ აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში ამოიღოს აღნიშნული დოკუმენტის დედანი, რომელიც გასვლითი საგადასახადო შემოწმების დასრულებისთანავე უბრუნდება გადასახადის გადამხდელს. დოკუმენტაციის ამოღების შემთხვევაში ფორმდება ამოღების ოქმი.

საგადასახადო ორგანოს მიერ მოთხოვნის შემთხვევაში სააღრიცხვო დოკუმენტაციის ან/და დაბეგვრასთან დაკავშირებული ინფორმაციის, აგრეთვე საგადასახადო ორგანოს მიერ მითითებულ ვადაში ქონების ნუსხის წარუდგენლობა – იწვევს პირის დაჯარიმებას 400 ლარის ოდენობით, ხოლო იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით – 1000 ლარის ოდენობით.

კომერციული ბანკის მიერ გადასახადის გადამხდელისათვის საბანკო ანგარიშების პირველად გახსნის ან ამ გადასახადის გადამხდელისათვის ბოლო ანგარიშის დახურვის შესახებ ინფორმაციის საგადასახადო ორგანოში საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში (შემოსავლების სამსახურთან ხელშეკრულების დადების შემთხვევაში – ხელშეკრულებით დადგენილი პირობებითა და დადგენილ ვადებში) წარუდგენლობა, თუ ეს გამოწვეული არ არის აღნიშნული პირების მიერ ბანკისა და საბანკო ოპერაციების ცალკეულ სახეობათა შემსრულებელი სხვა ორგანიზაციისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდებით – იწვევს დაჯარიმებას თითოეულ ანგარიშზე 300 ლარის ოდენობით.

3.4. საგადასახადო საიდუმლოება და მისი გაცემის პრინციპები

საგადასახადო საიდუმლოებას მიეკუთვნება ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მიღებულია საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის შესახებ. ამასთან, საგადასახადო საიდუმლოებას არ მიეკუთვნება შემდეგი ინფორმაცია:

ა) გადასახადის გადამხდელის სტატუსი;

ბ) სახელწოდება, მისამართი, საიდენტიფიკაციო ნომერი;

გ) საგადასახადო დავალიანების შესახებ ინფორმაცია;

დ) მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირებული საჯარო ინფორმაცია.

ე) საგადასახადო ორგანოს მიერ კანონმდებლობით დადგენილი და საჯარო წესით გავრცელებული ინფორმაცია.

ვ) ეკონომიკური საქმიანობის ყალბი საგადასახადო დოკუმენტებით განმახორციელებელ პირთა შესახებ ინფორმაციის შემოსავლების სამსახურის მიერ გავრცელება.

სხვა ინფორმაციასთან ერთად საგადასახადო საიდუმლოებას წარმოადგენს შემდეგი სახის ინფორმაციები:

ა) გადასახადის გადამხდელის მიერ წარდგენილი საგადასახადო დეკლარაციები, გაანგარიშებები, ცნობები;

ბ) გადასახადის გადამხდელის წერილები და მასზე გაცემული პასუხები, რომელიც შეიცავს გადასახადის გადამხდელის შესახებ ინფორმაციას; გადასახადის გადამხდელის საჩივრები და მასზე მიღებული გადაწყვეტილებები;

გ) გადასახადის გადამხდელის საგადასახადო შემოწმების ბრძანებები, საგადასახადო შემოწმების ჩატარების თაობაზე გაგზავნილი შეტყობინებები, საგადასახადო შემოწმების აქტები, საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმები, გადასახადის ან/და სანქციის თანხის დარიცხვის ბრძანებები, დარიცხულ თანხებზე გაგზავნილი საგადასახადო მოთხოვნები;

დ) გადასახადის გადამხდელის შესახებ არსებული დაბეგვრის საქმეები, გადასახადის გადამხ-

დელის პირადი აღრიცხვის ბარათები, გადასახადის გადამხდელის ბიუჯეტთან ანგარიშსწორების ამსახველი ინფორმაცია, საგადახდო დავალებები, საინკასო დავალებები;

ე) მონაცემები გადასახადის გადამხდელის მიერ გამოყენებული სასაქონლო ზედნადების, სერტიფიკატის, სანებართვო მოწმობის, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის და მკაცრი აღრიცხვის სხვა დოკუმენტების შესახებ;

ვ) სხვა ანალოგიური ხასიათის ინფორმაცია, რომელიც შეიცავს ცნობებს გადასახადის გადამხდელის შემოსავლების, დაბეგვრის ობიექტის, საწარმოს მიზნების, ხელშეკრულებების, პირადი ან კომერციული საიდუმლოებების შესახებ;

ზ) გადასახადის გადამხდელის შესახებ ბანკებიდან და სხვა პირებიდან/წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია.

მიუხედავად იმისა, რომ საგადასახადო ხანდაზმულობის ვადა 6 წელია, აღნიშნული ინფორმაციისა და დოკუმენტების გაუხმაურებლობის ვალდებულება მოქმედებს უვადოდ.

საგადასახადო საიდუმლოების დაცვა ევალება ნებისმიერ პირს, რომელსაც შეხება ჰქონდა ამ ინფორმაციასთან. აქ იგულისხმება, როგორც საგადასახადო ორგანოს თანამშრომელი, ასევე მოწვეული სპეციალისტი და ექსპერტი.

გადასახადის გადამხდელის შესახებ იდენტიფიცირებული ინფორმაცია შეიძლება მხოლოდ გადაეცეს შემდეგ პირებს:

ა) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლებს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს წევრებს – ამ პირთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მიზნით;

ბ) სამართალდამცავ ორგანოებს – მათ წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით;

გ) სასამართლოს – სასამართლოს წარმოებაში არსებულ საქმესთან დაკავშირებით, გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულებების ან პასუხისმგებლობის განსაზღვრის მიზნით;

დ) სხვა სახელმწიფოთა საგადასახადო ორგანოებს – საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესაბამისად;

ე) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – აღსრულების ეროვნულ ბიუროს და კერძო აღმასრულებელს – „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესში ან/და საგადასახადო ორგანოსა და აღსრულების ეროვნულ ბიუროს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებისას;

ვ) საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს (საქსტატს) – საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად;

ზ) სახელმწიფო აუდიტის სამსახურს – მოსამართლის ბრძანების საფუძველზე, „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით;

თ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს საგადასახადო ორგანოსა და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებისას;

ი) საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ პირებს, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით გადასახადის გადამხდელისათვის მისი საგადასახადო დავალიანების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით. შემოსავლების სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ფიზიკური პირის მიერ გადაუხდელი გადასახადების ან/და სანქციების შესახებ იდენტიფიცირებული ინფორმაცია შეიძლება გადაეცეს საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ პირს, თუ ამ ფიზიკური პირის საგადასახადო დავალიანება არ აღემატება 1000 ლარს. აღნიშნული პირი უფლებამოსილია, შემოსავლების სამსახურიდან მიღებული ინფორმაცია გადასცეს კომერციულ ბანკს. კომერციულ ბანკს უფლება აქვს ფიზიკურ პირს, მისი თანხმობის შემთხვევაში, მიაწოდოს ინფორმაცია მისი საგადასახადო დავალიანების შესახებ. კომერციულ ბანკს ეკრძალება ზემოაღნიშნული ინფორმაციის სხვა პირისათვის გადაცემა;

კ) ალტერნატიულ აუდიტორებს – საგადასახადო კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი ინფორმაცია;

ლ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს – საქართველოს კანონ-

მდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებისას;

მ) საქართველოს ეროვნულ ბანკთან შექმნილ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს – საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებისას;

ნ) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან არსებულ სამხედრო – ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედ კომისიას – „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;

ო) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და მის სისტემაში შემავალ ადმინისტრაციულ ორგანოებს – საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით;

პ) საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – კონკურენციისა სააგენტოს – საქართველოს კანონმდებლობით გატვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებისას;

ჟ) საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სურსათის ეროვნულ სააგენტოს – საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად;

რ) საგადასახადო ომბუდსმენს/საგადასახადო ომბუდსმენის მოადგილეს – საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას.

3.5. გადასახადის გადამხდელის ვალდებულებები

გადასახადის გადამხდელს საგადასახადო ორგანოს წინაშე გააჩნია კანონმდებლობით განსაზღერული ვალდებულებები, რაც მის გარკვეულ ქცევით ურთიერთობებში გამოიხატება. ეს ვალდებულებები შემდეგი ფორმებით შეიძლება ჩამოყალიბდეს:

ა) საგადასახადო ვალდებულებების შესრულება;

ბ) შესაბამის საგადასახადო ორგანოში აღრიცხვაზე დადგომა ან დარეგისტრირება მეწარმეთა და არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში;

გ) საგადასახადო ორგანოსათვის საგადასახადო დეკლარაციების, გაანგარიშებების და სააღრიცხვო დოკუმენტების წარდგენა;

დ) საგადასახადო შემოწმების ან სხვა საგადასახადო პროცედურის ჩატარების დროს საგადასახადო ორგანოსათვის გადასახადების გამოსაანგარიშებლად და გადასახდელად საჭირო დოკუმენტების წარდგენა;

ე) საგადასახადო ორგანოს კანონიერი მოთხოვნების შესრულება გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრასთან მიმართებით, აგრეთვე საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ პირთათვის ხელის არშესლა სამსახურებრივი მდგომარეობის შესრულების პროცესში;

ვ) საგადასახადო დოკუმენტების შენახვა 6 წლის ვადით;

ზ) გადასახადის გადამხდელის მოწმობის ასლის და საცალო ვაჭრობის ფასის მაჩვენებლების განთავსება მომხმარებლებისათვის თვალსაჩინო ადგილზე;

თ) საქართველოს სანარმოს, საქართველოს ორგანიზაციის და მეწარმე ფიზიკური პირის ვალდებულება საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით საგადასახადო ორგანოს წარუდგინონ ინფორმაცია საქართველოს ფარგლებს გარეთ საბანკო ანგარიშების (გარდა საანაბრო (ვადიანი) ანგარიშებისა) გახსნის შესახებ ასეთი ანგარიშების გახსნიდან 5 სამუშაო დღის ვადაში;

ი) საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ფიზიკური პირის ვალდებულება საგადასახადო ვალდებულების წარმოშობისას საგადასახადო აღრიცხვის შესახებ განცხადებით მიმართოს შემოსავლების სამსახურს.

3.6. კომუნიკაცია გადასახადის გადამხდელთან

როგორც აღვნიშნეთ, ზოგადად, კომუნიკაცია საგადასახადო ორგანოსა და გადასახადის გადამხდელს შორის შეიძლება დამყარდეს სამი ფორმით: წერილობითი, ელექტრონული და ვერბალური (სატელეფონო). ამჯერად, განვიხილოთ წერილობითი და ელექტრონული ურთიერთობის ფორმები. წერილობით და ელექტრონულ მიმოწერას თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

საგადასახადო ორგანო დოკუმენტს პირს უგზავნის ან/და წარუდგენს წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.

საგადასახადო ორგანოს მიერ წერილობითი ფორმით გაგზავნილ დოკუმენტს ხელს უნდა აწერდეს უფლებამოსილი პირი. ადრესატს უნდა გადაეცეს დოკუმენტის დედანი ან დამოწმებული ასლი.

დოკუმენტის გაგზავნის ან/და წარდგენის ფორმას ირჩევს საგადასახადო ორგანო.

პირისათვის ერთი და იმავე დოკუმენტის რამდენჯერმე ან რამდენიმე ფორმით წარდგენის შემთხვევაში მისი წარდგენის თარიღად ითვლება ამ დოკუმენტის პირველად ჩაბარების თარიღი.

პირის მიერ დოკუმენტის მიღებაზე უარის განცხადების შემთხვევაში წარმდგენი პირი აკეთებს შესაბამის აღნიშვნას.

წერილობითი დოკუმენტი ფიზიკური პირისათვის ჩაბარებულად ითვლება, თუ დოკუმენტი ჩაჰბარდა:

ა) ადრესატს პირადად;

ბ) ამ პირის უფლებამოსილ ან კანონიერ წარმომადგენელს;

გ) მის საცხოვრებელ ადგილზე ამ პირთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს;

დ) მეწარმე ფიზიკური პირის საქმიანობის ადგილზე კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს;

ე) სამართალდარღვევის ოქმის, მიმდინარე კონტროლის პროცედურების ან/და საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების შესახებ უფლებამოსილი პირის ბრძანების შემთხვევაში – ფიზიკური პირის ეკონომიკური საქმიანობის უშუალოდ განმახორციელებელ დაქირავებულ პირს.

წერილობითი დოკუმენტი გადასახადის გადამხდელისათვის (გარდა ფიზიკური პირისა) ჩაბარებულად ითვლება, თუ დოკუმენტი ჩაჰბარდა:

ა) უფლებამოსილ პირს;

ბ) პირის უფლებამოსილ ან კანონიერ წარმომადგენელს;

გ) სარეგისტრაციო დოკუმენტებით განსაზღვრულ იურიდიულ მისამართზე კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს;

დ) სამართალდარღვევის ოქმის, მიმდინარე კონტროლის პროცედურების ან/და საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების შესახებ უფლებამოსილი პირის ბრძანების შემთხვევაში – გადასახადის გადამხდელის ეკონომიკური საქმიანობის უშუალოდ განმახორციელებელ დაქირავებულ პირს;

ე) სარეგისტრაციო დოკუმენტებით იურიდიულ მისამართად განსაზღვრულ საცხოვრებელ ბინაში მცხოვრებ ნებისმიერ სრულწლოვან პირს.

დოკუმენტის ჩაბარება დასტურდება მის მეორე ეგზემპლარზე ან ფოსტის შესაბამის დოკუმენტზე მიმღების ხელმოწერით. იქვე აღინიშნება მიმღების სახელი და გვარი და ადრესატთან მისი დამოკიდებულება, აგრეთვე დოკუმენტის ჩაბარების თარიღი.

საგადასახადო ორგანოს მიერ პირისათვის ელექტრონული ფორმით გაგზავნილი დოკუმენტი ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი გაცნობისთანავე, ხოლო გასვლითი საგადასახადო შემოწმების დროს გადამხდელისათვის შეტყობინების გაგზავნის შემთხვევაში – გაცნობისთანავე ან გადასახადის გადამხდელის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე განთავსებიდან 30-ე დღეს, თუ ამ ვადაში ადრესატი შეტყობინებას არ გასცნობია.

შემოსავლების სამსახურს ან აღსრულების ეროვნულ ბიუროს უფლება აქვს, დოკუმენტი საჯაროდ გააქვეყნოს, თუ შესრულებულია შემდეგი პირობები:

ა) პირს 2 – ჯერ მაინც გაეგზავნა/წარედგინა დოკუმენტი წერილობითი ფორმით და ადრესატისათვის მისი ჩაბარება ვერ მოხერხდა;

ბ) პირი არ არის შემოსავლების სამსახურის ოფიციალური ვებგვერდის ავტორიზებული მომხმარებელი ან ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე განთავსებიდან 30 დღის განმავლობაში ადრესატი დოკუმენტს არ გასცნობია.

დოკუმენტის საჯაროდ გავრცელება ხორციელდება მისი შემოსავლების სამსახურის ან აღსრულების ეროვნული ბიუროს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებით და ჩაბარებულად ითვლება განთავსებიდან მე-20 დღეს.

საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, წერილობითი ან/და ელექტრონული დოკუმენტის (მათ შორის, საარქივო მასალის) სახით შექმნას, მიიღოს, გაგზავნოს, შეინახოს და გასცეს ნებისმიერი დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე გამოიყენოს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა და ელექტრონული ხელმოწერა. ელექტრონულ დოკუმენტს და მის ამონაბეჭდს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორიც წერილობით დოკუმენტს.

გადასახადის გადამხდელმა საგადასახადო ორგანოს დოკუმენტი შეიძლება წარუდგინოს წერილ-

ობითი ან ელექტრონული ფორმით.

გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო ორგანოსთვის წარდგენილ წერილობით დოკუმენტს ხელს უნდა აწერდეს უფლებამოსილი პირი. ადრესატს უნდა გადაეცეს დოკუმენტის დედანი ან დამოწმებული ასლი.

გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო ორგანოსათვის დოკუმენტის ფოსტით გაგზავნის შემთხვევაში მისი წარდგენის თარიღად ითვლება ამ დოკუმენტის გაგზავნის თარიღი. ამასთანავე, დოკუმენტზე რეაგირებისათვის ვადა აითვლება საფოსტო გზავნილის საგადასახადო ორგანოსათვის ფაქტობრივად ჩაბარების დღის მომდევნო დღიდან.

3.7. წინასწარი გადაწყვეტილების მიღება საგადასახადო ორგანოს მიერ

წინასწარი გადაწყვეტილება არის, საგადასახადო ორგანოს სამართლებრივი აქტი კონკრეტული გადასახადის გადამხდელის მიმართ კონკრეტული საგადასახადო ანგარიშგების წესების ან შესასრულებელი საგადასახადო ვალდებულებების თაობაზე. კერძოდ, თუ გადასახადის გადამხდელისათვის წარმოიშობა საგადასახადო კანონმდებლობაში რთული საკითხი, იგი მიმართავს ამის შესახებ საგადასახადო ორგანოს ამ საკითხზე მის მიმართ იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტის გამოცემის თაობაზე და იხდის გარკვეულ საფასურს.

წინასწარი გადაწყვეტილება უნდა გამოიცეს მოთხოვნის წარდგენიდან არა უგვიანეს 90 დღისა და იგი ვრცელდება მხოლოდ იმ პირზე, რომლის მიმართაც ის იქნა გამოცემული. სხვადასხვა პირის მიერ განხორციელებული იდენტური ოპერაციების მიხედვით არ შეიძლება გამოიცეს განსხვავებული წინასწარი გადაწყვეტილება.

თუ გადასახადის გადამხდელი მოქმედებს წინასწარი გადაწყვეტილების შესაბამისად, დაუშვებელია მაკონტროლებელი/სამართალდამცავი ორგანოს მიერ წინასწარი გადაწყვეტილების საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება და გადასახადის ან/და სანქციის დარიცხვა.

წინასწარი გადაწყვეტილება არ გამოიყენება, თუ:

ა) წინასწარ გადაწყვეტილებაში აღნიშნული ფაქტები და გარემოებები, რომლებიც გავლენას მოახდენდა წინასწარ გადაწყვეტილებაზე, არ შეესაბამება რეალურად არსებულს;

ბ) გაუქმდა ან შეიცვალა საქართველოს კანონმდებლობის ის ნორმა, რომლის საფუძველზეც იქნა მიღებული წინასწარი გადაწყვეტილება.

ამასთან, საქართველოს კანონმდებლობის ნორმამ, რომელიც ამძიმებს გადასახადის გადამხდელის მდგომარეობას და რომელსაც მიეცა უკუქცევითი ძალა, არ შეიძლება გავლენა მოახდინოს ნორმის ამოქმედებამდე გამოცემული წინასწარი გადაწყვეტილების შესაბამისად განხორციელებულ ოპერაციებზე.

გადამხდელის მოთხოვნის საფუძველზე და დამატებითი ან შესწორებული ინფორმაციის წარმოდგენის შემთხვევაში შესაძლებელია საგადასახადო ორგანომ თავის მიერ გამოცემულ წინასწარ გადაწყვეტილებაში შეიტანოს ცვლილება და დამატება, თუ პირს არ გამოუყენებია ცვლილებისა და დამატების შეტანამდე გამოცემული წინასწარი გადაწყვეტილება იმ ოპერაციის მიმართ, რომლის მიხედვითაც ეს გადაწყვეტილება იყო გამოცემული.

წინასწარი გადაწყვეტილება არ გამოიცემა შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ პირმა წინასწარი გადაწყვეტილება მოითხოვა იმ საკითხზე ან/და იმ პერიოდზე, რომლის შემოწმების მიზნითაც მას უკვე ჩაბარდა საგადასახადო შემოწმების ჩატარების შესახებ სასამართლოს ან საგადასახადო ორგანოს შესაბამისი გადაწყვეტილება/შეტყობინება ან რომელზედაც შედგენილია საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი;

ბ) თუ პირმა წინასწარი გადაწყვეტილება მოითხოვა იმ საკითხზე ან/და იმ პერიოდზე, რომელიც უკვე შემოწმებულია საგადასახადო ორგანოს მიერ;

გ) თუ საგადასახადო სფეროში ჩადენილი დანაშაულის გამო პირის წინააღმდეგ დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა ან/და წინასწარი გადაწყვეტილების მოთხოვნით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით მის მიმართ მიმდინარეობს საგადასახადო სამართალდარღვევის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება;

დ) თუ პირმა დადგენილ ვადაში არ აღმოფხვრა საგადასახადო ორგანოს მოთხოვნაში არსებული ხარვეზი;

ე) თუ გადამხდელმა ისეთ საკითხზე მოითხოვა წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემა, რომელიც არ არის გათვალისწინებული საგადასახადო კანონმდებლობით.

3.5. საგადასახადო ორგანოთა უფლებები

საგადასახადო ორგანოებს გადასახადის გადამხდელების კონტროლთან დაკავშირებით გააჩნიათ შემდეგი უფლებები, და უფლებები ძირითადად შემდეგში მდგომარეობს:

ა) ნებისმიერ გადასახადის გადამხდელის ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური დოკუმენტები, ბუღალტრო წიგნი, ანგარიში, ხარჯთაღრიცხვა, ფინანსური სახსრები, ფასიანი ქაღალდები და ანგა ფასეულობანი, გაანგარიშებები, დეკლარაციები, გადასახადების გაანგარიშებისა და გადახდა ანგა დოკუმენტები;

ბ) გადასახადის გადამხდელისაგან ან/და მისი წარმომადგენლისაგან მიიღონ გადასახადების გაანგარიშებასა და გადახდასთან დაკავშირებული დოკუმენტები, აგრეთვე წერილობითი და სიტყვიერი განმარტებები საგადასახადო შემოწმების დროს ნამოჭრილ საკითხებზე;

გ) გამოიკვლიონ სანარმოთა, ორგანიზაციათა და მენარმე ფიზიკურ პირთა საწარმოო, სასაწყობო, სავაჭრო და სხვა სათავსები, განახორციელონ საგადასახადო მონიტორინგი, ინვენტარიზაციით აღრიცხონ ნაღდი ფული მარაგები, ჩაატარონ დაკვირვება ქრონომეტრაჟის ან სხვა მეთოდის გამოყენებით და განსაზღვრონ დასაბეგრი ობიექტების რაოდენობა, ჩაატარონ საგადასახადო შემოწმება, განსაზღვრულ გადასახადის გადამხდელის მიერ საკონტროლო – სალარო აპარატების გამოყენების წესება დაცვის კონტროლი და მათი დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი პირების მიმართ გაატარონ ანალოგიური კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომები;

დ) გადასახადის გადამხდელი გამოიძახონ საგადასახადო ორგანოში (მის ნაცვლად შეიძლება მოვიდეს მისი კანონიერი ან უფლებამოსილი წარმომადგენელი, რომელსაც აქვს სააღრიცხვო დოკუმენტაცია ან/და გადასახადის გადამხდელის დაბეგვრასთან დაკავშირებული ინფორმაცია);

ე) დამოუკიდებლად განსაზღვრონ გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულების მოცულობა საგადასახადო ორგანოში არსებული ინფორმაციით (მათ შორის, გადასახადის გადამხდელის დანაბარჯების შესახებ) ან შედარების მეთოდით – სხვა ამგვარი გადასახადის გადამხდელების შესახებ ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, თუ გადასახადის გადამხდელი არ წარადგენს საგადასახადო კონტროლის განსახორციელებლად საჭირო სააღრიცხვო დოკუმენტაციას ან დადგენილი წესის დარღვევით ანარმოებს ბუღალტერიას, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

ვ) გამოიყენონ სანქცია იმ გადასახადის გადამხდელის მიმართ, რომელმაც დაარღვია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა;

ზ) გადასახადის გადამხდელისაგან საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებებით დადგენილ ვადაში ამოიღონ გადაუხდელი გადასახადი ან/და სანქციის სახით დაკისრებული თანხა;

თ) საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებზე სამართალდამრღვევთა მიმართ შეადგინონ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები და მიიღონ დადგენილებები ადმინისტრაციული სახდელების დაკისრების შესახებ;

ი) დანაბეგრი ობიექტის სრულად განსაზღვრის მიზნით განახორციელონ გადასახადის გადამხდელისაგან საქონლის/მომსახურების საკონტროლო შესყიდვა;

კ) გადასახადების ადმინისტრირების მიზნით მოიწვიონ სპეციალისტები ან ექსპერტები;

ლ) სამსახურებრივი მიზნებისათვის სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისაგან უსასყიდლოდ მიიღონ მონაცემები, ცნობები, დოკუმენტები და სხვა საჭირო ინფორმაცია. საჭიროების შემთხვევაში სახელმწიფო ორგანოებს შორის ინფორმაციის გაცვლის წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით;

მ) მოითხოვონ და მიიღონ სააღრიცხვო დოკუმენტაციის ასლი (საჭიროების შემთხვევაში – გადასახადის გადამხდელის მიერ დამოწმებული ასლი);

ნ) დააყენონ მრიცხველები ან/და აიღონ მათი მაჩვენებლები, აგრეთვე ამ კოდექსით დადგენილი წესით დალუქონ დოკუმენტები ან სხვა მასალები;

ო) საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, განუსაზღვროს პირს საგადასახადო ვალდებულებები არსებული მასალების საფუძველზე, შესაბამისი ფაქტებისა და გარემოებების გათვალისწინებით, პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით (აქტივების სიდიდის, საოპერაციო შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით, აგრეთვე სხვა მსგავსი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე), ქვემოთ მოყვანილი ერთზე მეტი ნებისმიერი პირობის არსებობისას:

– პირი არ ახორციელებს ბუღალტრულ აღრიცხვას ან არ ახორციელებს მას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმითა და წესით;

– სააღრიცხვო დოკუმენტაცია დაკარგულია ან განადგურებულია;

– ადგილი აქვს პირის აქტივების დაუსაბუთებელ ზრდას;

– პირის დასაბეგრი შემოსავალი ან/და ოპერაციის მოცულობა ან/და ფასნამატის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად იცვლება საგადასახადო პერიოდების მიხედვით;

– პირის მიერ ეკონომიკური საქმიანობისათვის ან/და პირადი მოხმარებისათვის გაწეული ხარჯი აჭარბებს დეკლარირებულ შემოსავალს;

– მიმდინარე საგადასახადო კონტროლის ღონისძიებების შედეგად შესამოწმებელ პერიოდში გამოვლენილია პირის მიერ საგადასახადო სამართალდარღვევის ჩადენის ორი ან მეტი შემთხვევა ან/და არსებითი სხვაობა პირის მიერ საგადასახადო ორგანოში წარდგენილ/დეკლარირებულ დაბეგვრასთან დაკავშირებულ მონაცემებსა და ამ ღონისძიებების შედეგად ფაქტობრივად დაფიქსირებულ მონაცემებს შორის;

პ) საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრის მიზნით საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს:

– მხედველობაში არ მიიღოს სამეურნეო ოპერაციები, რომლებსაც არა აქვს არსებითი ეკონომიკური გავლენა;

– სამეურნეო ოპერაციის ფორმისა და შინაარსის გათვალისწინებით შეცვალოს მიხი კვალიფიკაცია, თუ ოპერაციის ფორმა არ შეესაბამება მის შინაარსს.

ჟ) საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, გადასახადებით დაბეგვრის მიზნებისათვის გამოიყენოს საბაზრო ფასი შემდეგ შემთხვევებში:

– თუ გარიგება განხორციელდა ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათი ურთიერთდამოკიდებულება გავლენას არ ახდენს ასეთი გარიგების შედეგებზე;

– თუ საგადასახადო ორგანო საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად ასაბუთებს, რომ გარიგების მონაწილეებს შორის განცხადებული ფასი განსხვავდება ფაქტობრივი ფასისაგან;

– თუ პირმა საქონელი მიაწოდა ან/და მომსახურება გაუწია ტურისტული ზონის მეწარმე სუბიექტს.

რ) კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა განხორციელებისას საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, მატერიალური ან/და ელექტრონული დოკუმენტის (მათ შორის, საარქივო მასალის) სახით შექმნას, მიიღოს, გაგზავნოს, შეინახოს და გასცეს ნებისმიერი დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე გამოიყენოს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა და ელექტრონული ხელმოწერა. ელექტრონულ დოკუმენტს და მის ამონაბეჭდს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორიც წერილობით დოკუმენტს;

ს) იმ პერიოდზე ან საკითხზე, რომელზედაც საგადასახადო ორგანომ უკვე განახორციელა საგადასახადო შემოწმება ან დარიცხვა, პირის მიერ საგადასახადო დეკლარაციის (მათ შორის, შესწორებული საგადასახადო დეკლარაციის) წარდგენის შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, აღრიცხვა განახორციელოს ამ საგადასახადო დეკლარაციის (მათ შორის, შესწორებული საგადასახადო დეკლარაციის) მიხედვით. აღნიშნულის შესახებ საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი გამოსცემს მოტივირებულ ბრძანებას;

ტ) საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირის შემოსაელები განსაზღვროს არაპირდაპირი მეთოდებით, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად;

უ) საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, წერილობით მიმართოს დღგ-ის გადამხდელს რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე და მისი თანხმობის შემთხვევაში გაუუქმოს რეგისტრაცია;

ფ) საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველსაყოფად განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები:

– საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა;

– მესამე პირზე გადახდევინების მიქცევა;

– ქონებაზე ყადაღის დადება;

– ყადაღადადებული ქონების რეალიზაცია;

– საბანკო ანგარიშზე საინკასო დავალების წარდგენა;

– გადასახადის გადამხდელის სალაროდან ნაღდი ფულის ამოღება;

ქ) საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს აირჩიოს საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების რიგითობა.

ღ) გადასახადის გადამხდელის აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების მიზნით, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, ცრუმაგიერი პირის მიმართ განახორციელოს საგა-

დასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები;

ყ) თუ პირი იღებს შემოსავალს ქონებიდან, რომელიც მას ოფიციალურად არ ეკუთვნის (შემოსავლის ბენეფიციური მფლობელი), და ამ შემოსავალზე დაწესებული გადასახადებისაგან თავის არიდების მიზნით იყენებს ფიქტიურ პირს ან პირებს, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, ნებისმიერი ასეთი პირის საგადასახადო დავალიანების გადახდევინება უზრუნველყოს სოლიდარულად მათი ქონებიდან;

შ) გარანტის მიერ თავისი მოვალეობების შეუსრულებლობის შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, მოსთხოვოს საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ნებისმიერ მონაწილეს გადასახადის კუთვნილი თანხისა და შესაბამისი სანქციის გადახდა და გადახდევინების მიზნით გამოიყენოს საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები;

ჩ) დადგენილ ვადაში გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე მოსთხოვოს პირს წარდგენილი გარანტიის შესრულება;

ც) საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, მიმდინარე კონტროლის პროცედურების დაფიქსირების მიზნით გამოიყენოს ტექნიკური საშუალებები;

ძ) საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, დროის გარკვეულ პერიოდში გადასახადის გადამხდელის შემოსავლების, საქონლის/მომსახურების მიწოდების მოცულობისა და დაქირავებულ ფიზიკურ პირთა რაოდენობის დადგენის მიზნით განახორციელოს გადასახადის გადამხდელის ეკონომიკურ საქმიანობაზე დაკვირვება და ქრონომეტრაჟის ჩატარების გზით ამ საქმიანობის გამოკვლევა;

წ) საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი გადასახადის გადამხდელის ეკონომიკური საქმიანობის ადგილზე უფლებამოსილი პირის/პირების 6 თვემდე ვადით მიმაგრებით განახორციელოს საგადასახადო მონიტორინგი და მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენოს საგადასახადო შემოწმებისას პირის საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრის მიზნით. საგადასახადო მონიტორინგის განხორციელების ვადის გაგრძელება შესაძლებელია შემოსავლების სამსახურის უფროსთან შეთანხმებით;

ჭ) საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, განახორციელოს გადასახადის გადამხდელისაგან საქონლის/მომსახურების საკონტროლო შესყიდვა ან/და დაადგინოს საქონლის/მომსახურების ფასი საკონტროლო შესყიდვის შეთავაზებით ან/და საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტის გამოვლენის მიზნით გადასახადის გადამხდელს შესაძენად შესთავაზოს საქონელი/მომსახურება;

ხ) საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, გადასახადის გადამხდელისაგან საქონლის/მომსახურების საკონტროლო შესყიდვის ან/და საკონტროლო შესყიდვის შეთავაზების პროცედურის განხორციელებისას მოსამართლის ბრძანების გარეშე გამოიყენოს პროცედურის დაფიქსირების ტექნიკური საშუალებები;

ჯ) კამერალური საგადასახადო შემოწმების ჩატარებისას საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, ამ კოდექსით დადგენილი წესით მოითხოვოს სააღრიცხვო დოკუმენტაციის ან/და დაბეგვრასთან დაკავშირებული ინფორმაციის წარდგენა;

ჰ) საგადასახადო ორგანო ვალდებულია გადაუდებელი გასვლითი საგადასახადო შემოწმების დაწყებიდან 48 საათში მიმართოს სასამართლოს და მიიღოს მისგან ნებართვა გასვლითი საგადასახადო შემოწმების ჩატარების შესახებ. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, გადასახადის გადამხდელის ქონებაზე გაავრცელოს საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა მას საგადასახადო დავალიანება;

ჰ1) თუ საგადასახადო შემოწმების შედეგების შესახებ გადაწყვეტილების მიღება აყალიბებს დაბეგვრის ან/და სამართალდარღვევისთვის სანქციის გამოყენების არსებულისაგან განსხვავებულ პრინციპს/მეთოდს, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, მიმართოს აუდიტორთა საბჭოს, რომელიც უფლებამოსილია მიმართვიდან არა უგვიანეს 20 დღისა მიიღოს გადაწყვეტილება აღნიშნული პრინციპის/მეთოდის გამოყენების ან არგამოყენების თაობაზე. აუდიტორთა საბჭოს გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოა საგადასახადო ორგანოსთვის.

3.9. საგადასახადო ორგანოთა ვალდებულებები

საგადასახადო ორგანოებს უფლებებთან ერთად გააჩნიათ ვალდებულებებიც. ძირითადი ფორმულირებული ვალდებულებები შემდეგია:

ა) დაიცვან საგადასახადო კანონმდებლობა, იმოქმედონ კანონმდებლობის სხვა აქტების მოთხოვ-

ნათა შესაბამისად და მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო საგადასახადო პოლიტიკის განხორციელებაში;

ბ) დაიცვან გადასახადის გადამხდელთა უფლებები და სახელმწიფოს ინტერესები;

გ) გააკონტროლონ გადასახადების გამოანგარიშების სისწორე და სისრულე და მათი დროულად გადახდა, ჩაატარონ საგადასახადო შემოწმებები დადგენილი წესით და ამ შემოწმებათა ჩატარებისას გააცნონ გადასახადის გადამხდელს თავისი უფლებები და ვალდებულებები;

დ) უზრუნველყონ გადასახადის გადამხდელთა დროულად აღრიცხვა;

ე) განახორციელონ დარიცხული და ბიუჯეტებში გადახდილი გადასახადების აღრიცხვა და შეადგინონ ანგარიშგება გადახდილი გადასახადების შესახებ;

ვ) გადასახადის გადამხდელს დაუბრუნონ ზედმეტად გადახდილი თანხა დადგენილი წესით;

ზ) დაიცვან გადასახადის გადამხდელის შესახებ ინფორმაციის საიდუმლოება და ინფორმაციის შენახვის წესები;

თ) შეიმუშაონ დეკლარაციებისა და გადასახადების გამოანგარიშებასთან და გადახდასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების ფორმები და უზრუნველყონ გადასახადის გადამხდელისათვის ინფორმაციის მიწოდება;

ი) განახორციელონ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების შესწავლა, ანალიზი და შეფასება და დასახონ შესაბამისი ღონისძიებები საგადასახადო სამართალდარღვევათა გამომწვევი მიზეზებისა და პირობების აღმოსაფხვრელად;

კ) გამოაელინონ ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც თავს არიდებენ გადასახადების გადახდას, და აღკვეთონ საგადასახადო სამართალდარღვევები, აწარმოონ საგადასახადო სამართალდარღვევათა საქმეები და გამოიყენონ პასუხისმგებლობის ზომები დადგენილი წესით;

ლ) აწარმოონ მომხმარებლებთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისათვის დასაშვები საკონტროლო – სალარო აპარატების მოდელების სახელმწიფო რეესტრი, განახორციელონ საკონტროლო – სალარო აპარატების რეგისტრაცია, გააკონტროლონ საკონტროლო – სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვა;

მ) მიიღონ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებზე განცხადებები, შეტყობინებები და სხვა ინფორმაცია და კანონით დადგენილი წესით შეამოწმონ ისინი;

ნ) დადგენილი წესით განიხილონ გადასახადის გადამხდელის წერილები, საჩივრები და შეკითხვები, საჭიროების შემთხვევაში უსასყიდლოდ მიაწოდონ მას ინფორმაცია მოქმედი გადასახადების, მათი გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ, აგრეთვე გადასახადის გადამხდელის უფლებებისა და ვალდებულებების თაობაზე;

ო) ჩაატარონ განმარტებითი მუშაობა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებით, გამოსცენ მეთოდური მითითებები, სახელმძღვანელოები და ბროშურები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოაქვეყნონ კონსულტაციები და განმარტებები;

პ) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე განახორციელონ ადმინისტრაციული წარმოება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით;

ჟ) კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით და დადგენილ ვადებში გადასცენ (გაუგზავნონ) გადასახადის გადამხდელს ან მის წარმომადგენელს საგადასახადო შემოწმების აქტები, აგრეთვე საგადასახადო ორგანოთა სხვა გადაწყვეტილებები და შეტყობინებები;

რ) გადასახადის გადამხდელს წარუდგინონ საგადასახადო მოთხოვნა, ხოლო მისი შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში დადგენილი წესით მიიღონ ზომები მისი შესრულების უზრუნველსაყოფად;

ს) დაუყოვნებლივ დაადასტურონ გადასახადის გადამხდელის მიერ უშუალოდ გადაცემული წერილებისა და სხვა დოკუმენტების მიღება;

ტ) უზრუნველყონ გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო რეგისტრაცია (რეესტრის წარმოება) და მათთვის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭება (გარდა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციას დაქვემდებარებული პირებისა);

უ) საგადასახადო ორგანო ვალდებულია გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის მიღებიდან არა უგვიანეს 10 კალენდარული დღისა გადასცეს მას ამონაწერი მოთხოვნაში მითითებულ პერიოდში მისი საგადასახადო ვალდებულებების ცვლილებებისა და შესრულების მდგომარეობის შესახებ.

თავი 4. საგადასახადო ვალდებულება

4.1. საგადასახადო ვალდებულების ცნება და მისი შესრულება

საგადასახადო ვალდებულება ეწოდება გადასახადის გადამხდელის მიერ კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების დადგენილ ვადაში გადახდის ვალდებულებას. სხვა ვალდებულებები, რომელიც დაკავშირებულია დაბეგვრასთან (მაგ. დეკლარირების ვალდებულება) არ ითვლება საგადასახადო ვალდებულებად, თუმცა იგი წარმოადგენს გადასახადის გადამხდელის ვალდებულებას.

საგადასახადო ვალდებულება წარმოიშობა იმ გარემოებათა წარმოქმნის მომენტიდან, რომელიც ითვალისწინებს გადასახადის გადახდას. ერთია საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის დრო და მეორე – მისი შესრულების ვადა. აქედან გამომდინარე საგადასახადო ვალდებულების წარმოშობა წინ უსწრებს მის შესრულებას. მაგ. წლიური საშემოსავლო გადასახადის მიმართ საგადასახადო ვალდებულება წარმოიშობა წინა წელს, ხოლო გადახდა ხდება მომდევნო წლის 1 აპრილამდე. ამასთან, დაბეგვრისათვის გამოიყენება საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის დღისათვის მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა.

საბაჟო ოპერაციის განხორციელებისას საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის დროდ ითვლება საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღე. თუ საქონლის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევა არ საჭიროებს საბაჟო დეკლარაციის წარდგენას, საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის დროდ ითვლება საბაჟო გამშვებ პუნქტში, საბაჟო ტერმინალში ან განსაზღვრულ სხვა ადგილში შესაბამისი დოკუმენტის რეგისტრაციის დღე.

საბაჟო ოპერაციის განხორციელებამდე საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის დღედ ჩაითვლება საქონლის მიმართ საგადასახადო ორგანოსთან შეუთანხმებელი ქმედების განხორციელების დღე, ასეთი შეთანხმების სავალდებულოობის შემთხვევაში.

სასაქონლო ოპერაციის განხორციელებამდე საგადასახადო ორგანოსთან შეუთანხმებელი ქმედების განხორციელება ან სასაქონლო ოპერაციის პირობების დარღვევა, რომელმაც გამოიწვია საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უკანონო განკარგვა, დაკარგვა ან განადგურება, წარმოშობს დეკლარანტის საგადასახადო ვალდებულებას, რომელიც განისაზღვრება იმპორტის/ექსპორტის გადასახდელების ოდენობით.

კანონმდებლობით გათვალისწინებული საქონლის განკარგვის ღონისძიებების განხორციელებისას ან დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგად საქონლის განადგურების შემთხვევაში ან სისხლის სამართლის საქმეზე სასჯელის სახით საქონლის ჩამორთმევისას აღნიშნულ საქონელთან დაკავშირებით საგადასახადო ვალდებულება არ წარმოიშობა, ხოლო წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულება შესრულებულად ჩაითვლება.

საგადასახადო ვალდებულებას ასრულებს უშუალოდ გადასახადის გადამხდელი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადასახადის დაკავება ხდება გადახდის წყაროსთან. გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულება შეიძლება შეასრულოს სხვა პირმა. კერძოდ, თუ გადამხდელი ახდენს სხვისი საგადასახადო ვალდებულების დაფარვას, ასეთ შემთხვევაში ბანკში წარდგენილი საგადახდო დავალების „გადამხდელის დასახელებაში" მიეთითება იმ პირის დასახელება, რომელიც ახდენს სახსრების გადახდას, ხოლო „გადასახადის გადამხდელის დასახელებაში" მიეთითება იმ პირის სრული დასახელება (ან ფიზიკური პირის სახელი და გვარი), ვის მაგივრადაც ხდება გადახდა. ასეთ შემთხვევაში (როდესაც გადამხდელი ახდენს სხვისი საბიუჯეტო ვალდებულების დაფარვას) გრაფაში „საიდენტიფიკაციო ნომერი" მიეთითება იმ პირის საიდენტიფიკაციო ნომერი, ვის მაგივრადაც ხდება გადახდა.

საგადასახადო ვალდებულების შესრულებად ითვლება გადასახადის თანხის დადგენილ ვადაში გადახდა, თუმცა შესაძლებელია საგადასახადო ვალდებულების შესრულების წესის ან ვადის შეცვლა. მაგ. საგადასახადო შეთანხმებით. როგორც წესი, გადასახადის გადახდა ხორციელდება დეკლარაციის წარდგენისათვის დადგენილ ვადაში, ხოლო სხვა შემთხვევაში – საგადასახადო მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის ვადაში.

საბაჟო(იმპორტის) გადასახდელების გადახდის დროს იმპორტის სასაქონლო ოპერაციის გამოყენებისას იმპორტის გადასახდელები გადაიხდება:

ა) საქონლის გაშვებიდან არა უგვიანეს 5 კალენდარული დღისა;

ბ) საქონლის გაშვებიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა – „ოქროს სიის" მონაწილის კუთვნილ საქონელზე;

გ) პერიოდული სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის დასრულებიდან (დეკლარაციისათვის A ნომრის მინიჭების თარიღიდან) არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა – „ოქროს სიის" მონაწილის მიერ კალენდარული თვის განმავლობაში გადაადგილებული საქონლის პერიოდული დეკლარაციით გაფორმებისას;

დ) გამარტივებული საბაჟო დეკლარაციისათვის რეგისტრაციის ნომრის მინიჭების თარიღიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა:

დ.ა) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საჰაერო ტრანსპორტით ბარგით ან/და ხელბარგით შემოტანილ საქონელზე;

დ.ბ) საფოსტო გზავნილით შემოტანილ 10 000 ლარამდე ღირებულების საქონელზე (საქონელთა ჯგუფზე);

ე) საქონლის გაშვებიდან არა უგვიანეს 15 კალენდარული დღისა – წინასწარ (საქონლის შემოტანამდე) დეკლარირებულ საქონელზე(სასაქონლო პარტიათა ნაკრებით გადაადგილებული საქონლის და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გარდა);

ვ) საქონლის გაშვებამდე – სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე (იხ. ქვემოთ).

ოფლის მეურნეობის პროდუქცია, რომლის იმპორტზეც არ ვრცელდება იმპორტის გადასახდელების გადახდის გადავადება

№	სეს ესნ კოდი	პოზიციის დასახელება
1.	0201	ხორცი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა, ახალი ან გაცივებული:
2.	0202	ხორცი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა, გაყინული:
3.	0203	ხორცი ღორისა ახალი, გაცივებული ან გაყინული:
4.	0204	ხორცი ცხვრისა ან თხისა ახალი, გაცივებული ან გაყინული:
5.	0205	ხორცი ცხენების, ვირების, ჯორებისა ან ჯორცხენების, ახალი, გაცივებული ან გაყინული:
6.	0206	საკვები სუბპროდუქტები მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორების, ცხვრების, თხების, ცხენების, ვირების, ჯორებისა ან ჯორცხენებისა, ახალი, გაცივებული ან გაყინული:
7.	0207	ხორცი და საკვები სუბპროდუქტები 0105 სასაქონლო პოზიციაში მითითებული შინაური ფრინველისა, ახალი, გაცივებული ან გაყინული:
8.	0208	სხვა ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები, ახალი, გაცივებული ან გაყინული:
9.	0209	ღორის ქონი, მჭლე ხორცისაგან გამოცალკევებული და შინაური ფრინველის ქონი, გადაუდნობელი ან რაიმე სხვა ხერხით ამოუღებელი, ახალი, გაცივებული, გაყინული, დამარილებული, მარილწყალში, გამხმარი ან შებოლილი:
10.	0210	ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები, დამარილებული, მარილწყალში, გამხმარი ან შებოლილი; საკვები ფქვილი ხორცისა ან ხორცის სუბპროდუქტებისაგან:
11.	0302	თევზი ახალი ან გაცივიებული, თევზის ფილესა და 0304 სასაქონლო პოზიციის თევზის სხვა ხორცის გამოკლებით:
12.	0303	თევზი გაყინული, თევზის ფილეს და 0304 სასაქონლო პოზიციის თევზის ხორცის გამოკლებით:
13.	0304	თევზის ფილე და თევზის ხორცი დანარჩენი (ფარშის ჩათვლით), ახალი, გაცივიებული ან გაყინული:
14.	0305	თევზი ხმელი, დამარილებული ან მარილწყალში: თევზი ცივად ან ცხლად შებოლილი; თევზის ფქვილი წმინდად და უხეშად ნაფქვავი და გრანულები, საკვებად ვარგისი:
15.	0306	კიბოსნაირნი, ბაკანში ან ბაკნის გარაშე, ცოცხალი, ახალი, გაცივიებული, გაყინული, ხმელი, დამარილებული ან მარილწყალში;კიბოსნაირნი შებოლილი, ნიჟარით ან ნიჟარის გარეშე, რომელებმაც შებოლვის პროცესში განიცადა ან არ განიცადა სითბური დამუშავება; კიბოსნაირნი ბაკანში, ორთქლზე ან მდუღარე წყალში მოხარშული, გაცივებული ან გაუცივებელი, გაყინული, ხმელი, დამარილებული ან მარილწყალში; ფქვილი წმინდად და უხეშად ნაფქვავი და გრანულები კიბოსნაირებისაგან, საკვებად გამოსაყენებლი:
16.	0307	მოლუსკები, ნიჟარით ან ნიჟარის გარეშე, ცოცხალი, ახალი, გაცივიებული, გაყინული, ხმელი, დამარილებული ან მარილწყალში; მოლუსკები შებოლილი, ნიჟარით ან ნიჟარის გარეშე, რომელებმაც შებოლვის პროცესში განიცადა ან არ განიცადა სითბური დამუშავება; ფქვილი წმინდად და უხეშად ნაფქვავი და გრანულები მოლუსკებისგან, საკვებად გამოსაყენებელი:

17.	.0308	წყლის სხვა უხერხემლოები, განსხვავებული კიბოსნაირებისა და მოლუსკებისაგან, ცოცხალი, ახალი, გაცივებული, გაყინული, ხმელი, დამარილებული ან მარილწყალში; წყლის სხვა უხერხემლოები, განსხვავებული კიბოსნაირებისა და მოლუსკებისაგან, შებოლილები, რომელებმაც შებოლვის პროცესში განიცადა ან არ განიცადა სითბური დამუშავება; ფქვილი წმინდად და უხეშად ნაფქვავი და გრანულები წყლის სხვა უხერხემლოებისაგან, საკვებად გამოსაყენებელი:
18.	0401	რძე და ნაღები, შეუსქელებელი და შაქრისა ან სხვა დამატკბობელი ნივთიერებების დამატების გარეშე:
19.	0402	რძე და ნაღები, შესქელებული ან შაქრისა ან სხვა დამატკბობელი ნივთიერებების დამატებით:
20.	0403	დო, აჭრილი რძე და ნაღები, იოგურტი, კეფირი და სხვა ფერმენტირებული ან შედედებული რძე და ნაღები, შესქელებული ან შეუსქელებელი, შაქრისა ან სხვა დამატკბობელი ნივთიერებების დამატებით ან მათ გარეშე, საგემოვნო-არომატული დანამატებით ან მათ გარეშე, ხილის, კაკლისა ან კაკაოს დამატებით ან მათ გარეშე:
21.	0404	რძის შრატი, შესქელებული ან შეუსქელებელი, შაქრისა ან სხვა დამატკბობელი ნივთიერებების დამატებით ან მათ გარეშე; პროდუქტები რძის ნატურალური კომპონენტებისაგან, შაქრისა ან სხვა დამატკბობელი ნივთიერებების დამატებით ან მათ გარეშე, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი:
22.	0405	კარაქი და რძის სხვა ცხიმები და ზეთები; რძის პასტები:
23.	0406	ყველი და ხაჭო:
24.	0407	ფრინველის კვერცხი ნაჭუჭით, ახალი, დაკონსერვებული ან მოხარშული:
25.	0408	ფრინველის კვერცხი უნაჭუჭოდ და კვერცხის გულები, ახალი, გამხმარი, ორთქლზე ან მდუღარე წყალში მოხარშული, დაყალიბებული, გაყინული ან სხვა ხერხით დაკონსერვებული, შაქრისა ან სხვა დამატკბობელი ნივთიერებების დამატებით ან მათ გარეშე:
26.	0409	ნატურალური თაფლი
27.	0701	კარტოფილი ახალი ან გაცივებული:
28.	0702	პომიდორი ახალი ან გაცივებული
29.	0703	ხახვი თავიანი, ხახვი-შალოტი, ნიორი, პრასი და დანარჩენი ხახვისნაირი ბოსტნეული, ახალი ან გაცივებული:
30.	0704	თავხვეული კომბოსტო, ყვავილოვანი კომბოსტო, კოლრაბი, ქეჟერა კომბოსტო და Brassica გვარის საკვები ანალოგიური ბოსტნეული, ახალი ან გაცივებული:
31.	0705	სალათა – ღორის ქადა (Lactuca Sativa) და ვარდკაჭაჭა (Cichorium spp.), ახალი ან გაცივებული:
32.	0706	სტაფილო, თალგამი, სუფრის ჭარხალი, თხისწვერა, ფესვეური ნიახური, ბოლოკი და სხვა ანალოგიური საკვები ძირნაყოფები, ახალი ან გაცივებული:
33.	0707	კიტრი და კორნიშონები, ახალი და გაცივებული:
34.	0708	პარკოსანი ბოსტნეული, დაჩურჩული ან დაუჩურჩავი, ახალი ან გაცივებული:
35.	0709	ბოსტნეული დანარჩენი, ახალი ან გაცივებული:
36.	0710	ბოსტნეული (ახალი ან წყალში ან ორთქლზე მოხარშული), გაყინული:

37.	0711	დაკონსერვებული ბოსტნეული ხანმოკლე შენახვისათვის (მაგალითად, გოგირდის დიოქსიდით, მარილწყალში, გოგირდოვან წყალში ან სხვა დროებით დამაკონსერვებელ ხსნარში), მაგრამ ასეთი სახით საკვებად უშუალო გამოყენებისათვის უვარგისი:
38.	0712	ბოსტნეული ხმელი, მთელი, დაჭრილი დიდ და პატარა ნაჭრებად, დაქუცმაცებული ან ფხვნილის სახით, მაგრამ შემდგომი დამუშავების გარეშე:
39.	0713	პარკოსანი ბოსტნეული ხმელი, დაჩურჩული, სათესლე ქერქისაგან გაცლილი ან გაუცლელი, დამტვრეული ან დაუმტვრეველი:
40.	0714	მანიოკი, მარანთა, სალეპი, მიწის მსხალი ან ტოპინამბური, ტკბილი კარტოფილი ან ბატატი და სხვა ანალოგიური ძირნაყოფები და ბოლქვნაყოფები სახამებლისა ან ინულინის მაღალი შემცველობით, ახალი, გაცივებული, გაყინული ან ხმელი, მთელი ან დაჭრილი პატარა ნაჭრებად ან გრანულების სახით; საგოს პალმის ნაყოფის გული:
41.	0801	ქოქოსის კაკალი, ბრაზილიური და კეშიუ, ახალი ან ხმელი, ნაჭუჭგაცლილი ან ნაჭუჭგაუცლელი, კანითა ან კანის გარეშე:
42.	0802	კაკალი დანარჩენი, ახალი ან ხმელი, ნაჭუჭგაცლილი ან ნაჭუჭგაუცლელი, კანით ან კანის გარეშე:
43.	0803	ბანანები, პლანტაინების ჩათვლით, ახალი ან ხმელი:
44.	0804	ფინიკი, ლეღვი, ანანასი, ავოკადო, გუაიავა, მანგო და მანგოსტანი, ანუ გარცინია, ახალი ან ხმელი:
45.	0805	ციტრუსები ახალი ან ხმელი:
46.	0806	ყურძენი, ახალი ან ხმელი:
47.	0807	ნესვი (საზამთროს ჩათვლით) და პაპაია, ახალი:
48.	0808	ვაშლი, მსხალი და კომში, ახალი:
49.	0809	გარგარი, ალუბალი და ბალი, ატამი (ნექტარინების ჩათვლით), ქლიავი და ღოღნოში, ახალი:
50.	0810	ხილი დანარჩენი, ახალი:
51.	0811	ხილი და კაკალი წყალში ან ორთქლზე თბურად დამუშავებული ან დაუმუშავებელი, გაყინული, შაქრისა ან სხვა დამატკბობელი ნივთიერებების დამატებით ან მათ გარეშე:
52.	0812	ხილი და კაკალი, დაკონსერვებული ხანმოკლე შენახვისათვის (მაგალითად, გოგირდის დიოქსიდით, მარილწყალში, გოგირდიან წყალში ან სხვა დროებით დამაკონსერვებელ ხსნარში), ოღონდ ასეთი სახით საკვებად უშუალო გამოყენებისათვის უვარგისი:
53.	0813	ხილი ხმელი, 0801–0806 სასაქონლო პოზიციებში შემავალი ნაყოფების გარდა; მოცემული ჯგუფის კაკლისა ან ხმელი ნაყოფების ნარევები:
54.	0814	ციტრუსების ნაყოფების კანი ან ნესვების ქერქი (საზამთროს ქერქის ჩათვლით), ახალი, გაყინული, ხმელი ან ხანმოკლე შენახვისათვის დაკონსერვებული მარილწყალში, გოგირდოვან წყალში ან სხვა დროებით დამაკონსერვებელ ხსნარში
55.	1005	სიმინდი:
56.	1005 10	– სათესლე:
57.	1007	სორგო მარცვლოვანი:
58.	1008	წიწიბურა, ფეტვი და თესლი ჩიტიფესვასი; დანარჩენი მარცვლეული:
59.	1102	დანარჩენი მარცვლეულის ფქვილი, გარდა ხორბლისა ან ხორბალ-ჭვავისა:
60.	1103	ბურღული, უხეშად ნაფქვავი ფქვილი და მარცვლოვანების მარცვლის გრანულები:

61.	1104	მარცვლოვანების მარცვალი, დამუშავებული სხვა ხერხით (მაგალითად, დაჩურჩული, გაბრტყელებული, გადამუშავებული ფანტელებად, დატეხილი, დაროშილი ან დამსხვრეული), გარდა 1006 სასაქონლო პოზიციის ბრინჯისა; მარცვლოვანების მარცვლის ჩანასახები, მთლიანი, გაბრტყელებული, ფანტელების სახით ან დაფქული:
62.	1105	კარტოფილის წმინდად და უხეშად დაფქული ფქვილი, ფხვნილი, ფანტელები, გრანულები:
63.	1106	წმინდად და უხეშად ნაფქვავი ფქვილი და ფხვნილი 0713 სასაქონლო პოზიციის ხმელი პარკოსანი ბოსტნეულის, საგოს პალმის ნაყოფის გულის, 0714 სასაქონლო პოზიციის ძირნაყოფების ან ბოლქვნაყოფებისა ან 08 ჯგუფის პროდუქტებისაგან:
64.	1107	ალაო მოხალული ან მოუხალავი:
65.	1108	სახამებელი; ინულინი:
66.	1109	ხორბლის წებოვანა, მშრალი ან ტენიანი
67.	1201	სოიოს ცერცვი, დამსხვრეული ან დაუმსხვრეველი:
68.	1202	არაქისი, მოუხალავი ან სხვა რაიმე მეთოდით მოუმზადებელი, დაჩურჩული ან დაუჩურჩავი, დამსხვრეული ან დაუმსხვრეველი:
69.	1203	კოპრა
70.	1204 00	თესლი სელისა, დამსხვრეული ან დაუმსხვრეველი:
71.	1205	რაფსისა ან კოლზას თესლი, დამსხვრეული ან დაუმსხვრეველი:
72.	1206 00	თესლი მზესუმზირისა, დამსხვრეული ან დაუმსხვრეველი:
73.	1207	თესლი და ნაყოფები სხვა ზეთოვანი კულტურებისა, დამსხვრეული ან დაუმსხვრეველი:
74.	1208	ფქვილი წმინდად და უხეშად ნაფქვავი ზეთოვანი კულტურების თესლებისა ან ნაყოფებისაგან, გარდა მდოგვის თესლისა:
75.	1209	თესლი, ნაყოფი და სპორები სათესად:
76.	1210	გირჩები სვიისა, ახალი ან ხმელი, დამსხვრეული ან დაუმსხვრეველი, ფხვნილის ან გრანულების სახით; ლუპულინი:
77.	1211	მცენარეები და მათი ნაწილები (თესლისა და ნაყოფების ჩათვლით), პარფიუმერული, ფარმაცევტული ან ინსექტიციდური, ფუნგიციდური ან ანალოგიური მიზნებისათვის გამოსაყენებელი, ახალი ან გამხმარი, მთელი ან დაქუცმაცებული, დამსხვრეული ან დაფქული:
78.	1212	ვარდტუტბის ხის ნაყოფი, ზღვისადა დანარჩენი წყალმცენარეები, შაქრის ჭარხალი და შაქრის ლერწამი, ახალი, გაცივებული, გაყინული ან ხმელი, დამსხვრეული ან დაუმსხვრეველი; ნაყოფის კურკები და მათი გულები, მცენარეული წარმოშობის დანარჩენი პროდუქტები (Cichorium intybus Sativum სახეობის ვარდკაჭაჭას მოუხალავი ფესვების ჩათვლით), უმთავრესად საკვებად გამოყენებული, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი:
79.	1214	თალგამურა, საფოთლე ჭარხალი (მანგოლდი), პირუტყვის საკვები ძირნაყოფები, თივა, იონჯა, სამყურა, ესპარცეტი, პირუტყვის საკვები კომბოსტო, ბანჭაკოლა, ცერცველა და ანალოგიური საკვები პროდუქტები, გრანულირებული ან არაგრანულირებული:
80.	1501	ღორის ქონი (ლიარდის ჩათვლით) და შინაური ფრინველის ქონი, 0209 ან 1503 სასაქონლო პოზიციის ქონის გარდა:
81.	1502	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ცხვრებისა ან თხების ცხიმი, 1503 სასაქონლო პოზიციის ცხიმის გარდა:
82.	1503 00	ლიარდ-სტეარინი, ლიარდ-ოილი, ოლეოსტეარინი, ოლეო-ოილი და ცხოველური ცხიმი, არაემულგირებული ან შეურეველი ან დაუმზადებელი რაიმე სხვა ხერხით:

83.	1504	ცხიმები, ქონები და მათი ფრაქციები, თევზისა ან ზღვის ძუძუმწოვრების, არარაფინირებული ან რაფინირებული, მაგრამ ქიმიური შემადგენლობის შეუცვლელად:
84.	1505	ცხიმოფლი და მისგან მიღებული ცხიმოვანი ნივთიერებები (ლანოლინის ჩათვლით):
85.	1506	დანარჩენი ცხოველური ცხიმები და ქონები და მათი ფრაქციები, არარაფინირებული ან რაფინირებული, მაგრამ მათი ქიმიური შემადგენლობის შეუცვლელად
86.	1507	სოიას ზეთი და მისი ფრაქციები, არარაფინირებული ან რაფინირებული, ოღონდ ქიმიური შემადგენლობის შეუცვლელად:
87.	1508	არაქისის ზეთი და მისი ფრაქციები, არარაფინირებული ან რაფინირებული, მაგრამ ქიმიური შემადგენლობის შეუცვლელად:
88.	1509	ზეითუნის ზეთი და მისი ფრაქციები, არარაფინირებული ან რაფინირებული, მაგრამ ქიმიური შემადგენლობის შეუცვლელად:
89.	1510 00	სხვა ზეთები და მათი ფრაქციები, მიღებული მხოლოდ ზეთისხილისაგან, არარაფინირებული ან რაფინირებული, მაგრამ ქიმიური შემადგენლობის შეუცვლელად, ამ ზეთებისა ან ფრაქციების 1509 სასაქონლო პოზიციის ზეთებთან ან ფრაქციებთან ნარევების ჩათვლით:
90.	1511	პალმის ზეთი და მისი ფრაქციები, არარაფინირებული ან რაფინირებული, მაგრამ ქიმიური შემადგენლობის შეუცვლელად:
91.	1512	ზეთი მზესუმზირის, ალისარჩულისა ან ბამბისა და მათი ფრაქციები, არარაფინირებული ან რაფინირებული, მაგრამ ქიმიური შემადგენლობის შეუცვლელად:
92.	1513	ზეთი ქოქოსის (კოპრის), პალმის ნაყოფის გულისა ან ზეთი ბაბასუსი და მათი ფრაქციები, არარაფინირებული ან რაფინირებული, მაგრამ ქიმიური შემადგენლობის შეუცვლელად:
93.	1514	ზეთი რაფსისა (რაფსისა, ანუ კოლზისაგან) ან მდოგვისა და მათი ფრაქციები, არარაფინირებული ან რაფინირებული, მაგრამ ქიმიური შემადგენლობის შეუცვლელად:
94.	1515	დანარჩენი არააქროლადი მცენარეული ცხიმები და ზეთები (ჟოჟობას ზეთის ჩათვლით) და მათი ფრაქციები არარაფინირებული ან რაფინირებული, მაგრამ ქიმიური შემადგენლობის შეუცვლელად:
95.	1516	ცხიმები და ზეთები ცხოველური ან მცენარეული და მათი ფრაქციები, მთლიანად ან ნაწილობრივ ჰიდროგენიზებული, გადაინტერეტერიფიცირებული, რეეტერიფიცირებული ან ელაიდინიზებული, არარაფინირებული ან რაფინირებული, მაგრამ შემდგომი დამუშავების გარეშე:
96.	1517	მარგარინი; საკვებად გამოსაყენებელი ნარევები ან მზა პროდუქტები ცხოველური ან მცენარეული ცხიმებისა ან ზეთებისაგან ან მოცემული ჯგუფის სხვადასხვა ცხიმებისა და ზეთების ფრაქციებისაგან, 1516 სასაქონლო პოზიციის საჭმელი ცხიმებისა ან ზეთების ან მათი ფრაქციების გარდა:

97.	1518 00	ცხოველური ან მცენარეული ცხიმები და ზეთები და მათი ფრაქციები, მოხარშული, დაჟანგული, დეჰიდრატირებული, სულფურირებული, ჰაერის შებერვით დაჟანგული, ვაკუუმში ან ინერტულ აირში გახურებით პოლიმერიზებული ან სხვა საშუალებით ქიმიურად მოდიფიცირებული, გარდა 1516 სასაქონლო პოზიციის პროდუქტებისა; საკვებში გამოსაყენებლად უვარგისი ნარევები ან მზა პროდუქტები ცხოველური ან მცენარეული ცხიმებისა და ზეთებისაგან ან მოცემული ჯგუფის სხვადასხვა ცხოველური ან მცენარეული ცხიმებისა და ზეთების ფრაქციებისაგან, სხვა ადგილას დაუსახელებელი და ჩაურთველი:
98.	1520	ნედლი გლიცერინი; გლიცერინის წყალი და გლიცერინის თუთქი
99.	1521	ცვილები მცენარეული (ტრიგლიცერიდების გარდა), ცვილი ფუტკრისა და სხვა მწერებისა და სპერმაცეტი, შეღებილი ან შეუღებავი, რაფინირებული ან არარაფინირებული:
100.	1522 00	დეგრა; ნარჩენები, მიღებული ცხოველური და მცენარეული ცხიმოვანი ნივთიერებებისა ან ცვილების დამუშავების შემდეგ:
101.	1601 00	ძეხვი და ანალოგიური პროდუქტები ხორცის, ხორცის სუბპროდუქტებისა ან სისხლისაგან; მზა კვების პროდუქტები, დამზადებული მათ საფუძველზე:
102.	1602	მზა ან დაკონსერვებული პროდუქტები ხორცის, ხორცის სუბპროდუქტებისა ან სისხლისაგან დანარჩენი:
103.	1701	ლერწმისა ან ჭარხლის შაქარი და ქიმიურად სუფთა საქაროზა, მყარ მდგომარეობაში:
104.		– ხამი შაქარი საგემოვნო-არომატული ან საღებარი დანამატების გარეშე:
105.	1701 12	– – ჭარხლის შაქარი:
106.	1701 12 100 00	— — — რაფინირებისათვის
107.	1701 12 900 00	— — — დანარჩენი
108.	1701 13	– – ლერწმის შაქარი ამ ჯგუფის სუბპოზიციებისათვის მე- 2-ე შენიშვნაში აღწერილი:
109.	1701 13 100 00	— — — რაფინირებისათვის
110.	1701 13 900 00	— — — დანარჩენი
111.	1701 14 900 00	— — — დანარჩენი
112.	1701 91 000 00	— — საგემოვნო-არომატული ან საღებავი დანამატებით
113.	1701 99 100 00	— — — თეთრი შაქარი
114.	1701 99 900 00	— — — დანარჩენი
115.	1702	დანარჩენი შაქარი, ქიმიურად სუფთა ლაქტოზას, მალტოზას, გლუკოზასა და ფრუქტოზას ჩათვლით, მყარ მდგომარეობაში; შაქრის სიროფები საგემოვნო-არომატული ან საღებავი ნივთიერების დამატების გარეშე; ხელოვნური თაფლი, ნატურალურ თაფლთან შერეული ან შეურეველი; კარამელის კულერი:
116.	1703	მელასა, შაქრის ამორებით ან რაფინირების შედეგად მიღებული:
117.	1704	შაქრის საკონდიტრო ნაწარმი (თეთრი შოკოლადის ჩათვლით), რომლებიც არ შეიცავენ კაკაოს:

118.	1901	ალაოს ექსტრაქტი; მზა კვების პროდუქტები წმინდა ან მსხვილი ნაფქვავი ფქვილის, ბურღულის, სახამებლისა ან ალაოს ექსტრაქტისაგან, კაკაოს შემცველობის გარეშე ან კაკაოს შემცველობით 40 მას.%-ზე ნაკლები მთლიანად ცხიმგამოცლილ ფუძეზე გადაანგარიშებით, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი; მზა კვების პროდუქტები 0401–0404 სასაქონლო პოზიციების ნედლეულისაგან, 5 მას.%-ზე ნაკლები კაკაოს შემცველი ან მის გარეშე მთლიანად ცხიმგაცლილ ფუძეზე გადაანგარიშებით, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი:
119.	1902	მაკარონის ნაწარმი, თბურად დამუშავებული ან დაუმუშავებელი, გულსართით (ხორცისა ან სხვა პროდუქტებისაგან) ან უსატენოდ, ან სხვა ხერხით დამზადებული, ისეთების, როგორიცაა სპაგეტი, მაკარონი, ვერმიშელი, ატრია, ნამგალა, ცომის გუფთა, რავიოლი, კანელონი; კუსკუსი, საკვებად მზა ან მოუმზადებელი:
120.	1903 00 000 00	ტაპიოკა და მისი შემცვლელები, მომზადებული სახამებლისაგან, ფანტელების, გრანულების, ბურთულაკების, ნამცეცებისა ან სხვა ანალოგიური ფორმის სახით
121.	1904	მზა კვების პროდუქტები, მიღებული მარცვლოვანების მარცვლისა ან მარცვლეული პროდუქტების გაფუებით ან მოხალვით (მაგ. სიმინდის ფანტელები); პერეული მარცვლოვანები (სიმინდის მარცვლის გარდა) მარცვლისა ან ფანტელების სახით ან სხვა ხერხით დამუშავებული (წმინდა და უხეში ნაფქვავი ფქვილის, ბურღულის გარდა), წინასწარ მოხარშული ან სხვა ხერხით მომზადებული, სხვა ადგილას დაუსახელებელი და ჩაურთველი:
122.	1905	პური, ცომეული საკონდიტრო ნაწარმი, ტკბილღვეზელა, ნამცხვარი და სხვა პურფუნთუშეული და ცომეული საკონდიტრო ნაწარმი, კაკაოს შემცველი ან მის გარეშე; ვაფლის ფირფიტები, ცარიელი კაფსულები, ფარმაცევტული მიზნებისათვის ვარგისი, ვაფლის ობლატები დაბეჭდვისათვის, ბრინჯის ქაღალდი და ანალოგიური პროდუქტები:
123.	2001	ბოსტნეული, ხილი, კაკალი და მცენარეთა საკვებად ვარგისი სხვა ნაწილები, ძმრისა ან ძმარმჟავას დამატებით დამზადებული ან დაკონსერვებული:
124.	2002	პომიდორი, ძმრისა ან ძმარმჟავას დამატების გარეშე დამზადებული ან დაკონსერვებული:
125.	2003	სოკო და ტრიუფელი, ძმრისა ან ძმარმჟავას დამატების გარეშე დამზადებული ან დაკონსერვებული:
126.	2004	სხვა ბოსტნეული, ძმრისა ან ძმარმჟავას დამატების გარეშე დამზადებული ან დაკონსერვებული, გაყინული, 2006 სასაქონლო პოზიციის პროდუქტების გარდა:
127.	2005	სხვა ბოსტნეული, ძმრისა ან ძმარმჟავას დამატების გარეშე დამზადებული ან დაკონსერვებული, გაუყინავი, 2006 სასაქონლო პოზიციის პროდუქტების გარდა:
128.	2006 00	ბოსტნეული, ხილი, კაკალი, ნაყოფების ქერქი ან მცენარეთა სხვა ნაწილები, შაქრით დაკონსერვებული (შაქრის სიროფით გაჟღენთილი, მოსარკლული ან დაშაქრული):
129.	2007	ჯემი, ხილის ჟელე, მარმელადები, ხილისა ან კაკლის პიურე, ხილისა ან კაკლის პასტა, თბური დამუშავებით მიღებული, მათ შორის შაქრისა ან სხვა დამატკბობელი ნივთიერებების დამატებით:

130.	2008	ხილი, კაკალი და საკვებად ვარგისი მცენარეთა სხვა ნაწილები, სხვა ხერხით დამზადებული ან დაკონსერვებული, შაქრის, სხვა დამატკბობელი ნივთიერებების ან სპირტის დანამატების შემცველობით ან მათ გარეშე, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი:
131.	2009	ხილის წვენები (ყურძნის ბადაგის ჩათვლით) და ბოსტნეულის წვენები, დაუდუღებელი და სპირტის დანამატების გარეშე, შაქრისა ან სხვა დამატკბობელი ნივთიერებების დამატებით ან მათ გარეშე:
132.	2201	წყლები, ნატურალური ან ხელოვნური მინერალური წყლების ჩათვლით, გაზიანი, შაქრისა ან სხვა დამატკბობელი ან საგემოვნო-არომატული ნივთიერებების დამატების გარეშე; ყინული და თოვლი:
133.	2202	წყლები, მინერალურისა და გაზიანის ჩათვლით, შაქრისა ან სხვა დამატკბობელი ან საგემოვნო-არომატული ნივთრებების დანამატების შემცველობით, და სხვა უალკოჰოლო სასმელები, 2009 სასაქონლო პოზიციის ხილისა და ბოსტნეულის წვენების გარდა:
134.	2203 00	ალაოს ლუდი:
135.	2204	ღვინოები ყურძნის ნატურალური, შემაგრებული ღვინოების ჩათვლით; ყურძნის ტკბილი, 2009 სასაქონლო პოზიციაში მითითებულის გარდა:
136.	2205	ვერმუტები და ყურძნის სხვა ნატურალური ღვინოები, მცენარეული ან არომატული ექსტრაქტების დამატებით:
137.	2206 00	სხვა დადუღებული სასმელები (მაგალითად სიდრი, პერი(მსხლის სიდრი), თაფლის სასმელი); ნარევები დადუღებული სასმელებისაგან და დადუღებული სასმელებისა და უალკოჰოლო სასმელების ნარევები, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაუთვლელი:
138.	2207	ეთილის სპირტი არადენატურირებული, სპირტის კონცენტრაციით 80 მოც.% ან მეტი; ეთილის სპირტი და სხვა დენატურირებული სპირტები ნებისმიერი კონცენტრაცით:
139.	2208	ეთილის სპირტი არადენატურირებული სპირტის კონცენტრაციით 80 მოც.%-ზე ნაკლები; სპირტიანი ნაყენები, ლიქიორები და სხვა სპირტიანი სასმელები:
140.	2209 00	ძმარი და მისი შემცვლელები, მიღებული ძმარმჟავასაგან:
141.	2301	ფქვილი წმინდად და უხეშად დაფქული და გრანულები ხორცისა ან ხორცის სუბპროდუქტებისაგან, თევზის ან კიბოსნაირებისაგან, მოლუსკებისა ან წყლის სხვა უხერხემლოებისაგან, საკვებად გამოუყენებადი; ხოხოზიკი:
142.	2302	ანაცერი, ქატო და სხვა ნარჩენები, მიღებული ჰურეული მარცვლოვანების ან პარკოსანი კულტურების მარცვლის დაფქვის, გაცრის ან სხვა მეთოდით გადამუშავების შედეგად, არაგრანულირებული ან გრანულირებული:
143.	2303	ნარჩენები სახამებლის წარმოებისა და ანალოგიური ნარჩენები, ჭარხლის ნაწნეხი, ბაგასა (შაქრის ლერწმის ჟენჟო) და შაქრის წარმოების სხვა ნარჩენები, ბუყი და ლუდის დუღებისა ან სპირტის (არყის) გამოხდის სხვა ნარჩენები, არაგრანულირებული ან გრანულირებული:
144.	2304	კოპტონი და სხვა მყარი ნარჩენები, მიღებული სოიას ზეთის ამოღებისას, დაფქული ან დაუფქველი, არაგრანულირებული ან გრანულირებული
145.	2305	კოპტონი და სხვა მყარი ნარჩენები, მიღებული (არაქისის) ზეთის ამოღებისას, დაფქული ან დაუფქველი, არაგრანულირებული ან გრანულირებული

146.	2306	კოპტონი და სხვა მყარი ნარჩენები, მიღებული მცენარეული ცხიმებისა ან ზეთების ამოღებისას, 2304 ან 2305 სასაქონლო პოზიციების ნარჩენების გარდა, დაფქული ან დაუფქველი, არაგრანულირებული ან გრანულირებული:
147.	2309	ცხოველების საკვებად გამოსაყენებელი პროდუქტები:

საგადასახადო ვალდებულების შესრულების საბანკო ტექნიკის თვალსაზრისით საბანკო დაწესებულება ვალდებულია, პირველ რიგში, შეასრულოს გადასახადის გადამხდელის საგადახდო დავალება გადასახადის გადახდის თაობაზე და საგადასახადო ორგანოს საინკასო დავალება საბანკო ანგარიშიდან გადასახადის თანხის ჩამოწერის თაობაზე შემდეგი თანამიმდევრობით:

ა) საგადასახადო ორგანოს საინკასო დავალება;

ბ) გადასახადის გადამხდელის საგადახდო დავალება.

ზემოაღნიშნულ შემთხვევაში საგადახდო დავალება არის ანგარიშის მფლობელის (გადამხდელის) მიერ საგადახდო საბუთის სახით გაფორმებული განკარგულება მისი მომსახურე ბანკისათვის, სახსრების მიმღების ამავე ან სხვა ბანკში გახსნილ ანგარიშზე ფულადი სახსრების გადარიცხვის შესახებ, ხოლო საინკასო დავალება არის საგადასახადო ორგანოს დავალება შესაბამისი ბანკისადმი გადასახადის გადაუდელის საბანკო ანგარიშებიდან გადასახადის ბიუჯეტში მიმართვის ანუ შესაბამისი თანხების ჩამოწერის თაობაზე.

4.2. საგადასახადო ვალდებულება საწარმოს ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის დროს

ლიკვიდაციისა და რეორგანიზაციის საკითხები განხილულია კორპორაციული დაბეგვრის თავში. აქ მოკლედ მიმოვიხილავთ ამ საკითხებს საგადასახადო ვალდებულების შემსრულებელი სუბიექტების თვალსაზრისით ანუ თუ ვინ უნდა შეასრულოს შესაბამისი საგადასახადო ვალდებულებები აღნიშნული კორპორაციული ოპერაციების განხორციელების დროს.

ლიკვიდაციის დროს საგადასახადო ვალდებულებებს ასრულებს სალიკვიდაციო კომისია, ხოლო ამხანაგობის ან ზოგადად თანამფლობელობის ლიკვიდაციის შემთხვევაში – მისი მონაწილეები ანუ პარტნიორები სოლიდარულად.

საწარმოს რეორგანიზაციისას(შერწყმა, მიერთება, გაყოფა, გამოყოფა, გარდაქმნა) საგადასახადო ვალდებულებას ასრულებენ რეორგანიზაციის შედეგად დარჩენილი სუბიექტები. კერძოდ, თუ:

ა) A საწარმო შეერწყა B საწარმოს და შეიქმნა C საწარმო – საგადასახადო ვალდებულებას შეასრულებს C საწარმო;

ბ) A საწარმო მიუერთდა B საწარმოს, რის შედეგადაც დარჩა B საწარმო – საგადასახადო ვალდებულებას შეასრულებს B საწარმო;

გ) A საწარმო გაიყო B და C საწარმოებად, ხოლო A საწარმო გაუქმდა – საგადასახადო ვალდებულებას შეასრულებენ B და C საწარმოები;

დ) A საწარმოს გამოეყო B და ჩ საწარმო და შესაბამისად ფუნქციონირებს სამი საწარმო – საგადასახადო ვალდებულებას შეასრულებენ A, B და C საწარმოები;

ე) შპს „ვედიდკარი“ გახდა სააქციო საზოგადოება „ვედიდკარი“ – საგადასახადო ვალდებულებას შეასრულებს სს „ვედიდკარი“.

4.3. გარდაცვლილი ან უგზო-უკვლოდ დაკარგული ან ქმედუუნარო პირის საგადასახადო ვალდებულებების შესრულება

გარდაცვლილი პირის საგადასახადო დავალიანების გადახდა ეკისრება მის მემკვიდრეს სამკვიდრო ქონებაში მისი წილის პროპორციულად, სამკვიდრო მოწმობის მიღების დღიდან.

გარდაცვლილი პირის საგადასახადო დავალიანება არის მისი გარდაცვალების თარიღის მიხედვით არსებული საგადასახადო დავალიანება.

გარდაცვლილი პირის მემკვიდრე ვალდებულია შეატყობინოს საგადასახადო ორგანოს სამკვიდრო მოწმობის მიღების შესახებ, თუ მისთვის ცნობილია გარდაცვლილი პირის საგადასახადო დავალიანების თაობაზე.

საგადასახადო ორგანო ვალდებულია პირს არაუგვიანეს 30 დღისა იმ დღიდან, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა ამ პირის მიერ სამკვიდრო მოწმობის მიღების შესახებ, გაუგზავნოს შეტყობინება საგადასახადო დავალიანების თაობაზე.

გარდაცვლილი პირის საგადასახადო დავალიანება ჩამოიწერება, თუ:

ა) გარდაცვლილ პირს არ ჰყავს მემკვიდრე;

ბ) მემკვიდრემ უარი თქვა სამკვიდროზე;

გ) გარდაცვლილი პირის საგადასახადო დავალიანების მოცულობა აღემატება მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულებას – საგადასახადო დავალიანების დარჩენილი თანხის ოდენობით.

მემკვიდრე, რომელიც აგრძელებს გარდაცვლილი ფიზიკური პირის ეკონომიკურ საქმიანობას, ვალდებულია:

ა) ამის შესახებ აცნობოს საგადასახადო ორგანოს;

ბ) ეკონომიკური საქმიანობის დაწყებამდე დარეგისტრირდეს გადასახადის გადამხდელად, ხოლო თუ გარდაცვლილი პირი დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელი იყო – დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად;

გ) გადაიხადოს გარდაცვლილი პირის საგადასახადო დავალიანება;

დ) შეასრულოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის გადამხდელის სხვა ვალდებულებები.

მემკვიდრეს, რომელიც აგრძელებს გარდაცვლილი პირის ეკონომიკურ საქმიანობას, უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს გარდაცვლილი პირის მიერ ზედმეტად გადახდილი გადასახადის/სანქციის თანხის დაბრუნება ან მომავალი გადასახადის ანგარიშში ჩათვლა;

ბ) გარდაცვლილი პირის პირველადი საგადასახადო დოკუმენტები გამოიყენოს საგადასახადო ანგარიშგების დროს;

გ) წარადგინოს საგადასახადო დეკლარაციები (მათ შორის, შესწორებული) გარდაცვლილი პირის საქმიანობის პერიოდზე;

დ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში გარდაცვლილი პირის შესაბამისი დოკუმენტები გამოიყენოს ერთობლივი შემოსავლიდან გამოსაქვითი ხარჯის დასადასტურებლად და აქციზის/დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლის მისაღებად;

ე) გააგრძელოს გარდაცვლილი პირის მიერ დაწყებული საგადასახადო დავა;

ვ) ისარგებლოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის გადამხდელის სხვა უფლებებით.

საგადასახადო ორგანო ვალდებულია გააერთიანოს გარდაცვლილი პირისა და მისი მემკვიდრის პირადი აღრიცხვის ბარათები, თუ მემკვიდრე აგრძელებს გარდაცვლილი პირის ეკონომიკურ საქმიანობას.

მემკვიდრის მიერ გარდაცვლილი პირის ზედმეტად გადახდილი გადასახადის/სანქციის თანხის დაბრუნების ან მომავალი გადასახადის ანგარიშში ჩათვლის მოთხოვნის შემთხვევაში საგადასახადო ორგანო არაუგვიანეს გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის წარდგენიდან 3 თვისა:

ა) ვალდებულია გარდაცვლილი პირის ზედმეტად გადახდილი გადასახადის/სანქციის თანხა ასახოს მემკვიდრის პირადი აღრიცხვის ბარათზე;

ბ) უფლებამოსილია დაადგინოს პირის პირადი აღრიცხვის ბარათზე არსებული ზედმეტად გადახდილი თანხის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობა, მათ შორის, საგადასახადო შემოწმების ჩატარებით;

გ) უფლებამოსილია გარდაცვლილი პირის შეუსრულებელი საგადასახადო ვალდებულებების გამოვლენის შემთხვევაში შესაბამისი გადასახადის დარიცხვა განახორციელოს:

გ.ა) მემკვიდრის პირადი აღრიცხვის ბარათზე, თუ მემკვიდრე აგრძელებს გარდაცვლილი პირის ეკონომიკურ საქმიანობას;

გ.ბ) მემკვიდრის პირადი აღრიცხვის ბარათზე, არსებული ზედმეტად გადახდილი თანხის ფარგლებში, თუ მემკვიდრე არ აგრძელებს გარდაცვლილი პირის ეკონომიკურ საქმიანობას;

დ) ვალდებულია ზემოაღნიშნული „ა“–„გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პროცედურების განხორციელების შემდეგ გარდაცვლილი პირის მემკვიდრეს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესით დაუბრუნოს ან მომავალი გადასახადის ანგარიშში ჩაუთვალოს გარდაცვლილი პირის ზედმეტად გადახდილი თანხა.

გარდაცვლილი პირის შეუსრულებელი საგადასახადო ვალდებულებების გამოვლენის შემთხვევაში მემკვიდრის მიმართ კანონმდებლობით განსაზღვრული სანქციები არ გამოიყენება.

გადასახადის გადამხდელის მოწმობა პირის გარდაცვალებისას – მემკვიდრის/სამკვიდრო ქონების განკარგვაზე უფლებამოსილი პირის მიერ ბარდება საგადასახადო ორგანოს. გარდაცვლილი გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრის შემდგომში სხვა პირზე მინიჭება დაუშვებელია.

რაც შეეხება მემკვიდრისა და სამკვიდროს იდენტიფიცირების საკითხს – მემკვიდრედ ყოფნის უფლება წარმოიშობა ჩასახვისთანავე და ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია დაბადებაზე.

მემკვიდრეები შეიძლება იყვნენ:

– კანონით მემკვიდრეობის დროს – პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის, და აგრეთვე მამკვიდრებლის შვილები,რომლებიც მისი გარდაცვალების შემდეგ ცოცხალი დაიბადებიან;

– ანდერძით მემკვიდრეობისას – პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის, აგრეთვე ისინი, რომლებიც ჩაისახნენ მის სიცოცხლეში და დაიბადნენ მისი გარდაცვალების შემდეგ, მიუხედავად იმისა, მისი შვილები არიან ისინი თუ არა, ასევე იურიდიული პირები.

ანდერძით მემკვიდრეობისას სამკვიდროს მისაღებად მოწვეული იქნება იურიდიული პირი, რომელიც შექმნილი იყო სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის.

ქორწინებისგარეშე შობილი ბავშვი მამის მემკვიდრედ ჩაითვლება, თუ მამობა აღიარებულია კანონით დადგენილი წესით. თუკი იგი მამაზე ადრე გარდაიცვლება,მის შვილებს შეუძლიათ მოითხოვონ წილი იმ სამკვიდროდან, რომელიც მათ მამას ეკუთვნოდა.

არც კანონით და არც ანდერძით მემკვიდრე არ შეიძლება იყოს პირი,რომელიც განზრახ ხელს უშლიდა მამკვიდრებელს მისი უკანასკნელი ნების განხორციელებაში და ამით ხელს უწყობდა თავისი ან მისი ახლობელი პირების მოწვევას მემკვიდრეებად ან სამკვიდროში მათი წილის გაზრდას, ანდა ჩაიდინა განზრახი დანაშაული ან სხვა ამორალური საქციელი მოანდერძის მიერ ანდერძში გამოთქმული უკანასკნელი ნებასურვილის საწინააღმდეგოდ,თუ ეს გარემოებანი დადასტურებული იქნება სასამართლოს მიერ (უღირსი მემკვიდრე).

შვილების კანონით მემკვიდრეებად ვერ იქნებიან მშობლები, რომლებსაც ჩამოერთმევათ მშობლის უფლება და სამკვიდროს გახსნის დღისათვის არ არიან აღდგენილნი ამ უფლებებში. კანონით მემკვიდრეები ვერ იქნებიან აგრეთვე პირნი,რომლებიც ბოროტად თავს არიდებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას, ერჩინათ მამკვიდრებელი, თუ ეს გარემოება დადასტურებულია სასამართლო წესით.

სამკვიდრო (სამკვიდრო ქონება) შეიცავს მამკვიდრებლის, როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის.

სამკვიდროში შედის საერთო საკუთრების წილი, რომელიც მამკვიდრებელზე მოდიოდა, ხოლო, თუ ქონების გაყოფა ნატურით შეუძლებელია, მაშინ – ამ ქონების ღირებულება.

სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული პირის საგადასახადო დავალიანებას გადაიხდის პირი, რომელიც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ უფლებამოსილია, მართოს უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ქონება მისი უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებიდან 3 თვის განმავლობაში, უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ქონების ხარჯზე.

საგადასახადო ორგანო პირს, რომელიც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ უფლებამოსილია, მართოს უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ქონება, უგზავნის შეტყობინებას, რომ მან უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის მაგივრად დადგენილი წესით გადაიხადოს საგადასახადო დავალიანება.

სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებული პირის საგადასახადო ვალდებულებას ასრულებს მისი მეურვე ქმედუუნარო პირის ქონების ხარჯზე. სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებული ფიზიკური პირის საგადასახადო დავალიანებას იხდის მისი მეურვე.

სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან ქმედუუნაროდ აღიარებული ფიზიკური პირის საგადასახადო დავალიანება ითვლება უიმედო საგადასახადო დავალიანებად და ჩამოიწერება იმ შემთხვევაში, თუ მისი ქონება არასაკმარისია საგადასახადო დავალიანების დასაფარავად.

პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან ქმედუუნაროდ აღიარების გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან აღდგება ჩამოწერილი საგადასახადო დავალიანება.

უგზო-უკვლოდ დაკარგული ან ქმედუუნარო ფიზიკური პირის საგადასახადო დავალიანება არის მისი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან ქმედუუნაროდ აღიარების თარიღის მიხედვით არსებული საგადასახადო დავალიანება.

4.4. საგადასახადო პერიოდი და საგადასახადო შეღავათი

საგადასახადო პერიოდი ეწოდება დროის იმ მონაკვეთს, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულება შესაბამისი გადასახადის მიხედვით. კერძოდ, პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებს სხვადასხვა საგადასახადო პერიოდები აქვთ. პირდაპირი გადასახადები, როგორც წესი, წლიურია, ხოლო არაპირდაპირი – თვიური. არსებობს შესაბამისი გამონაკლისები მაგ. საბაჟო გადასახდელების(იმპორტის გადასახდელები) ან ხელფასზე ყოველთვიური საშემოსავლო გადასახადის სახით.

აქციზისა და დღგ-ისათვის საგადასახადო პერიოდია თვე(ზოგიერთ ქვეყანაში კვარტალი), ხოლო საშემოსავლო, მოგების და ქონების გადასახადებისათვის – შესაბამისი წელი.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ზოგჯერ, საანგარიშო პერიოდი სხვადასხვა ორგანიზაციულ-ეკონომიკური ფაქტორებიდან გამომდინარე განსხვავებულად განისაზღვრება. კერძოდ:

ა) თუ საწარმო/ორგანიზაცია დაფუძნდა (სახელმწიფო რეგისტრაცია გაიარა) კალენდარული წლის დაწყების შემდეგ ამ წლის 1 დეკემბრამდე, მისთვის პირველი საგადასახადო პერიოდია დროის მონაკვეთი მისი დაფუძნების (რეგისტრაციის) დღიდან ამ წლის ბოლომდე. ამასთან, ამხანაგობებისათვის დაფუძნების დღედ ითვლება ერთობლივი საქმიანობის შესახებ ხელშეკრულების დადების დღე;

ბ) თუ საწარმო/ორგანიზაცია დაფუძნდა 1 დეკემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, მისთვის პირველი საგადასახადო პერიოდია დროის მონაკვეთი დაფუძნების დღიდან მომდევნო წლის ბოლომდე;

გ) თუ საწარმოს/ორგანიზაციის ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია განხორციელდა კალენდარული წლის დამთავრებამდე, მისთვის უკანასკნელი საგადასახადო პერიოდია დროის მონაკვეთი ამ წლის დასაწყისიდან მისი ლიკვიდაციის/რეორგანიზაციის დასრულების დღემდე(გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საწარმოს/ორგანიზაციას გამოეყო ან მიუერთდა ერთი ან რამდენიმე საწარმო/ორგანიზაცია);

დ) თუ საწარმო/ორგანიზაცია დაფუძნდა მისი ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის წლის წინა წლის 30 ნოემბრის შემდეგ, მისთვის პირველი და უკანასკნელი საგადასახადო პერიოდებია დროის მონაკვეთი დაფუძნების დღიდან ლიკვიდაციის/რეორგანიზაციის დასრულების დღემდე(გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საწარმოს/ორგანიზაციას გამოეყო ან მიუერთდა ერთი ან რამდენიმე საწარმო/ორგანიზაცია);

ე) თუ საგადასახადო პერიოდის განმავლობაში საქართველოს საწარმო/ორგანიზაცია იძენს უცხოური საწარმოს სტატუსს ან, პირიქით, უცხოური საწარმო – საქართველოს საწარმოს სტატუსს, საგადასახადო პერიოდი იყოფა ორ ნაწილად: პირველ ნაწილში საწარმო/ორგანიზაცია გადასახადის გადამხდელია თავდაპირველი სტატუსის შესაბამისად, ხოლო მეორეში – შეძენილი სტატუსის შესაბამისად.

რაც შეეხება საგადასახადო შეღავათს იგი განისაზღვრება, როგორც უპირატესობა, რომელიც გააჩნიათ ცალკეული კატეგორიის გადასახადის გადამხდელებს სხვა გადამხდელებთან მიმართებით, გადასახადებისაგან გათავისუფლების ჩათვლით. მაგ. პირს, რომლის წლიური ხელფასი არ აღემატება 6000 ლარს უპირატესობა აქვს იმ პირთან მიმართებით, რომლის წლიური ხელფასი არის, ვთქვათ, 6001 ლარი. პირველი პირი(რომლის წლიური ხელფასია, ვთქვათ 6000 ლარი), რეალურად დაუბეგრავი მინიმუმის გათვალისწინებით(დაუბეგრავი მინიმუმი იმ პირთათვის, რომელთა წლიური ხელფასი არ აჭარბებს 6000 ლარს – 1800 ლარია) ხელზე იღებს 5160 ლარს, ხოლო მეორე პირი – რომლის ხელფასია 6001 ლარი – ხელზე მიიღებს 4800 ლარს.

კანონმდებლობა კრძალავს ინდივიდუალური ხასიათის საგადასახადო შეღავათების დაწესებას და ცალკეული პირების გათავისუფლებას გადასახადებისაგან, თუმცა იქვე საწინააღმდეგო ნორმით – საგადასახადო შეთანხმებით ადგენს ასეთ პირობებს. მაგალითად, კანონში ჩანაწერით გადასახადებისაგან შეიძლება გათავისუფლდეს ზოგადად პირი ან ოპერაცია და არა კონკრეტული პირი ან ამ პირის მიერ განხორციელებული კონკრეტული ოპერაცია. მაგ. საშემოსავლო გადასახადისაგან გარკვეული შეზღუდვით გათავისუფლებულია მარტოხელა დედა, მაგრამ არა, ვთქვათ ლორენა ქობალია, რომელიც არ არის მარტოხელა დედა. ლორენა ქობალის გათავისუფლება გადასახადისაგან კანონში ჩანაწერით, როგორც ინდივიდის, აკრძალულია. თუმცა, ამ ნორმისაგან განსხვავებული საწინააღმდეგო ქმედებით – საგადასახადო შეთანხმებით ლორენა ქობალიას, როგორც ინდივიდუალურ მეწარმეს, რომელსაც დაუგროვდა საგადასახადო დავალიანება, საგადასახადო ორგანო დისკრეციის საფუძველზე ათავისუფლებს ინდივიდუალურად გადასახადებისაგან ან უმცირებს მას.

4.5. გადასახადის დარიცხვა

გადასახდის დარიცხვა არის ამ გადასახადის აღრიცხვა გადასახადის გადამხდელი პირადი აღრიცხვის ბარათზე. პირადი აღრიცხვის ბარათზე აისახება დაბეგვრასთან დაკავშირებული შემდეგი ძირითადი მონაცემები: ანგარიშსწორება გადასახდელების მიხედვით, ანგარიშსწორება ჯარიმის მიხედვით და ანგარიშსწორება საურავის მიხედვით. ბარათში ფიქსირდება აგრეთვე შესაბამისი სალდოები და წლის დასაწყისიდან ჩარიცხული თანხები დაბრუნებულის გამოკლებით.

პირადი აღრიცხვის ბარათი დეტალურად არის განხილული საგადასახადო აღრიცხვის თავში, ამიტომ ამ საკითხს აქ არ შეეხებით.

უნდა აღინიშნოს, რომ გადასახადის დარიცხვა ხორციელდება კონკრეტული საფუძვლის ანუ კონკრეტული საგადასახადო დოკუმენტის საფუძველზე. ეს საფუძვლებია:

ა) საგადასახადო დეკლარაცია ან საბაჟო დეკლარაცია;

ბ) ალტერნატიული საგადასახადო აუდიტის მიერ განხორციელებული საგადასახადო ანგარიშგება;

ბ) ინფორმაცია გადახდის წყაროსთან გადახდილი თანხების შესახებ;

გ) საგადასახადო შემოწმების აქტი;

დ) საგადასახადო ორგანოსათვის სხვა მაკონტროლებელი ან სამართალდამცავი ორგანოების მიერ მიწოდებული ინფორმაცია პირის საგადასახადო ვალდებულების შესახებ;

ე) საგადასახადო ორგანოსთვის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიწოდებული ინფორმაცია, მინაზე ქონების გადასახადის დარიცხვის მიზნებისათვის;

ვ) საგადასახადო ორგანოს ხელთ არსებული ინფორმაცია, თუ პირი მას არ წარუდგენს გადასახადის დასარიცხად საჭირო ინფორმაციას.

4.6. ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნება გადასახადის გადამხდელებისათვის

სხვადასხვა მიზეზების გამო გადასახადის გადამხდელებს წარმოეშობათ ზედმეტად გადახდილი თანხები ანუ ისეთი თანხები, რომელიც აღემატება საგადასახადო ვალდებულებას ან სანქციებს. ეს მიზეზები შეიძლება იყოს: გადამხდელის შეცდომა, საგადასახადო ორგანოს შეცდომა, გადახდილი და ჩასათვლელი დღგ ან აქციზი, ექსპორტის დროს დასაბრუნებელი დღგ და სხვა.

ზედმეტად გადახდილი თანხები(გადასახადები, ჯარიმები და საურავები) ბრუნდება შემდეგი ფორმებით:

ა) ზედმეტად გადახდილ თანხას საგადასახადო ორგანო ჩათვლის მომავალ საგადასახადო ვალდებულების ანგარიშში;

ბ) გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის წარდგენის საფუძველზე ამ მოთხოვნის წარდგენიდან არა უგვიანეს 3 თვისა საგადასახადო ორგანო უბრუნებს გადასახადის გადამხდელს ზედმეტად გადახდილ თანხას;

გ) გადასახადის გადამხდელის მიმართვის საფუძველზე ცალკეული გადასახადის/სანქციის მიხედვით ზედმეტად გადახდილი თანხა გადაიტანება სხვა სახის გადასახადში/სანქციაში საგადასახადო ორგანოს მიერ ან საქართველოს ფინანსთა მინისტრის გადაწყვეტილებით;

დ) ზედმეტად გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადის თანხა გადასახადის გადამხდელს უბრუნდება საგადასახადო ორგანოში განცხადების წარდგენიდან არა უგვიანეს 1 თვისა:

დ.ა) დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელის მიერ განხორციელებული საქონლის ექსპორტისას ან/და ამორტიზაციას დაქვემდებარებული ძირითადი საშუალების შეძენისას ან/და იმპორტისას;

დ.ბ) შენობებისა და ნაგებობების, როგორც ძირითადი საშუალებების წარმოებისათვის საქონლის შეძენისას;

ე) ზედმეტად გადახდილი დღგ-ს სხვა თანხები ჩაითვლება დამატებული ღირებულების გადასახადის შემდგომი პერიოდების გადასახდელებში ან 3 თვის შემდეგ ბრუნდება;

ვ) გრანტის მიმღებ პირს, რომელიც ყიდულობს გრანტის ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებულ საქონელს ან/და ამავე საწყისებზე იღებს მომსახურებას, უფლება აქვს, ჩაითვალოს ან დაიბრუნოს ამ საქონლისათვის/მომსახურებისათვის გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოში საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის ან უკუდაბეგვრისას ბიუჯეტში დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე. ამასთან, ჩათვლა ან დაბრუნება ხდება იმ პირობით, თუ განცხადება საგადასახადო

ორგანოს წარედგინება დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების თვის მომდევნო 3 თვის ვადაში;

ზ) ზედმეტად გადახდილი თანხა, რომელიც წარმოიშვა საგადასახადო ორგანოს საინკასო დავალებით გადასახადის გადამხდელის საბანკო ანგარიშიდან გადასახადის ან/და საგადასახადო სანქციის თანხის არასწორად ჩამოწერის, მათ შორის, ორი ან რამდენიმე საბანკო დაწესებულების მიერ საგადასახადო ორგანოს საინკასო დავალების ერთდროულად შესრულების შედეგად, გადასახადის გადამხდელს უბრუნდება საგადასახადო ორგანოსთვის განცხადების წარდგენიდან არა უგვიანეს 15 დღისა.

თუ დამქირავებელთან (საგადასახადო აგენტთან), რომელთანაც დაქირავებული პირის მიერ წარდგენილი იქნა ცნობა და სრულად ვერ იქნა გამოყენებული კუთვნილი საგადასახადო შეღავათი, ამასთან, ფიზიკურ პირს (დაქირავებულს) შესაბამისი საგადასახადო წლის მიხედვით გააჩნია სხვა დასაბეგრი შემოსავალი, მაშინ მას ზედმეტად გადახდილი საშემოსავლო გადასახადის თანხის გადაანგარიშებისა და ანაზღაურების მოთხოვნით შეუძლია მიმართოს საგადასახადო ორგანოს.

დღგ-სთან მიმართებით დაუშვებელია „უკუდაბეგვრის სპეციბარათზე" არსებული თანხების ზედმეტად გადახდილ თანხად განხილვა და მათი სხვა გადასახადების მიხედვით დავალიანებების დასაფარავად მიმართვა, შესაბამის პერიოდზე ანგარიშგების წარდგენამდე.

ამასთან, საწარმოს/ორგანიზაციის რეორგანიზაციამდე ზედმეტად გადახდილ თანხას საგადასახადო ორგანო ჩათვლის ამ საწარმოს/ორგანიზაციის უფლებამონაცვლის რეორგანიზებული საწარმოს/ორგანიზაციის მომავალ საგადასახადო ვალდებულებათა ანგარიშში საერთო თანხის პროპორციულად ან უბრუნებს უფლებამონაცვლეს/უფლებამონაცვლეებს (თითოეული მათგანის წილის შესაბამისად) ამ კოდექსით დადგენილი წესით. რაც შეეხება საწარმოს/ორგანიზაციის ლიკვიდაციისას ზედმეტად გადახდილ თანხას საგადასახადო ორგანო დადგენილი წესით უბრუნებს საწარმოს/ორგანიზაციის სალიკვიდაციო კომისიას (საწარმოს მონაწილეებს).

ზედმეტად გადახდილი გადასახადის დაბრუნება წარმოებს ხაზინის ერთიანი ანგარიშის დაბრუნების ქვეანგარიშიდან შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილი საგადასახადო ორგანოს მიერ სახელმწიფო ხაზინაში წარდგენილი საგადახდო დავალების საფუძველზე.

ზედმეტად გადახდილი გადასახადის სხვა გადასახადების სახეში გადატანა წარმოებს ხაზინის ერთიან ანგარიშზე, უფლებამოსილი საგადასახადო ორგანოს მიერ სახელმწიფო ხაზინაში წარდგენილი საგადახდო დავალების საფუძველზე.

ზედმეტად ან შეცდომით ჩარიცხული სხვა შემოსულობების თანხის დაბრუნება ან სხვა შემოსულობებისა და გადასახადის თანხების გადატანა ან/და თვითმმართველი ერთეულის კოდის არასწორი სიმბოლოებით ხაზინის ერთიან ანგარიშზე მიმართვის შემთხვევაში შეცდომის გასწორება წარმოებს ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან სახელმწიფო ხაზინის მიერ.

4.7. საგადასახადო მოთხოვნა და გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა

საგადასახადო მოთხოვნა არის საგადასახადო ორგანოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც საგადასახადო ორგანო გადასახადის გადამხდელისაგან ითხოვს კანონმდებლობის მიხედვით ამოსაღები გადასახადებისა და სანქციების შესაბამის თანხებს. იმისათვის, რომ საგადასახადო ორგანომ პირს წარუდგინოს საგადასახადო მოთხოვნა უნდა არსებობდეს ერთ-ერთი შემდეგი საფუძველი:

ა) გადასახადის დარიცხვა, რომლის გაანგარიშება საგადასახადო ორგანოს ვალდებულებაა;

ბ) გადასახადის დარიცხვის ან/და სანქციის დაკისრების შესახებ საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება;

გ) მესამე პირზე (იმ პირზე, რომელსაც აქვს იმ გადასახადის გადამხდელის ვალი, რომელსაც უნდა წარდგენოდა საგადასახადო მოთხოვნა) გადახდევინების მიქცევის შესახებ გადაწყვეტილება.

გადასახადის გადამხდელს წარედგინება შემდეგი სახის საგადასახადო მოთხოვნა:

ა) დარიცხული თანხების შესახებ;

ბ) ფიზიკური პირის ქონების გადასახადის თაობაზე;

გ) მიწაზე ქონების გადასახადის თაობაზე.

საგადასახადო ორგანო გადასახადის გადამხდელს საგადასახადო მოთხოვნას უგზავნის გამოვლენილ საგადასახადო სამართალდარღვევაზე ან საგადასახადო შემოწმების მასალებზე თანხების დარიცხვის შესახებ საგადასახადო ორგანოს უფროსის/მოადგილის მიერ გადაწყვეტილების მიღების დღიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა წარმოადგენს საგადასახადო მოთხოვნის ანტიპოდს იმ

თვალსაზრისით, რომ თუ საგადასახადო მოთხოვნით მოითხოვება გადასახადების და სანქციების გადახდა, გადასახადის გადამხდელის მოთხოვნით მოითხოვება საწინააღმდეგო – უკვე გადახდილი გადასახადების ან სანქციების დაბრუნება. იმისათვის, რომ გადასახადის გადამხდელმა საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს გადამხდელის მოთხოვნა უნდა არსებობდეს ერთადერთი საფუძველი – გადასახადების ან სანქციების ზედმეტად გადახდილი თანხა.

თუ საგადასახადო ორგანო მიიჩნევს, რომ გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა უსაფუძვლოა, იგი ვალდებულია მოთხოვნის მიღებიდან 20 დღის ვადაში გადასახადის გადამხდელს წარუდგინოს დასაბუთებული შესაგებელი. თავის მხრივ გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს გაასაჩივროს საგადასახადო ორგანოს შესაგებელი.

4.8. გადასახადის გადამხდელად აღრიცხვა

გადასახადის გადამხდელად აღრიცხვა მოიცავს გადასახადის გადამხდელისთვის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭებასა და რეგისტრირებული მონაცემების ერთიან კომპიუტერულ ბაზაში (საგადასახადო აღრიცხვის ერთიან რეესტრში) შეტანას.

საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი, ასევე პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირი, გარდა იმ პირისა, რომლის შემოსავალიც იბეგრება წყაროსთან ან გათავისუფლებულია დაბეგვრისაგან, ვალდებული არიან ეკონომიკური საქმიანობის დაწყებამდე განცხადებით მიმართონ საგადასახადო ორგანოს მათთვის საიდენტიფიკაციო ნომრების მინიჭების მიზნით.

საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი, ასევე პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირი (გარდა მეწარმე ფიზიკური პირისა) უფლებამოსილი არიან საქართველოში გადასახადის გადახდის ან/და დეკლარირების ვალდებულების დადგომისას, საგადასახადო ორგანოში საგადასახადო აღრიცხვის პროცედურების გავლის გარეშეც, მოქალაქის პირადობის მოწმობაში, პირადობის ნეიტრალურ მოწმობაში ან ნეიტრალურ სამგზავრო დოკუმენტში აღნიშნული პირადი ნომერი (საიდენტიფიკაციო ნომერი) მიუთითონ წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებების დეკლარირებისას და საბანკო დანესებულებებში გადასახადის გადახდისას. საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირის, ასევე პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირის საგადასახადო აღრიცხვა ხორციელდება მათი საგადასახადო დეკლარაციების ან/და ბანკში წარდგენილი, გადასახადის გადახდის დამადასტურებელი საგადახდო დავალებების მონაცემების საფუძველზე.

საწარმოს/ორგანიზაციის, მეწარმე სუბიექტისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საგადასახადო რეგისტრაცია (აღრიცხვა) ხორციელდება იურიდიული მისამართის (ადგილსამყოფლის) მიხედვით, ხოლო ფიზიკური პირისა – მის მიერ განცხადებული საცხოვრებელი/საქმიანობის ადგილის მიხედვით.

უცხოური საწარმოს ფილიალის, რომელიც ექვემდებარება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციას, საგადასახადო აღრიცხვაზე აყვანა და საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭება ხორციელდება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ამ ფილიალის რეგისტრაციასთან ერთად. ამასთანავე, თუ აღნიშნული უცხოური საწარმო იმყოფებოდა საგადასახადო აღრიცხვაზე ფილიალის რეგისტრაციამდე და საგადასახადო ორგანოს მიერ მინიჭებული ჰქონდა საიდენტიფიკაციო ნომერი ან თუ ორი და ორზე მეტი ფილიალი დარეგისტრირდა, პირველად მინიჭებული საიდენტიფიკაციო ნომერი უცვლელი რჩება.

სახელმწიფო რეგისტრაცია ავტომატურად გულისხმობს საგადასახადო აღრიცხვას. გადასახადის გადამხდელების ნაწილს არეგისტრირებს საგადასახადო ორგანო, ხოლო ყველა დანარჩენს საჯარო რეესტრი. საგადასახადო ორგანო არეგისტრირებს:

ა) საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი (გარდა ინდივიდუალური მეწარმისა და იმ პირისა, რომლის შემოსავალიც იბეგრება გადახდის წყაროსთან ან გათავისუფლებულია დაბეგვრისაგან);

ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქე ფიზიკური პირი;

გ) გაერთიანება, ამხანაგობა და სხვა მსგავსი წარმონაქმნი, რომელსაც შეიძლება წარმოეშვას საგადასახადო ვალდებულება;

დ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

ე) საბიუჯეტო ორგანიზაცია;

ვ) უცხოური საწარმო/ორგანიზაცია, მისი მუდმივი დაწესებულება, არარეზიდენტი ფიზიკური პირის მუდმივი დაწესებულება;

ზ) პოლიტიკური პარტია (ორგანიზაცია);

თ) დიპლომატიური სტატუსის მქონე ორგანიზაცია.

საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ფიზიკური პირი საგადასახადო ვალდებულების წარმოშობისას ვალდებულია საგადასახადო აღრიცხვის შესახებ განცხადებით მიმართოს საგადასახადო ორგანოს.

4.9. საგადასახადო დეკლარაცია

საგადასახადო დეკლარაცია არის გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო ორგანოსადმი წარდგენილი ანგარიშგება კანონმდებლობით დადგენილი ფორმით. სხვადასხვა სახის გადასახადებზე ხდება სხვადასხვა ფორმის და შინაარსის საგადასახადო დეკლარაციების წარდგენა.

საგადასახადო დეკლარაციის წარდგენა საგადასახადო ორგანოში ტექნიკური თვალსაზრისით ხდება სამი ფორმით: პირადად გადამხდელის მიერ შევსებული საგადასახადო დეკლარაციის წარდგენით(მიტანით), მისი დაზღვეული საფოსტო გზავნილით და ელექტრონულად გაგზავნით.

იმ შემთხვევაში, თუ გადასახადის გადამხდელი დადგენილ ვადაში არ წარადგენს შესაბამის საგადასახადო დეკლარაციას, მაშინ საგადასახადო ორგანო თვლის, რომ პირმა წარადგინა „ნულოვანი“ საგადასახადო დეკლარაცია ანუ მან მოახდინა თავისი შემოსავლების დეკლარირება, რომლის მიხედვით დასარიცხი გადასახადის თანხა ნოლის ტოლია. კანონის ის მოთხოვნა, რომლის მიხედვით დეკლარაციის წარდგენის ვადის შემდეგ წარდგენილი დეკლარაცია დაგვიანებულად ითვლება, ზემოაღნიშნული ლოგიკის კონტექსტში არ ჯდება.

საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის ვადა შეიძლება გაგრძელდეს პირდაპირი გადასახადების შემთხვევაში სამი თვით, თუ პირს გადახდილი აქვს დასადეკლარირებელი პერიოდის მიმდინარე გადასახდელები (ან არა აქვს მიმდინარე გადასახდელების გადახდის ვალდებულება) და საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის ვადის გასვლამდე წერილობით მიმართავს საგადასახადო ორგანოს ვადის გაგრძელების თაობაზე. საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის ვადის გაგრძელებით არ იცვლება გადასახადის გადახდის ვადა.

წარდგენილ საგადასახადო დეკლარაციაში შესაძლებელია ცვლილებების და დამატებების შეტანა ანუ მისი კორექტირება. გადასახადის გადამხდელის ვალდებულებაა დეკლარაციაში ისეთი შეცდომის აღმოჩენის შემთხვევაში, რომელიც იწვევს გადასახადების თანხის ცვლილებას განახორციელოს დეკლარაციის კორექტირება. თუ კორექტირებული საგადასახადო დეკლარაცია იმ ვადებშია წარდგენილი, რა ვადაც არის დაწესებული თავდაპირველი დეკლარაციის წარსადგენად(მაგ. 1 აპრილი მოგების გადასახადის დეკლარაციისთვის), მაშინ ითვლება, რომ ეს არის თავდაპირველი დეკლარაციის წარდგენა. სხვა შემთხვევაში კორექტირებული დეკლარაციის წარდგენა დაგვიანებულად ჩაითვლება საგადასახადო სამართალდარღვევების ასპექტით.

იმ პერიოდზე ან საკითხზე, რომელზედაც საგადასახადო ორგანომ უკვე განახორციელა საგადასახადო შემოწმება ან დარიცხვა, პირის მიერ საგადასახადო დეკლარაციის (მათ შორის, შესწორებული საგადასახადო დეკლარაციის) წარდგენის შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, აღრიცხვა განახორციელოს ამ საგადასახადო დეკლარაციის (მათ შორის, შესწორებული საგადასახადო დეკლარაციის) მიხედვით. აღნიშნულის შესახებ საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი გამოსცემს მოტივირებულ ბრძანებას.

იმ პერიოდზე ან საკითხზე, რომელზედაც მიმდინარეობს ან უნდა ჩატარდეს საგადასახადო შემოწმება, პირის მიერ საგადასახადო დეკლარაციის (მათ შორის, შესწორებული საგადასახადო დეკლარაციის) წარდგენა დაუშვებელია საგადასახადო შემოწმების ჩატარების შესახებ სასამართლოს ან საგადასახადო ორგანოს შესაბამისი გადაწყვეტილების ჩაბარებიდან, საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის შედგენიდან ან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შემოწმების ან დოკუმენტური/ბუღალტრული რევიზიის დანიშვნიდან შესაბამისი საგადასახადო მოთხოვნის ამ პირისათვის ჩაბარებამდე პერიოდში.

არსებობს საგადასახადო დეკლარაციების სხვადასხვა ფორმები, როგორც გადასახადების სახეების მიხედვით, ასევე თვით ერთი და იგივე გადასახადის შიგნით. ეს ფორმებია:

ა) საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაცია:

ა.ა) მემკვიდრეობით ან/და ჩუქებით მიღებული შემოსავლების დეკლარაცია;

ა.ბ) გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაცია;

ა.გ) დეკლარაცია დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვის შესახებ;

ბ) მოგების გადასახადის დეკლარაცია:
ბ.ა) ამხანაგობის მიერ მიღებული მოგება(ზარალის) განაწილების შესახებ დეკლარაცია;
გ) დამატებული ღირებულების გადასახადის დეკლარაცია;
დ) აქციზის დეკლარაცია;
ე) საწარმოს/ორგანიზაციის ქონების გადასახადის წლიური დეკლარაცია;
ვ) ფიზიკური პირის ქონების გადასახადის წლიური დეკლარაცია;
ზ) სათამაშო ბიზნესის ყოველკვარტალური დეკლარაცია.

4.10. პირველადი საგადასახადო დოკუმენტი

პირველადი საგადასახადო დოკუმენტი ეწოდება ისეთ წერილობით საბუთს, რომელიც საშუალებას იძლევა ეკონომიკურ ურთიერთობების მონაწილე მხარეთა და ოპერაციის იდენტიფიცირება მოხდეს მინიმუმ შემდეგი ფაქტორებით:
ა) სამეურნეო ოპერაციის მონაწილე მხარეთა ვინაობა;
ბ) გამოწერის თარიღი;
გ) საქონლის ან მომსახურების ჩამონათვალი;
დ) საქონლის ან მომსახურების ღირებულება(გარდა ბარტერული ოპერაციისა).
პირველადი საგადასახადო დოკუმენტი უნდა შედგეს არანაკლებ ორ ეგზემპლარად და შენახულ იქნეს სამეურნეო ოპერაციის მონაწილე მხარეებთან არანაკლებ 6 წლის ვადით იმ კალენდარული წლის დამთავრებიდან, რომელსაც იგი მიეკუთვნება.
პირველადი საგადასახადო დოკუმენტის ფუნქციას წარმოადგენს ერთობლივი შემოსავლიდან იმ ხარჯების გამოქვითვა, რომელიც გაწეულია მის მისაღებად. თუმცა კანონმდებლობა უშვებს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ხარჯების გამოქვითვის მიზნით არ მოითხოვება ზემოაღნიშნული შესაბამისი წესით შევსებული დოკუმენტი ან ეს დოკუმენტი საერთოდ არ მოითხოვება. ამ საკითხებს ჩვენ განვიხილავთ ერთობლივი შემოსავლისა და გამოქვითვების თავში.
პირველადი საგადასახადო დოკუმენტები არ არის მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტები ზოგიერთი გამონაკლისის გარდა(მაგ. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა). ასეთ დოკუმენტებს, თუ იგი შედგენილია ზემოაღნიშნული მოთხოვნების დაცვით, მიეკუთვნება:
ა) ინვოისი (ანგარიშ-ფაქტურა);
ბ) საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა;
გ) მიღება-ჩაბარების აქტი;
დ) ხელშეკრულება;
ე) სასაქონლო ზედნადები;
ვ) სატრანსპორტო ზედნადები;
ზ) ავიაზედნადები;
თ) სარკინიგზო ზედნადები;
ი) კონოსამენტი;
კ) საქონლის ან მომსახურების ნებისმიერი ფორმის შესყიდვის დოკუმენტი.

4.11. ცალკეულ შემთხვევებში საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის პრინციპები

საგადასახადო ორგანოს მიერ საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის დროს წარმოიშობა ზოგიერთი სირთულე, რომლის დროსაც გადასახადის გადამხდელი ნებსით თუ უნებლიეთ თავს არიდებს მის შესრულებას. შესაბამისად, პირის საგადასახადო ვალდებულების რეალურად განსაზღვრის მიზნით საგადასახადო ორგანო მიმართავს სხვადასხვა მეთოდებს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი ხდება ობიექტურთან მიახლოებული საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრა.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრისათვის შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ძირითადი საკითხები:
ა) გადასახადის გადამხდელის ინტერესებისათვის მესამე პირის მიერ ამ გადასახადის გადამხდელის გვერდის ავლით მიღებული თანხის დროს წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრა;
ბ) უკანონოდ მიღებული შემოსავლის დროს საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრა;
გ) საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრა პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით;

დ) არარსებითი ოპერაციების გამორიცხვა საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის დროს;

ე) ფორმისა და შინაარსის დიალექტიკა საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის დროს.

გადასახადის გადამხდელის ინტერესებისათვის მესამე პირის მიერ ამ გადასახადის გადამხდელის გვერდის ავლით მიღებული თანხის დროს წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრის დროს გაითვალისწინება ის ფაქტი, რომ ამ შემთხვევაში შემოსავალს ღებულობს ის პირი, რომლის ინტერესებისათვის ეს თანხა მიიღო სხვამ მესამე პირმა. მაგ. ორ პირს შორის დაიდო ხელშეკრულება საქონლის მიწოდების შესახებ. ამასთან, ამ ხელშეკრულების მიხედვით საქონლის გამყიდველი ავალდებულებს საქონლის მყიდველს, რომ საქონლის საფასური გადაურიცხოს მის მევალეს. ასეთ შემთხვევაში ეს თანხა მიღებულად ეთვლება საქონლის გამყიდველს.

უკანონოდ მიღებული შემოსავლის დროს საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრისას დგინდება, რომ პირს, მაგ. ნარკოტიკების რეალიზაციით აქვს მიღებული შემოსავალი. მიუხედავად ამისა ეს შემოსავალი ექვემდებარება საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრას. თუმცა იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით შემოსავალი სრულად ექვემდებარება ბიუჯეტის სასარგებლოდ ამოღებას, იგი არ იბეგრება.

საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, პირის საგადასახადო ვალდებულებები განსაზღვროს არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით (აქტივების სიდიდის, საოპერაციო შემოსავლებისა და ხარჯების, პირის შესახებ ინფორმაციის მისი საქმიანობის სხვა საგადასახადო პერიოდთან ან სხვა ამგვარი გადასახადის გადამხდელის შესახებ მონაცემების შედარების, აგრეთვე სხვა მსგავსი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე):

ა) თუ პირს არ აქვს სააღრიცხვო დოკუმენტაცია ან სააღრიცხვო დოკუმენტაციით შეუძლებელია დაბეგვრის ობიექტის დადგენა;

ბ) ერთზე მეტი ნებისმიერი შემდეგი პირობის არსებობისას:

ბ.ა) ადგილი აქვს პირის აქტივების დაუსაბუთებელ ზრდას;

ბ.ბ) პირის მიერ ეკონომიკური საქმიანობისათვის ან/და პირადი მოხმარებისათვის გაწეული ხარჯი აჭარბებს დეკლარირებულ შემოსავალს;

ბ.გ) მიმდინარე საგადასახადო კონტროლის ღონისძიებების შედეგად საგადასახადო შემოწმების დაწყების შესახებ საგადასახადო ორგანოს შესაბამისი აქტით განსაზღვრულ შესამოწმებელ პერიოდში გამოვლენილია პირის მიერ საგადასახადო სამართალდარღვევის ჩადენის ორი ან მეტი შემთხვევა;

ბ.დ) გამოვლენილია არსებითი სხვაობა პირის მიერ საგადასახადო ორგანოსათვის წარდგენილ/დეკლარირებულ დაბეგვრასთან დაკავშირებულ მონაცემებსა და მიმდინარე საგადასახადო კონტროლის ღონისძიებების შედეგად ფაქტობრივად დაფიქსირებულ მონაცემებს შორის.

პირდაპირი მეთოდის მაგალითი იქნება, მაგ. საწარმოსათვის მოცემული თვის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების რეალიზაციის ფასის განსაზღვრა ამ საწარმოს მიერ წინა თვის რეალიზაციის მაჩვენებლების მიხედვით, ხოლო არაპირდაპირი მეთოდის გამოყენება – სხვა პირების მიერ ანალოგიური(იდენტური, მსგავსი) საქონლის რეალიზაციის მაჩვენებლების მიხედვით. უფრო რთული საკითხები, რომელიც საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის არაპირდაპირ მეთოდებთან არის დაკავშირებული განხილულია საგადასახადო აუდიტის თავში.

არარსებითი ოპერაციების გაუთვალისწინებლობა გადასახადის გადამხდელის ერთობლივ შემოსავლსა და შესაბამისად, დასაბეგრ შემოსავალში(მოგებაში) წარმოადგენს საგადასახადო ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას, თუმცა კანონმდებლობა ვერ განსაზღვრავს, თუ რა წილის ოპერაცია შეიძლება იყოს არარსებითი მთლიან ოპერაციებში.

ფორმისა და შინაარსის მიმართების საკითხი საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრის დროს მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობს. საგადასახადო ორგანო ამ შემთხვევაში იყენებს შინაარსის ფორმაზე აღმატებულობის პრინციპს (ისევე, როგორც ეს არის ლიგიკის შესაბამის წყვილად კატეგორიებში). ამ შემთხვევაში მოვლენის გარკვეული ფორმით შენიღბვა ვერ ფარავს მის შინაარსს. ამ საკითხის ტრივიალურ მაგალითად შეიძლება იქნეს მოყვანილი საწარმოს თანამშრომლებისათვის საწარმოს მიერ „საჩუქრის" სახით საქონლის მიწოდება ან ე.წ საქვეანგარიშოდ გაცემული თანხების არამიზნობრივად გახარჯვისას დამდგარი შედეგი ან მივლინების დროს დადგენილზე ზემოთ თანხების გაცემა და ა.შ., ყველა ეს მოვლენა ფორმით არ წარმოადგენს ხელფასს ანუ შრომის ანაზღაურებას, მაგრამ რეალურად, თავისი შინაარსით ხელფასია და ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაბეგვრას. ფორმისა და შინაარსის მაგალითად, გამოდგება აგრეთვე, დამკვეთის მიერ უცხოეთიდან მეწარმისათვის ნედლეულის გამოგზავნა მისი შემდგომი გადამუშავების და მზა პროდუქციის მიღების მიზნით. ასეთ შემთხვევაში ფორმით ეს მოვლენა არის მომსახურების გაწევა დამკვეთისათვის, რომელიც დღგ-ით იბეგრება, ხოლო შინაარსით – საქონლის გადამუშავება საბაჟო ტერიტორიაზე, რომელიც დღგ-ით არ იბეგრება.

თავი 5. ერთობლივი შემოსავალი და გამოქვითვები

5.1. ერთობლივი შემოსავლის ცნება

ერთობლივი შემოსავალი დაბეგვრის თეორიის და პრაქტიკის საკვანძო ცნებაა. ერთობლივი შემოსავლის ოდენობა უდევს საფუძვლად მოგებისა და წლიური საშემოსავლო გადასახადის გათვლას.

ერთობლივი შემოსავალი პირის მიერ საანგარიშო პერიოდის (როგორც წესი წლის) განმავლობაში მიღებული შემოსავლების ჯამია დაბეგვრის მიზნებისათვის. თავის მხრივ „შემოსავალიც" ცნებაა, რომელიც საგადასახადო კანონმდებლობით განმარტებული არ არის. მიუხედავად ამისა საგადასახადო კანონმდებლობა ამბობს, რომ თუ ამ კანონმდებლობაში გამოიყენება, რომელიმე ტერმინი და იგი აქვე არ არის განმარტებული, მაშინ საგადასახადო მიზნებისათვის იგი გაიგება ისე, როგორც ეს სხვა შესაბამის ნორმატიულ აქტებში არის განსაზღვრული.

საბუღალტრო კანონმდებლობით შემოსავალი განისაზღვრება, როგორც პირის აქტივების ზრდა ან ვალდებულებების შემცირება. შესაბამისად ის მოქმედება, რაც ზრდის გადამხდელის აქტივებს ან ამცირებს მის ვალდებულებებს სხვა პირების მიმართ, განეკუთვნება მის შემოსავალს. ასეთი შემოსავლების ერთობლიობას, როგორც აღვნიშნეთ ეწოდება ერთობლივი შემოსავალი.

ერთობლივი შემოსავალი კლასიფიცირდება გადამხდელის რეზიდენტობისა და შემოსავლების სახეების მიხედვით.

რეზიდენტის ერთობლივი შემოსავალი შედგება საქართველოში არსებული წყაროდან და საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული შემოსავლებისაგან, ხოლო არარეზიდენტის ერთობლივი შემოსავალი – საქართველოში არსებული წყაროებიდან მიღებული შემოსავლებისაგან.

ერთობლივ შემოსავალს განეკუთვნება ნებისმიერი ფორმით ან/და საქმიანობით მიღებული შემოსავალი, კერძოდ:

ა) ხელფასის სახით მიღებული შემოსავლები;

ბ) ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები, რომლებიც დაკავშირებული არ არის დაქირავებით მუშაობასთან;

გ) სხვა შემოსავლები, რომლებიც დაკავშირებული არ არის დაქირავებით მუშაობასთან და ეკონომიკურ საქმიანობასთან.

საქონლის/მომსახურების უსასყიდლოდ მიწოდებისას ერთობლივ შემოსავალში ასახვას ექვემდებარება ამ საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასი. ეს არ ეხება იმ სარეკლამო საქონლის უსასყიდლოდ გავრცელებას, მათ შორის, საცალო რეალიზატორის მეშვეობით, რომელსაც დამოუკიდებელი სამომხმარებლო მახასიათებლები არ გააჩნია და ძირითადი საქონლის/მომსახურების მიწოდების განუყოფელი ნაწილია.

ვიდრე ცალ-ცალკე განვიხილავთ ზემოაღნიშნული ერთობლივი შემოსავლის ელემენტების განხილვას უნდა გამოიყოს ის შემოსავლები, რომლებიც მართალია, ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებისათვის წარმოადგენს შემოსავლებს, მაგრამ დაბეგვრის მიზნებისათვის არ შეიტანება ერთობლივ შემოსავალში. ასეთი შემოსავლებია:

ა) სახელმწიფოსთვის ან/და ადგილობრივი თვითმმართველობისათვის იმ საწარმოს კაპიტალიდან აქტივების გამოტანა, რომლის წილის/აქციების 50 პროცენტზე მეტი სახელმწიფოს ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაშია;

ბ) სახელმწიფოსთვის ან/და ადგილობრივი თვითმმართველობისათვის საქონლის უსასყიდლოდ გადაცემა ან/და მომსახურების უსასყიდლოდ გაწევა;

გ) საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული პროექტების (მათ შორის, მოსამზადებელი ეტაპის) განმახორციელებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ, რომლებთანაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გაფორმებული აქვს პროექტის განხორციელების უფლებამოსილების შესახებ ხელშეკრულება, ამ პროექტების ფარგლებში საქონლის სხვა პირებისათვის გადაცემა;

დ) მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირის მიერ დაქირავებულისთვის გადახდილი ხელფასი, კალენდარული წლის განმავლობაში ერთობლივი შემოსავლის 25 პროცენტის ფარგლებში გადახდის წყაროსთან საშემოსავლო გადასახადის დაკავების ასპექტით. ამ შემთხვევაში ის ხელფასი, რომელიც არ აღემატება ერთობლივი შემოსავლის 25 პროცენტს ერთობლივ შემოსავალში არ შეიტანება;

ე) ხელშეკრულების ვადის გასვლის ან ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, თუ ხორციელდება

ძირითადი საშუალების მეიჯარისთვის დაბრუნება, ხოლო ამ ძირითად საშუალებას მოიჯარის მიერ განხორციელებული რემონტის სახით ეზრდება ღირებულება;

ვ) გადასახადის გადამხდელთან გაფორმებული საგადასახადო შეთანხმების საფუძველზე გადასახადების ან/და სანქციების შემცირებით, აგრეთვე საგადასახადო დავალიანების ჩამოწერით მიღებული სარგებელი;

ზ) დივიდენდები და პროცენტები კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში;

თ) 2017 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივსა და მის წევრთა (მეპაიეთა) შორის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შედეგად მიღებული, საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდება ან/და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა.

ი) საქველმოქმედო ორგანიზაციისთვის უსასყიდლოდ მიწოდებული უძრავი ქონების (მათ შორის, მიწის ნაკვეთის) საბაზრო ღირებულება, თუ ქონების მიმღები ორგანიზაცია ქველმოქმედებას ახორციელებს ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის ან/და მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ არანაკლებ ბოლო 3 კალენდარული წლის განმავლობაში.

5.2. ხელფასის სახით მიღებული შემოსავლები

კლასიკური გაგებით ხელფასი არის დამქირავებლის მიერ შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავებული ფიზიკური პირის შრომის ანაზღაურების ფულადი ფორმა.

დაბეგვრის მიზნებისათვის შინაარსს პრიორიტეტი ენიჭება ფორმასთან მიმართებით და აქედან გამომდინარე ხელფასად ითვლება ფიზიკური პირის სხვადასხვა ფორმის შემოსავლები. ხელფასის სახით მიღებულ შემოსავლებს განეკუთვნება ფიზიკური პირის მიერ დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული ნებისმიერი საზღაური ან სარგებელი, მათ შორის, წინა სამუშაო ადგილიდან პენსიის ან სხვა სახით მიღებული შემოსავალი, ან შემოსავალი მომავალი სამუშაო ადგილიდან.

ზემოაღნიშნული სარგებლის ღირებულებად ითვლება ქვემოთ მითითებული თანხა, რომელიც მცირდება დაქირავებულის მიერ ამ სარგებლის მიღებისას დამქირავებლისათვის გადახდილი თანხით:

ა) ნებისმიერი სახეობის ავტომობილის პირადი სარგებლობისათვის გამოსაყენებლად მიღებისას – შესაბამისი საგადასახადო წლის დასაწყისისათვის ამ ავტომობილის საბალანსო ღირებულების 0,1 პროცენტი დაქირავებულის მიერ ავტომობილის კერძო სარგებლობის მიზნით გამოყენების ყოველი დღისათვის;

ბ) დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრულ საპროცენტო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით სესხის გაცემისას – საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთით გადასახდელი პროცენტის შესაბამისი თანხა(20 პროცენტი);

გ) დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის საქონლის/ მომსახურების მიწოდებისას ან კომპენსაციის გარეშე გადაცემისას – ასეთი საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასი;

დ) დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის საცხოვრებლის სარგებლობაში გადაცემისას – საიჯარო ქირის წლიური საბაზრო ღირებულება (შესაბამისი პერიოდის პროპორციულად);

ე) დამქირავებლის მიერ დაქირავებულისთვის ან მის კმაყოფაზე მყოფთათვის განათლების მისაღებად დახმარების გაწევისას (დაქირავებულის ვალდებულებათა შესრულებასთან უშუალოდ დაკავშირებული მომზადების პროგრამის ჩაუთვლელად) – დამქირავებლის მიერ განათლების მისაღებად გაწეული დახმარების ღირებულება;

ვ) დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის ხარჯების ანაზღაურებისას – ანაზღაურების თანხა;

ზ) დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის ვალის ან ვალდებულების პატიებისას – ვალის ან ვალდებულების თანხა;

თ) დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევის შემთხვევაში ან საპენსიო დაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით სადაზღვევო პრემიის ან სხვა თანხის გადახდისას – დამქირავებლის მიერ გადახდილი სადაზღვევო პრემიის ან სხვა თანხის მოცულობა;

ი) სხვა შემთხვევაში – სარგებლის საბაზრო ფასი.

ხელფასის სახით მიღებულ შემოსავალში არ შედის:

ა) დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმის ფარგლებში;

ბ) წარმომადგენლობითი ხარჯების ანაზღაურება.

ზემოაღნიშნული სარგებლის თანხა მოიცავს აქციზს, დამატებული ღირებულების გადასახადს და სხვა გადასახადს, რომელიც უნდა გადაიხადოს დაქირავებულმა.

5.3. ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები

დაბეგვრის მიზნებისათვის ცნება „სამეწარმეო საქმიანობა" ჩაანაცვლა ცნებამ „ეკონომიკური საქმიანობა". თუ სამეწარმეო საქმიანობაში იგულისხმება პირის არაერთჯერადი საქმიანობა, ეკონომიკურ საქმიანობად ითვლება ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად.

ამასთან, მიიჩნევა, რომ არამეწარმე ფიზიკური პირის (ან სხვა არამეწარმე სუბიექტის) მიერ სხვა პირისათვის საქონლის მიწოდების ანუ „ჩუქების" მიზანი ამ ქმედების შინაარსიდან გამომდინარე, როგორც წესი, არ არის მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღება, რის გამოც აღნიშნული ოპერაცია არ ითვლება ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში განხორციელებულად.

ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ შემოსავლებს განეკუთვნება:

ა) საქონლის/მომსახურების მინოდებით მიღებული შემოსავლები;

ბ) აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავალი;

გ) ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვის ან/და საწარმოს დახურვის შედეგად მიღებული შემოსავლები;

დ) ძირითად საშუალებათა რეალიზაციით მიღებული შესაბამისი შემოსავლები;

ე) კომპენსირებული გამოქვითვები;

ვ) პროცენტების სახით მიღებული შემოსავლები, გარდა ფიზიკური პირის მიერ ბანკებსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში დეპოზიტებსა და ანაბრებზე ფულადი სახსრების განთავსებიდან პროცენტის სახით მიღებული შემოსავლისა;

ზ) დივიდენდი;

თ) როიალტი;

ი) პირისთვის ვალის ჩამოწერით მიღებული სარგებელი;

კ) ლიზინგით, უზუფრუქტით, იჯარით, ქირით ან სხვა ამგვარი ფორმით გაცემული ქონებიდან მიღებული შემოსავლები;

ლ) სხვა ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავალი.

ეკონომიკურ საქმიანობას და შესაბამისად ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალს არ მიეკუთვნება:

ა) სახელმწიფო ხელისუფლების, დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობა, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული მათთვის საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული ფუნქციების შესრულებასთან, გარდა ხელშეკრულების საფუძველზე ფასიანი მომსახურების გაწევისა;

ბ) საქველმოქმედო საქმიანობა;

გ) რელიგიური საქმიანობა;

დ) დაქირავებით მუშაობა;

ე) ფიზიკური პირის მიერ ფულადი სახსრების განთავსება ბანკებსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში დეპოზიტებსა და ანაბრებზე;

ვ) საქმიანობის ან/და ოპერაციების სახეები ან/და ოპერაციების ერთობლიობა, რომლებიც განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით, საქართველოს პარლამენტის საფინანსო – საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმებით. მაგ. ეკონომიკურ საქმიანობად არ ითვლება ფიზიკური პირის მიერ ყოველი უწყვეტი 48 თვის განმავლობაში მის საკუთრებაში არსებული 4 საცხოვრებელი ბინის (სახლის), მასზე დამაგრებული მიწით, რეალიზაცია. ამასთან, ფიზიკური პირის მიერ ზემოაღნიშნული საცხოვრებლის მიწოდების შემთხვევაში, ოპერაციის შინაარსის გათვალისწინებით, ითვლება, რომ ასეთი ოპერაცია ეკონომიკურ საქმიანობად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ იგი ატარებს სამეწარმეო საქმიანობის ნიშნებს ანუ ხორციელება ორგანიზებულად, არაერთჯერადად და სისტემატურად.

5.4. შემოსავლები, რომლებიც არ არის დაკავშირებული დაქირავებით მუშაობასთან და ეკონომიკურ საქმიანობასთან

ჩვენ ზემოთ განვიხილეთ შემოსავლის ის სახეები, რომელიც მიიღება დაქირავებით მუშაობიდან და ეკონომიკური საქმიანობიდან. ამ შემოსავლების გარდა არსებობს კიდევ სხვა შემოსავლები, რომლებიც არ მიეკუთვნება არცერთ ზემოაღნიშნულს, თუმცა ჩაირთვება ერთობლივ შემოსავალში. ასეთ შემოსავალს ენოდება ნებისმიერი სხვა შემოსავალი ან სარგებელი, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა.

ვინაიდან, ასეთი შემოსავლები სხვადასხვა ფორმის შეიძლება იყოს(მაგ. ჩუქებით მიღებული შემოსავალი, შემთხვევით ნაპოვნი ქონებით მიღებული შემოსავალი და ა.შ) უპრიანია ჩამოვთვალოთ ის შემოსავლები, რომელიც არ შედის შემოსავლის ამ კატეგორიაში. ასეთ შემოსავლებს განეკუთვნება:

ა) პარტნიორთა შენატანები, რომლებიც ზრდიან იმ საწარმოს წმინდა აქტივს, რომელთა პარტნიორებიც არიან შენატანების განმახორციელებელი პირები;

ბ) დაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით:

ბ.ა) ჯანმრთელობის დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველის მიერ დაზღვეული ფიზიკური პირისათვის გადახდილი სადაზღვევო ანაზღაურება;

ბ.ბ) დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველის მიერ დაზღვეული ფიზიკური პირისათვის გადახდილი სადაზღვევო ანაზღაურება, რომელიც არ აღემატება დამდგარი ზიანის ოდენობას;

გ) საკონტროლო შესყიდვის მიზნით შეძენილი საქონლისა და მომსახურების ღირებულება, აგრეთვე იმ პირის მიერ ფარულად მიღებული შემოსავალი ან სარგებელი, რომელიც ფარულად უწევს დახმარებას სისხლის სამართლის გამოძიების ორგანოებს.

5.5. საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი

საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავლის განსაზღვრას(გარდა სხვა დატვირთვისა) პირდაპირი მნიშვნელობა აქვს ზოგიერთი სახის შემოსავლის დაბეგვრასთან დაკავშირებით. მაგ. ხელფასი, როიალტი, დივიდენდი და სხვა შეიძლება დაიბეგროს გადახდის წყაროსთან. ამასთან, არარეზიდენტის შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება მის მუდმივ დაწესებულებას იბეგრება გადახდის წყაროსთან. თავისი შინაარსით „გადახდის წყარო" არის შემოსავლის გამცემი. ამდენად, შემოსავლის გამცემს ევალება დააკავოს განსაზღვრული სახის შემოსავლებზე შესაბამისი გადასახადი და გადარიცხოს სახელმწიფო ბიუჯეტში. შემოსავლის მიმღებს ამ მხრივ, შესაბამისი პირის მიერ გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, პასუხისმგებლობა არ ეკისრება.

აღსანიშნავია, რომ შემოსავლის წყაროს განსაზღვრისას მხედველობაში არ მიიღება შემოსავლის თანხის მიღების ადგილი. ამასთან, საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალს არ განეკუთვნება საერთაშორისო ფინანსურ კომპანიებს შორის ფინანსური ოპერაციებიდან ან/და ფინანსური მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი.

საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალს განეკუთვნება:

ა) საქართველოში დაქირავებით მუშაობით მიღებული შემოსავალი;

ბ) საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის მიწოდებით მიღებული შემოსავალი ან სარგებელი;

გ) საქართველოში მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი. ამ მიზნით, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მომსახურება საქართველოში გაწეულად ითვლება, თუ:

გ.ა) მომსახურება ფაქტობრივად გაიწევა საქართველოს ტერიტორიაზე;

გ.ბ) მომსახურება დაკავშირებულია უშუალოდ უძრავ ქონებასთან, რომელიც მდებარეობს საქართველოში;

გ.გ) მომსახურება დაკავშირებულია უშუალოდ მოძრავ ქონებასთან, რომელიც მდებარეობს საქართველოში;

გ.დ) მომსახურება დაკავშირებულია საქართველოს რეზიდენტის მიერ გამოშვებულ ფასიან ქაღალდებთან;

გ.ე) მომსახურების ფაქტობრივად გაწევის ადგილი არის საქართველო და მომსახურება გაიწევა კულტურის, ხელოვნების, განათლების, ტურიზმის, დასვენების, ფიზიკური კულტურისა და სპორტის სფეროებში;

გ.ვ) მომსახურების გაწევა დაკავშირებულია ტვირთების გადატანასთან ან მგზავრთა გადაყვანასთან და ტრანსპორტირების დაწყებისა და დასრულების ადგილი არის საქართველო;

გ.ზ) მომსახურების გამწევი და მომსახურების მიმღები სხვადასხვა სახელმწიფოში არიან და მომსახურების გამწევი საქართველოს რეზიდენტია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მომსახურების გამწევის მიერ მომსახურების გაწევა ხორციელდება სხვა ქვეყანაში მისი მუდმივი დაწესებულების მეშვეობით, რომელიც ადასტურებს, რომ მომსახურების გამწევმა სხვა ქვეყანაში (გარდა საქართველოსი) გასწია მომსახურება;

გ.თ) მომსახურების გამწევი და მომსახურების მიმღები სხვადასხვა სახელმწიფოში არიან და მომსახურების გამწევის მიერ მომსახურების გაწევა ხორციელდება საქართველოში მისი მუდმივი დაწესებულების, დაქირავებულის მეშვეობით ან სხვაგვარად (მათ შორის, მომსახურების გამწევის მიერ მომსახურების განევასთან დაკავშირებული ხარჯი გაწეულია საქართველოში, მიუხედავად მისი ფაქტობრივად გადახდის ადგილისა), რაც ადასტურებს, რომ მომსახურების გამწევმა საქართველოში გასწია მომსახურება;

დ) საქართველოში არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულების მიერ განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი, მათ შორის, შემოსავალი, რომელიც მოიცავს საქართველოში ამ არარეზიდენტის მიერ იდენტური (მსგავსი) საქონლის რეალიზაციით მიღებულ ამონაგებს; აგრეთვე შემოსავალი საქართველოში გაწეული მომსახურებიდან, რომელიც მუდმივი დაწესებულების მიერ გაწეული მომსახურების იდენტურია ან მსგავსია;

ე) საქართველოში განხორციელებულ ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული უიმედო ვალების ჩამოწერის შედეგად ვალდებულებათა გაუქმებითა და ძირითად საშუალებათა რეალიზაციით მიღებული შემოსავალი ან კომპენსირებული გამოქვითვებისა და რეზერვების შემცირებით მიღებული შემოსავალი;

ვ) რეზიდენტი იურიდიული პირისაგან მიღებული დივიდენდი, რეზიდენტი იურიდიული პირის აქციის ან/და იურიდიულ პირში პარტნიორის წილის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი;

ზ) პროცენტი, თუ პროცენტის გადამხდელი არის საქართველოს რეზიდენტი. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, არის თუ არა პროცენტის გადამხდელი საქართველოს რეზიდენტი:

ზ.ა) პროცენტი ჩაითვლება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავლად, თუ არარეზიდენტ პირს საქართველოში აქვს მუდმივი დაწესებულება, რომელსაც უკავშირდება არარეზიდენტი პირის სავალო ვალდებულება, და ამ სავალო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ხარჯი მიეკუთვნება მუდმივი დაწესებულების ხარჯებს, მიუხედავად იმისა, ეს ხარჯი ამ მუდმივი დაწესებულების მიერ არის გაწეული თუ არა;

ზ.ბ) პროცენტი არ ჩაითვლება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავლად, თუ რეზიდენტი პირი დაადასტურებს, რომ უცხო ქვეყანაში აქვს მუდმივი დაწესებულება, რომელსაც უკავშირდება რეზიდენტი პირის სავალო ვალდებულება, და ამ სავალო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ხარჯი მიეკუთვნება მუდმივი დაწესებულების ხარჯებს, მიუხედავად იმისა, ეს ხარჯი ამ მუდმივი დაწესებულების მიერ არის გაწეული თუ არა;

თ) რეზიდენტის მიერ გადახდილი პენსია ან სტიპენდია;

ი) როიალტი, თუ როიალტის გადამხდელი საქართველოს რეზიდენტია. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, არის თუ არა როიალტის გადამხდელი საქართველოს რეზიდენტი:

ი.ა) როიალტი ჩაითვლება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავლად, თუ არარეზიდენტს საქართველოში აქვს მუდმივი დაწესებულება, რომელთან დაკავშირებითაც წარმოიშვა როიალტის გადახდის ვალდებულება, მიუხედავად იმისა, ეს ხარჯი ამ მუდმივი დაწესებულების მიერ არის გაწეული თუ არა;

ი.ბ) როიალტი არ ჩაითვლება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავლად, თუ რეზიდენტი დაადასტურებს, რომ უცხო ქვეყანაში აქვს მუდმივი დაწესებულება, რომელთან დაკავშირებითაც წარმოიშვა როიალტის გადახდის ვალდებულება, მიუხედავად იმისა, ეს ხარჯი ამ მუდმივი დაწესებულების მიერ არის გაწეული თუ არა;

კ) საქართველოში არსებული ან გამოყენებული, როიალტთან დაკავშირებით განსაზღვრული უფლებების რეალიზაციით ან გადაცემით მიღებული შემოსავალი;

ლ) საქართველოში გამოყენებული მოძრავი ქონების იჯარით ან/და სხვა სახელშეკრულებო სარგებლობის უფლების გადაცემით მიღებული შემოსავალი;

მ) საქართველოში არსებული და ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული უძრავი ქონებით მიღებული შემოსავალი, მათ შორის, ასეთ ქონებაში პარტნიორის წილის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი;

ნ) იმ საწარმოს აქციების ან პარტნიორის წილის მიწოდებით მიღებული შემოსავალი, რომლის აქტივების ღირებულების 50 პროცენტზე მეტი პირდაპირ ან არაპირდაპირ იქმნება საქართველოში

არსებული უძრავი ქონების ღირებულებიდან;

ო) რეზიდენტი საწარმოდან ან საქართველოში არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულებიდან მართვისათვის, აგრეთვე საფინანსო ან/და სადაზღვევო მომსახურებისათვის (გადაზღვევის მომსახურების ჩათვლით) მიღებული შემოსავალი;

პ) საქართველოში წარმოშობილი რისკის დაზღვევის ან გადაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე სადაზღვევო შენატანების სახით მიღებული შემოსავალი;

ჟ) საქართველოსა და უცხო ქვეყნებს შორის საერთაშორისო გადაზიდვებში სატრანსპორტო მომსახურებით ან საერთაშორისო კავშირგაბმულობაში ტელესაკომუნიკაციო მომსახურებით მიღებული შემოსავალი;

რ) საქართველოში საქმიანობით მიღებული სხვა შემოსავალი.

5.6. შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები

გადასახადის გადამხდელს ერთობლივი შემოსავლის მიღებასთან დაეკავშირებით წარმოეშობა ხარჯები. დაბეგვრის უმთავრესი სამართლიანობის პრინციპის არის ის, რომ ხარჯები არ იბეგრება. უფრო ზუსტად, რომ ვთქვათ ხარჯები პირდაპირი გადასახადებით არ იბეგრება, თუ ქონების გადასახადს არ მივიღებთ მხედველობაში. სხვა შემთხვევაში, მაგ. საქონლის მიწოდების ან იმპორტის დროს ხარჯები იბეგრება არაპირდაპირი გადასახადებით.

ჩვენ წინა თავებში საუბარი გვქონდა პირველად საგადასახადო დოკუმენტებზე, რომელიც წარმოადგენს ერთობლივი შემოსავლიდან ხარჯების გამოქვითვის საფუძველს, აგრეთვე იმ სიტუაციებზე, როდესაც ასეთი დოკუმენტი არ მოითხოვება. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ დაბეგვრის მიზნებისათვის ერთობლივი შემოსავლიდან მხოლოდ ის ხარჯები შეიძლება გამოქვითოს გადასახადის გადამხდელმა, რომელიც ამ შემოსავლის მიღებასთან არის უშუალოდ გაწეული. სხვა ხარჯები არ გამოიქვითება(მაგ. საწარმოს თანამშრომელთათვის საწარმოს სახსრებით საახალწლო ბანკეტის ხარჯები).

ზოგიერთი სახის ხარჯების გამოქვითვას სპეციფიკური ხასიათი აქვს. მაგ:

ა) ძირითად საშუალებათა შეძენის, დაგმისა და სხვა კაპიტალიზებადი ხარჯები გამოიქვითება ეტაპობრივად, ამორტიზაციის ანარიცხების სახით, გარდა გადასახადის გადამხდელის მიერ საამორტიზაციო ანარიცხების სრული გამოქვითვის უფლების გამოყენების შემთხვევისა;

ბ) გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითოს:

ბ.ა) მისთვის საქონლის/მომსახურების მიწოდების (მათ შორის, უსასყიდლოდ) შედეგად წარმოშობილი სარგებელი, იმ საანგარიშო წელს, როდესაც ეს საქონელი/მომსახურება გამოყენებული იქნება ეკონომიკურ საქმიანობაში;

ბ.ბ) რეკლამის მიზნით, უსასყიდლოდ გავრცელებულ, დამოუკიდებელი სამომხმარებლო მახასიათებლების მქონე საქონელზე დარიცხული დღგ-ის თანხა, თუ ამ ოპერაციაზე არ არის გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა;

გ) ვირტუალური ზონის პირი მის მიერ შექმნილი საინფორმაციო ტექნოლოგიების საქართველოს ტერიტორიაზე და საქართველოს ფარგლებს გარეთ მიწოდებით მიღებულ შემოსავლებზე ხარჯებს გამოქვითავს ერთობლივ შემოსავალში საქართველოს ტერიტორიაზე მიწოდებით მიღებული შემოსავლის ხვედრითი წილის პროპორციულად.

ზოგიერთი ხარჯი, მიუხედავად იმისა არის თუ, არა ის დაკავშირებული ერთობლივი შემოსავლის მიღებასთან, არ გამოიქვითება. ეს ზოგჯერ ეკონომიკური მიზანშეწონილობით და დაბეგვრის სამართლიანი პრინციპით არის განსაზღვრული, ზოგჯერ – არა. განვიხილოთ ის ხარჯები, რომელიც არ გამოიქვითება:

ა) ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, გარდა საქველმოქმედო მიზნით გაწეული განსაზღვრული ხარჯებისა;

ბ) გართობაზე გაწეული ხარჯები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადასახადის გადამხდელი ახორციელებს გართობითი ხასიათის ეკონომიკურ საქმიანობას და ხარჯები გაწეულია ასეთი საქმიანობის ფარგლებში;

გ) ფიზიკური პირის მიერ პირადი მოხმარებისათვის გაწეული ხარჯები, ლატარიებიდან, კაზინოებიდან (სამორინეებიდან), აზარტული ან სხვა მომგებიანი თამაშობებიდან მიღებულ მოგებებთან დაკავშირებული ხარჯები ან ხელფასის სახით შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები;

დ) მოგების გადასახადის ან საშემოსავლო გადასახადის გადახდისაგან განთავისუფლებული შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები;

ე) იმ საქონელზე/მომსახურებაზე გაწეული ხარჯი, რომელიც მოგების გადასახადის მიზნებისათვის არ ითვლება მიწოდებად ან რომლის მიწოდებისას შესაბამისი შემოსავალი/საბაზრო ფასი არ ექვემდებარება ერთობლივ სემოსავალსი ასახვას, გარდა სახელმწიფოსათვის ან/და ადგილობრივი თვითმმართველობისათვის საქონლის უსასყიდლოდ გადაცემის ან/და მომსახურების უსასყიდლოდ გაწევის ხარჯებისა(მაგ. იურიდიული პირის ლიკვიდაციის დროს პარტნიორზე შესაბამისი აქტივის გადაცემა, თუ ეს პარტნიორი ამ პირში ფლობდა 50 და მეტ პროცენტ წილს, არ ითვლება საქონლის მიწოდებად);

ვ) მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირისგან შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე გაწეული ხარჯი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ სტატუსის მქონე პირის მიერ საქონლის მიწოდებით/მომსახურების გაწევით მიღებული შემოსაელები საერთო წესით იბეგრება;

ზ) ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირისგან ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის ფარგლებში შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე გაწეული ხარჯი.

თ) ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირის მიერ ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ საქმიანობასა და დამატებით განხორციელებულ საქმიანობას შორის გაუმიჯნავი ხარჯები.

5.7. პროცენტების გამოქვითვა

პროცენტი დაბეგვრის მიზნებისათვის არ გულისხმობს მხოლოდ ბანკის კრედიტზე პირის მიერ გადასახდელ თანხას. ამ თვალსაზრისით იგი უფრო ფართო ცნებაა და მოიცავს ფულად დაბანდებებთან ან სავალო ვალდებულებებთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის სავალო მოთხოვნიდან (იპოთეკური უზრუნველყოფის არსებობისა და მისი გაფორმების მეთოდის მიუხედავად) მიღებული ნებისმიერი წინასწარ განცხადებულ (დადგენილ) შემოსავალს (მათ შორის, დისკონტის სახით მიღებულს). ამასთანავე, პროცენტის მიზნებისათვის:

ა) სავალო ვალდებულებას არ მიეკუთვნება საქონლის მიწოდებით ან/და მომსახურების გაწევით წარმოშობილი სავალო ვალდებულებები ან გარანტიითა და თავდებობით ან/და სხვა ამგვარი ოპერაციებით წარმოქმნილი ვალდებულებები;

ბ) პროცენტად ითვლება:

ბ.ა) საპენსიო დაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით მზღვეველის მიერ დაზღვეულისათვის გადახდილი სადაზღვევო ანაზღაურება (თანხა) ამ ანაზღაურების მისაღებად განხორციელებული სადაზღვევო შენატანების გამოკლებით;

ბ.ბ) კრედიტთან (სესხთან), დეპოზიტთან, ანაბართან, ობლიგაციასთან დაკავშირებული გადასახდელი;

ბ.გ) შემოსავალი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებიდან და ობლიგაციებიდან, მათზე დარიცხული პრემიებისა და მოგებების ჩათვლით;

გ) პროცენტად არ ითვლება ჯარიმა დაგვიანებული გადახდისთვის ან დაგვიანებული მიწოდებისთვის.

ვინაიდან, იმ პირისათვის ვინც ეკონომიკურ საქმიანობას ეწევა და ამასთან დაკავშირებით იხდის პროცენტს, ეს გადახდილი თანხები წარმოადგენს ხარჯებს და ექვემდებარება ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვას. თუმცა ამასთან დაკავშირებით არსებობს მთელი რიგი შეზღუდვები, რაც საბოლოო ჯამში გადასახადებისაგან თავის არიდების პრევენციად მოიაზრება.

საწარმოს უფლება აქვს გამოქვითოს კრედიტისათვის(სესხისათვის) გადახდილი ან გადასახდელი თანხა:

ა) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული კომერციული ბანკის და რეგისტრირებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ გაცემულ სესხებზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთის ოდენობით;

ბ) სხვა დანარჩენ შემთხვევაში არა უმეტეს წლიური 24 პროცენტისა, შესაბამისი პერიოდის პროპორციულად.

საწარმოში, რომლის წილის (აქციების) 20 პროცენტზე მეტი პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის მოგების გადასახადისაგან განთავისუფლებულ იურიდიულ პირს, ზემოაღნიშნული გამოსაქვითი პროცენტების თანხის ზღვრული ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გადამხდელის მიერ პროცენტის სახით მიღებული ნებისმიერი შემოსავლის თანხისა და პროცენტის სახით მიღებული შემოსავლისა და პროცენტის სახით გაწეული ხარჯის გაუთვალისწინებლად განსაზღვრული დასაბეგრი მოგების 50 პროცენტის ოდენობის თანხის ჯამს. ეს ფორმულირება კანონმდებლობის მიერ დაფიქსირებული

ფორმულირებაა, რომელსაც აბსურდამდე მივყავართ, რადგანაც ორი წევრის დადებითი ჯამი ყოველთვის მეტია თითოეულ წევრზე.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოს მიერ საწარმოსათვის გადახდილი პროცენტი იბეგრება გადახდის წყაროსთან და ექვემდებარება პროცენტის მიმღების მიერ ერთობლივ შემოსავალში ჩართვას და ამავე დროს მიმღებს აქვს წყაროსთან გადახდილი თანხების ჩათვლის უფლება. პრევენცია, რომელიც ზემოაღნიშნულ ნორმაში უნდა იყოს ჩადებული შემდეგია: როდესაც საწარმო თავის დამფუძნებლისაგან იღებს კრედიტს მაღალ პროცენტად, ამით იგი ცდილობს შეამციროს დასაბეგრი მოგება, ხოლო თავის დამფუძნებელ გადაუხადოს მეტი პროცენტი. ერთის მხრივ დასაბეგრი მოგების შემცირებით მცირდება პარტნიორზე გასაცემი დივიდენდიც, მაგრამ უფრო ნაკლებად, ვიდრე იზრდება გასაცემი პროცენტის თანხა. ამდენად, კანონმდებლობა უნდა ცდილობდეს, რომ ისეთ შემთხვევაში, როდესაც საწარმო პარტნიორისაგან იღებს კრედიტს(და არა მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირისაგან, რაც ბუნებაში არ არსებობს და რასაც არავითარი ფუნქცია არა აქვს) ამ კრედიტზე გამოსაქვითი პროცენტი არ უნდა აღემატებოდეს ჩვეულებრივ შემთხვევაში დამოუკიდებელი პირისაგან აღებული კრედიტის პროცენტს (მაგ. დადგენილ 24 პროცენტს).

ზემოაღნიშნული ნორმა, გამართულად, რომ იყოს დაფიქსირებული კანონმდებლობაში მისი შესაბამისი მაგალითი შემდეგ სახეს მიიღებდა: საწარმოს შემოსავალი პროცენტების შემოსავლებისა და ხარჯების გაუთვალისწინებლად არის 100 ლარი. პროცენტით მიღებული შემოსავალი შეადგენს 60 ლარს. სულ ერთობლივი შემოსავალი არის 160 ლარი. დავუშვათ, რომ 80 ლარი არის ის ხარჯი, რომელიც გაწეულია ზემოაღნიშნული 100 ლარი შემოსავლის მისაღებად, ხოლო 20 ლარი არის ხარჯი, რომელიც გაწეულია ზემოაღნიშნული 60 ლარის მისაღებად. სულ ხარჯი არის 100 ლარი. დასაბეგრი მოგება(პროცენტების გაუთვალისწინებლად) შეადგენს 20 ლარს(100 – 80). აქედან გამოსაქვითი პროცენტის თანხა უდრის 10 ლარს(20ხ50%). შესაბამისად, უნდა გამოიქვითოს არა 20 ლარი, როგორც საპროცენტო ხარჯი, არამედ 10 ლარი.

5.8. უიმედო ვალების გამოქვითვა

უიმედო ვალები(დებიტორული დავალიანება) საწარმოს შეიძლება წარმოეშვას რეალიზებულ საქონელთან ან გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით. ეს ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც საქონლის(მომსახურების) მყიდველი არ უხდის დადგენილ ვადაში შესაბამის ფასს გამყიდველს, ხოლო ეს უკანასკნელი დარიცხვის მეთოდის შესაბამისად მისაღებ თანხას შეიყვანს ერთობლივ შემოსავალში ან მყიდველი წინასწარ ურიცხავს საქონლის(მომსახურების) შესაბამის თანხას, ხოლო გამყიდველი არ აწვდის შესაბამის საქონელ(მომსახურებას). გარდა ამისა უიმედო ვალის დაკვალიფიცირება კანონმდებლობის შესაბამისად მოითხოვს მრავალი ფაქტორის გათვალისწინებას. კერძოდ, უიმედო ვალის დეფინიცია შემდეგია: უიმედო ვალი არის საქონლის ან/და მომსახურების რეალიზაციის ან აღნიშნულის ფარგლებში წინასწარი გადახდის შედეგად გადასახადის გადამხდელის მიერ აღიარებული მოთხოვნა ან მისი ნაწილი, რომლის გადახდის ვადა გასულია და რომელიც არ იქნა ანაზღაურებული მიმდინარე საგადასახადო წლის ბოლომდე, ამასთანავე, არსებობს ერთ-ერთი შემდეგი დოკუმენტი:

ა) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;

ბ) ცნობა აღსრულების ორგანოდან სააღსრულებო ფურცლის აღსასრულებლად მიქცევის შედეგად კრედიტორის მიერ სასამართლოს გადაწყვეტილებით კუთვნილი თანხის მიუღებლობის ან ნაწილობრივ მიღების თაობაზე;

გ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განჩინება შესაბამისი პირის მიმართ გადახდისუუნარობის თაობაზე განცხადების წარმოებაში მიღების ან გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების ან/და რეაბილიტაციის დაწყების შესახებ, თუ მოსამართლის მიერ ამ კრედიტორის მოთხოვნა არ იქნა აღიარებული;

დ) ცნობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან რეგისტრაციის გაუქმების შესახებ ან გარდაცვალების ცნობა.

ამასთან, გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, გამოქვითოს რეალიზებულ საქონელთან და მომსახურებასთან დაკავშირებული უიმედო ვალები, რომელთა მიხედვით მისაღები შემოსავლები წინა საანგარიშო პერიოდებში შეტანილი იყო ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ ერთობლივ შემოსავალში. უიმედო ვალების გამოქვითვა დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დავალიანება ჩამოწერილია და ასახულია გადასახადის გადამხდელის საბუღალტრო ანგარიშგებაში.

მაგ. 2012 წლის ერთობლივ შემოსავალში საწარმომ ჩართო საქონლის რეალიზაციიდან მისაღები

თანხები(რომელსაც ჯერ არ ჰქონდა უიმედო ვალის სტატუსი) და ამავე დროს გამოქვითა მის მისაღებად გაწეული ხარჯები. 2013 წელს ეს თანხა გახდა უიმედო ვალი. გადამხდელი ამ თანხას გამოქვითავს მიმდინარე საგადასახადო წლის საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრის დროს შესაბამისი ხარჯების გათვალისწინებით ანუ ხარჯები ორჯერ არ უნდა იქნეს გამოქვითული.

რაც შეეხება თანხების წინასწარ(ავანსად) გადახდას საწარმოს მიერ, როდესაც დადგენილ ვადაში არ ხდება საქონლის მოწოდება და ეს თანხები უიმედო ვალად განიხილება. ბუნებრივია ეს თანხა არ არის შეტანილი წინა წლის ერთობლივ შემოსავალში, რამდენადაც იგი წინა წლის ხარჯია და არა შემოსავალი. ამ შემთხვევაში, იგი არ უნდა იქნეს განხილული გამოსაქვით უიმედო ვალად, რადგანაც იგი უკვე გამოქვითულია წინა წელს, როგორც ხარჯი.

5.9. სარეზერვო ფონდებში გადარიცხვების გამოქვითვა

სარეზერვო ფონდებს საწარმოები ქმნიან შესაბამისი რისკების დასაფარავად და ზარალის ასანაზღაურებლად გაუნაწილებელი მოგებიდან ან მაგ. საემისიო კაპიტალიდან.რაც შეეხება თანხების წინასწარ (ავანსად) გადახდას საწარმოს მიერ, როდესაც დადგენილ ვადაში არ ხდება საქონლის მოწოდება და ეს თანხები უიმედო ვალის სახეს იღებს, საკანონმდებლო ლაფსუსის გამო(სსკ მუხ.108) მას ვერ ეძლევა გამოსაქვითი უიმედო ვალის კვალიფიკაცია.

ზემოაღნიშნული საწარმოები იმყოფებიან გარკვეულ „სასათბურე" პირობებში, იმ გაგებით, რომ მათ შეუძლიათ შექმნან გარკვეული რეზერვები არა გაუნაწილებელი მოგებიდან, როგორც ეს ზოგადად ყველ საწარმოს შემთხვევაში შეიძლება მოხდეს, არამედ ერთობლივი შემოსავლიდან. კერძოდ, ერთობლივი შემოსავლის განსაზღვრული ნაწილი წარიმართება სარეზერვო ფონდებში. შესაბამისად ამ თანხების ოდენობით მცირდება დასაბეგრი მოგება.

იურიდიულ პირს, რომელიც ეწევა ლიცენზირებულ სადაზღვევო საქმიანობას, უფლება აქვს, საანგარიშო წლის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით გაანგარიშებული იმავე საანგარიშო პერიოდის „სადაზღვევო/დამდგარი ზარალები, ნეტო", გარდა შემოსავლისა რეგრესიდან და გადარჩენილი ქონებიდან.

ბანკები და საკრედიტო კავშირები სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების გამოქვითვას ახორციელებენ კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით.

სალიზინგო კომპანიას უფლება აქვს, საანგარიშო პერიოდის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითოს ლიზინგიდან წარმოშობილ ვადაგადაცილებულ მოთხოვნებზე რეზერვების ხარჯები საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით.

განვიხილოთ სალიზინგო კომპანიის მიერ ლიზინგიდან წარმოშობილ ვადაგადაცილებულ მოთხოვნებზე რეზერვების გამოქვითვის პრაქტიკა.

სალიზინგო კომპანია დაბეგვრის მიზნებისათვის ეწოდება ისეთ საწარმოს, რომლის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში ქონების ლიზინგით გაცემიდან მიღებული შემოსავალი მისი ერთობლივი შემოსავლის არანაკლებ 70%-ს შეადგენს. ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს უიმედო ვალის გამარტივებულ ანალოგიასთან.

სალიზინგო კომპანიას უფლება აქვს საანგარიშო პერიოდის მიხედვით ლიზინგიდან წარმოშობილ ვადაგადაცილებულ (მათ შორის, ლიზინგის შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილ) მოთხოვნებზე, რომლის მიხედვით მისაღები თანხები აღიარებულია შემოსავლად და ჩართულია შესაბამისი საანგარიშო პერიოდის ერთობლივ შემოსავალში შექმნას რეზერვები.

რეზერვები იქმნება ლიზინგიდან წარმოშობილი ვადაგადაცილებული მოთხოვნის (ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს და სხვა ჯარიმების გარეშე) 80%-ის ოდენობით, თუ ვადაგადაცილება საანგარიშო პერიოდის ბოლო დღის (31 დეკემბრის) მდგომარეობით აღემატება ან შეადგენს 60 დღეს.

სალიზინგო კომპანიის მიერ ლიზინგიდან წარმოშობილ ვადაგადაცილებულ მოთხოვნებზე რეზერვების პირველად შექმნის საანგარიშო პერიოდისთვის ასეთი რეზერვის თანხა მთლიანად გამოიქვითება საანგარიშო პერიოდის ერთობლივი შემოსავლიდან.

მაგალითი 1.

სალიზინგო კომპანიას სალიზინგო საქმიანობის განხორციელებისას 2012 წლის ბოლო დღეს აქვს ვადაგადაცილებული მოთხოვნა 7000 ლარის ოდენობით, რომელიც წარმოშობილია 2012 წლის 5 აგვისტოს.

მოცემულ პირობებში:

სალიზინგო კომპანიას უფლება აქვს 2012 წლის ბოლო დღეს ლიზინგიდან წარმოშობილ ვადაგადაცილებულ მოთხოვნაზე შექმნას რეზერვი 5600 ლარის ოდენობით (7000X80%) და გამოქვითოს 2012 წლის საანგარიშო პერიოდის ერთობლივი შემოსავლიდან.

თუ სალიზინგო კომპანიის მიმდინარე საანგარიშო წლის ლიზინგიდან წარმოშობილი ვადაგადაცილებული მოთხოვნების რეზერვების თანხა აღემატება წინა საანგარიშო წლის ლიზინგიდან წარმოშობილი ვადაგადაცილებული მოთხოვნების რეზერვების თანხას, მათ შორის, სხვაობა გამოიქვითება მიმდინარე საანგარიშო წლის ერთობლივი შემოსავლიდან.

მაგალითი 2.

სალიზინგო კომპანიამ 2012 წლის საანგარიშო პერიოდის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითა ლიზინგიდან წარმოშობილი ვადაგადაცილებული მოთხოვნების რეზერვების ხარჯი 5600 ლარის ოდენობით. 2013 წლის ბოლო დღეს დათვლილი ლიზინგიდან წარმოშობილი ვადაგადაცილებული მოთხოვნების რეზერვები შეადგენს 6000 ლარს.

მოცემულ პირობებში:

სალიზინგო კომპანიას უფლება აქვს 400 ლარი (6000 – 5600) გამოქვითოს 2013 წლის ერთობლივი შემოსავლიდან.

თუ სალიზინგო კომპანიის მიმდინარე საანგარიშო წლის ლიზინგიდან წარმოშობილი ვადაგადაცილებული მოთხოვნების რეზერვების თანხა ნაკლებია წინა საანგარიშო წლის ლიზინგიდან წარმოშობილი ვადაგადაცილებული მოთხოვნების რეზერვების თანხაზე, მათ შორის, სხვაობა ჩაირთვება მიმდინარე საანგარიშო წლის ერთობლივ შემოსავალში.

მაგალითი 3.

სალიზინგო კომპანიამ 2012 წლის საანგარიშო პერიოდის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითა ლიზინგიდან წარმოშობილი ვადაგადაცილებული მოთხოვნების რეზერვების ხარჯი 5000 ლარის ოდენობით. 2013 წლის ბოლო დღეს დათვლილი ლიზინგიდან წარმოშობილი ვადაგადაცილებული მოთხოვნების რეზერვები შეადგენს 4000 ლარს.

მოცემულ პირობებში:

სალიზინგო კომპანიამ 1000 ლარი (5000 – 4000) უნდა ჩართოს 2013 წლის ერთობლივ შემოსავალში.

თუ სალიზინგო კომპანია მიმდინარე საანგარიშო წელს ვერ დააკმაყოფილებს სალიზინგო კომპანიის მოთხოვნებს, წინა საანგარიშო წლის ლიზინგიდან წარმოშობილი ვადაგადაცილებული მოთხოვნების რეზერვების თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჩაირთვება მიმდინარე საგადასახადო წლის ერთობლივ შემოსავალში.

5.10. სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საცდელ-საკონსტრუქტორო მომსახურების ხარჯების გამოქვითვა

საწარმოს ახალი პროდუქციის ან მომსახურების შექმნასთან დაკავშირებით შეიძლება ჰქონდეს სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საცდელ-საკონსტრუქტორო მომსახურების ხარჯები. ასეთ შემთხვევაში საწარმო უკვეთავს შესაბამის კვლევით და საპროექტო საწარმოებს და ორგანიზაციებს აღნიშნული მომსახურების გაწევას და გააჩნია შესაბამისი მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ხარჯები.

ამასთან, ახალი პროდუქციის შექმნა დაკავშირებული უნდა იყოს ერთობლივი შემოსავლის მიღებასთან. შესაბამისად, გამოქვითვას ექვემდებარება ერთობლივი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საცდელ-საკონსტრუქტორო მომსახურების ხარჯები, გარდა ძირითად საშუალებათა შეძენის, დადგმისა და სხვა კაპიტალიზებადი ხარჯებისა.

თუ საწარმო ზემოაღნიშნული მიზნებისათვის შეიძენს რეაქტორებს, მიკროსკოპებს და ანალოგიურ ძირითად საშუალებებს, მათი შეძენის ხარჯები არ გამოიქვითება ერთობლივი შემოსავლიდან, რაც მცდარი საგადასახადო პოლიტიკაა და არ უწყობს ხელს მეცნიერებადტევადი დარგების განვითარებას.

5.11. საამორტიზაციო ანარიცხების გამოქვითვა

დაბეგვრის მიზნებისათვის ამორტიზაცია არის ძირითადი საშუალების ღირებულების ნაწილ – ნაწილ(ამ მთლიანად) გადატანა წარმოებული საქონლის(მომსახურების) ღირებულებაზე და შესაბამ-

ისად გადატანილი ღირებულების ანუ ხარჯის გამოქვითვა შესაბამისი პერიოდის ერთობლივი შემოსავლიდან.

ამორტიზაციის მიხედვით შესაბამისი თანხების გამოქვითვა ხორციელდება ამორტიზაციის ნორმების საფუძველზე, რაც საგადასახადო პოლიტიკის მიმართულებაა(უფრო ზუსტად ქვედინებაა), რომელიც გავლენას ახდენს ამა თუ იმ ბიზნესის სფეროზე.

ძირითადი საშუალებად დაბეგვრის მიზნებისათვის მიიჩნევა მატერიალური აქტივი, რომელსაც პირი იყენებს საქონლის წარმოების, საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის, იჯარით (მათ შორის, ლიზინგით) გადაცემის ან/და ადმინისტრაციული მიზნებისათვის და რომლის სასარგებლო გამოყენების ვადა ერთ წელზე მეტია. არსებობს აგრეთვე არაამორტიზებადი ძირითადი საშუალება ანუ ისეთი ძირითადი საშუალება, რომელიც ექსპლუატაციის დროს არ კარგავს თავის ღირებულებას. ამორტიზაცია არ ერიცხება მიწას, ხელოვნების ნიმუშებს, სამუზეუმო ექსპონატებს, ისტორიული მნიშვნელობის მქონე ობიექტებს (გარდა შენობა-ნაგებობებისა) და სხვა არაამორტიზებად აქტივებს. ამასთანავე, ამორტიზაცია არ ერიცხება 1000 ლარამდე ღირებულების ძირითად საშუალებას და ბიოლოგიურ აქტივს. 1000 ლარამდე ღირებულების ძირითადი საშუალება მთლიანად გამოიქვითება ერთობლივი შემოსავლიდან იმ საანგარიშო წელს, როდესაც იგი ექსპლუატაციაში გადაეცა(ამასთან, 1000 ლარამდე ძირითად საშუალებებთან მიმართებაში გაითვალისწინება არა მათი ჯამური, არამედ ერთეულის ღირებულება), ხოლო ბიოლოგიურ აქტივზე გაწეული ხარჯი გამოიქვითება იმ საანგარიშო წელს, როდესაც იგი ფაქტობრივად იქნა გაწეული. არაამორტიზებად აქტივებს ამორტიზაცია არ ერიცხება და მისი შეძენის ან შექმნის ხარჯები საგადასახადო მიზნებისათვის მათი გამოყენების პერიოდში ერთობლივი შემოსავლიდან არ გამოიქვითება.

ძირითადი საშუალებები, რომლებიც ამორტიზაციას ექვემდებარება, ჯგუფდება ამორტიზაციის შემდეგი ნორმების მიხედვით:

ჯგუფის ნომერი	ძირითადი საშუალებები	ამორტიზაციის ნორმა (%)
1	მსუბუქი ავტომობილები; ავტოსატრაქტორო ტექნიკა გზებზე გამოსაყენებლად; ავეჯი ოფისისათვის; საავტომობილო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობა; სატვირთო ავტომობილები, ავტობუსები, სპეციალური ავტომობილები და ავტომისაბმელები; მანქანები და მოწყობილობა მრეწველობის ყველა დარგისათვის, სამსხმელო წარმოებისათვის; სამჭედლო-სანწნები მოწყობილობა; სამშენებლო მოწყობილობა; სასოფლო-სამეურნეო მანქანები და მოწყობილობა.	20
2	სპეციალური ინსტრუმენტები, ინვენტარი და მოწყობილობა; კომპიუტერები, მონაცემთა დამუშავების პერიფერიული მოწყობილობები და აღჭურვილობა; ელექტრონული მოწყობილობა.	20
3	სარკინიგზო, საზღვაო და სამდინარო სატრანსპორტო საშუალებები; ძალოვანი მანქანები და მოწყობილობა; თბოტექნიკური მოწყობილობა, ტურბინული მოწყობილობა, ელექტროძრავები და დიზელგენერატორები, ელექტროგადაცემისა და კავშირგაბმულობის მოწყობილობები; მილსადენები.	8
4	შენობები, ნაგებობები.	5
5	ამორტიზებადი აქტივები, რომლებიც შეტანილი არ არის სხვა ჯგუფებში.	15

გარდა შენობა-ნაგებობებისა, ცვეთა ძირითად საშუალებას ინდივიდუალურად არ ერიცხება. ძირითადი საშუალებები ჯგუფდება გარკვეული ნიშნით და ცვეთა ერიცხება მათ ჯამურ ღირებულებას. ეს ნიშნავს, რომ საგადასახადო აღრიცხვისთვის ცალკეულ ძირითად საშუალებას აღარ აქვს ინდივიდუალური ღირებულება, არამედ ჯგუფის ყველა ძირითად საშუალებას, მათი სახეობისა თუ

სიძველის მიუხედავად, ერთი და იგივე საშუალო ჯგუფური ღირებულება აქვს.

გადამხდელი, იმისდა მიხედვით, თუ რა ტიპს განეკუთნება მის მიერ შეძენილი ან შექმნილი ძირითადი საშუალება, ახდენს ასეთ დაჯგუფებას და ამ ჯგუფისათვის განკუთვნილი საამორტიზაციო განაკვეთის მიხედვით ახდენს ამორტიზაციის დარიცხვას. სწორედ ამ დარიცხვის შედეგად მიღებული თანხა ექვემდებარება ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვას კონკრეტული საგადასახადო წლის განმავლობაში.

თითოეული ჯგუფის საამორტიზაციო ანარიცხების ოდენობა გამოიანგარიშება საგადასახადო წლის ბოლოს ჯგუფის ღირებულებითი ბალანსიდან, ზემოაღნიშნულ ცხრილში მითითებული ამორტიზაციის ნორმების შესაბამისად.

შენობებსა და ნაგებობებს ამორტიზაცია დაერიცხება თითოეულ შენობა-ნაგებობაზე ცალ-ცალკე. შესაბამისად, თითოეული შენობა-ნაგებობა ცალკე ჯგუფად განიხილება. შენობებისა და ნაგებობებისათვის საერთო წესიდან გამონაკლისია დადგენილი. ამ გამონაკლისით დადგენილია, რომ აღნიშნულ აქტივებს ცვეთა დაერიცხოს არა ჯგუფურად, არამედ ცალ-ცალკე. ამით ამ აქტივებისათვის შენარჩუნებულია მათი ინდივიდუალური ღირებულებები.

ღირებულებითი ბალანსი არის ერთნაირი განაკვეთის ამორტიზაციული ანარიცხების ნორმის მქონე ძირითად საშუალებათა ჯგუფის ღირებულება საგადასახადო წლის ბოლოსათვის. იგი გაინგარიშება შემდეგი ფორმულით: X=A – B – G – D+E+V – Z, სადაც:

X – ღირებილებითი ბალანსის თანხა;

A – საანგარიშოს წინა საგადასახადო წლის ბოლოსთვის ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი;

B – საანგარიშოს წინა საგადასახადო წელს დარიცხული ამორტიზაციის თანხა;

G – 1000 ლარზე ნაკლები ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის თანხა წლის ბოლოსათვის;

D – წლის ბოლოსათვის ჯგუფის ყველა რეალიზებული ან ლიკვიდირებული ძირითადი საშუალების ღირებულებულებითი ბალანსის თანხა;

E – საანგარიშო საგადასახადო წლის განმავლობაში ჯგუფისათვის დამატებული ძირითად საშუალებათა (გარდა მიწისა, ხელოვნების ნიმუშებისა, სამუზეუმო ექსპონატებისა, ისტორიული მნიშვნელობის მქონე ობიექტებისა (გარდა შენობა-ნაგებობებისა) სხვა არაამორტიზებად აქტივებისა, 1000 ლარამდე ღირებულების ძირითად საშუალებებისა და ბიოლოგიურ აქტივებისა) ღირებულება მათი შესყიდვის, წარმოების, მშენებლობის, მონტაჟისა და დადგმის ხარჯების (დანახარჯების), აგრეთვე სხვა ხარჯების (დანახარჯების), გათვალისწინებით, რომლებიც ზრდის მათ ღირებულებას, ხოლო ძირითადი საშუალებების უსასყიდლოდ მიღებისას – მათი საბაზრო ფასი;

V – საანგარიშო საგადასახადო წლის განმავლობაში ძირითად საშუალებებზე გაწეული რემონტის ხარჯები ზღვრული დონის ზემოთ;

Z – საანგარიშო საგადასახადო წლის განმაელობაში ჯგუფის ძირითად საშუალებათა რეალიზაციის თანხა.

მარტივად, რომ ვთქვათ ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი წარმოადგენს ბაზას, რომლის მიმართაც გამოიანგარიშება ამ ჯგუფის მიმდინარე წლის ამორტიზაციის ზღვრული ოდენობა. ეს „ბაზა" ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით გამარტივებული ფორმით შემდეგნაირადაც შეიძლება გამოითვალოს: გასული წლის „ბაზა" მცირდება გასულ წელსვე დარიცხული ამორტიზაციით. მიღებული თანხა წარმოადგენს ჯგუფის ნარჩენ ღირებულებას გასული წლის ბოლოსთვის (ანუ მიმდინარე წლის დასაწყისისთვის). ამ თანხას ემატება მიმდინარე წელს დამატებული ძირითადი საშუალებების ღირებულება, ძირითადი საშუალების რემონტის ზღვრული დონის ზემოთ გაწეული დანახარჯი და აკლდება ძირითადი საშუალების რეალიზაციით მიღებული თანხა. მიღებული შედეგი (თუ იგი 1000 ლარზე მეტია) წარმოადგენს ჯგუფის ღირებულებით ბალანსს. სწორედ ამ თანხიდან გამოითვლება მიმდინარე წლის ამორტიზაცია. „ღირებულებითი ბალანსი" არის აღწერილი წესით გამოთვლილი თანხა ამორტიზაციის გამოკლებამდე.

თუ საგადასახადო წლის განმავლობაში ჯგუფის ძირითად საშუალებათა რეალიზაციის თანხა, ხოლო ძირითად საშუალებათა უსასყიდლოდ მიწოდებისას – მათი საბაზრო ღირებულება, აღემატება ჯგუფის ღირებულებით ბალანსს წლის ბოლოსთვის, ნამეტი თანხა ჩაირთვება ერთობლივ შემოსავალში და ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი ნულს გაუტოლდება.

თუ ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის თანხა წლის ბოლოსთვის 1000 ლარზე ნაკლებია, ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის თანხა ექვემდებარება გამოქვითვას.

თუ ჯგუფის ყველა ძირითადი საშუალება რეალიზებულია ან ლიკვიდირებულია, ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის თანხა წლის ბოლოსთვის ექვემდებარება ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვას.

გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, ზოგიერთი ძირითადი საშუალების მიმართ გამოიყენოს დაჩქარებული ამორტიზაციის ნორმა, მაგრამ არა უმეტეს შესაბამისი ნორმის ორმაგი ოდენობისა. დაჩქარებული ამორტიზაცია არის ძირითადი საშუალებების მეორე და მესამე ჯგუფების მიმართ საამორტიზაციო ანარიცხების ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვის ნორმა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისად 40%-ს და 16%-ს. 40% ეხება შემდეგ ძირითად საშუალებებს: სპეციალური ინსტრუმენტები, ინვენტარი და მოწყობილობა; კომპიუტერები, მონაცემთა დამუშავების პერიფერიული მოწყობილობები და აღჭურვილობა; ელექტრონული მოწყობილობა. 16% ეხება შემდეგ ძირითად საშუალებებს: სარკინიგზო, საზღვაო და სამდინარო სატრანსპორტო საშუალებები; ძალოვანი მანქანები და მოწყობილობა; თბოტექნიკური მოწყობილობა, ტურბინული მოწყობილობა, ელექტროძრავები და დიზელგენერატორები, ელექტროგადაცემისა და კავშირგაბმულობის მოწყობილობები; მილსადენები.

ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებულ ძირითად საშუალებათა საამორტიზაციო ანარიცხების გამოქვითვის უფლება არა აქვს არამეწარმე ფიზიკურ პირს. აღნიშნული ნორმა ვრცელდება იმ ფიზიკურ პირებზე, რომლებიც მეწარმეთა კანონით არ ითვლებიან მეწარმე ფიზიკურ პირებად. ასევე, ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებულ ძირითად საშუალებათა საამორტიზაციო ანარიცხების გამოქვითვის უფლება დაბეგვრის სპეციალურ რეჟიმზე გადაყვანილ პირებს.

ლიზინგის გამცემის მიერ ლიზინგით გაცემული თითოეული ძირითადი საშუალება ცალკე ჯგუფად აღირიცხება. მასზე საამორტიზაციო ანარიცხები გამოიქვითება სალიზინგო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულების ოდენობით, რომელიც განისაზღვრება ლიზინგის პირობებისა და ამ ძირითადი საშუალების ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის გათვალისწინებით.

ლიზინგის ხელშეკრულების ვადის გასვლისას ან ვადაზე ადრე შეწყვეტისას ლიზინგით გაცემული ძირითადი საშუალების ლიზინგის გამცემისათვის დაბრუნების შემთხვევაში ეს ძირითადი საშუალება რჩება იმავე ჯგუფში და შემდგომ ლიზინგით გაცემამდე მასზე საამორტიზაციო ანარიცხების დარიცხვა ჩერდება.

აქტივის ცვეთა იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ე.ი. როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად დასახული ამოცანების, მიზნების შესასრულებლად.

2013 წლის ბოლოს ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის და საამორტიზაციო ანარიცხების ოდენობის განსაზღვრის თვალსაჩინოებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილი:

დასახელება		ჯგუფის ნომერი					ჯამი
		1	2	3	4	5	
1	2012 წლის ბოლოს ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი	300 000	0	0	0	0	300 000
2	2012 წელში დარიცხული ამორტიზაციის თანხა	60 000	0	0	0	0	60 000
3	2013 წელში დამატებული (შესყიდული) ძირითადი საშუალებების ღირებულება	100 000	0	0	0	0	100 000
4	2013 წელში რეალიზებული ძირითადი საშუალებების ღირებულება	9 000	0	0	0	0	9 000
5	2013 წელს ძირითადი საშუალებების ზღვრული ოდენობის ზემოთ გაწეული რემონტის ხარჯები	0	0	0	0	0	0
6	ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი საანგარიშო წლის (2013) ბოლოს	331 000	0	0	0	0	331 000
7	ამორტიზაციის ნორმა (%)	20%			5%	15%	X
8	ერთობლივი შემოსავლიდან გამოსაქვითი ამორტიზაციის თანხა	66 200	0	0	0	0	66 200

გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, არა მხოლოდ ამორტიზაციული ანარიცხების გზით თანდათანობით შესაბამისი ნორმების მიხედვით გამოქვითოს ძირითადი საშუალებების ღირებულება ერთობლივი შემოსავლიდან, არამედ ერთბაშადაც – მისი სრული ღირებულების მიხედვით. თუმცა

აქაც არსებობს შეზღუდვები. კერძოდ, ძირითადი საშუალებების მიმართ, გარდა სანარმოს კაპიტალში შეტანილისა, გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, სრულად გამოქვითოს ამ აქტივების ღირებულება იმ საგადასახადო წელს, როდესაც ძირითადი საშუალებები ექსპლუატაციაში შევიდა. ამასთან, სრულად გამოქვითვას თან ახლავს შემდეგი შეზღუდვები:

ა) ძირითადი საშუალებების ღირებულების სრულად გამოქვითვის უფლების გამოყენების შემთხვევაში გადასახადის გადამხდელი ვალდებულია იგივე მეთოდი გამოიყენოს ყველა შემდგომი შესყიდული (წარმოებული) ძირითადი საშუალების მიმართ;

ბ) ძირითადი საშუალებები არ შეიტანება ჯგუფის ღირებულებით ბალანსში;

ბ) სრულად გამოქვითვის შემდგომ ასეთი აქტივების მიწოდებისას მიღებული ან/და მისაღები თანხები, ხოლო ასეთის არარსებობისას – საბაზრო ღირებულება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე ექვემდებარება ერთობლივ შემოსავალში ჩართვას;

გ) ძირითადი საშუალებების ღირებულების სრულად გამოქვითვის შემთხვევაში გადასახადის გადამხდელს უფლება არ აქვს, არჩეული გამოქვითვის ნორმა შეცვალოს 5 წლის განმავლობაში. ამასთანავე, გამოქვითვის ასეთი ნორმის არჩევა უნდა მოხდეს იმ საგადასახადო წელს, როდესაც ძირითადი საშუალებები ექსპლუატაციაში შევიდა.

ამასთან, ძირითადი საშუალებების ღირებულების სრულად გამოქვითვის უფლება არ ვრცელდება ისეთ ძირითად საშუალებებზე, რომლებიც არ ექვემდებარება ამორტიზაციას.

1000 ლარამდე ღირებულების ძირითადი საშუალებების მიმართ არ ვრცელდება კაპიტალში შენატანის კუთხით არსებული შეზღუდვა. შესაბამისად, 1000 ლარამდე ღირებულების ძირითადი საშუალებები (მათ შორის, კაპიტალში შენატანი) მთლიანად გამოიქვითება ერთობლივი შემოსავლებიდან იმ საანგარიშო წელს, როდესაც ექსპლუატაციაში გადაეცემა.

არამატერიალური აქტივების ხარჯები გამოიქვითება საამორტიზაციო ანარიცხების სახით, მათი სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში, საანგარიშო პერიოდის პროპორციულად. ამასთანავე, გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, 1000 ლარამდე ღირებულების არამატერიალური აქტივი მთლიანად გამოქვითოს ერთობლივი შემოსავლიდან იმ საანგარიშო წელს, როდესაც შესაბამისი ხარჯი იქნა გაწეული, ხოლო, თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადის განსაზღვრა, ამორტიზაციის ნორმა შეადგენს 15 პროცენტს. ამასთან, არამატერიალური აქტივები ცალკე ჯგუფად აღირიცხება. შესაბამისად, შენობებსა და ნაგებობებს ანალოგიურად, ამორტიზაცია თითოეულ არამატერიალურ აქტივს დაერიცხება ინდივიდუალურად და თითოეული არამატერიალური აქტივი ცალკე ჯგუფად განიხილება. აღნიშნულით არამატერიალური აქტივისათვის შენარჩუნებულია ინდივიდუალური ღირებულება.

ამორტიზაციას დაქვემდებარებული არამატერიალური აქტივების ღირებულებაში არ შეიტანება მათი შეძენის ან წარმოების ხარჯები, თუ ისინი უკვე გამოქვითული იყო გადასახადის გადამხდელის დასაბეგრი მოგების (შემოსავლის) გამოანგარიშებისას. შესაბამისად, თუ არსებობს ხარჯები არამატერიალურ ობიექტებზე, რომელთა შედეგად არამატერიალური აქტივი შეიძლება წარმოიქმნას ან არ წარმოიქმნას. ასეთია, მაგალითად, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ხარჯები. ამდენად, თუ ეს ხარჯები გამოქვითული იყო გასულ საგადასახადო პერიოდებში გადასახადის გადამხდელის ერთობლივი შემოსავლიდან, მიმდინარე წელს წარმოქმნილი არამატერიალური აქტივის ღირებულებაში ისინი აღარ შეიტანება.

თუ არამატერიალური აქტივების ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის თანხა წლის ბოლოსთვის 1000 ლარზე ნაკლებია, ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის თანხა გამოიქვითება.

ზემოაღნიშნული მიზნებისათვის არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი, რომელსაც პირი იყენებს საქონლის წარმოების, საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის. არამატერიალურ აქტივს მიეკუთვნება სავაჭრო ნიშანი, საავტორო უფლება, პატენტი, ფრანჩაიზი, ლიცენზია, ექსპორტისა და იმპორტის სპეციალური უფლებები, საბადოების დამუშავების უფლება და სხვა.

აღსანიშნავია, რომ არამატერიალური აქტივების მიმართ არ გამოიყენება სრულად გამოქვითვის ანუ 100 პროცენტიანი ცვეთის უფლება და მის მიმართ გამოიყენება ამორტიზაციული ანარიცხების სისტემა. ამასთან, არამატერიალური აქტივები შეიძლება დავყოთ 2 ჯგუფად:

ა) აქტივები, რომელთა სასარგებლო გამოყენების ვადა განსაზღვრულია;

ბ) აქტივები, რომელთა სასარგებლო გამოყენების ვადის დადგენა შეუძლებელია.

ის არამატერიალური აქტივები, რომელთა სასარგებლო ვადის გამოყენება განსაზღვრულია, გამოიქვითება საამორტიზაციო ანარიცხების სახით, სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში, საანგარიშო პერიოდის პროპორციულად.

5.12. ძირითად საშუალებათა რემონტის ხარჯების გამოქვითვა

ძირითადი საშუალებების რემონტი გადამხდელის მიერ გაწეული ხარჯია, მაგრამ ყველა სახის ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია ძირითადი საშუალების ექსპლოატაციასთან დაბეგვრის მიზნებისათვის არ ითვლება ძირითად საშუალებათა რემონტის სახით გაწეულ ხარჯებად და შესაბამისად არ გამოიქვითება რემონტის ხარჯებისათვის დადგენილი წესით(ანუ შეუზღუდავად გამოიქვითება).

ძირითადი საშუალების რემონტის ხარჯები არის ისეთი ხარჯები, რომლებიც ამაღლებს ძირითადი საშუალების ამოსავალ (თავდაპირველ, ნორმატიულ) მწარმოებლურობას (მათ შორის, შენობა-ნაგებობის ელემენტების მოდიფიკაცია (რეკონსტრუქცია) მათი სასარგებლო მომსახურების ვადის გახანგრძლივების მიზნით და მათი მწარმოებლურობის ამაღლების უზრუნველსაყოფად; მანქანა – დანადგარის ნაწილების გაუმჯობესება მათი მწარმოებლურობის ამაღლების უზრუნველსაყოფად და ახალი საწარმოო პროცესების დანერგვა), გარდა მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯებისა, რომლებიც გაიწევა ძირითადი საშუალების ამოსავალი მწარმოებლურობის აღდგენის ან შენარჩუნების მიზნით.

ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯების გამოქვითვას შემდეი შეზღუდვები ახასიათებს:

ა) თითოეულ ჯგუფში შემავალ ძირითად საშუალებათა რემონტის ხარჯების გამოქვითვა დასაშვებია ყოველწლიურად, საანგარიშო წინა საგადასახადო წლის ბოლოსთვის ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის 5 პროცენტამდე ოდენობით. რემონტის ხარჯების გამოსაქვითი ზღვრული ოდენობა იანგარიშება თითოეული ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის მიმართ, მიმდინარე წლის ცვეთის თანხის გამოუკლებლად.

ბ) თუ რემონტის ხარჯები ზემოაღნიშნულ 5 პროცენტის ოდენობის თანხაზე მეტია, მაშინ ნამეტი თანხა ზრდის შესაბამისი ჯგუფის ღირებულებით ბალანსს და გამოიქვითება ამორტიზაციის დადგენილი წესით;

გ) თუ ძირითადი საშუალება ექსპლოატაციაში შესვლის წელს გამოიქვითა სრულად, მაშინ რემონტის ხარჯებიც გამოიქვითება სრულად ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე;

დ) იჯარით აღებულ ძირითად საშუალებათა რემონტის ხარჯები, თუ მისი ჩატარება ხელშეკრულების შესაბამისად გათვალისწინებული არ არის საიჯარო გადასახდელების შემცირების ხარჯზე, ექვემდებარება ძირითად საშუალებათა მიმღებთან კაპიტალიზებას და საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის ქმნის ცალკე ჯგუფს, რომლის დროსაც:

– გაწეული ხარჯები ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება ძირითად საშუალებათა მიმართ დადგენილი ამორტიზაციის ნორმების მიხედვით, 15 პროცენტის ოდენობით;

– ხელშეკრულების ვადის გასვლის ან ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, თუ ხორციელდება ძირითადი საშუალების მეიჯარისთვის დაბრუნება, აღნიშნული ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი ნულს გაუტოლდება და დარჩენილი თანხა ერთობლივი შემოსავლიდან არ გამოიქვითება. ამასთანავე, ძირითადი საშუალების მეიჯარისთვის დაბრუნება არ ითვლება მიწოდებად;

თუ პირს ძირითადი საშუალებები აღებული აქვს იჯარით და თავისი წარმოების ინტერესებიდან გამომდინარე მის რეკონსტრუქციაზე და რემონტზე გასწია ხარჯი, გამოდის, რომ სარემონტო სამუშაოები გასწია სხვის საკუთრებაში არსებულ ფართზე. თუ სარემონტო სამუშაოები განეულია ისე, რომ ამით საიჯარო გადასახადი არ შემცირებულა, და ის იწვევს აქტივის არსებით და განუყოფელ გაუმჯობესებას და პირდაპირ კავშირშია ეკონომიკური სარგებლის მიღებასთან, მას უფლება აქვს მოახდინოს კაპიტალიზაცია, აღიაროს აქტივად როგორც კეთვნილი ძირითადი საშუალება გაწეული სარემონტო სამუშაოების სახით და თვითონ დაიწყოს ამ ნაწილზე ამორტიზაციის დარიცხვა. ამასთან, გადამხდელის მიერ ზემოაღნიშნული უფლების გამოყენებისას, აღნიშნული აქტივი იმავდროულად როგორც ძირითადი საშუალება ჩაირთვება ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტშიც.

იჯარის აღნიშნულ შემთხვევაში მოიჯარის მიერ რემონტზე დახარჯილი თანხა აღიარდება მის აქტივად, აისახება ძირითადი საშუალებების ცალკე ჯგუფში და გამოქვითვის მიზნით ამორტიზაციის დარიცხვა განხორციელდება შესაბამისი ნორმის მიხედვით. ამასთან, თუ პირმა აღნიშნული ხელშეკრულება შეწყვიტა ვადაზე ადრე და ამ ხელშეკრულების შეწყვეტისას დაუბრუნა ქონება მესაკუთრეს, მაშინ დარჩენილი არაამორტიზებული ნაწილი ნულდება და ჯგუფში დარჩენილი თანხა-ერთობლივი შემოსავლიდან არ გამოიქვითება.

5.13. წარმომადგენლობითი ხარჯების გამოქვითვა

კანონმდებლობით იზღუდება წარმომადგენლობითი ხარჯების გამოქვითვა. ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელ პირს უფლება აქვს, გამოქვითოს წარმომადგენლობითი ხარჯები არა

უმეტეს საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებული ერთობლივი შემოსავლის 1 პროცენტის ოდენობით. ამასთან ამ სახის ხარჯის გამოქვითვის მთელი სიმძიმე დევს წარმომადგენლობითი ხარჯის დეფინიციაში. კანონმდებლობით განსაზღვრულია თუ რას მოიცავს წარმომადგენლობიტი ხარჯი, მაგრამ არ არის დადგენილი, თუ ვის მიმართ(საპატივსაცემოდ) განხორციელებული ხარჯი ითვლება წარმომადგენლობით ხარჯად.

წარმომადგენლობითი ხარჯი არის პირის მიერ ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში გაწეული ხარჯი, რომელიც მოიცავს:

ა) პირის სახელით გამართული ღონისძიებებისათვის (პრეზენტაციები, მიღებები) გათვალისწინებულ (წვენები, მინერალური წყლები, გამაგრილებელი სასმელები, ჩაი, ყავა, საუზმე, სადილი, ვახშამი, ბანკეტი) ხარჯებს;

ბ) საექსკურსიო და კულტურულ – სანახაობითი ღონისძიებების ხარჯებს;

გ) სუვენირების შეძენის ხარჯებს;

დ) სტუმრების მომსახურების უზრუნველყოფის ხარჯებს, მათ შორის:

დ.ა) საკონსულო მომსახურების (ვიზების გაფორმება, ვადის გაგრძელება) ხარჯებს;

დ.ბ) აეროპორტში დახვედრისა და გაცილების (VIჩ – დარბაზის მომსახურება) ხარჯებს;

დ.გ) სატრანსპორტო მომსახურების ხარჯებს;

დ.დ) სასტუმრო მომსახურების (ადგილების დაჯავშნა, ცხოვრების ღირებულება) ხარჯებს;

დ.ე) მიღებებისა და წვეულებებისათვის გათვალისწინებულ (წვენები, მინერალური წყლები, გამაგრილებელი სასმელები, ჩაი, ყავა, საუზმე, სადილი, ვახშამი, ბანკეტი) ხარჯებს.

სიტყვა „წარმომადგენლობითი" ნიშნავს, რომ მაგ. საწარმო ეწევა სხვა საწარმოს წარმომადგენლის საპატივცემლოდ ზემოაღნიშნულ ხარჯებს, ან სხვა ნებისმიერი პირის საპატივცემლოდ შესაბამის ხარჯებს, ხოლო ეს პირი წარმოადგენს ისეთ პირს, რომელიც დაკავშირებულია ან შესაძლოა მომავალში დაკავშირებული იყოს ამ საწარმოსთან ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში. ამასთან, წარმომადგენელი ფიზიკურად, შეიძლება ნებისმიერი პირი იყოს(მათ შორის პარტნიორიც), გარდა ამ საწარმოს თანამშრომლისა. ამასთან დაკავშირებით წარმომადგენლობითი ხარჯის გამწევმა პირმა უნდა შექმნას ასეთი ხარჯების განევის სამოტივაციო დოკუმენტი.

5.14. საქველმოქმედო ხარჯების გამოქვითვა

საქველმოქმედო საქმიანობა არ წარმოადგენს ეკონომიკურ საქმიანობას. ამ საქმიანობისათვის სპეციალურად იქმნება საქველმოქმედო ორგანიზაციები, რომლებსაც აფინანსებენ მეწარმე სუბიექტებიც. შესაბამისად, მათ მიერ საქველმოქმედო მიზნებისათვის გაწეული ხარჯები დაბეგვრის მიზნებისათვის იზღუდება. კერძოდ, მეწარმე სუბიექტს შეუძლია მთელი ერთობლივი შემოსავალი ან წმინდა მოგება მიმართოს საქველმოქმედო ორგანიზაციებზე, მაგრამ ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება საწარმოს/მეწარმე ფიზიკური პირის მიერ საქველმოქმედო ორგანიზაციაზე გაცემული თანხა, აგრეთვე ერთობლივ შემოსავალში ასახული უსასყიდლოდ მიწოდებული საქონლის (გარდა უძრავი ქონებისა)/გაწეული მომსახურების საბაზრო ფასი, მაგრამ არაუმეტეს ერთობლივი შემოსავლიდან ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების (ამ მუხლით გათვალისწინებული გამოქვითვის გარეშე) შემდეგ დარჩენილი თანხის 10 პროცენტისა.

5.15. სადაზღვევო ხარჯების გამოქვითვა

ზოგადად, მეწარმე სუბიექტის მიერ ეკონომიკური საქმიანობის პროცესში გაწეული სადაზღვევო ხარჯები, ჩვეულებრივი საწარმოო ხარჯებია. თუმცა აქაც არსებობს შეზღუდვები. კერძოდ, იმისათვის, რომ გამოიქვითოს ასეთი ტიპის ხარჯი, აუცილებელია, რომ:

ა) არსებობდეს დაზღვევის ხელშეკრულება;

ბ) არსებობდეს დამზღვევეთა ან/და დაზღვეულთა მიერ გადახდილი ან/და გადასახდელი სადაზღვევო შენატანები;

გ) სადაზღვევო შენატანები დაკავშირებული უნდა იყოს ეკონომიკურ საქმიანობასთან(მაგ. საწარმოს ქონების დაზღვევა).

იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეულის მიერ სადაზღვევო შენატანები შეტანილია საპენსიო დაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით, ასეთი შენატანები არ გამოიქვითება.

5.16. გეოლოგიური კვლევებისა და ბუნებრივი რესურსების მოპოვების მოსამზადებელი მომსახურების ხარჯების გამოქვითვა

საგადასახადო კანონმდებლობაში გეოლოგიური კვლევებისა და ბუნებრივი რესურსების მოპოვების მოსამზადებელი მომსახურების ხარჯების გამოქვითვა კომიკურ ნიუანსებს უკავშირდება. კერძოდ, კანონმდებლობით ეს ხარჯები ამორტიზაციის ნორმის მიხედვით უნდა გამოიქვითოს ერთობლივი შემოსავლიდან ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის მიხედვით და ცალკე ჯგუფად უნდა აღირიცხოს. ამასთან დაკავშირებით აბსურდულია პარალელი მოიჯარის მიერ ძირითადი საშუალებების კაპიტალიზებული თანხების ცალკე ჯგუფად აღრიცხვის და შესაბამისი ნორმით გამოქვითვის შესახებ, ვინაიდან კაპიტალიზებული იჯარით აღებული ძირითადი საშუალება(მისი რემონტის შედეგად შექმნილი კაპიტალიზებული ნაწილი) შექმნილია მოიჯარის ხარჯით და მისი გამოქვითვის უფლება, როგორც ძირითადი საშუალების ნაწილის, მოიჯარის უფლებაა. რაც შეეხება „გეოლოგიური ხარჯების" ცალკე ჯგუფად აღრიცხვას და მასზე ამორტიზაციის დარიცხვას, ვინაიდან იგი არ არის დაკავშირებული ძირითადი საშუალების კაპიტალიზებასთან და შესაბამისად ძირითადი საშუალების ნაწილის ცალკე ჯგუფად აღიცხვასთან, წარმოუდგენელი ფანტაზიის ნაყოფია მომსახურების არაკაპიტალიზებულ ხარჯზე ამორტიზაციის დარიცხვა და მისი ჯგუფის ღირებულებით ბალანსში ჩასმა.

ზემოაღნიშნულ შემთხვევაში კანონმდებელს „გეოლოგიური ხარჯები" უნდა გამოქვითოა სხვა მომსახურების ხარჯების მსგავსად (მაგ. სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საცდელ-საკონსტრუქტორო მომსახურების ხარჯები).

რაც შეეხება არამატერიალური აქტივებთან დაკავსირებულ ხარჯებს, რომელიც დაკავშირებულია გეოლოგიურ ხარჯებთან და, რომლის სასარგებლო გამოყენების ვადის დადგენა და საანგარიშო პერიოდის პროპორციულად გამოქვითვა შესაძლებელია, ზემოაღნიშნული ამორტიზაციული გამოქვითვები არ ერცელდება(მაგ. ქვანახშირის გამოყენების უფლება 3 წლის ვადით 30000 ლარად).

5.17. გადასახადებისა და ჯარიმების გამოქვითვა

გადასახადების და ჯარიმების გამოქვითის დროს საუბარია ერთობლივი შემოსავლიდან გარკვეული ხარჯების გამოქვითვაზე. გადასახადები არის ორი სახის: პირდაპირი და არაპირდაპირი. რომელი გადასახადები ექვემდებარება წლიური ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვას და რომელი არა?

კანონმდებლობა ცალსახად აფიქსირებს იმ გადასახადებს, რომლებიც არ ექვემდებარება გამოქვითვას, აგრეთვე ზოგიერთ ჩათვლად გადასახადს. კერძოდ:

ა) არ გამოიქვითება საშემოსავლო და მოგების გადასახადი(მაგ. ფიზიკური პირს ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით ერთობლივი შემოსავალი აქვს 100 ლარი, ხოლო გადასახდელი აქვს წლიური საშემოსავლო გადასახადი 8 ლარი. ამ შემთხვევაში 8 ლარი არ გამოიქვითება ერთობლივი შემოსავლიდან საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის დროს);

ბ) თუ ფიზიკური პირი ღებულობს სარგებელს(გარდა დაქირავებით მუშაობით ან ეკონომიკური საქმიანობით მიღებულისა) ანუ უსასყიდლოდ იღებს, რაიმე ქონებას და იხდის ამ ქონებაზე საშემოსავლო გადასახადს ამ შემთხვევაში ქონების რეალიზაციით მიღებული შემოსავლის შესაბამისად გადასახდელი საშემოსავლო გადასახადის თანხა მცირდება ამ ქონების მიხედვით გადახდილი (მათ შორის, ნინა საგადასახადო პერიოდებში) საშემოსავლო გადასახადის თანხით(მაგ. ფიზიკურმა პირმა საჩუქრის სახით მიიღო პირობითად 100 ლარის ღირებულების ქონება და მასზე გადაიხადა საშემოსავლო გადასახადი 20 ლარის ოდენობით. ერთი წლის შემდეგ გაყიდა ეს ქონება 200 ლარად. ამ შემთხვევაში 200 ლარის შესაბამისი საშემოსავლო გადასახადი შეადგენს 40 ლარს. ვინაიდან პირს 20 ლარი უკვე ჰქონდა გადახდილი მას ბიუჯეტში გადასახდელი ექნება 20(40 – 20) ლარი. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ კანონში აღნიშნული „ქონების რეალიზაციით მიღებული შემოსავლის შესაბამისად გადასახდელი საშემოსავლო გადასახადის თანხა" შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც დასაბეგრი ნამეტი თანხის შესაბამისი საშემოსავლო გადასახადი, რასაც შესაბამის „უკუჩვენებებამდე" მივყავართ;

გ) არ გამოიქვითება კანონმდებლობით დადგენილი და გადასახადის გადამხდელის მიერ ბიუჯეტში გადახდილი ან გადასახდელი საურავების ან/და ჯარიმების თანხები.

ქონების გადასახადი, როგორც ხარჯი გამოიქვითება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ერთობლივი შემოსავლიდან. საგადასახადო შეთანხმების არასრულ საგადასახადო პერიოდზე გაფორმების შემთხვევაში პირი დარჩენილი არასრული კალენდარული წლის (საგადასახადო პერიოდის) კუთვნილი გადასახადის გამოანგარიშებისას ქონების გადასახადს გამოქვითავს ამ არასრული კალენდარული წლის პროპორციულად.

რაც შეეხება აქციზს, დღგ-ს და იმპორტის გადასახადს, ეს გადასახადები არაპირდაპირი გადასახადებია, რომელთაგან აქციზი და დღგ შესაბამის პირობებში ექვემდებარება ჩათვლას, ხოლო იმპორტის გადასახადი – არა. შესაბამისად, ეს უკანასკნელი, როგორც ხარჯი გამოიქვითება ერთობლივი შემოსავლიდან.

თუ აქციზი და დღგ ექვემდებარება ჩათვლას, ამ შემთხვევაში ჩასათვლელი თანხები არის პირის აქტივი და ამდენად არ წარმოადგენს ხარჯს. შესაბამისად, ის რაც არ მიეკუთვნება ხარჯს არც გამოიქვითება ერთობლივი შემოსავლიდან. იმ შემთხვევაში, თუ პირის მიერ გადახდილი აქციზი და დღგ არ წარმოადგენს ამ პირისათვის „ჩათვლად" გადასახადს, მაშინ ეს გადასახადები, როგორც ხარჯი გამოიქვითება ერთობლივი შემოსავლიდან.

5.18. ზარალის გადატანა

დაბეგვრის მიზნებისათვის, ზოგადად, ზარალი არის გამოქვითვების გადამეტება ერთობლივ შემოსავალზე. აქ იგულისხმება, როგორც ეკონონიკური საქმიანობით, ასევე არაეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავალი(თუმცა ფიზიკურ პირთან მიმართებაში ოდნავ განსხვავებული წინაალმდეგობრივი სიტუაცია გვაქვს). აქტივების მიწოდებით მიღებული ზარალი არის უარყოფითი სხვაობა მათი მიწოდებით მიღებულ შემოსავლებსა და ამ აქტივების ღირებულებას შორის.

ზოგიერთი ქვეყანა მიმართავს ზარალის გადატანას არა მხოლოდ მომდევნო საგადასახადო პერიოდებზე, არამედ წინა საგადასახადო პერიოდებზეც ანუ წინა წელს მიღებული მოგებით შეიძლება გადაიფაროს მომდევნო წლის ზარალი. საქართველოში ზარალის გადატანა ანუ კომპენსაცია შეიძლება მხოლოდ მომდევნო წელს. ამასთან განსხვავებულია ზარალის გადატანის ნორმები სხვადასხვა მეწარმე და არამეწარმე სუბიექტებისათვის.

მეწარმე ფიზიკური პირის მიერ აქტივის (გარდა ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული აქტივისა) რეალიზაციით მიღებული ზარალის კომპენსაცია ხდება იმავე სახის აქტივის რეალიზაციით მიღებული ღირებულების ნამეტით. თუ ზარალის კომპენსაცია იმავე წელს შეუძლებელია, ზარალი მომდევნო წელს არ გადაიტანება.

საგადასახადო წლის განმავლობაში ფიზიკური პირის (გარდა მეწარმე ფიზიკური პირისა) მიერ აქტივის რეალიზაციით მიღებული ზარალის კომპენსაცია ხდება იმავე სახის აქტივის რეალიზაციით მიღებული ნამეტით. ამასთანავე, თუ ზარალის კომპენსაცია იმავე წელს შეუძლებელია, ზარალი მომდევნო წელს არ გადაიტანება.

მეწარმე ფიზიკური პირის მიმართ გამოქვითვების გადამეტება ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ ერთობლივ შემოსავალზე, რომელიც დაკავშირებული არ არის დაქირავებით მუშაობასთან, არ გამოიქვითება ამ პირის მიერ მიღებული ხელფასის ხარჯზე. იგი გადაიტანება 5 წლამდე ვადით და დაიფარება მომავალი პერიოდების ერთობლივი შემოსავლის გამოქვითვებზე გადამეტების ხარჯზე, რომელიც დაკავშირებული არ არის დაქირავებით მუშაობასთან.

იურიდიული პირის მიმართ გამოქვითვების გადამეტება ერთობლივ შემოსავალზე გადაიტანება 5 წლამდე ვადით და დაიფარება მომავალი პერიოდების ერთობლივი შემოსავლის გამოქვითვებზე გადამეტების ხარჯზე.

დაბეგვრის მიზნებისათვის დადგენილი გამოქვითვების გადამეტება ერთობლივ შემოსავალზე გადატანას არ ექვემდებარება, თუ იგი წარმოშობილია:

ა) ფინანსური ინსტიტუტის მიერ საერთაშორისო ფინანსური კომპანიის სტატუსით სარგებლობის პერიოდში;

ბ) თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს მიერ;

გ) სპეციალური სავაჭრო კომპანიის მიერ სპეციალური სავაჭრო კომპანიის სტატუსით სარგებლობის პერიოდში.

მცირე ბიზნესის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებული ზარალი მომდევნო წელს არ გადაიტანება, თუ არ ხდება სპეციალური დაბეგვრის რეჟიმიდან გამოსვლა.

ამხანაგობის ზარალი მიეკუთვნება მის მფლობელებს წილის შესაბამისად. ამასთანავე, ამხანაგობის ზარალი მის მფლობელებზე არ ნაწილდება და მფლობელის ერთობლივი შემოსავლიდან არ გამოიქვითება.

ამხანაგობაში მფლობელის წილი ზარალი შეიძლება გამოიქვითოს მხოლოდ ამ ამხანაგობაში მისი წილი დასაბეგრი მოგების (მომავალი წლის/წლების) ხარჯზე. ზარალის გადატანა ხორციელდება 5 წლამდე ვალით და დაიფარება მომავალი პერიოდების ერთობლივი შემოსავლის გამოქვითვებზე გადამეტების ხარჯზე.

ამხანაგობის ზარალი, რომელიც მიეკუთვნება მის მფლობელს, ამ მფლობელის სხვა ამხანაგობაში მონაწილეობის მოგების ხარჯზე არ გამოიქვითება.

როგორც აღვნიშნეთ აქტივების მინოდების დროს ზარალი გამოიხატება შესაბამის ფასებს შორის უარყოფითი სხვაობით. მაგრამ, დასაბეგრი შემოსავლის განსაზღვრისას ზარალი მხედველობაში არ მიიღება(ანუ არ გამოიქვითება), თუ ხორციელდება:

ა) აქტივის გადაცემა მეუღლეებს შორის;

ბ) აქტივის გადაცემა ყოფილ მეუღლეებს შორის განქორწინების დროს;

გ) აქტივის არანებაყოფლობითი განადგურება/ჩამორთმევა და განადგურების/ჩამორთმევის ნლის მომდევნო 2 წლის დასრულებამდე:

გ.ა) განადგურების/ჩამორთმევის შედეგად მიღებული კომპენსაციის თანხის რეინვესტირება ხორციელდება მსგავსი სახისა და მახასიათებლის მქონე აქტივში;

გ.ბ) განადგურებული/ჩამორთმეული აქტივის ჩანაცვლება ხდება კომპენსაციის შედეგად მიღებული მსგავსი სახისა და მახასიათებლის მქონე აქტივით;

დ) ლიკვიდირებულ იურიდიულ პირში პარტნიორის წილის გაუქმებისას, თუ ხდება იურიდიული პირის ლიკვიდაცია და პარტნიორ იურიდიულ პირს გადაეცემა მისი წილის პროპორციული (შესაბამისი) აქტივი და, ამასთანავე, პარტნიორი იურიდიული პირი ლიკვიდაციამდე ფლობდა 50 პროცენტს ან მეტს ამ იურიდიულ პირში.

ზარალის მხდველობაში მიუღებლობის დროს ზემოაღნიშნულ აქტივებში არ იგულისხმება ის ძირითადი საშუალებები, რომელიც ამორტიზაციას ექვემდებარება ჯგუფური მეთოდით. ეს არ ეხება იმ ფაქტს, როდესაც მეუღლეებს(ყოფილსაც) შორის ჯგუფის ყველა აქტივი ერთდროულად გადაიცემა.

ზარალის გადატანის ვადა, ანუ მისი გამოქვითვის შესაძლებლობის ვადა, როგორც აღვნიშნეთ არის 5 წელი. ამ ვადის გაზრდა შეუძლია პირს 10 წლამდე ვადით, თუ იგი მიმართავს საგადასახადო ორგანოს თავდაპირველი 5-წლიანი ვადის გასვლამდე. ასეთ შემთხვევაში 10-წლიანი ვადა აითვლება იმ საანგარიშო წლის დასრულებიდან, რომლის მიმართაც გადამხდელი ითხოვს ზარალის გადატანას. შესაბამისად საგადასახადო ხანდაზმულობის ვადა ამ შემთხვევაში იქნება 11 წელი. პირს ზარალის დაფარვის შემთხვევაში უფლება აქვს, არჩეული ზარალის გადატანის 10-წლიანი ვადა კვლავ შეცვალოს ზარალის გადატანის 5-წლიანი ვადით, რისთვისაც მან ზარალის დაფარვიდან ნებისმიერ შემდგომ საგადასახადო წელს საგადასახადო ორგანოს უნდა აცნობოს ისევ 5-წლიან ვადაზე გადასვლის შესახებ.

ზემოაღნიშნული ხანდაზმულობის ვადა განისაზღვრება იმ კალენდარული წლის დასრულებიდან, რომლის ზარალის გადატანის ვადის გაგრძელებაც მოითხოვა პირმა, ზარალის გადატანის ვადის გაგრძელების შეცვლის შესახებ განცხადების წარდგენის კალენდარული წლის დასრულებამდე პერიოდის ვადით, რომელიც არ შეიძლება იყოს 6 წელზე ნაკლები და 11 წელზე მეტი.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რო 10 წლიანი ვადა ვრცელდება მხოლოდ 2010 წელს და მის შემდგომ ნლებში ნარმოქმნილ ზარალზე.

5.19. გამოქვითვა სუსტი კაპიტალიზაციის დროს

სუსტი კაპიტალიზაცია ნიშნავს გადამხდელის მდგომარეობას, როდესაც მის მიერ აღებული ვალი, რომელზეც მას პროცენტები აქვს გადასახდელი, გარკვეული თანაფარდობით აჭარბობს მის კაპიტალს. სუსტი კაპიტალიზაციის გზით საწარმოები ცდილობენ შეამცირონ მოგების გადასახადი და შემოსავლები გადაქაჩონ თავიანთ პარტნიორებზე. საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს სუსტი კაპიტალიზაციის დროს პროცენტების გამოქვითვას ერთობლივი შემოსავლიდან. ამის შესახებ დეტალურად გვაქვს საუბარი კორპორაციული დაბეგვრის თავში მოდელიან-მილერის თეორიასთან კავშირში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული თემა მნიშვნელოვან საკანონმდებლო ხარვეზებს მოიცავს.

თავი 6. საერთაშორისო დაბეგვრა და საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციები

6.1. უცხოეთში გადახდილი გადასახადების ჩათვლა საქართველოში

საქართველოს რეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირები შესაძლებელია შემოსავალს ღებულობდნენ უცხოეთში ანუ საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული წყაროდან. ამ შემთხვევაში ასეთი შემოსაველები შეიტანება მათ ერთობლივ შემოსავალში, როგორც საქართველოში დაბეგვრას დაქვემდებარებული ობიექტი. ეს შემთხვევა, ორ ნანილად უნდა გავყოთ: რეზიდენტი საწარმოებისათვის და რეზიდენტი ფიზიკური პირებისათვის.

თუ რეზიდენტი საწარმო შემოსავალს ღებულობს უცხოეთში და იქ იბეგრება მოგების გადასახადით, მაშინ მის მიერ უცხოეთში გადახდილი მოგების გადასახადის თანხა საქართველოში მას გადახდილად ჩაეთვლება. ამასთან, ჩათვლილი თანხების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გადასახადების იმ თანხების ოდენობას, რომლებიც დარიცხული იქნებოდა საქართველოში ამ მოგებაზე საქართველოში მოქმედი წესითა და განაკვეთებით. მაგ. გერმანიაში მოგების გადასახადი შეადგენს, ვთქვათ დასაბეგრი თანხის 20 პროცენტს, ხოლო საქართველოში 15 პროცენტს. ამ შემთხვევაში, საქართველოს საწარმოს, რომელმაც გერმანიაში მიიღო დასაბეგრი მოგება და იქ გადაიხადა მოგების გადასახადი, საქართველოში არ ექნება გადასახდელი მოგების გადასახადი. იმ შემთხვევაში, თუ გერმანიაში იქნებოდა, ვთქვათ, მოგების გადასახადი 10 პროცენტის ოდენობით და იქ გადაიხდიდა მას ეს საწარმო, მაშინ მას საქართველოში ექნებოდა გადასახდელი 5(15 – 10) პროცენტის ოდენობის შესაბამისი თანხა.

რაც შეეხება რეზიდენტი ფიზიკური პირების მიერ უცხოეთში მიღებულ შემოსავლებს, მართალია იგი საქართველოში შეიტანება ერთობლივ შემოსავალში, მაგრამ გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადის გადახდისაგან.

6.2. საერთაშორისო დაბეგვრის არსი

ზოგადად, საერთაშორისო ორმაგი დაბეგვრა გულისხმობს ერთი და იგივე შემოსავლის ან კაპიტალის დაბეგვრას ორი ამ მეტი იურისდიქციის საგადასახადო ორგანოს მიერ.

განასხვავებენ საერთაშორისო ორმაგი დაბეგვრის ორ სახეს: იურიდიული ორმაგი დაბეგვრა და ეკონომიკური ორმაგი დაბეგვრა.

იურიდიული ორმაგი დაბეგვრა ეწოდება დაბეგვრის ისეთ სისტემას, როდესაც ერთი ქვეყნის რეზიდენტი პირი, რომელსაც მეორე ქვეყანაში გააჩნია მუდმივი დაწესებულება იბეგრება ორჯერ: პირველად მუდმივი დაწესებულების შემოსავალი ან ქონება არარეზიდენტ ქვეყანაში, ხოლო მეორედ მუდმივი დაწესებულების შემოსავალი და ქონება, როგორც რეზიდენტი პირის შემოსავალი და ქონება რეზიდენტ ქვეყანაში. მაგ. საქართველოს რეზიდენტი საწარმოს გერმანიაში არსებული მუდმივი დაწესებულების შემოსავალი, რომ დაბეგრილიყო, როგორც გერმანიაში, ასევე საქართველოში ერთი და იგივე გადასახადებით. ამდენად, იურიდიული ორმაგი დაბეგვრა მიბმულია მუდმივი დაწესებულების ორჯერ დაბეგვრასთან, ვინაიდან მუდმივი დაწესებულება არ წარმოადგენს დამოუკიდებელ იურიდიულ პირს და იგი რეზიდენტი იურიდიული პირის ფილიალი ან წარმომადგენლობაა. შესაბამისად ერთი იურიდიული პირი ორჯერ იბეგრება.

ეკონომიკური ორმაგი დაბეგვრა ეწოდება დაბეგვრის ისეთ სისტემას, როდესაც ერთი ქვეყნის რეზიდენტი პირი მეორე ქვეყანაში აფუძნებს შვილობილ კომპანიას ან ფლობს მეორე ქვეყნის რეზიდენტი პირის წილებს ან აქციებს ან ზოგადად იღებს შემოსავალს(როიალტს, დივიდენდს ან პროცენტს ან სხვა სახის შემოსავალს) და ასეთი შემოსაველები შეიძლება დაიბეგროს ორჯერ: გადახდის წყაროსთან ანუ შემოსავლის მიმღების არარეზიდენტ ქვეყანაში და მეორედ, შემოსავლის მიმღების რეზიდენტ ქვეყანაში. ამ შემთხვევაში, ორმაგ იურიდიულ დაბეგვრას ადგილი არ აქვს, რადგანაც შემოსავლის მიმღები და შემოსავლის გამცემი ორი სხვადასხვა იურიდიული პირია. შესაბამისად ადგილი აქვს ორმაგ ეკონომიკურ დაბეგვრას. მაგ. ტრანსფერული ფასწარმოქმნები დაკავშირებული შეიძლება იყოს ეკონომიკურ ორმაგ დაბეგვრასთან. ეკონომიკური შიგა(და არა საერთაშორისო) ორმაგი დაბეგვრის მაგალითს მიეკუთვნება მოგების დაბეგვრა მოგების გადასახადით, ხოლო შემდგომ დაბეგრილი მოგების დაბეგვრა ისევ გადასახადით(დივიდენდზე გადასახადი).

ორმაგი დაბეგვრის თავიდან ასაცილებლად ორი მეთოდი გამოიყენება: ჩათვლის(ანუ მეორენაი-

რად კრედიტის) ან გათავისუფლების.

გადასახადის ჩათვლა გულისხმობს რეზიდენტი ქვეყნის კომპანიის მიერ უცხოეთში გადახდილი გადასახადების გათვალისწინებას ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების გადახდის დროს. გადასახადისაგან გათავისუფლება გულისხმობს რეზიდენტი ქვეყნის კოპანიის მიერ უცხოეთში მიღებული შემოსავლის გათავისუფლებას ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისაგან.

ორმაგი დაბეგვრის კონვენციები არ ნიშნავს არარეზიდენტი პირების ცალმხრივ გათავისუფლებას ან ჩათვლას შესაბამისი გადასახადებისაგან. ამ შემთხვევაში გათავისუფლება ან ჩათვლა ორმხრივია, რადგანაც ორივე ქვეყანა იღებს ვალდებულებას არ დაბეგროს მეორე ქვეყნის რეზიდენტი თავისი ქვეყნის გადასახადებით. შესაბამისად, ეს ხელს უწყობს ერთი ქვეყნის კაპიტალის გადინებას იმ მეორე ქვეყანაში, სადაც უფრო დაბალი გადასახადებია და ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოა.

იურიდიული ორმაგი დაბეგვრის თავიდან ასაცილებლად ქვეყნები თავიანთი რეზიდენტების მიმართ იყენებენ ჩათვლის(კრედიტის) ან გათავისუფლების მეთოდებს. მაგ. საქართველო იურიდიული პირების მიმართ იყენებს ჩათვლის მეთოდს, ხოლო ფიზიკური პირების მიმართ გათავისუფლების მეთოდს(საქართველოს რეზიდენტი ფიზიკური პირი, რომელიც შემოსავალს იღებს საქართველოს ფარგლებს გარეთ საქმიანობით არ იბეგრება საქართველოში).

თეორიულად, მიღებულია, რომ გათავისუფლების მეთოდი ორი სახის შეიძლება იყოს: პოზიტიური და ნეგატიური. ამასთან, ეს გათავისუფლება შეიძლება იყოს პროგრესიით და პროგრესიის გარეშე(საქმე ეხება პროგრესული განაკვეთებით დაბეგვრას შემოსავლის ზრდის მიხედვით).

პოზიტიური გათავისუფლების დროს პირი უფლებამოსილია რეზიდენტ ქვეყანაში დასაბეგრი შემოსავლიდან გამოქვითოს საზღვარგარეთ მიღებული შემოსავალი(დაბეგვრის ობიექტი). მაგ. საქართველოს რეზიდენტმა წლის განმავლობაში სულ მიიღო დასაბეგრი მოგება 100 ლარის ოდენობით. აქედან, 10 ლარი დასაბეგრი მოგება მიიღო აშშ-ში, ხოლო 90 საქართველოში. ამ მეთოდით დასაბეგრი მოგება საქართველოში იქნება არა 100, არამედ 90 ლარი.

პროგრესიით პოზიტიური გათავისუფლების დროს, როგორც აღვნიშნეთ საზღვარგარეთ დასაბეგრი შემოსავალი არ გაითვალისწინება რეზიდენტ ქვეყანაში დასაბეგრ შემოსავალში. ამასთან, პროგრესიით გათავისუფლების დროს საზღვარგარეთ დასაბეგრი თანხა გაითვალისწინება რეზიდენტ ქვეყანაში შესაბამისი პროგრესული განაკვეთების დადგენის თვალსაზრისით. რაც შეეხება პროგრესიის გარეშე პოზიტიურ გათავისუფლებას, აქ ეს ზემოაღნიშნული მომენტი არ გაითვალისწინება. განვიხილოთ შესაბამისი მაგალითი: ვთქვათ, საქართველოში არის პროგრესული დაბეგვრა მოგების გადასახადზე. სიმარტივისთვის 100 ლარის ჩათვლით მოგება იბეგრება 15 პროცენტით, ხოლო 100 ლარს ზემოთ 20 პროცენტით. საქართველოს რეზიდენტმა საწარმომ სულ წლის განმავლობაში მიიღო 150 ლარის დასაბეგრი მოგება. აქედან 100 ლარი საქართველოში, ხოლო 50 ლარი უცხოეთში. ამ შემთხვევაში საქართველოში იბეგრება მხოლოდ 100 ლარი. ამ შემთხვევაში 150 – ივე ლარი საქართველოში, რომ ყოფილიყო მიღებული, როგორც დასაბეგრი მოგება, მაშინ დაბეგვრის განაკვეთები იქნებოდა 100 ლარზე 15 პროცენტი ანუ 15 ლარი, ხოლო 100 ლარს ზემოთ ანუ 50 ლარზე 20 პროცენტი ანუ 10 ლარი. სულ მოგების გადასახადი შეადგენდა 25 ლარს. ვინაიდან 50 ლარი საქართველოში არ არის დასაბეგრი და ეს თანხა მაინც გაითვალისწინება პროგრესული განაკვეთის გამოანგარიშების მიზნებისათვის, დაბეგვრა საქართველოში შემდეგ სახეს მიიღებს: საშუალო განაკვეთი იქნება 25:150ხ100%=16,6%. შესაბამისად, საქართველოში მიღებული დასაბეგრი მოგება(100 ლარი) დაიბეგრება 16,6 პროცენტით, განსხვავებით პროგრესიის გარეშე პოზიტიური გათავისუფლების მეთოდისა, რომლის დროს 100 ლარი დაიბეგრებოდა 15 პროცენტით. ეს მოდელი შესაძლებელია დაინერგოს საქართველოშიც შესაბამისი მიზანშეწონილობის შემთხვევაში.

ნეგატიური გათავისუფლების დროს (რომელსაც ზოგიერთი ქვეყანა იყენებს პოზიტიურ გათავისუფლებასთან ერთად) დამატებით ხდება რეზიდენტის მიერ არარეზიდენტ ქვეყანაში მიღებული ზარალის გათვალისწინება რეზიდენტი ქვეყნის მიერ დასაბეგრი მოგების განსაზღვრისას. ნეგატიური გათავისუფლების მეთოდიც ორი სახისაა: პროგრესიით და პროგრესიის გარეშე.

პროგრესიის გარეშე ნეგატიური გათავისუფლების დროს რეზიდენტის მიერ არარეზიდენტ ქვეყანაში მიღებული ზარალი გამოიქვითება რეზიდენტი ქვეყანაში ერთობლიეი შემოსავლიდან. მაგ. საქართველოს რეზიდენტმა წლის განმავლობაში საქართველოში მიიღო დასაბეგრი მოგება 100 ლარი, ხოლო უცხოეთში ზარალი 30 ლარი. ამ მეთოდით საქართველოში დასაბეგრი მოგება იქნება 100 – 30=70 ლარი.

პროგრესიით ნეგატიური გათავისუფლების დროს რეზიდენტი საწარმოს მიერ არარეზიდენტ ქვეყანაში მიღებული ზარალი გაითვალისწინება რეზიდენტ ქვეყანაში გადასახადის განაკვეთის მის-

ადგაგების დროს. განვიხილოთ შესაბამისი მაგალითი: საქართველოში 100 ლარამდე მოგებაზე არის 10 პროცენტი, ხოლო 100 ლარზე ზემოთ – 20 პროცენტი. საწარმომ საქართველოში მიიღო 150 ლარის დასაბეგრი მოგება, ხოლო უცხოეთში ზარალი 30 ლარის ოდენობით. ამ შემთხვევაში უნდა განისაზღვროს გადასახადის საშუალო განაკეთი ზარალის გათვალისწინებით. დასაბეგრი მოგება იქნება 150 – 30=120 ლარი. გადასახადი ამ მოგებაზე იქნება 14 ლარი(100ხ10%+20ხ20%). საშუალო განაკეთი იქნება 11,6%(14:120)ხ100%. აქედან გამომდინარე საქართველოში მიღებული დასაბეგრი მოგება დაიბეგრება საშუალო განაკეთით და გადასახადი შეადგენს 17,49 ლარს(150ხ11,66%). შესაბამისად პროგრესიის გარეშე გათავისუფლების დროს უფრო მცირეა გადამხდელის საგადასახადო ტვირთი, ვიდრე პროგრესიით გათავისუფლების დროს. ეს ეხება, როგორც პოზიტიურ, ასევე ნეგატიურ გათავისუფლებას.

პირველად ორმაგი დაბეგვრის სახის ხელშეკრულებები გამოჩნდა ახლანდელი გერმანიის ტერიტორიაზე პრუსიაში. პირველი ორმხრივი DTA(ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულება) შეთანხმდა პრუსიასა და ავსტრიას შორის 1899 – ში, 1909 წელს DTA დაიდო უნგრეთსა და ავსტრიას შორის. ამჟამად მსოფლიოში არსებობს რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული ე.წ. ტიპიური ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებები მათ შორის OECD – ისა და გაეროს მოდელები. ამ მოდელებს სათავე დაუდო ერთა ლიგის მიერ შემუშავებულმა კონვენციამ; აგრეთვე, არსებობს აშშ-ს მოდელი.

OECD – ის მოდელი შემუშავებულია ნევრი ქვეყნების ინტერესების დაცვისათვის. არ არის გასაკვირი რომ იგი არ არის მოწონებული განვითარებადი ქვეყნების მიერ (განსაკუთრებით კაპიტალის იმპორტიორი ქვეყნების მიერ) OECD – ის მოდელის გამოყენების შემთხვევაში ცალსახა უპირატესობას განვითარებული ქვეყნები იღებენ, ვინაიდან წყარო ქვეყნებს უწევთ საგადასახადო შემოსავლებზე უარის თქმა. ეს შედეგები გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ როდესაც განვითარებადი ქვეყნები ვაჭრობენ განვითარებულ ქვეყნებთან წმინდა შემოსავლები ჩვეულებრივ გადაედინება განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებულისაკენ. ასე რომ, განვითარებადი ქვეყანა გასცემს ზედმეტ ღირებულებას.

ზემოთნახსენები მოვლენების პასუხად განვითარებადი ქვეყნების ინიციატივით შეიმუშავეს ე.წ. გაეროს მოდელი, რომელიც ასახავდა მათ ინტერესებს. ხანგრძლივი და რთული პროცესების შედეგად გაეროს საერთაშორისო ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა კომიტეტმა გამოაქვეყნა – „განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის ორმხრივი საგადასახადო შეთანხმების სახელმძღვანელო“ ამ პუბლიკაციას მალე მოყვა 1980 წელს გაეროს პირველი ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულება – გაეროს სტანდარტული კონვენცია ორმაგ დაბეგვრაზე განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის. იგი ანიჭებს უპირატეს დაბეგვრის უფლებას წყარო ქვეყნებს ე.ი. კაპიტალის იმპორტიორ, განვითარებად ქვეყნებს, განსაკუთრებით ბიზნეს შემოსავლებისა და პასიური საინვესტიციო შემოსავლებთან მიმართებაში.

გაეროს მოდელი ფართოდ გამოიყენება უმეტეს განვითარებულ ქვეყნებში. მისი ცალკეული მუხლები გამოყენებულია განვითარებული ქვეყნების ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებებში, განსაკუთრებით თუ ისინი კაპიტალის იმპორტიორები არიან. ზემოთ ჩამოთვლილი მოდელების გარდა ასევე მიღებულია სხვა მოდელები – სკანდინავიური კონვენცია (1996), კარიკომის შეთანხმება (1994) და სხვა რიგი ქვეყნების მოდელები.

აღნიშნული ხელშეკრულებების რანგირება შეიძლება მოვახდინოთ იმის მიხედვით თუ როგორი ქვეყნის ინტერესებს იცავენ უფრო მეტად – კაპიტალის იმპორტიორებისას თუ კაპიტალის ექსპორტიორებისას.

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული საგადასახადო პოლიტიკის ანალიზისას გამოიყენება FDI-ის სხვადასხვა მოდელები: ე.წ. ჰ/ჭ მოდელი(მფლობელობა, განთავსება, ინტერნალიზაცია); OECD-ის საგადასახადო პოლიტიკის მოდელი უცხოური ინვესტიციებისათვის; ინვესტირების ნეოკლასიკური მოდელი; ახალი ეკონომიკური გეოგრაფიის მოდელები(ორმაგი დაბეგვრის ზემოაღნიშნული რეტროსპექტული საკითხები იხ. გ. ყუფარაძე, საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკა და ინვესტიციები, ftt/www.academia.edu)

საერთაშორისო დაბეგვრა დაკავშირებულია სხვადასხვა სახელმწიფოების უფლებასთან-ერთი და იგივე შემოსავალი ან კაპიტალი დაბეგრონ თავიანთი ბიუჯეტის სასარგებლოდ. დაბეგვრა შეიძლება განხორციელდეს ორი ძირითადი პრინციპიდან გამომდინარე: შემოსავლის წყარო ანუ ტერიტორიალობის პრინციპი და პირის რეზიდენტობა ან მოქალაქეობა. ეს პრინციპები იწვევს, სწორედ ორმაგ დაბეგვრას. მაგ. ქვეყანას უფლება აქვს სხვა ქვეყნის რეზიდენტი დაბეგროს, თუ მისი შემოსავალი მიღებულია ამ ქვეყანაში. ამავე დროს ამ პირის დაბეგვრის ბუნებრივი უფლება აქვს იმ ქვეყანასაც, რომლის რეზიდენტიც არის ეს პირი. შესაბამისად, იმისათვის, რომ არ დაირღვეს გადასახადის გადახ-

დის უმთავრესი პრინციპი, რომელსაც სამართლიანობა ეწოდება, საჭიროა სხვადასხვა ქვეყნები შეთანხმდენ იმაზე, რომ ერთი და იგივე დაბეგვრის ობიექტი(შემოსავალი ან კაპიტალი) ერთი და იგივე გადასახადით არ დაიბეგროს ორჯერ. ამ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმ ფაქტს, თუ, რომელი ქვეყანა დაბეგვრას მის შემოსავალს: რეზიდენტი ქვეყანა, თუ არარეზიდენტი ქვეყანა. მთავარია დაცული იყოს ერთჯერადი დაბეგვრის ფუნდამენტური პრინციპი. ერთადერთი გამონაკლისი ქვეყანა, ისიც მხოლოდ ფიზიკურ პირებთან მიმართებით არის ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც თავის მოქალაქეებს ბეგრავს მიუხედავად იმისა, თუ სად ცხოვრობენ ისინი და სად ღებულობენ შემოსავალს. ეს პრინციპი ემყარება იმ ფაქტს, რომ აშშ ყველგან იცავს თავის მოქალაქეებს და ეს გარკვეულ ხარჯებთან არის დაკავშირებული. როგორც რიჩარდ დერნბერგი ამბობს „ფაქტობრივად აშშ-ს მოქალაქეს აქვს სადაზღვევო პოლისი, ხოლო გადასახადები ეს – მისი ღირებულებაა".(იხ. RICHARD L. DOERNBERG, INTERNATIONAL TAXATION IN A NUTSHELL. 1999, st.paul, minn. West publishing co., გვ – 33).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ერთი და იგივე დაბეგვრის ობიექტების ორმაგი დაბეგვრა, ქვეყნები მიმართავენ ისეთ ღონისძიებას, როგორიც არის საერთაშორისო შეთანხმებები. შესაბამისად, ორი ქვეყანა ერთმანეთთან დებს ბილატერალურ (ორმხრივ) ხელშეკრულებას თავიანთი საგადასახადო ადმინისტრირების უფლებების განსასაზღვრად. ამის შესახებ, მართებულად აღნიშნავს დერნბერგი, რომ საერთაშორისო დაბეგვრის შესწავლა-ეს არის სუვერენულ სახელმწიფოთა საგადასახადო სამართლის კოორდინაციის შესწავლა. (RICHARD L. DOERNBERG გვ 21).

არსებობს „მიუკერძოებელი საერთაშორისო დაბეგვრის" კონცეფცია, რომელიც სამ პრინციპს ემყარება:

ა) კაპიტალის ექსპორტისადმი მიუკერძოებლობა;

ბ) კაპიტალის იმპორტისადმი მიუკერძოებლობა;

გ) ეროვნული მიუკერძოებლობა.

კაპიტალის ექსპორტისადმი მიუკერძოებლობა გულისხმობს იმ ფაქტს, რომ გადასახადის გადამხდელს აქვს თავისუფალი არჩევანი, დააბანდოს კაპიტალი იმ ქვეყანაში, სადაც მას სურს, ხოლო ამ საქმეზე გადასახადებმა გავლენა არ უნდა იქონიოს. მაგ. საქართველოს რეზიდენტი საწარმოს დასაბეგრი მოგება, რომელიც მიღებულია საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ, იბეგრება 15 პროცენტიანი გადასახადით. ამასთან, ვთქვათ, ამ საწარმოს მუდმივი დანესებულების(ფილიალის) დასაბეგრი მოგება კონგოში იბეგრება 10 პროცენტიანი გადასახადით. შესაბამისად, საქართველოს საწარმოს მიერ კონგოში მიღებული დასაბეგრი მოგება საქართველოში დაიბეგრება 5 პროცენტიანი გადასახადის განაკვეთით. ამ შემთხვევაში, იგებს იმ ქვეყნის ბიუჯეტი, სადაც ინვესტირებას ახორციელებს ესა თუ ის საწარმო, ხოლო თვით ამ საწარმოსთვის ინდიფერენტულია გადასახადის განაკვეთი, იმ პირობით, რომ მისი მუდმივი დანესებულების ქვეყანაში არსებული საგადასახადო განაკვეთი არ აღემატება მისი რეზიდენტი ქვეყნის ანალოგიურ განაკვეთს. ასეთ სიტუაციაში საქართველოს რეზიდენტი საწარმოს მოგების გადასახადი არ აღემატება საქართველოში არსებული მოგების გადასახადის თანხებს.

კაპიტალის იმპორტისადმი მიუკერძოებლობა ნიშნავს იმ ფაქტს, რომ კაპიტალის ექსპორტის ქვეყანა ათავისუფლებს ამ კაპიტალს გადასახადებისაგან და შესაბამისად იგი იბეგრება მხოლოდ იმპორტის ქვეყანაში. მაგ. საქართველოს რეზიდენტი საწარმოს მუდმივი დანესებულების მოგება კონგოში იბეგრება 10 პროცენტიანი გადასახადით კონგოში, როგორც ყველა კონგოური საწარმო, ხოლო საქართველოში ეს მოგება გათავისუფლებულია კანონმდებლობით მოგების გადასახადისაგან. ამ შემთხვევაში, კაპიტალის ექსპორტისადმი მიუკერძოებლობა ირღვევა, რამდენადაც საქართველოს რეზიდენტი საწარმო თუ თავის კაპიტალს მთლიანად დააბანდებს კონგოში მუდმივი დანესებულების სახით, მაშინ იგი უფრო ნაკლებს გადასახადს(5 პროცენტით) გადაიხდის, ვიდრე გადაიხდიდა საქართველოში საქმიანობის დროს.

ეროვნული მიუკერძოებლობის პრინციპი ნიშნავს იმ ფაქტს, რომ რეზიდენტი ქვეყნის საწარმოს მიერ მუდმივი დანესებულების მეშვეობით საზღვარგარეთ მიღებული დასაბეგრი მოგების შესაბამისი მოგების გადასახადი არ ჩაითვლება ამ რეზიდენტი ქვეყნის მიმართ საგადასახადო ვალდებულებების შესრულების დროს. შესაბამისად ეს იწვევს იურიდიულ ორმაგ დაბეგვრას. ამ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ტვირთი გაცილებით მძიმეა და მას უწევს ორი ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტის შევსება. მაგ. საქართველოს რეზიდენტს კონგოში აქვს მუდმივი დანესებულება. კონგო მის მოგებას ბეგრავს 10 პროცენტით, ხოლო საქართველო 15 პროცენტით. ამ შემთხვევაში საქართველო არ ახორციელებს კონგოში გადახდილი გადასახადების ჩათვლას საქართველოში წარმოქმნილი

საგადასახადო ვალდებულებების ანგარიშში. შესაბამისად, მოგების გადასახადის განაკვეთი საქართველოს რეზიდენტი სანარმოსათვის 15 პროცენტიდან 25 პროცენტამდე იზრდება.

საერთაშორისო დაბეგვრის თვალსაზრისით საგადასახადო იურისდიქცია სამ სახედ იყოფა: ტერიტორიულობის, რეზიდენტობის და მოქალაქეობის პრინციპები.

ტერიტორიულობის პრინციპის მიხედვით ქვეყანა მხოლოდ იმ შემოსავლებს ბეგრავს, რომელიც მის გეოგრაფიულ ტერიტორიაზეა მიღებული. ამ პრინციპს, ასევე წყაროს პრინციპი ეწოდება, რადგანაც შემოსავალს ბეგრავს ის ქვეყანა, რომელიც ამ შემოსავლის წყაროა.

რეზიდენტობის პრინციპის მიხედვით ქვეყანა ბეგრავს თავისი რეზიდენტების შემოსავალს მიუხედავად იმისა, ეს შემოსავალი ამ ქვეყნის ტერიტორიაზე(წყაროდან) არის მიღებული, თუ ამ ტერიტორიის გარეთ საქმიანობიდან. რეზიდენტი შეიძლება იყოს, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი. იურიდიული პირის რეზიდენტობა დასტურდება მისი რეგისტრაციის ადგილით, ხოლო ფიზიკური პირის რეზიდენტობის განსაზღვრა ცალკეული ქვეყნების პრეროგატივაა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, როგორც წესი, ქვეყნების უმრავლესობა რეზიდენტად იხილავს იმ ფიზიკურ პირს, რომელიც გარკვეული პირობების დაცვით ამ ქვეყანაში იმყოფება წელიწადში 183 დღეზე მეტხანს.

რეზიდენტებისა და არარეზიდენტების მიმართ არსებობს ე.წ „შეზღუდული და შეუზღუდავი საგადასახადო ვალდებულებები". კერძოდ, „შეუზღუდავი" ვალდებულება ვრცელდება რეზიდენტებზე, რომლის მიხედვით ქვეყანა ბეგრავს თავისი რეზიდენტის ყველა შემოსავალს, სადაც არ უნდა იყოს ის მიღებული. რაც შეეხება არარეზიდენტს, მასზე ერცელდება „შეზღუდული" ვალდებულება ანუ არარეზიდენტი არარეზიდენტმა ქვეყანამ შეიძლება დაბეგროს მხოლოდ იმ შემოსავლების მიხედვით, რაც მას ამ არარეზიდენტ ქვეყანაში აქვს მიღებული.

რაც შეეხება მოქალაქეობის მიხედვით დაბეგვრის პრინციპს, ამ მხრივ აშშ ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც თავის მოქალაქეებს ბეგრავს მთელს მსოფლიოში მიღებული შემოსავლებიდან, მიუხედავად იმისა, თუ რომელი ქვეყნის რეზიდენტია ეს მოქალაქე. ამდენად ამ პრინციპით დაბეგვრა გამონაკლისია და იგი ჩანაცვლებულია რეზიდენტობის პრინციპით.

ზემოაღნიშნული ორი ძირითადი პრინციპი: რეზიდენტობა და ტერიტორიულობა წარმოადგენს განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების საჯილდაო ქვას დაბეგვრის თვალსაზრისით. ამ შემთხვევაში, იმ ფიზიკური და იურიდიული პირების რეზიდენტი ქვეყნები, რომლებიც არარეზიდენტ ქვეყანაში საქმიანობენ, ითხოვენ, რომ მათი რეზიდენტების შემოსავალი დაიბეგროს მათ ქვეყანაში ანუ მათი დაბეგვრის პრინციპი არის რეზიდენტობა. საპირისპირო ინტერესი ამოძრავებს არარეზიდენტი პირების საქმიანობის შესაბამის არარეზიდენტ ქვეყანას. ვინაიდან შემოსავალი ამ არარეზიდენტ ქვეყანაშია მიღებული, მათი მისწრაფებაა – დაბეგვრის ტერიტორიულობის პრინციპი. ყოველივე ამის გამო ჩნდება სწორედ ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების საჭიროება და შესაბამისი ორმხრივი შეთანხმებების დადების აუცილებლობა. რაც უფრო იზრდება ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირები, მით უფრო მეტია ორმაგი დაბეგვრის კონვენციების დადების მიზანშეწონილობა ორივე მხარისათვის. მაგ. ამით არის, გაპირობებული საქართველოს მიერ ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების არსებობა უკერძერობით იმ 48 ქვეყანასთან, რომელთანაც ინვესტიციების თვალსაზრისით შედარებით გააქტიურებულია ურთიერთობებია.

თანამედროვე პირობებში არარეზიდენტი პირი არარეზიდენტ ქვეყანაში შეიძლება საქმიანობდეს სამი ფორმით, რომელთაგან მხოლოდ ერთი ფორმა აძლევს არარეზიდენტ ქვეყანას დაბეგროს მისი შემოსავლები. კერძოდ, ეს ფორმებია: მუდმივი დაწესებულება, დამოუკიდებელი აგენტი ან ექსპორტ – იმპორტის ოპერაციები. ამ შემთხვევაში მხოლოდ მუდმივი დაწესებულების მეშვეობით არარეზიდენტის საქმიანობა ექვემდებარება დაბეგვრას არარეზიდენტ ქვეყანაში.

საქართველოს კანონმდებლობით, თუ საქართველოს სანარმო ახორციელებს ოპერაციას ოფშორულ კომპანიასთან, მიუხედავად იმისა, რომ ეს კომპანიები არ არიან ურთიერთდამოკიდებული პირები, ასეთი ოპერაცია ჩაითვლება კონტროლირებად ოპერაციად ტრანსფერული ფასწარმოქმნის და შესაბამისად ორმაგი ეკონომიკური დაბეგვრის თვალსაზრისით.

დაბეგვრის ასპექტით ოფშორული კომპანიების მიზანია მათ მიერ მთელ მსოფლიოში მიღებული მოგებები „გადაქაჩონ" ოფშორულ ზონებში და შესაბამისად თავი აარიდონ გადასახადებს. სწორედ აქ გამოიყენება ტრანსფერული ფასწარმოქმნის მექანიზმები, რომელზეც ცალკე გვექნება საუბარი.

ოფშორული კომპანია ისეთი სანარმოა, რომელიც საქმიანობას ეწევა თავისი შვილობილი კომპანიების მეშვეობით მთელ მსოფლიოში(ოფშორული კომპანიები არ ეწევიან ეკონომიკურ საქმიანობას ოფშორულ ქვეყნებში და არ იყენებენ ადგილობრივ რესურსებს), ხოლო თვითონ რეგისტრირებულია ოფშორულ ზონაში, სადაც მოქმედებს შემდეგი ძირითადი პრეფერენციები:

ა) გადასახადებისაგან გათავისუფლება ან მინიმალური საგადასახადო ტვირთი;

ბ) საბანკო და კომერციული საიდუმლოების გარანტია;

გ) მკაცრი კონფიდენციალობის გარანტია.

საინტერესოა, რომ ოფშორული ქვეყნები ათავისუფლებენ რა გადასახადებისაგან არარეზიდენტ კომპანიებს, ფისკალური თვალსაზრისით მათგან უშუალო შემოსავლებს არ იღებენ. მიუხედავად ამისა ეს ქვეყნები მოტივირებული არიან შემდეგი ორი ძირითადი ფაქტორის გამო:

ა) სამუშაო ადგილების შექმნა, რადგანაც ამ კომპანიებში დასაქმებული არიან ადგილობრივი კადრები;

ბ) ადგილობრივი ბანკები ინახავენ ოფშორული კომპანიების ფინანსურ სახსრებს, რის შედეგადაც წარმოშობა საკრედიტო რესურსები, რაც ხელს უწყობს ადგილობრივი ბიზნესის განვითარებას.

როგორც აღვნიშნეთ საქართველოსი ნებისმიერი ოპერაცია ოფშორულ კომპანიებთან წარმოადგენს კონტროლირებადს საგადასახადო ორგანოების მიერ. ამასთან, მთავრობის მიერ დადგენილია ის ქვეყნები და ტერიტორები, რომელშიც რეგისტრირებული კომპანიები ჩაითვლებიან ოფშორულ კომპანიებად და შესაბამისად, მათთან საგადასახადო ადმინისტრირების დროს მოქმედებას იწვევს ტრანსფერული ფასწარმოქმნის არსებობა – არარეზიდენტის მტკიცების მექანიზმები. ასეთ ოფშორულ ქვეყნებს განეკუთვნებიან: ანგოლა; ანგილია; ანდორა; ანტიგუა და ბარბუდა; არუბა; აშშ-ის ვირჯინიის კუნძულები; ბარბადოსი; ბაჰამი; ბელიზი; ბერმუდი; ბრიტანული ვირჯინიის კუნძულები; ბრუნეი; გიბრალტარი; გერნსი; გრენადა; დომინიკა; ვანუატუ; კაიმანის კუნძულები; კვიპროსი; კირიბატი; კიურასაო; კუკის კუნძულები; ლიბანი; ლიბერია; ლიხტენშტეინი; მალაიზია; მალდივის რესპუბლიკა; მანის კუნძულები; მაკაო; მაროკო; მარშალის კუნძულები; მარიანის კუნძულები; მავრიკი; მონაკო; მონტსერატი; ნაურუ; ნიდერლანდების ანტილები; ნიკარაგუა; ნიუე; ოლდერნი; ომანი; პაკისტანი; პალაუ; პანამა; პუერტო-რიკო; სარკი; სამოა; სეიშელი; სენტ კიტსი და ნევისი; სენტ ლუსია; სინტ მარტენი; სენტ ვინსენტი და გრენადინები; სოლომონის კუნძულები; ტაივანი; ტონგა; ტუვალუ; ტურკისის და კაიკოს კუნძულები; ურუგვაი; ფიჯი; ფილიპინები; ფრანგული პოლინეზია; წმ. ელენეს კუნძული; ჩილე; ჯიბუტი; ჯერსი; ჰონგ კონგი.

ორმაგი დაბეგვრის ქვეშ, როგორც წესი იგულისხმება პირდაპირი გადასახადებით ორმაგი დაბეგვრა(საშემოსავლო, მოგების, ქონების გადასახადები). შესაბამისად ამ გადასახადებზეა ორიენტირებული ყველა ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულება.

ამასთან, არაპირდაპირი გადასახადებით(საბაჟო გადასახადი(იმპორტის გადასახადი), აქციზი და დამატებული ღირებულების გადასახადი) ორმაგი დაბეგვრა შეიძლება წარმოიშვას ქვეყნებს შორის საქონლის ექსპორტ-იმპორტის დროს. თუ, დაბეგვრის ერთ-ერთ მთავარ კლასიკურ პრინციპებს გავითვალისწინებთ, იგი მდგომარეობს სამართლიანობის პრინციპში, რომლის მიხედვით ერთი და იგივე ღირებულება არ შეიძლება ერთი და იგივე სახის გადასახადით ორჯერ დაიბეგროს. ამასთან, არაპირდაპირი გადასახადებით ორმაგი დაბეგვრა მხოლოდ ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობისას ჩნეს თავს. ამასთან დაკავშირებით საჭიროა მოკლედ განვიხილოთ არაპირდაპირი გადასახადის არსი.

არაპირდაპირი გადასახადის საგადასახადო ტვირთი საბოლოო ჯამში აწვება საქონლის(მომსახურებას არ ვიხილავთ, რადგან მომსახურების იმპორტი არ ხდება) საბოლოო მომხმარებელს. შესაბამისად, თუ საქონლის ექსპორტის დროს ექსპორტის ქვეყანა დაბეგვრავს, მაგალითად დღგ-ით საექსპორტო საქონელს, ეს გადასახადი შეჭა ექსპორტის ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტში. ვინ იქნება ამ გადასახადის გადამხდელი? ბუნებრივია, ყველა არაპირდაპირი გადასახადის გადამხდელი საბოლოო მომხმარებელია. შესაბამისად, მისი გადამხდელი იქნება იმპორტიორი ქვეყნის მომხმარებელი, რომელიც შეიძენს ამ საქონელს. ამ შემთხვევაში ადგილი ექნება ორმაგ დაბეგვრას დღგ-ით, რადგანაც ამ საქონელს საბაჟოზე დღგ-ით დაბეგრავს აგრეთვე იმპორტიორი ქვეყანა. შესაბამისად, ექსპორტიორი ქვეყნის და იმპორტიორი ქვეყნის მიერ დარიცხული დღგ-ს გადამხდელი საქონლის ფასის საშუალებით იქნება იმპორტიორი ქვეყნის მომხმარებელი. შედეგად ვღებულობთ პარადოქსს: ექსპორტიორი ქვეყნის ბიუჯეტში დღგ გადაიხადა იმპორტიორი ქვეყნის მომხმარებელმა იმპორტიორ ქვეყანაში მოხმარებულ საქონელზე. შესაბამისად ეს მომხმარებელი ერთდროულად ავსებს ორი ქვეყნის ბიუჯეტებს, რაც არანორმალური ეკონომიკური მოვლენაა. იგი აფერხებს კაპიტალის მოძრაობას და სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს, რადგანაც ორმაგი დაბეგვრა ზრდის საქონლის ფასებს და ნაკლებკონკურენტუნარიანს ხდის მას.

საქონლის ექსპორტის დაბეგვრას ქვეყნები არ ერიდებიან მაშინ, როდესაც საქონელი თავისთავად არის იშვიათი და მასზე არაელასტიკური მოთხოვნაა მსოფლიო ბაზარზე(მაგ. ხიზილალა).

იმისათვის, რომ თავიდან იქნას არიდებული ზემოაღნიშნული ორმაგი დაბეგვრით გამოწვეული ნეგატიური მოვლენები ქვეყნებმა მიმართეს მეთოდს, რომლის არსი მდგომარეობს საქონლის

დაბეგვრით „დანიშნულების ადგილის" პრინციპით. საწინააღმდეგო პრინციპია საქონლის დაბეგვრა საქონლის „წარმოშობის ადგილის" პრინციპით.

დანიშნულების ადგილის პრინციპის მიხედვით არაპირდაპირი გადასახადებით დაბეგვრა მდგომარეობს იმაში, რომ საქონლის დაბეგვრა უნდა განხორციელდეს იმ ქვეყნის მიერ, სადაც ხდება ამ საქონლის საბოლოო მოხმარება. ამ ქვეყანას იმპორტიორი ქვეყანა ეწოდება.

წარმოშობის ადგილის პრინციპის მიხედვით არაპირდაპირი გადასახადებით დაბეგვრა ხდება საქონლის წარმოების და დამზადების ქვეყანაში(ადეკვატური ტერმინია „წარმოშობის ქვეყანა", რადგანაც იგი დაბეგვრის მიზნებისთვის არ ემთხვევა საქონლის წარმოების ცნებას). ამ ქვეყანას ექსპორტიორი ქვეყანა ეწოდება.

დანიშნულების ადგილის მიხედვით საქონლის დაბეგვრის პრინციპი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმებების უმთავრესი პრინციპია. ამ ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს(მათ შორის საქართველოს) არ აქვთ უფლება საქონლის ექსპორტი დაბეგრონ ისეთი არაპირდაპირი გადასახადებით, როგორიც არის იმპორტის გადასახადი, აქციზი და დღგ.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს არ აქვთ უფლება იმპორტირებულ საქონელზე უფრო მაღალი შიგა გადასახადი ანუ აქციზი და დღგ დააწესონ, ვიდრე ეს დაწესებულია ადგილობრივი საქონლის მიწოდების დროს. ეს უზრუნველყოფს თანარი კონკურენციის პირობების შექმნას და მსოფლიო სასაქონლო ბაზრების განვითარების წინაპირობებს.

6.2.1. ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების სამოდელო კონვენციის ძირითადი პრინციპები (სამოდელო კონვენცია შემოსავალზე და კაპიტალზე (OECD)

„შემოსავლისა და კაპიტალის ორმაგი დაბეგვრის შესახებ" კონვენციის თავდაპირველი ვარიანტი შემუშავებულ იქნა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (ᲝᲔᲗD) მიერ 1963 წელს. შემდგომ ეს კონვენცია, რამდენჯერმე გადაისინჯა და 2008 წლის ვერსიის სახე მიიღო.

კონვენციის ნორმები ვრცელდება პირდაპირ გადასახადებზე, რომელიც შემოსავალზე ან კაპიტალზე გადასახადების სახით არის ცნობილი. ეს გადასახადები საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე არის საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი და ქონების გადასახადი. ვინაიდან არაპირდაპირი გადასახადები ტერიტორიულ ხასიათს ატარებს ორმაგი დაბეგვრი რეგულაციაში არ ექცევა, თუმცა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შესაბამისი კონვენციები ასევე აწესრიგებს არაპირდაპირი გადასახადებით ორმაგი დაბეგვრის გამორიცხვის ნორმებს, რომელიც საქონლის ექსპორტს და იმპორტს უკავშირდება.

კონვენცია დეფინიციას აძლევს იმ ტერმინებს, რომელიც ტექსტშია გამოყენებული. ამ დეფინიციებიდან აღსანიშნავია რეზიდენტისა და მუდმივი დაწესებულების ცნებები, რომელსაც უკავშირდება დაბეგვრის მნიშვნელოვანი ასპექტები არარეზიდენტ ქვეყანაში. ეს დეფინიციები შემდგომ საფუძვლად დაედო ყველა ბილატერალურ (ორმხრივ) კონვენციას ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ.

წინამდებარე კონვენციის მიზნებში ტერმინი "კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოს რეზიდენტი" ნიშნავს პირს, რომელიც ამ სახელმწიფოს კანონმდებლობით ვალდებულია გადაიხადოს გადასახადები მისი საცხოვრებელი ადგილის, რეზიდენტობის, მართვის ადგილმდებარეობის ან მსგავსი ხასიათის სხვა კრიტერიუმის გამო და ეს ტერმინი ასევე მოიცავს სახელმწიფოს, ნებისმიერ პოლიტიკურ დანაყოფს ან ადგილობრივ ხელისუფლებას. მოცემული ტერმინი არ მოიცავს პირს, რომელსაც სახელმწიფოს წინაშე საგადასახადო ვალდებულება ეკისრება მხოლოდ იმ შემოსავალთან მიმართებაში, რომელიც მან ამ სახელმწიფოში ან მის დედაქალაქში მსახურობის დროს მიიღო.

როდესაც ზემოაღნიშნული დებულების შესაბამისად პირი კონვენციის ორივე ხელმომწერი სახელმწიფოს რეზიდენტია, მაშინ მისი სტატუსი შემდეგი დამოკიდებულებით განისაზღვრება:

ა) პირი იმ სახელმწიფოს რეზიდენტად ჩაითვლება, სადაც მისი მუდმივი საცხოვრებელი მდებარეობს; თუ პირს მუდმივი საცხოვრებელი ორივე სახელმწიფოში გააჩნია, იგი მხოლოდ იმ სახელმწიფოს რეზიდენტად ჩაითვლება, რომელთანაც მას უფრო ახლო პირადი და ეკონომიკური კავშირები გააჩნია (ანუ, მისი არსებითი ინტერესების ცენტრია);

ბ) თუ ძნელი გადასაწყვეტია, თუ რომელი სახელმწიფო წარმოადგენს პირის არსებითი ინტერესების ცენტრს, ან თუ მას არც ერთ სახელმწიფოში არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, იგი იმ სახელმწიფოს რეზიდენტად ჩაითვლება, სადაც მას საცხოვრებელი გააჩნია.

გ) თუ პირს საცხოვრებელი ორივე სახელმწიფოში გააჩნია, ან არც ერთ მათგანში, იგი მხოლოდ იმ სახელმწიფოს რეზიდენტად ჩაითვლება, რომლის მოქალაქეც არის.

დ) თუ პირი ორივე სახელმწიფოს მოქალაქეა, კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოები მისი რეზიდენტობის საკითხს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გაარკვევენ.

როდესაც, ფიზიკური პირის გარდა, სხვა პირი ორივე სახელმწიფოს რეზიდენტია, ეს პირი მხოლოდ იმ სახელმწიფოს რეზიდენტად ჩაითვლება, სადაც მისი მმართველი ოფისია განლაგებული.

ამ კონვენციის მიხედვით "მუდმივი დანესებულება" (საწარმო) ნიშნავს ბიზნესს, რომელიც კონკრეტულ ადგილას მდებარეობს და საიდანაც მთლიანად ან ნაწილობრივ ხორციელდება ბიზნესი.

ტერმინი "მუდმივი დანესებულება" მოიცავს:

ა) მართვის ადგილს;

ბ) ფილიალს;

გ) ოფისს;

დ) ქარხანას;

ე) სახელოსნოს;

ვ) მაღაროს, ნავთობის ან გაზის ჭაბურღილს, საბადოს ან მადანის მომპოვებელ სხვა ადგილს.

სამშენებლო უბანი ან სამონტაჟო პროექტი წარმოადგენს მუდმივ დანესებულებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოები 12 თვეზე მეტ ხანს გრძელდება.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ტერმინი "მუდმივი დანესებულება" არ მოიცავს შემდეგს:

ა) შენობების გამოყენებას მხოლოდ დასაწყობებისა და საწარმოს საქონლის დემონსტრაციის, მინდობის ან რეალიზაციის მიზნით;

ბ) საქონლის მარაგის შენახვას, რომელიც საწარმოს ეკუთვნის მხოლოდ დასაწყობების, დემონსტრაციის ან რეალიზაციის მიზნით;

გ) საწარმოს საქონლის მარაგის შენახვას მხოლოდ სხვა საწარმოს მიერ მისი გადამუშავების მიზნით;

დ) ბიზნესის ფიქსირებული მდებარეობის (საწარმოს) შენარჩუნება მხოლოდ საქონლის შესყიდვის ან საწარმოსთვის ინფორმაციის შეგროვების მიზნით;

ე) ბიზნესის ფიქსირებული მდებარეობის (საწარმოს) შენარჩუნება საწარმოსთვის დამხმარე საქმიანობის განსახორციელებლად;

ვ) ბიზნესის ფიქსირებული მდებარეობის (საწარმოს) შენარჩუნება "ა" და "ე" პარაგრაფში ნახსენები საქმიანობების კომბინირებული განხორციელების მიზნით, იმ პირობით, რომ ამ ფიქსირებული მდებარეობის მქონე საწარმოს საერთო საქმიანობა, რომელიც ზემოთხსენებული კომბინირებული საქმიანობის შედეგს წარმოადგენს, დამხმარე ხასიათისაა.

მიუხედავად ზემოაღნიშნული დებულებებისა, როდესაც პირი, გარდა დამოუკიდებელი სტატუსის მქონე აგენტისა, მოქმედებს საწარმოს სახელით და კონვენციის ხელმომწერ სახელმწიფოში გააჩნია საწარმოს სახელით კონტრაქტის გაფორმების უფლებამოსილება, ჩაითვლება, რომ ასეთ საწარმოს გააჩნია მუდმივი წარმომადგენლობა ამ სახელმწიფოში იმ საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელსაც ეს პირი ახორციელებს საწარმოსთვის(გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ პირის საქმიანობა შემოიფარგლება იმ ზემოაღნიშნული საქმიანობით, რომელიც არ წარმოშობს მუდმივ დანესებულებას), თუ იგი ფიქსირებული მდებარეობის მქონე წარმომადგენლობის მეშვეობით ხორციელდება.

საწარმოს, არ ჩაითვლება რომ გააჩნია მუდმივი წარმომადგენლობა კონვენციის ხელმომწერ სახელმწიფოში, თუ იგი თავის საქმიანობას ბროკერის, საკომისიო ანაზღაურებაზე მომუშავე აგენტის, ან დამოუკიდებელი სტატუსის მქონე რომელიმე სხვა აგენტის მეშვეობით ანხორციელებს, იმ პირობით, თუ ასეთი პირები თავის ჩვეული საქმიანობის ფარგლებში მოქმედებენ.

ის გარემოება, რომ კომპანია, რომელიც კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოს რეზიდენტია აკონტროლებს, ან კონტროლირებულია იმ კომპანიის მიერ, რომელიც სხვა კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოს რეზიდენტია, ან რომელიც თავის საქმიანობას ამ სხვა სახელმწიფოში ახორციელებს (მუდმივი წარმომადგენლობის მეშვეობით ან მის გარეშე), თავისთავად არ ნიშნავს, რომ რომელიმე კომპანია სხვა კომპანიის მუდმივი წარმომადგენლობაა.

6.2.1.1 შემოსავალი უძრავი ქონებიდან

შემოსავალი უძრავი ქონებიდან გულისხმობს ყველა იმ შემოსავალს, რაც დაკავშირებულია უძრავი ქონების ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებასთან. აქ არ იგულისხმება უძრავი ქონების გაყიდვით მიღებული შემოსავალი. უძრავ ქონებაში იგულისხმება საქართველოს კანონმდებლობით განმარტებული უძრავი ქონება, ასევე მასთან დაკავშირებული არამატერიალური აქტივები, მაგ. უძრავი ქონების უზურფრუქტი, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების უფლებები. ამასთან, უძრავ

ქონებას არ მიეკუთვნება თვითმფრინავები და გემები.

უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ შემოსავალს მიეკუთვნება, აგრეთვე სოფლის მეურნეობიდან და მეტყევეობიდან მიღებული შემოსავალიც, თუმცა ქვეყნებს ასეთი შემოსავალი შეუძლიათ მიაკუთვნონ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებსაც.

უძრავი ქონებიდან მიღებული შემოსავლები, როგორც წესი, იბეგრება წყაროსთან ანუ იმ ქვეყანაში, სადაც ეს უძრავი ქონება ფიზიკურად მდებარეობს.

6.2.1.2 მოგება ბიზნესიდან

მოგება ბიზნესიდან გულისხმობს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულ მოგებას. რეზიდენტი საწარმოს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული მოგება იბეგრება იმ სახელმწიფოში, რომლის რეზიდენტიც არის ეს საწარმო. თუ რეზიდენტ საწარმოს აქვს მუდმივი დაწესებულება, მაშინ მუდმივი დაწესებულების მოგება დაიბეგრება იმ სახელმწიფოში, სადაც არსებობს (რეგისტრირებულია) მუდმივი დაწესებულება. მაგ. საქართველოს რეზიდენტმა შპს"ყაზბეგმა" ხორვატიაში შექმნა მუდმივი დაწესებულება. შპს „ყაზბეგმა" წლის განმავლობაში მიიღო მოგება 100 ლარის ოდენობით, საიდანაც მისი მუდმივი დაწესებულების მოგების წილი არის 30 ლარი. 30 ლარი, როგორც მუდმივი დაწესებულების მიერ მიღებული მოგება დაიბეგრება ხორვატიაში. სხვა შემთხვევაში ანუ მუდმივი დაწესებულების გარეშე არარეზიდენტი საწარმოს დაბეგვრა აკრძალულია.

6.2.1.3 გადაზიდვები, ქვეყნის შიგა საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტი

შემოსავლები, რომელიც მიღებულია საერთაშორისო გადაზიდვებიდან საჰაერო და საწყლოსნო ტრანსპორტის გამოყენებით იმ ქვეყანაში შეიძლება დაიბეგროს, რომლის რეზიდენტიც არის გადამზიდავი საწარმო ან სადაც ამ გადამზიდავი საწარმოს რეალური მმართველი ოფისი მდებარეობს.

საწარმოს რეალური მმართველი ოფისი არის ის საწარმო, რომლის დაქვემდებარებაში არის საწარმო, რომელიც ახორციელების შესაბამისი სატრანსპორტო საშუალებების ოპერირებას (ექსპლოატაციას) და საერთაშორისო გადაზიდვას. ასეთი ოფისის მდებარეობა შეიძლება არ ემთხვეოდეს ოპერატორი საწარმოს რეზიდენტობის ადგილს. მაგ. თვითმფრინავის ოპერირებას ახორციელებს გერმანიის რეზიდენტი, ხოლო გერმანიის რეზიდენტის დამფუძნებელი კომპანია ანუ რეალური მმართველი ოფისი მდებარეობს საფრანგეთში.

შესაბამისად არსებობს ორი მისაღები სქემა:

ა) იმ შემთხვევაში, როდესაც გემებისა და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების გზით საწარმო საერთაშორისო გადაზიდვების განხორციელებიდან იღებს მოგებას, ხოლო რეალური მმართველი ოფისი სხვა ქვეყანაში მდებარეობს, ვიდრე ეს საწარმო, მაშინ ამ საწარმოს მოგება დაიბეგრება ამ საწარმოს რეზიდენტობის ქვეყანაში;

ბ) იმ შემთხვევაში, როდესაც გემებისა და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების გზით საწარმო საერთაშორისო გადაზიდვების განხორციელებიდან იღებს მოგებას, ხოლო რეალური მმართველი ოფისი სხვა ქვეყანაში მდებარეობს, ვიდრე ეს საწარმო, მაშინ ამ საწარმოს მოგება დაიბეგრება რეალური მმართველი ოფისის ქვეყანაში.

6.2.1.4 დივიდენდი

რეზიდენტი საწარმოს მიერ არარეზიდენტი საწარმოსათვის გადახდილი დივიდენდები შეიძლება არარეზიდენტი საწარმოს სახელმწიფომ დაბეგროს. ეს დივიდენდები შეიძლება რეზიდენტი საწარმოს სახელმწიფომაც დაბეგროს იმ შემთხვევაში, თუ დივიდენდის რეალური მიმღები ანუ ბენეფიციური მფლობელი არის არარეზიდენტი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში დივიდენდების განაკვეთები არ უნდა აღემატებოდეს 5 პროცენტს ან 15 პროცენტს. არაუმეტეს 5 პროცენტი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ არარეზიდენტის წილი რეზიდენტის კაპიტალში მინიმუმ 25 პროცენტს შეადგენს. სხვა შემთხვევაში – დივიდენდის განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს 15 პროცენტს. 5 პროცენტის დაწესება ხელს უშლის იმ ქვეყნის ფისკალურ ინტერესებს, რომელიც გასცემს დივიდენდს, ვინაიდან შვილობილი საწარმო (რომლის 25 პროცენტს და მეტს არარეზიდენტი ფლობს) და სხვა საწარმო, რომლებიც გასცემენ არარეზიდენტზე დივიდენდებს, ორივე რეზიდენტი საწარმოებია. ამდენად, განვითარებადი ქვეყნებისათვის ეს მომენტი მიუღებელია.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობით არარეზიდენტი საწარმოს ან არარეზიდენტი

საწარმოს მუდმივი დაწესებულების ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის მუდმივი დაწესებულების მიერ მიღებული დივიდენდები იბეგრება გადახდის წყაროსთან 5 პროცენტიანი განაკვეთით.

თუ არარეზიდენტ საწარმოს მეორე ქვეყანაში აქვს მუდმივი დაწესებულება და ამ მუდმივი დაწესებულების მეშვეობით იღებს ამ ქვეყნის რეზიდენტი საწარმოსაგან დივიდენდებს, მაშინ დივიდენდები არ ექვემდებარება დაბეგვრას არც რეზიდენტის და არც არარეზიდენტის ქვეყანაში. ასეთ შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით დივიდენდი ჩაითვლება არარეზიდენტი საწარმოს(ანუ მუდმივი დანესებულების) შემოსავლად, რომელიც არ შედის მის ერთობლივ შემოსავალში.

თუ არარეზიდენტი საწარმო საქმიანობას ახორციელებს მაგ. საქართველოში მუდმივი დაწესებულების მეშვეობით და ამავე დროს ეს არარეზიდენტი საწარმო დივიდენდს იღებს რეზიდენტი საწარმოსაგან მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ანუ ამ დივიდენდებს ფლობს მუდმივი დაწესებულება, მაშინ ეს დივიდენდები არ ჩაირთვება მუდმივი დაწესებულების ერთობლივ შემოსავალში და შესაბამისად დაბეგვრას არ ექვემდებარება. განმსაზღვრელი კრიტერიუმი აქ ის არის, რომ მუდმივი დაწესებულება უნდა იყოს დივიდენდის უშუალო მიმღები და, როგორც ასეთი, მას უნდა ეკუთვნოდეს შესაბამისი წილი ან აქციები, რომელიც დივიდენდების მიღების საფუძველია. ამასთან, რეზიდენტი სახელმწიფოს მიერ არ იბეგრება ასევე არარეზიდენტის მიერ მიღებული გაუნაწილებელი მოგება.

6.2.1.5 პროცენტი

პროცენტი, როგორც შემოსავალი, რომელსაც არარეზიდენტი იღებს შეიძლება დაიბეგროს არარეზიდენტი პირის სახელმწიფოში. ასეთი შემოსავალი შეიძლება დაიბეგროს იმ ქვეყანაშიც, საიდანაც არარეზიდენტმა პირმა მიიღო ეს შემოსავალი. ამ დროს გადასახადი არ უნდა აღემატებოდეს 10 პროცენტს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობით არარეზიდენტებთან და მათ მუდმივ დანესებულებასთან დაკავშირებული პროცენტების დაბეგვრა შემდეგნაირად ხორციელდება:

ა) არარეზიდენტი საწარმოს ან არარეზიდენტი საწარმოს მუდმივი დაწესებულების ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის მუდმივი დაწესებულების მიერ მიღებული პროცენტები იბეგრება გადახდის წყაროსთან 5 პროცენტიანი განაკვეთით;

ბ) არარეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ მიღებული პროცენტები, რომელიც დაიბეგრა გადახდის წყაროსთან, არ ჩაირთვება ამ პირის ერთობლივ შემოსავალში და შემდგომ დაბეგვრას არ ექვემდებარება;

გ) არარეზიდენტი საწარმოს მუდმივი დაწესებულების მიერ მიღებული საქართველოში გადახდის წყაროსთან დაბეგრილი პროცენტები შესაძლებელია ჩათვლილ იქნეს.

ზემოაღნიშნული ნორმები პროცენტის რეინვესტირების შემთხვევაში არ მოქმედებს 2014 წლის პირველ იანვრამდე. ამასთან მოქმედებს შემდეგი ნორმა:

2014 წლის 1 იანვრამდე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 131-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში გადახდილი პროცენტი დაიბეგრება გადახდის წყაროსთან 0 – პროცენტიანი განაკვეთით, თუ კმაყოფილდება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

ა) პროცენტის მიმღებ საწარმოს პროცენტის თანხა შეაქვს პროცენტის გამცემი საწარმოს კაპიტალში;

ბ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 131-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში გადახდილი პროცენტის გადახდის წყაროსთან 5 – პროცენტიანი განაკვეთით დაბეგვრის მოქმედების პერიოდში არ შემცირდება პროცენტის გამცემი საწარმოს კაპიტალი.

ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, თუ პროცენტის მიმღები არის არარეზიდენტი საწარმო, პროცენტის გამცემი საწარმოს მიერ გადახდილი პროცენტი არ ექვემდებარება ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვას, ხოლო უკვე გამოქვითული ხარჯი ექვემდებარება ერთობლივ შემოსავალში ჩართვას იმ პერიოდში, რომელშიც სესხის პროცენტი შეტანილ იქნა პროცენტის გამცემი საწარმოს საწესდებო კაპიტალში.

კაპიტალის შემცირებისთვის დადგენილი ვადის დარღვევის შემთხვევაში კაპიტალში შეტანილი პროცენტი ექვემდებარება დაბეგვრას მისი კაპიტალში შეტანის მომენტისთვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, თუ არარეზიდენტი პირი საქმიანობას ახორციელებს მუდმივი დაწესებულების მეშვეობით, ხოლო საპროცენტო შემოსავალს ღებულობს ასევე მუდმივი დაწესებულების მეშვეობით, მაშინ ასეთი შემოსაელები მუდმივ დაწესებულების შემოსავლად ითვლება და შეიძლება არ დაიბე-

გროს გადახდის წყაროსთან.

იმ შემთხვევაში, თუ არარეზიდენტი პირი სესხს იღებს სხვა პირისაგან და ეს სესხი განკუთვნილია არარეზიდენტი პირის მუდმივი დაწესებულებისათვის, რომელიც ვთქვათ მდებარეობს საქართველოში, და სესხის შესაბამის პროცენტებს იხდის მუდმივი დაწესებულება, მაშინ ითვლება, რომ საპროცენტო შემოსავლის წყარო არის მუდმივი დაწესებულების ქვეყანა.

თუ არარეზიდენტი პირი და რეზიდენტი პირი ურთიერთდამოკიდებულები არიან და რეზიდენტი პირისაგან არარეზიდენტი ღებულობს უფრო მეტ პროცენტს, ვიდრე ჩვეულებრივ პირობებში იქნებოდა შესაძლებელი, მაშინ პროცენტის ნამეტი თანხა დაიბეგრება რეზიდენტი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად. ეს საკითხი ტრანსფერულ ფასწარმოქმნას უკავშირდება და მას ჩვენ ცალკე განვიხილავთ.

6.2.1.6 როიალტი

როიალტთან მიმართებით სამოდელო კონვენცია იმპერატიულად მოითხოვს, რომ როიალტის სახით არარეზიდენტის მიერ მიღებული შემოსავალი დაიბეგროს არარეზიდენტის ქვეყანაში.

იმ შემთხვევაში, თუ არარეზიდენტი მუდმივი დაწესებულების მეშვეობით იღებს როიალტს, მაშინ ეს როიალტი ექვემდებარება დაბეგვრას წყაროსთან, როგორც ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავალი.

თუ არარეზიდენტი პირი და რეზიდენტი პირი ურთიერთდამოკიდებულები არიან რეზიდენტი პირისაგან ღებულობს არარეზიდენტი ღებულობს უფრო მეტ როიალტს, ვიდრე ჩვეულებრივ პირობებში იქნებოდა შესაძლებელი, მაშინ როიალტის ნამეტი თანხა დაიბეგრება რეზიდენტი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად. ეს საკითხი ტრანსფერულ ფასწარმოქმნას უკავშირდება და მას ჩვენ ცალკე განვიხილავთ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობით არარეზიდენტი პირებისათვის გადახდილი როიალტი გადახდის წყაროსთან დაბეგვრის რეგულაციაში განიხილება, როგორც მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი და იბეგრება წყაროსთან 10 პროცენტის ოდენობით.

6.2.1.7 მოგება კაპიტალიდან

მოგება კაპიტალიდან ნიშნავს უძრავი და მოძრავი ქონების გასხვისებიდან მიღებულ შემოსავლებს. ამ ტერმინს ზოგჯერ უწოდებენ „კაპიტალის მატებიდან" მიღებულ შემოსავალს.

არარეზიდენტის კუთვნილი და სხვა სახელმწიფოში მდებარე უძრავი ქონების რეალიზაციით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი დაიბეგრება უძრავი ქონების ადგილსამყოფელ ქვეყანაში.

არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულების კუთვნილი მოძრავი ქონებიდან მიღებული შემოსავალი, როგორც მუდმივი დაწესებულების ქონების შემადგენელი ნაწილის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი დაიბეგრება იმ სახელმწიფოში, სადაც ეს მუდმივი დანესებულება მდებარეობს.

საერთაშორისო ან შიგა გადაზიდვების განმახორციელებელი გემების ან თვითმფრინავების გამოყენებასთან დაკავშირებული მოძრავი ქონების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი დაიბეგრება იმ ქვეყანაში, სადაც მდებარეობს შესაბამისი მმართველი ოფისი ანუ მენეჯმენტი.

არარეზიდენტი, რომელიც აქციების გაყიდვიდან მიიღებს მოგებას და ამ აქციების ღირებულების 50 პროცენტზე მეტი უკავშირდება უძრავ ქონებას (უძრავი ქონების აქციები) და ეს მოგება პირდაპირ ან არაპირდაპირ არის მიღებული სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე (მაგ. საქართველო) მდებარე უძრავი ქონებიდან, დაიბეგრება სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე(საქართველოში).

ზემოაღნიშნული ქონების გარდა სხვა ქონების რეალიზაციიდან არარეზიდენტის მიღებული შემოსავლები დაიბეგრება არარეზიდენტის ქვეყანაში.

6.2.1.8 შემოსავალი დასაქმებიდან

დასაქმებიდან შემოსავალში იგულისხმება ხელფასი მისი ნებისმიერი ფორმით. შესაბამისად, არარეზიდენტის მიერ მიღებული ხელფასი მხოლოდ იმ სახელმწიფოში იბეგრება, სადაც გამომუშავებულ იქნა ეს ხელფასი. თუმცა ამ ნორმასაც აქვს გამონაკლისი. კერძოდ, პირის(არარეზიდენტის) მიერ სხვა სახელმწიფოში მიღებული ხელფასი შეიძლება დაიბეგროს მისი რეზიდენტობის ქვეყანაში შემდეგი ერთ-ერთი პირობის არსებობისას:

ა) პირი სხვა სახელმწიფოში იმყოფებოდა შესაბამისი ფისკალური წლის განმავლობაში 183

დღეზე ნაკლები ხნის განმავლობაში;

ბ) სხვა ქვეყანაში პირის ანაზღაურება გადახდილია იმ დამსაქმებლის მიერ(ან მისი სახელით), რომელიც არ არის ამ ქვეყნის რეზიდენტი;

გ) ანაზღაურება არ არის გადახდილი დამსაქმებლის მუდმივი დაწესებულების მიერ

საერთაშორისო გადაზიდვების განმახორციელებელ თვითმფრინავზე ან გემზე ან შიგა წყლების გემზე დასაქმების შედეგად მიღებული ხელფასი შეიძლება დაიბეგროს იმ სახელმწიფოს მიერ, სადაც შესაბამისი მმართველი ოფისი ანუ მენეჯმენტი მდებარეობს.

6.2.1.9 დირექტორების ანაზღაურება

დასაქმების შემოსავლის დაბეგვრის ზოგიერთი ნორმისაგან განსხვავებით დირექტორების ანაზღაურება იმპერატიულ მოთხოვნას არ აყენებს. კერძოდ, თუ არარეზიდენტი პირი არის მეორე სახელმწიფო რეზიდენტი საწარმოს დირექტორი(დირექტორთა საბჭოს წევრი), მაშინ მისი ხელფასი შეიძლება ამ საწარმოს რეზიდენტობის სახელმწიფოში დაიბეგროს.

6.2.1.10 ხელოვნებისა და სპორტის სფეროს წარმომადგენლები

არარეზიდენტი ხელოვანებისა და სპორტსმენების მიერ სხვა სახელმწიფოში თავიანთი პროფესიული საქმიანობიდან მიღებული შემოსაველები შეიძლება ამ სახელმწიფოში დაიბეგროს.

თუ ამ სფეროს წარმომადგენლები შემოსავალს იღებენ სხვა სახელმწიფოში სხვა პირის სახელით(ანუ როდესაც სხვა პირს ერიცხება ეს შემოსავალი), მაშინ დაბეგვრის შემდეგი სამი სქემა გამოიყოფა:

ა) როდესაც სპორტსმენების გუნდის შემოსავალს იღებს მმართველი კომპანია, რომელიც არ არის იურიდიული პირი;

ბ) როდესაც ხელოვანებისა და სპორტსმენების შემოსავალს იღებს ორკესტრი, დასი ან სხვა გუნდი და იგი წარმოადგენს იურიდიულ პირს;

გ) როდესაც ხელოვანებისა და სპორტსმენების შემოსავალს იღებს საწარმო(კომპანია) და ამ საწარმოს არ წარმოეშობა მეორე სახელმწიფოში მუდმივი დაწესებულება და შესაბამისად გადასახადის გადახდის ვალდებულება.

ზემოაღნიშნულ სამივე შემთხვევაში იმ ქვეყანას, სადაც მიღებულ იქნა შემოსავლები, უფლება აქვს დაბეგროს ეს შემოსავლები.

6.2.1.11 პენსია

პენსიაში იგულისხმება წარსული შრომის შედეგად გადახდილი რეგულარული ანაზღაურება. ამასთან იგი შეიძლება იყოს ერთჯერადი ანაზღაურებაც. მაგ. დასაქმებული პირის ქვრივისთვის ან ბავშვებისთვის გადახდილი კომპენსაციები.

პენსია შეიძლება გადახდილ იყოს კერძო პირების მიერ ან სახელმწიფოს მიერ.

პენსია, როგორც წესი, რომელსაც რეზიდენტი ღებულობს იბეგრება რეზიდენტი სახელმწიფოს მიერ. ამასთან, თუ პენსიას სახელმწიფო უხდის პირს, მაშინ ეს პენსია ამ სახელმწიფოში დაიბეგრება, ხოლო თუ ეს პირი სხვა სახელმწიფოს რეზიდენტი ან მოქალაქეა, მაშინ დაბეგვრა მოხდება ამ უკანასკნელ სახელმწიფოში.

კონვენციის მიხედვით, ვინაიდან სხვადასხვა სახელმწიფო პენსიებს სხვადასხვანაირად ბეგრავს, გამოიყოფა შემდეგი ოთხი ძირითადი სქემა:

ა) შემოსავლის წყარო სახელმწიფოს დაბეგვრის ექსკლუზიური უფლება აქვს(ამ შემთხვევაში მხოლოდ ეს სახელმწიფო ბეგრავს შემოსავალს);

ბ) შემოსავლის წყარო სახელმწიფოს დაბეგვრის არაექსკლუზიური უფლება აქვს(ამ შემთხვევაში შემოსავალი შეიძლება დაიბეგროს, როგორც რეზიდენტის, ასევე წყაროს ქვეყანაში);

გ) შემოსავლის წყარო სახელმწიფოს დაბეგვრის შეზღუდული უფლება აქვს(ამ შემთხვევაში შემოსავალი იბეგრება წყაროსთან, მაგრამ რეზიდენტის სახელმწიფოს შეუძლია, ასევე დაბეგროს ეს შემოსავალი წყარო სახელმწიფოში გადახდილი გადასახადის ჩათვლის გათვალისწინებით;

დ) შემოსავლის წყარო სახელმწიფოს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს დაბეგვრის უფლება, თუ რეზიდენტობის მიხედვით სახელმწიფო არ დაბეგრავს ამ შემოსავალს(ამ შემთხვევაში შემოსავალი იმიტომ იბეგრება წყარო სახელმწიფოში, რომ რეზიდენტის სახელმწიფო ამ შემოსავალს ათავისუფლებს).

6.2.1.12 საჯარო სამსახური

კონვენციის იმპერატიული მოთხოვნაა, რომ საჯარო სამსახურში დასაქმებული არარეზიდენტი პირების მიერ მიღებული შემოსავალი იბეგრება მხოლოდ წყარო სახელმწიფოში. ამასთან, კონვენცია უშვებს შემთხვევებს, როდესაც დაბეგვრა სხვაგვარადაც შეიძლება განხორციელდეს. მაგ. ვენის დიპლომატიური კონვენციის მიხედვით მიმღები სახელმწიფო უფლებამოსილია დაბეგროს დიპლომატიური მისიებისა და საკონსულოების გარკვეული კატეგორიის პერსონალის ანაზღაურება, რომლებიც ამ სახელმწიფოს მოქალაქეები ან რეზიდენტები არიან. მაგ. საქართველოში აშშ-ს საელჩოში მომუშავე საქართველოს მოქალაქეების მიერ მიღებული ხელფასი იბეგრება საქართველოს მიერ.

6.2.1.13 სტუდენტები

არარეზიდენტი სტუდენტები, რომლებიც მეორე ქვეყანაში სწავლობენ ან გადიან სტაჟირებას და შესაბამის სახსრებს ღებულობენ თავისი რეზიდენტი ქვეყნიდან არ დაიბეგრებიან არარეზიდენტ ქვეყანაში. ეს თანხები არ უნდა იყოს იმაზე მეტი, რაც აუცილებელი იქნებოდა სტუდენტის განათლების, საცხოვრებლის და ტრენინგების დასაფინანსებლად.

თუ, სტუდენტებისათვის შესაბამისი თანხები გადარიცხულია არა სტუდენტების რეზიდენტი ქვეყნიდან, არამედ იმ ქვეყნიდან სადაც ისინი სწავლობენ, მაშინ ეს სახსრები არ ითვლება გასათავისუფლებელ სახსრებად.

6.2.1.14 სხვა შემოსავლები

არარეზიდენტის მიერ მიღებული სხვა შემოსავლები, რომლებიც არ არის აღწერილი ზემოთ არცერთ პოზიციაში, დაიბეგრება მხოლოდ ამ არარეზიდენტის რეზიდენტ ქვეყანაში. ამასთან, თუ პირი კონვენციის მხარის რეზიდენტია ან კონვენციის ორივე მხარის რეზიდენტია და სხვა შემოსავალს იღებს მესამე სახელმწიფოდან, მაშინაც ამ შემოსავლის დაბეგვრის პრეროგატივა აქვს იმ სახელმწიფოს, რომლის რეზიდენდადაც საბოლოო ჯამში გამოდის პირი. აქვე აღსანიშნავია, რომ თუ ეს რეზიდენტი სახელმწიფო არ დაბეგრავს ამ შემოსავალს, სხვა შესაბამის სახელმწიფოს არა აქვს უფლება დაბეგროს იგი.

6.2.1.15 კაპიტალის დაბეგვრა

კაპიტალის დაბეგვრის ქვეშ იგულისხმება ქონების დაბეგვრა ქონების გადასახადით. კონვენცია განასხვავებს უძრავი და მოძრავი ქონების დაბეგვრას.

უძრავი ქონება, რომელიც არარეზიდენტის საკუთრებაა და მდებარეობს მეორე ქვეყანაში, შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე ქვეყნის მიერ.

მოძრავი ქონება, რომელიც არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას ეკუთვნის, შეიძლება დაიბეგროს იმ ქვეყანაში, სადაც მდებარეობს მუდმივი დაწესებულება.

საერთაშორისო გადაზიდვების ან შიგა წყლებში გადაზიდვების განმახორციელებელი თვითმფრინავების და გემების ოპერირებასთან დაკავშირებით მოძრავი ქონების დაბეგვრა ხდება მხოლოდ იმ სახელმწიფოს მიერ, სადაც მათი მმართველი ოფისი(მენეჯმენტი) იმყოფება.

სხვა კაპიტალი, მხოლოდ ამ კაპიტალის მფლობელის რეზიდენტ ქვეყანაში დაიბეგრება.

6.2.1.16 დიპლომატიური მისიები

დიპლომატიური წარმომადგენლობის თანამშრომლების შემოსავლები ექვემდებარება იმ ქვეყანაში დაბეგვრას, რომლის რეზიდენტებსაც ისინი წარმოადგენენ. ამასთან, საელჩოების, საკონსულოების და სხვა დიპლომატიური წარმომადგენლობების საქმიანობაზე შესაბამის არარეზიდენტ ქვეყნებში ვრცელდება დადგენილი საგადასახადო შეღავათები, რაც მდგომარეობს გადასახადებისაგან გათავისუფლებაში.

6.2.1.17 ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების მეთოდები

იმ შემთხვევაში, როდესაც კონენციაში იმპერატიულად არის მოთხოვნილი, რომ შემოსავალი ან

კაპიტალი იბეგრება „მხოლოდ ამ სახელმწიფოში", მაშინ მეორე სახელწიფო ვალდებულია გაათავისუფლოს ეს შემოსავალი ან კაპიტალი.

იმ შემთხვევაში, როდესაც კონვენციით გათვალისწინებულია, რომ შემოსავალი ან კაპიტალი „შეიძლება დაიბეგროს მოცემულ სახელმწიფოში" იმას ნიშნავს, რომ ორივე ხელშემკვრელ სახელმწიფოს აქვს უფლება მისი დაბეგვრის სხვადასხვა შეზღუდვებით. სწორედ ამ დროს წარმოიშობა ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების საჭიროება.

შესაბამისად ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილება ხდება ორი მეთოდით: გადასახადებისაგან გათავისუფლებით ან ამ გადასახადების ჩათვლით.

პირველი მეთოდი ნიშნავს, რომ თუ არარეზიდენტი პირი დაბეგრა არარეზიდენტმა ქვეყანამ, მაშინ, რეზიდენტი ქვეყანა ათავისუფლებს ამ პირს შესაბამისი გადასახადისაგან და ამით ორმაგი იურიდიული დაბეგვრა გამოირიცხება.

მეორე მეთოდი ნიშნავს, რომ ორივე ქვეყანა ბეგრავს პირს გადასახადებით, მაგრამ არარეზიდენტი ქვეყნის მიერ ამოღებული გადასახადები გაითვალისწინება რეზიდენტი ქვეყნის მიერ და ეს გადასახადები გამოიქვითება გადახდის დროს. ამასთან, გამოქვითვის დროს გაითვალისწინება მხოლოდ გადასახადის ოდენობა, რომელიც არ აღემატება რეზიდენტი ქვეყნის მიერ დარიცხული გადასახადის ოდენობას. მაგ. საქართველოს რეზიდენტ საწარმოს აქვს გერმანიაში მუდმივი დაწესებულება, რომელმაც გერმანიაში საანგარიშო წლის განმავლობაში მიიღო დასაბეგრი მოგება 100 ევროს ოდენობით. ვთქვათ, გერმანიაში მოგების გადასახადი შეადგენს დასაბეგრი მოგების 10 პროცენტს, ხოლო საქართველოში – 15 პროცენტს. ვთქვათ, კონვენციით ორივე ქვეყანა ბეგრავს ამ შემოსავალს. ასეთ შემთხვევაში, გერმანია დაბეგრავს არარეზიდენტს 10 ევროთი, ხოლო საქართველო – 5 ევროთი(შესაბამისი ლარით), ვინაიდან 10 ევროს ჩაუთვლის გადახდილად.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით მხოლოდ საწარმოები ექვემდებარება შესაბამისი გადასახადების ჩათვლას, ხოლო ფიზიკური პირები გათავისუფლებული არიან საშემოსავლო გადასახადისაგან. კერძოდ, შემოსავალზე, რომელიც მიღებული არ არის საქართველოში არსებული წყაროდან, საქართველოს ფარგლებს გარეთ გადახდილი მოგების გადასახადის თანხები ჩაითვლება შესაბამისი საგადასახადო წლისათვის ამ მოგებაზე საქართველოში გადასახადის გადახდისას, ხოლო ჩათვლილი თანხების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გადასახადების იმ თანხების ოდენობას, რომლებიც დარიცხული იქნებოდა საქართველოში ამ მოგებაზე საქართველოში მოქმედი წესითა და განაკვეთებით.

6.3. საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების პრინციპები

საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციები ეწოდება საქართველოს საწარმოს მიერ განხორციელებულ ფინანსურ ან კომერციულ ოპერაციას ურთიერთდამოკიდებულ საწარმოსთან, რომელიც არ არის საქართველოს საწარმო ან ოფშორულ და შეღავათიანი დაბეგვრის ქვეყანაში რეგისტრირებულ სანარმოსთან. ასეთ შემთხვევაში ურთიერთდამოკიდებული საწარმოები ცდილობენ დასაბეგრი მოგება გადაქაჩონ მათთვის ხელსაყრელ დაბეგვრის იურისდიქციაში ან მოახდინონ ოფშორულ ზონაში აკუმლირებული თანხების ლეგალიზება.

თუ დგინდება, რომ ადგილი აქვს საერთაშორისო კონტროლირებულ ოპერაციებს, იგი უნდა შეუდარდეს ანალოგიური ხასიათის დამოუკიდებელ ოპერაციას და შესაბამისად განისაზღვროს ოპერაციის ფასი.

როგორც აღვნიშნეთ კონტროლირებად ოპერაციას ორი პირდაპირი საფუძველი აქვს: ურთიერთდამოკიდებული პირები და ოფშორული ქვეყნის პირები. ამ უკანასკნელი ქვეყნების ნუსხა ჩვენ განვიხილეთ შემოსავლის გადახდის წყაროსთან დაბეგვრის თავში. რაც შეეხება „ურთიერთდამოკიდებული პირების" ცნებას, ორი პირი ურთიერთდამოკიდებულია კონტროლირებადი ოპერაციის მიზნებისათვის, თუ:

ა) ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს მეორე პირის მართვაში, კონტროლში ან კაპიტალში;

ბ) ერთი და იგივე პირები პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობენ ორი პირის მართვაში, კონტროლში ან კაპიტალში.

ამასთან, პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს საწარმოს მართვაში, კონტროლში ან კაპიტალში, თუ: იგი პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს საწარმოს 50 პროცენტზე მეტს; იგი პრაქტიკულად ახორციელებს საწარმოს სამეწარმეო გადაწყვეტილებების კონტროლს.

პირი, რომელიც მონაწილეობას აპირებს საერთაშორისო კონტროლირებად ოპერაციებში,

უფლებამოსილია წინასწარ, ოპერაციის განხორციელებამდე მიმართოს საგადასახადო ორგანოს კონტროლირებადი ოპერაციების ფასების შეთანხმების მიზნით. ამ შემთხვევაში საგადასახადო ორგანოსა და ამ პირს შორის იდება ხელშეკრულება პირის მიერ წინასწარ განსაზღვრული ფასების გამოყენების შესახებ, რომელიც შემდგომ კორექტირებას არ დაექვემდებარება.

6.4. საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შეფასების მეთოდები

საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შესაბამისი საბაზრო ფასების დადგენის მიზნით საგადასახადო ორგანოები იყენებენ სხვადასხვა მეთოდებს, რომელიც აპრობირებულია საერთაშორისო პრაქტიკაში. ეს მეთოდებია: შედარებადი დამოუკიდებელო ფასის მეთოდი, გადაყიდვის ფასის მეთოდი, ფასნამატის მეთოდი, წმინდა მარჟის მეთოდი, მოგების გაყოფის მეთოდი.

6.4. 1 შედარებადი დამოუკიდებელი ფასის მეთოდი

შედარებადი დამოუკიდებელი ფასის მეთოდის მიხედვით, შედარება მიმდინარეობს ძირითადად მიწოდებული საქონლისა და მომსახურების ფასის მიხედვით, რომელიც ედრება შესადარის გარემოებებში განხორციელებულ შესადარის დამოუკიდებელ ოპერაციებზე დადებულ ფასს.

კონტროლირებულ და დამოუკიდებელ ოპერაციებზე დადებულ ფასებში განსხვავების არსებობა შეიძლება იმის მიმანიშნებელი იყოს, რომ ურთიერთდამოკიდებულ პირთა შორის ფინანსური და სხვა სახის ურთიერთობების პირობები არ შეესაბამება საბაზრო პრინციპს, რის შედეგადაც კონტროლირებული ოპერაციის ფასი შეიძლება ჩანაცვლებულ იქნეს დამოუკიდებელი ოპერაციის ფასით.

შედარებადი დამოუკიდებელი მეთოდის გამოყენებისას, აუცილებელია კორექტირების განხორციელება ფასებზე იმ არსებითი ეფექტის გამოსარიცხად, რასაც შესადარებელ საქონელს ან მომსახურებებს შორის არსებული ნებისმიერი განსხვავება შეიძლება ინვევდეს. ამ მიზნით, ყველა შემდეგი კონკრეტული პირობა უნდა იყოს შესადარისი ან საიმედოდ კორექტირებადი:

ა) არამატერიალური ქონების მონაწილეობა;
ბ) გეოგრაფიული ადგილმდებარეობა/ბაზარი;
გ) წილი ბაზარზე;
დ) გარანტიების გაცემა ან სხვა გაყიდვის შემდგომი მომსახურება;
ე) განსხვავება პროდუქტის ფუნქციებში და ამ ფუნქციების ხარისხში;
ვ) პროდუქტის ფიზიკური მსგავსების ხარისხი;
ზ) გაყიდვების ან შესყიდვების (პარტიების) მოცულობა (თუ მოცულობა გავლენას ახდენს ფასზე) და რელევანტური სავაჭრო პირობები;
თ) საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული მომსახურება;
ი) შესაბამისი ხელშეკრულების ხანგრძლივობა და უწყვეტი მიწოდების მნიშვნელობა;
კ) ხელშეკრულების გაფორმების თარიღის/ვადების გავლენა ფასებზე; და
ლ) სახელმწიფო რეგულირების გავლენა მიწოდებაზე ან ფასებზე.

მეთოდის ძლიერი მხარეა ის, რომ თუ მოიძებნება შესადარისი დამოუკიდებელი ოპერაცი(ებ)ი,შედარებადი დამოუკიდებელი ფასის მეთოდი არის საბაზრო პრინციპის გამოყენების ყველაზე პირდაპირი და სიმედო მეთოდი. შესაბამისად, ასეთ შემთხვევებში, აღნიშნულ მეთოდს უპირატესობა ენიჭება სხვა მეთოდებთან შედარებით.

მეთოდის სუსტი მხარეა ის, რომ, ხშირად რთული ან შეუძლებელია დამოუკიდებელ და კონტროლირებულ ოპერაციებს შორის არსებული ყველა ისეთი განსხვავების კორექტირება, რომელიც არსებით გავლენას ახდენს ფასზე.

6.4. 2 გადაყიდვის ფასის მეთოდი

გადაყიდვის ფასის მეთოდის მიხედვით, შედარება იწყება ფასიდან, რომელიც, დაკავშირებულ პირთან საქონლის ან მომსახურების შეძენის შემდგომ, დამოუკიდებელ მხარეზე გადაყიდვის ოპერაციაზეა დადებული. აღნიშნულ ფასს (გადაყიდვის ფასს) გამოაკლდება შესაბამისი მარჟა (გადაყიდვის ფასში გათვალისწინებული მარჟა), საიდანაც გადამყიდველი ეცდება დაფაროს სარეალიზაციო და სხვა საოპერაციო ხარჯები და მიიღოს მის მიერ შესრულებული ფუნქციების (გამოყენებული აქტივებისა და მიღებული რისკების გათვალისწინებით) შესაბამისი მოგება. საერთო მარჟის ამგვარად გამოკლების შედეგად მიღებული რიცხვი (პროდუქტის შესყიდვებთან დაკავშირებული სხვა დანახ-

არჯების კორექტირების შემდეგ) შეიძლება მიჩნეულ იქნეს საბაზრო პრინციპის შესაბამის ფასად, ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის განხორციელებული ოპერაციისათვის.

გადაყიდვის ფასის მეთოდის მიხედვით შედარების საფუძველია საერთო მარჟა, მიღებული:

ა) ოპერაციის იგივე მონაწილის (შესამოწმებელი მხარის) მიერ განხორციელებული დამოუკიდებელი ოპერაციიდან (შიდა შედარებადი ოპერაცია), ან, თუ ეს შეუძლებელია

ბ) დამოუკიდებელი პირის მიერ განხორციელებული დამოუკიდებელი ოპერაციიდან (გარე შედარებადი ოპერაცია), თუ იგი ასრულებს შესამოწმებელი მხარის მსგავს ფუნქციებს, იღებს მსგავს რისკებს და იყენებს მსგავს აქტივებს.

გადაყიდვის ფასის მეთოდის ფარგლებში, დამოუკიდებელ ოპერაციებთან შედარებისას, როგორც წესი, ნაკლები კორექტირებებია საჭირო პროდუქტებს შორის განსხვავებების აღმოსაფხვრელად, ვიდრე შედარებადი დამოუკიდებელი ფასის მეთოდის ფარგლებში, ვინაიდან ნაკლებად მოსალოდნელია, რომ პროდუქტებს შორის მცირე განსხვავებები ისეთივე არსებით გავლენას მოახდენს მარჟაზე, როგორც ფასზე.

გადაყიდვის ფასის მეთოდის გამოყენებისას, განხორციელებული ბიზნესფუნქციები (რეკლამა, ლოგისტიკა), ეკონომიკური გარემოებები და სხვა ისეთი ფაქტორები უნდა იყოს შედარებადი, რომელთა თავისებურებებს შეიძლება გავლენა ქონდეს მარჟაზე (და ოპერაცია, შესაბამისად აღარ იყოს შედარებადი) და არ ქონდეს შესყიდვის ან გაყიდვის ფასზე.

მაგალითი:

საოჯახო ელექტრომოწყობილობების დისტრიბუტორების მიერ განხორციელებული ოპერაციები შედარებადი იქნება, თუ შესაძლებელია კორექტირება პროდუქტის შეფუთვასთან, ტრანსპორტირების პირობებთან (მაგალითად, (FOB თუ CIF), გაცემულ გარანტიებთან და ა.შ. დაკავშირებით. მოსალოდნელია, რომ შეფუთვასთან, ტრანსპორტირებასთან და გარანტიებთან დაკავშირებული განსხვავებების მიუხედავად, მოვაჭრეები მსგავსი მარჟის მიღებას ეცდებიან. შედარება გართულდება, თუ გართულდება განხორციელებულ ფუნქციებში არსებული განსხვავებების კორექტირება, მაგალითად თუ ერთი დისტრიბუტორი საოჯახო ელექტრომოწყობილობებს საცალო მაღაზიებში ყიდის და არ ასრულებს დისტრიბუტორებისთვის ნაკლებად დამახასიათებელ სხვა სახის ფუნქციას, ხოლო მეორე სანარმოო დაზგა – დანადგარებს ყიდის, რომელიც შეკეთის საფუძველზე ჩამოაქვს, შემკეთის ადგილზე ამონტაჟებს და რომლისთვისაც გათვალისწინებულია შემდგომი, სპეციფიკური კვალიფიკაციის პერსონალის მიერ შესრულებული ტექნიკური მომსახურება.

მეთოდის ძლიერი მხარეებია:

ა) პროდუქტის მცირე განსხვავებები დასაშვებია;

ბ) აღნიშნული მეთოდი შეიძლება უფრო საიმედო იყოს, როდესაც ოპერაციის მონაწილე (გადამყიდველი, საცალო მოვაჭრე ან სხვა) მნიშვნელოვნად არ ზრდის პროდუქტის ღირებულებას ან არ ცვლის მას;

მეთოდის სუსტი მხარეებია:

ა) ხშირად რთულია დამოუკიდებელ პირებს შორის განხორციელებული ისეთი ოპერაციის მოძიება, რომელიც კონტროლირებული ოპერაციის მსგავსია (განსაკუთრებით ფუნქციების თვალსაზრისით) და განსხვავებები არსებით გავლენას არ ახდენს მარჟაზე;

ბ) განსაკუთრებული წინდახედულობაა გამოსაჩენი, თუ გადამუშავების შედეგად საქონელი ან მომსახურება კარგავს იდენტურობას;

გ) თუ ოპერაციაში მაღალი ღირებულების ან უნიკალური არამატერიალური აქტივია გამოყენებული, პროდუქტის მსგავსებას შეიძლება მეტი მნიშვნელობა მიენიჭოს და მეტი წინდახედულობა იქნეს გამოჩენილი, შედარებადობის უზრუნველყოფის მიზნით.;

დ) ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკა განსაკუთრებულ გავლენას ახდენს მარჟებზე და საჭირო იქნება ისეთი კორექტირებების გაკეთება, რომლებიც უზრუნველყოფს დანახარჯებში ერთი და იგივე ტიპის დანახარჯების გათვალისწინებას. საწარმოები, საერთო მარჟის გამოანგარიშებისას, ხშირად განსხვავებული ტიპის დანახარჯებს აჯამებენ;

ე) მეთოდის გამოყენება ხშირად საჭიროებს, საქონლის ან მომსახურების დანახარჯებთან დაკავშირებით დახარისხებულ მონაცემთა ბაზის ხელმისანვდომობას.

6.4. 3 ფასნამატის მეთოდი

ფასნამატის მეთოდის მიხედვით, შედარება იწყება დანახარჯებიდან, რომელიც კონტროლირებული ოპერაციის ფარგლებში საქონლის ან მომსახურების დაკავშირებული მყიდველისთვის მი-

წოდებისას გასწია მიმწოდებელმა. აღნიშნულ დანახარჯებს, შესრულებული ფუნქციებისა და საბაზრო პირობების შესაბამისი მოგების მიღების მიზნით, დაემატება შესაბამისი

ფასნამატი. აღნიშნულ დანახარჯებზე ფასნამატის დამატების შედეგად მიღებული რიცხვი შეიძლება მიჩნეულ იქნეს საბაზრო პრინციპის შესაბამის ფასად, ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის განხორციელებული ოპერაციისათვის.

ფასნამატის მეთოდის მიხედვით, შედარების საფუძველია საერთო ფასნამატი, რომელიც დამატებულია:

ა) ოპერაციის იგივე მონაწილის (შესამოწმებელი მხარის) მიერ განხორციელებული დამოუკიდებელი ოპერაციის ფარგლებში (შიდა შედარებადი ოპერაცია), ან თუ ეს შეუძლებელია; ბ) დამოუკიდებელი პირის მიერ განხორციელებული დამოუკიდებელი ოპერაციის ფარგლებში (გარე შედარებადი ოპერაცია), რომელიც ასრულებს შესამოწმებელი მხარის მსგავს ფუნქციებს, იღებს მსგავს რისკებს და იყენებს მსგავს აქტივებს.

ფასნამატის მეთოდის ფარგლებში, დამოუკიდებელ ოპერაციებთან შედარებისას, როგორც წესი, ნაკლები კორექტირებებია საჭირო პროდუქტებს შორის განსხვავებების აღმოსაფხვრელად, ვიდრე შედარებადი დამოუკიდებელი ფასის მეთოდის ფარგლებში, ვინაიდან ნაკლებად მოსალოდნელია, რომ პროდუქტებს შორის მცირე განსხვავებები ისეთივე არსებით გავლენას მოახდენს მარჟაზე, როგორც ფასზე.

ფასნამატის მეთოდის გამოყენებისას გასათვალისწინებელია, რომ შედარებადი ფასნამატი უნდა იქნას გამოყენებული დანახარჯთა შედარებად ბაზასთან მიმართებით. მაგალითად, თუ დამოუკიდებელი მომწოდებელი, თავისი საქმიანობის განხორციელებისას, იყენებს იჯარით აღებულ აქტივებს, ხოლო კონტროლირებული ოპერაციის მონაწილე მომწოდებელი აქტივების მესაკუთრეა, დანახარჯთა ბაზა შეიძლება არ იყოს შედარებადი, დანახარჯთა ბაზის შესაბამისი კორექტირების გარეშე. ვინაიდან ფასნამატის მეთოდი ეყრდნობა კონტროლირებული ოპერაციის დანახარჯებზე და ერთ ან რამდენიმე შედარებადი დამოუკიდებელი ოპერაციის დანახარჯებზე დადებული ფასნამატების შედარებას, უნდა გაანალიზდეს დამოუკიდებელ და კონტროლირებულ ოპერაციებს შორის არსებული ისეთი განსხვავებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ფასნამატის ოდენობაზე, რათა დადგინდეს, თუ რა სახის კორექტირებები ესაჭიროება დამოუკიდებელი ოპერაციის შესაბამის ფასნამატს.

ფასების ცვლილების გამო, შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს გარემოებების შესაბამისი პერიოდის საშუალო მონაცემით სარგებლობა (ერთი საწარმოო ხაზისათვის ან პროდუქტთა ჯგუფებისათვის), რომელშიც განხორციელდა ოპერაცია.

მეთოდის ძლიერი მხარეებია:

ა) შეიძლება მიზანშეწონილი იყოს ამ მეთოდის გამოყენება შუალედური პროდუქციის ან მომსახურების მიწოდებისას;

ბ) შეიძლება მიზანშეწონილი იყოს ამ მეთოდის გამოყენება, თუ ოპერაციები ხორციელდება ურთიერთდამოკიდებული პირების მიერ გაფორმებული ერთობლივი წარმოების ან გრძელვადიანი კონტრაქტის საფუძველზე;

გ) ოპერაციების შედარებისას პროდუქტის მცირე განსხვავებები დასაშვებია.

მეთოდის სუსტი მხარეებია:

ა) რთულია დანახარჯთა განსაზღვრა, ვინაიდან მწარმოებლები, როგორც წესი, ერთნაირად ეფექტურად არ მუშაობენ (ანუ, ერთი საწარმო სხვა საწარმოსთან შედარებით გარკვეული ტიპის ნაკლები დანახარჯებით მუშაობს);

ბ) გასათვალისწინებელია შემთხვევები, როდესაც დანახარჯებს არ აქვთ გავლენა საბაზრო ფასზე;

გ) ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკა განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ფასნამატებზე და საჭირო იქნება ისეთი კორექტირებების გაკეთება, რომლებიც უზრუნველყოფს დანახარჯებში ერთი და იგივე ტიპის დანახარჯების გათვალისწინებას. საწარმოები, საერთო ფასნამატის გამოანგარიშებისას, ხშირად განსხვავებული ტიპის დანახარჯებს აჯამებენ. მაგალითად, თუ ერთი საწარმო გარკვეულ ადმინისტრაციულ ხარჯს არაპირდაპირ დანახარჯებში ითვალისწინებს, ხოლო მეორე – არა, საჭიროა შესაბამისი კორექტირების განხორციელება, ხოლო თუ ზუსტი მონაცემები ასეთი კორექტირებისთვის ხელმიუწვდომელია, სხვა მეთოდები იქნება განსახილველი;

დ) მეთოდის გამოყენება ხშირად საჭიროებს საქონლის ან მომსახურების დანახარჯებთან დაკავშირებით დახარისხებულ მონაცემთა ბაზის ხელმისანვდომობას.

6.4.4. წმინდა მარჟის მეთოდი

წმინდა მარჟის მეთოდის მიხედვით, ოპერაციის მონაწილის მიერ მიღებული წმინდა მოგება (მრიცხველი) ეფარდება ყველაზე მეტად შესაფერის მონაცემს/საფუძველს (მნიშვნელს), რომელსაც გადამხდელი იყენებს/იღებს კონტროლირებული ოპერაციის ფარგლებში (ან მჭიდროდ დაკავშირებული კონტროლირებული ოპერაციების ფარგლებში). ამ მეთოდის მიზნებისთვის, წმინდა მოგება, როგორც წესი, არის საოპერაციო მოგება.

წმინდა მარჟის მეთოდის შედარების საფუძველი შეიძლება იყოს წმინდა მარჟა ან ფასნამატი, რომელიც გათვალისწინებულია:

ა) ოპერაციის იგივე მონაწილის (შესამოწმებელი მხარის) მიერ განხორციელებულ დამოუკიდებელ ოპერაციებში (შიდა შედარებადი ოპერაცია) ან, თუ ეს შეუძლებელია;

ბ) დამოუკიდებელი პირის მიერ განხორციელებული დამოუკიდებელი ოპერაციებში (გარე შედარებადი ოპერაცია), თუ იგი ასრულებს შესამოწმებელი მხარის მსგავს ფუნქციებს, იღებს მსგავს რისკებს და იყენებს მსგავს აქტივებს.

მაჩვენებლის შერჩევისას, გასათვალისწინებელია, თუ რომელი მათგანი განსაზღვრავს საუკეთესოდ საბაზრო პრინციპის შესაბამის შედეგს. მაჩვენებელი, მაგალითად, შეიძლება იყოს:

ა) წმინდა მოგება პროცენტამდე და გადასახადებამდე შეფარდებული დანახარჯებთან. ამასთან, გამორიცხული იქნება საოპერაციო (რეგულარული) საქმიანობისთვის არარელევანტური შემოსავლები და დანახარჯები (მაგალითად უძრავი ქონების შეძენა საწარმოო ხაზების განსათავსებლად ან გაყიდვა და ნამეტი შემოსავლის მილება). როდესაც შესაძლებელია წარმოებასთან დაკავშირებული შედარებადი დამოუკიდებელი ოპერაციების შესახებ მონაცემების მოპოვება და შესყიდვების ოპერაცია დამოუკიდებელია, მნიშვნელად შესაძლებელია დანახარჯების

გათვალისწინება, მაგალითად, მწარმოებლებისა და მომსახურების შემთხვევაში.;

ბ) წმინდა მოგება პროცენტამდე და გადასახადებამდე შეფარდებული გაყიდვებთან. პროცენტის გამორიცხვა საშუალებას იძლევა გამოირიცხოს ის ფაქტორი, თუ რა სახით ხდება შესადარებელი ოპერაციების დაფინანსება, საკუთარი კაპიტალით თუ სესხით, თუმცა, მხედველობაში იქნება მისაღები მნიშვნელოვანი სესხების შემთხვევაში დამატებით წარმოქმნილი შესაძლო რისკები. როდესაც შესაძლებელია გაყიდვებთან დაკავშირებული შედარებადი დამოუკიდებელი ოპერაციების შესახებ მონაცემების მოპოვება და გადაყიდვის ოპერაცია დამოუკიდებელია, მნიშვნელად შესაძლებელია გაყიდვების გათვალისწინება, მაგალითად დისტრიბუტორების შემთხვევაში.

გ) წმინდა მოგება პროცენტამდე და გადასახადებამდე შეფარდებული საკუთარ კაპიტალთან (შენატანებთან და დაგროვილ რეზერვებთან). როდესაც დარგი ან ოპერაციები ინტენსიურ კაპიტალდაბანდებას საჭიროებს, და, ამასთან, ისეთ სერიოზულ საინვესტიციო რისკებს ატარებს, რომლებიც შეიძლება ნაკლებად უკავშირდებოდეს აქტივებს, აღნიშნული რისკების გასათვალისწინებლად მნიშვნელად შესაძლებელია საკუთარი კაპიტალის გამოყენება (ფაქტებისა და გარემოებების მიხედვით ეს შეიძლება იყოს გემთმშენებლობა, ისევე, როგორც დ) ქვეპუნქტის შემთხვევაში).

დ) წმინდა მოგება პროცენტამდე და გადასახადებამდე შეფარდებული აქტივებთან. როდესაც დარგი ან ოპერაციები ინტენსიურ კაპიტალდაბანდებას საჭიროებს აქტივებში (ფაქტებისა და გარემოებების მიხედვით ეს შეიძლება იყოს გემთმშენებლობა) და, ამასთან, სერიოზულ საინვესტიციო რისკებს ატარებს აქტივებთან დაკავშირებით, აღნიშნული რისკების გასათვალისწინებლად, მნიშვნელად შესაძლებელია აქტივების გამოყენება. ასეთ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია ოპერაციებთან დაკავშირებული და ღირებულების შემქმნელი აქტივები, როგორიცაა, მაგალითად, გრძელვადიანი აქტივები, მინისა და შენობა-ნაგებობების ჩათვლით, არამატერიალური აქტივები, პატენტებისა და ნოუ – ჰაუს ჩათვლით, ასევე საბრუნავი კაპიტალი – სასაქონლო-მატერიალური მარაგები და დებიტორული დავალიანებები(კრედიტორული დავალიანების გამოკლებით).

ე) საერთო მარჟა შეფარდებული საოპერაციო ხარჯებთან (ბერის ფარდობა). ამ მაჩვენებლის ძირითადი სირთულე მისი განსაკუთრებული მგრძნობიარობაა იმის მიმართ, მიიჩნევა თუ არა გარკვეული დანახარჯები საოპერაციო ხარჯად, რაც ართულებს შედარებადობას. პროცენტი და საოპერაციო საქმიანობასთან დაუკავშირებელი შემოსავალი, როგორც წესი, მხედველობაში არ მიიღება საერთო მოგების განსაზღვრისას. ცვეთა და ამორტიზაცია შეიძლება მიჩნეულ იქნას საოპერაციო ხარჯად. იმისათვის რომ ბერის ფარდობის გამოყენება გამართლებული იყოს კონტროლირებული ოპერაციის ანაზღაურების შესაფასებლად, უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი პირობები:

1) კონტროლირებული ოპერაციის ფარგლებში (მაგალითად პროდუქტის დისტრიბუციისას) განხორციელებული ფუნქციები (გამოყენებული აქტივებისა და მიღებული რისკების გათვალისწინებით)

საოპერაციო ხარჯების პროპორციულია;

2) შესრულებული ფუნქციების ღირებულება (გამოყენებული აქტივებისა და მიღებული რისკების გათვალისწინებით) არსებითად არ იცვლება რეალიზებული პროდუქტის ღირებულების მიხედვით, ანუ არ არის გაყიდვების პროპორციული და

3) გადამხდელი კონტროლირებული ოპერაციების ფარგლებში არ

ასრულებს სხვა ისეთ ფუნქციებს (მაგალითად, წარმოება), რომელთა ანაზღაურების განსაზღვრა სხვა მეთოდით ან ამ მეთოდის სხვა მაჩვენებლით უნდა მოხდეს.

მეთოდის ძლიერი მხარეებია:

ა) წმინდა მარჟის დასადგენად საჭირო მონაცემები, როგორც წესი, უფრო ხელმისაწვდომია ვიდრე საერთო მარჟის;

ბ) წმინდა მოგების მაჩვენებლები (მაგალითად, უკუგება შეფარდებული აქტივებთან, საოპერაციო მოგება შეფარდებული გაყიდვებთან ან სხვა), ფასებთან შედარებით (შედარებადი დამოუკიდებელი ფასის მეთოდი), ნაკლებად იცვლება ოპერაციებს შორის არსებული განსხვავებების შედეგად. აღნიშნული მაჩვენებლები, მოგების საერთო მარჟებთან/ფასნამატებთან შედარებით, შეიძლება ასევე ნაკლებად მგრძნობიარე იყოს კონტროლირებულ და დამოუკიდებელ ოპერაციებს შორის არსებული ფუნქციური განსხვავებების მიმართ. საწარმოების მიერ შესრულებული ფუნქციები, როგორც წესი, განსხვავებულ საოპერაციო ხარჯებს იწვევს. შესაბამისად, შეიძლება მივიღოთ საერთო მარჟების დიდი დიაპაზონი, ხოლო წმინდა საოპერაციო მოგების მაჩვენებლების საკმაოდ მსგავსი დონეები.

გ) ისევე, როგორც გადაყიდვის ფასისა და ფასნამატის მეთოდის შემთხვევაში, წმინდა მარჟის მეთოდი ურთიერთდამოკიდებულ პირთაგან მხოლოდ ერთის მიმართ გამოიყენება. ამასთან, როგორც წესი, საჭირო არ ხდება ოპერაციების ყველა მონაწილის სააღრიცხვო ჩანაწერების ერთიან საფუძველზე (ერთნაირი სტანდარტებით) წარმოება. აღნიშნული უპირატესობა განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებს უკავშირდება, როდესაც ოპერაციის ერთ-ერთი მხარე ბევრ კომპლექსურ საქმიანობას ახორციელებს ან შეუძლებელია საიმედო ინფორმაციის მოპოვება ერთ-ერთ მხარესთან დაკავშირებით.

მეთოდის სუსტი მხარეებია:

ა) შედარება რთულდება საოპერაციო დანახარჯთა სტრუქტურაში განსხვავებების გამო. მაგალითად, მუდმივ და ცვლად დანახარჯთა განსხვავებული წილის მიხედვით;

ბ) ისევე, როგორც გადაყიდვის ფასისა და ფასნამატის მეთოდის შემთხვევაში, წმინდა მარჟის მეთოდი ურთიერთდამოკიდებულ პირთაგან მხოლოდ ერთის მიმართ გამოიყენება. აღნიშნული მეთოდის ფარგლებში განსახორციელებელი ანალიზის ცალმხრივობა და ის ფაქტი, რომ ოპერაციის ფასებთან დაუკავშირებელი ბევრი ფაქტორი შეიძლება ახდენდეს გავლენას წმინდა მოგებაზე, შეიძლება არასაიმედოს ხდიდეს ამ მეთოდის გამოყენებას, თუ არ იქნება დაცული შედარებადობის საკმარისი ხარისხი.

გ) მარჟების (მოგების) დადგენის მიუხედავად, შესაძლებელია რთული იყოს ფასების დადგენა, რაც განსაკუთრებით სირთულეს ქმნის საკორესპონდენტო შესწორებების ჩატარებისას – თუ ერთ-ერთი დაკავშირებული მხარის მოგება შესწორების შედეგად გაიზრდება, შეიძლება გართულდეს გადაწყვეტილების მიღება, ურთიერთდამოკიდებული პირების ჯგუფიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სხვა რომელი დაკავშირებული პირის მოგება უნდა შემცირდეს (საკითხი რელევანტურია, თუ ასეთი პირი საქართველოს გადამხდელია).

6.4. 5 მოგების გაყოფის მეთოდი

აღნიშნული მეთოდით კონტროლირებულ ოპერაციაში მონაწილე თითოეულ მხარეს მიეკუთვნება ამ ოპერაცი(ებ)იდან მიღებული მოგების/ზარალის ის წილი რომელსაც სავარაუდოდ მიიღებდა დამოუკიდებელი საწარმო, შედარებადი დამოუკიდებელი ოპერაციის ფარგლებში.

მოგების გაყოფის მეთოდის გამოყენება ორ ეტაპად ხდება:

ა) პირველ ეტაპზე განისაზღვრება კონტროლირებული ოპერაციებიდან მხარეების მიერ მიღებული მთელი ჯამური მოგება. მეთოდით ნაწილდება კონტროლირებულ ოპერაციებთან დაკავშირებული საერთო, ჯამური მოგება და არა ურთიერთდამოკიდებული ჯგუფის საერთო მოგება. გასაყოფი მოგება, როგორც წესი, საოპერაციო მოგებაა პროცენტისა და გადასახადების გამოქვითვამდე. გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება მიზანშეწონილი იყოს საერთო მოგების გაყოფა;

ბ) მეორე ეტაპზე ჯამური მოგება ნაწილდება ოპერაციის მონაწილე მხარეებს შორის, კონტროლირებული ოპერაციების ფარგლებში განხორციელებული მათი წვლილის/თანამონაწილეობის შედარე-

ბითი მნიშვნელობის მიხედვით, შესრულებული ფუნქციების, გამოყენებული აქტივების და მიღებული რისკების გათვალისწინებით, ასევე იმის გათვალისწინებით, თუ, სავარაუდოდ, რას მიიღებდნენ დამოუკიდებელი მხარეები. მეორე ეტაპი შეიძლება შესრულდეს ორი მიდგომის გამოყენებით:

(1) მოგება შეიძლება გაიყოს ნარჩენი მოგების ანალიზის საფუძველზე;

(2) მოგება შეიძლება გაიყოს თანამონაწილეობის ანალიზის საფუძველზე.

ნარჩენის მოგების ანალიზის საფუძველზე მოგების გაყოფის მეთოდის გამოყენება ხდება ორ ეტაპად:

ა) პირველ ეტაპზე შედარებადი დამოუკიდებელი ფასის მეთოდით, გადაყიდვის ფასის მეთოდით, ფასნამატის მეთოდით ან/და წმინდა მარჟის მეთოდით განისაზღვრება ისეთი შესრულებული ფუნქციების (გამოყენებული აქტივების და მიღებული რისკების ჩათვლით) ანაზღაურება, რომლებიც საომედოდ შეიძლება იქნას გამოთვლილი, ხშირი და სტანდარტულია, არ უკავშირდება არამატერიალურ ქონებას და ადვილად მოეძებნება შესადარისი მონაცემები. ამ ეტაპზე, როგორც წესი, არ განისაზღვრება ანაზღაურება, რომელიც მხარეების მიერ შექმნილ ან გამოყენებულ ძვირადღირებულ ან უნიკალურ არამატერიალურ აქტივებს უკავშირდება;

ბ) მეორე ეტაპზე ოპერაციის მონაწილე მხარეებს შორის განაწილდება ა) ქვეპუნქტის მიხედვით მოგების გაყოფის შემდეგ დარჩენილი მოგების (ზარალის) ნაშთი (ნარჩენი მოგება). გაყოფა ეყრდნობა მხარეების მიერ განეულ შედარებით წვლილს/თანამონაწილეობას და ამ დროს მხედველობაში მიიღება ნებისმიერი ხელმისაწვდომი ინფორმაცია, რომელიც მიუთითებს, თუ როგორ განაწილდებოდა დამოუკიდებელ მხარეებს შორის მოგება ან ზარალი, მსგავს გარემოებებში.

თანამონაწილეობის საფუძველზე მოგების გაყოფა ერთ ეტაპად ხდება. კონტროლირებული ოპერაციებიდან მხარეების მიერ მიღებული მთელი ჯამური მოგება იყოფა მხარეებს შორის, მათი შედარებითი თანამონაწილეობის შესაბამისად და ამ დროს მხედველობაში მიიღება ნებისმიერი ხელმისაწვდომი ინფორმაცია, რომელიც მიუთითებს, თუ როგორ განაწილდებოდა დამოუკიდებელ მხარეებს შორის მოგება ან ზარალი, მსგავს გარემოებებში.

თუ კონტროლირებული ოპერაციის საბაზრო პრინციპის შესაბამისი ფასის დასადგენად მოგების გაყოფის მეთოდი ყველაზე უკეთ მისასადაგებელი მეთოდია და შესაძლებელია ურთიერთდამოკიდებული პირების მიერ კონტროლირებულ ოპერაციებთან დაკავშირებით განხორციელებული გარკვეული ფუნქციებისთვის საბაზრო პრინციპის შესაბამისი ფასების განსაზღვრა შედარებადი დამოუკიდებელი ფასის მეთოდით, გადაყიდვის ფასის მეთოდით, ფასნამატის მეთოდით ან/და წმინდა მარჟის მეთოდით, ნარჩენი მოგების ანალიზი, როგორც წესი, უფრო საიმედო შედეგს აჩვენებს, ვიდრე თანამონაწილეობის ანალიზი

ჯამურ მოგებაში წილის მიკუთვნების განმსაზღვრელი ფაქტორია ცალკეული ფუნქციის, აქტივის, თუ რისკის შედარებითი და არა განყენებული მნიშვნელობა (წვლილის/თანამონაწილეობის შედარებითი მნიშვნელობა). მაგალითად, ტრანსნაციონალური ჯგუფის ერთ-ერთი წევრის მიერ განხორციელებული ფუნქცია შესაძლოა ფინანსური მაჩვენებლის თვალსაზრისით მცირე, მაგრამ შინაარსობრივად სხვა წევრების მიერ განხორციელებულ ფუნქციებზე მნიშვნელოვანი იყოს და, შესაბამისად, იმსახურებდეს გასანაწილებელი მოგების დიდ წილს. პროცესისთვის ხელშემწყობი იქნება შედარებადი მონაცემები, მათი არსებობის შემთხვევაში.

მოგების გაყოფის მეთოდის მიხედვით, ჯამური მოგება შეიძლება გაიყოს ერთი ან მეტი მიკუთვნების კრიტერიუმის გამოყენებით. შემთხვევის ფაქტებისა და გარემოებების გათვალისწინებით, მიკუთვნების კრიტერიუმი შეიძლება იყოს რიცხვი (მაგალითად, 30%-70%, რომელიც ეყრდნობა ფაქტებს, თუ როგორ მოხდა მოგების გაყოფა შედარებადი ოპერაციის დამოუკიდებელ მხარეებს შორის) ან ცვლადი (მაგალითად, ოპერაციის მონაწილე მხარის მიერ გაწეული მარკეტინგული დანახარჯების შედარებითი მნიშვნელობა). თუ გამოიყენება მიკუთვნების ერთზე მეტი კრიტერიუმი, აუცილებელი იქნება გამოყენებული კრიტერიუმების შეპირისპირება იმის განსასაზღვრად, თუ რამდენად ასახავენ ისინი შედარებით წვლილს, ჯამური მოგების გამომუშავებაში.

ცალკეული ფუნქციის შედარებითი მნიშვნელობისა და, შესაბამისად, ჯამურ მოგებაში მისაკუთვნებელი წილის განსაზღვრის მიზნით, გამოიყენება მიკუთვნების შედარებითი კრიტერიუმები. მიკუთვნების შედარებითი კრიტერიუმი შეიძლება იყოს ფაქტორი, რომლის საფუძველზეც ყველაზე მეტად ეზრდება ღირებულება ოპერაციით გადაცემულ საქონელს თუ მომსახურებას, მაგალითად:

ა) აქტივები – თუ მატერიალური ან არამატერიალური აქტივებია ოპერაციის ღირებულების ძირითადი განმსაზღვრელი;

ბ) კაპიტალი – თუ მონაწილე მხარეების მიერ ოპერაციაში გამოყენებული (საკუთარი თუ სასესხო) კაპიტალია ოპერაციის ღირებულების ძირითადი განმსაზღვრელი, ან

გ) დანახარჯები – თუ მონაწილე მხარეების მიერ გაღებული დანახარჯებია ოპერაციის ღირებულების ძირითადი განმსაზღვრელი. მათ შორის, დაქირავებული პირების ხელფასები, თუ კადრების კვალიფიკაცია და მათ მიერ შესრულებული ფუნქციაა ოპერაციის ღირებულების ძირითადი განმსაზღვრელი.

დ) სხვა კრიტერიუმები, როგორიცაა გაზრდილი გაყიდვები, მაღალკვალიფიციური/ძირითადი კადრების რაოდენობა, საცალო ქსელის მიერ დაკავებული ფართობი და ა.შ., თუ აღნიშნული მაჩვენებლებია ოპერაციის ღირებულების ძირითადი განმსაზღვრელი.

მეთოდის ძლიერი მხარეებია:

ა) მეთოდის გამოყენება შესაძლებელია, თუ არ არსებობს საკმარისი შედარებადი მონაცემები სხვა მეთოდების გამოსაყენებლად;

ბ) მეთოდის გამოყენება შესაძლებელია, როდესაც ორ ან მეტ ურთიერთდამოკიდებულ პირს შორის განხორციელებული ოპერაციების გამოყოფა, შეფასების მიზნით, განსაკუთრებულ სირთულესთან არის დაკავშირებული და რთული იქნებოდა ცალმხრივი მეთოდის გამოყენება;

გ) მეთოდი შეიძლება ყველაზე უკეთ იყოს მისასადაგებელი, თუ ოპერაციის ორივე მხარე უნიკალურ და ძვირადღირებულ ფუნქციებს ასრულებს;

დ) მეთოდის გამოყენებისას შესაძლებელია ურთიერთდამოკიდებულ პირებთან დაკავშირებული ისეთი უნიკალური ფაქტებისა და გარემოებებისთვის ანგარიშის განვეა, როგორიც შეიძლება არ გააჩნდეს დამოუკიდებელ საწარმოს;

ე) მეთოდით არ განისაზღვრება შესამოწმებელი მხარე, ფასდება ორივე მხარე და, შესაბამისად, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ოპერაციის მონაწილე რომელიმე მხარეს არაეალური მოგება მიეკუთვნოს.

მეთოდის სუსტი მხარეებია:

ა) გადამხდელს და საგადასახადო ორგანოებს შეიძლება გაუჭირდეთ ურთიერთდამოკიდებულ პირთა ჯგუფის უცხოურ მხარესთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვება;

ბ) მოგების მიკუთვნება ნაკლებად ეყრდნობა დამოუკიდებელი საწარმოების შესახებ ინფორმაციას და შესაძლოა ნაკლებად საიმედო იყოს, სხვა მეთოდებთან შედარებით;

გ) შესაძლოა რთული იყოს ყველა ურთიერთდამოკიდებული პირის ჯამური შემოსავლებისა და დანახარჯების შეფასება, რადგან ამისთვის საჭირო იქნება სააღრიცხვო ჩანაწერების ერთიან საფუძველზე (ერთნაირი სტანდარტებით) წარმოება და აღრიცხვის არსებული პრაქტიკისა და ვალუტის კორექტირებები;

დ) საოპერაციო მოგების გაყოფისას, შესაძლოა რთული იყოს ოპერაციებთან დაკავშირებული შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოყოფა და ურთიერთდამოკიდებული პირების ოპერაციებისთვის და სხვა საქმიანობებისთვის დანახარჯების მიკუთვნება.

6.5. ტრანსფერული ფასწარმოქმნის მაგალითები

მაგალითი 1. შედარებადი დამოუკიდებელი ფასის მეთოდი

ქართული საწარმო (ვედიდკარი) ანვდის ნედლეულს გერმანულ შვილობილ საწარმოს (მახათი), რომელიც ამ ნედლეულს შიდა მოხმარების მიზნებისთვის იყენებს. აღნიშნული ნედლეული აქტიურად იყიდება გერმანიაში და საშუალო დღიური ფასი გერმანიაში განხორციელებული ოპერაციებისა ცნობილია. ცნობილი საშუალო ფასი, მიწოდების ღირებულების გარდა მოიცავს გადაზიდვის ფასსა და იმპორტის გადასახდელებს. ვედიდკარსა და მახათს შორის არსებული შეთანხმებით, პროდუქტზე საკუთრების უფლება ვედიდკარის ქარხანაშივე გადადის. კონტროლირებული ოპერაციის ფასი ერთ ჯერზე მიწოდებული ტონა პროდუქტისთვის არის:

დამოუკიდებელი ფასი გერმანიაში 576
მინუს
გადაზიდვის ხარჯის კორექტირება 32
იმპორტის გადასახდელების კორექტირება 28
– – – –
სულ კორექტირება 60
– – – –
საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციის ფასი 516

მაგალითი 2. გადაყიდვის ფასის მეთოდი

"ვედიდკარი" ეწევა ამერიკული დაკავშირებული საწარმოს, „მახათის" ელექტრომოწყობილობების ნაწილების დისტრიბუციას. „უცნობი" არის საქართველოს დამოუკიდებელი საწარმო, რომელიც ასევე ეწევა „მახათის" ელექტრო მოწყობილობების ოდნავ განსხვავებული ნაწილების დისტრიბუციას.

მთავარი ფუნქციური განსხვავებები, პროდუქტებს შორის არსებული მცირე განსხვავების გარდა, კონტროლირებულ და დამოუკიდებელ ოპერაციებს შორის არის:

1. „მახათის" მიერ „უცნობთან" განხორციელებული დამოუკიდებელი ოპერაციის ფარგლებში გარანტიის რისკის მატარებელი „მახათია", ხოლო „ვედიდკართან" განხორციელებული ოპერაციის ფარგლებში – „ვედიდკარი".

2. სარეკლამო მასალა (ნაწილები, ბუკლეტები და კატალოგები) „უცნობს" უფასოდ მიეწოდება, ხოლო „ვედიდკარი" თვითონ აწარმოებს და შესაბამის ხარჯსაც გასწევს. ორივე სახის ნაწილების ბაზარი საქართველოში მსგავსია.

"უცნობის" ანაზღაურება (გაყიდვების საკომისიო) აღნიშნული ნაწილების გაყიდვისას არის 15%.

გაყიდვების საკომისიოს კალკულაცია:

"ვედიდკარის" გაყიდვები დამოუკიდებელ მხარეებზე 4 000

დამოუკიდებელი (შიდა შესადარისი ოპერაციის) საკომისიო 15%

– – – – – – –

შესაბამისი თანხა 600

განხორციელებული ფუნქციებისა და გაწეული რისკების მიხედვით კორექტირება:

სარეკლამო დანახარჯი 10

გარანტიის დანახარჯი 22

– – – – –

საკომისიო კორექტირების შემდეგ 632

====

ოპერაციის შეფასება:

გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავალს 4 000

მინუს კორექტირებული საკომისიო 632

– – – – – – –

საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციის ფასი 3 368

===

მაგალითი 3. ფასნამატის მეთოდი

„ვედიდკარი" აწარმოებს სპეციალიზებულ დანადგარებს დაკავშირებული მხარეებისთვის, რომლებიც მათ წარმოებაში იყენებენ. დაზგების დიზაინს შემკვეთი ანვდის. „ვედიდკარი" თავისი სტანდარტული წარმოებისთვის 10% ფასნამატს იყენებს. დამოუკიდებელ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციებისთვის დანახარჯები შემდეგნაირად განისაზღვრება: პირდაპირ დანახარჯებს პლუს პირდაპირი დანახარჯების 50%. დამატებითი 50%-ის განსაზღვრის მიზანია მოსალოდნელი არაპირდაპირი დანახარჯის დაფარვა.

„ვედიდკარი" დაზგებს კანადური შვილობილი საწარმოსთვისაც("მახათი") ამზადებს, ამ უკანასკნელის მიერ მონოდებული დიზაინით. „მახათთან" დადებული შეთანხმებით, დანახარჯები განსაზღვრულია, როგორც პირდაპირ დანახარჯებს დამატებული რეალურად გაწეული არაპირდაპირი დანახარჯი. გასათვალისწინებელია, რომ შესამოწმებელი მხარისა და შესადარისი ოპერაციის დანახარჯთა ბაზა შესადარისი უნდა იყოს. ამ მაგალითის მიზნებისთვის, დაშვებულია, რომ „ვედიდკარის" მიერ დამოუკიდებელი და კონტროლირებული ოპერაციების ფარგლებში განხორციელებული ფუნქციები ერთმანეთის შესადარისია. პრაქტიკაში შესაძლოა გამოჩნდეს ფუნქციური განსხვავებები, მაგალითად მარკეტინგული საქმიანობის კუთხით, რაც გასათვალისწინებელი იქნება. „ვედიდკარმა" დაიანგარიშა არაპირდაპირი დანახარჯი და მიაკუთვნა (გაანაწილა) პროექტებს, ნამუშევარი პირდაპირი საათების საფუძველზე. „ვედიდკარის" კალკულაციების მიხედვით, თითოეული პროექტისთვის მიკუთვნებული რეალური არაპირდაპირი დანახარჯი პირდაპირი დანახარჯის 45% აღმოჩნდა. შესადარისი ოპერაციის დანახარჯთა ბაზა საჭიროებს კორექტირებას (შედარების მიზნებისთვის), რათა სწორად დადგინდეს შესაბამისი ფასნამატი (რა იქნებოდა ფასნამატი, დამოუკიდებელი ოპერაციების ფარგლებში გათვალისწინებული არაპირდაპირი დანახარჯი რეალურად გაწეული დანახარჯი რომ ყოფილიყო).

განსახორციელებელი კორექტირების გათვალისწინებით, სიმარტივისთვის, კალკულაციას ორ ნაწილად გავყოფთ.

ა) კორექტირება:

დამოუკიდებელი ფასნამატის კალკულაცია:

პირდაპირი დანახარჯი 1 000

არაპირდაპირი დანახარჯი (50% X 1,000) 500

სულ დანახარჯი 1500

ფასნამატი 10% 150

====

ფასი 1650

====

დანახარჯის კორექტირება:

პირდაპირი დანახარჯი 1 000

არაპირდაპირი დანახარჯი (45% X 1,000) 450

სულ დანახარჯი 1450

====

ფასნამატი კორექტირებული დანახარჯით

1 650 – 1 450 = 200; 200/1 450 = 13,8%

ბ) საბაზრო პრინციპის შესაბამისი ფასის კალკულაცია :

"ვედიდკარი – მახათის" ოპერაცის პირდაპირი დანახარჯი 900

არაპირდაპირი დანახარჯი (45% X 900) 405

სულ დანახარჯი 1305

ფასნამატი 13,8% X (1305) 80

– – – – – – –

საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციის ფასი 1485

====

მაგალითი 4. მოგების გაყოფის მეთოდი ნარჩენი მოგების ანალიზის საფუძველზე

„ვედიდკარმა" შექმნა კომპიუტერის უნიკალური ინოვაციური სქემა. ამერიკული დაკავშირებული საწარმო „მახათი" აწარმოებს კომპიუტერებს და იყენებს „ვედიდკარის" სქემასა და საკუთარ ტექნოლოგიებს. კომპიუტერების წარმატებას განაპირობებს ორივე საწარმოს თანამონაწილეობა (განხორციელებული ფუნქციები, გამოყენებული აქტივები და განაწილებული რისკები) – კომპიუტერის დიზაინი და სქემა.

„მახათი" კომპიუტერებს აწვდის დამოუკიდებელ დისტრიბიუტორს. სქემებისა და კომპიუტერების ინოვაციურობის გამო, კომპანიებმა ვერ მოიპოვეს მსგავსი არამატერიალური აქტივის მომცველი საიმედო ხარისხის შედარებადობის უზრუნველმყოფი შედარებადი ოპერაციები, რათა გამოეყენებინათ შედარებადი დამოუკიდებელი ფასის, ფასნამატის, გადაყიდვის ფასისა და წმინდა მარჟის მეთოდები. სამაგიეროდ მოიპოვეს ინფორმაცია სქემებისა და კომპიუტერების მწარმოებლების ოპერაციების შესახებ, ინოვაციური არამატერიალური აქტივის გარეშე, რომლებიც იღებენ გაწეული საწარმოოო დანახარჯის 10%-ის შესაბამის უკუგებას.

აღნიშნული მეთოდი რეკომენდებულია იმ შემთხვევებში, როდესაც ურთიერთდამოკიდებულ მხარეებს შორის განხორციელებული ცალკეული ოპერაციები ისეა კომბინირებული, რომ მათი გამოცალკევება ან მხარეების მიერ გამოყენებული არამატერიალური აქტივების მნიშვნელობის შეფასება შეუძლებელია. პირველ რიგში გამოიყოფა ასეთი ოპერაციებიდან მიღებული ურთიერთდამოკიდებული პირების ჯამური მოგება.

სქემებთან და კომპიუტერებთან დაკავშირებული ჯამური და ნარჩენი მოგება შემდეგნაირად დაანგარიშდება:

გაყიდვები დამოუკიდებელ დისტრიბუტორთან 1 000

მინუს

"ვედიდკარის" საწარმოო დანახარჯი 200

"მახათის" საწარმოო დანახარჯი 300

მთელი საწარმოო დანახარჯი 500

საერთო მარჟა 500

მინუს
"ვედიდკარის" კვლევების დანახარჯი 100
"მახათის" კვლევების დანახარჯი 50
"ვედიდკარის" საოპერაციო დანახარჯი 50
"მახათის" საოპერაციო დანახარჯი 100
წმინდა (ჯამური) მოგება 200
"ვედიდკარის" უკუგება საწარმოო
დანახარჯთან შეფარდებით (200 X 10%) 20
"მახათის" უკუგება საწარმოო
დანახარჯთან შეფარდებით (300 X 10%) 30
ნარჩენი მოგება 150

მაგალითის სიმარტივისთვის დავუშვათ, რომ თითოეული მხარის შედარებითი თანამონაწილეობა/შეტანილი წვლილი (ანუ განხორციელებული ფუნქციები, გამოყენებული აქტივები და გაწეული რისკები) შეესაბამება მათ მიერ გაწეულ სამეცნიერო – კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო (აქ და სხვაგან – კვლევით) სამუშაოებზე გაწეულ დანახარჯებს. (პრაქტიკაში, გარემოებების შესაბამისად, მიკუთვნების კრიტერიუმი შეიძლება იყოს კაპიტალი, აქტივები ან ოპერაციების ღირებულების განმსაზღვრელი სხვა ფაქტორები).

მაგალითის პირობების შესაბამისად, ნარჩენი მოგება – 150 (ლარი) – განაწილდება შემდეგნაირად:

„ვედიდკარის" წილი ნაშთში
[100/(100 + 50)] X 150 100
"მახათის" წილი ნაშთში
[50/(100 + 50)] X 150 50
„ვედიდკარის" საერთაშორისო ოპერაციის ფასის დაანგარიშება:
საწარმოო დანახარჯი 200
კვლევის დანახარჯი 100
საოპერაციო დანახარჯი 50
სტანდარტული უკუგება (საწარმოო დანახარჯზე) 10% 20
ნარჩენი მოგების წილი 100
– – – – – – –
საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციის ფასი 470

თუ მოგება ოპერაციაში მონაწილე მხარეებს შორის აქტივების შედარებითი მნიშვნელობის საფუძველზე უნდა გაიყოს, გასათვალისწინებელი იქნება აქტივების ტიპისთვის დამახასიათებელი უკუგება. მაგალითად, საბრუნავი კაპიტალის უკუგება ფინანსური რესურსის უკუგების მოკლევადიანი განაკვეთის შესაბამისად უნდა განისაზღვროს, ხოლო გრძელვადიანი აქტივების უკუგება – გრძელვადიანი განაკვეთით, რა დროსაც მხედველობაში მიიღება რისკები.

მაგალითი 5. წმინდა (სუფთა) მარჟის მეთოდი

„ვედიდკარი" აწარმოებს სითხეს საკუთარი მოხმარებისათვის და შვეიცარული დაკავშირებული საწარმოს სხვადასხვა ქვეყნებში განთავსებული შვილობილი საწარმოებისთვის. „ვედიდკარი" და შვილობილი საწარმოები ფლობენ სითხის ფორმულასთან დაკავშირებულ უფლებებს, რაც მათ საშუალებას აძლევს გაყიდონ სითხე შესაბამის ქვეყნებში. „ვედიდკარს" არ მოეპოვება შიდა შესადარისი ოპერაციები, სამაგიეროდ მოიპოვეს ინფორმაცია დამოუკიდებელი საწარმოს შესახებ, რომელიც აზავებს სითხეებს სტანდარტული პროცესების ფარგლებში, მყიდველების მიერ მოწოდებული ფორმულების საფუძველზე. ოპერაციები არ მოიცავს ძვირადღირებულ ან უნიკალურ არამატერიალურ აქტივებს და „ვედიდკარმა" ფუნქციური ანალიზის საფუძველზე დაადგინა, რომ სითხეების შეზავების დამოუკიდებელი ოპერაცია შედარებადია. „ვედიდკარმა" ვერ მოიპოვა ინფორმაცია საერთო მარჟების/ფასსანამატების შესახებ, სამაგიეროდ ცნობილი გახდა, რომ დამოუკიდებელი შემზავებელი გაწეულ დანახარჯებზე 10% წმინდა ფასსანამატს იყენებს.

საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციის ფასის დადგენა ფასსანამატის მეთოდის მსგავსად:
„ვედიდკარის" რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება 1000
საოპერაციო დანახარჯი 300
საერთო დანახარჯი 1 300

პლუს
წმინდა ფასნამატი 10% X (1 300) 130
– – – – – – –
საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციის ფასი 1430.

თავი 7. შემოსავლის დაბეგვრა გადახდის წყაროსთან

7.1 დივიდენდების დაბეგვრა გადახდის წყაროსთან

დივიდენდები, როგორც წესი, გადახდის წყაროსთან არ იბეგრება. მხოლოდ ერთადერთი შემთხვევაა ექვსი შესაძლო სიტუაციიდან, როდესაც ადგილი აქვს დივიდენდის გადახდას, რომელიც წყაროსთან იბეგრება. ჩვენ დივიდენდის დაბეგვრის საკითხები განხილული გვაქვს კორპორაციული დაბეგვრის თავში, რამდენადაც დივიდენდი, როიალტისა და პროცენტისაგან განსხვავებით უკავშირდება წილებსა და აქციებს, ამდენად მას აქ არ განვიხილავთ. შევნიშნავთ მხოლოდ ზემოაღნიშნულ ექვს სიტუაციას დივიდენდების დაბეგვრის სუბიექტების მიხედვით. კერძოდ, ერთადერთ შემთხვევაში წყაროსთან იბეგრება რეზიდენტი საწარმოს მიერ ფიზიკური პირისთვის, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისთვის ან არარეზიდენტი საწარმოსთვის გადახდილი დივიდენდები. წყაროსთან არ იბეგრება სხვა გაცემული შემდეგი დივიდენდები:

ა) სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების, კომანდიტური საზოგადოების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოების(კორპორაციის) და კოოპერატივის მიერ მიღებული დივიდენდები;

ბ) საერთაშორისო ფინანსური კომპანიის აქციებიდან/წილიდან მიღებული დივიდენდები;

გ) თავისუფლად მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდიდან მიღებული დივიდენდები;

დ) რეზიდენტი საწარმოს მიერ სახელმწიფოსთვის გადახდილი დივიდენდები;

ე) თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში თიზ – ის საწარმოდან მიღებული დივიდენდი;

რაც შეეხება საერთაშორისო კონვენციებს ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ, მასში შეიძლება იყოს გათვალისწინებული დივიდენდის დაბეგვრა გადახდის წყაროსთან ან მიმღებთან.

7.2 პროცენტების დაბეგვრა გადახდის წყაროსთან

პროცენტის ცნება განმარტებული გვაქვს ერთობლივი შემოსავლისა და გამოქვითვების თავში, ამდენად მის დეფინიციას აქ არ შევეხებით. აქ განვიხილავთ მხოლოდ პროცენტების დაბეგვრის ისეთ ტექნიკურ საკითხებს, როგორიც არის პროცენტებით მიღებული შემოსავლების დაბეგვრის სუბიექტები წყაროსთან დაბეგვრის მიმართებით, პროცენტების ერთობლივ შემოსავალში ჩართვისა და გადახდილი გადასახადების ჩათვლის საკითხები.

დივიდენდის მსგავსად, პროცენტიც მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაში იბეგრება გადახდის წყაროსთან(შვიდი შესაძლო შემთხვევიდან). კერძოდ, არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულების ან რეზიდენტის მიერ ან მათი სახელით გადახდილი პროცენტები იბეგრება გადახდის წყაროსთან გადასახდელი თანხის 5 – პროცენტიანი განაკვეთით. წყაროსთან არ იბეგრება სხვა გაცემული შემდეგი პროცენტები:

ა) რეზიდენტი ბანკებისათვის კრედიტზე (სესხებზე) გადახდილი პროცენტები;

ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტიდან მიღებული პროცენტები;

გ) თავისუფლად მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდიდან მიღებული პროცენტები;

დ) რეზიდენტი საწარმოს მიერ სახელმწიფოსთვის გადახდილი პროცენტები;

ე) საქართველოს საწარმოს მიერ გამოშვებული და უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟის ლისტინგში სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდიდან მიღებული პროცენტები;

ვ) თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში თიზ – ის საწარმოდან მიღებული პროცენტი.

ფიზიკური პირის მიერ მიღებული პროცენტები, რომლებიც დაიბეგრა გადახდის წყაროსთან, არ ჩაირთვება ამ პირის ერთობლივ შემოსავალში და შემდგომ დაბეგვრას არ ექვემდებარება.

მოგების გადასახადის გადამხდელ რეზიდენტ იურიდიულ პირს ან არარეზიდენტის (გარდა

ფიზიკური პირისა) მუდმივ დაწესებულებას, რომელმაც მიიღო საქართველოში გადახდის წყაროსთან დაბეგრილი პროცენტები, უფლება აქვს, ჩაითვალოს გადახდის წყაროსთან ბიუჯეტში გადახდილი გადასახადის თანხა.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტიდან მიღებული პროცენტები მიმღები პირის მიერ ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება, თუ ამ პროცენტების მიმღები არ არის ასევე ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტი.

თავისუფლად მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდიდან მიღებული პროცენტები პროცენტების მიმღები პირის მიერ ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება.

საქართველოს საწარმოს მიერ გამოშვებული და უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟის ლისტინგში სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდიდან მიღებული პროცენტები, პროცენტების მიმღები პირის მიერ ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება.

თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში თიზ – ის საწარმოდან მიღებული პროცენტი, ამ პროცენტის მიმღები პირის მიერ ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება.

ზემოაღნიშნულ კონტექსტში თავისუფლად მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდი არის საფონდო ბირჟის ლისტინგში სავაჭროდ დაშვებული საჯარო ან სასესხო ფასიანი ქაღალდი, რომლის თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტი საანგარიშო წლის წინა წლის 31 დეკემბრის ან საანგარიშო წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფასიანი ქაღალდების ემიტენტის მიერ საფონდო ბირჟისათვის მიწოდებული ინფორმაციით, უნდა აღემატებოდეს 25 პროცენტს. თავის მხრივ თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტი არის ემიტენტის მიერ გამოშვებული რომელიმე კლასის ფასიანი ქაღალდების წილი, რომელიც არ განეკუთვნება ქვემოთ ჩამოთვლილ არც ერთ კატეგორიას:

ა) პირის (მათ შორის, ემიტენტის) საკუთრებაში არსებულ 5%-იან ან უფრო მსხვილ ამ კლასის ფასიანი ქაღალდების პაკეტს;

ბ) სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების საკუთრებაში არსებულ ფასიან ქაღალდებს;

გ) ემიტენტის მმართველი ორგანოს წევრებისა და თანამშრომლების ბენეფიციურ საკუთრებაში არსებულ ფასიან ქაღალდებს.

რაც შეეხება საერთაშორისო კონვენციებს ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ, მასში შეიძლება იყოს გათვალისწინებული პროცენტის დაბეგვრა გადახდის წყაროსთან ან მიმღებთან.

7.3 როიალტის დაბეგვრა გადახდის წყაროსთან

ეტიმოლოგიური მნიშვნელობით ტერმინი როილატი(როყალტყ) ინგლისური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს „სამეფო პრივილეგიებს", თუმცა თანამედროვე დაბეგვრის სისტემაში ამ ცნებას პრივილეგიებთან კავშირი არ აქვს, თუ არ გაეითვალისწინებთ იმ პრივილეგიას, რომლის მიხედვით ინტელექტუალური საკუთრების მფლობელს, რომელიც იღებს როიალტს თვითონ უშუალოდ გადასახადის გადახდის ვალდებულება არ აქვს. ამ შემოსავალზე გადასახადის გადახდაზე პასუხისმგებელი საგადასახადო ორგანოების წინაშე არის როიალტის გამცემი. შესაბამისად, როიალტი იბეგრება გადახდის წყაროსთან, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა.

როიალტი არის შემოსავალი ზოგიერთი უფლების გამოყენების მიხედვით. კერძოდ იგი არის:

ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და ტექნოგენური წარმონაქმნების გადამუშავების პროცესში წიაღით სარგებლობის უფლების საფასური;

ბ) საავტორო უფლების, პროგრამული უზრუნველყოფის, პატენტის, ნახაზის, მოდელის, სავაჭრო ნიშნის ან სხვა ინტელექტუალური საკუთრების გამოყენებისათვის ან გამოყენების უფლების სხვა პირისთვის გადაცემისათვის მიღებული შემოსავალი;

გ) სამრენველო, სავაჭრო ან სამეცნიერო-კვლევითი მოწყობილობის გამოყენებისათვის ან გამოყენების უფლების სხვა პირისთვის გადაცემისათვის მიღებული შემოსავალი;

დ) ნოუ-ჰაუს გამოყენებისათვის მიღებული შემოსავალი;

ე) კინოფილმის, ვიდეოფილმის, ხმის ჩანაწერის ან ჩაწერის სხვა საშუალების გამოყენებისათვის ან გამოყენების უფლების სხვა პირისთვის გადაცემისათვის მიღებული შემოსავალი;

ვ) საიდუმლო ფორმულის ან პროცესის, ასევე სამრეწველო, კომერციული ან მეცნიერული გამოცდილების შემცველი ინფორმაციის გამოყენებისათვის ან გამოყენების უფლების სხვა პირისთვის გადაცემისათვის მიღებული შემოსავალი;

ზ) ზემოაღნიშნულ უფლებებთან დაკავშირებით ტექნიკური დახმარების გაწევისათვის ან ამ უფლებათა გამოყენებაზე უარის თქმით მიღებული შემოსავალი.

ზემოაღნიშნულ შემთხვევებში „გამოყენების უფლების სხვა პირისათვის გადაცემა“ ნიშნავს მის გადაცემას მეორე პირის მიერ მესამე პირისათვის. მაგ. მესაკუთრე აძლევს მეორე პირს გამოყენების უფლებას, ხოლო ეს უკანასკნელი თავის მხრივ გადასცემს მესამე პირს გამოყენების ამ უფლებას.

არარეზიდენტის მუდმივი დანესებულების ან რეზიდენტის მიერ ან მათი სახელით რეზიდენტი ფიზიკური პირისათვის (გარდა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირისა) გადახდილი როიალტი იბეგრება გადახდის წყაროსთან გადასახდელი თანხის 20 – პროცენტიანი განაკვეთით.

ფიზიკური პირის მიერ (გარდა მეწარმე ფიზიკური პირის მიერ მიღებული – საქართველოში გადახდის წყაროსთან დაბეგრილი როიალტის შემთხვევისა) მიღებული როიალტი, რომელიც დაიბეგრა გადახდის წყაროსთან, არ ჩაირთვება ამ პირის ერთობლივ შემოსავალში და შემდგომ დაბეგვრას არ ექვემდებარება.

მეწარმე ფიზიკურ პირს, რომელმაც მიიღო საქართველოში გადახდის წყაროსთან დაბეგრილი როიალტი, უფლება აქვს, ჩაითვალოს გადახდის წყაროსთან ბიუჯეტში გადახდილი გადასახადის თანხა.

სახელმწიფოსათვის გადახდილი როიალტი გადახდის წყაროსთან არ იბეგრება.

რაც შეეხება საერთაშორისო კონვენციებს ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ, მასში შეიძლება იყოს გათვალისწინებული როიალტის დაბეგვრა გადახდის წყაროსთან ან მიმღებთან.

ზემოაღნიშნულ ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების შესაბამისი დეფინიციები მოცემულია საგადასახადო და საბაჟო ტერმინების თავში, ამდენად აქ მას არ შევეხებით.

7.4 სპეციალური სავაჭრო ზონის ტერიტორიაზე გადახდის წყაროსთან დაბეგვრა

სპეციალური სავაჭრო ზონა არის ტერიტორია, რომელიც არის იურიდიული პირის მფლობელობაში ვაჭრობის ორგანიზების მიზნით. ვაჭრობის ორგანიზება არის პირის ან/და პირთა ჯგუფის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული ბაზრის ან/და შენობა-ნაგებობის ტერიტორიაზე განლაგებული სავაჭრო ობიექტის ან/და სავაჭრო ადგილის გაქირავება. შესაბამისად ამ ტერიტორიაზე ვაჭრობის მაორგანიზებელ პირს ენიჭება სპეციალური სავაჭრო ზონის სტატუსის მქონე პირის სტატუსი.

სსზ-ის ტერიტორიაზე სავაჭრო ობიექტის ან/და სავაჭრო ადგილის დამქირავებელი პირის მიერ საქონლის რეალიზაციიდან მიღებული/მისაღები კომპენსაცია (დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელის შემთხვევაში – დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე) სსზ – ის სტატუსის მქონე პირის მიერ გადახდის წყაროსთან იბეგრება 3-პროცენტიანი განაკვეთით. თუმცა, სპეციალური სავაჭრო ზონის ტერიტორიაზე საქმიანობის განმახორციელებელი პირები(სავაჭრო ობიექტების დამქირავებლები) თავად ახორციელებენ გადახდის წყაროსთან საშემოსავლო გადასახადის დაკავებას და დეკლარირებას.

ამასთან, სსზ-ში სავაჭრო ობიექტის დამქირავებელ იურიდიულ პირს, რომელიც საქონლის რეალიზაციას ახორციელებს სტაციონარული სავაჭრო ობიექტის მეშვეობით, უფლება აქვს, დამოუკიდებლად შეასრულოს საგადასახადო ანგარიშგება და საგადასახადო ვალდებულება.

პირის მიერ სსზ-ის ტერიტორიაზე მიღებული შემოსავალი, რომელიც დაიბეგრა აღნიშნული წესების შესაბამისად, არ ჩაირთვება ამ პირის ერთობლივ შემოსავალში და შემდგომ დაბეგვრას არ ექვემდებარება.

სსზ-ში არსებობს ერთიანი სალაროს პრინციპი, სადაც საქონლის საფასურს იხდის მყიდველი, ხოლო შემდგომ სსზ-ის სტატუსის მქონე პირი მომსახურე ბანკის მეშვეობით უზრუნველყოს სალაროში და საბანკო ანგარიშზე მობილიზებული თანხების გადარიცხვა მოვაჭრეთა საბანკო ანგარიშებზე.

იმ შემთხვევაში, თუ საქონლის რეალიზაცია განხორციელდა საკომპენსაციო თანხის ადგილზე (სავაჭრო ზონის სალაროში) გადახდის გარეშე, სსზ-ის სტატუსის მქონე პირი ვალდებულია არა უგვიანეს საქონლის მიწოდების მე-2 დღისა გადაიხადოს საქონლის რეალიზაციიდან მისაღები საკომპენსაციო თანხის (დღგ-ის გადამხდელის შემთხვევაში – დღგ-ის გარეშე) 3 პროცენტი.

სსზ-ის სტატუსის მქონე პირის მიერ დადგენილ ვადაში ფაქტობრივად გადახდილი თანხა ჩაითვლება დაკავებული გადასახადის მიხედვით დეკლარირებულ საგადასახადო ვალდებულებად.

სსზ-ის ტერიტორიაზე საქმიანობის ნაწილში სავაჭრო ადგილების დამქირავებელ პირთა მიერ გადასახადის გადამხდელთან სააღრიცხვო დოკუმენტაციაში აღურიცხველი და პირველადი საგადასახადო დოკუმენტის გარეშე სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გამოვლენისას ან კანონმდებლობით განსაზღვრული ინვენტარიზაციის შედეგად სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დანაკლისის გამოვლენისას შესაბამისი პასუხისმგებლობა დაეკისრება სსზ – ის სტატუსის მქონე პირს.

თუ პირი საქმიანობს მხოლოდ სპეციალური სავაჭრო ზონის ტერიტორიაზე, დასაბეგრი ოპერაციების თანხის 100 000 ლარზე გადამეტების შემთხვევაში მას არ წარმოეშვება დღგ-ის სავალდებულო რეგისტრაციის ვალდებულება. ამასთან, მას უფლება აქვს, ნებაყოფლობით დარეგისტრირდეს დღგ-ის გადამხდელად.

7.5 არარეზიდენტის შემოსავლის გადახდის წყაროსთან დაბეგვრა

არარეზიდენტის დაბეგვრა საქართველოში მიღებული შემოსავლიდან ხდება ორი საფუძვლით: საქართველოში არსებული(შექმნილი) აქტივებიდან ბიუჯეტმა მიიღოს ფისკალური ეფექტი და თანაბარი დაბეგვრის რეჟიმში ჩადგეს რეზიდენტი და არარეზიდენტი გადასახადის გადამხდელი. ჩვენ ერთობლივი შემოსავლებისა და გამოქვითვების თავში განვიხილეთ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავლების კლასიფიკაცია.

გადახდის წყაროსთან არარეზიდენტის შემოსავლის დასაბეგრად აუცილებელია შემდეგი პირობების არსებობა:

ა) დაბეგვრის ობიექტის არსებობის ფაქტი;

ბ) არარეზიდენტის მიერ შემოსავლის მიღების ფაქტი

გ) საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავლის ფაქტი;

დ) საგადასახადო აგენტის არსებობის ფაქტი;

ე) შემოსავალის არასაქონლური ოპერაციიდან მიღების ფაქტი;

ვ) გადასახადისაგან გაუნთავისუფლებელი შემოსავლის ფაქტი.

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული აუცილებელი პირობები ერთდროულად უნდა სრულდებოდეს.

არარეზიდენტის მიერ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება საქართველოში საგადასახადო აღრიცხვაზე მყოფ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას საქართველოში, იბეგრება გადახდის წყაროსთან გამოქვითვების გარეშე, შემდეგი განაკვეთებით:

ა) დივიდენდები – 5 პროცენტი;

ბ) პროცენტები – 5 პროცენტი;

გ) საწარმოს, ორგანიზაციის ან/და მეწარმე ფიზიკური პირის მიერ საერთაშორისო კავშირგაბმულობის ტელესაკომუნიკაციო მომსახურებისათვის და საერთაშორისო გადაზიდვების სატრანსპორტო მომსახურებისათვის გადახდილი თანხები – 10 პროცენტი;

დ) „ნავთობისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების განხორციელებისას არარეზიდენტი ქვეკონტრაქტორების მიერ მიღებული შემოსავალი – 4 პროცენტი;

ე) ფიზიკური პირისთვის გადახდილი საიჯარო მომსახურების თანხა – 20 პროცენტი;

ვ) გადახდილი სხვა თანხები, რომლებიც ითვლება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავლად, – 10 პროცენტი;

ზ) ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი – 20 პროცენტი.

თ) შეღავათიანი დაბეგვრის მქონე/ოფშორულ ქვეყანაში რეგისტრირებული პირის მიერ პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი ან შემოსავალი, რომელიც ზემოაღნიშნულ „ე" პუნქტშია მითითებული იბეგრება გადახდის წყაროსთან გამოქვითვების გარეშე, 15 პროცენტით.

თუ არარეზიდენტი პირი მოისურვებს, რომ მისთვის წყაროსთან დაკავებული გადასახადი გადაანგარიშებულ იქნეს იმ მოტივით, რომ მას ნაკლები ექნებოდა გადასახდელი ჩვეულებრივი რეჟიმით დაბეგვრის დროს, მას შეუძლია წარადგინოს დეკლარაცია შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ და დაიბეგროს საერთო დაბეგვრის რეჟიმით.

ზემოაღნიშნული მიზნებისათვის ოფშორული ქვეყნების ნუსხას ასეთი სახე აქვს:

1. ანგოლა
2. ანგილია
3. ანდორა
4. ანტიგუა და ბარბუდა
5. არუბა
6. აშშ-ის ვირჯინიის კუნძულები
7. ბარბადოსი
8. ბაჰამი

9. ბელიზი
10. ბერმუდი
11. ბრიტანული ვირჯინიის კუნძულები
12. ბრუნეი
13. გიბრალტარი
14. გერნსი
15. გრენადა
16. დომინიკა
17. ვანუატუ
18. კაიმანის კუნძულები
19. კვიპროსი
20. კირიბატი
21. კიურასაო
22. კუკის კუნძულები
23. ლიბანი
24. ლიბერია
25. ლიხტენშტეინი
26. მალაიზია
27. მალდივის რესპუბლიკა
28. მანის კუნძულები
29. მაკაო
30. მაროკო
31. მარშალის კუნძულები
32. მარიანის კუნძულები
33. მავრიკი
34. მონაკო
35. მონტსერატი
36. ნაურუ
37. ნიდერლანდების ანტილები
38. ნიკარაგუა
39. ნიუე
40. ოლდერნი
41. ომანი
42. პაკისტანი
43. პალაუ
44. პანამა
45. პუერტო – რიკო
46. სარკი
47. სამოა
48. სეიშელი
49. სენტ კიტსი და ნევისი
50. სენტ ლუსია
51. სინტ მარტენი
52. სენტ ვინსენტი და გრენადინები
53. სოლომონის კუნძულები
54. ტაივანი
55. ტონგა
56. ტუვალუ .
57. ტურკსის და კაიკოს კუნძულები
58. ურუგვაი
59. ფიჯი
60. ფილიპინები
61. ფრანგული პოლინეზია
62. წმ. ელენეს კუნძული

63. ჩილე
64. ჯიბუტი
65. ჯერსი
66. ჰონგ კონგი

7.6 გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავების წესი

გადასახადის წყაროსთან გადასახადის დაკავება ევალება საგადასახადო აგენტს ანუ იმ პირს, რომელიც გასცემს სხვა პირისთვის განკუთვნილ შემოსავლის თანხებს ამა თუ იმ ფორმით. საგადასახადო აგენტი ამ თვალსაზრისით არის, ასე ვთქვათ, „შუამავალი", გადასახადის გადამხდელსა და საგადასახადო ორგანოს შორის. ამასთან, გადასახადის გადახდის ყველა ვალდებულება გადადის საგადასახადო აგენტზე.

ამ პარაგრაფში საუბარი გვექნება იმ საკითხებზე, თუ ვინ შეიძლება იყოს საგადასახადო აგენტი და რა არის მისი ვალდებულება.

საგადასახადო აგენტი, რომელმაც წყაროსთან უნდა დააკავოს გადასახადი, აუცილებლად უნდა იყოს ან იურიდიული პირი, ან სანარმო/ორგანიზაცია, ან მეწარმე ფიზიკური პირი. სხვა პირს არა აქვს საგადასახადო აგენტის ვალდებულების შესრულების უცილობელი ფუნქცია.

წყაროსთან გადასახადის დაკავება ეევალებათ შემდეგ პირებს:

ა) პირი, რომელიც დაქირავებულს უხდის ხელფასს, გარდა:

ა.ა) თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს მიერ საქართველოს რეზიდენტი დაქირავებულისათვის გადახდილი ხელფასისა;

ა.ბ) არარეზიდენტის მიერ დაქირავებულისათვის გადახდილი ხელფასისა, როდესაც ასეთი ხარჯი არ მიეკუთვნება არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულების ხარჯებს;

ბ) პირი, რომელიც პირს უხდის პენსიას, გარდა იმ პენსიისა, რომელიც გაიცემა სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფის სისტემაში;

გ) პირი, რომელიც იხდის იმ გადასახდელებს, რომელიც იბეგრება წყაროსთან არარეზიდენტის შემოსავლების სახით;

დ) სანარმო/ორგანიზაცია ან მეწარმე ფიზიკური პირი, რომელიც გაწეული მომსახურების ღირებულებას უნაზღაურებს ფიზიკურ პირს, რომელსაც არ აქვს გადასახადის გადამხდელის მოწმობა;

ე) ნამახალისებელი გათამაშების, სამორინეს (აზარტული ტურნირის მოწყობის ნაწილში), აზარტული კლუბის (აზარტული ტურნირის მოწყობის ნაწილში), ლოტოს, ბინგოსა და ლატარიის მომწყობი პირი, რომელიც ფიზიკურ პირს უხდის მოგებას. ამასთან, ფიზიკური პირის მიერ მოგებისას, მისი მოთხოვნის შემთხვევაში, სამორინეს, აზარტული კლუბის, ტოტალიზატორის, სათამაშო აპარატების სალონის მომწყობი პირი აღნიშნული საქმიანობის ნაწილში ვალდებულია შეასრულოს საგადასახადო აგენტისათვის ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები;

ვ) პირი, რომელიც პირს უხდის სტიპენდიას, გარდა სახელმწიფო სტიპენდიისა;

ზ) რეზიდენტი სანარმო, რომელიც პირს უხდის დივიდენდს;

თ) პირი, რომელიც პირს უხდის პროცენტს;

ი) პირი, რომელიც ფიზიკურ პირს უხდის როიალტს;

კ) იურიდიული პირი, რომელსაც აქვს ფასიანი ქაღალდების ლიცენზია(საბროკერო კომპანია), გადასახადის გადამხდელად არარეგისტრირებული პირის ფასიანი ქაღალდების რეალიზაციის შემთხვევაში, ასეთი რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავლის გაცემისას;

ლ) პირი, რომელიც უსასყიდლოდ გადასცემს ქონებას ფიზიკურ პირს, რომელსაც არ აქვს გადასახადის გადამხდელის მოწმობა, გარდა ამ პირის მიერ ამავე ფიზიკური პირისათვის საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარამდე ღირებულების ქონების უსასყიდლოდ გადაცემისა;

მ) სსზ-ის სტატუსის მქონე იურიდიული პირი – სპეციალური სავაჭრო ზონის ტერიტორიაზე შესაბამისი პირების მიერ განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობის დროს.

გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავებისას გადასახადის დაკავებისა და ბიუჯეტში მისი გადარიცხვისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება შემოსავლის გადამხდელს. გადასახადის თანხის დაუკავებლობის შემთხვევაში შემოსავლის გადამხდელი ვალდებულია ბიუჯეტში შეიტანოს დაუკავებელი გადასახადის თანხა ფაქტობრივად გადახდილი ანაზღაურების შესაბამისად და მასთან დაკავშირებული სანქციები. იმ შემთხვევაში, თუ შემოსავლის გადამხდელი და შემოსავლის მიმღები შეთანხმდებიან შემოსავლის გადამხდელის სახელით გადასახადისა და სანქციების თანხა შეიძლება გადაიხადოს შემოსავლის მიმღებმა.

კანონმდებლობით დადგენილია გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავების და ბიუჯეტში გადარიცხვის ვადები. კერძოდ, პირი, რომელიც გადახდის წყაროსთან აკავებს გადასახადს, ვალდებულია:

ა) ბიუჯეტში გადარიცხოს გადასახადი პირისათვის თანხის გადახდისთანავე, ხოლო განაცემის არაფულადი ფორმით განხორციელების შემთხვევაში – შესაბამისი თვის ბოლო რიცხვში;

ბ) ხელფასის გადახდისას შემოსავლის მიმღებ ფიზიკურ პირს მისი მოთხოვნის შემთხვევაში მისცეს ცნობა ამ პირის გვარისა და სახელის, შემოსავლის თანხისა და სახეობის, აგრეთვე დაკავებული გადასახადის (თუ გადასახადი დაკავებული იყო) თანხის მითითებით;

გ) ცნობა შემოსავლის მიმღები პირის სარეგისტრაციო ნომრის, გვარისა და სახელის, საცხოვრებელი ადგილის მისამართის, საანგარიშო პერიოდისათვის შემოსავლის საერთო თანხისა და დაკავებული გადასახადის საერთო თანხის მითითებით:

გ.ა) წარუდგინოს საგადასახადო ორგანოს არა უგვიანეს გადასახადის დაკავების თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა;

გ.ბ) გადასცეს შემოსავლის მიმღებ პირს მისი მოთხოვნის შემთხვევაში.

ზემოაღნიშნულ შემთხვევებში, როდესაც გადასახდელების გამცემს არ ევალება გადასახადის წყაროსთან გადახდის ვალდებულება, ეს ვალდებულება ავტომატურად უჩნდება შემოსავლის მიმღებს.

საგადასახადო აგენტი ზემოაღნიშნული გადასახადების წყაროსთან დაკავების დროს ვალდებულია წარადგინოს შესაბამისი დეკლარაციები საგადასახადო ორგანოში. საგადასახადო დეკლარაციების წარდგენის საკითხები განხილულია საგადასახადო დეკლარაციებისა და მიმდინარე გადასახდელების თავში.

თავი 8. საგადასახადო დეკლარაციები და მიმდინარე გადასახდელები

8.1 საგადასახადო დეკლარაციების წარდგენა

საგადასახადო ვალდებულების თავში ჩვენ განვიხილეთ ზოგადად საგადასახადო დეკლარაციის არსი, კორექტირების შემთხვევები და საგადასახადო დეკლარაციის ფორმები. აქ საუბარი გვექნება საგადასახადო დეკლარაციების წარდგენის ვადებზე და ნიუანსებზე.

როგორც საგადასახადო ვალდებულების თავში აღვნიშნეთ არსებობს შემდეგი სახის საგადასახადო დეკლარაციები:

ა) საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაცია:

ა.ა) მემკვიდრეობით ან/და ჩუქებით მიღებული შემოსავლების დეკლარაცია;

ა.ბ) გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაცია;

ა.გ) დეკლარაცია დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვის შესახებ;

ბ) მოგების გადასახადის დეკლარაცია:

ბ.ა) ამხანაგობის მიერ მიღებული მოგება(ზარალის) განაწილების შესახებ დეკლარაცია;

გ) დამატებული ღირებულების გადასახადის დეკლარაცია;

დ) აქციზის დეკლარაცია;

ე) საწარმოს/ორგანიზაციის ქონების გადასახადის წლიური დეკლარაცია;

ვ) ფიზიკური პირის ქონების გადასახადის წლიური დეკლარაცია;

ზ) სათამაშო ბიზნესის ყოველკვარტალური დეკლარაცია.

საშემოსავლო გადასახადისა და მოგების გადასახადის შესახებ დეკლარაციას საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით საგადასახადო ორგანოს საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე წარუდგენენ:

ა) რეზიდენტი ფიზიკური პირები, რომელთა შემოსავლებიც არ ექვემდებარება დაბეგვრას საქართველოში არსებულ გადახდის წყაროსთან;

ბ) საქართველოს საწარმოები;

გ) არარეზიდენტი ფიზიკური პირები და არარეზიდენტი საწარმოები, რომლებიც შემოსავლებს იღებენ საქართველოში არსებული წყაროდან და არ იბეგრებიან გადახდის წყაროსთან.

მეწარმე ფიზიკური პირი საქართველოში ეკონომიკური საქმიანობის შეწყვეტისას საგადასახადო ორგანოს 30 სამუშაო დღის ვადაში წარუდგენს დეკლარაციას ერთობლივი შემოსავლებისა და გამოქვითვების შესახებ. ამასთანავე, შემდგომ პერიოდში გადასახადის გადამხდელს ეკონომიკური

საქმიანობის განახლებამდე არ ევალება საგადასახადო დეკლარაციის წარდგენა.

იურიდიული პირის ლიკვიდაციის შესახებ სალიკვიდაციო კომისია ან გადასახადის გადამხდელი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს საგადასახადო ორგანოს. იურიდიული პირის ლიკვიდაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან 15 დღის ვადაში სალიკვიდაციო კომისია ვალდებულია წარუდგინოს დეკლარაცია საგადასახადო ორგანოს.

ფიზიკურ პირს (სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი ფიზიკური პირის გარდა), რომელიც მიღებული ერთობლიური წლიური შემოსავლიდან არ ახორციელებს გამოქვითვებს, უფლება აქვს, არ წარადგინოს საგადასახადო ორგანოში საშემოსავლო გადასახადის შესახებ წლიური დეკლარაცია. ამ შემთხვევაში მის მიერ დადგენილ ვადაში ფაქტობრივად გადახდილი წლიური საშემოსავლო გადასახადის თანხა ჩაითვლება საშემოსავლო გადასახადის მიხედვით დეკლარირებულ საგადასახადო ვალდებულებად. ამასთანავე, თუ დეკლარირება შემდგომ განხორციელდება აღნიშნული პერიოდების მიხედვით, იგი შესწორებულ დეკლარაციად ჩაითვლება.

ფიზიკურ პირს, რომელიც არ არის ვალდებული, წარადგინოს დეკლარაცია, შეუძლია წარადგინოს იგი გადასახადის გადაანგარიშებისა და დაბრუნების მოთხოვნით.

დაქირავებულს უფლება აქვს, გადახდის წყაროსთან დაკავებული საშემოსავლო გადასახადის გადაანგარიშების და თანხის დაბრუნების მიზნით, შესაბამისი კალენდარული წლის დასრულებიდან 3 თვის შემდეგ საგადასახადო ორგანოში წარადგინოს დეკლარაცია დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვის შესახებ.

პირი ვალდებულია ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესითა და ფორმით საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს დეკლარაცია საანგარიშო თვის მიხედვით გაცემული შრომის ანაზღაურების თანხებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ.

გადასახადის გადამხდელი ვალდებულია „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით სასამართლოს მიერ გამოტანილი გაკოტრების შესახებ განჩინების კანონიერ ძალაში შესვლიდან 15 დღის ვადაში საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს:

ა) გაკოტრების საქმის წარმოების დაწყებამდე სრული/არასრული საგადასახადო პერიოდის (პერიოდების) შესაბამისი, საშემოსავლო/მოგების გადასახადის წარუდგენელი დეკლარაციები. ამასთანავე, გადასახადის გადამხდელი გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ სრული/არასრული საგადასახადო პერიოდის (პერიოდების) შესაბამისად საშემოსავლო/მოგების გადასახადის დეკლარაციას არ წარადგენს;

ბ) გაკოტრების საქმის წარმოების დაწყებამდე სრული/არასრული საგადასახადო პერიოდის (პერიოდების) შესაბამისი, შრომის ანაზღაურების თანხებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ წარუდგენელი დეკლარაციები. ამასთანავე, გადასახადის გადამხდელი გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ სრული/არასრული საგადასახადო პერიოდის (პერიოდების) შესაბამისად გაცემული შრომის ანაზღაურების თანხებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ დეკლარაციას არ წარადგენს.

მომავალი მესაკუთრის საკუთრების უფლების რეგისტრაციამდე მარეგისტრირებელი ორგანო ვალდებულია ფიზიკურ პირს აცნობოს საგადასახადო ანგარიშგებისა და გადასახადის გადახდის ვალდებულების შესახებ, აგრეთვე მისი შეუსრულებლობისას კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის თაობაზე:

ა) ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული აქტივის რეალიზაციის შემთხვევაში;

ბ) ფიზიკური პირის მიერ ქონების საჩუქრად მიღების (გარდა I და II რიგის მემკვიდრეების მიერ ქონების ჩუქებით მიღებისა და III და IV რიგის მემკვიდრეების მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში 150 000 ლარამდე ღირებულების ქონების ჩუქებით ან/და მემკვიდრეობით მიღებისა) შემთხვევაში;

გ) III და IV რიგის მემკვიდრეების მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში 150 000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების ჩუქებით ან/და მემკვიდრეობით მიღების შემთხვევაში.

III და IV რიგის მემკვიდრეების მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში 150 000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების ჩუქებით ან/და მემკვიდრეობით მიღების შემთხვევაში საშემოსავლო გადასახადი ექვემდებარება გადახდას 2 კალენდარული წლის განმავლობაში, ხოლო „მემკვიდრეობით ან/და ჩუქებით მიღებული შემოსავლების დეკლარაცია" წარედგინება საგადასახადო ორგანოს აქტივის გადაცემიდან (რეგისტრაციიდან) არა უგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს პირი წარუდგენს საანგარიშო პერიოდის არა უგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

ფიზიკურმა პირს, რომლის ხელფასი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 6000 ლარს

უფლება აქვს გამოქვითოს დაუბეგრავი მინიმუმი 1800 ლარის ოდენობით. დაუბეგრავი მინიმუმის გათვალისწინებით, გადახდის წყაროსთან დაკავებული საშემოსავლო გადასახადის გადაანგარიშება და შესაბამისი თანხის დაბრუნება ხორციელდება ფიზიკური პირის მიერ დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვის შესახებ დეკლარაციის საგადასახადო ორგანოში წარდგენით. დეკლარაცია საგადასახადო ორგანოს წარედგინება შესაბამისი კალენდარული წლის დასრულებიდან 3 თვის შემდეგ. პირის მიერ წარდგენილი დეკლარაცია მის პირადი აღრიცხვის ბარათზე აისახება ავტომატურად დამქირავებლ(ებ)ის მიერ შესაბამისი პერიოდის მიხედვით განაცემებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ წარდგენილი ინფორმაციის გათვალისწინებით, ხოლო საგადასახადო ორგანო დეკლარაციის მონაცემების გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე ასახვიდან 3 თვის ვადაში უზრუნველყოფს, პირისათვის თანხის დაბრუნებას.

საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური სტატუსის მქონე ორგანიზაციაში დასაქმებული რეზიდენტი ფიზიკური პირები საშემოსავლო გადასახადის წლიურ დეკლარაციას წარადგენენ საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, ხოლო საშემოსავლო გადასახადს იხდიან ყოველთვიურად არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა. ამასთან, დიპლომატიურ ორგანიზაციას გადამხდელთან შეთანხმებით შეუძლია ნებაყოფლობით შეასრულოს საგადასახადო აგენტის ფუნქცია და გადახდის წყაროსთან დააკავოს საშემოსავლო გადასახადი. ანალოგიური წესი ვრცელდება თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს მიერ დაქირავებულისათვის გადახდილ ხელფასთან მიმართებით.

აქციზისა და დღგ-ის დეკლარაციების წარდგენა ხორციელდება საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე.

საგადასახადო ორგანოს საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე დეკლარაციას წარუდგენენ:

ა) მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი;

ბ) მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირი.

მიკრო ან მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი საქართველოში ეკონომიკური საქმიანობის შეწყვეტისას საგადასახადო ორგანოს 30 სამუშაო დღის ვადაში წარუდგენს დეკლარაციას.

დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი ვალდებულია „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით სასამართლოს მიერ გამოტანილი გაკოტრების შესახებ განჩინების კანონიერ ძალაში შესვლიდან 15 დღის ვადაში საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს გაკოტრების საქმის წარმოების დაწყებამდე სრული/არასრული საგადასახადო პერიოდის (პერიოდების) შესაბამისი წარუდგენელი დეკლარაციები. ამასთანავე, გადასახადის გადამხდელი გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ სრული/არასრული საგადასახადო პერიოდის (პერიოდების) შესაბამისად დღგ-ის დეკლარაციებს არ წარადგენს.

საწარმო/ორგანიზაცია ქონების გადასახადის დეკლარაციას შესაბამის საგადასახადო ორგანოს წარუდგენს არა უგვიანეს კალენდარული წლის 1 აპრილისა.

სალიკვიდაციო კომისია ვალდებულია საწარმოს ლიკვიდაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში წარუდგინოს შესაბამის საგადასახადო ორგანოს ქონების გადასახადის დეკლარაცია.

გადასახადის გადამხდელი ვალდებულია „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით სასამართლოს მიერ გამოტანილი გაკოტრების შესახებ განჩინების კანონიერ ძალაში შესვლიდან 15 დღის ვადაში საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს გაკოტრების საქმის წარმოების დაწყებამდე სრული/არასრული საგადასახადო პერიოდის (პერიოდების) წარუდგენელი დეკლარაციები. ამასთანავე, გადასახადის გადამხდელი გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ სრული/არასრული საგადასახადო პერიოდის (პერიოდების) შესაბამისად ქონების გადასახადის დეკლარაციებს არ წარადგენს.

ფიზიკური პირი ქონების გადასახადის დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს წარუდგენს არა უგვიანეს კალენდარული წლის 1 ნოემბრისა.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების საფუძველზე საგადასახადო ორგანოს მიერ მიწაზე ქონების გადასახადის დარიცხვისას პირი თავისუფლდება მიწაზე ქონების გადასახადის დეკლარაციის წარდგენის ვალდებულებისაგან. ამ შემთხვევაში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების საფუძველზე პირს წარედგინება საგადასახადო მოთხოვნა დადგენილი წესით.

ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში პირისთვის საშემოსავლო/მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი აღნიშნული საქმიანობის ნაწილში არის ამ საქმიანობის მიხედვით განსაზღვრული ერთობლივი შემოსავალი, რომელიც იბეგრება 5%-იანი გა-

ნაკვეთით და ექვემდებარება დეკლარირებასა და გადახდას საშემოსავლო/მოგების გადასახადისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

ქვემოთ წარმოგიდგენთ საგადასახადო დეკლარაციის ფორმებს შესაბამისი გადასახადების სახეების მიხედვით:

საშემოსავლო გადასახადის წლიური
დეკლარაცია
ნაწილი I

1	გადამხდელი	მეწარმე ფიზიკური პირი		ფიზიკური პირი	
	გვარი, სახელი				

(შესაბამისი უჯრა აღნიშნეთ „V" ნიშნით)

2	საიდენტიფიკაციო ნომერი		3	გადამხდელის პირადი ნომერი	

4	დეკლარაციის სახე: პირველადი		შესწორებული			5	სწელი		

6	მისამართი	
7	ეკონომიკური საქმიანობის კოდი	
8	საქმიანობის შეწყვეტის თარიღი	
9	წარედგინება:	

ნაწილი II
(ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ)

10	დეკლარაციის მიღების თარიღი	
11	თანდართული დოკუმენტი	ფურცელზე
12	რეგისტრაციის ნომერი	
13	დეკლარაციის მიმღების გვარი, სახელი	
14	დეკლარაციის მიმღების ხელმოწერა	

ნაწილი III

საშემოსავლო გადასახადის გაანგარიშება (ლარი)			
ერთობლივი შემოსავალი მათ შორის:		15	

საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული	16						
საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	17						
საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები		18					
გამოქვითვები სულ მათ შორის:			19				
– გამოქვითვას დაქვემდებარებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	20						
– ელექტროენერგია	21						
– გაცემული ხელფასი	22						
– კრედიტის (სესხის) პროცენტები	23						
– საამორტიზაციო ანარიცხები	24						
–სრულად გამოქვითული 1000 ლარამდე ღირებულების ძირითადი საშუალებები	25						
–სრულად გამოქვითული ძირითადი საშუალებების ღირებულება	26						
– ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯები	27						
– სხვა გამოქვითვები	28						
– ჯამი			29		30		
– საქართველოს წყაროდან მიღებული და გადახდის წყაროსთან დაბეგრილი შემოსავალი მათ შორის, ხელფასის სახით მიღებული	32		31				
- დაბეგვრისაგან გათავისუფლებული შემოსავალი			33				
-წინა წლების ზარალი, რომელიც ექვემდებარება გამოქვითვას			34				
შემოსავალი, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი საშემოსავლო გადასახადის განაკვეთით					35		
საშემოსავლო გადასახადი კანონმდებლობით დადგენილი ჩათვლების გარეშე					36		
გადახდის წყაროსთან დაკავებული საშემოსავლო გადასახადი, რომელიც ექვემდებარება ჩათვლას			37				
კუთვნილი საშემოსავლო გადასახადი		38					
დაბრუნებას დაქვემდებარებული გადასახადი	39						
კაპიტალიზებადი ხარჯი	40						

დეკლარაციაში მოცემული მონაცემების უტყუარობას და სისრულეს ვადასტურებ:

41	გადამხდელის გვარი, სახელი	
42	გადამხდელის ხელმოწერა	
43	ხელმოწერის თარიღი	

მემკვიდრეობით ან/და ჩუქებით მიღებული შემოსავლების დეკლარაცია
ნაწილი I

1	გადამხდელის პირადი ნომერი											

2	დეკლარაციის ტიპი:	პირველადი		შესწორებული	

(შესაბამისი უჯრა აღნიშნეთ „ V „ ნიშნით)

3	დეკლარაციის წარდგენის თარიღი							

4	აქტივების მიმღების გვარი და სახელი	
5	მისამართი და საკონტაქტო ტელეფონი	
	აქტივების დასახელება,	
6	აქტივების მისამართი და აღწერილობა)	
7	მატერიალური აქტივის მიმღების ნათესაური კავშირი აქტივის მესაკუთრესთან	

II ნაწილი

ჩუქებით ან/და მემკვიდრეობით მიღებული მატერიალური აქტივის ფასი (ღირებულება) (ლარი)	8		
მატერიალური აქტივის ჩუქებასთან ან/და მემკვიდრეობის მიღებასთან დაკავშირებული გამოქვითვას დაქვემდებარებული ხარჯი	9		
დასაბეგრი შემოსავალი კანონმდებლობით დადგენილი შეღავათების გათვალისწინებით	10		
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადის თანხა საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად	11		
მატერიალური აქტივის მიღების (რეგისტრაციის)თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	12		
მიღებულ მატერიალურ აქტივებზე კუთვნილი გადასახადის გადახდის ვადები	13	სავადო	თანხა

დეკლარაციაში ასახული მონაცემების უტყუარობასა და სისრულეს ვადასტურებ

გადამხდელის ხელის მოწერა ————————————

გადაჭრის ადგილი -

ნაწილი III

საგადასახადო ორგანოს აღნიშვნა:

დეკლარაცია წარმოდგენილია: ფოსტით ☐ პირადად ☐

რეგისტრაციის ☐☐☐☐☐☐☐☐☐☐☐ წარმოდგენის ☐☐ ☐☐ ☐☐

ნომერი		თარიღი		

უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი - - - - - - - - - - - (ხელმოწერა) - - - - - - - - - - - - -

გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის
დეკლარაცია
ნაწილი I

1	გადახმდელის დასახელება	
2	გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი	
3	გადამხდელის (ფიზიკური პირი) პირადი ნომერი	

4	დეკლარაციის სახე:	პირველადი		შესწორებული		5	პერიოდი	

6	მისამართი:	

7	რეზიდენტი საწარმო		8	არარეზიდენტი საწარმო		9	მეწარმე ფიზიკური პირი	

(შესაბამისი უჯრა აღნიშნეთ „ V" ნიშნით)

10	წარედგინა:	

(საგადასახადო ორგანო)

ნაწილი II
აღნიშვნა დეკლარაციის წარმოდგენის შესახებ (ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ)

11	დეკლარაციის მიღების თარიღი		
12	თანდართული დოკუმენტები		გვერდზე
13	რეგისტრაციის ნომერი		
14	დეკლარაციის მიმღების გვარი, სახელი		
15	დეკლარაციის მიმღების ხელმოწერა		

ცნობა დეკლარაციის წარმოდგენის შესახებ

(ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ გადამხდელის მოთხოვნის შემთხვევაში)

რეგისტრაციის ნომერი

გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი	

დეკლარაცია ჩაიბარა

საგადასახადო ორგანოს მუშაკის სახელი, გვარი, ხელმოწერა

დეკლარაცია შედგენილია "———" გვერდზე. თანდართული დოკუმენტები „ ———" გვერდზე

ნაწილი III

განაცემის დასახელება			თანხა (ლარი)
დაქირავებით მომუშავე ფიზიკურ პირებზე ხელფასის/სარგებლის (ფულადი, ნატურალური) სახით გაცემული ანაზღაურება. მათ შორის:		16	
ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაბეგვრას (შეღავათების გამოკლებით)		*17*	
რეზიდენტი ფიზიკური პირებისათვის გადახდილი როიალტი		*18*	
გადასახადის გადამხდელის მოწმობის არმქონე ფიზიკურ პირებზე გადახდის წყაროსთან დაბეგვრას დაქვემდებარებული განაცემები (გარდა პროცენტებისა)		*19*	
არადაქირავებულ ფიზიკურ პირებზე გაცემული თანხები, რომელიც არ უკავშირდება მომსახურების ანაზღაურებას და ამასთან, ექვემდებარება გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავებას (გარდა დივიდენდებისა და ანაბრებზე გაცემული პროცენტებისა)		*20*	
ფიზიკურ პირებზე გაცემული დივიდენდები და გადახდის წყაროსთან დაბეგვრას დაქვემდებარებული პროცენტები		*21*	
მუდმივი დანესებულების არმქონე არარეზიდენტ ფიზიკურ პირებზე გაწეული მომსახურებისათვის გაცემული ანაზღაურება, რომელიც ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაბეგვრას (გარდა პროცენტებისა და დივიდენდისა), მათ შორის,		22	
სსკ 134-ე მუხლის პირველი ნაწილის:	„ გ" ქვეპუნქტით (განაკვეთი 10%);	*23*	
	„ დ" ქვეპუნქტით (განაკვეთი 4%);	*24*	
	„ ე" ქვეპუნქტით (განაკვეთი 10%).	*25*	
გადახდის წყაროსთან დასაკავებელი სამემოსავლო გადასახადი (17,18,19,20,21,23,24,25 უჯრებში ასახული თანხების შესაბამისი საგადასახადო განაკვეთებზე ნამრავლის ჯამი)		26	
საწარმოებზე (ორგანიზაციებზე) გადახდის წყაროსთან დაბეგვრას დაქვემდებარებული განაცემები (შეღავათების ჩათვლით)		27	
საწარმოებზე (ორგანიზაციებზე) გადახდის წყაროსთან დაბეგვრას დაქვემდებარებული განაცემები (შეღავათების გამოკლებით), მათ შორის:		28	
ა)სსკ 134-ე მუხლის პირველი ნაწილის:	„ გ" ქვეპუნქტით (განაკვეთი 10%);	29	
	„ დ" ქვეპუნქტით (განაკვეთი 4%);	30	
	„ ე" ქვეპუნქტით (განაკვეთი 10%).	31	
ბ) გაცემული დივიდენდები (განაკვეთი 5 %)		32	

გ) პროცენტები (განაკვეთი 5 %)	33	
საწარომებისათვის (ორგანიზაციებისათვის) გადახდის წყაროსთან დასაკავებელი გადასახადი (29,30,31,32,33 უჯრებში ასახული თანხების შესაბამისი საგადასახადო განაკვეთებზე ნამრავლის ჯამი)	34	
ინფორმაციისათვის		
გამომვებული პროდუქციის (მომსახურების, შესრულებული სამუშაოს) ღირებულება	35	
ფიზიკურ პირთა რიცხოვნობა, რომლებზეც გაცემულია მე–16 უჯრაში ასახული თანხა	36	
არადაქირავებულ ფიზიკურ პირებზე გაცემული თანხები, რომელიც არ უკავშირდება მომსახურების ანაზღაურებას და არ ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაბეგვრას	37	
ნაღდი ანგარიშსწორებით განხორციელებული ბრუნვა. მათ შორის:	38	
საკონტროლო–სალარო აპარატების საშუალებით	39	
მაქსიმალური ხელფასი	40	
მინიმალური ხელფასი	41	
ნაღდი ფულის ნაშთი თვის ბოლოსათვის	42	
საქვეანგარიშოდ გაცემული თანხა	43	
პირთა რაოდენობა რომელზეც გაცემულია 43-ე უჯრაში ასახული თანხა	44	

დეკლარაციის დანართი „ა“

სააგარიშო პერიოდში განხორციელებული განაცემები

		შემოსავლის მიმღებ პირთა დასახელება	გაცემის თარიღი	განაცემის სახე	განაცემის ოდენობა	შეღავათის ოდენობა	წყაროსთან დასაკავებელი გადასახადის განაკვეთი	გადასახადი (ლარი)
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	*რეზიდენტ ფიზ.პირებზე განაცემები:*							
	1.1 დაქირავებით მომუშავე ფიზიკური პირები							
	1.2 გადასახადის გადამხდელის მოწმობის არმქონე ფიზ.პირები, რომლებიც ეწევიან მომსახურებას							
	1.3 სხვა ფიზიკური პირები							
2	*რეზიდენტ საწარმოებზე(ორგანიზაციებზე) განაცემები:*							
3	*არარეზიდენტებზე განაცემები:*							
	3.1 ოფშორულ ქვეყნებში რეგისტრირებული პირები							

3.2	საქართველოში მუდმივი დაწესებულების არმქონე სხვა არარეზიდენტი იურიდიული პირები							
3.3	საქართველოში მუდმივი დაწესებულების არმქონე არარეზიდენტი ფიზიკური პირები							

დეკლარაციის დანართი „ბ"

2008 წლის პირველ იანვრამდე პერიოდებში გაუცემელ ანაზღაურებებზე დარიცხული სოციალური გადასახადის გაანგარიშება

დასახელება		თანხა
2008 წლის პირველ იანვრამდე პერიოდებზე გაუცემელი ანაზღაურებები, რომლზეც დარიცხულია სოციალური გადასახადი.	1	
2008 წლის პირველ იანვრამდე გაუცემელი ანაზღაურებიდან მის შემდეგ პერიოდებში გაცემულია მათ შორის: საანგარიშო პერიდში	2	
	3	
სოციალური გადასახადი საანგარიშო პერიოდში გაცემულ ანაზარაურებაზე (უჯრა 3X20%)	4	

საანგარიშო პერიოდის განაცემების შესახებ ინფორმაცია

გაცემის თარიღი	განაცემის სახე	თანხა	სოციალური გადასახადი
1	2	3	4
სულ			

დანართში მოცემული მონაცემების სისრულეს და უტყუარობას ვადასტურებ:

გადასახადის გადამხდელის ხელმოწერა	

დეკლარაციის დანართი „გ"

დაქირავებულ ფიზიკურ პირებზე დაბრუნებული გადახდის წყაროსთან დაბეგრილი და დეკლარირებული საშემოსავლო გადასახადი, რომელიც ექვემდებარება აღდგენას

№	დაქირავებული ფიზიკური პირისათვის დაბრუნებული საშემოსავლო გადასახადის ოდენობა	დაკავების საანგარიშო პერიოდი	დაბრუნების თარიღი

დანართი

დეკლარაცია

დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვის შესახებ

ფიზიკური პირის სახელი და გვარი _____

პირადი ნომერი											

ფიზიკური პირის მისამართი _____

_____

საკონტაქტო მონაცემები : ტელ: _____

ელ.ფოსტა_____

დაუბეგრავი მინიმუმის მიღების კალენდარული წელი

_____

ბანკის დასახელება

_____

ანგარიშის ნომერი _____

დასაბრუნებელი თანხა _____

ხელმოწერა..... თარიღი „ — „ „———„ 20 წელი°

მოგების გადასახადის დეკლარაცია

ნაწილი I

1	გადამხდელი

(დასახელება)

2	გსნ

3	დეკლარაციის სახე: პირველადი		შესწორებული		4 წელი

5	საწარმოს სტატუსი	1	რეზიდენტი საწარმო	
		2	არარეზიდენტი საწარმოს მუდმივი დაწესებულება	
		3	არარეზიდენტი საწარმო მუდმივი დაწესებულების გარეშე	

(შესაბამისი უჯრა აღნიშნეთ „V" ნიშნით)

6	მისამართი

7	საქმიანობის სახე	ეკონომიკური საქმიანობის (NACE) კოდი სრულად	საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის %-ული მაჩვენებელი ერთობლივ შემოსავალში

8	ლიკვიდაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების თარიღი

ნაწილი II

(ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ)

9	საგადასახადო ორგანოს დასახელება	

10	დეკლარაციის მიღების თარიღი								

11	თანდართული დოკუმენტი			ფურცელზე

12	რეგისტრაციის ნომერი											

13	დეკლარაციის მიმღების გვარი, სახელი	

დეკლარაციის მიმღების ხელმოწერა

შენიშვნა:

1. მოგების გადასახადის გადამხდელის მიერ დეკლარაცია საგადასახადო ორგანოს წარედგინება:

ა) საგადასახადო ორგანოს საანგარიშო წლის შედეგების მიხედვით - მომდევნო წლის 1 აპრილამდე;

ბ) ლიკვიდაციის შემთხვევაში, სალიკვიდაციო კომისიის მიერ - ლიკვიდაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან 15 დღის ვადაში;

2. მე-7 სტრიქონში მიეთითება იმ საქმიანობების კოდები, რომლიდანაც მიღებული შემოსავალი შეადგენს ერთობლივი შემოსავლის 10%-სა და მეტს.

3. ნაწილი II ივსება დეკლარაციის ქაღალდის ფორმით წარმოდგენის შემთხვევაში

ნაწილი III

მოგების გადასახადის გაანგარიშება					(ლარი)	
ერთობლივი შემოსავალი გარდა მე-16 სტრიქონში ასახულისა					15	
ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომწყობი პირის ერთობლივი შემოსავალი					16	
საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები			17			
საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები					18	
გამოქვითვები, მათ შორის:			19			
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	20					
ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი, წყალი	21					

გაცემული ხელფასი	22						
კრედიტისათვის (სესხისათვის); გადახდილი ან გადასახდელი პროცენტები	23						
უმუშევრის ვალები	24						
საამორტიზაციო ანარიცხები	25						
სრულად გამოქვითული 1000 ლარამდე ღირებულების მირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	26						
სრულად გამოქვითული მირითადი საშუალებების ღირებულება	27						
მირითადი საშუალებების რემონტის ხარჯები	28						
სხვა გამოქვითვები (აღსადგენი ხარჯების გათვალისწინებით)	29						
ჯამი			30		31		
ერთობლივი შემოსავლის გადამეტება გამოქვითვებზე					32		
გამოქვითვების გადამეტება ერთობლივ შემოსავალზე			33				
დაბეგვრისაგან გათავისუფლებული მოგება (შემოსავალი)			34				
წინა წლების ზარალი			35				
დასაბეგრი მოგება					36		
მოგების გადასახადი 36-ე სტრიქონის მიხედვით					37		
საქართველოში გადახდის წყაროსთან დაკავებული მოგების გადასახადი			38				
საქართველოს ფარგლებს გარეთ გადახდილი მოგების გადასახადი			39				
კუთვნილი მოგების გადასახადი					40		
დაბრუნებას დაქვემდებარებული გადასახადი			41				

ინფორმაციისათვის							
კაპიტალიზებადი ხარჯი (ლარი)	42						
მოგება საქონლის/მომსახურების მიწოდებიდან (ლარი)	43						
დარიცხული ხელფასი (ლარი)	44						
კაპიტალი (ლარი)	45						
არარეზიდენტის წილი კაპიტალში (%)	46						

გაქვთ თუ არა განხორციელებული რაიმე გარიგებები (საქონლის/მომსახურების მიწოდება/შეძენა და სხვა) შეღავათიანი დაბეგვრის მქონე/ოფშორულ ქვეყნებში (ზონებში) რეგისტრირებულ პირებთან	47						
გაქვთ თუ არა შეძენილი მომსახურება საქართველოში მუდმივი დანესებულების არმქონე არარეზიდენტისაგან, გარდა 47-ე სტრიქონზე მოცემულისა	48						
გაქვთ თუ არა განხორციელებული რაიმე გარიგებები (საქონლის/მომსახურების მიწოდება/შეძენა და სხვა) ურთიერთდამოკიდებულ პირებთან	49						
გაქვთ თუ არა თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში რეგისტრირებული პირისაგან შეძენილი მომსახურება	50						
გაქვთ თუ არა განხორციელებული რაიმე გარიგებები (საქონლის/მომსახურების მიწოდება/შეძენა და სხვა) მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირებთან	51						
გაქვთ თუ არა განხორციელებული რაიმე გარიგებები (საქონლის/მომსახურების მიწოდება/შეძენა და სხვა) ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირებთან	52						
გაქვთ თუ არა მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული საწარმოსაგან შეძენილი მომსახურება/საქონელი	53						
გაქვთ თუ არა წარმოების/შეძენის ფასზე დაბალ ფასად საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი	54						

ე არა საწარმოს მიწოდებით მიღებული შემოსავლები	55	
ე არა ალებული უპროცენტო კრედიტი (სესხი)	56	
ლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვისას გამოყენებული მეთოდი: მათ შორის		
ჯალური აღრიცხვის	57	
ა მენონილი შეფასის	58	
	59	

:

ობკვეაში, თუ აუცილებელი გახდება დეკლარაციის სტრიქონებში მითითებული ლოგიკური ფორმულისაგან ან ისაგან განსხვავებული მონაცემების შეტანა, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია მიუთითოს მიზეზი

ე სტრიქონები დადებითი პასუხის შემთხვევაში აღნიშნეთ "V" ნიშნით

დეკლარაციის დანართი №

ერთობლივი შემოსავალი

დასახელება			ქვეყნის შიგნით	ქვეყნის გარეთ	სულ
1	2		3	4	5
1	საქონლის მიწოდებით მიღებული შემოსავალი, მათ შორის:				
	1.1	შეძენილი საქონლის მიწოდებით მიღებული შემოსავალი			
	1.2	სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში საქონლის მიწოდებით მიღებული შემოსავალი			
	1.3	საქონლის მიწოდება (საქონლის რეალიზაცია) შეღავათიანი დაბეგვრის მქონე/ოფშორულ ქვეყნებში (ზონებში)			
	1.4	საქონლის მიწოდება (საქონლის რეალიზაცია) ურთიერთდამოკიდებული პირებისათვის, გარდა 1.3 სტრიქონზე ასახულისა			
	1.5	რეალიზაციისათვის განკუთვნილი საქონლის გამოყენება სარეკლამო მიზნებისათვის			
	1.6	საქონლის გაცვლა სხვა საქონელზე/მომსახურეობაზე			
	1.7	დაქირავებულისათვის ხელფასის ნატურალური ფორმით ანაზღაურება			
	1.8	საქონლის უსასყიდლოდ მიწოდება			
	1.9	ინვენტარიზაციით დადგენილი საქონლის დანაკლისი			
	1.10	აქტივების მიწოდება შესატანის სახით საწარმოს კაპიტალში ან ამხანაგობაში			
	1.11	იურიდიული პირის ლიკვიდაციისას პარტნიორებზე საქონლის გადაცემა			
2	ძირითად სამუალებების და არამატერიალური აქტივების მიწოდებით მიღებული შემოსავლები, მათ შორის:				
	2.1	ძირითად საშუალებათა რეალიზაციით მიღებული შემოსავლები სსკ-ის 111-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად			
	2.2	ძირითად საშუალებათა რეალიზაციით მიღებული შემოსავლები სსკ-ის 112-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად			
	2.3	ძირითად საშუალებათა უსასყიდლოდ მიწოდება			
	2.4	ინვენტარიზაციით დადგენილი ძირითად საშუალებათა დანაკლისი			
	2.5	არამატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი			
	2.6	აქტივების მიწოდება შესატანის სახით საწარმოს კაპიტალში ან ამხანაგობაში			

	2.7	იურიდიული პირის ლიკვიდაციისას პარტნიორებზე აქტივის გადაცემა			
3	მომსახურების მიწოდებით მიღებული შემოსავლები (გარდა ამ დანართის სხვა პუნქტებში აღნიშნულისა), მათ შორის:				
	3.1	შეღავათიანი დაბეგვრის მქონე/ოფშორულ ქვეყნებში(ზონებში) რეგისტრირებული პირებისათვის მომსახურების გაწევა			
	3.2	მომსახურების გაწევა ურთიერთდამოკიდებული პირებისათვის, გარდა 3.1 სტრიქონზე მოცემულისა			
	3.3	მომსახურების გაცვლა სხვა მომსახურეობაზე/საქონელზე			
	3.4	მომსახურების უსასყიდლოდ მიწოდება			
	3.5	გრძელვადიანი კონტრაქტის მიხედვით ერთობლივ შემოსავალში შესატანი თანხა			
	3.6	მომსახურების მიწოდება შესატანის სახით საწარმოს კაპიტალში ან ამხანაგობაში			
4	ქონების ლიზინგით/უზუფრუქტით/იჯარით და ქირით გაცემით მიღებული შემოსავლები				
5	როიალტის სახით მიღებული შემოსავლები				
6	პროცენტების სახით მიღებული შემოსავლები, რომლებიც ექვემდებარება ერთობლივ შემოსავალში შეტანას				
	6.1	დაქირავებულ პირზე გაცემული სესხის ოდენობა (ლარი)			
	6.2	უპროცენტოდ გაცემული სესხის ოდენობა (ლარი)			
	6.3	ურთიერთდამოკიდებულ პირზე გაცემული სესხის ოდენობა (ლარი)			
7	დივიდენდების სახით მიღებული შემოსავლები, რომლებიც ექვემდებარება ერთობლივ შემოსავალში შეტანას				
8	ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვის შედეგად მიღებული შემოსავლები				
9	ამხანაგობაში (ამხანაგობებში) წილის შესაბამისად კუთვნილი დასაბეგრი მოგება				
10	კომპენსირებული გამოქვითვები სსკ-ის 146-ე მუხლის შესაბამისად, მათ შორის:				
	10.1	უიმედო ვალების ანაზღაურებით მიღებული თანხები			
	10.2	ადრე გამოქვითული სხვა ხარჯების/ზარალის ანაზღაურებით მიღებული თანხები			
11	ვალების ჩამოწერით ან პატიებით მიღებული შემოსავლები				
12	ინვენტარიზაციით დადგენილი ზედმეტობა				
	12.1	საქონლის			
	12.2	ძირითად საშუალებების			
13	სხვა შემოსავლები, მათ შორის:				
	13.1	უცხოური ვალუტის კურსთა ცვლილებიდან მიღებული შემოსავლები			
	13.2	უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი საშუალების საბაზრო ღირებულება			
	13.3	უსასყიდლოდ მიღებული არამატერიალური აქტივების საბაზრო ღირებულება			
	13.4	უსასყიდლოდ მიღებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საბაზრო ღირებულება			
	13.5	უსასყიდლოდ მიღებული მომსახურების საბაზრო ღირებულება			

	13.6	სხვა სარგებელი			
	13.7	შემოსავალი ფასიანი ქაღალდებიდან			
	13.8	სხვა შემოსავლები			
		ჯამი			

შენიშვნა:

1. იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელი გახდება დეკლარაციის სტრიქონებში მითითებული ლოგიკური ფორმულისაგან ან შინაარსისაგან განსხვავებული მონაცემების შეტანა, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია მიუთითოს მიზეზი.

2. დანართის 1 - 3 სტრიქონებში დაფიქსირებული მონაცემები შესაძლებელია არ შეადგენდეს ამ სტრიქონების მიხედვით ჩაშლილი სტრიქონების ჯამს.

3. 1-13 სტრიქონების ჯამი (სვეტი 5) გადაიტანება მოგების გადასახადის დეკლარაციის III ნაწილის მე-15 სტრიქონში.

4. დანართის 6.1.-6.3 სტრიქონები არის საინფორმაციო ხასიათის.

დეკლარაციის დანართი „8"

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

№	დასახელება	სულ	მათ შორის			
			ნედლეული და მასალები	შემდგომი მიწოდებისათვის შეძენილი საქონელი	დაუმთავრებელი წარმოება	მზა პროდუქცია
1	2	3	4	5	6	7
1	საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები					
2	საგადასახადო წლის განმავლობაში სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაზრდა, მათ შორის:					
	2.1 ადგილობრივი შესყიდვები					
	2.2 შესყიდვები შეღავათიანი დაბეგვრის მქონე/ოფშორული ქვეყნებიდან (ზონებიდან)					
	2.3 შესყიდვები უცხო ქვეყნებიდან, გარდა 2.2 სტრიქონზე ასახულისა					
	2.4 უსასყიდლოდ მიღებული					
	2.5 ძირითადი საშუალების ლიკვიდაციის შედეგად მიღებული					
	2.6 ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი ზედმეტობა					

	2.7 სხვა მიღებები					
3	საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები, მათ შორის:					
	3.1 გმელვადიანი კონტრაქტის შემთხვევაში დაუმთავრებელ წარმოებაზე გამოყენებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები					
	ინფორმაციისთვის:					
4	სახელმწიფოსათვის ან/და ადგილობრივი თვითმმართველობისათვის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების უსასყიდლოდ გადაცემა					
5	ჩამოწერილი ვადაგასული, ან/და გამოსაყენებლად ან შემდგომი მიწოდებისთვის უვარგისი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები					
6	საგარანტიო მოშსახურებისათვის გამოყენებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები					
7	მომსახურე სატრანსპორტო საშუალებაზე გახარჯული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები					
8	კაპიტალიზებადი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები					
9	საანგარიშო პერიოდში დასრულებულ გრძელვადიან კონტრაქტზე მიკუთვნებული სასაქონლო-მატერიალური მარაგები					

შენიშვნა:*

**იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელი გახდება დეკლარაციის სტრიქონებში მითითებული ლოგიკური ფორმულისაგან ან შინაარსისგან განსხვავებული მონაცემების შეტანა, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია მიუთითოს მიზეზი*

დეკლარაციის დანართი „ბ"

ოპერაციები რომლებიც არ განიხილება მიწოდებად ან/და არ ჩაირთვება ერთობლივ შემოსავალში

№	დასახელება	ღირებულება (ლარი)
1	სანარმოს კაპიტალიდან აქტივების გატანა სახელმწიფოს ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ (სსკ მე-100 მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტი);	
2	სახელმწიფოსთვის ან/და ადგილობრივი თვითმმართველობისათვის საქონლის უსასყიდლოდ გადაცემა ან/და მომსახურების უსასყიდლოდ გაწევა (სსკ მე-100 მუხლის მე-4 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტი);	
3	საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული პროექტების (მათ შორის, მოსამზადებელი ეტაპის) განმახორციელებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ, ამ პროექტების ფარგლებში საქონლის სხვა პირებისათვის გადაცემა (სსკ მე-100 მუხლის მე-4 ნაწილის „გ" ქვეპუნქტი);	

4	იჯარით აღებულ ძირითადი საშუალებათა რემონტის (როგორც აქტივის)თანხა ძირითადი საშუალების მეიჯარისთვის დაბრუნებისას (სსკ მე-100 მუხლის მე-4 ნაწილის „ე" ქვეპუნქტი და სსკ-ის მე-115 მუხლის მე-4 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტი);	
5	მიღებული დივიდენდები (სსკ-ის 130- ე მუხლის მე-2 -3[1] პრიმა ნაწილი) გარდა სხვა პუნქტებში მოცემულისა	
6	საერთაშორისო ფინანსური კომპანიის აქციებიდან/ წილიდან მიღებული დივიდენდები (სსკ-ის 130- ე მუხლის მე-4 ნაწილი);	
7	თავისუფლად მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდიდან მიღებული დივიდენდები (სსკ-ის 130- ე მუხლის მე-5 ნაწილი);	
8	თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში თიზ-ის საწარმოდან მიღებული დივიდენდები (სსკ-ის 130- ე მუხლის მე-7 ნაწილი);	
9	საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტიდან მიღებული პროცენტები თუ ამ პროცენტების მიმღები არ არის ასევე ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტი (სსკ-ის 131- ე მუხლის მე-5 ნაწილი);	
10	თავისუფლად მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდიდან მიღებული პროცენტები (სსკ-ის 131- ე მუხლის მე-6 ნაწილი);	
11	საქართველოს საწარმოს მიერ გამოშვებული და უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟის ლისტინგში სავაჭროდ დამვებული სასესხო ფასიანი ქაღალდიდან მიღებული პროცენტები (სსკ-ის 131- ე მუხლის მე-8 ნაწილი);	
12	თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში თიზ-ის საწარმოდან მიღებული პროცენტები (სსკ-ის 131- ე მუხლის მე-9 ნაწილი);	
13	იურიდიული პირის ლიკვიდაციისას პარტნიორი იურიდიული პირისათვის მისი წილის პროპორციულად (შესაბამისად) აქტივის გადაცემა , თუ პარტნიორი იურიდიული პირი ლიკვიდაციამდე ფლობდა 50 პროცენტს ან მეტს ამ იურიდიულ პირში (სსკ-ის 150-ე მუხლის პირველი ნაწილი);	
14	პირის (პირთა) მიერ იურიდიული პირისათვის მასში 50 პროცენტის ამ მეტი წილის (აქციების) სანაცვლოდ აქტივების გადაცემა (დავალიანებით ან მის გარეშე) (სსკ-ის 151-ე მუხლის პირველი ნაწილი).	
15	ქონების ან წილის (აქციების) გადაცემა რეორგანიზაციის მხარე იურიდიულ პირებს შორის (სსკ-ის 152-ე მუხლის მე-2 ნაწილი).	
16	რეორგანიზაციის მხარე რეზიდენტ იურიდიულ პირში წილის (აქციების) ნებისმიერი გაცვლა წილზე (აქციებზე) სხვა იურიდიულ პირში, რომელიც ასევე ამ რეორგანიზაციის მხარეა (სსკ-ის 152-ე მუხლის მე-3 ნაწილი).	
17	სხვა	
	სულ	0

შენიშვნა:*

**იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელი გახდება დეკლარაციის სტრიქონებში მითითებული ლოგიკური ფორმულისაგან ან მონაცემებისაგან განსხვავებული მონაცემების შეტანა, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია მიუთითოს მიზეზი*

კრედიტზე (სესხზე) დარიცხული პროცენტების დანახარჯები (ეროვნულ ვალუტაში)

№	კრედიტის(სესხის) გამცემის დასახელება	საანგარიშო პერიოდის დასაწყისში არსებული კრედიტის ოდენობა	საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებული კრედიტის ოდენობა	სულ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაფარული კრედიტის ოდენობა	საპროცენტო ხარჯი
1	2	3	4	5	6
1	ურთიერთდამოკიდებული რეზიდენტი პირი, მათ შორის:				
	1.1 ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტი				
	1.2 სხვა იურიდიული პირი				
	1.3 ფიზიკური პირი				
2	ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტი (გარდა 1.1 სტრიქონში აღნიშნულისა)				
3	სხვა რეზიდენტი იურიდიული პირი (გარდა პირველი და მე-2 სტრიქონებში აღნიშნულისა).მათ შორის:				
	3.1 თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმო (თიზ-ი)				
	3.2 სპეციალური სავაჭრო ზონის საწარმო				
	3.3 სპეციალური სავაჭრო კომპანია				
	3.4 საერთაშორისო ფინანსური კომპანია				
4	სხვა რეზიდენტი ფიზიკური პირი (გარდა 1.3 სტრიქონში აღნიშნულისა)				
5	ურთიერთდამოკიდებული არარეზიდენტი პირი				
6	სხვა არარეზიდენტი პირები (გარდა მე-5 სტრიქონში აღნიშნულისა), მათ შორის				
	6.1 შეღავათიანი დაბეგვრის მქონე/ოფშორულ ქვეყნებში(ზონებში) რეგისტრირებული პირი				
7	სხვა პირი				
	ჯამი				

შენიშვნა:*

**იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელი გახდება დეკლარაციის სტრიქონებში მითითებული ლოგიკური ფორმულისაგან ან შინაარსისაგან განსხვავებული მონაცემების შეტანა, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია მიუთითოს მიზეზი;*
მე-6 სვეტის ჯამი გადაიტანება დეკლარაციის III ნაწილის 23-ე სტრიქონში სსკ-ის 107-ე მუხლის შეზღუდვების გათვალისწინებით.

დეკლარაციის დანართი „ე"

ამორტიზაციის ანარიცხები და გამოქვითვები საწარმოს საკუთრებაში რიცხული (გარდა ლიზინგით გაცემულისა) ძირითადი საშუალებების მიხედვით

N	დასახელება	ჯგუფის ნომერი				ჯამი
		I	II	III	V	
1	2	3	4	5	6	7
1	ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი საანგარიშოს წინა წლის ბოლოს					
2	საანგარიშოს წინა წელს დარიცხული ამორტიზაციის თანხა					
3	დამატებული ძირითადი სამუალებების ღირებულება					
4	რეალიზებული ძირითადი სამუალებები					
5	საანგარიშო წელს ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯები ზღვრული ოდენობის (5%) ზემოთ სსკ-ის 115-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად					
6	ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი საანგარიშოO წლის ბოლოს					
7	ამორტიზაციის ნორმა (%)	20%			15%	
8	ამორტიზაციის თანხა					
9	ერთობლივ შემოსავალზე დასამატებელი თანხა					
10	ერთობლივი შემოსავლიდან გამოსაქვითი თანხა					

შენიშვნა:*

**იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელი გახდება დეკლარაციის სტრიქონებში მითითებული ლოგიკური ფორმულისაგან ან შინაარსისაგან განსხვავებული მონაცემების შეტანა, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია მიუთითოს მიზეზი*

1 სტრ.6=სტრ.1-სტრ.2+სტრ.3-სტრ.4+სტრ.5

2 თუ 0>სტრ.6<1000, მაშინ სტრ.6-ში ჩაწერეთ 0 და სხვაობა შეიტანეთ სტრ.10-ში.

3 თუ სტრ.6<0 მაშინ სტრ.6-ში ჩაწერეთ 0 და სხვაობა შეიტანეთ სტრ.9-ში.

4 თუ ჯგუფის ყველა ძირითადი საშუალება რეალიზებული ან ლიკვიდირებულია, სტრ.6-ში შეიტანეთ 0 და სტრ.1-სტრ.2+სტრ.3-სტრ.4+სტრ.5 შედეგად მიღებული სხვაობა შეიტანეთ სტრ.10-ში.

5 სტრ. 7-ში II და III ჯგუფებისათვის შეიძლება დაწესებული ამორტიზაციის ორმაგი ნორმის გამოყენება. ზღვრული ნორმები ჯგუფებისთვის შემდეგია:

ჯგუფი II: 20× 2=40

ჯგუფი III: 8×2=16

6 სტრ.8=სტრ.6Xსტრ.7

დეკლარაციის დანართი №3

საამორტიზაციო ანარიცხები სხვა აქტივების მიხედვით

N	დასახელება	გამოქვითვას დაქვემდებარებული საამორტიზაციო ანარიცხები
1	2	3
1	ამორტიზაციის ანარიცხები და გამოქვითვები საწარმოს საკუთრებაში რიცხული (გარდა მე-4 სტრიქონში ასახულისა) შენობა-ნაგებობების მიხედვით	
2	საამორტიზაციო ანარიცხები და გამოქვითვები საწარმოს საკუთრებაში რიცხული არამატერიალური აქტივების მიხედვით, რომელთა სასარგებლო გამოყენების ვადა განსაზღვრულია	
3	საამორტიზაციო ანარიცხები და გამოქვითვები საწარმოს საკუთრებაში რიცხული არამატერიალური აქტივების მიხედვით, რომელთა სასარგებლო გამოყენების ვადა არ არის განსაზღვრული	
4	ამორტიზაციის ანარიცხები და გამოქვითვები 2010 წლის 1 იანვრის შემდეგ ლიზინგით გაცემული ძირითადი საშუალებების მიხედვით	
5	ამორტიზაციის ანარიცხები და გამოქვითვები 2010 წლის 1 იანვრამდე ლიზინგით მიღებული ძირითადი საშუალებების მიხედვით	
6	ამორტიზაციის ანარიცხები და გამოქვითვები გეოლოგიური კვლევებისა და ბუნებრივი რესურსების მოპოვების მომსახურების ხარჯების მიხედვით სსკ-ს 119-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად	
7	ამორტიზაციის ანარიცხები და გამოქვითვები ოჯარით აღებულ ძირითად საშუალებათა რემონტის ხარჯების მიხედვით სსკ-ის 115-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად	
	ჯამი	

შენიშვნა:

დეკლარაციის დანართი №6

სრულად გამოქვითული ძირითადი საშუალებების ღირებულება

N	დასახელება	საანგარიშო პერიოდში ექსპლოატაციაში შესული ძირითადი საშუალებები (ღირებულება)		ჯამი
		შეძენილი/წარმოებული წინა საანგარიშო პერიოდებში	შეძენილი/წარმოებული მიმდინარე საანგარიშო პერიოდში	

1	2	3	4	5
1	გადასახადის გადამხდელის მიერ წარმოებული ძირითადი საშუალებების ღირებულება			
2	შესყიდული ძირითადი საშუალებების ღირებულება			
3	უსასყიდლოდ მიღებულ ძირითადი სამუალებების საბაზრო ღირებულება			
4	სულ ერთობლივი შემოსავლიდან სრულად გამოქვითული ძირითადი საშუალებების ღირებულება			

შენიშვნა:*

**იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელი გახდება დეკლარაციის სტრიქონებში მითითებული ლოგიკური ფორმულისაგან ან შინაარსისაგან განსხვავებული მონაცემების შეტანა, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია მიუთითოს მიზეზი*

დეკლარაციის დანართი „თ"

სხვა გამოქვითვები ერთობლივი შემოსავლიდან

N	დასახელება	ღირებულება (ლარი)
1	2 3	4
1	კომუნიკაციის ხარჯები	
2	სარეკლამო მომსახურების ხარჯი	
3	წარმომადგენლობითი ხარჯი სსკ-ის 116-ე მუხლის შესაბამისად	
4	სულ წარმომადგენლობითი ხარჯი	
5	მივლინების ხარჯები	
6	სადაზღვევო შენატანები, გარდა პერსონალის დაზღვევაზე გადახდილისა	
7	სარეზერვო ფონდებში გადარიცხვები	
8	სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საცდელ-საკონსტრუქტორო მომსახურების ხარჯები	
9	ძირითადი საშუალების მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯები, გარდა ხელფასის ხარჯისა	
10	ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის თანხა სსკ-ის 111-ე მუხლის მე-8 და მე-9 ნაწილების შესაბამისად	
11	გამოქვითვები არამატერიალური აქტივების მიხედვით, როცა ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის თანხა წლის ბოლოსთვის 1000 ლარზე ნაკლებია	
12	გადახდილი მოსაკრებლები	
13	გამოქვითვას დაქვემდებარებული უსასყიდლოდ მიღებული მომსახურების ღირებულება, გარდა კაპიტალიზებადისა	

14	გრძელვადიანი კონტრაქტის მიხედვით დაუმთავრებელ წარმოებაზე მიკუთვნებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები, რომელმაც მონაწილეობა მიიღო შემოსავლის განსაზღვრაში (არ შეიტანება საანგარიშო პერიოდში დასრულებულ გრძელვადიან კონტრაქტზე მიკუთვნებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები)		
15	სხვა		
16	წინა საანგარიშო პერიოდების დანახარჯები, რომელთა გამოქვითვის უფლება მოპოვებულია საანგარიშო პერიოდში, გარდა ხელფასის ხარჯისა		
17	ჯამი		
18	**ხარჯები, რომლიც ამცირებს ერთობლივი შემოსავლიდან გამოსაქვითი ხარჯს, მათ შორის:**		
	18.1 მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებულ შემოსავალზე გაწეული დანახარჯი		
	18.2 საანგარიშო წლის განმავლობაში კაპიტალიზებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები		
	18.3 დანახარჯები შეძენებზე, რომლის მიხედვით არ არის დამდგარი ხარჯის გაწევის მომენტი (გარდა კაპიტალიზებულისა)		
	18.4 წლის განმავლობაში გახარჯული მარაგები, რომელზეც პირს სრული ოდენობით ან ნაწილობრივ არ აქვს გამოქვითვის უფლება		
	18.5 სსკ-ის 142-ე მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით შესამცირებელი ხარჯი		
	18.6 დასრულებულ გრძელვადიან კონტრაქტზე გახარჯული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები, რომელიც მიკუთვნებული იყო წინა პერიოდების გამოსაქვით ხარჯებს		
	18.7 სხვა		
19	**სულ სხვა გამოქვითვები ერთობლივი შემოსავლიდან (სტრ.17-სტრ.18. აისახება მოგების გადასახადის დეკლარაციის III ნაწილის 29-ე სტრიქონში)**		

შენიშვნა:*

"იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელი გახდება დეკლარაციის სტრიქონებში მითითებული ლოგიკური ფორმულისაგან ან მისარსისაგან განსხვავებული მონაცემების შეტანა, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია მიუთითოს მიზეზი

დეკლარაციის დანართი „ი"

დებიტორ-კრედიტორები

№	დასახელება	დებიტორული მოთხოვნა		კრედიტორული დავალიანება	
		3 წლამდე ვადის ხანდაზმულობის"	3 და 3 წელზე მეტი ვადის ხანდაზმულობის"	3 წლამდე ვადის ხანდაზმულობის"	3 და 3 წელზე მეტი ვადის ხანდაზმულობის"
1	დარიცხული და გაუცემელი ხელფასი				
2	საქონლის/მომსახურების მიწოდებით წარმოშობილი, მათ შორის:				
2.1	ურთიერთდამოკიდებულ პირთან მიმართებაში (რეზიდენტი/არარეზიდენტი), გარდა 2.6 სტრიქონში ასახულისა				
2.2	თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოსთან მიმართებაში				
2.3	სპეციალური სავაჭრო ზონის საწარმოსთან მიმართებაში				
2.4	სპეციალური სავაჭრო კომპანიასთან მიმართებაში				
2.5	საერთაშორისო ფინანსური კომპანიასთან მიმართებაში				
2.6	შეღავათიანი დაბეგვრის მქონე/ოფშორულ ქვეყნებში(ზონებში) რეგისტრირებულ პირებთან მიმართებაში				
3	გაცემული/მიღებული ავანსები, მათ შორის				
3.1	ურთიერთდამოკიდებულ პირთან მიმართებაში (რეზიდენტი/არარეზიდენტი), გარდა 3.6 სტრიქონში ასახულისა				
3.2	თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოსთან მიმართებაში				
3.3	სპეციალური სავაჭრო ზონის საწარმოსთან მიმართებაში				
3.4	სპეციალური სავაჭრო კომპანიასთან მიმართებაში				
3.5	საერთაშორისო ფინანსურ კომპანიასთან მიმართებაში				
3.6	შეღავათიანი დაბეგვრის მქონე/ოფშორულ ქვეყნებში(ზონებში) რეგისტრირებულ პირთან მიმართებაში				

4	სხვა, მათ შორის:				
4.1	შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ორგანიზაციულ ქვეყნებში (ზონებში) რეგისტრირებულ პირებთან მიმართებაში				
4.2	ურთიერთდამოკიდებულ, გარდა 4.1 სტრიქონში ასახულის, პირებთან მიმართებაში (რეზიდენტი/არარეზიდენტი)				
	სულ				

შენიშვნა:*

**იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელი გახდება დეკლარაციის სტრიქონებში მითითებული ლოგიკური ფორმულისაგან ან შინარსისაგან განსხვავებული მონაცემების შეტანა, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია მიუთითოს მიზეზი*

ხანდაზმულობის ვადა აითვლება მოთხოვნის უფლების/დავალიანების წარმოქმნის თარიღიდან

დეკლარაციის დანართი №

			ბალანსი	
N			საანგარიშო პერიოდის დასაწყისში	საანგარიშო პერიოდის ბოლოს
I აქტივები				
1	მიმდინარე აქტივები			
	1.1	ფული		
	1.2	დებიტორული დავალიანება		
	1.3	მარაგები		
	1.4	ავანსად გადახდილი ოჯარა		
	1.5	სხვა მიმდინარე აქტივები		
2	გრძელვადიანი აქტივები			
	2.1	მიწა		
	2.2	მოწყობილობა-დანადგარები		
	2.3	შენობა-ნაგებობები		
	2.4	სხვა გრძელვადიანი აქტივები		
II ვალდებულებები და კაპიტალი				
3	მიმდინარე ვალდებულებები			
	3.1	კრედიტორული დავალიანება		
	3.2	გადასახდელი ხელფასები		
	3.3	გადასახდელი დაზღვევა		
	3.4	სხვა მიმდინარე ვალდებულებები		
4	გრძელვადიანი ვალდებულებები			
	4.1	გრძელვადიანი სესხები		
	4.2	გადასახდელი თამასუქები		
	4.3	გადასახდელი სავალო ვალდებულებები		

სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		
კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება		
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი		
სხვა		

შენიშვნა:*

**იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელი გახდება დეკლარაციის სტრიქონებში მითითებული ლოგიკური ფორმულისაგან ან მიწარსისაგან განსხვავებული მონაცემების შეტანა, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია მიუთითოს მიზეზი*

დეკლარაციის დანართი №1*

ბალანსი

ლარებში

N	აქტივები	
1	ნაღდი ფული	
2	ფულადი სახსრები საქართველოსეროვნულ ბანკში	
3	ფულადი სახსრები სხვა ბანკებში	
4	ფასიანი ქაღალდები დილინგური ოპერაციებისათვის	
5	საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	
6	წმინდა სესხები	
6.1	*მთლიანი სესხები*	
6.2	*მინუს: სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი*	
7	დარიცხული მისაღები პროცენტები და დივიდენდები	
8	დასაკუთრებული უძრავი და მოძრავი ქონება	
9	ინვესტიციები საწესდებო კაპიტალში	
10	ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	
11	სხვა აქტივები	
12	მთლიანი აქტივები	
	ვალდებულებები	
13	ბანკების დეპოზიტები	
14	მიმდინარე დეპოზიტები (ანგარიშები)	
15	მოთხოვნამდე დეპოზიტები	
16	ვადიანი დეპოზიტები	
17	საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები	
18	ნასესხები სახსრები	
19	დარიცხული გადასახდელი პროცენტები და დივიდენდები	
20	სხვა ვალდებულებები	
21	სუბორდინირებული ვალდებულებები	

22	მთლიანი ვალდებულებები	
	საკუთარი კაპიტალი	
23	ჩვეულებრივი აქციები	
24	პრივილეგირებული აქციები	
25	მინუს: გამოსყიდული აქციები	
26	საემისიო კაპიტალი	
27	საერთო რეზერვები	
28	გაუნაწილებელი მოგება	
29	აქტივების გადაფასების რეზერვი	
30	სულ საკუთარი კაპიტალი	
31	მთლიანი ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	

შენიშვნა*:

*იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელი გახდება დეკლარაციის უჯრებში მითითებული ლოგიკური ფორმულისაგან ან შინაარსისაგან განსხვავებული მონაცემების შეტანა, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია მიუთითოს მიზეზი;

დეკლარაციის დანართი „ლ"

ანგარიშგება მოგება-ზარალის შესახებ

1	1.	შემოსავლები	
	1.1	საოპერაციო	
	1.2	არასაოპერაციო და სხვა შემოსავლები	
2	ხარჯები		
	2.1	რეალიზებული პროდუქციის (მომსახურების) თვითღირებულება	
	2.2	რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	
	2.3	არასაოპერაციო და სხვა ხარჯი	
3	მოგება გადასახადის გადახდამდე		
4	მოგების გადასახადი		
5	წმინდა მოგება		

შენიშვნა:*

იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელი გახდება დეკლარაციის სტრიქონებში მითითებული ლოგიკური ფორმულისაგან ან შინაარსისაგან განსხვავებული მონაცემების შეტანა, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია მიუთითოს მიზეზი

დეკლარაციის დანართი ლ[1]

ლარებში

ანგარიშგება მოგება–ზარალის შესახებ

N		სულ
	საპროცენტო შემოსავლები	
1	საპროცენტო შემოსავლები ბანკებიდან "ნოსტრო" ანგარიშებისა და დეპოზიტების მიხედვით	
2	საპროცენტო შემოსავლები სესხებიდან	
2.1	ბანკთაშორისი სესხებიდან	
2.2	ვაჭრობისა და მომსახურეობის სექტორზე გაცემული სესხებიდან	
2.3	ენერგეტიკის სექტორზე გაცემული სესხებიდან	
2.4	სოფლის მეურნეობის და მეტყევეობის სექტორზე გაცემული სესხებიდან	
2.5	მშენებლობის სექტორზე გაცემული სესხებიდან	
2.6	სამთომომპოვებელ და გადამამუშავებელ სექტორზე გაცემული სესხებიდან	
2.7	ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორზე გაცემული სესხებიდან	
2.8	ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებიდან	
2.9	დანარჩენ სექტორზე გაცემული სესხებიდან	
3	შემოსავლები ჯარიმებიდან/საურავებიდან კლიენტებისათვის მიცემული სესხების მიხედვით	
4	საპროცენტო და დისკონტური შემოსავლები ფასიანი ქაღალდებიდან	
5	სხვა საპროცენტო შემოსავლები	
6	მთლიანი საპროცენტო შემოსავლები	
	საპროცენტო ხარჯები	
7	მოთხოვნამდე დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები	
8	ვადიან დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები	
9	ბანკის დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები	
10	საკუთარ სავალო ფასიან ქაღალდებზე გადახდილი პროცენტები	
11	ნასესხებ სახსრებზე გადახდილი პროცენტები	
12	სხვა საპროცენტო ხარჯები	
13	მთლიანი საპროცენტო ხარჯები	
14	წმინდა საპროცენტო შემოსავალი	
	არასაპროცენტო შემოსავლები	
15	წმინდა საკომისიო და სხვა შემოსავლები მომსახურეობის მიხედვით	
15.1	საკომისიო და სხვა შემოსავლები გაწეული მომსახურეობის მიხედვით	
15.2	საკომისიო და სხვა ხარჯები მიღებული მომსახურეობის მიხედვით	
16	მიღებული დივიდენდები	
17	მოგება (ზარალი) დილინგური ფასიანი ქაღალდებიდან	
18	მოგება (ზარალი) საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან	
19	მოგება (ზარალი) ვალუტის ყიდვა–გაყიდვის ოპერაციებიდან	
20	მოგება (ზარალი) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	

21	მოგება (ზარალი) ქონების გაყიდვიდან	
22	სხვა საბანკო ოპერაციებიდან მიღებული არასაპროცენტო შემოსავლები	
23	სხვა არასაპროცენტო შემოსავლები	
24	**მთლიანი არასაპროცენტო შემოსავლები**	
	არასაპროცენტო ხარჯები	
25	სხვა საბანკო ოპერაციების მიხედვით გაწეული არასაპროცენტო ხარჯები	
26	ბანკის განვითარების, საკონსულტაციო და მარკეტინგის ხარჯები	
27	ბანკის პერსონალის ხარჯები	
28	ძირითადი საშუალებების საექსპლოატაციო ხარჯები	
29	ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	
30	სხვა არასაპროცენტო ხარჯები	
31	**მთლიანი არასაპროცენტო ხარჯები**	
32	**წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი**	
33	**წმინდა მოგება დარეზერვებამდე**	
34	ზარალი სესხების შესაძლო დანაკარგების მიხედვით	
35	ზარალი ინვესტიციების და ფასიანი ქაღალდების გაუფასურების შესაძლო დანაკარგების მიხედვით	
36	ზარალი სხვა აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით	
37	მთლიანი ზარალი აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით	
38	მოგება გადასახადის გადახდამდე და გაუთვალისწინებელ სემოსავალ–ხარჯებამდე	
39	მოგების გადასახადი	
40	**მოგება გადასახადის გადახდის შემდეგ**	
41	გაუთვალისწინებელი შემოსავლები (ხარჯები)	
42	**წმინდა მოგება**	


შენიშვნა*:

*იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელი გახდება დეკლარაციის უჯრებში მითითებული ლოგიკური ფორმულისაგან ან შინაარსისაგან განსხვავებული მონაცემების შეტანა, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია მიუთითოს მიზეზი;


დ ე კ ლ ა რ ა ც ი ა

ამხანაგობის მიერ მიღებული მოგების (ზარალის) განაწილების შესახებ

ნაწილი I



ნაწილი II (ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ)



ნაწილი III

ერთობლივი შემოსავალი		14
საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულება	15	
საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულება		16
გამოქვითვები, მათ შორის:	17	
–გამოქვითვას დაქვემდებარებული სასაქონლო – მატერიალური ფასეულობების ღირებულება	18	

– ელ-ენერგიის ღირებულება	19				
– გაცემული ხელფასი	20				
–კრედიტისათვის (სესხისათვის) გადახდილი ან გადასახდელი პროცენტები	21				
–უიმედო ვალები	22				
–საამორტიზაციო ანარიცხები	23				
–სრულად გამოქვითული 1000 ლარამდე ღირებულების ძირითადი საშუალებების ღირებულება	24				
–სრულად გამოქვითული ძირითადი საშუალების ღირებულება (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 112-ე მუხლი)	25				
–ძირითადი საშუალების რემონტის ხარჯი	26				
–სხვა გამოქვითვები	27				
ჯამი			28		29
ერთობლივი შემოსავლის გადამეტება გამოქვითვებზე (მოგება)				30	
დაბეგვრისაგან გათავისუფლებული მოგება (შემოსავალი)			333131		
ამხანაგობის წილის მფლობელებზე (წევრებზე) მისაკუთვნებელი მოგება					32
გამოქვითვების გადამეტება ერთობლივ შემოსავალზე (ზარალი)			33		
კაპიტალიზებადი ხარჯი	34				

ნაწილი I

გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი

გვერდი

(გადამხდელის საქმიანობის (NACE) კოდი)

დამატებული ღირებულების გადასახადის დეკლარაცია

(დეკლარაციის ტიპი: ორიგინალი – „0" ნომერი)

(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

(საგადასახადო ორგანოს სრული დასახელება)

(ანგარიშვალდებული პირის სრული დასახელება)

დეკლარაციაში მოცემული მონაცემების უტყუარობასა და სისრულეზე ვადასტურებ:

(ხელმოწერა)

(თარიღი)

ნაწილი II

საგადასახადო ორგანოს აღნიშვნა დეკლარაციის წარმოდგენის შესახებ

(საგადასახადო ორგანოს ბეჭედი)

(ანგარიშვალდებული პირის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის)

(ხელმოწერა)

(გვარი)

ნაწილი III

გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი | | | | | | | | | | | გვერდი | | | |

დღგ-ის საერთო თანხის გაანგარიშება

დასაბეგრი ოპერაციები			დღგ-ის გადასახდელი თანხა		დღგ-ის შესამცირებელი თანხა	
1			2		3	
დღგ. დარიცხული საგადასახადო პერიოდში განხორციელებულ ბრუნვაზე	1					
მათ შორის, დღგ დარიცხული უპრავი ქონების შექმნა/მართვა/რეალიზაციასთან დაკავშირებულ დასაბეგრ ბრუნვაზე	1[1]					
18%-იანი განაკვეთით დასაბეგრი ბრუნვა	2					
დღგ-ის ჩათვლის უფლებით გათავისუფლებული ბრუნვა	3					
ბრუნვა, რომელიც არ გაითვალისწინება დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის თანხაში და რომელზეც ჩათვლილი დღგ არ ექვემდებარება გაუქმებას	4					
დღგ-ისაგან ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული ბრუნვა	5					
დღგ ბრუნვის კორექტირებაზე			6		7	
დღგ-ის ჩასათვლელი (შესამცირებელი) თანხა		8				
დღგ. გადახდილი ადგილობრივი მომწოდებლებისათვის	9					
დღგ. გადახდილი სასაქონლო ოპერაციებზე	10					
დღგ. გადახდილი უკუდაბეგვრის წესით	11					
დღგ, გადახდილი საქართველოს კანონით ან საქართველოს მთავრობის დადგენილებით საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ განეულ მომსახურებაზე განსაზღვრული საფასურით	12					
დღგ ჩასათვლელი თანხის კორექტირებით			13		14	
დღგ-ის თანხა საქონელზე/მომსახურებაზე, რომელიც ჩათვლილი იყო ადრე და ექვემდებარება აღდგენას			15			
ჯამი			16		17	
სულ გამოანგარიშებულია ბიუჯეტში გადასახდელად (სტ.16-სტ.17, როცა სტ.16>სტ.17)			18			
ბიუჯეტში გადასახდელად გამოანგარიშებულ თანხაში შემავალი უძრავი ქონების შექმნა/მართვა/რეალიზაციიდან გადასახდელი დღგ-ის თანხა (როცა სტ.16>სტ.17)	18[1]					
სულ გამოანგარიშებულია შესამცირებლად (სტ.17-სტ.16, როცა სტ.17>სტ.16)					19	

ივსება დეკემბრის თვის /IV კვარტალის დეკლარაციაში:			
დღგ, საერთო ბრუნვის თანხაში ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული ბრუნვის ხვედრითი წონის მიხედვით აღსადგენი თანხის დაზუსტებით	20		21

დეკლარაციაში მოცემული მონაცემების უტყუარობასა და სისრულეს ვადასტურებ
საწარმოს ხელმძღვანელი/ინდ.მეწარმე (წარმომადგენელი) ---------- ----------
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა) თარიღი

გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი | | | | | | | | | | | გვერდი | | |

დაწყ

დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციები

	ოპერაციის შინაარსი	დასაბეგრი ბრუნვა	დღგ-ის განაკვეთი	დღგ-ის თანხა
1	2	3	4	5
1	საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა კომპენსაციით		18	
2	საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა კომპენსაციის გარეშე		18	
3	არაეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული საქონელი/მომსახურება, რომელზეც ადრე განხორციელდა ჩათვლა		18	
4	საკუთარი წარმოების შენობა-ნაგებობის ძირითად საშუალებად გამოყენება		18	
5	სხვა დასაბეგრი ოპერაციები		18	
6	საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირთათვის		0	
7	თბოელექტროსადგურებისათვის ბუნებრივი აირის მიწოდება		0	
8	საერთაშორისო გადაზიდვა/გადაყვანა		0	
9	ცალკეული საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პროექტის ფარგლებში მიწოდებული საქონელი ან/და გაწეული მომსახურება		0	
10	ჩათვლის უფლებით დღგ-სგან გათავისუფლებული სხვა ოპერაციები		0	
11	სულ			

დეკლარაციაში მოცემული მონაცემების უტყუარობასა და სისრულეს ვადასტურებ

საწარმოს ხელმძღვანელი/ინდ.მეწარმე (წარმომადგენელი) ---------- ----------
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა) თარიღი

გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი | | | | | | | | | | | გვერდი | | | |

დანართი „ბ"

დასაბეგრ ოპერაციებზე და ჩათვლებში გამოყენებული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების და სასაქონლო დეკლარაციების რეესტრი

ნაწილი I

№	დასაბეგრ ოპერაციებზე (მათ შორის, ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულ ოპერაციებზე) გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები (მათ შორის, კორექტირების)							
	სერია	ნომერი	დასაბეგრო ოპერაციის განხორციელების თვე	მყიდველის /მიმღების ს/ნ	დღგ-ის თანხა		ანგარიშ-ფაქტურა, რომლის კორექტირებაც წარმოებს	
					გადასახდელი (მათ შორის, კორექტირების შედეგად დამატებით გადასახდელი)	კორექტირების შედეგად შესამცირებელი	სერია	ნომერი
1	2	3	4	5	6	7	8	9

ნაწილი II

№	შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე (მათ შორის, ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულ ოპერაციებზე) გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები (მათ შორის, კორექტირების)							
	სერია	ნომერი	დასაბეგრო ოპერაციის განხორციელების თვე	მომწოდებლის ს/ნ	დღგ-ის თანხა		ანგარიშ-ფაქტურა, რომლის კორექტირებაც წარმოებს	
					ჩასათვლელი, მათ შორის, კორექტირების შედეგად დამატებით ჩასათვლელი	კორექტირების შედეგად შესამცირებელი	სერია	ნომერი
1	2	3	4	5	6	7	8	9

ნაწილი III

№	საქონლის იმპორტზე (მათ შორის, დროებით შემოტანაზე) გამოწერილი სასაქონლო დეკლარაციები		
	შეფასების ნომერი	შეფასების თარიღი	დღგ-ის თანხა
1	2	3	4

დეკლარაციაში მოცემული მონაცემების უტყუარობასა და სისრულეს ვადასტურებ
საწარმოს ხელმძღვანელი
/ინდ.მეწარმე ---------- ---- ---- --- --- --- ---- ---- ---- ----
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა) თარიღი

დან:

აქციზის დეკლარაცია

გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი ☐☐☐☐☐☐☐☐☐ გვ

ეკონომიკური საქმიანობის (NAC

აქციზის დეკლარაცია

განყოფი I

დეკლარაციის სახე: პირველადი ☐ საანგარიშო პერიოდი: .... წელი
(თვის/კვარტალის დასაწყისი
საბოლოოდ)

შესწორებული ☐

წარედგინება ——————————————————————
(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

რეზიდენტი საწარმო ☐ ინდივიდუალური მეწარმე ☐

არარეზიდენტი საწარმო ☐ სხვა საწარმო ☐

(შესაბამისი უჯრა აღნიშნეთ "V" ნიშნით)

——————————————————————
(საწარმოს სრული დასახელება/ ინდივიდუალური მეწარმის გვარი, სახელი)

——————————————————————
მისამართი:

დეკლარაცია შეიცავს ☐☐☐ ფურცელზე თანდართული დოკუმენტები

დეკლარაციაში მოცემული მონაცემების უტყუარობასა და სისწორეზე ვადასტ

საწარმოს ხელმძღვანელი
ინდივიდუალური მეწარმე ....
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა) თარიღ

განყოფი II. აღნიშვნა დეკლარაციის წარმოდგენის შესახებ
(იხსნება საგადასახადო ორგანოს მიერ)

დეკლარაცია წარედგინა: ფოსტით ☐ პირადად ☐ ელექტრონულად ☐

დეკლარაცია შეიცავს ... ფურცელზე თანდართული დამატებები ... ცალს

გარიგების თარიღი

გადასახადის თანხა ——————— ლარი

ინვოისის ნომერი

დეკლარაციის მიმღები ..... ——————— ———————
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა) (თარიღი)

გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი

გვერდი

გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი

გვერდი

განყოფი III. აქციზის საერთო თანხის გაანგარიშება

	გადასახდელი აქციზი		შესამცირებელი აქციზი
აქციზი აქციზით დასაბეგრ ოპერაციაზე, რომელიც არ ექვემდებარება აქციზური მარკებით ნიშადებას	1		
აქციზი აქციზური საქონლის ექსპორტზე, რომლის განხორციელება არ დასტურდება დოკუმენტურად	2		
აქციზი აქციზური მარკებით ნიშანდებულ საქონელზე	3		
აქციზი აქციზური მარკების დანაკლისზე	4		
აქციზი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 192-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში	4^1		

აქციზი გაანგარიშებული საქართველოს საგადასახადო კოდექსის 190^1 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში	4^2		

ჩასათვლელი აქციზი (დანართის სვ.12+სვ.14+სვ.16)		5		
აქციზი დაბრუნებულ აქციზურ საქონელზე (აქციზური მარკებით ნიშანდების გარეშე)		6		
აქციზი დაბრუნებულ აქციზური მარკებით ნიშანდებულ საქონელზე		7		
ადრე ჩათვლილი აქციზი რომელიც ექვემდებარება აღდგენას.	8			
ექსპორტზე ადრე გადახდილი აქციზი		9		
ჯამი (სტ.10=სტ.1+სტ.2+სტ.3+სტ.4+ სტ.41 +42 + სტ.8; სტ11. =სტ.5+სტ.6+სტ7+სტ9)	10		11	
ექვემდებარება ბიუჯეტში შეტანას. (სტ. 10- სტ11, როცა სტ.10>სტ11.)	12			
ექვემდებარება შემცირებას (სტ.11 -სტ. 10, როცა სტ.11 >სტ. 10)			13	

თანხა, რომლითაც მცირდება იმპორტისას გადახდილი აქციზი		14	

დეკლარაციაში მოცემული მონაცემების უტყუარობასა და სისრულეს ვადასტურებ
საწარმოს ხელმძღვანელი/ინდივიდუალური მეწარმე

---------------------- ------------------- ------------------

(სახელი, გვარი) (ხელმოწერა) (თარიღი)

დეკლარაცია შედგენილია				ფურცელზე	თანდართული დოკუმენტები				გვერდზე

წარდგენის თარიღი								

გადასახადის თანხა ------ ლარი

რეგისტრაციის ნომერი												

დეკლარაციის მიმღები ------------------ -------------- --------------

(სახელი, გვარი) (ხელმოწერა) (თარიღი)


დეკლარაციის

ცვლილება

გადამხდელის

საიდენტიფიკაციო ნომერი _____ ბლანკი _____

ჩასათვლელი აქციზის გაანგარიშება



დეკლარაციაში მოცემული მონაცემების უტყუარობასა და სისრულეზე ვადასტურებ

საწარმოს, ხელმძღვანელი ან სხვა უფლებამოსილი პირი

_____ _____ _____

(სახელი, გვარი) (ხელმოწერა) (თარიღი)

განაყოფი IV. იმპორტირებული საქონლის (მისართი, გამხსნელი, ანტიდეტონატორი) აღრიცხვა


N	სასაქონლო დეკლარაცია				გამოყენებული საქონლის რაოდენობა (კგ)		საქონლის ნაშთი თვის ბოლოსათვის (კგ)
	რეგისტრაციის თარიღი	სერია და ნომერი	სეს ესხ კოდი	საქონლის რაოდენობა (კგ)	სულ	მათ შორის: აქციზური საქონლის წარმოებისათვის	

დეკლარაციაში მოცემული მონაცემების უტყუარობასა და სისრულეზე ვადასტურებ
საწარმოს ხელმძღვანელი/ინდივიდუალური მეწარმე

_____

(სახელი, გვარი) (ხელმოწერა) (თარიღი);

დანართი №V



ნაწილი I

გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი

გვარი

საწარმოს/ორგანიზაციის ქონების გადასახადის წლიური დეკლარაცია

ნაწილი II

საგადასახადო ორგანოს აღნიშვნა დეკლარაციის წარმოდგენის შესახებ

გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი

გვერდი

ნაწილი III
ქონების გადასახადის (გარდა მინისა) გაანგარიშება

№	ქონების დასახელება	ქონების ადგილმდებარეობა	ქონების ღირებულების ზღვრის განაკვეთი	საგადასახადო მოცულობა (ლარი)	გადასახადის განაკვეთი (%)	ქონების გადასახადი	საანგარიშო პერიოდში მიმდინარე დარიცხული მიმდინარე გადასახადი	ცვლილება დამატებით დარიცხვის (+) მეცხრებას(-)
1	2	3	4	5	6	7	8	9
	სულ							

დეკლარაციაში მოცემული მონაცემების უტყუარობასა და სისრულეს ვადასტურებ

გადასახადის გადამხდელის _____ (ხელმოწერა)

(თარიღი)

გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი

გვერდი

ნაწილი IV
მინაზე ქონების გადასახადის გაანგარიშება

№	ქონების დასახელება, ადგილმდებარეობა, მიწის ნაკვეთის მფლობელობის მისამართი	საბუთის და ობიექტის (აქტიური ხარისხი)	ფართობი (მ.კვ.მ)	დამკვეთის იურიდიული ფორმა საგადასახადო მფლობელის გადახდილ ანგარიშით	საგადასახადო მფლობელის საფუძველი	გადასახადის განაკვეთი	ქონების გადასახადი (ლარი)
1	2	3	4	5	6	7	8

ჯამი

შენიშვნა:
დეკლარაცია საგადასახადო ორგანოს წარედგინება არა უგვიანეს კალენდარული წლის 1 აპრილისა, დეკლარაციაში მონაცემები დასაბეგრო მინის შესახებ მოხდება მიმდინარე საგადასახადო წლის მიმდევრობით (1 აპრილის მდგომარეობით)

წარმომადგენლობითი მინის საობის, მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტი

მონაცემების უტყუარობის და სისრულეს ვადასტურებ:

გადასახადის გადამხდელი _____ (ხელმოწერა)

(თარიღი)

ნანილი V

მიწაზე ქონების გადასახადის ადგილობრივი თვითმმართველობის სუბიექტების ტერიტორიების მიხედვით განაწილების შესახებ

(ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ)

№	ტერიტორიული ერთეულის დასახელება	ბიუჯეტში შემოსულობის სახაზინო კოდი	ექვემდებარება გადახდას არა უგვიანეს საგადასახადო წლის 15 ნოემბრისა
1	2	3	4

საგადასახადო ორგანოს თანამშრომლის

(სახელი, გვარი) (თანამდებობა) (ხელმოწერა)

დანართი: №V-03

ფიზიკური პირის ქონების გადასახადის წლიური დეკლარაცია

ნაწილი I

გადამხდელის პირადი ნომერი

გვერდი

დეკლარაციის ტიპი | საოჯახო | ინდივიდუალური

(შესაბამისი უჯრა აღნიშნეთ „V" ნიშნით)

დეკლარაციის სახე | პირველადი | შესწორებული | წელი

(შესაბამისი უჯრა აღნიშნეთ „V" ნიშნით)

წარუდგინა _____

(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

გადასახადის გადამხდელი _____

(დეკლარანტი) (ფიზიკური პირის სახელი, გვარი)

_____

(მისამართი: ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, კორპუსი, ბინა,) (საკონტაქტო ტელეფონი)

მოცემული დეკლარაცია შედგენილია | ფურცელზე

დეკლარაციაში მოცემული მონაცემების უტყუარობას და სისრულეს ვადასტურებ:

გადასახადის გადამხდელი: _____ (ხელმოწერა)

(თარიღი)

ნაწილი II

გვერდი

საგადასახადო ორგანოს აღნიშვნა დეკლარაციის წარდგენის შესახებ
(იცვლება საგადასახადო ორგანოს მიერ)

დეკლარაცია წარდგენილია | ფოსტით | პირადად | ელექტრონულად

(შესაბამისი უჯრა აღნიშნეთ „ V" ნიშნით)

				ფურცელზე					ფურცელზე
მოცემული დეკლარაცია შედგენილია					თანდართული დამადასტურებელი დოკუმენტები				

ნარდგენის თარიღი

რეგისტრაციის ნომერი

საგადასახადო ორგანოს: ----------

დასახელება

(საგადასახადო ორგანოს თანამშრომლის სახელი, გვარი) (თანამდებობა) (ხელმოწერა)

გადამხდელის პირადი ნომერი

გვერდი

ნაწილი III

1. მონაცემები გადასახადის გადამხდელის ოჯახის წევრების შესახებ

(ივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადასახადის გადამხდელი ავსებს საოჯახო დეკლარაციას)

№№	ოჯახის წევრის, გვარი, სახელი	პირადი ნომერი	დაბადების წელი
1	2	3	4

2. ფიზიკური პირისა და მისი ოჯახის მიერ მიღებული შემოსავალი:

☐ არ აღემატება 40 000 ლარს

☐ შეადგენს 40 000-დან 100 000 ლარს

☐ აღემატება 100 000 ლარს

(შესაბამისი უჯრა აღნიშნეთ „V" ნიშნით)

დეკლარაციაში მოცემული მონაცემების უტყუარობას და სისრულეს ვადასტურებ:

გადასახადის

გადამხდელის

(ხელმოწერა) (თარიღი)

გადამხდელის პირადი ნომერი

გვერდი

ნაწილი IV

მიწაზე ქონების გადასახადის გაანგარიშება

						ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ	
№	მიწის ტიპი (მიწის ნაკვეთის დანიშნულება და კატეგორია)	მდებარეობა	ფართობი (ჰა; კვ.მ)	შეღავათი	ფართობი, რომელზეც არ ვრცელდება შეღავათი	გადასახადის განაკვეთი (ლარი)	ქონების გადასახადი (ლარი)
1	2	3	4	5	6	7	8
							ჯამი
ჯამი							ჯამი

შენიშვნა:

დეკლარაცია საგადასახადო ორგანოს წარედგინება არა უგვიანეს კალენდარული წლის 1 ნოემბრისა. დეკლარაციაში მონაცემები დასაბეგრი მიწის შესახებ აისახება მომდინარე საგადასახადო წლის 1 აპრილის მდგომარეობით.

დეკლარაციაში მოცემული მონაცემების უტყუარობას და სისრულეს ვადასტურებ:

გადასახადის

გადამხდელის

_____(ხელმოწერა) (თარიღი)

_____გადამხდელის პირადი ნომერი

გვერდი

ნაწილი V

დასაბეგრ ქონებაზე (გარდა მიწისა) ქონების გადასახადის გაანგარიშება

							ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ	
№	ქონების ტიპი	მდებარეობა	დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულება (ლარი)	შეღავათი	ღირებულება, რომელზეც არ ვრცელდება შეღავათი	საკუთრებაში (სარგებლობაში, ფაქტობრივ მფლობელობაში) არსებობის პერიოდი (თვე)	გადასახადის განაკვეთი (%)	ქონების გადასახადი (ლარი)
1	2	3	4	5	6	7	8	9
	სულ							

შენიშვნა:

მონაცემები დასაბეგრი ქონების, მათ შორის, ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონების შესახებ, გარდა მიწისა, აისახება გასული საგადასახადო წლის მიხედვით.

დეკლარაციაში მოცემული მონაცემების უტყუარობას და სისრულეს ვადასტურებ:

გადასახადის
_____

გადამხდელის

_____ გადამხდელის პირადი ნომერი

_____ (ხელმოწერა) (თარიღი)
_____

გვერდი
_____

სათამაშო ბიზნესის ყოველკვარტალური დეკლარაცია

ნაწილი I

დეკლარაციის სახე ☐ პირველადი ☐ შესწორებული

(შესაბამისი ველის აღნიშვნა "V" ნიშნით)

საანგარიშო კვარტალი ☐ ☐ წელი ☐☐☐☐

წარედგინება _____

საგადასახადო ორგანოს დასახელება

რეზიდენტი საწარმო ☐	მრავალეროვანი საწარმო ☐
არარეზიდენტი საწარმო ☐	სხვა საწარმო ☐

(შესაბამისი ველის აღნიშვნა "V" ნიშნით)

გადასახადის გადამხდელი _____

საწარმოს/ორგანიზაციის სრული დასახელება, შემოკლებული სახელი

მისამართი _____

ქალაქი/რაიონი, ქუჩა, კორპუსი, ბინა

საკონტაქტო ტელეფონი ☐☐☐☐☐☐☐

დეკლარაცია შეიცავს ☐☐☐ ფურცელს თანდართული დოკუმენტები ☐☐☐ ფურცელი

დეკლარაციაში მოცემული მონაცემების უტყუარობას და სისრულეს ვადასტურებ

საწარმოს ხელმძღვანელი
ინდივიდუალური მეწარმე (წარმომადგენელი) _____ (სახელი, გვარი) _____ (ხელმოწერა) _____ (თარიღი)

ნაწილი II

საგადასახადო ორგანოს აღნიშვნა დეკლარაციის წარმოდგენის შესახებ

(იხსნება საგადასახადო ორგანოს მიერ)

დეკლარაცია წარდგენილია დროულად ☐ ადრიანად ☐ ალტერნატიულად ☐

(შესაბამისი ველის აღნიშვნა "V" ნიშნით)

დეკლარაცია შეიცავს ☐☐☐ ფურცელს თანდართული დოკუმენტები ☐☐☐ ფურცელი

წარდგენის თარიღი ☐☐.☐☐.☐☐☐☐

რეგისტრაციის ნომერი ☐☐☐☐☐☐☐☐☐☐☐☐☐☐

საგადასახადო ორგანოს თანამშრომლის _____ (სახელი, გვარი) _____ (ხელმოწერა)

გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი

გვერდი

ნაწილი III
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გაანგარიშება

№	გათამაშების/ თამაშობის დასახელება	საპრიზო ფონდი	გათამაშების პერიოდის დასასრული	საპრიზო ფონდიდან საანგარიშო კვარტალში გათამაშებული თანხა (ლარი)	საპრიზო ფონდის გათამაშებული თანხა (ლარი	მოსაკრებლის განაკვეთი	მოსაკრებლის თანხა (ლარი)	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8	9

დეკლარაციაში მოცემული მონაცემების უტყუარობასა და სისრულეს ვადასტურებ

საწარმოს/ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენელი _____ სახელი, გვარი _____ ხელმოწერა

ინდივიდუალური მეწარმე _____ სახელი, გვარი _____ ხელმოწერა

თარიღი

8.2 მიმდინარე გადასახდელების გადახდა

მიმდინარე გადასახდელები არის გადასახადის გადამხდელის მიერ მიმდინარე საგადასახადო წელს, წინა საგადასახადო წლის შესაბამისი პირდაპირი გადასახადების მიხედვით გადახდილი გადასახადების წინასწარ, ავანსად გადასახადების გადახდა ბიუჯეტში. სახელმწიფო აიძულებს იმ გადასახადის გადამხდელს, რომელსაც წინა წელს ჰქონდა დასაბეგრი შემოსავალი ან მოგება, მიმდინარე წლის გადასახადები გადაიხადოს ამ წლის დასრულებამდე, ნაწილ – ნაწილ წლიური გადასახადის მიხედვით შემდეგი ოდენობით:

ა) არა უგვიანეს 15 მაისისა – 25 პროცენტი;

ბ) არა უგვიანეს 15 ივლისისა – 25 პროცენტი;

გ) არა უგვიანეს 15 სექტემბრისა – 25 პროცენტი;

დ) არა უგვიანეს 15 დეკემბრისა – 25 პროცენტი.

მიმდინარე გადასახდელებს არ იხდის გადასახადის გადამხდელი, რომელსაც გასული საგადასახადო წლის განმავლობაში არ ჰქონდა დასაბეგრი შემოსავალი/დასაბეგრი მოგება, ასევე პირი, რომელსაც მიმდინარე წელს გაუუქმდა მიკრო ბიზნესის ან ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი და გასული საგადასახადო წლის მიხედვით ჰქონდა დასაბეგრი შემოსავალი.

თუ გადასახადის გადამხდელის მიმდინარე საგადასახადო წლის მოსალოდნელი დასაბეგრი შემოსავალი (მოგება), მათ შორის, საგადასახადო შეღავათების გათვალისწინებით, არანაკლებ 50 პროცენტით მცირდება გასული საგადასახადო წლის დასაბეგრ შემოსავალთან (მოგებასთან) შედარებით და აღნიშნულის შესახებ იგი მიმდინარე გადასახდელების გადახდის ვადის დადგომამდე აცნობებს შესაბამის საგადასახადო ორგანოს, გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, შეამციროს ან არ გადაიხადოს მიმდინარე გადასახდელების თანხები.

გადასახადის გადამხდელის მიერ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი ფაქტობრივი წლიური შედეგების მიხედვით არ დასტურდება მოსალოდნელი დასაბეგრი შემოსავლის (მოგების) არანაკლებ 50 პროცენტით შემცირება და გადასახადის გადამხდელს საანგარიშო წლის განმავლობაში სრული ოდენობით არ გადაუხდია მიმდინარე გადასახდელები, მან უნდა გადაიხადოს საურავი ამ კოდექსის შესაბამისად, მიმდინარე გადასახდელების გადახდის ვადების დადგენილი თარიღებიდან საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის თარიღამდე არსებულ დროის მონაკვეთში.

თუ წინა საგადასახადო პერიოდთან შედარებით იცვლება გადასახადის განაკვეთი, გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, მიმდინარე გადასახდელები გადაიხადოს წინა საგადასახადო წლის დასაბეგრი შემოსავლიდან (მოგებიდან) მიმდინარე საგადასახადო წლისთვის მოქმედი განაკვეთის მიხედვით გადაანგარიშებული თანხებიდან.

მიმდინარე გადასახდელთა ბიუჯეტში ჩარიცხული თანხები გადასახადის გადამხდელს ჩაეთვლება საგადასახადო წლის მიხედვით დარიცხულ გადასახადში.

მიმდინარე გადასახდელები გადაიხდევინება მოგების, ქონების და საშემოსავლო გადასახადის მიხედვით.

თავი 9. საშემოსავლო გადასახადი

9.1 საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის სუბიექტი და ობიექტი

როგორც, ალბერტ აინშტაინი იტყოდა: სამყაროში უმძიმესია – გაიგო საშემოსავლო გადასახადის არსი. ამ შემთხვევაში ფიზიკოსი გულისხმობდა არა საშემოსავლო გადასახადის გადახდის ტექნიკას, არამედ იმ მოვლენას, თუ რატომ უნდა მისცეს თავისი შემოსავლის ნაწილი მოქალაქემ სახელმწიფოს.

საშემოსავლო გადასახადის კლასიკური სისტემა დიდ ბრიტანეთში ჩაისახა, მაგრამ ინგლისელ ჯენტლმენებს სირცხვილად მიაჩნდათ მოქალაქის პირდაპირ დაბეგვრა საშემოსავლო გადასახადით, ამიტომ დაბეგვრის ობიექტების როლში ხან სახლის ფანჯრები და ხან ბუხრის მილები გამოდიოდა.

საშემოსავლო გადასახადის გადამხდელია:

ა) რეზიდენტი ფიზიკური პირი;

ბ) არარეზიდენტი ფიზიკური პირი, რომელიც შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან.

რეზიდენტი ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი შე-

მოსავალი, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ პერიოდისათვის შესაბამისი გამოქვითვების თანხებს შორის.

საქართველოში არსებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით საქმიანობის განმახორციელებელი არარეზიდენტი ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მუდმივ დაწესებულებასთან დაკავშირებულ, საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ პერიოდისათვის შესაბამისი გამოქვითვების თანხებს შორის.

არარეზიდენტი ფიზიკური პირის ერთობლივი შემოსავალი, რომელიც დაკავშირებული არ არის საქართველოში მის მუდმივ დაწესებულებასთან, იბეგრება გადახდის წყაროსთან გამოქვითვების გარეშე.

არარეზიდენტი ფიზიკური პირი, რომელიც შემოსავალს იღებს ქონების რეალიზაციით, არის საშემოსავლო გადასახადის გადამხდელი კალენდარული წლის განმავლობაში საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული ერთობლივი შემოსავლიდან, რომელიც მცირდება ამ პერიოდისათვის ასეთი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული გამოქვითვების თანხებით. ქონების რეალიზაციით მიღებულ შემოსავლებს განეკუთვნება:

ა) რეზიდენტი იურიდიული პირის ჩვეულებრივი აქციების ან პარტნიორის წილის რეალიზაციით მიღებული ნამეტი;

ბ) იმ არამატერიალური აქტივების მიწოდებით მიღებული ნამეტი შემოსავალი, რომელიც როიალტის მიღების საფუძველია;

გ) ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებული, საქართველოში არსებული მოძრავი და უძრავი ქონების, აგრეთვე უძრავ ქონებაში პარტნიორი წილის რეალიზაციით მიღებული ნამეტი;

დ) სხვა ქონების რეალიზაციით მიღებული ნამეტი.

ფიზიკური პირი, რომლის მიერ ხელფასის სახით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 6000 ლარს, უფლებამოსილია ამ შემოსავლიდან გამოქვითოს დაუბეგრავი მინიმუმი – 1800 ლარი.

ზემოაღნიშნულ დასაბეგრ შემოსავალში არ გაითვალისწინება საშემოსავლო გადასახადისაგან განთავისუფლებული ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი.

დაუბეგრავი მინიმუმის გათვალისწინებით, გადახდის წყაროსთან დაკავებული საშემოსავლო გადასახადის გადაანგარიშება და შესაბამისი თანხის დაბრუნება ხორციელდება დაქირავებულის მიერ დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვის შესახებ დეკლარაციის საგადასახადო ორგანოში წარდგენით.

ფიზიკური პირის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 20 პროცენტით.

9.2 საშემოსავლო გადასახადისაგან გათავისუფლება

საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება ფიზიკურ პირთა შემოსავლების შემდეგი სახეები:

ა) არარეზიდენტის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე უცხოეთის დიპლომატიურ და მათთან გათანაბრებულ დაწესებულებებში დაქირავებით მუშაობით მიღებული შემოსავლები;

ბ) მიღებული გრანტი, სახელმწიფო პენსია, სახელმწიფო კომპენსაცია, სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია, მაგროვებადი და დაბრუნებადი ხასიათის არასახელმწიფო საპენსიო სქემიდან მიღებული პენსია განხორციელებული შენატანების ოდენობით, სახელმწიფო სტიპენდია, დახმარებებისა და ერთჯერადი გასაცემლების მიზნით ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებებიდან ან/და ბიუჯეტის სარეზერვო ფონდებიდან მიღებული თანხები;

გ) ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიო ან/და ევროპის ჩემპიონატებში გამარჯვებისათვის ან/და საპრიზო ადგილების დაკავებისათვის სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების მიერ მიღებული ფულადი და სხვა სახის ჯილდოები;

დ) ალიმენტი;

ე) განქორწინების საფუძველზე მიღებული ქონების ღირებულება (შემოსავალი);

ვ) ფიზიკური პირის მიერ:

ვ.ა) 2 წელზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინის (სახლის) მასზე დამაგრებული მიწით რეალიზაციით მიღებული ნამეტი;

ვ.ბ) საკუთრების უფლების რეგისტრაციიდან 6 თვეზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების რეალიზაციით მიღებული ნამეტი;

ვ.გ) 2 წელზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული აქტივების მიწოდებით მიღებული ნამეტი,

გარდა გამსხვისებლის მიერ აქტივების მიწოდებამდე ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენების ან/და ამ ქვეპუნქტის „ვ.ა“ და „ვ.ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამასთანავე, აქტივების ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებად არ ითვლება მათი 2 წლის შემდეგ მიწოდება ან/და ფასიანი ქაღალდების/წილის მხოლოდ ფლობა დივიდენდებისა და პროცენტების მიღების მიზნით;

ზ) საგადასახადო წლის განმავლობაში I და II რიგის მემკვიდრეების მიერ ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულება;

თ) საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარამდე ჩუქებით მიღებული ქონების ღირებულება, გარდა დაქირავებულის მიერ დამქირავებლისაგან ჩუქებით მიღებული ქონების ღირებულებისა;

ი) საგადასახადო წლის განმავლობაში III და IV რიგის მემკვიდრეების მიერ 150 000 ლარამდე ღირებულების, ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულება;

კ) ფიზიკური პირისათვის (დონორისათვის) გაღებული სისხლის საკომპენსაციო კვებისათვის გაცემული თანხა;

ლ) 2014 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული ფიზიკური პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მინოდებით მიღებული შემოსავალი, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ამ ფიზიკური პირის მიერ აღნიშნული მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 200 000 ლარს;

მ) პრივატიზების წესით (მათ შორის, უსასყიდლოდ), ასევე მინისძვრითა და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულთა მიერ დაზიანებული ბინების სანაცვლოდ იმავე დასახლებულ პუნქტში ან ეკომიგრანტების მიერ სხვა დასახლებულ პუნქტში ბინების უსასყიდლოდ მიღების შედეგად წარმოშობილი სარგებელი;

ნ) დროებითი საცხოვრებელი ადგილის სანაცვლოდ ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის, იძულებით გადაადგილებული ფიზიკური პირის მიერ პრივატიზების პროგრამის ფარგლებში მიღებული კომპენსაციები; ასევე იძულებით გადაადგილებულ პირთათვის – დევნილთათვის სახელმწიფოს მიერ გადაცემული ქონების ღირებულება და ამ ქონების თავდაპირველი რეალიზაციით მიღებული შემოსავალი;

ო) ფიზიკური პირის (I რიგის მემკვიდრის) მიერ ჯამურად მის და მამკვიდრებლის/მჩუქებლის საკუთრებაში 2 წელზე მეტი ვადით არსებული მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტი;

პ) საერთაშორისო ფინანსური კომპანიის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავალი;

ჟ) თავისუფლად მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდის რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავალი;

რ) არარეზიდენტის მიერ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი საწარმოს, ორგანიზაციის ან/და მეწარმე ფიზიკური პირის მიერ რისკის დაზღვევისა და გადაზღვევის საფუძველზე;

ს) არარეზიდენტის მიერ ქონების ლიზინგით გაცემიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება საქართველოში არარეზიდენტის მუდმივ დანესებულებას;

ტ) სახელმწიფოს ან საქართველოს ეროვნული ბანკის სასესხო ფასიანი ქაღალდებიდან პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი;

უ) სახელმწიფოს ან საქართველოს ეროვნული ბანკის სასესხო ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავალი და ეროვნულ ბანკში ანგარიშებზე განთავსებულ სახსრებზე დარიცხული პროცენტებიდან მიღებული შემოსავალი;

ფ) რეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავალი (მათ შორის, სარგებელი), რომელიც არ განეკუთვნება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალს;

ქ) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დასახიჩრებული ან/და დაინვალიდებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურისათვის ან სამხედრო მოსამსახურისათვის, აგრეთვე დაღუპვის შემთხვევაში მათ ოჯახზე (მემკვიდრეზე) დამქირავებლის მიერ გაცემული დახმარება;

ღ) ლატარიიდან მიღებული მოგება, რომლის ღირებულება არ აღემატება 1000 ლარს;

ყ) ამხანაგობის მიერ თავისი წევრისთვის (თანამფლობელისთვის) ქონების გადაცემით მიღებული შემოსავალი, თუ ამხანაგობის წევრები მხოლოდ ფიზიკური პირები არიან, ამხანაგობის წევრთა შემადგენლობა არ შეცვლილა ამხანაგობის დაფუძნებიდან ქონების გადაცემის (განაწილების) მომენტამდე და ამხანაგობა განაწილების მომენტისათვის არ არის დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელი. ამ ქვეპუნქტის მიზნებისათვის ამხანაგობის წევრის გარდაცვალებისას ამხანაგობის წევრის წილის მემკვიდრეზე გადასვლა ან „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანო-

ნით დადგენილი წესით ამხანაგობის წევრის წილის რეალიზაცია არ განიხილება ამხანაგობის წევრთა შემადგენლობის ცვლილებად;

შ) არარეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი, თუ დაქირავებით მუშაობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე საგადასახადო წლის განმავლობაში არა უმეტეს 30 კალენდარული დღისა და შემოსავლის (ხელფასის) გადამხდელი არის არარეზიდენტი დამქირავებელი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი ხარჯი მიეკუთვნება არარეზიდენტის მუდმივი დანესებულების ხარჯებს, მიუხედავად იმისა, ეს ხარჯი ამ მუდმივი დანესებულების მიერ არის გადახდილი თუ არა;

ჩ) საწარმოს ლიკვიდაციის ან კაპიტალის შემცირების გზით ამ საწარმოს პარტნიორ ფიზიკურ პირზე წილის სანაცვლოდ უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემით მიღებული ნამეტი, თუ საწარმოს წილზე ფიზიკური პირის საკუთრების უფლების წარმოშობიდან გასულია 2 წელზე მეტი.

ც) 2014 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ, რომლის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გადამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე) პირველადი მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 200 000 ლარს, აღნიშნული საქმიანობის ფარგლებში დაქირავებულისათვის გაცემული ანაზღაურება.

ძ) აზარტული კლუბის, სათამაშო აპარატების სალონის, აგრეთვე ტოტალიზატორის მომწყობი პირების მიერ აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი, გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშობის მოწყობიდან მიღებული შემოსავლისა;

წ) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დადგენილი წესით რეგისტრირებული პირის (რომელიც იღებს საარსებო შემწეობას, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით), საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დასახიჩრებული პირის, ასევე ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული პირის ოჯახის წევრის მიერ საქველმოქმედო ორგანიზაციისგან უსასყიდლოდ მიღებული ქონების ღირებულება;

ჭ) ადმინისტრაციული ორგანოს (დამქირავებლის) მიერ თანამშრომლისთვის (დაქირავებულისთვის) უძრავი ქონების სასყიდლით ან უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემით მიღებული სარგებელი;

ხ) ადმინისტრაციული ორგანოს მიერ თანამშრომლისთვის სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას პირად მფლობელობაში არსებული ავტომობილისათვის განკუთვნილი საწვავის უსასყიდლოდ გადაცემით მიღებული სარგებელი;

ჯ) საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული თავდებობის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული თავდებობის, აგრეთვე სერვიტუტის უსასყიდლო მომსახურების გამწევის მიერ ამ მომსახურებიდან მისაღები კომპენსაცია და უსასყიდლო მომსახურების მიმღების მიერ მიღებული სარგებელი.

ჰ) ტურისტული საწარმოს მიერ ან/და მის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე სასტუმროს ფუნქციონირებისთვის/ოპერირებისთვის მოწვეული პირის/პირების მიერ სასტუმრო ნომრის მესაკუთრისათვის კალენდარული წლის განმავლობაში არა უმეტეს 60 დღის ვადით სასტუმროს მომსახურების (სასტუმროში ცხოვრების) უსასყიდლოდ გაწევის შედეგად სასტუმრო ნომრის მესაკუთრის მიერ მიღებული სარგებელი;

ჰ[1]) „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ გაკოტრების რეჟიმში მყოფი პირის მიერ მიღებული შემოსავალი;

ჰ[2]) ფიზიკური პირის მიერ გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში მყოფი პირისაგან დაქირავებით მუშაობით მიღებული შემოსავალი;

ჰ[3]) საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება შემდეგ ფიზიკურ პირთა მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 3000 ლარამდე:

ა) ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, აგრეთვე მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების;

ბ) მეორე მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილე საქართველოს მოქალაქეების;

გ) პირის, რომელსაც მინიჭებული აქვს „ქართვლის დედის" საპატიო წოდება;

დ) მარტოხელა დედის;

ე) პირის, რომელმაც იშვილა ბავშვი (შვილად აყვანიდან 1 წლის განმავლობაში);

ვ) პირის, რომელმაც მინდობით აღსაზრდელად აიყვანა ბავშვი;

ზ) მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები მრავალშვილიანი პირის (რომლის კმაყოფაზეა 18 წლამ-

დე ასაკის სამი ან სამზე მეტი შვილი) მიერ აღნიშნულ რეგიონში საქმიანობით კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრო შემოსავალი, ხოლო მაღალმთიან რეგიონში მცხოვრებ ერთ – ან ორშვილიან პირს (რომლის კმაყოფაზეა 18 წლამდე ასაკის ერთი ან ორი შვილი) აღნიშნულ რეგიონში საქმიანობით კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ 3000 ლარამდე დასაბეგრო შემოსავალზე გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი უმცირდება 50 პროცენტით.

ზემოაღნიშნულ „ჰ³“ შემთხვევებში საშემოსავლო გადასახადის გადამხდელს წარმოექმნება ერთზე მეტი საგადასახადო შეღავათის უფლება, მასზე გავრცელდება მათგან ერთი, უმაღლესი შეღავათი.

საშემოსავლო გადასახადისაგან გათავისუფლების მიზნებისათვის:

ა) აქტივის საკუთრებაში ფლობის 2 – წლიანი ვადა აითვლება:

ა.ა) მარეგისტრირებელ ორგანოში საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შედგენის თარიღის მიხედვით;

ა.ბ) თუ არ ხდება საკუთრების უფლების მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაცია, – საკუთრების უფლების წარმოშობის მომენტიდან;

ბ) აქტივის „რეალიზაციით მიღებული ნამეტი“ იანგარიშება, როგორც:

ბ.ა) სხვაობა აქტივის მიწოდების ფასსა და მასზე საკუთრების უფლების წარმოშობისას მისი შეძენის ფასს შორის;

ბ.ბ) სხვაობა აქტივის მიწოდების ფასსა და უსასყიდლოდ მიღების მომენტში მის საბაზრო ფასს შორის, თუ აქტივზე საკუთრების უფლება უსასყიდლოდ იყო მიღებული.

გ) ქონების ჩუქებისას ან/და ანდერძით მემკვიდრეობისას I, II, III და IV რიგის მემკვიდრეებად ითვლებიან შემდეგი პირები:

გ.ა) I რიგის მემკვიდრეებად – მეუღლე, შვილი, ნაშვილები, შვილიშვილი, შვილიშვილის შვილი და მისი შვილი, მშობელი და მშვილებელი;

გ.ბ) II რიგის მემკვიდრეებად – და, ძმა, დისწული, ძმისწული და მათი შვილები;

გ.გ) III რიგის მემკვიდრეებად – ბებია და პაპა, ბებიის დედ – მამა და პაპის დედ – მამა, როგორც დედის, ისე მამის მხრიდან;

გ.დ) IV რიგის მემკვიდრეებად – ბიძა (დედის ძმა და მამის ძმა), დეიდა და მამიდა.

ზემოაღნიშნულ „ჰ³“ შემთხვევებში საგადასახადო წლის მიხედვით გადახდის წყაროდან მიღებულ შემოსავლებზე შეღავათის გამოყენების მიზნით დაქირავებული პირი ვალდებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით წარუდგინოს დამქირავებელს შეღავათით სარგებლობის შესახებ საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული ცნობა. ერთზე მეტი სამუშაო ადგილის არსებობის შემთხვევაში გადახდის წყაროს, სადაც უნდა გავრცელდეს შეღავათი, განსაზღვრავს დაქირავებული პირი.

თავი 10. მოგების გადასახადი

10.1 მოგების გადასახადით დაბეგვრის სუბიექტი და ობიექტი

ფიზიკური პირები იხდიან საშემოსავლო გადასახადს, ხოლო სხვა პირები, რომლებიც ღებულობენ შემოსავალს – მოგების გადასახადს.

მოგების გადასახადის გადამხდელია:

ა) რეზიდენტი საწარმო;

ბ) არარეზიდენტი საწარმო, რომელიც საქართველოში საქმიანობას ახორციელებს მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ან/და შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან.

გ) ამხანაგობა, როგორც საწარმო;

თუ არარეზიდენტი პირი არ არის ფიზიკური პირი, ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებს საქართველოში და არ დაასაბუთებს თავის თანამფლობელობას(ამხანაგობას), იგი იბეგრება, როგორც არარეზიდენტი საწარმოს მუდმივი დაწესებულება.

რეზიდენტი საწარმოს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრო მოგება. იგი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გადასახადის გადამხდელის ერთობლივ შემოსავალსა და შესაბამისი გამოქვითვების თანხებს შორის.

არარეზიდენტი საწარმო (გარდა საავიაციო ტრანსპორტით მგზავრთა საერთაშორისო გადაყ-

ვანისა და ტვირთების საერთაშორისო გადატანის განმახორციელებლისა), რომელიც საქართველოში საქმიანობას ახორციელებს მუდმივი დანესებულების მეშვეობით, არის მოგების გადასახადის გადამხდელი მუდმივ დანესებულებასთან დაკავშირებული საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული ერთობლივი შემოსავლის მიხედვით, რომელიც მცირდება შესაბამისი გამოქვითვების თანხებით.

საავიაციო ტრანსპორტით მგზავრთა საერთაშორისო გადაყვანისა და ტვირთების საერთაშორისო გადატანის განმახორციელებელი არარეზიდენტი საწარმოს, რომელიც საქართველოში საქმიანობას ახორციელებს მუდმივი დანესებულების მეშვეობით, დასაბეგრი მოგება განისაზღვრება საქართველოში მუდმივი დანესებულების მეშვეობით კალენდარული წლის განმავლობაში საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავლის მიხედვით, რომელიც იყოფა მის მიერ საქართველოში და საქართველოს ფარგლების გარეთ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ (მთლიან) შემოსავალზე და მრავლდება მის მიერ მიღებულ დასაბეგრ მოგებაზე.

არარეზიდენტი საწარმოს ერთობლივი შემოსავალი, რომელიც დაკავშირებული არ არის მის მუდმივ დანესებულებასთან, იბეგრება გადახდის წყაროსთან გამოქვითვების გარეშე, გარდა ქვემოთ აღნიშნული შემთხვევებისა. კერძოდ:

ა) არარეზიდენტი საწარმო, რომელიც ქონების რეალიზაციით იღებს ქონების რეალიზაციით მიღებულ შემოსავალს, რომელიც დაკავშირებული არ არის საქართველოში მის მუდმივ დანესებულებასთან, არის მოგების გადასახადის გადამხდელი კალენდარული წლის განმავლობაში საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული ერთობლივი შემოსავლიდან, რომელიც მცირდება ამ პერიოდისათვის ასეთი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული გამოქვითვების თანხებით.

ბ) ზემოაღნიშნული ქონების რეალიზაციით მიღებულ შემოსავლებს განეკუთვნება:

– რეზიდენტი იურიდიული პირის ჩვეულებრივი აქციების ან პარტნიორის წილის რეალიზაციით მიღებული ნამეტი;

– იმ არამატერიალური აქტივების მიწოდებით მიღებული ნამეტი შემოსავალი, რომელიც როიალტის მიღების საფუძველია;

– ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებული, საქართველოში არსებული მოძრავი და უძრავი ქონების, აგრეთვე უძრავ ქონებაში პარტნიორი წილის რეალიზაციით მიღებული ნამეტი;

– სხვა ქონების რეალიზაციით მიღებული ნამეტი.

10.2 მოგების გადასახადისაგან გათავისუფლება

მოგების გადასახადისაგან თავისუფლდება:

ა) საბიუჯეტო, საერთაშორისო ან/და საქველმოქმედო ორგანიზაციების მოგება, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული მოგების გარდა;

ბ) ორგანიზაციის მიერ მიღებული გრანტები, საწევრო შენატანები და შემოწირულებები;

გ) საქართველოს ეროვნული ბანკის მოგება;

დ) საქართველოს საპატრიარქოს მიერ რელიგიური დანიშნულებით გამოყენებული ჯვრების, სანთლების, ხატების, წიგნებისა და კალენდრების რეალიზაციით მიღებული მოგება;

ე) 2014 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გადამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე) პირველადი მიწოდებით მიღებული მოგება, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ამ პირის მიერ აღნიშნული მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 200 000 ლარს;

ვ) სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული მოგების ის ნაწილი, რომლის რეინვესტირებაც ხორციელდება შესაბამისი საგადასახადო წლის დასრულებიდან 3 წლის განმავლობაში;

ზ) საერთაშორისო ფინანსური კომპანიის მიერ ფინანსური ოპერაციებიდან ან/და ფინანსური მომსახურებიდან ან/და საქართველოს არარეზიდენტის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებული მოგება;

თ) საერთაშორისო ფინანსური კომპანიის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებული მოგება;

ი) თავისუფლად მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდის რეალიზაციით მიღებული მოგება;

კ) არარეზიდენტის მიერ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი საწარმოს, ორგანიზაციის ან/და მეწარმე ფიზიკური პირის მიერ რისკის დაზღვევისა და გადაზღვევის საფუძველზე;

ლ) არარეზიდენტის მიერ ქონების ლიზინგით გაცემიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც არ

მიეკუთვნება საქართველოში არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას;

მ) სახელმწიფოს ან საქართველოს ეროვნული ბანკის სასესხო ფასიანი ქაღალდების რეალიზაციითა და აღნიშნული ფასიანი ქაღალდებიდან პროცენტის სახით მიღებული მოგება და ეროვნულ ბანკში ანგარიშებზე განთავსებულ სახსრებზე დარიცხული პროცენტებიდან მიღებული მოგება;

ნ) თიზ-ის საწარმოს მიერ თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში ნებადართული საქმიანობით მიღებული მოგება;

ო) საინვესტიციო ფონდის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების მიწოდებით ან/და ფინანსური ოპერაციებიდან ან/და ფინანსური მომსახურებიდან მიღებული მოგება, თუ საინვესტიციო ფონდი არის საერთაშორისო ფინანსური კომპანია;

პ) საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის განმახორციელებელი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისთვის სახელმწიფოს ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ გადაცემული ქონების ან უსასყიდლოდ გაწეული მომსახურების ღირებულება;

ჟ) სამედიცინო დანესებულების (მიუხედავად მისი სამართლებრივი ფორმისა) სამედიცინო საქმიანობიდან მიღებული მოგების ის ნაწილი, რომლის რეინვესტირება (დანესებულების რეაბილიტაცია, ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფა) ხორციელდება შესაბამისი საგადასახადო წლის დასრულებიდან 3 წლის განმავლობაში;

რ) ვირტუალური ზონის იურიდიული პირის მიერ შექმნილი საინფორმაციო ტექნოლოგიების საქართველოს ფარგლების გარეთ მიწოდებით მიღებული მოგება;

ს) 2026 წლის 1 იანვრამდე ტურისტული ზონის მეწარმე სუბიექტის მიერ სასტუმრო მომსახურების გაწევით მიღებული მოგება;

ტ) ტურისტული ზონის მეწარმე სუბიექტის მიერ მიღებული მიწის ნაკვეთის (ნაკვეთების) ღირებულება.

უ) აზარტული კლუბის, სათამაშო აპარატების სალონის, აგრეთვე ტოტალიზატორის მომწყობი პირების მიერ აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული მოგება, გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშობის მოწყობიდან მიღებული მოგებისა;

ფ) სპეციალური სავაჭრო კომპანიის მიერ ნებადართული საქმიანობით მიღებული მოგება, გარდა მის მიერ ეკონომიკურ საქმიანობაში 2 წელზე მეტი ვადით გამოყენებული ძირითადი საშუალების მიწოდებით მიღებული მოგებისა;

ქ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით ავტორიზებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობიდან მიღებული მოგება;

ღ) საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული თავდებობის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული თავდებობის, აგრეთვე სერვიტუტის უსასყიდლო მომსახურების გამწევის მიერ ამ მომსახურებიდან მისაღები კომპენსაცია და უსასყიდლო მომსახურების მიმღების მიერ მიღებული სარგებელი.

ყ) ტურისტული საწარმოს მიერ სახელმწიფოსგან უსასყიდლოდ საქონლის მიწოდების ან/და მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული სარგებელი;

შ) ტურისტული საწარმოს მიერ ან/და მის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე სასტუმროს ფუნქციონირებისთვის/ოპერირებისთვის მოწვეული პირის/პირების მიერ სასტუმრო ნომრის მესაკუთრისათვის კალენდარული წლის განმავლობაში არა უმეტეს 60 დღის ვადით სასტუმროს მომსახურების (სასტუმროში ცხოვრების) უსასყიდლოდ გაწევის შედეგად წარმოშობილი შემოსავალი (უსასყიდლოდ გაწეული მომსახურების საბაზრო ფასი) და სასტუმრო ნომრის მესაკუთრის მიერ მიღებული სარგებელი;

ჩ) „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ გაკოტრების რეჟიმში მყოფი პირის მიერ მიღებული მოგება.

საწარმოს დასაბეგრი მოგება იბეგრება 15 პროცენტით, ხოლო „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული „არსებული ხელშეკრულებების“ განხორციელების შედეგად ნავთობისა და გაზის ოპერაციებით მიღებული მოგება – 10 პროცენტით, თუ ეს ხელშეკრულებები დადებულია 1998 წლის 1 იანვრამდე.

თავი 11. დამატებული ღირებულების გადასახადი

11.1 დღგ-ს არსი

დამატებული ღირებულების გადასახადის სისტემის შემუშავება დაკავშირებულია მორის ლორესთან. ის იყო ფრანგი ეკონომისტი, საფრანგეთის ეკონომიკის, ფინანსების და მრეწველობის სამინისტროს გადასახადების, მოსაკრებლების და დამატებული ღირებულების გადასახადის დირექციის დირექტორი (1954 წ). ის ითვლება „დღგ-ის მამად". 1954 წელს მან შეიმუშავა დღგ-ის ამოლების სქემა. თანამედროვე ფორმით იგი საფრანგეთში შემოღებულ იქნა 1968 წელს. მანამდე კი ეს გადასახადი გამოიცდებოდა საფრანგეთზე დამოკიდებულ აფრიკულ ქვეყანაში – კოტ დიუვარში. ზოგიერთი ინფორმაციით დღგ პირველად 1919 წელს შეიმუშავა გერმანიაში ვილგელმ ფონ სიმენსონმა და მას უწოდა „გაკეთილშობილებული ბრუნვის გადასახადი", ხოლო დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურების სისტემის შემუშავება მიეწერება ამერიკელ ეკონომისტს, მიჩიგანის უნივერსიტეტის პროფესორს ჰენრი კარტერ ადამსს(1851 – 1921). აღსანიშნავია, რომ ბანგლადეშში დღგ შემოღებულ იქნა 1991 წლის 10 ივლისს და ეს დღე აღინიშნება, როგორც დღგ-ს ნაციონალური დღე ბანგლადეშში.

დღგ, ისევე, როგორც აქციზი თავისი არსით მიწოდების გადასახადია, მაგრამ რიგი ქვეყნები მას ახდევინებენ საბაჟო საზღვარზე საქონლის შემოტანის დროს ანუ ამ საქონლის მიწოდებამდე წინასწარ, ავანსად. ასეთი დაბეგვრის მოტივად მიჩნეულია საბაჟო საზღვარზე ადმინისტრირების მეტი გამჭვირვალობა და მოქნილობ, ვიდრე ქვეყნის შიდა სივრცეში.

დღგ ნიშნავს საქონლის(ასევე მომსახურების), გარკვეული ნაწილის ღირებულებაზე, კერძოდ დამატებულ ღირებულებაზე დაწესებულ გადასახადს. მაგ. მრეწველობის სფეროში საქონლის ღირებულება შედგება წარმოების ხარჯებისა და მოგებისაგან. წარმოების ხარჯები, თუ მოვახდენთ შესაბამის აბსტრაგირებას, შედგება მასალებისა და ნედლეულის ღირებულების, ამორტიზაციული ანარიცხების და ხელფასისაგან. ამ შემთხვევაში დამატებული ღირებულება იქნება ხელფასი და მოგება. რაც შეეხება მიმოქცევის (ვაჭრობის) სფეროს, აქ მიწოდების დროს დამატებული ღირებულება იქნება მიმოქცევის ხარჯებს დამატებული სავაჭრო მოგება. შესაბამისად, დამატებულ ღირებულებაში მოიაზრება საქონლის მიწოდების შედეგად მიღებულ ამონაგებსა და ამ ამონაგების მისაღებად გაწეულ შესაბამის ხარჯებს შორის სხვაობა. თუმცა, დაბეგვრის ადმინისტრირების გაიოლების მიზნით, რომელიც ემყარება ადრე გადახდილი დღგ-ის ჩათვლების სისტემას, დღგ-ის დარიცხვა, ხორციელდება არა დამატებული ღირებულების მიხედვით, არამედ მიწოდებული საქონლის მთლიანი ღირებულების მიხედვით.

საქონლის იმპორტის დროს შემოტანილი ღირებულება განიხილება, როგორც მთლიანად დამატებული ღირებულება და იგი მთლიანად იბეგრება დღგ-ით.(თუმცა, რეალურად, შემოტანილი საქონლის საბაჟო ღირებულება და მის შესაძენად დახარჯული ღირებულება ტოლია).

დღგ-ის, როგორც არაპირდაპირი გადასახადის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მას იხდის საქონლის მიმწოდებელი ოლონდ – ირიბად, მომხმარებელზე მისი გადაკისრების გზით, რაც იმას ნიშნავს, რომ დღგ-ის რეალური გადამხდელია საქონლის მომხმარებელი. მაგ. საქონლის იმპორტიორი საბაჟო ორგანოში იხდის დღგ-ს და აწვდის ამ საქონელს, ვთქვათ, საბოლოო მომხმარებელს (სიმარტივისათვის, აბსტრაგირების გზით შუალედური მიწოდებები გამოვრიცხოთ). ამ შემთხვევაში იმპორტიორს (მიმწოდებელს) მის მიერ მიწოდების დროს ბიუჯეტში გადასახდელი დღგ-ის თანხა შეაქვს საქონლის ფასში და შესაბამისად მის მიერ ბიუჯეტში გადასახდელ დღგ-ს იგი ახდევინებს მომხმარებელს საქონლის ფასის მეშვეობით. საბოლოოდ იმპორტიორი(მიმწოდებელი) ბიუჯეტში შეიტანს მის მიერ ამ საქონლის მიწოდების დროს მომხმარებელზე დარიცხულ დღგ-ის თანხასა და ამ საქონლის იმპორტის დროს საბაჟო ორგანოში გადახდილ თანხას შორის სხვაობას.

დღგ-ის არსის გაგების დროს მნიშვნელოვანი პრინციპია ორმაგი დაბეგვრის გამორიცხვა. კერძოდ მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ თვითონ დღგ-ის ადრე გადახდილი თანხა არ შეიძლება იყოს დღგ-ით დაბეგვრის ობიექტი (თუ დაცულია კანონმდებლობით დადგენილი სხვა პირობები). აქედან გამომდინარე დასაბეგრი ოპერაციის თანხაში არ უნდა შევიდეს გადახდილი დღგ-ის თანხა. მაგ. იმპორტიორმა გადაიხადა დღგ საბაჟო ორგანოში და მიაწოდა საქონელი. ასეთ შემთხვევაში საბაჟოში გადახდილი დღგ-ის თანხა არ უნდა შევიდეს მიწოდების დროს დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის თანხაში.

თანამედროვე მსოფლიოში დღგ-ის განაკვეთები სხვადასხვანაირია(თვით ევროკავშირის ქვეყნებშიც). ზოგიერთ ქვეყანაში იგი საერთოდ არ არის.

საზოგადოდ, ევროპაში დღგ-ის საშუალო განაკვეთი 18 – 20%-ის ფარგლებში მერყეობს, საქართველოში – 18 პროცენტია.

11.2 დღგ-ს გადამხდელი

დღგ არაპირდაპირი გადასახადია და ამდენად მომხმარებლის მეშვეობით სახელმწიფო ბიუჯეტში იგი შეაქვს არა უშუალოდ მომხმარებელს(მის რეალურ გადამხდელს), არამედ გადასახადის გადამხდელს. დღგ-ს გადამხდელად ითვლება:

ა) პირი, რომელიც რეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად;

ბ) პირი, რომელიც ვალდებულია გატარდეს რეგისტრაციაში დღგ-ის გადამხდელად;

გ) პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის იმპორტს ან დროებით შემოტანას საქართველოში, მხოლოდ ამ იმპორტზე ან დროებით შემოტანაზე, რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე;

დ) არარეზიდენტი (გარდა საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირისა), რომელიც ეწევა მომსახურებას საქართველოში დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისა და მუდმივი დანესებულების გარეშე, მხოლოდ ამ მომსახურებაზე და ექვემდებარება უკუდაბეგვრას.

ე) პირი, რომელიც სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში ახორციელებს მოთხოვნის უზრუნველყოფის საგნის (საქონლის) კრედიტორის საკუთრებაში გადაცემას მხოლოდ ამ ოპერაციაზე და ექვემდებარება უკუდაბეგვრას, რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე;

ვ) პირი, რომლის საქონლის რეალიზაციაც ხდება საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში ან სხვა ფულადი ვალდებულების (გარდა სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული წესით დაკისრებული სანქციებისა) გადახდევინების მიზნით, აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის ან სხვა წესით, მხოლოდ ამ ოპერაციაზე, რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე;

ზ) პირი, რომლის სამეურვეო ქონების რეალიზაციაც ხდება „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით, მხოლოდ ამ ოპერაციაზე, რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე.

11.3 დღგ-ს გადამხდელად სავალდებულო და ნებაყოფლობითი რეგისტრაცია

პირი, რომელიც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას და რომლის მიერ ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა აღემატება 100 000 ლარს:

ა) ვალდებულია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისათვის მიმართოს საგადასახადო ორგანოს დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხის 100 000 ლარზე გადაჭარბების დღიდან არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა;

ბ) დღგ-ის გადამხდელად ითვლება იმ დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების მომენტიდან (ამ ოპერაციის ჩათვლით), რომლის მიხედვითაც დასაბეგრი ოპერაციის საერთო თანხა გადააჭარბებს 100 000 ლარს.

პირს, რომელიც საქონლის მიწოდებას ახორციელებს მხოლოდ სსზ-ის ტერიტორიაზე, არ წარმოეშობა დღგ-ის სავალდებულო რეგისტრაციის ვალდებულება.

პირი, რომელიც ანარმოებს აქციზურ საქონელს საქართველოში, ვალდებულია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისათვის მიმართოს საგადასახადო ორგანოს აქციზური საქონლის მიწოდებამდე.

პირი, რომელიც ახორციელებს აქციზური საქონლის იმპორტს საქართველოში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქციზური საქონლის საქართველოში იმპორტი გათავისუფლებულია დღგ-ის გადახდისაგან, ვალდებულია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისათვის მიმართოს საგადასახადო ორგანოს საქართველოში აქციზური საქონლის მიწოდებამდე.

რეორგანიზაციის შედეგად შექმნილი პირი, თუ რეორგანიზაციის ერთ-ერთი მხარე არის დღგ-ის გადამხდელი, ვალდებულია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისათვის მიმართოს საგადასახადო ორგანოს დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელებამდე, მაგრამ რეორგანიზაციის დასრულებიდან არა უგვიანეს 10 კალენდარული დღისა.

დღგ-ის გადამხდელი პარტნიორისაგან/წევრისაგან შენატანის სახით საქონლის/მომსახურების მიღების შემთხვევაში სანარმო/ამხანაგობა ვალდებულია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისათვის მიმართოს საგადასახადო ორგანოს დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელებამდე, მაგრამ შენ-

ატანის განხორციელებიდან არა უგვიანეს 10 კალენდარული დღისა.

დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციას დაქვემდებარებული პირის რეგისტრაციის გარეშე გამოვლენისას საგადასახადო ორგანო ატარებს ამ პირს რეგისტრაციაში დღგ-ის გადამხდელად. ამასთანავე, პირი დღგ-ის გადამხდელად ითვლება რეგისტრაციის ვალდებულების წარმოშობის მომენტიდან.

სავალდებულო რეგისტრაციის ვალდებულების განსაზღვრისას არ გაითვალისწინება:

ა) ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციები;

ბ) ჩათვლის უფლებით გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციები.

გ) ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირისთვის – ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი.

დღგ-ის გადამხდელად არარეზიდენტის სავალდებულო რეგისტრაციის მიზნით, მისი დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხის განსაზღვრისას, მხედველობაში მიიღება მხოლოდ საქართველოში მუდმივი დაწესებულების მეშვეობით განხორციელებული საქონლის მიწოდება და მომსახურების გაწევა.

პირს შეუძლია ნებაყოფლობით გატარდეს რეგისტრაციაში დღგ-ის გადამხდელად. იგი დღგ-ის გადამხდელად ითვლება საგადასახადო ორგანოსთვის მიმართვის დღიდან, მაგრამ არა უგვიანეს სავალდებულო რეგისტრაციისთვის განსაზღვრული ვადისა.

დღგ-ის გადამხდელის, მათ შორის, საქართველოში არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულების, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების საფუძველია:

ა) სანარმოს/ორგანიზაციის ლიკვიდაცია;

ბ) ფიზიკური პირის გარდაცვალება;

გ) გადასახადის გადამხდელის წერილობითი მიმართვა ან საგადასახადო ორგანოს მიმართვის შემთხვევაში გადასახადის გადამხდელის თანხმობა.

დ) „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით გაკოტრების საქმის წარმოების დაწყება.

თუ გადასახადის გადამხდელის მიერ ბოლო 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების (გარდა ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციებისა და ჩათვლის უფლებით გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციებისა) საერთო თანხა დღგ-ის გარეშე არ აღემატება 100 000 ლარს და მისი დღგ-ის გადამხდელად უკანასკნელი რეგისტრაციის თარიღიდან გასულია 1 წელი:

ა) გადასახადის გადამხდელს შეუძლია მიმართოს შესაბამის საგადასახადო ორგანოს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით;

ბ) საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, წერილობით მიმართოს დღგ-ის გადამხდელს რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე და მისი თანხმობის შემთხვევაში გაუუქმოს რეგისტრაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე რეგისტრაცია შესაბამისობის მიხედვით უქმდება:

ა) სახელმწიფო/სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის გაუქმების თარიღიდან;

ბ) პირის გარდაცვალების თარიღიდან;

გ) გადასახადის გადამხდელის წერილობითი მიმართვის/ თანხმობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.

დ) სასამართლოს მიერ გამოტანილი გაკოტრების შესახებ განჩინების გამოქვეყნებიდან.

11.4 დღგ-ით დაბეგვრის ობიექტი, დასაბეგრი თანხა, დაბეგვრის დრო

დღგ-ით დაბეგვრის ობიექტია:

ა) დასაბეგრი ოპერაცია;

ბ) იმპორტი;

გ) ექსპორტი, რეექსპორტი;

დ) დროებითი შემოტანა.

დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციებია:

ა) საქართველოს ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში განხორციელებული საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა, რომლის დროსაც:

ა.ა) დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება დღგ-ის გადამხდელის მიერ მიღებული ან მისაღები კომპენსაციის თანხის მიხედვით (გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახდელების ჩათვლით) დღგ-ის ან/და პირგასამტეხლოს გარეშე;

ა.ბ) დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება საქონლის მიწოდების ან მომსახ-

ურების გაწევის მომენტი, მაგრამ:

ა.ბ.ა) არა უგვიანეს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლისათვის ან გაწეული მომსახურებისათვის ანაზღაურების მოთხოვნის (ინვოისის) წარდგენის ან/და მიწოდებული საქონლისათვის ან გაწეული მომსახურებისათვის თანხის გადახდის ვალდებულების მომენტისა;

ა.ბ.ბ) არა უგვიანეს ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლო დღისა, თუ საქონლის (გარანტირებული სიმძლავრის, ელექტრო – ან თბოენერგიის, გაზის ან წყლის) მიწოდება ხდება რეგულარულად ან უწყვეტად. ამასთანავე, თუ პირი მიწოდებას აღრიცხავს საანგარიშო პერიოდის სხვადასხვა დღეს არა კალენდარული თვის, არამედ გარკვეული პერიოდის (ციკლის) განმავლობაში მიწოდებული საქონლის ოდენობის მიხედვით, რომელიც შეიძლება მოიცავდეს როგორც საანგარიშო პერიოდს, ისე საანგარიშოს წინა პერიოდს, ასეთ შემთხვევაში საანგარიშო პერიოდში მიწოდებულად ჩაითვლება საანგარიშო პერიოდის სხვადასხვა დღის მიხედვით აღრიცხული (გარკვეული პერიოდის (ციკლის) განმავლობაში მიწოდებული საქონლის ოდენობის მიხედვით აღრიცხული) საქონლის ოდენობა, მიუხედავად საანგარიშო პერიოდში ფაქტობრივად მიწოდებულისა;

ა.ბ.გ) არა უგვიანეს ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლო დღისა, თუ მომსახურების გაწევა ხდება რეგულარულად ან უწყვეტად;

ბ) დღგ-ით შეძენილი საქონლის/მომსახურების გამოყენება არაეკონომიკური საქმიანობისათვის, თუ ამ საქონელზე/მომსახურებაზე გადამხდელმა მიიღო დღგ-ის ჩათვლა, რომლის დროსაც:

ბ.ა) დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასით (გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახდელების ჩათვლით) დღგ-ის გარეშე;

ბ.ბ) დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება საქონლის/მომსახურების გამოყენების დაწყების მომენტი;

გ) დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში (გარდა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემთხვევისა) საქონლის ნაშთი, რომელზედაც გადამხდელს მიღებული აქვს ჩათვლა, რომლის დროსაც:

გ.ა) დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება რეგისტრაციის გაუქმების დღისთვის არსებული იმ საქონლის საბალანსო ნაშთით, რომელზედაც გადამხდელს მიღებული აქვს ჩათვლა;

გ.ბ) დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება რეგისტრაციის გაუქმების ძალაში შესვლის დღის წინა დღე;

დ) საკუთარი წარმოების შენობა-ნაგებობის ძირითად საშუალებად გამოყენება, რომლის დროსაც:

დ.ა) დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება კანონმდებლობით განსაზღვრული აქტივის ღირებულებით;

დ.ბ) დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება ძირითადი საშუალების ექსპლუატაციაში მიღების მომენტი;

ე) საწარმოდან ან/და ამხანაგობიდან წილის სანაცვლოდ მომსახურების ან საქონლის ინდივიდუალურ საკუთრებაში მიღება (ამ შემთხვევაში ქონების გამოტანა ან/და რეგისტრაცია ითვლება ამხანაგობის მიერ ქონების მიწოდებად), რომლის დროსაც:

ე.ა) დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება საქონლის/ მომსახურების საბაზრო ფასით (გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახდელების ჩათვლით) დღგ-ის გარეშე;

ე.ბ) დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება მომსახურების ან საქონლის ინდივიდუალურ საკუთრებაში მიღების მომენტი;

ვ) იჯარით აღებულ ძირითად საშუალებათა რემონტის შემთხვევაში იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლისას ან ვადაზე ადრე შეწყვეტისას ძირითადი საშუალებების მეიჯარისათვის დაბრუნება, რომლის დროსაც:

ვ.ა) დასაბეგრი ოპერაციის თანხა ტოლია აღნიშნულ ძირითად საშუალებებზე გაწეული რემონტის ხარჯების ჯგუფის ღირებულებითი ბალანსიდან გამოსაკლები თანხისა, რომლითაც აღნიშნული ჯგუფი ნულდება;

ვ.ბ) იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლის ან ვადაზე ადრე შეწყვეტის მომენტი.

ზ) ტურისტული სანარმოს სტატუსის მოქმედების ვადის გასვლისას ან ვადაზე ადრე შეწყვეტისას სტატუსის გაუქმების მომენტი, რომლის დროსაც დასაბეგრი ოპერაციის თანხა არის სხვაობა ტურისტული სანარმოს მიერ მიწოდებული სასტუმროს აქტივების/მათი ნაწილის საკომპენსაციო თანხასა და სასტუმროს ფუნქციონირების შედეგად დღგ-ით დასაბეგრ დეკლარირებულ თანხას შორის.

დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება საქონლის/ მომსახურების საბაზრო ფასით (გა-

დასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახდელების ჩათვლით) დღგ-ის გარეშე:

ა) თუ დღგ-ის გადამხდელი დასაბეგრი ოპერაციის სანაცვლოდ იღებს ან უფლება აქვს, მიიღოს საქონელი/მომსახურება;

ბ) იმ შემთხვევაში, როდესაც საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს დაბეგვრისათვის გამოიყენოს საბაზრო ფასი;

გ) საქონლის/მომსახურების თანამშრომლებისათვის მიწოდების შემთხვევაში;

დ) საქონლის/მომსახურების კომპენსაციის გარეშე მიწოდების შემთხვევაში.

საქონლის მიწოდებისას, რომელსაც თან ახლავს გადატვირთვა, საქონლის მიწოდებად ითვლება საქონლის გადატვირთვის მომენტი.

საერთაშორისო სატელეფონო საკომუნიკაციო მომსახურებისას დასაბეგრი ოპერაციის თანხაში არ გაითვალისწინება არარეზიდენტი საწარმოსთვის გაწეული ასეთი მომსახურებიდან მიღებული ან მისაღები თანხა.

საბრუნავი (მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნული) დასაბრუნებელი ტარის ღირებულება არ შეიტანება გადასახადით დასაბეგრ თანხაში, გარდა საცალო ვაჭრობისა, სადაც დასაბეგრი ბრუნვა მცირდება იმ თანხით, რომელსაც გამყიდველი უხდის მომხმარებელს ტარის დაბრუნების დროს. თუ აღნიშნული ტარა საქონლის მიწოდებიდან 90 კალენდარული დღის განმავლობაში არ დაბრუნდა, იგი რეალიზებულად ჩაითვლება და დაიბეგრება დადგენილი წესით.

გრძელვადიანი კონტრაქტის შემთხვევაში, თუ არ დადგა დასაბეგრი ოპერაციისათვის გათვალისწინებული პირობა:

ა) დასაბეგრი ოპერაციის თანხა კალენდარული წლისათვის განისაზღვრება ფაქტობრივი შესრულების მოცულობის მიხედვით, რომელიც გაიანგარიშება გაწეული ხარჯების კონტრაქტით გათვალისწინებულ ერთობლივ ხარჯებთან შეპირისპირებით;

ბ) დასაბეგრი ოპერაციის მომენტად ითვლება არა უგვიანეს ყოველი წლის დეკემბერი.

საქონლის/მომსახურების გაცვლის (ბარტერული) ოპერაციის თითოეული მხარისათვის:

ა) დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება საბაზრო ფასით დღგ-ს გარეშე;

ბ) დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დრო განისაზღვრება საქონლის მიწოდების ან მომსახურების გაწევის მომენტი.

უძრავი ქონების რეალიზაციისას დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება საკუთრების უფლების რეგისტრაციისთვის მარეგისტრირებელ ორგანოში წარსადგენი საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შედგენის თარიღი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საკუთრების უფლების რეგისტრაცია (გადაცემა) დამოკიდებულია ამ დოკუმენტის მხარის (მხარეების) მიერ გარკვეული ვალდებულების შესრულებაზე ან/და პირობის დადგომაზე, – ასეთი ვალდებულების შესრულების/პირობის დადგომის თარიღი.

იმპორტის დროს:

ა) იმპორტის თანხა არის ჯამი:

ა.ა) საბაჟო ღირებულებისა;

ა.ბ) იმპორტისას გადასახდელი გადასახდელებისა, საქართველოში გადასახდელი დღგ-ის ჩაუთვლელად;

ა.გ) მომსახურების ღირებულებისა, დღგ-ის გარეშე, რომელიც კანონმდებლობის მიხედვით ითვლება საქონლის იმპორტის ნაწილად;

ბ) საქონლის იმპორტი ხორციელდება მაშინ, როდესაც საქონელი საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით იბეგრება ან, გათავისუფლებული რომ არ ყოფილიყო, დაიბეგრებოდა იმპორტის გადასახადით.

პირს, რომლის წინა უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში დასაბეგრი ოპერაციების მიხედვით დეკლარირებული და ბიუჯეტში გადახდილი დღგ-ის თანხა გადააჭარბებს 200 000 ლარს, უფლება აქვს, გადავიდეს იმპორტის დღგ-ით დაბეგვრის სპეციალურ წესზე.

მიუხედავად ზემოაღნიშნული პირობის არსებობისა, შემოსავლების სამსახურის უფროსის გადაწყვეტილებით პირი შეიძლება გადაყვანილ იქნეს იმპორტის დღგ-ით დაბეგვრის სპეციალურ წესზე, თუ იგი წარმოადგენს წერილობით ვალდებულებას, რომ იმპორტის დღგ-ით დაბეგვრის სპეციალურ წესზე გადასვლიდან მომდევნო უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განახორციელებს საწარმოს ძირითად საშუალებად გამოსაყენებელი ან/და საწარმოს ძირითადი საშუალებისათვის განკუთვნილი, არანაკლებ 5,0 მლნ ლარის საბაჟო ღირებულების საქონლის იმპორტს.

იმპორტის დღგ-ით დაბეგვრის სპეციალურ წესზე გადაყვანილი პირისათვის დაბეგვრის ობიექტად არ განიხილება საქონლის იმპორტი. ამასთანავე, ითვლება, რომ საქონლის იმპორტის საანგარიშო პე-

რიოდის მიხედვით პირმა დასაბეგრი იმპორტის მიხედვით განსაზღვრულ საქონელზე მიიღო ჩათვლა.

თუ პირი საგადასახადო ორგანოს წერილობით არ მიმართავს იმპორტის დღგ-ით დაბეგვრის სპეციალურ წესზე გადასვლის სურვილის არარსებობის თაობაზე, მაშინ იგი იმპორტის დღგ-ით დაბეგვრის სპეციალურ წესზე გადასულად ითვლება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.

იმპორტის დღგ-ით დაბეგვრის სპეციალური წესი ავტომატურად არ ვრცელდება რეორგანიზაციის შედეგად შექმნილ საწარმოზე.

საქართველოს მთავრობას უფლება აქვს, განსაზღვროს საქონლის ცალკეული სახეები, რომლებზედაც არ ვრცელდება იმპორტის დაბეგვრის სპეციალური წესი.. ამ შემთხვევაში ამ საქონლის იმპორტი იბეგრება საერთო წესით.

საბაჟო საწყობში მიწოდებული უცხოური საქონლის იმპორტის შემთხვევაში, თუ:

ა) საქონლის იმპორტი და მიწოდება არ არის დღგ-ისაგან გათავისუფლებული, იმპორტიორი იმპორტისას გადასახდელ დღგ-ის თანხას გადაიხდის იმპორტის თანხიდან გამომდინარე, ხოლო იმპორტიორის მიერ საბაჟო საწყობში უცხოური საქონლის შესყიდვის ღირებულებასა და საქონლის იმპორტის თანხას შორის დადებითი სხვაობის თანხა დღგ-ით დაიბეგრება უკუდაბეგვრის წესით;

ბ) საქონლის იმპორტი გათავისუფლებულია დღგ-ისაგან, ხოლო საქონლის მიწოდება დღგ-ით იბეგრება, იმპორტიორის მიერ საბაჟო საწყობში უცხოური საქონლის შესყიდვის ღირებულება დღგ-ით იბეგრება უკუდაბეგვრის წესით;

გ) საქონლის იმპორტი დღგ-ით იბეგრება, ხოლო საქონლის მიწოდება გათავისუფლებულია დღგ-ისაგან, იმპორტიორი იმპორტისას გადასახდელ დღგ-ის თანხას გადაიხდის იმპორტის თანხიდან გამომდინარე.

თიზ – ის საწარმოს მიერ თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში შეტანილი (გარდა საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან შეტანილისა) საქონლის სხვა პირისათვის (გარდა თიზ – ის საწარმოსი) საქონლო კოდის შეუცვლელად მიწოდების შემთხვევაში იმპორტის თანხას ემატება ამ საქონლის შესყიდვის ღირებულებასა და საქონლის საბაჟო ღირებულებას შორის სხვაობის თანხა, რომლის მიხედვითაც იმპორტიორი დღგ-ს გადაიხდის იმპორტის გადასახდელთან ერთად.

ექსპორტის/რეექსპორტის დროს:

ა) ექსპორტის/რეექსპორტის თანხა არის საბაჟო ღირებულება;

ბ) საქონლის ექსპორტი/რეექსპორტი ხორციელდება მაშინ, როდესაც ხდება დეკლარირება საქონლის ექსპორტის/რეექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევის შესახებ.

საქონლის დროებითი შემოტანის დროს:

ა) საქონლის დროებითი შემოტანის თანხა ტოლია დროებითი შემოტანის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს ამ საქონლის იმპორტში მოქცევის შემთხვევაში განსაზღვრული იმპორტის თანხისა;

ბ) საქონლის დროებითი შემოტანა ხორციელდება მაშინ, როდესაც საქონელი საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით იბეგრება ან, გათავისუფლებული რომ არ ყოფილიყო, დაიბეგრებოდა იმპორტის გადასახადით.

11.5 საქონლის (მომსახურების) მიწოდების ადგილი

საქონლის მიწოდების ადგილად ითვლება საქონლის გადაცემის ადგილი. თუ საქონლის მიწოდების პირობა ითვალისწინებს ტრანსპორტირებას, მაშინ საქონლის მიწოდების ადგილად ითვლება ტრანსპორტირების დაწყებისას საქონლის ადგილსამყოფელი.

ელექტრო – ან თბოენერგიის, გაზის ან წყლის მიწოდების ადგილად ითვლება ამ საქონლის მიღების ადგილი. საქართველოდან ექსპორტის შემთხვევაში ამ საქონლის მიწოდების ადგილად ითვლება საქართველო.

დღგ-ით დაბეგვრის მიზნებისათვის მომსახურების გაწევის ადგილად ითვლება:

ა) ადგილი, სადაც მდებარეობს უძრავი ქონება, თუ მომსახურება უკავშირდება უძრავ ქონებას, მათ შორის:

ა.ა) ქონების აგენტებისა და ექსპერტების მომსახურება;

ა.ბ) სამშენებლო საქმიანობის მომზადებისა და კოორდინაციასთან დაკავშირებული მომსახურება;

ა.გ) არქიტექტურისა და სამშენებლო საქმიანობის ზედამხედველობის მომსახურება;

ბ) მომსახურების ფაქტობრივად გაწევის ადგილი, თუ:

ბ.ა) მომსახურება უკავშირდება მოძრავ ქონებას, მათ შორის, მოძრავი ქონების შეფასება;

ბ.ბ) მომსახურება გაიწევა კულტურის, ხელოვნების, განათლების, ტურიზმის, დასვენების, ფიზიკური კულტურისა და სპორტის სფეროებში;

ბ.გ) გაიწევა დამატებითი სატრანსპორტო მომსახურება, როგორიცაა დატვირთვა და გადმოტვირთვა;

გ) ტვირთების გადატანის ან მგზავრთა გადაყვანის ადგილსამყოფელი ტრანსპორტირების დაწყებისას, თუ მომსახურება დაკავშირებულია ამ გადაზიდვებთან;

დ) თუ მომსახურების მიმღებ და გამწევ პირთა ადგილსამყოფელი სხვადასხვა სახელმწიფოშია, მაშინ მომსახურების მიმღები პირის რეგისტრაციის ადგილი ან მართვის ადგილი ან მომსახურების მიმღები პირის მუდმივი დანესებულების ადგილმდებარეობა, თუ მომსახურება დაკავშირებულია უშუალოდ ამ მუდმივ დანესებულებასთან. ეს დებულებები გამოიყენება შემდეგი მომსახურების მიმართ:

დ.ა) პატენტების, ლიცენზიების, სავაჭრო მარკების, საავტორო უფლებების ან სხვა მსგავსი არამატერიალური აქტივის გადაცემა;

დ.ბ) საკონსულტაციო, იურიდიული, საბუღალტრო, საინჟინერინგო და სხვა მსგავსი მომსახურების გაწევა, აგრეთვე მონაცემებისა და ინფორმაციის დამუშავება – მიწოდება;

დ.გ) პერსონალით უზრუნველყოფა;

დ.დ) მოძრავი ქონების იჯარით გადაცემა, გარდა სატრანსპორტო საშუალებების იჯარისა;

დ.ე) სარეკლამო მომსახურება;

დ.ვ) ბიზნესსაქმიანობისგან ან შესაბამისი უფლების გამოყენებისგან თავის შეკავების ვალდებულება;

დ.ზ) ფინანსური და დაზღვევის ოპერაციები, მათ შორის, გადაზღვევა;

დ.თ) სატელეკომუნიკაციო, რადიო – და ტელემაუწყებლობის მომსახურება;

დ.ი) ელექტრონულად გაწეული მომსახურება;

დ.კ) მომსახურების გაწევა შუამავლის მეშვეობით, რომელიც მოქმედებს სხვა პირის დავალებით და მონაწილეობს მომსახურების გაწევაში;

ე) იმ პირის ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების ადგილი, რომელიც ეწევა მომსახურებას.

თუ მომსახურების გაწევის ადგილი აღწერილია ზემოაღნიშნულ ერთზე მეტ ქვეპუნქტში, მომსახურების გაწევის ადგილი განისაზღვრება მომსახურების აღმწერი რიგით პირველი ქვეპუნქტის მიხედვით.

დღგ-ით დაბეგვრის მიზნებისათვის ელექტრონულად გაწეულ მომსახურებას განეკუთვნება:

ა) ვებგვერდის მიწოდება, ვებჰოსტინგი, პროგრამებისა და მოწყობილობების დისტანციური ტექნიკური მომსახურება;

ბ) პროგრამული უზრუნველყოფა და შესაბამისი განახლება;

გ) გამოსახულებების, ტექსტებისა და ინფორმაციის მიწოდება მონაცემთა ბაზის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით;

დ) მუსიკის, ფილმებისა და თამაშების (აზარტული თამაშების ჩათვლით) მიწოდება, პოლიტიკური, კულტურული, ხელოვნების, სპორტული, სამეცნიერო და გასართობი პროგრამების ტრანსლაცია და გაშუქება;

ე) დისტანციური სწავლების მიწოდება.

11.6 დღგ-ის განაკვეთები და გადახდა

დღგ-ის განაკვეთი შეადგენს:

ა) დასაბეგრი ბრუნვის ან საქონლის იმპორტის თანხის 18 პროცენტს;

ბ) საქონლის დროებითი შემოტანისას დროებითი შემოტანის თანხის 0.54 პროცენტს ამ საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის ყოველ სრულ და არასრულ კალენდარულ თვეზე, მაგრამ არა უმეტეს საქონლის დროებითი შემოტანისას დროებითი შემოტანის თანხის 18 პროცენტისა;

გ) უკუდაბეგვრის წესით დასაბეგრი ოპერაციის თანხის 18 პროცენტს.

დასაბეგრი ბრუნვა არის საანგარიშო პერიოდში განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების, საქონლის ექსპორტისა და საქონლის რეექსპორტის თანხის ჯამი.

ბიუჯეტში გადასახდელი დღგ მოიცავს:

ა) დასაბეგრი ბრუნვიდან ბიუჯეტში შესატან დღგ-ის თანხას, რომელიც განისაზღვრება, რო-

გორც სხვაობა დასაბეგრ ბრუნვაზე დარიცხულ დღგ-ის თანხასა და ჩასათვლელ დღგ-ის თანხებს შორის;

ბ) საქონლის იმპორტისას ბიუჯეტში შესატან დღგ-ის თანხას;

გ) საქონლის დროებითი შემოტანისას ბიუჯეტში შესატან დღგ-ის თანხას;

დ) უკუდაბეგვრის წესით დასაბეგრი ოპერაციიდან ბიუჯეტში შესატან დღგ-ის თანხას.

დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი ვალდებულია შესაბამის საგადასახადო ორგანოში წარადგინოს დღგ-ის დეკლარაცია ყოველ საანგარიშო პერიოდზე არა უგვიანეს ამ პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვისა და ამავე ვადაში გადაიხადოს დღგ.

დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი ვალდებულია „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით სასამართლოს მიერ გამოტანილი გაკოტრების შესახებ განჩინების კანონიერ ძალაში შესვლიდან 15 დღის ვადაში საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს გაკოტრების საქმის წარმოების დაწყებამდე სრული/არასრული საგადასახადო პერიოდის (პერიოდების) შესაბამისი წარუდგენელი დეკლარაციები. ამასთანავე, გადასახადის გადამხდელი გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ სრული/არასრული საგადასახადო პერიოდის (პერიოდების) შესაბამისად დღგ-ის დეკლარაციებს არ წარადგენს.

საქონლის დროებითი შემოტანისას დარიცხული დღგ-ის თანხა გადახდილი უნდა იქნეს არა უგვიანეს ყოველი თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, ხოლო ბოლო გადახდა უნდა განხორციელდეს საქონლის დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციის დასრულების დღეს. დეკლარანტს უფლება აქვს, მთელი გადასახდელი თანხა ერთდროულად გადაიხადოს.

უკუდაბეგვრისას საგადასახადო აგენტი ვალდებულია დარიცხული დღგ-ის თანხა გადაიხადოს არა უგვიანეს საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

11.7 დღგ-ს ჩათვლა

დღგ-ის ჩათვლა არის დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირის უფლება, შეიმციროს გადასახდელი დღგ-ის თანხა მიღებული ჩათვლის დოკუმენტების საფუძველზე.

ჩათვლის დოკუმენტებია:

ა) საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა;

ბ) საბაჟო დეკლარაცია;

გ) უკუდაბეგვრისას ბიუჯეტში დღგ-ის თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) დროებითი შემოტანისას ბიუჯეტში დღგ-ის თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გაწეული მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელთა მიერ მინდობული საქონლის ან/და გაწეული მომსახურების ტარიფები დადგენილია დღგ-ის ჩათვლით, კანონით ან საქართველოს მთავრობის დადგენილებით;

ვ) ცალკეულ შემთხვევებში – მყიდველის მიერ საქონლის შეძენის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს საქონლის შესაძენად გადახდილი თანხის (მათ შორის, დღგ-ის თანხის) ოდენობა;

თ) საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე საქონლის იმპორტთან ან/და საქონლის დროებით შემოტანასთან დაკავშირებით დარიცხული დღგ-ის გადასახადის გადამხდელის მიერ ბიუჯეტში გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

დღგ-ის ჩასათვლელი თანხა არის:

ა) დღგ-ის თანხა, რომელიც გადახდილია ან გადასახდელია ჩათვლის დოკუმენტების მიხედვით საქონლის შეძენისას, მომსახურების მიღებისას, საქონლის იმპორტისას ან/და საქონლის დროებითი შემოტანისას, მათ შორის, დღგ-ის რეგისტრაციის ძალაში შესვლის მომენტისათვის არსებულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ნაშთზე;

ბ) საკუთარი წარმოების შენობა-ნაგებობის ძირითად საშუალებად გამოყენების შემთხვევაში ამ ოპერაციაზე დარიცხული და დღგ-ის დეკლარაციაში ასახული დღგ-ის თანხა, რომელიც იმავდროულად ჩათვლის მიღების საფუძველია.

გ) დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულ პირებს შორის საქონლის/მომსახურების გაცვლის (ბარტერული) ოპერაციის შემთხვევაში – თითოეული მხარისათვის მიწოდებულ საქონელზე/გაწეულ მომსახურებაზე გადახდილი ან/და გადასახდელი დღგ-ის თანხა. ამასთანავე, ჩათვლა ხორციელდება სანაცვლო საქონლის/მომსახურების მიღების მომენტში, მიღებულ საქონელთან/მომსახურებასთან მიმართებით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით.

დღგ-ის ჩათვლა ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

ა) საქონელი ან/და მომსახურება გამოიყენება ან გამოყენებული იქნება:

ა.ა) დასაბეგრ ოპერაციებში, გარდა ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციებისა;

ა.ბ) საქონლის რეექსპორტში ან/და ექსპორტში;

ა.გ) საქართველოს ტერიტორიის გარეთ მომსახურების გაწევისათვის;

ბ) საქონელი ან/და მომსახურება გამოიყენება ზემოთ აღნიშნული საქონლის წარმოებისათვის ან/და მომსახურების გაწევისათვის.

დღგ-ის ჩათვლა არ ხორციელდება:

ა) პირის მიერ სოციალური მიზნით, გასართობი ღონისძიებებისათვის გაწეულ ხარჯზე ან წარმომადგენლობით ხარჯზე გადახდილ დღგ-ის თანხებზე, გარდა ასეთი ღონისძიებების ფარგლებში პირის მიერ საქონლის/მომსახურების მინოდებისა, როდესაც ასეთი ხარჯის ფარგლებში შესყიდული საქონელი ან/და მომსახურება ამ პირის მიერ იბეგრება დღგ-ით;

ბ) ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებულ დასაბეგრ ოპერაციებში გამოყენებული ან/და გამოსაყენებელი საქონლის/მომსახურების საწარმოებლად გაწეულ ხარჯზე გადახდილ დღგ-ის თანხებზე;

გ) იმ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით, რომლებიც არ იძლევა საქონლის/მომსახურების გამყიდველის იდენტიფიცირების საშუალებას;

დ) იმ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით, რომლებიც გადასახადის გადამხდელის (მყიდველის/ჩათვლის მიმღების) მიერ ასახული არ არის ქვემოთ მოცემულ, შესაბამის ვადაში წარმოდგენილ ერთ-ერთ დეკლარაციაში მაინც:

დ.ა) დასაბეგრი ოპერაციის საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამი საანგარიშო პერიოდის მიხედვით დადგენილ ვადაში წარმოდგენილ დღგ-ის დეკლარაციაში (მათ შორის, იმავე ვადაში დაზუსტებული დეკლარაციის წარდგენით);

დ.ბ) დასაბეგრი ოპერაციის საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან არაუგვიანეს დასაბეგრი ოპერაციის კალენდარული წლის დეკემბრის საანგარიშო პერიოდის მიხედვით დადგენილ ვადაში წარმოდგენილ დღგ-ის დეკლარაციაში (მათ შორის, იმავე ვადაში დაზუსტებული დეკლარაციის წარდგენით);

ე) უსაქონლო ოპერაციების ან ფიქტიური გარიგებების მიხედვით გამოწერილი ანგარიშ-ფაქტურებით. ამასთანავე, მიღებული დღგ-ის ჩათვლა მყიდველისათვის უქმდება;

ვ) საქონლის/მომსახურების გაცვლის (ბარტერული) ოპერაციის შემთხვევაში – თუ საქონლის/მომსახურების გაცვლის (ბარტერული) ოპერაციის ერთ-ერთი მხარე არ არის დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი. ამ შემთხვევაში დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირის მიერ სანაცვლოდ მიღებული საქონლის ან/და გაწეული მომსახურების ღირებულება ტოლია მიწოდებული საქონლის/მომსახურების ღირებულებისა, მასზე გადახდილი ან/და გადასახდელი დღგ-ის ჩათვლით.

ზემოაღნიშნული „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეზღუდვები არ ვრცელდება ამავე საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის ელექტრონული ფორმით გამოწერის და აგრეთვე ძირითადი საშუალებების განსაზღვრულ შემთხვევებზე.

თუ საქონელი/მომსახურება, რომლის მიხედვითაც დღგ-ის გადამხდელმა მიიღო დღგ-ის ჩათვლა, გამოყენებულ იქნა ისეთ ოპერაციებში, რომელთა დროსაც დღგ-ის გადამხდელს არ აქვს ჩათვლის მიღების უფლება, ჩათვლილი დღგ-ის თანხა ექვემდებარება გაუქმებას იმ საანგარიშო პერიოდში, როდესაც ის ამგვარ ოპერაციებში იქნა გამოყენებული.

თუ საქონელი/მომსახურება, რომლის მიხედვითაც დღგ-ის გადამხდელმა მიიღო დღგ-ის ჩათვლა, გამოყენებულ იქნა:

ა) მხოლოდ ისეთ ოპერაციაში, რომლის დროსაც დღგ-ის გადამხდელს აქვს ჩათვლის მიღების უფლება, ჩათვლილი დღგ-ის თანხა არ ექვემდებარება გაუქმებას;

ბ) მხოლოდ ისეთ ოპერაციაში, რომლის დროსაც დღგ-ის გადამხდელს არ აქვს ჩათვლის მიღების უფლება, ჩათვლილი დღგ-ის თანხა ექვემდებარება სრულად გაუქმებას.

თუ საქონელი ან მომსახურება ერთდროულად გამოიყენება ჩათვლის უფლების მქონე და ჩათვლის უფლების გარეშე ოპერაციებში და მათი გამიჯვნა შეუძლებელია, მაშინ:

ა) დღგ-ის ჩასათვლელი თანხა გაიანგარიშება საანგარიშო პერიოდში საერთო ბრუნვის თანხაში ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციების თანხის ხვედრითი წონის მიხედვით;

ბ) ზემოაღნიშნული „ა“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით დღგ-ის ჩასათვლელი თანხის დაზუსტება ხდება მიმდინარე საგადასახადო წლის ბოლო საანგარიშო პერიოდის დეკლარაციაში წლის განმავ-

არის მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი.

დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი უფლებამოსილია საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა გამოწეროს და საქონლის/მომსახურების მიმღებს წარუდგინოს მხოლოდ დასაბეგრი ოპერაციის განხორციელებისას. ამასთანავე, თუ პირი საქონლის (გარანტირებული სიმძლავრის, ელექტრო – ან თბოენერგიის, გაზის ან წყლის) მიწოდებას აღრიცხავს ციკლური დარიცხვებით, როდესაც მომხმარებლებთან ანგარიშსწორება ხორციელდება არა კალენდარული თვის, არამედ გარკვეული პერიოდის (ციკლის) განმავლობაში მიწოდებული საქონლის ოდენობის მიხედვით, რომელიც შეიძლება მოიცავდეს როგორც საანგარიშო პერიოდს, ისე საანგარიშოს წინა პერიოდს, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა შეიძლება გამოიწეროს ასეთი პერიოდის (ციკლის) მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ ასეთ შემთხვევაში დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება არა უგვიანეს ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლო დღე.

დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი ვალდებულია (გარდა საქონლის/მომსახურების გაცვლის (ბარტერული) ოპერაციის შემთხვევისა) საქონლის/მომსახურების მიმღების მოთხოვნისას მოთხოვნიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა გამოწეროს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და წარუდგინოს საქონლის/მომსახურების მიმღებს. ამასთანავე, როგორც წესი, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის ვალდებულება არ წარმოიშობა იმ ფიზიკური პირის მიმართ, რომელიც არ არის რეგისტრირებული გადასახადის გადამხდელად.

საქონლის/მომსახურების გაცვლის (ბარტერულ) ოპერაციაზე საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა არ გამოიწერება. ამ შემთხვევაში ჩათვლის მიღების საფუძველია მიწოდებულ საქონელზე/გაწეულ მომსახურებაზე გადასახდელი დღგ-ის თანხის საგადასახადო ორგანოში წარდგენილ დღგ-ის დეკლარაციაში ასახვა.

კანონმდებლობით შესაძლებელია შემოღებულ იქნეს ანგარიშ-ფაქტურა, რომელიც შეიცავს როგორც სასაქონლო ზედნადებით, ისე საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით (მათ შორის, სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით) გათვალისწინებულ რეკვიზიტებს.

ზემოაღნიშნული ანგარიშ-ფაქტურა გამოიწერება:

ა) როგორც სასაქონლო ზედნადების, ისე საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (მათ შორის, სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების) გამოწერაზე უფლებამოსილი პირის მიერ;

ბ) როგორც სასაქონლო ზედნადების, ისე საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (მათ შორის, სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების) გამოწერის ვალდებულების შემთხვევაში.

ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის შემთხვევაში:

ა) მისი გამომწერი თავისუფლდება როგორც სასაქონლო ზედნადების, ისე საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (მათ შორის, სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების) გამოწერის ვალდებულებისაგან;

ბ) მისი მიმღები უფლებამოსილია გამოიყენოს იგი როგორც ტრანსპორტირების, ისე ჩათვლის დოკუმენტის სახით.

ანგარიშ-ფაქტურა საგადასახადო სამართლებრივ ურთიერთობებში ცვლის როგორც სასაქონლო ზედნადებს, ისე საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას (მათ შორის, სპეციალურ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებს) და მისი გამოწერის/გამოუწერლობის შემთხვევაში დგება ყველა ის სამართლებრივი შედეგი, რომლებიც სასაქონლო ზედნადების ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (მათ შორის, სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების) გამოწერისას/გამოუწერლობისას.

11.9 უკუდაბეგრა

საერთოდ, დღგ-ით იბეგრება საქონლის (მომსახურების) მიმწოდებელი და მასვე შეაქვს ბიუჯეტში გადასახდელი დღგ-ს შესაბამისი თანხა. ამასთან, არსებობს რიგი კონკრეტული შემთხვევებისა, როდესაც დაბეგვრის ტექნიკის თვალსაზრისით მიზანშეწონილია დღგ ბიუჯეტში შეიტანოს არა საქონლის (მომსახურების) მიმწოდებელმა, არამედ – მიმღებმა ანუ მოხდეს უკუდაბეგრა.

დღგ-ით უკუდაბეგვრას ექვემდებარება:

ა) არარეზიდენტი ფიზიკური პირის (გარდა საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირისა) ან არარეზიდენტი საწარმოს მიერ საგადასახადო აგენტისათვის საქართველოს ტერიტორიაზე გაწეული მომსახურება;

ბ) პირის მიერ სახელმწიფო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში მოთხოვნის უზრუნველყოფის საგნის (საქონლის) კრედიტორისათვის საკუთრებაში გადაცემა;

გ) საგადასახადო აგენტისათვის საქართველოს ტერიტორიის გარეთ გაწეული მომსახურების ან/და საქონლის პროდუქტის (საპროექტო დოკუმენტაცია, ტექნიკური დოკუმენტაცია, ტექნოლოგიური სქემა, პროგრამა და სხვა) მიწოდება ინტერნეტით ან ელექტრონული კომუნიკაციის სხვაგვარი საშუალებით, თუ იგი არ კვეთს საქართველოს საბაჟო საზღვარს ინტეგრირებული სქემის ან სხვა სახის ინფორმაციის მატარებლის საშუალებით;

დ) საბაჟო საწყობში პირისგან შეძენილი უცხოური საქონელი, რომელიც იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში ექცევა.

ზემოაღნიშნული უკუდაბეგვრის დროს საგადასახადო აგენტად ანუ დღგ-ის გადამხდელად ითვლება:

– „ა" და „გ" პუნქტების მიზნებისათვის – ნებისმიერი გადასახადის გადამხდელი რეზიდენტი (გარდა არამეწარმე ფიზიკური პირისა და თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოსი) და არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულება;

– „ბ" პუნქტის მიზნებისათვის – პირი (კრედიტორი), რომელიც სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში საკუთრებაში იღებს მოთხოვნის უზრუნველყოფის საგანს (საქონელს).

– „დ" პუნქტის მიზნებისათვის – პირი, რომელიც საქონელს იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში აქცევს.

ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში საგადასახადო აგენტი აწარმოებს დღგ-ის დარიცხვას:

– „ა" და „გ" პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში – მომსახურებისათვის გასაცემ თანხაზე;

– „ბ" პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – საკუთრებაში მიღებული მოთხოვნის უზრუნველყოფის საგნის (საქონლის) საბაზრო ფასზე, დღგ-ის გარეშე.

– „დ" პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში:

ა) თუ საქონლის იმპორტი და მიწოდება არ არის დღგ-ისაგან გათავისუფლებული – საბაჟო საწყობში უცხოური საქონლის შესყიდვის ღირებულებასა და საქონლის იმპორტის თანხას შორის დადებითი სხვაობის თანხაზე;

ბ) თუ საქონლის იმპორტი გათავისუფლებულია დღგ-ისაგან, ხოლო საქონლის მიწოდება დღგ-ით იბეგრება – საბაჟო საწყობში უცხოური საქონლის შესყიდვის ღირებულებაზე.

საკუთრებაში მიღებული მოთხოვნის უზრუნველყოფის საგნის (საქონლის) საბაზრო ფასზე დღგ-ის დარიცხვის ვალდებულება არ ეკისრება დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულ პირს. ამასთანავე, ითვლება, რომ ამ საქონელზე მან განახორციელა შესაბამისი ოდენობის დღგ-ის ჩათვლა.

დღგ-ით უკუდაბეგვრას არ ექვემდებარება:

ა) საქონლის მიწოდება ან მომსახურების გაწევა, რომელიც გათავისუფლებულია დღგ-ისგან;

ბ) პირის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში მოთხოვნის უზრუნველყოფის საგნის (საქონლის) – ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინის და მასზე დამაგრებული მინის ნაკვეთის კრედიტორისათვის საკუთრებაში გადაცემა.

11.10 დღგ-ით დაბეგვრის განსაკუთრებული შემთხვევები

საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში ან სხვა ფულადი ვალდებულების (გარდა სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული წესით დაკისრებული სანქციებისა) გადახდევინების მიზნით საქონლის აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის ან სხვა წესით რეალიზაცია იბეგრება დღგ-ით, ხოლო ამ ოპერაციაზე დარიცხული დღგ-ის თანხის პირის (საქონლის მესაკუთრის) სახელით ბიუჯეტში გადახდას უზრუნველყოფს საქონლის რეალიზაციის განმახორციელებელი უფლებამოსილი პირი. ამასთანავე, ამ შემთხვევაში დღგ-ით არ იბეგრება:

ა) საცხოვრებელი ბინის/სახლის რეალიზაცია;

ბ) მინის ნაკვეთის რეალიზაცია;

გ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 კოდით გათვალისწინებული მსუბუქი ავტომობილის რეალიზაცია;

დ) ფიზიკური პირის (გარდა ინდივიდუალური მეწარმისა) საკუთრებაში არსებული ქონების რეალიზაცია.

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით სამეურვეო ქონების აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის ან სხვა წესით რეალიზაცია იბეგრება დღგ-ით,

ხოლო ამ ოპერაციაზე დარიცხული დღგ-ის თანხის პირის (სამეურვეო ქონების მესაკუთრის) სახელით ბიუჯეტში გადახდას უზრუნველყოფს საქონლის რეალიზაციის განმახორციელებელი უფლებამოსილი პირი. ამასთანავე, გარდა სამეურვეო ქონების ერთიანი კომპლექსის სახით რეალიზაციის შემთხვევისა, დღგ-ით არ იბეგრება:

ა) ინდივიდუალური მეწარმის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინის/სახლის რეალიზაცია;

ბ) მინის ნაკვეთის რეალიზაცია;

გ) ავტოსატრანსპორტო საშუალების რეალიზაცია;

დ) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რეალიზაცია.

ზემოაღნიშნულ შემთხვევებში:

ა) საქონლის სარეალიზაციო ფასი (მყიდველის მიერ გადახდილი/გადასახდელი საკომპენსაციო თანხა) მოიცავს დღგ-ის თანხას;

ბ) საქონლის რეალიზაციის დღგ-ით დაბეგვრისას არ ვრცელდება საგადასახადო კოდექსის დღგ-საგან გათავისუფლების მუხლის მოქმედება.

№1 მაგალითი:

საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – აღსრულების ეროვნულმა ბიურომ ფულადი ვალდებულების გადახდევინების მიზნით განახორციელა ფიზიკურ პირ დიტო მთაბერიძის კუთვნილი კომერციული ფართობის აუქციონის წესით რეალიზაცია 2012 წლის 12 ივნისს 11 800 ლარად.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, დიტო მთაბერიძე რეგისტრირებულია ინდივიდუალურ მეწარმედ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში.

მოცემულ პირობებში:

ვინაიდან დიტო მთაბერიძე ინდივიდუალური მეწარმეა და არ განხორციელებულა იმ ქონების რეალიზაცია, რომელიც არ იბეგრება დღგ-ით, ბიურო ვალდებულია საკომპენსაციო თანხიდან გამოყოს დღგ-ის თანხა 1800 ლარის (11800*18/118) ოდენობით და ლაშა ბერიძის სახელით ბიუჯეტში გადაიხადოს არა უგვიანეს 2012 წლის 15 ივლისისა, შესაბამის სახაზინო კოდზე.

№2 მაგალითი:

ბიურომ ფულადი ვალდებულების გადახდევინების მიზნით განახორციელა ფიზიკურ პირ თედო მთაბერიძის კუთვნილი საცხოვრებელი სახლის აუქციონის წესით რეალიზაცია 2012 წლის 12 ივნისს. სახლის ეზოში განთავსებულია თედო მთაბერიძის კუთვნილი ავტოფარეხი და სათავსო.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, თედო მთაბერიძე რეგისტრირებულია ინდივიდუალურ მეწარმედ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში, ხოლო საცხოვრებელი სახლი, ავტოფარეხი და სათავსო საჯარო რეესტრში-ერთი სარეგისტრაციო დოკუმენტით და ერთი საკადასტრო კოდით.

მოცემულ პირობებში:

ამ შემთხვევაში საცხოვრებელი სახლის, ავტოფარეხისა და სათავსოს რეალიზაცია ერთობლიობაში მიჩნეული უნდა იქნეს საცხოვრებელი სახლის რეალიზაციად, რადგან ეს სამი ობიექტი საჯარო რეესტრში რე გისტრირებულია ერთი სარეგისტრაციო დოკუმენტით და ერთი საკადასტრო კოდით.

მიუხედავად იმისა, რომ თედო მთაბერიძე არის ინდივიდუალური მეწარმე, ვინაიდან ბიუროს მიერ განხორციელდა საქონლის (საცხოვრებელი სახლის) რეალიზაცია, აღნიშნული ოპერაცია არ იბეგრება დღგ-ით.

№3 მაგალითი:

ბიურომ ფულადი ვალდებულების გადახდევინების მიზნით განახორციელა ფიზიკურ პირ ლორენა მთაბერიძის კუთვნილი საცხოვრებელი ბინის აუქციონის წესით რეალიზაცია 2012 წლის 12 ივნისს. ბინის ეზოში განთავსებულია ლორენა მთაბერიძის კუთვნილი ავტოფარეხი.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ლორენა მთაბერიძე რეგისტრირებულია ინდივიდუალურ მეწარმედ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში, ხოლო საცხოვრებელი ბინა და ავტოფარეხი – საჯარო რეესტრში ცალ-ცალკე სარეგისტრაციო დოკუმენტით, სხვადასხვა საკადასტრო კოდით.

მოცემულ პირობებში:

ამ შემთხვევაში საცხოვრებელი ბინისა და ავტოფარეხის რეალიზაცია განიხილება ცალ-ცალკე

რეალიზაციად, რადგან ეს ორი ობიექტი საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია ცალ-ცალკე სარეგისტრაციო დოკუმენტით და სხვადასხვა საკადასტრო კოდით.

იმ პირობებში, რომ ლორენა მთაბერიძე არის ინდივიდუალური მეწარმე, ბიუროს მიერ საცხოვრებელი ბინის რეალიზაცია არ დაიბეგრება დღგ-ით, ხოლო ავტოფარეხის რეალიზაცია დაიბეგრება დღგ-ით ამ წესის შესაბამისად.

11.11 შერეული ოპერაცია, წარმომადგენლის ოპერაცია და დასაბეგრი თანხის კორექტირება

შერეულ ოპერაციად ითვლება ისეთი ოპერაცია, რომელიც მოიცავს საქონლისა და მომსახურების კომბინირებულ მიწოდებას. საქონლის (მომსახურების) მიწოდება, რომელიც ძირითადი საქონლის/მომსახურების მიწოდების მიმართ დამხმარე ხასიათისაა, ითვლება ამ საქონლის/მომსახურების ნაწილად.

დაბეგვრას დაქვემდებარებული და გათავისუფლებული საქონლის მიწოდების ან/და მომსახურების გაწევის ერთად განხორციელება განიხილება, როგორც დაბეგვრას დაქვემდებარებული და გათავისუფლებული საქონლის მიწოდების ან/და მომსახურების გაწევის ცალკე ოპერაციები.

მომსახურების გაწევა, რომელიც საქონლის იმპორტის მიმართ დამხმარე ხასიათისაა, ითვლება ამ საქონლის იმპორტის ნაწილად.

მიწისა და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობის მიწოდებისას ოპერაცია ითვლება შენობა-ნაგებობის მიწოდებად.

წარმომადგენლის მიერ საქონლის (მომსახურების) მიწოდება ითვლება დამკვეთის ოპერაციად, გარდა წარმომადგენლის მიერ დამკვეთისათვის გაწეული მომსახურებისა. აღნიშნული არ ეხება საქართველოში არარეზიდენტის მიერ რეზიდენტი წარმომადგენლის მეშვეობით საქონლის მიწოდებას, როცა ეს არარეზიდენტი არ არის რეგისტრირებული დღგ-ის გადამხდელად საქართველოში. ამ შემთხვევაში დღგ-ით დაბეგვრის მიზნით მიწოდება წარმომადგენლის მიერ განხორციელებულად ითვლება.

დასაბეგრი ოპერაციის თანხა კორექტირდება შემდეგი გარემოებების დადგომისას:

ა) გაუქმებულია დასაბეგრი ოპერაცია, მათ შორის, ხელახალი რეგისტრაციის დროს დღგ-ის გადამხდელად წინა რეგისტრაციის გაუქმებისას მიწოდებად განხილული საქონლის არსებულ ნაშთზე;

ბ) შეცვლილია დასაბეგრი ოპერაციის სახე;

გ) ფასების შემცირების ან სხვა მიზეზით შეცვლილია ოპერაციაზე ადრე შეთანხმებული კომპენსაციის თანხა, გარდა ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ცვლილებისა;

დ) საქონელი/მომსახურება სრულად ან ნაწილობრივ უბრუნდება დღგ-ის გადამხდელს.

ზემოთ აღნიშნული ერთ-ერთი გარემოების დადგომისას დასაბეგრი ოპერაციის თანხა კორექტირდება, თუ გადამხდელის მიერ:

ა) საგადასახადო ორგანოში წარდგენილია ან/და დღგ-ის დეკლარაციაში ასახულია დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურა, რომელშიც დღგ-ის თანხა არასწორად არის აღნიშნული;

ბ) დღგ-ის დეკლარაციაში არასწორად არის აღნიშნული დღგ-ის თანხა.

გ) გამოწერილია დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურა, რომელშიც დღგ-ის თანხა არასწორად არის აღნიშნული.

კორექტირების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა არის დადგენილი ფორმის დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება დასაბეგრი ოპერაციის კორექტირება. დასაბეგრი ოპერაციის თანხის კორექტირების დროს, თუ კორექტირების გამომწვევი გარემოების დადგომის შედეგად დასაბეგრი ოპერაციის თანხა იცვლება, შესაბამისი კორექტირება უნდა განხორციელდეს კორექტირების გამომწვევი გარემოების დადგომის საანგარიშო პერიოდში.

ელექტროენერგეტიკულ საწარმოებს („ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ კვალიფიციურ საწარმოებს), როცა ფასების შემცირების ან სხვა მიზეზით შეცვლილია ოპერაციაზე ადრე შეთანხმებული კომპენსაციის თანხა, უფლება აქვთ, დასაბეგრი ოპერაციის თანხის კორექტირება განახორციელონ არა უგვიანეს მიმდინარე საგადასახადო წლის ბოლოსი, თუ დასაბეგრი ოპერაციის თანხის ცვლილება გამოწვეულია გარანტირებული სიმძლავრის ღირებულების (საკომპენსაციო თანხის) ცვლილებით ან/და კვალიფიციური საწარმოების მიერ წარმოებული, იმპორტირებული, მოხმარებული (შესყიდული) ან/და ექსპორტირებული ელექტროენერგიის რაოდენობების ცვლილებით, მიუხედავად იმისა, აღნიშნულის შედეგად ხორციელდება თუ არა ელექტროენერგიის გასაყიდი ან/და შესასყიდი ტარიფის (ფასის) ცვლილება.

11.12 გრანტით შეძენილ საქონელზე და უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე დღგ-ის თანხის დაბრუნება

გრანტის მიმღებ პირს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ყიდულობს გრანტის ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებულ საქონელს ან/და ამავე საწყისებზე იღებს მომსახურებას, უფლება აქვს, დადგენილი წესით ჩაითვალოს ან დაიბრუნოს ამ საქონლისათვის (მომსახურებისათვის) გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოში საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის ან უკუდაბეგვრისას ბიუჯეტში დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე.

უცხო ქვეყნის მოქალაქეებს საქართველოში შეძენილი საქონლის საქართველოს ტერიტორიიდან გატანისას უფლება აქვთ, დაიბრუნონ ამ საქონელზე გადახდილი დღგ-ის თანხა.

დღგ-ის თანხის დაბრუნება ხორციელდება საქონლის უფლებამოსილი გამყიდველის მიერ გამოწერილი სპეციალური ქვითრის საფუძველზე.

დღგ-ის თანხის დაბრუნება ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ტერიტორიიდან საქონლის გატანა ხდება მისი შეძენიდან 3 თვის განმავლობაში და შეძენილი საქონლის ღირებულება ერთი ქვითრის მიხედვით აღემატება 200 ლარს (დღგ-ის გარეშე).

უფლებამოსილი გამყიდველის მიერ ქვითარი არ გამოიწერება და, შესაბამისად, გადახდილი დღგ-ის თანხა დაბრუნებას არ ექვემდებარება:

ა) მალფუჭებად საქონელზე;

ბ) სატრანსპორტო საშუალებაზე;

გ) ოქროზე, რომლის მასა აღემატება 125 გრამს და რომელიც წარმოდგენილი არ არის სამკაულის (ნაკეთობის) სახით;

დ) ძვირფას ქვებზე;

ე) საქონელზე, რომლის გატანა საქართველოს ტერიტორიიდან საჭიროებს სპეციალურ ნებართვას ან ლიცენზიას, გარდა საქართველოს კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანის ნებართვას დაქვემდებარებული საქონლისა;

ვ) დღგ-ისგან გათავისუფლებულ საქონლზე.

უცხოელს უბრუნდება გადახდილი დღგ-ის თანხა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქვითარში დაფიქსირებული საქონელი სრულად გაიტანება საქართველოს ტერიტორიიდან. სხვა შემთხვევაში გადახდილი დღგ-ის თანხა დაბრუნებას არ ექვემდებარება.

დღგ-ის თანხის დაბრუნების მიზნით, საქართველოს ეკონომიკური საზღვრის გადაკვეთამდე და საპასპორტო კონტროლის გავლამდე, უცხოელი უფლებამოსილი გამყიდველის მიერ გამონერილ ქვითარს წარუდგენს შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილ პირს, რომელიც ქვითრის უნიკალური ნომრის მიხედვით ამოწმებს მონაცემების სისწორეს ელექტრონულ სისტემაში. ცალკეულ შემთხვევაში, რისკის მართვის სისტემის საფუძველზე შესაძლებელია შემოწმდეს შეძენილი საქონელი.

თუ დაცულია კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები, შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილი პირი ბეჭდით ამოწმებს უცხოელის მიერ წარდგენილ ქვითარს და შესაბამის მონაცემებს ასახავს ელექტრონულ სისტემაში. დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილი პირი უარს ეუბნება უცხოელს დღგ-ის თანხის დაბრუნებაზე.

საპასპორტო კონტროლის გავლის შემდეგ, საქართველოს ეკონომიკური საზღვრის გადაკვეთამდე უცხოელი უფლებამოსილია დაიბრუნოს საქართველოს ტერიტორიაზე შეძენილ საქონელზე გადახდილი დღგ-ის თანხა.

უცხოელის მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე შეძენილ საქონელზე გადახდილი დღგ-ის თანხის დაბრუნება ხდება ბანკის მიერ ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით. ბანკის უფლებამოსილი წარმომადგენელი, უცხოელის მიერ წარდგენილი უცხო ქვეყნის მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტისა და ქვითრის საფუძველზე, ელექტრონულ სისტემაში ამოწმებს ინფორმაციას შეძენილ საქონელზე. უცხოელისათვის დასაბრუნებელ დღგ-ის თანხას აკლდება ბანკის მიერ გაწეული მომსახურების საკომისიო.

უნაღდო ანგარიშსწორებისას უცხოელს გადახდილი დღგ-ის თანხა უბრუნდება ქვეყნის დატოვებიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა, ხოლო ნაღდი ანგარიშსწორების შემთხვევაში – უცხო ქვეყნის მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტისა და ქვითრის წარდგენისთანავე.

11.13 დღგ-საგან გათავისუფლება

დღგ-ისგან გათავისუფლება არსებობს ჩათვლის უფლებით და ჩათვლის უფლების გარეშე. ოპ-

ერაციის გათავისუფლება ჩათვლის უფლებით გულისხმობს, რომ ოპერაცია არ ექვემდებარება დღგ-ის დარიცხვას (არ იბეგრება) და გამოიყენება ჩათვლის უფლება. ოპერაციის გათავისუფლება ჩათვლის უფლების გარეშე გულისხმობს, რომ ოპერაცია არ ექვემდებარება დღგ-ის დარიცხვას (არ იბეგრება) და არ გამოიყენება ჩათვლის უფლება.

გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, დასაბეგრი ოპერაციების მიმართ არ გამოიყენოს ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ისგან გათავისუფლება, რაც გულისხმობს, რომ დასაბეგრი ოპერაცია ექვემდებარება დღგ-ის დარიცხვას და მიიღება ჩათვლა. აღნიშნული უფლების გამოყენება გადასახადის გადამხდელს შეუძლია:

ა) საგადასახადო ორგანოსთვის მიმართვის შემდეგი საანგარიშო პერიოდის პირველი რიცხვიდან;

ბ) უფლების გამოყენების დღიდან 12 თვის განმავლობაში, ყველა დასაბეგრი ოპერაციის მიმართ.

აღნიშნული უფლების გამოყენების შემთხვევაში:

ა) საგადასახადო ორგანო ვალდებულია გადასახადის გადამხდელი გაატაროს რეგისტრაციაში;

ბ) გადასახადის გადამხდელი ვალდებულია დაბეგროს გათავისუფლებული ოპერაციები და ასეთი ოპერაციები აღარ ითვლება ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებულ ოპერაციად.

ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ისგან გათავისუფლებულია შემდეგი საქონლის მიწოდება, იმპორტი ან დროებითი შემოტანა:

ა) ეროვნული ან/და უცხოური ვალუტის (გარდა ნუმიზმატიკური ან საკოლექციო მიზნებით გამოსაყენებლად გათვალისწინებულისა), ფასიანი ქაღალდების მიწოდება ან/და იმპორტი;

ბ) საქართველოს ეროვნული ბანკისათვის გადასაცემი ოქროსა და ოქროს ზოდების იმპორტი;

გ) განძეულობის, სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული უძრავი ქონების მიწოდება ან/და იმპორტი, რომელთა რეალიზაციით მიღებული შემოსავლები შეიტანება ბიუჯეტში;

დ) სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების მიწოდება ან/და იმპორტი, აგრეთვე „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად ქონების ლიზინგის ფორმით გადაცემა (მიწოდება);

ე) სახელმწიფო ქონების მიწოდება პრივატიზაციის პროგრამის მიხედვით;

ვ) საქონლის იმპორტი ქვემოთ აღნიშნულ შემთხვევაში, გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონიდან საქონლის იმპორტისა:

ვ.ა) ფიზიკური პირის მიერ:

ვ.ა.ა) კალენდარულ დღეში ერთხელ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 02, 04, 06–12, 15–21 ჯგუფებისა და 0302–0307, 2201–2202 სასაქონლო პოზიციების შესაბამისი ჯამური თანხით 500 ლარამდე ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის კვების პროდუქტების იმპორტი (მათ შორის, საფოსტო გზავნილის შემთხვევაში), რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის;

ვ.ა.ბ) 30 კალენდარულ დღეში ერთხელ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 28-ე–97-ე ჯგუფებით გათვალისწინებული 500 ლარამდე ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის საქონლის იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის;

ვ.ა.გ) საჰაერო ტრანსპორტით შემოტანის შემთხვევაში ერთი კალენდარული დღის, ხოლო სხვა შემთხვევაში – 30 კალენდარული დღის განმავლობაში 400 ღერი სიგარეტის ან 50 სიგარის ან 50 სიგარილას ან 250 გრამი თამბაქოს სხვა ნაწარმის (გარდა თამბაქოს ნედლეულისა) ან ამ ზღვრული ოდენობის ფარგლებში თამბაქოს ამ ქვეპუნქტში დასახელებული ნაწარმის საერთო წონით 250 გრამის იმპორტი; ასევე 4 ლიტრი ყველა სახის ალკოჰოლიანი სასმელის იმპორტი;

ვ.ა.დ) უცხოეთში ყოველ 6 თვეზე მეტი ხნით ყოფნის შემდეგ საქართველოში შემოსული ფიზიკური პირის მიერ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 28-ე–97-ე ჯგუფების (გარდა 87-ე ჯგუფისა) შესაბამისი 15 000 ლარის ღირებულების საქონლის იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის, ხოლო საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობიდან ან საკონსულო დაწესებულებიდან როტაციის წესით სამუშაო მივლინებიდან გამონვეული დიპლომატიური თანამდებობის პირისათვის – დამატებით მის მიერ პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლის (ოჯახზე თითო სატრანსპორტო საშუალების, მაცივრის, კომპიუტერისა და ტელევიზორის) იმპორტი;

ვ.ა.ე) საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად შემოსვლისას (რაც დასტურდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით გაცემული შესაბამისი დოკუმენტით) საქონლის (მათ შორის, ავეჯის, საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის, ოჯახზე ერთი სატრანსპორტო საშუალების) იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის;

ვ.ა.ვ) საფოსტო გზავნილის შემთხვევაში საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 28-ე–97-ე ჯგუფების შესაბამისი 300 ლარამდე ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის საქონლის იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის, აგრეთვე 400 ღერი სიგარეტის ან 50 სიგარის ან 50 სიგარილას ან 250 გრამი თამბაქოს სხვა ნაწარმის (გარდა თამბაქოს ნედლეულისა) ან ამ ზღვრული ოდენობის ფარგლებში თამბაქოს ამ ქვეპუნქტში დასახელებული ნაწარმის საერთო წონით 250 გრამის იმპორტი; ასევე 4 ლიტრი ყველა სახის ალკოჰოლიანი სასმელის იმპორტი;

ვ.ა.ზ) საჰაერო ტრანსპორტით შემოტანის შემთხვევაში საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 28-ე–97-ე ჯგუფების შესაბამისი 3 000 ლარამდე ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის საქონლის იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის;

ვ.ბ) საფოსტო გზავნილის შემთხვევაში საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 28-ე–97-ე ჯგუფების შესაბამისი 300 ლარამდე ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის საქონლის იმპორტი, აგრეთვე 400 ღერი სიგარეტის ან 50 სიგარის ან 50 სიგარილას ან 250 გრამი თამბაქოს სხვა ნაწარმის (გარდა თამბაქოს ნედლეულისა) ან ამ ზღვრული ოდენობის ფარგლებში თამბაქოს ამ ქვეპუნქტში დასახელებული ნაწარმის საერთო წონით 250 გრამის იმპორტი; ასევე 4 ლიტრი ყველა სახის ალკოჰოლიანი სასმელის იმპორტი;

ზ) საქართველოს საპატრიარქოს მიერ ჯვრის, სანთლის, ხატის, წიგნის, კალენდრისა და სხვა საღვთისმსახურო საგნების მიწოდება, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ რელიგიური მიზნით;

თ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 4820 20 000 00 კოდში მითითებული საქონლის (რვეულების) მიწოდება;

ი) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 4801, 4802 55 და 4810 22 კოდებში მითითებული საქონლის იმპორტი;

კ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 1211 90 980 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციით გათვალისწინებული ძირტკბილას ფესვები, 1211 20 000 00, 1301 20 000 00 და 1301 90 000 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციებით გათვალისწინებული ბუნებრივი გაუსუფთავებელი შელაქი, 1504 20, 1515 30, 1520 00 000 00, 1702 11 000 00, 3912 12 000 00, 3912 31 000 00, 7010 10 000 00, 7010 90 790 00 და 9602 00 000 00 (ჟელატინის კაფსულები) კოდებში მითითებული საქონლის მიწოდება ან/და იმპორტი;

ლ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დადგენილი ნუსხის მიხედვით სამკურნალო (ფარმაცევტული) მიზნებისათვის განკუთვნილი საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 28-ე და 29-ე ჯგუფებით გათვალისწინებული წარმოდგენილი ნედლეულისა და სუბსტანციების, 30-ე ჯგუფით გათვალისწინებული ფარმაცევტული პროდუქციის (გარდა საღებჭი რეზინისა), მათ შორის, ვაქცინების, მიწოდება ან/და იმპორტი;

მ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8419 20 000 00, 9001 30 000 00, 9001 40, 9001 50, 9018–9022 (გარდა 9019 10 900 00), 9025 11 200 00 და 9402 90 000 00 კოდებში მითითებული სამედიცინო ან ვეტერინარული დანიშნულების საქონლის (მათ შორის, ინსულინის შპრიცების/ნემსების), 8713 და 8714 20 000 00 კოდებში აღნიშნული ეტლებისა და მათი ნაწილების და საკუთნოების, სამედიცინო დანიშნულების რენტგენის ფირების, სამედიცინო დანიშნულების სადიაგნოსტიკო ტესტ – სისტემების, გლუკომეტრების (რომელთა ტესტ – სისტემები რეგისტრირებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ) მიწოდება ან/და იმპორტი;

ნ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 0102 21, 0103 10 000 00, 0104 10 100 00, 0104 20 100 00, 0105 11, 0511 10 000 00, 0602 10, 2503 00, 2803 00, 3101 00 000, 3103–3105, 3808 91, 3808 92 და 3808 93 კოდებში მითითებული საქონლის მიწოდება ან/და იმპორტი;

ო) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 კოდში აღნიშნული მსუბუქი ავტომობილის მიწოდება ან/და იმპორტი;

პ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 4901, 4902, 4903 00 000 00 და 4904 00 000 00 კოდებში მითითებული საქონლის (წიგნები, ჟურნალ – გაზეთები, ნოტები) მიწოდება (მათ შორის, ელექტრონული ფორმით) ან/და იმპორტი, ასევე ელექტრონული მატარებლების (დისკების) საშუალებით სალექციო კურსების მიწოდება, რომელიც საგანმანათლებლო ხასიათისაა და შეიძლება გამოცემულ იქნეს ასევე წიგნის ფორმით;

ჟ) პირადი მოხმარების საგნებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების იმპორტი ან დროებითი შემოტანა, რომლებიც განკუთვნილია ნათესავისა და გაზის ძებნა – ძიებისა და მოპოვების სამუშაოებში დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის;

რ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დადგენილი ნუსხის მიხედვით ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტების ან/და ბავშვთა ჰიგიენის ნაწარმის მიწოდება ან/და იმპორტი, რომლებიც მარკირებულია ასეთად მიწოდებისას;

ს) დიაბეტური პურის მიწოდება ან/და იმპორტი, რომელიც მარკირებულია ასეთად მიწოდებისას;

ტ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8701 90 110 00 – 8701 90 500 00 კოდებში აღნიშნული ტრაქტორებისათვის განკუთვნილი, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8706 00 190 00, 8706 00 990 00, 8707 90 100 00, 8707 90 900 00, 8708 10 900 00, 8708 29 100 00 – 8708 40 900 00, 8708 50 900 00 – 8708 70 100 00, 8708 80, 8708 91, 8708 92, 8708 93, 8708 94 და 8708 99 კოდებში აღნიშნული შასის, ძარის, ნაწილებისა და მონყობილობების, აგრეთვე საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8432 90 000 00 და 8433 90 000 00 კოდებში მითითებული საქონლის იმპორტი;

უ) ელექტროენერგიის წარმოებისათვის (თბოელექტრო – სადგურებისათვის) ბუნებრივი აირის იმპორტი;

ფ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8802 11 100 00, 8802 12 100 00, 8802 20 100 00, 8802 30 100 00 და 8802 40 100 00 შესაბამის კოდებში აღნიშნული საქონლის ან/და საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურით მისთვის (სამოქალაქო ავიაციისათვის) განკუთვნილი საქონლის იმპორტი;

ქ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8903 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული საქონლის იმპორტი ან/და მინოდება;

ღ) მინის ნაკეთის მიწოდება;

ყ) ამხანაგობის წილის (ქონებაზე წინასწარი რეგისტრაციის უფლების) მიწოდება, თუ ამ წილზე (უფლებაზე) არ არის მიმაგრებული/განპიროვნებული ქონება, გარდა წილის (უფლების) სანაცვლოდ ქონების ინდივიდუალურ საკუთრებაში მიღების შემთხვევისა;

შ) ამხანაგობის მიერ თავისი წევრისთვის (თანამფლობელისთვის) ქონების მიწოდება (განაწილება), თუ ამხანაგობის წევრები არიან მხოლოდ ფიზიკური პირები, ამხანაგობის წევრთა შემადგენლობა არ შეცვლილა ამხანაგობის დაფუძნებიდან ქონების გადაცემის (განაწილების) მომენტამდე და ამხანაგობა განაწილების მომენტისათვის არ არის დღგ-ის გადამხდელი. ამ ქვეპუნქტის მიზნებისათვის ამხანაგობის წევრის გარდაცვალებისას ამხანაგობის წილის მემკვიდრეზე გადასვლა ან „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით ამხანაგობის წევრის წილის რეალიზაცია არ ითვლება ამხანაგობის წევრთა შემადგენლობის ცვლილებად;

ჩ) თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოებს შორის საქონლის მიწოდება;

ც) შემოსავლების სამსახურის ან/და შემოსავლების სამსახურის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შერჩეული პირის მიერ აქციზური მარკების მიწოდება ან/და იმპორტი;

ძ) საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ნუსხის მიხედვით სასოფლო-სამეურნეო პესტიციდებისა და აგროქიმიკატების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების სათესი და სარგავი მასალების იმპორტი.

წ) შემოსავლების სამსახურის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შერჩეული პირის მიერ იმ საქონლის იმპორტი, რომელიც განკუთვნილია აქციზური ან/და არააქციზური საქონლის საბაჟდებულო ნიშანდების/მარკირების განსახორციელებლად.

ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ისგან გათავისუფლებულია შემდეგი სახის მომსახურების გაწევა:

ა) ფინანსური ოპერაციების განხორციელება ან/და ფინანსური მომსახურების გაწევა;

ბ) საქართველოს საპატრიარქოს დაკვეთით ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობა, რესტავრაცია და მოხატვა;

გ) პირის მიერ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი, ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის ან/და საკულტო – რელიგიური დანიშნულების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სარესტავრაციო, სარეაბილიტაციო, საპროექტო და კვლევითი სამუშაოების შესრულება;

დ) დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო (მათ შორის, ავტოტრანსპორტით) მომსახურების გაწევა;

ე) სამედიცინო მომსახურების გაწევა;

ვ) სააღმზრდელო ან/და სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა მოვლა – პატრონობის მომსახურების გაწევა ან/და ავადმყოფთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (მათ შორის, ბავშვთა) და 60 წლის და მეტი ასაკის პირთა მოვლა – პატრონობის მომსახურების გაწევა;

ზ) ლატარიებით, აზარტული და მომგებიანი თამაშობებით მომსახურების გაწევა;

თ) ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული საქონლის ლიზინგით გაცემა;

ი) თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოებს შორის მომსახურების გაწევა;

კ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 4901, 4902, 4903 00 000 00 და 4904 00 000 00 კოდებში მითითებული საქონლის (წიგნების, ჟურნალ – გაზეთების, ნოტების) რეალიზაციის მომსახურების, ბეჭდვის მომსახურების ან/და ჟურნალ – გაზეთების მიერ სარეკლამო მომსახურების გაწევა;

ლ) 18 წლამდე ასაკის ფიზიკური პირის სახელოვნებო და სასპორტო სწავლების მომსახურების გაწევა;

მ) რეგულირებადი ფასებითა და ტარიფებით საქალაქო და შიგარაიონულ მარშრუტებზე სამგზავრო ტრანსპორტით (გარდა ტაქსისა) მომსახურების გაწევა;

ნ) საგანმანათლებლო დაწესებულებათა მიერ გაწეული განათლების მომსახურება.

ო) სერვიტუტის მომსახურების უსასყიდლოდ გაწევა;

პ) შემოსავლების სამსახურის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შერჩეული პირის მიერ აქციზური ან/და არააქციზური საქონლის საცალდებულო ნიშანდების/მარკირების მომსახურების გაწევა;

ჟ) ადგილობრივი თვითმმართველობისათვის დასახლებულ ტერიტორიაზე დაგვა – დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურების გაწევა.

ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ისგან გათავისუფლებულია შემდეგი კანონების, შეთანხმებების, ხელშეკრულებების საფუძველზე მიზნობრივი დანიშნულებით განხორციელებული ოპერაციები:

ა) „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოებისათვის განკუთვნილი მოწყობილობა – დანადგარების, სატრანსპორტო საშუალებების, სათადარიგო ნაწილებისა და მასალების, აგრეთვე ზემოაღნიშნული კანონით განსაზღვრული ხელშეკრულებების ან/და ნავთობისა და გაზის ოპერაციების საწარმოებლად გაცემული ლიცენზიების შესაბამისად ინვესტორებისა და საოპერაციო კომპანიებისათვის ნავთობისა და გაზის ოპერაციების განსახორციელებლად საქონლის იმპორტი, მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა;

ბ) ელექტროენერგეტიკული სექტორის რეაბილიტაციისათვის საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით უცხოეთის სახელმწიფოების ან/და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაცემული შეღავათიანი კრედიტით დაფინანსებული საქონლის იმპორტი ან/და სამშენებლო – სამონტაჟო, სარემონტო, სარესტავრაციო, საცდელ-საკონსტრუქტორო ან/და გეოლოგიურ – საძიებო მომსახურების გაწევა;

გ) საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების, კერძოდ, ბაქო – თბილისი – ჯეიჰანის და ბაქო – თბილისი-ერზრუმის მილსადენების მშენებლობის, შესრულების უზრუნველსაყოფად საქართველოში საქონლის დროებითი შემოტანა;

დ) სრულად გათავისუფლებული საქონლის დროებითი შემოტანა;

ე) დაბრუნებული საქონლის იმპორტი;

ვ) გრანტის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის იმპორტი გრანტის გამცემი ან მიმღები პირის მიერ;

ზ) მომსახურების გაწევა ხელშეკრულებების საფუძველზე, რომელთაც სტიქიური უბედურების, ავარიისა და კატასტროფის ლიკვიდაციისთვის, ჰუმანიტარული დახმარების მიზნით აფინანსებს უცხოური ორგანიზაცია და რომელთა მონაწილე ერთ-ერთი მხარეა საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანო;

თ) სტიქიური უბედურების, ავარიისა და კატასტროფის ლიკვიდაციისთვის, ჰუმანიტარული დახმარების მიზნით საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის გადასაცემი საქონლის იმპორტი;

ი) იმ საქონლის იმპორტი ან დროებითი შემოტანა, რომელიც განკუთვნილია უცხოეთის დიპლომატიურ და მათთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ – ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის, იმ სახით, რა სახითაც ასეთი გათავისუფლება გათვალისწინებულია შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებებით, რომელთა მონაწილეც

არის საქართველო;

კ) საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა და საკონსულო დაწესებულებათა ქონების იმპორტი.

ჩათვლის უფლებით დღგ-ისგან გათავისუფლებულია:

ა) საქონლის რეექსპორტი ან ექსპორტი მხოლოდ იმ საანგარიშო პერიოდისათვის, რომელშიც განხორციელებულია დეკლარირება საქონლის რეექსპორტის ან საქონლის ექსპორტში გაშვების შესახებ;

ბ) საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა, რომელიც განკუთვნილია უცხოეთის დიპლომატიურ და მათთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა და დიპლომატიური მისიების წევრების (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის;

გ) ექსპორტში, რეექსპორტში, გარე გადამუშავებაში ან ტრანზიტში მოქცეული საქონლის გადაზიდვა და ამ გადაზიდვასთან უშუალოდ დაკავშირებული მომსახურების გაწევა. ამასთანავე, ასეთ გადაზიდვასთან უშუალოდ დაკავშირებულ მომსახურებას განეკუთვნება:

გ.ა) გადაზიდვისას ტვირთის ან/და სატრანსპორტო და გადაზიდვის საშუალების გაგზავნასთან/მიღებასთან დაკავშირებული მომსახურება, აგრეთვე აეროპორტების, ნავსადგურების, სარკინიგზო და საავტომობილო ვაგზლების მიერ გაწეული მომსახურება;

გ.ბ) აერო – ან საზღვაო სანავიგაციო, სადისპეტჩერო ან/და საინფორმაციო მომსახურება;

გ.გ) საექსპედიტორო მომსახურება;

გ.დ) ტვირთის დოკუმენტაციის მომზადების, ინსპექტირების, დათვალიერების, სატრანსპორტო დამუშავების (მათ შორის, დატვირთვისა და გადმოტვირთვის), ტრანსპორტირებისათვის შეფუთვისა და შენახვის მომსახურება;

გ.ე) ნავსადგურებში აგენტირების მომსახურება;

დ) საქონლის იმპორტის, საწყობის, დროებითი შემოტანის, შიგა გადამუშავების ან თავისუფალი ზონის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევამდე საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე პუნქტებს შორის საქონლის გადაზიდვა და ამ გადაზიდვასთან უშუალოდ დაკავშირებული, ზემოაღნიშნული „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა, გარდა ტვირთის შენახვის მომსახურებისა;

ე) საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანამდე იმპორტის, საწყობის, დროებითი შემოტანის, შიდა გადამუშავების ან თავისუფალი ზონის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული საქონლის საქართველოს საბაჟო საზღვრიდან საბაჟო დეკლარაციაში მითითებულ დანიშნულების პუნქტამდე გადაზიდვა და ამ გადაზიდვასთან უშუალოდ დაკავშირებული, ზემოაღნიშნული „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა, გარდა ტვირთის შენახვის მომსახურებისა;

ვ) მგზავრთა და ბარგის გადაზიდვის მომსახურებისა და ამ გადაზიდვასთან უშუალოდ დაკავშირებული მომსახურების გაწევა იმ პირობით, რომ გაგზავნის ან დანიშნულების პუნქტი მდებარეობს საქართველოს ფარგლების გარეთ და ასეთ გადაზიდვაზე გაფორმებულია ერთიანი სატრანსპორტო დოკუმენტი. ამასთანავე, ასეთ გადაზიდვასთან უშუალოდ დაკავშირებულ მომსახურებას განეკუთვნება:

ვ.ა) მგზავრის ან/და სატრანსპორტო საშუალების გაგზავნასთან/მიღებასთან დაკავშირებული მომსახურება, აგრეთვე აეროპორტების, ნავსადგურების, სარკინიგზო და საავტომობილო ვაგზლების მიერ გაწეული მომსახურება;

ვ.ბ) აერო – ან საზღვაო სანავიგაციო, სადისპეტჩერო ან/და საინფორმაციო მომსახურება, აგრეთვე სააერნაოსნო მომსახურებაზე ზედამხედველობა;

ვ.გ) ინსპექტირების, დათვალიერების, სატრანსპორტო დამუშავების (მათ შორის, დატვირთვისა და გადმოტვირთვის), ტრანსპორტირებისათვის შეფუთვისა და შენახვის მომსახურება;

ვ.დ) მგზავრთა საერთაშორისო გადაყვანის სამგზავრო ბილეთების რეალიზაციის მომსახურება;

ვ.ე) აეროპორტებისა და ნავსადგურების საბაჟო კონტროლის ზონაში მგზავრთა მომსახურება, რომლის ღირებულება შედის საერთაშორისო გადაყვანის სამგზავრო ბილეთის ფასში;

ვ.ვ) ნავსადგურებში აგენტირების მომსახურება;

ზ) საერთაშორისო საავიაციო და საერთაშორისო საზღვაო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მისაწოდებლად განკუთვნილი საქონლის იმპორტი ან/და მიწოდება;

თ) სატრანსპორტო გადაზიდვისას გამოყენებული ცარიელი სატრანსპორტო საშუალებების (მათ შორის, კონტეინერებისა და ვაგონების) მიმართ გაწეული სატრანსპორტო, დატვირთვის, გადმოტვირთვისა და შენახვის მომსახურება;

ი) თბოელექტროსადგურებისათვის ბუნებრივი აირის მიწოდება;

კ) სახელმწიფოსთვის ან/და ადგილობრივი თვითმმართველობისათვის აქტივების გამოტანა იმ საწარმოს კაპიტალიდან, რომლის წილის/ აქციების 50 პროცენტზე მეტი სახელმწიფოს ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაშია;

ლ) სახელმწიფოსთვის ან/და ადგილობრივი თვითმმართველობისათვის საქონლის უსასყიდლოდ გადაცემა ან/და მომსახურების უსასყიდლოდ გაწევა;

მ) საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებით განსაზღვრული პროექტების (მათ შორის, მოსამზადებელი ეტაპის) განმახორციელებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ, რომლებთანაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გაფორმებული აქვს პროექტის განხორციელების უფლებამოსილების შესახებ ხელშეკრულება, ამ პროექტების ფარგლებში საქონლის სხვა პირებისათვის გადაცემა;

ნ) თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში საქართველოს საქონლის მიწოდება რეალიზაციისთვის და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში საქონლის რეალიზაცია ან/და კვების მომსახურების გაწევა;

ო) დღგ-ის გადამხდელის (მათ შორის, ინდივიდუალური მეწარმის) მიერ საწარმოს ან ამ საწარმოს დამოუკიდებლად მოქმედი ქვედანაყოფის ყველა აქტივის მიწოდება ერთი ოპერაციის ფარგლებში დღგ-ის მეორე გადამხდელისათვის, თუ მიმწოდებელი და მიმღები მხარეები მიწოდებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში წერილობით ატყობინებენ საგადასახადო ორგანოს ასეთი მიწოდების შესახებ. დამოუკიდებლად მოქმედ ქვედანაყოფად ითვლება ერთმანეთთან ფუნქციურად დაკავშირებული ძირითადი საშუალებებისა და თანმხლები კომუნიკაციების ერთობლიობა, რომელიც დამოუკიდებლად ფუნქციონირებს (გარდა იჯარით, ქირით და სხვა ამგვარი ფორმით გაცემული შენობა-ნაგებობისა) და რომლის დამოუკიდებლად ფუნქციონირება და საქმიანობის სახე არ არის დამოკიდებული მესაკუთრის შეცვლაზე;

პ) აქტივების მიწოდება საწარმოს რეორგანიზაციის შემთხვევაში;

ჟ) აქტივების მიწოდება შესატანის სახით საწარმოს კაპიტალში ან ამხანაგობაში. ამასთანავე, ითვლება, რომ აქტივების მიწოდების საანგარიშო პერიოდის მიხედვით აქტივების მიმღებმა პირმა შესაბამის საქონელზე მიიღო ჩათვლა;

რ) საქართველოს ეროვნული ბანკისათვის ოქროს მიწოდება;

ს) ტუროპერატორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ტურისტულ ობიექტებში უცხოელი ტურისტების ორგანიზებული შემოყვანა და მათთვის საქართველოს ტერიტორიაზე ტურისტული მომსახურების პაკეტის მიწოდება.

ტ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ტვირთის შემოტანისას გემისათვის გაწეული მომსახურება (კერძოდ, პორტის, საზღვაო – სალოცმანო სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის მიერ გაწეული მომსახურება);

უ) საბაჟო საწყობში უცხოური საქონლის მიწოდება, გარდა მიწოდებული საქონლის საწყობიდან იმპორტის შემთხვევისა;

ფ) ლატარიებით, აზარტული და მომგებიანი თამაშობებით მომსახურების გაწევა „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული იმ ლატარიის ორგანიზატორის მიერ, რომლის წილის 50 პროცენტზე მეტს ფლობს სახელმწიფო;

ქ) სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდევინების, მათ შორის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში პირის ქონების (გარდა ფულისა) სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში გადაცემა, აგრეთვე სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული წესით დაკისრებული სანქციების გადახდევინების მიზნით პირის ქონების რეალიზაცია/გადაცემა;

ღ) საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის (გარდა საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 0407 00 190 00 და 0407 00 300 00 კოდებში მითითებული საქონლისა (კვერცხისა) და 0207 11 სუბპოზიციაში მითითებული საქონლისა (შინაური ქათამი აუქნელი, ახალი ან გაციებული)) მიწოდება მის სამრეწველო გადამუშავებამდე (საქონლო კოდის შეცვლამდე);

ყ) საქართველოში მთლიანად წარმოებული საქონლისაგან მიღებული საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 0201, 0203 11 – 0203 19, 0204 10 000 00 – 0204 23 000 00, 0204 50 110 00 – 0204 50 390 00 კოდებში მითითებული საქონლის (მათ შორის, გატხარბული/დაკეპილი ფორმით არსებულის (ფარშის)), აგრეთვე საქართველოს ბინადარი ცხოველისაგან მიღებული პროდუქტის სამრეწველო გადამუშავების შედეგად წარმოებული ყველის მიწოდება;

შ) ტურისტული საწარმოს მიერ სასტუმროს აქტივების/მათი ნაწილის სხვა პირისათვის მიწოდება

მისი იჯარით უკან მიღების მიზნით. თუ ტურისტული სანარმო სასტუმროს აქტივების/მათი ნაწილის სხვა პირისათვის მიწოდებიდან 2 წლის განმავლობაში იჯარით უკან მიიღებს ამავე აქტივებს, ოპერაცია ასევე თავისუფლდება ჩათვლის უფლებით და ტურისტულ საწარმოს უფლება აქვს, წარადგინოს მიწოდების შესაბამისი პერიოდის შესწორებული დეკლარაცია;

ჩ) ტურისტული საწარმოს მიერ ან/და მის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე სასტუმროს ფუნქციონირებისთვის/ოპერირებისთვის მოწვეული პირის/პირების მიერ სასტუმრო ნომრის მესაკუთრისათვის კალენდარული წლის განმავლობაში არა უმეტეს 60 დღის ვადით სასტუმროს მომსახურების (სასტუმროში ცხოვრების) უსასყიდლოდ მიწოდება.

ჩათვლის უფლებით დღგ-ისგან გათავისუფლებულია საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა ან/და საქონლის იმპორტი, თუ აღნიშნული ხორციელდება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული და ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულებების ფარგლებში და ამ ხელშეკრულებების შესაბამისად ასეთი საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა ან/და საქონლის იმპორტი გათავისუფლებულია დღგ-ისგან.

თავი 12. აქციზი

12.1 აქციზის არსი და გადამხდელი

სიტყვა „აქციზის" ეტიმოლოგია მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან, რომელმაც შესაბამისი ასახვა ჰპოვა ფრანგულ ენაში. აქციზის შესაბამისი ლათინური ფუძე სიტყვებია: assisia, occisia, cisa. ეს სიტყვები ძველ რომში, შუა საუკუნეებში გამოიყენებოდა მიწის გადასახადის ანუ მიწის რენტის აღსანიშნავად, რომლის გადახდაც ხდებოდა შესაბამის ფირფიტებზე სათანადო ნაჭდევის(განახაზის) გაკეთებით. ფრანგულ ენაზე აქციზი არის „assevir", რაც ნიშნავს „დაწესებას". თავის მხრივ ლათინურ ენაზე აქციზის შესაბამის ფუძე სიტყვებს ენათმეცნიერებაში სხვადასხვა ახსნა აქვს: "accido" – „ვჭრი", „accisum" – „განაჭერი, განახაზი", "assidere" – „დანაწევრებული, დაჩეხილი".

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აქციზი, როგორც სიტყვა, პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავს – „ჩამოჭრას", რაც მიესადაგება მის საგადასახადო შინაარსს. აქციზი არის ისეთი გადასახადი, რომლითაც ხდება განსაზღვრული თანხების „ჩამოჭრა" მისი გადამხდელისათვის.

თანამედროვე გაგებით „აქციზი", როგორც ასეთი მიმოქცევაში შემოვიდა ევროპაში მე-17 საუკუნიდან. მიუხედავად ამისა, აქციზი, როგორც შინაარსი არსებობდა, მანამდეც და გადაიხდევინებოდა სხვადასხვა ფორმით. მაგ, რომის იმპერიაში აქციზი არსებობდა ბრუნვის გადასახადის(1 – 10%), მონებით ვაჭრობის გადასახადის(4%), მონების გათავისუფლების გადასახადის(5%) და სხვა სახით.

შუა საუკუნეებში აქციზი გვხვდება საბაჟო გადასახადის სახით. ქალაქში შემოტანილი ან ქალაქიდან ბაზარში შეტანილი საქონელი იბეგრებოდა ბაჟებით, რაც თავისი შინაარსით აქციზს წარმოადგენდა. ამასთან, მე-12-13 საუკუნეებში აქციზი ფართოდ გავრცელდა იტალიაში, ბელგიაში, ესპანეთში და ინგლისში. მაგ. ამ პერიოდში მას ესპანეთში „sisa alcabala" ერქვა, ხოლო ბელგიაში – „assisia rerum venalium".

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირში აქციზი, როგორც ასეთი, არსებობდა 1930 წლამდე.

დღეგანდელ პირობებში, პრაქტიკაში, აქციზი არსებობს ინდივიდუალური აქციზის სახით მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში.

თანამედროვე გაგებით(უფრო მეტად აკადემიური) აქციზი ორი სახის არის: ინდივიდუალური და უნივერსალური. ინდივიდუალური აქციზი არის ცალკეულ საქონელზე დაწესებული აქციზი შესაბამისი განაკვეთებით. ეს გაგება ემთხვევა საქართველოს კანონმდებლობით დაწესებულ აქციზებს სხვადასხვა დასახელების საქონელზე განსხვავებული განაკვეთებით(მაგ. ალკოჰოლზე, ნავთობპროდუქტებზე და ა.შ). რაც შეეხება უნივერსალურ აქციზს მასში გულისხმობენ ისეთ არაპირდაპირ გადასახადებს, როგორიც არის დამატებული ღირებულების გადასახადი, გაყიდვის გადასახადი და სხვა. უნივერსალური აქციზის პრედიკატი მიანიშნებს იმ ფაქტზე, რომ, მაგ, დღგ დაბეგვრის ობიექტის ასპექტით საყოველთაოა და ყველა სახის საქონელზე ვრცელდება განსხვავებით ინდივიდუალური აქციზისაგან.

აქციზი არაპირდაპირი გადასახადია და განსხვავებით დღგ-საგან ამოიღება საქონლის (მომსახურების) მიწოდების კასკადის მხოლოდ ერთ სტადიაზე, ერთჯერადად და მისი ჩათვლა, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, არ ხორციელდება. გამონაკლისს შეადგენს აქციზური საქონლის მწარმოებლის

მიერ აქციზური ნედლეულის ყიდვა მწარმოებლიდან (ან იმპორტი) და მისგან წარმოებული აქციზური საქონლის მიწოდება.

აქციზით ძირითადად საქონელი იბეგრება, თუმცა არსებობს მომსახურების დაბეგვრის ფაქტებიც(მაგ. საქართველოში მობილური საკომუნიკაციო მომსახურება, იაპონიაში სასტუმრო მომსახურება). ამასთან, აქციზით დაბეგვრის ობიექტის შერჩევა მთავრობების მიერ სხვადასხვა კრიტერიუმებით ხორციელდება. მათგან შეიძლება აღინიშნოს, მაგ. ზემოგების მომცემი საქონელი, მავნე საქონელი, ფართო მოხმარების საქონელი, ფუფუნების საგნები და სხვა. შესაბამისად, აქციზის შემოღების მეთოდოლოგიური საფუძველი ცალსახა არ არის. ასევე განსხვავებულია აქციზის გაანაკვეთების შემოღების საფუძველი ცალკეული სახის საქონლებთან მიმართებით.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით აქციზის შემოღების პოლიტ-ეკონომიკურ საფუძვლებში განარჩევენ შემდეგ მიმართულებებს:

ა) საზოგადოებრივი უსაფრთხოება და ჯანმრთელობა(მაგ. თამბაქო, ალკოჰოლი);

ბ) საზოგადოებრივი მორალი(აზარტული თამაშები, პროსტიტუცია);

გ) გარემოს დაცვა(გარემოს გაჭუჭყიანება, გამონაბოლქვი, ნავთობპროდუქტები);

დ) თავდაცვა(მაგ. გადასახადი ინგლისში „ჩამოსულ ძალებზე“;

ე) დასჯა(არალეგალური ნარკოტიკები, ფულის გათეთრება).

აქციზის შემოღების(ისევე, როგორც სხვა არაპირდაპირი გადასახადების, მაგ. დღგ, საბაჟო გადასახადი, ბრუნვის გადასახადი, გაყიდვის გადასახადი და სხვა) უპირატესობად მიაჩნიათ მისი საგადასახადო ტვირთის პირდაპირი არასენსიტიურობა მომხმარებლებზე (ფიზიკურ პირებზე). აქციზით საბოლოო ჯამში იბეგრება ის ფიზიკური პირი, რომელიც მოიხმარს ამა თუ იმ აქციზურ საქონელს, რადგანაც მწარმოებელს შეუძლია ფასის მეშვეობით აქციზი გადააკისროს საბოლოო მომხმარებელს. ამასთან, ფიზიკური პირი „ვერ გრძნობს“, რომ საქონლის ყიდვის დროს ის ავტომატურად იხდის ამ გადასახადს და შესაბამისად, სახელმწიფოს ადმინისტრირების ხარჯებიც შედარებით დაბალია.

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი ვილიამ პეტი თავის ნაშრომში „ტრაქტატი გადასახადებზე და მოსაკრებლებზე“ (1662 წ.) აქციზის შემოღების სასარგებლოდ ოთხ პოსტულატს გამოყოფს:

ა) ბუნებრივი სამართლიანობა მოითხოვს, რომ ყველამ უნდა გადაიხადოს გადასახადი მოხმარების პროპორციულად. შესაბამისად, ამ გადასახადის გადახდის ძალდატანება გამორიცხულია;

ბ) ამ გადასახადით შეიძლება ეკონომიის გაკეთება და ქონების დაგროვება;

გ) ერთი და იგივე საქონელზე არავინ არ შეიძლება აქციზით ორჯერ დაიბეგროს, რადგანაც არ შეიძლება ერთი და იგივე საქონლის ორჯერ მოხმარება;

დ) ამ გადასახადით დაბეგვრის მიხედვით ყოველდღე შეიძლება განისაზღვროს ქვეყნის ეკონომიკის დონის მდგომარეობა.

როგორც აღვნიშნეთ აქციზის შემოღების მეთოდოლოგია რამდენიმე ფაქტორს ემყარება. მათ შორის მნიშვნელოვანია ზემოგება, საქონლის მავნეობა, ფუფუნების საქონელი და სხვა. შესაბამისად აქციზის შემოღებას ამა თუ იმ კონკრეტულ საქონელზე შესაბამისი გარე ეფექტი(ექსტერნალია) უნდა ჰქონდეს. მაგ. ისეთ საქონელზე, რომელზეც მენარმეები სხვადასხვა ფაქტორების გამო იღებენ ზემოგებას, აქციზის დაწესება გაპირობებულია ფისკალური ეფექტით. იგივე შეიძლება ითქვას ფუფუნების საგნების დაბეგვრაზეც. რაც შეეხება მავნე საქონელზე აქციზის დაწესებას, აქ მიღებულია ზოგადი პრინციპი, რომელიც ცხადდება არა მხოლოდ ასეთ საქონელზე აქციზის შემოღების მეთოდოლოგიურ საფუძვლად, არამედ ნებისმიერი სხვა საქონლის აქციზით დაბეგვრის მიზანშეწონილობის დასაბუთებადაც. ეს პრინციპი შემდეგნაირად ფორმულირდება: აქციზი შემოღებულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ საქონელზე, რომელთა მოხმარება პირების მიერ იწვევს დამატებით საბიუჯეტო ხარჯებს. მაგ. სიგარეტის მოხმარების შედეგად გამონვეული ავადმყოფობების დაფინანსება უნდა მოხდეს მათ მიერ სიგარეტის ყიდვის დროს გადახდილი აქციზების მეშვეობით. ამ თეზის საპირისპირო დასაბუთებამდე მივიდა ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი ეილიამ კიპ ვისკუზი სიგარეტის აქციზით დაბეგვრის მაგალითზე. მან დათვალა ცალკეული პირების მიერ სიგარეტის მოხმარების შედეგად მთელი საზოგადოებისათვის მიყენებული უარყოფითი და დადებითი ეფექტები და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სიგარეტზე აქციზის შემოღება ეკონომიკური თვალსაზრისით მიზანშეწონილი არ არის. კერძოდ, სიგარეტის მწეველები საშუალოდ 10 წლით ადრე კვდებიან, ვიდრე არამწეველები. ერთი შეკვრა სიგარეტის ყიდვით მწეველი საშუალოდ 1 აშშ დოლარის დადებით ეფექტს იძლევა საზოგადოებისათვის. რაც უფრო იაფი(უაქციზო) იქნება სიგარეტი მით მეტ სიგარეტს შეიძენს მწეველი და შესაბამისად უფრო ადრე გარდაიცვლება. შესაბამისად, ეს ხდება საპენსიო და სამედიცინო ხარჯების ეკონომიის საფუძველი, რაც მთელი საზოგადოების მასშტაბით უდიდეს თანხებს წარმოადგენს. ამ იდეის განვითარება-

ში ვისკუზს მოტივაცია მისცა იმ ფაქტმა, რომ იგი ამავე დროს იყო „ფილიპ მორისის“ კონსულტანტი.

ზემოაღნიშნული დაბეგვრის მეთოდოლოგია მსოფლიოში პოპულარული არ არის. ამასთან, ევროკავშირში ფეხს იკიდებს სიგარეტზე აქციზის რეგრესული დაბეგვრის სისტემა. ასეთი მეთოდოლოგიით დაბეგვრის არსი შემდეგში მდგომარეობს: აქციზის განაკვეთები მით უფრო მცირდება, რაც უფრო იზრდება სიგარეტის ხარისხი და ფასი. ეს ასტიმულირებს შედარებით ხარისხიანი სიგარეტის მოხმარებას.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის დირექტივებით წევრი ქვეყნებისათვის სავალდებულოდ დგინდება აქციზის მხოლოდ მინიმალური განაკვეთები. რაც შეეხება საქართველოს, აქციზი არის ერთადერთი საერთო – სახელმწიფოებრივი გადასახადი, რომლის განაკვეთის ზრდა უპირობოდ შეუძლია მთავრობას რეფერენდუმის გარეშე. ამდენად, საქართველოსთვის ეს გადასახადი შეიძლება გახდეს ბიუჯეტის შევსების პოტენციური წყარო ეკონომიკის ზოგიერთი სფეროს დაბეგვრის მიზანშეწონილობის საფუძველზე.

თანამედროვე ინფლაციური ხასიათის ეკონომიკის პირობებში ფისკალური თვალსაზრისით პრობლემატურია აქციზის ფიქსირებული განაკვეთისა და შესაბამისი საგადასახადო ტვირთის შენარჩუნების საკითხი. ინფლაციის ზრდა აქციზის უშუალოდ ბიუჯეტში შემტანებისათვის ამცირებს საგადასახადო ტვირთს და ბიუჯეტის რეალურ საგადასახადო შემოსავლებს. ასეთი საშიშროება ადეკვატური განაკვეთების მიმართ არ არსებობს, რადგანაც პროცენტული განაკვეთი ამოიღებს შესაბამის გაზრდილ თანხებს გაზრდილი ფასებიდან. ამდენად, ინფლაციის კოეფიციენტი მოითხოვს ფიქსირებული აქციზის განაკვეთის კორექტირებას ზრდის მიმართულებით.

აქციზი მსგავსად საბაჟო გადასახადისა და დღგ-ისა არის არაპირდაპირი გადასახადი. იგი შედის საქონლის ფასში და მისი გადამხდელი არის საქონლის ბოლო მომხმარებელი. მაგრამ განსხვავებით დღგ-ისაგან აქციზი ერთჯერადი გადასახადია ანუ იგი არ ამოიღება საქონლის მიწოდების ყველა სტადიაზე.

სხვადასხვა ქვეყნებში აქციზი ძირითადად შემოღებულია შემდეგ საქონელზე: ალკოჰოლური სასმელები, თამბაქოს ნაწარმი, ნავთობპროდუქტები, შაქარი, მარილი, ასანთი, ჩაი, ყავა, საკონდიტრო ნაწარმი, ლუდი, მინერალური წყლები, ძვირფასი მეტალების ნაწარმი, მსუბუქი ავტომანქანები, ელექტროენერგია, ბანანი, სამშენებლო მასალები, სათამაშო კარტი, თევზეული, ბეწვეული, საბურავები, ხალიჩები და ცეცხლსასროლი იარაღი.

აქციზის განაკვეთების სიდიდე სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა. განსხვავებულია იგი თვით ევროკავშირის ქვეყნებშიც. ამასთან დიცერენცირებულია თვითონ აქციზის განაკვეთის ფორმები. იგი სამის სახის არის: ადვალური, ფიქსირებული და კომბინირებული.

ზემოაღნიშნული აქციზის განაკვეთების ფორმებიდან ფისკალური ეფექტის თვალსაზრისით ყველაზე სტაბილურია აქციზის ფიქსირებული განაკვეთი, რადგანაც იგი არ არის დაკავშირებული საქონელთა ფასების საბაზრო რყევაზე.

როგორც, სხვა არაპირდაპირი გადასახადები, აქციზიც საქონლის იმპორტის დროს გადაიხდევინება საბაჟო ორგანოების მიერ, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს აქციზი ზოგიერთი საქონლის ექსპორტის დროს.(მაგ. საქართველოში შავი ან ფერადი ლითონების ჯართის ექსპორტი 2008 წლის მდგომარეობით იბეგრებოდა 1 ტონა – 25 ლარის ოდენობით).

რიგ განვითარებად ქვეყნებში ზოგიერთი სახის აქციზური საქონლის იმპორტის დროს მოითხოვება აქციზური მარკების გამოყენება. აქციზური მარკების შეძენა წინასწარ ხდება იმპორტიორი ქვეყნის ფიკალური სამსახურებიდან, ხოლო შემდეგ მარკები გაიტანება ექსპორტიორ ქვეყანაში და იქ დაეკვრის შესაბამის საქონელს. შესაძლებელია, რომ აქციზური მარკა შეიძლება დაეკრას არა ექსპორტიორ ქვეყანაში, არამედ იმპორტიორ ქვეყანაშიც, იმ პირობით, რომ იმპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცევამდე და აქციზური მარკის დაკვრამდე საქონელი მოთავსდება საბაჟო საწყობში ან დროებითი შენახვის საწყობში. ამასთან, ამ შემთხვევაში აქციზის გადახდა ხდება აქციზური მარკების შეძენის დროს. დღეის მდგომარეობით საქართველოში აქციზი აქციზური მარკების შეძენის დროს არ გადაიხდევინება.

აქციზის გადამხდელია პირი, რომელიც:

ა) აწარმოებს აქციზურ საქონელს საქართველოში;

ბ) ახორციელებს აქციზური საქონლის იმპორტს საქართველოში;

გ) ახორციელებს აქციზური საქონლის ექსპორტს;

დ) ახორციელებს ბუნებრივი აიროვანი კონდენსატის ან/და ბუნებრივი აირის ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის მიწოდებას;

ე) ახორციელებს მობილური საკომუნიკაციო მომსახურების გაწევას.

ვ) დამკვეთის ნედლეულით საქართველოში აწარმოებს აქციზურ საქონელს;

ზ) საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში ან სხვა ფულადი ვალდებულების (გარდა სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული წესით დაკისრებული სანქციებისა) გადახდევინების მიზნით აქციზური საქონლის აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის ან სხვა წესით რეალიზაციისას, აგრეთვე სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში მოთხოვნის უზრუნველყოფის საგნის (აქციზური საქონლის) კრედიტორისათვის საკუთრებაში გადაცემისას ამ ოპერაციაზე აქციზის გადამხდელად ითვლება აქციზური საქონლის შემძენი ან/და მიმღები პირი, თუ აღნიშნული ოპერაცია ექვემდებარება აქციზით დაბეგვრას.

თ) სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული აქციზური საქონლის რეალიზაციისას ამ ოპერაციაზე აქციზის გადამხდელად ითვლება აქციზური საქონლის შემძენი პირი.

12.2 აქციზით დაბეგვრის ობიექტი, დრო, თანხა.

აქციზით დაბეგვრის ობიექტი სამ ნაწილად იყოფა:

ა) დასაბეგრი ოპერაცია;

ბ) აქციზური საქონლის იმპორტი;

გ) აქციზური საქონლის ექსპორტი.

აქციზით დასაბეგრი ოპერაციები და დასაბეგრი ოპერაციების განხორციელების მომენტია:

ა) მწარმოებლის მიერ საქართველოში წარმოებული აქციზური საქონლის მიწოდების ან/და საწარმოს საწყობიდან სარეალიზაციოდ გატანის მომენტი. მაგ.1: პირმა საქართველოში აწარმოა არაყი და მიაწოდა სუპერმარკეტს. ამავე პირმა სუპერმარკეტს ასევე მიაწოდა საქართველოში შეძენილი არაყი. აღნიშნულ შემთხვევაში დასაბეგრ ოპერაციას არ განეკუთვნება პირის მიერ საქართველოში შეძენილი არყის მიწოდება, ხოლო პირის მიერ წარმოებული არყის მიწოდება ექვემდებარება დაბეგვრას. მაგ.2: პირმა საქართველოში ანარმოა არაყი და თავისი საწყობიდან გაიტანა სარეალიზაციოდ: ა) სხვის მაღაზიაში; ბ) თავის მაღაზიაში. აღნიშნულ „ა" შემთხვევაში საქონლის სარეალიზაციოდ გატანა აქციზით დასაბეგრი ოპერაციაა. რაც შეეხება „ბ" შემთხვევას-ესეც აქციზით დასაბეგრი ოპერაციაა, მიუხედავად იმისა, რომ საქონლის მიწოდება არ მომხდარა;

ბ) მწარმოებლის მიერ დამკვეთის ნედლეულით საქართველოში წარმოებული აქციზური საქონლის დამკვეთისათვის გადაცემის მომენტი. აქ მნიშვნელოვანია ის, რომ თუ გადაცემა ხდება ექსპორტის სასაქონლო ოპერაციით საწყობიდან მიწოდების პირობით, მაშინ აქციზით დაბეგვრა უნდა მოხდეს, თუ არა? მაგ.1: საქართველოს საწარმო A-მ საქართველოს საწარმო B-ს შეუკვეთა არყის წარმოება. ამ უკანასკნელმა საკუთარი წარმოების ან შეძენილი სპირტის საფუძველზე ანარმოა არაყი და მიაწოდა დამკვეთს. აღნიშნულ შემთხვევაში მიწოდების ოპერაცია არის დასაბეგრი ოპერაცია. მაგ.2. უცხოურმა საწარმო A-მ საქართველოს საწარმო B-ს შეუკვეთა არყის წარმოება. ეს უკანასკნელი ვალდებულია უცხოურ საწარმოს არაყი მიაწოდოს საწყობიდან EXW ინკოტერმსის მიწოდების პირობით. საქონელი უნდა მოექცეს ექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში. აღნიშნულ შემთხვევაში სახეზეა ორი ოპერაცია: გადაცემა და ექსპორტი. ორივე ოპერაციას ახორციელებს საქართველოს საწარმო, ვინაიდან ის არის დამკვეთისათვის საწყობიდან საქონლის გადამცემი და ექსპორტიორიც. პირველი ოპერაცია (გადაცემა) დასაბეგრი ოპერაციაა. რაც შეეხება მეორე ოპერაციას, ისიც დაბეგვრის ობიექტია (მუხ.183), თუმცა სსკ-ის 194-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა" ქვეპუნქტის მიხედვით ასეთი ექსპორტი გათავისუფლებულია აქციზისაგან, თუმცა იმპორტიორი ვერ იბრუნებს გადაცემის დროს მის მიერ გადახდილ აქციზს.

გ) საკუთარი წარმოების აქციზური საქონლის არააქციზური საქონლის წარმოებისათვის გამოყენების დაწყების მომენტი. მაგ.1. პირი საქართველოში აწარმოებს სპირტს და ოდეკოლონს ერთდროულად. საანგარიშო პერიოდში მის მიერ წარმოებულია 1000 ლიტრი სპირტი, საიდანაც 600 ლიტრი გამოყენებულ იქნა ოდეკოლონის საწარმოებლად. აღნიშნულ შემთხვევაში 600 ლიტრი სპირტი ექვემდებარება აქციზის შესაბამისი განაკვეთით დაბეგვრას. ამ სიტუაციაში სახეზეა სპირტის „საბოლოო მოხმარება" ოდეკოლონის მწარმოებლის მიერ, ხოლო აქციზი მომხმარებლის გადასახადია;

დ) ბუნებრივი აიროვანი კონდენსატის ან/და ბუნებრივი აირის ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის მიწოდების მომენტი. აქ ის ფაქტია საინტერესო, რომ ამ საქონლის იმპორტიც იბეგრება, ხოლო მიწოდების დროს ჩათვლა არ ხდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ორჯერ ხდება აქციზით დაბეგვრა.

ე) მობილური საკომუნიკაციო მომსახურების გაწევა, რომლის დროსაც დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების მომენტად ითვლება მომსახურების გაწევის მომენტი.

აქციზით დასაბეგრი ოპერაციის, აქციზური საქონლის იმპორტისა და აქციზური საქონლის ექსპორტის თანხა განისაზღვრება:

ა) ალკოჰოლიანი სასმელისათვის – ალკოჰოლიანი სასმელის მოცულობით;

ბ) თამბაქოს ნაწარმისათვის – თამბაქოს ნაწარმის რაოდენობით ან წონით;

გ) ნავთობპროდუქტისათვის – ნავთობპროდუქტის წონით (მოცულობით);

დ) მსუბუქი ავტომობილისათვის – მსუბუქი ავტომობილის წლოვანებითა და ძრავის მოცულობით;

ე) ბუნებრივი აიროვანი კონდენსატისათვის ან/და ბუნებრივი აირისათვის – აირის მოცულობით;

ვ) მობილური საკომუნიკაციო მომსახურების გაწევის შემთხვევაში – მიღებული ან მისაღები კომპენსაციის თანხის მიხედვით (გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახდელების ჩათვლით) აქციზის, დღგ-ის ან/და პირგასამტეხლოს გარეშე. საერთაშორისო მობილური საკომუნიკაციო მომსახურებისას დასაბეგრი ოპერაციის თანხაში არ გაითვალისწინება არარეზიდენტი საწარმოსათვის გაწეული ასეთი მომსახურებიდან მიღებული თანხა. ე. ი მობილური საკომუნიკაციო მომსახურების დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება ორი წესით: ა) მიღებული ან მისაღები კომპენსაციის თანხის მიხედვით(გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების ჩათვლით) აქციზის, დღგ-ის ან/და პირგასამტეხლოს გარეშე. მაგ.1. A მობილური კომპანიის ქსელიდან B მობილური ოპერატორის ქსელზე დარეკვის დროს აქციზით დაბეგვრას ექვემდებარება ზარის მთლიანი ღირებულება ანუ საკომპენსაციო თანხა. ზარის წამოწყება არის 12 თეთრი, ზარის დასრულება – 8 თეთრი. სულ საკომპენსაციო თანხა იქნება 20 თეთრი, საიდანაც აქციზით დასაბეგრია 1,54 თეთრი, ხოლო აქციზი შეადგენს 1,54 თეთრს. დღგ იქნება 3,05 თეთრი); ბ) საერთაშორისო მობილური საკომუნიკაციო მომსახურების დროს „ა" ქვეპუნქტში აღნიშნული თანხას გამოკლებული არარეზიდენტი საწარმოსათვის გაწეული ასეთი მომსახურებიდან მიღებული თანხა. მაგ.2. A უცხოური კავშირგამბულობის ქსელიდან საქართველოს მობილური კავშირგაბმულობის კომპანია B-ს მობილურ საკომუნიკაციო ქსელზე ზარის დასრულების მომსახურება აქციზით არ იბეგრება. კერძოდ, უცხოური მობილური კომპანიის ანონენტმა უცხოეთიდან დარეკა საქართველოს მობილური კომპანიის აბონენტთან. ზარის ღირებულება არის 1 ლარი, რომელიც არ იბეგრება აქციზით.

აქციზური საქონლის იმპორტის დრო არის ის დრო, როდესაც საბაჟოზე ეს საქონელი იბეგრება ან გათავისუფლებული, რომ არ ყოფილიყო დაიბეგრებოდა იმპორტის გადასახადით. აქციზური საქონლის ექსპორტის დრო არის ის დრო, როდესაც ხდება ამ საქონლის დეკლარირება საქონლის ექსპორტში მოქცევის შესახებ. შესაბამისად, იმპორტის დროის განსაზღვრის მიზნისათვის, იმპორტის სასაქონლო ოპერაციის გამოყენებისას იმპორტის გადასახადი გადაიხდება:

ა) საქონლის გაშვებიდან არა უგვიანეს 5 კალენდარული დღისა;

ბ) საქონლის გაშვებიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა – „ოქროს სიის" მონაწილის კუთვნილ საქონელზე;

გ) პერიოდული სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის დასრულებიდან (დეკლარაციისათვის A ნომრის მინიჭების თარიღიდან) არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა – „ოქროს სიის" მონაწილის მიერ კალენდარული თვის განმავლობაში გადაადგილებული საქონლის პერიოდული დეკლარაციით გაფორმებისას;

დ) გამარტივებული საბაჟო დეკლარაციისათვის რეგისტრაციის ნომრის მინიჭების თარიღიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა:

დ.ა) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საჰაერო ტრანსპორტით ბარგით ან/და ხელბარგით შემოტანილ საქონელზე;

დ.ბ) საფოსტო გზავნილით შემოტანილ 10 000 ლარამდე ღირებულების საქონელზე (საქონელთა ჯგუფზე);

ე) საქონლის გაშვებიდან არა უგვიანეს 15 კალენდარული დღისა – წინასწარ (საქონლის შემოტანამდე) დეკლარირებულ საქონელზე.

რაც შეეხება ექსპორტის დროს დეკლარირების მომენტის განსაზღვრას, საქონელი დეკლარირებულად ითვლება საბაჟოზე:

საქონელი დეკლარირებულად ითვლება სამ შემთხვევაში:

ა) სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის მომენტიდან,

ბ) თუ დეკლარანტი ან მისი წარმომადგენელი თხოვნით მიმართავს საბაჟო ორგანოს(იგივეა რაც საგადასახადო ორგანო) სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის შევსების თაობაზე, გაფორმების საგადასახადო ორგანოს წარედგინება სასაქონლო ოპერაციისათვის აუცილებელი დოკუმენტები. ამ შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი ახორციელებს შესაბამისი გა-

ნაცხადის შევსებას, რომელიც დაერთვება წარმოდგენილ დოკუმენტებს და მოწმდება დეკლარანტის ხელმოწერით ან ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ელექტრონული ხელმოწერით. დოკუმენტზე ელექტრონული ხელმოწერა ითვლება მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალის მქონედ. ასეთ შემთხვევაში „განაცხადის" დამოწმების მომენტიდან.

გ) თუ დეკლარანტი ან მისი წარმომადგენელი საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანამდე ან ერთი მიმღების მისამართით გაგზავნილი, იმპორტის სასაქონლო ოპერაციისათვის განკუთვნილი საქონლის დანიშნულების ადგილზე წარდგენამდე თხოვნით მიმართავს გაფორმების დეპარტამენტს სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის შევსების თაობაზე, სასაქონლო ოპერაციისათვის აუცილებელი დოკუმენტების წარდგენა აგრეთვე შესაძლებელია ელექტრონულად. ასეთ შემთხვევაში დოკუმენტები ინახება დეკლარანტთან, რომელიც ვალდებულია მოთხოვნისამებრ წარუდგინოს ისინი საგადასახადო ორგანოს. ასეთ შემთხვევაში დოკუმენტების ელექტრონულად წარდგენის მომენტიდან, საქონელი ჩაითვლება გაცხადებულ სასაქონლო ოპერაციაში დეკლარირებულად.

12.3 აქციზის განაკვეთები

№	კოდი სეს ესნ-ის შესაბამისად	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	აქციზის განაკვეთი (ლარი)
1	ლუდი			
	2203 00	ალაოს ლუდი	1 ლ	0.4
2	ეთილის სპირტი და ალკოჰოლური სასმელები			
	2206 00	სხვა დადუღებული სასმელები (მაგალითად, სიდრი, პერი (მსხლის სიდრი), თაფლის სასმელი); ნარევები დადუღებული სასმელებისაგან და დადუღებული სასმელებისა და უალკოჰოლო სასმელების ნარევები, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი	1 ლ	2.5
	2207	ეთილის სპირტი არადენატურირებული, სპირტის კონცენტრაციით 80 მოც.% ან მეტი; ეთილის სპირტი და სხვა დენატურირებული სპირტები ნებისმიერი კონცენტრაციით	1 ლ	2.6
	2208 20	– სპირტის ნაყენები, მიღებული ყურძნის ღვინის ან ჭაჭის დისტილაციით (გამოხდით)	1 ლ	4.6
	2208 30	– ვისკი	1 ლ	5
	2208 40	– რომი და ტაფია	1 ლ	5
	2208 50	– ჯინი და ღვიის ნაყენი	1 ლ	5
	2208 60	– არაყი	1 ლ	3
	2208 70	– ლიქიორები	1 ლ	4.6
	2208 90 110 00	– – – არაკი (arrack) ჭურჭელში ტევადობით 2 ლ ან 2 ლ-ზე ნაკლები	1 ლ	2.5
	2208 90 190 00	– – – არაკი (arrack) ჭურჭელში ტევადობით 2 ლ-ზე მეტი	1 ლ	2.5
	2208 90 330 00	– – – ქლიავის, მსხლის ან ალუბლის სპირტიანი ნაყენები (ლიქიორების გარდა) ჭურჭელში ტევადობით 2 ლ ან 2 ლ-ზე ნაკლები	1 ლ	3
	2208 90 380 00	– – – ქლიავის, მსხლის ან ალუბლის სპირტიანი ნაყენები (ლიქიორების გარდა) ჭურჭელში ტევადობით 2 ლ-ზე მეტი	1 ლ	3
	2208 90 410 00	– – – – უზო	1 ლ	3.5
	2208 90 450 00	– – – – – – – კალვადოსი	1 ლ	4
	2208 90 480 00	– – – – – – – დანარჩენი	1 ლ	3
	2208 90 520 00	– – – – – – – კორნი	1 ლ	4
	2208 90 540 00	– – – – – – – ტეკილა	1 ლ	4
	2208 90 560 00	– – – – – – – დანარჩენი	1 ლ	3
	2208 90 690 01	– – – – – – სპირტის ფაქტობრივი კონცენტრაციით არა უმეტეს 7 მას.%-ისა	1 ლ	1
	2208 90 690 09	– – – – – – დანარჩენი	1 ლ	3
		– – – 2 ლ-ზე მეტი ტევადობის ჭურჭელში		
	2208 90 710 00	– – – – – ხილისაგან გამოხდილი	1 ლ	3.5
	2208 90 750 00	– – – – – ტეკილა	1 ლ	4

	2208 90 770 00	– – – – – დანარჩენი	1 ლ	3
	2208 90 780 00	– – – – დანარჩენი სპირტიანი სასმელები	1 ლ	3
		– – ეთილის სპირტი არადენატურირებული, სპირტის კონცენტრაციით 80 მოც.%-ზე ნაკლები, ჭურჭელში ტევადობით		
	2208 90 910 00	– – – 2 ლ ან 2 ლ-ზე ნაკლები	1 ლ	3
	2208 90 990 00	– – – 2 ლ-ზე მეტი	1 ლ	3
3	თამბაქოს ნაწარმი (თამბაქოს ნედლეულის გარდა)			
	2402 10 000 01	– – სიგარები, სიგარები ნაჭრილი ბოლოებით, თამბაქოს შემცველობით	1 ღერი	0.9
	2402 10 000 02	– – სიგარილები (წვრილი სიგარები), თამბაქოს შემცველობით	20 ღერი	1
	2402 20	ფილტრიანი სიგარეტები, თამბაქოს შემცველობით	20 ღერი	0.6
		უფილტრო სიგარეტები, თამბაქოს შემცველობით	20 ღერი	0.15
	2403 11 000 00*	– – ყალიონით მოსაწევი თამბაქო, ამ ჯგუფის სუბპოზიციისათვის 1-ლი შენიშვნის შესაბამისად	1 კგ	20
	2403 19 000 00*	– – დანარჩენი	1 კგ	20
	2403 99 100 00	– – – საღეჭი ან საყნოსი (ბურნუთი) თამბაქო	1 კგ	20
4	მსუბუქი ავტომობილები (დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების წელსა და მსუბუქი ავტომობილის გამოშვების წელს შორის სხვაობის მიხედვით, ხოლო იმპორტის შემთხვევაში – საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის წელსა და მსუბუქი ავტომობილის გამოშვების წელს შორის სხვაობის მიხედვით), ძრავის მოცულობის 1 სმ³			
	8703	ა) 1 წლამდე	1 სმ³	1.5
		ბ) 1 წლის	1 სმ³	1.5
		გ) 2 წლის	1 სმ³	1.4
		დ) 3 წლის	1 სმ³	1.3
		ე) 4 წლის	1 სმ³	1.2
		ვ) 5 წლის	1 სმ³	1
		ზ) 6 წლის	1 სმ³	0.7
		თ) 7 წლის	1 სმ³	0.5
		ი) 8 წლის	1 სმ³	0.5
		კ) 9 წლის	1 სმ³	0.5
		ლ) 10 წლის	1 სმ³	0.5
		მ) 11 წლის	1 სმ³	0.5
		ნ) 12 წლის	1 სმ³	0.5
		ო) 13 წლის	1 სმ³	0.6
		პ) 14 წლის	1 სმ³	0.7
		ჟ) 14 წელზე მეტის	1 სმ³	0.8
5	ნავთობპროდუქტების აირები და ბუნებრივი აირი (გარდა მილსადენით გადაადგილებულისა)			
	2709 00 100 00	– აირის კონდენსატი ბუნებრივი	1000 მ³	80

	2711 11 000 00	-- ბუნებრივი აირი (გათხევადებული)	1000 მ3	80
	2711 12	-- პროპანი	1 ტ	120
	2711 13	-- ბუტანები	1 ტ	120
	2711 14 000 00	-- ეთილენი, პროპილენი, ბუტილენი და ბუტადიენი	1 ტ	120
	2711 19 000 00	-- დანარჩენი	1 ტ	120
	2711 21 000 00	-- ბუნებრივი აირი (აირისებრ მდგომარეობაში)	1000 მ3	80
6	ნავთობპროდუქტები, ნავთობის დისტილატები და ნამუშევარი ნავთობპროდუქტები			
	2710 12	-- მსუბუქი დისტილატები და პროდუქტები	1 ტ	250
	2710 19 110 00	---- გადამუშავების სპეციფიკური პროცესებისათვის	1 ტ	220
	2710 19 150 00	---- ქიმიური გარდაქმნებისათვის პროცესებში, 2710 19 110 00 ქვესუბპოზიციაში მითითებულის გარდა	1 ტ	220
	2710 19 210 00	------ რეაქტიული სათბობი	1 ტ	220
	2710 19 250 00	------ დანარჩენი	1 ტ	220
	2710 19 290 00	----- დანარჩენი	1 ტ	220
	2710 19 310 00	----- გადამუშავების სპეციფიკური პროცესებისათვის	1 ტ	150
	2710 19 350 00	----- ქიმიური გარდაქმნებისათვის პროცესებში, 2710 19 310 00 ქვესუბპოზიციაში მითითებულის გარდა	1 ტ	150
	2710 19 410 00	------ გოგირდის შემცველობით არა უმეტეს 0,05 მას.%-ისა	1 ტ	150
	2710 19 450 00	------ გოგირდის შემცველობით 0,05 მას.%-ზე მეტი, მაგრამ არა უმეტეს 0,2 მას.%-ისა	1 ტ	150
	2710 19 490 00	------ გოგირდის შემცველობით 0,2 მას.%-ზე მეტი	1 ტ	150
	2710 19 710 00	----- გადამუშავების სპეციფიკური პროცესებისათვის	1 ტ	400
	2710 19 750 00	----- ქიმიური გარდაქმნებისათვის პროცესებში, 2710 19 710 ქვესუბპოზიციაში მითითებულის გარდა	1 ტ	400
	2710 19 810 00	------ ძრავას ზეთები, კომპრესორის საპოხი ზეთი, ტურბინის საპოხი ზეთი	1 ტ	400
	2710 19 830 00	------ სითხეები ჰიდრავლიკური მიზნებისათვის	1 ტ	400
	2710 19 850 00	------ ღია ფერის ზეთები, ვაზელინის ზეთი	1 ტ	400
	2710 19 870 00	------ ზეთი კბილანებისათვის და ზეთი რედუქტორებისათვის	1 ტ	400
	2710 19 910 00	------ ლითონების დასამუშავებელი შედგენილობები, ფორმების გასაპოხი ზეთები, ანტიკოროზიული ზეთები	1 ტ	400
	2710 19 930 00	------ ელექტრული საიზოლაციო ზეთები	1 ტ	400
	2710 19 990 00	------ დანარჩენი საპოხი ზეთები და ზეთები დანარჩენი	1 ტ	400
	2710 20 110 00	------ გოგირდის შემცველობით არა უმეტეს 0,05 მას.%-ისა	1 ტ	150
	2710 20 150 00	------ გოგირდის შემცველობით 0,05 მას.%-ზე მეტი, მაგრამ არა უმეტეს 0,2 მას.%-ისა	1 ტ	150
	2710 20 190 00	------ გოგირდის შემცველობით 0,2 მას.%-ზე მეტი	1 ტ	150
	2710 20 390 00	-- დანარჩენი	1 ტ	400

	2710 91 000 00	– – პოლიქლორბიფენილების, პოლიქლორტრიფენილების ან პოლიბრომბიფენილების შემცველობით	1 ტ	400
	2710 99 000 00	ნამუშევარი ნავთობპროდუქტები – ლიალური წყალი (ნავთობით დაბინძურებული წყალი), ტანკის (ნავთობპროდუქტების ბაკ-საცავების) ნარეცხი	1 ტ	50
		ნამუშევარი ნავთობპროდუქტები დანარჩენი	1 ტ	400
7	ბიოდიზელი			
	3826 00 000 00	ბიოდიზელი და მისი ნარევები, რომლებიც შეიცავს ან არ შეიცავს მასის 70 მას.%-ზე ნაკლები ოდენობით ბიტუმოვანი ქანებისაგან მიღებულ ნავთობს ან ნავთობპროდუქტებს	1 ტ	150
8	პიროლიზის თხევადი პროდუქტი			
	3911 90	პიროლიზის თხევადი პროდუქტი	1 ტ	400
9	ზეთები და ქვანახშირის ფისებისაგან მაღალ ტემპერატურაზე გამოხდილი სხვა პროდუქტები			
	2707 99 110 00	— — — — გაუწმენდავი მსუბუქი ზეთები, რომელთა 90 მოც.% ან 90 მოც.%-ზე მეტი გამოიხდება 200° C ტემპერატურამდე	1 ტ	350
	2707 99 190 00	– – – – დანარჩენი	1 ტ	350
	2707 99 300 00	– – – დაგოგირდებული მსუბუქი ზეთები	1 ტ	350
	2707 99 500 00	– – – ძირითადი პროდუქტები	1 ტ	350
	2707 99 700 00	– – – ანთრაცენი	1 ტ	350
	2707 99 990 00	– – – – დანარჩენი	1 ტ	350
10	მისართი, გამხსნელი, ანტიდეტონატორი			
	2707 10 100 00	– – სათბობად გამოსაყენებელი	1 ტ	400
	2707 10 900 00	– – სხვა მიზნებისათვის	1 ტ	400
	2707 20 100 00	– – სათბობად გამოსაყენებელი	1 ტ	400
	2707 20 900 00	– – სხვა მიზნებისათვის	1 ტ	400
	2707 30 100 00	– – სათბობად გამოსაყენებელი	1 ტ	400
	2707 30 900 00	– – სხვა მიზნებისათვის	1 ტ	400
	2707 50 100 00	– – სათბობად გამოსაყენებელი	1 ტ	400
	2707 50 900 00	– – სხვა მიზნებისათვის	1 ტ	400
	2707 99 800 00	– – – ფენოლები	1 ტ	400
	2712 20 100 00	– – სინთეზური პარაფინი მოლეკულური მასით 460 ან 460-ზე მეტი, მაგრამ არა უმეტეს 1560-ისა	1 ტ	400
	2712 20 900 00	– – დანარჩენი	1 ტ	400
	2902 11 100 00	– – – სათბობად გამოსაყენებელი	1 ტ	400
	2902 11 900 00	– – – სხვა მიზნებისათვის	1 ტ	400
	2902 19 100 00	– – – ციკლოტერპენები	1 ტ	400
	2902 19 800 00	– – – დანარჩენი	1 ტ	400
	2902 20 000 00	– ბენზოლი	1 ტ	400
	2902 30 100 00	– – სათბობად გამოსაყენებელი	1 ტ	400
	2902 30 900 00	– – სხვა მიზნებისათვის	1 ტ	400

	2905 11 000 00	– – მეთანოლი (მეთილის სპირტი)	1 ტ	400
	2905 12 000 00	– – პროპან-1-ოლი (პროპილის სპირტი) და პროპან-2-ოლი (იზოპროპილის სპირტი)	1 ტ	400
	2905 13 000 00	– – ბუტან-1-ოლი (ნ-ბუთილის სპირტი)	1 ტ	400
	2905 14 100 00	– – – 2-მეთილპროპან-2-ოლი (ტრეტბუტილის სპირტი)	1 ტ	400
	2905 14 900 00	– – – დანარჩენი	1 ტ	400
	2905 16 100 00	– – – 2-ეთილჰექსან-1-ოლი	1 ტ	400
	2905 16 200 00	– – – ოქტან-2-ოლი	1 ტ	400
	2905 16 800 00	– – – დანარჩენი	1 ტ	400
	3811 11 100 00	– – – ტეტრაეთილტყვიის ფუძეზე	1 ტ	400
	3811 11 900 00	– – – დანარჩენი	1 ტ	400
	3811 19 000 00	– – დანარჩენი	1 ტ	400
	3811 21 000 00	– – ბიტუმოვანი ქანებისაგან მიღებული, ნავთობის ან ნავთობპროდუქტების შემცველობით	1 ტ	400
	3811 29 000 00	– – დანარჩენი	1 ტ	400
	3811 90 000 00	– დანარჩენი	1 ტ	400
	3814 00 100 00	– ბუტილაცეტატის ფუძეზე	1 ტ	400
	3814 00 900 00	– დანარჩენი	1 ტ	400
11	საპოხი მასალები და საშუალებები			
	3403 11 000 00	– – ტექსტილის მასალების, ტყავის, ბეწვეულის ან დანარჩენი მასალების დამამუშავებელი საშუალებები	1 ტ	400
	3403 19 100 00	– – – ნავთობისაგან ან ბიტუმოვანი ქანებისაგან მიღებული ნავთობპროდუქტების არაძირითადი კომპონენტის სახით შემცველობით 70 მას.% ან 70 მას.%-ზე მეტი	1 ტ	400
	3403 19 910 00	– – – – მანქანების, მექანიზმებისა და სატრანსპორტო საშუალებების საპოხი საშუალებები	1 ტ	400
	3403 19 990 00	– – – – დანარჩენი	1 ტ	400
	3403 91 000 00	– – ტექსტილის მასალების, ტყავის, ბეწვეულის ან დანარჩენი მასალების დამამუშავებელი საშუალებები	1 ტ	400
	3403 99 100 00	– – – მანქანების, მექანიზმებისა და სატრანსპორტო საშუალებების საპოხი საშუალებები	1 ტ	400
	3403 99 900 00	– – – დანარჩენი	1 ტ	400

შენიშვნა: ამ ცხრილის მე-3 სტრიქონში აღნიშნული 2403 11 000 00 და 2403 19 000 00 კოდებით ათვალისწინებული საქონელი იბეგრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დაფასოებულია პირველ ად საფუთავებში ნეტო – მასით არა უმეტეს 500 გრამისა.

მობილური საკომუნიკაციო მომსახურების განაკვეთი შეადგენს დასაბეგრი ოპერაციის თანხის 0 პროცენტს. ამასთანავე, საქართველოს მთავრობას უფლება აქვს, ყოველი შემდგომი კალენდარუ ი წლისათვის საქართველოს პარლამენტს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტთან ერთად წარუდგინოს დასამტკიცებლად განსხვავებული აქციზის განაკვეთი ნული პროცენტიდან 10 პროცენტამდე ოდე ობის ფარგლებში, რომელსაც საქართველოს პარლამენტი ამტკიცებს შესაბამისი დადგენილებით.

მობილური საკომუნიკაციო მომსახურების გამწევი პირისთვის დასაბეგრი ბრუნვა არის საან არიშო პერიოდში გაწეული მობილური საკომუნიკაციო მომსახურების თანხების ჯამი.

12.4 აქციზის ჩათვლა

პირს, რომელიც ახორციელებს დასაბეგრ ოპერაციას ან აქციზური საქონლის ექსპორტს, უფლება აქვს, მიიღოს საგადასახადო ჩათვლა მიწოდებული (მათ შორის, გადაცემული, სანყობიდან სარეალიზაციოდ გატანილი ან ექსპორტირებული) აქციზური საქონლის საწარმოებლად გამოყენებულ სხვა აქციზურ საქონელზე (ნედლეულზე) გადახდილი ან გადასახდელი აქციზის ოდენობით ან დაიბრუნოს აქციზი ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად, მაგრამ არა უმეტეს მისგან წარმოებულ აქციზურ საქონელზე გამოანგარიშებული აქციზისა. აღნიშნული აქციზის ჩათვლის ან დაბრუნების წესი გამოიყენება აქციზური საქონლის საწარმოებლად მწარმოებლის მიერ იმპორტირებული სხვა აქციზური საქონლის (ნედლეულის) მიმართ.

ზემოაღნიშნულის მიხედვით აქციზის ჩათვლა ან დაბრუნება ხორციელდება მწარმოებლის მიერ ანგარიშ-ფაქტურის ან/და საბაჟო დეკლარაციის წარდგენის შემთხვევაში, რომელიც ადასტურებს მის მიერ აქციზის გადახდას აქციზური საქონლის (ნედლეულის) მწარმოებლისათვის ან/და აქციზური საქონლის (ნედლეულის) იმპორტისას. აქციზური საქონლის რეალიზაციისას აქციზის გადამხდელი ვალდებულია საქონლის მიმღებს, მოთხოვნის შემთხვევაში, გამოუწეროს და გადასცეს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

თვალსაჩინოებისათვის, რომელიც ეხება აღნიშნულ საკითხებს, შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითები: მაგ. 1. პირმა სპირტის მწარმოებლისაგან შეძინა 100 ლიტრი სპირტი და მისგან აწარმოა 200 ლიტრი არაყი და წარმოებული არაყი მთლიანად მიაწოდა. 1 ლიტრი სპირტის აქციზის განაკვეთია 2.6 ლარი, ხოლო არყის – 3 ლარი. რას შეადგენს ჩასათვლელი აქციზის თანხა? ჩასათვლელი თანხა შეადგენს 100x2.6=260 ლარს; მაგ. 2. პირმა სპირტის მწარმოებლისაგან შეძინა 100 ლიტრი სპირტი და მისგან აწარმოა 200 ლიტრი არაყი და წარმოებული არყიდან 100 ლიტრი მიაწოდა. 1 ლიტრი სპირტის აქციზის განაკვეთია 2.6 ლარი, ხოლო არყის – 3 ლარი. რას შეადგენს ჩასათვლელი აქციზის თანხა? ჩასათვლელი თანხა შეადგენს 50x2.6=130 ლარს; მაგ. 3. პირმა შეძინა 100 ლიტრი სპირტი და მისგან აწარმოა 200 ლიტრი არაყი და წარმოებული არაყი მთლიანად მიაწოდა. 1 ლიტრი სპირტის აქციზის განაკვეთია 2.6 ლარი, ხოლო არყის – 3 ლარი. რას შეადგენს ჩასათვლელი აქციზის თანხა? ჩასათვლელი თანხა შეადგენს 0 ლარს; მაგ. 4. პირმა იმპორტიორისაგან შეძინა 100 ლიტრი სპირტი და მისგან აწარმოა 200 ლიტრი არაყი და წარმოებული არაყი მთლიანად მიაწოდა. 1 ლიტრი სპირტის აქციზის განაკვეთია 2.6 ლარი, ხოლო არყის – 3 ლარი. რას შეადგენს ჩასათვლელი აქციზის თანხა? ჩასათვლელი თანხა შეადგენს 0 ლარს; მაგ. 5. პირმა იმპორტის სასაქონლო ოპერაციით შემოიტანა 100 ლიტრი სპირტი და მისგან აწარმოა 200 ლიტრი არაყი და წარმოებული არაყი მთლიანად მიაწოდა. 1 ლიტრი სპირტის აქციზის განაკვეთია 2.6 ლარი, ხოლო არყის – 3 ლარი. რას შეადგენს ჩასათვლელი აქციზის თანხა? ჩასათვლელი თანხა შეადგენს 100x2.6=260 ლარს.

თუ აქციზური საქონლიდან (ნედლეულიდან) ერთდროულად იწარმოება სხვა აქციზური და არააქციზური საქონელი, ჩათვლა ხორციელდება წარმოებული აქციზური საქონლის რაოდენობის პროპორციულად, მაგრამ არა უმეტეს ასეთ აქციზურ საქონელზე გამოანგარიშებული აქციზისა. მაგ.1. პირმა სპირტის მწარმოებლისაგან შეძინა 100 ლიტრი სპირტი და მისგან აწარმოა 100 ლიტრი არაყი და 500 ფლაკონი სუნამო. არყის წარმოებაზე გახარჯა 50 ლიტრი სპირტი, ხოლო სუნამოს წარმოებაზე დანარჩენი 50 ლიტრი. წარმოებული საქონელი(აქციზური და არააქციზური) მთლიანად მიაწოდა. 1 ლიტრი სპირტის აქციზის განაკვეთია 2.6 ლარი, ხოლო არყის – 3 ლარი. რას შეადგენს ჩასათვლელი აქციზის თანხა? ჩასათვლელი თანხა შეადგენს 50x2.6=130 ლარს; მაგ. 2. პირმა კონიაკის მწარმოებლისგან შეძინა 100 ლიტრი კონიაკის სპირტი და მისგან აწარმოა 80 ლიტრი არაყი და 50 ლიტრი კოქტეილი. არყის წარმოებაზე გახარჯა 60 ლიტრი კონიაკის სპირტი, ხოლო კოქტეილის წარმოებაზე დანარჩენი 40 ლიტრი. წარმოებული საქონელი(აქციზური და არააქციზური) მთლიანად მიაწოდა. 1 ლიტრი კონიაკის სპირტის აქციზის განაკვეთია 4.6 ლარი, ხოლო არყის – 3 ლარი. რას შეადგენს ჩასათვლელი აქციზის თანხა? ჩასათვლელი თანხა შეადგენს 80x3=240 ლარს.

დასავარგებელი აქციზური საქონლის იმპორტის ან შეძენის შემთხვევაში პირს უფლება აქვს, მიიღოს საგადასახადო ჩათვლა ამ აქციზურ საქონელზე (ნედლეულზე) გადახდილი ან გადასახდელი აქციზის ოდენობით ან დაიბრუნოს აქციზი ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად. მაგ.1. პირმა იმპორტის სასაქონლო ოპერაციით შემოიტანა 100 ლიტრი დასავარგებელი საკონიაკე სპირტი მისგან სპირტიანი სასმელის წარმოების მიზნით და მისგან აწარმოა 100 ლიტრი კონიაკი და წარმოებული კონიაკი მთლიანად მიაწოდა. 1 ლიტრი სპირტის აქციზის განაკვეთია 4.6 ლარი, ხოლო კონიაკის, ასევე 4.6 ლარი. რას შეადგენს ჩასათვლელი აქციზის თანხა? ჩასათვლელი თანხა შეადგენს 100x4.6=460 ლარს.

მობილური საკომუნიკაციო მომსახურების გამწევი პირისთვის აქციზის ჩათვლა არის დარიცხული აქციზის თანხის შემცირების უფლება, რომელიც ხორციელდება დარიცხული აქციზის თანხიდან მომსახურებაზე გადახდილი აქციზის თანხის გამოქვითვის გზით. აქციზის ჩასათვლელი თანხა არის აქციზის თანხა, რომელიც საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების მიხედვით გადახდილია ან გადასახდელია მხოლოდ მობილური საკომუნიკაციო მომსახურების მიღებისას, როდესაც მომსახურების მიმღები არ არის ბოლო მომხმარებელი. მაგ.1. მაგთის მობილურმა აბონენტმა დარეკა ჯეოსელის მობილურ აბონენტთან. ზარის ღირებულება არის 20 თეთრი. აქედან ზარის წამოწყება 12 თეთრი, ხოლო ზარის დასრულება – 8 თეთრი. მაგთის ოპერატორს მომსახურება გაუწია ჯეოსელის ოპერატორმა. ამასთან მაგთი არ არის ამ მომსახურების ბოლო მომხმარებელი (ბოლო მომხმარებელი არის მაგთის აბონენტი). შესაბამისად ზარის დასრულების ღირებულება ანუ 8 თეთრი არის ჯეოსელის მიერ მაგთისადმი განეული მომსახურების ღირებულება. შესაბამისად ჯეოსელი დაბეგრავს ამ თანხას აქციზით, რომელიც შეადგენს 0.62 თეთრს და გამოუწერს მაგთის ანგარიშ-ფაქტურას, რომლითაც მაგთი ჩაითვლის აქციზის თანხას.

საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 კოდში აღნიშნული მსუბუქი ავტომობილის იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში გაფორმებიდან, თუ ავტომობილი 15 კალენდარული დღის განმავლობაში გაფორმდება ექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში და დატოვებს საქართველოს ტერიტორიას, იმპორტიორი უფლებამოსილია დადგენილი წესის შესაბამისად დაიბრუნოს ავტომობილზე გადახდილი აქციზი, მაგრამ არა უმეტეს გადახდილი აქციზის 50%-ის ოდენობისა. მაგ. 1. პირმა შემოიყვანა უცხოური მსუბუქი ავტომობილი და შემოყვანიდან 45-ე დღეს მოაქცია იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში. პირმა გადაიხადა აქციზი 7500 ლარის ოდენობით. იმპორტში მოქცევიდან მე-15 დღეს პირმა ეს მანქანა მიყიდა აზერბაიჯანის მოქალაქეს და იმავე დღეს მოექცა ექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში და გავიდა საქართველოდან. ამ შემთხვევაში ექსპორტიორი დაიბრუნებს აქციზის თანხის 50%-ს, ე. ი 3750 ლარს.

საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში ან სხვა ფულადი ვალდებულების (გარდა სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული წესით დაკისრებული სანქციებისა) გადახდევინების მიზნით აქციზური საქონლის აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის ან სხვა წესით რეალიზაცია, აგრეთვე სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში მოთხოვნის უზრუნველყოფის საგნის (აქციზური საქონლის) კრედიტორისათვის საკუთრებაში გადაცემის დროს აქციზის ჩათვლის მიღების საფუძველია ამავე მუხლით გათვალისწინებულ ოპერაციებზე დარიცხული და აქციზის დეკლარაციაში ასახული აქციზის თანხა.

12.5 აქციზით დაბეგვრა ცალკეულ შემთხვევებში

საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში ან სხვა ფულადი ვალდებულების (გარდა სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული წესით დაკისრებული სანქციებისა) გადახდევინების მიზნით აქციზური საქონლის აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის ან სხვა წესით რეალიზაცია, აგრეთვე სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში მოთხოვნის უზრუნველყოფის საგნის (აქციზური საქონლის) კრედიტორისათვის საკუთრებაში გადაცემა იბეგრება აქციზით. ამასთან, აქციზით დაბეგვრა ასეთ შემთხვევებში არ ვრცელდება:

ა) რეალიზებულ/გადაცემულ აქციზურ საქონელზე, თუ იგი არ არის წარმოებული ამ საქონლის მესაკუთრის მიერ;

ბ) აქციზური მარკებით ნიშანდებულ საქონელზე, თუ აქციზი გადახდილია აქციზური მარკების შეძენისას;

გ) ფიზიკური პირის მიერ საკუთრებაში მიღებულ აქციზურ საქონელზე, თუ ამ პირის მიერ არ ხდება ამ საქონლის შემდგომი მიწოდება ან/და სხვა საქონლის წარმოებაში გამოყენება.

ზემოაღნიშნულ, აქციზით დაბეგვრის შემთხვევაში აქციზის გადამხდელი აქციზის დეკლარაციას წარადგენს მის მიერ აქციზური საქონლის:

ა) მიწოდების შემთხვევაში – არა უგვიანეს მიწოდების თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა;

ბ) არააქციზური საქონლის წარმოებაში გამოყენების შემთხვევაში – არა უგვიანეს არააქციზური საქონლის წარმოებაში გამოყენების თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა;

გ) სხვა აქციზური საქონლის წარმოებაში გამოყენების შემთხვევაში – არა უგვიანეს წარმოებული სხვა აქციზური საქონლის მიწოდების თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

12.6 აქციზის დეკლარაციის წარდგენა და აქციზური მარკები

აქციზის დეკლარაციის წარდგენა ხდება საანგარიშო თვის მომდევნო თვის არაუგვიანეს 15 რიცხვისა. დეკლარაციის წარადგენენ:

ა) აქციზური საქონლის მწარმოებელი;

ბ) პირი, რომელიც ახორციელებს ბუნებრივი აიროვანი კონდენსატის ან/და ბუნებრივი აირის ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის მიწოდებას;

გ) პირი, რომელიც ახორციელებს მობილურ საკომუნიკაციო მომსახურებას;

დ) პირი, რომელსაც დადგენილი წესით გამოუვლინდა აქციზური მარკების დანაკლისი;

ე) იმპორტიორი, რომელმაც აქციზური მარკების მიღებიდან 6 თვეში არ განახორციელა შესაბამისი საქონლის იმპორტი და არ დააბრუნა აქციზური მარკები;

ვ) მისართების, გამხსნელებისა და ანტიდეტონატორების იმპორტიორი, რომელმაც არ გამოიყენა ეს საქონელი წარმოებაში და, რომელსაც სურს იმპორტის დროს გადახდილი აქციზის ჩათვლა.

აქციზური მარკა არის საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული მატერიალური ან არამატერიალური ფორმის სავალდებულო ნიშანდების აღმნიშვნელი „დამღა“. მისი ფუნქცია დღეის მდგომარეობით არის ზოგიერთი აქციზური საქონლის მიმოქცევის აღრიცხვა სახელმწიფოს მიერ. წინა პერიოდებში, მას ფისკალური ფუნქციაც ჰქონდა, რადგანაც აქციზური მარკების მიღების დროს გადასახადის გადამხდელი იხდიდა აქციზსაც მის ნომინალურ ღირებულებასთან ერთად(ახლა იხდის მხოლოდ ნომინალურ ღირებულებას).

აქციზური მარკით სავალდებულო ნიშანდებას ექვემდებარება მხოლოდ ორი ჯგუფის აქციზური საქონელი:

ა) ალკოჰოლიანი სასმელები (მათ შორის, ლუდი), რომლებშიც ალკოჰოლის შემცველობა აღემატება 1,15 გრადუსს;

ბ) თამბაქოს ნაწარმი.

აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდებისაგან, თავისუფლდება:

ა) ექსპორტისთვის განკუთვნილი ადგილობრივი წარმოების საქონელი;

ბ) თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში მისაწოდებელი საქონელი;

გ) უცხოეთის დიპლომატიურ და მათთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ – ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი იმპორტში მოქცეული საქონელი;

დ) საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-თბილისი-ერზრუმის მილსადენების მშენებლობაში) შესრულების უზრუნველსაყოფად დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი იმპორტში მოქცეული საქონელი;

ე) დაბრუნებული, აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდებას დაქვემდებარებული საქონელი;

ვ) 50 გრამის ან მასზე ნაკლები ტევადობის ჭურჭელში ჩასხმული ალკოჰოლიანი სასმელი;

ზ) იმპორტირებული (მათ შორის, საფოსტო გზავნილის შემთხვევაში) 4 ლიტრამდე ალკოჰოლიანი სასმელი;

თ) მოსაწევი (ჩიბუხის) თამბაქო;

ი) იმპორტირებული (მათ შორის, საფოსტო გზავნილის შემთხვევაში) 400 ღერი სიგარეტი ან 50 სიგარა ან 50 სიგარილა ან 250 გრამი თამბაქოს სხვა ნაწარმი ან ამ ზღვრული ოდენობის ფარგლებში იმპორტირებული თამბაქოს ამ ქვეპუნქტში დასახელებული ნაწარმის კომბინაცია საერთო წონით არა უმეტეს 250 გრამისა.

იკრძალება აქციზური მარკით ნიშანდების გარეშე, მარკირებას დაქვემდებარებული საქონლით დასაბეგრი ოპერაციის ან/და იმპორტის განხორციელება, აგრეთვე ჩამოსასხმელი ან/და 10 ლიტრზე მეტი მოცულობის ჭურჭელში ჩამოსხმული აქციზური ალკოჰოლიანი სასმელის (გარდა ლუდისა) საცალო ქსელში მიწოდება. საგადასახადო ორგანოები დადგენილი წესით ახორციელებენ აქციზური მარკის გარეშე, წესების დარღვევით შემოტანილი ან გასაყიდად მიღებული აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდებას დაქვემდებარებული საქონლის ჩამორთმევას. ჩამორთმევის მომენტიდან საქონელი სახელმწიფო საკუთრებად ითვლება და მისი რეალიზაცია ან განადგურება ხორციელდება დადგენილი წესით.

საქართველოს ტერიტორიაზე აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდებას დაქვემდებარე-

ბული საქონლის მწარმოებლები და იმპორტიორები (დეკლარანტები) იხდიან აქციზური მარკის ნომინალურ ღირებულებას.

აქციზური მარკების დანაკლისი ნებისმიერი ფორმით (დაკარგვა, განადგურება და სხვა შემთხვევები, ფორსმაჟორული შემთხვევების გარდა) ითვლება იმპორტიორის მიერ აქციზური მარკის შესაბამისი სახეობის საქონლის იმპორტად და მიწოდებად, ხოლო ადგილობრივი მწარმოებლის მხრიდან – მის მიერ აქციზური მარკის შესაბამისი სახეობის საქონლის მიწოდებად და იბეგრება პირის მიერ 1 ცალი/ლიტრი წარმოებული/იმპორტირებული აქციზური მარკის შესაბამისი სახეობის საქონლისათვის დადგენილი აქციზის უმაღლესი განაკვეთით. მაგ. პირს აღმოაჩნდა იმპორტული ფილტრიანი თამბაქოსათვის (ფილტრიანი სიგარეტი, სიგარა, სიგარილა) განკუთვნილი აქციზური მარკების დანაკლისი. პირი ვალდებულია ერთ ღერი სიგარის მიხედვით გადაიხადოს აქციზი, ვინაიდან განაკვეთები შემდეგია: 1 ღერი სიგარა – 0,9 ლარი; 20 ღერი სიგარილა – 1 ლარი; 20 ღერი ფილტრიანი სიგარეტი – 0,6 ლარი.

იმპორტიორების მიერ აქციზური მარკების მიღებიდან 6 თვეში საქონლის იმპორტის განუხორციელებლობის შემთხვევაში აქციზური მარკები ექვემდებარება დაბრუნებას. 6 – თვიანი პერიოდის გასვლიდან მეორე დღესვე აქციზური მარკების დაუბრუნებლობა ითვლება აქციზური მარკების სავალდებულო ნიშანდებას დაქვემდებარებული საქონლის ქვეყნის შიგნით მიწოდებად და შესაბამისად დაიბეგრება აქციზით, ხოლო შემდგომ პერიოდში, დაუბრუნებელი აქციზური მარკებით ნიშანდებული საქონლის იმპორტისას, მოხდება გადასახდელად დარიცხული აქციზის გადაანგარიშება ფაქტობრივად განხორციელებული იმპორტის ოდენობის პროპორციულად. მაგ. 1. იმპორტიორმა მიიღო აქციზური მარკები არაყზე, რომლის მიხედვით გადასახდელი აქციზი შეადგენს 5000 ლარს. მარკების მიღებიდან მე-8 თვეს იმპორტიორმა სრულად განახორციელა შესაბამისი არყის იმპორტი. აქციზური მარკების 6 თვეში დაუბრუნებლობიდან მეორე დღესვე შესაბამისი საქონელი ითვლება მიწოდებულად და 5000 ლარი აქციზი დადგენილი წესით გადასახდელად. მე-8 თვეს იმპორტის განხორციელების დროს იმპორტიორი არ გადაიხდის აქციზს. მაგ.2. იმპორტიორმა მიიღო აქციზური მარკები არაყზე, რომლის მიხედვით გადასახდელი აქციზი შეადგენს 5000 ლარს. მარკების მიღებიდან მე-8 თვეს იმპორტიორმა განახორციელა 3000 ლარის აქციზის შესაბამისი არყის იმპორტი. აქციზური მარკების 6 თვეში დაუბრუნებლობიდან მეორე დღესვე შესაბამისი საქონელი ითვლება მიწოდებულად და 5000 ლარი აქციზი დადგენილი წესით გადასახდელად. მე-8 თვეს იმპორტის განხორციელების დროს იმპორტიორი არ გადაიხდის აქციზს. მაგ.3. იმპორტიორმა მიიღო აქციზური მარკები არაყზე, რომლის მიხედვით გადასახდელი აქციზი შეადგენს 5000 ლარს. მარკების მიღებიდან მე-8 თვეს იმპორტიორმა განახორციელა 6000 ლარის აქციზის შესაბამისი არყის იმპორტი. აქციზური მარკების 6 თვეში დაუბრუნებლობიდან მეორე დღესვე შესაბამისი საქონელი ითვლება მიწოდებულად და 5000 ლარი აქციზი დადგენილი წესით გადასახდელად. მე-8 თვეს იმპორტის განხორციელების დროს იმპორტიორი გადაიხდის 1000 ლარის აქციზს.

დაუშვებელია აქციზური მარკების სხვა პირისათვის გადაცემა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდებას დაქვემდებარებული საქონლის იმპორტიორი აქციზურ მარკებს საქონელზე დასატანად გადასცემს აქციზური საქონლის უცხოურ მწარმოებელს.

12.7 აქციზისაგან გათავისუფლება

აქციზისაგან გათავისუფლება არსებობს ჩათვლის უფლებით და ჩათვლის უფლების გარეშე. ოპერაციის გათავისუფლება ჩათვლის უფლებით ნიშნავს, რომ ოპერაცია არ ექვემდებარება აქციზის დარიცხვას (არ იბეგრება) და გამოიყენება ჩათვლის უფლება. ოპერაციის გათავისუფლება ჩათვლის უფლების გარეშე ნიშნავს, რომ ოპერაცია არ ექვემდებარება აქციზის დარიცხვას (არ იბეგრება) და არ გამოიყენება ჩათვლის უფლება.

ჩათვლის უფლების გარეშე აქციზისაგან გათავისუფლებულია:

ა) ფიზიკური პირის მიერ საკუთარი მოხმარებისათვის წარმოებული ალკოჰოლიანი სასმელები;

ბ) ფიზიკური პირის მიერ საჰაერო ტრანსპორტით შემოტანის შემთხვევაში ერთი კალენდარული დღის, ხოლო სხვა შემთხვევაში – 30 კალენდარული დღის განმავლობაში 400 ღერი სიგარეტის ან 50 სიგარის ან 50 სიგარილას ან 250 გრამი თამბაქოს სხვა ნაწარმის ან ამ ზღვრული ოდენობის ფარგლებში თამბაქოს ამ ქვეპუნქტში დასახელებული ნაწარმის საერთო წონით 250 გრამის იმპორტი; ასევე 4 ლიტრი ალკოჰოლიანი სასმელის იმპორტი;

გ) საფოსტო გზავნილის შემთხვევაში 400 ღერი სიგარეტის ან 50 სიგარის ან 50 სიგარილას ან 250 გრამი თამბაქოს სხვა ნაწარმის ან ამ ზღვრული ოდენობის ფარგლებში თამბაქოს ამ ქვეპუნქტში

დასახელებული ნანარმის საერთო წონით 250 გრამის იმპორტი; ასევე 4 ლიტრი ალკოჰოლიანი სასმელის იმპორტი. თუ საფოსტო გზავნილით შემოტანილი ალკოჰოლიანი სასმელის ან/და თამბაქოს ნანარმის ოდენობა აღემატება აღნიშნულ ზღვრულ ოდენობას, აქციზისაგან გათავისუფლება გამოიყენება საქონლის ზემოთ მითითებული ზღვრული ოდენობის ფარგლებში.

დ) საქართველოში ავტოსატრანსპორტო საშუალებით შემომსვლელი პირის ავტოსატრანსპორტო საშუალების იმ სტანდარტულ ავზში არსებული სანვავი, რომელიც ძრავის კვების სისტემასთან კონსტრუქციულად და ტექნოლოგიურად არის დაკავშირებული;

ე) პირადი მოხმარების საგნებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების იმპორტი, რომლებიც განკუთვნილია ნავთობისა და გაზის ძებნა – ძიებისა და მოპოვების სამუშაოებში დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის; იმ საქონლის იმპორტი, რომელიც განკუთვნილია უცხოეთის დიპლომატიურ და მათთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ – ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის, იმ სახით, რა სახითაც ასეთი გათავისუფლება გათვალისწინებულია შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებებით, რომელთა მონაწილეც არის საქართველო;

ვ) საერთაშორისო საავიაციო და საერთაშორისო საზღვაო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მისაწოდებლად განკუთვნილი საქონლის იმპორტი ან/და მიწოდება;

ზ) „ნავთობისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების განსახორციელებლად ნავთობპროდუქტების იმპორტი ან/და მიწოდება;

თ) მისართების, გამხსნელების და ანტიდეტონატორების იმპორტი, თუ იგი არ გამოიყენება აქციზური საქონლის წარმოებისათვის. აღნიშნული საქონლის იმპორტისას გადაიხდევინება აქციზი, ხოლო აქციზის დეკლარაციის წარდგენის შემთხვევაში გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია დაიბრუნოს ან/და მომავალი გადასახადების ვალდებულებათა ანგარიშში ჩაითვალოს აქციზის გადახდილი თანხა;

ი) საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობიდან ან საკონსულო დაწესებულებიდან როტაციის წესით სამუშაო მივლინებიდან გამოწვეული დიპლომატიური თანამდებობის პირის მიერ პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი ოჯახზე თითო სატრანსპორტო საშუალების იმპორტი; საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად შემოსვლისას (რაც დასტურდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით გაცემული შესაბამისი დოკუმენტით) ოჯახზე ერთი სატრანსპორტო საშუალების იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის;

კ) დაბრუნებული აქციზური საქონლის იმპორტი;

ლ) საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა და საკონსულო დაწესებულებათა ქონების იმპორტი;

მ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული ელექტრომძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები.

ჩათვლის უფლებით აქციზისაგან გათავისუფლებულია:

ა) აქციზური საქონლის ექსპორტი მხოლოდ იმ საანგარიშო პერიოდისათვის, რომლისთვისაც გადასახადის გადამხდელი საგადასახადო ორგანოს წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

ა.ა) საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში აღნიშნული აქციზის თანხის მომწოდებლისათვის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს (იმ შემთხვევაში, თუ ექსპორტირებული აქციზური საქონლის წარმოებისათვის გამოყენებულ იქნა სხვა პირის მიერ წარმოებული სხვა აქციზური საქონელი (ნედლეული));

ა.ბ) საბაჟო დეკლარაციას საქონლის ექსპორტში გაშვების შესახებ;

ბ) საქართველოს საქონლის მიწოდება თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში რეალიზაციისათვის.

გ) სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდევინების, მათ შორის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში პირის ქონების (აქციზური საქონლის) სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში გადაცემა, აგრეთვე სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული წესით დაკისრებული სანქციების გადახდევინების მიზნით პირის ქონების (აქციზური საქონლის) რეალიზაცია/გადაცემა;

დ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2208 20 სასაქონლო სუბპოზიციით გათვალისწინებული ყურძნის ღვინის დისტილაციით მიღებული სპირტის მიწოდება მწარმოებლის მიერ ამავე სასაქონლო სუბპოზიციით გათვალისწინებული საქონლის მწარ-

მოებლისათვის, საქონლის სანარმოებლად.

ე) ჩათვლის უფლებით აქციზისაგან გათავისუფლებულია საქონლის იმპორტი ან/და საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა, თუ აღნიშნული ხორციელდება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული და ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულებების ფარგლებში და ამ ხელშეკრულებების შესაბამისად ასეთი საქონლის იმპორტი ან/და საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა გათავისუფლებულია აქციზისაგან.

თავი 13. იმპორტის გადასახადი(საბაჟო გადასახადი)

13.1 იმპორტის გადასახადის ცნება, ფუნქცია, და განაკვეთები

ვიდრე საქართველოში არსებულ იმპორტის გადასახადის სისტემას განვიხილავთ უპრიანია ზოგადად მიმოვიხილოთ ამ გადასახადის არსი და შემოლების მეთოდოლოგიური პრინციპები.

საბაჟო ტარიფი (Customs tariff) არის მრავალპარამეტრიანი საბაჟო გადასახადი (Customs duty) ანუ იმპორტის გადასახადი(აწ და შემდგომ საბაჟო გადასახადში იგულისხმება იმპორტის გადასახადი). კერძოდ, საბაჟო ტარიფი, როგორც წესი, შეიცავს შემდეგ ფუნქციონალურ პარამეტრებს:

ა) საბაჟო გადასახადის განაკვეთი;

ბ) სასაქონლო ნომენკლატურა;

გ) საბაჟო პრეფერენციები.

ამასთან განასხვავებენ ინტეგრირებული ტარიფის ცნებას. ეს ისეთ მაჩვენებელთა სისტემაა, რომელიც საბაჟო გადასახადის (იმპორტის გადასახადის) განაკვეთს, სასაქონლო ნომენკლატურასა და პრეფერენციებთან ერთად მოიცავს სხვა გადასახდელების განაკვეთსაც, სხვადასხვა საჭირო დოკუმენტებს (სერტიფიკატი, კვოტა, ლიცენზიები, ნებართვები და ა.შ), აკრძალული საქონლის ნუსხას და ყველა იმ დოკუმენტალურ და შეზღუდვით რეგულაციას, რომელიც უკავშირდება სხვადასხვა საბაჟო რეჟიმების მიხედვით მოცემულ საქონელს.

საბაჟო გადასახადი არის საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილების დროს სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელი თანხა.

საბაჟო გადასახადი, გადახდის შინაარსით და დაბეგვრის სუბიექტიდან გამომდინარე ისეთივე არაპირდაპირი გადასახადია, როგორც სხვა ირიბი გადასახადები, მაგალითად, აქციზი ან დღგ. იგი შედის მიწოდებული იმპორტირებული საქონლის სარეალიზაციო საბითუმო ან საცალო საქონლის ფასში, აძვირებს მას გადასახადის თანხის ოდენობით და მისი საბოლოო გადამხდელი არის ამ საქონლის მომხმარებელი. თავის მხრივ საბაჟო გადასახადის თანხა თავის მხრივ განიხილება დამატებულ ღირებულებად და იგი არის დამატებული ღირებულების გადასახადით(დღგ) დაბეგვრის არეალის სფერო, რაც კიდევ უფრო აძვირებს საქონლის ფასს.

საინტერესოა თვითონ სიტყვა „ტარიფის" ეტიმოლოგიური წარმოშობა. იგი ორ სხვადასხვა მოვლენას უკავშირდება. ჩ.წ.ა. მე-2 საუკუნის რომის იმპერიაში ქვაზე(ანუ ტარიფზე) ამოკვეთილი იყო ქალაქ-ოაზისის – პალმირის მთელი საგადასახადო სისტემა. არსებობს სხვაგვარი ახსნაც: მე-7 საუკუნეში სამხრეთ ესპანეთის კუნძული დაიპყრეს არაბებმა, რომლებიც გადასახადს იღებდნენ გიბრალტარის სრუტეში გამავალი გემებიდან. არაბების მეთაურს ერქვა ტარიფ ბენ გალიკი და კუნძულსაც მისი სახელი დაერქვა, რომლისგანაც მომდინარეობს ტერმინი „ტარიფიც".

საბაჟო გადასახადი, როგორც განაწილებითი ურთიერთობის მექანიზმი განიხილება დიფერენციალური რენტის ნაირსახეობად. კერძოდ, დიფერენციული რენტა (მიწის ნაყოფიერებისა და ადგილმდებარეობის მიხედვით) ეფუძნება წარმოების ხარჯებს შორის სხვაობას(მაგ. მაღალი ნაყოფიერების და ბაზრებთან ახლომდებარე მიწებს სჭირდებათ დაბალი წარმოების ხარჯები). ანალოგიურად, საბაჟო გადასახადს, თუ ჩავთვლით ინტერნაციონალურ რენტად, მაშინ მისი დაწესების მეთოდოლოგიური საფუძველი იქნება ექსპორტიორ და იმპორტიორ ქვეყნებს შორის ანალოგიურ საქონელთა ფასთა შორის სხვაობა, რაც თავის მხრივ წარმოების ხარჯებს შორის სხვაობას ეფუძნება და, რაც არის სწორედ რენტა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კლასიკური გაგებით, საბაჟო გადასახადის განაკვეთი თეორიულად და პრაქტიკულად ეფუძნება ფასების სისტემას. ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნების ანალოგიური საქონლის ფასთა შორის სხვაობა წარმოადგენს ამ ქვეყნებს შორის საბაჟო გადასახადის დაწესების მეთოდოლოგიურ საფუძველს. კერძოდ, არსებობს საბაჟო გადასახადის შემოლების მი-

ზანშეწონილობის სამი კლასიკური ფაქტორი, როცა:

ა) გადასახადი უდრის ფასთა სხვაობას;

ბ) გადასახადი აღემატება ფასთა სხაობას;

გ) გადასახადი დაბალია ფასთა სხვაობაზე.

განვიხილოთ თითოეული შემთხვევა:

გადასახადი უდრის ფასთა სხვაობას. ამ შემთხვევაში უნდა განვიხილოთ შემდეგი მომენტები:

ა) როცა ფასთა სხვაობა ნულის ტოლია;

ბ) როცა ადგილობრივი საქონლის ფასი მეტია იმპორტირებულზე;

გ) როცა ადგილობრივი საქონლის ფასი ნაკლებია იმპორტირებულზე.

ფასთა სხვაობა ნულის ტოლია და საბაჟო გადასახადი უდრის ფასთა სხვაობას ანუ ნულს. ამ შემთხვევაში საქონლის იმპორტი გათავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან. ეს იმას ნიშნავს, რომ იმპორტირებული და ადგილობრივი წარმოების ანალოგიური საქონელი ერთნაირი დაბეგვრის რეჟიმშია მოქცეული და ამდენად საბაჟო გადასახადის განაკვეთი შემზღუდველ გავლენას ვერ ახდენს მოცემული საქონლის იმპორტზე.

ადგილობრივი საქონლის ფასი მეტია იმპორტირებული საქონლის ფასზე და საბაჟო გადასახადი უდრის მათ შორის სხვაობას. ამ შემთხვევაში საბაჟო გადასახადს მაკომპენსირებელი ფუნქცია აქვს ანუ ადგილობრივი წარმოების საქონლის მაღალი ფასი გადაიფარება საბაჟო გადასახადის იმ განაკვეთით, რომელიც შეესაბამება ფასთა სხვაობას და ხდება იმპორტირებული საქონლის ფასის კომპენსირება და ჩანაცვლება – აწევა ადგილობრივი წარმოების საქონლის ფასის დონემდე. ამ შემთხვევაში სახელმწიფო ხელოვნურად ზრდის იმპორტირებული საქონლის ფასს, რათა თანაბარ პირობებში ჩააყენოს კონკურენცია.

ადგილობრივი წარმოების საქონლის ფასი ნაკლებია იმპორტირებულ, ანალოგიური საქონლის ფასზე და საბაჟო გადასახადი უდრის მათ შორის სხვაობას. ამ შემთხვევაში ადგილობრივი ნარმოების საქონელი სახელმწიფოს ორმაგი პროტექციის საგანი ხდება, რადგანაც დაბეგვრის შემდგომ ფასთა შორის სხვაობა ორჯერ იზრდება.

საბაჟო გადასახადი აღემატება ფასთა სხვაობას. აქაც უნდა განვასხვავოთ სამი შემთხვევა:

ა) როცა ფასთა სხვაობა ნულია;

ბ) როცა ადგილობრივი საქონლის ფასი მეტია ვიდრე იმპორტირებულის;

გ) როცა ადგილობრივი საქონლის ფასი ნაკლებია, ვიდრე იმპორტირებულის.

ფასთა სხვაობა ნულია, ხოლო საბაჟო გადასახადი აღემატება ფასთა სხვაობას. ამ შემთხვევაში ადგილობრივ წარმოებას სახელმწიფო იცავს იმ დოზით, რაც გათვალისწინებულია ფასთა სხვაობით. ეს იმას ნიშნავს, რომ იმპორტირებული საქონლის ფასი აღემატება ადგილობრივი წარმოების ფასს, რაც სხვა თანაბარ პირობებში არაკონკურენტუნარიანს ხდის იმპორტირებულ საქონელს.

ადგილობრივი წარმოების საქონლის ფასები მეტია, ვიდრე იმპორტირებული საქონლისა, ხოლო საბაჟო გადასახადი აღემატება ფასთა სხვაობას. ამ შემთხვევაში იმპორტირებული საქონლის დაბალი ფასი არა მარტო კომპენსირდება ფასთა სხვაობით, არამედ უსწრებს ადგილობრივი წარმოების საქონლის ფასს, რაც სხვა თანაბარ პირობებში, არაკონკურენტუნარიანს ხდის იმპორტს და, შესაბამისად, ინვევს ადგილობრივი წარმოების სტიმულირებას.

ადგილობრივი წარმოების საქონლის ფასი ნაკლებია, ვიდრე იმპორტირებული საქონლისა, ხოლო საბაჟო გადასახადი აღემატება ფასთა სხვაობას. ამ შემთხვევაში ადგილობრივი წარმოების საქონელი დაცულია იმ ზომით, რაც აისახება ფასთა სხვაობასა და, შესაბამისად, საბაჟო გადასახადის განაკვეთის სიდიდეში.

საბაჟო გადასახადი დაბალია ფასთა სხვაობაზე. აქაც უნდა განვიხილოთ სამი შემთხვევა:

ა) როცა ფასთა სხვაობა ნულია;

ბ) როცა ადგილობრივი წარმოების საქონლის ფასი მეტია, ვიდრე იმპორტირებული საქონლისა;

გ) როცა ადგილობრივი წარმოების საქონლის ფასი ნაკლებია, ვიდრე იმპორტირებული საქონლისა.

ფასთა სხვაობა ნულია, ხოლო საბაჟო გადასახადი დაბალია ფასთა სხვაობაზე. ასეთი შემთხვევა პრაქტიკულად არ არსებობს, რადგანაც არ შეიძლება იმპორტირებულ საქონელს გადასახადებისაგან გათავისუფლებაზე უკეთესი პირობები შეუქმნან(თუმცა, თეორიულად „უკეთესი პირობა" ის იქნებოდა, თუ სახელმწიფო მონოპოლიურად უფრო მაღალ ფასად შეისყიდიდა იმპორტირებულ საქონელს, ვიდრე ანალოგიურ ადგილობრივ საქონელს).

ადგილობრივი წარმოების საქონლის ფასი მეტია, ვიდრე იმპორტირებული საქონლისა, ხოლო საბაჟო გადასახადი დაბალია ფასთა სხვაობაზე. ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ საბაჟო გადასახა-

დის განაკვეთი არ წარმოადგენს ნულს, არამედ იგი მერყეობს ნულიდან იმ სიდიდემდე, რაც ფასთა სხვაობის მაქსიმუმს შეადგენს. ეს ის მომენტია, როდესაც ადგილობრივი წარმოების საქონელი დაცულია შესაბამისი სატარიფო ბარიერით.

ზემოაღნიშნულ შემთხვევებში მხედველობაშია მისაღები იმპორტირებული საქონლის ჩ/ჭ ღირებულება და ადგილობრივი წარმოების ანალოგიური საქონლის საბითუმო ფასები ადგილობრივ ბაზარზე, რომელიც სტრუქტურულად შეესაბამება EXჭ ფასებს. მსგავს მეთოდოლოგიურ მიდგომას პრინციპული მნიშვნელობა აქვს ფასთა სხვაობის დადგენის სიზუსტისათვის.

ყველა არაპირდაპირ გადასახადს გააჩნია მთლიანი შიგა პროდუქტის განმანაწილებელი ფუნქცია. ამდენად, საბაჟო გადასახადთან მიმართებით ამ საკითხზე აქ ყურადღებას არ გავამახვილებთ.

საბაჟო გადასახადს ორი ძირითადი ფუნქცია გააჩნია:

ა) პროტექციონისტური;

ბ) ფისკალური.

პროტექციონისტური ფუნქცია ნიშნავს მაღალი სატარიფო ბარიერის „აღმართვას" საბაჟო საზღვარზე, რის შედეგადაც იმ ზომით სუსტდება იმპორტირებული საქონლის კონკურენტუნარიანობა, რა ზომითაც იზრდება საბაჟო გადასახადის განაკვეთი. ამ შემთხვევაში მაღალი საბაჟო გადასახადის განაკვეთი ასახვას პოულობს იმპორტირებული საქონლის სარეალიზაციო ფასში და ადგილობრივ ანალოგიურ საქონელთან მიმართებით მასზე მოთხოვნა მცირდება. შესაბამისად ადგილობრივი წარმოება გარკვეულ „სასათბურე" პირობებს იღებს უცხოურ საქონელთან მიმართებით.

საბაჟო გადასახადის პროტექციონისტური ფუნქციის ზრდა პირდაპირპროპორციულია მისი ფისკალური ფუნქციის ზრდისა და პირიქით, საბაჟო გადასახადის ფისკალური ფუნქციის შემცირება იწვევს მისი პროტექციონისტური ფუნქციის შემცირებას.

ქვეყნები საბაჟო გადასახადის განაკვეთებთან მიმართებით პირობითად ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს: პირველი, განვითარებული ქვეყნები, მაგ. აშშ და ევროკავშირი და მეორე, განვითარებადი ქვეყნები.

რაც უფრო ეკონომიკურად დაწინაურებულია ქვეყანა, მით უფრო მაღალია ამ ქვეყანაში საქონლის აბსოლუტური ფასები და პირიქით, დაბალგანვითარებულ ქვეყნებში არსებობს დაბალი აბსოლუტური ფასები. აქედან გამომდინარე დაბალფასიანი საქონლის იმპორტისაგან თავდასაცავად განვითარებული ქვეყნები იყენებენ მაღალ სატარიფო ბარიერს(სხვა არასატარიფო ღონისძიებებთან ერთად), ხოლო განვითარებად ქვეყნებს შეუძლიათ საერთოდ გააუქმონ საბაჟო გადასახადები და მიმართონ ადგილობრივი წარმოების სუბსიდირებას, რაც გაცილებით ეფექტურია ვიდრე სატარიფო ღონისძიება.

აღსანიშნავია, რომ ილია ჭავჭავაძე სკეპტიკურად უყურებდა პროტექციონიზმის იდეას, როდესაც წერდა: „რა გზით ნდომულობენ ბედნიერების ჩამოვარდნას პროტექციონელნი? ამისათვის ერთადერთი ღონეა „ტამოჟნა", ესე იგი საბაჟო. რომელი სახელმწიფოც ამ პროტექციონობას მისდევს, იგი იმოდენა ბაჟს ადებს შემოსატან თუ გასატან საქონელს და იმისთანა წესებით ჰხლართავს საქონლის გატან – გამოტანის საქმეს და ამაებით იმოდენად ჰზრდის საქონლის ფასსა, რადგანაც ბაჟი ზედ ეკეცება, რომ ბაზარი ვეღარ იფერებს, თუ ძალიან არ უჭირს საქონელი. ამ გზით საქონლის მიდენ – მოდენას წინ უშველებელი ზღუდე აემართება ხოლმე, რომ ვერას გზით ვერ გაირღვევა. ამისთანაა ბუნება პროტექციონობისა სათავიდამ დანყობილი ბოლომდე. ეს ხომ ასეა, და იქნება ამ მხრით ამ სისტემას ცოტა რამ საბუთი ჰქონდეს, თუმცა კი ქვეყნისათვის, ყველასათვის, ერთნაირად ღია ბაზარი უმჯობესია, იმიტომ რომ ყოველის კაცისთვის ისა სჯობია, საშუალება ჰქონდეს, საჭირო საქონელი იქ და იმისგან იყიდოს, საცა და ვისაც უფრო კარგი საქონელი აქვს და უფრო იეფი ჩემ – შენობის განურჩეველად".

ცნობილი რუსი ქიმიკოსი დ. მენდელეევი პროტექციონიზმის მომხრე იყო და ამაში აწრმუნებდა ნიკოლოზ II-ს. ამასთან, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს მან შექმნა რუსეთის იმპერიის საბაჟო ტარიფები XIX-ის ბოლოს.

პროტექციონისტურ საბაჟო ტარიფთან დაკავშირებით აღსანიშნავია პეტრე პირველის მიერ 1724 წელს შემოღებული დაცვითი ტარიფების საინტერესო სისტემა. კერძოდ, თუ შიგა წარმოების პროდუქტების რაოდენობა შეადგენდა იმპორტირებულის 25%-ს, მაშინ საბაჟო გადასახადი იყო იმპორტირებული საქონლის ღირებულების 25%; თუ, იგი შეადგენდა მესამედს, მაშინ განაკვეთი იქნებოდა ¼1/3(ერთი მესამედი), ხოლო, თუ 50%-ს, მაშინ საბაჟო გადასახადიც იზრდებოდა 50%-მდე. იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი წარმოება იქნებოდა 75%-საბაჟო გადასახადის განაკვეთიც იქნებოდა 75%. ეს იყო მზარდი პროტექციონიზმი.

თანამედროვე ღია ეკონომიკის პირობებში, სადაც კოსმოპოლიტური ხასიათის კაპიტალს ეროვნე-

ბა და სამშობლო არა აქვს, საქონელთა ნაკადების შეკავება საბაჟო საზღვარზე საბაჟო გადასახადის პროტექციონისტური ფუნქციის გამოყენებით შეუძლებელია და მაკროეკონომიკურად მიზანშეუწონელიც, რაც გამოიხატება მრავალ სინთეზურ და კაზუალურ ეკონომიკურ ფაქტორში. ფაქტობრივად საბაჟო გადასახადებს ქვეყნების ეკონომიკათა შორის ხიდის ფუნქცია აკისრიათ. ისინი აერთებენ ბაზრებს ან თიშავენ მათ.

ზოგჯერ ცალკე გამოყოფენ საბაჟო გადასახადის ე.წ მარეგულირებელ ფუნქციას, რაც პროტექციონისტური ფუნქციის ნაირსახეობად შეიძლება განვიხილოთ. მარეგულირებელი ფუნქციის არსი გამოხატულებას პოულობს იმაში, რომ დიფერენცირებული განაკვეთების მიხედვით ხდება იმპორტირებული ნედლეულისა, ნახევარფაბრიკატებისა და მზა პროდუქციის დაბეგვრა, ხოლო ექსპორტის დროს ისეთი საქონლის ექსპორტის შეზღუდვა, რომლის დიდი ოდენობით გატანა ქვეყნიდან მაკროეკონომიკური ასექტებით არ არის მიზანშეწონილი. პირველ შემთხვევას, როდესაც ნედლეულის იმპორტი დაბალი განაკვეთით იბეგრება, ვიდრე ნახევარფაბრიკატის, ხოლო ნახევარფაბრიკატის შედარებით დაბალით, ვიდრე მზა პროდუქციის-ეწოდება სატარიფო ესკალაცია.

იმპორტის გადასახადის 12-პროცენტიანი განაკვეთით იბეგრება შემდეგი საქონლის საბაჟო ღირებულება:

№	კოდი	საქონლის დასახელება
1	0105	შინაური ფრინველი ცოცხალი, ანუ შინაური ქათამი (Gallus domesticus), იხვები, ბატები, ინდაურები და ციცრები
2	0201	ხორცი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა, ახალი ან გაცივებული
3	0202	ხორცი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა, გაყინული
4	0204	ხორცი ცხვრისა ან თხისა, ახალი, გაცივებული ან გაყინული
5	0205 00	ხორცი ცხენებისა, ვირებისა, ჯორებისა ან ჯორცხენებისა, ახალი, გაცივებული ან გაყინული
6	0206	საკვები სუბპროდუქტები მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა, ღორებისა, ცხვრებისა, თხებისა, ცხენებისა, ვირებისა, ჯორებისა ან ჯორცხენებისა, ახალი, გაცივებული ან გაყინული
7	0207	ხორცი და საკვები სუბპროდუქტები 0105 სასაქონლო პოზიციაში მითითებული შინაური ფრინველისა, ახალი, გაცივებული ან გაყინული
8	0208	სხვა ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები, ახალი, გაცივებული ან გაყინული
9	0210	ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები, დამარილებული, მარილწყალში, გამხმარი ან შებოლილი; საკვები ფქვილი ხორცისაგან ან ხორცის სუბპროდუქტებისაგან
10	0401 10 100 00	-- პირველად საფუთავებში ნეტო-მოცულობით არა უმეტეს 2 ლ-ისა
11	0401 20 110 00	--- პირველად საფუთავებში ნეტო-მოცულობით არა უმეტეს 2 ლ-ისა
12	0401 20 910 00	--- პირველად საფუთავებში ნეტო-მოცულობით არა უმეტეს 2 ლ-ისა
13	0401 40 100 00	---- პირველად საფუთავებში ნეტო-მოცულობით არა უმეტეს 2 ლ-ისა
14	0401 50 110 00	---- პირველად საფუთავებში ნეტო-მოცულობით არა უმეტეს 2 ლ-ისა
15	0401 50 310 00	---- პირველად საფუთავებში ნეტო-მოცულობით არა უმეტეს 2 ლ-ისა
16	0401 50 910 00	---- პირველად საფუთავებში ნეტო-მოცულობით არა უმეტეს 2 ლ-ისა
17	0402 10 110 00	--- პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
18	0402 10 910 00	--- პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
19	0402 21 110 00	---- პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
20	0402 21 910 00	---- პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
21	0402 29 150 00	----- პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
22	0402 29 910 00	---- პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
23	0402 91 110 00	---- პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
24	0402 91 310 00	---- პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
25	0402 91 510 00	---- პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
26	0402 91 910 00	---- პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
27	0402 99 110 00	---- პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
28	0402 99 310 00	---- პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
29	0402 99 910 00	---- პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
30	0403	დო, აჭრილი რძე და ნაღები, იოგურტი, კეფირი და სხვა ფერმენტირებული ან შედედებული რძე და ნაღები, შესქელებული ან შეუსქელებელი, შაქრის ან სხვა დამატკბობელი ნივთიერებების დამატებით ან მათ გარეშე, საგემოვნო-არომატული დანამატებით ან მათ გარეშე, ხილის, კაკლის ან კაკაოს დამატებით ან მათ გარეშე
31	0407	ფრინველის კვერცხი ნაჭუჭით, ახალი, დაკონსერვებული ან მოხარშული
32	0408	ფრინველის კვერცხი უნაჭუჭოდ და კვერცხის გულები, ახალი, გამხმარი, ორთქლზე ან მდუღარე წყალში მოხარშული, დაყალიბებული, გაყინული ან სხვა ხერხით დაკონსერვებული, შაქრის ან სხვა დამატკბობელი ნივთიერებების დამატებით ან მათ გარეშე
33	0409 00 000 00	ნატურალური თაფლი

34	0410 00 000 00	ცხოველური წარმოშობის კვების პროდუქტები, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი
35	0701	კარტოფილი, ახალი ან გაცივებული
36	0702 00 000 00	პომიდორი, ახალი ან გაცივებული
37	0703	ხახვი თავიანი, ხახვი-შალოტი, ნიორი, პრასი და დანარჩენი ხახვისნაირი ბოსტნეული, ახალი ან გაცივებული
38	0704	თავხვეული კომბოსტო, ყვავილოვანი კომბოსტო, კოლრაბი, კეჟერა კომბოსტო და Brassica გვარის საკვები ანალოგიური ბოსტნეული, ახალი ან გაცივებული
39	0706	სტაფილო, თალგამი, სუფრის ჭარხალი, თხისწვერა, ფესვურა ნიახური, ბოლოკი და სხვა ანალოგიური საკვები ძირნაყოფები, ახალი ან გაცივებული
40	0707 00	კიტრი და კორნიშონები, ახალი ან გაცივებული
41	0708	პარკოსანი ბოსტნეული, დაჩურჩული ან დაუჩურჩავი, ახალი ან გაცივებული
42	0709	ბოსტნეული დანარჩენი, ახალი ან გაცივებული
43	0710	ბოსტნეული (ახალი ან წყალში ან ორთქლზე მოხარშული), გაყინული
44	0711	დაკონსერვებული ბოსტნეული, ხანმოკლე შენახვისათვის (მაგალითად, გოგირდის დიოქსიდით, მარილწყალში, გოგირდიან წყალში ან სხვა დროებით დამაკონსერვებელ ხსნარში), მაგრამ ასეთი სახით საკვებად უშუალო გამოყენებისათვის უვარგისი
45	0712 20 000 00	– თავიანი ხახვი
46	0712 31 000 00	– – Agaricus გვარის სოკოები
47	0712 32 000 00	– – ხის სოკო ან აურიკულარიები (Auricularia spp.)
48	0712 33 000 00	– – საფუარი სოკოები (Tremella spp.)
49	0712 39 000 00	– – დანარჩენი
50	0713	პარკოსანი ბოსტნეული ხმელი, დაჩურჩული, სათესლე ქერქისაგან გაცლილი ან გაუცლელი, დამტვრეული ან დაუმტვრეველი
51	0714	მანიოკი, მარანთა, სალეპი, მიწის მსხალი ანუ ტოპინამბური, ტკბილი კარტოფილი ანუ ბატატი და სხვა ანალოგიური ძირნაყოფები და ბოლქვნაყოფები სახამებლის ან ინულინის მაღალი შემცველობით, ახალი, გაცივებული, გაყინული ან ხმელი, მთელი ან დაჭრილი პატარა ნაჭრებად ან გრანულების სახით; საგოს პალმის ნაყოფის გული
52	0802	კაკალი დანარჩენი, ახალი ან ხმელი, ნაჭუჭგაცლილი ან ნაჭუჭგაუცლელი, კანით ან კანის გარეშე
53	0803	ბანანები, ჰლანტაინების ჩათვლით, ახალი ან ხმელი
54	0805	ციტრუსები, ახალი ან ხმელი
55	0806	ყურძენი, ახალი ან ხმელი
56	0807	ნესვი (საზამთროს ჩათვლით) და პაპაია, ახალი
57	0808	ვაშლი, მსხალი და კომში, ახალი
58	0809	გარგარი, ალუბალი და ბალი, ატამი (ნექტარინების ჩათვლით), ქლიავი და ღოღნომო, ახალი
59	0810	ხილი დანარჩენი, ახალი
60	0811	ხილი და კაკალი, წყალში ან ორთქლზე თბურად დამუშავებული ან დაუმუშავებელი, გაყინული, შაქრის ან სხვა დამატკბობელი ნივთიერებების დამატებით ან მათ გარეშე
61	0812	ხილი და კაკალი, დაკონსერვებული ხანმოკლე შენახვისათვის (მაგალითად, გოგირდის დიოქსიდით, მარილწყალში, გოგირდოვან წყალში ან სხვა დროებით დამაკონსერვებელ ხსნარში), მაგრამ ასეთი სახით საკვებად უშუალო გამოყენებისათვის უვარგისი
62	0813	ხილი ხმელი, 0801–0806 სასაქონლო პოზიციების ნაყოფების გარდა; მოცემული ჯგუფის კაკლის ან ხმელი ნაყოფების ნარევები

63	0902	ჩაი საგემოვნო-არომატული დანამატებით ან მათ გარეშე
64	1101 00	ხორბლის ან ხორბალ-ჭვავის ფქვილი
65	1102	დანარჩენი მარცვლეულის ფქვილი, გარდა ხორბლისა ან ხორბალ-ჭვავისა
66	1103	ბურღული, უხეშად ნაფქვავი ფქვილი და მარცვლოვანების მარცვლის გრანულები
67	1105	კარტოფილის წმინდად და უხეშად ნაფქვავი ფქვილი, ფხვნილი, ფანტელები, გრანულები
68	1106	წმინდად და უხეშად ნაფქვავი ფქვილი და ფხვნილი 0713 სასაქონლო პოზიციის ხმელი პარკოსანი ბოსტნეულის, საგოს პალმის ნაყოფის გულის, 0714 სასაქონლო პოზიციის ძირნაყოფების ან ბოლქვნაყოფების ან 08 ჯგუფის პროდუქტებისაგან
69	1108	სახამებელი; ინულინი
70	1109 00 000 00	ხორბლის წებოვანა, მშრალი ან ტენიანი
71	1512 19 900 00	- - - დანარჩენი
72	1601 00	ძეხვი და ანალოგიური პროდუქტები ხორცის, ხორცის სუბპროდუქტების ან სისხლისაგან; მზა საკვები პროდუქტები, დამზადებული მათ საფუძველზე
73	1602 10 00	- ჰომოგენიზებული მზა პროდუქტები
74	1602 20	- ნებისმიერი ცხოველის ღვიძლისაგან
75	1602 31	- - ინდაურის
76	1602 32	- - შინაური ქათმის (Gallus domesticus)
77	1602 39	- - დანარჩენი
78	1602 41	- - ბარკლები და მათი გადანაჭრები
79	1602 42	- - ბეჭის ნაწილი და მისი გადანაჭრები
80	1602 49	- - დანარჩენი, ნარევების ჩათვლით
81	1602 50	- მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცისაგან
82	1701 12	- - ჭარხლის შაქარი
83	1701 91 000 00	- - საგემოვნო-არომატული ან საღებარი დანამატებით
84	1701 99	- - დანარჩენი
85	1702	დანარჩენი შაქარი, ქიმიურად სუფთა ლაქტოზას, მალტოზას, გლუკოზასა და ფრუქტოზას ჩათვლით, მყარ მდგომარეობაში; შაქრის სიროფები საგემოვნო-არომატული ან საღებარი ნივთიერების დამატების გარეშე; ხელოვნური თაფლი, ნატურალურ თაფლთან შერეული ან შეურეველი; კარამელის კულერი
86	1703	მელასა, შაქრის ამოღებით ან რაფინირების შედეგად მიღებული
87	1704	შაქრის საკონდიტრო ნაწარმი (თეთრი შოკოლადის ჩათვლით), რომელიც არ შეიცავს კაკაოს
88	19	მზა პროდუქტები მარცვლოვანების მარცვლის, ფქვილის, სახამებლის ან რძისაგან; ცომეული საკონდიტრო ნაწარმი
89	2001	ბოსტნეული, ხილი, კაკალი და მცენარეთა საკვებად ვარგისი სხვა ნაწილები, ძმრის ან ძმარმჟავას დამატებით დამზადებული ან დაკონსერვებული
90	2002	პომიდორი, ძმრის ან ძმარმჟავას დამატების გარეშე დამზადებული ან დაკონსერვებული
91	2003	სოკო და ტრიუფელი, ძმრის ან ძმარმჟავას დამატების გარეშე დამზადებული ან დაკონსერვებული
92	2004	სხვა ბოსტნეული, ძმრის ან ძმარმჟავას დამატების გარეშე დამზადებული ან დაკონსერვებული, გაყინული, 2006 სასაქონლო პოზიციის პროდუქტების გარდა
93	2005	სხვა ბოსტნეული, ძმრის ან ძმარმჟავას დამატების გარეშე დამზადებული ან დაკონსერვებული, გაუყინავი, 2006 სასაქონლო პოზიციის პროდუქტების გარდა

94	2006 00	ბოსტნეული, ხილი, კაკალი, ნაყოფების ქერქი ან მცენარეთა სხვა ნაწილები, შაქრით დაკონსერვებული (შაქრის სიროფით გაჟღენთილი, მოსარკლული ან დაშაქრული)
95	2007	ჯემი, ხილის ჟელე, მარმელადები, ხილის ან კაკლის პიურე, ხილის ან კაკლის პასტა, თბური დამუშავებით მიღებული, მათ შორის, შაქრის ან სხვა დამატკბობელი ნივთიერებების დამატებით
96	2008 19	– – დანარჩენი, ნარევების ჩათვლით
97	2008 20	– ანანასი
98	2008 30	– ციტრუსები
99	2008 40	– მსხალი
100	2008 50	– გარგარი
101	2008 60	– ალუბალი და ბალი
102	2008 70	– ატამი, ნექტარინების ჩათვლით
103	2008 80	– მარწყვი და ხენდრო
104	2008 91 000 00	– – პალმის გული
105	2008 93 000 00	– – მტოში, მოცვი (Vaccinium macrocarpon, Vaccinium oxycoccos, Vaccinium vitis-idaea)
106	2008 97	– – ნარევები
107	2008 99	– – დანარჩენი
108	2009	ხილის წვენები (ყურძნის ბადაგის ჩათვლით) და ბოსტნეულის წვენები, დაუდუღებელი და სპირტის დანამატების გარეშე, შაქრის ან სხვა დამატკბობელი ნივთიერებების დამატებით ან მათ გარეშე
109	2101	ყავის, ჩაის ან მატეს (პარაგვაის ჩაის) ექსტრაქტები, ესენციები და კონცენტრატები და მათ ფუძეზე ან ყავის, ჩაის ან მატეს (პარაგვაის ჩაის) ფუძეზე დამზადებული მზა პროდუქტები; მოხალული ვარდკაჭაჭა და სხვა მოხალული ყავის შემცვლელები და მათი ექსტრაქტები, ესენციები და კონცენტრატები
110	2103	პროდუქტები საწებლების მოსამზადებლად და მზა საწებლები; საგემოვნო დანამატები და შერეული საკაზმები; მდოგვის ფხვნილი და მზა მდოგვი
111	2106 90	– დანარჩენი
112	2201 10 190 09	– – – – დანარჩენი
113	2201 10 900 00	– – დანარჩენი
114	2201 90 000 09	– – – დანარჩენი
115	2201 90 000 99	– – დანარჩენი
116	2202	წყლები, მინერალურისა და გაზიანის ჩათვლით, შაქრის ან სხვა დამატკბობელი ან საგემოვნო-არომატული ნივთიერებების დანამატების შემცველობით, და სხვა უალკოჰოლო სასმელები, 2009 სასაქონლო პოზიციის ხილისა და ბოსტნეულის წვენების გარდა
117	2203 00	ალაოს ლუდი
118	2302 10	– სიმინდის
119	2302 30	– ხორბლის
120	2302 40	– დანარჩენი მარცვლოვანების
121	24	თამბაქო და თამბაქოს სამრეწველო შემცვლელები
122	25	მარილი; გოგირდი; მიწები და ქვა; საბათქაშე მასალები, კირქვა და ცემენტი
123	3402	ზედაპირულად აქტიური ორგანული ნივთიერებები (საპნის გარდა); ზედაპირულად აქტიური საშუალებები, სარეცხი საშუალებები (დამხმარე სარეცხი საშუალებების ჩათვლით) და საწმენდი საშუალებები, საპნის შემცველი ან მის გარეშე (3401 სასაქონლო პოზიციის საშუალებების გარდა)

124	3918	პლასტმასის იატაკის საფრები, თვითწებვადი ან არათვითწებვადი, რულონებად ან ფირფიტებად; პლასტმასის საფრები კედლებისა და ჭერებისათვის, მოცემული ჯგუფის მე-9 შენიშვნაში მითითებული
125	3922	აბაზანები, შხაპები, წყლის ჩასადინარი ნიჟარები, პირსაბანი ნიჟარები, ბიდეები, უნიტაზები, დასაჯდომები და სახურავები მათთვის, წყალჩასაშვები ავზაკები და ანალოგიური სანიტარიულ-ტექნიკური ნაწარმი, პლასტმასისაგან
126	3923	პლასტმასის ნაწარმი საქონლის ტრანსპორტირებისათვის ან შეფუთვისათვის; პლასტმასის საცობები, ხუფები, თალფაქები და სხვა საცობი ნაწარმი
127	3924	სასადილო და სამზარეულო ჭურჭელი და სამზარეულოს საკუთნოები, დანარჩენი საოჯახო ნივთები და ჰიგიენის ან ტუალეტის საგნები, პლასტმასისაგან
128	3925 20 000 00	– კარები და ზღურბლები მათთვის, ფანჯრები და მათი ჩარჩოები
129	3925 30 000 00	– დარაბები, შტორები (ვენეციური ჟალუზების ჩათვლით) და ანალოგიური ნაწარმი და მათი ნაწილები
130	3925 90	– დანარჩენი
131	3926 90	– დანარჩენი
132	4407	ხეტყის მასალა, გასწვრივ დახერხილი ან დაჰობილი, შრეებად გაყოფილი ან შპონახდილი, გარანდული ან გაურანდავი, გახეხილი ან გაუხეხავი, ტორსული შეერთების მქონე ან მის გარეშე, სისქით 6 მმ-ზე მეტი
133	4408	მოსაპირკეთებელი ფურცლები (შრეული მერქნის დაყოფით მიღებულის ჩათვლით), შეწებებული ფანერისათვის ან სხვა ანალოგიური შრეული მერქნისათვის, და სხვა ხის მასალა, გასწვრივ დახერხილი, დაჭრილი ნაწილებად ან შპონახდილი, გარანდული ან გაურანდავი, გახეხილი ან გაუხეხავი, ტორსული შეერთების მქონე ან მის გარეშე, სისქით არა უმეტეს 6 მმ-ისა
134	4409	დახერხილი ხეტყე (პარკეტის თამასებისა და ფრიზის ჩათვლით, აუწყობელი) დაპროფილებული პაგონაჟის სახით (ქიმებით, თხემებით, ღარებით, ნარანდიანი, ჩამოთლილი კიდეებით, ნახევრად მომრგვალებული ნარიმანდის შეერთების სახით, ფასონური, მომრგვალებული ან ანალოგიური) ნებისმიერი ნაწიბურის ტორსის ან სიბრტყის გასწვრივ, გარანდული ან გაურანდავი, გახეხილი ან გაუხეხავი, ტორსული შეერთების მქონე ან მის გარეშე
135	4413 00 000 00	მერქანი დაწნეხილი, ბლოკების, ფილების, ძელების ან დაპროფილებული ფორმების სახით
136	4418	ნაწარმი სადურგლო და სახუროო ხის, სამშენებლო, უკრედოვანი ხის პანელების, აწყობილი ფილა-პარკეტის, სოლ-ყავრისა და სახურავის ყავრის ჩათვლით
137	4420	ხის ნაწარმი მოზაიკური და ინკრუსტირებული; ზარდახშები და კოლოფები საიუველირო ან დანისებრი და ანალოგიური ნაწარმისათვის, ხის; სტატუეტები და სხვა დეკორაციული ნაწარმი, ხის; ავეჯის ხის საგნები, 94-ე ჯგუფში მიუთითებელი
138	4421	სხვა ნაწარმი, დანარჩენი
139	6801 00 000 00	ბელურა, ბორდიურის ქვები და დასაგები ფილები ბუნებრივი ქვისაგან (გარდა ფიქლისა)
140	6802	ქვა დამუშავებული (გარდა ფიქლისა) ძეგლებისათვის ან მშენებლობისათვის და მისი ნაწარმი, გარდა 6801 სასაქონლო პოზიციის საქონლისა; მოზაიკის კუბურები და ბუნებრივი ქვის (ფიქლის ჩათვლით) ანალოგიური ნაწარმი ფუძეზე ან ფუძის გარეშე; ბუნებრივი ქვის (ფიქლის ჩათვლით) გრანულები, ნაფხვენი და ფხვნილი, ხელოვნურად შეღებილი

141	6804	დოლაბები, სალესი ქვები, სახეხი რგოლები და ანალოგიური უკარკასო ნაწარმი, განკუთვნილი სახეხად, სალესად, საპრიალებლად, მოსარგებად ან მოსაჩუქურთმებლად, ქვები ხელით სალესად ან საპრიალებლად და მათი ნაწილები ბუნებრივი ქვის, აგლომერირებული ბუნებრივი ან ხელოვნური აბრაზივების ან კერამიკისაგან, სხვა მასალების დეტალებთან აწყობილი ან ამ დეტალების გარეშე
142	6805	ბუნებრივი ან ხელოვნური აბრაზიული ფხვნილი ან მარცვალი, გაჭრილ ან გაკერილ, ან განსაზღვრული ფორმის მისაღებად სხვა მეთოდით დამუშავებულ, ან დაუმუშავებელ ქსოვილის, ქაღალდის, მუყაოს ან სხვა ფუძეზე
143	6806	ნიდის ბამბა, მინერალური სილიკატური ბამბა და ანალოგიური მინერალური ბამბები; განშრევებული ვერმიკულიტი, აფუებული თიხები, აქაფებული წიდა და ანალოგიური აფუებული მინერალური პროდუქტები; თბოსაიზოლაციო, ბგერათსაიზოლაციო ან ბგერათშთამნთქმელი მინერალური მასალების ნარევები და ნაწარმი, გარდა 6811 ან 6812 სასაქონლო პოზიციის ან 69-ე ჯგუფის ნაწარმისა
144	6807	ნაწარმი ასფალტის ან ანალოგიური მასალებისაგან (მაგალითად, ნავთობის ბიტუმის ან ქვანახშირის სქელფისისაგან)
145	6808 00 000 00	პანელები, ფილები, ბლოკები და ანალოგიური ნაწარმი ცემენტით, თაბაშირით ან სხვა მინერალური შემკვრელი ნივთიერებებით აგლომერირებული მცენარეული ბოჭკოების, ჩალის, ბურბუშელას, ნაფოტის, ნაწილაკების, ნახერხის ან ხეტყის სხვა ნარჩენებისაგან
146	6809	ნაწარმი თაბაშირის ან მის ფუძეზე დამზადებული ნარევებისაგან
147	6810	ცემენტის, ბეტონის ან ხელოვნური ქვის ნაწარმი, დაარმატურებული ან დაუარმატურებელი
148	6811	ნაწარმი აზბესტცემენტის, ცელულოზისბოჭკოებიანი ცემენტის ან ანალოგიური მასალებისაგან
149	6812 91 000 00	– ტანსაცმელი, ტანსაცმლის საკუთნოები, ფეხსაცმელი და თავსაბურავები
150	6812 92 000 00	– ქაღალდი, სქელი მუყაო და ქეჩა ან ფეტრი
151	6812 93 000 00	– – შემამჭიდროებელი მასალა წნეხილი აზბესტის ბოჭკოსაგან, ფურცლებად ან რულონებად
152	6815	ნაწარმი ქვის ან სხვა მინერალური ნივთიერებებისაგან (ნახშირბადიანი ბოჭკოების, ნახშირბადიანი ბოჭკოების ნაწარმისა და ტორფის ნაწარმის ჩათვლით), სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი
153	6902 10 000 00	– Mg, Ca ან Cr ელემენტების შემცველობით 50 მას.%-ზე მეტი ცალ-ცალკე ან ერთად აღებული, MgO, CaO ან Cr_2O_3-ზე გადაანგარიშებით
154	6902 20 100 00	– – კაჟმიწის (SiO_2) შემცველობით 93 მას.% ან მეტი
155	6902 20 910 00	– – – – თიხამიწის (Al_2O_3) შემცველობით 7 მას.%-ზე მეტი, მაგრამ 45 მას.%-ზე ნაკლები
156	6902 20 990 00	– – – – დანარჩენი
157	6902 90 000 00	– დანარჩენი
158	7113	საიუველირო ნაკეთობები და მათი ნაწილები ძვირფასი ლითონებისაგან ან ძვირფასი ლითონებით მიტკეცილი ლითონებისაგან
159	7115 90 100 00	– – ძვირფასი ლითონებისაგან
160	7116	ნაკეთობები ბუნებრივი ან კულტივირებული მარგალიტის, ძვირფასი ან ნახევრად ძვირფასი ქვებისაგან (ბუნებრივი, ხელოვნური ან რეკონსტრუირებული)
161	7117	ბიჟუტერია
162	7308 10 000 00	– ხიდები და ხიდების სექციები
163		– დანადგარები და სხვა მოწყობილობა ლითონური საშენებლო ხარაჩოების,

	7308 40	ყალიბების, კედლის საბჯენების ან შახტის სამაგრებისათვის
164	7308 90	– დანარჩენი
165	7309 00 100 00	– აირებისათვის (შეკუმშული ან გათხევადებული აირის გარდა)
166	7309 00 300 00	– – მოპირკეთებით ან თბოიზოლაციით
167	7309 00 590 00	– – – არა უმეტეს 100 000 ლიტრისა
168	7309 00 900 00	– მყარი ნივთიერებებისათვის
169	7310	ცისტერნები, კასრები, დოლები, კანისტრები, ყუთები და ანალოგიური ტევადობები შავი ლითონებისაგან, ნებისმიერი ნივთიერებისათვის (შეკუმშული ან გათხევადებული აირის გარდა), არა უმეტეს 300 ლ ტევადობისა, მოპირკეთებით ან თბოიზოლაციით ან მათ გარეშე, მაგრამ მექანიკური ან თბოტექნიკური დანადგარების გარეშე
170	7311 00	ტევადობები შეკუმშული ან გათხევადებული აირებისათვის, შავი ლითონებისაგან
171	7314	ლითონური ქსოვილი (უწყვეტი ლენტების ჩათვლით), მავთულის გისოსები, ბადეები და შემოსაღობები შავი ლითონებისაგან; გამცრავ-გამწოვი ფურცელი შავი ლითონებისაგან
172	7315	ჯაჭვები და მათი ნაწილები შავი ლითონებისაგან
173	7318	ხრახნები, ჭანჭიკები, ქანჩები, ყრუ ჭანჭიკები, ჩასახრახნი კაკვები, მოქლონები, სოგმანები, ჭილიპყურები, საყელურები (ზამბაროვანის ჩათვლით) და ანალოგიური ნაწარმი შავი ლითონებისაგან
174	7320	ზამბარები, რესორები და ფურცლები მათთვის შავი ლითონებისაგან
175	7321	ღუმლები გასათბობი, ღუმლები გასათბობ-სახარშავი და საკვების მოსამზადებელი (ცენტრალური გათბობის დამხმარე ქვაბიანი ღუმლების ჩათვლით), ფრიტურნიცები, მაყალები, ქურის სანთურები, საკვების გასათბობი გამათბობლები და ანალოგიური საყოფაცხოვრებო არაელექტრული მოწყობილობები და მათი ნაწილები შავი ლითონებისაგან
176	7323	ნაწარმი სუფრის, სამზარეულო ან სხვა ნაწარმი საყოფაცხოვრებო საჭიროებებისათვის და მათი ნაწილები შავი ლითონებისაგან; „მატყლი“ შავი ლითონებისაგან; სამზარეულო ჭურჭლის საწმენდი ნეჯა, გასაწმენდი ან გასაპრიალებელი ბალიშები, ხელთათმნები და ანალოგიური ნაწარმი შავი ლითონებისაგან

იმპორტის გადასახადის 5-პროცენტიანი განაკვეთით იბეგრება შემდეგი საქონლის საბაჟო ღირებულება:

№	კოდი	საქონლის დასახელება
1	0203	ხორცი ღორისა, ახალი, გაცივებული ან გაყინული
2	0406	ყველი და ხაჭო
3	1806 31 000 00	– – გულსართით
4	1806 32	– – გულსართის გარეშე
5	1806 90	– დანარჩენი
6	3305	თმის საშუალებები
7	3307	საშუალებები, პარსვამდე, პარსვის დროს ან პარსვის შემდეგ გამოსაყენებელი, ინდივიდუალური დანიშნულების დეზოდორანტები, შედგენილობები აბაზანის მისაღებად, თმების მოსაცილებელი და სხვა სპარფიუმერიო, კოსმეტიკური ან ტუალეტის საშუალებები, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი; დეზოდორანტები სათავსებისათვის, არომატიზებული ან არაარომატიზებული, მადეზინფიცირებელი თვისების მქონე ან არმქონე
8	3401	საპონი; ზედაპირულად აქტიური ორგანული ნივთიერებები და საშუალებები, გამოსაყენებელი საპნად, ძელაკების, ნაჭრების ან

		დაყალიბებული ნაწარმის სახით, საპნის შემცველი ან მის გარეშე; ზედაპირულად აქტიური ორგანული ნივთიერებები და კანის დასაბანი საშუალებები სითხის ან კრემის სახით, დაფასოებული საცალო ვაჭრობისათვის, საპნის შემცველი ან მის გარეშე; ქაღალდი, ბამბა, ქეჩა ან ფეტრი და უქსოვადი მასალები, გაჟღენთილი ან დაფარული საპნით ან სარეცხი საშუალებით
9	3405	ვაქსები და საცხები ფეხსაცმლისათვის, პოლიროლები და მასტიკები ავეჯის, იატაკის, ავტომობილების ძარების, მინების ან ლითონებისათვის, საწმენდი პასტები და ფხვნილები და ანალოგიური საშუალებები (მათ შორის, ქაღალდი, ბამბა, ქეჩა ან ფეტრი, უქსოვადი მასალები, ფორიანი პლასტმასები ან ფორიანი რეზინი, გაჟღენთილი ან დაფარული ასეთი საშუალებებით), 3404 სასაქონლო პოზიციის ცვილების გარდა
10	3916	პლასტმასის მონოძაფი 1 მმ-ზე მეტი განივკვეთით, წნელები, ღერძები და ფასონური პროფილები, დამუშავებული ან დაუმუშავებელი ზედაპირით, მაგრამ სხვაგვარად დაუმუშავებელი
11	3917 10	– ხელოვნური გარსაცმები (ძეხვეულის ნაწარმისათვის) გამყარებული პროტეინებისაგან ან ცელულოზის მასალებისაგან
12	3917 21 100 00	– – – უნაწიბურო და დაჭრილი ნაჭრებად, რომელთა სიგრძე აღემატება განივკვეთის მაქსიმალურ ზომას, დამუშავებული ან დაუმუშავებელი ზედაპირით, მაგრამ სხვაგვარად დაუმუშავებელი
13	3917 21 900 09	– – – – დანარჩენი
14	3917 22 100 00	– – – უნაწიბურო და დაჭრილი ნაჭრებად, რომელთა სიგრძე აღემატება განივკვეთის მაქსიმალურ ზომას, დამუშავებული ან დაუმუშავებელი ზედაპირით, მაგრამ სხვაგვარად დაუმუშავებელი
15	3917 22 900 09	– – – – დანარჩენი
16	3917 23 100 00	– – – უნაწიბურო და დაჭრილი ნაჭრებად, რომელთა სიგრძე აღემატება განივკვეთის მაქსიმალურ ზომას, დამუშავებული ან დაუმუშავებელი ზედაპირით, მაგრამ სხვაგვარად დაუმუშავებელი
17	3917 23 900 09	– – – – დანარჩენი
18	3917 29 120 00	– – – – ქიმიურად მოდიფიცირებული ან არამოდიფიცირებული კონდენსაციის პროდუქტებისაგან ან პოლიმერიზაციის პროდუქტებისაგან გადაჯგუფებით
19	3917 29 150 00	– – – – პოლიმიერთების პროდუქტებისაგან
20	3917 29 190 00	– – – – დანარჩენი
21	3917 29 900 09	– – – – დანარჩენი
22	3917 31 900 00	– – – დანარჩენი
23	3917 32	– – დანარჩენი, დაუარმატურებელი ან სხვა მასალებთან არაკომბინირებული, უფიტინგებოდ
24	3917 33 900 00	– – – დანარჩენი
25	3917 39 120 00	– – – – ქიმიურად მოდიფიცირებული ან არამოდიფიცირებული კონდენსაციის პროდუქტებისაგან ან პოლიმერიზაციის პროდუქტებისაგან გადაჯგუფებით
26	3917 39 150 00	– – – – პოლიმიერთების პროდუქტებისაგან
27	3917 39 190 00	– – – – დანარჩენი
28	3917 39 900 09	– – – – დანარჩენი
29	3917 40 900 00	– – დანარჩენი
30	3919	პლასტმასის ფილები, ფურცლები, ფირები, კილიტა, ლენტები, ზოლები და დანარჩენი ბრტყელი ფორმები, თვითწებვადი, რულონებად ან არარულონებად

31	3920	პლასტმასის ფილები, ფურცლები, ფირები და ზოლები ან ლენტები, დანარჩენი, უფორებო და დაუარმატურებელი, არაშრეული, ფუძეშრის გარეშე და სხვა მასალებთან ანალოგიური წესით შეუერთებელი
32	3921	პლასტმასის ფილები, ფურცლები, ფირები, ზოლები ან ლენტები, დანარჩენი
33	3925 10 000 00	– რეზერვუარები, ცისტერნები, ავზები და ანალოგიური ტევადობები მოცულობით 300 ლიტრზე მეტი
34	3926 10 000 00	– საკანცელარიო ან სასკოლო ნივთები
35	3926 20 000 00	– ტანსაცმელი და მისი საკუთნოები (ხელთათმნების, ხელჯაგებისა და თათმანების ჩათვლით)
36	3926 30 000 00	– სამაგრი ნაკეთობები და ფურნიტურა ავეჯისათვის, სატრანსპორტო საშუალებებისათვის ან ანალოგიური ნაწარმი
37	3926 40 000 00	– ქანდაკებები და სხვა დეკორაციული ნაწარმი
38	7308 20 000 00	– ბჯენები და ცხაური ანძები
39	7308 30 000 00	– კარები, ფანჯრები და მათი ჩარჩოები და ზღურბლები კარებისათვის
40	8544 11	– – სპილენძის
41	8544 19	– – დანარჩენი
42	8544 20 000 00	– კოაქსიალური კაბელები და სხვა კოაქსიალური ელექტრული გამტარები
43	8544 30 900 00	– – დანარჩენი

ქვემოთ ჩამოთვლილი საქონელი იბეგრება იმპორტის გადასახადის შემდეგი განაკვეთებით (euro/%vol/HL ნიშნავს, რომ ერთ ჰექტოლიტრზე (100 ლიტრზე) გადასახდელი იმპორტის გადასახადის თანხა შეადგენს იმპორტის გადასახადის განაკვეთის ნამრავლს მოცემულ საქონელში ალკოჰოლის პროცენტული შემცველობის მაჩვენებელზე):

N	კოდი	საქონლის დასახელება	იმპორტის გადასახადის განაკვეთი
1	2204 10	– ღვინოები ცქრიალა	1,5 euro/lit
2	2204 21	– – 2 ლ ან 2 ლ-ზე ნაკლები ტევადობის ჭურ-ჭელში	0,5 euro/lit
3	2204 29	– – დანარჩენი	0,2 euro/lit
4	2204 30	– ყურძნის ტკბილი, დანარჩენი	0,2 euro/lit
5	2205 10	– 2 ლ ან 2 ლ-ზე ნაკლები ტევადობის ჭურჭელში	0,5 euro/lit
6	2205 90	– დანარჩენი	0,2 euro/lit
7	2206 00	სხვა დადუღებული სასმელები (მაგალითად, სიდრი, პერი (მსხლის სიდრი), თაფლის სასმელი); ნარევები დადუღებული სასმელე-ბისაგან და დადუღებული სასმელებისა და უალკოჰოლო სასმელების ნარევები, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩამოუთვლელი	0,5 euro/lit

8	2207	ეთილის სპირტი არადენატურირებული, სპირტის კონცენტრაციით 80 მოც.% ან 80 მოც.%-ზე მეტი; ეთილის სპირტი და სხვა დენატურირებული სპირტები ნებისმიერი კონცენტრაციით	3 euro/lit
9	2208 20	– სპირტის ნაყენები, მიღებული ყურძნის ღვინის ან ჭაჭის დისტილაციის (გამოხდის) შედეგად	1.5 euro/%vol/ HL
10	2208 30	– ვისკი	1.5 euro/%vol/ HL
11	2208 40	– რომი და ტაფია	1.5 euro/%vol/ HL
12	2208 50	– ჯინი და ღვიის ნაყენი	1.5 euro/%vol/ HL
13	2208 60	– არაყი	1.5 euro/%vol/ HL
14	2208 70	– ლიქიორები	1.5 euro/%vol/ HL
15	2208 90	– დანარჩენი	1.5 euro/%vol/ HL
16	2209 00	ძმარი და მისი შემცვლელები, მიღებული ძმარმჟავასაგან	0,4 euro/lit

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დროებით შემოტანილი საქონელი საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის ყოველ სრულ და არასრულ კალენდარულ თვეზე იბეგრება იმპორტის გადასახადის იმ თანხის 3 პროცენტით, რომელიც გადაიხდევინებოდა დროებითი შემოტანის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს ამ საქონლის იმპორტში მოქცევისას. აღნიშნული თანხა გადახდილი უნდა იქნეს არა უგვიანეს ყოველი თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, ხოლო ბოლო გადახდა უნდა განხორციელდეს საქონლის დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციის დასრულების დღეს. დეკლარანტს უფლება აქვს, მთელი გადასახდელი თანხა ერთდროულად გადაიხადოს.

ზემოთ აღნიშნული, გადახდას დაქვემდებარებული თანხების ჯამური ოდენობა (საურავის გარეშე) არ უნდა აღემატებოდეს იმპორტის გადასახადის იმ თანხას, რომელიც გადაიხდევინებოდა დროებითი შემოტანის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს ამ საქონლის იმპორტში მოქცევისას.

საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 სასაქონლო პოზიციაში აღნიშნული მსუბუქი ავტომობილის იმპორტში მოქცევისას იმპორტის გადასახადის განაკვეთია 0,05 ლარი ავტომობილის ძრავის მოცულობის ყოველ კუბურ სანტიმეტრზე დამატებული იმპორტის გადასახადის თანხის 5 პროცენტი ავტომობილის ექსპლუატაციაში ყოფნის ყოველი წლისათვის.

13.2 საბაჟო გადასახადის სახეები

ანტიდემპინგური საბაჟო გადასახადი არის ხელოვნურად შემცირებული ფასით საქონლის იმპორტის დროს იმპორტიორი ქვეყნის მიერ შესაბამისი ზარალისაგან თავის არიდების მეთოდი. ანტიდემპინგური საბაჟო გადასახადის ცნება მომდინარეობს დემპინგის ცნებიდან. დემპინგს მაშინ აქვს ადგილი: თუ ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში ექსპორტირებული საქონლის ფასი:

ა) ნაკლებია ექსპორტიორ ქვეყანაში ვაჭრობის ჩვეულებრივ პირობებში მოხმარებისათვის განკუთვნილი ანალოგიური საქონლის შესადარ ფასზე;

ბ) ასეთი ადგილობრივი ფასის არარსებობის შემთხვევაში ნაკლებია, ვიდრე:

– ანალოგიური საქონლის ყველაზე მაღალი შესადარი ფასი ნებისმიერ მესამე ქვეყანაში ექსპორტისას ვაჭრობის ჩვეულებრივი პირობების დროს;

– წარმოშობის ქვეყანაში საქონლის წარმოების ღირებულებას დამატებული შესაბამის ფარგლებში გაყიდვის ხარჯები და მოგება. ორივე შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს განსხვავება ვაჭრობის პირობებში, დაბეგვრის სისტემაში, ასევე სხვა განსხვავებები, რომლებიც გავლენას ახდენს ფასების შედარებაზე.

ანტიდემპინგური გადასახადის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დემპინგურ სხვაობას, ხოლო დემპინგური სხვაობა გამოიანგარიშება ზემოთ აღნიშნულ „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების დებულებების მიხედვით დადგენილ ფასთა შორის სხვაობით. მაგალითად, დემპინგურ ფასს, მაშინ აქვს ადგილი, თუ საქართველოში თურქეთიდან შემოტანილი ფქვილის ფასი უფრო დაბალია, ვიდრე ამავე ფქვილის ფასი(სხვა პირობების გათვალისწინებით, მაგ. ტრანსპორტირება ან შიგა გადასახადები) თურქეთის შიგა ბაზარზე. დემპინგურია საქონლის ფასი მაშინაც, თუ თურქული ფქვილის ფასი, რომელიც საქართველოშია შეტანილი, უფრო დაბალია, ვიდრე ამავე ფქვილის ფასი, რომელიც თურქეთიდან სხვა ქვეყანაშია შეტანილი(ეს პირობა მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ თურქეთის შიგა ბაზარზე აღნიშნული საქონელი არ იყიდება). და, ბოლოს დემპინგს აქვს ადგილი, მაშინაც, როდესაც თურქეთიდან საქართველოში შეტანილი ფქვილის ფასი უფრო დაბალია ვიდრე თურქეთში ამ ფქვილის წარმოების ხარჯებს დამატებული მიმოქცევის ხარჯები და მოგება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დემპინგური სხვაობა იქნება სწორედ ჩამოთვლილ ფასებს შორის სხვაობა

დავუშვათ, რომ დემპინგური სხვაობა ერთეულ პროდუქციაზე შეადგენს 10 აშშ დოლარს. მაშინ ანტიდემპინგური საბაჟო გადასახადი არ უნდა აღემატებოდეს ამ თანხას ანუ პროცენტულად ან ფიქსირებულად შემოღებულ უნდა იქნეს ანტიდემპინგური საბაჟო გადასახადი, რომელიც ზემოაღნიშნული სიდიდის ტოლი ან ნაკლები იქნება.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ანტიდემპინგური საბაჟო გადასახადის შემოღება არ აუქმებს ჩვეულებრივი საბაჟო გადასახადის მოქმედებას. მაგალითად, ფქვილის იმპორტი საქართველოში იბეგრება 12%-იანი საბაჟო გადასახადით. ამასთან, ეს ფქვილი შემოვიდა 10 აშშ დოლარით შემცირებული ფასით ანუ შემოღებულ უნდა იქნეს 10 აშშ დოლარის ოდენობის ანტიდემპინგური საბაჟო გადასახადი. ამ შემთხვევაში ეს საქონელი ჯერ უნდა დაიბეგროს ანტიდემპინგური საბაჟო გადასახადით, ხოლო შემდეგ დემპინგური ფასისა და ანტიდემპინგური საბაჟო გადასახადის ჯამი – ჩვეულებრივი საბაჟო გადასახადით.

ანტიდემპინგური საბაჟო გადასახადი არ შემოიღება, თუ დემპინგური სხვაობა არის მინიმალური ან დემპინგური იმპორტი უმნიშვნელო ზარალს აყენებს სამამულო წარმოებას. დემპინგური სხვაობა განხილულ უნდა იქნას, როგორც დე მინიმის, თუ იგი შეადგენს პროდუქციის საექსპორტო ფასის 2 პროცენტზე ნაკლებს. დემპინგური იმპორტის მოცულობა ჩვეულებრივ ითვლება უმნიშვნელოდ, თუკი ირკვევა, რომ გარკვეული ქვეყნიდან დემპინგური იმპორტის მოცულობა შეადგენს მსო-ს იმპორტიორი წევრი სახელმწიფოს მსგავსი პროდუქციის იმპორტის 3 პროცენტზე ნაკლებს, იმ პირობით, რომ ქვეყნებზე, რომელთა ინდივიდუალური წილი მსო-ს იმპორტიორი სახელმწიფოს მსგავსი პროდუქციის იმპორტში შეადგენს 3 პროცენტზე ნაკლებს, ჯამში მოდის ასეთი იმპორტის არაუმეტეს 7 პროცენტისა.

ისევე, როგორც საკომპენსაციო საბაჟო გადასახადის დროს, ანტიდემპინგური საბაჟო გადასახადი მხოლოდ იმ პერიოდის განმავლობაში უნდა მოქმედებდეს, რომელიც საჭიროა დემპინგის, როგორც ზარალის გამომწვევი ფაქტორის გასანეიტრალებლად. ამასთან, მისი მოქმედების მაქსიმალური ვადა არ უნდა აღემატებოდეს 5 წელს.

საკომპენსაციო საბაჟო გადასახადი შიგა ბაზრის დაცვის ერთ-ერთი ლეგალური საშუალებაა. იგი გათვალისწინებულია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის(ვმო) შესაბამისი შეთანხმებით.

საკომპენსაციო საბაჟო გადასახადი არის ისეთი საბაჟო გადასახადი, რომელიც ანეიტრალებს ექსპორტიორი ქვეყნის მიერ საქონლის ექსპორტიორისადმი მიცემული სუბსიდიის საფუძველზე საქართველოში იმპორტირებული საქონლის ხელოვნურად შემცირებული საბაჟო ღირებულების, და შესაბამისად, ამ საქონლის საქართველოს ბაზარზე შემცირებული ფასებით რეალიზაციით გამოწვეულ ზარალს.

ვმო-ის შეთანხმებების შესაბამისად ვმო-ის წევრმა ქვეყნებმა, თუ ისინი გადაწყვეტენ ექსპორტის სუბსიდირებას წინასწარ უნდა შეათანხმონ ერთმანეთთან სუბსიდირების აუცილებლობის გამომწვევი მიზეზები. ამასთან ეს ეხება აგრეთვე იმ სამამულო საქონლის სუბსიდირებასაც, რომელიც მართალია არ გადის ექსპორტზე, მაგრამ ამცირებს ანალოგიური საქონლის იმპორტს წევრი ქვეყნებიდან. თუ,

შეთანხმების მონაწილე რომელიმე მხარე გასცემს ან ინარჩუნებს ნებისმიერი სახის სუბსიდიას, შემოსავლების ან ფასების მხარდაჭერის ნებისმიერი ფორმის ჩათვლით, რომლის პირდაპირი ან ირიბი შედეგია მისი ტერიტორიიდან ნებისმიერი სახის საქონლის ექსპორტის ზრდა ან მის ტერიტორიაზე ნებისმიერი სახის საქონლის იმპორტის შემცირება, მან შეთანხმების მონაწილე მხარეებს წერილობით უნდა აცნობოს სუბსიდიის ოდენობის და ფორმის შესახებ, სუბსიდირების გავლენის მის ტერიტორიაზე იმპორტირებული ან მისი ტერიტორიიდან ექსპორტირებული სუბსიდირებული საქონლის ან საქონლის ჯგუფის რაოდენობის მიახლოებითი გაანგარიშება, აგრეთვე იმ გარემოებების შესახებ, რომელთა შედეგადაც წარმოიშვა სუბსიდირების აუცილებლობა.

ამასთან, ვმო მოუწოდებს წევრ ქვეყნებს არ განახორციელონ ნედლეულის ექსპორტის სუბსიდირება, ხოლო, თუ მაინც განხორციელდება სუბსიდირება, მაშინ ექსპორტიორმა ქვეყანამ ამ სუბსიდიის შედეგად მსოფლიო ბაზრის შესაბამის სეგმენტში იმაზე მეტი წილი არ უნდა დაიკავოს ვიდრე იგი დაიკავებდა ამას სუბსიდიის გარეშე. ქვეყნები უნდა ეცადნენ თავიდან აიცილონ სანედლეულო საქონლის ექსპორტის სუბსიდირება. მაგრამ, თუ შეთანხმების მონაწილე მხარე გასცემს სუბსიდიას პირდაპირ ან ირიბად ნებისმიერი ფორმით, რაც გამოიწვევს მისი ტერიტორიიდან სანედლეულო საქონლის ექსპორტის ზრდას, ეს სუბსიდია არ უნდა იქნეს გამოყენებული ისე, რომ შეთანხმების მონაწილე მხარემ ამ საქონლით მსოფლიო ექსპორტში დაიკავოს უფრო მნიშვნელოვანი ადგილი, ვიდრე მას, რეალურად ეკუთვნის.

ერთამანეთისაგან განასხვავდება სუბსიდიის განსაზღვრება და საექსპორტო სუბსიდიის ჩასმონათვალი. სუბსიდიის განსაზღვრება მოიცავს ზოგადად, როგორც სამამულო წარმოების მხარდაჭერას, ასევე იმ სამამულო საქონლის მხარდაჭერას, რომელიც მიმართულია ექსპორტის საბაჟო რეჟიმში მოსაქცევად. კერძოდ, სუბსიდირებას მაშინ აქვს ადგილი, როცა:

ა) ვმო-ის წევრი ქვეყნის მთავრობის ან მის ტერიტორიაზე არსებული ნებისმიერი საზოგადოებრივი ორგანიზაციის მხრიდან არსებობს ფინანსური დახმარება, რომლის დროსაც:

– მთავრობის საქმიანობა ამ სფეროში ითვალისწინებს ფონდების (გრანტები, სესხები და აქციების შესყიდვა) პირდაპირ ტრანსფერს ან ფონდებისა და ვალდებულებათა პოტენციურ პირდაპირ ტრანსფერს (ე.წ. სესხების გარანტიები);

– მთავრობის მოსალოდნელი შემოსავალი დაიხარჯა ან არ იქნა ამოღებული (ე.წ. ფისკალური ნახალისება, როგორიცაა საგადახადო კრედიტი);

– მთავრობა უზრუნველყოფს ზოგადი ინფრასტრუქტურის გარდა სხვა სახის პროდუქციითა თუ მომსახურებით, ან თავად იძენს პროდუქციას;

– მთავრობა უხდის დამფინანსებელ ორგანიზაციას, ან უფლებამოსილებას გადასცემს ან უშუალოდ ავალებს კერძო იურიდიულ პირს განახორციელოს ზემოთ განსაზღვრული ფუნქციები, რომელთა აღსრულება ჩვეულებრივ შედის მთავრობის კომპეტენციაში და საზოგადოდ არ სცდება მთავრობის მიერ წარმოებული საქმიანობის ფარგლებს ან ადგილი აქვს რაიმე ფორმით დახმარებას საშემოსავლო თუ ფასების სფეროში;

ბ) ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიიღება მოგება.

საექსპორტო სუბსიდიებს, შემდეგი ფორმები აქვს:

ა) მთავრობის მიერ საექსპოტო პროდუქციის მწარმოებელი ფირმებისა და წარმოებების პირდაპირი სუბსიდირება;

ბ) ვალუტის დატოვება და ექსპორტის წახალისების სხვა მსგავსი პრაქტიკა;

გ) მთავრობის მიერ ან მისი ნებართვით საექსპორტო პროდუქციის შიგა სატრანსპორტო გადაზიდვებზე და ფრახტზე უფრო შეღავათიანი პირობების დაწესება, ვიდრე ეს მოქმედებს დანარჩენი შიგა გადაზიდვებისათვის;

დ) მთავრობის ან მისი ორგანოების მიერ პირდაპირ თუ არაპირდაპირ საექსპორტო წარმოების უზრუნველყოფა საჭირო იმპორტირებული ან შიგა წარმოების პროდუქციითა თუ მომსახურებით უკეთესი პირობებით, ვიდრე იგივე ან მსგავსი კონკურენტი პროდუქციისა და მომსახურების შიგა მოხმარების წარმოებისათვის, თუ (პროდუქციის შემთხვევაში) ეს პირობები უკეთესია ვიდრე, ექსპორტიორებისათვის ბაზარზე არსებული კომერციულად ხელმისანვდომი პირობები;

ე) ექსპორტის პირდაპირი გადასახადებისაგან ან სოციალურ ფონდებში გადარიცხვებისაგან სრული ან ნაწილობრივი განთავისუფლება, რემისია და გადახდის გადავადება, რაც დაწესებულია სხვა კომერციული და სამრეწველო საწარმოებისათვის;

ვ) სპეციალური დაქვითვები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული ექსპორტთან ან საექსპორტო საქმიანობასთან, აღემატება ან საგრძნობლად აღემატება მთავრობის მიერ შიგა მოხმარებისათვის გამიზნული პროდუქციისათვის დაწესებულ დაქვითვებს და გამოითვლება იმავე სა-

ფუძველზე, რომელზეც გამოითვლება პირდაპირი გადასახადები;

ზ) საექსპორტო წარმოების პროდუქციის ან დისტრიბუციის არაპირდაპირი გადასახადებისაგან გათავისუფლება ან რემისია უფრო მეტად, ვიდრე იმავე სახის შიგა მოხმარების პროდუქციის წარმოებისა და დისტრიბუციის მიმართ არის გათვალისწინებული;

თ) საექსპორტო პროდუქციის წარმოებისათვის საჭირო პროდუქციის ან მომსახურების წინა ფაზის კუმულაციური არაპირდაპირი გადასახადებისაგან გათავისუფლება, რემისია, გადახდის გადავადება უფრო მეტად, ვიდრე ამას ითვალისწინებს შიგა მოხმარებისათვის გამიზნული პროდუქციის მიმართ მოქმედი წინა ფაზის კუმულაციური არაპირდაპირი გადასახადების ანალოგიური შეღავათები; იმ პირობით, რომ წინა ფაზის კუმულაციური არაპირდაპირი გადასახადისაგან გათავისუფლება, რემისია ან გადახდის გადავადება ექსპორტირებულ პროდუქციაზე მოხდება მაშინაც, როდესაც გადასახადისაგან არ თავისუფლდება, არ რემისირდება და გადახდა არ გადავადდება მსგავსი შიგა მოხმარების პროდუქციის მიმართ, თუ წინა ფაზის კუმულაციური არაპირდაპირი გადასახადი ამოიღება იმ შუალედური წარმოების პროდუქციიდან, რომელიც გამოიყენება საექსპორტო პროდუქციის წარმოების დროს;

ი) საიმპორტო გადასახადების რემისია და დროებეჭი უფრო მეტი მეტად, ვიდრე ეს არის გათვალისწინებული იმ იმპორტირებული შუალედური პროდუქციის მიმართ, რომელიც გამოიყენება საექსპორტო პროდუქციის წარმოებაში(ნორმალური საწარმოო დანაკარგების გათვალისწინებით) იმ პირობით, რომ, განსაკუთრებულ შემთხვევებში, ფირმას შეუძლია იმპორტირებული შუალედური პროდუქცია ჩაანაცვლოს იმავე ხარისხისა და რაოდენობის შიგა წარმოების შუალედური პროდუქციით, რათა მან ისარგებლოს მოცემული დებულებით, თუ იმპორტსა და შესაბამის ექსპორტს ადგილი აქვს გონივრულად მისაღები დროის განმავლობაში, რომელიც ორ წელს არ უნდა აღემატებოდეს;

კ) მთავრობის (ან მისი კონტროლის ქვეშ მყოფი ორგანოების) მიერ გაცემული საექსპორტო გარანტიები ან სადაზღვეო პროგრამები, საექსპორტო ხარჯების გაზრდის საწინააღმდეგო და ორმხრივი რისკების დაზღვევისა და გარანტიის პროგრამები, რომლებსაც პრემიალური ხასიათი აქვთ და ვერ ფარავენ ხანგრძლივ საოპერაციო ხარჯებსა და სხვა დანაკარგებს;

ლ) მთავრობების (ან მათი კონტროლის ქვეშ მყოფი და/ან მათი სახელით მოქმედი დაწესებულებების) მიერ გაცემული საექსპორტო კრედიტები უფრო ნაკლები პროცენტით, ვიდრე მათ უნდა გადაეხადათ ასეთი დანიშნულების ფონდებზე(ან რომლის გადახდაც მოუწევდათ საერთაშორისო ბაზარზე რომ ესესხათ იმავე კატეგორიის ფონდებიდან და სხვა საკრედიტო პირობებით, დენომინირებული იმავე ვალუტაში, რომელშიც საექსპორტო კრედიტი) ან ექსპორტიორებისა და ფინანსური დაწესებულებების მიერ აღებული კრედიტების ხარჯების სრული ან ნაწილობრივი დაფარვა იმდენად, რამდენადაც ისინი გამოიყენება საექსპორტო კრედიტების სფეროში მატერიალური უპირატესობის მისაღებად;

მ) ნებისმიერი სხვა დახმარება საზოგადოებრივი შემოსავლების ხარჯზე, რომელიც წარმოადგენს საექსპორტო სუბსიდიას.

სასოფლო-სამეურნეო საქონლის ექსპორტის სუბსიდირების დროს მხარეები იყენებენ შემდეგი სახის სუბსიდიებს:

ა) მთავრობების ან მათი ორგანოების მიერ უშუალო სუბსიდიების უზრუნველყოფა, მათ შორის ნატურალური სახით, ფირმების, მრეწველობის დარგების, სასოფლო–სამეურნეო პროდუქტის მწარმოებლების, კოოპერატივებისათვის და მწარმოებლების სხვა ასოციაციებისათვის, ან მარკეტინგული ორგანიზაციებისთვის საექსპორტო ოპერაციებზე გაცემული გადახდების ჩათვლით;

ბ) მთავრობების ან მათი ორგანოების მიერ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების არაკომერციული მარაგების გაყიდვა ან შეთავაზება საექსპორტოდ ანალოგიურ პროდუქტზე შიგა ბაზარზე არსებულზე დაბალი ფასით;

გ) სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მთავრობის მხარდაჭერით ექსპორტის დროს გათვალისწინებული გადახდები, მიუხედავად იმისა, ხორციელდება თუ არა ეს სახელმწიფო ფონდებიდან, იმ გადახდების ჩათვლით, რომლებიც დაფინანსდება მოსაკრებლებისგან შესაბამის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ან საექსპორტო პროდუქციის დასამზადებლად გამოყენებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე;

დ) სუბსიდიები, რომლებიც გათვალისწინებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მარკეტინგული ექსპორტის ხარჯების შესამცირებლად (გარდა ფართოდ გავრცელებული ექსპორტის განვითარების ხელშეწყობისა და საკონსულტაციო მომსახურებისა), ჩატვირთვა – გადმოტვირთვის, პროდუქციის ხარისხის ამაღლების და გადამუშავების ხარჯების, ასევე საერთაშორისო გადაზიდვებთან და ფრახტთან დაკავშირებული დანახარჯების ჩათვლით;

ე) საექსპორტო პროდუქციის ქვეყნის შიგნით ტრანსპორტირება, რისთვისაც მთავრობების მიერ დადგენილია უფრო შეღავათიანი პირობები, ვიდრე ქვეყნის შიგნით ჩვეულებრივი გადაზიდვებისთვის;

ვ)სუბსიდიები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე საექსპორტო პროდუქციაში მათი ჩართვის მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ჰონგონკის სამმიტმა მიიღო გადაწყვეტილება 2013 წლისათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტის სუბსიდირების გაუქმების შესახებ.

სუბსიდია არის ორი სახის: სპეციფიკური და არასპეციფიკური. სპეციფიკური ეწოდება იმ სუბსიდიებს, რომელსაც მთავრობა აძლევს კონკრეტულ საწარმოებს ან დარგებს, ხოლო არასპეციფიკურია ისეთი სუბსიდია, რომელსაც მთავრობა გასცემს არა კონკრეტულ საწარმოებზე ან დარგებზე, არამედ, საზოგადოდ წინასწარ კანონმდებლობით დადგენილი კრიტერიუმების მიხვევით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ აგრარული საქონლის სუბსიდირების გარდა იკრძალება ყველა სხვა სუბსიდია, რომელიც არაკონკურენტულ პირობებში ამყოფებს სამამულო ან იმპორტირებულ საქონელს.

იმ შემთხვევაში, თუ ვმო – ს წევრი ქვეყანა მაინც იყენებს აკრძალულ სუბსიდიას, მაშინ, ხორციელდება შემდეგი პროცედურები:

ა) შესაბამისი(მოსარჩელე) ქვეყანა საკონსულტაციოდ მიმართავს მეორე ქვეყანას(მოპასუხეს) და წარუდგენს მას სუბსიდიის დამადასტურებელ მტკიცებულებებს;

ბ) თუ, კონსულტაციების შესახებ მოსარჩელე ქვეყნის მიერ მოპასუხე ქვეყნისადმი თხოვნის მიღებიდან 30 დღეში მათ შორის არ იქნა მიღებული შეთანხმება, მაშინ ორივე მხარეს შეუძლია მიმართოს ვმო-ის დავების მომწესრიგებელ ორგანოს, რათა მოწვეულ იქნეს საარბიტრაჟო სასამართლო;

გ) საარბიტრაჟო სასამართლო მაშინათვე მიმართავს ე.წ „ექსპერტთა მუდმივ ჯგუფს", რომელიც არის შექმნილი ვმო – ში, რათა დადგინდეს სუბსიდიის არსებობა;

დ) „ექსპერტთა მუდმივი ჯგუფი" დაუყონებლივ იხილავს სუბსიდიების არსებობა – არარსებობის შესახებ მტკიცებულებებს და მიმართავს მოპასუხე ქვეყანას, რათა ამ უკანასკნელმა დაამტკიცოს, რომ აკრძალულ სუბსიდირებას ადგილი არა აქვს;

ე) „ექსპერტთა მუდმივი ჯგუფი" სუბსიდირების შესახებ დასკვნას გადასცემს საარბიტრაჟო სასამართლოს იმ ვადაში, რა ვადაც წინასწარ დაადგინა საარბიტრაჟო სასამართლომ;

ვ) საარბიტრაჟო სასამართლო მასზე ამ საქმის გადაცემიდან 90 დღის ვადაში, „ექსპერტთა მუდმივი ჯგუფის" დასკვნის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას და უგზავნის მას მხარეებს(მოსარჩელე და მოპასუხე ქვეყნებს);

ზ) თუ, საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ ადგილი აქვს აკრძალულ სუბსიდირებას, მაშინ სასამართლო რეკომენდაციით მიმართავს მოპასუხე ქვეყანას და უნიშნავს აკრძალული სუბსიდიის გაუქმების ვადას;

თ) ამ პროცედურების შემდეგ დავების მომწესრიგებელი ორგანო ამტკიცებს სასამართლო გადაწყვეტილებას მხარეებისადმი შესაბამისი შეტყობინებიდან 30 დღის ვადაში;

ი) თუ, რომელიმე მხარე გადაწყვეტს, რომ მოახდინოს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება, მაშინ იგი აცნობებს ამის შესახებ დავების მომწესრიგებელ ორგანოს, ხოლო ეს უკანსკნელი არ დაამტკიცებს სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას;

კ) ამის შემდეგ სააპელაციო ორგანოს მიმართავს შესაბამისი მხარე, ხოლო სააპელაციო ორგანო იღებს გადაწყვეტილებას მიმართვიდან 30 დღის განმავლობაში;

ლ) თუ, სააპელაციო ორგანოს არ შეუძლია 30 დღეში გამოიტანოს გადაწყვეტილება, იგი ამის შესახებ აცნობებს დავების მომწესრიგებელ ორგანოს და უთითებს გადაწყვეტილების წარდგენის საბოლოო ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 60 დღეს;

მ) სააპელაციო ორგანოს გადაწყვეტილებას ამტკიცებს დავების მომწესრიგებელი ორგანო და იგი უპირობოდ უნდა შესრულდეს, თუ სხვა შეთანხმება არ მოხდა მხარეებს შორის;

ნ) თუ, მხარე დადგენილ ვადაში არ შეასრულებს მიღებულ გადაწყვეტილებას, მაშინ მეორე მხარეს უფლება აქვს მიიღოს შესაბამისი კონტრზომა, რაც გამოიხატება საკომპენსაციო საბაჟო გადასახადის შემოღებაში.

სუბსიდირების შედეგად, რომელიმე მხარეს შეიძლება მიადგეს სერიოზული ზარალი, რაც იმას ნიშნავს, რომ დაზარალდა რომელიმე ქვეყნის შიგა ბაზარი ან ექსპორტი და იმპორტი.

სერიოზულ ზარალს ადგილი აქვს შემდეგ შემთხვევებში:

ა) სუბსიდირების შედეგად მოხდა სუბსიდიის გამცემი წევრი ქვეყნის ბაზრიდან სხვა წევრი ქვეყნის მსგავსი პროდუქციის იმპორტის შევიწროება ან გამოძევება;

ბ) სუბსიდირების შედეგად მოხდა სხვა წევრი ქვეყნის მსგავსი პროდუქციის ექსპორტის შევი-

წროება ან გამოძევება მესამე ქვეყნის ბაზრიდან;

გ) სუბსიდირების შედეგად მოხდა სუბსიდირებული პროდუქციის ფასის შემცირება სხვა წევრი ქვეყნის მიერ წარმოებული მსგავსი პროდუქციის ფასთან შედარებით ერთი და იგივე ბაზარზე, ან ფასების მნიშვნელოვანი შეკავება და ფასების დეპრესია ან ამ უკანასკნელის პროდუქციის ჩაწოლა ერთი და იმავე ბაზარზე;

დ) სუბსიდირების შედეგად მოხდა წევრი ქვეყნის მიერ სუბსიდირებული გარკვეული პროდუქციის, განსაკუთრებით თუ საქმე ეხება პირველადი მოხმარების პროდუქტებსა და საგნებს, ხვედრითი წილის გაზრდა საერთაშორისო ბაზარზე ბოლო სამი წლის განმავლობაში მის ხვედრით წილთან შედარებით. ამასთან ერთად აღნიშნული წილის ზრდის ტენდენცია ემთხვევა მწარმოებლის მიერ სუბსიდიების მიღების პერიოდს.

როდესაც დადასტურდება, რომ ადგილი აქვს სუბსიდირებას, რომელიც ზარალს აყენებს მეორე მხარის სამამულო წარმოებას, მაშინ მოცემულ ქვეყანას შეუძლია შემოიღოს საკომპენსაციო საბაჟო გადასახადი მოცემული ქვეყნის მოცემულ კონკრეტულ საქონელზე.

იმპორტირებულ და სუბსიდირებულ საქონელზე დაწესებული საკომპენსაციო საბაჟო გადასახადის ოდენობა არ უნდა იყოს სუბსიდიის თანხაზე მეტი. ემო-ის მიხედვით სასურველია, რომ საკომპენსაციო საბაჟო გადასახადი იყოს სუბსიდირებულ თანხაზე ნაკლები, თუ ის საკმარისი იქნება შიგა წარმოებისათვის მიყენებული ზარალის აღმოსაფხვრელად.

მაგალითად, თუ სუბსიდირებული თანხა ერთეულ საქონელში (ცალი, კგ და ა.შ) შეიცავს სუბსიდიას 5 ევროს, მაშინ საკომპენსაციო საბაჟო გადასახადის პროცენტის შესაბამისი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 5 ევროს. განვიხილოთ კონკრეტული შემთხვევა: ვთქვათ, საქართველოში იმპორტირებულია სუბსიდირებული ფქვილი, სადაც 50 კილოგრამზე (ერთი ტომარა) ექსპორტიორი ქვეყნის მთავრობის სუბსიდია შეადგენს 5 ევროს. ამ საქონლის ერთი ტომრის საბაზრო ფასი(საბაჟო ღირებულება) საქართველომდე მოტანით შეადგენს 15 ევროს, მაგრამ ვინაიდან საქონელი სუბსიდირებულია 5 ევროთი, მისი საქართველომდე მოტანის ფასი შეადგენს – 10 ევროს(15 – 5). შესაბამისად, იგი საქართველოს შიგა ბაზარზე იყიდება საერთო საბაზრო ფასზე 5 ევროთი ნაკლები ფასით, და ამდენად აკოტრებს ადგილობრივ მწარმოებლებს და აგრეთვე, ამ საქონლის სხვა ქვეყნებიდან იმპორტიორებს. სწორედ, ამ თანხის(5 ევროს) საკომპენსაციოდ, საბაჟო ორგანო ბეგრავს თითოეულ ტომარას 5 ევროთი(ან ნაკლები თანხით), რაც აღადგენს საბაზრო ფასის წონასწორობას. ამ შემთხვევაში გადასახადის განაკვეთი შეიძლება დადგინდეს, როგორც პროცენტული სახით, ასევე ფიქსირებული ფორმით.

აღსანიშნავია, რომ საკომპენსაციო საბაჟო გადასახადი შემოღებულ უნდა იქნეს იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც სუბსიდირებული საქონელი შემოდის და ზარალს აყენებს სამამულო ან სხვა იმპორტირებული საქონლის რეალიზაციას. ამის შემდეგ იგი დაუყონებლივ უნდა გაუქმდეს. ამასთან, ნებისმიერი საკომპენსაციო საბაჟო გადასახადის მოქმედების მაქსიმალური ვადა არ უნდა აღემატებოდეს 5 წელს.

სპეციალური საბაჟო გადასახადი განსხვავდება ანტიდემპინგური და საკომპენსაციო საბაჟო გადასახადებისაგან. არსებითი განსხვავება მდგომარეობს ამ გადასახადების შემოღების საფუძვლებში. რაც შეეხება ფუნქციონალურ დანიშნულებას, ეს ფაქტორი სამივე სახის გადასახადისათვის ერთი და იგივეა, რაც ასახვა პოულობს შიგა ბაზრის დაცვაში.

სპეციალური საბაჟო გადასახადის შემოღების საფუძველია არა ფასების შემცირება დემპინგის ან სუბსიდირების შედეგად, არამედ განსაკუთრებით დიდი ოდენობით საქონლის შემოტანა, რომელიც ისეთივე საფრთხეს უქმნის ადგილობრივ ბაზარს, როგორც დემპინგი ან მაღალი სუბსიდირება.

საბოლოო ჯამში დიდი ოდენობით საქონლის წინასწარგანზრახული შემოტანა შეიძლება გახდეს ადგილობრივი ბაზრის ზედმეტად გაჯერებისა და მიწოდების ფასების შემცირების საფუძველი, რამაც თავის მხრივ სერიოზული ზიანი შეიძლება მიაყენოს ადგილობრივ ბაზარს.

სპეციალური საბაჟო გადასახადი შეიძლება შეავადაროთ სატარიფო კვოტას. სატარიფო კვოტა ნიშნავს წინასწარ განსაზღვრული რაოდენობის საქონლის დაბეგვრას დაბალი საბაჟო გადასახადის განაკვეთით, ხოლო კვოტის ანუ საქონლის გარკვეული რაოდენობის ზევით საქონლის იმპორტის დაბეგვრას შედარებით მაღალი განაკვეთებით. განსხვავება სპეციალურ გადასახადსა და სატარიფო კვოტას შორის მდგომარეობს იმაში, რომ სატარიფო კვოტის დროს მაღალი(განსაკუთრებული) განაკვეთით იბეგრება იმპორტირებული საქონლის გარკვეული რაოდენობრივი სეგმენტი, ხოლო სპეციალური საბაჟო გადასახადის დროს – არა მხოლო საქონლის რაოდენობის ნაწილი, არამედ საქონლის მთელი რაოდენობა.

სეზონური საბაჟო გადასახადი წარმოადგენს შიგა ბაზრის დაცვის ბერკეტს. იგი ძირითადად გამ-

იზნულია აგრარული საქონლის იმპორტის შესაზღუდად წელიწადის იმ პერიოდებში, როდესაც ხდება ანალოგიური სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის აღება.

სეზონური საბაჟო გადასახადის დროს ჩერდება ჩვეულებრივი საბაჟო გადასახადის განაკვეთი და მოქმედებას იწყებს უფრო მაღალი განაკვეთის საბაჟო გადასახადი. ჩვეულებრივ ეს პროცედურა ხორციელდება შეზღუდული პერიოდის(თვეების) განმავლობაში.

ქვემოთ გთავაზობთ აგრარულ საქონელზე სეზონური საბაჟო გადასახადის შემოღების ტიპურ მაგალითებს:

ა) კარტოფილი – ჩვეულებრივი საბაჟო გადასახადი – 12%, ხოლო 16 მაისიდან 30 ივნისის ჩათვლით – 16%;

ბ) პომიდორი – ჩვეულებრივი საბაჟო გადასახადი – 12%, ხოლო 1 მაისიდან 31 მაისის ჩათვლით – 14%, 1 ივნისიდან 30 სექტემბრის ჩათვლით – 16%, 1 ოქტომბრიდან 31 ოქტომბრის ჩათვლით – 14%;

გ) კომბოსტო – ჩვეულებრივი საბაჟო გადასახადი – 12%, ხოლო 15 აპრილიდან 31 დეკემბრის ჩათვლით – 16%;

დ) ნიახური – ჩვეულებრივი საბაჟო გადასახადი – 12%, ხოლო 1 მაისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით – 17%;

ე) კიტრი – ჩვეულებრივი საბაჟო გადასახადი – 12%, ხოლო 1 მაისიდან 15 მაისის ჩათვლით – 15%, 16 მაისიდან 30 სექტემბრის ჩათვლით – 17%, 1 ოქტომბრიდან 31 ოქტომბრის ჩათვლით – 14%;

ვ) ბარდა – ჩვეულებრივი საბაჟო გადასახადი – 12%, ხოლო 1 ივლისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით – 17%;

ზ) ფორთოხალი – ჩვეულებრივი საბაჟო გადასახადი – 12%, ხოლო 1 ოქტომბრიდან 31 მარტის ჩათვლით – 17%;

თ) მანდარინი – ჩვეულებრივი საბაჟო გადასახადი – 12%, ხოლო 1 ოქტომბრიდან 31 მარტის ჩათვლით – 17%;

ი) ლიმონი – ჩვეულებრივი საბაჟო გადასახადი – 12%, ხოლო 1 იანვრიდან 31 მაისის ჩათვლით – 17%, 1 ნოემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით – 17%;

კ) გრეიპფრუტი – ჩვეულებრივი საბაჟო გადასახადი – 12%, ხოლო 1 იანვრიდან 30 აპრილის ჩათვლით – 17%, 1 ნოემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით – 16%;

ლ) მსხალი – ჩვეულებრივი საბაჟო გადასახადი – 12%, ხოლო 1 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით – 17%, 1 აპრილიდან 30 აპრილის ჩათვლით – 15%, 1 ივლისიდან 15 ივლისის ჩათვლით – 16%, 16 ივლისიდან 31 ოქტომბრის ჩათვლით – 17%.

ზემოალნიშნული დიფერენცირებული სეზონური საბაჟო გადასახადის განაკვეთები მოქმედებდა საქართველოში 2003 წლის 1 იანვრიდან 2007 წლის 1 იანვრამდე.

აგრარული საბაჟო გადასახადი ევროკავშირის მოვლენაა. იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული ევროკავშირში აგრარული სექტორის სუბსიდირების მძლავრ სისტემასთან, რაც ფაქტობრივად, რიგ შემთხვევებში, ჭარმწარმოებასაც იწვევს.(მაგ. ევროკავშირში არცთუ ისე იშვიათი მოვლენაა, ვენახების მასობრივი ჩეხვა ღვინის ჭარბწარმოების წინააღმდეგ).

ევროკავშირის წევრ ქვეყნებში წარმოშობილი და ამ ქვეყნებში ექსპორტირებული ან იმპორტირებული საქონელი არ ექვემდებარება საბაჟო კონტროლს და არ იბეგრება საბაჟო გადასახდელებით.

ევროკავშირის ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი საბაჟო გადასახადის ხარჯზე ფორმირდება. ამასთან ევროკავშირში მესამე ქვეყნებიდან შემოტანილ საქონელზე გადახდილი საბაჟო გადასახადის 100% მიიმართება ევროკავშირის ბიუჯეტში, რომელიც შემდგომ დადგენილი წესით ნაწილდება ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის. სწორედ ეს თანხები იხარჯება შემდგომ სასოფლო-სამეურნეო ნარმოების სუბსიდირებაზე.

საკუთრივ აგრარული გადასახადი დგინდება, როგორც აგრარული საქონლის იმპორტზე, ასევე – ზოგიერთი საქონლის ექსპორტზეც.

აგრარული გადასახადები არის სასოფლო-სამეურნეო ზოგადი პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი. იგი დგინდება, როგორც ავტონომიურად, ევროკავშირის ცალმხრივი გადაწყვეტილებით, ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე, როგორც შიგა ბაზრის დაცვის სატარიფო ღონისძიება.

აღსანიშნავია, რომ აგრარული საბაჟო გადასახდები დგინდება, არა მხოლოდ წმინდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე, არამედ სხვა საქონელზეც, მასში ზოგიერთი აგრარული კომპონენტის შემცველობის მიხედვით(მაგ. პროდუქტში შაქრის, ფქვილის, გლუკოზის, სახამებლის შემცველობის გათვალისწინებით).

აგრარული საქონლის იმპორტის დროს შესაძლებელია შემოღებულ იქნეს დამატებითი საბაჟო

გადასახადის განაკვეთი, თუ ე. წ „ტრიგერული დონე" გარკვეულ მაჩვენებელს შეესაბამება. ტრიგერული დონე ნიშნავს საქონლის იმპორტის მოცულობის შეფარდებას ასეთი საქონლის შესაბამისი შიგა მოხმარების მოცულობასთან. მაგალითად, თუ, კარაქის იმპორტის მოცულობა არის 10 ერთეული, ხოლო სამამულო და იმპორტული კარაქების შიგა.მოხმარება – 100, მაშინ ტრიგერული მაჩვენებელი იქნება 10%. შესაბამისად დამატებითი საბაჟო გადასახადის შემოღება ხდება შემდეგნაირად:

ა) თუ ეროვნულ ვალუტაში გამოსახულ გადმოტვირთული საქონლის საიმპორტო ჩსჭ ფასს(შემდგომში) – "საიმპორტო ფასი") და „ტრიგერულ" ფასს შორის სხვაობა, „ტრიგერულ" ფასზე ნაკლებია ან 10%-ის ტოლია, დამატებითი საბაჟო გადასახადის შემოღება არ ხდება;

ბ) თუ, იმპორტულ ფასსა და „ტრიგერულ" ფასს შორის სხვაობა აჭარბებს 10%-ს, მაგრამ ტრიგერულ ფასზე ნაკლებია ან 40%-ის ტოლია, მაშინ დამატებითი საბაჟო გადასახადი იქნება იმ მოცულობის 30%, რომლითაც სხვაობა აღემატება 10%-ს;

გ) თუ, სხვაობა აღემატება 40%-ს, მაგრამ „ტრიგერული" ფასის 60%-ზე ნაკლებია ან ტოლია, დამატებითი საბაჟო გადასახადი იქნება იმ თანხის 50%, რომლითაც სხვაობა აღემატება 40%-ს, დამატებული „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დამატებითი საბაჟო გადასახადი;

დ) თუ სხვაობა აჭარბებს 60%-ს, მაგრამ 75%-ზე ნაკლებია ან მისი ტოლია, მაშინ დამატებითი საბაჟო გადასახადი იქნება იმ თანხის 70%, რომლითაც სხვაობა აღემატება „ტრიგერული" ფასის 60%-ს დამატებული „ბ" და „გ" ქვეპუნქტებით განსაზღვრული დამატებითი საბაჟო გადასახადები.

13.3 იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლება

იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლებულია:

ა) საქონლის იმპორტი სტიქიური უბედურებისა და კატასტროფის ლიკვიდაციის, აგრეთვე ჰუმანიტარული დახმარების მიზნით;

ბ) იმ საქონლის იმპორტი, რომელიც გათვალისწინებულია გრანტის შესახებ ხელშეკრულებით, საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად განსაზღვრული წესით;

გ) იმ საქონლის იმპორტი, რომელიც ფინანსდება გრანტებით ან უცხო ქვეყნის სახელმწიფო ორგანოს ან/და საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გაცემული შეღავათიანი კრედიტით, რომელიც არანაკლებ 25 პროცენტის ოდენობით შეიცავს გრანტის ელემენტს. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო გრანტის ელემენტს გაიანგარიშებს საქართველოს პარლამენტის დადგენილების შესაბამისად;

დ) ფიზიკური პირის მიერ:

დ.ა) კალენდარულ დღეში ერთხელ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 02, 04, 06–12, 15–21 ჯგუფებისა და 0302–0307, 2201–2202 სასაქონლო პოზიციების შესაბამისი ჯამური თანხით 500 ლარამდე ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის კეების პროდუქტების იმპორტი (მათ შორის, საფოსტო გზავნილის შემთხვევაში), რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის;

დ.ბ) 30 კალენდარულ დღეში ერთხელ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 28-ე–97-ე ჯგუფებით გათვალისწინებული 500 ლარამდე ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის საქონლის იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის;

დ.გ) საჰაერო ტრანსპორტით შემოტანის შემთხვევაში ერთი კალენდარული დღის, ხოლო სხვა შემთხვევაში – 30 კალენდარული დღის განმავლობაში 400 ღერი სიგარეტის ან 50 სიგარის ან 50 სიგარილას ან 250 გრამი თამბაქოს სხვა ნაწარმის (გარდა თამბაქოს ნედლეულისა) ან ამ ზღვრული ოდენობის ფარგლებში თამბაქოს ამ ქვეპუნქტში დასახელებული ნაწარმის საერთო წონით 250 გრამის იმპორტი; ასევე 4 ლიტრი ყველა სახის ალკოჰოლიანი სასმელის იმპორტი;

დ.დ) უცხოეთში ყოველ 6 თვეზე მეტი ხნით ყოფნის შემდეგ საქართველოში შემოსული ფიზიკური პირის მიერ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 28-ე–97-ე ჯგუფების (გარდა 87-ე ჯგუფისა) შესაბამისი 15 000 ლარის ღირებულების საქონლის იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის, ხოლო საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობიდან ან საკონსულო დაწესებულებიდან როტაციის წესით სამუშაო მივლინებიდან გამოწვეული დიპლომატიური თანამდებობის პირისათვის – დამატებით მის მიერ პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლის (ოჯახზე თითო სატრანსპორტო საშუალების, მაცივრის, კომპიუტერისა და ტელევიზორის) იმპორტი;

დ.ე) საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად შემოსვლისას (რაც დასტურდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით გაცემული შესაბამისი დოკუმენტით) საქონლის

(მათ შორის, ავეჯის, საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის, ოჯახზე ერთი სატრანსპორტო საშუალების) იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის;

დ.ვ) საფოსტო გზავნილის შემთხვევაში საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 28-ე–97-ე ჯგუფების შესაბამისი 300 ლარამდე ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის საქონლის იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის, აგრეთვე 400 ღერი სიგარეტის ან 50 სიგარის ან 50 სიგარილას ან 250 გრამი თამბაქოს სხვა ნაწარმის (გარდა თამბაქოს ნედლეულისა) ან ამ ზღვრული ოდენობის ფარგლებში თამბაქოს ამ ქვეპუნქტში დასახელებული ნაწარმის საერთო წონით 250 გრამის იმპორტი; ასევე 4 ლიტრი ყველა სახის ალკოჰოლიანი სასმელის იმპორტი;

დ.ზ) საჰაერო ტრანსპორტით შემოტანის შემთხვევაში საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 28-ე–97-ე ჯგუფების შესაბამისი 3 000 ლარამდე ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის საქონლის იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის;

ე) ბავშვთა კვების პროდუქტებისა და დიაბეტური კვების იმ პროდუქტების იმპორტი, რომლებიც მარკირებულია ასეთად საბითუმო და საცალო წესით მიწოდებისათვის; რენტგენის ფირების, ინსულინის შპრიცების (ნემსების), გლუკომეტრების, სადიაგნოსტიკო ტესტ – სისტემების იმპორტი;

ვ) საერთაშორისო საავიაციო და საერთაშორისო საზღვაო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მისაწოდებლად განკუთვნილი საქონლის იმპორტი;

ზ) „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოებისათვის განკუთვნილი მოწყობილობა – დანადგარების, სატრანსპორტო საშუალებების, სათადარიგო ნაწილებისა და მასალების იმპორტი;

თ) უსასყიდლოდ ჩამორთმეული, კონფისკებული, უპატრონო და სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გადავიდა სახელმწიფოს განკარგვაში ან საკუთრებაში;

ი) 2015 წლის 1 იანვრამდე თამბაქოს ნედლეულისა და ნაწარმის იმპორტი;

კ) პირადი მოხმარების საგნებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების იმპორტი ან დროებითი შემოტანა, რომლებიც განკუთვნილია ნავთობისა და გაზის ძებნა – ძიებისა და მოპოვების სამუშაოებში დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის; საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების, კერძოდ, ბაქო – თბილისი – ჯეიჰანის და ბაქო – თბილისი-ერზრუმის მილსადენების მშენებლობის, შესრულების უზრუნველსაყოფად საქართველოში საქონლის დროებითი შემოტანა; სრულად გათავისუფლებული საქონლის დროებითი შემოტანა; იმ საქონლის იმპორტი ან დროებითი შემოტანა, რომელიც განკუთვნილია უცხოეთის დიპლომატიურ და მათთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ – ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის, იმ სახით, რა სახითაც ასეთი გათავისუფლება გათვალისწინებულია შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებებით, რომელთა მონაწილეც არის საქართველო; საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა და საკონსულო დაწესებულებათა ქონების იმპორტი;

ლ) საქონლის მიმართ გამოყენებული სასაქონლო ოპერაციები (გარდა საქონლის იმპორტისა და დროებითი შემოტანისა) დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, აგრეთვე თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში საქონლის განთავსება;

მ) თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში წარმოებული საქონლის თავისუფალი ინდუსტრიული ზონიდან იმპორტი. საქართველოს ფინანსთა მინისტრს უფლება აქვს, დაადგინოს საქონლის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში წარმოებულად მიჩნევის კრიტერიუმები;

ნ) დაბრუნებული საქონლის იმპორტი;

ო) საფოსტო გზავნილის შემთხვევაში საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 28-ე–97-ე ჯგუფების შესაბამისი 300 ლარამდე ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის საქონლის იმპორტი, აგრეთვე 400 ღერი სიგარეტის ან 50 სიგარის ან 50 სიგარილას ან 250 გრამი თამბაქოს სხვა ნაწარმის (გარდა თამბაქოს ნედლეულისა) ან ამ ზღვრული ოდენობის ფარგლებში თამბაქოს ამ ქვეპუნქტში დასახელებული ნაწარმის საერთო წონით 250 გრამის იმპორტი; ასევე 4 ლიტრი ყველა სახის ალკოჰოლიანი სასმელის იმპორტი;

პ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 1704 90 510 00, 2207 10 000 00, 2501 00 310 00, 2501 00 510 00, 2506, 2507, 2508, 2509, 2511, 2522, 2524, 2525, 2526 (გარდა 2526 20 000 00), 6805 20 000 00 და 6805 30 800 00 სასაქონლო პოზიციებით გათვალ-

ისნინებული საქონლის იმპორტი;

ჟ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 სასაქონლო პოზიციით გათვალისნინებული ელექტროძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები.

რ) „თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ" 1994 წლის 15 აპრილის საერთაშორისო შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე წარმოშობილი საქონლის აღნიშნული სახელმწიფოდან იმპორტი, მიუხედავად საქონლის გადაადგილების მარშრუტისა (ექსპორტიორი ქვეყნის ტერიტორიიდან საქონლის გადაადგილებისას აღნიშნული შეთანხმების არამონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიის გავლის მიუხედავად).

თუ საფოსტო გზავნილით შემოტანილი ალკოჰოლიანი სასმელის ან/და თამბაქოს ნაწარმის ოდენობა აღემატება აღნიშნული „დ.ვ" და „ო" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ზღვრულ ოდენობას, იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლება გამოიყენება საქონლის ზემოთ მითითებული ზღვრული ოდენობის ფარგლებში. მაგ. ფოსტაში არის 5 ლიტრი ყველა სახის ალკოჰოლიანი სასმელი. აქედან 4 ლიტრი გათავისუფლდება.

თავი 14. ქონების გადასახადი

14.1 ქონების გადასახადის სუბიექტი და ობიექტი

ქონების გადასახადის გადამხდელები შესაბამისი დაბეგვრის ობიექტის მიხედვით სამ კატეგორიად იყოფა:

ა) რეზიდენტი საწარმო(ორგანიზაცია) – დაბეგვრის ობიექტი:

– ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხული აქტივები;

– დაუმონტაჟებელი მოწყობილობები;

– დაუმთავრებელ მშენებლობაზე;

– მის მიერ ლიზინგით გაცემული ქონება.

ბ) არარეზიდენტი საწარმო – დაბეგვრის ობიექტი:

– საქართველოს ტერიტორიაზე არსებული და მის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხულ აქტივები, დაუმონტაჟებელი მოწყობილობები, დაუმთავრებელი მშენებლობა;

– საქართველოს ტერიტორიაზე არსებული და იჯარის, ქირის, უზუფრუქტის ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული ქონება.

გ) ფიზიკური პირი – დაბეგვრის ობიექტი:

– საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონება;

– დაუმთავრებელი მშენებლობა;

– შენობა-ნაგებობა ან მათი ნაწილი;

– იახტები;

– კატარღები;

– შვეულმფრენები;

– თვითმფრინავები;

– არარეზიდენტისაგან ლიზინგით მიღებული ქონება;

-ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, მის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხული აქტივები, დაუმონტაჟებელი მონყობილობები, მის მიერ ლიზინგით გაცემული ქონება.

ფიზიკური პირი ქონების გადასახადის გადამხდელია მფლობელობაში ან/და სარგებლობაში არსებულ, გარდაცვლილი პირის სახელზე რეგისტრირებულ ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ქონებით სარგებლობა ხორციელდება იჯარის, ქირის, უზუფრუქტის ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე.

14.2 ქონების გადასახადის განაკვეთი და დასაბეგრი თანხის განსაზღვრა

ქონების გადასახადის განაკვეთი დიფერენცირებულია საწარმოებისთვის და ფიზიკური პირებისთვის. კერძოდ:

ა) საწარმოსთვის/ორგანიზაციისთვის ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი განისაზღვრება დასაბეგრი ქონების ღირებულების არა უმეტეს 1 პროცენტის ოდენობით. შესაბამისად, დასაბეგრი

ქონების ღირებულება არის საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულება (გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსთვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით), რომელიც ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში მხოლოდ უძრავ ქონებასთან მიმართებით უნდა გაიზარდოს:

ა.ა) 2000 წლამდე მიღებულ აქტივებზე – 3 – ჯერ;

ა.ბ) 2000 წლიდან 2004 წლამდე მიღებულ აქტივებზე – 2 – ჯერ;

ა.გ) 2004 წელს მიღებულ აქტივებზე – 1.5 – ჯერ;

ა.დ) იმ აქტივებზე, რომელთა მიღების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს, – ამ ნაწილის „ა.ა" პუნქტით განსაზღვრული ოდენობით.

ზემოაღნიშნული აფასება არ ერცელდება:

– საწარმოზე, თუ იგი მის ბალანსზე რიცხულ უძრავ ქონებას აღრიცხავს გადაფასების მეთოდის გამოყენებით და აქვს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული პირების მიერ აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება; ამასთანავე, აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ 4 წლის ვადით;

– საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ სახელმწიფო საწარმოებზე;

ბ) საწარმოსთვის(ორგანიზაციისთვის), გარდა სალიზინგო კომპანიისთვის ლიზინგით გაცემულ ქონებაზე, ლიზინგით გაცემულ დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთი განისაზღვრება დასაბეგრი ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების (გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსთვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით) არა უმეტეს 1 პროცენტის ოდენობით. ამ ნაწილის მიზნებისათვის ლიზინგით გაცემული დასაბეგრი ქონების საბალანსო ღირებულება არის ქონების გაცემის მომენტისათვის არსებული ღირებულება, ხოლო ყოველი მომდევნო წლისათვის ქონების ღირებულებად ითვლება აღნიშნული ქონების ნარჩენი საბალანსო ღირებულება, რომელიც ამ ქონებას ექნებოდა ლიზინგით არგაცემის შემთხვევაში;

გ) სალიზინგო კომპანიისთვის ლიზინგით გაცემულ დასაბეგრ ქონებაზე წლიური გადასახადი ლიზინგის მთელი პერიოდის განმავლობაში განისაზღვრება მის მიერ დასაბეგრი ქონების ლიზინგით პირველად გაცემის მომენტისათვის არსებული საბალანსო საწყისი ღირებულების არა უმეტეს 0.6 პროცენტის ოდენობით;

დ) ფიზიკური პირის დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთი დიფერენცირებულია გადასახადის გადამხდელის ოჯახის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლების მიხედვით და განისაზღვრება შემდეგი ოდენობით:

დ.ა) 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის – საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0.05 პროცენტისა და არა უმეტეს 0.2 პროცენტისა;

დ.ბ) 100 000 ლარის ან მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის – საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0.8 პროცენტისა და არა უმეტეს 1 პროცენტისა.

ქონების გადასახადით დაბეგვრის მიზნებისათვის ფიზიკური პირის ოჯახის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებულ შემოსავლებში შეიტანება ყველა შემოსავალი, მათ შორის, სარგებელი საგადასახადო შეღავათების გაუთვალისწინებლად, კერძოდ:

ა) ეკონომიკური საქმიანობით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი, გარდა „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;

ბ) ნებისმიერი შემოსავალი, მათ შორის, სარგებელი, რომელიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან;

გ) დარიცხული ხელფასი.

დ) მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირისათვის:

დ.ა) სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას დაქვემდებარებული დასაბეგრი შემოსავლის 25 პროცენტი;

დ.ბ) დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება მცირე ბიზნესის სპეციალური რეჟიმით დასაბეგრ შემოსავალს.

ზემოაღნიშნულ შემოსავლებში არ შეიტანება:

ა) ოჯახის წევრებისაგან მემკვიდრეობით, ჩუქებით ან განქორწინების საფუძველზე მიღებული ქონების ღირებულება;

ბ) ფიზიკური პირის მიერ (მათ შორის, I რიგის მემკვიდრის მიერ ჯამურად თავისი და მამკვიდრებლის) 2 წელზე მეტი ვადით მის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინის (სახლის) რეალიზაცი-

ით მიღებული შემოსავალი;

გ) იძულებით გადაადგილებულ პირთათვის – დევნილთათვის სახელმწიფოს მიერ გადაცემული ქონების თავდაპირველი რეალიზაციით მიღებული შემოსავალი;

დ) ფიქსირებული გადასახადის გადამხდელისა და მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირის მიერ აღნიშნული ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი;

საქართველოს მოქალაქე არარეზიდენტ ფიზიკურ პირთან მიმართებით შემოსავლები განისაზღვრება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავლების მიხედვით.

დასაბეგრ ქონებაზე საგადასახადო ვალდებულება განისაზღვრება საგადასახადო წლის 31 დეკემბრისათვის მოქმედი განაკვეთით.

საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს გადასახადის გადამხდელს, გარდა იმ სანარმოებისა, რომლებზეც ქონების აფასება არ ვრცელდება, საგადასახადო შემოწმებისას დასაბეგრი ქონების ღირებულება განუსაზღვროს საბაზრო ფასით. თუ დასაბეგრი ქონების საბაზრო ფასი აღემატება მის საბალანსო ღირებულებას:

ა) პირს დასაბეგრი ქონების ღირებულების სხვაობაზე დაერიცხება ქონების გადასახადის ძირითადი თანხა. ამასთანავე, აღნიშნულ თანხაზე საურავი დაეკისრება მხოლოდ საგადასახადო მოთხოვნის ჩაბარების დღის შემდეგ 30-ე დღიდან, ხოლო აღნიშნული სხვაობა გადასახადის შემცირებად არ ჩაითვლება;

ბ) პირი ვალდებულია შესაბამისი დასაბეგრი ქონების მიმართ აღნიშნული საბაზრო ფასი გამოიყენოს შემდგომი 3 საგადასახადო წლის განმავლობაში.

14.3 მიწის გადასახადი

მიწაზე ქონების გადასახადის გადამხდელია პირი საგადასახადო წლის 1 აპრილის მდგომარეობით:

ა) მის საკუთრებაში არსებულ მიწაზე;

ბ) სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწაზე, რომლითაც სარგებლობს ან რომელსაც ფლობს იგი;

გ) მის მფლობელობაში ან/და სარგებლობაში არსებულ, გარდაცვლილი პირის სახელზე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მიწის ნაკვეთით სარგებლობა ხორციელდება იჯარის, ქირის, უზუფრუქტის ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა და ტყის მიწებზე ქონების გადასახადის წლიური საბაზისო განაკვეთები დიფერენცირებულია ადმინისტრაციულ – ტერიტორიული ერთეულებისა და მიწის კატეგორიების მიხედვით და დგინდება 1 ჰექტარზე გაანგარიშებით, ლარში:

ა) სახნავისათვის (მათ შორის, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწა, საბაღე, საბოსტნე) და საკარმიდამოსათვის:

	საბაზისო განაკვეთი (ლარი/ჰა)
ადმინისტრაციული ერთეულის დასახელება	სახნავი და საკარმიდამო
1. თბილისი (გარდა თბილისის დასახლებებისა (სოფლებისა), მარნეული	100
2. ბოლნისი, გარდაბანი, თბილისის დასახლებები (სოფლები): წავკისი, კოჯორი, ტაბახმელა, შინდისი, დიდება, კვესეთი, სამადლო, კიკეთი, ნასაგურალი, ახალდაბა, დიდი ლილო, ვარკეთილი	95
3. რუსთავი, ბათუმი, გაგრა, გალი, გუდაუთა, გულრიფში, ოჩამჩირე, სოხუმი, ტყვარჩელი	94
4. ქობულეთი, ხელვაჩაური, გურჯაანი, დედოფლისწყარო	87
5. თელავი, ლაგოდეხი, სიღნაღი	86
6. ყვარელი, გორი, მცხეთა, ახმეტა, დმანისი, ერედვი, თიღვი, თბილისის დასახლებები (სოფლები):	

დიღომი, მშრალხევი, დაბა ზაჰესი, გლდანი, დიდგორი, ზურგოვანა, თელოვანა, ძველი ვეძისი, აგარაკი, თხინვალი, სოფელ გლდანიდან ავჭალის საბაღე ნაკვეთები, გიორგიწმინდა – დასახლებამდე – საბაღე ნაკვეთები, მუხიანის მიმდებარე საბაღე ნაკვეთები, ხევძმარის მიმდებარე „ავშიანის“ ნაკვეთები, ლოტკინის დასახლება – სანერგე მეურნეობა, რესის მიმდებარე დასახლება, თბილისის ზღვის არსებული დასახლება	82
7. კასპი, თეთრი წყარო, სამტრედია	81
8. საგარეჯო, ქარელი, ხაშური	79
9. ქურთა, წალკა	77
10. აბაშა, ზუგდიდი	77
11. ახალქალაქი, ახალციხე	77
12. მარტვილი, სენაკი, ხობი, ფოთი	76
13. ნინოწმინდა	76
14. ახალგორი, ვანი, ზესტაფონი, ლანჩხუთი, ოზურგეთი	73
15. ბაღდათი, თერჯოლა, ხონი, ქუთაისი	71
16. წალენჯიხა, წყალტუბო, ჩხოროწყუ	67
17. საჩხერე, ცაგერი, ცხინვალი	65
18. ამბროლაური, დუშეთი, თიანეთი, ადიგენი, ბორჯომი	61
19. ასპინძა, ტყიბული, ხულო, ქედა	60
20. შუახევი, ხარაგაული, ჭიათურა, ლენტეხი, ონი, ჩოხატაური, მესტია, სტეფანწმინდა, ჯავა	56

ბ) სათიბებისა და საძოვრებისათვის (ბუნებრივი და გაკულტურებული):

ადმინისტრაციული ერთეულის დასახელება	საბაზისო განაკვეთი (ლარი/ჰა)	
	სათიბები	საძოვრები
1. აბაშა, ახალქალაქი, გორი, ბათუმი, ბოლნისი, გაგრა, გალი, გარდაბანი, გუდაუთა, გულრიფში, გურჯაანი, დმანისი, ზუგდიდი, თბილისი, თეთრი წყარო, თელავი, ლაგოდეხი, ლანჩხუთი, მარნეული, მცხეთა, ნინოწმინდა, ოზურგეთი, ოჩამჩირე, რუსთავი, სამტრედია, სენაკი, სიღნაღი, სოხუმი, ქუთაისი, ქობულეთი, ყვარელი, წალკა, წყალტუბო, ხელვაჩაური, ხობი, ფოთი	20	16
2. დედოფლისწყარო	20	7
3. ადიგენი, ასპინძა, ახალგორი, ბაღდათი, ბორჯომი, ვანი, ზესტაფონი, თერჯოლა, თიანეთი, კასპი, მარტვილი, საგარეჯო, საჩხერე, ტყიბული, ქარელი, ქედა, შუახევი, ჩოხატაური, ჩხოროწყუ, წალენჯიხა, ხარაგაული, ხაშური, ხონი, ხულო, ახალციხე	19	15
4. ამბროლაური, დუშეთი, ლენტეხი, მესტია, ონი, ყაზბეგი, ცაგერი, ცხინვალი, ჭიათურა, ჯავა	16	10
5. ახმეტა	16	5

გ) სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ტყის მიწებისათვის – ამ ნაწილის „ა“ და „ბ“ პუნქტებით დადგენილი შესაბამისი ოდენობით;

დ) ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილებით განისაზღვრება გადასახადის განაკვეთი, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ზემოაღნიშნული წლიური საბაზისო განაკვეთის 150 პროცენტს.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის განაკვეთები კონკრეტული მიწის ნაკვეთისათვის, მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, გაიანგარიშება შემდეგი წესით:

ა) გადასახადის საბაზისო განაკვეთი დგინდება წელიწადში მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე 0.24 ლარის ოდენობით;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილებით, შესაბამისი საბაზისო განაკვეთი მრავლდება ტერიტორიულ კოეფიციენტზე. ამასთანავე, ტერიტორიული კოეფიციენტი არ შეიძლება იყოს 1,5-ზე მეტი.

ბუნებრივი რესურსებით მოსარგებლე პირისათვის შესაბამისი ლიცენზიის გაცემის საფუძველზე გამოყოფილი მიწა იბეგრება ერთ ჰექტარზე არა უმეტეს 3 ლარით.

მიწაზე საგადასახადო ვალდებულება განისაზღვრება საგადასახადო წლის 1 აპრილისათვის მოქმედი განაკვეთების მიხედვით.

14.4 ქონების გადასახადის გადახდა

ქონების გადასახადის გადახდის პროცედურები დიფერენცირებულია საწარმოებისთვის და ფიზიკური პირებისთვის. ზოგადად, ქონების გადასახადის საგადასახადო პერიოდად ითვლება კალენდარული წელი.

საწარმო (ორგანიზაცია) ქონების გადასახადის დეკლარაციას შესაბამის საგადასახადო ორგანოს წარუდგენს არა უგვიანეს კალენდარული წლის 1 აპრილისა და ამავე ვადაში იხდის ქონების გადასახადს. საწარმო/ორგანიზაცია მიწაზე ქონების გადასახადს იხდის არა უგვიანეს კალენდარული წლის 15 ნოემბრისა.

დეკლარაციაში მონაცემები დასაბეგრი ქონების შესახებ შეიტანება გასული საგადასახადო წლის მიხედვით, ხოლო დასაბეგრი მიწის შესახებ – მიმდინარე საგადასახადო წლის მიხედვით.

საწარმო/ორგანიზაცია ქონებაზე გადასახადს იხდის მიმდინარე გადასახდელის სახით, გასული საგადასახადო წლის წლიური გადასახადის ოდენობით, არა უგვიანეს საგადასახადო წლის 15 ივნისისა.

თუ ქონებაზე ქონების გადასახადში მიმდინარე საგადასახადო წლის მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულების ოდენობა, მათ შორის, საგადასახადო შეღავათების გათვალისწინებით, არანაკლებ 50 პროცენტით მცირდება გასულ საგადასახადო წელთან შედარებით და აღნიშნულის შესახებ გადასახადის გადამხდელი არა უგვიანეს მიმდინარე წლის 1 ივნისისა აცნობებს შესაბამის საგადასახადო ორგანოს, გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, შეამციროს ან საერთოდ არ გადაიხადოს მიმდინარე გადასახდელის თანხა.

თუ წარმოდგენილი ფაქტობრივი წლიური შედეგების მიხედვით არ დასტურდება მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულების ოდენობის არანაკლებ 50 პროცენტით შემცირება და გადასახადის გადამხდელს საანგარიშო წლის განმავლობაში სრული ოდენობით არ გადაუხდია მიმდინარე გადასახდელი, მან უნდა გადაიხადოს საურავი, მიმდინარე გადასახდელის გადახდის ვადის დადგენილი თარიღიდან საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის თარიღამდე არსებულ დროის მონაკვეთში.

თუ წინა საგადასახადო პერიოდთან შედარებით იცვლება გადასახადის განაკვეთი, გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, მიმდინარე გადასახდელი გადაიხადოს მიმდინარე წლისთვის მოქმედი განაკვეთის მიხედვით.

თუ გადასახადის გადამხდელი საწარმო/ორგანიზაცია მხოლოდ არასრული კალენდარული წლის განმავლობაში არსებობს, იგი ქონებაზე გადასახადს იხდის ამ პერიოდის პროპორციულად.

თუ იურიდიული პირი კალენდარული წლის დაწყების შემდეგ დაფუძნდა, მას შესაბამისი საგადასახადო პერიოდის მიხედვით მიმდინარე გადასახდელის გადახდის ვალდებულება არ ეკისრება. ამასთანავე, მომდევნო საგადასახადო პერიოდის მიხედვით მიმდინარე გადასახდელის ოდენობა განისაზღვრება გასული საგადასახადო წლის წლიური გადასახადის სრული ოდენობით.

სალიკვიდაციო კომისია ვალდებულია საწარმოს ლიკვიდაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში წარუდგინოს შესაბამის საგადასახადო ორგანოს ქონების გადასახადის დეკლარაცია.

გადასახადის გადამხდელი ვალდებულია „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით სასამართლოს მიერ გამოტანილი გაკოტრების შესახებ განჩინების კანონიერ ძალაში შესვლიდან 15 დღის ვადაში საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს გაკოტრების საქმის წარმოების დაწყებამდე სრული/არასრული საგადასახადო პერიოდის (პერიოდების) ნარუდგენელი დეკლარაციები. ამასთანავე, გადასახადის გადამხდელი გაკოტრების საქმის წარმოების დანყების შემდეგ სრული/არასრული საგადასახადო პერიოდის (პერიოდების) შესაბამისად ქონების გადასახადის დეკლარაციებს არ წარადგენს.

ფიზიკური პირის ქონების გადასახადს გამოიანგარიშებს საგადასახადო ორგანო წარდგენილი დეკლარაციის საფუძველზე.

ფიზიკური პირი ქონების გადასახადის დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს წარუდგენს არა უგვიანეს კალენდარული წლის 1 ნოემბრისა. დეკლარაციაში მონაცემები დასაბეგრი ქონების შესახებ შეიტანება გასული საგადასახადო წლის მიხედვით, ხოლო დასაბეგრი მიწის შესახებ – მიმდინარე საგადასახადო წლის მიხედვით.

ფიზიკურ პირს უფლება აქვს, არ წარადგინოს ქონების გადასახადის დეკლარაცია, თუ:

ა) დადგენილი შეღავათების გათვალისწინებით მას საგადასახადო პერიოდის მიხედვით საგადასახადო ვალდებულება არ წარმოეშობა. ამასთანავე, თუ ფიზიკური პირი გასული საგადასახადო წლის მიხედვით იყო ქონების გადასახადის მიხედვით დეკლარანტი, იგი დეკლარაციის წარუდგენლობის შესახებ გადაწყვეტილებას საგადასახადო ორგანოს აცნობებს, არა უგვიანეს საგადასახადო წლის 1 ნოემბრისა;

ბ) საანგარიშო წლის წინა პერიოდის მიხედვით ქონების გადასახადის დეკლარაცია წარდგენილია ან დარიცხულია ქონების გადასახადი საგადასახადო ორგანოს მიერ. წინა საანგარიშო წლის მონაცემების მიხედვით საგადასახადო ორგანო გადასახადის გადამხდელს პროგრამულად არიცხავს ქონების გადასახადს. ამ შემთხვევაში ითვლება, რომ გადასახადის გადამხდელმა განახორციელა საგადასახადო ანგარიშგება, ხოლო საგადასახადო ორგანომ მას წარუდგინა საგადასახადო მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საგადასახადო ვალდებულება შესაბამისი პერიოდის მიხედვით ბოლო დეკლარირებულის (დარიცხულის) ტოლია. ამასთანავე, თუ დეკლარირება შემდგომ განხორციელდება აღნიშნული პერიოდების მიხედვით, იგი ჩაითვლება შესწორებულ დეკლარაციად.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების საფუძველზე საგადასახადო ორგანოს მიერ მინაზე ქონების გადასახადის დარიცხვისას პირი თავისუფლდება მიწაზე ქონების გადასახადის დეკლარაციის წარდგენის ვალდებულებისაგან. ამ შემთხვევაში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების საფუძველზე პირს წარედგინება საგადასახადო მოთხოვნა დადგენილი წესით.

ფიზიკური პირი ქონებაზე და მიწაზე ქონების გადასახადს იხდის არა უგვიანეს კალენდარული წლის 15 ნოემბრისა.

14.5 ქონების გადასახადისაგან გათავისუფლება

ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებულია:

ა) ფიზიკური პირის დასაბეგრი ქონება (გარდა მიწისა), თუ ამ პირის ოჯახის მიერ მიმდინარე კალენდარული წლის წინა წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლები არ აღემატება 40 000 ლარს;

ბ) მიმოსვლის გზები, ელექტროგადამცემი ხაზები, აგრეთვე ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების საკაბელო ხაზები;

გ) ორგანიზაციის ქონება, აგრეთვე ორგანიზაციაზე ლიზინგით გაცემული ქონება, გარდა მიწისა და ორგანიზაციის მიერ ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონებისა;

დ) „ნავთობისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების (საქმიანობის) სანარმოებლად გამოყენებული ქონება;

ე) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ის ნაწილი, რომელიც გადაცემული აქვს საბიუჯეტო ორგანიზაციას, გარდა ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული მინისა;

ვ) ბუნებისა და ისტორიული ძეგლების დაცვის ორგანიზაციების მიწის ფართობები, რომლებზედაც განლაგებულია სახელმწიფოს მიერ ისტორიულ, კულტურულ ან/და არქიტექტურულ ძეგლებად მიჩნეული ნაგებობები, თუ ისინი არ გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის, რომელშიც არ იგულისხმება შესასვლელი ბილეთების რეალიზაცია;

ზ) ბუნებრივი პარკებით, ბოტანიკური და დენდროლოგიური ბაღებით, კულტურისა და დასვენების მუნიციპალური პარკებით, სასაფლაოებით, ზოოლოგიური ბაღებით ან/და პარკებით, ოკეანარიუმებით, სკვერებით, ხეივნებით, დაცული ტერიტორიებით, სატყეო ორგანიზაციებით, აგრეთვე

ღია საუწყებო პარკებით, ბაღებითა და ტყე-ბაღებით დაკავებული მიწები, გარდა ამ ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ნაკვეთებისა;

თ) ქალაქის წყალსაცავები და მათი აკვატორიები; ის მიწები, რომლებიც გამოიყენება სატრანსპორტო და მიწისქვეშა კომუნიკაციებისათვის, თუ ისინი არ გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და ეკონომიკური საქმიანობისათვის;

ი) სასმელი წყლით მოსახლეობის მომარაგებისათვის, ელექტროსადგურებისა და სამელიორაციო სისტემებისა და მათი ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი წყალსაცავებით დაკავებული მიწები და ამ ობიექტების სანიტარიულ-დაცვითი და ტექნიკური ზონები;

კ) „ნავთობისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების (საქმიანობის) საწარმოებლად გამოყენებული მიწის ნაკვეთები, თუ ისინი სხვა მიზნით არ გამოიყენება;

ლ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომლის ნაყოფიერი ფენაც სანახევროდ ან მეტადაა დაზიანებული სტიქიის (ქარიშხლის, სეტყვის, გვალვის, წყალდიდობის, მეწყრის და სხვა) შედეგად, რაც დასტურდება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ გაცემული ცნობით;

მ) „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ ტერიტორიებზე არსებული ქონება – დროებით, კონფლიქტის მოგვარებამდე და ეკონომიკური სიტუაციის მოწესრიგებამდე;

ნ) პირის მფლობელობაში/საკუთრებაში არსებული მიწა, რომელიც მდებარეობს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი ტერიტორიების მიმდებარედ, რის გამოც პირი ვერ სარგებლობს მოცემული მიწის ნაკვეთით, რაც დასტურდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გაცემული ცნობით;

ო) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გამოუყენებელი სათიბები, საძოვრები, სარეკულტივაციო და სამარაგო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები;

პ) ის მიწები, რომლებიც გამოიყენება აეროდრომების, აეროპორტების, ვერტოდრომებისა და აერონავიგაციის უსაფრთხოების ზონებად და მიწისქვეშა კომუნიკაციებისათვის, აგრეთვე ნავსადგურებისათვის პერსპექტიული განვითარების მიზნით დამაგრებული მიწის ნაკვეთები, თუ ისინი არ გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის;

ჟ) ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებმაც მიიღეს ახალასათვისებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები, – მიღებიდან 5 წლის განმავლობაში;

რ) ნასოფლარის ტერიტორიაზე, აგრეთვე განსახლების სახელმწიფო ღონისძიებათა შესაბამისად დასახლებულ მოქალაქეთა ოჯახები ამ ტერიტორიაზე არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე – დასახლებიდან 5 წლის განმავლობაში;

ს) 2004 წლის 1 მარტის მდგომარეობით ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული 5 ჰექტარამდე ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები(ამ პუნქტით გათვალისწინებული შეღავათი ვრცელდება კომლის წევრის ან პირველი/მეორე რიგის მემკვიდრის მიერ აღნიშნული ქონების ჩუქებით/მემკვიდრეობით მიღების, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მიერ წევრებისაგან (მეპაიეებისაგან) ამ ქონების შენატანის (პაის) სახით მიღების შემთხვევებშიც);

ტ) 2015 წლის 1 იანვრამდე პირველადი წყალმოსარგებლეებისათვის – კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაცემული სამელიორაციო ინფრასტრუქტურა;

უ) მეორე მსოფლიო ომის ინვალიდები და მათთან გათანაბრებული პირები პრივატიზების წესით მიღებულ მიწის ნაკვეთებზე;

ფ) „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული, კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ და სამხრეთ ფერდობებზე განლაგებული რაიონებისა და აჭარა-გურიის მთიანეთის სოფლების, თემებისა და დაბების მცხოვრებნი აღნიშნულ ტერიტორიებზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე. სამხრეთი საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებთ მოცემულ ტერიტორიებზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე ქონების გადასახადი უმცირდებათ 50 პროცენტით;

ქ) სამეცნიერო-კვლევითი, სასწავლო, საცდელ-სასელექციო, ექსპერიმენტული, ჯიშთა გამოცდის მიწის ნაკვეთები, რომლებიც გამოიყენება სამეცნიერო და სასწავლო მიზნებისათვის და რომლებზედაც სამუშაოები ბიუჯეტიდან ფინანსდება;

ღ) მიწის ნაკვეთები, რომლებიც გამოიყენება ბიუჯეტიდან დაფინანსებული 60 წლის და მეტი ასაკის პირთა ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატების/თავშესაფრების,

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (მათ შორის, ბავშვთა) ან/და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა/მოზარდთა სააღმზრდელო დაწესებულებების ან დღის ცენტრების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების (სკოლების) მიერ თავიანთი ძირითადი ფუნქციების შესრულებისათვის; მიწის ნაკვეთები, გამოყენებული ბავშვთა სააღმზრდელო დანესებულებების, სპეციალური სკოლა – ინტერნატების, ბავშვთა სოფლებისა და საბავშვო ბაღების მიერ, რომლებიც უსასყიდლოდ ეწევიან ბავშვთა მოვლა – აღზრდას და მათთვის განათლების მიცემას, თუ ისინი არ გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის;

ყ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელზედაც მისაღები მოსავლის ნახევარზე მეტი განადგურდა სტიქიის (ქარიშხლის, სეტყვის, გვალვის, წყალდიდობის, მეწყრის და სხვა) ან სხვა ფორსმაჟორული გარემოების შედეგად, რაც დასტურდება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ გაცემული ცნობით;

ს) თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში არსებული ქონება;

ჩ) ბიოლოგიური აქტივი;

ც) საქართველოს რეზიდენტისგან ლიზინგით მიღებული ქონება;

ძ) სამედიცინო საქმიანობისათვის გამოყენებული ქონება, გარდა მიწისა, რომელიც სამედიცინო დანესებულებათა საკუთრებაშია ან ასეთ დანესებულებებზე ლიზინგით არის გაცემული;

წ) სამედიცინო საქმიანობისათვის გამოყენებული, სამედიცინო დანესებულებებზე დამაგრებული მიწის ნაკვეთები;

წ) 2026 წლის 1 იანვრამდე ტურისტული ზონის მეწარმე სუბიექტის სასტუმრო მომსახურებასთან დაკავშირებული ქონება;

ხ) „ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის" 01 კოდით გათვალისწინებულ საქმიანობაში (სოფლის მეურნეობაში) დასაქმებული პირის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება, აგრეთვე ასეთ პირზე ლიზინგით გაცემული მოძრავი ქონება, რომლებსაც ეს პირი ამავე საქმიანობაში იყენებს;

ჯ) 2017 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საკუთრებაში არსებული, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ქონება (გარდა მიწისა) და ამავე საქმიანობისათვის მასზე ლიზინგით გაცემული მოძრავი ქონება;

ჰ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით ავტორიზებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობაში გამოყენებული ქონება (მათ შორის, მიწის ნაკვეთები);

ჰ1) მრავალბინიან სახლში მცხოვრები ფიზიკური პირის თანასაკუთრებაში არსებული ფართობის პროპორციულად განსაზღვრული დაბებვგრის ობიექტი (მიწის ნაკვეთი);

ჰ2) თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე მდებარე საცხოვრებელ სახლებზე ან/და ავტოფარეხებზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ დადგენილი ფართობის ზღვრული ოდენობის ფარგლებში;

ჰ3) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8903 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული საქონელი;

ჰ4) „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით გაკოტრების რეჟიმში მყოფი პირის ქონება.

ჰ5) სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საკუთრებაში არსებული სახელმწიფო ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ უსასყიდლოდ გადაცემული უძრავი ქონება, რომელიც გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში.

დადგენილი საგადასახადო შეღავათი არ ვრცელდება პირის მიერ იჯარით, უზუფრუქტით, ქირით ან სხვა ამგვარი ფორმით სხვა პირისთვის გადაცემულ მიწის ნაკვეთზე (ან მის ნაწილზე) ან/და სანარმოს/ორგანიზაციის მიერ ამავე ფორმით გადაცემულ შენობა-ნაგებობებზე (ან მათ ნაწილზე).

თუ დეკლარაციის წარდგენის ვადის გასვლის შემდეგ პირმა იჯარით, უზუფრუქტით, ქირით ან სხვა ამგვარი ფორმით გასცა მიწის ნაკვეთი, ამ პირზე საგადასახადო შეღავათი აღარ გავრცელდება. ამასთანავე, პირი ვალდებულია საგადასახადო ორგანოს საანგარიშო წლის ბოლომდე წარუდგინოს დეკლარაცია და გადაიხადოს გადასახადი საგადასახადო მოთხოვნის შესაბამისად.

თავი 15. სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები

15.1. მიკრო ბიზნესი

15.1.1 მიკრო ბიზნესის ცნება

მიკრო ბიზნესი საქართველოში შეღავათიანი დაბეგვრის რეგულაციის სფეროა. უფრო ზუსტად, რომ ვთქვათ, მიკრო ბიზნესი თავისი საქმიანობის სფეროში მთლიანად თავისუფლდება გადასახადებისაგან. ამ შემთხვევაში მხედველობაში არ გვაქვს ქონების გადასახადი, რომელსაც შეიძლება იხდიდეს მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი, თუ მისი ოჯახის წევრებისა და მისი შემოსავლების წლიური შესაბამისი შემოსავლის ჯამი აღემატება 40000 ლარს.

მიკრობიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ნებისმიერ ფიზიკურ პირს: საქართველოს რეზიდენტს, თუ არარეზიდენტს, რომელიც განიძრახავს ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებას და დააკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს.

მიკრობიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს შემდეგ პირს, რომლებიც ერთდროულად აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

ა) არის ფიზიკური პირი (ფიზიკურ პირი, მეწარმე ფიზიკურ პირი);

ბ) ფიზიკურ პირს, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას;

გ) ფიზიკურ პირს, თუ მისი მომავალი ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 30000 ლარს.

მიკრო ბიზნესს შეუძლია განახორციელოს ნებისმიერი ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც კანონმდებლობით ფიზიკური პირისათვის ან უშუალოდ მიკრობიზნესისათვის აკრძალული არ არის. კერძოდ, მიკრობიზნესისათვის აკრძალულია შემდეგი საქმიანობების განხორციელება:

ა) საქმიანობები, რომლებიც საჭიროებენ ლიცენზირებას ან ნებართვას;

ბ) საქმიანობები, რომლებიდანაც მიღებულმა შემოსავლებმა კალენდარული წლის განმავლობაში შესაძლოა გადააჭარბოს 30 000 ლარს;

გ) სავალუტო ოპერაციების განხორციელება;

დ) სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო ან სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო (მათ შორის, საგადასახადო კონსულტანტთა) საქმიანობა;

ე) სათამაშო ბიზნესი;

ვ) ვაჭრობა (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხორციელდება შესყიდული საქონლის გადამუშავება და მიწოდება).

15.1.2 მიკრო ბიზნესის სტატუსის მინიჭება

მიკრო ბიზნესის სტატუსის მისანიჭებლად ფიზიკური პირი ნებისმიერ დროს მიმართავს შემოსავლების სამსახურს. მნიშვნელობა არ აქვს იმ ფაქტს, რომ ფიზიკური პირი არის თუ არა აღრიცხვაზე აყვანილი გადასახადის გადამხდელად. ამასთან, მიკრობიზნესის სტატუსი არ მიენიჭება იმ ფიზიკურ პირს, რომელიც რეგისტრირებულია დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად. განცხადების წარდგენა საგადასახადო ორგანოში ხდება შემდეგი ფორმით:

საჯარო სამართლის იურიდიულ პირს –
შემოსავლების სამსახურს

ფიზიკური პირი ----------
(სახელი გვარი)

მისამართი – ----------

პირადი ნომერი პირადობის მოწმობის მიხედვით | | | | | | | | | | | |

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გაცნობებთ, რომ ვეწევი – ---------- საქმიანობას. (საქმიანობის სახე)
გთხოვთ 20 წლის „---„ „----------„ დან:
მომანიჭოთ:

–– მიკრობიზნესის განმახორციელებელი პირის სტატუსი და მომცეთ შესაბამისი სერტიფიკატი.

–– მცირე ბიზნესის განმახორციელებელი პირის სტატუსი და მომცეთ შესაბამისი სერტიფიკატი.
გამიუქმოთ:
–– მიკრობიზნესის სტატუსი და ჩაიბაროთ მიკრობიზნესის № – – – – სერტიფიკატი

–– მცირე ბიზნესის სტატუსი და ჩაიბაროთ მცირე ბიზნესის № – – – – სერტიფიკატი.

ხელმოწერა ..... თარიღი „ – – „ „--------„ 20 წელი

შენიშვნა:
1. შესაბამისი გრაფა აღინიშნება „V“ ნიშნით.
2. მიკრობიზნესის სტატუსის მინიჭებისათვის ფიზიკური პირი დამოუკიდებლად (დაქირავებულ პირთა შრომის გარეშე) უნდა ეწეოდეს ეკონომიკურ საქმიანობას და მისი მისაღები ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს 30 000 ლარს.
3. მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭებისათვის ფიზიკური პირის ეკონომიკური საქმიანობიდან მისაღები ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს 100 000 ლარს.

განცხადების მიღებიდან გონივრულ ვადაში (როგორც წესი 2 დღეში) საგადასახადო ორგანო გასცემს მიკრობიზნესის სერტიფიკატს. ამასთან, პირი განცხადებაში უთითებს, თუ, რომელი პერიოდიდან სურს მას მიენიჭოს მიკრობიზნესის სტატუსი (მაგ. 2012 წლის 2 თებერვლიდან). ასეთ შემთხვევაში არ შეიძლება განცხადებაში მითითებული თარიღი (მაგ. 2 თებერვალი) უსწრებდეს ამ განცხადების საგადასახადო ორგანოში რეგისტრაციის თარიღს (მაგ. თუ პირმა განცხადებაში მიუთითა სტატუსის მინიჭების თარიღად 2 თებერვალი, ხოლო განცხადება დარეგისტრირდა საგადასახადო ორგანოში 3 თებერვალს). მიკრობიზნესის სტატუსი ძალაშია უვადოდ. იმ შემთხვევაში, თუ მიკრობიზნესის სტატუსი რაიმე შესაბამისი პირობის გამო გაუქმდა, ხელმეორედ ამ სტატუსის მისაღებად ფიზიკურ პირს უფლება აქვს მიმართოს საგადასახადო ორგანოს მხოლოდ მომდევნო კალენდარულ წელს.(მაგ. 2012 წლის 26 მაისს პირს გააუქმდა მიკრობიზნესის სტატუსი. ამ პირს ასეთი სტატუსის მიღების იურიდიული უფლება წარმოეშობა მხოლოდ 2013 წლის 1 იანვრიდან). ამასთან, თუ პირს ხელახლა მიენიჭა მიკრობიზნესის სტატუსი, ამ შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს მიერ მასზე გაიცემა ახალი სერტიფიკატი ახალი სარეგისტრაციო ნომრით.
მიკრობიზნესის სტატუსის დამადასტურებელ სერტიფიკატს შემდეგი ფორმა აქვს:

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური

მიკრობიზნესის სტატუსის
ს ე რ ტ ი ფ ი კ ა ტ ი №
სერტიფიკატით დასტურდება, რომ

ფიზიკურ პირს – ----------
(სახელი და გვარი)

პირადი ნომერი

_____

(საქმიანობის სახე)
მინიჭებული აქვს მიკრობიზნესის სტატუსი

_ _

სერტიფიკატის გაცემის თარიღი

_ დან

მიკრობიზნესის სტატუსი მინიჭებულია

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ამასთან, აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ორგანოს აქვს დისკრეციული უფლებამოსილება განცხადებით მომართვის გარეშე მიანიჭოს ფიზიკურ პირს მიკრობიზნესის სტატუსი და გადასცეს მას მიკრობიზნესის სერტიფიკატი, თუ იგი აკმაყოფილებს მიკრობიზნესისათვის დადგენილ მოთხოვნებს. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, ფიზიკური პირი იმყოფება საგადასახადო აღრიცხვაზე და მისი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას ფლობს საგადასახადო ორგანო საგადასახადო ანგარიშგების მონაცემების საფუძველზე. ამასთან, კანონმდებლობა არ აზუსტებს სურს, თუ არა ასეთი სტატუსის მინიჭება შესაბამის ფიზიკურ პირს.

15.1.3 მიკრო ბიზნესის ერთობლივი შემოსავალი

მიკრობიზნესის ერთობლივი შემოსავალი შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

ა) 30000 ლარის ფარგლებში მიღებული შემოსავალი, რომელიც იბეგრება მიკრობიზნესის დაბეგვრის რეჟიმით ანუ გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისაგან. ამ შემოსავალში არ შედის კალენდარული წლის განმავლობაში მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემდეგი შემოსავლები:

– ქონების იჯარით გაცემიდან მიღებული შემოსავალი;
– სესხის გაცემიდან მიღებული შემოსავალი;
– სათამაშო ბიზნესიდან მიღებული მოგებები;
– ჩუქებით მიღებული შემოსავალი;
– ნამეტი შემოსავალი, რომელიც მიღებულია შემდეგი ქონების რეალიზაციით:

ა) უძრავი ქონება;
ბ) ავტოსატრანსპორტო საშუალება;
გ) ფასიანი ქაღალდები.

– მემკვიდრეობით მიღებული ქონების სახით მიღებული შემოსავალი;
– დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი;
– პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი;
– როიალტის სახით მიღებული შემოსავალი;
– ვალის პატიებით მიღებული შემოსავალი;
– ხელფასი.

ბ) ქვემოთ ჩამოთვლილი შემოსავლები, რომლებიც არ გაითვალისწინება მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირის 30000 ლარის ერთობლივი შემოსავლის განსაზღვრის დროს და იბეგრება ჩვეულებრივი დაბეგვრის რეჟიმით:

– ქონების იჯარით გაცემიდან მიღებული შემოსავალი;
– სესხის გაცემიდან მიღებული შემოსავალი;
– სათამაშო ბიზნესიდან მიღებული მოგებები;
– ჩუქებით მიღებული შემოსავალი;

– ნამეტი შემოსავალი, რომელიც მიღებულია შემდეგი ქონების რეალიზაციით:
ა) უძრავი ქონება;
ბ) აეტოსატრანსპორტო საშუალება;
გ) ფასიანი ქაღალდები.
– მემკვიდრეობით მიღებული ქონების სახით მიღებული შემოსავალი;
– დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი;
– პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი;
– როიალტის სახით მიღებული შემოსავალი;
– ვალის პატიებით მიღებული შემოსავალი;
– ხელფასი.

გ) სხვა შემოსავლები, რომლებიც არ არის ზემოთ მოხსენიებული და იბეგრება ჩვეულებრივი დაბეგვრის რეჟიმით. მაგ. სარგებლის სხვადასხვა ფორმებით მიღებული შემოსავლები(ჩუქების გარდა, რადგანაც ჩუქება ზემოთ აღნიშნულ ნუსხაშია შეტანილი). აქ არ შედის აკრძალული საქმიანობიდან მიღებული შემოსაელები.

თავის მხრივ მიკრო ბიზნესის რეჟიმით დასაბეგრი შემოსავალი შედგება 30000 ლარის ფარგლებში მიღებული შემოსაელისაგან, რომელიც ექვემდებარება გათავისუფლებას საშემოსაელო გადასახადისაგან და შემდეგი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებისაგან, რომელიც ასევე ექვემდებარება გათავისუფლებას საშემოსავლო გადასახადისაგან და, რომელიც არ შედის 30 000 ლარის გაანგარიშებაში):

– სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოყვანა, რომელიც ხორციელდება ტრაქტორებით ან კომბაინებით.
– ხალიჩებისა და ორხოვისებრი ნაწარმის წარმოება.
– პულოვერებისა და ანალოგიური ნაწარმის წარმოება.
– ზედა ტანსაცმლის წარმოება, გარდა მოდელების დემონსტრირებისა და ჩვენებისა.
– საცვლების წარმოება.
– თავსაბურავების წარმოება.
– დანარჩენი ტანსაცმლისა და აქსესუარების წარმოება.
– ხის სხვადასხვა ნაწარმის წარმოება.
– ტანსაცმლისა და თავსაბურავების ხის საკიდების წარმოება.
– ხის საოჯახო ნივთებისა და სამზარეულოს საკუთნოების წარმოება.
– ფაიფურისა და ქაშანურის სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ნაკეთობების წარმოება.
– სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჭურჭლისა და ინვენტარის წარმოება.
– მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოება.
– აკორდეონებისა და ანალოგიური საკრავების, მათ შორის, ტუჩის გარმონიკების წარმოება.
– სასულე მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოება.
– ცოცხებისა და ჯაგრისების წარმოება.
– საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი.
– საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი, თუ ის ხორციელდება ამ საგნების წარმოების, საბითუმო და საცალო ვაჭრობისაგან დამოუკიდებლად, თუ რემონტი ხორციელდება საქმიანობის სხვა სახეობებთან ერთად, მაშინ იგი განეკუთვნება საცალო და საბითუმო ვაჭრობის ან ამ საქონლის წარ – მოების შესაბამის დაჯგუფებებს.
– ფეხსაცმლისა და ტყავის ნაწარმის რემონტი.
– საყოფაცხოვრებო ელექტრონული ნაწარმის რემონტი.
– საათებისა და საიუველირო ნაწარმის რემონტი.
– ტანსაცმლის გადაკეთება და რემონტი.
– საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი.
– თეთრეულისა და სხვა საფეიქრო ნაწარმის რეცხვა და დამუშავება.
– შინამეურნეობის გაძღოლასთან დაკავშირებული მომსახურება.

აღნიშნული საქმიანობების ჩამონათვალზე არ გავრცელდება მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირებისათვის დადგენილი კალენდარული წლის განმავლობაში მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსაელის 30 000 – ლარიანი ზღვარი, თუ ფიზიკური პირი დამოუკიდებლად ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას და თავადვე ახორციელებს ჩამონათვალში მოცემული საქონლის ან/და მომსახურების წარმოებას და საცალო წესით მინოდებას საბოლოო მომხმარებელზე. ამასთან, აღნიშნული საქმიანობებიდან მიღებული შემოსავ-

ლები მხოლოდ მაშინ თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისაგან, თუ პირს აქვს მიკრო ბიზნესის სტატუსი. თუ ამ საქმიანობებს ახორციელებს ჩვეულებრივი სტატუსის მქონე ფიზიკური პირი, მაშინ იგი იბეგრება ჩვეულებრივი დაბეგვრის რეჟიმით.

15.1.4 მიკრო ბიზნესი და მიმდინარე გადასახდელები

მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი არ იხდის მიმდინარე გადასახდელებს. კერძოდ:

ა) პირმა ეკონომიკური საქმიანობა დაიწყო 2011 წელს მიკრო ბიზნესის სტატუსით, ხოლო ეს წელი დაასრულა მიკრო ბიზნესის სტატუსით და 2012 წელს აგრძელებს (ან არ აგრძელებს) მიკრო ბიზნესის სტატუსით. იგი 2012 წელს არ გადაიხდის მიმდინარე გადასახდელებს;

ბ) პირმა ეკონომიკური საქმიანობა დაიწყო 2011 წელს მეწარმე ფიზიკურ პირად, ხოლო ეს წელი დაასრულა მიკრო ბიზნესის სტატუსით და 2012 წელს აგრძელებს (ან არ აგრძელებს) მიკრო ბიზნესის სტატუსით. იგი 2012 წელს არ გადაიხდის მიმდინარე გადასახდელებს;

გ) პირმა ეკონომიკური საქმიანობა დაიწყო 2011 წელს მეწარმე ფიზიკურ პირად, ხოლო ეს წელი დაასრულა მეწარმე ფიზიკურ პირად და ჰქონდა დასაბეგრი შემოსავალი. ამ პირს, მიმდინარე გადასახდელების გადახდის ვადამდე (15 მაისამდე) მიენიჭა მიკრო ბიზნესის სტატუსი. პირი არ იხდის მიმდინარე გადასახდელებს;

დ) პირმა ეკონომიკური საქმიანობა დაიწყო 2011 წელს მეწარმე ფიზიკურ პირად, ხოლო ეს წელი დაასრულა მეწარმე ფიზიკურ პირად და ჰქონდა დასაბეგრი შემოსავალი. ამ პირს, მიმდინარე გადასახდელების გადახდის ვადის გასვლის შემდეგ (15 მაისის შემდეგ) მიენიჭა მიკრო ბიზნესის სტატუსი. პირს ვადაში არ გადაუხდია მიმდინარე გადასახდელები. პირი არ იხდის მიმდინარე გადასახდელებს და სანქციებს;

ე) პირმა ეკონომიკური საქმიანობა დაიწყო 2011 წელს მეწარმე ფიზიკურ პირად, ხოლო ეს წელი დაასრულა მეწარმე ფიზიკურ პირად და ჰქონდა დასაბეგრი შემოსავალი. ამ პირს, მიმდინარე გადასახდელების გადახდის ვადის გასვლის შემდეგ (15 მაისის შემდეგ) მიენიჭა მიკრო ბიზნესის სტატუსი. პირმა ვადაში გადაიხადა მიმდინარე გადასახდელები. პირი არ იხდის დარჩენილ მიმდინარე გადასახდელებს, ხოლო გადახდილი მიმდინარე გადასახდელები ჩაეთვლება ზედმეტად გადახდილად;

ვ) პირმა ეკონომიკური საქმიანობა დაიწყო 2011 წელს მეწარმე ფიზიკურ პირად, ხოლო ეს წელი დაასრულა მეწარმე ფიზიკურ პირად და ჰქონდა დასაბეგრი შემოსავალი. ამ პირს, მიმდინარე გადასახდელების გადახდის ვადის გასვლის შემდეგ (15 მაისის შემდეგ) მიენიჭა მიკრო ბიზნესის სტატუსი. პირმა ვადაში არ გადაიხადა მიმდინარე გადასახდელები, ხოლო შემდგომ მიკრობიზნესის სტატუსის მინიჭებამდე გადაიხადა მიმდინარე გადასახდელები და შესაბამისი სანქციები(საურავი). პირს მიმდინარე გადასახდელებისა და სანქციების გადახდილი თანხები ჩაეთვლება ზედმეტად გადახდილად;

ზ) პირს 2011 წელს ჰქონდა მიკრო ბიზნესის სტატუსი, რომელიც გააუქმდა ამ წლის განმავლობაში (ნებისმიერ დროს). იგი აგრძელებს საქმიანობას, როგორც მეწარმე ფიზიკური პირი ან, როგორც მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირი ან საერთოდ არ აგრძელებს ეკონომიკურ საქმიანობას. პირი არ იხდის მიმდინარე გადასახდელებს.

15.1.5 მიკრო ბიზნესის საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაცია

მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი საგადასახადო ორგანოს წარუდგენს „საშემოსავლო გადასახადის წლიურ დეკლარაციას". მოცემული დეკლარაციის წარდგენა ხდება:

ა) საანგარიშო წლის მომდევნო წლის პირველ აპრილამდე;

ბ) ეკონომიკური საქმიანობის შეწყვეტისას 30 სამუშაო დღის ვადაში. ამასთან, თუ მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი მიმდინარე საგადასახადო წლის დასრულებამდე არ განაახლებს ეკონომიკურ საქმიანობას, მაშინ საანგარიშო წლის მიხედვით მომდევნო წლის პირველ აპრილამდე საგადასახადო ორგანოში განმეორებით დეკლარაციის წარდგენა სავალდებულო არ არის.

წარსადგენ დეკლარაციას შემდეგი სახე აქვს:

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
20 წლის "___" "_____" №
№2 დანართი დამტკიცებული ინსტრუქციის დანართი №1

1	მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირი		მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი
	აღარა, სახელი:		

2	გსნ		3	გსნ	

საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაცია

განაცხადი I

4	დეკლარაციის სახე:	დამატებული		5	წელი	
6	მისამართი:					
7	ეკონომიკური საქმიანობის სახე (NACE) კოდი					
8	საქმიანობის შეწყვეტის თარიღი					
9	წარდგენილია					

(საჯაროსახელო ორგანოს დასახელება)

განაცხადი II

(ივსება საჯაროსახელო ორგანოს მიერ)

10	დეკლარაციის მიღების თარიღი								
11	თანდართული დოკუმენტი		ფურცელზე						
12	რეგისტრაციის ნომერი								
13	დეკლარაციის მიმღების ვინაობა, სახელი								
14	დეკლარაციის მიმღების ხელმოწერა								

განყოფილება III					
საშემოსავლო გადასახადის გაანგარიშება (ლარი)					
ერთობლივი შემოსავალი მათ შორის				15	
სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას დაქვემდებარებული ერთობლივი შემოსავალი	16				
ჩვეულებრივი წესით დაბეგვრას დაქვემდებარებული ერთობლივი შემოსავალი	17				
ნაწილი I **სპეციალური დაბეგვრის რეჟიმით**					
საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი	18				
სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას დაქვემდებარებული ერთობლივი შემოსავალი მათ შორის				19	
დაბეგვრისაგან გათავისუფლებული შემოსავალი	19¹				
იმ საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები, რომლებზეც არ ვრცელდება მიკრობიზნესის სტატუსისათვის დადგენილი 30000-ლარიანი ზღვარი	20				
სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას დაქვემდებარებული შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები სულ მათ შორის:			21		
ხელფასის ხარჯი	22				
საშემოსავლო გადასახადი			23		

ნაწილი II
ჩვეულებრივი დაბეგვრის წესი

ჩვეულებრივი წესით დაბეგვრის დაქვემდებარებული ერთობლივი შემოსავალი მათ შორის				24	
საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული მათ შორის	25				
ხელფასის სახით მიღებული	26				
საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული მათ შორის	27				
ხელფასის სახით მიღებული	28				
გამოქვითვები სულ			29		
წინა წლების ზარალი, რომელიც ექვემდებარება გამოქვითვას			30		
დაბეგვრისგან გათავისუფლებული შემოსავალი			31		
საქართველოს წყაროდან მიღებული და გადახდის წყაროსთან დაბეგრილი შემოსავალი			32		
დასაბეგრი შემოსავალი რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას საქართველოს საგადასახადო კოდექსის 81-ე მუხლით დადგენილი საშემოსავლო გადასახადის განაკვეთით				33	
საშემოსავლო გადასახადი			34		
სულ საშემოსავლო გადასახადი			35		
განაცხადი მიმდინარე წლის გადასახდელებზე			36		

დეკლარაციაში მოცემული მონაცემების უტყუარობას და სისრულეს ვადასტურებ:

37	გადამხდელის გვარი, სახელი	
38	გადამხდელის ხელმოწერა	
39	ხელმოწერის თარიღი	

შენიშვნა:

36-ე უჯრა იესება მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირის მიერ, რომელსაც საანგარიშო წელს 35-ე უჯრაში დაუფიქსირდა გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი

განყოფი IV

ზოგადი ინფორმაცია

დაქირავებულთა რაოდენობა	
ეკ. საქმიანობაში გამოყენებული აქტივების ღირებულება	
საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის არსებული სასაქონლო-მატერიალური faseulobebi	
საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	

15.1.6 მიკრო ბიზნესი და საგადასახადო ანგარიშგების სხვა ვალდებულებები

მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირს, მიღებული მომსახურების ანაზღაურების შემთხვევაში, არ ევალება გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება (საგადასახადო აგენტის ფუნქციის შესრულება). ამასთან, არარეზიდენტი პირისაგან მიღებული მომსახურების ანაზღაურების შემთხვევაში იგი ვალდებულია ოპერაცია დაბეგროს დღგ-ით საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული უკუდაბეგვრის წესით.

მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი არ არის ვალდებული გამოწეროს პირველადი საგადასახადო დოკუმენტები (სასაქონლო ზედნადები, ინვოისი და ა.შ), მაგრამ უფლებამოსილია მყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში რეალიზებულ საქონელზე ან გაწეულ მომსახურებაზე გამოწეროს იგი.

მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი პირველადი საგადასახადო დოკუმენტის გამოწერისას, ვალდებულია დოკუმენტში მიუთითოს მისი სტატუსი და სტატუსის სერტიფიკატის ნომერი.

მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი ვალდებულია მისთვის ან მის მიერ გამოწერილი პირველადი საგადასახადო დოკუმენტი შეინახოს დადგენილი წესით.

მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი ვალდებულია უზრუნველყოს 6 წლის ვადით საგადასახადო დოკუმენტების შენახვა.

მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი, გარდა მთავრობის მიერ განსაზღვრული ცალკეული საქმიანობის განმახორციელებელი ან ცალკეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე საქმიანობის განმახორციელებელი მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირებისა, თავისუფლდება საკონტროლო – სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულებისაგან.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირისგან შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე გაწეული ხარჯი არ გამოიქვითება მყიდველის ერთობლივი შემოსავლიდან.

15.1.7 მიკრო ბიზნესი და საგადასახადო სანქციები

მიკრო ბიზნესის მიმართ მოქმედებს შედარებით შემსუბუქებადი სანქციები. კერძოდ:

ა) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 286-ე მუხლის მიხედვით სანქცირებადია საქონლის დოკუმენტების გარეშე ტრანსპორტირება, რეალიზაცია და აღურიცხველობა. ეს ნორმა არ ვრცელდება მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირზე;

ბ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 288-ე მუხლის მიხედვით, თუ მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირმა განახორციელა ქმედება, რამაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 85-ე მუხლის მე-4 ნაწილში მითითებული საფუძვლების გამო გამოიწვია საგადასახადო ორგანოს მიერ პირისათვის მიკრო ბიზნესის სტატუსის გაუქმება – იწვევს პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით. ეს ქმედება გულისხმობს მხოლოდ ერთადერთ დარღვევას – მიკრო ბიზნესის მიერ მისთვის მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული აკრძალული საქმიანობის განხორციელებას.

მიკრო ბიზნესის წესების სხვა დარღვევისათვის, რომლისთვისაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა (ანუ არსებობს ვალდებულებები), მაგრამ არ არის განსაზღვრული ჯარიმის ოდენობა, გამოიყენება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 291-ე მუხლი, რომლის მიხედვით პირი ექვემდებარება 100 ლარით დაჯარიმებას. მიკრო ბიზნესის სხვა წესების დარღვევად უნდა განვიხილოთ შემდეგი ნორმების დარღვევა:

ა) პირი იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას;

ბ) პირის მიერ მისაღებმა ჯამურმა ერთობლივმა შემოსავალმა კალენდარული წლის განმავლობაში გადააჭარბა 30000 ლარს და პირმა 15 დღის ვადაში არ მიმართა საგადასახადო ორგანოს მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმების მიზნით;

გ) საგადასახადო ორგანოს მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად დადგინდა, რომ მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთი აღემატება 45000 ლარს;

დ) მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირმა გამოწერა პირველადი საგადასახადო დოკუმენტი და არ მიუთითა თავისი სტატუსი და სტატუსის სერტიფიკატის ნომერი;

ე) მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირმა მისთვის ან მის მიერ გამოწერილი საგადასახადო დოკუმენტი არ შეინახა ხანდაზმულობის ვადით.

15.1.8 მიკრო ბიზნესის სტატუსის გაუქმება

მიმდინარე საგადასახადო წელს მიკრო ბიზნესის სტატუსი ფიზიკურ პირს უუქმდება შემდეგი გარემოებების დადგომისას:

ა) ფიზიკურმა პირმა მიმართა საგადასახადო ორგანოს წერილობითი განცხადებით მიკრობიზნესის სტატუსის გაუქმების ან მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით(ამ განცხადებას შემდეგი ფორმა აქვს:

საჯარო სამართლის იურიდიულ პირს –
შემოსავლების სამსახურს

ფიზიკური პირი ———————————————
(სახელი გვარი)

მისამართი – ———————————————

პირადი ნომერი პირადობის მოწმობის მიხედვით

განცხადება

გაცნობებთ, რომ ვენევი – ——————————————————————— *საქმიანობას. (საქმიანობის სახე)*
გთხოვთ 20 წლის „——„ „————————„ დან:
მომანიჭოთ:

— მიკრობიზნესის განმახორციელებელი პირის სტატუსი და მომცეთ შესაბამისი სერტიფიკატი.

— მცირე ბიზნესის განმახორციელებელი პირის სტატუსი და მომცეთ შესაბამისი სერტიფიკატი.
გამოუქმოთ:
— მიკრობიზნესის სტატუსი და ჩაიბაროთ მიკრობიზნესის № – – – – სერტიფიკატი

— მცირე ბიზნესის სტატუსი და ჩაიბაროთ მცირე ბიზნესის № – – – – სერტიფიკატი.

ხელმოწერა . . . . . თარიღი „ – – „ „————„ 20 წელი

შენიშვნა:
1. შესაბამისი გრაფა აღინიშნება „V“ ნიშნით.
2. მიკრობიზნესის სტატუსის მინიჭებისათვის ფიზიკური პირი დამოუკიდებლად (დაქირავებულ პირთა შრომის გარეშე) უნდა ეწეოდეს ეკონომიკურ საქმიანობას და მისი მისაღები ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს 30 000 ლარს.
3. მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭებისათვის ფიზიკური პირის ეკონომიკური საქმიანობიდან მისაღები ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს 100 000 ლარს.

ბ) საგადასახადო ორგანოს მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად დადგინდა, რომ მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის სასაქონლო მატერიალური მარაგების ნაშთი აღემატება 45 000 ლარს;

გ) ფიზიკურმა პირმა განახორციელა მიკრობიზნესისთვის აკრძალული საქმიანობა(აკრძალული საქმიანობის ნუსხა მითითებულია 1.1 პარაგრაფში);

დ) ფიზიკური პირს ჰყავს დაქირავებული პირი (აღნიშნულის მიზნებისათვის დაქირავებულად არ

შეიძლება მიჩნეულ იქნენ ოჯახის წევრები);

ე) ფიზიკურ პირს წარმოეშვა დღგ-ის სავალდებულო რეგისტრაციაზე დადგომის ვალდებულება;

ვ) მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში ჯამური ერთობლივი შემოსავალი გადააჭარბებს 30 000 ლარს. აღნიშნული არ ეხება შემდეგ შემოსავლებს:

– ქონების იჯარით გაცემიდან მიღებული შემოსავალი;
– სესხის გაცემიდან მიღებული შემოსავალი;
– სათამაშო ბიზნესიდან მიღებული მოგებები;
– ჩუქებით მიღებული შემოსავალი;
– ნამეტი შემოსავალი, რომელიც მიღებულია შემდეგი ქონების რეალიზაციით:

ა) უძრავი ქონება;

ბ) ავტოსატრანსპორტო საშუალება;

გ) ფასიანი ქაღალდები;

– მემკვიდრეობით მიღებული ქონების სახით მიღებული შემოსავალი;
– დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი;
– პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი;
– როიალტის სახით მიღებული შემოსავალი;
– ვალის პატიებით მიღებული შემოსავალი;
– ხელფასი;
– სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოყვანა, რომელიც ხორციელდება ტრაქტორებით ან კომბაინებით;
– ხალიჩებისა და ორხოვისებრი ნაწარმის წარმოება;
– პულოვერებისა და ანალოგიური ნაწარმის წარმოება;
– ზედა ტანსაცმლის წარმოება, გარდა მოდელების დემონსტრირებისა და ჩვენებისა;
– საცვლების წარმოება;
– თავსაბურავების წარმოება;
– დანარჩენი ტანსაცმლისა და აქსესუარების წარმოება;
– ხის სხვადასხვა ნაწარმის წარმოება;
– ტანსაცმლისა და თავსაბურავების ხის საკიდების წარმოება;
– ხის საოჯახო ნივთებისა და სამზარეულოს საკუთნოების წარმოება;
– ფაიფურისა და ქაშანურის სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ნაკეთობების წარმოება;
– სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჭურჭლისა და ინვენტარის წარმოება;
– მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოება;
– აკორდეონებისა და ანალოგიური საკრავების, მათ შორის, ტუჩის გარმონიკების წარმოება;
– სასულე მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოება;
– ცოცხებისა და ჯაგრისების წარმოება;
– საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი;
– საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი, თუ ის ხორციელდება ამ საგნების წარმოების, საბითუმო და საცალო ვაჭრობისაგან დამოუკიდებლად, თუ რემონტი ხორციელდება საქმიანობის სხვა სახეობებთან ერთად, მაშინ იგი განეკუთვნება საცალო და საბითუმო ვაჭრობის ან ამ საქონლის წარმოების შესაბამის დაჯგუფებებს;
– ფეხსაცმლისა და ტყავის ნაწარმის რემონტი;
– საყოფაცხოვრებო ელექტრონული ნაწარმის რემონტი;
– საათებისა და საიუველირო ნაწარმის რემონტი;
– ტანსაცმლის გადაკეთება და რემონტი;
– საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი;
– თეთრეულისა და სხვა საფეიქრო ნაწარმის რეცხვა და დამუშავება;
– შინამეურნეობის გაძღოლასთან დაკავშირებული მომსახურება;

თუ მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის ჯამური ერთობლივი შემოსავალი გადააჭარბებს 30 000 ლარს (აღნიშნული არ ეხება ზემოაღნიშნულ ნუსხაში მითითებულ შემოსავლებს) ან იგი დაიწყებს დაქირავებული პირის შრომის გამოყენებას, მას უფლება აქვს ამ მომენტის დადგომიდან 15 დღის ვადაში საგადასახადო ორგანოს მიმართოს მცირე ბიზნესის სტატუსის მიღების მიზნით. აღნიშნული უფლების გამოუყენებლობის შემთხვევაში მას ავტომატურად გაუუქმდება მიკრობიზნესის სტატუსი და გამოვა დაბეგვრის სპეციალური რეჟიმიდან;

მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი ვალდებულია მიკრობიზნესისთვის აკრძალული საქმიანობის განხორციელებამდე მიმართოს საგადასახადო ორგანოს მიკრობიზნესის სტატუსის გაუქმების მოთხოვნით. თუ მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი განახორციელებს მიკრობიზნესისთვის აკრძალულ საქმიანობას, საგადასახადო ორგანო უუქმებს მას მიკრობიზნესის სტატუსს და ფიზიკური პირი გამოდის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმიდან.

საგადასახადო ორგანოს მიერ ფიზიკური პირისათვის მიკრობიზნესის სტატუსის გაუქმების შემთხვევაში გადამხდელს ეგზავნება შესაბამისი გადაწყვეტილება, ხოლო საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული სერტიფიკატი ექვემდებარება დაბრუნებას.

მიკრო ბიზნესის სტატუსის გაუქმების შემთხვევაში იმავე წელს ხელახლა მიკრობიზნესის სტატუსის მირება აკრძალულია. ასეთი სტატუსის მიღება შეიზღება მოხდეს მხოლოდ მომდევნო კალენდარულ წელს.

15.1.9 მიკრო ბიზნესის სტატუსის შეცვლა

განვიხილოთ მიკრობიზნესის შეცვლის სხვადასხვა ვარიანტები იმის გათვალისწინებით, თუ რა სტატუსით მოხდება დაბეგვრა შეცვლის პერიოდებზე:

ა) თუ ფიზიკური პირი მიმდინარე საანგარიშო წელს გადაწყვეტს მიკრობიზნესის სტატუსის მიღებას და დაბეგვრის სხვა რეჟიმიდან მიკრობიზნესის დაბეგვრის რეჟიმზე გადასვლას, მის მიერ საანგარიშო პერიოდში მიკრობიზნესის სტატუსის მინიჭებამდე მიღებული შემოსავლები ექვემდებარება მიკრობიზნესისთვის დადგენილი სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას;

ბ) თუ მიმდინარე წლის განმავლობაში ფიზიკურ პირს გაუუქმდა მიკრობიზნესის სტატუსი და მას არ მიუღია მცირე ბიზნესის სტატუსი, მის მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი ექვემდებარება საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრას საერთო წესით;

გ) თუ მიმდინარე წლის განმავლობაში ფიზიკურ პირს გაუუქმდა მიკრობიზნესის სტატუსი და მას მიენიჭა მცირე ბიზნესის სტატუსი, მის მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი ექვემდებარება დაბეგვრას მცირე ბიზნესისთვის დადგენილი წესის შესაბამისად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიკრო ბიზნესის სტატუსის შეცვლა მცირე ან ჩვეულებრივი დაბეგვრის რეჟიმით, კალენდარული წლის ბოლოს იბეგრება იმ რეჟიმის შესაბამისად, თუ რა რეჟიმით ასრულებს პირი კალენდარულ წელს.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ განსხვავებით შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტისა, რომელიც არეგულირებს მიკრო ბიზნესის სტატუსის შეცვლის საკითხს (ფინანსთა მინისტრის ბრძანება №999 მუხ.5(5.6), საქართველოს საგადასახადო კოდექსი (მუხ. 85(5), მუხ.93.3) არასამართლიანად წყვეტს მიკრო ბიზნესის მცირე ან ჩვეულებრივი ბიზნესით შეცვლის დაბეგვრის საკითხს. კერძოდ, ზემოალნიშნული კანონქვემდებარე აქტის მიხედვით სტატუსის შეცვლის დროს პირი ექვემდებარება დაბეგვრას მიღებული სტატუსის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს დაბეგვრას და დეკლარაციის წარდგენას მომდევნო წლის 1 აპრილამდე, ხოლო საგადასახადო კოდექსის აღნიშნული ნორმის მიხედვით, ასეთმა პირმა შესაბამისი საშემოსავლო გადასახადი უნდა გადაიხადოს მიკრო ბიზნესის სტატუსის გაუქმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

15.1.10 მიკრო ბიზნესის საგადასახადო კონტროლი

საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს მიკრობიზნესის სტატუსის მქონე პირის შემოსავლები განსაზღვროს არაპირდაპირი მეთოდებით – აქტივების სიდიდის, სხვა ამგვარი გადამხდელის შესახებ ინფორმაციის ანალიზის და მიმდინარე საგადასახადო კონტროლის ღონისძიებების ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე.

მიკრობიზნესის სტატუსის მქონე პირების მიმართ შეიძლება განხორციელდეს მიმდინარე საგადასახადო კონტროლის შემდეგი ღონისძიებები:

ა) საქონლის/მომსახურების საკონტროლო შესყიდვა;

ბ) დათვალიერება;

გ) შესაბამის შემთხვევებში, საკონტროლო – სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვა;

დ) ქრონომეტრაჟი;

ე) ინვენტარიზაცია.

15.2. მცირე ბიზნესი

15.2.1 მცირე ბიზნესის ცნება

მცირე ბიზნესი განსხვავებით მიკრო ბიზნესისაგან არ თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისაგან. ჩვეულებრივი დაბეგვრის რეჟიმისაგან განსხვავებით, იგი იბეგრება ხარჯების გამოქვითვის გარეშე გარკვეული დიფერენცირებული პროცენტული განაკვეთებით.

მცირე ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ნებისმიერ ფიზიკურ პირს: საქართველოს რეზიდენტს, თუ არარეზიდენტს, რომელიც განიზრახავს ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებას და დააკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს.

მცირე ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს, თუ მისი მომავალი ერთობლივი შემოსავალი ეკონომიკური საქმიანობიდან კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 100000 ლარს.

მცირე ბიზნესს შეუძლია განახორციელოს ნებისმიერი ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც კანონმდებლობით მეწარმე ფიზიკური პირისათვის ან უშუალოდ მცირე ბიზნესისათვის აკრძალული არ არის. კერძოდ, მცირე ბიზნესისათვის აკრძალულია შემდეგი საქმიანობების განხორციელება:

ა) საქმიანობები, რომლებიც საჭიროებენ ლიცენზირებას ან ნებართვას;

ბ) საქმიანობები, რომელთა განხორციელება მოითხოვს მნიშვნელოვან ინვესტიციას (აქციზური საქონლის წარმოება);

გ) სავალუტო ოპერაციების განხორციელება;

დ) სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო ან სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო (მათ შორის, საგადასახადო კონსულტანტთა) საქმიანობა;

ე) სათამაშო ბიზნესი;

ვ) პერსონალით უზრუნველყოფა;

ზ) აქციზური საქონლის წარმოება.

15.2.2 მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭება

მცირე ბიზნესის სტატუსის მისანიჭებლად ფიზიკური პირი ნებისმიერ დროს განცხადებით მიმართავს შემოსავლების სამსახურს. ამ შემთხვევაში, მცირე ბიზნესის სტატუსის მისაღებად საჭიროა შემდეგი ერთ-ერთი პირობის არსებობა:

ა) პირი უნდა იყოს მეწარმე ფიზიკური პირი;

ბ) თუ იგი არ წარმოადგენს მეწარმე ფიზიკურ პირს და განახორციელებს სახელოვნებო, სამეცნიერო, სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო ან სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო (მათ შორის, საგადასახადო კონსულტანტთა), სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო – სამეურნეო საქმიანობას, მაშინ პირმა საგადასახადო აღრიცხვაზე აყვანის და ერთდროულად მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების მიზნით უნდა მიმართოს განცხადებით საგადასახადო ორგანოს;

გ) თუ პირი ზემოაღნიშნულ „ა“ და „ბ“ პირობებს არ აკმაყოფილებს, მაშინ იგი ვალდებულია გატარდეს რეგისტრაციაში ინდივიდუალურ მეწარმედ და რეგისტრაციის შემდეგ განცხადებით მიმართოს საგადასახადო ორგანოს მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების მიზნით.

პირი შეიძლება იყოს დღგ-ის გადამხდელი, მაგრამ მას მაინც მიენიჭოს მცირე ბიზნესის სტატუსი. ეს ხდება იმ შემთხვევაში, თუ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული მეწარმე ფიზიკური პირის ბოლო 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა დღგ-ის გარეშე არ აღემატება 100 000 ლარს. ასეთ შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელს შეუძლია მიმართოს საგადასახადო ორგანოს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმებისა და მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით.

იმ შემთხვევაში, თუ პირს აქვს მიკრო ბიზნესის სტატუსი, მაშინ მას შეუძლია ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმართოს საგადასახადო ორგანოს მიკრო ბიზნესის სტატუსის გაუქმებისა და მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების თხოვნით. განცხადების წარდგენა საგადასახადო ორგანოში ხდება შემდეგი ფორმით:

საჯარო სამართლის იურიდიულ პირს –
შემოსავლების სამსახურს

ფიზიკური პირი ————————————————
(სახელი გვარი)

მისამართი – ————————————————

პირადი ნომერი პირადობის მოწმობის მიხედვით | | | | | | | | | | | |

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გაცნობებთ, რომ ვეწევი – ———————————————————————— საქმიანობას. (საქმიანობის სახე)
გთხოვთ 20 წლის „——" „————————" დან:

მომანიჭოთ:

— მიკრობიზნესის განმახორციელებელი პირის სტატუსი და მომცეთ შესაბამისი სერტიფიკატი.

— მცირე ბიზნესის განმახორციელებელი პირის სტატუსი და მომცეთ შესაბამისი სერტიფიკატი.
გამოუქმოთ:
— მიკრობიზნესის სტატუსი და ჩაიბაროთ მიკრობიზნესის № – – – – სერტიფიკატი

–– მცირე ბიზნესის სტატუსი და ჩაიბაროთ მცირე ბიზნესის № – – – – სერტიფიკატი.

ხელმოწერა . . . . . თარიღი „ – – „ „————–„ 20 წელი

შენიშვნა:

1. შესაბამისი გრაფა აღინიშნება „V" ნიშნით.

2. მიკრობიზნესის სტატუსის მინიჭებისათვის ფიზიკური პირი დამოუკიდებლად (დაქირავებულ პირთა შრომის გარეშე) უნდა ეწეოდეს ეკონომიკურ საქმიანობას და მისი მისაღები ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს 30 000 ლარს.

3. მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭებისათვის ფიზიკური პირის ეკონომიკური საქმიანობიდან მისაღები ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს 100 000 ლარს.

განცხადების მიღებიდან გონივრულ ვადაში (როგორც წესი 2 დღეში) საგადასახადო ორგანო გასცემს მცირე ბიზნესის სერტიფიკატს. ამასთან, პირი განცხადებაში უთითებს, თუ, რომელი პერიოდიდან სურს მას მიენიჭოს მცირე ბიზნესის სტატუსი (მაგ. 2012 წლის 2 თებერვლიდან). ასეთ შემთხვევაში არ შეიძლება განცხადებაში მითითებული თარიღი (მაგ. 2 თებერვალი) უსწრებდეს ამ განცხადების საგადასახადო ორგანოში რეგისტრაციის თარიღს (მაგ. თუ პირმა განცხადებაში მიუთითა სტატუსის მინიჭების თარიღად 2 თებერვალი, ხოლო განცხადება დარეგისტრირდა საგადასახადო ორგანოში 3 თებერვალს).

მცირე ბიზნესის სტატუსი ძალაშია უვადოდ. იმ შემთხვევაში, თუ მცირე ბიზნესის სტატუსი რაიმე შესაბამისი პირობის გამო გაუქმდა, ხელმეორედ ამ სტატუსის მისაღებად ფიზიკურ პირს უფლება აქვს მიმართოს საგადასახადო ორგანოს და ისევ მიიღოს მცირე ბიზნესის სტატუსი, თუ აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

ა) სტატუსის გაუქმებიდან მომავალი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა არ აღემატება 100 000 ლარს;

ბ) ზემოაღნიშნულთან ერთად, სტატუსის გაუქმებიდან 12 კალენდარული თვის მომდევნო წლი-

დან, პირი არ არის დღგ-ის გადამხდელი.

ამასთან, თუ პირს ხელახლა მიენიჭა მცირე ბიზნესის სტატუსი, ამ შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს მიერ მასზე გაიცემა ახალი სერტიფიკატი ახალი სარეგისტრაციო ნომრით.

მცირე ბიზნესის სტატუსის დამადასტურებელ სერტიფიკატს შემდეგი ფორმა აქვს:

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური
მცირე ბიზნესის სტატუსის
ს ე რ ტ ი ფ ი კ ა ტ ი №
სერტიფიკატით დასტურდება, რომ

ფიზიკურ პირს: – _____
(სახელი და გვარი)

პირადი ნომერი

_____
(საქმიანობის სახე)
მინიჭებული აქვს მცირე ბიზნესის სტატუსი

_ _
სერტიფიკატის გაცემის თარიღი

_ დან
მცირე ბიზნესის სტატუსი მინიჭებულია

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

15.2.3 მცირე ბიზნესის ერთობლივი შემოსავალი

მცირე ბიზნესის ერთობლივი შემოსავალი შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

ა) შემოსავლებისაგან, რომელიც ექვემდებარება სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას და მოიცავს საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალს. ეს ის შემოსავალია, რომელიც იბეგრება 3 ან 5 პროცენტიანი განაკვეთით;

ბ) ქვემოთ ჩამოთვლილი შემოსავლები, რომლებიც არ გაითვალისწინება მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის 100000 ლარის ერთობლივი შემოსავლის განსაზღვრის დროს და იბეგრება ჩვეულებრივი დაბეგვრის რეჟიმით:

– ქონების იჯარით გაცემიდან მიღებული შემოსავალი;
– სესხის გაცემიდან მიღებული შემოსავალი;
– სათამაშო ბიზნესიდან მიღებული მოგებები;
– ჩუქებით მიღებული შემოსავალი;
– ნამეტი შემოსავალი, რომელიც მიღებულია შემდეგი ქონების რეალიზაციით:

ა) უძრავი ქონება;
ბ) ავტოსატრანსპორტო საშუალება;
გ) ფასიანი ქაღალდები.

– მემკვიდრეობით მიღებული ქონების სახით მიღებული შემოსავალი;
– დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი;
– პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი;
– როიალტის სახით მიღებული შემოსავალი;

– ვალის პატიებით მიღებული შემოსავალი;
– პარტნიორის წილის რეალიზაციით მიღებული ნამეტი.

გ) სხვა შემოსავლები, რომლებიც არ არის ზემოთ მოხსენიებული და იბეგრება ჩვეულებრივი დაბეგვრის რეჟიმით. მაგ. სარგებლის სხვადასხვა ფორმებით მიღებული შემოსავლები(ჩუქების გარდა, რადგანაც ჩუქება ზემოთ აღნიშნულ ნუსხაშია შეტანილი), აგრეთვე ხელფასი.

15.2.4 მცირე ბიზნესის დაბეგვრის განაკვეთები

მცირე ბიზნესის რეჟიმით დასაბეგრი შემოსავალი ანუ 100000 ლარის ჩათვლით მიღებული შესაბამისი შემოსავალი იბეგრება გამოქვითვების გარეშე ორი სიდიდის განაკვეთით: ან 3 პროცენტით ან 5 პროცენტით. განაკვეთის სიდიდე დამოკიდებულია დასაბეგრი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯების ოფიციალურად (დოკუმენტურად) დადასტურების ფაქტზე. კერძოდ, თუ პირი წარმოადგენს 100000 ლარის ფარგლებში მცირე ბიზნესის რეჟიმით დასაბეგრი ერთობლივი შემოსავლის 60 პროცენტის ოდენობის ხარჯების დამადასტურებელ დოკუმენტს (ზედნადები, ინვოისი და ა. შ), მაშინ მისი დასაბეგრი ერთობლივი შემოსავალი დაიბეგრება 3 პროცენტით – სხვა შემთხვევაში 5 პროცენტით. ამ შემთხვევაში 100000 ლარის ერთობლივ შემოსავალში არ იანგარიშება დაქირავებულებზე გაცემული ხელფასის თანხები და შესაბამისად ეს თანხები არ იბეგრება ზემოაღნიშნული განაკვეთებით(ხელფასი იბეგრება ჩვეულებრივი დაბეგვრის რეჟიმით). მიუხედავად, დაბეგვრის ამ ტრივიალური შინაარსისა, კანონმდებლობაში, რომელიც არეგულირებს ამ საკითხს(სსკ მუხლი 90.2) არსებობს არაადეკვატური ჩანაწერი. კერძოდ, ამ ჩანაწერის მიხედვით „მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 3 პროცენტით, თუ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირს აქვს ერთობლივი შემოსავლის **60 პროცენტის** ოდენობის ხარჯების(გარდა დაქირავებულზე დარიცხული ხელფასის ხარჯისა) დამადასტურებელი დოკუმენტები.“ ტექსტში არ ნერია, რომ ხარჯის ოდენობა უნდა იყოს **„არანაკლებ 60 პროცენტისა“**. შესაბამისად, იმპერატიულად, ხარჯების ოდენობა 60 პროცენტი უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული ნორმა გამოდის 3 პროცენტიანი დაბეგვრის არეალიდან, რაც აბსურდია.

საინტერესოა გადასახადის განაკვეთების ფიქსირებული სიდიდის ლოგიკურობის საკითხი ანუ, მარტივად, რომ ვთქვათ, რა პრინციპით ან რის საფუძველზე არის აღებული 3 ან 5 პროცენტი. განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი ხარჯების პროცენტულობის გათვალისწინებით და ჩვეულებრივი დაბეგვრის რეჟიმთან მიმართებით:

პირველი ვარიანტი: ა) ჩვეულებრივი რეჟიმი: ერთობლივი შემოსავალი 100 000 ლარი, გამოსაქვითი ხარჯი 25%, საშემოსავლო გადასახადი – 75000X20%=**15000**; ბ) მცირე ბიზნესის რეჟიმი – საშემოსავლო გადასახადი – 100000X5%=**5000**;

მეორე ვარიანტი: ა) ჩვეულებრივი რეჟიმი: ერთობლივი შემოსავალი 100 000 ლარი, გამოსაქვითი ხარჯი 50%, საშემოსავლო გადასახადი – 50000X20%=**10000**; ბ) მცირე ბიზნესის რეჟიმი – საშემოსავლო გადასახადი – 100000X5%=**5000**;

მესამე ვარიანტი: ა) ჩვეულებრივი რეჟიმი: ერთობლივი შემოსავალი 100 000 ლარი, გამოსაქვითი ხარჯი 60%, საშემოსავლო გადასახადი – 40000X20%=**8000**; ბ) მცირე ბიზნესის რეჟიმი – საშემოსავლო გადასახადი – 100000X3%=**3000**;

მეოთხე ვარიანტი: ა) ჩვეულებრივი რეჟიმი: ერთობლივი შემოსავალი 100 000 ლარი, გამოსაქვითი ხარჯი 75%, საშემოსავლო გადასახადი – 25000X20%=**5000**; ბ) მცირე ბიზნესის რეჟიმი(დავუშვათ, რომ 3%-ით იბეგრება) – საშემოსავლო გადასახადი – 100000X3%=**3000**;

მეხუთე ვარიანტი: ა) ჩვეულებრივი რეჟიმი: ერთობლივი შემოსავალი 100 000 ლარი, გამოსაქვითი ხარჯი 85%, საშემოსავლო გადასახადი – 15000X20%=**3000**; ბ) მცირე ბიზნესის რეჟიმი(დავუშვათ, რომ 3%-ით იბეგრება) – საშემოსავლო გადასახადი – 100000X3%=**3000**;

მეექვსე ვარიანტი: ა) ჩვეულებრივი რეჟიმი: ერთობლივი შემოსავალი 100 000 ლარი, გამოსაქვითი ხარჯი 90%, საშემოსავლო გადასახადი – 10000X20%=**2000**; ბ) მცირე ბიზნესის რეჟიმი(დავუშვათ, რომ 3%-ით იბეგრება) – საშემოსავლო გადასახადი – 100000X3%=**3000**;

მეშვიდე ვარიანტი: ა) ჩვეულებრივი რეჟიმი: ერთობლივი შემოსავალი 100 000 ლარი, გამოსაქვითი ხარჯი 95%, საშემოსავლო გადასახადი – 5000X20%=**1000**; ბ) მცირე ბიზნესის რეჟიმი(დავუშვათ, რომ 3%-ით იბეგრება) – საშემოსავლო გადასახადი – 100000X3%=**3000**.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მხოლოდ იმ შემთხვევაში ემთხვევა ერთმანეთს ჩვეულებრივი და მცირე ბიზნესის საშემოსავლო გადასახადის თანხები, როდესაც ფიზიკური პირი წლის განმავლობაში ღებულობს ჩვეულებრივ დასაბეგრ შემოსავალს, როდესაც რენტაბელობის ნორმა შეადგენს

15 პროცენტს (მეხუთე ვარიანტი). სწორედ ამ ნორმის ფარგლებში ფუნქციონირებს რეალურად მცირე ბიზნესი წლის განმავლობაში. შესაბამისად, ფიზიკური პირის დასაბეგრი, ასე ვთქვათ „ანაზღაურება" შეადგენს 15000 ლარს(მეხუთე ვარიანტი), რომლის დროსაც რეალურად მისაღები თანხა დაბეგვრის შემდგომ შეადგენს 12000 ლარს, რაც წელიწადში ყოველთვიურად შეადგენს 1000 ლარს და რაც ითვლება „ნორმალურ, საშუალო ანაზღაურებად". ამდენად, 15%-იანი რენტაბელობის დროს, ჩვეულებრივი და მცირე ბიზნესის დაბეგვრის რეჟიმები ერთი და იგივეა. რეალურ მცირე ბიზნესში, როგორც წესი სათანადო კონკურენციის გამო, უფრო მაღალი რენტაბელობის ნორმა არ არსებობს, ამდენად, მცირე ბიზნესისა და ჩვეულებრივი ბიზნესის დაბეგვრის რეჟიმები ფაქტობრივად ერთი და იგივეა.

რაც შეეხება 60 პროცენტის ხარჯებს და შესაბამისად 40 პროცენტიან რენტაბელობას, იგი შეიძლება ისეთ სიტუაციაში იყოს რეალური, როდესაც შესაბამისი საქონლის ან მომსახურების ფასები დაბალი კონკურენციის შედეგია, რაც მცირე ბიზნესის შემთხვევაში მხოლოდ მხოლოდ უაღრესად არაკონკურენტულ გარემოშია შესაძლებელი.

ამდენად, რაც უფრო იზრდება საქონლის ან მომსახურების თვითღირებულება და შესაბამისად გამოსაქვითი ხარჯების ოდენობა, მცირე ბიზნესის დაბეგვრის რეჟიმი ჩვეულებრივი დაბეგვრის რეჟიმთან მიმართებით არახელსაყრელი ხდება(მეექვსე და მეშვიდე ვარიანტი).

15.2.5 მცირე ბიზნესის მიმდინარე გადასახდელები

როგორც ცნობილია პირები, რომლებიც ეწევიან ეკონომიკურ საქმიანობას და წინა წელს ჰქონდათ დასაბეგრი შემოსავალი იხდიან შესაბამის მიმდინარე გადასახდელებს პირდაპირ გადასახადებთან მიმართებით. მცირე ბიზნესის შემთხვევაში, განსხვავებით ჩვეულებრივი დაბეგვრის რეჟიმისაგან, მიმდინარე გადასახდელების გადახდა უნდა განხორციელდეს ყოველი კვარტლის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე. ე.ი ბიუჯეტში თანხები შეტანილ უნდა იქნეს: 15 აპრილამდე, 15 ივლისამდე, 15 ოქტომბრამდე, 15 იანვრამდე (ჩვეულებრივი დაბეგვრის რეჟიმის დროს მიმდინარე გადასახდელების შეტანის ვადებია: 15 მაისი, 15 ივლისი, 15 სექტემბერი, 15 დეკემბერი).

მცირე ბიზნესის მიერ მიმდინარე გადასახდელების გადახდა არ ხდება ორ შემთხვევაში: პირველი, როდესაც პირს მცირე ბიზნესის სტატუსი მიენიჭა მიმდინარე საგადასახადო წელს და მეორე, როდესაც პირმა, რომელსაც წინა საანგარიშო წელს მინიჭებული ჰქონდა მცირე ბიზნესის სტატუსი, ეს წელი დაასრულა მიკრო ბიზნესის სტატუსით.

მცირე ბიზნესის სტატუსი მქონე პირს, თუ მიმდინარე წელს გაუუქმდა მცირე ბიზნესის სტატუსი და ეს წელი დაამთავრა ჩვეულებრივი დაბეგვრის რეჟიმით, მაშინ იგი მომავალ წელს მიმდინარე გადასახდელებს გადაიხდის მცირე ბიზნესის რეჟიმის შესაბამისად.

15.2.6 მცირე ბიზნესი და გადასახადების წყაროსთან დაკავება

მცირე ბიზნესს შეუძლია ჰყავდეს დაქირავებული თანამშრომლები და შესაბამისად უხდიდეს მათ ხელფასს. ამასთან, მცირე ბიზნესს შეუძლია შეიძინოს სხვის მიერ გაწეული მომსახურება. როგორია ასეთ შემთხვევებში წყაროსთან გადასახადების დაკავების მექანიზმი? საკითხი შეიძლება გავყოთ 4 ნაწილად:

პირველი: თუ მცირე ბიზნესი იღებს მომსახურებას ნებისმიერი პირისაგან მას არა აქვს ამ პირებისათვის გაცემულ თანხებზე შესაბამისი გადასახადების დაკავების ვალდებულება (გარდა მეორე შემთხვევაში აღწერილი სიტუაციისა);

მეორე: თუ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირი მომსახურებას იღებს არარეზიდენტი პირისაგან, მაშინ მცირე ბიზნესი ვალდებულია გადახდის წყაროსთან დაბეგროს მომსახურების შესაბამისი თანხა დამატებული ღირებულების გადასახადით უკუდაბეგვრის წესით;

მესამე: თუ მცირე ბიზნესი გასცემს კალენდარული წლის განმავლობაში ერთობლივი შემოსავლის 25 პროცენტის ფარგლებში ხელფასებს, ამ ხელფასებზე მას არ ევალება საშემოსავლო გადასახადის წყაროსთან დაკავების ვალდებულება(ერთობლივი შემოსავალი გაიანგარიშება **§2.3**-ის შესაბამისად);

მეოთხე: თუ მცირე ბიზნესი გასცემს კალენდარული წლის განმავლობაში ერთობლივი შემოსავლის 25 პროცენტზე მეტ ხელფასებს, მაშინ 25 პროცენტზე ზემოთ გაცემულ სახელფასო თანხებზე მას ევალება საშემოსავლო გადასახადის წყაროსთან დაკავების ვალდებულება. ამ შემთხვევაში მცირე ბიზნესი ვალდებულია საანგარიშო წლის მომდევნო წლის 15 იანვრამდე გადაიხადოს შესაბამისი საშემოსავლო გადასახადი და წარადგინოს გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაცია.

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირი ვალდებულია საგადასახადო წლის

დათავრებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში საგადასახადო ორგანოში წარადგინოს „ინფორმაცია საანგარიშო წლის მიხედვით განაცემებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ".

15.2.7 მცირე ბიზნესის ხარჯების აღრიცხვა

მცირე ბიზნესი ვალდებულია აწარმოოს ხარჯების აღრიცხვა სპეციალურად მცირე ბიზნესისათვის დადგენილი ფორმით და წესით. ამასთან, შემოსავლების აღრიცხვა მომხმარებლებთან ნაღდი ფულადი ანგარიშსწორების დროს მცირე ბიზნესმა უნდა განახორციელოს საკონტროლო – სალარო აპარატების დროს. სხვაგვარი აღრიცხვის ვალდებულება მცირე ბიზნესს არ გააჩნია.

მცირე ბიზნესს არ გააჩნია პირველადი საგადასახადო დოკუმენტების გამოწერის ვალდებულება, მაგრამ, თუ მან გამოუწერა ან თუ მას გამოუწერეს პირველადი საგადასახადო დოკუმენტი, იგი ვალდებულია ეს დოკუმენტი შეინახოს 6 წლის ვადით.

ამასთან აღსანიშნავია, რომ თუ მცირე ბიზნესმა მიმდინარე წელს მიიღო ზარალი, იგი მომდევნო წელს არ გადაიტანება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მიმდინარე წელს ხდება მცირე ბიზნესის რეჟიმიდან მისი გამოსვლა.

მცირე ბიზნესი აწარმოებს ხარჯების აღრიცხვის ჟურნალდ, რომელიც შეიძლება იყოს, როგორც ქაღალდზე ნაბეჭდი, ისე ელექტრონული ფორმის. მცირე ბიზნესი ხარჯის გაწევის შესახებ ინფორმაციას ხარჯების აღრიცხვის სპეციალურ ჟურნალში ასახავს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, რომელშიც დაცული უნდა იყოს მაჩვენებლების უწყვეტობა და უტყუარობა.ქაღალდზე ნაბეჭდი აღრიცხვის სპეციალურ ჟურნალში შეცდომის დაშვების შემთხვევაში შენიშვნის გრაფაში უნდა გაკეთდეს შესაბამისი ჩანაწერი, რომელიც უნდა დადასტურდეს ხელმოწერით. ხარჯების აღრიცხვის სპეციალური ჟურნალი იხსნება ერთ კალენდარულ წელზე და უნდა იყოს დანომრილი. კალენდარული წლის ბოლო დღეს ჟურნალი იხურება. ჟურნალის შენახვის ვადაა არანაკლებ 6 წელი.

ზემოაღნიშნულ ჟურნალს შემდეგი სახე აქვს:

მცირე ბიზნესის ხარჯების გამარტივებული აღრიცხვის სპეციალური ჟურნალი
20—— წელი
გადამხდელი – ————————————————————————————————————
(მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირის გვარი, სახელი)

საიდენტიფიკაციო ნომერი – –– – –– – –– – –– – –– – –– – –– – –– – ––
მცირე ბიზნესის სერტიფიკატის ნომერი – –– – –– – –– – –– – –– – –– – ––
განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობის სახე – ———— – – – – – – – –

საქმიანობის ადგილის (ან ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილის) მისამართი
————————————————————————————————————

	შეძენილი საქონლის დასახელება ან/და მიღებული მომსახურების სახე	ერთეული	რაოდენობა	თარიღი	თანხა	ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტის სახე, № და თარიღი	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8

ხარჯების აღრიცხვის სპეციალური ჟურნალი შემდეგნაირად ივსება:

ხარჯების აღრიცხვის სპეციალური ჟურნალის ყდაზე ინსტრუქციის დანართის პირველ გვერდზე მოცემული წესით მიეთითება:

ა) სანგარიშო წელი;

ბ) მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირის გვარი, სახელი;

გ) საიდენტიფიკაციო ნომერი;

დ) მცირე ბიზნესის სერტიფიკატის ნომერი;

ე) განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობის სახე;

ვ) საქმიანობის ადგილის ან ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილის მისამართი.

ხარჯების აღრიცხვის სპეციალური ჟურნალის (შემდეგში ჟურნალი) პირველ სვეტში მიეთითება ოპერაციის რიგითი ნომერი.

ჟურნალის მე-2 სვეტში მიეთითება ნაღდი ანგარიშსწორებით შეძენილი საქონლის დასახელება ან/და მიღებული მომსახურების სახე.

ჟურნალის მე-3 სვეტში მიეთითება ზომის ერთეული, მომსახურების მიღების შემთხვევაში არ ივსება.

ჟურნალის მე-4 სვეტში მიეთითება შესყიდული საქონლის ოდენობა, მომსახურების მიღების შემთხვევაში არ ივსება.

ხარჯების აღრიცხვის სპეციალური ჟურნალის მე-5 სვეტში მიეთითება ხარჯის გაწევის თარიღი.

ჟურნალის მე-6 სვეტში აისახება გაწეული ხარჯი თანხობრივ გამოსახულებაში.

ჟურნალის მე-7 სვეტის შევსება სავალდებულო არაა. იგი ივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში მცირე ბიზნესის განზრახვით. ამ შემთხვევაში იგი მიუთითებს პირველადი საგადასახადო დოკუმენტის დასახელებას (სასაქონლო ზედნადები, ანგარიშ-ფაქტურა, მიღება-ჩაბარების აქტი და სხვა), ნომერს და თარიღს.

ჟურნალის მე-8 სვეტში (შენიშვნა) მითითება კეთდება შეცდომის დაშვების შემთხვევაში ან გადამხდელის გადაწყვეტილებით რაიმე მინიშნების გაკეთების შემთხვევაში.

15.2.8 მცირე ბიზნესის სასაქონლო მარაგების აღრიცხვა

მცირე ბიზნესს უფლება აქვს სტატუსის გაუქმების შემთხვევაში აღრიცხოს შესაბამისი სასაქონლო ნაშთები. სასაქონლო ნაშთების აღრიცხვას ორი მიზანი აქვს: საქონელი ჩათვალოს აღრიცხულად და არ გავრცელდეს აღურიცხაობით გათვალისწინებული სანქციები და პირმა მოახდინოს გარკვეული ოდენობის ხარჯების გამოქვითვა ერთობლივი შემოსავლიდან. ორივე შემთხვევა განვიხილოთ ცალ-ცალკე.

თუ, ჩვეულებრივი რეჟიმით მომუშავე მეწარმე ფიზიკურ პირს გამოუვლინდა სასაქონლო მარაგები, რომელიც არ არის აღრიცხული სააღრიცხვო დოკუმენტაციაში ან მათზე არ არის პირველადი საგადასახადო დოკუმენტები, ეს ფაქტი ითვლება საგადასახადო სამართალდარღვევად და იწვევს პირის დაჯარიმებას გამოვლენის მომენტში ამ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საბაზრო ღირებულების ოდენობით. ამიტომ აუცილებელია ნაშთად არსებული საქონლის აღრიცხვა შესაბამისი ფორმით. ამ შემთხვევაში სასაქონლო ნაშთების ღირებულებას მნიშვნელობა არ აქვს.

მცირე ბიზნესს, თუ იგი გადადის დაბეგვრის საერთო რეჟიმზე, უფლება აქვს ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითოს ხარჯების სახით 30000 ლარის საბაზრო ღირებულების ის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები, რომელიც აღრიცხული აქვს დადგენილი ფორმით. ამ შემთხვევაში აღრიცხვის დამადასტურებელ დოკუმენტი ითვლება ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტად. ვინაიდან პირს უფლება აქვს 30000 ლარი გამოქვითოს მომავალში ჩვეულებრივი დაბეგვრის რეჟიმის გამოყენების დროს, ეს თანხა ემატება მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმებამდე ამ რეჟიმით დასაბეგრ თანხას და მიღებული თანხების ჯამი დაიბეგრება მცირე ბიზნესის რეჟიმით. ფორმულა იქნება ასეთი: X=X1+X2, სადაც X – არის მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმების შემდეგ მცირე ბიზნესის რეჟიმით დასაბეგრი თანხა, X1 – არის მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმებამდე არსებული მცირე ბიზნესის რეჟიმით დასაბეგრი თანხა, ხოლო X2 – არის საბაზრო ფასით აღრიცხული სასაქონლო მატერიალური ფასეულობები, რომელთა ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 30000 ლარს.

ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, 30000 ლარის ფარგლებში, რაც უფრო გაზრდის(აღრიცხავს) მეწარმე სასაქონლო ნაშთებს, მით მეტი საშემოსავლო გადასახადი ექნება გადასახდელი მცირე ბიზნესის რეჟიმით დაბეგვრის დროს (3 ან 5 პროცენტი) და ამასთან, მით ნაკლები საშემოსავლო გადასახადი ექნება გადასახდელი ჩვეულებრივი დაბეგვრის რეჟიმის გამოყენების დროს, ვინაიდან მეტ თანხებს გამოქვითავს ერთობლივი შემოსავლიდან.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ 30000 ლარს ზემოთ არსებული სასაქონლო ნაშთების აღრიცხვ
ება არა საბაზრო ფასით, არამედ თვითღირებულებით, თუმცა ამ ფაქტს არსებითი მნიშვნელობ
ა აქვს.

იმ შემთხვევაში, თუ პირს მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირს სტატუსის
უქმების მომენტისათვის გააჩნია არსებულ სასაქონლო ნაშთებზე ხარჯის დამადასტურებელი დო
მენტი ან აღრიცხული აქვს შესაბამისი ნაშთები, მაშინ მას უფლება აქვს ზემოაღნიშნული 30000
ლარის ოდენობის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიმართ არ განახორციელოს შესაბამისი
აღრიცხვის პროცედურა საბაზრო ფასების გათვალისწინების ჩათვლით.

აღრიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტის ფორმა შეიძლება იყოს თავისუფალი, მაგრამ იგი
ცილებლად უნდა მოიცავდეს დადგენილ რეკვიზიტებს, რომელიც შემდეგი ფორმით(ან იმ ფორმით
ელიც გადამხდელს სურს) შეიძლება იქნეს წარდგენილი:

სასაქონლო მარაგების ნაშთების აღრიცხვა დანართი №4

დოკუმენტი №

1 გადამხდელის საიდენტიფიკაციო კოდი

2 გადამხდელი დასახელება (სახელი და გვარი)

3 ნაშთების აღრიცხვის დრო (დღე, თვე და რიგითი სტატუსურად)

4 გადასახადის გადამხდელის ხელმძღვანელი

5 მიმღები საგადასახადო ხელმძღვანელი

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთი სასაზრო ღირებულებით 30000 ლარამდე

რიგითი N	სასაქონლო ფასეულობების დასახელება და აღწერილობა	ზომის ერთეული	რაოდენობა	სასაქონლო მატერიალური მარაგების ნაშთების ღირებულება საქართველოს მოქმედების მიხედვით		სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთების საბაზრო ღირებულება	შენიშვნა
				ერთეულის ფასი	ჯამი		
1	2	3	4	5	6	7	8
	ჯამი						

სხვა სასაქონლო მარაგების ნაშთი

რიგითი N	სასაქონლო ფასეულობების დასახელება და აღწერილობა	ზომის ერთეული	რაოდენობა	სასაქონლო ნაშთების ღირებულება საქართველოს მოქმედების მიხედვით		შენიშვნა
				ერთეულის ფასი	ჯამი	
1	2	3	4	5	6	7
	ჯამი					

15.2.9 მცირე ბიზნესის საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაცია

მცირე ბიზნესი საგადასახადო დეკლარაციას წარადგენს საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მცირე ბიზნესი წყვეტს(აჩერებს) ეკონომიკურ საქმიანობას, მაშინ იგი ვალდებულია საგადასახადო დეკლარაცია წარადგინოს საქმიანობის შეწყვეტიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. ამასთან, თუ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი შემდგომში მიმდინარე საგადასახადო წლის დასრულებამდე არ განაახლებს ეკონომიკურ საქმიანობას საანგარიშო წლის მიხედვით, მომდევნო წლის 1 აპრილამდე საგადასახადო ორგანოში განმეორებითი დეკლარაციის წარდგენა სავალდებულო არ არის.

მცირე ბიზნესის საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაცია და მიკრო ბიზნესის საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაცია ერთი და იგივეა(. ამასთან, ვინაიდან მცირე ბიზნესი მიკრო ბიზნესისაგან განსხვავებით ექვემდებარება დაბეგვრას, უპრიანია ამ პარაგრაფში იყოს წარმოდგენილი დეკლარაციის შევსების წესებიც, რომელიც იდენტურია, როგორც მცირე, ასევე მიკრო ბიზნესის დროს. შესაბამისად, დეკლარაცია შემდეგნაირად ივსება:

დეკლარაციის სატიტულო გვერდის და I განაყოფის შესაბამის უჯრებში აისახება:

ა) პირველ უჯრაში – გადასახადის გადამხდელის გვარი და სახელი. იმის მიხედვით, მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირი ავსებს დეკლარაციას თუ მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი, შესაბამისი სტრიქონის ცარიელ უჯრაში გაკეთდება აღნიშვნა «V» ნიშნით;

ბ) მე-2 უჯრაში – გადასახადის გადამხდელზე საგადასახადო ორგანოს მიერ საგადასახადო რეგისტრაციისას მინიჭებული (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საიდენტიფიკაციო ნომერი;

გ) მე-3 უჯრაში – საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირის (გადასახადის გადამხდელის) პირადი ნომერი, პირადობის მოწმობის მიხედვით;

დ) მე-4 უჯრაში – დეკლარაციის სახე. იმის მიხედვით, დეკლარაცია პირველადია თუ დაზუსტებული, შესაბამისი სტრიქონის ცარიელ უჯრაში კეთდება აღნიშვნა „V“ ნიშნით;

ე) მე-5 უჯრაში – საგადასახადო (კალენდარული) წელი;

ვ) მე-6 უჯრაში – გადასახადის გადამხდელის საცხოვრებელი ან საქმიანობის ადგილის სრული მისამართი;

ზ) მე-7 უჯრაში – იმ საქმიანობის კოდი (ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის მიხედვით), რომელ საქმიანობასაც გადასახადის გადამხდელი თვლის ძირითადად;

თ) მე-8 უჯრაში-ეკონომიკური საქმიანობის შეწყვეტის თარიღი. უჯრებში ციფრები ჩაიწერება შემდეგი რიგითობით: რიცხვი, თვე და სრული წელი;

ი) მე-9 უჯრაში – იმ საგადასახადო ორგანოს სრული დასახელება, სადაც საგადასახადო აღიცხვაზე იმყოფება გადასახადის გადამხდელი.

დეკლარაციის II განაყოფის მე-10, მე-11, მე-12, მე-13, და მე-14 უჯრები ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ.

დეკლარაციის III განაყოფი (საშემოსავლო გადასახადის გაანგარიშება) შედგება ორი ნაწილისაგან: I ნაწილი – საშემოსავლო გადასახადის გაანგარიშება ჩვეულებრივი დაბეგვრის რეჟიმით და II ნაწილი – საშემოსავლო გადასახადის გაანგარიშება სპეციალური დაბეგვრის რეჟიმით.

დეკლარაციის III განაყოფის I ნაწილის (სპეციალური დაბეგვრის რეჟიმით) უჯრებში აისახება:

ა) მე-18 უჯრაში – შეიტანება საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი, იმის მიხედვით, თუ რომელ განაკვეთს ირჩევს მცირე ბიზნესის სატატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირი 5%-ს თუ 3%-ს, ხოლო მიკრობიზნესის შემთხვევაში ჩაიწერება 0%.

ბ) მე-19 უჯრაში – მიკრო და მცირე ბიზნესის სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას დაქვემდებარებული ერთობლივი შემოსავალი. მათ შორის:

ბ.ა) 191 უჯრაში – საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან გათავისუფლებული შემოსავალი;

ბ.ბ) მე-20 უჯრაში – ივსება მხოლოდ მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის მიერ იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 84-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემოსავალი, რომელზეც არ ვრცელდება ერთობლივი შემოსავლის 30 000 ლარიანი შეზღუდვა;

დ) 21-ე უჯრაში – სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას დაქვემდებარებული შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები. მათ შორის:

დ.ა) 22-ე უჯრაში – ხელფასის სახით დაქირავებულებზე გადახდილი თანხები.

ვ) 23-ე უჯრაში – საშემოსავლო გადასახადი დასაბეგრ შემოსავალზე, რომელიც მიიღება მე-

19 უჯრასა და 191 უჯრას შორის სხვაობის თანხის საშემოსავლო გადასახადის მე-18 უჯრაში მითითებულ განაკვეთზე გამრავლებით.

დეკლარაციის III განაყოფის II ნაწილი (ჩვეულებრივი დაბეგვრის წესით) ივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 84-ე მუხლის მე-4 ნაწილისა და 88-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად გააჩნიათ „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №415 დადგენილებით განსაზღვრული შემოსავლების სახეები:

ა) 24-ე უჯრაში-ერთობლივი შემოსავალი, რომელიც მიღებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 84-ე მუხლის მე-4 და 88-ე მუხლის მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული საქმიანობებიდან. მათ შორის:

ბ) 25-ე უჯრაში – საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი. მათ შორის:

გ) 26-ე უჯრაში – ხელფასის სახით მიღებული;

დ) 27-ე უჯრაში – საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული შემოსავალი. მათ შორის:

ე) 28-ე უჯრაში – ხელფასის სახით მიღებული;

ვ) 29-ე უჯრაში – 24-ე უჯრაში ასახული ერთობლივი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული და გამოქვითვას დაქვემდებარებული ხარჯები (გარდა კაპიტალიზებადი და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 117-ე მუხლით განსაზღვრული ხარჯებისა);

ზ) 30-ე უჯრაში – წინა წლების აუნაზღაურებელი ზარალი, რომელიც ექვემდებარება გამოქვითვას, მაგრამ არა უმეტეს წინა 5 საგადასახადო წლის ზარალისა, უჯრის შევსებისას გაითვალისწინება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 121-ე და 122-ე მუხლებით დანესებული ნორმები;

თ) 31-ე უჯრაში – დაბეგვრისაგან გათავისუფლებული შემოსავალი;

ი) 32-ე უჯრაში-ერთობლივ შემოსავალში (უჯრა 24) შეტანილი საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 154-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად გადახდის წყაროსთან დაბეგრილი შემოსავლები;

კ) 33-ე უჯრაში – შემოსავალი, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას, მიიღება: 24-ე უჯრაში ასახულ მონაცემს გამოკლებული 29-ე უჯრაში ასახული მონაცემი, გამოკლებული 30-ე უჯრაში ასახული მონაცემი, გამოკლებული დაბეგვრისაგან გათავისუფლებული შემოსავალი (უჯრა 31) და გამოკლებული საქართველოს წყაროდან მიღებული და გადახდის წყაროსთან დაბეგრილი შემოსავალი (უჯრა 32);

ლ) 34-ე უჯრაში – საშემოსავლო გადასახადი დასაბეგრ შემოსავალზე, რომელიც მიიღება 33-ე უჯრაში ასახული თანხის საშემოსავლო გადასახადის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 81-ე მუხლით დადგენილ განაკვეთზე გამრავლებით;

მ) 35-ე უჯრაში – სულ საშემოსავლო გადასახადი, რომელიც მიიღება 23-ე და 34-ე უჯრებში ასახული მონაცემების დაჯამებით;

ნ) 36-ე უჯრაში – საქართველოს საგადასახადო კოდექსის 155-ე მუხლით დადგენილი ნორმებით განსაზღვრული მომდევნო საგადასახადო წლის მიმდინარე გადასახდელების ოდენობა;

ო) 37-ე უჯრაში – გადასახადის გადამხდელის ან სხვა ვალდებული პირის ან/და მისი კანონიერი ან უფლებამოსილი წარმომადგენლის (ვინც ადასტურებს დეკლარაციაში მოცემული მონაცემების უტყუარობას და სისრულეს) გვარი და სახელი სრულად;

პ) 38-ე უჯრაში – 37-ე უჯრაში ასახული პირის ხელმოწერა;

ჟ) 39-ე უჯრაში – 37-ე უჯრაში ასახული პირის ხელმოწერის თარიღი. აღნიშნული უჯრის პირველ ორ განაყოფში აისახება ხელმოწერის რიცხვი, მომდევნო ორ განაყოფში – თვე და ბოლო ოთხ განაყოფში – წელი სრულად.

დეკლარაციის IV განაყოფში შეიტანება მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის ან მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირის საქმიანობის შესახებ ზოგადი ინფორმაცია: დაქირავებულთა რაოდენობა; ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული აქტივების ღირებულება; საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის და ბოლოსათვის არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.

15.2.10 მცირე ბიზნესი და საგადასახადო სანქციები

მცირე ბიზნესის მიმართ მოქმედებს შემდეგი სანქციები:

ა) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 286-ე მუხლის მიხედვით სანქცირებადია საქონლის

დოკუმენტების გარეშე ტრანსპორტირება, რეალიზაცია და აღურიცხველობა. ეს ნორმა არ ვრცელდება მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირზე;

ბ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 288-ე მუხლის მიხედვით, თუ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირმა განახორციელა ქმედება, რამაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 88-ე მუხლის მე-2 ნაწილში მითითებული საფუძვლების გამო გამოიწვია საგადასახადო ორგანოს მიერ პირისათვის მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმება – იწვევს პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით. ეს ქმედება გულისხმობს მცირე ბიზნესის მიერ მისთვის მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული აკრძალული საქმიანობის განხორციელებას;

გ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 288-ე მუხლის მიხედვით, თუ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირმა განახორციელა ქმედება, რამაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 89-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტში მითითებული საფუძვლების გამო გამოიწვია საგადასახადო ორგანოს მიერ პირისათვის მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმება – იწვევს პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით. ეს ქმედება გულისხმობს მეწარმე ფიზიკური პირისათვის საკონტროლო – სალარო აპარატების გამოუყენებლობისათვის სანქციის კალენდარული წლის განმავლობაში 3 – ჯერ დაკისრებას.

მცირე ბიზნესის წესების სხვა დარღვევისათვის, რომლისთვისაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა (ანუ არსებობს ვალდებულებები), მაგრამ არ არის განსაზღვრული ჯარიმის ოდენობა, გამოიყენება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 291-ე მუხლი, რომლის მიხედვით პირი ექვემდებარება 100 ლარით დაჯარიმებას. მიკრო ბიზნესის სხვა წესების დარღვევად შეიძლება განვიხილოთ შემდეგი ნორმების დარღვევა:

ა) პირის მიერ მისაღებმა ჯამურმა ერთობლივმა შემოსავალმა კალენდარული წლის განმავლობაში გადააჭარბა 100000 ლარს და პირმა არ მიმართა საგადასახადო ორგანოს მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმების მიზნით(ამ შემთხვევაში განსხვავებით მიკრო ბიზნესისაგან მიმართვის 15 დღიანი ვადა არ არის დაწესებული);

გ) საგადასახადო ორგანოს მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად დადგინდა, რომ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის სასაქონლო – მატარიალური მარაგების ნაშთი აღემატება 150000 ლარს;

დ) მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირმა მისთვის ან მის მიერ გამოწერილი საგადასახადო დოკუმენტი არ შეინახა ხანდაზმულობის ვადით.

15.2.11. მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმება

მიმდინარე საგადასახადო წელს მცირე ბიზნესის სტატუსი უქმდება შემდეგი გარემოებების დადგომისას:

ა) პირმა მიმართა საგადასახადო ორგანოს წერილობითი განცხადებით მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმების მოთხოვნით ან მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმებისა და მიკრო ბიზნესის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით(ამ განცხადებას შემდეგი ფორმა აქვს:

საჯარო სამართლის იურიდიულ პირს –
შემოსავლების სამსახურს

ფიზიკური პირი ————————————————
(სახელი გვარი)

მისამართი – ————————————————

პირადი ნომერი პირადობის მოწმობის მიხედვით | | | | | | | | | | | |

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გაცნობებთ, რომ ვეწევი – ———————————————————————— საქმიანობას. (საქმიანობის სახე)

გთხოვთ 20 წლის „——" „————————" დან:

მომანიჭოთ:

— მიკრობიზნესის განმახორციელებელი პირის სტატუსი და მომცეთ შესაბამისი სერტიფიკატი.

— მცირე ბიზნესის განმახორციელებელი პირის სტატუსი და მომცეთ შესაბამისი სერტიფიკატი.

გამოუქმოთ:

— მიკრობიზნესის სტატუსი და ჩაიბაროთ მიკრობიზნესის № – – – – სერტიფიკატი

— მცირე ბიზნესის სტატუსი და ჩაიბაროთ მცირე ბიზნესის № – – – – სერტიფიკატი.

ხელმოწერა . . . . . თარიღი „ – – „ „–––––––„ 20 წელი

შენიშვნა:

1. შესაბამისი გრაფა აღინიშნება „V" ნიშნით.

2. მიკრობიზნესის სტატუსის მინიჭებისათვის ფიზიკური პირი დამოუკიდებლად (დაქირავებულ პირთა შრომის გარეშე) უნდა ეწეოდეს ეკონომიკურ საქმიანობას და მისი მისაღები ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს 30 000 ლარს.

3. მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭებისათვის ფიზიკური პირის ეკონომიკური საქმიანობიდან მისაღები ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს 100 000 ლარს.

ბ) საგადასახადო ორგანოს მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად დადგინდა, რომ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის სასაქონლო მატერიალური მარაგების ნაშთი აღემატება 150 000 ლარს;

გ) ფიზიკურმა პირმა განახორციელა მცირე ბიზნესისთვის აკრძალული საქმიანობა(აკრძალული საქმიანობის ნუსხა მითითებულია 2.1 პარაგრაფში);

ე) ფიზიკურ პირს წარმოეშვა დღგ-ის სავალდებულო რეგისტრაციაზე დადგომის ვალდებულება;

ვ) მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში ჯამური ერთობლივი შემოსავალი გადააჭარბებს 100 000 ლარს. აღნიშნული არ ეხება შემდეგ შემოსავლებს:

– ქონების იჯარით გაცემიდან მიღებული შემოსავალი;
– სესხის გაცემიდან მიღებული შემოსავალი;
– სათამაშო ბიზნესიდან მიღებული მოგებები;
– ჩუქებით მიღებული შემოსავალი;
– ნამეტი შემოსავალი, რომელიც მიღებულია შემდეგი ქონების რეალიზაციით:

ა) უძრავი ქონება;
ბ) ავტოსატრანსპორტო საშუალება;
გ) ფასიანი ქაღალდები.

– მემკვიდრეობით მიღებული ქონების სახით მიღებული შემოსავალი;
– დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი;
– პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი;
– როიალტის სახით მიღებული შემოსავალი;
– ვალის პატიებით მიღებული შემოსავალი;
– პარტნიორის წილის რეალიზაციით მიღებული ნამეტი.

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი ვალდებულია მცირე ბიზნესისთვის აკრძალული საქმიანობის განხორციელებამდე მიმართოს საგადასახადო ორგანოს მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმების მოთხოვნით. თუ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი განახორციელებს მცირე ბიზნესისთვის აკრძალულ საქმიანობას ან საკონტროლო – სალარო აპარატების გამოუყენებლობის თაობაზე კალენდარული წლის განმავლობაში სამჯერ დაეკისრება სანქცია, საგადასახადო ორგანო უუქმებს მას მცირე ბიზნესის სტატუსს და ფიზიკური პირი გამოდის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმიდან. ამასთან, ეს ინვევს პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

თუ პირი მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში მიმართავს საგადასახადო ორგანოს სტატუსის გაუქმების მოთხოვნით(გარდა ზემოაღნიშნული შემთხვევების დროს სტატუსის გაუქმების მოთხოვნისა), მაშინ მცირე ბიზნესის სტატუსი გაუქმებულად ითვლება მინიჭების დღიდან.

საგადასახადო ორგანოს მიერ ფიზიკური პირისათვის მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმების შემთხვევაში გადამხდელს ეგზავნება შესაბამისი გადაწყვეტილება, ხოლო საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული სერტიფიკატი ექვემდებარება დაბრუნებას.

მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმების შემთხვევაში ხელახლა მცირე ბიზნესის სტატუსი მიენიჭება პირს:

ა) თუ სტატუსის გაუქმებიდან მომავალი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა არ აღემატება 100 000 ლარს;

ბ) ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სტატუსის გაუქმებიდან 12 კალენდარული თვის მომდევნო წლიდან, თუ პირი არ არის დღგ-ის გადამხდელი.

15.2.12 მცირე ბიზნესის სტატუსის შეცვლა

განვიხილოთ მცირე ბიზნესზე გადასვლის ან შეცვლის სხვადასხვა ვარიანტები, იმის გათვალისწინებით, თუ რა სტატუსით მოხდება დაბეგვრა შეცვლის პერიოდებზე:

ა) თუ ფიზიკური პირი მიმდინარე საანგარიშო წელს გადაწყვეტს მცირე ბიზნესის სტატუსის მიღებას და დაბეგვრის სხვა რეჟიმიდან მცირე ბიზნესის დაბეგვრის რეჟიმზე გადასვლას, მის მიერ საანგარიშო პერიოდში მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭებამდე მიღებული შემოსავლები ექვემდებარება მცირე ბიზნესისთვის დადგენილი სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას;

ბ) თუ მიმდინარე წლის განმავლობაში ფიზიკურ პირს გაუუქმდა მცირე ბიზნესის სტატუსი, მის მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში სტატუსის გაუქმებამდე მიღებული შემოსავალი(გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირი მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში მიმართავს საგადასახადო ორგანოს სტატუსის გაუქმების მოთხოვნით), ექვემდებარება საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრას მცირე ბიზნესის რეჟიმით, ხოლო სტატუსის გაუქმების შემდეგ მიღებული შემოსავალი – დაბეგვრის საერთო წესით;

გ) თუ პირი მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში მიმართავს საგადასახადო ორგანოს სტატუსის გაუქმების მოთხოვნით (ზემოაღნიშნული „ბ" პუნქტის გათვალისწინებით), მაშინ მის მიერ მიღებული შემოსავლები ექვემდებარება შესაბამისად, მიღებული სტატუსის მიხედვით დაბეგვრას: ან მიკრო ბიზნესის რეჟიმით ან საერთო წესით;

დ) თუ მიმდინარე წლის განმავლობაში ფიზიკურ პირს გაუუქმდა მიკრობიზნესის სტატუსი და მას მიენიჭა მცირე ბიზნესის სტატუსი, მის მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი ექვემდებარება დაბეგვრას მცირე ბიზნესისთვის დადგენილი წესის შესაბამისად.

ამასთან აღსანიშნავია, რომ განსხვავებით შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტისა, რომელიც არეგულირებს მიკრო ბიზნესის მცირე ბიზნესად გარდაქმნის საკითხს (ფინანსთა მინისტრის ბრძანება №999 მუხ.5(5,6), საქართველოს საგადასახადო კოდექსი (მუხ. 85(5), მუხ.93.2) არასამართლიანად წყვეტს მიკრო ბიზნესის მცირე ბიზნესით შეცვლის დაბეგვრის საკითხს. კერძოდ, ზემოაღნიშნული კანონქვემდებარე აქტის მიხედვით სტატუსის შეცვლის დროს პირი ექვემდებარება დაბეგვრას მიღებული სტატუსის(ანუ მცირე ბიზნესის) შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს, როგორც წესი, დაბეგვრას და დეკლარაციის წარდგენას მომდევნო წლის 1 აპრილამდე, ხოლო საგადასახადო კოდექსის აღნიშნული ნორმის მიხედვით, ასეთმა პირმა დეკლარაცია უნდა წარადგინოს მიკრო ბიზნესის სტატუსის გაუქმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ვადაში გადაიხადოს მცირე ბიზნესის გადასახადი.

15.2.13 მცირე ბიზნესი და დამატებული ღირებულების გადასახადი

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირს, თუ დაუდგა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება, იგი უნდა დადგეს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციაზე.

თუ მცირე ბიზნესს დაუდგა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება, იმ დღიდან, როდესაც მას ეკუთვნის საგადასახადო ორგანოში დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაცია, ავტომატურად უქმდება მცირე ბიზნესი სტატუსი. ამასთან მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მენარმე ფიზიკური პირი დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულების დადგომისას ვალდებულია აღრიცხოს ამ მომენტისათვის სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთი, რომელზეც უფლება აქვს ჩაითვალოს დღგ დადგენილი წესის შესაბამისად, თუ გააჩნია ჩათვლის შესაბამისი დოკუმენტაცია.

15.2.14 მცირე ბიზნესის საგადასახადო კონტროლი

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირების მიმართ შეიძლება განხორციელდეს მიმდინარე საგადასახადო კონტროლის შემდეგი ღონისძიებები:

ა) საქონლის/მომსახურების საკონტროლო შესყიდვა;

ბ) დათვალიერება;

გ) საკონტროლო – სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვა;

დ) ქრონომეტრაჟი;

ე) ინვენტარიზაცია.

15.3. ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადი

15.3.1 ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადის ცნება

ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადი წარმოადგენს საცხოვრებელი ბინის (სახლის) მოკლე ვადით გაქირავების შედეგად მიღებული შემოსავლის დაბეგვრას ხარჯების გამოქვითვების გარეშე. ამ შემთხვევაში გადასახადის განაკვეთი და დაბეგვრის ერთეული ფიქსირებული სიდიდეებია. საცხოვრებლის მოკლე ვადით გაცემაში იგულისხმება საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2004 წლის 22 დეკემბრის №1 – 1 – /282 ბრძანებით დამტკიცებული კლასიფიკატორის 55.2 კოდით განსაზღვრული საქმიანობა. ამ საქმიანობას მიეკუთვნება შემდეგი საცხოვრებელი ადგილების მოკლე ვადით გაცემა:

55.2 სხვა მოკლევადიანი საცხოვრებელი ადგილები

ეს ჯგუფი შეიცავს:

– საცხოვრებელი ადგილების მოკლევადიან გაცემას:

• ტურისტულ ბანაკებში, სოფლებში, კოტეჯებში და ბინებში შვებულების პერიოდში

• კემპინგის მოედნებსა და ნაგებობებში

• მოკლევადიან საბინადრო ადგილებში, როგორიცაა: სახლები ჩამოსულთათვის, საცხოვრებელი სახლები ფერმებში, ახალგაზრდული ტურისტული ბანაკები, სამთო ტურბაზები და მისთ.

55.21 55.21.0 ახალგაზრდული ბანაკები და ტურბაზები

55.22 55.22.0 კემპინგების მოედნების მომსახურება

55.23 55.23.0 სხვა საცხოვრებელი ადგილები

ეს ქვეკლასი შეიცავს:

– საცხოვრებელი ადგილების მოკლე ვადით გაცემას სოფლის სახლებში(შალებში), კოტეჯებში და ბინებში

– სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი საცხოვრებელი ადგილების მოკლე ვადით გაცემას

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული საცხოვრებლის მოკლე ვადით გაცემა დროში არ არის შეზღუდული ანუ გაქირავება არ გულისხმობს ერთი ან ორი თვით გაქირავებას. ამის საპირისპირო აღნიშნულ კლასიფიკატორში არის 70.20.1 კოდში ფიქსირებული „საკუთარი საცხოვრებელი უძრავი ქონების გაქირავება",რომელიც მოიცავს: კერძო მესაკუთრისა და მოიჯარის მიერ საცხოვრებელი უძრავი ქონების გაქირავებასა და ექსპლოატაციას, როგორიცაა: მრავალბინიანი შენობები, აგარაკები, კერძო ბინები, სხვა საცხოვრისები და და მისთ.

ზემოაღნიშნულ გაქირავებებს შორის განსხვავება არის დამქირავებლის სტატუსსა და მიზნებში დიფერენციაცია. მაგ. სოფლიდან თბილისში ჩამოსული სტუდენტის მიერ ბინის ქირავნობა ვერ დაკვალიფიცირდება 55.2 ჯგუფში(იგი მოექცევა 70.20.1 კოდში).

საცხოვრებელი ადგილის მოკლე ვადით გაცემა ორი ფორმით შეიძლება განხორციელდეს:

ა) როდესაც ბინის მესაკუთრე პირდაპირ აქირავებს ფართს მოკლე ვადით უშუალო დამქირავებელზე;

ბ) როდესაც ბინის მესაკუთრე ფართს მოკლე ვადით იჯარით აძლევს მესამე პირს(მოიჯარეს), რომელიც თავის მხრივ მოკლე ვადით აქირავებს მოცემულ ბინას უშუალო დამქირავებელზე.

ამასთან ფიზიკურ პირს, რომელიც მოკლე ვადით აქირავებს ბინას ავტომატურად კი არ ეძლევა ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადით სარგებლობის უფლება, არამედ მან განცხადებით უნდა მიმართოს საგადასახადო ორგანოს და დააკმაყოფილოს რიგი კრიტერიუმები, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოკლე ვადით ბინის გაცემის დროს ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადის გადამხდელად რეგისტრირება ფიზიკური პირის ვალდებულება კი არ

არის, არამედ უფლებამოსილებაა. ასეთ შემთხვევაში პირს შეუძლია გამოიყენოს დაბეგვრის საერთო წესი და არ გადავიდეს ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის წესზე.

ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის წესი მოქმედებს 2015 წლის 1 იანვრამდე.

15.3.2 ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადის გადამხდელის სტატუსის მინიჭება

კანონმდებლობის მიხედვით, იმისათვის, რომ ფიზიკურ პირს მიენიჭოს ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადის სტატუსი, იგი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ აუცილებელ პირობებს:

ა) ასეთი პირი ნებაყოფლობით არ უნდა იყოს რეგისტრირებული დღგ-ის გადამხდელად(თუმცა გაუგებარია, რატომ „ნებაყოფლობით" და არა „სავალდებულო", რადგანაც კანონმდებლობით, ორივე შემთხვევაში ფიქსირებული გადამხდელის სტატუსის მისაღებად პირმა უნდა გაიუქმოს დღგ-ის რეგისტრაცია და დღგ-ის რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნა ორივე მომენტს ეხება);

ბ) საცხოვრებელი ბინის მოკლე ვადით გაქირავების საქმიანობიდან ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში მის მიერ განხორციელებული ოპერაციების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს 100000 ლარს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სტატუსის მაძიებელი პირი შეიძლება იყოს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული სავალდებულო წესით იმ საქმიანობებიდან მიღებული ოპერაციების მიხედვით, რომელიც არ არის დაკავშირებული ბინის გაქირავებასთან. (მაგ. პირი ეწევა საქონლის იმპორტს, რომლის რეალიზაცია იწვევს დღგ-ის სავალდებულო წესით რეგისტრაციას). ამასთან, ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადის სტატუსის მისაღებად დღგ-ის გადამხდელმა პირმა აუცილებლად უნდა გააუქმოს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაცია სსკ-ის 159-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი წესით ანუ ვიდრე პირი მიიღებდეს ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადის გადამხდელის სტატუსს, საჭიროა შესრულდეს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების საფუძვლები, კერძოდ, დღგ-ის გადამხდელის რეგისტრაციის გაუქმება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ გადასახადის გადამხდელის მიერ ბოლო 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა დღგ-ის გარეშე არ აღემატება 100000 ლარს და მისი დღგ-ის გადამხდელად უკანასკნელი რეგისტრაციის თარიღიდან გასულია 1 წელი.

იმ შემთხვევაში, თუ პირს მიენიჭა ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადის გადამხდელის სტატუსი და შემდგომ განახორციელა ბინის გაქირავებისაგან პარალელურად სხვა ეკონომიკური საქმიანობა, რომლის მიხედვით გახდა დღგ-ის გადამხდელი, პირს არ უუქმდება ფიქსირებული გადამხდელის სტატუსი(ყოველ შემთხვევაში ასეთი ნორმა არსად არ ფიგურირებს. ამასთან, არის კოლიზია: თუ ფიქსირებული გადამხდელის სტატუსის მიღებამდე პირი არ უნდა იყოს დღგ-ის გადამხდელი, რატომ შეიძლება იგი ასეთი გახდეს ფიქსირებული სტატუსის მიღების შემდეგ? არადა არ შეიძლება ფიზიკურ პირს, რომელიც აქირავებს ბინას, აეკრძალოს ისეთი ეკონომიკური საქმიანობა, რომელსაც თან სდევს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაცია). ამასთან, დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციად არ განიხილება ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის პერიოდში ფიზიკური პირის მიერ საცხოვრებელი ადგილის მოკლე ვადით გაცემა.

თუ ფიზიკური პირი რეგისტრირებულია გადასახადის გადამხდელად, მაშინ ის საგადასახადო ორგანოს მიმართავს შემდეგო ფორმის განცხადებით:

\- -

(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

\- -

(გადასახადის გადამხდელის დასახელება/სახელი და გვარი)

საიდენტიფიკაციო ნომერი

\- -

(მისამართი)

განცხადება

ფიქსირებულ საშემოსავლო გადასახადზე გადასვლის თაობაზე

გაცნობებთ, რომ ვენევი კლასიფიკატორის 55.2 კოდით გათვალისწინებულ საქმიანობას

– –

(საქმიანობის სახე)

— ნებაყოფლობით არ ვარ რეგისტრირებული დღგ-ის გადამხდელად
— საქმიანობის ამ ნაწილში ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში ჩემს მიერ განხორციელებული ოპერაციების საერთო თანხა არ აღემატება 100 000 ლარს
(უჯრა აღნიშნეთ „X" ნიშნით)

ჩემს საკუთრებაში არსებული მოკლე ვადით გაცემისათვის განკუთვნილი საცხოვრებელი ადგილის მისამართი	მოკლე ვადით გაცემისათვის განკუთვნილი საცხოვრებელი ადგილის ფართობი (კვ.მ.)	აღნიშნული ფართობის მოკლე ვადით გაცემა განხორციელდება შემდეგ თვეში (თვეებში)	ოთახების რაოდენობა

შენიშვნა: ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის პერიოდი, გადამხდელის სურვილისამებრ, შეიძლება მოიცავდეს როგორც სრულ კალენდარულ წელს, ასევე ერთ ან მეტ კალენდარულ თვეს, რომელიც შესაძლოა არ იყოს უწყვეტი

განმცხადებლის ხელმოწერა – – – – – – – – – – – – – – – – –

(თარიღი) ☐☐ ☐☐ ☐☐☐☐

იმ შემთხვევაში, თუ პირი არ არის რეგისტრირებული გადასახადის გადამხდელად და სურს ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადის გადამხდელის სტატუსის მიღება, იგი ზემოაღნიშნული ფორმის განცხადებასთან ერთად საგადასახადო ორგანოს წარუდგენს შემდეგი ფორმის განცხადებას:

დანართი №1-01

განცხადება

ფიზიკური პირის საგადასახადო აღრიცხვის/ცვლილების შესახებ

1. მარეგისტრირებელი ორგანო ----------
(შემოსავლების სამსახურის სპეციალიზებული სტრუქტურული ერთეული)

2 ინფორმაცია ფიზიკური პირის შესახებ

გვარი | სახელი | ძველსა*

პირადობის დამადასტურებელდოკუმენტში მითითებული საცხოვრებელი ადგილი

პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სახელწოდება და ნომერი | პირადი ნომერი

ფიზიკური პირის საქმიანობის ადგილი

3. საკონტაქტო მონაცემები

ტელ.: | ელ. ფოსტა

ვადასტურებ, რომ განცხადების მონაცემები შეესაბამება სინამდვილეს, არის სწორი და სრული

4. ფიზიკური პირის ან მის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ——— თარიღი (რიცხვი, თვე, წელი): --/--/----

5. რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა ——— რიცხვი, თვე, წელი.

6. საიდენტიფიკაციო ნომერი

* უცხო ქვეყნის მოქალაქე ფიზიკური პირის შემთხვევაში, მიეთითება პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი

საგადასახადო ორგანო პირის ზემოაღნიშნულ განცხადებას განიხილავს სამი სამუშაო დღის ვადაში და შემდგომ სამი სამუშაო დღის ვადაში აცნობებს გადასახადის გადამხდელს განცხადების დაკმაყოფილების ან დაუკმაყოფილებლობის შესახებ. პირს უარი ეთქმება იმ შემთხვევაში, თუ იგი ნებაყოფლობით არის რეგისტრირებული დღგ-ის გადამხდელად ან ბინების გაქირავების საქმიანობის ნაწილში ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში მის მიერ განხორციელებული ოპერაციების საერთო თანხა აღემატება 100000 ლარს ან განცხადება არასრულყოფილად არის შევსებული.

განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში პირზე გაიცემა შემდეგი სახის სერტიფიკატი, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრება მასში მითითებული თვეების მიხედვით:

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური

ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადის

ს ე რ ტ ი ფ ი კ ა ტ ი №

სერტიფიკატით დასტურდება, რომ

ფიზიკური პირი – ——————————————————
(სახელი და გვარი)

საიდენტიფიკაციო ნომერი

ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადით იბეგრება

საკუთრებაში არსებული მოკლე ვადით გაცემისათვის განკუთვნილი საცხოვრებელი ადგილი შემდეგ მისამართზე (მისამართებზე)	მოკლე ვადით გაცემისათვის განკუთვნილი ფართობი (კვ.მ.)	შემდეგ თვეში (თვეებში)

შენიშვნა: ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის პერიოდი, გადამხდელის სურვილისამებრ, შეიძლება მოიცავდეს როგორც სრულ კალენდარულ წელს, ასევე ერთ ან მეტ კალენდარულ თვეს, რომელიც შესაძლოა არ იყოს უწყვეტი

- -

სერტიფიკატის გაცემის თარიღი

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა / /

15.3.3 ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის მექანიზმი

ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია მოკლე ვადით გაცემული საცხოვრებელი ადგილის ფართობი ანუ საცხოვრებელი ოთახი დამხმარე ფართისა და სველი წერტილების გაუთვალისწინებლად. გადასახადის განაკვეთი შეადგენს კალენდარულ თვეში 10 ლარს 1 კვადრატულ მეტრზე(ბორჯომის მინიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი შეადგენს 1 კვადრატულ მეტრზე – 5 ლარს).

ზემოაღნიშნული განაკვეთის შეცვლის უფლება აქვს საქართველოს მთავრობას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაბამისი შუამდგომლობის საფუძველზე. მაგალითად, ბორჯომის მუნიციპალიტეტში 2012 წლის 1 აპრილიდან საქართველოს მთავრობის დადგენილებით(№72) ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა 5 ლარით ერთ კვადრატულ მეტრზე.

პირი, როდესაც წარადგენს განცხადებას ფიქსირებულ საშემოსავლო გადასახადზე გადასვლის თაობაზე, ეს განცხადება წარმოადგენს გაანგარიშებას და ფიქსირებული გადასახადით დაბეგვრის საფუძველს. განცხადებაში მითითებული თვეები და საცხოვრებელი ოთახების ფართი და რაოდენობა წარმოადგენს დარიცხვის საფუძველს. დარიცხული თანხების შესახებ პირს ეგზავნება შეტყობინება არაუგვიანეს შესაბამისი კვარტლის ბოლო დღეს. ამ შემთხვევაში გადამხდელი შეტყობინებას ღებულობს მის მიერ ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადის გადახდის ვადის დადგომამდე ფაქტობრივად ორი კვირით ადრე.

გადასახადი გაიანგარიშება თითოეულ კალენდარულ თვეზე, ხოლო გადასახადის გადახდა ხორციელდება ყოველკვარტალურად – იმ კვარტლის მომდევნო თვის არაუგვიანეს 15 რიცხვამდე, რომელ კვარტალშიც არის მოცემული თვე.(მაგ. აგვისტო არის მესამე კვარტალში, რომელიც მთავრდება სექტემბრის ბოლოს. შესაბამისად, აგვისტოს კვარტლის მომდევნო თვე იქნება ოქტომბერი, ხოლო აგვისტოში გაქირაებულ ფართზე გადასახადის გადახდის საბოლოო ვადა – 15 ოქტომბერი).

დარიცხული ფიქსირებული გადასახადი შესაბამისი საანგარიშო თვის დადგომის შემდეგ გადაანგარიშებას არ ექვემდებარება. ამ შემთხვევაში, პირი უფლებამოსილია საანგარიშო თვის დადგომამდე მიმართოს საგადასახადო ორგანოს ცვლილების მოთხოვნით, რის შემდეგადაც დარიცხვა განხორციელდება შემდგომ წარდგენილ განცხადებაში დაფიქსირებული მონაცემების შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში გაიცემა ახალი სერტიფიკატი, ხოლო ძველი უბრუნდება საგადასახადო ორგანოს.

იმ შემთხვევაში, თუ პირს წარდგენილი აქვს განცხადება შესაბამის თვეში გარკვეულ ფართის გაქირავებაზე და მიღებული აქვს სერტიფიკატი, ხოლო მოცემულ თვეში რეალურად პირი ახდენს უფრო მეტი ფართის გაქირავებას და უკვე დამდგარია მოცემული თვე და შესაბამისად შეუძლებელია დარიცხვის გადაანგარიშება, ასეთ დროს პირი ვალდებულია წინასწარ(განცხადებაში მიუთითებელი ფართის გაქირავებამდე) მიმართოს საგადასახადო ორგანოს ამის შესახებ. ასეთად გაქირავებული ფართი არ ექვემდებარება ფიქსირებული გადასახადით დაბეგვრას და იგი დაიბეგრება საერთო წესით.

თუ იმ პერიოდში(თვეებში), როდესაც პირმა უნდა გადაიხადოს ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადი, ეს პირი უშუალოდ კლიენტებზე კი არ აქირავებს ფართს, არამედ მოიჯარეზე, რომელიც შემდგომ აქირავებს ამ ფართს კლიენტებზე, ასეთ შემთხვევაში მოიჯარე(ასე ვთქვათ, შუამავალი) გათავისუფლებულია მოგების/საშემოსავლო გადასახადისაგან და საკონტროლო – სალარო აპარატის გამოყენების ვალდებულებისაგან.

პირი, რომელიც ფართს გასცემს მოკლე ვადით და მას მინიჭებული აქვს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული შეღავათები საშემოსავლო გადასახადში(მაგ. ომის ვეტერანი), ასეთი შეღავათები ფართის მოკლე ვადით გაცემიდან გადასახდელ ფიქსირებულ საშემოსავლო გადასახადზე არ ვრცელდება.

15.3.4 საგადასახადო ანგარიშგება

ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადის გადამხდელი ფართის მოკლე ვადით გაცემის ეკონომიკური საქმიანობის შესახებ საგადასახადო დეკლარაციას არ წარადგენს. ამ შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ფიქსირებულ საშემოსავლო გადასახადზე გადასვლის თაობაზე განცხადება წარმოადგენს გაანგარიშებას და მასში მითითებული დაბეგვრის პერიოდისათვის ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადის თანხის დარიცხვის საფუძველს.

თუ პირს, რომელიც მოკლე ვადით გასცემს საცხოვრებელ ფართს ამ ფართის გაცემასთან დაკავშირებით ჰყავს დაქირავებული პირი(მაგ. მზარეული ან დამლაგებელი) და უხდის მას ხელფასს, ასეთ შემთხვევაში ფართის გამცემი თავისუფლდება საგადასახადო აგენტის ვალდებულებისაგან(არ ევალება წყაროსთან საშემოსავლო გადასახადის დაკავება), ხოლო დაქირავებული პირი გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისაგან. ანალოგიურად, თუ მოიჯარე გასცემს მოკლე ვადით ფართებს და მას ჰყავს დაქირავებული პირი – მოიჯარე გათავისუფლებულია საგადასახადო აგენტის ვალდებულებისაგან, ხოლო დაქირავებული საშემოსავლო გადასახადისაგან.

მოკლე ვადით ფართის გამცემი პირი თავისუფლდება ამ საქმიანობაზე საკონტროლო – სალარო აპარატების გამოყენებისაგან, ხოლო ასეთი საქმიანობა არ განიხილება დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციად.

მიმდინარე გადასახდელები ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადის შემთხვევაში არ გადაიხდება, იმდენად, რამდენდაც ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადი არ არის წლიური გადასახადი და იგი გადაიხდება ყოველკვარტალურად, თუმცა კანონმდებლობაში ეს დაფიქსირებული არ არის.

15.3.5 ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადის გადამხდელის საგადასახადო კონტროლი

ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირების მიმართ შეიძლება განხორციელდეს მიმდინარე საგადასახადო კონტროლის შემდეგი ღონისძიებები:

ა) მომსახურების საკონტროლო შესყიდვა;

ბ) დათვალიერება;

დ) ქრონომეტრაჟი;

ე) ინვენტარიზაცია.

15.4. ფიქსირებული გადასახადი

15.4.1 ფიქსირებული გადასახადის ცნება

ფიქსირებული გადასახადი უნდა განვასხვავოთ წინა მესამე თავში განხილული ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადისაგან, თუმცა მათ შორის არსებობს ტერმინოლოგიური მსგავსება.

ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადის გადამხდელები, როგორც ვნახეთ, არიან ის ფიზიკური პირები, რომლებიც მოკლე ვადით გასცემენ საკუთრებაში არსებულ ფართს, ხოლო ფიქსირებული გადასახადის გადამხდელია პირი(ნებისმიერი პირი, ფიზიკური, იურიდიული), რომელიც ახორციელებს საქართველოს მთავრობის მიერ ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ განსაზღვრულ საქმიანობებს(მაგ. თონე, საპარიკმახერო, სოლარიუმი, ავტომობილების რემონტი. ქვემოთ იხ. შესაბამისი განაკვეთები).

ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი არ შეიძლება იმავდროულად იყოს დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებული პირი. ამასთან, ფიქსირებული გადასახადის გადამხდელს შეუძლია პარალელურად განახორციელოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ნებადართული დამატებითი საქმიანობის სახეები. ასეთ საქმიანობებად განსაზღვრულია ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც კანონით აკრძალული არ არის, გარდა ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის მიერ ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებული საქონლის/მომსახურების გამოყენებისა მის მიერ სხვა რეჟიმით დასაბეგრ საქმიანობაში(მაგ. პირი თავის თონეში გამომცხვარ პურს იყენებს თავისივე რესტორანში). ასეთი დამატებითი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი ექვემდებარება არა ფიქსირებული, არამედ საერთო წესით დაბეგვრას.

ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი არ ჩაირთვება ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის ერთობლივ შემოსავალში და შემდგომ დაბეგვრას არ ექვემდებარება.

ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი არ გაითვალისწინება დღგ-ის სავალდებულო რეგისტრაციის ვალდებულების განსაზღვრისას.

ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი თავისუფლდება ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის ნაწილში საკონტროლო – სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულებისაგან.

ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირისგან ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის ფარგლებში შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე გაწეული ხარჯი ერთობლივი შემოსავლიდან არ გამოიქვითება.

იმ შემთხვევაში, თუ ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირი დამატებით ახორციელებს სხვა სახის საქმიანობას, ასეთ შემთხვევაში ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ საქმიანობასა და დამატებით განხორციელებულ საქმიანობას შორის გაუმიჯნავი ხარჯები დამატებით განხორციელებული საქმიანობის ფარგლებში მიღებული ერთობლიეი შემოსავლიდან გამოქვითვას არ ექვემდებარება.

ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის ის სახე, დაბეგვრის ობიექტი და გადასახადის განაკვეთი, რომელიც იბეგრება 1 ლარიდან 2 000 ლარამდე ოდენობის ფარგლებში				
№	დასაბეგრი საქმიანობის სახე	დაბეგვრის ობიექტი	საანგარიშო პერიოდი	გადასახადის განაკვეთი
1	თონეში წარმოებული/საწარმოებელი (ნახევარფაბრიკატი) საქონლის მიწოდება ან/და თონეთი გაწეული მომსახურება *(23.03/2012 N 97)*	თონე	კალენდარული თვე	50 ლარი (ერთ თონეზე)
2	თმის შეჭრის, შესწორების, დაწყობის (მათ შორის, თმის დაგრძელების), შეღებვის, დახვევის, გასწორების, გაპარსვის, წვერის შესწორების, მაკიაჟის (მათ შორის, წამწამების დაგრძელების), მასაჟის (სამედიცინო მასაჟის გარდა), წარბების კორექციის, ეპილაციის (ლაზერული ეპილაციის გარდა), დეპილაციის, კოსმეტოლოგის მომსახურება *(24.04.2012 N 145)*	სამუშაო ადგილი (სკამი/მაგიდა/სავარძელი)	კალენდარული თვე	ერთ სამუშაო ადგილზე (სკამი/მაგიდა/ სავარძელი) – 50 ლარი
3	მანიკიურის და პედიკიურის (მათ შორის, ფრჩხილების დაგრძელების) მომსახურება *(24.04.2012 N 145)*	სამუშაო ადგილი (სკამი/მაგიდა)	კალენდარული თვე	ერთ სამუშაო ადგილზე (სკამი/მაგიდა) – 30 ლარი
4	სოლარიუმის მომსახურება *(24.04.2012 N 145)*	სამუშაო ადგილი (სოლარიუმის კაბინა)	კალენდარული თვე	ერთ სამუშაო ადგილზე (სოლარიუმის კაბინა) – 70 ლარი
5	ავტომობილების ტექნიკური მომსახურება და რემონტი, მათ შორის, სალტეების, საბურავების აღდგენა და რეგენერაცია, აღნიშნული მომსახურებისათვის განკუთვნილ ფართობზე გაწეული სხვა მომსახურება (ხალიჩების რეცხვა) *(24.05.2012 N 186)*	მომსახურების გასაწევად გამოყენებული სამუშაო ადგილი	კალენდარული თვე	1 ავტომობილის მომსახურებისათვის განკუთვნილი სამუშაო ადგილი –100 ლარი; იმ შემთხვევაში, თუ ერთმნიშვნელოვნად ვერ დგინდება, რამდენი ავტომობილის მომსახურებისათვისაა განკუთვნილი სამუშაო ადგილი – ყოველ 40 კვ.მ-ის ფარგლებში ფართობზე – 100 ლარი.

შენიშვნა:

თონე არის მიწაში მთლიანად, სანახევროდ ან მხოლოდ ძირით ჩადგმული ცილინდრული ფორმის, პირმოხვეული ან პირგანური, აგურით ამოშენებული ან გამომწვარი თიხით დამზადებული ნაკეთობა, რომელშიც საწვავად გამოიყენება შეშა, საწვავი აირი ან ელექტროენერგია.

ნახევარფაბრიკატი არის პროდუქტი, რომელსაც გავლილი აქვს დამუშავების ერთი/რამდენიმე ეტაპი და საჭიროებს შემდგომ ერთი ან რამდენიმე ეტაპის გავლას (მათ შორის, თერმულ დამუშავებას), ვიდრე მიიღებს მზა ნაწარმის სახეს, რომელიც გამოსადეგი იქნება საკვებად.

15.4.2 ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მინიჭება

ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით გადასახადის გადამხდელი შემდეგი ფორმის განცხადებით მიმართავს საგადასახადო ორგანოს:

_ _

(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

_ _

(გადასახადის გადამხდელის დასახელება/სახელი და გვარი)

საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

_ _

(მისამართი)

განცხადება

ფიქსირებულ გადასახადზე გადასვლის/ ფიქსირებულ გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის/ობიექტის რაოდენობის/მისამართის ცვლილების თაობაზე

გაცნობებთ, რომ ვეწევი – ---------- საქმიანობას.
(საქმიანობ(ებ)ის სახე)

№	საქმიანობის სახე	დაბეგვრის ობიექტი	ობიექტის რაოდენობა	ობიექტის მისამართი	გადასახადის განაკვეთი ობიექტზე	კუთვნილი გადასახადი (4 X 6)	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	

შენიშვნა:

ა) განცხადებაში მონაცემები მიეთითება სრულად, წინა განცხადების გათვალისწინებით;

ბ) საქმიანობის სახის, ობიექტის რაოდენობის ან/და საქმიანობის მისამართის შეცვლის შემთხვევაში ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სერტიფიკატი ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსათვის დაბრუნებას(გარდა საქმიანობის სახისა და სხვა მისამართზე ობიექტის დამატების შემთხვევისა).

გთხოვთ

მომანიჭოთ ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი

გამიუქმოთ:

☐ მიკრობიზნესის სტატუსი და ჩაიბაროთ მიკრობიზნესის № – – – – სერტიფიკატი

☐ მცირე ბიზნესის სტატუსი და ჩაიბაროთ მცირე ბიზნესის № – – – – სერტიფიკატი.

ხელმოწერა . . . . . .
თარიღი „ – – „ „----------„ 20 წელი

განცხადებაში მითითებული უნდა იყოს საქმიანობის ის სახე, რომელზეც გავრცელდება ფიქსირებული გადასახადით დაბეგვრის რეჟიმი და ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის მისამართი.

პირს უფლება აქვს ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით საგადასახადო ორგანოს მიმართოს საანგარიშო წლის ნებისმიერ თვეს.

თუ პირი აკმაყოფილებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 159-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების პირობებს, მას შეუძლია მიმართოს საგადასახადო ორგანოს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმებისა და ფიქსირებულ გადასახადზე გადასვლის მოთხოვნით. აღნიშნულ შემთხვევაში, მიუხედავად ფიქსირებულ გადასახადზე გადასვლისა, პირი ვალდებულია შეასრულოს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმებასთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

საგადასახადო ორგანო განიხილავს განცხადებას და თუ პირი არ არის დღგ-ის გადამხდელი და ახორციელებს ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ საქმიანობას, ამასთან, განცხადება სრულყოფილადაა შევსებული და მასში დაფიქსირებული მონაცემები შეესაბამება რეალურად არსებულს, გონივრულ ვადაში გასცემს ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის შემდეგი ფორმის სერტიფიკატს:(ამასთან სერტიფიკატი გაიცემა ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის თითოეულ მისამართზე ცალ-ცალკე).

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური
ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის

ს ე რ ტ ი ფ ი კ ა ტ ი № – – – –

სერტიფიკატით დასტურდება, რომ

– –

(პირის დასახელება/სახელი და გვარი) (საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი)

– –
– –
– – – – – – – – – – – – –

(საქმიანობის სახე და დაბეგვრის ობიექტის რაოდენობა)

ფაქტობრივი მისამართი: –
– –

მინიჭებული აქვს ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი

სერტიფიკატის გაცემის თარიღი – – – – – – – – – – – – – – – – – – –

პირი ფიქსირებული გადასახადის გადამხდელია –

უფლებამოსილი პირის თანამდებობა და ხელმოწერა – – – – – – – – – – – – – – – – – –

პირი ფიქსირებული გადასახადის გადამხდელად ითვლება სტატუსის მინიჭების თვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.

თუ პირის მიერ ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მინიჭებასთან ერთად განცხადებით მოთხოვნილ იქნა მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმება და პირს უარი ეთქვა ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მინიჭებაზე, მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსი გაუქმებას არ ექვემდებარება.

საქართველოს მთავრობის მიერ ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის განსაზღვრის შემდეგ აღნიშნული საქმიანობის განმახორციელებელ პირებზე არ გაიცემა მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსი.

თუ ფიზიკური პირი, დამატებით ახორციელებს სხვა საქმიანობას და აკმაყოფილებს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, უფლება აქვს ფიქსირებული გადასახადით დაბეგვრის რეჟიმთან ერთად დამატებით განხორციელებული საქმიანობის ნაწილში ისარგებლოს სპეციალური დაბეგვრის სხვა რეჟიმით (მიკრო ან მცირე ბიზნესის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმებით).

ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის მიერ დამატებით განხორციელებული საქმიანობის ნაწილში მიკრო ან მცირე ბიზნესის სტატუსის მიღების შემთხვევაში მიკრო/მცირე ბიზნესისათვის დადგენილი ნლიური ერთობლივი შემოსავლის ზღვრული ოდენობის განსაზღვრისას გაითვალისწინება ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი.

15.4.3 ფიქსირებული გადასახადით დაბეგვრის წესი და საგადასახადო ანგარიშგება

ფიქსირებული გადასახადის განაკვეთი საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული საქმიანობის სახეების მიხედვით შეიძლება იყოს – დაბეგვრის ობიექტზე – 1 ლარიდან 2000 ლარის ფარგლებში. ამ განაკვეთს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა. ამასთან, კანონით შესაძლებელია დაწესდეს 3%-იანი განაკვეთი.

1 – ლარიდან 2000 ლარის განაკვეთით დაბეგვრის შემთხვევაში საშემოსავლო და მოგების გადასახადებზე საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი საგადასახადო შეღავათები არ გაითვალისწინება.

ფიქსირებული გადასახადის საანგარიშო პერიოდია კალენდარული თვე.

ფიქსირებული გადასახადის გადახდა ხორციელდება საანგარიშო თვის დაწყებამდე, გადახდის მომენტისათის არსებული განაკვეთის შესაბამისად.

საგადასახადო ორგანოს მიერ ფიქსირებულ გადასახადზე გადასვლის თაობაზე შესაბამისი სერტიფიკატის გაცემის შემთხვევაში, პირის ფიქსირებულ გადასახადზე გადასვლის თაობაზე განცხადება წარმოადგენს გაანგარიშებას და მასში მითითებული დაბეგვრის ობიექტის მიხედვით ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მინიჭების თვის მომდევნო თვიდან ფიქსირებული გადასახადის დარიცხვის საფუძველს.

ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი არ იხდის მიმდინარე გადასახდელებს ფიქსირებული გადასახადის მიხედვით.

ფიქსირებული გადასახადით დაბეგვრის პერიოდში ფიქსირებული გადასახდის გადამხდელი პირი აღნიშნული საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალზე საგადასახადო ორგანოს არ წარუდგენს საშემოსავლო/მოგების გადასახადის შესახებ დეკლარაციას.

იმ შემთხვევაში თუ იცვლება განცხადებაში დაფიქსირებული ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის სახე ან/და ობიექტის რაოდენობა, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია განცხადებით მიმართოს საგადასახადო ორგანოს ცვლილების მოთხოვნით, რის შემდეგაც დარიცხვა მომდევნო საანგარიშო პერიოდიდან უნდა განხორციელდეს შემდგომ წარდგენილ განცხადებაში დაფიქსირებული მონაცემების შესაბამისად. ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის სახის ან/და ობიექტის რაოდენობის ცვლილების შემთხვევაში გადამხდელზე გაიცემა ახალი სერტიფიკატი, ხოლო ძველი სერტიფიკატი ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსათვის დაბრუნებას(გარდა საქმიანობის სახისა და სხვა მისამართზე ობიექტის დამატების შემთხვევისა).

ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის მისამართის შეცვლის შემთხვევაში გადასახადის გადამხდელი ვალდებულია ცვლილებებამდე აცნობოს საგადასახადო ორგანოს. ასეთ შემთხვევაში გადამხდელზე გაიცემა ახალი სერტიფიკატი, ხოლო ძველი სერტიფიკატი ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსათვის დაბრუნებას.

დარიცხული ფიქსირებული გადასახადი შესაბამისი საანგარიშო თვის დადგომის შემდეგ ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი ობიექტის შემცირების/ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის შეწყვეტის ან/და ფიქსირებული გადასახადის განაკვეთის ცვლილების შემთხვევაში გადაანგარიშებას არ ექვემდებარება.

ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი ვალდებულია მისთვის ან მის მიერ პირველადი საგადასახადო დოკუმენტის გამონერის შემთხვევაში შეინახოს აღნიშნული დოკუმენტი.

ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი არ თავისუფლდება გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავების ვალდებულებისაგან.

ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია ფიქსირებული გადასახადით დასარი საქმიანობის შეჩერების შემთხვევაში განცხადებით (დანართი №3) მიმართოს საგადასახადო ანოს.

ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის შეჩერების პერიოდში პირს არ დაერიცხება სირებული გადასახადი.

საქმიანობის განახლების შემთხვევაში პირი ვალდებულია აცნობოს საგადასახადო ორგანოს შემი ფორმით და გადაიხადოს საქმიანობის განახლების თვის ფიქსირებული გადასახადი სრულად:

_ _

(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

_ _

(გადასახადის გადამხდელის დასახელება/სახელი და გვარი)

საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

_ _

(მისამართი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის შეჩერების/განახლების შესახებ

გაცნობებთ, რომ

☐ შევაჩერე

☐ განვაახლე

ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობა .....
(საქმიანობის სახე)

საქმიანობ(ებ)ის ნაწილში.
სერტიფიკატ(ებ)ის ნომერი: _

საქმიანობის შეჩერების/ განახლების თარიღი 20.. წლის ..... თვიდან

ხელმოწერა . . . . . .

თარიღი „ _ _ „ „————„ 20 წელი

ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის შეჩერების პერიოდში საქმიანობის ფაქტოვად გაგრძელების შემთხვევაში, შესაბამისი საგადასახადო ვალდებულებების შეუსრულებლობაპირს დაეკისრება საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობა.

15.4.4 ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის გაუქმება, შეცვლა

ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი უქმდება, თუ:
ა) პირი წყვეტს ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ საქმიანობას;
ბ) პირი საგადასახადო ორგანოს მიმართავს ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუ-

სის გაუქმების მოთხოვნით;

გ) პირი ახორციელებს საქართველოს მთავრობის მიერ ფიქსირებული გადასახადის გადამხდელისთვის ნებადართული დამატებითი საქმიანობისგან განსხვავებულ საქმიანობას;

დ) საქართველოს მთავრობის მიერ ფიქსირებული გადასახადის გადამხდელისთვის ნებადართული დამატებითი საქმიანობის ნაწილში პირს წარმოეშვა დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება ან ნებაყოფლობით გატარდა დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციაში.

რაც შეეხება ზემოაღნიშნულ, მთავრობის დდგენილებით განსაზღვრულ დამატებითი საქმიანობის სახეებს, ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რაც არ არის კანონით აკრძალული, გარდა ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის მიერ ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებული საქონლის/მომსახურების გამოყენებისა მის მიერ სხვა რეჟიმით დასაბეგრ საქმიანობაში.

ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის გაუქმების ერთ-ერთი ზემოაღნიშნული პირობის (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირი საგადასახადო ორგანოს მიმართავს ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის გაუქმების მოთხოვნით) დადგომისას პირი ვალდებულია ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის გაუქმების მიზნით შემდეგი ფორმის განცხადებით მიმართოს საგადასახადო ორგანოს შესაბამისი პირობის დადგომიდან არა უგვიანეს 10 სამუშაო დღისა:

\- -

(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

\- -

(გადასახადის გადამხდელის დასახელება/სახელი და გვარი)

საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

\- -

(მისამართი)

განცხადება
ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის გაუქმების შესახებ

გთხოვთ გამიუქმოთ ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი
———————————————— საქმიანობის ნაწილში.
(საქმიანობის სახე)

სტატუსის გაუქმების მიზეზი:

☐ მსურს გავიუქმო ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი

☐ - — - ———— 20— წ. შევწყვიტე/ვწყვეტ ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ საქმიანობას;

☐ - -- - ———— 20— წ. ვახორციელებ/განვახორციელებ საქართველოს მთავრობის მიერ ფიქსირებული გადასახადის გადამხდელისთვის ნებადართული დამატებითი საქმიანობისგან განსხვავებულ საქმიანობას;

☐ - — - ———— 20— წ. საქართველოს მთავრობის მიერ ფიქსირებული გადასახადის გადამხდელისთვის ნებადართული დამატებითი საქმიანობის ნაწილში წარმომეშვა დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება;

□ – –– – –––––––– 20–– წ. ნებაყოფლობით გავიარე დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად რეგისტრაცია.

ხელმოწერა . . . . . .

თარიღი „ – – “ „————“ 20 წელი“.

ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი გაუქმებულად ითვლება ზემოთ აღნიშნული ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის გაუქმების პირობის დადგომის დღიდან.

ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირიდან შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე გაწეული ხარჯის იდენტიფიცირების მიზნით, შემოსავლების სამსახური აწარმოებს საგადასახადო წლისათვის ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირების, ერთიან რეესტრს, რომელიც განთავსდება შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე.

მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის მიერ ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის ნაწილში მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმებისა და ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსზე გადასვლის შემთხვევაში, საანგარიშო წლის დაწყებიდან მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმებამდე პერიოდში მიღებული შემოსავალი ექვემდებარება დაბეგვრას მიკრო/მცირე ბიზნესისათვის დადგენილი რეჟიმით. ამ შემთხვევაში მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირებს ფიქსირებული გადასახადით დაბეგვრის რეჟიმზე გადასვლის მიზნით განცხადებით მომართვის დღიდან ფიქსირებული გადასახადის გადამხდელად დადგომის დღემდე უნარჩუნდებათ მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსი.

15.4.5 ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის საგადასახადო კონტროლი

ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირების მიმართ შეიძლება განხორციელდეს მიმდინარე საგადასახადო კონტროლის შემდეგი ღონისძიებები:

ა)საქონლის/ მომსახურების საკონტროლო შესყიდვა;

ბ) დათვალიერება;

დ) ქრონომეტრაჟი;

ე) ინვენტარიზაცია.

15.5 პრაქტიკული მაგალითები მიკრო ბიზნესის, მცირე ბიზნესის, ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადის და ფიქსირებული გადასახადის შესახებ

15.5.1 მიკრო ბიზნესის მაგალითები

მაგალითი №1

თედო არის ფიზიკური პირი, რომელიც არ ეწევა არავითარ ეკონომიკურ საქმიანობას ან არის ინდივიდუალური მეწარმე ან არის ზოგადად, მეწარმე ფიზიკური პირი და იგი მიმართავს საგადასახადო ორგანოს მიკრო ბიზნესის სტატუსის მისაღებად. სამივე შემთხვევაში, თედოს, როგორც ფიზიკურ პირს შეუძლია მიიღოს მიკრო ბიზნესის სტატუსი, თუ ის აკმაყოფილებს სხვა დანარჩენ პირობებს.

მაგალითი №2

თედო აკეთებს ტყემლის საწებელს და ჰყიდის. იგი არ იყენებს დაქირავებულ პირებს ამ საქმიანობაში. მისი ვარაუდით მიმდინარე საანგარიშო წლის განმავლობაში ტყემლის რეალიზაციიდან მისაღები შემოსავალი არ იქნება 30000 ლარზე მეტი. მას მიენიჭება მიკრო ბიზნესის სტატუსი.

მაგალითი №3

თედო აკეთებს ტყემლის საწებელს და ჰყიდის. იგი არ იყენებს დაქირავებულ პირებს ამ საქმიანობაში. მისი ვარაუდით მიმდინარე საანგარიშო წლის განმავლობაში ტყემლის რეალიზაციიდან მისაღები შემოსავალი არ იქნება 30000 ლარზე მეტი. ამასთან, თედო არის სკოლის მასწავლებელიც და აქვს ხელფასი. მას მიენიჭება მიკრო ბიზნესის სტატუსი.

მაგალითი №4

თედო აკეთებს ტყემლის საწებელს და ჰყიდის. იგი არ იყენებს დაქირავებულ პირებს ამ საქმიანობაში. მისი ვარაუდით მიმდინარე საანგარიშო წლის განმავლობაში ტყემლის რეალიზაციიდან მისაღები შემოსავალი არ იქნება 30000 ლარზე მეტი. ამასთან, თედო ახორციელებს დამატებით სხვა

სახის საქმიანობას, რომელიც მას არ ეკრძალება, საიდანაც ღებულობს შემოსავალს. მას მიენიჭება მიკრო ბიზნესის სტატუსი.

მაგალითი №5

თედო აკეთებს ტყემლის საწებელს და ჰყიდის. იგი არ იყენებს დაქირავებულ პირებს ამ საქმიანობაში. მისი ვარაუდით მიმდინარე საანგარიშო წლის განმავლობაში ტყემლის რეალიზაციიდან მისაღები შემოსავალი არ იქნება 30000 ლარზე მეტი. ამასთან, თედო იყენებს ოჯახის წევრთა შრომას. მას მიენიჭება მიკრო ბიზნესის სტატუსი.

მაგალითი №6

თედო აკეთებს ტყემლის საწებელს და ჰყიდის. იგი არ იყენებს დაქირავებულ პირებს ამ საქმიანობაში. მიმდინარე საანგარიშო წლის განმავლობაში ტყემლის რეალიზაციიდან მისაღები შემოსავალი არ აჭარბებს 30000 ლარს, ხოლო სხვა შემდეგი სახის საქმიანობებიდან მიღებული შემოსავალი არის ნებისმიერი თანხა(მაგ. 1 მლნ ლარი):

– სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოყვანა, რომელიც ხორციელდება ტრაქტორებით ან კომბაინებით.

– ხალიჩებისა და ორხოვისებრი ნაწარმის წარმოება.

– პულოვერებისა და ანალოგიური ნაწარმის წარმოება.

– ზედა ტანსაცმლის წარმოება, გარდა მოდელების დემონსტრირებისა და ჩვენებისა.

– საცვლების წარმოება.

– თავსაბურავების წარმოება.

– დანარჩენი ტანსაცმლისა და აქსესუარების წარმოება.

– ხის სხვადასხვა ნაწარმის წარმოება.

– ტანსაცმლისა და თავსაბურავების ხის საკიდების წარმოება.

– ხის საოჯახო ნივთებისა და სამზარეულოს საკუთნოების წარმოება.

– ფაიფურისა და ქაშანურის სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ნაკეთობების წარმოება.

– სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჭურჭლისა და ინვენტარის წარმოება.

– მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოება.

– აკორდეონებისა და ანალოგიური საკრავების, მათ შორის, ტუჩის გარმონიკების წარმოება.

– სასულე მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოება.

– ცოცხებისა და ჯაგრისების წარმოება.

– საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი.

– საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი, თუ ის ხორციელდება ამ საგნების წარმოების, საბითუმო და საცალო ვაჭრობისაგან დამოუკიდებლად, თუ რემონტი ხორციელდება საქმიანობის სხვა სახეობებთან ერთად, მაშინ იგი განეკუთვნება საცალო და საბითუმო ვაჭრობის ან ამ საქონლის წარ – მოების შესაბამის დაჯგუფებებს.

– ფეხსაცმლისა და ტყავის ნაწარმის რემონტი.

– საყოფაცხოვრებო ელექტრონული ნაწარმის რემონტი.

– საათებისა და საიუველირო ნაწარმის რემონტი.

– ტანსაცმლის გადაკეთება და რემონტი.

– საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი.

– თეთრეულისა და სხვა საფეიქრო ნაწარმის რეცხვა და დამუშავება.

– შინამეურნეობის გაძღოლასთან დაკავშირებული მომსახურება.

ასეთ შემთხვევაში, ამ საქმიანობებიდან მიღებული შემოსავალი გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისაგან.

მაგალითი №7

თედო აკეთებს ტყემლის საწებელს და ჰყიდის. იგი არ იყენებს დაქირავებულ პირებს ამ საქმიანობაში. მიმდინარე საანგარიშო წლის განმავლობაში ტყემლის რეალიზაციიდან მისაღები შემოსავალი არ აჭარბებს 30000 ლარს, ხოლო სხვა შემდეგი სახის საქმიანობებიდან მიღებული შემოსავალი არის ნებისმიერი თანხა(მაგ. 1 მლნ ლარი):

– ქონების იჯარით გაცემიდან მიღებული შემოსავალი;

– სესხის გაცემიდან მიღებული შემოსავალი;

– სათამაშო ბიზნესიდან მიღებული მოგებები;

– ჩუქებით მიღებული შემოსავალი;

– ნამეტი შემოსავალი, რომელიც მიღებულია შემდეგი ქონების რეალიზაციით:

ა) უძრავი ქონება;

ბ) ავტოსატრანსპორტო საშუალება;

გ) ფასიანი ქაღალდები.

– მემკვიდრეობით მიღებული ქონების სახით მიღებული შემოსავალი;

– დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი;

– პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი;

– როიალტის სახით მიღებული შემოსავალი;

– ვალის პატიებით მიღებული შემოსავალი;

– ხელფასი.

ასეთ შემთხვევაში, ტყემლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი არ დაიბეგრება საშემოსავლო გადასახადით, ხოლო სხვა ზემოაღნიშნული შემოსავლები დაიბეგრება დაბეგვრის საერთო წესით.

მაგალითი №8

თედო აკეთებს ტყემლის საწებელს და ჰყიდის. იგი არ იყენებს დაქირავებულ პირებს ამ საქმიანობაში. მიმდინარე საანგარიშო წლის განმავლობაში ტყემლის რეალიზაციიდან მისაღები შემოსავალი არ აჭარბებს 30000 ლარს, ხოლო სხვა ისეთი სახის საქმიანობებიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი, რომელიც იბეგრება დღგ-ით, აჭარბებს 100000 ლარს. ასეთ შემთხვევაში, პირი ექვემდებარება დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციას და მისი ორივე სახის შემოსავალი ექვემდებარება საერთო წესით დაბეგვრას.

მაგალითი №9

თედო აკეთებს ტყემლის საწებელს და ჰყიდის. იგი არ იყენებს დაქირავებულ პირებს ამ საქმიანობაში. მიმდინარე საანგარიშო წლის განმავლობაში ტყემლის რეალიზაციიდან მისაღები შემოსავალი არ აჭარბებს 30000 ლარს. ამასთან, თედო დამატებით ეწევა შემდეგი სახის საქმიანობებს:

ა) საქმიანობები, რომლებიც საჭიროებენ ლიცენზირებას ან ნებართვას;

ბ) საქმიანობები, რომლებიდანაც მიღებულმა შემოსავლებმა კალენდარული წლის განმავლობაში შესაძლოა გადააჭარბოს 30 000 ლარს;

გ) სავალუტო ოპერაციების განხორციელება;

დ) სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო ან სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო (მათ შორის, საგადასახადო კონსულტანტთა) საქმიანობა;

ე) სათამაშო ბიზნესი;

ვ) ვაჭრობა (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხორციელდება შესყიდული საქონლის გადამუშავება და მიწოდება).

ასეთ შემთხვევაში, პირს არ ენიჭება მიკრო ბიზნესის სტატუსი ან უუქმდება იგი.

მაგალითი №10

თედომ მიკრო ბიზნესის სტატუსის მისანიჭებლად საგადასახადო ორგანოს მიმართა პირველ თებერვალს და განცხადებაში მიუთითა ეს თარიღი. იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილდება თედოს მოთხოვნა სტატუსის მინიჭების შესახებ, მაშინ მას ეს სტატუსი მიენიჭება განცხადებაში მითითებული თარიღიდან ანუ პირველი თებერვლიდან.

მაგალითი №11

თედოს 2012 წლის 5 მაისს გააუუქმდა მიკრო ბიზნესის სტატუსი. მან საგადასახადო ორგანოს მიმართა ამავე წლის 6 მაისს ხელახლა მიკრო ბიზნესის სტატუსის მინიჭების თაობაზე. ვინაიდან, მიკრო ბიზნესის სტატუსის გაუქმების შემდეგ ხელახლა ამ სტატუსის მინიჭება ხორციელდება მომდევნო საგადასახადო წლიდან მომართვის საფუძველზე, პირს ეს სტატუსი არ მიენიჭება. სტატუსის მისანიჭებლად, თედოს უფლება აქვს 2013 წლის 1 იანვრიდან ნებისმიერ დღეს მიმართოს საგადასახადო ორგანოს.

მაგალითი №12

თედო მიმდინარე წელს რეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად და მას სურს დაიწყოს ტყემლის საწებლის დამზადება და რეალიზაცია, რომლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი არ გადააჭარბებს კალენდარული წლის განმავლობაში 30000 ლარს. თედოს არ მიენიჭება მიკრო ბიზნესის სტატუსი, ვინაიდან იგი არის დღგ-ის გადამხდელი.

მაგალითი №13

თედოს 2012 წლის 15 ნოემბერს მიენიჭა მიკრო ბიზნესის სტატუსი. წინა 2011 წელს იგი იყო მეწარმე ფიზიკური პირი, რომელიც იბეგრებოდა საერთო წესით და 2012 წლის 15 ნოემბრისათვის მას გადახდილი ჰქონდა მიმდინარე გადასახდელები 1000 ლარის ოდენობით. 1000 ლარი ჩაითვლება ზედმეტად გადახდილად და დაუბრუნდება თედოს.

მაგალითი №14

თედოს აქვს მიკრო ბიზნესის სტატუსი. მას მომსახურება გაუწია დიტომ(მაგ. შეუღება ან გაურემონტა ინვენტარი). თედომ აუნაზღაურა მომსახურების ღირებულება დიტოს 1000 ლარის ოდენობით. თედო არ არის ვალდებული დიტოს დაუკავოს საშემოსავლო გადასახადი(200 ლარი) და გადარიცხოს ბიუჯეტში.

მაგალითი №15

თედოს აქვს მიკრო ბიზნესის სტატუსი. მას მომსახურება გაუწია საქართველოს არარეზიდენტმა პირმა(მაგ. შეუღება ან გაურემონტა ინვენტარი). თედომ აუნაზღაურა მომსახურების ღირებულება არარეზიდენტს 1000 ლარის ოდენობით. თედო ვალდებულია აღნიშნულ თანხას დაარიცხოს დღგ და გადარიცხოს ბიუჯეტში.

მაგალითი №16

თედოს მიკრო ბიზნესის სტატუსი ჰქონდა 2012 წლის 15 ნოემბრამდე, ხოლო 15 ნოემბერს გაუუქმდა ეს სტატუსი და წლის ბოლომდე ეწეოდა ჩვეულებრივ სამეწარმეო საქმიანობას. 2012 წლის 15 ნოემბრამდე თედოს ჰქონდა 30000 ლარის ერთობლივი შემოსავალი, ხოლო 15 ნოემბრიდან წლის ბოლომდე ასევე 30000 ლარი. საერთო წესით დაბეგვრას ექვემდებარება 60000 ლარი.

მაგალითი №17

თედოს 2011 წლის განმავლობაში ჰქონდა მეწარმე ფიზიკური პირის სტატუსი, ხოლო 2012 წლის 15 ნოემბრამდე – მიკრო ბიზნესის სტატუსი, რომელიც 15 ნოემბერს გაუუქმდა. თედოს არ აქვს მიმდინარე გადასახდელების გადახდის ვალდებულება 2012 წლის განმავლობაში.

მაგალითი №18

თედო არის მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირი. მან ოქსფორდის უნივერსიტეტში სასწავლებლად წასვლის გამო 2012 წლის 2 თებერვალს შეწყვიტა ეკონომიკური საქმიანობა(ტყემლის საწებლის დამზადება და რეალიზაცია). ეს საქმიანობა 2012 წლის 2 თებერვლის შემდეგ წლის ბოლომდე(ან საერთოდ) მას არ განუახლებია. თედომ წარადგინა შესაბამისი დეკლარაცია საქმიანობის შეწყვეტიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. თედოს არ ევალება 2013 წლის 1 აპრილისთვის ხელახლა წარადგინოს დეკლარაცია.

მაგალითი №19

თედო არის მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირი. მან ოქსფორდის უნივერსიტეტში სასწავლებლად წასვლის გამო 2012 წლის 2 თებერვალს შეწყვიტა ეკონომიკური საქმიანობა(ტყემლის საწებლის დამზადება და რეალიზაცია) და ეს საქმიანობა განაახლა 2012 წლის 25 დეკემბერს. თედომ წარადგინა შესაბამისი დეკლარაცია საქმიანობის შეწყვეტიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. თედოს ევალება 2013 წლის 1 აპრილისთვის ხელახლა წარადგინოს დეკლარაცია 2012 წლის შედეგებზე.

მაგალითი №20

თედო არის მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირი. მან, მის მიერ დამზადებული ტყემლის საწებელი მიყიდა დიტოს, რომელმაც მოსთხოვა თედოს სასაქონლო ზედნადების გამოწერა. თედომ არ გამოუწერა სასაქონლო ზედნადები. თედოს უფლება აქვს გამოწეროს პირველადი დოკუმენტი, მაგრამ არა – ვალდებულება. შესაბამისად, თედოს მოქმედება მართლზომიერია.

15.5.2 მცირე ბიზნესის მაგალითები

მაგალითი №1

თედო არის ფიზიკური პირი(ამ მეწარმე ფიზიკური პირი), რომელსაც აქვს ვაჭრობის ობიექტი და ახორციელებს საცალო წესით სხვადასხვა საქონლის რეალიზაციას. თედოს მიერ კალენდარული წლის განმავლობაში საქონლის რეალიზაციიდან მიღებული(ან მისაღები) ერთობლივი შემოსავალი შეადგენს 99999 ლარს (100000 ლარს). თედო მიმართავს საგადასახადო ორგანოს მცირე ბიზნესის სტატუსის მისაღებად და სხვა შესაბამისი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში თედოს ენიჭება მცირე ბიზნესის სტატუსი.

მაგალითი №2

თედო არის მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის რეალიზაციას. მიმდინარე საანგარიშო წლის განმავლობაში საქონლის რეალიზაციიდან მისაღები შემოსავალი არ აჭარბებს 100000 ლარს, ხოლო სხვა შემდეგი სახის საქმიანობებიდან მიღებული შემოსავალი არის ნებისმიერი თანხა(მაგ. 1 მლნ ლარი):

- ქონების იჯარით გაცემიდან მიღებული შემოსავალი;
- სესხის გაცემიდან მიღებული შემოსავალი;

– სათამაშო ბიზნესიდან მიღებული მოგებები;
– ჩუქებით მიღებული შემოსავალი;
– ნამეტი შემოსავალი, რომელიც მიღებულია შემდეგი ქონების რეალიზაციით:
ა) უძრავი ქონება;
ბ) ავტოსატრანსპორტო საშუალება;
გ) ფასიანი ქაღალდები.
– მემკვიდრეობით მიღებული ქონების სახით მიღებული შემოსავალი;
– დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი;
– პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი;
– როიალტის სახით მიღებული შემოსავალი;
– ვალის პატიებით მიღებული შემოსავალი;
– ხელფასი;
– პარტნიორის წილის რეალიზაციით მიღებული ნამეტი.

ასეთ შემთხვევაში, საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი(რომელიც არ აჭარბებს 100000 ლარს) არ დაიბეგრება საშემოსავლო გადასახადით, ხოლო სხვა ზემოაღნიშნული შემოსავლები დაიბეგრება დაბეგვრის საერთო წესით.

მაგალითი №3

თედოს აქვს მცირე ბიზნესის სტატუსი და ჰყიდის საქონელს. მიმდინარე საანგარიშო წლის 1 სექტემბერს მისმა დასაბეგრმა შემოსავალმა შეადგინა 100000 ლარი, ხოლო 2 სექტემბერს განახორციელა 50000 ლარის დასაბეგრი ოპერაცია. ასეთ შემთხვევაში, თედო ექვემდებარება დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციას და მისი შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან, რომელიც არ აჭარბებს 100000 ლარს იბეგრება მცირე ბიზნესის რეჟიმით, ხოლო ის შემოსავალი, რომელიც იბეგრება დღგ-ით და აჭარბებს 100000 ლარს, ექვემდებარება საერთო წესით დაბეგვრას.

მაგალითი №4

თედო, ახორციელებს საქონლის რეალიზაციას. მიმდინარე საანგარიშო წლის განმავლობაში საქონლის რეალიზაციიდან მისაღები შემოსავალი არ აჭარბებს 100000 ლარს. ამასთან, თედო დამატებით ეწევა შემდეგი სახის საქმიანობებს:

ა) საქმიანობები, რომლებიც საჭიროებენ ლიცენზირებას ან ნებართვას;

ბ) საქმიანობები, რომელთა განხორციელება მოითხოვს მნიშვნელოვან ინვესტიციას(აქციზური საქონლის წარმოება);

გ) სავალუტო ოპერაციების განხორციელება;

დ) სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო ან სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო (მათ შორის, საგადასახადო კონსულტანტთა) საქმიანობა;

ე) სათამაშო ბიზნესი;

ვ) პერსონალით უზრუნველყოფა;

ზ) აქციზური საქონლის წარმოება.

ასეთ შემთხვევაში, პირს არ ენიჭება მცირე ბიზნესის სტატუსი ან უუქმდება იგი.

მაგალითი №5

თედომ მცირე ბიზნესის სტატუსის მისანიჭებლად საგადასახადო ორგანოს მიმართა პირველ იანვარს და განცხადებაში მიუთითა ეს თარიღი. იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილდება თედოს მოთხოვნა სტატუსის მინიჭების შესახებ, მაშინ მას ეს სტატუსი მიენიჭება განცხადებაში მითითებული თარიღიდან ანუ პირველი იანვრიდან.

მაგალითი №6

თედოს 2011 წლის 25 ოქტომბერს გააუქმდა მცირე ბიზნესის სტატუსი, რადგანაც ვალდებული გახდა დარეგისტრირებულიყო დღგ-ის გადამხდელად. 2011 წლის 25 ოქტომბრიდან 2012 წლის 26 ოქტომბრამდე მისმა დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხამ შეადგინა 99999 ლარი. თედომ მიმართა საგადასახადო ორგანოს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმებისა და მცირე ბიზნესის სტატუსის ხელახლა მინიჭების შესახებ. თედოს, მცირე ბიზნესის სტატუსი მიენიჭება მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმებიდან 12 კალენდარული თვის მომდევნო წლიდან ანუ 2013 წლის 1 იანვრიდან.

მაგალითი №7

თედოს აქვს მცირე ბიზნესის სტატუსი და იგი ახორციელებს საქონლის რეალიზაციას, საიდანაც მას აქვს წლიური ერთობლივი შემოსავალი 95000 ლარი. ამავე კალენდარულ წელს თედოს აქვს შემდეგი სხვა შემოსავლები: ა) გასესხებული თანხიდან მიღებული პროცენტი – 5000 ლარი; ბ) წინა წელს შეძენილი(50000 ლარად) საცხოვრებელი სახლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი – 55000

ლარი; გ) უცხოურ სანარმოში აქციების ფლობის შედეგად დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი – 10000 ლარი; დ) საქართველოს სანარმოში მენეჯერის თანაშემწედ მუშაობისას ხელფასის სახით მიღებული – 10000 ლარი. ამ შემთხვევაში, 95000 ლარი ექვემდებარება მცირე ბიზნესის რეჟიმით დაბეგვრას, ხოლო სხვა შემოსავლები დაიბეგრება საერთო წესით(მაგ. პროცენტი დაიბეგრება 5%-ით, ქონების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავალი – 20%-ით, ხელფასი – 20%-ით, ხოლო უცხოეთიდან მიღებული დივიდენდი არ დაიბეგრება.

მაგალითი №8

თედოს აქვს მცირე ბიზნესის სტატუსი. მას მომსახურება გაუწია დიტომ(მაგ. შეუღება ან გაურემონტა ინვენტარი). თედომ აუნაზღაურა მომსახურების ღირებულება დიტოს 2000 ლარის ოდენობით. თედო არ არის ვალდებული დიტოს დაუკავოს საშემოსავლო გადასახადი(400 ლარი) და გადარიცხოს ბიუჯეტში.

მაგალითი №9

თედოს აქვს მცირე ბიზნესის სტატუსი. მას მომსახურება გაუწია საქართველოს არარეზიდენტმა პირმა(მაგ. შეუღება ან გაურემონტა ინვენტარი). თედომ აუნაზღაურა მომსახურების ღირებულება არარეზიდენტს 3000 ლარის ოდენობით. თედო ვალდებულია აღნიშნულ თანხას დაარიცხოს დღგ და გადარიცხოს ბიუჯეტში.

მაგალითი №10

თედოს მცირე ბიზნესის სტატუსი ჰქონდა 2012 წლის 15 ნოემბრამდე, ხოლო 15 ნოემბერს გაუუქმდა ეს სტატუსი და წლის ბოლომდე ეწეოდა ჩვეულებრივ სამეწარმეო საქმიანობას. 2012 წლის 15 ნოემბრამდე თედოს ჰქონდა 40000 ლარის ერთობლივი შემოსავალი, ხოლო 15 ნოემბრიდან წლის ბოლომდე 30000 ლარი. საერთო წესით დაბეგვრას ექვემდებარება 30000 ლარი, ხოლო მცირე ბიზნესის რეჟიმით – 40000 ლარი.

მაგალითი №11

თედოს 2011 წლის განმავლობაში ჰქონდა მეწარმე ფიზიკური პირის სტატუსი, ხოლო 2012 წლის 15 ნოემბრამდე – მცირე ბიზნესის სტატუსი, რომელიც 15 ნოემბერს გაუუქმდა. თედოს არ აქვს მიმდინარე გადასახდელების გადახდის ვალდებულება 2012 წლის განმავლობაში.

მაგალითი №12

თედო არის მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირი. მან კემბრიჯის უნივერსიტეტში სასწავლებლად წასვლის გამო 2012 წლის 2 თებერვალს შეწყვიტა ეკონომიკური საქმიანობა(საქონლის რეალიზაცია). ეს საქმიანობა 2012 წლის 2 თებერვლის შემდეგ წლის ბოლომდე(ან საერთოდ) მას არ განუახლებია. თედომ წარადგინა შესაბამისი დეკლარაცია საქმიანობის შეწყვეტიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. თედოს არ ევალება 2013 წლის 1 აპრილისთვის ხელახლა წარადგინოს დეკლარაცია.

მაგალითი №13

თედო არის მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირი. მან ოქსფორდის უნივერსიტეტში სასწავლებლად წასვლის გამო 2012 წლის 2 თებერვალს შეწყვიტა ეკონომიკური საქმიანობა(ტყემლის საწებლის დამზადება და ეს საქმიანობა განაახლა 2012 წლის 25 დეკემბერს. თედომ წარადგინა შესაბამისი დეკლარაცია საქმიანობის შეწყვეტიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. თედოს ევალება 2013 წლის 1 აპრილამდე ხელახლა წარადგინოს დეკლარაცია 2012 წლის შედეგებზე.

მაგალითი №14

თედო არის მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირი. მან, საქონელი ბითუმად მიყიდა დიტოს, რომელმაც მოსთხოვა თედოს სასაქონლო ზედნადების გამოწერა. თედომ არ გამოუწერა სასაქონლო ზედნადები. თედოს უფლება აქვს გამოწეროს პირველადი დოკუმენტი, მაგრამ არა – ვალდებულება. შესაბამისად, თედოს მოქმედება მართლზომიერია.

მაგალითი №15

თედო არის მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირი. მისი წლიური ერთობლივი შემოსავალი 2011 წლისთვის შეადგენს 100000 ლარს. მას ჰყავს 3 დაქირავებული პირი, რომლებზეც კალენდარული წლის განმავლობაში გაცემული ხელფასის თანხამ შეადგინა 25000 ლარი. თედოს არ ევალება ხელფასად გაცემულ თანხებზე დაარიცხოს საშემოსავლო გადასახადი და შეიტანოს ბიუჯეტში, ვინაიდან გაცემული ხელფასები არ აღემატება ერთობლივი შემოსავლის 25%-ს.

მაგალითი №16

თედო არის მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირი. მისი წლიური ერთობლივი შემოსავალი 2011 წლისთვის შეადგენს 100000 ლარს. მას ჰყავს 3 დაქირავებული პირი, რომლებზეც კალენდარული წლის განმავლობაში გაცემული(და არა დარიცხული) ხელფასის თანხამ შეადგინა 30000 ლარი. თედოს ევალება 25%-ზე მეტ ხელფასად გაცემულ თანხებზე დაარიცხოს საშემოსავლო გადასახადი და შეიტ-

ანოს ბიუჯეტში. ამ დროს, „გაცემულ სახელფასო ხარჯს“ უნდა დაერიცხოს საშემოსავლო გადასახადი, რაც ამ შემთხვევაში უდრის 1000 ლარს. არის მეორე მოსაზრებაც: ამ შემთხვევაში საშემოსავლო გადასახადი შეადგენს 1250 ლარს(დასარიცხი ხელფასის თანხა – 6250 ლარს), რადგანაც გაცემული ხელფასი შეადგენს 5000 ლარს.

ამ საკითხის სწორი გადაწყვეტა, ჩვენი აზრით, ასეთია: ხელფასის მხოლოდ იმ თანხას უნდა დაერიცხოს საშემოსავლო გადასახადი, რომლის ხარჯებში გამოქვითვის უფლება აქვს ხელფასის გამცემს.

მაგალითი №17

თედო არის მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირი, რომლის წლიური ერთობლივი შემოსავალი შეადგენს 85000 ლარს, ხოლო ხარჯი, რომელიც გაწეულ იქნა ამ შემოსავლის მისაღებად შეადგენს 90000 ლარს. ზარალი შეადგენს 5000 ლარს. ზარალის თანხა, ჩვეულებრივი მენარმე ფიზიკური პირის დაბეგვრის შემთხვევაში გადაიტანება მომავალ წელს, მაგრამ მცირე ბიზნესის შემთხვევაში ზარალის გადატანა არ ხდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მომდევნო წლის ერთობლივი შემოსავლიდან 5000 ლარის გამოქვითვა არ მოხდება.

მაგალითი №18

თედოს აქვს მცირე ბიზნესის სტატუსი და ეწევა ვაჭრობას. 2011 წლის 15 სექტემბერს მისი სპეციალური რეჟიმით დასაბეგრი ერთობლივი შემოსავალი იყო 99900 ლარი, მეორე დღეს განახორციელა 200 – ლარიანი ოპერაცია და გადააჭარბა მცირე ბიზნესისთვის დადგენილ ზღვარს და შეადგინა 100100 ლარი. თედოს ამ მომენტისთვის შესყიდვების მიხედვით მარაგების სახით აქვს შარვალი (100 ცალი – 10000 ლარის), პერანგი (1000 ცალი 12000 ლარის) და მაისური (1200 ცალი – 15000 ლარის). ვინაიდან თედომ გადააჭარბა მცირე ბიზნესისთვის დადგენილ 100 000 – ლარიან ზღვარს, მას გაუუქმდა მცირე ბიზნესის სტატუსი. ამასთან,თედოს უფლება აქვს აღრიცხოს ამ მომენტისათვის არსებული სასაქონლო მარაგების ნაშთი. შესაბამისად, თედომ შექმნა დოკუმენტი, სადაც აღრიცხულია ამ მომენტისთვის მისი სასაქონლო ნაშთები შემდეგი ოდენობით:

ა) შარვალი – 10000 ლარი;

ბ) მაისური – 15000 ლარი;

გ) პერანგი – 12000 ლარი.

სულ სასაქონლო ნაშთი – 37 000 ლარი.

თედოს აღნიშნული სასაქონლო ნაშთები ჩაეთვლება აღრიცხულად. ამასთან, აღნიშნული უფლების გამოყენების შემთხვევაში თედოს შეუძლია ამ მომენტისთვის არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთები საბაზრო ღირებულებით შეაფასოს და აღრიცხოს სასაქონლო-მატერიალური მარაგის ნაშთად შესაბამის დოკუმენტში, რომლის საერთო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 30000 ლარს. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს მარაგებზე ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელშიც შეტანილი იქნება ინფორმაცია ამ მარაგების სახეობის, ოდენობისა და ღირებულების შესახებ.

თედომ შეაფასა თავისი მარაგები და აღმოჩნდა, რომ შარვლების საბაზრო ღირებულება (სარეალიზაციო ფასი) იყო 12000 ლარი, პერანგების – 15000 ლარი და მაისურების – 18000 ლარი. ამ შემთხვევაში, თედოს უფლება აქვს 30000 ლარის საბაზრო ღირებულების მარაგებზე შექმნას ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი (მაგალითად, შარვლებზე, პერანგებზე ან მაისურებზე (არჩევანი ამ შემთხვევაში, თუ რომელ საქონელს აირჩევს და რა ოდენობით აქვს თედოს)). დავუშვათ, 30000 ლარის საბაზრო ღირებულების ფარგლებში თედომ გადაწყვიტა ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი შეექმნა შარვლებზე (საბაზრო ღირებულება 12 000), პერანგებზე (საბაზრო ღირებულება 15 000) და მაისურებზე (საბაზრო ღირებულება 3 000).

ა) თედომ შექმნა დოკუმენტი, სადაც აღრიცხულია ამ მომენტისთვის მისი სასაქონლო ნაშთები, შემდეგი ოდენობით:

სასაქონლო მარაგების ნაშთების აღრიცხვა

დოკუმენტი №

1. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთი საბაზრო ღირებულებით 30000 ლარამდე

1.1 შარვალი:

35 ცალი – მარკა „XXX“ 4 000 ლარი;

40 ცალი – მარკა „CCCC“ 5 000 ლარი;

25 ცალი – მარკა „SSS“ 3 000 ლარი;

სულ: 100 ცალი – 12 000 ლარი

1.2 პერანგი:

320 ცალი – მარკა „XXX" 6 000 ლარი;
450 ცალი – მარკა „CCCC" 7 000 ლარი;
230 ცალი – მარკა „SSS" 2 000 ლარი;
სულ: 1000 ცალი – 15000 ლარი;
1.3 მაისური:
100 ცალი – მარკა „XXX" 2200 ლარი;
30 ცალი – მარკა „SSS" 800 ლარი;
სულ: 130 ცალი – 3000 ლარი;
2. სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთი
2.1 მაისურები:
1070 ცალი (1200 – 130) – 13600 ლარი (დაშვებულია, რომ აღნიშნული ფასი წარმოადგენს 1070 ცალი მაისურის შესყიდვის ფასს)

ბ) თედოს საბაზრო ღირებულებით აღრიცხული სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთი ეთვლება როგორც აღრიცხულად, ასევე შეუძლია მომავალში გაატაროს ხარჯად, ანუ გამოქვითოს ერთობლივი შემოსავლიდან, ხოლო სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთი ეთვლება მხოლოდ აღრიცხულად და არ შეუძლია მომავალში გაატაროს ხარჯად.

ზემოაღნისნული უფლების გამოყენების შემთხვევაში თედო ვალდებულია, აღრიცხული სასაქონლო-მატერიალური მარაგის ფაქტობრივი ნაშთის საერთო ღირებულების თანხით გაზარდოს მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმებამდე არსებული საანგარიშო წლის დასაბეგრი შემოსავალი, ე.ი თედო ვალდებულია მცირე ბიზნესის რეჟიმით დასაბეგრ შემოსავალს დაუმატოს იმ სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება, რომლებზეც მიიღო ხარჯის გამოქვითვის უფლება, ამ შემთხვევაში 30000 ლარი. შესაბამისად, მცირე ბიზნესის დაბეგვრის რეჟიმით დაიბეგრება 130000 ლარი (99900+100+30000).

მაგალითი №19

თედოს 2011 წლის 8 მარტს მიენიჭა მცირე ბიზნესის სტატუსი, ხოლო 2011 წლის 8 სექტემბერს გაუუქმდა ეს სტატუსი და კალენდარული წელი დაამთავრა დაბეგვრის საერთო რეჟიმით. მიუხედავად ამისა, მომდევნო წლიდან თედო მიმდინარე გადასახდელებს გადაიხდის არა საერთო რეჟიმით დაბეგვრის განაკვეთებით გადახდილი საშემოსავლო გადასახადის საფუძველზე, არამედ მცირე ბიზნესის განაკვეთის საფუძველზე. მაგ. 8 სექტემბრამდე თედოს ჰქონდა 100000 ლარი 5%-იანი დასაბეგრი შემოსავალი, ხოლო საშემოსავლო გადასახადი შესაბამისად – 5000 ლარი. 8 სექტემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით თედოს ჰქონდა 20%-იანი საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი შემოსავალი – 200000 ლარი(ერთობლივი შემოსავალი – 300000 ლარი) ანუ საშემოსავლო გადასახადი შეადგენს – 40000 ლარს. მომდევნო წელს თედოს მიერ მიმდინარე გადასახდელების გადახდის საფუძველი იქნება 20000 ლარი(100000+300000)X5%.

15.5.3 ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადის მაგალითები

მაგალითი №1

დიტო აპირებს მის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ადგილების მოკლე ვადით გაცემას ქ. ბათუმსა და ბორჯომში. ფიქსირებულ საშემოსავლო გადასახადზე გადასვლის მიზნით მას შეუძლია განცხადებით მიმართოს საგადასახადო ორგანოს და განცხადებაში მიუთითოს ორივე მისამართი.

მაგალითი №2

დიტო, რომელიც არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილე საქართველოს მოქალაქე, ახორციელებს საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ადგილის მოკლე ვადით გაცემას. მან 2011 წლის 10 აგვისტოს მიმართა საგადასახადო ორგანოს ფიქსირებულ საშემოსავლო გადასახადზე გადასვლის მიზნით. განცხადებაში მიუთითა, რომ სურს 100 კვ.მ საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ადგილის ფართობის მოკლე ვადით გაცემა 2011 წლის ივლისის, აგვისტოს და ოქტომბრის თვეებში. საგადასახადო ორგანომ 3 დღის ვადაში განიხილა და დააკმაყოფილა განცხადება, რის შედეგადაც გაიცა ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადის სერტიფიკატი.

დიტომ ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადი უნდა გადაიხადოს 100 კვ.მ ფართობის მიხედვით კვარტალში ერთხელ არა უგვიანეს 15 ოქტომბრისა (100 კვ.მ X 10 ლარი X 2 თვე (ივლისი, აგვისტო) = 2000 ლარი) და არა უგვიანეს 15 იანვრისა (100 კვ.მ X 10 ლარი X 1 თვე (ოქტომბერი) = 1000 ლარი). ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ დიტო არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილე, მასზე ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადის ნაწილში, საშემოსავლო

გადასახადზე საგადასახადო კოდექსით დადგენილი შეღავათი არ გაითვალისწინება.

მაგალითი №3

დიტო ახორციელებს საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ადგილის მოკლე ვადით გაცემას. ამასთან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით დაქირავებულ პირს – თედოს, რომელიც არ იმყოფება საგადასახადო აღრიცხვაზე, უნაზღაურებს ხელფასს თვეში 200 ლარს.

დიტოს აღნიშნულ განაცემზე საგადასახადო აგენტის ვალდებულება არ წარმოეშვება. ამასთან, თედოს მიერ მიღებული შემოსავალი თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისაგან.

მაგალითი №4

დიტო ახორციელებს საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ადგილის მოკლე ვადით გაცემას. მან 2011 წლის 10 აგვისტოს მიმართა საგადასახადო ორგანოს ფიქსირებულ საშემოსავლო გადასახადზე გადასვლის მიზნით. განცხადებაში მიუთითა, რომ სურს 100 კვ.მ საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ადგილის ფართობის მოკლე ვადით გაცემა 2011 წლის ივლისის, აგვისტოს და ოქტომბრის თვეებში. საგადასახადო ორგანომ 3 დღის ვადაში განიხილა და დააკმაყოფილა განცხადება, რის შედეგადაც გაიცა ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადის სერტიფიკატი.

დიტომ 2011 წლის 15 აგვისტოს განმეორებით მიმართა საგადასახადო ორგანოს განცხადებით იმის თაობაზე, რომ მას სურს სექტემბრის თვეში 150 კვ.მ ფართობის, ხოლო ოქტომბრის თვეში 50 კვ.მ ფართობის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ადგილის მოკლე ვადით გაცემა. აღნიშნულ შემთხვევაში, დიტოზე საგადასახადო ორგანოს მიერ ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადის გადახდის პერიოდზე გაიცემა ახალი სერტიფიკატი ცვლილების გათვალისწინებით.

ივლისის, აგვისტოს და სექტემბრის თვეზე გაეგზავნება შეტყობინება დარიცხული გადასახადის შესახებ 30 სექტემბრის მდგომარეობით.

ივლისი – 100 კვ.მ X 10 ლარი X 1 თვე = 1000 ლარი

აგვისტო – 100 კვ.მ X 10 ლარი X 1 თვე = 1000 ლარი

სექტემბერი – 150 კვ.მ X 10 ლარი X 1 თვე = 1500 ლარი.

დიტომ აღნიშნულ თვეებზე ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადი (3500 ლარი) უნდა გადაიხადოს კვარტალში ერთხელ არა უგვიანეს 15 ოქტომბრისა.

ოქტომბრის თვეზე დიტოს გაეგზავნება შეტყობინება დარიცხული გადასახადის შესახებ 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ოქტომბერი – 50 კვ.მ X 10 ლარი X 1 თვე = 500 ლარი.

დიტომ ოქტომბრის თვეზე ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადი (500 ლარი) უნდა გადაიხადოს კვარტალში ერთხელ, არა უგვიანეს 2012 წლის 15 იანვრისა.

მაგალითი №5

დიტოს საკუთრებაში გააჩნია საცხოვრებელი სახლი. მან გადაწყვიტა 5 ოთახის მოკლე ვადით გაცემა, რომლის საერთო ფართია 100 კვ.მ., მათ შორის საცხოვრებლად გამოსაყენებელი ფართი შეადგენს 80 კვ. მ., ხოლო დანარჩენ ფართს იკავებს დამხმარე ფართი და სველი წერტილები. გიორგიმ 2011 წლის 31 ივლისს განცხადებით მიმართა საგადასახადო ორგანოს ფიქსირებულ საშემოსავლო გადასახადზე გადასვლის მიზნით. მან განცხადებაში უნდა მიუთითოს მოკლე ვადით გაცემისათვის განკუთვნილი საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ოთახების ფართობი – 80 კვ.მ.

მაგალითი №6

დიტო არის ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადის გადამხდელი. მან იჯარით გასცა შესაბამისი ფართები. მოიჯარემ მოკლე ვადით გააქირავა აღნიშნული ფართები. ამ შემთხვევაში დიტო დაიბეგრება ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადით, ხოლო მოიჯარე გათავისუფლებულია შესაბამისი საიჯარო გადასახადისაგან.

მაგალითი №7

დიტო არის ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადის გადამხდელი. კერძოდ, მან განცხადებაში დააფიქსირა, რომ აგვისტოს თვეში აქირავებს 50 კვადრატულ მეტრ ბინას მოკლე ვადით. აგვისტოს თვე დადგა, ხოლო დიტომ გადაწყვიტა ამ თვეში კოდევ გააქირაოს 40 კვადრატული მეტრი ფართი. ვინაიდან გადაანგარიშება შეუძლებელია, რადგან უკვე დადგა საანგარიშო თვე, დიტომ დამატებით გასაქირავებელი ფართის გაქირავებამდე უნდა აცნობოს საგადასახადო ორგანოს 40 კვადრატული მეტრის გაქირავების შესახებ, რომელიც დაიბეგრება საერთო წესით.

15.5.4 ფიქსირებული გადასახადის მაგალითები

მაგალითი №1

პირს, რომელიც ახორციელებს მანიკიურის და პედიკიურის მომსახურებას, სურს გადავიდეს ფიქსირებული გადასახადით დაბეგვრის რეჟიმზე. ამასთან, პირი არ არის დღგ-ის გადამხდელი.

2012 წლის 20 მარტს მეწარმემ განცხადებით მიმართა საგადასახადო ორგანოს ფიქსირებული გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის მოთხოვნით. საგადასახადო ორგანომ განიხილა პირის განცხადება და 2012 წლის 25 მარტს პირს მიანიჭა ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი.

ასეთ შემთხვევაში პირი ფიქსირებული გადასახადის გადამხდელად ითვლება 2012 წლის 1 აპრილიდან, ხოლო ფიქსირებული გადასახადი გადახდილი უნდა იქნეს 2012 წლის 1 აპრილამდე.

მაგალითი №2

პირი, რომელიც ეწევა სარესტორნო მომსახურებას, გააჩნია საკუთარი თონე, რომლის საშუალებითაც ხორციელდება პურის გამოცხობა, საწარმო ახდენს ამგვარი ნესით გამოცხობილი პურის როგორც ცალკე საქონლის მიწოდებას (რეალიზაციას), ისე იყენებს სარესტორნო მომსახურების გაწევაში და მისი ფასი ჩართულია კლიენტისათვის გაწეული მომსახურების საბოლოო ღირებულებაში.

ამ პირმა განცხადებით მიმართა საგადასახადო ორგანოს ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მინიჭების მიზნით. ვინაიდან საწარმო ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებულ საქონელს იყენებს მის მიერ სხვა რეჟიმით დასაბეგრ საქმიანობაში, მას არ მიენიჭება ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი.

მაგალითი №3

პირი ახორციელებს თავის მიერ თონეში წარმოებული საქონლის მიწოდებას და დამატებით ეწევა სარემონტო მომსახურებას. პირს სურს მიიღოს ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი ძირითად საქმიანობაზე, ხოლო დამატებით განხორციელებული საქმიანობის ნაწილში ისარგებლოს მცირე ბიზნესის სტატუსით. პირი არ არის დღგ-ის გადამხდელი.

ასეთ შემთხვევაში პირმა განცხადებით უნდა მიმართოს საგადასახადო ორგანოს ფიქსირებულ გადასახადზე გადასვლის მოთხოვნით და დამატებით განხორციელებული (სარემონტო მომსახურება) საქმიანობის ნაწილში მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების თაობაზე. ამასთან, ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი გათვალისწინებული იქნება მცირე ბიზნესის 100 000 ლარამდე ერთობლივი შემოსავლის ოდენობის დათვლისას.

მაგალითი №4

პირს აქვს თონე და პურის ცხობასთან ერთად თონეში აცხობს და ყიდის ლობიანს. იგი ასევე დამატებით ახორციელებს თონით მომსახურებას (მაგ., გოჭის შეწვა) და სურს გადავიდეს ფიქსირებული გადასახადით დაბეგვრის რეჟიმზე.

ასეთ შემთხვევაში პირს შეუძლია მიმართოს საგადასახადო ორგანოს ფიქსირებული გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის მოთხოვნით. პირს ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი მიენიჭება თონეზე და იგი შეზღუდული არ არის აღნიშნული სტატუსის ფარგლებში პურთან ერთად გაყიდოს მის მიერ გამომცხვარი ლობიანი, პურისათვის მოზელილი ცომი ან თონეში შეწვას გოჭი.

მაგალითი №5

ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი პირისგან, რომელიც თონეში აცხობს პურს, სხვა მეწარმე პირმა. რომელსაც აქვს რესტორანი იყიდა სულ წელინადში 20000 ლარის პური, რომელზეც ფიქსირებული გადასახადის გადამხდელმა გამოუწერა ინვოისი. რესტორნის მფლობელს უფლება არ აქვს პურის შესყიდვაზე განეული ხარჯი გამოქვითოს ერთობლივი შემოსავლიდან.

თავი 16. საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები

16.1 საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ზოგადი პრინციპები

საგადასახადო დავალიანება, არის სხვაობა გადასახადის გადამხდელის მიერ დადგენილ ვადაში გადაუხდელი გადასახადების ან/და სანქციების თანხასა და ზედმეტად გადახდილი გადასახადების ან/და სანქციების თანხას შორის. შესაბამისად, თუ გადასახადის გადამხდელი დადგენილ ვადაში ვერ იხდის შესაბამის დავალიანებას, მის მიმართ საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს(და არა ვალდებულება) გამოიყენოს ისეთი ღონისძიებები, რომელიც დაიცავს მას შესაბამისი ფიკალური რისკებისაგან. ასეთ ღონისძიებებს განეკუთვნება:

ა) საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა;

ბ) მესამე პირზე გადახდევინების მიქცევა;

გ) ქონებაზე ყადაღის დადება;

დ) ყადაღადადებული ქონების რეალიზაცია;

ე) საბანკო ანგარიშზე საინკასო დავალების წარდგენა;

ვ) გადასახადის გადამხდელის სალაროდან ნაღდი ფულის ამოღება.

ზემოაღნიშნული ღონისძიებების რიგითობის არჩევა საგადასახადო ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილებაა და შესაბამისად მას შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი მათგანი.

გადახდისუუნარობის შემთხვევაში უზრუნველყოფის ღონისძიებები სანარმოთა მიმართ გამოიყენება მხოლოდ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების შემდეგ წარმოშობილი საგადასახადო დავალიანების გადახდევინების მიზნით.

უზრუნველყოფის ღონისძიებები შეიძლება გაუქმდეს:

ა) საქართველოს ფინანსთა მინისტრის ან შემოსავლების სამსახურის უფროსის გადაწყვეტილებით;

ბ) საგადასახადო დავალიანების ქვემოთ აღნიშნულ არაუმეტეს 3 წლით გადავადების შემთხვევაში – საგადასახადო ორგანოს უფროსის გადაწყვეტილებით. ამასთანავე, გირავნობა/იპოთეკა არ შეიძლება გააუქმოს საგადასახადო ორგანოს უფროსმა, თუ საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების მიზნით პირის ქონება დატვირთულია საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით.

საგადასახადო ორგანოს უფროსის გადაწყვეტილებით, საგადასახადო დავალიანების გადახდევინება შეიძლება გადავადდეს არაუმეტეს 3 წლით, თუ გადასახადის გადამხდელის საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველსაყოფად გაფორმებულია თავდებობის ხელშეკრულება, წარდგენილია საბანკო გარანტია ან დაზღვევის პოლისი, ანდა თუ საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთულია პირის ქონება, რომლის ღირებულება უზრუნველყოფს საგადასახადო დავალიანების გადახდევინებას. საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადებით არ ჩერდება საურავის დარიცხვა.

საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების შესახებ გადასახადის გადამხდელთან ფორმდება ხელშეკრულება, რომელშიც აისახება საგადასახადო ვალდებულებების შესრულების ვადები და პირობები. თუ გადასახადის გადამხდელმა არ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, უქმდება საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების შესახებ.

უზრუნველყოფის ღონისძიებები ვერ გავრცელდება ნომინალურ მფლობელობაში არსებულ ფასიან ქაღალდებსა და ფულად სახსრებზე, აგრეთვე ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე დეპონირებულ ფულსა და ფასიან ქაღალდებზე, საგადახდო მომსახურების მნიშვნელოვანი პროვაიდერის ანგარიშზე განთავსებულ მომხმარებლის ფულად სახსრებზე, რამდენადაც ეს აქტივები სხვის საკუთრებას წარმოადგენს.

16.2 საგადასახადო გირავნობა და იპოთეკა

გირავნობა არის მოვალის ან მესამე პირის მოძრავი ნივთი ან/და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომლის სხვა პირთათვის გადაცემა დასაშვებია, შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ფულადი, ისე არაფულადი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად, ისე, რომ კრედიტორი (მოგირავნე) იძენს უფლებას, დაიკმაყოფილოს მოთხოვნა დაგირავებული ქონების (გირავნობის საგნის)

რეალიზაციით ან მხარეთა შეთანხმებით – მისი საკუთრებაში მიღებით მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში. საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა არის სახელმწიფოს უფლება, საგადასახადო ვალდებულების შესრულება უზრუნველყოს საგადასახადო დავალიანების მქონე გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის, სხვა ვალდებული პირის ქონებიდან. საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა წარმოიშობა უფლებამოსილ მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან და საგადასახადო დავალიანების მოცულობის ფარგლებში ვრცელდება გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის საკუთრებაში არსებულ ან/და ბალანსზე რიცხულ (ლიზინგით მიღებულის გარდა) ნებისმიერ ქონებაზე, საგადასახადო დავალიანების წარმოქმნის შემდეგ შეძენილი ქონების ჩათვლით.

იპოთეკა არის უძრავი ნივთის გამოყენება (დატვირთვა) მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ისე რომ უზრუნველყოფილ კრედიტორს მიეცეს უფლება, სხვა კრედიტორებთან შედარებით პირველ რიგში მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთის რეალიზაციით ან მის საკუთრებაში გადაცემით.

აღსანიშნავია, რომ ძველი ბერძნები მოვალის მამულებში სპეციალურ ფირფიტას ამაგრებდნენ, რომელიც ნიშნავდა, რომ ვალის გაუსტუმრებლობის შემთხვევაში მინა კრდიტორის საკუთრებაში გადავიდოდა. ამ ფირფიტას ძველი ბერძნები „იპოთეკას“ უწოდებდნენ.

საგადასახადო გირავნობა ან იპოთეკა გამოიყენება შემდეგ შემთხვევებში:

ა) გადამხდელს აქვს საგადასახადო დავალიანება მიუხედავად იმისა აღიარებულია, თუ არა ეს დავალიანება(იხ. აღიარებული საგადასახადო დავალიანების ტერმინი);

ბ) გადაუდებელი გასავლითი საგადასახადო შემოწმების დროს.

საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების გამოყენების შესახებ შეტყობინება ეგზავნება გადასახადის გადამხდელს/ვალდებულ პირს და შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოს, რომელიც ვალდებულია არა უგვიანეს შეტყობინების მიღების დღის მომდევნო სამუშაო დღისა რეგისტრაციაში გაატაროს საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლება.

საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთული ქონების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეალიზაციის შედეგად უქმდება საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციის შემდეგ წარმოშობილი ყველა სანივთო უფლება, ხოლო საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციამდე რეგისტრირებული სხვა გირავნობის/იპოთეკის უფლებები ძალაში რჩება.

თუ საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთული ქონება გაიყიდება ან რაიმე გზით გადაეცემა სხვა მფლობელს საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების გაუქმების გარეშე, საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლება კვლავ გავრცელდება ამ ქონებაზე მისი ახალი მფლობელის მიმართ.

თუ საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციამდე პირის ქონების მიმართ რეგისტრირებულია კომერციული ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, სადაზღვეო ორგანიზაციების, განვითარებული ქვეყნების საფინანსო ინსტიტუტების გირავნობის/იპოთეკის უფლება და ხდება ამ ქონების რეალიზაცია, ამოღებული თანხით პირველ რიგში დაკმაყოფილდება ზემოთ აღნიშნული ფინანსური ინსტიტუტების მოთხოვნები საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციამდე წარმოშობილი ვალდებულების ნაწილში, ხოლო შემდეგ ხდება საგადასახადო დავალიანების მოთხოვნის დაკმაყოფილება. ამ ქონების ახალი მფლობელის მიმართ საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა არ გავრცელდება. თუ დარჩენილი თანხით სრულად არ იფარება საგადასახადო დავალიანება, შეუსრულებელი საგადასახადო დავალიანება ძალაში რჩება იმ პირის მიმართ, რომლის ქონებაც დატვირთული იყო საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით.

საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლება უქმდება:

ა) უფლებამოსილი ორგანოს მიერ, საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთული ქონების საგადასახადო დავალიანების დაფარვის მიზნით რეალიზაციის შემთხვევაში;

ბ) თუ გადასახადის გადამხდელმა საგადასახადო ორგანოს წერილობითი თანხმობით განახორციელა ქონების ან მისი ნაწილის რეალიზაცია და ამონაგები თანხა სრულად მიმართა საგადასახადო დავალიანების დასაფარავად;

გ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ქონების სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევის შემთხვევაში;

დ) გადახდისუუნარობის დროს საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის შემთხვევაში;

ე) თუ გადაუდებელი გასვლითი საგადასახადო შემონმების დროს არ წარმოიშობა საგადასახადო დავალიანება;

ვ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შესაძლო შემთხვევებში.

16.3 მესამე პირზე გადახდევინების მიქცევა

გადასახადის გადამხდელის აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების მიზნით საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, მესამე პირს წარუდგინოს საგადასახადო მოთხოვნა და მისი ქონებიდან უზრუნველყოს გადასახადის გადახდევინება, თუ გადასახადის გადამხდელის ქონება იმდენად მცირეა, რომ საგადასახადო ორგანოს მიერ საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის სხვა ღონისძიებების განხორციელებამ ვერ უზრუნველყო აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებით ან სხვა მტკიცებულებების საფუძველზე დადგენილია, რომ მესამე პირს აქვს გადასახადის გადამხდელის დავალიანება, რომლის გადახდის ვადაც დამდგარია.

თუ მესამე პირის მიერ საგადასახადო მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის ვადაში არ შესრულდა შესაბამისი მოთხოვნა, მაშინ საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს ამ პირზეც გაავრცელოს შესაბამისი გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები, გარდა მესამე პირზე გადახდევინების მიქცევისა. ამასთან, მესამე პირის მიმართ საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების რიგითობას ირჩევს საგადასახადო ორგანო.

16.4 ქონებაზე ყადაღის დადება

საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე დაადოს ყადაღა პირის საკუთრებაში არსებულ ან/და მის ბალანსზე რიცხულ (გარდა ლიზინგით მიღებული ქონებისა) ნებისმიერ ქონებას, აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის მოცულობის ფარგლებში.

ქონებაზე ყადაღის დადება არის პირის ქონების აღწერა ამ ქონების განკარგვის (პირის მიერ ქონების ნებისმიერი ფორმით გასხვისების, დაგირავების, იპოთეკის, უზუფრუქტის, სერვიტუტის ან აღნაგობით დატვირთვის, თხოვების, ქირავნობისა და იჯარის ხელშეკრულებების დადების, სხვისთვის დროებით ან მუდმივ მფლობელობაში გადაცემის) აკრძალვა. საგადასახადო ორგანოს წარმომადგენელი ყადაღადადებულ ნივთებს აღნუსხავს ქონებაზე ყადაღის დადების აქტში.

ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს საგადასახადო ორგანო გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ამ აქტის გადასახადის გადამხდელისთვის დადგენილი წესით გაცნობისთანავე, ბათილია ქონებაზე ყადაღის დადების შემდეგ ამ ქონების მიმართ დადებული ნებისმიერი ფორმის გარიგება.

ყადაღის დადების შემდგომ პროცედურებს უზრუნველყოფს აღსრულების ეროვნული ბიურო.

საგადასახადო ორგანოს წერილობითი თანხმობით დასაშვებია, პირმა განკარგოს ყადაღადადებული ქონება, თუ ამონაგები თანხა სრულად იქნება მიმართული საგადასახადო დავალიანების დასაფარავად. თუ საგადასახადო ორგანოს თანხმობით განხორციელდა ქონების ან მისი ნაწილის რეალიზაცია და ამონაგები თანხა სრულად იქნა მიმართული საგადასახადო დავალიანების დასაფარავად, ქონებაზე დადებული ყადაღა უქმდება.

ქონებაზე ყადაღის დადების აქტს ხელს აწერენ საგადასახადო ორგანოს/აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმომადგენელი, ქონების შემნახველი, გადასახადის გადამხდელი/ვალდებული პირი და სხვა პირები, რომლებიც ესწრებოდნენ ქონებაზე ყადაღის დადებას. თუ ამ პირებმა უარი განაცხადეს ხელმოწერაზე, აქტში კეთდება შესაბამისი აღნიშვნა. აღნიშნული აქტი დაუყოვნებლივ ეგზავნება შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოს.

თუ არსებობს პირის მიერ ქონების გასხვისების საშიშროება, რაც გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის საგადასახადო დავალიანების გადახდევინებას, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, დაუყოვნებლივ დაადოს ყადაღა ქონებას (მათ შორის, საბანკო ანგარიშებს), მიუხედავად იმისა, აღიარებულია თუ არა საგადასახადო დავალიანება. ამ შემთხვევაში ყადაღის დადება შესაძლებელია განხორციელდეს დალუქვით. საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე გადასახადის გადამხდელის ქონებაზე (გარდა საბანკო ანგარიშებისა) ყადაღის დადება და ამ მიზნით დალუქვის პროცედურების განხორციელება დაავალოს აღსრულების ეროვნულ ბიუროს.

ზემოაღნიშნული საშიშროების შემთხვევაში საგადასახადო ორგანომ ან აღსრულების ეროვნულმა ბიურომ ქონებაზე ყადაღის დადების პროცედურების განხორციელების შემთხვევაში ყადაღის

დადებიდან 48 საათში სასამართლოს უნდა წარუდგინოს შუამდგომლობა პირის ქონებაზე (მათ შორის, საბანკო ანგარიშებზე) ყადაღის დადების დადასტურების შესახებ. სასამართლო ვალდებულია მომდევნო 48 საათის განმავლობაში გამოიტანოს განჩინება შუამდგომლობის სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე ან უარყოფის შესახებ. თუ აღნიშნულ ვადაში საგადასახადო ორგანო ან აღსრულების ეროვნული ბიურო სასამართლოში არ წარადგენს შუამდგომლობას ან სასამართლო არ გამოიტანს განჩინებას პირის ქონებაზე (მათ შორის, საბანკო ანგარიშებზე) ყადაღის დადების დადასტურების შესახებ, ყადაღა გაუქმებულად ჩაითვლება, ხოლო ქონებაზე დადებული ლუქი იხსნება.

საბანკო ანგარიშზე ყადაღის დადება გულისხმობს საგადასახადო ორგანოს მიერ პირის უფლების შეზღუდვას, განკარგოს თავის საბანკო ანგარიშზე არსებული ან ჩარიცხული ფულადი სახსრები ყადაღის მოცულობის ფარგლებში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა პირი ბიუჯეტში იხდის გადასახადის, საურავისა და ჯარიმის თანხებს ან იხდის სახელმწიფო ბაჟის თანხას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში ან საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეზე.

საბანკო ანგარიშზე ყადაღის დადების შემთხვევაში პირს უფლება არ აქვს, გახსნას საბანკო ანგარიში იმავე ან სხვა საბანკო დაწესებულებაში.

გადასახადის გადამხდელისთვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობისთანავე, ბათილია ქონებაზე ყადაღის დადების შემდეგ ნებისმიერი ფორმის გარიგება.

გადასახადის გადამხდელი ან/და მის წარმომადგენელი ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ჩაბარების შემდეგ ვალდებულია სრულად წარმოადგინოს მის საკუთრებაში არსებული ან/და ბალანსზე რიცხული ქონების ნუსხა (ქონების დასახელებისა და ადგილმდებარეობის ზუსტი მისამართის ჩვენებით), რომელშიც უნდა მიუთითოს ის ქონებაც, რომელიც მას სხვებისაგან ეკუთვნის. მოცემული ქონება შეფასდება საბაზრო ფასებით და შეიტანება შესაბამის აქტში.

საგადასახადო ორგანოს წერილობითი თანხმობით დასაშვებია პირმა განკარგოს ყადაღადადებული ქონება, თუ ამონაგები თანხა სრულად იქნება მიმართული საგადასახადო დავალიანების დასაფარად და, ამასთან, გადაიხდის ამ ქონების განკარგვასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

16.5 ყადაღადადებული ქონების რეალიზაცია

საგადასახადო ორგანო/აღსრულების ეროვნული ბიურო პირის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის ან პირდაპირ სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემის თაობაზე შუამდგომლობით მიმართავს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო აღრიცხვის მიხედვით, ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ აქტის შედგენიდან ერთი თვის ვადაში.

საჯარო შეტყობინების შედეგად აღიარებული საგადასახადო დავალიანების შემთხვევაში, საგადასახადო ორგანო/აღსრულების ეროვნული ბიურო პირის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის თაობაზე სასამართლოს შუამდგომლობით მიმართავს საგადასახადო მოთხოვნის გასაჩივრების ვადის გასვლიდან 10 კალენდარული დღის შემდეგ-ერთი თვის ვადაში.

ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის შესახებ, მოსამართლის ბრძანების საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, საგადასახადო ორგანო დოკუმენტებს წერილობითი მიმართვით უგზავნის აღსრულების ეროვნულ ბიუროს. ეს უკანასკნელი ახორციელებს აუქციონის წესით ქონების რეალიზაციას დადგენილი წესით.

მალფუჭებად საქონელზე(მალფუჭებად საქონლად ითვლება ის საქონელი, რომლის შენახვის ვადის გასვლამდე დარჩენილია 30 კალენდარულ დღეზე ნაკლები) ყადაღის დადება და მისი რეალიზაცია ხორციელდება სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე. ყადაღადადებული მალფუჭებადი საქონლის რეალიზაცია შეიძლება განხორციელდეს დაუყოვნებლივ, აღიარებული საგადასახადო დავალიანების ფარგლებში. მალფუჭებადი საქონლის რეალიზაციას ახორციელებს უფლებამოსილი საგადასახადო ორგანო. მალფუჭებადი საქონლის რეალიზაცია შესაძლებელია განხორციელდეს აუქციონის ან პირდაპირი მიყიდვის წესით.

ყადაღადადებული ქონების რეალიზაციით მიღებული შემოსავლების მიმართვის რიგითობა ასეთია:

ა) აღსრულების საფასური და აღსრულების ხარჯი – აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ქონების რეალიზაციის შემთხვევაში;

ბ) ქონების ამოღებასთან, შენახვასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები;

გ) გადასახადის თანხები;

დ) ჯარიმისა და საურავის თანხები.

ე) ქონების გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლით პირველ რიგში დაფარული თანხების შემდეგ დარჩენილი სახსრები 5 სამუშაო დღის ვადაში უბრუნდება გადასახადის გადამხდელს.

საგადასახადო ორგანო ან აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია მოითხოვოს მოვალის ყადაღადადებული ქონების პირდაპირ სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღიარებული საგადასახადო დავალიანება ქონების საბაზრო ღირებულების ტოლია ან აღემატება მას.

საგადასახადო ორგანო ქონების პირდაპირ სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევის შესახებ აცნობებს სახელმწიფო ქონების განკარგვისათვის უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოს და ახორციელებს შესაბამისი დავალიანების ჩამოწერას დადგენილი წესით.

16.6 საბანკო ანგარიშზე საინკასო დავალების წარდგენა და გადამხდელის სალაროდან ნაღდი ფულის ამოღება

საბანკო ანგარიშზე საინკასო დავალების წარდგენა არის საგადასახადო ორგანოს ქმედება, რომლის დროსაც საგადასახადო ორგანო „უბრძანებს" ბანკს აღიარებული საგადასახადო დავალიანების ფარგლებში გადასახადის გადამხდელის საბანკო ანგარიშიდან თანხები მიმართოს საგადასახადო დავალიანების და სანქციების დასაფარად. ამასთან აკრძალულია საანაბრო(ვადიანი) ანგარიშზე საინკასო დავალების წარდგენა. საინკასო დავალების წარდგენის გადაწყვეტილების შესახებ საგადასახადო ორგანო გადასახადის გადამხდელს აცნობებს ელექტრონული ფორმით.

იმ შემთხვევაში, თუ გაიზარდა ან შემცირდა აღიარებული საგადასახადო დავალიანება, შესაბამისად დაკორექტირდება საინკასო დავალებაც.

თუ აღიარებული საგადასახადო დავალიანების დასაფარავად საკმარისი არ არის გადამხდელის საბანკო ანგარიშზე საინკასო დავალებით ამოღებული თანხები, მაშინ საგადასახადო ორგანო მიმართავს გადასახადის გადამხდელის სალაროდან ნაღდი ფულის ამოღებას იმ ოდენობით, რაც საჭიროა შესაბამისი დავალიანების დასაფარავად. ამასთან „სალარო" ამ შემთხვევაში ნიშნავს იმ ფიზიკურ ადგილს, სადაც ინახება ფულის ნიშნები. აღსანიშნავია, რომ სალაროდან ფულის ამოღების უფლება საგადასახადო ორგანოს აქვს მოსამართლის ბრძანების გარეშე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ფული ინახება ფიზიკური ბინის საცხოვრებელ ბინაში, ამ პროცედურის ჩატარებას ესაჭიროება სასამართლოს თანხმობა.

პირის სალაროდან ან სხვა სათავსიდან ამოღებული ნაღდი ფული იმავე დღეს შეიტანება საბანკო დაწესებულებაში ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე, ხოლო თუ ეს შეუძლებელია – უახლოეს სამუშაო დღეს.

საინტერესოა ნაღდი ფულის ამოღების პროცედურა. კერძოდ, ამის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება საგადასახადო ორგანოს მიერ ინდივიდუალურ – ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით და დადგენილი წესით წარედგინება გადასახადის გადამხდელს. საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი, გადასახადის გადამხდელს ან/და მის წარმომადგენელს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ჩაბარების შემდეგ აძლევს წინადადებას ნებაყოფლობით წარმოადგინოს მასთან არსებული ნაღდი ფულადი სახსრები. გადასახადის გადამხდელის ან/და მისი წარმომადგენლის მიერ ნაღდი ფულის საგადასახადო დავალიანების მოცულობის ფარგლებში არასრულად წარმოდგენის ან ნებაყოფლობით წარმოუდგენლობის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს წარმომადგენელი უფლებამოსილია უშუალოდ განახორციელოს სათავსების დათვალიერება და ნაღდი ფულის ამოღება.

სალაროდან ამოღებული ნაღდი ფული ბიუჯეტში ჩარიცხვის მიზნით, იმავე დღეს უნდა იქნეს შეტანილი საბანკო დაწესებულებაში გადასახადის გადამხდელის ანგარიშსწორების ანგარიშზე, საიდანაც საინკასო დავალების მეშვეობით უზრუნველყოფილი იქნება გადასახადის, საურავისა და ჯარიმის თანხების ჩამოწერა და მათი შესაბამის ბიუჯეტში ჩარიცხვა.

ფულის შეტანა საბანკო დაწესებულებაში ხორციელდება გადასახადის გადამხდელის ან/და მისი წარმომადგენლის მიერ საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის თანდასწრებით.

თუ გადასახადის გადამხდელი ან/და მისი წარმომადგენელი უარს განაცხადებს საბანკო დაწესებულებაში ფულის შეტანაზე, აღნიშნული პროცედურა განხორციელდება მის გარეშე, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ.

16.7 საგადასახადო დავალიანების უზრუნველყოფა საგადასახადო დავის პერიოდში

საგადასახადო დავალიანების უზრუნველყოფის ღონისძიებებიდან საგადასახადო დავის პერიოდში გადასახადის გადამხდელის საგადასახადო დავალიანების უზრუნველსაყოფად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ქონებაზე ან/და საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადება.

ზემოაღნიშნული ღონისძიებები საგადასახადო დავის პერიოდში პირის მიმართ არ გამოიყენება და უკვე გამოყენებული უქმდება, თუ:

ა) საგადასახადო დავის პერიოდში პირის საგადასახადო დავალიანების უზრუნველსაყოფად გაფორმებულია თავდებობის ხელშეკრულება, წარდგენილია საბანკო გარანტია ან დაზღვევის პოლისი;

ბ) საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთულია პირის ქონება, რომლის ღირებულება უზრუნველყოფს სადავო საგადასახადო დავალიანების გადახდევინებას.

სადავო საგადასახადო დავალიანების გადახდის ვალდებულება შეჩერებულად ითვლება საგადასახადო დავის დაწყების დღიდან მის დასრულებამდე.

საგადასახადო დავის პერიოდში საგადასახადო დავალიანების უზრუნველსაყოფად დაწყებული ყველა ღონისძიება და წარდგენილი უზრუნველყოფის საშუალება გაუქმებულად ითვლება, თუ დავა გადასახადის გადამხდელის სასარგებლოდ გადაწყდა.

16.8 საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადება და ჩამოწერა

თუ გადასახადის გადამხდელი წარმოადგენს საგადასახადო დავალიანების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებებს, მაშინ მას შეუძლია მიმართოს საგადასახადო ორგანოს საგადასახადო დავალიანების გადახდევინების არა უმეტეს ერთი წლით გადავადების შესახებ. გადავადება არ იწვევს საურავის დაურიცხველობას. გადაწყვეტილებას კონკრეტული გადამხდელის მიმართ იღებს საგადასახადო ორგანოს უფროსი და ეს მისი დისკრეციული უფლებაა.

საგადასახადო დავალიანების გადავადების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, საგადასახადო ორგანოსა და გადასახადის გადამხდელს შორის იდება ხელშეკრულება, რომელშიც აისახება საგადასახადო დავალიანების გადახდის პირობები, ვადები და გადახდის გრაფიკი, აგრეთვე საგადასახადო დავალიანების გადავადებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

საგადასახდო დავალიანების ჩამოწერის მიზნით, ის საგადასახადო ორგანო, სადაც გადასახადის გადამხდელი იმყოფება საგადასახადო აღრიცხვაზე, წერილობით მიმართავს შემოსავლების სამსახურს და წარუდგენს შესაბამის დოკუმენტაციას და დასკვნას საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის მიზანშეწონილობის შესახებ.

საგადასახადო დავალიანების ჩამოწერა ხდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ დადგენილია, რომ პირს არ გააჩნია ქონება ან/და აქტივები;

ბ) პირის გარდაცვალებისას მემკვიდრის არარსებობის ან მემკვიდრის მიერ მემკვიდრეობის მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში ან თუ გარდაცვლილი პირის საგადასახადო დავალიანების მოცულობა აღემატება მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულებას;

გ) სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან ქმედუუნაროდ პირის აღიარების შემთხვევაში;

დ) თუ საქართველოს კანონმდებლობა აღარ ითვალისწინებს პირის სამართლებრივ ფორმას, ამასთანავე, ამ პირს არ განუხორციელებია საგადასახადო ანგარიშგება (დეკლარაციების ან/და გაანგარიშებების წარდგენა) შესრულება ბოლო 6 კალენდარული წლის განმავლობაში;

ე) საბიუჯეტო ორგანიზაციის ლიკვიდაციის შემთხვევაში;

ვ) თუ იურიდიული პირი კანონმდებლობით დადგენილი წესით ამოიშალა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;

ზ) გადახდისუუნარობის შემთხვევაში, როდესაც კერძო სამართლის სამეწარმეო იურიდიული პირის სამეურვეო ქონების ერთიანი ქონებრივი კომპლექსის სახით შემძენი (შემძენები) რეგისტრირდება ამ სანარმოს ერთადერთ პარტნიორად.

საგადასახადო ორგანოდან წარმოდგენილ დოკუმენტაციას შემოსავლების სამსახური განიხილავს ერთი თვის ვადაში.

საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის შესახებ შემოსავლების სამსახურის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მასალები ეგზავნება საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შექმნილ ვადაგადაცილებულ საგადასახადო და სასესხო დავალიანებათა რესტრუქტურიზაციის მიზანშეწონილობის საკითხის შემსწავლელ კომისიას, რომელიც ამზადებს შესაბამის დასკვნას. კომი-

სიის დასკვნა წარედგინება საქართველოს ფინანსთა მინისტრს, რომელიც გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს (ბრძანებას) საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის შესახებ.

თუ პირი, რომელსაც ჩამოეწერა საგადასახადო დავალიანება, აგრძელებს ეკონომიკურ საქმიანობას, ან/და დადგინდა, რომ აქვს ქონება, მაშინ ამ პირის მიმართ განახლდება ჩამოწერილი საგადასახადო დავალიანების დარიცხვა ან/და სანქციის დაკისრება.

თუ პირი აგრძელებს იგივე სამეწარმეო საქმიანობას, რომელსაც ახორციელებდა გარდაცვლილი მეწარმე ფიზიკური პირი, რომელსაც ჩამოეწერა საგადასახადო დავალიანება და ფაქტობრივად ფლობს მის ქონებას, იგი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ განუცხადოს საგადასახადო ორგანოს და გარდაცვლილი პირის მაგივრად დაფაროს საგადასახადო დავალიანება, მიუხედავად იმისა, მიიღებს თუ არა იგი ამ ქონებას მემკვიდრეობით, აგრეთვე შეასრულოს ამ პირის ყველა ვალდებულება.

პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან ქმედუუნაროდ აღიარების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების მიღების დღიდან აღდგება ჩამოწერილი საგადასახადო დავალიანება.

თავი 17. კორპორაციული ოპერაციების დაბეგვრა

17.1. კორპორაციული დაბეგვრის ეკონომიკური სუბიექტების სამართლებრივი ფორმები

17.1.1. ზოგადი დებულებები

კორპორაციული დაბეგვრის მიზნებისათვის კორპორაციის ქვეშ მოიაზრება, არა მხოლოდ სააქციო საზოგადოება, როგორც ასეთი, არამედ ყველა ორგანიზებული საქმიანობა(ინდივიდუალური მეწარმეობის გარდა, თუმცა ფიზიკური პირი ან ინდივიდუალური მეწარმე შეიძლება იყოს კორპორაციული დაბეგვრის სუბიექტი), რომელიც ხორციელდება სამეწარმეო ამ ზოგადად ეკონომიკური საქმიანობის სახით.

სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად.

სამეწარმეო საქმიანობად არ ითვლება ფიზიკური პირების სახელოვნებო, სამეცნიერო, სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო ან სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო (მათ შორის, საგადასახადო კონსულტანტთა), სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო – სამეურნეო საქმიანობა.

მეწარმე სუბიექტები არიან: ინდივიდუალური მეწარმე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს, კორპორაცია) და კოოპერატივი.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება და კოოპერატივი არიან იურიდიული პირის სტატუსის მქონე სანარმოები (კომპანიები). ინდივიდუალური მეწარმე არ არის იურიდიული პირი. ინდივიდუალური მეწარმე საქმიან ურთიერთობებში თავის უფლებებს ახორციელებს და მოვალეობებს ასრულებს, როგორც ფიზიკური პირი.

სამეწარმეო საქმიანობის ცნება განსხვავდება ეკონომიკური საქმიანობის ცნებისაგან. ეკონომიკური საქმიანობის ცნება განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსში და იგი უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე სამეწარმეო საქმიანობა. კერძოდ, ეკონომიკურ საქმიანობად ითვლება ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად, მიუხედავად ასეთი საქმიანობის შედეგებისა. კანონმდებლობა ადგენს გამონაკლისებს, რომლებიც არ განიხილება ეკონომიკურ საქმიანობად. ამდენად, საგადასახადო კანონმდებლობა ერთ სიბრტყეზე განიხილავს ყველა სუბიექტს: მეწარმე პირებს, ორგანიზაციებს და ფიზიკურ პირებს, რომელიც ახორციელებენ რაიმე სახის ეკონომიკურ საქმიანობას-ერთჯერადს, თუ მრავალჯერადს, რამდენადაც იბეგრება ყველა, გათავისუფლებული პირების გარდა. ამასთან, დაბეგვრისაგან გათავისუფლებული პირებიც გარკვეულ საგადასახადო რეგულაციებს და ადმინისტრირებას ექვემდებარებიან.

კერძო სამართლის იურიდიულ პირს (სამეწარმეოს თუ არასამეწარმეოს (არაკომერციულს)) უფლება აქვს განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა მისი სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მეწარმე სუბიექტებში ჩვენ ვიხილავთ გადასახადის გადამხ-

დელებს მათი სამართლებრივ – ორგანიზაციული ფორმის მიუხედავად, რამდენადაც ყველა მათგანი მონაწილეობს კორპორაციულ ოპერაციებში და კორპორაციულ დაბეგვრაში.

17.1.2. ინდივიდუალური მეწარმე

ინდივიდუალური მეწარმე, როგორც სამართლებრივი სუბიექტი, წარმოიშობა მხოლოდ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

ინდივიდუალური მეწარმე თავისი სამეწარმეო საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს პირადად, მთელი თავისი ქონებით.

თუ რეგისტრაციამდე მეწარმე სუბიექტის სახელით რაიმე მოქმედება შესრულდა, ამ მოქმედების შემსრულებლები და საწარმოს დამფუძნებლები პასუხს აგებენ პერსონალურად, როგორც სოლიდარული მოვალეები, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ, ამ მოქმედებიდან წარმოშობილი ყველა ვალდებულებისათვის. ეს პასუხისმგებლობა ძალაში რჩება მეწარმე სუბიექტის რეგისტრაციის შემდეგაც.

17.1.3. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი (პარტნიორი) ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა სამეწარმეო საქმიანობას და საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს, როგორც სოლიდარული მოვალეები, – მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

პარტნიორს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის მოთხოვნათა დაკმაყოფილებაზე, სანამ საზოგადოება უფლებამოსილია იდავოს გარიგებაზე, რომელიც საფუძვლად უდევს საზოგადოების ვალდებულებას. იგივე უფლება აქვს პარტნიორს მანამ, სანამ კრედიტორის მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს საზოგადოების ვადამოსული საპირისპირო მოთხოვნის შესრულებით (შემხვედრი მოთხოვნების ურთიერთჩათვლით).

პარტნიორის ქონებაზე იძულებითი გადახდევინების მიქცევის მიზნით კრედიტორი ვალდებულია, საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ სააღსრულებო ფურცელთან ერთად მოიპოვოს ასევე სააღსრულებო ფურცელი პარტნიორების მიმართ.

საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირები და მათი უფლებამოსილების ფარგლები განისაზღვრება საზოგადოების წესდებით.

ნებისმიერ პარტნიორს (მათ შორის, იმ პარტნიორს, რომელიც არ მონაწილეობს საზოგადოების ხელმძღვანელობაში) შეუძლია პირადად გაეცნოს საზოგადოების საქმეებს და ამ მიზნით შეამოწმოს საზოგადოების წიგნები და საბუთები. მას უფლება აქვს, მოსთხოვოს სხვა პარტნიორებს საზოგადოების მიმართ არსებულ ვალდებულებათა შესრულება და ამ შესრულების გამო საკუთარი სახელით ნარადგინოს სარჩელი.

თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, ყოველი სამეურნეო წლის ბოლოს ბალანსის საფუძველზე დგინდება წლიური მოგება ან ზარალი და გამოითვლება მასში ყოველი პარტნიორის წილი.

თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, ერთ-ერთი პარტნიორის წილის მოგება მიემატება მისსავე შენატანს, თუ ის არ იყო სრულად შეტანილი. პარტნიორის ზიარი ზარალი და სამეურნეო წლის განმავლობაში შენატანიდან გახარჯული ფული ჩამოინერება მოგებიდან.

პარტნიორის საზოგადოებიდან გასვლის წესი განისაზღვრება საწარმოს წესდებით და კანონმდებლობის დაცვით.

თუ პარტნიორი გამოთქვამს საწარმოდან გასვლის სურვილს, ან საწარმოს მიმართ იხსნება გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, ან საწარმოში შედის ახალი პარტნიორი, საწარმოს მიმართ ხორციელდება საწარმოს რეორგანიზაციის ღონისძიებები.

საზოგადოებიდან პარტნიორის გასვლის შემთხვევაში მისი წილი საზოგადოების ქონებაში ნაწილდება სხვა დანარჩენ პარტნიორებზე.

დანარჩენი პარტნიორები ვალდებული არიან, საზოგადოებიდან გამსვლელი პარტნიორი გაათავისუფლონ საზოგადოების ვალებისაგან და გადაუხადონ ის, რასაც იგი საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში მიიღებდა.

პარტნიორის გარდაცვალებისას ყოველ მემკვიდრეს შეუძლია გახდეს საზოგადოების პარტნიორი, თუ ეს გათვალისწინებულია საზოგადოების წესდებით, ან თუ ყველა პარტნიორი თანახმაა.

საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ ერთ ან რამდენიმე მემკვიდრეს შეუ-

ძლია გახდეს პარტნიორი. ასეთ შემთხვევაში საზოგადოებაში პარტნიორად შემსვლელი პირი ვალდებულია, სხვა მემკვიდრეებს გადაუხადოს შესაბამისი კომპენსაცია. საზოგადოების წესდება შეიძლება არ ითვალისწინებდეს კომპენსაციის ვალდებულებას.

ამრიგად:

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის იურიდიული პირი, რომლის პარტნიორები კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ ერთობლივად – მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

საზოგადოების პარტნიორები, მსგავსად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა, იყოფენ საზოგადოების წილებს და წლის ბოლოს ადგენენ წლიურ მოგებას და ზარალს, რომელიც ნაწილდება პარტნიორებს შორის ამ წილების შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ პარტნიორს მისი წილის შესაბამისი შენატანი არ ჰქონდა სრულად შეტანილი კაპიტალში, მაშინ პარტნიორის წილის მოგება შეიტანება და მიემატება(შეავსებს) შესაბამის კაპიტალს. ანალოგიურად, პარტნიორის წილი ზარალი ან შენატანიდან გახარჯული ფული ჩამოიწერება მოგებიდან.

თუ პარტნიორი გავიდა საზოგადოებიდან, მისი წილი საზოგადოების ქონებაში ნაწილდება სხვა დანარჩენ პარტნიორებზე. ამ შემთხვევაში, გამსვლელი პარტნიორი უნდა გათავისუფლდეს საზოგადოების ვალებისაგან და მან უნდა მიიღოს ის ქონება, რასაც იგი მიიღებდა ამ საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში.

17.1.4. კომანდიტური საზოგადოება

კომანდიტური საზოგადოება არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, თუ საზოგადოების კრედიტორების წინაშე ერთი ან რამდენიმე პარტნიორის პასუხისმგებლობა განსაზღვრული საგარანტიო თანხის გადახდით შემოიფარგლება – შეზღუდული პარტნიორები (კომანდიტები), ხოლო სხვა პარტნიორების პასუხისმგებლობა შეზღუდული არ არის – სრული პარტნიორები (კომპლემენტარები).

სრული პარტნიორები (კომპლემენტარები) საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები, – მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. კომანდიტური საზოგადოების მიმართ ზოგადი ნაწილის წესებთან ერთად გამოიყენება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესაბამისი წესები.

კომანდიტური საზოგადოების პარტნიორი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი.

კომანდიტური საზოგადოების წესდების მიღების, მასში და სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებების შეტანის უფლება აქვთ მხოლოდ სრულ პარტნიორებს (კომპლემენტარებს).

თუ სრული პარტნიორი (კომპლემენტარი) გამოთქვამს საწარმოდან გასვლის სურვილს, ან საწარმოს მიმართ იხსნება გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, ან საწარმოდან გადის ყველა შეზღუდული პარტნიორი (კომანდიტი), ან საწარმოში შედის ახალი პარტნიორი, საწარმოს მიმართ ხორციელდება საწარმოს რეორგანიზაციის ღონისძიებები.

შეზღუდულ პარტნიორებს (კომანდიტებს) უფლება აქვთ, მოითხოვონ წლიური ანგარიშის ასლი და საზოგადოების ფინანსური დოკუმენტაციის გაცნობით შეამოწმონ წლიური ანგარიშის სისწორე.

მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობისას სასამართლოს შეუძლია ერთ-ერთი შეზღუდული პარტნიორის (კომანდიტის) განცხადების საფუძველზე ნებისმიერ დროს მოითხოვოს საბალანსო და წლიური ანგარიშის მონაცემების, სხვა მსგავსი ინფორმაციის, საზოგადოების ფინანსური დოკუმენტების წარდგენა.

შეზღუდული პარტნიორები (კომანდიტები) არ მონაწილეობენ საზოგადოების ხელმძღვანელობაში. მათ არ შეუძლიათ გამოვიდნენ ჩვეულებრივი საწარმოო საქმიანობის ფარგლებში სრული პარტნიორების (კომპლემენტარების) მიერ განხორციელებული მოქმედების წინააღმდეგ. შეზღუდული პარტნიორები ხმის უფლებით სარგებლობენ მხოლოდ საზოგადოების წესდებით განსაზღვრულ შემთხვევებში.

ყოველი სამეურნეო წლის ბოლოს ბალანსის საფუძველზე დგინდება წლიური მოგება ან ზარალი და გამოითვლება მასში ყოველი პარტნიორის წილი.

მოგებისა და ზარალის გაანგარიშების, პერიოდულობის და განაწილების წესი განისაზღვრება საზოგადოების წესდებით.

შეზღუდული პარტნიორი (კომანდიტი) ზარალის ანაზღაურებაში მონაწილეობს მხოლოდ თავისი შენატანით, ხოლო თუ პასუხისმგებლობა დადგება შესატანის სრულად შეტანამდე, – ჯერ კიდევ

შეუტანელი შესატანითაც.

თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, შეზღუდულ პარტნიორს (კომანდიტს) აქვს მხოლოდ კუთვნილი მოგების მიღების მოთხოვნის უფლება. მას არ შეუძლია ამ მოგების მოთხოვნა, ვიდრე მისი შენატანი დათქმულ თანხაზე ნაკლებია.

შეზღუდული პარტნიორი (კომანდიტი) ვალდებული არ არის, დააბრუნოს მიღებული მოგება შემდგომი ზარალის გამო.

შეზღუდული პარტნიორის (კომანდიტის) საგარანტიო თანხა საზოგადოების კრედიტორების მიმართ განისაზღვრება წესდებაში მითითებული თანხის ოდენობით, თუ ეს თანხა უკვე შეტანილია.

შეზღუდული პარტნიორის (კომანდიტის) წილი შეიძლება გასხვისდეს ან მემკვიდრეობით გადაეცეს სხვა პარტნიორების თანხმობის გარეშე, თუ წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

წილის დათმობისას საჭიროა ნოტარიალურად დამოწმებული წერილობითი ხელშეკრულება.

ამრიგად:

კომანდიტური საზოგადოება წარმოადგენს იურიდიულ პირს. მისი პარტნიორები არიან, კომანდიტები და კომპლემენტარები. კომანდიტები საზოგადოების კრედიტორებზე პასუხს აგებენ იმ განსაზღვრული თანხის გადახდით, რომელსაც საგარანტიო თანხა ეწოდება. ამ თანხის გადამხდელ პირებს კომანდიტები ანუ შეზღუდული პარტნიორები ეწოდებათ. სხვა პარტნიორების ანუ კომპლემენტარების პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შეზღუდული არ არის და მათ სრული პარტნიორები ეწოდებათ. ისინი კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად(ერთობლივად) მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

წილები ნაწილდება მხოლოდ კომანდიტებს შორის, თუ პარტნიორთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

17.1.5. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. ასეთი საზოგადოების დაფუძნება შეუძლია ერთ პირსაც.

საწარმოს პარტნიორთა შეთანხმება პასუხისმგებლობის შემცირებაზე ბათილია მესამე პირებისათვის.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალი დაყოფილია წილებად. წილი არის მიმოქცევადი უფლება.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალი შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი ოდენობით.

პარტნიორთა უფლება-მოვალეობები და წილების თავდაპირველი განაწილების წესი განისაზღვრება საწარმოს წესდებით (პარტნიორთა შეთანხმებით).

წესდებით შეიძლება განისაზღვროს, რომ გადაწყვეტილების მიღებისას პარტნიორთა ხმის უფლება ან/და პარტნიორთა შორის მოგების/ზარალის განაწილება არ არის მათი წილების პროპორციული.

შპს-ის პარტნიორებს უფლება აქვთ, გაასხვისონ ან დატვირთონ (დააგირავონ) წილი საზოგადოების კაპიტალში, თუ წესდებით შეზღუდვა არ არის დაწესებული.

დირექტორებმა პარტნიორის მოთხოვნის საფუძველზე დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდონ მას ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ და ნება დართონ, გაეცნოს საზოგადოების წიგნებსა და ჩანაწერებს.

საწარმოს პარტნიორები მმართველობით უფლებამოსილებას ახორციელებენ პარტნიორთა საერთო კრების მეშვეობით, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

პარტნიორთა კრების კომპეტენცია, კრების ჩატარების წესი და გადაწყვეტილების მიღების პროცედურა განისაზღვრება კანონით ან/და საწარმოს წესდებით.

დირექტორის კომპეტენცია და პასუხისმგებლობის მოცულობა განისაზღვრება კანონით ან/და საწარმოს წესდებით.

მართვის ორგანოების სტრუქტურა, შემადგენლობა და საქმიანობის წესი განისაზღვრება საწარმოს წესდებით.

წელიწადში ერთხელ მართვაზე ან/და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი მარეგისტრირებელ ორგანოში წარადგენს ინფორმაციას (წინა წლის 31 დეკემბრისათვის არსებული მდგომარეობით) საწარმოში პარტნიორების წილობრივი მონაწილეობის შესახებ.

ამრიგად:

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის იურიდიული პირი. მისი დაფუძნება შეუძლია, როგორც რამდენიმე პირს, ასევე ერთ პირსაც. დამფუძნებელი პირი(პირები) შეიძლება იყოს, როგორც ფიზიკური პირი, ასევე იურიდიული პირი ან იურიდიული პირის არმქონე პირი. ტერმინი „შეზღუდული პასუხისმგებლობა“ ნიშნავს, იმ ფაქტს, რომ საზოგადოება, როგორც იურიდიული წარმონაქმნი, მისი კრედიტორების (მევალეების) მიმართ პასუხს აგებს მხოლოდ მისი, როგორც იურიდიული პირის ქონებით. საზოგადოების დამფუძნებლები ანუ პარტნიორები პასუხს არ აგებენ კრედიტორების წინაშე საზოგადოების ვალდებულებების გამო.

საზოგადოების კაპიტალი იყოფა წილებად. წილი წარმოადგენს პარტნიორის უფლებას დივიდენდების მიღებაზე და იგი შეიძლება გასხვისებულ (ან დაგირავებულ) იქნას წილის მფლობელი პარტნიორის მიერ, თუ წესდებით რაიმე შეზღუდვა არ არის დადგენილი. კაპიტალის ოდენობა შეიძლება იყოს ნებისმიერი თანხა ანუ მისი ქვედა ან ზედა ზღვარი კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის.

საზოგადოებაში წილები თავდაპირველად ნაწილდება წესდებით ანუ პარტნიორთა შეთანხმებით. აღსანიშნავია, რომ პარტნიორებს შორის მოგების ან ზარალის განაწილება შეიძლება არ შეესაბამებოდეს მათ წილებს, რაც დაფიქსირებულ უნდა იქნეს წესდებაში.

საზოგადოებას, როგორც სანარმოს, მართავს დირექტორი, რომელსაც ნიშნავს პარტნიორთა კრება. თუ, დირექტორის ქმედების გამო საზოგადოებას მიადგა ზიანი, დირექტორი ვალდებულია აუნაზღაუროს მას მიყენებული ზარალი. დირექტორი საზოგადოების წინაშე პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

17.1.6. სააქციო საზოგადოება

სააქციო საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის კაპიტალი დაყოფილია წესდებით განსაზღვრული კლასისა და რაოდენობის აქციებად. აქცია არის არამატერიალიზებული სახელობითი ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებს პარტნიორის (აქციონერის) მიმართ და აქციონერის უფლებებს სააქციო საზოგადოებაში. სააქციო საზოგადოების წესდებით შეიძლება განისაზღვროს ის ღირებულება, რომელზე ნაკლები ღირებულებითაც დაუშვებელია ამ კლასის აქციების პირველადი განთავსება (აქციების ნომინალური ღირებულება). სააქციო საზოგადოების პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. სააქციო საზოგადოების აქციონერი პასუხს არ აგებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებისათვის. სააქციო საზოგადოების დაფუძნებისას კაპიტალი შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი ოდენობით.

აქციონერის საკუთრების უფლება აქციაზე დასტურდება სააქციო საზოგადოების აქციათა რეესტრში ჩანაწერით ან ნომინალური მფლობელის ჩანაწერით. აქციონერს უნდა მიეცეს ამონაწერი საზოგადოების აქციათა რეესტრიდან ან ნომინალური მფლობელის ამონაწერი.

თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, აქციები შეიძლება იყოს ჩვეულებრივი და პრივილეგირებული. ერთი ჩვეულებრივი აქცია უზრუნველყოფს ერთი ხმის უფლებას აქციონერთა საერთო კრებაზე, ხოლო პრივილეგირებული აქცია არ იძლევა ხმის უფლებას. პრივილეგირებული აქცია უზრუნველყოფს დივიდენდის მიღებას დადგენილი განაკვეთით. დივიდენდის ოდენობა და მიღების წესი განისაზღვრება სანარმოს წესდებით. წესდებით შეიძლება დადგინდეს განსხვავებული წესი, რომელიც უზრუნველყოფს ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციების უფლებათა სხვაგვარად განსაზღვრას. ერთი კლასის აქციები თანაბარი უფლებებით უზრუნველყოფენ მათ მფლობელებს. დივიდენდების უცილობლად გაცემის შეპირება ბათილია.

სააქციო საზოგადოებას შეუძლია კანონით დადგენილი წესით გამოუშვას აქციებში კონვერტირებადი ფასიანი ქაღალდები.

აქციონერების წილი მოგებაში განისაზღვრება აქციათა რაოდენობისა და კლასის შესაბამისად. შესატანები, რომლებიც სრულად არ არის შეტანილი, მონაწილეობენ მოგების განაწილებაში შენატანის სიდიდის პროპორციულად, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

აქციონერს უფლება აქვს საზოგადოებას მოსთხოვოს თავისი აქციების შეფასება და გამოსყიდვა, თუ მან საერთო კრებაზე მხარი არ დაუჭირა ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც არსებითად ლახავს აქციონერის უფლებებს, ან ეხება სანარმოს რეორგანიზაციას. საზოგადოების წესდება შეიძლება დეტალურად აწესრიგებდეს აქციების შეფასებასა და გამოსყიდვასთან დაკავშირებულ საკითხებს.

აქცია, როგორც წესი, გამოსყიდული უნდა იქნეს მისი საბაზრო ღირებულებით.

აქციონერს, რომელიც არ ეთანხმება სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრულ გამოსყიდვის პირობებს, უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს ამ გადაწყვეტილების შეტყო-

ბინებიდან 14 დღის განმავლობაში.

აქციების გამოსყიდვა არ დაიშვება, თუ:

ა) აქციების გამოსყიდვისთვის გადასახდელი თანხა აღემატება საკუთარი კაპიტალის 25%-ს;

ბ) გამოსყიდვის მომენტში საწარმო აკმაყოფილებს „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ პირობებს, ან ასეთი პირობები შეიძლება წარმოიშვას აქციათა გამოსყიდვის შედეგად.

საზოგადოებას უფლება აქვს, შეიძინოს საკუთარი განთავსებული აქციები (სახაზინო აქციები) და შემდგომში გაასხვისოს თავისი შეხედულებისამებრ. სახაზინო აქციების რაოდენობა არც ერთ მომენტში არ უნდა აღემატებოდეს განთავსებული აქციების 25%-ს, თუ წესდებით უფრო მცირე ზღვარი არ არის გათვალისწინებული. ხმის დათვლის, დივიდენდის განაწილების, ლიკვიდაციის დროს და აქციების ფლობიდან გამომდინარე სხვა უფლებების რეალიზაციის მიზნებისთვის (შემთხვევებში) საზოგადოების მფლობელობაში არსებული სახაზინო და შვილობილი საწარმოს კუთვნილი აქციები მხედველობაში არ მიიღება.

თუ აქციების შეძენის შედეგად აქციონერს საკუთრებაში აქვს სააქციო საზოგადოების ხმების 95%-ზე მეტი, მაშინ ამ აქციონერს უფლება აქვს, სამართლიან ფასად გამოისყიდოს სხვა აქციონერთა აქციები.

აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ გადაწყვეტილება გამოაქვს სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით და განსაზღვრავს აქციათა გამოსყიდვის სამართლიან ფასსა და თარიღს.

თუ სააქციო საზოგადოება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით არის ანგარიშვალდებული საწარმო, რომლის ფასიანი ქაღალდები სავაჭროდ არის დაშვებული ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე, ან სააქციო საზოგადოება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ არის ლიცენზირებული, ან სააქციო საზოგადოების აქციონერთა რაოდენობა აღემატება 100 – ს, სავალდებულოა სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა არანაკლებ 3 და არა უმეტეს 21 წევრისაგან. ყველა სხვა შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა არ არის სავალდებულო.

სამეთვალყურეო საბჭოს აქვს შემდეგი კომპეტენციები:

ა) სამეთვალყურეო საბჭო კონტროლს უწევს თითოეული დირექტორის საქმიანობას;

ბ) სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს დირექტორებისაგან საზოგადოების საქმიანობის ანგარიში;

გ) სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია გააკონტროლოს და შეამოწმოს საზოგადოების ფინანსური დოკუმენტაცია, ასევე ქონებრივი ობიექტები, კერძოდ, საზოგადოების სალარო და ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის მდგომარეობა; მას შეუძლია ეს დაავალოს ცალკეულ წევრებს ან განსაზღვრულ ექსპერტებს;

დ) სამეთვალყურეო საბჭო იწვევს საერთო კრებას, თუ ამას საზოგადოების აუცილებლობა მოითხოვს;

ე) სამეთვალყურეო საბჭო ამოწმებს წლიურ ანგარიშებს, მოგების განაწილების წინადადებას და ამის თაობაზე მოახსენებს საერთო კრებას; ცნობაში სამეთვალყურეო საბჭომ უნდა მიუთითოს, თუ როგორ და რა მოცულობით შეამოწმა მან საზოგადოების ხელმძღვანელობა გასული სამეურნეო წლის განმავლობაში, წლიური ანგარიშისა და საქმიანობის ანგარიშის რომელი ნაწილი შეამოწმა და გამოინვია თუ არა ამ შემოწმებებმა საბოლოო შედეგების არსებითი ცვლილებები;

ვ) ნიშნავს და ნებისმიერ დროს გამოიწვევს დირექტორებს, ასევე მათთან დებს და წყვეტს ხელშეკრულებებს;

ზ) იმ საზოგადოებაში, რომელშიც სახელმწიფო ფლობს ხმათა საერთო რაოდენობის 50%-ზე მეტს, დირექტორების დანიშვნა და მათი გამოწვევა სამეთვალყურეო საბჭომ უნდა შეუთანხმოს საზოგადოების ხმების 50%-ზე მეტის მფლობელ აქციონერს. სამეთვალყურეო საბჭოსა და აქციონერებს შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში დირექტორის დანიშვნისა და გამოწვევის გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება.

თ) სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს არ შეუძლია შეიტანოს სარჩელი ამ საზოგადოების დირექტორების წინააღმდეგ, თუ იგი თავად არის დირექტორი. ასეთი სარჩელის შეტანა შეუძლია სამეთვალყურეო საბჭოს იმ წევრს, რომელიც არ არის ამ საზოგადოების დირექტორი.

ი) თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება განხორციელდეს შემდეგი საქმიანობა:

– საწარმოს 50%-ზე მეტი წილის შეძენა და გასხვისება;

– ფილიალების დაარსება და ლიკვიდაცია;

– წლიური ბიუჯეტისა და გრძელვადიანი ვალდებულებების მიღება;

– ვალდებულებათა აღება და უზრუნველყოფა, რომლებიც აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ ოდენობას; დაუშვებელია სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და დირექტორების ვალდებულებათა უზრუნველყოფა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებულია საერთო კრების მიერ;

– დირექტორთა უფლებამოსილების ფარგლების დადგენა;

– ახალი სახის ეკონომიკური საქმიანობის დაწყება ან არსებული სახის საქმიანობის შეწყვეტა;

– სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების დადგენა;

– საჭარო წარმომადგენლების (პროკურისტების) დანიშვნა და გამოწვევა;

– საზოგადოების აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

– ხელმძღვანელი პირებისათვის მოგებასა და მსგავს ურთიერთობებში მონაწილეობის განსაზღვრა, მათი საპენსიო უზრუნველყოფის პრინციპების დადგენა და საერთო კრებისთვის დასამტკიცებლად წარდგენა;

– საზოგადოების ქონების შეძენის ან გასხვისების (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) შესახებ გადაწყვეტილებების მიღება, რომელთა ღირებულება აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ ოდენობას;

– იმ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება, რომელიც კანონით არ განეკუთვნება საერთო კრებისა და დირექტორის კომპეტენციას.

დირექტორები ადგენენ წლიურ ანგარიშს და ანგარიშს სამეურნეო მდგომარეობის შესახებ, ასევე წმინდა მოგების განაწილების წინადადებას სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარსადგენად. წმინდა მოგების განაწილების მოწონებულ წინადადებას სამეთვალყურეო საბჭო დასამტკიცებლად წარუდგენს საერთო კრებას. თუ დირექტორები და სამეთვალყურეო საბჭო ვერ შეთანხმდებიან წმინდა მოგების განაწილებაზე, მაშინ მათი წმინდა მოგების განაწილების ორივე წინადადება უნდა აცნობონ საერთო კრებას. საერთო კრების გადაწყვეტილებით შეიძლება მთელი წმინდა მოგება დარჩეს საწარმოში და გათვალისწინებულ იქნეს ახალი ანგარიშის დროს.

არ შეიძლება აქციონერებს მიეცეთ სხვა საზღაური, გარდა საზოგადოების დივიდენდებისა. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში აქციონერი, რომელმაც ეს საზღაური მიიღო, ვალდებულია უკან დააბრუნოს იგი ან ფულადი სახით აანაზღაუროს წარმოშობილი ქონებრივი ზარალი. დირექტორები და სამეთვალყურეო საბჭო ამ პრინციპის დარღვევისათვის საზოგადოების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. საერთო კრებას არ შეუძლია უარი თქვას ამ უფლების გამოყენებაზე. ეს უფლება შეიძლება გამოიყენონ საზოგადოების კრედიტორებმა, თუ საზოგადოებისაგან არ მიუღიათ თავიანთი მოთხოვნების კომპენსაცია.

აქციონერს შეუძლია სახელშეკრულებო ურთიერთობა ჰქონდეს საზოგადოებასთან (მათ შორის, იყოს დირექტორი ან/და სამეთვალყურეო საბჭოს წევრი) და მიიღოს მისგან ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე საზღაური, რომელიც არ წარმოადგენს დივიდენდს.

ამრიგად:

სააქციო საზოგადოება არის იურიდიული პირი, რომლის კაპიტალი შედგება აქციებისაგან. აქციის მფლობელს უფლება აქვს მიიღოს დივიდენდი. სააქციო საზოგადოება კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს მთელი მისი ქონებით. სააქციო საზოგადოების აქციონერი პასუხს არ აგებს საზოგადოების ვალდებულებებზე. სააქციო საზოგადოების დაფუძნებისას კაპიტალის ოდენობა რეგლამენტირებული არ არის.

აქციონერი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი: ფიზიკური, იურიდიული ან იურიდიული პირის არმქონე პირი. აქციების ფლობა დასტურდება სააქციო საზოგადოების აქციათა რეესტრში ჩანაწერით ან ნომინალური მფლობელის ჩანაწერით. ასეთ შემთხვევაში აქციონერს ეძლევა შესაბამისი ამონაწერი.

აქციები შეიძლება იყოს ჩვეულებრივი და პრივილეგირებული. პრივილეგირებული აქცია, დივიდენდის მიღების თვალსაზრისით, იმით განსხვავდება ჩვეულებრივი აქციისაგან, რომ პრივილეგირებული აქცია უზრუნველყოფს დივიდენდის მიღებას წინასწარ დადგენილი განაკვეთით. მაგ, მიღებული მოგების 5 პროცენტის ოდენობით. საზოგადოებას შეუძლია ასევე გამოუშვას სხვა სახის ფასიანი ქაღალდები.

კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით აქციონერს უფლება აქვს საზოგადოებას მოსთხოვოს მის ხელთ არსებული აქციების გამოსყიდვა. აქცია, შესაბამის შემთხვევებში, გამოსყიდულ უნდა იქნეს საბაზრო ფასით ან სამართლიანი ფასით. აქციონერსაც აქვს უფლება გამოისყიდოს

საზოგადოების აქციები, თუ მას უკვე აქვს ამ საზოგადოების აქციების 95 პროცენტზე მეტი. ასეთ შემთხვევაში აქციების გამოსყიდვა მას შეუძლია სამართლიან ფასად. სამართლიან ფასს განსაზღვრავს სასამართლო.

საზოგადოების დირექტორები სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგენენ წმინდა მოგების განაწილების წინადადებებს, ხოლო ეს უკანასკნელი მას წარუდგენს დასამტკიცებლად საერთო კრებას. იმ შემთხვევაში, თუ დირექტორები და სამეთვალყურეო საბჭო ვერ შეთანხმდება წმინდა მოგების განანილების საკითხებზე, მაშინ ისინი მათ მიერ წარმოდგენილ ორივე წინადადებას წარუდგენენ საერთო კრებას. საერთო კრებას უფლება აქვს საერთოდ არ გაანაწილოს წმინდა მოგება და დატოვოს საწარმოში.

აქციონერებს ეძლევათ მხოლოდ დივიდენდი. სხვა საზღაური, აქციონერმა შეიძლება მიიღოს მხოლოდ მაშინ, თუ ის ამავე დროს არის ამ საზოგადოების დაქირავებული პირი ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და იღებს ხელფასს. სხვა ანაზღაურების მიღების შემთხვევაში აქციონერი ვალდებულია დაუბრუნოს საზოგადოებას ეს ანაზღაურება. პასუხისმგებლობა ამ საკითხთან დაკავშირებით სოლიდარულად ეკისრებათ დირექტორებს და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

გამოსაშვები აქციების ოდენობა, ფასი და სახე ასახვას პოვებს საზოგადოების წესდებაში. იმ შემთხვევაში, როდესაც ახალი აქციების გამოშვებით იზრდება საზოგადოების კაპიტალი ან უქმდება განუთავსებელი აქციები, ცვლილებები შედის საზოგადოების წესდებაში.

17.1.7. კოოპერატივი

კოოპერატივი არის წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლის გადიდების მიზნით შექმნილი საზოგადოება, რომლის ამოცანაა წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება და იგი მიმართული არ არის უპირატესად მოგების მიღებაზე.

კოოპერატივებს მიეკუთვნება:

– ნედლეულის მომპოვებელი კოოპერატივები, რომლებიც ამ ფორმით ნედლეულს მოპოვებენ საკუთარი წევრებისათვის;

– სასოფლო-სამეურნეო ან სარეწაო პროდუქციის ერთობლივი გასაღების კოოპერატივები:

– სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი და სხვადასხვა საგნების დამამზადებელი და ერთობლივი ხარჯებით მათი რეალიზაციის კოოპერატივები (სასოფლო-სამეურნეო და საწარმოო კოოპერატივები);

– მასობრივი მოხმარების საქონლის საბითუმო წესით შემძენი და საცალო ვაჭრობით მათი რეალიზაციო კოოპერატივები;

– სასოფლო-სამეურნეო წარმოების ან სარეწებისათვის აუცილებელი მატერიალურ – ტექნიკური რესურსების შეძენა – წარმოებისა და მათი ერთობლივი გამოყენების კოოპერატივები;

– სასოფლო-საკრედიტო კოოპერატივები;

– არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები – საკრედიტო კავშირები;

– სამომხმარებლო (მრავალდარგოვანი) კოოპერატივები, რომელთა სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური საფუძვლები რეგულირდება "სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ" საქართველოს კანონით.

კოოპერატივი თავისი ვალდებულებების გამო კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს მხოლოდ თავისი ქონებით.

კოოპერატივის წევრის მინიმალური პაის ოდენობას განსაზღვრავენ დამფუძნებლები. კოოპერატივის ერთ წევრს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე პაი.

განცხადება არაორაზროვნად უნდა ასახავდეს კოოპერატივის წევრის ვალდებულებას, რომ იგი წესდების შესაბამისად შეიტანს დადგენილ შესატანს (პაის). თუ წესდებით განსაზღვრულია, რომ კოოპერატივის წევრებმა შეუზღუდავად ან შეზღუდულად საგარანტიო თანხის ოდენობით დამატებითი შესატანები უნდა შეიტანონ, მაშინ განცხადებაში უნდა აღინიშნოს, რომ კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად წევრად შემსვლელები გადაიხდიან დამატებით შესატანს შეუზღუდავად ან წესდებაში დათქმულ საგარანტიო თანხამდე ოდენობით.

ყოველ წევრს აქვს კოოპერატივიდან გასვლის უფლება ამის შესახებ განცხადების საფუძველზე. კოოპერატივიდან გასვლის წესი და პროცედურა განისაზღვრება წესდებით.

კოოპერატივის წევრს შეუძლია ნებისმიერ დროს სამეურნეო წლის განმავლობაშიც თავისი პაი წერილობითი შეთანხმებით გადასცეს სხვა პირს და ამით გამოვიდეს კოოპერატივიდან საბოლოო ანგარიშსწორების გარეშე, თუ პრეტენდენტი მის მაგივრად ხდება ან უკვე არის კოოპერატივის წევრი.

წესდება (პარტნიორთა შეთანხმება) შეიძლება კრძალავდეს ან დამატებით პირობებს უდგენდეს ამგვარ გადაცემას. გამგეობამ ეს შეთანხმება დაუყოვნებლივ უნდა წარუდგინოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრს.

კოოპერატივის წევრის გარდაცვალებისას წევრობა გადადის მის მემკვიდრეებზე. წევრობა მთავრდება იმ სამეურნეო წლის დასრულებით, როცა მოხდა სამკვიდროს გახსნა. რამდენიმე მემკვიდრეს შეუძლია საერთო კრებაზე ხმის უფლება განახორციელოს ერთი საერთო წარმომადგენლის მეშვეობით.

წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ კოოპერატივის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში კოოპერატივის წევრი გახდება მისი მემკვიდრე. წესდებით წევრობის გაგრძელება შეიძლება დამოკიდებული გახდეს უფლებამონაცვლის პიროვნულ ფაქტორებზე. რამდენიმე მემკვიდრის მიერ მემკვიდრეობის მიღების შემთხვევაში შეიძლება ასევე გათვალისწინებული იყოს, რომ წევრობა შეწყდება, თუ იგი არ გადაეცემა ერთ-ერთ მემკვიდრეს წესდებით დადგენილ ვადებში.

კოოპერატივს ჰყავს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც შედგება საერთო კრების მიერ დამსწრე ხმების უბრალო უმრავლესობით არჩეული არანაკლებ 3 და არ უმეტეს 15 წევრისაგან. წევრთა რაოდენობა განისაზღვრება წესდებით.

საერთო კრების გადაწყვეტილებით წევრებს უფლება აქვთ, საქმიანობის შედეგებიდან გამომდინარე მიიღონ განსაზღვრული გასამრჯელო.

სამეთვალყურეო საბჭო კონტროლს უწევს გამგეობას თავისი საქმეების წარმოებაში მართვის ყველა დარგში და ამ მიზნით იღებს ინფორმაციას კოოპერატივის საქმეების მიმდინარეობის შესახებ. მას შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს გამგეობისაგან ანგარიში და უშუალოდ ან მის მიერ განსაზღვრული პირების მეშვეობით შეამოწმოს საბუღალტრო წიგნები და ჩანაწერები, აგრეთვე ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის მდგომარეობა. სამეთვალყურეო საბჭომ უნდა შეამოწმოს წლიური ბალანსი, მდგომარეობის შესახებ მოხსენება და წლიური მოგების განაწილების წინადადებები. შემოწმების შედეგები მან უნდა მოახსენოს საერთო კრებას წლიური ბალანსის დამტკიცებამდე.

სამეთვალყურეო საბჭომ კანონით დადგენილი წესით უნდა მოიწვიოს საერთო კრება.

სამეთვალყურეო საბჭოს სხვა ფუნქციები შეიძლება განისაზღვროს წესდებით. საბჭოს წევრებს არა აქვთ უფლება, თავიანთი ფუნქციების შესრულება გადააბარონ სხვა პირებს.

სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია წარმოადგინოს კოოპერატივი გამგეობასთან ერთად მესამე პირთან ხელშეკრულების დადებისას და წარმართოს პროცესები კოოპერატივის წევრების წინააღმდეგ, თუ ამას დაადგენს საერთო კრება. სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა სჭირდება ყოველ კრედიტს, რომელიც მიეცემა გამგეობის რომელიმე წევრს. იგივე წესი მოქმედებს კრედიტის გაცემის შემთხვევაში გამგეობის წევრის თავდებად დადგომისას.

წლიური ანგარიშის დამტკიცებისას კოოპერატივის წევრებისათვის გათვალისწინებული სამეურნეო წლის მოგება ან ზარალი უნაწილდებათ კოოპერატივის წევრებს. პირველი სამეურნეო წლისათვის განაწილება ხდება მათ მიერ შეტანილი შენატანების პროპორციულად, ყოველი მომდევნო წლისათვის კი – მოგების მიმატებით და ზარალის ჩამოწერის გზით წინა სამეურნეო წლის ბოლოსათვის არსებული პაის საერთო თანხის პროპორციულად. მოგების მიმატება გაგრძელდება მანამ, სანამ არ იქნება მიღწეული პაის ოდენობა.

წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს მოგებისა და ზარალის განაწილების სხვა წესებს. სანამ არ მიიღწევა ზარალის გამო შემცირებული პაის ოდენობა, მოგება არ განაწილდება.

წესდება ან საერთო კრების დადგენილება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ მოგება მთლიანად ან ნაწილობრივ დაერიცხოს რეზერვს.

ამრიგად:

კოოპერატივი არის იურიდიული პირი, რომელიც იქმნება წევრთა შრომით საქმიანობაზე ან წევრთა ინტერესების დაკმაყოფილების საფუძველზე. იგი შეიძლება უპირატესად მოგების მიღებაზე არ იყოს მიმართული.

კოოპერატივი კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით.

კოოპერატივში შეიძლება გაწევრიანდნენ, როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირები ან იურიდიული პირის არმქონე პირები. კოოპერატივში გაწევრიანება ხდება პაის საფუძველზე. ერთ წევრს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე პაი. თავის მხრივ პაი არის კოოპერატივის კაპიტალში კოოპერატივის წევრის(მეპაიეს) შენატანი, რომელიც მის წევრს ანიჭებს განსაზღვრულ უფლებებს კოოპერატივის მიმართ. ამასთან, კოოპერატივის წევრის მინიმალური პაის ოდენობას განსაზღვრავენ დამფუძნებლები.

კოოპერატივიდან წევრის გამოსვლის დროს მისი აქტივები უნდა ანაზღაურდეს გასვლიდან ექვსი თვის განმავლობაში. თუ ვალების დასაფარავად საკმარისი არ არის კოოპერატივის ქონება, მაშინ კო-

ოპერატივიდან გასულმა წევრმა კოოპერატივს უნდა გადაუხადოს თავისი წილი ფულადი თანხიდან. ეს წილი იანგარიშება კოოპერატივის წევრთა რაოდენობის მიხედვით. კოოპერატივის წევრს შეუძლია თავისი პაი გადასცეს სხვა პირს და ამით გამოვიდეს კოოპერატივიდან საბოლოო ანგარიშსწორების გარეშე.

წლიური ანგარიშის დამტკიცებისას კოოპერატივის წევრებისათვის გათვალისწინებული სამეურნეო წლის მოგება ან ზარალი უნაწილდებათ კოოპერატივის წევრებს. პირველი სამეურნეო წლისათვის განაწილება ხდება მათ მიერ შეტანილი შენატანების პროპორციულად, ყოველი მომდევნო წლისათვის კი – მოგების მიმატებით და ზარალის ჩამოწერის გზით წინა სამეურნეო წლის ბოლოსათვის არსებული პაის საერთო თანხის პროპორციულად. მოგების მიმატება გაგრძელდება მანამ, სანამ არ იქნება მიღწეული პაის ოდენობა.

წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს მოგებისა და ზარალის განაწილების სხვა წესებს. სანამ არ მიიღწევა ზარალის გამო შემცირებული პაის ოდენობა, მოგება არ განაწილდება.

წესდება ან საერთო კრების დადგენილება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ მოგება მთლიანად ან ნაწილობრივ დაერიცხოს რეზერვს.

17.1.8. ამხანაგობა

ამხანაგობა არის ორი ან რამდენიმე პირის ისეთი გაერთიანება, როდესაც ეს პირები იღებენ ვალდებულებას ერთობლივად იმოქმედონ საერთო ეკონომიკური ან სხვა მიზნების მისაღწევად. ამ პირებს შორის იდება ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება. ამხანაგობა არ წარმოადგენს იურიდიულ პირს.

ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს წერილობით ან ზეპირად. თუ ხელშეკრულება დადებულია წერილობით, მაშინ იგი უნდა შეიცავდეს: მონაწილეთა დასახელებასა და მისამართს; მონაცემებს ერთობლივი საქმიანობის სახეობისა და მიზნის შესახებ; მონაწილეთა უფლებებსა და მოვალეობებს; მართვის ორგანოთა სტრუქტურასა და ფუნქციებს; მონაწილეთა შორის შემოსავლებისა და ზიანის განაწილების წესსა და პირობებს; ხელშეკრულებიდან გასვლის წესს; საქმიანობის ხანგრძლივობას; ხელშეკრულების მოშლისა და დარჩენილი ქონების განაწილების წესს.

მონაწილეებმა უნდა შეიტანონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესატანები. თუ ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული შესატანის ოდენობა, თითოეული მონაწილე მოვალეა შეიტანოს იგი თანაბრად. შესატანი შეიძლება შეტანილ იქნეს როგორც ქონებით, ასევე მომსახურების გაწევით.

თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, შესატანები წარმოადგენს მონაწილეთა საერთო საკუთრებას. მონაშილეთა საერთო საკუთრებას შეადგენს ისიც, რაც შეძენილია საერთო საკუთრებაში არსებული უფლების საფუძველზე, ანდა მიღებულია ანაზღაურების სახით საერთო ქონების განადგურების, დაზიანების ან ამოღების გამო.

ნილი ქონების ან უფლების სახით არ შეიძლება გადაეცეს მესამე პირს ხელშეკრულების სხვა მონაწილეთა თანხმობის გარეშე. უარი თანხმობაზე დაიშვება მხოლოდ პატივსადები მიზეზის არსებობისას. ხელშეკრულების დანარჩენ მონაწილეებს აქვთ მესამე პირისათვის გადასაცემი წილის უპირატესი შესყიდვის უფლება.

თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, ხელშეკრულების მონაწილეები ერთობლივად უძღვებიან საქმეებს და წარმოადგენენ ამხანაგობას მესამე პირებთან ურთიერთობაში. ყოველი გარიგების დადებისას საჭიროა ხელშეკრულების ყველა მონაწილის თანხმობა. თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს, რომ გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისია ხმათა უმრავლესობა, იგი განისაზღვრება ხელშეკრულების მონაწილეთა საერთო რაოდენობის მიხედვით, და არა შესატანის ოდენობით.

თუ საქმეების მართვა ხელშეკრულებით დაკისრებული აქვს ერთობლივი საქმიანობის ერთ ან რამდენიმე მონაწილეს ისე, რომ თითოეულს უფლება აქვს იმოქმედოს დამოუკიდებლად, მაშინ თითოეულ მათგანს შეუძლია შეედავოს მეორეს გარიგების დადებისას. ასეთი შედავების შემთხვევაში გარიგება არ დაიდება.

თუ ხელშეკრულებით ამხანაგობის საქმეების გაძღოლა დაკისრებული აქვს ერთერთ მონაწილეს, საეჭვოობისას ის წარმოადგენს ამხანაგობას მესამე პირებთან ურთიერთობაში და მის მიერ დადებული გარიგებები ნამდვილია.

ერთობლივი საქმიანობის მონაწილეს შეიძლება ჩამოერთვას საქმეების მართვის უფლებამოსილება ხმათა უმრავლესობით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი უხეშად დაარღვევს ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს. ხელშეკრულების მონაწილეს უფლება აქვს უარი თქვას საქმეების

მართვაში მონაწილეობაზე. ასეთ პირს შეუძლია გამგეობას ნებისმიერ დროს მოსთხოვოს მისთვის საჭირო ინფორმაცია.

თუ ხელშეკრულებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ხელმძღვანელი პირების უფლება-მოვალეობები განისაზღვრება დავალების წესების შესაბამისად.

თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, შემოსავლები მონაწილეებს შორის ნაწილდება მათი წილის შესაბამისად. თითოეულ მონაწილეს უფლება აქვს მოსთხოვოს ყოველ მონაწილეს ერთობლივი საქმიანობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

ერთობლივი საქმიანობის მონაწილეთა ის მოთხოვნები ერთმანეთის მიმართ, რომლებიც გამომდინარეობს ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებიდან, არ შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს.

ხელშეკრულების მონაწილეები ერთობლივი საქმიანობიდან წარმოშობილი ვალებისათვის პასუხს აგებენ სოლიდარულად. ერთმანეთთან ურთიერთობაში პასუხისმგებლობის ოდენობა განისაზღვრება მონაწილეთა წილის შესაბამისად, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

ერთობლივი საქმიანობის მონაწილეები ვალდებულნი არიან არ გაახმაურონ ამ საქმიანობის შედეგად მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია.

თუ ხელშეკრულება პირდაპირ არ განსაზღვრავს ერთობლივი საქმიანობის ვადას, ყოველ მონაწილეს ნებისმიერ დროს შეუძლია უარი თქვას ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეობაზე. ხელშეკრულებიდან გასვლა დაუშვებელია ისეთ დროს ან ისეთ გარემოებაში, რომელიც საზიანო იქნება ერთობლივი საქმიანობისათვის.

თუ მონაწილეთა შეთანხმებით განსაზღვრულია ერთობლივი საქმიანობის ვადა, ხელშეკრულებიდან გასვლა დაიშვება მხოლოდ პატივსადები მიზეზების არსებობისას.

ერთ-ერთი მონაწილის გასვლა იწვევს ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტას. ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს ერთ-ერთი მონაწილის გასვლას ერთობლივი საქმიანობის შეუწყვეტლად. ასეთ შემთხვევაში გამსვლელი მონაწილის წილი ნაწილდება სხვა მონაწილეებს შორის. გამსვლელ მონაწილეს წილის კომპენსაცია მიეცემა ფულადი სახით. ამასთან, მხედველობაში მიიღება გასვლის დროისათვის შეუსრულებელი გარიგებები. თუ გასვლის მომენტისათვის საერთო ქონება ვეღარ ფარავს საერთო ვალებს, გამსვლელი ვალდებულია დანარჩენ მონაწილეებს გადაუხადოს თავისი წილის შესაბამისი თანხა. გამსვლელის ვალდებულება გასვლის მომენტში არსებული კრედიტორების წინაშე უცვლელია. ბათილია შეთანხმება, რომელიც აუქმებს ან ზღუდავს ხელშეკრულებიდან მონაწილის გასვლის უფლებას.

ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტის საფუძვლებია: ერთობლივი საქმიანობის შეთანხმებული ვადის გასვლა; მონაწილეთა გადაწყვეტილება; ერთობლივი საქმიანობის ქონებაზე გაკოტრებო საქმის წარმოების გახსნა; ერთობლივი საქმიანობის მიზნების განხორციელების შეუძლებლობა.

თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტის საფუძვლებია აგრეთვე: ხელშეკრულების ერთ-ერთი მონაწილის გარდაცვალება; ერთ-ერთი მონაწილის ქონებაზე გაკოტრებო საქმის წარმოების გახსნა; ხელშეკრულების მოშლა.

ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტისას უნდა დამთავრდეს ჯერ კიდევ შეუსრულებელი გარიგებები, შედგეს საინვენტარიზაციო ნუსხა, ხოლო დარჩენილი ქონება განაწილდეს მონაწილეებს შორის მათი წილის შესაბამისად.

ქონების განაწილებისას უნდა დაიფაროს ერთობლივი საქმიანობის დროს წარმოშობილი ვალები. თუ ქონება საკმარისი არ არის ვალების დასაფარავად, ხელშეკრულების მონაწილეები ვალდებულნი არიან გაისტუმრონ ვალები თავიანთი წილის შესაბამისად.

იურიდიული პირის დაფუძნების გარეშე ერთზე მეტი პირის საკუთრების ან/და ერთობლივი საქმიანობის ბაზაზე ამხანაგობის ან სხვა მსგავსი წარმონაქმნის თანამფლობელობის შემთხვევაში დასაბეგრი მოგება (შემოსავალი) მიეკუთვნება მათ მფლობელებს (წევრებს) წილის შესაბამისად და ჩაირთვება მათ ერთობლივ შემოსავალში.

ამხანაგობა ვალდებულია ყოველი კონკრეტული საგადასახადო წლის მიხედვით განსაზღვროს თავისი დასაბეგრი მოგება ან ზარალი. მიუხედავად იმისა, გაანაწილებს თუ არა ამხანაგობა თავის საგადასახადო წლის დასაბეგრ მოგებას, ამხანაგობის წილის მფლობელი ვალდებულია მისთვის მიკუთვნებული დასაბეგრი მოგება შეიტანოს იმ საგადასახადო წლის თავის ერთობლივ შემოსავალში, რომელშიც ამხანაგობამ მიიღო აღნიშნული მოგება.

თუ ხდება დასაბეგრი მოგების განაწილება და დასაბეგრი მოგების შესაბამისი წილის მფლობელი არ არის საგადასახადო ორგანოში რეგისტრირებული გადასახადის გადამხდელი, ამხანაგობა ვალდებულია წყაროსთან დააკავოს გადასახადი, ხოლო ამხანაგობის წევრს უფლება აქვს, წლის განმავლობაში მიღებული ერთობლივი შემოსავლის დაბეგვრისას გადასახდელი გადასახადების თანხაში

ჩაითვალოს მისთვის წყაროსთან დაკავებული გადასახადი.

ამხანაგობის ზარალი მიეკუთვნება მის მფლობელებს წილის შესაბამისად. ამასთანავე, ამხანაგობის ზარალი მის მფლობელებზე არ ნაწილდება და მფლობელის ერთობლივი შემოსავლიდან არ გამოიქვითება.

ამხანაგობაში მფლობელის წილი ზარალი შეიძლება გამოიქვითოს მხოლოდ ამ ამხანაგობაში მისი წილი დასაბეგრი მოგების (მომავალი წლის/წლების) ხარჯზე. ზარალის გადატანა ხორციელდება დადგენილი წესით. ამასთან, ამხანაგობის ზარალი, რომელიც მიეკუთვნება მის მფლობელს, ამ მფლობელის სხვა ამხანაგობაში მონაწილეობის მოგების ხარჯზე არ გამოიქვითება.

ამხანაგობის წევრის მიერ ამხანაგობიდან ქონების გატანა (ქონების ინდივიდუალურ საკუთრებაში მიღება) ან/და მომსახურების მიღება ითვლება ამხანაგობის მიერ საბაზრო ღირებულებით ქონების მინოდებად ან/და მომსახურების გაწევად.

ამხანაგობა ვალდებულია საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით საგადასახადო ორგანოს საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე წარუდგინოს დეკლარაცია, რომელშიც მოცემული იქნება დასაბეგრი მოგების (ზარალის) ოდენობისა და მისი წევრებზე განაწილების თაობაზე ინფორმაცია.

17.1.9. ორგანიზაციები

ორგანიზაციად ითვლება: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები; საზოგადოებრივი ან რელიგიური ორგანიზაციები (გაერთიანებები); დაწესებულებები, რომლებიც შექმნილი არიან და მოქმედებენ უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად; უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი ორგანიზაციების საქართველოში არსებული ფილიალები და სხვა ანალოგიური ქვედანაყოფები, რომელთა მეშვეობითაც ისინი მთლიანად ან ნაწილობრივ ახორციელებენ საქმიანობას (რწმუნებული პირის საქმიანობის ჩათვლით); საბიუჯეტო ორგანიზაციები; საჯარო სამართლის იურიდიული პირები; კორპორაციები; დაწესებულებები; საერთაშორისო (სახელმწიფოთაშორისი, სამთავრობათაშორისო, დიპლომატიური) ორგანიზაციები – საერთაშორისო სამართლით რეგულირებული ორგანიზაციები; დიპლომატიური წარმომადგენლობები; საკონსულო დაწესებულებები; უცხოური არასამეწარმეო ორგანიზაციები.

თუ ორგანიზაცია ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, მისი ქონებისა და საქმიანობის ნაწილი, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია მის ეკონომიკურ საქმიანობასთან, ითვლება საწარმოს ქონებად და საქმიანობად, ხოლო იმ ნაწილში, სადაც ამის გამიჯვნა შეუძლებელია, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ქონებისა და საქმიანობის გამოანგარიშების მიზნით გამოიყენება ორგანიზაციის მიერ მიღებულ შემოსავალში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლის ხვედრითი წილი.

17.1.10. არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირები

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, უცხო ქვეყნის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაცია ხორციელდება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში.

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრს აწარმოებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის მოთხოვნის შემთხვევაში დაინტერესებული პირი მარეგისტრირებელ ორგანოს წარუდგენს დამფუძნებელთა/წევრთა შეთანხმებას და განცხადებას, რომელიც უნდა შეიცავდეს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით მეწარმე იურიდიული პირის რეგისტრაციისათვის დადგენილ სავალდებულო მონაცემებს. გარდა ამისა, სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში უნდა მიეთითოს: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის მიზანი; არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წევრად მიღების, წევრობიდან გასვლისა და გარიცხვის წესი, თუ იგი წევრობაზე დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირია; რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს (პირის) დასახელება, გადაწყვეტილების მიღების წესი და პროცედურა; არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელი ორგანოს (ხელმძღვანელი პირის) შექმნის (არჩევის) წესი და უფლებამოსილების ვადა.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის შეჩერების ან აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

თუ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი არსებითად გადავიდა სამეწარმეო საქმიანობაზე, სასამართლო მარეგისტრირებელი ორგანოს ან/და დაინტერესებული პირის სარჩელის საფუძველზე განიხილავს და წყვეტს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის შეჩერების ან აკრძალვის საკითხს.

სასამართლოს მიერ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მარეგისტრირებელმა ორგანომ უნდა გააუქმოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაცია.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებელი/წევრი უფლებამოსილია ერთ პირს მიანიჭოს საქმეების ერთპიროვნულად გაძღოლის უფლებამოსილება ან/და დააწესოს ორი ან ორზე მეტი პირის ერთობლივი ხელმძღვანელობა ან/და წარმომადგენლობა.

არასამეწარმეო (არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ორგანიზაციული სტრუქტურა უნდა მოწესრიგდეს მისი წესდებით (დამფუძნებელთა/წევრთა შეთანხმებით), რომელიც საჭიროებს სათანადო წესით დამოწმებას.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი თავისი წევრის (წევრების), აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მდგომარეობისაგან დამოუკიდებელია. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მისი ქონებით. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ვალდებულებებისათვის მისი წევრები, აგრეთვე მისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) პასუხს არ აგებენ. ასევე არ აგებს პასუხს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საკუთარი წევრების, აგრეთვე თავისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) ვალდებულებებისათვის.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმის შეცვლა დაუშვებელია, ხოლო გაყოფა (დაყოფა, გამოყოფა), შერწყმა (გაერთიანება, მიერთება) და ლიკვიდაცია ხორციელდება მეწარმე სუბიექტის ლიკვიდაციისათვის/ რეორგანიზაციისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირს რეგისტრაციის შესახებ განცხადებით განსაზღვრავენ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლები/წევრები. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ: გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების მიღწევას; გასხვისება ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს; ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

აკრძალულია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება მის დამფუძნებლებს/წევრებს, ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის.

თუ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებმა/წევრებმა არ განსაზღვრეს მისი ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორებიც ლიკვიდირებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს. თუ ასეთი იურიდიული პირი (პირები) არ არსებობს ან ასეთი იურიდიული პირის (პირების) გამოვლენა შეუძლებელია, შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. სასამართლომ აღნიშნული ქონება შეიძლება გაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 6 თვის შემდეგ.

სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციას ახორციელებს (ახორციელებენ) სასამართლოს მიერ დანიშნული ლიკვიდატორი (ლიკვიდატორები). აკრძალულია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიმართ სალიკვიდაციო და რეორგანიზაცი-

ასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელება მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყების მომენტიდან სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე ან სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტამდე.

17.1.11. არარეგისტრირებული კავშირი (გაერთიანება)

არარეგისტრირებული კავშირის (გაერთიანების) მოწყობისა და სტრუქტურის საკითხები განისაზღვრება მის წევრთა ურთიერთშეთანხმებით. არარეგისტრირებული კავშირი (გაერთიანება) არ არის იურიდიული პირი.

წევრთა სანევრო შესატანები და ამ შესატანებით შეძენილი ქონება შეადგენს არარეგისტრირებული კავშირის (გაერთიანების) საერთო ქონებას.

არარეგისტრირებული კავშირი (გაერთიანება) შეიძლება სასამართლოში ან სასამართლოსგარე ურთიერთობებში წარმოდგენილი იყოს თავისი წევრებით ან საამისოდ უფლებამოსილი პირებით.

კრედიტორების მოთხოვნები შეიძლება დაკმაყოფილდეს არარეგისტრირებული კავშირის (გაერთიანების) საერთო ქონებიდან. ამასთანავე, პერსონალურად და, როგორც სოლიდარული მოვალეები, პასუხს აგებენ აგრეთვე ის პირები, რომლებიც მოქმედებდნენ არარეგისტრირებული კავშირის (გაერთიანების) სახელით.

არარეგისტრირებული კავშირის საგადასახადო რეგისტრაციას ახორციელებს საგადასახადო ორგანო.

17.1.12. საბიუჯეტო ორგანიზაცია

საბიუჯეტო ორგანიზაციად ითვლება მხარჯავი დაწესებულება ან/და ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში თანხის განკარგვის უფლებამოსილების მქონე ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს საკუთარი ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, ბიუჯეტის შესრულებასა და ანგარიშგებას დადგენილი ნორმების, პროცედურებისა და წესების თანახმად.

საბიუჯეტო ორგანიზაცია შეიძლება იყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირიც და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირიც.

საბიუჯეტო ორგანიზაციის საგადასახადო რეგისტრაციას ახორციელებს საგადასახადო ორგანო.

17.1.13. საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, საკანონმდებლო და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით შექმნილი, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი შეიძლება დაფუძნებული იყოს წევრობაზე (საჯარო სამართლის კორპორაცია), ანდა შეიქმნას საჯარო ან სახელმწიფოებრივი მიზნების განსახორციელებლად გარკვეული სახელმწიფო (ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს მიერ დაფუძნების შემთხვევაში – შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის) ქონების განკერძოების გზით (დანესებულება). დანესებულებას არ ჰყავს წევრები.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი, როგორც უფლება-მოვალეობათა სუბიექტი, წარმოიშობა და იურიდიული პირის სტატუსს იძენს წესდების (დებულების) დამტკიცებისა და იურიდიული პირის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნიდან (არჩევიდან). საჯარო სამართლის იურიდიული პირის საგადასახადო რეგისტრაციას ახორციელებს საგადასახადო ორგანო.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი შეიძლება შეიქმნას: კანონით; საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით; სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში; ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით, ავტონომიური რესპუბლიკის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხ-

ების გადასაწყვეტად; ქალაქ თბილისის მთავრობის ნორმატიული აქტით, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციისთვის მიკუთვნებული საკითხების გადასაწყვეტად.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი შეიძლება ერთობლივად დააფუძნოს რამდენიმე სახელმწიფო მმართველობის ორგანომ.

დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად საჯარო სამართლის იურიდიულ პირს სახელმწიფოს (ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს მიერ დაფუძნების შემთხვევაში – შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის) მიერ გადაეცემა ქონება ან დაფუძნების აქტით განისაზღვრება მისი ქონების ფორმირების წესი.

თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქონება იქმნება შესატანების ან საწევროების ხარჯზე, დაფუძნების აქტში უნდა განისაზღვროს მათი ოდენობა და შეტანის წესი.

თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირი არსებითად გადავიდა სამეწარმეო საქმიანობაზე, შესაბამისი სახელმწიფო მმართველობის ორგანო ვალდებულია დააყენოს ამ პირის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის საკითხი.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის ლიკვიდაციას ახორციელებენ ლიკვიდატორები, რომლებსაც ნიშნავს სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანო. ლიკვიდატორი შეიძლება იყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი. ლიკვიდატორები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ლიკვიდატორების საქმიანობა შეზღუდულია ლიკვიდაციის მიზნით.

სახელმწიფო ქონების საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება გადადის სახელმწიფოს საკუთრებაში.

წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განკარგვა ხორციელდება დამფუძნებელი დოკუმენტებით დადგენილი წესით.

17.1.14. რელიგიური ორგანიზაცია

რელიგიური გაერთიანებები შეიძლება დარეგისტრირდნენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად და არასამეწარმეო(არაკომერციულ) იურიდიულ პირებად.

რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო უფლებამოსილია საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დაარეგისტრიროს საქართველოსთან ისტორიული კავშირის მქონე რელიგიური მიმდინარეობა ან ის რელიგიური მიმდინარეობა, რომელიც ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში კანონმდებლობით მიჩნეულია რელიგიად.

საჯარო სამართლის იურიდიულ პირად რეგისტრირებულ რელიგიურ გაერთიანებაზე არ ვრცელდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონი.

რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციის მიმართ მოქმედებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციისთვის დადგენილი წესი.

17.1.15. საქველმოქმედო ორგანიზაცია

საქველმოქმედო ორგანიზაციად ითვლება ორგანიზაცია, რომელსაც მინიჭებული აქვს საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი.

საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი ენიჭება ორგანიზაციას, რომელიც შექმნილია საქველმოქმედო საქმიანობის განსახორციელებლად, რეგისტრირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქვს საქველმოქმედო საქმიანობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება. დამხმარე ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც ემსახურება ორგანიზაციის ძირითად მიზნებს, არ ცვლის მის საქველმოქმედო ხასიათს.

საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მინიჭებას, გაუქმებასა და ჩამორთმევას შესაბამისი საგადასახადო ორგანოს წარდგინებით ახორციელებს შემოსავლების სამსახურის უფროსი საქართველოს ფინანსთა მინისტრთან შეთანხმებით.

საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მინიჭება ხდება ორგანიზაციის წერილობითი განცხა-

დების საფუძველზე. განცხადებაში უნდა მიეთითოს ორგანიზაციის: სახელწოდება; ორგანიზაციულ – სამართლებრივი ფორმა; ძირითადი მიზნები; ბოლო წლის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები; ხელმძღვანელი ორგანოს და ფილიალების მისამართები.

განცხადებას უნდა დაერთოს: ორგანიზაციის წესდების ასლი; სახელმწიფო ან/და საგადასახადო რეგისტრაციის მოწმობის ასლი; ბოლო წლის საქმიანობის ანგარიში, რომელიც უნდა შეიცავდეს საქმიანობის (პროექტების, მომსახურების) აღწერას; დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ დადასტურებული ბოლო წლის ფინანსური დოკუმენტები (ბალანსი და მოგება – ზარალის ანგარიში).

განცხადების თაობაზე შემოსავლების სამსახურის უფროსი 1 თვის ვადაში იღებს მოტივირებულ გადაწყვეტილებას. თუ ამ ვადაში გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული, სტატუსი მინიჭებულად ჩაითვლება. სტატუსი ენიჭება უვადოდ. სტატუსი ძალაში შედის მინიჭებისთანავე.

ორგანიზაციას, რომელსაც მიენიჭა სტატუსი, გადაეცემა სტატუსის დამადასტურებელი მოწმობა. მასში აღინიშნება: ორგანიზაციის სახელწოდება, ორგანიზაციულ – სამართლებრივი ფორმა; სტატუსი; ხელმძღვანელი ორგანოს მისამართი; სტატუსის მინიჭების თარიღი და ნომერი; ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო ნომერი.

საქველმოქმედო ორგანიზაციამ შესაბამის საგადასახადო ორგანოს ყოველი წლის 1 აპრილამდე უნდა წარუდგინოს: ბოლო წლის საქმიანობის პროგრამული ანგარიში, რომელიც უნდა შეიცავდეს საქმიანობის (მათ შორის, ეკონომიკურის) აღწერას; ფინანსური ანგარიში მიღებული შემოსავლების შესახებ, წყაროებისა და გაწეული ხარჯების მიზნობრიობის მითითებით; დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ დადასტურებული ბოლო წლის ფინანსური დოკუმენტები (ბალანსი და მოგება – ზარალის ანგარიში).

ბოლო წლის საქმიანობის პროგრამული ანგარიში და ფინანსური დოკუმენტები (ბალანსი და მოგება – ზარალის ანგარიში) უნდა გამოქვეყნდეს და ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული პირისათვის.

დაუშვებელია საქველმოქმედო ორგანიზაციის მოგებისა და აქტივების განაწილება ორგანიზაციის წევრებს, დამფუძნებლებს, გამგეობისა და კურატორიუმის წევრებს შორის. საქველმოქმედო ორგანიზაციის ლიკვიდაციის შემდეგ მისი ქონება უფლებამოსილი ორგანოს ან პირის გადაწყვეტილებით გადაეცემა მსგავსი მიზნების მქონე საქველმოქმედო ორგანიზაციას, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში – სხვა საქველმოქმედო ორგანიზაციას. საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მქონე, სახელმწიფო ქონების საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება გადადის სახელმწიფოს საკუთრებაში.

საქველმოქმედო ორგანიზაციას სტატუსი უუქმდება: ორგანიზაციის ინიციატივით; მისი ჩამორთმევის შემთხვევაში.

საქველმოქმედო ორგანიზაციას სტატუსი ჩამოერთმევა, თუ: დაარღვია ამ კოდექსის მოთხოვნები; გაუუქმდა სახელმწიფო ან/და საგადასახადო რეგისტრაცია.

კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევის გამო სტატუსის ჩამორთმევის შემთხვევაში საქველმოქმედო ორგანიზაცია ვალდებულია დააბრუნოს სტატუსიდან გამომდინარე საგადასახადო შეღავათებით მიღებული სარგებლის ის ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია აღნიშნული მოთხოვნების დარღვევასთან.

საქველმოქმედო ორგანიზაციის მიერ საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში საგადასახადო ორგანო შემოსავლების სამსახურის უფროსისთვის საქველმოქმედო ორგანიზაციისათვის სტატუსის ჩამორთმევის შესახებ წარდგინების მომზადებამდე საქველმოქმედო ორგანიზაციას უგზავნის შეტყობინებას და განუსაზღვრავს დამატებით, ერთთვიან ვადას მოთხოვნების შესასრულებლად.

საქველმოქმედო ორგანიზაციას, რომელსაც ჩამოერთვა სტატუსი, უფლება აქვს, მისი აღდგენის თაობაზე განცხადება შეიტანოს სტატუსის ჩამორთმევის მიზეზის აღმოფხვრიდან არა უადრეს 1 წლისა.

შემოსავლების სამსახური აწარმოებს საქველმოქმედო ორგანიზაციების ერთიან რეესტრს. რეესტრში შეიტანება შემდეგი მონაცემები: ორგანიზაციის სახელწოდება; ხელმძღვანელი ორგანოს, ფილიალებისა და წარმომადგენლობების მისამართები; ძირითადი მიზნები; სტატუსის მინიჭების თარიღი და ნომერი; მმართველობის უმაღლესი ორგანოს ყველა წევრის ვინაობა და მისამართები.

საქველმოქმედო ორგანიზაციების ერთიან რეესტრში შეტანილი ნებისმიერი მონაცემის ცვლილების შემთხვევაში ორგანიზაცია ვალდებულია ცვლილებისთანავე წერილობით აცნობოს შესაბამის საგადასახადო ორგანოს ამ ცვლილების შესახებ.

საქველმოქმედო ორგანიზაციების ერთიანი რეესტრი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

17.1.16. საჯარო რეესტრი. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

საჯარო რეესტრი არის ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა, ყადაღისა და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის წარმოშობის, მათში ცვლილების და მათი შეწყვეტის, ასევე უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვების წარმოშობის და მასში ცვლილების შესახებ მონაცემთა ერთობლიობა.

ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე შესაბამისი უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის წარდგენილ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით დადებული გარიგება. გარიგება ან გარიგების მონაწილე მხარეთა ხელმოწერების ნამდვილობა დამოწმებული უნდა იყოს კანონით დადგენილი წესით.

თუ გარიგების მონაწილე მხარეები გარიგებას ხელს აწერენ მარეგისტრირებელ ორგანოში უფლებამოსილი პირის თანდასწრებით, მაშინ გარიგების ნამდვილობისათვის არ მოითხოვება გარიგების ან გარიგების მონაწილე მხარეთა ხელმოწერების ნამდვილობის დამოწმება.

კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე დადებული გარიგებები ძალაში შედის ამ გარიგებებით განსაზღვრული უფლებების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც გარიგების საფუძველზე სხვა პირისაგან იძენს რომელიმე უფლებას და ეს უფლება გამსხვისებლის სახელზე იყო რეესტრში რეგისტრირებული, რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, გარდა იმ შემთხვევებისა,როცა ამ ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი, ან შემძენმა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტოა.

თუ მესაკუთრე ახდენს უძრავი ქონების გასხვისებას ან უფლებრივად დატვირთვას, დაუშვებელია გარიგების დადებისას (უფლების რეგისტრაციისას) თანამესაკუთრის თანხმობის მოთხოვნა, თუ იგი ასეთად არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში.

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან არის ამონაწერი უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრიდან, მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა რეესტრიდან ან მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრი არის უძრავ ნივთებზე უფლების, უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულებების, მათში ცვლილების და მათი შეწყვეტის, ასევე უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების მიტოვების წარმოშობის შესახებ მონაცემთა ერთობლიობა.

საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის რეესტრი არის ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე სასამართლო ან სხვა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ კანონით დადგენილი წესით დადებული ყადაღის, უფლების განკარგვის შეზღუდვისა და აკრძალვის, აგრეთვე რეგისტრაციის აკრძალვის წარმოშობის, მათში ცვლილების და მათი შეწყვეტის შესახებ მონაცემთა ერთობლიობა.

საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეესტრი არის ნივთსა (გარდა მექანიკური სატრანსპორტო საშუალებისა) და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების წარმოშობის, მასში ცვლილების და მისი შეწყვეტის შესახებ მონაცემთა ერთობლიობა.

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა რეესტრი არის მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა რეგისტრაციის, რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების და უფლების შეწყვეტის შესახებ მონაცემთა ერთობლიობა.

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრი არის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული სავალდებულო სარეგისტრაციო მონაცემების, მათში ცვლილებისა და მათი შეწყვეტის შესახებ მონაცემთა ერთობლიობა.

უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში რეგისტრირდება: საკუთრება; აღნაგობა, აღნაგობის უფლების იპოთეკით დატვირთვა; უზუფრუქტი; სერვიტუტი; იპოთეკა; ქირავნობა; ქვექირავნობა; იჯარა, ქვეიჯარა; თხოვება; ლიზინგი; საჯარო სამართლით გათვალისწინებული სარგებლობასა და მფლობელობასთან დაკავშირებული უფლებები; უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში, რეგისტრირებული უფლების შესახებ მონაცემების გარდა, ასევე შეიტანება უფლების სუბიექტისა და ობიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემები, მათ შორის, უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემები.

უძრავ ნივთზე უფლების რეგისტრაციის უზრუნველსაყოფად შეიძლება ამ უფლების წინასწარი რეგისტრაცია უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში.

უძრავ ნივთზე უფლების წინასწარი რეგისტრაცია უქმდება: იმ უფლების რეგისტრაციით, რომლის უზრუნველსაყოფადაც მოხდა წინასწარი რეგისტრაცია; ვადის გასვლით, თუ ვადა დადგენილი იყო; მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში ასევე რეგისტრირდება უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვება.

უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვების რეგისტრაცია დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საკუთრების უფლების მიტოვების რეგისტრაციის მოთხოვნის მომენტისათვის უძრავ ნივთზე, საკუთრების უფლების გარდა, სხვა რაიმე უფლება არ არის რეგისტრირებული უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში.

უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება მიტოვებულად ითვლება საკუთრების უფლების მიტოვების უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვების შემდეგ საკუთრების უფლება გადადის სახელმწიფოზე.

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა რეესტრში რეგისტრირდება: გირავნობა (გარდა ფინანსური გირაოსი); ლიზინგი; საბანკო გარანტია.

გირავნობის უფლების წარმოშობისათვის აუცილებელია ამ უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კომანდიტური საზოგადოების პარტნიორთა წილებზე გირავნობის უფლება რეგისტრირდება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში.

ზემოაღნიშნული ფინანსური გირაო არის ფინანსური ინსტრუმენტები ან ანგარიშზე რიცხული ფულადი სახსრები, რომლებიც გამოყენებულია მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად.

ფინანსური გირაო გამოიყენება იურიდიულ პირებს შორის დადებულ ყველა სახის ფინანსური გირაოს ხელშეკრულებაზე, რომელშიც გირავნობის საგანი არის საქართველოში გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტი ან/და ფულადი სახსრები.

ფინანსური გირაოს ხელშეკრულების მხარე შეიძლება იყოს მხოლოდ საქართველო, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო, საქართველოს ეროვნული ბანკი, ანგარიშსწორების აგენტი, ოპერატორი, ფინანსური ინსტიტუტი, უცხოური ცენტრალური ბანკი, უცხოური ფინანსური ინსტიტუტი ან საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტი.

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ფინანსური გირაოს ხელშეკრულების მხარე შეიძლება ასევე იყოს ნებისმიერი იურიდიული პირი, თუ მეორე მხარე კომერციული ბანკია.

ფინანსური გირაოს დებულებები ასევე ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ, საქართველოს ეროვნული ბანკის სასარგებლოდ გირავნობით დატვირთულ მოთხოვნებზე დამგირავებლის სასესხო აქტივებისადმი.

ფინანსური გირაო შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი ტიპის ვალდებულების, მათ შორის, არსებული, სამომავლო, შესაძლო ან პირობითი ვალდებულების, უზრუნველყოფისათვის, რომელიც აქვს ან შეიძლება ჰქონდეს დამგირავებელს მოგირავნის მიმართ.

დაუშვებელია ფინანსური გირაოს საგნად იმ ფინანსური ინსტრუმენტის გამოყენება, რომელიც დაგირავებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

დაუშვებელია ფინანსური გირაოს საგნის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულების უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება.

ფინანსური გირაოს ხელშეკრულება ნამდვილია და მის მოქმედებას სადავოდ ვერ გახდიან მესამე პირები, მათ შორის, ლიკვიდატორი, გაკოტრების მმართველი და დროებითი ადმინისტრატორი, ასევე ადმინისტრაციული და სასამართლო ორგანოები, თუ ხელშეკრულება დადებულია წერილობით და მოგირავნეს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს აქვს ფინანსური გირაოს საგნის ფლობის ან კონტროლის შესაძლებლობა, რაც მოგირავნეს ან მისი სახელით მოქმედ პირს საშუალებას აძლევს, არ დაუშვას დამგირავებლის მიერ გირავნობის საგნის განკარგვა, ხოლო გირაოს ამოქმედების შემთხვევაში მოახდინოს მისი რეალიზაცია ან დაისაკუთროს ის ამ თავის დებულებების შესაბამისად.

მოგირავნე შეიძლება ფლობდეს ან/და აკონტროლებდეს ფინანსური გირაოს საგანს: თუ ფინანსური გირაოს საგანია წარმომდგენზე ფინანსური ინსტრუმენტი – მისი ფიზიკურ მფლობელობაში გადაცემით; თუ ფინანსური გირაოს საგანია რეგისტრირებული ფინანსური ინსტრუმენტი – შესაბამის რეესტრში ჩანაწერის განხორციელებით; თუ ფინანსური გირაოს საგანია ჩანაწერის სახით არსებული ფინანსური ინსტრუმენტი – მისი მოგირავნის ანგარიშზე ან მოგირავნის სახელით მოქმედ დეპოზიტართან მოგირავნის, დამგირავებლის ან მესამე პირის სახელზე გახსნილ ანგარიშზე ჩარიცხვით

და მოგირავნის ან დეპოზიტარის მიერ შესაბამისი ფორმით ფინანსურ ინსტრუმენტზე გირავნობის არსებობის აღრიცხვით; თუ ფინანსური გირაოს საგანია ანგარიშზე რიცხული ფულადი სახსრები – მათი მოგირავნის ან მისი სახელით მოქმედ ბანკში მოგირავნის, დამგირავებლის ან მესამე პირის სახელზე გახსნილ ანგარიშზე ჩარიცხვით და მოგირავნის ან მისი სახელით მოქმედი პირის მიერ შესაბამისი ფორმით ფულად სახსრებზე გირავნობის არსებობის აღრიცხვით; თუ დამგირავებელსა და მოგირავნეს შორის დადებულია რეპო შეთანხმება – მოგირავნისათვის ფინანსური გირაოს საგანზე საკუთრების უფლების გადაცემით, რეპო გარიგების პირობების შესაბამისად.

საქმიანობის შეზღუდული რეჟიმის ამოქმედება არ არის ფინანსური გირაოს ხელშეკრულების გაუქმების ან ბათილად გამოცხადების საფუძველი, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ხელშეკრულება ძალაში შევიდა ან ფინანსური გირაოს საგანი დაგირავდა რეჟიმის ამოქმედებამდე ნებისმიერ დროს ან რეჟიმის ამოქმედების დღეს, თუ მოგირავნემ არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა რეჟიმის ამოქმედების შესახებ.

ფინანსური გირაოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში ფინანსური გირაოს საგანი დამგირავებელს უბრუნდება, ან ფინანსური გირაოს ხელშეკრულების მხარეთა შეთანხმებით შეიძლება მოხდეს ვალდებულებათა ურთიერთგაქვითვა (ნეტინგი).

ფინანსური გირაოს ხელშეკრულების ნამდვილობისათვის აუცილებელი არ არის ფინანსური გირაოს რომელიმე მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაცია.

მოგირავნეს სხვა უზრუნველყოფილ კრედიტორებთან მიმართებით აქვს ფინანსური გირაოთი უზრუნველყოფილი მოთხოვნის უპირატესი და უპირობო დაკმაყოფილების უფლება.

საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის რეესტრი არის ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე სასამართლო ან სხვა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ კანონით დადგენილი წესით დადებული ყადაღის, უფლების განკარგვის შეზღუდვისა და აკრძალვის, აგრეთვე რეგისტრაციის აკრძალვის წარმოშობის, მათში ცვლილების და მათი შეწყვეტის შესახებ მონაცემთა ერთობლიობა.

ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის რეგისტრაცია გამორიცხავს ამ ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე რაიმე სხვა უფლების ან საკუთრების უფლების მიტოვების რეგისტრაციას, თუ შესაბამისი სარეგისტრაციო დოკუმენტით სხვა რამ არ არის დადგენილი.

თუ საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ სამართლებრივ აქტში პირდაპირ არ არის მითითებული უფლების შეწყვეტის რეგისტრაციის აკრძალვის შესახებ ან/და ეს უფლება არ არის საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის ობიექტი, ზემოთ განსაზღვრული შეზღუდვა არ ვრცელდება: ყადაღადადებული და განკარგვააკრძალული უძრავი ნივთის მართლზომიერი მფლობელის საკუთრების უფლების ან ყადაღადადებული ნივთისა და არამატერიალური ქონებრივი სიკეთის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იძულებითი განკარგვის შედეგად წარმოშობილი უფლების რეგისტრაციაზე; უფლების სუბიექტისა და ობიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემთა ცვლილების რეგისტრაციაზე; რეგისტრირებული უფლების (გარდა საკუთრების უფლებისა) შეწყვეტაზე.

საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლება რეგისტრირდება ნივთსა (გარდა მექანიკური სატრანსპორტო საშუალებისა) და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე.

დაუშვებელია საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების რეგისტრაცია, თუ უძრავ ნივთზე საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციის მოთხოვნის რეგისტრაციის მომენტისათვის ეს ნივთი ან არამატერიალური ქონებრივი სიკეთე სხვა პირის საკუთრებაშია.

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირდება:

ინდივიდუალური მეწარმე; შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება; სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება; კომანდიტური საზოგადოება; სააქციო საზოგადოება; კოოპერატივი; საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი; უცხო ქვეყნის საწარმოს და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალი (წარმომადგენლობა, მუდმივი დაწესებულება).

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში ასევე შეიტანება ინფორმაცია საზოგადოების პარტნიორებისა (გარდა სააქციო საზოგადოებისა) და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობის შესახებ.

მეწარმე სუბიექტის, ასევე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი და უცხო ქვეყნის საწარმოსა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალი (წამომადგენლობა, მუდმივი დაწესებულება) წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ)

იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. ასეთი სუბიექტის არსებობა დგინდება მხოლოდ ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან.

რეგისტრაციის შედეგად სუბიექტს ენიჭება უნიკალური, მუდმივი საიდენტიფიკაციო ნომერი და მისი შეცვლა დაუშვებელია, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

რეგისტრირებული მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ დაინტერესებული პირისათვის წინასწარ იყო ცნობილი ამ მონაცემების უზუსტობის შესახებ.

ინდივიდუალური მეწარმის შემთხვევაში, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის ამონაწერში აისახება: ინფორმაცია სუბიექტის სამართლებრივი ფორმის შესახებ; ინფორმაცია ინდივიდუალური მეწარმის საიდენტიფიკაციო მონაცემების/რეკვიზიტების შესახებ; ინფორმაცია რეგისტრირებული საჯაროსამართლებრივი შეზღუდვისა და საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის, ასევე მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა რეესტრში რეგისტრირებული უფლებების, მათი რეგისტრაციის თარიღისა და ფარგლების, ამ შეზღუდვისა და უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის რეკვიზიტებისა და მისი გამომცემი ორგანოს შესახებ.

იურიდიული პირის შემთხვევაში, ამონაწერში აისახება: ინფორმაცია სუბიექტის სამართლებრივი ფორმის, სახელწოდებისა და იურიდიული მისამართის შესახებ; ინფორმაცია წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების შესახებ, ასევე მათი უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ შეზღუდვის არსებობის შემთხვევაში; ინფორმაცია საწარმოს მმართველობითი ორგანოების შესახებ; შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოს შემთხვევაში, ინფორმაცია საწარმოს პარტნიორებისა და მათი წილების შესახებ; ინფორმაცია წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირების და რეგისტრირებული პარტნიორების საიდენტიფიკაციო მონაცემების/რეკვიზიტების შესახებ; ინფორმაცია რეგისტრირებული საჯაროსამართლებრივი შეზღუდვისა და საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის, მისი რეგისტრაციის თარიღისა და ფარგლების, ამ შეზღუდვის დამადასტურებელი დოკუმენტის რეკვიზიტებისა და მისი გამომცემი ორგანოს შესახებ; შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემთხვევაში, ინფორმაცია პარტნიორთა წილებზე მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა რეესტრში რეგისტრირებული უფლებების შესახებ; კომანდიტური საზოგადოების შემთხვევაში აღნიშვნა, რომელი პარტნიორია შეზღუდული და რომელი – სრული.

ამონაწერი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას სანარმოსათვის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ამონაწერი ასევე უნდა შეიცავდეს ინფორმაციას განცხადების რეგისტრაციისა და ამონაწერის მომზადების, რეგისტრირებული საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის, უფლებებისა და ვალდებულებების რეგისტრაციის თარიღისა და სარეგისტრაციო ნომრების შესახებ. ამონაწერი უნდა ასახავდეს ერთ სუბიექტზე რეგისტრირებულ მონაცემებს. ამონაწერის მოქმედების ვადა განსაზღვრელია. ამონაწერს აქვს იგივე იურიდიული ძალა, რაც საგადასახადო რეგისტრაციის მოწმობას.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში პარტნიორთა წილები გამოხატული უნდა იყოს პროცენტებში და მათი ჯამი უნდა შეადგენდეს 100 პროცენტს.

იმ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების შემთხვევაში, რომლებზეც მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში არ არის დაცული მონაცემები სანარმოში პარტნიორებისა და მათი წილობრივი მონაწილეობის შესახებ, სარეგისტრაციო და ამონაწერის გაცემასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მისაღებად, უფლებამოსილი პირების მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს მონაცემები სანარმოში პარტნიორთა და მათი წილობრივი მონაწილეობის შესახებ.

დაყოფის შედეგად შექმნილი სუბიექტები წარმოშობილად ითვლება მათი პირველადი რეგისტრაციისა და დაყოფილი სუბიექტის რეგისტრაციის გაუქმების მომენტიდან.

რეორგანიზაციის შედეგად გამყოფილი სუბიექტი წარმოშობილად ითვლება ახალი სუბიექტის რეგისტრაციისა და იმ სუბიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაციის მომენტიდან, რომლიდანაც მოხდა მისი გამოყოფა.

სუბიექტების გაერთიანებით შექმნილი სუბიექტი წარმოშობილად ითვლება გასაერთიანებელი სუბიექტების რეგისტრაციის გაუქმებისა და ახალი სუბიექტის რეგისტრაციის მომენტიდან.

სუბიექტი მიერთებულად ითვლება მისაერთებელი სუბიქტის რეგისტრაციის გაუქმებისა და იმ სუბიექტის რგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაციის მომენტიდან, რომელთანაც ხდება მიერთება.

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან უნდა შეიცავდეს: ინფორმაციას რეგისტრირებული უფლებების,

ვალდებულებებისა და შეზღუდვების, მათი სუბიექტებისა და ობიექტების, უფლების დამადასტურებელი დოკუმენტისა და მათი საიდენტიფიკაციო მონაცემების/რეკვიზიტების შესახებ; ინფორმაციას განცხადების რეგისტრაციისა და ამონაწერის მომზადების თარიღების, რეგისტრირებული უფლებებისა და ვალდებულებების რეგისტრაციის თარიღისა და სარეგისტრაციო ნომრების შესახებ; ინფორმაციას რეგისტრირებული საჯარო–სამართლებრივი შეზღუდვისა და საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის, მისი რეგისტრაციის თარიღისა და ფარგლების, ამ შეზღუდვის დამადასტურებელი დოკუმენტის რეკვიზიტებისა და მისი გამომცემი ორგანოს შესახებ.

ამონაწერი უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრიდან უნდა ასახავდეს მხოლოდ ერთ სარეგისტრაციო ობიექტზე რეგისტრირებულ მონაცემებს. უძრავი ნივთის შემთხვევაში, ერთეულ სარეგისტრაციო ობიექტად მიიჩნევა მიწის ნაკვეთი, შენობა–ნაგებობა ან შენობა–ნაგებობის ერთეული, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებულია დამოუკიდებელი უფლების ობიექტად.

ამონაწერი შესაძლებელია გაიცეს მიწის ნაკვეთზე, რომელზეც განლაგებულია რამდენიმე დამოუკიდებელი უფლების ობიექტი. ასეთ შემთხვევაში, ამონაწერი უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრიდან უნდა ასახავდეს ინფორმაციას მიწის ნაკვეთის საიდენტიფიკაციო მონაცემების, ფართობის, მიწის ნაკვეთისა და მასზე განლაგებული შენობა–ნაგებობების საკუთრების ფორმის, უფლებრივი დატვირთვისა და საჯარო–სამართლებრივი შეზღუდვის (გარდა დამოუკიდებელი უფლების ობიექტების უფლებრივი დატვირთვიდან გამომდინარე დატვირთვისა და საჯარო–სამართლებრივი შეზღუდვისა) შესახებ.

17. 2. კორპორაციული გაერთიანებების ფორმები

17.2.1 ტრესტი

ტრესტი არის სანარმოთა გაერთიანების ისეთი ფორმა, როდესაც მასში შემავალი საწარმოები კარგავენ იურიდიულ, საწარმოო და კომერციულ დამოუკიდებლობას და მათი მართვა ხორციელდება ერთი ცენტრიდან. ამასთან, ტრესტის მთლიანი მოგება ნანილდება ტრესტში საწარმოთა წილობრივი მონაწილეობის შესაბამისად. ტრესტს უწოდებენ ისეთ საწარმოთა გაერთიანებას, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია გამოშვებული პროდუქციის ერთგვაროვნებით ან ნედლეულის გადამუშავების სხვადასხვა სტადიით, საქმიანობის ერთობლივი სფეროებით. აღსანიშნავია, რომ პირველი ამერიკული ტრესტი შექმნა როკფელერმა 1879 წელს „Standart Oil" – ის სახელწოდებით.

ტრესტი საწარმოს სამართლებრივი ფორმა არ არის, თუ მას არ განვიხილავთ ამხანაგობის(თანამფლობელობის) ფორმით. საქართველოში წინა პერიოდებში არსებობდნენ სამშენებლო ტრესტები, სამტრესტი ღვინის მრეწველობაში და სხვა.

17.2.2 კონცერნი

კონცერნი ეწოდება საწარმოების საფინანსო – სამრეწველო გაერთიანებას. ამ შემთხვევაში საწარმოებს რჩებათ იურიდიული და სამეურნეო დამოუკიდებლობა. თუმცა ეს დამოუკიდებლობა შეხამებულ უნდა იქნეს კონცერნში მთავარი ფინანსური ჯგუფის ინტერესებთან. კონცერნის დროს საწარმოები აერთიანებენ საფინანსო და ეკონომიკურ რესურსებს და საბაზრო სტრატეგიებს.

კონცერნში, როგორც წესი ერთიანდებიან მრეწველობის, ტრანსპორტის, ვაჭრობის და საბანკო საქმიანობის სფეროები და ახორციელებენ ერთობლივ საქმიანობას თავიანთი ფუნქციების ნებაყოფლობითი ცენტრალიზაციის გზით.

როგორც აღვნიშნეთ, კონცერნი იურიუდიულად(ფორმალურად) დამოუკიდებელია, მაგრამ რეალურად იგი ფინანსურად დამოკიდებულია კონცერნის მმართველობით ორგანოზე. ამასთან, საფინანსო პოლიტიკა, მომარაგება, წარმოება, მარკეტინგი მთლიანად ექვემდებარება მმართველობით ორგანოს.

კონცერნი სამ სახედ შეიძლება დავყოთ: ვერტიკალური, ჰორიზონტალური და შერეული.

ვერტიკალურია ისეთი კონცერნი, რომელიც მოიცავს ციკლს – მასალების შესყიდვიდან მზა პროდუქციის დამთავრებამდე.

ჰორიზონტალურია ისეთი კონცერნი, რომელშიც გაერთიანებულია ერთგვაროვანი საქონლის მწარმოებელი საწარმოები.

შერეული კონცერნის დროს სახეზეა, როგორც ერთგვაროვანი, ასევე სხვადასხვა სახის საწარმოების ერთიანობა. მათ კონგლომერატებს უწოდებენ, რომლებსაც ცალკე განვიხილავთ.

მსხვილი კონცერნები აერთიანებენ 10-დან 100-მდე და ზოგჯერ მეტ სხვადასხვა კომპანიას.

17.2.3 კონსორციუმი

კონსორციუმი არის დამოუკიდებელი საწარმოების დროებითი გაერთიანება მნიშვნელოვანი შეკვეთების შესასრულებლად. კონსორციუმის წევრები არ კარგავენ თავიანთ იურიდიულ და სამეურნეო დამოუკიდებლობას

კონსორციუმს ჰყავს ლიდერი საწარმო, რომელთანაც შემკვეთები დებენ ხელშეკრულებას კონკრეტული პროექტის განხორციელების თაობაზე. კონსორციუმის წევრები, როგორც წესი იღებენ სოლიდარულ პასუხისმგებლობას დამკვეთების წინაშე. ამასთან, კონსორციუმის თითოეული წევრი წარადგენს თავის წილ შეთავაზებას კონსორციუმის წინაშე, რომელთა ჯამი წარადგენს კონსორციუმის შეთავაზებას დამკვეთების წინაშე.

კონსორციუმის წევრობა ნებაყოფლობითია და შესაბამისად მისგანაც გასვლა ნებისმიერ დროს შეუძლია მის წევრს. ამასთან ერთი კონსორციუმის წევრი შეიძლება იყოს პარალელურად სხვა კონსორციუმების წევრიც.

კონსორციუმის ლიდერი კოორდინაციას უწევს კონსორციუმის საქმიანობას და ამისათვის იღებს მისი წევრებისაგან გარკვეულ ანარიცხებს. ამასთან, შესაძლებელია, რომ კონსორციუმს არ ჰყავდეს ლიდერი. ეს ხდება დახურული კონსორციუმის შემთხვევაში. კერძოდ, კონსორციუმი არის ორი სახის: ღია და დახურული. ღია კონსორციუმის დროს კონსორციუმს ჰყავს ლიდერი, რომელთანაც დებს ხელშეკრულებას დამკვეთი, ხოლო დახურული კონსორციუმის დროს ლიდერი არ არსებობს, ხოლო დამკვეთი ხელსეკრულებას დებს კონსორციუმის თითოეულ წევრთან.

აღსანიშნავია, რომ კონსორციუმი, როგორც ასეთი შეიძლება იყოს, როგორც იურიდიული პირი, ასევე იურიდიული პირის არმქონე – შეთანხმების საფუძველზე შექმნილი პირი. იურიდიული პირის შემთხვევაში ის შეიძლება იყოს, მაგ. სააქციო საზოგადოება.

17.2.4 კარტელი

კარტელი არის საწარმოების კავშირი ხელშეკრულების საფუძველზე, რომლითაც დგინდება მონაწილეების სავალდებულო პირობები წარმოების მოცულობის, ფასების, ბაზარზე წილის და სხვა პირობების მიხედვით.

კარტელის წევრები ინარჩუნებენ იურიდიულ და სამეურნეო დამოუკიდებლობას. შესაბამისად, კარტელს არ აქვს, რაიმე ცალსახა მმართველობითი რგოლი. რაიმეს შესახებ შეთანხმება ხორციელდება ზეპირად საწარმოს ხელმძღვანელებს შორის, როგორც ჯენტლმენური შეთანხმება.

კარტელური შეთანხმებები ხორციელდება ერთი დარგის მიხედვით და განიხილება, როგორც ოლიგოპოლიის უკიდურესი შემთხვევა. შესაბამისად კანონმდებლობის მიხედვით კარტელური გარიგებები აკრძალულია. კარტელურ შეთანხმებას სხვანაირად შეთქმულებასაც უწოდებენ.

17.2.5 ჰოლდინგი

ჰოლდინგი არის სააქციო საზოგადოება, რომელიც თავის მხრივ ფლობს იურიდიულად დამოუკიდებელი საწარმოების საკონტროლო პაკეტებს. ჰოლდინგში შემავალი საწარმოები ხელშეკრულებებს თავისი სახელით დებენ, მაგრამ ძირითად და მნიშვნელოვან საკითხებში გადაწყვეტილებებს იღებს ჰოლდინგური კომპანია ანუ დედა კომპანია.

17.2.6 სინდიკატი

სინდიკატი ეს არის საწარმოთა ისეთი გაერთიანება, რომლის დროსაც მასში შემავალი საწარმოები ინარჩუნებენ იურიდიულ დამოუკიდებლობას, მაგრამ კარგავენ კომერციულ დამოუკიდებლობას საქონლის რეალიზაციის ასპექტით ანუ საქონლის მიწოდება და შეკვეთების განაწილება სინდიკატის წევრებს შორის ხორციელდება ცენტრალიზებულად. ამ შემთხვევაში საქონლის რეალიზაცია ხორციელდება ერთი ოფისის მეშვეობით და ეს ოფისი შეიძლება იყოს სააქციო საზოგადოება ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. სინდიკატი ისევე, როგორც გაერთიანების სხვა მონოპოლიური ფორმები მიმართულია მონოპოლიურად მაღალი მოგების მისაღებად.

17.2.7 სამრეწველო-საფინანსო ჯგუფი

სამრეწველო – საფინანსო ჯგუფი კონცერნის ნაირსახეობაა, რომელიც მოიცავს, როგორც აუცილებელ პირობას, სამრეწველო და სავაჭრო საწარმოებს შორის ბანკის არსებობას. უფრო ზუსტად სამრეწველო – საფინანსო ჯგუფი მოიცავს ერთი მხრივ ბანკებს, საფინანსო ორგანიზაციებს და საინვესტიციო ფონდებს და მეორე მხრივ იმ საწარმოებს(მათ შორის სავაჭრო საწარმოებს), რომლებიც ზემოაღნიშნული ფინანსური ინსტიტუტებიდან მოითხოვენ დაფინანსებას.

კონცერნისაგან განსხვავებით სამრეწველო – საფინანსო ჯგუფს მეთაურობს ბანკი, რომელიც განკარგავს კონცერნის ფინანსებს.

განვითარებულ ქვეყნებში სამრეწველო – საფინანსო ჯგუფები გადიან სახელმწიფო რეგისტრაციას.

17.2.8 სტრატეგიული ალიანსი

სტრატეგიული ალიანსი არის ორი ან მეტი დამოუკიდებელი საწარმოს შეთანხმება საწარმოთა სტრატეგიული რესურსების კოოპერაციის შესახებ. სტრატეგიული ალიანსები იქმნება ჰორიზონტალური თანამშრომლობის თვალსაზრისით და გარკვეული ვადით. ალიანსი, როგორც წესი, არ წარმოადგენს დამოუკიდებელ იურიდიულ პირს.

17.2.9 პული

პული არის საწარმოების ისეთი გაერთიანება, რომლის დროსაც პულის მონაწილეების მოგება „ერთ ქვაბში" იყრება და შემდეგ ნაწილდება წინასწარ დათქმული პროპორციის მიხედვით.

17.2.10 სამეურნეო ასოციაცია

სამეურნეო ასოციაცია წარმოადგენს საწარმოთა გაერთიანებას შეთანხმების საფუძველზე, რომელიც იქმნება განსაზღვრული ეკონომიკური მიზნების მისაღწევად. ასოციაციაში წევრობა საწარმოსათვის ნაკლებად შემზღუდველია, ვიდრე კონცერნში იმ თვალსაზრისით, რომ მათ შეუძლიათ, ასევე გაწევრიანდნენ სხვა გაერთიანებებში ასოციაციის სხვა მონაწილეებთან შეუთანხმებლად.

17.2.11 კონგლომერატი

კონგლომერატი არის მრავალი დარგის საწარმოების გაერთიანება ერთიანი ფინანსური კონტროლის ქვეშ, რომელიც იქმნება სხვადასხვა საწარმოების შერწყმის შედეგად. ეს იწვევს წარმოების დივერსიფიკაციას და მისი მასშტაბების ზრდას.

17. 3. კაპიტალი, აქცია, წილი

17.3.1. კაპიტალი

კაპიტალის ნორმატიული ცნება გულისხმობს საწარმოს კაპიტალის ცნებას. ზოგადად კაპიტალი „თვითმზარდი ღირებულებაა". ჩვენ საწარმოს კაპიტალი კორპორაციული ოპერაციების დაბეგვრის მიზნებიდან გამომდინარე გვაინტერესებს მისი ნორმატიული მნიშვნელობით.

კაპიტალი, როგორც ცნება, შეიძლება „დავანაწევროთ" შემდეგ ცნებებად: საწარმოს კაპიტალი, საკუთარი კაპიტალი, პარტნიორთა კაპიტალი, სარეზერვო კაპიტალი, საემისიო კაპიტალი, საწესდებო კაპიტალი. ეს უკანასკნელი ("საწესდებო კაპიტალი") საქართველოს კანონმდებლობაში 2008 წლიდან (მარტიდან) შეიცვალა ზოგადად „კაპიტალის" ცნებით. მაგ. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების საწესდებო კაპიტალს ეწოდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალი.

საწარმოს კაპიტალი უდრის საწარმოს ქონებას, საწარმოს ქონება შეადგენს საწარმოს აქტივებს, ხოლო საწარმოს აქტივები უდრის საკუთარ კაპიტალს+ვალდებულებები. სხვანაირად, რომ ვთქვათ, ვალდებულება არის კრედიტორის მოთხოვნები, ხოლო კაპიტალი არის ინვესტორის მოთხოვნები.

საკუთარი კაპიტალი უდრის ვალდებულებების დაფარვის შემდეგ საწარმოს განკარგულებაში დარჩენილ აქტივებს და იგი შედგება შემდეგი ფაქტორების ჯამისაგან: საწესდებო კაპიტალი+საემის-

იო კაპიტალი+გაუნაწილებელი მოგება(აკუმლირებული ზარალი)+გადაფასების რეზერვი.

საკუთარი კაპიტალის ზრდა შეიძლება მოხდეს ქონების ღირებულების გადაფასების ზრდით. ქონების პირვანდელი ღირებულების ზრდა იწვევს აქტივების საერთო ღირებულების ანუ საკუთარი კაპიტალის ზრდას და წარმოადგენს გადაფასების რეზერვს.

საკუთარი კაპიტალი ლაკონურად შემდეგნაირად შეიძლება გამოისახოს: საკუთარი კაპიტალი=აქტივები – ვალდებულებები(პასივები).

სანესდებო კაპიტალს დამფუძნებელთა(მესაკუთრეთა) მიერ ინვესტირებულ კაპიტალსაც უწოდებენ. იგი წარმოადგენს სანარმოს ვალდებულებებს მისი დამფუძნებლების(მესაკუთრეების) მიმართ. საწესდებო კაპიტალი შეიძლება გაიზარდოს დამფუძნებელთა მიერ დამატებითი ქონების შეტანის გზით, ქონების ღირებულების ზრდით ან საკუთარ კაპიტალში დანარჩენი შენატანების გზით.

დღეის მდგომარეობით საქართველოს კანონმდებლობაში ტერმინი „საწესდებო კაპიტალი" შეიძლება გამოყენებულ იყოს საზოგადოების დაფუძნებისას მისი კაპიტალის (შენატანების ჯამი), საზოგადოების საკუთარი კაპიტალის, საზოგადოების აქციების ნომინალური ღირებულების აქციების რაოდენობაზე ნამრავლის, სანარმოს პარტნიორთა ხმების სრული რაოდენობის მნიშვნელობით.

სარეზერვო კაპიტალი შედგება შემდეგი ფაქტორების ჯამისაგან: საემისიო კაპიტალი+ გაუნაწილებელი მოგება+მიზნობრივი დანიშნულების რეზერვები+აქტივების გადაფასების რეზერვი.

საემისიო კაპიტალი დაბეგვრის მიზნებისათვის არის სხვაობა საწარმოს მიერ აქციების პირველადი განთავსებიდან მიღებულ ან მისაღებ თანხასა და ამ აქციების ჯამურ ნომინალურ ღირებულებას შორის, აგრეთვე სამეწარმეო საზოგადოების დაფუძნებისას არაფულადი შესატანის ღირებულების მეტობა დათქმულ თანხაზე.

გაუნაწილებელი მოგება არის საწარმოს ბალანსის შედგენის თარიღისათვის დაგროვილი მოგება, რომელიც უდრის: დაგროვილი მოგება – დივიდენდები – რეზერვებში გადატანილი მოგება. გაუნაწილებელი მოგების სიდიდე გვიჩვენებს, თუ მიღებული მოგების რა თანხა იქნა რეინვესტირებული წარმოებაში. ის შეიძლება იყოს, როგორც უშუალოდ გაუნაწილებელი მოგების ასევე, სხვადასხვა რეზერვების სახით.

მიზნობრივი დანიშნულების რეზერვები იქმნება მოგებიდან სხვადასხვა მიზნებისათვის: მაგ. ძირითადი საშუალებების განახლებისათვის, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის შეძენისათვის, თანამშრომელთა სტიმულირებისათვის და სხვა.

აქტივების გადაფასების რეზერვი წარმოიქმნება აქტივების აფასების შედეგად, რითაც ადგილი აქვს კაპიტალის ზრდას. ამასთან, აქტივების აფასების შედეგად არ მიიღება ფული და შესაბამისად მოგება, რაც იმას ნიშნავს, რომ გადაფასების რეზერვი ავტომატურად ვერ განაწილდება დივიდენდის სახით. გადაფასების რეზერვის განაწილება დივიდენდის სახით შეიძლება მხოლოდ აქტივის რეალიზაციის შემდეგ.

პარტნიორთა კაპიტალი არის შეზღუდული ქონებრივი პასუხისმგებლობის არმქონე საზოგადოებებში ამ საზოგადოების წევრების კაპიტალი. ასეთი საზოგადოებებია მაგ. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება ან კომანდიტური საზოგადოება.

როდესაც სანარმოს არ ჰყოფნის საბრუნავი საშუალებები მან შეიძლება მოიზიდოს თანხები საწესდებო კაპიტალის ზრდით, რამდენადაც საწესდებო კაპტალში თანხების ან ქონების შეტანა არ იბეგრება. სხვა გზით სახსრების მოზიდვა იქნებოდა სესხი, რაც წარმოშობდა საპროცენტო ვალდებულებას, ხოლო სხვა ქონების გადაცემა საქონლის მიწოდება რომელსაც მოჰყვებოდა შესაბამისი საგადასახადო ვალდებულებები. ამასთან ბუნებრივია, რომ სანესდებო კაპიტალში შენატანიდან შეიძლება გასტუმრებულ იქნეს კრედიტორები.

სანესდებო კაპიტალი შეიძლება გაიზარდოს სამი მეთოდით: საწარმოს ქონების ხარჯზე, საწარმოს მენილეების დამატებითი შენატანების ხარჯზე და მესამე პირების შენატანების ხარჯზე.

საწარმოს ქონების ხარჯზე კაპიტალის ზრდის გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა კრება.

პარტნიორების ხარჯზე კაპიტალის ზრდის გადაწყვეტილებას იღებს ასევე პარტნიორთა კრება. ამ შემთხვევაში კაპიტალი შეიძლება გაიზარდოს, როგორც ყველა პარტნიორის შენატანით, ასევე ერთი ან რამდენიმე პარტნიორის შენატანით. იმ შემთხვევაში თუ საწარმოს დამფუძნებელი ერთი პირია – მაშინ კაპიტალის ზრდაზე გადაწყვეტილებას იღებს თვითონ.

მესამე პირების ხარჯზე კაპიტალის ზრდა ხდება ამ პირების (პირის) მიერ კაპიტალში შენატანის განხორციელებით, რომელიც იწვევს ამ პირების მიერ გარკვეული წილის ფლობას.

ყველა ზემოაღნიშნული ცვლილება რეგისტრირდება დადგენილი წესით.

საწესდებო კაპიტალი შეიძლება არა მხოლოდ გაიზარდოს არამედ შემცირდეს. შემცირების მიზეზი მაგ. შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ პარტნიორმა დათქმულ ვადაში არ შემოიტანა წილის შეს-

აბამისი აქტივი. კაპიტალი შეიძლება შემცირდეს თითოეული პარტნიორის წილის ფაქტობრივი ღირებულების შემცირების გზით, ლიკვიდაციის გზით ან საწარმოს კუთვნილი წილის ანაზღაურების გზით.

სააქციო საზოგადოების შემთხვევაში საწესდებო კაპიტალი შეიძლება შემცირდეს აქციების ან სხვა ფასიანი ქაღალდების ნომინალური ღირებულების შემცირების გზით. შემცირების მეორე გზა არის სააქციო საზოგადოების მიერ რიგი აქციონერების აქციების გამოსყიდვა.

17.3.2 კაპიტალის სტრუქტურა დაბეგვრის თვალსაზრისით მოდელიან – მილერის თეორიის მიხედვით და სუსტი კაპიტალიზაცია

კორპორაციული კაპიტალი შედგება საკუთარი და ნასესხები კაპიტალისაგან. მათ შორის ოპტიმალური თანაფარდობის საკითხები საგადასახადო დაგეგმვის თვალსაზრისით შესწავლილ იქნა ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატების მოდილიანის და მილერის მიერ და შესაბამისად კაპიტალის სტრუქტურის თეორიას მოდელიან – მილერის თეორია ეწოდება.

ამ თეორიის მიხედვით საწარმოს კაპიტალში ნასესხები კაპიტალის გარკვეული წილის არსებობა კარია საწარმოსათვის, ხოლო განსაკუთრებით დიდი ოდენობით სასესხო კაპიტალის მოზიდვა – მავნე. ამასთან, ყოველი ცალკეული საწარმოსათვის ნასესხები კაპიტალის ოპტიმალური სიდიდე არსებობს.

ზემოაღნიშნული ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე დაბეგვრის მიზნებისათვის კეთდება შემდეგი დასკვნები:

ა) მაღალრისკიანმა საწარმოებმა, რომელთა შემოსავლები მერყეობა, სასესხო კაპიტალი მცირე მასშტაბით უნდა მოიზიდონ, ვიდრე მცირერისკიანებმა. დაბალრისკიან საწარმოებს მანამ შეუძლიათ მოიზიდონ სასესხო კაპიტალი, ვიდრე ფინანსური გართულებების შესაძლო დანახარჯები არ გადაფარავს საგადასახადო სარგებელს, რომელიც დაკავშირებულია სახსრების მოზიდვასთან;

ბ) საწარმოებს, რომლებიც ფლობენ ბაზარზე რეალიზებად მატერიალურ აქტივებს, შეუძლიათ მოიზიდონ დიდი ოდენობით სასესხო კაპიტალი, ვიდრე იმ საწარმოებს, რომლებიც ძირითადად ფლობენ არამატერიალურ აქტივებს, რამდენადაც ისინი ფინანსური მდგომარეობის გართულების დროს სწრაფად უფასურდება;

გ) საწარმოს, რომელიც იხდის მოგების მაღალ გადასახადს და არ აქვს საგადასახადო შეღავათები შეუძლია აიღოს უფრო მეტი კრედიტი, ვიდრე იმ საწარმოს, რომელსაც აქვს მოგების გადასახადის დაბალი განაკვეთები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ასევე კეთდება დასკვნა, რომ საწარმოს აქციის ფასი პირდაპირ არის დამოკიდებული კაპიტალში ნასესხები საშუალებების ოდენობასთან – რაც უფრო მეტია სასესხო კაპიტალის წილი, მით მეტია აქციების ფასი. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ აქციებზე დივიდენდების გადახდა ხდება მოგების გადასახადის გადახდის შემდეგ, ხოლო კრედიტორებზე შესაბამისი თანხების გადახდა ხორციელდება იმ შემოსავლებიდან, რომელიც ჯერ არ არის დაბეგრილი. აქედან გამომდინარე სასესხო კაპიტალის ზრდას მივყავართ ინვესტორების მთლიანი შემოსავლების წილის ზრდასთან.

ზემოაღნიშნულ დასკვნას აბსტრაქტულად თუ გავიგებთ, მაშინ მივიღებთ საწინააღმდეგო დასკვნას: რაც მეტია სასესხო კაპიტალი, მით ნაკლებია აქციებზე გასაცემი დივიდენდები, რადგანაც მეტია გასაცემი საპროცენტო ხარჯები, რომელიც ამცირებს მოგებას და შესაბამისად აქციების ფასი უნდა დაეცეს. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ არსებობს ფინანსური ლევერეჯი ანუ ნასესხები საშუალებების გამოყენება ფირმის ჩვეულებრივ აქციებზე შემოსავლების გასაზრდელად, მაშინ იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ კრედიტის აღებას და მის ეფექტურად გამოყენებას მივყავართ ერთობლივი შემოსავლის და შესაბამისად მოგების ზრდისკენ, რაც საბოლოო ჯამში იწვევს აქციებზე დივიდენდების ზრდას და შესაბამისად აქციების ფასის ზრდას.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით კაპიტალის სტრუქტურის თემას სუსტი კაპიტალიზაცია ეწოდება. სუსტი კაპიტალიზაცია არის პირის მიერ აღებული ვალის თანაფარდობა პირის კაპიტალთან, როდესაც ამ პირის ვალის მისივე კაპიტალთან შეფარდება 3/1-ზე მეტია, ხოლო სალიზინგო კომპანიის შემთხვევაში – ამ კომპანიის ვალის მისივე კაპიტალთან შეფარდება 5/1-ზე მეტია.

სუსტი კაპიტალიზაციის შემთხვევაში პირის მიერ ვალზე გადახდილი ან/და გადასახდელი პროცენტები (განსხვავებული საპროცენტო განაკვეთების არსებობის შემთხვევაში – ყველაზე მაღალი საპროცენტო განაკვეთის მიხედვით) მისი ერთობლივი შემოსავლიდან არ გამოიქვითება. ამ მიზნებისათვის კაპიტალი არის: საქართველოს საწარმოსთვის: მის აქტივებსა და ვალდებულებებს შორის სხვაობას გამოკლებული ამ საწარმოს მიმართ დამფუძნებელთა ვალდებულებები, რომლებიც საწარმოს

აქტივია; უცხოური საწარმოს ან არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულებისთვის: მის აქტივებსა და ვალდებულებებს შორის სხვაობა.

სუსტი კაპიტალიზაცია არ გამოიყენება: ფინანსური ინსტიტუტების მიმართ; საწარმოს მიმართ, რომლის ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 200 000 ლარს; თუ პროცენტის ხარჯი არ აღემატება ერთობლივი შემოსავლიდან კანონმდებლობით გათვალისწინებული გამოქვითვების (პროცენტის ხარჯის გამოქვითვის გარეშე) შემდეგ დარჩენილი თანხის 20 პროცენტს; მეწარმე ფიზიკური პირის მიმართ, თუ საგადასახადო ორგანო არ დაამტკიცებს, რომ მისი ვალი სამჯერ აღემატება მის საკუთრებაში არსებული აქტივების საბაზრო ღირებულებას.

სუსტი კაპიტალიზაციის შემთხვევის განსაზღვრის მიზნით, საშუალო წლიური თანაფარდობა დგინდება, საანგარიშო პერიოდის ყოველი თვის მიხედვით, კალენდარული თვის ბოლო რიცხვისთვის პირის მიერ აღებული ვალის, ამავე დროისთვის მის კაპიტალთან შეფარდებით დადგენილი კოეფიციენტების საშუალო არითმეტიკული სიდიდით.

მაგალითი 1. საწარმოს იანვრის თვის ბოლოს აქვს:

აქტივები – ფულადი სახსრები 300,000 ლარი, სასაქონლო მარაგები 50,000 ლარი, ძირითადი საშუალებები 950,000 ლარი, საწარმოს მიმართ დამფუძნებლების ვალდებულებები 200,000 ლარი, სხვა აქტივები – 400,000 ლარი.

ვალდებულებები – ბანკისგან აღებული სესხი 1 100,000 ლარი 12%-იანი განაკვეთით, უპროცენტო სესხი A პირისგან 150,000 ლარი, სესხი საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტისგან 100,000 ლარი, სესხი B პირისგან 150,000 ლარი 20%-იანი განაკვეთით.

აქტივები:
ფულადი სახსრები .....300,000 (ლარი)
ძირითადი საშუალებები..... 950,000
სასაქონლო მარაგები..... 50,000
სხვა აქტივები..... 400,000
საწარმოს მიმართ დამფუძნებლების ვალდებულებები 200,000
სულ აქტივები..... 1,900,000
ვალდებულებები:
ბანკის ვალი..... 1 100,000
უპროცენტო სესხი..... 150,000
სესხი საერთაშორისო ფინ.ინსტიტუტისგან..... 100,000
სესხი B პირისგან 150,000
სულ ვალდებულებები.....1,500,000
სულ აქტივები..... 1,900,000
ვალდებულებები.....1,500,000
საწარმოს მიმართ დამფუძნებლების ვალდებულებები.....200,000
სუსტი კაპიტალიზაციის მიზნებისათვის კაპიტალი იანგარიშება შემდეგნაირად:
(1,900,000 – 1,500,000)–200,000 = 200,000
ვალი
ბანკის ვალი..... 1 100,000
სესხი B პირისგან 150,000
სულ ვალი.....1,250,000

(ამ ინსტრუქციის მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, არ ემატება სესხი მთავრობის მიერ დამტკიცებული სიის მიხედვით განსაზღვრული საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტისგან და უპროცენტო სესხი, რადგან მასზე არ ხორციელდება პროცენტის გადახდა)

ვალის კაპიტალთან თანაფარდობის გამოანგარიშება
საწარმოს ვალი..... 1,250,000
გაყოფილი სანარმოს კაპიტალზე.....200,000
საწარმოს ვალის კაპიტალთან თანაფარდობა..... 6,25/1

საწარმომ ანალოგიური მეთოდით დაითვალა საანგარიშო წლის თებერვლიდან დეკემბრის ჩათვლით ვალის კაპიტალთან შეფარდების მაჩვენებელი, რომელიც თვეების შესაბამისად შეადგენს შემდეგს: 6,25/1; 7,5/1; 7,5/1; 7,5/1; 7,5/1; 6,5/1; 6,5/1; 6,5/1; 4,0/1; 4,5/1; 4,5/1.

აღნიშნული კოეფიციენტების მიხედვით დათვლილი საშუალო წლიური შეფარდების მაჩვენებელი შეადგენს 6,25/1

(6,25+6,25+7,5+7,5+7,5+7,5+6,5+6,5+6,5+4,0+4,5+4,5)/12=6,25/1
1

შესაბამისად, სახეზეა სუსტი კაპიტალიზაციის შემთხვევა, რადგან პირის ვალის მისივე კაპიტალთან შეფარდება 3/1-ზე მეტია, ხოლო სალიზინგო კომპანიის შემთხვევაში – 5/1-ზე მეტია.

სუსტი კაპიტალიზაციის შემთხვევაში პირის მიერ ვალზე გადახდილი ან/და გადასახდელი პროცენტები (განსხვავებული საპროცენტო განაკვეთების არსებობის შემთხვევაში – ყველაზე მაღალი საპროცენტო განაკვეთის მიხედვით) მისი ერთობლივი შემოსავლიდან არ გამოიქვითება. ამასთანავე, აღნიშნული არ ზღუდავს პირის მიერ სუსტ კაპიტალიზაციამდე (თანაფარდობის ქვემოთ) ვალზე გადახდილი პროცენტების ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვის უფლებას.

მაგალითი 2. პირობა იგივეა, რაც პირველ მაგალითში, სადაც განხილულია სუსტი კაპიტალიზაციის შემთხვევა და შესაბამისად იზღუდება ვალზე გადასახდელი პროცენტების გამოქვითვა:

ვალის ოდენობა	ლარი	საპროცენტო განაკვეთი
ბანკის ვალი.....	1 100,000	12%
სესხი B პირისგან	150,000	20%

200,000 ლარის კაპიტალის შემთხვევაში პირს უფლება აქვს გამოქვითოს 600,000 (200 000 X 3), ხოლო სალიზინგო კომპანიას 1 000 000 (200 000 X 5) ლარის ოდენობის ვალთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი ყველაზე დაბალი საპროცენტო განაკვეთის მიხედვით.

განსახილველ შემთხვევაში ყველაზე დაბალი საპროცენტო განაკვეთი ერიცხება ბანკის ვალს – 12%.

ამდენად, პროცენტების გამოქვითვის შეზღუდვა არ გავრცელდება ბანკის ვალის ნაწილზე – 600,000, ხოლო სალიზინგო კომპანიის შემთხვევაში – 1 000 000 ლარზე დასარიცხ პროცენტზე (12%).

პროცენტების გამოქვითვის შეზღუდვა გავრცელდება:

ა) ბანკის ვალის დარჩენილ ნაწილზე – 500 000 (1 100 000 – 600 000), ხოლო სალიზინგო კომპანიის შემთხვევაში 100,000 (1 100,000 – 1 000,000) ლარზე;

ბ) მთლიანად B პირისგან მიღებულ სესხზე – 150,000 (ერიცხება ყველაზე მაღალი–20%).

აღნიშნულიდან გამომდინარე, პირი ჯამურად ვერ გამოქვითავს 650 000 ლარის ოდენობის, ხოლო სალიზინგო კომპანია 250 000 ლარის ოდენობის სესხზე დარიცხულ საპროცენტო ხარჯს.

მაგალითი 3. პირობები იგივეა რაც პირველ მაგალითში, იმ გარემოების დამატებით, რომ სუსტი კაპიტალიზაციის შემთხვევა დაფიქსირდა 2012 წლის საანგარიშო პერიოდის მიხედვით. აგრეთვე ცნობილია, რომ B წარმოადგენს არარეზიდენტ საწარმოს, რომელსაც საქართველოში არ გააჩნია მუდმივი დაწესებულება.

B საწარმოსგან აღებულ სესხზე, რომელიც შეადგენს 150 000 ლარს, 2012 საანგარიშო წლის მიხედვით დარიცხული 30 000 (150 000 X 20%) ლარის ოდენობის პროცენტის გადახდა განხორციელდა 2013 წლის 22 თებერვალს.

მოცემულ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ პროცენტის ხარჯი მიეკუთვნება 2012 წლის საანგარიშო პერიოდს, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 142-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აღნიშნული ხარჯი ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვას ექვემდებარება 2013 საანგარიშო წელს. მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ სუსტი კაპიტალიზაციის შემთხვევა დაფიქსირდა 2012 წლის საანგარიშო პერიოდის მიხედვით, საწარმო უფლებამოსილი არ არის გამოქვითოს აღნიშნულ პერიოდში წარმოშობილი პროცენტის ხარჯი (30 000 ლარი) 2013 საანგარიშო წლის ერთობლივი შემოსავლიდან.

17.3.3. აქცია

აქცია არის არამატერიალიზებული სახელობითი ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებს პარტნიორის (აქციონერის) მიმართ და აქციონერის უფლებებს სააქციო საზოგადოებაში. თავის მხრივ არამატერიალიზებული ფასიანი ქაღალდი ისეთი ფასიანი ქაღალდია, რომელიც არ არსებობს ქაღალდის ფორმით, მაგრამ არსებობს ჩანაწერის სახით ფასიანი ქაღალდების რეესტრში ან ნომინალური მფლობელების ჩანაწერებში რეგისტრირებული მესაკუთრის ან ნომინალური მფლობელის სახელზე.

სხვაგვარი განმარტებით აქცია არის საბუთი, რომელიც ადასტურებს სააქციო საზოგადოების ანუ კორპორაციის ვალდებულებებს პარტნიორის(აქციონერის) მიმართ და აქციონერის საკუთრების

უფლებას კაპიტალზე.

როგორც წესი, აქციები შეიძლება იყოს ჩვეულებრივი და პრივილეგირებული. ერთი ჩვეულებრივი აქცია უზრუნველყოფს ერთი ხმის უფლებას აქციონერთა საერთო კრებაზე, ხოლო პრივილეგირებული აქცია არ იძლევა ხმის უფლებას. პრივილეგირებული აქცია უზრუნველყოფს დივიდენდის მიღებას დადგენილი განაკვეთით. დივიდენდის ოდენობა და მიღების წესი განისაზღვრება საწარმოს წესდებით. წესდებით შეიძლება დადგინდეს განსხვავებული წესი, რომელიც უზრუნველყოფს ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციების უფლებათა სხვაგვარად განსაზღვრას.

აქციების გამომშვებები შეიძლება იყოს ღია და დახურული ტიპის სააქციო საზოგადოებები. ღია ტიპის სააქციო საზოგადოების აქციები ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის, ხოლო დახურული – პირთა ვინრო წრისათვის.

აქციათა მფლობელები საკუთრების უფლებას არეგისტრირებენ საფონდო ბირჟაზე ან დამოუკიდებელ რეგისტრატორთან.

სააქციო საზოგადოების წესდებაში დაფიქსირებული გამოსაშვები აქციების მაქსიმალური რაოდენობა წარმოადგენს გამოსაშვებად ნებადართულ აქციებს. ხშირ შემთხვევაში კორპორაციები იღებენ უფლებას აქციების უფრო მეტი რაოდენობის გამოშვებაზე, ვიდრე სჭირდებათ დაფუძნების მომენტში, რადგან ფიქრობენ მომავალში საქმიანობის გაფართოებაზე და კაპიტალის მოზიდვაზე. აქციებს, რომელთა გამოსვებაზე მოპოვებულია უფლება, ეწოდება გამოსაშვებად ნებადართული აქციები, ხოლო გაყიდულ აქციებს – გამოსვებული აქციები. აქციებს, რომელიც არ არის გამოშვებული, ეწოდება გამოსაშვები აქციები. გამოშვებული აქციები არიან ბრუნვაში და მათ ეწოდება ბრუნვაში არსებული აქციები. შესაძლებელია ბრუნვაში არსებული აქციების დაბრუნება. ასეთ აქციას დაბრუნების შემდეგ ეწოდება გამოსყიდული საკუთარი აქციები(სახაზინო) ან „პორტფელში არსებული" აქციები.

როგორც აღვნიშნეთ ორი ტიპის აქცია არსებობს: ჩვეულებრივი და პრივილეგირებული. ჩვეულებრივი აქციის მფლობელს ხმის მიცემის უფლება აქვთ, ხოლო პრივილეგირებულის – არა (თუ არ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, როდესაც წესდება ან ემისიის პროსპექტი ითვალისწინებსერთ პრივილეგირებულ აქციაზე ერთი ხმის უფლებას დივიდენდების გაუცემლობისთვის). თუმცა ჩვეულებრივი აქციის მფლობელები ხმის უფლების მოპოვებით რისკის ქვეშ აყენებენ დივიდენდის მიღებას.

სააქციო საზოგადოების დამფუძნებლები იზიდავენ კაპიტალს აქციების გაყიდვით, მაგრამ მათ არ უნდათ ხმის ანუ უფლების გადაცემა სააქციო საზოგადოების განკარგვაში. ამიტომ ისინი აქციონერებს ხმის სანაცვლოდ სთავაზობენ რიგ პრივილეგიებს ანუ პრივილეგირებულ აქციებს. ასეთი აქცია მის მფლობელს უფლებას აძლევს პირველ რიგში მიიღოს დივიდენდი წინასწარ განსაზღვრული სიდიდით, რომელიც განისაზღვრება საწესდებო ან სათანადო ემისიის პროსპექტით – დოკუმენტით, რომელიც მოიცავს ინფორმაციას აქციების მომავალი განთავსების შესახებ. საზოგადოების ლიკვიდაციის ან გაკოტრების შემთხვევაში იგი იძლევა უფლებას ქონებრივ პრეტენზიაზე, აგრეთვე კონვერტირების მოთხოვნის უფლებას სხვა ფასიანი ქაღალდებით, მაგ. ობლიგაციებით.

არსებობს შემდეგი სახის პრივილეგიები: კონვერტირებადი და არაკონვერტირებადი, დაბრუნებადი და არადაბრუნებადი და შესაბამისი სახის აქციები.

კონვერტირებადი აქცია ისეთი აქციაა, რომელიც განსაზღვრულ ვადაში შეიძლება გაიცვალოს ჩვეულებრივ აქციაზე ან სხვა ფასიან ქაღალდზე.

არაკონვერტირებადი აქცია ისეთი აქციაა, რომელიც არ ითვალისწინებს მის გაცვლას სხვა ფასიან ქაღალდებზე.

დაბრუნებადი აქცია გულისხმობს აქციის ბრუნვიდან ამოღებას გამოსყიდვის წინასწარ დადგენილ ვადაში გარკვეული პირობებით. თუ პრივილეგირებული აქცია კონვერტირებადია, აქციონერს შეუზღია ის დააბრუნოს ან გაცვალოს(ერთი სახის მეორეზე) ჩვეულებრივ აქციებზე. აქციების დაბრუნების და გაცვლის მიზეზია ის, რომ პრივილეგირებულ აქციებზე დივიდენდები უფრო მაღალია, ვიდრე ჩვეულებრივ ან სხვა სახის პრივილეგირებულ აქციებზე. ზოგიერთ შემთხვევაში საზოგადოება დაინტერესებულია უარი განაცხადოს პრივილეგირებულ აქციებზე. გამოსყიდვისას აქციონერს ეძლევა აქციის საბაზრო ფასი და გარკვეული კომპენსაცია, ხოლო აქციათა დაბალი ლიკვიდურობის ან სხვა მიზეზების გამო კანონით დადგენილია აქციათა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის წესი, რასაც სამეთვალყურეო საბჭო ასაბუთებს თავისი გადაწყვეტილებით. გამოსყიდული აქციები შეიძლება იქნეს შენახული განუსაზრვრელი დროით, ხელმეორედ გაიყიდოს ან გაუქმდეს.

არადაბრუნებადი აქცია არ ითვალისწინებს აქციის დაბრუნებას.

ზოგიერთ შემთხვევაში პრივილეგიურ აქციათა საემისიო პროსპექტში დაფიქსირებულია ის პირობები, რომელთა შესრულებაც ზრდის დივიდენდების სიდიდეს(მაგ. თუ კორპორაციის ფინანსური

შედეგები იქნება განსაკუთრებულად კარგი). ასეთ აქციებს ეწოდება მონაწილეობის პრივილეგიური აქციები.

არსებობს აქციები, რომლებსაც გააჩნიათ ჩვეულებრივი აქციების თვისებები, მაგრამ არა აქვთ მთავარი თვისება – ხმის უფლება. ისინი მიეკუთვნებიან ე. წ A კლასის აქციებს და ფაქტობრივად არიან უხმო აქციები.

ამის საპირისპიროდ არსებობს გადავადებული აქციები, რომლებიც თავიანთ მფლობელებს აძლევენ ხმის უფლებას, მაგრამ არ აძლევენ დივიდენდებზე უფლებას მანამდე, ვიდრე მოგება არ მიაღწევს გარკვეულ დონეს.

კორპორაციის პერსონალი ღებულობა ოფციონს ჩვეულებრივ აქციებზე-ეს არის არჩევანის ერთ-ერთი სახეობა, რომლის თანახმად კორპორაციის მუშაკებს ეძლევათ არჩევანის უფლება – გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეიძინონ ჩვეულებრივი აქციები წინასწარ დადგენილ ვადაში, როგორც წესი, შეღავათიან ფასებში.

აქციების შეფასება ხდება ნომინალური, გამოცხადებული, საბალანსო ან საბაზრო ფასით.

ნომინალური ფასი არის ფასი, რომელიც აღნიშნულია აქციაზე და წარმოადგენს აქციის ისტორიულ ღირებულებას. ნომინალური ფასი ასახავს საწესდებო კაპიტალის სიდიდეს ერთ აქციაზე და არ არის მისი რეალური ფასი, რადგან საწესდებო კაპიტალი ფასდება გამოსაშვებად ნებადართულ აქციათა ნომინალური ღირებულებით. როგორც წესი, ნომინალური ფასი არის სიმბოლური და ნისნავს, რომ აქცია უნდა გაიყიდოს არანაკლებ ნომინალური ღირებულებით. ნომინალურზე მაღალ ფასად აქციათა გაყიდვით მიღებული თანხით წარმოიქმნება საემისიო(დამატებითი) კაპიტალი, რომელიც არ ექვემდებარება აქციონერებს შორის განაწილებას და გამოიყენება აქციების მეორად ბაზარზე გაყიდვით მიღებული ზარალის დასაფარავად.

გამოცხადებული ფასის შემთხვევაში აქციები შესაძლებელია გამოშვებულ იქნეს ნომინალური ღირებულების გარეშე. ასეთი აქციები ფასდება დირექტორთა საბჭოს მიერ გამოცხადებული ფასით. შესაბამისად, საწესდებო კაპიტალი ფასდება გამოცხადებული ღირებულებით. გამოცხადებული ფასის ზემოთ შემოსული თანხები შეადგენს საემისიო(დამატებით) კაპიტალს. აქციების ნომინალური ან გამოცხადებული ფასი არის მათი იურიდიული ფასი, რომელიც დადგინდა კორპორაციის რეგისტრაცის დროს, მაგრამ ის არ შეესაბამება აქციების რეალურ ფასს. აქციების რეალურ ფასს ასახავს მათი საბალანსო(სააღრიცხვო) და საბაზრო ფასები.

საბალანსო(სააღრიცხვო) ფასი განისაზღვრება ბალანსის მონაცემების საფუძველზე საზოგადოების სააქციო კაპიტალის(წმინდა აქტივების) თანაფარდობით გამოშვებულ აქციათა რაოდენობასთან, ე.ი ერთი აქციის სააღრიცხვო ფასი გვიჩვენებს ერთი აქციის მფლობელთა წილს კორპორაციის საკუთარ კაპიტალში. თუ კორპორაციას აქვს ორივე სახის აქცია, ერთი აქციის სააღრიცხვო ფასის დასადგენად უნდა განვსაზღვროთ პრივილეგიურ და ჩვეულებრივ აქციონერთა კუთვნილი წილი სააქციო კაპიტალში და აქციათა შესაბამისი რაოდენობა. მხედველობაში მიიღება ასეთი დავალიანება გასაცემ დივიდენდზე, რადგან ის ზრდის პრივილეგიურ აქციონერთა საკუთრებას.

სააღრიცხვო ფასის განსაზღვრის დროს აქციების უმრავლესობა შეფასებულია ნომინალური ღირებულებით, რაც ხშირ შემთხვევაში არ შეესაბამება მათ რეალურ, მიმდინარე ფასს. ამდენად წარმოიქმნება აქციების საბაზრო ფასის დადგენის საჭიროება.

საბაზრო ფასი დგინდება ბაზარზე და დამოკიდებულია აქციის კურზე. ეს ის ფასია, რომელსაც ღია ბაზარზე იხდის ინვესტორი შემოსავლების მიღების მიზნით.

საქციო საზოგადოებამ შეიძლება რიგ შემთხვევებში თავისი აქციები გაყიდოს არაფულად აქტივებზე ან გამოიყენოს გადახდის საშუალებად. ასეთი გაყიდვები წარმოქმნიან აქციების შეფასების პრობლემას. არაფულად აქციებზე გაყიდული აქციები ფასდება აქციის მიმდინარე, საბაზრო ფასით ან აქციაზე გაცვლილი აქტივის საბაზრო ფასით. არჩევანი დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი შეფასებაა უფრო საიმედო.

აქციების გაყიდვა ხორციელდება, როგორც ჩვეულებრივი გაყიდვებით, ასევე ხელმოწერით. აქციების ხელმოწერით გაყიდვის დროს იდება კონტრაქტი სააქციო საზოგადოებასა და აქციონერებს შორის. უკანასკნელში ასახულია აქციონერთა ვალდებულება აქციათა გარკვეული რაოდენობის შესყიდვაზე, განაღდების პირობები და ვადები. განაღდება შეიძლება მოხდეს ერთჯერადად ან რამდენიმე გადახდევინებით, ზოგიერთ შემთხვევაში განვადებითაც კი. ასეთ კონტრაქტს(შეთანხმებას) ეწოდება აქციაზე ხელმოწერა, ხოლო ხელმოწერით შექმნილ კაპიტალს – ხელმოწერილი.

ზოგჯერ ხდება უფასო აქციების გამოსვება არსებულ აქციონერთათვის მათ საკუთრებაში არსებული აქციების პროპორციულად. უფასოდ აქციების გამოშვება ხდება რეზერვების, მაგ. საემისიო კაპიტალის ან გაუნაწილებელი მოგების ხარჯზე. აქციების უფასოდ გამოშვებას ეწოდება ბონუსური

ან კაპიტალიზებული ემისია, რადგან ფაქტობრივად ეს არის კომპანიის რეზერვის ნაწილის კონვერსია სააქციო კაპიტალში.

უფასოდ აქციების გამოშვების ძირითად მიზანს წარმოადგენს აქციის საბაზრო ფასის დაგდება, რადგან, როდესაც საკმაოდ მაღალია აქციის საბაზრო ფასი, არსებობს იმის საშიშროება, რომ აქციები ვერ გაიყიდება. აქციების გამოშვებით იზრდება აქციათა რიცხვი და შესაბამისად მცირდება ერთი აქციის საბაზრო ფასი.

სააქციო საზოგადოებას წესდების ან საერთო კრების გადაწყვეტილებით აქციები შეუძლია მიჰყიდოს თავის თანმშრომლებს შეღავათებით. შეთანხმებას კომპანიასა და თანამშრომლებს შორის აქციების შეღავათიანი პირობებით შესყიდვის შესახებ ეწოდება ოფციონი. ოფციონი ფასდება დღეს მოქმედ საბაზრო ფასთან ახლოს მდგომი ფასით ან მომავალში შესაძენი აქციების ფიქსირებული ფასით.

აქციების გაყიდვა თანამშრომლებზე ფიქსირებული ფასით ძირითადად გამოიყენება ნახალისების ან დაჯილდოების მიზნით. თანამშრომლებს აქციების კურსის აწევის დროს შეუძლიათ მათი შეძენა ოფციონით და საბაზრო ფასით. სხვაობა წარმოადგენს თანამშრომლებისათვის შემოსავალს და გათანაბრებულია პრემიასთან.

ზოგიერთ შემთხვევაში წინასწარ დადებული შეთანხმების თანახმად შესაძლებელია პრივილეგირებული აქციების კონვერტირება ჩვეულებრივ აქციებში განსაზღვრული ფასებით. კონვერტირების მიზანია აქციების დაბრუნება და ამოღება. კონვერტირების განსახორციელებლად სააქციო საზოგადოებას გააჩნია ჩვეულებრივი აქციების შესაბამისი რეზერვი.

ფასიანი ქაღალდების ბაზარზე აქციების საბაზრო ფასის ზრდით მცირდება მათი ლიკვიდობა (ბრუნვადობა), რითაც კორპორაციებს ხელი ეშლებათ კაპიტალზე ოპერაციების განხორციელებაში. ამიტომ კორპორაციები ცდილობენ აქციების საბაზრო ღირებულების დაწევას აქციის ნომინალური ღირებულების შეცვლით და ამას აღწევენ აქციების დანაწევრებით. აქციების დანაწევრება წარმოადგენს ბრუნვაში არსებული აქციების რიცხვის ზრდას მათი ნომინალური ან გამოცხადებული ღირებულების პროპორციული შემცირებით. აღსანიშნავია, რომ აქციების დანაწევრებით იცვლება არა ნებადართული, არამედ ბრუნვაში არსებული აქციების რიცხვი(იზრდება), ხოლო სააქციო კაპიტალის სიდიდე რჩება უცვლელი. ბრუნვაში არსებული აქციების რიცხვის ზრდით და საბაზრო ფასის შემცირების შედეგად იზრდება აქციების ბრუნვადობა და ისინი ხელმისაწვდომი ხდებიან საზოგადოების ფართო ნრისათვის.

აქციების დანაწევრება მოიცავს ცვლილებებს (შესწორებებს) სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალში აქციების ნომინალური ღირებულების შესაცვლელად: ახალი აქციების გამოშვებას (უფრო დაბალი ნომინალური ღირებულებით) და მათ გაცვლას ძველ აქციებზე (უფრო მაღალი ნომინალური ღირებულებით).

შეაძლებელია გაყიდული აქციების უკან დაბრუნება – გამოსყიდვა აქციონერებისაგან ან ყიდვა ბაზარზე. გამოსყიდული აქციები შეიძლება გაიყიდოს ხელმეორედ ან გაუქმდეს. აქციების გამოსყიდვის მიზანია: სააქციო საზოგადოების კურსის სტაბილიზება და ამაღლება; გაყიდვა ოფციონით; გადახდის საშუალებათა გამოყენება სხვა ფასიანი ქაღალდების შესყიდვის დროს; ერთ აქციაზე შემოსავლების გაზრდა; აქციათა რიცხვის შემცირებით დივიდენდების შემცირება; სხვა კომპანიების მიერ საკონტროლო პაკეტის ხელში ჩაგდების თავიდან აცილება.

აქციების გამოსყიდვით მცირდება კომპანიის საკუთარი კაპიტალი, აქტივები და ბრუნვაში არსებული აქციების რიცხვი. გამოსყიდულ აქციებს არა აქვთ ხმის, დივიდენდის მიღების, ლიკვიდაციის შემთხვევაში ქონებრივი პრეტენზიის უფლება. გამოსყიდული აქციები ფასდება მათი შეძენის ფაქტობრივი ღირებულებით, რომელიც შეიძლება იყოს ნომინალურზე მაღალი ან დაბალი. მომავალში შეიძლება გამოსყიდული აქციები კვლავ გაიყიდოს, თუ მისი გაუქმება არ არის მოთხოვნილი სამეწარმეო კანონმდებლობით, ნებისმიერ ფასად, მათ შორის, ნომინალურზე დაბალ ფასად, რაც აკრძალულია აქციების პირველი გაყიდვის დროს.

სააქციო საზოგადოებამ აქციონერებთან შეთანხმებით გამოსყიდული აქციები შეიძლება ამოიღოს(გააუქმოს) ბრუნვიდან. ასეთი ოპერაცია იწვევს კაპიტალის შემცირებას, ამიტომ ცვლილებები კაპიტალში უნდა აისახოს საზოგადოების წესდებაში.

გამოსყიდული აქციები, როგრც აღვნიშნეთ, შეიძლება შეინახონ, გააუქმონ ან გაყიდონ საბაზრო ფასით.

მეორად ბაზარზე აქციების გაყიდვით გამოსყიდულსა და ფაქტობრივად გადახდილ ფასს შორის ნარმოქმნილი სხვაობა რეგულირდება საემისიო კაპიტალით, რომელიც ნარმოიქმნა პირველად ბაზარზე აქციების ნომინალურ ფასზე მეტად გაყიდული ნამატით. თუ სააქციო საზოგადოებას არ

გააჩნია საემისიო კაპიტალი და აქცია იყიდება შეძენის ფასზე ნაკლები თანხით, ზარალი იფარება გაუნაწილებელი მოგებით.

17.3.4. წილი

წილი ანუ კაპიტალში წილი არის პირის მიერ საწარმოს მთელი კაპიტალის განსაზღვრული ნაწილის ფლობის უფლება. წილი შეიძლება არსებობდეს სააქციო საზოგადოების გარდა, ნებისმიერ იურიდიულ თუ იურიდიული პირის არმქონე პირში. სააქციო საზოგადოებაში წილის სანაცვლოდ გვაქვს აქციები, რომლებიც თავისი შინაარსით ასევე კაპიტალში განსაზღვრულ წილს წარმოადგენენ.

ვინაიდან საწესდებო კაპიტალის ცნებამ, მისი მინიმალური ოდენობის განსაზღვრის არასავალდებულობის გამო, დაკარგა გარკვეული მნიშვნელობა, იგი მოქმედი კანონმდებლობით მაინც გამოიყენება ზოგადად საწარმოს კაპიტალის მნიშვნელობით და პარტნიორთა წილების იდენტიფიცირებისათვის.

პარტნიორთა შეთანხმება წილების განაწილებაზე არის წესდება. იგი რეგისტრირდება შესაბამის რეესტრში.

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში წილზე საკუთრების უფლების წინასწარი რეგისტრაცია ხორციელდება უძრავ ნივთზე უფლების წინასწარი რეგისტრაციისათვის დადგენილი წესით.

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში ასევე რეგისტრირდება წილზე უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული ვალდებულებები, გარდა იმ ვალდებულებისა, რომელიც ექვემდებარება საჯარო რეესტრში რეგისტრაციას.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კომანდიტური საზოგადოების პარტნიორის წილზე საკუთრების უფლება და მასთან დაკავშირებული ვალდებულება წარმოშობილად, შეცვლილად ან შეწყვეტილად ითვლება მისი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

საზოგადოების დაფუძნებისას პარტნიორები უნდა შეთანხმდნენ წილების განაწილებაზე და დათქვან კაპიტალში მათი შენატანის ოდენობა. შენატანი შეიძლება იყოს მატერიალური და არამატერიალური ქონება, სამუშაოს შესრულება ან/და მომსახურების გაწევა.

თუ წესდების ცვლილება ეხება პარტნიორის ხმის უფლებას, მოგებაში/ზარალში წილს ან ლიკვიდაციისას მის უფლებებს, აღნიშნული ცვლილება მიღებული უნდა იქნეს ერთხმად, თუ წესდების შესაბამისი ნაწილით, რომელიც პარტნიორების მიერ ერთხმად იყო მიღებული, სხვა რამ არ არის დადგენილი.

თუ წესდების/პარტნიორთა შეთანხმების ცვლილება აუქმებს პარტნიორის რეგისტრირებულ უფლებას, ან მას ისეთ ვალდებულებას აკისრებს, რომელიც პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს მის რეგისტრირებულ უფლებაზე, პარტნიორის თანხმობის გარეშე ამგვარი ცვლილების შეტანა დაუშვებელია.

პარტნიორებს შეუძლიათ წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში განსაზღვრონ თითოეული პარტნიორის შენატანის შეტანის წესი და ვადა. ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში პარტნიორი, რომელმაც არ განახორციელა გადახდა, კარგავს წილს და ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებათა შედეგებსაც, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

წილები და აქციები შესაძლებელია მართვის უფლებით გადაეცეს მესამე პირებს. ასეთ შემთხვევაში მართვის უფლების გადამცემი იღებს შემოსავალს განსაზღვრული თანხის სახით.

წილებისა და აქციების მართვის უფლების გადაცემა სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული საწარმოს შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს, როგორც აუქციონის, ასევე პირდაპირი განკარგვის გზით.

წილებისა და აქციების მართვის უფლების მქონე პირს მესაკუთრესთან შეთანხმების გარეშე უფლება არა აქვს: გაასხვისოს ან უფლებრივად დატვირთოს აქციები ან წილი, ასევე მიიღოს გადაწყვეტილებები საზოგადოების ბალანსზე რიცხული ქონების განკარგვის ან უფლებრივად დატვირთვის თაობაზე.

წილობრივ საწყისებზე შექმნილი საწარმოს გაყიდვა შესაძლებელია არა მხოლოდ მისი მთელი ქონების გაყიდვით, არამედ წილების გაყიდვითაც ანუ მესაკუთრის შეცვლით. საქმე ისაა, რომ, როდესაც საწარმოს დამფუძნებლები საწარმოს კაპიტალში შეიტანენ რაიმე ქონებას წილის განსაზღვრის მიზნით, ეს ქონება წილის რეგისტრაციის მომენტიდან გადადის საწარმოს, როგორც იურიდიული პირის საკუთრებაში. ამდენად, პარტნიორების საკუთრება ხდება წილი, ხოლო საწარმოს,

როგორც იურიდიული პირის საკუთრება – პარტნიორების შენატანები კაპიტალში. შესაბამისად წილი, როგორც არამატერიალური აქტივი მის მფლობელს აძლევს შემდეგ უფლებებს: საწარმოს მოგების განანილებაში მონაწილეობის მიღების უფლება; საკუთარი წილის გაყიდვის ან დათმობის უფლება; სანარმოს ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი წმინდა აქტივების მიღების უფლება წილის პროპორციულად; საწარმოს პარტნიორობიდან გასვლის დროს წილის პროპორციული ქონების მიღების უფლება.

ზოგიერთ ქვეყანაში დაშვებულია, რომ საწარმომ, როგორც იურიდიულმა პირმა თვითონ შეიძინოს საწარმოდან გასული პარტნიორის წილი და შემდგომ გადაანაწილოს იგი პარტნიორებზე ან გაასხვისოს მესამე პირებზე. ასეთ შემთხვევაში ანგარიშობენ გამოსასყიდი წილის რეალურ ღირებულებას. იგი გადაიხდება საწარმოს წმინდა აქტივებსა და საწესდებო კაპიტალს შორის სხვაობის ხარზე. კერძოდ, წილის ნომინალური ღირებულება იყოფა საწესდებო კაპიტალზე და მიღებული თანხა მრავლდება საწარმოს წმინდა აქტივებზე. მაგ. წილის ნომინალური ღირებულება არის 50000 ლარი, საწესდებო კაპიტალი 200000 ლარი, ხოლო წმინდა აქტივები 300000 ლარი. ამ შემთხვევაში წილის რეალური ღირებულება იქნება 75000 ლარი. რაც შეეხება წმინდა აქტივების ღირებულებას იგი უდრის სანარმოს აქტივების ღირებულებას მინუს საწარმოს ვალდებულებების ღირებულება.

17. 4. საწარმოს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

17.4.1. საწარმოს რეორგანიზაციის ორგანიზაციული საკითხები

საწარმოს რეორგანიზაციის სახეებია: გარდაქმნა (სამართლებრივი ფორმის ცვლილება); შერწყმა (გაერთიანება, მიერთება); გაყოფა (დაყოფა, გამოყოფა).

პარტნიორებს შეუძლიათ ერთი სამართლებრივი ფორმის საწარმო გარდაქმნან სხვა სამართლებრივი ფორმის საწარმოდ. ასეთ შემთხვევაში შესაბამისი გადაწყვეტილებით პარტნიორთა უფლება-მოსილებები უნდა გადანაწილდეს ხელახლა, ამ სამართლებრივი ფორმისათვის დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით.

თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, სააქციო საზოგადოების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად გარდაქმნის და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სააქციო საზოგადოებად გარდაქმნის შესახებ გადაწყვეტილებების მისაღებად საჭიროა დამსწრე ხმის უფლების მქონე პარტნიორის (პარტნიორთა) ხმების 75%. ყველა სხვა შემთხვევაში აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღება ერთხმად.

საწარმოები შეიძლება შეერწყან ერთმანეთს. თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, სააქციო საზოგადოებაში, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და კოოპერატივში შერწყმის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრე ხმის უფლების მქონე პარტნიორის (პარტნიორთა) ხმების 75%. ყველა სხვა შემთხვევაში აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღება ერთხმად. შერწყმის შესახებ გადაწყვეტილებაში უნდა აღინიშნოს, ერთი საწარმო უერთდება მეორეს (მიერთება) თუ ორი საწარმო ერთიანდება ერთ ახალ საწარმოდ (გაერთიანება). შერწყმის შესახებ გადაწყვეტილებით უნდა განისაზღვროს პარტნიორთა უფლება-მოვალეობანი, თუ ისინი არ ხელმძღვანელობენ კაპიტალში მათი წილის პროპორციულობის პრინციპით. საწარმო, რომელმაც საწარმო მიიერთა, ან გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი საწარმო არის თავდაპირველი საწარმოს/საწარმოების სამართალმემკვიდრე.

საწარმო შეიძლება გაიყოს ორ ან ორზე მეტ საწარმოდ და მათ საქმიანობა გააგრძელონ, როგორც დამოუკიდებელმა საწარმოებმა, საკუთარი სამართლებრივი ფორმით. გაყოფის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება ითვალისწინებდეს გაყოფის შედეგად წარმოქმნილ საწარმოში ადრინდელი პარტნიორების წილობრივი მონაწილეობის შეცვლას. გაყოფის შედეგად წარმოქმნილი საწარმოები სოლიდარულად აგებენ პასუხს თავდაპირველი საწარმოს გაყოფამდე არსებული ვალდებულებებისათვის, ხოლო თავდაპირველი საწარმოს უფლებამონაცვლე საწარმო განისაზღვრება გაყოფის შესახებ გადაწყვეტილებით.

სუბიექტის რეორგანიზაციის დაწყების მოთხოვნის შემთხვევაში სავალდებულოა სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში მიეთითოს რეორგანიზაციის სახე და ინფორმაცია რეორგანიზაციის შედეგების შესახებ.

ვალდებულების არსებობა სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების საფუძველია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საწარმოს რეორგანიზაციით არ მცირდება კრედიტორთა დაკმაყოფილების უნარი ან არსებობს კრედიტორის თანხმობა რეორგანიზაციაზე. სახელმწიფოს მიმართ დავალიანების არსებობა სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების საფუძველი არ არის, თუ მოთხოვნილია სახელმწიფოს

50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოს რეორგანიზაცია.

შეტყობინების მიღებიდან რეორგანიზაციის პროცესის დასრულებამდე კრედიტორები უფლებამოსილი არიან საწარმოს მოსთხოვონ ნაკისრ ვალდებულებათა ვადაზე ადრე შესრულება.

17.4.2 საწარმოთა გაერთიანების ზოგადი პრინციპები

საწარმოთა გაერთიანების ძირითადი მოტივები და მიზეზები შემდეგია: საბრუნავი კაპიტალის უკმარისობა; სუსტი მენეჯმენტი; საგადასახადო ვალდებულებების სიდიდე; გაერთიანების შედეგად შეიძლება გაიზარდოს საწარმოს აქტივების ღირებულება, რამაც ამორტიზაციული ანარიცხების გზით შეიძლება გამოიწვიოს გადასახადების შემცირება; სინერგიზმი.

ზემოაღნიშნული მოტივაციებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია სინერგიზმი. ზოგადად სინერგიზმი არის რაოდენობრიობის თვისობრიობაში გადასვლის დიალექტის კანონის გამოხატულება. საწარმოთა გაერთიანების სინერგიზმის ქვეშ გაიგება ის ფაქტი, რომ ორი საწარმოს გაერთიანების შედეგად მიიღება არა მათი მექანიკური ჯამი, არამედ სხვა თვისობრიობა, რომელიც ბევრად აღემატება ორს. ეს გამოწვეულია იმით, რომ ორი საწარმოს შეერთება იწვევს მათი ორგანიზაციული, საკადრო, ფინანსური, ტექნიკური და შესაბამისი რესურსების ისეთ ეფექტურ ზრდას, რომელიც არ ძალუძს არცერთს ცალ-ცალკე. შესაბამისად, ეკონომიკური სინერგიზმის დროს ორი საწარმოს გაერთიანება, ან ოთხი საწარმოს გაერთიანება იქნება შესაბამისად შემდეგი: 1+1=3 და 2+2=5. სინერგიზმის გამოხატულებად შეიძლება ჩაითვალოს: გაერთიანებული საწარმოს შემოსავლების ზრდა მისი საქმიანობის მასშტაბების ზრდის პროპორციულად; ხარჯების შემცირება; კონკურენციის შემცირება; საქმიანი იმიჯის ზრდა; სტრატეგიული ლოგისტიკური უპირატესობების მოპოვება და სხვა.

გაერთიანება თავის მხრივ შეიძლება იყოს: ჰორიზონტალური გაერთიანება, რომლის დროსაც იქმნება ახალი საწარმო; ვერტიკალური გაერთიანება, რომლის დროსაც მცირე საწარმო შეერწყმება უფრო დიდს; გვაროვნული გაერთიანება, რომლის დროსაც ისეთი საწარმოები ერთიანდებიან, რომელთა მიერ წარმოებული საქონელი ერთმანეთთან არის ბაზარზე დაკავშირებული. მაგ. ფოტოაპარატის მწარმოებელი და ფოტოფირის მწარმოებელი საწარმოები; კონგლომერატული გაერთიანება, რომლის დროსაც ერთიანდებიან სხვადასხვა დარგის და პროფილის საწარმოები.

17.4.3. საწარმოს რედომიცილება, როგორც რეორგანიზაციის სახე

საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოს უფლება აქვს, გადაიტანოს რეგისტრაცია უცხო ქვეყანაში საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაურღვეველად, შემდეგი პირობების არსებობისას: ამ ქვეყანასთან დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებით არ არის აკრძალული საწარმოს რედომიცილება; საწარმოს წინააღმდეგ საქართველოში არ მიმდინარეობს სასამართლო დავა ან გადახდისუუნარობის საქმის წარმოება ან სისხლის სამართლის საქმის წარმოება; საწარმოს რედომიცილების დროისათვის საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიმართ არ გააჩნია საგადასახადო დავალიანება.

საქართველოში რეგისტრირებული საწარმოს რედომიცილება არის საწარმოს რეორგანიზაციის ტოლფასი და მასზე ვრცელდება საწარმოს რეორგანიზაციის მარეგულირებელი ნორმები.

17.4.4. პარტნიორის გასვლა საზოგადოებიდან

პარტნიორის საზოგადოებიდან გასვლის წესი განისაზღვრება საწარმოს წესდებით.

თუ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორი გამოთქვამს საწარმოდან გასვლის სურვილს, საწარმოს მიმართ იხსნება გადახდისუუნარობის საქმის წარმოება ან საწარმოში შედის ახალი პარტნიორი, საწარმოს მიმართ ხორციელდება საწარმოს რეორგანიზაციის შესაბამისი ღონისძიებები.

საზოგადოებიდან პარტნიორის გასვლის შემთხვევაში მისი წილი საზოგადოების ქონებაში ნაწილდება სხვა დანარჩენ პარტნიორებზე.

დანარჩენი პარტნიორები ვალდებული არიან, საზოგადოებიდან გამსვლელი პარტნიორი გაათავისუფლონ საზოგადოების ვალებისაგან და გადაუხადონ ის, რასაც იგი საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში მიიღებდა.

პარტნიორის გარდაცვალებისას ყოველ მემკვიდრეს შეუძლია გახდეს საზოგადოების პარტნიორი, თუ ეს გათვალისწინებულია საზოგადოების წესდებით, ან თუ ყველა პარტნიორი თანახმაა.

საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ ერთ ან რამდენიმე მემკვიდრეს შეუძლია გახდეს პარტნიორი. ასეთ შემთხვევაში საზოგადოებაში პარტნიორად შემსვლელი პირი ვალდებულია, სხვა მემკვიდრეებს გადაუხადოს შესაბამისი კომპენსაცია. საზოგადოების წესდება შეიძლება არ ითვალისწინებდეს კომპენსაციის ვალდებულებას.

17.4.5 რეორგანიზაციის საგადასახადო ასპექტები

რეორგანიზაციის მხარე იურიდიული პირის ან იურიდიულ პირთა მფლობელობაში არსებული ქონებისა და წილის (აქციების) ღირებულება ტოლია ამ ქონებისა და წილის (აქციების) ღირებულებისა რეორგანიზაციის განხორციელების წინ.

ქონების ან წილის (აქციების) გადაცემა რეორგანიზაციის მხარე იურიდიულ პირებს შორის არ ითვლება ქონების რეალიზაციად.

რეორგანიზაციის მხარე რეზიდენტ იურიდიულ პირში წილის (აქციების) ნებისმიერი გაცვლა წილზე (აქციებზე) სხვა იურიდიულ პირში, რომელიც ასევე ამ რეორგანიზაციის მხარეა, არ ითვლება წილის (აქციების) რეალიზაციად. ამ შემთხვევაში წილის(აქციების) ღირებულება ტოლია წილის(აქციების) თავდაპირველი ღირებულებისა.

რეორგანიზაციის მხარე იურიდიულ პირში წილის განაწილება, რაც წარმოშობს მსგავს უფლებას სხვა იურიდიულ პირში, რომელიც ასევე ამ რეორგანიზაციის მხარეა, არ არის დივიდენდი. ამ შემთხვევაში თავდაპირველი წილის (აქციების) ღირებულება ექვემდებარება გასანაწილებელ წილზე (აქციებზე) მიკუთვნებას იმ კოეფიციენტის გამოყენებით, რომელიც განისაზღვრება, როგორც თანაფარდობა განაწილებული და თავდაპირველი წილის (აქციების) საბაზრო ღირებულების განაწილების მომენტისათვის და თავდაპირველი წილის ღირებულებას შორის განაწილების შემდეგ(მაგ. მოხდა შპს – ს გაყოფა ორ იურიდიულ პირად, რომლის დროსაც მისმა ერთ-ერთმა დამფუძნებელმა მიიღო წილი გაყოფის შედეგად შექმნილ სხვა იურიდიულ პირში 50 პროცენტის ოდენობით, ხოლო შპს „ვედიდკარში" მას ჰქონდა 50 პროცენტი. წილის თავდაპირველი ღირებულება იყო 5000 ლარი, ხოლო განანილების მომენტში – 10000 ლარი. შესაბამისად კოეფიციენტი არის 10000:5000=2. ანუ წილის ღირებულება, რომელიც დივიდენდს არ წარმოადგენს 2 – ჯერ არის გაზრდილი. შესაბამისად ეს ღირებულება არ იბეგრება).

თუ საგადასახადო ორგანო არ დაამტკიცებს, რომ შერწყმის, შეძენის, მიერთების ან გაყოფის ოპერაციის მიზანი არის გადასახადების გადახდისაგან თავის არიდება, რეორგანიზაცია მოიცავს: ორი ან მეტი რეზიდენტი იურიდიული პირის შერწყმას; ხმის უფლების მქონე 50 პროცენტის ან მეტი წილისა და რეზიდენტი იურიდიული პირის პარტნიორის წილის საერთო მოცულობის ღირებულების 50 პროცენტის ან მეტის შეძენას ან მიერთებას მხოლოდ შეძენის ან მიერთების ოპერაციაში პარტნიორ მხარეთა მსგავსი უფლებებით, წილის (აქციების) სანაცვლოდ; რეზიდენტი იურიდიული პირის აქტივების 50 პროცენტის და მეტის შეძენას სხვა რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ ხმის უფლების მქონე წილის (აქციების) სანაცვლოდ, დივიდენდებთან მიმართებით პრივილეგირებული უფლების გარეშე; რეზიდენტი იურიდიული პირის გაყოფას ორ ან მეტ რეზიდენტ იურიდიულ პირად.

რეორგანიზაციის მხარედ მიიჩნევა ნებისმიერი რეზიდენტი იურიდიული პირი: რომელიც პირდაპირ არის ჩართული რეორგანიზაციაში; რომელიც უშუალოდ ფლობს რეორგანიზაციაში პირდაპირ ჩართულ რეზიდენტ იურიდიულ პირს; რომელსაც ფლობს რეორგანიზაციაში პირდაპირ ჩართული რეზიდენტი იურიდიული პირი. ამ შემთხვევაში იურიდიული პირის ფლობა გულისხმობს ამ იურიდიულ პირში ხმის უფლების მქონე წილის (აქციების) 50 პროცენტის ან მეტის და ყველა სხვა დარჩენილი წილის (აქციების) ღირებულების 50 პროცენტის ან მეტის ფლობას.

რეორგანიზაციის ზემოაღნიშნული საგადასახადო ასპექტები არ ვრცელდება იმ აქტივებზე, რომლებიც ექვემდებარება ამორტიზაციას ჯგუფური მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამორტიზაციის ერთი ნორმის მიხედვით დაჯგუფებული ჯგუფის ყველა აქტივი ერთდროულად გადაიცემა.

ამორტიზაციის ერთი ნორმის მიხედვით დაჯგუფებული ჯგუფის ყველა აქტივის შემთხვევაში მათი მიმღებისათვის აქტივების ღირებულებად ითვლება გადაცემის მომენტისათვის ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი.

ზემოაღნიშნულ ჯგუფებში იგულისხმება:

ჯგუფის ნომერი	ძირითადი საშუალებები	ამორტიზაციის ნორმა (%)
1	მსუბუქი ავტომობილები; ავტოსატრაქტორო ტექნიკა გზებზე გამოსაყენებლად; ავეჯი ოფისისათვის; სააგტომობილო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობა; სატვირთო ავტომობილები, ავტობუსები, სპეციალური ავტომობილები და ავტომისაბმელები; მანქანები და მოწყობილობა მრეწველობის ყველა დარგისათვის, სამსხმელო წარმოებისათვის; სამჭედლო – საწნეხი მოწყობილობა; სამშენებლო მოწყობილობა; სასოფლო-სამეურნეო მანქანები და მოწყობილობა.	20
2	სპეციალური ინსტრუმენტები, ინვენტარი და მოწყობილობა; კომპიუტერები, მონაცემთა დამუშავების პერიფერიული მოწყობილობები და აღჭურვილობა; ელექტრონული მოწყობილობა.	20
3	სარკინიგზო, საზღვაო და სამდინარო სატრანსპორტო საშუალებები; ძალოვანი მანქანები და მოწყობილობა; თბოტექნიკური მოწყობილობა, ტურბინული მოწყობილობა, ელექტროძრავები და დიზელგენერატორები, ელექტროგადაცემისა და კავშირგაბმულობის მოწყობილობები; მილსადენები.	8
4	შენობები, ნაგებობები.	5
5	ამორტიზებადი აქტივები, რომლებიც შეტანილი არ არის სხვა ჯგუფებში	15

დღგ-სთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ ჩათვლის უფლებით დღგ-ისგან გათავისუფლებულია აქტივების მიწოდება საწარმოს რეორგანიზაციის შემთხვევაში, ასევე აქტივების მიწოდება შესატანის სახით საწარმოს კაპიტალში ან ამხანაგობაში. ამასთანავე, ითვლება, რომ აქტივების მიწოდების საანგარიშო პერიოდის მიხედვით აქტივების მიმღებმა პირმა შესაბამის საქონელზე მიიღო ჩათვლა.

17.4.6. 1 საგადასახადო ვალდებულების შესრულება საწარმოს/ორგანიზაციის რეორგანიზაციის დროს

რეორგანიზებული საწარმოს/ორგანიზაციის საგადასახადო ვალდებულებას ასრულებს და საგადასახადო დავალიანებას გადაიხდის მისი უფლებამონაცვლე დადგენილი წესით.

რამდენიმე საწარმოს/ორგანიზაციის შერწყმისას თითოეულის საგადასახადო ვალდებულების შესრულების უფლებამონაცვლედ ითვლება შერწყმის შედეგად წარმოქმნილი საწარმო/ორგანიზაცია.

ერთი საწარმოს/ორგანიზაციის მეორე საწარმოსთან/ ორგანიზაციასთან მიერთებისას მიერთებული საწარმოს/ორგანიზაციის საგადასახადო ვალდებულების/დავალიანების შესრულების უფლებამონაცვლედ ითვლება საწარმო/ორგანიზაცია, რომელსაც მიუერთდა ეს საწარმო/ორგანიზაცია.

საწარმოს/ორგანიზაციის რამდენიმე საწარმოდ/ორგანიზაციად გაყოფისას თავდაპირველი საწარმოს/ორგანიზაციის საგადასახადო ვალდებულების/დავალიანების შესრულების უფლებამონაცვლეებად ითვლებიან გაყოფის შედეგად წარმოქმნილი საწარმოები/ორგანიზაციები.

რამდენიმე უფლებამონაცვლის არსებობისას რეორგანიზებული საწარმოს/ორგანიზაციის საგადასახადო ვალდებულების/დავალიანების შესრულებაში თითოეული მათგანის წილი განისაზღვრება გამყოფი ბალანსით ან სხვა გადამცემი აქტით. ახლად წარმოქმნილ საწარმოებს/ორგანიზაციებს ეკისრებათ სოლიდარული პასუხისმგებლობა რეორგანიზებული საწარმოს/ორგანიზაციის საგადასახადო ვალდებულების/ დავალიანების ან მისი შესაბამისი ნაწილის შესრულებისათვის.

საწარმოს/ორგანიზაციის ორგანიზაციულ – სამართლებრივი ფორმის შეცვლისას მისი საგადასახადო ვალდებულების/დავალიანების შესრულების უფლებამონაცვლედ ითვლება ასეთი რეორგანიზაციის შედეგად წარმოქმნილი საწარმო/ორგანიზაცია.

საწარმოს/ორგანიზაციის შემადგენლობიდან ერთი ან რამდენიმე საწარმოს/ორგანიზაციის გამოყოფისას გამოყოფილ საწარმოზე (საწარმოებზე)/ორგანიზაციაზე (ორგანიზაციებზე) ვრცელდება ზემოაღნიშნული ნორმები, რომელიც ეხება საწარმოს/ორგანიზაციის რამდენიმე საწარმოდ/ორგანიზაციად გაყოფის და რამდენიმე უფლებამონაცვლის არსებობისას რეორგანიზებული საწარმოს/ორგანიზაციის საგადასახადო ვალდებულების/დავალიანების შესრულებაში თითოეული მათგანის წილი

განისაზღვრის ნორმებს.

საწარმოს/ორგანიზაციის რეორგანიზაციამდე ზედმეტად გადახდილ თანხას საგადასახადო ორგანო ჩათვლის ამ საწარმოს/ორგანიზაციის უფლებამონაცვლის რეორგანიზებული საწარმოს/ორგანიზაციის მომავალ საგადასახადო ვალდებულებათა ანგარიშში საერთო თანხის პროპორციულად ან უბრუნებს უფლებამონაცვლეს/უფლებამონაცვლეებს (თითოეული მათგანის წილის შესაბამისად) დადგენილი წესით.

17.4.7. იურიდიულ პირში წილის(აქციების) სანაცვლოდ აქტივების შეტანა

პირის (პირთა) მიერ იურიდიული პირისათვის მასში 50 პროცენტის ან მეტი წილის (აქციების) სანაცვლოდ აქტივების გადაცემა (დავალიანებით ან მის გარეშე) არ არის აქტივების მიწოდება. ამ შემთხვევაში მიმღები მხარისათვის აქტივების ღირებულება იგივეა, რაც მიმწოდებელი მხარისათვის მათი ღირებულება გადაცემის მომენტისათვის, ხოლო აღნიშნული გაცვლის შედეგად მიღებული პარტნიორის წილის ღირებულება ტოლია გადაცემული აქტივების ღირებულებისა, გადაცემული (შესაბამისი) დავალიანების გამოკლებით.

ზემოაღნიშნული ნორმები არ ვრცელდება იმ აქტივებზე, რომლებიც ექვემდებარება ამორტიზაციას ჯგუფური მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამორტიზაციის ერთი ნორმის მიხედვით დაჯგუფებული ჯგუფის ყველა აქტივი ერთდროულად გადაიცემა.

ამორტიზაციის ერთი ნორმის მიხედვით დაჯგუფებული ჯგუფის ყველა აქტივის შემთხვევაში მათი მიმღებისათვის აქტივების ღირებულებად ითვლება გადაცემის მომენტისათვის ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი.

ზემოაღნიშნული არ ვრცელდება უფლებრივი ნაკლის მქონე აქტივების გადამცემზე, თუ დავალიანება აღემატება გადაცემული აქტივების ღირებულებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 489-ე მუხლის მიხედვით ნივთი უფლებრივად უნაკლოა, თუ მესამე პირს არ შეუძლია განუცხადოს მყიდველს პრეტენზია თავისი უფლებების გამო. უფლებრივ ნაკლს უთანაბრდება, თუ საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია არარსებული უფლება.

17.4.8 საწარმოს ლიკვიდაციის ორგანიზაციული საკითხები

მეწარმე იურიდიული პირის პარტნიორებს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება საწარმოს ლიკვიდაციის დაწყების შესახებ. პარტნიორებს, ასევე წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში – სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ან დირექტორს (დირექტორებს) შეუძლიათ განსაზღვრონ ის პირები, რომლებიც ახორციელებენ საწარმოს ლიკვიდაციას (ლიკვიდატორები).

პარტნიორები საერთო კრებაზე იღებენ გადაწყვეტილებას საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ, რის შემდეგაც იწყება კრედიტორთა დაკმაყოფილების პროცესი.

პარტნიორთა გადაწყვეტილება საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან. საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციის შესახებ ელექტრონულ ინფორმაციას მარეგისტრირებელი ორგანო უგზავნის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – შემოსავლების სამსახურს, რომელიც შეტყობინების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს მარეგისტრირებელი ორგანოსათვის სუბიექტის საგადასახადო ვალდებულების არსებობის რისკის თაობაზე ინფორმაციის მიწოდებას. საგადასახადო ვალდებულების არსებობის რისკის თაობაზე ინფორმაცია უნდა შეიცავდეს მითითებას საგადასახადო შემოწმების ჩატარებისა და დავალიანების არსებობის ფაქტის დადასტურების ვადის შესახებ, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს საწარმოს ლიკვიდაციის დაწყებიდან 90 დღეს. აუცილებლობის შემთხვევაში საგადასახადო შემოწმების 90-დღიანი ვადა შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ ერთხელ, არა უმეტეს ორი თვისა. ამ პუნქტით განსაზღვრული რისკის არსებობის თაობაზე ინფორმაციის მიწოდების 10 – დღიანი ვადის, ასევე ამ ინფორმაციით განსაზღვრული საგადასახადო შემოწმების ვადის გაშვების შემთხვევაში ჩაითვლება, რომ სუბიექტი საგადასახადო დავალიანების არმქონეა.

მარეგისტრირებელი ორგანო ვალდებულია საქართველოს ეროვნულ ბანკს დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მოქმედი მნიშვნელოვანი სისტემის მონაწილე საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების დარეგისტრირების თაობაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციის მოთხოვნასთან ერთად მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა წარედგინოს ინფორმაცია, რომელშიც მითითებული იქნება საწარმოს ყველა ცნობილი კრედიტორის დაკმაყოფილების ვადები. საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციისთანავე საწარმოს პარტნიორებმა საწარმოს ყველა ცნობილ კრედიტორს უნდა გაუგზავნონ წერილობითი შეტყობინება ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ, რომელშიც უნდა აღინიშნოს კრედიტორთა დაკმაყოფილების ვადები. საწარმოს ქონების რეალიზაციის დაწყებამდე საწარმო (ლიკვიდატორი) ვალდებულია ნებისმიერ პირს მოთხოვნისთანავე მიაწოდოს საწარმოს ცნობილ კრედიტორთა დაზუსტებული სია. საწარმოს შეუძლია აღნიშნული დაზუსტებული სია გამოაქვეყნოს პერიოდულ გამოცემაში ან მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებაში.

საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან არა უგვიანეს 90-ე დღისა საწარმომ (ლიკვიდატორმა) უნდა დაიწყოს ამ საწარმოს ქონების რეალიზაცია საბაზრო ფასით ან აუქციონის წესით და ამგვარი რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხები უნდა განათავსოს სასამართლოს ანდა ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე, ხოლო სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილმა საწარმომ – საწარმოს ანგარიშზე. სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმო უფლებამოსილია საწარმოს ანგარიშზე განთავსებული თანხები გამოიყენოს ლიკვიდაციის პროცესში საჭირო ხარჯების დასაფარავად. თუ პარტნიორებმა გადაწყვიტეს ქონების ნატურით გაყოფის გზით განაწილება, ისინი ვალდებული არიან საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან ნატურით გაყოფამდე საკუთარი ხარჯებით, ერთ-ერთი პარტნიორისათვის მიბარების გზით შეინარჩუნონ ქონება პირველადი სახით. სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებული თანხების ან მიბარებული ქონების პარტნიორთა შორის განაწილებამდე ამ თანხების ან ქონების განკარგვა შესაძლებელია მხოლოდ კრედიტორთა დაკმაყოფილების მიზნით. ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ წერილობითი შეტყობინების მიღებიდან ლიკვიდაციის პროცესის დასრულებამდე კრედიტორები უფლებამოსილი არიან საწარმოს მოსთხოვონ ნაკისრი ვალდებულებების ვადაზე ადრე შესრულება.

საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის განმავლობაში დაუშვებელია საწარმოს ქონების გასხვისება (გარდა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მისი რეალიზაციისა ან/და საწარმოს ქონებით კრედიტორების დაკმაყოფილებისა), დატვირთვა ან კრედიტორების საზიანოდ სხვა ქმედების განხორციელება.

საწარმოს ლიკვიდაციის პროცესი უნდა დასრულდეს საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან არა უგვიანეს 4 თვისა, ხოლო საგადასახადო შემოწმების ვადის გაგრძელების შემთხვევაში – საგადასახადო შემოწმების დასრულების შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ ინფორმაციის მიღებიდან არა უგვიანეს ერთი თვისა.

კრედიტორთა დაკმაყოფილების პროცესის დასრულების შემდეგ უფლებამოსილი პირი/პირები იღებს (იღებენ) გადაწყვეტილებას საწარმოს ლიკვიდაციის დასრულების შესახებ, რომელშიც უნდა აღინიშნოს საწარმოს ყველა ცნობილი კრედიტორის დაკმაყოფილების თაობაზე. ეს გადაწყვეტილება ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესით წარედგინება მარეგისტრირებელ ორგანოს და იგი საწარმოს რეგისტრაციის გაუქმების საფუძველია.

თუ საწარმოს რეგისტრაციის გაუქმებიდან 3 თვის განმავლობაში აღმოჩნდება, რომ ლიკვიდაციისას არ იქნა დაკმაყოფილებული საწარმოს კრედიტორთა ნაწილი, მათი დაკმაყოფილება მოხდება კანონმდებლობის შესაბამისად დეპონირებული თანხებიდან ან ქონებიდან. აღნიშნული 3 – თვიანი ვადის გასვლის შემდეგ დეპონირებული თანხები ან ქონება ნაწილდება პარტნიორებს შორის მათი წილის პროპორციულად, თუ წესდებით (პარტნიორთა შეთანხმებით) სხვა რამ არ არის დადგენილი.

იურიდიული პირის ლიკვიდაციის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე იურიდიული პირის ლიკვიდაციას ახორციელებს სასამართლოს მიერ განსაზღვრული პირი. ლიკვიდაციისას გამოიყენება „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისი ნორმები.

სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყების მომენტიდან სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე ან სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტამდე დაუშვებელია იურიდიული პირის მიმართ სალიკვიდაციო და რეორგანიზაციასთან დაკავშირებული პროცედურების წარმოება.

იურიდიული პირის ლიკვიდაციის შესახებ სალიკვიდაციო კომისია ან გადასახადის გადამხდელი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს საგადასახადო ორგანოს. იურიდიული პირის ლიკვიდაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან 15 დღის ვადაში სალიკვიდაციო კომისია ვალდებულია წარუდგინოს დეკლარაცია საგადასახადო ორგანოს.

17.4.9 სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს 50 პროცენტზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ლიკვიდაციის ორგანიზაციული საკითხები

ლიკვიდაცია არის იურიდიული პირის (საწარმოს) არსებობის შეწყვეტა, რომლის შედეგად მისი უფლებები და მოვალეობები არ გადადის სამართალმემკვიდრეობის წესით სხვა პირებზე. ლიკვიდაციის საფუძვლებია: პარტნიორთა (აქციონერთა) გადაწყვეტილება; სასამართლოს განაჩენი.

გადაწყვეტილებას საწარმოს ლიკვიდაციის თაობაზე იღებს პარტნიორთა (აქციონერთა) საერთო კრება, სადაც სახელმწიფოს (პარტნიორს) წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო" (ქონების სააგენტო), ხოლო ადგილობრივ თვითმმართველობას წარმოადგენს თვითმმართველი ერთეულის შესაბამისი ორგანო/დაწესებულება.

ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

საწარმოს ლიკვიდაცია დასრულებულად ითვლება მარეგისტრირებელ ორგანოში საწარმოს ლიკვიდაციის თაობაზე განცხადებისა და საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შესახებ გადაწყვეტილების რეგისტრაციისთანავე.

საწარმოს ლიკვიდაციას ახორციელებს ლიკვიდატორი.

პარტნიორებს, ასევე საწარმოს წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში – სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ან დირექტორს (დირექტორებს), შეუძლიათ განსაზღვრონ ის პირები, რომლებიც ახორციელებენ ლიკვიდაციას.

ლიკვიდაციის თაობაზე განცხადება უნდა შეიცავდეს: საწარმოს სახელწოდებას; საწარმოს იურიდიულ მისამართს; ყველა პარტნიორის პირად მონაცემებს (თუ ერთ-ერთი პარტნიორი იურიდიული პირია – იგი ვალდებულია დამატებით წარადგინოს ნოტარიულად დამოწმებული სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ბოლო მდგომარეობით), პარტნიორთა კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)); საწარმოს ლიკვიდატორის პირად მონაცემებს და ხელმოწერას.

საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციის მოთხოვნასთან ერთად მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა წარედგინოს ინფორმაცია, სადაც მიეთითება საწარმოს ყველა ცნობილი კრედიტორის დაკმაყოფილების ვადები.

ლიკვიდატორის უფლება-მოვალეობებია: დანიშვნისთანავე შეადგინოს საწარმოს ბალანსი; ლიკვიდაციის შესახებ დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს საგადასახადო ორგანოს. ლიკვიდაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან 15 დღის ვადაში საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს მოგების გადასახადისა და ქონების გადასახადის საგადასახადო დეკლარაციები; სალიკვიდაციო საწარმოს ქონება ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 20 დღის ვადაში შეაფასოს ექსპერტის ან/და სერტიფიცირებული აუდიტორის მეშვეობით, რომლის გასამრჯელოს აანაზღაურებს საწარმო. აუდიტორის ან/და ექსპერტის კანდიდატურა და მისი გასამრჯელოს ოდენობა შეთანხმებული უნდა იქნეს ქონების სააგენტოსთან/ორგანოსთან/ დაწესებულებასთან; საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციისთანავე საწარმოს ყველა ცნობილ კრედიტორს გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ, რომელშიც უნდა აღინიშნოს კრედიტორთა დაკმაყოფილების ვადები, ხოლო უცნობ კრედიტორებს და იმ კრედიტორებს, რომელთა მისამართი უცნობია, ლიკვიდაციის თაობაზე ინფორმაცია შეიძლება ეცნობოთ საჯარო განცხადებით; საწარმოს ქონების რეალიზაციის დაწყებამდე საწარმო (ლიკვიდატორი) ვალდებულია ნებისმიერ პირს მოთხოვნისთანავე მიაწოდოს საწარმოს ცნობილ კრედიტორთა დაზუსტებული სია. საწარმოს (ლიკვიდატორს) შეუძლია აღნიშნული დაზუსტებული სია გამოაქვეყნოს პერიოდულ გამოცემაში ან მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებაში; დაასრულოს საწარმოს მიმდინარე საქმეები და შეასრულოს საზოგადოების ვალდებულებები; წარმოადგინოს საწარმო ლიკვიდაციასთან დაკავშირებულ გარიგებებში და წარმართოს პროცესები. მას უფლება აქვს დაამთავროს საარბიტრაჟო საქმეები ან მორიგებით დაასრულოს დავები; უზრუნველყოს საწარმოს დებიტორული დავალიანებების ამოღება, საჭიროების შემთხვევაში სარჩელით მიმართოს სასამართლოს; საჭიროების შემთხვევაში და ქონების სააგენტოს/ორგანოს/დაწესებულების თანხმობით ჩაერთოს ახალ გარიგებებში.

ლიკვიდატორი საწარმოს საქმეებს უნდა გაუძღვეს გულისხმიერებითა და კეთილსინდისიერებით. თუ ლიკვიდატორი არ შეასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, წარმოშობილი ზიანისათვის პასუხს

აგებს პირადად მთელი თავისი ქონებით პარტნიორის (პარტნიორების) წინაშე.

ლიკვიდატორი საწარმოს ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციიდან 20 დღის ვადაში ქონების სააგენტოს/ორგანოს/დაწესებულებას შესათანხმებლად წარუდგენს საწარმოს ლიკვიდაციის გეგმას, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ მონაცემებს: საწარმოს სახელწოდებას, იურიდიულ მისამართს და მის საბანკო ანგარიშს; საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას, ვალის მოცულობასა და სტრუქტურას; საწარმოს აქტივების მოცულობასა და სტრუქტურას; დებიტორული დავალიანების ამოსაღებად გასატარებელ ღონისძიებებს; კრედიტორული დავალიანების დასაფარად გასატარებელ ღონისძიებებს; კრედიტორთა მოთხოვნების ცნობისა და უარყოფის შესახებ; პირობებს, ქონების საბაზრო ღირებულებასა და ფორმებს, რომელთა მიხედვითაც მოხდება ქონების გაყიდვა; საწარმოს ლიკვიდაციისას სოციალური შედეგების ასაცილებლად გასატარებელ ღონისძიებებს; კრედიტორებთან ანგარიშსწორების წესს; წინადადებებს კრედიტორების დაკმაყოფილების შემდეგ დარჩენილი ფულადი სახსრების განაწილების შესახებ.

საწარმოს ლიკვიდაციის გეგმას თან უნდა ახლდეს: საწარმოს ბალანსი ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტისათვის; კრედიტორების სია, კრედიტორული დავალიანებების საერთო თანხის მითითებით; ექსპერტის ან/და სერტიფიცირებული აუდიტორის დასკვნა სალიკვიდაციო საწარმოს ქონების საბაზრო ღირებულების თაობაზე; მონვეულ პირთა რაოდენობა, ფუნქციები და ანაზღაურება.

ლიკვიდატორი ანგარიშვალდებულია ქონების სააგენტოს/ორგანოს/ დაწესებულების წინაშე.

ლიკვიდატორის გასამრჯელო ანაზღაურდება სალიკვიდაციო საწარმოს ქონებიდან. გასამრჯელოს ოდენობა განისაზღვრება სალიკვიდაციო საწარმოს ქონების ღირებულებისა და ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობის გათვალისწინებით.

ლიკვიდატორის შეცვლის შემთხვევაში ყოფილი ლიკვიდატორი ვალდებულია ახალ ლიკვიდატორს მიღება-ჩაბარების აქტით გადააბაროს სალიკვიდაციო საწარმოს ქონება და დოკუმენტაცია.

საწარმოს ლიკვიდაციის თაობაზე გადაწყვეტილება უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში, რის თაობაზეც მარეგისტრირებელი ორგანო დაუყოვნებლივ აცნობებს საგადასახადო ორგანოს. ლიკვიდაციის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის შემდგომ შეიძლება გამოქვეყნდეს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში 10 დღის ვადაში. გადაწყვეტილებასთან ერთად გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს: სალიკვიდაციო საწარმოს სახელწოდება და იურიდიული მისამართი; ლიკვიდატორის ვინაობა; კრედიტორების მოთხოვნების წარდგენის ვადა; ინფორმაცია მოთხოვნის წარმოდგენის წესის შესახებ.

საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან კანონით დადგენილ ვადაში საწარმომ (ლიკვიდატორმა) უნდა დაიწყოს ამ საწარმოს ქონების რეალიზაცია საბაზრო ფასით ან აუქციონის წესით და ამგვარი რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხები განათავსოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

საწარმოს ქონების აუქციონის მოწყობის გარეშე რეალიზაცია ხდება ქონების სააგენტოსთან/ორგანოსთან/დაწესებულებასთან შეთანხმებით.

პირველი აუქციონი ტარდება აუქციონის ჩატარების თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნებიდან არა უადრეს 10 და არა უგვიანეს 14 დღისა. იმ შემთხვევაში, თუ პირველ აუქციონზე ვერ განხორციელდა ქონების რეალიზაცია, ტარდება განმეორებითი აუქციონი.

საწარმოს ქონების რეალიზაციის საფასური მყიდველმა უნდა დაფაროს აუქციონის ჩატარებიდან 20 დღის ვადაში.

იმ შემთხვევაში, თუ აუქციონის წესით ვერ მოხდა ქონების გაყიდვა, დარჩენილი ქონება კრედიტორებს უნაწილდებათ ნატურით მათი რიგითობის მიხედვით, კრედიტორული დავალიანების პროპორციულად. იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორები უარს აცხადებენ მოთხოვნის ნატურით დაკმაყოფილებაზე ან/და კანონით დადგენილ სალიკვიდაციო ვადაში ვერ ხერხდება საწარმოსა და კრედიტორებს შორის, ან თავად კრედიტორებს შორის ქონების განაწილების თაობაზე შეთანხმება, ქონება გადაეცემა დამფუძნებლებს მათი წილის პროპორციულად.

ნატურით დაკმაყოფილება არ ვრცელდება ლიკვიდატორის მიერ ლიკვიდაციის პროცესში გაწეულ ხარჯებზე.

ლიკვიდაციის პროცესის განმავლობაში დაუშვებელია საწარმოს ქონების გასხვისება, გარდა კრედიტორთა დაკმაყოფილებისა.

თუ საწარმოს რეგისტრაციის გაუქმების შემდეგ 3 თვის განმავლობაში აღმოჩნდება, რომ ლიკვიდაციისას არ იქნა დაკმაყოფილებული საწარმოს კრედიტორთა ნაწილი, მათი დაკმაყოფილება მოხ-

დება კანონით გათვალისწინებული წესის შესაბამისად დეპონირებული თანხიდან ან ქონებიდან. დეპონირებული თანხები ან ქონება ნაწილდება პარტნიორებს შორის მათი წილის პროპორციულად, თუ ნესდებით (პარტნიორთა შეთანხმებით) სხვა რამ არ არის დადგენილი.

კრედიტორის მოთხოვნა წარედგინება საწარმოს (ლიკვიდატორს) დადგენილ ვადაში. კრედიტორის მოთხოვნაში აისახება: კრედიტორის ვინაობა და მისამართი; პირადობის დამადასტურებელი მონმობის მონაცემები (იურიდიული პირის შემთხვევაში – სადამფუძნებლო დოკუმენტაცია და რეგისტრაციის მოწმობა); ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი წარმოდგენილია სხვა პირის მეშვეობით; ვალდებულების წარმოშობის საფუძველი და პერიოდი; ვალდებულების ოდენობა (გამოხატული ფულად თანხაში).

კრედიტორის მოთხოვნას თან უნდა ერთოდეს ვალდებულების წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი (დოკუმენტები).

კრედიტორს მოთხოვნის წარდგენის უფლება აქვს საწარმოს ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების რეგისტრაციდან 20 დღის ვადაში. თუ მოთხოვნის წარუდგენლობა გამონვეულია დაუძლეველი ძალით, მაშინ მოთხოვნის წარდგენის ხანდაზმულობის ვადა ჩერდება აღნიშნული გარემოებების არსებობის ვადით. ამასთანავე, კრედიტორმა დაუძლეველი ძალის ამოწურვიდან 3 დღის განმავლობაში უნდა აცნობოს ლიკვიდატორს აღნიშნული გარემოებების შესახებ. აღნიშნული ვადები არ ვრცელდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მოთხოვნის განსაზღვრისა და წარდგენის მიმართ.

კრედიტორის მოთხოვნა და შესაბამისი დოკუმენტები რეგისტრირდება ლიკვიდატორის მიერ სპეციალურ ჟურნალში.

კრედიტორების მიერ მოთხოვნის წარმოდგენის შემდეგ ლიკვიდატორი განიხილავს მას და გამოაქვს დასაბუთებული გადაწყვეტილება მისი ცნობის ან უარყოფის შესახებ.

მოთხოვნის წარდგენის მოვალეობა არ წარმოეშობათ იმ კრედიტორებს, რომელთა მოთხოვნა გამომდინარეობს შრომითი ურთიერთობიდან.

ლიკვიდაციის შედეგად საწარმოს ქონების რეალიზაციით შემოსული თანხების აკუმულირება ხდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, საიდანაც ხდება კრედიტორთა დაკმაყოფილება.

ლიკვიდირებულად ცნობილი საწარმოს ქონების გაყიდვის შედეგად კრედიტორები დაკმაყოფილდებიან შემდეგი რიგითობით: სალიკვიდაციო ხარჯები; იმ პირთა მოთხოვნები, რომელთა წინაშეც საწარმოს ეკისრება პასუხისმგებლობა მათი ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის მიყენებული ზიანისათვის, შრომითი ურთიერთობებიდან წარმოშობილი მოთხოვნები; ის მოთხოვნები, რომელთა მოთხოვნის უფლება უზრუნველყოფილია სალიკვიდაციო საწარმოს ქონებაზე გირავნობით/იპოთეკით; დავალიანებები ბიუჯეტისა და არასაბიუჯეტო ფონდების მიმართ; კანონით გათვალისწინებული სხვა კრედიტორების მოთხოვნები.

კრედიტორებთან საბოლოო ანგარიშსწორების დასრულების შემდგომ ლიკვიდატორი ადგენს საწარმოს სალიკვიდაციო ბალანსს, რომელიც დადასტურებული უნდა იყოს სერტიფიცირებული აუდიტორის მიერ. პარტნიორები საერთო კრებაზე ამტკიცებენ საწარმოს სალიკვიდაციო ბალანსს და ხელს აწერენ გადაწყვეტილებას საწარმოს ლიკვიდაციის დასრულების შესახებ, რომელშიც უნდა აღინიშნოს საწარმოს ყველა ცნობილი კრედიტორის დაკმაყოფილების თაობაზე.

ლიკვიდირებული საწარმოს დარჩენილი ქონება პარტნიორებს შორის განაწილდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

17.4.10 იურიდიული პირის ლიკვიდაციის დაბეგვრის საკითხები

თუ ხდება იურიდიული პირის ლიკვიდაცია და პარტნიორ იურიდიულ პირს გადაეცემა მისი წილის პროპორციული (შესაბამისი) აქტივი და, ამასთანავე, პარტნიორი იურიდიული პირი ლიკვიდაციამდე ფლობდა 50 პროცენტს ან მეტს ამ იურიდიულ პირში, მაშინ: ასეთი გადაცემა არ ითვლება ლიკვიდირებული იურიდიული პირის მიერ აქტივების რეალიზაციად (მიწოდებად); პარტნიორისათვის მისი წილის პროპორციულად (შესაბამისად) გადაცემული აქტივის ღირებულება იგივეა, რაც ამ აქტივის ღირებულება ლიკვიდირებული იურიდიული პირისათვის გადაცემამდე; აქტივების განაწილება არ არის დივიდენდი; მოგება და ზარალი მხედველობაში არ მიიღება ლიკვიდირებულ იურიდიულ პირში პარტნიორის წილის გაუქმებისას.

ზემოაღნიშნული მოთხოვნები არ ვრცელდება იმ აქტივებზე, რომლებიც ექვემდებარება ამორტიზაციას ჯგუფური მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამორტიზაციის ერთი ნორმის

მიხედვით დაჯგუფებული ჯგუფის ყველა აქტივი ერთდროულად გადაიცემა.

ამორტიზაციის ერთი ნორმის მიხედვით დაჯგუფებული ჯგუფის ყველა აქტივის შემთხვევაში მათი მიმღებისათვის აქტივების ღირებულებად ითვლება გადაცემის მომენტისათვის ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი.

ზემოაღნიშნული ნორმა არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ: საგადასახადო ორგანო დაამტკიცებს, რომ ლიკვიდაციის მიზანი არის გადასახადების გადახდისაგან თავის არიდება; ლიკვიდაციაში პარტნიორი იურიდიული პირი არარეზიდენტია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ლიკვიდაციაში პარტნიორი არარეზიდენტი იურიდიული პირია და საგადასახადო ორგანო ამ პირის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე დაასკვნის, რომ არ ხდება გადასახადისაგან თავის არიდება და აღნიშნულის თაობაზე გასცემს შესაბამის თანხმობას.

აღნიშნული ნორმების მოქმედება ვრცელდება, თუ სახეზე გვაქვს ორი პირობა:

ა) თუ პარტნიორი იურიდიული პირი ლიკვიდაციამდე ფლობს 50 პროცენტს ან მეტს ამ იურიდიულ პირში;

ბ) ლიკვიდაციისას პარტნიორ იურიდიულ პირს გადაეცემა მისი წილის პროპორციული (შესაბამისი) აქტივი.

„მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მიხედვით, იურიდიული პირის პარტნიორებს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება საწარმოს ლიკვიდაციის დაწყების შესახებ. პარტნიორთა გადაწყვეტილება საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან. შესაბამისად, ლიკვიდაციამდე წილის ფლობაში უნდა ვიგულისხმოთ ლიკვიდაციის დაწყებამდე წილის ფლობა.

ლიკვიდაციისას პარტნიორმა უნდა მიიღოს აუცილებლად მისი წილის პროპორციული აქტივი. შესაბამისი აქტივი გულისხმოს აქტივის იმ ოდენობას, რომელიც ერგება პარტნიორს მისი წილის პროპორციულად.

მაგალითი 1: შპს X – ის პარტნიორები არიან შპს ა და შპს ძ, რომლებიც საწარმოში ფლობენ წილს თითოეული 50 %-ის ოდენობით. ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პარტნიორებმა მიიღეს გადაწყვეტილება, მიუხედავად კაპიტალში მათი წილის ოდენობისა, აქტივების განაწილებისას შპს Y – მა მიიღოს აქტივების 70 %, ხოლო შპს Z – მა 30 %.
ლიკვიდაციისას (ლიკვიდაციის მომენტისათვის X – ის აქტივების ღირებულება შეადგენდა 500 000 ლარს) ამ საწარმოს პარტნიორმა, შპს Y – მა, რომლის წილიც X – ში 60% იყო, მიიღო აქტივები მისი წილის პროპორციულად, 300 000 ლარის ოდენობით.

შედეგი: ამ შემთხვევაში, საწარმოს ლიკვიდაციისას, მისი პარტნიორები – შპს Y და შპს Z იღებენ აქტივებს საწარმოში მათი წილის არაპროპორციული, შეუსაბამო ოდენობით, შესაბამისად, მათზე არ გავრცელდება ზემოთ მითითებული ნორმების მოქმედება.

მაგალითი 2: დღგ-ის გადამხდელი საწარმო X – ის ლიკვიდაციისას, მისი პარტნიორი შპს Y, რომელიც ლიკვიდაციის დაწყებამდე ფლობდა აღნიშნულ საწარმოში წილს 50 %-ის ოდენობით, იღებს აქტივს მისი წილის პროპორციულად, კერძოდ, შენობა – ნაგებობას.

შედეგი: საწარმო X – ისთვის აქტივის განაწილება არ წარმოადგენს რეალიზაციას მოგების გადასახადის მიზნისთვის, თუმცა აღნიშნული ოპერაცია დაიბეგრება დღგ-ით.

ლიკვიდაციისას პარტნიორზე აქტივის ღირებულება გადადადის იგივე ღირებულებით, რაც მიმწოდებელ მხარეს აღრიცხული ჰქონდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 148-ე მუხლით დადგენილი წესით.

მაგალითი 3: განხორციელდა შპს X – ის ლიკვიდაცია, ლიკვიდაციის მომენტისათვის X – ის აქტივების ღირებულება შეადგენდა 500 000 ლარს და ამ საწარმოს პარტნიორმა, შპს Y – მა, რომლის წილიც შპს X – ში 60% იყო, მიიღო აქტივები მისი წილის პროპორციულად, 300 000 ლარის ოდენობით.

შედეგი: Y – ისთვის მიღებული აქტივის ღირებულება ტოლია 300 000 ლარის;

იურიდიული პირის ლიკვიდაციისას ფულადი ან ნატურალური ფორმით განხორციელებული გადახდა (განაცემი), რომელიც აღემატება კაპიტალში (სანესდებოსა და საემისიოში) აქციონერის/მონილის მიერ განხორციელებული შენატანის ოდენობის ფარგლებს, წარმოადგენს დივიდენდს.

იმ შემთხვევაში, თუ მოქმედებს განსახილველი მუხლი, თუნდაც იურიდიული პირის ლიკვიდაციისას ფულადი ან ნატურალური ფორმით განხორციელებული გადახდა (განაცემი), აღემატებოდეს კაპიტალში (სანესდებოსა და საემისიოში) აქციონერის/მონილის მიერ განხორციელებული შენატანის ოდენობის ფარგლებს, არ წარმოადგენს დივიდენდს.

მაგალითი 4 ზემოთ მითითებულ მაგალითში შპს X – ის პარტნიორის – შპს Y – ის შენატანი კაპიტალში შეადგენდა 100 000 ლარს.

შედეგი: მიუხედავად იმისა, რომ განსახილველ შემთხვევაში საწარმოს ლიკვიდაციისას პარტნიორის მიერ მიღებული განაცემი აღემატება მის შენატანს, მიღებული განაცემის ოდენობა, რომელიც აღემატება საწარმოში შენატანის ოდენობას არ წარმოადგენს დივიდენდს.

საწარმოს ლიკვიდაციისას, როდესაც უქმდება პარტნიორის წილი, პარტნიორის მიერ მიღებული განაცემი შესაძლოა აღემატებოდეს წილის როგორც აქტივის ღირებულებას ან იყოს მასზე ნაკლები, თუმცა მოგება და ზარალი არ აღიარდება.

მაგალითი 5: ზემოთ მითითებულ მაგალითში შპს X – ის პარტნიორის – შპს Y – ის შენატანი კაპიტალში შეადგენს 400 000 ლარს, შესაბამისად, საწარმოში მისი წილის 60%-ის ღირებულებაა 400 000 ლარი.

შედეგი: მიუხედავად იმისა, რომ საწარმოს ლიკვიდაციისას, მასში პარტნიორის წილის გაუქმებისას პარტნიორმა მიიღო ზარალი 400 000 – 300 000 =100 000 ოდენობით, იგი არ აღიარდება და პარტნიორისთვის არ წარმოადგენს გამოსაქვით ხარჯს.

ამორტიზაციას დაქვემდებარებული აქტივების განაწილებისას, აღნიშნული ნორმების მოქმედება ვრცელდება, თუ ხორციელდება ამორტიზაციის ერთი ნორმის მიხედვით დაჯგუფებული ჯგუფის ყველა აქტივის მიწოდება.

აქტივების გადაცემისას მიმღებისათვის აქტივების ღირებულებად ითვლება გადაცემის მომენტისათვის ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი.

მაგალითი 6: 2011 წელს საწარმო X – ის ლიკვიდაციისას, მის პარტნიორზე – შპს Y-ზე, რომელიც ლიკვიდაციის დაწყებამდე საწარმო X – ში ფლობდა 50 % წილს, გადაცემულ იქნა მისი წილის პროპორციული აქტივის, კერძოდ, შენობა-ნაგებობა.
შენობა-ნაგებობა საწარმო X – ის მიერ ექსპლუატაციაში მიღებული იყო 2010 წელს. ქონების მიმართ საწარმო X – მა გამოიყენა 2011 წლის 1 იანვრამდე მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 183-ე მუხლის მე-13 ნაწილი და უძრავი ქონების ღირებულება საგადასახადო მიზნებისთვის სრულად გამოქვითა ერთობლივი შემოსავლებიდან.

შედეგი: ლიკვიდაციისას საწარმო Y-ზე გადაცემული უძრავი ქონების ღირებულება მიმღებისთვის – საწარმო Y – ისთვის იქნება ნული.

17.4.11 საგადასახადო ვალდებულების შესრულება საწარმოს/ორგანიზაციის ლიკვიდაციისას

საწარმოს/ორგანიზაციის ლიკვიდაციისას საგადასახადო ვალდებულებას ასრულებს და საგადასახადო დავალიანებას იხდის, როგორც წესი, ამ საწარმოს/ორგანიზაციის ლიკვიდაციო კომისია. გაერთიანებების და ამხანაგობების ლიკვიდაციისას/საქმიანობის შეწყვეტისას საგადასახადო ვალდებულების შესრულებას და საგადასახადო დავალიანების გადახდას სოლიდარულად ახორციელებენ ამ სანარმოს პარტნიორები/მონაწილეები.

საწარმოს/ორგანიზაციის ლიკვიდაციისას ზედმეტად გადახდილ თანხას საგადასახადო ორგანო დადგენილი წესით უბრუნებს საწარმოს/ორგანიზაციის სალიკვიდაციო კომისიას (საწარმოს მონაწილეებს)

17. 5. საწარმოს ყველა აქტივის მიწოდება

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-4 ნაწილის „მ" ქვეპუნქტის თანახმად: ჩათვლის უფლებით დღგ-ისგან გათავისუფლებულია: "დღგ-ის გადამხდელის მიერ საწარმოს ყველა აქტივის ან ამ საწარმოს დამოუკიდებლად მოქმედი ქვედანაყოფის მიწოდება ერთი ოპერაციის ფარგლებში დღგ-ის მეორე გადამხდელისათვის, თუ მიმწოდებელი და მიმღები მხარეები მიწოდებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში წერილობით ატყობინებენ საგადასახადო ორგანოს ასეთი მიწოდების შესახებ. დამოუკიდებლად მოქმედ ქვედანაყოფად ითვლება ერთმანეთთან ფუნქციურად დაკავშირებული ძირითადი საშუალებებისა და თანმხლები კომუნიკაციების ერთობლიობა, რომელიც დამოუკიდებლად ფუნქციონირებს და რომლის დამოუკიდებლად ფუნქციონირება არ არის დამოკიდებული მესაკუთრის შეცვლაზე".

<u>ანალიზი:</u>

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 160-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტის თანახმად დამატებული ღირებულების გადასახადით (დღგ-ით) დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი ოპერაცია. ამავე კოდექსის 161-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის მიხედვით დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციაა „საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა".

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილი განმარტავს, რომ „საქონლის მიწოდებად ითვლება პირის მიერ სხვა პირისათვის საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემა სასყიდლით (მათ შორის, საქონლის რეალიზაცია, გაცვლა, ხელფასის ან ნატურალური ფორმით ანაზღაურება) ან უსასყიდლოდ".

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 167-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით არსებობს დღგ-ისგან გათავისუფლება ჩათვლის უფლებით და ჩათვლის უფლების გარეშე. ამავე კოდექსის, 167-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დღგ-ისგან გათავისუფლება ჩათვლის უფლებით გულისხმობს, რომ „ოპერაცია არ ექვემდებარება დღგ-ის დარიცხვას (არ იბეგრება) და გამოიყენება ჩათვლის უფლება".

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლი მთლიანად ეთმობა დღგ-ისგან გათავისუფლების მარეგულირებელ ნორმებს, რომელიც გულისხმობს პირის უფლებას ისარგებლოს შეღავათით, გათავისუფლდეს გადასახდისაგან ან/და ამ უფლების გამოყენებით შეიმციროს დასაბეგრი ობიექტის მიხედვით გადასახდელი თანხის ოდენობა. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა, როდესაც პირი თვაისუფლდება დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით გაწერილია ამ კოდექსის 168-ე მუხლის მე-4 ნაწილის „მ" ქვეპუნქტით.

თუ ერთი დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი გარიგების საფუძველზე აწოდებს მეორე დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულ პირს, საწარმოს ყველა აქტივს,(ამ შემთხვევაში იგულისხმება, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 და მე-15 ნაწილების მიხედვით გათვალისწინებული, როგორც მატერიალურ ასევე არამატერიალურ აქტივები) და ამ აქტივებთან ფუნქციურად დაკავშირებულ სხვა აქტივებს, რომელიც ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებული ობიექტია ძირითად აქტივთან ან/და აწოდებს მოძრავ აქტივებს, რომელიც ძირითადი აქტივის შემადგენელი ნაწილია. ამასთან, აღნიშნული მიწოდება ხორციელდება ერთი ოპერაციის ფარგლებში, ანუ ერთჯერადად დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირისათვის და მიმწოდებელი და მიმღები მხარეები მიწოდებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში წერილობით ატყობინებენ საგადასახადო ორგანოს ამგვარი მიწოდების თაობაზე, ოპერაცია განიხილება ჩათვილს უფლებით დღგ-ისგან გათავისუფლებულ ოპერაციად.

ამასთან, აღნიშნული ნორმა ორგანიზაციაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გავრცელდეს, თუ ორგანიზაცია ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას და მისი ქონების ნაწილი ამ კოდექსის 30-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად ითვლება საწარმოს ქონებად.

მიმღები შესაძლებელია იყოს ნებისმიერი დღგ-ის გადამხდელი პირი.

მაგალითი 1: შპს „X" – სა და შპს „Y" – ს შორის, (ორივე მათგანი არის დღგ-ის გადასახდის გადამხდელი პირი), გაფორმდა ხელშეკრულება, რომლითაც შპს „X" – მა გადაწყვიტა მიყიდოს შპს „a" – ს ჰიდროელექტროსადგური, ამ შემთხვევაში უძრავი ქონება – მატერიალური აქტივი, აგრეთვე ჰიდროელექტროსადგურთან ფუნქციურად დაკავშირებული აქტივები, როგორიც არის მაგალითად ჰესი, აღნიშნული ჰესი და აქტივები საწარმოს სხვა აქტივებისაგან დამოუკიდებლად ახდენენ ელექტროენერგიის წარმოებას. უძრავი ქონება თავისი დანიშნულებით წარმოადგენს ჰიდროელექტროსადგურის ფუნქციონერებისათვის აუცილებელ, ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებულ ობიექტს, ხოლო მოძრავი აქტივები – ჰიდროელეტროსადგურის ელექტრო-მექანიკური სისტემის შემადგენელ ნანილებს და მის მომსახურებისათვის საჭირო მოწყობილობებს.

შედეგი: აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებობისას და იმის გათვალისწინებით, თუ აქტივის მიმწოდებელი და მიმღები ასეთი მიწოდებიდან 15 კალენდარულ დღეში აცნობებენ საგადასახადო ორგანოს, ასეთი მიწოდების შესახებ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-4 ნანილის „მ" ქვეპუნქტის მიხედვით, განიხილება საწარმოს ყველ აქტივისა და დამოუკიდებლად მოქმედი ქვედანაყოფის მიწოდებად და ჩათვლის უფლებით დღგ-ისგან გათავისუფლებულ ოპერაციად.

მაგალითი 2: დაუშვათ, შენობაში ფუნქციონირებს საზ.კვების ობიექტი. აღნიშნული შენობის ¼ ნაწილი, რომელიც ცალკე დამოუკიდებელ ფუნქციონირებად ქვედანაყოფს (საწარმოს, ბიზნესს) არ წარმოადგენდა ინდ.მეწარმის მიერ გასხვისებული იქნა სხვა პირზე, ამასთან პირმა რომელიც ახდენდა ამ ბიზნესის ოპერირებას განაგრძო გასხვისებული შენობის ფაქტობრივი ფლობა/სარგებლობა. გარკვეული პერიოდის შემდეგ, დანარჩენი ¾ ნაწილი ინდ. მეწარმემ მიყიდა „შპს" – ს, რითაც შენყვიტა ქონების ¼ ნაწილით სარგებლობაც. ინდ. მეწრამემ ქონების თითოეული ნაწილის მიწოდება განიხილა დღგ-ით გათავისუფლებულ ოპერაციად და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-4 ნაწილის „მ" ქვეპუნქტის თანახმად არ დაბეგრა დღგ-ით.

შედეგი: თუ ხდება ქონების ნაწილის და არა დამოუკიდებელი ფუნქციონირებადი ქვედანაყოფის მიწოდება, აღნიშნული გარემოება ვერ აკმაყოფილებს სსკ-ის 168-ე მუხლის მე-4 ნაწილის „მ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირობას, შესაბამისად ოპერაცია უნდა შეფასდეს, როგორც ქონების რეალიზაცია და დაიბეგროს დღგ-ით. საწარმოს დაერიცხება დღგ-ის კუთვნილი გადასახადი და დეკლარაციაში გადასახდის შემცირების შემთხვევაში დაჯარიმდება სსკ-ის 275-ე მუხლის შესაბამისად.

მაგალითი 2: დღგ-ის გადასახდის გადამხდელ პირებს შორის – შპს „X" – სა და შპს „a" – ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება საწარმოს ყველა აქტივისა ან ამ საწარმოს დამოუკიდებლად მოქმედი ქვედანაყოფის მიწოდების თაობაზე, მხარეებმა ასეთი მიწოდებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში აცნობეს საგადასახადო ორგანოს განხორციელებული ოპერაციის შესახებ.

ანალიზი:

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებობისას, თუ აქტივის მიმწოდებელი და მიმღები საწარმოს მიწოდებიდან 15 კალენდარულ დღეში აცნობებენ საგადასახადო ორგანოს, აღნიშნული მიწოდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-4 ნაწილის „მ" ქვეპუნქტის მიხედვით, განიხილება საწარმოს დამოუკიდებლად მოქმედი ქვედანაყოფის მიწოდებად და ჩათვლის უფლებით დღგ-ისგან გათავისუფლებულ ოპერაციად.

იმის გათვალისწინებით, თუ შემოწმებით დადგინდა რომ აღნიშნული აქტივის მიწოდება არ აკმაყოფილებს 168-ე მუხლის მე-4 ნაწილის „მ" ქვეპუქტით დადგენილ პირობებს, მაგრამ მიმწოდებლისა და მიმღების მიერ საგადასახადო ორგანოსათვის მიწოდებულია ინფორმაცია ასეთი მიწოდებიდან 15 კალენდარულ დღეში. მიმწოდებელს უფლება ეძლევა ამ ოპერაციის მიხედვით საგადასახადო ვალდებულება შეასრულოს საქართველოს საგადასახდო კოდექსის 275-ე მუხლით გათვალისწინებული სანქციის გარეშე, ხოლო მყიდველი უფლებამოსილია მიიღოს კუთვნილი დღგ-ის ჩათვლა ამ კოდექსის 174-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე" და „ვ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეზღუდვების გარეშე.

17. 6. დივიდენდების დაბეგვრა

17.6.1 დივიდენდების დაბეგვრის არსი და მაგალითები

დივიდენდი ლათინური წარმოშობის ცნებაა და თავის მხრივ ეფუძნება შემდეგ ლათინურ სიტყვებს: dividia (dividiae) – გათიშვა; divide(divisi, divisum, divider) – ვყოფ, ვაცალკავებ; დივიდუუს, ა, უმ – გაყოფილი, გასაყოფი. ცნობილი ლათინური გამოთქმა Divide et impera! – ნიშნავს – გათიშე და იბატონე.

რეზიდენტი საწარმოს მიერ ფიზიკური პირისთვის, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისთვის ან არარეზიდენტი საწარმოსთვის გადახდილი დივიდენდები იბეგრება გადახდის წყაროსთან გადასახდელი თანხის 5-პროცენტიანი განაკვეთით.

„მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირების (სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს, კორპორაცია) და კოოპერატივი) (გარდა ინდივიდუალური საწარმოსი) მიერ მიღებული დივიდენდები გადახდის წყაროსთან არ იბეგრება და დივიდენდების მიმღები საწარმოს მიერ ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება.

რეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ მიღებული დივიდენდები, რომლებიც დაიბეგრა გადახდის წყაროსთან, არ ჩაირთვება ამ პირის ერთობლივ შემოსავალში და შემდგომ დაბეგვრას არ ექვემდებარება.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ მიღებული დივიდენდები, რომლებიც დაიბეგრა გადახდის წყაროსთან, არ ჩაირთვება ამ პირის ერთობლივ შემოსავალში და შემდგომ დაბეგვრას არ ექვემდებარება.

საერთაშორისო ფინანსური კომპანიის აქციებიდან/წილიდან მიღებული დივიდენდები გადახდის წყაროსთან არ იბეგრება და დივიდენდების მიმღები პირის მიერ ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება.

თავისუფლად მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდიდან მიღებული დივიდენდები გადახდის წყაროსთან არ იბეგრება და დივიდენდების მიმღები პირის მიერ ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება.

თავისუფლად მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდი არის საფონდო ბირჟის ლისტინგში სავაჭროდ დაშვებული საჯარო ან სასესხო ფასიანი ქაღალდი, რომლის თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტი საანგარიშო წლის წინა წლის 31 დეკემბრის ან საანგარიშო წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფასიანი ქაღალდების ემიტენტის მიერ საფონდო ბირჟისათვის მიწოდებული ინფორმაციით, უნდა აღემატებოდეს 25 პროცენტს. საფონდო ბირჟის ლისტინგი არის ფასიანი ქაღალდების დაშვება ბირჟაზე. ამ შემთხვევაში ხდება ფასიანი ქაღალდების რეგისტრაცია ბირჟაზე, რომელიც წარმოადგენს მათი ყიდვა-გაყიდვის საფუძველს. საჯარო ფასიანი ქაღალდი არის იმ კლასის ფასიანი ქაღალდები, რომლებიც დაშვებულია სავაჭროდ საფონდო ბირჟაზე ან/და რომლებსაც ჩანაწერით ფლობს ფასიანი ქაღალდების 100-ზე მეტი მფლობელი. სასესხო ფასიანი ქაღალდი არის ისეთი ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს უფლებას განსაზღვრული ძირითადი თანხის პროცენტით ან უპროცენტოდ მიღებაზე. იგი მოიცავს სამთავრობო ფასიან ქაღალდებს, თუ შესაბამისი ნორმატიული აქტით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. სამთავრობო ფასიანი ქაღალდი არის საქართველოს სახელმწიფოს მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდი. ასეთი შეიძლება იყოს ფასიანი ქაღალდები, რომლებიც ასახავს სახელმწიფოს ვალს ან/და გამოშვებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, მათ შორის, სახელმწიფო ვალის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოკლევადიანი სამთავრობო ფასიანი ქაღალდები, ობლიგაციები და სხვა.

რეზიდენტი საწარმოს მიერ სახელმწიფოსთვის გადახდილი დივიდენდები გადახდის წყაროსთან არ იბეგრება.

თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში თიზ – ის საწარმოდან მიღებული დივიდენდი გადახდის წყაროსთან არ იბეგრება და ამ დივიდენდის მიმღები პირის მიერ ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება.

ანალიზი:

დივიდენდების დაბეგვრისას, გადასახადის გადამხდელმა, რომელიც გასცემს დივიდენდს, სსკ-ის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, უნდა გამოიყენოს იმ პერიოდში მოქმედი გადასახადის განაკვეთი, რომელ პერიოდშიც ხდება დივიდენდის ფაქტობრივი გაცემა, მათ შორის, როცა დივიდენდი ჩაითვლება გაცემულად.

მაგალითი 1: რეზიდენტმა საწარმომ პარტნიორებზე 2012 წელს გასცა 2008 წელს წარმოქმნილი და განაწილებული 100 000 ლარის დივიდენდი.

შედეგი: აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებობისას, დივიდენდი დაიბეგრება 2012 წელს მოქმედი განაკვეთით (5%) იმის მიუხედავად, რომ დივიდენდის წარმოქმნისა და განაწილების (დარიცხვის) წელს, ანუ 2008 წელს, დივიდენდი იბეგრებოდა 10%-იანი განაკვეთით.

ანალიზი:

იმის მიხედვით, თუ ვინ არის დივიდენდის მიმღები, განსხვავებულია დივიდენდის დაბეგვრის რეჟიმი, კერძოდ, თუ დივიდენდის მიმღებია ფიზიკური პირი (სსკ-ის მუხლი 34.1), არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (სსკ-ის მუხლი 30.1„ა") ან არარეზიდენტი (უცხოური) საწარმო, დივიდენდი იბეგრება გადახდის წყაროსთან, ხოლო თუ დივიდენდის მიმღებია „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული იურიდიული პირი (სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება; კომანდიტური საზოგადოება; შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება; სააქციო საზოგადოება; კოოპერატივი), დივიდენდი გადახდის წყაროსთან არ იბეგრება და დივიდენდების მიმღები საწარმოს მიერ ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება.

გასათვალისწინებელია, რომ 2011 წლის 23 ნოემბრამდე (2011 წლის 8 ნოემბრის №5202 – IIს კანონით სსკ-სი ცვლილებების შეტანამდე) რეზიდენტი საწარმოს მიერ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისთვის გადახდილი დივიდენდები გადახდის წყაროსთან არ იბეგრებოდა და ექვემდებარებოდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ერთობლივ შემოსავალში შეტანას.

რეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ არარეზიდენტი საწარმოსაგან მიღებული დივიდენდები, რომლებიც არ განეკუთვნება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალს, თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან (სსკ-ის მუხლი 82.1„ფ").

რეზიდენტი საწარმოს მიერ არარეზიდენტებისაგან მიღებული დივიდენდები რეზიდენტი საწარმოს ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება.

მაგალითი 2: რეზიდენტმა საწარმომ, რომლის დამფუძნებლები თანაბარწილად არიან რეზიდენტი სააქციო საზოგადოება, უცხოური საწარმო, ფიზიკური პირი და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, 2011 წლის შედეგების მიხედვით 2012 წელს გაანაწილა და გასცა 1 000 000 ლარის დივიდენდები – თითოეულ პარტნიორზე 250 000 ლარი.

შედეგი: აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებობისას:

ა) სააქციო საზოგადოებაზე გაცემული დივიდენდი გადახდის წყაროსთან არ დაიბეგრება და არ ჩაირთვება მის ერთობლივ შემოსავალში;

ბ) უცხოურ საწარმოზე, ფიზიკურ პირზე და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირზე გაცემული დივიდენდები დაიბეგრება გადახდის წყაროსთან და დივიდენდის მიმღები პირების ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება;

გ) დივიდენდის მიმღებ პირებზე, მათი მოთხოვნის შემთხვევაში, საგადასახადო აგენტის მიერ უნდა გაიცეს „ცნობა შემოსავლის მიმღები პირის სარეგისტრაციო ნომრის, გვარისა და სახელის, საცხოვრებელი ადგილის მისამართის, საანგარიშო წლისათვის შემოსავლის საერთო თანხისა და დაკავებული გადასახადის საერთო თანხის მითითებით" (სსკ-ის მუხლი 154.3 „გ").

მაგალითი 3: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – ორგანიზაციის მიერ 2011 წლის თებერვალში მიღებული დივიდენდი არ დაიბეგრა გადახდის წყაროსთან. ორგანიზაციამ დივიდენდი არ ჩართო ერთობლივ შემოსავალში.

შედეგი: აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებობისას:

ა) 2011 წლის 23 ნოემბრამდე ორგანიზაციის მიერ მიღებული დივიდენდი არ იბეგრება გადახდის წყაროსთან და ექვემდებარება ერთობლივ შემოსავალში შეტანას;

ბ) ორგანიზაციის მიერ მიღებული დივიდენდით შემცირებულია ერთობლივი შემოსავალი;

გ) უნდა გაიზარდოს ორგანიზაციის ერთობლივი შემოსავალი და დაზუსტდეს დასაბეგრი მოგება (ზარალი);

დ) ორგანიზაცია დაჯარიმდება დეკლარაციაში მოგების გადასახადის შემცირების შემთხვევაში სსკ-ის 275-ე (ან ძვ. 132-ე) მუხლით.

ანალიზი:

დივიდენდის კვალიფიკაციის დადგენა მნიშვნელოვანია. ეს საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ, ექვემდებარება თუ არა განაცემი გაცემის წყაროსთან დაბეგვრას და რომელი განაკვეთით ექვემდებარება დაბეგვრას.

დივიდენდი განიმარტება სსკ-ის მე-8 მუხლის მე-12 ნაწილით, კერძოდ:

დივიდენდი არის აქციონერის/მოწილის მიერ აქციებიდან ან უფლებებიდან (წილებიდან) მიღებული (მათ შორის, პრივილეგირებული აქციებიდან პროცენტის სახით მიღებული) ნებისმიერი შემოსავალი, რომელიც მიიღება მოგების განაწილების შედეგად და რომელსაც იურიდიული პირი უნაწილებს აქციონერებს/მოწილეებს, კაპიტალში მათი კუთვნილი აქციების/უფლებების პროპორციულად ან პროპორციის დაცვის გარეშე. ამასთანავე, დივიდენდს არ მიეკუთვნება:

ა) იურიდიული პირის ლიკვიდაციისას ან აქციის/წილის გამოსყიდვისას ფულადი ან ნატურალური ფორმით განხორციელებული გადახდა (განაცემი), რომელიც არ აღემატება კაპიტალში (საწესდებოსა და საემისიოში) აქციონერის/მოწილის მიერ განხორციელებული შენატანის ოდენობის ფარგლებს;

ბ) იურიდიული პირის აქციონერზე/მოწილეზე განხორციელებული გადახდა ამავე იურიდიული პირის აქციის/წილის საკუთრებაში გადაცემით.

დივიდენდის დეფინიციიდან იკვეთება, რომ საგადასახადო მიზნებისათვის პარტნიორზე (აქციონერზე/მოწილეზე) შუალედური დივიდენდის სახით განაცემმა (რომელიც გაცემის მომენტში დაიბეგრა როგორც დივიდენდი) დივიდენდის კვალიფიკაცია რომ მიიღოს, ის უნდა შეესაბამებოდეს საწარმოს სამეურნეო წლის გასანაწილებელ მოგებას, მიუხედავად იმისა, რომ „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით ნებადართულია შუალედური დივიდენდის გაცემა. შესაბამისად, დივიდენდის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია, რომ შუალედური მოგების შედეგად დივიდენდის სახით გაცემული თანხები, სამეურნეო წლის შედეგების მიხედვით, საგადასახადო მიზნებისათვის შეიძლება ვერ დაკვალიფიცირდეს, როგორც დივიდენდი. ასეთ შემთხვევაში, თუ საწარმომ მიიღო გადაწყვეტილება თანხების დაბრუნების შესახებ და შესაბამისად არ ხდება ამ თანხებით საწარმოს კაპიტალში დამფუძნებელთა შენატანების ოდენობის შემცირება, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლის მე-4 და მე-9 ნაწილის ნორმებიდან გამომდინარე, დაბრუნების თარიღამდე აღნიშნული განაცემი ჩაითვლება პარტნიორზე გაცემულ უპროცენტო სესხად, ხოლო თანხის დაუბრუნებლობის შემთხვევაში – თანხის მიმღები პარტნიორის შემოსავლად (რომელიც გაცემის მომენტში დაიბეგრა როგორც დივიდენდი), მაგრამ არა ხელფასის სახით განაცემად, თუნდაც ეს პარტნიორი იყოს თანხის გამცემ პირში დაქირავებით მომუშავე, რადგან ხელფასად საგადასახადო კოდექსის მიზნებისათვის იწოდება დაქირავებით მომუშავე ფიზიკური პირის მიერ შრომითი ურთიერთობების ფარგლებში შესრულებული სამუშაოსათვის მიღებული ანაზღაურება (სსკ-ის მე-12 მუხლის მე-2 ნაწილი), ზემოაღნიშნული თანხა კი არ წარმოადგენს ასეთ ანაზღაურებას.

მაგალითი 4: სააქციო საზოგადოებამ 2012 წლის 15 ივლისს დივიდენდების სახით გაანაწილა 2012 წლის ექვსი თვის შედეგების მიხედვით მიღებული 100000 ლარის მოგება. სააქციო საზოგადოების აქციათა 80%-ის მფლობელია რეზიდენტი იურიდიული პირი, ხოლო დანარჩენი აქციების მფლობელები არიან არადაქირავებული რეზიდენტი ფიზიკური პირები. საზოგადოებამ გადახდის წყაროსთან არ დააკავა და არ ასახა რეზიდენტ ფიზიკურ პირებზე გაცემული დივიდენდები, ხოლო აღნიშნულმა ფიზიკურმა პირებმა დივიდენდის სახით მიღებული შემოსავლები არ დაადეკლარირეს.

შედეგი: აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებობისას:

ა) ფიზიკურ პირებთან მიმართებაში სააქციო საზოგადოებას წარმოეშობა გადახდის წყაროსთან გაცემულ დივიდენდებზე გადასახადის დაკავების და ბიუჯეტში გადახდის ვალდებულება;

ბ) რეზიდენტ ფიზიკურ პირებს გადახდის წყაროსთან დაბეგვრას დაქვემდებარებულ შემოსავალზე საშემოსავლო გადასახადის დეკლარირების ვალდებულება არ წარმოეშობათ.

მაგალითი 5: სააქციო საზოგადოებამ, რომელშიც აქციათა 60%-ის მფლობელია საქართველოს საწარმო, ხოლო დანარჩენი 40%-ის – ფიზიკური პირები, 2011 წლის ექვსი თვის შედეგების მიხედვით დივიდენდების სახით გაანაწილა 50000 ლარი. ფიზიკურ პირებზე გაცემული 20000 ლარი (50000ხ40%) დაიბეგრა გადახდის წყაროსთან. სამეურნეო წლის შედეგების მიხედვით სააქციო საზოგადოების დივიდენდებად გასანაწილებელმა მოგებამ შეადგინა 53500 ლარი.

შედეგი: აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებობისას, რადგან ექვსი თვის შედეგების მიხედვით დივიდენდების სახით 50000 ლარი უკვე გაცემულია, სააქციო საზოგადოებას დივიდენდის სახით შეუძლია გაანაწილოს დამატებით 3500 ლარი (53500–50000).

მაგალითი 6: 2011 წლამდე დადგენილი წესით საწარმოს მიერ დივიდენდების სახით სსკ-ის ძველი 195(1)-ე მუხლით გათვალისწინებულ ფიზიკურ პირებზე 281(36)-ე მუხლის მოთხოვნების დაცვით განაწილებულია შუალედური მოგება (წილის პროპორციულად ან პროპორციის გარეშე). გაცემული თანხები დაბეგრილია გადახდის წყაროსთან. წლიური შედეგებით დადგინდა, რომ საწარმოს მოგება არ მიუღია და, შესაბამისად, განაწილებული თანხები ვერ დაკვალიფიცირდა როგორც დივიდენდი. მიუხედავად იმისა, რომ პარტნიორს მხოლოდ დივიდენდის მიღების უფლება აქვს, დოკუმენტურად დასტურდება, რომ ზედმეტად გაცემული დივიდენდის თანხები არ ბრუნდება და, ამასთან, არ დასტურდება საწარმოს კაპიტალის შემცირება (წილის მფლობელის მიერ კაპიტალის გატანა).

შედეგი: აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებობისას:

ა) შუალედური მოგების დივიდენდების სახით განაწილება შესაძლებელია;

ბ) დაუბრუნებელი თანხა თავისი შინაარსით პარტნიორისათვის გაცემის თარიღიდან საგადასახადო მიზნებისათვის ჩაითვლება საწარმოსაგან მიღებულ შემოსავლად;

გ) შემოსავლის გამცემს საგადასახადო აგენტის ვალდებულება არ დაეკისრება რეზიდენტ ფიზიკურ პირთან მიმართებაში;

დ) წყაროსთან დაკავებული დივიდენდის დეკლარირებული თანხა ექვემდებარება შემცირებას;

ე) თუ პარტნიორი იმავდროულად დაქირავებული პირია, აღნიშნული განაცემი არ კვალიფიცირდება ხელფასად და გამოსაქვით ხარჯს არ წარმოადგენს;

ვ) დაუბრუნებელ თანხაზე პარტნიორს უნდა დაერიცხოს კუთვნილი საშემოსავლო გადასახადი;

ზ) პარტნიორი დეკლარაციის წარუდგენლობის შემთხვევაში დაჯარიმდება სსკ-ის 274-ე მუხლით;

თ) თუ პარტნიორს დეკლარაცია წარდგენილი აქვს, დეკლარაციაში გადასახადის შემცირების შემთხვევაში დაჯარიმდება სსკ-ის 275-ე (ან ძვ. 132-ე) მუხლით.

ფაქტობრივი გარემოება №7: 2011 წლამდე დადგენილი წესით საწარმოს მიერ დივიდენდების სახით სსკ-ის ძველი 195(1)-ე მუხლით გათვალისწინებულ ფიზიკურ პირებზე 281(36)-ე მუხლის მოთხოვნების დაცვით განაწილებულია შუალედური მოგება (წილის პროპორციულად ან პროპორციის გარეშე). გაცემული თანხები დაბეგრილია გადახდის წყაროსთან. წლიური შედეგებით დადგინდა, რომ საწარმოს მოგება არ მიუღია და, შესაბამისად, განაწილებული თანხები ვერ დაკვალიფიცირდა, როგორც დივიდენდი. ვინაიდან პარტნიორს მხოლოდ დივიდენდის მიღების უფლება აქვს, მიღებულია გადაწყვეტილება თანხების საწარმოსათვის დაბრუნების თაობაზე.

შედეგი: აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებობისას:

ა) შუალედური მოგების დივიდენდების სახით განაწილება შესაძლებელია;

ბ) დაუბრუნებელი თანხა თავისი შინაარსით საწარმოსათვის გაცემის თარიღიდან საგადასახადო მიზნებისათვის ჩაითვლება უპროცენტოდ გაცემულ სესხად;

გ) დასაბრუნებელი თანხა თავისი შინაარსით პარტნიორისათვის გაცემის თარიღიდან საგადასახადო მიზნებისათვის ჩაითვლება უპროცენტო სესხის მიღებად;

დ) საწარმოს საგადასახადო აგენტის ვალდებულება პარტნიორთან მიმართებაში არ დაეკისრება;

ე) წყაროსთან დაკავებული დივიდენდის დეკლარირებული თანხა ექვემდებარება შემცირებას;

ვ) თუ პარტნიორი იმავდროულად დაქირავებული პირია, აღნიშნული განაცემი არ კვალიფიცირდება ხელფასად და გამოსაქვით ხარჯს არ წარმოადგენს;

ზ) თანხის ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენების შემთხვევაში, პარტნიორს უფლება აქვს გამოქვითოს მის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები;

თ) სესხის საბაზრო პროცენტით გაიზრდება საწარმოს ერთობლივი შემოსავალი და მოგების გადასახადის შემცირების შემთხვევაში იგი დაჯარიმდება სსკ-ის 275-ე (ან ძვ. 132-ე) მუხლით;

ი) პარტნიორს სარგებელზე უნდა დაერიცხოს კუთვნილი გადასახადი სსკ-ის 167-ე (ძვ.) მუხლით გათვალისწინებული განაკვეთით;

კ) პარტნიორი დეკლარაციის წარუდგენლობის შემთხვევაში დაჯარიმდება სსკ-ის 274-ე მუხლით;

ლ) თუ პარტნიორს დეკლარაცია წარდგენილი აქვს, მაშინ დეკლარაციაში გადასახადის შემცირების შემთხვევაში იგი დაჯარიმდება სსკ-ის 275-ე (ან ძვ. 132-ე) მუხლით.

მაგალითი 8: 2011 წელს დადგენილი წესით საწარმოს მიერ დივიდენდების სახით სსკ-ის ძველი 130(1)-ე მუხლით გათვალისწინებულ ფიზიკურ პირებზე 309(2)-ე მუხლის მოთხოვნების დაცვით განაწილებულია შუალედური მოგება (წილის პროპორციულად ან პროპორციის გარეშე). გაცემული თანხები დაბეგრილია გადახდის წყაროსთან. წლიური შედეგებით დადგინდა, რომ საწარმოს მოგება არ მიუღია და, შესაბამისად, განაწილებული თანხები ვერ დაკვალიფიცირდა როგორც დივიდენდი. მიუხედავად იმისა, რომ პარტნიორს მხოლოდ დივიდენდის მიღების უფლება აქვს, დოკუმენტურად დასტურდება, რომ ზედმეტად გაცემული დივიდენდის თანხები არ ბრუნდება და, ამასთან, არ დასტურდება საწარმოს კაპიტალის შემცირება (წილის მფლობელის მიერ კაპიტალის გატანა).

შედეგი: აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებობისას:

ა) შუალედური მოგების დივიდენდების სახით განაწილება შესაძლებელია;

ბ) დაუბრუნებელი თანხა თავისი შინაარსით პარტნიორისათვის გაცემის თარიღიდან საგადასახადო მიზნებისათვის ჩაითვლება სანარმოსაგან მიღებულ შემოსავლად;

გ) შემოსავლის გამცემი ვალდებულია გადახდის წყაროსთან დაკავოს საშემოსავლო გადასახადი სსკ-ის 154-ე მუხლის პირველი ნაწილის „მ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ამასთან, თუ პარტნიორი გადასახადის გადამხდელის მოწმობის მქონე ფიზიკური პირია, შემოსავლის გამცემს გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავების ვალდებულება არ დაეკისრება;

დ) წყაროსთან დაკავებული დივიდენდის დეკლარირებული თანხა ექვემდებარება შემცირებას;

ე) პარტნიორის დაუბრუნებელ თანხაზე საწარმოს უნდა დაერიცხოს გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადი;

ზ) საწარმო დაჯარიმდება დეკლარაციაში გადასახადის შემცირების შემთხვევაში სსკ-ის 275-ე მუხლით.

მაგალითი 9: სააქციო საზოგადოებამ, რომელშიც აქციათა 60%-ის მფლობელია საქართველოს საწარმო, ხოლო დანარჩენი 40%-ის – ფიზიკური პირები, 2011 წლის ექვსი თვის შედეგების მიხედვით დივიდენდების სახით გაანაწილა 50000 ლარი. ფიზიკურ პირებზე გაცემული 20000 ლარი (50000ხ40%) დაიბეგრა გადახდის წყაროსთან 1000 ლარით (20000ხ5%). 2011 წლის შედეგების მიხედვით სააქციო საზოგადოების გასანაწილებელმა მოგებამ შეადგინა 29000 ლარი. სააქციო საზოგადოების საერთო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება შუალედური მოგების დივიდენდების სახით ზედმეტად განაწილებული თანხის – 21000 ლარის (ფიზიკური პირებიდან 8400 ლარის და იურიდიული პირებიდან 12600 ლარის) საზოგადოებისათვის დაბრუნების თაობაზე. აღნიშნული თანხები დაბრუნებულია, რაც დასტურდება საწარმოს სააღრიცხვო ჩანაწერებით. მიერ კაპიტალის გატანა).

შედეგი: აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებობისას:

ა) შუალედური მოგების დივიდენდების სახით განაწილება შესაძლებელია;

ბ) რადგან ექვსი თვის შედეგების მიხედვით დივიდენდების სახით აქციონერებზე გაცემული თანხა (50000 ლარი) აღემატება წლიური შედეგების მიხედვით გასანაწილებელ მოგებას (29000 ლარი), სხვაობა 21000 ლარი (50000–29000) დივიდენდად ვერ დაკვალიფიცირდება;

გ) დასაბრუნებელი თანხა 21000 ლარი თავისი შინაარსით საწარმოსათვის გაცემის თარიღიდან დაბრუნების თარიღამდე საგადასახადო მიზნებისათვის ჩაითვლება უპროცენტოდ გაცემულ სესხად;

დ) დასაბრუნებელი თანხა 21000 ლარი თავისი შინაარსით პარტნიორებისთვის გაცემის თარიღიდან დაბრუნების თარიღამდე საგადასახადო მიზნებისათვის ჩაითვლება უპროცენტო სესხის მიღებად;

ე) საწარმოს საგადასახადო აგენტის ვალდებულება პარტნიორთან მიმართებაში არ დაეკისრება;

ვ) შუალედური მოგების განაწილების შედეგად დივიდენდების სახით განაცემებზე გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის თანხა 1000 ლარი დაექვემდებარება შემცირებას 420 ლარით (21000 ხ 40%ხ5%=420);

ზ) თუ პარტნიორი იმავდროულად დაქირავებული პირია, აღნიშნული განაცემი არ კვალიფიცირდება ხელფასად და გამოსაქვით ხარჯს არ წარმოადგენს;

თ) თანხის ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენების შემთხვევაში, პარტნიორს უფლება აქვს გამოქვითოს მის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები;

ი) სესხის საბაზრო პროცენტით გაიზრდება საწარმოს ერთობლივი შემოსავალი და მოგების დადასახადის შემცირების შემთხვევაში იგი დაჯარიმდება სსკ-ის 275-ე მუხლით;

კ) პარტნიორს სარგებელზე უნდა დაერიცხოს კუთვნილი გადასახადი სსკ-ის 81-ე მუხლით გათვალისწინებული განაკვეთით;

ლ) პარტნიორი დეკლარაციაში გადასახადის შემცირების შემთხვევაში დაჯარიმდება სსკ-ის 275-ე მუხლით.

ანალიზი:

დივიდენდის განმარტებიდან გამომდინარე, შემოსავალი, რომელიც პარტნიორების მიერ მიიღება იურიდიული პირის მოგების განაწილების შედეგად, თუნდაც ეს განაწილება მოხდეს ამ პირის კაპიტალში პარტნიორთა კუთვნილი აქციების/უფლებების პროპორციის დაცვის გარეშე, წარმოადგენს დივიდენდს. ამასთან, თუ არ არსებობს ხელშეკრულება პარტნიორებს შორის დივიდენდების კუთვნილი აქციების/უფლებების პროპორციის დაცვის გარეშე განაწილების თაობაზე, ჩაითვლება, რომ იურიდიული პირის მიერ დივიდენდები განაწილებულია ამ პირის კაპიტალში პარტნიორთა კუთვნილი აქციების/უფლებების პროპორციის შესაბამისად.

მაგალითი10: საწარმოს ჰყავს ორი პარტნიორი: ფიზიკური და იურიდიული პირი, თითოეულის წილი თანაბარია და შეადგენს 50%-ს. სამეურნეო წლის დასაწყისში პარტნიორებმა დადეს ხელშეკრულება, რომ დივიდენდები მათ შორის განაწილდება თავდაპირველი წილობრივი პროპორციის დაცვის გარეშე შემდეგნაირად: 30% ფიზიკურ პირს და 70% იურიდიულ პირს. წლიური შედეგების მიხედვით საწარმომ დივიდენდებად გასცა 100000 ლარი, მათ შორის, ფიზიკურ პირზე 30000 ლარი და იურიდიულ პირზე 70000 ლარი.

შედეგი: აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებობისას:

ა) პარტნიორ ფიზიკურ პირზე გასაცემი დივიდენდი 30000 ლარი ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაბეგვრას;

ბ) პარტნიორ იურიდიულ პირზე გასაცემი დივიდენდი 70000 ლარი გაცემის წყაროსთან დაბეგვრას არ ექვემდებარება და დივიდენდის მიმღები პირის ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება.

მაგალითი11: საწარმოს ჰყავს ორი პარტნიორი: ფიზიკური და იურიდიული პირი, თითოეულის წილი თანაბარია და შეადგენს 50%-ს. პარტნიორებს არა აქვთ დადებული ხელშეკრულება დივიდენდების თავდაპირველი წილობრივი პროპორციის დაცვის გარეშე განაწილების შესახებ. წლიური შედეგების მიხედვით საწარმომ დივიდენდებად გასცა 100000 ლარი, მათ შორის, ფიზიკურ პირზე 30000 ლარი და იურიდიულ პირზე 70000 ლარი.

შედეგი: აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებობისას ჩაითვლება, რომ:

ა) პარტნიორებს შორის დივიდენდები განაწილდა საწარმოს კაპიტალში მათი კუთვნილი წილის შესაბამისად, ანუ თითოეულზე 50000 ლარი, ამასთან, პარტნიორ ფიზიკურ პირს დივიდენდი დაებეგრება გადახდის წყაროსთან, ხოლო პარტნიორ იურიდიულ პირს დივიდენდი არ დაებეგრება გადახდის წყაროსთან და ერთობლივ შემოსავალში არ ჩაერთვება;

ბ) პარტნიორმა ფიზიკურმა პირმა გადახდის წყაროსთან დაბეგრილი 20%-იანი წილის (20000 ლარის) შესატყვისი თანხა, ანუ 19000 ლარი (20000 – (20000ხ5%=1000)) გადასცა პარტნიორ იურიდიულ პირს;

გ) პარტნიორმა იურიდიულმა პირმა პარტნიორი ფიზიკური პირისაგან სარგებლის სახით მიიღო 19000 ლარი, რომელიც ექვემდებარება მის ერთობლივ შემოსავალში ჩართვას.

ანალიზი:

იურიდიული პირის ლიკვიდაციისას ლიკვიდატორმა პარტნიორს აქციის/წილის სანაცვლოდ შეიძლება გადასცეს იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ქონება. თუ ასეთი გადაცემისას პარტნიორს უბრუნდება იურიდიული პირის კაპიტალში (სანესტებოსა და საემისიოში) შეტანილი ქონე-

ბა, რომლის საბაზრო ღირებულება ლიკვიდაციის მომენტისათვის აღემატება კაპიტალში შეტანისას დაფიქსირებულ ღირებულებას, მაშინ ამ ქონების ნამეტი ღირებულება ჩაითვლება პარტნიორზე გაცემულ დივიდენდად (სსკ-ის მე-8 მუხლის მე-12 ნაწილის „ა" ქვეპუნქტიდან გამომდინარე).

მაგალითი12: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას ლიკვიდაციის მომენტისათვის გასანაწილებელი დარჩა საბაზრო ღირებულებით 300000 ლარის ქონება, მათ შორის 100000 ლარის უძრავი ქონება წარმოადგენს საზოგადოების კაპიტალში დამფუძნებელი ფიზიკური პირის „დავითის" მიერ შეტანილ ქონებას, რომლის ღირებულება შეტანის მომენტშიც 100000 ლარი იყო, ხოლო 200000 ლარის უძრავი ქონება წარმოიშვა ეკონომიკური საქმიანობის პერიოდში. აქედან, „დავითს" წილის შესაბამისად გადაეცა 100000 ლარის უძრავი ქონება, ხოლო 200000 ლარის უძრავი ქონება გადაეცა დამფუძნებელ ფიზიკურ პირს „ალექსანდრეს", რომლის შენატანი საზოგადოების კაპიტალში იყო 50000 ლარის მომსახურება.

შედეგი: აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებობისას:

ა) „დავითისთვის" გადაცემული ქონება არ განიხილება დივიდენდად, რამდენადაც იგი არ აღემატება მის მიერ იურიდიული პირის კაპიტალში განხორციელებული შენატანის ღირებულებას;

ბ) „ალექსანდრესთვის" გადაცემული ქონების ის ღირებულება, რომელიც აღემატება „ალექსანდრეს" მიერ იურიდიული პირის კაპიტალში განხორციელებული შენატანის ღირებულებას, ანუ 150000 ლარი (200000 – 50000) განიხილება დივიდენდად და ექვემდებარება დაბეგვრას გადახდის წყაროსთან.

მაგალითი 13: საწარმომ კაპიტალში შენატანის ოდენობით 100%-იანი წილის მფლობელ პარტნიორზე გასცა სესხი საბაზროზე დაბალი წლიური საპროცენტო განაკვეთით და მოთხოვნებში ასახა როგორც ძირითადი თანხა, ასევე მისაღები პროცენტი. მოგების გადასახადის მიზნებისათვის შემოსავალში აიღო გაცემულ სესხზე დარიცხული პროცენტის თანხა შესაბამისი პერიოდების მიხედვით საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და მოახდინა დეკლარირება. საწარმომ ისე შეწყვიტა ეკონომიკური საქმიანობა და პარტნიორმა ისე გადაწყვიტა საწარმოს ლიკვიდაცია, რომ საწარმოს მოთხოვნა პარტნიორის მიმართ არ გაუუქმებია და არ წარუდგენია „გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაცია".

შედეგი: აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებობისას:

ა) საწარმოს ლიკვიდაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მომენტში დივიდენდად უნდა განეხილა სხვაობა მოთხოვნებში დაფიქსირებულ თანხასა (ძირ თანხას+პროცენტის თანხა) და პარტნიორის მიერ კაპიტალში შენატანის ოდენობას შორის და დაებეგრა გადახდის წყაროსთან;

ბ) საწარმოს უნად დაერიცხოს გადახდის წყაროსთან დასაკავებელი გადასახადი (დივიდენდი);

გ) საწარმო დაჯარიმდება „გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციაში" გადასახადის შემცირების შემთხვევაში სსკ-ის 275-ე (ძვ. 132-ე) მუხლით.

მაგალითი14: დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული საწარმოს დამფუძნებელია 6 ფიზიკური პირი. კაპიტალში ქონებრივი შენატანია – თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, რომელიც შეფასებულია დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ 40000 ლარად. მიღებულია გადაწყვეტილება საწარმოს ლიკვიდაციის შესახებ დაფუძნებიდან 1 წლის შემდეგ. ლიკვიდაციისას იგივე ქონება საბაზრო ღირებულებით – 80000 ლარი – გაიტანა წილის პროპორციულად დამფუძნებელმა ფიზიკურმა პირებმა ისე, რომ საწარმოს მიერ დაბეგვრა/წყაროსთან დაკავება არ მომხდარა.

შედეგი: აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებობისას:

ა) მიწის ნაკვეთის მიწოდება გათავისუფლებულია დღგ-ისაგან;

ბ) მიწის ნაკვეთის გადაცემა მოგების გადასახადის მიზნებისათვის საწარმოს ჩაეთვლება მიწოდებად საბაზრო ფასით. შესაბამისად, უნდა დაზუსტდეს საწარმოს დასაბეგრი მოგება (ნამეტი თანხა (80000 – 40000) ჩაირთვება ერთობლივ შემოსავალში) და დღგ-ის პროპორციული ჩათვლები, გათავისუფლებული მიწოდების გათვალისწინებით;

გ) იგივე ქონების (შენატანის) უკან დაბრუნება არ ჩაითვლება დივიდენდად და საწარმოს დამფუძნებელ ფიზიკურ პირთა მიმართ წყაროსთან დაკავების ვალდებულება არ წარმოიშობა;

დ) წილის პროპორციულად ფიზიკურ პირთა ნამეტი (80000 – 40000) არ თავისუფლდება საშემო-

საგლო გადასახადისაგან (სსკ-ის 82-ე (ძე.168-ე) მუხლი) და ფიზიკური პირების მიერ დეკლარირებას ექვემდებარება დამოუკიდებლად.

ანალიზი:

სანარმოს მიერ თავისი აქციების გამოსყიდვის, აგრეთვე, პარტნიორის მიერ საწარმოდან წილის გატანის შემთხვევებში პარტნიორის მიერ შენატანის ოდენობის ზევით მიღებული ნამეტი შემოსავალი განიხილება დივიდენდად.

მაგალითი15: სააქციო საზოგადოებამ აქციონერის საკუთრებაში არსებული 100000 ლარის (ნომინალური ღირებულებით) აქციები გამოისყიდა 123756 ლარად (საბაზრო ფასი), რის შედეგად აქციონერმა მიიღო 23756 ლარის ნამეტი შემოსავალი. ამასთან, სააქციო საზოგადოებამ საანგარიშო წელი დაამთავრა მოგებით.

შედეგი: აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებობისას:

ა) ნამეტი შემოსავალი განიხილება აქციონერის მიერ მიღებულ დივიდენდად;

ბ) თუ აქციონერი ფიზიკური პირია, დივიდენდი დაიბეგრება გადახდის წყაროსთან;

გ) თუ აქციონერი „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული იურიდიული პირია, დივიდენდი გადახდის წყაროსთან არ დაიბეგრება და დივიდენდების მიმღები იურიდიული პირის მიერ ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება.

ანალიზი:

როდესაც იურიდიული პირის პარტნიორს ამ იურიდიული პირის კაპიტალის გაზრდის გარეშე, აქციების დანაწევრების, დაყოფის ან სხვა გარემოებების გამო, რომლითაც ხდება მხოლოდ ერთეული აქციის ნომინალური ღირებულების კლება, საკუთრებაში გადაეცემა ამავე იურიდიული პირის დამატებითი აქციები, აღნიშნული გადახდა არ უნდა იქნეს განხილული დივიდენდად. ასევე არ განიხილება დივიდენდად იურიდიული პირის მიერ პარტნიორისათვის დივიდენდის, ხელფასის, საქონლის მიწოდების/გაწეული მომსახურების სანაცვლოდ ფულადი ან ნატურალური ფორმით განხორციელებული გადახდა/განაცემი და დაიბეგრება გადახდის წყაროსთან გაცემის/გადაცემის მომენტში.

მაგალითი16: აქციონერს გააჩნია 100 ცალი აქცია, 1 აქციის ნომინალური ღირებულებით 100 ლარი, ანუ სულ 10 000 ლარის აქციები. სააქციო საზოგადოებამ გადაწყვიტა 1 აქციის ნომინალური ღირებულების 10 ლარამდე შემცირება დამატებითი აქციების გამოშვების ხარჯზე. აქციონერს დამატებით გადაეცა 900 ცალი აქცია, რის შედეგადაც აქციონერის საკუთრებაში არსებული აქციების რაოდენობამ შეადგინა 1000 ცალი (100+900=1000 ცალი აქცია, 1 აქციის ნომინალური ღირებულებით 10 ლარი).

შედეგი: აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებობისას, სააქციო საზოგადოების მიერ აქციონერისთვის დამატებითი აქციების გადაცემა არ წარმოადგენს დივიდენდს.

მაგალითი17: იურიდიული პირის პარტნიორს, რომელიც ასრულებს დირექტორის მოვალეობას, ხელფასის სანაცვლოდ გადაეცა ამავე იურიდიული პირის 50 ცალი აქცია.

შედეგი: აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებობისას, იურიდიული პირის მიერ პარტნიორისთვის გადაცემული აქციები (ნომინალური ღირებულებით) ჩაითვლება ხელფასად და დაიბეგრება გადახდის წყაროსთან გადაცემის მომენტში.

საერთაშორისო ფინანსური კომპანიის აქციებიდან/წილიდან მიღებული დივიდენდები გადახდის წყაროსთან არ იბეგრება და დივიდენდების მიმღები პირის მიერ ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება.

ანალიზი:

საერთაშორისო ფინანსური კომპანია არის ფინანსური ინსტიტუტი ("ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 54-ე პუნქტის თანახმად, იურიდიული პირი, რომ-

ლის საქმიანობაა ფინანსური მომსახურების განხორციელება), რომელსაც თავისი უფლებამოსილი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე მომავალი კალენდარული წლებისათვის, ხოლო ასეთი საწარმოების სახელმწიფო რეგისტრაციის შემთხვევაში – რეგისტრაციასთან ერთად მიმდინარე და მომავალი კალენდარული წლებისათვის ენიჭება საერთაშორისო ფინანსური კომპანიის სტატუსი და გაიცემა ამ სტატუსის დამადასტურებელი სერტიფიკატი (სსკ-ის მუხლი 23.1).

თუ საერთაშორისო ფინანსური კომპანია წლიური შედეგების მიხედვით მოგებას გაანაწილებს თავის აქციონერებზე/მოწილეებზე, კაპიტალში მათი კუთვნილი აქციების/უფლებების პროპორციულად ან პროპორციის დაცვის გარეშე, მაშინ აღნიშნული განაცემები (დივიდენდები), მიუხედავად იმისა, თუ ვინ არიან დივიდენდის მიმღები პირები, გადახდის წყაროსთან არ დაიბეგრება.

მაგალითი18: საერთაშორისო ფინანსურმა კომპანიამ 2011 წლის შედეგების მიხედვით 2012 წელს აქციების მფლობელ პირებზე გასცა 10000 ლარის დივიდენდი.

შედეგი: აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებობისას, გაცემული დივიდენდები გადახდის წყაროსთან არ დაიბეგრება და დივიდენდების მიმღები პირების მიერ მიღებული დივიდენდები ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება.

თავისუფლად მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდიდან მიღებული დივიდენდები გადახდის წყაროსთან არ იბეგრება და დივიდენდების მიმღები პირის მიერ ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება.

ანალიზი:

თავისუფლად მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდი არის საფონდო ბირჟის ლისტინგში სავაჭროდ დაშვებული საჯარო ან სასესხო ფასიანი ქაღალდი, რომლის თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტი საანგარიშო წლის წინა წლის 31 დეკემბრის ან საანგარიშო წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფასიანი ქაღალდების ემიტენტის მიერ საფონდო ბირჟისათვის მიწოდებული ინფორმაციით უნდა აღემატებოდეს 25 პროცენტს (სსკ-ის მუხლი 8.13).

"ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 32-ე პუნქტის თანახმად, ფასიანი ქაღალდი (ფასიანი ქაღალდები) არის მიმოქცევადი ფინანსური ინსტრუმენტები და უფლებები, რომელთა საჯარო შეთავაზებაც შესაძლებელია წილობრივი თუ სასესხო ფასიანი ქაღალდების სახით (ან მათი კომბინირებული ვარიანტით) ან რომლებიც შეიძლება გარდაიქმნას ასეთებად ან რომლებიც არიან ასეთებზე ხელმონერისა თუ ასეთების შეძენის უფლების მატარებლები, საინვესტიციო ხელშეკრულებები და ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული სხვა ინსტრუმენტები და უფლებები.

"ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული იმ საჯარო ან სასესხო ფასიანი ქაღალდიდან მიღებული დივიდენდი, რომელიც სავაჭროდ დაშვებულია საფონდო ბირჟის ლისტინგში და რომლის თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტი საანგარიშო წლის წინა წლის 31 დეკემბრის ან საანგარიშო წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფასიანი ქაღალდების ემიტენტის მიერ საფონდო ბირჟისათვის მიწოდებული ინფორმაციით, აღემატება 25 პროცენტს, გადახდის წყაროსთან არ იბეგრება და დივიდენდების მიმღები პირის მიერ ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება.

მაგალითი 19: რეზიდენტმა ფიზიკურმა პირმა, რომელიც ფლობს რეზიდენტი სააქციო საზოგადოების აქციებს, 2012 წელს აღნიშნული აქციებიდან მიიღო დივიდენდი. საფონდო ბირჟის მონაცემებით, სააქციო საზოგადოების აქციები სავაჭროდ დაშვებული იყო საფონდო ბირჟის ლისტინგში, ამასთან, ამ აქციების თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტი 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღემატება 25 პროცენტს. სააქციო საზოგადოებამ ჩათვალა, რომ დაცული იყო სსკ-ის 130-ე მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნა და ფიზიკურ პირზე გაცემული დივიდენდი არ დაბეგრა გადახდის წყაროსთან. მომდევნო წელს დადგინდა, რომ ემიტენტის მიერ საფონდო ბირჟისათვის მინოდებული ინფორმაცია არასწორია, კერძოდ, სააქციო საზოგადოების აქციების თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტი არ აღემატება 25 პროცენტს.

შედეგი:

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებობისას:

ა) საფონდო ბირჟისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდებით გამოწვეული შეუსრულებელი

საგადასახადო ვალდებულების დაფარვა უნდა უზრუნველყოს სააქციო საზოგადოებამ (ემიტენტმა) როგორც საგადასახადო აგენტმა;

ბ) სააქციო საზოგადოებას დაეკისრება ფიზიკურ პირზე გაცემული დივიდენდის კუთვნილი გადასახადის გადახდა;

გ) დივიდენდის მიმღებს საგადასახადო ვალდებულება არ წარმოეშვება.

რეზიდენტი საწარმოს მიერ სახელმწიფოსთვის გადახდილი დივიდენდები გადახდის წყაროსთან არ იბეგრება.

ანალიზი:

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფოს ან/და ადგილობრივ თვითმმართველობას, როგორც საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, შეუძლია სამეწარმეო საზოგადოებებში მონაწილეობდეს პარტნიორად როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი და იღებდეს დივიდენდს.

მაგალითი 20: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ, რომლის 100 – პროცენტიანი წლის მფლობელი არის სახელმწიფო, 2011 წლის შედეგების მიხედვით 2012 წელს გასცა 235000 ლარის დივიდენდი.

შედეგი:

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებობისას, გაცემული დივიდენდი გადახდის წყაროსთან არ დაიბეგრება.

თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში თიზ – ის საწარმოდან მიღებული დივიდენდი გადახდის წყაროსთან არ იბეგრება და ამ დივიდენდის მიმღები პირის მიერ ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება.

ანალიზი:

საგადასახადო მიზნებისათვის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმო (შემდგომ – თიზ – ის საწარმო) არის „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი საწარმო (სსკ-ის მუხლი 25.1).

„თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად, თიზ – ის საწარმო შეიძლება იყოს ნებისმიერი ორგანიზაციულ – სამართლებრივი და საკუთრების ფორმის საწარმო, რომელიც რეგისტრირებულია თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საწარმოთა რეგისტრაციის ნორმების შესაბამისად. თავისუფალი ინდუსტრიული ზონის გარეთ რეგისტრირებული საწარმოები (როგორც საქართველოს, ისე უცხოური) თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში საქმიანობას ახორციელებენ ამ ზონაში რეგისტრირებული მუდმივი დაწესებულებების მეშვეობით. თიზ – ის საწარმო საქართველოს სხვა ტერიტორიაზე (თავისუფალი ინდუსტრიული ზონის გარეთ) საქმიანობას ახორციელებს როგორც უცხოური საწარმოს მუდმივი დაწესებულება.

თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში რეგისტრირებული თიზ – ის საწარმოდან მიღებული დივიდენდი, მიუხედავად დივიდენდის მიმღები პირის ადგილმდებარეობისა, არ ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაბეგვრას და ამ დივიდენდის მიმღები პირის მიერ ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება.

მაგალითი 21: თიზ-ის საწარმომ 2011 წლის შედეგების მიხედვით 2012 წელს გასცა 50000 ლარის დივიდენდი. დივიდენდის მიმღებები პირები არიან როგორც რეზიდენტი, ისე არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირები.

შედეგი:

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებობისას, გაცემული დივიდენდები გადახდის წყაროსთან არ დაიბეგრება.

17.6.2 რეკომენდაციები დივიდენდების დაბეგვრის კონტროლთან დაკავშირებით

ყურადღება მიაქციეთ იმ ფაქტს, რომ გადასახადის გადამხდელმა, რომელიც გასცემს დივიდენდს, უნდა გამოიყენოს იმ პერიოდში მოქმედი გადასახადის განაკვეთი, როდესაც ხდება დივიდენდის ფაქტობრივი გაცემა. შესაბამისად, დივიდენდი შეიძლება იყოს, მაგ. 2008 წელს წარმოქმნილი და განაწილებული(ანუ დარიცხული), ხოლო რეალურად გაცემული იყოს, მაგ. 2012 წელს. ამდენად, თუ დივიდენდის განაწილებისა და გაცემის პერიოდს შორის არსებობს განსხვავებული საგადასახადო განაკვეთები, მაშინ დივიდენდის დაბეგვრა უნდა მოხდეს გაცემის დროს არსებული დაბეგვრის განაკვეთების მიხედვით.

გაარკვიეთ დივიდენდის დაბეგვრის სუბიექტი. დაბეგვრის სუბიექტის იდენტიფიკაცია საშუალებას იძლევა განისაზღვროს დივიდენდის გადახდის წყაროსთან დაბეგვრის მართლზომიერება. კერძოდ, დივიდენდის გადახდის წყაროსთან დაბეგვრის აუცილებელი პირობაა, რომ დივიდენდის მიმღები იყოს: ფიზიკური პირი ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ან არარეზიდენტი (უცხოური) სანარმო. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ 2011 წლის 23 ნოემბრამდე, კერძოდ, 2011 წლის 8 ნოემბრის №5202 კანონით სსკ-ში ცვლილების შეტანამდე, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისათვის გადახდილი დივიდენდები გადახდის წყაროსთან არ იბეგრებოდა და ექვემდებარებოდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ერთობლივ შემოსავალში შეტანას.

თუ დივიდენდის მიმღები ფიზიკური პირია, განახორციელეთ დივიდენდის გამცემის იდენტიფიცირება რეზიდენტობის თვალსაზრისით. კერძოდ, თუ დივიდენდი საქართველოს რეზიდენტ ფიზიკურ პირს მიღებული აქვს არარეზიდენტი საწარმოსაგან და იგი არ განეკუთვნება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალს, მაშინ დივიდენდი თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისაგან.

განაცემის დივიდენდის კვალიფიკაციის სტატუსის შემონმების დროს დადგინდეთ შემდეგი ფაქტორების თანხვედრა: ა) დივიდენდი შეიძლება გაცემულ იქნეს მხოლოდ მოგების განაწილებიდან; ბ) დივიდენდის მიღება შეუძლიათ მხოლოდ აქციონერებს ან მონილეებს; გ) დივიდენდი შეიძლება გაცემულ იქნეს, როგორც ფულადი, ასევე სასაქონლო სახით; დ) დივიდენდის სახით განაცემი დივიდენდის გამცემის ლიკვიდაციის ან აქციის (წილის) გამოსყიდვისას უნდა აღემატებოდეს დივიდენდის მიმღების მიერ კაპიტალში განხორციელებული შენატანის ოდენობას; ე) დივიდენდად ვერ დაკვალიფიცირდება იურიდიული პირის აქციონერზე (მონილეზე) გადახდა ამავე იურიდიული პირის აქციის (წილის) საკუთრებაში გადაცემით.

თუ სამეურნეო წლის შედეგების მიხედვით დივიდენდის გამცემმა პირმა ვერ მიიღო გასანაწილებელი მოგება, ხოლო მან უკვე გასცა შუალედური დივიდენდი, მაშინ შეცვალეთ დივიდენდის კვალიფიკაცია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით: ა) თუ საწარმომ მიიღო გადაწყვეტილება დივიდენდად გაცემული თანხების დაბრუნების შესახებ და არ ხდება ამ თანხებით საწარმოს კაპიტალში დამფუძნებელთა შენატანების ოდენობის შემცირება, მაშინ დაბრუნების თარიღამდე განაცემი ჩაითვლება პარტნიორზე გაცემულ უპროცენტო სესხად; ბ) თუ საწარმომ მიიღო გადაწყვეტილება დივიდენდად გაცემული თანხების დაბრუნების შესახებ და არ ხდება ამ თანხებით საწარმოს კაპიტალში დამფუძნებელთა შენატანების ოდენობის შემცირება, მაშინ თანხის დაუბრუნებლობის შემთხვევაში აღნიშნული განაცემი ჩაითვლება პარტნიორის შემოსავლად და არა ხელფასად.

თუ დივიდენდები განაწილებულია პარტნიორების აქციების (წილების) პროპორციის დაცვის გარეშე, მაშინ დივიდენდების ასეთი განაწილება დააკვალიფიცირეთ პროპორციის მიხედვით განაწილებად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს პარტნიორთა შეთანხმება (ხელშეკრულება) არაპროპორციული განაწილების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ასეთი შეთანხმება, მაშინ დივიდენდების განაწილება მართლზომიერად ჩაითვლება.

შეისწავლეთ ის ფაქტი, რომ, თუ იურიდიული პირის ლიკვიდაციისას პარტნიორს გადაეცემა ქონება ფულადი ან ნატურალური ფორმით ან იურიდიული პირის მიერ პარტნიორის აქციის (წილის) გამოსყიდვისას პარტნიორს ფულადი ან ნატურალური ფორმით გადაეცემა ქონება და ასეთი გადაცემისას პარტნიორს უბრუნდება იურიდიული პირის კაპიტალში შეტანილი ქონება, რომლის საბაზრო ღირებულება არ აღემატება კაპიტალში შეტანისას დაფიქსირებულ ღირებულებას, მაშინ ამ ქონების გაცემა არ ჩაითვლება დივიდენდად და გაცემული ქონება არ დაიბეგრება.

ყურადღება მიაქციეთ იმ ფაქტს, რომ დივიდენდის კვალიფიკაცია არ უნდა მიენიჭოს ისეთ გადახდას, რომლის დროსაც იურიდიული პირის პარტნიორს ამ იურიდიული პირის კაპიტალის გაზრდის გარეშე, აქციების დანაწევრების, დაყოფის ან სხვა გარემოებების გამო, რომლითაც ხდება მხოლოდ

ერთეული აქციის ნომინალური ღირებულების კლება, საკუთრებაში გადაეცემა ამავე იურიდიული პირის დამატებითი აქციები.

მხედველობაში იქონიეთ ის ფაქტი, რომ, თუ პირი (ნებისმიერი პირი) დივიდენდებს ღებულობს საერთაშორისო ფინანსური კომპანიის აქციებიდან(წილებიდან), მაშინ დივიდენდები გადახდის წყაროსთან არ უნდა დაიბეგროს, ხოლო დივიდენდის მიმღები პირის მიერ ის ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება. ანალოგიური პრინციპი მოქმედებს თავისუფლად მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული დივიდენდების შემთხვევაში.

შეამოწმეთ ის სიტუაცია, რომლის მიხედვით რეზიდენტი საწარმოს მიერ სახელმწიფოსათვის გადახდილი დივიდენდები გადახდის წყაროსთან არ იბეგრება. ასევე, თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში თიზ-ის სანარმოდან მიღებული დივიდენდი გადახდის წყაროსთან არ იბეგრება და ამ დივიდენდის მიმღები პირის მიერ ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება.

მხედველობაში იქონიეთ ის ფაქტი, რომ საშემოსავლო გადასახადისაგან თავისუფლდება ფიზიკური პირის მიერ 2 წელზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული აქტივების მიწოდებით მიღებული ნამეტი, გარდა გამსხვისებლის მიერ აქტივების მიწოდებამდე ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენების შემთხვევისა. ამასთან, აქტივების ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებად არ ითვლება მათი 2 წლის შემდეგ მიწოდება ან/და ფასიანი ქაღალდების(წილის) მხოლოდ ფლობა დივიდენდებისა და პროცენტების მიღების მიზნით.

საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავლის განსაზღვრის დროს შეისწავლეთ ის ფაქტი, რომ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალს მიეკუთვნება რეზიდენტი იურიდიული პირისაგან მიღებული დივიდენდი, რეზიდენტი იურიდიული პირის აქციის ან/და იურიდიულ პირში პარტნიორის წილის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი.

ყურადღება გაამახვილეთ იმ ფაქტზე, რომ იურიდიული პირის ლიკვიდაციის დროს თუ პარტნიორ იურიდიულ პირს გადაეცემა მისი წილის პროპორციული აქტივი და, ამასთან პარტნიორი იურიდიული პირი ლიკვიდაციამდე ფლობდა 50 პროცენტს ან მეტს ამ იურიდიულ პირში, მაშინ აქტივების განაწილება არ არის დივიდენდი, ხოლო ასეთი გადაცემა არ ითვლება აქტივების მიწოდებად.

მხედველობაში იქონიეთ ის ფაქტი, რომ რეორგანიზაციის მხარე იურიდიულ პირში წილის განაწილება, რაც წარმოშობს მსგავს უფლებას სხვა იურიდიულ პირში, როლმელიც ასევე ამ რეორგანიზაციის მხარეა, არ არის დივიდენდი.

17.6.3 კორპორაციული გადასახადის იმპუტაციური სისტემა

კორპორაციული დაბეგვრის იმპუტაციური სისტემა არის იმ იურიდიული პირების საგადასახადო ვალდებულებების გაანგარიშების სისტემა, რომლებიც იბეგრებიან კორპორაციული გადასახადებით. ამ სისტემის მიხედვით განაწილებადი და გაუნაწილებელი მოგება იბეგრება კორპორაციული გადასახადის ერთიანი განაკვეთით. აქციონერებზე დივიდენდების გაცემის დროს ამოიღება მხოლოდ ე.წ კორპორაციის საავანსო გადასახადი, სტანდარტული საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის ოდენობით. წლის ბოლოს კორპორაციული გადასახადის მთლიანი თანხის გაანგარიშების დროს საავანსო გადასახადები მთლიანად გამოიქვითება ამ თანხიდან და სხვაობა შეიტანება ბიუჯეტში.

იმპუტაციური დაბეგვრის დროს აქციონერები ღებულობენ აქციებიდან მისაღებ მთლიან თანხას გადასახადების გადახდის გარეშე, ხოლო კორპორაციის საავანსო გადასახადები ფორმდება საგადასახადო კრედიტის სახით, ანუ აქციონერები ოფიციალურად არ არიან კორპორაციული გადასახადის გადამხდელები.

აქციონერის მიერ დივიდენდის სახით მიღებული მთელი თანხა შედის მათ ერთობლივ შემოსავალში და იბეგრება საშემოსავლო გადასახადით კორპორაციის საავანსო გადასახადის და კანონმდებლობით დადგენილი შეღავათების გათვალისწინებით(ჩათვლით).

ასეთი დაბეგვრის სისტემა მოქმედებს ბელგიაში, დანიაში, ირლანდიაში, იტალიაში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში იმ მიზნით, რომ არმოიფხვრას კორპორაციის მოგების ორმაგი დაბეგვრა. ნავარაუდევია, რომ ევროკავშირის ყველა ქვეყანა გადავიდეს მსგავს სისტემაზე.

17. 7. კორპორაციული ოპერაციების დაბეგვრის ცალკეული შემთხვევები

17.7.1. კორპორაციული დაბეგვრის ზოგადი საკანონმდებლო ნორმები

ამხანაგობის წევრის მიერ ამხანაგობიდან ქონების გატანა (ქონების ინდივიდუალურ საკუთრებაში მიღება) ან/და მომსახურების მიღება ითვლება ამხანაგობის მიერ საბაზრო ღირებულებით ქონების მიწოდებად ან/და მომსახურების გაწევად (ვრცელდება 2009 წლის 7 აგვისტოდან შექმნილ ამხანაგობებზე).

ამხანაგობიდან წილის სანაცვლოდ მომსახურების ან საქონლის ინდივიდუალურ საკუთრებაში მიღება (ამ შემთხვევაში ქონების გამოტანა ან/და რეგისტრაცია ითვლება ამხანაგობის მიერ ქონების მიწოდებად), რომლის დროსაც დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება საქონლის/ მომსახურების საბაზრო ფასით (გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახდელების ჩათვლით) დღგ-ის გარეშე (ვრცელდება 2009 წლის 7 აგვისტოდან შექმნილ ამხანაგობებზე).

ამხანაგობის შემთხვევაში მფლობელის წილი, თუ მასზე არ არის მიმაგრებული/განპიროვნებული ქონება, აგრეთვე ქონებაზე უფლების წინასწარი რეგისტრაციის შემთხვევაში უფლება არის ფინანსური ინსტრუმენტი. მაგ. თუ ამხანაგობის წევრის წილი არის 20 პროცენტი და ეს წილი წინასწარ არ არის განსაზღვრული რაიმე ქონების სახით (მაგ. 20 პროცენტიანი წილის სანაცვლოდ მისი მფლობელი წლის ბოლოს მიიღებს ერთ ბინას), მაშინ ეს წილი არის ფინანსური ინსტრუმენტი. ამასთან ქონებაზე უფლების წინასწარი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში არის ფინანსური ინსტრუმენტი – როგორც უფლება.

ამხანაგობის წევრები არიან ურთიერთდამოკიდებული პირები.

ამხანაგობა ითვლება საწარმოდ.

საშემოსავლო გადასახადისაგან თავისუფლდება ამხანაგობის მიერ თავისი წევრისთვის (თანამფლობელისთვის) ქონების გადაცემით მიღებული შემოსავალი, თუ ამხანაგობის წევრები მხოლოდ ფიზიკური პირები არიან, ამხანაგობის წევრთა შემადგენლობა არ შეცვლილა ამხანაგობის დაფუძნებიდან ქონების გადაცემის (განაწილების) მომენტამდე და ამხანაგობა განაწილების მომენტისათვის არ არის დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელი. ამხანაგობის წევრის გარდაცვალებისას ამხანაგობის წევრის წილის მემკვიდრეზე გადასვლა ან „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით ამხანაგობის წევრის წილის რეალიზაცია არ განიხილება ამხანაგობის წევრთა შემადგენლობის ცვლილებად.

დღგ-ს მიზნებისათვის საწარმოდან ან/და ამხანაგობიდან წილის სანაცვლოდ მომსახურების ან საქონლის ინდივიდუალურ საკუთრებაში მიღება (ამ შემთხვევაში ქონების გამოტანა ან/და რეგისტრაცია ითვლება ამხანაგობის მიერ ქონების მიწოდებად).

ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ისგან გათავისუფლებულია:

– ამხანაგობის წილის (ქონებაზე წინასწარი რეგისტრაციის უფლების) მიწოდება, თუ ამ წილზე (უფლებაზე) არ არის მიმაგრებული/განპიროვნებული ქონება, გარდა წილის (უფლების) სანაცვლოდ ქონების ინდივიდუალურ საკუთრებაში მიღების შემთხვევისა;

– ამხანაგობის მიერ თავისი წევრისთვის (თანამფლობელისთვის) ქონების მიწოდება (განაწილება), თუ ამხანაგობის წევრები არიან მხოლოდ ფიზიკური პირები, ამხანაგობის წევრთა შემადგენლობა არ შეცვლილა ამხანაგობის დაფუძნებიდან ქონების გადაცემის (განაწილების) მომენტამდე და ამხანაგობა განაწილების მომენტისათვის არ არის დღგ-ის გადამხდელი. ამხანაგობის წევრის გარდაცვალებისას ამხანაგობის წილის მემკვიდრეზე გადასვლა ან „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით ამხანაგობის წევრის წილის რეალიზაცია არ ითვლება ამხანაგობის წევრთა შემადგენლობის ცვლილებად.

ჩათვლის უფლებით დღგ-ისგან გათავისუფლებულია:

აქტივების მიწოდება შესატანის სახით საწარმოს კაპიტალში ან ამხანაგობაში. ამასთანავე, ითვლება, რომ აქტივების მიწოდების საანგარიშო პერიოდის მიხედვით აქტივების მიმღებმა პირმა შესაბამის საქონელზე მიიღო ჩათვლა; სახელმწიფოსთვის ან/და ადგილობრივი თვითმმართველობისათვის აქტივების გამოტანა იმ საწარმოს კაპიტალიდან, რომლის წილის/ აქციების 50 პროცენტზე მეტი სახელმწიფოს ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაშია.

შემოსავლებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული დაქირავებით მუშაობასთან და ეკონომიკურ საქმიანობასთან, განეკუთვნება ნებისმიერი შემოსავალი ან სარგებელი, გარდა პარტნიორთა შენატანებისა, რომლებიც ზრდიან იმ საწარმოს წმინდა აქტივს, რომელთა პარტნიორებიც არიან შენატანების განმახორციელებელი პირები.

დივიდენდი არის აქციონერის/მოწილის მიერ აქციებიდან ან უფლებებიდან (წილებიდან) მიღებული (მათ შორის, პრივილეგირებული აქციებიდან პროცენტის სახით მიღებული) ნებისმიერი შემოსავალი, რომელიც მიიღება მოგების განაწილების შედეგად და რომელსაც იურიდიული პირი უნაწილებს აქციონერებს/მოწილეებს, კაპიტალში მათი კუთვნილი აქციების/უფლებების პროპორციულად ან პროპორციის დაცვის გარეშე. ამასთანავე, დივიდენდს არ მიეკუთვნება:

ა) იურიდიული პირის ლიკვიდაციისას ან აქციის/წილის გამოსყიდვისას ფულადი ან ნატურალური ფორმით განხორციელებული გადახდა (განაცემი), რომელიც არ აღემატება კაპიტალში (საწესდებოსა და საემისიოში) აქციონერის/მოწილის მიერ განხორციელებული შენატანის ოდენობის ფარგლებს;

ბ) იურიდიული პირის აქციონერზე/მოწილეზე განხორციელებული გადახდა ამავე იურიდიული პირის აქციის/წილის საკუთრებაში გადაცემით.

კორპორაციული ოპერაციები – არის აქციების და კაპიტალში წილების დანაწევრება, კონსოლიდაცია, კაპიტალის გაზრდა/შემცირება (მათ შორის, კაპიტალის გაზრდაში მონაწილეობის უფლებების ემისია, შეძენა/გასხვისება და მიმოქცევა), ორი ან ორზე მეტი იურიდიული პირის შერწყმა/იურიდიული პირის ორ ან ორზე მეტ იურიდიულ პირად დაყოფა, ლიკვიდაცია, დივიდენდების დარიცხვასთან/აღრიცხვასთან და გადახდასთან დაკავშირებული მომსახურება (ფულადი ან კანონით დაშვებული ნებისმიერი სხვა ფორმით).

აქტივების ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებად არ ითვლება ფასიანი ქაღალდების/წილის მხოლოდ ფლობა დივიდენდებისა და პროცენტების მიღების მიზნით.

ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ შემოსავლებს განეკუთვნება დივიდენდი.

საქართველოში არსებულ წყაროდან მიღებულ შემოსავალს განეკუთვნება: რეზიდენტი იურიდიული პირისაგან მიღებული დივიდენდი, რეზიდენტი იურიდიული პირის აქციის ან/და იურიდიულ პირში პარტნიორის წილის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი; საქართველოში არსებული და ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული უძრავი ქონებით მიღებული შემოსავალი, მათ შორის, ასეთ ქონებაში პარტნიორის წილის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი; იმ სანარმოს აქციების ან პარტნიორის წილის მიწოდებით მიღებული შემოსავალი, რომლის აქტივების ღირებულების 50 პროცენტზე მეტი პირდაპირ ან არაპირდაპირ იქმნება საქართველოში არსებული უძრავი ქონების ღირებულებიდან.

გადასახადის წყაროსთან გადასახადის დაკავება ევალება რეზიდენტი საწარმო, რომელიც პირს უხდის დივიდენდს.

პარტნიორი ენოდება მეწილეს, აქციონერს, კომანდიტს, კომპლემენტარს და კოოპერატივის წევრს.

არარეზიდენტი ფიზიკური პირი, რომელიც შემოსავალს იღებს ქონების რეალიზაციით, არის საშემოსავლო გადასახადის გადამხდელი კალენდარული წლის განმავლობაში საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული ერთობლივი შემოსავლიდან, რომელიც მცირდება ამ პერიოდისათვის ასეთი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული გამოქვითვების თანხებით. ქონების რეალიზაციით მიღებულ შემოსავლებს განეკუთვნება რეზიდენტი იურიდიული პირის ჩვეულებრივი აქციების ან პარტნიორის წილის რეალიზაციით მიღებული ნამეტი.

საშემოსავლო გადასახადისაგან თავისუფლდება საწარმოს ლიკვიდაციის ან კაპიტალის შემცირების გზით ამ საწარმოს პარტნიორ ფიზიკურ პირზე წილის სანაცვლოდ უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემით მიღებული ნამეტი, თუ სანარმოს წილზე ფიზიკური პირის საკუთრების უფლების წარმოშობიდან გასულია 2 წელზე მეტი.

არარეზიდენტი სანარმო, რომელიც შემოსავალს იღებს ქონების რეალიზაციით, რომელიც დაკავშირებული არ არის საქართველოში მის მუდმივ დაწესებულებასთან, არის მოგების გადასახადის გადამხდელი კალენდარული წლის განმავლობაში საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული ერთობლივი შემოსავლიდან, რომელიც მცირდება ამ პერიოდისათვის ასეთი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული გამოქვითვების თანხებით. ქონების რეალიზაციით მიღებულ შემოსავლებს განეკუთვნება რეზიდენტი იურიდიული პირის ჩვეულებრივი აქციების ან პარტნიორის წილის რეალიზაციით მიღებული ნამეტი.

დღგ-ის გადამხდელი პარტნიორისაგან/წევრისაგან შენატანის სახით საქონლის/მომსახურების მიღების შემთხვევაში სანარმო/ამხანაგობა ვალდებულია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისათვის მიმართოს საგადასახადო ორგანოს დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელებამდე, მაგრამ შენატანის განხორციელებიდან არა უგვიანეს 10 კალენდარული დღისა.

საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მიზნებისათვის პირები ურთიერთდამოკიდებულად ითვლება, თუ ისინი არიან საქმიანობაში კანონიერად აღიარებული პარტნიორები.

საემისიო კაპიტალი არის სხვაობა საწარმოს მიერ აქციების პირველადი განთავსებიდან მიღებულ ან მისაღებ თანხასა და ამ აქციების ჯამურ ნომინალურ ღირებულებას შორის, აგრეთვე სამეწარმეო საზოგადოების დაფუძნებისას არაფულადი შესატანის ღირებულების მეტობა დათქმულ თანხაზე.

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი შეთანხმება (ხელშეკრულება), რომელიც წარმოშობს როგორც ერთი პირის ფინანსურ აქტივს, ისე მეორე პირის ფინანსურ ვალდებულებას. იგი მოიცავს: ფულად სახსრებს (ნაღდი და უნაღდო ფორმით), სესხებს (კრედიტებს), სასესხო ვალდებულებებს, თამასუქებსა და ფასიან ქაღალდებს, მათ შორის: კაპიტალში წილებს, აქციებს, ობლიგაციებს და ისეთ წარმოებულ ფასიან ქაღალდებს, როგორებიცაა: ოფციონი, ფიუჩერსი, ფორვარდი, სვოპი და სხვა.

ფინანსურ ოპერაციას მიეკუთვნება კაპიტალში წილების, აქციების, ობლიგაციების, სერტიფიკატების, თამასუქებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან, შეძენასთან, მიმოქცევასთან და მიწოდებასთან (მათ შორის, მომავალში) დაკავშირებული ოპერაციები, მათ შორის, მათი მიმოქცევის უზრუნველყოფა.

ერთობლივ შემოსავალში ასახვას არ ექვემდებარება სახელმწიფოსთვის ან/და ადგილობრივი თვითმმართველობისათვის იმ საწარმოს კაპიტალიდან აქტივების გამოტანა, რომლის წილის/აქციების 50 პროცენტზე მეტი სახელმწიფოს ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაშია.

საწარმოში, რომლის წილის (აქციების) 20 პროცენტზე მეტი პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის მოგების გადასახადისაგან განთავისუფლებულ იურიდიულ პირს, გამოსაქვითი პროცენტების თანხის ზღვრული ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გადამხდელის მიერ პროცენტის სახით მიღებული ნებისმიერი შემოსავლის თანხისა და პროცენტის სახით მიღებული შემოსავლისა და პროცენტის სახით გაწეული ხარჯის გაუთვალისწინებლად განსაზღვრული დასაბეგრი მოგების 50 პროცენტის ოდენობის თანხის ჯამს.

17.7.2. კორპორაციული ოპერაციების დროს საბაზრო ფასის გამოყენების (გამოუყენებლობის) შემთხვევები

შესაბამისი კორპორაციული ოპერაციის დროს საგადასახადო კანონმდებლობა იმპერატიულად ითხოვს საბაზრო ფასების გამოყენებას დაბეგვრის მიზნებისათვის ან მათი გამოყენების მიზანშეუწონლობას. კერძოდ, საბაზრო ფასის გამოყენების აუცილებლობა წარმოიშობა შემდეგ შემთხვევებში:

ა) ამხანაგობის წევრის მიერ ამხანაგობის ქონების გატანა(ქონების ინდივიდუალურ საკუთრებაში მიღება) ან/და მომსახურების მიღება;

ბ) იურიდიული პირის ლიკვიდაციისას მასში 50 პროცენტზე ნაკლები წილის მფლობელის მიერ წილის სანაცვლოდ აქტივის გატანა;

გ) საწარმოდან ან/და ამხანაგობიდან წილის სანაცვლოდ მომსახურების ან საქონლის ინდივიდუალურ საკუთრებაში მიღება, როდესაც ასეთი შემთხვევა დაბეგვრის მიზნებისათვის განიხილება მიწოდებად.

შემთხვევები, როდესაც გარიგების ფასი მნიშვნელოვნად განსხვავდება საბაზრო ფასისაგან, მაგრამ არ დგება საბაზრო ფასის გამოყენების საკითხი შემდეგია:

ა) პირის მიერ საგადასახადო შეღავათის მქონე მეორე პირისაგან აქტივების შეძენა არ განხორციელებულა ხარჯის გაზრდის მიზნით. მაგ. ამხანაგობამ, რომელიც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, მის წევრ ფიზიკურ პირებს შესატანის – მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ მიაწოდა ფართი და სხვა საკომპენსაციო თანხა, რომელიც ჯამურად აღემატება შენატანის საბაზრო ფასს. შედეგად მოხდა ამხანაგობის გამოსაქვითი ხარჯების გაზრდა, ფიზიკური პირის საგადასახადო შეღავათების გამოყენებით;

ბ) 50 პროცენტზე ნაკლები წილის მქონე პირს წილის სანაცვლოდ იურიდიული პირისაგან გააქვს აქტივი(მათ შორის ლიკვიდაციის დროს), მაგრამ აღნისნული აქტივის მიწოდება ხელოვნურად არ ხდება ზოგადად ჩამოყალიბებულ საბაზროზე ნაკლებ ფასად;

გ) ფიზიკური პირის მიერ იურიდიული პირის კაპიტალში ზოგადად ჩამოყალიბებული საბაზრო ფასთან შედარებით გაცილებით მეტ ფასად შეტანილი უძრავი ქონება(საცხოვრებელი ბინა მასზე დამაგრებული მიწით ან/და სხვა აქტივი) თუ აღნიშნული საწარმოსთვის ეს არ წარმოადგენს ხარჯის ხელოვნურად გაზრდის საშუალებას.

17.7.3. კორპორაციული დაბეგვრის პრაქტიკული სიტუაციები

1. სიტუაცია: ამხანაგობის წევრმა ამხანაგობიდან გაიტანა ქონება და მიიღო იგი ინდივიდუალურ საკუთრებაში. ასეთ შემთხვევაში ამ ქონების გადაცემა ამხანაგობის მიერ ჩაითვლება თუ არა მიწოდებად და ექვემდებარება თუ არა დაბეგვრას?

პასუხი: მოგების გადასახადის მიზნებისათვის ქონების გადაცემა ჩაითვლება მიწოდებად საბაზრო ფასით; დღგ-ის მიზნებისათვის ამხანაგობიდან წილის სანაცვლოდ მომსახურების ან საქონლის ინდივიდუალურ საკუთრებაში მიღება (ამ შემთხვევაში ქონების გამოტანა ან/და რეგისტრაცია) ითვლება ამხანაგობის მიერ ქონების მიწოდებად, რომლის დროსაც დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება საქონლის/ მომსახურების საბაზრო ფასით (გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახდელების ჩათვლით) დღგ-ის გარეშე.

2. სიტუაცია: ამხანაგობის წევრმა წილის სანაცვლოდ ამხანაგობიდან გაიტანა ქონება და მიიღო იგი ინდივიდუალურ საკუთრებაში. ასეთ შემთხვევაში ამ ქონების გადაცემა ამხანაგობის მიერ ჩაითვლება თუ არა მიწოდებად?

პასუხი: ქონების გატანა ჩაითვლება მიწოდებად.

3. სიტუაცია: ამხანაგობის წევრმა მიაწოდა წილი ქონებაზე წინასწარი რეგისტრაციის უფლების სახით. ამ წილზე(უფლებაზე) არ არის მიმაგრებული/განპირობებული ქონება. იბეგრება თუ არა აღნიშნული ოპერაცია დღგ-ით?

პასუხი: გათავისუფლებულია დღგ-საგან ჩათვლის უფლებით.

4. სიტუაცია: ამხანაგობის წევრმა მიაწოდა წილი ქონებაზე წინასწარი რეგისტრაციის უფლების სახით. ამ წილზე(უფლებაზე) მიმაგრებულია/განპირობებულია ქონება. იბეგრება თუ არა აღნიშნული ოპერაცია დღგ-ით?

პასუხი: იბეგრება დღგ-ით, რადგანაც წილზე(უფლებაზე) მიმაგრებულია/განპირობებულია ქონება.

5. სიტუაცია: ამხანაგობის წევრმა ამხანაგობიდან გაიტანა ქონება და მიიღო იგი ინდივიდუალურ საკუთრებაში. ასეთ შემთხვევაში ამ ქონების გადაცემა ამხანაგობის მიერ რომელი ფასით ჩაითვლება მიწოდებად: ამ ქონების თავდაპირველი ფასით, თუ საბაზრო ფასით?

პასუხი: საბაზრო ფასით.

6. სიტუაცია: ამხანაგობის წევრმა წილის სანაცვლოდ ამხანაგობიდან გაიტანა ქონება და მიიღო იგი ინდივიდუალურ საკუთრებაში. ასეთ შემთხვევაში ამ ქონების გადაცემა ამხანაგობის მიერ რომელი ფასით ჩაითვლება მიწოდებად: ამ ქონების თავდაპირველი ფასით, თუ საბაზრო ფასით?

პასუხი: საბაზრო ფასით.

7. სიტუაცია: ამხანაგობამ თავის წევრს მიაწოდა (გაუნაწილა) ქონება. შემდეგი პირობები ასეთია: ამხანაგობის წევრები არიან მხოლოდ ფიზიკური პირები; ამხანაგობის წევრთა შემადგენლობა არ შეცვლილა ამხანაგობის დაფუძნებიდან ქონების გადაცემის (განაწილების) მომენტამდე; ამხანაგობა ქონების განაწილების მომენტისათვის არ არის დღგ-ს გადამხდელი. ექვემდებარება თუ არა აღნიშნული ოპერაცია დღგ-ით დაბეგვრას?

პასუხი: გათავისუფლებულია დღგ-საგან ჩათვლის უფლების გარეშე.

8. სიტუაცია: ამხანაგობამ თავის წევრს მიაწოდა (გაუნაწილა) ქონება. შემდეგი პირობები ასეთია: ამხანაგობის წევრები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები; ამხანაგობის წევრთა შემადგენლობა არ შეცვლილა ამხანაგობის დაფუძნებიდან ქონების გადაცემის (განაწილების) მომენტამდე; ამხანაგობა ქონების განაწილების მომენტისათვის არ არის დღგ-ს გადამხდელი. ექვემდებარება თუ არა აღნიშნული ოპერაცია დღგ-ით დაბეგვრას?

პასუხი: იბეგრება დღგ-ით.

9. სიტუაცია: ამხანაგობამ თავის წევრს მიაწოდა (გაუნაწილა) ქონება. შემდეგი პირობები ასეთია: ამხანაგობის წევრები არიან მხოლოდ იურიდიული პირები; ამხანაგობის წევრთა შემადგენლობა არ შეცვლილა ამხანაგობის დაფუძნებიდან ქონების გადაცემის (განაწილების) მომენტამდე; ამხანაგობა ქონების განაწილების მომენტისათვის არ არის დღგ-ს გადამხდელი. ექვემდებარება თუ არა აღნიშნული ოპერაცია დღგ-ით დაბეგვრას?

პასუხი: იბეგრება დღგ-ით.

10. სიტუაცია: ამხანაგობამ თავის წევრს მიაწოდა (გაუნაწილა) ქონება. შემდეგი პირობები ასეთია: ამხანაგობის წევრები არიან მხოლოდ ფიზიკური პირები; ამხანაგობის წევრთა შემადგენლობა გაიზარდა ერთი წევრით ამხანაგობის დაფუძნებიდან ქონების გადაცემის (განაწილების) მომენტამდე; ამხანაგობა ქონების განაწილების მომენტისათვის არ არის დღგ-ს გადამხდელი. ექვემდებარება თუ

არა აღნიშნული ოპერაცია დღგ-ით დაბეგვრას?

პასუხი: იბეგრება დღგ-ით.

11. სიტუაცია: ამხანაგობამ თავის წევრს მიაწოდა (გაუნაწილა) ქონება. შემდეგი პირობები ასეთია: ამხანაგობის წევრები არიან მხოლოდ ფიზიკური პირები; ამხანაგობის წევრთა შემადგენლობა შემცირდა ერთი წევრით ამხანაგობის დაფუძნებიდან ქონების გადაცემის (განაწილების) მომენტამდე; ამხანაგობა ქონების განაწილების მომენტისათვის არ არის დღგ-ს გადამხდელი. ექვემდებარება თუ არა აღნიშნული ოპერაცია დღგ-ით დაბეგვრას?

პასუხი: იბეგრება დღგ-ით.

12. სიტუაცია: ამხანაგობამ თავის წევრს მიაწოდა (გაუნაწილა) ქონება. შემდეგი პირობები ასეთია: ამხანაგობის წევრები არიან მხოლოდ ფიზიკური პირები; ამხანაგობის წევრთა შემადგენლობას გამოაკლდა ერთი წევრი, ხოლო სანაცვლოდ შემოვიდა სხვა წევრი ამხანაგობის დაფუძნებიდან ქონების გადაცემის (განაწილების) მომენტამდე; ამხანაგობა ქონების განაწილების მომენტისათვის არ არის დღგ-ს გადამხდელი. ექვემდებარება თუ არა აღნიშნული ოპერაცია დღგ-ით დაბეგვრას?

პასუხი: იბეგრება დღგ-ით.

13. სიტუაცია: ამხანაგობამ თავის წევრს მიაწოდა (გაუნაწილა) ქონება. შემდეგი პირობები ასეთია: ამხანაგობის წევრები არიან მხოლოდ ფიზიკური პირები; ამხანაგობის წევრთა შემადგენლობა შეიცვალა ამხანაგობის დაფუძნებიდან ქონების გადაცემის (განაწილების) მომენტის შემდეგ; ამხანაგობა ქონების განაწილების მომენტისათვის არ არის დღგ-ს გადამხდელი. ექვემდებარება თუ არა აღნიშნული ოპერაცია დღგ-ით დაბეგვრას?

პასუხი: გათავისუფლებულია დღგ-საგან ჩათვლის უფლების გარეშე.

14. სიტუაცია: ამხანაგობამ თავის წევრს მიაწოდა (გაუნაწილა) ქონება. შემდეგი პირობები ასეთია: ამხანაგობის წევრები არიან მხოლოდ ფიზიკური პირები; ამხანაგობის წევრთა შემადგენლობა არ შეცვლილა ამხანაგობის დაფუძნებიდან ქონების გადაცემის (განაწილების) მომენტამდე; ამხანაგობა ქონების განაწილების მომენტისათვის არის დღგ-ს გადამხდელი. ექვემდებარება თუ არა აღნიშნული ოპერაცია დღგ-ით დაბეგვრას?

პასუხი: იბეგრება დღგ-ით.

15. სიტუაცია: ამხანაგობამ თავის წევრს მიაწოდა (გაუნაწილა) ქონება. შემდეგი პირობები ასეთია: ამხანაგობის წევრები არიან მხოლოდ ფიზიკური პირები; ამხანაგობის წევრთა შემადგენლობა შეიცვალა ამხანაგობის დაფუძნებიდან ქონების გადაცემის (განაწილების) მომენტამდე. კერძოდ, ამხანაგობის წევრის გარდაცვალებისას ამხანაგობის წილი გადავიდა მემკვიდრეზე; ამხანაგობა ქონების განაწილების მომენტისათვის არ არის დღგ-ს გადამხდელი. ექვემდებარება თუ არა აღნიშნული ოპერაცია დღგ-ით დაბეგვრას?

პასუხი: გათავისუფლებულია დღგ-საგან ჩათვლის უფლების გარეშე.

16. სიტუაცია: ამხანაგობამ თავის წევრს მიაწოდა (გაუნაწილა) ქონება. შემდეგი პირობები ასეთია: ამხანაგობის წევრები არიან მხოლოდ ფიზიკური პირები; მოხდა „სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით ამხანაგობის წევრის წილის რეალიზაცია ამხანაგობის დაფუძნებიდან ქონების გადაცემის (განაწილების) მომენტამდე; ამხანაგობა ქონების განაწილების მომენტისათვის არ არის დღგ-ს გადამხდელი. ექვემდებარება თუ არა აღნიშნული ოპერაცია დღგ-ით დაბეგვრას?

პასუხი: გათავისუფლებულია დღგ-საგან ჩათვლის უფლების გარეშე.

17. სიტუაცია: ამხანაგობის წევრმა ფიზიკურმა პირმა ამხანაგობაში შესატანის სახით შეიტანა აქტივები. იბეგრება თუ არა აღნიშნული ოპერაცია დღგ-ით?

პასუხი: გათავისუფლებულია დღგ-საგან ჩათვლის უფლებით.

18. სიტუაცია: ამხანაგობის წევრმა იურიდიულმა პირმა ამხანაგობაში შესატანის სახით შეიტანა აქტივები. იბეგრება თუ არა აღნიშნული ოპერაცია დღგ-ით?

პასუხი: გათავისუფლებულია დღგ-საგან ჩათვლის უფლებით.

19. სიტუაცია: იურიდიულმა პირმა საწარმოს კაპიტალში შესატანის სახით შეიტანა აქტივები. იბეგრება თუ არა აღნიშნული ოპერაცია დღგ-ით?

პასუხი: გათავისუფლებულია დღგ-საგან ჩათვლის უფლებით.

20. სიტუაცია: ფიზიკურმა პირმა საწარმოს კაპიტალში შესატანის სახით შეიტანა აქტივები. იბეგრება თუ არა აღნიშნული ოპერაცია დღგ-ით?

პასუხი: გათავისუფლებულია დღგ-საგან ჩათვლის უფლებით.

21. სიტუაცია: პირმა საწარმოს კაპიტალში ან ამხანაგობაში შესატანის სახით შეიტანა აქტივები. მოცემული აქტივი საწარმომ(ამხანაგობამ) მიაწოდა დღგ-საგან გათავისუფლებული ოპერაციის სახ-

ით. ექვემდებარება თუ არა დღგ აღდგენას?

პასუხი: ვინაიდან, საწარმოს კაპიტალში ან ამხანაგობაში შესატანის სახით აქტივების მიწოდების დროს ითვლება, რომ აქტივების მიწოდების საანგარიშო პერიოდის მიხედვით აქტივების მიმღებმა პირმა შესაბამის საქონელზე მიიღო ჩათვლა, შესაბამისად დღგ ექვემდებარება აღდგენას.

22. სიტუაცია: ხდება იურიდიული პირის ლიკვიდაცია. შემდეგი პირობები ასეთია: პარტნიორ იურიდიულ პირს გადაეცემა მისი წილის პროპორციული აქტივი; პარტნიორი იურიდიული პირი ლიკვიდაციამდე ფლობდა ლიკვიდაციაში მყოფი იურიდიული პირის 50 პროცენტს ან მეტს. ასეთი გადაცემა ითვლება თუ არა ლიკვიდირებული იურიდიული პირის მიერ აქტივების მიწოდებად?

პასუხი: ასეთი გადაცემა არ ითვლება აქტივების მიწოდებად.

23. სიტუაცია: ხდება იურიდიული პირის ლიკვიდაცია. შემდეგი პირობები ასეთია: პარტნიორ იურიდიულ პირს გადაეცემა მისი წილის პროპორციულზე უფრო ნაკლები აქტივი; პარტნიორი იურიდიული პირი ლიკვიდაციამდე ფლობდა ლიკვიდაციაში მყოფი იურიდიული პირის 50 პროცენტს ან მეტს. ასეთი გადაცემა ითვლება თუ არა ლიკვიდირებული იურიდიული პირის მიერ აქტივების მიწოდებად?

პასუხი: ასეთი გადაცემა არ ითვლება აქტივების მიწოდებად.

24. სიტუაცია: ხდება იურიდიული პირის ლიკვიდაცია. შემდეგი პირობები ასეთია: პარტნიორ იურიდიულ პირს გადაეცემა მისი წილის პროპორციულზე უფრო მეტი აქტივი; პარტნიორი იურიდიული პირი ლიკვიდაციამდე ფლობდა ლიკვიდაციაში მყოფი იურიდიული პირის 50 პროცენტს ან მეტს. ასეთი გადაცემა ითვლება თუ არა ლიკვიდირებული იურიდიული პირის მიერ აქტივების მიწოდებად?

პასუხი: ასეთი გადაცემა ითვლება აქტივების მიწოდებად.

25. სიტუაცია: ხდება იურიდიული პირის ლიკვიდაცია. შემდეგი პირობები ასეთია: პარტნიორ იურიდიულ პირს გადაეცემა მისი წილის პროპორციული აქტივი; პარტნიორი იურიდიული პირი ლიკვიდაციამდე ფლობდა ლიკვიდაციაში მყოფი იურიდიული პირის 50 პროცენტზე ნაკლებს. ასეთი გადაცემა ითვლება თუ არა ლიკვიდირებული იურიდიული პირის მიერ აქტივების მიწოდებად?

პასუხი: ასეთი გადაცემა ითვლება აქტივების მიწოდებად.

26. სიტუაცია: ხდება იურიდიული პირის ლიკვიდაცია. შემდეგი პირობები ასეთია: პარტნიორ ფიზიკურ პირს გადაეცემა მისი წილის პროპორციული აქტივი; პარტნიორი ფიზიკური პირი ლიკვიდაციამდე ფლობდა ლიკვიდაციაში მყოფი იურიდიული პირის 50 პროცენტს ან მეტს. ასეთი გადაცემა ითვლება თუ არა ლიკვიდირებული იურიდიული პირის მიერ აქტივების მიწოდებად?

პასუხი: ასეთი გადაცემა ითვლება აქტივების მიწოდებად.

27. სიტუაცია: ხდება იურიდიული პირის ლიკვიდაცია. შემდეგი პირობები ასეთია: პარტნიორ იურიდიულ პირს გადაეცემა მისი წილის პროპორციული აქტივი; პარტნიორი იურიდიული პირი ლიკვიდაციამდე ფლობდა ლიკვიდაციაში მყოფი იურიდიული პირის 50 პროცენტს ან მეტს. აქტივების ასეთი განანილება ითვლება თუ არა დივიდენდად?

პასუხი: აქტივების ასეთი განანილება არ არის დივიდენდი.

28. სიტუაცია: პირი იურიდიულ პირს გადასცემს აქტივებს ამ იურიდიულ პირში 50 ან მეტი პროცენტის წილის ან აქციების სანაცვლოდ. აქტივების ასეთი გადაცემა ითვლება თუ არა მიწოდებად?

პასუხი: აქტივების ასეთი გადაცემა არ არის მიწოდება.

29. სიტუაცია: ფიზიკური პირი იურიდიულ პირს გადასცემს აქტივებს ამ იურიდიულ პირში 50 ან მეტი პროცენტის წილის ან აქციების სანაცვლოდ. აქტივების ასეთი გადაცემა ითვლება თუ არა მიწოდებად?

პასუხი: აქტივების ასეთი გადაცემა არ არის მიწოდება.

30. სიტუაცია: იურიდიული პირი იურიდიულ პირს გადასცემს აქტივებს ამ იურიდიულ პირში 50 ან მეტი პროცენტის წილის ან აქციების სანაცვლოდ. აქტივების ასეთი გადაცემა ითვლება თუ არა მიწოდებად?

პასუხი: აქტივების ასეთი გადაცემა არ არის მიწოდება.

31. სიტუაცია: პირი იურიდიულ პირს გადასცემს აქტივებს ამ იურიდიულ პირში 50-ზე ნაკლები პროცენტის წილის ან აქციების სანაცვლოდ. აქტივების ასეთი გადაცემა ითვლება თუ არა მიწოდებად?

პასუხი: აქტივების ასეთი გადაცემა არის მიწოდება.

32. სიტუაცია: ხდება იურიდიული პირის ლიკვიდაცია. შემდეგი პირობები ასეთია: პარტნიორ იურიდიულ პირს გადაეცემა მისი წილის პროპორციული აქტივი; პარტნიორი იურიდიული პირი ლიკვიდაციამდე ფლობდა ლიკვიდაციაში მყოფი იურიდიული პირის 50 პროცენტს ან მეტს; აქტივი ექვემდებარება ამორტიზაციას ჯგუფური მეთოდით; ხდება ამორტიზაციის ერთი ნორმის მიხედვით დაჯგუფებული ჯგუფის ყველა აქტივის ერთდროულად გადაცემა. ასეთი გადაცემა ითვლება თუ არა ლიკვიდირებული იურიდიული პირის მიერ აქტივების მიწოდებად?

პასუხი: ასეთი გადაცემა არ ითვლება აქტივების მიწოდებად.

33. სიტუაცია: ხდება იურიდიული პირის ლიკვიდაცია. შემდეგი პირობები ასეთია: პარტნიორ იურიდიულ პირს გადაეცემა მისი წილის პროპორციული აქტივი; პარტნიორი იურიდიული პირი ლიკვიდაციამდე ფლობდა ლიკვიდაციაში მყოფი იურიდიული პირის 50 პროცენტს ან მეტს; აქტივი ექვემდებარება ამორტიზაციას ჯგუფური მეთოდით; ხდება ამორტიზაციის ერთი ნორმის მიხედვით დაჯგუფებული ჯგუფის აქტივის ნაწილის გადაცემა. ასეთი გადაცემა ითვლება თუ არა ლიკვიდირებული იურიდიული პირის მიერ აქტივების მიწოდებად?

პასუხი: ასეთი გადაცემა ითვლება აქტივების მიწოდებად.

34. სიტუაცია: ხდება იურიდიული პირის ლიკვიდაცია. შემდეგი პირობები ასეთია: პარტნიორ არარეზიდენტ იურიდიულ პირს გადაეცემა მისი წილის პროპორციული აქტივი; პარტნიორი იურიდიული არარეზიდენტი პირი ლიკვიდაციამდე ფლობდა ლიკვიდაციაში მყოფი იურიდიული პირის 50 პროცენტს ან მეტს. ასეთი გადაცემა, როგორც წესი, ითვლება თუ არა ლიკვიდირებული იურიდიული პირის მიერ აქტივების მიწოდებად?

პასუხი: ასეთი გადაცემა, როგორც წესი, ითვლება აქტივების მიწოდებად, ვინაიდან პარტნიორი იურიდიული პირი არარეზიდენტია.

35. სიტუაცია: ხდება იურიდიული პირის ლიკვიდაცია. შემდეგი პირობები ასეთია: პარტნიორ არარეზიდენტ იურიდიულ პირს გადაეცემა მისი წილის პროპორციული აქტივი; პარტნიორი იურიდიული არარეზიდენტი პირი ლიკვიდაციამდე ფლობდა ლიკვიდაციაში მყოფი იურიდიული პირის 50 პროცენტს ან მეტს; საგადასახადო ორგანომ დაასკვნა, რომ არ ხდება გადასახადებისაგან თავის არიდება და გასცა შესაბამისი თანხმობა. ასეთი გადაცემა ითვლება თუ არა ლიკვიდირებული იურიდიული პირის მიერ აქტივების მიწოდებად?

პასუხი: ასეთი გადაცემა არ ითვლება აქტივების მიწოდებად.

36. სიტუაცია: ხდება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების გარდაქმნა სხვა იურიდიულ პირად (მაგ. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებად). შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ქონება(მათ შორის წილი ან აქციები) გადაეცემა ახლადშექმნილ იურიდიულ პირს. ასეთი გადაცემა ითვლება თუ არა ქონების მიწოდებად?

პასუხი: ასეთი გადაცემა არ ითვლება ქონების მიწოდებად.

37. სიტუაცია: ხდება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიერთება სხვა იურიდიულ პირთან (მაგ. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებასთან). შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ქონება(მათ შორის წილი ან აქციები) გადაეცემა ახლადშექმნილ იურიდიულ პირს. ასეთი გადაცემა ითვლება თუ არა ქონების მიწოდებად?

პასუხი: ასეთი გადაცემა არ ითვლება ქონების მიწოდებად.

38. სიტუაცია: ხდება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაყოფა ორ იურიდიულ პირად. (მაგ. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებად და სააქციო საოგადოებად). შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ქონება(მათ შორის წილი ან აქციები) გადაეცემა ახლადშექმნილ იურიდიულ პირებს. ასეთი გადაცემა ითვლება თუ არა ქონების მინოდებად?

პასუხი: ასეთი გადაცემა არ ითვლება ქონების მიწოდებად.

39. სიტუაცია: ხდება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან სხვა იურიდიული პირის გამოყოფა.(მაგ. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების და სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების). შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ქონების(მათ შორის წილის ან აქციების) ნაწილი გადაეცემა გამოყოფილ იურიდიულ პირს. ასეთი გადაცემა ითვლება თუ არა ქონების მიწოდებად?

პასუხი: ასეთი გადაცემა არ ითვლება ქონების მიწოდებად.

39. სიტუაცია: ხდება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან სხვა იურიდიული პირის გამოყოფა.(მაგ. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების). შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მოწილეს თავისი წილის სანაცვლოდ გადაეცემა შესაბამისი წილი გამოყოფილ იურიდიულ პირში. ასეთი გადაცემა განიხილება თუ არა დივიდენდად?

პასუხი: ასეთი გადაცემა არ განიხილება დივიდენდად.

40. სიტუაცია: ხდება ორი ან მეტი რეზიდენტი იურიდიული პირის შერწყმა, რის შედეგადაც იქმნება ერთ-ერთი დასახელების იურიდიული პირის სახელწოდების იურიდიული პირი ან სხვა ახალი იურიდიული პირი. ასეთი შემთხვევა განიხილება თუ არა რეორგანიზაციად დაბეგვრის მიზნებისათვის?

პასუხი: ასეთი შერწყმა განიხილება რეორგანიზაციად.

41. სიტუაცია: ხდება ორი ან მეტი რეზიდენტი და არარეზიდენტი იურიდიული პირის შერწყმა, რის შედეგადაც იქმნება ერთ-ერთი დასახელების იურიდიული პირის სახელწოდების იურიდიული პირი ან

სხვა ახალი იურიდიული პირი. ასეთი შემთხვევა განიხილება თუ არა რეორგანიზაციად დაბეგვრის მიზნებისათვის?

პასუხი: ასეთი შერწყმა არ განიხილება რეორგანიზაციად.

42. *სიტუაცია:* ხდება ორი რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ ერთმანეთის ხმის უფლების მქონე 50 პროცენტის ან მეტი წილების (აქციების) და რეზიდენტი იურიდიული პირის პარტნიორის წილის საერთო მოცულობის ღირებულების 50 პროცენტის ან მეტის შეძენა შეძენა (გაცვლა). ასეთი შემთხვევა განიხილება თუ არა რეორგანიზაციად დაბეგვრის მიზნებისათვის?

პასუხი: ასეთი შემთხვევა განიხილება რეორგანიზაციად.

43. *სიტუაცია:* ხდება რეზიდენტი იურიდიული პირის აქტივების 50 პროცენტის და მეტის შეძენა სხვა რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ ხმის უფლების მქონე წილის(აქციების) სანაცვლოდ, დივიდენდთან მიმართებით პრივილეგირებული უფლების გარეშე. ასეთი შემთხვევა განიხილება თუ არა რეორგანიზაციად დაბეგვრის მიზნებისათვის?

პასუხი: ასეთი შემთხვევა განიხილება რეორგანიზაციად.

44. *სიტუაცია:* ხდება რეზიდენტი იურიდიული პირის აქტივების 50 პროცენტის და მეტის შეძენა სხვა რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ ხმის უფლების მქონე წილის(აქციების) სანაცვლოდ, დივიდენდთან მიმართებით პრივილეგირებული უფლებით. ასეთი შემთხვევა განიხილება თუ არა რეორგანიზაციად დაბეგვრის მიზნებისათვის?

პასუხი: ასეთი შემთხვევა არ განიხილება რეორგანიზაციად.

45. *სიტუაცია:* შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების(A საწარმო) პარტნიორები არიან ფიზიკური პირები. პარტნიორთა ნაწილმა დააფუძნა B საწარმო, ხოლო მეორე ნაწილმა – C საწარმო. ამ საწარმოების დაფუძნების დროს მათ კაპიტალში შეტანილ იქნა აღნიშნულ ფიზიკურ პირთა წილები. შესაბამისად, A საწარმოს პარტნიორები გახდნენ B და C საწარმოები, რომლებიც ფლობენ A საწარმოს 50 – 50 პროცენტიან წილებს. იმ შემთხვევაში, როდესაც ხორციელდება A საწარმოს ლიკვიდაცია შესაბამისი აქტივების გადაცემა პარტნიორი იურიდიული პირებისათვის ჩაითვლება თუ არა აქტივების მიწოდებად და გადასახადებით დასაბეგრ ოპერაციად?

პასუხი: A საწარმოს ლიკვიდაცია ჩაითვლება გადასახადის გადახდისაგან თავის არიდებად და აქტივების გადაცემები – მიწოდებად და შესაბამისად მოგების გადასახადისა და დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებად.

46. *სიტუაცია:* არარეზიდენტმა საწარმომ დააფუძნა საქართველოში ფილიალი – მუდმივი დაწესებულება. ფილიალმა ეკონომიკური საქმიანობის შედეგად სანგარისო წლის ბოლოს მიიღო მოგება, გადაიხადა მოგების გადასახადი, ხოლო წმინდა მოგება გადაურიცხა დედა კომპანიას. გადარიცხული თანხა განიხილება თუ არა დივიდენდად?

პასუხი: გადარიცხული თანხა არ განიხილება დივიდენდად, ვინაიდან დივიდენდს იურიდიული პირი უნანილებს აქციონერებს ან მოწილეებს, ხოლო ფილიალი არ არის იურიდიული პირი.

47. *სიტუაცია:* A საწარმომ 100 პროცენტიანი წილით დააფუძნა B საწარმო და ამ საწარმოს კაპიტალში შეიტანა ძირითადი საშუალება, რომლის ღირებულება მან B საწარმოს დაფუძნების წინა წელს მთლიანად გამოქვითა ერთობლივი შემოსავლიდან. რა იქნება B საწარმოში შეტანილი ძირითადი საშუალების ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი?

პასუხი: ნოლი, ვინაიდან წინა წელს მთლიანად გამოიქვითა ძირითადი საშუალების ღირებულება.

48. *სიტუაცია:* A, B და C პირებმა დააფუძნეს სააქციო საზოგადოება შემდეგი წილობრივი მდგომარეობით: A პირს 60 პროცენტი ანუ 6000 აქცია, B პირს 30 პროცენტი ანუ 3000 აქცია, ხოლო C – პირს 1000 აქცია ანუ 10 პროცენტი. თითო აქციის ღირებულება შეადგენს ერთ ლარს. პარტნიორებმა გადაწყვიტეს კაპიტალის გაზრდა ფულადი შენატანების გზით აქციებისა და ფულადი შენატანების არაპროპორციული გზით, ისე, რომ პარტნიორების ერთმანეთის მიმართ პროცენტული თანაფარდობა არ შეცვლილიყო. კერძოდ, კაპიტალი გაზარდეს 900 000 ლარით ანუ 100 000 ლარამდე. A პირის მიერ შეტანილმა თანხამ შეადგინა 600 000 ლარი, B პირისამ – 300 000 ლარი, ხოლო C პირმა 100 000 ლარი. აქციების რაოდენობა გადანაწილდა შენატანების არაპროპორციულად: A პირს – 700 000 აქცია, B პირს – 200 000 აქცია, ხოლო C პირს 100 000 აქცია. იბეგრება თუ არა A პირის მიერ გაზრდილი აქციებით მიღებული შემოსავალი, მიუხედავად იმისა, რომ დივიდენდების განაწილების პროცენტები არ იცვლება?

პასუხი: ვინაიდან A პირმა პარტნიორებისაგან მიიღო სარგებელი მისი ფულადი შენატანის არაპროპორციული აქციების ოდენობით, ეს ოდენობა წარმოადგენს სარგებელს და ექვემდებარება ერთობლივ შემოსავალში შეტანას და გამოქვითვას დადგენილი წესით.

49. *სიტუაცია:* სააქციო საზოგადოების პარტნიორებმა გადაწყვიტეს საწარმოს კაპიტალის გაზრდა

აქციების ემისიის გზით. გამოშვებული აქციები შეიძინეს პარტნიორებმა. ერთ-ერთმა პარტნიორმა აქციების სანაცვლოდ კაპიტალში შეიტანა უძრავი ქონება, რომლის საბალანსო და საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობამ შეადგინა 3 მილიონი ლარი საბალანსო ღირებულების სასარგებლოდ. პარტნიორს ერგო უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების შესაბამისი აქციები. სხვაობა 3 მილიონის ოდენობით წარმოადგენს თუ არა სააქციო საზოგადოების სარგებელს და ექვემდებარება თუ არა დაბეგვრას?

პასუხი: შემოსავლად არ განიხილება პარტნიორთა შენატანები, რომლებიც ზრდიან იმ საწარმოს წმინდა აქტივს, რომელთა პარტნიორებიც არიან შენატანების განმახორციელებელი პირები.

50. სიტუაცია: 2011 წლამდე დადგენილი წესით დივიდენდების სახით განაწილებულია შუალედური მოგება(წილის პროპორციულად ან პროპორციის გარეშე). გაცემული თანხები დაბეგრილია გადახდის წყაროსთან. წლიური შედეგებით დადგინდა, რომ საწარმოს მოგება არ მიუღია და შესაბამისად განაწილებული თანხები ვერ დაკვალიფიცირდა, როგორც დივიდენდი. მიუხედავად იმისა, რომ პარტნიორს მხოლოდ დივიდენდის მიღების უფლება აქვს, დოკუმენტურად დასტურდება, რომ ზედმეტად გაცემული დივიდენდის თანხები არ ბრუნდება და ამასთან არ დასტურდება საწარმოს კაპიტალის შემცირება. შევაფასოთ საწარმოს მოქმედება.

პასუხი: შუალედური მოგების დივიდენდების სახით განაწილება შესაძლებელია. დაუბრუნებელი თანხა თავისი შინაარსით პარტნიორისათვის გაცემის თარირიდან ჩაითვლება საწარმოსაგან მიღებულ შემოსავლად. შემოსავლის გამცემს საგადასახადო აგენტის ვალდებულება არ დაეკისრება რეზიდენტ ფიზიკურ პირთან მიმართებაში. დაუბრუნებელ თანხაზე პარტნიორს უნდა დაერიცხოს კუთვნილი გადასახადი სსკ 167-ე (ძვ) მუხლით გათვალისწინებული განაკვეთით. პარტნიორი დეკლარაციის წარუდგენლობის შემთხვევაში დაჯარიმდება სსკ-ის 274-ე მუხლით. თუ პარტნიორს დეკლარაცია წარდგენილი აქვს, მაშინ იგი დაჯარიმდება გადასახადის შემცირებისათვის სსკ-ის 275-ე(ძვ. 132-ე) მუხლით.

51. სიტუაცია: დივიდენდების სახით განაწილებულია შუალედური მოგება. გაცემული თანხები დაბეგრილია გადახდის წყაროსთან. წლიური შედეგებით განაწილებული თანხები ვერ დაკვალიფიცირდა, როგორც დივიდენდი. მიუხედავად იმისა, რომ პარტნიორს მხოლოდ დივიდენდის მიღების უფლება აქვს, არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება თანხების დაბრუნების თაობაზე. შევაფასოთ საწარმოს მოქმედება.

პასუხი: შუალედური მოგების დივიდენდის სახით განაწილება შესაძლებელია. დაუბრუნებელი თანხა პარტნიორისათვის ჩაითვლება შემოსავლად. დაუბრუნებელ თანხაზე პარტნიორს უნდა დაერიცხოს კუთვნილი გადასახადი(სსკ – 176-ე მუხლი). პარტნიორი დეკლარაციის წარუდგენლობის შემთხვევაში დაჯარიმდება სსკ-ის 131-ე მუხლით. თუ პარტნიორს დეკლარაცია წარდგენილი აქვს, მაშინ იგი დაჯარიმდება გადასახადის შემცირებისათვის სსკ-ის 132-ე მუხლით. შემოსავლის გამცემს საგადასახადო აგენტის ვალდებულება არ დაეკისრება.

52. სიტუაცია: დივიდენდის სახით განაწილებულია შუალედური მოგება. გაცემული თანხები დაბეგრილია გადახდის წყაროსთან. წლიური შედეგებით განაწილებული თანხები ვერ დაკვალიფიცირდა, როგორც დივიდენდი. ვინაიდან პარტნიორს მხოლოდ დივიდენდის მიღების უფლება აქვს, მიღებულია გადაწყვეტილება თანხების დაბრუნების თაობაზე. შევაფასოთ საწარმოს მოქმედება.

პასუხი: შუალედური მოგების დივიდენდების სახით განაწილება შესაძლებელია. დასაბრუნებელი თანხა საწარმოსათვის ჩაითვლება უპროცენტოდ გაცემულ სესხად. დასაბრუნებელი თანხა პარტნიორისათვის ჩაითვლება უპროცენტო სესხის მიღებად. სესხის საბაზრო პროცენტით გაიზრდება ერთობლივი შემოსავალი და მოგების გადასახადის შემცირების შემთხვევაში საწარმო დაჯარიმდება(სსკ-ის 132 მუხლი). პარტნიორს სარგებელზე უნდა დაერიცხოს კუთვნილი გადასახადი(სსკ-ის 167-ე მუხლი). პარტნიორი დეკლარაციის წარუდგენლობის შემთხვევაში დაჯარიმდება სსკ-ის 131-ე მუხლით. თუ პარტნიორს დეკლარაცია წარდგენილი აქვს, მაშინ იგი დაჯარიმდება გადასახადის შემცირების შემთხვევაში საწარმო დაჯარიმდება სსკ-ის 132-ე მუხლით. საწარმოს საგადასახადო აგენტის ვალდებულება პარტნიორთან მიმართებაში არ დაეკისრება.

53. სიტუაცია: 2011 წლამდე დადგენილი წესით დივიდენდების სახით განაწილებულია შუალედური მოგება(წილის პროპორციულად ან პროპორციის გარეშე). გაცემული თანხები დაბეგრილია გადახდის წყაროსთან. წლიური შედეგებით დადგინდა, რომ საწარმოს მოგება არ მიუღია და შესაბამისად განაწილებული თანხები ვერ დაკვალიფიცირდა, როგორც დივიდენდი. ვინაიდან პარტნიორს მხოლოდ დივიდენდის მიღების უფლება აქვს, მიღებულია გადაწყვეტილება თანხების საწარმოსათვის დაბრუნების თაობაზე. შევაფასოთ საწარმოს მოქმედება.

პასუხი: შუალედური მოგების დივიდენდების სახით განაწილება შესაძლებელია. დასაბრუნებელი

თანხა თავისი შინაარსით საწარმოსათვის გაცემის თარიღიდან ჩაითვლება უპროცენტოდ გაცემულ სესხად. დასაბრუნებელი თანხა თავისი შინაარსით პარტნიორისათვის გაცემის თარიღიდან ჩაითვლება უპროცენტო სესხის მიღებად. საწარმოს საგადასახადო აგენტის ვალდებულება პარტნიორთან მიმართებაში არ დაეკისრება. სესხის საბაზრო პროცენტით გაიზრდება საწარმოს ერთობლივი შემოსავალი და მოგების გადასახადის შემცირების შემთხვევაში იგი დაჯარიმდება სსკ-ის 275-ე(ძვ. 132-ე) მუხლით. პარტნიორს სარგებელზე უნდა დაერიცხოს კუთვნილი გადასახადი სსკ-ის 167-ე(ძვ) მუხლით გათვალისწინებული განაკვეთით. პარტნიორი დეკლარაციის წარუდგენლობის შემთხვევაში დაჯარიმდება სსკ-ის 274-ე მუხლით. თუ პარტნიორს წარდგენილი აქვს დეკლარაცია, მაშინ გადასახადის შემცირების შემთხვევაში იგი დაჯარიმდება სსკ-ის 275-ე(ძვ. 132-ე) მუხლით.

54. სიტუაცია: ორგანიზაციის მიერ მიღებული დივიდენდი არ დაიბეგრა გადახდის წყაროსთან. ორგანიზაციამ დივიდენდი არ ჩართო ერთობლივ შემოსავალში. შეავფასოთ საწარმოს მოქმედება.

პასუხი: ორგანიზაციის მიერ მიღებული დივიდენდი არ იბეგრება გადახდის წყაროსთან. ორგანიზაციის მიერ მიღებული დივიდენდით შემცირებულია ერთობლივი შემოსავალი. უნდა გაიზარდოს ერთობლივი შემოსავალი და დაზუსტდეს დასაბეგრი მოგება(ზარალი). ორგანიზაცია დაჯარიმდება დეკლარაციაში მოგების გადასახადის შემცირებისათვის(სსკ-ის 132-ე მუხლი).

55. სიტუაცია: ორგანიზაციის მიერ მიღებული დივიდენდი არ დაიბეგრა გადახდის წყაროსთან. ორგანიზაციამ დივიდენდი არ ჩართო ერთობლივ შემოსავალში. შეავფასოთ საწარმოს მოქმედება.

პასუხი: ორგანიზაციის მიერ მიღებული დივიდენდი არ იბეგრება გადახდის წყაროსთან და ექვემდებარება ერთობლივ შემოსავალში შეტანას. ორგანიზაციის მიერ მიღებული დივიდენდით შემცირებულია ერთობლივი შემოსავალი. უნდა გაიზარდოს ერთობლივი შემოსავალი და დაზუსტდეს დასაბეგრი მოგება(ზარალი). ორგანიზაცია დაჯარიმდება დეკლარაციაში მოგების გადასახადის შემცირების შემთხვევაში სსკ-ის 275-ე (ძვ. 132-ე) მუხლით.

56. სიტუაცია: საწარმომ საწესდებო კაპიტალში შენატანის ოდენობით არარეზიდენტ დამფუძნებელზე გასცა სესხი 5% წლიური განაკვეთით და ასახა მოთხოვნებში, როგორც ძირითადი თანხა, ასევე მისაღები პროცენტი. მოგების გადასახადის გაანგარიშების მიზნებისათვის შემოსავალში აიღო გაცემულ სესხზე დარიცხული პროცენტის თანხა შესაბამისი პერიოდის მიხედვით ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და მოახდინა დეკლარირება. პირველი ვარიანტი: საწარმომ აპატია ვალდებულება დამფუძნებელს. მის მიმართ გააუქმა მოთხოვნა დარიცხული პროცენტის ნაწილში, შეწყვიტა ეკონომიკური საქმიანობა და პარტნიორმა გადაწყვიტა საწარმოს ლიკვიდაცია. მეორე ვარიანტი: საწარმოს მოთხოვნა არ გააუქმებია დამფუძნებლის მიმართ. საწარმომ შეწყვიტა ეკონომიკური საქმიანობა და პარტნიორმა გადაწყვიტა საწარმოს ლიკვიდაცია. საშემოსავლო გადასახადის დეკლარირება ორივე ვარიანტში საწარმოს არ მოუხდენია. შეავფასოთ საწარმოს მოქმედება.

პასუხი: მეორე ვარიანტში საწარმოს ლიკვიდაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მომენტში დივიდენდად უნდა განეხილა მოთხოვნებში დაიქსირებულ (ძირითადი+პროცენტის 5% თანხა) თანხას გამოკლებული საწარმოს დაფუძნებისას პარტნიორის მიერ კაპიტალში შემოტანილი თანხა და უნდა დაებეგრა გადახდის წყაროსთან. პირველ ვარიანტში საწარმოს მიერ პარტნიორისათვის გაუქმებული მოთხოვნა დარიცხული პროცენტის თანხის ოდენობით წარმოადგენს არარეზიდენტი პარტნიორის მიერ ნაპატიები ვალით მიღებულ შემოსავალს და გადახდის წყაროსთან არ დაიბეგრება. მეორე ვარიანტში საწარმოს დაერიცხება საშემოსავლო გადასახადი დაუკავებელი დივიდენდის გამო. მეორე ვარიანტში პირი დაჯარიმდება გადახდის წყაროსთან გადასახადის დაუკავებლობისათვის(სსკ-ის 134-ე მუხლით). მეორე ვარიანტში პირი დაჯარიმდება საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციის წარუდგენლობისათვის(სსკ-ის 131-ე მუხლი).

57. სიტუაცია: საწარმომ საწესდებო კაპიტალში შენატანის ოდენობით არარეზიდენტ დამფუძნებელზე გასცა სესხი საბაზროზე დაბალი წლიური საპროცენტო განაკვეთით და ასახა მოთხოვნებში, როგორც ძირითადი თანხა, ასევე მისაღები პროცენტი. მოგების გადასახადის გაანგარიშების მიზნებისათვის შემოსავალში აიღო გაცემულ სესხზე დარიცხული პროცენტის თანხა შესაბამისი პერიოდის მიხედვით საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და მოახდინა დეკლარირება. პირველი ვარიანტი: საწარმომ აპატია ვალდებულება დამფუძნებელს. მის მიმართ გააუქმა მოთხოვნა დარიცხული პროცენტის ნაწილში, შეწყვიტა ეკონომიკური საქმიანობა და პარტნიორმა გადაწყვიტა საწარმოს ლიკვიდაცია. მეორე ვარიანტი: საწარმოს მოთხოვნა არ გააუქმებია დამფუძნებლის მიმართ. საწარმომ შეწყვიტა ეკონომიკური საქმიანობა და პარტნიორმა გადაწყვიტა საწარმოს ლიკვიდაცია. საშემოსავლო გადასახადის დეკლარირება არცერთ ვარიანტში საწარმოს არ მოუხდენია. შეავფასოთ საწარმოს მოქმედება.

პასუხი: მეორე ვარიანტში საწარმოს ლიკვიდაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მო-

მენტში დივიდენდად უნდა განეხილა მოთხოვნებში დაფიქსირებულ (ძირითადი+პროცენტის თანხა) თანხას გამოკლებული პარტნიორის მიერ კაპიტალში შენატანის ოდენობა და დაებეგრა გადახდის წყაროსთან. პირველ ვარიანტში საწარმოს მიერ პარტნიორისათვის გაუქმებული მოთხოვნა დარიცხული პროცენტის თანხის ოდენობით არარეზიდენტი პარტნიორისათვის წარმოადგენს ვალის პატიებით მიღებულ შემოსავალს და გადახდის წყაროსთან არ დაიბეგრება. მეორე ვარიანტში საწარმოს უნდა დაერიცხოს გადახდის წყაროსთან დასაკავებელი გადასახადი(დივიდენდის მიხედვით). მეორე ვარიანტში საწარმო დაჯარიმდება საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციაში გადასახადის შემცირების შემთხვევაში სსკ-ის 275-ე(ძვ.132-ე) მუხლით.გადახდის წყაროსთან გადასახადის დაუკავებლობისათვის(სსკ-ის 134-ე მუხლით). პირველ ვარიანტში პირის ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება და არ ხდება დამატებით საგადასახადო ვალდებულების დაკისრება.

58. სიტუაცია: საწარმომ გადახდის წყაროსთან არ დააკავა რეზიდენტ ფიზიკურ პირზე გაცემული დივიდენდი, და არ ასახა შესაბამის დეკლარაციაში. ფიზიკურ პირს არ დაუდეკლარირებია დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი. შევაფასოთ საწარმოს მოქმედება.

პასუხი: საწარმო სსკ-ის 218-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად ვალდებული იყო დივიდენდის გადახდისას დაეკავებინა საშემოსავლო გადასახადი. ფიზიკურ პირს იმ შემოსავლის მიხედვით, რომელიც ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაბეგვრას, საშემოსავლო გადასახადის დეკლარირების ვალდებულება არ წარმოეშვება (სსკ-ის 217-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი). საწარმოს დაერიცხება დაუკავებელი საშემოსავლო გადასახადი გაცემული დივიდენდის მიხედვით. დეკლარაციაში გადასახადის შემცირების გამო საწარმოს დაეკისრება ჯარიმა სსკ-ის 132-ე მუხლის საფუძველზე, ასევე წყაროსთან გადასახადის დაუკავებლობის გამო ჯარიმა სსკ-ის 134-ე მუხლის საფუძველზე.

59. სიტუაცია: რეზიდენტმა საწარმომ გადახდის წყაროსთან არ დააკავა და არ ასახა შესაბამის დეკლარაციაში რეზიდენტ ფიზიკურ პირზე გაცემული დივიდენდი. ფიზიკურ პირს არ დაუდეკლარირებია დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი. შევაფასოთ საწარმოს მოქმედება.

პასუხი: საწარმო ვალდებული იყო დივიდენდის გაცემისას გადახდის წყაროსთან დაეკავებინა საშემოსავლო გადასახადი. ფიზიკურ პირს იმ შემოსავლის მიხედვით, რომელიც ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაბეგვრას, საშემოსავლო გადასახადის დეკლარირების ვალდებულება არ წარმოეშვება. საწარმოს დაერიცხება გადახდის წყაროსთან დაუკავებელი საშემოსავლო გადასახადი გაცემული დივიდენდის მიხედვით. დეკლარაციაში გადასახადის შემცირების შემთხვევაში საწარმოს დაეკისრება ჯარიმა სსკ-ის 275-ე (ძვ. 132-ე) მუხლით.

60. სიტუაცია: ფიზიკურმა პირმა, რომელიც ფლობს საფონდო ბირჟის ლისტინგში დაშვებული საწარმოს აქციებს წლის შედეგებზე(2009 წლის 2 იანვრის შემდგომ) მიიღო დივიდენდი. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული სიის(საფონდო ბირჟის ინფორმაცია) შესაბამისად ამ აქციების თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტი აღემატება 25 პროცენტს (სსკ-ის 195-ე მუხლი). ემიტენტის(აგენტის) მიერ დივიდენდი არ დაიბეგრა გადახდის წყაროსთან. 2010 წელს დადგინდა, რომ ემიტენტის მიერ საფონდო ბირჟისათვის მიწოდებული ინფორმაცია არასწორია – თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტი არ აღემატება 25 პროცენტს. შევაფასოთ საწარმოს მოქმედება.

პასუხი: თუ დაცული იქნებოდა სსკ-ის 195-ე მუხლის მე-5 ნაწილის პირობა, მაშინ აგენტს არ ქონდა გადახდის წყაროსთან დივიდენდის დაბეგვრის ვალდებულება, ხოლო დივიდენდი ერთობლივ შემოსავალში შეტანას არ ექვემდებარებოდა. საფონდო ბირჟისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდებით გამოწვეული შეუსრულებელი საგადასახადო ვალდებულებების დაფარება უნდა უზრუნველყოს ემიტენტმა(საგადასახადო აგენტმა). ფიზიკურ პირზე გაცემული დივიდენდის კუთვნილი გადასახადის გადახდა უნდა დაეკისროს ემიტენტს (აგენტს). ემიტენტის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს სსკ-ის 132, 134 და 1422 მუხლებით დადგენილი სანქციები. დივიდენდის მიმღებს საგადასახადო ვალდებულება არ წარმოეშვება და არ დაჯარიმდება დეკლარაციაში გადასახადის შემცირებისათვის.

61. სიტუაცია: ფიზიკურმა პირმა, რომელიც ფლობს საფონდო ბირჟის ლისტინგში დაშვებული საწარმოს აქციებს წლის შედეგებზე მიიღო დივიდენდი. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული სიის (საფონდო ბირჟის ინფორმაცია) შესაბამისად ამ აქციების თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტი აღემატება 25 პროცენტს. ემიტენტის(აგენტის) მიერ დივიდენდი არ დაიბეგრა გადახდის წყაროსთან. მომდევნო წელს დადგინდა, რომ ემიტენტის მიერ საფონდო ბირჟისათვის მიწოდებული ინფორმაცია არასწორია – თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტი არ აღემატება 25 პროცენტს. შევაფასოთ საწარმოს მოქმედება.

პასუხი: თუ დაცული იქნებოდა სსკ-ის 130-ე(ძვ. 195-ე) მუხლის მე-5 ნაწილის პირობა, მაშინ აგენტს არ ქონდა გადახდის წყაროსთან დივიდენდის დაბეგვრის ვალდებულება, ხოლო დივიდენდი

ერთობლივ შემოსავალში შეტანას არ ექვემდებარებოდა. საფონდო ბირჟისათვის არასწორი ინფორმაციის მინოდებით გამოწვეული შეუსრულებელი საგადასახადო ვალდებულებების დაფარვა უნდა უზრუნველყოს ემიტენტმა(საგადასახადო აგენტმა). ფიზიკურ პირზე გაცემული დივიდენდის კუთვნილი გადასახადის გადახდა უნდა დაეკისროს ემიტენტს(აგენტს). ემიტენტის მიმართ შესაბამისი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს სსკ-ის 275-ე(ძვ. 132-ე) და 285-ე(ძვ1422-ე) მუხლებით გათვალისწინებული სანქციები. დივიდენდის მიმღებს საგადასახადო ვალდებულება არ წარმოეშვება და მის მიმართ სსკ – ით გათვალისწინებული სანქციები არ გამოიყენება.

62. სიტუაცია: 2011 წელს დადგენილიწესით დივიდენდების სახით განაწილებულია შუალედური მოგება(წილის პროპორციულად ან პროპორციის გარეშე). გაცემული თანხები დაბეგრილია გადახდის წყაროსთან. წლიური შედეგებით დადგინდა, რომ საწარმოს მოგება არ მიუღია და შესაბამისად განაწილებული თანხები ვერ დაკვალიფიცირდა, როგორც დივიდენდი. მიუხედავად იმისა, რომ პარტნიორს მხოლოდ დივიდენდის მიღების უფლება აქვს, დოკუმენტურად დასტურდება, რომ ზედმეტად გაცემული დივიდენდის თანხები არ ბრუნდება და ამასთან არ დასტურდება საწარმოს კაპიტალის შემცირება. შევაფასოთ საწარმოს მოქმედება.

პასუხი: შუალედური მოგების დივიდენდის სახით განაწილება შესაძლებელია. დაუბრუნებელი თანხა თავისი შინაარსით პარტნიორისათვის გაცემის თარიღიდან ჩაითვლება საწარმოსაგან მიღებულ შემოსავლად. შემოსავლის გამცემი ვალდებულია გადახდის წყაროსთან დააკავოს საშემოსავლო გადასახადი(სსკ-ის 154-ე მუხლის პირველი ნაწილის „მ" ქვეპუნქტის შესაბამისად). პარტნიორის დაუბრუნებელ თანხაზე საწარმოს უნდა დაერიცხოს გადახდის წყაროსთან დასაკავებელი გადასახადი. საწარმო დაჯარიმდება დეკლარაციაში გადასახადის შემცირების შემთხვევაში სსკ-ის 275-ე მუხლით.

63. სიტუაცია: 2011 წელს დადგენილი წესით დივიდენდების სახით განაწილებულია შუალედური მოგება(წილის პროპორციულად ან პროპორციის გარეშე). გაცემული თანხები დაბეგრილია გადახდის წყაროსთან. წლიური შედეგებით დადგინდა, რომ საწარმოს მოგება არ მიუღია და შესაბამისად განაწილებული თანხები ვერ დაკვალიფიცირდა, როგორც დივიდენდი. ვინაიდან პარტნიორს მხოლოდ დივიდენდის მიღების უფლება აქვს, მიღებულია გადაწყვეტილება თანხების საწარმოსათვის დაბრუნების თაობაზე. შევაფასოთ საწარმოს მოქმედება.

პასუხი: შუალედური მოგების დივიდენდის სახით განაწილება შესაძლებელია. დაუბრუნებელი თანხა თავისი შინაარსით პარტნიორისათვის გაცემის თარიღიდან ჩაითვლება უპროცენტოდ გაცემულ სესხად. დასაბრუნებელი თანხა თავისი შინაარსით პარტნიორისათვის გაცემის თარიღიდან ჩაითვლება უპროცენტო სესხის მიღებად. საწარმოს საგადასახადო აგენტის ვალდებულება პარტნიორთან მიმართებაში არ დაეკისრება. სესხის საბაზრო პროცენტით გაიზრდება საწარმოს ერთობლივი შემოსავალი და მოგების გადასახადის შემცირების შემთხვევაში იგი დაჯარიმდება სსკ-ის 275-ე მუხლით. პარტნიორს სარგებელზე უნდა დაერიცხოს კუთვნილი გადასახადი სსკ-ის 81-ე მუხლით გათვალისწინებული განაკვეთით. პარტნიორი დეკლარაციაში გადასახადის შემცირების შემთხვევაში დაჯარიმდება სსკ-ის 275-ე მუხლით.

64. სიტუაცია: საწარმომ შეიძინა ძირითადი საშუალებები და იმავე წელს გამოქვითა სსკ-ის 183-ე მუხლის მე-13 ნაწილით(ან სსკ-ის 183-ე მუხლის მე-2 ნაწილით 1000 ლარამდე ღირებულების). დღგ-ის გადამხდელ საწარმოში მიმდინარეობს სალიკვიდაციო პროცესი. გამოქვითული ძირითადი საშუალებების ღირებულება არ არის ასახული ლიკვიდაციისას წარმოდგენილ მოგების გადასახადის დეკლარაციაში ერთობლივ შემოსავალში. პირველი ვარიანტი: ძირითადი საშუალება წაიღო პარტნიორმა რეზიდენტმა იურიდიულმა პირმა, რომელიც ლიკვიდაციამდე ფლობს 50%-ზე მეტ წილს. მეორე ვარიანტი: ძირითადი საშუალება წაიღო რეზიდენტმა პარტნიორმა – იურიდიულმა პირმა(გარდა პირველ ვარიანტში მითითებული პირისა). შევაფასოთ საწარმოს მოქმედება.

პასუხი: პირველი ვარიანტის მიხედვით ლიკვიდირებული იურიდიული პირის მიერ პარტნიორისათვის ქონების გადაცემა არ ჩაითვლება მიწოდებად. მეორე ვარიანტის მიხედვით ლიკვიდირებულ პირს ძირითადი საშუალების ღირებულება უნდა ჩაერთო ერთობლივ შემოსავალში, საბალანსო ნარჩენი ღირებულებით ან სხვა საბაზრო ღირებულებით. პირველი ვარიანტის მიხედვით პირს პასუხისმგებლობა არ დაეკისრება. მეორე ვარიანტის მიხედვით დაზუსტდება დასაბეგრი შემოსავალი და დაიბეგრება მოგებისა და დღგ-ის გადასახადებით. პირი დაჯარიმდება დეკლარაციებში გადასახადის შემცირებისათვის(სსკ-ის 132-ე მუხლი).

65. სიტუაცია: დღგ-ის გადამხდელი საწარმოს დამფუძნებელია 6 ფიზიკური პირი. კაპიტალში ქონებრივი შენატანია – თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი – შეფასებული დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ 40000 ლარად. მიღებულია გადაწყვეტილება საწარმოს ლიკვიდაციის შესახებ დაფუძნებიდან 1 წლის შემდეგ. ლიკვიდაციისას იგივე ქონება საბაზრო ღირებულებით – 80000 ლარი

– გაიტანეს წილის პროპორციულად, დამფუძნებელმა ფიზიკურმა პირებმა ისე, რომ საწარმოს მიერ დაბეგვრა/წყაროსთან დაკავება არ მომხდარა. შევაფასოთ საწარმოს მოქმედება.

პასუხი: საწარმოს მოგების გადასახადის მიზნებისათვის მინის ნაკეთის გადაცემა ჩაეთვლება მიწოდებად საბაზრო ფასით. ნამეტი თანხა (80000 – 40000) ჩაირთვება ერთობლივ შემოსავალში. მიწის მიწოდება დღგ-ისაგან გათავისუფლებულია. იგივე ქონების (შენატანის) დაბრუნება არ ჩაითვლება დივიდენდად და საწარმოს დამფუძნებელ ფიზიკურ პირთა მიმართ წყაროსთან დაკავების ვალდებულება არ წარმოიშობა. წილის პროპორციულად ფიზიკურ პირთა ნამეტი (80000 – 40000) არ თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისაგან (სსკ-ის 168-ე მუხლი) და ფიზიკური პირების მიერ დეკლარირებას ექვემდებარება დამოუკიდებლად. უნდა დაზუსტდეს საწარმოს დასაბეგრი მოგება. უნდა დაზუსტდეს საწარმოს დღგ-ის პროპორციული ჩათვლები გათავისუფლებული მიწოდების გათვალისწინებით. საწარმო დაჯარიმდება შესაბამისი გადასახადის დეკლარაცია(ებ) ში გადასახადის შემცირების შემთხვევაში(სსკ 132-ე მუხლი).

66. *სიტუაცია:* განხორციელდა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული საწარმოს ლიკვიდაცია, რომლის 100%-იანი წილის მფლობელი იყო რეზიდენტი იურიდიული პირი. კაპიტალში შენატანი – უძრავი ქონება – შეფასებულია დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ 40 000 ლარად. პირველი ვარიანტი: ლიკვიდაციისას, დამფუძნებელმა შენატანის სანაცვლოდ მიიღო 100000 ლარის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა, ისე, რომ საწარმოს დაბეგვრა არ მოუხდენია. მეორე ვარიანტი: საწარმოს ლიკვიდაციისას, დამფუძნებელმა მიიღო იგივე აქტივი, რომლის საბაზრო ღირებულება გატანისას შეადგენდა 60000 ლარს. საწარმოს მიერ დაბეგვრა არ მომხდარა. შევაფასოთ საწარმოს მოქმედება.

პასუხი: მხოლოდ პირველ ვარიანტში: დამფუძნებელს ქონების განაწილებით მიღებული ნამეტი – 60000 ლარი(100000 – 40000) ჩაეთვლება დივიდენდად. ამასთან, იგი წყაროსთან დაკავებას არ დაექვემდებარება და დამფუძნებლის ერთობლივ შემოსავალში არ ჩაერთვება. მხოლოდ პირველ ვარიანტში: ლიკვიდირებულ საწარმოს გამოქვითვები უნდა შეემცირებინა გადაცემული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულებით. ორივე ვარიანტში: საწარმოსათვის ლიკვიდაციისას გადაცემული ქონება მოგების გადასახადის მიზნებისათვის არ ითვლება მიწოდებად. ორივე ვარიანტში: დამფუძნებელმა იურიდიულმა პირმა ლიკვიდაციისას მიღებული აქტივი უნდა აღიაროს გადაცემამდე ლიკვიდირებულ საწარმოს არსებული ღირებულებით. ორივე ვარიანტში: საწარმოსათვის ლიკვიდაციისას გადაცემული ქონება დღგ-ის მიზნებისატვის ითვლება საბაზრო ღირებულებით მიწოდებად. ორივე ვარიანტში უნდა დაზუსტდეს საწარმოს დღგ-ით დასაბეგრი ბრუნვა. მხოლოდ პირველ ვარიანტში: ლიკვიდაციის პროცესში მყოფი საწარმოს უნდა შეუმცირდეს გამოსაქვითი ხარჯი ლიკვიდაციის გამო წარდგენილ დეკლარაციაში. საწარმო დაჯარიმდება შესაბამის დეკლარაცია(ებ)ში გადასახადის შემცირების შემთხვევაში(სსკ-ის 132-ე მუხლით).

67. *სიტუაცია:* დღგ-ის გადამხდელი საწარმოს 100% წილის მფლობელია ერთი ფიზიკური პირი. კაპიტალში ქონებრივი შენატანია – უძრავი ქონება – შეფასებული დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ 5000 ლარად. მიღებულია გადაწყვეტილება საწარმოს ლიკვიდაციის შესახებ დაფუძნებიდან 3 წლის შემდეგ. პირველი ვარიანტი: ლიკვიდაციისას იგივე აქტივი საბაზრო ღირებულებით – 5000 ლარი – გაიტანა დამფუძნებელმა ისე, რომ საწარმოს მიერ დაბეგვრა/წყაროსთან დაკავება არ მომხდარა. მეორე ვარიანტი: ლიკვიდაციისას იგივე აქტივი საბაზრო ღირებულებით – 6000 ლარი – გაიტანა დამფუძნებელმა ისე, რომ საწარმოს მიერ დაბეგვრა/წყაროსთან დაკავება არ მომხდარა. შევაფასოთ საწარმოს მოქმედება.

პასუხი: ორივე ვარიანტში: საწარმოსათვის გადასახადებით(დღგ, მოგების გადასახადი) დასაბეგრი ობიექტი გამოითვლება ლიკვიდაციისას გატანილი ქონების საბაზრო ფასით. ორივე ვარიანტში: შენატანის დაბრუნება არ ჩაიტვლება დივიდენდად და საწარმოს დამფუძნებელ ფიზიკური პირის მიმართ წყაროსთან დაკავების ვალდებულება არ წარმოიშობა. მეორე ვარიანტში: ფიზიკური პირის ნამეტი(6000 – 5000) გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისაგან(სსკ-ის 168-ე მუხლი). ორივე ვარიანტში უნდა დაზუსტდეს საწარმოს დასაბეგრი მოგება და დღგ-ის ბრუნვა. საწარმო დაჯარიმდება შესაბამის დეკლარაცია(ებ)ში გადასახადის შემცირების შემთხვევაში(სსკ-ის 132-ე მუხლი).

68. *სიტუაცია:* საწარმოს ერიცხება კრედიტორული დავალიანება ლიკვიდირებული საწარმოს მიმართ ძირითადი თანხისა და პირგასამტეხლოს სახით. ლიკვიდირებულ საწარმოს აღნიშნულ მოთხოვნაზე უფლებამონაცვლე არ ჰყავს. კრედიტორული დავალიანება სრულად გამოქვითულია ერთობლივი შემოსავლიდან. შევაფასოთ საწარმოს მოქმედება.

პასუხი: ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან ვალდებულება (ძირითადი თანხა და ამ პერიოდისათვის პირგასამტეხლო) უნდა აღიარდეს ნაპატიებ ვალად და ჩართულ იქნეს ერთობლივ შემოსავალში. ლიკვიდაციის დღიდან უნდა შეწყვეტილიყო პირგასამტეხლოს აღ-

იარება ხარჯებში. დასაბეგრი შემოსავალი გაიზრდება ნაპატიები ვალით; ამოირიცხება პირგასამტეხლოს სახით აღიარებული ხარჯები ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების დღიდან. საწარმოს დაერიცხება მოგების გადასახადი. მოგების გადასახადის შემცირების შემთხვევაში, საწარმო დაჯარიმდება სსკ-ის 132-ე მუხლით.

69. სიტუაცია: ფიზიკურ პირთა ჯგუფმა(55 იძულებით გადაადგილებული პირი) შეიზინა სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული შპს-ის 100%-იანი წილი. შპს – ს გააჩნია უძრავი ქონება, რომელიც შეფასებულია ექსპერტის მიერ 2009 წლის ოქტომბრის მდგომარეობით 11308000 ლარად. საზოგადოებამ 2009 წლის ოქტომბერში გამოაცხადა ლიკვიდაცია. ქონების მიწოდება არ განხორციელებულა. არ განხორციელებულა ქონების განაწილებაც(არც კრების ოქმით). შპს – ს არ განუხორციელებია სამეურნეო ოპერაციები და არ არის რეგისტრირებული დღგ-ის გადამხდელად. შევაფასოთ საწარმოს მოქმედება.

პასუხი: აღნიშნული ოპერაცია სსკ-ის 73-ე მუხლის(ძვ. 104-ე მუხლის) საფუძველზე შინაარსობრივად უნდა შეფასდეს, როგორც სახელმწიფოს მიერ ქონების გამოტანა მის მიერ დაწესებული საწარმოდან და პრივატიზების წესით იძულებით გადაადგილებულ პირებისათვის თანასაკუთრებაში გადაცემა. სანარმოს ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება და დამატებითი ვალდებულებების დაკისრება არ ხდება.

70. სიტუაცია: სანარმოს არარეზიდენტისაგან მიღებული მომსახურება დაბეგრილი აქვს უკუდაბეგვრის წესით და გადახდილი დღგ-ის თანხაზე მიღებული აქვს ჩათვლა. მომსახურებაზე გაწეული ხარჯები გამოქვითულია ერთობლივი შემოსავლიდან. მიღებულია გადაწყვეტილება ლიკვიდაციის თაობაზე. ამასთან სანარმოს არ განუხორციელებია დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციები. შევაფასოთ საწარმოს მოქმედება.

პასუხი: ასეთი ხარჯები უნდა შეფასდეს, როგორც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები. შესაბამისად, მომსახურებაზე გაწეული ხარჯების გამოქვითვა ერთობლივი შემოსავლიდან მართლზომიერია. სსკ-ის მოთხოვნების თანახმად, გადახდილი დღგ-ის ჩათვლა ეკუთვნის პირს, თუ მიღებული საქონელი/მომსახურება გამოყენებულია ან გამოყენებული იქნება დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებში. იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ ხდება საწარმოს ლიკვიდაცია, აღნიშნული საქონელი/მომსახურება ვერ იქნება გამოყენებული დასაბეგრ ოპერაციებში. შესაბამისად, საწარმოს არ აქვს ჩათვლის მიღების უფლება. შეფასებაში აღნიშნული პოზიციის გათვალისწინებით უნდა გაუქმდეს ჩათვლილი დღგ-ის თანხა იმ საანგარიშო პერიოდში, როდესაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ლიკვიდაციაზე. დეკლარაციებში გადასახადის შემცირების შემთხვევაში საწარმო დაჯარიმდება სსკ-ის 275-ე(ძვ. 132-ე) მუხლის შესაბამისად.

71. სიტუაცია: საწარმომ, რომელიც არ არის რეგისტრირებული დღგ-ის გადამხდელად, გამოაცხადა ლიკვიდაცია. სალიკვიდაციო კომისიამ საწარმოს ძირითადი საშუალება(შენობა) გაყიდა 100000 ლარზე მეტად. პირველი ვარიანტი: ოპერაცია არ დაიბეგრა დღგ-ით. მეორე ვარიანტი: საწარმომ ოპერაციის მიხედვით საბანკო დანესებულებაში გადაიხადა დღგ-ის თანხა. შევაფასოთ საწარმოს მოქმედება.

პასუხი: სსკ-ის 157-ე მუხლის მე-4 ნაწილის(ძვ. 221-ე მუხლის პირველი ნაწილის 'გ' ქვეპუნქტის) თანახმად პირი დღგ-ის გადამხდელად ითვლება იმ ერთჯერადი ოპერაციის ან ერთ დღეში განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების მომენტიდან(ამ ოპერაციის ჩათვლით), რომლის მიხედვითაც დასაბეგრი ოპერაციის თანხა გადააჭარბებს 100000 ლარს. პირველ ვარიანტში: პირი ვალდებული იყო, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისათვის მიემართა საგადასახადო ორგანოსათვის დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხის 100000 ლარზე გადაჭარბების დღიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა. მეორე ვარიანტში იმის გათვალისწინებით, რომ აღნისნული საწარმო ლიკვიდაციის პროცესშია და ამ მიზეზით დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაცია ექვემდებარება გაუქმებას, მხოლოდ ის ფაქტი, რომ პირმა განცხადებით არ მიმართა დღგ-ის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე არ უნდა იქნეს განხილული სამართალდარღვევად. ამასთან, საბანკო დანესებულებაში საგადასახადო დავალების შეკვეთა სსკ-ის 73-ე(ძვ. 104-ე) მუხლის გათვალისწინებით უნდა ჩაითვალოს, როგორც პირის მიერ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის განცხადების წარდგენად. პირველი ვარიანტი: უნდა განისაზღვროს კუთვნილი დღგ შესაბამისი საანგარიშო პერიოდის მიხედვით. პირველი ვარიანტი: დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გარეშე საქმიანობისათვის საწარმო დაჯარიმდება სსკ-ის 282-ე(ძვ. 140-ე) მუხლის მიხედვით. მეორე ვარიანტი: პირის მიმართ დამატებითი საგადასახადო ვალდებულების დაკისრება არ ხდება.

72. სიტუაცია: საბინაო ამხანაგობაში შენატანია – მიწის ნაკვეთი და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობები. ამხანაგობას არ ჰქონდა წარდგენილი ქონების(მ.შ. მიწის) გადასახადის დეკლარაციები. პირელი ვარიანტი: საგადასახადო შემოწმებისას მიწის და ქონების ეკონომიკურ საქმიანობაში

ჩართულობა არ დადგენილა. მეორე ვარიანტი: საგადასახადო შემოწმებისას მიწის და ქონების ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართულობა დადგენილია. შევაფასოთ საწარმოს მოქმედება.

პასუხი: პირველ ვარიანტში ქონების გადასახადის დეკლარაციის წარდგენა სავალდებულო არ არის. მეორე ვარიანტში ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართული ქონების(მ.შ. მიწა0 ნაწილში ანხანაგობის ქონება განიხილება საწარმოს ქონებად. მეორე ვარიანტში ამხანაგობას დაერიცხება ქონების(მ.შ მიწის) გადასახადი. მეორე ვარიანტში ამხანაგობას დაერიცხება ჯარიმა ქონების დეკლარაციის წარუდგენლობისათვის(სსკ-ის 131-ე მუხლი).

73. სიტუაცია: დღგ-ის გადამხდელი საწარმოს მიერ ბინათმშენებლობის ამხანაგობაში შეტანილია 2010 წლის 2 აგვისტოს მიწის ნაკვეთი და სამშენებლო მასალები. ხელსეკრულების საფუძველზე განსაზღვრულია საწარმოსათვის სანაცვლოდ საცხოვრებელი ფართის გადაცემა. საწარმომ ამხანაგობაში განხორციელებული შენატანი არ ჩათვალა მიწოდებად და არ დაბეგრა მოგების გადასახადით და დღგ-ით. შევაფასოთ საწარმოს მოქმედება.

პასუხი: საწარმოს მიერ ბინათმშენებლობის ამხანაგობაში განხორციელებული შენატანი განიხილება მიწოდებად საბაზრო ფასებით, თუმცა არ განიხილება დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციად, სსკ-ის 225-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე. ამხანაგობა ვალდებული იყო გაეცლო დღგ-ის გადამხდელის რეგისტრაცია სსკ-ის 221-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე. საწარმოს მიერ შემცირებულია ერთობლივი შემოსავალი. გადაანგარიშდება(გაიზრდება) საწარმოს ერთობლივი შემოსავალი და დაერიცხება კუთვნილი მოგების გადასახადი. გადასახადების შემცირების შემთხვევაში, საწარმოს დაერიცხება სსკ-ის 132-ე მუხლით გათვალისწინებული ჯარიმები.

74. სიტუაცია: დღგ-ის გადამხდელი საწარმოსათვის ბინათმშენებლობის ამხანაგობაში შენატანის სანაცვლოდ გათვალისწინებულია საცხოვრებელი ფართების გადაცემა. მისაღებ საცხოვრებელ ფართებზე საკუთრების უფლება საწარმოს მიერ რეალიზებულია. ამასთან, კომპენსაციის თანხა არ არის ასახული ერთობლივ შემოსავალში და არ არის დაბეგრილი დღგ-ით. შევაფასოთ საწარმოს მოქმედება.

პასუხი: საცხოვრებელ ფარტებზე საკუთრების წინასწარი უფლების რეალიზაცია: ა) ჩაითვლება დღგ-ით დაბეგვრის ობიექტად; ბ) ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ შემოსავლად. გადაანგარიშდება(გაიზრდება) საწარმოს ერთობლივი შემოსავალი და დღგ-ით დასაბეგრი ბრუნვა და დაერიცხება კუთვნილი მოგების გადასახადი და დღგ. შესაბამის დეკლარაციაში გადასახადების შემცირების შემთხვევაში საწარმოს დაერიცხება სსკ-ის 132-ე მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა.

75. სიტუაცია: დღგ-ის გადამხდელი საწარმოს მიერ ბინათმშენებლობის ამხანაგობაში შეტანილია მიწის ნაკვეთი, რომლის საბაზრო ღირებულება არ არის დადგენილი დოკუმენტურად. ხელშეკრულების საფუზველზე განსაზღვრულია საწარმოსათვის სანაცვლოდ საცხოვრებელი ფართის გადაცემა.საწარმომ ამხანაგობაში განხორციელებული შენატანი არ ჩათვალა მიწოდებად და არ დაბეგრა მოგების გადასახადით და დღგ-ით. შევაფასოთ საწარმოს მოქმედება.

პასუხი: საწარმოს მიერ ბინათმშენებლობის ამხანაგობაში განხორციელებული შენატანი მიწის სახით განიხილება მიწოდებად საბაზრო ფასებით, მხოლოდ მოგების გადასახადის მიზნებისათვის. საწარმოს მიერ შემცირებულია ერთობლივი შემოსავალი მიწის ნამეტი ღირებულებით(მიწის საბაზრო ღირებულებას – მიწის შეძენის ღირებულება). მიწის მიწოდება გათავისუფლებულია დღგ-ისაგან სსკ-ის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის „ჰ6" ქვეპუნქტის საფუძველზე.

76. სიტუაცია: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან გავიდა ერთ-ერთი დამფუძნებელი პარტნიორი ფიზიკური პირი, რომელსაც საზოგადოებიდან ეკუთვნის ქონების წილი. აღნიშნული ქონება შექმნილია საზოგადოების მოგების ხარჯზე. როგორ დაიბეგრება წილის სანაცვლოდ გაცემული ქონება?

პასუხი: საწარმოს პარტნიორს შეუძლია გავიდეს საზოგადოებიდან და კუთვნილი წილი მიიღოს ფულადი ან ნატურალური ფორმით. პარტნიორის წილი საზოგადოებაში გამოიხატება მყარ ნომინალურ ღირებულებაში, საზოგადოებიდან გასვლა კი წილის გასხვისებაა. წილის გასხვისებისათვის საზოგადოების წესდება შეიძლება განსაზღვრავდეს სხვადასხვა აუცილებელ წინაპირობებს, მაგრამ ყველაზე გავრცელებულ შემთხვევაში გასვლის გზით წილის გასხვისებისას, სხვა პარტნიორები ახდენენ გასული პარტნიორის წილის შეძენას ნომინალური ღირებულებით. იგივე პირობით ხდება გასული პარტნიორისათვის წილის ნატურით ანაზღაურება, ხოლო გადასაცემი ქონების ღირებულება უნდა შეფასდეს გადაცემის თარიღის მდგომარეობით. ამ პირობით მიღებული(გაცემული) წილის ღირებულება ერთობლივ შემოსავალში არ შედის. შესაბამისად საზოგადოების პარტნიორის მიერ საწესდებო კაპიტალიდან ნომინალური ღირებულებით დათმობილი(გაყიდული) წილიდან მიღებული შემოსავლები დაბეგვრას არ ექვემდებარება, ხოლო ნომინალური ღირებულების ზეგით მიღებული

თანხები დაიბეგრება, როგორც დივიდენდი.

77. სიტუაცია: საწარმოს ჰყავს სამი მეწილე, რომელთა წილები შემდეგნაირად ნაწილდება: 25ლარი(25%), 35ლარი(35%) და 40 ლარი(40%). ამ უკანასკნელმა მოითხოვა საწარმოდან გასვლა და წილის სანაცვლოდ ქონების მიღება. საწარმომ მას თავისი წილის სანაცვლოდ გადასცა 50 ლარის ღირებულების ქონება. სხვაობა წილის ღირებულებასა და ქონების ღირებულებას შორის 10 ლარი ნარმოადგენს თუ არა დივიდენდს?

პასუხი: სხვაობა წარმოადგენს დივიდენდს.

78. სიტუაცია: სააქციო საზოგადოების პარტნიორმა გადაწყვიტა ამ საწარმოს აქციების გაყიდვა, ხოლო სააქციო საზოგადოებამ მისი გამოსყიდვა. აქციონერის აქციების ნომინალური ღირებულება შეადგენს 100 ლარს, ხოლო საბაზრო ღირებულება 150 ლარს. საწარმომ ეს აქციები შეისყიდა 150 ლარად. წარმოადგენს თუ არა სხვაობა 50 ლარი დივიდენდს?

პასუხი: სხვაობა წარმოადგენს დივიდენდს.

79. სიტუაცია: სააქციო საზოგადოების აქციების განსაზღვრულ ნაწილს ფლობს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. სააქციო საზოგადოებამ გადაწყვიტა გამოესყიდა თავისი აქციები. აქციონერის აქციების ნომინალური ღირებულება ემთხვევა საბაზრო ღირებულებას და შეადგენს 100 ლარს. საწარმომ ეს აქციები შეისყიდა 100 ლარად. წარმოადგენს თუ არა გადახდილი 100 ლარი დივიდენდს?

პასუხი: გადახდილი თანხა არ წარმოადგენს დივიდენდს.

80. სიტუაცია: საწარმომ მეწილეს ფულადი დივიდენდის სანაცვლოდ გადასცა თავისი წილი, რომელიც ამ საწარმოს ჰქონდა სხვა საწარმოში. ასეთი გადაცემა ჩაითვლება თუ არა დივიდენდად?

პასუხი: ასეთი გადაცემა არ ჩაითვლება დივიდენდად.

81. სიტუაცია: სააქციო საზოგადოებამ თავისი აქციები გაყიდა საფონდო ბირჟაზე. აქციების ნომინალური ღირებულება იყო 100 ლარი, ხოლო გაყიდვის საბაზრო ღირებულება 250 ლარი. აქციების გაყიდვით მიღებული სხვაობა (და არა მოგება) 150 ლარის ოდენობით შეიძლება თუ არა გაიცეს დივიდენდად?

პასუხი: 150 ლარი არის საემისიო კაპიტალი ანუ სხვაობა საწარმოს მიერ ემისირებული აქციების გაყიდვის დროს მათ საბაზრო და ნომინალურ ღირებულებებს შორის. ამიტომ ის, ისევე, როგორც საწესდებო კაპიტალი, დივიდენდად არ გაიცემა. თუ საწარმო გამოისყიდის ამ აქციებს აქციონერისაგან და აღმოჩნდება, რომ აქციების გამოსყიდვისას მან აქციონერს გადაუხადა საემისიო კაპიტალზე(150 ლარზე) მეტი, მაშინ ნამეტი თანხა არის დივიდენდი, ხოლო 150 ლარი და მასზე ნაკლები თანხა არ ჩაითვლება დივიდენდად.

82. სიტუაცია: სააქციო საზოგადოება დააფუძნა 3 პირმა, რომლებიც ფლობენ გამოშვებული აქციების 100 პროცენტს ნომინალური ღირებულებით 100 ლარი. ამის შემდეგ სააქციო საზოგადოებამ განახორციელა 50 ლარის ოდენობის აქციების გამოშვება და გაყიდვა. რომელ აქციებს შეიძლება მიენიჭოს საწესდებო კაპიტალის სტატუსი?

პასუხი: საწესდებო კაპიტალი არის საზოგადოების დაფუძნებისას შენატანების ჯამი. შესაბამისად, 100 ლარი იქნება საწესდებო კაპიტალი, ხოლო დანარჩენი კაპიტალის მატება.

83. სიტუაცია: საწარმო იღებს კრედიტს კომერციული ბანკიდან და ამ თანხით ყიდულობს სხვა საწარმოს აქციებს. შეუძლია თუ არა მას კრედიტზე გადახდილი პროცენტი, როგორც ხარჯი გამოქვითოს ერთობლივი შემოსავლიდან?

პასუხი: არა, რადგანაც დივიდენდი არ შედის საწარმოს ერთობლივ შემოსავალში და შესაბამისად პროცენტთან დაკავშირებული ხარჯები არ უკავშირდება ერთობლივი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

84. სიტუაცია: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება დააფუძნა 3 პირმა. დაფუძნებისას პარტნიორებს წესდების მიხედვით კაპიტალში უნდა შეეტანათ შესაბამისად 50, 30 და 20 ლარის საბაზრო ღირებულების ქონება. პარტნიორმა, რომელსაც უნდა შეეტანა კაპიტალში 50 ლარის ქონება – შემოიტანა 80 ლარის ღირებულების ქონება. რა კვალიფიკაცია შეიძლება მიეცეს სხვაობას(80 – 50) 30 ლარის ოდენობით?

პასუხი: სხვაობა 30 ლარის ოდენობით წარმოადგენს საემისიო კაპიტალს და იგი გამოყვანილ უნდა იქნეს საწესდებო კაპიტალიდან.

85. სიტუაცია: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება დააფუძნა 2 პირმა ქონებრივი შენატანების გზით. ერთი პირის შენატანი ნაცვლად 100 ლარისა იყო 150 ლარი. ამ პირმა გარკვეული პერიოდის შემდეგ საწარმოდან გაიტანა ქონება თავისი შენატანების პროპორციულად – 150 ლარის ოდენობით. შეიძლება თუ არა ამ თანხას მიეცეს დივიდენდის კვალიფიკაცია?

პასუხი: ეს თანხა არ იქნება დივიდენდი, ვინაიდან პარტნიორმა იმდენივე თანხის ქონება გამოიტანა, რაც მან შეიტანა საწესდებო და საემისიო კაპიტალში.

86. სიტუაცია: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება დააფუძნა 2 პირმა ქონებრივი შენატანების გზით. ერთი პირის შენატანი ნაცვლად 100 ლარისა იყო 150 ლარი. გარკვეული პერიოდის შემდეგ 150 ლარის ქონების საბაზრო ღირებულება გახდა 1000 ლარი. პირმა საწარმოდან გაიტანა 1000 ლარის ღირებულების ქონება ჩათვალა, რა, რომ მისი წილი შეესაბამებოდა გატანილი ქონების ღირებულებას. ადგილი აქვს თუ არა დივიდენდის გაცემას?

პასუხი: ნამეტი თანხა (1000 – 150) 850 ლარი შეადგენს დივიდენდს. ამასთან, დივიდენდი არ იქნებოდა 1000 ლარის ღირებულების ქონება იმ შემთხვევაში, თუ ქონების გამოტანამდე საწარმო მოახდენდა პარტნიორის მიერ კაპიტალსი შეტანილი ქონების აფასებას 150 ლარიდან 1000 ლარამდე შესაბამისი წესდების შეცვლით.

87. სიტუაცია: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება დააფუძნა 2 პირმა. ამის შემდეგ ერთ ერთმა პარტნიორმა(ან ორივემ) შეისყიდა მიწა და შეიტანა საწარმოს კაპიტალში. შესაბამისად წესდების ცვლილების გზით გაიზარდა საწარმოს კაპიტალი. შემდგომ საწარმომ ამ მიწაზე ააშენა სახლი და გაყიდა მინიანად. მიწის ღირებულება უნდა შევიდეს თუ არა საწარმოს ერთობლივ შემოსავალში?

პასუხი: მიწის ღირებულება უნდა გამოვიდეს კაპიტალიდან. შესაბამისად შემცირდება კაპიტალის ოდენობა და მიწის შესაბამისი ღირებულება შეიტანება საწარმოს ერთობლივ შემოსავალში. ამასთან, მიწის ღირებულება საწარმოსთვის იქნება სარგებელი.

88. სიტუაცია: განვიხილოთ სამი თანამდევი სიტუაცია: ა) საწარმომ განახორციელა 1 ლარის ნომინალური ღირებულების 1 აქციის ემისია და გაყიდვა 5 ლარად. გარკვეული პერიოდის შემდეგ ეს აქცია გამოისყიდა საწარმომ 6 ლარად. საწარმოს საემისიო კაპიტალი იყო 4ლარი(5 – 1). გამოსყიდვის შემდეგ საემისიო კაპიტალი „გაქრა“ და გახდა ნოლის ტოლი; ბ) პირობები იგივეა. საწარმომ ეს აქცია გამოისყიდა 3 ლარად. საწარმოს საემისიო კაპიტალი იყო 4 ლარი(5 – 1). გამოსყიდვის შემდეგ საემისიო კაპიტალი გახდა 1 ლარი(4 – 3); გ) პირობები იგივეა. საწარმომ აქცია გამოისყიდა 2 ლარად. საემისიო კაპიტალი გახდა 2 ლარი(4 – 2). არის თუ არა პარტნიორის წილი 1და 2 ლარიან საემისიო კაპიტალში და შესაბამისად აქვს თუ არა პარტნიორს რაიმე მოთხოვნის უფლება?.

პასუხი: ვინაიდან საწარმომ გაისტუმრა პარტნიორი, ამ უკანასკნელს არ წარმოეშვება საწარმოს მიმართ მოთხოვნები. რაც შეეხება 1 და 2 ლარის ოდენობის საემისიო კაპიტალს იგი 100 პროცენტით ეკუთვნის საწარმოს.

89. სიტუაცია: საწარმოს ჰყავს ორი დამფუძნებელი ფიზიკური პირი, რომელთა წილები საწესდებო კაპიტალში განსაზღვრულია 1000 – 1000 ლარის ოდენობით. საწარმოს წმინდა აქტივები შეადგენს 1000 000 ლარს. ერთმა მეწილემ თავისი წილი გაყიდა მესამე პირზე 2000 ლარად. შეესაბამება თუ არა წილის ღირებულება დაბეგვრის თვალსაზრისით მის რეალურ ღირებულებას?

პასუხი: მენილეს უფლება აქვს წილი, როგორც საქონელი(არამატერიალური აქტივი) გაყიდოს ნებისმიერ ფასად – თვითღირებულებაზე ნაკლებადაც. თუ, პირები ურთიერთდამოკიდებულები არ არიან, მაშინ საგადასახადო ორგანოს იმ შემთხვევაში აქვს უფლება გამოიყენოს საბაზრო ფასი, თუ იგი დაასაბუთებს, რომ წილის გაცხადებული ფასი განსხვავდება ფაქტობრივი ფასისაგან. გაცხადებული ფასი ნიშნავს ყიდვა-გაყიდვის გარიგების დოკუმენტში დაფიქსირებულ ფასს, ხოლო ფაქტობრივი ფასი იმ თანხას, რომელიც რეალურად გადაუხადეს გამყიდველს. ასეთი დასაბუთება უნდა მოხდეს ან მოწმეთა ჩვენებით ან სხვა რაიმე სამხილით, რომელიც დაამტკიცებს „მარცხენა“ თანხის გადახდის ფაქტს.

90. სიტუაცია: საწარმომ თავისი 100 ლარის ნომინალური ღირებულების აქციები გაყიდა 150 ლარად ან საწარმოს საწესდებო კაპიტალში მეწილემ დამატებით შეიტანა 500 ლარი. ამ ორ შემთხვევაში საწარმოს ერთობლივი შემოსავალი გაიზარდა თუ არა?

პასუხი: ერთობლივი შემოსავალი არ გაზრდილა, ვინაიდან პარტნიორთა შენატანები, რომლებიც ზრდიან იმ საწარმოს წმინდა აქტივს, რომელთა პარტნიორებიც არიან შენატანის განმახორციელებელი პირები, არ წარმოადგენს შემოსავალს.

91. სიტუაცია: არარეზიდენტ პირს გააჩნია რეზიდენტ იურიდიულ პირში წილი და ახორციელებს მის გაყიდვას. მიღებული შემოსავალი ჩაითვლება თუ არა საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავლად?

პასუხი: მიღებული შემოსავალი ჩაითვლება საქართველოსი არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავლად.

92. სიტუაცია: არარეზიდენტ პირს გააჩნია რეზიდენტ იურიდიულ პირში წილი და ღებულობს დივიდენდს. მიღებული შემოსავალი ჩაითვლება თუ არა საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ

შემოსავლად?

პასუხი: მიღებული შემოსავალი ჩაითვლება საქართველოსი არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავლად.

93. სიტუაცია: გერმანიაში არსებული არარეზიდენტი სანარმოს აქტივები შეადგენს 100 აშშ დოლარს, საიდანაც 60 აშშ დოლარის ღირებულების აქტივი მდებარეობს საქართველოში უძრავი ქონების სახით. საწარმოს იმ პარტნიორმა, რომელმაც შეიტანა 60 აშშ დოლარის ღირებულების ქონება საწარმოს კაპიტალში, განახორციელა წილის გაყიდვა. რომელი ქვეყნის წყაროდან არსებულ შემოსავლად ითვლება მიღებული შემოსავალი: გერმანიის თუ საქართველოს?

პასუხი: მიღებული შემოსავალი ჩაითვლება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავლად, რადგანაც საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავლად ჩაითვლება იმ საწარმოს აქციების ან პარტნიორის წილის მიწოდებით მიღებული შემოსავალი, რომლის აქტივების ღირებულების 50 პროცენტზე მეტი პირდაპირ ან არაპირდაპირ იქმნება საქართველოში არსებული უძრავი ქონების ღირებულებიდან.

17. 8. კორპორაციული დაბეგვრის ზოგადი საკითხები საზღვარგარეთის ქვეყნებში

17.8.1. ავსტრალია

ავსტრალიაში მეწარმეობის ძირითადი ფორმებია: შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, სააქციო საზოგადოება, ამხანაგობა, შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობა, კერძო მეწარმეები და მუდმივი დანესებულებები.

გადასახადები დივიდენდზე: ავსტრალიური კომპანიების მიერ განაწილებული დივიდენდის თანხები არ შედის მათი აქციონერების დასაბეგრ შემოსავალში იმპუტაციური კრედიტის პრაქტიკის გამოყენების გამო.

კაპიტალის ზრდის გადასახადი: კაპიტალის ზრდის გადასახადი გადაიხდევინება კორპორაციული გადასახადის ოდენობით და წესით. უცხოელი ინვესტორები იხდიან ამ გადასახადს მხოლოდ უშუალოდ ავსტრალიის ტერიტორიაზე არსებულ აქტივებზე.

ზარალის დაბეგვრა: ავსტრალიის იურიდიული პირების მიერ ზარალის მიღების შემთხვევაში ეს ზარალი გადადის შემდგომ პერიოდებზე განუსაზღვრელი ვადით, იმ პირობით, რომ თუ შენარჩუნებული იქნება აქციონერების მუდმივი შემადგენლობის 50 პროცენტი.

კორპორაციული გადასახადის განაკვეთი შეადგენს 30 პროცენტს.

მინიმალური გადასახადის ფიქსირებული განაკვეთი არ არსებობს.

წყაროსთან დასაბეგრი შემოსავლები: საპროცენტო შემოსავალი, რომელიც მიიღო არარეზიდენტმა იურიდიულმა პირმა იბეგრება წყაროსთან 10 პროცენტიანი განაკვეთით, თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა არ არის გათვალისწინებული; როიალტი, რომელიც მიიღო არარეზიდენტმა იურიდიულმა პირმა იბეგრება გადახდის წყაროსთან 30 პროცენტის ოდენობით, თუ საერთაშორისო ხელშეკრულებებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. არარეზიდენტ აქციონერებზე განაწილებული დივიდენდი იბეგრება 0 პროცენტით, იმ შემთხვევაში, თუ საწარმომ შეასრულა თავისი საგადასახადო ვალდებულებები ანუ გადაიხადა კორპორაციული გადასახადი. იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს არ აქვს შესრულებული საგადასახადო ვალდებულებები დივიდენდის გაცემის დროს, მაშინ არარეზიდენტი აქციონერების დივიდენდებზე გადასახდელი განაკვეთი შეადგენს 30 პროცენტს.

17.8.2. ავსტრია

ავსტრიაში მეწარმეობის ძირითადი ფორმებია: შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, სააქციო საზოგადოება, ამხანაგობა, კერძო მეწარმეები და მუდმივი დაწესებულებები.

გადასახადები დივიდენდზე: დივიდენდები, რომლებიც მიიღება ავსტრიის რეზიდენტი პირებისაგან არ იბეგრება.

კაპიტალის ზრდის გადასახადი: კაპიტალის ზრდის გადასახადი გადაიხდევინება კორპორაციული გადასახადის ოდენობით და წესით.

ზარალის დაბეგვრა: ავსტრიის იურიდიული პირების მიერ ზარალის მიღების შემთხვევაში ეს ზარალი გადადის შემდგომ პერიოდებზე განუსაზღვრელი ვადით. ამასთან, მომავალ წელს გამოიქვითება მთელი ჯამური ზარალის არაუმეტეს 75 პროცენტი.

კორპორაციული გადასახადის განაკვეთი შეადგენს 25 პროცენტს.

მინიმალური გადასახადის ფიქსირებული განაკვეთი შეადგენს სააქციო საზოგადოებისათვის 3500 ევროს, ხოლო შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიებისათვის 1750 ევროს.

წყაროსთან დასაბეგრი შემოსავლები: რეზიდენტ და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული პროცენტი არ იბეგრება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხზე და კრედიტზე გირაოს სახით გამოიყენება ავსტრიის ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონება; როიალტი, რომელიც მიიღო პირმა იბეგრება გადახდის წყაროსთან 30 პროცენტის ოდენობით; დივიდენდები, რომელიც ავსტრიის ერთმა იურიდიულმა პირმა გადაუხადა მეორეს – არ იბეგრება. დივიდენდები, რომელიც მიეცემათ არარეზიდენტებს იბეგრება წყაროსთან 25 პროცენტის ოდენობით, თუ საერთაშორისო ხელშეკრულებებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

17.8.3. ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები

ვირჯინიის კუნძულებში მეწარმეობის ძირითადი ფორმებია: შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, ამხანაგობა და ტრასტები.

გადასახადები დივიდენდზე: დივიდენდები არ იბეგრება.

კაპიტალის ზრდის გადასახადი: კაპიტალის ზრდა არ იბეგრება.

ზარალის დაბეგვრა: ვინაიდან კორპორაციული გადასახადი არ არსებობს, შესაბამისად ზარალის მარეგულირებელი ნორმები არ არსებობს.

კორპორაციული გადასახადი არ არსებობს.

მინიმალური გადასახადის ფიქსირებული განაკვეთი არ არსებობს.

წყაროსთან დასაბეგრი შემოსავლები: რეზიდენტ და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გადახდილი საპროცენტო შემოსავალი, როიალტი და დივიდენდი წყაროსთან არ იბეგრება.

17.8.4. ბულგარეთი

ბულგარეთში მეწარმეობის ძირითადი ფორმებია: შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, სააქციო საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობა, კერძო მეწარმეები და მუდმივი დანესებულებები.

გადასახადები დივიდენდზე: ერთი ბულგარული იურიდიული პირის მიერ მეორე ბულგარული იურიდიული პირისათვის გადახდილი დივიდენდები არ შედის დივიდენდის მიმღების დასაბეგრ შემოსავლებში. დივიდენდები, რომელიც მიღებულია ბულგარეთის გადასახადის გადამხდელების მიერ ევროკავშირის რეზიდენტი კომპანიებიდან არ შეიტანება დივიდენდის მიმღების დასაბეგრ შემოსავალში. ყველა სხვა დივიდენდი იბეგრება დადგენილი წესით.

კაპიტალის ზრდის გადასახადი: კაპიტალის ზრდის თანხები შეიტანება დასაბეგრ ბაზაში და იბეგრება კორპორაციული გადასახადით.

ზარალის დაბეგვრა: წინა წლების ზარალი გადაიტანება მიმდინარე წელს იმ პირობით თუ ამ პერიოდში შენარჩუნებულია კომპანიის წინა მფლობელები. ზარალის გადატანის ვადა არის 5 წელი. ამასთან გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემდეგ შესაძლებელია მიმდინარე წლის ზარალი გადატანილ იქნას წინა წლის მოგებაზე.

კორპორაციული გადასახადის განაკვეთი შეადგენს 10 პროცენტს.

მინიმალური გადასახადის ფიქსირებული განაკვეთი არ არსებობს.

წყაროსთან დასაბეგრი შემოსავლები: საპროცენტო შემოსავალი და დივიდენდი, რომელიც მიიღო არარეზიდენტმა პირმა იბეგრება წყაროსთან 5 პროცენტიანი განაკვეთით, თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა არ არის გათვალისწინებული. ამასთან, ეს შემოსავლები არ იბეგრება წყაროსთან, თუ მათი მიმღებია ევროკავშირის რეზიდენტი; როიალტი, რომელიც მიიღო არარეზიდენტმა პირმა იბეგრება გადახდის წყაროსთან 10 პროცენტის ოდენობით. თუ როიალტი გაცემულია ევროკავშირის რეზიდენტ პირებზე, მაშინ რიგ შემთხვევებში განაკვეთი შეადგენს 5 პროცენტს. თუ საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულია შემცირებული განაკვეთები, მაშინ გამოიყენება ასეთი განაკვეთები. ასეთი ერთიანი განაკვეთები, რომელიც იქნება ერთიანი საერთოევროპული განაკვეთები ბულგარეთისათვის ძალაში შევა 2015 წლის 1 იანვარს.

17.8.5. ჩრდილოეთ ირლანდიისა და დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო

გაერთიანებულ სამეფოში მეწარმეობის ძირითადი ფორმებია: სააქციო საზოგადოება, შეზღუდ-

ული პასუხისმგებლობის კომპანია, ტრასტები უძრავი ქონების ინვესტიციებში, შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობა, ამხანაგობა, მუდმივი დაწესებულებები.

გადასახადები დივიდენდზე: დივიდენდები გამოიქვითება ბრიტანული კომპანიების დასაბეგრი ბაზიდან, გარდა ბანკებისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტების მიერ მიღებული დივიდენდებისა.

კაპიტალის ზრდის გადასახადი: კაპიტალის ზრდის თანხები შეიტანება ბრიტანული კომპანიების დასაბეგრ ბაზაში. გარკვეული პერიოდის განმავლობაში კომპანიის საკუთრებაში არსებული აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები გამოიქვითება დასაბეგრი ბაზიდან. ასეთ პერიოდად მიიჩნევა არანაკლებ 12 თვე 24 თვიდან, რომელიც წინ უსწრებს გაყიდვას და არანაკლებ გაყიდული აქტივების 10 პროცენტისა. რიგ შემთხვევებში შვილობილი კომპანიების აქციების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები გამოიქვითება დასაბეგრი ბაზიდან.

ზარალის დაბეგვრა: წინა წლების ზარალი გადაიტანება მომდევნო წლებზე შეუზღუდავად. ამასთან სამრეწველო და სავაჭრო ზარალი კომპენსირდება მხოლოდ სამრეწველო და სავაჭრო საქმიანობებიდან, ხოლო ფინანსური საქმიანობიდან ზარალი – მხოლოდ ფინანსური საქმიანობიდან.

კორპორაციული გადასახადის საბაზო განაკვეთი შეადგენს 24 პროცენტს, ხოლო იმ კომპანიებისათვის, რომელთა დასაბეგრი შემოსავალი ნაკლებია 300 ათას ფუნტ სტერლინგზე – 20 პროცენტს.

მინიმალური გადასახადის ფიქსირებული განაკვეთი არ არსებობს.

წყაროსთან დასაბეგრი შემოსავლები: დივიდენდი იბეგრება 20 პროცენტით, რომელსაც ღებულობენ ტრასტები უძრავ ქონებაში ინვესტირებიდან და იმ შემოსავლებიდან, რომლებსაც ისინი იღებენ უძრავი ქონების იჯარიდან; როიალტი, რომელიც მიიღო არარეზიდენტმა პირმა იბეგრება გადახდის წყაროსთან 20 პროცენტის ოდენობით, თუ საერთაშორისო ხელშეკრულებებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

17.8.6 გიბრალტარი

გიბრალტარში მეწარმეობის ძირითადი ფორმებია: შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, ამხანაგობა, შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობა, კერძო მეწარმეები და მუდმივი დაწესებულებები.

გადასახადები დივიდენდზე: დივიდენდების განაწილებული თანხები არ შედის კორპორაციულად დასაბეგრ შემოსავლებში.

კაპიტალის ზრდის გადასახადი: კაპიტალის ზრდის გადასახადი არ არსებობს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზრდა გამოწვეულია მუდმივი პროფესიონალური საქმიანობის მიმდინარეობის პროცესში.

ზარალის დაბეგვრა: წინა წლების ზარალი გადაიტანება მომდევნო წლებში შეუზღუდავად იმ პირობით თუ შენარჩუნებულია კომპანიის წინა აქციონერები და ამ იურიდიული პირის საქმიანობის პროფილი.

კორპორაციული გადასახადის განაკვეთი შეადგენს 10 პროცენტს, თუმცა რიგ შემთხვევებში ის შეიძლება გაიზარდოს 20 პროცენტამდე.

მინიმალური გადასახადის ფიქსირებული განაკვეთი არ არსებობს.

წყაროსთან დასაბეგრი შემოსავლები: საპროცენტო შემოსავალი, დივიდენდი და როიალტი რომელიც მიიღო არარეზიდენტმა ან რეზიდენტმა იურიდიულმა პირმა წყაროსთან არ იბეგრება.

17.8.7. ჰონკონგი

ჰონკონგში მეწარმეობის ძირითადი ფორმებია: სააქციო საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, ამხანაგობა, კერძო მეწარმეები და მუდმივი დაწესებულებები.

გადასახადები დივიდენდზე: დივიდენდების განაწილებული თანხები გამოიქვითება დივიდენდების მიმღები იურიდიული პირების დასაბეგრი შემოსავლებიდან.

კაპიტალის ზრდის გადასახადი: კაპიტალის ზრდიდან შემოსავლები არ ჩაირთვება ჰონკონგის იურიდიული პირების დასაბეგრ მოგებაში, თუ ასეთი შემოსავალი არ მიიღება გადამხდელის ძირითადი პროფესიული საქმიანობიდან.

ზარალის დაბეგვრა: წინა წლების ზარალი გადაიტანება მომდევნო წლებში შეუზღუდავად. ამასთან მიმდინარე პერიოდის ზარალი არ შეიძლება დაიფაროს წინა პერიოდების მოგების ხარჯზე.

კორპორაციული გადასახადის საბაზო განაკვეთი შეადგენს 16,5 პროცენტს, ხოლო ზოგიერთი არაინკორპორირებული სტრუქტურისათვის – 15 პროცენტს.

მინიმალური გადასახადის ფიქსირებული განაკვეთი არ არსებობს.

წყაროსთან დასაბეგრი შემოსავლები: როიალტი იბეგრება წყაროსთან იმ შემთხვევაში, თუ ის გადაიხდევინება ჰონკონგის ტერიტორიაზე შექმნილი უფლებების გამოყენებისათვის; საპროცენტო შემოსავალი და დივიდენდი წყაროსთან არ იბეგრება.

17.8.8. დანია

დანიაში მეწარმეობის ძირითადი ფორმებია: შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, სააქციო საზოგადოება, ამხანაგობა, კერძო მეწარმეები და მუდმივი დაწესებულებები.

გადასახადები დივიდენდზე: დანიის იურიდიული პირების მიერ შვილობილი კომპანიის აქციებიდან მიღებული დივიდენდები, როგორც წესი არ ექვემდებარება დაბეგვრას. ამასთან შემოსავლები პორტფელური ინვესტიციებით შეძენილი აქციებიდან ჩვეულებრივ იბეგრება კორპორატიული წესით დაბეგვრის შესაბამისად.

კაპიტალის ზრდის გადასახადი: კაპიტალის ზრდიდან გადასახადი შეადგენს კორპორაციული გადასახადის ოდენობას. ამასთან შვილობილი კომპანიის აქციების გაყიდვით მიღებული ნამეტი გამოიქვითება მთლიანი დასაბეგრი შემოსავლიდან.

ზარალის დაბეგვრა: წინა წლების ზარალი გადაიტანება მომდევნო წლებში შეუზღუდავად. ამასთან მიმდინარე პერიოდის ზარალი არ შეიძლება დაიფაროს წინა პერიოდების მოგების ხარჯზე.

კორპორაციული გადასახადის საბაზო განაკვეთი შეადგენს 25 პროცენტს.

მინიმალური გადასახადის ფიქსირებული განაკვეთი არ არსებობს.

წყაროსთან დასაბეგრი შემოსავლები: პროცენტები, რომელიც გადაიხდება არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე წყაროსთან არ იბეგრება, მაგრამ რიგი ოპერაციები ურთიერთდაკავშირებულ იურიდიულ პირებზე საგადასახადო ორგანოს მიერ შეიძლება დაიბეგროს 25 პროცენტის ოდენობით; როიალტი, რომელიც გადახდილია არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის იბეგრება 25 პროცენტის ოდენობით; დივიდენდები, რომელიც გადახდილია არარეზიდენტ კომპანიებზე იმ შემთხვევაში არ ექვემდებარება დაბეგვრას წყაროსთან, როდესაც დივიდენდების გაცემა ხდება შვილობილი კომპანიის აქციების მიხედვით ან ერთიანი ჯგუფის აქციების მიხედვით.

17.8.9. კვიპროსი

კვიპროსში მეწარმეობის ძირითადი ფორმებია: შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, ამხანაგობა, მუდმივი დაწესებულებები.

გადასახადები დივიდენდზე: განაწილებული დივიდენდების თანხები არ შედის მისი მიმღების კორპორაციულად დასაბეგ თანხებში. ზოგიერთ შემთხვევაში დივიდენდები შეიძლება გამოირიცხოს იმ თანხებიდან, რომელიც ექვემდებარება გადახდას თავდაცვაზე სპეციალური მოსაკრებლის სახით.

კაპიტალის ზრდის გადასახადი: კაპიტალის ზრდის გადასახადი აქციების გაყიდვებზე არ არსებობს. კაპიტალის ზრდის გადასახადი ამოიღება კვიპროსში არსებული უძრავი ქონების რეალიზაციიდან 20 პროცენტის ოდენობით.

ზარალის დაბეგვრა: წინა წლების ზარალი გადაიტანება მომდევნო წლებში შეუზღუდავად. ამასთან, მიმდინარე წლის ზარალი არ შეიძლება გადაიფაროს წინა წლის მოგებით.

კორპორაციული გადასახადის განაკვეთი შეადგენს 10 პროცენტს. ამასთან, თავდაცვაზე სოციალური მოსაკრებელი შეადგენს დივიდენდიდან 20 პროცენტს, პროცენტიდან 15 პროცენტს და უძრავი ქონების იჯარიდან 3 პროცენტს.

მინიმალური გადასახადის ფიქსირებული განაკვეთი არ არსებობს.

წყაროსთან დასაბეგრი შემოსავლები: საპროცენტო შემოსავალი, რომელიც მიღებული აქვთ რეზიდენტ და არარეზიდენტ იურიდიულ პირებს წყაროსთან არ იბეგრება; როიალტი, რომელიც მიღებული აქვთ კინემატოგრაფიის სფეროში უცხოელ იურიდიულ პირებს იბეგრება წყაროსთან 5 პროცენტის ოდენობით, ხოლო სხვა სფეროებში 10 პროცენტის ოდენობით. სხვა განაკვეთები შეიძლება იყოს გათვალისწინებული საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად; დივიდენდის გადახდის დროს რეზიდენტ და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გადასახადი არ გადაიხდევინება.

17.8.10. ლუქსემბურგი

ლუქსემბურგში მეწარმეობის ძირითადი ფორმებია: შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია,

სააქციო საზოგადოება, ამხანაგობა და მუდმივი დანესებულებები.

გადასახადები დივიდენდზე: განაწილებული დივიდენდების თანხები იბეგრება და გადაიხდება მისი კორპორაციული მიმღებების მიერ საშემოსავლო გადასახადის ოდენობით.

კაპიტალის ზრდის გადასახადი: კაპიტალის ზრდის გადასახადი არ არსებობს. ამასთან, უმრავლეს შემთხვევაში კაპიტალის ზრდა ექვემდებარება დაბეგვრას კორპორაციული დაბეგვრის შესაბამისად, გარდა აქციების გაყიდვით მიღებული კაპიტალის ზრდისა.

ზარალის დაბეგვრა: წინა წლების ზარალი გადაიტანება მომდევნო წლებში შეუზღუდავად. ამასთან, მიმდინარე წლის ზარალი არ შეიძლება გადაიფაროს წინა წლის მოგებით.

კორპორაციული გადასახადის ფედერალური განაკვეთი შეადგენს 21 პროცენტს იმ იურიდიული პირებისათვის, რომელთა ჯამური წლიური შემოსავალი აჭარბებს 15 ათას ევროს და – 20 პროცენტს იმ იურიდიული პირებისათვის, რომელთაც უფრო ნაკლები შემოსავალი აქვთ. ამასთან, დამატებითი საშემოსავლო გადასახადი დგინდება ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების მიერ.

მინიმალური გადასახადის ფიქსირებული განაკვეთი შეადგენს 1500 ევროს იმ იურიდიული პირებისათვის, რომელთა აქტივების 90 პროცენტი შედგება აქციების, ობლიგაციების, ფასიანი ქაღალდების და ფინანსური ინსტრუმენტებისაგან.

წყაროსთან დასაბეგრი შემოსავლები: საპროცენტო შემოსავალი წყაროსთან არ იბეგრება, გარდა იმ შემოსავლებისა, რომელიც მიიღება ლუქსემბურგში განთავსებული დეპოზიტებიდან და ბონდებიდან, რომელიც იბეგრება წყაროსთან 15 პროცენტის ოდენობით; როიალტი, რომელიც მიღებული აქვს არარეზიდენტ იურიდიულ პირებს წყაროსთან არ იბეგრება; დივიდენდები, რომელიც უნაწილდებათ საზღვარგარეთის აქციონერებს იბეგრება წყაროსთან 15 პროცენტის ოდენობით. ლუქსემბურგის რეზიდენტებსა და ევროკავშირის რეზიდენტებზე დივიდენდების დაბეგვრა რეგულირდება ევროკავშირის კანონმდებლობით.

17.8.11. მალტა

მალტაში მეწარმეობის ძირითადი ფორმებია: შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, ამხანაგობა, ტრასტები და ფონდები.

გადასახადები დივიდენდზე: განაწილებული დივიდენდების თანხები შედის მიმღების დასაბეგრ მოგებაში, მაგრამ არსებობს მთელი რიგი განსაკუთრებული შემთხვევებიც. შემოსავლები, რომელიც მიიღება ჰოლდინგური კომპანიების მიერ დამოკიდებული საწარმოების საქმიანობიდან, აგრეთვე ჰოლდინგური კომპანიების შემოსავლები, რომელიც მიიღება დამოკიდებულ საწარმოთა აქციების გაყიდვით – მალტაში არ იბეგრება.

კაპიტალის ზრდის გადასახადი: კაპიტალის ზრდის გადასახადი სავალდებულოა, მაგრამ აქაც არსებობს განსაკუთრებული გამონაკლისები.

ზარალის დაბეგვრა: წინა წლების ზარალი გადაიტანება მომდევნო წლებში შეუზღუდავად. ამასთან, მიმდინარე წლის ზარალი არ შეიძლება გადაიფაროს წინა წლის მოგებით. ფინანსური საქმიანობიდან ზარალი შეიძლება გადაიფაროს მხოლოდ ფინანსური საქმიანობიდან მოგებით.

კორპორაციული გადასახადის განაკვეთი შეადგენს 35 პროცენტს. შემოსავლები, რომელიც მიღებულია რიგი საინვესტიციო სამუშაოების შესრულების შედეგად იბეგრება 15, 12 და 10 პროცენტით.

მინიმალური გადასახადის ფიქსირებული განაკვეთი არ არსებობს.

წყაროსთან დასაბეგრი შემოსავლები: საპროცენტო შემოსავალი და როიალტი წყაროსთან არ იბეგრება, იმ პირობით, თუ გადამხდელი და მიმღები არ არიან ნათესავი ან კონტროლირებული იურიდიული პირები, ხოლო მიმღები არ ეწევა მალტის ტერიტორიაზე ეკონომიკურ საქმიანობას და არა აქვს მუდმივი დანესებულება მალტაში; დივიდენდი წყაროსთან არ იბეგრება.

17.8.12. ნიდერლანდები

ნიდერლანდებში მეწარმეობის ძირითადი ფორმებია: შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, სააქციო საზოგადოება, ამხანაგობა, კოოპერატივები და მუდმივი დანესებულებები.

გადასახადები დივიდენდზე: რეზიდენტი იურიდიული პირების მიერ მიღებული დივიდენდები არ იბეგრება შემდეგი პირობებით: დივიდენდის მიმღები დივიდენდის გადამხდელის სააქციო კაპიტალში ფლობს არანაკლებ 5 პროცენტს; შვილობილი კომპანიის ფლობა ხორციელდება პორტფელური ინვესტიციების ფარგლებს გარეთ; შვილობილი კომპანიის მოგება იბეგრება საზღვარგარეთ, რომელიც ეთ-

ანადება ნიდერლანდების დაბეგვრის განაკვეთებს; შვილობილი კომპანიების აქტივების 50 პროცენტი კვალიფიცირდება, როგორც „აქტიური“.

კაპიტალის ზრდის გადასახადი: კაპიტალის ზრდის გადასახადი არ არსებობს, თუ სრულდება შემდეგი პირობები: ზრდის მიმღები გადამხდელის სააქციო კაპიტალში ფლობს არანაკლებ 5 პროცენტს; შვილობილი კომპანიის ფლობა ხორციელდება პორტფელური ინვესტიციების ფარგლებს გარეთ; შვილობილი კომპანიის მოგება იბეგრება საზღვარგარეთ, რომელიც ეთანადება ნიდერლანდების დაბეგვრის განაკვეთებს; შვილობილი კომპანიების აქტივების 50 პროცენტი კვალიფიცირდება, როგორც „აქტიური“. სხვა შემთხვევაში, კაპიტალის ზრდა, რომელიც მიღებულია სხვა წყაროებიდან იბეგრება 25 პროცენტით.

ზარალის დაბეგვრა: წინა წლების ზარალი გადაიტანება მომდევნო 9 ფინანსური წლის განმავლობაში. მიმდინარე წლის ზარალი შეიძლება დაიფაროს წინა ერთი წლის მოგების ხარჯზე.

კორპორაციული გადასახადის განაკვეთი 20 პროცენტის ოდენობით დადგენილია იმ იურიდიული პირებისათვის, რომელთა წლიური ჯამური შემოსავალი შეადგენს 200 000 ევრომდე და 25 პროცენტი იმ იურიდიული პირებისათვის, რომელთა წლიური ჯამური შემოსავალი აღემატება 200 000 ევროს.

მინიმალური გადასახადის ფიქსირებული განაკვეთი არ არსებობს.

წყაროსთან დასაბეგრი შემოსავლები: საპროცენტო შემოსავალი და როიალტი, რომელიც გადახდილია არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე წყაროსთან არ იბეგრება; დივიდენდები, რომელიც ნაწილდება უცხოელ აქციონერებზე იბეგრება 15 პროცენტით. ამასთან რეზიდენტების მიერ მიღებული დივიდენდები არ იბეგრება თუ: დივიდენდის მიმღები დივიდენდის გადამხდელის სააქციო კაპიტალში ფლობს არანაკლებ 5 პროცენტს; შვილობილი კომპანიის ფლობა ხორციელდება პორტფელური ინვესტიციების ფარგლებს გარეთ; შვილობილი კომპანიის მოგება იბეგრება საზღვარგარეთ, რომელიც ეთანადება ნიდერლანდების დაბეგვრის განაკვეთებს; შვილობილი კომპანიების აქტივების 50 პროცენტი კვალიფიცირდება, როგორც „აქტიური“.

17.8.13. ახალი ზელანდია

ახალ ზელანდიაში მეწარმეობის ძირითადი ფორმებია: შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, ამხანაგობა, შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობა, ტრასტები, კერძო მეწარმეები და მუდმივი დანესებულებები.

გადასახადები დივიდენდზე: ახალზელანდიური კომპანიებიდან მიღებული დივიდენდები არ იბეგრება გადასახადით, თუ კომპანიამ, რომელმაც გასცა დივიდენდი, უკვე გადაიხადა კორპორაციული საშემოსავლო გადასახადი. განანილებული დივიდენდების თანხა არ შედის მისი მიმღების დასაბეგრ შემოსავალში იმპლუტაციური კრედიტის მიღების შედეგად. დივიდენდები, რომელიც მიღებულია ახალზელანდიური რეზიდენტების მიერ საზღვარგარეთის შვილობილი კომპანიებიდან, უმრავლეს შემთხვევაში არ იბეგრება გადასახადებით.

კაპიტალის ზრდის გადასახადი: კაპიტალის ზრდის გადასახადი არ არსებობს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზრდა მიღებულია მუდმივი პროფესიული საქმიანობის შედეგად.

ზარალის დაბეგვრა: წინა წლების ზარალი, რომელიც მიიღეს იურიდიულმა პირებმა გადაიტანება მომდევნო წლებში იმ პირობით, რომ ამ პერიოდებში არ შეცვლილა კომპანიის მფლობელები. ერთი კომპანიის ზარალი შეიძლება გადაეცეს მეორე კომპანიას, რომელიც შედის კომპანიის ერთიან სამეურნეო – ორგანიზაციულ ჯგუფში.

კორპორაციული გადასახადის განაკვეთი შეადგენს 28 პროცენტს.

მინიმალური გადასახადის ფიქსირებული განაკვეთი არ არსებობს.

წყაროსთან დასაბეგრი შემოსავლები: არარეზიდენტებზე გადახდილი საპროცენტო შემოსავალი და როიალტი იბეგრება 15 პროცენტის ოდენობით; დივიდენდები, რომელიც განაწილებულია არარეზიდენტ აქციონერებზე, რომლებსაც აქვთ 10 პროცენტზე მეტი სააქციო კაპიტალში, არ იბეგრება, თუ კომპანიამ წინასწარ შეასრულა საგადასახადო ვალდებულებები(ანუ გადაიხადა კორპორატიული საშემოსავლო გადასახადი). თუ კომპანიამ არ შეასრულა საგადასახადო ვალდებულებები დივიდენდების გაცემის მომენტისათვის, მაშინ დივიდენდზე გადასახადის განაკვეთი იმ არარეზიდენტი აქციონერებისათვის, რომლებიც ფლობენ აქციების 10 პროცენტზე მეტს, შეადგენს 30 პროცენტს.

17.8.14. პანამა

პანამაში მეწარმეობის ძირითადი ფორმებია: შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, ამხანა-

გობა, უცხოური სანარმოების მონაწილეობით შექმნილი ერთობლივი საწარმოები და მუდმივი დანესებულებები.

გადასახადები დივიდენდზე: დივიდენდები, რომელიც გადახდილია პანამის წყაროებიდან იბეგრება 10 პროცენტიანი განაკვეთით. დივიდენდები, რომელიც მიეცემათ პანამის იურიდიულ პირებს საზღვარგარეთის წყაროებიდან – იბეგრება 5 პროცენტიანი განაკვეთით. იურიდიული პირები, რომლებიც საქმიანობენ პანამის თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში(გარდა პანამა – წყნარი ოკეანის სპეციალური ზონისა), იხდიან დივიდენდებზე გადასახადს 5 პროცენტის ოდენობით მიუხედავად წყაროსი. დივიდენდებზე გადასახადი სავალდებულოა ყველა იმ კრედიტებზე და სესხებზე, რომლებსაც პანამის კომპანიები გასცემენ თავიანთ აქციონერებზე.

კაპიტალის ზრდის გადასახადი: კაპიტალის ზრდის გადასახადი შეადგენს 10 პროცენტს. მოგება, რომელიც წარმოიქმნება უძრავი ქონების გაყიდვის დროს, კვალიფიცირდება, როგორც კაპიტალის ზრდა.

ზარალის დაბეგვრა: წინა წლების ზარალი გადაიტანება მომდევნო 5 წლის განმავლობაში და არაუმეტეს 20 პროცენტის ოდენობით თითოეულ კალენდარულ წელზე. იურიდიული პირების მიერ დეკლარირებული ზარალის ოდენობა არ შეიძლება აჭარბებდეს იმავე პერიოდში მიღებული მოგების 50 პროცენტს.

კორპორაციული გადასახადის განაკვეთი დადგენილია 25 პროცენტის ოდენობით მთლიანი მოგებიდან ან 1,168 პროცენტის ოდენობით ერთობლივი შემოსავლიდან.

მინიმალური გადასახადის ფიქსირებული განაკვეთი იურიდიული პირებისათვის განსაზღვრულია 1,168 პროცენტის ოდენობით საანგარიშო წლის ერთობლივი შემოსავლიდან.

წყაროსთან დასაბეგრი შემოსავლები: არარეზიდენტებზე გაცემული დივიდენდები იბეგრება 10 და 5 პროცენტიანი განაკვეთით, აგრეთვე 20 პროცენტიანი განაკვეთით იმ აქციებზე გაცემულ დივიდენდებზე, რომელზეც არ მიეთითება მათი რეალური მფლობელები; არარეზიდენტებზე გაცემული როიალტი და პროცენტი იბეგრება 12,5 პროცენტით.

17.8.15. სინგაპური

სინგაპურში მეწარმეობის ძირითადი ფორმებია: შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, ამხანაგობა, კერძო მეწარმეები და მუდმივი დაწესებულებები.

გადასახადები დივიდენდზე: დივიდენდების განაწილებული თანხები არ შედის მისი მიმღების დასაბეგრ შემოსავლებში.

კაპიტალის ზრდის გადასახადი: კაპიტალის ზრდის გადასახადი არ არსებობს.

ზარალის დაბეგვრა: წინა წლების ზარალი შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მიმდინარე ფინანსურ წელს, იმ პირობით, რომ მოცემულ პერიოდში არ შეცვლილა კომპანიის მფლობელები. გარკვეული მოთხოვნების შესრულების შემდეგ, მიმდინარე წლის ზარალი შეიძლება მიმართულ იქნეს წინა წლის მოგებაზე. ერთი კომპანიის ზარალის თანხები შეიძლება გადაცემულ იქნას სხვა კომპანიაზე, რომელიც შედის ერთიან ორგანიზაციულ – სამეურნეო ჯგუფში.

კორპორაციული გადასახადის განაკვეთი შეადგენს 17 პროცენტს. ამასთან, წლიური შემოსავლის პირველ 100 000 სინგაპურის დოლარზე განსაზღვრულია ფიქსირებული საგადასახადო დათმობა 75 პროცენტის ოდენობით, ხოლო შემდგომ 290 000 სინგაპურულ დოლარზე საგადასახადო დათმობა შეადგენს 50 პროცენტს.

მინიმალური გადასახადის ფიქსირებული განაკვეთი არ არსებობს.

წყაროსთან დასაბეგრი შემოსავლები: არარეზიდენტებზე გადახდილი პროცენტი იბეგრება 15 პროცენტით. განაკვეთი შეიძლება შემცირებულ იქნეს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად; არარეზიდენტებზე გადახდილი როიალტი იბეგრება 10 პროცენტით. განაკვეთი შეიზღება შემცირებულ იქნეს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად; დივიდენდები წყაროსთანარ იბეგრება.

17.8.16. ამერიკის შეერთებული შტატები

აშშ-ში მეწარმეობის ძირითადი ფორმებია: კორპორაციები, შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიები, ტრასტები, ამხანაგობა, შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობა, კერძო მეწარმეები და მუდმივი დანესებულებები.

გადასახადები დივიდენდზე: აშშ-ს იურიდიული პირების მიერ გაცემული დივიდენდები გა-

მოიქვითება მიმღების დასაბეგრი მოგებიდან 100 – დან 70 პროცენტის ოდენობით იმის მიხედვით, თუ რა წილი აქვს მას დივიდენდის გამცემ იურიდიულ პირში.

კაპიტალის ზრდის გადასახადი: კაპიტალის ზრდიდან შემოსავლები შეიტანება აშშ-ს იურიდიული პირების დასაბეგრ მოგებაში. კაპიტალის ზრდის გაანგარიშების დროს მხედველობაში მიიღება მხოლოდ ის ზარალი, რომელიცნარმოიშვა კაპიტალის ბრუნვის დროს, ხოლო სხვა საქმიანობიდან მიღებული ზარალი მხედველობაში არ მიიღება.

ზარალის დაბეგვრა: მიმდინარე წლის ზარალი მხედველობაში მიიღება 2 წინა და 20 შემდგომი პერიოდის მოგების გაანგარიშების დროს.

კორპორაციული გადასახადის განაკვეთი შეადგენს: მინიმალური კორპორაციული განაკვეთი – 15 პროცენტი – წლიური ერთობლივი შემოსავლით – 50000 აშშ დოლარამდე; 50 000 აშშ დოლარზე ზემოთ და 75 000 დოლარზე ქვემოთ შემოსავლებისათვის – 7500 აშშ დოლარს+50000 აშშ დოლარზე ზემოთ თანხის 25 პროცენტი; 75 000 აშშ დოლარზე ზემოთ და 100 000 დოლარზე ქვემოთ შემოსავლებისათვის – 13 750 აშშ დოლარს+75 000 აშშ დოლარზე ზემოთ თანხის 34 პროცენტი; 100 000 აშშ დოლარზე ზემოთ და 335 000 დოლარზე ქვემოთ შემოსავლებისათვის – 22 250 აშშ დოლარს+100 000 აშშ დოლარზე ზემოთ თანხის 39 პროცენტი; 335 000 აშშ დოლარზე ზემოთ და 10 მლნ დოლარზე ქვემოთ შემოსავლებისათვის – 113900 აშშ დოლარს+335 000 აშშ დოლარზე ზემოთ თანხის 34 პროცენტი; 10 მლნ აშშ დოლარზე ზემოთ და 15 მლნ დოლარზე ქვემოთ შემოსავლებისათვის – 3,4 მლნ აშშ დოლარს+10 მლნ აშშ დოლარზე ზემოთ თანხის 35 პროცენტი; 15 მლნ აშშ დოლარზე ზემოთ და 18 333 333 მლნ დოლარზე ქვემოთ შემოსავლებისათვის – 5,15 მლნ აშშ დოლარს+15 მლნ აშშ დოლარზე ზემოთ თანხის 38 პროცენტი; იურიდიული პირები, რომლებსაც აქვთ 18 333 333 მლნ-ზე მეტი შემოსავალი იხდიან კორპორაციულ გადასახადს 35 პროცენტის ოდენობით.

წყაროსთან დასაბეგრი შემოსავლები: აშშ-ს იურიდიული პირების მიერ უცხოეთის კორპორაციებისათვის გაცემული როიალტი, პროცენტი და დივიდენდი იბეგრება 30 პროცენტის ოდენობით. განაკვეთი შეიძლება შემცირდეს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად.

17.8.17. შვეიცარია

შვეიცარიაში მეწარმეობის ძირითადი ფორმებია: შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიები, სააქციო საზოგადოება და მუდმივი დანესებულებები.

გადასახადები დივიდენდზე: შვეიცარიაში მიღებულ დივიდენდებზე გადასახადს იხდის დივიდენდების მიმღები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მიმღებს აქვს დივიდენდების გადამხდელის აქციების 10 პროცენტზე ნაკლები ან, როდესაც ჯამური თანხა დივიდენდის გადამხდელის სააქციო კაპიტალში არ აღემატება 1 მილიონ შვეიცარულ ფრანკს.

კაპიტალის ზრდის გადასახადი: შვეიცარიაში არ არსებობს კაპიტალის ზრდის გადასახადი, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში კაპიტალის ზრდიდან ამოიღება კორპორაციული გადასახადი.

ზარალის დაბეგვრა: მიმდინარე წლის ზარალი მხედველობაში გადაიტანება შემდგომი 7 წლის განმავლობაში. მიმდინარე წლის ზარალი არ შეიძლება მიმართულ იქნეს წინა წლების მოგებაზე..

კორპორაციული გადასახადის განაკვეთი შეადგენს: ფედერალური კორპორაციული გადასახადის განაკვეთი შეადგენს 8,5 პროცენტს. დამატებითი საშემოსავლო გადასახადი დგინდება ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების ორგანოების მიერ, ხოლო ჯამური განაკვეთი შეიძლება იყოს 12 – დან 22 პროცენტამდე.

მინიმალური გადასახადის ფიქსირებული განაკვეთი არ არსებობს.

წყაროსთან დასაბეგრი შემოსავლები: პროცენტები წყაროსთან არ იბეგრება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პროცენტები გაცემულია შვეიცარიის ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან და ბონდებიდან. ასეთ პროცენტზე გადასახადის განაკვეთი შეადგენს 35 პროცენტს; არარეზიდენტებზე გაცემული როიალტი წყაროსთან არ იბეგრება; რეზიდენტი აქციონერების მიერ განაწილებული დივიდენდები იბეგრება წყაროსთან 35 პროცენტის ოდენობით. შვეიცარიასა და ევროკავშირს შორის დივიდენდების დაბეგვრის საკითხები რეგულირდება საერთოევროპული კანონმდებლობით.

17.9 კორპორაციულ დაბეგვრასთან დაკავშირებული ტერმინების არანორმატიული და ნორმატიული განსაზღვრებები

აქტივი – ქონებრივ უფლებათა ერთობლიობა, რომელიც ეკუთვნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივების, საწარმოო მატერიალური მარაგების, ფულა-

დი სახსრების, ფინანსური დაბანდებების, აგრეთვე სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ფულადი მოთხოვნების სახით.

აქციების დანაწევრება – დამატებითი საწესდებო კაპიტალისაგან თავის არიდების და ინვესტორების უფრო ფართო წრის მოზიდვის მეთოდი, რომელსაც იყენებენ სააქციო კომპანიები. გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც აქციების კურსი მაღლა იწევს და ჩნდება აქციების „დაპობის" საშუალება მათი რაოდენობის ერთჯერადი ზრდის გზით, მაგ. შემდეგი პროპორციით: ორი ახალი აქცია ერთი ძველის ნაცვლად ან სამი ორის ნაცვლად.

აქციონერი – სააქციო საზოგადოების თანამფლობელი, რომელიც ფლობს აქციებს და რომელიც ადასტურებს მის წილს სააქციო საზოგადოების კაპიტალში და აძლევს მას დივიდენდის მიღების უფლებას.

აქცია – ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს მისი მფლობელის მონაწილეობას სააქციო საზოგადოებაში და დივიდენდის მიღების უფლებას. აქციები იყიდება და შეისყიდება, მათ შორის საფონდო ბირჟაზე. აქციის ფასი ანუ კურსი შეიძლება მკვეთრად განსხვავდებოდეს მისი ნომინალური ღირებულებისაგან და დამოკიდებულია საწარმოს სამეურნეო მდგომარეობაზე, რეკლამაზე და საბირჟო თამაშებზე. აქციები არის უბრალო და პრივილეგირებული. შემოსავალი უბრალო აქციის მიხედვით მერყეობს საწარმოს მოგების შესაბამისად. პრივილეგირებული აქციები იძლევა წინასწარ განსაზღვრული, მყარი პროცენტით შემოსავლის მიღების უფლებას. საწარმოს მიერ დივიდენდების სახით გასანაწილებელი მოგებიდან, პირველ რიგში გადაირიცხება პრივილეგირებული აქციებზე გასაცემი დივიდენდები, ხოლო შემდგომ დარჩენილი ნაწილი ნაწილდება ჩვეულებრივი აქციების მფლობელებზე. პრივილეგირებული აქციების ღირებულება, განსხვავებით ჩვეულებრივისაგან, იფარება სააქციო საზოგადოების მიერ განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, ამასთან პრივილეგირებული აქციები რიგ ქვეყნებში არ იძლევა ხმის უფლებას. ამ უფლებით სარგებლობენ ჩვეულებრივი აქციის მფლობელები. მათ შორი მოგების განაწილება ხდება მათი დაბანდებული კაპიტალის წილის პროპორციულად, შესყიდული აქციების რაოდენობის მიხედვით. აქციის მფლობელს შეუძლია იგი გაყიდოს საფონდო ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების ბაზარზე არსებული ფასის მიხედვით. აქციების გაყიდვა ნიშნავს შემოსავლების მიღებაზე უფლების გაყიდვას. აქციების კუსი პირდაპირპროპორციულია დივიდენდის ოდენობისა და უკუპროპორციულია სასესხო პროცენტისა. აქციების კურს მოქმედებს აგრეთვე სხვადასხვა სახის პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორები.

ადმინისტრაციული აქციები – აქციები, რომელიც ეკუთვის საწარმოს ადმინისტრაციას. ასეთი აქციების ფლობა ამაღლებს ადმინისტრაციის პასუხისმგებლობას საწარმოს ეფექტური საქმიანობის თვალსაზრისით. ასეთი აქციები ადმინისტრაციის წევრებს გადაეცემათ მათი კომპანიაში მუშაობის ვადით.

აქციები ნომინალური ღირებულების გარეშე – ისეთი აქციები, რომელთაც არა აქვთ ნომინალური ღირებულება.

აქცია პირობითი კონსიგნაციით – ისეთი აქცია, რომლის კოტირება ხდება ბირჟაზე, მაგრამ მათი ფაქტობრივი გამოშვება ჯერ არ მომხდარა.

აქცია წარმომდგენზე – ისეთი აქცია, რომლის მფლობელი ანონიმური პირია და რომელიც არის საწარმოს სრულუფლებიანი აქციონერი.

არაკოტირებადი აქცია – ისეთი აქცია, რომელიც ბირჟაზე გაყიდვას არ ექვემდებარება და გაცემულია ან გაჩუქებულია საწარმოს თანამშრომლებზე ჯილდოს სახით.

ახალი აქცია – აქცია, რომელიც გამოშვებულია საწარმოს კაპიტალის ზრდის ბაზაზე. პირველი დივიდენდის გადახდამდე ეს აქციები ბირჟაზე კოტირდება ცალკე ამ საწარმოს სხვა ჩვეულებრივი აქციებისაგან განსხვავებით.

ამხანაგობა – ფიზიკური ან იურიდიული პირების გაერთიანება ეკონომიკური ან არაეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად.

ამხანაგობა დამატებითი პასუხისმგებლობით – ამხანაგობა, რომლის დროსაც ამხანაგობის ვალდებულებებზე მისი წევრები პასუხს აგებენ, არა მხოლოდ ამხანაგობაში შეტანილი ქონებით, არამედ არამედ მთელი თავიანთი ქონებით იმ წილის პროპორციულად, რომელიც მათ აქვთ ამხანაგობაში.

ამხანაგობა შეზღუდული პასუხისმგებლობით – ისეთი იურიდიული პირი, რომლის წევრები ამხანაგობის ვალდებულებებზე პასუხს აგებენ მხოლოდ თავიანთი შენატანების ფარგლებში.

აქტივი – საწარმოს განკარგულებაში არსებული მატერიალური და არამატერიალური რესურსები, რომლებიც წარსულში განხორციელებული სამეურნეო მოვლენების შედეგს წარმოადგენს და მათგან საწარმო მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღებას მოელის.(ნ)

აქტივების ღირებულება – აქტივების შესყიდვის, წარმოების, მშენებლობის, მონტაჟისა და დადგ-

მის ხარჯები(დანახარჯები), აგრეთვე სხვა ხარჯები(დანახარჯები), რომელიც ზრდის მათ ღირებულებას, გარდა ისეთი დანახარჯებისა, რომლის პირდაპირ გამოქვითვის უფლება აქვს გადასახადის გადამხდელს, ხოლო აქტივების უსასყიდლოდ მიღებისას – აქტივების საბაზრო ფასი.(6)

აქცია – არამატერიალიზებული სახელობითი ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებს პარტნიორის(აქციონერის) მიმართ და აქციონერის უფლებებს სააქციო საზოგადოებაში; ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს მისი მფლობელის მონაწილეობას სააქციო საზოგადოების კაპიტალში და აძლევს მას დივიდენდის(მოგების წილის) უფლებას. ერთი ჩვეულებრივი აქცია უზრუნველყოფს ერთი ხმის უფლებას აქციონერთა საერთო კრებაზე, ხოლო პრივილეგირებული აქცია არ იძლევა ხმის უფლებას. პრივილეგირებული აქცია უზრუნველყოფს დივიდენდის მიღებას დადგენილი განაკვეთით. წესდებით შეიძლება დადგინდეს განსხვავებული წესი, რომელიც უზრუნველყოფს ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციების უფლებათა სხვაგვარად განსაზღვრას.(6)

ანტიგაზავება – აქციაზე შემოსავლის ზრდა ან აქციაზე ზარალის შემცირება, რომელიც გამოწვეულია იმ დაშვებით, რომ კონვერტირებადი ინსტრუმენტები არის კონვერტირებული ან ვარანტები და იფციონები იქნა გამოყენებული ან მოხდა ჩვეულებრივი აქციების გამოშვება სპეციფიკური პირობების დაკმაყოფილების შემდეგ.

აქციის ოფციონი – ხელშეკრულება, რომელიც მფლობელს უფლებას აძლევს, მაგრამ არ ავალდებულებს, გახდეს საწარმოს აქციათა ხელმომწერი განსაზღვრული პერიოდისათვის, აქციის ფიქსირებული ან განსაზღვრული ფასის პირობებში.

აქციების დანაწილება – აქციების რაოდენობის ზრდა მიმოქცევაში მისი ნომინალური ღირებულების შემცირების ხარჯზე. მაგ. აქციების დაყოფა პროპორციით 2/1, რომლის შემდეგაც აქციების ნომინალური ღირებულება მცირდება 2 – ჯერ. აქციების დაყოფა ჩვეულებრივ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანია მიისწრაფვის თავისი ჩვეულებრივი აქციების საბაზრო ფასის არსებითი შემცირებისაკენ. აქციების დაყოფის მთავარი მიზანია მოათავსოს აქციები უფრო ხელსაყრელ საფასო ინტერვალში, აქცევს რა მათ მომხმარებლისთვის უფრო ხელსაყრელად.

აქციების გამსხვილება. აქციების გამსხვილება ნიშნავს მიმოქცევაში გასული აქციების რაოდენობის შემცირებას. მაგ. გამსხვილებისას პროპორციით ½ თითოეული აქციონერი იღებს ერთ ახალ აქციას ამ აქციონერის ხელთ არსებული ორი ძველი აქციის სანაცვლოდ. გამსხვილება გამოიყენება აქციის საბაზრო ფასის გაზრდისათვის, როდესაც კომპანია ვარაუდობს, რომ აქციის ფასი აშკარად დაცემულია.

აქციების გამოსყიდვა – ფირმა ემიტენტის მიერ საკუთარი აქციების გამოსყიდვა ღია (მეორად) ბაზარზე, ან ტენდერის გზით. კომპანია თავის ჩვეულებრივ აქციებს გამოისყიდის მათი გამოყენების მიზნით საკუთარი მენეჯერების წასახალისებლად ადმინისტრაციული ოფციონების დახმარებით. ამ შემთხვევაში, აქციათა საერთო რაოდენობა ადმინისტაციული ოფციონების რეალიზაციის დროს არ იზრდება. აქციების გამოსყიდვის კიდევ ერთ მიზეზს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ თავიდან იქნეს აცილებული სხვა კომპანიის მიერ მათი შთანთქმა, საკუთარი აქციების ბაზრიდან მოხსნის გზით. ზოგ შემთხვევაში კომპანიები, რომელთაც აღარ სურთ ღია სააქციო საზოგადოებებად დარჩენა, შეიზლება გახდნენ დახურული ტიპის აქციონერთა ყველა აქციის გამოსყიდვის გზით. გეხვდება აგრეთვე სიტუაციები, როცა აქციები გამოისყიდება მათი მიმოქცევიდან ამოღების მიზნით.

აქციების გამოსყიდვის მეთოდები აშშ-ი – არსებობს აქციათა გამოსყიდვის 3 ყველაზე მეტად გავრცელებული მეთოდი: ტენდერული მეთოდი ფიქსირებული ფასით, აქციების ტენდერული გამოსყიდვა (ჰოლანდიური აუქციონის გზით. „ჰოლანდიური“ აუქციონი – აუქციონი ფასების შემცირებით მანამ, სანამ არ მოიძებნება მყიდველი) და შესყიდვა ღია ბაზარზე. როცა საუბარია აქციების ტენდერულ გამოსყიდვაზე ფიქსირებული ფასით, კომპანია ფორმალურ წინადადებებს სთავაზობს თავის აქციონერებს, გამოისყიდონ მათგან აქციათა განსაზღვრული რაოდენობა – როგოც წესი, წინასწარ დადგენილი წესის მიხედვით. ეს სახელშეკრულებო ფასი აღემატება აქციათა მიმდინარე საბაზრო ფასს. აქციონერებს შეუძლიათ აირჩიონ: გაყიდონ თავიანთი აქციები მითითებული ფასის მიხედვით, ან გააგრძელონ მათი შენახვა. როგორც წესი, ამ წინადადებების მოქმედების პერიოდი მოიცავს 2 – 3 კვირას. თუ აქციონერები გამოხატავენ მზადყოფნას გაყიდონ უფრო მეტი საკუთარი აქცია, ვიდრე თავდაპირველად სთავაზობდათ კომპანია, ახლა კომპანიას შეუძლია გამოისყიდოს მთლიანი „სიჭარბე“. თუმცა არ არის იგი ვალდებული გამოისყიდოს ეს „სიჭარბე“. ზოგადად, ფირმის ტრანსაქციული დანახარჯები ფიქსირებული ფასით აქციების სატენდერო გზით გამოსყიდვაზე უფრო მაღალია, ვიდრე ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია საფონდო ბირჟაზე აქციების შესყიდვასთან.

„ჰოლანდიური“ აუქციონის დროს, კომპანია წინასწარ მიუთითებს აქციების რაოდენობას, რო-

მელთა გამოსყიდვაც მას სურს, ასევე მინიმალურ და მაქსიმალურ ფასს, რომლის გადახდისთვისაც იგი მზადაა. როგორც წესი, მინიმალური ფასი მცირედით აღემატება მიმდინარე საბაზრო ფასს, ამგვარად, თითოეული აქციონერი იღებს შესაძლებლობას შესთავაზოს კომპანიას აქციათა ის რაოდენობა, რომლის გაყიდვისთვისაც იგი მზადაა, ასევე მათი მინიმალური მისაღები გასაყიდი ფასი, კომპანიის მიერ დანესებული საფასე დიაპაზონის ჩარჩოებში. მიიღებს რა განცხადებას აქციათა გაყიდვის შესახებ აქციონერებისაგან, კომპანია მათ ახარისხებს ფასის ზრდის მიხედვით. შემდეგ იგი განსაზღვრავს იმ მინიმალურ ფასს, რომელიც უზრუნველყოფს აქციების მითითებული რაოდენობის მთლიანად გამოსყიდვას. ეს ფასი გადაეხდება ყველა აქციონერს, რომელთაც დააწესეს ფასი თავიანთ აქციებზე, რაც არ აღემატება ამ მინიმალურ ფასს. თუკი აქციების რაოდენობა, შემოთავაზებული აქციონერების მიერ, შესასყიდ ფასს არ აღემატება, მაშინ იგი აღმოჩნდება მოთხოვნილზე მეტი, ამიტომ კომპანია განახორციელებს შესყიდვებს პროპორციული პრინციპით. ხოლო, თუკი გასაყიდად წარმოდგენილია ძალზე ცოტა აქცია, მაშინ ფირმა ან აუქმებს თავის შეთავაზებას, ანდა გამოისყიდის ყველა გასაყიდად წარმოდგენილ აქციას მითითებულ მაქსიმალურ ფასად.

ფიქსირებული ფასით აქციების გამოსყიდვის წინადადებისაგან განსხვავებით, კომპანიისთვის წინასწარ არ არის ცნობილი საბოლოო შესაძენი ფასი. ორივე სახის წინადადებაში ფირმისთვის თავდაპირველად უცნობია იმ აქციათა რაოდენობა, რომლებიც წარმოდგენილი იქნება გასაყიდად. „ჰოლანდიური“ აუქციონის გზით აქციების გამოსყიდვა იქცა აქციების გამოსყიდვის საკმაოდ პოპულარულ საშუალებად და ასეთი წინადადებები აჭარბებს კიდევაც ფიქსირებული სახით აქციების გამოსყიდვის წინადადებათა რაოდენობას. მსხვილი კომპანიები, როგორც წესი, უფრო ხშირად ანიჭებენ უპირატესობას „ჰოლანდიურ“ აუქციონს, ვიდრე ფიქსირებული ფასით აქციების გამოსყიდვას.

ღია (საფონდო) ბაზარზე აქციების შეძენის დროს კომპანია შეისყიდის თავის აქციებს ისე, როგორც ამას აკეთებს ნებისმიერი სხვა ინვესტორი – საბროკერო ფირმის მეშვეობით. როგორც წესი, საბროკერო საკომისიო დგინდება მოლაპარაკებების პროცესში. არსებობს აშშ-ს ფასიანი ქაღალდების და ბირჟების კომისიის მიერ შემუშავებული განსაზღვრული წესები, რომლებიც შემოსაზღვრავენ საშუალებებს, რომლითაც კომპანია აწესებს ფასებს საკუთარი აქციების გამოსყიდვისას. ამრიგად, რათა გამოსყიდულ იქნას აქციების შედარებით მსხვილი პაკეტი, კომპანია საჭიროებს დროის საკმაოდ გრძელ პერიოდს. ამ მიზეზით, აქციების გამოსყიდვის შესახებ სატენდერო წინადადება საჭიროა უფრო მაშინ, როცა კომპანიას სჭირდება აქციათა მსხვილი პაკეტის გამოსყიდვა.

სანამ კომპანია დაიწყებს საკუთარი აქციების გამოსყიდვას, მან ინფორმაცია უნდა მიაწოდოს აქციონერებს თავისი განზრახვის შესახებ. აქციების სატენდერო გამოსყიდვის შემთხვევაში, ასეთ ინფორმაციას შეიცავს თავად წინადადებები. ამ შემთხვევაში კი, კომპანია არ არის ვალდებული საიდუმლოდ შეინახოს სხვა ინფორმაცია. იმ ორგანიზაციის მხრიდან, რომელიც დაკავებულია მადანთა საბადოების შემუშავებით, არაეთიკური იქნებოდა, მაგალითად, მსხვილი საბადოს აღმოჩენის შესახებ ინფორმაციის დამალვა, სთავაზობს რა აქციების გამოსყიდვას. როცა საუბარია ღია ბაზარზე აქციათა გამოსყიდვის შესახებ, კომპანიის შესაბამის გეგმებზე ინფორმირება განსაკუთრებით აუცილებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, აქციონერები თავიანთ აქციებს გაყიდიან ისე, რომ ეჭვიც არ ექნებათ გამოსყიდვის პროგრამის არსებობის შესახებ, რაც გამოიწვევს ამ აქციათა მოგების გაზრდას. კომპანიის მიზნებისა და გამოსყიდვის მოცულობის შესახებ სრული ინფორმაციის ფლობის შემთხვევაში, აქციონერებს შეუძლიათ საკუთარი აქციების გაყიდვა, თუკი ისინი ამას მოისურვებენ. თუკი არ ფლობს ყველა აუცილებელ ინფორმაციას, აქციონერმა, რომელიც ყიდის თავის აქციებს, შეიძლება იზარალოს. როცა გამოსასყიდი აქციების მოცულობა მნიშვნელოვანია, ამას უფრო მეტად მიესადაგება აქციათა სატენდერო გამოსყიდვა, რადგანაც ამ დროს უზრუნველყოფილია ყველა აქციონერის უფლება და თანასწორობა. გამოსყიდული აქციები – ჩვეულებრივი აქციებია, რომლებიც იქნა გამოსყიდული და ინახება კომპანია ემიტენტის საფინანსო განყოფილებაში(ხაზინაში).

არამატერიალიზებული ფასიანი ქაღალდი – ფასიანი ქაღალდი, რომელიც არ არსებობს ქაღალდის ფორმით, მაგრამ არსებობს ჩანაწერის სახით ფასიანი ქაღალდების რეესტრში ან ნომინალური მფლობელების ჩანაწერებში რეგისტრირებული მესაკუთრის ან ნომინალური მფლობელის სახელზე. (ნ)

არაპირდაპირი მონაწილეობა (ფლობა) – იურიდიული პირის კაპიტალში წილის ფლობა შესაბამისი მესამე პირის მეშვეობით.(ნ)

ბროკერი – ფიზიკური პირი, რომელიც დამქირავებელი საბროკერო კომპანიის სახელით ახორციელებს ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ გარიგებებს ან/და ეწევა ამასთან დაკავშირებულ სხვა მომსახურებას.(ნ)

განცხადებული საწესდებო კაპიტალი – საზოგადოების აქციონერთა მიერ დათქმული და წესდებ-

ით გათვალისწინებული სანესდებო კაპიტალი.(ნ)

განაღდებული საწესდებო კაპიტალი – განცხადებული საწესდებო კაპიტალის ფაქტობრივად შევსებული ნაწილი.(ნ)

განმეორებადი ოფციონი – გადაცემული ახალი აქციის ოფციონი, რომელსაც აქცია გამოყენებულია ადრინდელი აქციის ოფციონის გამოსაყენებელი ფასის დასაკმაყოფილებლად.

დახურული ტიპის სააქციო საზოგადოება – ისეთი სააქციო საზოგადოება, რომლის კაპიტალი იქმნება მხოლოდ დამფუძნებელთა აქციების ხარჯზე.

დამტკიცებული პროსპექტი -ემისიის პროსპექტი, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.(ნ)

დაცული აქცია – ისეთი აქცია, რომელიც მაღალრენტაბელურია და, რომლის საბირჟო კურსი სტაბილურია და არ ექვემდებარება კონიუნქტურულ რყევებს. ასეთია მაგ. მუნიციპალური აქციები.

ექსდივიდენდი – აქცია, რომელიც დივიდენდის მიღების შემდეგ მაშინათვე იყიდება.

ემიტენტი – პირი, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით უშვებს ფასიან ქაღალდებს.(ნ)

ემისიის პროსპექტი – წერილობითი შეტყობინება ან შეტყობინება ელექტრონული თუ ბეჭდვითი საინფორმაციო საშუალებებით, რომლის მიზანია ფასიანი ქაღალდის გასაყიდად შეთავაზება.(ნ)

ვარანტები, ოფციონები და მათი ეკვივალენტები – ფინანსური ინსტრუმენტები, რომელიც მის მესაკუთრეს ჩვეულებრივი აქციების შესყიდვის უფლებას აძლევს.

თავისუფლად მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდი – საფონდო ბირჟის ლისტინგში სავაჭროდ დაშვებული საჯარო ან სასესხო ფასიანი ქაღალდი, რომლის თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტი საანგარიშო წლის წინა წლის 31 დეკემბრის ან საანგარიშო წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფასიანი ქაღალდების ემიტენტის მიერ საფონდო ბირჟისათვის მიწოდებული ინფორმაციით, უნდა აღემატებოდეს 25 პროცენტს.

თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტი – ემიტენტის მიერ გამოშვებული რომელიმე კლასის ფასიანი ქაღალდების ნილი, რომელიც არ განეკუთვნება ქვემოთ ჩამოთვლილ არც ერთ კატეგორიას: ა) პირის (მათ შორის, ემიტენტის) საკუთრებაში არსებულ 5%-იან ან უფრო მსხვილ ამ კლასის ფასიანი ქაღალდების პაკეტს; ბ) სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების საკუთრებაში არსებულ ფასიან ქაღალდებს; გ) ემიტენტის მმართველი ორგანოს წევრებისა და თანამშრომლების ბენეფიციურ საკუთრებაში არსებულ ფასიან ქაღალდებს.

თამასუქი – ფასიანი ქაღალდი, დოკუმენტი, რომლითაც მისი გამცემი პირი კისრულობს უპირობო ვალდებულებას გადაიხადოს თამასუქში ნაჩვენები თანხა პირადად ან სხვა პირს ავალებს მის გადახდას.(ნ)

კონვერტირებადი ობლიგაცია – ისეთი ფასიანი ქაღალდი, რომელიც განსაზღვრულ პირობებში შეიძლება გაიცვალოს ამ ობლიგაციის გამომშვები საწარმოს აქციებში.

კონვერტირებადი ფასიანი ქაღალდები – ობლიგაციები და პრივილეგირებული აქციები, რომლებიც გამოშვების პირობების მიხედვით შეიძლება გადაცვლილ იქნეს ჩვეულებრივ აქციებზე.

კაპიტალში წილი – პაი ანუ პირის მიერ საწარმოს მთელი კაპიტალის განსაზღვრული ნაწილის ფლობის უფლება.(ნ)

კასტოდიანური ოპერაციები – ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდების ან/და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების შენახვა და აღრიცხვის წარმოება.(ნ)

კომანდიტი – კომანდიტური საზოგადოების წევრი, რომლის დროსაც საზოგადოების კრედიტორების წინაშე მისი პასუხისმგებლობა განსაზღვრული საგარანტიო თანხის გადახდით შემოიფარგლება.(ნ)

კომპლემენტარი – კომანდიტური საზოგადოების წევრი, რომლის დროსაც საზოგადოების კრედიტორების წინაშე მისი პასუხისმგებლობა შეზღუდული არ არის. სრული პარტნიორები (კომპლემენტარები) საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები, – მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.(ნ)

კოოპერატივის წევრი – წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლის გადიდების მიზნით შექმნილი საზოგადოების წევრი, რომელიც ვალდებულია გაწევრიანების დროს შეიტანოს გარკვეული შენატანი – პაი ან/და განსაზღვრული საგარანტიო თანხები.(ნ)

კორპორაციები, კომპანიები, ფირმები – კორპორაცია არის სააქციო საზოგადოება; კომპანია არის ისეთი საწარმო, რომლის სახელწოდებაც შეიცავს სიტყვას „საზოგადოება". „საზოგადოების" ნაცვლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს (შესაბამისი სამართლებრივი ფორმის მიხედვით) სიტყვა „კომპანია";

ფირმა არის საფირმო სახელწოდება, რომლითაც საქმიანობს მეწარმე სუბიექტი.(ნ)

კურატორიუმის წევრები – საზედამხედველო ანუ სარევიზიო კომისიის წევრები.(ნ)

კორპორაციული აქტივები – აქტივები, გარდა გუდვილისა, რომელიც ხელს უწყობს, როგორც განსახილველი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების, ასევე სხვა ფულადი სახსრებისწარმომქმნელი ერთეულების მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობას.

კაპიტალით განსაზღვრული წილობრივი გადახდის ოპერაცია – წილობრივი გადახდის ოპერაცია, რომლითაც საწარმო იღებს პროდუქციას ან მომსახურებას საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტების (მათ შორის, აქციებისა და აქციის ოფციონების) სანაცვლოდ.

კონტროლი (მნიშვნელოვანი წილი, მნიშვნელოვანი შენაძენი) – ვითარება, როდესაც პირი ან ურთიერთდაკავშირებულ პირთა წრე საწარმოში ფლობს ხმების 10%-ზე მეტს ან სხვაგვარად შეუძლია გააკონტროლოს საწარმო.(ნ)

კოტირება – საფონდო ბირჟის მიერ ფასიანი ქაღალდის ოფიციალური ფასის ან/და ფასთა ინტერვალის დადგენა გარკვეული თარიღისათვის, გაანგარიშებული დადებული გარიგებების ან/და გაკეთებული სავაჭრო განაცხადების საფუძველზე, ბირჟის მიერ დამტკიცებული მეთოდიკის შესაბამისად.(ნ)

ლიცენზირებული ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი – საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული იურიდიული პირი, რომელიც უფლებამოსილია, რეგისტრირებული მესაკუთრის ან ნომინალური მფლობელის დავალებით აწარმოოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური კლირინგი და ანგარიშსწორება, აგრეთვე განახორციელოს სპეციალიზებული დეპოზიტარის და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესებით განსაზღვრული სხვა მომსახურება.(ნ)

ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტი – პირი, რომელიც დაკავებულია საფინანსო საქმიანობით, როგორც მეწარმეობის სახით და გააჩნია შესაბამისი ლიცენზია. ამ სფეროში არსებობს შემდეგი სახის ლიცენზიები:

ა) საბანკო საქმიანობის ლიცენზია;

ბ) არასაბანკო – სადეპოზიტო – საკრედიტო საქმიანობის ლიცენზია;

გ) ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ლიცენზია;

დ) საბროკერო საქმიანობის ლიცენზია;

ე) საფონდო ბირჟის ლიცენზია;

ვ) ცენტრალური დეპოზიტარის ლიცენზია;

ზ) აქტივების მმართველის საქმიანობის ლიცენზია;

თ) სპეციალიზებული დეპოზიტარის ლიცენზია.(ნ)

მცურავი აქცია – აქცია, რომელიც ნაყიდია ხელსაყრელ დროს გადაყიდვის მიზნით.

მეორე რიგის აქცია – ისეთი აქცია, რომელზეც დივიდენდები გადაიხდება ყველა სხვა სახის აქციებზე დივიდენდების გადახდის შემდეგ.

მსუბუქი აქცია – დაბალი ღირებულების აქცია.

მნიშვნელოვანი წილი – განცხადებული თუ შეესებული კაპიტალის წილის 10 პროცენტი ან 10 პროცენტზე მეტი, რომელსაც პირი ფლობს კაპიტალში პირდაპირი ან არაპირდაპირი მონაწილეობით.(ნ)

მინორიტარული აქციონერი – ისეთი აქციონერი, რომელსაც არა აქვს კომპანიის მართვაში მონაწილეობის უფლება თავის წილი აქციების სიმცირის გამო. იმის გამო, რომ იგი ვერ აკონტროლებს კომპანიას, მის პაკეტს უწოდებენ „უკონტროლოს". უკონტროლო და კონტროლირებადი წილის მაგალითია:

პირველი ვარიანტი: მაგ. შპს „დიტო" ფლობს შპს „თედოს" წილის 75 პროცენტს. 25 პროცენტი ამ შემთხვევაში არის უკონტროლო წილი.

მეორე ვარიანტი: შპს „გოდო" ფლობს შპს „თედოს" წილის 56 პროცენტს, თავის მხრივ შპს „თედო" ფლობს შპს „ლორენას" წილის 23 პროცენტს და შპს „დიტოს" წილის 78 პროცენტს. თავის მხრივ შპს „დიტო" ფლობს შპს „ლორენას" წილის 37 პროცენტს. როგორია შპს „გოდოსა" და შპს „ლორენას" ურთიერთდამოკიდებულება. ამ შემთხვევაში სახეზეა ორი სახის დამოკიდებულება მათ შორის: ა) ფორმალური კონტროლის თვალსაზრისით შპს „გოდო" ფლობს შპს „ლორენას" 41,74 პროცენტს(56ხ23+78ხ37). რეალურად, არაფორმალური თვალსაზრისით შპს „გოდო" ფლობს შპს „ლორენას" 60 პროცენტით(23%+37%).

მეორადი საჯარო ვაჭრობა – ფასიანი ქაღალდის იმგვარი ყიდვა ან გაყიდვა, რომელიც:

ა) არ ხორციელდება ემიტენტის სახელით ან არ წარმოადგენს საჯარო შეთავაზების ნაწილს;

ბ) ღიაა პირდაპირი ან წარმომადგენლის საშუალებით მონაწილეობისათვის არანაკლებ 100 პირი-

სათვის ან პირთა წინასწარ დაუზუსტებელი წრისათვის.(ნ)

ობლიგაცია – ფასიანი ქაღალდი, რომლის მფლობელს უფლება აქვს მიიღოს შესაბამისი პროცენტი. სახელმწიფო ობლიგაციებზე პროცენტების დაფარვის წყარო არის, როგორც წესი, გადასახადები, ხოლო საწარმოს მიერ გამოშვებულ ობლიგაციებზე პროცენტების დაფარვის წყაროა – მოგება.

ობლიგაცია – ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს ობლიგაციის გამცემის მიერ სესხის აღების ფაქტს და ობლიგაციის მფლობელის უფლებას დაიბრუნოს ვალი განსაზღვრული პროცენტით ან დისკონტით. იგი არ მოითხოვს ემიტენტისაგან გირაოს წარმოდგენას. როგორც წესი, ობლიგაციის საპროცენტო განაკვეთი უფრო მაღალია, ვიდრე შესაბამისი თანხის საბანკო დეპოზიტში განთავსების დროს.

ოფციონი – ფასიანი ქაღალდების ან საქონლის ყიდვია ან გაყიდვის უფლება ან ორივე(ყიდვა-გაყიდვის) უფლება ერთად შეთანხმებული ფასით წინასწარ განსაზღვრული დროის განმავლობაში.

ოფციონი – კონტრაქტი, რომელიც მფლობელს ან მყიდველს უფლებას აძლევს, მაგრამ ვალდებულებას არ აკისრებს, იყიდოს(მოითხოვოს) ან გაყიდოს(მიანოდოს) რომელიმე განსაზღვრული ან სტანდარტული საქონელი ან ფინანსური ინსტრუმენტი დადგენილი ფასით, დადგენილი პერიოდის განმავლობაში(ამერიკული ოფციონი) ან დადგენილი თარიღისათვის(ევროპული ოფციონი).

პაი – პირის მიერ საწარმოში მონაწილეობის ნაწილი, წილი, რომელიც დაკავშირებულია განსაზღვრულ ქონებრივ უფლებებთან და მოვალეობებთან. პაი შეიძლება კაპიტალში შეტანილ იქნეს ფულადი ან ნატურალური ფორმით.

პარტნიორი – პარტნიორი, აქციონერი, კომანდიტი, კომპლემენტარი, კოოპერატივის წევრი „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად; „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სოლიდარული პასუხისმგებელი საზოგადოების, კომანდიტური საზოგადოების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოების ან კოოპერატივის წევრები. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები და კომანდიტური საზოგადოების პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები–სრული პარტნიორები (კომპლემენტარები) საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად, ანუ თითოეული პარტნიორი ვალდებულებებისათვის პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. პარტნიორებს შორის სხვაგვარი შეთანხმება ბათილია მესამე პირისათვის. კომანდიტური საზოგადოების შეზღუდული პარტნიორები (კომანდიტები), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს არ აგებენ. კომანდიტური საზოგადოების შეზღუდული პარტნიორები, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის პარტნიორები კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ მათ მიერ შეუტანელი შესატანითაც, თუ პასუხისმგებლობა დადგა პარტნიორთა მიერ შეთანხმებული შენატანის სრულად შეტანამდე. პარტნიორები დებენ შეთანხმებას (წესდებას), რომლის საფუძველზედაც წესრიგდება საწარმოს საქმიანობასთან ან/და პარტნიორების ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები. საზოგადოების დაფუძნებისას პარტნიორები უნდა შეთანხმდნენ წილების განაწილებაზე და დათქვან კაპიტალში მათი შენატანის ოდენობა. შენატანი შეიძლება იყოს მატერიალური და არამატერიალური ქონება, სამუშაოს შესრულება ან/და მომსახურების გაწევა.(ნ)

პოტენციური ჩვეულებრივი აქცია – ისეთი ფინანსური ინსტრუმენტი ან სხვა სახის ხელშეკრულება, რომელმაც შესაძლოა მის მესაკუთრეს ჩვეულებრივი აქციების ფლობის უფლება მისცეს.

პირობითი სააქციო შეთანხმება – შეთანხმება სპეციფიკური პირობების დაკმაყოფილებაზე დამოკიდებული აქციების გამოშვების შესახებ.

პირობით გამოსაშვები ჩვეულებრივი აქციები – ჩვეულებრივი აქციები, რომელიც გამოშვებულია პირობითი სააქციო შეთანხმებით დადგენილი პირობების დაკმაყოფილებისას, ძალიან დაბალი ან ნულოვანი ანაზღაურების პირობით.

პოტენციური ჩვეულებრივი აქცია – ისეთი ფინანსური ინსტრუმენტი ან სხვა სახის ხელშეკრულება, რომელმაც შესაძლოა მის მესაკუთრეს ჩვეულებრივი აქციების ფლობის უფლება მისცეს.

რეგისტრირებული მესაკუთრე – პირი, რომელიც არ არის ფასიანი ქაღალდის ნომინალური მფლობელი ან რეგისტრირებული მფლობელის წარმომადგენელი და რომელიც აკმაყოფილებს ნებისმიერ შემდეგ მოთხოვნას:

ა) არის ფასიანი ქაღალდის რეგისტრირებული მფლობელი, გარდა ნომინალური მფლობელისა;

ბ) წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ნებას რთავს ნომინალურ მფლობელს, იმოქმედოს მისი ინტერესებისათვის;

გ) იღებს ფულად მოგებას, როგორც ფასიანი ქაღალდის მესაკუთრე;

დ) აქვს ფასიან ქაღალდთან დაკავშირებული ხმის განკარგვის უფლება;

ე) აქვს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლება, გახდეს ფასიანი ქაღალდის რეგისტრირებული მესაკუთრე.(ნ)

რეგისტრირებული მფლობელი – ფასიანი ქაღალდების მესაკუთრე ან ნომინალური მფლობელი, რომელიც რეგისტრირებულია ფასიანი ქაღალდების რეესტრში.(ნ)

რეპო შეთანხმება – შეთანხმება, რომლის მიზანია მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა, როდესაც ერთი მხარე თანახმაა, მიჰყიდოს მეორე მხარეს ფასიანი ქაღალდები მყიდველის მიერ გამყიდველისათვის შესყიდვის თანხის გადახდის სანაცვლოდ, იმავდროული შეთანხმებით, რომ მყიდველი გამყიდველს მიჰყიდის იმავე ან მსგავს ფასიან ქაღალდებს გარკვეული, შეთანხმებული თარიღის დადგომის დღეს ან მოთხოვნისთანავე, მყიდველის მიერ გამყიდველისათვის გამოსყიდვის თანხის გადაცემის სანაცვლოდ.(ნ)

საწარმოს აქტივები – საწარმოს ქონება. იგი შედგება მატერიალური, ფინანსური და არანივთობრივი აქტივებისაგან. *მატერიალურ აქტივებს მიეკუთვნება:* მიწა; საწარმოო დანიშნულების შენობა-ნაგებობები; არასაწარმოო დანიშნულების შენობა-ნაგებობები; ადმინისტრაციული შენობები; საწარმოს ბალანსზე არსებული საცხოვრებელი სახლები, საბავშვო, სასწავლო, სამკურნალო, გამაჯანსაღებელი და სხვა შენობები და დაწესებულებები; დამონტაჟებული და დაუმონტაჟებელი საწარმოო მონყობილობები; არასაწარმოო დანიშნულების მოძრავი ქონება; ნედლეულის, საწვავის, ნახევარფაბრიკატების და მზა პროდუქციის მარაგები; ქონება, ძირითადი საშუალებები, შენობები და ნაგებობები, მინის ნაკვეთები, რომლებიც გაცემულია იჯარით; საწარმოს საკუთრებაში არსებული ფილიალები, შვილობილი კომპანიები, თუ მათ არ აქვთ იურიდიული პირის სტატუსი, ხოლო მათი ბალანსი არ არის გაყოფილი მოცემულ საწარმოს ბალანსთან. *ფინანსურ აქტივებს მიეკუთვნება:* სალაროს ნაღდი ფული; ბანკის დეპოზიტები; შენატანები; ჩეკები; სადაზღვევო პოლისები; დებანდებები ფასიან ქაღალდებში; კომერციული კრედიტი ანუ მიწოდებული საქონლის (მომსახურების) ანაზღაურებასთან დაკავშირებული სხვა საწარმოების ვალდებულებები; სხვა საწარმოების აქციებში პორტფელური დებანდებები; სხვა საწარმოებში აქციების საკონტროლო პაკეტები; პაი ანუ სხვა საწარმოებში ნილობრივი მონაწილეობა. *არანივთობრივ აქტივებს მიეკუთვნება:* სავაჭრო მარკები, საფირმო ნიშნები, პატენტები, ნოუ-ჰაუ, ინტელექტუალური საკუთრების სხვა სახეები; გამოყენების უფლება.

სააქციო საზოგადოება – საწარმო ან ორგანიზაცია, რომლის საწესდებო კაპიტალი დაყოფილია აქციების განსაზღვრული რიცხვით და რომელიც განაწილებულია აქციონერებს შორის.

სააქციო კაპიტალი – სააქციო საზოგადოების ძირითადი კაპიტალი, რომელიც ფორმირდება აქციების ემისიის ხარჯზე. განასხვავებენ შემდეგი სახის სააქციო კაპიტალს: ძირითადი კაპიტალი, რომლის ოდენობა ჩაწერილია წესდებაში; ხელმოწერითი – რომელიც მობილიზებულია ხელმოწერების გზით; ანაზღაურებული – რომელიც შეტანილია ხელმოწერის მომენტში. შესაძლებელია, რომ სადამფუძნებლო აქციები უფრო მეტი თანხით იყოს გამოშვებული, ვიდრე კომპანიის აქტივების რეალური ღირებულებაა. მეტობა წარმოადგენს სადამფუძნებლო მოგებას, რომელიც წარმოქმნის კომპანიის დამატებით კაპიტალს.

სახელობითი აქცია – აქცია, რომელიც გამოშვებულია განსაზღვრულ პირზე. სხვა პირზე ამ აქციის გადაცემის დროს აქციონერი აკეთებს ჩანაწერს ამ აქციის მეორე მხარეზე.

საფონდო ბირჟა – საფონდო ბირჟა არის ისეთი პირი, რომელიც ემსახურება ფასიანი ქაღალდების მიმოქცევას(კოტირებას). აქ ხდება ძირითადად ფასიანი ქაღალდების მეორად ბაზარზე მიმოქცევა, სადაც იყიდება ადრე გამოშვებული ფასიანი ქაღალდები, ხოლო პირველად ბაზარზე ხდება ახალგამოშვებული ფასიანი ქაღალდების მიმოქცევა.

სალიკვიდაციო ბალანსი – დოკუმენტი, რომელშიც ლიკვიდაციის თარიღისათვის ასახულია საშუალებების სიდიდე და წყაროები, აგრეთვე საწარმოს ანგარიშების მდგომარეობა იმ სალიკვიდაციო პერიოდის დამთავრების შემდეგ, რომლის განმავლობაშიც ამოღებულ უნდა იქნას დებიტორული დავალიანება და გასტუმრებული კრედიტორული დავალიანებები.

სალიკვიდაციო ნაშთი – საწარმოს ლიკვიდაციის პროცესში ყველა აქტივის რეალიზაციასა და ყველა ვალის გადახდას შორის სხვაობა.

სრული ამხანაგობა – ისეთი ამხანაგობა, რომლის წევრებს აქვთ შეუზღუდავი სოლიდარული პასუხისმგებლობა მთელი თავიანთი ქონებით ამხანაგობის ვალდებულებების მიმართ. სრული ამხანაგობის ქონება ფორმირდება მონაწილეების შენატანების საფუძველზე.

საემისიო კაპიტალი – სხვაობა საწარმოს მიერ აქციების პირველადი განთავსებიდან მიღებულ ან მისაღებ თანხასა და ამ აქციების ჯამურ ნომინალურ ღირებულებას შორის, აგრეთვე სამეწარმეო საზოგადოების დაფუძნებისას არაფულადი შესატანის ღირებულების მეტობა დათქმულ თანხაზე.(ნ)

სალიკვიდაციო კომისია – საწარმოს მონაწილეები. საწარმოს/ორგანიზაციის ლიკვიდაციისას საგადასახადო ვალდებულებას, აგრეთვე გადასახდელი საურავისა და ჯარიმების გადახდას ასრულებს ამ საწარმოს/ორგანიზაციის სალიკვიდაციო კომისია მისი (საწარმოს/ორგანიზაციის) ფულადი სახსრებით, აგრეთვე ამ საწარმოს/ორგანიზაციის ქონების რეალიზაციით მიღებული სახსრებით. ფილიალის ან სხვა ქვედანაყოფის ლიკვიდაციისას საგადასახადო ვალდებულებას ასრულებს უშუალოდ ის საწარმო/ორგანიზაცია, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა იგი, ხოლო თვით ამ საწარმოს/ორგანიზაციის ლიკვიდაციისას – ამ საწარმოს/ორგანიზაციის სალიკვიდაციო კომისია.(ნ)

საფონდო ბირჟა – ფასიანი ქაღალდების ორგანიზებული ბაზარი, რომელიც უზრუნველყოფს ფასიანი ქაღალდებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების ყიდვა-გაყიდვის შესახებ წინადადებების შეგროვებას, ვაჭრობის ორგანიზებას დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად და ავრცელებს დადებულ გარიგებათა შესახებ და ფასებთან დაკავშირებულ სხვა ინფორმაციას.(ნ)

საფონდო ბირჟის ლისტინგი – ფასიანი ქაღალდების დაშვება ბირჟაზე. ამ შემთხვევაში ხდება ფასიანი ქაღალდების რეგისტრაცია ბირჟაზე, რომელიც წარმოადგენს მათი ყიდვა-გაყიდვის საფუძველს. აქციები, რომლებიც არ არის შეტანილი ლისტინგში ოფიციალურ ვაჭრობას არ ექვემდებარება და იყიდება „ქუჩის" ბაზარზე.

საწარმოს კაპიტალი – მატერიალური და არამატერიალური აქტივების ერთობლიობა. ბუღალტრულად კაპიტალს ინვესტორის მოთხოვნას უწოდებენ.

საწესდებო კაპიტალი – მოქმედი კანონმდებლობით საწესდებო კაპიტალის შექმნის ვალდებულება არ არსებობს. საქართველოს კანონმდებლობაში ტერმინი „საწესდებო კაპიტალი" შეიძლება გამოყენებული იყოს საზოგადოების დაფუძნებისას მისი კაპიტალის (შენატანების ჯამი), საზოგადოების საკუთარი კაპიტალის, საზოგადოების აქციების ნომინალური ღირებულების აქციების რაოდენობაზე ნამრავლის, საწარმოს პარტნიორთა ხმების სრული რაოდენობის მნიშვნელობით.(ნ)

საჯარო ფასიანი ქაღალდები – იმ კლასის ფასიანი ქაღალდები, რომლებიც დაშვებულია სავაჭროდ საფონდო ბირჟაზე ან/და რომლებსაც ჩანაწერით ფლობს ფასიანი ქაღალდების 100-ზე მეტი მფლობელი, ხოლო სასესხო ფასიანი ქაღალდი არის ისეთი ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს უფლებას განსაზღვრული ძირითადი თანხის პროცენტით ან უპროცენტოდ მიღებაზე. იგი მოიცავს სამთავრობო ფასიან ქაღალდებს, თუ შესაბამისი ნორმატიული აქტით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდი – ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გამოშვებულია თანხების მოზიდვის მიზნით საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ, მოკლევადიანი, საშუალოვადიანი ან გრძელვადიანი, პროცენტიანი ან უპროცენტო სახით, გამოსახული ეროვნული ან კონვერტირებადი ვალუტით.

სახაზინო აქციები – საკუთარი უკვე განთავსებული აქციების გამოსყიდვა.(ნ)

სამთავრობო ფასიანი ქაღალდი – საქართველოს სახელმწიფოს მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდი.(ნ)

საინვესტიციო ხელშეკრულება – ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ინვესტორი აძლევს სხვა პირს ფულს ან სხვა უფლებას საკუთრებაზე ეკონომიკურ საქმიანობაში დასაბანდებლად, შესაძლო შემოსავლის მიღების მიზნით.(ნ)

სასესხო ფასიანი ქაღალდი – ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს უფლებას განსაზღვრული ძირითადი თანხის პროცენტით ან უპროცენტოდ მიღებაზე; იგი მოიცავს სამთავრობო ფასიან ქაღალდებს, თუ შესაბამისი ნორმატიული აქტით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.(ნ)

საჯარო ფასიანი ქაღალდები – იმ კლასის ფასიანი ქაღალდები, რომლებიც განთავსდა საჯარო შეთავაზების გზით ან/და დაშვებულია სავაჭროდ საფონდო ბირჟაზე.(ნ)

საბოლოო პროსპექტი – ემისიის პროსპექტი, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ და შეიცავს შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდების რაოდენობას, ხოლო თუ საბროკერო კომპანია/კომპანიები თანახმა არის/არიან ფასიანი ქაღალდების გაყიდვაზე ემიტენტის ან/და ფასიანი ქაღალდების მფლობელების სახელით – აგრეთვე ინფორმაციას ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ხელშეკრულებების შესახებ.(ნ)

სააქციო კაპიტალი – კომერციული ბანკის აქციონერთა კაპიტალი, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა ბანკის მთლიან აქტივებსა და მთლიან ვალდებულებებს შორის.(ნ)

უფასო აქციები – ისეთი აქციები, რომელიც ნაწილდება აქციონერებს შორის მათ ხელთ არსებული აქციების პროპორციის მიხედვით საზოგადოების კაპიტალის საბაზრო ღირებულების ზრდის მოტივაციით.

უკუშესყიდვის ან უკან მიყიდვის შეთანხმება(რეპო შეთანხმება) – მყიდველსა და გამყიდველს შო-

რის დადებული ხელშეკრულება იმის შესახებ, რომ გამყიდველი შემდეგ უკან იყიდის ამ მყიდველი უკან მიპყიდის გამყიდველს ჩვეულებრივ თამასუქებს, ფასიან ქაღალდებს ან ორივე ქონებას გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ ან გარკვეული პირობების შესრულების შემდეგ ან მაშინ, როდესაც შესრულდება ორივე ზემოაღნისნული პირობა.

უცხო ქვეყნის აღიარებული საფონდო ბირჟა – საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ბირჟათა სიაში შეყვანილი საფონდო ბირჟა, რომლის წესები შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებსა და პრაქტიკას. ასეთ ბირჟებს, როგორც მინიმუმი, მიეკუთვნებიან განვითარებულ ქვეყნებში არსებული, მაღალი საერთაშორისო რეპუტაციის მქონე ბირჟები.(ნ)

ფასიანი ქაღალდების ემისია – ფასიანი ქაღალდების გამოშვება მიმოქცევაში, მათ შორის ფასიანი ქაღალდების გაყიდვა მისი პირველი მფლობელების მიერ. ემისია ხორციელდება სააქციო საზოგადოების დაფუძნების დროს მის დამფუძნებლებზე აქციების გადაცემით ან სასესხო კაპიტალის მოზიდვით ობლიგაციების სახით.

ფასიანი ქაღალდები – მიმოქცევადი ფინანსური ინსტრუმენტები და უფლებები, რომელთა საჯარო შეთავაზებაც შესაძლებელია წილობრივი თუ სასესხო ფასიანი ქაღალდების სახით (ან მათი კომბინირებული ვარიანტით) ან რომლებიც შეიძლება გარდაიქმნას ასეთებად ან რომლებიც არიან ასეთებზე ხელმოწერისა თუ ასეთების შეძენის უფლების მატარებლები, საინვესტიციო ხელშეკრულებები და ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული სხვა ინსტრუმენტები და უფლებები.(ნ)

ფასიანი ქაღალდების ემიტენტი – პირი, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით უშვებს ფასიან ქაღალდებს.(ნ)

ფინანსური ვალდებულება – ფულადი სავალო ვალდებულება. მაგ. თამასუქი.(ნ)

ფინანსური ინსტრუმენტი – ნებისმიერი შეთანხმება (ხელშეკრულება), რომელიც წარმოშობს როგორც ერთი პირის ფინანსურ აქტივს, ისე მეორე პირის ფინანსურ ვალდებულებას. იგი მოიცავს: ფულად სახსრებს (ნაღდი და უნაღდო ფორმით), სესხებს (კრედიტებს), სასესხო ვალდებულებებს, თამასუქებსა და ფასიან ქაღალდებს, მათ შორის: კაპიტალში წილებს, აქციებს, ობლიგაციებს და ისეთ წარმოებულ ფასიან ქაღალდებს, როგორებიცაა: ოფციონი, ფიუჩერსი, ფორვარდი, სვოპი და სხვა. ფინანსური ინსტრუმენტი აგრეთვე მოიცავს ფულადი გამოსახვის მქონე, საქართველოს კანონმდებლობით დაშვებულ ნებისმიერ შეთანხმებას ორ სუბიექტს (კონტრაგენტს) შორის. ამასთანავე, თუ აღნიშნული შეთანხმების არსებობის პერიოდში მის ნებისმიერ ეტაპზე ამ შეთანხმების შედეგად განხორციელდა საქონლის ან/და მომსახურების მიწოდება, გარდა ფინანსური ოპერაციებისა და მომსახურების მიწოდებისა, ამ ფინანსური ინსტრუმენტის მფლობელ სუბიექტებს შორის ან/და მესამე პირებისათვის/მესამე პირებისაგან, ასეთი მიწოდების მომენტიდან იგი აღარ ითვლება ფინანსურ ინსტრუმენტად.(ნ)

ფინანსური მომსახურება – ფინანსურ ინსტრუმენტებთან ან/და ფინანსურ ოპერაციებთან დაკავშირებული მომსახურება. (ნ)

ფინანსური ოპერაციები – შემდეგი სახის ოპერაციები:

ა) ყველა სახის ანგარიშის (მათ შორის, საანგარიშსწორებო, სადეპოზიტო, საბროკერო და ა. შ.) გახსნა,

განკარგვა, დახურვა, აგრეთვე ნებისმიერი საგადამხდელო ინსტრუმენტით სარგებლობა, მათ შორის, კლირინგი და ანგარიშსწორება ნაღდი ან უნაღდო ფორმით (მათ შორის, საინკასაციო მომსახურება);

ბ) ფინანსური ინსტრუმენტის მიმოქცევა და მიმოქცევასთან დაკავშირებული ოპერაციები ნაღდი და უნაღდო ფორმით და ნებისმიერი საგადამხდელო ინსტრუმენტით სარგებლობა;

გ) კრედიტის (სესხის) აღება/გაცემა/გადაცემა, სინდიცირება, სტრუქტურირება, მართვა და განკარგვა, მათ შორის, კრედიტის (სესხის) უზრუნველსაყოფად განხორციელებული ქმედებები (ქონების/აქტივის დაგირავება, საკრედიტო რისკის მესამე პირზე ნაწილობრივ ან მთლიანად გადაყიდვა, გარანტიების ან ანალოგიური შინაარსის ფინანსური ინსტრუმენტების გაცემა/დამოწმება/მართვა/განკარგვა ან ასეთი ინსტრუმენტის შეძენა/მის ბენეფიციარად ყოფნა), აგრეთვე კრედიტის (სესხის) მომსახურება (საპროცენტო სარგებლისა და ძირის გადახდა) და კრედიტზე (სესხზე) საპროცენტო სარგებლისა და კრედიტის (ძირის) დაფარვის მიღება, ასევე ფაქტორინგი;

დ) კაპიტალში წილის, აქციის, ობლიგაციის, სერტიფიკატების, თამასუქებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან, შეძენასთან, მიმოქცევასთან და მიწოდებასთან (მათ შორის, მომავალში) დაკავშირებული ოპერაციები, მათ შორის, მათი მიმოქცევის უზრუნველყოფა;

ე) ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდების ან/და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების ემისია, მართვა (მათ შორის, საპენსიო და საინვესტიციო ფონდების ან დანაზოგთა სხვა კოლექტიური და

ინდივიდუალური სქემების ფორმირება, მათში ფინანსური ინსტრუმენტების აკუმულირება), განკარგვა, განთავსება (მათ შორის, მესამე პირებთან, გარანტირებულ და არაგარანტირებულ საფუძველზე), ნომინალურ მფლობელობაში მიღება/გადაცემა, სესხება/გასესხება დროებით (რეპოს) საფუძველზე, ადმინისტრირება, მათ შორის, რეგისტრაცია (რეესტრის ფორმირება/წარმოება), გადაცემა, ბლოკირება/განბლოკვა, დატვირთვა/განტვირთვა, სხვა დეპოზიტარული (მათ შორის, სპეციალური დეპოზიტარის) და კასტოდიანური ოპერაციები (შენახვა და აღრიცხვის წარმოება), მათი სამართლიანი ღირებულების დადგენა;

ვ) ფინანსური ინსტრუმენტებით გარიგების პირობებისა და ანგარიშსწორების გარანტად (მათ შორის, მესამე მხარედ) გამოსვლა;

ზ) კორპორაციული ოპერაციები, კერძოდ, აქციების და კაპიტალში წილების დანაწევრება, კონსოლიდაცია, კაპიტალის გაზრდა/შემცირება (მათ შორის, კაპიტალის გაზრდაში მონაწილეობის უფლებების ემისია, შეძენა/გასხვისება და მიმოქცევა), ორი ან ორზე მეტი იურიდიული პირის შერწყმა/იურიდიული პირის ორ ან ორზე მეტ იურიდიულ პირად დაყოფა, ლიკვიდაცია, დივიდენდების დარიცხვასთან/აღრიცხვასთან და გადახდასთან დაკავშირებული მომსახურება (ფულადი ან კანონით დაშვებული ნებისმიერი სხვა ფორმით);

თ) დაზღვევა ან/და გადაზღვევა.(ნ)

ფიუჩერსული ბირჟა – ბირჟა, სადაც ვაჭრობა მიმდინარეობს ფიუჩერსული კონტრაქტებით საქონლის ან ფასიანი ქაღალდების მომავალში მიწოდების პირობით. პრაქტიკულად ყველა თანამედროვე ბირჟები (სასაქონლო, საფონდო და სავალუტო) ფიუჩერსული ბირჟებია, რომლებიც ფიუჩერსული კონტრაქტებით ვაჭრობენ. არისტოტელეს თქმით პირველი ფიუჩერსული კონტრაქტი დადო ჯერ კიდევ თალეს მილეთელმა. მან ასტრონომიული დაკვირვების შედეგად ინინასწარმეტყველა, რომ ზეთისხილის საუკეთესო მოსავალი იქნებოდა მომავალი წლის შემოდგომაზე. მან წინასწარ იაფად იყიდა ზეთისხილის გადამუშავების უფლებები და შემდგომ ძვირად გაყიდა ისინი.

ფასიანი ქაღალდების პირველადი და მეორადი ბაზარი – პირველადია ისეთი ბაზარი, სადაც პირველად ხდება ფასიანი ქაღალდის ყიდვა-გაყიდვა, ხოლო მეორადი – სადაც ხდება ადრე გამოშვებული (გაყიდული) ფასიანი ქაღალდის ყიდვა-გაყიდვა. ფასიანი ქაღალდების მეორად ბაზარს ზოგჯერ ნახმარი ავტომობილების მეორად ბაზარს ამსგავსებენ: პირველად ბაზარზე გაყიდული ავტომობილი(ახალი ავტომობილი) ავტომობილის გამომშვები საწარმოსათვის პირდაპირი ინვესტიციაა, ხოლო მეორად ბაზარზე გაყიდული არა.

ფასიანი ქაღალდების ემისია (გამოშვება) – პროცედურა, რომლის საშუალებითაც ემიტენტი განათავსებს ფასიან ქაღალდებს.(ნ)

ფასიანი ქაღალდების კლასი – ემიტენტის ყველა ის ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს იდენტურ უფლება-მოვალეობებს.(ნ)

წილობრივი ფასიანი ქაღალდი – ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს მესაკუთრის წილს საწარმოში.(ნ)

ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილე – ინვესტორი, ემიტენტი, ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილე, აუდიტორი.(ნ)

ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილე – საფონდო ბირჟა, ცენტრალური დეპოზიტარი, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი, ანგარიშვალდებული სანარმო, ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალი.(ნ)

ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალი – საბროკერო კომპანია ან სხვა შუამავალი, რომლის საქმიანობასაც ზედამხედველობას უწევს საქართველოს ეროვნული ბანკი თავის მიერ დადგენილი წესებით.(ნ)

ფასიანი ქაღალდის ნომინალური მფლობელი – იურიდიული პირი, რომელიც არის ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალი, ბანკი ან ცენტრალური დეპოზიტარი, რომელსაც რეგისტრირებული მესაკუთრე (ან სხვა ნომინალური მფლობელი) წერილობითი ხელშეკრულებით ანიჭებს უფლებას, ფასიანი ქაღალდები ამ ნომინალური მფლობელის სახელზე შეიტანოს რეესტრში და რეგისტრირებული მესაკუთრის ან ნომინალური მფლობელის ინტერესებისათვის ჩაებას ამ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ სხვა ოპერაციებში.(ნ)

ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი – საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული იურიდიული პირი, რომელიც აწარმოებს ემიტენტის ფასიანი ქაღალდების რეესტრს და ასრულებს სხვა ფუნქციებს, რომლებიც განსაზღვრულია ხელშეკრულებაში ემიტენტსა და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს შორის.(ნ)

ფასიანი ქაღალდების რეესტრი – რეესტრი, რომელსაც აწარმოებს ემიტენტი ან ფასიანი ქაღ-

ალდების რეგისტრატორი და რომელშიც აღნიშნულია რეგისტრირებული მფლობელებისა და მათ მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა, კლასი და მათთან დაკავშირებული, კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ინფორმაცია.(ნ)

ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ხელშეკრულება – ხელშეკრულება ფასიანი ქაღალდების შეთავაზების განმახორციელებელ ემიტენტსა და ერთ ან რამდენიმე საბროკერო კომპანიას შორის, რომლის მიხედვითაც, საბროკერო კომპანია/კომპანიები კისრულობს/კისრულობენ ვალდებულებას, განათავსოს/განათავსონ ფასიანი ქაღალდები გარანტირებულ ან არაგარანტირებულ საფუძველზე, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად:

ა) გარანტირებული საფუძველი ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ნიშნავს საბროკერო კომპანიების მიერ ემიტენტისაგან ფასიანი ქაღალდების მთელი ემისიის შესყიდვას, თავიანთ საკუთრებაში მისი დატოვების ან შემდგომი გადაყიდვის გარანტიით;

ბ) არაგარანტირებული საფუძველი ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ნიშნავს საბროკერო კომპანიების მიერ ემიტენტისაგან ფასიანი ქაღალდების მთელი ემისიის პირობით შესყიდვას, თავიანთ საკუთრებაში მისი დატოვების ან შემდგომი გადაყიდვის გარანტიის გარეშე.(ნ)

ფინანსური ინსტიტუტები – იურიდიული პირები, რომელთა საქმიანობაა ფინანსური მომსახურების განხორციელება და რომლებიც მოქმედებენ კომერციული ბანკის, სადაზღვევო ორგანიზაციის, გადამზღვეველი კომპანიის, საინვესტიციო ბანკის, საფონდო ბირჟის, ცენტრალური დეპოზიტარის, საბროკერო კომპანიის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, საკრედიტო კავშირის, საინვესტიციო ფონდის ან/და ფინანსური მომსახურების განმახორციელებელი სხვა ორგანიზაციის სახით. საქართველოს ეროვნულ ბანკს შეუძლია გააფართოოს და განმარტოს ფინანსური ინსტიტუტების ჩამონათვალი. (ნ)

ფასიანი ქაღალდების თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტი-ემიტენტის მიერ გამოშვებული და განთავსებული რომელიმე კლასის ფასიანი ქაღალდების წილი, რომელიც არ განეკუთვნება ქვემოთ ჩამოთვლილ არც ერთ კატეგორიას:

ა) პირის (მათ შორის, ემიტენტის) რეგისტრირებულ საკუთრებაში არსებულ 5%-იან ან უფრო მცირე ამ კლასის ფასიანი ქაღალდების პაკეტს, გარდა იმ ფასიანი ქაღალდების პაკეტისა, რომელსაც დეპოზიტარული ხელწერილების გამოშვების მიზნით რეგისტრირებულ საკუთრებაში ფლობს საერთაშორისო დეპოზიტარი;

ბ) სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების რეგისტრირებულ საკუთრებაში არსებულ ფასიან ქაღალდებს;

გ) ემიტენტის მმართველი ორგანოს წევრებისა და თანამშრომლების რეგისტრირებულ საკუთრებაში არსებულ ფასიან ქაღალდებს. (ნ)

ფინანსური ინსტრუმენტი – მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს წილობრივ მონაწილეობას ადგილობრივ ან უცხოურ კომპანიაში, ან მისი ეკვივალენტი; მიმოქცევადი სასესხო ინსტრუმენტი/ვალდებულება; სხვა მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდი, რომელიც იძლევა ფასიანი ქაღალდების შეძენის უფლებას მასზე ხელმოწერის, მისი ყიდვის ან მისი გაცვლის გზით, ან რომლის შესრულება ხდება შეთანხმებულ და მიმდინარე ფასთა შორის სხვაობის დაფარვით, ან რომელიც ითვალისწინებს ფულად ანგარიშსწორებას, გარდა საგადახდო ინსტრუმენტისა; ერთობლივი საინვესტიციო ფონდის მიერ ემიტირებული უფლება; ფულის ან სავალუტო ბაზრის ინსტრუმენტი; ანგარიშზე რიცხული ძვირფასი ლითონები; სხვა დოკუმენტი, რომელსაც აქვს ფულადი გამოხატულება ან/და რომელიც არის ორ ან მეტ მხარეს შორის არსებული ფულადი სახსრების გადახდასთან დაკავშირებული სავალდებულო იურიდიული ძალის მქონე შეთანხმების დადასტურება, ასევე ზემოთ ჩამოთვლილ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოთხოვნები, უფლებები ამ ინსტრუმენტებზე ან მათთან დაკავშირებული უფლებები.(ნ)

ფინანსური ლევერეჯი – საწარმოს მიერ სესხის აღება ჩვეულებრივ აქციებზე შემოსავლების გაზრდის მიზნით. ასეთი სახსრების ეფექტურად გამოყენების შემთხვევაში იზრდება ერთობლივი შემოსავალი, იზრდება მოგება და იზრდება დივიდენდი, შესაბამისად იზრდება ჩვეულებრივი აქციების ფასი.

ღია ტიპის სააქციო საზოგადოება – ისეთი სააქციო საზოგადოება, რომლის კაპიტალი იქმნება არა მხოლოდ დამფუძნებლების, არამედ ნებისმიერი პირისაგან, რომლებიც ფლობენ საზოგადოების აქციებს.

შეთავაზება – გამოშვებული ან გამოსაშვები ფასიანი ქაღალდის ან მასზე საკუთრების უფლების გაყიდვის ან ანაზღაურებით გასხვისების ნებისმიერი ცდა. იგი არ გულისხმობს საბროკერო კომპანიისათვის ან საბროკერო კომპანიის მიერ შეთავაზებულ წინადადებას მიიღოს მონაწილეობა ფასიანი

ქაღალდის ან მასზე საკუთრების უფლების შეთავაზების ხელშეკრულებაში.(ნ)

შეთავაზების განაცხადი – საქართველოს ეროვნული ბანკისათვის წარდგენილი განაცხადი, რომელიც გულისხმობს მის ნებისმიერ შესწორებას და ნებისმიერ ემისიის პროსპექტს, ანგარიშს ან დოკუმენტს, რომელიც ამ განაცხადის ნაწილია, – უშუალოდ ან ჩართული მასზე მითითებით. (ნ)

შვილობილი საწარმო (შვილობილი ორგანიზაცია) – იურიდიული პირი, რომელშიც ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილე ფლობს წილის (ხმის უფლების მქონე აქციების, პაის) 50 პროცენტს ან 50-ზე მეტ პროცენტს, ხოლო იურიდიული სტატუსის არმქონე ორგანიზაციული წარმონაქმნის შემთხვევაში – აკონტროლებს მას.(ნ)

ჩვეულებრივი აქცია – აქცია, რომელიც უზრუნველყოფს ერთი ხმის უფლებას აქციონერთა საერთო კრებაზე. განსხვავებით ჩვეულებრივისაგან – პრივილეგირებული აქცია არ იძლევა ხმის უფლებას. პრივილეგირებული აქცია უზრუნველყოფს დივიდენდის მიღებას დადგენილი განაკვეთით. დივიდენდის ოდენობა და მიღების წესი განისაზღვრება საწარმოს წესდებით. წესდებით შეიძლება დადგინდეს განსხვავებული წესი, რომელიც უზრუნველყოფს ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციების უფლებათა სხვაგვარად განსაზღვრას. ერთი კლასის აქციები თანაბარი უფლებებით უზრუნველყოფენ მათ მფლობელებს. დივიდენდების უცილობლად გაცემის შეპირება ბათილია.(ნ)

ჩვეულებრივი აქცია – ისეთი წილობრივი ინსტრუმენტი, რომელსაც ყველაზე უფრო დაბალი მდგომარეობა უკავია კაპიტალური ინსტრუმენტების ყველა სხვა კლასთან მიმართებაში.

ჩვეულებრივი აქციების ფუთ-ოფციონი – ხელშეკრულება, რომელიც მფლობელს უფლებას აძლევს ჩვეულებრივი აქციები გაყიდოს განსაზღვრულ ფასად მოცემული პერიოდისათვის.

ჩეკი – დადგენილი ფორმის ფასიანი ქაღალდი, რომელიც შეიცავს ჩეკის გამცემის წერილობით დავალებას საბანკო დანესებულებებისადმი გაანაღდოს ჩეკში აღნიშნული თანხა.(ნ)

ცენტრალური დეპოზიტარი (დეპოზიტარი) – საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული იურიდიული პირი, რომელიც უფლებამოსილია, რეგისტრირებული მესაკუთრის ან ნომინალური მფლობელის დავალებით აწარმოოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური კლირინგი და ანგარიშსწორება, აგრეთვე განახორციელოს სპეციალიზებული დეპოზიტარის და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესებით განსაზღვრული სხვა მომსახურება.(ნ)

წარმოებული ფასიანი ქაღალდები – დერივატები (რისგანმე წარმოებული, რისამე პროდუქტი ანუ დამოკიდებული), რომლის ღირებულებაც დამოკიდებულია სხვა პირველადი აქტივების ღირებულებაზე. მაგ. ისეთი დერივატების ღირებულება, როგორიც არის ოფციონი, ფიუჩერსი, ფორვარდი და სვოპი დამოკიდებულია, ისეთი პირველადი აქტივების ღირებულებაზე, როგორიც არის საქონელი, ფული(ვალუტა), აქციები, ობლიგაციები და სხვა. როგორც წესი დერივატივები გამოიყენება საბაზო აქტივის არა ყიდვა-გაყიდვის მიზნით, არამედ ფასთა შორის სხვაობიდან შემოსავლის მისაღებად.

წილობრივი ინსტრუმენტი – ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ადასტურებს საწარმოს აქტივებში ყველა მისი ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის საკუთრების უფლებას.

წილობრივი გადახდის შეთანხმება – შეთანხმება საწარმოსა და მეორე მხარეს შორის (თანამშრომლობის ჩათვლით), განახორციელოს წილობრივი გადახდის ოპერაცია, რომელიც მეორე მხარეს უფლებას აძლევს მიიღოს ფული ან საწარმოს სხვა აქტივები იმ თანხით, რომელიც ეფუძნება საწარმოს აქციების ან სხვა წილობრივი ინსტრუმენტების ფასს, ან მიიღოს საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტები, თუ უფლებამოსილების განსაზღვრული პირობები.

წილობრივი გადახდის ოპერაცია – ოპერაცია, რომლითაც საწარმო იღებს პროდუქციას ან მომსახურებას, როგორც საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტების (აქციებისა და აქციის ოფციონების ჩათვლით) ანაზღაურებას ან იძენს პროდუქციას ან მომსახურებას იმ თანხით, რომელიც ეფუძნება საწარმოს აქციების ან სხვა წილობრივი ინსტრუმენტების ფასს.

წინასწარი პროსპექტი – ემისიის პროსპექტი, რომელიც წარედგინა საქართველოს ეროვნულ ბანკს, მაგრამ ჯერ არ დამტკიცებულა მის მიერ.(ნ)

წევრი – საფონდო ბირჟის ან ცენტრალური დეპოზიტარის კლიენტი, რომელიც საფონდო ბირჟის ან ცენტრალური დეპოზიტარის წესის შესაბამისად აღიარებულია საფონდო ბირჟის ან ცენტრალური დეპოზიტარის წევრად.(ნ)

18. 1. საგადასახადო აუდიტის ცნება და საგანი

საგადასახადო აუდიტის ცნებაში ჩვენ ვგულისხმობთ მხოლოდ მის ვიწრო მნიშვნელობას. ეს არის სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების თუ სახელმწიფოსაგან ნებადართული პირების მიერ ნებისმიერი გადასახადის გადამხდელის შემოწმება, კონტროლი თუ მონიტორინგი. იგი უკავშირდება მხოლოდ დაბეგვრის და ეკონომიკურ ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილების შემოწმების ასპექტებს.

მიუხედავად, იმისა, რომ საგადასახადო აუდიტი ჩვენ განვსაზღვრეთ მისი ვიწრო მნიშვნელობით, ტერმინოლოგიური ასპექტით, უპრიანია მისი დაკავშირება ზოგადად აუდიტთან, რომელშიც გულისხმობენ დამოუკიდებელი აუდიტორების მიერ განხორციელებულ საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია ცალკეული პირების ნებაყოფლობით ან სავალდებულო სამეურნეო საქმიანობის შემოწმებასთან.

სიტყვა „აუდიტორი" ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „მომსმენს". ეს სიტყვა ევროპის სკოლებიდან მოდის. ადრე სკოლაში მასწავლებელი უფროსკლასელს ავალებდა მოესმინა უმცროსკლასელთათვის და გამოეკითხა გაკვეთილი. ამ უფროსკლასელებს ერქვათ აუდიტორები ანუ მომსმენები.

ისტორიულად დამოუკიდებელი აუდიტორების გამოჩენა დაკავშირებულია არა საგადასახადო აუდიტთან, არამედ ზოგად აუდიტთან, რომელიც ძირითადად იმ მიზეზებით იყო გაპირობებული, რაც დაკავშირებულია იმ საწარმოების ეკონომიკურ ფუნქციონირებასთან, რომლებიც შექმნილი იყო წილობრივ საწყისებზე (მაგ. სააქციო საზოგადოება). კერძოდ, მესაკუთრეები, ინვესტორები, კრედიტორები და სხვა დამოკიდებული პირები გარკვეულ კოლიზიაში მოდიოდნენ საწარმოს მენეჯერებთან ანუ დაქირავებულ პერსონალთან ზუსტი ფინანსური და სამეურნეო ინფორმაციის მოპოვების მხრივ. სწორედ ამან გამოიწვია მესამე, დამოუკიდებელი პირების გამოჩენა ეკონომიკურ ურთიერთობათა არენაზე. ოფიციალურად აუდიტის დაბადებად ითვლება 1844 წელი, როდესაც ინგლისში მიღებულ იქნა კანონი სააქციო საზოგადოებების შესახებ. ამ კანონის მიხედვით აუცილებელი იყო სააქციო საზოგადოებებს მოეწვიათ დამოუკიდებელი პირი, რომელიც ყოველწლიურად დადებდა ამ საწარმოს შესახებ შესაბამის ფინანსურ დასკვნას. ეს იყო გარკვეული ყოველწლიური ანგარიშგების ფორმა სააქციო საზოგადოების მენეჯმენტის მიერ აქციის მფლობელების მიმართ. საქართველოს კანონმდებლობაც ითვალისწინებს ზოგიერთი პირების მიერ სავალდებულო აუდიტის განხორციელებას დამოუკიდებელი აუდიტორების მოწვევით.

როგორც აღვნიშნეთ, საგადასახადო აუდიტის ქვეშ განვიხილავთ არა დამოუკიდებელ აუდიტორულ სარეკომენდაციო ხასიათის შემოწმებას, არამედ გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო კონტროლს, რომელსაც შეიძლება სახელმწიფო იძულების ფორმა ჰქონდეს. ამ ასპექტით საგადასახადო აუდიტი უფრო „ხნიერია", ვიდრე დამოუკიდებელი აუდიტი ზოგადად. საგადასახადო აუდიტი ჩნდება მაშინათვე, როდესაც ჩნდება გადასახადის ცნება, რადგანაც გადასახადის გაჩენა დაკავშირებულია მისი გადახდისაგან თავის არიდებასთან. დღევანდელ პირობებში დამოუკიდებელი აუდიტორების ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ ასწავლონ გადასახადის გადამხდელებს გადასახადებისაგან თავის არიდების კანონიერი მეთოდებიც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საგადასახადო აუდიტის შესწავლის საგანია გადასახადის გადამხდელთა და სახელმწიფოს შორის საგადასახადო ურთიერთობათა კონტროლი და პრევენცია სახელმწიფოსა და სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილ პირთა მიერ. იგი შეისწავლის გადასახადის გადამხდელ პირთა მიერ გადასახადის გაანგარიშებასთან, გადახდასთან და ამ პროცესში დაბეგვრის სუბიექტებსა და სახელმწიფოს შორის წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებს. ამასთან, საგადასახადო აუდიტი დაკავშირებულია სახელმწიფოს მიერ, დაბეგვრის სუბიექტის (საქართველოს კანონმდებლობით მას გადასახადის გადამხდელი ეწოდება) იძულებასთან გადაიხადოს კუთვნილი გადასახადები და მასთან დაკავშირებული ჯარიმები და საურავები.

საგადასახადო აუდიტი, როგორც წესი, არ არის ნებაყოფლობითი საგადასახადო შემოწმება, თუმცა იგი შეიძლება მოიცავდეს ასეთ ელემენტებს. მაგ. გადასახადის გადამხდელს ინიციატივით შეუძლია მიმართოს საგადასახადო ორგანოს საგადასახადო შემოწმების შესახებ. შესაბამისად, საგადასახადო აუდიტი მოიცავს, როგორც საგადასახადო ორგანოს მიერ განსაზღვრული რისკების კრიტერიუმების საფუძველზე პირების შემოწმებას, ასევე პირების ინიციატივის საფუძველზე საგადასახადო შემოწმებას.

ჩვენი დეფინიციით, საგადასახადო აუდიტი არ არის მხოლოდ საგადასახადო შემოწმება მისი კანონისმიერი განმარტებით. იგი მოიცავს კონტროლის შემდეგ მიმართულებებს:

ა) საგადასახადო შემოწმება: კამერალური და გასვლითი;

ბ) პრევენციული აუდიტი ანუ მიმდინარე კონტროლის პროცედურები: ქრონომეტრაჟი, საკონტროლო შესყიდვა, საკონტროლო – სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვის კონტროლი, დათვალიერება, ინვენტარიზაცია, საგადასახადო მონიტორინგი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საგადასახადო აუდიტის საგანს შეადგენს საგადასახადო შემოწმება და პრევენციული შემოწმება. შესაბამისად, ყველა ის სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც წარმოიშობა გადასახადების გადახდასთან დაკავშირებით სახელმწიფოსა და გადასახადის გადამხდელებს შორის, ასევე საგადასახადო აუდიტის პროცესში გადასახადის გადამხდელებსა და შემმოწმებლებს (აუდიტორებს) შორის წარმოადგენს საგადასახადო აუდიტის, როგორც მეცნიერული დისციპლინის შესწავლის საგანს.

საგადასახადო აუდიტი, აღნიშნული საკითხების შესწავლის დროს ეფუძნება ქვეყნის სათანადო კანონმდებლობას. შესაბამისად, ქვემოთ, ჩვენი განხილვის საგანი იქნება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის ის ნიუანსები, რომელიც უკავშირდება პრაქტიკულ საგადასახადო აუდიტს. ამასთან, აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ საგადასახადო აუდიტის რეალური ბაზა არის საგადასახადო აღრიცხვის პრინციპები, რომლებიც რიგ შემთხვევებში განსხვავდება საბუღალტრო აღრიცხვის პრინციპებისაგან ანუ საგადასახადო აღრიცხვა არ ემთხვევა საბუღალტრო აღრიცხვას, რაც ასევე საგადასახადო აუდიტის შესწავლის საგნის არეალში ხვდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საგადასახადო აუდიტის შესწავლის მიმართულებებად ჩვენ გვესახება შემდეგი საკითხები: საგადასახადო შემოწმების სახეები, საგადასახადო აღრიცხვა, ცალკეული გადასახადების აუდიტი, საგადასახადო შემოწმების აქტი, როგორც საგადასახადო შემოწმების კვინტესენცია, პრევენციული საგადასახადო აუდიტი, საგადასახადო სამართალდარღვევები, საგადასახადო შეთანხმება და საგადასახადო დავა.

18. 2. საგადასახადო აუდიტის ზოგადი მეთოდოლოგია

18.2.1 რისკები, როგორც საგადასახადო აუდიტის ჩატარების საფუძველი

საგადასახადო აუდიტი ეფუძნება საგადასახადო რისკების სისტემას. საგადასახადო რისკი განისაზღვრება, როგორც საგადასახადო ვალდებულებების და ზოგადად კანონმდებლობის შეუსრულებლობის დიდი ალბათობა. ამდენად, საგადასახადო ორგანოში არსებობს შესაბამისი სპეციალური ქვედანაყოფი, რომელიც გადასახადის გადამხდელის შესახებ მის ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე ამუშავებს ამ ინფორმაციას წინასწარ განსაზღვრული რისკის კრიტერიუმების მიხედვით. ეს კრიტერიუმები შეიძლება იყოს განსხვავებული. ასეთს, განეკუთვნება მაგალითად, არაორდინალური ოპერაციის ფაქტი, რომელიც განახორციელა კონკრეტულმა გადამხდელმა; ურთიერთდაკავშირებულ პირებთან ეკონომიკური ურთიერთობების ფაქტი; საეჭვო გარიგებაში შემჩნეულ პირებთან ურთიერთობის ფაქტი; დოკუმენტების გაყალბებასთან შემჩნეულ პირებთან ურთიერთობის ფაქტი; საგადასახადო დეკლარაციების ან ანგარიშ-ფაქტურების ხშირი კორექტირების ფაქტი; გადამხდელის მიერ განხორციელებული რთული, კომბინირებული ოპერაციების ფაქტი და ა.შ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც წესი, შესამოწმებელი პირების გამოვლენა ხდება კომპიუტერული შერჩევის გზით შესაბამისი რისკის ქულების მითითებით. ამ შემთხვევაში, დიდი ალბათობით ხდება მაღალი საგადასახადო რისკების მონაცემების მატარებელი გადასახადის გადამხდელების გამოვლენა ელექტრონულად(პროგრამულად), თუმცა შესაძლებელია ამ „ბადეში" მოყვნენ ის გადამხდელებიც, რომლებიც სხვადასხვა გარე ფაქტორების გათვალისწინებით არ უნდა ჩაითვალონ შემოწმების ობიექტებად. მაგ. პირს აქვს უჩვეულოდ დაბალი მოგების ნორმა, რაც სინამდვილეში გაპირობებულია არა მოგების დამალვით, არამედ მოგების ნორმის ხელოვნურად შემცირებით შესაბამისი ბაზრის სეგმენტის დაპყრობის მიზნით. იგივე შეიძლება ითქვას დემპინგურ ფასებზე.

როგორც წესი, წლის განმავლობაში რისკზე დაფუძნებული საგადასახადო აუდიტის პირობებში საგადასახადო ორგანო ატარებს მთელი გადამხდელების მხოლოდ 10%-მდე შემოწმებას. ამდენად, ეს სისტემა უზრუნველყოფს ოპტიმალური (მინიმალური) საკადრო – საფინანსო დანახარჯებით მაქსიმალური ფისკალური ეფექტის მიღწევას. ამასთან, რისკზე დაფუძნებულ აუდიტს გააჩნია მთელი რიგი უპირატესობები, რომელთაგან აღსანიშნავია შემდეგი:

ა) შესამოწმებელ პირთა შერჩევა ობიექტურობის პრინციპით;

ბ) თემატური შემოწმების ეფექტური განხორციელება.

შესამოწმებელ პირთა შერჩევის ობიექტურობის პრინციპი გულისხმობს ინტერესთა კონფლიქტის

თავიდან აცილებას, რაც იმაში გამოიხატება, რომ შესამოწმებლად შერჩეული პირი თავისუფალია პოლიტიკური ნიშნით შერჩევის ან სხვა სუბიექტური გარემოებების ზეგავლენისაგან. კერძოდ, ამ სისტემით შესაძლებელია ნებისმიერი პოტენციურად მაღალი საგადასახადო რისკის მატარებელი გადასახადის გადამხდელის გამოვლენა მიუხედავად იმისა, თუ რა კავშირი აქვს ამ გადამხდელს ხელისუფლებასთან. რაც შეეხება თემატური შემოწმების ეფექტურობას, იგი გამოიხატება იმ ფაქტით, რომ თვით შესამოწმებელი გადამხდელის გამოვლენა ხდება კონკრეტული გადასახადის(გადასახადების) შემოწმების ასპექტით. მაგ. კომპიუტერულმა პროგრამამ რისკის კრიტერიუმის საფუძველმა შეიძლება „ურჩიოს" აუდიტორს, რომ მოცემული გადამხდელი შემოწმდეს მხოლოდ დღგ-ის ან მხოლოდ მოგების გადასახადის ან სხვა კონკრეტული თემების ასპექტით.

ზემოაღნიშნულ რისკებს, რომელიც დაკავშირებულია შესამოწმებელი პირის შერჩევასთან შეიძლება ვუწოდოთ „საწყისი რისკები". საწყისი რისკების გარდა არსებობს უშუალოდ შემოწმების პროცესთან დაკავშირებული რისკები, რომელსაც შეიძლება „მიმდინარე რისკები" ვუწოდოთ. მიმდინარე რისკი დაკავშირებულია გადასახადის გადამხდელის მიერ არასწორი ანგარიშგებისა და საგადასახადო კანონმდებლობის არასწორი ინტერპრეტაციის რისკებთან.

არასწორი ანგარიშგების რისკი გულისხმობს იმ ფაქტს, რომ გადასახადის გადამხდელს ანგარიშგების დოკუმენტებში(დეკლარაცია და სხვა) დაშვებული აქვს შეცდომა, რომელიც შეიძლება ვერ გამოავლინოს აუდიტორმა. რაც შეეხება საგადასახადო კანონმდებლობის არასწორი ინტერპრეტაციის რისკს, იგი ნიშნავს იმ ფაქტს, რომ გადასახადის გადამხდელი სხვადასხვა მიზეზების გამო არასწორად განმარტავს კანონმდებლობის ნიუანსებს, ხოლო აუდიტორი ვერ გამოავლენს ამ შეცდომებს. ასეთი ფაქტები საქართველოს საგადასახადო აუდიტის პრაქტიკაში მნიშვნელოვან მაჩვენებელს შეადგენს.

აუდიტორული რისკების დადგენის დროს მნიშვნელოვანია პოტენციური რისკების დადგენა, იმისათვის, რომ აუდიტორმა შეძლოს სწორი მეთოდოლოგიური პოზიციის შერჩევა აუდიტის ჩატარების დროს. ასეთი პოტენციური რისკების გამოვლენის დროს აუდიტორისათვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს ე.წ ფინანსური კოეფიციენტის განსაზღვრა. ფინანსური კოეფიციენტი შეიძლება გაანგარიშებულ იქნეს ნებისმიერი გადასახადის მიმართ. მაგ. არსებობს მოგების ფინანსური კოეფიციენტი ანუ მარტივად, რომ ვთქვათ მოგების ნორმა ან რენტაბელობა. მოგების კოეფიციენტის(მაგ. მოგებისა და დანახარჯების შეფარდება) მიხედვით შეიძლება გარკვეული სუსტი მხარეები აღმოაჩინოს აუდიტორმა. მაგ. ერთი და იგივე სახის ბიზნესში სხვადასხვა პირებს სხვადასხვა მოგების კოეფიციენტი აქვთ, თუმცა მათი ბიზნესის მოცულობა საშუალოდ ტოლია. ამ შემთხვევაში, დაბალი ფინანსური კოეფიციენტის არსებობა შეიძლება რეალური მოგების დამალვით იყოს გამოწვეული ან როგორც ზემოთ იყო აღნიშნული გარკვეული მარკეტინგული მოსაზრებით: დაბალი მოგების კოეფიციენტი გამრავლებული კაპიტალის მეტ ბრუნვასთან იწვევს საბოლოო ჯამში მეტი მოგების აბსოლუტურ სიდიდეს. ამდენად, დაბალი ფინანსური კოეფიციენტი, მართალია ეჭვს ბადებს, მაგრამ საკითხის მთლიანად გამოკვლევის გარეშე მაინც შეუძლებელია რეალური გარემოების დადგენა. ამასთან, თვით ეს კოეფიციენტებიც შეიძლება არ იყოს სანდო, თუ იგი თავის მხრივ ეყრდნობა არასწორ ინფორმაციას.

ფინანსურ კოეფიციენტებს საგადასახადო აუდიტის მიზნებისათვის სამ ნაწილად ყოფენ:

ა) რენტაბელობის კოეფიციენტი;

ბ) ეფექტურობის კოეფიციენტი;

გ) ლიკვიდურობის კოეფიციენტი.

განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე. ***პირველი – რენტაბელობის კოეფიციენტი:*** რენტაბელობა, დაბეგვრის მიზნებისათვის არის მთლიანი(საბალანსო) მოგების შეფარდება ერთობლივ შემოსავალთან ან წმინდა მოგების შეფარდება ხარჯებთან. მაგ. მოგება არის 25 ლარი, ხოლო ერთობლივი შემოსავალი(ან ხარჯი) 100 ლარი. რენტაბელობა იქნება 25% (25:100X100%=25%). რენტაბელობის კოეფიციენტი შეიძლება გამოვიანგარიშოთ შემდეგი ფორმულითაც: წმინდა მოგება:(კაპიტალს+გრძელვადიანი ვალდებულებები)X100. ***მეორე – ეფექტურობის კოეფიციენტი:*** ეს კოეფიციენტი ახასიათებს სასაქონლო-მატერიალური მარაგების ბრუნვის სიხშირეს (სისწრაფეს) და ყიდვა-გაყიდვის ოდენობებს შორის განსხვავებას. ეს კოეფიციენტი შეიძლება წარმოდგეს სამი სახით:

ა) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ბრუნვის კოეფიციენტი;

ბ) დებიტორული დავალიანების დაფარვის ვადა;

გ) კრედიტორული დავალიანების დაფარვის ვადა. **სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ბრუნვის კოეფიციენტი=** რეალიზებული საქონლის ღირებულება:საშუალო მარაგზე (საწყის მარაგს+საბოლოო მარაგი:2). **დებიტორული დავალიანების დაფარვის ვადა=**(დებიტორული დავალიანების თანხა: კრედიტებით გაყიდვების თანხაზე)X365 დღეზე. კრედიტორული დავალიანების დაფარვის

ვადა=(სავაჭრო კრედიტით გაყიდული საქონლის თანხები:კრედიტით შეძენებზე)X365 დღეზე. *მესამე – ლიკვიდურობის კოეფიციენტი:* ეს კოეფიციენტი აჩვენებს პირის გადახდისუნარიანობას ვალდებულების დადგომისთანავე. თუ მიმდინარე აქტივები მეტია მიმდინარე ვალდებულებებზე მაშინ პირი გადახდისუნარიანია. შესაბამისად, მიმდინარე კოეფიციენტი=მიმდინარე აქტივების თანხა:მიმდინარე ვალდებულებების თანხაზე.

18.2.2 საგადასახადო აუდიტის დაგეგმვა

საგადასახადო აუდიტის დაგეგმვა ნიშნავს აუდიტორის სამოქმედო გეგმის შედგენას. იმ შემთხვევაში, თუ დადგენილია გადასახადის გადამხდელის მიმართ კონკრეტული საგადასახადო რისკები, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, აუდიტორს შეუძლია დეტალურად გაწეროს ამ რისკების გამოვლენის გეგმა. გასვლითი საგადასახადო აუდიტის დროს განასხვავებენ აუდიტის დაგეგმვის ორ შემადგენელ ნაწილს: წინმსწრები ანალიზი და პირველადი ვიზიტი.

წინმსწრები ანალიზი ნიშნავს აუდიტორის მიერ გადასახადის გადამხდელთან ვიზიტამდე მის ხელთ მისაწვდომი ისეთი ინფორმაციის შეგროვებას, რომელიც მას აუცილებლად დასჭირდება შემოწმების პროცესში. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი ინფორმაციები: გადასახადის გადამხდელის მაიდენტიფიცირებელი და რეგისტრაციის მონაცემები; ამ პირის მიერ სხვა პირების დაფუძნებისა და ურთიერთდაკავშირებულობის შესახებ ინფორმაცია; ამ პირის ძირითადი ბიზნეს – საქმიანობის მიმართულება; ინფორმაცია სხვა კორპორაციული ოპერაციების შესახებ და სხვა.

პირველადი ვიზიტი არის აუდიტორის მიერ გადასახადის გადამხდელთან გასაუბრება და შესაბამისი პირის ქონების დათვალიერება. მაგ. საწარმოს ქონების ვიზუალური დათვალიერება წარმოდგენას ქმნის ამ საწარმოს საქმიანობის მასშტაბზე, რაც მნიშვნელოვანია შემდგომი აუდიტორული ანალიზის პროცესში.

პირველადი გასაუბრება როგორც წესი, ხდება, საწარმოს მენეჯერებთან და იმ პირებთან, რომლებიც ფლობენ შესაბამის ინფორმაციას. სავარაუდოდ შეიძლება აუდიტორმა მოამზადოს, მაგალითად, შემდეგი კითხვები: როდის დარეგისტრირდა პირი და ვინ არიამ მისი დამფუძნებლები? განიცადა, თუ არა პირმა რეორგანიზაცია? აქვს, თუ არა ამ პირს დაფუძნებული სხვა საწარმოები ან ფილიალები? ვინ არიან საწარმოს ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლები? ვინ არიან საწარმოს პროდუქციის ძირითადი მომხმარებლები? რომელი პირებისგან იღებს საწარმო მასალებს, ნედლეულს ან სხვა საქონელს? განხორციელდა, თუ არა ინვენტარიზაცია? ვინ ახორციელებს საწარმოს საბუღალტრო აღრიცხვას? რომელ ბანკებში აქვს საწარმოს ანგარიშები გახსნილი? განხორციელდა თუ არა საწარმოს შიგა აუდიტი და ა.შ.

რაც შეეხება ქონების დათვალიერებას, ამ შემთხვევაშიც, მსგავსად პირველადი გასაუბრებისა აუდიტორს შეუძლია წინმსწრები ანალიზიდან გამომდინარე შეადგინოს დასათვალიერებელ ობიექტთა სავარაუდო ნუსხა. მაგ. რამდენი თანამშრომელია დასაქმებული? სად ინახება სასაქონლო-მატერიალური მარაგები? როგორია საწარმოს ძირითადი საშუალებები? როგორია საქონლის ტრანსპორტირების ქსელი? როგორ ხდება ნაღდი ფულით ანგარიშსწორება და ა.შ.

საგადასახადო აუდიტის დაგეგმვის ეტაპებიდან გამოყოფენ: პირის ეკონომიკური საქმიანობის შესახებ წარმოდგენის ჩამოყალიბებას, პირის ეკონონომიკური საქმიანობის შეფასებას და მიმოხილვას, რისკების შეფასებას, შიგა აუდიტორული შეფასების განხილვას და საგადასახადო აუდიტის სტრატეგიის განსაზღვრას ზემოაღნიშნული ინფორმაციების ანალიზის საფუძველზე.

შიგა აუდიტორული შეფასების განხილვა მნიშვნელოვანია აუდიტორისათვის. შიგა აუდიტორული შეფასება გულისხმობს იმ ფაქტს, რომ საწარმოს შიგნით არსებულ სააღრიცხვო და სხვა სისტემებს აკონტროლებს სხვა პირი. აქ შეიძლება მოაზრებულ იქნეს დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ფინანსური აუდიტის შედეგებიც. ამ შემთხვევაში აუდიტორის წინაშე ისმის შემდეგი კითხვები: ხომ არ აქვს ადგილი საწარმოში თაღლითობას გარეკეული ჯგუფის მიერ? ხდება თუ არა ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის მონიტორინგი ადმინისტრაციის ზედა უშელონის მიერ? ხდება, თუ არა საგადასახადო და საბუღალტრო დოკუმენტების გაყალბება ან კომპიუტერული მაქინაციები და ა.შ.

18.2.3 საგადასახადო აუდიტის მეთოდები

აუდიტორი გადასახადის გადამხდელის ანგარიშგების შემოწმებას იწყებს ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის საიმედოობის შემოწმებით, რაც გულისხმობს ეკონომიკური ოპერაციების თითოეულ ეტაპზე წყარო დოკუმენტების წარმომადგენლობითი ნიმუშის შერჩევას და ამ დოკუმენტების

შედარებას ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის შესაბამის ანგარიშებთან გადასახადების სათანადოდ აღრიცხვიანობაში დარწმუნების მიზნით. ამის შემდგომ აუდიტორი სააღრიცხვო ჩანაწერების მონაცემებს ადარებს საგადასახადო დეკლარაციებთან.

მას შემდეგ, რაც დადგინდება ზოგადად ანგარიშების საიმედოობა, აუდიტორი იწყებს აუდიტის ანგარიშების შემოწმებას. ამ შემთხვევაში აუდიტორი ნიმუშების შერჩევის მეთოდების გამოყენებით გადაამოწმებს ანგარიშების სიზუსტეს თითოეული ოპერაციის შემოწმების ნაცვლად.

აღურიცხავი შემოსავლების ან არასათანადო დოკუმენტაციის წარმოების ნიშნების არსებობის შემთხვევაში გადასახადის გადამხდელის ფაქტობრივი შემოსავლის დასადგენად აუდიტორი იყენებს არაპირდაპირი მეთოდებს, რომელზეც ცალკე გვექნება საუბარი.

18.2.4 არსებული სააღრიცხვო ჟურნალებისა და ჩანაწერების განსაზღვრა

აუდიტორის პირველი მოქმედება: გადასახადის გადამხდელის სააღრიცხვო ჟურნალებისა და ჩანაწერების შემოწმება ორ მთავარ მიზანს ემსახურება. ესენია:

– არსებითი შეცდომების არარსებობის ალბათობის ანალიზი;

– იმისი დადგენა, თუ რამდენად ნამდვილია (კანონიერია) ცალკეული ოპერაცია, ადგილი ხომ არ აქვს

გამოტოვებებს, რამდენად სწორად არის მითითებული ღირებულება, კლასიფიკაციის სათანადოობა, სათანადო საგადასახადო პერიოდი.

აღნიშნული შემოწმების შედეგად აუდიტორი შეძლებს წინასწარი შეფასების გაკეთებას გადასახადის გადამხდელის სააღრიცხვო დოკუმენტაციის სანდოობასთან დაკავშირებით.

პირველ საფეხურს წარმოადგენს იმის განსაზღვრა, თუ რა სააღრიცხვო ჟურნალები და ჩანაწერები არსებობს შესამოწმებლად.

გადასახადის გადამხდელმა შეიძლება წარმოადგინოს ქვითრები და გადახდილი ჩეკები დეკლარაციაში მითითებული მონაცემების დასამოწმებლად. ბიზნესს შეუძლია გამოიყენოს ერთმაგი გატარების სისტემა და გატარებები აწარმოოს ყოველდღიურად, ყოველკვირეულად, ან ყოველთვიურად და ჯამურად, ან გამოიყენოს ორმაგი გატარების სისტემა. რუტინული ბუღალტრული აღრიცხვა შეიძლება განხორციელდეს კომპიუტერიზირებული ან მანუალური საშუალებებით.

გასვლითი აუდიტის პროცესში საგადასახადო აუდიტორის მიერ შეიძლება შემოწმდეს შემდეგი დოკუმენტები:

– გადახდილი ანგარიშ–ფაქტურები შესამოწმებელი წლებისათვის, მიმწოდებლების მიხედვით;

– ნაღდი ფულით ანაზღაურებული შესყიდვების ჩამონათვალი;

– გაყიდვები, ნაღდი ფულით ანგარიშსწორების ქვითრები, შესყიდვები, და მთავარი წიგნები;

– მაკორექტირებელი გატარებები ისეთი ელემენტებისათვის, როგორიცაა გაყიდვები, გადახდილი აქციზები;

– საკონტროლო სალარო–აპარატის ქაღალდების ფირი ყოველი დღისთვის;

– ამონაწერები საბანკო ანგარიშიდან (ანგარიშები ადგილობრივ და უცხოურ ბანკებში) შესამოწმებელი პერიოდისათვის, მათ შორის, დეპოზიტის ბლანკები;

– სამუშაო დოკუმენტები, რომლებიც ასაბუთებს სასაქონლო–მატერიალური მარაგების გამოთვლას;

– იმ კომპანიების სია, რომლებიც ახდენენ ისეთი შეღავათების შეთავაზებას, როგორიცაა ფასდაკლება;

– ნებისმიერი დაუბეგრავი შემოსავლის შესაბამისი დოკუმენტაცია.

18.2.5 განმარტებების მიღება სააღრიცხვო ჟურნალებთან და ჩანაწერებთან დაკავშირებით

აუდიტორის მეორე მოქმედება: აუდიტორი გადასახადის გადამხდელისგან იღებს სააღრიცხვო ჟურნალებთან და ჩანაწერებთან დაკავშირებულ განმარტებებს. ბუღალტრული აღრიცხვის სისტემასთან დაკავშირებული განმარტებები უნდა გააკეთოს სისტემაში ყველაზე კარგად გათვითცნობიერებულმა პირმა. ეს შეიძლება იყოს გადასახადის გადამხდელი, გადასახადის გადამხდელის თანამშრომელი ან წარმომადგენელი. მთავარია, რომ ეს პირი იცნობდეს გადასახადის გადამხდელის აღრიცხვის სისტემას.

გადასახადის გადამხდელის მიერ სააღრიცხვო ჟურნალებსა და ჩანაწერებთან დაკავშირებული განმარტება უნდა მოიცავდეს შემდეგს:

– ოპერაციების ნაკადის ან გატარებების პროცესის ახსნას, რომელიც იწყება პირველადი ოპერაციით დამთავრდება ყველა შესაბამისი გატარებით და საგადასახადო დეკლარაციასთან შედარებით.

– კონკრეტული შემოსავლების, ხარჯების, და შესაბამის შემთხვევაში, ბალანსის ელემენტების მიკვლევა ბუღალტრული აღრიცხვის სისტემაში (ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა მოიცავს გატარების ყველა ჟურნალს და შედარების ყველა აქტს).

– აუცილებლობის შემთხვევაში შესყიდვების ნაკადისა და ინვენტარისთვის თვალის მიდევნება გაყიდული საქონლის ფასის საშუალებით.

18.2.6 გადასახადის გადამხდელის სააღრიცხვო მეთოდის განსაზღვრა

აუდიტორის მესამე მოქმედება: ეს არის გადასახადის გადამხდელის ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდის განსაზღვრა. ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი-ესაა სისტემა, რომლის ფარგლებშიც ხდება შემოსავლების, ხარჯების, ძირითადი საშუალებების, ვალდებულებების და ფინანსური მდგომარეობის ასახვა.

დღგ–ს გადამხდელებისთვის სავალდებულოა დარიცხვის მეთოდის გამოყენება. იმ გადამხდელებს, რომლებიც არ არიან დღგ–ს გადამხდელად რეგისტრირებული დასაბეგრი მოგების გამოსათვლელად შეუძლიათ ბუღალტრული აღრიცხვა აწარმოონ დარიცხვის ან საკასო მეთოდით.

არსებობს ბუღალტრული აღრიცხვის სპეციალური მეთოდები შემოსავლების და ხარჯების შემდეგი ელემენტების აღრიცხვისთვის: ცვეთა, უმეტო ვალების გამოქვითვა, გრძელვადიანი კონტრაქტები, ლიზინგით გაცემული აქტივები, წარმომადგენლობითი ხარჯები, მიკრო ბიზნესიდან, ფიქსირებული გადასახადის გადამხდელიდან, სპეციალური საეჭრო კომპანიიდან შესყიდვები.

18.2.7 გადასახადის გადამხდელის შემოწმების სიღრმის განსაზღვრა

აუდიტორის მეოთხე მოქმედება: მეოთხე მოქმედებას წარმოადგენს გადასახადის გადამხდელის სააღრიცხვო ჟურნალებისა და ჩანაწერების შემოწმების სიღრმის განსაზღვრა. შემოწმების სიღრმის განსაზღვრისას საჭიროა შემდეგი ფაქტორების გათვალისწინება:

– ჩანაწერების ტიპები – გადასახადის გადამხდელები იყენებენ ბუღალტრული აღრიცხვის სხვადასხვა მეთოდებს და აწარმოებენ სხვადასხვა ტიპის ჩანაწერებს;

– ჩანაწერების მოცულობა – შედარებით მსხვილი გადასახადების გადამხდელების შემოწმებისას, ან გადასახადის გადამხდელის ჩანაწერების არაორგანიზებულობის შემთხვევაში, შესაძლებელია აუდიტორს დახვდეს დიდი მოცულობის ჩანაწერები.

გადასახადის გადამხდელის სააღრიცხვო დოკუმენტაციის შემოწმების დეტალურობა უნდა განისაზღვროს მას შემდეგ, რაც მოხდება:

– გადასახადის გადამხდელთან გასაუბრება;

– სამუშაო ადგილის დათვალიერება (აუცილებლობის შემთხვევაში);

– გადასახადის გადამხდელის შიგა კონტროლის მექანიზმების შეფასება.

სამსახურებრივი ინტერესებიდან და აუცილებლობიდან გამომდინარე საგადასახადო შემოწმების განმახორციელებელმა პირმა შესაძლებელია გამოიყენოს დისკრეციული უფლებამოსილება და ჩაატაროს შესამოწმებელი პირის საქმიანობის სრული ან თემატური (შერჩევითი) აუდიტი.

პირველადი დოკუმენტებისა და სააღრიცხვო რეგისტრებში (ელექტრონული აღრიცხვის დროს – კომპიუტერულ ფაილებში) ჩანაწერების შემოწმება წარმოებს სრული, შერჩევითი ან კომბინირებული მეთოდით.

სრული მეთოდის გამოყენებისას მონმდება შესამოწმებელი პირის (საწარმოს) ყველა პირველადი სააღრიცხვო და საგადასახადო დოკუმენტი და საბუღალტრო აღრიცხვის ჩანაწერების რეგისტრი (ელექტრონული აღრიცხვის დროს – კომპიუტერული ფაილი და მისგან ნაწარმოები ელექტრონული უწყისები). სრული მეთოდი ძირითადად გამოიყენება შესამოწმებელი პირის იმ ოპერაციებთან მიმართებაში, რომელშიც საგადასახადო დარღვევის აღმოჩენის რისკი მაღალია.

საგადასახადო მიზნებისათვის **მაღალრისკიან ოპერაციებს** მიეკუთნება:

– ფულადი (სალაროსა და საბანკო) ოპერაციები;

– ძირითადი საშუალებების შეძენისა და ხარჯად აღიარების, აგრეთვე მათი რეალიზაციის ოპერაციები;

– კაპიტალის ცვლილებებთან დაკავშირებული ოპერაციები;

– ნილის/აქციების გამოსყიდვა/რეალიზაციასთან დაკავშირებული ოპერაციები;
– აქტივების/მომსახურების უსასყიდლოდ მიღება/მიწოდებასთან დაკავშირებული ოპერაციები;
– თვითღირებულებისა და ფინანსური შედეგების ფორმირების ოპერაციები;
– ანგარიშსწორებანი დებიტორებთან/კრედიტორებთან;
– დაკავშირებულ პირებთან განხორციელებული ოპერაციები;
– სესხის მიღება/გაცემასთან დაკავშირებული ოპერაციები.

შესამოწმებელი პირის საქმიანობის სხვა უბნები და განხორციელებული ოპერაციები სრული მეთოდით მოწმდება საჭიროების შემთხვევაში.

იმის მიუხედავად, როგორი იქნება არსებითი უზუსტობის რისკების შეფასება, აუდიტორი ვალდებულია, დაგეგმოს და ჩაატაროს აუდიტორული პროცედურები თითოეული მაღალრისკიანი ოპერაციისთვის. ზოგიერთ უზუსტობასთან დაკავშირებული გარემოებების გამო, აუდიტორმა შეიძლება ისინი, ცალ-ცალკე აღებული ან აუდიტის მსვლელობისას დაგროვილ სხვა უზუსტობებთან ერთად, არსებითად მიიჩნიოს მაშინაც კი, თუ მათი სიდიდე მცირეა მთლიანი ფინანსური ანგარიშგებისათვის დადგენილ არსებითობის დონესთან შედარებით. მაგალითად, უზუსტობამ, რომელიც დაკავშირებულია სააღრიცხვო პოლიტიკის არასწორად შერჩევასთან ან გამოყენებასთან და არსებით გავლენას არ ახდენს მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე, შესაძლებელია არსებითი გავლენა იქონიოს მომავალი პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაზე, ხსენებულმა ასახვა უნდა ჰპოვოს გადამხდელისათვის მიცემულ სარეკომენდაციო წინადადებებში, რაც ასევე ნიშანდობლივი იქნება შემდგომი პერიოდების განმახორციელებელი აუდიტისათვის.

თუ გასული საგადასახადო შემოწმების დანიშვნის შესახებ ბრძანებით განსაზღვრულია სრული მეთოდის გამოყენება და შემოწმების პროცესში გამოვლინდება დაბალი რისკის ფაქტორის სეგმენტი, იმ მიზნით, რომ მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი შესამოწმებელი პირველადი დოკუმენტაცია და შემოწმებისათვის საჭირო დრო და მოხდეს შემმოწმებელთა ყურადღების კონცენტრირება იმ მომენტებზე, საიდანაც მინიმალური დროისა და ადამიანური რესურსის დანახარჯებით შესაძლოა მიღწეულ იქნეს მაქსიმალური ფისკალური ეფექტი, შესაძლებელია შემმოწმებელთა მიერ მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული შემოწმების შერჩევითი მეთოდის გამოყენება, რისთვისაც შემმოწმებელთა ჯგუფის სახელით ჯგუფის უფროსმა აუდიტის დეპარტამენტის უფროსის სახელზე უნდა დაწეროს მოხსენებითი ბარათი შემოწმების დანიშვნის შესახებ ბრძანებაში შესაბამისი ცვლილების შეტანის თაობაზე და მას შემდეგ, რაც ახალი ბრძანებით განისაზღვრება საგადასახადო შემოწმების სახე (შერჩევითი) და შესამოწმებელი საკითხები, აღნიშნულის შესახებ აცნობოს შესამოწმებელ პირს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

შემოწმების სიღრმე შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს შემოწმების განხორციელების პროცესში, თუ ეს გამართლებულია. გადასახადის გადამხდელის სააღრიცხვო დოკუმენტაციის შემოწმების სიღრმე შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ ცალკეული ელემენტების გადამოწმებით.

საგადასახადო შემოწმების ჩატარების სრული მეთოდის შერჩევითი მეთოდით ჩანაცვლება შესაძლებელია მაშინ, როდესაც:

– ჩანაცვლების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტში, მოსალოდნელი დამატებით დასარიცხი თანხები უკვე აღემატება შესამოწმებელი პირის აქტივების საბაზრო ღირებულებას; ან

– უკვე შემოწმებული საკითხების საფუძველზე შესაძლებელია იმის მტკიცება, რომ შესამოწმებელი პირის მიერ მოწოდებული ინფორმაცია სწორად და სრულად ასახავს მის საგადასახადო ვალდებულებებს და გადასახადებით დასაბეგრ ობიექტებს და, აქედან გამომდინარე, მის მიერ წარმოებული ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა არის სწორი, დამაჯერებელი და სანდო.

შესამოწმებელ პირთან არსებითი რაოდენობრივი უზუსტობების აღმოსაჩენად შემმოწმებელი განსაზღვრავს არსებითობის დონეს და ვალდებულია ამ დროს გაითვალისწინოს უზუსტობათა რაოდენობა (რაოდენობრიობა) და ხასიათი (თვისებრიობა).

არსებითობის განსაზღვრა ეფუძნება შემმოწმებლის პროფესიულ მსჯელობას და შესამოწმებელი პირის საქმიანობაში რისკებსა და ფინანსურ ანგარიშებში გარკვევას.

შემმოწმებლის მიზანია, სათანადოდ გამოიყენოს არსებითობის კონცეფცია საგადასახადო აუდიტის ჩატარების დროს, კერძოდ:

– შესამოწმებელი კომპონენტების განსაზღვრისას (სტრატეგიული დაგეგმვა);

– აუდიტის პროცედურების მოცულობის, ხასიათისა და ვადების განსაზღვრისას (დეტალური დაგეგმვა);

– უზუსტობების შედეგების შეფასებისას (ანგარიშგება).

არსებითობა შეიძლება იყოს ორი სახის – რაოდენობრივი და ხარისხობრივი. შესამოწმებელ პირ-

თან ჩასატარებელი აუდიტის დაგეგმვის დროს აუდიტორმა უნდა განსაზღვროს დასაშვები არსებითობის დონე, რათა გამოავლინოს რაოდენობრივად არსებითი უზუსტობები. არსებითობა უნდა განისაზღვროს მთლიანად ფინანსურ ანგარიშებთან მიმართებით. თუმცა, თუ აუდიტორი დარწმუნებულია, რომ გარკვეული ნაშთებისათვის ან ინფორმაციის წარდგენისათვის დასაშვებია ნაკლები მოცულობის არსებითობა, შესაძლებელია არსებითობა ცალკე განისაზღვროს აღნიშნული შესამოწმებელი კომპონენტისათვის და ცალკე იქნეს იგი გამოყენებული ამ კომპონენტზე აუდიტორული პროცედურების განხორციელებისას.

აუდიტორი პროფესიული მსჯელობის საფუძველზე განსაზღვრავს რაოდენობრივი არსებითობის დონეს, როგორც რაოდენობრივ სიდიდეს. აუდიტორი არსებითობის განსაზღვრის საფუძვლად ფინანსური ანგარიშების ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტს იყენებს. საფუძველი, რომელზე დაყრდნობითაც განისაზღვრება არსებითობა, სავარაუდოდ, არ შეიცვლება მომავალი აუდიტების პერიოდში, თუ ძირეულად არ შეიცვლება შესამოწმებელი ობიექტის საქმიანობა, მაგალითად, მისი უფლებამოსილება (მანდატი).

შემოსავლებთან/ხარჯებთან მიმართებაში რაოდენობრივად „ასატან შეცდომად" ჩაითვლება შემთხვევა, თუ შემმოწმებლის მიერ შემოსავლის/ხარჯის თითოეული სახის (კომპონენტის) მიხედვით შერჩეული მინიმუმ 2 კონკრეტული საანგარიშო პერიოდის პირველადი საგადასახადო დოკუმენტაციის გადამოწმებით, ცდომილება არ გადააჭარბებს თითოეულ საანგარიშო პერიოდში 3%-ს. აღნიშნული ეხება იმ გადამხდელებს, რომელთა შესაბამისი საანგარიშო წლის ბრუნვა აღემატება 1000000 ლარს.

მაგალითი:

შპს „ველოდიკარის" 2010 წლის წლიური ბრუნვა აღემატება 1000000 ლარს. შემმოწმებლის მიერ შერჩეული იქნა 2010 წლის აპრილის და ნოემბრის თვეში სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენა, რაც ბუღალტრულად აღრიცხული ჰქონდა შესაბამისად 600000 და 850000 ლარად. შემმოწმებით დადგინდა, რომ მათ შორის კანონმდებლობის მოთხოვნებს არ შეესაბამებოდა აპრილის თვეში 14700 ლარის, ხოლო ნოემბრის თვეში 22000 ლარის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დოკუმენტები. ვინაიდან ცდომილება არ აღემატება 3%-ს, ამ შემთხვევაში შემმოწმებელი (ჯგუფის უფროსი) მიმართავს ხელმძღვანელს (საგადასახადო ორგანოს უფროსს/მოადგილეს) და ამ უკანასკნელის მიერ შერჩეული იქნება იმავე საანგარიშო წლის კიდევ ორი ნებისმიერი საანგარიშო თვე, რათა გადამოწმდეს იგივე შეძენები. იმ პირობით, თუ ხელმძღვანელის მიერ შერჩეულ პერიოდებშიც (თითოეულის მიხედვით) ცდომილება არ იქნება 3%-ზე მეტი, შემმოწმებელს შეუძლია დანარჩენ საანგარიშო თვეებში დაეყრდნოს გადამხდელის ბუღალტრულ მონაცემებს. ამასთან, უნდა მოხდეს აღნიშნული ოთხი თვის მიხედვით გამოვლენილი დარღვევების პროპორციით 2010 წლის მოგების გადასახადის კორექტირება. ანალოგიურად მოხდება შემოსავლის/ხარჯის თითოეული მუხლის მიხედვით პირველადი საგადასახადო დოკუმენტაციის გადამოწმება.

შერჩევითი მეთოდის გამოყენების დროს მოწმდება შესამოწმებელი პერიოდის ყოველი ან ზოგიერთი თვის პირველადი დოკუმენტების ნაწილი და მათი საბუღალტრო ჩანაწერებში (ანგარიშებში, უწყისებში) ასახვის სისწორე.

თუ შერჩევითი შემოწმებით დადგინდა საგადასახადო კანონმდებლობის სერიოზული დარღვევები, მაშინ რეკომენდებულია, რომ მოხდეს აღნიშნული მეთოდის ჩანაცვლება სრული მეთოდით. ამასთან, ამოღებული უნდა იქნეს შემოსავლის ან საეჭვო სხვა დასაბეგრო ობიექტების შემცირების დამადასტურებელი დოკუმენტების შესამოწმებელი პირის მიერ დამოწმებული ასლები. სერიოზულად ჩაითვლება დარღვევა, თუ პირველადი საგადასახადო დოკუმენტაციის გადამოწმებით, ცდომილება საანგარიშო პერიოდში აღემატებოდა 3%-ს. აღნიშნული ეხება იმ გადამხდელებს, რომელთა შესაბამისი საანგარიშო წლის ბრუნვა აღემატება 1000000 ლარს.

შესამოწმებელ პირთან შემმოწმებელთა მიერ ჩასატარებელი აუდიტის დაგეგმვის დროს დადგენილი არსებითობა ყოველთვის არ განსაზღვრავს იმ მოცულობას, რომლის მიხედვითაც ყველა უზუსტობა არაარსებითად მიიჩნევა. უზუსტობების ორივე მახასიათებელი – მოცულობა (რაოდენობრივი) და ხასიათი (ხარისხობრივი) – გათვალისწინებული უნდა იქნეს არსებითი უზუსტობების განსაზღვრის დროს.

შეცდომა ხარისხობრივად არსებითია, თუ:

– აღმოჩენილია შესამოწმებელ ნაშთებთან და ოპერაციებთან დაკავშირებული თაღლითობა;

– აღნიშნული საკითხები კანონმდებლობითა და მარეგულირებელი ნორმებით არის გათვალისწინებული;

– აღნიშნული საკითხები სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესის საგანია;

არსებითობის დონეები შეიძლება განისაზღვროს კონტროლის სისუსტეების შესაფასებლადაც.

ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შიგა კონტროლის მექანიზმების შემოწმების დროს. ასეთ შემთხვევაში კონტროლის სისუსტის დასაშვები ნორმა განისაზღვრება თითოეული სახის შეფასებული კონტროლის საქმიანობისათვის.

საფინანსო-სამეურნეო ოპერაციების უტყუარობა დგინდება პირველადი დოკუმენტების ფორმალური და არითმეტიკული შემოწმების გზით ან დოკუმენტური და ფაქტობრივი კონტროლის შემმოწმებელის მიერ შემუშავებული სპეციალური ხერხების გამოყენებით.

ფორმალური შემოწმებისას დგინდება:

– დოკუმენტების ყველა რეკვიზიტის კანონმდებლობის შესაბამისად შევსების სისწორე;

– დაუმოწმებელი შესწორებების, ტექსტში მინაწერების და ციფრების არსებობა;

– ხელმძღვანელების და მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერების უტყუარობა. აუცილებლობის შემთხვევაში, მოცემულ დოკუმენტში უფლებამოსილ პირთა ხელმონერა უდარდება მის ხელმოწერას სხვა დოკუმენტებში, ხოლო დაეჭვების შემთხვევაში მიღებული უნდა იქნეს უშუალოდ პირის პირადი დასტური ახსნა – განმარტების ფორმით მოცემული სამეურნეო ოპერაციის გარშემო.

არითმეტიკული შემოწმებისას განისაზღვრება დოკუმენტში დაჯამების სისწორე, მაგალითად, პირველად დოკუმენტებში, მონაცემების არაკომპიუტერული დამუშავების დროს – სააღრიცხვო რეგისტრებში და საანგარიშო ფორმებში ნაჩვენები ჯამების სისწორე.

პირველად დოკუმენტებში ასახული სამეურნეო ოპერაციების უტყუარობა, საჭიროების შემთხვევაში შემმოწმებელის მიერ შეიძლება დადგინდეს იმ საწარმოდან შესაბამისი ინფორმაციის დადასტურების მოთხოვნით, რომელთანაც შესამოწმებელი პირის საწარმოს აქვს სამეურნეო კავშირი (ამასთან აღნიშნული საწარმოსგან მოწოდებული ინფორმაცია აუცილებლად უნდა იყოს მისი ხელმძღვანელის ან/და მთავარი ბუღალტრის ხელმოწერით დადასტურებული).

გარე მხარეებთან დადასტურების პროცედურების ჩატარება ხშირად სასარგებლოა მაშინაც, როდესაც შესამოწმებელი მტკიცება დაკავშირებულია ანგარიშების ნაშთებთან და მათ ელემენტებთან, მაგალითად, შემმოწმებელს უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრულებების (შეთანხმებების, კონტრაქტების) პირობების დადასტურება ან სამეურნეო სუბიექტსა და სხვა მხარეებს შორის შესრულებული ოპერაციების დადასტურება. გარეშე მხარეებთან დადასტურების პროცედურების ჩატარება ასევე შესაძლებელია აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად გარკვეული პირობების არსებობაზე. მაგალითად, დასტურის მოთხოვნა შეიძლება სპეციალურად ეხებოდეს იმის დადასტურებას, რომ არ არსებობს რაიმე „დამატებითი ხელშეკრულება", რომელიც დაკავშირებული იქნება სამეურნეო სუბიექტის ამონაგების დროში გამოჯვნის მტკიცებასთან.

ქვემოთ განხილულია სიტუაციები, როდესაც გარეშე მხარეებთან დადასტურების პროცედურები შეიძლება უზრუნველყოფდეს შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს არსებითი უზუსტობის შეფასებულ რისკებზე რეაგირებისათვის:

– ბანკის ნაშთები და ბანკთან ურთიერთობის ამსახველი სხვა შესაფერისი ინფორმაცია;

– დებიტორული დავალიანების ნაშთები;

– მარაგი, რომელიც ინახება მესამე მხარისგან ხელშეკრულებით აღებულ საწყობებში, პროცესის მიმდინარეობისას, ან კონსიგნაციით;

– ქონების გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებიც იმყოფება იურისტებთან ან საფინანსო მომსახურების ორგანიზაციებთან შესანახად ან უზრუნველყოფის სახით;

– ფასიანი ქაღალდები, რომლებიც შესანახად იმყოფება მესამე მხარესთან, ან შეძენილია აქციებით მოვაჭრე ბროკერებისგან, მაგრამ საანგარიშგებო თარიღისათვის ჯერ არ არის კომპანიისთვის მოწოდებული;

– სესხის გამცემთა დავალიანების თანხები, მათ შორის გადახდისა და სხვა შემზღუდავი პირობები;

– კრედიტორული დავალიანების ნაშთები და გადახდის პირობები.

იმის მიუხედავად, შემმოწმებელის მიერ შემოწმების რომელი მეთოდი იქნება გამოყენებული, იგი ვალდებულია ყურადღებით და სრულად გაიაროს შემდეგი მნიშვნელოვანი საბუღალტრო – იურიდიული საკითხები, კერძოდ:

– საწარმოს რეგისტრაციის გარშემო არსებული ყველა პირველადი დოკუმენტი;

– შვილობილი საწარმოების გარშემო არსებული პირველადი დოკუმენტები;

– წინა საგადასახადო შემოწმების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დროს გამოვლენილი დარღვევებისა და ნაკლოვანებების ანალიზი, მითითებებისა და რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა, დამატებით დარიცხული თანხების საწარმოს საბუღალტრო ჩანაწერებში აღრიცხვის სის-

წორის გადამოწმება და გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე ასახულ თანხებთან შედარება. სამეურნეო სუბიექტთან აუდიტორის ურთიერთობის ადრინდელმა გამოცდილებამ და წინა პერიოდების აუდიტის დროს ჩატარებულმა აუდიტორულმა პროცედურებმა აუდიტორს შეიძლება ინფორმაცია მიაწოდოს ისეთი საკითხების შესახებ, როგორიცაა: გასული პერიოდის უზუსტობები და მათი დროულად გასწორების საკითხი; სამეურნეო სუბიექტისა და მისი გარემოს ხასიათი, ასევე, მისი შიდა კონტროლი (მათ შორის, შიგა კონტროლის ნაკლოვანებები); წინა ფინანსური პერიოდის შემდეგ სამეურნეო სუბიექტში ან მის საქმიანობაში სავარაუდოდ მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც შეიძლება აუდიტორს დაეხმაროს სამეურნეო სუბიექტის შესახებ საკმარისი წარმოდგენის შექმნაში, არსებითი უზუსტობის რისკების დადგენისა და შეფასების თვალსაზრისით. იმ შემთხვევაში, თუ აუდიტორი აპირებს წინა პერიოდებში მოპოვებული ინფორმაციის გამოყენებას მიმდინარე აუდიტის მიზნებისთვის, იგი ვალდებულია განსაზღვროს, კვლავ შესაბამისია თუ არა ეს ინფორმაცია. ეს მოთხოვნა იმიტომ წარმოიშობა, რომ კონტროლის გარემოში მომხდარმა ცვლილებებმა შეიძლება გავლენა იქონიოს მიმდინარე აუდიტისთვის წინა პერიოდში მოპოვებული ინფორმაციის შესაბამისობაზე. იმის დასადგენად, მოხდა თუ არა ისეთი ცვლილებები, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიოს ასეთი ინფორმაციის შესაბამისობაზე, აუდიტორმა შეიძლება ჩაატაროს გამოკითხვები და სხვა აუდიტორული პროცედურები, მაგალითად, შესაბამისი სისტემების თავიდან ბოლომდე გაელის ტესტები;

– გადამხდელის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგები, რომელიც დადგენილია შიგა ან/და გარე აუდიტორის მიერ;

– დასაბეგრო ბრუნვების გადასახადების განაკვეთების და შეღავათების გამოყენების სისწორის გადამოწმება. გადასახადის განაკვეთის გამოყენების სისწორის განსაზღვრისათვის საჭიროა საგადასახადო ორგანოში წარდგენილ დეკლარაციებში გამოყენებული განაკვეთები შეუდარდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დაწესებულ განაკვეთებს.

თუ გადასახადის გადამხდელის ჩანაწერები დაკარგულია ან განადგურებული, ან არ არის ხელმისაწვდომი გადასახადის გადამხდელისგან დამოუკიდებელი გარემოებების გამო, აუდიტორმა შეიძლება გადასახადის გადამხდელს დართოს უფლება, წარმოადგინოს აღდგენილი ჩანაწერები. უნდა მოხდეს აღდგენილი ჩანაწერების განხილვა, რათა განისაზღვროს, იყო თუ არა თანხები საქმიანობისთვის დამახასიათებელი და აუცილებელი. თუ ვალდებულების განსაზღვრა აღდგენილი ჩანაწერების მიხედვით შეუძლებელია, აუდიტორმა შეიძლება დასარიცხი გადასახადი გამოიანგარიშოს ირიბი მეთოდების გამოყენებით.

იმ შემთხვევაში, თუ ჩანაწერები არასრულია, არ არსებობს, ან საეჭვოა, აუდიტორმა წერილობით უნდა დაასაბუთოს მის მიერ გატარებული ყველა მცდელობა გადასახადის გადამხდელის ჩანაწერების მოსაპოვებლად, თავის უშუალო უფროსს (ზედამხედველს) კი უნდა აცნობოს აღნიშნულის შესახებ, შეფერხებების მინიმუმამდე შემცირების მიზნით.

18.2.8 გადასახადის გადამხდელის სააღრიცხვო ჟურნალებისა და ჩანაწერების შედარება საგადასახადო დეკლარაციასთან

აუდიტორის მეხუთე მოქმედება: მეხუთე მოქმედება გულისხმობს გადასახადის გადამხდელის სააღრიცხვო ჟურნალებისა და ჩანაწერების შედარებას საგადასახადო დეკლარაციასთან. შედარების დროს ხდება იმ პროცესების გაკონტროლება, რომლებიც გადასახადის გადამხდელმა გამოიყენა დეკლარაციის მოსამზადებლად სააღრიცხვო ჟურნალებისა და ჩანაწერების მიხედვით.

შედარებისთვის გამოყენებულ ჩანაწერებში შედის:

– გადასახადის გადამხდელის ან/და ბუღალტრის მიერ მომზადებულ შეჯამებულ ინფორმაცია, შედარებები და ანგარიშების დაჯგუფების ამსახველ დოკუმენტები: ამ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი იქნება წიგნების ანგარიშების შედარება (დაჯგუფების გზით) საგადასახადო დეკლარაციის შესაბამის გრაფებთან;

– მოგება–ზარალის უწყისი: მოგება–ზარალის უწყისი წარმოადგენს ფინანსურ ანგარიშს, რომელიც ასახავს საწარმოს შემოსავლებს და ხარჯებს საანგარიშო პერიოდისთვის. ამ უწყისში შეჯამებულია წმინდა მოგება ან წმინდა ზარალი მოცემული პერიოდისთვის;

– შეჯამებული ანგარიშები, შემოწმებული და დამოწმებული ფინანსური ანგარიშგება;

– საცდელი ბალანსის უწყისები: საცდელ ბალანსში წარმოდგენილია მთავარი საბუღალტრო წიგნის ყველა ანგარიშის ჩამონათვალი და მათი ნაშთები. საცდელი ბალანსი შეიძლება მომზადდეს ნებისმიერ დროს;

– კორექტირებული საცდელი ბალანსი: კორექტირებული საცდელი ბალანსი ეწოდება საცდელ

ბალანსს, რომელიც მიიღება მას შემდეგ, რაც მოხდება წლის ბოლოს ყველა მაკორექტირებელი გატარების აღრიცხვა. კორექტირებული საცდელი ბალანსი გამოიყენება ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნით. ბალანსს, რომელიც მიიღება მას შემდეგ, რაც ხდება დამამთავრებელი გატარებების აღრიცხვა ეწოდება საცდელი ბალანსი ანგარიშების დახურვის შემდეგ. შემდეგ ხდება გადასახადის კორექტირების გამოანგარიშება, რის შემდეგაც მზადდება საგადასახადო დეკლარაცია;

– მაკორექტირებელი გატარებები ჟურნალში: როგორც წესი, გადასახადის გადამხდელს უწევს ზოგიერთი აღრიცხული გატარების კორექტირება, დაზუსტება ან ხელახლა კლასიფიკაცია ჟურნალში მაკორექტირებელი გატარებების განხორციელებით. ჟურნალში მაკორექტირებელი გატარების რჩევით ხშირად გამოდიან პირები, რომლებიც ახორციელებენ წლის ბოლოს აუდიტს ფინანსური ანგარიშგების მიზნით;

– საგადასახადო შედარების სამუშაო დოკუმენტაცია: საცდელი ბალანსი და მაკორექტირებელი (და გამაერთიანებელი, ასეთის არსებობის შემთხვევაში) გატარებები ჩვეულებრივ შედის დოკუმენტაციაში, რომელსაც გადასახადის გადამხდელი შეიძლება უწოდებდეს „საგადასახადო შედარების სამუშაო დოკუმენტაციას“ ან „შედარებასთან (დაჯგუფებასთან) დაკავშირებულ დოკუმენტაციას“. საგადასახადო შედარების დოკუმენტაციის მოთხოვნა ხდება შემოწმების დაწყებისას. ეს დოკუმენტაცია მოიცავს საბოლოო ბალანსს, რომელიც აკავშირებს საგადასახადო დეკლარაციას მთავარ საბუღალტრო წიგნთან, აგრეთვე სხვა ანალიზთან, რაც აუცილებელია დეკლარაციის შესავსებად.

გადასახადის გადამხდელის სააღრიცხვო ჟურნალებისა და ჩანაწერების საგადასახადო დეკლარაციასთან შედარების მიზნით უნდა მოხდეს აუდიტის შემდეგი მეთოდების გამოყენება:

– დეკლარაციაზე მითითებული მოგების ან ზარალის შედარება გადასახადის გადამხდელის სააღრიცხვო ჟურნალებთან;

– წინა და შემდგომი წლების მოგება–ზარალის უწყისების შედარება. მნიშვნელოვანი ცვლილებების გამოვლენა და საჭიროებისამებრ შემოწმების მასშტაბის/სიღრმის შეცვლა.

– კორექტირებული საცდელი ბალანსის, მათ შორის, მაკორექტირებელი გატარებების და განმარტებების შემოწმება;

– მიმდინარე წლის საცდელი ბალანსის შედარება წინა და მომდევნო წლის ბალანსთან. მნიშვნელოვანი ცვლილებების გამოვლენა უფრო დეტალური შემოწმების ჩატარების მიზნით;

– მაკორექტირებელი გატარებების განხილვა. მაკორექტირებელი გატარებების ანალიზი კორექტირების ან ხელახალი კლასიფიკაციის სათანადოობის გადამოწმების მიზნით. იმის დადასტურება, რომ გადასახადის გადამხდელის მიერ წარმოდგენილი განმარტებები აღწერს კორექტირებების ნამდვილ შედეგს.

აუდიტორმა, შემოწმების პროცესში გამოკვეთილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისათვის უნდა იხელმძღვანელოს შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით დამტკიცებული მითითებებით განსაზღვრული შეფასებებით და გასატარებელი ღონისძიებებით.

იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო აუდიტის პროცესში გამოკვეთილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისათვის და სათანადო გასატარებელი ღონისძიებებისათვის არ არის დამტკიცებული შესაბამისი სიტუაციური სახელმძღვანელო, საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრა საგადასახადო აუდიტორმა უნდა განახორციელოს სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე, რომელიც მიღებულია საგადასახადო ორგანოს მიერ.

18.2.9 საბანკო ჩანაწერების შედარება

აუდიტი გულისხმობს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო დეკლარაციის სიზუსტის შესაფასებლად მტკიცებულებების შეგროვებას. მტკიცებულება ბევრი ფორმით გვხვდება, მათ შორისაა წერილობითი ცნობა, ბუღალტრული ჩანაწერები, აუდიტორის საკუთარი დაკვირვების შედეგები და მესამე მხარის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები.

მტკიცებულების შესაგროვებლად შემოწმების სხვადასხვა მეთოდი გამოიყენება. შესაბამისი მეთოდის შერჩევისას გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები:

– მიიღება თუ არა მოცემული მეთოდით საჭირო მტკიცებულება?

– გაამართლებს თუ არა შერჩეული მეთოდით მიღებული სარგებელი გაწეულ ხარჯებს როგორც აუდიტორის ისე გადასახადის გადამხდელისთვის?

– არსებობს თუ არა ნაკლებად ძვირი ალტერნატივები, რომლებიც იმავე მტკიცებულებას მოგვცემს?

საბანკო ჩანაწერები მესამე მხარის წყარო დოკუმენტებია, რომლებიც გადასახადის გადამხ-

დელის ჩანაწერების დამატებას წარმოადგენს. ისინი საშუალებას იძლევა, იმ ოპერაციების კვალზე გავიდეთ, რომლებიც გადასახადის გადამხდელის სააღრიცხვო ჟურნალებსა და ჩანაწერებში არა არის გამჟღავნებული.

საბანკო ჩანაწერების შემოწმება აუცილებელია იმისთვის, რომ განისაზღვროს:

– სათანადოდ ხდება თუ არა საბანკო ანგარიშებით ოპერაციების ჩაწერა;

– ხომ არ მოხდა რაიმე დაბეგვრადი წყაროდან დეპონირებული თანხების დამალვა;

– წლის განმავლობაში ხომ არ განხორციელებულა რაიმე არასწორი გატარებები;

ბანკის ანგარიშების ანალიზის სიღრმე ყოველი შემოწმების გარემოებებზეა დამოკიდებული. ანალიზი უფრო მნიშვნელოვანია ისეთი შემოწმების დროს, როდესაც ჩანაწერები არაადექვატური, არარსებული ან სავარაუდოდ ფალსიფიცირებულია.

გადასახადის გადამხდელის მიერ მომზადებული წლიური ანგარიშების შედარებების გადასინჯვა და აუდიტის საჭირო მასშტაბის განსაზღვრა.

თუ ანგარიშები ბუღალტრულ ჩანაწერებს ედრება, ე.ი. ყველა ოპერაცია სავარაუდოდ სადღაც ჩანაწერებში დაფიქსირებულია, ოპერაციები უნდა შემოწმდეს იმის დასადგენად, თუ რამდენად სწორადაა ჩაწერილი ეს ოპერაციები.

თუ შედარება არ არსებობს ან თუ ბანკის ანგარიშები არ ედრება ბუღალტრულ ჩანაწერებს, აუდიტის დამატებითი პროცედურების ჩატარება იქნება საჭირო.

შედარებების განხილვა შემდეგ ნაბიჯებს მოიცავს:

– მთავარ საბუღალტრო წიგნში საბოლოო ნაშთის თავიდან ბოლომდე შემოწმება;

– გაუნაღდებელი საბანკო ჩეკების შემოწმება და მათი სტატუსის გამოძიება;

– გადაუხდელი დეპოზიტების განხილვა და იმის განსაზღვრა, ყველა მათგანი შესულია თუ არა შედარებაში;

– შედარებაში ჩაწერილი მთლიანი დეპოზიტებისა და გაცემების შედარება მთავარ საბუღალტრო წიგნში შესულ გატარებებთან.

უნდა გადაისინჯოს ბანკის ყოველთვიური უწყისები იმ მიზნით, რომ:

– განსაზღვრულ იქნეს დეპოზიტების სიხშირე და მათი ტიპიური ოდენობა;

– განსაზღვრულ იქნეს გამოწერილი ჩეკების საშუალო ოდენობა და მოცულობა;

– დადგენილ იქნეს ანგარიშებს შორის კავშირი.

– შედარებულ იქნეს მთლიანი დეპოზიტები გადასახადის გადამხდელის მთლიან შემოსავალთან ისეთი არადაბეგვრადი დეპოზიტური წყაროების გათვალისწინებით როგორიცაა სესხები, გასანაღდებელი ჩეკები, ანგარიშებს შორის გადარიცხვები, საჩუქრები და მემკვიდრეობა, დაზღვევიდან ამონაგები;

– ყურადღება გამახვილდეს მთავარ საბუღალტრო წიგნში დიდ, არაორდინალურ, საეჭვო პუნქტებს, მათი წყაროსა და საურნალო გატარებების განსაზღვრის მიზნით.

– მოხდეს გასაუბრება შესაბამის პირთან დიდი, არაორდინალური, საეჭვო პუნქტების მიმართ ახსნა განმარტების და შემდგომი გასატარებელი ქმედებების განსაზღვრის მიზნით.

18.2.10 საბანკო დეპოზიტების ანალიზი

საბანკო დეპოზიტის ანალიზის მიზანია დეპოზიტის წყაროების დადგენა. ანალიზი მოითხოვს დიდ დროს და ხშირ შემთხვევაში მიზანთან შეუსაბამოა, როგორც მაგალითად დიდი კომპანიების შემთხვევაში, რომლებიც ორმაგი გატარებების სააღრიცხვო სისტემას იყენებენ. ასე რომ, აუდიტორმა თავად უნდა განსაზღვროს ანალიზის სიღრმე და მასშტაბი.

შემოსავლის ანგარიშგების შესამოწმებლად საჭიროა შემოსავლის შესაბამისი მუხლების შემოწმება პირველწყაროდან დაწყებული მთავარი საბუღალტრო წიგნით დამთავრებული. ამ გზით შემოწმდება სათანადოდ არის თუ არა შემოსავლის ყველა ოპერაცია ანგარიშში ასახული და გამოწნდება არასწორად ასახული ან აუსახავი პუნქტები. ორი ან სამი თვის ოპერაციების შემოწმება საკმარისი იქნება.

დიდი, არაორდინალური, საეჭვო დეპოზიტების შემოწმება განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს, ხოლო, თუ რა არის საეჭვო დეპოზიტი, განისაზღვრება პირველადი გასაუბრების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

საეჭვო დეპოზიტების რამდენიმე მაგალითია:

– დეპოზიტი, რომელიც ჩვეულებრივი დეპოზიტის ოდენობას მნიშვნელოვნად აღემატება;

– დამრგვალებული თანხები, როცა დეპოზიტის უმეტესობა არაა ლუწი (დამრგვალებული).

– დეპოზიტი ნაღდი ფულით ისეთი ბიზნესის მიერ, რომელიც, როგორც წესი, ნაღდ ფულზე არ მუშაობს.

– რეგულარული, ყოველთვიური დეპოზიტები ამოუცნობი წყაროებიდან (წყაროები შეიძლება იყოს ანგარიშში აუსახავი გაქირავება, შემოსავალი განვადებით გაყიდვებიდან, სესხზე შენატანები, შესაბამისი საპროცენტო შემოსავლის ასახვის გარეშე და სხვა);

– დეპოზიტების რეგულარული მოდელიდან რაიმე სხვა გადახვევები;

18.2.11 საბანკო დეპოზიტების შედარება მთლიან შემოსავლებთან

მცირე და საშუალო ზომის გადასახადის გადამხდელთათვის, რომლებიც მთლიანი შემოსავლების დიდ ნაწილს ბანკის ანგარიშზე დებენ, აუდიტის ყველაზე შესაფერისი პროცედურაა ბანკის დეპოზიტების შედარება იმ მთლიან შემოსავლებთან, რომლებიც ასახულია საგადასახადო დეკლარაციაში.

შემოსავლის არადაბეგვრად წყაროებს აღნიშნული გამოთვლისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ თავდაპირველად მათი გამოვლენა უნდა მოხდეს.

თუ დეპოზიტების ანალიზი დეპოზიტებსა და მთლიან შემოსავლებს შორის რაიმე არსებით შეუსაბამობას არ აჩვენებს, მაშინ შემოსავლების შემოწმებისთვის შეიძლება მხოლოდ საშემოსავლო ოპერაციების შემოწმება იყოს საკმარისი.

თუ დეპოზიტების ანალიზი დეპოზიტებსა და მთლიან შემოსავლებს შორის შეუსაბამობას აჩვენებს, აუდიტის ღონისძიებების შედეგად ამ შეუსაბამობის მიზეზი დადგინდება.

დეპოზიტების მთლიან შემოსავლებთან შედარების შესაძლო ფორმატის მაგალითი:

დეპოზიტები:	
ბანკი 1	20,000
ბანკი 2	10,000
ბანკი 3	1,500
მთლიანი დეპოზიტები:	31,500
წლის ბოლოს გადაუხდელი დეპოზიტები – დამატება:	2,000
გამოაკლდება წლის დასაწყისში გადაუხდელი დეპოზიტები	(1,000)
ნაშთი	32,500
გამოაკლდება: არადაბეგვრადი დეპოზიტები:	
პარტნიორის შემონატანი	(500)
სესხები	(10,000)
სხვა	0
წმინდა დაბეგვრადი შემოსავალი	22,000
დებიტორული დავალიანების ნაშთი წლის ბოლოს*– დამატება:	5,000
დებიტორული დავალიანების ნაშთი წლის დასაწყ.*– გამოკლება:	(3,000)
დასაბეგრი შემოსავლები აუდიტის მიხედვით	24,000
მთლიანი შემოსავლები დეკლარაციის მიხედვით	18,000
არასაკმარისად ასახვა (ზედმეტის ასახვა)	6,000

*ეხება მხოლოდ დარიცხვის მეთოდით მომუშავე გადასახადის გადამხდელებს

18.2.12 საბანკო ჩეკის ანალიზი

საბანკო ჩეკების ანალიზი ტარდება, როგორც:

– დეკლარაციაში აღნიშნული ხარჯებისა და დაქვითვების გადამოწმების საშუალება;

– მთლიანი გაცემების, მათ შორის არადაქვითვადი დანახარჯების განსაზღვრისთვის საჭირო ინფორმაციის წყარო;

დეტალური ანალიზი დროს მოითხოვს და მხოლოდ მაშინაა საჭირო, როცა ადგილი აქვს არაადეკვატურ ჩანაწერებს ან როცა არის აღურიცხავი შემოსავლის არსებობის შესაძლებლობა.

თუ საჭიროა ჩეკებიდან გაცემების შემოწმება, ამისთვის საკასო გაცემების ჟურნალი უნდა გადამოწმდეს, მოხდეს საეჭვო მუხლების ამოცნობა და შესაბამისი ქმედებების განხორციელება.

საჭიროა ჩეკების გაანალიზება, რათა გამოვლინდეს:

– შესაძლო გაუმჟღავნებელი შემოსავალი;

– შესაძლო ინვესტიციები;

– შესაძლო დანახარჯები;
– გადაცემის წარწერები ჩეკებზე;
თუ ჩანაწერები არაადეკვატურია, ან არსებობს აუსახავი შემოსავლის არსებობის შესაძლებლობა, გამოიყენება შემოსავლის დადგენის არაპირდაპირი მეთოდი.

18.2.13 საბალანსო უწყისის ანალიზი

სამეურნეო სუბიექტის საგადასახადო დეკლარაციების წინასწარი ანალიზი საბალანსო უწყისს უნდა ითვალისწინებდეს. საბალანსო უწყისის ანალიზი გადასახადის გადამხდელის ფინანსური მდგომარეობის შეფასებისა და მოგება-ზარალის ანგარიშში შესატანი კორექტირებების განსაზღვრისთვის სასარგებლო მეთოდია.

საბალანსო უწყისი, ანუ ფინანსური მდგომარეობის ანგარიში, ასახავს სამეურნეო სუბიექტის ფინანსურ მდგომარეობას მოცემული თარიღისთვის. საბალანსო უწყისი შემდეგი ელემენტებისგან შედგება:

- **აქტივები:** სამეურნეო სუბიექტის მფლობელობაში არსებული ფინანსური რესურსები, სამეურნეო სუბიეტის მომავალი სარგებელი, მიღებული წინა ოპერაციების ან მოვლენების შედეგად.
- **ვალდებულებები:** სამეურნეო სუბიექტის ვალები, ეკონომიკური სარგებლის დათმობა, სხვა სამეურნეო სუბიექტებისთვის აქტივების გადაცემის ან მომსახურების გაწევის ვალდებულება.
- **კაპიტალი:** დაწესებულების აქტივების დარჩენილი სარგებელი, ვალდებულებების გამოკლების შემდეგ. კაპიტალი მფლობელის სარგებელს წარმოადგენს.

საბალანსო უწყისი შემდეგი ტოლობის დეტალური გამოხატულებაა:
აქტივები = ვალდებულებებს+კაპიტალი

ბალანსის ანალიზისას პირველი ნაბიჯია იმის განსაზღვრა, თუ რას ეფუძნება გადასახადის გადამხდელის ბალანსი – გადასახადებს თუ საბუღალტრო ჩანაწერებს.

თუ ბალანსი საგადასახადოა, ანგარიშის ნაშთები იანგარიშება შემოსავლის და ხარჯების სხვადასხვა მუხლების დაბეგვრის რეჟიმის მიხედვით, თუ საბუღალტრო – პირიქით.

ბალანსის ანალიზის მეორე ნაბიჯია ანგარიშების გამოვლენა სიღრმისეული ანალიზისთვის. ანალიზი მოიცავს ბუღალტრული ჩანაწერების განხილვას და შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებას:
– არაორდინალური სახელწოდების მქონე ანგარიშები;
– ანგარიშებში უჩვეულო გატარებები;
– ანგარიშები, სადაც გატარებები ხშირად კორექტირდება;
– ანგარიშები, სადაც ერთ თვეში სხვა თვეებთან შედარებით დიდი თანხების გატარებებია.

ბალანსის ანალიზის მესამე ნაბიჯია მეორე ნაბიჯის დროს შერჩეული საბალანსო ანგარიშების სიღრმისეული ანალიზი. ამ დროს:
– მოწმდება, ბუღალტრული წლის ბოლოს ბალანსი ედრება თუ არა ბანკის ამონაწერში წლის ბოლოს მითითებულ ბალანსს. მოწმდება ოპერაციები და შესადარებელი მფლობელობის პუნქტები;
– მოწმდება საკასო გაცემების ჟურნალი შესაბამისი პერიოდისთვის. შემოწმების დროს ჩაინიშნება ჩეკების დაკარგული ნომრები, გასანაღდებლად გამონერილი ჩეკები, წარმომდგენზე და ა.შ. დიდი ან არაორდინალური პუნქტები. ჟურნალის გატარებებთან შედარების შედეგად განისაზღვრება მათი მართებულობა;
– საკასო მეთოდით მომუშავე გადამხდელის შემთხვევაში, დგინდება, ხომ არ გამოწერილა და გატარებულა ჩეკები, რომლებიც გაიცა შესამოწმებელი წლის დახურვის შემდეგ;
– მოწმდება მოლარის ჩეკისთვის გაცემული ჩეკები, ნაღდი ფულის სანაცვლოდ გადასახდელი ჩეკები და ა.შ. სადაც თანხის მიმღები და თანხის ბუნება ნათლად არა არის ნაჩვენები;
აუდიტორი იღებს ერთი ან ერთზე მეტი თვის ბანკის ამონაწერებს და გაუქმებულ ჩეკებს თითოეული ანგარიშისთვის, მათ შორის შესამოწმებელი პერიოდის ბოლო თვისთვის და:
– ადარებს ამონაწერში მითითებულ დეპოზიტებს ბუღალტრულ გატარებებს საკასო წიგნში;
– თუ გადამხდელი საკასო მეთოდით მუშაობს, წლის ბოლოს ოვერდრაფტები მოწმდება. ამ დროს ვლინდება ხარჯები, რომლებიც არაა ნებადართული, რადგან გადასახდელი თანხები არ არსებობდა;
– ადგენს, გაუმართლებლად ხომ არ გაწელილა ჩეკების განაღდება. ამ დროს გამოვლინდება შეცდომით ან ორმაგი გაცემები. ძველი დაუფარავი ჩეკები შეიძლება შემოსავლებში აღდგეს;

– ადგენს, სწორად მოხდა თუ არა გაუქმებული ჩეკების აღრიცხვა;

– გარკვეული პერიოდისთვის ამოწმებს გადაცემის წარნერების ნიმუშებს, რათა ნახოს, იგივეა თუ არა რაც გადასახადის მიმღებისა, ნამდვილად მფლობელის წარწერაა თუ არა, ან ხომ არ არის საეჭვო ნარნერა.

ამასთან აუდიტორი ახორციელებს შემდეგ მოქმედებებს:

– ამოწმებს საკასო შემოსავლების ჟურნალს, სადაც ნახულობს ბიზნესის ჩვეულებრივ გაყიდვებთან, მაგალითად, როგორიცაა აქტივების გაყიდვა, წინასწარ გადახდილი შემოსავალი, უფლების მოთხოვნით მიღებული შემოსავალი და ა.შ, დაუკავშირებელ მუხლებს;

– იკვლევს მთავარი საბუღალტრო წიგნის საკასო ანგარიშის გატარებებს. მოიძიებს უჩვეულო პუნქტებს, რომლებიც არ გამომდინარეობს ნაღდი ფულის შემოსავლებიდან ან გაცემების ჟურნალებიდან. ამ გატარებებით შეიძლება გამოვლინდეს თანხის არაავტორიზებული გამოტანა ან დანახარჯები, ძირითადი აქტივების გაყიდვა, გამოტოვებული გაყიდვა, გაუმჟღავნებელი ანგარიშები და ა.შ;

– ნაღდი ფულით გაყიდვებს ადარებს საკასო შემოსავლების ჟურნალს და ადგენს, სწორად მოხდა თუ არა მათი ბუღალტრულად აღრიცხვა. ასევე ამოწმებს შესამოწმებელი პერიოდის დასაწყისსა და ბოლოში გაკეთებულ გაყიდვებს ნაღდი ფულით და ადგენს, პერიოდის ბოლოს გაყიდვები აღირიცხა თუ არა შესაბამისი სააღრიცხვო პერიოდისთვის;

– აკონტროლებს წვრილი ფულის გაცემებს და ადგენს, ამ გაცემებიდან რომელიმე ხომ არ არის დაუშვებელი;

– დეტალურად ამოწმებს ნაღდი ფულის სიჭარბეს და დანაკლისს და ყურადღებას აქცევს ამ ანგარიშსწორების დარღვევებს;

– შეისწავლის არსებული ფულადი სახსრების ანგარიშს და დაადგენს არსებობს თუ არა საკრედიტო ნაშთები შესამოწმებელი პერიოდის ბოლოს. ამან შეიძლება გამოავლინოს აღურიცხავი შემოსავლები;

– ამოწმებს მთავარ საბუღალტრო წიგნში საკონტროლო ანგარიშების გატარებებს. ეძებს არაორდინალურ პუნქტებს, განსაკუთრებით ისეთს, რომლებიც არ გამომდინარეობს გაყიდვებიდან ან საკასო შემოსავლების ჟურნალებიდან;

– მიიღებს კრედიტორული და დებიტორული დავალიანების დეტალურ გრაფიკს, რომლის ბოლოში ნაჩვენებია კლიენტის სახელი, გადაუხდელი ანგარიშ–ფაქტურები და ნაშთი. ადგენს, დოკუმენტაცია ედრება თუ არა საბოლოო ნაშთს ჩანაწერების მიხედვით. იკვლევს აღმოჩენილ განსხვავებებს;

– განიხილავს საკრედიტო ნაშთებზე დავალიანების დეტალურ გრაფიკს. ამის შედეგად შეიძლება გამოვლინდეს დეპოზიტები, ავანსები ან ზედმეტი გადახდები, რომელიც შეიძლება ყოფილიყო დამატებითი შემოსავალი ან აღურიცხავი გაყიდვები;

– განიხილავს ურთიერთდამოკიდებული მხარის სესხების დეტალურ გრაფიკს. დარიცხვის მეთოდით მომუშავე გადამხდელების შემთხვევაში, ამოწმებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 141.3 მუხლით საპროცენტო შემოსავალი სწორადაა თუ არა დარიცხული;

– ამოწმებს შერჩეულ საკრედიტო გაყიდვებს ორიგინალი ანგარიშ–ფაქტურებიდან და გატარებებიდან დანყებული – გაყიდვებისა და დებიტორული დავალიანების ჟურნალებში გატარებებით დამთავრებული;

– ადგენს დებიტორული და კრედიტორული დავალიანების პროცენტით დაგროვილი შემოსავალი შეტანილია თუ არა შემოსავალში;

– როდესაც გადასახადის გადამხდელი დარიცხვის მეთოდის თანახმად საწყის დავალიანებას გამოაკლებს და საბოლოო დავალიანებას დაუმატებს აღებულ ნაღდ ფულს, აუდიტორი პერიოდის დასაწყისში არსებულ დავალიანების სიას ამოწმებს და ადარებს ნაღდი ფულის შემოსავლების ჟურნალს. ამ დროს გამოვლინდება სახსრების გადადინება (გადაქაჩვა) და ა.შ, შესაბამისად, აუდიტორი ადგენს, საწყისი დავალიანება, რომლებიც გამოთვლისას იქნა გამოყენებული, იგივეა თუ არა რაც წინა წლის ბოლო დავალიანება;

– აუდიტორი მოიპოვებს მარაგების წლიურ ჩამონათვალს და შეისწავლის მას შემდეგი მიზნით:

- ტესტირების საფუძველზე გადამოწმდეს, რომ ყველა რაოდენობა და ხარჯი ზუსტადაა გაწერილი;
- ამ ჩამონათვალის მიხედვით მოხდეს მთლიანი მარაგების შედარება იმ თანხებთან, რომლებიც საბუღალტრო ჟურნალებშია ასახული და მოხდეს განსხვავებების გამოკვლევა;
- ხელთ არსებული 0 ლარის ღირებულების მქონე პუნქტების განხილვა;
- ტესტირების საფუძველზე მარაგების ჩამონათვალში აღნიშნული ხარჯების შედარება შესყ-

იდვის ფაქტურაში მითითებულ ღირებულებასთან, სამუშაოს ხარჯების ანგარიშებთან და ა.შ.

– განიხილავს გადასახადის გადამხდელის მარაგების შეფასების მეთოდს და ადგენს თუ რამდენად შეესაბამება იგი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 145–ე მუხლის მოთხოვნებს (ინდივიდუალური აღრიცხვის მეთოდი, საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი, რიგითობის (FIFO) ინვენტარიზაციის მეთოდი);

– მთავარი საბუღალტრო წინგნში ნახულობს ინვენტარის ჩამოწერებს, მოძველების რეზერვებს და სხვა კლებას, ამოწმებს მართებულობას;

– ამოწმებს მთლიანი მოგების ცვლილებებს და იკვლევს მნიშვნელოვანი განსხვავებების მიზეზებს;

– ამოწმებს, რომ წლის ბოლოს შესყიდვები შეტანილ იქნა საბოლოო მარაგებში;

– ამოწმებს, რომ საბოლოო მარაგებზე პირდაპირი ხარჯები იქნა გაწეული (მაგ. ადგილზე მიტანის ხარჯები, მოსაკრებლები, შესაფუთი მასალა და ა.შ.);

– ამოწმებს, რომ საწყისი მარაგი იგივეა, რაც წინა წლის საბოლოო მარაგი;

– ამოწმებს, რომ საბოლოო მარაგი იგივეა, თუ არა რაც მომდევნო წლის საწყისი მარაგი.

საინვენტარიზაციო მარაგების შეფასების სისტემები

საქართველოში მიღებულია მარაგების შეფასების შემდეგი სისტემები. ისინი გამოიყენება როგორც პერიოდული, ასევე მუდმივი მარაგების სისტემის მიმართ.

- ინდივიდუალური აღრიცხვის მეთოდი: მარაგების პუნქტები ინდივიდუალურად აღირიცხება და მოწმდება ყველა ეტაპზე, მათ გაყიდვამდე.
- რიგითობის (FIFO) მეთოდი: ის საქონელი, რომელიც პერიოდის განმავლობაში პირველად უნდა გაიყიდოს, მარაგებში საანგარიშო პერიოდის დასაწყისში ნაწილდება, და შემდეგ კი ის საქონელი, რომელიც იწარმოება ან შეიძინება საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, წარმოების (შესყიდვის) დროის მიხედვით. ხარჯების ამგვარი ნაკადის პირობებში მოგება როგორც წესი უფრო მაღალია, რადგან ადრინდელი ხარჯების გამოყენებით განისაზღვრება გაყიდული საქონლის ღირებულება.
- საშუალო ღირებულებით შეფასების მეთოდი: მარაგების ყველა მუხლის საშუალო ღირებულება გამოითვლება ყოველი შესყიდვისას. ამ ხარჯის მიხედვით განისაზღვრება გაყიდული საქონლის და მარაგების ღირებულება. უპირატესობა ისაა, რომ მარაგების ცალკეული პუნქტების თავიდან ბოლომდე შემოწმება არაა საჭირო.

ამ სამ მეთოდს შორის განსხვავების საილუსტრაციოდ, გადავხედოთ შემდეგ ციფრებს:

დილერის მიერ მანქანების შესყიდვა:

იანვარი: 10 მანქანა, თითო – 50,000 ლარი

მარტი: 10 მანქანა, თითო – 60,000 ლარი

ივლისი: 10 მანქანა, თითო –70,000 ლარი

გაყიდვები:

აგვისტო: გაყიდულია 10 მანქანა

სექტემბერი: გაყიდულია 5 მანქანა

რამდენია მარაგის ღირებულება სექტემბრის ბოლოს?

FIFO წესის თანახმად, სექტემბრის ბოლოს მარაგის ღირებულებაა: 5 x 60=300+10 x 70=700 ჯამში 1,000 ლარი

საშუალო ღირებულების მეთოდით: 500+600+700=1800/30=60 x 15 = 900

საცალო მეთოდი (პერიოდული ინვენტარიზაციის სისტემა)

საცალო მეთოდი გასამუალოების მეთოდია და ტრადიციულად უფრო მოსახერხებელია ვაჭრობისთვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მოცულობა იზრდება. მუდმივი ინვენტარიზაციის შენარჩუნების შემთხვევაში, საცალო მოვაჭრეს შეუძლია მოგების (გარდა ბუნებრივი დანაკარგისა) განსაზღვრა ხშირი ფიზიკური ინვენტარიზაციის გარეშე. საცალო მეთოდით, გასაყიდი საქონელი საცალო ფასებში აღირიცხება, საგადასახადო წლის გაყიდვები კი აკლდება მთლიან თანხას, რითაც განისაზღვრება საბოლოო მარაგი საცალო ფასებში. საცალო ფასებში შეფასებული საბოლოო მარაგი შემდეგ მცირდება, რითაც გამოითვლება საშუალო ღირებულება: საცალო ფასებში მოცემული მარაგი მრავლდება ფასნამატის პროცენტზე, რომელიც საგადასახადო წლისთვისაა გამოანგარიშებული.

საჭირო გამოთვლების საწარმოებლად საალრიცხვო ჩანაწერებში შემდეგი ინფორმაცია უნდა შეგროვდეს:

- საწყისი მარაგი, რომელიც შეფასებულია ღირებულებისა და საცალო თანხებით;
- წმინდა შესყიდვები, შეფასებული ღირებულების და საცალო თანხებით; და
- საგადასახადო წლის წმინდა გაყიდვები.

მუდმივი ინვენტარიზაციის ჩანაწერი

ასეთ ჩანაწერს ძირითადად საცალო მოვაჭრეები იყენებენ. იგი შედგება შესყიდვების ჟურნალის, გადასახდელი ხარჯების სისტემის, ფასების ცვლილებების ჩანაწერების ან გაყიდვების ჟურნალის შემაჯამებელი მონაცემებისგან. იგი ასევე შეიცავს პირველადი გატარებების მონაცემებს, რომელიც ეხება ფაქტიური ფიზიკური ინვენტარიზაციის მიხედვით ბუღალტრულად აღრიცხული ინვენტარიზაციის კორექტირებას. საცალო მოვაჭრეები იყენებენ ავტომატურ საცალო სისტემას მაღაზიების სალარო აპარატები დაკავშირებულია კომპიუტერული დამუშავების სისტემებთან. საქონელს ენიჭება ქვითარი, რომელზეც დატანილია ფერადი შტრიხ-კოდი, რომელსაც სპეციალური აპარატურა გასცლისას კითხულობს. კომპიუტერი აგროვებს გაყიდვის ოპერაციის ინფორმაციას მაგნიტურ ფირზე, რაც ყოველდღიურად კომპიუტერის მეხსიერების ბანკში ან შენახვის სისტემაში იდება. იგი ტარდება გაყიდვების ჟურნალში, რაც ჯამდება მარაგების აღრიცხვის საბუღალტრო წინგში.

კომპანიებს, რომლებიც მუდმივი ინვენტარიზაციის სისტემას იყენებენ, ევალებათ ფიზიკური ინვენტარიზაციაც განახორციელონ, რითაც შემოწმდება ბუღალტრულად აღრიცხული ინვენტარის სიზუსტე.

შესაძლო შეუსაბამობებები:

შეფასების მეთოდი არა არის ნეიტრალური და უნდა მოხდეს მისი თანმიმდევრულად გამოყენება. მეთოდის შეცვლისას საჭიროა საწყისი მარაგის ხელახლა გამოანგარიშება ახალი მეთოდით, რათა ორ მარაგს შორის გონივრული შედარების საშუალება არსებობდეს.

დაბეგვრადი შემოსავლის დადგენისას საქონლის და მატერიალური მარაგების ღირებულება პერიოდის დასაწყისში აკლდება მთლიან შემოსავალს, ხოლო საქონლისა და მატერიალური მარაგების ღირებულება პერიოდის ბოლოს ემატება მთლიან შემოსავალს.

საგადასახადო ვალდებულებების შემცირების მიზნით, გადამხდელი შეიძლება შეეცადოს საბოლოო მარაგის ღირებულება შეამციროს, როცა დასაბეგრი მოგება მნიშვნელოვანია მის შესამცირებლად, ხოლო როცა დასაბეგრი მოგება არ არსებობს, პირიქით ცდილობენ გაზარდონ საბოლოო მარაგების ღირებულება. ამგვარი ქმედებების აღმოჩენა ძნელია მწარმოებლების ან საცალო მოვაჭრეების შემთხვევაში, რომლებიც ასობით და ათასობით პროდუქციას ყიდიან (სუპერმარკეტები, აფთიაქები), ან აქროლადი პროდუქციის შემთხვევაში (ბენზინი), ან მეორადი პროდუქციის შემთხვევაში (მაგალითად, მარაგების შეფასება ძალიან რთული საკითხია მეორადი მანქანების ვაჭრობის შემთხვევაში).

გადასახადის გადამხდელი ვალდებულია სასაქონლო-მატერიალური მარაგებში შეიტანოს მის მფლობელობაში არსებული გადამუშავებული ან ნაწილობრივ გადამუშავებული საქონელი, მათი ადგილმდებარეობის მიუხედავად, კერძოდ, ნედლეული ან ის მასალა, რომელიც შესყიდულია საბოლოოდ გაყიდვისთვის ან საქონლის წარმოებისთვის, სამუშაოს შესრულებისთვის ან სამუშაოს გაწევისთვის. "საქონელი გზაში" შეტანილი უნდა იქნას იურიდიული სტატუსის მქონე კომპანიის მარაგებში, მაგრამ არა კონსიგნაციით მიღებული საქონელი.

მარაგების ბრუნვა (შედარება მინუმემ სამი წლის მარაგებზე უნდა მოხდეს)

გაყიდული საქონლის ღირებულება /[(საწყისი მარაგი+საბოლოო მარაგი) / 2]= ინვენტარის მარაგის ბრუნვა

მიღებული კოეფიციენტი განსაზღვრავს თუ რამდენჯერ „გადაბრუნდა" ანუ გაიყიდა სასაქონლო-მატერიალური მარაგები წლის განმავლობაში. ეს ბიზნესის მომგებიანობის მაჩვენებელია. როცა ბრუნვა მცირდება, გაყიდვები და წმინდა მოგებაც მცირდება. და პირიქით, როცა ბრუნვა იზრდება, გაყიდვა და მოგებაც იზრდება. ეს იმიტომ, რომ ყველა საცალო მოვაჭრის მიზანს შეადგენს, მარაგების მომგებიანად გაყიდვა და შემდეგ მეტის ყიდვა.

მარაგების ბრუნვა დარგის სტანდარტების შესაბამისი უნდა იყოს. თუ ბრუნვა დაბალია, უნდა გაჩნდეს კითხვები. უნდა მოხდეს ბრუნვის შედარება მთლიან მოგებასთან. ეს ორი კოეფიციენტი პარალელური

უნდა იყოს: გაზრდილი მთლიანი მოგება მარაგების ბრუნვის ზრდის პარალელური იქნება. თუ წინა წლის მთლიანი მოგება შემცირდა, მაგრამ ბრუნვა გაიზარდა, ე.ი. გაყიდული საქონლის ღირებულება ზედმეტად იყო აღრიცხული და/ან მარაგების თანხები არაა სწორი. ამასთან დაკავშირებით უნდა დაისვას კითხვები და აღინიშნოს სამუშაო დოკუმენტებში.

მფლობელის მიერ პოხარებული საქონელი

ვინაიდან ბიზნესის მფლობელებს კონტროლის ბერკეტები აქვთ, აუცილებელია აუდიტორი მათ გაესაუბროს და ჰკითხოს, თუ როგორ იხდიან ისინი იმ საქონლის ღირებულებას, რომელსაც პირადად მოიხმარენ. მფლობელი „ყიდულობს" მარაგს საკუთარი მაღაზიიდან, რადგან მას აქვს შესაძლებლობა სასურველი საქონელი მოიხმაროს საცალოზე ნაკლებ ფასად.

ცდომილებები მარაგებში

ინვენტარიზაციის დროს შეიძლება ადგილი ჰქონდეს ცდომილებებს. ისინი ზეგავლენას ახდენს როგორც მოგებაზე ისე ბალანსზე. საბოლოო მარაგის აღრიცხვაში მომხდარი შეცდომა იმოქმედებს გაყიდული საქონლის ღირებულების გაანგარიშებაზე და ორი პერიოდის წმინდა მოგებაზე.

რა ოდენობის მარაგი უნდა ჰქონდეს კომპანიას?

გაყიდვების საჭიროების დასაკმაყოფილებლად საკმარისი ოდენობისა. მარაგების ზედმეტობა იწვევს:

- შენახვის ხარჯებს
- საპროცენტო ხარჯებს
- მობსელებას

კარგად აღრიცხული მარაგები ბიზნესს საშუალებას აძლევს თავიდან აიცილოს წვრილმანი ქურდობა, მარაგები მინიმალური ოდენობით იქონიოს და ყიდვის ტენდენციებს ადევნოს თვალყური. მარაგების სიჭარბის შემთხვევაში უნდა წარმოიშვას კითხვები.

– აუდიტორი მიიღებს არსებული ინვესტიციების შესახებ ინფორმაციას წლის დასაწყისისა და ბოლოსთვის. წლის განმავლობაში მიღებული ინვესტიციების შემთხვევაში, აუდიტორი ამოწმებს, რომ ღირებულება (საკომისიოებისა და გაყიდვების მოსაკრებლის ჩათვლით) სწორადაა აღრიცხული მთავარ საბუღალტრო ნინგში.

– ამოწმებს სადებეტო გატარებებს. მხედველობაში იღებს:

- არადაბეგვრად ფასიან ქაღალდებს, რომლებიც ნასესხები სახსრებითაა შეძენილი.
- სხვა შესყიდვებს (ოპერაციები ურთიერთდამოკიდებულ გადასახადის გადამხდელებთან, არაფულადი შესყიდვები, უცხოური კორპორაციის შექმნა, ორგანიზაცია ან რეორგანიზაცია და ა.შ.)

– აანალიზებს გაყიდვებს და სხვა საკრედიტო გატარებებს, რომლებიც კავშირშია შემდეგთან:

- მოგება ან ზარალი (ბაზა, ფიქტიური შესყიდვა, გასაყიდ ფასში შეტანილი პროცენტი და ა.შ.)
- სხვა გაცვლები, ფასდაკლებები, ჩამოწერები, ოპერაციები ურთიერთდამოკიდებულ გადამხდელებთან ან კონტროლირებულ უცხოურ სამეურნეო სუბიექტებთან და ა.შ.

– გადასახადის გადამხდელის ხელთ არსებული ჩანაწერების საფუძველზე აანალიზებს ინვესტიციების ბუნებას. ამოწმებს, რამდენად სწორადაა აღრიცხული შესაბამისი შემოსავალი – როგორიცაა დივიდენდები და პროცენტი.

– დარიცხვის მეთოდით მომუშავე გადასახადის გადამხდელების შემთხვევაში აუდიტორი ამოწმებს, რომ დარიცხული საპროცენტო შემოსავლის სიდიდე ბაზარზე არსებული პროცენტების ტოლია.

– ადგენს, რომ აქციონერზე ავანსად გაცემული თანხები ნამდვილად სესხებია თუ მოგების განაწილება, რომლებიც იბეგრება, როგორც დივიდენდები. ამის დადგენა მხარეთა ქმედებებსა და განზრახვაზეა დამოკიდებული და არც ერთ ტესტსა და ფორმულას არ შეუძლია ზუსტი პასუხის გაცემა. ამ დროს შემდეგი ფაქტორებია გასათვალისწინებელი:

- გამოტანილი თანხები აღირიცხება თუ არა როგორც საკრედიტო დავალიანება.
- გამოტანილი თანხები იყო თუ არა უზრუნველყოფილი (საპროცენტო საკრედიტო დავალიანება და/ან სხვა გირაო).
- აქციონერიც და კორპორაციაც გამოტანილ თანხას დავალიანებად აღიარებს თუ არა.
- აქციონერი იხდის პროცენტს თუ კორპორაცია არიცხავს.

- ჰქონდა თუ არა კორპორაციას საკმარისი მოგება მოხსნების დასაფარად იმ დროს, როცა თანხების გამოტანა განხორციელდა.
- თანხის გამოტანის დროს ჰქონდა თუ არა აქციონერს შესაძლებლობა და განზრახვა დაფარვა პროცენტით განეხორციელებინა.
- თამასუქის განაღდების ვადის არსებობა/არარსებობა.
- კორპორაციას, მომგებიანობის მიუხედავად,არ აქვს დივიდენდები განაწილებული.

– აუდიტორი განსაზღვრავს ზემოაღნიშნული (პუნქტებად მოცემული) აქტივები, რომლებიც ამორტიზაციის გრაფიკშია ნაჩვენები და რომლებიც წინა წელსაა შესყიდული, იგივეა თუ არა რაც უშუალოდ წინა პერიოდის საგადასახადო დეკლარაციაში მითითებული. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იმას ნიშნავს, რომ ამორტიზაცია ისეთ აქტივზე უნდა დაირიცხოს, რომელიც უკვე მიკუთვნებული იყო ხარჯებს ან რომელიც უკვე მთლიანად ამორტიზებულია.

– აუდიტორი ამოწმებს აქტივების შესყიდვებს, რომლებიც შესამოწმებელ საგადასახადო წელს განხორციელდა. იგი ამოწმებს ოპერაციებსა და შესაბამის დოკუმენტაციას და ითვალისწინებს შემდეგს:

- ჩაინიშნავს პუნქტებს, რომლებიც უჩვეულო წყაროებიდან მომდინარეობს, მაგალითად, როგორიცაა შეფასების ზრდა, გადარიცხვები, გაცვლა და ა.შ. და ადგენს მათ მართებულობას. ადგენს, საკმარისი იყო თუ არა წინა პერიოდის მოგება შესყიდვების დასაფინანსებლად.
- ადგენს, აქტივების შესყიდვისა და დამონტაჟების ხარჯები, არენდით აღებული ქონების რემონტი და ა.შ. იყო თუ არა კაპიტალიზებული შესაბამისი ექსპლუატაციის ვადით.
- არკვევს, ამ აქტივებში პირადი ხასიათის აქტივები ხომ არ არის.
- როცა მშენებლობა ან რაიმე კაპიტალური სამუშაო გადასახადის გადამხდელის საკუთარი აღჭურვილობით, მუშახელით და ა.შ. სრულდება მისივე გამოყენებისთვის, აუდიტორი რწმუნდება, რომ ამ აქტივების ბაზა მოიცავს სათანადო ელემენტებს – მასალებს, მუშახელს და ზედნადებს, ასევე ამორტიზაციას.
- აქტივების ბაზაზე მუშაობისას აუდიტორი ყურადღებას აქცევს გაყიდვას, ურთიერთდამოკიდებული გადამხდელებისგან შესყიდვას, ხარჯების განაწილებას მიწასა და შენობას შორის და ა.შ.

– წლის განმავლობაში აქტივების ანგარიშებში შემცირებები აუდიტორმა უნდა შენიშნოს. მან უნდა გაარკვიოს, გადასახადის გადამხდელმა აქტივები ურთიერთდამოკიდებულ მხარეს საბაზრო ფასზე ნაკლებად ხომ არ გადასცა. ასევე შეამოწმოს, ასახულია თუ არა ერთობლივ შემოსავალში ნამეტი თანხა, თუ გაყიდვიდან ამონაგები თანხა (მათ შორის უფასოდ გადაცემული აქტივების საბაზრო ღირებულება) აღემატება შესაბამისი ჯგუფის ღირებულებით ბალანსის ღირებულებას.

– აუდიტორი ამოწმებს მოთხოვნილი დაქვითვების სისწორეს, როგორიცაა ამორტიზაცია, ფასდაკლებები, ჩამოწერები, როიალტი და ა.შ.

– ადგენს, ხომ არ ყოფილა ოპერაციები დაკავშირებულ გადასახადის გადამხდელებთან ან კონტროლირებულ უცხოურ სამეურნეო სუბიექტებთან. ითვალისწინებს საბაზრო პრინციპით განხორციელებული ოპერაციების თვისებები.

– ადგენს, არამატერიალური აქტივებიდან მიღებული შემოსავალი შეტანილია თუ არა შემოსავლებში. აუცილებელი არაა, არამატერიალურ აქტივს გააჩნდეს საფუძველი ან გამოჩნდეს ჩანაწერებში (მაგალითად, გადაქირავება, დიდი როიალტი, ფრანჩაიზი და ა.შ.)

– აანალიზებს ოპერაციას, სადაც უცხოური მხარის უფლებები გადაეცემა რომელიმე უცხოურ ორგანიზაციას მისი ინტერესებისთვის, ან ნომინალურ ფასად (პოტენციური საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების ფასის საკითხი).

– ამოწმებს მიმდინარე წლის აქტივების დამატებას და ადგენს, აქტივის ღირებულებაში არის თუ არა შეტანილი ხარჯის ელემენტები, როგორიცაა იურიდიული ხარჯები, შეფასების ხარჯები, მომსახურეთა ხელფასები და ა.შ. განიხილავს შესყიდვის ფასის გადანაწილებას სასაქონლო-მატერიალურ მარაგებს, ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებს შორის.

– ამოწმებს დამხმარე რეგისტრებს (ჩანაწერებს), სადაც ნაჩვენებია კონკრეტული წინასწარ გადახდილი ხარჯები, რომლებიც წლის ბოლოს კაპიტალიზებულია. (დაზღვევა, გადასახადი უძრავ ქონებაზე, ხელშეკრულებები მომსახურებაზე და ა.შ.)

– ტესტირების საფუძველზე ამოწმებს დოკუმენტებს, როგორიცაა ფაქტურები და პოლისები, რათა დარწმუნდეს, რომ წლიური წინასწარ გადახდილი ხარჯების ნაშთი ნაკლები ღირებულებით არაა აღრიცხული.

– დარიცხვის მეთოდით მომუშავე გადასახადის გადამხდელთა შემთხვევაში ამოწმებს, წინასწარ

გადახდილი ხარჯები საგადასახადო მიზნით ხომ არ მიეკუთვნა ხარჯებს.

– აუდიტორმა უნდა განიხილოს სხვა აქტივების ანგარიშების ბუნება და კლასიფიკაცია, რათა დაადგინოს, ხომ არ აქვს მათ საგადასახადო ვალდებულების ხასიათი.

– აუდიტორი ამოწმებს სადებეტო ნაშთებს მთავარ საბუღალტრო წიგნში და სუბანგარიშებში. შემოწმების შედეგად შეიძლება გამოვლინდეს სახსრების სხვაგან მიმართვა, ალურიცხავი ქონება და/ან გაყიდვების ნაკლები ღირებულებით ჩვენება.

– შეისწავლის შესყიდვებზე წლიური დარიცხვების გამოთვლას. შესყიდვები საბოლოო მარაგებში უნდა იქნას შეტანილი. ადგენს, გადასახადის გადამხდელს მომდევნო წლის ხარჯი ხელოვნურად ხომ არ აქვს ასახული მიმდინარე წელს.

– შეისწავლის ანგარიშებს, რომელთაც დიდი ხნით ვადაგადაცილებული ნაშთები აქვს. ამ დროს შეიძლება გამოვლინდეს სადავო ვალდებულებები, ან ისეთი ვალდებულებები, რომლებიც აღარ არსებობს, მაგალითად, მოუთხოვნელი ხელფასები. ეს მუხლები შემოსავლად უნდა იქნას აღიარებული ან მოსცილდეს მიმდინარე ხარჯების სტატუსი.

– საცდელი ბალანსის თანხებს უკავშირებს მთავარ საბუღალტრო წიგნს. ამოწმებს კორექტირებების გატარებებს ან რეკლასიფიკაციას და შესაბამისი კრედიტორული დავალიანების კომპენსაციას. ამ დროს შეიძლება გამოვლინდეს გაყიდვების ნაკლები ღირებულებით ასახვა.

– ამოწმებს საპროცენტო ხარჯებს და წლიურ დარიცხვებს, რათა შეადაროს საპროცენტო ხარჯები. ამოწმებს მის მათემატიკურ სიზუსტეს.

– იღებს სავალო ხელშეკრულებების ასლებს ნიმუშების სახით და შეისწავლის პირობებს.

– იღებს სესხებზე გადასახდელების გრაფიკებს, წლიურ ანგარიშებს და ა.შ. და ამოწმებს აღრიცხული წლიური ნაშთის სიზუსტეს.

– საცდელი ბალანსის თანხებს უკავშირებს მთავარ საბუღალტრო წიგნს. ამოწმებს კორექტირების გატარებებს ან რეკლასიფიკაციას და მისაღები შემოსავლების ანგარიშებს შორის კავშირებს. ამ დროს შეიძლება გამოვლინდეს გაყიდვების ნაკლები ღირებულებით ასახვა.

– შეისწავლის წლიური დარიცხვების გამოთვლას. შესყიდვები საბოლოო მარაგებში უნდა იქნას შეტანილი. უზრუნველყოფს, რომ ხარჯები ნამდვილად იქნა გაწეული და სარგებელი მიღებულ იქნა საბალანსო უწყისის თარიღის მდგომარეობით.

– შეისწავლის წლის ბოლოს დარიცხვებს და გაარკვევს, წლის ბოლომდე არის თუ არა რაიმე თანხები გადასახდელი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 142.4 მუხლის თანახმად დაქვითვას ექვემდებარება (კერძო პირებზე გადახდილი კომპენსაცია, მათ შორის დარიცხვები ანაზღაურებულ გაცდენებზე; მომსახურების გადასახდელი არარეზიდენტებზე, რომელიც არაა დაკავშირებული არარეზიდენტის მიერ საქართველოში დაარსებულ მუდმივ დაწესებულებასთან);

– აუდიტორი ამოწმებს სამუშაო დოკუმენტებს და ადგენს გადავადებული საგადასახადო აქტივების შემადგენლობას. კერძოდ, აანალიზებს განსხვავებებს, რომელიც შესაძლებელია გამოწვეული იყოს შემოსავალის მიღების ან/და ხარჯის გაწევის მომენტის აღიარებისათვის საგადასახადო და ბუღალტრული აღრიცხვისათვის დადგენილი ნორმებით. თუ გადავადებული საგადასახადო აქტივი არ არსებობს, ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ ზემოაღნიშნულ დროში განსხვავება სააღრიცხვო და საგადასახადო მიზნებისათვის ერთნაირად იყო აღრიცხული. შესაბამისად, დასაბეგრი შემოსავალი ნაკლები ღირებულებით აისახა.

– აუდიტორი შეისწავლის და აანალიზებს მიმდინარე და გადავადებული საშემოსავლო გადასახადების სამუშაო დოკუმენტებს. შეისწავლის აღრიცხულ შემოსავალსა და დასაბეგრ შემოსავალს შორის დროებითი და მუდმივი განსხვავებების მიზეზებს, მათ შორის:

- ნაშთი პერიოდის დასაწყისში,
- მიმდინარე პერიოდის რეზერვები საშემოსავლო გადასახადისთვის,
- ნაშთები პერიოდის ბოლოს.

დროებითი განსხვავებები არის მოგების/საშემოსავლო გადასახადსა და ფინანსურ ანგარიშგებას შორის განსხვავებები, რომელთაც მომავალში საგადასახადო შედეგები ექნება. დროებითი განსხვავებები შემდეგი გარემოებების შედეგად ჩნდება:

- შემოსავლები ან მოგება, რომლებიც დასაბეგრია მათ ფინანსურ შემოსავლად აღიარებამდე ან მას შემდეგ.
- ხარჯები ან ზარალი, რომელიც გამოქვითვადია მათ ფინანსურ შემოსავლად აღიარებამდე ან მას შემდეგ.

დროებითი განსხვავებების მაგალითებია:

- **დავალიანება:** უიმედო ვალები, რომლებიც ფინანსური ანგარიშგებისთვის შესაფასებელი

რეზერვების შექმნის (allowance method) მეთოდითაა აღიარებული, საგადასახადოსთვის კი პირდაპირი ჩამონერის მეთოდით.

- **დარიცხული პროცენტი:** პროცენტის თანხა ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელიც განსხვავდება საგადასახადო ანგარიშგებაში მისათითებელი თანხისგან.
- **ქონება და აღჭურვილობა:** ამორტიზაცია ფინანსური ანგარიშგებისთვის, ექსპლუატაციის სავარაუდო პერიოდის ან საგადასახადო ანგარიშგებისგან განსხვავებული მეთოდების გამოყენებით; მოგება და ზარალი ამორტიზებად აქტივებზე, რომელიც აღიარებულია ფინანსური ანგარიშგებისთვის და საგადასახადო ანგარიშგებისთვის კი გადავადებულია, საგადასახადო ამორტიზაციის ჯგუფური მიდგომის გამო. აქტივების ღირებულების მომატებიდან მოგება, რომელიც ლიკვიდაციის დროს ნაწილდება; მისი აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ლიკვიდაცია გარდაუვალია ფინანსური ანგარიშგებისთვის, ხოლო განაწილებისას – საგადასახადო ანგარიშგებისთვის. ფინანსური იჯარა, რომელიც კაპიტალიზებულია ფინანსური ანგარიშგებისთვის და აღიარებულია, როგორც მიმდინარე იჯარა საგადასახადო ანგარიშგებისთვის და სხვა.
- **არამატერიალური აქტივები:** არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია პერიოდების ან მეთოდების გამოყენებით, სააღრიცხვო მიზნებისთვის, რაც განსხვავდება საგადასახადო მიდგომისგან.
- **ვალდებულებები:** ხარჯები, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის ერიცხება, მაგრამ გამოქვითვას ექვემდებარება საგადასახადო ანგარიშგების მიზნებისთვის, მხოლოდ მაშინ, როცა გადახდილია (მაგალითად, ხელფასი).
- **გადავადებული შემოსავალი:** ავანსად მიღებული შემოსავლები, რომლებიც აღრიცხვისთვის გადავადებულია, მაგრამ აღიარებულია შემოსავლად საგადასახადო მიზნებისთვის.

– აუდიტორი ამოწმებს საკრედიტო ხელშეკრულებებს და ადგენს, არსებობს თუ არა ნამდვილი კრედიტორ–დებიტორული ურთიერთობა. დიდი დავალიანებები სააქციო კაპიტალთან მიმართებაში შეიძლება „სუსტი კაპიტალიზაციის“ სიტუაციაზე მიგვანიშნებდეს.

– საზღვრავს აქციონერების მიერ ნასესხები სახსრების წყაროებს, რათა დარწმუნდეს, რომ არ არსებობს კორპორაციის შემოსავლების ამ ფორმით უკან დაბრუნება.

– შეისწავლის საპროცენტო განაკვეთებს და დაფარვის გრაფიკს, რათა დარწმუნდეს, რომ ოპერაციები ურთიერთდამოკიდებულ მხარეებს შორის საბაზრო პრინციპით მიმდინარეობს. თუ „სესხები“ „სააქციო კაპიტალია“ მაშინ, იხსნება საპროცენტო ხარჯის სტატუსი და მოხდება დივიდენდებად აღიარება;

– გრძელვადიანი ვალდებულებები გვხვდება გრძელვადიანი ობლიგაციების, ბანკნოტების, გირაოს და სავალო ხელწერილების ფორმით.

– აუდიტორი განსაზღვრავს ავანსად მიღებული ფონდების წყაროს, სარეგისტრაციო უწყისების, ემისიის და/ან დაკავშირებული დოკუმენტების რაიმე ფინანსურ გარიგებასთან კავშირში გადასინჯვის გზით. რწმუნდება, რომ ყველა დაკავშირებული ხარჯი (იურიდიული, პროფესიული, ობლიგაციის გამოშვების) სათანადოდ გადავადდა და ჩამოიწერება ობლიგაციის მოქმედების ვადის განმავლობაში.

– აუდიტორი შეისწავლის ურთიერთდამოკიდებულ გადასახადის გადამხდელებთან და კონტროლირებულ საერთაშორისო სუბიექტებთან განხორციელებულ ოპერაციებს, რათა დარწმუნდეს, რომ არ არსებობს შეუსაბამობა შემოსავლებსა და ხარჯებს შორის და რომ ოპერაციები საბაზრო პრინციპით სრულდება.

– აუდიტორი შეისწავლის ნულოვან განაკვეთიან ობლიგაციებს, რათა დარწმუნდეს, რომ პირველადი გამოშვების ფასდაკლება სწორადაა განსაზღვრული.

– აუდიტორი ადგენს, რომ რომელიმე ოპერაციას არ ჰქონდეს სხვა მიზანი, გარდა ეკონომიკურ საქმიანობისა და შესაბამისად, შემოსავლის. იღებს ხელშეკრულებების ნიმუშებს და შეისწავლის პირობებს. იღებს სესხების დაფარვის გრაფიკებს და ა.შ. და ამოწმებს აღრიცხულ წლიური ბალანსის ნაშთებს.

– ამოწმებს საკუთარი კაპიტალის ანგარიშებს და ითვალისწინებს შემდეგს:

- თუ პერიოდის განმავლობაში ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია, გასათვალისწინებელია:
  - აქციებით ვაჭრობა აქციონერებს შორის. მოწმდება ფიზიკური პირების მოგება ან ზარალი, რომელშიც კორპორაცია ფიგურირებს, დაშვებულია იმის შესაძლებლობა, რომ განაწილებები დასაბეგრი დივიდენდის ექვივალენტურია.
  - დახურული კორპორაციები ყურადღებით შემოწმებას საჭიროებენ, მხარეთა დამოუკიდებლობის, შენიღბული დივიდენდების და ა.შ. თვალსაზრისით.

- თუ პერიოდის განმავლობაში ადგილი ჰქონდა ახალი აქციების გამოცემას ან კაპიტალის გაზრდას:
  - მოწმდება კორპორაციის ოქმების წიგნი, ხორციელდება აღრიცხულ პუნქტებთან შედარება და გატარებების სისწორის დადგენა.
  - მოწმდება ყველა საკრედიტო გატარება. განიხილება მომსახურებისთვის ან ქონებისთვის გაცემული აქციების, აქციების დივიდენდების, თანამშრომელთა აქციების ალტერნატივების საგადასახადო ასპექტი, ასევე სამართლიან საბაზრო ფასზე ნაკლებ ფასად გამოშვებული აქციები.
  - დგინდება, აქციების გამოშვებასთან დაკავშირებული ხარჯები სწორად იქნა თუ არა გაწეული (მაგ. იურიდიული ხარჯები, სარეგისტრაციო მოსაკრებელი და ა.შ.)
  - დგინდება (დახურულ კორპორაციებში) აქციების რეკაპიტალიზაციის შემთხვევაში უდრის თუ არა მიღებული აქციის სამართლიანი საბაზრო ფასი ჩაბარებული აქციის სამართლიან საბაზრო ფასს.
- თუ პერიოდის განმავლობაში ადგილი ჰქონდა შემცირებებსა და გაუქმებებს:
  - მოხდება კორპორაციის ოქმების წიგნის შედარება აღრიცხულ პუნქტებთან და დადგინდება გატარებების სისწორე.
  - შემოწმდება ყველა სადებეტო გატარება. გათვალისწინებული იქნება ნაწილობრივი ან მთლიანი ლიკვიდაციის, ნაწილობრივი ან მთლიანი დაფარვების საგადასახადო ასპექტი და განაწილება, რომელიც ძირითადად დივიდენდების ექვივალენტურია.

18.2.14 ერთობლივი შემოსავლების ან გაყიდვების ანალიზი

მთლიანი შემოსავლების ტესტირებისას შემდეგი მეთოდები გამოიყენება:

- ნაღდი ფულის მართვის მეთოდების შემოწმება, რათა ინახოს, ყველა შემოსავალია თუ არა შეტანილი წლის ბოლოს.
- ანგარიშგებაში ასახული მთლიანი შემოსავლების ტესტირება მთლიანი მოგების კოეფიციენტის მეთოდით.
- წარმომავლობის, ბუნების ან თანხის მხრივ არაორდინალური პუნქტების ჩანიშვნა.
- პირველადი გატარებების წიგნის შემოწმება და მასზე თვალყურის გადევნება: გაყიდვების ჩეკების, სალაროს აპარატის ქაღალდის ფირის, ხელშეკრულებების, შრომის წიგნაკების ან საბანკო დეპოზიტების შემოწმება.
- წლის სხვადასხვა დროს გაკეთებული გატარებების შემოწმება, ასევე ზოგი წლის დასაწყისში გაკეთებული გატარების შემოწმება.
- მოწმდება გადატანები მთავარ საბუღალტრო წიგნში და შედეგობრივი მაჩვენებლები, შენიშვნები.
- მოწმდება ბანკის ამონაწერები და დეპოზიტების ჩეკები.
- მოწმდება გაყიდვების ანგარიში მთავარ საბუღალტრო წიგნში და ყურადღება ექცევა არაორდინალური გატარებების არსებობას.
- მოწმდება გატარებები მთავარი საბუღალტრო წიგნიდან და გაყიდვების ჟურნალებიდან.
- ყურადღებას მოითხოვს დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც შეიძლება არ გამოჩნდეს ბუღალტრულ ჩანაწერებში (შემოსავლები ნაღდი ფულით, რომლებიც რეგულარულად არ დეპონირდება ან სათანადოდ არ აღირიცხება, შემოსავალი უცხოური წყაროდან).
- დგინდება, რამდენად იყო გამოყენებული შემოსავლები საოპერაციო ხარჯების დასაფარად. არაორდინალური ფასდაკლებები დამატებით შემოწმებას საჭიროებს.
- პირადი სარგებლობისთვის გამოყენებული საქონლის აღრიცხვის ადექვატურობისა და მეთოდის განსაზღვრა.
- დგინდება, მისაღები შემოსავლები (დებიტორული დავალიანება) შეტანილია თუ არა შემოსავლებში, დარიცხვის მეთოდით მომუშავე გადასახადების გადამხდელების შემთხვევაში.
- მოწმდება ხელშეკრულებები გაყიდვის შესახებ, კონტრაქტები და სხვა კორესპონდენცია, სადაც შეიძლება აღმოჩნდეს აღურიცხავი ბონუსები, ჯილდოები, ე.წ. „ატკატები“ და ა.შ.
- მოწმდება საგადასახადო მიზნით მომზადებული სამუშაო დოკუმენტები და დგინდება, რომ კორექტირებები გამართლებულია.
- ყურადღებას საჭიროებს ჩვეულებრივი შემოსავლის კაპიტალურ მოგებად აღიარება, სხვა საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ საქონლის გაყიდვა ან მომსახურების გაწევა, აღუ-

რიცხვი საკომისიოები ან იჯარა გადასახადის გადამხდელის ბიზნეს შენობებში მიმდინარე საქმიანობიდან, როგორიცაა მოქმედი კაფეები, ბარები, ტკბილეულის ჯიხურები, სავაჭრო მანქანები, ვიდეოთამაშები და ა.შ.

როცა სასაქონლო-მატერიალური მარაგები მატერიალური შემოსავლის მიღების ფაქტორია, მთლიანი მოგების ტესტი გეხმარება, გავიგოთ რამდენად გონივრულია მთლიანი შემოსავლები, მარაგები, შესყიდვები და ბიზნესის წმინდა მოგება, რომელიც საგადასახადო დეკლარაციაშია ნაჩვენები.

ტერმინი „მთლიანი მოგების კოეფიციენტი" ნიშნავს:

მთლიანი მოგება რეალიზებული გაყიდვებიდან
მთლიანი შემოსავლები გაყიდვებიდან

ეს არის განსხვავება („მარჟა") გაყიდვის ღირებულებასა და მთლიან შემოსავლებს შორის, რომელიც გამოხატულია გაყიდვების პროცენტებში.

მარჟა გამოითვლება გასაყიდი ფასის მიხედვით. მაგალითად: ნივთი შეიძინება 1.20 ლარად და იყიდება 1.60 ლარად.

- მარჟა იქნება 0.40 ლარი (1.60ლ – 1.20ლ).
- მარჟა იქნება 25% (0.40ლ/ 1.60ლ).

მსგავსი გამოთვლა, „ფასნამატი" შეიძლება გაკეთდეს, როგორც ღირებულების პროცენტი ან როგორც გასაყიდი ფასი. ბევრი ფასნამატს გასაყიდი ფასის პროცენტად მიიჩნევს, მაგრამ ფასნამატის გამოთვლა თვითღირებულების მიხედვით უფრო იოლი და ნაკლებად დამაბნეველია. თვითღირებულების მიხედვით გამოთვლილი ფასნამატი გაყიდვების სწორი მაჩვენებლის მიღებაში გეხმარება.

შენიშვნა: მარჟისა და ფასნამატის პროცენტები ღირებულებაზე ერთი და იგივე არ არის. ღირებულების თვალსაზრისით, მარჟა და ფასნამატი იდენტურია, თუმცა პროცენტებია განსხვავებული. ორივე წარმოადგენს განსხვავებას ღირებულებასა და გასაყიდ ფასს შორის.

მარჟასა და ფასნამატს შორის დამოკიდებულება შემდეგი ფორმულებით გამოიხატება: (პროცენტულად გამოხატული):

$$\text{ფასნამატი} = \frac{\text{მარჟა}}{1 + \text{მარჟა}} \qquad \text{მარჟა} = \frac{\text{ფასნამატი}}{(1 - \text{ფასნამატი})}$$

$$\text{ფასნამატი} = \frac{0.25}{1 + 0.25} = 0.20 \qquad \text{მარჟა} = \frac{0.20}{(1 - 0.20)} = 0.25$$

როცა ფასნამატი გასაყიდი ფასის მიხედვით გამოითვლება, გამოყენებული უნდა იქნას სხვა ფასნამატის პროცენტი, თვითღირებულების მიხედვით გამოთვლისას კი სხვა. მაგალითად: ნიეთი გამყიდველმა შეისყიდა 1.20 ლარად და შემდეგ ფასნამატი დაადო 25%.

- ღირებულების 25% ფასნამატი (1.20ლ) უდრის 0.30 ლარი. დავუმატოთ 0.30ლ ღირებულებას და გასაყიდი ფასი იქნება 1.50ლარი 0.30 მარჟით ან 20% მთლიანი მოგების მარჟით.
- თუ საჭიროა 25% მარჟა, მაშინ საჭიროა განისაზღვროს პროცენტი, რომელიც მოიტანს ამ სასურველ მარჟას და ერიცხება თვითღირებულებას.
- 25% მარჟა ღირებულებაზე 33.3% ფასნამატის ექვივალენტურია.
- ღირებულების 33.3%-ზე გამრავლება (1.20 ლარი) უდრის 0.40ლარს. 0.40 ლარის დამატება თვითღირებულებაზე გვაძლევს 1.60ლარს გასაყიდ ფასს, და 0.40 მარჟას, ანუ 25%.
- 25% ფასნამატი ღირებულებაზე გვაძლევს გასაყიდ ფასს 1.50ლარს. თუ აუცილებელია 25% ფასნამატი ოპერაციების ხარჯების დასაფარად და წმინდა მოგებისთვის, გადასახადის გადამხდელი ფულს იზარალებს, თუ ფასს 25% ფასნამატით იანგარიშებს. 25%-იანი მარჟის რეალიზაციისთვის, გადასახადის გადამხდელს მოუწევს 33.3% ფასნამატის დადება თვითღირებულებაზე.

ეს მაგალითი აჩვენებს მთლიანი მოგების კოეფიციენტის გამოყენებას გაყიდვების პროცენტად:

მთლიანი გაყიდვები	50,000
გაყიდვების ღირებულება	40,000
მთლიანი მოგება (მარჟა)	10,000

- მთლიანი მოგების მარჟის კოეფიციენტი არის 20%. ანუ, 50,000 გაყიდვების 20% გვაძლევს 10,000ლარის მარჟას.
- ფასნამატის ცხრილიდან ვიგებთ, რომ 20% მთლიანი მოგების კოეფიციენტი (მარჟა) მოითხოვს 25% ფასნამატს ღირებულებაზე. 40,000 ლარის გაყიდვების ღირებულება უნდა გაიზარდოს 25%-ით ან 10,000 ლარით, რათა მივიღოთ 50,000 ლარის მთლიანი გაყიდვები.

მთლიან გაყიდვებში ცვლილება ზემოთ მოცემულ მაგალითში გვაძლევს მთლიანი მოგების კოე-

ფიციენტის ცვლილებას და ფასნამატს:

მთლიანი გაყიდვები	60,000
გაყიდვების ღირებულება	40,000
მთლიანი მოგება (მარჟა)	20,000

- მთლიანი გაყიდვები 10,000ლარით გაიზარდა (50,000ლარი – 60,000ლარი) ანუ 20% ზრდა მთლიან გაყიდვებში. შედეგად მთლიანი მოგების კოეფიციენტი არის 33.3%. ფასნამატი (ღირებულებაზე) ახლა 50%.

მას შემდეგ, რაც ბიზნესის კოეფიციენტი დადგინდება:

- აუდიტორმა იმავე გადამხდელის წინა წლების კოეფიციენტებს უნდა შეადაროს და
- შემდეგ შეადაროს მსგავსი ბიზნესის კოეფიციენტებს. ამ დროს აუდიტორს უნდა ახსოვდეს, რომ კოეფიციენტი შეიძლება მერყეობდეს ზომის, გაყიდვების მოცულობისა და ადგილმდებარეობის მიხედვით.

თუ შედარების შედეგად გამოვლინდება, რომ მთლიანი მოგების თანხა შეცდომითაა ანგარიშგებაში ნაჩვენები, შეცდომის მიზეზები შეიძლება ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები იყოს.

მთლიანი მოგების ანგარიშგებაში ჩვენების შეცდომის შესაძლო მიზეზები:

- იმ ხარჯების შეტანა, რომლებიც მთლიანი მოგების კოეფიციენტზე გავლენას არ ახდენს, მაგ. რენტა, პროცენტი; დივიდენდი და ა.შ.
- ყველა მისაღები შემოსავლები არ იქნა ასახული დარიცხვის მეთოდის გამოყენებისას;
- ყველა მიღებული შემოსავალი არ აღირიცხა დარიცხვის მეთოდის გამოყენებისას;
- სარგებლის სახით მიღებული შემოსავალი არ იქნა ასახული ანგარიშგებაში;
- განვადებით გაყიდვები არასწორად აისახა ანგარიშგებაში;
- საბოლოო მარაგის გაყიდვა არ იქნა შეტანილი მთლიან შემოსავლებში, როცა ბიზნესი გაიყიდა;
- მარაგები მოიპარეს, ან
- ბარტერიდან მიღებული მთლიანი შემოსავლები ანგარიშგებაში არ ასახულა;

მარაგების ანგარიშგებაში ასახვის შესაძლო შეცდომები:

- მარაგები არასწორად შეფასდა ან არასწორი თანხა იქნა გადმოტანილი წინა წლიდან;
- მარაგების შეფასება სავარაუდოა;
- მარაგები არაა ჩამოწერილი მიუხედავად იმისა, რომ მარაგები მატერიალური შემოსავლის მიღების ძირითადი ფაქტორია.
- საბოლოო მარაგები ნაკლები ღირებულებითაა ასახული.

შესყიდვების ანგარიშგებაში ასახვის შესაძლო შეცდომები:

- შეტანილი ხარჯები გაყიდვების ღირებულების ნაწილი არ არის;
- პირადი მიზნით თანხის გამოტანები სათანადოდ არ არის გატარებული;
- შესყიდვებს არ აკლდება დაბრუნებული საქონელი; ან
- შესყიდვების ფასდაკლებები სათანადოდ არ აისახება.

გაყიდვების ტენდენცია
გაყიდვები ნებისმიერი ბიზნესის მთავარი ამოცანაა. შესაბამისად, გაყიდვების დაბალი ღირებულებით ასახვა გადასახადის შემცირების ყველაზე მომგებიანი სახეობაა. შემოსავლის შემოწმება აუდიტის სავალდებულო საქმიანობაა. თუ მთლიანი შემოსავლების შემოწმება გამოავლენს აუსახავი შემოსავლის შესაძლებლობას ცნობილი წყაროებიდან დასაბეგრი მოგების არაზუსტად ჩვენების გამო, ან თუ ბუღალტრული ჩანაწერები არ ედრება საგადასახადო დეკლარაციას, ამ შემთხვევაში უფრო სიღრმისეული შემოწმებაა საჭირო. აუდიტორმა უნდა გადაწყვიტოს, რომელი მეთოდი მიესადაგება ცალკეულ გადასახადის გადამხდელს. მთლიანი მოგებისა და მარაგების ბრუნვის კოეფიციენტების გამოყენებით მოწმდება შემოწმებული პირის მიერ ნაჩვენები გაყიდვების სიზუსტე, გაყიდვების ღირებულება, ან საბოლოო მარაგები. არაორდინალურ განსხვავებებს ექცევა სათანადო ყურადღება; აუდიტორი გადასახადების გადამხდელს ამასთან დაკავშირებით უსვამს კითხვებს და საჭიროების შემთხვევაში ტარდება აუდიტის დამატებითი პროცედურები. შეიძლება გამოვლინდეს შემდეგი შეუსაბამობები:

- აუსახავი გაყიდვები: გაყიდვების ზედნადებები (ასეთის არსებობისას) ნადგურდება ან სხვა არარეგისტრირებული სიიდან გაიცემა (არა დღგ ფაქტურები) და ამ გაყიდვებზე არ კეთდება ბუღალტრული გატარებები. ამასობაში კი, როგორც წესი, შესყიდვები ნაკლები რაოდენობითაა ნაჩვენები თანმიმდევრული და შესაბამისი მთლიანი მოგების კოეფიციენტის წარმოსადგენად.
- ფიქტიური ოპერაციები: ფიქტიურ კლიენტზე გაყიდვები, რათა გამყიდველს შეეძლოს მის მიერ გაყიდული საქონლის დაბალი ღირებულებით ჩვენება. ეს თაღლითობა კლიენტის თანამონაწილეობით ხდება.
- არარეგულარული გადატანა: გაყიდვების ჟურნალის კრედიტის მხარეს ჩვენების ნაცვლად, გაყიდვები გადაიტანება საბალანსო უწყისის კრედიტის მხარეს. ეს აყოვნებს საგადასახადო ვალდებულებებს და საიდუმლო რეზერვის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.
- დროის ინტერვალები: მოცემული პერიოდის გაყიდვები (მიმდინარე წლის) გადაიტანება მომდევნო პერიოდში.

გაყიდვების ტესტირებისთვის შესაძლებელია შემდეგი სახის ტესტები გამოყენება:

1. დეკლარირებული და დაკვირვების შედეგად აღმოჩენილი მთლიანი მოგების ფასნამატის შედარება (ფასნამატის მეთოდი)

ფასნამატის მეთოდით ვიღებთ შემოსავლის რეკონსტრუქციას; ამ დროს გამოიყენება ამ ბიზნესისთვის დამახასიათებელი ტიპიური კოეფიციენტები ან პროცენტები და დგინდება ნამდვილი საგადასახადო ვალდებულება. ამ დროს გაყიდვები და/ან გაყიდვების ღირებულება გადის ანალიზს, რომელსაც მიესადაგება შესაბამისი ფასნამატის პროცენტი და მიიღება გადასახადის გადამხდელის მთლიანი შემოსავლები. მსგავსი ბიზნესების გათვალისწინებით პროცენტის გამოთვლა განსაზღვრავს გაყიდვებს, გაყიდვების ღირებულებას, მთლიან მოგებას და წმინდა მოგებასაც კი. და მაინც, თუ შესაძლებელია, უმჯობესია გადასახადის გადამხდელის ფაქტიური ფასნამატის გამოყენება.

ე.წ. „თაროზე ტესტირებისას" გაყიდული ძირითადი საქონლის მიმდინარე გასაყიდი ფასები ედარება მათ ღირებულებას, შედეგად განისაზღვრება გადასახადის გადამხდელის საკუთარი ფასნამატის არსებული პროცენტი აუდიტის დროს. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 258.2 მუხლი შემოსავლების სამსახურის ავტორიზებულ წარმომადგენელს ანიჭებს უფლებას, თავი კლიენტად მოაჩვენოს და გადასახადის გადამხდელისგან მოახდინოს საკონტროლო შეძენა, რათა განსაზღვროს საქონლისა და მომსახურების ფასი.)

აუცილებელია, აუდიტორმა უზრუნველყოს, რომ დეკლარირებული მთლიანი მოგების კოეფიციენტები დაკვირვების შედეგად აღმოჩენილ რეალობას ასახავდეს.

ფასნამატის პროცენტის მეთოდის გამოყენებისას შემდეგი უნდა იქნას გათვალისწინებული: გადასახადის გადამხდელის პროდუქციის ასორტიმენტის კომპლექსურობა, თითოეულ პროდუქტზე სათანადო პროცენტისა და კოეფიციენტის არსებობა, შემოწმებისას განხილული პერიოდის ხანგრძლივობა და პროცენტებისა და კოეფიციენტების კორექტირების საჭიროება არსებულ აუდიტში ასახვის მიზნით. ეს ეფექტური იქნება, თუ შესყიდვების რამდენიმე სახეობა ან საქონლის მხოლოდ რამდენიმე მომწოდებელი არსებობს.

მსგავსი საქმიანობის კოეფიციენტების განხილვამდე სასურველია, აუდიტორმა თვით ამ ბიზნესის კოეფიციენტები განიხილოს. მსგავსი საქმიანობის შემთხვევაში ფასნამატის კოეფიციენტები შეიძლება განსხვავდებოდეს შემდეგი ფაქტორების გამო: ადგილმდებარეობა, შესყიდვის პირობები, ბრუნვის მნიშვნელობა, ბიზნესის ფინანსური მდგომარეობა, თანამშრომელთა კვალიფიკაცია, საქონლის ხარისხი და ა.შ.

შედეგი: ეს მეთოდი ეფექტურია ისეთი ბიზნესისთვის, რომელიც ნაღდ ფულს ინტენსიურად იყენებს და როცა მარაგები სახეზეა, მაგრამ ჩანაწერები არაა სანდო მთლიანი მოგების ცვალებად მარჟასთან ერთად, ან მოსალოდნელზე დაბალია ამ ინდუსტრიისთვის, ან არათანმიმდევრულია.

2. ბუღალტრული ჩანაწერების, ფაქტურების და სხვა დოკუმენტების შემოწმება

აუდიტორმა, შემდეგი კითხვების დასმით, უნდა განსაზღვროს გადასახადის გადამხდელის ანგარიშგების პრაქტიკის ხარისხის დონე:

- გაყიდვების ჟურნალს სათანადოდ ანარმოებენ ყოველდღიურად და უშეცდომოდ?
- გაყიდვების ფაქტურების ასლებს ინახავენ, როგორც ეს საგადასახადო კოდექსის 72.3 მუხლითაა გათვალისწინებული?
- დეტალური გატარებები იწერება თუ არა ნაღდი ფულით გაყიდვების შემთხვევაში სალაროს წიგნში თუ ისინი დღის ბოლოს ჯამდება?
- გადასახადის გადამხდელი იყენებს თუ არა საკასო აპარატს და ამ კუთხით ფიქსირდება თუ არა საგადასახადო სამართალდარღვევა?

შედეგი: საჭიროა ყურადღება მიექცეს შეუსაბამობებს და გადასახადის გადამხდელს დაესვას შესაბამისი კითხვები.

3. შემოწმებისა და შედარებების ჩატარება

აუდიტორი ამოწმებს, გაყიდვების ჟურნალის ჩანაწერები და გაყიდვების ფაქტურების ასლები ერთმანეთს ედრება თუ არა.

- თუ ეს უკანასკნელი ქრონოლოგიურადაა დალაგებული, რამოდენიმე თვის პერიოდის შერჩევითი შემოწმება ტარდება. შეირჩევა ფაქტურების ნიმუშები და შემოწმდება საფეხურებრივად გაყიდვების ანგარიშებამდე. შემდეგ შეირჩევა ოპერაციები გაყიდვების ანგარიშიდან და შემოწმდება საფეხურებრივად, ოღონდ პირიქით თანმიმდევრობით, საგადასახადო ფაქტურებამდე.
- თუ ისინი კლიენტის მიერაა დალაგებული, აუდიტორი მცირე მათგანს შეარჩევს შესამოწმებლად.

მოწმდება გაყიდვების ჟურნალიდან მთავარ საბუღალტრო წინგში გადატანები. გაყიდვების ანგარიშის ჯამური რიცხვები მთავარ საბუღალტრო წინგში მოწმდება და ედრება მოგება-ზარალის ანგარიშში ნაჩვენებ რიცხვს.

მოწმდება საკასო წიგნაკში პირდაპირ აღრიცხული საკასო შემოსავლებიც. აუდიტორი ამ დროს ეძებს დამადასტურებელ დოკუმენტებს (ტალონები, რულონები და ა.შ.).

გაყიდვების ჟურნალის ჩანაწერები ან საკასო წიგნაკის ჩანაწერები ედარება ბიზნესის სხვადასხვა დოკუმენტებს, რომლებიც ანგარიშებში არაა შეტანილი. ზოგიერთი დოკუმენტი სავალდებულოა, მაგ. კლიენტები სასტუმროებში და დაჯავშნების წიგნაკები, საბაჟოს ფორმები ექსპორტიორებისა და იმპორტიორებისათვის, ინვენტარის დოკუმენტები მწარმოებლების შემთხვევაში, მიმდინარე სამუშაოებისთვის); ზოგიერთი დოკუმენტი ბიზნესის მენეჯმენტს საქმეს უიოლებს ან თანამშრომლების ზედამხედველობას ეხმარება, მაგ. შეკვეთების წიგნაკები, დღიურები, შეხვედრების წიგნი, ადგილზე მიტანის ტალონები, ტრანსპორტის ორდერები და ა.შ.

შედეგი: აუდიტორი ითხოვს შემოწმებისას აღმოჩენილი გამოტოვებული ინფორმაციის მიზეზის ახსნას. თუ გამოტოვება და მოუწესრიგებლობა განმეორდება, ნიმუშების მიხედვით შემოწმება უნდა განმეორდეს და საჭიროების შემთხვევაში უნდა ჩატარდეს სრულმასშტაბიანი შემოწმება.

4. გაყიდვებს, ნაღდ ფულსა და დებიტორების ანგარიშებს შორის დამოკიდებულების შემოწმება

აუდიტორი ამოწმებს შემდეგ ტოლობას, ყველა გაყიდვა საკასო მეთოდითაა თუ არა წარმოებული:

გაყიდვები = არსებული ნაღდი ფული+ ნაღდი ფული ბანკში

თუ გაყიდვები შემდეგი ანაზღაურების პირობით განხორციელდა, უნდა შემოწმდეს შემდეგი ტოლობა:

გაყიდვები + დებიტორის საწყისი ნაშთი – დებიტორის საბოლოო ნაშთი = შემოსავლები საანგარიშო პერიოდის განმავლობაში

ძირითადი კლიენტებისთვის ხდება გაყიდვების (პერიოდის ყველა ფაქტურა), შემოსავლების (საკასო ჟურნალი) და დებიტორის ნაშთის (საბალანსო უწყისი) შედარება.

შედეგი: აუდიტორი მოითხოვს ყველა შეუსაბამობის ახსნას.

5. საკასო ანგარიშის შემოწმება

აუდიტორი იხილავს შემდეგ საკითხებს:

- ვინ აკეთებს ინკასაციას?
- სად ინახება ნაღდი ფული?
- ვინ ადარებს მას გაყიდვებს დღის ბოლოს?
- ვინაა უფლებამოსილი, ნაღდი ფულით გადაუხადოს თანამშრომლებს ან განახორციელოს შესყიდვები?
- რა პროცედურაა ეს?
- ვის მიაქვს ნაღდი ფული ბანკში და რომელ ანგარიშებზე დეპონირდება თანხა?

აუდიტორი ფიზიკურად ამოწმებს არსებულ ნაღდ ფულს. თუ საკასო წიგნაკი სათანადოდაა წარმოებული, საკასო ჟურნალის ნაშთი უნდა იყოს ხელზე არსებული ნაღდი ფულის ტოლი.

- თუ საკასო ჟურნალში სადებეტო ნაშთი მეტია, ვიდრე ხელზე არსებული ნაღდი ფული, მენეჯერი შეიძლება ეცადოს ამ შეუსაბამობის იმით გამართლებას, რომ ზოგიერთი ხარჯი ჯერ არ არის გატარებული, ანუ ნაღდი ფულის ზოგი მოხსნა არაა აღრიცხული ბუღალტრულად. ამგვარი ახსნა არაა მისაღები, რადგან ისეთ საანგარიშო სისტემაში, სადაც გამოწერა არ აღირიცხება, არ არსებობს გარანტია, რომ ნაღდი ფულის შემოსავლები კარგადაა ჩაწერილი.
- თუ სადებეტო ნაშთი ნაღდი ფულის ანგარიშზე ნაკლებია ხელზე არსებულ ნაღდ ფულზე, ეს ამტკიცებს, რომ ზოგიერთი გაყიდვა არ გატარდა.
- საკრედიტო ნაშთების შემოწმება.
- ნაღდი ფულის ანგარიშის ნაშთი მოწმდება თვის განმავლობაში, იყო თუ არა საწყისი ნაშთი მცირე თანხა და დაბალანსდა თუ არა ანგარიში დიდი დანახარჯის შემდეგ;
- აუდიტორი ყურადღებას აქცევს დაჯამებამდე ჩაწერილ საკასო დებეტს (ყოველთვიური ან კვარტალური პერიოდის); ამ გადატანით შეიძლება საკრედიტო ნაშთის მდგომარეობა შეინიღბოს.
- ყველაზე დიდი საკრედიტო ნაშთი გამოიყენება საანგარიშო სისტემის აღსადგენად. თუ არსებობს საგადასახადო ვალდებულებების აღდგენის სხვა საშუალება, მაშინ საკრედიტო ნაშთები გამოიყენება ანგარიშების უარყოფის მიზეზად. (მუხლი 73.5)

აუდიტორი აანალიზებს საკასო აპარატის მონაცემებს. თვიური ჯამის მონაცემები შეიტანება ექსელის ცხრილში ან ხელით ჩაიწერება ყოველთვიური გაყიდვების ფორმაში.

- ხდება ყოველთვიური ფორმების შეჯამება და საგადასახადო დეკლარაციაში მითითებულ მთლიან შემოსავლებთან შედარება.
- სანომუშოდ აღებული თვისთვის გამოიყენება ყოველთვიური ფორმა და მოწმდება, ყოველდღიური ჯამური თანხები სწორად იყო თუ არა შეტანილი.

აუდიტორი აანალიზებს ბიზნესის მიერ ნაღდი ფულით თანხის გაცემებს. ამოწმებს, რომ შემოსავალი აღირიცხა ბიზნესის ხარჯების დასაფინანსებლად მის გაცემამდე.

კომპენსაცია ფულადი სახსრების მოძრაობის გარეშე: კომპენსაციას ადგილი აქვს, როცა ზოგიერთი გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი გამოიყენება გარკვეული ხარჯების დასაფარად. ეს შეიძლება მოხდეს,

როცა მიმწოდებელი ასევე კლიენტია, ან იმ ბიზნესებს შორის, რომლებიც დაარსებულია ქვეყნის შიგნით, ან საზღვარგარეთ.

შედეგი: საკასო ჟურნალის ყოველდღიური ნაშთი არ შეიძლება იყოს საკრედიტო ნაშთი. თუ ეს ასეა, ეს ნიშნავს, რომ გაყიდვები ნაკლები ღირებულებით აღირიცხა. ეს კი მთელი სააღრიცხვო სისტემის უარყოფით შეიძლება დასრულდეს.
მცირე ბიზნესში, როცა კაპიტალის შემომტანია ინდ. მეწარმე-მფლობელი, სახსრების თარიღი, ოდენობა და წყარო აუდიტორმა უნდა ჩაიწეროს, რათა მომავალში შეამოწმოს, რომ ეს პირი მართლაც უფლებამოსილია ამ ქმედებაზე.

6. საბანკო ანგარიშების შემოწმება
აუდიტორი ანალიზებს დუბლიკატი დეპოზიტის ტალონებს. თუ ბიზნესი ინტენსიურად მოიხმარს ნაღდ ფულს, ნაღდი ფულის დეპონირება ხშირი და მნიშვნელოვანი უნდა იყოს.

- ბანკის ამონაწერებისა და ანგარიშ(ებ)ის შედარება: საბანკო დეპოზიტების ანალიზი.
- საკრედიტო ბარათზე ან გადახდის სხვა სამუალებებზე ნაღდი ფულის პროცენტის გაანგარიშება.

7. ჯვარედინი გადამოწმება მესამე მხარის ინფორმაციასთან
აუცილებელია შესრულდეს ჯვარედინი გადამოწმება მესამე მხარის ინფორმაციასთან და აუდიტორი მხოლოდ კლიენტის მონაცემთა ბაზას არ დაეყრდნოს. ინფორმაციის ამგვარი მოთხოვნის გაკეთება აუდიტის ფუნქციის შემაჩერებელი ეფექტის გაზრდას უწყობს ხელს.

- მოწმდება, სათანადო წესით აღირიცხა თუ არა ნარჩენი პროდუქტების გაყიდვა. უმეტეს შემთხვევაში ნარჩენების გაყიდვას და მთავარ გაყიდვებს შორის (ფიქსირებული კოეფიციენტი) მჭიდრო ურთიერთკავშირია, მაგრამ მაინც ხშირად ხდება, რომ ეს გაყიდვები არ აღირიცხება და ბიზნესის მფლობელი გაყიდვებიდან შემოსულ თანხას იყენებს მისი „აღურიცხავი" შემოსავლების შესავსებად.
- ინფორმაცია გადამოწმდება მესამე მხარესთან, რომელიც ჩართულია საქონლისა და სახსრების მოძრაობაში: სატრანსპორტო კომპანიები და ბანკები.
- გადამოწმება მოხდება სხვადასხვა კლიენტებთან: უცნობ კლიენტებთან, ან ისეთ კლიენტებთან, რომელთაც არ აქვთ აშკარა კავშირი წარმოებულ ვაჭრობასთან; ინფორმაცია შეიძლება მოთხოვნილ იქნას ცალკეულ ოპერაციაზე ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში განხორციელებულ ყველა ოპერაციაზე.

ბიზნესის მფლობელებისა და მათი ოჯახების გამოკვლევა: ნაკლები ღირებულებით ასახული გაყიდვებიდან მიღებული მოგებით ბიზნესის მფლობელი და მისი ოჯახი სარგებლობენ. საჭიროა, დაკვირვება მფლობელისა და მისი ოჯახის ცხოვრების წესზე, გაუმართლებელი სიმდიდრე დაფიქსირების მიზნით.

შედეგი:ოპერაციის აღურიცხველობა ან უწესრიგობა უნდა იქნას ჩანიშნული და გატარდეს შესაბამისი სანქციები.
აუდიტის დასკვნაში მითითებული უნდა იყოს ნარჩენების და დანაკარგის სიდიდე.
აუდიტორი ინიშნავს შესამოწმებელი ბიზნესის კლიენტის დავალიანების ნაშთს პერიოდის ბოლოს. სასარგებლო იქნება, თუ მოგვიანებით კლიენტსაც ჩაუტარდება აუდიტი.

8. რაოდენობრივი კონტროლი საქონლის დანაკლისი აღმოჩენის მიზნით
საწყისი მარაგი + შესყიდვები – გაყიდვები = საბოლოო მარაგი
საქონლის დანაკლისის შემოწმება: თუ მარაგი ნაკლებია ჩანაწერში აღნიშნულ თანხაზე, ეს ნიშნავს, რომ გაყიდვები ნაკლები ღირებულებითაა ასახული.

თუ მარაგები მეტია, ვიდრე ეს წიგნებშია გატარებული, ეს ნიშნავს, რომ სააღრიცხვო სისტემა არც ისე სანდოა.

9. წინასწარი მონაცემები და წარმოების კოეფიციენტების შეცვლა: ერთეულის და მოცულობის მეთოდი

ნედლეულის ღირებულების შეფასება (A&B) საბოლოო პროდუქციის საწარმოებლად (G)

წარმოების კოეფიციენტების გარკვევა: A/G; (A+B)/G; A/B (თვითღირებულების გაანგარიშება ან წარმოების ღირებულება).

მოწმდება ტოლობა: გამოყენებული ნედლეულის ღირებულება x კოეფიციენტი = საბოლოო გაყიდული საქონელი (ითვალისწინებს საწყის და საბოლოო მარაგებს)

მოწმდება შემდეგი კოეფიციენტების სანდოობა, რათა შეფასდეს:

- ელექტროენერგიის მოხმარება (წარმოებისთვის, მაცივარში დასაწყობებისთვის და ა.შ.)
- შესაფუთი მასალები
- მაგიდის გადასაფარებელი (რესტორნებისთვის)
- დაზღვევა ან საწვავი (ტრანსპორტისთვის)
- სხვა მოხმარებადი მარაგები.

შედეგი: წარმოების კოეფიციენტები წლების მიხედვით არ იცვლება და იდენტურია მსგავსი დარგების ბიზნესებისთვის.

დადგენილი კოეფიციენტები უნდა დაემატოს დარგობრივ პროფილს.

10. წარმოების მოცულობისა და გაყიდვების შედარება (მწარმოებლები)

წარმოების მეთოდების კოეფიციენტების შეფასება: მანქანა-დანადგარების წარმოების სიმძლავრე კარგადაა ცნობილი და შესაბამისად, საბოლოო საქონლის რაოდენობა ადვილი დასადგენია.

უნდა დადგინდეს წარმოება საათობრივად, სამუშაო საათების რაოდენობა, სამუშაო დღეების რაოდენობა (შემოსავლების სამსახურის ავტორიზებულმა წარმომადგენელმა შეიძლება შეამჩნიოს შემოწმებას დაქვემდებარებული პირის მფლობელობაში მყოფი ტერიტორიები და შენობები (მუხლი 260.1). შემოსავლების სამსახურმა შეიძლება ქრონოლოგიური შემოწმება ჩაატაროს. ეს შემოწმება გულისხმობს საგადასახადო სამსახურის ოფიციალური პირის ვიზიტს გადასახადის გადამხდელის შენობაში გარკვეული დროით და სულ მცირე შვიდი დღის განმავლობაში გაყიდვების საქმიანობაზე დაკვირვებას. (მუხლი 257.3).]

შედეგი: ძირითადი საშუალებების აღწერა, მათ შორის მანქანა-დანადგარების, თავიანთი სიმძლავრეებით.

11. შემთხვევით (არასაოპერაციო) შემოსავალსა და გაყიდვებს შორის დამოკიდებულების შემოწმება

შემოსავლის სხვა წყაროების აღმოჩენა

- არაძირითადი ნაწარმი, ნარჩენები, ელექტროენერგია, საწვავი, შესაფუთი მასალები.
- შესაფუთი მასალის გაყიდვა.
- ჩამოფასება ან კრედიტები, მიღებული ან გაცემული გაყიდვის ან შესყიდვის შემდეგ (დეფექტური საქონელი, მოცულობაზე ფასდაკლება).
- მომსახურება, კონსიგნაცია.

ძირითადი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლიდან შემთხვევითი შემოსავლის პროცენტის დადგენა. შემთხვევით შემოსავალსა და ხარჯებს და გაყიდვების თანხას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს.

12. კონკრეტული ხერხების გამოყენებით აღურიცხავი დასაბეგრი ოპერაციების გაშიფვრა

აუდიტორი მიაკვლევს დანაკლისს ტრანზაქციებს ზოგიერთი ხერხის გამოყენებით:

- საქმიანი მიმოწერა.

- სატელეფონო ან საკონტაქტო მისამართების წიგნი.
- მენეჯერების საქმიანი დღიურები.
- კომუნალური ხარჯები.
- დაგვიანებით გაგზავნილი ანგარიშ–ფაქტურები.
- გაუქმებული გაყიდვები.
- ფინანსური ურთიერთობა: პროცენტი, წვრილმანი გასამრჯელო, ტრანსპორტირების ხარჯი, საკომისიო, საშუამავლო გადასახდელი.

13. წმინდა კაპიტალის მეთოდი (აკრეციის მეთოდი)

წმინდა კაპიტალის მეთოდის მიზანია წმინდა კაპიტალში ცვლილებით განისაზღვროს გადასახადის გადამხდელი აქტივებს იძენს, ვალდებულებებს ამცირებს თუ ხარჯებს სწევს იმ თანხებით, რომლებიც არაა ნაჩვენები, როგორც დასაბეგრი მოგება. ამ მეთოდით იზომება განსხვავება გადასახადის გადამხდელის წმინდა კაპიტალს (მთლიან აქტივებს გამოკლებული მთლიანი ვალდებულებები) შორის წლის დასაწყისში და წლის ბოლოს.

შედეგი: წმინდა კაპიტალის მეთოდი ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა მტკიცების მეთოდების მხარდასაჭერად ან ანგარიშგებაში ასახული დასაბეგრი შემოსავლის სიზუსტის შესამოწმებლად.

18.2.15 გაყიდული საქონლის ღირებულების ანალიზი

გაყიდული საქონლის ღირებულების შემოწმება შეიძლება შემდეგი მეთოდებით განხორციელდეს:

მარაგების შესწავლა;

თუ გადასახადის გადამხდელი მწარმოებელია, აუდიტორი უნდა დარწმუნდეს, რომ მას წარმოების პროცესში გამოყენებული ნედლეულისა და მასალების ღირებულება სრულად გადააქვს ნარმოებული მარაგების ღირებულებაში;

გაყიდვების ღირებულების შესწავლა და არსებითი მნიშვნელობის მქონე ანგარიშების შემოწმება;

ხარჯების სისტემის და არაპირდაპირი ხარჯების ანგარიშების შესწავლა;

მიმდინარე წლის საწყისი მარაგის ოდენობის შედარება წინა წლის საბოლოო მარაგთან და შეუსაბამობების აღმოფხვრა.

გაყიდვების ანალიზის საკონტროლო სია

შესყიდვების შესწავლისას შეიძლება გამოყენებული იქნას შემდეგი საკონტროლო სია:

პირველადი დოკუმენტების და დაქვემდებარებული ბუღალტრული ჩანაწერების შესწავლა

- ანგარიშ–ფაქტურები კრიტიკულად უნდა შემოწმდეს. მოითხოვეთ „ორიგინალების" ნახვის უფლება. შეამოწმეთ სათაურები, თარიღები, საქონლის (მომსახურების) ტიპები, ადგილზე მიტანის ადგილი, ბუღალტრის ხელმოწერა. ამ დროს აღმოაჩენთ წინა პერიოდის შესყიდვებს, პირადი მოხმარების შესყიდვებს, უცნობ მიმწოდებლებს, ზოგ ფაქტურასთან დაკავშირებით გამოტოვებულ გატარებებს.
- შემოწმებული ფაქტურების გატარებები (შესყიდვების ჟურნალი, საკასო წიგნაკი, მომწოდებელი). არსებული ინფორმაციასთან შედარება მესამე მხარეებთან ჯვარედინი გადამოწმებისთვის. შეამოწმეთ, რომ დაბრუნებები და ფასდაკლებები გათვალისწინებულია.
- შეადარეთ შეკვეთის ტალონები, ადგილზე მიტანის ტალონები, წერილები, ელექტრონული ფოსტა (თუ შესაძლებელია), შესყიდვების რვეულები გაანალიზებულ ფაქტურებს.
- მარაგების წიგნი, სადაც მატერიალური საქონელია აღწერილი, შეადარეთ საქონლის ბრუნვას (საწყისი მარაგები, მასიური შესყიდვები და გაყიდვები, რაოდენობა ან წონა).

- დარწმუნდით, რომ არსებობს აუცილებელი შესყიდვები და ებებეთ შეუსაბამობები შესყიდვების გაგებაში (ზოგიერთი შესყიდვა იგნორირებულია, მაგრამ არა ტრანსპორტის ღირებულება).
- შეისწავლეთ ანგარიში და აღმოაჩინეთ ის მომწოდებლები, რომლებიც არ არიან დაკავშირებული გადასახადის გადამხდელის პროდუქციასთან ან მომსახურებასთან.
- შეადარეთ შესყიდვები იმპორტის სადაზღვევო ხელშეკრულებებს.
- შეამოწმეთ მოვაჭრის პირადი შესყიდვები. (მაგალითად, თუ გადასახადის გადამხდელის ბიზნესი არის საცალოდ მოვაჭრე სასურსათო მაღაზია, და პირადი ანგარიშიდან სურსათის შესყიდვებზე გადახდა არ გაკეთებულა, უნდა იფიქროთ, რომ პირადი თანხის გამოტანა განხორციელდა).

საღრიცხვო სისტემის შემოწმება

- ებებეთ ფიქტიური ოპერაციები (რეალურიც) საღრიცხვო სისტემაში, რომელიც არ არის ქვეანგარიშებში (ან პირიქით).
- ნიმუშის შერჩევის მეთოდით შეამოწმეთ გატარებების არითმეტიკული სიზუსტე და საღრიცხვო სისტემის შიგნით თანხების გადატანა: ა) ქვეანგარიშების წიგნიდან ჟურნალში, ბ) ჟურნალიდან მთავარ საბუღალტრო წიგნში, გ) მთავარი საბუღალტრო წიგნიდან საბალანსო უწყისში. თუ აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი შესყიდვა არ იყო გატარებული, მთელი საღრიცხვო სისტემა უნდა იქნას არასანდოდ მიჩნეული და მთლიანი მოგების რეკონსტრუქცია შესყიდვების კორექტირებული ღირებულების მიხედვით უნდა განხორციელდეს.

ოპერაციული ხარჯების შესამოწმებლად შესაძლებელია შემდეგი მეთოდების გამოყენება აუდიტორისათვის:

- შეამოწმოს ხარჯები საგადასახადო დეკლარაციაში, მათ შორის ხომ არაა დიდი მოცულობის, არაორდინალური ან საეჭვო ხარჯები.
- შერჩეული ხარჯები შეამოწმოს საფეხურებრივად, ბუღალტრული წიგნებიდან პირველად დოკუმენტებამდე.
- შეამოწმოს ხარჯის გაწევის პერიოდი.
- შეამოწმოს ხარჯის ოდენობა.

აუდიტორმა მხედველობაში უნდა იქონიოს შემდეგი ტექნიკური საკითხები:

- აღრიცხვისა და იურიდიული ხარჯების სფეროში (შეამოწმეთ გადასახადის გადამხდელის მიერ მიღებული ჩეკები ცალკეულ გადასახდლებზე), ადმინისტრაციული ხარჯები, ფრანჩიზის ხარჯები, აქტივების შესყიდვის ხარჯები და კაპიტალური დანახარჯები.
- უიმედო ვალების აღრიცხვა.
- იჯარა–შესყიდვითი ურთიერთობები.
- დარიცხვის მეთოდით მომუშავე გადამხდელების შემთხვევაში, ხარჯების გაწევის მომენტის სწორად წარმოება,
- ბიზნესის აქტივების პირადი მოხმარება.
- წმინდა ოპერაციული ზარალის გაანგარიშება.
- ხარჯი და კაპიტალიზაცია.

საოპერაციო და ზედნადების ხარჯების ანალიზი

როგორც წესი, დასაბეგრი მოგება გაიანგარიშება მთლიანი მოგებიდან გამოქვითვადი ხარჯების გამოკლებით. გამოქვითვადი რომ იყოს, ბიზნესის ხარჯი უნდა იყოს:

- დოკუმენტურად დადასტურებული;
- ბიზნესის ინტერესისთვის განეული (აუცილებელი);
- წმინდა აქტივების შემცირებასთან დაკავშირებული.

აუცილებელია, ბიზნესის ხარჯები გავაცალკევოთ შემდეგი ხარჯებისგან:
• კაპიტალური ხარჯები. • პირადი ხარჯები.
კაპიტალური ხარჯები უნდა იქნას კაპიტალიზირებული და არა გამოქვითული. ეს ხარჯები ინვესტიციის ნაწილია და ბიზნესში აქტივებად ითვლება. ზოგადად, სამი ტიპის კაპიტალური ხარჯები არსებობს: ბიზნესის დასაწყისის (ე.წ. სტარტაპი) ხარჯები, ბიზნესის აქტივები და გაუმჯობესება (იხ. ქვემოთ). კაპიტალური ხარჯები არაა გამოქვითვადი, მაგრამ ბიზნესში გამოყენებულ გარკვეულ კაპიტალურ აქტივებს გამოქვითვა შეიძლება შეეხოს ამორტიზაციის გამო. პირითადი შეუსაბამობები: გადასახადისთვის თავის არიდების გავრცელებული გზა წმინდა დასაბეგრი მოგების შემდეგნაირად შემცირება:
• ჩანაწერების არარსებობა. ზოგიერთი შედარებით მცირე ხარჯი ძნელია დაადასტუროო, თუმცა ისინი გაწეულია: ესაა წვრილმანი გასამრჯელო და წარმომადგენლობითი ხარჯები. წარმომადგენლობითი ხარჯები 1%-მდე იქვითება საგადასახადო წლის ერთობლივი შემოსავლიდან. • ცრუ ხარჯები: ხანდახან წმინდა მოგების შესამცირებლად ყალბდება ფაქტურები. ეს ფაქტურები ეხება გაუწეველ მომსახურებას. • ხარჯები, რომლებიც ბიზნესის ინტერესისთვის არ გაწეულა.

18.2.16 ნიმუშის შერჩევის მეთოდი

გადასახადის გადამხდელის საბუღალტრო ჩანაწერების შემოწმების პროცესი შეიძლება არსებითად გაამჯობესოს შერჩევითი კვლევის მეთოდის სათანადო გამოყენებამ.

შერჩევითი კვლევის მეთოდის ორი ძირითადი ტიპი არსებობს: ***საღი აზრით და სტატისტიკური. საღი აზრით შერჩევის მეთოდი*** აუდიტორისგან მოითხოვს საკუთარი საღი აზრის გამოყენებით ჩაატაროს შერჩევის პროცედურა და შეაფასოს მისი შედეგები.

ამ მეთოდის ერთ-ერთი სახეა **ჯგუფური შერჩევა.**

- საბალანსო უწყისიდან ან ოპერაციების კლასიდან აირჩევა უწყვეტი პუნქტების ჯგუფები. მაგალითი: აუდიტორი შეარჩევს ერთი თვის ტრანსპორტირებაზე გაწეულ ხარჯს, რის საფუძველზეც გამოიტანს დასკვნას ამ კუთხით მთელი წლის ხარჯის შესახებ.
- ზოგჯერ შერჩეულ ნუმერაციულ ან ანბანურ თანმიმდევრობაში ყველა პუნქტი შეირჩევა. მაგალითი: მთლიანი შემოსავლის ნიმუშის ასაღებად შეირჩევა კლიენტები, რომელთა გვარებიც გარკვეული ასოთი იწყება, მაგალითად, ა, ბ, გ...და შეირჩევა თვეები: იანვარი, სექტემბერი და დეკემბერი.

საღი აზრით ნიმუშის აღების კიდევ ერთი სახეა **ღირებულების შეზღუდვის მეთოდი.**

- ამ მეთოდის მიხედვით შეირჩევა მინიმალური ღირებულების თანხა (ლარებში) და იქმნება ნიმუში, რომლის მიხედვით შეირჩევა ყველა პუნქტი, რომელიც აჭარბებს შერჩეულ თანხას.
- ამ დროს აუდიტორი ზოგავს დროს და არ ამოწმებს მცირე, უმნიშვნელო თანხებს.
- ეს მეთოდი ხშირად ჯგუფური შერჩევის მეთოდთან კომბინაციაშიც გამოიყენება.

სტატისტიკური შერჩევის მეთოდი გულისხმობს მთლიანიდან რაღაც ნაწილის შერჩევას, რის მიხედვით მთელ ინფორმაციაზე კეთდება დასკვნა. ამ მეთოდს სხვაგვარად ალბათობით ანუ შემთხვევითი პრინციპის მიხედვით ნიმუშის შერჩევას უწოდებენ. ამ მეთოდის გამოყენებისას, შერჩევის პროცესთან მიმართებაში ნიმუშის ამრჩევი საკუთარ საღ აზრს ვერ გამოიყენებს.

აუდიტორებმა სტატისტიკური მეთოდი დამოუკიდებლად არ უნდა გამოიყენონ. ისინი ფაქტებსა და გარემოებებს განიხილავენ თავიანთ ზედამხედველთან და ამ მეთოდის გამოყენების აუცილებლობის შემთხვევაში ასახავენ აუდიტის დამტკიცებულ პროგრამაში.

18.2.17 არაპირდაპირი მეთოდების განსაზღვრა.

შემოწმების პროცესში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს გადამხდელის სააღრიცხვო სისტემის შეფასება, რადგან სწორედ ამის შემდეგ განისაზღვრება შემოწმების ის მეთოდები რომელსაც აუდიტორი შემდგომში გამოიყენებს.

არაპირდაპირი მეთოდი გულისხმობს გარემოებითი მტკიცებულებით საგადასახადო ვალდებულების დადგენას, გამოტოვებული შემოსავლის, გადაჭარბებულად ასახული ხარჯების ან ორივე მათგანის საფუძველზე, რომელიც არ არის პირდაპირ დაკავშირებული ან ასახული გადამხდელის სააღრიცხვო ჩანაწერებში, რომელიც უზრუნველყოფს საგადასახადო დეკლარაციის ინფორმაციას. გარემოებითი მტკიცებულება არის მტკიცებულება, რომლის საფუძველზე ერთზე მეტი ლოგიკური დასკვნის გამოტანა შეიძლება. დამატებითი დასაბეგრი შემოსავლის კორექტირებისთვის საჭიროა შეფასდეს როგორც მტკიცებულების სანდოობა, ასევე დასკვნის გონივრულობა, რის შემდეგ განისაზღვრება საგადასახადო ვალდებულება.

ანალიზური მიმოხილვა და გადასახადის გადამხდელის ბუღალტრული ჩანაწერების შემოწმება შეიძლება დასრულდეს დამატებითი დასაბეგრი შემოსავლის გამოვლენით, რისი საფუძველიც გარემოებითი მტკიცებულებაა.

არსებობს არაპირდაპირი შემოწმების 5 ძირითადი მეთოდი, რომელიც ყველაზე ხშირად გამოიყენება პრაქტიკაში. ესენია:

- წყაროსა და ფულადი სახსრების გამოყენების მეთოდი;
- საბანკო დეპოზიტებისა და ნაღდი ფულის დანახარჯების მეთოდი;
- ერთეულისა და მოცულობის მეთოდი;
- წმინდა კაპიტალის მეთოდი;
- ფასნამატის მეთოდი.

თეორიულად, ზემოალნიშნული თითეული არაპირდაპირი მეთოდის სათანადოთ გამოყენების შემთხვევაში, უნდა მივიღოთ ერთნაირი შედეგი, თუმცა არსებობს შემთხვევები, როდესაც რომელიმე კონკრეტული მეთოდის გამოყენება უფრო მიზანშეწონილი და გამოსადეგია ვიდრე სხვა მეთოდების გამოყენება.

შინაარსობრივად არაპირდაპირი მეთოდის სახეებს ასევე წარმოადგენს, შედარების მეთოდი, ეტიკეტის მეთოდი და ა. შ. არაპირდაპირ მეთოდად შეგვიძლია ჩავთვალოთ ქრონომეტრაჟიც, თუმცა იგი მხოლოდ კონკრეტული პერიოდის მიხედვით ადგენს დაბეგვრის ობიექტს. შესაბამისად, მხოლოდ ქრონომეტრაჟის შედეგებით სხვა საგადასახადო პერიოდების მიხედვით საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრა არ იქნება სწორი. მიუხედავად ამისა ქრონომეტრაჟი პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება როგორც სხვა ძირითადი არაპირდაპირი მეთოდებით გამოკვეთილი შედეგების გასამყარებელი არგუმენტი.

შემოწმების პროცესში აუდიტორი შესაძლებელია არ შემოიფარგლოს მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი 5 ძირითადი მეთოდით. აუდიტორმა შესაძლებელია დაასაბუთოს და გამოიყენოს დამოუკიდებელი – კონკრეტულ საქმიანობის სახესთან ან/და ობიექტზე მორგებული ინდივიდუალური მეთოდი, რომელიც ასევე შეიძლება ჩაითვალოს არაპირდაპირ მეთოდად. ასევე დარგობრივი სფეციფიკის გათვალისწინებით გამოცემული სახელმძღვანელობი.

სასურველია აუდიტორმა შემოწმების პროცესში არაპირდაპირი მეთოდით მიღებული შედეგები, განამტკიცოს და გაამყაროს სხვა არაპირდაპირი მეთოდის გამოყენებით და შედეგებით. აღნიშნული იქნება დამატებითი მტკიცებულება რომელიც აუდიტორის პოზიციას კიდევ უფრო გაამყარებს.

შემოწმების არაპირდაპირი მეთოდი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას როგორც, გადამხდელის:

- სააღრიცხვო სისტემის სანდოობის შეფასების საშუალება.
- საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრის საშუალება.

სააღრიცხვო ჩანაწერების სანდოობის შემოწმების მიზნით, არაპირდაპირი მეთოდი აუდიტორის მიერ შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შემოწმების ნებისმიერ ეტაპზე. თუ, არაპირდაპირი მეთოდით გადამოწმების შედეგად აუდიტორი დარწმუნდება, რომ გადამხდელის სააღრიცხვო სისტემა არ არის სანდო, ზედამხედველთან შეთანხმებით მიიღება გადაწყვეტილება გადამხდელის საგადასახადო ვალდებულების არაპირდაპირი მეთოდით განსაზღვრის შესახებ.

შემოწმების არაპირდაპირი მეთოების გამოიყენება გაცილებით ეფექტურია ფიზიკური პირებისა და მცირე ბიზნესის შემოწმებისას. ის ნაკლებად ეფექტურია მსხვილი საწარმოებისთვის, რამდენადაც მათ აქვთ სამეწარმეო – კომერციული საქმიანობის დიდი რაოდენობა.

შემოწმების არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებას შემოწმების ნებისმიერ ეტაპზე უნდა

გააჩნდეს შესაბამისი საფუძველი და ახსნა თუ რატომ ხდება რომელიმე კონკრეტული მეთოდის გამოყენება.

სააღრიცხვო სისტემის სანდოობის შეფასების მიზნით შემოწმების არაპირდაპირი მეთოდების გამოყენების შესახ გადაწყვეტილების საფუძველი შეიძლება იყოს:

– გადამხდელის ბუღალტრული ჩანაწერები ნათლად არ ასახავენ დასაბეგრ შემოსავალს ან/და ოპერაციას.

– ადგილი აქვს ყოველწლიურად აქტივების მნიშვნელოვან ცვლილებას (ზრდას/შემცირებას);

– გადასახადის გადამხდელის ხარჯები (როგორც ეკონომიკურს აქმიანობასთან დაკავშირებული, ისე პირადი) აჭარბებს დეკლარირებულ შემოსავალს;

– გადამხდელის საქმიანობა დაკავშირებულია ძირითადად ნაღდი ფულადი სახის ოპერაციებთან.

– გადამხდელის მიმართ ჩატარებული საგადასახადო კონტროლის (როგორც მიმდინარე, ისე საგადასახადო შემოწმების) ღონისძიებების შედეგად გამოვლენილ იქნა დარღვევები ან/და შეუსაბამობები;

– გადამხდელმა სააღრიცხვო ჩანაწერებში არ ასახა დასაბეგრი შემოსავალი ან/და ოპერაცია;

– გადამხდელის ფინანსური სტატუსი არ შეესაბამება დეკლარირებულ შემოსავლებს, მათ შორის შემოწმების დროს გამოვლენილი სხვა კორექტირებების გათვალისწინების შემდეგ.

– შემოწმების მსვლელობის პროცესში გამოვლინდა ფულადი სახსრების არსებითი დისბალანსი.

– სუსტი შიდა კონტროლის მექანიზმების არსებობა.

– ფინანსური კოეფიციენტების ანალიზის შედეგად მიღებული შეუსაბამობები;

– გადამხდელის კონკრეტული საქმიანობისათვის დასაბეგრი შემოსავლის/მოგების ან/და ოპერაციის მოცულობის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად იცვლება საანგარიშო პერიოდების მიხედვით; აგრეთვე როცა ისინი გადამხდელის საქმიანობის ბაზრის სეგმენტისთვის ან დარგისთვის უჩვეულოდ მაღალია ან დაბალია.

– გადამხდელის საბანკო ანგარიშებზე დარიცხულია გაურკვეველი თანხები, რომელთა წყაროს დადგენა ვერ ხერხდება.

– გადასახადის გადამხდელის წინა და მომდევნო წლების საგადასახადო დეკლარაციების მიხედვით ფიქსირდება, წმინდა კაპიტალის მნიშვნელოვანი ზრდა, რასაც თან არ ახლავს ერთობლივი შემოსავლის გაზრდა.

– და ა.შ

იმის დასადგენად თუ რამდენად სანდოა გადამხდელის სააღრიცხვო სისტემა აუდიტორი შემოწმების საწყის ეტაპზე ზედამხედველთან ათანახმებს საკითხს გაითვალისწინოს თუ არა არაპირდაპირი მეთოდები შემოწმების პროგრამაში. აუდიტორმა არაპირდაპირი მეთოდის გამოყენება თითოეულ შემთხვევაში უნდა გადაწყვიტოს ინდივიდუალურად ფაქტებისა და გარემოებების გათვალისწინებით. გადაწყვეტილების საფუძველი არაპირდაპირი მეთოდის გამოყენების შესახებ, რომელიც წარედგინება ზედამხედველს უნდა იყოს დასაბუთებული დოკუმენტურად. არაპირდაპირი მეთოდის გამოყენების საფუძველი შეიძლება იყოს ერთი ან რამდენიმე, ამასთან, მისი გამოყენება შესაძლებელია სხვა შემთხვევებშიც გადასახადის გადამხდელის საქმიანობის სპეციფიკისა და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით. არაპირდაპირი მეთოდების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება შესაძლებელია მიღებულ იქნას უშუალოდ შემოწმების პროცესშიც შემოწმების პროგრამაში შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით.

მაგალითად: თუ გადამხდელს შეძენილი აქვს ძვირადღირებული ავტომობილი და ა.შ, რომელიც ვერ იქნებოდა უზრუნველყოფილი დეკლარირებული შემოსავლებით ან/და ცხოვრების ნორმები გაცილებით მაღალია აუდიტორმა შეიძლება იფიქროს, რომ მანქანის შეძენა განხორციელდა არადეკლარირებული შემოსავლებიდან. აუდიტორის მტკიცებულება, აღნიშნული გარემობასთან მიმართებაში გამაგრებული უნდა იყოს და შეცავდეს შემდეგ მონაცემებს:

– საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები;

– შეძენის თარიღი;

– შეძენის ფასი;

– საიდან და ვის მიერ იქნა ხარჯი გაწეული;

– ინფორმაცია შესყიდვის ხელშეკრულებიდან;

– გადახდის პირობები;

შემოწმების არაპირდაპირი მეთოდების შედეგებზე დგება შესაბამისი ანგარიში. ანგარიშში სხვა ინფორმაციასთან ერთად უნდა მიეთითოს აუდიტორის პოზიცია გადამხდელის საგადასახადო ვალდებულების არაპირდაპირი მეთოდებით განსაზღვრის მიზანშეწონილობის შესახებ, რომელიც

ზედამხედველის თანხმობას საჭიროებს. ანგარიშში უნდა მიეთითოს:

- არაპირდაპირი მეთოდის გამოყენების საფუძვლები;
- გამოყენებული პროცედურები და მეთოდები;
- მიღებული შედეგები;
- ფაქტები და გარემოებები რომელსაც დაეყრდნო აუდიტორი;
- გადამხდელის კომენტარები;
- გამოყენებული დარგობრივი სფეციფიკის სახელმძღვანელოები (არსებობის შემთხვევაში);
- სხვა შესაბამისი ინფორმაცია;
- დასკვნა.

აუდიტორი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ინფორმაცია, რომელსაც ის იყენებს არაპირდაპირი მეთოდის გამოყენების პროცესში, შემოწმებული და დასაბუთებულია, იგი სანდოა და ღირებული. არ არის მიზანშეწონილი ისეთი ფაქტების გამოყენება, რომელიც მხოლოდ მოსაზრებას წარმოადგენს და დოკუმენტურად არ არის დასაბუთებული.

შემოწმების პროცესში არაპირდაპირი მეთოდის გამოყენებისას გადამხდელი ვალდებულია აუდიტორს მისცეს გადასახადების გამოანგარიშებასა და გადახდასთან დაკავშირებული დოკუმენტები, აგრეთვე წერილობითი და სიტყვიერი განმარტებები საგადასახადო შემოწმების დროს წამოჭრილ საკითხებზე.

როდესაც გადამხდელი არ აწარმოებს აღრიცხვას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით, ან თუ საერთოდ არ აწარმოებს სააღრიცხვო ჩანაწერებს, ან სააღრიცხვო დოკუმენტები დაკარგულია ან/და განადგურებულია, რის გამოც დასაბეგრი ობიექტის და შესაბამისად საგადასახადო ვალდებულების დადგენა შეუძლებელი ხდება საგადასახადო აუდიტის დროს, საგადასახადო კანონმდებლობა უფლებას აძლევს აუდიტორს გადამხდელის სადასახადო ვალდებულება განესაზღვროს არაპირდაპირი მეთოდის გამოყენებით შესაბამისი ფაქტებისა და გარემოებების გათვალისწინებით.

გადამხდელის საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრა არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით ემყარება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 49-ე(გ); 49-ე(ე) და 73-ე(5) მუხლებს, კერძოდ:

სსკ-ს 49-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით:

> საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს განახორციელოს საგადასახადო მონიტორინგი, ინვენტარიზაციით აღრიცხონ საქონლის მარაგები, ჩაატაროს დაკვირვება (გამოკვლევა) ქრონომეტრაჟის ან სხვა მეთოდის გამოყენებით და განსაზღვროს დაბეგვრის ობიექტის რაოდენობა.

სსკ-ს 49-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით:

> საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს დამოუკიდებლად განსაზღვროს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულების მოცულობა საგადასახადო ორგანოში არსებული ინფორმაციით (მათ შორის, გადასახადის გადამხდელის დანახარჯების შესახებ) ან შედარების მეთოდით – სხვა ამგვარი გადასახადის გადამხდელების შესახებ ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, თუ გადასახადის გადამხდელი არ წარადგენს საგადასახადო კონტროლის განსახორციელებლად საჭირო სააღრიცხვო დოკუმენტაციას ან დადგენილი წესის დარღვევით აწარმოებს ბუღალტერიას, აგრეთვე ამ კოდექსით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

სსკ-ს 73-ე მუხლის „5“ ნაწილის მიხედვით:

> საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, განუსაზღვროს პირს საგადასახადო ვალდებულებები არსებული მასალების საფუძველზე, შესაბამისი ფაქტებისა და გარემოებების გათვალისწინებით, პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით (აქტივების სიდიდის, საოპერაციო შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით, აგრეთვე სხვა მსგავსი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე), ქვემოთ მოყვანილი ერთზე მეტი ნებისმიერი პირობის არსებობისას:
>
> ა) პირი არ ახორციელებს ბუღალტრულ აღრიცხვას ან არ ახორციელებს მას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმითა და წესით;
>
> ბ) სააღრიცხვო დოკუმენტაცია დაკარგულია ან განადგურებულია;
>
> გ) ადგილი აქვს პირის აქტივების დაუსაბუთებელ ზრდას;
>
> დ) პირის დასაბეგრი შემოსავალი ან/და ოპერაციის მოცულობა ან/და ფასნამატის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად იცვლება საგადასახადო პერიოდების მიხედვით;
>
> ე) პირის მიერ ეკონომიკური საქმიანობისათვის ან/და პირადი მოხმარებისათვის გაწეული ხარჯი აჭარბებს დეკლარირებულ შემოსავალს.

აუდიტორის უფლება, რომ გადამხდელის საგადასახადო ვალდებულება განსაზღვროს არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით არ უნდა იქნას გაგებული ისე, თითქოს მას თვითნებური შეფასებების უფლებამოსილება გააჩნდეს. აუდიტორის გადაწყვეტილება უნდა იყოს გონივრული და შესაბამისად დასაბუთებული ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების საფუძველზე. თუ გადამხდელს ეფექტური სააღრიცხვო სისტემა გააჩნია, თანმხლები დოკუმენტაციით, თუმცა დოკუმენტები სრულად არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ეს არ უნდა იყოს არაპირდაპირი მეთოდების გამოყენების საფუძველი. აგრეთვე, გადამხდელის მიერ ბუღალტრულ ჩანაწერებში ცალკეული ოპერაციებისა გამოტოვება, რომელიც გამოწვეულია გადამხდელის შეცდომით არ შეიძლება უპირობოდ სააღრიცხვო სისტემის არასანდოობაზე დასკვნის საფუძველი გახდეს, შესაბამისად, ამ ფაქტორის გამო არაპირდაპირი მეთოდის გამოყენებაც არ იქნება გამართლებული. თუმცა, ამგვარი შეცდომები მინიშნებაა იმაზე, რომ გადასახადის გადამხდელის კონტროლის სისტემები სუსტია, და რომ აუდიტორს მეტი ყურადღება მოეთხოვება.

შესაძლებელია გადამხდელს გააჩნდეს უზადოდ შესრულებული სააღრიცხვო დოკუმენტაცია, თუმცა იგი არავითარ კავშირში არ იყოს მის ეკონომიკურ საქმიანობასთან რა შემთხვევაშიც არაპირდაპირი მეთოდების გამოყენება იქნება საჭირო. ამიტომ არაპირდაპირი მეთოდების გამოყენების წინ აუცილებელია აუდიტორი კარგად იცნობდეს გადამხდელის საქმიანობას.

აუდიტორმა არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით მიღებული შედეგები და გამოყენებული მეთოდები დეტალურად უნდა აღწეროს შემოწმების აქტში და დაასაბუთოს თუ რატომ მოხდა გადამხდელის საგადასახადო ვალდებულებების არაპირდაპირი მგზით განსაზღვრა რა იყო მისი საფუძველი, და აგრეთვე თუ რატომ იქნა რომელიმე კონკრეტული მეთოდი გამოყენებული. შემოწმების აქტში აუდიტორმა უნდა მიუთითოს:

– შემოწმების არაპირდაპირი მეთოდის გამოყენების საფუძვლები.

– ყველა ის ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები რომლებსაც დაეყრდნო აუდიტორი არაპირდაპირი მეთოდის გამოყენებისას.

– გადამხდელის ახსნა განმარტებები.

– რა მეთოდები იქნა გამოყენებული.

– რატომ იქნა კონკრეტული არაპირდაპირი მეთოდი გამოყენებული?

– შემოწმების არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით მიღებული შედეგები.

– აქამდე გამოყენებული პროცედურები და აუდიტის მეთოდები.

-ზედამხედველის კომენტარები (საჭიროების შემთხვევაში).

– გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია.

– დარგობრივი სფეციფიკის სახელმძღვანელობი;

– დასკვნები.

აუდიტორის პოზიცია გაძლიერდება, თუ იგი შეძლებს სავარაუდო დამალული შემოსავლები დაუკავშიროს რაიმე წყაროს ან იმ სამეწარმეო – კომერციულ საქმიანობას, რომლიდანაც იგი წარმოიშვა, მაგალითად შემოწმების აქტში უნდა მიეთითოს დასაბეგრი შემოსავლის შესაძლო წყაროები. აუცილებელი არაა კონკრეტულ წყაროზე ხაზის გასმა, საკმარისია დასახელდეს დასაბეგრი შემოსავლის შესაძლო წყაროები. რაც უფრო გამოაშკარავდება ეს შესაძლო წყაროები, მით უფრო სანდო იქნება არაპირდაპირი მეთოდის შედეგები. შესაძლო წყაროები შესაძლებელია გამოვლინდეს:

– ბუღალტრულ ჩანაწერებში კონკრეტული გამოტოვებებით;

– იმის მტკიცებით, რომ გადასახადის გადამხდელის რესურსებით უნდა გამოემუშავებინა უფრო მეტი შემოსავალი ვიდრე მას ჰქონდა დეკლარაციაში მითითებული;

– დროის მიხედვით შედარებებით.

საგადასახადო ვალდებულების არაპირდაპირი მეთოდით გამოყენების დასაბუთება უნდა მომზადდეს მისი გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან ერთად.

არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, თუ რომელ მეთოდს გამოიყენებს აუდიტორი. არაპირდაპირი მეთოდი, რომელსაც აუდიტორი გამოიყენებს უნდა შეესაბამებოდეს გადამხდელის საქმიანობის სფეციფიკას და უნდა იყოს დეტალურად განმარტებული როგორც შემოწმების აქტში აგრეთვე შემოწმების პროგრამაში თუ რატომ ხდება რომელიმე კონკრეტული მეთოდის გამოყენება.

მხოლოდ ერთი არაპირდაპირი მეთოდით შემოწმების ჩატარება ნაკლებად სანდოა. გარდა ძირითადი არაპირდაპირი მეთოდისა აუდიტორმა შეიძლება გამოიყენოს სხვა ინდივიდუალური სახის არაპირდაპირი მეთოდები რომელიც უნდა იყოს შესაბამისად დასაბუთებული და გადამხდელის კონკრეტული საქმიანობის შესატყვისი. გამოყენებული არაპირაპირი მეთოდების შედეგების გასამყარებლად

აუდიტორმა შესაძლებელია მოითხოვოს და ჩაატაროს გადახმდელის საქმიანობის ქრონომეტრაჟი.

არაპირდაპირი მეთოდის შერჩევისას აუდიტორმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი ფაქტორები:

– დარგი, ან ბაზრის სეგმენტი, რომელშიც გადასახადის გადამხდელი საქმიანობს.

– არის თუ არა სასაქონლო–მატერიალური მარაგები შემოსავლის მიღების ძირითადი წყაროა.

– შესაძლებელია თუ არა მომწოდებლების დადგენა ან/და საქონლის შესყიდვა ხორციელდება თუ არა შეზღუდული რაოდენობის მომწოდებლებისგან.

– საქონლის ან/და მომსახურების ფასწარმოქმნა, წარმოების მოცულობა და პროდუქციის მრავალფეროვნება.

– გადასახადის გადამხდელის ბუღალტრული ჩანაწერების არსებობა და სისრულე.

– გადასახადის გადამხდელის ურთიერთობა ბანკებთან.

– გადასახადის გადამხდელის მიერ ნაღდი ანგარიშწორებით განხორციელებული ოპერაციები;

– ფული მიმოქცევის შიდა კონტროლის შედეგების და დეკლარირებული ოპერაციების შესაბამისობას;

– აჭარბებს თუ არა გადამხდელის ხარჯები ერთობლივ შემოსავალს;

– აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება საანგარიშო პერიოდების მიხედვით;

– წმინდა კაპიტალის ცვლილება საანგარიშო პერიოდების მიხედვით;

– გადასახადისგან თავის არიდების შესაძლო ვარიანტები;

– გადამხდელის თავდაცვის საშუალებები.

18.2.18 წყაროსა და ფულადი სახსრების გამოყენების მეთოდი.

წყაროსა და ფულადი სახსრების გამოყენების მეთოდი გულისხმობს გადასახადის გადამხდელის ფულადი სახსრების მოძრაობის ანალიზს და მოცემული პერიოდისათვის ყველა პირადი და ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი დანახარჯებისა და შემოსავლების შედარებას. აღნიშნული მეთოდი ემყარება შემდეგ პრინციპს, რომ თუ პირი ეწევა ხარჯს უნდა არსებობდეს მისი დაფინანსების წყაროც. შესაბამისად დადგენილი ხარჯები უნდა ბალანსდებოდეს მიღებული შემოსავლებით. დაუბალანსებლობის შემთხვევაში, აუდიტორმა უნდა დაადგინოს აღნიშნული ხარჯები, არის თუ არა წარმოშობილი დასაბეგრი წყაროებიდან.

წყაროსა და ფულადი სახსრების გამოყენების მეთოდი ახდენს გადამხდელის მიერ პერიოდების მიხედვით ყველა ნაღდი ანგარიშსწორებით გაწეული ხარჯების შედარებას აღნიშნულ პერიოდში მიღებულ ყველა შემოსავალთან. აღნიშნული მეთოდი ითვლისწინებს აქტივებისა და ვალდებულებების წმინდა ზრდასა და შემცირებას არაგამოქვითვად ხარჯებთან და არადასაბეგრ შემოსავალთან მიმართებაში. თუ გადამხდელის ხარჯები აღემატება დეკლარირებულ შემოსავლებისა და არადასაბეგრი შემოსავლების ჯამს აღნიშნული მეთოდის მიხედვით სხვაობა ითვლება რომ გამოწვეულია ან:

– ხარჯებს ხელოვნურად გაზრდით;

– ერთობლივი შემოსავლის ხელოვნურად შემცირებით;

– ხარჯების დაფინანსებით ისეთი არაეკონომიკური გზით მიღებული შემოსავლებით, რომლებიც არ ექვემდებარება დაბეგვრას (სესხი, საჩუქრი, მემკვიდრეობა და სხვა.)

წყაროსა და ფულადი სახსრების მეთოდი მოიცავს 4 ძირითად ეტაპს:

– ფულადი სახსრების გამოყენების ანალიზი

– ფულადი სახსრების წყაროების ანალიზი

– დარიცხვის მეთოდით მომუშავე გადასახადის გადამხდელის ანგარიშების კორექტირება

– გადამხდელის თავდაცვის საშუალებები.

ფულადი სახსრების გამოყენების ანალიზი მიგვითითებს იმაზე თუ როგორ იყენებდა გადასახადის გადამხდელი წლის განმავლობაში ფულს. ფულადი სახსრების გამოყენების მაგალითებია:

– ბიზნესის აღჭურვილობის შეძენა, უძრავი ქონების შეძენა, პირადი აქტივების შეძენა.

– შესყიდვები, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები.

– სესხის ძირითადი თანხის და საკრედიტო ბარათების ნაშთების შემცირება,

– პირადი ხარჯები.

ფულადი სახსრების წყაროში იგულისხმება გადამხდელის მიერ დეკლარირებული ერთობლივი შემოსავალი და სხვა და არადასაბეგრი წყაროდან მიღებული შემოსავლები. ფულადი სახსრების წყაროების მაგალითებია:

– საბანკო ანგარიშებიდან (მათ შორის პირადი, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და შემნახველი ანგარიშები) ფულის გამოტანა და დებიტორული დავალიანების შემცირება,

– კრედიტორული დავალიანების ზრდა,
– სესხის ძირითადი თანხის და საკრედიტო ბარათებზე არსებული ნაშთების ზრდა,
– სხვა დასაბეგრი და არადაბეგრადი შემოსავალი, და
– გამოქვითვები, რომლებიც არ მოითხოვს ფულად სახსრებს, როგორიცაა ამორტიზაცია, წინა პერიოდის ზარალის გადატანა და აქტივების გადაფასება.

წყაროსა და ფულადი სახსრების გამოყენების მეთოდიკა წარმოდგენილი მაგალითის პირობებში შემდეგია:

პირველი: დგინდება გადამხდელის მიერ გაწეული ყველა ხარჯები, როგორც ეკონომიკური ასევე პირადი ხარჯები. სულ აღნიშნულმა ხარჯებმა შეადგინა 1 587 000 ლარი.

მეორე: ხდება კორექტირება და გამოიყოფა არაფულადი ხარჯები (ამორტიზაცია). ამორტიზაციის ხარჯმა შეადგინა 90 000 რომელიც აკლდება მთლიან ხარჯებს რადგან მისი გაწევა ფულადი სახით არ მომხდარა.

მესამე: დარიცხვის მეთოდით მომუშავე გადამხდელთა შემთხვევაში უნდა მოხდეს კრედიტორული და დებიტორული ვალდებულებების კორექტირება. მაგალითად, თუ გადამხდელმა მიმდინარე საანგარიშო წელს დაფარა ვალდებულება რომელიც წარმოეშვა წინა საანგარიშო წელს მისი ხარჯად აღიარება მოხდებოდა წინა საანგარიშო პერიოდში და შესაბამისად მიმდინარე პერიოდში იგი გამოქვითვას არ ექვემდებარება. აღნიშნული ხარჯებთან, დაკავშირებით არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებისას აუდიტორმა უნდა მოახდინოს კორექტირება იმის მიხედვით შემცირდა თუ არა კრედიტორული დავალიანება.

მეოთხე: მიღებული ხარჯების დაბალანსება შესაბამისი წყაროებით, რაც გულისხმობს ყველა ხარჯების დაფინანსების წყაროს დადგენას. კერძოდ, თუ რომელი წყაროდან განხორციელდა აღნიშნული ხარჯების გაწევა როგორც ეკონომიკური აგრეთვე სხვა შემოსავლებიდან (მაგალითად: აქტივების რეალიზაციით, მიღებული მემკვიდრეობით, კრედიტორული დავალიანების გაზრდით და ა.შ) სულ 780, 000.

მეხუთე: იმ ხარჯების ოდენობა რომლებიც ვერ ბალანსდება წაროებიდან მიღებული შემოსავლებით, ან წყაროს დადგენა ვერ დასტურდება და შესაბამისად გაწეული ხარჯები უფრო მეტია ვიდრე მიღებული შემოსავალი ითვლება როგორც არადეკლარირებული შემოსავალი და ხდება შესაბამისი დარიცხვა. აღნიშნულ მაგალითში 702 000 ჩაითვლება დამალულ შემოსავლად და რომელიც დაერიცხება გადამხდელს წყაროსა და ფუალდი სახსრების გამოყენების მეთოდის გამოყენებით.

მაგალითი:	
ფულადი სახსრების გამოყენება:	
1. ნაღდი ფულის შემცირება	15 000
2. პირადი ხარჯები	40 000
3. დეკლარირებული ხარჯები	280 000
4. საბანკო ანგარიშის ნაშთის ზრდა	30 000
5. შეძენილი აქტივები	660 000
6. ინვესტიციები	380 000
7. დავალიანებების შემცირება	70 000
ხარჯები სულ	(1 587 000)
a.	b.
ფულადი სახსრების წყაროები:	
1. ნაღდი ფულის **ზრდა**	0
2. საბანკო ანგარიშის ნაშთის შემცირება	0
3. დეკლარირებული ერთობლივი შემოსავალი	360 000
4. სესხით/საჩუქრით მიღებული თანხა	40 000
5. მიღებული დივიდენდები	30 000
6. აქტივების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი	120 000
7. დავალიანებების ზრდა	230 000

წყაროები სულ	780 000
ხარჯები, რომლებიც აღემატება შემოსავალს	807 000
კორექტირება:	
ამორტიზაცია	(90 000)
დარიცხვები:	
დებიტორული დავალიანება წლის ბოლოს	10 000
დებიტორული დავალიანება წლის დასაწყისში	(15 000)
კრედიტორული დავალიანება წლის დასაწყისში	(20 000)
კრედიტორული დავალიანება წლის ბოლოს	(30 000)
ჯამური კორექტირება	(105 000)
დამალული შემოსავალი სულ	702 000

რადგან ფულადი სახსრების გამოყენების მეთოდი წარმოადგენს ხარჯებად გამოყენებული ფულადის სახსრების წარმოშობის წყაროს შემოწმებას, მისი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ დიდ ხარჯების შემთხვევაში, როგორიც არის მაგალითად, მანქანა, სახლი, ინვესტიცია და ა.შ წყაროსა და ფულადი სახსრების გამოყენების მეთოდი რეკომენდებულია შემდეგ სიტუაციებში:

– გადამხდელის საგადასახადო დეკლარაციებისა და ფინანსური სტატუსის ანალიზის შედეგად გადამხდელის მიერ დეკლარირებული გამოქვითვები და სხვა დანახარჯები არ შეესაბამება დეკლარირებულ შემოსავლებს.

– გადამხდელი ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით ძირითადად იყენებს ნაღდი ანგარიშწორების პრაქტიკას.

– გადამხდელს გააჩნია თანხა საბანკო ანგარიშებზე რომელიც არ მოძრაობს წლის განმავლობაშიანგარიშებიდან, რომლის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია მისი წყაროსა და განკარგვის დადგენა.

– როდესაც ცხადია, რომ გადამხდელის მიერ დეკლარირებული შემოსავლები არ შეესაბამება და ვერ უზრუნველყოფს გადამხდელის ქონებას, განეულ ხარჯებს, ან ცხოვრების წესს.

რადგან ამ მეთოდის შედეგები ნაღდ ფულს ეფუძნება, დარიცხვის მეთოდით მომუშავე გადასახადის გადამხდელისთვის გარკვეული კორექტირებები იქნება საჭირო.

დარიცხვის მეთოდით მომუშავე გადასახადის გადამხდელის ანგარიშებში ასახული შემოსავლებისა და ხარჯების გარკვეული ნაწილი რეალურად ეკუთვნის წინა ან მომავალ საანგარიშო პერიოდს, იმისათვის რომ მივიღოთ კორექტირებული დასაბეგრი შემოსავალი, უნდა მოვახდინოთ შემდეგი შესწორებები.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დებიტორული დავალიანების ზრდით უნდა შემცირდეს ერთობლივი შემოსავალი, რადგან ეს ზრდა არ გულისხმობს საანგარიშო პერიოდთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების შემოდინებას. დებიტორული დავალიანების შემცირება ზრდის მიმდინარე პერიოდში მიღებულ ფულად სახსრებს, რაც გამოწვეულია წინა პერიოდის რეალიზაციასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების შემოდინებით.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კრედიტორული დავალიანების ზრდით უნდა გაიზარდოს ერთობლივი შემოსავალი, რადგან აღნიშნული ხარჯები მიმდინარე პერიოდში რეალურად არ იქნა გაწეული ანუ არ მოხდა ფულადი სახსრების გადინება. კრედიტორული დავალიანების შემცირებით უნდა შემცირდეს ერთობლივი შემოსავალი, რადგან წინა წლის ვალდებულებასთან დაკავშირებული გადახდები განხორციელდა მიმდინარე წელს.

აუდიტორმა უნდა უზრუნველყოს დაუბეგრავი წყაროებიდან მიღებული თანხების დადგენა და მოითხოვოს მათი დასაბუთება შესაბამისი დოკუმენტებით. გადასახადის გადამხდელთან ინტერვიუს დროს აუდიტორი უნდა შეეცადოს შემდეგი სახის ინფორმაციის მიღებას:

– რა თანხა იყო დაგროვილი ?
– ზოგადად რომელი საქმიანობიდა?
– შემოსავალი შემოდიოდა ეროვნულ ფულში თუ უცხოურ ვალუტაში?
– საიდან შემოდიოდა ნაღდი ფული?
– სად ინახებოდა ფული?
– რა მიზნით ინახებოდა აღნიშნულ ადგილას?
– ვინ იცოდა რომ ნაღდი ფული აღნიშნულ ადგილას ინახებოდა?

– რამდენდა ხშირად გამოიყენებოდა თანხა და იცვლებოდა მისი ადგილსამყოფელი?

თუ გადასახადის გადამხდელი აცხადებს, რომ ის თანხა რომელიც მას სახლში აქვს მართლზომიერია იმ სიტუაციისა და ფაქტების გათვალისწინებით, რომელშიც გადამხდელი იმყოფება, სასურველია თანხის ეს რაოდენობა აღებულ იქნას საწყის ერთეულად და მასზე დაყრდნობით განისაზღვროს გადამხდელის გარშემო არსებული სიტუაცია. კარგი იქნება თუ გადასახადის გადამხდელი მოაწერს ხელს წერილობით განცხადებას, რომელშიც დაფიქსირდება თუ რა თანხა აქვს გადამხდელს სახლში. ასეთი დოკუმენტის არსებობის შემთხვევაში მას გაუჭირდება შეცვალოს თანხის აღნიშნული ციფრი მოგვიანებით. სახლში არსებულ თანხასთან დაკავშირებული საუბარი გადახდელთან ნათლად უნდა იყოს ასახული სამუშაო დოკუმენტებში.

გადასახადის გადამხდელმა შემოსაელის წყაროდ შეიძლება დაასახელოს ნათესავი ან მეგობარი, რაც გადამხდელის მხრიდან თავდაცის ჩვეული ფანდია და ხშირად პრობლემებს უქმნის აუდიტორს.

მეგობრებისა და ნათესავებისაგან მიღებული წერილები შეიძლება ძალიან დამარწმუნებელი იყოს ფორმითა და შინაარსით და მაინც არ წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც ამტკიცებს რომ გადამხდელმა ფაქტობრივად მიიღო ფული.

თუ სესხის გამცემი ცხოვრობს გადასახადის გადამხდელის ქვეყანაში, შესაძლებელია მასთან გასაუბრება, იმაში დასარწმუნებლად, აქვს თუ არა მას სესხის გაცემის ფინანსური შესაძლებლობა და პირობები. სესხის ფაქტობრივად მიღების შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელთან ინტერვიუს დროს უნდა დადგინდეს სესხის გაცემის პირობები, გადახდის განრიგი და შეთანხმების სხვა მახასიათებლები.

18.2.19 საბანკო დეპოზიტებისა და ნაღდი ფულადი დანახარჯების მეთოდი.

ნებისმიერი შემოწმების მნიშვნელოვანი ასპექტია გადასახადის გადამხდელის საბანკო დოკუმენტების შემოწმება და ანალიზი. თუ საბანკო ანგარიშების (შენატანების) ანალიზისას გაჩნდა არადეკლარირებული შემოსავლების არსებობის საფუძვლიანი ეჭვი, მაშინ დასაბეგრი შემოსავლის დადგენის მიზნით გამოიყენება საბანკო დეპოზიტებისა და ნაღდი ფულადი დანახარჯების მეთოდი. საბანკო დეპოზიტებისა და ნაღდი ფულის დანახარჯების მეთოდით გადამხდელის შემოსავალები გამოითვლება იმის საფუძველზე თუ როგორ განკარგავს გადამხდელი ფულად სახსრებს.

აღნიშნული მეთოდი ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

– თუ გადასახადის გადამხდელი იღებს ფულს, მხოლოდ ორი რამ შეიძლება მოხდეს: იგი ან საბანკო ანგარიშზე იდება (დეპონირდება) ან იხარჯება. საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხა მოიცავს როგორც დასაბეგრ ასევე არადასაბეგრ შემოსავლებს.

– გადამხდელს ანგარიშიდან გამოაქვს თანხა იმ მიზნით რომ რამეში დახარჯოს. მიიჩნევა რომ, გადასახადის გადამხდელის მიერ დეკლარირებული ხარჯები ნამდვილად იქნა გაწეული, საკრედიტო ბარათით, უნაღდოდ ან ნაღდი ანგარიშსწორებით. თუ ხარჯი გაწეულ იქნა ნაღდი ანგარიშწორებით, მაშინ ამ ნაღდი ფულის წყარო დასაბეგრი წყარო უნდა იყოს თუ ხარჯი გაწეულ იქნა არადასაბეგრი წყაროდან, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია აჩვენოს და განმარტოს აღნიშნული წყაროდან მიღებული შემოსავლები.

საბანკო დეპოზიტებისა და ნაღდი ფულის დანახარჯების მეთოდით შეიძლება დამატებით გამოვლინდეს არადეკლარირებული შემოსავლები საბანკო ანგარიშებზე განხორციელებული ოპერაციების თანხებიდან და სიხშირიდან გამომდინარე. ასევე იმის დადგენა, თუ როგორ გამოიყენება ან აკუმულირდება საბანკო ანგარიშებზე განთავსებული თანხები (ვისზე და რა მიზნით) აუდიტოს ეხმარება შემოსავლის სხვა წყაროების აღმოჩენაში.

საბანკო დეპოზიტებისა და ნაღდი ფულის დანახარჯების მეთოდი საბანკო ანგარიშების ანალიზისგან განსხვავდება შემდეგი ასპექტებით:

– ყველა ინდივიდუალურ საბანკო ანგარიშებზე განხორციელებული ოპერაციებისა და ტრანზაქციების სიღრმისეული ანალიზი.

– ნაღდი ანგარიშწორებით გაწეული ხარჯების აღრიცხვა. ფაქტობრივი პირადი ხარჯების გამოვლენა.

თუ საბანკო დეპოზიტებისა და ნაღდი ფულის დანახარჯების მეთოდით გამოვლინდა ერთბლივი შემოსავლის შემცირება, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს დასადეკლარირებელი ერთობლივი შემოსავლის შემცირებით (დასაბეგრი და არადასაბეგრი), ან ხარჯების ხელოვნური გაზრდით, ან ორივე ერთად.

საბანკო დეპოზიტებისა და ნაღდი ფულის დანახარჯების მეთოდის უპირატესობები მდგომარე-

ობს შემდეგში:

– იგი იძლევა გადასახადის გადამხდელის საქმიანობის სრულ სურათს, ნათლად ასახავს გადასახადის გადამხდელის ფინანსური საქმიანობის მასშტაბებს.

– არ საჭიროებს ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯების დასაბუთებას, გარდა ტექნიკური კორექტირებებისა, როგორიც არის მაგალითად ამორტიზაცია.

– გადასახადის გადამხდელის მიერ ხარჯების გაზრდა ავტომატურად აისახება გამოთვლის მექანიზმში. აუცილებელი არაა აუდიტი ჩაუტარდეს საგადასახადო დეკლარაციაში გადასახადის გადამხდელის მიერ დეკლარირებულ ხარჯებს.

საბანკო დეპოზიტებისა და ნაღდი ფულის დანახარჯების მეთოდი არ უნდა იყოს ავტომატური არჩევანი არაპირდაპირი მეთოდის გამოყენებისას.

საბანკო დეპოზიტებისა და ნაღდი ფულის დანახარჯების მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც ეკონომიკური ასევე არაეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების შემოწმებისას.

საბანკო ანგარიშებისა და ნაღდი ფულის დანახარჯების მეთოდის გამოყენება რეკომენდირებულია, როდესაც:

– გადასახადის გადამხდელის ბუღალტრული ჩანაწერები არასანდოა, არახელმისაწვდომია, დაბლოკილია ან არასრულია და ამასთან

– გადასახადის გადამხდელი ფულად სახსრებს პერიოდულად ან რეგულარულად ათავსებს საბანკო ანგარიშ(ებ)ზე,

– გადასახადი გადამხდელი მთელ თავის პირად და ეკონომიკური საქმიანობასთან დაკავშირებულ ოპერაციებს ანარმოებს ძირითადად საბანკო სისტემის საშუალებით.

– გადასახადის გადამხდელი მიღებულ თანხებს რეგულრულად ან პერიოდულად ათავსებს საბანკო ანგარიშებზე.

იმ გადამხდელების შემთხვევაში, რომლებიც ანგარიშსწორებას ძირითადად ანხორციელებენ ნაღდი ანგარიშსწორებით და შესაბამისად არ ხდება ამ თანხების საბანკო ანგარიშებზე განთავსება, ეს მეთოდი არ არის რეკომენდირებული.

ამასთან, შეწავლილ უნდა იქნას, არის თუ არა რაიმე უჩვეულო ან გარეშე დეპოზიტები, რომელიც სავარაუდოდ დეკლარაციაში ასახული წყაროებიდან არაა წარმოშობილი.

საბანკო დეპოზიტის (შენატანის) სიდიდე – აუდიტორმა პირველ რიგში ყურადღება უნდა გაამახვილოს არსებითი ოდენობით საბანკო შენატანებზე ან შენატანებზე არსებითი ოდენობის თანხის ზემოთ თუმცა, შედარებით მცირე და რეგულარული საბანკო შენატანების აღმოჩენამ შეიძლება მიგვანიშნოს დივიდენდის სახით შემოსავლებზე, პროცენტებზე, იჯარაზე ან სხვა შემოსავალებზე, რომელიც წარმოადგენს შემოსავლის წყაროს მაგალითად, გადამხდელს საბანკო ანგარიშზე ყოველი თვის პირველ რიცხვში ერიცხება იჯარით გაცემული ქონებიდან საიჯარო შემოსავალი რომლის წყაროც დადგენილია, ხოლო რომლიღაც თვეში ფიქსირდება სხვა წყაროდან ჩარიცხული შემოსავალი რომელიც ავტომატურად ბადებს ეჭვს თუ რომელი წყაროდან მიიღო გადამხდელმა აღნიშნული შემოსავალი, ხომ არ მომხდარა გადამხდელის მიერ ფასიანი მომსახურების გაწევა, რეალიზაცია და ა.შ რაც მოითხოვს აუდიტორის მხრიდან ყურადღებას და დეტალურ შემოწმებას.

საბანკო დეპოზიტის (შენატანის) სახეობა –დეპოზიტებზე განხორციელებული საბანკო შენატანები შეიძლება იყოს ფულადი სახის შენატანები ან საბანკო გადარიცხვები. ყურადღება უნდა მიექცეს საბანკო ანგარიშზე ნაღდი ფულით უჩვეულოდ დიდ შენატანებს, იმ შემთხვევაში თუ გადამხდელის საბანკო ანგარიშზე თანხების დეპონირება ძირითადად ხდება გადარიცხვებით. გადასახადის გადამხდელმა უნდა განმარტოს მსგავსი ტიპის უჩვეულო საბანკო შენატანების დამოკიდებულება ეკონომიკურ საქმიანობასთან, ასევე ამ შემოსავლის წყარო. ასევე უჩვეულოდ ჩაითვლება და ახსნა–განმარტებას საჭიროებს საბანკო ამონაწერი, სადაც ნაჩვენებია შემდეგი შემთხვევა, საბანკო ანგარიშებზე განხორციელებული შენატანები წარმოადგენდნენ არადამრგვალებულ ციფრებს და მოულოდნელად ხორციელდება ერთი ან რამდენიმე განსხვავებული შენატანი (რამდენიმე ნულით დაბოლოვებული რიცხვი).

საბანკო ანგარიშების ტიპი– გადასახადის გადამხდელთა უმრავლესობა, თავიანთი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე იყენებს საბანკო შენატანების განსაზღვრულ ტიპს. ამ ნიმუშიდან გადახვევა გარკვეულ კითხვებს იწვევს.

საბანკო ანგარიშს სიხშირე – ბანკის ამონაწერები, რომლებშიც ყოველთვიურად, კვარტალურად ან წელიწადში ორჯერ ერთი და იმავე თანხის შეტანაა ნაჩვენები, მიგვითითებს, რომ გადასახადის გადამხდელს ერიცხება ქირა, დივიდენდი, პროცენტი ან სხვა შემოსავალი.

ბანკის ადგილმდებარეობა – ბანკის ადგილმდებარეობა, სადაც ჩეკი გამოიწერა ბადებს ეჭვს იმ შემთხვევაში, თუ იგი ნაკლებადაა დაკავშირებული გადასახადის გადამხდელის ეკონომიკური საქმიანობის ადგილმდებარეობასთან ან შემოსავლის წყაროსთან. მაგალითად, გადამხდელს გახსნილი აქვს საბანკო ანგარიში რომელიღაც კონკრეტულ ბანკში, რომლის მეშვებითაც ახორციელებს გადარიცხვებს და ამავდროულად მას აქვს სხვა საბანკო ანგარიში, რომელიღაც ნაკლებად ცნობილ ან სხვა ქვეყნის ფინანსურ ინსტიტუტებში. ავტომატურად იბადება ეჭვი თუ რისთვის და რა მიზნით იყენებს გადამხდელი აღნიშნულ ანგარიშებს და რა არის ამ საბანკო ანგარიშებზე ჩარიცხული შემოსავლების წყარო.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით:

– უნდა გაირკვეს გააჩნია თუ არა გადამხდელის სესხის სახით აღებული/გაცემული თანხები. სესხის სახით მიღებული თანხების გათვალისწინება არ უნდა მოხდეს დასაბეგრ შემოსავლებში. ორივე შემთხვევაში აუდიტორმა უნდა მოითხოვოს სასესხო ხელშეკრულებები, დაადგინოს სესხის გაცემის/მიღების თარიღი, წყარო და ოდენობა, დაფარვის გრაფიკი, პირობები და შეადაროს იგი გადამხდელის ფულადი სახსრების მოძრაობასთან. გადამხდელმა უნდა დაადასტუროს, პროცენტის სახით მიღებული შემოსავლების დეკლარაციაში ასახვა, აგრეთვე განმარტოს მიღებული თანხების წყარო. შეუსაბამობები უნდა დაზუსტდეს გადასახადის გადამხდელთან.

– უნდა გაირკვეს არის თუ არა გადარიცხვები ბანკის ანგარიშებს შორის ან /და ადგილი აქვს თუ არა თანხების რედეპონირებას? უნდა განსაზღვროს გადამხდელის ანგარიშებში ასახულ შემოსავლებს შორის დამოკიდებულება რათა თავიდანვე გამოირიცხოს და მხედველობაში არ მოხდეს ანგარიშებს შორის გადარიცხვებისა და თანხების დუბლირებისა და რედპონირების გამორიცხვა.

– არსებობს თუ ისეთი პირადი ანგარიშები, რომლებიც არ არის დაკავშირებული გადამხდელის ეკონომიკურ საქმიანობასთან. დამალული შემოსავლები შეიძლება აღმოჩენილ იქნეს გადამხდელის პირად ანგარიშებში, რომელთა შემოწმებაც და ანალიზიც ცალსახად აუცილებელია. აუდიტორმა უნდა გაარკვიოს პირად ანგარიშებზე განხორციელებული ოპერაციები და ტრანზაქციები დაკავშირებულია თუ არა გადამხდელის ეკონომიკურ საქმინობასთან. პირადი ანგარიში შეიძლება იყოს რამოდენიმე.

– აუცილებლია რაც შეიძლება ზუსტად განისაზღვროს გადამხდელის ხელზე არსებული ნაღდი ფულის ოდენობა პერიოდის დასაწყისში.

– უნდა განისაზღვის აღრიცხვის რომელ მეთოდს იყენებს გადამხდელი იყენებს რადგან დარიცხვის მეთოდით მომუშავე გადამხდელების შემთხვევაში უნდა განხორციელდეს კორექტირებები მოთხოვნებისა და ვალდებულების მუხლებში.

– გადამხდელის საბანკო ანგარიშებზე ყოველკვირეულად ან ყოველთვიურად დაკვირვებამ შეიძლება აჩვენოს, რომ მიღებული შემოსავლები არ შეესაბამება იმავე პერიოდში ბუღალტრულად აღრიცხულ შემოსავლებს. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს დროში განსხვავებების გამო. მაგალითად, გადასახადის გადამხდელის ანგარიშზე შეიძლება რეალურად უკვე არის გადარიცხული თანხა თუმცა ბანკს არ აქვს ჯერ შესრულებული აღნიშნული ოპერაცია.

– გადამხდელის მიერ წლის ბოლო თვეებში საბანკო ანგარიშებზე განხორცელებული შენატანების მკვეთრი ზრდა შესაძლებელია მიგვანიშნებდეს გადამხდელის მიერ წლის ბოლოს ერთობლივი შემოსავლის დაბალანსების მცდელობაზე, რაც დამატებით ეჭვებს ბადებს და საჭიორებს აუდიტორის ყურადღებას, რათა გადამხდელმა განმარტოს აღნიშნული თანხების წყაროები.

საბანკო ანგარიშებზე შემოსული თანხები მოიცავს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში როგორც ეკონომიკური ასევე არაეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებს მათ შორის, კანონიერ ასევე არაკანონიერ შემოსავლებს, დასაბეგრი და არადასაბეგრი წყაროებიდან შემოსულ თანხებს გადამხდელის ყველა საბანკო ანგარიშზე, ძირითადი საშუალებებისა და ქონების რეალიზაციით მიღებულ შემოსავლებს, პროცენტებს, როალტებს, დივიდენდებს, ხელფასებს, კომპენსაციებს, საკომისიოებს და ა.შ.

ქვემოთ მოცემულია საბანკო დეპოზიტებისა და ფულადი დანახარჯების მეთოდით მთლიანი შემოსავლების დადგენისა შემცირებული შემოსავლების გამოთვლის მაგალითი:

1		მთლიანი საბანკო შენატანები:	325000		
		მიმდინარე პერიოდში ჩარიცხული წინა წლის თანხები	-12000		
		მიმდინარე პერიოდის თანხები რომელიც ჩაირიცხება მომავალ წელს	8700		
		სულ საბანკო შენატანები			
					321700

2	-	*არადასაბეგრი საბანკო შენატანები:*			
		დუბლირებული შენატანები	17000		
		სესხის სახით მიღებული თანხა	32000		
		საჩუქრები	42500		
		მემკვიდრეობით მირებული შემოსავალი	12900		
		სხვა არადასაბეგრი შენატანები	4700		
					109100
3	-	*დასაბეგრი საბანკო შენატანები:*			
		საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავლები	90000		
		დივიდენდები	15000		
		პროცენტები	12500		
					117500
4	+	*ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ბარჯები გაწეული ნაღდი ფულით:*			
		დეკლარირებული ხარჯები (არაფულადი ხარჯების გამოკლებით)		260300	
		საბანკო ანაგრიშის საწყისი ნაშთი	91500		
		წლის განმავლობაში განხორციელებული შენატანები	321700		
		საბანკო ანაგრიშის საბოლო ნაშთი	179600		
		პერიოდის განმავლობაში გატანილი თანხები		233600	
		პირადი და კაპიტალიზირებადი ხარჯები		150340	
					177040
5	+	*ნაღდი ანგარიშსწორებით გაწეული კაპიტალური დანახარჯები:*			
		ნაღდი ფულით შესყიდული აქტივი	45000		
		შემნახველ ანგარიშზე დეპონირებული ნაღდი ფული	34000		
					79000
6	+	*ნაღდი ანგარიშსწორებით გაწეული პირადი ხარჯები*			31000
7	+	*მიმდინარე პერიოდში დაგროვილი ნაღდი ფული*			27400
8	-	*არადასაბეგრი ნაღდი ფული სტრ. 4-7*			
		მემკვიდრეობით მიღებული ნაღდი ფულით გაწეული ხარჯი	64000		
		არადეპონირებული ფულით გაწეული ხარჯი	23000		
					87000
9	-	*დებიტორული დავალიანების შემცირება*			15000
10	-	*კრედიტორული დავალიანების ზრდა*			10000
11		*კორექტირებული შემოსავალი*			297,540

საბანკო ანგარიშებისა და ნაღდი ფულის დანახარჯების მეთოდის ფორმულა

წარმოდგენილი მაგალითის შემთხვევაში, საბანკო დეპოზიტებისა და ფულადი დანახარჯების მეთოდით დასაკორექტირებელი შემოსავალი შემდეგი ფორმულით გამოითვლება:

სტრ 11 = სტრ 1 – სტრ 2 – სტრ 3 + სტრ 4 + სტრ 5 + სტრ 6 + სტრ 7 – სტრ 8 – სტრ 9 – სტრ 10

სტრ 1: **მთლიანი საბანკო შენატანები:** – გადამხდელს შესაძლებელია ქონდეს რამოდენიმე საბანკო ანგარიში სხვადასხვა ფინანსურ ინსტიტუტებში. საბანკო დეპოზიტები მოიცავს დეპოზიტებს გადასახადის გადამხდელის ყველა საბანკო ანგარიშზე. მასში შედის როგოც გადამხდელის ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ასევე პირადი ანგარიშები, მეუღლის ანგარიშები, შვილების ანგარიშები. თუ შესაძლებელია, საბანკო შენატანები უნდა შედარდეს, რათა გათვალისწინებულ იქნას მხოლოდ მიმდინარე წლის შემოსავლები. მიმდინარე პერიოდში საბანკო ანგარიშზე დეპონირებულ თანხებს უნდა გამოაკლდეს ის თანხები, რომლებიც მიუხედავად იმისა რომ ჩარიცხულ იქნა მიმდინარე პერიოდში მიეკუთვნება წინა საანგარიშო პერიოდს. ხოლო ის თანხები რომლებიც, მიეკუთვნება საანგარიშო პერიოდს, მაგრამ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხულ იქნა მომდევნო პერიოდში გათვალისწინებული უნდა იყოს ერთობლივი შემოსავლის გაანგარიშებაში. შესაბამისად: მთლიანი საბანკო ანგარიშების თანხა წლის განმავლობაში მცირდება 12000 ლარით ხოლო იზრდება 8700 ლარით.

სტრ 2: **არადასაბეგრი საბანკო შენატანები:** – მთლიანი შემოსავლების ფორმულაში არ უნდა მოხდეს არადასაბეგრი და დუბლირებული საბანკო შენატანები. დუპლიკატი პუნქტები მოიცავს საბანკო გადარიცხვებს, როცა საბანაკო ანგარისზე ჩარიცხული თანხები ხელახლაა დეპონირებული, ასევე სავალუტო კონვერტაციებს. მთლიან შემოსავალში ანგარიშებს შორის გადარიცხვები გადარიცხვები შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა მიმდინარე ან/და შემნახველ ანგარიშებს შორის. ისინი არ ნარმოადგენს დამატებით შემოსავალს, რადგან ამ დროს ხდება ფულადი სახსრების ერთი ანგარიშიდან მეორეზე გადატანა და სხვა არაფერი. შესაბამისად 17000 ლარი აგრეთვე აკლდება მთლიან შემოსავლებს.

არადასაბეგრი შემოსავლების კიდევ ერთი გავრცელებული წყარო, რომელიც ხშირად დეპონირდება და დასაბეგრი შემოსავლიდან დეპოზიტების განსაზღვრისას უნდა იქნას უგულვებელყოფილი, არის ჩუქებით, მემკვიდრეობით მიღებული შემოსავლები, სოციალური უზრუნველყოფის შეღავათები, დაბრუნებული გადასახადები და ა.შ. (12900+42500).

სესხის სახით მიღებული თანხების გათვალისწინება არ უნდა მოხდეს დასაბეგრ შემოსავლებში. ორივე შემთხვევაში აუდიტორმა უნდა მოითხოვოს სასესხო ხელშეკრულებები, დაადგინოს სესხის გაცემის/მიღების თარიღი, წყარო და ოდენობა. სეხის ძირითადი თანხა არ წარმოადგენს შემოსავალს შესაბამისად 32000 ლარი აკლდება მთლიან საბანკო ანგარიშებს.

სტრ 3: **დასაბეგრი საბანკო შენატანები:** – ეს სტრიქონი წარმოადგენს წმინდა დასაბეგრი შემოსავლების ჯამურ თანხას დეპონირებულს საბანკო ანგარიშებზე. მაგალითად საქონლისან/და აქტივების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები და ა.შ. რომელიც გადამხდელს შეაქვს ან ერიცხება საბანკო ანგარიშზე. ამ დროს აუდიტორს დასრულებული უნდა ჰქონდეს საბანკო ანგარიშების დეტალური შედარება.

სტრ 4: **ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები გაწეული ნაღდი ფულით:** -ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ნაღდი ანგარიშსწორებით გადახდილი ხარჯების გამოსათვლელად უნდა განეახორციელოდა შემდეგი ოპერაციები:

– წლის განმავლობაში საბანკო ანგარიშიდან გატანილი თანხა მიიღება შემდეგნაირად: საბანკო ანგარიშს საწყის ნაშთს ემატება პერიოდის განმავლობაში განხორციელებული შენატანები და აღდება საბოლოო ნაშთი. მხედველობაში უნდა მივიღოთ მხოლოდ ის თანხები, რომლებიც მიეკუთვნება საანგარიშო პერიოდს.

– მიღებულ შედეგს უნდა გამოაკლდეს ყველა პირადი და კაპიტალიზირებადი ხარჯი (რომელიც საგადასახადო დეკლარაციაში არ არის გამოქვითვადი).

– დეკლარირებულ ხარჯებს უნდა გამოვაკლოთ არაფულადი ხარჯები, როგორიცაა ცვეთა, აქტივების გაუფასურება, უიმედო ვალების ჩამონერა და ა.შ.

– კორექტირებულ დეკლარირებულ ხარჯებს უნდა გამოაკლდეს კორექტირებული უნაღდო ანგარიშსწორებით გადახდილი თანხები, რათა მივიღოთ ნაღდი ანგარიშსწორებით განხორციელებული გადახდები.

სტრ 5: **ნაღდი ანგარიშსწორებით გაწეული კაპიტალური დანახარჯები:** – ნაღდი ფულით გადახდილი კაპიტალური დანახარჯები მოიცავს აქტივების შესყიდვას ნაღდი ფულით, შემნახველ ანგარიშებზე დეპონირებულ ნაღდ ფულს და ვალდებულებების ან ვალის გასტუმრებას ნაღდი ფულით. თითოეულ შემთხვევისათვის აუდიტორმა უნდა განსაზღვროს, თუ რამდენი გადაიხადა გადასახადის გადამხ-

დელმა წლის განმავლობაში, ამ თანხას გამოაკლოს უნაღდო ანგარიშსწორებით განხორციელებული გადახდები რათა მიიღოს ნაღდი ანგარიშწორებით გადახდილი თანხა.

აუდიტორმა საფუძვლიანად უნდა შეისწავლოს ყველა არსებული დოკუმენტი: საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უძრავი და მოძრავი ქონების ნუსხა, ნებართვა მშენებლობაზე და ა.შ. უნდა მოხდეს დარიცხული ცვეთის გაანგარიშების სისწორის შეფასება.

სტრ 6: **ნაღდი ანგარიშწორებით გაწეული პირადი ხარჯები** – ნაღდი ანგარიშწორებით გასტუმრებული პირადი ხარჯები განისაზღვრება ისევე როგორც ნაღდი ფულით გასტუმრებული ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები. ფინანსური სტატუსის ანალიზის დროს უნდა შეიკრიბოს ყველა ფაქტობრივი პირადი ხარჯი და მიღებულ თანხას უნდა გამოაკლდეს უნაღდო ანგარიშსწორებით გაწეული პირადი ხარჯები.

სტრ 7: **მიმდინარე პერიოდში დაგროვილი ნაღდი ფული:** – წლის განმავლობაში დაგროვილი ნაღდი ფული (27400 ლარი) არის თანხა (არადეპონირებული თანხები), რომელსაც გადასახადის გადამხდელი იღებს წლის განმავლობაში და რომელიც მას წლის ბოლოს ხელზე გააჩნია (არც დახარჯულა, არც ანგარიშზე განთავსებულა). აქ ორი ფაქტორია გასათვალისწინებელი:

წლის ბოლოს ხელზე არსებული ნაღდი ფულის ზრდა, რომელიც დაკავშირებულია ბიზნესის სპეციფიკასთან, მაგალითად საცალო ვაჭრობაში მომხმარებელთან ანგარიშსწორებისათვის განსაზღვრული თანხა.

ფულადი სახსრების აკუმულირება, რომელიც არ შეესაბამება გადამხდელის ეკონომიკური საქმიანობის ჩვეულებრივი პრაქტიკას შესაძლებელია გახდეს მიზეზი გადამხდელის მიერ პირადი ხარჯების მნიშვნელოვანი ზრდისა.

აუდიტორმა უნდა დაადგინოს აღნიშნული თანხის ოდენობა და შემოწმების დასაწყისშივე განსაზღვროს შემოსავლის წყარო შესაბამისი დოკუმენტების საფუძველზე.

სტრ 8: **არადასაბეგრი ნაღდი ფული** სტრ. 4–7 არადასაბეგრი ნაღდ ფულს მიეკუთვნება ნაღდი ფული (სულ 87000 ლარი) (გათვალისწინებულია (4)–(7) სტრიქონებში), რომელიც გამოიყენება ხარჯების გასასტუმრებლად, კაპიტალური აქტივების შესასყიდად, შემნახველ ანგარიშებზე განსათავსებლად, ვალდებულებების გასასტუმრებლად და დასაგროვებლად და ა.შ. მაგალითად, არადეპონირებული სესხები, შემნახველი ანგარიშებიდან გამოტანილი ნაღდი ფული, რომლის ხელახლა დეპონირება, საჩუქრები, მემკვიდრეობა, მისაღები სესხების ამოღება, და ა.შ. არადასაბეგრ შემოსავალზე აუდიტორის მიერ სრული და დოკუმენტურად დადასტურებული ინფორმაცია უნდა იქნას მოპოვებული, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

სტრ 9: **დებიტორული დავალიანების შემცირება:** – მიმდინარე პერიოდის შემოსავლის განსაზღვრისათვის უნდა მოხდეს დებიტორული დავალიანების საწყისი ნაშთისათვის საბოლოო ნაშთის გამოკლება (15000 ლარი). წმინდა ზრდა წარმოადგენს დამატებით დასაბეგრ შემოსავალს, ხოლო შემცირება წარმოადგენს გადახდებს, რომელიც უკვე შესულია წინა წლის ერთობლივ შემოსავალში. იხილეთ დარიცხვის მეთოდით მომუშავე გადამხდელთათვის საჭირო კორექტირებები.

სტრ 10: **კრედიტორული დავალიანების ზრდა:** – გადასახდელი ხარჯების ცვლილებების დასადგენად დარიცხვის მეთოდით მომუშავე გადამხდელთათვის, საწყისი ნაშთი უნდა გამოაკლდეს საბოლოო ნაშთს (10000 ლარი). წმინდა ზრდა არის წლის განმავლობაში მიმდინარე პერიოდის შესყიდვები, რომელიც შეამცირებს მთლიან შემოსავლებს. ხოლო წმინდა შემცირება გულისხმობს წინა პერიოდის ვალდებულებების დაფარვას, რაც საჭიროებს შესაბამისი თანხით ერთობლივი შემოსავლის დამატებას. იხილეთ დარიცხვის მეთოდით მომუშავე გადამხდელთათვის საჭირო კორექტირებები.

სტრ 11: **კორექტირებული შემოსავალი:** – მიღებული კორექტირებული ერთბლივი შემოსავალი უნდა შედარდეს საგადასახადო დეკლარაციაში მითითებულ ერთობლივ შემოსავალს. შედეგად უნდა მოხდეს დეკლარირებული ერთობლივი შემოსავლის კორექტირება 297540 ლარით რომელიც დაერიცხება გადასახადის გამდახდელს.

თუ გადასახადის გადამხდელი დარიცხვის მეთოდით მუშაობს, დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების ანგარიშების სანყის და საბოლოო ნაშთებს შორის სხვაობა უნდა დაემატოს ან გამოაკლდეს კორექტირებულ ერთობლივ შემოსავალს. ასეთ შემთხვევაში კორექტირებები შეიძლება იგნორირებული იყოს, თუ საქმე არსებით თანხებს არ ეხება. დარიცხვის მეთოდით მომუშავე გადასახადის გადამხდელის ანგარიშებში ასახული შემოსავლებისა და ხარჯების გარკვეული ნაწილი რეალურად ეკუთვნის წინა ან მომავალ საანგარიშო პერიოდს, იმისათვის რომ მივიღოთ კორექტირებული დასაბეგრი შემოსავალი, უნდა მოვახდინოთ შემდეგი შესწორებები.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დებიტორული დავალიანების ზრდით უნდა გაიზარდოს ერთობლივი შემოსავალი, რადგან ეს ზრდა გამოწვეულია საანგარიშო პერიოდში განხორციელებული

მინოდებებით. ანუ გადამხდელს აქვს შემოსავალი, რომელიც არ არის ასახული დეპოზიტებში (შენატანებში). დებიტორული დავალიანების შემცირება უნდა შეფასდეს როგორც წინა პერიოდის რეალიზაციასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების შემოდინება და აღნიშნულით უნდა შემცირდეს მიმდინარე პერიოდის ერთობლივი შემოსავალი.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კრედიტორული დავალიანების ზრდით უნდა შემცირდეს ერთობლივი შემოსავალი, რადგან აღნიშნული ხარჯები მიმდინარე პერიოდში რეალურად იქნა გაწეული, ამასთან არ მოხდა ფულადი სახსრების გადინება (გადახდები). კრედიტორული დავალიანების შემცირებით უნდა გაიზარდოს ერთობლივი შემოსავალი, რადგან შემცირება უნდა შეფასდეს როგორც წინა წლის ვალდებულებასთან დაკავშირებული გადახდები, რომლებიც განხორციელდა მიმდინარე წელს.

ბანკის მომსახურების საფასური ერიცხება გადამხდელის საბანკო ანგარიშს და შესაბამისად გამოჩნდება ბანკის ამონაწერში ისევე როგორც სხვა გადახდები, თუმცა გადამხდელი შესაძლებელია არ იყოს ინფორმირებული მათ შესახებ. თუ ეს გადასახდელები ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული გამოქვითვადი ხარჯებია, გამოთვლისას კორექტირებები არ იქნება საჭირო. გადასახდელები ავტომატურად აისახება საბანკო ანგარიშიდან განხორციელებული გადახდების ჯამურ რაოდენობაში. საბანკო მომსახურების ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ მომსახურებასთან და შესაბამისად არ ექვემდებარება გამოქვითვას და უნდა იქნას გამიჯნული.

გადასახადის გადამხდელის მიერ ბანკში წარდგენილი ჩეკები, რომლებიც ბანკმა არ გაანაღდა, ერიცხება გადამხდელის ანგარიშს. ამ სიტუაციას ადგილი აქვს, როდესაც გადამხდელს ბანკში შეაქვს ისეთ ჩეკი რომელსაც ბანკი არ ანაღდებს. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის რომ, ჩეკის გამომწერს არ ჰქონდა საკმარისი თანხა ანგარიშზე ჩეკის ანასაზღაურებლად, გააუქმა ანგარიში და ა.შ. ვინაიდან ეს პუნქტები ბანკის საბოლოო ნაშთებში აისახება, საბანკო ანგარიშების გაანგარიშებაში კორექტირებები საჭირო არ არის.

ბანკის ანგარიშზე არის ოვერდრაფტი, თუ გადამხდელის მიერ განხორციელებული გადახდები აღემატება საბანკო ანგარიშზე არსებულ თანხებს. მაგალითი:

ნაშთი საბანკო ანგარიშზე წლის დასაწყისში ბანკის ამონაწერის მიხედვით	11,500
მინუს: წინა წლის გადახდები, რომლებიც განაღდდა მიმდინარე წელს	(13,000)
ოვერდრაფტი	(1,500)
წლის განმავლობაში განხორციელებული შენატანები პლუს:	125,000
ჯამი	123,500
ბანკის ნაშთი წლის ბოლოს ბანკის ამონაწერის მიხედვით	5,000
მინუს: მიმდინარე წლის დაუფარავი ჩეკები	(7,200)
ნაშთი წლის ბოლოს	(2,200)
სულ წლის განმავლავლობაში გამოწერილი ჩეკები	125,700

საბანკო დეპოზიტებისა და ნაღდი ფულის დანახარჯების მეთოდი არ ითვალისწინებს არაფულად ხარჯებს, რომლებიც ასახულია დეკლარაციაში და არ საჭიროებს ფულადი სახსრების გადინებას. მაგალითად, ამორტიზაცია, აქტივების გაუფასურება, უიმედო ვალების ჩამოწერა და ა.შ ეს ხარჯები ცალკე უნდა იქნას გათვალისწინებული და საჭიროების შემთხვევაში გაკეთდეს შესაბამისი კორექტირებები პუნქტობრივად მხოლოდ დეკლარაციის მიხედვით.

18.2.20 ფასნამატის მეთოდი.

ფასნამატის მეთოდით ერთობლივი შემოსავლის განსაზღვრა ხდება შესამოწმებელი ბიზნესისთვის ტიპური კოეფიციენტების ან პროცენტების გამოყენებით, რის შედეგადაც დგინდება საგადასახადო ვალდებულების ფაქტობრივი ოდენობა. მეთოდი გულისხმობს გაყიდვების და/ან გაყიდვების ღირებულების ანალიზისს და ფასნამატის გარკვეული პროცენტის მისადაგებას. გაყიდვების მთლიანი მოცულობის, გაყიდვების ღირებულების, მთლიანი და წმინდა მოგების შედარება ხდება იმავე დარგში მოღვაწე მსგავსი ბიზნესების ანალოგიურ მაჩვენებლებთან. აღნიშნული მონაცემების ბაზას წარმოადგენს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

საბანკო დეპოზიტებისა და ნაღდი ფულის დანახარჯების, წყაროსა და ფულადი სახსრების გამოყენების, წმინდა კაპიტალის მეთოდებთან შედარებით ფასნამატის მეთოდის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი უზრუნველყოფს შემოსავლების ეფექტურ კორექტირებას იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც არ ხდება თანხების ასახვა საბანკო ანგარიშზე. თუმცა, როდესაც არსებობს საფუძვლიანი ეჭვი რომ გადასახადის გადამხდელის პირადი ქონების მნიშვნელოვანი ზრდა ხორციელდება

აუსახავი შემოსავლების ხარჯზე, ამ მეთოდის გამოყენების ეფექტურობა მცირდება.

ფასნამატის მეთოდი ყველაზე ეფექტურია ისეთი ბიზნესების მიმართ, რომელთა სასაქონლო–მატერიალური მარაგებიც რეგულირებულია ან რომელთა შესყიდვებიც ადვილად შეიძლება დაიყოს ერთი და იმავე ფასნამატის მქონე ჯგუფებად

ფასნამატის მეთოდის გამოყენება შემდეგ შემთხვევებშია რეკომენდირებული:

– როდესაც მარაგები შემოსავლის მიღების ძირითადი წყაროა და გადასახადის გადამხდელის ჩანაწერები არ არის სრული ან/და სანდო.

– როდესაც მარაგების მომწოდებლების რაოდენობა შეზღუდულია, შესაძლებელია მათი იდენტიფიცერება და ამავე დროს მიწოდების ფასი სტაბილურია.

ფასნამატის მეთოდი ეფექტურია ისეთი ტიპის ბიზნესისათვის, როგორიცაა: სასმელების მაღაზიები, კაფე-ბარები, ავტოგასამართი სადგურები, რესტორნები და საიუველირო მაღაზიები.

აუდიტორებმა ფასნამატის მეთოდის არჩევისას შემდეგ გარემოებებს უნდა მიაქციონ ყურადღება:

– როდესაც ცნობილია ფასნამატის მაჩვენებელი და იგი მნიშვნელოვნად განსხვავდება იმავე დარგში არსებული ანალოგიური მაჩვენებლებისაგან, პირველ რიგში გამოიყენება გადამხდელთან გასაუბრების მეთოდი აღნიშნული განსხვავებების მიზეზის დასადგენად. თუ აღმოჩნდა, რომ გაყიდული საქონლის ღირებულება და/ან შესყიდვები ნაკლები ღირებულებითაა ნაჩვენები, უნდა მოხდეს ინფორმაციის მიღება მარაგების მომწოდებლებისაგან.

– მნიშვნელოვანია აუდიტორის კომპეტენტური აზრი იმის შესახებ თუ რამდენად არის გამართლებული კონკრეტულ შემთხვევაში დარგის სტატისტიკური შედარებების გამოყენება.

კოეფიციენტი – მთლიანი მოგება შეფარდებული გაყიდვებთან გვაჩვენებს საშუალო ფასნამატს პროდუქტებზე. გაანგარიშების დროს მთლიანი მოგების მარჟა (გაყიდვებს გამოკლებული გაყიდული საქონლის ღირებულება) იყოფა მთლიან გაყიდვებზე:

გაყიდვები – გაყიდვების ღირებულება
გაყიდვები

მაგალითი: გადასახადის გადამხდელი ყიდის ორ „ა" და „ბ" პროდუქტებს. მისი მთლიანი გაყიდვების მაჩვენებელი 140,000 ლარია. პროდუქტი „ა" – ს შესყიდვის ღირებულება 50,000 ლარია, „ბ" – სი – 80,000 ლარი. ღირებულებები გადამოწმებულია მომწოდებელთან და კორექტირებულია საწყისი და საბოლოო მარაგების გათვალისწინებით

დეკლარირებული შემოსავალი	140,000
გაყიდული საქონლის ღირებულება (ა პროდუტი):	50,000
გაყიდული საქონლის ღირებულება (ბ პროდუტი):	80,000

აუდიტორი განსაზღვრავს მთლიანი მოგების მარჟას „ა" და „ბ" პროდუქტებისთვის. ამისათვის იგი გაესაუბრება გადამხდელს, შეისწავლის მის ჩანაწერებს და დარგის სტანდარტებს.

"ა" პროდუქტი: 10%

"ბ" პროდუქტი: 20%

ნაბიჯი 1: გაყიდული საქონლის თვითღირებულების პროცენტული წილის განსაზღვრა ერთობლივ შემოსავალში:

	A	B
მთლიანი შემოსავლები:	100%	100%
მინუს: მთლიანი მოგება %	10%	20%
გაყიდული საქონლის ღირებულება %	90%	80%

ნაბიჯი 2: მთლიანი ერთობლივი შემოსავლების დადგენა:

(გაყიდული საქონლის ღირებულება/გაყიდული საქონლის ღირებულება % წილი ერთობლივ შემოსავალში= მთლიანი შემოსავალი):

	A	B
50,000/0.90	55,555	
80,000/0.80		100,000

ნაბიჯი 3: მთლიანი შემოსავლების კორექტირების განსაზღვრა:

შემოსავალი „ა" პროდუქტის გაყიდვიდან	55,555
შემოსავალი „ბ" პროდუქტის გაყიდვიდან	+ 100,000
ერთობლივი შემოსავალი	155,000
დეკლარირებული შემოსავალი	– 140,000
აუსახავი შემოსავალი	15,555

გაყიდული საქონლის ღირებულების შეფარდება გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალთან ფასნამატის მეთოდის ერთ-ერთ ვარიანტს წარმოადგენს.

მაგალითი: გადასახადის გადამხდელი ყიდის ორი ტიპის „ა" და „ბ" პროდუქტებს. მისი მთლიანი შემოსავლების მაჩვენებელი 70,000 ლარია. პროდუქტი „ა" – ს სარეალიზაციო ღირებულება 20,000 ლარია, „ბ" – სი – 30,000 ლარი. ღირებულებები გადამოწმებულია მომწოდებელთან და კორექტირებულია საწყისი და საბოლოო მარაგების გათვალისწინებით

დეკლარირებული შემოსავალი	70,000 ლარი
შემოსავალი რეალიზაციიდან (პროდუქტი ა)	20,000 ლარი
შემოსავალი რეალიზაციიდან (პროდუქტი ბ)	30,00 ლარი

აუდიტორი გადამხდელთან გასაუბრებით, მისი ჩანაწერებისა და დარგის სტანდარტების შესწავლით ადგენს, რომ გაყიდული საქონლის თვითღირებულება წარმოადგენს რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის 75%–ს „ა" პროდუქტის შემთხვევაში და 50%–ს „ბ"–ს შემთხვევაში.

ნაბიჯი 1: გაყიდული საქონლის თვითღირებულების პროცენტული წილის განსაზღვრა რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალში:

	A	B
გაყიდული საქონლის ღირებულება %	75%	50%

ნაბიჯი 2: ერთობლივი შემოსავლების დადგენა:

გაყიდული საქონლის ღირებულება/გაყიდული საქონლის ღირებულება %-ული წილი ერთობლივ შემოსავალში = მთლიანი შემოსავალი):

	A	B
20,000/0.75	26,666	
30,000/0.50		60,000

ნაბიჯი 3: ერთობლივი შემოსავლების კორექტირება:

შემოსავალი ა საქონლის რეალიზაციიდან		26,666
შემოსავალი ბ პროდუქტის რეალიზაციიდან		+ 60,000
ერთობლივი შემოსავალი		86,666
დეკლარირებული შემოსავალი	– 70,000	
აუსახავი შემოსავალი	16,666	

18.2.21 საშუალო შეწონილი ფასნამატის მეთოდი.

საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენება ხდება იმ შემთვევაში, როდესაც გადასახადის გადამხდელს შემდგომი გაყიდვის მიზნით შეძენილი აქვს რამდენიმე დასახელების საქონელი განსხვავებული ფასნამატით. აუდიტორის მიერ ხდება როგორც შესყიდვის (დღგ-ს გარეშე), ასევე სარეალიზაციო ფასის დადგენა.

მაგალითი:

მაღაზია ყიდის ქალის ტანსაცმელს და აქსესუარებს. საგადასახდო შემოწმების დროს უნდა დადგინდეს ფაქტობრივი ფასნამატი და მოხდეს მისი შედარება დარგის ანალოგიურ მაჩვენებლებთან. სახეზე გვაქვს შემდეგი მონაცემები:

აბრეშუმის კაბები:	ლარი (გადასახადის გარეშე)
ერთეულის შესასყიდი ფასი	2 500
ერთეულის გასაყიდი ფასი	5 000
ფასნამატი	100%
ბამბის კაბები:	
ერთეულის შესასყიდი ფასი	1 500
ერთეულის გასაყიდი ფასი	2 250
ფასნამატი	50%
მოცემული პერიოდის შესყიდვების ღირებულება (ლარი)	
აბრეშუმის კაბები	50 000
ბამბის კაბები	100 000

გამოთვლები:

აბრეშუმის კაბები	50 000 * 100% =	100 000
ბამბის კაბები	100 000 * 50% =	150 000
	150 000	250 000

საშუალო შეწონილი ფასნამატი = $\frac{250\,000 - 150\,000}{150\,000} \times 100 = 67\ \%$

საშუალო შეწონილი ფასნამატი შესაძლოა შემდეგში გამოყენებული იქნას გადასახადის გარეშე წარმოებულ შესყიდვებზე ნებისმიერი პერიოდისათვის, რასაც თან ახლავს მიღებული შედეგის შედარება დეკლარირებულ მოგებასთან. ამასთანავე, გადასახადის გადამხდელის მიერ სხვადასხვა ტიპის საქონლით ვაჭრობა არ წარმოადგენს ამ მეთოდის უპირობო გამოყენების საფუძველს, თუ ეს უკანასკნელი შეძლებს სანდო და ზუსტი მონაცემების მოწოდებას აუდიტორისათვის.

18.2.22 ერთეულისა და მოცულობის მეთოდი.

ერთეულის და მოცულობის მეთოდის მიხედვით გადამხდელის დასაბეგრი შემოსავლები განისაზღვრება ან მოწმდება გადამხდელის ბიზნესის მოცულობისთვის გასაყიდი ფასის მისადაგებით. გადასახადის გადამხდელის ბიზნესის მოცულობა ან ერთეულების რაოდენობა შეიძლება დადგინდეს გადასახადის გადამხდელის ბუღალტრული ჩანაწერებიდან, რადგანაც შემოწმებას დაქვემდებარებული დოკუმენტებიდან გაყიდული საქონლის ღირებულება ან ხარჯები შეიძლება გაირკვეს. სხვა შემთხვევებში, ეს ინფორმაცია აუდიტორმა გარეშე წყაროებიდან შეიძლება მოიპოვოს.

ერთეულის და მოცულობის მეთოდი გადამხდელის საქმიანობისა და დარგის სფეციურობაზე დამოკიდებული. ფაქტიური საგადასახადო ვალდებულების დადგენის ეს მეთოდი ეფექტურად იყო გამოყენებული პიცის ბიზნესების და მონეტების ჩასაყრელი სარეცხი მანქანების შემთხვევაში.

ერთეულის და მოცულობის მეთოდი რეკომენდირებულია როცა:

– აუდიტორს შეუძლია დაადგინოს საქონლის ერთეულების რაოდენობა და ასევე. იცის ერთეულის ფასი.

– ბიზნესს გასაყიდი პროდუქციის რამდენიმე სახეობა აქვს ან როცა გაწეული მომსახურების სახეებში მხოლოდ მცირე ვარიაციებია და გადამხდელის მიერ დადებული ფასი საქონელზე ან მომ-

სახურებაზე (გასაყიდი ფასი) მეტნაკლებად ერთი და იგივეა საგადასახადო პერიოდის განმავლობაში.

ერთეულისა და მოცულობის მეთოდის გამოყენებისას აუდიტორმა უნდა გაითვალისწინოს:

– მინოდებული საქონლის/მომსახურების სახეობა/სახეობები.

– საანგარიშო პერიოდში გადასახადი გადამხდელის მიერ მომწოდებლისგან მიღებული სასაქონლო მატერიალური მარაგების/მომსახურების რაოდენობა/მოცულობა.

– გადასახადის გადამხდელის ძირითადი საშუალებების (მანქანა დანადგარები, საწარმოო მოწყობილობები და სხვ.) მწარმოებლურობის მაჩვენებლები, მათი ექსპლუატაციაში ყოფნის პერიოდის გათვალისწინებით.

– გადასახადის გადამხდელთა არსებული მრიცხველი და საზომი მექანიზმები (ასეთის არსებობისას) რამდენად გამართულად მუშაობენ და მათი მონაცემები.

– გადასახადი გადამხდელის მიერ საქმიანობისათვის გამოყენებული მანქანა დანადგარების ან/და მოწყობილობების წარმადობა, აგრეთვე ელექტრო ენერგიის ბუნებრივი აირის ან/და წლის ხარჯი;

– გამოსაელიანობის ნორმა, სასაქონლო მატერიალური მარაგების ან/და მზა პროდუქციიის დანაკარგების ოდენობის გათვალიწინებით (ასეთის არსებობისას).

– გადასახადის გადამხდელთან დაქირავებით მომუშავეთა რაოდენობა და მათი სახელფასო ანაზრაურების პრიობები, კერძოდ, შრომის ანაზღაურების სისტემა არის თუ არა დამოკიდებული შესრულებული სამუშაოს მოცულობაზე

– გადასახადი გადამხდელის მიერ საქონლის/მომსახურების მინოდებისას ანაზღაურება ხდება უპირატესად ნაღდი თუ უნაღდო ანგარიშწორებით, შესაბამისად უნდა შემოწმდეს გადამხდელის საკონტროლო სალარო აპარატის ან/და საბანკო ანგარიშების მონაცემები.

ერთეულისა და მოცულობის მეთოდით დასაბეგრი შემოსავლების დადგენისას ხშირად პარარელურად გამოიყენება შედარებისა და ფასნამატის არაპირდაპირი მეთოდები.

მაგალითი:

მაგალითი ეხება მონეტების ჩასაყრელი სარეცხი მანქანების ბიზნესს, სადაც ცნობილია ერთი გაყიდვის ერთეულისთვის (ერთი ჩადება სარეცხი) საჭირო წყლის ოდენობა. კომუნალური გადასახადების ჩეკების მიხედვით, გადასახადის გადამხდელმა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოიხმარა 3,000,000 ლიტრი წყალი.

მოხმარებული წყალი ლიტრებში:	3,000,000
მოხმარება არა სარეცხი მანქანის მიერ (დაღვრა):	– 50,000
სარეცხი მანქანის მიერ მოხმარებული წყლის ოდენობა (ლიტრებში):	2,950,000

ერთი ჩადება სარეცხისთვის საჭირო წყლის ოდენობა ლიტრებში, რომლის შესახებ ინფორმაციაც მწარმოებლისგან ან სხვა მსგავსი ტიპის აპარატის მიხედვით შეიძლება განისაზღვროს, შეადგენს 27 ლიტრს. შესაბამისად შესამოწმებელი პერიოდის განმავლობაში სარეცხის ჩადებების რეკონსტრუირებული რაოდენობაა 2,950,000/27 = 109,259.

ერთი ჩადება სარეცხის ფასი 2.50 ლარია. შესაბამისად სარეცხი მანქანებიდან მთლიანი შემოსავალი იქნება 109,259 ჩადება ხ 2.50ლ / ჩადება = 273,148ლ.

საშრობ მანქანაში ერთი ჩადების ფასია 1.50ლ. კვირის სხვადასხვა დღეების დაკვირვებით, დადგინდა რომ საშრობების გამოყენება სარეცხის გამოყენების 75%-ია. საშრობში ერთი ჩადების ფასია 1.50ლ. ასე რომ, საშრობის გამოყენების მთლიანი შემოსავალია 109,259 ხ 75% ხ 1.50ლ = 122,916ლ. სარეცხისა და საშრობი აპარატებიდან მიღებული შემოსაელების ჯამი შეადგენს გადამხდელის დასაბეგრ მთლიან შემოსავალს რომელიც ედრება საგადასახადო დეკლარაციაში მითითებულ მთლიან შემოსაელებს:

მთლ.შემოს.სარეცხი მანქ:	273,148
მთლ.შემოს.საშრობი მანქ:	+ 122,916
სხვა შემოსავლები (ვაჭრ, პასაჟი):	25,000
მთლიანი შემოსავალი გაყიდვებიდან:	**421,064**
დეკლარირებული შემოსავლები.:	– 376,745
ერთობლივი შემოსავლის კორექტირება:	**44,319**

მაგალითი: – გადამხდელს, რომელიც ანარმოებს ლუდს, საანგარიშო წლის ბოლოს ხანძრის გამო გაუნადგურდა პირვანდელი სააღრიცხო დოკუმენტები და ვერ ხერხდება დეკლარირებული მონაცემების დოკუმენტურად დადასტურება. დაფიქსირებულია წლის დასაწყისის და წლის ბოლოს არსებული ლუდის ნაშთები შესაბამისად 50000 და 30000 ბოთლის ოდენობით. არ იკვეთება გამოშვებული და მიწოდებული ლუდის ოდენობა.

წინა საანგარიშო წელს გამოშვებულმა ლუდის ოდენობამ შეადგინა 1 მლნ ბოთლი, რაზედაც გახარჯულია 20000 კილოვატი ელექტრო ენერგია ანუ ერთ კილოვატ დახარჯულ ელექტრო ენერგიით ჩამოსხმულია 50 ბოთლი ლუდი (1000000:20000). საანგარიშო წელს ელექტრომრიცხველის მიხედვით გამოყენებულია 22000 კილოვატი ელექტრო ენერგია. წინა წელთან შედარებით გადამხდელს სხვა განსხვავებული სამუშაოები არ ჩაუტარებია, ძირითადი აქტივების წარმადობა და ოდენობა, საბაზრო ფასი და სხვა ეკონომიკურ მაჩვენებლების არსებითი ცვლილება არ ყოფილა. დაქირავებულთა საშუალო რაოდენობა უმნიშვნელოდ 3 ერთეულითაა გაზრდილი.

მოცემულ პირობებში:

აუდიტორს შეუძლია გამოიყენოს წარმოების კოეფიციენტის არაპირდაპირი მეთოდი და გახარჯული ელექტროენერგიის გამოყენებით წინა წლის ანალოგიურად განსაზღვროს საანგარიშო წელს გამოშვებული და მიწოდებული ლუდის ოდენობა. კერძოდ საკარაუდოდ გადამხდელს საანაგარიშო წელს უწარმოებია 1 100 000 ბოთლი ლუდი (22000*50), მინოდებულია 1 120 000 ბოთლი ლუდი (50000+1100000 – 30000).

18.2.23 წმინდა კაპიტალის მეთოდი.

წმინდა კაპიტალის მეთოდის მიხედვით, დასაბეგრი შემოსავალი დგინდება საანგარიშო პერიოდების მიხედვით წმინდა კაპიტალის ცვლილების საფუძველზე არაგამოსაქვითი ხარჯებისა და არადასაბეგრი შემოსავლების გათვალისწინებით. იგი გადასახადის გადამხდელის ფინანსური ისტორიის სრულ რეკონსტრუქციას მოითხოვს, რადგან აუდიტორმა უნდა შეისწავლოს და წარადგინოს ანგარიში ყველა აქტივის, ვალდებულების, არაგამოქვითვადი დანახარჯების და არადასაბეგრი შემოსავლების წყაროების შესახებ შესაბამისი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში.

წმინდა კაპიტალის მეთოდის ფულადი სახსრების გამოყენების მეთოდის მსგავსად ემყარება შემდეგ ძირითად პრინციპს, რომ თუ გადამხდელი იღებს შემოსავლებს, იგი ან ინვესტირებას უკეთებს მას ან/და ხარჯავს. მისი მიზანია წმინდა კაპიტალში ცვლილების გზით დადგინდეს, გადასახადის გადამხდელი აქტივებს იძენს, ვალდებულებებს ამცირებს თუ ხარჯებს სწევს არადეკლარირებული შემოსავლებიდან.

წმინდა კაპიტალის მეთოდის გამოყენებით შემოსავლების დადგენა მოიცავს შემდეგ 4 ძირითად ეტაპს:

პირველი: გადამხდელის ყველა აქტივებისა და ვალდებულებების გასანზღვრა. იგი მოიცავს, როგორც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ასევე პირად აქიტვებსა და ვალდებულებებს.

მეორე: გადამხდელის წმინდა კაპიტალის დადგენა როგორც საანგარიშო პერიოდის დასაწყისში ასევე პერიოდის ბოლოს, რის მიხედვითაც განისაზღვრება წმინდა კაპიტალის ცვლილება.

მესამე: არადასაბეგრი შემოსავლების (მაგ. დივიდენდი, საჩუქარი, პროცენტები, რომლებიც არ იბეგრება და ა.შ) და არაგამოსაქვითი ხარჯების (მათ შორის პირადი ხარჯების) გათვალიწინებით ხდება მიღებული წმინდა კაპიტალის ცვლილების თანხის კორექტირება.

მეოთხე: მიღებული კორექტირებული თანხა ითვლება, როგორც გადახდელის დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც ედრება მის მიერ დეკლარირებულ შემოსავლებს.

წმინდა კაპიტალის მეთოდით შემოსავლის გაანგარიშების ფორმულა შემდეგია:

მთლიანი აქტივები	XXX
მთლიანი ვალდებულებები	(XXX)
წმინდა კაპიტალი, წლის ბოლოს	XXX
წმინდა კაპიტალი, წლის დასაწყისში	(XXX)
წმინდა კაპიტალის ზრდა ან კლება	XXX
არაგამოქვითვადი დანახარჯები მიმატება:	XXX
ქვე–ჯამი	XXX

არადასაბეგრი შემოსავალი:	(XXX)
დასაბეგრი შემოსავალი	XXX

აღნიშნული მეთოდის გამოყენებისას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პერიოდის დასაწყისში (საბაზისო წელს) წმინდა კაპიტალის დადგენის სისწორეს, რომელიც მოიცავს პერიოდის დასაწყისში გადამხდელის ხელთ არსებულ ყველა აქტივებსა და ვალდებულებებს, რადგან მის მიხედვით განისაზღვრება წმინდა კაპიტალის ცვლილება. შესაბამისად, აუცილებელია აუდიტორის ანგარიში იყოს სანდო, ფაქტებზე დაფუძნებული და დასაბუთებული.

წმინდა კაპიტალის მეთოდის გამოყენების საწყისი ეტაპზე აუდიტორის პოზიციები შესაძლებელია გამყარდეს გადამხდელთან ინტერვიუს შედეგად. აუდიტორმა უნდა უნდა მიიღოს გადამხდელის აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული ყველა სახის ინფორმაცია, მათ შორის იმ პუნქტებთან დაკავშირებით, რომელთა ღირებულების დადგენა ხელთარსებული სააღრიცხვო ჩანაწერების საფუძველზე ვერ ხერხდება, მაგალითად, ხელზე არსებული ნაღდი ფული რომლიმე კონკრეტულ პერიოდში, პირადი ხარჯები, საჩუქრები, სესხები, და სხვა არადასაბეგრი შემოსავლები.

ინტერვიუს შემდეგად აუდიტორმა უნდა გაარკვიოს გააჩნია თუ არა გადამხდელს უძრავი ქონება, საიდანაც შესაძლებელია დამატებითი შემოსავლების მიღება. აგრეთვე, გააჩნია თუ, არა გადამხდელს სხვის სახელზე რეგისტრირებული აქტივები, და ადგილი ქონდა თუ არა აქტივების განადგურებას ან სხვა მსგავს ფაქტებს. თუ გადამხდელს გააჩნია სესხი აუდიტორმა ყურადღება უნდა მიაქციოს იმ ფაქტს, რომ გადამხდელს შესაძლებელია ბანკში ან სხვა ფინანსურ ინსტიტუტებში წარდგენილი ჰქონდა ფინანსური მონაცემები, რათა მოხდეს მათი გამოთხოვა.

წმინდა კაპიტალის მეთოდის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდის ბოლოსა და დასაწყისში ხელზე არსებული ნაღდი ფულის განსაზღვრა ერთ-ერთი საკანძო საკითხია და აღნიშნული არაპირადპირი მეთოდის წარმატება სწორედ მის სწორად განსაზღვრაზეა მნიშვნელოვნად დამოკიდებული. აუდიტორმა მისი განსაზღვრის მიზნით შესაძლებელია შეიძლება გამოიყენოს სხვა რაპირდაპირი მეთოდები, როგორიც არის მაგალითად, წყაროსა და ფულადი დანახარჯების მეთოდი. მართალია წყაროსა და ფულადი დანახარჯების მეთოდი ყველა შემთხვევაში არ გმაოიყნება თუმცა გარკვეულ შემთხვევაში მისი გამოყენება გამოსადეგია.

წმინდა კაპიტალის მეთოდის გამოყენებისას აუდიტორმა უნდა გაითვალისწინოს:

– აქტივებისა და ვალდებულებების ტიპი;

– აქტივებისა და ვალდებულებების განკარგვის სამართლებრივი ფორმა (საკუთრება, მფლობელობა, სარგებლობა და სხვა)

– აქტივებისა და ვალდებულებების წყაროები (საკუთარი წარმოება, შეძენა, ლიზინგი და სხვა)

– რამდენად გამოიყენება აქტივები გადამხდელის ეკონომიკურ საქმიანობაში;

– აქტივები ექვემდებარება ამორტიზაციას და ამორტიზაციის ნორმა;

– აქტივების წარმოების, შეძენის, მფლობელობაში მიღების 9იჯარა, ლიზინგი), აგრეთვე ექსპლუატაციის ხარჯის ოდენბა და მის დასაფარად საჭირო სახსრების წყაროები;

– შესამოწმებელ პერიოდში აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულების ცვლილება წინა პერიოდთან შედარებით და შესაბამისი ცვლილების (ზრდა/შემცირება) საფუძველი;

– გადამხდელთანფაქტობრივად არსებული აქტივების და ვალდებულებების შესახებ მონაცემები შეესაბამება თუ არა სააღრიცხვო დოკუმენტაციასა და საგადასახადო ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას;

– აქტივებისა მიწოდების შემთხვევაში მიწოდების პირობები;

– აქტივის ღირებულების, დადგენისას მხედვალობაში მიიღება მხოლოდ გაწეული ხარჯები და არა საბაზრო ფასი.

წმინდა ღირებულების მეთოდი რეკომენდებულია შემდეგ სიტუაციებში:

– შესამოწმებელი პერიოდი მოიცავს 2 ან მეტ საანგარიშო პერიოდს.

– მნიშვნელოვნად იცვლება გადამხდელის აქტივები და ვალდებულებები საანგარიშო პერიოდების მიხედვით.

– გადამხდელის ბუღალტრული ცანაწერები არასწანდოა, დაბლოკილი ან დაკარგულია.

ის ფაქტი, რომ გადამხდელის ბუღალტრული ჩანაწერები გააჩნია, არაა იმის წინაპირობა, რომ აღნიშნული მეთოდი არ უნდა იქნას გამოყენებული. აუდიტორმა შესაძლებელია გამოყენოს წმინდა კაპიტალის მეთოდი იმის განსაზღვრის მიზნით თუ, რამდენად ზუსტად ასახავს ბუღალტრული ჩანაწერები მის ფინანსურ ისტორიას.

წმინდა კაპიტალის მეთოდი პირველადად იმ გადამხდელების მიმართ გამოიყენებოდა, რომელ-

თა შემოსავლის ძირითადი წყარო არალეგალური საქმიანობა იყო. ახლა კი იგი რეგულარულადაა რეკომენდებული თაღლითობის შემთხვევებში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც წმინდა კაპიტალის მნიშვნელოვანი ზრდა მოხდა და სხვა მტკიცებულების მეთოდები არა არის საკმარისი.

წმინდა კაპიტალის მეთოდის მაგალითი

აქტივები	წლის დასაწყისი	წლის ბოლოს
ნაშთი საბანკო ანგარიშზე	20000	25000
ნაღდი ფული	10000	6000
უძრავი ქონება	150000	860000
მანქანები	25000	480000
სხვა აქტივები	100000	12000
აქტივები სულ:	305000	1491000
ვალდებულებები		
იპოთეკა		300000
სესხები	10000	700000
ვალდებულებები სულ	10000	1000000
წმინდა კაპიტალი	295000	491000
გამოკლებული: საწყისი წმინდა კაპიტალი	(295000)	
წმინდა ღირებულების ზრდა	196000	
დამატებული: პირადი ხარჯები	24000	
ხარჯები სულ	220000	
კორექტირება:		
გამოკლებული საჩუქრები, მემკვიდრეობა და სხვა	(30000)	
კორექტირებული ერთობლივი შემოსავალი	190000	
გამოკლებული დეკლარირებული ერთობლივი შემოსავალი:	(185000)	
დამატებით დასარიცხი შემოსავალი	5000	

თუ დამალული შემოსავალი მხოლოდ 5000 ლარია, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ეს თანხა მეტისმეტად მცირეა იმისთვის, რომ მასზე დამატებით ვაწარმოოთ გამოკვლევა. მიუხედავად ამისა, აუდიტორისთვის საინტერესო სფეროს წარმოადგენს 990000 ლარის ოდენობის სესხის მიღების ფაქტის გამოკვლევა, რადგან საეჭვოა ვის უნდა გაეცა სესხი პირზე, რომლის წინა წლის საკუთარი კაპიტალის წმინდა ღირებულება მხოლოდ 295000 ლარს შეადგენს. შესაძლებელია, რომ გადასახადი გადამხდელმა მოახდინა მისი კუთვნილი თანხების გათეთრება და აწარმოებს მის რეპატრიციას უცხოეთის ბანკებიდან სესხის სახით.

18.2.24 არაპირდაპირი მეთოდების საწინააღმდეგო არგუმენტაცია.

თუ არაპირდაპირი მეთოდის გამოყენების შედეგად აღმოჩნდა რომ გადამხდელს შემცირებული აქვს დეკლარირებული შემოსავლები, აუდიტორი უნდა დარწმუნდეს, რომ არაპირდაპირი მეთოდი სწორად იქნა მისადაგებული, რითაც გაბათილდება გადასახადის გადამხდელის მიერ რაიმე შესაძლო არგუმენტაცია ამ მეთოდის წინააღმდეგ.

საწინააღმდეგო არგუმენტაცია სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

– გადამხდელი აცხადებს, რომ გამოთვლა არაზუსტია ან ხარვეზიანია.

– გადამხდელი აცხადებს, რომ აუხსნელი განსხვავების მიზეზი არადასაბეგრი წყაროა.

– გადამხდელი აცხადებს, რომ აუხსნელი განსხვავების მიზეზი წინა წლებში დაგროვილი ნაღდი ფულით გაკეთებული დანახარჯებია.

საბანკო დეპოზიტებისა და ნაღდი ფულის დანახარჯების მეთოდი – ამ მეთოდის სიზუსტის სირთულე ანგარიშებზე ცალკეული დეპოზიტების ბუნებაში მდგომარეობს. გადამხდელმა შეიძლება გაანაცხადოს, რომ დეპოზიტები შედგება დასაბეგრი და არადაბეგვრადი პუნქტებისგან, რაც აუდიტორის მიერ სწორად არ იქნა კლასიფიცირებული. სესხებიდან შემოსული თანხების დეპოზიტები,

საწყისები და მემკვიდრეობა, სხვა ანგარიშებიდან გადმორიცხვები ამგვარი პრეტენზიის ყველაზე გავრცელებული სახეობებია. რედაქტორები მუხლებისა, როგორიცაა არასაკმარისი ფონდების ჩეკები, ასევე შეიძლება გახდეს უზუსტობის მიზეზი, თუ ორჯერ დაითვლება. აუდიტორმა ყურადღებით უნდა შეისწავლოს ანალიზი და სანამ შემოსავლის ნაკლები ღირებულებით ჩვენების შესახებ დასკვნას გამოაქვეყნებდეს, ეცადოს გაიგოს თითოეული დებიტორის წყარო და ხასიათი.

წყაროსა და ფონდების გამოყენების მეთოდი – აქ სირთულეს წარმოადგენს დარიცხვის მეთოდის დროს გაკეთებული კორექტირებები და სასესხო ოპერაციების ასპექტი (სესხებზე გადახდები ფონდების გამოყენებად ითვლება). ასევე, გადასახადის გადამხდელმა შეიძლება პრეტენზია განაცხადოს, რომ შესყიდვები, მუშახელის ხარჯები, მასალები და მარაგები, ასევე მარაგებთან დაკავშირებული მიმდინარე პერიოდის სხვა ხარჯები ფონდების გამოყენებაა და არა გაყიდული საქონლის ღირებულება.

ფასნამატის მეთოდი – აქ მთავარი სირთულე მაშინ იჩენს თავს, როდესაც გამოჩნდება, რომ გამოთვლები არასწორ პროცენტებს, გაყიდვების არასწორ ღირებულებას ეყრდნობა, ან რომ აუდიტის გამოთვლები სათანადოდ არ ითვალისწინებს მნიშვნელოვან პუნქტებს, როგორიცაა დაღვრის, გატეხვის ან ქურდობის საფრთხეები. ეს საკითხები გათვალისწინებული და რაოდენობრივად გამოხატული უნდა იქნას პირველივე გასაუბრების დროს. რადგან მეთოდი ეყრდნობა შესამოწმებელი სიტუაციის მსგავსი სიტუაციასთან შედარებას, მეთოდისადმი ნაყენებული პრეტენზიის დროს აქცენტი უნდა გაკეთდეს განმასხვავებელ თავისებურებებზე რამდენიმე სფეროში, მაგალითად გასაყიდი საქონლის ტიპი, მუშაობის მასშტაბები, ადგილმდებარეობა, დროის პერიოდი, ან ზოგადი სავაჭრო პოლიტიკა.

გადასახადის გადამხდელმა შეიძლება სცადოს აუდიტორის არაპირდაპირი მეთოდის დასკვნების სიცრუის დამტკიცება და შეიძლება წამოაყენოს პრეტენზია, რომ აუხსნელი განსხვავება ფონდების არადაბეგვრადი წყაროების მიღებითაა გამოწვეული.

თუ შესაძლებელია იმის ჩვენება, რომ ყველა არადაბეგვრადი შემოსავლის წყარო იქნა გათვალისწინებული, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ერთადერთი დარჩენილი წყარო დასაბეგრი წყაროა. აუდიტორმა უნდა აჩვენოს, რომ დასაბეგრ შემოსავალში ზრდა გამოინვია შესაძლო დასაბეგრმა წყარომ. ეს შეიძლება გამოვლინდეს გამოტოვებებით, რაც ნიშნავს, რომ გადასახადის გადამხდელის ბიზნესს ჰქონდა შესაძლებლობა მეტი გაყიდვები გამოემუშავებინა, ან დროში შედარებებით. რაც უფრო მეტი შესაძლო წყარო გამოვლინდება, გამოთვლაც უფრო მისაღები იქნება.

გადასახადის გადამხდელი შეიძლება შეეცადოს აუდიტორის არაპირდაპირი მეთოდის დასკვნების უარყოფას და შეიძლება წამოაყენოს პრეტენზია, რომ აუხსნელი განსხვავების მიზეზი წინა წლებში დაგროვილი არადაბეგვრადი ფონდებია.

ვინაიდან ხელზე არსებული ნაღდი ფული და აკუმულირებული ფონდები შემოსავლის შემოწმების და არაპირდაპირი მეთოდების მნიშვნელოვანი ფუნდამენტური ასპექტებია, აუდიტორმა უნდა დაადგინოს თანხის ოდენობა და პირველადი გასაუბრებს დროს გადაამოწმოს გადამხდელის ნაღდი ფულის აკუმულირების დოკუმენტები. ეს აუცილებელია შემდეგი მიზეზების გამო:

– ხელზე არსებული ნაღდი ფულითა და აკუმულირებული ფონდებით შეიძლება ფინანსური მდგომარეობის ანალიზის დროს გამოვლენილი დისბალანსის ახსნა. ეს საკითხი სწრაფად შეიძლება მოგვარდეს, გადამხდელზე ტვირთის დაკისრების გარეშე, თუკი შემოწმების ადრეულ ეტაპზე დაიწყება მასზე მუშაობა.

– ინფორმაცია საჭიროა იმის დასადგენად, უნდა გამოიყენონ თუ არა არაპირდაპირი მეთოდი, და რომელი მეთოდია ყველაზე გამართლებული.

– აუსახავი შემოსავლის კორექტირებას სირთულეები შეექმნება, თუ ხელზე არსებული ნაღდი ფულითა და აკუმულირებული ფონდებით აუდიტი დასაწყისშივე არ დაინტერესდება. პოსტ–ფაქტუმ „მატრასში შენახული ფულის“ ტიპის პრეტენზია აღარ მიიღება, თუ ხელზე არსებული ნაღდი ფულისა და აკუმულირებული ფონდების არსებობა უკვე დადგინდა.

გადამხდელის მხრიდან გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია, რომ ხელზე არსებული ნაღდი ფულისა და აკუმულირებული ფონდების მნიშვნელობა კარგად აიხსნას რაიმე კითხვაზე პასუხის გაცემამდე. გადასახადის გადამხდელს კარგად უნდა ესმოდეს, რომ ტერმინი ხელზე არსებული ნაღდი ფული ნიშნავს არადეპონირებულ ვალუტას და მონეტებს, რომლებიც ჩვეულებრივი ბიზნეს–ოპერაციებისთვის გამოიყენება. აკუმულირებული ფონდები კი ნიშნავს გადასახადის გადამხდელის მიერ დაგროვილ ნაღდ ფულს და იგი არაა დაკავშირებული ნორმალურ ბიზნეს–პრაქტიკასთან და/ან კლიენტებთან. ეს ფონდები შეიძლება წინა წლებში დაიბეგრა, არადაბეგვრადი წყაროებიდანაა წარმოშობილი, ან შეიძლება დასაბეგრ შემოსავალს წარმოადგენს შესამოწმებელი წლისთვის. როცა ტერმინები სწორადაა გაგებული, აუდიტორმა უნდა დასვას კითხვები ხელზე არსებული ნაღდი ფულისა და აკუმულირებული ფონდების არსებობის შესახებ.

თუ გადასახადის გადამხდელი შეეცდება ნაღდი ფულის შესახებ კითხვებზე თავის არიდებას, აუდიტორმა უნდა სცადოს თანხებზე გადაერთოს კითხვების შემდეგნაირად დასმით: „10,000 ლარზე მეტი თუ ნაკლები“ და დიაპაზონი დააპატარავოს, სანამ გადასახადის გადამხდელი თანხაზე არ დაეთანხმება.

ყურადღებით უნდა იქნას გამოკვლეული, ჰქონდა თუ არა ფიზიკურ პირს შესამოწმებელ წელს დიდი ოდენობით აკუმულირებული ნაღდი ფული. აუდიტორმა გადასახადის გადამხდელს უნდა სთხოვოს, დაადასტუროს ხელზე არსებული ნაღდი ფულისა და აკუმულირებული ფონდების არსებობა ან არარსებობა.

თუ გადასახადის გადამხდელები დაადასტურებენ, რომ მათ ნაღდი ფულის არაზომიერი ოდენობა აქვთ, აუდიტორმა კიდევ უნდა დასვას კითხვები, რათა დაადგინოს:

– ხელზე არსებული ნაღდი ფულის ოდენობა ყოველი შესამოწმებელი წლის ბოლოს დღევანდელ დღემდე (გასაუბრების პერიოდში).

– როგორ დაგროვდა.

– სად ინახებოდა და რომელ ნომინალებში.

– ვინ იცოდა ამის შესახებ.

– ვინ ითვლიდა.

– როდის და სად დაიხარჯა ამ ფულის ნაწილი.

– რატომ დააგროვა გადასახადის გადამხდელმა ხელზე არსებული ნაღდი ფული.

ხელზე არსებული ნაღდი ფულისა და აკუმულირებული ფონდების შესახებ ინფორმაცია აუცილებელია გადასახადის გადამხდელის განცხადების თანმიმდევრულობისა და სანდოობის დასადგენად. როგორც წესი, პირდაპირი შედარების საშუალება არ არსებობს, მაგრამ ხელზე არსებული ნაღდი ფულის წყაროებისა და გამოყენების შესახებ გაკეთებული განცხადების გადამოწმება შესაძლებელია. შეეცადეთ, აღმოაჩინოთ შეუსაბამობები. მაგალითად:

– გადასახადის გადამხდელს წინა წლებში შეიძლება არ ჰქონდა საკმარისი დასაბეგრი ან არადაბეგვრადი შემოსავალი, რათა ნაღდი ფული დაეგროვებინა.

– გადასახადის გადამხდელის პრეტენზიები არსებითი ხელზე არსებული ნაღდი ფულისა და აკუმულირებული ფონდების შესახებ შეიძლება ეჭვქვეშ იქნას დაყენებული, თუ აჩვენებთ, რომ გადასახადის გადამხდელმა ისესხა ფული, იყიდა რაიმე განვადებით, აიღო დიდი ვალები, ანგარიშებზე დაყოვნებები ჰქონდა, ჰქონდა ცუდი საკრედიტო რეიტინგი, ან მის წინააღმდეგ აღძრული იყო გაკოტრების საქმისწარმოება. იმის ჩვენებამ, რომ გადასახადის გადამხდელი ხელმოჭერილად ცხოვრობდა, შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ მას არ აქვს აკუმულირებული ფონდები, მაგრამ გადასახადის გადამხდელის ხელმოჭერილი ცხოვრების წესის ჩვენება მაინცდამაინც ეჭვქვეშ არ აყენებს გადასახადის გადამხდელის მტკიცებას, რომ მას მნიშვნელოვანი ოდენობით აკუმულირებული ფონდები აქვს. ფულის მართვასთან დაკავშირებული კულტურათაშორისი განსხვავებებითა და ინდივიდუალური ფილოსოფიით შეიძლება აიხსნას გადასახადის გადამხდელის მიერ არჩეული ცხოვრების წესი.

– გადასახადის გადამხდელის მიერ ბანკებსა და სხვა ადგილებში გაგზავნილი ფინანსური ანგარიშები შეიძლება შემოწმდეს, რათა ინახოს, გადასახადის გადამხდელმა ამ ანგარიშებში აჩვენა თუ არა ხელზე არსებული ნაღდი ფული.

გადასახადის გადამხდელის ახსნა–განმარტება ხელზე არსებულ ნაღდ ფულთან და აკუმულირებულ ფონდებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს აუდიტის მსვლელობისას. აუდიტორმა მიღებული ინფორმაცია დოკუმენტად უნდა აქციოს. დოკუმენტირებისას მან უნდა მიუთითოს, როდის და სად იქნა ეს ინფორმაცია მიღებული, ვინ ესწრებოდა, რა ითქვა, როდის მომზადდა დოკუმენტაცია (ანუ, მოვლენათა მსვლელობის პარალელურად).

18.2.25 აუდიტის ანგარიშის მომზადება

აუდიტის დასრულება სხვადასხვა პროცესებს მოიცავს, კერძოდ:

– აუდიტორმა უნდა მოამზადოს აუდიტის ანგარიში და შეათანხმოს მისი შინაარსი თავის ზედამხედველთან.

– აუდიტორმა მის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგები უნდა განიხილოს გადასახადის გადამხდელთან და სცადოს მასთან აუდიტის მსვლელობისას გამოვლენილ საკითხებთან დაკავშირებით შეთანხმების მიღწევა. ამ მსჯელობისას, სხვა საკითხებთან ერთად, გადასახადის გადამხდელს უნდა გააცნოს დაკვირვებები, რომლებიც შეიძლება მას დაეხმაროს საქმიანობის უფრო ეფექტიანად წარმართვაში.

– უნდა მოხდეს ნებისმიერი აუცილებელი დარიცხვების, აგრეთვე შესაბამისი ჯარიმების განსაზღვრა.

– უნდა მოხდეს აუდიტის მთელი დოკუმენტაციის შეკრება და სათანადოდ ჩაკერება საქაღალდეში (დაფაილება).

აუდიტორმა აუდიტის დასრულების ეტაპზე უნდა მოამზადოს საგადასახადო შემოწმების ანგარიში („აუდიტის აქტი"). შემოწმების აქტი წარმოადგენს შემოწმების დასკვნით დოკუმენტს და ასახავს აუდიტორის/ალტერნატიული საგადასახადო შემოწმების განმახორციელებელი პირის პოზიციას.

შემმოწმებლის მიერ აუცილებლად უნდა იყოს დაცული აქტის დაწერის მიღებული პროცედურები, კერძოდ:

– აქტი უნდა დაიწეროს გასაგები, ლაკონური და გრამატიკულად გამართული ენით;

– სათანადო დონეზე მომზადებული აქტის ფორმა უნდა იყოს დადასტურებული ხელმოწერითა და თარიღით;

– აქტის დანართები და ნივთიერი საბუთები უნდა იყოს გასაგები და სწორი;

– აქტი უნდა შეიცავდეს საკმაო ინფორმაციას შემოწმების შედეგების მიმართ აუდიტის დეპარტამენტის პოზიციის ნათელი წარმოდგენისათვის;

– ნათლად უნდა აღიწეროს ის ფაქტები და გარემოებები, რომლებიც იძლევა შესამოწმებელი პირის საგადასახადო პასუხისმგებლობის შეცვლის საფუძველს;

– აქტიდან ამოღებულ უნდა იქნეს ზედმეტი ინფორმაცია;

– აქტში წარმოდგენილი უნდა იქნეს ყველა ის საბოლოო შედეგი, რომელიც გავლენას იქონიებს შესამოწმებელი პირის საგადასახადო ვალდებულებაზე. ჩამონათვალი უნდა ინყებოდეს მნიშვნელოვანი შედეგებით და გადადიოდეს ნაკლებ მნიშვნელოვანზე.

– ნათლად უნდა იყოს წარმოდგენილი შესამოწმებელი პირის პოზიცია ცალკეული მიღებული შედეგის მიმართ და უნდა აისახოს მისი უთანხმოება ან თანხმობა შედეგებში მოცემულ ნებისმიერ ფაქტსა თუ გარემოებაზე;

– აქტში უნდა მიეთითოს რეკომენდაციებიც და ის ინფორმაციაც, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდგომი შემოწმების დროს. რეკომენდაციები ეძლევა გადამხდელს მომავალში საბუღალტრო ან/და საგადასახადო აღრიცხვაში გასათვალისწინებლად, ხოლო ინფორმაცია აღინიშნება შემდგომი შემოწმების დროს გასათვალისწინებლად, რათა გადამხდელის მიერ არ განხორციელდეს იმ ტიპის კორექტირებები, რომელიც ხელს შეუწყობს გადასახადებისაგან თავის არიდებას. მაგალითისათვის: მოგების გადასახადით არ დაიბეგრება ის მოგება, რომელიც განსაზღვრული (გაცხადებული) იქნება გადამხდელის მიერ რეინვესტირებისათვის, თუმცა სავსებით შესაძლებელია, რომ მოხდეს ამ მოგების დაკორექტირება პარტნიორთა შორის გასანაწილებლად, რაც შემდგომი შემმოწმებლისათვის რთულად მისაგნები იქნება იმდენად, რამდენადაც ეს მისი შესამოწმებელი პერიოდის მოგება არ იქნება.

– აქტში მოცემული ნებისმიერი მიღებული ინფორმაცია ადვილად უნდა მოიძებნოს საქმის წარმოების საბუთებსა და კარტოთეკაში;

– აქტი უნდა შეიცავდეს შესაბამისი საგადასახადო კანონის, დებულებისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის ნათელ და ლაკონურ ციტირებას, რათა დასაბუთებული იყოს ნებისმიერი დასკვნისა და შედეგის მიმართ გამოთქმული აუდიტის დეპარტამენტის/აგრეთვე აუდიტორული და საკონსულტაციო ფირმების პოზიცია;

– იმ შეთხვევაში, თუ გადამხდელი არ ეთანხმება მიღებულ ინფორმაციასა და შედეგებს, აქტმა უნდა ასახოს მისი პოზიციის გასამაგრებელი საგადასახადო კანონები, დებულებები თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები;

– სწორად უნდა იყოს გამოთვლილი გადამხდელის საგადასახადო ვალდებულება ყველა იმ შეღავათების გათვალისწინებით, რომელიც განპირობებულია მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობით, მაგალითად, უცხოური ჩათვლა და ა.შ.

საგადასახადო აუდიტის ანგარიშის (საგადასახადო აუდიტის აქტის) საფუძველზე აუდიტის დეპარტამენტის უფროსმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, უნდა დაერიცხოს თუ არა გადასახადის გადამხდელს გადასახადები და სანქციები (268–ე მუხლის 1–ლი პუნქტი). ამდენად, აუდიტორმა უნდა განიხილოს მის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგები თავის ზედამხედველთან, რათა მიიღოს დადასტურება გამოვლენილი საკითხების მიხედვით დარიცხვის განხორციელების თაობაზე.

საგადასახადო აუდიტის შედეგები გარკვევით უნდა გაიწეროს. ანგარიშში გარკვევით უნდა აისახოს, თუ რატომ იქნა მიღწეული დასკვნები საგადასახადო ვალდებულებასთან დაკავშირებით, მათ შორის, შესაბამისი ვალდებულების სამართლებრივი საფუძველი, რა მეთოდის გამოყენებით გამ-

ოვლინდა საგადასახადო ვალდებულება და დასკვნის დასასაბუთებლად მოპოვებული დოკუმენტური მტკიცებულება. თუ დარიცხვა განხორციელდა შერჩევისა და განზოგადების მეთოდის მიხედვით, ანგარიშში უნდა მიეთითოს, თუ რატომ მოხდა შერჩევის კონკრეტული მიდგომის გამოყენება და რატომ ჩაითვალა ის სათანადო მიდგომად მოცემულ გარემოებებში. აქ ყველაზე მნიშვნელოვანი მოსაზრება არის ის, რომ საგადასახადო აუდიტის ანგარიშის მიხედვით გადასახადის გადამხდელი იგებს, თუ რის საფუძველზე მოხდა დარიცხვა. თუ გადასახადის გადამხდელი გადაწყვეტს დარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრებას საგადასახადო აუდიტის ანგარიშში ჩართული იქნება აგრეთვე დარიცხვის დასასაბუთებელი მნიშვნელოვანი მტკიცებულება, რომლის გამოყენება შესაძლებელი იქნება დავების განხილვის პროცესში.

მას შემდეგ, რაც აუდიტორი განიხილავს და შეათანხმებს აქტს ზედამხედველთან, მისი ასლი უნდა მიეწოდოს გადასახადის გადამხდელს, რომლის საფუძველზე წარიმართება დასრულებით შეხვედრაზე მსჯელობა. ამ ეტაპზე აქტს ჯერ ისევ პროექტის სახე აქვს, ვინაიდან აუდიტის საბოლოო შეხვედრაზე შეიძლება მოხდეს საგადასახადო აუდიტისას გამოვლენილი ზოგიერთი საკითხის განხილვა. საბოლოო შეხვედრის ძირითად მიზანს უნდა წარმოადგენდეს თანხმობის მოპოვება შეთავაზებულ დარიცხვებზე.

დარიცხვის თაობაზე ზედამხედველის გადაწყვეტილების მიღებისას უნდა მოხდეს საგადასახადო აუდიტთან დაკავშირებული საკითხების თანმიმდევრული განხილვის, მათ შორის მედიაციის ფორმატის საჭიროების გათვალისწინება.

აუდიტორმა უნდა მოამზადოს საგადასახადო აუდიტის ანგარიში და ზედამხედველს მიაწოდოს საგადასახადო აუდიტის სამუშაო დოკუმენტაცია. საგადასახადო აუდიტის ანგარიშის პროექტის მომზადებისას აუდიტორმა ყველა სამუშაო დოკუმენტი უნდა შეაგროვოს და საქმეში თანმიმდევრულად ჩააკეროს.

საგადასახადო აუდიტის დოკუმენტირება მუდმივი პროცესია. თუ აუდიტორი მოიცდის საგადასახადო აუდიტის დასრულებამდე და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყებს დოკუმენტაციასთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე ფიქრს, ეს ნიშნავს, რომ შემოწმებისას რაღაც არასწორად წარიმართა.

აუდიტის დოკუმენტაციის მიზანია, ასახოს, თუ როგორ იქნა მიღწეული აუდიტის მიზნები, როგორ იქნა აუდიტი დაგეგმილი და ჩატარებული მოქმედი სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად.

აუდიტის დოკუმენტაცის შემდეგ მიზნებს ემსახურება:

– აუდიტის ჯგუფს ეხმარება აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებაში;

– აუდიტის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი ჯგუფის წევრებს ეხმარება აუდიტის სამუშაოთა ნარმართვასა და ზედამხედველობაში;

– აუდიტის ჯგუფს აძლევს შესრულებულ სამუშაოზე ანგარიშვალდებულობის შესაძლებლობას;

– ინახავს იმ საკითხთა ჩანაწერებს, რომლებიც მნიშვნელოვანი იქნება მომდევნო აუდიტშიც;

– აუდიტორი საშუალებას აძლევს, ჩაატაროს ხარისხის კონტროლის მიმოხილვა(თვითშეფასება, ზედამხედველის მიერ გადასინჯვა);

– აუდიტორს საშუალებას აძლევს მოიპოვოს ხარისხზე სათანადო შეფასება საკანონმდებლო, მარეგულირებელი ან სხვა მოთხოვნების შესაბამისად.

აუდიტორმა დროულად უნდა მოამზადოს აუდიტის დოკუმენტაცია, რომელიც უზრუნველყოფს საკმარის და შესაფერის ჩანაწერებს აუდიტის დასკვნის საფუძვლის შესახებ და იმის მტკიცებულებებს, რომ აუდიტი სათანადო იურიდიული და მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად ჩატარდა.

აუდიტორმა ისე უნდა მოამზადოს აუდიტის დოკუმენტაცია, რომ გამოცდილმა აუდიტორმა, რომელსაც ადრე შეხება არ ჰქონია მოცემულ აუდიტთან, შეძლოს აუდიტორული პროცედურებისა და შეკრებილი აუდიტორული მტკიცებულებების შედეგების, აუდიტის მსვლელობისას წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხებისა და მათ შესახებ გამოტანილი დასკვნების გაგება, კერძოდ:

– აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებისა და საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად განხორციელებული აუდიტორული პროცედურების მოცულობა,ხასიათები და ვადები, მათ შორის, შესამოწმებელი საკითხების სპეციფიკური მახასიათებლები;

– აუდიტორული პროცედურებისა და შეკრებილი აუდიტორული მტკიცებულებების შედეგები;

– მნიშვნელოვანი დასკვნები;

– მნიშვნელოვანი საკითხების დროულად განხილვა აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობასთან და სხვა პირებთან(მათ შორის ზედამხედველთან);

– როგორი მიდგომა იქნა გამოყენებული იმ ინფორმაციის მიმართ, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ან არ შეესაბამებოდა აუდიტის საბოლოო დასკვნას;

– როგორ განხორციელდა ალტერნატიული აუდიტორული პროცედურები აუდიტის მიზნის მისაღწევად და გადახვევის მიზეზები, თუ ეს სხვანაირად ნათლად არ ჩანს;

– ყოველი ახალი ან დამატებითი აუდიტორული პროცედურა და დასკვნა აუდიტის დასკვნის თარიღის შემდეგ, შეკრებილი აუდიტორული მტკიცებულებები და გამოტანილი დასკვნები, აუდიტის ანგარიშზე მათ გავლენასთან ერთად.

აუდიტის დოკუმენტაცია მოიცავს ყველა იმ შესაბამის სამუშაო დოკუმენტსა და აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც აუდიტის პროცესში იქნა მოპოვებული.

აუდიტის დოკუმენტაცია შეიძლება არსებობდეს ქაღალდზე, ფირზე, ელექტრონულ და სხვა საშუალებებზე ჩანაწერების სახით. იგი მოიცავს, მაგალითად, აუდიტის გეგმას, ანალიზს, მოხსენებით ბარათებს, მნიშვნელოვანი საკითხების მოკლე მიმოხილვას, დასტურის წერილებს, აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის ოფიციალურ წერილებს, საკონტროლო კითხვარებსა და მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებული მიმოწერის(მათ, შორის, ელექტრონული ფოსტით) მასალებს. თუ აუდიტორი საჭიროდ მიიჩნევს, მან აუდიტის დოკუმენტაციაში, როგორც მისი ნაწილი, შეიძლება ჩაურთოს აუდიტის ობიექტის ჩანაწერების ასლები ან მოკლე მიმოხილვა, მაგალითად, მნიშვნელოვანი ან სპეციფიკური კონტრაქტების თაობაზე.

სამუშაო დოკუმენტების ფორმისა და შინაარსის გათვალისწინებით, აუდიტორმა უნდა მოამზადოს ისეთი სამუშაო დოკუმენტები, რომლებიც საკმარისად სრული და დეტალურია იმისათვის, რომ აუდიტის შესახებ საერთო წარმოდგენა შეიქმნას. სამუშაო დოკუმენტები უნდა შეიცავდეს სულ მცირე შემდეგ ინფორმაციას:

– აუდიტის ობიექტის დასახელება, პერიოდი, სამუშაოს შემსრულებლის ვინაობა და შესრულების თარიღი, ასევე შესრულებული სამუშაოს განმხილველის ვინაობა და განხილვის თარიღი;

– გამოყენებული აუდიტორული განმარტებების ახსნა და სიტუაციური სახელმძღვანელოების დასახელება;

– შესრულებული სამუშაოს, მაგალითად, აუდიტორული პროცედურის ან ჩატარებული მიმოხილვის აღწერა;

– ინფორმაციის წყარო, რომელიც გამოყენებულ იქნა აუდიტორული პროცედურის განსახორციელებლად(მაგ. ბუღალტრული წიგნი);

– აუდიტისათვის შერჩეული ოპერაციების ჩამონათვალი ან ჩატარებული მიმოხილვის მოცულობა;

– საკმარისი ინფორმაცია იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს პროცედურის განმეორებით განხორციელება მაგალითად, დოკუმენტის სახეობა, ნომრები, თარიღები, ინდექსები და სხვა;

– შერჩეული ერთობლიობის სიდიდე ან ოდენობა(თანხა) და დაფარვის ხარისხი;

– განხორციელებული პროცედურების შედეგები;

– დამადასტურებელი აუდიტორული მტკიცებულებების საფუძვლად გამოყენებული დასკვნა შესრულებული სამუშაოს შესახებ;

– დასკვნის გამოტანის დროს პროფესიული მსჯელობის მეთოდის გამოყენების საფუძვლის ახსნა – განმარტებები;

– ინდიკატორი იმისა, რომ აუდიტის ობიექტის მიერ მომზადებული ყველა გეგმა, თუ გრაფიკი შედარებულია ერთმანეთთან;

– დოკუმენტების ასლის გადაღების ან სკანირებული დოკუმენტების მიზანი;

– სხვა დოკუმენტებთან კავშირის ამსახველი ბმულები.

აუდიტორმა აუდიტის დასკვნის თარიღის შემდეგ დროულად უნდა დაასრულოს აუდიტის საბოლოო დოკუმენტაციის დაკომპლექტება. აუდიტის დასკვნის თარიღის შემდეგ აუდიტის საბოლოო დოკუმენტების ნაკრების დაკომპლექტება არის ადმინისტრაციული პროცედურა, რომელიც არ გულისხმობს ახალი აუდიტორული პროცედურების განხორციელებას ან ახალი დასკვნის გამოტანას.

თუ აუდიტორი აუდიტის საბოლოო ფაილის დაკომპლექტების შემდეგ მიიჩნევს, რომ აუცილებელია აუდიტის არსებულ დოკუმენტაციაში ცვლილებების შეტანა ან ფაილში ახალი დოკუმენტაციის დამატება, მან შეტანილი ცვლილებების ან დამატების ხასიათის მიუხედავად, დოკუმენტურად უნდა გააფორმოს, როდის და ვინ შეიტანა ცვლილება ან დამატება და ვინ განიხილა ამ მოქმედების კონკრეტული მიზეზები.

აუდიტორი, ჩვეულებრივ, აუდიტის დოკუმენტაციაში არ ჩაურთავს სამუშაო დოკუმენტებისა და ანგარიშგების შეცვლილ პროექტებს, შენიშვნებს, რომელიც ასახავს არასრულყოფილ ან წინასწარ მოსაზრებებს, დოკუმენტების ადრინდელ ასლებს, რომლებშიც შესწორდა ტოპოგრაფიული ან სხვა შეცდომები.

აუდიტორული ფაილები უცვლელად ინახება და დაუშვებელია რაიმეს წაშლა ან ამოღება ნორმატიული აქტით განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში.

აუდიტის პროცესში მიზანშეწონილია დოკუმენტაციის დანომრვა. ეს აუდიტორს გაუადვილებს აუდიტის თითოეულ ეტაპზე შესრულებული სამუშაოების ერთმანეთისაგან გამიჯვნას.

ქვემოთ მოცემულია საკონტროლო სია, რომელიც აუდიტორს დაეხმარება დოკუმენტაციის დალაგებაში.

საკონტროლო სია – საგადასახადო აუდიტის დასრულება

ნაბიჯი		აღნიშვნა:	
1	საგადასახადო აუდიტის გაანგარიშების დასრულება		
	საგადასახადო აუდიტის დროს გაკეთებული ყველა მათემატიკური გაანგარიშების დასრულება		
	ელექტრონულ ცხრილებში ჩატარებული ყველა გამოანგარიშების და კალკულატორის ლენტების შენახვა საგადასახადო აუდიტის დოკუმენტაციის სახით		
	გამოთვლები და სამუშაო დოკუმენტები თანდართულია?		
2	ყველა შესაბამისი დოკუმენტი ასლების გადაღება		
	შესაბამისი შემოწმებული გადასახადის გადამხდელის დოკუმენტაციის და მესამე მხარეებიდან მიღებული დოკუმენტების ასლების გადაღება და მათი სამუშაო დოკუმენტებში დამატება		
	თითოეულ დოკუმენტზე უნდა აღინიშნოს, თუ რა დოკუმენტია და არის თუ არა იგი ამონარიდი უფრო ვრცელი დოკუმენტიდან		
	სათანადო დოკუმენტები თანდართულია?		
3	შეუსაბამობების აღმოჩენის შემთხვევაში:		
	დარწმუნდით, რომ საგადასახადო ვალდებულებასთან დაკავშირებით ყველა ინფორმაცია მოპოვებულია და ყველა შესაბამისი შემდგომი შეკითხვა დასმულია შესამოწმებელი გადასახადის გადამხდელისთვის.		
	დარწმუნდით, რომ აუცილებელი ინფორმაცია მოპოვებულია ნებისმიერი სასამართლო დავისთვის		
	აცნობეთ გადასახადის გადამხდელს საგადასახადო ვალდებულების შესახებ (*ქვემოთ*)		
	საგადასახადო ვალდებულების დადგენის მიზნით შემოწმებები დასრულებულია?		
4	საბოლოოდ ჩამოაყალიბეთ შემოწმებასთან დაკავშირებული საკითხები გადასახადის გადამხდელთან მათი განხილვით		
	განიხილეთ შემდგომი შეკითხვები, რომლებიც ჩამოჭრილია აუდიტის დროს შესამოწმებელი კომპანიის მენეჯერთან და ბუღალტერთან		
	გამართეთ დასკვნითი მსჯელობა გადასახადის გადამხდელთან. დარწმუნდით, რომ გადასახადის გადამხდელი: ...ინფორმირებულია პროცედურების და საკუთარი უფლებების (მათ შორის მედიაციის) შესახებ. ...ინფორმირებულია, რომ გამოვლინდა საგადასახადო ვალდებულებები.		
	თუ საგადასახადო ვალდებულებები არ გამოვლინდა, აცნობეთ გადასახადის გადამხდელს, რომ საგადასახადო აუდიტი დასრულდება მას შემდეგ, რაც ზედამხედველი დაუსვამს საბოლოო ხელმოწერას.		
	საგადასახადო აუდიტი დასრულებულია გადასახადის გადამხდელთან?		

საკონტროლო სია – გამოვლენილი საგადასახადო ვალდებულებები (ასეთების არსებობის შე აში)

ნაბიჯი		აღნიშვნა	
5	საგადასახადო ვალდებულებების განხილვა ზედამხედველთან		
	საგადასახადო ვალდებულებების განხილვა ზედამხედველთან		
	ზედამხედველი იღებს გადაწყვეტილებას გადასახადების და სანქციების დარიცხვის შეამდგომლობის თაობაზე		
	გუნდის ხელმძღვანელმა მიიღო გადაწყვეტილება?		
6	ზედამხედველის მიერ მოთხოვნილი ქმედებები		
	მოამზადეთ ხელახალი დარიცხვის კალკულაციის ფორმა თითოეული პერიოდისთვის, რომლისთვისაც საჭიროა დარიცხვა		
	ხელახლა ეწვიეთ გადასახადის გადამხდელს, რათა განიხილოთ უფრო რთული საგადასახადო ვალდებულებები და მისცეთ შემოწმებულ საწარმოს შესახებ დამატებითი ინფორმაციის წარდგენის შესაძლებლობა		
	დარწმუნდით, რომ გადასახადის გადამხდელი ინფორმირებულია დამატებითი საგადასახადო ვალდებულებების დ ასაურავების, ჯარიმების და სხვა სანქციების ოდენობის შესახებ		
	ზედამხედველის მიერ მოთხოვნილი ღონისძიებები ქმედებები დასრულებულია?		

საკონტროლო სია – საგადასახადო აუდიტის ანგარიში

ნაბიჯი		აღნიშვნა:	
7	დაასრულეთ საგადასახადო აუდიტის ანგარიში. ჩაწერეთ...		
	საგადასახადო აუდიტის ფარგლებში განხორციელებული ამოცანები		
	შემოწმებული სანარმოს ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის შეფასება		
	ბუღალტრების შეფასება		
	გამოვლენილ საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული დეტალები		
	შემდგომი ქმედება, რომელიც საჭიროა საგადასახადო აუდიტის შედეგად		
	აუდიტის ანგარიში დასრულებულია?		
8	ჩადეთ ანგარიში აუდიტის საქაღალდეში		
	საწარმოს მენეჯერის ან ბუღალტრის ხელმოწერის მოპოვება		
	მოიპოვეთ აუდიტორების ხელმოწერები		
	ხელმოწერები მიღებულია?		
9	აუდიტის საქაღალდის განახლება		
	აუდიტის ანგარიშის ჩამატება		
	სამუშაო დოკუმენტების თანდართვა (შესაბამისი შემოწმებული გადასახადის გადამხდელის და მესამე მხარიდან მიღებული დოკუმენტების, გაანგარიშებების ხელახალი დარიცხვის ფორმების, მიმოწერისა და მემორანდუმების ასლები)		
	მიამაგრეთ ხელახალი დარიცხვის ფორმების დედნები		
	საგადასახადო აუდიტის საქაღალდე განახლებულია?		
10	საბოლოო ხელმოწერა		
	საგადასახადო შემოწმების საქაღალდე გადაეცით ზედამხედველს საბოლოო ხელმოწერის დასასმელად		
	მოამზადეთ და გაუგზავნეთ მემოწმებულ გადასახადის გადამხდელს საბოლოო წერილი		
	(საჭიროების მიხედვით) მოამზადეთ ხაზინის გადასახადების შეგროვების ფორმა, რათა აღსრულოთ დამატებით დარიცხული საგადასახადო ვალდებულებების შეგროვება.		
	საბოლოო ხელმოწერა დასრულებულია?		

დანართი
საჭიროა შემდეგი დოკუმენტების ასლების დართვა:
– საგადასახადო აუდიტის ანგარიში.
– შემოწმებული გადასახადის გადამხდელისთვის გაგზავნილი საბოლოო წერილი.
– ხელახალი დარიცხვის გაანგარიშების ფორმა.

18.2.26 აუდიტის ანგარიშის გადასინჯვა

გადასახადის გადამხდელთან ან მის წარმომადგენელთან მუდმივი და უწყვეტი კომუნიკაცია შემოწმების პროცესის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. როგორც წესი, გადასახადის გადამხდელმა თავი უნდა იგრძნოს უფრო ჩართულად აუდიტის პროცესში, რის შედეგად უკეთ იქნება ინფორმირებული შემოწმების მიმდინარეობის შესახებ. აუდიტორმა საგადასახადო აუდიტის მიმდინარეობა და შეთავაზებული საკითხები შემოწმების პროცესში ხშირად უნდა განიხილოს გადასახადის გადამხდელთან ან/და მის წარმომადგენელთან.

– კამერალური შემოწმებების დროს აუდიტორს შეუძლია განიხილოს საკითხები, ვინაიდან მათზე დასკვნის გაკეთება ხდება დაგეგმილი შეხვედრის ფარგლებში ან შეხვედრის დასრულებისას. როდესაც ეს შესაძლებელ იქნება, აუდიტორმა შეხვედრის დასრულებისას უნდა მოამზადოს საგადასახადო აუდიტის ანგარიში და განიხილოს აუდიტთან დაკავშირებული საკითხები გადასახადის გადამხდელთან ან/და მის წარმომადგენელთან პირისპირ შეხვედრაზე, მოგვიანებით მხოლოდ ანგარიშის ელ–ფოსტით გაგზავნის ნაცვლად.

– გასვლითი შემოწმების დროს აუდიტორმა უნდა განიხილოს საკითხები მათი დასრულების პარალელურად. ეს იძლევა გადაწყვეტის პროცესის დაწყების შესაძლებლობას შემოწმების მიმდინარეობის პარალელურად. თითოეული საკითხის განხილვა ხდება მისი დასრულების და გადაჭრის პარალელურად, რათა გასვლითი მუშაობის დასრულებისას თითოეული საკითხის სტატუსი იყოს ცნობილი. ამის შემდეგ აუდიტორს შეუძლია გადადგას შესაბამისი ნაბიჯები საქმის დასასრულებლად.

ქვემოთ განვიხილავთ დასკვნითი შეხვედრების ჩატარების, შემოწმების შედეგების წარდგენის, შეთავაზებული კორექტირებების განმარტების, და შეთანხმებების მიღწევის მეთოდოლოგია. თითოეული სიტუაცია არის განსაკუთრებული და მეთოდოლოგიაც განსხვავებული იქნება, თუმცა არსებობს ძირითადი პროცედურები, რომლებიც ყოველთვის უნდა შესრულდეს.

ზოგადად:

– საგადასახადო აუდიტის ანგარიშის პროექტი უნდა გადაეცეს გადასახადის გადამხდელს დასკვნით შეხვედრამდე.

– გადასახადის გადამხდელს უნდა წარედგინოს არსებითი საკითხები და უნდა მოხდეს მათი განხილვა გადასახადის გადამხდელთან ან/და გადასახადის გადამხდელის წარმომადგენელთან პირისპირ შეხვედრისას ზედამხედველის მონაწილეობით.

აუდიტორმა უნდა განსაზღვროს რიგითობა, რომლის მიხედვით მოხდება საკითხების წარდგენა დასკვნით შეხვედრაზე. თანმიმდევრობა შეიძლება შეიცვალოს შეხვედრის მსვლელობისას. ვინაიდან არ არსებობს „სწორი" თანმიმდევრობა, რომელიც გამართლებულია ყველა შემთხვევისთვის, ზოგადად უფრო მარტივია, რომ გადაიჭრას ფაქტობრივად გარკვეული საკითხები ან საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კანონის განსაზღვრულ გამოყენებასთან. პირველ რიგში უნდა მოხდეს ამ საკითხების განხილვა, ნაკლებად გარკვეული საკითხების განხილვა უნდა მოხდეს ბოლოს.

დასკვნითი შეხვედრის ფორმალობის ხარისხი შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს, თუმცა ზოგადად მოიცავს შემდეგ სფეროებს:

– აუდიტორი განიხილავს მის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგებს გადასახადის გადამხდელთან ან/და მის წარმომადგენელთან. (შენიშვნა: აუდიტორი კარგად უნდა მოემზადოს, რათა გაცნობიერებულად ისაუბროს გადასახადის გადამხდელთან და განუმარტოს შეთავაზებული კორექტირებები, გადასცეს გადასახადის გადამხდელს შესაბამისი სასამართლო საქმეების ასლები, ახსნა–განმარტებითი ფორმები და სამუშაო დოკუმენტები, სადაც ნაჩვენებია გამოთვლები).

– აუდიტორი გადასახადის გადამხდელს ან/და მის წარმომადგენელს აცნობს, თუ რის საფუძველზე მიიღო შესაბამისი შედეგები (კანონი, არგუმენტაცია და დასკვნა).

– აუდიტორი იღებს ინფორმაციას გადასახადის გადამხდელისგან ან/და მისი წარმომადგენლისგან და ახდენს რეაგირებას გადასახადის გადამხდელის მიერ წამოჭრილ საკითხებზე. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ აუდიტორმა მოუსმინოს გადასახადის გადამხდელს და კარგად გაიგოს ყველა დამსწრე პირისგან, რომ არ არსებობს შესაბამისი ფაქტები, გარდა იმ ფაქტებისა, რომლებიც აუდი-

ტორისთვის არის ცნობილი. ეს შეიძლება გაკეთდეს დადებითი მიდგომით, შემდეგი სიტყვებით, „ჩემი აზრით...," და შემდეგ ჩამოაყალიბებს ფაქტებს, როგორც ისინი აუდიტორს ესმის." ყველა ეთანხმება ამას? ხომ არ არსებობს სხვა არსებითი ფაქტები ან გარემოებები?"

– აუდიტორი მოითხოვს გადასახადის გადამხდელის თანხმობას. იმ შემთხვევებში, როდესაც გადასახადის გადამხდელი არ ეთანხმება გადაწყვეტილებას, აუდიტორი:

მოიპოვებს გადასახადის გადამხდელის პოზიციას იმ საკითხებთან მიმართებაში, რომლებშიც იგი არ ეთანხმება გადაწყვეტილებას.

შესთავაზებს გადასახადის გადამხდელს მედიაციის ფორმატს, გააცნობს გადასახადის გადამხდელს გასაჩივრების პროცესს და მის უფლებებს გასაჩივრების პროცესში.

ზოგადი წესის მიხედვით ანგარიშის გამოცემა ხდება პირველადი შეხვედრის დასრულებისას. თუ გადასახადის გადამხდელი აცხადებს, რომ მას აქვს დამატებითი ინფორმაცია პირველადი შეხვედრის ბოლოს, აუდიტორი და გადასახადის გადამხდელი უნდა შეთანხმდნენ ორივე მათგანისთვის მისაღებ ვადაზე (ჩვეულებრივ 5 დღე) დამატებითი ინფორმაციის განსახილველად წარსადგენად. ამასთან, გადამხდელს უნდა ეცნობოს, რომ ანგარიშში შესაძლებელია ცვლილება, ან მოხდება მისი გაუქმდება სათანადო დამატებითი ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში. დამატებითი ინფორმაცია, რომლის განხილვაც გადასახადის გადამხდელს სურს, შეიძლება გაიგზავნოს ელ–ფოსტით ან ფაქსით. პირველადი შეხვედრის შედეგები პროტოკოლირდება.

აუდიტორმა უნდა აუხსნას გადასახადის გადამხდელს, რომ მას აქვს უფლება გამოიყენოს მედიაციის ფორმატი, გააცნოს გადასახადის გადამხდელს გასაჩივრების პროცესი და მის უფლებები გასაჩივრების პროცესში.

როდესაც კომუნიკაციის პროცესი აუდიტორსა და გადასახადის გადამხდელს შორის კარგად მიმდინარეობს, აუდიტორს გასვლითი სამუშაოების ბოლოს ეცოდინება, თუ რომელი საკითხებია შეთანხმებული და რომელი არა.

თუ არ მოხდა კომუნიკაციის და ურთიერთთანამშრომლობის სასურველი დონის მიღწევა შემოწმების დასრულების შემდეგ აუდიტორი გადასახადის გადამხდელს ან/და მის წარმომადგენელს აუხსნის შეთავაზებული კორექტირებების საფუძველს. აუდიტორმა უნდა მოითხოვოს თანხმობა საკითხებთან დაკავშირებით და სცადოს შეთანხმების მიღწევა შეთავაზებულ საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებით. აუდიტორს უნდა შეეძლოს კანონზე, მარეგულირებელ ნორმებზე, განჩინებებსა და სასამართლო გადაწყვეტილებებზე მითითების გაკეთება, რომელთა საფუძველზე გამოიტანა დასკვნა და უნდა შეეძლოს გადასახადის გადამხდელისათვის იმ სამუშაო დოკუმენტების ასლების გადაცემა, სადაც განმარტებულია შეთავაზებული კორექტირებები.

ისეთი საქმეების შემთხვევაში, როდესაც არ ხდება დამატებითი თანხების დარიცხვა, ასევე, როდესაც გადასახადის გადამხდელი ეთანხმება გადაწყვეტილებას, როგორც წესი, დასკვნითი შეხვედრა არ არის საჭირო, ვინაიდან საკითხები, სავარაუდოდ, განხილული და გადაჭრილი იყო აუდიტის მსვლელობისას.

იმ საქმეების შემთხვევაში, რომლებზეც გადასახადის გადამხდელი ან/და მისი წარმომადგენელი არ ეთანხმება გადაწყვეტილებას, როგორც წესი, იმართება დასკვნითი შეხვედრა.

სადავო საკითხებიდან ბოლო საკითხზე შეთანხმების მიღწევისას აუდიტორმა უნდა განიხილოს ყველა შემოწმებული საკითხი და დაადასტუროს, რომ გადასახადის გადამხდელი ან/და მისი წარმომადგენელი აბსოლუტურად ეთანხმება აღნიშნულ გადაწყვეტილებას. დასკვნითი შეხვედრის შედეგები პროტოკოლირდება.

გადასინჯვის პროცესი უზრუნველყოფს, რომ აუდიტი აკმაყოფილებს დეპარტამენტის ხარისხის სტანდარტებს და აუდიტის პროცედურები თანმიმდევრულია. არსებობს სამი ძირითადი ტიპის გადასინჯვა, რომელიც აუდიტის შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს.

– აუდიტორის/კოლეგის მიერ გადასინჯვა: ეს მეთოდი უზრუნველყოფს, რომ აუდიტორი/კოლეგა საფუძვლიანად განიხილავს ნამუშევარს. აღნიშნული გადასინჯვა უნდა ემყარებოდეს ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების ფორმას.

– ზედამხედველის მიერ გადასინჯვა: მაქსიმალურად ხდება აუდიტის შემოწმება ყველა ეტაპის განმავლობაში იმდენად, რამდენადაც საჭიროა განისაზღვროს სწორი პროცედურების გამოყენების საკითხი, რომ სამუშაო დოკუმენტაცია სათანადოდ არის დოკუმენტირებული, ხდება სწორი დებულებების გამოყენება, და რომ ტექსტური დოკუმენტები სათანადოდ არის დოკუმენტირებული.

– სტრატეგიული გადასინჯვა: ხორციელდება აუდიტის დასრულების შემდეგ, და მიმართულია საგადასახადო კანონის და აუდიტის წესების დაცვაზე. ეს გადასინჯვა აგრეთვე ადასტურებს, რომ აუდიტი მოიცავს მთელ ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია შედავების შემთხვევაში საგადასახა-

დო აუდიტის შედეგების დასაცავად. და ბოლოს, სტრატეგიული გადასინჯვა ემსახურება იმ მიზანს, რომ განისაზღვროს, თუ რამდენად საკმარისია აუდიტორის და ზედამხედველის მიერ გადასინჯვის პროცედურები.

გადასინჯვის პროცესი წარმოადგენს საგადასახადო აუდიტის განუყოფელ ნაწილს; ისე, როგორც აუდიტის წინმსწრები მოკვლევა, შესწავლა და დანერა. აუდიტორებმა უნდა გაიარონ საფუძვლიანი თვითშეფასება/კოლეგების მხრიდან გადასინჯვა, თუმცა აუცილებელია, რომ სხვა პირებმა, რომლებიც პირდაპირ არ მონაწილეობენ საგადასახადო აუდიტში შეამოწმონ აუდიტის სამუშაო დოკუმენტაცია სიზუსტის და სისრულის მხრივ. ამ ობიექტური შეფასების შედეგად ხშირად გამოვლინდება სუსტი მხარეები დოკუმენტაციაში ან სხვა პრობლემები, რომლებსაც შესაძლოა აუდიტორმა საკმარისი ყურადღება არ მიაქცია.

აუდიტორის თვითშემოწმება/კოლეგის მიერ გადასინჯვა-ესაა საგადასახადო აუდიტის დეტალური გადასინჯვა. დეტალური გადასინჯვა ნიშნავს ყველა გამოთვლის, ყველა დოკუმენტაციის და თხრობითი ნაწილის შემოწმებას იმის უზრუნველსაყოფად, რომ აუდიტი სრულყოფილი, სწორია და რომ მზად არის აუდიტის ხარისხის კონტროლის სამსახურისთვის წარსადგენად. ზედამხედველი განიხილავს საგადასახადო აუდიტს ყველა ეტაპს აუდიტორთან, იმდენად, რამდენადაც საჭიროდ მიიჩნევს დაადგინოს თუ რამდენად შეასრულა აუდიტორმა აუდიტის სახელმძღვანელოში წარმოდგენილი პრინციპები, ტექნიკური და პოლიტიკური მემორანდუმები, განჩინებები, მარეგულირებელი მოთხოვნები, კანონები და დეპარტამენტის პროცედურები.

სტრატეგიული გადასინჯვა შეიძლება ატარებდეს დეტალური განხილვის ხასიათს. როგორც ზედამხედველის მიერ განხილვის შემთხვევაში სტრატეგიული გადასინჯვის დროს მოხდება აგრეთვე იმის განხილვა, აუდიტორებმა შეასრულეს თუ არა აუდიტის სახელმძღვანელოს პრინციპები, ტექნიკური და პოლიტიკის მემორანდუმები, მარეგულირებელი ნორმები, კანონები და დეპარტამენტის პროცედურები. თუმცა სტრატეგიული გადასინჯვის დროს მოხდება აგრეთვე აუდიტის დარიცხვის საფუძვლიანობის განხილვა. ეს გულისხმობს შემოწმების განხორციელებას იმ თვალსაზრისით, რომ გადასახადის გადამხდელმა შეიძლება წარადგინოს პრეტენზია და მოძებნოს ხარვეზები დოკუმენტაციაში, შეუსაბამობები, წინააღმდეგობრივი საკითხები, შეცდომები ან ნებისმიერი სხვა პრობლემა, რომელმაც შეიძლება საფრთხის წინაშე დააყენოს აუდიტის დეპარტამენტის პოზიცია.

აღნიშნულის გარდა, აუდიტის გადასინჯვის მეთოდი გამოიყენება იმის განსასაზღვრად, თუ რამდენად მიუკერძოებლად ახორციელებს შემოწმებას აუდიტორი. ზოგჯერ აუდიტის შედეგად გამოვლინდება დამატებითი მარეგულირებელი ნორმების შემოღების, პოლიტიკაში ცვლილების განხორციელების ან აუდიტორთა ტრენინგის საჭიროება.

გადასინჯვის სამივე დონეზე, აუდიტის დოკუმენტების შემოწმებისას, გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი ძირითადი საკითხები:

– ყველა საჭირო სამუშაო დოკუმენტი სათანადოდ უნდა იქნეს შევსებული, ხოლო პროცედურული საფეხური – სათანადოდ შესრულებული, შემსრულებლისა და დამმოწმებლის მიერ ხელმოწერილი და დათარიღებული. თუ პროცედურული საფეხურის რომელიმე სამუშაო დოკუმენტი გამოტოვებულია, უნდა მიეთითოს ამის მიზეზი;

– შესამოწმებელი ანგარიშგება(და სხვა შესაბამისი შესამოწმებელი ინფორმაცია) იდენტიფიცირებულია და სათანადოდ არის დაკავშირებული აუდიტთან;

– აუდიტის ობიექტის საქმიანობის შესახებ მიღებული ინფორმაცია საკმარისია აუდიტის მიდგომასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მისაღებად;

– დასკვნები სათანადოდ არის გამოტანილი და დადასტურებული შესაფერისი და საკმარისი აუდიტორული მტკიცებულებებით;

– ყველა მნიშვნელოვანი გადახრა აუდიტის გეგმიდან და თითოეული ცვლილება აუდიტის მასშტაბში დოკუმენტურად არის ასახული;

– არსებიან სფეროებისათვის მიღწეულია აუდიტორული დაფარვის საკმარისი დონე;

– ყველა მნიშვნელოვანი პროფესიული მსჯელობა დოკუმენტურად არის ასახული და დასაბუთებულია შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულებით;

– აუდიტი ჩატარდა შესაბამისი აუდიტორული მიდგომის რეკომენდაციებისა და სხვა მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად;

– ყველა მნიშვნელოვანი მარეგულირებელი საკითხი9პრობლემა0 გადაჭრილია ან სათანადო წესით არის აღნისნული აუდიტის ანგარიშში;

– შესრულებული სამუშაო და მიღებული შედეგები სათანადოდ არის დოკუმენტურად აახული;

– აუდიტორული სამუშაოს და მიღებული შედეგების საფუძველზე გამოტანილია მართებული

აუდიტის დასკვნა;

– ანგარიშში ასახული შედეგები დასაბუთებულია შესაფერისი და საკმარისი აუდიტორული მტკიცებულებებით.

აუდიტის მოცულობიდან გამომდინარე, პირველი დონის გადასინჯვას ატარებს ჯგუფის უფროსი ან თავად აუდიტორი. დიდი მოცულობის აუდიტის შემთხვევაში შეიძლება წარმოიშვას ხარისხის რამდენიმე მაკონტროლებელი საჭიროება. ასეთ შემთხვევაში მაკონტროლრბელმა პირებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მათთვის გამოყოფილ ნაწილებზე. პირველი დონის შემოწმება უყწვეტად ტარდება. მაგალითად, ყოველთვის როდესაც ერთ-ერთი სამუშაო დოკუმენტი მზადაა, იგი დაუყონებლივ უნდა იქნეს შემოწმებული; აუდიტის პროცესის ყველა სამუშაო დოკუმენტი, გამოტანილი დასკვნა, პროფესიული მსჯელობა და შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულება უნდა შემოწმდეს. ეს მოიცავს შემდეგ შემოწმებას:

– სამუშაო დოკუმენტების სათანადოდ და სრულად, გასაგები ენით და სწორი მართლწერით შევსება;

– დოკუმენტურად ასახული ინფორმაციისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისობა სხვადასხვა სამუშაო დოკუმენტთან;

– მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები და ამ გადაწყვეტილებებისა და შედეგების დასაბუთებული აუდიტორული მტკიცებულებები;

– განხორციელებული აუდიტორული პროცედურების და იმის შემოწმება, იქნა თუ არა განხილული ყველა მტკიცება.

რაც უფრო დიდი ხნის განმავლობაში განიხილავს აუდიტორი საკუთარ ნამუშევარს შესაძლო სუსტი მხარეების გამოსავლენად, მით უფრო დიდი დრო დასჭირდება მას აუდიტის ზედამხედველისთვის წარსადგენად. განხილვის პრინციპი გულისხმობს, რომ გარკვეული წერტილის შემდეგ ნაკლებ ეფექტიანი ხდება აუდიტორების მხრიდან საკუთარი სამუშაოს გადასინჯვა და უფრო ეფექტურია, რომ გადასინჯვა მოცემული ჯგუფის სხვა წევრმა განახორციელოს. თუმცა, აუდიტის სამუშაო დოკუმენტაციაში მრავალრიცხოვანი შეცდომების არსებობის შემთხვევაში უფრო რთული ხდება გადასინჯვის ჩატარება აუდიტორის გარდა ვინმე სხვა პირის მიერ. სხვა აუდიტორების მიერ განხორციელებული შემოწმებების გადასინჯვის პროცესში მონაწილეობა უნდა მიიღონ ჯგუფის ყველა დონის აუდიტორებმა. აუდიტორი პასუხისმგებელია, განიხილოს ნებისმიერი საკითხი ან შეკითხვა თავის ზედამხედველთან და მიაწოდოს მას ინფორმაცია აუდიტის მიმდინარეობის შესახებ.

აუდიტორმა, სულ მცირე, უნდა განახორციელოს მის მიერვე ჩატარებული აუდიტის გადასინჯვა. მოსალოდნელია, რომ საჭირო იქნება აუდიტების დამატებით გარკვეულწილად გადასინჯვა, გარდა ყველაზე მარტივი საქმეებისა, აუდიტის დეპარტამენტის ხარისხის კონტროლის სამმართველოსათვის წარდგენამდე.

მიზანშეწონილია, რომ თითოეული აუდიტის ეტაპი, რომელიც წარდგენილი იქნება უფროსისთვის გადასასინჯად, გარდა ყველაზე მარტივისა, დაუბრუნდეს აუდიტორს გარკვეული შესწორებების ან ცვლილებებისთვის, უმნიშვნელო ცვლილებების შემთხვევაშიც კი. მიზანშეწონილია, აგრეთვე, რომ აუდიტორი ზედამხედველს საკმარის ინფორმაციას აწვდიდეს საგადასახადო აუდიტის მსვლელობისას, რათა საჭირო არ გახდეს აუდიტის პროცედურებში სერიოზული ცვლილებების განხორციელება.

აუდიტორმა უნდა განახორციელოს საკუთარი/კოლეგის ყოველი აუდიტორული ნამუშევრის გადასინჯვა. მიზანშეწონილია, რომ აუდიტის ანგარიშის მომზადების დასრულებიდან საკუთარი ნამუშევრის გადასინჯვამდე მოიცადოს ერთი–ორი დღე. ამან შეიძლება უფრო მეტი ობიექტურობა შესძინოს გადასინჯვას.

როდესაც აუდიტორს უჩნდება შეკითხვები თვითშეფასებასთან/კოლეგის მიერ გადასინჯვასთან დაკავშირებით მან აღნიშნული საკითხები საკუთარ ზედამხედველთან უნდა განიხილოს.

ზედამხედველმა უნდა განიხილოს საგადასახადო აუდიტის ჩატარების და საგადასახადო შემოწმების დოკუმენტირების პროცედურები და მეთოდები აუდიტორთან შემოწმების მსვლელობის პროცესში, თითოეული აუდიტორის საქმიანობის მონიტორინგის მიზნით. აუდიტორი ვალდებულია, ზედამხედველს მიაწოდოს ინფორმაცია საგადასახადო აუდიტის საქმეების შესახებ, თუმცა საგადასახადო აუდიტის სწორად და ეფექტიანად ჩატარების პასუხისმგებლობა აკისრიათ როგორც აუდიტორებს ისე ზედამხედველებს.

ზედამხედველმა უნდა დაადგინოს სათანადო ბალანსი აუდიტორის მიერ თვითშემოწმების და ზედამხედველის მიერ მონიტორინგს შორის ცალკეული აუდიტორების საჭიროებების მიხედვით. ზედამხედველმა აგრეთვე უნდა გაითვალისწინოს, რომ გადასინჯვის პროცესს აქვს სწავლების დატვირთვა და განიხილოს აუდიტორთან, თუ რა შეიძლებოდა განხორციელებულიყო სხვაგვარად, საკუ-

თარი გამოცდილების საფუძველზე.

ზედამხედველი ყველა თანამშრომელს თანასწორად უნდა მოექცეს მონიტორინგის პროცესში, რათა თითოეულ აუდიტორს მიეცეს შესაძლებლობა, მიიღოს ცოდნა. ზედამხედველმა აუდიტორს საკმარისი შენიშვნები და კომენტარები უნდა მიაწოდოს იმისთვის, რომ დაეხმაროს კარგი ხარისხის აუდიტის დროულად წარდგენაში და მისცეს აუდიტორს განვითარებისა და კარიერული მიზნების მიღწევის შესაძლებლობა.

ზედამხედველის მითითება, შენიშვნები და კომენტარები შეიძლება გაიცეს როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით. ზედამხედველი უნდა დაინტერესდეს აუდიტორის მიერ განხორციელებული ნებისმიერი ცვლილებებით, რათა დარწმუნდეს, რომ ისინი სწორად განხორციელდა.

აუდიტის ხარისხის კონტროლის სამმართველოში წარმოებაში მიღებული აუდიტის ანგარიშის მიხედვით, სამმართველო უზრუნველყოფს მის სამართლებრივ ანალიზს და ჩატარებული აუდიტის პროცედურულ შესაბამისობას ამ სახელმძღვანელოთი დადგენილ წესებთან.

აუდიტის ხარისხის კონტროლის სამსახურის მიერ ჩატარებული გადასინჯვა შეიძლება იყოს ან არ იყოს დეტალური. აღნიშნული გადასინჯვა მიმართულია არა მხოლოდ აუდიტის სწორად ჩატარების შეფასებაზე აუდიტის სტრატეგიის მიხედვით, არამედ აგრეთვე თავად აუდიტის სტრატეგიაში ნებისმიერი ცვლილების საჭიროების გამოვლენაზე. თუ რომელიმე სფეროში აუდიტის სტრატეგია სრულყოფას საჭიროებს აუდიტის ხარისხის კონტროლის სამსახური სათანადო წინადადებებს წარუდგენს აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელს შემდგომი განხილვის მიზნით.

აუდიტის ხარისხის კონტროლის სამმართველო კომენტარებს აკეთებს თითოეული აუდიტის გადასინჯვის შემდეგ; ამ მიზნით იგი ამზადებს ხარისხის უზრუნველყოფის ანგარიშებს. ეს ფორმები გადაეცემა აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, აუდიტის ზედამხედველს, აუდიტორს ან აუდიტორებს, საჭიროებისამებრ. ხარისხის უზრუნველყოფის ყველა ანგარიში დაუბრუნდება აუდიტის ხარისხის კონტროლის სამმართველოს ხარისხთან დაკავშირებული პასუხებით. ხარისხის უზრუნველყოფის ანგარიშზე პასუხების განხილვა უნდა მოხდეს ზედამხედველთან.

შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტმა უნდა შეაფასოს აუდიტორის პროფესიული მსჯელობა და აუდიტის ანგარიშის ფორმულირებისას გამოტანილი დასკვნები. ეს შეფასება მოიცავს:

– მნიშვნელოვანი საკითხების განხილვას ზედამხედველთან;

– წარმოდგენილი აუდიტის ანგარიშის შემოწმებას;

– შერჩეული აუდიტის დოკუმენტაციის შემოწმებას, რომელიც დაკავშირებულია აუდიტის ჯგუფის პროფესიულ მსჯელობასთან და მის მიერ გამოტანილ დასკვნებთან; და

– აუდიტის ანგარიშის ფორმულირებისას გამოტანილი დასკვნების შეფასებას და წარმოდგენილი აუდიტის ანგარიშის მართებულობის განსაზღვრას.

ხარისხის უზრუნველყოფის ანგარიშში უნდა ჩაირთოს კომენტარები როგორც სრულფასოვნად შესრულებულ სამუშაოებზე, ასევე იმ სამუშაოებზე, რომლებიც არ აკმაყოფილებს ტექნიკურ მოთხოვნებს. ხარისხის უზრუნველყოფის ანგარიშებში შედის განმარტების თხოვნა, ან რჩევები აუდიტის გაუმჯობესების კუთხით. ხარისხის უზრუნველყოფის ანგარიშში მითითებულია სახელმძღვანელო და სხვა გაწერილი სახელმძღვანელო დოკუმენტი ყველა კომენტარისთვის შეცდომების ან აუდიტის სტრატეგიის არასწორად გამოყენების შესახებ.

აუდიტის ხარისხის კონტროლის სამმართველო აწარმოებს დასრულებული ხარისხის უზრუნველყოფის ანგარიშების ფაილს და შეუძლია გამოაქვეყნოს სტატისტიკური ანგარიშები, ან ხარისხის უზრუნველყოფის ანგარიშების რეზიუმეები, და აუდიტის ხარისხის მხრივ არსებული ტენდენციები.

საგადასახადო ორგანომ აუდიტის წლიურ გეგმაში უნდა განსაზღვროს, აუდიტის რომელი დასკვნა ან/და ჩატარებული აუდიტის რა პროცენტი დაექვემდებარება აუდიტის ხარისხის კონტროლს. ჩვეულებრივ, ასეთი მიმოხილვის დაგეგმვისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ისეთი ასპექტები, როგორიც არის მაღალი რისკების შემცველი, დიდ დანახარჯებთან დაკავშირებული აუდიტის პროექტები და სხვა.

18.2.27 აუდიტორული შემოწმების აქტების ხარისხის მონიტორინგი საგადასახადო ორგანოს მიერ

მონიტორინგის განმახორციელებელი პირი შემოწმების აქტის ხარისხის დონის განსაზღვრის მიზნით, კონტროლს ახორციელებს მასთან ამ მიზნით ოფიციალურად წარდგენილი მასალების საფუძველზე. მონიტორინგის განმახორციელებელი პირი არ განიხილავს მასალებს არსებითად. ის ახდენს მხოლოდ წარმოდგენილი მასალების სამართლებრივ ანალიზს და გამოავლენს:

ა) მასალებში არსებულ იურიდიულ, არითმეტიკულ და შინაარსობრივ ურთიერთშეუსაბამობებს;

ბ) გამოვლენილი დარღვევების შესაბამისობას კანონმდებლობის ნორმებთან;

გ) შესწავლილი საკითხების უფლებამოსილებას (შემოწმების პროგრამით გაუთვალისწინებელი საკითხ(ებ)ის შესახებ ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში);

დ) შემოწმების პროგრამით გათვალისწინებულ შეუსწავლელ საკითხებს;

ე) სხვა საკითხებს, რომლებიც განსაზღვრავენ შემოწმების ხარისხს.

მონიტორინგის განმახორციელებელ პირს შემოწმების მასალების ხარისხის დადგენისას უფლებამოსილების ფარგლებში შეუძლია ისეთი ხერხებისა და მეთოდების გამოყენებაც, რომელიც ამ ინსტრუქციით გაწერილი არ არის, მაგრამ მისი აზრით მნიშვნელოვნად გაზრდის შემოწმების მასალების ანალიზის ხარისხს.

მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა უნდა გაანალიზოს სამონიტორინგო მასალები შეიცავს თუ არა ინფორმაციას/მონაცემებს:

ა) ინდივიდუალური – ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის შესახებ, რომელიც საფუძვლად დაედო საგადასახადო შემოწმების ჩატარებას – ასახულია თუ არა შემოწმების აქტში/აქტის პროექტში ინფორმაცია საგადასახადო შემოწმების დანიშვნის/შემოწმების ვადების გაგრძელების და აუდიტორთა ცვლილების შემთხვევების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ბ) შესამოწმებელი პერიოდის და შემოწმების მიმდინარეობის პერიოდის შესახებ;

გ) ინფორმაციას შესამოწმებელი პირის შესახებ, მათ შორის: შესამოწმებელი პირის ვინაობას (დასახელებას) და საიდენტიფიკაციო ნომერს, სასამართლო ან/და საგადასახადო რეგისტრაციის თარიღებს და ნომრებს, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის თარიღს, შესამოწმებელი პირის დირექტორების შესახებ შესამოწმებელი პერიოდების მიხედვით, იურიდიულ და ფაქტობრივ მისამართებს, შესამოწმებელ პერიოდში განხორციელებული ძირითადი საქმიანობის სახეებს, აღებული ლიცენზიების და ნებართვების (ასეთის არსებობის შემთხვევებში) შესახებ, რეგისტრირებული საკონტროლო – სალარო აპარატ(ებ)ის შესახებ, გადამხდელის მხრიდან შემოწმების პროცესში მონაწილე პირთა ვინაობას და თანამდებობას;

დ) საგადასახადო შემოწმებით მოცული საკითხების შესახებ, რომელიც თანხვედრაში უნდა იყოს აქტის/აქტის პროექტის დანართის – შემოწმების პროგრამით გათვალისწინებულ საკითხებთან. ამასთან, მათ შორის განსხვავების (სხვაობის) არსებობისას – უნდა არსებობდეს ინფორმაცია განსხვავების (სხვაობის) გამომწვევი მიზეზებისა და მათი არგუმენტაციის შესახებ;

ე) საგადასახადო შემოწმების ჯამური შედეგების, მათ შორის, ცალკეული გადასახადების მიხედვით სავადოებით დასარიცხი/შესამცირებელი ძირითადი გადასახადის და ჯარიმის, აგრეთვე მიმდინარე გადასახდელების შესახებ, რომლებიც თანხვედრაში უნდა იყოს აქტის/აქტის პროექტის თანმხლები დანართის „ამონაკრები" – ს მონაცემებთან;

ვ) საგადასახადო შემოწმების ჯამური შედეგების ჩაშლილ ინფორმაციას ცალკეული გადასახადების მიხედვით ცალკეულ საანგარიშო პერიოდებში დასარიცხი/შესამცირებელი ძირითადი გადასახადის და ჯარიმის შესახებ. ამასთან, ცალკეული გადასახადის მიხედვით თითოეული საანგარიშო წლის შესაბამისად გადასახადის სახეს (თავსართ ფურცელს) თან უნდა ახლდეს მინიმუმ ერთი გვერდი, ე.წ. „პირველი შრე" (იმ შემთხვევაში, როდესაც საგადასახადო წელს საგადასახადო სამართალდარღვევა არ გამოვლენილა), რომელიც უნდა შეიცავდეს ინფორმაციას გადამხდელის მიერ დეკლარირებული და შემოწმებით განსაზღვრული მონაცემების შესახებ. თუ საგადასახადო წელს გამოვლენილია საგადასახადო სამართალდარღვევა, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია დაფიქსირებული უნდა იყოს ხსნებულ გვერდზე სხვაობის სახით შესაბამისი მონაცემების გასწვრივ სტრიქონზე. იმავე სტრიქონზე სხვაობის თანხა ჩაშლილი უნდა იყოს ცალკეული პაკეტების მიხედვით, სადაც გაერთიანებული იქნება შინაარსობრივად ერთგვაროვანი სამართალდარღვევები. ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ერთგვაროვანი დარღვევებიდან გამომდინარე სხვაობის თანხის ოდენობას და დანართის ნომერს, რომელშიც დაფიქსირებულია სამართალდარღვევის გამომწვევი ქმედების შინაარსი. აღნიშნულ დანართში (ე.წ. „მეორე შრე") მოკლედ უნდა იქნეს გადმოცემული ფაქტობრივი გარემოებები და აღნიშნულის აუდიტორისეული შეფასება. ამასთან, შეფასებაში აუცილებლად უნდა იქნეს მითითებული კანონმდებლობის ის ნორმა, რომლის საფუძველზეც გადამხდელის ქმედებას მიენიჭა სამართალდარღვევის კვალიფიკაცია. მეორე შრეს უნდა მოსდევდეს ე.წ. „მესამე შრე", რომელშიც გადმოცემული უნდა იყოს თანხობრივი შედეგის გაშიფვრა ეპიზოდების მიხედვით (სამართალდარღვევის ფაქტობრივი გარემოებების შეფასებები (აღწერა, მტკიცებულებები, შესაბამისი დანართების ნომერი) და რომელსაც უნდა ახლდეს გადამხდელის პოზიცია ამ შეფასებებთან დაკავშირებით;

ზ) დასკვნებისა და გადამხდელისათვის მიცემული რეკომენდაციების შესახებ;

თ) ინფორმაციას გადამხდელისათვის საგადასახადო შემოწმების დანიშვნის შესახებ ბრძანებისა და უფლებათა განმარტებითი ბარათის ჩაბარების თაობაზე;

ი) გადამხდელის საქმიანობის საგადასახადო შემოწმების დროს განსახორციელებელი ჩამონათვალის შესახებ (შემოწმების პროგრამა);

კ) გადამხდელის სახელზე რეგისტრირებული საკონტროლო – სალარო აპარატების შესახებ, მკაცრი აღრიცხვის ბლანკების გამოყენების შესახებ, გადამხდელთან ჩატარებული მიმდინარე კონტროლის პროცედურების შესახებ, გადამხდელის მიერ შესამოწმებელ პერიოდში გამოყენებული აღრიცხვის ბუღალტრული პრინციპების შესახებ (ელექტრონული ვერსიით ბუღალტრული პროგრამის დასახელება, ქაღალდზე წარმოების შემთხვევაში – ჟ/ორდერული, ორდერული, მემორიალური ორდერები და სხვა), საგადასახადო აღრიცხვის ზოგიერთი პრინციპების შესახებ (დარიცხვის მეთოდი, საკასო მეთოდი), ძირითადი საშუალებების მიმართ ხარჯად აღიარების გამოყენებული მეთოდების შესახებ (ამორტიზაცია ჯგუფური მეთოდით, მათ შორის, დაჩქარებული ამორტიზაციის ნორმით, საამორტიზაციო ანარიცხების სრულად გამოქვითვა), სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის მეთოდების შესახებ (ინდივიდუალური აღრიცხვის მეთოდი, საშუალო შეწონილი შეფასების მეთოდი, მეთოდი FIFO), გადამხდელის მიერ ფასნამატის განსაზღვრის პრინციპების შესახებ;

ლ) იმ სიტუაციური სახელძღვანელოების ასლებს, რომელთა მიხედვითაც განსაზღვრულია დასარიცხი/შესამცირებელი თანხები.

მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა უნდა შეამოწმოს, რამდენად სათანადოდ არის გაფორმებული საგადასახადო შემოწმების მასალები (აქტი), დაცულია თუ არა მისი შედგენისათვის დადგენილი პროცედურები:

ა) შინაარსის ყველასთვის გასაგები ენით გადმოცემა;

ბ) აზრის ლაკონურობა და გრამატიკულად გამართვა;

გ) მსჯელობის ენის საგადასახადო კოდექსის ენასთან შესატყვისობა;

დ) დანართების სწორად შერჩევა და შემოწმების აქტთან შესაბამისობა;

ე) იმ ფაქტებისა და გარემოებების ნათლად აღწერა, რომლებიც იძლევა გადასახადის გადამხდელის საგადასახადო პასუხისმგებლობის შეცვლის საფუძველს.

ვ) ხომ არ შეიცავს მასალები (აქტი) ზედმეტ ინფორმაციას, რომელიც ამოღებულ უნდა იქნეს;

ზ) მასალებში (აქტში) შედეგები, რომლებიც გავლენას იქონიებს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულებაზე, ნარმოდგენილია თუ არა მნიშვნელოვნიდან ნაკლებ მნიშვნელოვანზე გადასვლით;

თ) გადასახადისაგან თავის არიდების შემთხვევაში, მასალებში (აქტში) მითითებულია თუ არა აღნიშნულის გამომწვევი მიზეზები (მათ შორის, საგადასახადო კოდექსში არსებული უზუსტობები, რომელიც გამოყენებულ იქნა გადამხდელის მიერ);

ი) წარმოდგენილია თუ არა და რამდენად ნათლად გადამხდელის პოზიცია მასალებში (აქტში) ასახული ცალკეული მიღებული შედეგის თაობაზე და უთანხმოების შემთხვევაში, მათი გამომწვევი მიზეზები;

კ) მითითებულია თუ არა რეკომენდაციები და ის ინფორმაცია, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდგომი შემოწმების დროს.

მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა უნდა შეაფასოს საგადასახადო შემოწმების მასალების ხარისხი შემდეგი კრიტერიუმებით:

შემოწმების აქტის პროექტის ხარისხის შეფასება

შესაფასებელი პოზიცია	კი	არა	შენიშვნა
- შემოწმების აქტის პროექტში ასახულია ინფორმაცია საგადასახადო შემოწმების დანიშვნის შესახებ			
- შემოწმების აქტის პროექტში ასახულია შემოწმების ვადების გაგრძელების შემთხვევები (ასეთის არსებობისას)			
- შემოწმების აქტის პროექტში ასახულია შემმოწმებელ აუდიტორთა ცვლილების შემთხვევები (ასეთის არსებობისას)			
- შემოწმების აქტის პროექტში ასახულია ინფორმაცია შესამოწმებელი პერიოდის და შემოწმების მიმდინარეობის პერიოდის შესახებ			

- შემოწმების აქტის პროექტში ასახული ინფორმაცია მესამოწმებელი პირის შესახებ სრულყოფილია			
- შემოწმების აქტის პროექტში საგადასახადო შემოწმებით მოცული საკითხები თანხვედრაშია აქტის პროექტის დანართის - შემოწმების პროგრამით გათვალისწინებულ საკითხებთან			
- შემოწმების აქტის პროექტში საგადასახადო შემოწმებით მოცულ საკითხებსა და აქტის პროექტის დანართის - შემოწმების პროგრამით გათვალისწინებულ საკითხებს შორის განსხვავების (სხვაობის) არსებობის შემთხვევაში, ასახულია ინფორმაცია განსხვავების (სხვაობის) გამომწვევი მიზეზებისა და მათი არგუმენტაციის შესახებ			
- შემოწმების აქტის პროექტში საგადასახადო შემოწმების ჯამური შედეგები, მათ შორის, ცალკეული გადასახადების მიხედვით სავადოებით დასარიცხი/შესამცირებელი ძირითადი გადასახადის და ჯარიმის, აგრეთვე მომდინარე გადასახდელების შესახებ თანხვედრაშია აქტის პროექტის თანმხლები დანართის "ამონაკრების" მონაცემებთან			
- შემოწმების აქტის პროექტში ასახულია საგადასახადო შემოწმების ჯამური შედეგების ჩაშლილი ინფორმაცია ცალკეული გადასახადების მიხედვით ცალკეულ საანგარიშო პერიოდებში დასარიცხი/შესამცირებელი ძირითადი გადასახადის და ჯარიმის შესახებ			
- შემოწმების აქტის პროექტში ცალკეული გადასახადის მიხედვით თითოეული საანგარიშო წლის შესაბამისად გადასახადის სახეს (თავსართ ფურცელს) თან ახლავს "პირველი შრე" (იმ შემთხვევაში, როდესაც საგადასახადო წელს საგადასახადო სამართალდარღვევა არ გამოვლენილა), რომელიც შეიცავს ინფორმაციას გადამხდელის მიერ დეკლარირებული და შემოწმებით განსაზღვრული მონაცემების შესახებ			
- შემოწმების აქტის პროექტში საგადასახადო წელს გამოვლენილი საგადასახადო სამართალდარღვევის შესახებ ინფორმაცია დაფიქსირებულია			
- შემოწმების აქტის პროექტში ასახულია შინაარსობრივად ერთგვაროვანი სამართალდარღვევებიდან გამომდინარე სხვაობის თანხის ოდენობა და დანართის ნომერი, რომელშიც დაფიქსირებულია სამართალდარღვევის გამომწვევი ქმედების შინაარსი ("მეორე შრე")			
- შემოწმების აქტის პროექტში გადმოცემულია სამართალდარღვევის გამომწვევი ფაქტობრივი გარემოებები			
- შემოწმების აქტის პროექტში მოცემულია სამართალდარღვევის გამომწვევი ქმედების აუდიტორისეული შეფასება			
- აუდიტორის შეფასებაში მითითებულია კანონმდებლობის ის ნორმა, რომლის საფუძველზეც გადამხდელის ქმედებას მიენიჭა სამართალდარღვევის კვალიფიკაცია			
- შემოწმების აქტის პროექტში ასახულია ე.წ. "მესამე შრე"			
- "მესამე შრე"-ში გადმოცემულია თანხობრივი შედეგის გაშიფვრა ეპიზოდების მიხედვით (სამართალდარღვევის ფაქტობრივი გარემოებების შეფასებები (აღწერა, მტკიცებულებები, შესაბამისი დანართების ნომერი)			
- "მესამე შრე"-ს თან ახლავს გადამხდელის პოზიცია სამართალდარღვევის			

ფაქტობრივი გარემოებების შეფასებებთან დაკავშირებით			
- შემოწმების აქტის პროექტში ასახულია დასკვნები და გადამხდელისათვის მიცემული რეკომენდაციები			
- შემოწმების აქტის პროექტში ასახულია ინფორმაცია გადამხდელისათვის საგადასახადო შემოწმების დანიშვნის შესახებ ბრძანებისა და უფლებათა განმარტებითი ბარათის ჩაბარების თაობაზე			
- შემოწმების აქტის პროექტს თან ახლავს შემოწმების პროგრამა			
- შემოწმების აქტის პროექტში ასახულია ინფორმაცია გადამხდელის სახელზე რეგისტრირებული საკონტროლო-სალარო აპარატების შესახებ			
- შემოწმების აქტის პროექტში ასახულია ინფორმაცია შესამოწმებელი პირის მიერ მკაცრი აღრიცხვის ბლანკების გამოყენების შესახებ			
- შემოწმების აქტის პროექტში ასახულია ინფორმაცია გადამხდელთან ჩატარებული მიმდინარე კონტროლის პროცედურების შესახებ			
- შემოწმების აქტის პროექტში ასახულია ინფორმაცია			
- შემოწმების აქტის პროექტში ასახულია ინფორმაცია გადამხდელის მიერ შესამოწმებელ პერიოდში გამოყენებული აღრიცხვის ბუღალტრული პრინციპების შესახებ			
- შემოწმების აქტის პროექტში ასახულია ინფორმაცია გადამხდელის მიერ შემოსავლებისა და ხარჯების აღსარიცხავად გამოყენებული საგადასახადო აღრიცხვის მეთოდის შესახებ (დარიცხვის მეთოდი, საკასო მეთოდი)			
- შემოწმების აქტის პროექტში ასახულია ინფორმაცია ძირითადი საშუალებების მიმართ ხარჯად აღიარების გამოყენებული მეთოდების შესახებ (ამორტიზაცია ჯგუფური მეთოდით, მათ შორის, დაჩქარებული ამორტიზაციის ნორმით, საამორტიზაციო ანარიცხების სრულად გამოქვითვა)			
- შემოწმების აქტის პროექტში ასახულია ინფორმაცია სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის მეთოდების შესახებ (ინდივიდუალური აღრიცხვის მეთოდი, საშუალო შეწონილი შეფასების მეთოდი, მეთოდი FIFO)			
- შემოწმების აქტის პროექტში ასახულია ინფორმაცია გადამხდელის მიერ ფასნამატის განსაზღვრის პრინციპების შესახებ			
- შემოწმების აქტის პროექტში ასახულია იმ სიტუაციური სახელძღვანელოების ასლები, რომელთა მიხედვითაც განსაზღვრულია დასარიცხი/შესამცირებელი თანხები			
- შემოწმების აქტის პროექტში შინაარსი გადმოცემულია ყველასთვის გასაგები ენით			
- შემოწმების აქტის პროექტში შემმოწმებლის მიერ აზრები გადმოცემულია ლაკონურად			
- შემოწმების აქტის პროექტში წინადადებები გრამატიკულად გამართულია			
- შემოწმების აქტის პროექტში მსჯელობის ენა შესატყვისობაშია საგადასახადო კოდექსის ენასთან			
- შემოწმების აქტის პროექტში დანართები შერჩეულია სწორად და შესაბამისობაშია შემოწმების აქტის პროექტთან;			
- შემოწმების აქტის პროექტში ნათლად არის აღწერილი ის ფაქტები და			

გარემოებები, რომლებიც იძლევა გადასახადის გადამხდელის საგადასახადო პასუხისმგებლობის შეცელის საფუძველს			
- შემოწმების აქტის პროექტი შეიცავს ზედმეტ ინფორმაციას, რომელიც ამოღებულ უნდა იქნეს			
- შემოწმების აქტის პროექტში გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულებაზე გავლენის მქონე შედეგები წარმოდგენილია მნიშვნელოვნიდან ნაკლებ მნიშვნელოვანზე გადასვლით			
- შემოწმების აქტის პროექტში მითითებულია გადასახადისაგან თავის არიდების შესახებ			
- შემოწმების აქტის პროექტში ასახულია გადასახადისაგან თავის არიდების გამომწვევი მიზეზები (მათ შორის, საგადასახადო კოდექსში არსებული უზუსტობები, რომელიც გამოყენებულ იქნა გადამხდელის მიერ)			
- შემოწმების აქტის პროექტში ნათლად არის წარმოდგენილი გადამხდელის პოზიცია აქტის პროექტში ასახულ შედეგებთან მიმართებაში			
- შემოწმების აქტის პროექტში ასახულია შემოწმების შედეგებთან მიმართებაში გადამხდელის უთანხმოების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამომწვევი მიზეზები			
- შემოწმების აქტის პროექტში მითითებულია რეკომენდაციები და ის ინფორმაცია, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდგომი შემოწმების დროს			

ზემოთ აღნიშნული შეფასებების მიხედვით მონიტორინგის განმახორციელებელი პირი აკეთებს სამონიტორინგო მასალების (აქტის) კომპლექსურ შეფასებას, კერძოდ:

საუკეთესო ან კარგი – სრული შესაბამისობა, სათანადო (კარგი) გაფორმება და გადახრის აბსოლუტური თანხის მთლიან დარიცხვასთან შეფარდების კოეფიციენტის* 0%-დან 10%-ის ჩათვლით ფარგლებში განსხვავება;

დამაკმაყოფილებელი – სრული ან ნაწილობრივ შესაბამისობა, სათანადო (კარგი) ან ხარვეზებიანი გაფორმება და გადახრის აბსოლუტური თანხის მთლიან დარიცხვასთან შეფარდების კოეფიციენტის 11%-დან 20%-ის ჩათვლით განსხვავება;

არადამაკმაყოფილებელი – ნაწილობრივ შესაბამისობა ან შეუსაბამობა, ხარვეზებიანი ან ცუდი გაფორმება და გადახრის აბსოლუტური თანხის მთლიან დარიცხვასთან შეფარდების კოეფიციენტის 20%-დან 100%-ის ჩათვლით განსხვავება.

(* შენიშვნა: გადახრის აბსოლუტური თანხის მთლიან დარიცხვასთან შეფარდების კოეფიციენტის შეფასებისას მხედველობაში არ მიიღება ისეთი გადახრა, რომელიც აუდიტორის მიერ მექანიკური ხასიათის შეცდომითაა გამოწვეული).

მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა უნდა მოამზადოს ინფორმაცია საგადასახადო შემოწმების მასალების შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს:

– მისი მომზადების საფუძველს (ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე მიღებული დავალების ნომერი და თარიღი);

– საგადასახადო შემოწმების მასალების დასახელებას, მათი შედგენის საფუძველს და მათ ავტორს (იმ აუდიტორის სახელს და გვარს, რომელმაც მოამზადა აღნიშნული მასალები);

– საგადასახადო შემოწმების მასალების ხარისხის კონტროლის შედეგებს სათანადო დასაბუთებით და შეფასებით;

– წინადადებებს და რეკომენდაციებს საგადასახადო შემოწმების მასალების ხარისხის გასაუმჯობესებლად;

– მონიტორინგის განმახორციელებელი პირის თანამდებობას, სახელს, გვარს, ხელმოწერას, თარიღს (რიცხვი, თვე, წელი) ინფორმაციის ბოლო გვერდზე, აგრეთვე ყოველ გვერდზე ხელმოწერას და გვერდის რიგით ნომერს.

ინფორმაცია საგადასახადო შემოწმების მასალების შესახებ წარედგინება ხარისხის კონტროლის სამმართველოს ხელმძღვანელობას.

18.3. საგადასახადო შემოწმების სახეები

18.3.1 კამერალური საგადასახადო შემოწმება

საგადასახადო შემოწმება არის ორი სახის: კამერალური და გასვლითი. კამერალურია ისეთი საგადასახადო შემოწმება, როდესაც გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულებები მოწმდება საგადასახადო ორგანოს ოფისში – შენობიდან გაუსვლელად. ასეთ შემთხვევაში, კამერალური საგადასახადო შემოწმების საფუძველი არის ხოლმე საგადასახადო ორგანოს შესაბამისი ქვედანაყოფის მიერ გარკვეული რისკების კრიტერიუმების საფუძველზე გაკეთებული ანალიზი, რომლის მიხედვით ფორმალურად ელინდება, რომ კონკრეტული გადამხდელის მაგ. საგადასახადო ანგარიშგების (საგადასახადო დეკლარაცია) დოკუმენტები შეიცავს მის მიერ გადასახადებისაგან თავის არიდების პოტენციურ შესაძლებლობას და რისკს. მაგ. გადამხდელი ხშირად აზუსტებს წარდგენილ საგადასახადო დეკლარაციებს ან კონტრაგენტ გადამხდელთან შესაბამისი მონაცემი განსხვავებულია, ვიდრე გადამხდელის მიერ საგადასახადო დეკლარაციაში ასახული, დარღვეულია დღგ-ის გადამხდელად პირის რეგისტრაციის ვადა და ა.შ. შესაბამისად, როგორც წესი, კამერალური შემოწმება თემატური ხასიათისაა და ეხება კონკრეტულ გადასახადთან (გადასახადებთან) მიმართებით პირის შემოწმებას.

კამერალური შემოწმება იწყება საგადასახადო ორგანოს შესაბამისი სტრუქტურის ან უფლებამოსილი პირის მიერ ამ საგადასახადო ორგანოს უფროსის სახელზე გაგზავნილი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე გამოცემული ბრძანების მიხედვით. საგადასახადო ორგანოს გამოცემულ ბრძანებაში ასახულია შემდეგი რეკვიზიტები: შესამოწმებელი პირის საქმიანობის შემოწმება კონკრეტული გადასახადთან ან სამართალდარღვევასთან დაკავშირებით (მაგ. კამერალური შემოწმება დღგ-ის რეგისტრაციის დარღვევასთან დაკავშირებით); შემოწმების პერიოდი (მაგ. 2011 წლის 5 აპრილიდან 2011 წლის 14 ივნისის ჩათვლით); შემოწმების ვადა (მაგ. 25 მაისიდან 24 ივნისის ჩათვლით); შემმოწმებლის ვინაობა (მაგ. აუდიტის დეპარტამენტის შემოწმებების მთავარი სამმართველოს №5 სამმართველოს აუდიტორი – დიტო მთაბერიძე); ზემოაღნიშნული აუდიტორის უშუალო უფროსის ვინაობა, რომელსაც ევალება ამ ბრძანების შესრულების კონტროლი (მაგ. შემოწმებების მთავარი სამმართველოს №5 სამმართველოს უფროსი – თედო მთაბერიძე). იმ შემთხვევაში, თუ საჭიროა ზემოაღნიშნული შემოწმების ვადის გაგრძელება, საგადასახადო ორგანო გამოსცემს ახალ ბრძანებას აღნიშნულის შესახებ.

კამერალური შემოწმების შესახებ ბრძანება გადასახადის გადამხდელს არ ეგზავნება. ამასთან, გადასახადის გადამხდელს ეგზავნება შეტყობინება იმ შემთხვევაში, თუ კამერალური საგადასახადო შემოწმების პროცესში საჭირო გახდა გადამხდელისაგან შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის აუცილებლობა. საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს კამერალური შემოწმების დროს მოსთხოვოს გადასახადის გადამხდელს წარმოადგინოს საარჩევნო დოკუმენტაცია ან დაბეგვრასთან დაკავშირებული ინფორმაცია. გადასახადის გადამხდელი ვალდებულია გონივრულ ვადაში წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტები საგადასახადო ორგანოში. დოკუმენტების წარუდგენლობა ექვემდებარება სანქცირებას. ამასთან მოცემულ კონკრეტულ საკითხებზე პირს შეიძლება საგადასახადო ორგანომ მოსთხოვოს ახსნა – განმარტება.

კამერალურ საგადასახადო შემოწმებას ყოველთვის არ ახლავს საგადასახადო შემოწმების აქტის შედგენა. უფრო ზუსტად, თუ კამერალური საგადასახადო შემოწმების შედეგად გამოვლენილი შეცდომები იწვევს გადასახადის თანხის ცვლილებას, მაშინ კამერალური საგადასახადო შემოწმების განმახორციელებელი უფლებამოსილი პირი ადგენს საგადასახადო შემოწმების აქტს.

18.3.2 გასვლითი საგადასახადო შემოწმება

გასვლითი საგადასახადო შემოწმება, განსხვავებით კამერალურისაგან ტარდება გადასახადის გადამხდელის ოფისში. კამერალური შემოწმების მსგავსად, გასვლითი საგადასახადო შემოწმებაც იწყება საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილების (ბრძანების საფუძველზე). ბრძანებაში, იგივე რეკვიზიტები მიეთითება, რაც კამერალური შემოწმების ბრძანებაში.

გასვლითი საგადასახადო შემოწმების დაწყებამდე აუცილებელია საგადასახადო ორგანომ წერილობით შეატყობინოს ამის შესახებ გადასახადის გადამხდელს. შეტყობინება უნდა განხორციელდეს შემოწმების დაწყებამდე არანაკლებ 10 სამუშაო დღით ადრე. ამასთან, საგადასახადო ორგანო შემოწმებას იწყებს გადასახადის გადამხდელისათვის შეტყობინების ჩაბარებიდან არა უგვიანეს 30 დღისა. თუ, საგადასახადო ორგანომ არ დაიწყო აღნიშნულ ვადაში (30 დღეში) საგადასახადო შემოწმება, მაშინ შეტყობინება ძალადაკარგულად ითვლება და შემოწმება არ ტარდება.

გასვლითი საგადასახადო შემოწმების დროს, საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილებით, შეიძლება შემოწმებულ იქნეს გადასახადის გადამხდელის სრული საქმიანობა ექვსწლიანი ხანდაზმულობის გათვალისწინებით ან თემატურად გადასახადის გარკვეული სახეობის ან პერიოდის მიხედვით.

გასვლითი საგადასახადო შემოწმების დროს, შემოწმების ეფექტურობიდან და საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილებით შეიძლება ჩატარდეს მიმდინარე კონტროლის ღონისძიებები (მაგ. ინვენტარიზაცია, დათვალიერება, საკონტროლო – სალარო აპარატების გამოყენება და სხვა).

გასვლითი საგადასახადო შემოწმების ვადა მიეთითება შემოწმების ბრძანებაში და იგი არ შეიძლება იყოს სამ თვეზე მეტი, თუმცა ბრძანების გამომცემი საგადასახადო ორგანოს ზემდგომ საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმებით სამთვიანი ვადა შეიძლება გაგრძელდეს დამატებით კიდევ ორი თვით. ვადის შემდგომი გაგრძელება დაუშვებელია.

გადასახადის გადამხდელს აქვს ვალდებულება გასვლითი საგადასახადო შემოწმების დროს შესაბამის აუდიტორებს შეუქმნას სამუშაო პირობები. ამისათვის, მათ უნდა გამოუყოს ოთახი და შესაბამისი ინვენტარი.

შემოწმების დროს აუდიტორს აქვს უფლება მოითხოვოს დაბეგვრასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტაცია. ასეთი მოთხოვნა ხორციელდება ორი ფორმით: დოკუმენტაციის ასლის წარდგენით, რომელიც უნდა იყოს დამოწმებული გადასახადის გადამხდელის მიერ (მაგ. ბეჭდით ან ხელმოწერით) და დოკუმენტების ორიგინალის ამოღებით, იმ შემთხვევაში, თუ აუდიტორის მოთხოვნა არ სრულდება გადამხდელის მიერ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, აუდიტორი ვალდებულია შეადგინოს დოკუმენტების ამოღების ოქმი. დოკუმენტების ამოღების შემთხვევაში, ეს დოკუმენტები უნდა დაუბრუნდეს გადასახადის გადამხდელს გასვლითი საგადასახადო შემოწმების დამთავრებისთანავე.

შესაძლებელია, რომ საგადასახადო შემოწმება შეწყდეს გარკვეული ფორსმაჟორული სიტუაციების გამო (ომი, მიწისძვრა, ხანძარი, წყალდიდობა და სხვა დაუძლეველი ძალა). ასეთ შემთხვევაში, საგადასახადო შემოწმების ვადის დინება შეწყდება იმ ვადით, რა ვადითაც ადგილი ექნება ფორსმაჟორულ სიტუაციას.

18.3.3 გადაუდებელი გასვლითი საგადასახადო შემოწმება

გადაუდებელი გასვლითი საგადასახადო შემოწმება ხორციელდება განსაზღვრულ შემთხვევებში. განსხვავებით გეგმური გასვლითი საგადასახადო შემოწმებისაგან გადასახადის გადამხდელს არ ეგზავნება წერილობითი საგადასახადო შეტყობინება და ასეთი შემოწმება საჭიროებს სასამართლო ნებართვას. ასეთი ნებართვა შემმოწმებელმა უნდა წარუდგინოს გადასახადის გადამხდელს გასვლითი შემოწმების დაწყებიდან 48 საათში. თუ, სასამართლომ ამ ვადაში არ გასცა ნებართვა, მაშინ გადაუდებელი გასვლითი საგადასახადო შემოწმება არ ტარდება.

სასამართლოს ნებართვის გაცემამდე შემმოწმებელს არ აქვს უფლება დაიწყოს საგადასახადო შემოწმება, მაგრამ მას აქვს შემდეგი უფლებები:

– დალუქოს გადასახადის გადამხდელის ის საგადასახადო დოკუმენტები და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები, რომელიც აუცილებელია გადაუდებელი გასვლითი საგადასახადო შემოწმების ჩასატარებლად;

– გააფრთხილოს გადასახადის გადამხდელის ქონებაზე საგადასახადო გირავნობა ან იპოთეკა, მიუხედავად იმისა აქვს, თუ არა ამ გადამხდელს საგადასახადო დავალიანება.

როგორც აღვნიშნეთ, შემმოწმებელს განსაზღვრულ შემთხვევებში აქვს უფლება განახორციელოს გადაუდებელი გასვლითი საგადასახადო შემოწმება. ეს შემთხვევებია:

– ბოლო საგადასახადო შემოწმებისას გამოვლინდა გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო ვალდებულებათა მნიშვნელოვანი დარღვევის ფაქტები;

– არსებობს სანდო ინფორმაცია, რომელიც საეჭვოს ხდის პირის ფინანსური და მატერიალური საშუალებების წარმომობას;

– არსებობს სანდო ინფორმაცია ქონების ან გადასახადით დასაბეგრი სხვა ობიექტის დოკუმენტურად დაუდასტურებელი მატების შესახებ;

– საგადასახადო ორგანოში წარდგენილი საგადასახადო დეკლარაციებით და სხვა დოკუმენტებით არ დასტურდება დაბეგვრის ობიექტებისა და გამოანგარიშებული გადასახადების რეალურობა;

– წარდგენილი არ არის საგადასახადო დეკლარაცია ან გადასახადის გამოსაანგარიშებლად ან გადასახდელად საჭირო დოკუმენტები;

– საგადასახადო ორგანოს აქვს ინფორმაცია, რომ პირი გეგმავს, თავი აარიდოს საგადასახადო

ვალდებულებათა შესრულებას ქვეყნიდან გასვლით, აქტივების სხვა პირისათვის გადაცემით, საგადასახადო სამართალდარღვევის დამადასტურებელი დოკუმენტების განადგურებით, დამალვით, შესწორებით ან შეცვლით ან სხვა ღონისძიებების გატარებით.

18.3.4 საგადასახადო შემოწმება გადასახადის გადამხდელის ინიციატივით

გადასახადის გადამხდელის ინიციატივით შესაძლებელია საგადასახადო ორგანომ ჩაატაროს კამერალური ან გასვლითი საგადასახადო შემოწმება. ასეთი შემოწმება ფასიანია და იგი იწყება კანონმდებლობით დადგენილი მომსახურების საფასურის გადახდის შემდეგ გადასახდის გადამხდელისათვის დამატებითი (წინასწარი) წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გარეშე. აღნიშნული მომსახურების საფასურები დადგენილია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებით და იგი არის:

– სსკ-ის 30-ე მუხლით გათვალისწინებული ორგანიზაციებისათვის – 5000 ლარი;

– სხვა პირებისათვის, თუ შესამოწმებელი პერიოდის ჯამური ბრუნვა ერთ მილიონ ლარამდეა – 10 000 ლარი, ხოლო თუ შესამოწმებელი პერიოდის ჯამური ბრუნვა ერთ მილიონ ლარზე მეტია – 30 000 ლარი.

გადასახადის გადამხდელი, რომელიც დაინტერესებულია საგადასახადო შემოწმება ჩაატაროს საგადასახადო ორგანომ წარადგენს საგადასახადო ორგანოში „მოთხოვნას საგადასახადო შემოწმების თაობაზე", სადაც მიეთითება შემდეგი რეკვიზიტები:

– გადასახადის გადამხდელის დასახელება/სახელი, გვარი;
– გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი;
– გადასახადის გადამხდელის მისამართი;
– გადასახადის გადამხდელის ტელეფონის ნომერი;
– საგადასახადო შემოწების სახე (კამერალური, გასვლითი);
– საგადასახადო შემოწმების ტიპი (თემატური, სრული);
– საგადასახადო შემოწმების პერიოდი (– დან-მდე);
– საგადასახადო შემოწმების დაწყების სასურველი ვადა;
– თემატური შემოწმების მოთხოვნის შემთხვევაში საგადასახადო შემოწმების საგნის (საკითხის) მოკლე აღწერა;
– ხელმოწერა;
– რიცხვი, თვე, წელი.

ზემოაღნიშნულ „მოთხოვნას" შემდეგი სახე აქვს:

შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტს

გადასახადის გადამხდელის დასახელება/სახელი, გვარი

გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი

გადასახადის გადამხდელის მისამართი

გადასახადის გადამხდელის ტელეფონის ნომერი

მოთხოვნა
საგადასახადო შემოწმების თაობაზე

1. საგადასახადო შემოწმების სახე: – ---- (კამერალური) – ----- (გასვლითი)
2. საგადასახადო შემოწმების ტიპი: – ---- (თემატური) – ----- (სრული)

3.საგადასახადო შემოწმების –

პერიოდი: – დან -მდე

4. საგადასახადო შემოწმების დაწყების სასურველი ვადა:

5. თემატური შემოწმების მოთხოვნის შემთხვევაში საგადასახადო შემოწმების საგნის (საკითხის) მოკლე აღწერა:

_____ "_____" "_____" 20

(ხელმოწერა) (რიცხვი, თვე, წელი)

"მოთხოვნას საგადასახადო შემოწმების თაობაზე" საგადასახადო ორგანო განიხილავს მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ აცნობებს გადასახადის გადამხდელს. საგადასახადო ორგანოს მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საგადასახადო შემოწმების ჩატარებაზე გადასახადის გადამხდელს ეცნობება საგადასხადო შემოწმების დაწყების საჭარაუდო თარიღი და მიეწოდება შემდეგი ინფორმაცია:

– საგადასახადო შემოწმება დაიწყება მოსამართლის ბრძანებისა და დამატებითი(წინასწარი) წერილობითი შეტყობინების გარეშე;

– მომსახურების საფასური გადახდილი უნდა იქნეს საგადასახადო შემოწმების ჩატარებაზე საგადასახადო ორგანოს თანხმობის მიღებიდან 5 დღის ვადაში;

– საგადასახადო შემოწმება დაიწყება საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებით გათვალისწინებული მომსახურების საფასურის გადახდის შემდეგ.

გადამხდელის ინიციატივით საგადასახადო შემოწმების შესახებ საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს უარი განაცხადოს, თუ არსებობს შესაბამისი ობიექტური გარემოებები, მაგ. ადამიანური რესურსების უკმარისობა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, თუ ის საჭიროდ მიიჩნევს, შეცვალოს გადასახადის გადამხდელის მოთხოვნაში მითითებული საგადასახადო შემოწმების სახე ანუ კამერალური შემოწმების მოთხოვნის შემთხვევაში ჩაატაროს გასელითი შემოწმება ან პირიქით.

18.3.5 პოსტაუდიტური (საქონლის გაშვების შემდგომი) შემოწმების არსი

საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმების ჩატარების საფუძვლებია:

ა) ლურჯი დერეფნით დასრულებული საბაჟო დეკლარაცია;

ბ) დეკლარანტის წერილობითი განცხადება, თუ მის მიერ აღმოჩენილ იქნა, რომ გაშვებული საქონლის სახეობების რაოდენობა ან/და საქონლის რაოდენობა ან/და საქონლის ღირებულება ან/და საქონლის საბაჟო ღირებულება ან/და გადასახდელების თანხის ოდენობა ნაკლებია საბაჟო დეკლარაციაში და მის თანმხლებ დოკუმენტაციაში მითითებულ შესაბამის მონაცემებზე;

გ) საგადასახადო ორგანოში არსებულ მონაცემთა ანალიზის შედეგების გათვალისწინებით, დადგენილი წესით მოთხოვნილი და მიღებული ინფორმაცია, მათ შორის, საერთაშორისო თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ფარგლებში მიღებული ინფორმაცია;

დ) სამართალდამცავი ორგანოს სათანადო გადაწყვეტილება ან/და ინფორმაცია.

საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმების მიზანია საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრისა და იმპორტის გადასახდელების დარიცხვის სისწორის შემოწმება, ხოლო დეკლარანტის წერილობითი განცხადების შემთხვევაში – აგრეთვე შესაბამისი მონაცემების შემოწმება.

საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმების სახეებია:

ა) ინდივიდუალური-ერთი საბაჟო დეკლარაციით გაშვებული საქონლის შემოწმება;

ბ) კომპლექსური:

ბ.ა) დეკლარანტის ან/და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 266-ე მუხლით გათვალისწინებული სხვა ვალდებული პირის (შემდგომში – სხვა ვალდებული პირი) მიერ საქონლის კონკრეტულ სახეობაზე განხორციელებული სასაქონლო ოპერაციების შემოწმება;

ბ.ბ) დეკლარანტის მიერ განხორციელებული კონკრეტული სასაქონლო ოპერაციების შემოწმება;

ბ.გ) დეკლარანტის მიერ გარკვეულ პერიოდში განხორციელებული სასაქონლო ოპერაციების შემოწმება;

საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმება შეიძლება იყოს კამერალური და გასელითი.

საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმება, გარდა ლურჯი დერეფნით განსაზღვრული საფუძვლით ჩატარებული კამერალური შემოწმებისა, ხორციელდება საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის ბრძანებით.

დეკლარანტის წერილობითი განცხადების შემთხვევაში, საგადასახადო ორგანო წინასწარი შესწავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმების დაწყების შესახებ. დეკლარანტის მიერ არასაკმარისი მტკიცებულებების წარმოდგენის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს მიერ მას ეძლევა გონივრული ვადა მათი წარმოდგენის თაობაზე, რომლის მოწოდების შემდეგ საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის ბრძანების საფუძველზე ხორციელდება საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმება.

თუ დაწყებული შემოწმების გაგრძელება ვერ ხერხდება დაუძლეველი ძალის ან სხვა გარემოების გამო, ან საჭიროა დამატებითი ინფორმაციის მოპოვება (წარდგენა), საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი იღებს გადაწყვეტილებას შემოწმების შეჩერების შესახებ, რომელიც ეცნობება დეკლარანტს.

შეჩერებული შემოწმება და შესაბამისი ვადის დინება განახლდება დაუძლეველი ძალის ან სხვა გარემოების აღმოფხვრისთანავე, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით.

საქონლის გაშვების შემდგომი კამერალური შემოწმება (შემდგომში – კამერალური შემოწმება) ტარდება პირის საქმიანობის ადგილზე გაუსვლელად, საგადასახადო ორგანოში არსებული საბაჟო დეკლარაციის, დოკუმენტებისა და სხვა ინფორმაციის საფუძველზე.

კამერალური შემოწმება შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს როგორც ინდივიდუალური, ასევე კომპლექსური შემოწმების დროს.

კამერალური შემოწმების ჩატარებისას, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს:

ა) დამოუკიდებლად განსაზღვროს საქონლის საბაჟო ღირებულება ან/და დეკლარანტის საგადასახადო ვალდებულების მოცულობა საგადასახადო ორგანოში არსებული ინფორმაციით;

ბ) დეკლარანტისაგან ან სხვა ვალდებული პირისაგან მოითხოვოს დეკლარირებული საქონლის შემოტანის ან/და გატანის ოპერაციებთან (მათ შორის, საქონლის ტრანსპორტირებასთან, გადატვირთვასთან, შენახვასთან, სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრასთან, საგადასახადო ვალდებულების ოდენობის განსაზღვრასთან, განსაზღვრული სასაქონლო ოპერაციის დასრულებასთან და საგადასახადო ვალდებულების შესრულებასთან) დაკავშირებული დოკუმენტაციის (რომელიც აღნიშნულია საბაჟო დეკლარაციაში და რომლის შემოსავლების სამსახურისთვის წარდგენა საქონლის დეკლარირებისას სავალდებულო არ არის), სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების სააღრიცხვო (საბუღალტრო) მონაცემების ან/და სხვა ინფორმაციის წარდგენა;

გ) საგადასახადო ორგანოში წარდგენის მიზნით მიმართოს დეკლარანტს ან სხვა ვალდებულ პირს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს(რომელსაც აქვს შესაბამისი დოკუმენტაცია ან/და ინფორმაცია) და მისგან მიიღოს წერილობითი და სიტყვიერი განმარტებები საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმების დროს წამოჭრილ საკითხებზე.

საქონლის გაშვების შემდგომი გასვლითი შემოწმების (შემდგომში – გასვლითი შემოწმება) დაწყებამდე არანაკლებ 10 სამუშაო დღისა დეკლარანტს ან/და სხვა ვალდებულ პირს ეგზავნება შეტყობინება წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.

გასვლითი შემონმება უნდა დაინყოს დეკლარანტის ან/და სხვა ვალდებული პირისათვის შეტყობინების ჩაბარებიდან არა უგვიანეს 30 დღისა. თუ აღნიშნულ ვადაში შემონმება ვერ დაინყო, შეტყობინება ძალადაკარგულად ითვლება.

გასვლითი შემონმება შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს როგორც ინდივიდუალური, ასევე კომპლექსური შემონმების დროს.

გასვლითი შემოწმება შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 3 თვისა. საჭიროების შემთხვევაში, შემოსავლების სამსახურის უფროსთან შეთანხმებით შესაძლებელია შემონმების ვადის დამატებით გაგრძელება არა უმეტეს 2 თვისა.

გასვლითი შემონმების ჩატარებისას, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს:

ა) დეკლარანტისაგან ან სხვა ვალდებული პირისაგან მოითხოვოს დეკლარირებული საქონლის შემოტანის ან/და გატანის ოპერაციებთან (მათ შორის, საქონლის ტრანსპორტირებასთან, გადატვირთვასთან, შენახვასთან, სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრასთან, საგადასახადო ვალდებულების ოდენობის განსაზღვრასთან, განსაზღვრული სასაქონლო ოპერაციის დასრულებასთან და საგადასახადო ვალდებულების შესრულებასთან) დაკავშირებული დოკუმენტაციის (რომელიც აღნიშნულია საბაჟო დეკლარაციაში და რომლის შემოსავლების სამსახურისთვის წარდგენა საქონლის დეკლარირებისას სავალდებულო არ არის), სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების სააღრიცხვო (საბუღალტრო) მონაცემების ან/და სხვა ინფორმაციის წარდგენა;

ბ) დეკლარანტისაგან ან სხვა ვალდებული პირისაგან ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლისაგან (რომელსაც აქვს შესაბამისი დოკუმენტაცია ან/და ინფორმაცია) მიიღოს წერილობითი და

სიტყვიერი განმარტებები გასვლითი შემოწმების დროს წამოჭრილ საკითხებზე;

გ) განახორციელოს დეკლარანტის ან/და სხვა ვალდებული პირის საქმიანობაზე დაკვირვება, დაათვალიეროს საქონელი, აიღოს სინჯი ან/და ნიმუში.

საქონლის გაშვების შემდგომი გადაუდებელი გასვლითი შემოწმება (შემდგომში – გადაუდებელი გასვლითი შემოწმება) ტარდება წერილობითი შეტყობინების გარეშე, თუ:

ა) საგადასახადო ორგანოს აქვს ინფორმაცია, რომ დეკლარანტი ან სხვა ვალდებული პირი გეგმავს, თავი აარიდოს საგადასახადო ვალდებულებათა შესრულებას საქართველოდან გასვლით, საქონლის სხვა პირისათვის გადაცემით, საგადასახადო სამართალდარღვევის დამადასტურებელი დოკუმენტების განადგურებით, დამალვით, შესწორებით ან შეცვლით ან/და სხვა ღონისძიებების გატარებით;

ბ) არსებობს საფუძვლიანი ეჭვი საბაჟო დეკლარაციასა და მის თანმხლებ დოკუმენტაციაში მითითებული საქონლის არასწორად კლასიფიცირების შესახებ, რამაც გამოიწვია იმპორტის/ექსპორტის გადასახდელების ოდენობის შემცირება ან რითაც თავი იქნა არიდებული საქონლის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული არასატარიფო ღონისძიებების განხორციელებისათვის;

გ) არსებობს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თავისუფალ მიმოქცევაში მიზნობრივად გაშვებული საქონელი არ გამოიყენება მიზნობრივი დანიშნულებით ან პროცედურების დარღვევით გამოიყენება სხვა მიზნობრივი დანიშნულებით.

საგადასახადო ორგანო ვალდებულია, გადაუდებელი გასვლითი შემოწმების დაწყებიდან 48 საათში მიმართოს სასამართლოს და მიიღოს მისგან ნებართვა გასვლითი შემოწმების ჩატარების შესახებ. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, გადასახადის გადამხდელის ქონებაზე გაავრცელოს საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა მას საგადასახადო დავალიანება.

სასამართლოს ნებართვის მიღებამდე საგადასახადო ორგანოს არ აქვს უფლება, დაიწყოს გადაუდებელი გასვლითი შემოწმება. საგადასახადო ორგანოს წარმომადგენლებს უფლება აქვთ, დალუქონ გადასახადის გადამხდელის მხოლოდ ის საგადასახადო დოკუმენტები და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები, რომლებიც აუცილებელია გადაუდებელი გასვლითი შემოწმების ჩასატარებლად.

თუ სასამართლო საგადასახადო ორგანოს დადგენილ ვადაში არ მისცემს ნებართვას გადაუდებელი გასვლითი საგადასახადო შემოწმების ჩატარების შესახებ, საგადასახადო ორგანო ვალდებულია ახსნას გადასახადის გადამხდელის საგადასახადო დოკუმენტებზე ან/და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებზე დადებული ლუქი.

დეკლარანტის განცხადების საფუძველზე კამერალური ან გასვლითი შემოწმების ჩატარებისას, შემოწმების შედეგები ფორმდება „საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმების აქტით" დანართი №XXV–01 – შესაბამისად. სხვა შემთხვევებში (გარდა დეკლარანტის განცხადების საფუძველზე კალერალური შემოწმებისას ქვემოთ მოცემული შემთხვევისა) კამერალური ან გასვლითი შემოწმების შედეგები ფორმდება „საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმების აქტით" დანართი №XXV–02 შესაბამისად.

დეკლარანტის განცხადების საფუძველზე გათვალისწინებული კამერალური შემოწმებისას, როცა დარღვევა, რომელიც იწვევს საქონლის საბაჟო ღირებულების ან/და იმპორტის გადასახდელების თანხის ცვლილებას, არ გამოვლენილა, შემოწმების შედეგები დასტურდება შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით დადგენილი წესით.

თუ საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმების სპეციფიკა მოითხოვს შემოწმების რამდენიმე ეტაპად ჩატარებას, ყოველი ეტაპის შემდეგ დგება შუალედური აქტი. შუალედური აქტის გამოცემა აგრეთვე შესაძლებელია ფორსმაჟორული სიტუაციით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შემოწმების შეჩერებისას.

საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმების შედეგები მტკიცდება საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის ბრძანებით, სადაც საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმების აქტის საფუძველზე აისახება გადასახადების დარიცხვის/არდარიცხვის ან/და სანქციის შეფარდების შესახებ გადაწყვეტილება.

როდესაც შემოწმება ხორციელდება დეკლარანტის წერილობითი განცხადების შესაბამისად, საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმების აქტის საფუძველზე, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი იღებს გადაწყვეტილებას – საბაჟო დეკლარაციაში ცვლილების შეტანის შესახებ.

ლურჯი დერეფნით დასრულებული საბაჟო დეკლარაციით საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმების დასრულება დასტურდება შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი წესით.

საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმების შედეგებზე გამოცემული საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის ბრძანების ასლი წარედგინება დეკლარანტს და ეგზავნება შესაბამისი საგადასახადო მოთხოვნა.

საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმებისას:

ა) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი ადგენს ოქმს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ;

ბ) დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში, სათანადო მასალები დაუყოვნებლივ ეგზავნება ჭესაბამის საგამოძიებო ორგანოს ქვემდებარეობის მიხედვით;

გ) საგადასახადო სამართალდარღვევის გამოვლენისას საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი შედეგებს აფიქსირებს შემოწმების აქტში.

შემოსავლების სამსახური

დანართი №XXV – 01

საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმების აქტი

(დეკლარანტის განცხადების საფუძველზე)
——— – ——————— 20 – — ნელი

1. შემოწმების სახე – ————————————
(კამერალური/გასვლითი)

2. შემოწმების საფუძველი – ————————————————————
(დეკლარანტის განცხადების/საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის ბრძანების ნომერი და თარიღი)

3. საბაჟო დეკლარაციის №, თარიღი – ————————————————

4. საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირ(ებ)ი:
_____
_____
(სახელი, გვარი, თანამდებობა)

5. დეკლარანტი
_____
_____
(დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი, იურიდიული მისამართი)

6. შემოწმების შედეგები
_____
_____
_____
_____
_____

7. ხელმოწერები:
საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი – ————————————
დეკლარანტი – ————————————
8. შენიშვნა:



დანართი №XXV–02

_____
(დეკლარანტის დასახელება)

საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმების აქტი

№
შედგენის თარიღი:

მონაცემები შემოწმების შესახებ

შემოწმების ჩატარების საფუძველი	
შემოწმების სახე	
შემოწმების ტიპი	
შემოწმების დაწყების თარიღი	
შესამოწმებელი პერიოდი	

საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირი
სახელი, გვარი – – – – – – – – – – –
სახელი, გვარი – – – – – – – – – – –

დეკლარანტი ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი
სახელი, გვარი – – – – – – – – – – – – – –
სახელი, გვარი – – – – – – – – – – – – – –

ინფორმაცია დეკლარანტის შესახებ

საიდენტიფიკაციო ნომერი ან პირადი ნომერი	
დეკლარანტის დასახელება	
იურიდიული მისამართი	
ფაქტობრივი მისამართი	
საკონტაქტო ტელეფონი / ელფოსტა	
საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების თარიღი	
დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის თარიღი	
ხელმძღვანელი	
დამფუძნებელი	
საქმიანობის სახე	
დეკლარანტის კანონიერი ან უფლებამოსილი წარმომადგენელი	

საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირი
სახელი, გვარი – – – – – – – – – – –
სახელი, გვარი – – – – – – – – – – –

დეკლარანტი ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი
სახელი, გვარი – – – – – – – – – – – – – –
სახელი, გვარი – – – – – – – – – – – – – –

საქონლის საბაჟო ღირებულებისა და იმპორტის გადასახდელების დარიცხვის სისწორის შემოწმება

საბაჟო დეკლარაცია	თარიღი	დეკლარაციით					შემოწმებით					სხვაობა					ჯარიმა
		საბაჟო ღირებულება	იმპორტის გადასახადი	აქციზი	დღგ	სხვა	საბაჟო ღირებულება	იმპორტის გადასახადი	აქციზი	დღგ	სხვა	საბაჟო ღირებულება	იმპორტის გადასახადი	აქციზი	დღგ	სხვა	

ფაქტობრივი გარემოებები: --

შენიშვნა: --

საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირი
სახელი, გვარი -------------
სახელი, გვარი -------------

დეკლარანტი ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი
სახელი, გვარი -------------
სახელი, გვარი -------------

საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმების შედეგები
√ დარიცხული იმპორტის გადასახდელები

გადასახადი სახე	ძირითადი დარიცხული თანხა √
იმპორტის გადასახადი	√
აქციზი	√
დღგ	√
სხვა	√
სულ ძირითადი გადასახდელები	√

√ დარიცხული ჯარიმა

სანქციის სახე	გადასახდელი თანხა.
---------ე მუხლის მე-------- ნაწილი	
---------ე მუხლის მე-------- ნაწილი	
---------ე მუხლის მე-------- ნაწილი	
სულ გადასახდელი ჯარიმა	

საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირი
სახელი, გვარი – – – – – – – – – – – –
სახელი, გვარი – – – – – – – – – – – –

დეკლარანტი ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი
სახელი, გვარი – – – – – – – – – – – – – –
სახელი, გვარი – – – – – – – – – – – – – –

დასკვნები და რეკომდენდაციები
საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული საურავის დარიცხვა მოხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირი
სახელი, გვარი – – – – – – – – – – – –
სახელი, გვარი – – – – – – – – – – – –

დეკლარანტი ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი
სახელი, გვარი – – – – – – – – – – – – – –
სახელი, გვარი – – – – – – – – – – – – – –

18.3.6 საგადასახადო შემოწმების აქტი

საგადასახადო შემოწმების აქტი არის, ასე ვთქვათ, საგადასახადო აუდიტის კვინტესენცია. იგი არის საგადასახადო ვალდებულებების ან სანქციების დარიცხვის საფუძველი. თავის შინაარსით ის ადმინისტრაციული აქტია. ამასთან, საგადასახადო შემოწმების აქტის საფუძველზე საგადასახადო ორგანო გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და „საგადასახადო მოთხოვნას“, რომელიც ეგზავნება გადასახადის გადამხდელს.

საგადასახადო შემოწმების აქტის პროექტის შედგენის პროცედურებსა და მისი გასაჩივრების წესზე ცალკე თავში გვექნება საუბარი. აქ აღვნიშნავთ, მხოლოდ საგადასახადო შემოწმების აქტის რეკვიზიტების შესახებ. კერძოდ, საგადასახადო შემოწმების აქტი აუცილებლად მოიცავს შემდეგ რეკვიზიტებს:

– ყველა იმ ფაქტობრივ გარემოებას, მტკიცებულებას და არგუმენტს, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრისას;
– ექსპერტიზის დასკვნის შინაარსს, თუ შემოწმება ეყრდნობა ექსპერტიზის დასკვნას;
– საგადასახადო ვალდებულებების განმსაზღვრელ საგადასახადო კანონმდებლობის ნორმებს;
– გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულებების წარმოშობის ზუსტ თარიღებს (თუ მათი დადგენა შესაძლებელია);
– გადასახადისა და ჯარიმის გაანგარიშება;
– ჯამურად გადასახდელი ან მისაღები თანხა;
– იმ დოკუმენტების რეკვიზიტები(საჭიროების შემთხვევაში – ასლები), რომლებითაც დასტურდება მოთხოვნებისა და ვალდებულებების წარმოშობა;
– საგადასახადო შემოწმების აქტის დანართების შინაარსი.

საგადასახადო შემოწმების აქტის საფუძველზე საგადასახადო ორგანო გამოსცემს ბრძანებას გადასახადების ან/და სანქციების (ჯარიმა, გაფრთხილება, საურავი) დარიცხვის ან დაურიცხველობის შესახებ. მოცემული ბრძანების ასლი წარედგინება საგადასახადო ორგანოს საგადასახადო მოთხოვნასთან ერთად.

საგადასახადო შემოწმების დროს საგადასახადო სამართალდარღვევების ფაქტების დროს ცალკე ოქმი არ დგება. მისი დაფიქსირება ხდება საგადასახადო შემოწმების აქტში. რაც შეეხება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს, რომელიც რეგულირდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად, მასზე დგება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი.

იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო შემოწმების შედეგად აღმოჩნდა დანაშაულის ნიშნები (ანუ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული, რომელიც დაკავშირებულია საგადასახადო ვალდებულებებთან), მაშინ სათანადო საქმის მასალები გადაეგზავნება დაუყონებლივ ეგზავნება შესაბამის საგამოძიებო ორგანოს ქვემდებარეობის მიხედვით.

იმ შემთხვევაში, როდესაც საგადასახადო შემოწმების სპეციფიკა მოითხოვს შემოწმების რამდენიმე ეტაპად ჩატარებას, ყოველი ეტაპის შემდეგ დგება შუალედური აქტი, რაც იმას ნიშნავს, რომ კონკრეტული პირის საგადასახადო შემოწმება შესაბამის საკითხებთან დაკავშირებით ჯერ არ დამთავრებულა.

18. 4. ალტერნატიული საგადასახადო აუდიტი

18.4.1 ალტერნატიული აუდიტის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭება

აუდიტორის უფლებამოსილება და შესაბამისი კატეგორია პირს შეიძლება მიენიჭოს შემოსავლების სამსახურში წარდგენილი განცხადების საფუძველზე.

პირისათვის აუდიტორის უფლებამოსილებისა და შესაბამისი კატეგორიის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შემოსავლების სამსახურის უფროსი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. პირს აუდიტორის უფლებამოსილება ენიჭება უვადოდ და მიეკუთვნება I ან II კატეგორია.

I კატეგორია ენიჭება იურიდიულ პირს, რომელიც აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს.

II კატეგორია ენიჭება ფიზიკურ პირს, რომელიც აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს.

აუდიტორს, რომელსაც მინიჭებული აქვს I კატეგორია, ალტერნატიული აუდიტის ჩატარებისათვის გადასახადის გადამხდელის ბრუნვის ოდენობის მიხედვით შეზღუდვა არ უწესდება.

აუდიტორს, რომელსაც მინიჭებული აქვს II კატეგორია, უფლება აქვს ალტერნატიული აუდიტი ჩაუტაროს იმ გადასახადის გადამხდელს, რომლის დეკლარირებული წლიური ბრუნვა ან ერთობლივი შემოსავალი ან/და ხარჯი შესამოწმებელი პერიოდის ცალკეული საგადასახადო წლის მიხედვით არ აღემატება 500 000 ლარს.

აუდიტორის უფლებამოსილება და II კატეგორია ენიჭება იმ ფიზიკურ პირს, რომელმაც მიიღო დადებითი შეფასება შემოსავლების სამსახურის მიერ ორგანიზებულ აუდიტორთა შესარჩევ ტესტირებაზე და წარმატებით გაიარა შემოსავლების სამსახურის მიერ ორგანიზებული გასაუბრება.

აუდიტორთა ტესტირება ტარდება შემოსავლების სამსახურის უფროსის გადაწყვეტილებით, წელიწადში არანაკლებ ერთხელ, იმ ფიზიკური პირებისათვის, რომელთაც სურთ აუდიტორის უფლებამოსილების მინიჭება.

აუდიტორთა ტესტირებაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ფიზიკურ პირს, რომელიც აკმაყოფილებს შემოსავლების სამსახურის უფროსის მიერ დადგენილ მოთხოვნებს. ტესტირების ჩატარების წესი, პირობები და ვადები განისაზღვრება შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და ქვეყნდება შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. პირს, რომელმაც ტესტირებაზე მიიღო დადებითი შეფასება, გადაეცემა გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი და ეძლევა უფლება, აუდიტორის უფლებამოსილების მინიჭების მიზნით, გაიაროს შემოსავლების სამსახურის მიერ ორგანიზებული გასაუბრება.

გასაუბრებას უზრუნველყოფს შემოსავლების სამსახურის უფროსის მიერ შექმნილი აუდიტორის უფლებამოსილების და შესაბამისი კატეგორიის მინიჭების საკითხის განმხილველი კომისია, რომელიც პირებისათვის აუდიტორის უფლებამოსილების მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ შესაბამის წინადადებებს წარუდგენს შემოსავლების სამსახურის უფროსს.

ფიზიკური პირისათვის აუდიტორის უფლებამოსილებისა და კატეგორიის მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას შესაძლებელია გათვალისწინებული იქნეს:

ა) პირის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, კვალიფიკაციის დონე და ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში მუშაობის გამოცდილება;

ბ) საგადასახადო ორგანოს რეკომენდაცია, რომელიც გამომდინარეობს იმ გადასახადის გადამხდელებთან ჩატარებული საგადასახადო შემოწმების შედეგებიდან, რომლებსაც პირი უწევდა აუდი-

ტორულ/საკონსულტაციო მომსახურებას.

აუდიტორის უფლებამოსილება და I კატეგორია შესაძლებელია მიენიჭოს იურიდიულ პირს, თუ მას დასაქმებული ჰყავს II კატეგორიის მქონე მინიმუმ 2 აუდიტორი. ამასთან, აღნიშნული აუდიტორები შრომითი/მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე სამართლებრივ ურთიერთობაში არ უნდა იმყოფებოდნენ ალტერნატიული აუდიტის განხორციელების უფლებამოსილების მქონე სხვა იურიდიულ პირთან.

იურიდიული პირისათვის აუდიტორის უფლებამოსილებისა და კატეგორიის მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას შესაძლებელია გათვალისწინებული იქნეს:

ა) ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში საქმიანობის გამოცდილება;

ბ) საგადასახადო ორგანოს რეკომენდაცია, რომელიც გამომდინარეობს იმ გადასახადის გადამხდელებთან ჩატარებული საგადასახადო შემოწმების შედეგებიდან, რომლებსაც პირი უწევდა აუდიტორულ/საკონსულტაციო მომსახურებას.

კომისიის მიერ იურიდიული პირისათვის I კატეგორიის მინიჭების საკითხი შესაძლებელია განხილულ იქნეს გასაუბრების გარეშე.

კომისიის მიერ აუდიტორის უფლებამოსილების და შესაბამისი კატეგორიის მინიჭების თაობაზე განცხადებები განიხილება არაუგვიანეს კალენდარული წლის 1 თებერვლისა. აუდიტორის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე განცხადებები ყოველწლიურად განიხილება მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში.

კომისიის საქმიანობისა და კატეგორიის მინიჭების თაობაზე პირთა მიერ წარმოდგენილი პრეტენზიების განხილვის წესი განისაზღვრება შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

18.4.2 ალტერნატიული აუდიტის განხორციელების უფლებამოსილების შეწყვეტა. აუდიტორისათვის გაფრთხილების მიცემა

აუდიტორის უფლებამოსილება პირს შეიძლება შეუწყდეს მისი განცხადებით ან შემოსავლების სამსახურის ინიციატივით.

შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია პირს შეუწყვიტოს აუდიტორის უფლებამოსილება:

ა) დადგენილი მოთხოვნების აუდიტორის მიერ შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში;

ბ) შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილებით.

დადგენილი მოთხოვნების აუდიტორის მიერ არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია პირს აუდიტორის უფლებამოსილების შეწყვეტის ნაცვლად მისცეს წერილობითი გაფრთხილება და მიუთითოს დარღვევების თაობაზე.

პირისათვის აუდიტორის უფლებამოსილების შეწყვეტის ან გაფრთხილების მიცემის საკითხს იხილავს კომისია და გადაწყვეტილებას იღებს შემოსავლების სამსახურის უფროსი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომლის ერთი ეგზემპლარი გადაეცემა ამ პირს.

აუდიტორის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში, პირი არ თავისუფლდება დაწყებული ალტერნატიული აუდიტის დასრულებისა და დასრულებულ ალტერნატიულ აუდიტთან დაკავშირებული ვალდებულებებისაგან, თუ შემოსავლების სამსახურის მიერ სხვა გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

თუ პირისათვის აუდიტორის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველია დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება, აუდიტორის მიერ ჩატარებული იმ ალტერნატიული აუდიტის შესაბამისი საგადასახადო პერიოდები ან/და გადასახადები, რომელთან დაკავშირებითაც გამოვლენილია აუდიტორის მხრიდან დადგენილ მოთხოვნათა დარღვევა, შეიძლება ხელმეორედ იქნეს შემოწმებული საგადასახადო ორგანოს მიერ.

პირისათვის აუდიტორის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში, მას უფლება აქვს 1 წლის შემდეგ კვლავ მიმართოს შემოსავლების სამსახურს აუდიტორის უფლებამოსილებისა და შესაბამისი კატეგორიის მინიჭების მოთხოვნით.

18.4.3 ალტერნატიული აუდიტის ჩატარების პირობები

გადასახადის გადამხდელს ალტერნატიული აუდიტი შეიძლება ჩაუტარდეს:

ა) საგადასახადო ორგანოს ინიციატივით – გადასახადის გადამხდელის თანხმობის შემთხვევაში;

ბ) გადასახადის გადამხდელის ინიციატივით – საგადასახადო ორგანოს თანხმობის შემთხვევაში.

გადასახადის გადამხდელთან ალტერნატიული აუდიტის ჩატარების მიზანშეწონილობის საკითხს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში წყვეტს საგადასახადო ორგანო. ამასთან, ალტერნატიული აუდიტი არ უტარდება ალტერნატიული აუდიტის განმახორციელებელ პირს.

აუდიტორს ეკრძალება ალტერნატიული აუდიტის ჩატარება:

ა) იმ შემთხვევაში, თუ აუდიტორი და გადასახადის გადამხდელი ურთიერთდამოკიდებული პირები არიან საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლის შესაბამისად;

ბ) საგადასახადო ორგანოს წერილობითი თანხმობის გარეშე, თუ აუდიტორს გადასახადის გადამხდელისთვის გაწეული აქვს აუდიტორული ან/და საკონსულტაციო მომსახურება საგადასახადო საკითხებზე ბოლო 3 წლის განმავლობაში (აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება II კატეგორიის აუდიტორზე).

შემოსავლების სამსახურის უფროსის თანხმობის გარეშე აკრძალულია ალტერნატიული აუდიტის ჩატარება იმ გადასახადის გადამხდელთან, რომლის წინა 2 საგადასახადო შემოწმება განხორციელებულია ალტერნატიული აუდიტის წესით. აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება იმ გადასახადის გადამხდელზე, რომლის დეკლარირებული წლიური ბრუნვა ან ერთობლივი შემოსავალი ან/და ხარჯი შესამოწმებელი პერიოდის ცალკეული საგადასახადო წლის მიხედვით არ აღემატება 500 000 ლარს.

18.4.4 საგადასახადო ორგანოს მიერ ალტერნატიული აუდიტის ჩატარების ინიცირება

თუ საგადასახადო ორგანო მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ გადასახადის გადამხდელს საგადასახადო შემოწმება ჩაუტარდეს ალტერნატიული აუდიტის წესით, საგადასახადო შემოწმების ჩატარების შესახებ საგადასახადო ორგანოს შეტყობინებაში მიეთითება:

ა) შესამოწმებელი პერიოდი;

ბ) საგადასახადო შემოწმების დაწყების სავარაუდო თარიღი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 264-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ ვადას;

გ) აუდიტორის კატეგორია.

2. შეტყობინებით გადასახადის გადამხდელს განემარტება:

ა) უფლება, ისარგებლოს ალტერნატიული აუდიტის ჩატარების შესაძლებლობით;

ბ) ვალდებულება, ალტერნატიული აუდიტის ჩატარებაზე თანხმობის შემთხვევაში, შეარჩიოს შესაბამისი კატეგორიის მქონე აუდიტორი და გააფორმოს მასთან ხელშეკრულება. ამასთან, გადასახადის გადამხდელი არ არის უფლებამოსილი, რომ ხელშეკრულება გააფორმოს აუდიტორთან, რომელსაც დარღვეული აქვს აუდიტის ჩატარების დადგენილი ვადები;

გ) გაფრთხილება, რომ ხარისხის კონტროლის გავლის შემდეგ, აქტის ხარისხიდან გამომდინარე, შესაძლებელია დარიცხვამ განიცადოს კორექტირება ან შემოწმება განხორციელდეს საგადასახადო ორგანოს მიერ.

ალტერნატიული აუდიტის ჩატარებაზე გადასახადის გადამხდელის თანხმობის შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია შეარჩიოს შესაბამისი კატეგორიის მქონე აუდიტორი და გააფორმოს მასთან ხელშეკრულება შეტყობინების მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში და აღნიშნულ ვადაში წარუდგინოს იგი საგადასახადო ორგანოს.

გადასახადის გადამხდელის მიერ ხელშეკრულების დადგენილ ვადაში წარუდგენლობის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია თვითონ ჩაატაროს საგადასახადო შემოწმება საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი საერთო წესით.

18.4.5 გადასახადის გადამხდელის მიერ ალტერნატიული აუდიტის ჩატარების ინიცირება

გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, საგადასახადო ორგანოს მიმართოს მისთვის ალტერნატიული აუდიტის ჩატარების ინიციატივით. მათ შორის იმ შემთხვევაში, თუ გადასახადის გადამხდელთან ტარდება ფინანსური აუდიტი შესაბამისი კატეგორიის მქონე აუდიტორის მიერ.

საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება გადასახადის გადამხდელს ეცნობება განცხადების წარდგენიდან 15 კალენდარული დღის ვადაში.

საგადასახადო ორგანოს თანხმობის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს შეტყობინებაში მიეთითება:

ა) შესამოწმებელი პერიოდი;

ბ) ალტერნატიული აუდიტის დაწყების სავარაუდო თარიღი;

გ) აუდიტორის კატეგორია;

დ) გადასახადის გადამხდელის ვალდებულება, შეარჩიოს შესაბამისი კატეგორიის მქონე აუდიტორი, გააფორმოს მასთან ხელშეკრულება და ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს საგადასახადო ორგანოს შეტყობინების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. ამასთან, გადასახადის გადამხდელი არ არის უფლებამოსილი, რომ ხელშეკრულება გააფორმოს აუდიტორთან, რომელსაც დარღვეული აქვს აუდიტის ჩატარების დადგენილი ვადები;

ე) გაფრთხილება, რომ ხარისხის კონტროლის გავლის შემდეგ, აქტის ხარისხიდან გამომდინარე, შესაძლებელია დარიცხვამ განიცადოს კორექტირება ან შემოწმება განხორციელდეს საგადასახადო ორგანოს მიერ.

18.4.6 ხელშეკრულება ალტერნატიული აუდიტის ჩატარების შესახებ

გადასახადის გადამხდელსა და აუდიტორს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი საკითხები:

ა) ალტერნატიული აუდიტის დაწყების თარიღი, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გადასახადის გადამხდელსა და აუდიტორს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თარიღს;

ბ) ალტერნატიული აუდიტის ჩატარების ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 264-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ ვადას;

გ) საგადასახადო ორგანოს შეტყობინებაში მითითებული შესამოწმებელი პერიოდი;

დ) აუდიტორის ვალდებულება ალტერნატიული აუდიტი ჩაატაროს ამ თავით დადგენილი პირობების დაცვით.

ალტერნატიული აუდიტის ჩატარებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის მიუხედავად, საქმის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, საგადასახადო ორგანოს მიერ შესაძლებელია აუდიტორს განესაზღვროს უფრო მცირე ვადა ალტერნატიული აუდიტის ჩასატარებლად, მაგრამ არანაკლებ 1 თვისა. აღნიშნული ვადის დარღვევის შემთხვევაში, აუდიტორს აეკრძალება ახალი ხელშეკრულების გაფორმება კონკრეტული ალტერნატიული აუდიტის დასრულებამდე.

ინფორმაცია იმ აუდიტორების შესახებ, რომელთაც კონკრეტული პერიოდისათვის დარღვეული აქვთ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ალტერნატიული აუდიტის შესაბამისი ვადები განთავსდება შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებ – გვერდზე. შესაბამისად ასეთ აუდიტორთან გაფორმებული ხელშეკრულებები არ მიიღება საგადასახადო ორგანოს მიერ.

საგადასახადო კოდექსით 264-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში, აუდიტორს შესაძლებელია შეუწყდეს უფლებამოსილება ან მიეცეს გაფრთხილება.

აუდიტორსა და გადასახადის გადამხდელს შორის დადებული ხელშეკრულების სავალდებულო პირობებთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება უნდა განხორციელდეს საგადასახადო ორგანოს უფროსთან/მის მოადგილესთან შეთანხმებით.

გადასახადის გადამხდელსა და აუდიტორს შორის გაფორმებული ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს ალტერნატიული აუდიტის ჩატარების შესაძლებლობას ქვეკონტრაქტორის მეშვეობით. ამ შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელს და საგადასახადო ორგანოს შემოწმების აქტს წარუდგენს ის აუდიტორი, რომელმაც გააფორმა ხელშეკრულება გადასახადის გადამხდელთან.

აუდიტორის მომსახურება ანაზღაურდება გადასახადის გადამხდელის ხარჯზე, გადასახადის გადამხდელსა და აუდიტორს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

18.4.7 ალტერნატიული აუდიტის ჩატარება

ალტერნატიული აუდიტის ჩატარებისას აუდიტორი ხელმძღვანელობს საქართველოს საგადასახადო კოდექსით და საქართველოს კანონმდებლობის სხვა აქტებით, აგრეთვე გადასახადების ადმინისტრირებასთან დაკავშირებული შემოსავლების სამსახურის უფროსის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით. ამასთან, შემოსავლების სამსახურის მიერ საგადასახადო აუდიტის ერთიანი მეთოდოლოგიის დამტკიცებამდე აუდიტორული კომპანიები ალტერნატიული აუდიტის ჩატარებისას ხელმძღვანელობენ შესაბამის სფეროში აღიარებული სტანდარტებით.

გადასახადის გადამხდელთან გაფორმებული ხელშეკრულების საგადასახადო ორგანოში წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში აუდიტორს მონაცემთა ბაზაში დაფიქსირებულ ელექტრონულ ფოსტაზე ეგზავნება საგადასახადო ორგანოში გადასახადის გადამხდელის შესახებ არსებული ყველა

ის ინფორმაცია, რაც აუცილებელია ალტერნატიული აუდიტის ჩასატარებლად.

ალტერნატიული აუდიტის ჩატარებისას:

ა) აუდიტორი უფლებამოსილია:

ა.ა) გადასახადის გადამხდელისაგან მოითხოვოს სააღრიცხვო დოკუმენტაციის ან/და დაბეგვრასთან დაკავშირებული ინფორმაციის წარდგენა, აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში კი შეადგინოს საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი;

ა.ბ) საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვოს ექსპერტიზის ჩატარება გადასახადის გადამხდელის სახსრებით;

ა.გ) საგადასახადო ორგანოს მოსთხოვოს ინვენტარიზაციის ჩატარება, თუ გადასახადის გადამხდელი უარს განაცხადებს ინვენტარიზაციის ჩატარებაზე. ამ შემთხვევაში, ინვენტარიზაციით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დანაკლისის/ზედმეტობის გამოვლენა ინვევს პირის დაჯარიმებას დადგენილი წესით;

ა.დ) გამოვლენილ პრობლემატურ საკითხებზე საგადასახადო ორგანოსგან მიიღოს კონსულტაციები, მოითხოვოს მეთოდური მითითება, ხოლო მისი არ არსებობის შემთხვევაში – შესაბამისი მეთოდური მითითების დამტკიცების უზრუნველყოფა;

ბ) აუდიტორი ვალდებულია:

ბ.ა) დაიცვას გადასახადის გადამხდელის შესახებ მის ხელთ არსებული ინფორმაციის საიდუმლოება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ბ.ბ) გაითვალისწინოს შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია, მათ შორის, ინფორმაცია ეკონომიკური საქმიანობის ყალბი საგადასახადო დოკუმენტებით განმახორციელებელ პირთა შესახებ;

ბ.გ) მოითხოვოს საგადასახადო ორგანოს შეტყობინებაში შესამოწმებელი პერიოდის/საკითხის დაზუსტება იმ შემთხვევაში, თუ მასში მითითებული შესამოწმებელი პერიოდი/საკითხი შემოწმებულია უფლებამოსილი ორგანოს/პირის მიერ;

ბ.დ) უზრუნველყოს გადასახადის გადამხდელთან მიმართებაში საგადასახადო ორგანოს ინფორმირება ნებისმიერი ფაქტობრივი გარემოების თაობაზე, რომელიც აუდიტორის შეხედულებით, მიმართული იყო გადასახადისგან (გადასახადებისგან) თავის არიდებისკენ. ასევე, შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას, მიმართოს საგადასახადო ორგანოს შემხვედრი შემოწმების ჩატარების თაობაზე;

ბ.ე) საგადასახადო ორგანოს მიანოდოს ინფორმაცია მასთან დასაქმებული ყველა იმ პირის შესახებ, რომელიც უფლებამოსილია უშუალოდ ჩაატაროს შემოწმება და შეადგინოს შემოწმების აქტი, აგრეთვე – ინფორმაცია მათთან შრომითი ურთიერთობის წარმოშობის და შეწყვეტის შესახებ. ასევე, ინფორმაცია კონკრეტული ხელშეკრულების ფარგლებში ჩასატარებელი ალტერნატიული აუდიტის განმახორციელებელ პირებზე;

გ) გადასახადის გადამხდელს აქვს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი ყველა ის უფლება და ეკისრება ყველა ის მოვალეობა, რაც საგადასახადო ორგანოს მიერ საგადასახადო შემოწმების ჩატარებისას.

თუ აუდიტორი ვერ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს (კონკრეტული საკითხის ან/და პერიოდის შემოწმებას), იგი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ გონივრულ ვადაში აცნობოს საგადასახადო ორგანოს. ამ შემთხვევაში, საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია:

ა) თვითონ შეამოწმოს აუდიტორის მიერ შეუმოწმებელი საკითხები/პერიოდები საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი საერთო წესით;

ბ) გადასახადის გადამხდელს მისცეს შესაძლებლობა შეარჩიოს ახალი აუდიტორი და გააფორმოს მასთან ხელშეკრულება დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

აუდიტორის მიერ ალტერნატიული აუდიტის ჩატარების/გაგრძელების შეუძლებლობის შემთხვევაში, შეუმოწმებელი საკითხის ან/და პერიოდის შემოწმების ვადა თავიდან აითვლება. ამასთან, შემოწმებულ საკითხზე ან/და პერიოდზე აუდიტორი ადგენს შემოწმების აქტს.

18.4.8 ალტერნატიული შემოწმების აქტის შედგენა

ალტერნატიული აუდიტის დასრულების შემდეგ, ალტერნატიული აუდიტის შედეგებზე დგება შემოწმების აქტი. შემოწმების აქტს ხელს აწერს აუდიტორი და უშუალოდ შემმოწმებელი პირი (პირები).

შემოწმების აქტი დგება 3 ეგზემპლარად ამათგან, აუდიტორი აქტის შედგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში აქტის ერთ პირს გადასცემს გადასახადის გადამხდელს, მეორე პირს წარუდგენს საგადასახადო ორგანოს, მესამე პირი რჩება აუდიტორს. გადასახადის გადამხდელისთვის აქტის ჩაბარება უნდა დასტურდებოდეს გადასახადის გადამხდელის ხელმოწერით. თუ გადასახადის გადამხდელი უარს განაცხადებს აქტის ჩაბარებაზე, აუდიტორის მიერ აქტზე კეთდება შესაბამისი აღნიშვნა. ასეთ შემთხვევაში აქტი ჩაბარებულად ითვლება.

თუ ალტერნატიული აუდიტის სპეციფიკა მოითხოვს შემოწმების რამდენიმე ეტაპად ჩატარებას, ყოველი ეტაპის შემდეგ დგება შუალედური აქტი.

შემოწმების აქტში უნდა აისახოს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 267-ე მუხლით გათვალისწინებულ ინფორმაცია, აგრეთვე შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სხვა საკითხები.

შემოწმების აქტს უნდა დაერთოს:

ა) იმ სააღრიცხვო დოკუმენტების და მასალების ასლები, რომლებიც საფუძვლად დაედო გამოვლენილ საგადასახადო სამართალდარღვევას;

ბ) ექსპერტის დასკვნა (ასეთის არსებობისას);

გ) შეტყობინება მედიაციის პროცესის დაწყების შესაძლებლობის შესახებ;

დ) შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები.

18.4.9 ალტერნატიული აუდიტის შედეგების აღიარება, მედიაცია და გასაჩივრება

ალტერნატიული აუდიტის მიერ გადასახადის გადამხდელისათვის შემოწმების აქტის (მათ შორის, შუალედური აქტის) წარდგენის შემთხვევაში:

ა) თუ გადასახადის გადამხდელი სრულად აღიარებს შემოწმების შედეგებს, მაშინ იგი შემოწმების აქტის წარდგენიდან 10 დღის ვადაში ვალდებულია განახორციელოს საგადასახადო ანგარიშგება შესაბამისი განაცხადის საგადასახადო ორგანოში წარდგენით. განაცხადის ფორმა ივსება აუდიტორის მიერ და წარმოადგენს გადასახადების დარიცხვის/შემცირების საფუძველს. განაცხადის ფორმას ხელს ანერენ აუდიტორი და გადასახადის გადამხდელი;

ბ) თუ გადასახადის გადამხდელი სრულად ან ნაწილობრივ არ აღიარებს შემოწმების შედეგებს და ითხოვს, მისი პრეტენზია განხილულ იქნეს მედიაციის პროცესზე, ასეთ შემთხვევაში შესაბამისი საგადასახადო ანგარიშგება, საგადასახადო ორგანოს წარედგინება შემოსავლების სამსახურის მედიაციის პროცესის დასრულებიდან 10 დღის ვადაში;

გ) პირს საქართველოს საგადასახადო კოდექსის XIII კარით გათვალისწინებული ჯარიმა არ დაეკისრება, თუ აუდიტორის დასკვნის შესაბამისად, განხორციელებულია შესაბამისი საგადასახადო ანგარიშგება.

გადასახადის გადამხდელის მიერ ზემოაღნიშნულის შესაბამისად წარდგენილი განაცხადის საფუძველზე, საგადასახადო ორგანო გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს შემოწმების აქტით (მათ შორის, შუალედური აქტით) განსაზღვრული გადასახად(ებ)ის დარიცხვის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ალტერნატიული საგადასახადო შემოწმების ფარგლებში ჩატარებული საგადასახადო შემოწმების შედეგებზე შედგენილი აქტი გადაცემულია შესაბამისი სამსახურისათვის ხარისხის კონტროლის განსახორციელებლად, საგადასახადო ორგანო, გადასახად(ებ)ის დარიცხვის შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს ხარისხის კონტროლის განხორციელების შემდგომ. დარიცხული გადასახად(ებ)ის შესახებ გადამხდელს ეგზავნება საგადასახდო მოთხოვნა.

თუ გადასახადის გადამხდელი სრულად ან ნაწილობრივ არ ეთანხმება შემოწმების აქტს (მათ შორის, შუალედურ აქტს) მას უფლება აქვს შემოწმების აქტის (მათ შორის, შუალედური აქტის) მიღებიდან 10 დღის ვადაში შემოსავლების სამსახურის უფროსის მიერ დადგენილი წესით დაიწყოს მედიაციის პროცესი.

აუდიტორი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს მედიაციის პროცესში და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, გადაიანგარიშოს მის მიერ დამატებით დარიცხული თანხა.

თუ გადასახადის გადამხდელი დადგენილ ვადაში არ განახორციელებს საგადასახადო ანგარიშგებას ან/და არ დაიწყებს მედიაციის პროცესს, აუდიტორი ვალდებულია საგადასახადო ორგანოს მოთხოვნიდან არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა წარმოადგინოს საგადასახადო ანგარიშგება დანართის შესაბამისი განაცხადით. საგადასახადო ორგანო წარმოდგენილი განაცხადის და შემოწმების აქტის

(მათ შორის, შუალედური აქტის) საფუძველზე გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გადასახადის და სანქციის დარიცხვის შესახებ, რის შესახებაც გადამხდელს ეგზავნება საგადასახადო მოთხოვნა. ამ შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია გაასაჩივროს შემოწმების აქტი (მათ შორის, შუალედური აქტი) და მის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება ამ დოკუმენტების საფუძველზე გამოცემულ „საგადასახადო მოთხოვნასთან".

საგადასახადო დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილების შემთხვევაში, აუდიტორი ვალდებულია გადაიანგარიშოს მის მიერ დამატებით დარიცხული თანხა, ხოლო ამ ორგანოს მოთხოვნისას – დაესწროს საგადასახადო დავის განხილვას.

აუდიტორის მიერ ხარისხის კონტროლის ანალიზის შედეგებთან დაკავშირებით შედგენილი ანგარიშის საფუძველზე, გადასახადის გადამხდელისათვის საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის შემთხვევაში გამოიყენება ამ მუხლის ნორმები და გადასახადის გადამხდელის პრეტენზია შემოსავლების სამსახურის მედიაციის საბჭოს საქმიანობის წესის შესაბამისად განიხილება მაშინაც, თუ თავდაპირველად შედგენილი ალტერნატიული საგადასახადო შემოწმების შედეგები გადამხდელის მიერ სრულად ან ნაწილობრივ იყო აღიარებული.

18.4.10 ალტერნატიული აუდიტის შეწყვეტა და შეჩერება

ალტერნატიული აუდიტის ჩატარება შესაძლებელია შეწყდეს:

ა) აუდიტორსა და გადასახადის გადამხდელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში;

ბ) ალტერნატიული აუდიტის მიმდინარეობისას გადასახადის გადამხდელის მიერ შესამოწმებელ პერიოდზე/საკითხზე საგადასახადო შეთანხმების გაფორმების შემთხვევაში.

გ) თუ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმის წარმოება გადასახადის გადამხდელის მიმართ.

ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელი და აუდიტორი ვალდებულნი არიან არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა აცნობონ საგადასახადო ორგანოს აღნიშნულის თაობაზე. ამასთან, მხარეები უფლებამოსილნი არიან, ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზები აცნობონ საგადასახადო ორგანოს.

„ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობის დადგომის შემთხვევაში საგადასახადო ორგანო იღებს ერთ-ერთ გადაწყვეტილებას:

ა) თვითონ ჩაატაროს საგადასახადო შემოწმება საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი საერთო წესის შესაბამისად;

ბ) ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზების გათვალისწინებით, გადასახადის გადამხდელს მისცეს შესაძლებლობა შეარჩიოს ახალი აუდიტორი და გააფორმოს მასთან ხელშეკრულება დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

ალტერნატიული აუდიტის ჩატარების შემთხვევაში (მათ შორის, ალტერნატიული აუდიტის მიმდინარეობისას), გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია ისარგებლოს საგადასახადო შეთანხმების გაფორმების უფლებით.

თუ გადასახადის გადამხდელს წარდგენილი აქვს განცხადება საგადასახადო შეთანხმების გაფორმების თაობაზე, საგადასახადო ორგანო ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს აუდიტორს აღნიშნულის შესახებ. საგადასახადო ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში, აუდიტორი ვალდებულია მას წარუდგინოს ინფორმაცია გადასახადის გადამხდელის შესაძლო საგადასახადო ვალდებულებების შესახებ.

ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლით ალტერნატიული აუდიტის შეწყვეტის შემთხვევაში, შეუმოწმებელი საკითხის ან/და პერიოდის შემოწმების ვადა თავიდან აითვლება. ამასთან, შემოწმებულ საკითხზე ან/და პერიოდზე აუდიტორი ადგენს შემოწმების აქტს.

აუდიტორი უფლებამოსილია საგადასახადო ორგანოს მიმართოს ალტერნატიული აუდიტის ჩატარების ვადის შეჩერების მოთხოვნით:

ა) ალტერნატიული აუდიტის მიმდინარეობისას გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო შეთანხმების გაფორმების თაობაზე განცხადების შემოსავლების სამსახურში წარდგენის შემთხვევაში;

ბ) თუ დაწყებული ალტერნატიული აუდიტის გაგრძელება ვერ ხერხდება დაუძლეველი ძალის ან სხვა გარემოების (მათ შორის, ექსპერტიზის დანიშვნის) გამო.

ზემოთ გათვალისწინებულ შემთხვევებში, საგადასახადო ორგანო ალტერნატიული აუდიტის ჩატარების ვადის შეჩერების საკითხზე გადაწყვეტილებას წერილობით ან ელექტრონული ფორმით აუდიტორს აცნობებს 5 სამუშაო დღის ვადაში.

ალტერნატიული აუდიტის ჩატარების ვადა ჩერდება საგადასახადო ორგანოს უფროსის/მოადგი-

ლის თანხმობით. ალტერნატიული აუდიტის ჩატარების ვადა შეიძლება შეჩერდეს:

ა) ზემოაღნიშნული „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – საგადასახადო შეთანხმების გაფორმების თაობაზე გადასახადის გადამხდელის განცხადების შემოსავლების სამსახურში წარდგენის დღიდან საგადასახადო შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებით უფლებამოსილი პირის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე;

ბ) ზემოაღნიშნული „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – ალტერნატიული აუდიტის ჩატარების ვადის შეჩერების მოთხოვნით აუდიტორის მიერ საგადასახადო ორგანოსთვის მიმართვიდან დაუძლეველი ძალის ან სხვა გარემოების აღმოფხვრამდე (ექსპერტიზის დანიშვნისას – გადასახადის გადამხდელის ან აუდიტორის მიერ ექსპერტის დასკვნის ჩაბარებამდე).

ალტერნატიული აუდიტის ჩატარების ვადა განახლდება ალტერნატიული აუდიტის ჩატარების ვადის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრისთანავე. ამასთანავე, აუდიტორი ვალდებულია წერილობით ან ელექტრონული ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს საგადასახადო ორგანოს ალტერნატიული აუდიტის ჩატარების ვადის განახლების თაობაზე.

18.4.11 საგადასახადო ორგანოს მიერ ალტერნატიული აუდიტის შედეგების გადამოწმება

საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 255-ე მუხლის მე-6 ნაწილის მოთხოვნათა გათვალისწინებით (ანუ, იმ შემთხვევაში თუ გადამხდელი შემოწმებულ პერიოდზე წარადგენს შესწორებულ დეკლარაციას), თვითონ განახორციელოს ალტერნატიული აუდიტის ფარგლებში შემოწმებული საკითხის (საკითხების) ან/და პერიოდის (პერიოდების) ხელახალი შემოწმება.

თუ ალტერნატიული აუდიტის ფარგლებში შემოწმებული პერიოდის საგადასახადო ორგანოს მიერ გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ:

ა) საგადასახადო ვალდებულების შემცირება გამოწვეული იყო შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით განსაზღვრული მოთხოვნების აუდიტორის მიერ დარღვევით, გადასახადის გადამხდელს ჯარიმის თანხა არ დაერიცხება;

ბ) საგადასახადო ვალდებულების შემცირება გამოწვეული იყო გადასახადის გადამხდელის მიერ აუდიტორისათვის სააღრიცხვო დოკუმენტების ან/და ინფორმაციის წარუდგენლობით ან არასრულად წარდგენით, ამასთან, აღნიშნული ფაქტი გამოვლენილია მესამე პირებისაგან მიღებული ინფორმაციით და სხვა პირობებით, რომელიც აუდიტორისათვის ალტერნატიული აუდიტის ჩატარებისას ვერ იქნებოდა ცნობილი, გადასახადის გადამხდელს დაერიცხება გადასახადის ძირითადი თანხა, ასევე სანქცია შეუსრულებელი საგადასახადო ვალდებულებისათვის.

18.4.12 ალტერნატიული აუდიტის მეთოდოლოგიური უზრუნველყოფა და კოორდინაცია

ალტერნატიული აუდიტის პროცესის კოორდინაციის მიზნით, შემოსავლების სამსახურის უფროსი უფლებამოსილია შემოსავლების სამსახურში შექმნას ექსპერტთა ჯგუფი და დაამტკიცოს მისი შემადგენლობა.

ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ შემოსავლების სამსახურის თანამშრომლები და მონვეული პირები.

ექსპერტთა ჯგუფში მონვეული პირის კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვთ აგრეთვე:

ა) საქართველოში მოქმედ აუდიტორულ ან/და საკონსულტაციო კომპანიებს;

ბ) საქართველოში მოქმედ ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიულ გაერთიანებებს.

საგადასახადო ორგანოს და ექსპერტთა ჯგუფის მოვალეობაა:

ა) საგადასახადო შემოწმების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს პროექტის მომზადება და შემოსავლების სამსახურის უფროსისათვის დასამტკიცებლად წარდგენა;

ბ) მეთოდური მითითებების პროექტების მომზადება/ექსპერტიზა და შემოსავლების სამსახურის უფროსისათვის დასამტკიცებლად წარდგენა;

გ) ალტერნატიული აუდიტის ჩატარებისას წარმოშობილ პრობლემატურ საკითხებზე აუდიტორისათვის კონსულტაციის გაწევა;

დ) ალტერნატიული აუდიტის პროცესის კოორდინაცია და შედეგების ანალიზი.

აუდიტორისა და შემოსავლების სამსახურის შეთანხმების საფუძველზე, გადასახადის გადამხდელთან ალტერნატიული აუდიტის ჩატარებაზე ზედამხედველობა შესაძლებელია განახორციელოს საგადასახადო ორგანომ.

18.5. პრევენციული საგადასახადო აუდიტი

18.5.1 ზოგადი დებულებები

პრევენციულ საგადასახადო აუდიტს ჩვენ ვუწოდებთ საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებულ მიმდინარე კონტროლის პროცედურებს. იგი მოიცავს ქრონომეტრაჟს, საკონტროლო შესყიდვას, საკონტროლო – სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვის კონტროლს, დათვალიერებას, საგადასახადო მონიტორინგს და ინვენტარიზაციას.

პირის საქმიანობის მიმდინარე კონტროლის პროცედურები ხორციელდება წინასწარი შეტყობინების გარეშე, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის ბრძანების საფუძველზე.

საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, მიმდინარე კონტროლის პროცედურების დაფიქსირების მიზნით გამოიყენოს ტექნიკური საშუალებები.

პირის საქმიანობის მიმდინარე კონტროლი ხორციელდება ამ პირის სამუშაო საათებში ან/და ფაქტობრივი მუშაობის დროს. იგი უფლებამოსილია დაესწროს მის მიმართ განხორციელებულ მიმდინარე კონტროლის პროცედურებს.

მიმდინარე კონტროლის პროცედურების შედეგების შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ მიმდინარე კონტროლის პროცედურების განმახორციელებელი საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი და გადასახადის გადამხდელი/მისი წარმომადგენელი, აგრეთვე ამ პროცედურებში მონაწილე სხვა პირი. პირის მიერ ოქმზე ხელის მოწერაზე უარის შემთხვევაში ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

მიმდინარე კონტროლის განხორციელების თაობაზე საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს:

– ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სახეს;

– ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი საგადასახადო ორგანოს დასახელებას;

– ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ორგანოს მიერ მინიჭებულ სარეგისტრაციო ნომერს;

– ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თარიღსა და ადგილს;

– ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სათაურს;

– იმ ნორმატიული აქტის დასახელებას, რის საფუძველზეც მოხდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა;

– პროცედურის განმახორციელებელი საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ პირთა თანამდებობას, სახელს და გვარს;

– გადასახადის გადამხდელის დასახელებას/სახელს და გვარს, საიდენტიფიკაციო/პირად ნომერს, იურიდიულ ან/და ფაქტობრივ მისამართს;

– პროცედურის ჩატარების პერიოდს (მისი დაწყებისა და დასრულების ვადებს);

– მითითებას, საჭიროების შემთხვევაში, პროცედურის ჩატარებისას გამოსაყენებელი გადასახადის გადამხდელის ან/და დღგ-ის გადამხდელის ფსევდომოწმობისა და ტექნიკურ საშუალებების თაობაზე;

– იმ ორგანოს დასახელებას, რომელშიც შეიძლება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება, მის მისამართს, საჩივრის წარდგენის ვადას და წესს;

– საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირის გვარს, სახელსა და ხელმოწერას;

– კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა რეკვიზიტებს.

კონკრეტულ სამოქმედო ტერიტორიაზე მოქმედ გადასახადის გადამხდელთა მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელის დასახელების/სახელის და გვარის, საიდენტიფიკაციო/პირადი ნომრის იურიდიული ან ფაქტობრივი მისამართის ნაცვლად, შესაძლებელია მიეთითოს იმ სამოქმედო ტერიტორიის დასახელება (კონკრეტული ქუჩების, უბნების ზუსტი მითითებით), სადაც უნდა განხორციელდეს შესაბამისი პროცედურა.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დასაშვებია გადასახადის გადამხდელის კუთვნილ ერთ ან რამოდენიმე ობიექტში.

პროცედურის განმახორციელებელ საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ პირთა რაოდენობა არ უნდა იყოს ორზე ნაკლები.

ცალკეული ობიექტის (ობიექტთა ჯგუფის) სპეციფიკის გათვალისწინებით, საგადასახადო ორგა-

ნოს მიერ შეიძლება შემუშავდეს კონტროლის განხორციელების ინდივიდუალური მეთოდები.

საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია გადასახადის გადამხდელს წარუდგინოს თავისი პირადობის დამადასტურებელი (სამსახურებრივი) მოწმობა და საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კონტროლის განხორციელების თაობაზე.

გადასახადის გადამხდელის მიერ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებაზე უარის გაცხადების შემთხვევაში, წარმდგენი პირი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტზე აკეთებს შესაბამის აღნიშვნას. ასეთ შემთხვევაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ჩაბარებულად ითვლება.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა და გადასახადის გადამხდელისთვის წარდგენა დადგენილი წესით შესაძლებელია განხორციელდეს ელექტრონული ფორმით.

მიმდინარე კონტროლის განხორციელებისას საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი მასალები პროცედურის დასრულებიდან არა უგვიანეს მე-2 სამუშაო დღისა წარედგინება საგადასახადო ორგანოს უფროსს/მოადგილეს და დადგენილი წესით ინახება საგადასახადო ორგანოში.

განხორციელებული კონტროლის პროცედურებით დაფიქსირებული ინფორმაცია, პროცედურების დასრულების შემდეგ შეიტანება კონტროლის პროცედურების კომპიუტერულ ბაზაში.

მიმდინარე კონტროლის პროცედურა შესაძლებელია ჩატარდეს, როგორც დამოუკიდებელი პროცედურა, ასევე საგადასახადო კონტროლის სხვა პროცედურებთან ერთად.

მიმდინარე კონტროლის ჩატარება მოიცავს სამ ეტაპს:

– მომზადება;

– ჩატარება;

– შედეგების გაფორმება და შეჯამება.

მიმდინარე კონტროლის პროცედურების მომზადება მოიცავს გადასახადის გადამხდელის ობიექტის შესახებ სათანადო მონაცემების შეგროვებას და მათ წინასწარ გაცნობას.

შეისწავლება მიმდინარე კონტროლის პროცედურებითა და გასულ პერიოდში გადასახადის გადამხდელის მიერ დაფიქსირებულ მონაცემთა შორის შესაძლო არსებითი სხვაობის გამომწვევი სუბიექტური თუ ობიექტური გარემოებები, კერძოდ:

– შესასწავლი ობიექტის გასული პერიოდის საშუალო დღიური ბრუნვების წინასწარი ანალიზი;

– მასალებით და ენერგორესურსებით არარიტმული უზრუნველყოფა;

– გასაღების ბაზრის სეზონური ხასიათი;

– სამუშაო რეჟიმის შეცვლა;

– საქონლის/მომსახურების ფასების ცვლილება;

– ეკონომიკური საქმიანობის პროფილის შეცვლა;

– გასულ პერიოდებში დაფიქსირებული თანამშრომელთა რაოდენობა;

– საგადასახადო ორგანოს მიერ გამოვლენილი სამართალდარღვევები;

– სხვა სათანადო ინფორმაცია.

შესაბამისი ანალიზის შემდეგ, გამოიცემა საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მიმდინარე კონტროლის პროცედურის განხორციელების თაობაზე.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შეიძლება გამოიცეს, როგორც ერთი კონკრეტული გადასახადის გადამხდელის, ასევე რამდენიმე გადასახადის გადამხდელის ან კონკრეტულ სამოქმედო ტერიტორიაზე მოქმედ გადასახადის გადამხდელთა მიმართ.

მიმდინარე კონტროლის პროცედურების შედეგების შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ მიმდინარე კონტროლის პროცედურების განმახორციელებელი საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი და გადასახადის გადამხდელი/მისი წარმომადგენელი, აგრეთვე პროცედურებში მონაწილე სხვა პირი, რომლებსაც უფლება აქვთ ოქმის შენიშვნის გრაფაში დააფიქსირონ გამოვლენილი განსაკუთრებული ფაქტები და გარემოებები.

პირის მიერ ოქმზე ხელის მოწერაზე უარის შემთხვევაში, ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

ოქმი დგება ორ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი წარედგინება გადასახადის გადამხდელს/მის წარმომადგენელს, ხოლო მეორე – რჩება საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ პირს.

გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს წარუდგინოს საგადასახადო ორგანოს მტკიცებულებები, ხოლო საგადასახადო ორგანოს საკმარისი საფუძვლის არსებობისას უფლება აქვს გაითვალისწინოს წარმოდგენილი მტკიცებულებები.

მიმდინარე კონტროლის პროცედურების განხორციელების დროს, სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი კომპეტენციის ფარგლებში ადგენს ოქმს შესაბამისი სამართალდარღვევის შესახებ.

საგადასახადო შემოწმებისას, მიმდინარე კონტროლის პროცედურების შედეგად გამოვლენილი საგადასახადო სამართალდარღვევა აისახება შემოწმების აქტში, ამ შემთხვევაში ცალკე საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი არ შედგება.

18.5.2 ქრონომეტრაჟი

ქრონომეტრაჟის მიზანია საგადასახადო ორგანოებმა დაადგინონ დროის გარკვეულ პერიოდში გადასახადის გადამხდელის მიერ:

- მიღებული ან/და მისაღები შემოსავლების ოდენობა;
- საქონლის/მომსახურების მიწოდების მოცულობა;
- დაქირავებულ ფიზიკურ პირთა რაოდენობა.

ქრონომეტრაჟი შეიძლება ჩატარდეს გადასახადის გადამხდელის ეკონომიკური საქმიანობის ნებისმიერ სახეობაზე/ობიექტზე.

საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია ქრონომეტრაჟის განხორციელებამდე გადასახადის გადამხდელს წარუდგინოს თავისი პირადობის დამადასტურებელი (სამსახურებრივი) მოწმობა და საგადასახადო ორგანოს უფროსის/მოადგილის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ქრონომეტრაჟის ჩატარების თაობაზე, რის შემდეგაც უფლება აქვს გადასახადის გადამხდელისგან ცნობის სახით მიიღოს ინფორმაცია ეკონომიკური საქმიანობისათვის განკუთვნილი ადგილების მდებარეობის, ფართის მფლობელის, აგრეთვე საკონტროლო – სალარო აპარატების, მრიცხველების ან სხვა ტექნიკური საშუალებების განთავსების ადგილების შესახებ, ასევე სხვა ინფორმაცია, რომელიც საჭიროა ქრონომეტრაჟის პროცედურის განხორციელებისათვის.

ქრონომეტრაჟის ჩატარების დღეებს შორის ინტერვალს განსაზღვრავს საგადასახადო ორგანო.

საჭიროების შემთხვევაში, ქრონომეტრაჟის მიმდინარეობის პერიოდში, ობიექტის სამუშაო დღის დასრულების შემდეგ, ობიექტის არასამუშაო დროს საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს დალუქოს ქრონომეტრაჟის ჩატარების ობიექტი ან/და ობიექტზე არსებული სათავსოები.


ქრონომეტრაჟის მიმდინარეობისას საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი ადგენს „ქრონომეტრაჟის შედეგების შესახებ" ყოველდღიურ ან/და შემაჯამებელ ოქმს (დანართი №1).

„ქრონომეტრაჟის შედეგების შესახებ" ოქმის შენიშვნაში დამატებით აღინიშნება ქრონომეტრაჟისას გამოვლენილი ფაქტები და გარემოებები, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს საქმესთან დაკავშირებით, ასევე ოქმზე თანდართული მტკიცებულებების ჩამონათვალი (საგადასახადო დოკუმენტები, საკონტროლო – სალარო აპარატის ჩეკები, ქვითარი, ანგარიში, სასაქონლო ზედნადები, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, მოწვეული სპეციალისტის დასკვნა, ქრონომეტრაჟის პროცედურის დაფიქსირების ტექნიკური საშუალებებით მოპოვებული ინფორმაცია (ასეთის არსებობისას) და სხვ.).

ქრონომეტრაჟის შედეგებში გაითვალისწინება, მხოლოდ სრული სამუშაო დღის (ცვლის, პერიოდის) მიხედვით დაფიქსირებული მონაცემები.

დანართი N1

შემოსაღების სამმაბური
ოქმი N
ქრონომეტრაჟის შედეგების შესახებ



18.5.3 საგადასახადო მონიტორინგი

საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი გადასახადის გადამხდელის ეკონომიკური საქმიანობის ადგილზე უფლებამოსილი პირის/პირების მიმაგრებით განახორციელოს საგადასახადო მონიტორინგი და მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენოს საგადასახადო შემოწმებისას პირის საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრის მიზნით.

საგადასახადო მონიტორინგის მიზანია გადასახადის გადამხდელის მიერ ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული ძირითადი სახის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის შეძენის, გახარჯვის, დანაკარგების, აგრეთვე მზა პროდუქციის (სახეობების მიხედვით) მინოდების დამოუკიდებელი რაოდენობრივი აღრიცხვა და ასეთი აღრიცხვის შესახებ მონაცემების მოპოვება ან/და დაბეგვრის ობიექტის ან მასთან დაკავშირებული ინფორმაციის დაფარვის/დამალვის შესაძლო რისკების გამოვლენა.

საგადასახადო მონიტორინგი შეიძლება განხორციელდეს 6 თვემდე ვადით. საგადასახადო მონიტორინგის 6 თვეზე მეტ ხანს გაგრძელება შესაძლებელია შემოსავლების სამსახურის უფროსთან შეთანხმებით.

საგადასახადო მონიტორინგი ხორციელდება გადასახადის გადამხდელის ეკონომიკური საქმიანობის კონკრეტულ ობიექტზე ან/და ობიექტის გარეთ (თუ საგადასახადო მონიტორინგს დაქვემდებარებული ოპერაცია არ ხორციელდება გადასახადის გადამხდელის ეკონომიკური საქმიანობის კონკრეტულ ობიექტზე).

საგადასახადო მონიტორინგის განხორციელებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს მონაცემთა აღრიცხვისა და ჩანაწერების განხორციელების ტექნიკური საშუალებები (მაგ., მრიცხველი მექანიზმები, ვიდეოდაკვირვების სისტემა და სხვა).

საგადასახადო მონიტორინგი შეიძლება განხორციელდეს გადასახადის გადამხდელის ეკონომიკური საქმიანობის ერთ ან მეტ ობიექტზე.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 49-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, შემოსავლების სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, საგადასახადო მონიტორინგი შეიძლება განახორციელოს სხვა პირმა. ამ შემთხვევაში სხვა პირში იგულისხმება კერძო საგადასახადო ინსპექტორი.

საგადასახადო მონიტორინგის განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით:

– საგადასახადო მონიტორინგს დაქვემდებარებული დაბეგვრის ობიექტის ან მასთან დაკავშირებული ინფორმაციის დაფარვის/დამალვის შესაძლო რისკების გამოვლენისა და სათანადო რეაგირებისათვის, გადასახადის გადამხდელის მიმართ შესაძლებელია ჩატარდეს დათვალიერების პროცედურა საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის ბრძანების საფუძველზე;

– გადასახადის გადამხდელის ეკონომიკური საქმიანობის შესახებ მონაცემების დამუშავებისა და ანალიზისთვის, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ ხორციელდება გადასახადის გადამხდელის შესახებ სათანადო ინფორმაციის (სამუშაო გრაფიკი, ფაქტობრივი საქმიანობის სახე, შესაძლო საგადასახადო რისკები და სხვა.) შეგროვება.

– გადასახადის გადამხდელთან საგადასახადო მონიტორინგის განხორციელების მიზანშეწონილობის საკითხს წყვეტს საგადასახადო მონიტორინგის განმახორციელებელი საგადასახადო ორგანოს უფროსი/მოადგილე.

სხვა პირის(კერძო საგადასახადო ინსპექტორის) მიერ საგადასახადო მონიტორინგის განხორციელების შემთხვევაში, საგადასახადო მონიტორინგის განხორციელების თაობაზე საგადასახადო ორგანოს უფროსის/მოადგილის ბრძანებაში მიეთითება ამ პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები.

საგადასახადო მონიტორინგის განხორციელების თაობაზე საგადასახადო ორგანოს უფროსის/მოადგილის ბრძანებაში ზემოაღნიშნულ გათვალისწინებულ მონეცემებთან ერთად, დამატებით აღინიშნება საგადასახადო მონიტორინგის განმახორციელებელი პირის სახელზე გაცემული საგადასახადო ორგანოს შტამპის ნომერი, თუ მათი გამოყენება აუცილებელია საგადასახადო მონიტორინგის განხორციელებისას.

საგადასახადო მონიტორინგის განხორციელების თაობაზე საგადასახადო ორგანოს უფროსის/მოადგილის ბრძანებით მტკიცდება:

– საგადასახადო მონიტორინგის პროგრამა;

– საგადასახადო მონიტორინგის განმახორციელებელი პირის მიერ საგადასახადო მონიტორინგის განხორციელების თითოეული ადგილის მიხედვით დაკვირვებისას მოპოვებული ინფორმაციის აღრიცხვის ჟურნალის ფორმა (ფორმები), ეკონომიკური საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით.

საგადასახადო მონიტორინგის პროგრამაში ან/და აღრიცხვის ჟურნალის ფორმაში შესაძლე-

ბელია შეტანილ იქნეს ცვლილება ან/და დამატება საგადასახადო ორგანოს უფროსის/მოადგილის ბრძანებით.

საგადასახადო მონიტორინგის დაწყებამდე არანაკლებ 10 კალენდარული დღით ადრე საგადასახადო ორგანო უზრუნველყოფს გადასახადის გადამხდელის წერილობითი ან ელექტრონული ფორმით ინფორმირებას საგადასახადო მონიტორინგის განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შესახებ.

გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია:

– საგადასახადო მონიტორინგის განმახორციელებელ პირს ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით წარუდგინოს ახსნა – განმარტებები და დაიფიქსიროს შენიშვნები;

– მოითხოვოს საგადასახადო მონიტორინგის განხორციელებისას საგადასახადო მონიტორინგის განმახორციელებელი პირის მიერ წარმოებული აღრიცხვის ჟურნალის დამოწმებული ასლი;

– საგადასახადო მონიტორინგის განხორციელებისას აღრიცხული მონაცემები გამოიყენოს თავისი საქმიანობის შედეგების დასაზუსტებლად (მაგ.: გამოსავლიანობის ნორმის, დანაკარგის დასადგენად).

გადასახადის გადამხდელი ვალდებულია:

– საგადასახადო მონიტორინგის განმახორციელებელი პირისათვის ხელმისაწვდომი გახადოს ადმინისტრაციული, საწარმოო, სასაწყობე და სხვა შენობა-ნაგებობაში/ტერიტორიაზე შესვლა;

– მოთხოვნის შემთხვევაში, საგადასახადო მონიტორინგის განმახორციელებელ პირს წარუდგინოს დაკვირვების განსახორციელებლად აუცილებელი ყველა ის დოკუმენტი, რომელიც ასახავს მის მიერ განხორციელებულ ოპერაციებს (პირველადი დოკუმენტები, ხელშეკრულებები, ანგარიშ-ფაქტურები, ზედნადებები და ა.შ.);

-ზემოაღნიშნული ინფორმაციის მიღების შემდეგ შექმნას საგადასახადო მონიტორინგის განხორციელებისთვის აუცილებელი სამუშაო პირობები.

გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო მონიტორინგს დაქვემდებარებული სამეურნეო ოპერაციის სამუშაო გრაფიკისაგან განსხვავებულ პერიოდში (მაგ., არასამუშაო დროს) შესრულებისას, რომელსაც არ ესწრება საგადასახადო მონიტორინგის განმახორციელებელი პირი, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია აღნიშნული სამეურნეო ოპერაციის შესრულების შესახებ საგადასახადო მონიტორინგის განმახორციელებელ პირს აცნობოს წინასწარ, ნებისმიერი საკომუნიკაციო საშუალებით, იმ გონივრულ ვადაში, რომელიც აუცილებელი იქნება საგადასახადო მონიტორინგის განმახორციელებელი პირის საგადასახადო მონიტორინგის განხორციელების ადგილზე მისვლისათვის.

საგადასახადო მონიტორინგის განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია:

– საგადასახადო მონიტორინგის პროგრამით გათვალისწინებულ შემთხვევებში/საკითხებზე განახორციელოს გადასახადის გადამხდელის პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის ნიშანდება მასზე გაცემული საგადასახადო ორგანოს შტამპითა და ხელმოწერით, თარიღის მითითებით;

– გადასახადის გადამხდელს მისცეს სარეკომენდაციო ხასიათის მითითებები საგადასახადო მონიტორინგს დაქვემდებარებულ საკითხებთან დაკავშირებით არსებული ხარვეზების გამოსწორების შესახებ, რომლის შინაარსი აისახება აღრიცხვის ჟურნალის სარეკომენდაციო მითითებების ნაწილში.

საგადასახადო მონიტორინგის განმახორციელებელი პირი ვალდებულია:

– იმოქმედოს საგადასახადო მონიტორინგის პროგრამის შესაბამისად;

– გადასახადის გადამხდელს გააცნოს მისი უფლება-მოვალეობები;

– საგადასახადო მონიტორინგის დასრულებისას მის მიერ წარმოებული აღრიცხვის ჟურნალის დამოწმებული ასლი გადასცეს გადასახადის გადამხდელს.

საგადასახადო მონიტორინგის განხორციელებამ გონივრულ ფარგლებში არ უნდა დაარღვიოს გადასახადის გადამხდელის საქმიანობის ჩვეული რიტმი და არ უნდა შეაფერხოს მისი საქმიანობა.

საგადასახადო მონიტორინგის განმახორციელებელი პირი საგადასახადო მონიტორინგის განხორციელებისას ყოველდღიურად წერილობითი ან ელექტრონული ფორმით აწარმოებს აღრიცხვის ჟურნალს (ჟურნალებს), რომელიც სხვა მონაცემებთან ერთად უნდა მოიცავდეს შემდეგ აუცილებელ რეკვიზიტებს:

– გადასახადის გადამხდელის დასახელებას/სახელს და გვარს, საიდენტიფიკაციო/პირად ნომერს, იურიდიულ ან/და ფაქტობრივ მისამართს;

– საგადასახადო მონიტორინგის პროგრამით გათვალისწინებული ობიექტის შესაბამისად თითოეული სამეურნეო ოპერაციის შინაარსს, შესრულების თარიღს, დაწყებისა და დასრულების პერიოდს, დაკვირვების მონაწილე პირთა სახელს, გვარს და თანამდებობას;

– სარეკომენდაციო მითითებებისა და შენიშვნებისათვის გამოყოფილ ნაწილს.

აღრიცხვის ჟურნალში ასევე აღინიშნება საგადასახადო მონიტორინგის განხორციელებისას გამოვლენილი არსებითი მნიშვნელობის მქონე სხვა ფაქტები და გარემოებები, აგრეთვე, აღრიცხვის ჟურნალზე დართული მასალების ჩამონათვალი.

აღრიცხვის ჟურნალის წერილობითი ფორმით წარმოებისას, მისი გვერდები უნდა იყოს დანომრილი და ხელმოწერილი, ხოლო ელექტრონული ფორმით წარმოებისას ყოველდღიურად ხორციელდება მონაცემების ამობეჭდვა, ხელმოწერა და შენახვა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

ყოველი სამუშაო დღის/ცვლის დასრულების შემდეგ, აგრეთვე, საგადასახადო მონიტორინგის საბოლოოდ დასრულებისას აღრიცხვის ჟურნალს ხელს აწერს საგადასახადო მონიტორინგის განმახორციელებელი პირი, მოწვეული სპეციალისტი/ექსპერტი (მათი მოწვევის შემთხვევაში), აგრეთვე გადასახადის გადამხდელი/მისი წარმომადგენელი – გადასახადის გადამხდელის მოთხოვნისას ან პროგრამით გათვალისწინებულ შემთხვევაში/საკითხზე. საგადასახადო მონიტორინგის საბოლოოდ დასრულებისას გადასახადის გადამხდელის/მისი წარმომადგენლის ხელმოწერა სავალდებულოა. ამასთან, თუ გადასახადის გადამხდელი/უფლებამოსილი წარმომადგენელი უარს აცხადებს ხელმოწერაზე აღნიშნულის შესახებ ჩანაწერი კეთდება აღრიცხვის ჟურნალში.

საგადასახადო მონიტორინგის დასრულების შემდეგ აღრიცხვის ჟურნალი და მასზე დართული მასალები გადაეცემა საგადასახადო მონიტორინგის განმახორციელებელ საგადასახადო ორგანოს.

18.5.4 საკონტროლო შესყიდვა

საქონლის/მომსახურების საკონტროლო შესყიდვის მიზანია გადასახადის გადამხდელის მიერ:

– საქონლის მინოდებით ან/და მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავლების რეალური მოცულობის დადგენა;

– საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის სისწორის კონტროლის მიზნით საქონლის რეალური სარეალიზაციო ფასის განსაზღვრის აუცილებლობა;

– საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ფაქტის გამოვლენა(მათ შორის: მომხმარებლებთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო – სალარო აპარატების გამოყენების წესების დარღვევა; საქართველოს ტერიტორიაზე ეროვნული ვალუტის გამოყენების წესების დარღვევის გამოვლენა; საგადასახადო ორგანოში გადასახდის გადამხდელად აღრიცხვის წესის დარღვევის ფაქტის დადგენა და სხვ.).

საკონტროლო შესყიდვისას გადახდის საშუალებად გამოიყენება ეროვნული ვალუტა. იმ შემთხვევაში, როდესაც რეალური შემოსავლების დადგენასთან ერთად, საკონტროლო შესყიდვის მიზანია სამართალდარღვევის (საქართველოს ტერიტორიაზე ეროვნული ვალუტის გამოყენების წესების დარღვევის) გამოვლენა დაშვებულია უცხოური ვალუტის გამოყენება.

საგადასახადო ორგანოს მიერ წინასწარ უნდა განისაზღვროს საკონტროლო შესყიდვის განხორციელებისთვის სავარაუდოდ საჭირო ფულადი სახსრების ოდენობა და მისი დაფინანსების წყარო.

საკონტროლო შესყიდვის განსახორციელებლად საჭირო ფულადი თანხები გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საკონტროლო შესყიდვებისათვის გამოყოფილი ასიგნებებიდან და გამოსაყოფი თანხის ოდენობა აისახება საგადასახადო ორგანოს მიერ გამოცემულ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში.

საკონტროლო შესყიდვა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგარიშსწორებით.

საკონტროლო შესყიდვის განსახორციელებლად საჭირო ფულადი სახსრები საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ პირს (პირებს) გადაეცემა «საბიუჯეტო ორგანიზაციების პირველადი საბუღალტრო დოკუმენტებისა და სააღრიცხვო რეგისტრების ფორმების დამტკიცების თაობაზე» საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 28 იელისის №511 ბრძანებით დამტკიცებული ფორმა №018 – ის – «საავანსო ანგარიში» საფუძველზე. სხვა რეკვიზიტებთან ერთად, ფორმაში მიეთითება გამოყოფილი თანხის სრული ოდენობა და იმ პირის გვარი, სახელი და თანამდებობა, რომელიც თანხის შენახვასა და მიზნობრივი დანიშნულებისათვის გამოყენებაზე იქნება პასუხისმგებელი (ანგარიშვალდებული). ამავე ფორმაში აისახება საკონტროლო შესყიდვაზე (მიზანდასახულად) გახარჯული, აგრეთვე აღნიშნული პროცედურის ჩატარების შემდეგ დარჩენილი ან/და დაბრუნებული თანხა.

საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირისათვის საკონტროლო შესყიდვის განსახორციელებლად საჭირო ფულადი სახსრების გადაცემა, ზემოაღნიშნული პროცედურის გარდა, შესაძლებელია განხორციელდეს მისთვის პლასტიკურ ბარათზე თანხის ჩარიცხვის საშუალებით.

პროცედურების განმახორციელებელი საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის წინასწარი

ნერილობითი თანხმობით, საკონტროლო შესყიდვა შესაძლებელია განხორციელდეს უფლებამოსილი პირის საკუთარი სახსრებით, რის თაობაზეც მიეთითება საგადასახადო ორგანოს მიერ გამოცემულ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტში.

საჭიროების შემთხვევაში, (საქონლის ან/და მომსახურების სახეობის, დასაკვირვებელი ობიექტის (ობიექტების) რაოდენობისა და მათი ადგილმდებარეობის, შესასყიდი საქონლის ან/და მომსახურების სახეობისა და რაოდენობის გათვალისწინებით) საგადასახადო ორგანოს უფროსის გადაწყვეტილებით შესაძლებელია საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ პირზე გადასახადის გადამხდელის საგადასახადო აღრიცხვის (რეგისტრაციის) მოწმობის, დღგ-ის გადამხდელის მოწმობის ან სხვა სახის ფსევდოდოკუმენტების და საკონტროლო შესყიდვის პროცედურის დაფიქსირების ტექნიკური საშუალებების გაცემა. ფსევდოდოკუმენტები გაიცემა შესაბამის მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის გარეშე.

საკონტროლო შესყიდვისას გადახდის საშუალებად უცხოური ვალუტის გამოყენების შემთხვევაში უფლებამოსილ პირს თანხა გადაეცემა ეროვნულ ვალუტაში და მას ეკისრება თანხის უცხოურ ვალუტაში კონვერტაციის ვალდებულება. კონვერტაციის დამადასტურებელი დოკუმენტები წარედგინება საგადასახადო ორგანოს არა უგვიანეს მე-2 სამუშაო დღისა.

თუ საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ საკონტროლო შესყიდვისას შესაბამისი თანხების დანაკლისის საკუთარი სახსრებით შევსებისას ფაქტობრივად გაწეული ხარჯები, აღემატება ამ პროცედურისთვის დადგენილი წესით განსაზღვრულ თანხებს, ზედმეტად გახარჯული თანხის გაცემა საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ პირზე ხორციელდება „საკონტროლო შესყიდვის შედეგების შესახებ“ ოქმის საფუძველზე და „საბიუჯეტო ორგანიზაციების პირველადი საბუღალტრო დოკუმენტებისა და სააღრიცხვო რეგისტრების ფორმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 28 ივლისის №511 ბრძანებით დამტკიცებული ფორმა №018 – ის შესაბამისად ან მისთვის პლასტიკურ ბარათზე თანხის ჩარიცხვის საშუალებით.

ნაღდი ანგარიშსწორებით საკონტროლო შესყიდვის განხორციელების შემდეგ დარჩენილი (გაუხარჯავი ან/და უკან დაბრუნებული) ფული წარედგინება საგადასახადო ორგანოს ან მის მომსახურე საბანკო დაწესებულებას შესაბამის ანგარიშზე ჩარიცხვის მიზნით, არა უგვიანეს თვის ბოლო სამუშაო დღისა.

საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ პირზე გაცემული გადასახადის გადამხდელის საგადასახადო აღრიცხვის (რეგისტრაციის) მოწმობის, დღგ-ის გადამხდელის მოწმობის ან სხვა სახის ფსევდოდოკუმენტები ან/და ტექნიკური საშუალებები (ასეთის არსებობისას) წარედგინება საგადასახადო ორგანოს არა უგვიანეს მე-2 სამუშაო დღისა და დადგენილი წესით ინახება საგადასახადო ორგანოში, შემდეგში ანალოგიური დანიშნულებით შესაძლო გამოყენებისათვის.

საგადასახადო ორგანოს უფროსს/მოადგილეს უფლება აქვს საკონტროლო შესყიდვის პროცედურის განხორციელების მიზნით გააფორმოს ერთჯერადი ხელშეკრულება მოწვეულ სპეციალისტთან/ექსპერტთან სათანადო ანაზღაურებით (სპეციალისტის/ექსპერტის მოწვევასთან დაკავშირებული ხარჯები და გასამრჯელო). სპეციალისტის/ექსპერტის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება საგადასახადო ორგანოს უფროსის/მოადგილის მიერ ამ საგადასახადო ორგანოსათვის საკონტროლო შესყიდვებისათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

საკონტროლო შესყიდვის განხორციელებისას შესაძლებელია პროცედურის განხორციელება შეწყდეს შეთავაზებით, თუ ამ ეტაპზე საქონლის/მომსახურების ფასი დადგენილია ან/და მოპოვებულია შესაბამისი მტკიცებულებები.

საკონტროლო შესყიდვა შეიძლება დასრულდეს შეთავაზებით, თუ:

– მიღებულია ბე (ავანსი);

– გამონერილია ანგარიში, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ან სასაქონლო ზედნადები;

– გაფორმებულია ხელშეკრულება ან სხვა დოკუმენტი საქონლის განვადებით, ნასყიდობით ან სხვა სახით გასხვისების შესახებ;

– პროცედურის განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის თანდასწრებით განხორციელდა სხვა პირისათვის საქონლის/მომსახურების მინოდება (ფასის დაფიქსირებით) და შესაძლებელია ამ ფაქტზე ოქმის შედგენა სათანადო ფორმით.

თუ პროცედურის ჩატარებისას გამოირკვევა, რომ საკონტროლო შესყიდვისთვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული თანხა არ არის საკმარისი საკონტროლო შესყიდვის განსახორციელებლად, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ პირს შეუძლია:

– შეწყვიტოს პროცედურა;

– დაასრულოს პროცედურა შეთავაზებით;

– საკუთარი სახსრებით შეავსოს თანხის დანაკლისი და დაასრულოს ოპერაცია.

საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის (ფსევდომომხმარებლის) მიერ შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად უნდა იქნეს აცილებული საქონლის დაბრუნებაზე გამყიდველის მხრიდან უარის თქმის საფუძველი, როგორიც შეიძლება იყოს: შეფუთვის დაზიანება, საქონლის სარეალიზაციო სახის შეცვლა, სავაჭრო ობიექტის ტერიტორიიდან გამოტანა.

საკონტროლო შესყიდვის პროცედურა, ასევე შესაძლებელია განხორციელდეს შეკვეთის (ადგილზე მიტანის, გამოძახების) ფორმით.

საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილმა პირმა საკონტროლო შესყიდვის განხორციელებისთანავე გადასახადის გადამხდელს უნდა წარუდგინოს თავისი პირადობის დამადასტურებელი (სამსახურებრივი) მოწმობა, საგადასახადო ორგანოს უფლებმოსილი პირის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საკონტროლო შესყიდვის ჩატარების შესახებ.

საკონტროლო შესყიდვის შედეგების მიხედვით საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი ადგენს ამ წესის დანართი №2 – ით გათვალისწინებულ „საკონტროლო შესყიდვის შედეგების შესახებ“ ოქმს, მიუხედავად იმისა, თუ ვინ განახორციელა საკონტროლო შესყიდვა.

„საკონტროლო შესყიდვის შედეგების შესახებ“ ოქმის შენიშვნაში დამატებით აღინიშნება საკონტროლო შესყიდვისას გამოვლენილი ფაქტები და გარემოებები, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს საქმესთან დაკავშირებით, ასევე ოქმზე თანდართული მტკიცებულებების ჩამონათვალი (საგადასახადო დოკუმენტები, საკონტროლო – სალარო აპარატის ჩეკი, ქვითარი, ანგარიში, სასაქონლო ზედნადები, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, ნივთის განვადებით შეძენის ხელშეკრულება, შესყიდული საქონელი, მოწვეული სპეციალისტის დასკვნა, საკონტროლო შესყიდვის პროცედურის დაფიქსირების ტექნიკური საშუალებებით მოპოვებული ინფორმაცია (ასეთის არსებობისას) და სხვ.).


დანართი N2


შემოსავლების სამსახური


ოქმი N


საკონტროლო შესყიდვის შეტყობინების შესახებ













































შემოსავლების სამსახური
ოქმი №
კერძო საგადასახადო ინსპექტორის მიერ განხორციელებული
საკონტროლო შესყიდვის შედეგების შესახებ



თუ საკონტროლო შესყიდვით შესყიდული საქონელი არ ტოვებს სავაჭრო ობიექტის ტერიტორიას და მისი სახე და შეფუთვა არ დაზიანებულა, მაშინ საკონტროლო შესყიდვის ოქმის საფუძველზე ოპერაცია ექვემდებარება გაუქმებას (შესყიდული საქონელი უბრუნდება გამყიდველს, ხოლო გადახდილი ფული – მყიდველს).

ოპერაციის გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება ოპერაციის განმახორციელებელი საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის (საქონლის მყიდველის) მიერ და ფორმდება საკონტროლო შესყიდვის ოქმის საფუძველზე, ამავე ოქმის შესაბამის გრაფებში სათანადო ჩანაწერების

დაფიქსირებით. აღნიშნული ოქმი გადასახადის გადამხდელისთვის წარმოადგენს ოპერაციის გაუქმების საფუძველს.

ნაღდი ფულით ანგარიშსწორების შემთხვევაში გაუქმებულ ოპერაციაზე გადახდილი ფულის დაბრუნება ხორციელდება ოპერაციის განხორციელების ადგილზევე საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირისათვის, რომელმაც განახორციელა საქონლის საკონტროლო შესყიდვა.

უნაღდო ანგარიშსწორების შემთხვევაში გადახდილი თანხის დაბრუნება ხორციელდება შესაბამის ანგარიშზე თანხის გადარიცხვით, დადგენილი წესის შესაბამისად.

საქონლის გაყიდვაზე გამოწერილი შესაბამისი დოკუმენტაცია (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, სასაქონლო ზედნადები, საკონტროლო – სალარო აპარატით ამობეჭდილი ჩეკი და სხვა) ოპერაციის გაუქმებისა და თანხის უკან დაბრუნების შემდეგ უქმდება/კორექტირდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ოპერაცია გაუქმებას არ ექვემდებარება:

– მომსახურების საკონტროლო შესყიდვის შემთხვევაში;

– იმ საქონელზე, რომელიც არ უბრუნდება გამყიდველს.

ოპერაციის გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირობებთან ერთად გათვალისწინებული უნდა იქნეს შესყიდული საქონლის სახეობა და მისი გადაცემის ფორმა რამდენად იძლევა მისი უკან დაბრუნების შესაძლებლობას (მაგ., ავტომანქანის ავზის საწვავით გამართვის, დაზიანებული ავტომანქანის შეკეთებისას ახალი დეტალის დამონტაჟებისა და მისი საწვავ – საპოხი მასალებით გამართვისას, კვების ობიექტებში – შეძენილი საკვების (კერძის) მიღების და სხვა შემთხვევებში).

აღნიშნული ოპერაციის გაუქმებაზე და შესყიდული საქონლის უკან დაბრუნებაზე დაუსაბუთებელი უარის თქმა გამოიწვევს გადასახადის გადამხდელის პასუხისმგებლობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

იმ შემთხვევაში, როდესაც საქონელი არ უბრუნდება გამყიდველს საგადასახადო ორგანოს უფროსი/მოადგილე იღებს გადაწყვეტილებას:

– შესაბამისი თანხების აღრიცხვა – ანგარიშგების, ხარჯად აღიარების, ან საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში უფლებამოსილი პირის მიერ მიღებულ სარგებლად განხილვის თაობაზე;

– შეძენილი (დაუბრუნებელი) საქონლის სახელმწიფო საკუთრებად მიქცევისა და აღრიცხვა – გადაცემის თაობაზე.

საკონტროლო შესყიდვის დროს შეძენილი და დაუბრუნებელი საქონელი მიიქცევა სახელმწიფო საკუთრებად "სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების საფასურის განსაზღვრის, ამ ქონების აღრიცხვის, შენახვის, შეფასებისა და განკარგვის წესისა და პირობების, აგრეთვე რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხის განაწილების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის №771 ბრძანების შესაბამისად.

ოპერაციის გაუქმებაზე გადასახადის გადამხდელის (გამყიდველის) უარის არამართლზომიერად მიჩნევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (გადახდილი თანხის დაბრუნების მოთხოვნით).

18.5.5 საკონტროლო შესყიდვის განხორციელება კერძო საგადასახადო ინსპექტორის მიერ

კერძო საგადასახადო ინსპექტორი წარმოადგენს ფიზიკურ პირს, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 49-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე, შემოსავლების სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს საქონლის/მომსახურების საკონტროლო შესყიდვას.

კერძო საგადასახადო ინსპექტორი უფლებამოსილია განახორციელოს საკონტროლო შესყიდვა შემდეგი საგადასახადო სამართალდარღვევების გამოვლენის მიზნით:

ა) მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო – სალარო აპარატის გარეშე მუშაობა;

ბ) მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო – სალარო აპარატის გამოუყენებლობა;

გ) ჩეკში ფაქტობრივად გადახდილზე ნაკლები თანხის ჩვენება;

დ) გადასახადის გადამხდელად აღრიცხვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევა.

ე) სპეციალური დაბეგვრის რეჟიმს დაქვემდებარებული ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის მიერ ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის წესის დარღვევა.

კერძო საგადასახადო ინსპექტორი უფლებამოსილია გამოავლინოს მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის მიერ მიკრობიზნესისთვის აკრძალული საქმიანობის განხორციელების ფაქტი.

კერძო საგადასახადო ინსპექტორის შერჩევა ხორციელდება შემოსავლების სამსახურში ამ მიზნით შექმნილი კომისიის მიერ. კომისიის შემადგენლობა, აგრეთვე კერძო საგადასახადო ინსპექტორის მომსახურებისთვის გადასახდელი თანხის ოდენობა განისაზღვრება შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

კერძო საგადასახადო ინსპექტორად შერჩეულ უნდა იქნეს ნასამართლობის არმქონე ფიზიკური პირი, რომელიც არის ქმედუნარიანი საქართველოს მოქალაქე.

კერძო საგადასახადო ინსპექტორის შერჩევის სხვა კრიტერიუმები შესაძლებელია განისაზღვროს შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

კომისიის წინადადების საფუძველზე, კერძო საგადასახადო ინსპექტორთან, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შემოსავლების სამსახურის უფროსი.

კერძო საგადასახადო ინსპექტორი საკონტროლო შესყიდვას ახორციელებს საკუთარი სახსრებით ნაღდი ანგარიშსწორებით.

საკონტროლო შესყიდვისას გადახდის საშუალებად გამოიყენება ეროვნული ვალუტა.

კერძო საგადასახადო ინსპექტორმა საკონტროლო შესყიდვის განხორციელებისთანავე გადასახადის გადამხდელს უნდა წარუდგინოს შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული კერძო საგადასახადო ინსპექტორის მოწმობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არ გამოვლინდა საგადასახადო სამართალდარღვევა.

საგადასახადო სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, კერძო საგადასახადო ინსპექტორი ადგენს ა დანართი N1 – ით გათვალისწინებულ საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმს.

კერძო საგადასახადო ინსპექტორი უფლებამოსილია განახორციელოს ოპერაციის გაუქმება დადგენილი წესის შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, თუ განხორციელებული საკონტროლო შესყიდვისას საგადასახადო სამართალდარღვევა არ გამოვლინდა, კერძო საგადასახადო ინსპექტორი უფლებამოსილია, არ გაამჟღავნოს საკუთარი ვინაობა.

კერძო საგადასახადო ინსპექტორი უფლებამოსილია საკონტროლო შესყიდვის პროცედურის დაფიქსირების მიზნით გამოიყენოს ტექნიკური საშუალებები.

კერძო საგადასახადო ინსპექტორი ვალდებულია პროცედურის განხორციელებიდან არა უგვიანეს მე-3 სამუშაო დღისა საგადასახადო სამართალდარღვევისა და „კერძო საგადასახადო ინსპექტორის მიერ განხორციელებული საკონტროლო შესყიდვის შედეგების შესახებ" ოქმები, ასევე საკონტროლო შესყიდვის პროცედურის დაფიქსირების მიზნით გამოყენებული ტექნიკური საშუალებებით მოპოვებული ინფორმაცია (ასეთის არსებობისას) წარადგინოს საგადასახადო ორგანოში.

დანართი №3

კერძო საგადასახადო ინსპექტორი

საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი
სერია..... №000000

1. ---------- ---------- 2. ----------
(ოქმის შედგენის თარიღი და დრო) (ოქმის შედგენის ადგილი)
3. ----------
(ოქმის შემდგენელი პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი)
4. ----------
(საგადასახადო სამართალდარღვევის შინაარსი)

- -

5. სამართალდამრღვევი პირი: -

(სახელი და გვარი, საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი)

6. შეფარდებული სანქცია: -

(სანქციის ოდენობა)

7. ოქმის შემდგენელი პირი: -

(ხელმოწერა) (სახელი, გვარი)

8. სამართალდამრღვევი პირი: -

(ხელმოწერა) (სახელი, გვარი)

9. მოწმე: -

(ხელმოწერა) სახელი, გვარი, პირადი ნომერი)

10. ჩავიბარე ოქმი: -

(სამართალდამრღვევის ხელმოწერა)

11. შენიშვნები და განმარტებები: -

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 271-ე მუხლის თანახმად, აღნიშნული ოქმი გადასახადის გადამხდელს წარედგინება როგორც "საგადასახადო მოთხოვნა", რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს მისი მიღებიდან 20 კალენდარული დღის ვადაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში წერილობითი ან ელექტრონული ფორმით საჩივრის წარდგენის გზით, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლოში - .

(მისამართი)
დამკვეთი:
დამამზადებელი:
სფს – ს რეგისტრაციის №".

18.5.6 საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვის კონტროლი

საკონტროლო-სალარო აპარატების (შემდგომში – სსა) გამოყენების ვალდებულების მქონე პირებმა უნდა უზრუნველყონ:

– საქართველოს კანონმდებლობით სსა-ების ექსპლუატაციის წესების დაცვა;

– საქონლის/მომსახურების მიწოდების ღირებულების ნაღდი ფულით ანაზღაურებისას მომხმარებელზე სსა-ის მიერ ამობეჭდილი ჩეკის გაცემა, რომელიც ადასტურებს საქონლის/ მომსახურების მიწოდების ოპერაციასთან დაკავშირებით შესაბამისი ნაღდი ფულის გადახდის ფაქტს.

პირის მიერ ჩეკის გაცემა ხდება მისთვის ნაღდი ფულის გადახდისთანავე ან/და მის მიერ ხურდის დაბრუნებასთან ერთად, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა მომხმარებელი ნაღდი ფულის გადახდას ახორციელებს იმ პირთან, რომელიც არ წარმოადგენს მოლარე-ოპერატორს (მაგ., საზკვების ობიექტში მომსახურე პერსონალი), მომხმარებელს ჩეკი უნდა გადაეცეს გონიერულ ვადაში.

საგადასახადო ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ვალდებულნი არიან:

– აწარმოონ მომხმარებლებთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისათვის დასაშვები სსა-ების მოდელების სახელმწიფო რეესტრი (შემდგომში – რეესტრი);

– განახორციელონ სსა-ების რეგისტრაცია.

სსა-ის მოდელისათვის გამოყენების სფეროს განსაზღვრა ხდება რეესტრში შეტანის დროს სსა-ის ტექნიკურ-ფუნქციონალური შესაძლებლობების თაობაზე წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით.

რეესტრში შეიტანება სსა-ის ისეთი მოდელი, რომლის ტექნიკური და ფუნქციონალური შესაძლებლობები აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს და გააჩნია:

– მეორე თაობის GPRS და crypto-ს შიდა მოდემი მონაცემთა ცენტრალური სერვერისთვის გადასაცემად. შესაძლებელია ქსელური მოდული იყოს ჩასაყენებელი (pluggable) და კლიენტის სურვილისამებრ GPRS-ის გარდა შეეძლოს სხვა ტიპის კავშირის უზრუნველყოფაც, მაგალითად Ethernet, wifi და ა.შ;

– შემოსავლების სამსახურის სერვერიდან მიღებული მოთხოვნის შესაბამისად ან/და წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით, GSM/GPRS – ით ქსელური მოდულის მეშვეობით (თითოეული ჩეკის და პერიოდის ჯამური ინფორმაციის) ინფორმაციის დაშიფრული/ელექტრონულად ხელმოწერილი ტექსტური ფაილის სახით სერვერზე გადაგზავნის მექანიზმი;

– სსა-ში ჩამონტაჟებულ მეხსიერებაზე მონაცემების პარალელურად შენახვის შესაძლებლობა, ამავე მეხსიერებაზე უნდა ინახებოდეს ელექტრონული ჟურნალი. ყველა ეს ინფორმაცია უნდა ინახებოდეს დაშიფრული/ელექტრონულად ხელმოწერილი ფორმატით;

– სიმეტრიული ან ასიმეტრიული დაშიფრვა/ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების შესაძლებლობა (იგივე გასაღები როგორც სსა-ის მხარეს, ასევე სერვერის მხარეს), დაშიფვრის/ელექტრონული ხელმოწერის ალგორითმი უნდა იყოს საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიცირებული სტანდარტული ალგორითმი, რომლის კრიპტომედეგობა ეჭვს არ გამოიწვევს სსა-ის მუშაობის მთელ პერიოდში და შეესაბამება AES ალგორითმს;

– პროგრამული პაროლი საგადასახადო ორგანოსათვის და გადასახადის გადამხდელისათვის ან/და მარკირებული გასაღები ან სხვა ინდივიდუალური აუთენტიფიკაციის საშუალება;

– შესაძლებლობა განახორციელოს მომხმარებლის ინდივიდუალური აღრიცხვის სისტემებიდან სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის (მაგ.: რესტორნის მენიუ, გაყიდული საქონლის რეესტრი და სხვა) ამობეჭდვა, დაშიფრული სახით შენახვა და ცენტრალურ სერვერზე გადმოცემა;

– ავტონომიური კვების ბლოკი, რომელიც ელექტროენერგიის გამორთვის შემთხვევაში უზრუნველყოფს აპარატის 6-საათიანი მუშაობის უწყვეტ რეჟიმს;

– შესაძლებლობა, გამოიტანოს ციფრული და/ან სიტყვიერი ჩანაწერები როგორც მოლარის, ასევე მყიდველის ინდიკატორზე, დისპლეიზე;

– არასანქცირებული გახსნის საწინააღმდეგო მექანიზმი ან მექანიზმები;

– ჩეკზე სიტყვიერი ჩანაწერების ქართულ ენაზე დაბეჭდვის შესაძლებლობა;

– ჩეკის ამობეჭდვის შესაძლებლობა;

– შესაძლებლობა, განახორციელოს ტექსტური და ციფრული ჩანაწერები ჩეკებსა და საკონტროლო ლენტებზე;

– დაპროგრამების შესაძლებლობა, რათა განახორციელოს ჩეკზე ობიექტის დასახელების, მისამართის, საიდენტიფიკაციო ნომრის, სსა-ის საქარხნო ნომრის, ჩეკის ნომრის, ყიდვა-გაყიდვის (მომსახურების) ოპერაციების მონაცემების, ნაღდი ფულის მიღების თარიღის, დროის და მიღებული თანხების მონაცემების ჩაწერა, ფისკალურ რეჟიმში ყოფნის დამადასტურებელი ნიშნის და სხვა დამატებითი ინფორმაციის ასახვა;

– შესაძლებლობა, რომ სსა-ის მიერ ფისკალური ჩეკისთვის მინიჭებული ნომერი იზრდებოდეს ერთით და იყოს უწყვეტი, სსა-ის ფისკალიზაციის დროს ნომერი უნდა დაყენდეს ერთზე, რომელიც ყველა ოპერაციაზე უნდა იზრდებოდეს ერთით. ნუმერაცია უნდა იყოს უწყვეტი. ჩეკის ბოლო ნომერი უნდა ემთხვეოდეს მის მიერ ჩატარებული ფისკალური ოპერაციების რაოდენობას;

– ჩეკის უნიკალური ნიშნით (2D ბარკოდი ან სხვა) ნიშანდების შესაძლებლობა, ისე რომ შესაძლებელი იყოს ჩეკის მობილური ტერმინალით ვარგისიანობაზე შემოწმება და ჩეკის შესახებ დეტალური ინფორმაციის აღდგენა/გაშიფვრა. ეს ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ისეთ მონაცემებს, როგორიცაა ჩეკის რიგითი ნომერი, ოპერაციის ჩატარების თარიღი და დრო, სსა-ის საიდენტიფიკაციო ნომერი, თანხა, აპარატის სტატუსი, ციფრული ხელმოწერის გამოყენების შესაძლებლობა;

– ჩეკის დეტალური ინფორმაციის შიფრაციის/ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებისა და დაშიფრული/ელექტრონულად ხელმოწერილი ინფორმაციის შენახვის შესაძლებლობა ფისკალურ მეხსიერებაში არანაკლებ 1 თვის პერიოდით, იმ შემთხვევაში, თუ მონაცემების გადაცემა ცენტრალურ სერვერზე ვერ მოხერდა რაიმე მიზეზის გამო, ინფორმაცია ფისკალური მეხსიერებიდან არ უნდა წაიშალოს;

– ავტომატური ბლოკირების შესაძლებლობა ჩეკის ფისკალური მონაცემების შიფრაციის/ელექტრონული ხელმოწერის და დაშიფრული/ელექტრონულად ხელმოწერილი ინფორმაციის შენახვის განუხორციელებლობის შემთხვევაში;

– ავტომატური ბლოკირების შესაძლებლობა, თუ მოლარემ არ მიიღო ფისკალური მეხსიერებიდან დღიური ანგარიში;

– ავტომატური ბლოკირების შესაძლებლობა ჩეკის ან საკონტროლო ლენტის გარეშე მუშაობის შემთხვევაში;

– ავტომატური ბლოკირების შესაძლებლობა აპარატის გაუმართაობის, ფისკალური მეხსიერების გამორთვის ან ფისკალურ მეხსიერებასთან არასანქცირებული შეღწევის მცდელობის შემთხვევაში;

– პროგრამული უზრუნველყოფის ვერსიის ნომერი და საკონტროლო ჯამის დაფიქსირების შესაძლებლობა;

– ნიშანდება: აპარატის დასახელების, საქარხნო ნომრის, გამოშვების თარიღის, მწარმოებლის დასახელების და საფირმო ნიშნის ჩვენებით;

– პრინტერის ტიპი: თერმული, მინიმუმ 58 მმ თერმულ ქაღალდზე ბეჭდვა, ქაღალდის მარტივი ჩატვირთვის სისტემით; პრინტერის სიჩქარე: არანაკლებ 10 ხაზი/წმ.

მომხმარებლისათვის გაცემულ ჩეკზე უნდა აისახოს შემდეგი აუცილებელი რეკვიზიტები:

– პირის დასახელება;

– საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი;

– სსა-ის უნიკალური ნომერი;

– ჩეკის ნომერი;

– გადახდილი თანხის ოდენობა, თარიღი და დრო;

– სსა-ის ფისკალურ რეჟიმში ყოფნის დამადასტურებელი ნიშანი.

ჩეკზე, გადამხდელის სურვილისამებრ, შესაძლებელია ასახულ იქნეს სხვა დამატებითი მონაცემებიც.

საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისათვის დასაშვები სსა-ების რეესტრი ინარმოება შემოსავლების სამსახურის მიერ. სსა-ის მოდელის რეესტრში შეტანა ხორციელდება შემოსავლების სამსახურის ინიციატივით ან განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე.

რეესტრი წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებლებთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას გამოსაყენებელი სსა-ის მოდელის ნიმუშის შესახებ მონაცემების ერთობლიობას. რეესტრის წარმოება გულისხმობს შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილებების (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების) საფუძველზე კონკრეტული სსა-ების მოდელის შესახებ ამ თავით განსაზღვრული მონაცემების შეტანას, ვადის გაგრძელების თაობაზე ცვლილებების განხორციელებას ან მონაცემთა ამოღებას რეესტრიდან.

რეესტრი ინარმოება სსა-ის ყოველი მოდელის შესახებ შესაბამისი მონაცემების და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს“ (შემდგომში – სააგენტო) ან დადგენილი წესით აკრედიტებული პირების მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე, რომლითაც დასტურდება მათთან ნარდგენილი კონკრეტული სსა-ის (საქარხნო ნომრის და მისი მაიდენტიფიცირებელი სხვა მონაცემების მითითებით) მოდელის შესაბამისობა მის ტექნიკურ დოკუმენტაციასთან და ამ თავით დადგენილ მოთხოვნებთან.

რეესტრში შეტანილ სსა-ის ყოველ მოდელზე დგება საინფორმაციო ბარათი, რომელშიც უნდა აისახოს მონაცემები სსა-ის სახელწოდების, პროგრამული უზრუნველყოფის ვერსიის, გამოყენების სფეროს, შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილებების რეესტრის წარმოების (შეტანის, შეცვლის, ამოღების) თაობაზე, ინფორმაცია მწარმოებლებზე, განმცხადებლებზე (გარდა შემოსავლების სამსახურის ინიციატივით რეესტრში შეტანილი მოდელისა) და რეესტრში ყოფნის ვადაზე .

საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული და გადასახადის გადამხდელების მიერ გამოსაყენებელი ყველა სსა-ის მოდელი ფუნქციონალურ-ტექნიკური მახასიათებლების მიხედვით ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს ამ მოდელის ტიპის ნიმუშის მიხედვით დაფიქსირებულ ტექნიკურ – ფუნქციონალურ მონაცემებს.

რეესტრში სსა-ის მოდელის შეტანის თაობაზე შემოსავლების სამსახურს განცხადებით შეიძლება მიმართოს:

– სსა-ების ადგილობრივმა და უცხოურმა მწარმოებელმა;

– პირებმა, რომლებიც ეწევიან ან აპირებენ სსა-ების იმპორტს და რეალიზაციას საქართველოში და ამ მიზნით სსა-ის მწარმოებელთან გაფორმებული აქვთ შესაბამისი ხელშეკრულება.

განცხადებაში უნდა მიეთითოს:

– მომწოდებლის დასახელება, მისამართი და ტელეფონი;

– სსა-ის მოდელის დასახელება;

– სსა-ის მწარმოებელი ქარხნის დასახელება, მისამართი და ტელეფონი.

განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნეს:

– „სააგენტოს“ მიერ დალუქული სსა-ის მოდელი, რომელზედაც „სააგენტოს“ მიერ გაცემულია შესაბამისი დასკვნა და ის გამიზნულია ტიპის ნიმუშად;

– ტიპის ნიმუშში ჩაწერილი პროგრამა (ვერსიის მითითებით) ელექტრონულ მატარებელზე;

– ფორმირებადი ჩეკების ნიმუშები;

– ტექნიკური პასპორტი (ან სხვა დოკუმენტი), რომელიც შეიცავს სსა-ის მოდელის ტექნიკური და ფუნქციონალური მახასიათებლების აღწერასა და საგარანტიო ვალდებულებებს. სსა-ის სარეკლამო პროსპექტი;

– საექსპლუატაციო დოკუმენტაცია (სსა-ის მომხმარებლის სახელმძღვანელო);

– დოკუმენტაცია (ხელშეკრულება ან სხვა სახის დოკუმენტი), რომელიც ადასტურებს სსა-ის მოცემული მოდელის წარმოების და მისი მაკომპლექტებელი ნაწილების შეუფერხებლად მიწოდების შესაძლებლობას (შესაბამისი ხელშეკრულება ან/და წარმოების ტექნიკური მონაცემები), სსა-ის კონკრეტული მოდელის მწარმოებლის მიერ განმცხადებლისათვის მინიჭებული შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტს, რომლის საფუძველზე განმცხადებელს შეუძლია საქართველოს ტერიტორიაზე უშუალოდ განახორციელოს ან ორგანიზება გაუწიოს სხვა სანარმოების მიერ ამ მოდელის მიმართ განსახორციელებელ ტექნიკურ მომსახურებას და რემონტს;

– სსა-ის ამ კონკრეტულ მოდელზე ტექნიკური მომსახურების უზრუნველყოფის დასაბუთებას საქართველოს ტერიტორიაზე;

– „სააგენტოს" მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი სსა-ის ამ კონკრეტული მოდელის გამოყენების შესაძლებლობის თაობაზე.

იმ შემთხვევაში, თუ განცხადებასთან ერთად წარდგენილი დოკუმეტები არასრულია ან არასრულყოფილია (მათ შორის, დაუსაბუთებელია საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური მომსახურების უზრუნველყოფის საკითხი), მაშინ შემოსავლების სამსახური განცხადების მიღების დღიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში წერილობით აცნობებს განმცხადებელს ხარვეზის თაობაზე.

რეესტრში სსა-ის მოდელის შეტანის საკითხის განხილვისას შემოსავლების სამსახური ითვალისწინებს:

– საქართველოს ტერიტორიაზე სსა-ების კონკრეტული მოდელის(გარდა შემოსავლების სამსახურის ინიციატივით რეესტრში შეტანილი მოდელისა) ტექნიკური მომსახურების უზრუნველყოფის დონეს;

– კონკრეტული საქმიანობის სფეროში აღრიცხვა-ანგარიშგებისათვის დადგენილ მოთხოვნებთან ამ მოდელის ტექნიკურ-ფუნქციონალური შესაძლებლობების შესაბამისობას.

სსა-ის მოდელი რეესტრში შეიტანება 3 წლის ვადით. რეესტრში შეტანილ მოდელზე პროგრამული უზრუნველყოფის ვერსიის შეცვლა იწვევს მისი რეესტრში თავიდან შეტანის ვალდებულებას.

რეესტრში ცვლილება შესაძლებელია განხორციელდეს შემოსავლების სამსახურის ინიციატივით ან განმცხადებელის მიერ რეესტრში მოდელის ყოფნის ვადის გასვლამდე არა უგვიანეს ორი თვით ადრე წარდგენილი განცხადების საფუძველზე. განცხადებას უნდა დაერთოს დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს სსა-ის მოცემული მოდელის წარმოების და მიწოდების და მისი მაკომპლექტებელი ნაწილების შეუფერხებელი განხორციელების შესაძლებლობას (ხელშეკრულება ან/და წარმოების ტექნიკური მონაცემები).

შემოსავლების სამსახური განცხადებას სსა-ის მოდელის რეესტრში შეტანის ან რეესტრში ცვლილების განხორციელების თაობაზე, განიხილავს მისი მიღებიდან არა უგვიანეს 30 სამუშაო დღისა და იღებს გადაწყვეტილებას (გამოცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს) სსა-ის მოდელის რეესტრში შეტანის, სსა-ის მოდელის ვადის გაგრძელების ან რეესტრიდან ამოღების თაობაზე, რომელიც განმცხადებელს ეცნობება გადაწყვეტილების მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

რეესტრში შეტანილი სსა-ის ტიპის ნიმუშები (რომლებიც დალუქული უნდა იყოს „სააგენტოს" და შემოსავლების სამსახურის ლუქებით), ელექტრონულ მატარებელზე არსებული პროგრამა, საინფორმაციო ბარათები და შესაბამისი დოკუმენტაცია ინახება შემოსავლების სამსახურში.

რეესტრიდან სსა-ის ამოღების საფუძვლებია:

– იმ ვადის გასვლა, რა ვადითაც შეტანილი იყო სსა-ის მოდელი რეესტრში;

– სამართალდამცავი ორგანოების მომართვა, რომლითაც დასტურდება, რომ სსა-ის კონკრეტული მოდელიდან მასობრივად აქვს ადგილი ფისკალური მონაცემების კორექტირების ფაქტებს, ხოლო საგადასახადო ორგანოებს არ გააჩნიათ ასეთი აპარატების მიმართ სათანადო კონტროლის განხორციელების ტექნიკური შესაძლებლობა.

რეესტრიდან სსა-ის მოდელის ამოღება ხორციელდება შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილების (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტის) საფუძველზე. რეესტრიდან სსა-ის მოდელის ამოღების შემდეგ, დაუშვებელია მისი რეგისტრაცია, ხოლო უკვე რეგისტრირებული სსა-ების გამოყენების ვადა განისაზღვრება შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. იმ შემთხვევაში, თუ რეესტრიდან სსა-ის მოდელის

ამოღების საფუძველს წარმოადგენს სამართალდამცავი ორგანოების მომართვა, მაშინ სსა-ის მოდელის გამოყენების ვადა შეადგენს არა უმეტეს 3 თვეს;

სსა-ის რეესტრში შეტანის, ცვლილების ან ამოღების თაობაზე ინფორმაცია ქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებით.

რეესტრიდან სსა-ების ამოღების შემთხვევაში ხდება საინფორმაციო ბარათის დახურვა.

სსა-ის რეგისტრაცია გულისხმობს მასზე ფისკალური მეხსიერების ჩართვას და მონაცემთა ერთიან კომპიუტერულ ბაზაში სსა-ის სარეგისტრაციო მონაცემების ასახვას.

საგადასახადო ორგანო კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს სსა-ის რეგისტრაციაში გატარებას, სარეგისტრაციო ბარათების და სსა-ის რეგისტრაციიდან მოხსნის შესახებ ცნობის გაცემას.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 49-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, შემოსავლების სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, სსა-ის რეგისტრაცია/რეგისტრაციიდან მოხსნა შესაძლებელია განახორციელოს სხვა იურიდიულმა პირმა (შემდგომში – იურიდიული პირი).

რეგისტრაციას ექვემდებარება ის სსა, რომელიც ტექნიკურ – ფუნქციონალურად შეესაბამება რეესტრში შეტანილ სსა-ის ტიპის ნიმუშს.

პირი, სსა-ის რეგისტრაციის მიზნით, განცხადებით მიმართავს უფლებამოსილ საგადასახადო ორგანოს.

GPRS და crypto-ს მოდულის ფისკალური სსა-ის რეგისტრაციის მიზნით წარდგენილ განცხადებაში მიეთითება:

– პირის დასახელება/სახელი და გვარი;

– საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი;

– იურიდიული მისამართი, სამართლებრივი ფორმა, საფირმო სახელწოდება(მისი არსებობის შემთხვევაში), ობიექტის ტიპი, საქმიანობის სახე;

– საკონტაქტო რეკვიზიტები;

– ის ფაქტობრივი მისამართი, სადაც გამოყენებული იქნება რეგისტრაციაში გასატარებელი სსა, ხოლო დისტრიბუციის შემთხვევაში, სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ნომერი;

– ფაქტობრივ მისამართზე განსათავსებელი სსა-ების რაოდენობა.

გარე გადახდისა და მონაცემთა აღრიცხვის ერთიან ტერმინალთან ინტეგრირებული სისტემური საკონტროლო-სალარო აპარატის (სისტემური სსა – აპარატი, რომლის ფუნქციონირება ხდება მხოლოდ პროგრამულ-ტექნიკურ კომპლექსში შემავალი სალარო – კომპიუტერულ სისტემაში ჩართული სხვა ელექტრული ხელსაწყოების მეშვეობით) რეგისტრაციის მიზნით წარდგენილ განცხადებაში მიეთითება:

– პირის დასახელება/სახელი და გვარი;

– საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი;

– იურიდიული მისამართი;

– საკონტაქტო რეკვიზიტები;

– რეგისტრაციაში გასატარებელი სსა-ის მოდელი;

– საქარხნო ნომერი;

– ის ფაქტობრივი მისამართი, სადაც გამოყენებული იქნება რეგისტრაციაში გასატარებელი სსა, ხოლო დისტრიბუციის შემთხვევაში, სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ნომერი.

განცხადებას თან უნდა დაერთოს:

– რეგისტრაციაში გასატარებელი სსა-ის პასპორტი ან მისი შემცვლელი ანალოგიური დოკუმენტი (გარდა GPRS და crypto-ს მოდულის ფისკალური სსა-ის რეგისტრაციის შემთხვევისა);

– თუ განმცხადებელი წარმოადგენს პირის წარმომადგენელს, მაშინ წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

განცხადებასთან ერთად საგადასახადო ორგანოს უნდა წარედგინოს ის სსა, რომელიც ტარდება რეგისტრაციაში (გარდა GPRS და crypto-ს მოდულის ფისკალური სსა-ის რეგისტრაციის შემთხვევისა).

საგადასახადო ორგანოს მიერ დაუშვებელია იმ დოკუმენტის ან ინფორმაციის მოთხოვნა, რომელიც არსებობს საგადასახადო ორგანოში.

თუ განმცხადებლის მიერ წარდგენილი განცხადება და თანდართული დოკუმენტები აკმაყოფილებენ ზემოთ განსაზღვრულ პირობებს, საგადასახადო ორგანო ან იურიდიული პირი უზრუნველყოფს სსა-ის რეგისტრაციას (დანართი №3).

ზემოაღნიშნული რეგისტრაციის პროცედურების შემდეგ, საგადასახადო ორგანო ან იურიდიული პირი განმცხადებელს გადასცემს დარეგისტრირებულ სსა-ს, (GPRS და crypto-ს მოდულის ფისკალუ-

რი სსა-ის შემთხვევაში, განმცხადებელს გადაეცემა დალუქული სსა) და სარეგისტრაციო ბარათს (დანართი №4), რომელიც პირმა უნდა შეინახოს იმ ობიექტზე, სადაც ხდება მისი ექსპლუატაცია, ხოლო დისტრიბუციის შემთხვევაში, თან უნდა იქონიოს სსა-ის მფლობელმა.

რეგისტრირებული სსა გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ ობიექტზე, რომლის ფაქტობრივი მისამართი დაფიქსირებულია სარეგისტრაციო მონაცემებში (გარდა დისტრიბუციის შემთხვევისა). რამდენიმე ობიექტის არსებობის შემთხვევაში, სსა უნდა დარეგისტრირდეს თითოეული ობიექტის საქმიანობის ადგილის მიხედვით ცალ-ცალკე.

სსა, რომელიც აღარ გამოიყენება კონკრეტულ ობიექტზე ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისათვის, ექვემდებარება აღრიცხვიდან მოხსნას. აღნიშნულის შესახებ, პირი განცხადებით აცნობებს უფლებამოსილ საგადასახადო ორგანოს.

სსა-ის რეგისტრაციიდან მოხსნის შესახებ წარდგენილ განცხადებაში მითითებული უნდა იყოს სსა-ის საგადასახადო ორგანოში რეგისტრაციის ნომერი და თარიღი. რეგისტრაციიდან მოხსნისათვის განმცხადებელმა განცხადებასთან ერთად საგადასახადო ორგანოს ან იურიდიულ პირს (GPRS და crypto-ს მოდულის ფისკალური სსა-ის შემთხვევაში) უნდა წარუდგინოს სსა და მასზე გაცემული სარეგისტრაციო ბარათი (GPRS და crypto-ს მოდულის ფისკალური სსა-ისა). რეგისტრაციიდან მოხსნის მიზნით, ხორციელდება სსა-ის გაუნაშთავი ჯამის (აპარატის მაჯამებლის მაჩვენებლის ფიქსაცია) ამობეჭდვა რეგისტრაციის დღიდან მოხსნის დღემდე (GPRS და crypto-ს მოდულის ფისკალური სსა-ისა) და მონაცემთა ერთიან კომპიუტერულ ბაზაში კეთდება აღნიშვნა სსა-ის რეგისტრაციიდან მოხსნის შესახებ. პირს, განცხადების მიღებიდან არა უგვიანეს 1 სამუშაო დღის ვადაში, გადაეცემა სსა და ცნობა მისი რეგისტრაციიდან მოხსნის შესახებ, რომელშიც ასახულია ინფორმაცია რეგისტრაციიდან მოხსნის თარიღის, გაუნაშთავი ჯამის და „Z" ანგარიშის რაოდენობის შესახებ.

განცხადებაში ან/და თანდართულ დოკუმენტაციაში ხარვეზის გამოელენისას საგადასახადო ორგანო წყვეტს სსა-ის რეგისტრაციის/რეგისტრაციიდან მოხსნის პროცედურებს, რის შესახებაც დაუყოვნებლივ აცნობებს განმცხადებელს.

რეესტრიდან სსა-ის მოდელის ამოღების შემთხვევაში, სსა-ის გამოყენებისათვის დადგენილი ვადის გასვლისთანავე, დარეგისტრირებული აღნიშნული სსა-ის მოდელი ითვლება რეგისტრაციიდან (აღრიცხვიდან) მოხსნილად.

სსა-ის პირველადი დალუქვა ხორციელდება მისი რეგისტრაციის პროცედურის დამთავრებისთანავე.

სსა-ის დალუქვას ახორციელებს საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი.

სსა-ის დალუქვა ხორციელდება იმ ადგილზე, რომელიც მაქსიმალური ალბათობით გამორიცხავს სსა-ის კორპუსის გახსნას ლუქის დაზიანების გარეშე.

სსა-ის დალუქვა ხორციელდება სპეციალური დამცავი ნიშნების მქონე თვითწებადი ლუქით. ამასთან, ლუქში გამოყენებული უნდა იქნეს ისეთი სახის წებო, რომელიც არ იძლევა სსა – დან მისი აძრობის საშუალებას დაზიანების გარეშე.

ლუქზე აღნიშნული უნდა იყოს საგადასახადო ორგანოს დასახელება და ლუქის ნომერი.

სსა-ის პირველადი და შემდგომი (დაზიანების და სხვა შემთხვევებში) დალუქვა რეგისტრირდება GPRS და crypto – ს მოდულის ფისკალური საკონტროლო–სალარო აპარატის დალუქვის ელექტრონულ ჟურნალში, რომელშიც აღინიშნება:

– გადამხდელის დასახელება, საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი;

– სსა-ის განთავსების ფაქტობრივი მისამართი/სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ნომერი;

– სსა-ის საქარხნო ნომერი;

– დადებული ლუქის ნომერი და ლუქის დადების თარიღი;

– შენიშვნა.

GPRS და crypto-ს მოდულის ფისკალური საკონტროლო-სალარო აპარატის დალუქვის ელექტრონულ ჟურნალში შეიტანება მისი ყოველი (ხელახალი) დალუქვის შესახებ შესაბამისი მონაცემები.

სსა-ის დაზიანების შემთხვევაში, თუ მისი შეკეთება საჭიროებს ლუქის მოხსნას ან იმ შემთხვევაში, თუ ლუქი მექანიკურად დაზიანდა, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით ან ელექტრონული ფორმით აცნობოს საგადასახადო ორგანოს.

სსა-ის შეკეთების (მასში დაზიანების მიზეზების აღმოფხვრის) შემდეგ, მისი ექსპლუატაციის დაწყებამდე, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია სსა წარადგინოს საგადასახადო ორგანოში მისი ხელახალი დალუქვის მიზნით. ხელახალი დალუქვის შემთხვევაში დანართი №6-ის მე-8 სვეტში უნდა გაკეთდეს აღნიშვნა „ხელახალი დალუქვა" და შესაბამის მონაცემებთან ერთად მიეთითოს, თუ

მერამდენედ ილუქება აღნიშნული სსა.

სსა-ის ექსპლუატაცია არის მისი დადგმის, ტექნიკური მომსახურების, გამოყენების და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სხვა სამუშაოების ერთიანი პროცესი, რომლის განხორციელების უზრუნველყოფას ახდენს პირი ამ თავით მისთვის განსაზღვრული ვალდებულებათა შესაბამისად.

პირი ვალდებულია მომხმარებლის მიერ მისთვის მიწოდებული/მისაწოდებელი საქონლის ღირებულების ანაზღაურებისას, შესაბამისი მონაცემების აღსარიცხავად გამოიყენოს სსა.

ობიექტის ფუნქციონირება სსა-ის გარეშე მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც არსებობს ქვემოთ ჩამოთვლილი პირობებიდან ერთ-ერთი:

– პირს თავის მფლობელობაში არ გააჩნია სსა;

– პირს გააჩნია სსა, მაგრამ არ არის დარეგისტრირებული საგადასახადო ორგანოში მის სახელზე ან გამოიყენება დისტრიბუციის მიზნით და სარეგისტრაციო ბარათში არ არის მითითებული სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ნომერი;

– სსა რეგისტრირებულია საგადასახადო ორგანოში, მაგრამ აღნიშნული მოდელი ამოღებულია რეესტრიდან და გასულია მისი გამოყენებისათვის დაშვებული კანონმდებლობით დადგენილი ვადა;

– სსა-ზე არ არის ჩართული ფისკალური მეხსიერება და მომხმარებლებთან ნაღდი ფულადი ანგარიშსწორების განხორციელება ხდება არაფისკალური რეჟიმით.

საგადასახადო ორგანოს წინასწარი თანხმობით, პირის მიერ მის სახელზე საგადასახადო ორგანოში რეგისტრირებული სსა – ს გამოყენება დასაშვებია გამოფენის, პრეზენტაციის ან სხვა ასეთი ღონისძიების გამართვის ადგილზე, სადაც პირი ახდენს სასაქონლო მატერიალური ფასეულობების რეალიზაციას. ასეთ შემთხვევაში, პირი განცხადებით (რომელშიც მიეთითება გადასახადის გადამხდელის დასახელება/სახელი და გვარი, საიდენტიფიკაციო ნომერი, გამოფენის, პრეზენტაციის ან სხვა ასეთი ღონისძიების გამართვის ადგილი და ვადა) მიმართავს შესაბამის საგადასახადო ორგანოს, რომელიც განცხადების მიღებიდან არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა აცნობებს პირს თანხმობის ან უარის თაობაზე.

სსა-ის გამოუყენებლობა გულისხმობს იმ შემთხვევას, როდესაც პირს გააჩნია საგადასახადო ორგანოში რეგისტრირებული სსა, რომელიც შეტანილია რეესტრში, სსა-ზე ჩართულია ფისკალური მეხსიერება, მაგრამ მომხმარებლებთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას არ ხდება ვაჭრობის/მომსახურების ყველა ოპერაციაზე სსა-ის გამოყენება, რაც, თავის მხრივ, მოიცავს იმ მომენტს, რომ მომხმარებლისგან ყოველ ფულის მიღებაზე (გარდა იმ შემთხვევისა, როცა კანონმდებლობის შესაბამისად ასეთი ოპერაცია ან პირი თავისუფლდება სსა-ის გამოყენების ვალდებულებისაგან) სსა – ში ამობეჭდილი უნდა იყოს ჩეკი. სსა-ის გამოუყენებლობად არ მიიჩნევა შემთხვევა, როდესაც სსა-ის შეკეთების პერიოდში (არა უმეტეს 7 კალენდარული დღისა) მომხმარებლებთან ნაღდი ფულადი ანგარიშსწორება წარმოებს სარეზერვო სსა-ის მეშვეობით.

სსა-ის დაზიანების შემთხვევაში, პირი ვალდებულია ამ დაზიანების აღმოფხვრამდე შეაჩეროს მომხმარებლებთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორების ოპერაციები და დაზიანების თაობაზე აცნობოს საგადასახადო ორგანოს გონივრულ ვადაში. საგადასახადო ორგანომ უნდა განახორციელოს დაზიანებული სსა-ის ფისკალური მეხსიერებიდან დეტალური ინფორმაციის ამოღება (გარდა GPRS და crypto-ს მოდულის ფისკალური სსა-ისა) შესაძლებლობის შემთხვევაში. პირი სსა-ის დაზიანების აღმოფხვრას უზრუნველყოფს ტექნიკური მომსახურების ცენტრის (შემდგომში – tmc) მეშვეობით, ხოლო GPRS და crypto-ს მოდულის ფისკალური სსა-ის დაზიანების შემთხვევაში იურიდიული პირის მეშვეობით. თუ tმც – ის ან იურიდიული პირის პირობები პირისათვის მიუღებელია (მ.შ. მომსახურების ღირებულების თვალსაზრისით), სსა-ის შეკეთება შეიძლება უზრუნველყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირის მეშვეობით. ამასთან, იმ შემთხვევაში, როცა სსა-ის შეკეთება მოითხოვს მისი რომელიმე მარაგ-ნაწილის გამოცვლას, დაუშვებელია მისი არაიდენტური ნაწილით ჩანაცვლება.

ყოველ კონკრეტულ ობიექტზე სსა-ის ექსპლუატაციასთან დაკავშირებით პირი ვალდებულია:

– სსა-თან სამუშაოდ დაუშვას, მხოლოდ ის თანამშრომელი (მოლარე-ოპერატორი), რომლებმაც შეისწავლეს კონკრეტული სსა-ის ტექნიკური დოკუმენტაციის და ამ თავის შესაბამისად მისი ექსპლუატაციის წესები და შეუძლიათ სსა-თან მუშაობა. პირის მიერ მოლარე-ოპერატორებთან გაფორმებულ უნდა იქნეს ხელშეკრულება მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ;

– მოაწყოს სამუშაო ადგილი, სსა-ის საექსპლუატაციო დოკუმენტაციის და საგადასახადო კანონმდებლობის დაცვით. აუცილებელია სსა-ის სამუშაო ადგილზე იყოს სალაროს უჯრა ან ნაღდი ფულის შესანახი სხვა სათავსი, რომელშიც მოლარე-ოპერატორმა უნდა უზრუნველყოს სსა-ის მიხედვით გატარებული ნაღდი ფულის მიღება და გაცემა;

– შეასრულოს საგადასახადო ორგანოს კანონიერი მოთხოვნები სსა-ს ექსპლუატაციასთან და-

კავშირებით და უზრუნველყოს მათი უფლებამოსილი პირების დაუბრკოლებელი დაშვება სსა – თან;

– უზრუნველყოს თითოეულ ობიექტზე რეგისტრირებული სსა-ების მიხედვით, სარეგისტრაციო ბარათების, მათი პასპორტების (ანალოგიური შინაარსის მქონე დოკუმენტების), ამ თავით განსაზღვრული აქტების და სსა-ების ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტის შენახვა 6 წლის განმავლობაში;

– უზრუნველყოს სსა-ის ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში ექსპლუატაცია;

– უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულება.

მოლარე-ოპერატორი ვალდებულია:

– მუშაობის დაწყებამდე უზრუნველყოს სსა – ში შესაბამისი ლენტების ჩადება;

– ჩართოს სსა ელექტროქსელში და შეამოწმოს ამობეჭდილ ჩეკებში აუცილებელი რეკვიზიტების ასახვის მდგომარეობა, თარიღის და დროის ჩვენების სიზუსტე;

– სსა-ის ექსპლუტაცია აწარმოოს საექსპლუატაციო დოკუმენტაციის და საგადასახადო კანონმდებლობის დაცვით;

– მომხმარებლის მიერ ნაღდი ფულით ანგარიშსწორების ყველა ოპერაციაზე ამობეჭდოს და შესთავაზოს (დადოს მომხმარებლისათვის თვალსაჩინო ადგილას) მომხმარებელს ამობეჭდილი ჩეკი. თუ მომხმარებლის მიერ მიწოდებელი/მისაწოდებელი საქონლის/მომსახურების ანგარიშში გადახდილი თანხიდან მომხმარებელს უნდა დაუბრუნდეს ხურდა, ჩეკში ამოსაბეჭდად სსა – ში გატარებულ უნდა იქნეს მხოლოდ ის თანხა, რომელიც რჩება სალაროში;

– როდესაც სსა-ის ჩეკში შეცდომით ამოირტყმება არასწორი თანხა, უნდა შედგეს დანართი №9 – ით განსაზღვრული ფორმის აქტი, რომელსაც ხელი უნდა მოაწეროს როგორც მოლარე-ოპერატორმა, ასევე მოლარე-ოპერატორზე სამსახურებრივი ზედამხედველობის განმახორციელებელმა პირმა (დირექტორი, ბუღალტერი, გაყიდვების მენეჯერი და ა.შ.). ამასთან, შეცდომით ამობეჭდილი ჩეკი და ჩეკის ასლი უნდა დაეკრას ამ აქტს. ასეთივე აქტი 2 ეგზემპლარად დგება იმ შემთხვევაშიც, როცა მომხმარებლის მიერ ხდება ჩეკის საფუძველზე ნაყიდი საქონლის „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით დაბრუნება და ამასთან, მოლარე-ოპერატორს გააჩნია იმის უფლება, რომ მიიღოს საქონელი და დაუბრუნოს მომხმარებელს მასში გადახდილი თანხა. ამ შემთხვევაში, ზემოაღნიშნული პირების გარდა, აქტს ხელი უნდა მოაწეროს მომხმარებელმაც, რომელსაც უნდა გადაეცეს აქტის ერთი ეგზემპლარი. მოლარე-ოპერატორთან დარჩენილ აქტს უნდა დაეკრას მომხმარებლის მიერ დაბრუნებული ჩეკი და ჩეკის ასლი;

– თავისი სამუშაო ცვლის ბოლოს ამობეჭდოს „Z“ ანგარიში და დღის განმავლობაში შედგენილი აქტები გადასცეს შესაბამისად უფლებამოსილ პირს. ყოველი „Z“ ანგარიშის ამობეჭდვის შემდეგ, შესაბამის ფორმებში უზრუნველყოს ამ სსა-ის მიხედვით მაჯამებელი მრიცხველის ჩვენების (გაუნაშთაი ჯამის) დაფიქსირება.

სსა-ის გაუმართაობის (დაზიანების) შემთხვევაში მოლარე-ოპერატორი ვალდებულია გამორთოს სსა და თუ შემდგომი მუშაობის გაგრძელება შეუძლებელია, შეწყვიტოს მომხმარებლებთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორება.

გაუმართავად (დაზიანებულად) უნდა ჩაითვალოს სსა, რომელიც:

– არ ბეჭდავს, გაუგებრად (ბუნდოვნად) ბეჭდავს ან არ ბეჭდავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ რეკვიზიტებს ჩეკზე;

– არ ბეჭდავს, ბუნდოვნად ან არასრულად ბეჭდავს საკონტროლო ლენტს ან სხვა დოკუმენტებს, აგრეთვე არ ასრულებს ან შეცდომებით ასრულებს იმ ოპერაციებს, რომლებიც გათვალისწინებულია სსა-ის ტექნიკური მოთხოვნებით;

– ვერ ღებულობს მონაცემებს, რომელიც დაცულია სსა-ის ფისკალურ მეხსიერებაში, რაც აუცილებელია საგადასახადო ორგანოების მხრიდან სათანადო კონტროლის განსახორციელებლად.

– კონკრეტულ სსა – ს შესაძლებელია ჰქონდეს გაუმართავი მუშაობის სხვა მიზეზებიც, რომელიც, როგორც წესი, გათვალისწინებული უნდა იყოს მისი ტექნიკური ექსპლუატაციის წესებში.

– სსა – ში დაზიანების აღმოსაფხვრელად საჭირო დროის პერიოდში პირი აჩერებს მომხმარებელთან ნაღდი ფულით განსახორციელებელ ყველა ოპერაციას (წყვეტს ნაღდი ფულის მიღებას). ამ პერიოდში მას შეუძლია გამოიყენოს, მხოლოდ საგადასახადო ორგანოში დადგენილი წესით რეგისტრირებული მის საკუთრებაში არსებული ან/და tmc – ის მიერ დროებით მფლობელობაში გადმოცემული სარეზერვო სსა.

– ტმც, ხოლო GPRS და crypto – ს მოდულის ფისკალური სსა-ების შემთხვევაში იურიდიული პირი, ახორციელებს სსა-ის ტექნიკურ მომსახურებას ან/და რემონტს. გარდა ამისა, უზრუნველყოფს:

– პირის სსა-ის ექსპლუატაციაში გაშვებისათვის წინამოსამზადებელი სამუშაოების განხორ-

ციელებას, მის პროგრამირებას, სარემონტო სამუშაოების განხორციელებას, აღმოჩენილი დაზიანებების აღმოფხვრას და სსა-ის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული სხვა სამუშაოების ჩატარებას;

– პირის ან საგადასახადო ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში ადგენს ტექნიკურ დასკვნებს სსა-ის გამართულობის შესახებ;

– იმ სსა-ების დარეგისტრირებას, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნენ როგორც სარეზერვო სსა-ები.

სსა-ის შესაკეთებლად გადაცემის და დაბრუნების შემთხვევაში ორ ეგზემპლარად დგება შესაბამისი აქტი.

სარეზერვო სსა-ს დადგმისა და დაბრუნების (მოხსნის) შემთხვევაში ორ ეგზემპლარად დგება შესაბამისი აქტი.

საქონლის/მომსახურების საკონტროლო შესყიდვისას ჩეკზე არასწორი თარიღის და დროის ჩვენების, აგრეთვე მომენტალური გადახდების ტექნოლოგიების და მონყობილობების საშუალებით განეული მომსახურებისას (საქმიანობის ამ ნაწილში) სსა – ს გარეშე მუშაობის ან სსა – ს გამოუყენებლობის ფაქტის გამოვლენა, ასევე საგადასახადო ორგანოსთან წინასწარი თანხმობით გამოფენაზე ან პრეზენტაციაზე გამოყენებულ სსა-ზე არ ხორციელდება პირისათვის საგადასახადო სანქციის დაკისრება.

საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ პირს უფლება აქვთ სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, განახორციელონ სსა-ების გამოყენების წესების დაცვის კონტროლი.

საგადასახადო ორგანოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დასაშვებია სსა-ების გამოყენების წესების დაცვის კონტროლის სისტემატურად განხორციელების მიზნით.

სსა-ების გამოყენების წესების დაცვის კონტროლი ხორციელდება შემდეგი ფაქტების გამოვლენის მიზნით:

– სსა-ის რეგისტრაციის წესების დარღვევის;

– სსა-ის გამოუყენებლობის და გამოყენების წესების დარღვევის;

– ჩეკში ფაქტობრივად გადახდილზე ნაკლები თანხის ჩვენების;

– სსა-ის დაკარგვის;

– ჩგდ-ის გამოყენების წესების დარღვევის;

– სსა-ის ექსპლუატაციის წესების დარღვევის;

– სხვა პირობების დარღვევის.

სსა-ების გამოყენების წესების დაცვის კონტროლის სისტემატურად განხორციელების მიზნით, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი უფლებამოსილია:

– შეამოწმოს სსა-ის:

ა) არსებობა;

ბ) სარეგისტრაციო ბარათი და მისი მონაცემების ფაქტობრივ მონაცემებთან შესაბამისობა;

გ) ტექნიკური გამართულობა;

– სსა – დან ამობეჭდოს კონკრეტული პერიოდის მიხედვით აპარატის ფისკალურ მეხსიერებაში არსებული ინფორმაცია ამონაგები თანხის შესახებ.

საგადასახადო შემოწმების პროცესში საგადასახადო ორგანოს შესაბამის უფლებამოსილ პირს, ზემოთ ჩამოთვლილი უფლებამოსილების გარდა, უფლება აქვს:

– სსა – დან ამობეჭდოს კონკრეტული პერიოდის მიხედვით სსა-ის ფისკალურ მეხსიერებაში არსებული ინფორმაცია ამონაგები თანხის შესახებ და დაადგინოს ამ თანხების პირის საბუღალტრო დოკუმენტაციაში ასახვის სისწორე;

– საბუღალტრო აღრიცხვისა და სსა-ის მაჩვენებლები შეუდაროს სალაროში არსებულ ნაღდ ფულს;

– შესთავაზოს პირს წარმოადგინოს სალაროში არსებული ფულადი სახსრები და შესაბამისი წერილობითი განმარტება ფულადი სახსრების წარმომავლობის შესახებ;

– მოახდინოს სალაროში ნაღდი ფულის რაოდენობის განსაზღვრა პირის ან მისი წარმომადგენლის სალაროში არსებული მთელი ფულის სრული დათვლის გზით.

საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი, უფლებამოსილია საგადასახადო სამართლდარღვევის ფაქტის დაფიქსირებამდე არ გაამჟღავნოს თავისი სამსახურებრივი მიზანი (გამოვიდეს ფსევდომომხმარებლის როლში) და სპეციალური ტექნიკური საშუალებების გამოყენებით (ვიდეო ან აუდიო ჩანაწერების საშუალებით) ან მის გარეშე მოახდინოს მოლარის მიერ სხვა მომხმარებლისთვის სსა-ის გამოუყენებლობის ან ამობეჭდილი ქვითრის (ჩეკის) წარუდგენლობის ფაქტის გამოვლენა.

აღნიშნული ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი ადგენს შესაბამის სამართალდარღვევის ოქმს. აღნიშნული პროცედურა შეიძლება ჩატარდეს ერთსა და იმავე ობიექტში სისტემატურად.

სსა-ის გამოყენების ნესების დაცვაზე კონტროლის პროცედურები შესაძლებელია ჩატარდეს დამსწრეების გარეშე.

18.5.7 დათვალიერება

დათვალიერება წარმოებს პირის ტერიტორიის ან/და შენობა-ნაგებობის გარე და შიდა სივრცის ვიზუალური დათვალიერების გზით.

დათვალიერება ტარდება მოსამართლის ბრძანების გარეშე, გარდა ფიზიკური პირის საცხოვრებელი ბინის დათვალიერებისა, რომელიც დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით.

საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია დათვალიერების განხორციელებამდე გადასახადის გადამხდელს წარუდგინოს პირადობის დამადასტურებელი (სამსახურებრივი) მოწმობა და საგადასახადო ორგანოს უფროსის/მოადგილის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი დათვალიერების ჩატარების თაობაზე, რის შემდეგაც უფლება აქვს გადასახადის გადამხდელისგან ცნობის სახით მიიღოს ინფორმაცია ეკონომიკური საქმიანობისათვის განკუთვნილი ადგილების მდებარეობის, ფართის მფლობელის, აგრეთვე სსა-ების, მრიცხველების ან სხვა ტექნიკური საშუალებების განთავსების ადგილების შესახებ, ასევე სხვა ინფორმაცია, რომელიც საჭიროა დათვალიერების პროცედურის განხორციელებისათვის.

დათვალიერების შედეგების მიხედვით საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი ადგენს „დათვალიერების შედეგების შესახებ“ ოქმს (დანართი).

„დათვალიერების შედეგების შესახებ“ ოქმის შენიშვნაში დამატებით აღინიშნება დათვალიერებისას გამოვლენილი ფაქტები და გარემოებები, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს საქმესთან დაკავშირებით, ასევე ოქმზე თანდართული მტკიცებულებების ჩამონათვალი (მოწვეული სპეციალისტის დასკვნა, დათვალიერების პროცედურის დაფიქსირების ტექნიკური საშუალებებით მოპოვებული ინფორმაცია (ასეთის არსებობისას) და სხვ.).

დანართი N15

შეზოსავლების სამსახური

ოქმი N

დათვალიერების შედეგების შესახებ

1			20 წ.	2		3	20 წ.			N	ბრძანების საფუძველზე
შედგენის თარიღი)				(საგადასახადო ორგანოს დასახელება)		(რიცხვი) (თვე)					

4		ბილ

(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

5	

(გადასახადის გადამხდელის დასახელება/სახელი, გვარი, საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი, ოპერაციული მისამართი)

6	

(დათვალიერების ჩატარების ადგილი _ ობიექტის დასახელება, ფაქტობრივი მისამართი)

7	20 წ.			დან	20 წ.			დან
(რიცხვი) (თვე)					(რიცხვი) (თვე)			

განხორციელდა მიმდინარე კონტროლის პროცედურა _ დათვალიერება

8		მონაწილეობით

(დათვალიერების განხორციელებაში მონაწილე გადასახადის გადამხდელის ან/და მისი წარმომადგენლის მოწვეული სპეციალისტის/ექსპერტის სახელი და გვარი)

9	

(დათვალიერების შედეგი)

	(სახელი, გვარი)	(ხელმოწერა)
დათვალიერების განმახორციელებელი (ოქმის შემდგენი) საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირები		
გადასახადის გადამხდელი ან/და მისი წარმომადგენელი	(სახელი, გვარი)	(ხელმოწერა)
მოწვეული სპეციალისტი/ ექსპერტი	(სახელი, გვარი)	(ხელმოწერა)

შენიშვნა

18.5.8 ინვენტარიზაცია

ინვენტარიზაციის მიზანია დროის გარკვეული პერიოდისთვის მოხდეს გადასახადის გადამხდელის მფლობელობაში არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების (შემდგომში – სმფ), წარმოების და მათი შენახვის ადგილზე სამეურნეო საქმიანობის პროცესში გამოყენებული ნედლეულის, მასალების, ნახევარფაბრიკატების, მარაგ – ნაწილების, ტარისა და მზა პროდუქციის (საქონლის) ნაშთების ფაქტობრივი მდგომარეობის სააღრიცხვო დოკუმენტაციაში აღრიცხულ ნაშთებთან შედარება.

ინვენტარიზაცია ტარდება მხოლოდ ისეთი სმფ-ების სახეობების მიმართ, რომელთა დათვლა, აწონვა და აზომვა ფიზიკურად შესაძლებელია.

ინვენტარიზაციას ექვემდებარება:

ა) ის სმფ-ები, რომელიც მოცემული გადასახადის გადამხდელის მფლობელობაშია და იმყოფება მის ტერიტორიაზე;

ბ) ის სმფ-ები, რომელიც მოცემული გადასახადის გადამხდელის მიერ მიღებულია შესანახად, იჯარით სარგებლობისათვის, გადასამუშავებლად ან სხვა დანიშნულებით;

გ) ის სმფ-ები, რომელიც აღრიცხულია შესაბამის ბუღალტრულ ანგარიშებზე, როგორც გზაში მყოფი, გადატვირთული, სხვა გადასახადის გადამხდელთან გადასამუშავებლად ან/და საწყობებში შესანახად გადაცემული სმფ-ები.

გადასახადის გადამხდელის მფლობელობაში არსებული ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციის პროცედურა განისაზღვრება დადგენილი წესით.

ინვენტარიზაცია ინყება გადასახადის გადამხდელისათვის/მისი წარმომადგენლისათვის სმფ-ების ინვენტარიზაციის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობისთანავე, რომლის შემდგომ, შესაბამისი პროცედურების დაწყებამდე, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი უფლებამოსილია დალუქოს ის სათავსები, სადაც ინახება სმფ-ები, ძირითადი საშუალებები ან/და ბუღალტრული დოკუმენტები.

საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის შესახებ გადასახადის გადამხდელის ბრძანებით განსაზღვრული უნდა იქნეს, თუ რა ვადაში უნდა განხორციელდეს საინვენტარიზაციო კომისიის მიერ სმფ-ების რაოდენობის ფაქტობრივი მდგომარეობისა და მოცემული პერიოდისთვის ნაშთის სააღრიცხვო (საბუღალტრო) მონაცემების დადგენა (სააღრიცხვო (საბუღალტრო) მონაცემების დადგენა არ უნდა აღემატებოდეს 10 კალენდარულ დღეს).

იმ შემთხვევაში, როდესაც სმფ-ების სააღრიცხვო (საბუღალტრო) მონაცემები გადასახადის გადამხდელის მიერ აღირიცხება კომპიუტერული პროგრამების საშუალებით, საგადასახადო ორგანოს მოთხოვნით შესაძლებელია შესაბამისი დროის პერიოდად განისაზღვროს გადასახადის გადამხდელისთვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ჩაბარების შემდგომ მომდევნო ფაქტობრივი სამუშაო დღის დაწყების დრო.

გადასახადის გადამხდელი ვალდებულია შექმნას ინვენტარიზაციის ჩატარებისათვის სათანადო პირობები და აკონტროლოს ინვენტარიზაციის ჩატარების კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვა.

ინვენტარიზაციის დაწყების წინ საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის შესახებ გადასახადის გადამხდელის ხელმძღვანელის ბრძანება ან საგადასახადო ორგანოს უფროსის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ გადაეცემათ კომისიის თავმჯდომარეს და წევრებს, ასევე საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ პირს.

საინვენტარიზაციო კომისიის მიერ განსახორციელებელ სმფ-ების ინვენტარიზაციის პროცედურა მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) სმფ-ების რაოდენობის ფაქტობრივი მდგომარეობის აღრიცხვა (შემდგომში – ფაქტობრივი აღრიცხვა);

ბ) სმფ-ების ნაშთის სააღრიცხვო დოკუმენტების მონაცემების დადგენა;

გ) სმფ-ების ფაქტობრივი და სააღრიცხვო (საბუღალტრო) მონაცემების ურთიერთშედარება და შედეგების გამოყვანა.

ფაქტობრივი აღრიცხვისა და სმფ-ების ნაშთის სააღრიცხვო დოკუმენტების შემოწმების დაწყებამდე, საინვენტარიზაციო კომისია ვალდებულია:

ა) საჭიროების შემთხვევაში, დალუქოს დამხმარე სათავსები, სარდაფები და ფასეულობათა შენახვის ის ადგილები, რომლებსაც ცალკე შესასვლელი – გასასვლელი აქვთ;

ბ) შეამოწმოს ზომა – წონის საზომი ყველა ხელსაწყოს ვარგისიანობა;

გ) მიიღოს ის დოკუმენტაცია, რომელიც ასახავს ფაქტობრივი აღრიცხვის დაწყების პერიოდი-

სათვის არსებულ მდგომარეობას. ყველა დოკუმენტი უნდა იყოს დამოწმებული კომისიის თავმჯდომარის მიერ;

დ) სმფ-ების შენახვაზე პასუხისმგებელი პირისგან მიიღოს ხელწერილი, რომ ფაქტობრივი აღრიცხვის დაწყებამდე ყველა შემოსავლისა და გასავლის დოკუმენტი ჩაბარებულია ბუღალტერიაში, ყველა მიღებული ფასეულობა აღებულია შემოსავალში, ხოლო გაცემული ჩამონერილია გასავალში. ამასთან, გადასახადის გადამხდელისგან მიიღოს ხელწერილი, რომ ზედმეტობის ან/და დანაკლისის შესახებ ინფორმაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ასახა საგადასახადო ანგარიშგებაში ან/და მიაწოდა საგადასახადო ორგანოს ინვენტარიზაციის დაწყებამდე;

ე) გადაამოწმოს სმფ-ების შენახვაზე პასუხისმგებელი პირის მიერ საინვენტარიზაციო უწყისებში აღმოჩენილი შეცდომები და მათი დადასტურების შემთხვევაში გაასწოროს ისინი.

საინვენტარიზაციო კომისიის მიერ ინვენტარიზაციისას შედგენილი ოქმები დაუყოვნებლივ გადაეცემა საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ პირს.

იმ შემთხვევაში, როდესაც საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი არ არის საინვენტარიზაციო კომისიის წევრი, მის მიერ საინვენტარიზაციო კომისიის შედგენილ ოქმებზე ხელმოწერით დასტურდება, მხოლოდ ამ ოქმების მისთვის გადაცემის ფაქტი.

საინვენტარიზაციო კომისიის მიერ, ამ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების (სმფ-ების რაოდენობის ფაქტობრივი მდგომარეობის აღრიცხვა და მათი ნაშთების სააღრიცხვო (საბუღალტრო) მონაცემების დადგენა) შესრულების შემდეგ, საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია თვითონ მოახდინოს სმფ-ების რაოდენობის ფაქტობრივი მდგომარეობის და სააღრიცხვო (საბუღალტრო) მონაცემების შედეგების გამოყვანა და შეჯამება.

ფაქტობრივი აღრიცხვა ხორციელდება მათი ადგილმდებარეობის მიხედვითა და სმფ-ების შენახვაზე პასუხისმგებელი პირების უშუალო მონაწილეობით.

ფასეულობათა ფაქტობრივი არსებობა უნდა დადგინდეს აუცილებელი დათვლის, აწონვის, აზომვის გზით.

ფაქტობრივი აღრიცხვისას თითოეული საგანი უნდა იქნეს ვიზუალურად შემოწმებული და შეტანილ იქნეს დასახელებების მიხედვით საინვენტარიზაციო უწყისებში.

ფაქტობრივი აღრიცხვა, როგორც წესი, მოცემულ სათავსში განლაგებული საქონლის რიგითობის მიხედვით უნდა განხორციელდეს, ხოლო როცა ფასეულობანი სხვადასხვა სათავსშია განლაგებული და ეკუთვნის ერთსა და იმავე სმფ-ების შენახვაზე პასუხისმგებელ პირს – შენახვის ადგილების თანმიმდევრობით. ფასეულობათა აღრიცხვის შემდეგ, სათავსი ილუქება და ფაქტობრივი აღრიცხვა გრძელდება შემდგომ სათავსში. ამასთან, საგადასახდო ორგანოს უფლებამოსილ პირთან შეთანხმებით, ის სათავსი, რომელშიც დასრულებულია ფაქტობრივი აღრიცხვა, შესაძლებელია არ დაილუქოს.

თუ ფაქტობრივი აღრიცხვა ერთი დღის განმავლობაში არ მთავრდება, ის სათავსი, სადაც სმფ-ები ინახება, საინვენტარიზაციო კომისიის მიერ სამუშაო დღის დასრულებისას, ილუქება საგადასახადო ორგანოს წარმომადგენლის მიერ, რაზედაც დგება დალუქვის ოქმი საინვენტარიზაციო კომისიის წევრების ხელმოწერით. ლუქი, ინვენტარიზაციის მთელი პერიოდის განმავლობაში, ინახება საგადასახადო ორგანოს წარმომადგენელთან.

საინვენტარიზაციო კომისიის მუშაობის პერიოდში შესვენებისას, საინვენტარიზაციო უწყისები ინახება დაკეტილ სათავსში (ყუთი, კარადა, სეიფი), იქ სადაც ინვენტარიზაცია მიმდინარეობს.

იმ მასალების ან/და საქონლის რაოდენობა, რომელიც მიმწოდებლის მიერ შეფუთულ მდგომარეობაში დაუზიანებლად იმყოფება, დასაშვებია განისაზღვროს არსებული დოკუმენტების საფუძველზე, ამ ფასეულობათა შერჩევითი შემოწმებით. დასაყრელი მასალის წონის განსაზღვრა დასაშვებია აზომვისა და ტექნიკური გაანგარიშებების საშუალებით. აზომვებისა და გაანგარიშების აქტი აღრიცხვის ოქმს უნდა დაერთოს. დიდი რაოდენობით ასაწონი საქონლის ფაქტობრივი აღრიცხვისას აწონვის მონაცემები შეიძლება შეტანილ იქნეს ცალკე უწყისებში, რომელიც დღის ბოლოს ან სამუშაოს დამთავრებისას უნდა დაჯამდეს და გამოყვანილი ჯამი გადატანილ იქნეს საინვენტარიზაციო უწყისში. აწონვის მონაცემები უნდა დაერთოს საინვენტარიზაციო უწყისს.

სმფ-ები შეიტანება საინვენტარიზაციო უწყისებში დასახელების, სახის, რაოდენობისა და სხვა მახასიათებლების მიხედვით. საინვენტარიზაციო კომისიის წევრები სმფ-ების შენახვაზე პასუხისმგებელ პირთან ერთად ახდენენ ფასეულობების გადათვლას, აწონვას და გაზომვას. საინვენტარიზაციო უწყისებში დაუშვებელია სმფ-ების შენახვაზე პასუხისმგებელი პირების მიერ სიტყვიერად ნათქვამი მონაცემების, ასევე მათი ფაქტობრივი აღრიცხვის მონაცემების შეტანა მათი ფაქტობრივად შემოწმების გარეშე.

აღრიცხული ფასეულობები საინვენტარიზაციო უწყისში შეიტანება იმ საზომ ერთეულებში, რო-

მელშიც წარმოებს მათი აღრიცხვა.

ფაქტობრივი აღრიცხვის შემდეგ, საინვენტარიზაციო კომისია ადგენს ოქმს „სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის შესახებ" .

ფაქტობრივ აღრიცხვას ასევე უნდა დაექვემდებაროს ის სმფ-ები, რომელიც აღირიცხება შესაბამის ბუღალტრულ ანგარიშებზე, როგორც გზაში მყოფი, გადატვირთული, სხვა პირის სათავსებში მყოფი და სხვა. საინვენტარიზაციო კომისია საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ პირის თანხმობის შემთხვევაში, უფლებამოსილია ასეთი სმფ-ები აღრიცხოს ფაქტობრივი აღრიცხვის გარეშე, იმ სათანადოდ გაფორმებული დოკუმენტების საფუძველზე, რომლითაც დასტურდება ამ სმფ-ების გაგზავნის, გადატვირთვის, სხვა პირებისთვის შენახვის ან გადამუშავების მიზნით გაგზავნის ფაქტი. საჭიროების შემთხვევაში, საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია მოითხოვოს ამ ფასეულობათა ფაქტობრივი აღრიცხვა.

საინვენტარიზაციო უწყისები ხელმოწერილი უნდა იქნეს კომისიის ყველა წევრისა და სმფ-ების შენახვაზე პასუხისმგებელი პირების მიერ.

საინვენტარიზაციო უწყისები შეიძლება შეივსოს როგორც ხელით, ასევე კომპიუტერული საშუალებებით. ხელით შედგენილი აღრიცხვები უნდა შეივსოს კალმით, სუფთად და გარკვევით. ჩანაწერების ამოშლა და გადასწორება დაუშვებელია.

შეცდომის დაშვებისას აღრიცხვის ყველა ეგზემპლარზე უნდა გადაიხაზოს არასწორი ჩანაწერები და იქვე ჩაიწეროს სწორი ჩანაწერი. შესწორებაზე ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი და სმფ – ების შენახვაზე პასუხისმგებელი პირი.

საინვენტარიზაციო უწყისებში შეუვსებელი გრაფების დატოვება დაუშვებელია. ასეთი გრაფები უნდა გადაიხაზოს.

იმ შემთხვევაში, თუ სმფ-ების შენახვაზე პასუხისმგებელი პირი, ფაქტობრივი აღიცხვის შემდეგ საინვენტარიზაციო უწყისებში შეამჩნევს შეცდომებს, იგი ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ (საწყობის, საკუჭნაოს, სექციის გახსნამდე) განუცხადოს საინვენტარიზაციო კომისიას. კომისია შეამოწმებს განცხადებაში მოყვანილ ფაქტებს და მათი აღმოჩენის შემთხვევაში გაასწორებს დაშვებულ შეცდომებს.

ინვენტარიზაციის დროს შემოსული ფასეულობების მიღება ხდება სმფ-ების შენახვაზე პასუხისმგებელი პირების მიერ საინვენტარიზაციო კომისიის წევრების თანდასწრებით და საინვენტარიზაციო უწყისებში შეიტანება ცალკე ოქმში „ინვენტარიზაციის დროს შემოსული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შესახებ". ოქმში მიეთითება მიღების თარიღი, ასევე, შემოსავლის დოკუმენტის დასახელება, თარიღი და ნომერი, საქონლის დასახელება, რაოდენობა, ერთეულის ფასი და გადახდილი (გადასახდელი) თანხის ოდენობა.

როდესაც ფაქტობრივი აღრიცხვა დიდ დროს მოიცავს ან არსებობს სმფ-ების დაზიანების, განადგურების, ვარგისიანობის ვადის გასვლის და სხვა გარემოება, გადასახადის გადამხდელის ხელმძღვანელის წერილობითი მოთხოვნით და საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ პირთან შეთანხმებით, დასაშვებია ფაქტობრივი აღრიცხვის პროცესში სმფ-ების შენახვაზე პასუხისმგებელი პირის მიერ კომისიის წევრების თანდასწრებით ფასეულობათა ობიექტიდან გაცემა. ასეთ დროს გაცემული ინვენტარიზებული სმფ-ები საინვენტარიზაციო უწყისებში შეიტანება ცალკე ოქმში „ინვენტარიზაციის დროს გაცემული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შესახებ". ოქმში მიეთითება გაცემის თარიღი, ასევე გასავლის დოკუმენტის დასახელება, თარიღი და ნომერი, საქონლის დასახელება, რაოდენობა, ერთეულის ფასი და მიღებული (მისაღები) თანხის ოდენობა.

სმფ-ების შენახვაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია ფაქტობრივი აღრიცხვის ბოლოს, საინვენტარიზაციო კომისიას წერილობით შეატყობინოს იმის თაობაზე, რომ ფაქტობრივი აღრიცხვა მისი თანდასწრებით ჩატარდა, კომისიის წევრებთან პრეტენზია არ გააჩნია და აღრიცხულ ფასეულობებს შესანახად ღებულობს პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ.

20 – – წლის – – – – – – – – – – – – – – – – – – – მდგომარეობით

„სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის შესახებ"
ოქმი №

– 20 – – წ.

(შედგენის თარიღი)

გადასახადის გადამხდელის დასახელება – – – – – – – – – საიდენტიფიკაციო ნომერი – – – – – –

საინვენტარიზაციო კომისიამ შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე

– –

(თანამდებობა, სახელი და გვარი, პ/ნ)

და წევრები 1– –

(თანამდებობა, სახელი და გვარი, პ/ნ)

2 –

(თანამდებობა, სახელი და გვარი, პ/ნ)

3 –

(თანამდებობა, სახელი და გვარი, პ/ნ)

4 –

(თანამდებობა, სახელი და გვარი, პ/ნ)

– – – – – – – – – – – – – – – – 20 – – წ. – – – – – – – – – – № – – ბრძანების თანახმად

(საგადასახადო ორგანოს დასახელება) (რიცხვი)(თვე)

– –

(ობიექტის მისამართი)

აღრიცხა ფაქტობრივი მდგომარეობით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

რიგითი №	სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (პირვანდელი ღირებულებით)	თანხა სულ (პირვანდელი ღირებულებით)	ერთეულის ფასი (საბაზრო ღირებულებით)	თანხა სულ (საბაზრო ღირებულებით)
1	2	3	4	5	6	7	8
ჯამი		X	X	X		X	

შენიშვნა ---

ინვენტარიზაციაში მონაწილე პირების ხელმოწერა ---------- / --------- /

ხელმოწერა (სახელი, გვარი)

---------- / --------- /

ხელმოწერა (სახელი, გვარი)

საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირები ---------- / --------- /

ხელმოწერა (სახელი, გვარი)

---------- / --------- /

ხელმოწერა (სახელი, გვარი)

თავი 19. საგადასახადო დავა და შეთანხმება

19.1 საგადასახადო დავის პრინციპები

საგადასახადო დავა შესაძლებელია განხილულ იქნეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემასა და სასამართლოში.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საგადასახადო დავის განმხილველი ორგანოები არიან შემოსავლების სამსახური და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭო (შემდგომში – დავის განმხილველი ორგანოები).

დავების განხილვის საბჭო არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული საგადასახადო დავის განმხილველი ორგანო.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საგადასახადო დავა ორეტაპიანია და იწყება საჩივრის შემოსავლების სამსახურში წარდგენით.

დავების განხილვის საბჭოს შემადგენლობას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

დავის განმხილველ ორგანოებს აქვთ საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული რეგლამენტი, რომელიც განსაზღვრავს საჩივრის განხილვისა და მომჩივნებთან ურთიერთობის წესს.

დავების განხილვის საბჭოს ჰყავს აპარატი, რომელიც უზრუნველყოფს საბჭოში შესული საჩივრების განსახილველად მომზადებას, მომჩივნებისთვის სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებას და საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაფორმებას.

დავების განხილვის საბჭოს აპარატს უფლება აქვს, თავისი ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით დავის მხარეებთან ჩაატაროს მოსამზადებელი შეხვედრა საჩივართან დაკავშირებული გარემოებების დასაზუსტებლად.

დავის განმხილველი ორგანო საჩივრის განხილვისას ხელმძღვანელობს სამართლიანობის, ობიექტურობის, მხარეთა თანასწორობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებით.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საგადასახადო დავის შედეგად დაუშვებელია მომჩივნის საგადასახადო ვალდებულებების დამძიმება, გარდა გადამხდელის თანხმობით ამავე დავის ფარგლებში ჩატარებული შემოწმების შემთხვევისა.

საგადასახადო ორგანოს მიერ პირის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს დავის განმხილველ ორგანოში.

საგადასახადო შემოწმების აქტი და მის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება საჩივრდება ამ დოკუმენტების საფუძველზე გამოცემულ საგადასახადო მოთხოვნასთან ერთად. საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი/ბრძანება საჩივრდება დადგენილი წესით.

მაკონტროლებელი ან სამართალდამცავი ორგანოების მიერ საგადასახადო ორგანოსათვის მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე გამოცემული საგადასახადო მოთხოვნა საჩივრდება დავების განხილვის საბჭოში.

საგადასახადო კოდექსის 273-ე და 281-ე მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით გადასახადის გადამხდელის საჩივარზე შემოსავლების სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საჩივრდება სასამართლოში.

პირს უფლება აქვს, გაასაჩივროს საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება მისი ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში.

პირს უფლება აქვს, საგადასახადო ან/და დავის განმხილველი ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისათვის დადგენილი ვადის დარღვევა მიიჩნიოს მისი მიმართვის დაკმაყოფილებაზე უარის თქმად და გაასაჩივროს იგი დადგენილი წესით. ვადის დარღვევით გამოცემული გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა აითვლება პირისთვის მისი ჩაბარებიდან.

30-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ დავის დაწყება დასაშვებია ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებების ან მტკიცებულებების საფუძვლით. ახლად აღმოჩენილად ან ახლად გამოვლენილად ჩაითვლება ისეთი გარემოებები ან მტკიცებულებები, რომლებიც მომჩივანმა არ იცოდა და არ შეეძლო სცოდნოდა მისთვის არასასურველი გადაწყვეტილების მიღებამდე და რომელთა დროულად წარდგენა გამოიწვევდა მომჩივნისათვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღებას.

დავის დაწყება ასევე დასაშვებია, თუ დადგინდება, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ გაგზავნია მომჩივანს. ასეთ შემთხვევაში გასაჩივრების ვადა აითვლება იმ დღიდან, როდესაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება ცნობილი გახდა მომჩივნისათვის.

საჩივარი დავის განმხილველ ორგანოს წარედგინება წერილობით ან ელექტრონულად. მომჩივნის

მიერ დავის განმხილველ ორგანოში ელექტრონული ფორმით წარდგენილ ინფორმაციას აქვს ისეთივე ძალა, როგორიც წერილობითი ფორმით წარდგენილს.

საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საჩივრის წარდგენის ვადის გასვლის შემდეგაც, თუ მომჩივანი დაამტკიცებს, რომ გასაჩივრების ვადის დარღვევა მისგან დამოუკიდებელი მიზეზით იყო გამოწვეული. საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას.

დავის განმხილველი ორგანო საჩივარს წარმოებაში არ იღებს, თუ იგი არ აკმაყოფილებს შემდეგ პროცედურულ მოთხოვნებს:

ა) საჩივარში არ არის მითითებული მომჩივნის საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი;

ბ) საჩივარში არ არის მითითებული მომჩივნის საკონტაქტო მონაცემები;

გ) საჩივრიდან არ ირკვევა მოთხოვნის არსი;

დ) საჩივარს არ ერთვის გასაჩივრებული გადაწყვეტილების ან მის გამოცემასთან დაკავშირებული დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) საჩივრის ან მისთვის დართული დოკუმენტების გვერდები დაუნომრავია;

ვ) საჩივარი ან მისთვის დართული დოკუმენტაცია არ იკითხება;

ზ) საჩივარი ან მისთვის დართული დოკუმენტი არ არის შედგენილი საქართველოს სახელმწიფო ენაზე;

თ) საჩივარი ხელმოუწერელია (გარდა ელექტრონულად წარმოდგენილი საჩივრისა).

თუ საჩივარი არ აკმაყოფილებს პროცედურულ მოთხოვნებს, მომჩივანს წერილობით ეცნობება ამის შესახებ და მიეცემა არანაკლებ 5 დღე საჩივარში არსებული ხარვეზის გამოსასწორებლად. დავის განმხილველ ორგანოს უფლება აქვს, მომჩივნის მოტივირებული მოთხოვნის შემთხვევაში გააგრძელოს ხარვეზის გამოსასწორებლად მიცემული ვადა.

დავის განმხილველი ორგანო უფლებამოსილია ხარვეზის არსებობის მიუხედავად მიიღოს საჩივარი წარმოებაში, თუ იგი არსებითად არ უშლის ხელს საჩივრის განხილვას.

დავის განმხილველი ორგანო საჩივარს არ განიხილავს, თუ:

ა) მომჩივანი უარს აცხადებს დავის გაგრძელებაზე;

ბ) მოთხოვნის საგანი სცილდება დავის განმხილველი ორგანოს განსჯად საკითხებს;

გ) საჩივარი წარდგენილია არაუფლებამოსილი პირის მიერ;

დ) არ არსებობს საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება;

ე) გასულია საჩივრის წარდგენის ვადა;

ვ) საჩივარი არ აკმაყოფილებს პროცედურულ მოთხოვნებს და მომჩივანმა ხარვეზი არ გამოასწორა დავის განმხილველი ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში;

ზ) არსებობს იმავე მომჩივნის მიმართ იმავე დავის საგანზე იმავე ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება;

თ) გასაჩივრებული გადაწყვეტილება გამოცემულია იმავე პირის მიმართ იმავე დავის განმხილველი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად;

ი) მომჩივანმა იმავე დავის საგანზე მიმართა სასამართლოს;

კ) მომჩივანი გარდაიცვალა;

ლ) გასაჩივრებულ საგადასახადო მოთხოვნაში ასახულია აღიარებული საგადასახადო დავალიანება. საჩივარი არ განიხილება აღიარებული საგადასახადო დავალიანების ნაწილში;

მ) მომჩივნის მოძიება შეუძლებელია;

ნ) საჩივარი ანონიმურია;

ო) გასაჩივრებულ საგადასახადო დავალიანებაზე გაფორმდა საგადასახადო შეთანხმება.

დავის განმხილველი ორგანო საჩივარს განიხილავს 20 დღის ვადაში.

დავის განმხილველი ორგანო საჩივარს განიხილავს მხოლოდ მომჩივნის მოთხოვნის ფარგლებში.

დავის განმხილველ ორგანოს ან მის აპარატს უფლება აქვს, მოსთხოვოს მომჩივანს ან საგადასახადო ორგანოს საჩივრის შესახებ დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენა, რა დროსაც ჩერდება საჩივრის განხილვა.

საჩივარი განიხილება მომჩივნის მონაწილეობით.

შემოსავლების სამსახურს უფლება აქვს, მომჩივნის დაუსწრებლად განიხილოს საჩივარი, თუ საქმეში არსებული მასალებიდან სრულად დგინდება დავის საგანთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები.

საჩივრის ზეპირი განხილვის დროისა და ადგილის შესახებ მომჩივანს ეცნობება დავის განმხილველი ორგანოს ხელთ არსებული საშუალებით, მათ შორის, ტელეფონით, დაზღვეული ან ელექტრო-

ნული ფოსტით, მოკლე ტექსტური შეტყობინებით და სხვა.

მომჩივანთან დაკავშირების შეუძლებლობის, მისი მოუძიებლობის ან საჩივრის ზეპირ განხილვაზე მომჩივნის გამოუცხადებლობის შემთხვევაში საჩივარი მის დაუსწრებლად განიხილება.

მომჩივანს უფლება აქვს, თავისი ინტერესები დაიცვას პირადად ან უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით.

სხდომის მიმდინარეობისას მომჩივანს ან/და მის წარმომადგენელს უფლება აქვს, სხდომას დაესწროს პირადად ან დისტანციურად, ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით.

დავის განმხილველი ორგანო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით ან მხარის მოტივირებული შუამდგომლობით შეაჩეროს საჩივრის განხილვა დამატებითი ინფორმაციის ან/და დოკუმენტაციის მოსაპოვებლად.

საჩივრის განხილვის შეჩერებისას დავის განმხილველი ორგანო უფლებამოსილია დაავალოს მომჩივანს ან/და საგადასახადო ორგანოს, წარმოადგინოს დამატებითი ინფორმაცია ან დოკუმენტაცია საჩივრის ფარგლებში განსახილველი საკითხების შესახებ.

თუ დავის განმხილველი ორგანოს დავალების შესრულება დადგენილ ვადაში ვერ ხერხდება, ამის შესახებ გონივრულ ვადაში უნდა ეცნობოს დავის განმხილველ ორგანოს.

დამატებითი ინფორმაციის ან/და დოკუმენტაციის მოპოვების საფუძვლით საჩივრის განხილვის შეჩერების საერთო ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 45 დღეს.

დავების განხილვის საბჭოს სხდომის ჩაუტარებლობის შემთხვევაში საბჭოს თავმჯდომარეს ან მის მოადგილეს, ხოლო მათი არყოფნის შემთხვევაში – საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრს, უფლება აქვს, მიიღოს გადაწყვეტილება აღნიშნულ საბჭოს სხდომაზე განსახილველი საჩივრის განხილვის არა უმეტეს 30 დღით შეჩერების თაობაზე, რის შესახებაც ეცნობება მომჩივანს.

დავის განმხილველი ორგანო უფლებამოსილია:

ა) დააკმაყოფილოს საჩივარი;

ბ) ნაწილობრივ დააკმაყოფილოს საჩივარი;

გ) არ დააკმაყოფილოს საჩივარი;

დ) განუხილველად დატოვოს საჩივარი;

ე) მიიღოს შუალედური გადაწყვეტილება და შეაჩეროს საჩივრის განხილვა;

ვ) მიიღოს გადაწყვეტილება „ა“–„დ“ ქვეპუნქტებში მითითებული შინაარსების გაერთიანებით.

დავის განმხილველი ორგანოს შუალედური გადაწყვეტილება საჩივრდება საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად.

საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილების გაუქმებული ნაწილის პროპორციულად უქმდება ამავე ორგანოს მიერ გამოცემული ის აქტები, რომლებიც საფუძვლად დაედო გამოცემულ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას.

დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილების დამონმებული ასლი მისი მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში ეგზავნება მხარეებს.

თუ საგადასახადო ორგანოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი გახდა ამ ორგანოს თანამშრომლის დისციპლინური გადაცდომა, აღნიშნულ ფაქტზე სათანადო რეაგირების მიზნით დავის განმხილველი ორგანო შესაბამის ორგანოს მიანვდის ინფორმაციას ამ პირის პასუხისმგებლობის საკითხის გადასაწყვეტად.

თუ დავების განხილვის საბჭოს მიერ საჩივრის სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებული ჩანაწერი, რომელიც სხვადასხვაგვარი განმარტების საფუძველს იძლევა, საბჭოს გადაწყვეტილებაში აღინიშნება ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანის შესახებ რეკომენდაცია, რომელიც რეაგირებისთვის ეგზავნება შესაბამის ორგანოს.

შემოსავლების სამსახურის მიერ მომჩივნისთვის არასასურველი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ამ მომჩივანს უფლება აქვს, გადაწყვეტილება მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში გაასაჩივროს დავების განხილვის საბჭოში ან სასამართლოში.

მომჩივანს უფლება აქვს, დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილება მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში გაასაჩივროს სასამართლოში.

საჩივრის საგადასახადო ორგანოში ან სხვა რომელიმე სახელმწიფო ორგანოში გასაჩივრებისათვის დადგენილ ვადაში წარდგენა ითვლება გასაჩივრების ვადის დაცვად.

მომჩივნის მიერ გასაჩივრების ვადის დარღვევის შესახებ მტკიცების ტვირთი ეკისრება საგადასახადო ორგანოს.

მომჩივნის მიერ საგადასახადო დავის დადგენილ ვადაში გაუგრძელებლობა ითვლება გასაჩივრე-

ბული საგადასახადო დავალიანების აღიარებად.

დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილება ძალაში შედის მომჩივნისთვის ჩაბარებიდან 21-ე დღეს, მისი გაუსაჩივრებლობის შემთხვევაში.

დავის განმხილველი ორგანოს ძალაში შესული გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოა.

მომჩივანს უფლება აქვს, მიმართოს დავის განმხილველ ორგანოს და მიაწოდოს მას ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების აღსრულების შეფერხების შესახებ.

დავის განმხილველი ორგანოს შუალედური ან საბოლოო გადაწყვეტილების აღუსრულებლობა ან აღსრულების არამართლზომიერი შეფერხება ითვლება დისციპლინურ გადაცდომად და იწვევს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

გადაწყვეტილების აღსრულება შეიძლება გადავადდეს გადაწყვეტილების აღმსრულებელი ორგანოს მოტივირებული წერილობითი მოთხოვნისა და დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

მომჩივანსა და საგადასახადო ორგანოს უფლება აქვთ, მიმართონ დავის განმხილველ ორგანოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების განმარტების მიზნით.

დავის განმხილველი ორგანო გადაწყვეტილების განმარტებისას ხელმძღვანელობს იმავე ვადებით, რომლებიც დადგენილია საჩივრის განხილვისათვის.

განმარტება გადაწყვეტილების განუყოფელი ნაწილია და იგი ეგზავნება დავაში მონაწილე პირებსა და ორგანოებს.

გადაწყვეტილების აღსრულების შემდეგ მისი განმარტება დაუშვებელია.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში დავის განახლება დასაშვებია მხოლოდ ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოების შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღებიდან 6 წლის ვადაში.

დავის განახლების მოთხოვნით დავის განმხილველი ორგანოსათვის მიმართვის უფლება აქვს მხოლოდ მომჩივანს.

მომჩივანი ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებით მიმართავს დავის განმხილველ ბოლო ორგანოს, რომელმაც არსებითად იმსჯელა მომჩივნის მიერ მითითებულ დავის საგანზე.

19.2 მედიაცია შემოსავლების სამსახურში და აუდიტის დეპარტამენტში

19.2.1 შემოსავლების სამსახურის მედიაციის საბჭო

შემოსავლების სამსახურის მედიაციის საბჭოს საქმიანობის წესი განსაზღვრავს შემოსავლების სამსახურის მედიაციის საბჭოს სხდომაზე საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის პროცედურებს.

საბჭო არის შემოსავლების სამსახურის უფროსის სათათბირო ორგანო, რომელიც კოლეგიურად, დახურულ სხდომაზე, განიხილავს გადასახადის გადამხდელის პოზიციას აუდიტის დეპარტამენტში მედიაციის შედეგად (სხდომის ოქმის საფუძველზე) აუდიტორის მიერ შედგენილ დასკვნაზე, აგრეთვე შემოსავლების სამსახურში შემოსულ საჩივრებს, ცალკეულ საკითხებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს.

გადასახადის გადამხდელის საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით ამ წესის დებულებები შესაბამისად გამოიყენება აუდიტის დეპარტამენტში მედიაციის შედეგად (სხდომის ოქმის საფუძველზე) აუდიტორის მიერ შედგენილ დასკვნაზე გადასახადის გადამხდელის პოზიციის განხილვისას.

ცალკეულ შემთხვევებში, გადამხდელის მიერ აუდიტის დეპარტამენტში წარდგენილი პოზიცია, საკითხის გადაუწყვეტლად/განუხილველად შესაძლებელია განსახილველად გადაეგზავნოს საბჭოს, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს ამ წესით დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

საბჭოს აპარატის ფუნქციებს ასრულებს შემოსავლების სამსახურის დავების დეპარტამენტი (შემდეგში – დავების დეპარტამენტი).

გადასახადის გადამხდელის მიერ შემოსავლების სამსახურში წარდგენილი საჩივარი შესასწავლად და განხილვისათვის მოსამზადებლად გადაეცემა დავების დეპარტამენტს.

დავების დეპარტამენტი გადასახადის გადამხდელის საჩივარს, თანდართულ მასალებთან ერთად, დასკვნისათვის უგზავნის შემოსავლების სამსახურის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს.

შემოსავლების სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული გადასახადის გადამხდელის საჩივარზე ამზადებს დასკვნას და სათანადო მტკიცებულებებთან ერთად უგზავნის დავების დეპარტამენტს.

დავების დეპარტამენტს, ასევე საბჭოს წევრებს უფლება აქვთ განსახილველ საკითხთან დაკავ-

შირებით დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის გამოთხოვის მიზნით, მიმართონ გადასახადის გადამხდელს და სხვა პირებს.

იმ შემთხვევაში, თუ მიზანშეწონილად ჩაითვლება საჩივრის საბჭოს სხდომაზე განხილვა, დასკვნის მიღების ან დასკვნის მისაღებად მითითებული ვადის გასვლის შემდეგ, დავების დეპარტამენტი უზრუნველყოფს საბჭოზე განსახილველად საკითხის მომზადებას, საბჭოს მომდევნო/უახლოესი სხდომის დღის წესრიგის პროექტის შედგენას და საბჭოს წევრებისათვის ელექტრონული ფოსტით გადაგზავნას. დღის წესრიგი თანხმდება საბჭოს თავმჯდომარესთან/მოადგილესთან.

საბჭოს წევრებს და გადასახადის გადამხდელს/მის წარმომადგენელს საბჭოს სხდომის გამართვის დროისა და ადგილის შესახებ დავების დეპარტამენტი ატყობინებს არსებული ტექნიკური საშუალებებით (ტელეფონით, ფაქსით, ელექტრონული ფოსტით და სხვ.)

დავების დეპარტამენტი გადასახადის გადამხდელს აცნობებს, რომ სურვილის შემთხვევაში, მას მიეცემა შესაძლებლობა საბჭოს სხდომაში მონაწილეობა მიიღოს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით.

საბჭოს სხდომას წარმართავს და ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე/მოადგილე.

საბჭო უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება საბჭოს წევრთა უმრავლესობა.

საბჭოს თავმჯდომარის/მოადგილის ინიციატივით ან გადასახადის გადამხდელის თხოვნით, შესაძლებელია საკითხის განხილვა გადაიდოს სხვა დროისათვის.

განსახილველი საკითხის სირთულის გათვალისწინებით, საბჭო უფლებამოსილია სხდომაზე მოიწვიოს ექსპერტი/სპეციალისტი, ხოლო გადასახადის გადამხდელის თანხმობით – სხვა სათანადო პირებიც. მოწვეული სპეციალისტი, ექსპერტი ან/და სხვა სათანადო პირები ვალდებულნი არიან დაიცვან გადასახადის გადამხდელის შესახებ ინფორმაციის საიდუმლოება. საბჭოს სხდომას შესაძლოა დაესწროს გადასახადის გადამხდელის პირადი საგადასახადო მრჩეველიც.

საბჭოს სხდომაზე ინფორმაციას განსახილველი საკითხის შესახებ წარადგენს მომხსენებელი – სადავო გადაწყვეტილების მიმღები/გამომცემი სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელი, თანამომხსენებელია – დავების დეპარტამენტის შესაბამისი თანამშრომელი.

საბჭო უფლებამოსილია შეაჩეროს საკითხის განხილვა და საბოლოო შეფასების ფორმირებამდე, გადასახადის გადამხდელისგან, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისგან ან/და სხვა ორგანოებისგან/პირებისგან გამოითხოვოს დასკვნა, მტკიცებულებები ან/და სხვა ინფორმაცია.

თუ გადასახადის გადამხდელის მიერ შემოსავლების სამსახურში წარდგენილია განცხადება საგადასახადო შეთანხმების გაფორმების თაობაზე, შესაძლებელია საკითხის განხილვა შეჩერდეს საგადასახადო შეთანხმების გაფორმებაზე გადაწყვეტილების მიღებამდე.

განსახილველ საკითხზე საბჭო პოზიციას ამტკიცებს/შეიმუშავებს სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა ხმების უმრავლესობით. დაუშვებელია ხმის მიცემისაგან თავის შეკავება.

საბჭო უფლებამოსილია ოქმით დაამტკიცოს რეკომენდაცია:

ა) განსახილველი საკითხის ეპიზოდებიდან გამომდინარე, გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის თითოეული საკითხის ცალ-ცალკე ან ერთობლივად – სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ;

ბ) განსახილველ საკითხზე გადასახადის გადამხდელის მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ;

გ) დღის წესრიგში მითითებულ სხვა საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს სხდომის მიმდინარეობის შესახებ დგება ოქმი, რომელიც ვიზირებული უნდა იყოს საბჭოს იმ წევრების მიერ, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საკითხის განხილვაში. სხდომის ოქმს ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე/მოადგილე და მდივანი. სხდომის ოქმის ყველა გვერდი დამოწმებული უნდა იყოს ბეჭდით.

საბჭოს სხდომის ოქმი შესასრულებლად სავალდებულოა საგადასახადო ორგანოსათვის.

საბჭოს სხდომაზე განხილულ საჩივართან დაკავშირებით დამტკიცებული რეკომენდაციის შესაბამისად, დავების დეპარტამენტი უზრუნველყოფს შემოსავლების სამსახურის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადებასა და შემოსვლების სამსახურის უფროსისთვის/მოადგილისთვის (დელეგირების შემთხვევაში) წარდგენას.

საბჭოს სხდომაზე საგადასახადო შემოწმების აქტის პროექტზე/აუდიტორის დასკვნაზე გადასახადის გადამხდელის პოზიციის განხილვის შემდეგ:

ა) სხდომის ოქმის შედგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დავების დეპარტამენტი უზრუნველყოფს გადასახადის გადამხდელის პოზიციასთან დაკავშირებით საბჭოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების (რეკომენდაციის) შესაბამისად წერილობითი რეკომენდაციის პროექტის მომზადებასა და საბჭოს თავმჯდომარისათვის/მოადგილისათვის წარდგენას;

ბ) წერილობითი რეკომენდაცია ეგზავნება აუდიტის დეპარტამენტს და გადასახადის გადამხდელს;

გ) წერილობითი რეკომენდაცია აისახება საგადასახადო შემოწმების აქტში.

19.2.2 მედიაცია აუდიტის დეპარტამენტში

აუდიტის დეპარტამენტში მედიაციის წესი (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის/ალტერნატიული საგადასახადო შემოწმების განმახორციელებელი პირის მიერ ჩატარებული საგადასახადო შემოწმების/ალტერნატიული საგადასახადო შემოწმების (შემდგომში – საგადასახადო შემოწმება) შედეგებზე შედგენილი შემოწმების აქტის პროექტთან (შემდგომში – აქტის პროექტი) დაკავშირებით აუდიტის დეპარტამენტის სათათბირო საბჭოზე (შემდგომში – სათათბირო საბჭო) გადასახადის გადამხდელის ან/და მისი წარმომადგენლის (შემდგომში – გადამხდელი) წერილობითი/ელექტრონული პოზიციის (შემდგომში – გადამხდელის პოზიცია) განხილვის პროცედურებს.

სათათბირო საბჭოს რიცხოვნობას და პერსონალურ შემადგენლობას ბრძანებით განსაზღვრავს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი.

სათათბირო საბჭოს თავმჯდომარეობს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი, მისი არყოფნის შემთხვევაში სათათბირო საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს აუდიტის დეპარტამენტის უფროსის ერთ-ერთი მოადგილე.

სათათბირო საბჭოს საქმიანობის ორგანიზებას, სათათბირო საბჭოზე განსახილველი გადამხდელთა პოზიციების (დღის წესრიგის) მომზადებასა და განხილვის ოქმების (შემდგომში – სხდომის ოქმი) სისტემატიზაციას წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით უზრუნველყოფს აუდიტის დეპარტამენტის მედიაციისა და სამართლებრივ საკითხთა სამმართველო (შემდგომში – მედიაციისა და სამართლებრივ საკითხთა სამმართველო).

სათათბირო საბჭო განიხილავს აქტის პროექტთან დაკავშირებით წარდგენილ გადამხდელის დასაბუთებულ პოზიციას, რომლითაც იგი სრულად ან ცალკეული ეპიზოდების მიხედვით არ ეთანხმება აქტის პროექტს სათანადო საფუძვლებზე მითითებით და რომელიც აუდიტის დეპარტამენტში წარდგენილია შეტყობინებისა და აქტის პროექტის გადამხდელის მიერ ჩაბარებიდან/გაცნობიდან 10 დღის ვადაში.

გადამხდელის პოზიცია სათათბირო საბჭოზე არ განიხილება, თუ სახეზეა ერთ-ერთი ქვემოთ მოყვანილი პირობა:

ა) გადამხდელის პოზიცია აუდიტის დეპარტამენტში წარდგენილია განსაზღვრული ვადის დარღვევით;

ბ) წარდგენილია გადამხდელის წერილობითი ინფორმაცია, სადაც ფიქსირდება აქტის პროექტთან დაკავშირებით პოზიციის წარდგენის განზრახულობის ან წარდგენის ვადის გაგრძელების შესახებ და არ არის მითითებული მისი წარდგენის კონკრეტული ვადა. ამასთან, გადამხდელის პოზიცია აუდიტის დეპარტამენტში არ არის წარდგენილი განსაზღვრულ ვადაში;

გ) გადამხდელის პოზიცია ან მასზე თანდართული დოკუმენტი არ არის შედგენილი საქართველოს სახელმწიფო ენაზე და არ არის წარდგენილი სათანადო წესით დამოწმებული თარგმანი;

დ) გადამხდელი სრულად ეთანხმება აქტის პროექტს;

ე) გადამხდელის პოზიცია წარდგენილია არაუფლებამოსილი პირის მიერ;

ვ) გადამხდელის პოზიცია უკვე განხილულია სათათბირო საბჭოზე ან/და იმავე საკითხთან დაკავშირებით საჩივარი განიხილება შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის საბჭოზე ან შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის/მედიაციის საბჭოს მიერ მიღებულია აღნიშნულ საკითხზე საოქმო გადაწყვეტილება;

ზ) გადამხდელის მიერ სრულად/ნაწილობრივ არის აღიარებული ალტერნატიული საგადასახადო შემოწმების განმახორციელებელი პირის მიერ ჩატარებული ალტერნატიული საგადასახადო შემოწმების შედეგებზე შედგენილი აქტით/დასკვნით განსაზღვრული საგადასახადო ვალდებულებები, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით. ამ შემთხვევაში, გადამხდელის პოზიცია არ განიხილება აღიარებულ ნაწილში.

აქტის პროექტთან დაკავშირებით გადამხდელის მიერ სხვადასხვა პოზიციის წარდგენის შემთხვევაში, სათათბირო საბჭოზე არსებითად განხილვას ექვემდებარება განსაზღვრული ვადის გასვლამდე წარდგენილი ბოლო პოზიცია, მიუხედავად ადრინდელი პოზიციების არსებობისა. სათათბირო საბჭოს მიერ ასევე შესაძლებელია განხილულ იქნეს აქტის პროექტთან დაკავშირებული ის საკითხ-

ებიც, რომლებიც გადამხდელის მიერ გამოთქმული იქნება სათათბირო საბჭოს მიმდინარეობისას და რომლებიც არ არის აღნიშნული გადამხდელის პოზიციაში.

გადამხდელს უფლება აქვს შეტყობინებისა და აქტის პროექტის მიღებიდან 10 დღის ვადაში პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით, ან ელექტრონული ფოსტით აუდიტის დეპარტამენტს წარუდგინოს გადამხდელის პოზიცია აქტის პროექტთან დაკავშირებით შესაბამის მასალებთან/მტკიცებულებებთან ერთად (ასეთის არსებობისას) ან მიმართოს აუდიტის დეპარტამენტს გადამხდელის პოზიციის წარდგენის ვადის გაგრძელების თხოვნით (კონკრეტული ვადის მითითებით).

გადამხდელის პოზიცია ან ვადის გაგრძელების შესახებ მიმართვა ვადაში წარდგენილად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ განსაზღვრულ ვადაში ჩაბარდა ფოსტას ან წარდგენილ იქნა შემოსავლების სამსახურის სხვა სტრუქტურულ ერთეულში. ამასთან, შემოსავლების სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული გადამხდელის პოზიციას ან მიმართვას ვადის გაგრძელებაზე, თანდართულ მასალებთან ერთად (ასეთის არსებობისას), დაუყოვნებლივ უგზავნის აუდიტის დეპარტამენტს.

აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილების საფუძველზე, გადამხდელს უფლება აქვს დაესწროს სათათბირო საბჭოს სხდომას პირადად ან/და წარმომადგენლის მეშვეობით. ამასთან, მოთხოვნის შემთხვევაში, უფლებამოსილი წარმომადგენელი ვალდებულია, პოზიციასთან ერთად, სათათბირო საბჭოს წარუდგინოს შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

სათათბირო საბჭოს წევრმა, გადასახადის გადამხდელმა/წარმომადგენელმა ან/და სხვა მოწვეულმა პირმა (ასეთის არსებობისას) შესაძლებელია სათათბირო საბჭოს სხდომაზე მონაწილეობა მიიღოს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით (ვიდეო ჩართვის გზით).

სათათბირო საბჭოზე გადამხდელის პოზიცია განიხილება, მიუხედავად იმისა, იგი მონაწილეობს თუ არა სათათბირო საბჭოს სხდომაზე საკითხის განხილვაში. თუ გადამხდელი არ მონაწილეობს სათათბირო საბჭოს სხდომაზე საკითხის განხილვაში, სათათბირო საბჭოს სხდომაზე ინფორმაციას წარადგენს საგადასახადო შემოწმების ჩამტარებელი აუდიტორი (შემდგომში – აუდიტორი).

სათათბირო საბჭოს სხდომაზე საკითხის განხილვაში საჭიროების შემთხვევაში, სათათბირო საბჭოს სხდომაზე საკითხის განხილვაში მონაწილეობს აუდიტორის არყოფნის შემთხვევაში, სათათბირო საბჭოს სხდომაზე საკითხის განხილვაში მონაწილეობს საგადასახადო შემოწმების ჩამტარებელი შესაბამისი სამმართველოს უფროსი.

საგადასახადო მოთხოვნის გამოცემამდე, აუდიტის დეპარტამენტის მიერ ხარისხის კონტროლის ანალიზის შედეგებზე შედგენილი ანგარიშის საფუძველზე საგადასახადო შემოწმების აქტის პროექტით განსაზღვრული საგადასახადო ვალდებულებების კორექტირებასთან დაკავშირებით, გადამხდელის წერილობითი პოზიცია განიხილება შემოსავლების სამსახურის მედიაციის საბჭოს მიერ, შემოსავლების სამსახურის მედიაციის საბჭოს საქმიანობის წესის შესაბამისად. ამასთან, გადამხდელის წერილობითი პოზიცია წარდგენილი უნდა იყოს ხარისხის კონტროლის ანალიზის შედეგების საფუძველზე შედგენილი დასკვნის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში, მიუხედავად იმისა, საგადასახადო შემოწმების აქტის პროექტს გადამხდელი ეთანხმებოდა თუ არა სრულად ან ნაწილობრივ ან მასზე წარდგენილი ჰქონდა თუ არა წერილობითი პოზიცია.

საგადასახადო შემოწმების შედეგებზე გადამხდელს წერილობით/ელექტრონული ფოსტით ეგზავნება/გადაეცემა აუდიტის დეპარტამენტის შეტყობინება № 1 დანართის ფორმით და აქტის პროექტი, აგრეთვე, არსებობის შემთხვევაში ის მასალები, რომლებიც წარმოადგენს გადასახადების, მოსაკრებლების ან/და სანქციის (შემდგომში – თანხები) დარიცხვის საფუძველს, თუ კანონმდებლობით არ არის შეზღუდული მათი გადამხდელისთვის გაცნობა.

გადამხდელს უფლება აქვს განსაზღვრული ვადის გასვლამდე მიმართოს აუდიტის დეპარტამენტს საგადასახადო შემოწმების ჩატარებისას გადამხდელისაგან ამოღებული საბუღალტრო ან/და პირველადი საგადასახადო დოკუმენტების გაცნობის ან მათი ასლების გადაცემის თაობაზე, რომელიც საჭიროა აქტის პროექტთან დაკავშირებით გადამხდელის პოზიციის მომზადებისათვის. აუდიტის დეპარტამენტი გადამხდელს აცნობს მოთხოვნილ დოკუმენტაციას ან გადასცემს მათ ასლებს. აღნიშნულ შემთხვევაში, გადამხდელის პოზიციის წარდგენისათვის განსაზღვრული ვადა აითვლება მოთხოვნილი დოკუმენტაციის გადამხდელისთვის გაცნობის ან ასლების გადაცემის დღიდან.

აქტის პროექტი მზადდება აუდიტორის მიერ, რომელიც არსებითად (დამატებით დასარიცხი/შესამცირებელი საგადასახადო ვალდებულებების კანონმდებლობასთან შესაბამისობის ნაწილში) შეთანხმებული უნდა იყოს საგადასახადო შემოწმების ჩამტარებელი შესაბამისი სამმართველოს უფროსთან. ამასთან, აქტის პროექტში ყოველ გვერდზე მიეთითება „პროექტი“ და არ ხდება მისი დამოწმება აუდიტორის ხელმოწერით.

შეტყობინება და აქტის პროექტის ერთი ეგზემპლარი, აგრეთვე შესაბამისი მასალები (ასეთის არსებობისას) გადამხდელს გადაეცემა:

ა) აუდიტორის მიერ – ხელზე, რაც უნდა დადასტურდეს შეტყობინების მეორე ეგზემპლარზე გადამხდელის ხელმოწერითა და თარიღის მითითებით. ამასთან, აქტის პროექტის შეთანხმებას შეტყობინების მეორე ეგზემპლარზე ხელმოწერით ადასტურებს საგადასახადო შემოწმების ჩამტარებელი შესაბამისი სამმართველოს უფროსი. დოკუმენტების გადამხდელისთვის გადაცემის შესახებ ინფორმაცია ელექტრონული ფორმით (დოკუმენტბრუნვის პროგრამის საშუალებით) ეცნობება აუდიტის დეპარტამენტის აუდიტის ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს;

ბ) აუდიტის ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მიერ – საგადასახადო შემოწმების ჩამტარებელი შესაბამისი სამმართველოს უფროსის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე;

გ) აუდიტორის მიერ-ელექტრონული ფოსტით, გადამხდელის ავტორიზებულ ელექტრონულ მისამართზე. ინფორმაცია ელექტრონული ფორმით ეცნობება აუდიტის ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს;

აუდიტის ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველო, საგადასახადო შემოწმების ჩამტარებელი შესაბამისი სამმართველოს უფროსის სამსახურებრივი ბარათით აქტის პროექტის მიღებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა:

ა) ამზადებს შეტყობინებას შემოსავლების სამსახურის უფროსის მიერ დამტკიცებული ფორმის შესაბამისად, ორ ეგზემპლარად;

ბ) შეტყობინების ერთ ეგზემპლარს, აქტის პროექტთან და შესაბამის მასალებთან ერთად (ასეთის არსებობისას) უგზავნის გადამხდელს ფოსტით ან გადასცემს ხელზე, რაც უნდა დადასტურდეს შეტყობინების მეორე ეგზემპლარზე გადამხდელის ხელმოწერითა და თარიღის მითითებით;

გ) ამზადებს საგადასახადო შემოწმების შეჩერების თაობაზე აუდიტის დეპარტამენტის უფლებამოსილი პირის ბრძანების პროექტს.

გადამხდელისთვის შეტყობინებისა და აქტის პროექტის გადაცემის/გაგზავნის შემდეგ, გადამხდელის პოზიციის აუდიტის დეპარტამენტში ნარდგენის განსაზღვრული ვადის კონტროლს ახორციელებს აუდიტის ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველო.

შეტყობინებისა და აქტის პროექტის გადამხდელის მიერ ჩაბარებიდან/გაცნობიდან 10 დღეში გადამხდელის პოზიციის ან ვადის გაგრძელების თაობაზე მიმართვის წარუდგენლობისას, აგრეთვე აქტის პროექტთან დაკავშირებით გადამხდელის თანხმობის წარდგენის შემთხვევაში, აუდიტის ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველო აღნიშნული ვადის გასვლიდან არაუადრეს მე-5 და არაუგვიანეს მე- 10 სამუშაო დღისა:

ა) ამზადებს საგადასახადო შემოწმების განახლების თაობაზე აუდიტის დეპარტამენტის უფლებამოსილი პირის ბრძანების პროექტს;

ბ) დაუყოვნებლივ აცნობებს მედიაციის სამმართველოს და აუდიტორს შესაბამისი ბრძანების გამოცემის თაობაზე.

აუდიტორი საგადასახადო შემოწმების განახლების თაობაზე ბრძანების გაცნობიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა აფორმებს აქტს, რომელიც ეგზავნება გადამხდელს და მედიაციის სამმართველოს (ცნობის სახით), რის შემდეგაც ხორციელდება საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი პროცედურები.

სათათბირო საბჭოს სხდომაზე განხილულ თითოეულ საკითხზე ფორმდება სათათბირო საბჭოს სხდომის ოქმი, რომელშიც აისახება სათათბირო საბჭოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება.

სხდომის ოქმს ამზადებს მედიაციისა და სამართლებრივ საკითხთა სამმართველო, სხდომის ჩატარების დღიდან არაუგვიანეს 7 სამუშაო დღისა. სხდომის ოქმს ხელს აწერს სათათბირო საბჭოს თავმჯდომარე, სხდომაზე დამსწრე სათათბირო საბჭოს თითოეული წევრი და მედიაციის სამმართველოს ის თანამშრომელი, რომელმაც შეისწავლა საკითხი და განსახილველად წარადგინა სათათბირო საბჭოს სხდომაზე. სხდომის ოქმი შეიძლება მომზადდეს როგორც მატერიალური (წერილობითი) , ისე ელექტრონული ფორმით „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ცენტრალურ აპარატში და სისტემაში შემავალ ზოგიერთ ორგანოში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის დანერგვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების შესაბამისად. სხდომის ოქმზე ხელმოწერა (მათ შორის, ელექტრონულად ვიზირება), თუ ხელმომწერის მიერ ოქმში შენიშვნის სახით არ არის დაფიქსირებული განხილულ საკითხ(ებ)თან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების საწინააღმდეგო პოზიცია, ნიშნავს ოქმში ასახულ საკითხ(ებ)თან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებაზე თანხმობას.

სხდომის ოქმში უნდა მიეთითოს:

ა) ოქმის სათაური;

ბ) ოქმის რიგითი ნომერი და თარიღი (რიცხვი, თვე, წელი);

გ) სათათბირო საბჭოს სხდომის თავმჯდომარის, განხილვაში მონაწილე სათათბირო საბჭოს წევრთა, სათათბირო საბჭოს სხდომის მდივნის, აუდიტორის და მედიაციის სამმართველოს თანამშრომლის სახელი, გვარი და თანამდებობა;

დ) გადამხდელის დასახელება/სახელი და გვარი, საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი, წარმომადგენლის ან/და მონვეული სხვა პირების მონაცემები (ასეთის არსებობისას);

ე) განხილული საკითხის თითოეული ეპიზოდის შესაბამისად, გადამხდელის პოზიციის მოკლე შინაარსი და მიღებული გადაწყვეტილება;

ვ) სხვა ინფორმაცია, საჭიროების შემთხვევაში.

სათათბირო საბჭოს სხდომაზე განსახილველი საკითხის აქტუალობისა და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საგადასახადო ორგანოების ერთიანი პოზიციის ჩამოყალიბების მიზნით, სათათბირო საბჭოს თავმჯდომარის მიერ შეიძლება გაიცეს ზეპირი დავალება შესაბამისი სიტუაციური სახელმძღვანელოს პროექტის მომზადების თაობაზე.

სხდომის ოქმის ასლი მედიაციისა და სამართლებრივ საკითხთა სამმართველოს მიერ მომზადებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა შესაბამისი მასალების (ასეთის არსებობისას) ასლებთან ერთად ეგზავნება საგადასახადო შემოწმების ჩამტარებელ შესაბამის სამმართველოს (რომელიც ვალდებულია კონტროლი გაუწიოს ამ ოქმის საფუძველზე დასკვნის დროულად მომზადებას და გადამხდელისთვის გაგზავნას) და აუდიტის ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს.

სათათბირო საბჭოს სხდომის ოქმის საფუძველზე, აუდიტორი ადგენს წერილობით დასკვნას, რომელიც შესაბამისი სამმართველოს უფროსთან შეთანხმების შემდეგ, გადაეცემა გადამხდელს:

ა) აუდიტორის მიერ – ხელზე, რაც უნდა დადასტურდეს დასკვნის მეორე ეგზემპლარზე გადამხდელის ხელმოწერითა და თარიღის მითითებით. ამ შემთხვევაში, სამმართველოს უფროსთან შეთანხმება დასტურდება დასკვნის მეორე ეგზემპლარზე ხელმოწერით;

ბ) აუდიტორის მიერ-ელექტრონული ფოსტით, გადამხდელის ავტორიზებულ მისამართზე;

გ) საგადასახადო შემოწმების ჩამტარებელი შესაბამისი სამმართველოს უფროსის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, აუდიტის ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მიერ – ფოსტით (მათ შორის-ელექტრონული) ან ხელზე, რაც უნდა დადასტურდეს დასკვნის მეორე ეგზემპლარზე გადამხდელის ხელმოწერითა და თარიღის მითითებით.

დასკვნაში აისახება შესაბამისი საგადასახადო შემოწმების შედეგებიდან, სათათბირო საბჭოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების შედეგებიდან, აგრეთვე შემმოწმებლის მიერ აქტის პროექტში დამოუკიდებლად აღმოჩენილი შეცდომების/ხარვეზების გასწორების (მათ შორის, ხარისხის კონტროლის სამმართველოს შენიშვნების/რეკომენდაციების გათვალისწინებით) შედეგებიდან გამომდინარე , საგადასახადო ვალდებულებები (სავადოების მიხედვით) და შესაბამისი ჯარიმა.

თუ გადამხდელი არ ეთანხმება დასკვნას, მას უფლება აქვს , მისი მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში შემოსავლების სამსახურის მედიაციის საბჭოში წარადგინოს წერილობითი პოზიცია დასკვნასთან დაკავშირებით, რომელსაც მედიაციის საბჭო განიხილავს „ შემოსავლების სამსახურის მედიაციის საბჭოს საქმიანობის წესით " დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

გადამხდელის ზემოაღნიშნულ წერილობითი პოზიციის მიღების თაობაზე, დავების დეპარტამენტი დაუყოვნებლივ აცნობებს აუდიტის დეპარტამენტს.

ცალკეულ შემთხვევებში, შემოსავლების სამსახურის უფროსის/მოადგილის ან/და აუდიტის დეპარტამენტის უფროსის/მოადგილის დავალების (მათ შორის, სიტყვიერი დავალების) შესაბამისად, აქტის პროექტთან დაკავშირებით გადამხდელის პოზიციის განხილვა შესაძლებელია განხორციელდეს ამ წესით განსაზღვრული პროცედურებისაგან განსხვავებული წესით. განსაკუთრებულ შემთხვევებში (მაგალითად, შემოწმების შედეგად განსაზღვრული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვასთან მიმართებაში ხანდაზმულობის ექვსწლიანი ვადის გასვლა და სხვა), შესაძლებელია, საგადასახადო შემოწმების შედეგებზე შემოწმების აქტის პროექტის გარეშე შედგეს საგადასახადო შემოწმების აქტი.

ცალკეულ შემთხვევებში, გადამხდელის მიერ ამ წესის მოთხოვნების გათვალისწინებით აუდიტის დეპარტამენტში წარდგენილი პოზიცია საკითხის გადაუწყვეტლად/განუხილველად შესაძლებელია განსახილველად გადაეგზავნოს შემოსავლების სამსახურის მედიაციის საბჭოს, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს „შემოსავლების სამსახურის მედიაციის საბჭოს საქმიანობის წესით" დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

„----------“ – ----------
გადამხდელის დასახელება საიდენტ./პირადი ნომერი
მის: – ----------

შეტყობინება

საგადასახადო შემოწმების აქტის პროექტზე

გასაცნობად გეგზავნებათ „----------“-ის 20-- წლის „ – ---- “ „ – ---------- “ – ის
გადამხდელის დასახელება რიცხვი თვე

საგადასახადო შემოწმების აქტის პროექტი.
თქვენ უფლება გაქვთ, საგადასახადო შემოწმების აქტის პროექტის მიღებიდან 10 დღის ვადაში შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტში (ქ. თბილისი, გულუას ქ. № 4) წერილობითი ან ელექტრონული ფორმით წარადგინოთ თქვენი არგუმენტირებული პოზიცია საგადასახადო შემოწმების აქტის პროექტით გათვალისწინებულ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც განიხილება თქვენი/თქვენი წარმომადგენლის მონაწილეობით.

ამასთან, გაცნობებთ, რომ საგადასახადო შემოწმების შედეგებმა შემოსავლების სამსახურის მიერ განხორციელებული ხარისხის კონტროლის პროცედურების შედეგად, შესაძლოა განიცადოს კორექტირება.

აქტის პროექტთან დაკავშირებით აუდიტის დეპარტამენტში თქვენი პოზიციის წარუდგენლობის შემთხვევაში, უფლებამოსილი რჩებით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის XIV კარით დადგენილი წესით, გაასაჩივროთ შედგენილი საგადასახადო შემოწმების აქტი, მის საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებასთან (ბრძანებასთან) და ამ დოკუმენტების საფუძველზე გამოცემულ „საგადასახადო მოთხოვნასთან“ ერთად, „საგადასახადო მოთხოვნის“ მიღებიდან 30 დღის ვადაში.

დანართი: საგადასახადო შემოწმების აქტის პროექტი – – – ფურცლად.

_____
აუდიტის დეპარტამენტი/უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_____
გადამხდელი / უფლებამოსილი პირის ხელმოწერა/

19.3 საგადასახადო შეთანხმების გაფორმების პირობები

გადასახადის გადამხდელსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – შემოსავლების სამსახურს (შემდგომში – შემოსავლების სამსახური) შორის საგადასახადო შეთანხმება შესაძლებელია გაფორმდეს გადასახადის გადამხდელის განცხადების საფუძველზე.

გადასახადის გადამხდელის შესახებ ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საგადასახადო შეთანხმების პროცესში, წარმოადგენს საგადასახადო საიდუმლოებას და მასზე ვრცელდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლის მოთხოვნები.

შემოსავლების სამსახურსა და გადასახადის გადამხდელს შორის შესაძლებელია გაფორმდეს საგადასახადო შეთანხმება გადასახადის გადამხდელის საგადასახადო დავალიანების შემცირების მიზნით.

საგადასახადო შეთანხმება არ ფორმდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 155-ე და 205-ე მუხლებით დარიცხულ მიმდინარე გადასახდელებზე, აგრეთვე მოსაკრებელზე და მასთან დაკავშირებულ ჯარიმასა და საურავზე, რომლის ადმინისტრირებას ახორციელებს საგადასახადო ორგანო.

საგადასახადო შეთანხმების გაფორმების თაობაზე გადასახადის გადამხდელი წერილობითი განცხადებით მიმართავს შემოსავლების სამსახურს.

განცხადება უნდა შეიცავდეს წინადადებას საგადასახადო შეთანხმების შესახებ და ასახავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) გადასახადის გადამხდელის დასახელებას, საიდენტიფიკაციო ნომერს ან სახელს, გვარს და პირად ნომერს, ასევე იურიდიულ/ფაქტობრივ მისამართსა და ტელეფონის ნომერს;

ბ) გადასახადის გადამხდელის წერილობით ნებართვას შესაბამისი პირებისათვის საგადასახადო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების გაცნობის თაობაზე, ამ უკანასკნელთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მიზნით;

გ) გადასახადის გადამხდელის მიერ შემოსავლების სამსახურში განცხადების შემოტანის თარიღამდე არსებული საგადასახადო დავალიანების ოდენობას, მათ შორის: ძირითადი გადასახადის, მიმდინარე გადასახდელების, ჯარიმისა და საურავის ოდენობებს; საგადასახადო შეთანხმების შესაბამისად გადასახადის გადამხდელის მიერ გადასახდელად შეშოთავაზებული თანხის ოდენობასა და გადახდის ვადას.

განცხადებას უნდა დაერთოს ხელმომწერის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

შემოსავლების სამსახური რეგისტრაციიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს განცხადების შესაბამისობას დადგენილ მოთხოვნებთან.

თუ განცხადება არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, გადასახადის გადამხდელს, წერილობითი ფორმით განესაზღვრება გონივრული ვადა ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია გადასახადის გადამხდელს მოსთხოვოს საგადასახადო შეთანხმებასთან დაკავშირებული დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა. გადასახადის გადამხდელი ვალდებულია შემოსავლების სამსახურის მიერ განსაზღვრულ ვადაში წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

თუ გადასახადის გადამხდელი შემოსავლების სამსახურის მიერ განსაზღვრულ ვადაში არ აღმოფხვრის მითითებულ ხარვეზს ან/და არ წარადგენს დამატებით მოთხოვნილ დოკუმენტაციას, წარდგენილი განცხადება აღარ განიხილება. გადასახადის გადამხდელს, მისი მოთხოვნის შემთხვევაში, უბრუნდება განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია.

შემოსავლების სამსახურის უფროსი უფლებამოსილია:

ა) უარი თქვას გადასახადის გადამხდელთან საგადასახადო შეთანხმების გაფორმებაზე;

ბ) განცხადება, თანდართულ მასალებთან ერთად, წარუდგინოს საქართველოს ფინანსთა მინისტრს. ამ შემთხვევაში, საქართველოს ფინანსთა მინისტრი საგადასახადო შეთანხმების გაფორმების თაობაზე შემოსავლების სამსახურიდან მიღებულ დოკუმენტაციას (გადასახადის გადამხდელის განცხადება თანდართული მასალებით) წარუდგენს საქართველოს მთავრობას. ამ შემთხვევაში, საგადასახადო შეთანხმების გაფორმების შესახებ განცხადებას იხილავს საქართველოს მთავრობა და იღებს გადაწყვეტილებას საგადასახადო შეთანხმების გაფორმების ან გაფორმებაზე უარის თქმის თაობაზე.

საგადასახადო შეთანხმების გაფორმების შესახებ განცხადების განხილვისას შესაძლებელია მონვეულ იქნეს გადასახადის გადამხდელი საგადასახადო შეთანხმების პირობების (გადასახდელი თანხის ოდენობა და გადახდის ვადა) განსაზღვრის მიზნით.

საგადასახადო შეთანხმების გაფორმების შესახებ საქართველოს მთავრობა გამოსცემს განკარგულებას, რომლითაც განისაზღვრება გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო შეთანხმების შესაბამისად გადასახდელი თანხის ოდენობა და გადახდის ვადა.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება ეგზავნება გადასახადის გადამხდელს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და შემოსავლების სამსახურს.

საგადასახადო შეთანხმების გაფორმებაზე უარის თქმის შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელს, მისი მოთხოვნის თანახმად, უბრუნდება განცხადება თანდართული მასალებით.

საგადასახადო შეთანხმების გაფორმების შესახებ საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე, საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი პირობების შესაბამისად, შემოსავლების სამსახური გადასახადის გადამხდელთან აფორმებს საგადასახადო შეთანხმების აქტს, რომელიც ძალაში შედის ორივე მხარის მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

საგადასახადო შეთანხმების აქტი ფორმდება თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომლებსაც ხელს აწერენ, ერთის მხრივ, შემოსავლების სამსახურის უფროსი და მეორეს მხრივ, გადასახადის გადამხდელი/მისი წარმომადგენელი. ამასთან, ერთი ეგზემპლარი გადაეცემა გადასახადის გადამხდელს, ხოლო მეორე რჩება შემოსავლების სამსახურს.

საგადასახადო შეთანხმების აქტში უნდა აღინიშნოს:

ა) გადასახადის გადამხდელის დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი ან სახელი და გვარი, პი-

რადი ნომერი, ასევე სხვა რეკვიზიტები (საჭიროების შემთხვევაში);

ბ) საგადასახადო შეთანხმების შინაარსი, პირობები და შეწყვეტის საფუძვლები;

გ) საგადასახადო შეთანხმების აქტის გასაჩივრების ვადა და წესი.

გადასახადის გადამხდელი ვალდებულია საგადასახადო შეთანხმების აქტით გათვალისწინებული ვალდებულება შეასრულოს ამ შეთანხმებით განსაზღვრულ ვადაში. ამასთან, საგადასახადო შეთანხმების გაფორმების შემთხვევაში, საგადასახადო შეთანხმების თაობაზე გადასახადის გადამხდელის მიერ შემოტანილ განცხადებაში მითითებული თარიღის (საგადასახადო დავალიანების თარიღი) შემდეგ გადასახადის გადამხდელის მიერ გადახდილი, იძულებითი ღონისძიებების განხორციელებით ან გადასახადის გადამხდელის სასარგებლოდ მესამე პირის მიერ ბიუჯეტში ჩარიცხული თანხები ითვლება საგადასახადო შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებად.

საგადასახადო შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში საგადასახადო შეთანხმების აქტი ითვლება გაუქმებულად და გადასახადის გადამხდელს დაეკისრება ჯარიმა გადაუხდელი თანხის 10 პროცენტის ოდენობით.

საგადასახადო შეთანხმების პირობების შესრულების შემდეგ შემოსავლების სამსახური გადასახადის გადამხდელს უმცირებს საგადასახადო დავალიანებას.

გადასახადის გადამხდელის საგადასახადო დავალიანების შემცირება მისი პირადი აღრიცხვის ბარათებზე ხორციელდება შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

გადასახადის გადამხდელმა საგადასახადო შეთანხმების აქტი შეიძლება გაასაჩივროს, თუ საგადასახადო შეთანხმება დაიდო არაუფლებამოსილი პირის მიერ.

თავი 20. საგადასახადო აღრიცხვა

20.1 შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის პრინციპები

გადასახადის გადამხდელი ვალდებულია სწორად და დროულად აღრიცხოს შემოსავლები და ხარჯები დოკუმენტურად დადასტურებულ მონაცემთა საფუძველზე, და მიაკუთვნოს იმ საანგარიშო პერიოდს, რომელშიც მოხდა მათი მიღება და განევა.

გადასახადის გადამხდელი შემოსავლებისა და ხარჯების აღსარიცხავად იყენებს საკასო ან დარიცხვის მეთოდს, იმის მიხედვით, თუ რომელ მეთოდს იყენებს ბუღალტრული აღრიცხვისათვის.

გადასახადის გადამხდელი ვალდებულია სრულად აღრიცხოს თავის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა ოპერაცია, რათა გარანტირებული იყოს კონტროლი მათ დანყებაზე, მიმდინარეობასა და დასრულებაზე.

სამეწარმეო საქმიანობისათვის ქვეყნის შიგნით საქონლის მიწოდების შემთხვევაში (გარდა სპეციალური დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურების მიხედვით განხორციელებული მიწოდებისა, რომლებიც მოიცავს ზედნადებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებს) სასაქონლო ზედნადები უნდა გამოწეროს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმითა და წესით, რის გარეშეც აკრძალულია საქონლის ტრანსპორტირება. ამასთანავე, საქონლის მიწოდებისას სასაქონლო ზედნადების გამოწერის შემთხვევაში აკრძალულია ზედნადების გარეშე საქონლის შენახვა.

დასაბეგრი შემოსავალი (მოგება) უნდა განისაზღვროს იმავე მეთოდით, რომელსაც გადასახადის გადამხდელი იყენებს ბუღალტრული აღრიცხვისათვის. ამასთანავე, შემოსავლის (მოგების) კორექტირება ხდება მხოლოდ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად. თუ საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების მიხედვით გადასახადის გადამხდელის ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემები და კოდექსით დადგენილი ზღვრული ნორმები განსხვავდება ერთმანეთისაგან, დასაბეგრი ობიექტის განსაზღვრისათვის მან უნდა გამოიყენოს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი ნორმები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გადასახადის გადამხდელმა აღრიცხვა უნდა აწარმოოს საგადასახადო მიზნებისათვის აღრიცხვის საკასო ან დარიცხვის მეთოდით, იმ პირობით, რომ იგი საგადასახადო წლის განმავლობაში ერთ მეთოდს გამოიყენებს.

ფიზიკურ პირს უფლება აქვს, შემოსავლები და ხარჯები საკასო მეთოდით აღრიცხოს.

დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებული პირი ვალდებულია გამოიყენოს აღრიცხვის დარიცხვის მეთოდი.

გადასახადის გადამხდელის მიერ აღრიცხვის მეთოდის ნებისმიერი ასპექტის შეცვლისას დასაბეგრო შემოსავლის (მოგების) კორექტირება უნდა მოხდეს ასეთი შეცვლის წელს, იმის გათვალისწინებით, რომ დასაბეგრო შემოსავლის (მოგების) განსაზღვრასთან დაკავშირებული არც ერთი ელემენტი არ იქნება გამოტოვებული ან ორჯერ ჩართული.

თუ გადასახადის გადამხდელი არაფულადი ფორმით იღებს შემოსავლებს ან სწევს ხარჯებს, ასეთი შემოსავლების მიღების ან ხარჯების გაწევის მომენტი განისაზღვრება იმ წესით, რა წესითაც განისაზღვრება ფულადი ფორმით შემოსავლების მიღების ან ხარჯების გაწევის მომენტი.

ზოგიერთი სახის საქმიანობის განმახორციელებელ გადასახადის გადამხდელს, თუ ასეთი საქმიანობისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულია დაბეგვრის განსხვავებული პირობები, საქართველოს ფინანსთა მინისტრმა შეიძლება დაუდგინოს ზოგიერთი სახის საქმიანობასთან დაკავშირებული შემოსავლებისა და ხარჯების განცალკევებულად აღრიცხვის ვალდებულება. ამასთანავე, ზოგიერთი სახის საქმიანობასთან დაკავშირებული შემოსავლები და ხარჯები დადასტურებული უნდა იქნეს სააღრიცხვო დოკუმენტაციით. ზემოაღნიშნული ეხება, მაგ. მიკრო და მცირე ბიზნესს. მაგ. პირს აქვს მიკრო ბიზნესის სტატუსი და მან ამასთან ერთად განახორციელა სხვა ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც არ არის გათავისუფლებული საშემოსავლო გადასახადისაგან მიკრობიზნესის ფარგლებში, მაგ. პირმა მიიღო გასესხებული ფულიდან პროცენტი ან საჩუქარი. ასეთ შემთხვევაში ეს პირი ვალდებულია ეს შემოსავლები მიკრობიზნესის სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას დაქვემდებარებული შემოსავლისგან განცალკევებულად ასახოს ერთობლივ შემოსავალში და დაბეგროს ჩვეულებრივი წესით.

გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია შემოსავლები და ხარჯები აღრიცხოს ელექტრონული ფორმით, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო და სხვა ჯარიმები აღირიცხება საკასო მეთოდით.

20.2 შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა საკასო მეთოდით

აღრიცხვის საკასო მეთოდის გამოყენებისას გადასახადის გადამხდელმა:

– შემოსავლები უნდა აღრიცხოს მათი მიღების ან გამოყენებისა და განკარგვის უფლების მოპოვების მომენტიდან;

– ხარჯები უნდა გამოქვითოს განაღდების შემდეგ (აღნიშნული არ ეხება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 111-ე მუხლით გათვალისწინებულ ამორტიზაციას დაქვემდებარებულ ძირითად საშუალებებს).

აღრიცხვის საკასო მეთოდის გამოყენებისას შემოსავლების მიღების მომენტად ითვლება:

– ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას – ნაღდი ფულის მიღების მომენტი;

– უნაღდო წესით ანგარიშსწორებისას – ფულადი სახსრების ჩარიცხვა ბანკში გადასახადის გადამხდელის საანგარიშსწორებო ანგარიშზე ან სხვა ანგარიშზე, რომლის განკარგვის ან რომლიდანაც ამ სახსრების მიღების უფლება აქვს.

გადასახადის გადამხდელის ფინანსურ ვალდებულებათა გაუქმების ან დაფარვის შემთხვევაში, კერძოდ, ურთიერთჩათვლის დროს, შემოსავლების მიღების მომენტად ითვლება ამ ვალდებულებათა გაუქმების ან დაფარვის მომენტი.

აღრიცხვის საკასო მეთოდის გამოყენებისას ხარჯების გაწევის მომენტად ითვლება გადასახადის გადამხდელის მიერ ხარჯების ფაქტობრივად გაწევის მომენტი.

აღრიცხვის საკასო მეთოდის გამოყენებისას გადასახადის გადამხდელის მიერ ხარჯების გაწევის მომენტად ითვლება:

– ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას – ნაღდი ფულის გადახდის მომენტი;

– უნაღდო წესით ანგარიშსწორებისას – ბანკის მიერ გადასახადის გადამხდელის საბანკო ანგარიშიდან თანხების ჩამოწერის მომენტი.

გადასახადის გადამხდელის წინაშე ფინანსურ ვალდებულებათა გაუქმების ან დაფარვის შემთხვევაში, კერძოდ, ურთიერთჩათვლის დროს, ხარჯების გაწევის მომენტად ითვლება ამ ვალდებულებათა გაუქმების ან დაფარვის მომენტი.

სავალო ვალდებულების ან ქონების იჯარით გაცემასთან დაკავშირებული გადასახდელის მიმართ, თუ სავალო ვალდებულების ან იჯარის ხელშეკრულების ვადა რამდენიმე საანგარიშო პერიოდს მოი-

ცავს, ფაქტობრივად გადახდილი პროცენტის (იჯარის) თანხა, რომელიც გამოიქვითება საგადასახადო წლის განმავლობაში, არის პროცენტის (იჯარის) ის თანხა, რომელიც გამოიანგარიშება თითოეულ საანგარიშო პერიოდში დარიცხული ან დასარიცხი თანხის მიხედვით.

20.3 შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა დარიცხვის მეთოდით

დარიცხვის მეთოდის გამოყენებისას გადასახადის გადამხდელმა შემოსავლები და ხარჯები უნდა აღრიცხოს შესაბამისად შემოსავლების მიღების უფლების მოპოვებისა და ხარჯების აღიარების მომენტის მიხედვით, შემოსავლების ფაქტობრივად მიღებისა და ხარჯების ფაქტობრივად გაწევის მომენტის მიუხედავად.

გადასახადის გადამხდელის შემოსავლების მიღების უფლება მოპოვებულად ითვლება, თუ:

– შესაბამისი თანხა ექვემდებარება გადასახადის გადამხდელისათვის გადახდას;

– გადასახადის გადამხდელმა შეასრულა გარიგებით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებული ყველა ვალდებულება.

თუ გადასახადის გადამხდელი სწევს მომსახურებას, ზემოაღნიშნული უფლება მის მიერ გარიგებით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებული მომსახურების გაწევის დამთავრების მომენტში მოპოვებულად ითვლება.

თუ გადასახადის გადამხდელი იღებს ან მას უფლება აქვს, მიიღოს შემოსავალი პროცენტის სახით ან ქონების იჯარით გადაცემით, შემოსავალი სავალო ვალდებულების ან იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლის მომენტში მიღებულად ითვლება. ამასთანავე, თუ სავალო ვალდებულების ან იჯარის ხელშეკრულების ვადა რამდენიმე საანგარიშო პერიოდს მოიცავს, შემოსავალი საანგარიშო პერიოდებს შორის ნაწილდება თითოეულ საანგარიშო პერიოდში დარიცხული ან დასარიცხი თანხის მიხედვით.

ბანკები სესხებზე დარიცხულ პროცენტებსა და ჯარიმებს შემოსავლად აღიარებენ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით.

დარიცხვის მეთოდის გამოყენებისას გარიგებასთან (ხელშეკრულებასთან) დაკავშირებული ხარჯების გაწევის მომენტად ითვლება მომენტი, როცა შესრულებულია ყველა შემდეგი პირობა:

– შესაძლებელია გადასახადის გადამხდელის მიერ ფინანსური ვალდებულების აღების ცალსახად მიჩნევა;

– ფინანსური ვალდებულების ოდენობა შეიძლება საკმარისი სიზუსტით შეფასდეს;

– გარიგების (ხელშეკრულების) ყველა მონაწილემ ფაქტობრივად შეასრულა თავისი ვალდებულება ამ გარიგების (ხელშეკრულების) მიხედვით და სათანადო ანაზღაურება ექვემდებარება აუცილებელ გადახდას.

ფინანსურ ვალდებულებაში იგულისხმება გარიგების (ხელშეკრულების) შედეგად აღებული ვალდებულება, რომლის შესრულების ძალითაც ამ გარიგების (ხელშეკრულების) მეორე მონაწილემ უნდა მიუთითოს ვალდებულების შესაბამისი შემოსავალი ფულადი ან სხვა ფორმით.

სავალო ვალდებულების პროცენტის ან იჯარით გაცემული ქონებიდან გადასახდელის გადახდისას ხარჯების გაწევის მომენტად ითვლება სავალო ვალდებულების ან იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლის მომენტი. თუ სავალო ვალდებულების ან იჯარის ხელშეკრულების ვადა რამდენიმე საანგარიშო პერიოდს მოიცავს, ხარჯები საანგარიშო პერიოდებს შორის ნაწილდება მათი დარიცხვების შესაბამისად.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, თუ პირი, გარდა ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტისა, იყენებს დარიცხვის მეთოდს, ხარჯების გაწევის მომენტად ითვლება თანხის გადახდის მომენტი, როდესაც:

– გადახდა უკავშირდება ფიზიკურ პირს;

– მიღებული მომსახურებისათვის საკომპენსაციო თანხის გადახდა უკავშირდება არარეზიდენტ საწარმოს, რომელიც არ მიეკუთვნება არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას საქართველოში.

20.4 აღრიცხვა თანამფლობელობის (ამხანაგობის) დროს

იურიდიული პირის დაფუძნების გარეშე ერთზე მეტი პირის საკუთრების ან/და ერთობლივი საქმიანობის ბაზაზე ამხანაგობის ან სხვა მსგავსი წარმონაქმნის თანამფლობელობის შემთხვევაში დასაბეგრო მოგება (შემოსავალი) მიეკუთვნება მათ მფლობელებს (წევრებს) წილის შესაბამისად და ჩაირთვება მათ ერთობლივ შემოსავალში.

ამხანაგობა ვალდებულია ყოველი კონკრეტული საგადასახადო წლის მიხედვით განსაზღვროს

თავისი დასაბეგრი მოგება ან ზარალი.

მიუხედავად იმისა, გაანაწილებს თუ არა ამხანაგობა თავის საგადასახადო წლის დასაბეგრ მოგებას, ამხანაგობის წილის მფლობელი ვალდებულია მისთვის მიკუთვნებული დასაბეგრი მოგება შეიტანოს იმ საგადასახადო წლის თავის ერთობლივ შემოსავალში, რომელშიც ამხანაგობამ მიიღო აღნიშნული მოგება.

თუ ხდება დასაბეგრი მოგების განაწილება და დასაბეგრი მოგების შესაბამისი წილის მფლობელი არ არის საგადასახადო ორგანოში რეგისტრირებული გადასახადის გადამხდელი, ამხანაგობა ვალდებულია წყაროსთან დააკავოს გადასახადი.

ამხანაგობის წევრს უფლება აქვს, წლის განმავლობაში მიღებული ერთობლივი შემოსავლის დაბეგვრისას გადასახდელი გადასახადების თანხაში ჩაითვალოს მისთვის წყაროსთან დაკავებული გადასახადი.

ამხანაგობის ზარალი მიეკუთვნება მის მფლობელებს წილის შესაბამისად. ამასთანავე, ამხანაგობის ზარალი მის მფლობელებზე არ ნაწილდება და მფლობელის ერთობლივი შემოსავლიდან არ გამოიქვითება.

ამხანაგობაში მფლობელის წილი ზარალი შეიძლება გამოიქვითოს მხოლოდ ამ ამხანაგობაში მისი წილი დასაბეგრი მოგების (მომავალი წლის/წლების) ხარჯზე. ზარალის გადატანა ხორციელდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 121-ე მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული წესით ანუ გამოქვითვების გადამეტება ერთობლივ შემოსავალზე გადაიტანება 5 წლამდე ვადით და დაიფარება მომავალი პერიოდების ერთობლივი შემოსავლის გამოქვითვებზე გადამეტების ხარჯზე.

ამხანაგობის ზარალი, რომელიც მიეკუთვნება მის მფლობელს, ამ მფლობელის სხვა ამხანაგობაში მონაწილეობის მოგების ხარჯზე არ გამოიქვითება.


ამხანაგობის წევრის მიერ ამხანაგობიდან ქონების გატანა (ქონების ინდივიდუალურ საკუთრებაში მიღება) ან/და მომსახურების მიღება ითვლება ამხანაგობის მიერ საბაზრო ღირებულებით ქონების მიწოდებად ან/და მომსახურების გაწევად.

ამხანაგობა ვალდებულია საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით საგადასახადო ორგანოს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 153-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ ვადაში (ანუ საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე) წარუდგინოს დეკლარაცია, რომელშიც მოცემული იქნება დასაბეგრი მოგების (ზარალის) ოდენობისა და მისი წევრებზე განაწილების თაობაზე ინფორმაცია.


იურიდიული პირის დაფუძნების გარეშე ერთზე მეტი პირის საკუთრების ან/და ერთობლივი საქმიანობის ბაზაზე ამხანაგობის ან სხვა მსგავსი წარმონაქმნი საგადასახადო ორგანოს საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით წარუდგენს დეკლარაციას №1 დანართის შესაბამისად.

№1 დანართი

დ ე კ ლ ა რ ა ც ი ა
ამხანაგობის მიერ მიღებული მოგების (ზარალის) განაწილების შესახებ
ნაწილი I



ნაწილი II (იქსება საგადასახადო ორგანოს მიერ)



ნაწილი III

ერთობლივი შემოსავალი					14	
საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულება			15			
საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულება					16	
გამოქვითვები, მათ შორის:			17			
–გამოქვითვას დაქვემდებარებული სასაქონლო – მატერიალური ფასეულობების ღირებულება	18					
– ელ-ენერგიის ღირებულება	19					
– გაცემული ხელფასი	20					
–კრედიტისათვის (სესხისათვის) გადახდილი ან გადასახდელი პროცენტები	21					
–უიმედო ვალები	22					
–საამორტიზაციო ანარიცხები	23					
–სრულად გამოქვითული 1000 ლარამდე ღირებულების ძირითადი საშუალებების ღირებულება	24					
–სრულად გამოქვითული ძირითადი საშუალების ღირებულება (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 112-ე მუხლი)	25					
–ძირითადი საშუალების რემონტის ხარჯი	26					
–სხვა გამოქვითვები	27					
ჯამი			28			29
ერთობლივი შემოსავლის გადამეტება გამოქვითვებზე (მოგება)					30	
დაბეგვრისაგან გათავისუფლებული მოგება (შემოსავალი)			333131			
ამხანაგობის წილის მფლობელებზე (წევრებზე) მისაკუთვნებელი მოგება						32
გამოქვითვების გადამეტება ერთობლივ შემოსავალზე (ზარალი)			33			
კაპიტალიზებადი ხარჯი	34					

ნაწილი IV

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

დეკლარაციის _____ უკრაში ასახული მოგების (ზარალის) ამხანაგობის წილის მფლობელებზე მიკუთვნების შესახებ

(ლარი)

№	ამხანაგობის წილის მფლობელის (წევრის) დასახელება	ამხანაგობის წილის მფლობელის (წევრის) საიდენტიფი-კაციო ან პირადი ნომერი	ამხანაგობის წილის მფლობელის (წევრის) მისამართი	საგადასახადო ორგანოს დასახელება	წილის ოდენობა (%-ში)	ამხანაგობის წილის მფლობელზე (წევრზე) განაწილებული (მიკუთვნებული) მოგება (ზარალი)
1	2	3	4	5	6	7
1						
2						
3						
4						
5						
6						
7						
8						
9						
10	სულ	X	X	X		

დეკლარაციაში მოცემული მონაცემების უტყუარობას და სისრულეს ვადასტურებ:

35	ამხანაგობის თავმჯდომარის (ხელმძღვანელის) ან სხვა ვალდებული პირის ან/და მისი კანონიერი ან უფლებამოსილი წარმომადგენლის გვარი, სახელი	
36	ამხანაგობის თავმჯდომარის (ხელმძღვანელის) ან სხვა ვალდებული პირის ან/და მისი კანონიერი ან უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელისმოწერა	
37	ხელმოწერის თარიღი	

20.5 ამხანაგობის მიერ მიღებული მოგების (ზარალის) განაწილების დეკლარაციის შევსება

დეკლარაციის პირველ ნაწილში აისახება ინფორმაცია გადასახადის გადამხდელის რეკვიზიტის, დეკლარაციის ტიპის (პირველადი/შესწორებული) და საანგარიშო პერიოდის შესახებ.

დეკლარაციის ყველა გვერდზე მიეთითება გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი, ამასთან, დეკლარაციაში ასახული მონაცემების უტყუარობა და სისრულე ხელისმოწერით დასტურდება გადასახადის გადამხდელის მიერ თარიღის (რიცხვი, თვე, წელი) მითითებით.

დეკლარაციის II ნაწილი ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ და მასში აისახება ინფორმაცია საგადასახადო ორგანოში დეკლარაციის წარდგენისა და რეგისტრაციის შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ დასახელებულ დეკლარაციის უჯრებში აუცილებელი გახდება განსხვავებული მონაცემების შეტანა, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია აღნიშნულზე დეკლარაციაში გააკეთოს სათანადო შენიშვნა.

დეკლარაციის III ნაწილის:

ა) მე-14 უჯრაში მიეთითება – საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-100 მუხლით დადგენილი ნორმებით განსაზღვრული ერთობლივი შემოსავალი, რომელიც მიიღება საანგარიშო პერიოდში ნებისმიერი ფორმით ან/და საქმიანობით. უსასყიდლოდ (ჩუქებით) მიღებული მატერიალური ფასეულობა (გაწეული მომსახურება) ერთობლივ შემოსავალში შეიტანება საბაზრო ღირებულებით;

ბ) მე-15 და მე-16 უჯრებში – სასაქონლო-მატერიალური ფასეულობათა ღირებულება (გარდა უსასყიდლოდ (ჩუქებით) მიღებული) შესაბამისად, საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის და საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 145-ე მუხლის მე-2 ნაწილი);

გ) მე-17 უჯრაში – შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად გამოქვითვას დაქვემდებარებული ხარჯები (გარდა კაპიტალიზებადი ხარჯებისა), მათ შორის:

გ.ა) მე-18 უჯრაში – საანგარიშო პერიოდში გამოქვითვას დაქვემდებარებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ღირებულება (გარდა კაპიტალიზებადი ფასეულობისა). მათ შორის, ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული უსასყიდლოდ (ჩუქებით) მიღებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა;

გ.ბ) მე-19 უჯრაში – საანგარიშო პერიოდში გახარჯული ელექტროენერგიის ღირებულება;

გ.გ) მე-20 უჯრაში – საქართველოს საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლის შესაბამისად ხელფასის (სარგებელის) სახით გაწეული (ფაქტობრივად გაცემული ხელფასი) ხარჯი;

გ.დ) 21-ე უჯრაში – კრედიტისათვის (სესხისათვის) გადახდილი ან გადასახდელი პროცენტები, არა უმეტეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წლიური პროცენტის ფარგლებში, შესაბამისი პერიოდის პროპორციულად (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 107-ე მუხლი);

გ.ე) 22-ე უჯრაში – რეალიზებულ საქონელთან ან მომსახურებასთან დაკავშირებული უიმედო ვალები, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 108-ე მუხლის შეზღუდვების გათვალისწინებით;

გ.ვ) 23-ე უჯრაში – საამორტიზაციო ანარიცხები ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების მიხედვით, რომელიც გამოიანგარიშება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 111-ე, 113-ე, 114-ე და 119-ე მუხლების შესაბამისად;

გ.ზ) 24-ე უჯრაში – 1000 ლარამდე ღირებულების ამორტიზაციას დაქვემდებარებული ძირითადი საშუალებების ღირებულება, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 111-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ექსპლოატაციაში გადაცემისას სრულად გამოიქვითება ერთობლივი შემოსავლიდან;

გ.თ) 25-ე უჯრაში – საქართველოს საგადასახადო კოდექსის 112-ე მუხლის მიხედვით საგადასახადო წლის განმავლობაში 100 პროცენტიანი ამორტიზაციის დარიცხვის გზით სრულად გამოქვითული ამორტიზაციას დაქვემდებარებული და ექსპლუატაციაში შესული ძირითადი საშუალებების ღირებულება. ამასთან, სრულად გამოქვითვის უფლება არ ერცელდება ამხანაგობაში (კაპიტალში) შეტანილ, ლიზინგით გაცემულ და ისეთ ძირითად საშუალებებზე, რომლებიც არ ექვემდებარება ამორტიზაციას;

გ.ი) 26-ე უჯრაში – საქართველოს საგადასახადო კოდექსი 111-ე მუხლის მე-3 ნაწილის თითეულ ჯგუფში შემავალი, ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ძირითადი საშუალების რემონტის ხარჯები, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის 5 პროცენტს. ამასთან, თუ ამხანაგობა ძირითადი საშუალებების გამოქვითვისას იყენებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 112-ე მუხლის ნორმას, მაშინ ძირითადი საშუალებების აღნიშნული ნაწილისათვის რემონტის ხარჯებთან მიმართებაში 5 – პროცენტიანი შეზღუდვის წესი არ გამოიყენება;

გ.კ) 27-ე უჯრაში – გამოქვითვას დაქვემდებარებული ნებისმიერი ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია შემოსავლის მიღებასთან და არ არის ასახული სხვა უჯრებში, როგორიცაა:

გ.კ.ა) სადაზღვევო ხარჯები, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 118-ე მუხლის შესაბამისად;

გ.კ.ბ) წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც განისაზღვრება საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის 33-ე ნაწილის მიხედვით. ამასთან მისი ოდენობა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 116-ე მუხლის შესაბამისად, არ უნდა აღემატებოდეს საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებული ერთობლივი შემოსავალის (უჯრა 14) ერთ პროცენტს;

გ.კ.გ) სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საცდელ-საკონსტრუქტორო მომსახურების ხარჯები საქართველოს საგადასახადო კოდექსის 110-ე მუხლის მიხედვით;

გ.კ.დ) საანგარიშო წელს ბიოლოგიურ აქტივზე ფაქტობრივად განეული ხარჯი;

გ.კ.ე) გამოქვითვას დაქვემდებარებული სხვა ნებისმიერი ხარჯი (გარდა საქველმოქმედო ორგანიზაციებზე გაცემული შეწირულობებისა და გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადებისა);

დ) 28-ე უჯრაში – მე-15 და მე-17 უჯრებში ასახულ მონაცემთა ჯამი;

ე) 29-ე უჯრაში – მე-14 და მე-16 უჯრებში ასახულ მონაცემთა ჯამი;

ვ) 30-ე უჯრაში – საანგარიშო წლის შემოსავლის (უჯრა 29) გადამეტება გამოქვითვებზე (უჯრა 28), რომელიც შეადგენს 29-ე და 28-ე უჯრების მონაცემთა დადებით სხვაობას;

ზ) 31-ე უჯრაში – საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით მოგების გადასახადით დაბეგვრისაგან გათავისუფლებული მოგება (შემოსავალი). აგრეთვე გამოქვითვას დაქვემდებარებული საქველმოქმედო ორგანიზაციებზე გაცემული შეწირულობის თანხები, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 117-ე მუხლის შესაბამისად არ უნდა აღემატებოდეს 30-ე უჯრაში (შემოსავლების გადამეტება გამოქვითებზე) ასახული თანხის 10 პროცენტს;

თ) 32-ე უჯრაში – ამხანაგობის წილის მფლობელებზე (წევრებზე) მისაკუთვნებელი მოგება, რომელიც მიიღება 30-ე უჯრაში ასახულ მონაცემს გამოკლებული 31-ე უჯრაში ასახული მონაცემი.

ი) 33-ე უჯრაში – გამოქვითების გადამეტება შემოსავალზე (ზარალი), რომელიც მიიღება 29-ე და 28-ე უჯრებში ასახულ მონაცემთა უარყოფითი სხვაობით;

დეკლარაციის მე-4 ნაწილის საინფორმაციო ცხრილში აისახება ინფორმაცია ამხანაგობის წილის მფლობელიების (წევრების) რეკვიზიტის და მათზე მოგების/ზარალის მიკუთვნების შესახებ.

20.6 შემოსავლები და გამოქვითვები გრძელვადიანი კონტრაქტების მიხედვით

თუ გადასახადის გადამხდელი აღრიცხვისას დარიცხვის მეთოდს იყენებს, გათვალისწინებული უნდა იქნეს შემოსავლები და გამოქვითვები გრძელვადიანი კონტრაქტების მიხედვით, საგადასახადო წლის განმავლობაში პროპორციულად, მათი ფაქტობრივი შესრულების შესაბამისად.

გრძელვადიანი კონტრაქტის მიხედვით ფაქტობრივი შესრულების მოცულობა განისაზღვრება საგადასახადო წლის ბოლომდე კონტრაქტის ფარგლებში გაწეული ხარჯების კონტრაქტით გათვალისწინებულ ერთობლივ ხარჯებთან შეპირისპირებით.

განვიხილოთ მაგალითი. გრძელვადიანი კონტრაქტით 2010 წლის 1 სექტემბრიდან 2011 წლის 1 სექტემბრამდე გათვალისწინებულია მომსახურების გაწევა 100 ლარის ოდენობით. საკონტრაქტო ხარჯი შეადგენს 80 ლარს. 2010 წლის 1 სექტემბრიდან 2011 წლის 1 იანვრამდე(4თვე) მომსახურების მიწოდებაზე მომსახურების მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად(დოკუმენტურად დადასტურებული) ხარჯია 40 ლარი. რამდენი იქნება მომსახურების გამწევის(მიმწოდებლის) 2010 წლის 4 თვის დასაბეგრი შემოსავალი? დასაბეგრი შემოსავალი იქნება 40:80X100 – 40=10 ლარი.

20.7 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის წესი

გადასახადის გადამხდელი ვალდებულია სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის შემადგენლობაში შეიტანოს თავის საკუთრებაში არსებული დამუშავებული ან ნაწილობრივ დამუშავებული საქონელი, მისი ადგილმდებარეობის მიუხედავად, კერძოდ, ნედლეული ან/და მასალები (გარდა კაპიტალიზებადი ხარჯებისა), რომლებიც შეძენილია შემდგომი რეალიზაციისათვის ან საქონლის წარმოებისათვის/ მომსახურების გაწევისათვის.

დასაბეგრი შემოსავლის (მოგების) განსაზღვრისას საანგარიშო პერიოდის დასაწყისისთვის არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ღირებულება აკლდება, ხოლო საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ღირებულება ემატება ერთობლივ შემოსავალს.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის აღრიცხვისას გადასახადის გადამხდელი ვალდებულია წარმოებული ან შეძენილი საქონლის ღირებულება აღრიცხვაში ასახოს ამ საქონლის წარმოებაზე განეული ხარჯების (გარდა საამორტიზაციო ანარიცხებისა) ან შეძენის ფასად. ამასთანავე, გადასახადის გადამხდელი საქონლის ღირებულებაში შეიტანს მისი შენახვისა და ტრანსპორტირების ხარჯებს.

საქონლის რეალიზაციისას გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის აღსარიცხავად გამოიყენოს ერთ-ერთი შემდეგი მეთოდი:

– ინდივიდუალური აღრიცხვის მეთოდი;(ეს მეთოდი გულისხმობს შესაბამისი ფასეულობების აღრიცხვას ამ ფასეულობების შესაბამისი ფასების მიხედვით. მაგ., თვის განმავლობაში 2 – ჯერ იქნა შეძენილი ერთი და იგივე სახის საქონელი, რომელთა ღირებულებებია 1 ერთეული და 2 ერთეული. მათი რეალიზაციის ფასები იქნება, შესაბამისად 1 და 2 ერთეული).

– საშუალო შეწონილი შეფასების მეთოდი;(საშუალო შეწონილი შეფასების მეთოდი არის სასაქონლო – მატეარიალური ფასეულობების საგადასახადო აღრიცხვის წესი, რომლის დროსაც რეალიზებული საქონლის თვითღირებულების დადგენა ხდება საქონლის ერთეულის საშუალო ფასის გამოყვანით. მაგ., თვის განმავლობაში სამჯერ იქნა შეძენილი 1, 2 და 3 ერთეულის ერთი და იგივე სახის საქონელი, რომელთა შეძენის ღირებულებებია, შესაბამისად: 1, 2 და 3 ლარი. საწარმომ გაყიდა 2 ერთეული საქონელი, რომლის თვითღირებულება იქნება 2,3X2=4,6 ლარი.(2,3 არის ერთეულის საშუალო შეწონილი ფასი – 1X1+2X2+3X3=14:6=2,3).

– მეთოდი ფიფო, რომლის მიხედვითაც საანგარიშო პერიოდში პირველ რიგში რეალიზებულად ითვლება ის საქონელი, რომელიც საანგარიშო პერიოდის დასაწყისისთვის მიეკუთვნება სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობას, ხოლო შემდეგ რეალიზებულად – ის საქონელი, რომელიც წარმოებულია (შეძენილია) საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, მისი წარმოების (შეძენის) დროის მიხედვით. (მეთოდი ფიფო, არის საქონლის ინდივიდუალური აღრიცხვის საპირისპირო საგადასახადო აღრიცხვის მეთოდი, რომელიც გამოიყენება ხარჯების(ანუ რეალიზებული სასაქონლო – მატარიალური ფასეულობების თვითღირებულების) დადგენის მიზნით. ამ მეთოდის მიხედვით საანგარიშო პერიოდში, პირველ რიგში, რეალიზებულად ითვლება ის საქონელი, რომელიც საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის მიკუთვნებულია სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობას, ხოლო შემდეგ რეალიზებულად – ის საქონელი, რომელიც წარმოებულია(შეძენილია) საანგარიშო პერიოდის მანძილზე(განმავლობაში) მისი წარმოების(შეძენის) დროის მიხედვით. მაგ., თვის განმავლობაში სამჯერ იქნა შეძენილი 1, 2 და 3 ერთეულის ერთი და იგივე სახის საქონელი, რომელთა შეძენის ღირებულებებია შესაბამისად: 1, 2 და 3 ლარი. საწარმომ გაყიდა 2 ერთეული საქონელი, რომელთა თვითღირებულება იქნება 3 ლარი(1X1+1X2=3).

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის აღრიცხვისას გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, დეფექტური ან მოძველებული და მოდიდან გამოსული საქონელი, რომლის რეალიზაციაც შეუძლებელია მის წარმოებაზე განეულ ხარჯებზე ან შეძენის ფასზე მეტ ფასად, შეაფასოს ამ საქონლის შესაძლო სარეალიზაციო ფასით.

ვადაგასული ან/და გამოსაყენებლად ან შემდგომი მიწოდებისთვის უვარგისი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ჩამოწერისას გადასახადის გადამხდელი ვალდებულია საგადასახადო ორგანოს შეატყობინოს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ჩამოწერის (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის სახეობის, რაოდენობისა და ღირებულების მითითებით) შესახებ და ჩამოწერა განახორციელოს მხოლოდ საგადასახადო ორგანოს მიერ შესაბამისი დადასტურების შემთხვევაში.

ზემოაღნიშნული უვარგისი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების არსებობისას საგადასახადო ორგანო გადამხდელის მიმართვიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ვალდებულია სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ჩამოწერის შემთხვევაში პირდაპირ დაუდასტუროს ან ადგილზე გასცლით მოახდინოს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ფიზიკური გადამოწმება და დაუდასტუროს გადასახადის გადამხდელს ჩამოწერის დოკუმენტი.

გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღრიცხოს ელექტრონულად ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამების გამოყენებით, იმ სავალდებულო პირობით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნაშთების ნომენკლატურული აღრიცხვა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის მე-11 ნაწილის მიზნებისათვის(დანაკლისის შემთხვევა), ბუნებრივი დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობების და სანარმოო პროცესთან დაკავშირებული ტექნიკური ნორმების საწარმოო დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობების, საქონლის გამოსავლიანობისა და საწარმოო პროცესთან დაკავშირებული სხვა ტექნიკური ნორმების განმსაზღვრელ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს შემოსავლების სამსახური.

20.8 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების (სმფ) ჩამოწერა

სმფ-ების ჩამოწერა ხორციელდება (დანართი №2) საფუძველზე.

დოკუმენტის გაფორმება მოიცავს სმფ-ების ჩამოწერის დოკუმენტის შედგენის და საგადასახადო ორგანოს მიერ მისი დადასტურების პროცედურას.

სმფ-ების ჩამოწერისას გათვალისწინებული პროცედურების განხორციელების მიზანშეწონილობის საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს და მის ორგანიზაციულ და ფინანსურ უზრუნველყოფას ახორციელებს გადასახადის გადამხდელი.

სმფ-ების ჩამოწერა სრულდება:

– საქონლის სრული განადგურებით;

– საქონლის პირველადი სახის შეცვლით.

თუ გადასახადის გადამხდელი ან ჩამოსაწერი სმფ-ის სახეობა არ მოექცევა შემოსავლების სამსახურის მიერ განსაზღვრული რისკების კრიტერიუმებში, სმფ-ების ჩამოწერის დადასტურება ხდება პირდაპირ, ადგილზე გაუსვლელად, საგადასახადო მონაცემთა ავტომატიზებული სისტემის მეშვეობით, შესაბამისი განცხადების მიღებიდან არა უგვიანეს მე-2 სამუშაო დღისა.

გადასახადის გადამხდელი სმფ-ის ჩამოწერის მიზნით სააღრიცხვო დოკუმენტაციაზე და ფაქტობრივად არსებულის მონაცემებზე დაყრდნობით ავსებს „სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის დოკუმენტში" (დანართი №2) მოცემული ცხრილის პირველ-მე-7 სვეტებს.

დოკუმენტის გაფორმების მიზნით, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია ელექტრონული განცხადებით (დანართი №2) მიმართოს საგადასახადო ორგანოს სმფ-ის ადგილმდებარეობის მიხედვით.განცხადებას ელექტრონულად უნდა დაერთოს დანართი №2.

იმ შემთხვევაში, როდესაც ხორციელდება ვადაგასული ან/და გამოსაყენებლად ან შემდგომი მიწოდებისათვის უვარგისი ხილ – ბოსტნეულის განადგურება და აღნიშნული პროდუქციის გაუვარგისების გამო მისი ფაქტობრივი რაოდენობა სააღრიცხვო დოკუმენტაციაში არსებულზე ნაკლებია, მაშინ გადასახადის გადამხდელი „სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის დოკუმენტში" (დანართი №2) მოცემული ცხრილის მე-4 სვეტში ავსებს ჩამოსაწერი ხილ-ბოსტნეულის ფაქტობრივ რაოდენობას, ხოლო მე-5 და მე-6 სვეტებში უთითებს ამ პროდუქციის გაუვარგისებამდე სააღრიცხვო მონაცემებში არსებულ ერთეულის ფასს და თავდაპირველი რაოდენობის მთლიან ღირებულებას.

სმფ-ის ჩამოწერის შესახებ განცხადება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის დადასტურების შესახებ (დანართი №1) ივსება შემდეგი წესით:

– პირველ გრაფაში მიეთითება ჩამოსაწერი სმფ-ების ღირებულება ციფრებით და სიტყვიერად;

– მე-2 გრაფაში მიეთითება ჩამოსაწერი სმფ-ის ფაქტობრივი განთავსების ადგილი;

– მე-3 გრაფაში მიეთითება შესაბამისი პროცედურის დასახელება;

– მე-4 გრაფაში მიეთითება სმფ-ის განადგურების ადგილი, კერძოდ:

ა) „ნადგურდება სხვადასხვა სახის ნარჩენების განთავსების ან განადგურებისთვის სპეციალურად მოწყობილ ადგილებში", ან

ბ) „ნადგურდება გადასახადის გადამხდელის ტერიტორიაზე";

– მე-5 გრაფაში მიეთითება აღირიცხება თუ არა განადგურებისას სმფ-ების რაოდენობა;

ვ) მე-6 გრაფაში მიეთითება შემოსავლების სამსახურის ანგარიშზე გადახდილი მომსახურების საფასურის ოდენობა;

– მე-7 გრაფაში მიეთითება განმცხადებლის სახელი, გვარი და პირადი ნომერი.

საქონლის პირველადი სახის შეცვლის შემთხვევაში სმფ-ების ჩამოწერისას, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია განცხადების წარდგენამდე, შესაბამისი ექსპერტის ან სპეციალისტის დასკვნის საფუძველზე, უზრუნველყოს სმფ-ების პირველადი სახის შეცვლის შედეგად არსებული ნარჩენების რაოდენობისა და ღირებულების დადგენა, რომელიც თან უნდა დაერთოს განცხადებას.

დანართი №2

განცხადება
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების
ჩამოწერის დადასტურების შესახებ

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის მიზნით კანონმდებლობის შესაბამისად წარმოგიდგენთ „სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის დოკუმენტს"

(ჩამოსაწერი სმფ-ების ღირებულება ციფრებით და სიტყვიერად)

1	

(ჩამოსაწერი სმფ-ების ფაქტობრივი განთავსების ადგილი)

2	

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერა ხორციელდება:

3	

(საქონლის სრული განადგურებით, საქონლის პირველადი სახის შეცვლით)

4	

(სმფ-ების განადგურების ადგილი)

5	

(აღირიცხება თუ არა განადგურებისას სმფ-ების რაოდენობა)

(შემოსავლების სამსახურის ანგარიშზე გადახდილი მომსახურების საფასური)

6	

გთხოვთ, დამიდასტუროთ აღნიშნული დოკუმენტი

დანართი: 1. „სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის დოკუმენტი";
2. მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
3. შესაბამისი ექსპერტის ან სპეციალისტის დასკვნა (საქონლის პირველადი სახის შეცვლის შემთხვევაში).

(განმცხადებლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი)

7	

შენიშვნა: გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს განცხადებას და მის დანართს, აუცილებლობის შემთხვევაში, დამატებით დაურთოს სხვა ინფორმაცია.

დანართი N2

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის დოკუმენტი

1	

გადასახადის გადამხდელის
(საიდენტიფიკაციო ნომერი)
დასახელება, ფაქტობრივი მისამართი

2										

3	

გადასახადის გადამხდელის ხელმძღვანელი
სპეციალისტები
/მისი წარმომადგენელი

4	

მოწვეული

5	

საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი
განხორციელების დრო
პირები
სიტყვიერად)

6	

პროცედურის

(რიცხვი, თვე და წელი

7. ჩამოსაწერი სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღწერა:

რიგითი N	სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დასახელება და აღწერილობა	ზომის ერთეული	რაოდენობა	სმფ-ს ღირებულება სააღრიცხვო მონაცემების მიხედვით		გაუვარგისების მიზეზები (ვადის გასვლა, მტვრევა, გაფუჭება და სხვა)	ფაქტობრივად აღწერილი და განადგურებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების რაოდენობა (ავსებს საგადასახადო ორგანო)	შენიშვნა (ავსებს საგადასახადო ორგანო)
				ერთეულის ფასი	სულ			
1	2	3	4	5	6	7	8	9
	სულ:							

8	

სულ განადგურებული სმფ-ს რაოდენობა (სიტყვიერად, სახეობების მიხედვით) ავსებს საგადასახადო ორგანო

9	გადასახადის გადამხდელის ხელმოწერა

10	გადასახადის გადამხდელის წარმომადგენლის ხელმოწერა

11	მოწვეული სპეციალისტის ხელმოწერა

12	1		2		3	

საგადასახადო ორგანოს წარმომადგენლის/წარმომადგენლების ხელმოწერა

13	

საგადასახადო ორგანოს უარი დოკუმენტის დადასტურებაზე (მიეთითება უარის თქმის საფუძველზე)

14	1		2		3	

საგადასახადო ორგანოს წარმომადგენლის/წარმომადგენლების ხელმოწერა

საგადასახადო ორგანო განცხადებისა და შესაბამისი დანართის მიღებიდან არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა ვალდებულია გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი „სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის დოკუმენტის შედგენის და საგადასახადო ორგანოს მიერ მისი დადასტურების შესახებ".

საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ პირთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 3 პირს, ხოლო დოკუმენტის გაფორმების დღეთა რაოდენობა – 5 სამუშაო დღეს, რომლის პერიოდულობასაც ირჩევს საგადასახადო ორგანოს უფროსი/მოადგილე გადასახადის გადამხდელის მიერ წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე.

სმფ-ების ჩამონერის პირდაპირ დადასტურების შემთხვევაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ გამოიცემა.

საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი უნდა გამოცხადდეს განცხადებაში მითითებულ ფაქტობრივ მისამართზე, გადასახადის გადამხდელს წარუდგინოს პირადობის დამადასტურებელი სამსახურებრივი მოწმობა და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დედანი ან მისი დადგენილი წესით დამოწმებული ასლი.

საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი გადასახადის გადამხდელთან, მის წარმომადგენელთან ან/და მოწვეულ სპეციალისტთან ერთად უზრუნველყოფს დანართი №2 – ში მითითებული სმფ-ის ფაქტობრივად აღწერას, საჭიროების შემთხვევაში, ვიდეო ან ფოტო დაფიქსირებას.

იმ შემთხვევაში, თუ უფლებამოსილი პირის მიერ შეუძლებელია დანართი №2 – ში მითითებული სმფ-ის ფაქტობრივად არსებულთან შედარება, მას უფლება აქვს მოსთხოვოს გადასახადის გადამხდელს საკუთარი ხარჯებით შესაბამისი სპეციალისტის მოწვევა.

საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ დანართი №2-ზე ხელმოწერით დასტურდება მხოლოდ ვადაგასული, გამოსაყენებლად ან შემდგომი მიწოდებისათვის უვარგისი სმფ-ის ფაქტობრივი აღწერა, მისი განადგურება (დანართი №2-ში მოცემული ცხრილის მე-8 სვეტი) და ამ პროცედურის განხორციელებისას გამოვლენილი სხვა ფაქტობრივი გარემოებები (დანართი №2-ში მოცემული ცხრილის – მე-9 სვეტი) ან უარი მის დადასტურებაზე, რის შესახებაც კეთდება სათანადო აღნიშვნა უარის თქმის გარემოებებზე მითითებით.

სმფ-ის განადგურება არის სმფ-ის მოყვანა ფიზიკურად ისეთ მდგომარეობაში, როდესაც შეუძლებელია მისი აღდგენა და გამოყენება პირველადი სახით.

იმ შემთხვევაში, როცა სმფ-ის განადგურება ვერ ხერხდება გადასახადის გადამხდელის ტერიტო-

რიაზე, იგი უნდა განხორციელდეს სხვადასხვა სახის ნარჩენების განთავსების ან განადგურებისთვის სპეციალურად მოწყობილ ადგილებში.

გადასახადის გადამხდელი ვალდებულია დადგენილი წესით აღრიცხოს ჩამოწერის დოკუმენტის გაფორმების შედეგად გამოსაყენებლად ვარგისი ნარჩენები.

გადასახადის გადამხდელის მიერ სმფ-ის ჩამონერა შესაძლებელია განხორციელდეს შესაბამისი საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის არსებული სმფ-ის მარაგების ნაშთის ღირებულების შემცირებით, მხოლოდ დანართი №2-ში მოცემული ცხრილის მე-8 სვეტში შეტანილ მონაცემთა რაოდენობის ფარგლებში.

დოკუმენტის გაფორმების დასრულების შემდგომ შესაბამისი პირობების დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელს დაეკისრება პასუხისმგებლობა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პირდაპირი დადასტურების შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელის მიერ დანართი №1 – ის შესაბამის განცხადებაში არასწორი მონაცემების შეტანისას დანართი №2 – ით გათვალისწინებული „სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის დოკუმენტი“ ჩაითვლება ბათილად.

20.9 შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა გამარტივებული წესით

პირი, რომელიც საქონლის/მომსახურების რეალიზაციას უპირატესად ნაღდი ანგარიშსწორებით ახორციელებს, გადასახადის გადახდისას იყენებს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილ შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის გამარტივებულ წესებს. აღნიშნული წესები არ ვრცელდება იმ გადასახადის გადამხდელზე, რომელიც, მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების მიზნებიდან გამომდინარე, ვალდებულია განახორციელოს ან ნებაყოფლობით ახორციელებს ბუღალტრულ აღრიცხვას დარიცხვის მეთოდით, აგრეთვე იმ პირზე, რომელიც რეგისტრირებულია დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად.

პირის, რომელსაც უფლება აქვს გამოიყენოს შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის გამარტივებული წესი აწარმოებს შემოსავლებისა და ხარჯების გამარტივებული აღრიცხვის წიგნს (დანართი №1), რომელშიც ქრონოლოგიური თანმიმდევრობით პირველადი საღრიცხვო დოკუმენტების საფუძველზე აისახება საანგარიშო (საგადასახადო) პერიოდის ყველა სამეურნეო ოპერაცია. აღრიცხვის წიგნის დასალუქად პირმა განცხადებით (დანართი №2) უნდა მიმართოს საგადასახადო ორგანოს.

პირს, საგადასახადო წლის მიხედვით, როგორც წესი, ელუქება ერთი აღრიცხვის წიგნი. ამასთან, გადამხდელის საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით (რამდენიმე სტაციონარული ობიექტების არსებობა და მათი რეგიონების მიხედვით განთესვა და სხვა), საგადასახადო ორგანომ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება ერთი აღრიცხვის წიგნზე მეტის დალუქვის თაობაზე. აღნიშნულ შემთხვევაში, აღრიცხვის წიგნების თითოეულ ეგზემპლარზე საგადასახადო ორგანოს მიერ კეთდება აღნიშვნა გადამხდელზე გაცემული აღრიცხვის წიგნების ფაქტობრივი რაოდენობის შესახებ.

საგადასახადო ორგანო უზრუნველყოფს წიგნების დალუქვის რეესტრის წარმოებას გადამხდელების მიხედვით. დაუშვებელია სათანადო დასაბუთების და საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილების გარეშე გადამხდელთან საანგარიშო პერიოდში ერთზე მეტი დალუქული წიგნის არსებობა.

პირი, რომელიც იყენებს აღრიცხვის გამარტივებულ წესს, აღრიცხვის წიგნში ასახავს შემოსავლების მიღებასთან და ხარჯების გაწევასთან დაკავშირებული ყველა ოპერაციას. ამასთან, დასაბეგრი შემოსავალი განისაზღვრება თანხების (შემოსავლის) მიღების ან გამოყენების და განკარგვის უფლების მოპოვების მომენტში, ხოლო ხარჯები – ფაქტობრივი განაღდების მიხედვით. აღნიშნული პირობა არ ეხება ამორტიზირებად აქტივებს.

პირი, რომელიც აღარ არის ვალდებული ან/და აღარ აქვს უფლება გამოიყენოს გამარტივებული აღრიცხვის წესი, ვალდებულია შეწყვიტოს აღრიცხვის წიგნის წარმოება და აღნიშნულის შესახებ წერილობით აცნობოს შესაბამის საგადასახადო ორგანოს. მოცემულ შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს მიერ აღრიცხვის წიგნში ბოლო ჩანაწერის შემდეგ კეთდება აღნიშვნა „ ოპერაციების შეტანა შეწყვეტილია“ და მოწმდება ბეჭდით.

პირმა უნდა უზრუნველყოს თავისი საქმიანობის სააღრიცხვო მაჩვენებლების მთლიანობა, უწყვეტობა და უტყუარობა, რაც აუცილებელია საგადასახადო ბაზის განსაზღვრისათვის.

პირველად სააღრიცხვო დოკუმენტებს, რომლებიც შედგენილია უცხო ენაზე უნდა ჰქონდეთ თარგმანი ქართულ ენაზე.

აღრიცხვის წიგნი იხსნება ერთ კალენდარულ წელზე, იგი უნდა იყოს ზონარგაყრილი და დანომ-

რილი. ზონარგაყრილი და დანომრილი წიგნის ბოლო გვერდზე აღინიშნება მასში არსებული ფურცლების რაოდენობა, რაც დამოწმებული უნდა იქნეს გადამხდელის ხელმოწერით და ბეჭდით (მისი არსებობის შემთხვევაში) და საგადასახადო ორგანოს თანამდებობის პირის ხელმოწერითა და ბეჭდით.

საგადასახადო ორგანომ შეიძლება მოითხოვოს წიგნების ერთჯერადი ლუქებით დალუქვა. ასეთ შემთხვევაში, საგადასახადო ორგანომ თავად უნდა უზრუნველყოს ერთჯერადი ლუქების შეძენა.

წიგნის წარმოება, დადგენილ შემთხვევებში, გადამხდელს არ ათავისუფლებს სასაქონლო ზედნადების გამოწერის ვალდებულებისაგან.

წიგნში შეცდომების შესწორება უნდა იყოს დასაბუთებული და დამტკიცებული გადამხდელის ხელმოწერითა და ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესწორების თარიღის მითითებით.

აღრიცხვის წიგნის სვეტებში აისახება:

– პირველ სვეტში – რეგისტრირებული ოპერაციის რიგითი ნომერი და თარიღი;

– მე-2 სვეტში – მიღებული შეკვეთა ან პირველადი დოკუმენტის დასახელება (სასაქონლო ზედნადები, მიღება-ჩაბარების აქტი, და სხვა), თარიღი და ნომერი, რომლის საფუძველზეც განხორციელდა ოპერაცია. ამასთან, მიღებული შეკვეთა ან მიღებული (შეძენილი) საქონელი წიგნში ფიქსირდება დაუყოვნებლივ, მიუხედავად მისი შესრულების ან ანაზღაურების დროისა. ფაქტობრივი ანაზღაურების მომენტები აისახება შენიშვნის გრაფაში;

– მე-3 სვეტში – თავისუფალი ტექსტით მიეთითება სამეურნეო ოპერაციის (მიღებული შეკვეთა, შეძენილი საქონელი, გაცემული ხელფასი და სხვა) შინაარსი;

– მე-4 სვეტში – საქონლის (მომსახურების) რეალიზაციიდან, აგრეთვე არასამეწარმეო ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები და სარგებელი. თუ გადამხდელის საქმიანობა დაკავშირებულია მომხმარებელთა დიდ რიცხოვნობასთან, მას საგადასახადო ორგანოსთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების შემდგომ, უფლება აქვს წიგნის მე-4 სვეტში მონაცემები ყოველდღიური ჯამური შემოსავლების შესახებ, ასახოს სამუშაო დღის ბოლოს საკონტროლო სალარო აპარატის ყოველდღიური მაჩვენებლის მიხედვით;

– მე-5 სვეტში – საგადასახადო კოდექსით გამოქვითვას დაქვემდებარებული ხარჯები.

აღრიცხვის წიგნში შეიტანება ძირითადი საშუალებების შეძენის და რეალიზაციასთან დაკავშირებული ყველა ოპერაცია. ამასთან, დასაბეგრი შემოსავლების (გამოსაქვითი ხარჯების) ოდენობა განისაზღვრება ამორტიზირებადი აქტივებისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით.

კალენდარული წლის ბოლო დღეს წიგნი იხურება და მასში დაფიქსირებული შემოსავლებისა და ხარჯების ჯამური მაჩვენებლები აისახება შესაბამისი გადასახადების წლიურ დეკლარაციებში (გაანგარიშებებში).

გადამხდელებმა გამარტივებული აღრიცხვის წესზე გადასვლის შემთხვევაში, უნდა დაიცვან შემდეგი წესები:

– ყველა შეკვეთა, რომლებიც გამარტივებული აღრიცხვის წესზე გადასვლის მომენტისათვის არ არის დასრულებული ექვემდებარება წიგნში ასახვას;

– აღრიცხვის წიგნში ასახავს ექვემდებარება აგრეთვე ფულადი სახსრები, რომლებიც მიღებულია აღრიცხვის გამარტივებულ წესზე გადასვლის შემდეგ, თუ აღნიშნული თანხები მიღებულია გამარტივებულ წესზე გადასვლამდე მიწოდებულ საქონელზე (მომსახურებაზე).

წიგნის შენახვის ვადა 6 წელია.

№1 დანართი

შემოსავლებისა და ხარჯების გამარტივებული აღრიცხვის წიგნი

წელი – ------

გადამხდელი – ————————————————————————————————

(იურიდიული პირის დასახელება მეწარმე ფიზიკური პირის გვარი, სახელი)

საიდენტიფიკაციო ნომერი – -- – -- – -- – -- – -- – -- – -- – -- – -- – -- – -- – -- – -- – -- – --

განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობის სახე – – – – – – – – (კოდი)

იურიდიული პირის ადგილმდებარეობის (ან ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილის) მისამართი – ————————————————————————————

_____

ობიექტი, სადაც იწარმოება წიგნი – _____

საგადასახადო ორგანოს თანამდებობის პირი – _____

(გვარი, სახელი, ხელმოწერა)

ბ.ა

№	რეგისტრაცია		თანხა		შენიშვნა
	პირველადი დოკუმენტის თარიღი და ნომერი	ოპერაციის შინაარსი	შემოსავალი	ხარჯი	
1	2	3	4	5	6

№2 დანართი

შემოსავლებისა და ხარჯების გამარტივებული აღრიცხვის წიგნის დალუქვის შესახებ

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საგადასახადო ორგანო –

გადასახადის გადამხდელი –

საიდენტიფიკაციო ნომერი –

იურიდიული მისამართი –

გთხოვთ, დამილუქოთ შემოსავლებისა და ხარჯების გამარტივებული აღრიცხვის წიგნი.

განმცხადებელი – _____ – _____

(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

თარიღი: „ – _____“ „ – _____“ 20 წელი

შენიშვნა:

გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს განცხადებას, აუცილებლობის შემთხვევაში, დამატებით დაურთოს სხვა ინფორმაცია.

20.10 კომპენსირებული გამოქვითვები

ადრე გამოქვითული ხარჯების, ზარალისა და უიმედო ვალების ანაზღაურებით მიღებული თანხა იმ წლის შემოსავლად ითვლება, რომელშიც ანაზღაურდა იგი. წინასწარ გამოქვითული რეზერვების შემცირებისას შემცირებული თანხა შეიტანება მიმდინარე წლის ერთობლივ შემოსავალში. შესაბამისად, კომპენსირებული გამოქვითვები არის ადრე გამოქვითული ხარჯების, ზარალისა და უიმედო ვალების ანაზღაურებით მიღებული თანხები, რომელიც იმ წლის შემოსავლად ითვლება, რომელშიც მოხდა მისი ანაზღაურება. მაგ., საწარმოს ჰქონდა უიმედო ვალი, რომელიც პარტნიორმა აუნაზღაურა მომდევნო წელს. ეს ანაზღაურებული თანხა არის მომდევნო წლის შემოსავალი. რეზერვების შემცირების შედეგად მიღებული თანხები, შეადგენს შემოსავლებს. მაგ., სადაზღვევო კომპანიამ შექმნა სადაზღვევო შემთხვევის დროს გასაცემი თანხების რეზერვი 1000000 ლარის ოდენობით და მთლიანად გამოქვითა იგი ერთობლივი შემოსავლიდან. წლის ბოლოს აღმოჩნდა, რომ სარეზერვო თანხები შემცირდა 700000 ლარამდე ანუ მეტი თანხების(ხარჯების) გაცემის საჭიროება არ არის. სხვაობა 300000 ლარი წარმოადგენს შემცირებულ თანხას და იგი არის არა ხარჯი, არამედ მიმდინარე წლის შემოსავალი.

20.11 მოგება და ზარალი აქტივების მინოდების დროს

აქტივების მიწოდებისას მიღებული მოგება არის დადებითი სხვაობა მათი მიწოდებით მიღებულ შემოსავლებსა და ამ აქტივების ღირებულებას შორის, რომელიც განისაზღვრება შემდეგნაირად:

– აქტივების ღირებულებაში შეიტანება მათი შესყიდვის, წარმოების, მშენებლობის, მონტაჟისა და დადგმის ხარჯები (დანახარჯები), აგრეთვე სხვა ხარჯები (დანახარჯები), რომლებიც ზრდის მათ ღირებულებას, გარდა ისეთი ხარჯებისა (დანახარჯებისა), რომელთა პირდაპირ გამოქვითვის უფლება აქვს გადასახადის გადამხდელს, ხოლო აქტივების უსასყიდლოდ მიღებისას – ამ აქტივების საბაზრო ფასი.

– აქტივების მხოლოდ ნაწილის მიწოდების ან გადაცემის შემთხვევაში აქტივების ღირებულება მინოდების ან გადაცემის მომენტში ნაწილდება დარჩენილ და მიწოდებულ ან გადაცემულ ნაწილებს შორის.

– თავდაპირველად ლიზინგით გაცემული ძირითადი საშუალების სხვა მიზნებისათვის გამოყენების შემთხვევაში მისი ღირებულება განისაზღვრება იმ ჯგუფის ღირებულებითი ბალანსით, რომელშიც ეს ძირითადი საშუალება მანამდე აღირიცხებოდა.

აქტივების მიწოდებით მიღებული ზარალი არის უარყოფითი სხვაობა მათი მიწოდებით მიღებულ შემოსავლებსა და ამ აქტივების ღირებულებას შორის.

აქტივების უსასყიდლოდ ან თვითღირებულებაზე ნაკლებ ფასად მიწოდებისას მიმწოდებლის მოგება განისაზღვრება, როგორც დადებითი სხვაობა მიწოდებული აქტივების საბაზრო ფასსა და ზემოთ განსაზღვრულ აქტივების ღირებულებას შორის.

ზემოაღნიშნული მეთოდებით აქტივების ღირებულების განსაზღვრა არ გამოიყენება ჯგუფური მეთოდით ამორტიზაციას დაქვემდებარებული აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიმართ.

დასაბეგრი შემოსავლის განსაზღვრისას არანაირი მოგება ან ზარალი მხედველობაში არ მიიღება, თუ ხდება:

– აქტივის გადაცემა მეუღლეებს შორის;

– აქტივის გადაცემა ყოფილ მეუღლეებს შორის განქორწინების დროს;

– აქტივის არანებაყოფლობითი განადგურება/ჩამორთმევა და განადგურების/ჩამორთმევის წლის მომდევნო 2 წლის დასრულებამდე:

ა) განადგურების/ჩამორთმევის შედეგად მიღებული კომპენსაციის თანხის რეინვესტირება ხორციელდება მსგავსი სახისა და მახასიათებლის მქონე აქტივში;

ბ) განადგურებული/ჩამორთმეული აქტივის ჩანაცვლება ხდება კომპენსაციის შედეგად მიღებული მსგავსი სახისა და მახასიათებლის მქონე აქტივით.

ზემოაღნიშნული შემცვლელი აქტივის ღირებულება განისაზღვრება შეცვლილი აქტივის საბალანსო ღირებულების გათვალისწინებით განადგურების/ჩამორთმევის მომენტისათვის. ამასთან, გადაცემული აქტივის ღირებულებად ითვლება გარიგების მომენტში მოცემული აქტივის ღირებულება გადამცემი მხარისათვის.

ზემოაღნიშნული არ ვრცელდება იმ აქტივებზე, რომლებიც ექვემდებარება ამორტიზაციას ჯგუ-

ფური მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჯგუფის ყველა აქტივი ერთდროულად გადაიცემა.

20.12 კორპორაციული ოპერაციები (იურიდიული პირის ლიკვიდაცია, იურიდიულ პირში წილის (აქციების) სანაცვლოდ აქტივების შეტანა, იურიდიული პირის რეორგანიზაცია)

თუ ხდება იურიდიული პირის ლიკვიდაცია და პარტნიორ იურიდიულ პირს გადაეცემა მისი წილის პროპორციული (შესაბამისი) აქტივი და, ამასთანავე, პარტნიორი იურიდიული პირი ლიკვიდაციამდე ფლობდა 50 პროცენტს ან მეტს ამ იურიდიულ პირში, მაშინ:

– ასეთი გადაცემა არ ითვლება ლიკვიდირებული იურიდიული პირის მიერ აქტივების რეალიზაციად (მიწოდებად);

– პარტნიორისათვის მისი წილის პროპორციულად (შესაბამისად) გადაცემული აქტივის ღირებულება იგივეა, რაც ამ აქტივის ღირებულება ლიკვიდირებული იურიდიული პირისათვის გადაცემამდე;

– აქტივების განაწილება არ არის დივიდენდი;

– მოგება და ზარალი მხედველობაში არ მიიღება ლიკვიდირებულ იურიდიულ პირში პარტნიორის წილის გაუქმებისას.

ზემოაღნიშნული მოთხოვნები არ ვრცელდება იმ აქტივებზე, რომლებიც ექვემდებარება ამორტიზაციას ჯგუფური მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხდება ამორტიზაციის ერთი ნორმის მიხედვით დაჯგუფებული ჯგუფის ყველა აქტივის ერთდროულად გადაცემა.

ამორტიზაციის ერთი ნორმის მიხედვით დაჯგუფებული ჯგუფის ყველა აქტივის გადაცემის შემთხვევაში მათი მიმღებისათვის აქტივების ღირებულებად ითვლება გადაცემის მომენტისათვის ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი.

ზემოაღნიშნული მოთხოვნები არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ:

– საგადასახადო ორგანო დაამტკიცებს, რომ ლიკვიდაციის მიზანი არის გადასახადების გადახდისაგან თავის არიდება;

– ლიკვიდაციაში პარტნიორი იურიდიული პირი არარეზიდენტია. ლიკვიდაციაში პარტნიორი არარეზიდენტი იურიდიული პირის არსებობისას ზემოაღნიშნული მოთხოვნების გამოყენება შესაძლებელია, თუ საგადასახადო ორგანო ამ პირის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე დაასკვნის, რომ არ ხდება გადასახადისაგან თავის არიდება, და აღნიშნულის თაობაზე გასცემს შესაბამის თანხმობას.

პირის (პირთა) მიერ იურიდიული პირისათვის მასში 50 პროცენტის ან მეტი წილის (აქციების) სანაცვლოდ აქტივების გადაცემა (დავალიანებით ან მის გარეშე) არ არის აქტივების მიწოდება.

ზემოაღნიშნულ შემთხვევაში მიმღები მხარისათვის აქტივების ღირებულება იგივეა, რაც მიმწოდებელი მხარისათვის მათი ღირებულება გადაცემის მომენტისათვის, ხოლო აღნიშნული გაცვლის შედეგად მიღებული პარტნიორის წილის ღირებულება ტოლია გადაცემული აქტივების ღირებულებისა, გადაცემული (შესაბამისი) დავალიანების გამოკლებით.

ზემოაღნიშნული მოთხოვნები არ ვრცელდება იმ აქტივებზე, რომლებიც ექვემდებარება ამორტიზაციას ჯგუფური მეთოდით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ერთდროულად გაიცემა ამორტიზაციის ერთი ნორმის მიხედვით დაჯგუფებული ჯგუფის ყველა აქტივი.

ამორტიზაციის ერთი ნორმის მიხედვით დაჯგუფებული ჯგუფის ყველა აქტივის გადაცემის შემთხვევაში მათი მიმღებისათვის აქტივების ღირებულებად ითვლება გადაცემის მომენტისათვის ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი.

ზემოაღნიშნული მოთხოვნები არ ვრცელდება უფლებრივი ნაკლის მქონე აქტივების გადამცემზე, თუ დავალიანება აღემატება გადაცემული აქტივების ღირებულებას.(ნივთი უფლებრივად უნაკლოა, თუ მესამე პირს არ შეუძლია განუცხადოს მყიდველს პრეტენზია თავისი უფლებების გამო. უფლებრივ ნაკლს უთანაბრდება, თუ საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია არარსებული უფლება.)

რეორგანიზაციის მხარე იურიდიული პირის ან იურიდიულ პირთა მფლობელობაში არსებული ქონებისა და წილის (აქციების) ღირებულება ტოლია ამ ქონებისა და წილის (აქციების) ღირებულებისა რეორგანიზაციის განხორციელების წინ. ქონების ან წილის (აქციების) გადაცემა რეორგანიზაციის მხარე იურიდიულ პირებს შორის არ ითვლება ქონების რეალიზაციად.

რეორგანიზაციის მხარე რეზიდენტ იურიდიულ პირში წილის (აქციების) ნებისმიერი გაცვლა წილზე (აქციებზე) სხვა იურიდიულ პირში, რომელიც ასევე ამ რეორგანიზაციის მხარეა, არ ითვლება წილის (აქციების) რეალიზაციად. ასეთი წილის (აქციების) ღირებულება ტოლია წილის (აქციების) თავდაპირველი ღირებულებისა.

რეორგანიზაციის მხარე იურიდიულ პირში წილის განაწილება, რაც წარმოშობს მსგავს უფლებას სხვა იურიდიულ პირში, რომელიც ასევე ამ რეორგანიზაციის მხარეა, არ არის დივიდენდი. ასეთი თავდაპირველი წილის (აქციების) ღირებულება ექვემდებარება გასანაწილებელ წილზე (აქციებზე) მიკუთვნებას იმ კოეფიციენტის გამოყენებით, რომელიც განისაზღვრება, როგორც თანაფარდობა განაწილებული და თავდაპირველი წილის (აქციების) საბაზრო ღირებულების განაწილების მომენტისათვის და თავდაპირველი წილის ღირებულებას შორის განაწილების შემდეგ.

თუ საგადასახადო ორგანო არ დაამტკიცებს, რომ შერწყმის, შეძენის, მიერთების ან გაყოფის ოპერაციის მიზანი არის გადასახადების გადახდისაგან თავის არიდება, რეორგანიზაცია მოიცავს:

– ორი ან მეტი რეზიდენტი იურიდიული პირის შერწყმას;

– ხმის უფლების მქონე 50 პროცენტის ან მეტი წილისა და რეზიდენტი იურიდიული პირის პარტნიორის წილის საერთო მოცულობის ღირებულების 50 პროცენტის ან მეტის შეძენას ან მიერთებას მხოლოდ შეძენის ან მიერთების ოპერაციაში პარტნიორ მხარეთა მსგავსი უფლებებით, წილის (აქციების) სანაცვლოდ;

– რეზიდენტი იურიდიული პირის აქტივების 50 პროცენტის და მეტის შეძენას სხვა რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ ხმის უფლების მქონე წილის (აქციების) სანაცვლოდ, დივიდენდებთან მიმართებით პრივილეგირებული უფლების გარეშე;

– რეზიდენტი იურიდიული პირის გაყოფას ორ ან მეტ რეზიდენტ იურიდიულ პირად.

რეორგანიზაციის მხარედ მიიჩნევა ნებისმიერი რეზიდენტი იურიდიული პირი:

– რომელიც პირდაპირ არის ჩართული რეორგანიზაციაში;

– რომელიც უშუალოდ ფლობს რეორგანიზაციაში პირდაპირ ჩართულ რეზიდენტ იურიდიულ პირს;

– რომელსაც ფლობს რეორგანიზაციაში პირდაპირ ჩართული რეზიდენტი იურიდიული პირი.

ზემოაღნიშნული მიზნებისათვის იურიდიული პირის ფლობა გულისხმობს ამ იურიდიულ პირში ხმის უფლების მქონე წილის (აქციების) 50 პროცენტის ან მეტის და ყველა სხვა დარჩენილი წილის (აქციების) ღირებულების 50 პროცენტის ან მეტის ფლობას.

ზემოაღნიშნული მოთხოვნები არ ვრცელდება იმ აქტივებზე, რომლებიც ექვემდებარება ამორტიზაციას ჯგუფური მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამორტიზაციის ერთი ნორმის მიხედვით დაჯგუფებული ჯგუფის ყველა აქტივი ერთდროულად გადაიცემა. ამასთან, ამორტიზაციის ერთი ნორმის მიხედვით დაჯგუფებული ჯგუფის ყველა აქტივის შემთხვევაში მათი მიმღებისათვის აქტივების ღირებულებად ითვლება გადაცემის მომენტისათვის ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი.

20.13 პირადი აღრიცხვის ბარათი

გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათი (შემდგომში – ბარათი) არის საგადასახადო ორგანოს პირველადი აღრიცხვის საბუთი, რომელშიც აისახება გადამხდელის მიერ დეკლარირებული და გადახდილი თანხები, აგრეთვე საგადასახადო და სხვა უფლებამოსილი ორგანოების მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახდელად დარიცხული ან შემცირებული თანხები, ზედმეტად გადახდილი, უკან დაბრუნებული ან სხვა გადასახადების გადახდის ანგარიშებში გადატანილი თანხები, ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანებები, საგადასახადო სანქციები (ჯარიმები და საურავები), ნულოვანი განაკვეთით დასაბეგრი ოპერაციები, სასაქონლო დეკლარირების განხორციელების დროს გადახდილი ექსპორტის და იმპორტის გადასახდელის თანხები.

გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო ვალდებულების შესრულების აღრიცხვის მიზნით საგადასახადო ორგანოებში იხსნება ბარათი (დანართი №1).

ბარათის გახსნის, წარმოების, გადაცემის და დახურვის საფუძველს წარმოადგენს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო რეგისტრაციის (აღრიცხვის) მონაცემები.

ბარათი იხსნება პროგრამულად ყველა პირისათვის მათზე საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭებისთანავე.

ბარათი იხსნება – იურიდიული პირებისათვის, ფიზიკური პირებისათვის, ინდივიდუალური მეწარმეებისათვის, არარეზიდენტ იურიდიულ პირებისათვის, რომლებიც საქართველოში საქმიანობენ მუდმივი დანესებულებების მეშვეობით, წარმომადგენლობებისათვის, აგრეთვე საგადასახადო აგენტებისათვის, რომლებიც საქმიანობენ საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით. კერძოდ, ადგილმდებარეობის გათვალისწინებით ბარათები იხსნება:

ა) იურიდიული პირისათვის:

ა.ა) ადგილსამყოფლის ან საქმიანობის განხორციელების ადგილის მიხედვით;

ა.ბ) დაბეგვრის ობიექტის ადგილსამყოფლის ან/და დაბეგვრასთან დაკავშირებული ობიექტის მიხედვით;

ა.გ) რეზიდენტი ბანკის ადგილსამყოფლის მიხედვით;

ბ) ფიზიკური პირისათვის:

ბ.ა) რეზიდენტი ფიზიკური პირისათვის, მათ შორის ინდივიდუალური საწარმოსათვის, ამ პირის საცხოვრებელი ან საქმიანობის განხორციელების ადგილის მიხედვით;

ბ.ბ) დაბეგვრის ობიექტის ადგილსამყოფლის ან/და დაბეგვრასთან დაკავშირებული ობიექტის მიხედვით;

გ) არარეზიდენტი პირისათვის:

გ.ა) არარეზიდენტი ფიზიკური პირისათვის, რომლებიც ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას საქართველოში მუდმივი დანესებულების მეშვეობით – მათი ჩამოსვლის ადგილის მიხედვით;

გ.ბ) არარეზიდენტი პირის დაბეგვრის ობიექტის ადგილსამყოფლის ან/და დაბეგვრასთან დაკავშირებული ობიექტის მიხედვით;

გ.გ) არარეზიდენტი ფიზიკური პირებისათვის, რომლებიც შემოსავლებს იღებენ საქართველოში არსებული წყაროდან, არ იბეგრებიან საშემოსავლო გადასახადით გადახდის წყაროსთან და ამავე დროს ექვემდებარებიან გადასახადის დამოუკიდებლად გამოანგარიშებას და გადახდას – მათი საქმიანობის ადგილის მიხედვით საგადასახადო ორგანოში;

გ.დ) არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის, რომლებიც ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებენ საქართველოში არსებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით – მუდმივი დაწესებულების ადგილმდებარეობის მიხედვით საგადასახადო ორგანოში;

გ.ე) იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის, არარეზიდენტებისათვის, რომლებსაც საქართველოში გააჩნიათ დაბეგვრის ობიექტები, საკუთრების ან საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული სხვა უფლებით – დაბეგვრის ობიექტების ადგილმდებარეობის და/ან მათი საგადასახადო რეგისტრაციის (აღრიცხვის) მიხედვით საგადასახადო ორგანოში;

გ.ვ) არარეზიდენტებისათვის, რომლებიც საქართველოში ეწევიან საქმიანობას აგენტების მეშვეობით (რეზიდენტები ან სხვა არარეზიდენტები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ უფლება გააფორმონ კონტრაქტი არარეზიდენტის სახელით, ვის საქმიანობასაც ახორციელებს არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულება) – აგენტის საგადასახადო რეგისტრაციის (აღრიცხვის) ადგილმდებარეობის მიხედვით საგადასახადო ორგანოში.

პირებისათვის, რომლებიც ახორციელებენ სასაქონლო ოპერაციებს და მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდებარებიან ექსპორტ – იმპორტის გადასახდელების გამოანგარიშებას და გადახდას – ბარათი იხსნება მათ მიერ სასაქონლო ოპერაციის განხორციელების ადგილის მიხედვით საგადასახადო ორგანოში, ხოლო მათი იდენტიფიცირება მოხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დაბეგვრის ობიექტის ადგილსამყოფლის ან/და დაბეგვრასთან დაკავშირებული ობიექტის მიხედვით ფიზიკური პირებისათვის ბარათების გახსნა ხდება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საგადასახადო ორგანოსათვის მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

თუ ერთ საწარმოს (ორგანიზაციას) გააჩნია ერთი და იმავე ტიპის რამდენიმე დაბეგვრის ობიექტი (მაგ. რამდენიმე მიწის ნაკვეთი ან სხვა სახის ქონება), რომელიც განთავსებულია რამდენიმე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, იგი არ წარმოადგენს ცალ-ცალკე ყველა დაბეგვრის ობიექტების ადგილმდებარეობის მიხედვით გპაბ-ების გახსნის საფუძველს.

ყველა მოქმედი გადასახადის გადამხდელთათვის ახალი ბარათი იხსნება ყოველი საგადასახადო წლის დასაწყისში.

ბარათი იხსნება:

ა) არსებული გადასახადების სახეების მიხედვით;

ბ) საგადასახადო სამართალდარღვევათა სახეების მიხედვით;

გ) იმ მოსაკრებლების სახეების მიხედვით, რომლის ადმინისტრირება ევალება საგადასახადო ორგანოს;

დ) გაუქმებული გადასახადების მიხედვით, სადაც აღირიცხება ნაშთები, რომლებიც გადმოიტანება გაუქმებული გადასახადის ბარათიდან, გადასახდის გაუქმების შემთხვევაში;

ე) საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია გაიხსნას გადასახადის (მოსაკრებლის) დროებითი ბარათები საბოლოო ნაშთის დადგენამდე.

უკუდაბეგვრის წესით დღგ-ის აღრიცხვისათვის იხსნება ცალკე ბარათი, ხოლო გრანტით შეძენილ საქონელზე გადახდილი დღგ-ის აღრიცხვა ხდება დღგ-ის ბარათზე შესაბამისი ოპერაციების

გამოყენებით.

აქციზის გადასახადში იხსნება ორი ბარათი. აქციზური მარკების შესაძენად გადახდილი თანხები აისახება „აქციზური მარკების" ბარათზე და ყოველთვიური დეკლარაციით გაცხადებული გადასახადის, არამარკირებულ და გახარჯულ მარკირებულ საქონელზე გადახდილი აქციზის თანხების აღრიცხვისათვის გამოიყენება „აქციზის" ბარათი.

საგადასახადო სამართალდარღვევათა მიხედვით იხსნება ერთიანი ბარათი ჯარიმებისათვის, გარდა იმ ჯარიმებისა, რომელთა გამოიანგარიშება ხდება კონკრეტული გადასახადის მიხედვით პროცენტულად.

ბარათში მიეთითება გადასახადის გადამხდელის სრული დასახელება/სახელი და გვარი, საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი, გადასახდელის დასახელება და საგადასახადო წელი (პერიოდი), ხოლო იმ გადასახადის გადამხდელთა ბარათზე, რომლებიც იყენებენ დაბეგვრის სპეციალურ რეჟიმებს, ბარათზე მიეთითება აგრეთვე იმ სპეციალური დაბეგვრის რეჟიმის სახე, რომელსაც იყენებს გადასახადის გადამხდელი.

მოქმედ ბარათებზე არსებული არარეალური ჩანაწერების დაზუსტების, მათზე რეალური ნაშთების გამოყვანის და შემდგომ ამ ჩანაწერების ძირითად ბარათებზე გადატანის მიზნით, ეს წესი უშვებს საშემოსავლო და სხვა გაუქმებული გადასახადების დროებითი ბარათების გახსნის შესაძლებლობას. დროებითი ბარათები გასალდოების პროცედურაში არ მონაწილეობენ და, შესაბამისად, მათი მონაცემები არ აისახება ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შედარების აქტში.

გადასახდელების აღრიცხვის სწორად წარმოების კონტროლის მიზნით საგადასახადო ორგანოები ახორციელებენ ბარათებზე წარმოებული ჩანაწერების სისწორის შემოწმებას. ბარათის შემოწმება შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგ შემთხვევებში:

ა) საწარმოს (ორგანიზაციის) ლიკვიდაციის/რეორგანიზაციის შემთხვევაში გადამხდელის საგადასახადო აღრიცხვიდან (რეგისტრაციიდან) მოხსნის დროს;

ბ) საგადასახადო შემოწმების ჩატარების შემთხვევაში;

გ) საგადასახადო შეთანხმების გაფორმების შემთხვევაში;

დ) ბიუჯეტში ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი შემოსულობის თანხის დაბრუნების შემთხვევაში;

ე) საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

ბარათის შემოწმების შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელი საგადასახადო ორგანოში წარადგენს შესამოწმებელ პერიოდში ბარათზე განხორციელებული დარიცხვა – ჩარიცხვების შესახებ ინფორმაციას, რომელიც ხელმოწერილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ. შესამოწმებელი პერიოდი მოიცავს პერიოდს ბოლო შემოწმებიდან შემოწმების დაწყების თარიღამდე ხანდაზმულობის ვადის გათვალისწინებით.

ბარათების შემოწმების დროს უნდა დადგინდეს:

ა) ბარათზე დარიცხული და შემცირებული გადასახადის თანხების შესახებ წარმოებული ჩანაწერების თავისდროულობა, სისწორე და სისრულე;

ბ) საგადასახადო შემოწმებების შედეგად დამატებით დარიცხული (შემცირებული) თანხების ასახვის თავისდროულობა და სისრულე;

გ) პირველადი და სახელმწიფო ხაზინის დოკუმენტაციის საფუძველზე, ბიუჯეტში ჩარიცხული და ბიუჯეტიდან უკან დაბრუნებული გადასახადის თანხების შესახებ ბარათზე წარმოებული ჩანაწერების თავისდროულობა, სისწორე და სისრულე;

დ) გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო ანგარიშგებაში შეტანილი ცვლილებების შედეგად, ადრე წარდგენილ საგადასახადო დეკლარაციაში არსებული განსხვავების ბარათზე ასახვის სისწორე;

ე) გადასახადების გადახდის ვადების მითითების სისწორე;

ვ) გადასახადის თანხების ბიუჯეტში ჩარიცხვის თარიღების მითითების სისწორე.

ზ) საურავების დარიცხვის სისწორე;

თ) ბარათში ყველა სვეტების მიხედვით გამოყვანილი შედეგების სისწორე;

ი) საბანკო ანგარიშებიდან გადასახადის თანხების ჩამოწერის და მისი ბიუჯეტში ჩარიცხვის თარიღების მითითების სისწორე;

ბარათის შემოწმებისას შემოსავლების სამსახურის ერთიან კომპიუტერული ბაზის მონაცემებსა და გადასახადის გადამხდელის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას შორის უზუსტობის გამოვლენის შემთხვევაში ხდება შესაბამისი პირველადი დოკუმენტების შემოწმება. ბარათთან დაკავშირებული პირველადი დოკუმენტები მოიცავს: საგადახდო დავალებას, საგადასახადო/სასაქონლო დეკლარა-

ციას, დაზუსტებულ საგადასახა – დო/სასაქონ – ლო დეკლარაციას, დასკვნას ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების ან გადატანის თაობაზე, გადაწყვეტილებებს საუარაუდო დარიცხვის, საგადასახადო შემოწმების აქტით დარიცხული ან შემცირებული თანხების, საგადასახადო დავალიანების დაფარვის ვადის გაგრძელების შესახებ, კანონიერ ძალაში შესულ სასამართლოს დადგენილებას ან განჩინებას, კომერციული ბანკის ან მისი მომსახურე საანგარიშსწორებო – საპროცესინგო ცენტრის მიერ მიწოდებულ ელექტრონული შეტყობინების გადახდის ოპერაციის შესახებ ინფორმაციას და სხვა.

საანგარიშო წლის დამთავრების შემდეგ ყველა ბარათზე ავტომატურად გამოიყვანება შედეგები წლის ბოლოსათვის, რომლებიც გადადის მომდევნო საგადასახადო წლის დასაწყისისათვის გახსნილ ახალ ბარათზე.

ბარათის შემოწმების შედეგად, საჭიროების შემთხვევაში, მოწმდება საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის და გადასახადის გადამხდელის ხელმოწერით (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში – ბეჭდით) შესაბამისი აქტი.

ბარათის შემოწმების ვადა საგადასახადო ორგანოსა და გადასახადის გადამხდელის მონაცემებს შორის განსხვავების არარსებობის პირობებში არ უნდა აღემატებოდეს 5 სამუშაო დღეს, ხოლო განსხვავების არსებობის პირობებში კი – აღნიშნული ვადა არ უნდა აღემატებოდეს 15 სამუშარ დღეს.

მსხვილი გადამხდელის სტატუსის მქონე პირის ბარათის შემოწმების ვადა შესაძლებელია გაიზარდოს 30 დღემდე.

ლიკვიდირებული საწარმოს/ორგანიზაციის ბარათის შემოწმების შედეგად დამოწმებული შესაბამისი შედარების აქტი გადაეცემა საგადასახადო ორგანოს საარქივო განყოფილებას შესანახად.

გადამხდელის გადასახადების (ექსპორტის და იმპორტის გადასახდელების) მიხედვით ბარათის შემოწმების დროს, როდესაც გადასახადის გადამხდელს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 68-ე მუხლის შესაბამისად გადავადებული აქვს წლიური საშემოსავლო, ქონების ან მოგების გადასახადის დეკლარაციის წარდგენის ვადა, არ ხდება არსებული ზედმეტობის გათვალისწინება და საურავის შემცირება, კანონმდებლობით გათვალისწინებული ბოლო საგადასახადო დეკლარაციის წარმოდგენამდე.

გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათი

საგადასახადო ორგანოს დასახელება

გადასახადის გადამხდელის დასახელება

საიდენტიფიკაციო ნომერი

ოპერაციის ჩაწერის თარიღი	ოპერაციის შინაარსი	გადახდისა და ჩარიცხვის თარიღი	ანგარიშსწორება გადასახადის/გადასახდელის მიხედვით							ანგარიშსწორება ჯარიმის თა ხაზე					
			დარიცხულია	შემცირებულია	გადახდილია ბიუჯეტში	ბიუჯეტიდან უკან დაბრუნებულია ან გადატანილია	ანგარიშსწორების სალდო			დარიცხულია	შემცირებულია	გადახდილია ბიუჯეტში	უკან დაბრუნებულია	ანგარიშსწორების სალდო	
							დავალიანება	მ.შ. დავალიანების თანხა, რომელსაც საურავი	არ ერიცხება						დავალიანება ზედმეტად გადახდილი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16

დროის პერიოდი

ანგარიმსწორება საურავის თანხაზე					სულ ანგარიმსწორების სალდო				წლის დასაწყისი დან ჩარიცხუ ლია სულ უკან დაბრუნებ ის გამოკლებ ით
დარიცხულია ან შემცირებულ ია		საურავი, რომელიც არ დაერიცხა სალდირების შედეგად	გადახდილია ან დაბრუნებულია (“–“) საურავი	გადახდილია საურავის თანხით	დავალიანება			ზედმეტობა სტ. 10 +სტ.16	
დროის პერიოდი	საურავის თანხა				სულ	მათ შორის			
						დავალიანება სტ.8 +სტ.15	საურავი სტ. 21		
17	18	19	20	21	22	23	24	25	26

თავი 21. საგადასახადო და ადმინისტრაციული სამართალდარღვევები

21.1 საგადასახადო სამართალდარღვევები

21.1.1 ზოგადი პრინციპები

საგადასახადო სამართალდარღვევად ითვლება პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომლისთვისაც საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა.

საგადასახადო სამართალდარღვევისათვის სანქციის შეფარდების დროს, თუ კანონით გაუქმებულია ან შემსუბუქებულია პასუხისმგებლობა ასეთი ქმედების ჩადენისათვის, მოქმედებს ახალი კანონით დადგენილი ნორმა, ხოლო თუ შემოღებულია ან დამძიმებულია პასუხისმგებლობა, გამოიყენება ქმედების ჩადენის მომენტისათვის არსებული ნორმა.

თუ საგადასახადო დავის განხილვის დასრულებამდე კანონით გაუქმებულია ან შემსუბუქებულია პასუხისმგებლობა ასეთი ქმედების ჩადენისათვის, დავის განმხილველი ორგანო ვალდებულია გამოიყენოს ახალი კანონით დადგენილი ნორმა.

საგადასახადო სამართალდარღვევის ჩადენისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება საწარმოს/ორგანიზაციას და ფიზიკურ პირს. საგადასახადო სამართალდარღვევისათვის პირის მიმართ საგადასახადო სანქციის გამოყენება არ ათავისუფლებს მას კუთვნილი გადასახადების გადახდის ვალდებულებისაგან.

საგადასახადო სამართალდარღვევისათვის საწარმოს/ორგანიზაციის მიმართ საგადასახადო სანქციის გამოყენება შესაბამისი საფუძვლების არსებობისას არ ათავისუფლებს მის თანამდებობის პირებს საქართველოს კანონმდებლობით დაგენილი ადმინისტრაციული, სისხლისსამართლებრივი ან სხვა სახის პასუხისმგებლობისაგან.

პირს საგადასახადო სამართალდარღვევისათვის დადგენილი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, თუ საგადასახადო სამართალდარღვევა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგად. დაუძლეველ ძალად ითვლება ისეთი საგანგებო ან განსაკუთრებული გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის ამ კოდექსით დადგენილ ვალდებულებათა შესრულებას და რომლის დადგომა არ არის დამოკიდებული პირის ნებაზე, მათ შორის:

– სტიქიური უბედურება (მიწისძვრა, წყალდიდობა, მეწყერი, ზვავი, ხანძარი და სხვა);

– საგარეო ვაჭრობის შეზღუდვა, საგანგებო/საომარი მდგომარეობის გამოცხადება, აგრეთვე სახელმწიფო ორგანოს სხვა გადაწყვეტილება;

– მასობრივი არეულობა, გაფიცვა.

დეკლარაციის/გაანგარიშების მიხედვით არასწორად ნაჩვენები ინფორმაციის გამო ამ კარით გათვალისწინებული ჯარიმა არ დაეკისრება პირს, რომელმაც საგადასახადო ორგანოს წარუდგინა შესწორებული დეკლარაცია/გაანგარიშება:

– საგადასახადო შემოწმების ჩატარების შესახებ სასამართლოს ან საგადასახადო ორგანოს შესაბამისი გადაწყვეტილების ჩაბარებამდე, საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის შედგენამდე ან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შემოწმების ან დოკუმენტური/ბუღალტრული რევიზიის დანიშვნამდე;

– ალტერნატიული აუდიტით გათვალისწინებული პირის დასკვნის შესაბამისად.

საგადასახადო ორგანოს ხელმძღვანელი, დავის განმხილველი ორგანო უფლებამოსილია გაათავისუფლოს კეთილსინდისიერი გადამხდელი საგადასახადო სანქციისაგან, თუ მის ქმედებას ზიანი არ მიუყენებია სახელმწიფო ბიუჯეტისთვის და, ამასთანავე, სამართალდარღვევა გამოწვეული იყო გადამხდელის შეცდომით/არცოდნით.

საგადასახადო სამართალდარღვევა განმეორებით ჩადენილად ჩაითვლება, თუ იგივე ქმედება ჩადენილია წინა სამართალდარღვევის გამოვლენიდან 12 თვის განმავლობაში. ამასთანავე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 281-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევა განმეორებით ჩადენილად არ ჩაითვლება, თუ პირმა ამავე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევები ჩაიდინა ერთსა და იმავე დღეს, ტერიტორიულად განცალკევებულ ობიექტებზე.

საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით და დადგენილ შემთხვევებში, საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის

შედგენის გარეშე, პირს განუსაზღვროს ვადა საგადასახადო სამართალდარღვევის აღმოსაფხვრელად. აღნიშნული ვადის მოქმედების პერიოდში პირს იმავე სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.

21.1.2 საგადასახადო სანქცია

საგადასახადო სანქცია არის პასუხისმგებლობის ზომა ჩადენილი საგადასახადო სამართალდარღვევისათვის.

საგადასახადო სანქცია გამოიყენება გაფრთხილების, საურავის, ფულადი ჯარიმის, სამართალდარღვევის საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უსასყიდლოდ ჩამორთმევის სახით.

ერთი და იმავე საგადასახადო სამართალდარღვევისათვის პირს არ შეიძლება დაეკისროს სხვადასხვა პასუხისმგებლობა ან განმეორებით დაეკისროს პასუხისმგებლობა.

რამდენიმე საგადასახადო სამართალდარღვევის გამოვლენისას საგადასახადო სანქცია გამოიყენება თითოეული სამართალდარღვევისათვის ცალ-ცალკე. ამასთანავე, უფრო მკაცრი სანქცია არ შთანთქავს ნაკლებად მკაცრ სანქციას.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ სამართალდამრღვევი ერთზე მეტი პირია, მათ ამ კოდექსით გათვალისწინებული სანქცია სოლიდარულად დაეკისრებათ.

საგადასახადო სანქციას საურავი არ ერიცხება.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 281-ე მუხლით (გარდა პირველი, მე-3 და მე-5 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა), 286-ე მუხლის მე-11 ნაწილით, 289-ე მუხლის მე-8 ნაწილითა და 291-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისთვის (გარდა განმეორებით ჩადენილისა) ფულადი ჯარიმის ნაცვლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს გაფრთხილება.

საგადასახადო ორგანოს უფროსი უფლებამოსილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 281-ე მუხლის პირველი, მე-3 და მე-5 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისთვის (გარდა განმეორებით ჩადენილისა) გადასახადის გადამხდელს შეუმციროს საგადასახადო სანქცია და განუსაზღვროს ჯარიმა 200 ლარის ოდენობით.

21.1.3 საგადასახადო სამართალდარღვევის საქმის წარმოება

საგადასახადო სამართალდარღვევის საქმეს აწარმოებს შესაბამისი საგადასახადო ორგანო ან ალტერნატიული აუდიტორი. ამასთან, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის პირველი–მე-3, მე-10–მე-19, 25-ე და 26-ე ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევების გამოვლენის შემთხვევებში საგადასახადო სამართალდარღვევათა საქმეებს აწარმოებენ, განიხილავენ და გადაწყვეტილებებს იღებენ ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოები.

საგადასახადო სამართალდარღვევის გამოვლენისას საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი ან ალტერნატიული აუდიტორი ადგენს საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამართალდარღვევა დაფიქსირებულია საგადასახადო შემოწმების აქტში. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 277-ე–279-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმს ასევე ადგენს აღსრულების ეროვნული ბიურო.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი არ დგება, თუ ქმედება შეიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს.

საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირი სამართალდარღვევის ადგილზე განიხილავს საგადასახადო სამართალდარღვევის საქმეს და სამართალდამრღვევ პირს ადგილზევე უფარდებს საგადასახადო სანქციას. ამ შემთხვევაში პირს შესაბამისი პასუხისმგებლობა დაეკისრება საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის საფუძველზე, რომელიც ითვლება საგადასახადო მოთხოვნად.

საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი გასაცნობად წარედგინება სამართალდამრღვევ პირს, რომელსაც უფლება აქვს, წარმოადგინოს განმარტებები და შენიშვნები, რომლებიც აისახება ოქმში ან დაერთვება მას. საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის ერთი ეგზემპლარი ბარდება ან ეგზავნება სამართალდამრღვევ პირს.

თუ საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმში არ არის ასახული საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული რომელიმე მონაცემი ან საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია კანონის დარღვევით, შესაბამისი ორგანოს ხელმძღვანელი ან დავის განმხილველი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას პირის საგადასახადო პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესახებ.

დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში მასალები დაუყოვნებლივ ეგზავნება შესაბამის საგამოძიებო ორგანოს ქვემდებარეობის მიხედვით, ხოლო პირის მიმართ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის სანქციის შეფარდების საკითხი გადაწყდება საქმეზე საგამოძიებო ორგანოს ან სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. ამ შემთხვევაში საგამოძიებო ორგანოს ან სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 30 დღის ვადაში საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი საგადასახადო სამართალდარღვევის საქმეზე გამოსცემს ბრძანებას. საგადასახადო სანქციის დაკისრების შესახებ გამოცემული ბრძანება ითვლება საგადასახადო მოთხოვნად. ზემოაღნიშნული ვადის დარღვევით გამოცემული ბრძანება ბათილია.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის გამოვლენისას საგადასახადო სამართალდარღვევის საქმის წარმოების უზრუნველსაყოფად გამოიყენება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 244-ე, 245-ე, 247-ე, 248-ე და 249-ე მუხლებით განსაზღვრული ღონისძიებები.

თუ 30 დღის ვადაში შეუძლებელია სამართალდამრღვევი პირის დადგენა ან/და მისი იდენტიფიკაცია, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი გამოსცემს ბრძანებას საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

საგადასახადო სამართალდარღვევის საქმის წარმოება მოიცავს საგადასახადო სამართალდარღვევის გამოვლენისას სამართალდარღვევის ოქმის შედგენის, საქმის განხილვის, სანქციის შეფარდების, გადაწყვეტილების მიღების და მიღებული გადაწყვეტილებების აღრიცხვის პროცედურებს.

საგადასახადო სამართალდარღვევის საქმისწარმოების დაწყების საფუძველია საგადასახადო სამართალდარღვევის გამოვლენა, რაც ფიქსირდება №1, №2 ან №3 დანართის შესაბამისი ოქმით ან საგადასახადო შემოწმების აქტით.

დანართი №1

____

(უფლებამოსილი ორგანოს დასახელება)

საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი
სერია..... №000000

1. ------------------- 2. --------------------
(ოქმის შედგენის თარიღი და დრო) (ოქმის შედგენის ადგილი)
3. ------------------------------
(ოქმის შემდგენელი პირის (პირების) თანამდებობა, სახელი, გვარი)
4. ----------------------------------

(საგადასახადო სამართალდარღვევის შინაარსი)

----
5. სამართალდამრღვევი პირი: --------------------
(სახელი და გვარი, საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი)
6. შეფარდებული სანქცია: --------------------
(სანქციის სახე ან/და ოდენობა)
7. ოქმის შემდგენელი პირი: --------------------
(ხელმოწერა) (სახელი, გვარი)
8. სამართალდამრღვევი პირი: --------------------
(ხელმოწერა) (სახელი, გვარი)

9. მოწმე: -
(ხელმოწერა) (სახელი, გვარი, პირადი ნომერი)
10. ჩავიბარე ოქმი: -
(სამართალდამრღვევის ხელმოწერა)
11. შენიშვნები და განმარტებები: -
- -

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 271-ე მუხლის თანახმად, აღნიშნული ოქმი გადასახადის გადამხდელს წარედგინება როგორც "საგადასახადო მოთხოვნა", რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს მისი მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში წერილობითი ან ელექტრონული ფორმით საჩივრის წარდგენის გზით, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლოში -
- -
- - - - - - - - - - - - - - - - - - .

(მისამართი)

დამკვეთი:
დამამზადებელი:
სფს – ს რეგისტრაციის

დანართი №2

კერძო საგადასახადო ინსპექტორი

საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი
სერია. . . . . №000000

1. - 2. - - - - - - - - - - - - - - - - - -
(ოქმის შედგენის თარილი და დრო) (ოქმის შედგენის ადგილი)
3. -
(ოქმის შემდგენელი პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი)
4. -
(საგადასახადო სამართალდარღვევის შინაარსი)
- -
- -
- -
5. სამართალდამრღვევი პირი: -
(სახელი და გვარი, საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი)

6. შეფარდებული სანქცია: -
(სანქციის ოდენობა)
7. ოქმის შემდგენელი პირი: -
(ხელმოწერა) (სახელი, გვარი)
8. სამართალდამრღვევი პირი: -
(ხელმოწერა) (სახელი, გვარი)
9. მოწმე: -
(ხელმოწერა) სახელი, გვარი, პირადი ნომერი)
10. ჩავიბარე ოქმი: -
(სამართალდამრღვევის ხელმოწერა)
11. შენიშვნები და განმარტებები: -
- -

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 271-ე მუხლის თანახმად, აღნიშნული ოქმი გადასახადის გადამხდელს წარედგინება როგორც "საგადასახადო მოთხოვნა", რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს მისი მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში წერილობითი ან ელექტრონული ფორმით საჩივრის წარდგენის გზით, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლოში – .

(მისამართი)
დამკვეთი:
დამამზადებელი:
სფს – ს რეგისტრაციის №".

დანართი №3

<u>*ალტერნატიული საგადასახადო შემოწმების განმახორციელებელი პირი*</u>

საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი
სერია. . . . . №000000

1. – 2. – – – – – – – – – – – – – – – – – – –
(ოქმის შედგენის თარიღი და დრო) (ოქმის შედგენის ადგილი)
3. –
(ოქმის შემდგენელი პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი)
4. –
(საგადასახადო სამართალდარღვევის შინაარსი)
– –

5. სამართალდამრღვევი პირი: –
(სახელი და გვარი, საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი)

6. შეფარდებული სანქცია: –
(სანქციის ოდენობა)
7. ოქმის შემდგენელი პირი: –
(ხელმოწერა) (სახელი, გვარი)
8. სამართალდამრღვევი პირი: –
(ხელმოწერა) (სახელი, გვარი)
9. მოწმე: –
(ხელმოწერა) სახელი, გვარი, პირადი ნომერი)
10. ჩავიბარე ოქმი: –
(სამართალდამრღვევის ხელმოწერა)
– – – – – – – – – – – – – – – – – – – –
(სამართალდამრღვევის ხელმოწერა)
11. შენიშვნები და განმარტებები: –
– –

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 271-ე მუხლის თანახმად, აღნიშნული ოქმი გადასახადის გადამხდელს წარედგინება როგორც "საგადასახადო მოთხოვნა", რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს მისი მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში წერილობითი ან ელექტრონული ფორმით საჩივრის წარდგენის გზით, აგრეთვე საქართველოს კანონ-

მდებლობით დადგენილი წესით სასამართლოში – .

(მისამართი)
დამკვეთი:
დამამზადებელი:
სფს – ს რეგისტრაციის №".

საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმს აქვს ინდივიდუალური ნომერი და შესაძლებელია შედგეს როგორც წერილობითი (რომელიც წარმოადგენს მკაცრი აღრიცხვის ფორმას), ისე ელექტრონული ფორმით, რომლებსაც აქვთ თანაბარი იურიდიული ძალა.

წერილობითი ოქმი დგება ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება საგადასახადო ორგანოს, ხოლო მეორე ბარდება/ეგზავნება სამართალდამრღვევ პირს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს. ელექტრონული ფორმით ოქმი დგება ერთ ეგზემპლარად და ბარდება/ეგზავნება სამართალდამრღვევ პირს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს.

ოქმი გასაცნობად წარედგინება სამართალდამრღვევ პირს, თუ იგი ესწრება მის შედგენას. სამართალდამრღვევ პირს უფლება აქვს წარმოადგინოს განმარტებები და შენიშვნები, რომლებიც აისახება ოქმში ან დაერთვება მას. თუ სამართალდამრღვევი პირი უარს აცხადებს ოქმის ხელმოწერაზე ან ჩაბარებაზე, უფლებამოსილი პირის მიერ ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმში აღინიშნება:

– ოქმის დასახელება;

– ოქმის შედგენის თარიღი, დრო და ადგილი;

– საგადასახადო ორგანოს/აღსრულების ეროვნული ბიუროს უფლებამოსილი პირის (პირების) თანამდებობა, სახელი და გვარი ან კერძო საგადასახადო ინსპექტორის სახელი, გვარი და პირადი ნომერი;

– სამართალდამრღვევი პირის დასახელება/სახელი და გვარი, საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი;

– საგადასახადო სამართალდარღვევის შინაარსი;

– შეფარდებული სანქციის სახე ან/და ოდენობა.

თუ ჯარიმის დარიცხვისთვის (გარდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლით გათვალისწინებული საგადასახადო სამართალდარღვევებისა) საჭიროა გაანგარიშება, საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის შემდგენელი პირი ადგენს ცნობას ჯარიმის თანხის გამოანგარიშების შესახებ, რომელიც წარმოადგენს ოქმის განუყოფელ ნაწილს. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლით გათვალისწინებული საგადასახადო სამართალდარღვევებისათვის სანქციის შეფარდების საკითხის გადაწყვეტისას, საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის შემდგენელი პირი უფლებამოსილია მოითხოვოს სასაქონლო ექსპერტიზის ჩატარება საქონლის რაოდენობის/სატარიფო ღირებულების/საქონლის მიმართ სეს ესნ – ის შესაბამისად სასაქონლო კოდის განსაზღვრის მიზნით.

ოქმს ხელს აწერენ: ოქმის შემდგენელი პირი (გარდა ელექტრონული ფორმით შედგენილი ოქმისა), სამართალდამრღვევი ან მისი წარმომადგენელი (თუ ისინი ესწრებიან ოქმის შედგენას), აგრეთვე მოწმეები მათი არსებობის შემთხვევაში. ელექტრონული ფორმით შედგენილ ოქმზე სამართალდამრღვევის ხელმოწერა შესაძლებელია განხორციელდეს ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ელექტრონული ხელმოწერით, რომელიც არის მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალის მქონე. ელექტრონული ფორმით შედგენილი ოქმი ელექტრონულად ეგზავნება სამართალდამრღვევ პირს. დასაშვებია ელექტრონული ფორმით შედგენილი ოქმის ამობეჭდვა და გაგზავნა სამართალდამრღვევი პირისათვის. თუ სამართალდამრღვევი პირი ესწრება ოქმის შედგენას, ოქმი ამოიბეჭდება და ბარდება მას.

წერილობითი ოქმი ივსება მუქი ფერის ბურთულიანი კალმით. ოქმში ყველა ჩანაწერი კეთდება გარკვევით. დაუშვებელია გადახაზვა, გადაფხეკა, გადაშლა და ა.შ. ოქმის დაზიანების ან მასში არასწორი მონაცემების შეტანის შემთხვევაში ივსება ახალი ოქმი. ძველი გადაიხაზება ჯვარედინად და ჩამოიწერება შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი წესით.

საგადასახადო ორგანო საგადასახადო სამართალდარღვევათა ოქმების გამოყენებასა და აღ-

რიცხვა – ანგარიშგებას ახორციელებს "მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ" საქართველოს კანონის, "მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა, და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანების შესაბამისად.

საგადასახადო შემოწმების აქტის საფუძველზე გადასახადების ან/და საგადასახადო სანქციის გამოყენების თაობაზე შესაბამისი საგადასახადო ორგანო, აქტის შედგენიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა, იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც ფორმდება საგადასახადო ორგანოს უფროსის/მოადგილის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

21.1.4 საგადასახადო სამართალდარღვევის აღმოფხვრა

საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, პირს განუსაზღვროს ვადა საგადასახადო სამართალდარღვევის აღმოსაფხვრელად დადგენილი წესით და დადგენილ შემთხვევებში.

საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ პირისათვის საგადასახადო სამართალდარღვევის აღმოსაფხვრელად ვადის განსაზღვრის შემთხვევაში, არ დგება №2 დანართით გათვალისწინებული საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი.

პირისათვის საგადასახადო სამართალდარღვევის აღმოსაფხვრელად ვადის განსაზღვრა შესაძლებელია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 273-ე მუხლით, 281-ე მუხლის პირველი ნაწილით, 2882 მუხლის მე-2 ნაწილით და 291-ე მუხლით გათვალისწინებული საგადასახადო სამართალდარღვევების გამოვლენის შემთხვევაში.

ზემოაღნიშნულ საგადასახადო სამართალდარღვევათა აღმოსაფხვრელად პირს განესაზღვრება 2 სამუშაო დღის ვადა.

პირისათვის საგადასახადო სამართალდარღვევის აღმოსაფხვრელად ვადის განსაზღვრა ფიქსირდება „საგადასახადო სამართალდარღვევის აღმოფხვრის ვადის განსაზღვრის აქტით" (დანართი №3) (შემდგომში – აქტი), რომელიც დგება წერილობითი ფორმით ორ ეგზემპლარად, რომლიდანაც ერთ-ერთი ბარდება პირს.

აქტში მითითებული უნდა იყოს:

– შედგენის თარიღი, დრო და ადგილი;

– საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი და გვარი;

– პირის დასახელება/სახელი და გვარი, საიდენტიფიკაციო /პირადი ნომერი;

– საგადასახადო სამართალდარღვევის შინაარსი (საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისი მუხლის/ნაწილის მითითებით);

– საგადასახადო სამართალდარღვევის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული ვადა;

– საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის ხელმოწერა;

– პირის ხელმოწერა.

საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი, გამოვლენილი საგადასახადო სამართალდარღვევის შინაარსის, პირისათვის საგადასახადო სამართალდარღვევის აღმოსაფხვრელად ვადის განსაზღვრის და აქტის ჩაბარების დროის თაობაზე ინფორმაციას, შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით დაუყოვნებლივ ასახავს ერთიან ელექტრონულ ბაზაში.

თუ პირი უარს აცხადებს აქტის ჩაბარებაზე, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ ერთიან ელექტრონულ ბაზაში შესატანი ინფორმაციის შესაბამის ველში კეთდება სათანადო აღნიშვნა და დამატებით მიეთითება აქტის ჩაბარებაზე უარის თქმის მიზეზები ან/და პირის განმარტება მათი არსებობის შემთხვევაში.

აქტით განსაზღვრული ვადის მოქმედების პერიოდში პირს იმავე სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.

აქტით განსაზღვრული ვადის მოქმედების პერიოდის გასვლის შემდეგ, თუ აღარ არსებობს პირის მიმართ იმავე საგადასახადო სამართალდარღვევისთვის საგადასახადო სანქციის დაკისრების საფუძველი, მას პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.

დანართი №3

\- -

საგადასახადო ორგანოს დასახელება

საგადასახადო სამართალდარღვევის აღმოფხვრის ვადის განსაზღვრის
აქტი № - -

1\. - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - 20 - - - წ. 2. - - - - - - - - - - - - -
შედგენის თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)   შედგენის ადგილი

3\. -
საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი

4\. -
პირის დასახელება/სახელი, გვარი, საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

5\. - ——————————————————————————
საგადასახადო სამართალდარღვევის შინაარსი (საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისი მუხლის/ნაწილის მითითებით)

6\. - ——————————————————————————
საგადასახადო სამართალდარღვევის აღმოფხვრისთვის განსაზღვრული ვადა

\- - - - ——— -
საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

\- -
პირის ხელმოწერა

შენიშვნა: -
——————————————————————————————
————— -

21.1.5 საგადასახადო სამართალდარღვევათა სახეები და პასუხისმგებლობა

საურავი არის საგადასახადო სანქცია, რომელიც პირს ეკისრება საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გადასახადის გადასახდელი თანხის გადაუხდელობისათვის.

საურავის დარიცხვა ხორციელდება გადასახადის თანხაზე და იგი არის სხვაობა გადასახადის გადამხდელის შეუსრულებელ საგადასახადო ვალდებულებებსა და ზედმეტად გადახდილი გადასახადების ჯამს შორის. საურავის დარიცხვა ხორციელდება თითოეული ვადაგადაცილებული დღისათვის:

– იმპორტის გადასახდელებზე – ვალდებულების წარმოქმნის მე-4 დღიდან;

– ყველა სხვა შემთხვევაში – შესაბამისი ვალდებულების წარმოქმნის მომდევნო დღიდან.

პირის გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილების, აგრეთვე გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების, რეაბილიტაციის შესახებ გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერ ძალაში შესვლიდან ან საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკისა და მზღვეველის შესაბამისი საქმიანობის ლიცენზიის ჩამორთმევიდან შესაბამისი რეჟიმის დასრულებამდე, აღნიშნული რეჟიმების დაწყებამდე არსებულ საგადასახადო დავალიანებებზე საურავის დარიცხვა წყდება.

საურავი შეადგენს გადაუხდელი გადასახადის თანხის 0,07 პროცენტს ყოველი ვადაგადაცილე-

ბული დღისათვის. გადასახადის გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში გადასახადის გადახდის დღე ითვლება ვადაგადაცილებულ დღედ.

საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურიზაციისას საურავის დარიცხვა ხორციელდება „საგადასახადო დავალიანებებისა და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურიზაციის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით. კერძოდ, განსაკუთრებული შემთხვევის გარდა, ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების გაყინვის ვადა არ აღემატება 24 თვეს, ხოლო ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების გადავადების ვადა განისაზღვრება არა უმეტეს 36 თვისა (გაყინვის პერიოდის დასრულებიდან). რესტრუქტურიზაციის პერიოდში რესტრუქტურიზებულ ვადაგადაცილებულ სასესხო დავალიანებას გრაფიკით დარჩენილ გადასახდელ თანხაზე ყოველთვიურად ერიცხება სარგებელი 0,5 პროცენტის ოდენობით. რესტრუქტურიზებული ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების დაფარვა ხორციელდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სესხით მოსარგებლე სანარმოს შორის დადებული ხელშეკრულებისა და ამავე ხელშეკრულების თანახმად გაფორმებული გრაფიკის შესაბამისად. რესტრუქტურიზებული ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანებიდან, პირველ რიგში, იფარება ძირითადი თანხისა და სარგებლის პროცენტის სახით არსებული ნაშთი, ხოლო შემდეგ სესხის ძირითადი თანხისა და სარგებლის პროცენტის გადაუხდელობის შედეგად დარიცხული საურავი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 64-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში *(ე.ი. „საგადასახადო ორგანო ვალდებულია პირს წარუდგინოს საგადასახადო მოთხოვნა, თუ არსებობს მისი წარდგენის ერთ-ერთი საფუძველი: ა) გადასახადის დარიცხვა, რომლის გაანგარიშება საგადასახადო ორგანოს ვალდებულებაა".)*, თუ პირს საგადასახადო მოთხოვნა ჩაჰბარდა გადასახადის გადახდის ვადის დადგომის შემდეგ, საურავის დარიცხვა განხორციელდება საგადასახადო მოთხოვნის ჩაბარების დღის შემდეგ მე-20 დღიდან.

საურავი არ დაეკისრებათ (იმ გადასახადების გარდა, რომელთა მიმართაც პირს ეკისრება საგადასახადო აგენტის ფუნქცია):

– საქონლის/მომსახურების მიმწოდებლებს – საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ შესაბამისი წლის საქართველოს კანონით და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებით გათვალისწინებული ასიგნებების საფუძველზე მიწოდებული საქონლის/გაწეული მომსახურების ღირებულების შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ აუნაზღაურებლობის გამო წარმოქმნილ საბიუჯეტო ვალდებულებებზე, მათი ღირებულების ფაქტობრივი დაფინანსების ოდენობისა და მიწოდებული საქონლის/გაწეული მომსახურების საერთო მოცულობაში ხვედრითი წილის პროპორციულად;

– საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული პროექტების (მათ შორის, პროექტის მოსამზადებელი ეტაპის) განმახორციელებელ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, რომლებთანაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დადებული აქვს „პროექტის განხორციელების უფლებამოსილების შესახებ" ხელშეკრულება, – ამ პროექტების ფარგლებში წარმოშობილ საგადასახადო ვალდებულებებზე. ზემოაღნიშნული პროექტების განმახორციელებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ნუსხას ამტკიცებს საქართველოს ფინანსთა მინისტრი. ასეთ პირად საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 25 იანვრის №29 ბრძანებით განსაზღვრულია საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

საგადასახადო ორგანოების ადმინისტრირებად საგადასახადო სამართალდარღვევებს მიეკუთვნება შემდეგი სახის სამართალდარღვევები:

მუხლი 273. გადასახადის გადამხდელად აღრიცხვის წესის დარღვევა (8.11.2011. N5202)

პირის მიერ გადასახადის გადამხდელად აღრიცხვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევა –

იწვევს პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

მუხლი 274. საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების წარდგენის ვადის დარღვევა

1. პირის მიერ საგადასახადო ორგანოში საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების წარდგენისათვის საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი ვადის დარღვევა –

იწვევს პირის დაჯარიმებას ამ დეკლარაციის/გაანგარიშების საფუძველზე გადასახდელად დასარიცხი გადასახადის თანხის 5 პროცენტის ოდენობით ყოველ დაგვიანებულ სრულ/არასრულ თვეზე (არასრული თვეები ერთ თვედ ჯამდება). ამასთანავე, მთელ დაგვიანებულ პერიოდზე გამოანგარიშებული სანქციის ჯამური თანხა არ უნდა აღემატებოდეს გადასახდელად დასარიცხი გადასახა-

დის თანხის 30 პროცენტს.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით გამოანგარიშებული სანქციის ჯამური თანხა არ უნდა იყოს 50 ლარზე ნაკლები. (28.12.2012. N189 ამოქმედდეს 2013 წლის 1 იანვრიდან)

3. თუ საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების საფუძველზე გადასახდელად დასარიცხი გადასახადის თანხა ნულის ტოლია, პირს ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა არ დაეკისრება.

მუხლი 275. საგადასახადო დეკლარაციაში/გაანგარიშებაში
გადასახადის შემცირება

1. პირის მიერ საგადასახადო დეკლარაციაში/გაანგარიშებაში გადასახადის თანხის შემცირება, თუ იგი გამონვეულია საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს მიერ პირის საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის მომენტის (პერიოდის) შეცვლით, –

იწვევს პირის დაჯარიმებას შემცირებული გადასახადის თანხის 10 პროცენტის ოდენობით. (14.06.2011. N4754)

2. პირის მიერ საგადასახადო დეკლარაციაში/გაანგარიშებაში გადასახადის თანხის შემცირება, გარდა ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა, –

იწვევს პირის დაჯარიმებას შემცირებული გადასახადის თანხის 50 პროცენტის ოდენობით. (14.06.2011. N4754)

3. პირის მიერ საგადასახადო დეკლარაციაში შესამცირებლად გამოანგარიშებული თანხის/დაბრუნებას დაქვემდებარებული თანხის გაზრდა ითვლება დეკლარაციაში გადასახადის შემცირებად და იწვევს ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას. (14.06.2011. N4754)

4. პირის მიერ საგადასახადო დეკლარაციაში გადასახადის თანხის 50 000 ლარზე მეტით შემცირება ითვლება გადასახადისაგან დიდი ოდენობით თავის არიდებად და იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად. (27.12.2011. N5649 ამოქმედდეს 2012 წლის 1 თებერვლიდან)

მუხლი 276. სათამაშო ბიზნესის საქმიანობის წესების დარღვევა(28.12.2012. N189 ამოქმედდეს 2013 წლის 1 იანვრიდან)

პირის საქმიანობა სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის ნიშნის გარეშე ან სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის ობიექტის დალუქვის გარეშე, თუ ასეთი ვალდებულება დადგენილია კანონით, –

იწვევს პირის დაჯარიმებას ამ ობიექტის მიხედვით კუთვნილი სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადასახდელი თანხის 100 პროცენტის ოდენობით.

მუხლი 277. საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირისათვის
წინააღმდეგობის გაწევა

1. საგადასახადო ორგანოს ან აღსრულების ეროვნული ბიუროს უფლებამოსილი პირისათვის წინააღმდეგობის გაწევა, მისი კანონიერი მოთხოვნის უგულებელყოფა, რამაც შეაფერხა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიების განხორციელება, –

იწვევს პირის დაჯარიმებას 800 ლარის ოდენობით. (22.02.2011. N4206)

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

იწვევს პირის დაჯარიმებას ყოველ შემდგომ განმეორებაზე 2 000 ლარის ოდენობით.

მუხლი 278. ყადაღადადებული ქონების განკარგვა და საგადასახადო
ორგანოს ან აღსრულების ეროვნული ბიუროს ლუქის ახსნა (22.02.2011. N4206)

საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმების გარეშე, ყადაღადადებული ქონების პირის მიერ განკარგვა ან საგადასახადო ორგანოს ან აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ დადებული ლუქის ახსნა –

იწვევს პირის დაჯარიმებას 4 000 ლარის ოდენობით.

მუხლი 279. საგადასახადო ორგანოსათვის ინფორმაციის
წარუდგენლობა

1. საგადასახადო ორგანოს მიერ ამ კოდექსით დადგენილი წესით მოთხოვნის შემთხვევაში სააღრიცხვო დოკუმენტაციის ან/და დაბეგვრასთან დაკავშირებული ინფორმაციის, აგრეთვე საგა-

დასახადო ორგანოს ან აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ მითითებულ ვადაში ქონების ნუსხის წარუდგენლობა –

ინვევს პირის დაჯარიმებას 400 ლარის ოდენობით. (22.02.2011 N4206)

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

ინვევს პირის დაჯარიმებას ყოველ შემდგომ განმეორებაზე 1 000 ლარის ოდენობით.

3. ერთობლივი შემოსავლიდან გამოსაქვითი ხარჯების გაზრდის მიზნით პირის მიერ საგადასახადო ორგანოსათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ჩამოწერის თაობაზე –

ინვევს პირის დაჯარიმებას წარდგენილი ინფორმაციის შედეგად დაუდასტურებელი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის სააღრიცხვო ღირებულებით.

მუხლი 280. გადასახადის უკანონო ჩათვლა

1. უსაქონლო ოპერაციის ან ფიქტიური გარიგების შედეგად ან ყალბი დღგ-ის ჩათვლის დოკუმენტით ჩათვლის განხორციელება –

ინვევს პირის დაჯარიმებას ჩათვლილი გადასახადის თანხის 200 პროცენტის ოდენობით (15.05.2012. N6211)

2. შემთხვევებს და გარემოებებს, როდესაც ოპერაცია შეიძლება ჩაითვალოს უსაქონლოდ ან/და გარიგება – ფიქტიურად, განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

მუხლი 281. საკონტროლო – სალარო აპარატის გამოყენების წესების დარღვევა

1. მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო – სალარო აპარატის გარეშე მუშაობა –

ინვევს გადასახადის გადამხდელის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით. (28.12.2012. N189 ამოქმედდეს 2013 წლის 1 იანვრიდან)

2. ამოღებულია (8.11.2011. N5202)

3. მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო – სალარო აპარატის გამოუყენებლობა –

ინვევს გადასახადის გადამხდელის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით. (28.12.2012. N189 ამოქმედდეს 2013 წლის 1 იანვრიდან)

4. ამოღებულია (20.05.2011. N4705)

5. ჩეკში ფაქტობრივად გადახდილზე ნაკლები თანხის ჩვენება –

ინვევს გადასახადის გადამხდელის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით. (28.12.2012. N189 ამოქმედდეს 2013 წლის 1 იანვრიდან)

6. ამოღებულია (20.05.2011. N4705)

7. გადასახადის გადამხდელის მიერ საკონტროლო – სალარო აპარატის (გარდა GPRS-ის და CRYPTO -ს მოდულის ფისკალური საკონტროლო – სალარო აპარატებისა) დაკარგვა, თუ დადგენილი არ არის, რომ ეს გამოწვეულია სხვა პირის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, –

ინვევს გადასახადის გადამხდელის დაჯარიმებას 3 000 ლარის ოდენობით. (15.05.2012. N6211)

8. ამ მუხლის მე-7 ნაწილით განსაზღვრული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, საგადასახადო სამართალდარღვევის გამოვლენიდან 60 დღის განმავლობაში, –

ინვევს გადასახადის გადამხდელის დაჯარიმებას 6 000 ლარის ოდენობით.

81. ამოღებულია (22.06.2012. N6547)

9. ავტოგასამართ სადგურში მადორიზებელი ან/და მრიცხველი მექანიზმის საგადასახადო ორგანოს ლუქის გარეშე ან დაზიანებული ლუქით საქმიანობა –

ინვევს გადასახადის გადამხდელის დაჯარიმებას 1 500 ლარის ოდენობით.

10. ამ მუხლის მე-9 ნანილით განსაზღვრული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

ინვევს გადასახადის გადამხდელის დაჯარიმებას ყოველ შემდგომ განმეორებაზე 15 000 ლარის ოდენობით.

11. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე ამ მუხლით გათვალისწინებული საგადასახადო სამართალდარღვევის ჩადენისათვის დაადგინოს ჯარიმის განსხვავებული ოდენობები, მაგრამ არანაკლებ ამ მუხლის პირველი–მე-10 ნაწილებით დადგენილი ჯარიმების 5 პროცენტისა.

მუხლი 282. დღგ-ისათვის გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა

1. დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გარეშე საქმიანობა –

იწვევს პირის დაჯარიმებას რეგისტრაციის გარეშე საქმიანობის პერიოდში განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების (გარდა გათავისუფლებული ოპერაციებისა) თანხის 15 პროცენტის ოდენობით.

2. საქონლის/მომსახურების მიმწოდებლის მიერ მყიდველის მოთხოვნისას მასზე საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გაუცემლობა –

იწვევს პირის დაჯარიმებას დასაბეგრი ოპერაციის მიხედვით დღგ-ის თანხის 100 პროცენტის ოდენობით.

3. პირის მიერ ფიქტიური გარიგების/უსაქონლო ოპერაციის ამსახველი ან ყალბი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა –

იწვევს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამომწერი/გამცემი პირის დაჯარიმებას საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში მითითებული დღგ-ის თანხის 200 პროცენტის ოდენობით.

4. ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ჯარიმის გამოყენების შემთხვევაში დეკლარაციის დაგვიანებით წარდგენისათვის ამ კოდექსის 274-ე მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა არ გამოიყენება.

მუხლი 283. ბანკის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა

1. პირის საბანკო ანგარიშზე ფულის არსებობისას ბანკის მიერ ბიუჯეტში გადასახადის გადარიცხვის თაობაზე ამ პირის საგადახდო დავალების ან საგადასახადო ორგანოს საინკასო დავალების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა, გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა, –

იწვევს დაჯარიმებას ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების იმ ნაწილის 0,15 პროცენტის ოდენობით ყოველი დაგვიანებული დღისათვის, რომელიც ექვემდებარებოდა საინკასო/საგადახდო დავალებით მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულებას.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ქმედება, თუ მას თან ახლავს ფულადი სახსრების ამ კოდექსის 54-ე მუხლის 11 ნაწილისა და 71-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე" ქვეპუნქტის გაუთვალისწინებლად სხვა მიმართულებით გადარიცხვა, –

იწვევს დაჯარიმებას სხვა მიმართულებით გადარიცხული თანხის 10 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 500 ლარისა და არა უმეტეს საინკასო/საგადახდო დავალებაში მითითებული თანხის ოდენობისა. (15.05.2012. №6211)

3. ბანკის მიერ გადასახადის გადამხდელისათვის საბანკო ანგარიშის გახსნა იმ დოკუმენტის წარდგენის გარეშე, რომლითაც დასტურდება გადასახადის გადამხდელისათვის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭება (გარდა უცხოური სანარმოსი და ფიზიკური პირისა, რომლებიც არ ეწევიან ეკონომიკურ საქმიანობას), აგრეთვე საბანკო ანგარიშზე ყადაღის დადების ან საინკასო დავალების წარდგენის შესახებ საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილების არსებობისას ამ გადასახადის გადამხდელისათვის სხვა ანგარიშის გახსნა –

იწვევს დაჯარიმებას გადასახადის გადამხდელის ანგარიშებზე შესრულებული გასავლის ოპერაციების თანხის 10 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 500 ლარისა. (17.12.2010. N4114)

4. ბანკის მიერ ამ კოდექსის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა", „ბ", „გ" და „ვ" ქვეპუნქტების მოთხოვნათა შესაბამისად გადასახადის გადამხდელისათვის საბანკო ანგარიშების პირველად გახსნის ან ამ გადასახადის გადამხდელისათვის ბოლო ანგარიშის დახურვის შესახებ ინფორმაციის საგადასახადო ორგანოში საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში (შემოსავლების სამსახურთან ხელშეკრულების დადების შემთხვევაში – ხელშეკრულებით დადგენილი პირობებითა და დადგენილ ვადებში) წარუდგენლობა, თუ ეს გამოწვეული არ არის აღნიშნული პირების მიერ ბანკისა და საბანკო ოპერაციების ცალკეულ სახეობათა შემსრულებელი სხვა ორგანიზაციისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდებით, –

იწვევს დაჯარიმებას თითოეულ ანგარიშზე 300 ლარის ოდენობით.

41. ბანკის მიერ ამ კოდექსის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ1" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა –

იწვევს დაჯარიმებას თითოეულ ანგარიშზე 300 ლარის ოდენობით. (24.06.2011. N4963)

5. ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ანგარიშების თაობაზე ინფორმაციის საგადასახადო ორგანოში წარდგენამდე ან მისი წარდგენიდან 2 სამუშაო დღის ვადაში გასავლის ოპ-

ერაციის განხორციელება –

ინვეისს დაჯარიმებას გასავლის ოპერაციის თანხის 10 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 500 ლარისა.

6. თუ შემოსავლების სამსახურსა და საბანკო დაწესებულებას შორის დადებულია ხელშეკრულება ინფორმაციის (მათ შორის, საიდუმლო დავალების) ელექტრონულად გაცვლის შესახებ, ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული სანქცია გამოიყენება მხოლოდ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში.

7. ბანკის მიერ გადასახადის გადამხდელის ანგარიშზე ყადაღის დადების შესახებ საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა –

ინვეისს დაჯარიმებას იმ თანხის 20 პროცენტის ოდენობით, რომელიც გადასახადის გადამხდელის დავალების შესაბამისად გადაერიცხა სხვა პირს, მაგრამ არა უმეტეს დავალიანების თანხის ოდენობისა. (17.12.2010. N4114)

8. პირის ანგარიშზე ფულადი სახსრების არსებობისას ანგარიშიდან თანხების ჩამოწერისა და ბიუჯეტში გადარიცხვის თაობაზე ამ პირის საგადახდო დავალების ან საგადასახადო ორგანოს საინკასო დავალების დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, თუ გადამხდელი წერილობით მიმართავს საგადასახადო ორგანოს, იგი ვალდებულია ბანკის ამ მოქმედების შედეგად გადასახადის გადამხდელისათვის დაკისრებული საურავი იმავე ოდენობით დაარიცხოს ბანკს. ასეთ შემთხვევაში პირს სანქცია არ დაეკისრება.

მუხლი 284. საერთაშორისო ფინანსური კომპანიის მიერ
საქართველოში არსებული წყაროდან ფინანსური
ოპერაციების განხორციელების ან/და ფინანსური
მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული
შემოსავლის ნებადართული ნორმის გადამეტება

საერთაშორისო ფინანსური კომპანიის მიერ საქართველოში არსებული წყაროდან ფინანსური ოპერაციების განხორციელების ან/და ფინანსური მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლის გადამეტება ერთობლივი შემოსავლის 10 პროცენტ ზე –

ინვეისს დაჯარიმებას გადამეტებული თანხის 100 პროცენტის ოდენობით.

მუხლი 285. ფასიანი ქაღალდების ემიტენტის მიერ საფონდო
ბირჟისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდება

ფასიანი ქაღალდების ემიტენტის მიერ ამ კოდექსის მე-8 მუხლის მე-13 ნაწილის დებულების გათვალისწინებით საფონდო ბირჟისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდება –

ინვეისს ემიტენტის დაჯარიმებას არასწორი ინფორმაციის საფუძველზე პირის მიერ ამ კოდექსის 82-ე, 99-ე, 130-ე და 131-ე მუხლების დებულებების გამოყენებით მიღებული საგადასახადო შეღავათის თანხის 150 პროცენტის ოდენობით.

მუხლი 286. საქონლის დოკუმენტების გარეშე ტრანსპორტირება,
რეალიზაცია და აღურიცხველობა (8.11.2011. N5202)

1. სამეწარმეო საქმიანობისათვის საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირება, მყიდველის მოთხოვნისას სასაქონლო ზედნადების გაუცემლობა ან საქონლის შეძენისას სასაქონლო ზედნადების მიღებაზე უარის თქმა, თუ სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირებული ან მიწოდებული/მისაწოდებელი საქონლის საბაზრო ღირებულება არ აღემატება 10 000 ლარს, –

ინვეისს პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით. (28.12.2012. N189 ამოქმედდეს 2013 წლის 1 იანვრიდან)

11. სამეწარმეო საქმიანობისათვის მრგვალი ხეტყის (მორის), ხე – მცენარის ან მათი პირველადი გადამუშავების პროდუქტების სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირება, მყიდველის მოთხოვნისას სასაქონლო ზედნადების გაუცემლობა ან საქონლის შეძენისას სასაქონლო ზედნადების მიღებაზე უარის თქმა, თუ სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირებული ან მიწოდებული/მისანოდებელი მრგვალი ხეტყის (მორის), ხე – მცენარის ან მათი პირველადი გადამუშავების პროდუქტების საბაზრო ღირებულება არ აღემატება 1 000 ლარს, –

ინვეისს პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით და საქონლის ჩამორთმევას. (20.11.2013 N1583 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

12. სამეწარმეო საქმიანობისათვის მრგვალი ხეტყის (მორის), ხე – მცენარის ან მათი პირველა-

დი გადამუშავების პროდუქტების სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირება, მყიდველის მოთხოვნისას სასაქონლო ზედნადების გაუცემლობა ან საქონლის შეძენისას სასაქონლო ზედნადების მიღებაზე უარის თქმა, თუ სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირებული ან მიწოდებული/მისაწოდებელი მრგვალი ხეტყის (მორის), ხე – მცენარის ან მათი პირველადი გადამუშავების პროდუქტების საბაზრო ღირებულება აღემატება 1 000 ლარს, მაგრამ არ აღემატება 10 000 ლარს, –

იწვევს პირის დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით და საქონლის ჩამორთმევას. (20.11.2013 N 1583 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

იწვევს პირის დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

3. ამოღებულია (28.12.2012. N189 ამოქმედდეს 2013 წლის 1 იანვრიდან)

4. გადასახადის გადამხდელთან საბუღალტრო დოკუმენტაციაში აღურიცხველი და პირველადი საგადასახადო დოკუმენტის გარეშე სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გამოვლენა –

იწვევს პირის დაჯარიმებას გამოვლენის მომენტში ამ სასაქონლო – მატერიალური ფასეულობების საბაზრო ღირებულების ოდენობით.

5. ამ მუხლის პირველი–მე-4 ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში შესაბამისი სანქცია გამოიყენება, თუ სასაქონლო ზედნადებში არ არის მითითებული ან არასწორად არის მითითებული (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, რომელმაც არ შეიძლება არსებითი გავლენა იქონიოს შედეგზე):

ა) დოკუმენტის შედგენის თარიღი ან/და ნომერი;

ბ) სამეურნეო ოპერაციის მონაწილე მხარის დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი ან სახელი და გვარი, პირადი ნომერი;

გ) საქონლის დასახელება ან/და რაოდენობა.

6. პირს ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება:

ა) საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პირველადი (სამრეწველო გადამუშავებამდე – სასაქონლო კოდის შეცვლამდე) პროდუქციის, აგრეთვე რეგულარული ან უწყვეტი წესით საქონლის (ელექტრო – ან თბოენერგია, გაზი, წყალი) ტრანსპორტირების ან მიწოდების შემთხვევაში;

ბ) საქონლის საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული შესაბამისი დოკუმენტებით ტრანსპორტირების შემთხვევაში; (27.03.2012. N5942)

გ) სპეციალური დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურის არსებობისას;

დ) თუ ხორციელდება მხოლოდ იმ სარეკლამო საქონლის უსასყიდლოდ გავრცელება, მათ შორის, საცალო რეალიზატორის მეშვეობით, რომელსაც დამოუკიდებელი სამომხმარებლო მახასიათებლები არ აქვს და ძირითადი საქონლის/მომსახურების მიწოდების განუყოფელი ნაწილია.

ე) გაზეთების, ჟურნალებისა და მათი გამომცემლების მიერ მათთან ერთიან შეფუთვაში მოქცეული საქონლის ტრანსპორტირებისას, გარდა გამომცემლის მიერ პირველადი მიწოდების შემთხვევისა. (15.05.2012. N6211)

ვ) საგანგებო სიტუაციებში და გადაუდებელი დახმარების გაწევის (სახანძრო, სამაშველო, გადაუდებელი სასწრაფო სამედიცინო დახმარების გაწევის, ბუნებრივი გაზით, წყლით, ელექტრო-ენერგიით მომარაგების ან საკანალიზაციო სისტემების ავარიული დაზიანების აღმოფხვრის) აუცილებლობის მიზნით, შესაბამისი საქონლის ტრანსპორტირებისას; (12.06.2012. N6446)

ზ) თუ, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში საქონლო ზედნადები არ გამოიწერება. (12.06.2012. N6446)

7. ამ მუხლის პირველი–მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული სანქციები არ დაეკისრება მიკრო და მცირე ბიზნესის, აგრეთვე ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირებს. (20.12.2011. N5556)

8. ამ მუხლის მიზნებისათვის:

ა) ფული და საბანკო პლასტიკური ბარათები არ არის საქონელი;

ბ) ძვირფასი ლითონებისა და ქვების, ასევე ნუმიზმატიკური ფასეულობის ტრანსპორტირებისას სასაქონლო ზედნადების გამოწერა სავალდებულო არ არის, თუ აღნიშნული ხორციელდება საქართველოს ეროვნული ბანკის ან „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული კომერციული ბანკის მიერ, ასევე უფლებამოსილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ, სპეციალურად დაცული ან კონტროლის ქვეშ მყოფი სატრანსპორტო საშუალებით.

9. საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელთან:

ა) ამ კოდექსით განსაზღვრული ინვენტარიზაციის შედეგად სასაქონლო-მატერიალური ფასეუ-

ლობების დანაკლისის გამოვლენა –

იწვევს პირის დაჯარიმებას გამოვლენის მომენტში ამ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საბაზრო ღირებულების 50 პროცენტის ოდენობით (მათზე გაწეული ხარჯის და დღგ-ის ჩათვლის გაუქმების გარეშე), ამასთანავე, სამართალდამრღვევს გამოვლენილ დანაკლისთან დაკავშირებით შემდგომ პერიოდში საგადასახადო ვალდებულება აღარ დაეკისრება;

ბ) ამ კოდექსით განსაზღვრული დანაკლისის გამოვლენა, გარდა ამ ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, განიხილება მისი აღმოჩენის მომენტში საბაზრო ფასით განხორციელებულ მიწოდებად და გადასახადებით დაიბეგრება ამ კოდექსით დადგენილი წესით.

10. ამ მუხლის მე-4 ნაწილითა და მე-9 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სანქციები არ გამოიყენება, თუ:

ა) სააღრიცხვო დოკუმენტაციაში აღურიცხველი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ზედმეტობის ან/და დანაკლისის ოდენობა არ აღემატება ამავე სახის აღრიცხული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების 2 პროცენტს;

ბ) გადასახადის გადამხდელმა ზედმეტობის ან/და დანაკლისის შესახებ ინფორმაცია ასახა საგადასახადო ანგარიშგებაში ან/და მიაწოდა საგადასახადო ორგანოს ინვენტარიზაციის ან საგადასახადო შემოწმების დაწყებამდე, რომლის თანახმად, ზედმეტობა აღიარებულია სარგებლად, ხოლო დანაკლისი – მიწოდებად.

11. ამ მუხლის მე-4 ნაწილით ან მე-9 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევის გამოვლენა, თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საბაზრო ღირებულება არ აღემატება 1 000 ლარს, –

იწვევს პირის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

12. ამ მუხლის მე-11 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

იწვევს პირის დაჯარიმებას ყოველ შემდგომ განმეორებაზე 400 ლარის ოდენობით.

13. ამ მუხლის პირველი, 11 და 12 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევების გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ თანამშრომელს უფლება აქვს, გააჩეროს პირი და სატრანსპორტო საშუალება, მოსთხოვოს მას პირადობის დამადასტურებელი საბუთი, სატრანსპორტო საშუალებისა და საქონლის თანმხლები საბუთები, მოახდინოს სატრანსპორტო საშუალების ვიზუალური დათვალიერება. შესაბამისი პირისა და სატრანსპორტო საშუალების მძღოლის დაუმორჩილებლობის შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ თანამშრომელს უფლება აქვს, გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები. (20.11.2013 N1583 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

14. ამ მუხლის პირველი–მე-3 ნაწილებით განსაზღვრულ შემთხვევებში საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე ყადაღა დაადოს საქონელს. ამ მუხლით გათვალისწინებული ყადაღის დადების წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

15. სსზ – ის ტერიტორიაზე ამ მუხლის მე-4 ან/და მე-9 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის გამოვლენისას ამ მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა დაეკისრება სსზ – ის სტატუსის მქონე პირს. (8.11.2011. N5202 ამოქმედდეს 2012 წლია 1 იანვრიდან)

მუხლი 287. ამოღებულია (24.06.2011. N4963)

მუხლი 288. მიკრო და მცირე ბიზნესის საქმიანობის წესის დარღვევა

ქმედება, რამაც ამ კოდექსის 85-ე მუხლის მე-4 ნაწილში ან 89-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებული საფუძვლების გამო გამოიწვია საგადასახადო ორგანოს მიერ პირისათვის მიკრო ან მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმება, –

იწვევს პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

მუხლი 2881. სპეციალური სავაჭრო კომპანიის მიერ საქმიანობის წესის დარღვევა (13.10.2011. N5120)

1. სპეციალური სავაჭრო კომპანიის მიერ ამ კოდექსის 241 მუხლის მე-4 ნაწილის „დ.გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემოსავლის გადამეტება იმავე ქვეპუნქტით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე –

იწვევს დაჯარიმებას გადამეტებული თანხის 50 პროცენტის ოდენობით. (8.11.2011. N5202)

2. სპეციალური სავაჭრო კომპანიის მიერ შემდგომი მიწოდების მიზნით საქართველოს საქონლის შესყიდვა –

იწვევს დაჯარიმებას შესყიდული საქონლის საბაზრო ღირებულების 50 პროცენტის ოდენობით.

3. სპეციალური სავაჭრო კომპანიის მიერ მომსახურების გაწევა საქართველოს საწარმოს ან/და უცხოური საწარმოს მუდმივი დაწესებულებისათვის საქართველოში –

იწვევს დაჯარიმებას ასეთი მომსახურებიდან მიღებული ან/და მისაღები კომპენსაციის თანხის 50 პროცენტის ოდენობით.

4. სპეციალური სავაჭრო კომპანიის მიერ ეკონომიკურ საქმიანობაში 2 წლამდე ვადით გამოყენებული ძირითადი საშუალების მიწოდება –

იწვევს დაჯარიმებას ასეთი საქონლიდან მიღებული ან/და მისაღები კომპენსაციის თანხის 50 პროცენტის ოდენობით. (8.11.2011. N5202)

მუხლი 288². ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის
წესის დარღვევა (15.05.2012. N6211)

1. ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის შეჩერების პერიოდში ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირის მიერ ამ საქმიანობის განხორციელება –

იწვევს პირის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

2. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირის მიერ ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის დაბეგვრის ობიექტის დამატება საგადასახადო ორგანოსთვის შეტყობინების გარეშე –

იწვევს პირის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

მუხლი 288³. სავალდებულო მარკირებას დაქვემდებარებული
არააქციზური საქონლის მარკირების გარეშე მიწოდება,
ტრანსპორტირება, ექსპორტი, იმპორტი (15.05.2012. N6211)

სავალდებულო მარკირებას დაქვემდებარებული არააქციზური საქონლის მარკირების გარეშე მიწოდება, ტრანსპორტირება, ექსპორტი, იმპორტი –

იწვევს მწარმოებლის ან იმპორტიორის დაჯარიმებას მარკირების გარეშე გამოვლენილი სავალდებულო მარკირებას დაქვემდებარებული არააქციზური საქონლის საბაზრო ღირებულების ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 500 ლარისა.

მუხლი 288⁴. საანგარიშო თვის მიხედვით განაცემებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ არასწორი ინფორმაციის წარდგენა(26.12.2013. N1886)

საგადასახადო ორგანოსათვის საანგარიშო თვის მიხედვით განაცემებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ არასწორი ინფორმაციის წარდგენა, რამაც გამოიწვია დაქირავებულისათვის დაუბეგრავი მინიმუმის ფარგლებში თანხის ზედმეტად დაბრუნება, –

იწვევს ინფორმაციის წარმდგენი პირის დაჯარიმებას ზედმეტად დაბრუნებული თანხის ორმაგი ოდენობით.

მუხლი 289. საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული საგადასახადო სანქციები (სათაური (27.03.2012. N5942)

1. პირის მიერ საქონლის წარდგენის/ზოგადი დეკლარირების/ დეკლარირების ვადის ან სატრანსპორტო საშუალების გამოცხადების ვადის დარღვევა –

იწვევს პირის დაჯარიმებას ყოველ დაგვიანებულ სრულ/არასრულ დღეზე 50 ლარის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს 1 000 ლარისა. (28.12.2012. N189 ამოქმედდეს 2013 წლის 1 იანვრიდან)

შენიშვნა: ამ ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ გამოიყენება, როდესაც საქონლის დეკლარირების ვადის დარღვევა იწვევს სასაქონლო ოპერაციის პირობების დარღვევას. (28.12.2012. N189 ამოქმედდეს 2013 წლის 1 იანვრიდან)

2. საგადასახადო ორგანოს თანხმობის გარეშე იდენტიფიკაციის საშუალების მოხსნა/მოცილება ან/და სხვაგვარად გაუვარგისება/განადგურება, ნიშანდებულ სატრანსპორტო საშუალებაში ან საბაჟო კონტროლის ზონაში არსებულ შენობა-ნაგებობაში შეღწევა –

იწვევს მფლობელის დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით. (27.03.2012. N5942)

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

იწვევს მფლობელის დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით. (27.03.2012. N5942)

შენიშვნა: ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ დაეკისრება პირს, თუ იდენტიფიკაციის საშუალებაზე შეინიშნება მცირე დაზიანება, არ არის დარღვეული მისი მთლიანობა და შეუძლებელია ნიშანდებულ სატრანსპორტო საშუალებაში ან საბაჟო კონტროლის ზონაში არსებულ შენობა-ნაგებობაში შეღწევა. (27.03.2012. N5942)

4. საბაჟო დეკლარაციასა და მის თანმხლებ დოკუმენტაციაში არასწორი მონაცემის არსებობისას იმპორტის/ექსპორტის გადასახდელების ოდენობის შემცირება დეკლარანტის (ამ მუხლის მე-6 და მე-7 ნაწილებით გათვალისწინებულის გარდა) ან მისი წარმომადგენლის მიერ –

იწვევს პირის დაჯარიმებას საბაჟო დეკლარაციაში შემცირებული იმპორტის/ექსპორტის გადასახდელების თანხის 100 პროცენტის ოდენობით. (15.05.2012. N6211)

5. ამ მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

იწვევს პირის დაჯარიმებას საბაჟო დეკლარაციაში შემცირებული იმპორტის/ექსპორტის გადასახდელების თანხის 200 პროცენტის ოდენობით. (15.05.2012. N6211)

6. ფიზიკური პირის მიერ 3 000 ლარამდე ღირებულების საქონელზე წარდგენილ საბაჟო დეკლარაციასა და მის თანმხლებ დოკუმენტაციაში არასწორი მონაცემის არსებობისას იმპორტის/ექსპორტის გადასახდელების ოდენობის შემცირება –

იწვევს პირის დაჯარიმებას საბაჟო დეკლარაციაში შემცირებული იმპორტის/ექსპორტის გადასახდელების თანხის 40 პროცენტის ოდენობით. (27.03.2012. N5942)

7. ამ მუხლის მე-6 ნაწილით განსაზღვრული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

იწვევს პირის დაჯარიმებას საბაჟო დეკლარაციაში შემცირებული იმპორტის/ექსპორტის გადასახდელების თანხის 100 პროცენტის ოდენობით.(27.03.2012. N5942)

8. ამოღებულია (20.12.2011. N5556)

9. ამოღებულია (20.12.2011. N5556)

10. საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადატანა ან გადმოტანა საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად –

იწვევს ვალდებული პირის (ამ მუხლის მე-14 ნაწილით გათვალისწინებულის გარდა) დაჯარიმებას საქონლის საბაჟო ღირებულების 100 პროცენტის ოდენობით, ან ამ საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევას. (28.12.2012. N189 ამოქმედდეს 2013 წლის 1 იანვრიდან)

11. ამ მუხლის მე-10 ნაწილით განსაზღვრული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

იწვევს ვალდებული პირის დაჯარიმებას საქონლის საბაჟო ღირებულების 100 პროცენტის ოდენობით, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევით ან უამისოდ. (28.12.2012. N189 ამოქმედდეს 2013 წლის 1 იანვრიდან)

12. საქართველოს საბაჟო საზღვარზე 30 000 ლარიდან (ან სხვა ვალუტაში მისი ეკვივალენტიდან) 50 000 ლარამდე ოდენობის ნაღდი ფულისა და ფასიანი ქაღალდების გადატანა ან გადმოტანა საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად –

იწვევს ვალდებული პირის დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით, ან ამ საქონლის ჩამორთმევას. (27.03.2012. N5942)

13. საქართველოს საბაჟო საზღვარზე 50 000 ლარზე (ან სხვა ვალუტაში მის ეკვივალენტზე) მეტი ოდენობის ნაღდი ფულისა და ფასიანი ქაღალდების გადატანა ან გადმოტანა საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად –

იწვევს ვალდებული პირის დაჯარიმებას 3 000 ლარის ოდენობით, ან ამ საქონლის ჩამორთმევას. (27.03.2012. N5942)

14. საქართველოს საბაჟო საზღვარზე ფიზიკური პირის მიერ 3.000 ლარამდე ღირებულების საქონლის გადატანა ან გადმოტანა საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად –

იწვევს ვალდებული პირის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით, ან/და ამ საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევას. (28.12.2012. N189 ამოქმედდეს 2013 წლის 1 იანვრიდან)

15. საგადასახადო ორგანოს თანხმობის გარეშე საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების მიერ საბაჟო კონტროლის ზონის დატოვება, საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის გადატვირთვა ან გადმოტვირთვა –

იწვევს პირის დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით. (27.03.2012. N5942)

16. ამ მუხლის მე-15 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

იწვევს პირის დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით.

17. სასაქონლო ოპერაციის პირობების დარღვევა –

იწვევს ვალდებული პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით. (20.12.2011. N5556)

18. ამ მუხლის მე-17 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

იწვევს პირის დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით.

შენიშვნა: ამ მუხლის მე-17 და მე-18 ნაწილებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ გამოიყენება, როდესაც იმავე ქმედებისათვის დადგენილია სხვა პასუხისმგებლობა.

19. სასაქონლო ოპერაციის განხორციელებამდე შემოსავლების სამსახურთან შეუთანხმებელი ქმედების განხორციელება ან სასაქონლო ოპერაციის პირობების დარღვევა, რამაც გამოიწვია საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უკანონო განკარგვა, დაკარგვა ან განადგურება, –

იწვევს ვალდებული პირის დაჯარიმებას იდენტურ/მსგავს საქონელზე ან/და სატრანსპორტო საშუალებაზე გადასახდელი იმპორტის გადასახდელების თანხის 100 პროცენტის ოდენობით. (27.03.2012. N5942)

20. საბაჟო დეკლარაციასა და მის თანმხლებ დოკუმენტაციაში სავალდებულოდ შესატანი საბაჟო ღირებულების შესახებ არასწორი მონაცემის არსებობისას დეკლარანტის მიერ საბაჟო ღირებულების გაზრდა ან შემცირება, რასაც არ გამოუწვევია იმპორტის გადასახდელების ოდენობის შემცირება, –

იწვევს ვალდებული პირის დაჯარიმებას საბაჟო ღირებულებასა და გაზრდილ ან შემცირებულ საბაჟო ღირებულებას შორის სხვაობის თანხის 10 პროცენტის ოდენობით. (15.05.2012. N6211)

21. ამ მუხლის მე-20 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

იწვევს ვალდებული პირის დაჯარიმებას საბაჟო ღირებულებასა და გაზრდილ ან შემცირებულ საბაჟო ღირებულებას შორის სხვაობის თანხის 20 პროცენტის ოდენობით. (15.05.2012. N6211)

22. ნავსადგურის, საფოსტო სამსახურის, რკინიგზის ან აეროპორტის მიერ სატრანსპორტო საშუალების შემოსვლის/ჩამოფრენის ან გასვლის/გაფრენის შესახებ საგადასახადო ორგანოსთვის შეუტყობინებლობა –

იწვევს ნავსადგურის, საფოსტო სამსახურის, რკინიგზის ან აეროპორტის დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

23. ამ მუხლის 22-ე ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

იწვევს ნავსადგურის, საფოსტო სამსახურის, რკინიგზის ან აეროპორტის დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

24. საბაჟო დეკლარაციაში აღნიშნული იმ დოკუმენტის შენახვის ვადის დარღვევა, რომლის შემოსავლების სამსახურში წარდგენის ვალდებულება არ ეკისრებოდა პირს, –

იწვევს ვალდებული პირის დაჯარიმებას 1 500 ლარის ოდენობით. (27.03.2012. N5942)

25. პირის მიერ საქართველოს საბაჟო საზღვარზე ტრანზიტული გადაადგილებისათვის განკუთვნილ სატრანსპორტო საშუალებებში განთავსებული საქონლის გადატანა ან გადმოტანა საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად –

იწვევს პირის დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით. (27.03.2012. N5942)

26. ამ მუხლის 25-ე ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

იწვევს პირის დაჯარიმებას 4 000 ლარის ოდენობით.

27. ეს მუხლი გამოიყენება მხოლოდ საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებში. აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის პირს იმ შემთხვევაში დაეკისრება სანქცია, თუ ამ ქმედებისათვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არ შეეფარდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. (27.03.2012. N5942)

შენიშვნა: ამოღებულია (26.12.2013. N1886)

მუხლი 290. სანებართვო პირობების შეუსრულებლობა (8.11.2011. N5202)

1. საბაჟო საწყობის ან თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სანებართვო პირობების დარღვევა –

იწვევს ნებართვის მფლობელის დაჯარიმებას 4 000 ლარის ოდენობით. (27.03.2012. N5942)

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება (იმავე პირობების დარღვევა), ჩადენილი განმეორებით, –

იწვევს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ჯარიმის ოდენობის გასამმაგებას.

მუხლი 290[1]. სსზ – ის სტატუსის მქონე პირის მიერ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა (8.11.2011. N5202)

1. სსზ – ის სტატუსის მქონე პირის მიერ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა –

ინვევს პირის დაჯარიმებას 4 000 ლარის ოდენობით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება (იმავე მოთხოვნების დარღვევა), ჩადენილი განმეორებით, –

ინვევს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ჯარიმის ოდენობის გასამმაგებას.

მუხლი 291. სხვა ჯარიმები

პირის მიერ ამ კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა, რისთვისაც ამავე კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა, მაგრამ არ არის განსაზღვრული ჯარიმის ოდენობა, –

იწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.

21.2 ადმინისტრაციული სამართალდარღვევები

21.2.1 ჯარიმები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე და სამართალდარღვევის ოქმის შედგენა საგადასახადო ორგანოს მიერ

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დგება იმ შემთხვევაში, თუ ეს დარღვევები თავიანთი ხასიათით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ იწვევენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

საგადასახადო ორგანოებს უფლება აქვთ შეადგინონ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები (დანართი №1) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 444, 912, 99-ე, 1291, 153-ე, 1531, 1541, 1542, 1551 – 1556, 157-ე, 1571 – 1573, 158-ე, 1581, 1594, 163-ე, 164-ე, 1644, 165, 1651 – 1653, 178-ე, 1793, 194-ე და 195-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემდეგ სამართალდარღვევებზე:

მუხლი 444. არაიოდირებული მარილის რეალიზაცია, ვადაგასული იოდირებული მარილის იმპორტი და რეალიზაცია, აგრეთვე ფალსიფიცირებული სხვა ფორტიფიცირებული საკვები პროდუქტების იმპორტი (25.12.2009. N2456 ამოქმედდეს 2010 წლის 1 თებერვლიდან)

არაიოდირებული მარილის რეალიზაცია (გარდა „იოდის, სხვა მიკროელემენტებისა და ვიტამინების დეფიციტით გამოწვეული დაავადებების პროფილაქტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა), ვადაგასული იოდირებული მარილის იმპორტი ან რეალიზაცია, აგრეთვე ფალსიფიცირებული სხვა ფორტიფიცირებული საკვები პროდუქტების იმპორტი –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 – დან 2000 ლარამდე.

მუხლი 912. საქართველოს ტერიტორიაზე ტყვიაშემცველი (0,013 გრამზე მეტი ერთ ლიტრზე) მოტორული ბენზინის, ტეტრაეთილტყვიის იმპორტი ან რეალიზაცია, აგრეთვე ფალსიფიცირებული საყოფაცხოვრებო –

კომუნალური მოხმარების თხევადი გაზის იმპორტი(25.12.2009. N2456 ამოქმედდეს 2010 წლის 1 თებერვლიდან)

საქართველოს ტერიტორიაზე ტყვიაშემცველი (0,013 გრამზე მეტი ერთ ლიტრზე) მოტორული ბენზინის, ტეტრაეთილტყვიის იმპორტი ან რეალიზაცია, აგრეთვე ფალსიფიცირებული საყოფაცხოვრებო – კომუნალური მოხმარების თხევადი გაზის იმპორტი –

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ათიდან ასმაგ მინიმალურ ოდენობამდე, პროდუქციის კონფისკაციით.

მუხლი 99. მასალების საკარანტინო შემოწმებისა და სათანადო დამუშავების გარეშე გატანა

სასაზღვრო საზღვაო პორტიდან (ნავმისადგომიდან), რკინიგზის სადგურიდან, ავტოვაგზლიდან (ავტოსადგურიდან), აეროპორტიდან და სხვა სასაზღვრო პუნქტიდან საზღვარგარეთის ქვეყნებიდან შემოტანილი მასალების საკარანტინო შემოწმებისა და სათანადო დამუშავების გარეშე გატანა, –

გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ხუთ მინიმალურ ოდენობამდე, თანამდებობის პირთა – შრომის ანაზღაურების ათ მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 129[1]. ტვირთამწეობის დადგენილი ნორმის ზევით ტვირთის გადაზიდვა ავტოსატრანსპორტო საშუალებით (24.12.2013.N1835 ამოქმედდეს 2014 წლის 1 მარტიდან)

გზაზე იმ სატრანსპორტო საშუალებით მოძრაობა, რომლის თითოეულ წამყვან ან არაწამყვან ღერძზე მაქსიმალური დატვირთვა აღემატება 10 ტონას (გარდა ერთწამყვანღერძიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებისა, რომლის წამყვან ღერძზე მაქსიმალური დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 11,5 ტონას) ან/და ფაქტობრივი მასა აღემატება 44 ტონას ან/და ფაქტობრივი მასა აღემატება ნებადართულ მაქსიმალურ მასას, –

გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების მძღოლის ან/და სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის დაჯარიმებას თითოეულ ზედმეტ ტონაზე 500 ლარის ოდენობით (არასრულ ტონაზე ჯარიმა გამოიანგარიშება პროპორციულად).

შენიშვნა:

1. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სატრანსპორტო საშუალების ფაქტობრივი მასა აღემატება ნებადართულ მაქსიმალურ მასას, ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება:

ა) იმ ზენარმატიულ (მძიმეწონიან) სატრანსპორტო საშუალებაზე, რომელიც გზაზე მოძრაობს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლებამოსილ ორგანოსთან (უწყებასთან) შეთანხმებით, ამ შეთანხმების პირობების შესაბამისად;

ბ) საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისას საზღვაო ნავსადგურში განთავსებული საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით გადაადგილებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე, რომელიც შემდგომ გადაადგილდება საზღვაო ნავსადგურის ტერიტორიიდან უახლოესი, 10 კმ – ის რადიუსში მდებარე, საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული საბაჟო კონტროლის ზონისაკენ საგადასახადო ორგანოს მიერ დადგენილი მარშრუტით;

გ) იმ სატრანსპორტო საშუალებაზე, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისას გადაადგილდება საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით, საგადასახადო ორგანოს განთავსების ადგილიდან უახლოესი, 25 კმ – ის რადიუსში მდებარე რკინიგზის სადგურისაკენ, საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული საბაჟო კონტროლის ზონისაკენ საგადასახადო ორგანოს მიერ დადგენილი მარშრუტით.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისას (გარდა საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით საქართველოს ტერიტორიის დატოვებისა) სატრანსპორტო საშუალების მფლობელი (მესაკუთრე) თავისი ხარჯებით უზრუნველყოფს ზედმეტი ტვირთის კორექტირებას, ჩამოცლას/დაშლა – დანაწილებას/გადანაწილებას (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ან/და ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ მითითებულ დაცულ ადგილას), ტვირთის დაცვას/შენახვას და შემდგომ ტრანსპორტირებას.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმის ამ კოდექსის 290-ე მუხლით განსაზღვრულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში სააღსრულებო ბიურომ ჯარიმის იძულებითი გადახდევინება პრიორიტეტულად განახორციელოს იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე ყადაღის დადებით ან/და იმ ავტოსატრანსპორტო საშუალების რეალიზაციით, რომლითაც ჩადენილ იქნა ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევა.

მუხლი 15[3]. მეწარმე სუბიექტების მიერ ვაჭრობის (მომსახურების) წესების დარღვევა

1. მეწარმე სუბიექტების მიერ ვაჭრობის (მომსახურების) წესების დარღვევა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორმოცდაათიდან ას მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 153[1]. საქართველოს ტერიტორიაზე მიმოქცევაში არსებული ეროვნული ვალუტის გამოყენების წესების დარღვევა (1.07.2011 N 5004 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

1. საქართველოს ტერიტორიაზე მიმოქცევაში არსებული ეროვნული ვალუტის გამოყენების წესების დარღვევა, მათ შორის, ანგარიშსწორების პროცესში უცხოური ვალუტის გამოყენება (გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონებისა, თავისუფალი ვაჭრობის პუნქტებისა ან/და ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული შემთხვევებისა) –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას – 400 ლარის ოდენობით.

2. მენარმე სუბიექტის ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის ბანკნოტებისა და მონეტების გადასახდელად ვარგისობის განსაზღვრის კრიტერიუმებისა და მათი მიღება – გამოცემის წესის დარღვევა –

გამოიწვევს ინდივიდუალური მენარმის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას – 400 ლარის ოდენობით.

3. მენარმე სუბიექტის მიერ მომხმარებელთან ანგარიშსწორების ერთი თეთრის სიზუსტით განუხორციელებლობა –

გამოიწვევს ინდივიდუალური მენარმის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას – 400 ლარის ოდენობით.

შენიშვნა: ამ მუხლის პირველი ნაწილი არ ვრცელდება საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებზე.

მუხლი 154[1]. პურპროდუქტებით უზრუნველყოფის სისტემის რეორგანიზაციის დადგენილი წესების დარღვევა

პურპროდუქტებით ქვეყნის უზრუნველყოფის სისტემის რეორგანიზაციის დადგენილი წესების დარღვევა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ასიდან ხუთას მინიმალურ ოდენობამდე.

პურპროდუქტების საწარმოებში სავაჭრო ობიექტებში პროდუქციის შესყიდვის, წარმოების ან რეალიზაციის წესების დარღვევა, –

გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორმოცდაათიდან ას მინიმალურ ოდენობამდე, თანამდებობის პირთა – შრომის ანაზღაურების ასიდან ორას მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 154[2]. პურპროდუქტების საწარმოების მუშაობის უწყვეტი ციკლის დარღვევა

პურპროდუქტების საწარმოების მუშაობის უწყვეტი ციკლის დარღვევა ან ამ საწარმოების რეორგანიზაცია, ანდა სხვა სახის საქმიანობა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს პურპროდუქტების წარმოების უწყვეტი ციკლის დარღვევა ან შეწყვეტა, აგრეთვე სხვა სახის საქმიანობა, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას პურპროდუქტების წარმოების დადგენილ წესს, –

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ხუთი ათასიდან ათი ათას მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 155[1]. ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების
რეალიზაციის, ტრანსპორტირებისა და შენახვის წესების
დარღვევა (23.06.2005 N 1753)

1. ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატებით ვაჭრობა არასტაციონარული სავაჭრო ობიექტებიდან, აგრეთვე ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების რეალიზაციის, ტრანსპორტირებისა და შენახვის წესების სხვაგვარი დარღვევა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი დიდი ოდენობით ან ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც ერთი წლის განმავლობაში ასეთი დარღვევისათვის შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 30 000 ლარის ოდენობით.

შენიშვნა: ამ მუხლით დიდ ოდენობად ითვლება ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების 200 ლიტრზე მეტი რაოდენობა, ხოლო განსაკუთრებით დიდ ოდენობად – 2000 ლიტრზე მეტი რაოდენობა.

მუხლი 155[2]. მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის
აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, შენახვა,
რეალიზაცია და გადაზიდვა (15.12.2009. N2349)

1. აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია ან გადაზიდვა –

გამოიწვევს დაჯარიმებას ათასიდან ორი ათას ლარამდე ან ადმინისტრაციულ პატიმრობას ვადით 30 დღემდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც ერთი წლის განმავლობაში ასეთი დარღვევისათვის შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ათი ათასი ლარის ოდენობით, ხოლო თუ საქმის გარემოებათა მიხედვით, დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით, ამ ზომის გამოყენება საკმარისად არ ჩაითვლება, – ადმინისტრაციულ პატიმრობას ვადით 60 დღემდე, სამართალდარღვევის საგნის, საქონლის ტრანსპორტირებისა და მიწოდების საშუალებების კონფისკაციით ან კონფისკაციის გარეშე.

მუხლი 155³. თამბაქოს პროდუქციის რეალიზაციისათვის დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა

1. თამბაქოს პროდუქციის რეალიზაცია იმ სავაჭრო ობიექტში, სადაც წარმოებს ბავშვთა ტანსაცმლისა და სათამაშოების რეალიზაცია, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ასი ლარით.

2. თამბაქოს პროდუქციის რეალიზაცია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში, სკოლაში, 18 წლამდე ასაკის პირებისათვის განკუთვნილ დაწესებულება – ორგანიზაციებში და მათი კუთვნილი ტერიტორიებიდან 50 მეტრის დაშორებით, აგრეთვე ყველა სახის სამედიცინო და სასწავლო დაწესებულებაში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ორმოცდაათი ლარით.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ას ორმოცდაათი ლარით.

4. თამბაქოს პროდუქციის რეალიზაცია 18 წლამდე ასაკის პირზე, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ასი ლარით.

5. სიგარეტის ღერების, ერთეული შეფუთვის (კოლოფის) რეალიზაცია, თუ მასში სიგარეტის 20 ღერზე ნაკლებია, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ათი ლარით.

6. ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, – გამოიწვევს დაჯარიმებას ორასი ლარით.

მუხლი 155⁴. ფართო მოხმარების საქონლის, ტანსაცმლის, სპორტული ინვენტარის, სათამაშოების, საყოფაცხოვრებო ნივთებისა და კვების პროდუქტების რეალიზაციის წესების დარღვევა

1. ფართო მოხმარების საქონლის, ტანსაცმლის, სპორტული ინვენტარის, სათამაშოების, საყოფაცხოვრებო ნივთებისა და კვების პროდუქტების რეალიზაციისას „რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული თამბაქოს პროდუქციის (გარდა მოწევასთან დაკავშირებული აქსესუარებისა) რეკლამა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ორმოცდაათი ლარით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ას ორმოცდაათი ლარით.

მუხლი 155⁵. თამბაქოს პროდუქციის რეალიზაციის ადგილებში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული სამედიცინო გაფრთხილებისაგან და თამბაქოზე უარის თქმის მსურველთათვის კონსულტაციის მისაღებად საკონტაქტო ტელეფონის განთავსებისაგან თავის არიდება

თამბაქოს პროდუქციის რეალიზაციის ადგილებში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული სამედიცინო გაფრთხილებისაგან და თამბაქოზე უარის თქმის მსურველთათვის კონსულტაციის მისაღებად საკონტაქტო ტელეფონის განთავსებისაგან თავის არიდება, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ასი ლარით.

მუხლი 155⁶. თამბაქოს პროდუქციის დიზაინის დარღვევა

1. „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით დადგენილი თამბაქოს პროდუქციის დიზაინის დარღვევა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 800 ლარის ოდენობით. (17.12.2010. N4126)

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ათას ხუთასი ლარით. (5.12.2003 N 3136)

მუხლი 157. იმ ჰუმანური დახმარების პროდუქციის გაყიდვა, რომელიც განკუთვნილი იყო უფასოდ გასაცემად

კომერციულ სტრუქტურებში (მიუხედავად მათი სამართლებრივ – ორგანიზაციული ფორმისა) იმ ჰუმანური დახმარების პროდუქციის გაყიდვა, რომელიც განკუთვნილი იყო მოქალაქეებისა ან იურიდიული პირებისათვის გასაცემად, –

გამოიწვევს დაჯარიმებას პროდუქციაზე დადებული ფასის ხუთმაგი ოდენობით, ამ პროდუქციის კონფისკაციით, ხოლო თუ საქმის გარემოებათა მიხედვით დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით, ამ ზომების გამოყენება საკმარისად არ ჩაითვლება, –

ადმინისტრაციულ პატიმრობას ვადით ოცდაათ დღემდე.

მუხლი 157[1]. საავტორო, მომიჯნავე უფლების მფლობელის და მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებების დარღვევა (23.06.2005 N 1732)

1. შემოსავლის მიღების მიზნით ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის უკანონო რეპროდუცირება ან ტექნოლოგიური საშუალების გვერდის ავლა, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად მათი კონტრაფაქციული ასლების არამართლზომიერი შეძენა, იმპორტი, შენახვა, გაყიდვა, გაქირავება ან სხვა უკანონო გზით გამოყენება, აგრეთვე, შემოსავლის მიღების მიზნით საავტორო, მომიჯნავე უფლების მფლობელის და მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებების სხვა დარღვევა –

გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთასიდან სამი ათას ლარამდე კონტრაფაქციული ასლების, აგრეთვე, იმ მასალების, მოწყობილობებისა და ტექნიკური საშუალებების კონფისკაციით, რომლებიც გამოიყენება მათი რეპროდუცირებისათვის ან ტექნოლოგიური საშუალების გვერდის ავლისთვის.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას სამი ათასიდან ხუთი ათას ლარამდე კონტრაფაქციული ასლების და, აგრეთვე, იმ მასალების, მოწყობილობებისა და ტექნიკური საშუალებების კონფისკაციით, რომლებიც გამოიყენება მათი რეპროდუცირებისათვის ან ტექნოლოგიური საშუალების გვერდის ავლისთვის.

შენიშვნა: კონფისკებული კონტრაფაქციული ასლები, მათი რეპროდუცირების ან ტექნოლოგიური საშუალების გვერდის ავლისთვის საჭირო მასალები, მოწყობილობები და ტექნიკური საშუალებები ექვემდებარება განადგურებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი გადაეცემა საავტორო ან მომიჯნავე უფლების მფლობელს ან მონაცემთა ბაზის დამამზადებელს მისივე მოთხოვნის საფუძველზე.

მუხლი 157[2]. ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის ასლებზე მითითებული უფლების მართვის ინფორმაციის შეცვლა, განადგურება ან გაყალბება (23.06.2005 N 1732)

1. ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის ასლებზე მითითებული „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული „უფლების მართვის ინფორმაციის“ უკანონო შეცვლა, განადგურება ან გაყალბება რასაც შეცდომაში შეჰყავს მომხმარებელი, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთასიდან ათას ლარამდე, ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის ასლების, აგრეთვე, სამართალდარღვევის ჩადენისათვის საჭირო მასალების, მოწყობილობებისა და ტექნიკური საშუალებების კონფისკაციით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ათასიდან სამი ათას ლარამდე, ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეო-

გრამის ან მონაცემთა ბაზის ასლების, აგრეთვე, სამართალდარღვევის ჩადენისათვის საჭირო მასალების, მოწყობილობებისა და ტექნიკური საშუალებების კონფისკაციით.

შენიშვნა: კონფისკებული კონტრაფაქციული ასლები, სამართალდარღვევის ჩადენისათვის საჭირო მასალები, მოწყობილობები და ტექნიკური საშუალებები ექვემდებარება განადგურებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი გადაეცემა საავტორო ან მომიჯნავე უფლების მფლობელს ან მონაცემთა ბაზის დამამზადებელს მისივე მოთხოვნის საფუძველზე.

მუხლი 157[3]. ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის ასლებზე უფლების მფლობელის მიერ დასმული დაცვის ნიშნის (აღნიშვნის) შეცვლა ან განადგურება (23.06.2005 N 1732)

1. ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის ასლებზე უფლების მფლობელის მიერ დასმული დაცვის ნიშნის (აღნიშვნის) უკანონო შეცვლა ან განადგურება –

გამოიწვევს დაჯარიმებას ათასიდან სამი ათას ლარამდე, ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის ასლებისა და, აგრეთვე, სამართალდარღვევის ჩადენისათვის საჭირო მასალების, მოწყობილობებისა და ტექნიკური საშუალებების კონფისკაციით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას სამი ათასიდან ხუთი ათას ლარამდე, ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის ასლების, აგრეთვე, სამართალდარღვევის ჩადენისათვის საჭირო მასალების, მოწყობილობებისა და ტექნიკური საშუალებების კონფისკაციით.

შენიშვნა: კონფისკებული კონტრაფაქციული ასლები, სამართალდარღვევის ჩადენისათვის საჭირო მასალები, მოწყობილობები და ტექნიკური საშუალებები ექვემდებარება განადგურებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი გადაეცემა საავტორო ან მომიჯნავე უფლების მფლობელს ან მონაცემთა ბაზის დამამზადებელს მისივე მოთხოვნის საფუძველზე.

მუხლი 158. სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის ან სხვა კომერციული აღნიშვნის უკანონო გამოყენება (23.06.2005 N 1732)

1. სხვისი სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის უკანონო დამზადება ან მათი სხვაგვარი უკანონო გამოყენება, აგრეთვე, სხვისი სასაქონლო (მომსახურების) ნიშნით, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებით ან გეოგრაფიული აღნიშვნით, რეგისტრირებული საფირმო სახელწოდებით უკანონოდ ნიშანდებული (მარკირებული) საქონლის წარმოება ან სამოქალაქო ბრუნვაში შეტანა –

გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთასიდან ათას ლარამდე, საქონლისა და მისი დამზადებისათვის საჭირო მასალებისა და მოწყობილობების კონფისკაციით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ათასიდან სამი ათას ლარამდე, საქონლისა და მისი დამზადებისათვის საჭირო მასალებისა და მოწყობილობების კონფისკაციით.

შენიშვნა: სასაქონლო (მომსახურების) ნიშნით, საქონლის ადგილ – წარმოშობის დასახელებით ან გეოგრაფიული აღნიშვნით, რეგისტრირებული საფირმო სახელწოდებით უკანონოდ ნიშანდებული (მარკირებული) საქონელი ექვემდებარება ჩამორთმევას გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის გადაეცემა უფლების მფლობელს მისივე მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო მისი დამზადებისათვის საჭირო მასალები და მოწყობილობები ექვემდებარება განადგურებას.

მუხლი 158[1]. მომხმარებლის უფლებების შელახვა

მომხმარებლის უფლებების განზრახ შელახვა, რასაც მოჰყვა ქონებრივი ზარალი, – გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ათიდან ას მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 159[4]. ჩვილ ბავშვთა ხელოვნური კვების რეკლამა

ჩვილ ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტების, საწოვრიანი ბოთლებისა და სატყუარების ნებისმიერი სახის რეკლამა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ორას ორმოცდაათიდან ხუთას ლარამდე.

იგივე მოქმედება, განმეორებით ჩადენილი ერთი წლის განმავლობაში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთასიდან შვიდას ლარამდე.

მუხლი 163. სერტიფიკატის გაცემის წესების დარღვევა

სერტიფიკატის გაცემის წესების დარღვევა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების სამასიდან ხუთას მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 164. სამეწარმეო საქმიანობის წესის დარღვევა (8.11.2011 N 5203 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს

1. აკრძალული სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება ან უნებართვოდ ისეთი საქმიანობის განხორციელება, რომელიც სპეციალურ ნებართვას (ლიცენზიას) საჭიროებს, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ოთხასიდან ხუთას ლარამდე.

2. მეურნე სუბიექტების საქმიანობის შეჩერების შემთხვევაში მათ მიერ სავაჭრო ოპერაციების (მომსახურების) განხორციელება –

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების შვიდასი მინიმალური ოდენობით.

მუხლი 164[4]. სახელმწიფო საგადასახადო ორგანოებისა და მათი თანამდებობის პირთა მოთხოვნებისა და მითითებების შეუსრულებლობა

სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციების და მათი თანადებობის პირთა მოთხოვნების შეუსრულებლობა გადასახადებისა და სხვა გადასახდელების გაანგარიშებისა და ბიუჯეტში გადახდის საკითხებზე, აგრეთვე გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრაზე, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ორმოცდაათიდან სამოცდაათ ლარამდე.

ბანკებისა და სხვა საფინანსო – საკრედიტო დაწესებულებების მიერ გადამხდელთა საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებზე (მათ შორის სავალუტო ანგარიშებზე) შესრულებული (შესასრულებელი) ოპერაციებისა და არსებული ფულად სახსრების შესამოწმებლად სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების მუშაკთა დაუშვებლობა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ასიდან ასოცდაათ ლარამდე.

ბანკებისა და სხვა საფინანსო – საკრედიტო დაწესებულებების მიერ სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების მოთხოვნის შესაბამისად გადამხდელთა საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებზე (მათ შორის სავალუტო ანგარიშზე) გასულ საანგარიშო პერიოდში შესრულებული ოპერაციებისა და ამ ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების შესახებ მონაცემების წარუდგენლობა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ასორმოცდაათიდან ასოთხმოც ლარამდე.

ბანკებისა და სხვა საფინანსო – საკრედიტო დაწესებულებების მიერ გადამხდელთა საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებიდან (მათ შორის სავალუტო ანგარიშიდან) ფულად სახსრების გაცემის, გადარიცხვისა და ჩამოწერის ოპერაციების შეჩერების შესახებ სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების მითითების შეუსრულებლობა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ორასიდან ორასორმოცდაათ ლარამდე.

მუხლი 165. საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშების გახსნის წესის დარღვევა და ბიუჯეტში თანხების გადარიცხვაზე დავალებების შეუსრულებლობა

ბანკებისა და სხვა საფინანსო – საკრედიტო დაწესებულებების მიერ საგადასახადო ორგანოებში აღრიცხვაზე აყვანის დამადასტურებელი დოკუმენტების წარუდგენლად გადამხდელთათვის საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშების გახსნა და ანგარიშების გახსნის შესახებ საგადასახადო ორგანოებში ინფორმაციის წარუდგენლობა, აგრეთვე ბიუჯეტში თანხების გადარიცხვაზე საგადასახადო დავალებების (განკარგულებების) მიუღებლობა და მიღებული საგადასახადო დავალებების (განკარგულებების) უწინარესად შეუსრულებლობა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ასიდან ასოცდაათ ლარამდე.

მუხლი 165[1]. გადასახადებისა და სხვა სავალდებულო გადასახდელების არასწორად გადახდევინება

სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების მიერ გადასახადებისა და სხვა სავალდებულო გადასახდელების არასწორად გადახდევინება და გადამხდელთათვის ზარალის მიყენება, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ასიდან ასოცდაათ ლარამდე.

მუხლი 165[2]. წიაღით სარგებლობის გადასახადისაგან თავის არიდება

წიაღით სარგებლობის გადასახადისაგან თავის არიდება, –

გამოიწვევს დაჯარიმებას რვაასიდან ათას ლარამდე.

მუხლი 165[1]. ცენტრალური ბიუჯეტიდან ან სახელმწიფო საბიუჯეტო ფონდიდან გამოყოფილი, ანდა ცენტრალური ბიუჯეტის ან სახელმწიფო საბიუჯეტო ფონდის კუთვნილი ფულადი სახსრების გადარიცხვისა და გაცემის დაგვიანება

ცენტრალური, საგანგებო ან საქართველოს ტერიტორიული ერთეულის ბიუჯეტიდან, ანდა სახელმწიფო საბიუჯეტო ფონდიდან მნიშვნელოვანი სოციალური ღონისძიებების, სხვა მიზნობრივი პროგრამის დასაფინანსებლად ან სხვა სპეციალური დანიშნულებით გამოყოფილი, ანდა ცენტრალური, საგანგებო ან საქართველოს ტერიტორიული ერთეულის ბიუჯეტის ანდა სახელმწიფო საბიუჯეტო ფონდის კუთვნილი ფულად სახსრების დანიშნულებისამებრ გადარიცხვის, გადაგზავნის, განაწილების ან გაცემის არასაპატიო მიზეზით დაგვიანება, –

გამოიწვევს დაჯარიმებას რვაასიდან ათას ლარამდე.

მუხლი 178. სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევა/იცენზიის გარეშე სავალუტო ოპერაციების წარმოება ან მომსახურება, –

გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორმოცდაათი მინიმალური ოდენობით, თანამდებობის პირთა – სამოცდაათი მინიმალური ოდენობით, ხოლო თუ საქმის გარემოების მიხედვით, დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით, ამ ზომის გამოყენება ჩაითვლება არასაკმარისად, – ადმინისტრაციულ პატიმრობას ვადით ოცდაათ დღემდე.

უცხოური ვალუტის ეროვნულ ვალუტაზე გადაცვლაზე უსაფუძვლოდ უარის თქმა ვალუტის გადამცვლელი დაწესებულების მუშაკის მიერ, –

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ოთხმოცი მინიმალური ოდენობით, ხოლო თუ საქმის გარემოების მიხედვით, დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით, ამ ზომის გამოყენება ჩაითვლება არასაკმარისად, – ადმინისტრაციულ პატიმრობას ვადით ოცდაათ დღემდე.

მუხლი 179[1]. ფალსიფიცირებული ან მავნებელი ალკოჰოლიანი სასმელის რეალიზაცია (11/07/2007 N5242 მავნებელი ალკოჰოლიანი სასმელის რეალიზაცია (25.12.2009. N2456 ამოქმედდეს 2010 წლის 1 თებერვლიდან)

1. საზოგადოებრივი კვების ან სავაჭრო ობიექტის მიერ ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მავნებელი არასერტიფიცირებული ალკოჰოლიანი სასმელის რეალიზაცია –

გამოიწვევს დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით. (25.12.2009. N2456 ამოქმედდეს 2010 წლის 1 თებერვლიდან)

2. იგივე ქმედება, ჩადენილი ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 20 000 ლარის ოდენობით.

მუხლი 194. საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ კონტროლის ზონაში უკანონო საწარმოო ან სხვა საქმიანობა (17.08.2010 N3593 ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან)

საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ კონტროლის ზონაში უკანონო საწარმოო ან სხვა საქმიანობა არსებული წესების დარღვევით, აგრეთვე შენობა-ნაგებობების მშენებლობა დადგენილი წესებისა და ნორმების დარღვევით –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას ას ორმოცდაათიდან ორას ლარამდე, ხოლო იურიდიული პირისა – სამასიდან ხუთას ლარამდე.

მუხლი 195. ბეჭდის (პლომბის/ლუქის) განზრახ დაზიანება ან აგლეჯა

უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ დადებული ბეჭდის (პლომბის/ლუქის) განზრახ დაზიანება ან აგლეჯა, გარდა ამ კოდექსის 443 მუხლით, 841 მუხლით, 131-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 132-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ას ლარამდე. (25.07.2006. N3516)

21.2.2 ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ოქმი და მისი განხილვა საგადასახადო ორგანოს მიერ

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში აღინიშნება:

– ოქმის შედგენის თარიღი და ადგილი;

– ოქმის შემდგენლის თანამდებობა, სახელი და გვარი;

– ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი;

– ნორმა, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სამართალდარღვევისთვის;

– მონაცემები სამართალდამრღვევის შესახებ – სახელი და გვარი, საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი;

– დამსწრეთა სახელი, გვარი, პირადი ნომერი და მისამართი (მათი არსებობის შემთხვევაში);

– სამართალდამრღვევის ახსნა – განმარტება;

– საქმისათვის შესაძლო მნიშვნელობის მქონე სხვა ცნობები.

– განმარტება სამართალდამრღვევისათვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობის შესახებ.

ოქმს ხელს აწერს მისი შემდგენელი, სამართალდამრღვევი, ასევე დამსწრე მისი არსებობის შემთხვევაში.

თუ სამართალდამრღვევი უარს განაცხადებს ოქმის ხელმოწერაზე, შესაბამის გრაფაში კეთდება ჩანაწერი.

სამართალდამრღვევს უფლება აქვს წარმოადგინოს ოქმზე დასართავი ახსნა – განმარტება, შენიშვნა ოქმის შინაარსთან დაკავშირებით, ასევე ჩამოაყალიბოს ხელმოწერაზე უარის თქმის მოტივი.

თუ სამართალდამრღვევი სადაოდ არ ხდის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს, აღნიშნულის დასადასტურებლად ოქმის შესაბამის გრაფაში აკეთებს აღნიშვნას და დამატებით ხელმოწერას, რის საფუძველზეც ადგილზე შეეფარდება ადმინისტრაციული სახდელი. ოქმში, ასევე მიეთითება შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელი (ჯარიმის თანხა).

ოქმი დგება 3 (სამ) ეგზემპლარად, რომელთაგან:

– ერთი – საქმის გადასაწყვეტად საჭირო სხვა ცნობებთან ერთად დაუყოვნებლივ ეგზავნება განხილვაზე უფლებამოსილ პირს (ორგანოს) და დაერთვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს;

– მეორე – ბარდება სამართალდამრღვევს შესაბამისი ხელისმოწერით ოქმის ეგზემპლარის ჩაბარების შესახებ, ხოლო როცა სამართალდამრღვევი არ ესწრება ოქმის შედგენას – ოქმი გაიგზავნება ოქმის შემდგენისათვის ცნობილ მისამართზე;

– მესამე-რჩება ოქმის შემდგენელთან.

ოქმი ივსება მუქი ფერის ბურთულიანი კალმით. ოქმში ყველა ჩანაწერი კეთდება გარკვევით. დაუშვებელია გადახაზვა, გადაფხეკა, გადაშლა და ა.შ. ოქმის დაზიანების ან მასში არასწორი მონაცემების შეტანის შემთხვევაში ივსება ახალი ოქმი, ძველი გადაიხაზება ჯვარედინად.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი თანდართულ მასალებთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაუყოვნებლივ ეგზავნება მის განხილვაზე უფლებამოსილ თანამდებობის პირს.

ჯარიმის თანხა ექვემდებარება გადახდას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი და საქმის განმხილველი საგადასახადო ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენიდან ან/და დადგენილების გამოტანიდან 10 დღის ვადაში აცნობოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს (ერთიან საინფორმაციო ბანკს).

საგადასახადო ორგანო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების გამოყენებასა და აღრიცხვა – ანგარიშგებას ახორციელებს "მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ" საქართველოს კანონის, "მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა, და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე", საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანების შესაბამისად.

დანართი №1
შემოსავლების სამსახური

(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი
სერია -------- 000000

1. -------------------- 20--- წ. 2. --------------
ოქმის შედგენის თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) (ოქმის შედგენის ადგილი)

3. --
(ოქმის შემდგენლის თანამდებობა, სახელი, გვარი)

4. დავადგინე, რომ ---------------------------------------

(სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი)

5. პასუხისმგებლობა აღნიშნული სამართალდარღვევისათვის გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ---------------------- მუხლით/მუხლის --------- ნაწილით.

6. მონაცემები დამრღვევის შესახებ: ---------------------------
----
(დასახელება/სახელი და გვარი, საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი, მისამართი)

სამართალდამრღვევს განემარტა მისი უფლებები და მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით.

7. მოწმე: / ------------------- / -------------------

(ხელმოწერა) (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი)

8. ოქმის შემდგენელი პირი: / ----------------- / -------------
----
(ხელმოწერა) (სახელი, გვარი)

9. სამართალდამრღვევი: / ------------------- / ------------

(ხელმოწერა) (სახელი, გვარი)

10. ჩავიბარე ოქმი: ---------------------------------------

(სამართალდამრღვევის ხელმოწერა)

11. სამართალდამრღვევის ახსნა – განმარტება: -----------------
----

12. საქმის გადასაწყვეტად საჭირო სხვა ცნობები: --------------
----

13. შეფარდებულია ადმინისტრაციული სახდელი: ----------------

(ჯარიმის თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

14. შენიშვნა: –

დამკვეთი:
დამამზადებელი:
სფს – ს რეგისტრაციის №

საგადასახადო ორგანო განიხილავს იმ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1291, 157-ე, 165-ე, 1793, 194-ე და 195-ე მუხლებით.

სხვა (აქ დაუსახელებელ) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, განიხილავს რაიონის (ქალაქის) სასამართლო.

თავი 22. საბაჟო რეჟიმები (სასაქონლო ოპერაციები) და საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრასთან დაკავშირებული პროცედურები.

22.1 სიტყვა „საბაჟოს" ეტიმოლოგია

ცნობილია, რომ ახალ აღთქმაში ბერჯერ არის მოხსენიებული სიტყვა „საბაჟო" და შესაბამისად მებაჟე. თვით ერთ-ერთი სახარების ავტორი არის მებაჟე – მათე. ქვემოთ გთავაზობთ ბიბლიიდან შესაბამის ციტატებს, რომელიც შესრულებულია ახალი ქართულით:

ა) „ვინაიდან, თუ თქვენ მოყვარულები გეყვარებათ, რა იქნება თქვენი საზღაური? განა მებაჟეებიც ასევე არ იქცევიან?"(მათე, 6, 46);

ბ) „იქაურობას, რომ გაშორდა, იესომ დაინახა კაცი, რომელიც საბაჟოსთან იჯდა, სახელად მათე, და უთხრა მას: „გამომყევი". ისიც წამოდგა და გაყვა მას. მოხდა ისე, რომ როცა ის სუფრასთან იჯდა სახლში, მრავალი მებაჟე და ცოდვილი მოვიდა და ჩამოჯდა იესოს და მისი მოწაფეების გვერდით. ეს, რომ ფარისეველებმა დაინახეს უთხრეს მის მოწაფეებს: „რატომ ჭამს და სვამს თქვენი მოძღვარი მებაჟეებთან და ცოდვილებთან ერთად?". ხოლო მან გაიგონა ეს და უთხრა მათ: „მკურნალი ჯანმრთლებს კი არა, სნეულებს სჭირდებათ" (მათე, 9);

გ) „მოვიდა ძე კაცისა, ჭამს და სვამს, და ამბობენ: „აჰა, კაცი, რომელსაც უყვარს ჭამა და ღვინის სმა, მებაჟეთა და ცოდვილთა მეგობარი, და მისი სიბრძნე საქმეებითაა გამართლებული"(მათე, 12, 19);

დ) „თუ არც მათ გაუგონებს, ეკლესიას უთხარი. თუ არც ეკლესიას გაუგონებს, მაშინ იყოს იგი შენთვის, როგორც წარმართი და მებაჟე" (მათე, 18, 17);

ე) „ამ ორთაგან რომელმა შეასრულა თავისი მამის ნება?" მიუგეს მას: „პირველმა". უთხრა მათ იესომ: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, რომ მებაჟეები და მეძავები თქვენზე წინ შეელენ ღვთის სასუფეველში. ვინაიდან მოვიდა თქვენთან იოანე სიმართლის გზით და არ ერწმუნეთ მას, ხოლო მებაჟეები და მეძავები ერწმუნენ. თქვენ კი იხილეთ ეს და მაინც არ მოინანიეთ, რათა გერწმუნათ იგი"(მათე, 21, 22);

ვ) „კლავ გავიდა ზღვაზე. მთელი ხალხი მიდიოდა მასთან და იქ ასწავლიდა მათ. გაიარა და დაინახა საბაჟოსთან მჯდომარე ლევი ალფესი და უთხრა: „გამომყევი მე". ისიც ადგა და გაყვა მას"(მარკოზი, 2 – 13,14);

ზ) „მოვიდნენ მებაჟენიც მოსანათლავად და უთხრეს მას: „მოძღვარო, რა ვქნათ?" ხოლო მან უპასუხა: „თქვენთვის დაწესებულის მეტს ნურაფერს მოითხოვთ".(ლუკა, 3 – 12,13);

თ) „და, ჰა, იყო კაცი ვინმე, სახელად ზაქე – მებაჟეთა უფროსი და მდიდარი. სურდა მას იესოს ხილვა, რომ გაეგო ვინ იყო იგი, მაგრამ ვერ შეძლო ხალხის სიმრავლის გამო, ვინაიდან ტანად დაბალი იყო. წინ გაიქცა და ლელვის ხეზე ავიდა, რათა დაენახა, რადგან იესოს აქით უნდა გამოევლო. იმ ადგილას, რომ მივიდა იესომ აიხედა მაღლა და უთხრა: „ზაქე, ჩამოდი სწრაფად, დღეს შენს სახლში უნდა დავრჩე". სწრაფად წამოვიდა და სიხარულით მიიღო იგი. ვინც, კი დაინახა, ყველანი ბუზღუნს მოჰყვნენ და ამბობდნენ: ცოდვილ კაცთან შევიდაო. ზაქე წამოდგა და უთხრა უფალს: „აჰა, უფალო, ჩემი ქონების ნახევარს ღარიბებს მივცემ და თუ ვინმესთვის რამე გამომიძალავს, ოთხმაგად მივაგებ". იესომ უთხრა მას: „დღეს მოხდა ამ სახლის ხსნა, რაკი ისიც აბრაამის ძეა. ვინაიდან კაცის ძე მოვიდა დაკარგულის მოსაძებნად და სახსნელად".(ლუკა 19).

ზემოაღნიშნული სიტყვები „საბაჟო" და „მებაჟე" ძველი ქართულით თარგმნილ ახალ აღთქმაში ყველგან მოხსენიებულია, როგორც „საზუერე" და „მეზუერე".

აღსანიშნავია, რომ მე-7-9 საუკუნეების ევროპის ქალაქებში მებაჟეს მაღალი სტატუსი ჰქონდა სხვა ჩინოვნიკებს შორის. მაგ. მებაჟეს ქალაქის ჩინოვნიკურ იერარქიაში მესამე ადგილი ეკავა გრაფისა და მერის შემდეგ, ხოლო მეოთხე ადგილზე იყო – ხაზინადარი. ამასთან, თუ გრაფს და მერს ნიშნავდნენ – მებაჟეს და ხაზინადარს ირჩევდნენ და ათავისუფლებდნენ ქალაქის მოსახლეობიდან დემოკრატიული წესით.

"ბაჟი" სპარსული წარმოშობის სიტყვაა, რომელიც წერილობით წყაროებში საქართველოში პირველად მე-11 საუკუნეში მოიხსენიება შიო მღვიმის მონასტრისადმი გიორგი მეორის სიგელში. როგორც აღვნიშნეთ, ადრე ბაჟის ქართული სახელი იყო „ზუერი" ("ზვერი"). ჩვენი აზრით, ეტიმოლოგიური ასპექტით საინტერესოა „ზუერის", როგორც საბაჟო გადასახადის ისეთ სიტყვებთან შესაძლო კავშირი, როგორიცაა: „ზღვარი", „სა – ზღვარი", „სა – ზღაური", „ზვარ – აკი", „ზვარი", რომელიც ლინგვისტური კვლევის სფეროს წარმოადგენს.("საზუერე" შესაძლებელია დასაზვერი(დაზვერვა) ადგილი იყოს).

ამასთან სიტყვა „საბაჟო“ სოფლის სახელადაც გვეელინება(მაგ. ხობის რაიონში არის სოფელი „საბაჟო“).

აღსანიშნავია, რომ სალიტერატურო ენაში „ტამოჟნეს“ ნაცვლად – "საბაჟოს“ ილია ჭავჭავაძემ გაუკაფა გზა.

სიტყვა „საბაჟოს“, როგორც მეტაფორას რელიგიური მიმართებაც აქვს. კერძოდ, უცხო სიტყვათა ლექსიკონში (შემდგენელი, სოლომონ(ბიჭი) თეზელიშვილი. თბ. 2005 წ.) შემდეგნაირად არის ეს ტერმინი განმარტებული: „საზვერე(საბაჟო). ადამიანის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც მისი სული ინყებს ზეცაში ასვლას მფარველი ანგელოზების წინამძღოლობით, მაშინ ბნელი სულები წარუდგენენ მას აღსარების საიდუმლეობაში მოუნანიებელ ცოდვებს. ყოველ ცოდვას თავისი დემონი ჰყავს მიჩნეული და შესაბამისი საზვერე, სადაც მოიკითხება ეს ჩადენილი ცოდვები: პირველი საზვერე – მოიკითხება ამაო მეტყველებით, მეორე – შეხედვით, მესამე-სმენით, მეოთხე – ყნოსვით, მეხუთე – ხელით ჩადენილი ყველა უკანონო და ბილწი საქმე, ხოლო შემდეგში მოიკითხება: მრისხანება, შური, სიძულვილი, სიამაყე, სიძვა და სხვა მომაკვდინებელი ცოდვები. საზვერეებზე დემონების გარდა იმყოფებიან ანგელოზებიც, რომლებიც წარმოადგენენ ადამიანის მიერ ჩადენილ კეთილ საქმეებს – თუ, სიკეთემ გადაწონა ბოროტება, მაშინ ანგელოზები მიიღებენ გარდაცვლილის სულს და შეიყვანენ ცათა სასუფეველში, არადა სული გადაეცემა სატანჯველად დემონებს“.

აქვე აღსანიშნავია სიტყვა „საბაჟოს“ სახელწოდებები სხვადასხვა ენებში და ზოგიერთი მათგანის ეტიმოლოგიური მნიშვნელობა. ქვემოთ გთავაზობთ ზოგიერთ ენაზე სიტყვა „საბაჟოს“ სახელწოდებას და მნიშვნელობას:

1. ინგლისურად – „Costoms“ – „ჩვეულება, ტრადიცია“. შუა საუკუნეებში, ინგლისში საქონლის შემოტანასთან დაკავშირებით მეფეს უხდიდნენ გარკვეულ გადასახადს, ძღვენს, რაც ჩვეულებად იქცა.
2. გერმანულად – Zollamt, Zoll – „ცოლამთ,“ „ცოლლ“;
3. ფრანგულად – Douane – „დოუან“;
4. ესპანურად – Aduana – „ადუანა“;
5. იტალიურად – Dogan, doganale, ufficio – „დოგან“, „დოგანალე“, „უფიციო“;
6. თურქულად – GOMRUYU – "გიუმრი“–
7. რუსულად – "Таможня" – "ტამოჟნია"-ეს სიტყვა წარმოშობილია მონღოლურიდან. მონღოლურად (ზოგიერთი მოსაზრებით თურქულად) „ტამგა“ ნიშნავს – "დაღს, დადაღვას“. შუა საუკუნეებში(მე-13 ს) რუსეთი მონღოლებმა დაიპყრეს. ისინი საზღვარზე შემოსულ საქონელს ადებდნენ ტამგას ანუ დამღას. ამასთან საქონელზე დასმული დამღა ადასტურებდა, რომ ამ საქონელზე გადახდილი იყო საბაჟო ფულადი გადასახადი.
8. სომხურად – "magsatun" – რაც, წარმოშობილია სიტყვა „მაგს“ – იდან, რაც ნიშნავს გადასახადს, გამოსაღებს(რუსულად – Пошлына);
9. აზერბაიჯანულად – Gomruyu“ – „გიუმრი“;
10. ლიტვურად – “ Muitine „ – "მუიტინე";
11. უკრაინულად – “ МИТНА” – "მიტნა"(იგივეა, რაც რუსულად – Пошлына);
12. მოლდავურად – “ Vama „ – "ვამა";
13. ბელორუსულად – "МЫТНЫ" – "მიტნი";
14. ყირგიზულად – "БАЖЫСЫ" – "ბაჟისი". როგორც ვხედავთ ეს ტერმინი ისევე, როგორც ქართულში „საბაჟო“ – წარმოშობილია „ბაჟიდან“. თავისთავად „ბაჟი“ სპარსული სიტყვაა და დაახლოებით იგივე მნიშვნელობა აქვს რაც „ხარკს“;
15. ტაჯიკურად – "ГУМРУК" – "გუმრუკი";
16. უზბეკურად – “ Bojxon qo mitasi „ – "ბოიხონ ქო მიტასი";
17. ყაზახურად – "КЕДЕН" – "კედენ";
18. თურქმენულად – "GUMRUKH anasy" – "გიუმრუკ ანას".

22.2 საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის არსი

საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემა ანუ სასაქონლო ნომენკლატურა ჩამოყალიბდა საბაჟო დეკლარირების დროს წარმოშობილი ტექნიკური პრობლემების გამო. კერძოდ, მე-20 საუკუნის 50-იან წლებამდე საქონლის დეკლარირების დროს შესაბამის თანმხლებ დოკუმენტებში სხვადასხვა ქვეყნიდან იმპორტირებულ და ექსპორტირებულ საქონელთა დასახელებები განსხვავებული და აღრეული იყო, რაც ხელს უშლიდა დაბეგვრის და არასატარიფო ღონისძიებების

გატარების პოლიტიკას.

ზემოაღნიშნული საკითხების გადაწყვეტისა და საერთაშორისო მასშტაბით ჰარმონიზაციის მიზნით 1950 წელს ბრიუსელში საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს მიერ (შემდგომში მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია) შემუშავებულ იქნა მსოფლიოში პირველი სისტემატიზებული სასაქონლო ნომენკლატურა. შემდგომში ბრიუსელის ნომენკლატურის სრულყოფა ხდებოდა წლების განმავლობაში(1973–1981), რომლის შედეგადაც 1983 წელს საერთაშორისო კონვენცია ჰარმონიზებული სისტემის შესახებ ოფიციალურად გახდა ღია სხვადასხვა ქვეყნების მიერ მისაერთებლად და ხელმოსაწერად. 1987 წელს მას მიუერთდა მრავალი ქვეყანა და იგი ძალაში შევიდა 1988 წლის 1 იანვარს.

თანამედროვე ჰარმონიზებულ სისტემას ეფუძნება საქონელთა კლასიფიცირების სამი ეროვნული მეთოდოლოგიური მოდელი, რომელშიც ასახვას პოულობს სასაქონლო ნომენკლატურის ფუნქციები:

ა) საბაჟო–სატარიფო ნომენკლატურა;

ბ) სტატისტიკური ნომენკლატურა;

გ) კომბინირებული სატარიფო-სტატისტიკური ნომენკლატურა.

საბაჟო-სატარიფო ნომენკლატურა არის მოცემული ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მიღებული და საქონლის შემოტანის დროს საბაჟო გადასახდელების გადახდისათვის გამოსაყენებელი ნომენკლატურა.

სტატისტიკური ნომენკლატურა გამოიყენება მოცემული ქვეყნის მიერ შემოტანილი და გატანილი საქონლის შესაბამისი მონაცემების დასადგენად.

კომბინირებული სატარიფო-სტატისტიკური ნომენკლატურა არის საბაჟო – სატარიფო და სტატისტიკური ნომენკლატურების გაერთიანება, რომელიც გამოიყენება შემოტანილი საქონლის დეკლარირების დროს.

ჰარმონიზებული სისტემის საფუძველზე, რომელიც შედგება ექვსი არაბული ციფრისაგან, შესაბამისმა ქვეყნებმა შეიმუშავეს ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურები, რომელსაც ზოგიერთ ქვეყნებში საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ან საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნულ სასაქონლო ნომენკლატურას უწოდებენ.

როგორც აღვნიშნეთ, ჰარმონიზებული სასაქონლო ნომენკლატურა არის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურების მეთოდოლოგიური საფუძველი, რაც იმაში გამოიხატება, რომ ჰარმონიზებული ნომენკლატურის ექვსი ნიშანი (ციფრი) სავალდებულოა კონკრეტული ქვეყნების სასაქონლო ნომენკლატურების შემუშავებისათვის. სხვადასხვა ქვეყნებმა სასაქონლო ნომენკლატურების ციფრობრივი სიმბოლო შემდგომ გაზარდეს ეროვნული წარმოების სპეციფიკის გათვალისწინებით 9, 10, 11, 12 და ა. შ, ნიშნულამდე (მაგ. საქართველოს აქვს 11-ნიშნა ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა).

სასაქონლო ნომენკლატურა შედგება: კარის, ჯგუფის, პოზიციის და სუბპოზიციისაგან, ხოლო ეროვნულ სასაქონლო ნომენკლატურაში ამას ემატება ქვესუბპოზიცია.

საინტერესოა, რომ სასაქონლო ნომენკლატურა სამყაროში არსებულ საქონლებს აჯგუფებს არა რაიმე მექანიკური, არამედ საქონლის წარმოშობისა და მიღების სირთულის პრინციპით. მაგ. სასაქონლო ნომენკლატურა შედგება 21 კარისაგან, რომელიც იწყება ცოცხალი ცხოველებით და მთავრდება ხელოვნების ნაწარმოებებით.

თანამედროვე სასაქონლო ნომენკლატურის სტრუქტურა კარების დონეზე შემდეგნაირად გამოიყურება:

ა) ცოცხალი ცხოველები; ცხოველური წარმოშობის პროდუქტები(კარი 1);

ბ) მცენარეული წარმოშობის პროდუქტები(კარი 2);

გ) ცხოველური ან მცენარეული წარმოშობის ცხიმები და ზეთები და მათი დაშლის პროდუქტები; მზა საკვები ცხიმები; ცხოველური ან მცენარეული წარმოშობის ცვილები(კარი 3);

დ) კვების მზა პროდუქტები; ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები და ძმარი; თამბაქო და თამბაქოს სამრეწველო შემცვლელები(კარი 4);

ე) მინერალური პროდუქტები(კარი 5);

ვ) ქიმიური და მასთან დაკავშირებული მრეწველობის დარგების პროდუქცია(კარი 6);

ზ) პლასტმასები და მათი ნაწარმი; კაუჩუკი, რეზინა და მათი ნაწარმი(კარი 7);

თ) დამუშავებული ტყავები და ტყავეულის ნედლეული, ტყავი, ნატურალური ბეწვი და მისი ნაწარმი; სასარაჯო–საუნაგირე ნაწარმი და აკაზმულობა; საგზაო საკუთნოები, ქალის ჩანთები და ანალოგიური საქონელი; ნაწარმი ცხოველების ნაწლავებისაგან(გარდა ნატურალური აბრეშუმის კეტგუტისა)(კარი 8);

ი) მერქანი და მერქნის ნაწარმი; ხის ნახშირი; კორპი და მისი ნაწარმი; ჩალის, ალფის ან სხვა დასაწნავი მასალის ნაწარმი; კალათები და სხვა მოწნული ნაწარმი(კარი 9);

კ) მასა მერქნის ან სხვა ბოჭკოვანი ცელულოზური მასალებისაგან; რეგენირებული ქაღალდი და მუყაო(მაკულატურა და ნარჩენები); ქაღალდი, მუყაო და მათი ნაწარმი(კარი 10);

ლ) საფეიქრო მასალები და საფეიქრო ნაწარმი(კარი 11);

მ) ფეხსაცმელი, თავსაბურავები, ქოლგები, მზისაგან დასაცავი ქოლგები, ხელჯოხები და ხელჯოხი–დასაჯდომები, შოლტები, მათრახები და მათი ნაწილები; დამუშავებული ნაკრტენი და მისი ნაწარმი; ხელოვნური ყვავილები; ნაწარმი ადამიანის თმისაგან(კარი 12);

ნ) ქვის, თაბაშირის, ცემენტის, აზბესტის, ქარსის ან ანალოგიური მასალების ნაწარმი; კერამიკული ნაწარმი; მინა და მისი ნაწარმი(კარი 13);

ო) მარგალიტი ბუნებრივი ან კულტივირებული, ძვირფასი ან ნახევრადძვირფასი ქვები, ძვირფასი ლითონები, ძვირფასი ლითონებით მოტკეცილი ლითონები და მათი ნაწარმი; ბიჟუტერია; მონეტები(კარი 14);

პ) არაძვირფასი ლითონები და მათი ნაწარმი(კარი 15);

ჟ) მანქანები, მოწყობილობები და მექანიზმები; ელექტრო–ტექნიკური მოწყობილობები; მათი ნაწილები; ბგერათჩამწერი და ბგერათაღმწარმოებელი აპარატურა, სატელევიზიო გამოსახულებისა და ხმის ჩამწერი და აღმწარმოებელი აპარატურა, მათი ნაწილები და საკუთნოები(კარი 16);

რ) მიწისზედა სატრანსპორტო საშუალებები, საფრენი აპარატები, მცურავი საშუალებები და ტრანსპორტთან დაკავშირებული მოწყობილობები და აღჭურვილობა(კარი 17);

ს) ოპტიკური, ფოტოგრაფიული, კინემატოგრაფიული, საზომი, საკონტროლო, პრეციზიული, სამედიცინო ან ქირურგიული ინსტრუმენტები და აპარატები; ყველა სახის საათები; მუსიკალური ინსტრუმენტები; მათი ნაწილები და საკუთნოები(კარი 18);

ტ) იარაღი და საბრძოლო მასალები; მათი ნაწილები და საკუთნოები(კარი 19);

უ) სხვადასხვა სამრეწველო საქონელი(კარი 20);

ფ) ხელოვნების ნაწარმოებები, საკონტროლო ნივთები და ანტიკვარიატი(კარი 21).

სასაქონლო ნომენკლატურა (შესაბამისი სასაქონლო კოდები), გარდა იმისა, რომ იძლევა საქონლის იდენტიფიცირების საშუალებას, აუცილებელია თანამედროვე კომპიუტერული სისტემით უზარმაზარი სასაქონლო ნაკადების შესახებ საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკის ან სპეციალური საბაჟო სტატისტიკის საწარმოებლად. ამასთან, ტექნიკური თვალსაზრისით სასაქონლო ნომენკლატურის გამოყენება საგრძნობლად ამარტივებს საბაჟო დამუშავების ოპერაციებს და იძლევა მათი სხვადასხვა ასპექტებით ეკონომიკური ანალიზის განხორციელების საშუალებას.

სასაქონლო ნომენკლატურა, როგორც წესი, გამოიყენება საქონლის დეკლარირების დროს. სასაქონლო ნომენკლატურის მიხედვით საქონლის კოდს განსაზღვრავს დეკლარანტი და აფიქსირებს საბაჟო დეკლარაციაში. ამასთან ზოგიერთი საქონლის ზუსტი კოდის განსაზღვრა ურთულეს პროცედურას წარმოადგენს და ზოგჯერ სასაქონლო ექსპერტიზასთან არის დაკავშირებული.

როგორც ნინა პარაგრაფში აღვნიშნეთ ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა შედგება: კარის, ჯგუფის, პოზიციის, სუბპოზიციის და ქვესუბპოზიციისაგან.

კარი მოიცავს ერთი გვარის საქონელთა ზოგად დასახელებას. მაგ. პირველი კარი არის: „ცოცხალი ცხოველები; ცხოველური წარმოშობის პროდუქტები".

ჯგუფი მოიცავს კარში შემავალი კონკრეტული გვარის საქონელს. მაგ. პირველი კარის 01 ჯგუფი არის „ცოცხალი ცხოველები".

პოზიცია მოიცავს ჯგუფში შემავალი კონკრეტული გვარიდან კონკრეტული სახის საქონელს. მაგ. 0101 სასაქონლო პოზიცია არის „ცხენები, ვირები, ჯორები და ჯორცხენები ცოცხალი".

სუბპოზიცია მოიცავს პოზიციაში შემავალი კონკრეტული სახის საქონლის სახეს. მაგ. 0101 პოზიციის 010110 სუბპოზიცია არის „წმინდაჯიშიანი სანაშენე ცხოველები".

ქვესუბპოზიცია მოიცავს სუბპოზიციაში შემავალი კონკრეტული საქონლის ქვესახეს. მაგ. 010110 სუბპოზიციის 010110100000 ქვესუბპოზიცია არის „ცხენები".

როგორც ვხედავთ, სასაქონლო ნომენკლატურის შემთხვევაში ადგილი აქვს საქონელთა გვარ – სახეობით დამოკიდებულებას, ანუ აბსტრაქტულისა და კონკრეტულის, მთელისა და ნაწილის ისეთივე მიმართებას, როგორც ეს არის ზოგადად ცნებებისა და კატეგორიების განსაზღვრის დროს ლოგიკის მეცნიერებაში.

აქვე აღსანიშნავია, რომ კარს არ შეესაბამება ასოითი ციფრი, ხოლო სხვა დანარჩენს შეესაბამება შემდეგნიშნა ციფრები:

ა) ჯგუფი – ორნიშნა ციფრი;

ბ) პოზიცია – ოთხნიშნა ციფრი;

გ) სუბპოზიცია-ექვსნიშნა ციფრი;

დ) ქვესუბპოზიცია-ექვსნიშნას შემდგომი ციფრები(მაგ. ცხრანიშნა, თერთმეტნიშნა).

პოზიციას, სუბპოზიციას და ქვესუბპოზიციას შეესაბამება დასახელებები, რომლებიც შესაბამის ირამიდის ფორმით გამომდინარეობს ერთმანეთისაგან. "ერთმანეთისაგან გამომდინარეობა" აღინი ება დეფისებით. არსებობს ერთდეფისიანი, ორდეფისიანი, სამდეფისიანი, ოთხდეფისიანი და იშვია ემთხვევაში ხუთდეფისიანი დიფერენცირებები.

დეფისების მეტი ოდენობა გამომდინარეობს დეფისების ნაკლები ოდენობიდან. მაგ:

სეს ესნ კოდი	პოზიციის დასახელება	დამატებითი ზომის ერთეული
0101	ცხენები, ვირები, ჯორები და ჯორცხენები ცოცხალი:	
	– ცხენები:	
0101 21 000 00	– – წმინდა ჯიშიანი სანაშენე ცხოველები	ცალი
0101 29	– – დანარჩენი:	
0101 29 100 00	– – – საკლავი	ცალი
0101 29 900 00	– – – დანარჩენი	ცალი
0101 30 000 00	– ვირები	ცალი
0101 90 000 00	– დანარჩენი	ცალი

როგორც წესი, სასაქონლო ნომენკლატურის ძირითად ზომის ერთეულს შეადგენს კილოგრამ ჰასთან სატარიფო და არასატარიფო მიზნებისათვის სასაქონლო ნიმენკლატურაში ხდება ზომი ხვა დამატებითი ერთეულების მითითება. მაგ. ცხენის იმპორტი იბეგრება და აღირიცხება ცალობით ოლო ვისკისა – ლიტრობით. ქვემოთ იხ. სხვადასხვა საზომი ერთეულების დასახელება.

ზომის ერთეულის დასახელება	პირობითი აღნიშვნა	ზომის ერთეულის კოდი
ზომის ერთეული		
კილოგრამი	კგ	166
დამატებითი ზომის ერთეული		
ბრუტო-რეგისტრული ტონა (2,8316 მ³)	ბრტ	181
გრამი	გ	163
გრამი გაყოფადი იზოტოპებისა	გ გ/ი	306
ტვირთამწეობა ტონებში	ტ ტვა	185
კვადრატული მეტრი	მ²	55
კილოგრამი აზოტისა	კგN	861
კილოგრამი კალიუმის ჰიდროქსიდისა	კგKOH	859
კილოგრამი ნატრიუმის ჰიდროქსიდისა	კგNaOH	863
კილოგრამი კალიუმის ოქსიდისა	კგK2O	852
კილოგრამი წყალბადის პეროქსიდისა	კგH2O2	841
კილოგრამი ფოსფორის ხუთჟანგისა	კგP2O5	865
კილოგრამი 90%-ით მშრალი ნივთიერებებისა	კგ90% მ/ნ	845
კილოგრამი ურანისა	კგU	867
კუბური მეტრი	მ³	113
კიური	კი	305
ლიტრი	ლ	112
ლიტრი სუფთა (100 %) სპირტი	ლ100%	831

	სპირტი	
მეტრი	მ³	6
მეტრული კარატი (1 კარატი 2*10⁻⁴ კგ)	კარ	162
ნუვილი	წყვ	715
ასი ცალი	100 ცლ	797
ათასი ცალი	1000 ცლ	798
ცალი	ცლ	796
1000 კილოვატ-საათი	1000კვტ.სთ	246
1000 კუბური მეტრი	1000 მ³	114
1000 ლიტრი	1000 ლ	130

22.3 საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის არსი და კრიტერიუმები

ტერმინი „საქონლის წარმოშობა" არ ემთხვევა – "საქონლის წარმოებას". საქონელი შეიძლება წარმოებულ იყოს მოცემულ ქვეყანაში და არ იყოს წარმოშობილი ამ ქვეყანაში. სწორედ ის განსხვავებები და კრიტერიუმები, რაც შეადგენს ამ ორი ცნების დიფერენცირების საფუძველს, წარმოადგენს აგრეთვე მათ შორის ფუნქციონალურად პრინციპული და არსებითი სხვადასხვაობის საფუძველსაც. მაგ. თუ საქართველოში ეაწარმოებთ ჩაის, როგორც მზა დაფასოებულ პროდუქტს, რომლის შემადგენლობის 51% იქნება ინდური ჩაი, ხოლო 49% ქართული, მაშინ ჩაითვლება, რომ საქონელი დამზადებულია(წარმოებულია) საქართველოში, ხოლო წარმოშობილია ინდოეთში.

თეორიასა და პრაქტიკაში საქონლის წარმოშობის ცნების მიმოქცევაში შეტანა გაპირობებულია იმ ფუნქციებით, რაც მას რეალურად გააჩნია საგარეო ეკონომიკური და, სახელდობრ საბაჟო ურთიერთობების ასპექტით. ეს ფუნქციებია სატარიფო და არასატარიფო ფუნქციები.

სატარიფო ფუნქცია მოიცავს:

– საბაჟო გადასახადისაგან საქონლის გათავისუფლებას;

– საბაჟო გადასახადით საქონლის ნაწილობრივ ანუ შეღავათიანი განაკვეთით დაბეგვრას;

– საბაჟო გადასახადის ჩვეულებრივი განაკვეთით საქონლის დაბეგვრას;

– ანტიდემპინგური, საკომპენსაციო ან განსაკუთრებული საბაჟო გადასახადით საქონლის დაბეგვრას.

არასატარიფო ფუნქცია მოიცავს:

– კვოტირებას;

– ლიცენზირებას;

– ემბარგოს;

– ყველა იმ მექანიზმს, რომელიც მიმართულია საქონლის ექსპორტის ან იმპორტის არასაგადასახადო ხასიათის შეზღუდვისაკენ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სახელმწიფოები საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის ფუნქციებს იყენებენ სხვადასხვა ეკონომიკური, სოციალური თუ პოლიტიკური მოსაზრებებით. სატარიფო ფუნქცია გამოიყენება ორ ან სხვადასხვა ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოების ან შეკვეცის მიზნით ან შიგა ბაზრის დაცვის ან ფისკალური ინტერესებიდან გამომდინარე. რაც შეეხება არასატარიფო ფუნქციას იგი გამოიყენება, როგორც ზემოაღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე, ასევე განსაკუთრებით პოლიტიკური მოტივაციებით ერთი ქვეყნის მიერ მეორე ქვეყნისადმი ეკონომიკური ზეწოლის მისაღწევად. ამის მაგალითია, თავის დროზე საქართველოში წარმოშობილი ღვინის ან მინერალური წყლების იმპორტზე ემბარგოს შემოღება რუსეთის ფედერაციის მიერ.

საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრა ხდება კომპენტენტური ორგანოების მიერ შესაბამისი ხერხებისა და მეთოდების გამოყენებით. ამ ხერხებსა და მეთოდებს კრიტერიუმები ეწოდებათ.

სხვადასხვა ქვეყანები განსხვავებულ კრიტრიუმებს იყენებენ. ძირითადად, შესაბამისი კრიტერიუმები ოთხ სახედ შეიძლება დაიყოს. ესენია:

ა) მოცემულ ქვეყანაში მთლიანად წარმოებული(ან მიღებული) საქონლის კრიტერიუმი;

ბ) ადვალური(ღირებულებითი) წილის კრიტერიუმი;

გ) საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის სასაქონლო პოზიციის პირველ ოთხნიშნა დონეზე ცვლილების კრიტერიუმი;

დ) აუცილებელი საწარმოო და ტექნოლოგიური ოპერაციების კრიტერიუმი.

მოცემულ ქვეყანაში მთლიანად წარმოებულად(მიღებულად) მიიჩნევა შემდეგი საქონელი:

ა) სასარგებლო წიაღისეული, რომელიც მოპოვებულია მოცემული ქვეყნის წიაღიდან ან მისი ტერიტორიული ზღვიდან ან ზღვის ფსკერიდან;

ბ) მცენარეული წარმოშობის პროდუქცია, რომელიც მოყვანილია ან შეგროვებულია ამ ქვეყანაში;

გ) მოცემულ ქვეყანაში გაჩენილი და გაზრდილი ცხოველები;

დ) მოცემულ ქვეყანაში ბინადარი ცხოველებისაგან მიღებული პროდუქტები;

ე) მოცემულ ქვეყანაში ნადირობისა და თევზჭერის შედეგად მიღებული პროდუქცია;

ვ) საზღვაო თევზჭერის შედეგად მიღებული და საზღვაო წარმოშობის სხვა პროდუქცია, რომელიც მოპოვებულია ამ ქვეყნის გემის მიერ;

ზ) მოცემული ქვეყნის სარეწ გემზე მიღებული პროდუქცია, რომელიც მხოლოდ „ვ“ პუნქტში აღნიშნული პროდუქციისაგან არის წარმოებული;

თ) პროდუქცია, რომელიც მოცემული ქვეყნის ფარგლებს გარეთ მდებარე ზღვის ფსკერიდან ან ზღვის ფსკერის წიაღიდან არის მიღებული, მხოლოდ იმ პირობით, თუ ქვეყანას აქვს ზღვის ფსკერის ან წიაღის ამ მონაკვეთის დამუშავების საგანგებო უფლება;

ი) ჯართი და წარმოებისა და გადამუშავების ნარჩენები, აგრეთვე ნახმარი ნაკეთობები, რომელთა შეგროვება განხორციელდა მოცემულ ქვეყანაში და, რომელთა გამოყენება შეიძლება მხოლოდ ნედლეულად გადამუშავებისათვის.

ადვალური ანუ ღირებულებითი წილის კრიტერიუმი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ეს დადგენილია ეროვნული კანონმდებლობით და საქონლის საწარმოებლად გამოიყენება, როგორც სხვა ქვეყანაში წარმოშობილი მასალები და ნედლეული, ასევე ადგილობრივი საქონელი. ამასთან შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მზა საქონელიც. ეროვნული კანონმდებლობა ანესებს იმ საქონლის ნუსხას, რომლის მიმართაც შეიძლება იყოს გამოყენებული ადვალური წილის კრიტერიუმი ან ამ და სხვა კრიტერიუმებს ავრცელებს ნებისმიერ საქონელზე.

როგორც წესი, ადვალური წილის კრიტერიუმის დროს საქონელი ითვლება იმ ქვეყანაში წარმოშობილად, სადაც არის წარმოშობილი ის მასალები და ნედლეული(ან გამოყენებული მზა პროდუქტი), რომელთა ღირებულების წილი საქონლის მთლიან ღირებულებაში შეადგენს არანაკლებ 51%-ს. მაგ. თუ საქართველოში ვაწარმოებთ ღვინოს, როგორც მზა დაფასოებულ პროდუქტს, რომლის შემადგენლობის 51% იქნება ფრანგული ყურძენი, ხოლო 49% ქართული, მაშინ ჩაითვლება, რომ საქონელი დამზადებულია(წარმოებულია) საქართველოში, ხოლო წარმოშობილია საფრანგეთში.

იმ შემთხვევაში, თუ საქონლის წარმოების დროს გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის წარმოშობის ქვეყნები სხვადასხვაა და მათი საერთო ღირებულება აჭარბებს წარმოებული საქონლის ღირებულების 51%-ს, მაშინ ამ საქონლის წარმოშობის ქვეყნად ჩაითვლება ის ქვეყანა, სადაც არის წარმოშობილი უდიდესი ღირებულების მასალა ან ნედლეული. მაგ. საქართველოში ნაწარმოებია რუხი პური, რომელშიც გამოყენებულია საქართველოში და თურქეთში წარმოშობილი ფქვილი და უკრაინაში წარმოშობილი მზესუმზირა. საქართველოში, თურქეთში და უკრაინაში წარმოშობილი ნედლეულის საერთო ღირებულება შეადგენს წარმოებული პურის ღირებულების 75%-ს, ხოლო დანარჩენი ინგრენდიენტების ღირებულება შეადგენს 25%-ს. ამ შემთხვევაში, დავუშვათ, რომ ადგილი აქვს შემდეგ პროპორციას:

ა) საქართველოში წარმოშობილი ფქვილი – 30%;

ბ) თურქეთში წარმოშობილი ფქვილი – 25%;

გ) უკრაინაში წარმოშობილი მზესუმზირა – 20%;

დ) დანარჩენი ინგრენდიენტების ღირებულება – 25%.

ზემოაღნიშნულ შემთხვევაში საქონელი ჩაითვლება საქართველოში წარმოშობილად, ვინაიდან ქართული ფქვილის ღირებულება პროცენტულად აღემატება სხვა ელემენტებს.

როგორ უნდა განისაზღვროს თვით გამოყენებული მასალების და მზა პროდუქტის ღირებულებები? ამ შემთხვევაში ღირებულებები შემდეგი მეთოდოლოგიით უნდა იყოს გაანგარიშებული:

ა) შემოტანილი მასალისათვის:

– იმპორტის საბაჟო ღირებულება, თუ ცნობილია მასალის წარმოშობის ქვეყანა;

– საქონლის წარმოების ქვეყანაში მასალის შიგა ბაზარზე პირველი მიწოდების ღირებულება, თუ ცნობილი არ არის მასალის წარმოშობის ქვეყანა;

ბ) მზა საქონლისათვის:

-ექსპორტიორი ქვეყნის ფრანკო – ქარხნის ფასი (EXW);

– ან ექსპორტის საბაჟო ღირებულება.

საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემა ანუ ეროვნული მასშტაბით საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა(სესსნ) საფუძვლად უდევს საქონლის წარმოშობის ქვეყნის ამ კრიტერიუმს.

ამ შემთხვევაში ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ საქონლის კოდის პირველი ოთხი ნიშანი არის არსებითი ამ საქონლის მახასიათებლის თვალსაზრისით. მაგ. 2204 სასაქონლო კოდი აღნიშნავს ყურძნის ნატურალურ და შემაგრებულ ღვინოებს და ყურძნის ტკბილს, ხოლო თუ შევცვლით ამ სასაქონლო პოზიციიდან თუნდაც ერთს, ვთქვათ ბოლო ციფრს, მაშინ მივიღებთ ალკოჰოლური სასმელის მნიშვნელოვნად შეცვლილ თვისობრიობას, კერძოდ ვერმუტებს და ყურძნის სხვა ნატურალურ ღვინოებს მცენარეული ან არომატული ექსტრატების დამატებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ქვეყანა სადაც, მოხდება პირველი ოთხნიშნა სასაქონლო პოზიციიდან თუნდაც ერთი ნიშნის(ციფრის) ცვლილება, ის ქვეყანა ჩაითვლება ამ საქონლის წარმოშობის ქვეყნად.

აუცილებელი საწარმოო და ტექნოლოგიური ოპერაციების კრიტერიუმი არის საკმარისი გადამუშავების კრიტერიუმის სახე, თუმცა უმჯობესია კრიტერიუმების კლასიფიკაციის დროს იგი ცალკე იქნას გამოყოფილი, რამდენადაც ადვალური წილის და ოთხნიშნა კრიტერიუმებიც საკმარისი დამუშავების კრიტერიუმის სახეებს წარმოადგენენ.

აუცილებელი საწარმოო და ტექნოლოგიური ოპერაციების კრიტერიუმი ნიშნავს, რომ მოცემული საქონლის მიმართ განხორციელდა ბოლო გარკვეული საწარმოო და ტექნოლოგიური ოპერაცია, რომელმაც ამ საქონელს მიანიჭა განსაზღვრული მნიშვნელოვანი მახასიათებლები. ასეთი ოპერაციების ზუსტი აღნერილობა დგინდება ეროვნული კანონმდებლობით ან საერთაშორისო შეთანხმებებით. მაგ. თუ დადგენილია, რომ ყავის მოხალვის ტექნოლოგიური ოპერაცია წარმოადგენს აუცილებელ საწარმოო და ტექნოლოგიური ოპერაციებს, მაშინ ჩაითვლება, რომ ბრაზილიური ყავა, რომელიც მოიხალა, ვთქვათ საქართველოში და ექსპორტირებულია უკრაინაში არის საქართველოში წარმოშობილი.

ზოგიერთი საქონლის დროს აუცილებელ საწარმოო და ტექნოლოგიურ ოპერაციებად შეიძლება ჩაითვალოს:

– ღვინის დროს – კუპაჟირება, ფილტრაცია, დავარგება და სხვა;

– კოქსისა და ბიტუმის დროს – რაფინირების ოპერაციები;

– ხეტყის მასალების დროს – ხერხვა, რანდვა, გაშალაშინება და სხვა;

– ფანერის დროს – შეერთება, მიწებება.

საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის დროს არ გაითვალისწინება ისეთი საწარმოო ფაქტორები, რომლებიც არსებით და მნიშვნელოვან ზეგავლენას ვერ ახდენენ ამ საქონელზე. ასეთი ფაქტორების არსებობის შემთხვევაში ისინი მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებული. ეს ფაქტორებია:

ა) საქონლის ტრანსპორტირების ან შენახვის უზრუნველმყოფი ოპერაციები;

ბ) საქონლის გარეგანი სახის ან კომერციული ხარისხის გაუმჯობესების ან მისი ტრანსპორტირებისათვის მომზადების ოპერაციები, რომლებშიც შედის საქონლის პარტიის დაყოფა, შეფუთვების დაჯგუფება, სორტირება, მარკირება, მეორადი შეფუთვა;

გ) მარტივი აწყობითი ოპერაციები;

დ) სხვადასხვა წარმოშობის საქონლის შერევა იმ პირობით, რომ მიღებული პროდუქციის მახასიათებლები არსებითად არ განსხვავდება იმ პროდუქტების მახასიათებლებისაგან, რომელთა შერევაც ხდება;

ე) ენერგიის, მოწყობილობების, მანქანა – იარაღების წარმოშობის ქვეყანა.

საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის დროს გამოიყოფა განსაკუთრებული შემთხვევები, რომელიც განსხვავდება ორდინალური სიტუაციებისაგან და, რომელსაც ითვალისწინებენ საბაჟო ორგანოები და შესაბამისი კომპენტენტური ორგანოები. ეს შემთხვევებია:

ა) აუწყობელი ან დაშლილი საქონელი, რომლის შემოტანა ხდება ორი ან მეტი პარტიით, მათი ერთი პარტიით მიზანშეუწონლობის გამო, საწარმოო ან სატრანსპორტო ხასიათის მიზეზით, იმპორტიორის მოთხოვნით მიჩნეულ უნდა იქნეს ერთ ნაკეთობად მისი წარმოშობის დასადგენის მიზნებისათვის;

ბ) წარმოშობის განსაზღვრის მიზნით საქონლის შეფუთვა უნდა ჩაითვალოს იმავე ქვეყანაში წარმოშობილად, როგორც შეფუთული საქონელი;

გ) როდესაც ითვლება, რომ შეფუთვა იმავე წარმოშობისაა, როგორც საქონელი, გაითვალისწინე-

ბა მხოლოდ ის შეფუთვა, რომელშიც ჩვეულებრივ ხდება საქონლის რეალიზაცია საცალო ვაჭრობაში, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც გამოიყენება ადვალური წილის კრიტერიუმი;

დ) თუ, იმპორტის ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობით დადგენილია, რომ დაბეგვრის მიზნებისათვის მიზანშეწონილია ტარისა და საქონლის ცალკე დეკლარირება, მაშინ ტარისა და საქონლის წარმოშობის ქვეყნები ცალ-ცალკე უნდა იქნეს განსაზღვრული;

ე) მანქანების, მოწყობილობების, აგრეგატების, სატრანსპორტო საშუალებების სათადარიგო ნაწილები, საკუთნოები და სამარჯვები იმ პირობით, რომ ისინი ერთდროულად იქნება შემოტანილი.

საქონლის წარმოშობის დადასტურება ხორციელდება დოკუმენტალურად. მსოფლიო პრაქტიკაში გამოიყენება სამის სახის დოკუმენტი, თუმცა, ძირითადად მაინც იყენებენ ერთ-ერთ მათგანს, რომელსაც წარმოშობის სერტიფიკატი ეწოდება.

საქონლის წარმოშობის დასადასტურებლად გამოიყენება შემდეგი სახის დოკუმენტები:

ა) წარმოშობის სერტიფიკატი;

ბ) წარმოშობის დამოწმებული დეკლარაცია;

გ) წარმოშობის დეკლარაცია.

საქონლის ნარმოშობის დადასტურება შესაბამისი დოკუმენტების მიხედვით ხორციელდება სხვადასხვა პირის (ორგანოს) მიერ. როგორც წესი, მრავალ ქვეყანაში წარმოშობის სერტიფიკატების დადასტურებას ახორციელებენ სავაჭრო – სამრეწველო პალატები, ასევე სახელმწიფო ორგანოები.

წარმოშობის სერტიფიკატი არის დოკუმენტი, რომელიც გაცემულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ და ცალსახად ადასტურებს შესაბამისი საქონლის მოცემულ ქვეყანაში წარმოშობას. სერტიფიკატს გააჩნია წინასწარ დადგენილი განსაზღვრული ფორმა და შევსების გრაფები.

წარმოშობის დამოწმებული დეკლარაცია არის ნარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც დამოწმებულია უფლებამოსილი ორგანოს, თუ ორგანიზაციის მიერ.

წარმოშობის დეკლარაცია, როგორც ასეთი, ცალკე დოკუმენტს არ ნარმოადგენს. წარმოშობის დეკლარირება ანუ გაცხადება ხდება ინვოისით, სატრანსპორტო ზედდებულით ან სხვა ნებისმიერი საქონელთან დაკავშირებული დოკუმენტით. ამ დოკუმენტზე შესაბამის აღნიშვნას და ხელმოწერას ახორციელებს ექსპორტიორი ან მწარმოებელი ან სხვა კომპენტენტური პირი, რითაც დასტურდება საქონლის წარმოშობა.

როგორც, აღვნიშნეთ საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის ფუნქციები გამოიხატება სატარიფო და არასატარიფო ღონისძიებების გატარებით. აქედან გამომდინარე წარმოშობის სერტიფიკატი საბაჟო ორგანოს ნარედგინება სავალდებულოდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მოითხოვება სატარიფო ან არასატარიფო ღონისძიებების გატარების მიზნით. მაგ. საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლება ან ემბარგო.

წარმოშობის სერტიფიკატი არ ნარედგინება საბაჟო ორგანოს შემდეგ შემთხვევებში:

ა) როდესაც საქონლები წვრილი პარტიების სახით მიეწოდება ფიზიკურ პირებს ან ეს საქონლები იმყოფება მგზავრის ბარგში, ხოლო ისინი არის არაკომერციული დანიშნულების და მათი მთლიანი ღირებულება არ აღემატება ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ გარკვეულ ზღვარს. ამასთან მინიმალური ღირებულება არ უნდა იყოს 100 აშშ დოლარზე ნაკლები;

ბ) როდესაც კომერციული დანიშნულების საქონელთა ერთობლივი ღირებულება არ აღემატება ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ გარკვეულ ზღვარს. ამასთან მინიმალური ღირებულება არ უნდა იყოს 60 აშშ დოლარზე ნაკლები;

გ) როდესაც საქონელი შემოდის დროებით შემოტანის საბაჟო რეჟიმში;

დ) როდესაც საქონელი გადაიზიდება ტრანზიტის საბაჟო რეჟიმით;

ე) საერთაშორისო ხელშეკრულებით განსაზღვრულ შემთხვევებში.

წარმოშობის სერტიფიკატი შევსებულ უნდა იყოს ექსპორტიორი ქვეყნის ენაზე, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ეს ენა არ ემთხვევა ინგლისურ ან ფრანგულ ენებს, მაშინ სერტიფიკატი ასევე უნდა შეივსოს ინგლისურ ან ფრანგულ ენაზე. მაგ. საქართველოდან საქონლის ექსპორტის დროს სერტიფიკატი უნდა შეივსოს ქართულ და ინგლისურ(ან ფრანგულ) ენებზე.

იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოშობის სერტიფიკატის შევსების ენა არ ემთხვევა იმპორტიორი ქვეყნის ენას, საბაჟო ორგანოს უფლება არა აქვს მოითხოვოს მისი თარგმანი ანუ ინგლისური და ფრანგულ ენაზე შევსებული სერტიფიკატები მისაღები და გასაგები უნდა იყოს ნებისმიერი ცივილიზებული საბაჟოსათვის.

როდესაც ერთ ქვეყნაში წარმოშობილი საქონელი შედის მეორე ქვეყანაში მესამე ქვეყნიდან, მაშინ მესამე ქვეყანას უფლება აქვს გასცეს წარმოშობის სერტიფიკატი ადრე უკვე არსებული წარმოშობის სერტიფიკატის საფუძველზე. როგორც წესი, ეს შეიძლება განხორციელდეს მესამე ქვეყნიდან,

სხვა ქვეყანაში წარმოშობილი საქონლის ექსპორტის ან რეექსპორტის დროს.

წარმოშობის სერტიფიკატებს სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობით მოქმედების სხვადასხვა ვადები გააჩნია. საერთაშორისო საბაჟო კონვენციებით ეს ვადა მისი გაცემიდან მინიმუმ სამ წელს უნდა შეადგენდეს, თუმცა წარმოშობის სერტიფიკატის გამცემი ორგანო წარმოშობის სერტიფიკატის სათანადო ეგზემპლარს უნდა ინახავდეს მინიმუმ ორი წლის განმავლობაში.

22.4 საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა

საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მსოფლიო პრაქტიკის ეტაპები შესაბამისი წყაროების მიღების ასპექტით შეიძლება შემდეგ ნაწილებად დაიყოს:

ა) 1947 წლის „გენერალური შეთანხმება ტარიფებსა და ვაჭრობაზე";

ბ) 1950 წელს მიღებული და 1953 წელს ძალაში შესული ბრიუსელის კონვენცია „საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის უნიფიცირებული მეთოდოლოგიის შექმნის შესახებ"(ე.წ „ბრიუსელის კონვენცია");

გ) 1979 წლის „შეთანხმება ტარიფებსა და ვაჭრობაზე გენერალური შეთანხმების მე-7 მუხლის განხორციელების შესახებ"(იგივე საბაჟო ღირებულების განსაზღვრის კოდექსი);

დ) 1994 წლის რედაქციის „გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ";

ე) 1994 წლის რედაქციის „შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ 1994 წლის გენერალური შეთანხმების მე-7 მუხლის განხორციელების შესახებ".

1950 წლის ბრიუსელის კონვენციას შეუერთდა 70-ზე მეტი სახელმწიფო, თუმცა მისი გამოყენების არეალი თანდათან შესუსტდა იმ მიზეზების გამო, რომ მას ხელი არ მოაწერეს აშშ-მა და კანადამ. ამის შედეგად, ეკონომიკურ-პოლიტიკური მოტივაციების გამო, 1973 – 79 წლებში მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების მიერ ჩატარდა მრავალმხრივი მოლაპარაკებები ტარიფებსა და ვაჭრობაზე, რითაც განისაზღვრა საბაჟო ღირებულების განსაზღვრის ახალი მეთოდიკა.

საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მეთოდოლოგიური საფუძველია 1994 წლის რედაქციის „ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმების" მე-7 მუხლი, რომლის სათაურია „საქონლის შეფასება საბაჟო მიზნებისათვის". ეს შეთანხმება დეკლარაციულად აყალიბებს საბაჟო ღირებულების განსაზღვრის პრინციპებს, რამაც წარმოშვა უფრო დეტალური და ინსტრუქციული ხასიათის კონვენციის(შეთანხმების) მიღების აუცილებლობა. შესაბამისად 1994 წელს ურუგვაის ქალაქ მარაკეშში სხვა შეთანხმებებთან ერთად მიღებულ იქნა „შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ 1994 წლის გენერალური შეთანხმების მე-7 მუხლის განხორციელების შესახებ", სადაც საკმაოდ ვრცლად და სათანადო კომენტარებით არის გადმოცემული საბაჟო ღირებულების განსაზღვრის ძალიან რთული ნიუანსები.

რა განსხვავება არსებობს საბაჟო ღირებულების განსაზღვრის „ბრიუსელისა" და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის(შემდგომში – ვმო) წესებს შორის?

საბაჟო ღირებულების განსაზღვრის ამ ორ წესს შორის სხვაობა ძირითადად მაინც ცნებით აპარატში მდგომარეობს. კერძოდ, ბრიუსელის კონვენცია იყენებს „ნორმალური ფასის" ცნებას, ხოლო ვმო-ს კონვენცია „გარიგების ფასის" ცნებას. თავის მხრივ „ნორმალური ფასი" ნიშნავს ურთიერთდამოუკიდებელ მყიდველსა და გამყიდველს შორის ჩამოყალიბებულ ფასს თავისუფალი კონკურენციის პირობებში. ამასთან იგულისხმება, რომ ნორმალურ ფასზე გავლენას ვერ ახდენს კონტრაქტით ან სხვა პირობებით განსაზღვრული ფაქტორები. რაც შეეხება „გარიგების ფასს", იგი აღნიშნავს ასევე თავისუფალი კონკურენციის პირობებში ორ დამოუკიდებელ კონტრაგენტს შორის კონკურენტულ გარემოში ჩამოყალიბებულ ფასს მხოლოდ სხვადასხვა საკონტრაქტო პირობების გათვალისწინებით. კერძოდ, „გარიგების ფასი" განიმარტება, როგორც „ფაქტობრივად გადახდილი ან გადასახდელი ფასი". მაგ. „გარიგების ფასმა" შეიძლება გაითვალისწინოს ფასდაკლება (ე.წ „დისკაუნთი"), ხოლო ბრიუსელის კონვენციამ – არა, რადგანაც იგი ეყრდნობა მხოლოდ ნორმალურ საბაზრო ფასს.

აღსანიშნავია, რომ 1995 წელს შეიცვალა შეიქმნა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია, რომელიც ორგანიზაციულად და თეორიულად ეფუძნება „1994 წლის გენერალურ შეთანხმებას ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ". ამ საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრია საქართველო 2000 წლის 14 ივნისიდან, როდესაც საქართველოს პარლამენტის დადგენილებით, საქართველო შეუერთდა ამ ორგანიზაციის ბევრ მნიშვნელოვან შეთანხმებას და, მათ შორის, ზემოაღნიშნულ იმ ორ შეთანხმებას, რომლითაც ხდება საბაჟო ღირებულების განსაზღვრის უნიფიცირება ცივილიზებულ მსოფლიოში.("1994 წლის გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ" და „შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ 1994 წლის გენერალური შეთანხმების მე-7

მუხლის განხორციელების შესახებ").

საბაჟო ურთიერთობების დროს საბაჟო პროცედურებს შორის ყველაზე რთული საკითხი არის კონკრეტული საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა. ზოგჯერ ამ თემას უწოდებენ საჯილდაო ქვას საბაჟო ორგანოსა და ბიზნესს შორის.

საბაჟო ღირებულება არის საქონლის საბაჟო საზღვრის გადაკვეთის მომენტისათვის, ამ საქონელზე იმპორტიორის მიერ რეალურად გადახდილი ან გადასახდელი ფასი. ამ ფასში შედის, როგორც საკუთრივ საქონლის ფასი, ასევე ყველა ის მიმოქცევის ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია ამ საქონლის მიტანასთან ექსპორტიორი ქვეყნის იმ ადგილიდან საიდანაც მოხდა საქონლის რეალიზაცია – იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო საზღვრამდე, ხოლო ექსპორტის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის დროს – საკუთრივ საქონლის ფასი, ასევე ყველა ის მიმოქცევის ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია ამ საქონლის მიტანასთან ექსპორტიორი ქვეყნის საბაჟო საზღვართან. ამ შემთხვევაში საბაჟო საზღვარში იგულისხმება არა რეალური საბაჟო საზღვარი, რომელიც ემთხვევა სახელმწიფო საზღვარს, არამედ ვირტუალი საბაჟო საზღვარი, რომელიც ქვეყნის საბაჟო ტერიტორიის შიგნით მდებარეობს (სასაზღვრო საბაჟო ორგანოს ფიზიკური განლაგების ადგილი).

საზოგადოდ, როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, საბაჟო ღირებულების განსაზღვრა განვითარებადი ქვეყნების პრობლემაა, სადაც საბაჟო ღირებულებაზე დაუსრულებლად შეიძლება იკამათო და იკამათო. რაც შეეხება ცივილიზებულ ქვეყნებს, იქ საბაჟო ღირებულების განსაზღვრის პრობლემებზე მსჯელობა ზედმეტია. ამ თვალსაზრისით საქართველოსათვის ეს პრობლემა აქტუალურია.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის აზრით „განვითარებადი ქვეყნების ძირითადი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ საბაჟო ღირებულების შესახებ არასაკმარისი ინფორმაციის მოპოვების გამო, შეინიშნება შემოსავლების დანაკარგი. ამის გამო ისინი მოითხოვენ საბაჟო ღირებულების შესახებ ინფორმაციის გაცვლის გაუმჯობესებას, მათ შორის იგულისხმება საექსპორტო ღირებულების შესახებ ინფორმაციის გაცვლა ექსპორტისა და იმპორტის ქვეყნებს შორის უშუალოდ, რათა მოხდეს დეკლარირებული ღირებულების შემოწმება. უნდა აღინიშნოს, რომ საქონლის საექსპორტო ღირებულება არ უნდა იყოს საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის საფუძველი, რადგან საექსპორტო ღირებულების შესახებ ინფორმაცია ხშირად მწირია და ბევრ ქვეყანაში არ ხდება ამ მონაცემთა სისტემატური კონტროლი და შემოწმება. საბაჟო ღირებულების სისტემაში ხშირია გაყალბება, რის გამოც საბაჟოს ენიჭება მისი კონტროლისათვის შესაბამისი ძალაუფლება, მაგრამ ამ შემთხვევაში ღირებულების წარმატებული კონტროლისათვის აუცილებელია საბაჟო ადმინისტრაციების რეფორმები და მოდერნიზაცია. საბაჟო ადმინისტრაციები უნდა ეყრდნობოდნენ კონტროლის მექანიზმს, რომელიც იყენებს რისკის ანალიზსა და დამუშავების შემდგომი აუდიტის სისტემებს, რაც ფუნდამენტალურია საბაჟო ღირებულების საკონტროლო რეჟიმის გაუმჯობესებისათვის".

საბაჟო ღირებულების არსიდან და ფუნქციებიდან გამომდინარე უნდა აღინიშნოს, რომ საბაჟო ღირებულების განსაზღვრის დროს საბაჟო ღირებულების დადგენის პრინციპები არ უნდა იქნეს გამოყენებული საბაჟო ორგანოს მიერ დემპინგური ფასის წინააღმდეგ, ამ ფასის აწევის მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო პრაქტიკაში განსაზღვრული წესით დადგენილია საქონლის იმპორტის ფაქტი მოცემულ ქვეყანაში დემპინგური ანუ ხელოვნურად შემცირებული ფასებით, მაშინ საბაჟო ორგანო იყენებს არა საბაჟო ღირებულების განსაზღვრის შესაბამის მეთოდებს, არამედ ანტიდემპინგურ საბაჟო გადასახადს, რომელიც მაღლა წევს ამ საქონლის სარეალიზაციო ფასს იმპორტიორი ქვეყნის შიგა ბაზარზე.

საბაჟო ღირებულების ფუნქციებიდან გამოიყოფა შემდეგი:

ა) ფისკალური ფუნქცია;

ბ) სავალუტო კონტროლის ფუნქცია;

გ) არასატარიფო ღონისძიებების კონტროლის ფუნქცია;

დ) საგარეო სავაჭრო ბალანსის ფორმირების ფუნქცია;

ე) ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ფუნქცია.

საბაჟო ღირებულების უპირველესი ფუნქცია არის ფისკალური მიზნების განხორციელების შესაბამისი ადვალური ბაზის შექმნა. კერძოდ, სწორად გაანგარიშებული საბაჟო ღირებულება არის ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა. როგორც წესი, არაპირდაპირი გადასახადების (საბაჟო გადასახადი, აქციზი, დამატებული ღირებულების გადასახადი) აკრება იმპორტის საბაჟო რეჟიმით შემოტანილ საქონელზე ხდება საბაჟო ორგანოების მიერ. ამასთან ეს გადასახადები, ძირითადად არის ადვალური ხასიათის და დაკავშირებულია საბაჟო ღირებულების განსაზღვრასთან. ამდენად, საგადასახადო ბაზის ზრდა საბაჟო ღირებულების შემცირების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების გზით განაპირობებს შესაბამის ფისკალურ ეფექტს, მიუხედავად

ზოგიერთი არაპირდაპირი გადასახადის ჩათვლის სისტემის არსებობისა. აღნიშნული ფისკალური ეფექტი დამოკიდებულია ჩათვლილი და ჩაუთვლელი გადასახადების, მოგების ან ზოგიერთ ქვეყანაში საშემოსავლო(კორპორაციული) გადასახადებისა და საბაჟოზე გადახდილი გადასახადების თანაფარდობაზე და, როგორც წესი, საბოლოო ჯამში ფისკალური ეფექტი უფრო მაღალია მაღალი საბაჟო ღირებულების შემთხვევაში.

საბაჟო ღირებულების მნიშვნელოვანი ფუნქციაა სავალუტო კონტროლის განხორციელების დროს რეალური ღირებულებითი მონაცემების ბაზის ფორმირება. კერძოდ, ექსპორტ – იმპორტის დროს სავალუტო თანხების ნაკადების მოძრაობა ყოველთვის დაკავშირებულია ექსპორტირებული და იმპორტირებული საქონლის რეალურ საბაჟო ღირებულებებთან. აქედან გამომდინარე საექსპორტო ამონაგების ან საიმპორტო თანხების სიდიდის განსაზღვრისათვის საბაჟო ღირებულების სწორ განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა აქვს.

საბაჟო ღირებულების ერთ-ერთ ფუნქციად განიხილება ისეთი არასატარიფო ღონისძიების განხორციელების მექანიზმის კონტროლი, როგორიც არის საქონლის იმპორტის კვოტირება. იმ შემთხვევაში, როდესაც ორ ქვეყანას შორის ხორციელდება გარკვეული სახის და განსაზღვრული ღირებულების საქონლის კვოტირება ანუ ღირებულებითი შეზღუდვა, მაშინ ღირებულების დადგენას დიდი მნიშვნელობა აქვს დადგენილი კვოტის ფარგლების დაცვის თვალსაზრისით. მაგ. ვთქვათ, შეთანხმებულია, რომ აშშ-სა და ჩინეთს შორის ვაჭრობის დროს ჩინეთიდან საფეიქრო ნაწარმის ექსპორტმა და შესაბამისად აშშ-ში იმპორტმა არ უნდა გადააჭარბოს წელიწადში 500 მილიონ აშშ დოლარს. წინააღმდეგ შემთხვევაში კვოტას გადაცილებული საქონელი არ იქნება შეშვებული აშშ-ს საბაჟო ტერიტორიაზე ან მასზე იქნება გადასახდელი იმ ოდენობის საბაჟო გადასახადი, რომელიც არაკონკურენტუნარიანს გახდის მას აშშ-ს ბაზარზე. ამდენად ამ თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია საბაჟო ღირებულების სწორი განსაზღვრა.

ქვეყნის საგარეო სავაჭრო ბალანსის (რაც თავის მხრივ საგარეო საგადასახდელო ბალანსის შემადგენელი ნაწილია) გაანგარიშება და ფორმირება პირდაპირ არის დაკავშირებული ექსპორტირებულ და იმპორტირებულ საქონელთა საბაჟო ღირებულებებთან. კერძოდ, რეალური ექსპორტ – იმპორტის სალდო განსაზღვრა ეყრდნობა საქონელთა მოძრაობის სწორად განსაზღვრულ ღირებულებით მონაცემებს, რაც თავის მხრივ ქვეყნის ეკონომიკური(მათ, შორის მონეტარული და საბაჟო) პოლიტიკის კორექტირების უმნიშვნელოვანესი საფუძველია.

რაც შეეხება ე.წ „შაჲი ფულის" გათეთრებას, მრავალ ფორმათაგან ერთ-ერთად მოიაზრება საქონლის იმპორტის ან ექსპორტის დროს საბაჟო ღირებულების შეგნებულად მრავალჯერადი ზრდა იმ ზომით, რომლის დროსაც იმპორტის დროს საბაჟოზე გადახდილი გადასახადების თანხა შესაბამისი ფულის ლეგალიზაციით მიღებულ თანხაზე ნაკლებია(ოფშორის შემთხვევაში საერთოდ ნულის ტოლია), ხოლო ექსპორტის დროს ინვოისში ან საბაჟო დეკლარაციაში ნაჩვენები საქონლის ღირებულების სახით ამონაგები თანხები „ღირს" შემოსავლების სახით ამ თანხებზე გადახდილ გადასახადებად. მაგ. საქართველოს რეზიდენტ ოფშორულ კომპანიას აქვს შვილობილი კომპანია ინდოეთში და შესაბამისად ოფშორულ ბანკში აქვს „შაჲი ფული". ამ შემთხვევაში ოფშორული კომპანია ყიდულობს ინდოეთიდან (შვილობილი კომპანიიდან) გარკვეულ საქონელს და კონტრაქტის მიხედვით იხდის რეალურ საბაზრო ღირებულებაზე 50-ჯერ მეტ თანხას. თუ, ექსპორტიორი ქვეყნის (ინდოეთის) საბაჟო ორგანო, ფისკალური მიზნებიდან გამომდინარე, დაეთანხმება წარმოდგენილ ანუ 5-ჯერ გაზრდილ საბაჟო ღირებულებას, მაშინ განხორციელდება ფულის გათეთრება, რომლის ფასიც იქნება შვილობილი კომპანიის მიერ გადასახდელი შესაბამისი მოგების, თუ საშემოსავლო გადასახადების თანხა.

საბაჟო ღირებულების განსაზღვრა და ასევე, მისი სისწორის დადგენა ხორციელდება საერთაშორისო პრაქტიკით აღიარებული მეთოდებით. ეს მეთოდებია:

ა) გარიგების ფასის მეთოდი;
ბ) იდენტური საქონლის გარიგების ფასის მეთოდი;
გ) მსგავსი საქონლის გარიგების ფასის მეთოდი;
დ) საქონლის ერთეულის ფასის მეთოდი;
ე) საქონლის შედგენილი ღირებულების მეთოდი;
ვ) სარეზერვო მეთოდი.

ზემოაღნიშნული მეთოდები გამოიყენება საბაჟო ღირებულების განსაზღვრის დროს თანმიმდევრულად ანუ რიგითობის დაცვით. გამონაკლის წარმოადგენს ერთეულის ფასისა და შედგენილი ღირებულების მეთოდების რიგითობა, რაც დაკავშირებულია შედგენილი ღირებულების მეთოდით საბაჟო ღირებულების განსაზღვრის სპეციფიკასთან. კერძოდ, თუ დეკლარანტი და ექსპორტიორი,

როგორც წესი, ურთიერთდაკავშირებული პირებია, მაშინ დეკლარანტს შეუძლია საბაჟო ორგანოს წარუდგინოს შესაბამისი კონფიდენციალური დოკუმენტები, რომელიც ასახავს საქონლის კალკულაციურ ღირებულებას.

საბაჟო ღირებულებას, როგორც წესი, განსაზღვრავს დეკლარანტი. იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი მიზეზების გამო საბაჟო ორგანო არ ეთანხმება დეკლარანტის მიერ განსაზღვრულ საბაჟო ღირებულებას, მაშინ საბაჟო ორგანო საზღვრავს მას ან ახდენს მის კორექტირებას. საბაჟო ღირებულების კორექტირება შეუძლია დეკლარანტსაც. სხვადასხვა ქვეყანაში კორექტირების სხვადასხვა წესები არსებობს, რომელიც ძირითადად საბაჟო დეკლარაციის კორექტირებასთან არის დაკავშირებული.

სხვადასხვა ქვეყანაში დეკლარანტის მიერ საბაჟო ღირებულების დეკლარირების წესები განსხვავებულია და ძირითადად ორი ფორმით ხორციელდება. პირველი, როდესაც საბაჟო ღირებულება დეკლარირდება მისი შემადგენელი ელემენტების მიხედვით სპეციალურ დოკუმენტში(მაგ. საბაჟო ღირებულების დეკლარაცია) და შემდგომ საბაჟო დეკლარაციაში და, მეორე, როდესაც საბაჟო ღირებულების დეკლარირება ხდება პირდაპირ საბაჟო დეკლარაციით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში დეკლარანტის მიერ საბაჟო დეკლარაციის შესაბამის გრაფაში ფიქსირდება საბაჟო ღირებულების აბსოლუტური თანხა.

აღსანიშნავია, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შესაბამისი შეთანხმებებით განსაზღვრულია საბაჟო ორგანოს შეუზღუდავი უფლება, რომელიც საშუალებას აძლევს მას ნებისმიერ მომენტში ეჭვი შეიტანოს დეკლარანტის მიერ განსაზღვრული საბაჟო ღირებულების სიდიდეში. ამასთან, წარმოშობილი ეჭვი უნდა ეფუძნებოდეს ობიექტურ ინფორმაციას და დეკლარანტის მიერ ამ ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში იგი უნდა მიეწოდოს მას.

იმ შემთხვევაში, თუ დეკლარანტის მიერ განსაზღვრულ საბაჟო ღირებულების სიდიდეს არ ეთანხმება საბაჟო ორგანო, ეს მომენტი არ შეიძლება გახდეს საქონლის გაშვების შეფერხების საფუძველი. კერძოდ, საბაჟო ღირებულების სიდიდეში ეჭვის შეტანის შემთხვევაში, დეკლარანტს გარკვეული ვადის განმავლობაში შეუძლია წარმოადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები, ხოლო საქონელი გაიტანოს საბაჟო ორგანოდან და გაუშვას თავისუფალ მიმოქცევაში, თუ იგი წარადგენს საბაჟო ორგანოში შესაბამის გარანტიას. ჩგარანტიის ფორმები ყველა ქვეყანაში ერთნაირია და იგი შეიძლება იყოს ძირითადად სამი სახის: საბანკო გარანტია, სადაზღვევო გარანტია ან საბაჟო გადასახდელების შეტანა საბაჟო ორგანოს ანგარიშზე. ჩგამოიყენება აგრეთვე გირაოს ფორმები, როგორც იმავე საქონლის, ასევე სხვა ქონების სახით. ამასთან გარანტიის თანხა სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა მეთოდოლოგიით იანგარიშება. კერძოდ, გარანტიის თანხა შეიძლება იყოს ორი სიდიდე: პირველი, საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრული საბაჟო ღირებულების საფუძველზე გაანგარიშებული საბაჟო გადასახდელების ოდენობის თანხა და მეორე, საბაჟო ორგანოსა და დეკლარანტის მიერ განსაზღვრული საბაჟო ღირებულებების სხვაობის საფუძველზე გაანგარიშებული შესაბამისი საბაჟო გადასახდელების თანხა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში დეკლარანტმა უნდა გადაიხადოს მის მიერ განსაზღვრული საბაჟო ღირებულების საფუძველზე გაანგარიშებული საბაჟო გადასახდელები.

როგორც წესი, ცივილიზებულ ქვეყნებში საქონლის საბაჟო ღირებულება განისაზღვრება გარიგების ფასის მეთოდით. გარიგების ფასი არის საქონლის შესაძენად რეალურად გადახდილი ან გადასახდელი ფასი. იგი შეიძლება დაემთხვეს საბაჟო ღირებულებას ან არ უდრიდეს მას, რაც თავის მხრივ გაპირობებულია საქონლის მიწოდების პირობებით. ამასთან, რეალურად გადახდილი ფასი ნიშნავს იმპორტიორის მიერ ექსპორტიორისადმი იმპორტის განხორციელების და საბაჟო ღირებულების განსაზღვრის დროს უკვე გადახდილ საქონლის ფასს, ხოლო რეალურად გადასახდელი ფასი – ჯერ კიდევ გადაუხდელ, მაგრამ დროის გარკვეულ პერიოდში აუცილებლად გადასახდელ ფასს.

რაც შეეხება გადახდის ფორმას გარიგების ფასის განსაზღვრის ასპექტით, იგი შეიძლება იყოს მრავალნაირი და მას მნიშვნელობა არა აქვს. კერძოდ, გარიგების ფასი შეიძლება გადახდილ იქნას საბანკო გადარიცხვით, ინკასოთი, აკრედიტივით, ძველი ვალების ჩამოწერით, ნაღდი ფულით და ა. შ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავისთავად გარიგების ფასი არ არის საბაჟო ღირებულება, მაგრამ იგი წარმოადგენს სწორედ საბაჟო ღირებულების განსაზღვრის საფუძველს და ორიენტირს.

გარიგების ფასის მიხედვით საბაჟო ღირებულების განსაზღვრის დროს უნდა სრულდებოდეს შემდეგი აუცილებელი წინაპირობები:

ა) გარიგება უნდა შესრულდეს ფულადი ანგარიშსწორების ფორმით;

ბ) წარმოდგენილი უნდა იყოს დოკუმენტი გარიგების შესახებ, როგორც წესი, კონტრაქტი ან ინვოისი;

გ) წარმოდგენილ დოკუმენტებში (ერთ-ერთში) მითითებულ უნდა იყოს ინკოტერმსის მინოდების პირობები;

დ) წარმოდგენილ უნდა იქნეს საქონლის ტრანსპორტირების დოკუმენტი;

ე) არ უნდა არსებობდეს რაიმე შეზღუდვა, რომელიც დაკავშირებულია მყიდველის მიერ საქონლის განკარგვა – გამოყენებასთან. ამასთან დადგენილია შეზღუდვის სამი გამონაკლისი შემთხვევა, როდესაც დასაშვებია გარიგების ფასის მიხედვით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა. ეს შემთხვევებია:

– როდესაც კანონმდებლობით იზღუდება რომელიმე საქონლის განკარგვა ან გამოყენება;

– როდესაც დადგენილია გეოგრაფიული რაიონების ჩამონათვალი, სადაც შეიძლება საქონელი ხელმეორედ გაიყიდოს;

– როდესაც რაიმე სახის შეზღუდვა არსებით გავლენას არ ახდენს საქონლის ღირებულებაზე;

ვ) საქონლის გაყიდვა ან ფასი არ უნდა წარმოადგენს ისეთი პირობის საგანს, რომლის გაუთვალისწინებლობაც შეუძლებელს გახდის შესაფასებელი საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრას. აქ შეიძლება განვიხილოთ სამი შემთხვევა:

– საქონლის გარიგების ფასი იმ პირობით არის დადგენილი, რომ მყიდველი ძირითად საქონელთან ერთად სხვა საქონელსაც იყიდის გარკვეული რაოდენობით;

– საქონლის გარიგების ფასი იმ პირობით არის დადგენილი, რომ იმპორტირებული საქონლის მყიდველი (იმპორტიორი) ამ საქონლის გამყიდველს (ექსპორტიორს) პარალელურად მიყიდის სხვა საქონელს შეღავათიანი ფასით;

– საქონლის გარიგების ფასი იმ პირობით არის დადგენილი, რომ ექსპორტიორის მიერ მინოდებული საქონელი ნახევარფაბრიკატია, ხოლო კონტრაქტით გათვალისწინებულია შესაბამისი მზა პროდუქციის მიწოდება უკან მყიდველის (იმპორტიორის) მიერ. ზემოაღნიშნულ „ვ“ პუნქტში მითითებულ სამივე შემთხვევის დროს, თუ ვერ დგინდება ამ პირობებით დადგენილი რაოდენობრივ – ღირებულებითი გავლენა გარიგების ფასზე, მაშინ გარიგების ფასი არ მიიღება;

ზ) იმპორტირებული საქონლის განკარგვის შედეგად მყიდველის (იმპორტიორის) მიერ მიღებული მოგების ან შემოსავლის არანაირი ნაწილი პირდაპირ ან ირიბად არ უნდა გადავიდეს გამყიდველის(ექსპორტიორის) საკუთრებაში ისე, რომ შეუძლებელი იყოს საბაჟო ორგანოს მიერ შესაბამისი თანხების იდენტიფიკაცია. (მაგ. კონტრაქტით გათვალისწინებულია, რომ ექსპორტიორი საქონელს მიანვდის იმპორტიორს 100 ევროდ, ხოლო იმპორტიორი დაუბრუნებს ექსპორტიორს ამ საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული მოგების 10%-ს. ამ შემთხვევაში, საბაჟო ორგანოსათვის გაურკვეველია, თუ რა თანხას შეადგენს მოგების 10%, ამდენად საბაჟო ორგანო არ მიიღებს გარიგების ფასს. იმ შემთხვევაში, თუ 10%-ის ნაცვლად კონტრაქტში მითითებული იქნებოდა აბსოლუტური ციფრი, მაგ. 10 ევრო, მაშინ ეს თანხა დაემატებოდა გარიგების ფასს და მას მიიღებდა საბაჟო ორგანო);

თ) მყიდველი და გამყიდველი არ უნდა იყოს ურთიერთდაკავშირებული ან ურთიერთკავშირმა არსებითი გავლენა არ უნდა იქონიოს გარიგების ფასზე. ურთიერთკავშირი აპრიორულად არ იძლევა გარიგების ფასის მიუღებლობის საფუძველს. საბაჟო ორგანო ამოწმებს ურთიერთკავშირის ყველა გარემოებას და, თუ დადგენს, რომ ამ კავშირს გავლენა არ მოუხდენია საქონლის ფასზე, მაშინ გარიგების ფასი მიღებულ იქნება. ("ურთიერთდაკავშირებულ პირებად“ ითვლებიან პირები, თუ:

– ისინი არიან ერთმანეთის ბიზნესის ხელმძღვანელი პირები ან დირექტორები;

– ისინი არიან ბიზნესში კანონიერად აღიარებული პარტნიორები ანუ ორგანიზაციის თანამფლობელები;

–ისინი არიან ამ სამუშაოს მიმცემი(დამქირავებელი) და დასაქმებული(დაქირავებული);

-ესა, თუ ის პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს, აკონტროლებს ან აქვს ორივე მათგანის ხმის უფლების მქონე აქციების ან წილის 5 ან მეტი პროცენტი;

-ერთ-ერთი მათგანი პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მეორეს;

– ორივეს პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მესამე პირი;

– ისინი ერთად პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებენ პირს;

– ისინი არიან ნათესავები;

– ისინი არიან ბიზნესით დაკავშირებული პირები, რომელთაგან ერთი არის მეორის აგენტი, დისტრიბუტორი ან კონცესიონერი, თუკი ეს პირები აკმაყოფილებენ ზემოაღნიშნულ პუნქტებში მითითებულ ერთ-ერთ პირობას);

ი) გარიგების ფასის კორექტირების დროს წარმოდგენილ უნდა იყოს შესაბამისი ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები;

კ) წარმოდგენილი ინვოისი და საბანკო საგადამხდელო დოკუმენტები უნდა შეესაბამებოდეს კონტრაქტის მონაცემებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიწოდების სხვადასხვა პირობების გათვალისწინებით (ინკოტერმ-

სი) გარიგების ფასი ხშირად არ ემთხვევა საბაჟო ღირებულებას. ამ და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით საჭირო ხდება განხორციელდეს გარიგების ფასის ან დეკლარირებული საბაჟო ღირებულების კორექტირება. გარიგების ფასის კორექტირებას ახორციელებს დეკლარანტი, ხოლო საბაჟო ღირებულებისას, როგორც ნესი, საბაჟო ორგანო.

გარიგების ფასის ან დეკლარირებული საბაჟო ღირებულების კორექტირება შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა მიზეზების და გარემოებების გამო სხვადასხვა დროს. კერძოდ:

ა) დეკლარანტის მიერ საქონლის საბაჟო ღირებულების დეკლარირების დროს;

ბ) დეკლარირებული საბაჟო ღირებულების კონტროლის დროს;

გ) საბაჟო გარანტიით საქონლის გაშვების დროს;

დ) საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების შემდეგ.

პირველი: საბაჟო ღირებულების დეკლარირების პროცესში დეკლარანტმა შეიძლება გარკვეული ხარჯები დაამატოს ინვოისში დაფიქსირებულ გარიგების ფასს. მაგ. თუ, ინვოისში მითითებულია გარიგების ფასი "EXW – 10000 ევრო", რაც იმას ნიშნავს, რომ ტრანსპორტირების ხარჯი არ არის შეტანილი გარიგების ფასში, მაშინ წარმოდგენილი სატრანსპორტო დოკუმენტის(ზედნადები, კონოსამენტი) მიხედვით დეკლარანტი ამატებს სატრანსპორტო მომსახურების თანხებს გარიგების ფასს და შეაქვს საბაჟო დეკლარაციაში.

მეორე: დეკლარირებული საბაჟო ღირებულების კორექტირება ხდება შესაბამისი საბაჟო ორგანოს მიერ. თუ, აღმოჩნდა, რომ დეკლარირებული საბაჟო ღირებულება არ შეესაბამება წარმოდგენილ დოკუმენტებს ან სხვადასხვა გარემოებების გამო დაფიქსირებული თანხა არ წარმოადგენს რეალურად გადახდილ ან გადასახდელ თანხას, მაშინ საბაჟო ორგანო ახორციელებს მის კორექტირებას ან სხვა მეთოდით განსაზღვრას.

მესამე: საბაჟო გარანტიით საქონლის გაშვების დროს საბაჟო ორგანო გარკვეულ ვადას აძლევს დეკლარანტს, რათა მან წარმოადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები (მაგ. საბანკო დოკუმენტები). თუ, დეკლარანტი წარმოადგენს ისეთ დოკუმენტს, რომლის მიხედვით მტკიცდება, რომ დეკლარირებული საბაჟო ღირებულება არ საჭიროებს კორექტირებას, მაშინ ხდება საბაჟო გარანტიის გაუქმება და გარიგების ფასის მიღება საბაჟო ორგანოს მიერ. იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი დოკუმენტით ვერ მტკიცდება საბაჟო ღირებულების უტყუარობა ან საერთოდ არ არის წარმოდგენილი ასეთი დოკუმენტი, მაშინ საბაჟო ორგანო ახორციელებს შესაბამის კორექტირებას ან საზღვრავს საბაჟო ღირებულებას სხვა მეთოდით.

მეოთხე: საბაჟო ორგანოებს უფლება აქვთ, რისკის სისტემის საფუძველზე და შესაბამისი შერჩევითობის პრინციპით განახორციელონ უკვე თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებული საქონლის საბაჟო ღირებულებების შემოწმება. ასეთ შემოწმებას პოსტაუდიტური კონტროლი ეწოდება. ანალოგიური შემოწმება შეიძლება თვითონ დეკლარანტებმაც განახორციელონ და ახლად აღმოჩენილი გარემოებებიდან გამომდინარე მიმართონ საბაჟო ორგანოს საბაჟო ღირებულების კორექტირების შესახებ.

გარიგების ფასს ან უკვე დეკლარირებულ საბაჟო ღირებულებას შეიძლება დაემატოს ან დააკლდეს მთელი რიგი ხარჯები, რაც რეალურად არის გაწეული ექსპორტიორის ან იმპორტიორის მიერ და, რაც არ არის შეტანილი გარიგების ფასში ან გამოსაქვითია მისგან. ამ ხარჯებს საბაჟო ღირებულების კორექტირების ელემენტები ეწოდება.

როგორც აღვნიშნეთ, არსებობს კორექტირების ელემენტების ორი სახე: გარიგების ფასზე დასამატებელი და მისგან გამოსაქვითი.

გარიგების ფასს შეიძლება დაემატოს:

ა) საკომისიო და საბროკერო ხარჯები, გარდა შეძენის საკომისიო ხარჯებისა. შეძენის საკომისიო ხარჯი ნიშნავს იმპორტიორის მიერ თავისი აგენტისათვის გადახდილ თანხებს, რომელიც დაკავშირებულია სასურველი საქონლის მოძიებასა და მარკეტინგულ საქმიანობასთან. მაგ. როდესაც იმპორტიორი ავალებს აგენტს ამა, თუ იმ საქონლის მოძიებას და შეძენას მსოფლიო ბაზარზე. რაც შეეხება ექსპორტიორის მიერ გაწეულ ანალოგიურ ხარჯებს, რომელიც დაკავშირებულია მის მიერ საქონლის გაყიდვასთან დაკავშირებით აგენტისათვის გადახდილ თანხებთან, იგი შედის საბაჟო ღირებულებაში. საბაჟო ღირებულებაში შედის აგრეთვე იმპორტიორის მიერ გაწეული ის საკომისიო ხარჯები, რომელიც გადახდილია იმპორტიორის მიერ ექსპორტიორის აგენტის სასარგებლოდ ექსპორტიორსა და იმპორტიორს შორის დადებული კონტრაქტის საფუძველზე;

ბ) კონტეინერების ღირებულება. აქ უნდა განვიხილოთ ორი სიტუაცია: პირველი, როდესაც საქონელი იყიდება ერთდროულად კონტეინერთან ერთად, ხოლო იმპორტი ხორციელდება ერთხელ, და მეორე, როდესაც საქონელი იყიდება ერთდროულად კონტეინერთან ერთად ხოლო იმპორტი ხორციელდება ნაწილ – ნაწილ ამავე მრავალჯერადი გამოყენების კონტეინერის საშუალებით.

პირველ შემთხვევაში კონტეინერის ღირებულება შევა საქონლის ღირებულებაში და დეკლარირდება, როგორც საქონლის საბაჟო ღირებულება, ხოლო, მეორე შემთხვევაში, თუ კონტრაქტი ითვალისწინებს კონტეინერის მრავალჯერად გამოყენებას ერთი სასაქონლო პარტიის ან მრავალი სასაქონლო პარტიის შემთხვევაში, მაშინ კონტეინერის ღირებულება პროპორციულად გადანაწილდება ამ კონტეინერით შემოტანილ საქონელთა საბაჟო ღირებულებებში;

გ) საქონლის შეფუთვის ღირებულება. შეფუთვის ღირებულებაში იგულისხმება ექსპორტიორის ან იმპორტიორის მიერ გაწეული ხარჯები შესაფუთი მასალებისა და შეფუთვის შრომის ანაზღაურების სახით. ამ შემთხვევაში საქონლის შეფუთვა უნდა განხორციელდეს საბაჟო საზღვრის გადაკვეთამდე. აქ იგულისხმება არა ვირტუალური, არამედ რეალური საბაჟო საზღვარი, თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში რეალური საბაჟო საზღვრის გადმოკვეთის შემდეგ სასაზღვრო საბაჟო ორგანოში(პორტში) გაწეული დანახარჯები შედის საბაჟო ღირებულებაში;

დ) საქონლის ჩამოტვირთვის, ჩატვირთვის, შენახვის ხარჯები. ეს პროცედურები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა მეთოდოლოგიით ემატება ან არ ემატება გარიგების ფასს. ასეთ მიდგომას უზრუნველყოფს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია. კერძოდ, ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით ქვეყნებს შეუძლიათ საბაჟო საზღვარზე ანუ ვირტუალურ საბაჟო საზღვარზე(საზღვაო პორტში ან აეროპორტში) გაწეული ზემოაღნიშნული ხარჯები შეიტანონ ან არ შეიტანონ საბაჟო ღირებულებაში. როგორც წესი, რეალური საბაჟო საზღვრის გადაკვეთამდე გაწეული აღნიშნული ხარჯები ემატება გარიგების ფასს, ხოლო რეალური საბაჟო საზღვრის გადმოკვეთის შემდგომი ხარჯები – არა;

ე) ტრანსპორტირების ხარჯები ვირტუალურ საბაჟო საზღვრამდე ანუ სასაზღვრო საბაჟო ორგანომდე;

ვ) დაზღვევის ღირებულება. დაზღვევის თანხა იმ შემთხვევაში შეიტანება საბაჟო ღირებულებაში, თუ იგი სავალდებულოა ინკოტერმსის მინოდების პირობების მიხედვით და რეალურად არის გადახდილი ან გადასახდელი. მაგ. DAF – მიწოდების პირობა არ მოითხოვს საქონლის დაზღვევას, ხოლო CIF – პირობა ამას ითვალისწინებს. შესაბამისად CIF – პირობით შემოტანილი საქონლის დროს, თუ დადგინდა, რომ დაზღვევის ღირებულება არ არის შეტანილი გარიგების ფასში, იგი უნდა დაემატოს მას;

ზ) მოგების ნაწილი, რომელიც კონტრაქტის მიხედვით უნდა გადაუხადოს საქონლის იმპორტიორმა ექსპორტიორს. თუ, იმპორტიორის მიერ გაყიდული საქონლის მოგების ნაწილი აბსოლუტური ციფრით არის დაფიქსირებული კონტრაქტში(მაგ. 100000 ევრო), მაშინ იგი დაემატება გარიგების ფასს;

თ) იმპორტირებული საქონლის წარმოებასთან დაკავშირებული და მყიდველის (იმპორტიორის) მიერ გამყიდველისადმი (ექსპორტიორისადმი) ან მწარმოებლისადმი უფასოდ ან ფასდაკლებით გადაცემული საქონლის ღირებულება, თუ ეს ღირებულება არ არის ჩართული გარიგების ფასში. აქ საქმე გვაქვს იმ ვითარებასთან, როდესაც იმპორტიორი წინასწარ აწვდის ექსპორტიორს ან მწარმოებელს შემდეგ საქონელს:

– იმპორტირებულ საქონელში ჩართული მასალები, კომპონენტები, ნაწილები და მსგავსი ელემენტები;

– ინსტრუმენტები, შტამპები, ფორმები და მსგავსი ელემენტები, რომელიც გამოყენებულია იმპორტირებული საქონლის წარმოების დროს;

– იმპორტირებული საქონლის წარმოებისას გამოყენებული მასალები;

– იმპორტიორი ქვეყნის ფარგლებს გარეთ წარმოებული ინჟინერია, დამუშავება, საკონსტრუქტორო და სამხატვრო – დიზაინერული საქმიანობა, მხაზველობითი სამუშაოები და ესკიზები, რაც საქონლის წარმოებისათვის არის განკუთვნილი;

ი) იმპორტირებულ საქონელთან დაკავშირებული საავტორო ჰონორარი ან სალიცენზიო თანხა, რომელიც მყიდველმა (იმპორტიორმა) უნდა გადაიხადოს პირდაპირ ან არაპირდაპირ, როგორც კონტრაქტში დაფიქსირებული საქონლის გაყიდვის პირობა. ამასთან ეს თანხები უნდა უკავშირდებოდეს იმპორტირებულ საქონელს და განიხილებოდეს ერთობლიობაში.

სალიცენზიო ხასიათის გადასახდელებს, რომელიც უნდა დაემატოს გარიგების ფასს მიეკუთვნება:

– საქონლის, სამრეწველო ნიმუშების, "ნოუ – ჰაუს" დამზადების უფლების საფასური;

– სასაქონლო ნიშნების, სამრეწველო ნიმუშების გაყიდვის უფლების საფასური;

– პატენტების, საავტორო უფლების, სამრეწველო ტექნოლოგიების გამოყენების ან გაყიდვის უფლების საფასური;

გარიგების ფასს შეიძლება გამოაკლდეს:

ა) სამშენებლო – სამონტაჟო სამუშაოების, აწყობის, მომსახურების ან გაწეული ტექნიკური დახმარების ხარჯები, რასაც ადგილი ჰქონდა საქონლის შემოტანის შემდეგ, ხოლო ეს იმპორტირებული საქონელი წარმოადგენს სანარმოო დანადგარებს, მანქანებს ან მოწყობილობებს. ეს ხარჯები გამოყოფილ უნდა იყოს ინვოისში ან შესაბამის დოკუმენტში ცალკე;

ბ) შემოტანის ტრანსპორტირების ხარჯები. ეს ხარჯებიც გამოყოფილ უნდა იყოს ცალკე;

გ) იმპორტიორი ქვეყნის გადასახადები და მოსაკრებლები. ეს შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მიწოდების პირობა არის DDჯ (მიწოდება საბაჟო გადასახდელების გადახდით მითითებულ დანიშნულების ადგილზე);

დ) ყველა ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია, შემოტანილი საქონლის მიმოქცევასთან;

ე) იმპორტიორის მიერ საქონლის ყიდვასთან დადებული საფინანსო შეთანხმებით გათვალისწინებული პროცენტები, თუ:

-ეს პროცენტები გამოყოფილია საქონლის ფასიდან;

– საფინანსო შეთანხმება შედგენილია წერილობითი ფორმით;

– საჭიროების შემთხვევაში იმპორტიორს შეუძლია დაადასტუროს, რომ საქონელი ფაქტობრივად გაყიდულია დეკლარირებული ფასით და საპროცენტო განაკვეთი არ აღემატება საშუალო საპროცენტო განაკვეთს, რომელიც დაფინანსების მომენტში მოქმედებს იმ ქვეყანაში, რომელშიც იმყოფება დამფინანსებელი პირი.

ზემოაღნიშნულ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს გარიგებას აფინანსებს გამყიდველი, ბანკი, თუ მესამე პირი. კერძოდ აქ შეიძლება გამოვყოთ სამი ტიპიური სიტუაცია:

– იმპორტიორს არა აქვს საქონლის შესყიდვის შესაბამისი თანხა და იგი იღებს კრედიტს ბანკიდან შესაბამისი საბანკო პროცენტით;

– იმპორტიორი განვადებით ანუ კომერციული კრედიტით ყიდულობს საქონელს ექსპორტიორისაგან, რაც კონტრაქტით გულისხმობს ყოველ შესაბამის დღეზე შესაბამის პროცენტს;

-ექსპორტიორი, მესამე პირისგან, იმპორტიორის სასარგებლოდ იღებს კრედიტს შესაბამისი პროცენტით;

ვ) წარმოშობის ან ექსპორტიორი ქვეყნის შიგა გადასახადები. იმპორტიორ ქვეყანას არ შეაქვს გადასახადები გარიგების ფასში, თუ ეს გადასახადები ექსპორტის დროს უბრუნდება ექსპორტიორს და შესაბამისად კონტრაქტის მიხედვით – იმპორტიორს. ამასთან ზოგიერთ იმპორტიორ ქვეყანას საერთოდ არ შეაქვს სხვა ქვეყანაში ექსპორტის დროს ექსპორტიორის მიერ გადახდილი და იმპორტიორის მიერ ანაზღაურებული ირიბი გადასახადები საბაჟო ღირებულებაში იმ მოტივით, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ექსპორტი არ უნდა იბეგრებოდეს ირიბი გადასახადებით, რადგანაც ირიბი გადასახადი მომხმარებლის გადასახადია და შესაბამისად ექსპორტის ირიბი გადასახადის ჩართვა საბაჟო ღირებულებაში ხელოვნურად ზრდის იმპორტის დროს ირიბი გადასახადებით დასაბეგრ ბაზას და ექსპორტის დროს დაბეგრილი საქონლის ფასი არ შეესაბამება ანალოგიური საქონლის მსოფლიო ბაზრის ფასებს. აქ შეიძლება პარარელი გავავლოთ იმ ხარჯებთან, რომელიც რეალურად გასწია იმპორტიორმა, მაგრამ არ შეიტანება საბაჟო ღირებულებაში. მაგ. იმპორტიორის მიერ გაწეული შესაბამისი საკომისიო ხარჯი ან მის მიერ საქონლის შესყიდვისთან დაკავშირებით გაწეული წარმომადგენლობითი ან მგზავრობისა და საყოფაცხოვრებო ხარჯები.

საბაჟო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც ესა თუ ის საქონელი საბაჟო ტერიტორიაზე შემოდის მნიშვნელოვანი ფასდაკლებით(და არა დემპინგით), რაც დაფიქსირებულია ინვოისში ან კონტრაქტში. ასეთ შემთხვევაში პირველ რიგში უნდა დადგინდეს, არიან თუ არა გამყიდველი და მყიდველი ურთიერთდაკავშირებული პირები. ამასთან უნდა დადგინდეს, რამდენად ობიექტურია პროცენტული ფასდაკლება. იმისათვის, რომ დადგინდეს ფასდაკლების გამომწვევი მიზეზები, საჭიროა ვიცოდეთ შესაბამისი მოტივაციები.

ჩვეულებრივ განასხვავებენ ხუთი სახის ფასდაკლებას:

ა) საქონლის რაოდენობის მიხედვით;

ბ) ექსკლუზიური აგენტის ფაქტორის მიხედვით;

გ) მუდმივი (რეგულარული) მყიდველის ფაქტორის მიხედვით;

დ) ახალი საქონლის ან სეზონის ფაქტორის მიხედვით;

ე) გადახდის დროის ფაქტორის მიხედვით.

საქონლის რაოდენობის მიხედვით ფასდაკლების დროს, გამყიდველი მყიდველს უკლებს საქონლის ფასს, თუ იგი იყიდის განსაზღვრული რაოდენობის საქონელს. მაგ. თუ, მყიდველი შეიძენს 10 ერთეულ საქონელს, მაშინ ამ საქონლის საბითუმო ფასი იქნება ჩვეულებრივი გაყიდვის პირობებით განსაზღვრული, ხოლო, თუკი მყიდველი შეიძენს 20 ერთეულ საქონელს, მაშინ გამყიდველი აკეთებს

5%-იან ფასდაკლებას, 50-ერთეულის ყიდვის დროს – 8%-იან ფასდაკლებას, 200 ერთეულის ყიდვის დროს 10%-იანს.

ექსკლუზიური აგენტის ფაქტორის მიხედვით ფასდაკლების დროს, შესაბამის კონტრაქტში დაფიქსირებულია, რომ მყიდველი არის გამყიდველის ექსკლუზიური აგენტი (დისტრიბუტორი, დილერი, ბროკერი და ა. შ). ამ შემთხვევაში ექსკლუზიურობის მონოპოლიური ფაქტორი საშუალებას იძლევა მყიდველმა გამყიდველისაგან ფასდაკლებით შეიძინოს საქონელი. ამასთან ექსკლუზიური აგენტობა ავტომატურად არ ნიშნავს „ურთიერთდაკავშირებულობას" და ამდენად შესაძლებელია ფასდაკლების გათვალისწინება (გამორიცხვა ღირებულებიდან). აქვე აღსანიშნავია, რომ ზოგიერთმა ქვეყანამ მიმართა ეაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციას, რათა ექსკლუზიური აგენტი ავტომატურად ჩაითვალოს ურთიერთდაკავშირებულ პირად საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მიზნებისათვის.

მუდმივი (რეგულარული) მყიდველის ფაქტორის მიხედვით ფასდაკლების დროს მყიდველი შეიძლება არ იყოს ექსკლუზიური აგენტი, მაგრამ იყოს მუდმივი მყიდველი. ასეთ შემთხვევაშიც შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ფასდაკლება, რადგანაც საქონლის რეგულარული (გარანტირებული) გაყიდვა განაპირობებს საბოლოო ჯამში იგივე რაოდენობრივი ფასდაკლებით გამოწვეულ ეფექტს, რაც მისაღებია გამყიდველისათვის.

ახალი საქონლის ან სეზონის ფაქტორის მიხედვით ფასდაკლების დროს გამყიდველმა მყიდველს შეიძლება მისცეს ფასდაკლება იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ გამყიდველი დაინტერესებულია რათა მის მიერ წარმოებული (შეძენილი) ახალი საქონელი შევიდეს სხვა ქვეყნის ბაზრებში და მოიპოვოს შესაბამისი სეგმენტი. ასევე გაითვალისწინება სეზონური ფასდაკლება(მაგ. ქურქის ფასი ზაფხულში).

გადახდის დროის ფაქტორის მიხედვით ფასდაკლების დროს გამყიდველი მყიდველს აძლევს ფასდაკლებას, თუ მყიდველი წინასწარ გადაუხდის საქონლის ფასს, ან, მაგ. მისცემს 3%-იან ფასდაკლებას, თუ გადახდა განხორციელდება საქონლის მიღების დღეს, ხოლო 1%-იან ფასდაკლებას – საქონლის მიღებიდან ერთ თვეში.

საბაჟო საზღვრის გადაკვეთის დროს აღირიცხება და იბეგრება (ანუ შესაბამისად განისაზღვრება საბაჟო ღირებულება) ისეთი საქონელი, რომელსაც ვიზუალურად ხილული, მატერიალური ფორმა აქვს, და რომლის აღრიცხვაც ფიზიკურად შესაძლებელია.

არამატერიალური ქონების მოძრაობა (მაგ. ფულადი გადარიცხვა, სატელეფონო კავშირი, გლობალური კომპიუტერული კავშირი ანუ ე.წ ინტერნეტი და სხვა) საბაჟო მოზნებისათვის მოუხელთებელია და შესაბამისად მისი ფიქსაცია – განსაზღვრა შეუძლებელია. მაგრამ არის ისეთი ინფორმაციის მოძრაობა, რომლის გადატანა საბაჟო საზღვარზე მატერიალური მატარებლების გარეშე არ არის მიზანშეწონილი. ასეთ ინფორმაციას განეკუთვნება გარკვეული მონაცემები და პროგრამული უზრუნველყოფის ინსტრუქციები, რომლებიც ჩაწერილია ინფორმაციის მატარებელ ტექნიკურ საშუალებებზე. ასეთი საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის დროს მხედველობაში არ მიიღება საკუთრივ ინფორმაციის ღირებულება, თუ შესაბამისი თანხა გამოყოფილია ინვოისში ცალკე – ინფორმაციის მატარებლის ღირებულებიდან. აქედან გამომდინარე საბაჟო ღირებულება ემყარება მხოლოდ ინფორმაციის მატარებლის, მაგ. კომპიუტერული დისკეტის ღირებულებას.

აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი ინფორმაცია ან ინფორმაციის მატარებელი არ შეიძლება განხილულ იქნას ზემოაღნიშნულ კატეგორიაში. ეს იმას ნიშნავს, რომ ინფორმაციის ზოგიერთი სახის მატარებლის იმპორტის დროს ან ზოგიერთი სახის ინფორმაციის არსებობის დროს საბაჟო ღირებულების განსაზღვრა ხდება მთლიანი ღირებულების საფუძველზე. Aამ შემთხვევაში ინფორმაციის ღირებულება არ გამოირიცხება მატარებლის საბაჟო ღირებულებიდან. ასეთ მატარებელს და ინფორმაციას განეკუთვნება:

ა) მიკროსქემები და ნახევარგამტარები;

ბ) მიკროსქემებისა და ნახევარგამტარების მსგავსი მოწყობილობები და საგნები, რომლებიც შეიცავენ ზემოაღნიშნულ მიკროსქემებსა და ნახევარგამტარებს;

გ) ხმოვანი, კინემატოგრაფიული ან ვიდეო ჩანაწერები (მაგ. მაგნიტურ დისკეტებზე, ფირებზე, მაგნიტურ ლენტებზე, კომპაქტდისკებზე, აუდიო – ვიდეო დისკეტებზე და სხვა).

თუ, შეუძლებელია იმ პირობებიდან, თუნდაც ერთ-ერთის შესრულება, რომლის მიხედვითაც უნდა განისაზღვროს საბაჟო ღირებულება გარიგების ფასის მიხედვით, მაშინ იყენებენ მეორე მეთოდს ანუ იდენტური საქონლის გარიგების ფასის საფუძველზე საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მეთოდს.

იმისათვის, რომ ამ მეთოდის საფუძველზე განისაზღვროს შემოტანილი საქონლის საბაჟო ღირებულება საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, დეკლარანტს ან საბაჟო ორგანოს გააჩნდეს ინფორმაცია იდენტური საქონლის გარიგების ფასების შესახებ. ამასთან უნდა განისაზღვროს იდენტური საქონ-

ლის ცნება.

იდენტური საქონელი ისეთ საქონელს წარმოადგენს, რომელიც თავისი მახასიათებლებით ზუსტად ისეთივეა, როგორც შესაფასებელი იმპორტირებული საქონელი. უმნიშვნელო გარეგნული განსხვავება, მაგ. ზომა, ეტიკეტი, ფერი მხედველობაში არ მიიღება. მახასიათებლებს, რომლის მიხედვითაც ხდება შესაფასებელი საქონლისა და იდენტური საქონლის შედარება შეიძლება ეწოდოს საიდენტიფიკაციო ნიშნები.

საქონელი ჩაითვლება იდენტურად შესაფასებელ საქონელთან მიმართებაში, თუ ერთდროულად არსებობს შემდეგი საიდენტიფიკაციო ნიშნები:

ა) ერთნაირი ფიზიკური მახასიათებლები;

ბ) ერთნაირი ხარისხი;

გ) ერთნაირი რეპუტაცია;

დ) ერთი და იგივე წარმოშობის ქვეყანა;

ე) ერთი და იგივე მწარმოებელი პირი (დასაშვებია სხვა მწარმოებელი პირიც, თუ ასეთი იდენტური საქონლის იგივე მწარმოებელი პირი არ მოიპოვება).

ფიზიკურ მახასიათებლებში შედის: საქონლის ზომა, ფორმა, ტექნიკური ნიშნები, სტანდარტი ანუ ყველა ის მახასიათებელი, რომლითაც მოცემულმა საქონელმა თავისი სამომხმარებლო ფუნქცია უნდა შეასრულოს.

საქონლის ხარისხი არის ის მახასიათებელი, რომლის საფუძველზეც მოცემულ საქონელს შეუძლია მეტ-ნაკლებად შეასრულოს თავისი სამომხმარებლო ფუნქციები. შეიძლება არსებობდეს ხარისხის გრადაცია: უმაღლესი, პირველი და ა.შ. აქვე შეიძლება გათვალისწინებულ იქნას კონსერვანტების შემცველობა და ეკოლოგიური სისუფთავე.

რეპუტაციის ქვეშ იგულისხმება მოცემული საქონლის სავაჭრო ნიშანი. სხვადასხვა სავაჭრო ნიშნის მქონე ორი საქონელი არ შეიძლება ჩაითვალოს ერთნაირი რეპუტაციის საქონლად.

საქონლის წარმოშობის ნიშნის მიხედვით იდენტური და შესაფასებელი საქონელი, ორივე წარმოშობილი უნდა იყოს ერთი და იგივე ქვეყანაში. ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ ზუსტად იგივე საქონელი, იმავე სავაჭრო მარკის მფლობელი ფირმის მიერ არის წარმოებული სხვა ქვეყანაში და იგი ითვლება ამ ქვეყანაში წარმოშობილად, ვიდრე შესაფასებელი საქონელი, მაშინ მოცემული საქონელი არ იქნება იდენტური.

ერთი და იგივე მწარმოებელი პირი ნიშნავს იურიდიულად იგივე პირს. მაგრამ შესაძლებელია, რომ იმპორტის ქვეყანაში ასეთი პირის მიერ წარმოებული საქონელი საერთოდ არ იყოს შემოტანილი. მაშინ გამოიყენება სხვა პირის მიერ წარმოებული იდენტური საქონელი.

იდენტური საქონლის გარიგების ფასის მიხედვით საბაჟო ღირებულების განსაზღვრის დროს აუცილებელია ერთდროულად შესრულდეს ორი პირობა. კერძოდ:

ა) საბაჟო ღირებულების განსაზღვრის საფუძვლად უნდა ჩაითვალოს იმ იდენტური საქონლის გარიგების ღირებულება, რომელიც ქვეყანაში იმპორტირებულ იქნა იმავე ან თითქმის იმავე დროს, როგორც წესი, არაუადრეს 90 დღისა (შესაძლებელია სხვა ვადების გამოყენებაც ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით) შესაფასებელი საქონლის იმპორტიდან. (ვმო-ის შეთანხმების მიხედვით თარიღი აითვლება არა შესაფასებელი საქონლის იმპორტიდან, არამედ ექსპორტიორ ქვეყანაში ექსპორტიდან, რაც, ცხადია ტრანსპორტირების დროსაც მოიცავს, რის შედეგადაც, რთულია ვადების დადგენის ადმინისტრირება შესაბამისი სატრანსპორტო დოკუმენტის საფუძველზე. ამის გამო მრავალი ქვეყანა ხელმძღვანელობს იმპორტის თარიღით, რაც არსებითად არ ცვლის საქმის ვითარებას). რაც შეეხება, 90 დღიან ვადას, იგულისხმება, რომ კვარტლის შუალედი ნაკლებად განაპირობებს იდენტურ საქონელთა ფასების რყევას;

ბ) ქვეყანაში იმპორტირებული საქონელი იმპორტიორს უნდა მიეყიდებოდეს ექსპორტიორისაგან იმავე კომერციულ (ფასების) და რაოდენობრივ დონეებზე, როგორც შესაფასებელი საქონელი. ამ შემთხვევაში საქონელთა ფასებისა და რაოდენობათა სიდიდე დაახლოებით ერთნაირი უნდა იყოს. თუ, ასეთ ფაქტს არ ექნება ადგილი, მაშინ შემდგომი კორექტირების პირობით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს იდენტური საქონლის შემდეგი გარიგების ფასები (გაყიდვები):

– გაყიდვა მიმდინარეობს იმავე კომერციულ დონეზე, მაგრამ სხვა ოდენობით;

– გაყიდვა მიმდინარეობს განსხვავებულ კომერციულ დონეზე, მაგრამ ძირითადად იმავე ოდენობით;

– გაყიდვა მიმდინარეობს განსხვავებულ კომერციულ დონეზე და საქონლის სხვა ოდენობით;

ზემოაღნიშნული სამი ფაქტორიდან ერთ-ერთის არსებობის დროს შესაძლებელია შესრულდეს შემდეგი სამი სახის კორექტირება;

– მხოლოდ რაოდენობრივი ფაქტორის კორექტირება:
– მხოლოდ კომერციული დონის ფაქტორის კორექტირება;
– კომერციული დონისა და რაოდენობრივი ფაქტორის კორექტირება.

თუ, საბაჟო ღირებულების დადგენა ხდება მეორე მეთოდით, ამ შემთხვევაში შესაძლებელია, რომ გამოვლინდეს იდენტური საქონლის გარიგების მრავალი ფასი. რომელი ფასი უნდა იქნეს გამოყენებული საბაჟო ღირებულების განსაზღვრის საფუძვლად – ყველაზე მაღალი, დაბალი, თუ საშუალო?

ზემოაღნიშნულ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს იდენტური საქონლის გარიგების უმცირესი ფასი. ეს მოთხოვნა მეტად პრინციპულია და იგი მიმართულია მეწარმეობის სასარგებლოდ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის აფრიკულმა ქვეყნებმა ვმო – ში წარადგინეს წინადადება, რათა ამ მეთოდის დროს საბაჟო ღირებულების განსაზღვრის საფუძვლად მიღებულ იქნას, არა უმცირესი, არამედ უდიდესი ღირებულება.

თუ, შეუძლებელია იმ პირობებიდან, თუნდაც ერთ-ერთის შესრულება, რომლის მიხედვითაც უნდა განისაზღვროს საბაჟო ღირებულება იდენტური საქონლის გარიგების ფასის მიხედვით, მაშინ იყენებენ მესამე მეთოდს ანუ მსგავსი საქონლის გარიგების ფასის საფუძველზე საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მეთოდს.

იმისათვის, რომ ამ მეთოდის საფუძველზე განისაზღვროს შემოტანილი საქონლის საბაჟო ღირებულება საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, დეკლარანტს ან საბაჟო ორგანოს გააჩნდეს ინფორმაცია მსგავსი საქონლის გარიგების ფასების შესახებ. ამასთან უნდა განისაზღვროს მსგავსი საქონლის ცნება.

მსგავსი საქონელი ისეთ საქონელს წარმოადგენს, რომელიც თავისი მახასიათებლებით ზუსტად ისეთივე არ არის, როგორც შესაფასებელი იმპორტირებული საქონელი, მაგრამ აქვს მსგავსი საიდენტიფიკაციო ნიშნები და ამავე დროს კომერციულად ჩანაცვლებადია. კომერციულად ჩანაცვლებადი აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ მსგავსი საქონლის და შესაფასებელი საქონლის ფასები დაახლოებით ერთნაირია.

საქონელი ჩაითვლება მსგავსად შესაფასებელ საქონელთან მიმართებაში, თუ ერთდროულად არსებობს შემდეგი საიდენტიფიკაციო ნიშნები:

ა) მსგავსი ფიზიკური მახასიათებლები;

ბ) მსგავსი ხარისხი;

გ) მსგავსი რეპუტაცია;

დ) ერთი და იგივე წარმოშობის ქვეყანა;

ე) ერთი და იგივე მწარმოებელი პირი (დასაშვებია სხვა მწარმოებელი პირიც, თუ ასეთი მსგავსი საქონლის იგივე მწარმოებელი პირი არ მოიპოვება).

დამატებითი პირობები, რაც აუცილებელია მსგავსი საქონლის საფუძველზე საბაჟო ღირებულების განსაზღვრისათვის–იდენტურია იმ პირობების და პრინციპების, რაც მოითხოვება მეორე მეთოდის–იდენტური საქონლის გარიგების ფასის გამოყენების დროს. ამასთან, როგორც იდენტური საქონლის გარიგების ფასის მიხედვით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის დროს, ამ შემთხვევაშიც მსგავსი საქონლის მრავალი გარიგების ფასის არსებობისას, გამოიყენება უმცირესი ღირებულება.

როდესაც, შეუძლებელია საბაჟო ღირებულების განსაზღვრა მსგავსი საქონლის გარიგების ფასის საფუძველზე, მაშინ იმპორტიორის სურვილის მიხედვით შეიძლება გამოყენებულ იქნას ერთეულის ან შედგენილი ღირებულების მეთოდები. ეს თანმიმდევრობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სარწმუნო ინფორმაცია აქვს იმპორტიორს ექსპორტიორისაგან შედგენილი ღირებულების მიზნებიდან გამომდინარე.

საქონლის ერთეულის ფასის მეთოდს ხშირად ლიტერატურაში უწოდებენ აგრეთვე გამოკლების მეთოდს.

ერთეულის ფასის მიხედვით საბაჟო ღირებულების დადგენის დროს იმპორტირებული შესაფასებელი საქონლის საბაჟო ღირებულება განისაზღვრება ერთეულის ფასის საფუძველზე, მაგრამ იგი არ შეიძლება დაემთხვეს ერთეულის ფასს. ერთეულის ფასი შეიძლება მიღებულ იქნეს საბაჟო ღირებულებად, მხოლოდ მისი კორექტირების შემდეგ.

საქონლის ერთეულის ფასი არის იმპორტირებული (იდენტური ან მსგავსი საქონელი მხოლოდ იმ აზრით, როდესაც შესაბამისი იდენტური ან მსგავსი საიდენტიფიკაციო ნიშნების მქონე საქონელი ვერ აკმაყოფილებს იდენტური ან მსგავსი საქონლის გარიგების ფასის მიხედვით შესაფასებელი საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის კრიტერიუმებს, აგრეთვე „იგივე კლასისა და ტიპის საქონელი") საქონლის საბაზრო ფასი იმპორტის ქვეყანაში, რომელიც ყალიბდება იმპორტის შემდეგ

ურთიერთდაუკავშირებელ გამყიდველსა და მყიდველს შორის საქონლის მაქსიმალურად დიდ პარტიებად პირველი გაყიდვის დროს.

ერთეულის ფასის მიხედვით საბაჟო ღირებულების განსაზღვრა უკავშირდება გარკვეული პირობების შესრულებას (რომელზეც ქვემოთ გვექნება მსჯელობა), ხოლო შემდეგ უნდა განხორციელდეს ერთეულის ფასის კორექტირება ანუ მოცემულ ფასს უნდა გამოაკლდეს მყიდველისა და გამყიდველის მიერ გაწეული შესაბამისი ხარჯები.

იმისათვის, რომ განხორციელდეს ერთეულის ფასის მიხედვით საბაჟო ღირებულების განსაზღვრა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი პირობები:

ა) საქონელი, რომლის ერთეულის ფასიც გამოიყენება შესაფასებელი საქონლის საბაჟო ღირებულების დასადგენად, უნდა იყოს იმპორტირებული(და არა ადგილობრივი წარმოების);

ბ) მყიდველი და გამყიდველი არ უნდა იყოს ურთიერთდაკავშირებული იმპორტის შემდგომ პირველ კომერციულ დონეზე ანუ პირველი საბითუმო მიყიდვის დროს;

გ) საქონელი, რომლის საფუძველზეც გაითვლება ერთეულის ფასი, შესაფასებელი საქონლის შეთანის იმავე ან თითქმის იმავე დროს(არაუადრეს 90 დღე) უნდა მიეყიდებოდეს მყიდველს უდიდესი ერთობლივი ოდენობით ანუ მაქსიმალურად დიდ საბითუმო პარტიებად;

დ) საქონელი, რომლის საფუძველზეც გაითვლება ერთეულის ფასი უნდა იყოს უცვლელ მდგომარეობაში, ე.ი უნდა იყიდებოდეს იგივე სასაქონლო სახით რა სახითაც იქნა იმპორტირებული, თუმცა შესაძლებელია მოცემული საქონელი არ იყიდებოდეს უცვლელი მდგომარეობით ანუ იგი შეიძლება იყოს ადგილობრივი გადამუშავების პროდუქტი. ამ შემთხვევაში ერთეულის ფასის დადგენის მიზნით გადამუშავების პროდუქტის ღირებულებას უნდა დააკლდეს ის დამატებული ღირებულება, რაც წარმოიშვა გადამუშავების შედეგად. ამასთან ერთეულის ფასი უნდა დადგინდეს იმ პირობით, რომ გადამუშავების პროდუქტები ქვეყანაში იყიდება ურთიერთდაუკავშირებელ მყიდველსა და გამყიდველს შორის მაქსიმალურად დიდ პარტიებად;

ე) თუ, შესაბამისი საქონელი, რომლის საფუძველზეც უნდა დადგინდეს საქონლის ერთეულის ფასი, არ შეიცავს იდენტური ან მსგავსი საქონლის საიდენტიფიკაციო ნიშნებს, მაშინ ერთეულის ფასი და შესაბამისად საბაჟო ღირებულება შეიძლება დადგინდეს „იგივე კლასისა და ტიპის" საქონლის საფუძველზე. „იგივე კლასისა და ტიპის" საქონელი არ არის, არც იდენტური და არც მსგავსი. იგი მაქსიმალურად მიახლოებული უნდა იყოს შესაფასებელი საქონლის მახასიათებლებთან და უნდა მიეკუთვნებოდეს შესაფასებელი საქონლის სახეობის ვიწრო ჯგუფს, რიგს და ნომენკლატურას. ამასთან აქ, წარმოშობის ქვეყანა შეიძლება არ იყოს გათვალისწინებული, როგორც ერთ-ერთი საიდენტიფიკაციო ნიშანი. (მაგ. „იგივე კლასისა და ტიპის" საქონელი შეიძლება იყოს კარაქი და მარგარინი, ერბო და ზეთი და ა.შ).

საქონლის ერთეულის ფასის კორექტირება ნიშნავს იმ ფაქტს, რომ შესაბამისი საქონელი, რომლის საფუძველზეც უნდა დადგინდეს საბაჟო ღირებულება, „გავწმინდოთ" იმ ხარჯებისაგან და დამატებებისაგან, რაც მან განიცადა ქვეყანაში იმპორტის შემდეგ. ხარჯები და დამატებები, რომელიც გამოიქვითება ერთეულის ფასიდან, შემდეგია:

ა) ყველა ხარჯი, რაც გასწია გამყიდველმა (იმპორტიორმა) იმპორტის ქვეყანაში საქონლის გაყიდვასთან დაკავშირებით (მიმოქცევის ხარჯები);

ბ) გამყიდველის (იმპორტიორის) სავაჭრო მოგება, რაც ჩართულია რეალიზებული საქონლის ფასში;

გ) სატრანსპორტო და სადაზღვევო ხარჯები, რაც უკავშირდება ქვეყნის საბაჟო საზღვრის გადმოკვეთის შემდგომ ხარჯებს;

დ) ყველა გადასახადი (პირდაპირი და ირიბი) და მოსაკრებელი, რაც დაწესებულია იმპორტიორი ქვეყნის კანონმდებლობით;

ე) საფინანსო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტი;

ვ) გადამუშავების შედეგად შექმნილი ზედმეტი ღირებულება.

შედგენილი ღირებულების მიხედვით საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მეთოდი გამოიყენება მაშინ, როდესაც შეუძლებელია საბაჟო ღირებულების განსაზღვრა მსგავსი საქონლის გარიგების ფასის მიხედვით, რადგანაც ერთეულისა და შედგენილი ფასების გამოყენების თანმიმდევრობა იმპორტიორის პრეროგატივაა.

შედგენილი ღირებულების მეთოდს, ზოგჯერ შეჯამების მეთოდს უწოდებენ.

შედგენილი ღირებულება არის ექსპორტიორის, საექსპორტო საქონლის მწარმოებლის ან/და იმპორტიორის ხარჯებისა და დანამატების ჯამი. მარტივად, რომ ვთქვათ შედგენილი ღირებულება არის საქონლის წარმოებისა და ექსპორტირების ხარჯები იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო საზღვრამდე

ექსპორტიორის მოგების გათვალისწინებით.

შედგენილი ღირებულებისა და ერთეულის ფასის მეთოდები დიამეტრალურად საწინააღმდეგო მეთოდებია ხარჯების კალკულაციის თვალსაზრისით. კერძოდ, ერთეულის ფასის გამოყენების დროს შესაფასებელი საქონლის საბაჟო ღირებულება დგინდება იმპორტიორ ქვეყანაში საქონლის შიგა მიწოდების დროს ამ საქონლის ფასზე შესაბამისი ელემენტების გამოკლებით, ხოლო შედგენილი ღირებულების გამოყენების დროს – იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო საზღვრამდე საქონლის შემოტანის ელემენტების შეჯამებით. პირველ შემთხვევაში ხარჯები და მოგება (შიგა გადაყიდვის) აკლდება საქონლის ერთეულის ფასს, ხოლო მეორე შემთხვევაში – პირიქით, ხარჯები და მოგება (ექსპორტიორის) იკრიბება და ხდება „ღირებულების შედგენა ანუ შეჯამება" შესაბამისი ელემენტების მიხედვით.

არსებობს რამოდენიმე პირობა, რომელიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს შედგენილი ღირებულების მიხედვით საბაჟო ღირებულების განსაზღვრის დროს. ეს პირობებია:

ა) როგორც წესი, მყიდველი და გამყიდველი ურთიერთდაკავშირებული პირები არიან. ვინაიდან საქონლის მწარმოებლის მიერ საბაჟო ორგანოში მიწოდებული ინფორმაცია კონფიდენციალურია, საბაჟო ორგანო ვერ დაავალდებულებს მწარმოებელს (მითუმეტეს სხვა ქვეყნის რეზიდენტს) მიაწოდოს ეს ინფორმაცია. ამდენად, თუ მყიდველი და გამყიდველი ურთიერთდაკავშირებულნი არიან, მაშინ იმპორტიორს შეუძლია წარმოადგინოს ინფორმაცია პარტნიორი ექსპორტიორი პირისაგან საწარმოო დანახარჯებისა და მოგების შესახებ;

ბ) შედგენილი ღირებულების დასადგენად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს არა მხოლოდ იმპორტიორის მიერ წარმოდგენილი საქონლის მწარმოებლის შესაბამისი ინფორმაცია, არამედ იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო ორგანოს მიერ მოპოვებული სხვა მწარმოებლის ინფორმაციაც. ასეთ შემთხვევაში იმპორტიორს, თუკი მან მოითხოვა, ეცნობება ინფორმაციის წყაროსა და შესაბამისი ელემენტების შესახებ;

გ) სხვა მწარმოებლისაგან მიღებული ინფორმაციის დროს შესაბამისი საქონელი უნდა აკმაყოფილებდეს „იგივე კლასისა და ტიპის საქონლის" მოთხოვნებს;

დ) „იგივე კლასისა და ტიპის საქონელი" უნდა იყოს იმ ქვეყანაში წარმოშობილი, რომელშიც არის წარმოშობილი შესაფასებელი საქონელი.

შედგენილი ღირებულების ელემენტებია:

ა) იმპორტირებული საქონლის წარმოებისათვის გამოყენებული მასალების, ნედლეულისა და დაზადების ღირებულება;

ბ) ექსპორტიორის მოგება და გაყიდვის ხარჯები;

გ) საკომისიო და საბროკერო ხარჯები, გარდა შეძენის საკომისიო ხარჯებისა;

დ) კონტეინერების ღირებულება, თუ საქონელი განიხილება კონტეინერთან ერთობლიობაში;

ე) საქონლის შეფუთვის ღირებულება;

ვ) საქონლის ჩამოტვირთვის, ჩატვირთვის, შენახვის ხარჯები;

ზ) ტრანსპორტირების ხარჯები ვირტუალურ საბაჟო საზღვრამდე ანუ სასაზღვრო საბაჟო ორგანომდე;

თ) დაზღვევის ღირებულება;

ი) მოგების ნაწილი, რომელიც კონტრაქტის მიხედვით უნდა გადაუხადოს საქონლის იმპორტიორმა ექსპორტიორს;

კ) იმპორტირებული საქონლის წარმოებასთან დაკავშირებული და მყიდველის (იმპორტიორის) მიერ გამყიდველისადმი (ექსპორტიორისადმი) ან მწარმოებლისადმი უფასოდ ან ფასდაკლებით გადაცემული საქონლის ღირებულება, თუ ეს ღირებულება არ არის ჩართული გარიგების ფასში;

ლ) იმპორტირებულ საქონელთან დაკავშირებული საავტორო ჰონორარი ან სალიცენზიო თანხა, რომელიც მყიდველმა (იმპორტიორმა) უნდა გადაიხადოს პირდაპირ ან არაპირდაპირ, როგორც კონტრაქტში დაფიქსირებული საქონლის გაყიდვის პირობა.

სარეზერვო მეთოდი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია საქონლის ერთეულის ფასის ან შედგენილი ღირებულების მეთოდების გამოყენება. სარეზერვო მეთოდის გამოყენების დროს დეკლარანტი ან საბაჟო ორგანო უნდა ეყრდნობოდეს ადრე უკვე განსაზღვრულ საბაჟო ღირებულებებს.

სარეზერვო მეთოდის დროს შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც საბაჟო ორგანოს შესაბამისი საინფორმაციო წყაროები ადრე უკვე განსაზღვრული საბაჟო ღირებულებების შესახებ, ასევე მსოფლიო საბირჟო, სააუქციონო და სხვა ხელმისაწვდომი და გამოქვეყნებული ფასები. ამასთან ზოგიერთ ქვეყანაში ცენტრალური საბაჟო ორგანოები უგზავნიან მათდამი დაქვემდებარებულ ადგილობრივ საბაჟო ორგანოებს შესაბამისი ფასების სისტემას, რომელიც დგინდება სარეზერვო მეთოდის

გამოყენებისათვის და, რომელიც მიახლოებულია ადრე უკვე გაშვებული საქონლის საბაჟო ღირებულებებთან. თავის მხრივ ადგილობრივი საბაჟო ორგანოები ამ ინფორმაციას უგზავნიან დეკლარანტებს.

სარეზერვო მეთოდის გამოყენების ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა საექსპერტო დასკვნების საფუძველზე საბაჟო ღირებულების განსაზღვრა.

სარეზერვო მეთოდის დროს შეიძლება გამოყენებულ იქნეს ზოგიერთი წინა მეთოდის პრინციპები მოქნილად ანუ ლიბერალურად რიგი ფაქტორების და პრინციპების დარღვევით (გაუთვალისწინებლად).

ქვემოთ განვიხილოთ ეს შემთხვევები:

ა) იდენტური საქონლის დროს:

– მხედველობაში არ მიიღება იდენტური საქონლის ექსპორტის(იმპორტის) ვადა. მაგ. იდენტური საქონელი შეიძლება იმპორტირებულ იქნეს არა 90, არამედ 180 დღის წინ, ვიდრე სარეზერვო მეთოდით შესაფასებელი საქონელი;

– მხედველობაში არ მიიღება იდენტური საქონელი წარმოშობილია, თუ არა შესაფასებელი საქონლის წარმოშობის ქვეყანაში;

– შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე, იდენტური იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულება, რომელიც ადრე უკვე განსაზღვრულია ერთეულის ფასის ან შედგენილი ღირებულების მეთოდების გამოყენებით;

ბ) მსგავსი საქონლის დროს:

– მხედველობაში არ მიიღება მსგავსი საქონლის ექსპორტის(იმპორტის) ვადა. მაგ. მსგავსი საქონელი შეიძლება იმპორტირებულ იქნეს არა 90, არამედ 180 დღის წინ, ვიდრე სარეზერვო მეთოდით შესაფასებელი საქონელი;

– მხედველობაში არ მიიღება მსგავსი საქონელი წარმოშობილია, თუ არა შესაფასებელი საქონლის წარმოშობის ქვეყანაში;

– შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე, მსგავსი იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულება, რომელიც ადრე უკვე განსაზღვრულია ერთეულის ფასის ან შედგენილი ღირებულების მეთოდების გამოყენებით;

გ) ერთეულის ფასის დროს:

– შემოტანილი, საქონელი (რომლის ერთეულის ფასიც უნდა დადგინდეს) შეიძლება არ იყიდებოდეს იმავე მდგომარეობაში, რომელშიც იგი იმყოფებოდა შემოტანის დროს;

– 90 – დღიანი შეზღუდვაც თავისუფლად შეიძლება იქნეს გამოყენებული (მაგ. 200 დღე).

სარეზერვო მეთოდის გამოყენების დროს არ შეიძლება საბაჟო ღირებულების განსაზღვრის საფუძვლად აღებულ იქნეს შემდეგი პარამეტრები:

ა) იმპორტიორ ქვეყანაში წარმოებული საქონლის შიგა გასაყიდი ფასი;

ბ) სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საბაჟო მიზნებისათვის ორ ღირებულებას შორის უფრო დიდი ღირებულების მიღებას;

გ) საქონლის ფასი ექსპორტიორი ქვეყნის შიგა ბაზარზე;

დ) წარმოების ხარჯი, გარდა შედგენილი ღირებულებისა, რომელიც განსაზღვრულია იდენტური ან მსგავსი საქონლისათვის შესაბამისი კორექტირებების გათვალისწინებით;

ე) სხვა ქვეყანაში საექსპორტოდ გასატანი საქონლის ფასი;

ვ) მინიმალური საბაჟო ღირებულებები;

ზ) თვითნებურად შერჩეული ან ფიქტიური ღირებულებები.

22.5 საქონლის მიწოდების პირობები (ინკოტერმს – 2010)

დღეის მდგომარეობით მოქმედებს ინკოტერმს – 2010-ის მოდიფიცირებული ვარიანტი, რომელიც ძალაში შევიდა 2011 წლის 1 იანვარს. ძველი 2010 წლის ინკოტერმსიდან გაუქმდა მიწოდების 4 პირობა და მათ ნაცვლად შემოვიდა მიწოდების ორი პირობა. კერძოდ, მიმოქცევიდან ამოვარდა მიწოდების შემდეგი პირობები: DAF, DES, DDU და DEQ, ხოლო მიმოქცევაში შემოვიდა – DAP და DAT. ამასთან, DAP-მა შეცვალა DAF, DES, DDU, ხოლო DAT-მა – DEQ.

ტერმინი „ინკოტერმსი" აბრევიატურაა (INCOTERMS – International Commerce Terms) და ნიშნავს „საერთაშორისო კომერციულ ტერმინებს". იგი ძირითადად, საბაჟო მიზნებისთვის გამოიყენება საბაჟო ღირებულების გაანგარიშების თვალსაზრისით. დღეისათვის არსებობს საქონლის მიწოდების 11 საერთაშორისო პირობა, რომელიც შესაბამისად ასახულია 11 ტერმინში.

ინკოტერმსს გააჩნია შემდეგი ძირითადი ფუნქციები:

ა) საერთაშორისო ვაჭრობაში საქონლის გამყიდველსა და მყიდველს შორის ხარჯებისა და მიწოდების ადგილის თვალსაზრისით ვალდებულებათა მკაფიო გამიჯვნა;

ბ) საბაჟო ღირებულების განსაზღვრის დროს ღირებულების კორექტირება;

გ) ადვალური კრიტერიუმის მიხედვით საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის დროს საქონლის ღირებულებითი ხვედრითი წილის დადგენა;

დ) საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკაში საქონლის ღირებულებითი აღრიცხვა.

ინკოტერმსი პირველად მიღებულ იქნა საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ 1936 წელს მყიდველსა და გამყიდველს შორის სავაჭრო დავების მოწესრიგებისა და მათ შორის სავაჭრო გარიგებების უნიფიცირების და საქონლის მიწოდების ერთიანი სტანდარტების განსაზღვრის მიზნით. შემდგომში საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების საფუძველზე ინკოტერმსმა განიცადა ცვლილება 1953, 1967, 1976, 1980, 1990 და 2000 წლებში.

მიწოდების დასახელებული პირობები ხელს აძლევს მყიდველსა და გამყიდველს კონტრაქტში გამიჯნონ თავიანთი უფლებები და ვალდებულებები. მაგ. EXW – მიწოდების პირობის დროს გამყიდველის ძირითადი ვალდებულებაა საქონელი მიაწოდოს მყიდველს (ან მის წარმომადგენელს) თავის სანარმოში, ხოლო მყიდველის ძირითადი ვალდებულებაა გამყიდველის საწარმოში მიღებული საქონელი თავისი ხარჯებით და რისკით ჩაიტანოს დანიშნულების ადგილამდე.

საბაჟო ღირებულების განსაზღვრის თვალსაზრისით მიწოდების პირობა გულისხმობს გარკვეული ხარჯების დაფიქსირებას გამყიდველის მხრიდან, რაც საფუძველი ხდება გაანგარიშებულ იქნეს მყიდველის ხარჯები. მაგ. ინკოისში ან კონტრაქტში დაფიქსირებულია მიწოდების პირობა-ეXW – მიწოდება ქარხნიდან. ამ შემთხვევაში გარიგების ფასში არ არის დაფიქსირებული ქარხნის შემდგომი საქონლის ტრანსპორტირების და სხვა ხარჯები, რომელიც გაწეული აქვს მყიდველს. ამდენად, EXW – მიწოდებით განსაზღვრულ გარიგების ფასს უნდა დაემატოს მყიდველის მიერ გაწეული შემდგომი ხარჯები, რათა დადგინდეს საქონლის საბაჟო ღირებულება.

საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის დროს მიწოდების პირობების გამოყენებას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც ხორციელდება წარმოშობის ქვეყნის დადგენა ადვალური წილის კრიტერიუმის დროს. ამ შემთხვევაში საქონლის საერთო ღირებულებაში იმპორტირებული მზა პროდუქციის ღირებულება განისაზღვრება EXW – ღირებულების ან ექსპორტის საბაჟო ღირებულების მიხედვით.

საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკაში საქონლის ღირებულებითი აღრიცხვა, როგორც წესი, ხორციელდება ინკოტერმსის ორი პირობის გამოყენებით: იმპორტის დროს CIF, ხოლო ექსპორტის დროს FOB – ღირებულების მიხედვით.

ქვემოთ განვიხილოთ ცალკეული მიწოდების პირობების ძირითადი მახასიათებელი ფაქტორები.

EXW (EX Works(... named place))
ფრანკო ქარხანა(... დასახელებული ადგილი)

საქონლის მიწოდების ამ პირობის მიხედვით გამყიდველი მყიდველს საქონელს გადასცემს თავის სანარმოში – ქარხანაში, ფაბრიკაში, საწყობში და ა.შ. ამ დროს გამყიდველი პასუხს არ აგებს გადაცემის შემდეგ საქონლის ჩატვირთვაზე სატრანსპორტო საშუალებაში. ამასთან საქონლის გადაცემის შემდეგ ყველა ვალდებულება(ტრანსპორტირება, რისკები, საბაჟო პროცედურები) ეკისრება მყიდველს.

იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი და გამყიდველი შეთანხმდებიან მიწოდების ამ პირობის ფარგლებში გამყიდველმა გაწიოს ჩატვირთვის ხარჯები, მაშინ ეს დამატებულ უნდა იქნეს შესაბამის კონტრაქტში.

ამ შემთხვევაში ექსპორტის საბაჟო პროცედურების ჩატარების ვალდებულება ეკისრება მყიდველს.

იმ შემთხვევაში, თუ მყიდველს არ შეუძლია პირდაპირ ან არაპირდაპირ განახორციელოს ექსპორტის საბაჟო პროცედურები, მაშინ ეს ტერმინი არ გამოიყენება და მის ნაცვლად მიწოდება უნდა განხორციელდეს FCA პირობით, ხოლო გამყიდველმა უნდა გასწიოს საქონლის გადატვირთვის ხარჯები.

გადაზიდვა ხდება ნებისმიერი სახის ტრანსპორტით.

გამყიდველი:

ა) ვალდებულია გადასცეს საქონელი და ინვოისი მყიდველს დასახელებულ ადგილზე;

ბ) ვალდებულია მყიდველის თხოვნით და მისი ხარჯებით დაეხმაროს მყიდველს ექსპორტის

დეკლარაციის ან სხვა აუცილებელი დოკუმენტის მოპოვებაში;

გ) არ არის ვალდებული გააფორმოს საქონლის გადაზიდვის კონტრაქტი;

დ) არ არის ვალდებული გააფორმოს საქონლის დაზღვევის კონტრაქტი;

ე) ვალდებულია გასწიოს ყველა ხარჯი და რისკი საქონლის გადაცემამდე;

ვ) ვალდებულია აცნობოს მყიდველს საქონლის გადაცემის დროისა და ადგილის შესახებ;

ზ) არ არის ვალდებული წარადგინოს მიწოდების მტკიცებულებები, სატრანსპორტო დოკუმენტები ან ეკვივალენტური ელექტრონული ცნობები;

თ) ვალდებულია შეამოწმოს საქონლის წონა, შეფუთვა, რაოდენობა, ხარისხი და თავისი ხარჯით შეფუთოს საქონელი და გაუკეთოს მარკირება;

ი) ვალდებულია მყიდველის თხოვნის საფუძველზე და ამ უკანასკნელის ხარჯითა და რისკით დაეხმაროს მყიდველს სახვა შესაბამისი დოკუმენტების მოპოვებაში.

მყიდველი:

ა) ვალდებულია გადაიხადოს კონტრაქტით გათვალისწინებული საქონლის ფასი;

ბ) ვალდებულია თავისი ხარჯებით მოიპოვოს ექსპორტის (იმპორტის) ლიცენზია და სხვა აუცილებელი დოკუმენტები და საჭიროების შემთხვევაში შეასრულოს ექსპორტის საბაჟო პროცედურები;

გ) ვალდებულია თავისი ხარჯით გადაზიდის საქონელი გადაცემის ადგილიდან;

დ) არ არის ვალდებული გააფორმოს საქონლის დაზღვევის კონტრაქტი;

ე) ვალდებულია საქონელი მიიღოს თავის განკარგულებაში დასახელებულ ადგილზე მისი გადაცემის მომენტიდან;

ვ) ვალდებულია გასწიოს ყველა ხარჯი (მათ შორის ექსპორტის საბაჟო გადასახდელები) და რისკი დასახელებულ ადგილზე საქონლის გადაცემის მომენტიდან;

ზ) ვალდებულია აცნობოს გამყიდველს საქონლის მიღების თარიღის შესახებ, თუ წინასწარ შეთანხმებული იყო მიღების გარკვეული ვადა;

თ) ვალდებულია აცნობოს გამყიდველს საქონლის მიღების შესახებ;

ი) ვალდებულია გასწიოს ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია ექსპორტის დროს საქონლის დათვალიერებასთან(მაგ. გახსნა, გადმოტვირთვა, გადატვირთვა, ჩატვირთვა, დათვლა და ა.შ) თუ, გამყიდველთან კონტრაქტით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული (ანუ შეიძლება ეს ხარჯები გამყიდველმა გაწიოს კონტრაქტის მიხედვით);

კ) ვალდებულია გადაიხადოს ყველა ის გადასახდელი, რომელიც აუცილებელია ექსპორტის საბაჟო დოკუმენტაციის მოპოვებისათვის(ლიცენზია, საბაჟო დეკლარაცია, წარმოშობის სერტიფიკატი და სხვა).

FCA (Free Carrier(... named place))

ფრანკო გადამზიდველი(... დასახელებული ადგილი)

საქონლის მიწოდების ამ პირობის მიხედვით გამყიდველი გადასცემს მყიდველის მიერ დასახელებულ გადამზიდველს, დასახელებულ ადგილზე საქონელს, რომელსაც უკვე გაელილი აქვს საბაჟო პროცედურები.

იმ შემთხვევაში, თუ მიწოდება ხორციელდება გამყიდველის შენობაში, მაშინ ჩატვირთვის ხარჯებს კისრულობს გამყიდველი, ხოლო, თუ სხვა ადგილზე ხდება საქონლის მიწოდება მაშინ–არა.

გადამზიდველის ტერმინი ამ შემთხვევაში ნიშნავს მყიდველის მიერ დასახელებულ ნებისმიერ პირს, რომელსაც მყიდველთან დადებული აქვს გადაზიდვის ხელშეკრულება.

ამ შემთხვევაში ექსპორტის საბაჟო პროცედურების განხორციელება ეკისრება გამყიდველს.

გადაზიდვა ხდება ნებისმიერი სახის ტრანსპორტით.

გამყიდველი:

ა) ვალდებულია გადასცეს საქონელი და ინვოისი მყიდველს დასახელებულ ადგილზე;

ბ) ვალდებულია თავისი ხარჯით და რისკით მოიპოვოს ექსპორტის ლიცენზია და სხვა აუცილებელი დოკუმენტები და განახორციელოს ექსპორტის ყველა საბაჟო პროცედურა;

გ) არ არის ვალდებული გააფორმოს საქონლის გადაზიდვის კონტრაქტი, თუმცა საქონლის ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტის მიხედვით შეიძლება გამყიდველმა დადოს გადამზიდველთან გადაზიდვის კონტრაქტი მყიდველის ხარჯებით და რისკებით;

დ) არ არის ვალდებული გააფორმოს საქონლის დაზღვევის კონტრაქტი;

ე) ვალდებულია გასწიოს ყველა ხარჯი და რისკი საქონლის გადაცემამდე;

ვ) ვალდებულია აცნობოს მყიდველს საქონლის გადაცემის დროისა და ადგილის შესახებ;

ზ) ვალდებულია წარუდგინოს მყიდველს მიწოდების მტკიცებულების სახით სატრანსპორტო დოკუმენტები ან ელექტრონული ცნობები;

თ) ვალდებულია შეამოწმოს საქონლის წონა, შეფუთვა, რაოდენობა, ხარისხი და თავისი ხარჯით შეფუთოს საქონელი და გაუკეთოს მარკირება;

ი) ვალდებულია მყიდველის თხოვნის საფუძველზე და ამ უკანასკნელის ხარჯითა და რისკით დაეხმაროს მყიდველს სხვა შესაბამისი დოკუმენტების მოპოვებაში;

კ) ვალდებულია გადაიხადოს ექსპორტის საბაჟო გადასახდელები.

მყიდველი:

ა) ვალდებულია გადაიხადოს კონტრაქტით გათვალისწინებული საქონლის ფასი;

ბ) ვალდებულია თავისი ხარჯებით მოიპოვოს იმპორტის ლიცენზია და სხვა აუცილებელი დოკუმენტები და საჭიროების შემთხვევაში შეასრულოს იმპორტის ან ტრანზიტის საბაჟო პროცედურები;

გ) ვალდებული თავისი ხარჯებით გადაზიდოს საქონელი გადაცემის ადგილიდან;

დ) არ არის ვალდებული გააფორმოს საქონლის დაზღვევის კონტრაქტი;

ე) ვალდებულია საქონელი მიიღოს თავის განკარგულებაში დასახელებულ ადგილზე მისი გადაცემის მომენტიდან;

ვ) ვალდებულია გასწიოს ყველა ხარჯი (მათ შორის იმპორტის ან ტრანზიტის საბაჟო გადასახდელები) და რისკი დასახელებულ ადგილზე საქონლის გადაცემის მომენტიდან;

ზ) ვალდებულია აცნობოს გამყიდველს საქონლის მიღების თარიღის შესახებ, თუ წინასწარ შეთანხმებული იყო მიღების გარკვეული ვადა, აგრეთვე გადამზიდველისა და საქონლის მიღების ადგილის შესახებ;

თ) ვალდებულია მიიღოს გამყიდველისაგან საქონლის მიწოდების შესახებ მტკიცებულებები (სატრანსპორტო ზედდებული და სხვა);

ი) ვალდებულია გასწიოს ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია საქონლის დათვალიერებასთან (მაგ. გახსნა, გადმოტვირთვა, გადატვირთვა, ჩატვირთვა, დათვლა და ა.შ), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი დათვალიერება მოითხოვება ექსპორტიორი ქვეყნის მიერ(ამ უკანასკნელ ხარჯებს კისრულობს გამყიდველი);

კ) ვალდებულია გადაიხადოს ყველა ის გადასახდელი, რომელიც აუცილებელია ამ საქონლის იმპორტის ან ტრანზიტის საბაჟო დოკუმენტაციის მოპოვებისათვის.

CPT (Carriage Paid To(... named place of destination))
ფრახტი/გადაზიდვა გადახდილია...მდე(... მითითებული დანიშნულების ადგილი)

საქონლის მიწოდების ამ პირობის მიხედვით გამყიდველი საქონელს აწვდის მის მიერ დასახელებულ გადამზიდველს. ამასთან გამყიდველი იხდის მითითებულ დანიშნულების ადგილამდე საქონლის ტრანსპორტირების ხარჯებს, ხოლო გადამზიდველისათვის საქონლის გადაცემის მომენტიდან საქონლის დაზიანების ან დაკარგვის ყველა რისკს ეწევა საქონლის მყიდველი.

ამ შემთხვევაში ექსპორტის საბაჟო პროცედურების ჩატარების ვალდებულება ეკისრება გამყიდველს.

გადაზიდვა ხდება ნებისმიერი სახის ტრანსპორტით.

გამყიდველი:

ა) ვალდებულია გადასცეს საქონელი და ინვოისი მყიდველს ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტის მიხედვით;

ბ) ვალდებულია თავისი ხარჯით და რისკით მოიპოვოს ექსპორტის ლიცენზია და სხვა აუცილებელი დოკუმენტები და განახორციელოს საჭიროების შემთხვევაში ექსპორტის ყველა საბაჟო პროცედურა;

გ) ვალდებულია გააფორმოს საქონლის გადაზიდვის კონტრაქტი და გაწიოს ტრანსპორტირების ხარჯები დანიშნულების ადგილამდე;

დ) არ არის ვალდებული გააფორმოს საქონლის დაზღვევის ხელშეკრულება;

ე) ვალდებულია საქონელი გადასცეს იმ გადამზიდველს, რომელთანაც მას აქვს დადებული გადაზიდვის ხელშეკრულება;

ვ) ვალდებულია გასწიოს საქონლის დაზიანების ან დაკარგვის ყველა რისკი საქონლის გადამზიდველამდე გადაცემის მომენტამდე;

ზ) ვალდებულია გასწიოს ყველა ხარჯი საქონლის გადამზიდველამდე გადაცემამდე (ტრანსპორტირება, გადატვირთვა და გადმოტვირთვა დანიშნულების ადგილას), აგრეთვე ექსპორტის ან ტრან-

ზიტის საბაჟო პროცედურებთან დაკავშირებული საბაჟო გადასახდელები;

თ) გამყიდველი ვალდებულია შეატყობინოს მყიდველს საქონლის გადამზიდველისათვის მიწოდების შესახებ;

ი) გამყიდველი ვალდებულია წარუდგინოს მყიდველს შესაბამისი სატრანსპორტო დოკუმენტები ან ელექსრონული ცნობები;

კ) გამყიდველი ვალდებულია შეამოწმოს საქონლის წონა, შეფუთვა, რაოდენობა, ხარისხი და თავისი ხარჯით შეფუთოს საქონელი და გაუკეთოს მარკირება;

ლ) ვალდებულია მყიდველის თხოვნის საფუძველზე და ამ უკანასკნელის ხარჯითა და რისკით დაეხმაროს მყიდველს სხვა შესაბამისი დოკუმენტების მოპოვებაში.

მყიდველი:

ა) ვალდებულია გადაიხადოს კონტრაქტით გათვალისწინებული საქონლის ფასი;

ბ) ვალდებულია თავისი ხარჯებით მოიპოვოს იმპორტის ლიცენზია და სხვა აუცილებელი დოკუმენტები და საჭიროების შემთხვევაში შეასრულოს იმპორტის ან ტრანზიტის საბაჟო პროცედურები;

გ) არ არის ვალდებული გააფორმოს გადაზიდვის კონტრაქტი;

დ) არ არის ვალდებული გააფორმოს საქონლის დაზღვევის კონტრაქტი;

ე) ვალდებულია საქონელი მიიღოს თავის განკარგულებაში გადამზიდველისათვის მისი გადაცემის მომენტიდან და მიიღოს ის მითითებულ დანიშნულების ადგილზე;

ვ) ვალდებულია გასწიოს საქონლის დაზიანების ან დაკარგვის ყველა რისკი საქონლის გადამზიდველისათვის გადაცემის მომენტიდან;

ზ) ვალდებულია გასწიოს ყველა ხარჯი საქონლის გადამზიდველის მიერ დანიშნულების ადგილამდე მიტანიდან;

თ) ვალდებულია გამყიდველს აცნობოს საქონლის გაგზავნისა და დანიშნულების პუნქტის შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ ეს კონტრაქტით მყიდველის პრეროგატივაა;

ი) ვალდებულია გასწიოს ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია საქონლის დათვალიერებასთან (მაგ. გახსნა, გადმოტვირთვა, გადატვირთვა, ჩატვირთვა, დათვლა და ა.შ), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი დათვალიერება მოითხოვება ექსპორტიორი ქვეყნის მიერ(ამ უკანასკნელ ხარჯებს კისრულობს გამყიდველი);

კ) ვალდებულია გადაიხადოს ყველა ის გადასახდელი, რომელიც აუცილებელია ამ საქონლის იმპორტის ან ტრანზიტის საბაჟო დოკუმენტაციის მოპოვებისათვის.

CIP (Carriage and Insurance Paid To(... named place of destination))

ფრახტი/გადაზიდვა და დაზღვევა გადახდილია...მდე (... მითითებული დანიშნულების ადგილი)

საქონლის მიწოდების ამ პირობის მიხედვით გამყიდველი საქონელს აწვდის მის მიერ დასახელებულ გადამზიდველს. ამასთან გამყიდველი იხდის მითითებულ დანიშნულების ადგილამდე საქონლის ტრანსპორტირების ხარჯებს, ხოლო გადამზიდველისათვის საქონლის გადაცემის მომენტიდან დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირებისას გამყიდველი ახდენს საქონლის დაზღვევას.

ამ შემთხვევაში ექსპორტის საბაჟო პროცედურების ჩატარების ვალდებულება ეკისრება გამყიდველს.

გადაზიდვა ხდება ნებისმიერი სახის ტრანსპორტით.

გამყიდველი:

ა) ვალდებულია გადასცეს საქონელი და ინვოისი მყიდველს ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტის მიხედვით;

ბ) ვალდებულია თავისი ხარჯით და რისკით მოიპოვოს ექსპორტის ლიცენზია და სხვა აუცილებელი დოკუმენტები და განახორციელოს საჭიროების შემთხვევაში ექსპორტის ყველა საბაჟო პროცედურა;

გ) ვალდებულია გააფორმოს საქონლის გადაზიდვის კონტრაქტი და გაწიოს ტრანსპორტირების ხარჯები დანიშნულების ადგილამდე;

დ) ვალდებულია თავისი ხარჯით გააფორმოს საქონლის დაზღვევის ხელშეკრულება (ხელშეკრულებამ უნდა დაფაროს საქონლის საკონტრაქტო ფასის მინიმუმ 110%);

ე) ვალდებულია საქონელი გადასცეს იმ გადამზიდველს, რომელთანაც მას აქვს დადებული გადაზიდვის ხელშეკრულება;

ვ) ვალდებულია გასწიოს საქონლის დაზიანების ან დაკარგვის ყველა რისკი საქონლის გადამზიდველამდე გადაცემის მომენტამდე;

ზ) ვალდებულია გასწიოს ყველა ხარჯი საქონლის გადამზიდველამდე გადაცემამდე (ტრანსპორტირება, გადატვირთვა და გადმოტვირთვა დანიშნულების ადგილას), აგრეთვე ექსპორტის ან ტრანზიტის საბაჟო პროცედურებთან დაკავშირებული საბაჟო გადასახდელები;

თ) ვალდებულია შეატყობინოს მყიდველს საქონლის გადამზიდველისათვის მიწოდების შესახებ;

ი) ვალდებულია წარუდგინოს მყიდველს შესაბამისი სატრანსპორტო დოკუმენტები ან ელექტრონული ცნობები;

კ) ვალდებულია შეამოწმოს საქონლის წონა, შეფუთვა, რაოდენობა, ხარისხი და თავისი ხარჯით შეფუთოს საქონელი და გაუკეთოს მარკირება;

ლ) ვალდებულია მყიდველის თხოვნის საფუძველზე და ამ უკანასკნელის ხარჯითა და რისკით დაეხმაროს მყიდველს სხვა შესაბამისი დოკუმენტების მოპოვებაში.

მყიდველი:

ა) ვალდებულია გადაიხადოს კონტრაქტით გათვალისწინებული საქონლის ფასი;

ბ) ვალდებულია თავისი ხარჯებით მოიპოვოს იმპორტის ლიცენზია და სხვა აუცილებელი დოკუმენტები და საჭიროების შემთხვევაში შეასრულოს იმპორტის ან ტრანზიტის საბაჟო პროცედურები;

გ) არ არის ვალდებული გააფორმოს გადაზიდვის კონტრაქტი;

დ) არ არის ვალდებული გააფორმოს საქონლის დაზღვევის კონტრაქტი;

ე) ვალდებულია საქონელი მიიღოს თავის განკარგულებაში გადამზიდველისათვის მისი გადაცემის მომენტიდან და მიიღოს ის მითითებულ დანიშნულების ადგილზე;

ვ) ვალდებულია გასწიოს საქონლის დაზიანების ან დაკარგვის ყველა რისკი საქონლის გადამზიდველისათვის გადაცემის მომენტიდან;

ზ) ვალდებულია გასწიოს ყველა ხარჯი საქონლის გადამზიდველის მიერ დანიშნულების ადგილამდე მიტანიდან;

თ) ვალდებულია გამყიდველს აცნობოს საქონლის გაგზავნისა და დანიშნულების პუნქტის შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ ეს კონტრაქტით მყიდველის პრეროგატივაა;

ი) ვალდებულია გასწიოს ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია საქონლის დათვალიერებასთან (მაგ. გახსნა, გადმოტვირთვა, გადატვირთვა, ჩატვირთვა, დათვლა და ა.შ), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი დათვალიერება მოითხოვება ექსპორტიორი ქვეყნის მიერ(ამ უკანასკნელ ხარჯებს კისრულობს გამყიდველი);

კ) ვალდებულია გადაიხადოს ყველა ის გადასახდელი, რომელიც აუცილებელია ამ საქონლის იმპორტის ან ტრანზიტის საბაჟო დოკუმენტაციის მოპოვებისათვის.

DDP (Delivered Duty Paid(... named place of destination))

მიწოდება გადასახადელების გადახდით(... მითითებული დანიშნულების ადგილი)

საქონლის მიწოდების ამ პირობის მიხედვით გამყიდველი გადმოუტვირთავ მდგომარეობაში მყოფ საქონელს იმპორტის საბაჟო გადასახდელების გადახდით აწვდის მყიდველს მითითებულ დანიშნულების ადგილზე. ამასთან გამყიდველი იხდის მითითებულ მიწოდების ადგილამდე საქონლის ტრანსპორტირების ხარჯებს.

ამ შემთხვევაში, ექსპორტის და იმპორტის საბაჟო პროცედურების ვალდებულება ეკისრება გამყიდველს.

ამასთან, თუ დღგ-ს ან აქციზს იმპორტის დროს იხდის მყიდველი, მაშინ ეს მითითებული უნდა იყოს კონტრაქტში.

გადაზიდვა ხდება ნებისმიერი სახის ტრანსპორტით.

გამყიდველი:

ა) ვალდებულია გადასცეს საქონელი და ინვოისი მყიდველს ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტის მიხედვით;

ბ) ვალდებულია თავისი ხარჯით და რისკით მოიპოვოს ექსპორტის და იმპორტის ლიცენზია და სხვა აუცილებელი დოკუმენტები და განახორციელოს საჭიროების შემთხვევაში ექსპორტის, იმპორტის ან ტრანზიტის ყველა საბაჟო პროცედურა;

გ) ვალდებულია გააფორმოს საქონლის გადაზიდვის კონტრაქტი და გასწიოს ტრანსპორტირების ხარჯები დანიშნულების ადგილამდე;

დ) არ არის ვალდებული გააფორმოს საქონლის დაზღვევის ხელშეკრულება;

ე) ვალდებულია საქონელი გადასცეს მყიდველს დანიშნულების ადგილას გადმოუტვირთავ მდგომარეობაში დადგენილ ვადაში;

ვ) ვალდებულია გასწიოს საქონლის დაზიანების ან დაკარგვის ყველა რისკი საქონლის მყიდველამდე გადაცემის მომენტამდე;

ზ) ვალდებულია გასწიოს ყველა ხარჯი საქონლის მყიდველამდე გადაცემამდე, აგრეთვე ექსპორტის, იმპორტის ან ტრანზიტის საბაჟო პროცედურებთან დაკავშირებული საბაჟო გადასახდელები;

თ) ვალდებულია შეატყობინოს მყიდველს საქონლის დანიშნულების ადგილზე გაგზავნის შესახებ;

ი) ვალდებულია წარუდგინოს მყიდველს შესაბამისი სატრანსპორტო დოკუმენტები ან ელექტრონული ცნობები;

კ) ვალდებულია შეამოწმოს საქონლის წონა, შეფუთვა, რაოდენობა, ხარისხი და თავისი ხარჯით შეფუთოს საქონელი და გაუკეთოს მარკირება;

ლ) ვალდებულია მყიდველის თხოვნის საფუძველზე და ამ უკანასკნელის ხარჯითა და რისკით დაეხმაროს მყიდველს სხვა შესაბამისი დოკუმენტების მოპოვებაში.

მყიდველი:

ა) ვალდებულია გადაიხადოს კონტრაქტით გათვალისწინებული საქონლის ფასი;

ბ) ვალდებულია გამყიდველის თხოვნით და ამ უკანასკნელის ხარჯებით მოიპოვოს იმპორტის ლიცენზია და სხვა აუცილებელი დოკუმენტები;

გ) არ არის ვალდებული გააფორმოს გადაზიდვის კონტრაქტი;

დ) არ არის ვალდებული გააფორმოს საქონლის დაზღვევის კონტრაქტი;

ე) ვალდებულია საქონელი მიიღოს თავის განკარგულებაში დანიშნულების ადგილზე;

ვ) ვალდებულია გასწიოს საქონლის დაზიანების ან დაკარგვის ყველა რისკი საქონლის მიღების მომენტიდან;

ზ) ვალდებულია გასწიოს ყველა ხარჯი საქონლის მიღების მომენტიდან;

თ) ვალდებულია გამყიდველს აცნობოს საქონლის მიღების დროისა და პუნქტის შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ ეს კონტრაქტით მყიდველის პრეროგატივაა;

ი) ვალდებულია მიიღოს საქონლის გადაცემის დამადასტურებელი სატრანსპორტო ან სხვა დოკუმენტი;

კ) ვალდებულია გასწიოს ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია საქონლის დათვალიერებასთან (მაგ. გახსნა, გადმოტვირთვა, გადატვირთვა, ჩატვირთვა, დათვლა და ა.შ), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი დათვალიერება მოითხოვება ექსპორტიორი ქვეყნის მიერ(ამ უკანასკნელ ხარჯებს კისრულობს გამყიდველი);

ლ) ვალდებულია გამყიდველის თხოვნით და უკანასკნელის ხარჯითა და რისკით მოიპოვოს ნებისმიერი საბაჟო დოკუმენტი.

FAS (Free Alongside Ship(... named port of shipment))
franko gemis bortTan(... CatvirTvis miTiTebuli porti)

საქონლის მიწოდების ამ პირობის მიხედვით გამყიდველი საქონელს აწვდის მყიდველს გემის ბორტის გასწვრივ ანუ პორტის ნავმისადგომთან(ან ლიხტერებზე). ამასთან გამყიდველი იხდის მითითებულ მიწოდების ადგილამდე საქონლის ტრანსპორტირების ხარჯებს.

ამ შემთხვევაში ექსპორტის საბაჟო პროცედურების ჩატარების ვალდებულება ეკისრება გამყიდველს. ამასთან, თუ მყიდველი იკისრებს ექსპორტის საბაჟო პროცედურების განხორციელების ვალდებულებას, მაშინ ეს დაფიქსირებული უნდა იყოს კონტრაქტში.

გადაზიდვა ხდება მხოლოდ საზღვაო(საწყლოსნო) სახის ტრანსპორტით.

გამყიდველი:

ა) ვალდებულია გადასცეს საქონელი და ინვოისი მყიდველს ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტის მიხედვით;

ბ) ვალდებულია თავისი ხარჯით და რისკით მოიპოვოს ექსპორტის ლიცენზია და სხვა აუცილებელი დოკუმენტები და განახორციელოს საჭიროების შემთხვევაში ექსპორტის ყველა საბაჟო პროცედურა;

გ) არ არის ვალდებული გააფორმოს საქონლის გადაზიდვის ხელშეკრულება;

დ) არ არის ვალდებული გააფორმოს საქონლის დაზღვევის ხელშეკრულება;

ე) ვალდებულია საქონელი გადასცეს მყიდველს გემის ბორტან საზღვაო პორტში დადგენილ ვადაში;

ვ) ვალდებულია გასწიოს საქონლის დაზიანების ან დაკარგვის ყველა რისკი საქონლის მყიდველამდე გადაცემის მომენტამდე;

ზ) ვალდებულია გასწიოს ყველა ხარჯი საქონლის მყიდველამდე გადაცემამდე, აგრეთვე ექსპორტის საბაჟო პროცედურებთან დაკავშირებული საბაჟო გადასახდელები;

თ) ვალდებულია შეატყობინოს მყიდველს საქონლის მიწოდების ადგილზე გაგზავნის შესახებ;

ი) ვალდებულია წარუდგინოს მყიდველს შესაბამისი სატრანსპორტო დოკუმენტები ან ელექტრონული ცნობები;

კ) ვალდებულია შეამოწმოს საქონლის წონა, შეფუთვა, რაოდენობა, ხარისხი და თავისი ხარჯით შეფუთოს საქონელი და გაუკეთოს მარკირება;

ლ) ვალდებულია მყიდველის თხოვნის საფუძველზე და ამ უკანასკნელის ხარჯითა და რისკით დაეხმაროს მყიდველს იმპორტის ან ტრანზიტის დოკუმენტების მოპოვებაში.

მყიდველი:

ა) ვალდებულია გადაიხადოს კონტრაქტით გათვალისწინებული საქონლის ფასი;

ბ) ვალდებულია თავისი ხარჯებით მოიპოვოს იმპორტის ლიცენზია და სხვა აუცილებელი დოკუმენტები და საჭიროების შემთხვევაში შეასრულოს იმპორტის ან ტრანზიტის საბაჟო პროცედურები;

გ) ვალდებულია გააფორმოს გადაზიდვის კონტრაქტი ჩატვირთვის საზღვაო პორტიდან;

დ) არ არის ვალდებული გააფორმოს საქონლის დაზღვევის კონტრაქტი;

ე) ვალდებულია საქონელი მიიღოს თავის განკარგულებაში გემის ბორტთან მიწოდების ადგილზე;

ვ) ვალდებულია გასწიოს საქონლის დაზიანების ან დაკარგვის ყველა რისკი საქონლის მიღების მომენტიდან;

ზ) ვალდებულია გასწიოს ყველა ხარჯი საქონლის მიღების მომენტიდან;

თ) ვალდებულია გამყიდველს აცნობოს საქონლის მიღების დროისა და პუნქტის შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ ეს კონტრაქტით მყიდველის პრეროგატივაა;

ი) ვალდებულია მიიღოს საქონლის გადაცემის დამადასტურებელი სატრანსპორტო ან სხვა დოკუმენტი;

კ) ვალდებულია გასწიოს ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია საქონლის დათვალიერებასთან (მაგ. გახსნა, გადმოტვირთვა, გადატვირთვა, ჩატვირთვა, დათვლა და ა.შ), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი დათვალიერება მოითხოვება ექსპორტიორი ქვეყნის მიერ(ამ უკანასკნელ ხარჯებს კისრულობს გამყიდველი);

ლ) ვალდებულია გადაიხადოს ყველა ის გადასახდელი, რომელიც აუცილებელია ამ საქონლის იმპორტის ან ტრანზიტის საბაჟო დოკუმენტაციის მოპოვებისათვის.

FOB (Free On Board(... named port of shipment))
franko gemis borti(... CatvirTvis miTiTebuli porti)

საქონლის მიწოდების ამ პირობის მიხედვით გამყიდველი საქონელს აწვდის მყიდველს გემის ბორტზე ჩატვირთვის მითითებულ პორტში. ამასთან გამყიდველი იხდის მითითებულ მიწოდების ადგილამდე საქონლის ტრანსპორტირების ხარჯებს.

ამ შემთხვევაში ექსპორტის საბაჟო პროცედურების ჩატარების ვალდებულება ეკისრება გამყიდველს.

გადაზიდვა ხდება მხოლოდ საზღვაო(სანყლოსნო) სახის ტრანსპორტით.

გამყიდველი:

ა) ვალდებულია გადასცეს საქონელი და ინვოისი მყიდველს ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტის მიხედვით;

ბ) ვალდებულია თავისი ხარჯით და რისკით მოიპოვოს ექსპორტის ლიცენზია და სხვა აუცილებელი დოკუმენტები და განახორციელოს საჭიროების შემთხვევაში ექსპორტის ყველა საბაჟო პროცედურა;

გ) არ არის ვალდებული გააფორმოს საქონლის გადაზიდვის ხელშეკრულება;

დ) არ არის ვალდებული გააფორმოს საქონლის დაზღვევის ხელშეკრულება;

ე) ვალდებულია საქონელი გადასცეს (ჩატვირთოს) მყიდველს გემის ბორტზე საზღვაო პორტში დადგენილ ვადაში;

ვ) ვალდებულია გასწიოს საქონლის დაზიანების ან დაკარგვის ყველა რისკი საქონლის მყიდველამდე გადაცემის მომენტამდე;

ზ) ვალდებულია გასწიოს ყველა ხარჯი საქონლის მყიდველამდე გადაცემამდე, აგრეთვე ექსპორტის საბაჟო პროცედურებთან დაკავშირებული საბაჟო გადასახდელები;

თ) ვალდებულია შეატყობინოს მყიდველს საქონლის მიწოდების ადგილზე გაგზავნის შესახებ;

ი) ვალდებულია წარუდგინოს მყიდველს შესაბამისი სატრანსპორტო დოკუმენტები ან ელექტრონული ცნობები;

კ) ვალდებულია შეამოწმოს საქონლის წონა, შეფუთვა, რაოდენობა, ხარისხი და თავისი ხარჯით შეფუთოს საქონელი და გაუკეთოს მარკირება;

ლ) ვალდებულია მყიდველის თხოვნის საფუძველზე და ამ უკანასკნელის ხარჯითა და რისკით დაეხმაროს მყიდველს იმპორტის ან ტრანზიტის დოკუმენტების მოპოვებაში.

მყიდველი:

ა) ვალდებულია გადაიხადოს კონტრაქტით გათვალისწინებული საქონლის ფასი;

ბ) ვალდებულია თავისი ხარჯებით მოიპოვოს იმპორტის ლიცენზია და სხვა აუცილებელი დოკუმენტები და საჭიროების შემთხვევაში შეასრულოს იმპორტის ან ტრანზიტის საბაჟო პროცედურები;

გ) ვალდებულია გააფორმოს გადაზიდვის კონტრაქტი გემის ბორტზე ჩატვირთვის საზღვაო პორტიდან;

დ) არ არის ვალდებული გააფორმოს საქონლის დაზღვევის კონტრაქტი;

ე) ვალდებულია საქონელი მიიღოს თავის განკარგულებაში გემის ბორტზე მიწოდების მომენტიდან;

ვ) ვალდებულია გასწიოს საქონლის დაზიანების ან დაკარგვის ყველა რისკი საქონლის მიღების მომენტიდან;

ზ) ვალდებულია გასწიოს ყველა ხარჯი საქონლის მიღების მომენტიდან;

თ) ვალდებულია გამყიდველს აცნობოს საქონლის მიღების დროისა და პუნქტის შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ ეს კონტრაქტით მყიდველის პრეროგატივაა;

ი) ვალდებულია მიიღოს საქონლის გადაცემის დამადასტურებელი სატრანსპორტო ან სხვა დოკუმენტი;

კ) ვალდებულია გასწიოს ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია საქონლის დათვალიერებასთან (მაგ. გახსნა, გადმოტვირთვა, გადატვირთვა, ჩატვირთვა, დათვლა და ა.შ), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი დათვალიერება მოითხოვება ექსპორტიორი ქვეყნის მიერ(ამ უკანასკნელ ხარჯებს კისრულობს გამყიდველი);

ლ) ვალდებულია გადაიხადოს ყველა ის გადასახდელი, რომელიც აუცილებელია ამ საქონლის იმპორტის ან ტრანზიტის საბაჟო დოკუმენტაციის მოპოვებისათვის.

CFR (Cost and Freight(... named port of destination))
Rirebuleba da fraxti(... daniSnulebis miTiTebuli porti)

საქონლის მიწოდების ამ პირობის მიხედვით გამყიდველი საქონელს აწვდის მყიდველს გადატვირთვის მითითებულ პორტში, როდესაც საქონელი გადალახავს გემის სახელურს. ამასთან გამყიდველი იხდის მითითებულ მიწოდების ადგილამდე საქონლის ტრანსპორტირების ხარჯებს.

ამ შემთხვევაში ექსპორტის საბაჟო პროცედურების ჩატარების ვალდებულება ეკისრება გამყიდველს.

გადაზიდვა ხდება მხოლოდ საზღვაო(საწყლოსნო) სახის ტრანსპორტით.

გამყიდველი:

ა) ვალდებულია გადასცეს საქონელი და ინვოისი მყიდველს ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტის მიხედვით;

ბ) ვალდებულია თავისი ხარჯით და რისკით მოიპოვოს ექსპორტის ლიცენზია და სხვა აუცილებელი დოკუმენტები და განახორციელოს საჭიროების შემთხვევაში ექსპორტის ყველა საბაჟო პროცედურა;

გ) ვალდებული გააფორმოს საქონლის გადაზიდვის ხელშეკრულება მითითებულ დანიშნულების ადგილამდე;

დ) არ არის ვალდებული გააფორმოს საქონლის დაზღვევის ხელშეკრულება;

ე) ვალდებულია საქონელი გადასცეს მყიდველს გემის ბორტიდან საზღვაო პორტში დადგენილ ვადაში;

ვ) ვალდებულია გასწიოს საქონლის დაზიანების ან დაკარგვის ყველა რისკი საქონლის მყიდველამდე გადაცემის მომენტამდე;

ზ) ვალდებულია გასწიოს ყველა ხარჯი საქონლის მყიდველამდე გადაცემამდე, აგრეთვე ექსპორტის საბაჟო პროცედურებთან დაკავშირებული საბაჟო გადასახდელები;

თ) ვალდებულია შეატყობინოს მყიდველს საქონლის მიწოდების ადგილზე გაგზავნის შესახებ;

ი) ვალდებულია წარუდგინოს მყიდველს შესაბამისი სატრანსპორტო დოკუმენტები ან ელექტრონული ცნობები;

კ) ვალდებულია შეამოწმოს საქონლის წონა, შეფუთვა, რაოდენობა, ხარისხი და თავისი ხარჯით შეფუთოს საქონელი და გაუკეთოს მარკირება;

ლ) ვალდებულია მყიდველის თხოვნის საფუძველზე და ამ უკანასკნელის ხარჯითა და რისკით დაეხმაროს მყიდველს იმპორტის ან ტრანზიტის დოკუმენტების მოპოვებაში.

მყიდველი:

ა) ვალდებულია გადაიხადოს კონტრაქტით გათვალისწინებული საქონლის ფასი;

ბ) ვალდებულია თავისი ხარჯებით მოიპოვოს იმპორტის ლიცენზია და სხვა აუცილებელი დოკუმენტები და საჭიროების შემთხვევაში შეასრულოს იმპორტის ან ტრანზიტის საბაჟო პროცედურები;

გ) არ არის ვალდებული გააფორმოს გადაზიდვის კონტრაქტი;

დ) არ არის ვალდებული გააფორმოს საქონლის დაზღვევის კონტრაქტი;

ე) ვალდებულია საქონელი მიიღოს თავის განკარგულებაში საზღვაო პორტში მიწოდების მომენტიდან;

ვ) ვალდებულია გასწიოს საქონლის დაზიანების ან დაკარგვის ყველა რისკი საქონლის მიღების მომენტიდან;

ზ) ვალდებულია გასწიოს ყველა ხარჯი საქონლის მიღების მომენტიდან;

თ) ვალდებულია გამყიდველს აცნობოს საქონლის მიღების დროისა და პუნქტის შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ ეს კონტრაქტით მყიდველის პრეროგატივაა;

ი) ვალდებულია მიიღოს საქონლის გადაცემის დამადასტურებელი სატრანსპორტო ან სხვა დოკუმენტი;

კ) ვალდებულია გასწიოს ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია საქონლის დათვალიერებასთან (მაგ. გახსნა, გადმოტვირთვა, გადატვირთვა, ჩატვირთვა, დათვლა და ა.შ), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი დათვალიერება მოითხოვება ექსპორტიორი ქვეყნის მიერ(ამ უკანასკნელ ხარჯებს კისრულობს გამყიდველი);

ლ) ვალდებულია გადაიხადოს ყველა ის გადასახდელი, რომელიც აუცილებელია ამ საქონლის იმპორტის ან ტრანზიტის საბაჟო დოკუმენტაციის მოპოვებისათვის.

CIF (Cost, Insurance and Freight(... named port of destination))
Rirebuleba, dazRveva da fraxti(... daniSnulebis miTiTebuli porti)

საქონლის მიწოდების ამ პირობის მიხედვით გამყიდველი საქონელს აწვდის მყიდველს გადატვირთვის მითითებულ პორტში, როდესაც საქონელი გადალახავს გემის სახელურს. ამასთან გამყიდველი იხდის მითითებულ მიწოდების ადგილამდე საქონლის ტრანსპორტირების და დაზღვევის ხარჯებს.

ამ შემთხვევაში ექსპორტის საბაჟო პროცედურების ჩატარების ვალდებულება ეკისრება გამყიდველს.

გადაზიდვა ხდება მხოლოდ საზღვაო(საწყლოსნო) სახის ტრანსპორტით.

გამყიდველი:

ა) ვალდებულია გადასცეს საქონელი და ინვოისი მყიდველს ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტის მიხედვით;

ბ) ვალდებულია თავისი ხარჯით და რისკით მოიპოვოს ექსპორტის ლიცენზია და სხვა აუცილებელი დოკუმენტები და განახორციელოს საჭიროების შემთხვევაში ექსპორტის ყველა საბაჟო პროცედურა;

გ) ვალდებული გააფორმოს საქონლის გადაზიდვის ხელშეკრულება მითითებულ დანიშნულების ადგილამდე;

დ) ვალდებულია გააფორმოს საქონლის დაზღვევის ხელშეკრულება(დაზღვევამ უნდა დაფაროს საქონლის საკონტრაქტო ღირებულების 110%);

ე) ვალდებულია საქონელი გადასცეს მყიდველს გემის ბორტიდან საზღვაო პორტში დადგენილ ვადაში;

ვ) ვალდებულია გასწიოს საქონლის დაზიანების ან დაკარგვის ყველა რისკი საქონლის მყიდველამდე გადაცემის მომენტამდე;

ზ) ვალდებულია გასწიოს ყველა ხარჯი საქონლის მყიდველამდე გადაცემამდე, აგრეთვე ექსპორტის საბაჟო პროცედურებთან დაკავშირებული საბაჟო გადასახდელები;

თ) ვალდებულია შეატყობინოს მყიდველს საქონლის მიწოდების ადგილზე გაგზავნის შესახებ;

ი) ვალდებულია წარუდგინოს მყიდველს შესაბამისი სატრანსპორტო დოკუმენტები ან ელექტრონული ცნობები;

კ) ვალდებულია შეამოწმოს საქონლის წონა, შეფუთვა, რაოდენობა, ხარისხი და თავისი ხარჯით შეფუთოს საქონელი და გაუკეთოს მარკირება;

ლ) ვალდებულია მყიდველის თხოვნის საფუძველზე და ამ უკანასკნელის ხარჯითა და რისკით დაეხმაროს მყიდველს იმპორტის ან ტრანზიტის დოკუმენტების მოპოვებაში.

მყიდველი:

ა) ვალდებულია გადაიხადოს კონტრაქტით გათვალისწინებული საქონლის ფასი;

ბ) ვალდებულია თავისი ხარჯებით მოიპოვოს იმპორტის ლიცენზია და სხვა აუცილებელი დოკუმენტები და საჭიროების შემთხვევაში შეასრულოს იმპორტის ან ტრანზიტის საბაჟო პროცედურები;

გ) არ არის ვალდებული გააფორმოს გადაზიდვის კონტრაქტი;

დ) არ არის ვალდებული გააფორმოს საქონლის დაზღვევის კონტრაქტი;

ე) ვალდებულია საქონელი მიიღოს თავის განკარგულებაში საზღვაო პორტში მიწოდების მომენტიდან;

ვ) ვალდებულია გასწიოს საქონლის დაზიანების ან დაკარგვის ყველა რისკი საქონლის მიღების მომენტიდან;

ზ) ვალდებულია გასწიოს ყველა ხარჯი საქონლის მიღების მომენტიდან;

თ) ვალდებულია გამყიდველს აცნობოს საქონლის მიღების დროისა და პუნქტის შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ ეს კონტრაქტით მყიდველის პრეროგატივაა;

ი) ვალდებულია მიიღოს საქონლის გადაცემის დამადასტურებელი სატრანსპორტო ან სხვა დოკუმენტი;

კ) ვალდებულია გასწიოს ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია საქონლის დათვალიერებასთან (მაგ. გახსნა, გადმოტვირთვა, გადატვირთვა, ჩატვირთვა, დათვლა და ა.შ), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი დათვალიერება მოითხოვება ექსპორტიორი ქვეყნის მიერ(ამ უკანასკნელ ხარჯებს კისრულობს გამყიდველი);

ლ) ვალდებულია გადაიხადოს ყველა ის გადასახდელი, რომელიც აუცილებელია ამ საქონლის იმპორტის ან ტრანზიტის საბაჟო დოკუმენტაციის მოპოვებისათვის.

DAP (Delivered at Place)
(მიწოდება დანიშნულების ადგილზე)

საქონლის მიწოდების ამ პირობის დროს მოქმედებს ის ვალდებულებები, რაც ჩადებული იყო შესაბამისი გაუქმებული მიწოდების პირობებში).

DAT (Delivered at Terminal)
(მიწოდება ტერმინალზე)

ამ შემთხვევაში ექსპორტის გადასახდელებს იხდის გამყიდველი, ხოლო იმპორტისას – მყიდველი. ტერმინალი მდებარეობს საზღვარზე.

22.6 იმპორტი

იმპორტი (importare) ლათინური სიტყვაა და „შემოტანას" ნიშნავს. ამ შემთხვევაში საბაჟო ურთიერთობათა ასპექტით იმპორტის ქვეშ იგულისხმება უცხოური საქონლის შემოტანა ქვეყანაში.

იმპორტის საბაჟო რეჟიმი(ქართული კანონმდებლობა „საბაჟო რეჟიმის" ნაცვლად გამოიყენებს „სასაქონლო ოპერაციის" ცნებას. ჩვენ მიგვაჩნია, რომ საბაჟო რეჟიმი უკეთ გამოხატავს საქონლით საბაჟო საზღვრის გადაკვეთის წესს) ნიშნავს უცხოური საქონლის მოქცევას ისეთ პირობებში, რომელიც არ მოითხოვს საქონლის ექსპორტის ქვეყანაში დაბრუნების ვალდებულებას. სხვანაირად ამ რეჟიმში საქონლის მოქცევას საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში ან საქონლის შიგა მოხმარებისათვის გაშვებასაც უწოდებენ.

იმპორტის საბაჟო რეჟიმში საქონლის მოქცევისა და მისი გაშვებისათვის აუცილებელი პირობებია:

ა) საქონელი უნდა იყოს უცხოური;

ბ) საქონელზე განსაზღვრულ ვადაში გადახდილ უნდა იქნეს შესაბამისი საბაჟო გადასახდელები;

გ) საქონელზე წარმოდგენილ უნდა იქნეს იმპორტის საბაჟო დეკლარაცია;

დ) საქონელზე წარმოდგენილ უნდა იქნეს კანონმდებლობით დადგენილი საბაჟო დოკუმენტები;

ე) საქონლის მიმართ უნდა განხორციელდეს არასატარიფო პოლიტიკის ღონისძიებები.

იმპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცეული და გაშვებული უცხოური საქონელი კარგავს უცხოური საქონლის სტატუსს და ღებულობს იმპორტიორი ქვეყნის საქონლის სტატუსს (მაგ. საქართველოდან გერმანიაში შეტანილი საქართველოს საქონელი იმპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცევის და გაშვების დროს იქცევა გერმანიის საქონლად, ხოლო გერმანიის საქონელი, გერმანიიდან ექსპორტისა და საქართველოში იმპორტის დროს გახდება საქართველოს საქონელი).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სხვანაირად იმპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცეულ და გაშვებულ საქონელს თავისუფალ მიმოქცევაში ან შიგა მოხმარებისათვის გაშვებულ საქონელსაც უწოდებენ. სიტყვა „თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება" ამ კონტექსტში აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ მოცემული საქონელი თავისუფალია საბაჟო კონტროლისა და ფორმალობებისაგან და მისი განკარგვა შესაძლებელია შესაბამისი პირის მიერ ამ პირის სურვილის მიხედვით, თავისუფლად. თუმცა, თავისუფლებაც ფარდობითი სიტყვაა და ზოგჯერ, იგი გარკვეულ შეზღუდვებს გულისხმობს. კერძოდ, თუ საქონელი მოქცეულია იმპორტის საბაჟო რეჟიმში და გაშვებულია ამ რეჟიმის შესაბამისად მიზნობრივი დანიშნულებით, მაშინ ამ საქონლის გაშვება თავისუფალ მიმოქცევაში შეზღუდულია შესაბამისი მიზნობრივი დანიშნულების ჩარჩოებით. მაგ. თუ საქონელი შემოტანილია ჰუმანიტარული მიზნით, მაშინ იგი მხოლოდ ამ მიზნებისათვის უნდა იქნეს გამოყენებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ იგი არამიზნობრივად იქნება მიმართული, მაშინ ამ საქონელზე უნდა მოხდეს შესაბამისი საბაჟო გადასახდელების გადახდა და სათანადო საბაჟო სანქციების გავრცელება.

რაც შეეხება იმპორტის გადასახდელების გადახდის სპეციფიკას და ვადებს, იგი ჩვენ განვიხილეთ საგადასახადო ვალდებულების თავში და ამდენად, აქ ამ საკითხზე მსჯელობა არ გვექნება.

22.7 ექსპორტი

ექსპორტი (exportare) ლათინური სიტყვაა და „გამოზიდვას, გამოტანას" ნიშნავს. ამ შემთხვევაში საბაჟო ურთიერთობათა ასპექტით ექსპორტის ქვეშ იგულისხმება საქონლის გატანა ქვეყნიდან მისი ამ ქვეყანაში დაბრუნების ვალდებულების გარეშე.

ექსპორტის საბაჟო რეჟიმი ნიშნავს მოცემული ქვეყნის საქონლის მოქცევას ისეთ პირობებში, რომელიც არ მოითხოვს საქონლის ამავე ექსპორტიორ ქვეყანაში დაბრუნების ვალდებულებას. სხვანაირად ამ რეჟიმში საქონლის მოქცევას საქონლის საბოლოო გატანას ან დაბრუნების რეჟიმსაც უწოდებენ. კერძოდ, საბოლოო გატანა ნიშნავს, თავისუფალ მიმოქცევაში არსებული საქონლის გატანას საბაჟო ტერიტორიიდან მისი ამ ტერიტორიის გარეთ დარჩენის მიზნით. რაც შეეხება დაბრუნების რეჟიმს, იგი ასევე წარმოადგენს ექსპორტის საბაჟო რეჟიმის ნაირსახეობას განსაზღვრული საბაჟო გადასახდელების დაბრუნების ასპექტით და საქონლის გადამუშავების სპეციფიკის გათვალისწინებით. სახელდობრ, დაბრუნების რეჟიმის დროს ექსპორტიორს უბრუნდება ამ საქონლის შემოტანის ან ამ საქონლისაგან სხვა საქონლის წარმოების დროს მოცემულ საქონლზე გადახდილი განსაზღვრული გადასახდელები (დღგ, აქციზი ან საბაჟო გადასახადი(იმპორტის გადასახადი). ამასთან, ამ შემთხვევაში გადასახდელების დაბრუნების თვალსაზრისით საქონელი შეიძლება ჯერ მოთავსებულ იქნეს საბაჟო სანყობში ან თავისუფალ ზონაში, ხოლო შემდეგ იქნეს გატანილი საბაჟო ტერიტორიიდან.

ექსპორტის საბაჟო რეჟიმში საქონლის მოქცევისა და მისი გაშვებისათვის აუცილებელი პირობებია:

ა) საქონელი უნდა იყოს არა უცხოური, არამედ ექსპორტიორი ქვეყნის;

ბ) საქონელზე განსაზღვრულ ვადაში გადახდილ უნდა იქნეს შესაბამისი საბაჟო გადასახდელები (როგორც წესი, ექსპორტის დროს საბაჟო გადასახდელები არ გადაიხდევინება);

გ) საქონელზე წარმოდგენილ უნდა იქნეს ექსპორტის საბაჟო დეკლარაცია;

დ) საქონელზე წარმოდგენილ უნდა იქნეს კანონმდებლობით დადგენილი საბაჟო დოკუმენტები;

ე) საქონლის მიმართ უნდა განხორციელდეს არასატარიფო პოლიტიკის ღონისძიებები.

ექსპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცეული და გაშვებული კონკრეტული ქვეყნის საქონელი კარგავს ამ ქვეყნის საქონლის სტატუსს და ღებულობს უცხო ქვეყნის საქონლის სტატუსს. მაგ. საქართველოდან გერმანიაში ექსპორტირებული საქართველოს საქონელი ექსპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცევის და გაშვების დროს კარგავს საქართველოს საქონლის სტატუსს და იქცევა უცხოურ საქონლად.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ექსპორტის საბაჟო რეჟიმში საქონლის გაშვების დროს ექსპორ-

ტიორს უნდა დაუბრუნდეს განსაზღვრული გადასახდელები. კერძოდ, გადასახდელების დაბრუნებას შემდეგი სქემა აქვს:

ა) იმპორტის საბაჟო რეჟიმში გაშვებული საქონლის ექსპორტი – ამ შემთხვევაში, როგორც წესი, უნდა დაუბრუნდეს საქონლის ექსპორტიორს ამ საქონლის იმპორტის დროს გადახდილი საბაჟო გადასახდელები. ამ დროს, ზოგიერთი ქვეყანა აქციზსა და საბაჟო გადასახადს არ აბრუნებს, რაც ეწინააღმდეგება არაპირდაპირი გადასახადებით დაბეგვრის პრინციპს, რაც იმაში გამოიხატება, რომ საბაჟო გადასახადი, აქციზი და დღგ გადახდილ უნდა იქნეს არა საქონლის წარმოების, არამედ ამ საქონლის მოხმარების ქვეყანაში საბოლოო მომხმარებლის მიერ;

ბ) ექსპორტიორ ქვეყანაში იმპორტირებული ნედლეულისა და მასალისაგან წარმოებული საქონლის ექსპორტი – ამ შემთხვევაში ექსპორტიორს უნდა დაუბრუნდეს მასალებსა და ნელდეულზე იმპორტის დროს გადახდილი საბაჟო გადასახდელები.

გ) ექსპორტიორ ქვეყანაში ექსპორტიორის მიერ შეძენილი სამამულო ნედლეულისა და მასალებისაგან წარმოებული საქონლის ან შეძენილი სამამულო მზა პროდუქციის ექსპორტი – ამ შემთხვევაში ექსპორტიორს(აქციზის შემთხვევაში მწარმოებელ ექსპორტიორს) უბრუნდება მის მიერ საქონლის ან ნედლეულის შეძენის დროს გადახდილი აქციზი ან დღგ, ან მის მიერ სამამულო მზა პროდუქციის შეძენის დროს გადახდილი აქციზი ან დღგ.

ექსპორტის საბაჟო რეჟიმი შეზღუდულია საბაჟო რეჟიმების კონვერსიის თვალსაზრისით. კერძოდ, პირის სურვილით შესაძლებელია ექსპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცეულ იქნეს მხოლოდ კონკრეტული ქვეყნის საქონელი (ანუ არაუცხოური სტატუსის მქონე საქონელი). ასეთ საქონელს განეკუთვნება მოცემულ ქვეყანაში წარმოშობილი ან ამ ქვეყანაში გარკვეული გადამუშავების ოპერაციების შედეგად მიღებული საქონელი. მაგ. ექსპორტის საბაჟო რეჟიმში შეიძლება მოექცეს საქართველოში წარმოებული საქონელი ან საქართველოში იმპორტის საბაჟო რეჟიმის შესაბამისად გაშვებული საქონელი.

ექსპორტთან მიმართებით უცხოური ინვესტიციების სტიმულირება, რომელიც საექსპორტო პროდუქციის დამზადებასთან არის დაკავშირებული, შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა გზით. ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვაქვს უცხოური პირდაპირი ინვესტიციები, რომელიც გულისხმობს უცხოური ინვესტორის მიერ ადგილობრივი საწარმოს აქციების შეძენას ან ახალი საწარმოს გახსნას. ეს თეზა გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ ექსპორტის ზრდა უცხო ქვეყნიდან, მაგალითად, განვითარებად ქვეყანაში(საქართველოში(იმპორტი) ასტიმულირებს იმ ფაქტს, რომ ანალოგიური საქონელი უცხოური ინვესტორის(ან ექსპორტიორის) მიერ იწარმოებოდეს არა ექსპორტიორ ქვეყანაში, არამედ იმპორტიორ ქვეყანაში(საქართველოში). ასეთი სტიმულირების საფუძვლად შეიძლება განვიხილოთ იაფი მუშახელი, იაფი ნედლეული და ადგილობრივი ფასების დაბალი დონე ინვესტორ ქვეყანასთან შედარებით. ეს თავის მხრივ ინვევს ორ ურთიერთსანინააღმდეგო ტენდენციას: საქართველოში უცხოური ინვესტიციების ზრდით გაიზრდება ექსპორტი და აგრეთვე ადგილობრივი ბაზრის გაჯერება, ხოლო შესაბამისად შემცირდება ანალოგიური საქონლის ექსპორტი ინვესტორის ქვეყნიდან და შესაბამისად იმპორტი საქართველოში. ამასთან შესაძლებელია საქართველოში დამზადებული საქონლის ექსპორტი განხორციელდეს უშუალოდ იმ ინვესტორ ქვეყანაში, სადაც მზადდება ანალოგიური საქონელი და უკვე ადგილზე გაუწიოს კონკურენცია ამ საქონელმა „თანამომძე" საქონელს. მეორეს, მხრივ გაიზრდება ინვესტორის ქვეყნიდან იმ საქონლის(მონყობილობები, დანადგარები და სხვა) ექსპორტი საქართველოში, რომელიც სჭირდება მოცემული კონკრეტული საქონლის მწარმოებელ საწარმოს.

ექსპორტიორთან ურთიერთობის დროს იმპორტიორმა შეიძლება საქონლის საფასური გადაიხადოს არა ნაღდი ფულით ან ანგარიშსწორების სხვა ფორმებით, არამედ დრაფტის სახით. დრაფტი არის გადასაცემი თამასუქი უცხოურ ვალუტაში. ასეთ დრაფტებს, როგორც წესი, ყიდულობენ ექსპორტიორი ქვეყნის ბანკები და შესაბამისად ახდენენ ანგარიშსწორებას ექსპორტიორებთან.

ბანკს შეუძლია საკორესპოდენტო ანგარიში გახსნას უცხოეთის კომერციულ ბანკში. ეს აადვილებს ექსპორტის დროს ექსპორტიორსა და იმპორტიორს შორის ანგარიშსწორების საკითხებს. ასეთ ანგარიშებს ჰქვია „ნოსტრო" და „ვოსტრო" ანგარიშები და იგი ეხება საერთაშორისო კონვერტირებად ვალუტებს. ნოსტრო ანგარიში ნიშნავს „ჩვენს ანგარიშს სხვა ბანკებში", ხოლო, ვოსტრო – "თქვენს ანგარიშს ჩვენთან". ამდენად ასეთი საბანკო არხებით იმპორტიორებს ტექნიკურად საშუალება ეძლევათ გადარიცხონ ფულადი სახსრები ექსპორტიორის მომსახურე ბანკში.

ექსპორტის მომსახურება ბანკებმა შესაძლებელია განახორციელონ აკრედიტივის საშუალებით. აკრედიტივი არის იმპორტიორი ქვეყნის ბანკის მიერ ექსპორტიორი ქვეყნის ბანკში გახსნილი „გაყინული ანგარიში", რაც იმას ნიშნავს, რომ, როგორც კი მოხდება საქონლის მიწოდება ექსპორტიორის

მიერ იმპორტიორისადმი გარკვეული მიწოდების პირობების შესრულებით, აკრედიტივზე არსებული თანხები გადავა ექსპორტიორის განკარგულებაში. მაგ. აკრედიტივი გახსნილია იმ პირობით, რომ ექსპორტიორს საქონლის საფასური გადაეცემა მაშინ, როდესაც საქონელი მის მიერ ფაქტობრივად მიწოდებული იქნება იმპორტიორისადმი, მაგ. „DAF" – სარფის პირობით, ან „CIP" – თბილისის პირობით, ან „EXW" – ბერლინი, ქარხანა" პირობით. შესაბამისად, როგორც კი საქონელი მოაღწევს სარფს ან თბილისს ან გადაეცემა იმპორტიორს ბერლინში საწარმოდან – მაშინათვე მოიხსნება შესაბამისი ანგარიშები აკრედიტივიდან ექსპორტიორის სასარგებლოდ.

იმ ექსპორტიორებს, რომლებიც უშუალოდ არ აწარმოებენ კონკრეტულ საექსპორტო საქონელს შეიძლება მიეცეთ საექსპორტო საბანკო კრედიტი საექსპორტო საქონლის შესაძენად. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით აღსანიშნავია აგრარული საქონლის ექსპორტის დაფინანსება. როგორც წესი, აგრარული საქონლის ექსპორტის დროს გასაცემი კრედიტის დაბრუნების ვადა ცივილიზებულ ქვეყნებში არ აღემატება ექვს თვეს. თუმცა, ზოგჯერ აუცილებელია ამ ვადის გაზრდა, რაც თავის მხრივ დაკავშირებულია ჯერ აგრარული საქონლის იმპორტთან, ხოლო შემდეგ ამ საქონლის გამოყენებით სხვა აგრარული საქონლის წარმოებასა და ამ საქონლის ექსპორტთან. ასეთ მაგალითად შეიძლება განვიხილოთ საკვები ხორბლის იმპორტი, რომლითაც ხორციელდება ღორების გასუქება და შემდგომ ღორის კონსერვის ექსპორტი. ამ შემთხვევაში ღორების გასუქების ციკლი შეადგენს 2 წელს, ამდენად საბანკო კრედიტის ოპტიმალური ვადა შეადგენს 2 წელს, ხოლო უფრო მეტი ვადა (მაგ. სამი წელი) უკვე განიხილება გარკვეულ საექსპორტო სუბსიდიად.

ეკონომიკაში ისევე, როგორც სინამდვილის ყველა სფეროში, არსებობს ურთულესი და უფაქიზესი კაზუალური (მიზე-შედეგობრივი) ხასიათის კავშირები, რაც საზოგადოებრივ ურთიერთობათა ზედაპირზე ჩანს ისეთი გარეგანი მოვლენების სახით, როგორიც არის, ვთქვათ, ინფლაცია, დეფლაცია, დევალვაცია, რევალვაცია, ექსპორტისა და იმპორტის, უმუშევრობისა თუ საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა ან შემცირება და ა.შ. ამ მიმართულებით რეალურ და მონეტარულ ეკონომიკაში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მიზეზ–შედეგობრივი კავშირი არსებობს ეროვნული ვალუტის დევალვაციასა და საქონლის ექსპორტის მასშტაბებს შორის.

ეროვნული ვალუტის დევალვაციის შემთხვევაში შესაბამისი პროპორციით (დევალვაციის პროცენტულად) იზრდება საქონლის ექსპორტის მოცულობა, რადგანაც დევალვაციის მომენტისათვის სამამულო საქონლის წარმოების ხარჯები მკვეთრად ჩამორჩება დევალვაციის შემდგომი პერიოდის ანალოგიური საქონლის წარმოების ხარჯებს. შესაბამისად, მოცემული საექსპორტო სამამულო საქონელი კონკურენტუნარიანი ხდება საგარეო ბაზარზე, რამდენადაც ამ საქონლის სარეალიზაციო ფასი უცვლელია. ეს ფაქტორები განაპირობებს სავაჭრო და სამრეწველო მოგების მნიშვნელოვან ზრდას დევალვაციის ფარგლებში, რაც თავის მხრივ, ფისკალური შემოსავლების პარალელური ზრდის საფუძველია.

ამასთან ეროვნული ვალუტის დევალვაციას დადებითთან ერთად ახლავს მედიკამენტის მიღების დარი „უკუჩვენებები". კერძოდ, ეროვნული ვალუტის დევალვაცია იმავდროულად იწვევს ადგილობრივ ბაზარზე საქონლის ფასების ნომინალურ ზრდას ეროვნულ ვალუტაში, რადგანაც სავაჭრო მოგების ნორმა ინდიფერენტულია მონეტარულ – დევალვაციური პოლიტიკისადმი. ამას შედეგად მოსდევს საქონლის იმპორტის შეზღუდვა, რასაც მოჰყვება საქონლის მიწოდების შემცირება ბაზარზე. საქონელზე მოთხოვნა ანუ, ამ შემთხვევაში, მოსახლეობის შემოსავლები რჩება იგივე – დევალვაციამდელ დონეზე, ხოლო ფასები იზრდება დევალვაციის პროცენტის პროპორციულად. დროებით იქმნება ხელოვნური „ინფლაციური ვაკუუმი", რამდენადაც კლასიკური გაგებით ინფლაცია არის ჭარბი ფულის მიწოდება ბაზარზე საქონლის მიწოდების უცვლელობის ან შემცირების პარალელურად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოქნილი მონეტარული პოლიტიკის გატარების საშუალებით დროის მოკლევადიან პერსპექტივაზე გათვლით, შესაძლებელია საქონლის ექსპორტის სტიმულირება და საექსპორტო ამონაგების დაბეგვრით სათანადო ფისკალური ეფექტის მიღება.

22.8 რეექსპორტი

საქონლის რეექსპორტი არის ისეთი საბაჟო რეჟიმი, რომლის დროსაც საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი, როგორც წესი, უცხოური საქონელი გადის ამ ტერიტორიიდან საბაჟო გადასახადელების გადახდის გარეშე ან ზოგიერთ შემთხვევაში შემოტანის დროს გადახდილი გადასახადების დაბრუნებით. იგი ხელს აძლევს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების, კერძოდ ქვეყნებს შორის სასაქონლო – ფულადი ურთიერთობების განვითარებას და ძირითადად მას იყენებენ განვითარებადი ქვეყნების იმპორტორები (შესაბამისად, შემდგომ ექსპორტიორები).

რეექსპორტში საქონლის მოქცევისა და მისი გაშვებისათვის აუცილებელი პირობებია:

ა) საქონელი უნდა იყოს უცხოური;

ბ) საქონელზე წარმოდგენილ უნდა იქნეს რეექსპორტის საბაჟო დეკლარაცია;

დ) საქონელზე წარმოდგენილ უნდა იქნეს კანონმდებლობით დადგენილი საბაჟო დოკუმენტები;

ე) საქონლის მიმართ შეიძლება განხორციელდეს ზოგიერთი სახის არასატარიფო პოლიტიკის ღონისძიება.

რეექსპორტი, როგორც წესი, ხორციელდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) საბაჟო სანყობის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის რეექსპორტის დროს;

ბ) საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის რეექსპორტის დროს;

გ) დროებით შემოტანის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის რეექსპორტის დროს.

რაც შეეხება შემოტანილი და დროებით შენახვის საწყობში მოთავსებული საქონლის რეექსპორტს ან უკვე იმპორტის საბაჟო რეჟიმში გაშვებულ დეფექტურ ან სარეკლამაციო საქონელს, მასზე შეიძლება განხორციელდეს საქონლის რეექსპორტი.

ამასთან დეფექტური საქონლის რეექსპორტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ პირობებს:

ა) საქონელი არ უნდა იყოს ექსპლოატაციაში ნამყოფი იმპორტის შემდგომ. აქ მხედველობაში არ მიიღება საქონლის გამოყენება დეფექტის და ნაკლოვანებების აღმოსაჩენად;

ბ) საქონელი უნდა იყოს ცალსახად იდენტიფიცირებადი საბაჟო ორგანოების მიერ;

გ) უნდა იყოს დაწესებული გარკვეული ვადა იმპორტის თარიღიდან, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელი იქნება ამ საქონლის რეექსპორტი (მაგ. 6 თვე).

რეექსპორტის ნაირსახეობად შეიძლება განვიხილოთ ზოგიერთ საბაჟო კონვენციაში აღწერილი ე.წ. „გადატვირთვის“ საბაჟო რეჟიმი. ამ შემთხვევაში გადატვირთვას უწოდებენ ისეთ საბაჟო პროცედურას, რომლის დროსაც ერთი საბაჟო ორგანოდან, ერთი სატრანსპორტო საშუალებით შემოტანილი უცხოური საქონელი, ამავე საბაჟო ორგანოში შემოსვლისთანავე და გარკვეულ ვადაში გადაიტვირთება პირდაპირ მეორე სატრანსპორტო საშუალებაზე და საბაჟო ტერიტორიას ტოვებს ამავე საბაჟო ორგანოდან.

ზემოაღნიშნულ შემთხვევაში ადგილი აქვს უცხოური საქონლის შემოტანას საბაჟო ტერიტორიაზე და მის გატანას ამ ტერიტორიიდან შესაბამისი სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც სწორედ საქონლის რეექსპორტს წარმოადგენს და, რაც შეიძლება გამონეული იყოს სხვადასხვა მიზეზებით. მაგ. აკრძალული საქონლის შემოტანა ან შემოტანილი საქონლის სხვა სატრანსპორტო საშუალებით სხვა ქვეყანაში გადამისამართება და ა.შ.

რეექსპორტის სპეციფიკურ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს ზემოაღნიშნულ გადატვირთვას, საბაჟო ორგანოს საკმარისია წარედგინოს საქონლის თანმხლები დოკუმენტები, რომელზეც იგი ახორციელებს შესაბამის აღნიშვნას საქონლის შემოტანისა და გატანის შესახებ.

22.9 ტრანზიტი

საბაჟო ტრანზიტი არის საბაჟო რეჟიმი, რომლის დროსაც უცხოური საქონელი საბაჟო კონტროლქვეშ გადაადგილდება ერთი საბაჟო ორგანოდან მეორე საბაჟო ორგანოში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ტრანზიტი ორი სახისაა: საერთაშორისო ტრანზიტი და შიგა ტრანზიტი.

ჩვეულებრივ მსჯელობაში, როდესაც მხედველობაში აქვთ ტრანზიტის საბაჟო რეჟიმი გულისხმობენ მხოლოდ საერთაშორისო ტრანზიტს ანუ უცხოური საქონლის გადაადგილებას მოცემული ქვეყნის ორ საბაჟო ორგანოს შორის, როდესაც საწყისი გაგზავნისა და საბოლოო დანიშნულების საბაჟო ორგანოები ორ სხვადასხვა ქვეყანაში მდებარეობს(ანკლავის შემთხვევაში შესაძლებელია ისინი მდებარეობდე ერთი და იგივე ქვეყანაში. მაგ. კალინინგრადიდან რუსეთის დანარჩენი ტერიტორიისკენ საქონლის გადაადგილება ლიტვის რესპუბლიკის გაელით).

რაც შეეხება შიგა საბაჟო ტრანზიტს, იგი გულისხმობს საქონლის გადაადგილებას მხოლოდ შიგა საბაჟო ორგანოებს შორის, ამ საქონლის საბაჟო ტერიტორიის გარეთ გაუსვლელად. ამ შემთხვევაში საქონელი განკუთვნილია სხვა საბაჟო რეჟიმში მოსაქცევად. მაგ. იმპორტისათვის შემოტანილი საქონელი სასაზღვრო საბაჟო ორგანოში ჯერ ექცევა შიგა საბაჟო ტრანზიტში, რათა საქონელი გადაადგილდეს საბაჟო ტერიტორიის სიღრმეში მდებარე საბაჟო დამუშავების ორგანოში, სადაც მოხდება იმპორტის საბაჟო პროცედურების განხორციელება და დასრულდება ტრანზიტის საბაჟო

რეჟიმი. ეს პრაქტიკა ფართოდ არის მიღებული ევროკავშირის ქვეყნებში.

საბაჟო ტრანზიტს კონკრეტული ქვეყნის საბაჟო ტერიტორიაზე გადაადგილების ასპექტით შემდეგი მარშრუტი გააჩნია:

ა) შემოსვლის პუნქტიდან გატანის პუნქტამდე;

ბ) ბეღოტანის პუნქტიდან შიგა საბაჟო ორგანომდე;

გ) შიგა საბაჟო ორგანოდან გატანის პუნქტამდე;

დ) ერთი შიგა საბაჟო ორგანოდან მეორე შიგა საბაჟო ორგანომდე.

საზოგადოდ, ტრანზიტის საბაჟო რეჟიმის დროს იმ საბაჟო ორგანოს საიდანაც იწყება ტრანზიტის ოპერაცია ენოდება გაგზავნის საბაჟო ორგანო, ხოლო იმ საბაჟო ორგანოს სადაც მთავრდება ეს ოპერაცია – დანიშნულების საბაჟო ორგანო. აქ იგულისხმება ერთი, კონკრეტული ქვეყნის საბაჟო ორგანოები.

საბაჟო ტრანზიტი გათავისუფლებულია საბაჟო გადასახდელებისაგან, თუ დაცულია კანონმდებლობით დადგენილი გადაადგილების პირობები და განსაზღვრულ შემთხვევებში წარმოდგენილია შესაბამისი საბაჟო გარანტია.

სხვადასხვა ქვეყანაში საბაჟო ტრანზიტის დროს საბაჟო ორგანოს წარედგინება ან საბაჟო დეკლარაცია ან საქონლის თანმხლები დოკუმენტები, რომლებშიც მოცემულია საქონლის იდენტიფიცირებისათვის საჭირო არსებითი ნიშნები. იმ შემთხვევაში, როდესაც საბაჟო ორგანო საბაჟო დეკლარაციის ნაცვლად ღებულობს საქონლის თანმხლებ დოკუმენტებს, იგი აკეთებს შესაბამის აღნიშვნას ამ დოკუმენტებზე.

საბაჟო ტრანზიტის დროს უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალებების იდენტიფიცირება ანუ მათზე პლომბებისა და სხვა სამაგრი მონყობილობების დადება.

როგორც წესი, პლომბების დადებას ახორციელებს გამგზავნი საბაჟო ორგანო იმისათვის, რომ დანიშნულების საბაჟო ორგანომ ადვილად შეძლოს საქონლის ვიზუალური იდენტიფიცირება ან სხვა დარღვევების აღმოჩენა. ამასთან, საბაჟო ორგანო, როგორც წესი, არ ახდენს საქონლის იდენტიფიცირებას საბაჟო პლომბის სახით, თუ ეს საერთაშორისო ხელშეკრულებებით არ არის გათვალისწინებული.

იმ შემთხვევაში, როდესაც საქონელი ექვემდებარება საბაჟო პლომბის დადებას ცალკეულ სატრანსპორტო საშუალებაზე (კონტეინერი, მისაბმელი, ნახევარმისაბმელი, ვაგონები და სხვა), ეს სატრანსპორტო საშუალებები აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) საბაჟო პლომბები სატრანსპორტო საშუალებაზე უნდა იდებოდეს მარტივი და საიმედო წესით;

ბ) საქონლის ამოღება სატრანსპორტო საშუალებიდან შეუძლებელი უნდა იყოს საბაჟო პლომბების დარღვევის გარეშე;

გ) სატრანსპორტო საშუალებაში არ უნდა იყოს საქონლის სამალავები;

დ) სატრანსპორტო საშუალების ყველა ადგილი, სადაც შეიძლება საქონლის განთავსება ადვილად ხელმისაწვდომი უნდა იყოს საბაჟო დათვალიერებისათვის.

როდესაც, საბაჟო დოკუმენტები ცალსახად იძლევა საქონლის იდენტიფიცირების საშუალებას, მაშინ არ არსებობს საბაჟო პლომბების დადების აუცილებლობა, მაგრამ საბაჟო ორგანომ შეიძლება მაინც მოახდინოს პლომბების დადება შემდეგ შემთხვევებში, თუ:

ა) საბაჟო რისკებიდან გამომდინარე საბაჟო ორგანო ამას აუცილებლობად მიიჩნევს;

ბ) ეს პროცესი ხელს აძლევს ტრანზიტის საბაჟო რეჟიმის განხორციელების პროცედურას;

გ) ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო საბაჟო კონვენციებით.

ტრანზიტის დროს არის შემთხვევები, როდესაც საქონელი გადაადგილდება ისეთი სატრანსპორტო საშუალებებით, რომელზეც შესაბამისი კონსტრუქციის გამო შეუძლებელია საბაჟო საიდენტიფიკაციო საშუალებების დადება. ასეთ პირობებში საბაჟო ორგანო მიმართავს შემდეგ საბაჟო პროცედურებს:

ა) საქონლის სრული საბაჟო დათვალიერება და დათვალიერების შედეგების შედარება საქონლის თანმხლები დოკუმენტების მონაცემებთან;

ბ) საბაჟო პლომბების ან სამაგრი მოწყობილობების დადება ინდივიდუალურ შეფუთვებზე;

გ) საქონლის სრული აღწერა იდენტიფიკაციის სხვა საშუალებებით (ნიმუშები, სქემები, ნახატები, ფოტოგრაფია, შტამპები, ლუქები, ბეჭდები, ილუსტრაციები, იარლიყები და სხვა);

დ) მკაცრი მარშრუტებისა და ვადების დადგენა;

ე) საბაჟო გაცილება.

საბაჟო ტრანზიტი უნდა დასრულდეს გამგზავნი საბაჟო ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში. ყველა ქვეყანა ადგენს შესაბამის ვადებს საქონლის დანიშნულების საბაჟო ორგანოში მიტანის გონივრუ-

ლი და მიზანშეწონილი ხანგრძლივობის გათვალისწინებით. ზოგჯერ ასეთი ვადები დგინდება აბსოლუტურ ციფრებში (მაგ. 10 დღე) ან ტრანზიტის მარშრუტის მანძილის გათვალისწინებით (მაგ. 100 კმ-ერთი დღე – ღამე). ამასთან, გარკვეულ პირობებში გადამზიდავის მოთხოვნით საბაჟო ორგანო აგრძელებს გადაადგილების ვადას.

ტრანზიტის ქვეყანა, შესაბამისი საბაჟო კონვენციების საფუძველზე, როგორც წესი, ცნობს სხვა ქვეყნის საბაჟო ორგანოების მიერ სატრანსპორტო საშუალებაზე ან საქონელზე დადებულ პლომბებს და სხვა საიდენტიფიკაციო საშუალებებს. ეს იმას ნიშნავს, რომ უცხო ქვეყნის საბაჟო პლომბს ისეთივე სამართლებრივი დატვირთვა აქვს, როგორც მოცემული ქვეყნის საბაჟო ორგანოს მიერ დადებულს. გამონაკლისს წარმოადგენს შემდეგი შემთხვევები, როდესაც:

ა) საიდენტიფიკაციო საშუალება საბაჟო ორგანოს მიერ შესაბამისი ინფორმაციის საფუძველზე არასაკმარისად არის მიჩნეული;

ბ) საიდენტიფიკაციო საშუალება საბაჟო ორგანოს მიერ არასაიმედოდ არის მიჩნეული;

გ) საბაჟო ორგანო ახორციელებს საქონლის საბაჟო კონტროლს.

ტრანზიტის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის მიმართ ტრანსპორტირებისას ან მანამდე შეიძლება განხორციელდეს შემდეგი პროცედურები:

ა) საქონლის განთავსება საბაჟო საწყობში ან დროებით შენახვის საწყობში;

ბ) საბაჟო ორგანოების მიერ საიდენტიფიკაციო საშუალებების ან საქონლის შემოწმების შედეგების დაფიქსირება სატრანზიტო დოკუმენტებში (ტრანზიტის დეკლარაცია, სატრანსპორტო ზედდებული, თსლ – კარნეტი და სხვა);

გ) დანიშნულების საბაჟო ორგანოს შეცვლა გადამზიდველის მიერ საბაჟო ორგანოსთან შეთანხმების გარეშე, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი. კერძოდ, თუ დადგენილია, რომ დანიშნულების საბაჟო ორგანო შეიძლება შეცვლილ იქნეს გამგზავნი საბაჟო ორგანოს თანხმობით და ა.შ;

დ) საქონლის გადატვირთვა ერთი სატრანსპორტო საშუალებიდან მეორე სატრანსპორტო საშუალებაზე საბაჟო ორგანოსთან შეთანხმების გარეშე, მხოლოდ იმ პირობით, თუ საიდენტიფიკაციო საშუალებები დაზიანებული და დარღვეული არ არის;

ე) საბაჟო ორგანოს თანხმობით, ტრანზიტის საბაჟო რეჟიმში მოქცეულ საქონელთან ერთად კონტეინერში სხვა საქონლის მოთავსება, თუ ამ საქონელთა იდენტიფიკაცია შესაძლებელია;

ვ) გადამზიდავის ან დაინტერესებული პირის მიერ ფორსმაჟორული სიტუაციის შესახებ აუცილებელი შეტყობინება უახლოესი საბაჟო ორგანოსადმი ან სხვა კომპეტენტური ორგანოებისადმი.

საბაჟო ტრანზიტი სრულდება დანიშნულების საბაჟო ორგანოში საქონლისა და საბაჟო დეკლარაციის ან საქონლის თანმხლები დოკუმენტების წარდგენით. ამასთან, საბაჟო ტრანზიტი შეიძლება შეიცვალოს ნებისმიერი საბაჟო დამუშავების ოპერაციით (გარდა ექსპორტისა, რეიმპორტისა და ტერიტორიის გარეთ გადამუშავებისა, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც ტრანზიტში მოქცეული საქონელი შეიძლება მოექცეს ტერიტორიაზე გადამუშავების რეჟიმში, ხოლო მისი ნაწილი ტერიტორიის გარეთ გადამუშავების რეჟიმში ან, როდესაც ტრანზიტში მოქცეული საქონელი ადრე წარმოდგენდა ტრანზიტის ქვეყნის საქონელს და იგი შეიძლება მოექცეს რეიმპორტში).

ქვემოთ გთავაზობთ იმ მინიმალურ მოთხოვნებს, რომლებსაც აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს საბაჟო ტრანზიტის დროს შესაბამისი საიდენტიფიკაციო საშუალებები:

ა) საიდენტიფიკაციო საშუალებები უნდა იყოს მყარი და ცვეთამედეგი;

ბ) მათი დადება საქონელზე ან სატრანსპორტო საშუალებაზე შესაძლებელი უნდა იყოს მარტივი და სწრაფი წესით;

გ) უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი შემოწმებისა და იდენტიფიკაციის შესაძლებლობა;

დ) შეუძლებელი უნდა იყოს მათი მოხსნა და მოშორება დაზიანების ნიშნების გარეშე;

ე) ისინი უნდა იყოს ერთჯერადი, გარდა მრავალჯერადი გამოყენების პლომბებისა (მაგ. ელექტრონული პლომბები);

ვ) ისინი უნდა იყოს ისეთნაირად კონსტრუირებული, რომ მაქსიმალურად გაძნელებული იყოს მათი კოპირება ან გაყალბება;

ზ) პლომბების ფორმა და ზომა უნდა უზრუნველყოფდეს განსხვავებას სხვა საიდენტიფიკაციო მარკირებებთან;

თ) პლომბის ყველა ღრმული უნდა შეესაბამებოდეს გამოყენებულ სამაგრ მოწყობილობას და ისე უნდა იყოს განთავსებული, რომ პლომბის დადების დროს სამაგრი მოწყობილობა მკვეთრად ფიქსირდებოდეს;

ი) გამოყენებული მასალა უნდა იყოს მყარი და მედეგი პლომბის შემთხვევითი დარღვევის, ადრეული ცვეთის (ატმოსფერული მოვლენები, ქიმიური ნივთიერებები და სხვა) ან უცაბედი დაზიანების მიმართ;

კ) პლომბის გამოყენებული მასალა შერჩეულ უნდა იქნეს პლომბირების სისტემის გათვალისწინებით;

ლ) სამაგრი მოწყობილობა უნდა იყოს მყარი, ცვეთამედეგი და მდგრადი ატმოსფერული მოვლენებისა და კოროზიის მიმართ;

მ) სამაგრი მოწყობილობის სიგრძე შეუძლებელს უნდა ხდიდეს პლომბის შესაბამისი გარე მოწყობილობის გახსნას პლომბის ან სამაგრი მოწყობილობის დაზიანების გარეშე;

ნ) სამაგრი მოწყობილობის გამოყენებული მასალა შერჩეულ უნდა იქნეს პლომბირების სისტემის გათვალისწინებით;

ო) პლომბზე ან სამაგრ მოწყობილობაზე ამოტვიფრული უნდა იყოს სიტყვა „საბაჟო" ინგლისურ ან ფრანგულ ენაზე;

პ) პლომბზე ან სამაგრ მოწყობილობაზე უნდა იყოს მარკირება იმ ქვეყნის საცნობარო ნიშნის შესახებ, სადაც ხორციელდება მოცემული საიდენტიფიკაციო საშუალების დადება;

ჟ) პლომბზე ან სამაგრ მოწყობილობაზე უნდა იყოს მარკირება იმ ქვეყნის საბაჟო ორგანოს საცნობარო ნიშნის შესახებ, სადაც ხორციელდება მოცემული საიდენტიფიკაციო საშუალების დადება (შესაბამისი იდენტიფიკაცია შესაძლებელია ციფრული ან ასოითი კოდით).

საბაჟო ტრანზიტის ნაირსახეობად გვევლინება ზოგიერთ საბაჟო კონვენციაში ცალკე საბაჟო რეჟიმად დაფიქსირებული ე.წ "საქონლის კაბოტაჟური ტრანსპორტირების" საბაჟო რეჟიმი.

კაბოტაჟური ტრანსპორტირება ხდება ორ შემთხვევაში:

ა) როდესაც, თავისუფალ მიმოქცევაში არსებული საქონელი გადაადგილდება საზღვაო (საწყლოსნო) გზით, ერთი საზღვაო (საწყლოსნო) საბაჟო ორგანოდან მეორე საზღვაო (საწყლოსნო) საბაჟო ორგანოში, როგორც წესი, იმავე საბაჟო ტერიტორიაზე;

ბ) როდესაც საზღვაო (საწყლოსნო) გზით შემოტანილი და არადეკლარირებული უცხოური საქონელი შემოტანის სატრანსპორტო საშუალებიდან გადაიტვირთება საზღვაო (საწყლოსნო)საბაჟო ორგანოში სხვა საზღვაო (საწყლოსნო) სატრანსპორტო საშუალებაზე და გადაადგილდება სხვა საზღვაო (საწყლოსნო) საბაჟო ორგანოში, როგორც წესი, იმავე საბაჟო ტერიტორიაზე.

ზემოაღნიშნული კაბოტაჟური გადაზიდვა, როგორც შიგა საბაჟო ტრანზიტის სპეციალური სახე დაკავშირებულია სასაზღვრო საზღვაო (სამდინარო) გეოგრაფიასთან. კერძოდ, საზღვაო სასაზღვრო საბაჟო ორგანო მდებარეობს ვირტუალურ საბაჟო საზღვარზე, ხოლო რეალური საბაჟო საზღვარი განლაგებულია ტერიტორიულ წყლების ხაზებზე ანუ ემთხვევა სახელმწიფო საზღვარს. ვინაიდან ტექნიკური მიზეზების გამო შეუძლებელია წყლის სივრცეში საბაჟო ორგანოს განლაგება და ფუნქციონირება, ამდენად არსებობს რისკი, რომ თავისუფალ მიმოქცევაში არსებული საქონელი, რომელიც არ არის საბაჟო კონტროლქვეშ და, რომელიც უნდა გადაადგილდეს საზღვაო ტრანსპორტით ერთი საბაჟო ორგანოდან მეორე საბაჟო ორგანოში საბაჟო ტერიტორიიდან გაუსვლელად (მაგ. ფოთიდან–ბათუმში), ექსპორტის საბაჟო რეჟიმში მოუქცევლად გავიდეს გაგზავნის საბაჟო ორგანოდან საბაჟო ტერიტორიის გარეთ. ამდენად, კაბოტაჟური გადაადგილების პირველ შემთხვევაში ხორციელდება თავისუფალ მიმოქცევაში არსებული საქონლის (რომელიც არ არის საბაჟო კონტროლქვეშ) აყვანა საბაჟო კონტროლქვეშ საბაჟო ორგანოსათვის შესაბამისი დოკუმენტების წარდგენით, რაც არ ხდება სხვა ანალოგიურ შემთხვევაში სახმელეთო ტრანსპორტის დროს (მაგ. თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებული საქონლის გადაადგილება სახმელეთო ტრანსპორტით ბათუმიდან–ფოთში).

კაბოტაჟური გადაზიდვის მეორე შემთხვევაში, განსხვავებით თავისუფალ მიმოქცევაში არსებული საქონლისა, საზღვაო ტრანსპორტით გადაიზიდება უცხოური საქონელი ერთი და იგივე საბაჟო ტერიტორიის ორ სხვადასხვა საბაჟო ორგანოს შორის, რაც არ განსხვავდება შიგა საბაჟო ტრანზიტისაგან ნებისმიერი სახის სატრანსპორტო საშუალებით უცხოური საქონლის გადაადგილების შემთხვევაში.

როგორც აღვნიშნეთ, კაბოტაჟური ტრანსპორტირება, როგორც წესი, ხდება ერთი და იმავე საბაჟო ტერიტორიაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ არსებობს გამონაკლისიც. გამონაკლისად, საბაჟო ორგანოს თანხმობით ჩაითვლება საზღვაო ტრანსპორტის არა პირდაპირი სვლა ერთი და იმავე საბაჟო ტერიტორიაზე ერთი საბაჟო ორგანოდან მეორეში, არამედ უცხო ქვეყნის საბაჟო ორგანოს გავლით ჩასვლა შესაბამის დანიშნულების საბაჟო ორგანოში.(მაგ. ბათუმი–ილიჩევსკი–ფოთი). ეს შემთხვევა დაკავშირებულია იმ ფაქტორთან, როდესაც გემზე კაბოტაჟურ საქონელთან ერთად იმყოფება სხვა საქონელიც, რომელიც განკუთვნილია უცხო ქვეყნისათვის ან გეოგრაფიული მდებარეობის ან ფორს-

მაჟორული სიტუაციის გამო აუცილებელია გემი ჯერ შევიდეს სხვა სახელმწიფოს ნავსადგურში და ისევ შემოვიდეს მოცემული ქვეყნის საბაჟო ტერიტორიაზე.

კაბოტაჟური საქონელი, თუ სხვა სახის საქონელი არ არის შესაბამის ტრანსპორტზე, საბაჟო ორგანოს თანხმობით შეიძლება გადაიტვირთოს არა მხოლოდ დანიშნულების საბაჟო ორგანოში, არამედ ნებისმიერ ადგილზე და ნებისმიერ დროს.

კაბოტაჟური ტრანსპორტირების დროს გემის კაპიტანი ვალდებულია გაგზავნის საბაჟო ორგანოს წარუდგინოს მხოლოდ ერთი დოკუმენტი, სადაც ასახული იქნება მონაცემები გემის შესახებ, საქონლის ჩამონათვალი და დანიშნულების (გადატვირთვის პორტის) დასახელება. ამ დოკუმენტზე ალნიშნით ხდება საბაჟო ორგანოს მიერ კაბოტაჟურ ტრანსპორტირებაზე თანხმობის მიცემა. ამასთან საბაჟო ორგანოს შეუძლია გასცეს გენერალური ნებართვა იმ გემებზე, რომლებიც ასრულებენ რეგულარულ კაბოტაჟურ გადაზიდვებს. ასეთ შემთხვევაში საბაჟო ორგანო ითხოვს გემის დატვირთვის წინ მხოლოდ საქონლის ჩამონათვალის წარმოდგენას.

რაც შეეხება დანიშნულების საბაჟო ორგანოში კაბოტაჟური საქონლის გადატვირთვას, ამ დროს საბაჟო ორგანოს წარედგინება გაგზავნის საბაჟო ორგანოს მიერ დამოწმებული ერთჯერადი ნებართვის დამადასტურებელი გემის კაპიტნის დოკუმენტის ასლი, ხოლო გენერალური ნებართვის შემთხვევაში – მხოლოდ გადასატვირთი საქონლის სია.

აღსანიშნავია, რომ თუ კაბოტაჟურ ტრანსპორტირებას ექვემდებარება თავისუფალ მიმოქცევაში არსებული საქონელი და ამ საქონლის ექსპორტი იბეგრება საბაჟო გადასახდელებით ან მის მიმართ ხორციელდება გატანის არასატარიფო პოლიტიკის ღონისძიებები (კვოტირება, აკრძალვა და სხვა) მაშინ, საბაჟო ორგანოს შეუძლია მოითხოვოს საბაჟო გარანტიის წარმოდგენა.

22.10 საწყობი

საბაჟო საწყობი არის საბაჟო რეჟიმი, რომლის დროსაც შემოტანილი უცხოური საქონელი(ან საქართველოს საქონელიც) ინახება განსაზღვრული წესით მოწყობილ შენობა-ნაგებობებში საბაჟო კონტროლქვეშ და საბაჟო გადასახდელების გადახდის გარეშე.

საბაჟო საწყობის საბაჟო რეჟიმის ფუნქციას წარმოადგენს მეწარმე იმპორტიორი პირების ხელშეწყობა დაუბეგრავად შემოიტანონ საბაჟო ტერიტორიაზე უცხოური საქონელი და შესაბამისი საბრუნავი სახსრების მოპოვების შემთხვევაში პერიოდულად ანარმოონ მოცემული საქონლის გაშვება იმპორტის საბაჟო რეჟიმში ან განახორციელონ სხვა ქვეყნების ბაზრების ათვისება ამ საქონლის საბაჟო საწყობიდან რეექსპორტის გზით.

საბაჟო საწყობი ორი სახის არის: ღია და დახურული.

ღია საბაჟო საწყობი ეწოდება ისეთ საწყობს, სადაც შეიძლება საქონელი განათავსოს ნებისმიერმა პირმა ან სადაც შეიძლება განთავსებულ იქნეს ნებისმიერი სახის საქონელი(შესაბამისი სპეციფიკის გათვალისწინებით).

დახურული საბაჟო საწყობი ეწოდება ისეთ საწყობს, სადაც შეიძლება საქონელი განათავსოს მხოლოდ ერთმა პირმა ან, სადაც შეიძლება განთავსდეს მხოლოდ განსაზღვრული სახის საქონელი.

საბაჟო საწყობები იქმნება შესაბამისი ნებართვის საფუძველზე. იგი შეიძლება შექმნას მხოლოდ ქვეყნის რეზიდენტმა პირმა. რეზიდენტ პირში იგულისხმება, როგორც ფიზიკური, იურიდიული და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა სამართლებრივი პირები, ასევე საბაჟო ორგანოები.

საბაჟო საწყობების შექმნაზე ნებართვებს გასცემს საბაჟო ორგანო. ამასთან ეროვნული კანონმდებლობების მიხედვით რეგულირდება ნებართვის გაცემის პირობები.

საბაჟო საწყობი წარმოადგენს საბაჟო კონტროლის ზონას, რაც იმას ნიშნავს, რომ მის ტერიტორიაზე შესაძლებელია განხორციელდეს საბაჟო კონტროლით გათვალისწინებული ნებისმიერი პროცედურა.

საბაჟო საწყობის შექმნის ძირითადი მოთხოვნებია:

ა) საბაჟო საწყობი ისე უნდა იყოს დაცული, რომ იქ არ შეეძლოს მოხვედრა ნებისმიერ პირს;

ბ) საბაჟო საწყობს უნდა ჰქონდეს იზოლირებული სათავსები ან ღია ადგილი სატრანსპორტო საშუალებების განთავსებისათვის;

გ) საბაჟო საწყობის მფლობელმა ნებართვის მისაღებად საბაჟო ორგანოში უნდა წარმოადგინოს შესაბამისი საბაჟო გარანტია.

საბაჟო საწყობში მოთავსებულ საქონელზე საბაჟო ორგანოს წინაშე პასუხისმგებლობა და საბაჟო ვალდებულებები ეკისრება საბაჟო საწყობის მფლობელს.

იმ შემთხვევაში, როდესაც საქონელი დაიკარგება საბაჟო საწყობიდან, განადგურდება ან და-

ზიანდება საბაჟო სანყობის მფლობელის მიზეზით, შესაბამისი საბაჟო გადასახდელების გადახდის ვალდებულება ეკისრება დროებითი შენახვის საბაჟო საწყობის მფლობელს. შესაბამისად, საბაჟო სანყობის დაარსების ნებართვის მისაღებად წარდგენილი საბაჟო გარანტიის ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს იმ საბაჟო გადასახდელების მინიმალურ ოდენობას, რომელიც იქნებოდა გადახდილი საბაჟო საწყობში მოთავსებული საქონლის იმპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცევის დროს.

საბაჟო საწყობის მფლობელს მხოლოდ იმ შემთხვევაში არ აქვს საბაჟო გადასახდელების გადახდის ვალდებულება, თუ საქონელი განადგურდა ისეთი ფორსმაჟორული სიტუაციების შედეგად, როგორიც არის წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა, ომი და სხვა მსგავსი დაუძლეველი ძალა. ამასთან აღსანიშნავია, რომ ფორსმაჟორულ სიტუაციად და დაუძლეველ ძალად არ განიხილება ისეთი მოვლენა, როგორიც არის დროებით შენახვის საბაჟო საწყობში არსებული საქონლის ქურდობა ან ძარცვა – ყაჩაღობა, რაც საბაჟო გადასახდელების გადახდისაგან თავის არიდების პრევენციად განიხილება იმ ასპექტით, რომ გამოირიცხოს საქონლის ზემოაღნიშნული მეთოდით დაკარგვის ინსცენირება.

საბაჟო საწყობში სხვადასხვა სახის, ხასიათის და დანიშნულების საქონლის განთავსების დროს გათვალისნინებულ უნდა იქნას, ის ფაქტორი, რომ არ უნდა მოხდეს საქონელთა დაზიანება ან გაფუჭება. მაგ. სახიფათო საქონელი ან ისეთი საქონელი, რომელიც დასვრის, შეერევა, გააფუჭებს ან შეუცვლის სხვა საქონელს სასაქონლო სახეს იზოლირებულად უნდა იქნეს განთავსებული.

საბაჟო საწყობში საქონლის განთავსების დროს დეკლარანტი საბაჟო ორგანოს წარუდგენს საბაჟო დეკლარაციას საქონლის თანმხლებ დოკუმენტებთან ერთად. ამასთან საქონლის განთავსების შემდეგ საბაჟო საწყობის მფლობელი აწარმოებს საქონლის შემოტანის და გატანის აღრიცხვას სპეციალურ ჟურნალში და ამის შესახებ გარკვეული პერიოდის განმავლობაში სათანადო ინფორმაციას აწვდის შესაბამის საბაჟო ორგანოს.

ღია ტიპის საბაჟო საწყობებში შეიძლება განთავსებულ იქნეს ნებისმიერი სახის საქონელი, მათ შორის ის საქონელიც, რომელიც ექვემდებარება სატარიფო ან არასატარიფო ღონისძიებებს. ამასთან საბაჟო საწყობში არ შეიძლება ისეთი საქონლის განთავსება, რომელიც საზოგადოებრივი მორალის და წესის, საზოგადოებრივი უშიშროების, საზოგადოებრივი ჰიგიენის, ჯანმრთელობის, ვეტერინარული, ფიტოსანიტარული ან პატენტების, სავაჭრო მარკების და საავტორო უფლებების დაცვის მიზნებიდან გამომდინარე არ შეიძლება იყოს ქვეყანაში შემოტანილი.

საბაჟო საწყობში შეიძლება მოთავსებული იყოს საქონელი შემდეგი მიზნებიდან გამომდინარე:

ა) საქონელი, რომელიც უნდა მოექცეს კანონმდებლობით დასაშვებ სხვა რეჟიმებსა და საბაჟო დამუშავების ოპერაციებში. ამ შემთხვევაში საბაჟო საწყობიდან შეიძლება განხორციელდეს საქონლის მოქცევა ფაქტობრივად ყველა სახის საბაჟო რეჟიმში(დამუშავების ოპერაციაში), მათ შორის ტრანზიტის ჩათვლით, თუ ადრე საქონელი ტრანზიტისათვის იყო გაცხადებული;

ბ) საქონელი, რომელიც საბაჟო საწყობში უნდა მოექცეს ამ საქონლის საბაჟო ტერიტორიიდან გატანისა და გადახდილი საბაჟო გადასახდელების დაბრუნების მიზნით;

გ) საქონელი, რომელიც მოქცეულია ტრანზიტის ან დროებით შემოტანის საბაჟო რეჟიმებით ამ რეჟიმების დროებით შეჩერების ან დამთავრების მიზნით.

საბაჟო საწყობში მოთავსებული საქონლის მიმართ შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ისეთი ოპერაციები, რომელიც ემსახურება ამ საქონლის დაცულობას უცვლელ მდგომარეობაში. ასეთი ოპერაციებს განეკუთვნება:

ა) გასუფთავება;

ბ) განიავება;

გ) გაშრობა;

დ) შენახვის ოპტიმალური ტემპერატურული რეჟიმის შექმნა(გაცივება, გაყინვა, გახურება);

ე) დამცავ შესაფუთში მოთავსება;

ვ) დამცავი საფენისა და კონსერვანტის ჩატანება;

ზ) ჟანგსაწინააღმდეგო შეღებვა;

თ) დამცავი მონყობილობის შეყვანა;

ი) ანტიკოროზიული საფენის ჩატანება ტრანსპორტირების წინ;

კ) პარტიის დანაწილება;

ლ) გზავნილების ფორმირება;

მ) დახარისხება;

ნ) შეფუთვა;

ო) მარკირება(სპეციალური მარკების, აქციზური მარკების დაკვრა და სხვა);

პ) საქონლის მოთავსება სადემონსტრაციო სტენდებზე;

ე) დატვირთვა, გადმოტვირთვა, გადატვირთვა;

რ) დაკომპლექტებასთან ან სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან დაკავშირებული მარტივი ოპერაციები;

ს) საქონლის გადაადგილება საწყობში მისი რაციონალურად განლაგების მიზნით;

ტ) ტესტირება(გამოცდა);

უ) საქონლის დემონსტრირება საბაჟო კონტროლის ზონაში;

ფ) გაყიდვისა და ტრანსპორტირებისათვის საჭირო სხვა ოპერაციები.

ეროვნული კანონმდებლობა აწესებს საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის ვადას ვაჭრობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს შესაბამისი ობიექტური მოტივაციის არსებობის პირობებში. ცალკეულ მალფუჭებად ან სხვა განსაკუთრებული სახის საქონელზე საბაჟო ორგანო ადგენს შენახვის განსაზღვრულ ვადას. ამასთან არამალფუჭებად საქონელზე საბაჟო საწყობში შენახვის მინიმალური ვადა არ უნდა იყოს ერთ წელზე ნაკლები.

ზემოაღნიშნულ დადგენილ ვადებში საქონლის სხვა საბაჟო რეჟიმში (დამუშავების ოპერაციაში) მოუქცეველობის შემთხვევაში საქონელი ექვემდებარება საბაჟო სანქციებს, მათ შორის ჩამორთმევას და რეალიზაციას სასყიდლით ან უსასყიდლოდ ეროვნული კანონმდებლობის მიერ დადგენილი წესით.

საბაჟო საწყობში მოთავსებული საქონელი, რომელიც დაზიანდა, გაფუჭდა ან გახდა უვარგისი მოხმარებისათვის ფორსმაჟორული სიტუაციების შედეგად, ამ მდგომარეობის გათვალისწინებით უნდა იქნეს მოქცეული შესაბამის საბაჟო რეჟიმში(დამუშავების ოპერაციაში). შესაბამისად, თუ ეს საქონელი მოექცევა იმპორტის საბაჟო რეჟიმში, მაშინ საბაჟო გადასახდელები გადაიხდება საქონლის დაზიანების ხარისხის გათვალისწინებით და, ბუნებრივია შემცირებული ოდენობით. ამასთან ეს ფაქტი უნდა იყოს დადასტურებული დადგენილი წესით.

აღსანიშნავია, რომ საბაჟო საწყობის რეჟიმში მოქცეული საქონელი შესაძლებელია გადაეცეს საკუთრებაში იმპორტიორის ან კონსიგნაციის შემთხვევაში ექსპორტიორის მიერ, სხვა პირს. საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემა არ ნიშნავს საქონლის გასვლას საბაჟო საწყობის რეჟიმიდან. ამ შემთხვევაში, შესაბამისი დოკუმენტების საფუძველზე საბაჟო საწყობის რეჟიმში მოქცეული საქონელი იცვლის მესაკუთრეს და არა საბაჟო სტატუსს. ჩვენ, საბაჟო საწყობში საქონლის მიწოდების საკითხები განხილული გვაქვს დღგ-ს თავში უკუდაბეგვრის საკითხებთან დაკავშირებით.

საბაჟო საწყობში შენახულ, საწყობის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეულ საქონელზე (შიგა გადამუშავების შედეგად მიღებული გადამუშავებული საქონლის, გადაუმუშავებელი საქონლის, ნაშთის ან/და ნარჩენების გარდა) საკუთრების უფლების გადაცემა დასაშვებია საქონლის მესაკუთრესა და ნებისმიერ სხვა პირს შორის წერილობით გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში შესაბამისი ინფორმაცია შეიტანება სასაქონლო საბაჟო დეკლარაციაში, რომელიც ჩაითვლება ძალადაკარგულად, ხოლო ახალი მესაკუთრის მიერ წარედგინება ახალი საბაჟო დეკლარაცია.

22.11 თავისუფალი ზონა

საბაჟო ზონა გულისხმობს საბაჟო ტერიტორიის განსაზღვრულ ნაწილს, რომელიც პირდაპირი გაგებით არ არის საბაჟო კონტროლის ზონა. ამ შემთხვევაში, საბაჟო ორგანო(საქართველოს კანონმდებლობით საგადასახადო ორგანო) უფლებამოსილია:

ა) განახორციელოს საბაჟო კონტროლი თავისუფალი ზონის პერიმეტრზე პირის, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების გადაადგილებაზე;

ბ) მოითხოვოს და მიიღოს თავისუფალ ზონაში არსებული საქონლის დოკუმენტების ასლები;

გ) საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას, დაათვალიეროს თავისუფალ ზონაში შენახული საქონელი.

თავისუფალი საბაჟო ზონა არის საბაჟო რეჟიმი, რომლის დროსაც ამ ზონაში მოთავსებული საქონელი საბაჟო გადასახდელების გადახდის თვალსაზრისით განიხილება საბაჟო ტერიტორიის გარეთ არსებულად. ეს იმას ნიშნავს, რომ თავისუფალ ზონაში შეტანილ საქონელზე საბაჟო გადასახდელები არ გადაიხდევინება.

თავისუფალი საბაჟო ზონა შეიძლება იყოს ისეთი უფრო დიდი წარმონაქმნების შემადგენელი ნაწილი და ერთ-ერთი მიმართულება, როგორიც არის თავისუფალი ეკონომიკური ზონა, ოფშორული ზონა (ოფფსჰორე ინგ. ნაპირს მიღმა, გარეთ), თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, საგადასახადო ოაზისი და სხვა.

აღსანიშნავია, რომ პირველი თავისუფალი საბაჟო ზონა (პორტო ფრანკო) შეიქმნა ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე მე-16 საუკუნის ბოლოს, ხოლო 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამდე ბათუმში არსებობდა, ასევე თავისუფალი საბაჟო ზონა (პორტო ფრანკო).

თავისუფალ ზონაში შეიძლება აკრძალულ იქნეს კანონმდებლობით დადგენილი ზოგიერთი საქონლის განთავსება. მაგ. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით თავისუფალ ზონაში აკრძალულია აქციზური საქონლის მოთავსება.

ამასთან თავისუფალ ზონაში აკრძალულია ისეთი საქონლის განთავსება, რომელიც საზოგადოებრივი მორალის და წესის, საზოგადოებრივი უშიშროების, საზოგადოებრივი ჰიგიენის, ჯანმრთელობის, ვეტერინარული, ფიტოსანიტარული ან პატენტების, სავაჭრო მარკების და საავტორო უფლებების დაცვის მიზნებიდან გამომდინარე არ შეიძლება იყოს ქვეყანაში შემოტანილი.

თავისუფალ ზონაში მოთავსებული იმ საქონელზე, რომელიც ექსპორტის საბაჟო რეჟიმისათვის არის განკუთვნილი, ისევე ვრცელდება გადასახადების ჩათვლის, დაბრუნებისა და ანაზღაურების მექანიზმი, როგორც ექსპორტის საბაჟო რეჟიმის დროს.

საბაჟო ზონაში მოთავსებული საქონლის მიმართ საბაჟო დეკლარირების სხვადასხვა ფორმები გამოიყენება. კერძოდ:

ა) საბაჟო ზონაში უშუალოდ საზღვარგარეთიდან შეტანილ საქონელზე საბაჟო დეკლარაცია არ წარედგინება. ამ შემთხვევაში დეკლარაციის ნაცვლად საკმარისია საქონლის თანმხლები დოკუმენტების წარდგენა, თუ ისინი მოიცავს საკმარის ინფორმაციას საქონლის შესახებ(მაგ. კონოსამენტი, ინვოისი, სატრანსპორტო ზედდებული და სხვა);

ბ) საბაჟო ზონიდან უშუალოდ საზღვარგარეთ გატანილ საქონელზე საბაჟო დეკლარაცია არ წარედგინება. ამ შემთხვევაში დეკლარაციის ნაცვლად საკმარისია საქონლის თანმხლები დოკუმენტების წარდგენა, თუ ისინი მოიცავს საკმარის ინფორმაციას საქონლის შესახებ(მაგ. კონოსამენტი, ინვოისი, სატრანსპორტო ზედდებული და სხვა);

გ) საბაჟო ზონიდან ქვეყნის დანარჩენ საბაჟო ტერიტორიაზე შესატანად ან ამ ტერიტორიის გავლით მის გარეთ გასატანად საჭიროა წარმოდგენილ იქნეს საბაჟო დეკლარაცია შესაბამისი საბაჟო რეჟიმების მოთხოვნების შესაბამისად.

თავისუფალი საბაჟო ზონა იქმნება ქვეყნის შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს ნებართვით. ასეთი ორგანო, როგორც წესი, არის საბაჟო ორგანო. ამასთან თავისუფალი საბაჟო ზონა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ შეიძლება იყოს უფრო დიდი ერთეულის – თავისუფალი ეკონომიკური ზონის შემადგენელი ნაწილი, რომელიც იქმნება მთავრობის ნებართვით.

თავისუფალი ზონების შექმნა ითვალისწინებს გარკვეული ტერიტორიის შემოფარგვლას და იზოლირებას საბაჟო ტერიტორიის სხვა ნაწილისაგან. შემოფარგლული ტერიტორიის პერიმეტრი წარმოადგენს საბაჟო კონტროლის ზონის პერიმეტრს და საკუთრივ თავისუფალი საბაჟო ზონის შემთხვევაში (განსხვავებით თავისუფალი საბაჟო საწყობისა) ამ პერიმეტრზე ხდება შესასვლელი და გასასვლელი საბაჟო პუნქტების მოწყობა შესაბამისი საბაჟო პროცედურების განსახორციელებლად.

თავისუფალი საბაჟო ზონის შექმნის ნებართვის მისაღებად სხვა ტექნიკურ პირობებთან ერთად, საჭიროა წარმოდგენილ იქნეს შესაბამისი საბაჟო გარანტია. ეს პროცედურები და კრიტერიუმები შინაარსობრივად არ განსხვავდება საბაჟო საწყობის შექმნის დროს დასაკმაყოფილებელი შესაბამისი კრიტერიუმებისაგან. მათ შორის განსხვავება მხოლოდ გარეგან, ფორმალურ ხასიათს ატარებს.

თავისუფალ ზონაში საქონლის მოთავსების შემდეგ მასზე შეიძლება ჩატარდეს მისი შენახვის ან რეალიზაციის უზრუნველმყოფი ღონისძიებები, რაც ანალოგიურია საბაჟო საწყობში მოთავსებული საქონლის მიმართ განსახორციელებელი ღონისძიებებისა.

ამასთან თავისუფალ ზონაში, საბაჟო ორგანოს ნებართვის შემთხვევაში შეიძლება განხორციელდეს საქონლის გადამუშავების ოპერაციები. ეს ოპერაციები ზუსტად იმ ტიპის მოქმედებებია, რომელსაც ადგილი აქვს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების დროს.

აქვე აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ქვეყანაში თავისუფალ ზონაში საქონლის გადამუშავების დროს გადამუშავების პროდუქტის საბაჟო ღირებულებაში ამ პროდუქტის დანარჩენ საბაჟო ტერიტორიაზე იმპორტის დროს არ შედის ზონაში ამ საქონლის გადამუშავებაზე გაწეული ხარჯები, გარდა უცხოური მასალებისა და ნედლეულისა. ეს გაპირობებულია იმით, რომ თავისუფალი ზონა წარმოადგენს მოცემული ქვეყნის საბაჟო ტერიტორიას. ანალოგიური პრინციპი შეიძლება გავრცელდეს საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლისაგან მიღებული გადამუშავების პროდუქტის, ამავე ქვეყნის დანარჩენ საბაჟო ტერიტორიაზე იმპორტის დროს.

თავისუფალ საბაჟო ზონაში საქონლის განთავსების ვადა, განსხვავებით ჩვეულებრივი საბაჟო საწყობისაგან, შეზღუდული არ არის. ასეთი შეზღუდვა შეიძლება განხორციელდეს იშვიათად, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. ამასთან, ისევე, როგორც საბაჟო საწყობში, დაშვებულია საკუთრების უფლების გადაცემა თავისუფალ ზონაში მოთავსებულ საქონელზე.

აღსანიშნავია, რომ თავისუფალ ზონის ფარგლებში არ შეიძლება უცხოური საქონელი მოექცეს

თავისუფალ მიმოქცევაში, გარდა იმ საქონლისა, რომელიც განკუთვნილია იქ მომუშავე პერსონალის პირადი მოხმარებისათვის.

თავისუფალ საბაჟო ზონაში განთავსებული უცხოური საქონელი შეიძლება მოქცეულ იქნეს ნებისმიერ შესაბამის საბაჟო რეჟიმში.

საქართველოს კანონმდებლობით თავისუფალ ზონაში შეიძლება მოთავსდეს:

ა) უცხო ქვეყნიდან შეტანილი საქონელი;

ბ) საქართველოს სხვა საბაჟო ტერიტორიიდან შეტანილი უცხოური საქონელი;

გ) უცხოური საქონელი, რომელიც მოქცეული იყო სასაქონლო ოპერაციაში, რომელიც დასრულდა თავისუფალ ზონაში საქონლის შეტანით;

დ) საქართველოს საქონელი.

თუ, საქართველოს საქონელი განთავსდა თავისუფალ ზონაში, მაშინ მის მიმართ უნდა განისაზღვროს არა თავისუფალი ზონის რეჟიმი, არამედ-ექსპორტი.

თავისუფალ ზონაში დასაშვებია ნებისმიერი საქონლის შეტანა/გამოტანა, შენახვა, გადამუშავება, მიწოდება ან/და მომსახურების განევა. ამასთან, თავისუფალ ზონაში აკრძალულია:

ა) იარაღის, საბრძოლო მასალის გადამუშავება/მიწოდება;

ბ) ბირთვული, რადიოაქტიური ნივთიერებების გადამუშავება/მიწოდება;

გ) ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების შეტანა, გადამუშავება, შენახვა ან/და მიწოდება;

დ) თამბაქოს ნაწარმის ან/და თამბაქოს ნედლეულის შეტანა, შენახვა, გადამუშავება ან/და მიწოდება, გარდა ადგილზე მოხმარებისათვის და საქართველოს საქონლის შემთხვევაში ეს არ განიხილება, როგორც საქონლის ექსპორტი.

თავისუფალ ზონაში საქართველოს საქონლის მოთავსების მიზნით, თავისუფალი ზონის საბაჟო გამშვებ პუნქტში საქონლის წარდგენისას, დეკლარანტს უფლება აქვს:

ა) განახორციელოს საქონლის დეკლარირება სასაქონლო ზედნადების წარდგენით, ან

ბ) სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია შეავსოს გამარტივებული წესით.

თავისუფალი ზონიდან საქონლის გატანა ხორციელდება საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან მისი გატანით ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიის სხვა ადგილზე გადატანით. თავისუფალი ზონიდან საქონლის სხვა ქვეყანაში გატანა განიხილება როგორც საქონლის ექსპორტი. თავისუფალ ზონაში არსებული საქონლის, როგორც უცხოური საქონლის, საქართველოს სხვა საბაჟო ტერიტორიაზე გადატანის დროს ხორციელდება საგადასახადო კანონმდებლობით (მათ შორის, სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრისათვის) საქართველოში უცხოური საქონლის შემოტანისათვის დადგენილი პროცედურები.

22.12 დროებითი შემოტანა

საქონლის დროებით შემოტანის საბაჟო რეჟიმი ნიშნავს ქვეყნის საბაჟო ტერიტორიაზე უცხოური საქონლის შემოტანას საბაჟო გადასახდელებისაგან სრული ან ნაწილობრივი გათავისუფლების პირობით. ამასთან ეს საქონელი გატანილ უნდა იქნეს საბაჟო ტერიტორიიდან უცვლელ მდგომარეობაში(გარდა ბუნებრივი ცვეთისა, მათ შორის საწარმოო ექსპლოატაციით გამოწვეული ცვეთისა) წინასწარ განსაზღვრულ ვადაში.

დროებით შემოტანის საბაჟო რეჟიმი ხელს აძლევს მეწარმე სუბიექტებს და მგზავრებს. კერძოდ, საქონელი შეიძლება დროებით იქნეს შემოტანილი და სრულად ან ნაწილობრივ საბაჟო გადასახდელებისაგან გათავისუფლებული ამ საქონლის შემდეგი ფუნქციონალური დანიშნულებიდან გამომდინარე:

ა) წარმოების საშუალებები შემოტანილია იჯარით;

ბ) საქონელი შემოტანილია გამოფენებისათვის, დემონსტრაციისათვის, რეკლამისათვის და ა.შ;

გ) საქონელი შემოტანილია ექსპერიმენტების, ცდების, კვლევების და ა.შ ჩასატარებლად;

დ) საქონელი შემოტანილია ფიზიკური პირების, მგზავრების(ტურისტების) მიერ მათი პირადი საჭიროებისათვის.

როგორც აღვნიშნეთ დროებით შემოტანილი საქონელი საბაჟო გადასახდელებისაგან თავისუფლდება სრულად ან ნაწილობრივ.

სრული გათავისუფლება ნიშნავს გარკვეული კატეგორიის საქონლის ან გარკვეული პირების გათავისუფლებას ყველა საბაჟო გადასახდელისაგან. ძირითადად ეს ეხება არასაწარმოო მიზნებით შემოტანილ საქონელს. ასეთი საქონლის ნუსხა განსაზღვრულია „დროებით შემოტანის შესახებ" სტამ-

ბულის 1990 წლის 26 ივნისის საბაჟო კონვენციით და მისი ნუსხა შემდეგნაირად გამოიყურება:

ა) საქონელი, რომელიც გამოიყენება დემონსტრაციების, გამოფენების, ბაზრობების, კონფერენციების და მსგავსი ღონისძიებებისათვის;

ბ) პროფესიული მონყობილობები;

გ) კონტეინერები, სათავსები, შეფუთვები, ნიმუშები და სხვა სახის საქონელი, რომელიც შემოტანილია კომერციულ ოპერაციებთან დაკავშირებით;

დ) საქონელი, რომელიც შემოტანილია განათლების, მეცნიერების და კულტურის მიზნებისათვის;

ე) მგზავრების პირადი საქონელი და ის საქონელი, რომელიც შემოტანილია სპორტული მიზნებისათვის;

ვ) ტურიზმის სარეკლამო მასალები;

ზ) საქონელი, რომელიც შემოტანილია სასაზღვრო ვაჭრობის ფარგლებში;

თ) ჰუმანიტარული საქონელი;

ი) სატრანსპორტო საშუალებები;

კ) ცხოველები.

ნანილობრივი გათავისუფლება ნიშნავს ზემოაღნიშნული საქონლის გარდა ყველა სხვა საქონლის დაბეგვრას ნანილობრივ ანუ არასრულად, რაც გამოიხატება ძირითადად საბაჟო გადასახდელების პერიოდულად გადახდით შემცირებული გადასახდელების ოდენობით. ამ შემთხვევაში წარმოდგენილ უნდა იქნეს იმპორტის საბაჟო გადასახდელების ოდენობის საბაჟო გარანტია.

დროებით შემოტანის საბაჟო რეჟიმში შეიძლება მოექცეს არა მხოლოდ სპეციალურად ამისათვის შემოტანილი უცხოური საქონელი, არამედ უკვე სხვა საბაჟო რეჟიმებში მოქცეული და უცხოური საქონლის საბაჟო სტატუსის მქონე საქონელი. მაგ. საბაჟო საწყობში არსებული უცხოური საქონელი.

დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში საქონელი, როგორც წესი, ექცევა საბაჟო დეკლარაციის ნარდგენით. ამასთან, რიგ შემთხვევებში, განსაკუთრებით მგზავრების მიერ პირადი ნივთების შემოტანის დროს საქონელზე შეიძლება არ იქნეს მოთხოვნილი წერილობითი საბაჟო დეკლარაცია საქონლის რაოდენობისა და ღირებულებიდან გამომდინარე, რადგანაც ამ საქონლის ქვეყანაში დარჩენის საბაჟო რისკი არის მინიმალური, ხოლო შედეგები უმნიშვნელო.

საბაჟო დეკლარაცია და საბაჟო გარანტია ასევე არ ნარედგინება საბაჟო კონვენციებით განსაზღვრულ იმ შემთხვევაში, როდესაც საქონელი დროებით შემოტანის საბაჟო რეჟიმით შემოდის ე.წ `ATA – კარნეტით". ამ შემთხვევაში, თვით ეს დოკუმენტი წარმოადგენს საბაჟო დეკლარაციას.

დროებითი შემოტანის დროს, ისევე, როგორც სხვა საბაჟო რეჟიმების დროს უმნიშვნელოვანესი საკითხია შემოტანილი საქონლის იდენტიფიცირების საკითხი გასატან, ამავე საქონელთან. ასეთ შემთხვევაში საქონლის შემოტანის დროს საბაჟო ორგანო ახორციელებს ამ საქონლის იდენტიფიცირებას ნებისმიერი მოსახერხებელი საიდენტიფიკაციო ნიშნებით(მაგ. შტამპები, ფოტოგადაღება, უნიკალური ნომრების დაფიქსირება და ა.შ).

დროებითი შემოტანის დროს საბაჟო ორგანოს მიერ განისაზღვრება კონკრეტული საქონლის მიმართ კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში საბაჟო ტერიტორიაზე ამ საქონლის ყოფნის ვადა. ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს შესაბამისი ობიექტური აუცილებლობის შემთხვევაში. ამასთან დროებით შემოტანის ვადა შეიძლება შეჩერდეს შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ, საქონელი დროებით შემოტანის საბაჟო რეჟიმიდან მოექცა საბაჟო საწყობის საბაჟო რეჟიმში გარკვეული ვადით;

ბ) თუ, საქონელზე დადებულია ყადაღა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ყადაღა დადებულია კერძო პირების სარჩელის საფუძველზე.

დროებითი შემოტანის დროს ზოგიერთი ქვეყანა გასცემს დროებითი შემოტანის ნებართვას, რაც საერთაშორისო ნორმების მიხედვით მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი. ამასთან ასეთი ნებართვა უნდა გაიცეს იმ პირზეც, რომელსაც საქონლის მესაკუთრისაგან დროებით გადაეცემა საქონელი, იმ პირობით, რომ ეს პირი დააკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ ყველა მოთხოვნას.

დროებით შემოტანის საბაჟო რეჟიმი სრულდება, როგორც წესი, ამ საქონლის რეექსპორტით, თუმცა, იგი შეიძლება დასრულდეს სხვა კანონმდებლობით დაშვებული ნებისმიერი შესაბამისი საბაჟო რეჟიმით.

დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციაში (საბაჟო რეჟიმში) საქონლის დეკლარირება შესაძლებელია განხორციელდეს:

ა) სასაქონლო საბაჟო დეკლარაციით;

ბ) გამარტივებული საბაჟო დეკლარაციით;

გ) ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციით;

დ) იმპორტის გადასახდელებისაგან სრულად გათავისუფლებული საქონლის დროებითი შემოტანისას:

დ.ა) ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციით – ფიზიკური პირის ბარგით ან ხელბარგით გადაადგილებული საქონლის საბაჟო გამშვებ პუნქტში დეკლარირებისას;

დ.ბ) მონმობის გაცემით – უცხო ქვეყნის მოქალაქის/რეზიდენტის მიერ საქონლის ავტოსატრანსპორტო საშუალებით შემოტანისას.

დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციაში არ დაიშვება შემდეგი საქონლის მოქცევა:

ა) აქციზური საქონელი, გარდა მსუბუქი ავტომობილებისა და ქვემოთ აღნიშნული „ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრული ღონისძიებებისათვის განკუთვნილი თამბაქოსი და ალკოჰოლური ნაწარმისა;

ბ) მასალები, ნედლეული, ნახევარფაბრიკატები და მაკომპლექტებელი ნაწილები (გარდა გამოფენების, საჩვენებლად და გამოსაცდელად, სარეკლამო, სასწავლო, სამეცნიერო, სხვადასხვა სახის შეხვედრების და მსგავსი ღონისძიებებისათვის განკუთვნილი საქონლისა);

გ) კვების პროდუქტები (გარდა ზემოთ აღნიშნული „ბ" ქვეპუნქტში მითითებული მიზნებით შემოტანილისა);

დ) აკრძალული ან მკაცრად შეზღუდული საშიში ქიმიური ნივთიერებები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ე) საქონლის ადგილწარმოშობის დასახლებაზე ან გეოგრაფიულ აღნიშვნაზე უფლების დარღვევით წარმოებული ან/და კონტრაფაქციული საქონელი;

ვ) სახიფათო (მათ შორის, ტოქსიკური) და რადიაქტიური, სამრეწველო, საყოფაცხოვრებო და სხვაგვარი ნარჩენები (ბაზელის კონვენციის მე-4 დანართით დადგენილი ნარჩენების განთავსების ოპერაციების ჩათვლით);

ზ) არასახიფათო (მათ შორის, არატოქსიკური) და არარადიაქტიური სამრეწველო, საყოფაცხოვრებო და სხვაგვარი ნარჩენები (ბაზელის კონვენციის მე-4 დანართით განსაზღვრული ნარჩენების განთავსების ოპერაციათა „ა" ჯგუფი);

თ) საქართველოში რეგისტრირებული სამკურნალო საშუალების უკანონო ასლი, ფალსიფიცირებული სამკურნალო საშუალებები;

ი) პესტიციდები და აგროქიმიკატები (გარდა ზემოთ აღნიშნულ „ბ" ქვეპუნქტში მითითებული მიზნებით შემოტანილისა);

კ) სასაქონლო ნიშნის მფლობელის ნებართვის გარეშე მესამე პირის მიერ ამ სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსი ნიშნით ნიშანდებული შესაფუთი მასალა ან შეფუთვა;

ლ) ფუტკრის ოჯახი, დედა ფუტკარი, ფუტკრის ამონაყარი, ფუტკრის სპერმა, ფუტკრის ჭია და კვერცხი;

მ) ასაფეთქებელი ნივთიერებები, სამრეწველო დანიშნულების დენთი და პიროტექნიკური ნაკეთობები (გარდა ზემოთ აღნიშნულ „ბ" ქვეპუნქტში მითითებული მიზნებით შემოტანილისა), უტილიზებული საბრძოლო მასალები, მათი წარმოების ნარჩენები;

ნ) „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ნარკოტიკული საშუალებები, ფსიქოტროპული ნივთიერებები და პრეკურსორები;

ო) ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატები;

პ) შეზღუდულად ბრუნვადი მასალები „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად.

საქონლის დროებითი შემოტანის კონკრეტული ვადა განისაზღვრება დეკლარანტის მიერ 3 წლის ან შემოსავლების სამსახურის მიერ დადგენილი განსხვავებული ვადის ფარგლებში. ამასთან, შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია, შეცვალოს მის მიერ დადგენილი საქონლის დროებითი შემოტანის განსხვავებული ვადა.

დროებითი შემოტანის ვადა აითვლება დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციაში უცხოური საქონლის მოქცევის დღიდან.

დროებითი შემოტანის წინასწარ განსაზღვრული ვადა შეიძლება გაგრძელდეს რამდენჯერმე, იმ პირობით, რომ საქონლის დროებითი შემოტანის საერთო ვადა (გაგრძელებული ვადის ჩათვლით) არ უნდა აღემატებოდეს ზემოაღნიშნულ ზღვრულ ვადას.

საქონლის დროებითი შემოტანის წინასწარ განსაზღვრული ვადის გაგრძელების შემთხვევაში, უნდა განხორციელდეს საქონლის ხელახალი დეკლარირება.

დროებითი შემოტანის ვადის გასვლამდე (თუ გაგრძელებული არ იქნება დროებითი შემოტანის წინასწარ განსაზღვრული ვადა) საქონელი გატანილი უნდა იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორი-

იდან ან მის მიმართ უნდა განისაზღვროს სხვა სასაქონლო ოპერაცია.

დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე განთავსების მთელ პერიოდში რჩება დეკლარანტის განკარგულებაში.

საგადასახადო ორგანოს და საქონლის მესაკუთრის თანხმობით, დასაშვებია დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული საქონლის გადაცემა სხვა პირის სარგებლობაში. გადაცემა ხორციელდება საქონლის ახალი მფლობელის მიერ საბაჟო დეკლარაციის წარდგენით, რომელსაც თან ერთვის საქონლის მესაკუთრის წერილობითი თანხმობა. ასეთ შემთხვევაში, დროებითი შემოტანის ვადა განისაზღვრება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის ფარგლებში, რომელსაც აკლდება საქონლის დროებით შემოტანის სასაქონლო ოპერაციაში ყოფნის ფაქტობრივი დრო.

დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციაში იმპორტის გადასახდელებისაგან სრულად გათავისუფლებით, შესაძლებელია მოექცეს ქვემოთ ჩამოთვლილი შემდეგი უცხოური საქონელი:

ა) ნებისმიერი სახის ცოცხალი ცხოველები (მათ შორის, თევზები), რომელთა შემოყვანის მიზანია:

ა.ა) წვრთნა, ვარჯიში, მოშენება, აწონვა, ვეტერინარული დამუშავება ან შემოწმება (შესყიდვის მიზნით და სხვა);

ა.ბ) წარმოდგენაში, გამოფენაში, კონკურსში, შეჯიბრებაში ან ჩვენებაში მონაწილეობა;

ა.გ) გართობა (ცირკის ცხოველები და სხვა), მოგზაურობა (მოგზაურთა შინაური ცხოველების ჩათვლით);

ა.დ) სპეციალური სამუშაოების შესრულება (პოლიციისათვის და სხვა მიზნებისათვის);

ა.ე) სამაშველო ოპერაციების ჩატარება;

ა.ვ) ძოვება;

ა.ზ) სამუშაოების შესრულება ან ტრანსპორტირება;

ა.თ) სამედიცინო დანიშნულებით გამოყენება (გველის შხამის მიღება და სხვა);

ბ) ბაზრობისათვის, გამოფენისათვის, სხვადასხვა სახის შეხვედრისა და მსგავსი ღონისძიებებისათვის განკუთვნილი საქონელი, გარდა ღონისძიებაზე წარმოდგენილი დასახარჯი (მოსახმარი, გასანადგურებელი) უცხოური საქონლის ნიმუშებისა (კვების პროდუქტები, ელექტროშედუღებისათვის განკუთვნილი ელექტროდები, საღებავი, ლაქი, შპალერი, ნაბეჭდი მასალები, კატალოგები, სარეკლამო პლაკატები, ფასების მაჩვენებლები და სხვა). ეს საქონელია:

ბ.ა) საქონელი, რომელიც განკუთვნილია უცხოური დანადგარებისა და მოწყობილობების საჩვენებლად და გამოსაცდელად;

ბ.ბ) სამშენებლო და დეკორატიული მასალა (ელექტრომოწყობილობების ჩათვლით), რომელიც აუცილებელია უცხოური დანადგარებისა და მოწყობილობების საჩვენებლად და გამოსაცდელად;

ბ.გ) სარეკლამო – საჩვენებელი მასალა, რომელიც განკუთვნილია უცხოური საქონლის საჯარო დემონსტრირებისათვის (ხმისა და გამოსახულების ჩამწერი საშუალებები, ფილმები და სლაიდები, ასევე სხვა შესაბამისი მოწყობილობა);

გ) კინემატოგრაფიისათვის, პრესისათვის, ტელევიზიისა და რადიოს გადაცემებისათვის საჭირო პროფესიონალური მოწყობილობები, რომლებიც ეკუთვნის უცხოურ საწარმოს/ორგანიზაციას ან არარეზიდენტ ფიზიკურ პირს, საქართველოში შემოტანილია და გამოიყენება ამავე პირის მიერ მხოლოდ პრესის, ხმოვანი და სატელევიზიო მოწყობილობებისათვის, რომლებიც საჭიროა უცხოური კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი პრესის, მაუწყებლობის ან სატელევიზიო ორგანიზაციის იმ წარმომადგენლობისათვის, რომელიც ამზადებს ან გადასცემს რეპორტაჟებს ან იწერს სპეციალურ პროგრამებს; კინემატოგრაფიული მიზნებისათვის განკუთვნილი პროფესიონალური მოწყობილობები, რომლებიც საჭიროა იმ უცხოური საწარმოსათვის/ორგანიზაციისათვის ან არარეზიდენტი ფიზიკური პირისათვის, რომელიც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ახორციელებს ფილმის (ფილმების) გადაღებას. ეს მოწყობილობებია:

გ.ა) პრესისათვის განკუთვნილი მოწყობილობები: პერსონალური კომპიუტერი, ტელეფაქსი, საბეჭდი მანქანა, ყველა ტიპის ფოტოაპარატი (ფირიანი და ელექტრონული), ხმის გადამცემი ან გამოსახულების ჩამწერი ანდა აღმწარმოებელი აპარატები (მაგნიტოფონი, ვიდეომაგნიტოფონი, ფლეერი, მიკროფონი, მიქშერული პულტი, აკუსტიკური სვეტი), ხმის ან გამოსახულების ჩანაწერების მატარებლები ჩანაწერით ან ჩანაწერის გარეშე, საზომ – საკონტროლო ხელსაწყოები და აპარატები (ოსცილოგრაფი, მაგნიტოფონისა და ვიდეომაგნიტოფონის შესამოწმებელი სისტემები, მულტიმეტრი, ჩემოდანი და ჩანთა ინსტრუმენტებისათვის, ვექტოროსკოპი, ვიდეოსიგნალების გენერატორი და ა.შ.), გამანათებელი მოწყობილობები (პროექტორი, ტრანსფორმატორი, სამფეხა), დამხმარე საკუთნოები (კასეტა, ფოტომეტრი, ობიექტივი, სამფეხა, აკუმულატორი, ამძრავი ღვედი, ბატარეის დასატენი მოწყობილობა, მონიტორი);

გ.ბ) რადიომაუწყებლობისათვის განკუთვნილი მოწყობილობები: კავშირგაბმულობის მონყობილობები (რადიოგადამცემი, რადიომიმღები ან გადამცემები, ტერმინალები, ქსელთან ან კაბელთან მისაერთებელი, კავშირგაბმულობის თანამგზავრული ხაზები), მოწყობილობები ბგერითი სიხშირეების გენერირებისათვის (ხმის ჩამწერი, რეგისტრაციის ან აღმწარმოებელი აპარატები), საზომ – საკონტროლო აპარატები და ხელსანყოები (ოსცილოგრაფი, მაგნიტოფონისა და ვიდეომაგნიტოფონის შესამოწმებელი სისტემები, მულტიმეტრი, ჩემოდანი და ჩანთა ინსტრუმენტებისათვის, ვექტოროსკოპი, ვიდეოსიგნალების გენერატორი და ა.შ.), დამხმარე მოწყობილობები და საკუთნოები (საათი, ქრონომეტრი, კომპასი, მიკროფონი, მიქშერული პულტი, ხმის ჩამწერი მაგნიტური ლენტი, ელექტროაგრეგატი, ტრანსფორმატორი, ბატარეა და აკუმულატორი, ბატარეის დასატენი მოწყობილობა, ჰაერის გამათბობელი, კონდიცირებისა და ვენტილაციის აპარატურა და ა.შ.), ხმის ჩანაწერების მატარებლები ჩანაწერით ან ჩანაწერის გარეშე;

გ.გ) ტელევიზიისათვის განკუთვნილი მოწყობილობები: ტელეკამერა, ტელეკინოპროექციის დანადგარი, საზომ – საკონტროლო აპარატები და ხელსაწყოები, გადამცემი და რეტრანსლაციის აპარატები, ხმის ან გამოსახულების ჩამწერი ანდა აღმწარმოებელი აპარატები (მაგნიტოფონი, ვიდეომაგნიტოფონი, ფლეიერი, მიკროფონი, მიქშერული პულტი, აკუსტიკური სვეტი), გამანათებელი მოწყობილობები (პროჟექტორი, ტრანსფორმატორი, სამფეხა), აპარატურა ვიდეომონტაჟისათვის, დამხმარე მოწყობილობები და საკუთნოები (საათი, ქრონომეტრი, კომპასი, ობიექტივი, ფოტომეტრი, სამფეხა, ბატარეის დასატენი მოწყობილობა, კასეტა, ელექტროაგრეგატი, ტრანსფორმატორი, ბატარეა და აკუმულატორი, ჰაერის გამათბობელი, კონდიცირებისა და ვენტილაციის აპარატურა და ა.შ.), ხმის ან გამოსახულების ჩანაწერების მატარებლები ჩანაწერით ან ჩანაწერის გარეშე (გადაცემის სათაური, სადგურის პირობითი მოსახმობი სიგნალი, მუსიკალური ჩანართი და ა.შ.), მიმდინარე გადასაღები მასალა (კინოფირი და ა.შ.), მუსიკალური ინსტრუმენტები, კოსტიუმები, დეკორაციები და სხვა თეატრალური და სასცენო აქსესუარები, გრიმი, თმის საშრობი;

გ.დ) სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც შემუშავებულია ან სპეციალურად მომარჯვებულია ზემოთ მითითებული მიზნებისათვის, კერძოდ, სატრანსპორტო საშუალებები ტელეგადამცემი აპარატურისათვის, სატელევიზიო დამხმარე მოწყობილობებისა და საკუთნოებისათვის, ხმის ჩამწერი ან აღმწარმოებელი აპარატებისათვის, შენელებული აღწარმოების აპარატურისათვის, გამანათებელი მოწყობილობებისათვის;

გ.ე) კინემატოგრაფიისათვის განკუთვნილი მოწყობილობები: ყველა ტიპის კამერა (კინოკამერა და ვიდეოკამერა), საზომ – საკონტროლო მოწყობილობები და აპარატები (ოსცილოგრაფი, მაგნიტოფონისა და ვიდეომაგნიტოფონის შესამოწმებელი სისტემები, მულტიმეტრი, ჩემოდანი და ჩანთა ინსტრუმენტებისათვის, ვექტოროსკოპი, ვიდეოსიგნალების გენერატორი და ა.შ.), ამწე – ურიკა ოპერატორისათვის და შტატივი მიკროფონისათვის, გამანათებელი მოწყობილობები (პროჟექტორი, ტრანსფორმატორი, სამფეხა), აპარატურა ვიდეომონტაჟისათვის, ხმის ან გამოსახულების ჩამწერი ანდა აღმწარმოებელი აპარატები (მაგნიტოფონი, ვიდეომაგნიტოფონი, ფლეიერი, მიკროფონი, მიქშერული პულტი, აკუსტიკური სვეტი), მიმდინარე გადასაღები მასალა, დამხმარე მოწყობილობები და საკუთნოები (საათი, ქრონომეტრი, კომპასი, მიკროფონი, მიქშერული პულტი, ხმის ჩამწერი მაგნიტური ლენტი, ელექტროაგრეგატი, ტრანსფორმატორი, ბატარეა და აკუმულატორი, ბატარეის დასატენი მოწყობილობა, ჰაერის გამათბობელი, კონდიცირებისა და ვენტილაციის აპარატურა და ა.შ.), მუსიკალური ინსტრუმენტები, კოსტიუმები, დეკორაციები და სხვა თეატრალური და სასცენო აქსესუარები, გრიმი, თმის საშრობი;

გ.ვ) სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც შემუშავებულია ან სპეციალურად მომარჯვებულია ზემოთ მითითებული მიზნებისათვის;

დ) სხვა მოწყობილობები:

დ.ა) მოწყობილობები მანქანის, დანადგარის, სატრანსპორტო მოწყობილობების მონტაჟის, გამოცდის, გაშვების, კონტროლის, შემოწმების, ტექნიკური მომსახურების ან შეკეთებისათვის: ხელსაწყოები, მონყობილობები და ხელსაწყოები გაზომვისათვის, შემოწმებისა და კონტროლისათვის (ტემპერატურის, წნევის, მანძილის, სიმაღლის, ზედაპირის, სიჩქარის და ა.შ.), მათ შორის, ელექტრონული ხელსაწყოები (ვოლტმეტრი, ამპერმეტრი, საზომი სადენი, კომპარატორი, ტრანსფორმატორი, სარეგისტრაციო მოწყობილობა და ა.შ.) და მოსაჭერი მოწყობილობები, აპარატები და მოწყობილობები მანქანებისა და დანადგარების ფოტოგრაფირებისათვის მონტაჟის დროს და მის შემდეგ, ხელსაწყო გემის ტექნიკური კონტროლისათვის;

დ.ბ) ექსპერტის, ბუღალტრისა და მსგავსი პროფესიის ადამიანებისათვის აუცილებელი მოწყობილობები: პერსონალური კომპიუტერი, საბეჭდი მანქანა, ხმის ან გამოსახულების ჩამწერი ანდა აღმ-

წარმოებელი ან გადამცემი აპარატები, საანგარიშო ხელსაწყო და აპარატი;

დ.გ) მოწყობილობა, რომელიც საჭიროა ექსპერტისათვის, რომელსაც ევალება ტოპოგრაფიული გადაღება ან გეოფიზიკური დაზვერვა: საკონტროლო – საზომი ხელსაწყოები და აპარატები, საბურღი მოწყობილობა, გადამცემი მოწყობილობა და კავშირგაბმულობის მოწყობილობა;

დ.დ) მოწყობილობა, რომელსაც იყენებს ექსპერტი გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით;

დ.ე) ხელსაწყოები და აპარატები, რომლებიც აუცილებელია ექიმის, ქირურგის, ვეტერინარის, სანიტრისა და მსგავსი პროფესიის ადამიანებისათვის;

დ.ვ) მოწყობილობები, რომლებიც აუცილებელია არქეოლოგიის, პალეონტოლოგიის, გეოგრაფიის, ზოოლოგიისა და სხვა სპეციალისტებისათვის;

დ.ზ) მოწყობილობები, რომლებიც აუცილებელია მსახიობისათვის, თეატრალური დასისა და ორკესტრისათვის; საგნები, რომლებიც გამოიყენება წარმოდგენის მსვლელობის დროს, მუსიკალური ინსტრუმენტები, დეკორაციები, კოსტიუმები და ა.შ.;

დ.თ) მოწყობილობა, რომელიც აუცილებელია მომხსენებლისათვის თავისი მოხსენების განმარტებისათვის;

დ.ი) მოწყობილობები, რომლებიც აუცილებელია მოგზაურობის დროს ფოტოსურათების გადასაღებად (ნებისმიერი სახის ფოტოაპარატი, კასეტა, ექსპონომეტრი, ობიექტივი, სამფეხა, აკუმულატორი, ამძრავი ქამარი, ბატარეის დასატენი მოწყობილობა, მონიტორი, გამანათებელი, მოდური ტანსაცმელი და მანეკენის ტუალეტის საგნები და ა.შ.);

დ.კ) ზემოაღნიშნული მიზნებისათვის გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებები, როგორებიცაა: მოძრავი საკონტროლო დანადგარი, მოძრავი სახელოსნო, მოძრავი ლაბორატორია და ა.შ.;

ე) საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული მიზნებისათვის შემოტანილი საქონელი (თუ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის დროს ეს საქონელი რჩება უცხოური საწარმოს/ორგანიზაციის ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის საკუთრებაში):

ე.ა) ხმის ან გამოსახულების ჩამწერი ანდა აღმწარმოებელი აპარატები: ეპიდიასკოპი, კინოპროექტორი, რირპროექტორი და ეპისკოპი, მაგნიტოფონი, ვიდეომაგნიტოფონი და კინოსკოპი, დახშული სატელევიზიო სისტემა;

ე.ბ) ხმისა და გამოსახულების მატარებლები: დიაპოზიტივი, დიაფილმი და მიკროფილმი, კინოფილმი, ხმოვანი ჩანაწერი (მაგნიტური ლენტი, დისკი), ვიდეოლენტი;

ე.გ) სპეციალური მოწყობილობები: ბიბლიოგრაფიული მოწყობილობა და აუდიოვიზუალური საშუალებები ბიბლიოთეკისათვის, მოძრავი ბიბლიოთეკა, უცხოურ ენათა შემსწავლელი ლაბორატორია, სინქრონული თარგმანის მოწყობილობა, მექანიკური ან ელექტრონული პროგრამული სასწავლო მანქანა, სპეციალურად შექმნილი მოწყობილობა ინვალიდების სწავლებისათვის ან მათი პროფესიული მომზადებისათვის;

ე.დ) სხვა მოწყობილობები: კედლის დიაგრამა, მაკეტი, გრაფიკა, რუკა, გეგმა, ფოტოსურათი და ნახატი, საჩვენებლად შექმნილი ხელსაწყო, აპარატები და მოდელები, ხმოვანი ან ვიზუალური პედაგოგიური ინფორმაციის მატარებელი საგნების კოლექცია, რომელიც შექმნილია ამა თუ იმ საგნის (სასწავლო კომპლექტების) სასწავლებლად, ხელობის შესასწავლი ხელსაწყო, აპარატი, ინსტრუმენტი და ჩარხი, მოწყობილობა, რომელიც განკუთვნილია სამაშველო პერსონალის მოსამზადებლად, იმ სატრანსპორტო საშუალებების ჩათვლით, რომლებიც შექმნილია ან სპეციალურად გამოიყენება სამაშველო ოპერაციის დროს;

ე.ე) წიგნები და ბეჭდვითი პროდუქცია: ყველა ჟანრის წიგნი, დაუსწრებელი სწავლების სახელმძღვანელო, გაზეთი და პერიოდული გამოცემა, ბროშურა, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ნავსადგურში მეზღვაურების დასვენებისათვის ჩასატარებელი ღონისძიებების შესახებ;

ე.ვ) აუდიოვიზუალური დანადგარები: ხმის ან გამოსახულების აღმწარმოებელი აპარატები, მაგნიტოფონი, რადიომიმღები და ტელევიზორი, საპროექციო აპარატი, ჩანაწერი დისკზე ან მაგნიტურ ლენტზე (ენების შემსწავლელი კურსები, რადიოგადაცემები, მუსიკალური ჩანაწერები და გასართობი ხასიათის ჩანაწერები), გადაღებული ან გამჟღავნებული კინო და ფოტოფირები, დიაპოზიტივი, ვიდეოლენტი;

ე.ზ) სპორტული ნაწარმი: სპორტული ტანსაცმელი, დიდი და პატარა ბურთები, ჩოგანი და ბადე, გემბანის თამაშები (შესაბამისი მოწყობილობა), ინვენტარი მძლეოსნობისათვის, სატანვარჯიშო მოწყობილობა;

ე.თ) მოწყობილობები თამაშისა და დასვენებისათვის: ოთახის თამაშები, მუსიკალური ინსტრუმენტები, მოწყობილობები და აქსესუარები მოყვარულთა თეატრისათვის, მოწყობილობები ფერწერ-

ისათვის, სკულპტურისათვის, ხესა და ლითონზე მუშაობისათვის, ხალიჩის დასამზადებლად და ა.შ.;

ე.ი) რელიგიური რიტუალების ჩასატარებლად საჭირო ნივთები;

ე.კ) დასვენებისათვის აუცილებელი მოწყობილობის ნაწილები, დეტალები და საკუთვნოები;

ე.ლ) თეატრალური კოსტიუმები და აქსესუარები, რომლებიც გამოგზავნილია თეატრალური საზოგადოებისა და თეატრისათვის დროებით, უსასყიდლო სარგებლობისათვის;

ე.მ) პარტიტურა და ნოტები, რომლებიც გამოგზავნილია საკონცერტო დარბაზებისათვის ან ორკესტრისათვის დროებით, უსასყიდლო სარგებლობისათვის;

ვ) საქონელი, რომელიც სახელმწიფო ორგანოებს ან/და დაწესებულებებს დროებით, უსასყიდლოდ გადაეცათ სტიქიური უბედურების, ავარიის, კატასტროფისა და ეპიდემიის შედეგების სალიკვიდაციოდ;

ზ) სასწავლო დამხმარე საშუალებები, მათი სათადარიგო და დამხმარე ნაწილები და სამეცნიერო მოწყობილობები, აგრეთვე ხელსაწყოები, რომლებიც განკუთვნილია ასეთ დამხმარე საშუალებათა შენახვის, შემოწმების, შეკეთების ან დაყალიბებისათვის, თუ შესრულებულია ყველა შემდეგი პირობა:

ზ.ა) დროებით შემოტანილია დამტკიცებული დანესებულების მიერ საკუთარი საჭიროებისათვის, არა უმეტეს წინასწარ განსაზღვრული რაოდენობისა და გამოიყენება მხოლოდ ასეთი დანესებულების მიერ მისი ზედამხედველობითა და პასუხისმგებლობით;

ზ.ბ) არ გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის;

ზ.გ) საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის დროს რჩება უცხოური საწარმოს/ორგანიზაციის ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის საკუთრებაში;

თ) სამეცნიერო სამედიცინო მოწყობილობები, მათი სათადარიგო და დამხმარე ნაწილები, აგრეთვე ხელსაწყოები, რომლებიც განკუთვნილია ასეთ მოწყობილობათა შენახვის, შემოწმების, შეკეთების ან დაყალიბებისათვის, სამეცნიერო-კვლევითი ან სასწავლო მიზნებისათვის, თუ შესრულებულია ყველა შემდეგი პირობა:

თ.ა) დროებით შემოტანილია დამტკიცებული დანესებულების მიერ საკუთარი საჭიროებისათვის, არა უმეტეს წინასწარ განსაზღვრული რაოდენობისა და გამოიყენება მხოლოდ ასეთი დანესებულების მიერ მისი ზედამხედველობითა და პასუხისმგებლობით;

თ.ბ) არ გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის;

თ.გ) საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის დროს რჩება უცხოური საწარმოს/ორგანიზაციის ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის საკუთრებაში;

ი) სატრანსპორტო საშუალებები (გარდა გემებისა და საჰაერო საფრენი საშუალებებისა), თუ შესრულებულია შემდეგი პირობები:

ი.ა) რეგისტრირებულია უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე;

ი.ბ) რეგისტრირებულია პირზე, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე, და გამოიყენება მის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე გადასაადგილებლად;

ი.გ) სეს ესნ – ის 8703 სასაქონლო პოზიციაში შემავალი, უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მსუბუქი ავტომობილი, რომელიც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილია საქართველოს მოქალაქის მიერ და წარდგენილია გარანტია;

კ) გემები და საჰაერო საფრენი საშუალებები;

ლ) საქონელი დიპლომატიური და ტურისტული მიზნებისათვის, თუ საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის დროს რჩება უცხოური საწარმოს/ორგანიზაციის ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის საკუთრებაში;

მ) კომერციულ ოპერაციასთან დაკავშირებით შემოტანილი კონტეინერი, ქვესადგამი, შეფუთვა, ნიმუში, სარეკლამო ფილმი და სხვა საქონელი:

მ.ა) კონტეინერი („კონტეინერების შესახებ“ ჟენევის 1972 წლის კონვენციის მიხედვით);

მ.ბ) ქვესადგამი;

მ.გ) შეფუთვა (ნებისმიერი ნაკეთობა და მასალა, რომლებიც განკუთვნილია იმ სახით, რა სახითაც ისინი შემოტანილია საქონლის შეფუთვის, დაცვის, განთავსების, დამაგრების ან დანაწევრების მიზნით, გარდა შესაფუთი მასალისა, როგორიცაა: ჩალა – ნამჯა, ქაღალდი, შუშაბამბა, ბურბუშელა და სხვა);

მ.დ) ნიმუში (ნაკეთობა, რომელიც არის გარკვეული კატეგორიის მზა საქონელი ან წარმოებისათვის გათვალისწინებული საქონლის ნიმუში, გარდა იდენტური ნაკეთობისა, რომელიც მიეწოდა იმავე პირის მიერ ან გაეგზავნა იმავე მიმღებს იმ რაოდენობით, რომელიც ერთად აღებული, საყოველთაოდ მიღებული ვაჭრობის წესების თანახმად, აღარ არის ნიმუში);

მ.ე) სარეკლამო ფილმი (გამოსახულების გადაღებული მატარებლები (ფონოგრამით ან ფონო-

გრამის გარეშე), რომელიც აჩვენებს უცხოური სანარმოს/ორგანიზაციის ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ გასაყიდად ან გასაქირავებლად შემოთავაზებული ნაკეთობის ან მოწყობილობის არსს, იმ პირობით, რომ ის გამოსადეგია პოტენციური კლიენტისათვის საჩვენებლად, მაგრამ არა საჯარო დათვალიერების დარბაზში, შემოტანილია ყოველი ფილმის თითო ასლის შემცველ საფუთავში და არ არის ფილმის უფრო დიდი ამანათი);

მ.ვ) საქონელი, რომელიც შემოტანილია გამოცდის, შემოწმების, ცდებისა და ჩვენების ჩატარების მიზნით;

მ.ზ) საქონელი, რომელიც გამოიყენება გამოცდის, შემოწმების, ცდებისა და ჩვენების ჩატარების პროცესში;

მ.თ) გადაღებული და გამჟღავნებული კინემატოგრაფიული ფირები, აგრეთვე პოზიტიური და გამოსახულების მატარებელი ფირები, რომლებიც განკუთვნილია მათ კომერციულ გამოყენებამდე საჩვენებლად;

მ.ი) ფირი, მაგნიტური ლენტი, მაგნიტური ფირი და ხმის ან გამოსახულების მატარებელი სხვა ფირი ან ლენტი, რომლებიც განკუთვნილია გახმოვანებისათვის, დუბლირებისა და ხმის ან გამოსახულების აღწარმოებისათვის;

მ.კ) ჩაწერილი ინფორმაციის მატარებლები, რომლებიც განკუთვნილია უფასოდ გაგზავნილ და განკუთვნილ მონაცემთა ავტომატური გადამუშავებისათვის;

მ.ლ) ნაწარმი (სატრანსპორტო საშუალებების ჩათვლით), რომელიც თავისი მახასიათებლებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს გარკვეული სახის ნაწარმის რეკლამირებისათვის ან გარკვეული მიზნით პროპაგანდისათვის;

მ.მ) კასრები და მსგავსი ტევადობები, რომელიც განკუთვნილია ტვირთის მოსათავსებლად და გამიზნულია მრავალჯერადი გამოყენებისათვის;

ნ) არარეზიდენტი ფიზიკური პირის (რომელიც ლეგიტიმურად და ტურისტული მიზნით რჩება საქართველოს ტერიტორიაზე არანაკლებ 24 საათისა და არა უმეტეს 6 თვისა ნებისმიერი 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში) მიერ შემოტანილი შემდეგი საქონელი:

ნ.ა) პირადი საიუველირო სამკაული;

ნ.ბ) ერთი ფოტოაპარატი, ერთი კინოკამერა, ერთი ვიდეოკამერა შესაბამისი ფირებით;

ნ.გ) ერთი ბინოკლი, ერთი მონოკულარი, ერთი დურბინდი, ერთი ჭოგრი;

ნ.დ) ერთი მუსიკალური ინსტრუმენტი;

ნ.ე) ერთი ბგერათაღმწერი, ერთი მაგნიტოფონი, ერთი დიქტოფონი;

ნ.ვ) ერთი რადიომიმღები;

ნ.ზ) ერთი ფიჭური ან ერთი მობილური ტელეფონი;

ნ.თ) ერთი ტელევიზორი;

ნ.ი) ერთი პერსონალური კომპიუტერი და მისი მოწყობილობა;

ნ.კ) ერთი კალკულატორი;

ნ.ლ) ერთი ჩვეულებრივი და ერთი სასეირნო საბავშვო ეტლი (თითო ბავშვზე);

ნ.მ) ტანსაცმელი (ფეხსაცმელი);

ნ.ნ) ერთი კარავი და კარვის სხვა მოწყობილობა;

ნ.ო) სპორტული აღჭურვილობა (სათევზაო მოწყობილობა, ერთი ველოსიპედი ძრავას გარეშე, ერთი ნავი, თხილამურები და სხვა სპორტული აღჭურვილობა).

ო) არარეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე დროებით (სამსახურებრივი მივლინებით ან შრომითი ხელშეკრულებით) შემოსვლისას შემოტანილი, პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონელი.

პ) „საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობებს შორის

„ბაქო – თბილისი – ყარსის“ ახალი სარკინიგზო ხაზის პროექტის რეალიზაციის ფარგლებში მარაბდა – თურქეთის რესპუბლიკის საზღვრამდე (ქარწახი) სარკინიგზო მონაკვეთის ფინანსირების, პროექტირების, მშენებლობის, რეაბილიტაცია – რეკონსტრუქციისა და ექსპლუატაციის პირობებისა და პრინციპების შესახებ“ შეთანხმების ფარგლებში სარკინიგზო ხაზის მშენებლობის/რეაბილიტაციის/რეკონსტრუქციის უზრუნველსაყოფად საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის დროებით შემოტანა.

ჟ) „შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს“ მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 22 თებერვლის №460 განკარგულების შესაბამისად, ქ. ქუთაისში საქართველოს პარლამენტის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში მხოლოდ ამ სამშენებლო სამუშაოების შეუფერხებლად განხორციელებისათვის საქართველოს ტერიტორიაზე დროებით შემოტანილი საქონელი.

ზემოაღნიშნულ ნუსხაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ღონისძიება:

ა.ა) სავაჭრო, სამრეწველო, სოფლის მეურნეობის ან კერამიკული ნაწარმის გამოფენა, ბაზრობა ან მსგავსი საჩვენებელი გამოფენა;

ა.ბ) გამოფენა ან შეხვედრა, რომელიც ორგანიზებულია განათლების, ხელოვნების, სპორტის, მეცნიერების, კულტურის დონის ამაღლებისათვის;

ა.გ) სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ჯგუფების შეხვედრა;

ა.დ) ოფიციალური ან ღირსშესანიშნავი ხასიათის წარმომადგენლობით შეხვედრა, გარდა გამოფენებისა, რომლებიც ორგანიზებულია კერძო მიზნებისათვის, მაღაზიებსა და ბიზნესცენტრებში საქონლის გასაყიდად;

ბ) სასწავლო დამხმარე საშუალებები – დამხმარე საშუალებები, რომლებიც განკუთვნილია სასწავლო მიზნებისათვის ან პროფესიული წვრთნისათვის, როგორებიცაა მოდელები, ინსტრუმენტები, აპარატები და ხელსაწყო მექანიზმები;

გ) დამტკიცებული დაწესებულება – კერძო ან საჯარო სასწავლო ან პროფესიული დაწესებულება, რომელიც არ ითვალისწინებს მოგების მიღებას და რეგისტრირებულია შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მიერ, რომელიც, როგორც სასწავლო დამხმარე საშუალებების მიმღები, გასცემს რწმუნებას დროებითი შემოტანაზე;

დ) სამეცნიერო სამედიცინო მოწყობილობა – ინსტრუმენტები, აპარატები და ხელსაწყო მექანიზმები, რომლებიც გამოიყენება სამეცნიერო-კვლევითი ან სასწავლო მიზნებისათვის.

სრულად გათავისუფლებულ საქონელს მხოლოდ დღგ-ის მიზნებისათვის განეკუთვნება საქონელი, რომლის იმპორტი გათავისუფლებულია დღგ-ის გადახდისაგან.

დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეულ იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებულ საქონელზე დეკლარანტი ავსებს „დროებით შემოტანისას გადასახდელი თანხის გადახდის განრიგს", რისთვისაც განსაზღვრავს:

ა) დამატებული ღირებულების გადასახადის ოდენობას – დროებითი შემოტანის თანხის 0.54 პროცენტს ამ საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის ყოველ სრულ და არასრულ კალენდარულ თვეზე, მაგრამ არა უმეტეს საქონლის დროებითი შემოტანისას დროებითი შემოტანის თანხის 18 პროცენტისა;

ბ) იმპორტის გადასახადის ოდენობას – იმპორტის გადასახადის თანხის 3 პროცენტს საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე განთავსების ყოველ სრულ და არასრულ კალენდარულ თვეზე;

გ) თანხის გადახდის ვადებს.

განრიგი ივსება 2 ეგზემპლარად, რომლებიც თან ერთვის საბაჟო დეკლარაციას.

საბაჟო დეკლარაციის შემოწმებისა და საქონლის გაშვების შემდეგ განრიგის 1 ეგზემპლარი საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის ხელმოწერისა და ბეჭდის დასმით უბრუნდება დეკლარანტს, ხოლო მეორე ეგზემპლარი რჩება საგადასახადო ორგანოს.

განრიგში აღნიშნული თანხის გადახდა უნდა განხორციელდეს ყოველთვიურად, არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, ხოლო ბოლო გადახდა – საქონლის დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციის დასრულების დღეს. დეკლარანტს უფლება აქვს, მთელი გადასახდელი თანხა ერთდროულად გადაიხადოს.

განრიგი ექვემდებარება გაუქმებას საგადასახადო ორგანოს დასკვნის საფუძველზე, თუ არსებობს ერთი ან რამდენიმე შემდეგი პირობა:

ა) ხორციელდება საქონლის ხელახალი დეკლარირება დროებითი შემოტანის წინასწარ განსაზღვრული ვადის გაგრძელების მიზნით და წარედგინება ახალი განრიგი;

ბ) საქონელი სარგებლობაში გადაეცემა სხვა პირს;

გ) დეკლარანტის მიერ სრულად იფარება განრიგის მიხედვით გადასახდელი თანხა;

დ) დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაცია დასრულდა კანონმდებლობის შესაბამისად,

განრიგი ექვემდებარება შეცვლას საგადასახადო ორგანოს დასკვნის საფუძველზე, თუ არსებობს ერთი ან რამდენიმე შემდეგი პირობა:

ა) საქონლის ნაწილი გატანილ იქნა დროებითი შემოტანის წინასწარ განსაზღვრული ვადის გასვლამდე;

ბ) საქონლის ნაწილი მოექცა სხვა სასაქონლო ოპერაციაში ან მის მიმართ გამოყენებულ იქნა სხვა სასაქონლო ოპერაცია;

გ) საქონლის ნაწილი განადგურდა ავარიის ან დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგად, რის შესახებაც დეკლარანტმა საგადასახადო ორგანოს წარუდგინა სათანადო მტკიცებულება.

დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაცია დასრულებულად ითვლება, თუ:

ა) საქონელი გატანილია შესაბამისი პროცედურების დაცვით. ამასთან, საქონელი შეიძლება გატანილ იქნეს ნაწილ – ნაწილ, პარტიების სახით. დასაშვებია საქონელი გატანილ იქნეს ნებისმიერი საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით;

ბ) საქონელი მოექცა სხვა სასაქონლო ოპერაციაში;

გ) საქონელი განადგურდა ავარიის ან დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგად, რის შესახებაც დეკლარანტმა საგადასახადო ორგანოს წარუდგინა სათანადო მტკიცებულება.

დროებითი შემოტანისას გადასახდელი თანხის გადახდის
გ ა ნ რ ი გ ი

1. საგადასახადო ორგანო –
(დასახელება)
2. დეკლარანტი (გადასახადის გადამხდელი) –
(დასახელება)
3. დეკლარანტის საიდენტიფიკაციო ნომერი –
4. დროებითი შემოტანის ოპერაციაში მოქცევის დღე (თარიღი) – – – – – – – – – – – – – – – – –
5. დროებითი შემოტანის ვადა –
6. საქონლის იმპორტში გაშვების შემთხვევაში გადასახდელი გადასახადები:

	იმპორტის გადასახადი	დღგ	სულ
თანხა, ლარი			

6. გადასახდელი თანხის გადახდის განრიგი:

გადახდის თარიღი	გადასახადის სახეობა და სახაზინო კოდი		სულ
	იმპორტის გადასახადი – – – – – (სახაზინო კოდი)	დღგ – – – – – – (სახაზინო კოდი)	

დეკლარანტი –
(სახელი, გვარი, ხელმოწერა, ბეჭედი (არსებობის შემთხვევაში)

უფლებამოსილი პირი –
(სახელი, გვარი, ხელმოწერა, ბეჭედი)

შენიშვნა: გადახდის თარიღის გრაფაში იწერება საგადასახადო დეკლარაციის რეგისტრაციის მომდევნო თვის (თვეების) არა უგვიანეს 15 რიცხვი.

22.13 შიგა გადამუშავება და გარე გადამუშავება

შიგა გადამუშავება და გარე გადამუშავება ნიშნავს შესაბამისად საქონლის გადამუშავების ოპერაციების ჩატარებას ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობაში გამოყენებული ტერმინი „შიდა გადამუშავება“ გრამატიკულად არასწორია და უნდა იყოს „შიგა გადამუშავება“ (“შიგ“, „შიგნით“, „შიგნეული“, „შინაგანი“ და ა.შ).

გადამუშავების ოპერაციებია:

ა) საქონლის დამუშავება, მათ შორის, მონტაჟი, აწყობა ან სხვა საქონელზე მორგება;

ბ) საქონლის წარმოება;

გ) საქონლის შეკეთება, მათ შორის, აღდგენა და მუშა მდგომარეობაში მოყვანა;

დ) საქონლის განადგურება;

ე) საქონლის გამოყენება, რომელიც არ შედის გადასამუშავებელი საქონლის შემადგენლობაში, ხელს უწყობს ან აადვილებს გადამუშავების პროდუქტის წარმოებას, მიუხედავად იმისა, რომ ეს საქონელი მთლიანად ან ნაწილობრივ იხარჯება გადამუშავების პროცესში.

გადამუშავების სასაქონლო ოპერაციის გამოყენების პირობებია:

ა) გადამუშავებულ საქონელში გადასამუშავებელი საქონლის იდენტიფიკაციის შესაძლებლობა, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა;

ბ) გადასამუშავებელი საქონლის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის ეკონომიკური არამომგებიანობა;

გ) ლიცენზიის/ნებართვის წარდგენა.

გადამუშავების სასაქონლო ოპერაციის გამოყენებისას საქონლის გადამუშავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 წელს. განსხვავებული ვადის დადგენის უფლება აქვს შემოსავლების სამსახურის უფროსს.

გადამუშავების სასაქონლო ოპერაციის გამოყენებისას დეკლარანტი განსაზღვრავს საქონლის გამოსავლიანობას.

გადამუშავებული საქონელი, აგრეთვე გადამუშავების ოპერაციების განხორციელების გარდა სხვა შემთხვევაში გადასამუშავებელი საქონელი და ნარჩენი უნდა დარჩეს უცვლელ მდგომარეობაში, გარდა იმ ცვლილებებისა, რომლებიც გამოწვეულია ბუნებრივი ცვეთით, ტრანსპორტირებით ან შენახვის ნორმალური პირობებისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი დანაკარგებით.

შიგა გადამუშავების სასაქონლო ოპერაცია გამოიყენება:

ა) უცხოური საქონლის მიმართ, რომლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას არ გადაიხდევინება იმპორტის გადასახდელები და არ ხორციელდება სატარიფო ღონისძიებები, ხოლო მისგან მიღებული გადამუშავებული საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანისას არ გადაიხდევინება ექსპორტის გადასახდელები;

ბ) უცხოური საქონლის მიმართ, რომლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას არ გადაიხდევინება იმპორტის გადასახდელები და არ ხორციელდება სატარიფო ღონისძიებები, ხოლო მისგან მიღებული გადამუშავებული საქონლის იმპორტში გაშვებისას გადაიხდევინება იმპორტის გადასახდელები და ხორციელდება სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებები;

გ) იმპორტში გაშვებული საქონლის მიმართ, რომელზედაც გადახდილი იმპორტის გადასახდელები უნდა დაექვემდებაროს დაბრუნებას ან ჩათვლას, თუ გადახდილი იმპორტის გადასახდელები უკვე არ არის დაბრუნებული ან ჩათვლილი, და მისგან მიღებული გადამუშავებული საქონელი გაიტანება საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან.

თუ გადაუმუშავებელი ან/და გადამუშავებული საქონლის მიმართ იმპორტისას წარმოიშვა ვალდებულება, გადასახდელი თანხა განისაზღვრება:

ა) გადაუმუშავებელი საქონლის შემთხვევაში – შიგა გადამუშავების საბაჟო დეკლარაციაში მითითებული საქონლის სახეობის, საბაჟო ღირებულებისა და რაოდენობის საფუძველზე, საქონლის იმპორტის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღისათვის მოქმედი იმპორტის გადასახდელების განაკვეთებით;

ბ) გადამუშავებული საქონლის შემთხვევაში – გამოსავლიანობის შესაბამისად ამ საქონლის საწარმოებლად (მისაღებად) დახარჯული შესაბამისი გადაუმუშავებელი საქონლის სახეობისა და საბაჟო ღირებულების საფუძველზე, საქონლის იმპორტის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს გადაუმუშავებელი საქონლისათვის მოქმედი იმპორტის გადასახდელების განაკვეთებით.

შემოსავლების სამსახურთან შეუთანხმებლად შიგა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული საქონლის ტერიტორიის გარეთ გატანის ან დაკარგვის შემთხვევაში იმპორტის გადასახ-

დელების გადახდის ვალდებულება ეკისრება დეკლარანტს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქონლის დანაკლისი გამონეულია შენახვის ნორმალური პირობებისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი დანაკარგებით.

საქონლის გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენის ან/და გადაუმუშავებელი საქონლის ნაშთის იმპორტში გაშვება ექვემდებარება იმპორტის გადასახდელების გადახდას ისევე, როგორც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ასეთ მდგომარეობაში იმპორტირებული საქონელი.

თუ საქონლის გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენისათვის განისაზღვრა სასაქონლო ოპერაციის სახე (გარდა იმპორტისა), ასეთ საქონელზე ვალდებულება წარმოიშობა განსაზღვრული სასაქონლო ოპერაციის სახის მარეგულირებელი დებულებების შესაბამისად.

შიგა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციის გამოყენებისას გადაუმუშავებელი საქონელი, გადამუშავებული საქონელი ან/და ნარჩენი, შემოსავლების სამსახურთან შეთანხმებით, გადამუშავების ვადის გასვლამდე გადასამუშავებლად შეიძლება დროებით გატანილ იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ, დაბრუნების პირობით. თუ დროებით გატანილი გადაუმუშავებელი საქონელი, გადამუშავებული საქონელი ან/და ნარჩენი გადამუშავების ვადის ამოწურვამდე დაბრუნდა გადამუშავებული საქონლის, გადაუმუშავებელი საქონლის ან/და ნარჩენის სახით, იმპორტის გადასახდელები არ გადაიხდევინება. დროებით გატანილი და საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ გადამუშავებული საქონლის ან/და ნარჩენის დაბრუნებისას შიგა გადამუშავების საბაჟო დეკლარაციაში მითითებული საქონლის საბაჟო ღირებულებას უნდა დაემატოს გატანილი და დაბრუნებული საქონლის საბაჟო ღირებულებებს შორის სხვაობა.

შიგა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციისათვის შემოსატანი საქონელი შეიძლება შემოსავლების სამსახურის თანხმობით შეიცვალოს საქართველოს საქონლით (ეკვივალენტური საქონელი), თუ მისი აღწერილობა, ხარისხი, ტექნიკური მახასიათებლები და საბაჟო ღირებულება შეესაბამება შიგა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციისათვის შემოსატანი საქონლის შესაბამის მონაცემებს. ეკვივალენტური საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებული გადამუშავებული საქონელი, ნაშთები ან/და ნარჩენები ითვლება შიგა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციისათვის შემოტანილი საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებულ გადამუშავებულ საქონლად, ნაშთებად ან/და ნარჩენებად.

ეკვივალენტურ საქონელს აქვს უცხოური საქონლის სტატუსი, ხოლო შემოტანილ საქონელს – საქართველოს საქონლის სტატუსი. ეკვივალენტური საქონლისაგან მიღებული გადამუშავებული საქონლის, ნაშთების ან/და ნარჩენების საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა ან იმპორტში გაშვება შესაძლებელია მხოლოდ შიგა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციისათვის შემოსატანი საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანამდე. მისი შემოტანის ვადებს ადგენს შემოსავლების სამსახური.

გარე გადამუშავების სასაქონლო ოპერაცია გამოიყენება საქართველოს საქონლის მიმართ, რომლის დროებითი გატანისას გადაიხდევინება ექსპორტის გადასახდელები და ხორციელდება სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებები, ასევე ხორციელდება ის პროცედურები, რომლებიც გათვალისწინებულია ექსპორტისას, ხოლო მისგან მიღებული გადამუშავებული საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას გადაიხდევინება კუთვნილი იმპორტის გადასახდელები.

იმპორტის გადასახდელები განისაზღვრება გატანილი გადასამუშავებელი და დაბრუნებული გადამუშავებული საქონლის საბაჟო ღირებულებებს შორის სხვაობის თანხის, ასევე გადამუშავებული საქონლის სახეობისა და რაოდენობის და იმპორტის გადასახდელების განაკვეთების გათვალისწინებით.

საქონლის უსასყიდლოდ გადამუშავების დამადასტურებელი დოკუმენტის (მათ შორის, საწარმოო დეფექტის არსებობისას) წარდგენისას გადამუშავებული საქონლის იმპორტისას იმპორტის გადასახდელები არ გადაიხდევინება. ეს შეღავათი არ ვრცელდება, თუ გარე გადამუშავების სასაქონლო ოპერაციის განხორციელებამდე საწარმოო დეფექტი გათვალისწინებული იყო მისი იმპორტში გაშვებისას.

შემოსატანი გადამუშავებული საქონელი შეიძლება გადასამუშავებელი საქონლის გატანამდე, შემოსავლების სამსახურის თანხმობით შეიცვალოს უცხოური საქონლით(შემცვლელი საქონლით). შემცვლელ საქონელს უნდა ჰქონდეს ისეთივე სასაქონლო კოდი, ხარისხი და ტექნიკური მახასიათებლები, როგორიც ექნებოდა შემოსატან გადამუშავებულ საქონელს.

შემცვლელი საქონლის შემოტანისას მის მიმართ განისაზღვრება დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაცია იმ ვადით, რომელიც საჭიროა გადამუშავებული საქონლის შემოსატანად. აღნიშნული ვადის გასვლამდე შემცვლელი საქონელი გატანილი უნდა იქნეს საქართველოს ტერიტორიიდან ან მის მიმართ უნდა განისაზღვროს სხვა სასაქონლო ოპერაცია.

საქართველოს ტერიტორიაზე დატოვებულ შემცველ საქონელზე ვალდებულების წარმოშობის შემთხვევაში იმპორტის გადასახდელები განისაზღვრება შემცველი საქონლის სახეობის, რაოდენობის, საბაჟო ღირებულებისა და ვალდებულების წარმოშობის დღეს მოქმედი იმპორტის გადასახდელების განაკვეთების გათვალისწინებით.

გარე გადამუშავებაში მოქცეულ საქონელზე გადამუშავების ვადის გასვლამდე შეიძლება განისაზღვროს ექსპორტის სასაქონლო ოპერაცია.

გარე გადამუშავება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოს საქონლის მიმართ, თუ:

ა) მისი გატანა გამოიწვევს მასზე გადახდილი იმპორტის გადასახდელების დაბრუნებას ან ჩათვლას;

ბ) იგი გატანამდე მიზნობრივი დანიშნულებით და იმპორტის გადასახდელებზე შეღავათების გამოყენებით იყო შემოტანილი და ასეთი შეღავათების გამოყენების პირობა ძალაშია.

22.14 თავისუფალი ვაჭრობის პუნქტი

თავისუფალი ვაჭრობის პუნქტი არის საბაჟო კონტროლის ზონა, სადაც შესაძლებელია ფიზიკურ პირებზე, რომლებიც ტოვებენ საქართველოს საბაჟო ტერიტორიას, აგრეთვე უცხოეთის დიპლომატიური და მათთან გათანაბრებული წარმომადგენლობების სამსახურებრივი სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობებისა და დიპლომატიური მისიების წევრებზე (მათთან მცხოვრები ოჯახის წევრების ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის საცალო წესით რეალიზებულ იქნეს:

ა) უცხოური საქონელი სატარიფო და არასატარიფო ღონისძიებების განხორციელების გარეშე;

ბ) საქართველოს საქონელი.

თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობა ხორციელდება შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში საქონლის შეტანისას წარდგენილი უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ლიცენზია/ნებართვა.

თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვით განსაზღვრული საქმიანობის დასაწყებად საჭიროა საბაჟო გარანტიის ნარდგენა 50 000 ევროს ეკვივალენტის ოდენობით ლარში.

ჩათვლის უფლებით დღგ-საგან გათავისუფლებულია თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში საქართველოს საქონლის მინოდება რეალიზაციისთვის და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში საქონლის რეალიზაცია ან/და კვების მომსახურების გაწევა.

ჩათვლის უფლებით აქციზისაგან გათავისუფლებულია საქართველოს საქონლის მიწოდება თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში რეალიზაციისათვის.

იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლებულია თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში საქონლის განთავსება.

საქართველოს ეკონომიკური ტერიტორიიდან გამსვლელი ფიზიკური პირების მიერ თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში ნაყიდი საქონლის უკან შემოტანის შემთხვევაში, აღნიშნული საქონელი იბეგრება აქციზით.

თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში მოთავსებული აქციზური საქონლის იმ პირებზე გაყიდვისას, რომელთაც არ გააჩნიათ მათი შეძენის უფლება, აგრეთვე მათი დანაკლისის შემთხვევაში, თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის მფლობელი ვალდებულია გადაიხადოს აქციზი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქონელი დაუძლეველი ძალის შედეგად აღმოჩნდა მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურებული, დაკარგული ან გაფუჭებული და შეუძლებელია მისი შემდგომი გამოყენება.

თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში მოთავსებული საქონლის სასაქონლო სახის დაკარგვისას, გარდა დაუძლეველი ძალის შემთხვევისა, როდესაც შეუძლებელია ამ საქონლის იდენტიფიცირება სეს ესნ – ის შესაბამისი კოდების მიხედვით, თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის მფლობელი ვალდებულია გადაიხადოს აქციზი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში მისაწოდებელი საქონელი თავისუფლდება აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდებისაგან.

22.15 დაბრუნებული საქონლის დაბეგვრა

ზოგადად, საქონლის დაბრუნება არის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან ადრე გატანილი საქონლის დაბრუნება ამავე ტერიტორიაზე. მას სხვანაირად რეიმპორტსაც უწოდებენ.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანილი საქართველოს საქონელი (გარდა გადამუშავე-

ბული საქონლისა) იდენტიფიცირების შემთხვევაში შესაძლებელია დაბრუნებულ იქნეს დეკლარირებიდან 3 წლის ვადაში (ხოლო დროებით, დაბრუნების პირობით გატანილი საქონელი – ნებისმიერ დროს), იმპორტის გადასახდელების გადახდის გარეშე. იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან გათავისუფლება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დაბრუნებულია იმავე მდგომარეობაში, როგორშიც იყო საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანისას.

გადამუშავებულ საქონელზე, რომელიც შიგა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციის გამოყენების შემდეგ გატანილ იქნა საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან და უცვლელ მდგომარეობაში ბრუნდება, იმპორტის გადასახდელების ოდენობა განისაზღვრება გამოსაელიანობის შესაბამისად ამ საქონლის საწარმოებლად (მისაღებად) დახარჯული შესაბამისი გადაუმუშავებელი საქონლის სახეობისა და საბაჟო ღირებულების საფუძველზე, საქონლის იმპორტის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს გადაუმუშავებელი საქონლისათვის მოქმედი იმპორტის გადასახდელების განაკვეთებით.

საქართველოს ტერიტორიიდან ექსპორტით გატანილ საქართველოს საქონელზე (გარდა გადამუშავებული საქონლისა), რომელზედაც განხორციელდა გადამუშავების ოპერაცია და რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ბრუნდება დეკლარირებიდან 3 წლის ვადაში (ხოლო დროებით, დაბრუნების პირობით გატანილი საქონელი – ნებისმიერ დროს), მისი იდენტიფიცირების შემთხვევაში, იმპორტის გადასახდელები განისაზღვრება გატანილი გადასამუშავებელი და დაბრუნებული გადამუშავებული საქონლის საბაჟო ღირებულებებს შორის სხვაობის თანხის, ასევე გადამუშავებული საქონლის სახეობისა და რაოდენობის და იმპორტის გადასახდელების განაკვეთების გათვალისწინებით.

საქართველოში რეგისტრირებულ, საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან დროებით გატანილ სატრანსპორტო საშუალებაზე, რომელზედაც განხორციელდა გადამუშავების ოპერაცია, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დაბრუნებისას იმპორტის გადასახდელები განისაზღვრება გატანილი გადასამუშავებელი და დაბრუნებული გადამუშავებული საქონლის საბაჟო ღირებულებებს შორის სხვაობის თანხის, ასევე გადამუშავებული საქონლის სახეობისა და რაოდენობის და იმპორტის გადასახდელების განაკვეთების გათვალისწინებით.

თავი 23. დაბეგვრის ზოგიერთი პრობლემური საკითხი და საერთაშორისო გამოცდილება

23.1 ცრუმაგიერი მფლობელობა და შემოსავლის ბენეფიციური მფლობელი

ცრუმაგიერი პირი და შემოსავლის ბენეფიციური მფლობელი მრავალი ასპექტით გამოიყენება, მაგრამ ჩვენ იგი გვაინტერესებს გადასახადებისაგან თავის არიდების მიზნით, როგორც საგადასახადო მოვლენა.

ტერმინი „ცრუმაგიერი პირი" შედგენილი ქართული სიტყვაა და ნიშნავს ჩემგან განსხვავებით ჩემს მეორე მეს, ცრუ, ფიქტიურ პირს ანუ იმ სხვა პირს, რომელიც სინამდვილეში მე ვარ. ლირიკული გადახვევისთვის – საგადასახადო დატვირთვის მიზნებისათვის, ამ ასპექტს ძალიან უხდება ფროიდის ტრიადა „მე-ის-ზემე". სწორედ ეს „ზემე"(როგორც გაბერილი მე) არის ცრუმაგიერი პირი. ეს ტერმინი, როგორც შესაბამისი მოვლენის ადეკვატური ასახვა სხვადასხვა ენებში შემდეგნაირად გამოიხატება: ლათინური – Alter ego(ალტერნატიული მე ანუ მეორე მე), ინგლისური – Nominee (ნომინალური პირი) ან დუმმყ(რაღაც) ან Man of straw dummy (ჩალის კაცი, ჩუჩელა), გერმანული – Strohmann (რაღაც კაცი, ჩუჩელა), რუსული – подставное лицо (წინ წამოწეული პირი).

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლის მიხედვით, თუ სასამართლო დაადგენს, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია გადასახადის გადამხდელის განსხვავება სხვა პირისაგან და ეს პირი გამოყენებულია გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებისათვის თავის არიდების მიზნით, ითვლება, რომ აღნიშნული პირები არიან ერთიმეორის ცრუმაგიერი პირები. გადასახადის გადამხდელის აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების მიზნით, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, ცრუმაგიერი პირის მიმართ განახორციელოს საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები.

ზემოაღნიშნული ნორმა 1997 წლის საგადასახადო კოდექსის რედაქციაში საერთოდ არ ფიგურირებდა, ხოლო 2004 წლის კოდექსის რედაქციასა და მოქმედი კოდექსების რედაქციას შორის არის ერთი მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიუანსი. კერძოდ, მოქმედი კოდექსით ცრუმაგიერია პირი,

თუ იგი გამოყენებულია გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებისათვის თავის არიდების მიზნით, ხოლო 2004 წლის კოდექსით – თუ ეს უკანასკნელი გამოყენებულია გადასახადებისაგან თავის ასარიდებლად. იმისათვის, რომ გავაანალიზოთ აღნიშნული ნორმები, საჭიროა ცრუმაგიერი პირის განსაზღვრება აღნიშნული ნორმების კონტექსტში.

ცრუმაგიერი პირის დეფინიცია უნდა აკმაყოფილებდეს ორ კრიტერიუმს:

ა) რეალური და ცრუმაგიერი პირი ერთმანეთისაგან არ უნდა განსხვავდებოდეს;

ბ) ცრუმაგიერი პირი უნდა იყოს გამოყენებული გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებისათვის თავის არიდების მიზნით(აქ, იგულისხმება: საგადასახადო გირავნობა ან იპოთეკა, მესამე პირზე გადახდევინების მიქცევა, ქონებაზე ყადაღის დადება, ყადაღადადებული ქონების რეალიზაცია, საბანკო ანგარიშზე საინკასო დავალების წარდგენა, გადასახადის გადამხდელის სალაროდან ნაღდი ფულის ამოღება).

რა შემთხვევაში შეიძლება, რომ რეალური და ცრუმაგიერი პირი ერთმანეთისაგან არ განსხვავდებოდეს? ეს არის ის შემთხვევა, როდესაც მაგ. საშემოსავლო ან მოგების გადასახადის მიზნებისათვის:

– ერთი ფიზიკური პირი მეორე ფიზიკურ პირს(ნათესავს) გადასცემს შესაბამის ქონებას;

– ერთი იურიდიული პირი მეორე შვილობილ იურიდიულ პირს გადასცემს შესაბამის ქონებას;

– ერთი ფიზიკური პირი არის მეორე იურიდიული პირის დამფუძნებელი და მას გადასცემს შესაბამის ქონებას;

– ერთი იურიდიული პირი მეორე იურიდიულ პირს გადასცემს შესაბამის ქონებას, ხოლო მათი დამფუძნებელი ერთი და იგივე პირია.

ზემოალნიშნულ შემთხვევებში აღნიშნული იურიდიული თუ ფიზიკური პირები ერთი და იგივე პირები არიან საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების თვალსაზრისით და მათი ეკონომიკური ინტერესები ერთი და იგივეა.

ცრუმაგიერი პირების ავტომატურად ურთიერთდამოკიდებულ პირებთან გაიგივება მცდარია. ცრუმაგიერ პირს წარმოშობს რეალური პირის ქმედება: თავი აარიდოს გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებას და შესაბამისი ქონება მანამდე გადასცეს ცრუმაგიერ პირს, ვიდრე მის მიმართ განხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები.

მაგ. შპს „დიტო“ არის შპს „თედოს“ დამფუძნებელი. შპს „დიტოს“ წარმოეშვა საგადასახადო დავალიანება 2000 000 ლარის ოდენობით. მისი აქტივების ღირებულება შეადგენს 2 000 000 ლარს. ქონების დაყადაღებისაგან თავის არიდების მიზნით ეს აქტივები შპს „დიტომ“ „მიჰყიდა“ შპს „თედოს“ სიმბოლურ ფასად – 100 000 ლარად. ამით, შპს „დიტომ“ „იხსნა“ 1900000 ლარის ქონება დაყადაღებისაგან, ხოლო ეს ქონება(კაპიტალი) აგრძელებს იმავე საქმიანობას შპს „თედოს“ მფლობელობაში(ან არ აგრძელებს).

იმ შემთხვევაში, თუ შპს „დიტო“ საბაზრო ფასით მიაწოდებდა ზემოალნიშნულ აქტივებს შპს „თედოს', მაშინ ცრუმაგიერ პირებს ადგილი არ ექნებოდათ, ვინაიდან შპს „დიტოს“ შემოსავალი ხელმისაწვდომი იქნებოდა საგადასახადო ადმინისტრირებისათვის, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შპს „თედო“ ფულს „არ გადაუხდიდა“ შპს „დიტოს“, მაშინ იმოქმედებდა მესამე პირზე ანუ შპს „თედოზე“ გადახდევინების მიქცევა.

მეორე მაგალითი. ორმა მეწარმე ფიზიკურმა პირმა დააფუძნა იურიდიული პირი, რომლის დირექტორი და ბუღალტერი თავადვე არიან. იურიდიულ პირს აქვს აღიარებული საგადასახადო დავალიანება. უფლება აქვს თუ არა საგადასახადო ორგანოს ფიზიკური პირები ჩათვალოს მათ მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის ცრუმაგიერ პირებად და გაავრცელოს მასზე საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები?

ზემოალნიშნულ მაგალითთან დაკავშირებით ცალსახად უნდა ითქვას, რომ, ვინაიდან შესაბამისი იურიდიული პირის მიერ თავის დამფუძნებლებზე არ განხორციელებულა შესაბამისი ქონების გადაცემა საგადასახადო უზრუნველყოფის ღონისძიებებისაგან თავის არიდების მიზნით, ამდენად იურიდიული პირისათვის მისი დამფუძნებელი ფიზიკური პირები ვერ იქნებიან ცრუმაგიერი პირები და შესაბამისად მათ მიმართ ვერ გავრცელდება საგადასახადო უზრუნველყოფის შესაბამისი ღონისძიებები. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული იურიდიული პირის ქონება(ან მისი ნაწილი) გადაეცემოდა „შეღავათიანი“ პირობებით ამ ფიზიკურ პირებს საგადასახადო დავალიანების უზრუნველყოფის ღონისძიებებისათვის თავის არიდების მიზნით, მაშინ ისინი ჩაითვლებოდნენ ცრუმაგიერ პირებად.

ცრუმაგიერი პირის დეფინიცია დღგ-ისაგან თავის არიდების თვალსაზრისით, ოდნავ განსხვავებულია. ამ შემთხვევაში, პირებს შორის ქონების გადაცემას ადგილი არა აქვს საგადასახადო უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარების ასპექტით. თუმცა, მთავარი ორი კრიტერიუმიდან მხოლოდ

ერთი რჩება ძალაში: პირების ერთმანეთისაგან განუსხვავებლობა. რაც შეეხება მეორე კრიტერიუმს – უზრუნველყოფის ღონისძიებებისათვის თავის არიდებას, როგორც თავიდანვე აღვნიშნეთ, 2004 წლის საგადასახადო კოდექსის რედაქციაში ფიგურირებს არა საგადასახადო უზრუნველყოფის ღონისძიებები, არამედ, გადასახადებისაგან თავის არიდება.

დღგ – თან დაკავშირებით მოვიყვანთ ბანალურ მაგალითს: ფიზიკურმა პირმა დააფუძნა სამი შპს: შპს „ა". შპს „ბ" და შპს „გ", რომლებიც არ არიან დღგ-ის გადამხდელები და ეწევიან მომსახურების რომელიმე სახეს. ამ შემთხვევაში ფიზიკურმა პირმა თავის დაფუძნებული იურიდიული პირებისათვის მოიპოვა 15 შეკვეთა შესაბამის მომსახურებებზე საერთო ღირებულებით – 200 000 ლარი. ეს შეკვეთები, რომ ერთ პირზე გაფორმდეს, მაშინ დღგ გადასახდელი იქნება, ამიტომ შეკვეთები ნაწილდება სამივე ფირმაზე: შპს „ა"-ზე – 70000 ლარი, შპს „ბ"-ზე – 70000 ლარი, ხოლო შპს „გ"-ზე – 60000 ლარი, შესაბამისად არცერთი პირი არ იხდის დღგ-ს, ვინაიდან არ აჭარბებს 100000 – ლარიან ზღვარს. გვაქვს თუ არა ამ შემთხვევაში საქმე ცრუმაგიერ პირებთან?

მოქმედი კოდექსით ზემოაღნიშნული პირები ვერ იქნებიან განხილული ცრუმაგიერად, რადგანაც ვერ კმაყოფილდება მეორე კრიტერიუმი: უზრუნველყოფის ღონისძიებების თავიდან აცილება. ამ შემთხვევაში გარიგებები კანონიერია და დაცულია ყველა ფორმალურ – შინაარსობრივი მოთხოვნა და არც უზრუნველყოფის ღონისძიებებისაგან თავის არიდებას აქვს მცდელობა, რადგანაც საგადასახადო დავალიანება არ არსებობს. რაც შეეხება 2004 წლის კოდექსის რედაქციას ამ შემთხვევაში, ვინაიდან მეორე კრიტერიუმი არის გადასახადებისაგან თავის არიდება და, თუ სასამართლო დაადგენს, რომ ერთ, რომელიმე ფირმას თავისი რესურსებით აღნიშნული შეკვეთების შესრულება შეეძლო დროის სათანადო მონაკვეთში ან თუ ირკვევა, რომ სამივე ფირმას ერთი და იგივე პერსონალი ემსახურება, მაშინ შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ცრუმაგიერ პირებად კვალიფიკაციას. ამ შემთხვევაში მოტივაცია იქნება დამატებული ღირებულების გადასახადით დასაბეგრი ბრუნვის „დანაწევრება" ერთი და იგივე პირის მიერ გადასახადისაგან თავის არიდების მიზნით.

დამატებული ღირებულების გადასახადთან დაკავშირებით მეორე მაგალითი, რომელიც სასამართლო პრაქტიკიდან არის აღებული ასეთია: ნათესავებმა დააფუძნეს 4 იურიდიული პირი, რომლებიც მუნიციპალიტეტის მიერ გამართულ ტენდერებში იმარჯვებდნენ სხვადასხვა საქონლის შესყიდვის კუთხით. ამასთან, ეს პირები, როგორც კი მიაღწევდნენ დამატებული ღირებულების გადასახადით დასაბეგრ ზღვარს, ახორციელებდნენ ლიკვიდაციას. ამასთან, მაშინათვე აფუძნებდნენ ახალ პირებს და ახალ შესაბამის ტენდერებში იღებდნენ მონაწილეობას. მათი საქმიანობა წინასწარ გათვლილი იყო ტენდერით გათვალისწინებული შესასყიდი საქონლის მოცულობაზე. შესაბამისად ეს პირები თავს არიდებდნენ დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, მოქმედი საგადასახადო კოდექსის მიხედვით პირები მხოლოდ მაშინ შეიძლება განხილულ იქნეს ცრუმაგიერად, თუ ამ პირების მეშვეობით ადგილი აქვს ქონების „გადამალვას" საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებისაგან. რაც შეეხება დამატებული ღირებულების გადასახადით დასაბეგრი ოპერაციების დანაწევრებას, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ გადასახადებისაგან თავის არიდების მიზნით წინასწარ განზრახული ოპერაციაა, ცრუმაგიერ პირებს ადგილი აქვს მხოლოდ 2004 წლის საგადასახადო კოდექსის რედაქციის მიხედვით. ეს შემთხვევა მოქმედი საგადასახადო კოდექსით არ ესადაგება საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებისაგან თავის არიდებას. შესაბამისად, იგი შეიძლება დაკვალიფიცირდეს, როგორც გადასახადებისაგან თავის არიდება კანონიერი საშუალებებით (სხვანაირად, რომ ვთქვათ, საგადასახადო ოპტიმიზაცია), რაც არ არის საგადასახადო სამართალდარღვევა.

ცრუმაგიერი პირის ცნება „ენათესავება" შემოსავლის ბენეფიციური მფლობელის ცნებას. შემოსავლის ბენეფიციური მფლობელი, ზოგადად ეწოდება პირს, რომელსაც აქვს მიღებული შემოსავლის განკარგვის შეუზღუდავი უფლება. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 247-ე მუხლის მიხედვით, თუ პირი იღებს შემოსავალს ქონებიდან, რომელიც მას ოფიციალურად არ ეკუთვნის (შემოსავლის ბენეფიციური მფლობელი) და ამ შემოსავალზე დაწესებული გადასახადებისაგან თავის არიდების მიზნით იყენებს ფიქტიურ პირს ან პირებს, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, ნებისმიერი ასეთი პირის საგადასახადო დავალიანების გადახდევინება უზრუნველყოს სოლიდარულად მათი ქონებიდან.

ბენეფიციური მფლობელის დეფინიციის მდგენელებია:

ა) ქონების რეალური მესაკუთრე;

ბ) ქონების ფიქტიური მესაკუთრე;

გ) შემოსავლის მიღება ამ ქონებიდან ქონების რეალური მესაკუთრის მიერ;

დ) ამ შემოსავალზე გადასახადებისაგან თავის არიდება.

შემოსავლის ბენეფიციური მფლობელი ანუ ქონების რეალური მესაკუთრე უნდა იყოს ფიზიკური პირი, ვინაიდან იურიდიული პირის შემთხვევაში მივდივართ ცრუმაგიერ პირთან. ამასთან, იურიდიული პირი, როგორც ბენეფიციარი, რომელიც თავს აარიდებს გადასახადებს, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, პრაქტიკულად გამორიცხულია. ანალოგიურად, ქონების ფიქტიური მესაკუთრეც შეუძლებელია იყოს იურიდიული პირი, რადგანაც იგი ვერ აარიდებს თავს გადასახადებს კანონიერი შეღავათების გამოყენებით. შესაბამისად, როგორც ქონების რეალური მესაკუთრე, ასევე ფიქტიური მესაკუთრე შეიძლება იყვნენ ფიზიკური პირები.

რა შემთხვევაში შეიძლება განხორციელდეს ზემოაღნიშნული სქემა? მხოლოდ იმ ერთადერთ შემთხვევაში, როდესაც ქონების ფიქტიური მესაკუთრე, რომელიც ნომინალურად იღებს შემოსავლებს, კანონმდებლობის მიხედვით გათავისუფლებულია გადასახადებისაგან ან ეკუთვნის შეღავათიანი დაბეგვრის სხვა რეჟიმი. ამასთან, თუ ცრუმაგიერი პირს ადგენს მხოლოდ სასამართლო, შემოსავლის ბენეფიციური მფლობელის დადგენა ანუ იმ ფაქტორების განსაზღვრა, თუ ვინ არის ქონების რეალური მესაკუთრე და რა კავშირებია რეალურ და ფიქტიურ მფლობელს შორის, კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის. სსკ-ის 247-ე მუხლი იმაზეც არ იძლევა პასუხს, შესაბამისი ქონება აუცილებლად ბენეფიციური მფლობელის რეალური საკუთრება უნდა იყოს თუ არა? უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ საკითხების განსაზღვრა ასევე სასამართლოს პრეროგატივაა, რადგანაც საქმე ეხება ქონებრივი ურთიერთობის რეალურ დადგენას.

როგორც აღვნიშნეთ, ზემოაღნიშნულმა სქემამ, რომ იმოქმედოს საჭიროა ფიქტიური მესაკუთრე ოფიციალურად სარგებლობდეს საგადასახადო შეღავათებით. მაგ. დიტოს აქვს 20 მცირე მაღაზია(-ჯიხური) სოფლად, საიდანაც მისი დასაბეგრი შემოსავალი წლიურად შეადგენს 60000 ლარს. დიტოს არ უნდა დარეგისტრირდეს მცირე ბიზნესის სტატუსით, რადგანაც მას ექნება გადასახდელი ერთობლივი შემოსავლის 3 ან 5 პროცენტი(მაგ. 100000 ლარის ერთობლივი შემოსავლის შემთხვევაში მას ექნება ვთქვათ, 5 პროცენტი გადასახდელი ანუ 5000 ლარი. იმ შემთხვევაში, თუ დიტო იქნება მეწარმე ფიზიკური პირი და დაიბეგრება ჩვეულებრივი დაბეგვრის რეჟიმით, მას ექნება გადასახდელი დასაბეგრი შემოსავლის 20%(12000 ლარი). აქედან გამომდინარე, იმისათვის, რომ თავი აარიდოს გადასახადებს დიტო მიმართავს ასეთ ხერხს: იგი თავის მაღაზიებს საკუთრებაში გადაუფორმებს ფიქტიურ პირებს, რომლებიც არიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილეები. შესაბამისად, 20 ფიზიკური პირის დანაწევრებული დასაბეგრი შემოსავალი თითოეულ მათგანზე შეადგენს 3000 ლარს, სულ ჯამში 60000 ლარს. ვინაიდან, სსკ-ის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით მეორე მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილე ფიზიკური პირის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 3000 ლარამდე გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისაგან, შესაბამისად მაღაზიების რეალური მეპატრონე ანუ შემოსავლის ბენეფიციური მფლობელი ფაქტობრივად გათავისუფლდა მის მიერ მიღებული დასაბეგრი შემოსავლის(60000) შესაბამისი გადასახადისაგან. სახეზეა შემოსავლის ბენეფიციური მფლობელის მიერ გადასახადებისაგან თავის არიდება, რაც აძლევს საგადასახადო ორგანოს უფლებას გამოიყენოს სსკ-ის 247-ე მუხლით მინიჭებული უფლება, კერძოდ საგადასახადო დავალიანების გადახდევინება უზრუნველყოს სოლიდარულად მათი ქონებიდან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც ადეკვატური საგადასახადო ადმინისტრირების თვალსაზრისით, ასევე გადასახადის გადამხდელთა უფლებების დაცვის ასპექტით ცრუმაგიერი პირებისა და შემოსავლის ბენეფიციური მფლობელების იდენტიფიკაციისა და ჭეშმარიტების დადგენის საკითხი უკავშირდება, როგორც გამართულ „საკანონმდებლო ენას“, ასევე მის სწორ გაგებას. შესაბამისად, ეს საკითხი განეკუთვნება მეტად სენსიტიურ სფეროს და იგი შეიძლება გაფართოვდეს სხვადასხვა, ლატერალური მიმართულებებით.

23.2 ლიზინგის დაბეგვრის პრობლემები

ლიზინგი ინგლისური სიტყვაა და ქართულად ნიშნავს არენდას, იჯარას. ეტიმოლოგიური თვალსაზრისით ლიზინგი არაფრით არ განსხვავდება არენდის, იჯარის, ქირის, უზუფრუქტის და ქონების სხვის სარგებლობაში ნებისმიერი სხვა ფორმით გადაცემისაგან. ამასთან, ლინგვისტური დატვირთვის მიღმა, ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში მას აქვს არსებითად განსხვავებული დატვირთვა.

თანამედროვე ეკონომიკა წინ სწევს ლიზინგის საჭიროებას და მნიშვნელობას იმ ასპექტით, რომ ეკონომიკის მიერ გამომუშავებული ფული „არ ყოფნის“ ეკონომიკას (ისევე როგორც ადამიანს). ამდენად, კომერციული ბანკი, როგორც ეკონომიკის (ანუ ადამიანთა) აკუმლირებული ენერგიის სეგმენტი აქტიურად იწყებს მანიპულირებას ამ სფეროში, რაც კომერციული (და არა საბანკო) კრედიტის ფორ-

მას იღებს. ეკონომიკისათვის, ზოგადად უმჯობესია, ბანკიდან არ გაედინოს ფული, და ეს ფუნქცია სანარმოს ფინანსებმა იკისროს, მაგრამ ბანკის ფინანსები (უფრო ზუსტად საკრედიტო რესურსები) ჰგავს ჯებირით შეკავებულ მდინარეს, რომელიც გაზაფხულზე აუცილებლად გადმოხეთქავს მას. ამ მდინარის ერთ-ერთი შენაკადია სწორედ ლიზინგზე მიმართული საბანკო რესურსები.

საერთაშორისო პრაქტიკაში კლასიკური ლიზინგი სამსუბიექტიანია და იგი გულისხმობს ლიზინგის მიმწოდებელს, ლიზინგის გამცემს და ლიზინგის მიმღებს. საქართველოს კანონმდებლობაც ასეთივე პრინციპებს ითვალისწინებს. კერძოდ, ლიზინგის მიმწოდებელი არის ის პირი ვისგანაც ლიზინგის გამცემი ლიზინგის მიმღების დავალებით ყიდულობს ლიზინგის საგანს; ლიზინგის გამცემი არის ის პირი, ვინც ლიზინგის მიმღების დავალებით ლიზინგის მიმწოდებლისგან ყიდულობს ლიზინგის საგანს და ლიზინგის განსაზღვრული პირობებით გადასცემს მას ლიზინგის მიმღებს; ლიზინგის მიმღები არის პირი, რომელიც ლიზინგის გამცემს ავალებს შეიძინოს ლიზინგის საგანი მის მიერ წინასწარ შერჩეული პირისაგან (მიმწოდებლისაგან) და გადასცეს მას ეს საგანი ლიზინგით განსაზღვრული პირობებით.

სალიზინგო ურთიერთობები ზემოალნიშნულ პირებს შორის იწყება იმ მიზეზის წარმოშობის გამო, რომელსაც ჰქვია ლიზინგის მიმღების ეკონომიკურ საქმიანობაში თავისუფალი ფინანსების არარსებობა. ლიზინგის საგანი ძვირია. შესაბამისად მისი ერთბაშად შეძენა ლიზინგის მიმღებს არ შეუძლია. არ შეუძლია აგრეთვე ამ მიზნით საბანკო კრედიტის მოზიდვა, რადგანაც კრედიტის საპროცენტო განაკვეთი და დაფარვის ვალდებულებები უფრო მძიმეა, ვიდრე ლიზინგის პირობები. ამიტომ, ასეთ შემთხვევაში ლიზინგის მიმღები მიმართავს ლიზინგის გამცემს ანუ ამ საქმიანობისთვის სპეციალურად ჩამოყალიბებულ სალიზინგო კომპანიას. ამ ასპექტით, ლიზინგის მიმღებისა და ლიზინგის გამცემის ურთიერთობა თავისი ფორმით კომერციული კრედიტის (განვადების) ურთიერთობაა, იმ განსხვავებით, რომ ჩვეულებრივი კომერციული კრედიტის დროს შესაბამისი საქონელი მაშინათვე გადადის მყიდველის საკუთრებაში, ხოლო ლიზინგის დროს ეს საქონელი (ლიზინგის საგანი) ლიზინგის მთელი პერიოდის განმავლობაში რჩება გამყიდველის (ლიზინგის გამცემის) საკუთრებაში(ზოგჯერ არის ხოლმე პროცენტის საკითხიც). ამასთან, ეს საგანი შეიძლება შემდგომ გამოსყიდულ იქნეს ლიზინგის მიმღების მიერ ან შეიძლება დაუბრუნდეს ლიზინგის გამცემს.

ლიზინგისათვის დამახასიათებელია შემდეგი ატრიბუტები:

ა) ზემოაღნიშნულ ტრიადაში (მიმღები, გამცემი, მიმწოდებელი) ლიზინგის საგნის და მიმწოდებლის არჩევის პრეროგატივა აქვს მხოლოდ ლიზინგის მიმღებს. ის არჩევს ლიზინგის მიმწოდებელს და ლიზინგის საგანს, რომელსაც ათანხმებს ლიზინგის გამცემთან. ამასთან, ყველა საკითხი, რომელიც ეხება ლიზინგის მიმწოდებელსა და ლიზინგის გამცემს შორის ლიზინგის საგნის ყიდვა-გაყიდვას, თანხმდება ლიზინგის მიმწოდებელსა და ლიზინგის მიმღებს შორის. რაც შეეხება ლიზინგის გამცემს, მისი ვალდებულებაა მოაგვაროს ფინანსური საკითხები ლიზინგის მიმწოდებელთან ანუ შეიძინოს ლიზინგის საგანი და გადაიხადოს მისი საფასური;

ბ) მიმწოდებელმა წინასწარ იცის, რომ ლიზინგის გამცემი მისგან იძენს საქონელს სპეციალურად მესამე პირისთვის ლიზინგით გასაცემად;

გ) ლიზინგის საგანი, მომწოდებლიდან პირდაპირ გადაეცემა არა ლიზინგის გამცემს, არამედ ლიზინგის მიმღებს;

დ) ლიზინგის მიმღები, ლიზინგის საგანზე დეფექტების არსებობის შემთხვევაში, პრეტენზიას წაუყენებს არა ლიზინგის გამცემს, არამედ ლიზინგის მიმწოდებელს, რომელთანაც მას არავითარი სახელშეკრულებო ურთიერთობა არ აკავშირებს;

ე) ლიზინგის გამცემი ლიზინგის საგანს შეიძენს არა უშუალოდ თავისი მოხმარებისათვის, არამედ სხვისთვის გადასაცემად;

ვ) ლიზინგის საგანი ლიზინგის მთელი ვადის განმავლობაში რჩება ლიზინგის გამცემის საკუთრებად;

ზ) ლიზინგის გამცემი ლიზინგის საგნის სხვისთვის სარგებლობაში გადაცემისათვის იღებს შესაბამის ანაზღაურებას;

თ) ლიზინგის მიმღებს, როგორც წესი, უფლება აქვს ლიზინგი საგანი გარკვეულ ვადაში გამოისყიდოს ლიზინგის გამცემისაგან.

საერთაშორისო პრაქტიკაში განასხვავებენ ლიზინგის შემდეგ სახეებს: ფინანსური ლიზინგი, ოპერატიული ლიზინგი, წმინდა ლიზინგი, „სველი" ლიზინგი, პირდაპირი ლიზინგი, დაბრუნებადი ლიზინგი, გამყოფი ლიზინგი, რევოლვერული ლიზინგი, სუბლიზინგი, საერთაშორისო ლიზინგი, ჰაირინგი. საქართველოს კანონმდებლობა კი იგნორირებას უკეთებს ლიზინგის ამ სახეების დეფინიციას და ყველა მსგავს სალიზინგო ურთიერთობას უწოდებს ერთ ზოგად სახელს – ლიზინგს.

ფინანსური ლიზინგის დროს ხდება ლიზინგის გამცემის მიერ ლიზინგის მიმღებისათვის ქონების

გადაცემა იმ პირობით, რომ ლიზინგის ვადა ემთხვევა ქონების მაქსიმალურ საექსპლუატაციო და ამორტიზაციის ვადებს და ამ ვადაში სალიზინგო გადასახდელების სახით ლიზინგის გამცემი ღებულობს, როგორც ლიზინგის საგნის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებას, ასევე შესაბამის მოგებას ქონების საექსპლუატაციოდ გადაცემისათვის. ამასთან, ამ შემთხვევაში, როგორც წესი, ლიზინგის საგნის ტექნიკური მომსახურების და დაზღვევის ხარჯები უნდა გასწიოს ლიზინგის მიმღებმა.

ოპერატიული ლიზინგის დროს ლიზინგის ვადა უფრო მოკლეა, ვიდრე ლიზინგის საგნის საექსპლოატაციო და ამორტიზაციის ვადა. ამასთან სალიზინგო გადასახდელების მთლიანი ოდენობა უფრო ნაკლებია, ვიდრე ლიზინგის საგნის ღირებულება. შესაბამისად, ოპერატიული ლიზინგის დროს შესაძლებელია ლიზინგის საგნის ნორმატიული საექსპლოატაციო ვადის განმავლობაში რამდენჯერმე იქნას ქონება ლიზინგით გადაცემული შესაბამისი ღირებულების ამოღების მიზნით. ამასთან, ასეთ შემთხვევაში სალიზინგო გადასახდელების ოდენობა ფინანსური ლიზინგის შესაბამის მაჩვენებელთან მიმართებით გაცილებით მაღალია.

წმინდა ლიზინგი ფინანსური ლიზინგის ერთ-ერთი ფორმაა, რომლის დროსაც ლიზინგის საგნის მთელ ტექნიკურ საექსპლოატაციო ხარჯებს იხდის ლიზინგის მიმღები. ამასთან, ეს ხარჯები არ შედის სალიზინგო გადასახდელების თანხაში, ე. ი იგი „გაწმენდილია" ამ ხარჯებისაგან.

"სველი" ლიზინგის დროს ლიზინგის საგნის ტექნიკური მომსახურების და დაზღვევის ხარჯებს ეწევა არა ლიზინგის საგნის მიმღები, არამედ – გამცემი. ამდენად, ლიზინგის ეს ფორმა დამახასიათებელია ოპერატიული ლიზინგისათვის.

პირდაპირი ლიზინგის დროს ლიზინგის საგნის მწარმოებელი ანუ მიმწოდებელი და ლიზინგის გამცემი ერთი და იგივე პირია. ასეთ შემთხვევაში ლიზინგის დროს ტრიადის ნაცვლად ადგილი აქვს მხოლოდ ორმხრივ ურთიერთობას: ლიზინგის გამცემსა და მიმღებს შორის.

დაბრუნებადი ლიზინგის დროს ადგილი აქვს ლიზინგის საგნის მოძრაობის შემდეგ სქემას: ლიზინგის მიმღებს საკუთრებაში აქვს ლიზინგის საგანი. საბრუნავი ფინანსური სახსრების მოზიდვის მიზნით იგი ჰყიდის ლიზინგის საგანს ლიზინგის გამცემზე (სალიზინგო კომპანიაზე) და ამავე დროს იღებს მისგან ამ ქონებას ლიზინგით.

გამყოფი ლიზინგის დროს ლიზინგის გამცემი ლიზინგის საგანს ყიდულობს არა მთლიანად თავისი სახსრებიდან, არამედ ნაწილობრივ სხვა კრედიტორებიდან აღებული სახსრებით. ასეთ შემთხვევაში შეიძლება გაფორმდეს შემდეგი ხელშეკრულებები: ლიზინგის გამცემი კრედიტს იღებს სხვადასხვა პირებიდან, მაგრამ კრედიტორებთან აღებული სესხების დაბრუნებაზე უშუალოდ პასუხისმგებელი არ არის. ლიზინგით გაცემული ქონება კრედიტორებთან ჩაიდება გირაოში, ხოლო სესხების დაფარვა ხდება ლიზინგის მიმღების მიერ გადახდილი სალიზინგო გადასახდელების თანხიდან.

რევოლვერული ლიზინგის მოთხოვნა წარმოიშობა მაშინ, როდესაც ლიზინგის მიმღებს წარმოეშობა საჭიროება გარკვეული პერიოდის შემდეგ ლიზინგით მიღებული ქონება შეცვალოს სხვა სახის ქონებით. ასეთ შემთხვევაში ლიზინგით აღებული ერთი სახის ქონება ლიზინგის მიმღების მიერ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ იცვლება მეორე სახის ქონებაზე და ა.შ. ამასთან, გაცვლის პირობები რეგულირდება სამოქალაქო ხელშეკრულებებით.

სუბლიზინგი დამახასიათებელია დედა კომპანიისა და შვილობილი კომპანიის ურთიერთობაში. კერძოდ, შვილობილი კომპანია ითხოვს ტექნიკურ გადაიარაღებას(ანუ ლიზინგის საგანს). ამ შემთხვევაში დედა კომპანია ქმნის სალიზინგო კომპანიას, რომელიც შეიძენს მწარმოებლისგან შესაბამის ქონებას და აძლევს ლიზინგის მიმღებს ანუ შვილობილ კომპანიას. შვილობილი კომპანიის მიერ სალიზინგო კომპანიისათვის გადახდილი სალიზინგო გადასახდელები შემდგომ მიემართება ძირითადი ლიზინგის მიმცემის ანუ დედა კომპანიის ანგარიშზე. ასეთ შემთხვევაში დედა კომპანია ლიზინგის საგანს გასცემს შუამავლის ანუ თავის მიერ შექმნილი სალიზინგო კომპანიის მეშვეობით. თუ სალიზინგო კომპანია გაკოტრდა სალიზინგო გადასახდელები პირდაპირ წარიმართება დედა კომპანიის ანგარიშზე.

საერთაშორისო ლიზინგი ეწოდება ისეთ ლიზინგს, რომლის დროსაც ლიზინგის გამცემი არის არარეზიდენტი, რომელიც იმყოფება ლიზინგის მიმღების ქვეყნის საზღვარს გარეთ, ხოლო მიმღები სხვა ქვეყანაში.

ჰაირინგი არის ლიზინგის ისეთი სახესხვაობა, რომელიც საქართველოში „არც გაუგიათ". ეს არის ისეთი საშუალოვადიანი ლიზინგი, რომელიც გრძელდება ექვსი თვიდან ხუთ წლამდე.

ლიზინგი, როგორც აღვნიშნეთ კომერციული კრედიტის (განვადების) თავისებური ფორმაა, მაგრამ მას საბანკო კრედიტთან მიმართებით რიგი უპირატესობები გააჩნია, როგორც ლიზინგის გამცემის, ასევე ლიზინგის მიმღების თვალსაზრისით. კერძოდ:

ა) ქონების გაცემა ამცირებს მისი დაბრუნების რისკს, რამდენადაც ეს ქონება ისევ გამცემის

საკუთრებაშია;

ბ) ლიზინგის მიმღებისათვის ქონების ლიზინგით შეძენის დროს არ არის საჭირო ამისათვის წინასწარ გარკვეული თანხების გამოყოფა;

გ) ხშირ შემთხვევაში ლიზინგით ქონების მიღება უფრო მარტივია, ვიდრე საბანკო კრედიტის აღება, რომელიც დამატებით გარანტიას მოითხოვს;

დ) სალიზინგო გადასახდელები ორმხრივი კონტრაქტის საფუძველზე უფრო მოქნილია, ვიდრე საბანკო – საპროცენტო გადასახდელები და იგი შეიძლება გადახდილ იქნეს ლიზინგის საგნის ექსპლოატაციაში შეყვანით დამზადებული საქონლის რეალიზაციის შემდეგ;

ე) ლიზინგის ვადა, როგორც წესი, ბევრად უფრო მეტია, ვიდრე საბანკო კრედიტის ვადა;

ვ) ლიზინგის მიმღები არ იხდის ლიზინგით მიღებულ ქონებაზე ქონების გადასახადს;

ზ) სალიზინგო გადასახდელები ლიზინგის მიმღების მიერ გამოიქვითება ერთობლივი შემოსავლიდან და ამცირებს დასაბეგრ მოგებას;

თ) ლიზინგის გამცემს აქვს მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათები. კერძოდ, განვითარებულ ქვეყნებში ლიზინგის გამცემი გათავისუფლებულია მოგების გადასახადისა და დღგ-ისაგან;

ი) და ბოლოს, რაც მთავარია სალიზინგო გადასახდელების განაკვეთები საშუალოდ შეადგენს 9 – 16 პროცენტამდე, ხოლო საბანკო კრედიტის შესაბამისი პროცენტი 2 – 4 პროცენტით უფრო მაღალია.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ლიზინგს, სამედიცინო ენაზე, რომ ვთქვათ, აქვს „უკუჩვენებებიც", როგორც ლიზინგის გამცემის, ასევე ლიზინგის მიმღებისათვისაც. კერძოდ, ლიზინგის გამცემზე გადადის ქონების მორალური ცვეთის რისკი, თუ ლიზინგი ითვალისწინებს დაბრუნებას. ლიზინგის მიმღებისათვის ლიზინგის სიმძიმე ის არის, რომ სალიზინგო გადასახდელები უფრო მეტია, ვიდრე ლიზინგის საგნის ღირებულება ან შესაბამისი საბანკო კრედიტი, რომელიც ამ საგნის შესაძენად იქნებოდა აღებული.

ლიზინგის შემთხვევაში უმთავრეს იურიდიულ დოკუმენტს წარმოადგენს კონტრაქტი ლიზინგის გამცემსა და ლიზინგის მიმღებს შორის, რომელშიც ფიქსირდება კონტრაქტის შემდეგი ძირითადი ნიშნები:

ა) კონტრაქტის საგანი;

ბ) ლიზინგის საგნის მიწოდების წესი;

გ) მხარეთა უფლება-მოვალეობები

გ) ლიზინგის საგნის ექსპლოატაციისა და რემონტის პირობები;

დ) დაზღვევის საკითხები;

ე) ლიზინგის ვადა;

ვ) სალიზინგო გადასახდელები და საჯარიმო სანქციები;

ვ) დავების გადაწყვეტის წესი;

ზ) ვადაზე ადრე კონტრაქტის დარღვევის პირობები;

თ) ფორსმაჟორული სიტუაციები;

ი) პირების იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები.

ამდენად, სალიზინგო კომპანიებმა და ლიზინგის მიმღებებმა ზემოაღნიშნული საკონტრაქტო პირობები აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ სათანადო ხელშეკრულების დადების დროს მოსალოდნელი დავების პრევენციის თვალსაზრისით.

ლიზინგის დაბეგვრის საკითხები საქართველოში მას შემდეგ გახდა განსაკუთრებით აქტუალური, რაც საგადასახადო და სამოქალაქო კოდექსებში განხორციელდა შესაბამისი პარალელური ცვლილებები (2011წ). მიუხედავად იმისა, რომ სალიზინგო ბიზნესი ჯერჯერობით ჩანასახოვან მდგომარეობაშია, სწორი საგადასახადო პოლიტიკის შემთხვევაში იგი შეიძლება იქცეს სამრეწველო ინდუსტრიის განვითარების მძლავრ ბიძგად. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ დაბეგვრის თვალსაზრისით ლიზინგი განსხვავდება ჩვეულებრივი იჯარისაგან და ექცევა საგადასახადო ადმინისტრირების სხვა რეგულაციაში. კერძოდ, საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილია ლიზინგთან დაკავშირებული შემდეგი ნორმები:

– ლიზინგი განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, თუ ლიზინგის საგანი არის ამორტიზაციას დაქვემდებარებული აქტივი(სსკ 8(38). კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით ლიზინგის ხელშეკრულებით ლიზინგის გამცემი ვალდებულია ლიზინგის მიმღებს სარგებლობაში გადასცეს განსაზღვრული ქონება ხელშეკრულებით დათქმული ვადით, ამ ქონების შესყიდვის უფლებით ან ასეთი უფლების გარეშე, ხოლო ლიზინგის მიმღები ვალდებულია გადაიხადოს საზღაური დადგენილი პერიოდულობით, იმ პირობით, რომ:

ა) ლიზინგის მიმღები განსაზღვრავს ქონებას და ირჩევს მიმწოდებელს, რომლისგანაც ხდება ქონების შესყიდვა ან მისი სხვაგვარად მიღება;

ბ) ლიზინგის გამცემი ქონებას იძენს ლიზინგით გასაცემად და მიმწოდებლისთვის ეს ფაქტი ცნობილია.

მიმწოდებელი შეიძლება იმავდროულად იყოს ლიზინგის გამცემი, თუ მიმწოდებლის ჩვეულებრივი საქმიანობა არის ქონების მიწოდება ან ქონების ლიზინგით გაცემა. ქონება შეიძლება შეძენილ იქნეს ასევე ლიზინგის მიმღებისგან. ლიზინგით გაცემული ქონება ლიზინგის ხელშეკრულების ვადის გასვლისას ან ვადაზე ადრე შეწყვეტისას განმეორებით შეიძლება გაიცეს ლიზინგით, მაგრამ იმისათვის, რომ მასზე გავრცელდეს ამ თავის დებულებები, ლიზინგის გამცემმა უნდა მოიპოვოს ლიზინგის მიმღებისგან ქონების დამოუკიდებელი შერჩევის დადასტურება. ლიზინგის საგანი არ შეიძლება იყოს ფული, ფასიანი ქაღალდი, ნილი ან პაი სამეწარმეო საზოგადოებაში.

– სალიზინგო კომპანია არის საწარმო, რომლის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში ქონების ლიზინგით გაცემიდან მიღებული შემოსავალი მისი ერთობლივი შემოსავლის არანაკლებ 70%-ია(სსკ 8(39). ვფიქრობთ, რომ ეს ნორმა ზღუდავს სალიზინგო ბიზნესს, ვინაიდან საბოლოო ჯამში სწორედ სალიზინგო კომპანიას ეძლევა რიგი საგადასახადო შეღავათები. ამდენად მიგვაჩნია, რომ სალიზინგო კომპანიის ცნება საერთოდ ამოღებულ უნდა იქნეს და ნებისმიერ მეწარმე პირს უნდა მიეცეს ამ ბიზნესით დაკავების შესაძლებლობა(გ.უ).

– მომსახურების გაცემად ითვლება ქონების გაცემა ქირით, იჯარით ან ლიზინგით(სსკ 14.1(ზ). ვინაიდან, ლიზინგი არის მომსახურების გაწევა, იგი დღგ-ის მიზნებისათვის განხილულ უნდა იქნეს ფინანსური მომსახურების გაწევად, რადგანაც საქმე გვაქვს ფინანსურ ლიზინგთან, და გათავისუფლდეს დღგ-ისაგან(გ.უ).

– უცხოური საწარმოს ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ქონების მხოლოდ ლიზინგით, უზუფრუქტით, იჯარით, ქირით ან/და სხვა ამგვარი ფორმით გაცემა არ წარმოშობს ამ უცხოური საწარმოს ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის მუდმივ დაწესებულებას საქართველოში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირი პირადად, წარმომადგენლის ან დაქირავებული პერსონალის მეშვეობით სისტემატურად ახორციელებს ქონების მიმღების საქმიანობის მომსახურებას და ზედამხედველობას(სსკ 29(12);

– საშემოსავლო გადასახადისაგან თავისუფლდება არარეზიდენტის მიერ ქონების ლიზინგით გაცემიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება საქართველოში არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას(სსკ 82.1(ს);

– მოგების გადასახადისაგან თავისუფლდება არარეზიდენტის მიერ ქონების ლიზინგით გაცემიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება საქართველოში არარეზიდენტის მუდმივ დანესებულებას(სსკ 99.1(ლ);

– ეკონომიკურ საქმიანობას განეკუთვნება: ლიზინგით, უზუფრუქტით, იჯარით, ქირით ან სხვა ამგვარი ფორმით გაცემული ქონებიდან მიღებული შემოსავლები(სსკ 102.1(კ);

– სალიზინგო კომპანიას უფლება აქვს, საანგარიშო პერიოდის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითოს ლიზინგიდან წარმოშობილ ვადაგადაცილებულ მოთხოვნებზე რეზერვების ხარჯები საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით(სსკ 109(3);

– ლიზინგის გამცემის მიერ ლიზინგით გაცემული თითოეული ძირითადი საშუალება ცალკე ჯგუფად აღირიცხება. მასზე საამორტიზაციო ანარიცხები გამოიქვითება სალიზინგო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულების ოდენობით, რომელიც განისაზღვრება ლიზინგის პირობებისა და ამ ძირითადი საშუალების ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის გათვალისწინებით(სსკ 111(12);

– ლიზინგის ხელშეკრულების ვადის გასვლისას ან ვადაზე ადრე შეწყვეტისას ლიზინგით გაცემული ძირითადი საშუალების ლიზინგის გამცემისათვის დაბრუნების შემთხვევაში ეს ძირითადი საშუალება რჩება იმავე ჯგუფში და შემდგომ ლიზინგით გაცემამდე მასზე საამორტიზაციო ანარიცხების დარიცხვა ჩერდება.(სსკ 111(13);

– სუსტი კაპიტალიზაცია არის პირის მიერ აღებული ვალის თანაფარდობა პირის კაპიტალთან, როდესაც ამ პირის ვალის მისიეე კაპიტალთან შეფარდება 3/1-ზე მეტია, ხოლო სალიზინგო კომპანიის შემთხვევაში – ამ კომპანიის ვალის მისიეე კაპიტალთან შეფარდება 5/1-ზე მეტია(სსკ 123(1);

– თავდაპირველად ლიზინგით გაცემული ძირითადი საშუალების სხვა მიზნებისათვის გამოყენების შემთხვევაში მისი ღირებულება განისაზღვრება იმ ჯგუფის ღირებულებითი ბალანსით, რომელშიც ეს ძირითადი საშუალება მანამდე აღირიცხებოდა(სსკ 148(3);

– ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ისაგან თავისუფლდება სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების მიწოდება ან/და იმპორტი, აგრეთვე „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს

კანონის შესაბამისად ქონების ლიზინგის ფორმით გადაცემა (მიწოდება)(სსკ 168.1(გ1);

– ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ისაგან გათავისუფლებულია სსკ-ის 168-ე მუხლით ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული საქონლის ლიზინგით გაცემა(სსკ 168.2(თ);

– ქონების გადასახადის გადამხდელია: რეზიდენტი საწარმო/ორგანიზაცია – მის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხულ აქტივებზე, დაუმონტაჟებელ მოწყობილობებზე, დაუმთავრებელ მშენებლობაზე, აგრეთვე მის მიერ ლიზინგით გაცემულ ქონებაზე და ფიზიკური პირი: არარეზიდენტისაგან ლიზინგით მიღებულ ქონებაზე და ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, მის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხულ აქტივებზე, დაუმონტაჟებელ მოწყობილობებზე, აგრეთვე მის მიერ ლიზინგით გაცემულ ქონებაზე.(სსკ 201.1(ა)(გ.ბ)(გ.გ);

– სანარმოსთვის/ორგანიზაციისთვის, გარდა სსკ-ის 202-ე მუხლის 31 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა, ლიზინგით გაცემულ დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთი განისაზღვრება დასაბეგრი ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების (გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსთვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით) არა უმეტეს 1 პროცენტის ოდენობით. ამ ნაწილის მიზნებისათვის ლიზინგით გაცემული დასაბეგრი ქონების საბალანსო ღირებულება არის ქონების გაცემის მომენტისათვის არსებული ღირებულება, ხოლო ყოველი მომდევნო წლისათვის ქონების ღირებულებად ითვლება აღნიშნული ქონების ნარჩენი საბალანსო ღირებულება, რომელიც ამ ქონებას ექნებოდა ლიზინგით არგაცემის შემთხვევაში(სსკ 202(3);

– სალიზინგო კომპანიისთვის ლიზინგით გაცემულ დასაბეგრ ქონებაზე წლიური გადასახადი ლიზინგის მთელი პერიოდის განმავლობაში განისაზღვრება მის მიერ დასაბეგრი ქონების ლიზინგით პირველად გაცემის მომენტისათვის არსებული საბალანსო საწყისი ღირებულების არა უმეტეს 0.6 პროცენტის ოდენობით(სსკ 202.(31);

– ქონების გადასახადისაგან თავისუფლდება ორგანიზაციის ქონება, აგრეთვე ორგანიზაციაზე ლიზინგით გაცემული ქონება, გარდა მიწისა და ორგანიზაციის მიერ ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონებისა(სსკ 206. 1(ე);

– ქონების გადასახადისაგან თავისუფლდება საქართველოს რეზიდენტისგან ლიზინგით მიღებული ქონება(სსკ 206.1(ძ);

– ქონების გადასახადისაგან თავისუფლდება სამედიცინო საქმიანობისათვის გამოყენებული ქონება, გარდა მიწისა, რომელიც სამედიცინო დაწესებულებათა საკუთრებაშია ან ასეთ დაწესებულებებზე ლიზინგით არის გაცემული(სსკ 206.1(წ);

– ქონების გადასახადისაგან თავისუფლდება „ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის" 01 კოდით გათვალისწინებულ საქმიანობაში (სოფლის მეურნეობაში) დასაქმებული პირის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება, აგრეთვე ასეთ პირზე ლიზინგით გაცემული მოძრავი ქონება, რომლებსაც ეს პირი ამავე საქმიანობაში იყენებს(სსკ 206.1(ჯ);

– საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციის უფლება წარმოიშობა საგადასახადო დავალიანების წარმოშობასთან ერთად და მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან და ვრცელდება საგადასახადო დავალიანების ფარგლებში, პირის საკუთრებაში არსებულ ან/და მის ბალანსზე რიცხულ ქონებაზე (გარდა ლიზინგით მიღებულისა), საგადასახადო დავალიანების წარმოქმნის შემდეგ შეძენილი ქონების ჩათვლით. საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების გამოყენება შესაძლებელია სსკ-ის 265-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში(სსკ 239(2);

– საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე დაადოს ყადაღა პირის საკუთრებაში არსებულ ან/და მის ბალანსზე რიცხულ (გარდა ლიზინგით მიღებული ქონებისა) ნებისმიერ ქონებას, აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის მოცულობის ფარგლებში. ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს(სსკ 241(1);

– 2010 წლის 1 იანვრამდე ლიზინგით გაცემულ ამორტიზაციას დაქვემდებარებულ ძირითად საშუალებებზე მოგებისა და ქონების გადასახადების მიზნებისათვის ვრცელდება 2010 წლის 1 იანვრამდე მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის ნორმები(სსკ 309(35).

ზემოაღნიშნული საგადასახადო ნორმების პრინციპული ნაწილი, რომელიც ეხება საგადასახადო პრეფერენციებს, ვერ პასუხობს სალიზინგო ურთიერთობების განვითარების მოთხოვნებს. კერძოდ, ლიზინგი, როგორც ეკონომიკური საქმიანობის სახე და, როგორც დაბეგვრის ობიექტი ქონების სახით უნდა გათავისუფლდეს: მოგების (საშემოსავლო) გადასახადისაგან და დამატებული ღირებულების გადასახადისაგან, როგორც ეს არის ევროკავშირის პრაქტიკაში, ხოლო ლიზინგის საგანი, როგორც ქონება – ქონების გადასახადისაგან. მოქმედი ნორმებით სანარმოს ან ფიზიკური პირის მიერ

არარეზიდენტისაგან ლიზინგით მიღებული ქონება იბეგრება ქონების გადასახადით, რაც – ნონსენსია და ენინააღმდეგება ეკონომიკური ორმაგი დაბეგვრის პრინციპებს.

რამდენადაც, ეკონომიკური ორგანიზმი არის ერთი კაუზუალური კავშირი, შესაბამისად ლიზინგთან დაკავშირებით იგი გამოხატება შემდეგი ფორმულით: ლიზინგის ეკონომიკა=საგადასახადო პრეფერენციები+(–)დაბალი საბანკო – საპროცენტო კრედიტი. შესაბამისად, დისკონტირებული ღირებულების გამოქვითვას, ლიზინგის წახალისებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი არ უნდა იყოს კანონმდებლობით დადგენილ უმაღლეს განაკვეთზე (20 პროცენტზე) ნაკლები. მაგ. ლიზინგით გაცემულია 1000 000 ლარის ქონება მაქსიმალური ნორმატიული საექსპლოატაციო ვადით – 10 წლით. მთლიანი სალიზინგო გადასახდელები შეადგენს 1250000 ლარს. დისკონტირებული სალიზინგო გადასახდელი, რომელიც ექვემდებარება გამოქვითვას ლიზინგის გამცემის მიერ ერთობლივი შემოსავლიდან 10 წლის განმავლობაში იქნება ქონების თავდაპირველი საბალანსო ღირებულება ანუ 1 000 000 ლარი. თუ თანაბრად გავანაწილებთ დისკონტირებულ ღირებულებას 10 წელზე, მაშინ თითოეულ წელზე მივიღებთ გამოსაქვით ხარჯს – 100000 ლარს, რაც შეადგენს 10 პროცენტიან საამორტიზაციო ანარიცხს, მაშინ, როცა ჩვეულებრივ პირობებში შესაბამისი ჯგუფის საამორტიზაციო ანარიცხი შეიძლება ყოფილიყო 20 პროცენტის შესაბამისი თანხა. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის ქვეყნებში ლიზინგის დროს ამორტიზაციის საბაზო კოეფიციენტი მრავლდება სამჯერ.

ზემოაღნიშნული, საერთაშორისო და ქართული კანონმდებლობის ნორმებიდან გამომდინარე საჭიროა განხორციელდეს საგადასახადო კოდექსში (მათ შორის სამოქალაქო კოდექსში) შესაბამისი ცვლილებები იმ თვალსაზრისით, რომ ლიზინგი, როგორც კომერციული კრედიტის ფორმა, რომელიც მიმართულია ეკონომიკის მაკროეკონომიური პარამეტრების ზრდის და შესაბამისად, საბოლოო ჯამში ფისკალური პარამეტრების ზრდისაკენ, ნახალისებულ იქნეს სახელმწიფოს მიერ.

საქართველოში, რომელიც არის მცირე ბაზარი, და მითუმეტეს, სადაც იმპორტისა და ექსპორტის პროპორცია (საგადასახადო ბალანსი) მნიშვნელოვნად ჩამორჩება საერთაშორისო ცივილიზებულ ნორმებს, ჩვენი აზრით, საგადასახადო პოლიტიკა აქტიურად უნდა ასტიმულირებდეს ლიზინგს, ვინაიდან ეს უკანასკნელი, როგორც პირდაპირი ინვესტიცია, მოითხოვს უზარმაზარ კაპიტალდაბანდებებს. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ლიზინგის, როგორც ბიზნესის დაწყება, საბანკო კრედიტის გარეშე წარმოუდგენელია. უფრო მეტიც, საქართველოში ლიზინგს დღესდღეობით მხოლოდ ბანკები ახორციელებენ მათ მიერ დაფუძნებული სალიზინგო კომპანიების სახით, რაც ფაქტობრივად მას, როგორც დამოუკიდებელ ბიზნესს აზრს უკარგავს და ახდენს მის მონოპოლიზებას. ეს გამოიხატება იმაში, რომ სალიზინგო გადასახდელი (დისკონტირებულის გამოკლებით) მნიშვნელოვნად აღემატება საბანკო პროცენტს. ლოგიკურია, რომ დისპროპორცია უნდა იყოს, იმ განსხვავებით, რაც ბაზარზე შეინიშნება არაბუნებრივი თანაფარდობების სახით, მათ შორის, ლიზინგის გადასახდელებსა (დისკონტირებული გადასახდელების გამოკლებით) და საბანკო პროცენტს შორის. ეს იმით არის გამოწვეული, რომ როგორც აღვნიშნეთ სალიზინგო კომპანიები და კომერციული ბაკები ერთი და იგივე პირები არიან.

ამ სტატიაში განვიხილეთ, ლიზინგის მეთოდოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებული თითქმის ყველა ნიუანსი. ისეთი რთული და კონკრეტულ წახნაგები, კი როგორიც არის: არარეზიდენტისა და რეზიდენტის დაბეგვრის საკითხები ქონების გადასახადის, მოგების გადასახადის, საშემოსავლო გადასახადის და დამატებული ღირებულების გადასახადის, აგრეთვე არარეზიდენტის მუდმივი დანესებულების წარმოშობის და სხვა ანალოგიურ საკითხები მოითხოვს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით გაწერილ სიღმისეულ რეგულაციას. თუმცა, ამ საკითხებთან დაკავშირებით არსებობს შესაბამისი ნორმატიული მასალა მხოლოდ ზოგიერთ ისეთ საკითხთან დაკავშირებით, როგორიც არის ლიზინგის დროს ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის განსაზღვრა და ამორტიზაციის დარიცხვა, დისკონტირებული ღირებულების განსაზღვრა და სალიზინგო კომპანიის მიერ ლიზინგიდან წარმოშობილ ვადაგადაცილებულ მოთხოვნებზე რეზერვების გამოქვითვა.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფომ ლიზინგთან დაკავშირებით უნდა მიიღოს შესაბამისი ცალკე კანონი, თანდართული კანონქვემდებარე აქტის სახით, რომელიც განსხვავებით სამოქალაქო კოდექსის მწირე ნორმებიდან დაეფუძნება საერთაშორისო სამართლის მრავალწახნაგოვან და ცივილურ ნორმებს, რაც თავის მხრივ მოითხოვს შესაბამის ცვლილებებს საქართველოს საგადასახადო კოდექსში.

23.3 დაბეგვრის ზოგიერთი პრობლემური საკითხის რეტროსპექტული ასპექტები

საგადასახადო ვალდებულების ხანდაზმულობის ასპექტით, 2013 წლის ბოლოს სრულდება 2007 ნელი. შესაბამისად, წლის ბოლომდე შესაძლებელია განხორციელდეს 2007 წლის შესაბამისი ოპერაციების დაბეგვრის მართლზომიერების საგადასახადო აუდიტი საგადასახადო ორგანოების მიერ. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია დამატებული ღირებულების გადასახადით ან აქციზით დაბეგვრის, ჩათვლის ან დაბრუნების პერიპეტიები, რომელიც თავის მხრივ უკავშირდება სხვადასხვა საბაჟო რეჟიმებს (სასაქონლო ოპერაციებს) და შესაბამისი სპეციფიკა გააჩნიათ.

2007 წლიდან დღემდე საქონლის რეექსპორტის დღგ-ით დაბეგვრის რეგულაცია კალეიდოსკოპური სისწრაფით შეიცვალა, რასაც თან სდევდა გარკვეული კოლიზიები, რომელიც დღემდე შემორჩა საგადასახადო კანონმდებლობას. ეს გამოწვეული იყო და არის საბაჟო და საგადასახადო კოდექსების შეერთებით 2011 წლის 1 იანვრიდან, ხოლო უფრო ადრე ამ კოდექსების ადაპტაციით.

2009 წლის 17 ივლისის №1529 კანონი, რომლითაც ცვლილება შევიდა საბაჟო კოდექსში(მუხ.130.21), ითვალისწინებდა, ისეთ ნორმას, რომელიც 2007 წლიდან აღნიშნულ პერიოდამდე კანონმდებლობით განსაზღვრული არ იყო. კერძოდ, ამ ცვლილებით შემოვიდა შემდეგი ნორმა: თუ საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში მოქცეული და იმპორტის გადასახდელებისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებული საქონლის მიმართ დღგ-ის მთელი გადასახდელი თანხა გადახდილია ერთდროულად და ამ საქონლის რეექსპორტი განხორციელებულია დროებითი შემოტანის ვადის გასვლამდე, მაშინ დაბრუნებას ან/და მომავალ ვალდებულებათა ანგარიშში ჩათვლას ექვემდებარება სხვაობა მთელ გადახდილ თანხასა და საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ფაქტობრივად ყოფნის სრულ და არასრულ კალენდარულ თვეზე კუთვნილ დღგ-ის თანხას შორის. მაგ. საქონელი შემოტანილია დროებით შემოტანის საბაჟო რეჟიმში(საბაჟო დამუშავების ოპერაციით) 2 წლის ვადით. შემოტანის დროს საბაჟო ორგანოში გადახდილ იქნა დღგ 50000 ლარის ოდენობით, რომელიც შეადგენს 2 წლის ანუ 24 თვის შესაბამისად გადასახდელ თანხას. მოცემული საქონელი რეექსპორტის საბაჟო რეჟიმით გატანილ იქნა საბაჟო ტერიტორიიდან 12 თვის გასვლის შემდეგ. შესაბამისად, ამ საკანონმდებლო ნორმის მიხედვით დაბრუნებას ექვემდებარება იმ დარჩენილი 12 თვის შესაბამისი თანხა, რომელიც(12თვე) არ გამოყენებულა დროებითი შემოტანილი საქონლის მიმართ – ანუ 25000 ლარი. ანალოგიური და უფრო ზოგადი ხასიათის ცვლილება შევიდა ზემოაღნიშნული კანონით საბაჟო კოდექსის 166-ე მუხლში, რომლის მიხედვით რეექსპორტი საშუალებას იძლევა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონელი გატანილ იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ საბაჟო გადასახდელების (ჩვენს შემთხვევაში დღგ-ს) გადახდისაგან გათავისუფლებით ან გადახდილი თანხის დაბრუნებით ან/და მომავალ ვალდებულებათა ანგარიშში ჩათვლით, იმ საბაჟო რეჟიმისათვის დადგენილი პირობების გათვალისწინებით, რომელშიც მოქცეული იყო საქონელი. აქ წარმოიშობა შემდეგი პრობლემა: თუ პირს, დღგ-ის გადახდილი მთლიანი თანხა უკვე ჩათვლილი აქვს, მაშინ, როგორ უნდა მოხდეს მისი დაბრუნება ან მომავალ ვალდებულებებში ჩათვლა? დღგ-ის ერთი და იგივე გადახდილი თანხა ორჯერ ხომ არ დაბრუნდება(ჩაითვლება)? ამასთან, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ დღგ-ის დაბრუნება ან მომავალ ვალდებულებებში ჩათვლა ხორციელდება „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნით“, ხოლო ჩვეულებრივი ჩათვლა საბაჟო დეკლარაციითა და დროებითი შემოტანის დროს დღგ-ის გადახდის შესაბამისი დოკუმენტით. ამ კითხვაზე „წარსული კანონმდებლობა“ პასუხს არ იძლევა. შემდგომში(ქვემოთ) ვნახავთ, ამ საკითხზე აქვს თუ არა პასუხი მოქმედ კანონმდებლობას.

ზემოაღნიშნული პრობლემა ეხება აგრეთვე 2007 წლისათვის მოქმედი საბაჟო კოდექსის ნორმას (მუხ.166(5), რომლის მიხედვით დაბრუნებას (ხოლო 2009 წლიდან, ასევე მომავალ ვალდებულებათა ანგარიშში ჩათვლას) ექვემდებარებოდა, აგრეთვე იმ შემოტანილ და თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებულ საქონელზე იმპორტის დროს გადახდილი დღგ, რომელსაც შემოტანის შემდგომ აღმოაჩნდა გარკვეული დეფექტები.

მოქმედი საგადასახადო კოდექსის მიხედვით (მუხ. 233) რეექსპორტისას უცხოური საქონლის გატანა თავისუფლდება გადასახდელებისაგან. საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულია, თუ რა არის ექსპორტის გადასახდელი და იმპორტის გადასახდელი (მუხ.207(დ.ე), მაგრამ არ არის მოცემული „გადასახდელების“ დეფინიცია. უნდა ვიგულისხმოთ, რომ იგი ორივეს მოიცავს. ამასთან, რეექსპორტისას უცხოური საქონლის გატანა ხორციელდება გადახდილი თანხის დაბრუნებით ან/და მომავალ ვალდებულებათა ანგარიშში ჩათვლით, იმ სასაქონლო ოპერაციებისათვის დადგენილი პირობების გათვალისწინებით, რომელშიც მოქცეული იყო საქონელი (მუხლ.233). ამავე კოდექსში (მუხ.168.4.ა) რეექსპორტის განთავისუფლებასთან დაკავშირებით ვკითხულობთ: ჩათვლის უფლებით დღგ-საგან გათავისუფლებულია საქონლის რეექსპორტი მხოლოდ იმ საანგარიშო პერიოდისათვის, რომელშიც

განხორციელებულია დეკლარირება საქონლის რეექსპორტის გაშვების შესახებ. ეს საკითხი მოითხოვს ორი მიმართულებით გაშლას. კერძოდ, საქართველოს საგადასახადო კოდექსში არ არსებობს სხვა რომელიმე ოპერაციის გათავისუფლების შესახებ ისეთი ორმაგი ჩანაწერი(მხედველობაში გვაქვს ზემოაღნიშნული მუხლები გათავისუფლების შესახებ და ამ შემთხვევაში არ ვგულისხმობთ იმპორტის გადასახადისაგან რეექსპორტის გათავისუფლებას, რადგანაც იგი უპირობოდ ხდება ანუ იმპორტის გადასახადი არ არის დაბრუნებადი ან ჩათვლადი), რომლის დროსაც ერთი და იგივე ოპერაცია განსაზღვრული პირობებით თავისუფლდება დღგ-საგან: ერთი ადრე გადახდილი დღგ-ს ჩათვლის უფლებით(168.4.ა) და მეორე ადრე გადახდილი დღგ-ს დაბრუნების ან სხვა გადასახადების ანგარიშში გადატანის უფლებით. ორივე ნორმა კოდექსის სხვადასხვა მუხლებით არის დარეგულირებული და პარალელური არსებობის უფლება აქვს, რაც კოლიზიაა. უფრო მეტიც: მაგ. საქონლის დროებითი შემოტანის დროს ამ საქონლის გატანა და დაბრუნება ხდება რეექსპორტით. საქონლის დროებითი შემოტანის დროს ხდება დღგ-ის გადახდა დროებითი შემოტანის თანხის (იგივეა, რაც იმპორტის თანხა) 0,54 პროცენტის ოდენობით ამ საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის ყოველ სრულ და არასრულ კალენდარულ თვეზე, მაგრამ არა უმეტეს საქონლის დროებით შემოტანის თანხის 18 პროცენტისა. ვთქვათ, პირმა დროებით შემოიტანა საქონელი 6 თვის ვადით და გადაიხადა დღგ ყოველთვიურად შესაბამისი განრიგით 10 000 ლარი და ამ საქონელს იყენებს ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად. შესაბამისად გადასახადის გადამხდელი ახორციელებს გადახდილი დღგ-ის ჩათვლებს – ჩათვლის შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე. 6 თვის შემდეგ საქონელი გატანილ იქნა რეექსპორტით და ექსპორტორმა ანუ იმ გადამხდელმა, რომელსაც უკვე მიღებული აქვს ამ საქონლზე დღგ-ის ჩათვლები, მოითხოვა ჩათვლილი დღგ-ს დაბრუნება ანუ ფაქტობრივად ხელმეორედ ჩათვლა სსკ-ის 233-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე. საგადასახადო ორგანოს უარი საკანონმდებლო დონეზე ვერ იქნება გამყარებული.

ახლა განვიხილოთ მეორე საინტერესო საკითხი, რომელიც თავისი შინაარსით, საქონლის ექსპორტს უკავშირდება. მთავარი აქცენტი ამ შემთხვევაში გადადის შემდეგ კოლიზიურ საკითხზე: საქართველოს ტერიტორიაზე გადამუშავების სასაქონლო ოპერაციის შედეგად მიღებული გადამუშავების პროდუქტის გატანა (ექსპორტი), მართალია ჩათვლის უფლებით არის გათავისუფლებული, მაგრამ ეს ოპერაცია(ექსპორტი) მხოლოდ ერთი ოპერაციაა დღგ-ის მიზნებისათვის, თუ არსებობს კიდევ სხვა დასაბეგრი ოპერაცია, რომელიც წინ უსწრებს ამ საქონლის ექსპორტს? კერძოდ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 235-ე მუხლის მიხედვით უცხოური საქონელი შეიძლება შემოტანილ იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დღგ-ის გადახდის გარეშე (ვთქვათ საბანკო გარანტიით) და მოექცეს შიგა(და არა შიდა) გადამუშავების რეჟიმში, რაც გულისხმობს, იმას, რომ გადამუშავების პროდუქტი(მაგ. შემოტანილი ნედლეულიდან მიღებული პროდუქტი) შეიძლება გატანილ იქნეს საქართველოდან. ამავე დროს, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-14 მუხლის საფუძველზე დამკვეთის ნედლეულით საქონლის წარმოება(რაც საბაჟო ენაზე არის შიგა გადამუშავების სასაქონლო ოპერაცია) არის მომსახურების გაწევა. შესაბამისად, მომსახურების გაწევა წარმოადგენს დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციას. გამოდის, რომ შიგა გადამუშავების დროს მიღებული საქონლის ექსპორტი გათავისუფლებულია დღგ-საგან, ხოლო ამ საქონლის წარმოება, როგორც მომსახურების გაწევა რეზიდენტის მიერ არარეზიდენტისადმი ანუ იმპორტიორის მიერ ექსპორტიორისადმი, იბეგრება დღგ-ით, რაც წინააღმდეგობაში მოდის საერთაშორისო პრაქტიკასთან. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ საექსპორტო პროდუქცია, ასე ვთქვათ „გაწმენდილი“ უნდა იყოს არაპირდაპირი გადასახადებისაგან და მათ, შორის დღგ-საგან. დავის საგანი ვერ იქნება ის ფაქტი, რომ გადამუშავების პროდუქტის ექსპორტი ჩათვლის უფლებით არის გათავისუფლებული, ხოლო მის წარმოებასთან დაკავშირებული და გადახდილი ყველა დღგ ჩათვლილი იქნება. სინამდვილეში ჩათვლილი იქნება, მხოლოდ ის დღგ, რომელიც მომსახურების გამწევმა ანუ პროდუქტის გადამამუშავებელმა გადაიხადა მომწოდებლებთან საქონლის ან მომსახურების შეძენისას და მთავარი გააჩნია შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურები. რაც შეეხება მის მიერ გაწეული მომსახურებისას, მის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში უშუალოდ გადახდილ დღგ-ს, იგი ვერ დაექვემდებარება ჩათვლას „წმინდა მომსახურების“ ნაწილში ანუ იმ ნაწილში, რომელიც არ მოიცავს მის მიერ მომწოდებლებისათვის გადახდილ ღირებულებას (იგულისხმება საქონლის ან მომსახურების ღირებულება, რომელიც შედის წარმოების, როგორც მომსახურების ფასში) იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ არ არსებობს დღგ-ის გადახდის ჯაჭვი და შესაბამისი ჩათვლის დოკუმენტი. მარტივად, რომ ვთქვათ, მომსახურების გამწევის მიერ უშუალოდ ბიუჯეტში გადახდილი დღგ-ის ჩათვლის მექანიზმი მომსახურების გაწევის დროს არ არსებობს. შესაბამისად, გადახდილი დღგ ექსპორტის დროს „ვერ ამოვარდება“ საქონლის ფასიდან და მისი ანაზღაურება (გადახდა) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში მოუწევს არარეზიდენტ პირს, იმპორტიორ ქვეყა-

ნაში, რაც ნონსენსია. საგადასახადო კოდექსის შესაბამის ნორმათა კოლიზიურობის გამო, ფორმალურად აღნიშნული მომსახურება, როგორც დღგ-ით დასაბეგრი ოპერაცია საგადასახადო კოდექსის არცერთი ნორმით დღგ-საგან არ თავისუფლდება. ამ საკითხის გადაწყვეტა იმ მიმართულებით, რომ ექსპორტის დროს საქონლის ღირებულებაში შემავალი მომსახურების ღირებულება გათავისუფლდეს დღგ-საგან, მოითხოვს საკანონმდებლო ცვლილებას იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების გათვალისწინებით, რომელსაც მიერთებულია საქართველო. კერძოდ, „1994 წლის ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით ნებისმიერი იმპორტირებული საქონლის საბაჟო მიზნებისათვის განსაზღვრული ღირებულება არ უნდა შეიცავდეს წარმოშობის ან ექსპორტიორ ქვეყანაში დაწესებულ ნებისმიერი სახის შიგა გადასახადის მოცულობას, რომლისგანაც იმპორტირებული საქონელი განთავისუფლებულია ან განთავისუფლდება სახსრების უკან დაბრუნების მიზნით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ, ვინაიდან მომსახურების ღირებულება შედის ექსპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულებაში, იგი (მომსახურება) არ უნდა დაექვემდებაროს დღგ-ით დაბეგვრას. ამასთან, მოცემული საკითხი შეიძლება გადაწყდეს ცვლილების გარეშეც. კერძოდ, ვინაიდან, გადამუშავების პროდუქტი არის საქართველოს საქონელი და იგი გადის ექსპორტის საბაჟო რეჟიმით(სასაქონლო ოპერაციით) თავისი შინაარსით ეს არის არა მომსახურების გაწევა, არამედ საქონლის ექსპორტი, რაც არ იბეგრება დღგ-ით. აქედან გამომდინარე, საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლის მე-9 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრის მიზნით სამეურნეო ოპერაციის ფორმისა და შინაარსის გათვალისწინებით შეცვალოს მისი კვალიფიკაცია, თუ ოპერაციის ფორმა არ შეესაბამება მის შინაარსს.

ამდენად, აღნიშნულ შემთხვევაში მომსახურების თანხაზე დამატებული ღირებულების გადასახადი ამოღებულ უნდა იქნას არა საქართველოში, არამედ გადამუშავებული საქონლის იმპორტის ქვეყანაში.

საინტერესოა აგრეთვე აქციზური საქონლის ექსპორტის გათავისუფლების საკითხი. მოქმედი საგადასახადო კოდექსის მიხედვით (მუხ.194.6.ა) ჩათვლის უფლებით აქციზისაგან გათავისუფლებულია აქციზური საქონლის ექსპორტი მხოლოდ იმ საანგარიშო პერიოდისათვის, რომლისთვისაც გადასახადის გადამხდელი საგადასახადო ორგანოს წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

ა) საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში აღნიშნული აქციზის თანხის მომწოდებლისათვის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს(იმ შემთხვევაში, თუ ექსპორტირებული აქციზური საქონლის წარმოებისათვის გამოყენებულ იქნა სხვა პირის მიერ წარმოებული სხვა აქციზური საქონელი (ნედლეული);

ბ) საბაჟო დეკლარაციას საქონლის ექსპორტში გაშვების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აქციზური საქონლის ექსპორტიორი მხოლოდ მაშინ წარადგენს საგადასახადო – ანგარიშფაქტურას, თუ მან აწარმოა აქციზური საქონელი სხვა მწარმოებლისაგან ნაყიდი აქციზური საქონლის გადამუშავებით და შესაბამისად ამ პირისაგან მიიღო ეს დოკუმენტი და გადაუხადა მას აქციზი. იმ შემთხვევაში, როდესაც ექსპორტიორი ვერ წარადგენს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას და წარადგენს მხოლოდ ექსპორტის დეკლარაციას, მაშინ რა ხდება: აქციზური საქონელი მაინც თავისუფლდება ჩათვლის უფლებით, თუ არა?

იმისათვის, რომ ზემოაღნიშნული საკითხი უფრო თვალნათელი იყოს აუცილებელია გავაკეთოთ რამდენიმე „წიაღსვლა“. კერძოდ, მოქმედი საგადასახადო კოდექსის მიხედვით აქციზის გადამხდელია პირი, რომელიც ახორციელებს აქციზური საქონლის ექსპორტს (მუხ.182. 1(გ), ხოლო დაბეგვრის ობიექტია აქციზური საქონლის ექსპორტი(183(გ). აქციზური საქონლის ნუსხა განსაზღვრულია საგადასახადო კოდექსის 188-ე მუხლით. ახლა განვიხილოთ აქციზური საქონლის ექსპორტის რამდენიმე ვარიანტი:

ა) ექსპორტიორი ადგილობრივი აქციზური საქონლის მწარმოებლისაგან ყიდულობს აქციზურ საქონელს და ამ საქონლისაგან (როგორც ნედლეულისაგან) ამზადებს სხვა აქციზურ საქონელს და გააქვს ექსპორტით. ასეთ შემთხვევაში, ექსპორტიორი მიიღებს აქციზური საქონლის მომწოდებლისაგან შესაბამის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას და საქონლის ექსპორტი გათავისუფლდება ჩათვლის უფლებით აქციზისაგან;

ბ) ექსპორტიორი იმპორტიორისაგან (ან შიგა ბაზარზე აქციზური საქონლის არამწარმოებლისაგან) ყიდულობს აქციზურ საქონელს, გადაამუშავებს მას და ახალი აქციზური საქონელი გააქვს ექსპორტით. ასეთ შემთხვევაში, იგი ექსპორტის დროს ვერ წარადგენს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას და ისმის ის შესაბამისი კითხვა, რომელიც ჩვენ თავიდანვე დავსვით: ასეთი ექსპორტი თავისუფლდება თუ არა ჩათვლის უფლებით?

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით ოპერაციის გათავისუფლება ჩათვლის უფლებით ნიშნავს, რომ ოპერაცია არ ექვემდებარება აქციზის დარიცხვას(არ იბეგრება) და გამოიყენება ჩათვლის უფლება. ის, რომ, ამ შემთხვევაში აქციზი არ უნდა დაერიცხოს საქონლის ექსპორტს ფაქტია, მაგრამ ამავე დროს ჩათვლის უფლების გამოყენება – შეუძლებელია, რადგანაც ჩათვლის უფლების მიღების საკითხი საერთოდ არ დგას, რადგანაც აქციზის გადახდის დოკუმენტი არ არსებობს შესაბამისი დაუბეგრავი ოპერაციის(მიწოდების) გამო. ამდენად, ასეთი საქონლის ექსპორტი უნდა გათავისუფლდეს აქციზისაგან არა ჩათვლის უფლებით, არამედ ჩათვლის უფლების გარეშე, რადგანაც აპრიორულად ცნობილია, რომ საქონლის ექსპორტამდე აქციზის გადახდას ადგილი არ აქვს (იმიტომ, რომ ადგილი არ აქვს აქციზით დასაბეგრ ოპერაციას). მაგრამ, საგადასახადო კოდექსში აქციზისაგან ექსპორტის ასეთი (ჩათვლის უფლების გარეშე) გათავისუფლება არ არსებობს. შესაბამისად მიგვაჩნია, რომ საგადასახადო კოდექსში უნდა განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები.

რეტროსპექტული თვალსაზრისით შემდგომი საინტერესო საკითხია საბაჟო საწყობში საქონლის მიწოდების დაბეგვრა დამატებული ღირებულების გადასახადით. ეს საკითხი 2011 წლის ოქტომბრამდე საერთოდ არ იყო დარეგულირებული. რა გვაქვს მხედველობაში? მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ წინა და მოქმედი რედაქციებით მიღებული საგადასახადო კოდექსებით(1997, 2004, 2010) დღგ-ით იბეგრება საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის მიწოდება შესაბამისი სხვა პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში. კანონმდებლობა არ ითვალისწინებს იმ მომენტს, საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს საქონლის მიწოდება ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას, ხოლო უცხოური საქონლის – არა. ორივე სახის საქონლის მიწოდება საქართველოს ტერიტორიაზე ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას. შესაბამისად, საბაჟო საწყობი, რომელიც წარმოადგენს საბაჟო კონტროლის ზონას და საბაჟო ტერიტორიის ნაწილს, წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიას და საწყობში საქონლის მიწოდება ანუ საწყობში განთავსებული საქონლის გაყიდვა მესაკუთრის მიერ საქონლის ამავე საწყობიდან გაუსვლელად წარმოადგენს დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციას. ეს „აღმოჩენა" მას შემდეგ განხორციელდა, როდესაც საგადასახადო და საბაჟო ორგანოები შეერთდნენ და გაერთიანდნენ შემოსავლების სამსახურში. შესაბამისად საქართველოს საგადასახადო კოდექსში 2011 წლის 13 ოქტომბრის №5120 საკანონმდებლო ცვლილებით განხორციელდა შემდეგი სახის ცვლილებები: საწყობის საქმიანობის მქონე საწყობში უცხოური საქონლის მიწოდება გათავისუფლდა დღგ-საგან. ამასთან, იმპორტის თანხის ცნება საბაჟო საწყობიდან მიწოდებულ საქონელზე შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: საწყობის საქმიანობის ნებართვის მქონე საწყობში მიწოდებული უცხოური საქონლის იმპორტის შემთხვევაში იმპორტის თანხას ემატება საწყობში უცხოური საქონლის შესყიდვის ღირებულებასა და საქონლის სატარიფო ღირებულებას შორის სხვაობის თანხა, რომლის მიხედვითაც იმპორტიორი დღგ-ს გადაიხდის იმპორტის გადასახდელებთან ერთად, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით. ამ ჩანაწერის მიხედვით, ფაქტობრივად დღგ-ით დაბეგვრის არეალში მოექცა ის დამატებული ღირებულებაც, რაც წარმოიშვა საბაჟო საწყობში საქონლის მიწოდების შედეგად, რაც სამართლიანია. შემდგომი ცვლილებით, რომელიც 2012 წლის 27 მარტს №5942 კანონით განხორციელდა, შეიცვალა მხოლოდ ტერმინოლოგია და სატარიფო ღირებულებას ეწოდა „საბაჟო ღირებულება", ხოლო საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის მქონე საწყობს ეწოდა „საბაჟო საწყობი". ამდენად, ამ უკანასკნელი ცვლილებებით შინაარსობრივი ცვლილებები არ განხორციელებულა.

ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები არ ნიშნავს იმ ფაქტს, რომ 2011 წლის ოქტომბრამდე საბაჟო საწყობში განხორციელებული საქონლის მიწოდება არ ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას. ამ შემთხვევაში დღგ-ით დაბეგვრას ექვემდებარება საბაჟო საწყობში მიწოდებული საქონლის მთლიანი ღირებულება.

2012 წლის 15 მაისის №6211 საკანონმდებლო ცვლილებით ზემოაღნიშნული ნორმები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: საბაჟო საწყობში უცხოური საქონლის მიწოდება, გარდა საგადასახადო კოდექსის 162-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა, გათავისუფლებულია დღგ-საგან ჩათვლის უფლებით. რაც შეეხება სსკ-ის 162-ე მუხლის მე-7 ნაწილს, რომელიც არ არის გათავისუფლებული დღგ-საგან, იგი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: იმპორტის თანხა და დღგ-ით დაბეგვრა საბაჟო საწყობში მიწოდებული უცხოური საქონლის იმპორტის შემთხვევაში ხოციელდება შემდეგნაირად: თუ,

ა) საქონლის იმპორტი და მიწოდება არ არის დღგ-ისაგან გათავისუფლებული, იმპორტიორი იმპორტისას გადასახდელ დღგ-ს თანხას გადაიხდის იმპორტის თანხიდან გამომდინარე, ხოლო იმპორტიორის მიერ საბაჟო საწყობში უცხოური საქონლის შესყიდვის ღირებულებასა და საქონლის

იმპორტის თანხას შორის დადებითი სხვაობის თანხა დღგ-ით დაიბეგრება უკუდაბეგრის წესით;

ბ) საქონლის იმპორტი გათავისუფლებულია დღგ-ისაგან, ხოლო საქონლის მიწოდება დღგ-ით იბეგრება, იმპორტიორის მიერ საბაჟო საწყობში უცხოური საქონლის შესყიდვის ღირებულება დღგ-ით იბეგრება უკუდაბეგრის წესით;

გ) საქონლის იმპორტი დღგ-ით იბეგრება, ხოლო საქონლის მიწოდება გათავისუფლებულია დღგ-ისაგან, იმპორტიორი გადასახდელ დღგ-ის თანხას გადაიხდის იმპორტის თანხიდან გამომდინარე.

ზემოაღნიშნულ ფორმულირებებში საინტერესოა „ა" პუნქტში ჩამოყალიბებული ნორმა, რის საილუსტრაციოდაც განვიხილოთ შესაბამისი სამი კონკრეტული მაგალითი: ა) ვთქვათ, საბაჟო საწყობის სასაქონლო ოპერაციით A პირმა შემოიტანა საქონელი. გარკვეული დროის შემდეგ, ეს საქონელი A პირმა საბაჟო საწყობშივე მიაწოდა B პირს, ხოლო ამ უკანასკნელმა ეს საქონელი მოაქცია იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში. ვთქვათ, რომ საბაჟო ღირებულება არის 100 ლარი, იმპორტის გადასახდელები დღგ-ს გარეშე – 20 ლარი, შესყიდვის ღირებულება(ანუ ის თანხა, რომელიც B-მ გადაუხადა A-ს) შეადგენს 150 ლარს. შესაბამისად იმპორტის თანხა იქნება საბაჟო ღირებულებისა და იმპორტის გადასახდელების თანხების ჯამი(დღგ-ს გარეშე). ამ შემთხვევაში, იმპორტის დროს გადასახდელი დღგ იქნება **21,6 ლარი**(100+20)X18%, ხოლო უკუდაბეგვრის დღგ – **5,4 ლარი**(150 – 120) X18%. როგორც ვხედავთ, ორივე ოპერაციიდან: საქონლის მიწოდებიდან და იმპორტიდან ბიუჯეტში გადასახდელი დღგ შეადგენს 27 ლარს, რასაც საბოლოოდ ჩაითვლიდა იმპორტიორი; ბ) დავუშვათ საწყობში საქონლის მფლობელს და ამ საქონლის შემდგომ იმპორტში მომქცევს ცალ-ცალკე წარმოეშვებათ დღგ-ის მიმართ საგადასახადო ვალდებულებები. მაშინ საქონლის საწყობში მიწოდების დროს მიმწოდებელს უნდა გადაეხადა დღგ – 27 ლარი, რადგანაც საქონელი მიაწოდა 150 ლარად. იგი 27 ლარის დღგ-ს შესაბამის ანგარიშფაქტურას გამოუწერდა საქონლის იმპორტში მომქცევს, ხოლო ეს უკანასკნელი იმპორტში მოაქცევდა ამ საქონელს და გადაიხდიდა დღგ-ს იმპორტის თანხიდან გამომდინარე 21,6 ლარს(120 ლარის 18%-ს). შესაბამისად ბიუჯეტში გადახდილი დღგ შეადგენს 48,6 ლარს (27+21,6). დღგ-ის დეკლარირების ვადისთვის(ვთქვათ მომდევნო თვის 15 რიცხვისთვის) საქონლის იმპორტიორი ჩაითვლიდა მის მიერ საბაჟო დეკლარაციით გადახდილ დღგ-ს – **21,6 ლარს** და ანგარიშ-ფაქტურით გადახდილ დღგ-ს **27 ლარს**, სულ – **48,6 ლარს**; გ) ახლა განვიხილოთ ის სიტუაცია, როდესაც საწყობში საქონლის მფლობელი ჯერ თვითონ აქცევს ამ საქონელს იმპორტის რეჟიმში, ხოლო შემდეგ ახორციელებს მიწოდებას. იმპორტის დროს ის გადაიხდიდა დღგ-ს **21,6 ლარს**(100+20) X18%, ხოლო მიწოდების დროს **5,4 ლარს**(27 – 21,6). ეს არის ის თანხა, რომელიც რჩება სახელმწიფო ბიუჯეტს და შემდგომ ჩათვლას არ ექვემდებარება.

როგორც ვხედავთ, პირველ შემთხვევაში ბიუჯეტში გადაიხდება 27 ლარი დღგ და ამავე დროს მთლიანად ხდება მისი ჩათვლა. მეორე შემთხვევაში ბიუჯეტში გადასახდელი დღგ შეადგენს 48,6 ლარს, რომელსაც ასევე მთლიანად ითვლის იმპორტიორი. მესამე შემთხვევაში ბიუჯეტში გადახდილი დღგ შეადგენს 5,4 ლარს. ე,ი ერთი და იგივე ოპერაციების სხვადასხვა რიგითობით კომბინაციამ მოგვცა სხვადასხვა ფისკალური ეფექტი. ბიუჯეტისთვის, როგორც ჩანს, ყველაზე უფრო ეფექტურია გადახდის მესამე მოდელი, ხოლო კანონმდებელმა რატომღაც პირველი ვარიანტი შეარჩია.

23.4 მუდმივი დაწესებულების განსაზღვრის მნიშვნელობა საგადასახადო ურთიერთობებში

ცნება „მუდმივი დაწესებულება", საქართველოს საგადასახადო კოდექსის ტექსტში 70 – ჯერ ფიგურირებს და თავისი შინაარსით უმნიშვნელოვანესი დატვირთვა აქვს დაბეგვრის თვალსაზრისით. კერძოდ, ამ ტერმინის რთული და მრავალწახნაგოვანი შინაარსიდან გამომდინარე, ძნელია მისი იდენტიფიცირება ადეკვატურ, რეალურ მოვლენასთან. შესაბამისად, ამ ცნების არასწორად ინტერპრეტაციამ შესაძლოა მნიშვნელოვნად დააზარალოს, როგორც გადასახადის გადამხდელი, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტი. მხედველობაში გვაქვს ის ფაქტიც, რომ მუდმივი დაწესებულების ფუნქცია არის არარეზიდენტი გადასახადის გადამხდელების დაბეგვრა და შესაბამისად, მის სწორად მისადაგებას რეალურ კონკრეტულ შემთხვევასთან დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ორმაგი დაბეგვრის თავიდან არიდების თავალსაზრისითაც. მითუმეტეს საქართველოს 50-მდე სახელმწიფოსთან აქვს დადებული ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო ბილატერალური ხელშეკრულებები.

მარტივად, რომ ვთქვათ, მუდმივი დაწესებულების ცნების არსებობა საგადასახადო კანონმდებლობაში გაპირობებულია იმ მოტივით, რომ საქართველოს მხარემ უცხო ქვეყნის ის ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე ეწევიან ეკონომიკურ საქმიანობას და

შემოსავალს ღებულობენ საქართველოში არსებული წყაროდან, დაბეგროს იგივე წესით, როგორც იბეგრებიან რეზიდენტი პირები. განსხვავება საქართველოს საწარმოსა და მუდმივ დანესებულებას შორის დაბეგვრის ასპექტით ის არის, რომ თუ მუდმივი დაწესებულება იბეგრება მხოლოდ საქართველოს წყაროდან მიღებული შემოსავლებიდან – საქართველოს საწარმო იბეგრება საზღვარგარეთ მიღებული შემოსავლებიდანაც. ამასთან, საერთაშორისო საგადასახადო სამართლის მიხედვით(მაგ. ორმაგი დაბეგვრის სამოდელო კონვენცია. მუხ. 7; იგივე ნორმაა ორმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებშიც), თუ არარეზიდენტი საქმიანობს სხვა ქვეყანაში და მას არ აქვს, მუდმივი დანესებულება, მისი მოგება(შემოსავალი) იბეგრება მხოლოდ თავის ქვეყანაში. ასეთ შემთხვევაში საქართველო ვერ დაბეგრავს არარეზიდენტის საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალს, ვინაიდან საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმა უპირატესი ძალის მქონე ნორმატიული აქტია საქართველოს საგადასახადო კოდექსთან მიმართებით. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 134-ე მუხლით არარეზიდენტის მიერ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება საქართველოში საგადასახადო აღრიცხვაზე მყოფ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას საქართველოში, იბეგრება გადახდის წყაროსთან გამოქვითვების გარეშე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოს კანონმდებლობით (სსკ მუხლი 124) საქართველოს რეზიდენტი საწარმოს (და არა ფიზიკური პირის) მიერ უცხოეთში ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ დასაბეგრ შემოსავალზე გადახდილი მოგების გადასახადი ჩაითვლება საქართველოში გადახდილ გადასახადში, საქართველოში არსებული მოგების გადასახადის განაკვეთის ფარგლებში.“ასეთი, რამ შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საქართველოს საწარმოს მუდმივი დაწესებულების მეშვეობით უცხოეთში.

მუდმივი დაწესებულება საქართველოში, შეიძლება ჰქონდეს, როგორც უცხოურ საწარმოს, ასევე არარეზიდენტ ფიზიკურ პირს. დაბეგვრის მიზნებისათვის, ზოგადად, მუდმივ დაწესებულებად ითვლება განსაზღვრული ადგილი, რომელსაც უცხოური საწარმო ან არარეზიდენტი ფიზიკური პირი იყენებს ეკონომიკური საქმიანობისათვის საქართველოში. ამასთან, არარეზიდენტი პირი „განსაზღვრულ ადგილზე“ შეიძლება საქმიანობდეს, როგორც უშუალოდ, ასევე რწმუნებული პირის მეშვეობითაც.

“განსაზღვრულ ადგილში“ იგულისხმება:

– ბიზნესის განხორციელების ფიქსირებული ადგილი ან მანქანა – დანადგარები, რომლითაც ხორციელდება ბიზნესი;

– ასეთი ადგილი, დაწესებულება, ფართი, შეიძლება იყოს არარეზიდენტის საკუთრება ან მის მიერ დაქირავებული ფართი;

– ასეთი ადგილი შეიძლება იყოს ადგილი სავაჭრო ცენტრში ან საწყობში;

– ასეთი ადგილი შეიძლება იყოს სხვა საწარმოს ტერიტორიაზე არსებული ფართი, როდესაც ეს ფართი ეკუთვნის არარეზიდენტს, მაგრამ მას იყენებს სხვა საწარმო;

– ისეთი ფართი, რომელიც უკანონოდ უკავია არარეზიდენტს და იყენებს მას ეკონომიკური საქმიანობისთვის;

– სხვა საწარმოს საკუთრებაში არსებული ფართი, როდესაც მაგ. ეს სხვა საწარმო არარეზიდენტის შვილობილი საწარმოა მოცემულ ქვეყანაში და ამ შვილობილი კომპანიის ფართს იყენებს არარეზიდენტი ხანგრძლივად.

თუ , მაგ. არარეზიდენტი მხატვარი ორი წლის განმავლობაში კვირაში სამი დღე ატარებს თავისი კლიენტის (რეზიდენტის ან არარეზიდენტის) ოფისში და იქ ხატავს, მაშინ ითვლება, რომ მხატვრისთვის ეს ადგილი არის მუდმივი დაწესებულება (ამ შემთხვევაში ვადები და პროფესია პირობითია).

ზემოაღნიშნული ფიქსირებული ადგილი ანუ ბიზნესის განხორციელების ადგილი მიბმული უნდა იყოს რომელიმე გეოგრაფიულ ადგილთან. ამასთან, თუ არარეზიდენტი ორ, სხვადასხვა მიმდებარე ფიქსირებულ ადგილზე ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, მას ექნება ორი მუდმივი დაწესებულება. ბიზნესის განხორციელების ერთ ადგილად ჩაითვლება ის შემთხვევა, როდესაც ბიზნესის ხასიათიდან გამომდინარე კონკრეტული ადგილი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება საწარმოს საქმიანობა კომერციულად და გეოგრაფიულად ერთ ადგილად ჩაითვლება და საწარმოს საქმიანობასთან იქნება დაკავშირებული მაგ. მაღარო ჩაითვლება ერთ კომერციულ და გეოგრაფიულ ადგილად, მიუხედავად იმისა, რომ ეს საქმიანობა ერთი ადგილიდან მეორეში შეიძლება იქნას გადატანილი, ვინაიდან მაღარო შეიძლება იყოს ძალიან დიდი გეოგრაფიული ერთეული.

ერთ გეოგრაფიულ და კომერციულ ადგილად ითვლება, მაგ:

ა) როდესაც საკონსულტაციო ფირმა მუდმივად იცვლის და ქირაობს სხვადასხვა ოფისებს. ასეთი ადგილი ერთ მუდმივ დაწესებულებად ითვლება;

ბ) თუ, გამყიდველი ქუჩაში ან ბაზრობაზე დახლიდან ახორციელებს საქმიანობას, ეს ადგილი ჩაითვლება ერთ გეოგრაფიულ და კომერციულო ადგილად და შესაბამისად მუდმივ დაწესებულებად;

ერთ ადგილზე განხორციელებულად არ ჩაითვლება ისეთი საქმიანობა, როდესაც არსებობს ერთი პროექტი, რომელიც კომერციულად ერთი მთლიანობაა, ხოლო გეოგრაფიულად არა. მაგ. კონსულტანტი ახორციელებს ტრენინგებს ბანკის თანამშრომლებისთვის, ხოლო ეს ტრენინგები ხორციელდება სხვადასხვა ფილიალებში.

ფიქსირებულ ადგილზე პირის საქმიანობა გარკვეული მუდმივობით უნდა ხასიათდებოდეს. როგორც წესი, ასეთი საქმიანობის ვადად მიჩნეულია 6 თვეზე მეტი, თუმცა უფრო მოკლე დროც წარმოშობს მუდმივ დაწესებულებას (მაგ. პირის გარდაცვალება, წარუმატებელი ინვესტიცია და სხვა).

ფიქსირებული ადგილის მეშვეობით ქონების იჯარით გაცემა, ამ ადგილს აქცევს მუდმივ დაწესებულებად, მაგრამ იჯარასთან დაკავშირებით არსებობს შემდეგი პირობები:

ა) თუ ქონება გაიცა იჯარით და სხვა არავითარი ურთიერთობა არ არსებობს მეიჯარესა და მოიჯარეს შორის, მაშინ მხოლოდ იჯარა არ წარმოშობს მუდმივ დაწესებულებას;

ბ) თუ ქონება გაიცა იჯარით და საიჯარო ხელშეკრულება გულისხმობს, რომ მეიჯარემ გამოყოს პერსონალი საიჯარო ქონების ოპერირებისა და შეკეთებისათვის, რათა ეს ქონება(ტექნიკა) მუშაობდეს მეიჯარის კონტროლქვეშ, ასეთი სახის იჯარაც არ წარმოშობს მუდმივ დაწესებულებას;

გ) ზემოაღნიშნულთან ერთად, თუ პერსონალს უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება(მაგ. ქონების გამოყენების მიმართულებების განსაზღვრაში მონაწილეობა ან ამ ქონების ოპერირება, მომსახურება და ინსპექტირება, რაც სამეწარმეო საქმიანობაა), ასეთ შემთხვევაში, თუ ეს პროცესი პერმანენტულად ხორციელდება, ითვლება, რომ არსებობს მეიჯარის მუდმივი დაწესებულება.

აღსანიშნავია, რომ თუ არარეზიდენტის მიერ მუდმივი საქმიანობის ადგილი იჯარით გადაეცემა სხვა იურიდიულ თუ ფიზიკურ პირს და ემსახურება ამ უკანასკნელის საქმიანობას, მაშინ არარეზიდენტის(მეიჯარის) მუდმივი დაწესებულება წყვეტს არსებობას. გამონაკლისია ის შემთხვევა, როდესაც არარეზიდენტი აგრძელებს ამ მუდმივი საქმიანობის ადგილის გამოყენებას.

თუ არარეზიდენტი გააქირავებს და დაამონტაჟებს სათამაშო ავტომატებს, ასეთი ტექნიკა არ ჩაითვლება მუდმივ დაწესებულებად, ხოლო, თუ არარეზიდენტი დაამონტაჟებს, ამუშავებს და შეაკეთებს მას დამოუკიდებლად, მაშინ ეს ტექნიკა ჩაითვლება მუდმივ დაწესებულებად.

არარეზიდენტი საწარმოს მიერ თანამდებობაზე დანიშნული პირი (მაგ. მარკეტინგის მენეჯერი), რომელიც საქართველოში რეგულარულად ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას ამ საწარმოს სახელით და, რომელსაც არ გააჩნია ფიქსირებული ადგილი საქართველოში, ითვლება, რომ არის მუდმივი დაწესებულება და მისი მოქმედება დაიბეგრება, როგორც უცხოური საწარმოს მუდმივი დაწესებულების ოპერაციები.

შვილობილი კომპანია, როგორც წესი, არ ითვლება მუდმივ დაწესებულებად, ვინაიდან შვილობილი კომპანია მეორე სახელმწიფოს იურიდიული და რეზიდენტი პირია, ხოლო მუდმივი დაწესებულება, როგორც წესი, არარაზიდენტი და არაიურიდიული პირია. მიუხედავად ამისა, შვილობილი კომპანია იმ შემთხვევაში ჩაითვლება უცხოური საწარმოს მუდმივ დაწესებულებად, თუ ის რეგულარულად განახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას ამ უცხოური საწარმოს სახელით(დებს კონტრაქტებს და ა.შ). ამასთან, შვილობილი კომპანია იმ შემთხვევაშიც ჩაითვლება მუდმივ დაწესებულებად, თუ მისი დამფუძნებელი არარეზიდენტი იყენებს ეკონომიკური საქმიანობისთვის შვილობილი კომპანიის ფართს, საწყობს და ა.შ, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ანალოგიურად, შეიძლება ითქვას, რომ ამხანაგობა, რომელიც დაფუძნებულია არარეზიდენტების მიერ და არ წარმოადგენს იურიდიულ პირს, ჩაითვლება მისი დამფუძნებლების მუდმივ წარმომადგენლობად, რადგან თავისი შინაარსით იგი მოქმედებს დამფუძნებლების სახელით, რადგანაც ამხანაგობის მოგება (შემოსავალი) წარმოადგენს დამფუძნებლების მოგებას (შემოსავალს). ამ შემთხვევაში, ამხანაგობა წარმოადგენს დამფუძნებლების ერთგვარ რწმუნებულ პირს, რომლის საქმიანობა მუდმივი დაწესებულების წარმოშობის საფუძვლად შეიძლება ჩაითვალოს სსკ-ის 29.1 მუხლის გათვალისწინებით. ამასთან, იმისათვის, რომ არარეზიდენტი პირების მიერ შექმნილმა ამხანაგობამ მიიღოს მუდმივი დაწესებულების სტატუსი ისიც არის, რომ სსკ-ის 28-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით ითვლება, რომ ამხანაგობის მართვის ადგილი არის მისი საქმიანობის ადგილი. შესაბამისად, მართვის ადგილი წარმოადგენს იმ არარეზიდენტების მუდმივ დაწესებულებას, რომლებმაც ჩამოაყალიბეს ეს ამხანაგობა და საიდანაც ხდება ამ არერეზიდენტების საქმიანობის მართვა საქართველოში.

თუ, უცხოური საწარმო ბიზნეს (ელექტრონულ კომერციას) ახორციელებს ვებგვერდის საშუალებით, რომელიც მის საკუთრებაში ან იჯარით აღებულ სერვერშია განთავსებული, ხოლო ამ

სერვერს მართავს ეს პირი, მაშინ ითვლება, რომ სერვერი არის მუდმივი დაწესებულება.

თუ, უცხოურ საწარმოს არ აქვს მუდმივი დაწესებულება შესაბამისი განსაზღვრული ადგილის სახით, მაგრამ ამ საწარმოს სახელით ან მისი ინტერესების შესაბამისად, ამ საწარმოს სამ თვეზე მეტი ხნით მართავს სხვა პირი (სხვა საწარმო ან ფიზიკური პირი), მაშინ ითვლება, რომ უცხოურ საწარმოს აქვს მუდმივი დაწესებულება.

მუდმივი დაწესებულების არსებობის დასაწყისად ითვლება ის მომენტი, როდესაც საწარმო თავის ეკონომიკურ საქმიანობას დაიწყებს ფიქსირებული ადგილის მეშვეობით. თავისთავად, ამ ადგილის მომზადებისა და ფორმირების პერიოდი არ ჩაითვლება მუდმივი დაწესებულების წარმოქმნის პერიოდად, რადგანაც ის საქმიანობა რისთვისაც შეიქმნა ეს მუდმივი დაწესებულება განსხვავდება, თვით მუდმივი დაწესებულების შექმნასთან დაკავშირებული საქმიანობისაგან. მუდმივი დანესებულება არსებობას წყვეტს, თუ პირმა დატოვა ფიქსირებული ადგილი ან შეწყდა ბიზნესთან დაკავშირებული ტრანსაქციები, ოპერირება და ექსპლოატაცია. ამასთან, ასეთი ოპერაციების დროებით შეწყვეტა არ ნიშნავს მუდმივი დაწესებულების გაუქმებას. მაგ. არარეზიდენტმა პირმა დაიწყო ობიექტის მშენებლობა წინა წლის 1 აპრილს, მაგრამ შეაჩერა 1 აგვისტოს უამინდობის გამო. შემდგომ ეს მშენებლობა განაახლა მომდევნო წლის 1 მარტს და დაასრულა ამ წლის 1 ივლისს. ასეთ შემთხვევაში საქმიანობის პერიოდმა სულ შეადგინა 8 თვე. თუ, ორმხრივი კონვენციით დადგენილია, რომ ასეთი საქმიანობის ადგილი, რომ ჩაითვალოს მუდმივ დაწესებულებად, ეს საქმიანობა უნდა გრძელდებოდეს არანაკლებ 6 თვეს, მაშინ ითვლება, რომ მუდმივი დაწესებულება არსებობს.

ზემოთ განვმარტეთ მუდმივი დაწესებულება, როგორც განსაზღვრული გეოგრაფიული და კომერციული ადგილის ერთობლიობა. პრაქტიკაში ასეთი ადგილები სხვადასხვა ფორმით გვეელინება და რიგ შემთხვევებში სხვადასხვა შინაარსით არის წარმოდგენილი საქართველოს საგადასახადო კოდექსში და ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შესაბამის საერთაშორისო ხელშეკრულებებში. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით (სსკ მუხლი 29.2) ასეთ განსაზღვრულ ადგილებად განიხილება:

– სამშენებლო მოედანი;
– სამონტაჟო ან საამწყობო ობიექტი;
– დანადგარი ან კონსტრუქცია;
– საბურღი დანადგარი ან ხომალდი, რომლებიც გამოიყენება ბუნებრივი რესურსების დასაზვერად;
– მუდმივი ბაზა, სადაც არარეზიდენტი ფიზიკური პირი ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას;
– მართვის ადგილი;
– ფილიალი;
– წარმომადგენლობა;
– განყოფილება;
– ბიურო;
– ოფისი;
– სააგენტო;
– საამქრო;
– საბადო;
– კარიერი;
– ბუნებრივი რესურსების მოპოვების ნებისმიერი ადგილი;
– საქმიანობის სხვა ადგილი.

ზემოაღნიშნულისაგან განსხვავებულ (დაკონკრეტებულ) ნიუანსებს ვხვდებით, შესაბამის ორმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებში. ასეთია მაგ. შესაბამის ქვეყნებთან ორმაგი დაბეგვრის თავიდან არიდების შესახებ ხელშეკრულებებში განსხვავებული ფორმები. მაგ. მუდმივი დაწესებულებაა:

– ფაბრიკა, სახელოსნო;
– გაყიდვების ადგილი, საწყობი, ფერმა, პლანტაცია ან სხვა ადგილი, სადაც ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო, სატყეო, საპლანტაციო ან მასთან დაკავშირებული საქმიანობა;
– ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა;
– მილსადენი;
– მაღაზია;
– ქარხანა, საამქრო.

არარეზიდენტის ყველა ზემოაღნიშნული საქმიანობის ფორმა საქართველოში, მუდმივ დაწესებულებას წარმოადგენს, მაგრამ ზოგიერთ საერთაშორისო ხელშეკრულებაში (ქართულ ტექსტში)

განსხვავებულია დეფინიციები, რომლის მიხედვითაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის და ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების მიხედვით საქართველოს ტერიტორიაზე არსებული არარეზიდენტების შესაბამისი ობიექტები არ ითვლება მათ მუდმივ დანესებულებად. განვიხილოთ, ის რატიფიცირებული და ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლის შესაბამისი ნორმები განსხვავებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის ნორმებთან მიმართებით.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით(სსკ მუხლი 29.9) უცხოური საწარმოს ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის მუდმივ დანესებულებას საქართველოში არ მიეკუთვნება საქართველოს ტერიტორიაზე არსებული დანესებულება, რომელიც გამოიყენება მხოლოდ:

– ამ უცხოური საწარმოს ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის კუთვნილი საქონლის შენახვის ან დემონსტრირების მიზნით (მაგ. გერმანიის რეზიდენტმა პირმა თავისი საქონლის დემონსტრირების მიზნით თბილისში დაიქირავა საგამოფენო დარბაზი. ეს ადგილი არ ჩაითვლება მის მუდმივ დანესებულებად);

– ამ უცხოური საწარმოს ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის კუთვნილი საქონლის მარაგის შესანახად – სხვა პირის მიერ მისი გადამუშავების მიზნით(მაგ. გერმანიის რეზიდენტს საქართველოში შიგა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციისთვის შემოაქვს საქონელი, რომელსაც ინახავს თავის ან სხვა პირის საწყობში. ეს საწყობი არ მიეკუთვნება არარეზიდენტის მუდმივ დანესებულებას);

– ამ უცხოური საწარმოსათვის ან არარეზიდენტი ფიზიკური პირისათვის საქონლის შესყიდვის ან ინფორმაციის შეგროვების მიზნით(იმ შემთხვევაში, თუ არარეზიდენტი მუდმივი საქმიანობის ადგილის მიხედვით არა მხოლოდ გადასცემს პირებს ინფორმაციას, არამედ ადგენს და გადასცემს გეგმებს, ნახაზებს, გაანგარიშებებს და სხვა მასალებს, რომელიც სპეციალურად თითოეული კლიენტისათვის ინდივიდუალურად არის შექმნილი, მაშინ არსებობს მუდმივი დანესებულება);

– ამ უცხოური საწარმოს ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის ინტერესებიდან გამომდინარე მოსამზადებელი ან დამხმარე ხასიათის ნებისმიერი სხვა საქმიანობის განხორციელების მიზნით;

– ამ უცხოური საწარმოს ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის სახელით სესხების გაცემასთან, საქონლის მიწოდებასთან ან ტექნიკური ხასიათის მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების მომზადების ან/და ხელმოწერის მიზნით;

-ზემოაღნიშნული საქმიანობის სახეობების ნებისმიერი კომბინაციით განხორციელების მიზნით.

თუ არარეზიდენტი საქართველოში ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას კანონმდებლობით განსაზღვრული პროფესიონალური სტატუსის მქონე შუამავლის, აგენტის ან ბროკერის მეშვეობით, რომელიც უფლებამოსილი არ არის, ანარმოოს მოლაპარაკებები ან ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას ამ უცხოური სანარმოს ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის სახელით, მაშინ შუამავლის, აგენტის ან ბროკერის საქმიანობა არ წარმოშობს ამ უცხოური საწარმოს ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის მუდმივ დანესებულებას საქართველოში. მაგ. არარეზიდენტი პირი თავის ფასიან ქაღალდებს ყიდის საქართველოში. ამისათვის ის ხელშეკრულებას დებს საფონდო ბირჟის შესაბამის სპეციალიზირებულ ბროკერთან. შესაბამისად, ასეთი საქმიანობა არ წარმოშობს არარეზიდენტის მუდმივ დანესებულებას საართველოში.

როდესაც საქართველოში პირი მოქმედებს არარეზიდენტის სახელით, მაშინ ეს პირი არ წარმოშობს მის მუდმივ დანესებულებას იმ შემთხვევაში, თუ ეს პირი:

– არარეზიდენტისაგან დამოუკიდებელია, როგორც იურიდიულად, ასევე ეკონომიკურად;

– არარეზიდენტის სახელით გამოსვლის დროს მოქმედებს თავისი ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში.

ამასთან, ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, თუ ვინ ეწევა სამეწარმეო რისკს: არარეზიდენტი, თუ არარეზიდენტის სახელით მოქმედი პირი. თუ აგენტი თვითონ ეწევა სამენარმეო რისკს, მაშინ ითვლება, რომ ის არის არარეზიდენტისაგან დამოუკიდებელი პირი და ეს საქმიანობა არ წარმოშობს მუდმივ დაწესებულებას.

იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში არარეზიდენტის უფლებამოსილი აგენტი არა მხოლოდ ყიდულობს ამ არარეზიდენტისგან და თავისი სახელით ყიდის საქონელს, არამედ მოქმედებს აგრეთვე, როგორც მუდმივი აგენტი, რომელიც არარეზიდენტის სახელით დებს კონტრაქტებს (საქონელს ყიდის არარეზიდენტის სახელით), მაშინ არარეზიდენტის საქმიანობა აგენტის მეშვეობით წარმოქმნის მის მუდმივ დანესებულებას.

იმ შემთხვევაში, თუ არარეზიდენტი ქირაობს საქართველოში ფიზიკურ პირს, რომელიც წარმოადგენს მის აგენტს საქონლის გაყიდვების ხაზით, ასეთ პირობებში არარეზიდენტის საქმიანობა აგენტის მეშვეობით წარმოშობს მუდმივ დანესებულებას შემდეგ კონკრეტულ შემთხვევაშიც: მოცემული აგენტი იღებს განაცხადებს საქონლის შეძენის სურვილის შესახებ მომხმარებლებისგან და ელექტრონუ-

ლად გადასცემს ამ განაცხადებს არარეზიდენტის სათაო ოფიის საზღვარგარეთ. ამასთან, აგენტი ამ განაცხადებთან დაკავშირებით სათანადო რეკომენდაციებსაც აძლევს სათაო ოფისს. სათაო ოფისი ითვალისწინებს აგენტის რეკომენდაციებს, ასრულებს შეკვეთებს და უშუალოდ, ინდივიდუალურად უგზავნის შესაბამის საქონელს შესაბამის მომხმარებლებს. ასეთ შემთხვევაში აგენტის ჩართულობა შესაბამის ოპერაციებში წარმოშობს არარეზიდენტის მუდმივ წარმომადგენლობას საქართველოში და ექვემდებარება შესაბამის დაბეგვრას.

სადაზღვევო კომპანიის შემთხვევაში არარეზიდენტ სადაზღვევო კომპანიას მუდმივი დაწესებულება წარმოეშობა საქართველოში იმ შემთხვევაში, თუ ეს კომპანია საქართველოში თავისი აგენტის მეშვეობით კრებს სადაზღვევო შენატანებს ან ეწევა რისკების დაზღვევას.

ზემოაღნიშნულ ჩამონათვალში პირველ ადგილზეა ტერმინი „მართვის ადგილი", რისი არსებობაც გულისხმობს მუდმივ დაწესებულებას. მართვის ადგილი ანუ მართვის ორგანო შეიძლება დააწესოს არარეზიდენტმა საქართველოში, სადაც არსებობს მისი შვილობილი კომპანიები, მუდმივი დაწესებულებები და აგენტები და ასეთ ორგანოს მიეცეს ამ რეგიონში არსებული დაქვემდებარებული პირების ზედამხედველობისა და კორდინაციის უფლებები. ასეთ შემთხვევაში, მოცემული მართვის ორგანო ჩაითვლება მუდმივ დაწესებულებად. იმ შემთხვევაშიც, როდესაც სათაო კომპანია მართვის უფლებებს გადასცემს რეგიონულ ორგანოებს, ხოლო თვითონ იტოვებს მხოლოდ ამ ორგანოების ზედამხედველობის ფუნქციებს, მაშინ ითვლება, რომ ეს ორგანოები წარმოადგენენ სათაო კომპანიის მუდმივ დაწესებულებებს.

თუ არარეზიდენტს მუდმივი საქმიანობის ადგილი აქვს არა მხოლოდ იმისათვის, რომ შეინახოს საწყობში საქონელი, არამედ იმისათვის, რომ მოამარაგოს თავისი კლიენტები სათადარიგო ნაწილებით და განსიოს ტექნიკის მომსახურება და რემონტი, მაშინ ასეთი საქმიანობის ადგილი წარმოშობს მუდმივ დაწესებულებას.

ზოგიერთ ხელშეკრულებაში (ასეთია 14 ხელშეკრულება, რომელიც დადებულია შემდეგ ქვეყნებთან: მალტა, ქუვეითი, თურქეთი, ლუქსემბურგი, ფინეთი, დანია, საფრანგეთი, გერმანია, ჩეხეთი, ჩინეთი, ავსტრია, ლატვია, ლიტვა, ინგლისი) დაშვებულია ლაფსუსი ან არასწორად არის თარგმნილი ქართულად მუდმივი დაწესებულების მიკუთვნების ის მომენტი, რომელიც უკავშირდება შენობა-ნაგებობების გამოყენებას საქონლის შენახვის ან დემონსტრირების მიზნით. ამ კონტექსტში ზემოაღნიშნულ თოთხმეტივე ხელშეკრულებაში წერია, რომ მუდმივ დაწესებულებას არ განეკუთვნება: ***„შენობა-ნაგებობის გამოყენება მხოლოდ საწარმოს კუთვნილი საქონლის შენახვის, დემონსტრირების ან მიწოდების მიზნით"***. ერთადერთი, რომელთანაც ეს ჩანაწერი გასწორდა შესაბამისი ოქმით და სიტყვა „მიწოდება" ამოღებულ იქნა, არის ესტონეთთან დადებული ხელშეკრულება.

რა სამართლებრივი შედეგები შეიძლება ამას მოჰყვეს ზემოაღნიშნული 14 ქვეყნის იმ არარეზიდენტებთან მიმართებით, რომლებიც ენევიან საქონლის მიწოდებას საქართველოს ტერიტორიაზე მაღაზიიდან, საწყობიდან ან სხვა ობიექტიდან? მაგ. თურქეთთან გაფორმებული ხელშეკრულების (რომელიც სტანდარტულია სხვა ხელშეკრულებებთან მიმართებით) შესაბამისად (მუხლი 7) ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმოს მოგება იბეგრება მხოლოდ ამ სახელმწიფოში, თუ ეს საწარმო თავის საქმიანობას მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში არ ახორციელებს იქ განლაგებული მუდმივი დაწესებულებების მეშვეობით. თუ საწარმო ამდაგვარად ახორციელებს საქმიანობას, მაშინ მისი მოგება შეიძლება დაიბეგროს მეორე სახელმწიფოში, მაგრამ მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც მიეკუთვნება ამ მუდმივ დაწესებულებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფორმალურად ეს ნიშნავს, რომ თურქეთის მოქალაქე ან თურქეთში რეგისტრირებული საწარმო, რომელიც საქართველოში გახსნის სავაჭრო ობიექტს და განახორციელებს საქონლის მიწოდებას (რეალიზაციას) ვერ დაიბეგრება მოგების (საშემოსავლო) გადასახადით, რაც ენინააღმდეგება მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ორმაგი დაბეგვრის ზოგად პრინციპებს, რამდენადაც საქონლის მიწოდება ანუ რეალიზაცია(რეგულარულად) ყოველთვის წარმოშობს მუდმივ დაწესებულებას.

ჩვენი აზრით, სიტყვა „მიწოდება" თოთხმეტივე ხელშეკრულებაში არასწორად არის თარგმნილი, რამდენადაც სხვა ანალოგიურ ხელშეკრულებებში „საქონლის მიწოდების" ნაცვლად წერია: „საქონლის შემდგომი ტრანსპორტირება" ან „დანიშნულების ადგილამდე მიტანა", რაც ბუნებრივია არ წარმოშობს მუდმივი დაწესებულებას. ამდენად, ეს მომენტი ექვემდებარება შესაბამის ქართულენოვან ტექსტში კორექტირებას, რამდენადაც ყველა ხელშეკრულების მიხედვით ტექსტობრივი უთანხმოების დროს უპირატესი ძალა აქვს ინგლისურ ტექსტს. მაგ. ნიდერლანდებთან ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების ქართულენოვან ტექსტში წერია, თურქეთთან დადებული ხელშეკრულების ტექსტის ანალოგიურად სიტყვა – "საქონლის მიწოდება", ხოლო ამავე ხელშეკრულების ინგლისურენოვან ტე-

ქსტში „საქონლის მიტანა"("delivery of goods"). აქედან გამომდინარე შენობის გამოყენება საქონლის სხვა ადგილზე მისატანად, ბუნებრივია არ წარმოშობს მუდმივ დაწესებულებას, რადგანაც არ არის უშუალოდ შემოსაელის წყარო, ხოლო შენობის გამოყენება „საქონლის მიწოდებისთვის" არის მუდმივი დანესებულება.

23.5 ქონების გადასახადის პრაქსეოლოგიური ანალიზის საკითხისათვის

ადამიანის რაციონალური ქმედება გათვლილია საბოლოო დადებით შედეგზე. ასევეა სახელმწიფოს ქმედებაც. ეს უკანასკნელი მთელი საზოგადოების სახელით მოქმედი პირია, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას ამ საზოგადოების სასარგებლოდ და დადებითი შედეგისათვის. სახელმწიფოსა და საქმიან საზოგადოებას ანუ ბიზნეს შორის მთავარი წყალგამყოფი არის გადასახადები. ერთი ცნობილი გამონათქვამის მიხედვით, როდესაც საზოგადოება ირჩევს მთავრობას და აძლევს მას ხმას, ამავე დროს აძლევს ამ მთავრობას გადასახადების ამოღების უფლებას. ამდენად გადასახადები საზოგადოებაზე თავსმოხვეული კი არ არის, არამედ იგი საზოგადოების ნების პროდუქტია. თუმცა უზომო საგადასახადო ტვირთი რევოლუციებს და ახალი სახელმწიფოების წარმოშობასაც კი იწვევს. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა, ძირითადად ეკონომიკური, მათ შორის ფისკალური თვალსაზრისით, რა შედეგი მოაქვს საქართველოს მაგალითზე ქონების გადასახადს, ასტიმულირებს, თუ ამუხრუჭებს ეკონომიკის განვითარებას და ა.შ.

ქონების გადასახადი თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, თუმცა ეს ფაქტი სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი დადებითი მოვლენაა საზოგადოების და ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით. ამ სტატიაში არ მინდა დავიმოწმო არცერთი ეკონომისტი თუ ამ სფეროში კომპეტენტური აზრის მქონე ადამიანი, იმ მიზეზის გამო, რომ მათი ნააზრევი ან სუფთა სოციოლოგიური ხასიათის არის ან ტენდენციური.

ვიდრე ქონების დაბეგვრის არსს შევეხებოდე, ზოგადად უნდა გავაანალიზოთ, საერთოდ დაბეგვრის რაობა. თანამედროვე გაგებით დაბეგვრა და გადასახადები ერთი და იგივეა. არ არსებობს გადასახადებით დაბეგვრა და სხვა რამით დაბეგვრა, ისევე როგორც არ არსებობს „უკან დაბრუნება"(დაბრუნება თავისთავად ნიშნავს „უკან დაბრუნებას"). ამას იმიტომ გავუსვი ხაზი, რომ უამრავი მკვლევარი აკეთებს ასეთ დიფერენციაციას.

ცნობილია, რომ დაბეგვრის, მრავალთაგან ერთ-ერთი პრინციპია, სამართლიანობა, რაც ერთ-ერთი ასპექტით იმას ნიშნავს, რომ არ შეიძლება ორჯერ მოექცეს ერთი და იგივე ობიექტი ერთი და იგივე დაბეგვრის არეალში. მაგ. დამატებული ღირებულების გადასახადის შემთხვევაში, რეალურად, საქონლის ან მომსახურების მიწოდების ყველა სტადიაზე იბეგრება მხოლოდ დამატებული ანუ ახალი ღირებულება. აქ გამორიცხულია დღგ-ით ადრე დაბეგრილი ღირებულების ხელმეორედ დაბეგვრა მიწოდების ჯაჭვში. აქციზის შემთხვევაში, როგორც წესი, მხოლოდ ერთხელ ხდება საქონლის დაბეგვრა, რადგანაც დამატებული ღირებულების გადასახადისაგან განსხვავებით, აქციზი ერთჯერადი არაპირდაპირი გადასახადია. ასეთივეა იმპორტის გადასახადიც, რომელიც მხოლოდ ერთხელ, საქონლის მიერ ქვეყნის ეკონომიკური საზღვრის გადაკვეთის გამო გადაიხდევინება. რაც შეეხება საშემოსავლო და მოგების გადასახადებს ისინი წარმოადგენენ პირდაპირ გადასახადებს და მათი ამოღებაც ხდება ერთხელ დასაბეგრი შემოსავლისა და დასაბეგრი მოგების მიღების დროს. კერძოდ, საშემოსავლო გადასახადს იხდიან ფიზიკური პირები, ხოლო მოგების გადასახადს სხვა პირები (იურიდიული პირები და ზოგიერთი ისეთი პირი, რომელიც არ არის არც ფიზიკური და არც იურიდიული პირი). ამასთან, მოგების გადასახადის შემთხვევაშიც ადგილი აქვს ორმაგ დაბეგვრას. ეს ეხება დივიდენდების დაბეგვრას. დივიდენდი წმინდა მოგების ნაწილია და იგი ცალკეულ შემთხვევაში იბეგრება გადახდის წყაროსთან შემცირებული განაკვეთით ან დივიდენდის მიმღები რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ მოგების გადასახადის ჩვეულებრივი განაკვეთით. შესაბამისად, ერთხელ უკვე მოგების გადასახადით დაბეგრილი მოგების თანხა ხელმეორედ იბეგრება მოგების გადასახადით უკვე დივიდენდის ფორმაში, რაც ორმაგი დაბეგვრის კლასიკური ნიმუშია და ეწინააღმდეგება სამართლიანობის ეკონომიკურ პრინციპს. შესაბამისად, დივიდენდის გადასახადი გვევლინება აქციზის გაუკუღმართებულ ნაირსახეობად.

ზემოალნიშნულ კონტექსტში განვიხილოთ ქონების გადასახადის სამართლიანობის საკითხი. ამ გადასახადს იხდიან საქართველოში საწარმოები, ორგანიზაციები და ფიზიკური პირები, რომლებიც არ არიან გათავისუფლებული დაბეგვრისაგან. შესაბამისად რიგი პირები, შერჩეული საგადასახადო პოლიტიკის მიხედვით არ იბეგრებიან ამ გადასახადით.

რა არის ქონების გადასახადი? ჯერ მინდა ხაზი გავუსვა ამ გადასახადის ეტიმოლოგიას. სიტყვა „ქონება" წარმოდგება სიტყვა „ქონისგან". ქონი არის ზედმეტი მასა, რომელიც მოდებულია

ხორცზე, ე.ი ქონება არის ზედმეტი, მეტი, დამატება. შესაბამისად ეკონომიკური თვალსაზრისით ქონება არის ის დაგროვილი ღირებულება, რომელიც წარსული შრომის შედეგად არის შექმნილი და რომლის საშუალებითაც პირი აწარმოებს ან არ აწარმოებს ეკონომიკურ საქმიანობას. ვთქვათ, მეწარმე პირმა წლის ბოლოს მიიღო დასაბეგრი მოგება 10 000 000 ლარი, რის საფუძველზეც გადაიხადა მოგების გადასახადი 15%-ის ოდენობით – 1 500 000 ლარი. მეწარმეს დარჩა გაუნაწილებელი მოგება 8 500 000 ლარი და გადაწყვიტა, რომ ამ ფულით შეიძინოს ქონება – ძირითადი საშუალებები (ჩარხი, დანადგარები და ა. შ), რომ გააფართოს ეკონომიკური საქმიანობა, ე.ი მეწარმე ახორციელებს რეინვესტიციას. წლის დასაწყისში და წლის ბოლოს რეინვესტიციის შედეგად შეძენილი ქონების ნარჩენი ღირებულება არის 8 500 000 ლარი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ეს თანხა ექვემდებარება არაუმეტეს 1%-ით დაბეგვრას. რამდენად სამართლიანია დაბეგვრის ეს პროცედურა ზემოაღნიშნული მოცემულობებიდან გამომდინარე? უნდა ვთქვათ, რომ აშკარად არასამართლიანი იმ გარემოების გამო, რომ მეწარმის მიერ ქონებაში რეინვესტირებული თანხა უკვე დაბეგრილია მოგების გადასახადით, რადგანაც იგი წმინდა მოგებაა ანუ „გასაუფთავებულია" საგადასახადო ვალდებულებისაგან. შესაბამისად, 8 500 000 ლარი იქცა კაპიტალად, რომელმაც უნდა მოიტანოს მოგება, დაასაქმოს ხალხი და უნდა გახდეს მოგების, საშემოსავლო, დამატებული ღირებულების გადასახადის და აქციზის გადახდის წყარო. ასეთ მომენტში „საქმეში" ერთვება ეტატიზმი, რომელიც ამ კაპიტალს ბეგრავს ქონების გადასახადით და ხელოვნურად ამუხრუჭებს ბიზნესის წინსვლას, მხოლოდ და მხოლოდ ფისკალური მიზნებიდან გამომდინარე, რომელსაც სინამდვილეში არავითარი ფისკალური ეფექტი არ აქვს ბიუჯეტში მისი ხვედრითი წილის მიზერული მომენტიდან გამომდინარე (ბიუჯეტში ამ გადასახადის ხვედრით წილზე ქვემოთ გვექნება საუბარი). აღნიშნულიდან გამომდინარე, 85 000 ლარი, რომელიც წლიურად არის გადასახდელი, როგორც ქონების გადასახადი, მოგვაგონებს ფეოდალურ ხარკს, რომელსაც არავითარი ეკონომიკური სტიმულირების ფუნქცია არ გააჩნია ბიზნესისათვის. პირიქით, ეს თანხა შეიძლებოდა იმავე წელს მოხმარებოდა წარმოების გაფართოებას და მიეღო კაპიტალის ანუ თვითმზარდი ფულის ფუნქცია და შემდგომი წლისათვის მას საწარმოსათვის მოეტანა 10 – ჯერ 850000 ლარი. შედეგად, მეორე წელს სახელმწიფო ბიუჯეტში მივიღებდით გაცილებით მეტ გადასახადს – მოგების, საშემოსავლო, დღგ-ის და აქციზის სახით, ვიდრე ეს ქონების გადასახადის ეფექტმა გამოიწვია. ეს გამომდინარეობს არა ემპირიული დაკვირვებიდან, არამედ მიწოდების ეფექტურობის ზრდიდან: გადასახადების შემცირება იწვევს მიწოდების ზრდას და შესაბამისად მეტ ფისკალურ ეფექტს სხვა გადასახადების სახით.

ქონების გადასახადი არ არის ახალ ღირებულებაზე დაწესებული გადასახადი. იგი ბეგრავს, როგორც ალვინიშნე, წარსული შრომის შედეგად შექმნილ ღირებულებას. შესაბამისად, აქ მართლდება ძველი რომაული ნათქვამი: „რაც ბეგრავს, ის კლავს" ანუ უკვე ერთხელ დაბეგრილ „ძველ ღირებულებას" ისევ ვბეგრავთ, თუმცა ახალი, სხვა გადასახადით – შედეგად ვიღებთ ეკონომიკური ზრდის შესაბამისი პროპორციით შეფერხებას. ეს გამომდინარეობს იმ ფუნდამენტალური თეორიიდან, რომლის მიხედვით გადასახადით უნდა იბეგრებოდეს მხოლოდ და მხოლოდ ის ობიექტი, რომელიც არ წარმოადგენს წარსული შრომის შედეგს, იმ აზრით, რა აზრითაც ამაზე ზემოთ გვქონდა საუბარი. შესაბამისად, უნდა იბეგრებოდეს შემოსავალი, მოგება და საქონელი, როგორც ახალი ღირებულება. დაბეგვრის ეს ობიექტები მუდმივად ახლად წარმოიქმნება ეკონომიკური ურთიერთობების პროცესში და ისინი წარმოადგენენ ახალი ღირებულების ანუ პროგრესის ნაწილს. ამდენად გადასახადებს ღირებულება უნდა ამოჰქონდეთ ბიუჯეტის სასარგებლოდ არა უკვე შექმნილი „ძველი ღირებულებიდან", არამედ ახალი ღირებულებიდან და ახალი აქტივობიდან. ხატოვნად, რომ ვთქვათ, მემკვიდრის შემთხვევაში უნდა იბეგრებოდეს არა გარდაცვლილი მამა – პაპის განივთებული შრომა (დანატოვარი ქარხანა), არამედ მემკვიდრის აქტივობით ამ ქარხნისაგან მიღებული საქონელი და შემოსავალი. წინააღმდეგ შემთხვევაში ძველი შრომის დაბეგვრა ახალი გადასახადით წარსულისკენ გადადგმული ნაბიჯია და არაფრით არ განსხვავდება ისეთი ფეოდალური ხარკისგან, რომელიც გადაიხდევინებოდა სულადობრივად გლეხის ეკონომიკური აქტივობის მიუხედავად და, რომელიც ყოველმხრივ ამუხრუჭებდა კაპიტალისტური წარმოების წესს.

ქონების გადასახადის თანხის კაპიტალში გადასვლა რეინვესტიციის გზით ანუ კაპიტალიზაცია, როგორც ვნახეთ, ხელს აძლევს წარმოების ზრდას და მისგან გამომდინარე მთელი საზოგადოების განვითარებას. ახლა განვიხილოთ იმ ფიზიკური პირების (მოქალაქეების) დაბეგვრა ქონების გადასახადით, რომლებიც არ ეწევიან ეკონომიკურ საქმიანობას.

არამეწარმე ფიზიკური პირები ასევე იბეგრებიან ქონების გადასახადით. საქართველოში, ზოგადად, გათავისუფლებული გარკვეული კატეგორიის პირების გარდა, ის ფიზიკური პირები არ იხდიან ქონების გადასახადს, რომელთა ოჯახის მიერ მიმდინარე კალენდარული წლის წინა წლის განმავ-

ლობაში მიღებული შემოსავლები არ აღემატება 40 000 ლარს. აქედან გამომდინარე ის პირები, რომელთა შემოსავალი აღემატება ზემოაღნიშნულ თანხას იხდიან ქონების გადასახადს. როგორია ამ შემთხვევაში დაბეგვრის სუბიექტის ბიჰევიორიზმი და რა პრაქსეოლოგიურ რეზულტატთან გვაქვს საქმე?

ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, მართალია საქმე არა გვაქვს მეწარმე სუბიექტის დაბეგვრასთან და შესაბამისად პირდაპირი გაგებით წარმოების განვითარებასთან, მაგრამ საქმე გვაქვს მცირე ბიზნესის დანყების პოტენციურ შესაძლებლობის ჩანასახშივე კვდომასთან. ფიზიკურ პირს (ოჯახს), რომელსაც 40 000 ლარზე მეტი აქვს წლიური შემოსავალი შეუძლია გარკვეული დანაზოგის გზით მოახდინოს შესაბამისი თანხების კაპიტალიზაცია და მცირე ბიზნესის წარმოება. ამ პროცესს ამუხრუჭებს სახელმწიფო ბერკეტი – ქონების გადასახადი, რომელიც იმანენტური არ არის წარმოებითი ურთიერთობებისათვის და გარეგანი, უცხო და პარაზიტული მოვლენაა.

ზემოთ ჩვენ საუბარი გვქონდა მეწარმე და არამეწარმე პირების ქონების გადასახადზე მიწის გადასახადის გარდა, რომელიც ასევე ქონების გადასახადია. მიწა განსაკუთრებული ქონებაა. საბჭოთა საქართველოში მიწის კერძო საკუთრება აკრძალული იყო. მიწა დროებით (ასე ვთქვათ, უვადო) სარგებლობაში ჰქონდათ ფიზიკურ პირებს გადაცემული და მისი ყიდვა-გაყიდვა აკრძალული იყო. საბაზრო ეკონომიკის პირობებში მიწა საქონელი გახდა, რომელიც კერძო საკუთრებაში შეიძლება იყოს ყველა თანმდევი შედეგით. დიდი ეკონომისტი ვილიამ პეტი თავის დროზე აბობდა : „მიწა დედაა სიმდიდრისა, შრომა კი – მამა“. თანამედროვე გაგებით, პეტისეულ სიმდიდრეში მიწასთან მიმართებით იგულისხმება მთლიანი შიგა პროდუქტი და ეროვნული შემოსავალი. შესაბამისად, მიწას, როგორს ასეთს, არ სჭირდება კაპიტალიზაცია. იგი თვითონ არის კაპიტალი, რომელსაც სწორი სახელმწიფოებრივი სუბსიდირების პირობებში შეუძლია მოიტანოს შემოსავლები და შესაბამისად ფისკალური შემოსავლები.

მიწის გადასახადი ფერმერის შემოსავლების გარეგანი წნეხია, რომელიც ისევე ამუხრუჭებს სოფლის მეურნეობას და ჯაჭვურ რეაქციაში მთელ გადამამუშავებელ მრეწველობას, როგორც ეს ზემოაღნიშნულ შემთხვევაში ვნახეთ ქონების სხვა გადასახადებთან მიმართებით. მიწის (როგორც სასოფლო-სამეურნეო, ასევე არასასოფლო-სამეურნეო მიწის) შემთხვევაში უნდა იბეგრებოდეს არა უშუალოდ მიწა, არამედ მიწის ეკონომიკური ექსპლოატაციიდან მიღებული პროდუქტები: შემოსავალი, მოგება, საიჯარო თანხები, საქონელი და ა. შ). ხატოვნად, რომ ვთქვათ, არ შეიძლება „მეწველი ძროხის“ დაბეგვრა. უნდა დაიბეგროს რძე, ყველი, კარაქი და ა.შ. ეს გაპირობებულია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმ ელემენტარული ფაქტით, რომ შეუძლებელია რაიმე წნეხის განხორციელება წარმოების იმ ფაქტორზე, რომელსაც ჰქვია კაპიტალი და რომელიც არის ყველა საზოგადოებრივი სიკეთის მატერიალური წყარო. წყაროს სათავეშივე ამოხპობა „საგადასახადო სათლით“ გამოიწვევს ამ წყაროს დებიტის ხელოვნურ შემცირებას.

მიწის გადასახადის გაუქმება გამოიწვევს სოფლის მეურნეობის სუბსიდირებას შესაბამისი დოზით, რაც ბუნებრივია, კონკურენტუნარიანს გახდის საქართველოს აგრარულ წარმოებას სხვა შესაბამის პრეფერენციულ ფაქტორებთან კომპლექსში, როგორც შიგა, ასევე საგარეო ბაზარზე. აქ მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ მიწა არაადწარმოებადი ქონებაა. მისი ფართობების ზრდა შეუძლებელია, რაც კიდევ ერთი დამატებითი სტიმულია აგრარული წარმოების ინტენსიფიკაციის გზაზე, ხოლო გადასახადი მისი ბარიერი.

ბუნებრივია მიწის გადასახადის გაუქმება არ იქნება პანაცეა საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების გზაზე, მაგრამ ჩამორჩენილი და „კავის საქართველოსთვის“ ეს ფაქტორი ერთ-ერთი მძლავრი ეკონომიკური და უფრო მეტად მორალური სტიმული იქნება ამ გადასახადის თანხების სოფლის მეურნეობაში რეინვესტირების და ინტენსიური განვითარებისათვის.

ზოგადად დომინირებს სქოლასტიკური აზრი, ქონების გადასახადთან მიმართებით, რომ ამ გადასახადის არსებობას თავისი ფუნქციები აქვს. კერძოდ, ეს ფუნქციებია:

ა) საბრუნავი საშუალებების ბრუნვის დაჩქარება;

ბ) ძირითადი საშუალებების სრული ექსპლოატაცია;

გ) მასალატევადი რესურსების შემცირება;

დ) გამოუყენებელი მასალებისა და ნედლეულის შემცირება.

აპრიორულად უნდა ითქვას, რომ ქონების გადასახადის ზემოაღნიშნული „ფუნქციები“ სოციალისტური ფეოდალიზმის დროინდელი ამონაყარია და საერთო არაფერი აქვს თანამედროვე საბაზრო ეკონომიკასთან. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე. *პირველი* – საბრუნავი საშუალებების ბრუნვის დაჩქარება. ქონებაზე ანუ ძირითად საშუალებაზე საგადასახადო წნეხი, როგორც ზემოთ ვნახეთ კი არ ზრდის წარმოებას და შესაბამისად მეტი საბრუნავი საშუალებების გამოყენებას

წარმოებაში ანუ მეტი პროდუქტის წარმოებას, არამედ იგი ზედმეტ ტვირთად აწვება წარმოების გაფართოებას და ხელს უშლის მინოდების ზრდას. ის ფაქტი, რომ ბიზნესისათვის წინასწარ ცნობილია ქონების გადასახადის წლიური სიდიდე და ამ ხარჯის გაწევის პერიოდისათვის მან უნდა მოასწროს, რაც შეიძლები მეტი საბრუნავი საშუალების წარმოებაში ჩართვა „თითიდან გამოწოვილი" მოტივია. საბაზრო ეკონომიკის ერთადერთი მოტივია მეტი მოგების მიღება ნაკლები დანახარჯებით, ხოლო ქონების გადასახადი ბიზნესისათვის ზედმეტი, არამწარმოებლური და ზედნადები ხარჯია. *მეორე* – ძირითადი საშუალებების სრული ექსპლოატაცია. ეს „ფუნქციაც" გამოგონილია იმ საფუძველზე თითქოს მეწარმის ქონების დაბეგვრის შემთხვევაში მეწარმე იძულებული იქნება სრულად გამოიყენოს ძირითადი საშუალებები და არ მოაცდინოს ის. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეს „გარეგანი იძულება" საფუძველს მოკლებულია იმ მიზეზის გამო, რომ ძირითადი საშუალების მფლობელი ყოველთვის დაინტერესებულია მისი ექსპლოატაციით და მოგების მიღებით. „მძინარე კაპიტალი" არ არსებობს. *მესამე* – მასალატევადი რესურსების შემცირება. ეს „ფუნქცია" მიბმულია ძირითადი საშუალებების მაქსიმალურ ექსპლოატაციასთან, რაც თითქოს იწვევს ასეთი რესურსების მაქსიმალურ გამოყენებას და შესაბამისად სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში მის შემცირებას. ბუნებრივია, რომ თუ გავიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომლის მიხედვით საგადასახადო წნეხი ქონების გადასახადის სახით წარმოადგენს წარმოების ზრდის დაბრკოლებას, მაშინ მივიღებთ, უკუ შედეგს. სწორედ, გადასახადის გაუქმება წარმოადგენს წარმოების განვითარებისა და შესაბამისად მასალატევადი რესურსების შემცირების ფაქტორს. *მეოთხე* – გამოუყენებელი მასალებისა და ნედლეულის შემცირება. ეს ფაქტორიც დაკავშირებულია ზემოაღნიშნულ საკითხებთან იმ მოტივით, რომ ქონების გადასახადის საგადასახადო წნეხი აიძულებს მეწარმეს აამაღლოს წარმოების ეფექტურობა, შრომის ინტენსიობა და შესაბამისად, მეტი მასალები და ნედლეული გახარჯოს კალენდარული წლის განმავლობაში. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ წარმოებაში მეტი საბრუნავი საშუალებების გამოყენების სტიმული არის არა სახელმწიფოს იძულება ბიზნესისადმი გადასახადების სახით, არამედ ბიზნესის იმანენტური და კაზუალური მოთხოვნილება მეტი ნედლეულის გადამუშავებით მეტი პროდუქტის და შესაბამისად მეტი მოგების მიღება. ამდენად, მეტი ნედლეულის გადამუშავების „მოსწრება" იმ საანგარიშო წლის განმავლობაში, რომელზეც გადახდილია ქონების გადასახადი, ყოველგვარ ეკონომიკურ საფუძველს მოკლებულია და არ გამომდინარეობს საბაზრო ეკონომიკის ფუნდამენტალური პრინციპებიდან საქონლის მოთხოვნა – მინოდების დეტერმინიზმის შესახებ. მეტი საქონლის წარმოება საგადასახადო წნეხის მათზე (მეტ საქონელზე) გადანაწილების და შესაბამისად თვითღირებულების „შემცირების" მიზნით არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგანაც ეს ფაქტორი შეზღუდულია ბაზრის ზემოაღნიშნული კანონებით.

ქონების გადასახადს, როგორც აღვნიშნეთ, ამავე დროს უმცირესი ფისკალური ეფექტი გააჩნია. მაგ. საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტთან მიმართებით მისი ხვედრითი წილი შეადგენს 3,5 პროცენტს, ხოლო აბსოლუტური თანხა 191 728 000 ლარს. შესაბამისად, ეს თანხა სახელმწიფო ბიუჯეტმა უნდა გადაფაროს ადგილობრივი ბიუჯეტების სატრანსფერო თანხებით, მაშინ, როცა ეს სატრანსფერო თანხა 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში 1 მილიარდ ლარამდეა.

ამრიგად, ქონების გადასახადი უნდა გაუქმდეს, რაც იქნება არა მხოლოდ ეკონომიკური აქტი, არამედ პოლიტიკური მოვლენა უცხოური ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით. იგი გახდება მძლავრი მოტივი, როგორც მრენველობაში, ასევე სოფლის მეურნეობასა და ეკონომიკის ყველა დარგში კაპიტალდაბანდებების ზრდის სტიმულირების თვალსაზრისით, ვინაიდან ამ გადასახადის გაუქმება მიიღებს ირიბი სუბსიდიის ფორმას. იმ შემთხვევაში, თუ ქონების გადასახადი დარჩება იმ მოტივით, რომ აქ შედის არამეწარმე ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადიც და მათი ტვირთი ვერ იქნება მეწარმე პირთა სუბსიდიის წყარო, ამ შემთხვევაში ბიუჯეტში შემოსული ქონების გადასახადის მთლიანი თანხა უნდა მიიმართოს, მინიმუმ, სოფლის მეურნეობის სუბსიდირებისათვის სუბვენციური თუ დოტაციური ფორმებით.

23.6 საშემოსავლო გადასახადის მოდელის საკითხისათვის

თეორიულად ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი ძირითადად სამი სახისაა: პროპორციული, პროგრესული და რეგრესული, ხოლო პრაქტიკაში გაბატონებული პოზიცია უკავია მხოლოდ ორ სახეს: პროპორციულს და პროგრესულს. ევროკავშირში, უმთავრესად პროგრესული გადასახადებია. დღეისათვის საქართველოში მოქმედებს პროპორციული საშემოსავლო გადასახადის სისტემა, დაუბეგრავი მინიმუმისა და ყოველგვარი გამოქვითვების გარეშე(გამოქვითვებში არ ვგულისხმობთ მეწარმე ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის სისტემას).

თანამედროვე საქართველოში, ახალი მთავრობის ჩამოყალიბებასთან ერთად აქტუალური გახდა საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის საკითხები. მთავრობის სამოქმედო პროგრამაში აღნიშნულია, რომ საშემოსავლო გადასახადი დაეფუძნება დაუბეგრავ მინიმუმს და გამოქვითვების სისტემას.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით უპრიანია გავაანალიზოთ სხვა ქვეყნებში მოქმედი საგადასახადო სისტემები, რომლიდანაც შეიძლება ავიღოთ რაციონალური მარცვალი ოპტიმალური საშემოსავლო გადასახადის სქემის ჩამოსაყალიბებლად. ამასთან, საშემოსავლო გადასახადი, სხვა გადასახადებისაგან განსხვავებით, იმდენად სენსიტიურია თავისი შინაარსით, რამდენადაც ეხება ქვეყნის მთელ მოსახლეობას და მოითხოვს ურთულეს მაკრო და მიკრო ეკონომიკურ ანალიზს. როგორც, ალბერტ აინშტაინი იტყოდა: სამყაროში უმძიმესია – გაიგო საშემოსავლო გადასახადის არსი.

ზოგადად, ცნობილია ის ფაქტი, რომ საშემოსაელო გადასახადი(როგორც სხვა პირდაპირი თუ არაპირდაპირი გადასახადი) მთლიანი შიგა პროდუქტის განაწილების და გადანაწილების ინსტრუმენტია ფისკალური თვალსაზრისით. ამასთან, ამ გადასახადის სამართლიანობის ფუნქციის რეალიზაცია შესაძლებელია სხვადასხვა ფორმით, რომელიც ადაპტირებული იქნება ქართულ სოციალ-ეკონომიკურ სინამდვილესთან. ამ ასპექტით, ევროკავშირის ეკონომიკურ სინამდვილეში მოქმედი საშემოსავლო გადასახადის სისტემის აბსოლუტური განაკვეთები, დაუბეგრავი მინუმიმის ციფრები და გამოქვითვის პარამეტრები შესაბამისი თანაფარდობით უნდა მიესადაგოს საქართველოს ეკონომიკის და სოციალური სისტემის შესაბამის პარამეტრებს. მხედველობაში გვაქვს, ის რეალობა, რომ საქართველოს მაკროეკონომიკური და ფისკალური მაჩვენებლები მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროკავშირის ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს.

იმისათვის, რომ საქართველოსათვის მისაღები საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ოპტიმალური თეორიული მოდელი ჩამოვაყალიბოთ, საჭიროდ მიგვაჩნია განვიხილოთ ამ მიმართულებით უცხოური გამოცდილება. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ზოგიერთი განვითარებული, თუ პოსტსაბჭოური ქვეყნის საგადასახადო სისტემა, საშემოსავლო გადასახადის პროგრესული სისტემის თვალსაზრისით.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოში მოქმედებს დაბეგვრის პროგრესული მრავალსაფეხურიანი სისტემა, რომელიც ჰარმონიზებულია დაუბეგრავი მინიმუმისა და სოციალური ხარჯების გამოქვითვების სისტემასთან. ამასთან, პროგრესული გადასახადის შემოღების დროს მნიშვნელოვანია გადასახადების ფისკალური და სოციალური სამართლიანობის ფუნქციების შეთანასწორება(მაღალშემოსავლიანი პირები იხდიან აბსოლუტურად მეტს). ამ შემთხვევაში, დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის დაუბეგრაობა ხელს უწყობს გადახდისუნარიანი მოთხოვნის ზრდას და შესაბამისად, ეკონომიკის ზრდას ვინაიდან ასეთი თანხები პირდაპირ ფულის მიმოქცევის არხებში გადადის.

მაგ. პირს, რომელსაც აქვს საშუალო ხელფასი და კმაყოფაზე ჰყავს ორი შვილი და ცოლი, მისი საგადასახადო განაკვეთი ზოგიერთ სახელმწიფოში არის მინუსებში. მაგ. გერმანიაში – 2,8%, საბერძნეთში – 0,6%; ესპანეთში – 3,4% და ბრიტანეთში – 8,7%, უნგრეთში, პოლონეთში, სლოვაკეთში, ჩეხეთში – 5,3% რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო ამ ოდენობის სუბსიდიებს აქეთ აძლევს პირს. აქედან გამომდინარე ევროკავშირის რიგ ქვეყნებში ღარიბი მოსახლეობა საერთოდ არ იხდის საშემოსავლო გადასახადს.

სლოვაკეთში ფიზიკური პირის დაუბეგრავი მინიმუმი შეადგენს ნლიურ 4 000 ევროს, რომელიც იზრდება განათლების ხარჯებით.

უკრაინაში, საშემოსავლო გადასახადი 15%-ია, რომლიდანაც გამოიქვითება მინიმალური ხელფასი, ხოლო თუ პირის თვიური შემოსავალი 50 – ჯერ აღემატება მინიმალურ ხელფასს, მაშინ იგი იბეგრება 17%-ით. ამასთან, დასაბეგრი ხელფასიდან გამოიქვითება იპოთეკური სესხის პროცენტი, შენირულობები არამომგებიანი ორგანიზაციებისათვის, მკურნალობისა და განათლების ხარჯები, ავტომანქანების ბიოეთილზე ან გაზზე გადაყვანის ხარჯები, საცხოვრებელი ბინის შეძენის ხარჯები.

რიგ ევროპულ ქვეყნებში ნულოვანი საშემოსავლო განაკვეთით იბეგრება ფიზიკური პირების შემდეგი წლიური შემოსავლები:

ა) ლუქსემბურგი – 9750 ევრო;

ბ) შვეიცარია – 16100 ფრანკი;

გ) ავსტრია – 11000 ევრო;

დ) შვედეთი – 306000 შვედური კრონი;

ე) აშშ-8450 აშშ დოლარი.

რაც შეხება მსოფლიოს ზოგიერთი ქვეყნის საშემოსავლო გადასახადის განაკვეთების სისტემას მას შემდეგი სახე აქვს: ავსტრალია – 17 – 47%; ავსტრია 36,5 – 50%(0%, თუ წლიური საშემოსავლო გადასახადი 11000 ევროზე ნაკლებია); არგენტინა 9 – 35%; ბელარუსი – 12%; ბელგია 25 – 50%;

ბულგარეთი 10%; ბრაზილია 15 – 27,5%; დიდი ბრიტანეთი 0 – 50%; უნგრეთი 16%; ვიეტნამი 0 – 40%; გერმანია 14 – 45%; საბერძნეთი 0 – 40%; დანია 38 – 59%; ეგვიპტე 10 – 20%; ზამბია 0 – 35%; ისრაელი 10 – 47%; ინდოეთი 10 – 30%; ინდონეზია 5 – 35%; ირლანდია 20 – 41%; ესპანეთი 24 – 43%; იტალია 23 – 43%; კანადა 15 – 29%; კვიპროსი 20 – 30%; ჩინეთი 5 – 45%; ლატვია 26%; ლიტვა 15% და 24%; ლუქსემბურგი 0 – 38%; მალტა 15 – 35%; მაროკო 0 – 41,5%; მოლდოვა 7% და 18%; მექსიკა 0 – 28%; ნიდერლანდები 0 – 52%; ახალი ზელანდია 0 – 39%; ნორვეგია 28 – 51,3%; პაკისტანი 0 – 25%; პოლონეთი 18 – 32%; პორტუგალია 0 – 42%; რუსეთი 13% და 35%; რუმინეთი 16%; სერბეთი 10 – 20%; სინგაპური 3,5 – 20%; სლოვაკეთი 19%; სლოვენია 16 – 41%; აშშ 0 – 35%; ტაილანდი 5 – 37%; ტაივანი 6 – 40%; თურქეთი 15 – 35%; უზბეკეთი 9, 16, 22%; უკრაინა 15 – 17%; ფილიპინები 5 – 32%; ფინეთი 8,5 – 31,5%; საფრანგეთი 0 – 41%; ჩერნოგორია 15%; ჩეხეთი 15%; შვედეთი 0 – 56%; ესტონეთი 21%(0%, თუ წლიური შემოსავალი 1728 ევროზე ნაკლებია); სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა 24 – 43%; იაპონია 5 – 40%.

საინტერესოა შვედეთის საშემოსავლო გადასახადის სისტემა. შვედეთში დაბალშემოსავლიანები იხდიან ნაკლებს, ბიუჯეტიდან ღებულობენ მეტს, ხოლო მაღალშემოსავლიანებს ბიუჯეტში შეაქვთ მნიშვნელოვანი თანხები. აქაც მოქმედებს საშემოსავლო გადასახადის პროგრესული სისტემა დაუბეგრავი მინიმუმისა და გამოქვითვების სქემით. ამასთან, რაც ყველაზე საინტერესოა ჩვენი დაბეგვრის სისტემასთან შედარებით(რომელიც გადამხდელების მიერ თვითდეკლარირებასა და გადასახადების თვითგამოანგარიშებას ემყარება) შვედეთში ყველა მოქალაქეს აქვს საკუთარი ანგარიშსწორების ანგარიში(პირადი ბარათივით), რომელზეც აღირიცხება მოქალაქის მიერ გადახდილი გადასახადები და ბიუჯეტიდან მიღებული(დაბრუნებული) თანხები. ამასთან, საგადასახადო ორგანოს ხელი მიუწვდება პირის ყველა შემოსავლის წყაროსთან და შესაბამისად, საგადასახადო დეკლარაციის შევსებას და გადასახადების გამოანგარიშებას ახორციელებს საგადასახადო ორგანო. გადასახადის გადამხდელი მხოლოდ ხელმოწერით ამოწმებს მას.

საფრანგეთშიც დაბეგვრის პროგრესული სისტემაა. საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები შეადგენს 0 – დან 56,8 პროცენტს შემოსაელების მიხედვით. შესაბამისი პროცენტები დასაბეგრ თანხას მიესადაგება ე.წ საოჯახო კოეფიციენტების მიხედვით. აქაც მოქმედებს დაუბეგრავი მინიმუმი, რომელიც შეადგენს 5963 ევროს წლიურად. ამასთან, დასაბეგრი თანხიდან გამოიქვითება მოხუცი მშობლების შენახვის ხარჯები, ქველმოქმედების ხარჯები, სახლის დაცვის ხარჯები, შვილების სწავლების ხარჯები, სიცოცხლის დაზღვევის ხარჯები და სხვა. ამასთან, საფრანგეთში მოქმედებს საოჯახო დაბეგვრის სისტემა ანუ იბეგრება ოჯახის წლიური შემოსავალი. ოჯახის შემოსავალი უფრო ნაკლები განაკვეთით იბეგრება, ვიდრე ერთი პირის იმავე ოდენობის შემოსავალი. ოჯახის შემოსავალში ჩაირთვება: მშობლების და მათი 18 წლამდე შვილების შემოსავალი, აგრეთვე 21 წლამდე შვილების შემოსავალი, რომლებიც არ არიან ქორწინებაში, ასევე სტუდენტების შემოსავალი 25 წლამდე.

ოჯახის ან ფიზიკური პირის წლიურ შემოსავალში შედის: ხელფასი, პრემია, პენსია, სამიდღემშიო რენტა, მოძრავი ქონებიდან შემოსავლები, მიწისმფლობელობის შემოსავლები, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან შემოსავლები, სამრეწველო ან კომერციული საქმიანობიდან შემოსავლები, არაკომერციული შემოსავლები, ფასიანი ქაღალდებიდან შემოსავლები და სხვა.

საშემოსავლო გადასახადისაგან თავისუფლდებიან პირები, რომელთა წმინდა პროფესიული შემოსავლები ნაკლებია 7380 ევროზე, ხოლო ასეთი ტიპის შემოსავლის მქონე პირი თუ 65 წულზე მეტი ხნისაა, მაშინ დაუბეგრავი თანხა იზრდება 8060 ევრომდე. გამოქვითვების დროს აღსანიშნავია აგრეთვე შემდეგი ხარჯების გამოქვითვის უფლება, თუ ეს ხარჯები გაწეულია წმინდა პროფესიული მიზნებისათვის და ამავე დროს საკუთარი სახსრებიდან: სატრანსპორტო ხარჯები, კვების ხარჯები, განათლების ხარჯები, გამოთვლითი ტექნიკის შეძენის ხარჯები, ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია პროფესიული საქმიანობის მიზნით პირადი შენობის გამოყენებასთან, ხარჯები სპეცტანსაცმელზე და სხვა.

ასეთი დაბეგვრის სისტემის შედეგად საფრანგეთში საშემოსავლო გადასახადს რეალურად იხდის საშემოსავლო გადასახადის გადამხდელების 52%(15 მილიონი კაცი – 25 მილიონიდან), რაც ამსუბუქებს სოციალურ სფეროს.

დანიაც პროგრესული დაბეგვრის სისტემის ქვეყანაა. აქაც მოქმედებს დაუბეგრავი მინიმუმი და სხვა გამოქვითვები. ამასთან დანიის საშემოსავლო გადასახადი საინტერესოა მრავალი სახესხვაობით, რაც იძლევა მეტი მოქნილობის საშუალებას ყველა მიმართულებით. კერძოდ, დანიაში არსებობს სამი სახის საშემოსავლო გადასახადი: სახელმწიფო, მუნიციპალური და საეკლესიო. სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადის განაკვეთია:

ა) 0%-42900 კრონამდე(11500ლარი);

ბ) 3,76%-42900 – დან – 389900 დანიურ კრონამდე;

გ) 389900 დანიურ კრონზე მეტი დამატებით იბეგრება 15%-ით;

რაც შეეხება მუნიციპალურ გადასახადს, იგი შეადგენს 22,8 – 27,8 %-ს, ხოლო საეკლესიო გადასახადი ნებაყოფლობითია(მას იხდის ლუთერანული ეკლესიის მრევლი) – 0,44 – დან 1,5 %-მდე.

დანიაშიც საშემოსავლო გადასახადს ანგარიშობს საგადასახადო ორგანო და ახდენს დეკლარაციის შევსებას.

აშშ-ს საგადასახადო სისტემაც პროგრესულია, დაუბეგრავი მინიმუმისა და გამოქვითვების ჩათვლით. ამასთან, გადახდა ხდება, როგორც ინდივიდის შემოსავლების მიხედვით, ასევე სურვილის შესაბამისად ოჯახის შემოსავლების მიხედვით. ფიზიკური პირის ან ოჯახის ერთობლივ შემოსავალს აკლდება მის მისაღებად გაწეული ხარჯები და სხვადასხვა გამოქვითვები. კერძოდ, ერთობლივ შემოსავალში შედის ხელფასი, პენსია, დახმარება, ფასიანი ქაღალდებიდან შემოსავალი, ქონების რეალიზაციიდან შემოსავალი. გამოქვითვას ექვემდებარება: დაუბეგრავი მინიმუმი, შენატანები საქველმოქმედო ფონდებში, სამედიცინო ხარჯები და სხვა. შესაბამისად მიღებული თანხები იბეგრება 6 საგადასახადო განაკვეთით: 10 – დან 35%-მდე. მაგ. მარტოხელა პირის შემოსავალი:

ა) 0 – დან 8350 – აშშ დოლარამდე იბეგრება 10%-ით;

ბ) 8350 – დან 33950 აშშ დოლარამდე – 15%-ით;

ფიზიკური პირი საშემოსავლო გადასახადს იხდის შტატების დონეზეც. ყველა შტატს საშემოსავლო გადასახადის სხვადასხვა განაკვეთი აქვს, ხოლო ზოგიერთ შტატში საერთოდ არ არის საშემოსავლო გადასახადი. აქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ აშშ-ს მოქალაქე ვალდებულია ნებისმიერ ქვეყანაში მიღებულ შემოსავალზე აშშ-ს ბიუჯეტში გადაიხადოს ფედერალური საშემოსავლო გადასახადი შესაბამის ქვეყანაში გადახდილი გადასახადის ჩათვლის გათვალისწინებით. ამასთან ეს ვალდებულება პირს აქვს აშშ-ს მოქალაქეობის დაკარგვიდან 10 წლის განმავლობაშიც.

განვიხილოთ კონკრეტულად აშშ-ს ოჯახის მაგალითზე საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის პროცედურა: ოჯახში არის ცოლ – ქმარი, რომლებიც მუშაობენ და ორი მცირეწლოვანი შვილი. ოჯახის წლიური შემოსავალი არის 80000 აშშ დოლარი. აქედან ქმრის – 50000, ხოლო ცოლის 30000 აშშ დოლარი. ასეთი ოჯახის დაუბეგრავი მინიმუმი აშშ კანონმდებლობით არის 13850 აშშ დოლარი. შესაბამისად იგი უნდა გამოიქვითოს დასაბეგრი შემოსავლიდან. ამასთან, ცოლ – ქმრის სატრანსპორტო ხარჯი სამსახურში მისვლა – მოსვლასთან დაკავშირებით არის 4000 აშშ დოლარი, რომელიც ასევე ექვემდებარება გამოქვითვას. გამოიქვითება აგრეთვე საბავშვო ბაღის ხარჯები, რომელიც შეადგენს 12000 აშშ დოლარს და სამედიცინო ხარჯები, რომელიც არ აღემატება ერთობლივი შემოსავლის 7,5%-ს, რომელიც შეადგენს 5000 აშშ დოლარს. საბოოლო ჯამში ფედერალური საშემოსავლო გადასახადის დასაბეგრი თანხა იქნება – 45150 აშშ დოლარი(80000 – 13850 – 4000 – 12000 – 5000), ხოლო საშემოსავლო გადასახადის თანხა 45150X15%=6772 აშშ დოლარი. ამის შემდეგ ხდება შტატებისა და ადგილობრივ დონეზე საშემოსავლო გადასახადების გადახდა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ფედერალური გადასახადის ოდენობას.

დიდ ბრიტანეთში არსებობს საშემოსავლო გადასახადის შემდეგი განაკვეთები:

ა) 0%-2440 გირვანქა სტერლინგი(წლიური);

ბ) 20%-2440 – 37400;

გ) 40%-37400 – 150000;

დ) 50%-150000-ზე მეტი.

ამასთან, ბრიტანული საშემოსავლო გადასახადის სისტემა, ისევე, როგორც სხვა პროგრესული დაბეგვრის სისტემა ემყარება გამოქვითვების სისტემას და ე.წ დაბეგვრის შედულარულ სისტემას. შედულარული სისტემა ნიშნავს ფიზიკური პირის დასაბეგრი შემოსავლების დაყოფას შედულებად ანუ ნანილებად. შესაბამისად, ცალკეულ შედულებზე ვრცელდება გამოქვითვის და შელავათების განსხვავებული ნორმები, რაც საბოლოო ჯამში გავლენას ახდენს ფიზიკური პირის ერთობლივი შემოსავლის დაბეგვრაზე. შესაბამისად არსებობს 6 სახის დასაბეგრი შედული:

ა) შემოსავლები ქონებიდან – მიწიდან, ბინის გაქირავებიდან;

ბ) შემოსავლები ტყის მასივებიდან;

გ) შემოსავლები სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებიდან;

დ) შემოსავლები სამეწარმეო საქმიანობიდან(ვაჭრობა, ბიზნესი, პროფესიული მომსახურების გაწევა, პროცენტებისა და ალიმენტების მიღება, საზღვარგარეთიდან ფასიანი ქაღალდებიდან შემოსავლების მიღება, საზღვარგარეთ არსებული ქონებიდან შემოსავლების მიღება, სხვა შემოსავლები(მაგ. ჰონორარი);

ე) ხელფასი, პენსია, დახმარება და სხვა შრომითი შემოსავლები;

ვ) დივიდენდები და სხვა განაცემები დიდი ბრიტანეთის კომპანიების მიერ.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის პროპორციული საგადასახადო განაკვეთი 13%-ს შეადგენს, თუმცა რუსეთის დუმამ არ დაამტკიცა საშემოსავლო გადასახადის შემდეგი შეთავაზებული დაბეგვრის პროგრესული სისტემა, რომელიც ჩვენი აზრით ყურადსაღებია:

ა) 52000 რუბლამდე(2808 ლარი) – 10 პროცენტი(წლიური);

ბ) 52001 რუბლიდან(2808,05 ლარი) – 600000 რუბლამდე(32400 ლარი) – 5200 რუბლს(280,8 ლარი)+იმ თანხის 13%, რომელიც აჭარბებს 52000 რუბლს(2808 ლარი);

გ) 600001 რუბლიდან(32400,05 ლარი) – 1400000 რუბლამდე(75600 ლარი) – 76440 რუბლს(4127,7 ლარი)+იმ თანხის 15 პროცენტი, რომელიც აღემატება 600000 რუბლს(32400 ლარი);

დ) 1400001 რუბლიდან(75600,05 ლარი) – 1800000 რუბლამდე(97200 ლარი) – 196440 რუბლს(10607,7 ლარი)+იმ თანხის 18 პროცენტი, რომელიც აღემატება 1400000 რუბლს(75600 ლარი);

ე) 1800001 რუბლზე(97200,05 ლარი) ზემოთ – 268440 რუბლს(14495,7 ლარი)+იმ თანხის 20 პროცენტი, რომელიც აღემატება 1800000 რუბლს(97200 ლარი).

იაპონიის საშემოსავლო გადასახადის სისტემა მიმართულია დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის სოციალური დაცვის კუთხით. პროგრესული გადასახადის განაკვეთები ვარირებს 10 – დან 50 პროცენტამდე, ხოლო დაბეგვრის სუბიექტს 4 ტიპის ოჯახი წარმოადგენს. ესენია: უცოლოები, უშვილო მეუღლეები, ოჯახი ერთი შვილით და ოჯახი ორი და მეტი შვილით.

დაუბეგრავი მინიმუმი ბავშვიან ოჯახებზე შეადგენს 15400 აშშ დოლარს, ხოლო უცოლოებსა და უშვილოებზე – 7700 აშშ დოლარს. სხვა საგადასახადო შეღავათებთან ერთად საშემოსავლო გადასახადის ეს სისტემა ქმნის საშუალოდ 5,8%-იან საშემოსავლო გადასახადის სისტემას, რომლის საფუძველზეც ამ გადასახადისაგან საერთოდ თავისუფლდება 7 დასაქმებული იაპონელიდან-ერთი.

გერმანიის საშემოსავლო გადასახადის სისტემაც პროგრესული ტიპისაა და შეადგენს 19 – დან 53 პროცენტს. დაუბეგრავი მინიმუმი შეადგენს: მარტოხელებისათვის – 5616 ევროს, ხოლო ოჯახური წყვილისათვის – 11232 ევროს.

თუ მარტოხელების წლიური შემოსავალი არ აღემატება 8153 ევროს, ხოლო ცოლქმრისათვის – 16307 ევროს, მაშინ შესაბამისი შემოსავალი იბეგრება 22,9%-ით. როგორც წესი, ცოლქმარი და მრავალშვილიანი ოჯახები უფრო ნაკლებ გადასახადს იხდიან, ვიდრე უშვილო და მარტოხელა პირები.

საინტერესოა ნორვეგიის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის სისტემა. დაბეგვრის სუბიექტებია მოქალაქეთა ორი ჯგუფი: მარტოხელა მოქალაქე და მოქალაქე, რომელსაც ჰყავს კმაყოფაზე 1 ან მეტი პირი.

დაუბეგრავი მინიმუმი შეადგენს: პირველი ჯგუფისათვის – 29800 ნორვეგიულ კრონს, ხოლო მეორე ჯგუფისათვის – 36000 კრონს. ამას გარდა დასაბეგრი თანხიდან გამოიქვითება გადასახდელი პროცენტები, ალიმენტები, სამედიცინო მომსახურება, ადვოკატის მომსახურება, ტრანსპორტის ხარჯი შესაბამისი შეზღუდვების გათვალისწინებით სამუშაოზე მისვლა – მოსვლის დროს(მაგ. ბენზინის ხარჯი) და სხვა თანხა.

საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი დიფერენცირებულია პირველი და მეორე ჯგუფებისათვის. პირველი ჯგუფი: 220501 – 248500 კრონი – 9,5%, ხოლო 248500 კრონზე მეტი – 13,7%; მეორე ჯგუფი: 267501 – 278500 კრონი – 9,5%, ხოლო 278500 კრონზე მეტი – 13,7%. თავის მხრივ საშემოსავლო გადასახადი სამკატეგორიანია: პირველი – სოციალური გადასახდელი, მეორე გადასახადი საერთო შემოსავალზე და მესამე ე.წ სიმდიდრის გადასახადი.

ორიგინალურია დეკლარირების და დაბეგვრის პროცედურა. ნორვეგიის ყველა მოქალაქეს შესაბამის რეესტრში აქვს პერსონალური ნომერი და ამ ნომრით პირი რეგისტრირდება საგადასახადო ორგანოში. თუ იგი არ არის რეგისტრირებული საგადასახადო ორგანოში მას არ მიიღებენ არცერთ სამუშაოზე. წლის ბოლოს საგადასახადო ორგანო უგზავნის პირს „დეკლარაციას შემოსავლების შესახებ". დეკლარაციას ავსებს პირი და უგზავნის საგადასახადო ორგანოს. საგადასახადო ორგანო ამოწმებს დეკლარაციას და გამოუანგარიშებს გადასახდელ თანხას და აცნობებს გადასახდელი თანხის ოდენობის შესახებ.

იტალიის საგადასახადო სისტემაც ასევე პროგრესული ხასიათისაა. კერძოდ, საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები წლიურ შემოსავლებზე შემდეგი სახისაა:

ა) 15000 ევრომდე – 23%;

ბ) 15000 – დან 28000-მდე – 27%;

გ) 28000 – დან – 55000-მდე – 38%;

დ) 55000 – დან – 75000-მდე – 41%;

ე) 75000-ზე მეტი – 43%.

როგორც ვხედავთ, პროგრესული დაბეგვრის მრავალსაფეხურიანი სისტემა ცივილიზებული ეკონომიკების ატრიბუტია, ხოლო პროპორციული სისტემა მოუქნელად ადმინისტრირებადი და ჩამორჩენილი ეკონომიკების დამახასიათებელი ნიშანია.

საქართველოში მოქმედებს საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის კლასიკური პროპორციული სისტემა, რომლის დღეისათვის მოქმედი განაკვეთი 20%-ია, 2013 წლის 1 იანვრიდან – 2014 წლის 1 იანვრამდე – 18%, ხოლო 2014 წლის 1 იანვრიდან – 15%. აღნიშნული განაკვეთით იბეგრება, როგორც ხელფასი, ასევე ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიც. ამასთან, ხელფასის დაბეგვრის დროს დაუბეგრავი მინიმუმი და შესაბამისი სოციალური ხარჯების გამოქვითვები არ არსებობს. გამონაკლისია ფიზიკური პირის მიერ ეკონომიკური საქმიანობით მიღებული ერთობლივი შემოსავალი, რომლიდანაც საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის დროს გამოიქვითება მის მისაღებად გაწეული ხარჯები.

2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით საშემოსავლო გადასახადის ოდენობამ შეადგინა დაახლოებით 1,5 მილიარდი ლარი. საქართველოში დღეისათვის არსებობს დაახლოებით 800 000 პენსიონერი. თუ პენსია იქნება, ვთქვათ, 200 ლარი – წლიური საპენსიო ფონდი მიაღწევს 1 920 000 000 ლარს. ამასთან, ზოგადი ეკონომიკური კანონზომიერებიდან გამომდინარე მიზანშეწონილია პენსია ფორმირდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ საშემოსავლო გადასახადისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ბიუჯეტი პენსიის ხარჯებს დააფინანსებს სხვა გადასახადებით მიღებული შემოსავლებისაგან ან არასაგადასახადო შემოსავლებისაგან, მივიღებთ სხვა სოციალური თუ სახელწიფოსათვის მნიშვნელოვანი პროექტების შემცირებას თანმდევი შედეგებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ერთადერთი გონივრული გამოსავალია საშემოსავლო გადასახადის პროგრესული სისტემის დანერგვა ხელფასების ზრდის, საარსებო მინიმუმთან შეჯერებული დაუბეგრავი მინიმუმისა და სოციალური გამოქვითვების შემოღებით, რომლის დროსაც 2013 წლისათვის გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი ფაქტორების არსებობა:

ა) საშემოსავლო გადასახადის ოდენობა 2012 წლის ბიუჯეტში;

ბ) საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი შემოსავლის ოდენობა;

გ) საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი ხელფასის ოდენობა;

დ) საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი ისეთი შემოსავლის ოდენობა, რომელიც მიღებულია შესაბამისი ხარჯების გამოქვითვების გზით;

ე) დაუბეგრავი მინიმუმის გაჩენით იმ საშემოსავლო გადასახადის ოდენობის განსაზღვრა, რომელიც დააკლდება სახელმწიფო ბიუჯეტს;

ვ) სხვა სოციალური გამოქვითვების გაჩენით იმ საშემოსავლო გადასახადის ოდენობის განსაზღვრა, რომელიც დააკლდება სახელმწიფო ბიუჯეტს.

ამასთან, საშემოსავლო გადასახადის პროგრესული სისტემის შემოღება დაუბეგრავი მინიმუმისა და სოციალური გამოქვითვების თანხლებით გამოიწვევს შესაბამის მასტიმულირებელ მაკროეკონომიკურ შედეგებს. კერძოდ, საგადასახადო ტვირთის სიმძიმის გადაწევა დაბალშემოსავლიანებიდან მაღალშემოსავლიანებზე იმ ოდენობით გაზრდის სამომხმარებლო ბაზარს, რა ოდენობის სიმძიმე მოშორდება დაბალშემოსავლიანთა ფენას. სამომხმარებლო ბაზრის გაზრდა ხელს შეუწყობს საქონელ-ბრუნვის და მომსახურების ზრდას, რაც ირიბი თანმდევი პრინციპით გაზრდის მოგების გადასახადის, დღგ-ს, აქციზის და იმპორტის გადასახადის აბსოლუტურ ოდენობებს. მარტივად, რომ ვთქვათ, დაბეგვრის ასეთი სისტემა იქნება სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის ირიბი სუბსიდირება, რაც გამოიწვევს გადახდისუნარიანი მოთხოვნის ზრდას და რაც მიწოდების ზრდასთან ერთად გაუმჯობესებს ფისკალურ პარამეტრებსაც.

დაუბეგრავი მინიმუმის განსაზღვრა დამოკიდებული უნდა იყოს სასურსათო კალათაზე ანუ საარსებო მინიმუმზე. ოფიციალური მონაცემებით იგი შეადგენს 150 – 160 ლარს, რაც მიგვაჩნია, რომ დაბალია და რეალური ინფლაციის გათვალისწინებით მინიმუმ 250 ლარამდე აღწევს.

კონკრეტულად, ზემოაღნიშნული მსჯელობებიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ 2013 წლის 1 იანვრიდან საშემოსავლო გადასახადის მოდელი ხელფასისა და ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლების მიხედვით დიფერენცირებული უნდა იყოს. კერძოდ, ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი ყოველთვიურად უნდა დაიბეგროს საშემოსავლო გადასახადის პროგრესული სქემით, ხოლო მეწარმე ფიზიკური პირების მიერ ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავალი მოგების გადასახადით(და არა საშემოსავლო გადასახადით) დაბეგვრის ჩვეულებრივი რეჟიმით – შესაბამისი ხარჯების გამოქვითვების გათვალისწინებით – 15%-ით.

შესაბამისად, ფიზიკური პირის თვიური ხელფასის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის სისტემა შესაძლებელია შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

ა) 250 ლარი – 0%;
ბ) 251 ლარიდან – 500 ლარის ჩათვლით=250 ლარს ზევით თანხის 5%;
გ) 501 ლარიდან – 2000 ლარის ჩათვლით=12,5 ლარს+501 ლარს ზევით თანხის 10%;
დ) 2001 ლარიდან – 5000 ლარის ჩათვლით=162,5 ლარს+2001 ლარიდან ზევით თანხის 15%;
ე) 5001 ლარიდან ზემოთ – 612,5 ლარს+5001 ლარს ზევით თანხის 18%.

თუ, გაივთვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ 2013 წლიდან საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულია 18%-იანი მაქსიმალური საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი და, თუ ამ განაკვეთით ვიანგარიშებთ ზემოაღნიშნული სქემიდან მიღებულ შემოსავლებს, როგორც სქემიდან გამომდინარე, ასევე პროპორციული მოქმედი სისტემის მიხედვით და შევადარებთ შესაბამისი საშემოსავლო გადასახადის ოდენობებს, მივიღებთ, რომ საგადასახადო წნეხი ზოგადად არ გაზრდილა, მაგრამ იგი გადანაწილდა დაბალი შემოსავლიანებიდან მაღალშემოსავლიანებზე, ხოლო საბიუჯეტო დანაკარგებს ადგილი არ აქვს. მაგ. ვთქვათ, 5 ფიზიკური პირი ზემოაღნიშნული სქემით იღებს სქემაში მითითებულ მაქსიმალურ ხელფასებს(ამასთან ჩავთვალოთ, რომ სქემაში ბოლო მეხუთე პირის ხელფასი, რომელიც იღებს 5001 ლარზე მეტს შეადგენს 10000 ლარს). აღნიშნული პროგრესული შკალის მიხედვით საშემოსავლო გადასახადის საერთო თანხა შეადგენს 3200 ლარს (12,5+12,5+150+12,5+150+450+12,5 +150+450+1800). რაც შეეხება პროპორციული სისტემით 18%-იანი განაკვეთის მიხედვით შესაბამის საშემოსავლო გადასახადის თანხას, იგი შეადგენს 3195 ლარს (250+500+2000+5000+10000). როგორც ვხედავთ, სხვაობა ფაქტობრივად არ არის.

რაც შეეხება სოციალური გამოქვითვების სისტემას იგი, ჩვენი აზრით, შემოღებულ უნდა იქნეს 2013 საბიუჯეტო და საგადასახადო წლის შედეგების მიხედვით საშემოსავლო გადასახადის ოჯახური დაბეგვრის სისტემასთან ერთად სათანადო საინფორმაციო-ელექტრონული ბაზების ჩამოყალიბების საფუძველზე, რომელიც საშუალებას მისცემს საგადასახადო ორგანოს ოპერატიულად გადაამოწმოს საშემოსავლო გადასახადის შესაბამისი დასაბეგრი თანხის ფორმირების დროს გამოსაქვითი სოციალური ხარჯების რეალობა.

23.7 დაბეგვრის ევოლუცია აშშ-ში

აშშ-ში დაბეგვრის მოკლე ისტორია გვაჩვენებს ძალიან საინტერესო პროცესს, თუ როგორ ვითარდებოდა გადასახადების სისტემა და რა ძირითადმა ფაქტორებმა განაპირობეს ამ სახელმწიფოს თანამედროვე საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება. ეს პროცესი მით უფრო საინტერესო ხდება, თუ მას შევადარებთ დღევანდელ საქართველოს ანალოგიურ სისტემას, რომელიც ჩვენი აზრით, ემბრიონალურ მდგომარეობას ოდნავ სცილდება და კარდინალურ რეფორმას მოითხოვს.

აშშ-ში დაბეგვრის სისტემის ევოლუციურ განვითარებაზე ოთხმა მნიშველოვანმა შიგა და გარე ფაქტორმა იქონია გავლენა. ეს ფაქტორები იყო: სამოქალაქო ომი, პირველი მსოფლიო ომი, დიდი დეპრესია და მეორე მსოფლიო ომი.

აშშ-ის შექმნის შემდეგ გადასახადები ბევრი არ იყო. 1791 – 1802 წლებში გადასახადები შემოღებულ იქნა შემდეგ საქონელზე: სპირტის დისტილაცია, ცხენების ეკიპაჟი, რაფინირებული შაქარი, თამბაქო, აუქციონზე გაყიდული ქონება, კორპორაციული ფასიანი ქაღალდები და მონები.

1812 წლიდან, მას შემდეგ რაც დაიწყო ომი ბრიტანეთის იმპერიასთან, მდგომარეობა კარდინალურად შეიცვალა. ბიუჯეტის შევსებამ მოითხოვა გაყიდვიდან გადასახადის შემოღება. იგი ამოიღებოდა შემდეგი საქონლის რეალიზაციიდან: ოქრო, ვერცხლი, საიუველირეო ნაწარმი და საათები. იმ დროისათვის ეს საქონელი წარმოადგენდა ფუფუნების საგნებს. 1817 წელს კონგრესმა ეს გადასახადები გააუქმა, ხოლო მათი ჩანაცვლება მოხდა ანალოგიური იმპორტული საქონლის საბაჟო გადასახადებით.

1862 წელს აშშ-ში დაიწყო სამოქალაქო ომი. საომარი მოქმედებების დასაფინანსებლად კონგრესმა, პირველად აშშ-ს ისტორიაში, შემოიღო საშემოსავლო გადასახადი. იგი თავიდანვე პროგრესული დაბეგვრის პრინციპებზე იყო დამყარებული: მცირე შემოსავლის მქონე პირები ნაკლებ გადასახადებს იხდიდნენ, ვიდრე უფრო მდიდრები. ამასთან, შეიქმნა ცენტრალიზებული საგადასახადო სამსახური, რომელიც მანამდე არ არსებობდა, ხოლო მის ფუნქციებს ახორციელებდნენ შტატის გუბერნატორებს დაქვემდებარებული მოხელეები.

სამოქალაქო ომის პირობებში აშშ-ს მოქალაქეები შემდეგი ოდენობის საშემოსავლო გადასახადს იხდიდნენ: 600 – დან 10000 აშშ დოლარამდე შემოსავალზე – 3 პროცენტი, ხოლო უფრო მეტ შემოსავალზე 4 – 6 პროცენტი. შედეგად აშშ-ს ფისკალური სამსახურების მიერ მოგროვდა იმ დროისათვის რეკორდული თანხა – 310 მილიონი აშშ დოლარი. ასეთი შედეგი ფიქსირდებოდა 1911 წლამდე.

1868 წელს არაპოპულარი საშემოსავლო გადასახადი მცირეოდენი ხნით გაუქმდა. კონგრესმა მიიღო გადაწყვეტილება ძირითადი შემოსაელები ამოეღო თამბაქოს ნაწარმისა და ალკოჰოლური სასმელების მწარმოებლებისაგან. 1894 წელს საშემოსავლო გადასახადი ისევ იქნა შემოღებული, მაგრამ მან მხოლოდ ერთი წელი იარსება. იგი გაუქმდა აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მიერ, რომელმაც გამოიტანა მისი უკანონობის ვერდიქტი. კერძოდ, საშემოსაელო გადასახადი არ იყო ნახსენები აშშ-ს კონსტიტუციაში. ამასთან ყველა შტატი არ თანხმდებოდა მის შემოღებას.

1913 – ს დასრულდა საგადასახადო თავისუფლება. მაშინ მიღებულ იქნა კონსტიტუციის მე-16 შესწორება, რომლითაც დაკანონდა საშემოსავლო გადასახადი. ამ ცვლილებამ კონგრესს საშუალება მისცა: ეცვალა საგადასახადო განაკეთები და დაებეგრა ფიზიკური და იურიდიული პირები. საშემოსავლო გადასახადმა „იმუშავა" პირველი მსოფლიო ომის პირობებშიც. 1918 წელს, აშშ-ს ისტორიაში პირველად აკრებილ იქნა 1 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი გადასახადი.

1932 წელს აშშ-ში განხორციელებულ იქნა მშვიდობიანობის პირობებში გადასახადების განაკეთების ყველაზე დიდი ზრდა. ამის მიზეზი იყო „დიდი დეპრესია" ანუ ეკონომიკური კრიზისი. გადასახადების ზრდის მიზანს შეადგენდა ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება. ფიზიკურ პირებზე საშემოსავლო გადასახადმა მიაღწია 55 პროცენტს, ხოლო კორპორაციებზე – 14 პროცენტს. ამან პოზიტიური შედეგი ვერ გამოიღო: ბევრი პირი გაკოტრდა, ეკონომიკური აქტივობა შემცირდა, ხოლო ბიუჯეტის დეფიციტი ვერ შემცირდა. შედეგად ამ საგადასახადო რეფორმების ინიციატორმა გერბერტ გუვერმა არჩევნები წააგო ფრანკლინ დელანო რუზველტთან.

რუზველტი ხელისუფლებაში მოვიდა იმ დაპირებით, რომ შექმნიდა დაბეგვრის პროგრესულ სისტემას და ძირითად საგადასახადო ტვირთს გადაიტანდა მდიდარ მოქალაქეებზე. 1935 წლიდან ამერიკელები, რომლებსაც 500 000 აშშ დოლარზე მეტი წლიური შემოსავალი ჰქონდათ უნდა გადაეხადათ საშემოსავლო გადასახადის სახით 75 პროცენტი. ამასთან, რუზველტმა გააუქმა „მშრალი კანონი", რომელიც ითვალისწინებდა ალკოჰოლური სასმელით ვაჭრობის ტოტალურ აკრძალვას. შედეგად გაიზარდა ალკოჰოლური სასმელების ვაჭრობიდან ამოღებული გადასახადების ოდენობა. ადრე ამ თანხებს(რომელიც გადასახადების სახით ამოღებულ იქნა ბიუჯეტში) სპირტიანი სასმელებით არალეგალური მოვაჭრეები უხდიდნენ სხვადასხვა ჩინოვნიკებს, კონტრაბანდისტებს და მაფიას (გავიხსენოთ ალ კაპონე, რომელიც სხვათა შორის გადასახადების გადაუხდელობისათვის დააპატიმრეს).

1937 წელს აშშ-ს ეკონომიკა ისევ აღმოჩნდა კრიზისში, ხოლო ბიუჯეტის დეფიციტმა ზრდა დაიწყო. ამ დროს რუზველტი მიემხრო ბრიტანელი ეკონომისტის ჯონ მეინარდ კეინსის იდეას. კეინსი თვლიდა, რომ ეკონომიკის გაჯანსარებისათვის საჭირო იყო სახელმწიფო ხარჯების ზრდა, რომელიც გამოინვევდა ინვესტიციების ზრდას ეკონომიკაში და შესაბამისად მოთხოვნის ზრდას. ბევრი კეინსიანური იდეა განხორციელებულ იქნა, მაგრამ მკვეთრ ნაბიჯები არ იქნა გადადგმული და არ გაზრდილა საბიუჯეტო ხარჯები, მაგრამ არც გადასახადების განაკეთები არ მომატებულა.

მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში აშშ-ში გადასახადების განაკეთები პიკს მიუახლოვდა. ზოგიერთი მათგანი 96 პროცენტს აღწევდა. მაგრამ ამავე დროს ეკონომიკამ დაიწყო მკვეთრი აღმავლობა. პრაქტიკულად უმუშევრობა გაქრა, ხოლო მთლიანი შიგა პროდუქტი შემდგომ ათწლეულში საშუალოდ 5,01 პროცენტით გაიზარდა. ყოველივე ეს გამოწვეული იყო უზარმაზარი სამხედრო შეკვეთებით.

მეორე მსოფლიო ომის დროს აშშ-ში მნიშვნელოვნად გაიზარდა გადასახადის გადამხდელთა ოდენობა. ამასთან, 1943 წელს შემოღებულ იქნა შემდეგი საგადასახადო ნორმა: მუშა – მოსამსახურეებს შესაძლებლობა მიეცათ გადაეხადათ გადასახადი არა ერთხელ წელიწადში, არამედ მუდმივად (პერიოდულად) ცენტრალიზებულად ხელფასიდან ხდებობდა საშემოსავლო გადასახადის დაქვითვა და გადარიცხვა ბიუჯეტში. ამანაც გაზარდა საგადასახადო შემოსავლები.

1939 წელს საშემოსავლო გადასახადს იხდიდა 3,9 მილიონი ადამიანი, რომლებმაც ბიუჯეტში გადარიცხეს 2,2 მილიარდი აშშ დოლარი, ხოლო 1945 წელს – 42,6 მილიონმა ადამიანმა გადაიხადა 35,1 მილიარდი აშშ დოლარი.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში გადასახადის გადამხდელთა გააქტიურება გარკვეულწილად ამერიკელთა პატრიოტული განწყობებითაც იყო გამონვეული. ცნობილმა მუსიკოსმა ირვინგ ბერლინმა ასეთი სიმღერაც კი შექმნა: „მე გადავიხადე ჩემი საშემოსავლო გადასახადი დღეს".

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ სენატში და კონგრესში დაიწყო კამპანიები გადასახადების შემცირების მიმართულებით, მაგრამ ყველა ასეთი ინიციატივა დაბლოკა პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა.

1948 წელს გადასახადები გაიზარდა კორპორაციებზე და მდიდარ პირებზე, ხოლო 1950 წელს, კორეაში ომის დაწყებასთან ერთად, გადასახადები კიდევ უფრო გაიზარდა.

1961 წელს ომისშემდგომი პირველი გადასახადების დაკლება განახორციელა პრეზიდენტმა ჯონ

კენედიმ. კენედი გაჰყვა ენდრიუ მელონის იდეას. მელონი იყო წარმატებული ბიზნესმენი, რომელმაც შეიმუშავა საკუთარი ეკონომიკური თეორია დაბეგვრის სფეროში. მან დაწერა წიგნი „დაბეგვრა: სახალხო საქმე", რომელსაც კეინსიანელები დაუნდობლად აკრიტიკებდნენ. მელონი დიდხანს იყო აშშ-ს ფინანსთა მინისტრი. მან პრაქტიკაში შემოიღო გადასახადის გადამხდელებისათვის გადასახადების დაბრუნების სისტემა, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ წლის შედეგების მიხედვით განსაზღვრული პირობების დაცვით, გადასახადის გადამხდელს შეეძლო სახელმწიფოსაგან დაებრუნებინა მის მიერ გადასახადების სახით გადახდილი თანხების ნაწილი.

1961 წელს კენედმა გადასახადები საშუალოდ 20 – 30 პროცენტით შეამცირა. საშემოსავლო გადასახადის ზედა ზღვარი გახდა 70 პროცენტი ნაცვლად – 91 პროცენტისა.

1963 წელს კენედი მოკლეს. ამასთან, გადასახადების შემცირებას თან სდევდა სხვა სოციალური ღონისძიებების პაკეტის გატარება. კერძოდ, სახელმწიფომ თავის თავზე აიღო მცირეშემოსავლიანთა სამედიცინო ხარჯები, რამაც თავის მხრივ გამოიწვია მოსახლეობის დანაზოგების ზრდა, ხოლო ამ უკანასკნელმა – სამომხმარებლო მოთხოვნის ზრდა. შედეგად მთლიანი შიგა პროდუქტი გაიზარდა 3,74 პროცენტით. რამდენიმე წლის შემდეგ, ვიეტნამის ომის პერიოდში აშშ-ს ეკონომიკის ზრდა შეჩერდა.

1968 წელს გადასახადები, მართალია უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც გაიზარდა. ამ მომენტში ბიუჯეტის დეფიციტი რეკორდულად მცირე იყო. საინტერესოა, რომ ის ბიზნესმენები, რომლებიც სახელმწიფო დაკვეთებს ასრულებდნენ მხარს უჭერდნენ გადასახადების ზრდას. ისინი შეშფოთებას გამოთქვამდნენ სახელმწიფო ხარჯების შემცირების ზრდის გამო. გადასახადების ზრდამ ეს პრობლემა ვერ გადაჭრა. მნიშვნელოვნად გაიზარდა ინფლაცია.

1971 და 1975 წლებში ზომიერად შემცირდა გადასახადები, ხოლო პარალელურად – სახელმწიფო ხარჯები. ამ პერიოდში აშშ-ს ეკონომიკა ზომიერი ზრდის პროცესში შევიდა.

1978 წელს ბიზნესის მიმართ ზოგიერთი გადასახადი შემცირდა. კერძოდ, შემცირდა ძირითად კაპიტალზე გადასახადი და ინვესტიციებზე გადასახადი. მიუხედავად ამისა აშშ-ს ეკონომიკა ისევე სტაგნაციის ფაზაში აღმოჩნდა.

1986 წელს პრეზიდენტმა როლანდ რეიგანმა განახორციელა გადასახადების დიდი შემცირება. მთლიანობაში საშემოსავლო გადასახადი შემცირდა 23 პროცენტით. ასეთი მცირე გადასახადი 1916 წლის შემდეგ არ ყოფილა. ამ დროს ფიზიკურ პირებზე შემოღებულ იქნა საშემოსავლო გადასახადის სამი მუდმივი განაკვეთი: 15 პროცენტი, 28 პროცენტი და 33 პროცენტი. ამავე დროს ჩატარდა კორპორაციული დაბეგვრის რეფორმა და ამოიქოლა ის ხვრელები, რომლებიც საშუალებას აძლევდნენ მეწარმეებს ლეგალურად შეემცირებინათ გადასახადები.

რეიგანის რეფორმებს ჰყავს მომხრეები და მონინააღმდეგეები. მომხრეები თვლიან, რომ გადასახადების შემცირებამ გამოიწვია 40 მილიონი სამუშაო ადგილის შექმნა. მოწინააღმდეგეები დარწმუნებულები არიან, რომ ამ რეფორმამ მტკივნეულად დაარტყა ამერიკული საზოგადოების საფუძველთა საფუძველს – საშუალო ფენას და უფრო გააუარესა მცირეშემოსავლიანთა ფენის მდგომარეობა.

1990 წელს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშ უფროსმა გადაწყვიტა შეემცირებინა სახელმწიფო ხარჯები და ოდნავ გაეზარდა გადასახადები. ამას უკავშირდება ერთი საინტერესო ფაქტი: პრესკონფერენციაზე ბუშს დაუსვეს შეკითხვა, გაზრდიდა თუ, არა ის გადასახადებს. ბუშმა სიტყვასიტყვით უპასუხა შემდეგი: „ამოკითხეთ ჩემი ბაგეებიდან – ახალი გადასახადები არ იქნება". ორი კვირის შემდეგ გადასახადის განაკვეთები გაიზარდა, ხოლო მისი სიმძიმე დააწვა შეძლებულ ამერიკელებს.

1993 წელს პრეზიდენტ კლინტონის ინიციატივით გადასახადები კვლავ გაიზარდა. მიზანი საბიუჯეტო დეფიციტის შემცირება იყო. განსაკუთრებით გაიზარდა საშემოსავლო გადასახადი, რომელიც მდიდარ ამერიკელებს უნდა გადაეხადათ. კერძოდ, წლიური შემოსავლის მიხედვით 115 ათასი აშშ დოლარიდან – 250 ათას აშშ დოლარამდე გადასახადი გაიზარდა 31 პროცენტიდან – 36 პროცენტამდე. შედეგად, კლინტონმა შეძლო მოკლე ხანში ბიუჯეტი გამხდარიყო პროფიციტური.

1999 წელს ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადი შემცირდა. ამ წელს, აშშ-ს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით ამერიკული ოჯახების უმდიდრესმა 20 პროცენტმა მიიღო ეროვნული შემოსავლის 49 პროცენტი, ხოლო გადაიხადეს ფედერალურ ბიუჯეტში გადახდილი ყველა გადასახადის 59 პროცენტი.

2001 წელს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში უმცროსი დაადგა რონალდ რეიგანის გზას და სერიოზულად შეამცირა გადასახადები. კერძოდ, გაჩნდა საშემოსავლო გადასახადის ახალი დაუბეგრავი მინიმუმი 10 პროცენტის ოდენობით. საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი შემცირდა შემდეგი ოდენობით: 28 პროცენტი – 25 პროცენტამდე, 31 პროცენტი – 28 პროცენტამდე, 36 პროცენტი – 33 პროცენტამდე, ხოლო 39,6 პროცენტი – 35 პროცენტამდე. ამასთან, 2003 წელს ბუშმა დივიდენდებზე გადასახადი

შეამცირა 15 პროცენტამდე. ამ რეფორმით მომდევნო ათი წლის განმავლობაში გადასახადის გადამხდელებს უნდა დარჩენოდათ 1,3 ტრილიონი აშშ დოლარი. თუმცა 2004 წელს აშშ-ს კონგრესმა რიგი კორპორაციული საგადასახადო შეღავათები გააუქმა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნით.

ბოლო პერიოდში აშშ-ში აქტუალურია საკითხი რეალურად გადასახდელ და ფაქტობრივად გადახდილ გადასახადებს შორის თანაფარდობის შესახებ. აშშ-ს საგადასახადო სამსახურის ცნობით, რომელიც გამოქვეყნდა 2006 წლის ბოლოს, 2001 წელს აშშ-ს გადასახადის გადამხდელებმა ბიუჯეტში გადარიცხეს 345 მილიარდ დოლარით ნაკლები თანხა, ვიდრე უნდა გადაერიცხათ რეალურად.

გადასახადებისაგან თავის არიდება ახალი მოვლენა არ არის კაცობრიობის ისტორიაში. მაგ. წიგნის – "დასაელეთის დაბეგვრის ისტორია" ავტორებს (კ. ვებერი და ა. ვილდავსკი) მოჰყავთ ერთმანეთისაგან ეპოქალურად დაცილებული პერიოდების მიხედვით გადასახადების დამალვის მაგალითები: ჩვ.წ.ა მესამე საუკუნეში რომის იმპერიის მცხოვრებლები ძვირფასეულობას მიწაში მარხავდნენ, ხოლო მე-18 საუკუნეში ბრიტანეთში სახლის მფლობელები საკვამურებს ქოლავდნენ, რომ არ გადაეხადათ შესაბამისი გადასახადები არ გადაეხადათ.

აშშ-ს სახელმწიფო იღებს მთელი ამოსაღები გადასახადების დაახლოებით 86 პროცენტს. კანონმორჩილების საინტერესო მაგალითია ის ფაქტიც, რომ აშშ-ს მოსახლეობის 86 პროცენტი ავტომანქანით მგზავრობისას იკეთებს უსაფრთხოების ღვედებს, რაც ასევე კანონით არის გათვალისწინებული.

საინტერესოა „ჩრდილოვანი ეკონომიკის" და შესაბამისად დამალული გადასახადების თანაფარდობის საკითხები აშშ-ში სხვა ქვეყნებთან მიმართებით. 2003 წელს ცნობილი მეცნიერების(ფ. შნაიდერი და დ. ენსტე) მიერ გამოქვეყნებულ წიგნში „მსოფლიოს ჩრდილოვანი ეკონომიკები", 90-იან წლებში ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში ჩრდილოვანი ეკონომიკა შეადგენდა მთლიანი შიგა პროდუქტის 12 პროცენტს, აღმოსავლეთ ევროპისა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში – 23 პროცენტს, განვითარებად ქვეყნებში – ასევე 23 პროცენტს, ხოლო აშშ-ში – მხოლოდ 8 პროცენტს.

ზემოაღნიშნული „ჩრდილოვანი ეკონომიკის" ზრდა პირდაპირპროპორციულია შემდეგი ფაქტორების: ა) გადასახადების ზრდა; ბ) სოციალური გადასახდელების ზრდა; გ) ეტატიზმი (სახელმწიფოს მეტისმეტი ჩარევა ეკონომიკაში); გ) „საგადასახადო მორალის" (გადასახადების გადახდის დაუწერელი კანონი, ტრადიცია) დაცემა.

მიაჩნიათ, რომ გადასახადების გადაუხდელობა აშშ-ში მნიშვნელოვანწილად გაპირობებულია დაბეგვრის ძალიან რთული სისტემით. ბევრი მოქალაქე თავის დეკლარაციაში უთითებს არასწორი შემოსავლების თანხებს, რამდენადაც არ იციან, რომელი თანხები იბეგრება და რომელი ექვემდებარება შეღავათებს. შესაბამისად, საგადასახადო სქემები და წესები იმდენად რთულია, რომ ეს საკითხები ცხარე დებატებისა და ინტერპრეტაციის საგანი ხდება საგადასახადო ორგანოს თანამშრომლების, ბუღალტრების, სასამართლოს, ადვოკატების, აუდიტორების და ყველა დაინტერესებული მხარისათვის. ასე, რომ მხოლოდ საქართველო არ ყოფილა „საგადასახადო დავების პოლიგონი".

გადასახადებისაგან თავის არიდებასთან დაკავშირებით, აშშ-ს კონგრესის დაბეგვრის გაერთიანებული კომიტეტი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გადასახადის გადამხდელებს ურჩევნიათ ითამაშონ საგადასახადო ლატარია, იმის გათვალისწინებით, რომ საგადასახადო დეკლარირების სირთულე დამალავს მათ მაქინაციებს.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ აშშ-ს საგადასახადო სამსახურის ანალიზით, მსხვილი გადამხდელები უფრო აკურატულად იხდიან გადასახადებს ვიდრე – წვრილი გადამხდელები. კერძოდ, წლიური 500 ათას აშშ დოლარზე მეტი შემოსავლის მქონე პირები 97,1 პროცენტის ფარგლებში სწორ ინფორმაციას აწვდიან საგადასახადო ორგანოს, ხოლო 5 – 10 ათასი აშშ დოლარის ფარგლებში – 78,7 პროცენტი არ თაღლითობს. ამასთან დაკავშირებით, აშშ-ში გაჩნდა შემდეგი გამოთქმა „მდიდრები თავს არიდებენ გადასახადებს, ხოლო ღარიბები მისგან გარბიან". ამას აშშ-ში (განსხვავებით საქართველოსგან) ასეთი ახსნა ეძებნება: რაც უფრო დაბალი შემოსავლები აქვს ადამიანს, მით უფრო ნაკლები განათლება აქვს მას და შესაბამისად, იგი საგადასახადო ორგანოების მოტყუების უფრო პრიმიტიულ მეთოდებს მიმართავს უფრო ხშირად.

აშშ-ს საგადასახადო სამსახურის ინფორმაციით ისინი არგადამხდელებს თანდათანობით უფრო ეფექტურად უმკლავდებიან. მაგ. თუ 2001 წელს დეტალურად მოწმდებოდა ორასი საგადასახადო დეკლარაციიდან ერთი, 2006 წლისათვის უკვე – ასიდან ერთი. ამავე პერიოდში ამოუღებელი (გადაუხდელი) თანხების ბიუჯეტში დაბრუნება ორჯერ გაიზარდა.

აღნიშნულთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ აშშ-ში ჩატარდა საზოგადოებრივი გამოკითხვა, რომლის მიხედვით გაირკვა, რომ გადასახადის გადამხდელების 25 პროცენტს ეშინია, რომ მათი საგადასახადო დეკლარაციები დეტალურად იქნება შემოწმებული. გამოკითხულთა საშუალო ასაკი 25 – 40 წლისაა, ამასთან, ქალებს უფრო ეშინიათ ვიდრე კაცებს.

აშშ-ს საგადასახადო სამსახური აქტიურად იყენებს „დასმენის ინსტიტუტს". კერძოდ, პირი, რომელიც აცნობებს მათ გადასახადის გადამხდელის მიერ გადასახადის გადაუხდელობის შესახებ, საგადასახადო ორგანოს მხრიდან ჯილდოს სახით ეძლევა ამოღებული გადასახადების 10 პროცენტი.

2006 წელს აშშ-ს საგადასახადო ორგანომ განახორციელა საინტერესო პროგრამა გადასახადების ამოღების თვალსაზრისით იმ გადამხდელების მიმართ, რომლებიც ქრონიკულად არ იხდიან გადასახადებს. ამ პროგრამის მიხედვით კერძო კომპანიები იხდიან არგადამხდელების მიერ გადასახდელ გადასახადებს, ხოლო შემდგომ მათ თავიანთი ძალებით ამოაქვთ გადასახადები შესაბამისი სარგებლის გათვალისწინებით. ასეთი მეთოდები ევროპისა და აზიის ბევრ ქვეყანაში არსებობდა, როდესაც კერძო პირები გაერთიანებული ძალებით ყიდულობდნენ აუქციონზე გადასახადების ამოღების უფლებას გარკვეული სარგებლის მიღების მიზნით. თუმცა, ანალოგიური წესი არსებობდა აშშ-ს ზოგიერთ შტატშიც.

ამ საკითხებთან მიმართებით, აღსანიშნავია, რომ ჩამოყალიბდა რიგი მეცნიერული თეორიები. ერთ-ერთი თეორიის მიხედვით გადასახადის გადამხდელები(უფრო ზუსტად არგადამხდელები) მოქმედებენ იმ ლოგიკით, რომელსაც იყენებენ აზარტული მოთამაშეები და დამნაშავეები. შესაბამისად გადასახადის გადამხდელი ყოველთვის ითვალისწინებს სამ მთავარ ფაქტორს: დაჭერის ალბათობა, დასჯის სიმკაცრე და რისკის დონე. ეს მოდელი გახდა პრაქტიკული საქმიანობის თეორიული საფუძველი. მაგ. მინესოტას შტატის საგადასახადომ, გადასახადის გადამხდელთა ნაწილს გაუგზავნა თავაზიანი წერილი, სადაც იუწყებოდნენ, რომ მათი საგადასახადო დეკლარაციები დეტალურად იქნებოდა შემოწმებული. შედეგად, იმ პირებმა, რომლებმაც მიიღეს ეს წერილები გადაიხადეს უფრო მეტი, ვიდრე ჩვეულებრივ იხდიდნენ და უფრო მეტი, ვიდრე მათმა მეზობლებმა, რომლებსაც იგივე შემოსავლები ჰქონდათ და რომლებსაც ეს წერილი არ მიუღიათ.

არსებობდა სხვა საგადასახადო თეორიაც, რომლის მიხედვით (მაგ. ბრუნო ფრეი) ადამიანები იმიტომ კი არ იხდიან გადასახადებს, რომ მათ გადაუხდელობისათვის ელოდებათ მკაცრი სასჯელი, არამედ იმიტომ, რომ საჭიროდ თვლიან, რომ ისინი ვალდებული არიან ეს გააკეთონ. ექსპერიმენტებმა დაამტკიცა, რომ ადამიანები დემონსტრაციულად უარს ამბობდნენ გადასახადების გადახდაზე, თუ მათ ემუქრებოდნენ საშინელი სასჯელით.

აშშ-ში დიდი ხანია არსებობს გადასახადის გადახდაზე უარის თქმის ტრადიცია იდეოლოგიური მოსაზრების გამო, მაგ. საგარეო პოლიტიკის მიმართ პროტესტის ნიშნად. გადასახადის შეგნებულად არგადამხდელთა შორის იყო ცნობილი პოეტი ჰენრი ტორო, რომელიც დაპატიმრებულ იქნა შტატების გადასახადების დემონსტრაციულად გადაუხდელობის გამო. ამჟამად, აშშ-ში აქტიურად მოქმედებს ზოგიერთი პაციფისტური ორგანიზაცია, რომლებიც გადასახადების გადაუხდელობის გზით მოუწოდებენ შეაჩერონ ერაყში ომი. ვიეტნამში ომის დროს გადასახადების გადაუხდელობისაკენ მოუწოდებდნენ ისეთი ცნობილი ინტელექტუალები, როგორიც იყო მომღერალი ჯონ ბაეზი და ლინგვისტი ნოამ ჩომსკი. უფრო მეტიც, 1990-იან წლებში ამერიკელმა პაციფისტებმა ჩამოაყალიბეს ალტერნატიული საგადასახადო კომიტეტი, რომელიც აგზავნიდა ალტერნატიულ საგადასახადო დეკლარაციებს, ხოლო მიღებული თანხები გადარიცხულ იქნა მშვიდობიანი მიზნებისათვის.

მიჩიგანის უნივერსიტეტის პროფესორი ჯონ სტემროდი აღნიშნავს კიდევ ერთ თავისებურებას გადასახადების გადახდის თვალსაზრისით. კაცობრიობის მთელი ისტორიის განმავლობაში ადამიანები მეტი ხალისით იხდიდნენ გადასახადებს, თუ მათი ქვეყანა ომს აწარმოებდა. როგორც კი ომი დამთავრდებოდა საგადასახადო დისციპლინა ისევ უარესდებოდა. სტემროდის აზრით, ყველა სახელმწიფო იძულებული იყო და ასე იქნება მომავალშიც, რომ გადაჭრას საკითხი: როგორ მოიძებნოს საჭირო ბალანსი საგადასახადო ორგანოს თანამშრომელთა რაოდენობასა და გადასახადების აკრების ეფექტურობას შორის.

2006 წელს საშუალოსტატისტიკურ ამერიკელს წელიწადში უნდა ემუშავა 77 დღე, რომ გადაეხადა ფედერალური გადასახადები, ხოლო კიდევ დამატებით 39 დღე, რომ გადაეხადა შტატების, საგრაფოს და მუნიციპალიტეტების გადასახადები. შესაბამისად, ამერიკელთა ხარჯების მთავარი მუხლი არის გადასახადები. მაგ. საცხოვრებელი ბინის ქირისათვის საჭიროა 62 დღე, სამედიცინო დახმარებისა და წამლებისათვის – 52 დღე, კვების პროდუქტებისთვი – 30 დღე, სატრანსპორტო მომსახურებისთვის – 30 დღე, დასვენებისა და გართობისთვის – 22 დღე, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის შესაძენად და ა.შ – 14 დღე.

ამერიკელები გადასახადებს იხდიან ოთხი დონის ბიუჯეტში: ფედერალური, შტატების, საგრაფოს და მუნიციპალიტეტის. ამასთან, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ფიზიკური პირები უფრო მეტ გადასახადებს იხდიან, ვიდრე კომერციული სტრუქტურები. კერძოდ, ფიზიკურ პირებს 5 – 6 ჯერ მეტი გადასახადები შეაქვთ ბიუჯეტში, ვიდრე კომერციულ სტრუქტურებს.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით 0,1 პროცენტმა უმდიდრესმა ამერიკელებმა, რომელთა შემოსავლები შეადგენს მთელი მოსახლეობის შემოსავლების 9,1 პროცენტს, გადაიხადეს ბიუჯეტში ყველა ფიზიკური პირის მიერ გადახდილი გადასახადების 17,4 პროცენტი. იმ მოქალაქეებმა, რომელთა შემოსავალი შეადგენს მთელი მოსახლეობის შემოსავლების 33,4 პროცენტს, გადაიხადეს მთელი გადასახადების 57,1 პროცენტი. ის ამერიკელები, რომლებიც შედიან უღარიბესი მოსახლეობის 50 პროცენტში, მიიღეს მთელი მოსახლეობის შემოსავლების 13,4 პროცენტი, ხოლო გადასახადების სახით გადაიხადეს მხოლოდ 3,3 პროცენტი.

ნიშანდობლივი და უაღრესად საინტერესოა აშშ-ს საგადასახადო კანონმდებლობის მოცულობები. 1984 წელს აშშ-ს ფედერალური საგადასახადო კანონმდებლობა შედგებოდა 26 300 გვერდისაგან, 1995 წელს – 40 500 გვერდისაგან, 2005 წელს – 54 800 გვერდისაგან, ხოლო 2006 წელს – 66 500 გვერდისაგან (შედარებისთვის: საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა 1000 გვერდს არ აღემატება). აღსანიშნავია, რომ 1913 წელს მთელი ფედერალური კანონმდებლობა შეადგენდა 400 გვერდს. მაშინ ფედერალური საშემოსავლო გადასახადები შემდეგნაირად მარტივად გამოიანგარიშებოდა: წლიური შემოსავალი თუ აღემატებოდა 3000 აშშ დოლარს, მაშინ გადასახადის განაკვეთი შეადგენდა 1 პროცენტს, 500 000 აშშ დოლარზე მეტის შემთხვევაში – 6 პროცენტს. საინტერესოა, რომ ბიბლია ინგლისურ თარგმანში შეიცავს 773 000 სიტყვას, ხოლო აშშ-ს თანამედროვე საგადასახადო კანონმდებლობა – 8 მილიონზე მეტს.

აღსანიშნავია საგადასახადო ადმინისტრირების სტატისტიკაც. 1990 წელს აშშ-ს ფედერალური საგადასახადო სამსახური იყენებდა გადასახადის გადამხდელებთან ურთიერთობაში 402 სახის ფორმას, რომელიც უნდა შეევსოთ გადამხდელებს. 2002 წელს მათი რაოდენობა გაიზარდა 526-მდე, ხოლო 2006 წელს – 582-მდე.

ყოველწლიურად აშშ-ს ფედერალური სამსახური გადამხდელებთან აგზავნის 8 მილიარდი გვერდის ფორმებს და ინსტრუქციებს. მათი ერთობლივი სიგრძე საკმარისია იმისათვის, რომ ეკვადორის გასწვრივ დედამიწას შემოერტყას 28 – ჯერ, ხოლო ამ მიზნებისათვის ქაღალდის დასამზადებლად ყოველწლიურად საჭიროა 300 000 ხის მოჭრა.

მეტად საინტერესოა აშშ-ში ფიზიკური პირების მიერ საგადასახადო დეკლარაციების შევსების დროს საგადასახადო სპეციალისტების გამოყენების ფაქტები. კერძოდ, 1995 წელს ფიზიკური პირი გადასახადის გადამხდელების ნახევარზე მეტი იყენებდა საგადასახადო სპეციალისტებს საგადასახადო დეკლარაციების შევსების დროს, ხოლო 2005 წელს მათი რიცხოვნობა გაიზარდა – 61 პროცენტამდე. იმ კერძო საგადასახადო სპეციალისტების რაოდენობა, რომლებსაც შეუძლიათ მოამზადონ საგადასახადო დეკლარაციები, ორჯერ აღემატება აშშ-ს შეიარაღებული ძალების ოდენობას და შეადგენს 3 მილიონ ადამიანზე მეტს ანუ ამერიკის მთელი მოსახლეობის 1 პროცენტს. 1995 წელს ამერიკელებმა თავიანთი საგადასახადო დეკლარაციის მხოლოდ შედგენისათვის დახარჯეს 5,3 მილიარდი საათი, ხოლო 2005 წელს – 6,4 მილიარდი. ეს უფრო მეტია, ვიდრე ამერიკელი ავტომობილების მწარმოებლები ხარჯავენ მანქანების ნარმოებისათვის. 2005 წელს ამერიკელებმა საგადასახადო დეკლარაციების შედგენისათვის დახარჯეს 265,1 მილიარდი აშშ დოლარი. აქედან გამომდინარე, იმისათვის, რომ გადასახადის გადამხდელს გადასახადის სახით გადაეხადა 1 აშშ დოლარი, მას ეს დაუჯდა დამატებით 22 ცენტი.

აღსანიშნავია, რომ აშშ-ს ფედერალური საგადასახადო სამსახურის ოდენობა შეადგენს 114 000 ადამიანს, რაც ორჯერ მეტია ცენტრალურ სადაზვერვო სამართველოს და ხუთჯერ მეტი – გამოძიების ფედერალურ ბიუროს თანამშრომლებზე.

კვლევები აჩვენებს, რომ საგადასახადო კანონმდებლობის მეტისმეტი გართულება იწვევს გადასახადის გადამხდელების მხრიდან „გადასახადის ღირებულების“ ზრდას, ამცირებს სამართლიანობის გრძნობას და საგადასახადო ორგანოების გამჭვირვალობას და ართულებს საგადასახადო ადმინისტრირებას.

რთული საგადასახადო ადმინისტრირებიდან გამომდინარე აშშ-ს საგადასახადო ორგანოები ყოველწლიურად გამოწერენ 32 მილიონ ჯარიმას, რომლის მთავარი მიზეზია ფიზიკური პირების მიერ გადასახადების სრული ან ნანილობრივი გადაუხდელობა. დავა აღნიშნული ჯარიმების 25 პროცენტზე გადასახადის გადამხდელების სასარგებლოდ წყდება.

აშშ-ს შტატებში განსხვავებული საგადასახადო განაკვეთებია. პირად შემოსავლებზე გადასახადები შტატებში მერყეობს 6,58 პროცენტიდან (მაგ. ალიასკა) – 13,51 პროცენტამდე (მაგ. მენი). საშუალოდ ეს მაჩვენებელი შეადგენს 10,61 პროცენტს. საუკეთესო საგადასახადო კლიმატი ბიზნესისათვის არსებობს ვაიომინგის შტატში, ხოლო უცუდესი – როდ – აილენდში.

ამერიკელ გადასახადის გადამხდელთა გამოკითხვები აჩვენებს, რომ გადამხდელთა 59 პროცენ-

ტი თვლის, რომ ისინი იხდიან გაცილებით მაღალ ფედერალურ გადასახადებს, 30 პროცენტი თვლის, რომ გადასახადები მეტ-ნაკლებად სამართლიანია, ხოლო 1 პროცენტს (რაც მეტად საინტერესოა) მიაჩნია, რომ გადასახადები ძალიან დაბალია. თვით, გადასახადების სახეების მიხედვით გამოკითხვამ ასეთი სურათი აჩვენა: ყველაზე მძიმე(მაღალი) გადასახადია – ქონების გადასახადი(გამოკითხულთა 31 პროცენტი); შემდეგ მოდის საშემოსავლო გადასახადი(25 პროცენტი); სოციალური გადასახადი ანუ საპენსიო ფონდში გადარიცხვები – 14 პროცენტი. შტატების დონეზე გამოკითხვების მიხედვით აუტანელ გადასახადთა სამეული ასე გამოიყურება: ქონების გადასახადი(39 პროცენტი), საშემოსავლო გადასახადი(20 პროცენტი) და გაყიდვიდან გადასახადი(18 პროცენტი).

ამჟამად, აშშ-ს საგადასახადო სისტემა ფუნქციონირებს საკმარისად ეფექტურად. აშშ-ს მთლიანი შიგა პროდუქტი დაახლოებით 13 ტრილიონ აშშ დოლარს შეადგენს, ხოლო საგადასახადო ადმინისტრირებისათვის იხარჯება, მხოლოდ 10 მილიარდი აშშ დოლარი.

წიგნის, „დიქტატურისა და დემოკრატიის ფესვები", ავტორები (დ. აჩემოგლუ და დ. რობინსონი) ამტკიცებენ, რომ იმ სახელმწიფოს მაცხოვრებლები, რომლებიც იხდიან მაღალ გადასახადებს, გამოირჩევიან დემოკრატიული და პოლიტიკური თავისუფლების მაღალი ხარისხით. გარკვეულწილად ეს იმით აიხსნება, რომ თუ ადამიანი თვლის, რომ მისი გადასახადები მაღალია, ის უფრო მეტად არის დაინტერესებული, რომ შეამოწმოს სახელმწიფოს მიერ ამ თანხების ხარჯვის კანონიერება. მეორე მხრივ, ბევრი დიქტატურა იყენებს დრაკონულ გადასახადებს. მაგრამ განსხვავება ის არის, რომ დემოკრატიის დროს ძირითადი საგადასახადო ტვირთი აწევება საშუალო ფენას, ხოლო დიქტატურის პირობებში – ან ყველაზე ღარიბებს ან ყველაზე მდიდრებს.

აშშ-ში საგადასახადო თემატიკამ პოლიტიკურ ფოლკლორშიც ჰპოვა ასახვა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა სამი ციტატა: „საშემოსავლო გადასახადი – ყველაზე უფრო რთულად გასაგები საგანია მსოფლიოში" (ალბერტ აინშტაინი), „რა განსხვავებაა ტაქსიდერმისტსა და გადასახადის ამკრებს შორის? ტაქსიდერმისტი იყენებს მხოლოდ შენს ტყავს" (მარკ ტვენი), „საშემოსავლო გადასახადმა უფრო მეტი ამერიკელი გადააქცია მატყუარად, ვიდრე გოლფის თამაშმა" (უილ როჯერსი, ჰოლივუდის ვარსკვლავი 1920 – 30 წლებში).

მიგვაჩნია, რომ აშშ-ს გადასახადების რეტროსპექტული მიმოხილვა ყურადსაღები უნდა იყოს მრავალი ასპექტით საქართველოს მომავალი ეფექტური და ეროვნული საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბების რთულ გზაზე.

23.8 აქციზური საქონლის დაბეგვრის განსხვავებული ასპექტები

აქციზური საქონელი ფისკალური თვალსაზრისით მეტად მგრძნობიარეა, იმდენად, რამდენადაც ამ საქონლის საბოლოო მომხმარებლები ადამიანთა მეტად ფართო წრეს შეადგენს, ხოლო აქციზი, როგორც გადასახადი, ასეთი განსაზღვრული კატეგორიის საქონელზე მომხმარებლისათვის დამატებით სიმძიმეს წარმოადგენს იმპორტის გადასახადისა და დამატებული ღირებულების გადასახადების გათვალისწინებით.

მოქმედი საგადასახადო კოდექსის მაგალითზე, იკვეთება გარკვეული საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც წმინდა ექსპერტული თვალთახედვით საჭიროებს კორექტირებას, რამდენადაც, აქციზის ჩათვლის მექანიზმი, არ ასტიმულირებს ამ საქონლის წარმოებას და ირიბად, იმპორტის ხელშემწყობ გარემოებად გვევლინება. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ ვართ პროტექციონისტური პოლიტიკის მხარდამჭერი და თავისუფალი ვაჭრობა (ფრიტრედერობა) მიგვაჩნია განვითარებადი ქვეყნების გზად, ისეთი საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც არათანაბარ პირობებში ჩააყენებს სამამულო და უცხოური საქონლის კონკურენციას, მითუმეტეს, უცხოურის სასიკეთოდ, არ მიგვაჩნია სწორად. იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების მიხედვით, რომელსაც საქართველო არის მიერთებული სამამულო საქონელი იმაზე უფრო პრივილეგირებულ მდგომარეობაში არ უნდა იყოს არაპირდაპირი გადასახადებით დაბეგვრის თვალსაზრისით, ვიდრე იმპორტირებული და პირიქით, იმპორტირებული საქონელი არ უნდა იყოს უფრო პრივილიგირებულ მდგომარეობაში, ვიდრე – ადგილობრივი. ფორმალურად, ეს პირობა საკანონმდებლო დონეზე დაცულია, (კერძოდ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, მაგალითად, არყის იმპორტი ან მიწოდება იბეგრება აქციზის ერთნაირი განაკვეთით – 1 ლიტრი 3 ლარი. ანალოგიური შედარებები შეიძლება გავაკეთოთ ლუდის, თამბაქოს ან ზოგიერთი სხვა აქციზური საქონლის თავალსაზრისით) მაგრამ რეალურად სხვადასხვა „შიგა შრეების" გათვალისწინებით, კერძოდ აქციზის ჩათვლის მექანიზმის მიხედვით დავინახავთ, რომ მოქმედი ნორმები ფაქტობრივად იწვევს, აკადემიურად, რომ ვთქვათ, ორმაგ ეკონომიკურ დაბეგვრას აქციზით და შესაბამისად საქონლის ფასების ხელოვნურ ზრდას, რაც თავის მხრივ სამამულო წარმოების კონკურენ-

ტუნარიანობას ასუსტებს, როგორც შიგა ბაზარზე, ასევე ექსპორტის თავალსაზრისითაც. რა გვაქვს მხედველობაში?

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 189-ე მუხლის პირველი – მესამე ნაწილების მიხედვით პირს, რომელიც აბორციელებს დასაბეგრ ოპერაციას ან აქციზური საქონლის ექსპორტს, უფლება აქვს მიიღოს საგადასახადო ჩათვლა მინოდებული (მათ შორის, გადაცემული, საწყობიდან სარეალიზაციოდ გატანილი ან ექსპორტირებული) აქციზური საქონლის საწარმოებლად გამოყენებულ სხვა აქციზურ საქონელზე (ნედლეულზე) გადახდილი ან გადასახდელი აქციზის ოდენობით ან დაიბრუნოს აქციზი ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს მისგან წარმოებულ აქციზურ საქონელზე გამოანგარიშებული აქციზისა. ზემოაღნიშნული აქციზის ჩათვლის ან დაბრუნების წესი გამოიყენება აქციზური საქონლის საწარმოებლად მწარმოებლის მიერ იმპორტირებული სხვა აქციზური საქონლის (ნედლეულის) მიმართ. ამასთან, აქციზის ჩათვლა ან დაბრუნება ხორციელდება მწარმოებლის მიერ ანგარიშ-ფაქტურის ან/და საბაჟო დეკლარაციის წარდგენის შემთხვევაში, რომელიც ადასტურებს მის მიერ აქციზის გადახდას აქციზური საქონლის (ნედლეულის) მწარმოებლისათვის ან/და აქციზური საქონლის(ნედლეულის) იმპორტისას.

ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ნორმა ამბობს, რომ არყის მწარმოებელს შეუძლია აქციზის ჩათვლა განახორციელოს მხოლოდ ორ შემთხვევაში:

ა) როდესაც არყის მწარმოებელი ეთილის სპირტს შეიძენს ეთილის სპირტის მწარმოებელი ადგილობრივი მეწარმისაგან;

ბ) როდესაც არყის მწარმოებელი ეთილის სპირტს შემოიტანს იმპორტის სასაქონლო ოპერაციით.

განვიხილოთ, ზემოაღნიშნული „ა" და „ბ" შემთხვევები პრაქტიკულ მაგალითზე.

თუ, არყის მწარმოებელი ეთილის სპირტს შეიძენს ამ სპირტის მწარმოებელი ადგილობრივი მეწარმისაგან და მიიღებს შესაბამის ანგარიშ-ფაქტურას, არყის წარმოებისა და მიწოდების დროს სპირტზე გადახდილ აქციზს ჩაითვლის არყის მწარმოებელი. მაგრამ, იმ შემთხვევაში, თუ არყის მწარმოებელმა სამამულო კომპანიამ ეთილის სპირტი შეიძინა არა ეთილის სპირტის მწარმოებელი ადგილობრივი კომპანიისაგან, არამედ მესამე პირისგან, რომელსაც თავის დროზე იაფად (ხელსაყრელ ფასად) აქვს ნაყიდი ეთილის სპირტი მისი მწარმოებელი ამავე კომპანიიდან ან ჩვეულებრივ ყიდულობს და ყიდის მას, ასეთ შემთხვევაში, ვინაიდან ერთხელ ნაყიდი სპირტის გაყიდვა, არ წარმოადგენს აქციზით დაბეგვრის ობიექტს, სპირტის გამყიდველი ვერ გამოუწერს აქციზის ანგარიშ-ფაქტურას სპირტის მყიდველს(არყის მწარმოებელს), რაც იმას ნიშნავს, რომ არყის მწარმოებელი ვერ ჩაითვლის მის მიერ რეალურად გადახდილ(ანაზღაურებულ) სპირტის ფასში შესულ აქციზის თანხას. შესაბამისად, მოხდება აქციზით ორჯერ დაბეგვრა. კერძოდ, სპირტის ყიდვის დროს გადახდილი აქციზს უნდა დაემატოს ამ სპირტისაგან მიღებული (წარმოებული) არყის მინოდების დროს გადასახდელი აქციზი, რაც ორმაგი ეკონომიკური დაბეგვრის კლასიკური მოდელია და, რაც იწვევს სამამულო არყის ფასის ზრდას არყის მწარმოებლის მიერ ეთილის სპირტის ყიდვის დროს გადახდილი აქციზის ოდენობით. მაგ. სპირტის აქციზი ერთ ლიტრზე შეადგენს 2,6 ლარს, ხოლო ერთ ლიტრ არაყზე 3 ლარს. ჩავთვალოთ, რომ ერთი ლიტრი ეთილის სპირტის გამოსავლიანობის ნორმა არის 200 პროცენტი ანუ ერთი ლიტრი სპირტისგან მიიღება ორი ლიტრი არაყი. შესაბამისად, ორ ლიტრ არაყზე გადასახდელი აქციზის თანხა შეადგენს – 6 ლარს, ხოლო სპირტზე გადახდილი აქციზის თანხა დამატებით უნდა შევიდეს არყის ფასში და გააძვიროს იგი. იმ შემთხვევაში, თუ სპირტი ნაყიდი იქნებოდა სპირტის მწარმოებლისგან, სპირტზე გადახდილ აქციზს ჩაითვლიდა არყის მწარმოებელი, შესაბამისად მის მიერ გადასახდელი არყის აქციზი იქნებოდა არა 6 ლარი, არამედ 0,8 ლარი(6 – 5,2) და შესაბამისად, მიღებული არაყი გაიაფდებოდა მთელი 5,2 ლარით.

მეორე შემთხვევა, როდესაც არყის მწარმოებელს თვითონ შემოაქვს იმპორტის სასაქონლო ოპერაციით სპირტი, როგორც ნედლეული და იხდის იმპორტის დროს აქციზს, ხოლო არყის წარმოებისა და მიწოდების დროს ითვლის იმპორტის დროს ნედლეულზე გადახდილ აქციზს სასაქონლო დეკლარაციის საფუძველზე. იმ შემთხვევაში, როდესაც თვითონ კი არ შემოაქვს არყის მწარმოებელს იმპორტის სასაქონლო ოპერაციით ეთილის სპირტი, არამედ საქართველოში ყიდულობს სხვის მიერ იმპორტირებულ სპირტს, მაშინ, სპირტი იბეგრება აქციზით მხოლოდ იმპორტის დროს და მას იხდის ბიუჯეტში სპირტის იმპორტიორი, რომელიც აქციზის არაპირდაპირი გადასახადის ბუნებიდან გამომდინარე გადააკისრებს მის გადახდას მინოდების დროს არყის მწარმოებელს, რომელიც ყიდულობს მას, როგორც არყის წარმოების ნედლეულს. ამ შემთხვევაში არყის მწარმოებელს არ გააჩნია, აქციზის ჩათვლის საფუძველი: არც საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და არც საბაჟო დეკლარაცია, რომელიც დაადასტურებდა მის მიერ აქციზის გადახდას. შესაბამისად, იგი ვერ ახორციელებს რეალურად გადახდილი აქციზის ჩათვლას. შესაბამისად, ძვირდება სამამულო საქონელი და იგი არა-

კონკურენტუნარიანი ხდება.

ზემოაღნიშნულ ორივე შემთხვევაში, შესაბამისი იაფი ნედლეულიდან ან სხვის მიერ იმპორტირებული ნედლეულიდან, რაც შეიძლება საბაზრო კონიუქტურის შემთხვევაში უფრო იაფიც იყოს, ვიდრე მწარმოებლის მიერ იმპორტირებული ნედლეული, ვერ განხორციელდება საქონლის ნარმოება საქონლის არაკონკურენტუნარიანობის და მოგების დაბალი ნორმის გამო, რაც აფერხებს, როგორც ადგილობრივ მრეწველობას, ასევე ნედლეულის იმპორტს ან მიწოდებას მისი თანმდევი ყველა შედეგით.

როგორ შეიძლება აღნიშნული პრობლემის მოგვარება ისეთნაირად, რომ მეწარმეს მიეცეს ნედლეულის თავისუფლად ამორჩევისა და შეძენის საშუალება, რაც თავის მხრივ შეზღუდავს გარკვეულ მონოპოლიურ მომენტებს, განავითარებს ღია ბაზრის პრინციპებს და ამავე დროს არ შექმნის ფისკალურ და საგადასახადო ადმინისტრირების გართულების პირობებს?

ვფიქრობთ, რომ დღეს არსებული საკანონმდებლო ნორმები, რომელიც არეგულირებს ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აქციზის ჩათვლის მექანიზმს არ შეესაბამება არსებულ რეალობას. მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ არსებული ნორმა ინერციით მოდის წინა საგადასახადო კოდექსებიდან, რომლებიც ასახავდნენ სუსტი საგადასახადო ადმინისტრირების პირობებს. კერძოდ, ადგილი ჰქონდა კონტრაბანდას, აღურიცხველობას, კორუფციას, შემოსავლების დამალვას და ა.შ.

დღევანდელ პირობებში, როდესაც არ არსებობს ხელისშემშლელი არავითარი ზემოაღნიშნული ნინაპირობა, თავისუფლად შეიძლება მოცემულ ბიზნესს (ასევე შესაბამის სხვა აქციზურ სეგმენტს) მივცეთ მანევრირების თავისუფლება ნედლეულის შესყიდვისა და აქციზის ჩათვლის თავალსაზრისით. კერძოდ, აქციზური საქონლის მწარმოებლების მიერ აქციზური ნედლეულის ნებისმიერი მყიდველისაგან შეძენის დროს, ვინაიდან აქციზი ფიქსირებული გადასახადია(ამ შემთხვევაში ლიტრის მიხედვით), უნდა მოხდეს აქციზის ჩათვლა შესაბამისი მწარმოებლის მიერ, მიუხედავად იმისა, ეს აქციზი გადახდილია თუ არა ბიუჯეტში და აქვს თუ არა მწარმოებელს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა. ჩათვლის დოკუმენტად შეიძლება გამოყენებულ იქნეს აქციზური ნედლეულის გამყიდველის მიერ გამოწერილი სასაქონლო ზედნადები, სადაც ფიქსირდება აქციზის გამოსათვლელად აუცილებელი ფაქტორი – მაგალითად, ეთილის სპირტის ოდენობა. შესაბამისად, ვინაიდან აქციზი ერთჯერადი გადასახადია, ეთილის სპირტის მიწოდების თუნდაც მრავალჯერად ჯაჭვში არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს იმ პირის განსაზღვრა, რომელსაც უნდა შეეტანა აქციზი სახელმწიფო ბიუჯეტში. იმ შემთხვევაში, თუ ვერ დადგინდება აქციზის რეალური გადამხდელის ვინაობა, მაშინ მისი გადახდა უნდა დაეკისროს იმ პირს, რომელთან მიმართებითაც ვერ დგინდება აქციზური ნედლეულის მომწოდებელი. ამ შემთხვევაში ფისკალური ეფექტი შესაძლოა ორმაგი იყოს და ამ ფაქტორმა, ამასთანავე პრევენციული როლი შეასრულოს საგადასახადო სამართალდარღვევათა თავიდან აცილების ასპექტით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ თანამედროვე საგადასახადო ადმინისტრირების პირობებში აქციზური საქონლის წარმოებას უნდა მიეცეს მეტი თავისუფლება და იგი უნდა გათავისუფლდეს არქაული არაეკონომიკური ეტატიზმისაგან.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ასევე აქციზის ჩათვლას ან დაბრუნებას უკავშირდება არის აქციზური საქონლის ექსპორტის საკითხი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 189-ე მუხლის პირველი – მესამე ნაწილების მიხედვით აქციზური საქონლის არა მხოლოდ მიწოდების, არამედ ექსპორტის დროსაც აქციზის ჩათვლა „მიბმულია" მხოლოდ და მხოლოდ აქციზური საქონლის მწარმოებელთან, ე.ი ექსპორტის დროს აქციზის ჩათვლის უფლება აქვს მხოლოდ აქციზური საქონლის მწარმოებელს. სხვა პირს, რომელიც ექსპორტის სასაქონლო ოპერაციით გაიტანს საქართველოში წარმოებულ ან უცხოეთიდან შემოტანილ აქციზურ საქონელს არ აქვს გადახდილი აქციზის ჩათვლის უფლება. პრობლემა უფრო ნათელი, რომ გახდეს უპრიანია ერთმანეთს შევუპირისპიროთ საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისი ნორმები, რომლებიც, ჩვენი აზრით, გარკვეულ კოლიზიაში იმყოფებიან.

კერძოდ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 189-ე მუხლის პირველი – მესამე ნაწილების მიხედვით ექსპორტის დროს აქციზის ჩათვლის ან დაბრუნების უფლება აქვს მხოლოდ აქციზური საქონლის მწარმოებელს, ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ექსპორტიორმა თვითონ დაამზადა აქციზური საქონელი და ნედლეული შეიძინა ამ ნედლეულის მწარმოებელი პირისაგან ან თვითონ შემოიტანა ეს ნედლეული იმპორტის სასაქონლო ოპერაციით. მეორე მხრივ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 194-ე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით ჩათვლის უფლებით აქციზისაგან გათავისუფლებულია აქციზური საქონლის ექსპორტი მხოლოდ იმ საანგარიშო პერიოდისათვის, რომლისთვისაც გადასახადის გადამხდელი საგადასახადო ორგანოს წარუდგენს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში აღნიშნული აქციზის თანხის მომწოდებლისათვის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, თუ ექსპორტირებული აქციზური საქონლის წარმოებისათვის გამოყ-

ენებულ იქნა სხვა პირის მიერ წარმოებული სხვა აქციზური საქონელი(ნედლეული), აგრეთვე საბაჟო დეკლარაციას საქონლის ექსპორტში გაშვების შესახებ. აქედან გამომდინარე, სსკ-ის 194-ე მუხლის მე-6 ნაწილი არ ადგენს სსკ-ის 189-ე მუხლის პირველი – მესამე ნაწილებით დადგენილ შეზღუდვას, რომლის მიხედვით მხოლოდ აქციზური საქონლის მწარმოებელს აქვს ჩათვლის მიღების უფლება. აღნიშნული ნორმის ასეთნაირად გაგების საშუალებას იძლევა 194-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა" ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით გადასახადის გადამხდელი(და არა აქციზური საქონლის მწარმოებელი) ჩათვლის მისაღებად საგადასახადო ორგანოში იმ შემთხვევაში წარადგენს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას, თუ მან აქციზური საქონელი აწარმოა სხვისგან შეძენილი ნედლეულით და ამ ნედლეულზე გადაიხადა აქციზი. რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ პირმა თვითონ კი არ აწარმოა საექსპორტო აქციზური საქონელი, არამედ საქართველოში შეიძინა მზა აქციზური საქონელი და გადაუმუშავებლად გაიტანა ექსპორტზე? ასეთ შემთხვევას ზემოაღნიშნული 194-ე მუხლი მე-6 ნაწილი არ ზღუდავს, მაგრამ ზღუდავს, როგორც ვნახეთ 189-ე მუხლის პირველი – მესამე ნაწილები. ამდენად, ეს მუხლები ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის ექსპორტის დროს აქციზის ჩათვლის თვალსაზრისით.

რეალურად, როგორი უნდა იყოს აქციზური საქონლის ექსპორტის დაბეგვრა იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების გათვალისწინებით (მაგ. გენერალური შეთანხმება ტარიფებსა და ვაჭრობაზე), რომლის მიხედვით აკრძალულია არაპირდაპირი გადასახადებით დაბეგრილი და მისგან „გაუსუფთავებელი" საქონლის ექსპორტი?

საექსპორტო საქონლის გარიგების ფასი არ უნდა შეიცავდეს ექსპორტიორ ქვეყანაში ამ საქონლის დამზადების ან ამ საქონლის შეძენის დროს გადახდილ აქციზს, დღგ-ს და იმპორტის გადასახადს. (მოცემულ შემთხვევაში დღგ-სთან დაკავშირებით საკანონმდებლო პრობლემა არ არსებობს. რაც შეეხება იმპორტის გადასახადს, აქ ცალსახა პრობლემაა, რადგანაც საქონლის ექსპორტი საერთოდ არ ითვალისწინებს იმპორტის გადასახადისაგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებას, ამდენად ეს ცალკე განხილვის თემაა). შესაბამისად, საქართველოში გადახდილი აქციზის შეტანა ექსპორტირებული საქონლის ფასში იწვევს ამ საქონლის ფასის ზრდას, მის დაბალ კონკურენტუნარიანობას მსოფლიო ბაზარზე და ისეთ ანომალურ ფისკალურ ეფექტს, რომლის დროსაც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში აქციზი შეაქვთ არაპირდაპირ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც ამ საქონელს მოიხმარენ არა საქართველოში არამედ საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ზემოაღნიშნულის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითები:

ა) პირმა შეიძინა აქციზური ნედლეული მისი მწარმოებლისაგან, დაამზადა აქციზური საქონელი, გაიტანა ექსპორტით და წარადგინა საგადასახადო – ანგარიშფაქტურა და ექსპორტის საბაჟო დეკლარაცია. ასეთ შემთხვევაში ექსპორტიორი იბრუნებს ნედლეულზე გადახდილ აქციზს;

ბ) პირმა იმპორტის სასაქონლო ოპერაციით შემოიტანა აქციზური ნედლეული, აწარმოა მისგან აქციზური საქონელი და გაიტანა ექსპორტით. ამ შემთხვევაში, ექსპორტიორს, ბუნებრივია არ ექნება საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, რადგანაც ნედლეულის მწარმოებლისგან საქართველოში არ შეუძენია ეს ნედლეული, მაგრამ აქვს იმპორტის საბაჟო დეკლარაცია, რომლის წარდგენის ვალდებულებასაც სსკ-ის 194-ე მუხლის მე-6 ნაწილი არ ითვალისწინებს. საკმარისია მხოლოდ ექსპორტის საბაჟო დეკლარაციის წარდგენა და ასეთ შემთხვევაში ექსპორტიორი იბრუნებს იმპორტის დროს გადახდილ აქციზს;

გ) პირმა აქციზური ნედლეული შეიძინა საქართველოში არა მისი მწარმოებლისაგან, არამედ სხვა ნებისმიერი პირისაგან, რომელიც ახდენს მის რეალიზაციას და ასეთი ნედლეულით დამზადებული აქციზური საქონელი გაიტანა ექსპორტით. ასეთ შემთხვევაში ექსპორტიორი პირი ვერ წარადგენს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას და შესაბამისად ვერ დაიბრუნებს რეალურად გადახდილ აქციზს;

დ) პირმა საქართველოში მწარმოებლისგან შეიძინა აქციზური საქონელი და გაიტანა ექსპორტით. ამ შემთხვევაში, ექსპორტიორს, აქვს მწარმოებლისგან მიღებული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, მაგრამ ვინაიდან თვითონ ექსპორტიორი არ არის შეძენილი ნედლეულის გადამმამუშავებელი და ექსპორტირებული აქციზური საქონლის მწარმოებელი, იგი ვერ იბრუნებს გადახდილ(ანგარიშ-ფაქტურით დადასტურებულ) აქციზს;

ე) პირმა საქართველოში არამწარმოებლისგან შეიძინა აქციზური საქონელი და გაიტანა ექსპორტით. ამ შემთხვევაში, ექსპორტიორს რეალურად გადახდილი აქვს აქციზი, მაგრამ არ აქვს ანგარიშ-ფაქტურა, რადგანაც ამ საქონლის მიწოდება არ არის აქციზით დასაბეგრი ოპერაცია. შესაბამისად, ექსპორტიორი ვერ იბრუნებს ფასში „დამალულ" აქციზს;

ვ) პირმა საქართველოში იმპორტით შემოიტანა აქციზური საქონელი და სასაქონლო დეკლარაციის საფუძველზე გადაიხადა აქციზი. ეს საქონელი ამავე პირმა(ექსპორტიორმა) გაიტანა ექსპორტით. ექსპორტიორი ვერ იბრუნებს მის მიერ გადახდილ აქციზს (გარდა მსუბუქი ავტომობილების იმპორ-

ტისა, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ).

ერთადერთი შედარებით თავისუფალი რეგულაცია აქციზური საქონლის ექსპორტთან დაკავშირებით არსებობს მსუბუქი ავტომობილებთან მიმართებით. კერძოდ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 189-ე მუხლის მე-8 ნაწილის მიხედვით საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 კოდში აღნიშნული მსუბუქი ავტომობილის იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში გაფორმებიდან, თუ ავტომობილი 15 კალენდარული დღის განმავლობაში გაფორმდება ექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში და დატოვებს საქართველოს ტერიტორიას, იმპორტიორი უფლებამოსილია დადგენილი წესის შესაბამისად დაიბრუნოს ავტომობილზე გადახდილი აქციზი, მაგრამ არა უმეტეს გადახდილი აქციზის 50%-ის ოდენობისა.

მიგვაჩნია, რომ მსუბუქ ავტომობილებზეც არსებული ნორმა გარკვეული დისკრიმინაციული ხასიათის შემცველია წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით. კერძოდ, მხედველობაშია სამი ფაქტორი: პირველი, აქციზს უნდა იბრუნებდეს არა მხოლოდ იმპორტიორი, თუ ის ამავდროულად ექსპორტიორიც ხდება, არამედ ნებისმიერი ექსპორტიორი, რომელიც იმპორტიორისაგან ყიდულობს მსუბუქ ავტომობილს და დადგენილ ვადაში გააქვს საქონელი ექსპორტით, ვინაიდან რეალურად მას აქვს გადახდილი აქციზი და არა საქონლის იმპორტიორს; მეორე, 15 დღიანი ვადა არ შეესაბამება არავითარ ეკონომიკურ გათვლას და იგი არ უნდა იყოს იმ ვადაზე ნაკლები, რომელიც დადგენილია ჩვეულებრივი იმპორტის დროს მსუბუქი ავტომობილის იმპორტის საბაჟო დეკლარაციის წარდგენისათვის, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ამ საქონლის ექსპორტს; მესამე, გადახდილი აქციზი უნდა ბრუნდებოდეს სრულად, რადგანაც 50%-ით აქციზით დაბრუნება ეწინააღმდეგება ზემოაღნიშნულ საერთაშორისო შეთანხმებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სხვა აქციზური საქონლის ექსპორტი, რომელიც განსხვავებით მსუბუქი ავტომობილებისა, არ განიცდის ექსპლოატაციას, უპირობოდ უნდა იქნეს გათავისუფლებული ჩათვლის უფლებით საგადასახადო ხანდაზმულობის ვადის გათვალისწინებით. მოცემულ შემთხვევაში დასაბრუნებელი აქციზის თანხა, აქციზის განაკვეთის არაადეკვატური ხასიათიდან გამომდინარე, იოლად ადმინისტრირებადია სასაქონლო ზედნადებების საშუალებით.

აქციზის ჩათვლის რეგულაციის გათავისუფლება ზედმეტი შებოჭვისაგან, ჩვენი აზრით, დადებითად აისახება ეკონომიკის ამ სეგმენტზე, როგორც ფისკალური, ასევე მთლიანი შიგა პროდუქტის შესაბამისი მაკროეკონომიკური პარამეტრების აბსოლუტური ზრდის თვალსაზრისით.

თავი 24. სახალისო დაბეგვრა

24.1. საინტერესო გადასახადები

1. მონობისგან გათავისუფლების გადასახადი

ძველ რომში არსებობდა ე.წ თავისუფლების გადასახადი (manumission), რომლის გადახდა სავალდებულო იყო იმ შემთხვევაში, თუ ბატონი თავისუფლებას უბოძებდა საკუთარ მონას. რიგ შემთხვევაში, ბატონი ვალდებული ხდებოდა თვითონ გადაეხადა ეს გადასახადი, რადგან ის იმდენად მდიდარია, რომ ათავისუფლებს მონებს, ხოლო თუ მონა თვითონ გამოისყიდიდა თავს, მიუხედავად იმისა, რომ გახდა თავისუფალი მოქალაქე, ის ვალდებული იყო საკუთარი გათავისუფლებისათვის რომისთვის გადაეხადა დადგენილი გადასახადი.

2. გადასახადი მშვიდი ცხოვრებისათვის

991 წელს დანიელი ვიკინგებისათვის გამოსასყიდის გადასახდელად ინგლისში შემოღებული იყო სავალდებულო გადასახადი, რომელიც იძლეოდა მშვიდი ცხოვრების პირობას. ეს გადასახადი ორი საუკუნის განმავლობაში არსებობდა. გამოდის ისე, რომ დანიელებმა სხვა ქვეყნის მოქალაქეებს დაუწესეს გადასახადი. სინამდვილეში კი დიდი ხნის განმავლობაში გადახდილი თანხა დანიაში კი არ მიემართებოდა, არამედ თვით ინგლისში რჩებოდა და ქვეყნის სამხედრო გაძლიერებას ხმარდებოდა.

3. გადასახადი სიცოცხლისათვის

მეთოთხმეტე საუკუნეში ინგლისში შემოღებულ იქნა გადასახადი, რომელიც არ იყო დაკავშირებული საქმიანობასთან, შემოსავალთან ან საკუთრებასთან, არამედ უკავშირდებოდა ადამიანის სიცოცხლეს ანუ ცოცხალი, რომ ხარ ამისთვის უნდა იხადო – "სიცოცხლის" გადასახადი. ამ აბსურდული გადასახადის არსებობა ისტორიაში ჭეშმარიტად ცნობილი ამბოხებით დასრულდა.

4. საკვამლე მილზე გადასახადი

როდესაც მეშვიდმეტე საუკუნეში ინგლისის ხელისუფალმა შესაძლებელი და შეუძლებელი, რაც იყო ყველაფერზე უკვე დაადგინა გადასახადები, ხოლო ხაზინის შესავსებად კვლავ ეძებდა შემოსავლის წყაროს, მან 1660 წელს შემოიღო კერის გადასახადი, რომელსაც საკვამურის რაოდენობით ითვლიდა. მოსახლეობამ გადასახადისაგან თავის დაღწევის ხერხებს მიმართა: კერიას საკვამურები მოუშალა, რამდენიმე კერაზე ერთ საკვამლე მოლს იყენებდა ან მეზობლობაში საერთო კერის მოხმარებაზე მოილაპარაკებდა ხოლმე. გადასახადი გაუქმდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც 1684 წელს ხანძრებმა მრავალი საცხოვრებელი სახლი იმსხვერპლეს.

5. წვერის ტარების გადასახადი

ამ სახის გადასახადი 1689 წელს შემოიღო რუსეთის მეფემ პეტრე პირველმა. მან დაადგინა წვერების რამდენიმე სახეობა: გლეხების, ვაჭრების, ბოიარების და ა.შ. მაგ. გლეხს წვერის ტარება უფასოდ მხოლოდ სოფელში შეეძლო, ხოლო ქალაქში შესვლის და ქალაქიდან გამოსვლის დროს თითო კაპიკი უნდა გადაეხადა. წვეროსანი ვალდებული იყო სპეციალური, მაღალყელიანი მოუხერხებელი ზუბუნით (სამოსით) ეცლო, ხოლო თუ ის ამ წესს დაარღვევდა მას აჯარიმებდნენ და გადაუხდელობის შემთხვევაში კატორღაზე უშვებდნენ სამუშაოდ, რათა გამოემუშავებინა ჯარიმის საფასური. ამასთან, წვერის გადასახადის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი იყო სპეციალური ჟეტონი, რომელიც შესაბამის პირს ჯიბით უნდა ეტარებინა, რომ შემთხვევით ძალით არ წაეყვანათ გადასახადის გადაუხდელობისათვის. ამ ჯეტონზე იყო ორი წარწერა: „ფული გადახდილია" და „წვერი-ზედმეტი სიმძიმეა". ეს გადასახადი საკმაოდ მძიმე იყო: თავადები იხდიდნენ 60 რუბლს, პირველი კატეგორიის ვაჭრები – 100 რუბლს, რიგითი ვაჭრები – 60 რუბლს, ქალაქელები – 30 რუბლს, ხოლო გლეხები, როგორც აღვნიშნეთ, 2 კაპიკს-ერთს შესვლისას ქალაქში და მეორეს – გამოსვლისას.

6. ხელისუფალთან უთანხმოების გადასახადი

ასეთი გადასახადი 1665 წელს ოლივერ კრომველმა შემოიღო როიალისტებისთვის, რომლებიც მისი აზრით, ინგლისისთვის მუქარას წარმოადგენდნენ. ამ გადასახადებისაგან შემოსული სახსრებით ის სახალხო ლაშქარს აყალიბებდა როიალისტებისაგან ქვეყნის დასაცავად და ყველასათვის ცხადს ხდიდა, თუ რას ახმარდა ამოღებულ თანხებს. ამ გადასახადს, ზოგჯერ დისიდენტობაზე გადასახადსაც უწოდებენ.

7. მარილის გადასახადი

ამ უჩვეულო გადასახადმა მნიშვნელოვანი, მასშტაბური კვალი დატოვა ზოგიერთი ქვეყნის განვითარების სტორიაში. მაგ. ამ გადასახადმა თავის დროზე ჩინეთის იმპერია დაკნინებამდე მიიყვანა, საფრანგეთში ხელი შეუწყო რევოლუციის დაჩქარებას. ინგლისელების მიერ მარილზე 4000 პროცენტიანი გადასახადის შემოღებამ იმდენად დიდი მღელვარება გამოიწვია ინდოეთში, რომ მახათმა განდიც კი გახდა ამ გადასახადის საწინააღმდეგო დემონსტრაციების მონაწილე. ყველა ჩამოთვლილ ქვეყანაში მარილზე გადასახადმა მძლავრი საპროტესტო ძალა წარმოქმნა და ამის შედეგად ის მაინც გაუქმდა.

8. ნარკოტიკებზე გადასახადი

აშშ-ში არსებობს ინტერნალ რევენუე სერვიცე სახელწოდების (საგადასახადო ორგანო) ორგანიზაცია, რომელიც მოითხოვს, რომ ნარკოტიკებით მიღებული არალეგალური შემოსავალი უნდა აისახოს დეკლარაციაში. ძნელი დასაჯერებელია, რომ რომელიმე ნარკოდილერი ნებაყოფლობით აღიარებს დანაშაულს მხოლოდ იმის გამო, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხადოს კუთვნილი გადასახადები.

9. ნობელის პრემიის გადასახადი

ეს ალბათ ფრიად საინტერესო და თვალსაჩინო პრეცედენტია. ალბათ ბევრისათვის უცნობია, რომ მეცნიერებაში დიდი მიღწევებისა და შეტანილი წვლილისათვის ნობელის პრემიით დაჯილდოებული გამოჩენილი მოღვაწეები ვალდებული არიან პრემიიდან გადაიხადონ შესაბამისი გადასახადი, ვინაიდან ეს პრემია 1986 წლიდან მიეკუთვნება ფულადი საჩუქრის კატეგორიას და ექვემდებარება დაბეგვრას. გამონაკლისი კეთდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პრემიის ლაურეატი ქველმოქმედებისათვის შესწირავს კუთვნილ ფულად სახსრებს ან მათ გადასცემს იმ სასწავლო დაწესებულების მხარდასაჭერად, რომელსაც მიუთითებს სახელმწიფო.

10. გადასახადი უცხოელებისათვის

გადასახადი უცხოელებისათვის რიგ ქვეყნებში საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში, მეოცე საუკუნეშიც კი არსებობდა. ჩინელებისთვის ამ სახის გადასახადი მოქმედებდა, მაგ. კანადაში. ამას განმარტავდნენ იმით, რომ ამ ქვეყანაში ჩინელების დიდი რაოდენობა ჩამოდიოდა და გადასახადს მნიშვნელოვანი შემოსავალი შემოჰქონდა ბიუჯეტში. 1923 წელს გადასახადი კი გაუქმდა,მაგრამ მას

მოჰყვა ჩინელების ქვეყანაში შემოსვლის შეზღუდვა.

11. ნადირობა, როგორც გადასახადი

ფეოდალურ საქართველოში ნადირობა იყო ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთი ხალხური საშუალება და ლაშქრის წვრთნის, სამხედრო მზადყოფნისა და მასობრივი შემოწმების ფორმაც. იმდროინდელი გლეხობისათვის ლაშქარ – ნადირობა ფეოდალური ბეგარის ერთ-ერთი სავალდებულო სახეობა იყო. სამეფო კარზე არსებობდა სამონადირეო უწყება, რომელსაც მონადირეთუხუცესი, შემდეგ კი ბაზიერთუხუცესი ხელმძღვანელობდა. მას ემორჩილებოდა „ჯელგის კაცი", „მრეკალი", „მესახუნდრე", ბაზიერი, მეჯინიბეები, ტყეთა და ველთა სამეფო სანადიროთა მცველები და სხვა.

12. საპირფარეშოს გადასახადი

ფლავიუს ვესპასიანე იყოს რომის იმპერატორი, რომელმაც რომში საზოგადოებრივ საპირფარეშოებზე გადასახადი დაანესა, რის გამოც შვილმა ტუტუსმა უსაყვედურა. ვესპასიანემ კი საპირფარეშოს გადასახადებიდან აკრეფილი ფული(ოქრო) ცხვირთან მიუტანა შვილს და უთხრა: „ფულს სუნი არ უდის" (pecunia non olet). როგორც ამბობენ, ვესპასიანემ გაუნია დახმარება იბერიის მეფეს მითრიდატეს მცხეთის მახლობლად ციხე-იმაგრის აღდგენაში.

13. ფანჯრის გადასახადი

ფანჯრის ბეგარა (ინგლ. window tax) – გადასახადი, რომელიც მნიშვნელოვანი სოციალური, კულტურული და არქიტექტურული ძალა იყო ინგლისის, შოტლანდიისა და შემდგომში დიდი ბრიტანეთის სამეფოში XVII და XVIII საუკუნეებში. ამ პერიოდის სახლებს ბეგარის გამო აგურით ამოშენებული ფანჯრები აქვს. გადასახადი შემოიღეს 1696 წელს მეფე უილიამ III-ის პერიოდში და მისი დანიშნულება გადამხდელის დაბეგვრა იყო მისი შეძლების მიხედვით, ნინაალმდეგობრივი საშემოსავლო გადასახადის იდეის გარეშე. იმ პერიოდში, მრავალი ბრიტანელი საშემოსავლო გადასახადის წინაალმდეგი იყო, ვინაიდან მათი რწმენით კერძო შემოსავლების გამხელა პირად საქმეებში მთავრობისგან მიუღებელ ჩარევას ნარმოადგენდა, რაც მათი პირად თავისუფლებას საშიშროებას უქმნიდა. შედეგად, პირველი საშემოსავლო გადასახადი ბრიტანეთში გვიან XVIII საუკუნემდე არ შემოუღიათ და ეს საკითხი დიდი წინააღმდეგობის საგნად რჩებოდა XIX საუკუნემდე. ფანჯრის ბეგარა შემოღებისას ორი ნანილისგან შედგებოდა: ფიქსირებული ბეგარა 2 შილინგი ყოველ სახლზე და ცვლადი ბეგარა ფანჯრების რაოდენობაზე 10 ფანჯრის ზემოთ. საკუთრება, რომელსაც ათიდან 20 ფანჯრამდე ჰქონდა, ოთხ შილინგს იხდიდა, ხოლო 20 ფანჯარაზე მეტი კი რვა შილინგს. დასაბეგრი ფანჯრების რაოდენობა 1766 წელს შეიცვალა შვიდით, ხოლო 1825 წელს კი რვით. ფიქსირებული გადასახადი შეიცვალა ცვლადით საკუთრების ღირებულების მიხედვით 1778 წელს. ადამიანები, რომლებიც გადასახადს არ ექვემდებარებოდნენ ეკლესიისა და სიღარიბის გამო, ფანჯრის გადასახადისგან თავისუფალი იყვნენ. ფანჯრის გადასახადი საკმაოდ ადვილი შესაფასებელი იყო და რაიმე სერიოზულ ჩარევას პირად საქმეებში არ საჭიროებდა. რაც უფრო დიდი იყო სახლი, მით მეტი ფანჯარა უნდა ჰქონოდა მას, და, შესაბამისად, მფლობელიც უფრო მეტ გადასახადს გადაიხდიდა. მიუხედავად ამისა, ეს გადასახადი არაპოპულარული იყო, ვინაიდან მას ალიქვამდნენ, როგორ გადასახადს "სინათლესა და ჰაერზე". შოტლანდიაში ფანჯრის ბეგარა შემოიღო უილიამ პიტ უმცროსმა 1780-იან წლებში ედინბურგის საფინანსო უბანში. "პიტის სურათების" (ამოშენებული ფანჯრები ზედ დახატული ჯვარედინი ჩაროებით) ხილვა დღემდე შეიძლება შარლოტის მოედანზე.

14. ჯადოქრების და მკითხავების გადასახადი

რუმინეთის სენატმა უარი უთხრა კანონპროექტს, რომლის თანახმად ჯადოქრებისა და მკითხავების შემოსავლები უნდა დაბეგრილიყო. კანონპროექტი სენატში განსახილველად დემოკრატიულ ლიბერალური პარტიის ორმა წარმომადგენელმა წარადგინა და მასში სხვასთან ერთად, ჯადოქრებისა და მკითხავებისთვის მომსახურებაზე სავაჭრო ქვითრების გაფორმებაზე იყო საუბარი. ამასთან, კანონპროექტი იმ გრძნეულთა პასუხისმგებლობის საკითხსაც ითვალისწინებდა, რომელთა პროგნოზები მცდარი აღმოჩნდებოდა. კანონპროექტის ხელმოცარული ავტორების აზრით, სენატმა მათი წინადადება იმიტომ არ მიიღო, რომ პოლიტიკოსებს ჯადოქრების ნყევლის შეეშინდათ.

15. ქარის გადასახადი

მე-17 საუკუნეში ჰოლანდიაში არსებობდა ქარის გადასახადი. კერძოდ, ამ გადასახადით იბეგრებოდა ქარის ნისქვილები ქარის გამოყენების უფლებისათვის.

16. ჩაის გადასახადი და აშშ-ს წარმოშობა

აშშ-ს წარმოშობა დაკავშირებულია ჩაის გადასახადთან და ე.წ „ბოსტონურ ჩაის სმასთან". ინგლისმა, კოლონიის მცხოვრებათვის შემოიღო გადასახადი ჩაის გაყიდვიდან. თავდაპირველად ამერიკელები დიდად არ წუხდნენ ამაზე, რადგანაც ჰოლანდიიდან კონტრაბანდული ჩაი შემოჰქონდათ, მაგრამ შემდგომ ინგლისელებმა მიიღეს კანონი, რომლის მიხედვითაც „ლეგალური" ჩაი კოლონიაში

შეიძლება შეტანილი ყოფილიყო იმპორტის გადასახადების გარეშე. შედეგად ეს ჩაი უფრო იაფი აღმოჩნდა, ვიდრე კონტრაბანდული, რამაც ამერიკელი კონტრაბანდისტები შემოსავლის გარეშე დატოვა, თუმცა ინგლისელებს აძლევდა ჩაის გაყიდვიდან გარანტირებულ გადასახადს. ბოსტონელებმა მოითხოვეს, რომ გემებმა, რომლებსაც მოჰქონდათ „გადასახადებიანი ჩაი" დაბრუნებულიყვნენ უკან – ინგლისში, მაგრამ მასაჩუსეტის ბრიტანელმა გუბერნატორმა თომას ხათჩისთონმა განაცხადა, რომ გემები მანამდე დარჩებოდნენ პორტში, ვიდრე ბოსტონელები არ გადაიხდიდნენ ინგლისის ხაზინაში ამ ჩაის შესაბამის გადასახადს. შედეგად 1773 წლის 16 დეკემბერს ბოსტონის მცხოვრებლებმა, რომლებიც გადაცმულები იყვნენ ინდიელების ფორმაში, რომ ინგლისელებს არ ეცნოთ, შეიპყრეს სამი ხომალდი, რომელიც ეკუთვნოდა ინგლისურ ოსტ – ინდოეთის კომპანიას და ბორტიდან გადაყარეს ამ გემებით მოტანილი 342 ყუთი ჩაი, ხოლო თვითონ ინგლისელი გადასახადის ამკრები ჩამოახრჩვეს. ამის საპასუხოდ ბრიტანეთის ხელისუფლებამ ყველა გემისათვის ჩაკეტა ბოსტონის პორტი, რასაც მოჰყვა ჩრდილო ამერიკული კოლონიების აჯანყება ბრიტანეთის წინააღმდეგ და, რასაც თავის მხრივ მოჰყვა ახალი სახელმწიფოს – აშშ-ს შექმნა.

სხვათა შორის აშშ-ში არსებობს ჩაის პარტია, რომელიც გადასახადების შემცირებას მოითხოვს და აერთიანებს კონსერვატიული და ლიბერტარიანული შეხედულებების ხალხს, რომელსაც სჯერა, რომ შეერთებულ შტატებში სახელმწიფო ზედმეტად ბევრ ფუნქციას ასრულებს და ამით ინდივიდების თავისუფლებას ზღუდავს. თვით „ბოსტონის ჩაის სმა" – Bოსტონ თეა ჯარტყ – დან სიტყვა ჯარტყ კი ინგლისურად წეუულებასაც ნიშნავს და პარტიასაც. ამიტომ შეარჩიეს თეა ჯარტყ, ანუ ჩაის პარტია თავიანთი მოძრაობის სახელწოდებად გადასახადების თანამედროვე ამერიკელმა მოწინააღმდეგეებმა.

17. ოქროს გვირგვინის მოსაკრებელი, რომელიც გამოხატავს უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ ქვეშევრდომული ერთგულების გრძნობას

ეს გადასახადი არსებობდა რომის იმპერიაში. იგი იყო პირდაპირი გადასახადი და იხდიდა ყველა, რადგანაც ამ გრძნობის გამოხატვა ევალებოდა რომის ყველა მოქალაქეს.

18. ვირის იარლიყის მოსაკრებელი

რომის იმპერიაში არსებული გადასახადი ვირების ყოლაზე, რომელსაც ახდევინებდნენ შესაბამისი გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის – იარლიყის გაცემის დროს. ეს გადასახადი შეადგენდა წელიწადში 8 დრახმს თითოეულ ვირზე. ლათინურად ამ მოსაკრებელს ერქვა დიპლომა ონონ.

19. პროსტიტუციის გადასახადი

ძველი რომის გადასახადი. იგი იყო ლეგალიზებული სამეძავეო საქმიანობის „სალიცენზიო" გადასახადი. ასეთ ნებართვებს ერთი დღითაც კი იძლეოდნენ.

20. გადასახადი ადამიანის თავით

პაკისტანელი დამპყრობელი რანჯიტ სინგხო 21 წლის განმავლობაში გადასახადს იღებდა მოსახლეობიდან თავების სახით. იგი შეადგენდა წელიწადში ასობით მოკვეთილ თავს.

21. საჭურისის გადასახადი

სპარსეთის მეფე დარიოსი გადასახადს იღებდა საჭურისების ანუ ჰარამხანის მოსამსახურეების სახითაც.

22. მშვიდობის გადასახადი

გვინეის რესპუბლიკის მმართველმა პარტიამ შემოიღო მშვიდობის გადასახადი. მას იხდიან მოქალაქეები ყოველ უომო წელს და იგი შეადგენს 700 ბელგიურ ფრანკს.

23. თაბაშირის გადასახადი

ავსტრიაში სამთომოთხილამურეები იხდიან „თაბაშირის" გადასახადს. იგი გადაიხდება ალპების მთებიდან ყოველ დაშვებაზე და ეს თანხები გადაეცემათ ავსტრიის კლინიკებს. საშუალო გათვლებით ავსტრიის ალპებში ყოველწლიურად 150 000 მოთხილამურე იღებს სხვადასხვა ტრამვას, ხოლო მათ მკურნალობაზე მილიარდები იხარჯება.

24. თვალების გადასახადი

პეტრე I-ს ჰყავდა სპეციალური ჩინოვნიკები ე.წ „პრიბილშიკები', რომლებიც იგონებდნენ სხვადასხვა სახის გადასახადის ფორმებს, რათა შეევსოთ რუსეთის გამუდმებული ომებით შერყეული ხაზინა. მე-18 საუკუნეში ერთ-ერთი ასეთი გადასახადი შემოიღეს ბაშკირეთში – გადასახადი თვალებზე. რაც უფრო მუქი იყო თვალები მით ნაკლები იყო გადასახადი. შავი ფერის თვალებზე იყო – 2 ალტინი, ნაცრისფერზე – 7, მწვანეზე – 10, ხოლო ცისფერზე – 13. ბაშკირეთში ასეთი გადასახადის შემოღება აიხსნება „ეროვნული სინმინდის" შენარჩუნებით, რაც იმას ნიშნავს, რომ ძირძველი ბაშკირელები შავი ფერის თვალის მატარებელია, ხოლო დანარჩენი შერეული ხალხია.

25. მხატვრების გადასახადი

1957 წლიდან მექსიკაში მოქმედებს მხატვრების ნატურალური გადასახადი. კერძოდ, მხატვრებს

საშემოსავლო გადასახადს ახდევინებენ ტილოებისა და სკულპტურების სახით.

26. უცოლოების, მარტოხელებისა და უშვილოების გადასახადი

ეს გადასახადი უნიკალური იყო მსოფლიოში. იგი შემოიღო საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1946 წლის 21 ნოემბერს. იგი შემოღებულ იქნა იმისათვის, რომ ამ გადასახადებიდან მიღებული სახსრები მოხმარებოდა მრავალშვილიან დედებს. ასეთი გადასახადი იყო აგრეთვე მონგოლეთშიც. საბჭოთა კავშირში ამ გადასახადმა იარსება 90-იან წლებამდე.

27. სიმხდალის გადასახადი

ინგლისში ეს იყო რაინდების გადასახადი. ჰენრი მეორემ გადაწყვიტა, რომ ომის დროს ბევრი რაინდი არ იომებდა ან, თუ იომებდა მათგან დიდი ხერხი არ იქნებოდა. ამიტომ მან რაინდების სიმხდალე დაბეგრა უზარმაზარი გადასახადებით. გადახდილი თანხით მეფე იაფად ქირაობდა ომისათვის გამოსადეგ ხალხს, ხოლო ჯარის რაოდენობა იზრდებოდა. ამასთან, ამ გადასახადის ოდენობა მუდმივად იზრდებოდა. შემდგომში მეფე იოანმა კოდევ უფრო ასწია ეს გადასახადი და და იგი დაანესა არა მარტო ომის დროს, არამედ მშვიდობის წლებში, რის შედეგადაც ბარონების გადაწყვეტილებით მეფემ მიიღო ე.წ „თავისუფლების დიდი ქარტია", რითაც მნიშვნელოვნად შეიზღუდა მეფის ძალაუფლება.

28. პარიკის და ქუდის გადასახადი

პარიკის ტარება მე-18 საუკუნის ევროპაში, განსაკუთრებით ინგლისში ითვლებოდა მდიდრების ატრიბუტად. მხოლო ძალიან მდიდარ ადამიანს შეეძლო ეტარებინა პარიკი. თვით ყაჩაღებიც კი ფულსა და ძვირფასეულობაზე უფრო პარიკებს ეტანებოდნენ. შესაბამისად ხელიფუფლებამ გადაწყვიტა მდიდრებიდან ამოეღო სათანადო გადასახადი და შემოღებულ იქნა პარიკების გადასახადი. მაღალი გადასახადების გამო მთავრობა იძულებული გახდა გაეუქმებინა იგი, მაგრამ შემოიღეს ქუდების გადასახადი. ქუდის ტარება პოპულარული იყო და მას ღარიბებიც ყიდულობდნენ. ქუდს ყიდიდნენ მხოლოდ სპეციალური ლიცენზიის მქონე პირები. ქუდი ყიდვის დროს იბეგრებოდა და მის შიდა მხარეს სვამდნენ სპეციალურ შტამპს. ასევე იყო პარკებზეც. რაც შეეხება შტამპის გაყალბებას, იგი სიკვდილით ისჯებოდა. აღსანიშნავია, რომ პრუსიის მეფე ვილგელმ ფრიდრიხ პირველის თანხმობით ხდებოდა ე.წ. „ბლიცშემოწმებები", რაც იმაში მდგომარეობდა, რომ კონტროლიორები შეუეარდებოდნენ ხოლმე სახლში პარიკის მფლობელს, ახდიდნენ პარიკს და ამოწმებდნენ ჰქონდა, თუ არა შტამპი.

29. ძაღლების გადასახადი

მე-20 საუკუნის დასაწყისში რუსეთში არსებობდა ე.წ ძაღლების გადასახადი. გადასახადის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი იყო მეტალის ჟეტონი, რომელიც ყელზე ეკიდა ოთხფეხა მეგობარს. გადასახადის ფუნქცია ის იყო, რომ შემცირებულიყო ძაღლების და მათ შორის მაწანწალა ძაღლების რიცხვი. თუმცა ამ გადასახადმა უკურეაქცია გამოინვია. კერძოდ, მაღალი გადასახადების გამო ხალხი იძულებული იყო ძაღლები გაეშვა ქუჩაში. აღსანიშნავია, რომ გადასახადის ოდენობა წელიწადში ერთ ძაღლზე შეადგენდა 2 რუბლს, მაშინ, როდესაც 400 გრამი პური ღირდა 5 კაპიკი.

30. ბანაობის გადასახადი

ეს გადასახადი შემოიღო პეტრე პირველმა. იგი ეხებოდა არა საზოგადოებრივ აბანოებს, არამედ სახლში არსებულს. თუ არ გადაიხდიდი არ უნდა გებანავა. მაგ. პირველხარისხოვან ვაჭრებს ახდევინებდნენ 3 რუბლს, წარჩინებულებს და სხვა ვაჭრებს – 1 რუბლს, გლეხებს – 15 კაპიკს. ამის შედეგად გლეხები თვეობით დაუბანელი დადიოდნენ. გლეხებისაგან განსხვავებით სახელმწიფო ჩინოვნიკები აუცილებლად დაბანილი უნდა გამოცხადებულიყვნენ სამსახურში (ისინი 3 რუბლს იხდიდნენ). წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მოუწევდათ ჯარიმის – 5 რუბლის გადახდა თანამდებობის მიუხედავად.

31. გადასახადი ხარებით

უნგრეთში 1499 წელს შემოღებულ იქნა ნატურალური გადასახადი ხარების სახით. მას იხდიდნენ მხოლოდ უნგრელების ერთი ეთნიკური ჯგუფი – სეკეები. სეკეები სხვა ყველა გადასახადისაგან გათავისუფლებული იყვნენ, ხოლო ხარის სახით გადასახადს იხდიდნენ იშვიათ შემთხვევაში, მაგ. მეფის კორონაციის დროს.

32. ბელურების გადასახადი

მე-18 საუკუნეში გერმანიაში, ბიუტენბერგში შემოიღეს ბელურებზე გადასახადი, რაც იმას ნიშნავდა, რომ თითოეული მამაკაცი ვალდებულებას იღებდა მოეკლა 6 ფრინველი, რის სანაცვლოდ აქეთ იძლეოდნენ 6 კრაიცერს. თუ პირს არ შეეძლო გაენადგურება ბელურების აღნიშნული რაოდენობა მისგან გადასახადის იღებდნენ 12 კრაიცერის სახით ანუ თითოეულ ფრინველზე – 2 კრაიცერის სახით. ამ გადასახადისაგან თავი, რომ აერიდებინათ ხალხი ყიდულობდა მკვდარ ბელურებს არალეგალი ვაჭრისაგან, რომელიც თავის მხრივ მოიპოვებდა მას ქალაქის ნაგავსაყრელზე.

33. გადასახადი საათზე

ეს გადასახადი შემოიღეს 1797 წელს ინგლისში. საათის მესაკუთრე ყოველ წელს სახელმწიფო ხაზინაში იხდიდა 5 შილინგს. იგი გაუქმებულ იქნა 1798 წელს.

34. მტვრის გადასახადი

მე-20 საუკუნის ბოლოს ეს გადასახადი შემოიღეს სომხეთში. სომხეთის ეკონომიკის სამინისტრომ დაადგინა, რომ საცხოვრებელ ეზოებში დაგროვილი ზედმეტი მტვრის გასატანად მოსახლეობამ უნდა გადაიხადოს ეზოს 1 კვადრტულ მეტრ ფართობზე 2 დრამი. ფაქტობრივად ეს იყო არა გადასახდი, არამედ მომსახურების საფასური.

35. ჩრდილის გადასახადი

ეს გადასახადი ამოიღება ვენეციაში 1993 წლიდან. მისი დაბეგვრის ობიექტია მაღაზიების და კაფეების ტენტები და ქოლგები, საიდანაც ჩრდილი ეცემა კომუნალური საკუთრების მიწას.

36. ჰაერის გადასახადი

ჰაერის გადასახადი შემოიღეს ბიზანტიაში. იგი ამოიღებოდა შენობის მოცულობის მიხედვით ანუ რაც მეტი იყო შენობის მოცულობა მით მეტი ჰაერი თავსდებოდა მასში და შესაბამისად მეტი იყო გადასახადი. ამ გადასახადის შემოღების იდეა ის იყო, რომ ჰაერი თანაბრად ეკუთვნის ყველას, ხოლო დიდი სახლების მშენებლობა ხელს უშლის სხვას ისარგებლოს მასში განთავსებული ჰაერით.

37. სექსის გადასახადი

ბელგიაში ამ გადასახადით იბეგრება ვიტრინების მფლობელები, სადაც დგანან მეძავები „წითელი ფანრების" კვარტალში. ასევე კიოლნში იბეგრება ბორდელები, საუნები, სალონები და ყველა ის დაწესებულება, რომელიც ეწევა სექსუალურ მომსახურებას.

38. კბილების გადასახადი

ეს გადასახადი შემოიღეს ოსმალეთის იმპერიაში. ჩინოვნიკების აზრით ადგილობრივი მოსახლეობა მათ კვებავდა უხარისხო პროდუქტებით, რომელიც აზიანებდა მათ კბილებს და აჩენდა კარიესს. ამის გამო მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მოსახლეობას გადაეხადა ყოველთვიური გადასახადი სახელმწიფო ჩინოვნიკების კბილების მკურნალობისათვის.

39. ხელჯოხის გადასახადი

საათზე გადასახადების გაუქმების შემდეგ, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ინგლისში შემოიღეს გადასახადები ხელჯოხებზე. ხელჯოხები ინგლისელთა საყვარელი საგანი იყო. ამ გადასახადის იდეა ის იყო, რომ ხელჯოხი აზიანებდა გზის საფარს.

40. საჩაე გადასახადი

მართალია ეს „გადასახადი" არ არის თავისი არსით გადასახადი, მაგრამ საინტერესოა მისი გადახდის შინაარსი რამდენადაც ეს თანხები რეალურად დაბეგვრის მიღმა რჩება. მას უხდიან მომსახურებისათვის, კერძოდ, რესტორნებში, სასტუმროებში, სილამაზის სალონებში და ა.შ.

კლიენტის მიერ ასეთი თანხის მომსახურე პერსონალისათვის ჩუქება ზოგიერთ ქვეყანაში ტრადიციაა, ხოლო ზოგიერთში – აკრძალული და ცუდი ტონი. ზოგიერთ ქვეყანაში „საჩაე თანხა" მომსახურე პერსონალმა მთლიანად უნდა გადასცეს მის ადმინისტრაციას.

ინგლისურად „საჩაე ფული" არის – ტიპ. ქართულად მას წვრილმანი გასამრჯელო ეწოდება. ამ სიტყვას ინგლისურში წარმოშობის ორვარიანტული მიდგომა გააჩნია: პირველი ვერსიის მიხედვით მე-18 საუკუნის 30-იან წლებში ინგლისში ჩაის სმა პოპულარული იყო და იგი ნაღები სზოგადოების პრეროგატივას წარმოადგენდა, ვინაიდან იგი ძალიან ძვირი იყო-ერთი ფუნტი ღირდა 100 დოლარი. ჩაის სმა მომდნარეობა ე.წ „ჩაის ბაღებში", სადაც მაგიდებზე იდო პატარა ხის ყუთები წარწერით – " ტიპ"(ტო ინსურე პრომპტ) (სწრაფი მომსახურების უზრუნველყოფა). შესაბამისად ჩაის სასმელად მოსული კლიენტები ხურდა ფულს ყრიდნენ ამ ყუთში. მეორე ვერსიით, ეს ტერმინი არ არის დაკავშირებული ზემოაღნიშნულ ჩაის სმის ცერემონიასთან და ოქსფორდის ლექსიკონის მიხედვით მისი ეტიმოლოგია წარმოდგება სლენგიდან – "ტო ტიპ", რაც ერთი ადამიანიდან მეორესათვის რაღაცის გადაცემას ნიშნავს.

ზოგიერთ ქვეყანაში ამ თანხების ქვეშ იგულისხმება ჩვენი გაგებით „ქრთამი". მაგ. მექსიკაში საგზაო პოლიციის ოფიცერს შეუძლია საგზაო მოძრაობის წესების დამრღვევს მოსთხოვოს გამაგრილებელი სასმელის ყიდვა, ხოლო ნიგერიაში – გარკვეული თანხა უქმე დღეებისთვის.

თუ მაგალითად, აშშ-ი „საჩაე თანხის" გადახდა აუცილებელია, საფრანგეთში, ისლანდიაში, შვეციაში, იაპონიაში და ავსტრალიაში მიუღებელია. აღსანიშნავია, რომ განსხვავებულია ამ თანხის ოდენობები სხვადასხვა ქვეყნებში. მაგ. აშშ-ი იგი საშუალოდ შეადგენს მომსახურების 15%-ს, ხოლო ისრაელში – 10 %-ს.

41. ჰიტლერი, ალ კაპონე და გადასახადები

როგორც ვარაუდობენ, ადოლფ ჰიტლერი 1925 წლიდან 1933 წლამდე რეგულარულად თავს არიდებდა გადასახადების გადახდას. ამ პერიოდში მისმა გადასახდელმა გადასახადებმა სახელწიფოს მიმართ შეადგინა 405000 რიკმარკი, რაც დღევანდელი კურსით 8 მილიონი დოლარის ეკვივალენტს შეადგენს. მისი ცნობილი წიგნის რეალიზაციიდან მან 1.232 მილიონი რიკსმარკი მიიღო, საიდანაც გადასახადების სახით დამალა 600000. ამ შემთხვევაში არ გამართლდა ფრანკლინის ცნობილი გამოთქმა „სიკვდილი და გადასახადები გარდუვალია", რადგანაც ჰიტლერი კანცლერი გახდა და გადასახადები „ჩამოაწერეს".

რაც შეეხება მე-20 საუკუნის ცნობილ ამერიკელ განგსტერს – ალ კაპონეს, მან ასობით ადამიანი მოკლა ბიზნეს-გარჩევებში, მაგრამ მისი ფაქტზე დაკავება ან მასზე სამხილების მოძიება ვერ მოხერხდა და რაოდენ კომიკურადაც არ უნდა ჩანდეს – იგი გადასახადების გადაუხდელობისათვის დაიჭირეს ჩიკაგოში.

42. პირველი გადასახადები

გადასახადების წარმოშობა დოკუმენტურად დასტურდება 2500 წლის წინ. ეგვიპტეში გადასახადის ამკრებები იყვნენ ე.წ „გადამწერები". მათ საფლავში აყოლებდნენ ფარაონებს, რათა იმქვეყნად დახმარებოდნენ ფარაონებს გადასახადების აკრებასა და სახელმწიფო ხაზინის შევსებაში.

43. გზები და გადასახადები

რომის იმპერიაში, რომაელებმა 80 000 კმ გზა დააგეს იმისათვის, რომ გაადვილებოდათ გადასახადების აკრება და სწორედ მაღალი საგადასახდო ტვირთი გახდა რომის იმპერიის დაღუპვის მიზეზი. ამაზეა ნათქვამი ძველი შეგონება: „რაც იბეგრება გადასახადით, ის კლავს".

44. ციცერონი და გადასახადები

ძველ რომში ათეულობით გადასახადი არსებობდა. ამაზე ციცერონმა მოხდენილად თქვა: „მხოლოდ აზრებია უფასო".

45. არაბი მეკობრე და ტარიფი

სიტყვა ტარიფი გადასახადს მიესადაგება. ამ სიტყვის წარმოშობის ორი ვერსია არსებობს: პირველი, ჩ. წ. ა მე-2 საუკუნის რომის იმპერიაში ქვაზე ანუ ტარიფზე ამოკვეთილი იყო ქალაქ – ოაზისის მთელი საგადასახადო სისტემა და მეორე, მე-7 საუკუნეში სამხრეთ ესპანეთის კუნძული დაიპყრეს არაბებმა, რომლებიც გადასახადს იღებდნენ გიბრალტარის სრუტეში გამავალი გემებიდან. არაბების მეთაურს ერქვა ტარიფ ბენ მალიკი და კუნძულსაც მისი სახელი დაერქვა.

46. ბიბლიური ზაქე და გადასახადები

იესო ქრისტე იერიქონში იმყოფებოდა, სადაც ქალაქში შესვლისას მან ბრმა მათხოვარი განკურნა. იერიქონშიც უფალი ცათა სასუფეველს ქადაგებდა. და აი, სწორედ ამ დროს, როცა იგი ქალაქს გადიოდა, გზად ერთი კაცი შეხვდა, სახელად ზაქე, „მთავარი მეზვერეთაი". მეზვერეები ყველა სახის გადასახადის ამკრებნი იყვნენ; პუნქტებს, სადაც გადასახადის აკრეფისათვის საჭირო შენობა იდგა, საზვერე ეწოდებოდა (მათე 9,9). მაგრამ ესენი მთავრობის მიერ დადგინებული და სახელმწიფო სამსახურში ჩამდგარი ადამიანები კი არ იყვნენ, არამედ კერძო პირები, რომელთაც სახელმწიფოსაგან შესყიდული ჰქონდათ უფლება გასაზღურული გადასახადების აკრეფისა, ანდა ამგვარი პირების რწმუნებულნი იყვნენ. სხვაგვარად, თანამედროვე ტერმინოლოგიით, მეზვერეებს იჯარით ჰქონდათ აღებული სახელმწიფოსაგან გადასახადების აკრების უფლება. მათ ჰყავდათ მთავარნიც, როგორიც იყო ზაქე (ლუკა 19,2), იყვნენ სხვა მრავალი მეზვერენიც – „კრებული დიდი მეზვერეთაი" (ლუკა 5,29). ადამიანთა ეს ფენა წარმოიქმნა იმის შედეგად, რომ რომის იმპერიის მთავრობამ, ხალხის მასებთან შეჯახების თავიდან ასაცილებლად და სახელმწიფო ხარჯების შესამცირებლად, დაპყრობილ ქვეყნებში შემოიღო გადასახადების აკრების იჯარით გაცემის (გაყიდვის) სისტემა, რომლის თანახმადაც მდიდარი, გერგილიანი ადამიანები ხელმისაწვდომ საფასურად იძენდნენ ამ უფლებას და თვითონვე ახორციელებდნენ როგორც სულადობრივი გადასახადების, ასევე საგზაო და სხვა სახის ბაჟების მოკრებას. სახელმწიფო მეზვერეებს უწესებდა ნიხრებს, რაც ჩანს იოანე ნათლისმცემლის სიტყვებიდან მასთან სინანულისათვის მისული მეზვერეებისადმი: „ნურარას უფროის განწესებულისა თქვენისა იქმთ" (ლუკა 3,12). მაგრამ ცხადია, რომ რაკი ასეთი საპასუხისმგებლო და სადავიდარაბო საქმისათვის მოეკიდათ ხელი, მეზვერეები ყოველთვის მკაცრად როდი იცავდნენ დაწესებულ კანონებს და მათ შორისაც იყვნენ სამართლიანი და უსამართლონი, ხალხის შემავიწროებელნი, მჩაგვრელნი, რომელნიც ზოგჯერ დაწესებულზე ორჯერ მეტს სძალავდნენ ხალხს. ამისათვის ხალხს ძალზე არ უყვარდა გადასახადების ამკრეფნი და თვით სახელწოდებაც – მეზვერე – უსჯულოების მომძქმედს, ცოდვილის სინონიმადაც კი იქცა. ამიტომ დრტვინავდნენ და მრისხანებდნენ ებრაელები, როცა ქრისტე მეზვერეებთან მიდიოდა სტუმრად და რჩებოდა კიდეც მათ სახლებში (მათე 9,11; ლუკა 19,7). ამავე მიზეზით უფლისადმი მტრულად განწყობილნი ფარისეველნი და მწიგნობარნი, რაკი

სურდათ მისი ავტორიტეტი დაემცროთ ხალხის თვალში, ჩააგონებდნენ მას, რომ იესო მეზვერეთა და ცოდვილთა მეგობარია (მათე 11,19). მაგრამ მეზვერეთა შორისაც ზოგჯერ გვხვდებოდნენ შესანიშნავი, პატიოსანი და ღვთისმოშიში ადამიანები. ასეთნი იყვნენ, მაგალითად, მეზვერე ზაქე, რომელიც უფალმა განამართლა და აბრაჰამის ჭეშმარიტ ძედ აღიარა, და მეზვერე ლევი, არჩეული ქრისტეს 12 მოციქულთა შორის და წოდებული მახარებელ მათედ. როგორც მეზვერე, ზაქე, რა თქმა უნდა, არ გამოირჩეოდა სხვა მეზვერეთაგან არც გულჩვილობით, არც დამთმობობით ღარიბ – გლახაკთადმი და შეჭირვებულთადმი, არც სამართლიანობითა და პატიოსნებით თავის, როგორც მეზვერის, მოთხოვნებში. პირიქით, თვით მის უფროსობაში მეზვერეებისა ისიც უნდა დავინახოთ, რომ რაკი ის ამ ადგილს ინარჩუნებდა, ესე იგი, ყოველთვის გულმოდგინედ აჰკრეფდა გადასახადებს და სხვებსაც აღემატებოდა ამ საქმეში გამოძალვისა და შეუწყნარებლობის განსაკუთრებული ხელოვნებით, ამიტომაც არავისი ვალი არ ჰქონდა და დიდი ქონების პატრონი იყო – „და ესე იყო მდიდარ ფრიად“. სიმდიდრე აცდუნებდა მას და საბოლოოდ დაღუპვით ემუქრებოდა, რამეთუ მახარებელიც ტყუილუბრალოდ როდი ამბობს ზაქეზე თხრობისას, იგი იყო მთავარი მეზვერეთა და მდიდარი ფრიად. (გრიგოლ დიაჩენკო „საკვირაო სახარებათა განმარტება' თბ. 2001 წ).

47. ძველი რომაელების მიერ საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილების პერიოდები

საინტერესოა ძველი რომაელების მიერ დაბეგვრის კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების სიხშირე თანამედროვე დაბეგვრის სისტემის ცვლილებებთან შედარებით. კერძოდ, ასეთ პერიოდად რომაელები იყენებდნენ სიტყვა „ინდიქტიონს“. ისინი ამ სიტყვით 15 წლიან პერიოდს აღნიშნავდნენ, რომლის გასვლის შემდგომაც იმპერატორები გადასახადების შესახებ ახალ განკარგულებებს გამოსცემდნენ.

48. სიმსუქნის გადასახადი

2010 წელს გერმანიის ბუნდესტაგის დეპუტატმა მარკო ვანდერვიცმა წამოაყენა ინიციატივა მსუქანი ადამიანების დამატებით დაბეგვრის შესახებ. მისი აზრით, ასეთი პირები ცხოვრების არაჯანსაღ წესს შეგნებულად მისდევენ, რაც საბოლოო ჯამში საზოგადოების ზიანს აყენებს.

50.ყურების გადასახადი

80 წლის წინ ტიბეტის ხაზინა ისე დაცარიელდა, რომ სახსრების უკმარისობის გამო მიღებულ იქნა არმიის დაშლის გადაწყვეტილება. ამ სიტუაციიდან გამოსავალი იპოვა დალაი-ლამამ. 1926 წლის 4 ივნისს მან შემოიღო გადასახადი, რომელიც უნდა გადაეხადა ყველა მოქალაქეს, რომელსაც ჰქონდა ყურები. ის ვისაც ერთი ყური ჰქონდა ნახევარ გადასახადს იხდიდა.

51. მუცლის ცეკვის გადასახადი

ეგვიპტეში ყოველი ოფიციალურად დარეგისტრირებული მუცლით მოცეკვავე ვალდებულია გადაიხადოს გადასახადი. მუცლის ცეკვით მიღებული ყოველწლიური საბიუჯეტო შემოსავლები შეადგენს 264 მილიონ დოლარს.

52. გადასახადი თავისუფალი ურთიერთობისთვის

1996 წლიდან ჩინეთის ქალაქ ტიანცზინში ყველა წყვილი, რომელიც ერთად ცხოვრობს, მაგრამ ოფიციალურ ქორწინებაში არ არის, ყოველწლიურად იხდის გადასახადს 120 დოლარის (1000 იუანი) ოდენობით.

53. ტურიზმის გადასახადი

ბალეარის კუნძულებზე ყოფნის ყოველი დღისათვის დამსვენებელი იხდის 1 ევროს. ამ გადასახადს მზის გადასახადსაც უწოდებენ.

54. ტელევიზორის გადასახადი

ისრაელში დაწესებულია გადასახადი ტელევიზორზე. ბინაში ვისაც აქვს ტელევიზორი ვალდებულია გადაუხადოს ტელემაუწყებლობის სამმართველოს ყოველწლიურად 250 დოლარი. მისგან თავისუფლდება მხოლოდ პენსიონერი და მარტოხელა დედა.

55. გადასახადი ქრთამზე

2004 წელს ესტონეთში შემოიღეს გადასახადი ქრთამზე. მას იხდიან, როგორც ქრთამის ამღები, ასევე ქრთამის მიმცემები. ქრთამის გადასახადის გააკეეთი შეადგენს წლიურად 35 პროცენტს.

56. კიბის საფეხურების გადასახადი

იტალიაში, თუ კიბის საფეხურები გამოდის საზოგადოებრივ ქუჩაზე, მაშინ მასზე არსებობს გადასახადი, რომელსაც სახლის მეპატრონე იხდის.

57. დროშის გადასახადი

იტალიაში, თუ პირი გამოფენს იტალიის დროშას, მან უნდა გადაიხადოს გადასახადი.

58. გადასახადის გადასახადი

იტალიაში არსებობს ეკოლოგიის გადასახადი, რომელსაც თავის მხრივ ერიცხება დამატებული

ღირებულების გადასახადი(დღგ).

59. ფრენის გადასახადი

გერმანიის ავიაკომპანიები იხდიან თითოეული ტურისტის გაფრენის გადასახადს გაფრენის მანძილის მიხედვით. მაგ. თუ პირი გერმანიიდან გაფრინდება არაუმეტეს 2,5 ათას კილომეტრ მანძილზე, მაშინ ავიაკომპანია უკავებს ამ პირს გადასახადს 25 ევროს ოდენობით, ხოლო 2,5 ათას კილომეტრზე ზევით – 45 ევროს.

60. ქორწინების გადასახადი

აშშ-ში მასაჩუსეტის შტატში შემოღებულ იქნა ქორწინების გადასახადი, რომელიც მიემართება ადგილობრივ ბიუჯეტში.

61. ტატუირების და პირსინგის გადასახადი

არკანზასის შტატში 2005 წელს შემოიღეს ყოველ ახალ ტატუირებაზე და პირსინგზე გადასახადი, რომელიც შეადგენს ღირებულების 6 პროცენტს.

62. ფუნთუშის გადასახადი

2010 წლიდან ნიუ – იორკში, თუ ფუნთუშას შეიძენ საფუნთუშეში და იქვე შეჭამ, მაშინ გადაიხდევინება შესაბამისი გადასახადი, ხოლო, თუ ამ ფუნთუშას იქვე არ მიირთმევ, მაშინ გადასახადისაგან თავისუფლდები.

63. სიმთვრალის გადასახადი

რუმინეთის ქალაქ რომანში შემოიღეს სიმთვრალის გადასახადი. მას იხდიან ის პირები ვინც დიდი დღესასწაულების დროს ცოტათი გადააჭარბეს და მოხვდნენ საავადმყოფოში. ეს გადასახადი შეადგენს საშუალო დღიურ ხელფასს.

64. სულის გადასახადი

1718 წელს პეტრე პირველმა შემოიღო ე.წ „სულის გადასახადი“. თუ ადამიანს ღმერთი არ სწამდა მაშინ მას უნდა გადაეხადა ეს გადასახადი „სხვაგვარი აზროვნებისათვის“.

65. გადასახადი თეთრეულია გარეცხვასა და წყლის საზიდ ულელზე

მე-20 საუკუნის დასაწყისში ალტაის მხარეში შემოიღეს გადასახადი გუბურაში თეთრეულის ამოვლება-რეცხვასა და წყლის უღლით ზიდვაზე. პირველ შემთხვევაში გადაიხდებოდა 20 კაპიკი, ხოლო მეორე შემთხვევაში – 2 კაპიკი.

66. გადასახადი გაუხსნელ დანაშაულზე

შუასაუკუნეების გერმანიაში არსებობდა გადასახადი მკვლელობაზე. მას იხდიდა არა მკვლელი, არამედ თემის უფროსი. გადასახადის თანხას განაპირობებდა მკვლელობათა რიცხვი, რომელიც ჩადენილი იყო მოცემულ თემში და, რომელიც არ იყო გახსნილი ნახევარი წლის განმავლობაში.

67. თანამდებობაზე დანიშვნის გადასახადი

მე-18 საუკუნეში კუნძული იავა იყო ჰოლანდიის კოლონია. მეტროპოლიამ შემოიღო გადასახადი თანამდებობაზე დანიშვნისათვის. თანამდებობაზე დანიშვნის დროს პირს უნდა გადაეხდა გარკვეული თანხა სახელმწიფოსათვის. მაგ. წერილი ვაჭარი თვეში 40 გულდენიან თანამდებობაზე იხდიდა 3500 გულდენის ოდენობით. ჯამში, სხვადასხვა მაქინაციებით, ეს ვაჭარი წელიწადში აკეთებდა 40 000 გულდენს. ასევე იხდიდა შესაბამის თანხას კუნძულის გენერალ – გუბერნატორი, რომლის ოფიციალური ხელფასი შეადგენდა 700 გულდენს, ხოლო არაოფიციალური შემოსავალი – 10 მილიონს.

68. გადასახადი სისხლით

მე-14 საუკუნის მეორე ნახევარში ოსმალეთის იმპერიაში შეიქმნა იანიჩარების ახალი ჯარის ნაწილი. ეს ჯარი შედგებოდა თურქების მიერ დაპყრობილი ხალხის შვილებისაგან, როგორც გადასახადის სახით მუსლიმანებისათვის გადაცემული ყმაწვილები. მცირეწლოვნობიდან ამ ბავშვებმა არ იცოდნენ ვინ იყვნენ მათი მშობლები. ამასთან, მათ არ შეეძლოთ ქორწინება და ისინი მთლიანად ყაზარმული ცხოვრებით ცხოვრობდნენ და მხოლოდ სულთან ემსახურებოდნენ.

69. უქმი კაპიტალის გადასახადი

პეტრე პირველმა შემოიღო ეს გადასახადი. კერძოდ, თუ კაპიტალი იყო უქმად ანუ არ მონაწილეობდა შემოსავლის ზრდაში, მაშინ იგი ექვემდებარებოდა ამოღებას სახელმწიფოს მიერ. ამოღება ხდებოდა შემდეგნაირად: ვინც შეატყობინებდა მთავრობას სხვისი დამალული კაპიტალის (ფულის) შესახებ, დამსმენს ეკუთვნოდა ამ ფულიდან მესამედი, ხოლო დანარჩენი სახელმწიფოს.

70. ველოსიპედის გადასახადი

ეს გადასახადი შემოიღეს 1910 წელს ქალაქ სიმბირსკში. იგი შეადგენდა 50 კაპიკს ქალაქის ქუჩებში სიარულისთვის.

71. გადასახადი მონადირე ქორზე

ინგლისში მე-19 საუკუნის დასაწყისში შემოიღეს მონადირე ქორზე გადასახადი.

72. გადასახადი სილიკონის მკერდზე

არნოლდ შვარცნეგერის კალიფორნიის შტატის გუბერნატორად არჩევის დროს საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობდა ამერიკელი პორნოვარსკვლავი მერი ქერი, რომელმაც მოითხოვა სილიკონის მკერდის გადასახადის შემოღება შტატის ბიუჯეტის შესავსებად.

73. მწეველთა გადასახადი

რამდენიმე წლის წინ უნგრეთში არსებობდა მწეველებზე გადასახადი, რომელიც მიდიოდა მეხანძრეების ხელფასებზე.

74. გადასახადი ძროხების გამოყოფილ სიმყრალეზე და მეთანზე

ახალი ზელანდია მეცხოველეობის ქვეყანაა. 2003 წელს მთავრობამ გადაწყვიტა დაებეგრა ფერმერები ამ გადასახადით იმ საბაბით, რომ ძროხები ქმნიან „სათბურის ეფექტს" გამოყოფენ რა სიმყრალეს და გაზებს. ამიტომ საჭიროა ამ სფეროში მეცნიერული კვლევის დაფინანსება, რომლის წყარო იქნებოდა სწორედ ამოღებული გადასახადები. ამ სფეროდან ივარაუდებოდა 6 მილიონი დოლარის ამოღება. ამან გამოიწვია ათასობით ფერმერის საპროტესტო დემონსტრაცია ახალი ზელანდიის პარლამენტის წინ. ამასთან, ფერმერებს დემონსტრაციაზე თან ახლდა ძროხები და ძაღლები, ხოლო ერთ-ერთ ძროხას კისერზე ეკიდა წარწერა: „უდანაშაულო ვარ". ამასთან, აღსანიშნავია, რომ ახალი ზელანდიის კლიმატის ცვლილების მინისტრმა პიტ ხოჯსონმა განაცხადა, რომ თუ ფერმერები არ მოიფიქრებენ სამეცნიერო კვლევების დაფინანსების პროგრამას, მაშინ ეს გადასახადი აუცილებლად შემოღებულ იქნება.

75. „მეფის ფეხსაცმლის" გადასახადი

შუასაუკუნეებში ესპანეთში ეს გადასახადი ამოიღებოდა ხალხიდან, იმ შემთხვევაში, თუ მეფედ ტახტზე ავიდოდა უცოლო პირი. გადასახადის თანხები მიემართებოდა მეფის მომავალი ქორწილისთვის.

76. გადასახადი კვების დროს გამოყენებულ ჩხირებზე

ჩინეთში განაცხადეს ამ გადასახადის შემოღების შესახებ ხე – ტყის დაცვის მოტივით. იგი გადაიხდება 5%-ის ოდენობით ერთჯერად ხის ჩხირებზე. ყოველწლიურად ჩინეთში 15 მილიარდი ხის ჩხირი მოიხმარება, რაც მოითხოვს დაახლოებით 2 მლნ კუბური მეტრი ხის მასალას.

77. ხმაურის გადასახადი

ეს გადასახადი არსებობს 1980 წლიდან ჟენევაში და ციურიხში აეროპორტებიდან გაფრენილ თითოეულ თვითმფრინავზე.

78. სტიქიური უბედურების გადასახადი

ჰაიტის დიქტატორმა ჟან-კლოდ დიუვალემ ეს გადასახადი დააწესა წელიწადში ორჯერ გაზაფხულისა და შემოდგომის წყალდიდობების აღმოსაფხვრელად. ეს გადასახადი ეხება, როგორც ჰაიტის მოქალაქეს, ასევე უცხოელებს, რომლებიც აქ ცხოვრობენ.

79. გადასახადი რუსული ენის გამოყენებაზე

რუსეთში ესტონეთის ყოფილი ელჩი წინადადებით გამოვიდა ესტონეთში ამ გადასახადის შემოღებაზე. მისი აზრით ეს ხელს შეუწყობდა ესტონური ენის დაცვას. გადასახადი უნდა შემოღებულიყო რუსულენოვან ტელევიზიებზე ჩვენების დროის მიხედვით, ხოლო პრესაზე სიტყვების რაოდენობის ან მაგ. გაზეთის ფართობის მიხედვით.

80. ძაღლების გადასახადის ამოღების მეთოდები

ცნობილია, რომ ევროპის ქვეყნებში არსებობდა გადასახადი ძაღლებზე. მეპატრონეები ხშირად უმალავდნენ საგადასახადო ინსპექტორებს დაბეგვრის ობიექტს სახლებში. ამასთან დაკავშირებით, სტოკჰოლმის საგადასახადო ორგანოს ერთ-ერთ ქალბატონმა თანამშრომელმა იმისათვის, რათა აღმოეჩინა ძაღლები, მიმართა მეტად ორიგინალურ მეთოდს. მან შეისწავლა ძაღლების ყეფის 30 სახესხვაობა. მოქალაქეების კარებთან „ყეფის" დროს მას იქითა მხრიდან ეხმაურებოდნენ დაბეგვრის ობიექტები.

81. ტიბეტის რეკორდული გადასახადები

დალაი-ლამას გადასახადებზე ვისაუბრეთ, მაგრამ საოცარია ამ გადასახადების სახეები და მათი რიცხვი. მე-19 – მე-20 საუკუნეების მიჯნაზე ტიბეტში არსებობდა 1892 სახის გადასახადი, რომელიც ამოიღებოდა სახელმწიფოს სასარგებლოდ.

82. ღვინის ძმრის გადასახადი

მე-9 საუკუნის დასაწყისში გერმანიაში შემოღებულ იქნა ეს გადასახადი იმ მიზნით, რომ დაეზოგათ ღვინო. ეს გადასახადი, როგორც რელიქვია, ახლაც არსებობს გერმანიაში, რომლიდანაც ბიუჯეტში, რამდენიმე მილიონი ევრო შედის.

83. გადასახადი ქვაბებით და ცულებით

სპარსეთის მეფე ნადირ – შაჰი გადასახადებს იღებდა თურქებიდან ქვაბების და ცულების სახით. იგი მას იყენებდა ზარბაზნების ჩამოსახმელად.

84. გადასახადი ჩვრებით

ჩვრების სახით იღებდა გადასახადს პეტრე პირველი მოსკოვის გარეუბნის გლეხებისაგან.

85. გადასახადი ტილებით

ტილების სახით იღებდნენ გადასახადს მე-16 საუკუნის დასაწყისში გადასახადის ამკრებნი ამერიკის ტერიტორიაზე ინკების სახელმწიფოში. ამ გადასახადს იღებდნენ განსაკუთრებით ღატაკი მოსახლეებიდან.

86. შენილბული ქრთამის გადასახადი

ჩინეთში ყველა კანონმორჩილი მოქალაქე ვალდებულია შეატყობინოს საგადასახადო ორგანოს თავისი მეზობლის ძვირფასი შენაძენის ან იმის შესახებ, რომ ეს მეზობელი მინვეულია ბანკეტზე. ეს განიხილება შენილბულ ქრთამად.

87. კონიაკი და გადასახადები

1641 წელს საფრანგეთში მნიშვნელოვნად გაიზარდა თეთრ ღვინოზე გადასახადის განაკვეთი. ეს ღვინოები ექსპორტირდებოდა ინგლისში, შვედეთში და სხვა ქვეყნებში. ფრანგმა მეღვინეებმა, გადასახადებისაგან თავის არიდების მიზნით, მოიფიქრეს, რომ ღვინო გამოეხადათ „კონცენტრატის" სახით, ხოლო საზღვარგარეთ გატანის შემდეგ შეერიათ მასში წყალი ისევ თავდაპირველი ღვინის აღდგენის მიზნით. შესაბამისად მუხის კასრებში ამ „კონცენტრატის" შენახვის შედეგად წარმოიშობოდა კონიაკი, რომელსაც შემდეგ აზავებდნენ წყალში ღვინის მიღების მიზნით. ასე წარმოიშვა კონიაკი და ლიქიორი.

88. დობერმანის ჯიშის ძაღლი და გადასახადები

მე-19 საუკუნეში გერმანიაში ცხოვრობდა ერთი საგადასახადო ინსპექტორი. იგი აკრებილ გადასახადებს სახლშიც ხშირად ინახავდა და ამიტომ გარკვეული შიშის გამო, რომ არ დაეყაჩაღებინათ, გადაწყვიტა მცველი ძაღლის ჯიშის გამოყვანა. მან შეაჯვარა ერთმანეთს პინჩერი, დოგი და როტვეილერი. ამ კაცს (გადასახადის ამკრებს) ერქვა ფრიდრიხ ლუის დობერმანი.

89. გადასახადი ებრაელობისათვის

ძველ რომში ებრაელებს და იუდაიზმის მიმდევარ ხალხს ახდევინებდნენ გადასახადს, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი იყვნენ ებრაელები ან იუდეისტური ცხოვრების წესს ეწეოდნენ.

90. გადასახადი მოსამსახურეების ყოლაზე

შუა საუკუნეების ჰოლანდიაში მდიდარი ხალხი, რომლებსაც ჰყავდათ მოსამსახურეები იხდიდნენ გადასახადებს მოსამსახურეების რაოდენობის მიხედვით. მაგ. ერთ მოსამსახურეზე გადასახდელი იყო 5 ფლორინტი და 16 სუ, ორზე – 10 ფლორინტი და 6 სუ, სამზე – 11 ფლორინტი და 12 სუ, ოთხზე – 12 ფლორინტი და 18 სუ და ა.შ.

91. ყველაზე დიდი გადასახადი

მსოფლიო დაბეგვრის ისტორიაში გადასახადის ყველაზე დიდი განაკვეთი შემოღებულ იქნა ინგლისის მიერ თავის კოლონიაში – ინდოეთში. ეს იყო ადგილობრივ ვაჭრებზე მარილის გადასახადი, რომლის განაკვეთი შეადგენდა ფასის 4000%-ს.

92. მოწოდება გადასახადისაგან თავის არიდების შესახებ

1922 წლის რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსი შეიცავდა ასეთ ნორმას: საგადასახადო დანაშაულის პროპაგანდა და აგიტაცია ან ისეთი ლიტერატურის შენახვა, დამზადება და გავრცელება, რომელიც შეიცავდა გადასახადებისაგან თავის არიდების მოწოდებას, ითვლებოდა სისხლის სამართლის დანაშაულად.

93. გადასახადის გადამხდელების კლასიფიკაცია ჩინურად

მე-2 – 3 საუკუნეებში ჩინეთში გადასახადის გადამხდელების 5 კატეგორია იყო:

ა) ახალდაბადებულები ანუ ძუძუმწოვრები;

ბ) 4 და 16 წლამდე – მცირეწლოვნები;

გ) 16 – დან 21 წლამდე – საშუალო ასაკის;

დ) 21 – დან 60 წლამდე – გამწევები ანუ მთავარი გადამხდელები

ე) 60 წლის ზემოთ – ბებრები.

ბუნებრივია ეს კლასიფიკაცია შემოღებული იყო სხვადასხვანაირად დაბეგვრისათვის. ამასთან, ასაკობრივი დაყოფა სხვადასხვა დროს მკვეთრად იცვლებოდა.

94. საგადასახადო პერიოდი ძველრომაულად

ძველ გალილეაში რომის ნაცვალმა (წარმომადგენელმა) წელიწადი დაყო 14 თვედ, იმისათვის, რომ მალ – მალე აეღო გადასახადები.

95. საგადასახადო იურისდიქციის საინტერესო ცვლილება

1848 – 1858 წლებში ნიუ – მექსიკოს შტატის ქალაქი მესილა კვირაში 5 – ჯერ, ხან აშშ-ს და ხან მექსიკის დაბეგვრის იურისდიქციაში ჰყვებოდა. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ მდინარე რიო – გრანდე, რომელიც ითვლებოდა ბუნებრივ საზღვრად აშშ-სა და მექსიკას შორის კვირაში 5 – ჯერ იცვლიდა კალაპოტს და მიმართულებას. ამის შედეგად, ამ ქალაქში მცხოვრებლები ხან აშშ-ს უხდიდნენ გადასახადებს და ხან მექსიკას.

96. გადასახადის გადამხდელების ყველაზე ძველი არქივი

შვეიცის სამეფოში გადასახადის გადამხდელების აღრიცხვა ხდებოდა მე-16 საუკუნიდან ანუ ვიკინგების დროიდან. ამასთან, რაც ყველაზე საინტერესოა იმ დროიდან დღემდე შემონახულია ყველა მონაცემი ყველა გადასახადის გადამხდელზე.

97. გადასახადი ბარბექიუზე ანუ მწვადზე

ეს გადასახადი შემოიღეს 2007 წელს ბელგიის ერთ-ერთ ფრანგულენოვან რეგიონში (ვალონიაში), სადაც ცხოვრობს 4 მილიონი ადამიანი. მწვადის შეწვის დროს ატმოსფეროში გამოიყოფა გაზები (ნახშირორჟანგი), რაც გლობალური დათბობის ერთ-ერთი მიზეზია. მისი ოდენობა შეადგენს 20 ევროს. საინტერესოა, რომ ამ გადასახადის ადმინისტრირება და კონტროლი ხდება ჰაერიდან სპეციალური ვერტმფრენების საშუალებით, რომლებზეც დაყენებულია სითბოს აღმომჩენი თერმული კამერა.

98. გადასახადი აშშ-ს დოლარებზე

2004 წელს ფიდელ კასტრომ (კუბის მმართველი) აშშ-ს მიერ კუბასადმი ეკონომიკური სანქციების შემოღების საპირისპიროდ, კუბაში შემოიღო 10%-იანი გადასახადი აშშ-ს დოლარის სხვა ვალუტაზე გადაცვლის დროს. ეს დაბეგვრა სხვა ვალუტებს არ შეხებია.

99. უშრომელი შემოსავლის გადასახადი

ეს გადასახადი შემოიღო 2001 წელს სერბეთის პარლამენტმა. იგი ეხებოდა იმ უშრომელ შემოსავალს, რომელიც სერბებმა მიიღეს იუგოსლავიის პრეზიდენტის სლობოდა მილოშევიჩის რეჟიმის დროს. ამ გადასახადს ენოდა „გადასახადი მსუბუქ შემოსავლებზე" და იგი გავრცელდა 1989 წლიდან მიღებულ შემოსავლებზე. გადასახადის განაკვეთი იყო პროპორციული: 45 000 დოლარზე ზემოთ – 30 – დან 90%-მდე. მაგ. 4,5 მლნ-ზე მეტი შემოსავლის დროს გადასახადის განაკვეთი შეადგენდა 90%-ს.

100. ქარის მოტანილი ქონების გადასახადი

ეს გადასახადი შემოიღო ინგლისის პარლამენტმა 1997 წელს. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ 1980 წელს თეთჩერის მიერ პრივატიზაციის ჩატარების დროს ხალხს იოლად ჩაუვარდა ხელში სახელმწიფო ქონება. შესაბამისად, კერძო პირებს კანონმა დაავალდებულა გადასახადის გადახდა, რომლის განაკვეთი შეადგენდა 23%-ს, 1997 წელს ამ ქონების საპრივატიზაციო ფასსა და 1980 წელს შორის ამ ქონებათა საბაზრო ფასებს შორის. ანალოგიური ჩვენშიც, რომ გაკეთდეს სახელმწიფო ბიუჯეტი ამოისუნთქავდა (მოწინააღმდეგეები იტყვიან ბიზნესი „ჩაისუნთქავდაო").

101. სოლიდარობის გადასახადი

ორ ნაწილად გაყოფილი გერმანიის გაერთიანების შემდეგ აღმოსავლეთ გერმანიის ეკონომიკური დონის გამოთანაბრების მიზნით საჭირო გახდა 2 მილარდი გერმანული მარკის ინვესტიცია. ამისათვის 1991 წელს შემოღებულ იქნა სპეციალური გადასახადი, რომელიც შეადგენდა საშემოსავლო ან კორპორაციული გადასახადის 5,5%-ს. მსგავსი გადასახადი შეიძლება საჭირო გახდეს საქართველოსთვის დაკარგული ტერიტორიების შემოერთების შემდეგ.

102. რომანტიკული გადასახადი

იტალიის ერთ-ერთი ქალაქის მერმა ანტონიო ამენტემ ქალაქის მუნიციპალური ბიუჯეტიდან გამოყო 5 ევრო იტალიის ყველაზე დიდი ლატარიის გათამაშებაში მონაწილეობისათვის. ეს თანხა გამოიყოფა ყოველ გათამაშებაზე. მერს იმედი აქვს, რომ მერია მოიგებს მრავალმილიონიან პრიზს, რომლის საფუძველზეც იგი გააუქმებს ქალაქის ყველა გადასახადს.

103. გადასახადებისაგან თავის არიდების საწინააღმდეგო ინგლისური კანონის „ლოგიკა"

ინგლისში 2006 წელს მიიღეს საგადასახადო კანონმდებლობა, რომლის ერთ-ერთი პუნქტი ასე ჟღერს: „აკრძალულია არ აცნობოთ საგადასახადო ინსპექტორს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც თქვენ გსურდათ გეცნობებინათ მისთვის, თუმცა თქვენ არ ხართ ვალდებული აცნობოთ მას ის ინფორმაცია, რომლის მისთვის ცნობების წინააღმდეგი თქვენ არ ხართ".

104. დაკრძალვის აკრძალვა გადასახადების გამო

ძველი ესპანეთის მუსულმანურ ნაწილში მცხოვრებ ებრაელებს უკრძალავდნენ გარდაცვლილი ებრაელის დაკრძალვას, მანამდე ვიდრე თემი არ გადაიხდიდა ხაზინაში გარდაცვლილის კუთვნილ გადასახადებს.

105. ჰამურაბის კანონები გადასახადების შესახებ

ჩვენს წელთა აღრიცხვამდე მე-18 საუკუნეში ბაბილონის მეფემ, ჰამურაბმა შეიმუშავა კანონები (ეს კანონები შავი ბაზალტის ბოძზე იყო ამოკვეთილი), რომელიც ეხებოდა სამართალწარმოებას, საკუთრებას და დაბეგვრას. გადასახადების გადახდა ევალებოდათ თავისუფალ მიწათმოქმედებს და ხელოსნებს. გადასახადი გადაიხდებოდა, როგორც ფულით, ასევე ნატურით. მისი ამკრებები იყვნენ მეფის ჩინოვნიკები, ხოლო გადასახადი შეადგენდა შემოსავლის ან ქონების 10%-ს. ასეთი განაკვეთია დაფიქსირებული ბიბლიაშიც. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ თანამედროვე მსოფლიოშიც საგადასახადო ტვირთი არ უნდა იყოს 10%-ზე მეტი.

106. თბილისის აღება დავით აღმაშენებლის მიერ და მის მიერ დაწესებული გადასახადები

აღსანიშნავია, რომ თუ არაბებს ერთ სულ არამუსლიმან მოსახლეზე დაწესებული ჰქონდათ ქართლში 1 დინარი, დავით აღმაშენებელმა თბილისის აღების შემდეგ თბილისის ყველა მცხოვრებთათვის შემოიღო შემდეგი გადასახადები:

ა) მუსლიმები – 3 დინარი;

ბ) ებრაელები – 4 დინარი;

გ) ქართველები – 5 დინარი.

107. მალი

მე-13 საუკუნეში მონღოლებმა აღწერეს მთელი საყაენო ორი მიზნით: ადგილობრივი მოსახლეობის ჯარში განვეისა და დაბეგვრის მოტივებით. სასოფლო სამეურნეო გადასახადს ეწოდა – მალი. იგი შეადგენდა მოსავლის 60 პროცენტს.

108.ყაფჩარი

მე-13 საუკუნის მონღოლური გადასახადი საქართველოში. იგი იყო პირუტყვის საბალახო გადასახადი. კერძოდ, ყოველ 100 პირუტყვზე-ერთი მონღოლს მიჰქონდა.

109. ულუფა

გადასახადი, რომელსაც მონღოლი მოხელის შესანახად იხდიდა გლეხი (ეს ტერმინი დღემდე შემორჩა ქართულ ლექსიკაში).

110. მაზდი

მონღოლური გადასახადი საქართველოში. სოფელში მოსულ მოხელეზე გლეხი იხდიდა ცხენის ქირას, რომელსაც ეწოდებოდა – მაზდი.

111. დამღა

მონღოლების მიერ შემოღებული გადასახადი საქართველოში. ეს იყო სავაჭრო გადასახადი, რომელიც შეადგენდა გაყიდული საქონლის 3 პროცენტს (აღსანიშნავია, რომ, როდესაც მონღოლებმა რუსეთი დაიპყრეს, საზღვარზე შემოსულ საქონელს დაღს (ტამგას, დამღას) უსვამდნენ, რაც ნიშნავდა, რომ საქონელი უკვე „განბაჟებული" იყო. აქედან, წარმოდგება, რუსული, უფრო ზუსტად მონღოლური, სიტყვა „ტამოჟნია" ანუ საბაჟო).

112. სამასპინძლო გადასახადი

ფეოდალური საქართველოს გადასახადი. მსახურთა ერთ-ერთი მთავარი ვალდებულება იყო სამასპინძლო, რომელსაც ზოგან ძღვენი ან ხადილი, ან კიდევ პურის ჭამა თუ საპურობო ერქვა. ადრე ეს ვალდებულება ბატონის სტუმრობასა და გამასპინძლებას გულისხმობდა, შემდეგ კი თანდათან ნატურალურ გადასახადად გადაიქცა.

113. ყალანი

ბეგარა, ანუ ყალანი ფართო მნიშვნელობით ეწოდებოდა გლეხის ყოველგვარ გადასახადს – ნატურალურს, ფულადს და სხვ., რომელიც მიწას ედო და მიწის სარგებლობასთან იყო დაკავშირებული.

114. თარხანი ანუ გადასახადისაგან გათავისუფლება

ფეოდალურ საქართველოში სიტყვა „გათარხნება" აღნიშნავს, თანამედროვე ენით, რომ ვთქვათ პრეფერენციას ანუ გადასახადებისაგან მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლებას. ათარხნებდნენ, ანუ გადასახადისაგან ნაწილობრივ ან მთლიანად ათავისუფლებდნენ არა მარტო გლეხს, არამედ თავადისა და აზნაურის მამულს, სოფელს, მონასტერს, ვაჭარს და სხვ. მებეგრე გლეხის გაზატება – გათარხნება, ჩვეულებრივ, თავ – ბეგრისაგან განთავისუფლებასა და მსახურად დადგენას გულისხმობდა.

115. პატრონის ხლება და ლაშქრობით სამსახური

ეს იყო ფეოდალური გადასახადი მე-11 საუკუნის საქართველოში. ასეთი ფორმით იხდიდნენ უმეტესად თავისუფალი მიწათმოქმედნი პატრონისადმი მსახურების გადასახადს.

116. კულუხი

კულუხი იყო ფეოდალურ საქართველოში გლეხების მიერ ღვინის ნატურალური გადასახადი. კულუხი შეადგენდა მოსავლის 1/10 – დან 1/2-მდე.

117. ღალა

ღალაც ანალოგიურად კულუხისა იყო ფეოდალისადმი გლეხის მიერ გადასახდელი ბეგარა, მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო სახის და იხდიდნენ მარცვლეულის სახით. მას სულხან-საბა ყანის ბეგარას უწოდებს. აქედან მოდის არაქათის გამოცლის გამომხატველი სიტყვა „დაღლა, დაიღალა". ღალა შეადგენდა მოსავლის 1/10 – დან 1/3 ნაწილს.

118. ხარაჯა

ხარაჯა არაბებმა შემოიღეს. იგი დღევანდელი საშემოსავლო გადასახადის ანალოგიას წარმოადგენდა. თვით სიტყვა „ხარაჯ" არაბულად „გასვლას' ნიშნავს. აქედან არის შესაბამისად, სიტყვა ხარჯი ანუ გასავალი. „ვეფხისტყაოსანში" არის ასეთი ფრაზები: „ხატაეთს მყოფნი ყველანი ჩვენნი სახარაჯონია".

119. საბანჯარი

ფეოდალურ საქართველოში საძოვრების გამოყენებისათვის დადგენილი გადასახადი.

120. სანიჭარი

ფეოდალური საქართველოში ქორწილში შესაწევარი დახმარების სახით.

121. შესაწევარი

ფეოდალურ საქართველოში სიკვდილის შემთხვევაში დახმარების სახით გადასახდელი.

122. ალაფი

დაპყრობილი ქვეყნის მოსახლეობის მიერ გადახდილი გადასახადი, ხარკი. სულხან-საბას მიხედვით ალაფი არის – საფენელი და ჭურჭელი ნატყუენავი.

123. სურსათის გადასახადი

ფეოდალური საქართველოს გადასახადი. ომის დროს ჯარის გამოსაკვებად გადასახელი გადასახადი. მას იხდიდა ყველა კატეგორიის გლეხი. ძირითადად მას იხდიდნენ ხორბლისა და ქერის სახით წელიწადში ერთხელ.

124. კოდის პური

ფეოდალური საქართველოს გადასახადი. მას იხდიდნენ გლეხები წელიწადში ერთხელ კომლზე 4 კოდის პურის (10 ლიტრი) ოდენობით ხორბლის სახით.

125. მახტა

ფეოდალური საქართველოს გადასახადი. მახტით იბეგრებოდა მიწათმოქმედება, ხელოსნობა და ვაჭრობა. სოფლად მას ნატურით იხდიდნენ, ხოლო ქალაქად – ფულის სახით. მაგ. სოფლად მახტა ოჯახზე შეადგენდა 2 კოდის ხორბალს და 1 კოდის ქერს. გ. ჩუნინაშვილის ლექსიკონის მიხედვით მახტა არის „გარდაკვეთილი ხარკი" ანუ ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი განსაზღვრული გადასახადი.

126. საბალახე გადასახადი

ესეც, საბანჯართან ერთად, ფეოდალური საქართველოს გადასახადია საძოვრების გამოყენებისათვის. იგი იკრიბებოდა ხაზინის სასარგებლოდ. საქონლის პატრონი, მაგ. ყოველ 100 ცხვარზე იხდიდა 2 ცხვარს და 1 ბატკანს.

127. საკომლო გადასახადი

საქართველოში მე-19 – 20 საუკუნეების მიჯნაზე არსებული მიწის გადასახადი. მას მიწის დამმუშავებელი უხდიდა მიწის მესაკუთრეს. იგი გადაიხდებოდა წელიწადში კომლზე ორი აბაზის ოდენობით.

128. შევარდენის გადასახადი

ფეოდალური საქართველოს გადასახადი. იგი წარმოადგენდა მეფის შევარდნების მომსახურების ან მეფისათვის შევარდნის მირთმევის ფორმის გადასახადს. კერძოდ, ზოგიერთ სოფელს მიბარებული ჰქონდა მეფის შევარდნის ბუდეები და გლეხებს ევალებოდათ მათი მოვლა ან მეფისათვის შევარდნის მირთმევა.

129. საქვრივო (საჩექმე) გადასახადი

ფეოდალური საქართველოს გადასახადი. ამ გადასახადს იხდიდა სიძე, გლეხის ქალის (ქვრივის) შერთვის დროს, ბატონის სასარგებლოდ. სამეფო სოფლებში საქვრივოს ძირითადი ნაწილი მეფისა იყო, ხოლო ნაწილი – მოურავის, ნაცვლისა და მამასახლისის. საქვრივოს ჩვეულებრივ შეადგენდა 1 ხარი ან ძროხა, რასაც 5 აბაზიც ემატებოდა. მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან და მე-19 საუკუნეში საქვრივომ ფულადი გადასახადის ხასიათი მიიღო და მისი რაოდენობა მერყეობდა 5 – დან 50 მანეთამდე.

130. ხარკი, საური, ყიშტი

სულხან-საბას მიხედვით ხარკი არის სამეუფეო ხარჯი, საური არის ხარკი, ხოლო ყიშტი – სავაჭ-

როთა ხარკი.

131. მუშრიბი, მეღვინეთუხუცესი, ნომარქი და გადასახადები

მუშრიბი იყო მოხელე, რომელიც გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში მეჭურჭლეთუხუცესს ანუ ფინანსთა მინისტრს ექვემდებარებოდა და ქალაქებში აკრებილ ბაჟსა და საბაჭრო გადასახადს საჭურჭლის უხუცესებს აბარებდა. მეღვინეთუხუცესი გადასახადების თვალსაზრისით ღვინის გადასახადის უმაღლესი მეთვალყურე იყო ძველ საქართველოში. რაც შეეხება ნომარქს, ის ეგვიპტური თანამდებობაა, რომელსაც ფარაონი ნიშნავდა. მას ევალებოდა მის ტერიტორიაზე მდებარე სარწყავი სისტემის წესრიგში მოყვანა, მოსახლეობის აღრიცხვა და გადასახადების აკრება.

132. ბეგარა

ბეგარა არაბული სიტყვაა და ნიშნავს – მუშაობას. იგი გამოიყენებოდა და დღემდე გამოიყენება ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებისას. უძველეს ძირითად გადასახადს ერქვა „თავი – ბეგარა" ("მართალი ბეგარა"). იგი შეადგენდა გლეხის საერთო მოსავლის 1/10 – დან 1/7 – ს. იყო აგრეთვე შრომითი ბეგარა, რომელიც ავალდებულებდა გლეხს ბატონის მამულში წელიწადში გარკვეულ დღეებში მუშაობას. მოკლედ, რომ ვთქვათ, მეცნიერული ტერმინოლოგიით ბეგარა იყო შრომამიგებითი რენტა, რენტა პროდუქტებით და ფულადი რენტა.

133. ჭირი

გადასახადი, რომელსაც სახელმწიფო იღებდა ეკლესია – მონასტრებისაგან.

134. ნარბევი

გადასახადი დეზერტირობისათვის.

135. ქეშიკი

შრომითი ბეგარის სახეობა, რომელიც გამოიხატებოდა მოსახლეობის მიერ სამეფო ქონების რიგ-რიგობით ყარაულში.

136. სატარულო

სამოურავო გადასახადი კომლზე ექვსი შაურის ოდენობით.

137. სამხედრო სასურსათო ბეგარა

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდგომი გადასახადი. მას მეფის მთავრობა კრებდა მოსახლეობიდან.

138. საპოლიციო გადასახადი

ეს გადასახადიც საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდგომი გადასახადია. იგი იყო ფულადი გადასახადი და მას იხდიდნენ თბილისში არსებული შენობების (ბინების, სავაჭრო და სახელოსნო ფართობების) მეპატრონეები.

139. უძრავი ქონების გადასახადი

ესეც რუსეთთან შეერთების შემდგომი გადასახადია. საინტერესო ის არის, რომ მას იხდიდნენ უძრავი ქონების არა ღირებულების, არამედ უძრაეი ქონების გამოყენებით მიღებული შემოსავლის მიხედვით.

140. ვაჭრობის გადასახადი

მეფის რუსეთის დროინდელი საქართველოს გადასახადი, რომელსაც იხდიდნენ, როგორც ადგილობრივი, ასევე საქართველოში ჩამოსული ვაჭრები.

141. გადასახადი დაქირავებულებზე

მეფის რუსეთის დროინდელი საქართველოს გადასახადი, რომელსაც იხდიდნენ დაქირავებული შინამოსამსახურეები და მუშები ფულადი ფორმით.

142. გადასახადი მესაკლავეობაზე

ესეც მეფის რუსეთის საქართველოს დროინდელი გადასახადია, რომელიც ითვალისწინებდა ქალაქში დასაკლავად ჩამორეკილი პირუტყვის თითოეულ სულზე დადგენილი ოდენობის ფულის გადახდას.

143. კაბალა

მიწის გადასახადი მე-13 – მე-14 საუკუნეების საქართველოში. იგი აღნიშნავდა საიჯარო გადასახადს გლეხსა და მებატონეს შორის ან ზოგადად მიწის გადასახადს.

144. რიგის პური

ფეოდალური საქართველოს გადასახადი. იგი მსგავსად ყალანისა იყო მარცელეულზე გადასახადი. იგი გადაიხდებოდა, როგორც გარკვეული ზომის ერთეულით (კაბინოებით), ასევე, მაგალითად სოფლის მოხელის (თემისნაცვლის) სოფლის მცხოვრებთა რიგ – რიგობით გამასპინძლების სახით.

145. უდები

ფეოდალურ საქართველოში მებატონის მიერ გლეხისადმი დადგენილზე უფრო მეტი გადასახა-

დის დადება. მტრიანობის, მოუსავლიანობის დროს მებატონე ცდილობდა გაეზარდა გლეხზე ადრე დადებული განსაზღვრული გადასახადი და დაეკისრებინა იმის გადახდა, რაც არ ეკუთვნოდა – ანუ უდები, რაც არ ჰქონდა ადრე დადებული.

146. მდიდრების გადასახადი

საფრანგეთის შემდეგ მდიდრებისათვის გადასახადის დაწესება ესპანეთმაც გადაწყვიტა. მადრიდი კრიზისის პირობებში მდიდარ ადამიანებს დროებით დაბეგრავს. გადასახადის გადახდა ქვეყანაში 160 ათას ადამიანს მოუვლის, რომელთა შემოსავალი წელიწადში 1 მილიარდ ევროს აჭარბებს. მდიდრების გადასახადი 2011 – 12 წლებში იმოქმედებს და ამ გზით ოფიციალური მადრიდი საბიუჯეტო დეფიციტის შემცირებას გეგმავს. დღეისათვის დეფიციტი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში 6%-ს შეადგენს, რაც ევროკავშირის სტანდარტებზე 2 – ჯერ მეტია. ესპანეთმა 2007 წელს მდიდრების გადასახადი ერთხელ უკვე აამოქმედა და 2 მილიარდ ევროზე მეტი შემოსავალი მიიღო.

147. გადასახადო მეორე ბავშვზე

ჩინეთის პროვინცია შანსში მშობლები მეორე ბავშვზე ვალდებული არიან 7 წლის განმავლობაში იხადონ გადასახადი მათი საერთო შემოსავლის 20 პროცენტის ოდენობით.

148. გადასახადი მამაკაცებზე

ჩინეთში ტანის დინასტიის დროს (618 – 907 წ) შემოღებულ იქნა მამაკაცებზე გადასახადი. ეს გადასახადი 1720 წლამდე ამოიღებოდა თითოეული ოჯახიდან მამაკაცების რაოდენობის მიხედვით, ხოლო შემდეგ ეს გადასახადი ამოიღებოდა ოჯახის მიწის ნაკვეთის მიხედვით.

24.2. საინტერესო აზრები გადასახადებზე

ალექსანდრ ალექსანდრეს ძე სოკოლოვი – რუსი ეკონომისტი, პროფესორი(დაბ.1885 წ). მისი მთავარი ნიგნია „გადასახადების თეორია". მისი განსაზღვრებით „გადასახადის ქვეშ უნდა გავიგოთ იძულებითი მოსაკრებელი, რომელიც ამოიღება სახელმწიფო ხელისუფლების მიერ ცალკეული მეურნე პირებისაგან ან მეურნეობებისაგან სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯების დასაფარად ან ეკონომიკური პოლიტიკის რომელიმე ამოცანის შესასრულებლად, გადამხდელისათვის შესაბამისი სპეციალური ეკვივალენტის მიუცემლად."

არტურ გოდფრი – ამერიკელი მსახიობი და შოუმენი (დაბ.1903 წ). მას ეკუთვნის შემდეგი ფრაზები: „პატრიოტიზმი მთავრდება იქ, სადაც იწყება საგადასახადო დეკლარაცია."; „მე ვამაყობ იმით, რომ გადასახადებს ვიხდი აშშ-ში. მართალია, მე არანაკლებ ვიამაყებდი ნახევარი თანხის გადახდის დროსაც."

აბუ იუსუფი – არაბი მოსამართლე(731 – 798წ). მან ლეგენდარული ხალიფა ხარუნ არ – რაშიდის ბრძანებით დაწერა წიგნი „კიტაბ – ალ – ხარაჯ", სადაც კომპლექსურად არის გაანალიზებული მუსულმანური სამყაროს მთელი საგადასახადო სისტემა.

ადამ სმიტი – შოტლანდიელი ეკონომისტი(1723 – 1750). კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. მან შეიმუშავა დაბეგვრის 4 პრინციპი, რომელსაც შემდგომ ეწოდა „გადასახადის გადამხდელის უფლებათა დიდი ქარტია" და „გადასახადის გადამხდელის დეკლარაცია". ეს პრინციპებია: ა) თანაბარზომიერების პრინციპი, რომლის მიხედვით სახელმწიფოს ყველა ქვეშევდრომი ვალდებულია გადაიხადოს გადასახადები, ხოლო ეს გადასახადები თანაბარზომიერად უნდა იქნეს გადანაწილებული ადამიანებს შორის მათი შემოსავლების შესაბამისად; ბ) განსაზღვრულობის პრინციპი, რომლის მიხედვით გადასახადის ზომა, გადახდის წესი და დრო წინასწარ უნდა იყოს ცნობილი გადამხდელისათვის; გ) ხელსაყრელობის პრინციპი, რომლის მიხედვით გადასახადების ამოღების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს გადამხდელისათვის ყველაზე ხელსაყრელი დრო და გადახდის წესი; დ) ეკონომიის პრინციპი, რომლის მიხედვით გადასახადის გადამხდელს ხაზინაში გადასახადის შეტანა უნდა დაუჯდეს მაქსიმალურად ნაკლები და ამავე დროს სახელმწიფომაც გადასახადები აკრიბოს ნაკლები ხარჯებით. სმიტის სიტყვებია: „ისევე, როგორც ინგლისს არასოდეს ჰყოლია მომჭირნე მთავრობა, მომჭირნეობაც არასოდეს ყოფილა ინგლისელთა დამახასიათებელი თვისება. ამასთან ერთად, უმაღლესი დონის უტიფრობაა, როდესაც მეფენი და მინისტრები აცხადებენ, უნდა ვიზრუნოთ, რომ კერძო პირებმა მომჭირნედ იცხოვრონო და ამ მიზნით, მათ შემოსავლებს უცხოურ საქონელზე საიმპორტო აკრძალვებითა და ფუფუნების საგნებზე გადასახადებით ბეგრავენ, თუმცაღა მუდამ გამონაკლისის გარეშე, თვით არიან ქვეყნის ყველაზე დიდი გამჩანაგებელნი"; „გადასახადები, მათთვის ვინც მას იხდის – არის არა მათი მონობის, არამედ თავისუფლების ნიშანი".

ალა-მახმად-ხანი – სპარსეთის მმართველი(მე-18ს). მის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ მასთან მივიდა ვეზირთუხუცესი და უთხრა: საქართველო ისეთი მდიდარი ქვეყანაა, მარცვალი ხე-

ლუკულმა, რომ გადააგდო, წალმა ამოვა. ასეთ ქვეყანას შეიძლება გადასახადი გავუსამმაგოთო. აღა – მახმად ხანმა მას თავი მოკვეთა: შენ გინდა ბეგარა გავზარდო, რომ ხალხი მუშაობით დაიხოცოს ან არ იმუშაოს და დამალოს გადასახადებიო. მაშინ საქართველოში მას 10 პროცენტიანი გადასახადი ჰქონდა დაწესებული.

არისტოტელე – ბერძენი ფილოსოფოსი (ჩ.წ.ა 384 – 322). მისი სიტყვებია: „იმან, ვინც მოინდომებდა რჩევის მიცემას ფინანსების შესახებ, უნდა იცოდეს სახელმწიფო შემოსავლის ყველა მუხლი".

ალექსანდრე რადიშევი – რუსი მწერალი და პეტერბურგის საბაჟოს დე – ფაქტო ხელმძღვანელი (1749 – 1802). მისი სიტყვებია: „ხაზინა მაშინ ვნებს საკუთარ თავს, როცა გადასახადები იზრდება უკიდურესობამდე, ვინაიდან აუტანელი გადასახადი ყოველთვის არის ზარალიანი ხაზინისათვის".

ალექსანდრე ციტკინი – რუსი აფორიზმების აეტორი. მისი აზრით „გადასახადი უნდა იყოს ყველაფერზე: შემოსავალზე და მის არქონაზეც"; „ხალხს, რომლებსაც აქვთ პიროვნების გაორება, გადაასახადები უნდა ახდეევინონ თითოეული მათგანიდან".

ა.ვ. ივანოვი – რუსი სატირიკოსი. მისი სიტყვებია: „საგადასახადო ამნისტია: გადაიხადე გადასახადები და იძინე ვისთანაც გინდა"; „ჩვენმა საგადასახადო პოლიტიკამ, შრომა, რომელმაც მაიმუნი ადამიანად გადააქცია, მაიმუნის შრომად აქცია".

ანდრეი ისაევი – რუსი ეკონომისტი(1851 – 1924). მას ეკუთვნის წიგნი „გადასახადების თეორიისა და პოლიტიკის ნარკვევი". მისი აზრით: „ცოდნისა და ზნეობრივი მონაცემების შემდგომ განვითარებასთან და მოქალაქეების მიერ სახელმწიფოს მიმართ ვალდებულებების უფრო ღრმა გაცნობიერებასთან ერთად, მომავალში მოსალოდნელია გადასახადებისაგან უფრო იშვიათად თავის არიდება"; „გადასახადები-ეს არის კერძო მეურნეობათა სავალდებულო ფულადი გადასახდელები, რომელიც ემსახურება სახელმწიფოს და თვითმმართველი ერთეულების საერთო ხარჯების დაფარვას."

არნოლდ შვარცნეგერი – ამერიკელი მსახიობი(დაბ.1947). იგი იყო აგრეთვე კალიფორნიის შტატის გუბერნატორი. მისი თქმით „ჩვენი საგადასახადო სისტემა მიმართულია იქით, რომ მდიდრები აქციონ ღარიბებად და არა იქით, რომ ღარიბები აქციონ მდიდრებად".

ბუ სვენსონი – შვედი სწავლული. მისი დეფინიციით „გადასახადი-ეს არის ფასი, რომელსაც ჩვენ ყველა ვიხდით საზოგადოებრივი რესურსების განსაზღვრული საერთო მიზნებით გამოყენების შესაძლებლობისათვის, მაგალითად, თავდაცვის და, იმისათვის, რომ მოვახდინოთ ზემოქმედება მოქალაქეებს შორის შემოსავლების და ქონების განაწილებაზე.

ბერნარდ ბერენსონი – ინგლისელი ხელოვნების ისტორიკოსი(1865 – 1959). მისი სიტყვებით „მთავრობა არსებობს მანამდე, სანამ, მათ ვინც იხდის გაცილებით მცირე გადასახადებს, შეუძლიათ თავი დაიცვან მათგან, ვინც იხდის გაცილებით მეტ გადასახადებს".

გეორგ ვილგელმ ფრიდრიხ ჰეგელი – გერმანელი ფილოსოფოსი(1770 – 1831). მას ეკუთვნის შემდეგი სიტყვები: „სახელმწიფო მოითხოვს გადასახადების გადახდას, ეს მოთხოვნა დადის იქამდე, რომ თითოეულმა უნდა მისცეს თავისი ქონების ნაწილი...ამიტომ გადასახადები არ არღვევენ საკუთრების უფლებას და გადასახადების გადახდის მოთხოვნა არ არის უსამართლო რამ. სახელმწიფოს უფლება მაღლა დგას თითოეული ადამიანის უფლებაზე მისი საკუთრებისა და პიროვნების მიმართ"; „... თავისი შინაარსით უფლება განსხვავდება ვალდებულებისაგან, ამასთან შეფასების მიხედვით ისინი ერთი და იგივეა, როგორც ხელშეკრულებაში. გადასახადები, გამოსაღებები და ა.შ., რომელიც ჩემთვის ვალდებულებას შეადგენს, მე არ მიბრუნდება, მაგრამ სამაგიეროდ მე ვიძენ ჩემი ქონების უზრუნველყოფას და უსაზღვროდ ბევრ სხვა უპირატესობას; ისინი შეადგენენ ჩემ უფლებას..."; „... დიდი შეცდომაა – შეაფასო სახელმწიფო წყობა იმ გადასახადების სიდიდით, რომელთა გადახდასაც აიძულებენ მოსახლეობას. ამ თვალსაზრისით ინგლისის სახელმწიფო წყობა იქნებოდა უცუდესი, რამდენადაც არსად არ იხდიან ისეთ გადასახადებს, როგორც ინგლისში. ამასთან ერთად, არ არის ევროპაში ხალხი, რომელიც უფრო მეტ ქონებას ფლობდეს, ვიდრე ინგლისელები და სარგებლობდეს ისეთი პატივისცემით, როგორც ერის და, როგორც თავიანთი ცალკეული წარმომადგენლების სახით. ეს იმიტომ ხდება, რომ ინგლისელი თავისუფალია, რომ ის სარგებლობს თავისუფლებით ნაწუქარი უფლებებით-ერთი სიტყვით, იმიტომ, რომ ის თვითონ ბეგრავს თავის თავს გადასახადებით...".

გიუნარდ მიურდალი – შვედი ეკონომისტი(1898 – 1987). ნობელის პრემიის ლაურეატი. მისი სიტყვებია: „შვედური პატიოსნება იყო ჩემი და ჩემი თაობის სიამაყე. ახლა მე გამიჩნდა გრძნობა, რომ ცუდი კანონების გამო ჩვენ გავხდით გაქნილი ხალხი. ჩვენი კანონმდებლობის ყველა არასრულყოფილებიდან ჩემთვის ყველაზე სერიოზულია – პირდაპირი მიწევება იმ შემოსავლების დაფარვისაკენ, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას".

დავიდ რიკარდო – ინგლისელი ეკონომისტი(1772 – 1823). კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. მისი მთავარი ნიგნია „პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საწყისე-

ბი“. რიკარდოს აზრით: „გადასახადები შეადგენენ ქვეყნის მიწის და შრომის პროდუქტების იმ წილს, რომელიც შემოდის სახელმწიფოს განკარგულებაში. საბოლოო ჯამში ისინი ყოველთვის გადაიხდება ან კაპიტალიდან ან ქვეყნის შემოსავლებიდან“; „ნებისმიერი გადასახადი, მიწის გადასახადი, მეათედი თუ გადასახადი უკვე მიღებულ პროდუქტზე, გაზრდის წარმოების ხარჯებს და, მაშასადამე, გაზრდის ნედლეულის ფასებს“; „ნედლეულზე გადასახადი არ იქნება გადახდილი არც მიწათმფლობელის და არც ფერმერის მიერ; მას გადაიხდის მაღალი ფასით მომხმარებელი“; „დაბეგვრა, რა ფორმითაც არ უნდა იყოს ის, წარმოადგენს არჩევანს ორი ბოროტებიდან: თუ ის არ მოქმედებს მოგებაზე ან შემოსავლის სხვა წყაროზე, მაშინ ის უნდა მოქმედებდეს შემოსავლებზე და სრულიად არ აქვს მნიშვნელობა, რა იბეგრება გადასახადით, მთავარია, რომ მისი სიმძიმე გადანაწილდეს თანაბრზომიერად და არ აფერხებდეს აღწარმოებას. გადასახადებს წარმოებაზე ან კაპიტალიდან მოგებაზე – ამოიღება ისინი პირდაპირ მოგებიდან, თუ არაპირდაპირი გზებით, მიწის ან მისი პროდუქტების დაბეგვრით – სხვა გადასახადებთან მიმართებით აქვთ ის უპირატესობა, რომ ერთდროული დაბეგვრის დროს და ყველა სხვა შემოსავლებიდან საზოგადოების არცერთ კლასს არ შეუძლია დაუსხლტდეს მას და თითოეული იხდის თავისი საშუალებების თანაბარზომიერად. ხარჯებზე გადასახადის გადახდას შეიძლება თავი აარიდოს ძუნწმა...მაგრამ მოგების გადასახადისაგან გადახდის, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, თავის არიდებას ის ვერ შეძლებს; ის მას გადაიხდის, გადასცემს მას რა თავისი პროდუქტის ან ღირებულების ნაწილს; ან წარმოებისათვის აუცილებელი ყველა საგნის ფასების მატების შედეგად“; „თითოეული ახალი გადასახადი გადაიქცევა წარმოებისათვის ახალ ტვირთად და ზრდის ბუნებრივ ფასს. ქვეყნის შრომის ის ნაწილი, რომელსაც წინათ ფლობდა გადასახადის გადამხდელი, ახლა ხვდება სახელმწიფოს ხელში და ამიტომ არ შეიძლება მწარმოებლურად გამოყენებულ იქნეს“; „ქუდებზე გადასახადი ზრდის ქუდების ფასს, ფეხსაცმლის გადასახადი – ფეხსაცმლის ფასს. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი გადასახადი, ბოლოს და ბოლოს გადასახდელი ექნებოდა ფაბრიკანტს: მისი მოგება შემცირდებოდა საერთო ნორმასთან შედარებით და ის დატოვებდა თავის საქმეს“; „ისინი ვინც იღებენ პროგრესულ საშემოსავლო გადასახადს არ ფიქრობენ მოსალოდნელ შედეგებზე. იმიტომ, რომ საშემოსავლო გადასახადი თავის თავად მიუღებელია, პროგრესულობის პრინციპის მიღება აქცევს მას ყველაზე მავნედ ოდესმე არსებულ გადასახადებთან მიმართებით. იმ მომენტში, როდესაც თქვენ უარს ამბობთ მსგავსი გადასახადების ფუნდამენტალურ პრინციპებზე – ამოღებულ იქნეს ყველა ადამიანიდან ერთი და იგივე ნაწილი მათი შემოსავლებიდან ან ქონებიდან – თქვენ ეშვებით ოკეანეში საჭის გარეშე და იალქნის გარეშე და არა აქვს ზღვარი იმ სისულელეებს და უსამართლობებს, რომლებსაც თქვენ ჩაიდენთ“; „მართალია, ამასთან, რომ, თუ არ იქნება გადასახადები, კაპიტალის ეს ზრდა იქნებოდა ბევრად უფრო დიდი. ისეთი გადასახადები, რომლებსაც არა აქვთ შეამცირონ დაგროვების ძალა, არ არსებობს. ყველა გადასახადი ტვირთად აწვება ან კაპიტალს ან შემოსავალს“; „მთავრობის პოლიტიკის ამოცანა უნდა მდგომარეობდეს იმაში, რომ რომ წაახალისოს მისწრაფება დაგროვებისაკენ. მან არასდროს არ უნდა შემოიღოს ისეთი გადასახადები, რომლებივ უცილობლად ტვირთად დააწვება კაპიტალს. ასეთ შეთხვევაში, ის ეხება იმ ფონდს, რომელიც განკუთვნილია შრომის შესანახად და მით უმეტეს ამცირებს ქვეყნის მომავალ წარმოებას“.

დენი დიდრო – ფრანგი მწერალი(1713 – 1784). მისი თქმით „ხელმწიფე, რომელიც იღებს თავისი ქვეშევრდომებიდან უსამართლო გადასახადებს, რისკავს დარჩენს ან გადასახადების გარეშე ან ქვეშევრდომების გარეშე“.

ედვინ სელიგმანი – ამერიკელი ეკონომისტი(1861 – 1939). ეკონომიკის პროფესორი. მას ბევრი წიგნი აქვს გამოქვეყნებული დაბეგვრის საკითხებზე. საინტერესოა მისი აზრი გადასახადების ეტიმოლოგიურ-ევოლუციურ – ისტორიულ საკითხებზე. კერძოდ, იგი წერს: „დასაწყისში გაბატონებულია „ძღვენის“ იდეა. საშუალო საუკუნეებში ინდივიდუმი აკეთებს „საჩუქარს“ მთავრობისადმი. „ძღვენის“ იდეა გამოხატულებას პოულობს ლათინურ ტერმინში „დონუმ“ და ინგლისურში – "ბენევოლენცე". მეორე საფეხურზე მთავრობა თავმდაბლურად ეხვეწებოდა ან თხოვდა ხალხს მხარდაჭერაზე. ამ იდეას შეესაბამებოდა ლათინური სიტყვა „პრეცარიუმ“, რომელიც გამოიყენებოდა კონტინენტზე მრავალ ასწლეულს, აგრეთვე გერმანული “Бедеე"(ბეტენ – იდან – "თხოვნა"). მესამე სტადიაზე ჩვენ ვხვდებით სახელმწიფოს მიერ გაწეული დახმარების იდეას. ამ იდეამ გამოხატულება ჰპოვა ლათინურ – "ადიუტორიუმ" – ში, ინგლისურ „აიდ" – ში და ფრანგულ „აიდე" – ში. მეოთხე სტადიაზე ჩნდება იდეა „მსხვერპლის, შეწირულობის" შესახებ, რომელსაც ინდივიდუმი გაიღებს სახელმწიფოს ინტერესებისათვის. ის ახლა უარს ამბობს რაღაცაზე საზოგადოებრივი კეთილდღეობის ინტერესებისათვის. ეს იდეა ჩანს ძველ ფრანგულ „გაბელლე" – ში, თანამედროვე გერმანულ „Абгабэ" – ში და ლათინურ – "დაზიო" – ში. მეხუთე სტადიაზე გადამხდელს უეითარდება ვალდებულების გრძნობა, რომელსაც შეესაბამება ინგლისური „დუტყ". მხოლოდ მეექვსე სტადიაზე ვხვდებით სახელმწიფოს მხრიდან იძუ-

ლების იდეას. ამ იდეას ჩვენ ვხედავთ ინგლისურ „იმპოსტ ან იმპოსიტიონ" – ში, აგრეთვე ფრანგულ „იმპოტ" – ში და იტალიურ „იმპოსტა" – ში. მეშვიდე და უკანასკნელ სტადიაზე ჩვენ ვხედავთ განსაზღვრული წილის ან ანაზღაურების იდეას, რომელიც დანესებულია ან გამოანგარიშებულია მთავრობის მიერ გადამხდელის ნება – სურვილისგან დამოუკიდებლად. ამ იდეას ვხვდებით შუასაუკუნეების ინგლისურ ტერმინ „სცოტ" – ში(გამოთქმა: ცემა „ატ სცოტ ანდ ლოტ"), რომელიც წარმოადგენს სახეშეცვლილ გერმანულ "სცჰოსსუნნ" – ს და სკანდინავიურ "სკაფფ" – ს".

ვილიამ პეტი – ინგლისელი ეკონომისტი(1623 – 1687). იგი ითვლება კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთ ფუძემდებლად. გადასახადებთან დაკავშირებით მან დაწერა წიგნი „ტრაქტატი გადასახადებისა და მოსაკრებლების შესახებ", სადაც გაანალიზებული აქვს დაბეგვრის ნიუანსები, საბაჟო გადასახადები, სულადობრივი გადასახადები, ჯარიმები, მეათედი გადასახადი, აქციზი. პეტის აზრით „გასატანი საქონლის საბაჟო გადასახადის ოდენობა უნდა იყოს ისეთი, რომ ექსპორტიორის ზომიერი მოგების გათვალისწინებით, ჩვენი საქონელი, რომელიც სჭირდებათ უცხოელებს, მიეწოდებოდეს ამ უცხოელს იმაზე უფრო ნაკლებ ფასად, ვიდრე მათ შეუძლიათ შეიძინონ ის სხვა, რომელიმე ქვეყნიდან". პეტი აანალიზებს, რა აქციზს, როგორც მოხმარების გადასახადს ამბობს: „ერთი, ბუნებრივი სამართლიანობა მოითხოვს, რომ თითოეული უნდა იხდიდეს იმის შესაბამისად, რამდენსაც სინამდვილეში მოიხმარს. ამის შედეგად გადასახადის თავს მოხვევა არ ხდება ვინმესთვის ძალით და მისი გადახდა მეტისმეტად ადვილია მისთვის, ვინც ბუნებრივი აუცილებლობის საგნებს მოიხმარს. მეორე, ეს გადასახადი...თუ ის რეგულარულად ამოიღება, გულისხმობს მომჭირნეობას, რაც არის ერთადერთი წესი ხალხის გაძლიერების, რაც ნათლად ჩანს ჰოლანდიელების, ებრაელების და ყველა სხვა ხალხის მაგალითზე, რომლებმაც დააგროვეს დიდი ქონება. მესამე, არავინ არ იხდის ორჯერ ერთი და იმავე საგანზე, რამდენადაც არაფერი არ შეიძლება ერთზე მეტად მოხმარებულ იქნეს. მეოთხე, დაბეგვრის ამ წესის დროს ყოველთვის შეიძლება გვქონდეს მონაცემები სიმდიდრეზე, ზრდაზე, რენვესია და ქვეყნის ძალაზე ნებისმიერ მომენტში". პეტს ეკუთვნის აგრეთვე ფრთიანი გამონათქვამი: „შრომა მამა და უაქტიურესი პრინციპია სიმდიდრისა, ხოლო მინა მისი დედა."

ვილიამ გრემ სამნერი – ამერიკელი სოციოლოგი, ეკონომისტი, იელის უნივერსიტეტის პროფესორი(1840 – 1910). მისი სიტყვებით „დაცვითი საბაჟო გადასახადი არის ჯილდო, რომელსაც უხდიან მეზობელს იმ მიზნით, რომ მან შეძლოს რომელიმე სპეციალური საქმით დაკავება – ადამიანი, რომელიც ამ გადასახადს იხდის – სანაცვლოდ არაფერს არ იღებს. აქედან...დავარქვათ მას უბრალოდ გადასახადი"; „მათემატიკურ ენაზე ყოველგვარი გადასახადი გადამხდელისათვის არის სიდიდე მინუსით. თუ ამ მინუსის საშუალებით ყალიბდება მშვიდობა, უსაფრთხოება და მართლმსაჯულება, მაშინ გადასახადს მოაქვს სარგებლობა, და მაშინ თვითონ გადამხდელისათვის ხელსაყრელია მისი გადახდა"; „თითოეულ ცენტს, რომელიც ამოიღება გადასახადის სახით, უნდა ჰქონდეს თავისი გამართლება. თუ ჩვენი მმართველები ითხოვენ უფრო მეტს, ვიდრე საჭიროა კარგი ადმინისტრაციისათვის, მით უფრო ისინი ამტკიცებენ თავიანთ უძლურებას და ვერ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას".

ვლადიმერ ჩერნოვი – რუსი სახ. მოხელე(დაბ1951წ). მას ეკუთვნის ასეთი ფრაზა: „ეპიტაფია: მან გადაიხადა გადასახადები".

ვ. სალტიკოვი – მას ეკუთვნის შემდეგი ფრაზები: „საგადასახადო აუდიტი არის სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის ფსიქოფიზიოლოგიური გამოკვლევა დიაგნოზით და მკურნალობის დანიშვნით, ავადმყოფის ხარჯზე და ზოგჯერ – იძულებითი"; „დაბეგვრის მეთოდები არის დაწერილი და დაუწერელი წესების ერთობლიობა გადასახადების 120%-იანი ამოღებისათვის. დამოკიდებული არ არის შემოსავლებზე. გადაეცემათ საგადასახადო ინსპექტორებს თაობიდან თაობამდე"; „გადასახადი არის მახრჩობელა ილეთი, რომელიც უსისხლოდ კლავს მენარმე სუბიექტებს. იგი ეფექტურობის მიხედვით უფრო მეტია, ვიდრე ძიუდოს მახრჩობელა ილეთი ან ოპერატიულ – ტაქტიკური გამოყენების ბირთვული იარაღი".

ვლადიმერ პუტინი – რუსეთის პრეზიდენტი(დაბ.1952). მისი სიტყვებით „ძალაუფლება – არის შრომა, რომელიც ნაზღაურდება გადასახადის გადამხდელის ჯიბიდან, ჩვენი და თქვენი ნამუშევრიდან".

ვლადიმერ ფროლოვი – რუსი ეკონომისტი, ეკონომიკის დოქტორი(დაბ.1948). მისი აზრით „ყველა დაავადება ნერვებისგანაა, ხოლო ეკონომიკაში – გადასახადებისაგან".

ზიგმუნდ ფროიდი – ავსტრიელი მედიცინის პროფესორი(1856 – 1939). მისი აზრით „დღევანდელი ლიბერალი ისწრაფვის გადაარჩინის ღარიბები იმ გადასახადებისაგან, რომლებიც ჩაიდებოდა რა მომავალში მათ შვილებში, ბოლოს მოუღებდა სიღარიბეს შემდეგ თაობებში".

თომას ჰობსი – ინგლისელი ფილოსოფოსი(1588 – 1679). საინტერესო მოსაზრებები აქვს მას დაბეგვრის საკითხებზე. მისი აზრით „თანაბარ სამართლიანობას განეკუთვნება ასევე თანაბარზომ-

იერი დაბეგვრა, რომლის თანაბრობა დამოკიდებულია არა სიმდიდრის თანაბრობაზე, არამედ თითოეული ადამიანის ვალის თანაბრობაზე სახელმწიფოს მიმართ ამ ადამიანის დაცვისათვის. არ არის საკმარისი, რომ ადამიანმა იშრომოს მხოლოდ არსებობისათვის: ის ვალდებულია აუცილებლობის შემთხვევაში იბრძოლოს თავისი შრომის დაცვისათვის. ადამიანები ვალდებული არიან მოიქცნენ ან ისე, როგორც ებრაელები იქცეოდნენ ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ – როდესაც ტაძრის მშენებლობისას, ისინი ერთი ხელით აშენებდნენ მას, ხოლო მეორეში ხმალი ეჭირათ – ან მათ უნდა დაიქირავონ სხვები, რომ მათ ნაცვლად იბრძოლონ. გადასახადები, რომლითაც უმაღლესი ხელისუფლება ბეგრავს ხალხს სხვა არაფერია, გარდა იმ გასამრჯელოსი, რომელიც ეკუთვნის მას ვისაც ეჭირა სახელმწიფო ხმალი იმ ხალხის დასაცავად, რომლებიც დაკავებული არიან სხვადასხვა ხელობით და ხელოსნობით. იმის გათვალისწინებით, რომ სიკეთე, რომელსაც ამ დროს იღებს თითოეული არის ცხოვრებით ტკბობა, რომელიც ერთნაირად ძვირფასია მდიდრისთვისაც და ღარიბისთვისაც, ხოლო ღარიბის ვალი თავისი ცხოვრების დაცვისათვის თანაბარია მდიდრის ვალისა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მდიდრები, რომლებსაც თავიანთ სამსახურში ჰყავთ ღარიბები, შეიძლება იყენონ მოვალეები არა მარტო თავიანთთვის, არამედ სხვებისთვისაც. ზემოაღნიშნულის მიხედვით დაბეგვრის ზომა განისაზღვრება მოხმარების ზომით, ვიდრე იმ პირთა სიმდიდრით, რომლებიც ერთნაირად მოიხმარენ. ან რა საფუძველზე უნდა დაიბეგროს უფრო მეტად ის ვინც მეტს მუშაობს და ზოგავს რა თავისი შრომის შედეგს და ცოტას მოიხმარს – ვინც ის, რომელიც ცხოვრობს უზრუნველად, ცოტას შეიძენს და ხარჯავს ყველა შეძენილს, იმ დროს, როდესაც ერთი ღებულობს არა უფრო მეტ დაცვას სახელმწიფოსაგან, ვიდრე მეორე? როდესაც გადასახადებით იბეგრება ის, რასაც ადამიანები მოიხმარენ, მაშინ ყველა იხდის თავისი მოხმარების თანაბარზომიერად და სახელმწიფო არ მოითმენს დანაკარგებს კერძო პირების მფლანგველობიდან". ჰობსის აზრით, პირველყოფილი საზოგადოება ეს არის „ყველას ომი ყველას წინააღმდეგ". იმისათვის, რომ ეს თავიდან იქნეს აცილებული ადამიანები ქმნიან სახელმწიფო ხელისუფლებას, ხოლო იმისათვის, რომ ამ ხელისუფლების მატარებელმა ხალხმა იარსებოს, საზოგადოების წევრები ქმნიან საერთო ფონდს – სახელმწიფო ხაზინას, გადასახადები კი არის ის ფასი, რომლითაც ხდება საზოგადოებრივი სიმშვიდის ყიდვა.

თომა აქვინელი – იტალიელი ფილოსოფოსი(1225 – 1274). მას ეკუთვნის შემდეგი სიტყვები: „გადასახადები არის ძარცვის ნებადართული ფორმა"; „სამართლიანი იქნებოდა, თუ ქვეშევრდომები აანაზღაურებდნენ მას, რითაც ხდება მათი პირადი კეთილდღეობის უზრუნველყოფა".

თომას ფოული – აშშ-ს კონგრესის წარმომადგენლობითი პალატის სპიკერი(დ. 1929). მისი სიტყვებით „თუ თქვენ არ სვამთ, არ ეწევით, არ ატარებთ მანქანას, ე.ი თქვენ თავს არიდებთ გადასახადებს".

იბნ ხალდუნი – არაბი სწავლული(1332 – 1406). ითვლება, რომ მისი როლი ეკონომიკურ მეცნიერებაში ისეთივეა, როგორც ადამ სმიტის. იბნ ხალდუნმა გამოიყვანა ის თანაფარდობა, რომელიც შემდგომ საფუძვლად დაედო ა. ლაფერის საგადასახადო მრუდს. იბნ ხალდუნის აზრით, თუ გადასახადები მცირეა, მაშინ ქვეშევრდომები ისწრაფვიან შრომისკენ და იზრდება დოვლათი, რაც ზრდის ასევე გადასახადების თანხების ოდენობას. რაც უფრო მცირეა გადასახადების ოდენობა, მით უფრო რეალურია ნებისმიერი ქალაქისა და მთლიანად საზოგადოების აყვავება. იბნ ხალდუნი თვლიდა, რომ ყველაზე კარგი სახელმწიფოა ის სახელმწიფო, რომელსაც ჰყავს მინიმალური ბიუროკრატიული აპარატი, მინიმალური არმია და აქვს მინიმალური გადასახადები მოქალაქეებზე სახელმწიფოს საქმიანობის დაფინანსებისათვის. ხალდუნი ამბობს, რომ „გადასახადები ქმნიან სახელმწიფოს მატერიას." ხალდუნის თქმით „ის ვინც არღვევს საკუთრების უფლებას, სჩადის უსამართლობას...ის ვინც ძალით ეუფლება სხვის ქონებას, სჩადის უსამართლობას...ის ვინც კრებს უსამართლო გადასახადებს, სჩადის უსამართლობას."

იგორ ლიპსიცი – რუსი ეკონომიკის პროფესორი(დაბ.1950). მისი აზრით „სახელმწიფოს არსებობა და თავისი ამოცანების შესრულება მოითხოვს შემოსავლების საგადასახადო დაბეგვრის სისტემის შექმნას, რომელიც ადამიანებს არ წაართმევს სამეურნეო საქმიანობის რეალური გაძღოლის და სახელმწიფო ფინანსების უნარიანი მართვის ინტერესს".

კლაიდი(დიდი ბრიტანეთის ლორდ – მოსამართლე) – მას ეკუთვნის შემდეგი სიტყვები: „ქვეყანაზე არცერთ ადამიანს არა აქვს არავითარი ვალდებულება – მორალური ან სხვა, ისე გააკეთოს თავისი საქმის და ქონების ორგანიზება, რომ საგადასახადო ორგანოს შეეძლოს მის თეფშზე აძვრეს ყველაზე დიდი კოვზით. საგადასახადო ორგანოები სარგებლობენ კანონმდებლობით მონიჭებული ნებისმიერი შესაძლებლობებით, რომ გაასუფთაონ გადამხდელის ჯიბე. გადასახადის გადამხდელსაც აქვს, ასევე უფლება, დარჩეს რა კანონის ფარგლებში, გამოავლინოს გამჭრიახობა, რომ აღკვეთოს თავისი ჯიბის დაცარიელება საგადასახადო ორგანოების მიერ."

კონფუცი – ჩინელი ფილოსოფოსი. მან ჩაუყარა საფუძველი ჩინეთის საგადასახადო ფილოსოფიას ჩვ. წ.ა 5000 ნლის წინ. მისი საგადასახადო იდეები მოქმედებდნენ 2000 წლის განმავლობაში. კონფუცის მიერ მიღებული საგადასახადო წესების მიხედვით: ა) თუ იმპერატორი დაარღვევდა დაბეგვრის წესებს, მაშინ ის არღვევდა ღვთიურ წესებს და უნდა გადამდგარიყო; ბ) ხალხის გამოსვლა გადასახადების წინააღმდეგ მთავრდებოდა ხელისუფლების ცვლით; გ) გადასახადის განაკვეთი შეადგენდა 10 პროცენტს. საინტერესოა კონფუცის იგავი გადასახადებზე: ერთხელ კონფუციმ ერთ სოფელში დაინახა მტირალი ქალი. მიაგზავნა მოწაფე და გაარკვია, რომ ქალი იმის გამო ტიროდა, რომ ვეფხვს მისი შვილი შეეჭამა. მეორე სოფელში მოგზაურობის დროს ნახა, რომ მთელი სოფელი ტიროდა. მოწაფემ გაარკვია, რომ ეს ყველაფერი გამონვეული იყო საშინელი გადასახადების გამო. კონფუციმ მიმართა მოწაფეს: ხომ ხედავ გადასახადები ვეფხვზე უფრო უარესია და გაითვალისწინე ეს, როცა ქვეყნის მმართველი გახდები. კონფუცის აზრით, უზომო გადასახადების ამოღება, ეს არის გზა, რომელიც იწვევს ყაჩაღობას, მტრის გამდიდრებას და სახელმწიფოს დაღუპვას.

კარლ მარქსი – გერმანელი ეკონომისტი(1818 – 1883წ). მისი სიტყვებით: „გადასახადი-ეს დედის ძუძუა, რომელიც კეებავს მთავრობას. გადასახადი-ეს არის მეზუთე ღმერთი საკუთრებასთან, ოჯახთან, წესრიგთან და რელიგიასთან ერთად. როდესაც ფრანგ გლეხს სურს წარმოიდგინოს ეშმაკი, ის წარმოიდგენს ამას გადასახადის ამკრების სახით"(თუმცა ეს სიტყვები, როგორც ირკვევა, მიეწერება ფრანგ პოლიტიკურ მოვაწეს შარლ მონტალამბერს(1810 – 1870); „არაპირდაპირი გადასახადები მალავენ თითოეული პირისაგან თანხას, რომელსაც ის უხდის სახელმწიფოს, მაშინ, როცა პირდაპირი გადასახადები არაფრით არ არის შენიღბული, ამოიღება ღიად და შეცდომაში არ შეჰყავს თვით ყველაზე ბნელი ადამიანი. პირდაპირი გადასახადები, მაშასადამე, თითოეულს სურვილს აღუძრავს აკონტროლოს მთავრობა, მაშინ, როცა არაპირდაპირი გადასახადები თრგუნავს ყოველგვარ მისწრაფებას თვითმმართველობისაკენ".

კლემენტ მეტერნიხი – ავსტრიის სახელმწიფო მოღვაწე(1773 – 1859). მისი სიტყვებით „მთავრობები დიდ ყურადღებას უნდა აქცევდნენ თავიანთი ქვეყნების ფინანსების მდგომარეობას, რომ საზოგადოებრივი ბეგარისა და გადასახადების შემსუბუქების გზით თავიანთ ხალხს მისცენ განცდა არა წარმოსახვითი, არამედ რეალური სამყაროს მარგებლობისაგან".

კალიგულა – რომის იმპერატორი(12 – 41 წ). მისი სიტყვებია: „შენიშნავთ, რომ უფრო მეტი უზნეობა არაა, მოქალაქე გაქურდო ღიად, ვიდრე ფარულად იმ პროდუქტებზე არაპირდაპირი გადასახადების ზრდით, რომლის გარეშეც მათ არ შეუძლიათ არსებობა. მართო – ნიშნავს იქურდო – ყველამ იცის ეს. მაგრამ ეს შეიძლება გააკეთო სხვადასხვა წესებით. პირადად მე მინდა ვიქურდო ღიად".

ლორენს პიტერი – ამერიკელი სწაელული(დაბ.1919 წ). პედაგოგიკის დოქტორი. მას ეკუთვნის შემდეგი სიტყვები: „თუ თქვენ მოქმედებთ წესების დარღვევით თქვენ გაჯარიმებენ; თუ თქვენ მოქმედებთ წესების დაცვით, თქვენ გბეგრავენ გადასახადებით."; „ამერიკა-ეს გადასახდების ქვეყანაა, რომელიც შეიქმნა იმის გამო, რომ თავი აერიდებინათ გადასახადებისათვის"; „პარლამენტარები, რომლებმაც უნდა აირჩიონ ორი გადასახადიდან ერთ-ერთი, ჰგვანან ქალს, რომელსაც ვერანაირად ვერ გადაუწყვეტია ორიდან, რომელი კაბა იყიდოს. ჩვეულებრივ ის ყიდულობს ორივეს".

ლუი დე ჟოკური – ფრანგი ფილოსოფოსი(1704 – 1779). მისი სიტყვებია: „გადასახადები სახელმწიფოში-ეს გემის აფრებივითაა; მათ უნდა ნარმართონ, უზრუნველყონ და მიიყვანონ ნავსადგურამდე და არ ამძიმებდნენ მას, გამუდმებით ამყოფებდნენ ზღვაში და ბოლოს და ბოლოს ჩაძირონ იგი".

ლუდვიგ ერჰარდი – გერმანიის კანცლერი(1897 – 1977). მეორე მსოფლიო ომისშემდგომი გერმანული ეკონომიკური სასწაულის მამა. ვიდრე კანცლერი გახდებოდა მან განახორციელა ლიბერალური ფულადი და საფასო, ხოლო შემდეგ საგადასახადო რეფორმები. გადასახადების დიდი ნაწილი გაუქმდა. გაუქმდა ფიქსირებული ფასები. ამ პერიოდში ლ. ერჰარდს ასეთი ლოზუნგიც კი ჰქონდა: უსაქმოდ ნუ იჯდები – გააუქმე რამე. მოგების გადასახადი, რომელიც 35 – 65 პროცენტის ფარგლებში იყო გახდა პროპორციული – 50 პროცენტი. ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადი 250000 გერმანული მარკის ზემოთ 95 პროცენტი გახდა. უფრო ადრე 1946 წელს მოკავშირეებმა 6000 გერმანული მარკა(60000 რაიხსმარკა) ასევე 95 პროცენტით დაბეგრეს. 1950 წელს საშუალო გერმანელის წლიური შემოსავალი, რომელიც 2400 გერმანულ მარკაზე მეტი იყო ზღვრული 18 პროცენტიანი საშემოსავლო გადასახადით იბეგრებოდა, ხოლო იგივე შემოსავალზე 1948 წელს საშემოსავლო გადასახადი 85 პროცენტი იყო. ლ. ერჰარდის მიერ ჩამოყალიბებული დაბეგვრის ძირითადი პრინციპები შემდეგნაირად გამოიყურება: გადასახადები შეძლებისდაგვარად მინიმალური უნდა იყოს; ამა თუ იმ ობიექტის დაბეგვრის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული გადასახადების ამოღების ეკონომიკური მიზანშეწონილობა; გადასახადები ხელს არ უნდა უშლიდეს კონკურენციას; გადასახადები ხელს უნდა აძლევდეს სტრუქტურულ პოლიტიკას; დაბეგვრის სისტემა აგებულ უნდა იქნეს გადამხდელის

პირადი ცხოვრების პატივისცემაზე და დაცულ უნდა იქნეს კომერციული საიდუმლოება. სისტემაში გამორიცხულ უნდა იქნეს ორმაგი დაბეგვრა; გადასახადები უნდა უზრუნველყოფდნენ საზოგადოების შემოსავლების სამართლიან განაწილებას; გადასახადების მოცულობა უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ განეული მომსახურების შესაბამისი.

ლორანდ ეტვეში – უნგრელი ფიზიკოსი (1848 – 1919). მისი აზრით „სახელმწიფოს კეთილდღეობას განსაზღვრავს არა ის თანხები, რომელსაც სახელმწიფო ამოიღებს ხალხისაგან სხვადასხვა გადასახადებისა და მოსაკრებლების ფორმით, არამედ, ის – რომელსაც უტოვებს მოქალაქეებს".

მიურეი როტბარდი – ამერიკელი ეკონომისტი (დაბ.1926წ). ეკონომიკის დოქტორი. მისი აზრით „ყველა სხვა პიროვნებები და ჯგუფები საზოგადოებაში (გარდა ცალკეული დამნაშავეებისა, ისეთები, როგორიც არიან ქურდები და ბანკის მძარცველები) თავიანთ შემოსავლებს მოიპოვებენ ნებაყოფლობითი კონტრაქტების საფუძველზე: ან საქონლის და მომსახურების გაყიდვით მომხმარებლებთან ან ჩუქების აქტის საფუძველზე (ანუ კლუბში ან ასოციაციაში გაწევრიანებით, ანდერძით მემკვიდრეობის მიღებით, მემკვიდრეობის მიღებით). მხოლოდ სახელმწიფო იღებს თავის შემოსავლებს ძალადობით და თუ შემოსავლები არ გამოჩნდება – საშინელი ჯარიმების მუქარით. ასეთი ძალადობა ცნობილია, როგორც დაბეგვრა, თუმცა უფრო განუვითარებელ დროში მას ძღვენს ეძახდნენ. დაბეგვრა-ეს უბრალოდ წმინდა ქურდობაა და ეს ქურდობა საოცარი მასშტაბებისაა, რომელთანაც ვერც ერთი დამნაშავე ვერ მივა. ეს არის მაცხოვრებლების ან სახელმწიფოს ქვეშევრდომთა საკუთრების იძულებითი ამოღება."

მენკიუსი – ჩინელი ფილოსოფოსი(ჩვ.წ.ა 372 – 289). იგი ემხრობოდა შემდეგ საგადასახადო ფილოსოფიას: ა) გადასახადები ამოღებულ უნდა იქნეს წმინდა მოგებიდან და არა მთელი პროდუქციიდან; ბ) თუ არსებობს მიწის გადასახადი, არ დაანესო გადასახადი წარმოებაზე. მაშინ მსოფლიოს ყველა ვაჭარი მოხარული იქნება შენს ბაზარზე შეიძინოს აქტივები; გ) თუ პორტებში არის შემოწმება, მაგრამ არ არის გადასახადები, მაშინ მთელი მსოფლიოს მოგზაურები სიხარულით ჩამოვლენ ამ ქვეყანაში; დ) თუ ფერმერების მუშებს არ დაბეგრავ გადასახადებით, მაშინ მთელი მსოფლიოს მუშები სიხარულით იმუშავებენ თქვენს მინდვრებზე; ე) თუ მუშის საცხოვრებელი არ იბეგრება სულადობრივი გადასახადით, მსოფლიოში ყველა მოისურვებს თქვენს ქვეშევრდომობას. მენკიუსი ამბობდა, რომ მთავრობა უფლებამოსილია ზეციურად და შესაბამისად ხალხი უნდა აქციოს ბედნიერად და შეძლებულად. მაღალი გადასახადებით ამას ვერ მიაღწევ. მენკიუსმა შეიმუშავა გლეხების დაბეგვრის სისტემა, რომლის მიხედვით მიწების დაბეგვრის საგადასახადო განაკვეთი შეადგენდა 10 პროცენტს. როდესაც ჩინეთის კედლის აშენებისათვის ერთ-ერთმა იმპერატორმა გადასახადები გაზარდა 10 – დან 50 პროცენტამდე, მოხდა საგადასახადო აჯანყება, რასაც შედეგად მოჰყვა იმპერატორის წასვლა.

მარკუს ვიფსანიუს აგრიპა – რომის იმპერატორი ჩვ.წ.ა. 63 – 12 წ. მისი სიტყვებია: „საიდან უნდა ავიღოთ არმიის შენახვის და სხვა სახელმწიფო ხარჯების დაფარვის აუცილებელი სახსრები? მე გიხსნით თქვენ, მაგრამ თავდაპირველად მინდა ხაზი გავუსვა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩვენ გვექნებოდა დემოკრატია, ფული სახელმწიფო ბიუჯეტისათვის მაინც დაგეჭირდებოდა, ვინაიდან ჯარისკაცის გარეშე სახელმწიფოს არსებობა არ შეუძლია, ხოლო ფულადი უზრუნველყოფის გარეშე ჩვენ ვერ შევინახავთ არმიას. დაბეგვრა სრულიად არ არის მონარქიის განმასხვავებელი ნიშანი – მმართველობის ნებისმიერი ფორმა მოითხოვს გადასახადების ამოღებას...ჩვენ უნდა დავბეგროთ ნებისმიერი საკუთრება, რომელსაც მოგება მოაქვს მისი მფლობელისათვის და ამისათვის ამოვიღებთ გადასახადებს იმპერიის ყველა ადგილზე. ვინაიდან, სრულიად სამართლიანია ის, რომ არცერთი პირი და არცერთი ადგილი არ დარჩება გადასახადებისაგან თავისუფალი, ამავე დროს ისინი სხვებთან ერთად, სარგებლობენ იმ სიკეთეებით, რომელსაც სახელმწიფო აძლევს მათ გადასახადების საშუალებით."

მილტონ ფრიდმანი – ამერიკელი ეკონომისტი, ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი(1912 – 2006). იგი ენინააღმდეგებოდა მაღალ გადასახადებს, რადგანაც მისი აზრით ეს სოლს არჭობს მწარმოებლებსა და მომხმარებლებს, მწარმოებლებსა და დაქირავებულ პირებს შორის. ფრიდმანის აზრით, აუცილებელია სანარმოს გადასახადების განაკვეთების შემცირება, რაც საშუალებას მოგვცემს გაიზარდოს დაგროვება, რომელიც გაზრდის ინვესტიციებს. ფრიდმანი იხსენებს ჰენრი ჯორჯს: „ჩემი აზრით, უფრო ნაკლებად ცუდი გადასახადია – გადასახადი ქონებაზე, რომელიც ამოიღება დაუმუშავებელი მიწიდან, რომელზეც მრავალი – მრავალი წლის წინ ამბობდა ჰენრი ჯორჯი". ფრიდმანის აზრით „ინფლაცია – დაბეგვრის ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც არ საჭიროებს საკანონმდებლო მოწონებას".

მარტინ ფელდშტეინი(ჯორჯ ფ. ბეიკერი) – ამერიკელი ეკონომისტი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი (დაბ.1939წ). მისი აზრით „საგადასახადო პოლიტიკას, რომელიც წახალისებას უკეთებს კორპორაციის დანაზოგებს, აუცილებლად მივყავართ ერთობლივი ინვესტიციების ზრდისაკენ".

მიხეილ მამჩიჩი – რუსი პუბლიცისტი და აფორიზმების შემქმნელი(დაბ.1964). მისი სიტყვებია: „რა არის ჩვენი ცხოვრება – გადასახადებით დაბეგვრის ობიექტი"; „ფისკალების სულები არასდროს არ ხვდება სამოთხეში – ისინი ყოველთვის თან სდევენ გადასახადის გადამხდელების სულებს"; „გადასახადების დროზე არგადახდა გადამხდელს იმ მდგომარეობაში აგდებს, რომელიც კამასუტრაშიც არ არის გათვალისწინებული"; „თუ გადასახადების გადახდა – ხელოვნებაა, მაშინ მისგან თავის არიდება – ხალხური რენვა"; „დამაძინებელი ნამლებისაგან განსხვავებით გადასახადებმა მიჩვევა არ იცის, ამიტომ შეიძლება მთელი ცხოვრება იხადო"; „გადასახადები -ეს წმინდაა. მე ვარ მხოლოდ ათეისტი"; „გადასახადები გეჩვენება მაღალი, მანამ სანამ საგადასახადო ინსპექციაში ჩოქვით შედიხარ"; „საგადასახადო ინსპექცია არ მუშაობს, ის დაკავებულია იმით – ვინც მუშაობს"; „თუ გადასახადები იწვევს თავის ტკივილს უსარგებლოა თავის მკურნალობა – უმჯობესია გადაიხადო გადასახადები"; „გადახდილი გადასახადები-ეს ფულია, ხოლო დამალული – ნლები"; „საგადასახადო სამოთხეში ფისკალებს დაეუფლათ ჯოჯოხეთური გრძნობები".

მორის ლორე – ფრანგი ეკონომისტი. საფრანგეთის ეკონომიკის, ფინანსების და მრეწველობის სამინისტროს გადასახადების, მოსაკრებლების და დამატებული ღირებულების გადასახადის დირექციის დირექტორი (1954 წ). ის ითვლება „დღგ-ის მამად". 1954 წელს მან შეიმუშავა დღგ-ის ამოღების სქემა. თანამედროვე ფორმით იგი საფრანგეთში შემოღებულ იქნა 1968 წელს. მანამდე კი ეს გადასახადი გამოიცდებოდა საფრანგეთზე დამოკიდებულ აფრიკულ ქვეყანაში – კოტ დიუვარში. ზოგიერთი ინფორმაციით დღგ პირველად 1919 წელს შეიმუშავა გერმანიაში ვილგელმ ფონ სიმენსონმა და მას უწოდა „გაკეთილშობილებული ბრუნვის გადასახადი", ხოლო დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურების სისტემის შემუშავება მიეწერება ამერიკელ ეკონომისტს, მიჩიგანის უნივერსიტეტის პროფესორსს ჰენრი კარტერ ადამსს(1851 – 1921).

მაკ-კულოხი – ინგლისელი ეკონომისტი(1789 – 1864). მისი აზრით „გადასახადების ზრდას ისეთივე ძლიერი გავლენა აქვს ერზე, როგორც კერძო პირზე ოჯახის ზრდას ან მისი აუცილებელი ხარჯების ზრდას. ომის დროს გადასახადების მუდმივად მზარდმა ნნეხმა, დაწყებულმა 1793 ნლიდან, რომელიც განიცადა ყველა კლასმა, სტიმული მისცა მომჭირნეობას და გამომგონებლობას და ააღორძინა ეკონომიკის სული, რომელსაც ჩვენ სულ ტყუილად ვცდილობდით განგვევითარებინა ნაკლებად ძლიერი საშუალებებით. თუ გადასახადები იქნებოდა ნაკლებად მძიმე, მათ არ ექნებოდათ ასეთი ეფექტი".

მორის დრიუონი – ფრანგი მწერალი(1918 – 2009). მისი ფრთიანი სიტყვით „გადასახადი ცოდვაზე – უშრეტია". მის ერთ-ერთ ნანარმოებში ეკითხულობთ „დაბეგვრა, თქვენო უმაღლესობავ, მხოლოდ დაბეგვრა! შთააგონებდა დიუე ახალგაზრდა რეგენტს. – დააჯარიმეთ ყველა ვინც ჩაიდინა ბოროტება და რაც უფრო მდიდარია იგი, მით მეტი დარტყმა მიაყენეთ მათ. თუ კანონის დამრღვევეს ასი ლივრი აქვს, გამოართვით მას ოცი. მაგრამ თუ ის ფლობს ათასს, აიღეთ მისგან ხუთასი, თუ მას აქვს ასი ათასი – ნაართვით თითქმის მთელი ქონება. ჩემი ნინადადება შეიცავს სამ უპირატესობას: პირველი – ხაზინაში შენატანები გაიზრდება. მეორე – ადამიანი, რომელმაც გადააბიჯა კანონს და ჩამოერთვა ქონება, არ შეეძლება ისევ ჩაიდინოს ბოროტმოქმედება და ბოლოს, მესამე-ღარიბები, და ისინი უმრავლესობაა, იქნებიან თქვენს მხარზე და ირწმუნებენ თქვენს სამართლიანობას...დაბეგვრა, დაბეგვრა, თქვენო უმაღლესობავ, გაიმეორა დიუემ. – დავადოთ გადასახადი ცოდვილებს; ეს წყარო უშრეტია".

ნიკოლაი ტურგენევი – მე-19 საუკუნის რუსი ეკონომისტი. მისი მთავარი ნაშრომია „გადასახადების თეორიის გამოცდილებანი". ტურგენევი აყალიბებს დაბეგვრის 5 ძირითად ატრიბუტს: ა) გადასახადების თანაბარი განაწილება – გადასახადები უნდა შეესაბამებოდეს გადასახადის გადამხდელების შემოსავალს; ბ) გადასახადის განსაზღერულობა – გადასახადის ოდენობისა და გადახდის დროის გაურკვეველობა გადასახადის გადამხდელს მიჰყავს გადასახადის ამკრების თვითნებობამდე; გ) გადასახადების აკრება ხელსაყრელ დროს – საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება ნიშნავს, არა მხოლოდ გადასახადების შემცირებას, არამედ, არამედ მისი გადახდის რაოდენობის გადანაწილებას დროში; დ) საგადასახადო ტვირთის უმეტესი ნანილის გადატანა წმინდა შემოსავალზე – უმჯობესია გადასახადი ამოღებულ იქნას შემოსავლიდან, მეტადრე წმინდა შემოსავლიდან და არა თვითონ კაპიტალიდან; ე) გადასახადების იაფი აკრება – სწრაფვა უმცირესი დანახარჯებით გადასახადების ამოღებისაკენ. მისი განსაზღერებით „გადასახადები-ეს არის საზოგადოების ან სახელმწიფოს მიზნების მისაღწევი საშუალების არსი ანუ იმ მიზნების, რომელსაც ადამიანები განიზრახავენ თავიანთი საზოგადოებაში გაერთიანების ან სახელმწიფოს შექმნის დროს. ამას ეფუძნება მთავრობის უფლება მოითხოვოს გამოსაღები ხალხისაგან. ადამიანები, რომლებიც გაერთიანდნენ საზოგადოებაში და მიანიჭეს მთავრობას უმაღლესი ხელისუფლება, მიანიჭეს მას, ამასთან ერთად, გადასახადების

მოთხოვნის უფლება."

ნიკოლო მაკიაველი – იტალიელი პოლიტიკური მოღვაწე, მწერალი(1469 – 1527). მისი აზრით, როდესაც ხელმწიფე იპყრობს სხვა ქვეყნებს და იერთებს სხვა ტერიტორიებს, მან უცველად უნდა დატოვოს არსებული გადასახადები და არ უნდა გაზარდოს ისინი. როდესაც ხალხი დაინახავს, რომ ხელმომჭირნეობის წყალობით ხელმწიფე კმაყოფილდება თავისი შემოსავლებით და აწარმოებს ომებს ისე, რომ ხალხს არ ბეგრავს დამატებითი გადასახადებით, მას დაუმკვიდრდება გულუხვი მმართველის სახელი.

ნაპოლეონ ბონაპარტი – საფრანგეთის იმპერატორი(1769 – 1821). მის საიმპერატორო ფიციდან ვკითხულობთ: „...მე ვფიცავ დავიცვა საფრანგეთის ტერიტორიული მთლიანობა, პატივი ვცე და დავიცვა კონკორდატის კანონები და რელიგიის თავისუფლება, პატივი ვცე და დავიცვა უფლებათა თანასწორობა, პოლიტიკური და სამოქალაქო თავისუფლება, სახელმწიფო ქონების შეუქცევადი გაყიდვა, არ გავზარდო არცერთი გადასახადი, არ შემოვიღო ახალი გადასახადები, შევინარჩუნო სასპატიო ლეგიონი, ვმართო ფრანგი ხალხის სახელით, სადიდებლად და სასარგებლოდ...". ნაპოლეონს ეკუთვნის შემდეგი სიტყვები: „...ადამიანურმა გონებამ შესაძლებელი გახადა სამი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი: ნაფიცი მსაჯულების სასამართლო, დაბეგვრის თანასწორობა და სინდისის თავისუფლება..."; „...ჩემი ფინანსური სისტემა ითვალისწინებდა პირდაპირი გადასახადების შემცირებას, რომელიც მძიმე ტვირთია და მის შეცვლას – არაპირდაპირი გადასახადებით, რომელიც მიმართულია მხოლოდ ფუფუნებისა და თაგშეუკავებლობის წინააღმდეგ..."; „უსაფრთხოება და საკუთრება შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ისეთ სახელმწიფოში, სადაც საგადასახადო შკალა ყოველ წელს არ იცვლება".

ნიკოლაი ჩერნიშევსკი – რუსი ფილოსოფოსი(1828 – 1889). მისი სიტყვებით: „არ არსებობს ისეთი საგანი ან მოქმედება, რომელიც სადღაც და ოდესღაც არ იბეგრებოდა გადასახადით". ამასთან დაკავშირებით, აკად. ვასილ ჩანტლაძე ამბობდა ხოლმე: „საფენი, რომელშიც დაბადების შემდეგ პირველად გაახვევენ ჩვილს დაბეგრილია. დაბეგრილია ის თოკიც, რომლითაც სიკვდილის შემდეგ კუბოს ჩაასვენებენ საფლავში".

ოლივერ ჰოლმსი(უფროსი) – ამერიკელი ექიმი და მწერალი(1809 – 1894). მას ეკუთვნის სიტყვები, რომელიც ამოტვიფრულია აშშ-ის შიგა შემოსავლების სამსახურის ფასადზე: „გადასახადი-ეს არის საფასური საზოგადოების ცივილიზებულობისათვის".

ონორე დე ბალზაკი – ფრანგი მწერალი(1799 – 1850). მისი აზრით „საგადასახადო სამსახური თავისი ბუნებით სულელური და მავნეა საზოგადოებისათვის. ის მზადაა ქვეყანა გადაჩეხოს ჭკუასუსტობის უფსკრულში, მხოლოდ სიამოვნებისთვის ერთი ხელიდან – მეორეში გადაიტანოს ეკიუ, ისე, როგორც ამას აკეთებენ ინდოეთის ჟონგლიორები".

ოსკარ უაილდი – ირლანდიელი მწერალი(1854 – 1900). მან საბაჟოზე, მებაჟის მოთხოვნაზე დაედეკლარირებინა ნივთები, შემდეგი სიტყვები წარმოთქვა: „მე არაფერი მაქვს დასადეკლარირებელი საკუთარი გენიალობის გარდა".

პუბლიუს ვირგილიუს მარო – ძვ.რომაელი პოეტი(დაბ.ჩვ.წ.ა. 70ნ). მას სახლში ჰყავდა ოთახის ბუზი, როგორც შინაური ცხოველი. ერთხელ მან თავისი სახლის ეზოში მოაწყო ამ ბუზის დაკრძალვის ცერემონია. ამით მან თავისი მინა გადააქცია სასაფლაოდ, ხოლო სასაფლაო არ იბეგრებოდა მიწის გადასახადით.

პოლ ანრი გოლბახი – ფრანგი ფილოსოფოსი(1723 – 1789). მას ეკუთვნის შემდეგი სიტყვები; „სწორედ გადასახადების სიმძიმე ანგრევს სოფლის მეურნეობას და გლეხს უნერგავს შრომისადმი ზიზღს; ადამიანისგან, რომელსაც თვითონ არაფერი არ აქვს, ვერაფერს ვერ მიიღებ"; „არასდროს არ შეიძლება დაიბეგროს ის პროდუქცია, რომელიც გამიზნულია საზღვარგარეთ გასაგზავნად"; „გადასახადების აკრება ხდება მოპარვა, როდესაც მას კრებენ არა სახელმწიფო დაცვის საშუალებების უზრუნველსაყოფად და მისი ბეჭდვირების განმტკიცებისათვის. მეფე არის ავაზაკი და მექრთამე, როდესაც ის გამოიყენებს ძალას, რომ გამოსტაცოს ქონება ხალხს, ისე, რომ სანაცვლოდ არ მისცეს მას არავითარი სიკეთე და უპირატესობა".

პიერ ჟოზეფ პრუდონი – ფრანგი საზოგადო მოღვაწე(1809 – 1865). მის წიგნში „გადასახადის თეორია" – ვკითხულობთ: „რას წარმოადგენს გადასახადი თავისუფალ საზოგადოებაში? ის არ არის ხარკი, რამდენადაც ხარკი შეუთავსებელია თავისუფლებასთან. ის არ არის გამოსასყიდი...ის არ არის ერთჯერადი დასაჩუქრება, თავისებური პრემია ან ჯილდო, რომელიც გაიცემა ხელმწიფეზე, როგორც სახელმწიფოს დამფუძნებელზე, ინიციატორსა და დირექტორზე...გადასახადი არ არის არც შეთავაზება და საჩუქარი...და ბოლოს გადასახადი არ არის დაზღვევაც...გადასახადი ეს არის ფასეულობების გაცვლა. არის მომსახურებები, რომლებიც არ შეიძლება თავის თავზე აიღონ კერძო პირებმა, მათ არეგულირებს და აჯილდოებს საზოგადოება; ისინი შეადგენენ სახელმწიფოს სპეციალობას

და გეევლინება გადასახადების ობიექტად".

პიერ დანინოსი – ფრანგი მწერალი(1913 – 2005). მას ეკუთვნის შემდეგი სიტყვები: „შენ შეიძლება ვერ შეამჩნიო, რომ შენ ყველაფერი კარგად მიგდის. მაგრამ საგადასახადო სამსახური შეგახსენებს".

პოლ სამუელსონი – ამერიკელი ეკონომისტი(1915 – 2009). ნობელის პრემიის ლაურეატი. მისი აზრით „ ისინი, ვინც არსებითად თანასწორნი არიან, უნდა დაიბეგრონ ერთნაირი გადასახადით... პირადი შემოსავლის გადასახადს აქვს მკვეთრად გამოხატული პროგრესული ხასიათი და იწვევს შემოსავლების გადანაწილებას მდიდრებსა და ღარიბებს შორის". მასვე ეკუთვნის შემდეგი სიტყვები: „მე ვალდებული არ ვარ მოვწიო სიგარეტი „ლაქი სტრაიქი" ან ვიყიდო ნეილონის წინდები, მაგრამ მე ვალდებული ვარ ვიხადო ყოველწლიური გადასახადი, მინდა თუ არა ეს მე"; „ზრდასულებს სძულთ გადასახადებიიმავე ძალით, როგორც ბავშვებს ეზიზღებათ კბილების ხეხვა – და ისეთივე ბავშვური ახლომხედველობით"; „პირადი შემოსავლის გადასახადს აქვს მკვეთრად გამოხატული პროგრესული ხასიათი და იწვევს შემოსავლების გადანაწილებას მდიდრებსა და ღარიბებს შორის".

კოულმან ენდრიუსი – აშშ-ს საგადასახადო სამმართველოს დირექტორი. მისი სიტყვებით „ჩვენ არ ვართ გადასახადის გადამხდელების უფროსები; ისინი არიან ჩვენი უფროსები".

ჟან შარლ სისმონდ დე სისმონდი – შვეიცარიელი ეკონომისტი(1773 – 1842). პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. მისი განსაზღვრებით „გადასახადი-ეს არის ფასი, რომელსაც იხდიან მოქალაქეები საზოგადოებრივი წესრიგით მიღებული სიამოვნებისათვის, მართლმსაჯულების სამართლიანობისათვის, პიროვნების თავისუფლების და საკუთრების უფლების უზრუნველყოფისათვის. გადასახადების საშუალებით იფარება სახელმწიფოს ყოველწლიური ხარჯები და, ამრიგად, ყოველი გადასახადის გადამხდელი მონაწილეობს იმ საერთო ხარჯებში, რომელიც გაიწევა მისთვის და მისი თანამოქალაქეებისათვის"; „შემოსავლები ნაწილდება ერის ყველა კლასს შორის, არცერთი შემოსავლის ნაწილი არ უნდა დაუსხლტეს დაბეგვრას. მოქალაქეები გადასახადებს უნდა უყურებდნენ, როგორც ჯილდოს სახელმწიფოს მიერ მათი პიროვნებისა და საკუთრების დაცვისათვის...სიმდიდრის მიზანი სიამოვნებაა. გადასახადების მეშვეობით თითოეული გადამხდელი სხვას არაფერს ყიდულობს, გარდა სიამოვნებისა...სიამოვნების დამატებაა ეროვნული დაცვა, რომელიც უზრუნველყოფს თითოეულის მონაწილეობას იმ ხეირში, რომელიც მიიღწევა საზოგადოებრივი წესრიგით"; „ამრიგად, ფული, რომელიც გადაიხდება გადასახადების სახით, ხეირიანად გამოიყენება, ერთი მხრივ, თუ ყველაფერი რაც აღებულია საზოგადოებრივი სიამოვნებების სახელით, ნამდვილად მიდის ამ სიამოვნებებზე და არა მთავრობის ენებების დასაკმაყოფილებლად. გადასახადი არის ფასი, რომელიც გადახდილია მოქალაქის მიერ სიამოვნების მიღებისათვის."; „გადასახადი არის მსხვერპლი, მაგრამ ამავე დროს სიკეთე: თუ სახელმწიფოს მომსახურებას მოაქვს ჩვენთვის უფრო მეტი სიამოვნება, ვიდრე ჩვენ გვართმევს მსხვერპლს ანუ იმ ფასად, რომლითაც ჩვენ მას ვღებულობთ. ამიტომ უარი უნდა ვთქვათ სიამოვნებაზე, თუ ის ძვირია, თუ მისი ყიდვა გვართმევს აუცილებელს".

ჟან-ჟაკ რუსო – ფრანგი ფილოსოფოსი(1712 – 1778). მისი აზრით „ხალხის დაბეგვრა და უპირველესი აუცილებლობის საგნებზე გადასახადები, რომელიც პირდაპირ ხელყოფს საკუთრების უფლებას, და, მაშასადამე, პოლიტიკური საზოგადოების ჭეშმარიტ საფუძვლებს, ყოველთვის მოიცავს თავის თავში სახიფათო შედეგებს, თუ ისინი არ დგინდება ხალხის ან მათი წარმომადგენლების პირდაპირი თანხმობით".

ჟან ბატისტ სეი – ფრანგი ეკონომისტი(1767 – 1832). მისი აზრით, „მდიდრების მფლანგველობა ყოველთვის უსწრებს მთავრობის მფლანგველობას ან მოსდევს მას, ხოლო ეს უკანასკნელი მფლანგველობა თავის სახსრებს მიმართავს მხოლოდ გადასახადებიდან, რომელიც ყოველთვის მძიმეა მცირე შემოსავლებისათვის, ვიდრე მსხვილი შემოსავლებისათვის".

ჟან ბატისტ კოლბერი – საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწე(1809 – 1894). ის ერთი პერიოდი საფრანგეთის ფინანსების გენერალური მაკონტროლებელიც იყო. მას ეკუთვნის სიტყვები: „დაბეგვრა არის ხელოვნება, გააუტყო ბატი ისე, რომ მისი მინიმალური წივილით მიიღო ბუმბულის მაქსიმუმი". როდესაც კოლბერის ცხედარს მიასვენებდნენ მას თავს დაესხა კოლბერის მიერ დაწესებული აუტანელი გადასახადებით აღშფოთებული ხალხი, რომელიც ძლივს მოიგერია სამხედრო დაცვამ.

ჟან ბოდენი – ფრანგი სამართლის პროფესორი(1530 – 1596). იგი ეკონომიკაში ითვლება მერკანტილიზმის წარმომადგენლად. ბოდენი, ფინანსებს „სახელმწიფოს ნერვებს" უწოდებდა. სახელმწიფო ფინანსების შემოსავლის საფუძვლად იმ პერიოდისათვის ბოდენი შემდეგ შვიდ წყაროს ასახელებს: დომენები, სამხედრო ნადავლი, მეგობარი სახელმწიფოების საჩუქრები, მოკავშირეების მოსაკრებლები, ვაჭრობიდან შემოსავლები, საქონლის ექსპორტ – იმპორტის გადასახადები, დაპყრობილი ხალხების ხარკი. ჩამონათვალში, გადასახადები, როგორც ასეთი არ ფიგურირებს. ბოდენს მიაჩნდა, რომ გადასახადები სახელმწიფომ უნდა შემოიღოს განსაკუთრებულ შემთხვევებში, ვინაიდან გადასახადე-

ბი ყოველთვის იქნება მეფისა და მისი ქვეშევრდომების უთანხმოების საგანი.

რობერტ სარნოფი – ამერიკელი ბიზნესმენი(დაბ.1918). მისი ხატოვანი გამონათქვამით „სახელმწიფო ფინანსები-ეს არის ხელიდან ხელში ფულის გადაცემის ხელოვნება, მანამდე, სანამ ეს ფული არ გაქრება."

რონალდ კოუზი – ამერიკელი ეკონომისტი (დაბ.1910). ნობელის პრემიის ლაურეატი. ის ამბობდა, რომ „ჩვენი საგადასახადო პროექტები-ეს არის ზუსტად ის მასალა, რომლისაგანაც დამზადებულია ოცნებები".

როგოზინი ს. – რუსი პროფესორი (მე-20 სს). მას ეკუთვნის ასეთი გამოთქმა: „ძეხვში უფრო მეტი გადასახადებია, ვიდრე ხორცში".

რონალდ რეიგანი – აშშ-ს პრეზიდენტი (1911 – 2004). მას ეკუთვნის შემდეგი ფრაზები: „მთავრობის შეხედულება ეკონომიკაზე შეიძლება შეჯამდეს რამდენიმე მოკლე ფრაზით: თუ ის მოძრაობს – დაბეგრე. თუ ის მოძრაობას განაგრძობს – მოახდინე მისი რეგულაცია და, თუ ის გაჩერდება – გაუწიე სუბსიდირება"; „პრობლემა იმაში კი არ არის, რომ ხალხი მცირე გადასახადებს იხდის, არამედ იმაში, რომ მთავრობა ხარჯავს ბევრს". იხ. აგრეთვე „რეიგანომიკა'.

სირილ პარკინსონი – ინგლისელი პუბლიცისტი(დაბ.1909 წ). ფილოსოფიის დოქტორი. მის კალამს ეკუთვნის შემდეგი სიტყვები: „შეუძლებელია დაუძვრე გადასახადებს. მას შეიძლება თავი აარიდო კანონიერი ან არაკანონიერი გზებით. ორივე გზა ისეთივე ძველია, როგორც თვით საგადასახადო სისტემა."; „ქონების დამალვა გადასახადის ამკრებისაგან არც ისე რთულია, მაგრამ მისი დამალვა იმ პირისაგან, ვისთანაც საქმეს აკეთებ, პრაქტიკულად შეუძლებელია."; „გადასახადების ისტორია – ომების ისტორიაა."; „ეკონომისტები თვლიან, რომ სახელმწიფო შემოსავლები შეიძლება იყოს უსაზღვრო. თუმცა ეს საზღვრები არსებობს: საზღვარი, რომლის იქით გადასახადის აწევა არასასურველია; საზღვარი, რომლის ზემოთ გადასახადის გაზრდა სახიფათოა; და ბოლოს საზღვარი, რომლის იქით კატასტროფაა. ყველა ეს საზღვარი მკაფიოდ არის განსაზღვრული ეკონომიკური თეორიებით და ისტორიული ფაქტებით".

სტანისლავ ეჟი ლეცი – პოლონელი მწერალი და ფილოსოფოსი(1909 – 1966). მისი სიტყვებია: „ჯერ გადაიხადე და მერე თუგინდ წაგივიდეს სული"; „აზრები თავისუფალია საბაჟო კონტროლისაგან, თუ საზღვარს არ გადადიან"; „ეს საშინელებაა, რომ მარადიულობა შედგება საანგარიშო პერიოდებისაგან

სოლ ბელოუ – ამერიკელი მწერალი(1915 – 2005). ნობელის პრემიის ლაურეატი. მან აშშ-ს პრეზიდენტს 1964 წელს ასეთი წერილი მისწერა: „პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო! საგადასახადო კანონმდებლობა მთელ ერს გადააქცევს მოანგარიშეებად. თითოეული მოქალაქის ცხოვრება ხდება ბიზნესი. ჩემი აზრით, მთელი ისტორიის მანძილზე, ეს ცხოვრების ყველაზე უარესი განსაზღვრებაა. ადამიანური ცხოვრება – ბიზნესი არ არის".

ტიბერიუსი – რომაელი იმპერატორი. ძველ ეგვიპტეში რომაელები მთელი სიმკაცრით იღებდნენ გადასახადებს და აგზავნიდნენ რომში. ამაზე ტიბერიუსმა თქვა; „მე მინდა,რომ ჩემ ცხვრებს კრეჭდნენ და არა ცოცხლად ატყავებდნენ".

უინსტონ ჩერჩილი – ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწე(1874 – 1965). მისი სიტყვებია: „კარგი გადასახადები არ არსებობს"; „აკრიბო გადასახადები და და იყო სასურველი ისევე შეუძლებელია ერთდროულად, როგორც გიყვარდეს და იყო ბრძენი".

უცნობი ავტორი – ზოგიერთი გამონათქვამის ავტორი ცნობილი არ არის, მაგრამ თავისი ფორმით და შინაარსით მეტად საინტერესოა. მაგ. „ცივილიზაციის გზა მოკირწყლულია გადასახადის გადახდის ქვითრებით"; „ეიფელის კოშკი-ეს არის ხეოფსის პირამიდა გადასახადების გადახდის შემდეგ"; „ამერიკა-ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც შემოსავლების დეკლარაციის შესავსებად საჭიროა უფრო მეტი ჭკუა, ვიდრე ამ შემოსავლების მისაღებად"; „გადაიხადო გადასახადები – მოვალეობაა. გადაიხადო ცოტა გადასახადი – ხელოვნება"; „დიდება ღმერთს, რომ ჩვენ არ ვიხდით გადასახადებს ვალებზე"; „ყველაზე ძნელი ამოცანა, რომელიც დგას პარლამენტარების წინაშე არის ის, რომ ამოღებულ იქნას გადასახადები გადასახადის გადამხდელებისაგან, ისე, რომ არ შეეხო ამომრჩევლებს"; „სიყვარული არის სინათლე და შუქი, ხოლო ცოლ – ქმრობა ამ შუქის გადასახადი".

ფრანკლინ დელანო რუზველტი – აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტი(დაბ.1882წ). მას ეკუთვნის შემდეგი სიტყვები: „ქვეყანაზე ორი რამ არის გარდაუვალი: სიკვდილი და გადასახადები. ამასთან, სიკვდილი, განსხვავებით გადასახადებისაგან, უმტკივნეულოა."

ფრანსუა მარი არუე ვოლტერი – ფრანგი ფილოსოფოსი(1694 – 1778). მას ეკუთვნის შემდეგი სიტყვები: „გადაიხადო გადასახადი ნიშნავს – მისცე შენი ქონების ნაწილი, რათა შეინარჩუნო დანარჩენი"; „ჩემთვის არ არის ცნობილი არცერთი სამოქალაქო ომი რელიგიის გამო თურქეთში. ისტორიას

არ აღუნიშნავს არცერთი ამბოხი და არცერთი უსიამოვნება, რომელიც აღძრულიყოს თურქებს შორის თეორიული უთანხმოების გამო. იმიტომ არის ეს, რომ მათ ნაკლები დოგმა და ნაკლები მიზეზი აქვთ კამათისათვის? იმიტომ არის ეს, რომ ისინი დაიბადნენ უფრო გაწონასწორებული და ბრძენნი ვიდრე ჩვენ? ისინი არ კითხულობენ რომელ სექტას განეკუთვნებით თქვენ, ოღონდ რეგულარულად გადაიხადეთ მსუბუქი გადასახადი".

ფრანსუა ვერონ დიუვერჟე ფორბონე – ფრანგი ეკონომისტი(1722 – 1800). მისი აზრით „მსგავსად იმისა, როგორც ჩვენ ვუნაზღაურებთ ვაჭრებს მათგან ნაყიდი საქონლისათვის, ადვოკატს – მილებული რჩევისათვის, ასევე ჩვენ ვუხდით მთავრობას მისი მომსახურებისათვის. თუმცა ეს გარიგება ყოველთვის არ არის ნებაყოფლობითი და იშვიათად სამართლიანი, მაგრამ ეს მაინც გაცვლაა და საბოლოო ჯამში – ხელსაყრელი გაცვლა, რამდენადაც ყველაზე ქმედუუნარო მთავრობაც იაფად და კარგად იცავს ქვეშევრდომებს, ვიდრე თითოეული მათგანი დაიცავდა თავის თავს თვითონ – სხვებისგან დამოუკიდებლად".

ფრენსის ბეკონი – ინგლისელი ფილოსოფოსი(1561 – 1626). ერთ-ერთს მას მიაწერენ შექსპირის ნაწარმოებების ავტორობას. მისი აზრით: „გადასახადები, რომლებიც ამოიღება ხალხის თანხმობით, არც ისე ასუსტებს მათ ვაჟკაცობას; ამის მაგალითად გამოდგება გადასახადები ნიდერლანდებში და გარკვეულწილად სუბსიდიები ინგლისში. შენიშნავდით, რომ ახლა ჩვენთან საუბარია არა საფულეზე, არამედ – გულზე. გამოსაღები, რომელიც ამოიღება ხალხის თანხმობით ან უიმისოდ, შეიძლება ერთი და იგივეა საფულისათვის, მაგრამ მისი მოქმედება ხალხის სულზე ერთი და იგივე არ არის".

ფრედერიკ ბასტია – ფრანგი ეკონომისტი(1801 – 1850). ბასტია ასაბუთებდა საქონლის იმპორტზე საბაჟო გადასახადის გაუქმების მიზანშეწონილობას, რაც საბოლოოდ შემდეგო ცნობილი ფრაზებით დაამთავრა: „თქვენ ითხოვთ სიკეთეს რჩეულთათვის. მე-კეთილდღეობას ყველასათვის".

ფრანსუა კენე – ფრანგი ეკონომისტი(1694 – 1774). მისი აზრით „გადასახადი უნდა იყოს ერთიანი და გადაიხდებოდეს წმინდა პროდუქტიდან". აღსანიშნავია, რომ კენე ითვლება ფიზიოკრატიზმის ფუძემდებლად. ამასთან დაკავშირებით, ცნობილი ფინანსისტი, აკადემიკოსი ვასილ ჩანტლაძე შენიშნავდა, რომ ერთ-ერთ სამეცნიერო სიპოზიუმზე მან წაიკითხა მოხსენება იმასთან დაკავშირებით, რომ ქართველ სულხან-საბა ორბელიანს გაცილებით ადრე ჰქონდა გამოთქმული ფიზიოკრატიული იდეები ოღონდ იგავ – არაკების ფორმით. ბატონ ვასილს, სიმპოზიუმზე ამასთან დაკავშირებით ხუმრობით მიმართა ფრანგმა მეცნიერმა: თქვენც გყოლიათ ქართველი კენეო, რაზედაც, ბატონმა ვასილმა მიუგო: ეს ჩვენ კი არ გვყოლია ქართველი კენე – თქვენ გყოლიათ ფრანგი სულხანიო.

ფრიდრიხ ფონ გარდენბერგი(ფსევდონიმი – "ნოვალისი") – გერმანელი პოეტი და ფილოსოფოსი(1772 – 1801). მისი ხატოვანი სიტყვებით: „მოქალაქემ ისეთი გრძნობით უნდა გადაიხადოს გადასახადები, რა გრძნობითაც შეყვარებული მამაკაცი თავის შეყვარებულ ქალს ჩუქნის საჩუქარს".

ფრანჩესკო ნიტი – იტალიელი ეკონომისტი(1868 – 1953). მისი სიტყვებია: „არცერთ საზოგადოებას არასდროს არ შეუძლია გვერდი აუაროს გადასახადებს"; „გადასახადები არ უნდა უშლიდნენ ხელს წარმოებას. გადასახადები უნდა იყოს შემცირებადი ან საერთოდ გაუქმებადი, თუ ისინი ამცირებენ მოხმარებას. ძალიან მაღალი გადასახადები მოხმარებაზე ამცირებენ მოხმარებას და შესაბამისად – წარმოებას".

ფრედ ალენი – ამერიკელი ლიტერატორი(1894 – 1956). მისი გამოთქმით „საგადასახადო დეკლარაცია არის, როგორც ანგარიში სამრეცხაოდან: ყველა შემთხვევაში რჩებით პერანგის გარეშე".

შარლ ლუი დე სეკონდა მონტესკიე – ფრანგი ფილოსოფოსი(1689 – 1755). გადასახადების შესახებ მას ეკუთვნის შემდეგი სიტყვები: „არცერთი სახელმწიფო საკითხი არ მოითხოვს ისეთ ბრძნულ და გონიერ განხილვას, როგორც საკითხი იმის შესახებ, რა ნაწილი უნდა იქნეს ამოღებული ქვეშევრდომებიდან და რა ნაწილი დარჩეს მათ. სახელმწიფოს შემოსავლები უნდა გაიზომოს არა იმით, თუ რისი მოცემა შეუძლია ხალხს, არამედ იმით – რისი მოცემა ევალებათ მათ. თუ მას გავზომავთ ჩვენ იმით, თუ რისი მოცემა შეუძლიათ, ყოველ შემთხვევაში საჭიროა, მათ შეეძლოთ ამის მოცემა მუდმივად"; „ცხოვრებისათვის ყველა საჭიროებს თანაბარ აუცილებელ მინიმუმს; რომ ეს მინიმუმი არ ექვემდებარება დაბეგვრას; რომ ცხოვრებისათვის აუცილებელს მოსდევს ის სასარგებლო, რომელიც უნდა დაიბეგროს, მაგრამ ნაკლებად, ვიდრე ჭარბი; რომ სიჭარბის მეტისმეტი დაბეგვრა ხელს უშლის სიჭარბეს"; „გადასახადები ისე გასაგებად უნდა იყოს დადგენილი და მისი ამოღების წესები ისე მარტივი, რომ ამკრებებს არ შეეძლოთ მათი არც გაზრდა და არც შემცირება თვითნებურად"; „დიდი უბედურება არაა, თუ ზოგიერთი მოქალაქე იხდის უფრო ნაკლებს, ვიდრე უნდა გადაიხადოს: მათი კეთილდღეობა ყოველთვის სასარგებლოდ უბრუნდება საზოგადოებას; მაგრამ, თუ ზოგიერთი პირი იხდის გაცილებით მეტს – მათი გაჩანაგება დაუბრუნდება საზოგადოებას საზიანოდ"; „სულადობრივი გადასახადი უფრო დამახასიათებელია მონობისათვის, გადასახადები საქონელზე – თავისუფლები-

სათვის, იმიტომ, რომ ის უშუალოდ არ ეხება გადამხდელის პიროვნებას"; „საქონელზე გადასახადები ხალხისათვის ნაკლებ მგრძნობიარეა, იმიტომ რომ ისინი არ არის დაკავშირებული გადახდის ფორმალურ მოთხოვნასთან. ისინი შეიძლება ისე კეთილგონიერად იქნეს განაწილებული, რომ ხალხს თითქმის არც ეცოდინება, რომ იხდის მას. ამისათვის განსაკუთრებით საჭიროა, რომ გადასახადის გადახდა დაეკისროს მას, ვინც ჰყიდის საქონელს. ამ უკანასკნელმა მშვენივრად იცის, რომ ის იხდის, არა თავისი სახსრებიდან; ხოლო მყიდველის გონებაში, რომელიც არსებითად იხდის ამ გადასახადს, ის ემთხვევა ერთ მთელს – საქონლის ფასს"; „საერთო წესია: რაც უფრო მაღალია ქვეშევდრომთა თავისუფლება, მით მეტი გადასახადების ამოღება შეიძლება მათგან; და რაც უფრო მეტია მონობა, უფრო მეტად უნდა შემცირდეს მათი გადასახდელები. ეს ასე იყო ყოველთვის და ასე იქნება ყოველთვის"; „გადასახადები არის საფასური, რომელიც შეაქვთ მოქალაქეებს სახელმწიფოსთან თავისებური საჯარო ხელშეკრულების დადების შედეგად. ანუ გადასახადების გადახდა და სანაცვლოდ სახელმწიფო მომსახურებით სარგებლობა არის საგალდებულო აქტი"; „საგადასახადო ინსპექტორი – ის ვინც მეტად შეწუხებულია, თუ როგორ ხარჯავთ თქვენ თქვენს ფულს, იმასთან შედარებით, თუ როგორ ხარჯავს მას სახელმწიფო"; „ფინანსისტებს უჭირავთ სახელმწიფო ზუსტად ისე, როგორც თოკს – ჩამოსახრჩობი".

მენანდრე პროტიქტორი – VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი და დიპლომატი. იგი ეხება ლაზებისა და სვანების ურთიერთობას გადასახადების ასპექტით: „სვანების სარდალი ემორჩილებოდა ლაზს და მასთან აღრიცხული იყო სახარკო სიაში და ლაზი კიდევაც იღებდა მისგან ფუტკრის ნაყოფს და ტყავებს და ზოგ სხვა რამესაც".

ჩ. ლემბი – მისი სიტყვებია: „კონტრაბანდისტი-ერთადერთი პატიოსანი ქურდია, ის ხომ მარტო სახელმწიფოს პრავის".

ციცერონი და გადასახადები – ძველ რომში ათეულობით გადასახადი არსებობდა. ამაზე ციცერონმა მოხდენილად თქვა: „მხოლოდ აზრებია უფასო". ანალოგიური გამოთქმა ეკუთვნის მარტინ ლუთერს: „აზრები არ იბეგრება".

ცოტნე დადიანი – საქართველოს დიდგვაროვანი ფეოდალი მე-13 საუკუნეში. 1245 წელს მონაწილეობდა მონღოლთა წინააღმდეგ კოხტასთავის შეთქმულებაში. მონღოლების კითხვაზე შეთქმულებისადმი და მათ შორის, დაგვიანებით მოსული დადიანისათვის, თუ რატომ იყვნენ შეკრებილნი, შეთქმულები პასუხობდნენ: გვინდოდა თქვენთვის გადასახადების საკითხი მოგვეგვარებინა. „ქართლის ცხოვრებაში" ეს საკითხი ასეა აღწერილი: „ხოლო ვითარ მიინივნეს ჩარმაღან ნოინს წინაშე, რქუა: „რა არს შეკრება თქუენი, უკეთუ არა იქმთ განდგომილებასა? „ ხოლო მთავარნი მიუგებდეს: „არა განდგომად შეკრბით, არამედ რათა განვაგოთ საქმე თქუენი და ხარკი განგიჩინოთ", რომელსა – იგი უწოდეს ხარაჯად. ესე რა ესმა, არა სრულიად ირწმუნა, და ბრძანა განძრცვა ყოველთა, მჭართა შეკრვა ყოველთა, სიცხესა შინა შიშველთა მოედანთა ზედა დასხდომა, და ყოველთა დღეთა ჰკითხვიდის მიზეზსა შეკრებისასა, და უკეთუ არა აღიარონ ჭეშმარიტი, სიკუდილსა მისცენ ყოველნი ესე ზემოჴსენებულნი მთავარნი. ხოლო იგინი დაამტკიცებდეს, „რათა განვაჩინოთ ხარაჯა". და ამას ჰყოფდეს მრავალ დღე, რამეთუ არა არწმუნებდეს...ვითარ იხილნა ცოტნე წარჩინებულნი, ესრეთ უპატიოდ მსხდომარენი და სიკუდილად განწირულნი, გარდაჴდა ჰუნისაგან, და დააბნია. სამოსელი თჳსი, განშიშულდა, და შეიკრნა მჴარნი, და დაჴდა წარჩინებულთა თანა. და ვითარ იხილეს თათართა, განკჳრდეს და მსწრაფლ აუწყეს ნოინთა, ვითარმედ: ცოტნე დადიანი მოვიდა ორითა კაცითა, და განიძარცუა სამოსელი თჳსი, და შეკრული დაჴდა ქართველთა თანა". რამეთუ კეთილად მეცნიერნი იყვნეს ცოტნესი, რომლისათჳს განკჳრდეს თათარნი, და წინაშე მათსა მიუწოდეს, და ჰკითხვიდეს მიზეზსა მუნ მისლვისა მისისასა. ხოლო იგი ეტყოდა, ვითარმედ: „ჩუენ ყოველნი ამად, შევიკრიბენით, რათა განვაგოთ ხარაჯა თქუენი და ბრძანება თქუენი აღვასრულოთ,-ესე იყო შეკრება ჩუენი. აწ თქუენ ძჳრს – მოქმედთა თანა შეგურაცხენით, და მე ამის ძლით მოვედ წინაშე თქუენსა, რათა გამოიკითხოთ, და უკეთუ ღირსი რამე სიკუდილისა უქმნიეს; მეცა მათ თანა მოვკუდე; რამეთუ თჳნიერ ჩემსა არარა უქმნიეს; უკეთუ ცხოვნდენ, მათ თანა ვიყო".

ჯონ სტიუარტ მილი – ინგლისელი ეკონომისტი, ფილოსოფოსი და სახელმწიფო მოღვაწე(1806 – 1873). მისი აზრით „ გადასახადების გადახდა გადასახადების განაკვეთების სკალის მიხედვით-ეს არის უფრო მეტად გადასახადი სინდისზე, ვიდრე საშემოსავლო გადასახადი".

ჯორჯ ბერნარდ შოუ – ბრიტანელი მწერალი(1856 – 1950). ნობელის პრემიის ლაურეატი. მისი სიტყვებია: „მიეცით ქალებს ხმის უფლება და 5 წლის შემდეგ უცოლოებს დაბეგრავენ კაბალური გადასახადებით".

ჯოზეფ სტიგლიცი – ამერიკელი ეკონომისტი(დაბ.1943წ). კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი. ნობელის რემიის ლაურეატი. იგი გამოყოფს საგადასახადო სისტემის 5 ნიშანს: ეკონომიკური

ბი, სამართალდარღვევის ახსნა – განმარტება, ოქმის შემდგენლის ვინაობა, სამართალდარღვევის მოწმეების და დაზარალებულების ვინაობა და შესაბამისი ჩანაწერი, თუ სამართალდამრღვევი უარს ამბობს ხელმოწერაზე.

ადმინისტრაციული საჩივარი – დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში კანონმდებლობით დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით იმავე ან ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

ალიმენტი – ხარჯი, სარჩო, რომელსაც ოჯახს მოშორებული პირი კანონის ძალით უხდის სარჩენად თავისი ოჯახის შრომისუნარმოკლებულ წევრებს (შვილებს, მშობლებს, მეუღლეს).

ამონაგები – საწარმოში შემოსული ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხა, რომელიც მიიღება საწარმოს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობიდან და გამოიხატება საკუთარი კაპიტალის ზრდით, მესაკუთრეთა მხრიდან დამატებითი ინვესტიციების გარეშე.

ამორტიზაცია – აქტივის ღირებულების მოხმარებული ნაწილის სისტემატური განაწილება მისი მომსახურების ვადის განმავლობაში; აქტივის ცვეთის თანხის სისტემატური ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში; ძირითადი ფონდების (ნაგებობათა, მოწყობილობათა და სხვა.) თანდათანობითი გაცვეთა, მათი ღირებულების ნაწილ – ნაწილ გადატანა გამომუშავებულ პროდუქციაზე.

ამორტიზაციის ნორმა – ძირითადი საშუალებების ცვეთის ღირებულების საქონლის და მომსახურების ღირებულებაში გადატანის პროცენტული განაკვეთები.

ამხანაგობა – ერთობლივი საქმიანობა, რომლის დროსაც ხელშეკრულებით ორი ან რამდენიმე პირი კისრულობს ერთობლივად იმოქმედოს საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნების მისაღწევად ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებებით, იურიდიული პირის შეუქმნელად. ამხანაგობის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს წერილობით ან ზეპირად. თუ ხელშეკრულება დადებულია წერილობით, მაშინ იგი უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:

ა) მონაწილეთა დასახელებას და მისამართს;

ბ) მონაცემებს ერთობლივი საქმიანობის სახეობისა და მიზნის შესახებ;

გ) მონაწილეთა უფლებებს და მოვალეობებს;

დ) მართვის ორგანოთა სტრუქტურასა და ფუნქციებს;

ე) მონაწილეთა შორის შემოსავლებისა და ზიანის განაწილების წესსა და პირობებს;

ვ) ხელშეკრულებიდან გასვლის წესს;

ზ) საქმიანობის ხანგრძლივობას;

თ) ხელშეკრულების მოშლისა და დარჩენილი ქონების განაწილების წესს.

ანაბარი – კომერციულ ბანკში ან არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებაში პირის მიერ შეტანილი. ფულადი სახსრები ან გადახდის სხვა საშუალებები, რომელზედაც საკუთრების უფლებას იძენს კომერციული ბანკი ან არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება და, რომელსაც, როგორც წესი, ერიცხება პროცენტი; არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების – საკრედიტო კავშირის წევრის მიერ შეტანილი ფულადი სახსრები, რომელზედაც საკუთრების უფლებას იძენს საკრედიტო კავშირი და, რომელსაც, როგორც წესი, ერიცხება პროცენტი; საკრედიტო დაწესებულებაში პირის მიერ შეტანილი ფულადი თანხა, რომელზეც საკუთრების უფლებას მოიპოვებს საკრედიტო დაწესებულება, რომელიც ვალდებულია ვადის დადგომისას იმავე ვალუტაში დააბრუნოს მიღებული თანხა.

არაამორტიზებადი ძირითადი საშუალება – ძირითადი საშუალება, რომელიც ექსპლუატაციის დროს არ კარგავს თავის ღირებულებას.

არაპირდაპირი გადასახადი – გადასახადი (დღგ, აქციზი, იმპორტის გადასახადი და სხვა), რომელიც დგინდება მიწოდებული (იმპორტირებული) საქონლის ან/და გაწეული მომსახურების ფასზე დანამატის სახით და რომელსაც იხდის მომხმარებელი (იმპორტიორი) ამ გადასახადით გაზრდილი ფასით საქონლის ან/და მომსახურების შეძენისას (იმპორტისას). არაპირდაპირი გადასახადის ბიუჯეტში გადახდის ვალდებულება ეკისრება საქონლის მიმწოდებელს (იმპორტიორს) ან/და მომსახურების გამწევს; გადასახადი საქონელზე/მომსახურებაზე, რომელიც უშუალოდ შედის ფასებში დანამატის სახით და გადაიხდება არაპირდაპირ ანუ მომხმარებლებზე გადაკისრების გზით.

არარეზიდენტი – პირი, რომელიც არ არის რეზიდენტი(იხ. რეზიდენტი).

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – იურიდიული პირი, რომლის შექმნის და

საქმიანობის მიზანი არ არის სამეწარმეო საქმიანობა ანუ ისეთი მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია.

არამატერიალური აქტივი – ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი, რომელსაც პირი იყენებს საქონლის წარმოების, საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის, სხვისთვის იჯარით გადაცემის ან/და ადმინისტრაციული მიზნებისათვის. არამატერიალურ აქტივს მიეკუთვნება საავტორო უფლება, პატენტი, სავაჭრო ნიშანი, გუდვილი, კომპიუტერული პროგრამა, ლიცენზია, იჯარის უფლება, ფრანჩაიზი, საბადოების დამუშავების უფლება, იმპორტისა და ექსპორტის სპეციალური უფლებები და სხვა მსგავსი სახის არამატერიალური აქტივები; ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტების ნებისმიერი მოთხოვნა და უფლება, რომლებიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს ან გამოზნეულია მათი მფლობელის მატერიალური სარგებლობისათვის ან/და სხვა პირებისათვის რაიმეს მოთხოვნისათვის.

არასასოფლო-სამეურნეო მიწა – საჯარო რეესტრში არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთად რეგისტრირებული მიწა(იხ. სასოფლო-სამეურნეო მიწა).

არაამორტიზებადი ძირითადი საშუალება – ძირითადი საშუალება, რომელიც ექსპლოატაციის დროს არ კარგავს თავის ღირებულებას. მაგ. მიწა, ხელოვნების ნიმუშები, სამუზეუმო ექსპონატები, ისტორიული მნიშვნელობის მქონე ობიექტები (გარდა შენობა-ნაგებობებისა).

არასტანდარტული ღონისძიებები – საქონლის შემოტანა/გატანის დროს დაწესებული ნებართვები, ლიცენზიები, აკრძალვები, შეზღუდვები და ა.შ.

აუდიტორთა საბჭო – საგადასახადო ადმინისტრირების ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით საქართველოს ფინანსთა მინისტრის გადაწყვეტილებით შექმნილი საბჭო, რომელშიც შედიან ფინანსთა სამინისტროს, შემოსავლების სამსახურის თანამშრომლები და მოწვეული სპეციალისტები. თუ საგადასახადო შემოწმების შედეგებზე გადაწყვეტილების მიღება აყალიბებს არსებულისაგან განსხვავებულ დაბეგვრის ან/და სამართალდარღვევაზე სანქციის გამოყენების პრინციპს/მეთოდს, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს მიმართოს აუდიტორთა საბჭოს, რომელიც უფლებამოსილია მიმართვიდან არაუგვიანეს 20 დღისა მიიღოს გადაწყვეტილება აღნიშნული პრინციპის/მეთოდის გამოყენების ან არგამოყენების თაობაზე. აუდიტორთა საბჭოს გადაწყვეტილება სავალდებულოა შესასრულებლად საგადასახადო ორგანოსათვის.

აუქციონი – ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემა მყიდველზე, რომელიც ვაჭრობის პროცესში გამყიდველს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს, ხოლო თუ აუქციონი გამოცხადდა პირობებით, მაშინ საკუთრების უფლების გადაცემა იმ მყიდველზე, რომელიც აიღებს ვალდებულებას დააკმაყოფილოს გამოცხადებული პირობები და ვაჭრობის პროცესში შესთავაზოს გამყიდველს ყველაზე მაღალი ფასი; საჯარო ვაჭრობით რაიმე ქონების, ნივთების გაყიდვა, როდესაც ნივთი რჩება ყველაზე მეტი საფასურის გადამხდელს.

აქტივი – საწარმოს განკარგულებაში არსებული მატერიალური და არამატერიალური რესურსები, რომლებიც წარსულში განხორციელებული სამეურნეო მოვლენების შედეგს წარმოადგენს და მათგან საწარმო მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღებას მოელის.

აქტივების ღირებულება – აქტივების შესყიდვის, წარმოების, მშენებლობის, მონტაჟისა და დადგმის ხარჯები(დანახარჯები), აგრეთვე სხვა ხარჯები(დანახარჯები), რომელიც ზრდის მათ ღირებულებას, გარდა ისეთი დანახარჯებისა, რომლის პირდაპირ გამოქვითვის უფლება აქვს გადასახადის გადამხდელს, ხოლო აქტივების უსასყიდლოდ მიღებისას – აქტივების საბაზრო ფასი.

აქცია – არამატერიალიზებული სახელობითი ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებს პარტნიორის(აქციონერის) მიმართ და აქციონერის უფლებებს სააქციო საზოგადოებაში; ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს მისი მფლობელის მონაწილეობას სააქციო საზოგადოების კაპიტალში და აძლევს მას დივიდენდის(მოგების წილის) უფლებას. ერთი ჩვეულებრივი აქცია უზრუნველყოფს ერთი ხმის უფლებას აქციონერთა საერთო კრებაზე, ხოლო პრივილეგირებული აქცია არ იძლევა ხმის უფლებას. პრივილეგირებული აქცია უზრუნველყოფს დივიდენდის მიღებას დადგენილი განაკვეთით. წესდებით შეიძლება დადგინდეს განსხვავებული წესი, რომელიც უზრუნველყოფს ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციების უფლებათა სხვაგვარად

ბი, სამართალდარღვევის ახსნა – განმარტება, ოქმის შემდგენლის ვინაობა, სამართალდარღვევის მონმეების და დაზარალებულების ვინაობა და შესაბამისი ჩანაწერი, თუ სამართალდამრღვევი უარს ამბობს ხელმოწერაზე.

ადმინისტრაციული საჩივარი – დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში კანონმდებლობით დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით იმავე ან ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

ალიმენტი – ხარჯი, სარჩო, რომელსაც ოჯახს მოშორებული პირი კანონის ძალით უხდის სარჩენად თავისი ოჯახის შრომისუნარმოკლებულ წევრებს (შვილებს, მშობლებს, მეუღლეს).

ამონაგები – საწარმოში შემოსული ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხა, რომელიც მიიღება საწარმოს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობიდან და გამოიხატება საკუთარი კაპიტალის ზრდით, მესაკუთრეთა მხრიდან დამატებითი ინვესტიციების გარეშე.

ამორტიზაცია – აქტივის ღირებულების მოხმარებული ნაწილის სისტემატური განაწილება მისი მომსახურების ვადის განმავლობაში; აქტივის ცვეთის თანხის სისტემატური ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში; ძირითადი ფონდების (ნაგებობათა, მოწყობილობათა და სხვა.) თანდათანობითი გაცვეთა, მათი ღირებულების ნაწილ – ნანილ გადატანა გამომუშავებულ პროდუქციაზე.

ამორტიზაციის ნორმა – ძირითადი საშუალებების ცვეთის ღირებულების საქონლის და მომსახურების ღირებულებაში გადატანის პროცენტული განაკვეთები.

ამხანაგობა – ერთობლივი საქმიანობა, რომლის დროსაც ხელშეკრულებით ორი ან რამდენიმე პირი კისრულობს ერთობლივად იმოქმედოს საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნების მისაღწევად ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებებით, იურიდიული პირის შეუქმნელად. ამხანაგობის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს წერილობით ან ზეპირად. თუ ხელშეკრულება დადებულია წერილობით, მაშინ იგი უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:

ა) მონაწილეთა დასახელებას და მისამართს;

ბ) მონაცემებს ერთობლივი საქმიანობის სახეობისა და მიზნის შესახებ;

გ) მონაწილეთა უფლებებს და მოვალეობებს;

დ) მართვის ორგანოთა სტრუქტურასა და ფუნქციებს;

ე) მონაწილეთა შორის შემოსავლებისა და ზიანის განაწილების წესსა და პირობებს;

ვ) ხელშეკრულებიდან გასვლის წესს;

ზ) საქმიანობის ხანგრძლივობას;

თ) ხელშეკრულების მოშლისა და დარჩენილი ქონების განაწილების წესს.

ანაბარი – კომერციულ ბანკში ან არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებაში პირის მიერ შეტანილი ფულადი სახსრები ან გადახდის სხვა საშუალებები, რომელზედაც საკუთრების უფლებას იძენს კომერციული ბანკი ან არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება და, რომელსაც, როგორც წესი, ერიცხება პროცენტი; არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების – საკრედიტო კავშირის წევრის მიერ შეტანილი ფულადი სახსრები, რომელზედაც საკუთრების უფლებას იძენს საკრედიტო კავშირი და, რომელსაც, როგორც წესი, ერიცხება პროცენტი; საკრედიტო დაწესებულებაში პირის მიერ შეტანილი ფულადი თანხა, რომელზეც საკუთრების უფლებას მოიპოვებს საკრედიტო დაწესებულება, რომელიც ვალდებულია ვადის დადგომისას იმავე ვალუტაში დააბრუნოს მიღებული თანხა.

არაამორტიზებადი ძირითადი საშუალება – ძირითადი საშუალება, რომელიც ექსპლუატაციის დროს არ კარგავს თავის ღირებულებას.

არაპირდაპირი გადასახადი – გადასახადი (დღგ, აქციზი, იმპორტის გადასახადი და სხვა), რომელიც დგინდება მინოდებული (იმპორტირებული) საქონლის ან/და გაწეული მომსახურების ფასზე დანამატის სახით და რომელსაც იხდის მომხმარებელი (იმპორტიორი) ამ გადასახადით გაზრდილი ფასით საქონლის ან/და მომსახურების შეძენისას (იმპორტისას). არაპირდაპირი გადასახადის ბიუჯეტში გადახდის ვალდებულება ეკისრება საქონლის მიმწოდებელს (იმპორტიორს) ან/და მომსახურების გამწევს; გადასახადი საქონელზე/მომსახურებაზე, რომელიც უშუალოდ შედის ფასებში დანამატის სახით და გადაიხდება არაპირდაპირ ანუ მომხმარებლებზე გადაკისრების გზით.

არარეზიდენტი – პირი, რომელიც არ არის რეზიდენტი(იხ. რეზიდენტი).

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – იურიდიული პირი, რომლის შექმნის და

საქმიანობის მიზანი არ არის სამეწარმეო საქმიანობა ანუ ისეთი მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია.

არამატერიალური აქტივი – ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი, რომელსაც პირი იყენებს საქონლის წარმოების, საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის, სხვისთვის იჯარით გადაცემის ან/და ადმინისტრაციული მიზნებისათვის. არამატერიალურ აქტივს მიეკუთვნება საავტორო უფლება, პატენტი, სავაჭრო ნიშანი, გუდვილი, კომპიუტერული პროგრამა, ლიცენზია, იჯარის უფლება, ფრანჩაიზი, საბადოების დამუშავების უფლება, იმპორტისა და ექსპორტის სპეციალური უფლებები და სხვა მსგავსი სახის არამატერიალური აქტივები; ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტების ნებისმიერი მოთხოვნა და უფლება, რომლებიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს ან გამოიზნულია მათი მფლობელის მატერიალური სარგებლობისათვის ან/და სხვა პირებისათვის რაიმეს მოთხოვნისათვის.

არასასოფლო-სამეურნეო მიწა – საჯარო რეესტრში არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთად რეგისტრირებული მიწა(იხ. სასოფლო-სამეურნეო მიწა).

არაამორტიზებადი ძირითადი საშუალება – ძირითადი საშუალება, რომელიც ექსპლოატაციის დროს არ კარგავს თავის ღირებულებას. მაგ. მიწა, ხელოვნების ნიმუშები, სამუზეუმო ექსპონატები, ისტორიული მნიშვნელობის მქონე ობიექტები (გარდა შენობა-ნაგებობებისა).

არასატარიფო ღონისძიებები – საქონლის შემოტანა/გატანის დროს დაწესებული ნებართვები, ლიცენზიები, აკრძალვები, შეზღუდვები და ა.შ.

აუდიტორთა საბჭო – საგადასახადო ადმინისტრირების ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით საქართველოს ფინანსთა მინისტრის გადაწყვეტილებით შექმნილი საბჭო, რომელშიც შედიან ფინანსთა სამინისტროს, შემოსავლების სამსახურის თანამშრომლები და მოწვეული სპეციალისტები. თუ საგადასახადო შემოწმების შედეგებზე გადაწყვეტილების მიღება აყალიბებს არსებულისაგან განსხვავებულ დაბეგვრის ან/და სამართალდარღვევაზე სანქციის გამოყენების პრინციპს/მეთოდს, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს მიმართოს აუდიტორთა საბჭოს, რომელიც უფლებამოსილია მიმართვიდან არაუგვიანეს 20 დღისა მიიღოს გადაწყვეტილება აღნიშნული პრინციპის/მეთოდის გამოყენების ან არგამოყენების თაობაზე. აუდიტორთა საბჭოს გადაწყვეტილება სავალდებულოა შესასრულებლად საგადასახადო ორგანოსათვის.

აუქციონი – ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემა მყიდველზე, რომელიც ვაჭრობის პროცესში გამყიდველს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს, ხოლო თუ აუქციონი გამოცხადდა პირობებით, მაშინ საკუთრების უფლების გადაცემა იმ მყიდველზე, რომელიც აიღებს ვალდებულებას დააკმაყოფილოს გამოცხადებული პირობები და ვაჭრობის პროცესში შესთავაზოს გამყიდველს ყველაზე მაღალი ფასი; საჯარო ვაჭრობით რაიმე ქონების, ნივთების გაყიდვა, როდესაც ნივთი რჩება ყველაზე მეტი საფასურის გადამხდელს.

აქტივი – საწარმოს განკარგულებაში არსებული მატერიალური და არამატერიალური რესურსები, რომლებიც წარსულში განხორციელებული სამეურნეო მოვლენების შედეგს წარმოადგენს და მათგან საწარმო მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღებას მოელის.

აქტივების ღირებულება – აქტივების შესყიდვის, წარმოების, მშენებლობის, მონტაჟისა და დადგმის ხარჯები(დანახარჯები), აგრეთვე სხვა ხარჯები(დანახარჯები), რომელიც ზრდის მათ ღირებულებას, გარდა ისეთი დანახარჯებისა, რომლის პირდაპირ გამოქვითვის უფლება აქვს გადასახადის გადამხდელს, ხოლო აქტივების უსასყიდლოდ მიღებისას – აქტივების საბაზრო ფასი.

აქცია – არამატერიალიზებული სახელობითი ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებს პარტნიორის(აქციონერის) მიმართ და აქციონერის უფლებებს სააქციო საზოგადოებაში; ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს მისი მფლობელის მონაწილეობას სააქციო საზოგადოების კაპიტალში და აძლევს მას დივიდენდის(მოგების წილის) უფლებას. ერთი ჩვეულებრივი აქცია უზრუნველყოფს ერთი ხმის უფლებას აქციონერთა საერთო კრებაზე, ხოლო პრივილეგირებული აქცია არ იძლევა ხმის უფლებას. პრივილეგირებული აქცია უზრუნველყოფს დივიდენდის მიღებას დადგენილი განაკვეთით. წესდებით შეიძლება დადგინდეს განსხვავებული წესი, რომელიც უზრუნველყოფს ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციების უფლებათა სხვაგვარად

განსაზღვრას.

აქციზი – არაპირდაპირი გადასახადი, რომელიც განსხვავებით დღგ-ისაგან გადაიხდება არა საქონლის (მომსახურების) მიწოდების ყველა სტადიაზე, არამედ მხოლოდ ერთხელ, შემდეგ შემთხვევებში:

ა) მწარმოებლის მიერ საქართველოში წარმოებული აქციზური საქონლის მიწოდების ან/და საწარმოს საწყობიდან სარეალიზაციოდ გატანის დროს;

ბ) მწარმოებლს მიერ დამკვეთის ნებდლეულით საქართველოში წარმოებული აქციზური საქონლის დამკვეთისათვის გადაცემის დროს;

გ) საკუთარი წარმოების აქციზური საქონლის გამოყენების დროს არაქციზური საქონლის წარმოებისათვის;

დ) აქციზური საქონლის ექსპორტის დროს;

ე) ბუნებრივი აიროვანი კონდენსატის ან/და ბუნებრივი აირის ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის მიწოდების დროს;

ვ) აქციზური საქონლის იმპორტის დროს;

ზ) მობილური საკომუნიკაციო მომსახურების გაწევის დროს.

აქციზის ჩათვლა – ერთი და იგივე დაბეგვრის ობიექტის ორმაგი დაბეგვრის თავიდან არიდების საშუალება. პირს, რომელიც ახორციელებს დასაბეგრ ოპერაციას (მათ შორის, აქციზური საქონლის ექსპორტს), უფლება აქვს მიიღოს საგადასახადო ჩათვლა მიწოდებული (მათ შორის, გადაცემული, საწყობიდან სარეალიზაციოდ გატანილი ან ექსპორტირებული) აქციზური საქონლის საწარმოებლად გამოყენებულ სხვა აქციზურ საქონელზე (ნედლეულზე) გადახდილი ან გადასახდელი აქციზის ოდენობით ან დაიბრუნოს აქციზი, მაგრამ არა უმეტეს მისგან წარმოებულ აქციზურ საქონელზე გამოანგარიშებული აქციზისა. ჩათვლის ან დაბრუნების ანალოგიური წესი გამოიყენება აქციზური საქონლის საწარმოებლად მწარმოებლის მიერ იმპორტირებულ სხვა აქციზურ საქონელზე (ნედლეულზე). პირს დასავარგებელი აქციზური საქონლის იმპორტის ან შეძენის შემთხვევაში უფლება აქვს მიიღოს საგადასახადო ჩათვლა ამ აქციზურ საქონელზე (ნედლეულზე) გადახდილი ან გადასახდელი აქციზის ოდენობით ან დაიბრუნოს აქციზი. მობილური საკომუნიკაციო მომსახურების გამწევი პირისათვის აქციზის ჩათვლა წარმოადგენს დარიცხული აქციზის თანხის შემცირების უფლებას, რომელიც წარმოებს დარიცხული აქციზის თანხიდან მომსახურებაზე გადახდილი აქციზის თანხის გამოქვითვის გზით.

აქციზური მარკა – საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ ალკოჰოლიან და თამბაქოს ნაწარმზე ინდივიდუალურად დასაკრავი მარკა, რომელიც ადასტურებს ამ საქონელზე აქციზის გადახდის ფაქტს.

აქციზური მარკის ნომინალური ღირებულება – აქციზური მარკის, როგორც საქონლის ღირებულება, რომელიც შედგება მისი ბეჭდვის, ტრანსპორტირების და მიმოქცევის სხვა ხარჯებისაგან.

აღიარებული საგადასახადო დავალიანება – საგადასახადო დავალიანება, რომელიც წარმოშობილია:

ა) პირის მიერ წარდგენილი საგადასახადო დეკლარაციის საფუძველზე;

ბ) საგადასახადო მოთხოვნის საფუძველზე, რომელსაც პირი ეთანხმება ან რომლის გასაჩივრების ვადა გასულია;

გ) პირის მიერ წარდგენილი სასაქონლო დეკლარაციის საფუძველზე;

დ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე.

აღნაგობა – სხვის მიწის ნაკვეთზე ნაგებობის აღმართვის უფლება. მიწის ნაკვეთი შეიძლება სხვა პირს გადაეცეს ვადიან სარგებლობაში ისე, რომ მას ჰქონდეს ამ ნაკვეთზე ან მის ქვეშ რაიმე ნაგებობის აღმართვის უფლება, ასევე ამ უფლების გასხვისების, მემკვიდრეობით გადაცემის, თხოვების, გაქირავების უფლება (აღნაგობის უფლება). აღნაგობის უფლება შეიძლება გაერცელდეს მიწის ნაკვეთის იმ ნაწილზე, რომელიც არ არის აუცილებელი აღნაგობისათვის, მაგრამ იძლევა ნაგებობით უკეთ სარგებლობის შესაძლებლობას. აღნაგობის უფლების ვადა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით და იგი არ უნდა აღემატებოდეს ოთხმოცდაცხრამეტ წელს.

აღრიცხვის(საკასო) მეთოდი – შემოსავლებისა და ხარჯების საგადასახადო აღრიცხვის მეთოდი, რომლის დროსაც გადასახადის გადამხდელმა შემოსავლები უნდა აღრიცხოს მათი მიღების ან გამოყენებისა და განკარგვის უფლების მოპოვების მომენტის შემდეგ, ხოლო ხარჯების დაქვითვა მოახდინოს განაღდების შემდეგ(გარდა ამორტიზაციას დაქვემდებარებული ძირითადი საშუალებებისა).

აღსრულების საფასური – სასამართლო და სხვა უფლებამოსილი ორგანოს(თანამდებობის პირის) მიერ მიღებული აქტების აღსრულებისას აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაწეული მომსახ-

ურებისათვის დანესებული საევალდებულო გადასახდელი დღგ-ის ჩათვლით. საფასურის გადახდა ეკისრება მოვალეს.

ახალასათვისებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები – შემდეგი მიწები:

ა) ყველა არასასოფლო-სამეურნეო სავარგული, რომელიც ტრანსფორმირდება (გადაიყვანება) სასოფლო-სამეურნეო სავარგულად. ასეთ მიწებს განეკუთვნება:

ა.ა) ყამირი მიწები;

ა.ბ) მელიორაციის (სარწყავი და დაშრობის) საშუალებით ასათვისებელი მიწები;

ა.გ) გაკაფვა – ამოძირკვის საშუალებით ასათვისებელი, ბუჩქნარით დაკავებული მიწები;

ა.დ) დატერასების საშუალებით ასათვისებელი ფერდობები;

ა.ე) ნიაღისეულის მოპოვებისა და მშენებლობის დროს დარღვეული სარეკულტივაციო მიწები აგრობიოლოგიური პროდუქტიულობის აღდგენით;

ბ) დაბალინტენსიური სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, რომლებიც ტრანსფორმირდება (გადაიყვანება) მაღალინტენსიური სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული) მიწების სავარგულად, დაჭაობებული და დამლაშებული მიწები.

– ბ –

ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი – ადამიანი, რომელსაც დაავადების, ტრავმის, გონებრივი თუ ფიზიკური დეფექტის შედეგად, ჯანმრთელობის მეტ-ნაკლებად მოშლის გამო, დარღვეული აქვს ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციები, რაც განაპირობებს პროფესიული შრომის უნარის სრულ ან ნაწილობრივ დაკარგვას ანდა ყოფა – ცხოვრების არსებით გაძნელებას, რასაც იგი მიჰყავს ქმედობაუნარიანობის დროებით ან მუდმივ შეზღუდვამდე და სოციალური დაცვის საჭიროებამდე. ბავშვობიდან შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი უდგინდება პირს, რომლის შესაძლებლობის შეზღუდვა 18 წლის ასაკამდე მოხდა.

ბაზარი – საქონლის/მომსახურების მიმოქცევის სფერო, რომელიც განისაზღვრება გამყიდველის/მყიდველის შესაძლებლობით, მნიშვნელოვანი დანახარჯების გარეშე გაყიდოს/შეიძინოს საქონელი/მომსახურება გამყიდველისათვის/მყიდველისათვის უახლოეს ტერიტორიაზე საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ.

ბალანსი – საწარმოს აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის ნაშთების უწყისი.

ბარგი – მგზავრებისაგან განცალკევებულად გადასაზიდი საგანი.

ბარტერული ოპერაცია – ოპერაცია, როდესაც რაიმე საქონლის მყიდველი იმავდროულად არის სხვა საქონლის მომწოდებელი. საქონლის/მომსახურების გაცვლის (ბარტერული) ოპერაცია საქონლის/მომსახურების მიმწოდებელი თითოეული მხარისათვის ითვლება საქონლის/ მომსახურების საბაზრო ფასით რეალიზაციად, ხოლო საქონლის/მომსახურების თითოეული მიმღებისათვის – საქონლის/ მომსახურების იმავე საბაზრო ფასით შეძენად.

ბენეფიციარი – მიმღები, მოსარგებლე.

ბიოლოგიური აქტივი – ცხოველი ან მცენარე.

ბირჟა – საბითუმო ბაზარი, სადაც ვაჭრობა ხორციელდება საჯაროდ, წინასწარ დადგენილი წესით, განსაზღვრულ ადგილზე და ვადაში. ბირჟა სამი სახისაა: სასაქონლო, საფონდო და სავალუტო. სასაქონლო ბირჟაზე ხორციელდება საქონელთან დაკავშირებული ოპერაციები, ხოლო საფონდო და სავალუტო ბირჟებზე, შესაბამისად ფასიან ქაღალდებთან და ფულთან დაკავშირებული ოპერაციები.

ბიუჯეტი – საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების შესაბამისი ორგანოების მიერ. საქართველოს ნაერთი ბიუჯეტი შედგება – საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების კონსოლიდირებული ბიუჯეტისაგან. ნაერთი ბიუჯეტი არ ექვემდებარება არც ერთი ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებას. სახელმწიფო ბიუჯეტი შედგება – საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობისაგან. ავტონომიური რესპუბლიკის ნაერთი ბიუჯეტი შედგება – აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური და შესაბამისად მის შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების კონსოლიდირებული ბიუჯეტისაგან.

განსაზღვრას.

აქციზი – არაპირდაპირი გადასახადი, რომელიც განსხვავებით დღგ-ისაგან გადაიხდება არა საქონლის (მომსახურების) მიწოდების ყველა სტადიაზე, არამედ მხოლოდ ერთხელ, შემდეგ შემთხვევებში:

ა) მწარმოებლის მიერ საქართველოში წარმოებული აქციზური საქონლის მიწოდების ან/და საწარმოს საწყობიდან სარეალიზაციოდ გატანის დროს;

ბ) მწარმოებლს მიერ დამკვეთის ნედლეულით საქართველოში წარმოებული აქციზური საქონლის დამკვეთისათვის გადაცემის დროს;

გ) საკუთარი წარმოების აქციზური საქონლის გამოყენების დროს არაქციზური საქონლის წარმოებისათვის;

დ) აქციზური საქონლის ექსპორტის დროს;

ე) ბუნებრივი აიროვანი კონდენსატის ან/და ბუნებრივი აირის ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის მიწოდების დროს;

ვ) აქციზური საქონლის იმპორტის დროს;

ზ) მობილური საკომუნიკაციო მომსახურების გაწევის დროს.

აქციზის ჩათვლა – ერთი და იგივე დაბეგვრის ობიექტის ორმაგი დაბეგვრის თავიდან არიდების საშუალება. პირს, რომელიც ახორციელებს დასაბეგრ ოპერაციას (მათ შორის, აქციზური საქონლის ექსპორტს), უფლება აქვს მიიღოს საგადასახადო ჩათვლა მიწოდებული (მათ შორის, გადაცემული, საწყობიდან სარეალიზაციოდ გატანილი ან ექსპორტირებული) აქციზური საქონლის საწარმოებლად გამოყენებულ სხვა აქციზურ საქონელზე (ნედლეულზე) გადახდილი ან გადასახდელი აქციზის ოდენობით ან დაიბრუნოს აქციზი, მაგრამ არა უმეტეს მისგან წარმოებულ აქციზურ საქონელზე გამოანგარიშებული აქციზისა. ჩათვლის ან დაბრუნების ანალოგიური წესი გამოიყენება აქციზური საქონლის საწარმოებლად მწარმოებლის მიერ იმპორტირებულ სხვა აქციზურ საქონელზე (ნედლეულზე). პირს დასავარგებელი აქციზური საქონლის იმპორტის ან შეძენის შემთხვევაში უფლება აქვს მიიღოს საგადასახადო ჩათვლა ამ აქციზურ საქონელზე (ნედლეულზე) გადახდილი ან გადასახდელი აქციზის ოდენობით ან დაიბრუნოს აქციზი. მობილური საკომუნიკაციო მომსახურების გამწევი პირისათვის აქციზის ჩათვლა წარმოადგენს დარიცხული აქციზის თანხის შემცირების უფლებას, რომელიც წარმოებს დარიცხული აქციზის თანხიდან მომსახურებაზე გადახდილი აქციზის თანხის გამოქვითვის გზით.

აქციზური მარკა – საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ ალკოჰოლიან და თამბაქოს ნაწარმზე ინდივიდუალურად დასაკრავი მარკა, რომელიც ადასტურებს ამ საქონელზე აქციზის გადახდის ფაქტს.

აქციზური მარკის ნომინალური ღირებულება – აქციზური მარკის, როგორც საქონლის ღირებულება, რომელიც შედგება მისი ბეჭდვის, ტრანსპორტირების და მიმოქცევის სხვა ხარჯებისაგან.

აღიარებული საგადასახადო დავალიანება – საგადასახადო დავალიანება, რომელიც წარმოშობილია:

ა) პირის მიერ წარდგენილი საგადასახადო დეკლარაციის საფუძველზე;

ბ) საგადასახადო მოთხოვნის საფუძველზე, რომელსაც პირი ეთანხმება ან რომლის გასაჩივრების ვადა გასულია;

გ) პირის მიერ წარდგენილი სასაქონლო დეკლარაციის საფუძველზე;

დ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე.

აღნაგობა – სხვის მინის ნაკვეთზე ნაგებობის აღმართვის უფლება. მინის ნაკვეთი შეიძლება სხვა პირს გადაეცეს ვიდიან სარგებლობაში ისე, რომ მას ჰქონდეს ამ ნაკვეთზე ან მის ქვეშ რაიმე ნაგებობის აღმართვის უფლება, ასევე ამ უფლების გასხვისების, მემკვიდრეობით გადაცემის, თხოვების, გაქირავების უფლება (აღნაგობის უფლება). აღნაგობის უფლება შეიძლება გაჩერებულდეს მინის ნაკვეთის იმ ნაწილზე, რომელიც არ არის აუცილებელი აღნაგობისათვის, მაგრამ იძლევა ნაგებობით უკეთ სარგებლობის შესაძლებლობას. აღნაგობის უფლების ვადა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით და იგი არ უნდა აღემატებოდეს ოთხმოცდაცხრამეტ წელს.

აღრიცხვის(საკასო) მეთოდი – შემოსავლებისა და ხარჯების საგადასახადო აღრიცხვის მეთოდი, რომლის დროსაც გადასახადის გადამხდელმა შემოსავლები უნდა აღრიცხოს მათი მიღების ან გამოყენებისა და განკარგვის უფლების მოპოვების მომენტის შემდეგ, ხოლო ხარჯების დაქვითვა მოახდინოს განაღდების შემდეგ(გარდა ამორტიზაციას დაქვემდებარებული ძირითადი საშუალებებისა).

აღსრულების საფასური – სასამართლო და სხვა უფლებამოსილი ორგანოს(თანამდებობის პირის) მიერ მიღებული აქტების აღსრულებისას აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაწეული მომსახ-

ურებისათვის დანესებული სავალდებულო გადასახდელი დღგ-ის ჩათვლით. საფასურის გადახდა ეკისრება მოვალეს.

ახალასათვისებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები – შემდეგი მიწები:

ა) ყველა არასასოფლო-სამეურნეო სავარგული, რომელიც ტრანსფორმირდება (გადაიყვანება) სასოფლო-სამეურნეო სავარგულად. ასეთ მიწებს განეკუთვნება:

ა.ა) ყამირი მიწები;

ა.ბ) მელიორაციის (სარწყავი და დაშრობის) საშუალებით ასათვისებელი მიწები;

ა.გ) გაკაფვა – ამოძირკვის საშუალებით ასათვისებელი, ბუჩქნარით დაკავებული მიწები;

ა.დ) დატერასების საშუალებით ასათვისებელი ფერდობები;

ა.ე) ნიაღისეულის მოპოვებისა და მშენებლობის დროს დარღვეული სარეკულტივაციო მიწები აგრობიოლოგიური პროდუქტიულობის აღდგენით;

ბ) დაბალინტენსიური სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, რომლებიც ტრანსფორმირდება (გადაიყვანება) მაღალინტენსიური სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული) მიწების სავარგულად, დაჭაობებული და დამლაშებული მიწები.

– ბ –

ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი – ადამიანი, რომელსაც დაავადების, ტრავმის, გონებრივი თუ ფიზიკური დეფექტის შედეგად, ჯანმრთელობის მეტ-ნაკლებად მოშლის გამო, დარღვეული აქვს ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციები, რაც განაპირობებს პროფესიული შრომის უნარის სრულ ან ნაწილობრივ დაკარგვას ანდა ყოფა – ცხოვრების არსებით გაძნელებას, რასაც იგი მიჰყავს ქმედობაუნარიანობის დროებით ან მუდმივ შეზღუდვამდე და სოციალური დაცვის საჭიროებამდე. ბავშვობიდან შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი უდგინდება პირს, რომლის შესაძლებლობის შეზღუდვა 18 წლის ასაკამდე მოხდა.

ბაზარი – საქონლის/მომსახურების მიმოქცევის სფერო, რომელიც განისაზღვრება გამყიდველის/მყიდველის შესაძლებლობით, მნიშვნელოვანი დანახარჯების გარეშე გაყიდოს/შეიძინოს საქონელი/მომსახურება გამყიდველისათვის/მყიდველისათვის უახლოეს ტერიტორიაზე საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ.

ბალანსი – საწარმოს აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის ნაშთების უწყისი.

ბარგი – მგზავრებისაგან განცალკევებულად გადასაზიდი საგანი.

ბარტერული ოპერაცია – ოპერაცია, როდესაც რაიმე საქონლის მყიდველი იმავდროულად არის სხვა საქონლის მომწოდებელი. საქონლის/მომსახურების გაცვლის (ბარტერული) ოპერაცია საქონლის/მომსახურების მიმწოდებელი თითოეული მხარისათვის ითვლება საქონლის/ მომსახურების საბაზრო ფასით რეალიზაციად, ხოლო საქონლის/მომსახურების თითოეული მიმღებისათვის – საქონლის/ მომსახურების იმავე საბაზრო ფასით შეძენად.

ბენეფიციარი – მიმღები, მოსარგებლე.

ბიოლოგიური აქტივი – ცხოველი ან მცენარე.

ბირჟა – საბითუმო ბაზარი, სადაც ვაჭრობა ხორციელდება საჯაროდ, წინასწარ დადგენილი წესით, განსაზღვრულ ადგილზე და ვადაში. ბირჟა სამი სახისაა: სასაქონლო, საფონდო და სავალუტო. სასაქონლო ბირჟაზე ხორციელდება საქონელთან დაკავშირებული ოპერაციები, ხოლო საფონდო და სავალუტო ბირჟებზე, შესაბამისად ფასიან ქაღალდებთან და ფულთან დაკავშირებული ოპერაციები.

ბიუჯეტი – საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების შესაბამისი ორგანოების მიერ. საქართველოს ნაერთი ბიუჯეტი შედგება – საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების კონსოლიდირებული ბიუჯეტისაგან. ნაერთი ბიუჯეტი არ ექვემდებარება არც ერთი ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებას. სახელმწიფო ბიუჯეტი შედგება – საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობისაგან. ავტონომიური რესპუბლიკის ნაერთი ბიუჯეტი შედგება – აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური და შესაბამისად მის შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების კონსოლიდირებული ბიუჯეტისაგან.

მიმდინარე გადასახდელები ეხება საშემოსავლო და მოგების გადასახდებს.

გადაუდებელი გასვლითი საგადასახადო შემოწმება – საგადასახადო ორგანოს უფლება გადასახადის გადამხდელისათვის წინასწარი შეტყობინების გარეშე, ჩაატაროს გადასახადის გადამხდელის საქმიანობის ადგილზე შემოწმება. ასეთი შემოწმების დროს საგადასახადო ორგანო ვალდებულია შემოწმებიდან 48 საათში მიმართოს და ნებართვა მიიღოს სასამართლოდან. ნებართვის მიღებამდე საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს დალუქოს შესაბამისი ობიექტები(სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები, დოკუმენტები).

გადაუმუშავებელი საქონელი – შიდა გადამუშავების ან გარე გადამუშავების სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული საქონელი, რომელიც არ არის გადამუშავებული ამ ოპერაციებში.

გადახდისუუნარობა – მოვალის უუნარობა, დააკმაყოფილოს კრედიტორის ვადამოსული მოთხოვნა.

გადაყიდვის ფასის მეთოდი – კონტროლირებული გარიგებით შესყიდული საქონლის დამოუკიდებელი გარიგებით გადაყიდვისას რენტაბელობის კოეფიციენტის შედარება დამოუკიდებელი გარიგებით შესყიდული საქონლის დამოუკიდებელი გარიგებით გადაყიდვისას რენტაბელობის კოეფიციენტთან.

გაკოტრების საქმის წარმოება – საპროცესო და ხელმძღვანელობითი მოქმედებების ერთობლიობა, რომელიც ხორციელდება „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად და მიზნად ისახავს კრედიტორთა მოთხოვნების კანონით დადგენილი წესითა და პირობებით შესაძლო სრულ დაკმაყოფილებას უმთავრესად სამეურვეო ქონების რეალიზაციის გზით.

გამოქვითვები-ერთობლივი შემოსავლის შემცირება, როგორც წესი, ყველა დოკუმენტურად დასტურებული ხარჯით, რომელიც დაკავშირებულია მის მიღებასთან.

გარე გადამუშავება – სასაქონლო ოპერაცია, რომლის დროსაც საქართველოს საქონელი დროებით გაიტანება საქართველოს ეკონომიკური ტერიტორიის გარეთ, გადაიხდევინება ექსპორტის გადასახდელები და ტარდება სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებები, ასევე ხორციელდება ის პროცედურები, რომელიც გათვალისწინებულია ექსპორტის დროს, ხოლო მისგან მიღებული გადამუშავებული საქონლის საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე შემოტანისას გადაიხდევინება კუთვნილი იმპორტის გადასახდელები.

გარიგების შეფასების მეთოდები – საქონლის/მომსახურების ფასის დადგენის მეთოდები. არსებობს გარიგების შეფასების 5 მეთოდი;

ა) შედარებადი დამოუკიდებელი ფასის მეთოდი;

ბ) გადაყიდვის ფასის მეთოდი;

გ) ფასნამატის მეთოდი;

დ) სუფთა მარჟის მეთოდი;

ე) მოგების გაყოფის მეთოდი.

გასვლითი საგადასახადო შემოწმება – საგადასახადო ორგანოს ღონისძიება, რომელიც ითვალისწინებს გადასახადის გადამხდელის საქმიანობის ადგილზე სრულ ან თემატურ შემოწმებას.

გრანტი – გამცემის (დონორის) მიერ მიმღებისათვის უსასყიდლოდ გადაცემული მიზნობრივი სახსრები ფულადი ან ნატურალური ფორმით, რომლებიც გამოიყენება კონკრეტული ჰუმანური, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, სპორტული, ეკოლოგიური და სოციალური პროექტების, აგრეთვე სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროგრამების განხორციელებისათვის. გრანტად არ ჩაითვლება სამეწარმეო და პოლიტიკური მიზნების მისაღწევად გაცემული სახსრები.

გრანტის ელემენტი – კრედიტის ფინანსური პირობების აგრერირებული მაჩვენებელი. მისი საშუალებით განისაზღვრება კრედიტის შეღავათიანობის დონე. გრანტ-ელემენტის გამოთვლა ხდება ერთხელ, კრედიტის ფინანსური პირობების დადგენისას. გრანტ-ელემენტის გამოსათვლელად ხელშეკრულებით განსაზღვრულ კრედიტის ოდენობას(კრედიტის ნომინალური ღირებულება) აკლდება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალის მომსახურების(ძირითადი და საპროცენტო) დადასახდელების მიმდინარე(დისკონტირებული) ღირებულება და სხვაობა გამოისახება პროცენტებში კრედიტის ნომინალური ღირებულების მიმართ. გრანტ-ელემენტის გამოსათელელად გამოიყენება შემდეგი ფორმულა:

$$GE = \left(1 - \frac{(1/(1+დპ)ნ.გ) - (1/(1+დპ)ნ.მ)}{(1 - რ/ნხდა)(1 - დპ(ნ.მ - ნ.გ))}\right)$$

სადაც რ არის კრედიტის მომსახურების საპროცენტო განაკვეთი;

მ არის სესხის ხანგრძლივობა(დროის მონაკვეთი ვალის აღების მომენტიდან მის სრულ დაფარვამდე);

ნ არის პერიოდულობა(წლის განმავლობაში ვალის მომსახურების გადახდების ოდენობა);

გ არის შეღავათიანი პერიოდი(დროის მონაკვეთი პირველი საპროცენტო გადახდიდან ძირითადი თანხის პირველ გადახდამდე), რომელიც გამოითვლება შემდეგი ფორმულით:გ = ს – 1/ნ, სადაც ს არის დროის მონაკვეთი ვალის აღების მომენტიდან ძირითადი თანხისპირველ გადახდამდე;

დპ არის დისკონტირების მაჩვენებელი ერთი პერიოდისათვის, რომელიც გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

ნ – ———

დპ=ვ1+დ+უ – 1, სადაც, პერიოდი (1/ნ) არის დროის მონაკვეთი ვალის მომსახურების ორ უახლოეს გადახდას შორის; დ არის კრედიტის ვალუტის სადისკონტო განაკვეთი, რომელიც რეგულარულად დგინდება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის(ᲔᲠᲓ) მიერ; ხოლო უ – მარჟა, რომელიც გამოითვლება ალგორითმით:

თუ მ<15 წელზე მაშინ უ= 0.0075
თუ 15<მ<20 წელზე მაშინ უ= 0.0100
ᲔᲝ 20<მ<30 წელზე მაშინ უ= 0.0115
თუ მ>30 წელზე მაშინ უ= 0.0125

გრძელვადიანი კონტრაქტი – კონტრაქტი წარმოებაზე, მონტაჟზე, მშენებლობაზე ან ასეთ საქმიანობასთან დაკავშირებულ მომსახურების გაწევაზე, რომელიც არ დასრულებულა იმ კალენდარულ წელს, რომელშიც დაიწყო კონტრაქტით გათვალისწინებული მომსახურება, გარდა იმ კონტრაქტისა, რომელიც დასრულდა კონტრაქტით გათვალისწინებული მომსახურების დაწყებიდან 6 თვის განმავლობაში.

გუდვილი – მომავალი ეკონომიკური სარგებელი, რომელიც წარმოიშობა ისეთი აქტივებიდან, რომლებიც ინდივიდუალურად ვერ განისაზღვრება და ვერც ცალკე იქნება აღიარებული; კომპანიის პრესტიჟი, საქმიანი რეპუტაცია, კონტაქტები, კლიენტები და კადრები, როგორც კომპანიის აქტივი, შეფასებული და შეტანილი სპეციალურ ანგარიშზე; საბუღალტრო ტერმინი, რომლის დროსაც ფირმა ყიდულობს სხვა კომპანიას მის წმინდა საბალანსო ღირებულებაზე მეტად. ამ შემთხვევაში ნებაყოფლობით გადახდილ დამატებით თანხას ეწოდება გუდვილი; არამატერიალური აქტივი, რომელიც აისახება საბალანსო ანგარიშგებაში.

– დ –

დაბრუნებული საქონელი – საქართველოს ეკონომიკური ტერიტორიიდან გატანილი და 3 წლის ვადაში დაბრუნებული საქართველოს საქონელი, რომლის იდენტიფიცირებაც შესაძლებელია და, რომელიც ბრუნდება უცვლელ მდგომარეობაში. ასეთი საქონელი არ იბეგრება იმპორტის გადასახდელებით.

დავების განხილვის საბჭო – საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული საგადასახადო დავის განმხილველი ორგანო. მისი შემადგენლობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის მიერ და მის საქმიანობის რეგლამენტს ამტკიცებს საქართველოს მთავრობა. დავების საბჭოში საგადასახადო დავა ორეტაპიანია და იწყება საჩივრის წარდგენით შემოსავლების სამსახურში.

დაზღვევა – ურთიერთობა, რომელიც მყარდება ფიზიკური და იურიდიული პირების პირადი და ქონებრივი ინტერესების დასაცავად სადაზღვევო შენატანებით (სადაზღვევო პრემიით) ფორმირებული ფულადი ფონდებისა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა წყაროების ხარჯზე, გარკვეული გარემოებების (სადაზღვევო შემთხვევების) დადგომისას.

დაზღვეული – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის მიმართაც ხორციელდება დაზღვევა.

დათვალიერება – გადასახადის გადამხდელის ტერიტორიებისა და შენობა-ნაგებობების დათვალიერება, გარდა ფიზიკური პირის საცხოვრებელი ბინისა, რომლის დათვალიერებაც დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით. დათვალიერების პროცედურით გათვალისწინებულია გადასახადის გადამხდელის ტერიტორიებისა და შენობა-ნაგებობების გარე და შიდა სივრცის ვიზუალური დათვალიერება. აღნიშნული პროცედურის ჩატარებისას აკრძალულია გადასახადის გადამხდელის დოკუმენტაციისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემოწმება. დათვალიერების პროცედურა არ მოიცავს სეიფის, კარადის, უჯრისა და სხვა მსგავსი სათავსის შიგთავსის ვიზუალურ დათვალიერებასა და შემოწმებას.

დამატებული ღირებულების გადასახადი(დღგ) – არაპირდაპირი გადასახადი, რომელიც ამოიღება ბიუჯეტში საქონლის/მომსახურების მინოდების ყველა სტადიაზე, აგრეთვე დასაბეგრი იმპორტისა და დასაბეგრი დროებითი შემოტანის დროს.

დამატებული ღირებულების გადასახადისაგან გათავისუფლება ჩათვლით ან ჩათვლის გარეშე – ორი ოპერაცია. კერძოდ, ჩათვლის უფლებით გათავისუფლების დროს, ოპერაციას არ ერიცხება დღგ და გადამხდელს ენიჭება ადრე გადახდილი დღგ-ის ჩათვლის უფლება, ხოლო ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლების დროს, ოპერაციას არ ერიცხება დღგ, მაგრამ გადამხდელს ერთმევა ადრე გადახდილი დღგ-ის ჩათვლის უფლება.

დამატებული ღირებულების გადასახადის საანგარიშო პერიოდი – კვარტალი.

დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლა – დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირის უფლება შეიმციროს გადასახდელი დღგ-ის თანხა მიღებული ჩათვლის დოკუმენტის საფუძველზე. ჩათვლის დოკუმენტებია:

ა) საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა;

ბ) სასაქონლო დეკლარაცია;

გ) უკუდაბეგვრისას ბიუჯეტში დღგ-ის თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) დროებით შემოტანისას ბიუჯეტში დღგ-ის თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გაწეული მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებლი დოკუმენტი, რომელთა მიერ გაწეულ მომსახურებაზე ტარიფები დადგენილია დღგ-ის ჩათვლით საქართველოს კანონით ან მთავრობის დადგენილებით.

დამატებული ღირებულების გადასახადის ჩასათვლელი თანხა – გადასახადის თანხა:

ა) რომელიც გადახდილია ან გადასახდელია ჩათვლის დოკუმენტების მიხედვით საქონლის შეძენისას, მომსახურების მიღებისას, საქონლის იმპორტისას ან/და საქონლის დროებით შემოტანისას, მათ შორის, დღგ-ის რეგისტრაციის ძალაში შესვლის მომენტისათვის არსებულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ნაშთზე;

ბ) საკუთარი წარმოების შენობა-ნაგებობების ძირითად საშუალებად გამოყენების შემთხვევაში, ამ ოპერაციაზე დარიცხული და დღგ-ის დეკლარაციაში ასახული დღგ-ის თანხა, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს ჩათვლის მიღების საფუძველს.

დამოუკიდებელი აუდიტორი – ფიზიკური პირი ან აუდიტური ფირმა. აუდიტორი არის ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ გაცემული აუდიტორის საკვალიფიკაციო სერტიფიკატი. იგი აუდიტორულ საქმიანობას ეწევა ინდივიდუალური ლიცენზიის საფუძველზე ან/და აუდიტური ფირმის მეშვეობით. აუდიტური ფირმა არის სანარმო, რომელსაც აქვს საქართველოს ტერიტორიაზე აუდიტორული საქმიანობის ლიცენზია და, რომლის ერთადერთი საწესდებო მიზანია აუდიტორული საქმიანობა. აუდიტორ ფირმას და მის ფილიალს აუდიტორული საქმიანობის უფლება ეძლევა მხოლოდ მაშინ, თუ მათში სულ ცოტა ერთი აუდიტორი მაინც მუშაობს.

დამოუკიდებელი გარიგება – ნებისმიერი ფინანსური ან კომერციული გარიგება დამოუკიდებელ პირებს შორის.

დამოუკიდებელი პირები – პირები, რომლებიც არ არიან ურთიერთდამოკიდებული.

დანაკლისი–გადასახადის გადამხდელის ბუღალტრულ ჩანაწერებთან შედარებისას გამოვლენილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნაკლებობა(მათ შორის ინვენტარიზაციის საშუალებით). ისეთი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიმართ, რომელთა დასაწყობება და შესაბამისად ინვენტარიზაცია ფიზიკურად შეუძლებელია (ელექტრო – და თბოენერგია, გაზი და წყალი), დანაკლისად ჩაითვლება სხვაობა შეძენილ (შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით) და რეალიზებულ (გადასახადის გადამხდელისგან ფაქტობრივად გასულ) სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა შორის, თუ ვერ დგინდება დებიტორი (ამნაზღაურებელი) ან/და მიმთვისებელი. ამასთანავე, თუ უფლებამოსილი ორგანოს მიერ დადგენილია დანაკარგის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა, დანაკლისად ჩაითვლება ამ ოდენობაზე მეტი ნაკლებობა.

დანაშაულის ნიშნები – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევები.

დარიცხვის მეთოდი – შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის მეთოდი, რომლის გამოყენებისას შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება გადასახადის გადამხდელის მიერ ამ შემოსავლების მიღების უფლების მოპოვების და ასეთი ხარჯების აღიარების მომენტის მიხედვით, შემოსავლების ფაქტობრივად მიღებისა და ხარჯების გაწევის მომენტის მიუხედავად, გარდა იმ შემთხვევისა (ლიცენზირე-

ბული ფინანსური ინსტიტუტების გამოკლებით), როდესაც გადახდა უკავშირდება ფიზიკურ პირს ან მიღებული მომსახურებისათვის საკომპენსაციო თანხის გადახდა უკავშირდება არარეზიდენტ საწარმოს, რომელიც არ მიეკუთვნება არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას საქართველოში.

დასაბეგრი ბრუნვა – საანგარიშო პერიოდში განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების და საქონლის ექსპორტის თანხების ჯამი.

დასაბეგრი იმპორტის თანხა – საქონლის საბარიფო ღირებულებისა და საქართველოში საქონლის იმპორტისას გადასახდელი გადასახადების (იმპორტის გადასახადი, აქციზი) თანხების ჯამი, საქართველოში გადასახდელი დღგ-ის ჩაუთვლელად და იმ მომსახურების გაწევის ღირებულება(დღგ-ის გარეშე), რომელიც დამხმარე ხასიათისაა საქონლის იმპორტის მიმართ.

დასაბეგრი მოგება – როგორც წესი, სხვაობა გადასახადის გადამხდელის ერთობლივ შემოსავალსა და საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ გამოქვითვის თანხებს შორის.

დასაბეგრი ოპერაციის თანხა – როგორც წესი, დღგ-ის გადამხდელის მიერ მიღებული ან მისაღები კომპენსაციის თანხა (გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების ჩათვლით) დღგ-ის ან/და პირგასამტეხლოს გარეშე.

დასაბეგრი ქონების ადგილსამყოფელი – ადგილი სადაც უძრავი ქონება ფაქტობრივად მდებარეობს, ხოლო მოძრავი ქონება რეგისტრირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით. თუ არ არსებობს მოძრავი ქონების რეგისტრაციის ადგილი, დასაბეგრი ქონების ადგილსამყოფელად ითვლება ადგილი სადაც, მოძრავი ქონება ფაქტობრივად მდებარეობს.

დასავარგებელი აქციზური საქონელი – საბრენდე სპირტები, ღვინის ბრენდი და ღვინო, რომლებიც ექვემდებარება დავარგებას ანუ ხარისხის გაუმჯობესების ხანგრძლივ ტექნოლოგიურ პროცესს.

დაუძლეველი ძალა – ისეთი საგანგებო ან განსაკუთრებული გარემოებები, რომელიც შეუძლებელს ხდის კანონით დადგენილ ვალდებულებათა შესრულებას და, რომელთა დადგომა არ არის დამოკიდებული პირის ნებაზე, მათ შორის:

ა) სტიქიური უბედურებები(მიწისძვრა, წყალდიდობა, მეწყერი, ზვავი, ხანძარი და სხვა);

ბ) საგარეო ვაჭრობის შეზღუდვა, საგანგებო/საომარი მდგომარეობის გამოცხადება, აგრეთვე სახელმწიფო ორგანოების სხვა გადაწყვეტილებები;

გ) მასობრივი არეულობა, გაფიცვა.

დაქირავებით მუშაობა – დაქირავებით მუშაობად ითვლება:

ა) ფიზიკური პირის მიერ ვალდებულების შესრულება იმ ურთიერთობათა ფარგლებში, რომლებიც რეგულირდება საქართველოს ან/და უცხოური შრომითი(ან შესაბამისი) კანონმდებლობით;

ბ) ფიზიკური პირის მიერ იმ ვალდებულების შესრულება, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს შეიარაღებულ ძალებში, სამართალდამცავ და მასთან გათანაბრებულ ორგანოებში მის სამსახურთან;

გ) ფიზიკური პირის მიერ საწარმოს ან ორგანიზაციის ხელმძღვანელად (დირექტორად) ყოფნა ან ხელმძღვანელის (დირექტორის) მოვალეობის შესრულება.

დაჩქარებული ამორტიზაციის ნორმა – ძირითადი საშუალებების მეორე და მესამე ჯგუფების მიმართ საამორტიზაციო ანარიცხების ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვის ნორმა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისად 40%-ს და 16%-ს.

დევნილი – იძულებით გადაადგილებული პირი საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დატოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილებულიყო საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მის ან მასთან მცხოვრები ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის აგრესიის, შიდა კონფლიქტის ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო.

დეკლარანტი – პირი, რომელიც დეკლარირებას ახორციელებს თავისი სახელით ან რომლის სახელითაც ხორციელდება დეკლარირება დადგენილი წესით.

დეპოზიტი – კომერციულ ბანკში ან არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებაში პირის მიერ შეტანილი ფულადი სახსრები ან გადახდის სხვა საშუალებები, რომლებზედაც საკუთრების უფლებას იძენს კომერციული ბანკი ან არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება;

დივიდენდი – აქციონერის/მონილის მიერ აქციებიდან ან უფლებებიდან(წილებიდან) მიღებული ნებისმიერი შემოსავალი(მათ შორის, პრივილეგირებული აქციებიდან პროცენტის სახით მიღებული), რომელიც მიიღება მოგების განაწილების შედეგად და, რომელსაც იურიდიული პირი ანაწილებს აქციონერებს/მონაწილეებს შორის, კაპიტალში მათი კუთვნილი აქციების/უფლებების წილის შესა-

ბამისად. ამასთან დივიდენდს არ განეკუთვნება:

ა) იურიდიული პირის ლიკვიდაციისას ან აქციების/წილების გამოსყიდვისას ფულადი ან ნატურალური ფორმით განხორციელებული გადახდები(განაცემი), რომელიც არ აღემატება კაპიტალში(საწესდებო და საემისიო) აქციონერის/მოწილის მიერ განხორციელებული შენატანის ოდენობის ფარგლებს;

ბ) იურიდიული პირის აქციონერებზე/მონილეებზე განხორციელებული გადახდები ამავე იურიდიული პირის აქციის/წილის საკუთრებაში გადაცემით.

დიპლომატიური ფოსტა – გზავნილი, რომელიც შეიცავს დიპლომატიურ საბუთებსა და ოფიციალური სარგებლობისათვის განკუთვნილ საქონელს, რომლის კონტროლი, როგორც წესი, აკრძალულია.

დისკონტირებული თანხა – სხვაობით მიღებული (გაანგარიშებული) თანხა ან ნაწილი ან პროცენტი.

დისკონტის სახით მიღებული შემოსავალი – პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი.

დროებით შემოტანა – სასაქონლო ოპერაცია, რომლის დროსაც უცხოური საქონელი საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე შემოდის გარკვეული ვადით, ხოლო შესაბამისი ვადის გასვლის შემდეგ ექცევა სხვა სასაქონლო ოპერაციაში.

– ე –

ელექტრონულად გაწეული მომსახურება – შემდეგი სახის ელექტრონული მომსახურება:

ა) ვებ – გვერდის მიწოდება, ვებ – ჰოსტინგი, პროგრამებისა და მოწყობილობების დისტანციური ტექნიკური მომსახურება;

ბ) პროგრამული უზრუნველყოფა და შესაბამისი განახლება;

გ) გამოსახულებების, ტექსტებისა და ინფორმაციის მინოდება მონაცემთა ბაზის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით;

დ) მუსიკის, ფილმებისა და თამაშების მიწოდება, აზარტული თამაშების ჩათვლით და პილიტიკური, კულტურული, ხელოვნების, სპორტული, სამცნიერო და გასართობი პროგრამების ტრანსლაცია და გაშუქება;

ე) დისტანციური სწავლების მინოდება.

ელექტრონული დეკლარირება – გადამხდელის მიერ საგადასახადო ორგანოში საგადასახადო დეკლარაციების წარდგენის ფორმა, რომელიც ცვლის წერილობითი დეკლარირების ფორმას. მას ისეთივე იურიდიული ძალა აქვს, როგორც წერილობით დეკლარირებას.

ელექტრონული ხელმოწერა – ნებისმიერი ელექტრონული საშუალების გამოყენებით შექმნილ მონაცემთა ერთობლიობა, რომელსაც ხელმომწერი იყენებს ელექტრონულ დოკუმენტთან მისი კავშირის აღსანიშნავად.

ეკვივალენტური საქონელი – საქართველოს საქონელი, რომელიც შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციაში დეკლარირებული შემოსატანი საქონლის ნაცვლად გამოიყენება გადამუშავების პროდუქტის მისაღებად.

ეკონომიკური საზღვარი – ეკონომიკური ტერიტორიის ფარგლები, რომელიც ემთხვევა სახელმწიფო საზღვარს.

ეკონომიკური სამსახურის ვადა – განისაზღვრება ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით და არის:

ა) ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია, რომ აქტივი გამოსაყენებლად ვარგისი იქნება ერთი ან ერთზე მეტი მომხმარებლის მიერ;

ბ) პროდუქციის ან ანალოგიური ერთეულების რაოდენობა, რომელთა მიღება მოსალოდნელია აქტივიდან ერთი ან მეტი მომხმარებლის მიერ.

ეკონომიკური საქმიანობა – როგორც წესი, ნებისმიერი საქმიანობა რომელიც ხორციელდება მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მოსაღებად, მიუხედავად ასეთი საქმიანობის შედეგებისა. ეკონომიკურ საქმიანობას არ განეკუთვნება:

ა) სახელმწიფო ხელისუფლების, დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობა, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული მათთვის საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული ფუნქციების შესრულებასთან, გარდა ხელშეკრულების საფუძველზე ფასიანი მომსახურების გაწევისა;

ბ) საქველმოქმედო საქმიანობა;

გ) რელიგიური საქმიანობა;

დ) დაქირავებით მუშაობა;

ე) ფიზიკური პირის მიერ ფულადი სახსრების განთავსება ბანკებსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში დეპოზიტებსა და ანაბრებზე.

ვ) საქმიანობის ან/და ოპერაციების სახეები ან/და ოპერაციების ერთობლიობა, რომლებიც განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით, საქართველოს პარლამენტის საფინანსო – საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმებით.

ერთიანი საერთაშორისო სატრანსპორტო დოკუმენტი – სატრანსპორტო ზედნადები ან გადაზიდვის სხვა ხელშეკრულება, რომელიც მთლიანობაში ასახავს გადაზიდვას იმ გაგზავნისა და დანიშნულების პუნქტებს შორის, რომელთაგან ერთ-ერთი არის საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ.

ერთობლივი შემოსავალი – ნებისმიერი ფორმით ან/და საქმიანობით მიღებული ყველა შემოსავალი. კერძოდ:

ა) ხელფასის სახით მიღებული შემოსავლები;

ბ) ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები, რომელიც დაკავშირებული არ არის დაქირავებით მუშაობასთან;

გ) სხვა შემოსავლები, რომელიც დაკავშირებული არ არის დაქირავებით მუშაობასთან და ეკონომიკურ საქმიანობასთან.

ექსპორტი – საქართველოს საქონლის გატანა საქართველოს ეკონომიკური ტერიტორიიდან, გარდა გარე გადამუშავების სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული საქონლისა.

ექსპორტის გადასახდელი – გადასახადი, რომლის გადახდის ვალდებულება წარმოიშობა საქართველოს ეკონომიკური ტერიტორიიდან საქონლის გატანასთან დაკავშირებით.

– ვ –

ვებ – ჰოსტინგი – მომსახურება, რომელსაც უზრუნველყოფს ჰოსტ პროვაიდერი კომპანია თავის სერვერზე კლიენტის ფაილების განსათავსებლად და შესანახად.

ვეტერინალური სასაზღვრო – საკარანტინო კონტროლი – ცხოველური წარმოშობის საქონლის კონტროლი სპეციალური პარამეტრების მიხედვით.

ვირტუალური ზონის პირი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიურ საქმიანობას.

– ზ –

ზარალი – გამოქვითვების გადამეტება ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ ერთობლივ შემოსავალ-ზე; აქტივების მიწოდებით მიღებული ზარალი არის უარყოფითი სხვაობა მათი მინოდებით მიღებულ შემოსავლებსა და ამ აქტივების ღირებულებას შორის.

ზედმეტად გადახდილი გადასახადი – კონკრეტული გადასახადის ან/და სანქციის გადახდილი თანხის მეტობა დარიცხული გადასახადის ან/და სანქციის თანხაზე.

ზედმეტად გადახდილი გადასახადის თანხის ავტომატური დაბრუნება – ცალკეულ შემთხვევაში ცალკეული გადასახადის გადამხდელების მიმართ, რომლებიც ახორციელებენ ელექტრონულ დეკლარირებას, ზედმეტად გადახდილი გადასახადის თანხის ავტომატური დაბრუნება, რომლის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

ზოგადი დეკლარირება – სასაქონლო ოპერაციის შერჩევამდე დეკლარანტის მიერ განსახორციელებელი პროცედურა, რომელიც გულისხმობს საქონელზე არსებითი მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების (მაგ. სატრანსპორტო ზედდებული, ინეოისი და სხვა) წარდგენას შესაბამის ორგანოში.

– თ –

თავდებობა – თავდებსა და საგადასახადო ორგანოს შორის დადებული ხელშეკრულება, რომლითაც თავდები სოლიდარულად კისრულობს ვალდებულებას, სრული მოცულობით დაფაროს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო დავალიანება, თუ გადასახადის გადამხდელი დადგენილ ვადაში არ გადაიხდის გადასახადის კუთვნილ თანხას და შესაბამის სანქციას.

თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტი–ემიტენტის მიერ გამოშვებული რომელიმე კლასის ფასიანი ქაღალდების წილი, რომელიც არ განეკუთვნება ქვემოთ ჩამოთვლილ არც ერთ კატეგორიას:

ა) პირის (მათ შორის, ემიტენტის) საკუთრებაში არსებულ 5%-იან ან უფრო მსხვილ ამ კლასის ფასიანი ქაღალდების პაკეტს;

ბ) სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების საკუთრებაში არსებულ ფასიან ქაღალდებს;

გ) ემიტენტის მმართველი ორგანოს წევრებისა და თანამშრომლების ბენეფიციურ საკუთრებაში არსებულ ფასიან ქაღალდებს.

თავისუფალი ვაჭრობის პუნქტი – კონტროლის ზონა, სადაც შესაძლებელია ფიზიკურ პირებზე, რომლებიც ტოვებენ საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიას, საცალო წესით რეალიზებულ იქნეს:

ა) უცხოური საქონელი სატარიფო და არასატარიფო ღონისძიებების განხორციელების გარეშე;

ბ) საქართველოს საქონელი. ასეთი საქონელი არ იბეგრება არაპირდაპირი გადასახადებით. თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში შეიძლება გაიყიდოს ნებისმიერი საქონელი, გარდა იმ საქონლისა, რომლის საქართველოში შემოტანა, საქართველოდან გატანა ან საქართველოს ტერიტორიაზე გაყიდვა აკრძალულია.

თავისუფალი ზონა – საქართველოს ეკონომიკური ტერიტორიის ნაწილი, სადაც:

ა) საბაჟო პოლიტიკის ღონისძიებების გატარებისათვის უცხოური საქონლის შეტანა არ ითვლება საქონლის იმპორტში მოქცევად და, შესაბამისად, მასზე არ გადაიხდევინება იმპორტის გადასახდელები;

ბ) საქართველოს საქონლის მოთავსებისას გამოიყენება საქონლის ექსპორტში მოქცევის ანალოგიური დებულებები(მათ შორის, ენიჭება უცხოური საქონლის სტატუსი).

თავისუფალი ინდუსტრიული ზონა – თავისუფალი ინდუსტრიული ზონა არის საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული თავისუფალი ზონის ნაირსახეობა, სადაც მოქმედებს დამატებითი პირობები და საგადასახადო შეღავათები.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ორგანიზატორი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის მოთხოვნითაც იქმნება თავისუფალი ინდუსტრიული ზონა.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმო – თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმო შეიძლება იყოს ნებისმიერი ორგანიზაციულ – სამართლებრივი და საკუთრების ფორმის საწარმო, რომელიც რეგისტრირებულია თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საწარმოთა რეგისტრაციის ნორმების შესაბამისად.

თავისუფლად მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდი – საფონდო ბირჟის ლისტინგში სავაჭროდ დაშვებული საჯარო ან სასესხო ფასიანი ქაღალდი, რომლის თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტი საანგარიშო წლის წინა წლის 31 დეკემბრის ან საანგარიშო წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფასიანი ქაღალდების ემიტენტის მიერ საფონდო ბირჟისათვის მიწოდებული ინფორმაციით, უნდა აღემატებოდეს 25 პროცენტს.

თავისუფალი საწყობი – საწყობი, რომლის ტერიტორია გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ უცხოური საქონლის შენახვისა და თავისუფალ საწყობში რეალიზაციის ან/და საქართველოს ეკონომიკური ტერიტორიიდან გარეთ გატანის (რეექსპორტის) მიზნით. თავისუფალ საწყობში, სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებების გატარების მიზნით, უცხოური საქონლის შეტანა არ ითვლება საქონლის იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევად და, შესაბამისად, მასზე არ გადაიხდევინება იმპორტის გადასახდელები.

თამასუქი – ფასიანი ქაღალდი, დოკუმენტი, რომლითაც მისი გამცემი პირი კისრულობს უპირობო ვალდებულებას გადაიხადოს თამასუქში ნაჩვენები თანხა პირადად ან სხვა პირს ავალებს მის გადახდას.

თანამფლობელობა – საკუთრების ასპექტით, იურიდიული პირის დაფუძნების გარეშე ერთზე მეტი პირის საკუთრების ან/და ერთობლივი საქმიანობის ბაზაზე შექმნილი ამხანაგობა ან სხვა წარმონაქმნი.

თვითმმართველი ერთეული – დასახლება (თვითმმართველი ქალაქი) ან დასახლებათა ერთობლიობა (მუნიციპალიტეტი), რომელსაც ჰყავს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, აქვს საკუთარი ქონება, შემოსულობები, ბიუჯეტი, ადმინისტრაციული ცენტრი და არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

თხოვება – ქონების დროებით უსასყიდლოდ გადაცემის ფორმა. თხოვების ხელშეკრულებით გამნათხოვრებელი კისრულობს ვალდებულებას გადასცეს მონათხოვრეს ქონება დროებით უსასყიდლო სარგებლობისათვის. გამნათხოვრებელი პასუხს აგებს მხოლოდ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანისათვის. მონათხოვრეს არ შეუძლია ნათხოვარი ნივთით სხვაგვარად ისარგებლოს, ვიდრე ეს ხელშეკრულებით არის განსაზღვრული. მას არა აქვს უფლება ნივთი სარგებლობისათვის გადასცეს მესამე პირს გამნათხოვრებლის თანხმობის გარეშე.

– ი –

იდენტური საქონელი – სხვადასხვა საქონელი, რომლებსაც აქვთ ერთნაირი მახასიათებლები,

კერძოდ, ფიზიკური მახასიათებლები, ხარისხი, რეპუტაცია ბაზარზე, წარმოშობის ქვეყანა ან/და მწარმოებელი.

იმპორტი – უცხოური საქონლის გაშვება თავისუფალ მიმოქცევაში, როდესაც ამ საქონელს ენიჭება საქართველოს საქონლის სტატუსი.

იმპორტიორი – პირი, რომელსაც ქვეყანაში შემოაქვს უცხოური საქონელი.

იმპორტის გადასახადი – არაპირდაპირი გადასახადი, იმ საქონელზე, რომელიც გადაკვეთს ეკონომიკურ საზღვარს. იმპორტის გადასახადით დაბეგვრის ობიექტია საქონლის სატარიფო ღირებულება, მოცულობა და სხვა.

იმპორტის გადასახდელი – იმპორტის გადასახადი, აქციზი, დამატებული ღირებულების გადასახადი, რომლის გადახდის ვალდებულება წარმოიშობა საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან დაკავშირებით.

ინდივიდუალური მეწარმე – ფიზიკური პირი, თუ ის „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მიხედვით არის ინდივიდუალური მეწარმე(იხ. ინდივ.საწარმო).

ინდივიდუალური საწარმო – ფიზიკური პირი, თუ ის „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მიხედვით არის ინდივიდუალური მეწარმე. ინდივიდუალური მეწარმე, როგორც „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობათა სუბიექტი, წარმოიშობა მხოლოდ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. თუ რეგისტრაციამდე მეწარმე სუბიექტის სახელით რაიმე მოქმედება შესრულდა, ამ მოქმედების შემსრულებლები და საწარმოს დამფუძნებლები პასუხს აგებენ პერსონალურად, როგორც სოლიდარული მოვალეები, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ, ამ მოქმედებიდან წარმოშობილი ყველა ვალდებულებისათვის. ეს პასუხისმგებლობა ძალაში რჩება მეწარმე სუბიექტის რეგისტრაციის შემდეგაც.

ინვენტარიზაცია – გადასახადის გადამხდელის საქმიანობის მიმდინარე კონტროლის პროცედურა, რომელიც გამოიხატება საგადასახადო ორგანოს მიერ ჩატარებული გადასახადის გადამხდელის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღწერით. ინვენტარიზაცია ტარდება საგადასახადო ორგანოს უფროსის ბრძანების საფუძველზე, სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე.

ინვოისი – საქონლის/მომსახურების მიმწოდებლის მიერ მყიდველისადმი შესაბამისი თანხების ანაზღაურების მოთხოვნის დოკუმენტი.

ინტეგრალური (ინტეგრირებული) სქემა – მიკრომინიატურული ელექტრონული მოწყობილობა, რომლის ელემენტები განუყოფლად არიან დაკავშირებული (შეერთებული) კონტრუქციულად, ტექნოლოგიურად და ელექტრონულად. ინტეგრალური სქემა იყოფა:

ა) ელემენტების გაერთიანების (ინტეგრაციის) მიხედვით – ნახევარგამტარებად ან მონოლითურად (ძირითადი ტიპი), აპკური და ჰიბრიდული (მათ შორის მრავალკრისტალური);

ბ) დასამუშავებელი ინფორმაციის მიხედვით – ციფრული და ანალოგიური;

გ) ელემენტების ინტეგრაციის ხარისხის მიხედვით – მცირე, საშუალო, დიდი და უდიდესი.

ინტელექტუალური საკუთრება – ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, რომლებიც წარმოიშობა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნისა და გამოყენების, აგრეთვე შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად შექმნილი ზოგიერთი სხვა ღირებულების (მაგალითად, ტელეგადაცემა, რადიოდადგმა, სასაქონლო ნიშანი, საწარმოო ნიმუში და ა.შ.) საფუძველზე.

ინჟინირინგი – საინჟინრო-საკონსულტაციო კომერციული მომსახურების კომპლექსი, რომელიც მოიცავს წარმოების პროცესის, მოწყობილობების, ობიექტების ფუნქციონირების და საქონლის რეალიზაციის უზრუნველყოფის საკითხებს.

იურიდიული მისამართი – ფიზიკური ან იურიდიული პირის, შესაბამისად, საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი.

იურიდიული პირი – განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების მქონე, ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.

იჯარა – ხელშეკრულება, რომლითაც მეიჯარე მოვალეა გადასცეს მოიჯარეს განსაზღვრული ქონება დროებით სარგებლობაში და საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა, თუ იგი მიღებულია მეურნეობის სწორი გაძღოლის შედეგად შემოსავლის სახით. მოიჯარე მოვალეა გადაუხადოს მეიჯარეს დათქმული საიჯარო ქირა. საიჯარო ქირა შეიძლება განისაზღვროს როგორც ფულით, ისე ნატურით. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ საიჯარო ქირის განსაზღვრის სხვა საშუალებებზეც.

იჯარის უფლება – არამატერიალური აქტივი, რომელიც შეიძლება გასხვისებულ იქნეს.

– კ –

კალენდარული წელი – დროის მონაკვეთი ერთი წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, ხოლო ახალრეგისტრირებული გადასახადის გადამხდელებისათვის, როგორც წესი, – პირველ წელს რეგისტრაციის თარიღიდან იმავე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

კამერალური საგადასახადო შემოწმება – საგადასახადო შემოწმება, გადასახადის გადამხდელის საქმიანობის ადგილზე გაუსვლელად. იგი ადგენს საგადასახადო ორგანოში გადასახადის გადამხდელის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების, საგადასახადო დეკლარაციების, ცნობების, დასკვნების, გაანგარიშებების, საგადასახადო ორგანოში არსებული სხვა დოკუმენტებისა და მონაცემების, აგრეთვე გადასახადის გადამხდელისაგან მიღებული ახსნა – განმარტებისა და საანრიცხვო დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების შესაბამისობას კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

კაპიტალში წილი – პაი ანუ პირის მიერ საწარმოს მთელი კაპიტალის განსაზღვრული ნაწილის ფლობის უფლება.

კაპიტალიზებადი ხარჯები – ისეთი ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს კაპიტალის (ძირითადი საშუალებების) ზრდასთან. მაგ. რეინვესტიცია.

კასტოდიანური ოპერაციები – ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდების ან/და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების შენახვა და აღრიცხვის წარმოება.

კლირინგი – უნაღდო ანგარიშსწორების სისტემა, რომელიც ემყარება მოთხოვნებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლას და გამოიყენება, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ანგარიშსწორებაში;

კომანდიტი – კომანდიტური საზოგადოების წევრი, რომლის დროსაც საზოგადოების კრედიტორების წინაშე მისი პასუხისმგებლობა განსაზღვრული საგარანტიო თანხის გადახდით შემოიფარგლება.

კომერციულად ურთიერთშემცველი – საქონლის სახმარი ღირებულებისა და საბაზრო ღირებულების კომპლექსი. კერძოდ, საქონლის თვისებები, ხარისხი, ფიზიკური და სხვა მახასიათებლები, აგრეთვე საბაზრო ფასი, რომელიც მსგავსია მეორე საქონლის ანალოგიური პარამეტრების. ტერმინი გამოიყენება მსგავსი საქონლის განსაზღვრის დროს.

კომპენსაცია – პირის მიერ საქონლის მიწოდების, გაწეული მომსახურების ან მისივე ხარჯების, დანაკარგის ან დანაკლისის ანაზღაურების მიზნით მიღებული ქონება, გასამრჯელო, სარგებელი, საფასური, საზღაური.

კომპენსირებული გამოქვითვები – ადრე გამოქვითული ხარჯების, ზარალისა და უიმედო ვალების ანაზღაურებით მიღებული თანხები, რომელიც იმ წლის შემოსავლად ითვლება, რომელშიც მოხდა მისი ანაზღაურება.

კომპიუტერული პროგრამა – ინსტრუქციათა ერთობლიობა სიტყვების, კოდების, სქემების ან მანქანით წაკითხვადი სხვა ფორმით, რომელიც საშუალებას იძლევა აამოქმედოს კომპიუტერი განსაზღვრული შედეგების მისაღწევად.

კონტროლირებული გარიგება – ნებისმიერი ფინანსური ან კომერციული გარიგება ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის.

კონტროლის ზონა – ეკონომიკური ტერიტორიის სპეციალურად გამოყოფილი და მონიშნული ნაწილი, სადაც ხორციელდება სახელმწიფო კონტროლის ღონისძიებები. კონტროლის ზონას განეკუთვნება პორტალების შემოფარგლული ტერიტორია, საწყობის ტერიტორია, თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის ტერიტორია, თავისუფალი ზონისა და თავისუფალი საწყობის ტერიტორია და კანონმდებლობით დადგენილი სხვა ადგილები.

კონტროლს დაქვემდებარებული მიწოდება – უკანონოდ გადაადგილებადი ნარკოტიკული ნივთიერებების ან იარაღის გატარება საზღვარზე და ეკონომიკურ ტერიტორიაზე – დანიშნულების ადგილამდე, შესაბამისი პირების გამოვლენის მიზნით. ასეთი საქონელი შეიძლება გატარებულ იქნეს ტრანზიტით, თუ დანიშნულების ადგილი სხვა ქვეყანაა ან „უზრუნველყოფილ იქნეს“ ამ საქონლის ქვეყნის შიგნით შესაბამის პირამდე მიტანა.

კომპლემენტარი – კომანდიტური საზოგადოების წევრი, რომლის დროსაც საზოგადოების კრედიტორების წინაშე მისი პასუხისმგებლობა შეზღუდული არ არის. სრული პარტნიორები (კომპლემენტარები) საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები, – მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

კოოპერატივის წევრი – წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლის გადიდების მიზნით შექმნილი საზოგადოების წევრი, რომელიც ვალდებულია განევრიანების დროს შეიტანოს გარკვეული შენატანი – პაი ან/და განსაზღვრული საგარანტიო თანხები.

კორექტირების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა – საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმის დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება დასაბეგრი ოპერაციის თანხის შესწორება. დასაბეგრი ოპერაციის თანხის კორექტირების დროს, თუ კორექტირების გამომწვევი გარემოების დადგომის შედეგად დასაბეგრი ოპერაციის თანხა იცვლება, შესაბამისი კორექტირება უნდა განხორციელდეს კორექტირების გამომწვევი გარემოების დადგომის საანგარიშო პერიოდში.

კორპორატიული ოპერაციები – აქციების და კაპიტალში წილების დანაწევრება, კონსოლიდაცია, კაპიტალის გაზრდა/შემცირება (მათ შორის, კაპიტალის გაზრდაში მონაწილეობის უფლებების ემისია, შეძენა/გასხვისება და მიმოქცევა), ორი ან ორზე მეტი იურიდიული პირის შერწყმა/იურიდიული პირის ორ ან ორზე მეტ იურიდიულ პირად დაყოფა, ლიკვიდაცია, დივიდენდების დარიცხვასთან/აღრიცხვასთან და გადახდასთან დაკავშირებული მომსახურება (ფულადი ან კანონით დაშვებული ნებისმიერი სხვა ფორმით).

კორპორაციები, კომპანიები, ფირმები – კორპორაცია არის სააქციო საზოგადოება; კომპანია არის ისეთი სანარმო, რომლის სახელწოდებაც შეიცავს სიტყვას „საზოგადოება". „საზოგადოების" ნაცვლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს (შესაბამისი სამართლებრივი ფორმის მიხედვით) სიტყვა „კომპანია"; ფირმა არის საფირმო სახელწოდება, რომლითაც საქმიანობს მეწარმე სუბიექტი.

კრედიტი (სესხი) – დაბრუნებადობის, ფასიანობის, უზრუნველყოფადობისა და ვადიანობის საწყისებზე ფულადი სახსრების გაცემასთან დაკავშირებული ნებისმიერი ვალდებულება;

კრედიტის (სესხის) სინდიცირება, სტრუქტურირება – კრედიტის სინდიცირება ნიშნავს ბანკების დროებით გაერთიანებას გარკვეული კრედიტების გასაცემად ანუ ერთიანი კრედიტების გაცემას; სტრუქტურირება ნიშნავს ბანკების მიერ კრედიტების გადავადების ან პირობების შეცვლის ღონისძიებებს.

კურატორიუმის წევრები – საზედამხედველო ანუ სარევიზიო კომისიის წევრები.

– ლ –

ლატარია – ნებაყოფლობითი ჯგუფური ან მასობრივი თამაშობა, რომლის დროსაც ლატარიის ორგანიზატორი საჯაროდ გამოქვეყნებული, დადგენილი წესისა და პირობების დაცვით ათამაშებს საპრიზო ფონდს. მოგების დამთხვევა ლატარიის რომელიმე ბილეთზე დამოკიდებული არ არის ლატარიის ორგანიზატორის ან სხვა სუბიექტის ნება – სურვილსა და მოქმედებაზე, წარმოადგენს შემთხვევითობას და არ შეიძლება იყოს სპეციალურად მოწყობილი. ლატარიის სახეებია: ტირაჟიანი ლატარია – ლატარია, რომლის ჩატარების პროცესი დაყოფილია ტირაჟებად, ცალკეულ სრულ ციკლებად, ბილეთის დამზადებიდან და რეალიზაციიდან – საპრიზო ფონდის გათამაშების ჩათვლით. ლატარიის ბილეთის მფლობელი ბილეთის მომგებიანობას ადგენს მხოლოდ გათამაშების ჩატარების შემდეგ; მომენტალური ლატარია – ლატარია, რომლის გათამაშების შედეგი ირკვევა ადგილზე ბილეთის შემოწმების ან უშუალოდ ბილეთზე გათამაშების ჩატარების გზით; ლოტო – თამაშობა, რომელიც ტარდება ბილეთების მეშვეობით და რომელშიც მოგება დამოკიდებულია რიცხვითი ან სიმბოლოების კომბინაციების მთლიან ან ნაწილობრივ დამთხვევაზე და მოგება განისაზღვრება საპრიზო ფონდის ოდენობიდან; ბინგო – თამაშობა, რომელიც ტარდება ბილეთების მეშვეობით და რომელშიც რიცხვითი ბარათების ან ელექტრონტაბლოს მეშვეობით მოგება ფიქსირდება სპეციალური მონყობილობიდან ამოსული რიცხვითი კომბინაციების დამთხვევით და მოგება განისაზღვრება საპრიზო ფონდის ოდენობიდან.

ლიზინგი – ქონების იჯარა, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი პირობა:

ა) იჯარის ვადის დასრულების შემდეგ გათვალისწინებულია ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემა ან იჯარის მიმღებს უფლება ექნება, შეიძინოს ქონება ფიქსირებული ან იჯარის ხელშეკრულებით განსაზღვრული ფასით;

ბ) იჯარის ვადა აღემატება ძირითად საშუალებათა ეკონომიკური სამსახურის ვადის 75 პროცენტს. ეკონომიკური სამსახურის ვადა განისაზღვრება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პრინციპების შესაბამისად;

გ) იჯარით აღებული ქონების მოსალოდნელი ნარჩენი ღირებულება იჯარის ვადის დასრულებისას არ აღემატება ამ ვადის დასაწყისში ქონების საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული საბალანსო ღირებულების 15 პროცენტს.

ლიკვიდაცია – მეწარმე იურიდიული პირის პარტნიორების გადაწყვეტილება საწარმოს ლიკვიდაციის დაწყების შესახებ. პარტნიორებს, ასევე წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში – სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ან დირექტორს (დირექტორებს), შეუძლიათ განსაზღვრონ ის პირები, რომლებიც ახორციელებენ საწარმოს ლიკვიდაციას (ლიკვიდატორები). პარტნიორები საერთო კრებაზე იღებენ გადაწყვეტილებას საწარმოს ლიკვიდაციის დაწყების შესახებ, რის შემდეგაც იწყება კრედიტორთა დაკმაყოფილების პროცესი. პარტნიორთა გადაწყვეტილება საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან, რის თაობაზედაც მარეგისტრირებელი ორგანო დაუყოვნებლივ აცნობებს საგადასახადო ორგანოს.

ლიცენზია – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე პირისათვის კანონით დადგენილი პირობების დაკმაყოფილების საფუძველზე მინიჭებული განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების უფლება. არსებობს შემდეგი სახის ლიცენზიები:

ა) სარგებლობის ლიცენზია – ლიცენზიის სახეობა, რომლითაც პირს ენიჭება კანონით განსაზღვრული სახელმწიფო რესურსებით სარგებლობის უფლება. სარგებლობის ლიცენზია გაიცემა აუქციონის წესით და უკავშირდება ობიექტს. ლიცენზიის მფლობელი უფლებამოსილია დაყოს სარგებლობის ლიცენზია ან/და მთლიანად ან ნაწილი გადასცეს სხვა პირს, მათ შორის, მემკვიდრეობით;

ბ) საქმიანობის ლიცენზია – ლიცენზიის სახეობა, რომლითაც პირს ენიჭება კანონით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების უფლება. საქმიანობის ლიცენზია გაიცემა მაძიებლის მიერ კანონით დადგენილი პირობების დაკმაყოფილების შემდეგ და უკავშირდება სუბიექტს. საქმიანობის ლიცენზიის მემკვიდრეობით ან სხვა სახით გადაცემა დაუშვებელია;

გ) გენერალური ლიცენზია – უფლება, როდესაც პირს შეუძლია ერთიანი ზოგადი ლიცენზიის საფუძველზე განახორციელოს მსგავსი ტიპის საქმიანობები და ვალდებული არ არის ცალ-ცალკე მოიპოვოს თითოეული საქმიანობის ლიცენზია;

დ) სპეციალური ლიცენზია – უფლება, როდესაც პირს შეუძლია განახორციელოს რომელიმე ვიწრო საქმიანობა ლიცენზირებადი საქმიანობის ზოგადი სახეობიდან და ვალდებულია წარმოადგინოს მხოლოდ სპეციალური სალიცენზიო პირობების დამაკმაყოფილებელი ფაქტობრივი გარემოებები. ლიცენზიის მაძიებელს შეუძლია განახორციელოს სპეციალური ლიცენზიით ნებადართული საქმიანობა ისე, რომ არ მოიპოვოს საქმიანობათა უფრო ფართო ნრის მარეგულირებელი ლიცენზია.

ლიცენზირებული ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი – საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული იურიდიული პირი, რომელიც უფლებამოსილია, რეგისტრირებული მესაკუთრის ან ნომინალური მფლობელის დავალებით ანარმოოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური კლირინგი და ანგარიშსწორება, აგრეთვე განახორციელოს სპეციალიზებული დეპოზიტარის და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესებით განსაზღვრული სხვა მომსახურება

ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტი – პირი, რომელიც დაკავებულია საფინანსო საქმიანობით, როგორც მენარმეობის სახით და გააჩნია შესაბამისი ლიცენზია. ამ სფეროში არსებობს შემდეგი სახის ლიცენზიები:

ა) საბანკო საქმიანობის ლიცენზია;

ბ) არასაბანკო – სადეპოზიტო – საკრედიტო საქმიანობის ლიცენზია;

გ) ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ლიცენზია;

დ) საბროკერო საქმიანობის ლიცენზია;

ე) საფონდო ბირჟის ლიცენზია;

ვ) ცენტრალური დეპოზიტარის ლიცენზია;

ზ) აქტივების მმართველის საქმიანობის ლიცენზია;

თ) სპეციალიზებული დეპოზიტარის ლიცენზია.

ლტოლვილი ან იძულებით გადაადგილებული ფიზიკური პირი – ლტოლვილად ითვლება საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირი, რომლისთვისაც საქართველო არ არის მისი წარმოშობის ქვეყანა და რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მოქალაქეობის ან მუდმივად საცხოვრებელი ქვეყანა, რადგანაც იდევნებოდა რასის, რელიგიის, ეროვნული კუთვნილების, რომელიმე სოციალური ჯგუფის წევრობის ან პოლიტიკური შეხედულების გამო და არ შეუძლია ან არ სურს ისარგებლოს იმ ქვეყნის მფარველობით ასეთი საშიშროების გამო. ლტოლვილის სტატუსი არ მიენიჭება იმ პირს, რომელზედაც არ ვრცელდება „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ 1951 წლის კონვენცია და „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ 1967 წლის ოქმი. იძულებით გადაადგილებულ ფიზიკურ პირად ანუ დევნილად ჩაითვლება საქართველოს მოქალაქე ან

საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილებულიყო საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მის ამ მასთან მცხოვრები ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის აგრესიის, შიდა კონფლიქტის ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევების გამო.

– გ –

მაგროვებადი და დაბრუნებადი ხასიათის არასახელმწიფო საპენსიო სქემა – არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის სფეროში ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ურთიერთობის სისტემა „არასაპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით.

მარტოხელა დედა – საქართველოს მოქალაქე, რომელიც ზრდის:

ა) არარეგისტრირებული ქორწინებიდან დაბადებულ ბავშვებს, თუ დაბადების მოწმობაში შეტანილი არ არის ჩანაწერი ბავშვის მამის შესახებ და, რომელიც იღებს სახელმწიფო დახმარებას ბავშვის მოვლა – პატრონობისა და აღზრდისათვის;

ბ) შვილად აყვანილ ბავშვს, თუ დედა ბავშვის აყვანის მომენტში არ ყოფილა რეგისტრირებულ ქორწინებაში.

მარჟა – კოეფიციენტი საქონლის/მომსახურების ფასის დადგენის მიზნით, რომელიც გამოიანგარიშება შესყიდვების, გაყიდვების, დანახარჯებისა და აქტივების თანაფარდობით.

მატერიალური აქტივი – აქტივი, რომელიც არ არის არამატერიალური აქტივი (იხ. არამატერიალური აქტივი).

მგზავრი – ფიზიკური პირი, რომელიც კანონიერად კვეთს საქართველოს ეკონომიკურ საზღვარს.

მემკვიდრე (მემკვიდრეები) – მემკვიდრეები შეიძლება იყვნენ:

ა) კანონით მემკვიდრეობის დროს – პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის, და აგრეთვე მამკვიდრებლის შვილები, რომლებიც მისი გარდაცვალების შემდეგ ცოცხალი დაიბადებიან;

ბ) ანდერძით მემკვიდრეობისას – პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის, აგრეთვე ისინი, რომლებიც ჩაისახნენ მის სიცოცხლეში და დაიბადნენ მისი გარდაცვალების შემდეგ, მიუხედავად იმისა, მისი შვილები არიან ისინი თუ არა, ასევე იურიდიული პირები.

მეთოდი Fifo – – საქონლის ინდივიდუალური აღრიცხვის საპირისპირო საგადასახადო აღრიცხვის მეთოდი, რომელიც გამოიყენება ხარჯების (ანუ რეალიზებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების) დადგენის მიზნით. ამ მეთოდის მიხედვით საანგარიშო პერიოდში პირველ რიგში რეალიზებულად ითვლება ის საქონელი, რომელიც საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის მიკუთვნებულია სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობას, ხოლო შემდეგ რეალიზებულად – ის საქონელი, რომელიც წარმოებულია (შეძენილია) საანგარიშო პერიოდის მანძილზე (განმავლობაში) მისი წარმოების (შეძენის) დროის მიხედვით. მაგ. თვის განმავლობაში სამჯერ იქნა შეძენილი 1, 2 და 3 ერთეულის ერთი და იგივე სახის საქონელი, რომელთა შეძენის ღირებულებებია შესაბამისად: 1, 2 და 3 ლარი. სანარმომ გაყიდა 2 ერთეული საქონელი, რომელთა თვითღირებულება იქნება 3 ლარი (1x1+1x2=3).

მეიჯარე – პირი, რომელიც მოვალეა გადასცეს მოიჯარეს განსაზღვრული ქონება დროებით სარგებლობაში და საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა, თუ იგი მიღებულია მეურნეობის სწორი გაძღოლის შედეგად შემოსავლის სახით.

მესამე და მეოთხე რიგის მემკვიდრეები – მესამე რიგის მემკვიდრეებია: ბებია და ბაბუა, ბებიის დედ-მამა და ბაბუის დედ-მამა, როგორც დედის, ისე მამის მხრიდან. ბებიის დედ-მამა და ბაბუის დედ-მამა კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ბებია და ბაბუა ცოცხლები აღარ არიან; მეოთხე რიგის მემკვიდრეებია: ბიძები (დედის ძმა და მამის ძმა), დეიდები და მამიდები.

მესამე პირიზე გადახდევინების მიქცევა – საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიება, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით ან სხვა მტკიცებულებებით დადგენილია, რომ მესამე პირს აქვს გადასახადის გადამხდელის დავალიანება, რომლის გადახდის ვადაც დამდგარია. ამ შემთხვევაში საგადასახადო ორგანო წარუდგენს მესამე პირს, გადასახადის გადამხდელის აღიარებული საგადასახადო დავალიანების ფარგლებში, საგადასახადო მოთხოვნას, რომლის გადახდევინებაც ხდება მესამე პირის ქონებიდან.

მეურვე – მეურვეობის ორგანოს მიერ დანიშნული პირი, რომელიც ენიშნებათ:

ა) არასრულწლოვან ბავშვებს, რომლებიც მშობლის მზრუნველობის გარეშე დარჩნენ მშობლების გარდაცვალების, გარდაცვლილად აღიარების, მშობლებისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევის, შეჩერების ან შეზღუდვის, მშობლების ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ან ბავშვის მიტოვებულად აღიარების გამო.

ბ) იმ სრულწლოვან პირებს, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლიათ დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი უფლებები და შეასრულონ თავისი მოვალეობანი.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ან/და მის სისტემაში შემავალი უფლებამოსილი დაწესებულება (ორგანიზაცია), აგრეთვე მათი ტერიტორიული ორგანოები.

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრი – კანონმდებლობით დადგენილი წესით მოცემულ პირებზე შესაბამის მონაცემთა სისტემატიზაცია. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრს აწარმოებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

მეწარმე ფიზიკური პირი – შემდეგი პირები:

ა) ინდივიდუალური მეწარმე-ფიზიკური პირი, თუ ის „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მიხედვით არის ინდივიდუალური მეწარმე;

ბ) ფიზიკური პირი, თუ ის ახორციელებს სახელოვნებო, სამეცნიერო, სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო ან სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო (მათ შორის, საგადასახადო კონსულტანტთა), სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო – სამეურნეო საქმიანობას.

მეწარმე ფიზიკური პირის საქმიანობის ადგილი – მეწარმე ფიზიკური პირის საქმიანობის ადგილად ითვლება მისი ეკონომიკური საქმიანობის ადგილი.

მზღვეველი – შემდეგი პირები:

ა) შეზღუდული პასუხისმგებლობის ან სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ – სამართლებრივი ფორმის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია სადაზღვევო საქმიანობის განხორციელებისათვის და რომელსაც კანონით დადგენილი წესით მიღებული აქვს დაზღვევის შესაბამისი სახეობის განხორციელების ლიცენზია;

ბ) ეკონომიკური განვითარებისა და ურთიერთთანამშრომლობის ორგანიზაციის (ᲔᲔᲗD) წევრ ქვეყნებში რეგისტრირებული და შესაბამისი ორგანოების მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო და გადაზღვევის ორგანიზაციების მიერ საქართველოში დაფუძნებული ფილიალი (წარმომადგენლობა), რომელიც რეგისტრირებულია ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაციისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მთლიანად წარმოებული ან მიღებული საქონელი – შემდეგი საქონელი:

ა) სასარგებლო წიაღისეული, მოპოვებული ამ ქვეყნის წიაღიდან, მისი ტერიტორიული წყლიდან ან ზღვის ფსკერიდან;

ბ) მცენარეული წარმოშობის პროდუქცია, მოყვანილი ან შეგროვებული ამ ქვეყანაში;

გ) საქართველოში გაჩენილი და გაზრდილი ცხოველები;

დ) საქართველოში ბინადარი ცხოველებისაგან მიღებული პროდუქტები;

ე) საქართველოში ნადირობისა და თევზჭერის შედეგად მიღებული პროდუქტები;

ვ) საზღვაო თევზჭერის შედეგად მიღებული და საზღვაო წარმოშობის სხვა პროდუქტი, რომელიც მოპოვებულია ამ ქვეყნის გემის საშუალებით;

ზ) საქართველოს სარეწ გემზე მიღებული პროდუქტი, რომელიც წარმოებულია მხოლოდ ზემოაღნიშნულ „ვ" პუნქტში აღნიშნული პროდუქტისაგან;

თ) პროდუქტი, რომელიც მიღებულია საქართველოს ფარგლებს გარეთ მდებარე ზღვის ფსკერიდან ან ზღვის ფსკერის წიაღიდან, მხოლოდ იმ პირობით, რომ ქვეყანას აქვს ზღვის ფსკერის ან წიაღის ამ მონაკვეთის დამუშავების საგანგებო უფლებები;

ი) საწარმოო ოპერაციების შედეგად მიღებული ნარჩენები, ჯართი და ნახმარი ნაკეთობები, რომლებიც შეგროვდა საქართველოში და გამოიყენება მხოლოდ ნედლეულად გადამუშავებისათვის;

კ) საქონელი, რომელიც წარმოებულია საქართველოში, ზემოაღნიშნული „ა – ი" პუნქტებში აღნიშნული პროდუქტისაგან.

მიკრო ბიზნესი – სტატუსი, რომელიც შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად ეწევა წინასწარ კანონმდებლობით განსაზღვრულ ეკონომიკურ საქმიანობას, რომლის მიხედვითაც მის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული ჯამური ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 30000 ლარს.

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ – სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული იურიდიული პირი, რომელიც მისი განაცხადის საფუძველზე რეგისტრირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ და ახორციელებს მიკროსაფინანსო საქმიანობას საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობით. მიკროსაფინანსო საქმიანობას განეკუთვნება:

ა) იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის მიკროსესხების, მათ შორის, სამომხმარებლო, სალომბარდო, იპოთეკური, არაუზრუნველყოფილი, ჯგუფური და სხვა სესხების (კრედიტების) გაცემა;

ბ) ინვესტირება სახელმწიფო და საჯარო ფასიან ქაღალდებში;

გ) ფულადი გზავნილების განხორციელება;

დ) სადაზღვევო აგენტის ფუნქციის შესრულება;

ე) მიკროდაკრედიტებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურების გაწევა;

ვ) სესხების (კრედიტების) მიღება რეზიდენტი და არარეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირებისაგან;

ზ) იურიდიული პირების საწესდებო კაპიტალის წილების ფლობა, რომელთა ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საწესდებო კაპიტალის 15%-ს;

თ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ფინანსური მომსახურებები და ოპერაციები, მათ შორის, მიკროლიზინგი, ფაქტორინგი, ვალუტის გადაცვლა, თამასუქების, ობლიგაციების გამოშვება, რეალიზაცია, გამოსყიდვა და მათთან დაკავშირებული სხვა ოპერაციები.

მიმდინარე კონტროლის პროცედურები – საგადასახადო კონტროლის შემადგენელი ნაწილი, რომელიც მოიცავს:

ა) ქრონომეტრაჟს;

ბ) საკონტროლო შესყიდვას;

გ) საკონტროლო – სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვის კონტროლს;

დ) დათვალიერებას;

ე) ინვენტარიზაციას.

მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი – მკაცრი აღრიცხვის ფორმა ანუ განსაზღვრული შინაარსის, ფორმისა და ზომის ბლანკი, ბილეთი ან საბუთი, რომელიც გამიზნულია სხვადასხვა სფეროში საქმიანობასთან (საქონლის მინდობა, სამუშაოს შესრულება, მომსახურების გაწევა და სხვა) დაკავშირებული ანგარიშსწორების, ანგარიშგების, იურიდიული ან სხვა ფაქტის დაფიქსირებისათვის, რომელსაც შეიმუშავებს ერთი ან რამდენიმე სამართალსუბიექტი დარგობრივი ნიშნით და რომელიც შემოღებულია სამოქმედოდ ამ კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

მნიშვნელოვანი ქონებით უზრუნველყოფილი პირი – პირი, რომლის დადასტურებული ქონება აღემატება 3 მილიონ ლარს ან წლიური შემოსავალი ბოლო 3 წლის განმავლობაში აღემატება 200 000 ლარს. ასეთ პირს შეიძლება მიენიჭოს რეზიდენტობა.

მობილური საკომუნიკაციო მომსახურება – ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების სეგმენტი, რომელიც განსხვავებით ადგილობრივი სატელეფონო ქსელით მომსახურებისაგან, მოიცავს მობილური სატელეფონო ქსელით მომსახურებას.

მოგების გადასახადი – პირდაპირი გადასახადი, რომლის დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი მოგება (იხ.დასაბეგრი მოგება), ხოლო გადასახადის გადამხდელები არიან:

ა) რეზიდენტი საწარმო;

ბ) არარეზიდენტი საწარმო, რომელიც საქართველოში საქმიანობას ახორციელებს მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ან/და შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან;

გ) ამხანაგობა და სხვა ანალოგიური წარმონაქმნები.

მოგების გაყოფის მეთოდი – კონტროლირებულ გარიგებაში მონაწილე თითოეული საწარმოსათვის ამ გარიგებიდან მიღებული მოგება/ზარალის იმ წილის მიკუთვნება, რომელსაც სავარაუდოდ მიიღებდა დამოუკიდებელი საწარმო დამოუკიდებელი გარიგების ფარგლებში.

მოიჯარე – პირი, რომელიც მეორე პირისაგან (მეიჯარისაგან) გარკვეული ვადით და გარკვეული პირობებით იღებს ქონებას სარგებლობისათვის. მოიჯარე მოვალეა გადაუხადოს მეიჯარეს დათქმული საიჯარო ქირა. საიჯარო ქირა შეიძლება განისაზღვროს როგორც ფულით, ისე ნატურით. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ საიჯარო ქირის განსაზღვრის სხვა საშუალებებზედაც.

მომსახურება – საქმიანობა, რომელიც არ არის საქონლის მიწოდება. მომსახურების სახეებია შემდეგი საქმიანობა:

ა) სამშენებლო-სამონტაჟო;

ბ) სარემონტო;

გ) სარესტავრაციო;

დ) საცდელ-საკონსტრუქტორო;

ე) გეოლოგიურ – საძიებო;

ვ) სატრანსპორტო, მათ შორის, გაზის, ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ელექტრო – და თბოენერგიის ტრანსპორტირება;

ზ) ქონების გადაცემა ქირით ან იჯარით;

თ) საშუამავლო;

ი) პერსონალის შერჩევა;

კ) პატენტების, მოწმობების, ლიცენზიების, სავაჭრო ნიშნების, მომსახურების ნიშნების, ინტელექტუალური საკუთრებისა და სხვა პირადი არაქონებრივი უფლების გამოყენებაზე უფლების გადაცემა;

ლ) ვალდებულების შესრულება – მოქმედება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება;

მ) კავშირგაბმულობის მომსახურება, საყოფაცხოვრებო და საბინაო – კომუნალური მომსახურება;

ნ) სარეკლამო მომსახურება;

ო) საინოვაციო მომსახურება;

პ) ფინანსური ოპერაციები ან/და ფინანსური მომსახურება;

უ) სადაზღვეო მომსახურება;

რ) საკონსულტაციო, იურიდიული, ბუღალტრული, აუდიტორული, მარკეტინგული მომსახურება;

ს) მონაცემთა დამუშავებისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის მომსახურება;

ტ) საქონლის სარეალიზაციოდ მომზადების მომსახურება, მათ შორის, პარტიის დანაწილება, გასაგზავნად ფორმირება, დახარისხება, შეფუთვა, გადაფუთვა, ჩამოსხმა;

უ) საქონლის ან სხვა ქონების შენახვის მომსახურება;

ფ) დაცვის მომსახურება;

ქ) დამკვეთის ნედლეულით (მასალით) საქონლის ან სხვა ქონების წარმოება;

ღ) სატრანსპორტო ტვირთების მომსახურება, მათ შორის, საექსპედიტორო, ჩატვირთვის, გადმოტვირთვის, გადატვირთვის მომსახურება;

ყ) საზღვაო გემების მომსახურება, მათ შორის, საპორტო მომსახურება, საპორტო ფლოტის გემების მომსახურება;

შ) საჰაერო ხომალდების მომსახურება, მათ შორის, საქართველოს აეროპორტებში, საჰაერო და კოსმოსურ სივრცეში განეული აერონავიგაციის მომსახურება;

ჩ) სხვა მომსახურება.

მოძრავი ქონება – ის რაც არ არის უძრავი ქონება (იხ. უძრავი ქონება).

მსგავსი საქონელი – სხვადასხვა საქონელი, რომლებიც არ არიან იდენტურნი, მაგრამ აქვთ მსგავსი მახასიათებლები და შედგებიან მსგავსი კომპონენტებისაგან, რაც მათ საშუალებას აძლევს, განახორციელონ ერთი და იგივე ფუნქციები და იყვნენ კომერციულად ურთიერთშემცვლელნი.

მუდმივი დაწესებულება – უცხოური საწარმოს ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის, როგორც წესი:

ა) განსაზღვრული ადგილი, რომლის გამოყენებით ეს პირი ნაწილობრივ ან მთლიანად ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას საქართველოში, რწმუნებული პირის საქმიანობის ჩათვლით.

ბ) სამშენებლო მოედანი, სამონტაჟო ან საამწყობო ობიექტი, აგრეთვე მათთან დაკავშირებული საკონტროლო საქმიანობის განხორციელება;

გ) დანადგარი ან კონსტრუქცია, საბურღი დანადგარი ან ხომალდი, რომლებიც გამოიყენება ბუნებრივი რესურსების დასაზვერად, აგრეთვე მათთან დაკავშირებული საკონტროლო საქმიანობის განხორციელება;

დ) მუდმივი ბაზა, სადაც არარეზიდენტი ფიზიკური პირი ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას;

ე) უცხოური საწარმოს მართვის ადგილი, ფილიალი, წარმომადგენლობა, განყოფილება, ბიურო, ოფისი, სააგენტო, საამქრო, საბადო, კარიერი, ბუნებრივი რესურსების მოპოვების სხვა ადგილი, ნებისმიერი სხვა ქვედანაყოფი ან ამ საწარმოს საქმიანობის სხვა ადგილი.

მცირე ბიზნესი – სტატუსი, რომელიც შეიძლება მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს, რომლის ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 100000 ლარს.

– ნ –

ნათესავი – ნათესავად ითვლება:

ა) ნათესავების პირველი შტო: მეუღლე, მშობელი, შვილი, და, ძმა;

ბ) ნათესავების მე-2 შტო: პირველი შტოს თითოეული ნათესავის მეუღლე, მშობელი, შვილი, და, ძმა, გარდა იმ ფიზიკური პირისა, რომელიც უკვე მიეკუთვნა პირველ შტოს;

გ) პირები, რომლებიც ხანგრძლივი მეურვეობის შედეგად ერთმანეთთან დაკავშირებული არიან, როგორც მშობლები და შვილები.

ნათესაობის განსაზღვრისას გერი დები (ძმები) გათანაბრებულნი არიან ღვიძლ დებთან (ძმებთან), ხოლო შვილად აყვანილნი – ღვიძლ შვილებთან. ამასთან, სამეურვეო ურთიერთობები გათანაბრებულია საოჯახო ერთობასთან (რომლის დროსაც პირები ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან, როგორც მშობლები და შვილები), რომელიც, თავის მხრივ, უთანაბრდება ნათესაურ ურთიერთობას. აღნიშნულ პირებს შორის საოჯახო ერთობის შეწყვეტა მხედველობაში არ მიიღება მათ შორის მშობლისა და შვილის ურთიერთობის შენარჩუნებისას.

ნარჩენი(გადამუშავების) – საქონელი, რომელიც წარმოიშობა სასაქონლო პროდუქციის წარმოების პროცესში, როგორც ძირითადი სასაქონლო პროდუქციის თანმდევი პროდუქტი.

ნაშთი – საქონლის შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული გადაუმუშავებელი საქონელი, რომელიც არ იქნა გამოყენებული გადამუშავების საწარმოო პროცესში და სასაქონლო ნომენკლატურაში კლასიფიცირდება იგივე თერთმეტნიშნა კოდით, რომელიც მას მიენიჭა ეკონომიკურ ტერიტორიაზე შემოტანისას, აგრეთვე იმ საქონლის ნაწილი, რომლის მიმართ გადამუშავების ოპერაციები ნაწილობრივ არის განხორციელებული.

ნებაყოფლობითი რეგისტრაცია – პირის უფლება, რომელიც არ არის ვალდებული გატარდეს რეგისტრაციაში დღგ-ის გადამხდელად, ნებაყოფლობით მიმართოს საგადასახადო ორგანოს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის მოთხოვნით.

ნოტარიუსის ანგარიშზე დეპონირებული ფული და ფასიან ქაღალდები – ნოტარიუსის უფლებამოსილებით დეპოზიტში მიიღებული ფული, თამასუქები, ჩეკები, სახელმწიფო ობლიგაციები და სხვა საკრედიტო და/ან ფასიანი ქაღალდები მათი კრედიტორისადმი გადაცემის მიზნით. ფული (ფასიანი ქაღალდები) შეტანილ უნდა იქნეს ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე. შეტანა შეიძლება განხორციელდეს როგორც ნაღდი ფულით, ასევე გადარიცხვით. ნოტარიუსი ფულის, ფასიან ქაღალდებისა და/ან სხვა ფასეულობების დეპოზიტში მიღების შესახებ აცნობებს კრედიტორს და ამ უკანასკნელის მოთხოვნით გადასცემს მას ვალდებულების საგანს. თუ კრედიტორი უარს აცხადებს ფულის, ფასიანი ქაღალდებისა და/ან სხვა ფასეულობებს მიღებაზე, ნოტარიუსი ამის შესახებ აცნობებს მოვალეს და მოითხოვს შენატანის უკან დაბრუნებას. კრედიტორის უარი შენატანის მიღებაზე უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით. უარის თქმად ჩაითვლება, თუ კრედიტორი არ მიიღებს დეპოზიტის საგანს მისი შეტანიდან სამი წლის განმავლობაში. მოვალეს შენატანის დაბრუნებისათვის ნოტარიუსის მიერ განესაზღვრება ვადა, რომელიც არ შეიძლება იყოს სამ თვეზე ნაკლები. თუ მიცემული ვადის განმავლობაში მოვალე არ დაიბრუნებს შენატანს ან თუ იგი უარს აცხადებს შენატანის დაბრუნებაზე, მაშინ ვალდებულების საგანი ჩაითვლება სახელმწიფო საკუთრებად. მოუკითხავი სადეპოზიტო თანხები ნოტარიუსის მიერ ჩაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში, გარდა სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის დაქვითული თანხისა.

ნოუ-ჰაუ – სამეცნიერო, ტექნიკური, კომერციული და სხვა სახის ცოდნა, რომელიც გამოხატულია დაუპატენტებელი ტექნიკური დოკუმენტაციის, საწარმოო გამოცდილებისა და პროფესიული ჩვევების ფორმით; სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაში „ნოუ – ჰაუს გაცვლაში" იგულისხმება სამეცნიერო – ტექნიკური დოკუმენტაციის გაცვლა, საწარმოო კადრების ურთიერთგაგზავნა მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად და სხვ.

ნუმიზმატიკა – მეცნიერება, რომელიც შეისწავლის მონეტებს (ქაღალდის ფულს შეისწავლის ბონისტიკა); მონეტების კოლექციონერობით გატაცება, ჰობი. ნუმიზმატიკურ ფასეულობად ითვლება საკოლექციოდ განკუთვნილი მიმოქცევიდან ამოღებული ფულის ნიშნები, ისტორიული ბანკნოტები და მონეტები, მათი ასლები.

– ო –

ობლიგაცია – ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს ობლიგაციის გამცემის მიერ სესხის აღების ფაქტს და ობლიგაციის მფლობელის უფლებას დაიბრუნოს ვალი განსაზღვრული პროცენტით ან დისკონტით. იგი არ მოითხოვს ემიტენტისაგან გირაოს წარმოდგენას. როგორც წესი, ობლიგაციის საპროცენტო განაკვეთი უფრო მაღალია, ვიდრე შესაბამისი თანხის საბანკო დეპოზიტში განთავსების დროს.

ორგანიზაცია – ორგანიზაციებია:

ა) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, აგრეთვე საზოგადოებრივი ან რელიგიური ორგანიზაციები (გაერთიანებები), დაწესებულებები, რომლებიც არიან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები ან შექმნილი არიან და მოქმედებენ უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, აგრეთვე უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი ორგანიზაციების საქართველოში არსებული ფილიალები და სხვა ანალოგიური ქვედანაყოფები, რომელთა მეშვეობითაც ისინი მთლიანად ან ნაწილობრივ ახორციელებენ საქმიანობას (რწმუნებული პირის საქმიანობის ჩათვლით), ასევე საბიუჯეტო ორგანიზაციები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები, კორპორაციები, დაწესებულებები;

ბ) საერთაშორისო (სახელმწიფოთაშორისი, სამთავრობათაშორისო, დიპლომატიური) ორგანიზაციები – საერთაშორისო სამართლით რეგულირებული ორგანიზაციები, საელჩოები, საკონსულოები, წარმომადგენლობები, უცხოური არასამეწარმეო ორგანიზაციები.

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა – მეწარმეობის იურიდიული სტატუსის განმსაზღვრელი ფორმები. ესენია: ინდივიდუალური მეწარმე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს, კორპორაცია) და კოოპერატივი.

ორი ქვეყნის გაგზავნისა და დანიშნულების პუნქტები – საქონლის ან მგზავრების გადაზიდვა – გადაყვანის ადგილები, როდესაც გაგზავნის საწყისი ადგილი ერთ ქვეყანაშია, ხოლო დანიშნულების საბოლოო ადგილი – მეორე ქვეყანაში.

ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილება – ქვეყნებს შორის დადებული კონვენციებით განსაზღვრული ნორმა, ძირითადად, პირდაპირი გადასახადებით ერთ ქვეყანაში დაბეგვრის პრინციპების შესახებ.

ოფციონი – ვალდებულების შესრულების საშუალების, ფორმის, მოცულობის ამორჩევის უფლება, რომელიც ხელშეკრულების (კონტრაქტის) პირობებით ენიჭება ერთ-ერთ მონაწილე მხარეს, ან ხელშეკრულებით (კონტრაქტით) განპირობებულ გარემოებათა გამო ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმის უფლება. ოფციური გარიგება არის მომავალში კონტრაქტების დადების უფლების ყიდვასთან დაკავშირებული გარიგება, რომლის თანახმადაც ერთ-ერთ მხარეს კონტრაქტით დადგენილი ფასით და დროის განსაზღვრულ მონაკვეთში საქონლის ყიდვა-გაყიდვის უფლება ენიჭება;

ოფშორულ ქვეყანა – შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანა. ოფშორული ქვეყნების ჩამონათვალი დადგენილია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 23 თებერვლის №54 დადგენილებით.

ოქროს სია – შემოსავლების სამსახურის მიერ გარკვეული პირობების საფუძველზე შედგენილი იმ პირების ნუსხა, რომელთაც უფლება აქვთ კუთვნილი საქონლის საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე შემოტანისას ან/და გატანისას ისარგებლონ გამარტივებული პროცედურებითა და იმპორტის გადასახდელების გადახდის განსხვავებული ვადებით.

ოჯახი – პირი, მისი მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი და გერი, აგრეთვე პირთან მუდმივად მცხოვრები მშობელი, შვილი და გერი, და, ძმა, ბებია, პაპა, შვილიშვილი, რომლებიც საერთო მეურნეობას ეწევიან. საგადასახადო მიზნებისათვის თავად გადასახადის გადამხდელი უპირობოდ განსაზღვრავს იმ პირთა წრეს (ზემოაღნიშნულ პირთაგან), რომლებიც მასთან ერთად მუდმივად ცხოვრობენ და საერთო მეურნეობას ეწევიან.

– პ –

პარტნიორი – პარტნიორი, აქციონერი, კომანდიტი, კომპლემენტარი, კოოპერატივის წევრი „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად; „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სოლიდარული პასუხისმგებელი საზოგადოების, კომანდიტური საზოგადოების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოების ან კოოპერატივის წევრები. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები და კომანდიტური საზოგადოების პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები–სრული პარტნიორები (კომპლემენტარები) საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად, ანუ თითოეული პარტნიორი ვალდებულებებისათვის პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. პარტნიორებს შორის სხვაგვარი შეთანხმება ბათილია მესამე პირისათვის. კომანდიტური საზოგადოების შეზღუდული პარტნიორები (კომანდიტები), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს არ აგებენ. კომანდიტური საზოგადოების შეზღუდული პარტნიორები, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის პარტნიორები კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ მათ მიერ შეუტანელი შესატანითაც, თუ პასუხისმგებლობა დადგა პარტნიორთა მიერ შეთანხმებული შენატანის სრულად შეტანამ-

დე. პარტნიორები დებენ შეთანხმებას (წესდებას), რომლის საფუძველზედაც წესრიგდება საწარმოს საქმიანობასთან ან/და პარტნიორების ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები. საზოგადოების დაფუძნებისას პარტნიორები უნდა შეთანხმდნენ წილების განაწილებაზე და დათქვან კაპიტალში მათი შენატანის ოდენობა. შენატანი შეიძლება იყოს მატერიალური და არამატერიალური ქონება, სამუშაოს შესრულება ან/და მომსახურების გაწევა.

პატენტი – დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მისი გაცემის მომენტისათვის პატენტის მფლობელის განსაკუთრებულ უფლებებს. პატენტი გაიცემა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე (გამოგონებაზე). გამომგონებელს გამოგონების გასაიდუმლოების შემთხვევაში ეძლევა შესაბამისი კომპენსაცია.

პენსია – „სახელმწიფო პენსიის შესახებ" და „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ" კანონებით განსაზღვრული პირობებით პირის ყოველთვიური ფულადი უზრუნველყოფა.

პირადი ნივთი – მგზავრის პირადი გამოყენებისა და მოხმარებისათვის განკუთვნილი საგანი, რომელიც მგზავრის გადაყვანისას გადაიზიდება ბარგით ან/და ხელბარგით.

პირადი საგადასახადო აგენტი – საგადასახადო ორგანოს თანამშრომელი. აგენტის მომსახურება ითვალისწინებს საგადასახადო ორგანოსთან გადასახადის გადამხდელის თანამშრომლობის ფორმას, რომლის დროსაც იდება ხელშეკრულება გადამხდელის მიერ საგადასახადო ორგანოსთან გარკვეული ვადით და შესაბამისი ანაზღაურებით, რომლის მიხედვითაც საგადასახადო ორგანო პირს გაუწევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საგადასახადო მომსახურებას(მაგ. დოკუმენტების მოძიება, კონსულტაცია და სხვა). საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებით პირადი საგადასახადო აგენტის მომსახურების ტარიფი 6 თვის განმავლობაში შეადგენს 2000 ლარს(დღგ-ის ჩათვლით).

პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

პირველადი დოკუმენტები – საბუღალტრო და საგადასახადო დოკუმენტების ერთობლიობა, რომელიც დაკავშირებულია აღრიცხვისა და ანგარიშსწორების ურთიერთობებთან.

პირველადი მიწოდება – საქონლის მწარმოებლის მიერ მომხმარებლისადმი(მყიდველისადმი) ამ საქონლის უშუალო მიწოდება.

პირველადი საგადასახადო დოკუმენტი – წერილობითი საბუთი, რომელშიც უნდა აღინიშნოს:

ა) სამეურნეო ოპერაციის მონაწილე მხარეთა რეკვიზიტები (ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი და გვარი, გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), საცხოვრებელი ადგილის მისამართი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი, დოკუმენტის გამცემი ორგანოს დასახელება და მისი გაცემის თარიღი; სხვა პირის შემთხვევაში – პირის სრული დასახელება, მისი მისამართი, გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი);

ბ) დოკუმენტის შედგენის თარიღი;

გ) გადაცემული საქონლის/მომსახურების დასახელება (სრული ჩამონათვალი), მისი ოდენობა და ზომის ერთეული (თუ შესაძლებელია მისი ოდენობისა და ზომის განსაზღვრა);

დ) გადაცემული საქონლის/მომსახურების ღირებულება (ჩამონათვალის მიხედვით);

პირველადი საგადასახადო დოკუმენტი დგება არანაკლებ ორ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება პირს, რომელმაც შეადგინა და გასცა აღნიშნული დოკუმენტი, ხოლო მეორე გადაეცემა და ინახება იმ პირთან, რომლისთვისაც განკუთვნილია ეს დოკუმენტი.

პირველი და მეორე რიგის მემკვიდრეები – პირველი რიგის მემკვიდრეებია: გარდაცვლილის შვილები, გარდაცვლილის შვილი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა, მეუღლე, მშობლები (მშვილებლები).

ნაშვილები და მისი შთამომავლები, როგორც მშვილებლის ან მისი ნათესავების მემკვიდრეები, გათანაბრებული არიან მშვილებლის შვილებთან და მათ შთამომავლებთან. ნაშვილები აღარ მიიჩნევა კანონით მემკვიდრედ მისი მშობლებისა და აღმავალი ხაზის სხვა ბიოლოგიური ნათესავების, აგრეთვე დებისა და ძმების გარდაცვალების შემდეგ.

შვილიშვილები, შვილიშვილის შვილებისა და ამ უკანასკნელთა შვილები კანონით მემკვიდრეებად ჩაითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ არის მათი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო, და თანასწორად იღებენ იმ წილს, რომელიც კანონით მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობელს ერგებოდა.

შვილიშვილები, შვილიშვილის შვილებისა და ამ უკანასკნელთა შვილები ვერ გახდებიან მემკვიდრეები, თუ მათმა მშობლებმა უარი თქვეს სამკვიდროს მიღებაზე. მშვილებელი და მისი ნა-

თესავები, როგორც ნაშვილებისა და მისი შთამომაელობის მემკვიდრეები, გათანაბრებული არიან ნაშვილების მშობლებსა და სხვა ბიოლოგიურ ნათესავებთან. ნაშვილების მშობლებს, აღმავალი ხაზის სხვა ბიოლოგიურ ნათესავებსა და და – ძმებს აღარ ეკუთვნით კანონით მემკვიდრეობა ნაშვილების ან მისი შთამომაელების გარდაცვალების შემდეგ.

მეორე რიგის მემკვიდრეებია: გარდაცვლილის დები და ძმები. მამკვიდრებლის დისწულები და ძმისწულები და მათი შვილები კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ იყო მათი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე იქნებოდა. ისინი თანასწორად იღებენ სამკვიდროს იმ წილს, რომელიც კანონით მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობლებს ერგებოდა.

პირი – ფიზიკური ან იურიდიული პირი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, საწარმო ან ორგანიზაცია საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით.

პირის ოჯახი – პირი, მისი მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი და გერი, აგრეთვე პირთან მუდმივად მცხოვრები მშობელი, შვილი და გერი, და, ძმა, ბებია, ბაბუა, შვილიშვილი, რომლებიც საერთო მეურნეობას ეწევიან. საგადასახადო მიზნებისათვის თავად გადამხდელი უპირობოდ განსაზღვრავს იმ პირთა წრეს (ზემოაღნიშნულ პირთაგან), რომლებიც მასთან ერთად მუდმივად ცხოვრობენ და ეწევიან საერთო მეურნეობას.

პორტალი – საქართველოს ეკონომიკურ საზღვართან მდებარე კონტროლის ზონა, სადაც მგზავრის, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების მიმართ ხორციელდება დადგენილი პროცედურები.

პრივატიზება – ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ ან მათი გაერთიანებების მიერ სახელმწიფო ქონებაზე ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონებაზე საკუთრების უფლების შეძენა კანონით დადგენილი წესით.

პროფესიონალური სტატუსის მქონე შუამავალი – ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალი–საბროკერო კომპანია ან სხვა შუამავალი, რომლის საქმიანობასაც ზედამხედველობას უწევს საქართველოს ეროვნული ბანკი თავის მიერ დადგენილი წესებით; ბირჟის შუამავალი – „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი საბროკერო კომპანია ან დამოუკიდებელი ბროკერი; დილერი – შუამავალი (იურიდიული ან ფიზიკური პირი), რომელიც სასაქონლო ბირჟაზე მოქმედებს თავისი სახელითა და თავისი ხარჯით; საბროკერო კომპანია – სავაჭრო შუამავალი (იურიდიული პირი), სასაქონლო ბირჟაზე გამყიდველსა და მყიდველს შორის გარიგებათა დადებისას, რომელიც მოქმედებს კლიენტის დავალებითა და კლიენტის ხარჯით, აგრეთვე თავისი სახელით და კლიენტის ხარჯით, ან კლიენტის სახელით და თავისი ხარჯით.

პროცენტი – ფულად დაბანდებებთან ან სავალო ვალდებულებებთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის სავალო მოთხოვნიდან(იპოთეკური უზრუნველყოფის არსებობისა და მისი გაფორმების მეთოდის მიუხედავად) მიღებული ნებისმიერი წინასწარ გაცხადებული(დადგენილი) შემოსავალი(მათ შორის, დისკონტის სახით მიღებული). ამასთან, პროცენტის განსაზღვრის მიზნებისათვის:

ა) სავალო ვალდებულებას არ განეკუთვნება საქონლის მიწოდებით ან/და მომსახურების გაწევით წარმოშობილი სავალო ვალდებულებები ან გარანტიით და თავდებობით ან/და სხვა ამგვარი ოპერაციებით წარმოქმნილი ვალდებულებები;

ბ) პროცენტად განიხილება:

ბ.ა) საპენსიო დაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით მზღვეველის მიერ დაზღვეულისათვის გადახდილი სადაზღვევო ანაზღაურება(თანხა) ამ ანაზღაურების მისაღებად განხორციელებული სადაზღვევო შენატანების გამოკლებით;

ბ.ბ) კრედიტებთან(სესხებთან), დეპოზიტებთან, ანაბრებთან, ობლიგაციებთან დაკავშირებული გადასახდელი;

ბ.გ) შემოსავალი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებიდან და ობლიგაციებიდან მათზე დარიცხული პრემიებისა და მოგებების ჩათვლით;

გ) პროცენტად არ განიხილება ჯარიმები დაგვიანებულ გადახდაზე ან დაგვიანებულ მინოდებაზე.

– რ –

რატიფიცირებული და ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულება – გადასახადებთან მიმართებით, პარლამენტის მიერ თანხმობით გამოხატული და სავალდებულოდ აღიარებული საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელზეც ორ ქვეყანას შორის შესრულებულია შიდა სახელმწიფოებრივი პროცედურები, მათ შორის საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის შესაბამისი ნოტების გაცვლა.

რეაბილიტაციის რეჟიმში მყოფი სანარმოები – გადახდისუუნარო საწარმოები, რომლებიც იმყოფებიან კანონით განსაზღვრული საპროცესო, ხელმძღვანელობითი და მმართველობითი მოქმედე-

ბების ქვეშ, რომელიც მიზნად ისახავს კრედიტორთა მოთხოვნების კანონით დადგენილი წესითა და პირობებით ეტაპობრივ სრულ დაკმაყოფილებას უმთავრესად მოვალის ფინანსური და მატერიალურ – ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, მართვის სისტემის სრულყოფის, მოვალის კომერციული საქმიანობის წარმატებულობისა და მომგებიანობის ზრდის, აგრეთვე სამეურვეო ქონების შესაძლო ოპტიმიზაციის გზით.

რეალიზაცია – გასხვისება, გაყიდვა.

რეექსპორტი – სასაქონლო ოპერაცია, რომლის დროსაც ხდება საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე შემოტანილი უცხოური საქონლის გატანა ამ ტერიტორიის გარეთ. მაგ. საწყობში მოქცეული უცხოური საქონლის გატანა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

რეზერვების შემცირება – სადაზღვევო კომპანიების, ბანკების მიერ წინასწარ დადგენილი სარეზერვო გასაცემი თანხების შემცირება. რეზერვიდან წინასწარ გამოქვითული თანხები წარმოადგენს ხარჯებს, ხოლო რეზერვების შემცირებით დარჩენილი შემცირებული თანხა შეიტანება ერთობლივ შემოსავალში.

რეზიდენტი – რეზიდენტი ფიზიკური პირი ან რეზიდენტი იურიდიული პირი (საქართველოს სანარმო ან საქართველოს ორგანიზაცია). რეზიდენტ იურიდიულ პირებად ითვლება საქართველოს სანარმო ან საქართველოს ორგანიზაცია. რეზიდენტი ფიზიკური პირი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, უცხო ქვეყნის მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე პირი. საქართველოს რეზიდენტად, მთელი მიმდინარე საგადასახადო წლის განმავლობაში, ითვლება ფიზიკური პირი, რომელიც ფაქტობრივად იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე 183 დღე ან მეტ ხანს ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის პერიოდში, რომელიც მთავრდება ამ საგადასახადო წელს, ან ფიზიკური პირი, რომელიც ამ საგადასახადო წლის განმავლობაში იმყოფებოდა უცხო ქვეყანაში საქართველოს სახელმწიფო სამსახურში. საქართველოს ტერიტორიაზე ფაქტობრივად ყოფნის დროდ ითვლება დრო, რომლის განმავლობაშიც ფიზიკური პირი იმყოფებოდა საქართველოში, აგრეთვე დრო, რომლითაც იგი გავიდა საქართველოს ფარგლების გარეთ სპეციალურად სამკურნალოდ, დასასვენებლად, მივლინებაში ან სასწავლებლად. საქართველოს ტერიტორიაზე ფაქტობრივად ყოფნის დროს არ განეკუთვნება დრო, რომლის განმავლობაშიც ფიზიკური პირი იმყოფებოდა საქართველოში:

ა) როგორც დიპლომატიური ან საკონსულო სტატუსის მქონე პირი ან ასეთი პირის ოჯახის წევრი;

ბ) როგორც საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომელი, ან როგორც საქართველოში უცხო ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში მყოფი პირი ან ასეთი პირის ოჯახის წევრი, გარდა საქართველოს მოქალაქეებისა;

გ) ერთი უცხო ქვეყნიდან მეორეში გადაადგილებისას საქართველოს ტერიტორიის გავლით;

დ) სამკურნალოდ ან დასასვენებლად.

საქართველოს ტერიტორიაზე ფაქტობრივად ყოფნის დღედ ითვლება დღე, რომლის განმავლობაშიც ფიზიკური პირი იმყოფებოდა საქართველოში, მიუხედავად ამ ყოფნის ხანგრძლივობისა. საქართველოს რეზიდენტობა, შეიძლება მიენიჭოს მნიშვნელოვანი ქონებით უზრუნველყოფილ პირს საქართველოს ფინანსთა და იუსტიციის მინისტრების მიერ განსაზღვრული წესითა და პირობებით. რეზიდენტის ან არარეზიდენტის სტატუსი დგინდება ყოველი საგადასახადო პერიოდის მიმართ. ამასთან, ის დღეები, რომელთა მიხედვითაც ფიზიკური პირი წინა საგადასახადო პერიოდში ჩაითვალა რეზიდენტად, არ გაითვალისწინება მომდევნო საგადასახადო პერიოდში რეზიდენტობის დადგენისას.

რელიგიური ორგანიზაციები (გაერთიანებები) – რელიგიურ ორგანიზაციად ითვლება ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია რელიგიური საქმიანობის განსახორციელებლად და ასეთად რეგისტრირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

რელიგიური საქმიანობა – რელიგიურ საქმიანობად ითვლება დადგენილი წესით რეგისტრირებული რელიგიური ორგანიზაციების (გაერთიანებების) საქმიანობა, რომლის მიზანია აღმსარებლობისა და სარწმუნოების გავრცელება, მათ შორის, ისეთი გზით, როგორიცაა:

ა) რელიგიური წეს – ჩვეულებების, ცერემონიების, ლოცვების ან სხვა საკულტო მოქმედებათა ორგანიზება და ჩატარება;

ბ) მორწმუნეთათვის შესაძლებლობის მიცემა, ჰქონდეთ ან გამოიყენონ სამლოცველო შენობები ან სარიტუალო ნაგებობები რელიგიურ მოთხოვნილებათა როგორც ერთობლივად, ისე ინდივიდუალურად დასაკმაყოფილებლად;

გ) რელიგიური დელეგაციების, მომლოცველების, სხვადასხვა კონფესიების წარმომადგენლების მიღებისა და გამგზავრების ორგანიზება, ეროვნული და საერთაშორისო რელიგიური თათბირების, ყრილობების, სემინარების ორგანიზება, აღნიშნულ ღონისძიებათა ჩატარების პერიოდში მათი მონან-

ილეების სასტუმროებით (სხვა საცხოვრებლით), ტრანსპორტით, კვებითა და კულტურული მომსახურებით უზრუნველყოფა;

დ) მონასტრების, სამონასტრო ეკლესიების, სასულიერო – სასწავლო დაწესებულებების შენახვა, აღნიშნული სასულიერო – სასწავლო დაწესებულებების მოსწავლეთა და მსმენელთა სწავლება, საქველმოქმედო ორგანიზაციების (საავადმყოფოები, თავშესაფრები, მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლები) შენახვა, აგრეთვე კანონიკური წესებით გაპირობებული სხვა ანალოგიური საწესდებო საქმიანობა.

რელიგიურ საქმიანობას უთანაბრდება იმ რელიგიური ორგანიზაციების (გაერთიანებების) საწარმოთა საქმიანობა, რომლებიც გამოსცემენ რელიგიურ (საღვთისმსახურო) ლიტერატურას ან აწარმოებენ რელიგიური დანიშნულების საგნებს; ამ ორგანიზაციების (გაერთიანებების) ან მათი საწარმოების საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია რელიგიური (საღვთისმსახურო) ლიტერატურის ან რელიგიური დანიშნულების საგნების რეალიზაციასთან (გავრცელებასთან); აგრეთვე ასეთი საქმიანობით მიღებული ფულადი სახსრების გამოყენება რელიგიური საქმიანობის განსახორციელებლად.

რეინვესტირება – მოგების ან შემოსავლების შესაბამისი თანხების მიმართვა საწარმოს ძირითადი და საბრუნავი საშუალებების ზრდისაკენ.

რეპო – შეთანხმება აქტივების გაყიდვის შესახებ შემდგომში მათი გამოსყიდვის პირობით.

რეპუტაცია ბაზარზე – საქონლის სავაჭრო მარკიდან გამომდინარე მისი მახასიათებლების ერთობლიობა, რომელიც საბოლოო ჯამში გამოიხატება ამ საქონლის ხარისხში.

რეორგანიზაცია – პირის გარდაქმნა, შერწყმა, გაყოფა. თუ საგადასახადო ორგანო დაამტკიცებს, რომ შერწყმის, შეძენის, მიერთების ან გაყოფის ოპერაციების მიზანი არ არის გადასახადების გადახდისაგან თავის არიდება, რეორგანიზაცია მოიცავს:

ა) ორი ან მეტი იურიდიული პირის შერწყმას;

ბ) ხმის უფლების მქონე 50 პროცენტის ან მეტი წილისა და რეზიდენტი იურიდიული პირის პარტნიორის წილის საერთო მოცულობის ღირებულების 50 პროცენტის ან მეტის შეძენას ან მიერთებას მხოლოდ შეძენის ან მიერთების ოპერაციაში პარტნიორ მხარეთა მსგავსი უფლებებით, წილის (აქციების) სანაცვლოდ;

გ) რეზიდენტი იურიდიული პირის აქტივების 50 პროცენტის და მეტის შეძენას სხვა რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ ხმის უფლების მქონე წილის (აქციების) სანაცვლოდ, დივიდენდებთან მიმართებით პრივილეგირებული უფლების გარეშე;

დ) რეზიდენტი იურიდიული პირის გაყოფას ორ ან მეტ რეზიდენტ იურიდიულ პირად.

როიალტი – საგადასახადო მიზნებისათვის როიალტს განეკუთვნება:

ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და ტექნოგენური წარმონაქმნების გადამუშავების პროცესში წიაღით სარგებლობის უფლების საფასური;

ბ) საავტორო უფლებების, პროგრამული უზრუნველყოფის, პატენტის, ნახაზის, მოდელის, სავაჭრო ნიშნის ან სხვა ინტელექტუალური საკუთრების გამოყენებისათვის ან გამოყენების უფლების სხვა პირზე გადაცემისათვის მიღებული შემოსავალი;

გ) სამრენველო, სავაჭრო ან სამეცნიერო-კვლევითი მოწყობილობის გამოყენებისათვის ან გამოყენების უფლების სხვა პირზე გადაცემისათვის მიღებული შემოსავალი;

დ) ნოუ-ჰაუს გამოყენებისათვის მიღებული შემოსავალი;

ე) კინოფილმების, ვიდეოფილმების, ხმის ჩანაწერების ან ჩაწერის სხვა საშუალებათა გამოყენებისათვის ან გამოყენების უფლების სხვა პირზე გადაცემისათვის მიღებული შემოსავალი;

ვ) საიდუმლო ფორმულის ან პროცესის, ასევე სამრეწველო, კომერციული ან მეცნიერული გამოცდილების შემცველი ინფორმაციის გამოყენებისათვის ან გამოყენების უფლების სხვა პირზე გადაცემისათვის მიღებული შემოსავალი;

ზ) ზემოაღნიშნულ უფლებებთან დაკავშირებით ტექნიკური დახმარების გაწევისათვის ან ამ უფლებათა გამოყენებაზე უარის თქმით მიღებული შემოსავალი.

რწმუნებული პირი – სხვა პირის (რწმუნებლის) აგენტი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცნება „რწმუნებელი“ შეცვლილია – „მარწმუნებლით“.

– ს –

საავტორო უფლებები – მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოების ავტორის ან მისი მემკვიდრის უფლება ამ ნაწარმოებთა გამოყენებისა და გავრცელების მიმართ.

საამორტიზაციო ანარიცხები – თანხები, რომელიც იანგარიშება ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებულ ძირითად საშუალებათა ან არამატერიალური აქტივების შესაბამისი ღირებულებიდან

(ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი) დადგენილი ნორმების მიხედვით შემდგომი გამოქვითვის მიზნით.

საანგარიშო წელი – პერიოდი, რომლის მიხედვითაც ხდება გადასახადების ადმინისტრირება. იგი შეიძლება არ დაემთხვეს კალენდარულ წელს.

საანგარიშო პერიოდი – საგადასახადო პერიოდის ნაწილი, რომელთა შედეგებზეც გადასახადის გადამხდელს ეკისრება გადასახადის გადახდის ვალდებულება.

სააღრიცხვო დოკუმენტაცია – პირველადი დოკუმენტები (მათ შორის, პირველადი საგადასახადო დოკუმენტები), ბუღალტრული აღრიცხვის რეგისტრები და სხვა დოკუმენტები, რომელთა საფუძველზედაც განისაზღვრება გადასახადებით დაბეგვრის ობიექტები, დაბეგვრასთან დაკავშირებული ობიექტები და დგინდება საგადასახადო ვალდებულებები.

სააღსრულებო ფურცელი – დოკუმენტი, რომელიც არის გარკვეული კრედიტორული ვალდებულებების აღსრულების საფუძველი. მას გასცემს სასამართლო, ნოტარიუსი, ფინანსთა სამინისტრო და სხვა. სააღსრულებო ფურცელში უნდა აღინიშნოს:

ა) სააღსრულებო ფურცლის გამცემი სასამართლოს ან იმ ორგანოს დასახელება, რომელმაც მიიღო აღ – სრულების გადაწყვეტილება;

ბ) საქმე, რომლის გამოც გაცემულია სააღსრულებო ფურცელი;

გ) გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი;

დ) გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი;

ე) სააღსრულებო ფურცლის გაცემის თარიღი;

ვ)კრედიტორისა და მოვალის დასახელებები და რეკვიზიტები, მათ შორის, პირადი ნომრები ან გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრები, ასევე სააღსრულებო ფურცლის გამცემი ორგანოსთვის ცნობილი სხვა საკონტაქტო მონაცემები (საიდენტიფიკაციო ნომრის მითითება სავალდებულო არ არის სახელმწიფო ან/და ადგილობრივი ბიუჯეტის სრულ დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციისათვის).

ნოტარიუსის მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელში უნდა აღინიშნოს:

ა) სააღსრულებო ფურცლის გამცემი ნოტარიუსის სახელი, გვარი და სანოტარო ბიუროს მისამართი;

ბ) კრედიტორისა და მოვალის დასახელებები და რეკვიზიტები, მათ შორის, პირადი ნომრები ან გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრები, ასევე სააღსრულებო ფურცლის გამცემი ნოტარიუსისთვის ცნობილი სხვა საკონტაქტო მონაცემები;

გ) ვალდებულების წარმოშობის საფუძველი;

დ) ვალდებულების შესრულების დრო;

ე) აღსასრულებელი ვალდებულების სახე და მოცულობა;

ვ) სააღსრულებო ფურცლის გაცემის თარიღი;

ზ) სანოტარო მოქმედებათა რეესტრში სააღსრულებო ფურცლის რეგისტრაციის ნომერი.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელში უნდა აღინიშნოს:

ა) სააღსრულებო ფურცლის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება;

ბ) კრედიტორისა და მოვალის დასახელებები და რეკვიზიტები, მათ შორის, პირადი ნომრები ან გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი;

გ) სესხის გაცემის საფუძველი (განკარგულების მიმღები და მიღების თარიღი);

დ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და სააღსრულებო ფურცლის ამოწერის თარიღი;

ე) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სარეზოლუციო ნაწილი, აღსრულების წესისა და საშუალების მითითებით.

საბადოების დამუშავების უფლება – მაგ. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია.

საბაზრო ფასი – ფასი, რომელიც ყალიბდება საქონლის/მომსახურების ბაზარზე იდენტური (ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – მსგავსი) საქონლის/მომსახურების მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთზემოქმედების შედეგად და შესაბამის ბაზარზე იმ პირებს შორის დადებული გარიგების საფუძველზე, რომლებიც არ არიან ურთიერთდამოკიდებული პირები. ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის გარიგება მხედველობაში მიიღება მხოლოდ იმ პირობით, რომ მათი ურთიერთდამოკიდებულება გავლენას არ მოახდენს ასეთი გარიგების შედეგებზე. საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასი განისაზღვრება ბაზარზე ამ საქონლის/მომსახურების მიწოდების მომენტისთვის (ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში – რეალიზაციის მომენტის უახლოესი კალენდარული დღისთვის, რომელიც არა უმეტეს 30 კალენდარული დღით უსწრებს ან მოჰყვება ასეთი საქონლის/მომსახურების რეალიზაციის მომენტს) იდენტურ (მსგავს) საქონელზე/მომსახურებაზე დადებული გარიგების,

მათ შორის, საერთაშორისო და სხვა ბირჟებზე დაფიქსირებული ფასების შესახებ ინფორმაციის, საფუძველზე. საქონლის/მომსახურების ბაზრად ითვლება ამ საქონლის/მომსახურების მიმოქცევის სფერო, რომელიც განისაზღვრება გამყიდველის/მყიდველის შესაძლებლობით, მნიშვნელოვანი დანახარჯის გარეშე გაყიდოს/შეიძინოს საქონელი/მომსახურება გამყიდველისათვის/მყიდველისათვის უახლოეს ტერიტორიაზე საქართველოში ან მისი ფარგლების გარეთ. თუ, საქონლის/მომსახურების ბაზარზე იდენტურ (მსგავს) საქონელზე/მომსახურებაზე დადებული გარიგება ან ამ ბაზარზე ასეთი საქონლის/მომსახურების მიწოდება არ არსებობს, საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასი განისაზღვრება იმ ფასებით, რომლებიც ჩამოყალიბებულია იდენტურ (მსგავს) საქონელზე/მომსახურებაზე დადებული გარიგების საფუძველზე, საქონლის/მომსახურების რეალიზაციის მომენტის უახლოესი კალენდარული დღისთვის, რომელიც არა უმეტეს 30 კალენდარული დღით უსწრებს ან მოჰყვება ასეთი საქონლის/მომსახურების რეალიზაციის მომენტს.

თუ, ზემოაღნიშნულ დებულებათა გამოყენება შეუძლებელია, საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასი (ტარიფი) დგინდება დანახარჯების, შესაძლო რეალიზაციის ფასის ან მისაღები სარგებლის განსაზღვრის მეთოდებით. ამასთან, საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასის განსაზღვრისას გამოიყენება საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასების შესახებ ინფორმაციის ოფიციალური წყაროები, აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების საინფორმაციო ბაზა, საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახადის გადამხდელთა მიერ მინოდებული ინფორმაცია, აგრეთვე სხვა სარწმუნო ინფორმაცია.

საბალანსო ღირებულება – აქტივის ღირებულება ბალანსის მიხედვით.

საბანკო ანგარიშებიდან გადასახადის, საურავისა და ჯარიმის თანხების ჩამოწერა – საგადასახადო დავალიანების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლის დროსაც, თუ გადასახადის გადამხდელი არ შეასრულებს საგადასახადო ვალდებულებას მისი შესრულებისათვის საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, მაშინ საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს აღიარებული საგადასახადო დავალიანების ფარგლებში მისი საბანკო ანგარიშებიდან (გარდა საანაბრო (ვადიანი) ანგარიშებისა) საინკასო დავალებით ჩამოწეროს გადასახადის, საურავისა და ჯარიმის თანხები და ჩარიცხოს ისინი შესაბამის ბიუჯეტში.

საბანკო გარანტია – მესამე პირის (ბანკის) მიერ გაცემული საგადასახადო დავალიანების უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამ დოკუმენტით ბანკი გამოდის გადასახადის გადამხდელის შესაძლო საგადასახადო ვალდებულების გარანტად, ხოლო საგადასახადო დავალიანების დაფარვას იგი ახორციელებს საგადასახადო ორგანოს წერილობითი მომართვის საფუძველზე.

საბითუმო ფასი – საწარმოს საქონლის/მომსახურების გასაცემი ფასი, რომლის საქონელი/მომსახურება არასაბოლოო მოხმარებისთვის არის განკუთვნილი და მოიცავს საწარმოს დანახარჯებს, მოგებასა და კანონმდებლობით დაწესებულ საგადასახადო განაკვეთებს.

საბიუჯეტო ორგანიზაცია – ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაცია, რომლისთვისაც ბიუჯეტით გათვალისწინებულია ასიგნება და, რომელიც პასუხისმგებელია მისი მართვისათვის, ასევე ახორციელებს საკუთარი ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, ბიუჯეტის შესრულებასა და ანგარიშგებას დადგენილი ნორმების, პროცედურებისა და წესების შესაბამისად.

საგადასახადო ორგანო – შემოსავლების სამსახური (ცენტრალური აპარატი), მისი ტერიტორიული ორგანოები (რეგიონული ცენტრები) და საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ შექმნილი შემოსავლების სამსახურის სხვა სტრუქტურული ერთეულები (ასეთი ერთეულების შექმნის შემთხვევაში). შემოსავლების სამსახური შედის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში და თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. იგი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

საგადასახადო აგენტი – პირი, რომელიც ვალდებულია გადასახადის გადამხდელის ნაცვლად თვითონ შეასრულოს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულებები. საგადასახადო აგენტის და და გადასახადის გადამხდელის უფლებები და მოვალეობები გათანაბრებულია. საგადასახადო აგენტი ვალდებულია:

ა) სწორად და დროულად გამოიანგარიშოს, გადასახადის გადამხდელს დაუკავოს და შესაბამის ბიუჯეტებში გადარიცხოს სათანადო გადასახადები;

ბ) აღრიცხოს ყოველი გადასახადის გადამხდელისათვის დარიცხული და მის მიერ გადახდილი შემოსავლები, აგრეთვე დარიცხული, დაკავებული და ბიუჯეტებში გადარიცხული გადასახადები;

გ) საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს გადასახადების გამოანგარიშების, დაკავებისა და გადახდის სისწორის კონტროლის განსახორციელებლად აუცილებელი დოკუმენტები;

დ) შეასრულოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი სხვა ვალდებულებები.

საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა – დადგენილი ფორმის მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება დღგ-ით ან აქციზით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების ფაქტი.

საგადასახადო აღრიცხვის ადგილი – საწარმოს/ორგანიზაციის, მეწარმე სუბიექტების და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საგადასახადო რეგისტრაციის(აღრიცხვის) ადგილი, რომელიც ხორციელდება იურიდიული მისამართის (ადგილსამყოფლის) მიხედვით, ხოლო ფიზიკური პირისა (მათ შორის, მეწარმე ფიზიკური პირის შემთხვევაში)–მის მიერ განცხადებული საცხოვრებელი/საქმიანობის ადგილი.

საგადასახადო გირავნობა – მოვალის ან მესამე პირის მოძრავი ნივთი ან/და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომლის სხვა პირთათვის გადაცემა დასაშვებია, შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ფულადი, ისე არაფულადი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად, ისე, რომ კრედიტორი (მოგირავნე) იძენს უფლებას, დაიკმაყოფილოს მოთხოვნა დაგირავებული ქონების (გირავნობის საგნის) რეალიზაციით ან მხარეთა შეთანხმებით – მისი საკუთრებაში მიღებით მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში. საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა არის სახელმწიფოს უფლება, საგადასახადო ვალდებულების შესრულება უზრუნველყოს საგადასახადო დავალიანების მქონე გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის, სხვა ვალდებული პირის ქონებიდან. საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა წარმოიშობა უფლებამოსილ მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან და საგადასახადო დავალიანების მოცულობის ფარგლებში ვრცელდება გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის საკუთრებაში არსებულ ან/და ბალანსზე რიცხულ (ლიზინგით მიღებულის გარდა) ნებისმიერ ქონებაზე, საგადასახადო დავალიანების ნარმოქმნის შემდეგ შეძენილი ქონების ჩათვლით.

საგადასახადო დავა – საგადასახადო ორგანოს/გადასახადის გადამხდელის უფლება გაასაჩივროს კანონმდებლობით დადგენილი უფლებების დარღვევა. იგი შეიძლება წარიმართოს, როგორც სასამართლოში, ასევე ფინანსთა სამინისტროს სისტემაში.

საგადასახადო დავალიანება – სხვაობა გადასახადის გადამხდელის მიერ დადგენილ ვადაში გადაუხდელ გადასახადების ან/და სანქციების თანხასა და ზედმეტად გადახდილ გადასახადების ან/და სანქციების თანხებს შორის.

საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები – შეუსრულებელი საგადასახადო ვალდებულების იძულებით შესრულების ფორმები. საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების რიგითობას ირჩევს საგადასახადო ორგანო. საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფა შეიძლება განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებებით:

ა) საგადასახადო იპოთეკით/გირავნობით;

ბ) მესამე პირზე გადახდევინების მიქცევით;

გ) ქონებაზე ყადაღის დადებით;

დ) ყადაღადადებული ქონების რეალიზაციით;

ე) საბანკო ანგარიშზე საინკასო დავალების წარდგენით;

ვ) გადასახადის გადამხდელის სალაროდან ნაღდი ფულადი სახსრების ამოღებით.

საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურიზაცია – ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების (მათ შორის, ჯარიმები, საურავები, და სხვა) გაყინვა ან/და გადავადება კანონით დადგენილი წესით.

საგადასახადო დეკლარაცია – საგადასახადო დეკლარაცია წარმოადგენს გადასახადის გადამხდელის ანგარიშგებას მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების, შემოსავლის წყაროების, გადასახადით დასაბეგრი სხვა ობიექტების, საგადასახადო შეღავათების, გამოანგარიშებული გადასახადის თანხის ან/და გადასახადის გამოანგარიშებასა და გადახდასთან დაკავშირებული სხვა მონაცემების შესახებ.

საგადასახადო ვალდებულება – საგადასახადო ვალდებულებად ითვლება პირის ვალდებულება, გადაიხადოს საგადასახადო კოდექსით დაწესებული და შემოღებული გადასახადი, აგრეთვე საგადასახადო კოდექსით დაწესებული და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს შემოღებული გადასახადი.

საგადასახადო იპოთეკა – უძრავი ნივთის გამოყენება (დატვირთვა) მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ისე რომ უზრუნველყოფილ კრედიტორს მიეცეს უფლება, სხვა კრედიტორებთან შედარებით პირველ რიგში მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთის რეალიზაციით ან მის საკუთრებაში გადაცემით.

საგადასახადო კანონმდებლობა – საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა, რომელიც შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებების, საგადასახადო კოდექსისა და მათ შესაბამისად მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან.

საგადასახადო კონტროლი – საგადასახადო ვალდებულებების შესრულების საზედამხედველო ღონისძიებების ერთობლიობა. საგადასახადო კონტროლი მოიცავს მიმდინარე კონტროლის პროცედურებს (ქრონომეტრაჟს, საკონტროლო შესყიდვას, ინვენტარიზაციას, დათვალიერებას, საკონტროლო – სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვის კონტროლს) და საგადასახადო შემოწმებას (კამერალურსა და გასვლითს).

საგადასახადო მოთხოვნა – საგადასახადო ორგანოს მიერ დადგენილი წესით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც წარედგინება პირს შესასრულებლად. საგადასახადო მოთხოვნის წარდგენის საფუძვლებია:

ა) გადასახადის დარიცხვა, რომლის გაანგარიშებაც არის საგადასახადო ორგანოს ვალდებულება;

ბ) გადასახადის დარიცხვის ან/და სანქციის დაკისრების შესახებ საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება;

გ) გადასახადის დარიცხვის ან/და სანქციის დაკისრების შესახებ საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება.

საგადასახადო ომბუდსმენი – საჯარო მოხელე, რომელიც ზედამხედველობას უწევს საქართველოს ტერიტორიაზე გადასახადის გადამხდელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, ავლენს მათი დარღვევის ფაქტებს, ხელს უწყობს დარღვეული უფლებების აღდგენას. მისი უფლება-მოსილებები განისაზღვრება მთავრობის დადგენილებით.

საგადასახადო ორგანოს შესაგებელი – საგადასახადო ორგანოს ადმინისტრაციული აქტი, რომლის მიხედვითაც, თუ საგადასახადო ორგანო მიიჩნევს, რომ გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა უსაფუძვლოა, იგი ვალდებულია მოთხოვნის მიღებიდან 20 დღის ვადაში გადასახადის გადამხდელს წარუდგინოს დასაბუთებული შესაგებელი. ამ ვადაში შესაგებლის გაუგზავნელობა ნიშნავს „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის" შესრულებაზე უარს.

საგადასახადო პერიოდი – საგადასახადო პერიოდი არის დროის მონაკვეთი, რომლითაც განისაზღვრება პირის საგადასახადო ვალდებულება კონკრეტული გადასახადის მიმართ. საგადასახადო პერიოდი შეიძლება დაიყოს რამდენიმე საანგარიშო პერიოდად, რომელთა შედეგებზედაც პირს ეკისრება გადასახადის მიმდინარე გადასახდელების გადახდის ვალდებულება; დრო ერთი საგადასახადო ვალდებულების წარმოშობიდან – მეორე საგადასახადო ვალდებულების წარმოშობამდე.

საგადასახადო პოლიტიკა – დაბეგვრის მიმართულებების განსაზღვრა, რომელიც მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება.

საგადასახადო საგუშაგო – დაკვირვების პუნქტი ქრონომეტრაჟის ჩატარების მიზნით. საგადასახადო ორგანო იღებს გადაწყვეტილებას ქრონომეტრაჟის შემდგომი გაგრძელებისა და გადასახადის გადამხდელის ეკონომიკური საქმიანობის ობიექტზე დაკვირვების მიზნით საგადასახადო საგუშაგოს შემოღების თაობაზე.

საგადასახადო საიდუმლოება – გადასახადის გადამხდელის შესახებ საგადასახადო ორგანოს მიერ მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია, გარდა:

ა) სტატუსისა;

ბ) სახელწოდებისა;

გ) მისამართისა;

დ) საიდენტიფიკაციო ნომრისა

ე) მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირებული საჯარო ინფორმაციისა;

საგადასახადო სამართალდარღვევა – პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომლისთვისაც საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა.

საგადასახადო სამართალდარღვევის საქმის წარმოება – საგადასახადო ორგანოების ადმინისტრაციული ქმედება. საგადასახადო სამართალდარღვევათა საქმეებს აწარმოებენ, განიხილავენ და შესაბამის გადაწყვეტილებებს იღებენ საგადასახადო ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში. საგადასახადო სამართალდარღვევის გამოვლენისას დგება საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამართალდარღვევა დაფიქსირებულია შემოწმების აქტში.

საგადასახადო შეთანხმება – გადასახადის გადამხდელისათვის გადასახადების ან/და სანქციების შემცირების მიზნით გაფორმებული ხელშეკრულება. იგი იდება გადასახადის გადამხდელის მიერ განცხადების შემოტანის მომენტისათვის არსებული საგადასახადო დავალიანების ოდენობის ფარ-

გლებში, მათ შორის დამატებით დარიცხული საგადასახადო ვალდებულების ფარგლებში გადამხდელის მიერ მითითებულ საგადასახადო პერიოდზე/პერიოდებზე და გადასახადების/სანქციების სახეებზე მითითებით.

საგადასახადო შემოწმება – საგადასახადო კონტროლის შემადგენელი ნაწილი, რომელიც მოიცავს კამერალურ და გასვლით საგადასახადო შემოწმებას.

საგადასახადო შემოწმების აქტი – ადმინისტრაციული აქტი რომელშიც უნდა აღინიშნოს:

ა) ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, მტკიცებულება და არგუმენტი, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრისას. თუ შემოწმება დაეყრდნო საექსპერტო დასკვნას, აქტში მიეთითება ამ დასკვნის შინაარსი;

ბ) საგადასახადო კოდექსის ან/და საგადასახადო კანონმდებლობის აქტის ის ნორმა, რომლითაც იხელმძღვანელეს შემმოწმებლებმა გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრისას;

გ) გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულებების წარმოშობის ზუსტი თარიღები(თუ მათი დადგენა შესაძლებელია), გადასახადის და ჯარიმის გაანგარიშება, ჯამურად გადასახდელი ან მისაღები თანხა, იმ დოკუმენტების რეკვიზიტები(საჭიროების შემთხვევაში – ასლები), რომლებითაც დასტურდება ამ მოთხოვნებისა და ვალდებულებების წარმოშობა, ასევე საგადასახადო შემოწმების აქტის დანართების შინაარსი;

საგადასახადო შეღავათი – სხვა გადასახადის გადამხდელებთან შედარებით ცალკეული კატეგორიის გადასახადის გადამხდელებისათვის მინიჭებული უპირატესობა, კერძოდ, შესაძლებლობა გადაიხადონ გადასახადი ნაკლები ოდენობით ან გათავისუფლდნენ გადასახადის გადახდისაგან.

საგადახდო დავალება – ანგარიშის მფლობელის (გადამხდელის) მიერ საგადახდო საბუთის სახით გაფორმებული განკარგულება მისი მომსახურე ბანკისათვის, სახსრების მიმღების ამავე ან სხვა ბანკში გახსნილ ანგარიშზე ფულადი სახსრების გადარიცხვის შესახებ;

საგანგებო მდგომარეობა – ომიანობა, მასობრივი არეულობა, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა, სამხედრო გადატრიალება, შეიარაღებული ამბოხება, ეკოლოგიური კატასტროფები, ეპიდემიები ან სხვა შემთხვევები, როცა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებული არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას.

საგანმანათლებლო დაწესებულება – პირი, რომელსაც მიღებული აქვს ავტორიზაცია.

საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა – სასაქონლო კლასიფიკაციის კოდების სისტემა, რომელიც მიღებულია „საქონლის აღწერილობისა და კოდირების სისტემის ჰარმონიზაციის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციის შესაბამისად. იგი არის ეკონომიკურ საზღვარზე გადაადგილებადი საქონლის იდენტიფიცირების ციფრული საშუალება, რომელიც ძირითადად გამოიყენება ამ საქონლის მიმართ ადეკვატური სასაქონლო ოპერაციების განხორციელების მიზნებისათვის. იგი შედგება კარის, ჯგუფის, პოზიციის, სუბპოზიციის და ქვესუბპოზიციისაგან. იგი გამოიყენება აგრეთვე ზოგიერთი საქონლის შიდა მიწოდების დროს დაბეგვრის მიზნებისათვის(მაგ. აქციზური საქონელი).

სადაზღვევო ანაზღაურება (თანხა) – სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დროს მოსარგებლის მიერ სადაზღვევო ორგანიზაციიდან მიღებული თანხა.

სადაზღვევო შენატანები – დაზღვეულის ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა პირის მიერ მზღვეველის ანგარიშზე შეტანილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხები. მას სხვანაირად სადაზღვევო პრემიასაც უწოდებენ.

საემისიო კაპიტალი – სხვაობა საწარმოს მიერ აქციების პირველადი განთავსებიდან მიღებულ ან მისაღებ თანხასა და ამ აქციების ჯამურ ნომინალურ ღირებულებას შორის, აგრეთვე სამეწარმეო საზოგადოების დაფუძნებისას არაფულადი შესატანის ღირებულების მეტობა დათქმულ თანხაზე.

საერთაშორისო გადაზიდვა – ავტოსატრანსპორტო ან სარკინიგზო ტრანსპორტით, საზღვაო, სამდინარო ან საჰაერო ხომალდით მგზავრთა, საქონლის(მათ შორის ფოსტის) სხვადასხვა სახელმწიფოში, რომელთაგან ერთ-ერთს წარმოადგენს საქართველო, მდებარე ორ პუნქტს შორის ნებისმიერი გადაზიდვა. ამასთან საერთაშორისო გადაზიდვას არ მიეკუთვნება:

ა) გადაზიდვა, რომელიც ხორციელდება, მხოლოდ საქართველოს საზღვრებს გარეთ მდებარე პუნქტებს შორის ან მხოლოდ საქართველოს საზღვრებს შიგნით მდებარე პუნქტებს შორის;

ბ) საქონლის მილსადენით და ელექტროგადამცემი ხაზებით გადაადგილება.

საერთაშორისო (სახელმწიფოთაშორისი, სამთავრობათაშორისო, დიპლომატიური) ორგანიზაციები – საერთაშორისო სამართლით რეგულირებული ორგანიზაციები, საელჩოები, საკონსულოები, წარმომადგენლობები, უცხოური არასამეწარმეო ორგანიზაციები.

საერთაშორისო საწარმო – თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმო, რომელსაც საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გადასახადისაგან განთავისუფლების მიზნით მინიჭებული აქვს საერთაშორისო სანარმოს სტატუსი.

საერთაშორისო ფინანსური კომპანია – ფინანსური ინსტიტუტი, რომელსაც უფლებამოსილი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე მომავალი კალენდარული წლებისათვის, ხოლო ასეთი საწარმოების სახელმწიფო რეგისტრაციის შემთხვევაში რეგისტრაციასთან ერთად მიმდინარე და მომავალი კალენდარული წლებისათვის ენიჭება საერთაშორისო ფინანსური კომპანიის სტატუსი და გაიცემა სტატუსის დამადასტურებელი სერტიფიკატი. ამასთანავე, საერთაშორისო ფინანსური კომპანიის სტატუსი უქმდება იმ კალენდარული წლისათვის, რომელსაც ფინანსური ინსტიტუტის უფლებამოსილი წარმომადგენელი განცხადებაში მიუთითებს საერთაშორისო ფინანსური კომპანიის სტატუსის გაუქმების თაობაზე. საერთაშორისო ფინანსური კომპანიის მიერ საქართველოში არსებული წყაროდან ფინანსური ოპერაციის განხორციელების ან/და ფინანსური მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავალი არ უნდა აღემატებოდეს ერთობლივი შემოსავლის 10 პროცენტს.

საერთო მეურნეობა – პირთა მიერ ერთობლივი ძალებით განხორციელებული ეკონომიკური ქმედებები, რომლის მიზანია მათი საარსებო ან სხვა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. საერთო მეურნეობა არ გულისხმობს წილობრივ ან აქციონერულ საწყისებზე აგებულ ბიზნესს.

საექსპედიტორო მომსახურება – ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული მომსახურება, რომლის საფასური შეადგენს პროვიზიას. საექსპედიტორო მომსახურება საქონლის გადადგილებასთან დაკავშირებული კომპლექსური მომსახურებაა, რომელსაც ექსპედიტორი უწევს საქონლის მყიდველს ან გამყიდველს და იგი მოიცავს ყველა იმ მომსახურების განხორციელებას, რაც საქონლის ადრესატამდე მიწოდებას უკავშირდება.

სავალდებულო რეგისტრაცია – საგადასახადო ორგანოში დღგ-ის გადამხდელად აუცილებელი რეგისტრაციის მოთხოვნა, როდესაც პირი მიაღწევს კანონმდებლობით დადგენილ გარკვეულ პარამეტრებს. მაგ. დასაბეგრი ოპერაციების ოდენობა.

სავაჭრო ნიშანი – სასაქონლო ნიშანი, სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც გამოისახება გრაფიკულად და განსხვავებს ერთი საწარმოს საქონელს ან/და მომსახურებას მეორე საწარმოს საქონლისა ან/და მომსახურებისაგან. სიმბოლო შეიძლება იყოს: სიტყვა ან სიტყვები, აგრეთვე ადამიანის სახელი, ასოები, ციფრები, ბგერები, გამოსახულება, სამგანზომილებიანი ფიგურა, მათ შორის, საქონლის ფორმა ან შეფუთვა ისევე, როგორც საქონლის სხვა გარეგნული გაფორმება ფერის ან ფერთა კომბინაციის გამოყენებით.

სავაჭრო პოლიტიკა – საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე საქონლის გადაადგილების მარეგულირებელი აქტების საფუძველზე მოქმედი სატარიფო (იმპორტის გადასახადი) და არასატარიფო ღონისძიებები(ნებართვები, ლიცენზიები, აკრძალვები, შეზღუდვები და ა. შ.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები (გაერთიანებები) – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, პროფესიული კავშირები, პოლიტიკური პარტიები და სხვა.

სათამაშო ბიზნესი – „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული სამეწარმეო საქმიანობა.

სათამაშო ბიზნესით დაკავებული პირისაგან მიღებული მოგებები – შემოსავალი, რომელიც განისაზღვრება ფიზიკური პირის (მოთამაშის) მიერ აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობებიდან ერთ ბილეთზე, ჟეტონზე, მონეტაზე ან/და სხვა საშუალებაზე მიღებული და დადებული თანხის ან/და ნივთის ღირებულების დადებითი სხვაობით.

საიდენტიფიკაციო ნომერი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ან საგადასახადო ორგანოს მიერ საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში გადასახადის გადამხდელისათვის მიკუთვნებული ნომერი.

საინკასაციო მომსახურება – ნაღდი ფულის მიღება და გადატანა პირიდან (საწარმოდან) ბანკში ან პირიქით, კომერციულ ბანკში ფულის მიღება და პირის(საწარმოს) სალაროში გადატანა.

საინკასო დავალება – ამ შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს დავალება შესაბამისი ბანკისადმი გადასახადის გადამხდელის საბანკო ანგარიშებიდან გადასახადის ბიუჯეტში მიმართვის ანუ შესაბამისი თანხების ჩამონერის თაობაზე.

საინოვაციო მომსახურება – სიახლის დანერგვა წარმოების, მენეჯმენტის, მარკეტინგის და საზოგადოდ მეწარმეობის სტრატეგიისა და ტაქტიკის ასპექტით.

საინფორმაციო ტექნოლოგიები – კომპიუტერული საინფორმაციო სისტემების შესწავლა, მხარდაჭერა, განვითარება, დიზაინი, წარმოება და დანერგვა, რის შედეგადაც მიიღება პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტები.

საიჯარო ქირა – დროებით სარგებლობაში გადაცემული საიჯარო ქონების სარგებლობის საფასური.

საკონსულო ვალიზა – დიპლომატიური კურიერის საფოსტო ტომარა, რომლის სახელმწიფო კონტროლი, როგორ წესი, დაუშვებელია.

საკონტროლო-სალარო აპარატი – ფისკალური მეხსიერების და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის მქონე როგორც დამოუკიდებლად მომუშავე, ასევე პროგრამულ – ტექნიკურ კომპლექსში ჩართული ელექტრონული მოწყობილობა, რომელიც გამიზნულია მომხმარებლების მიერ ნაღდი ფულით განხორციელებული გადახდების შესახებ მონაცემების რეგისტრაციისათვის, მათი შენახვისთვის და ამობეჭდვის გზით შესაბამისი ანგარიშგებითი დოკუმენტების ფორმირებისთვის (მათ შორის სპეციალური მოწყობილობების საშუალებით). იგი არის ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირების მიერ საქონლის/მომსახურების მიწოდების დროს მომხმარებლებთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას შესაბამისი მონაცემების აღრიცხვის ტექნიკური საშუალება. საკონტროლო – სალარო აპარატები უნდა იყოს ქართულენოვანი, ფისკალური მეხსიერების მქონე, სახელმწიფო რეესტრში შეტანილი, ტექნიკურად გამართული, საგადასახადო ორგანოში რეგისტრირებული და სათანადო წესით დალუქული.

საკონტროლო-სალარო აპარატების მოდელების სახელმწიფო რეესტრი – სპეციალური ჩამონათვალი იმ საკონტროლო-სალარო აპარატებისა, რომელთა მოდელების გამოყენება დასაშვებია ანგარიშსწორების დროს. სახელმწიფო რეესტრიდან სსა-ს მოდელის ამოღების შემთხვევაში, აპარატის შემდგომი გამოყენებისათვის ნებადართული ან საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი ვადის გასვლისთანავე, საგადასახადო ორგანოში დარეგისტრირებული აღნიშნული სსა-ის მოდელი ითვლება რეგისტრაციიდან (აღრიცხვიდან) მოხსნილად.

საკრედიტო რისკის მესამე პირზე ნაწილობრივ ან მთლიანად გადაყრდვა – ფაქტორინგის სახე, როდესაც მესამე პირი ყიდულობს კრედიტისა და შესაბამისი პროცენტის (ან მათი ნაწილების) ამოღების უფლებას.

საკუთრების უფლების გადაცემა – ქონების თავისუფლად ფლობისა და სარგებლობის უფლების გადაცემა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სალაროს ჩეკი – დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება მომხმარებლის მიერ მისთვის მიწოდებულ/მისაწოდებელ საქონელზე/მომსახურებაზე ნაღდი ფულის გადახდის ფაქტი.

სალიკვიდაციო კომისია – საწარმოს მონაწილეები. საწარმოს/ორგანიზაციის ლიკვიდაციისას საგადასახადო ვალდებულებას, აგრეთვე გადასახდელი საურავისა და ჯარიმების გადახდას ასრულებს ამ საწარმოს/ორგანიზაციის სალიკვიდაციო კომისია მისი (საწარმოს/ორგანიზაციის) ფულადი სახსრებით, აგრეთვე ამ საწარმოს/ორგანიზაციის ქონების რეალიზაციით მიღებული სახსრებით. ფილიალის ან სხვა ქვედანაყოფის ლიკვიდაციისას საგადასახადო ვალდებულებას ასრულებს უშუალოდ ის საწარმო/ორგანიზაცია, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა იგი, ხოლო თვით ამ საწარმოს/ორგანიზაციის ლიკვიდაციისას – ამ საწარმოს/ორგანიზაციის სალიკვიდაციო კომისია.

სამივლინებო ხარჯები – სამსახურებრივი დავალების შესასრულებლად დამქირავებლის ბრძანებით მუდმივი სამუშაო ადგილის ფარგლებს გარეთ – ქვეყნის შიგნით ან გარეთ დაქირაებულის წარგზავნის ხარჯები, რომლის ნორმები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

სამკვიდრო ქონება – სამკვიდრო (სამკვიდრო ქონება) შეიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის. სამკვიდროში შედის საერთო საკუთრების წილი, რომელიც მამკვიდრებელზე მოდიოდა, ხოლო, თუ ქონების გაყოფა ნატურით შეუძლებელია, მაშინ – ამ ქონების ღირებულება.

სამუშაო დღე – სამუშაო დღე ემთხვევა კალენდარულ დღეს, გარდა შაბათისა, კვირისა და საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრული უქმე დღეებისა.

სანიტარულ-საკარანტინო კონტროლი – ფიზიკური პირებისა და ზოგიერთი საქონლის კონტროლი სამედიცინო თვალსაზრისით.

სანქცია (საგადასახადო) – პასუხისმგებლობის ზომა ჩადენილი საგადასახადო სამართალდარღვევისათვის საურავის, გაფრთხილების, ფულადი ჯარიმის, სამართალდარღვევის საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უსასყიდლოდ ჩამორთმევის სახით. საგადასახადო სანქციას საურავი არ ერიცხება.

სარგებელი – პირის მიერ უსასყიდლოდ მიღებული ნებისმიერი მატერიალური ან არამატერიალური სიკეთე.

სარეზერვო ფონდები – მაგალითად, ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიების მიერ შექმნილი ზარალების ანაზღაურების ფონდები.

სასაქონლო დეკლარაცია – დოკუმენტი, რომლითაც პირი აცხადებს საქონლის მიმართ სასაქონლო ოპერაციის გამოყენების განზრახვას; დოკუმენტი, რომელსაც წარადგენს პირი ეკონომიკური საზღვრის საქონლით გადაკვეთის დროს. მასში აღინიშნება საქონელთან დაკავშირებული, კანონმდებლობით წინასწარ დადგენილი სხვადასხვა რეკვიზიტები.

სასაქონლო ზედნადები – აღრიცხვის დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება სამეურნეო ოპერაციის, ქვეყნის შიგნით საქონლის მიწოდების ფაქტი და რომლის გარეშე აკრძალულია საქონლის ტრანსპორტირება, შენახვა და რეალიზაცია.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები – პირის მიერ ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში გამოყენებული ნედლეული, მასალები, ნახევარფაბრიკატები, მარაგ – ნაწილები, ტარა და მზა პროდუქცია (საქონელი) ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

სასაქონლო ოპერაცია – საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე/ტერიტორიიდან საქონლის შემოტანა – გატანის წესი. საქართველოში არსებობს შემდეგი სასაქონლო ოპერაციები:

ა) იმპორტი;

ბ) ტრანზიტი;

გ) საწყობი;

დ) გარე გადამუშავება;

ე) დროებითი შემოტანა;

ვ) შიდა გადამუშავება;

ზ) ექსპორტი;

თ) რეექსპორტი.

სასესხო ვალდებულებები – სესხების აღების შედეგად წარმოშობილი გადასახდელის გადახდის ვალდებულება, წარმოდგენილი ფასიანი ქაღალდის, ასევე სხვა ფორმით.

სასესხო ფასიანი ქაღალდი – ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს უფლებას განსაზღვრული ძირითადი თანხის პროცენტით ან უპროცენტოდ მიღებაზე; იგი მოიცავს სამთავრობო ფასიან ქაღალდებს, თუ შესაბამისი ნორმატიული აქტით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა – შემდეგი მიწები:

ა) სახნავი, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწა, ბუნებრივი და გაკულტურებული სათიბები და საძოვრები;

ბ) კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული ან გამოსაყენებლად ნებადართული წყლის ფონდისა და ტყის ფონდის მიწები;

გ) საკარმიდამო, საბაღე, საბოსტნე და სააგარაკო ნაკვეთები;

დ) დასახლებული პუნქტების ფარგლების გარეთ მდებარე მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ენერგეტიკის, თავდაცვის, დაცული ტერიტორიებისა და სხვა არასასოფლო-სამეურნეო მიწის ის ნაკვეთები, რომლებიც გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით;

ე) ქალაქის, დაბის, სოფლის, კურორტისა და სხვა ტიპის დასახლებათა ფარგლებში მდებარე მიწის ის ნაკვეთები, რომელთა მიზნობრივი დანიშნულება არ არის შეცვლილი და რომელთა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება ნებადართულია კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით;

ვ) სამელიორაციო ქსელებით დაკავებული მიწები;

ზ) სხვა მიწა, რომელიც "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად ითვლება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწად.

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა – ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 41 – ით გათვალისწინებული საქმიანობა.

სატარიფო ღონისძიებები – იმპორტის გადასახადის გადახდევინება.

სატრანსპორტო საშუალება – საავტომობილო, საჰაერო, საზღვაო და სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალება, აგრეთვე ელექტრონადამცემი ხაზი, მილსადენი, კონტეინერი, მისაბმელი, ნახევარმისაბმელი და ნებისმიერი სხვა საშუალება, რომლებიც გამოიყენება მგზავრთა გადაყვანისათვის ან/და საქონლის გადაზიდვისათვის.

საურავი – დანამატი საგადასახადო დავალიანების თანხაზე, თუ გადასახადის თანხა არ არის გადახდილი კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. საურავი შეადგენს საგადასახადო დავალიანების 0,07 %-ს ყოველი ვადაგადაცილებული კალენდარული დღისათვის.

საფონდო ბირჟა – ფასიანი ქაღალდების ორგანიზებული ბაზარი, რომელიც უზრუნველყოფს

ფასიანი ქაღალდებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების ყიდვა-გაყიდვის შესახებ წინადადებების შეგროვებას, ვაჭრობის ორგანიზებას დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად და ავრცელებს დადებულ გარიგებათა შესახებ და ფასებთან დაკავშირებულ სხვა ინფორმაციას.

საფონდო ბირჟის ლისტინგი – ფასიანი ქაღალდების დაშვება ბირჟაზე. ამ შემთხვევაში ხდება ფასიანი ქაღალდების რეგისტრაცია ბირჟაზე, რომელიც წარმოადგენს მათი ყიდვა-გაყიდვის საფუძველს. აქციები, რომლებიც არ არის შეტანილი ლისტინგში ოფიციალურ ვაჭრობას არ ექვემდებარება და იყიდება „ქუჩის" ბაზარზე.

საფოსტო გზავნილი – წერილები და საფოსტო ბარათები, ბანდეროლები, პაკეტები, ამანათები, საფოსტო კონტეინერები, სათანადოდ შეფუთული ბეჭდვითი გამოცემები.

საქართველოს ეკონომიკური საზღვარი – საქართველოს სახელმწიფო საზღვარი.

საქართველოს ეკონომიკური ტერიტორია – ტერიტორია, რომელიც შედგება საქართველოს სახმელეთო ტერიტორიისაგან, ტერიტორიული და შიდა წყლებისაგან და მათი საჰაერო სივრცისაგან. საქართველოს ეკონომიკური ტერიტორია აგრეთვე მოიცავს განსაკუთრებულ საზღვაო ეკონომიკურ ზონაში განლაგებული დანადგარების, ნაგებობებისა და ხელოვნური კუნძულების ტერიტორიებს, რომლებზედაც ვრცელდება საქართველოს განსაკუთრებული იურისდიქცია.

საქართველოს ინტეგრირებული ტარიფი – მონაცემთა სისტემატიზებული ერთობლიობა, რომელიც შედგება:

ა) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურისაგან(სესესნ);

ბ) იმპორტის გადასახდელების განაკვეთებისაგან ან/და შეღავათებისაგან, რომლებიც გამოიყენება სესესნ – ში მოცემული საქონლის მიმართ;

გ) საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული და ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილი შეღავათებისაგან(პრეფერენციებისაგან);

დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი აკრძალვებისა და შეზღუდვებისაგან, რომლებიც გამოიყენება სესესნ – ში მოცემული საქონლის მიმართ.

საქართველოს საქონელი – შემდეგი საქონელი:

ა) საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე(გარდა თავისუფალი ზონისა) მთლიანად წარმოებული ან მიღებული საქონელი(გარდა იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოსაქცევი, საწარმოო ოპერაციების შედეგად მიღებული ნარჩენების, ჯართისა და ნახმარი ნაკეთობისა, რომლებიც შეგროვდა საქართველოში და გამოიყენება მხოლოდ ნედლეულად გადამუშავებისათვის);

ბ) უცხო ქვეყნიდან/თავისუფალი ზონიდან შემოტანილი და იმპორტში მოქცეული საქონელი;

გ) შემოსავლების სამსახურის მიერ განკარგული საქონელი;

დ) შემოტანილი საქონელი შიდა გადამუშავების მიზნებისათვის, რომელიც შემოაქვთ ეკვივალენტური საქონლის სანაცვლოდ;

ე) საქართველოს საქონლისაგან წარმოებული ან მიღებული საქონელი;

ვ) ექსპორტში მოქცეული უცხოური საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტი.

საქართველოს საწარმო – საწარმო, რომლის საქმიანობის ან/და მართვის ადგილი საქართველოშია. საწარმოს საქმიანობის ადგილად ითვლება საწარმოს სახელმწიფო რეგისტრაციის ადგილი, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში – იურიდიული მისამართი, რომელიც მითითებულია საწარმოს სადამფუძნებლო დოკუმენტებში (წესდებაში, ხელშეკრულებაში, დებულებაში). თუ საწარმო საქმიანობას ახორციელებს სახელმწიფო რეგისტრაციის გარეშე და მის სადამფუძნებლო დოკუმენტებში არ არის მითითებული საწარმოს საქმიანობის ადგილი, საწარმოს საქმიანობის ადგილად ითვლება მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელების ადგილი. საწარმოს ძირითადი საქმიანობის განხორციელების ადგილს განსაზღვრავს საგადასახადო ორგანო საწარმოს მიერ წარდგენილი მონაცემების საფუძველზე, ხოლო ასეთი მონაცემების წარუდგენლობის ან საეჭვო მონაცემების წარდგენის შემთხვევაში – არსებული ინფორმაციის საფუძველზე. სათანადო ინფორმაციის არარსებობისა და საწარმოს ძირითადი საქმიანობის ადგილის განსაზღვრის შეუძლებლობის შემთხვევაში საწარმოს საქმიანობის ადგილად ითვლება საწარმოს მართვის ადგილი. როგორც წესი, საწარმოს მართვის ადგილად ითვლება საწარმოს ფაქტობრივი მართვის ადგილი, ანუ ადგილი, სადაც საწარმოს სადამფუძნებლო დოკუმენტების (წესდების, ხელშეკრულების, დებულების) შესაბამისად საწარმოს დირექტორატი (მმართველობის სხვა ორგანო) ასრულებს მმართველობის ფუნქციას, ამ საწარმოს უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოების საქმიანობის ადგილისა და საქმიანობის განხორციელებით შემოსავლების მიღების ადგილის მიუხედავად.

საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი – ასეთი სახის შემოსავლებს განეკუთვნება:

ა) საქართველოში დაქირავებით მუშაობით მიღებული შემოსავალი;

ბ) საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის მინოდებით მიღებული შემოსავალი ან სარგებელი;

გ) საქართველოში მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი. მომსახურება საქართველოში განეულად ითვლება, თუ:

გ.ა) მომსახურება ფაქტობრივად ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე;

გ.ბ) მომსახურება დაკავშირებულია უშუალოდ უძრავ ქონებასთან, რომელიც მდებარეობს საქართველოში;

გ.გ) მომსახურება დაკავშირებულია უშუალოდ მოძრავ ქონებასთან, რომელიც მდებარეობს საქართველოში;

გ.დ) მომსახურება დაკავშირებულია საქართველოს რეზიდენტის მიერ გამოშვებულ ფასიან ქაღალდებთან;

გ.ე) მომსახურების ფაქტობრივად გაწევის ადგილი არის საქართველო და მომსახურება ხორციელდება კულტურის, ხელოვნების, განათლების, ტურიზმის, დასვენების, ფიზიკური კულტურისა და სპორტის სფეროში;

გ.ვ) მომსახურების გაწევა დაკავშირებულია ტვირთების გადატანასთან ან მგზავრთა გადაყვანასთან და ტრანსპორტირების დაწყებისა და დასრულების ადგილი არის საქართველო;

გ.ზ) მომსახურების გამწევი და მომსახურების მიმღები სხვადასხვა სახელმწიფოში არიან და მომსახურების გამწევი საქართველოს რეზიდენტია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მომსახურების გამწევის მიერ მომსახურების გაწევა ხორციელდება სხვა ქვეყანაში მისი მუდმივი დაწესებულების მეშვეობით, რომელიც ადასტურებს, რომ მომსახურების გამწევმა სხვა ქვეყანაში (გარდა საქართველოსი) გასწია მომსახურება;

გ.თ) მომსახურების გამწევი და მომსახურების მიმღები სხვადასხვა სახელმწიფოში არიან და მომსახურების გამწევის მიერ მომსახურების გაწევა ხორციელდება საქართველოში მისი მუდმივი დაწესებულების, დაქირავებულის მეშვეობით ან სხვაგვარად (მათ შორის, მომსახურების გამწევის მიერ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ხარჯი გაწეულია საქართველოში, მიუხედავად მისი ფაქტობრივად გადახდის ადგილისა), რაც ადასტურებს, რომ მომსახურების გამწევმა საქართველოში გასწია მომსახურება;

დ) საქართველოში არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულების მიერ განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი, მათ შორის, შემოსავალი, რომელიც მოიცავს საქართველოში ამ არარეზიდენტის მიერ იდენტური (მსგავსი) საქონლის რეალიზაციით მიღებულ ამონაგებს; შემოსავალი საქართველოში გაწეული მომსახურებიდან, რომელიც მუდმივი დაწესებულების მიერ გაწეული მომსახურების იდენტური ან მსგავსია;

ე) საქართველოში განხორციელებულ ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული უიმედო ვალების ჩამონერის შედეგად ვალდებულებათა გაუქმებითა და ძირითად საშუალებათა რეალიზაციით მიღებული შემოსავალი ან კომპენსაციის შედეგად მიღებული შემოსავლები;

ვ) რეზიდენტი იურიდიული პირისაგან მიღებული დივიდენდები, რეზიდენტი იურიდიული პირის აქციის ან/და იურიდიულ პირში პარტნიორის წილის რეალიზაციით მიღებული შემოსავლები;

ზ) პროცენტი, თუ პროცენტის გადამხდელი არის საქართველოს რეზიდენტი. ამასთანავე, მიუხედავად იმისა არის, თუ არა პროცენტის გადამხდელი პირი საქართველოს რეზიდენტი:

ზ.ა) პროცენტი ჩაითვლება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავლად თუ, არარეზიდენტ პირს საქართველოში აქვს მუდმივი დაწესებულება, რომელსაც უკავშირდება არარეზიდენტი პირის სავალო ვალდებულება და ამ სავალო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ხარჯი მიეკუთვნება მუდმივი დაწესებულების ხარჯებს, მიუხედავად იმისა ეს ხარჯი გაწეული არის, თუ არა ამ მუდმივი დაწესებულების მიერ;

ზ.ბ) პროცენტი არ ჩაითვლება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავლად, თუ რეზიდენტი პირი დაადასტურებს, რომ უცხო ქვეყანაში აქვს მუდმივი დაწესებულება, რომელსაც უკავშირდება რეზიდენტი პირის სავალო ვალდებულება და ამ სავალო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ხარჯი მიეკუთვნება მუდმივი დაწესებულების ხარჯებს, მიუხედავად იმისა, ეს ხარჯი გაწეული არის, თუ არა მუდმივი დაწესებულების მიერ;

თ) რეზიდენტის მიერ გადახდილი პენსია;

ი) როიალტი, თუ როიალტის გადამხდელი არის საქართველოს რეზიდენტი. ამასთანავე, მიუხედავად იმისა არის, თუ არა როიალტის გადამხდელი პირი საქართველოს რეზიდენტი:

ი.ა) როიალტი ჩაითვლება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავლად, თუ არარეზიდენტ პირს საქართველოში აქვს მუდმივი დაწესებულება, რომელთან დაკავშირებითაც წარ-

მოიშვა როიალტის გადახდის ვალდებულება, მიუხედავად იმისა ეს ხარჯი გაწეული არის, თუ არა ამ მუდმივი დაწესებულების მიერ;

ი.ბ) როიალტი არ ჩაითვლება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავლად, თუ რეზიდენტი პირი დაადასტურებს, რომ უცხო ქვეყანაში აქვს მუდმივი დაწესებულება, რომელთან დაკავშირებითაც წარმოიშვა როიალტის გადახდის ვალდებულება, მიუხედავად იმისა, ეს ხარჯი გაწეული არის, თუ არა ამ მუდმივი დაწესებულების მიერ;

კ) საქართველოში არსებული ან გამოყენებული, როიალტის მიღებასთან დაკავშირებული უფლებების რეალიზაციით ან გადაცემით მიღებული შემოსავალი;

ლ) საქართველოში გამოყენებული მოძრავი ქონების იჯარით ან/და სხვა სახელშეკრულებო სარგებლობის უფლების გადაცემით მიღებული შემოსავალი;

მ) საქართველოში არსებული და ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული უძრავი ქონებით მიღებული შემოსავალი, მათ შორის, ასეთ ქონებაში პარტნიორის წილის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი;

ნ) იმ საწარმოს აქციების ან პარტნიორის წილის მიწოდებით მიღებული შემოსავალი, რომლის აქტივების ღირებულების 50 პროცენტზე მეტი პირდაპირ ან არაპირდაპირ იქმნება საქართველოში არსებული უძრავი ქონების ღირებულებიდან;

ო) რეზიდენტი სანარმოდან ან საქართველოში არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულებიდან მართვისათვის, აგრეთვე საფინანსო ან/და სადაზღვევო მომსახურებისათვის (გადაზღვევის მომსახურების ჩათვლით) მიღებული შემოსავალი;

პ) საქართველოში წარმოშობილი რისკის დაზღვევის ან გადაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე სადაზღვევო შენატანების სახით მიღებული შემოსავალი;

ჟ) საქართველოსა და უცხო ქვეყნებს შორის საერთაშორისო გადაზიდვებში სატრანსპორტო მომსახურებით ან საერთაშორისო კავშირგაბმულობაში ტელესაკომუნიკაციო მომსახურებით მიღებული შემოსავალი;

რ) საქართველოში საქმიანობით მიღებული სხვა შემოსავალი.

საქველმოქმედო ორგანიზაცია – ორგანიზაცია, რომელსაც საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მინიჭებული აქვს საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი. საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი ენიჭება ორგანიზაციას, რომელიც შექმნილია საქველმოქმედო საქმიანობის განსახორციელებლად, რეგისტრირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქვს საქველმოქმედო საქმიანობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება და აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს.

საქველმოქმედო ორგანიზაციების ერთიანი რეესტრი – რეესტრი, რომელსაც აწარმოებს შემოსავლების სამსახური. რეესტრში შეიტანება შემდეგი მონაცემები:

ა) ორგანიზაციის სახელწოდება;

ბ) ხელმძღვანელი ორგანოს, ფილიალებისა და წარმომადგენლობების მისამართები;

გ) ძირითადი მიზნები;

დ) სტატუსის მინიჭების თარიღი და ნომერი;

ე) მმართველობის უმაღლესი ორგანოს ყველა წევრის ვინაობა და მისამართები.

საქველმოქმედო ორგანიზაციების ერთიან რეესტრში შეტანილი ნებისმიერი მონაცემის ცვლილების შემთხვევაში ორგანიზაცია ვალდებულია ცვლილებისთანავე წერილობით აცნობოს შესაბამის საგადასახადო ორგანოს ამ ცვლილების შესახებ. საქველმოქმედო ორგანიზაციების ერთიანი რეესტრი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული პირისათვის.

საქველმოქმედო საქმიანობა – საქველმოქმედო საქმიანობად ითვლება:

ა) დახმარების უშუალოდ ან მესამე პირთა მეშვეობით, ნებაყოფლობით და უანგაროდ გაწევა იმ პირებისათვის, რომლებიც ამ დახმარებას საჭიროებენ, მათ შორის:

ა.ა) იმ ფიზიკური პირებისათვის, რომლებიც საჭიროებენ სოციალურ დაცვას, სამედიცინო დახმარებას, აგრეთვე ხელმოკლე ფიზიკური პირებისათვის, მათ შორის: ინვალიდებისათვის, მოხუცებულებისათვის, ობოლი ბავშვებისათვის, მარჩენალდაკარგულებისათვის, ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებული პირებისათვის – ავადმყოფებისათვის, მრავალშვილიანი ოჯახებისა და მათი წევრებისათვის, ომის, შეიარაღებული კონფლიქტების, ავარიების, სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, ეპიდემიების ან/და ეპიზოოტიების შედეგად დაზარალებულებისათვის;

ა.ბ) ბავშვთა, მოხუცებულთა და ინვალიდთა მომვლელი ან მომსახურე ორგანიზაციებისათვის, მათ შორის: ბავშვთა სახლებისათვის, სკოლა – ინტერნატებისათვის, ინტერნატებისათვის, სკოლამდელი და სხვა საბავშვო დანესებულებებისათვის, მოხუცებულთა სახლებისათვის, უფასო სასადილოებისათვის, სამედიცინო დანესებულებებისათვის, სარეაბილიტაციო ცენტრებისათვის;

ა.გ) საქველმოქმედო ორგანიზაციებისათვის;

ა.დ) რელიგიური ორგანიზაციებისათვის;

ა.ე) განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ფიზიკური პირებისათვის – მათი ტალანტის განვითარების მიზნით:

ა.ვ) პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებისათვის – მათში მოთავსებულ პირთა მოვლის ან სამედიცინო მომსახურების პირობების გაუმჯობესების მიზნით;

ა.ზ) იმ პირებისათვის, რომლებიც ახორციელებენ ქვემოთ მითითებული „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას;

ბ) ორგანიზაციების მიერ საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმიანობის განხორციელება შემდეგ სფეროებში: ადამიანის უფლებების დაცვა, გარემოს დაცვა, დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, კულტურა, განათლება, მეცნიერება, ჯანმრთელობის დაცვა, სოციალური დაცვა, ფიზიკური აღზრდა და სამოყვარულო სპორტი, ხელოვნება.

ქველმოქმედებას არ განეკუთვნება ზემოთ აღნიშნული საქმიანობა:

ა) განხორციელებული სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მიერ;

ბ) განხორციელებული საწარმოს, პოლიტიკური პარტიის ან არჩევნებში მონაწილე სხვა საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად;

გ) განხორციელებული ფიზიკური პირის მიერ საკუთარი ნათესავებისათვის ან იურიდიული პირის მიერ მისი მმართველობის ორგანოთა ხელმძღვანელებისათვის და მათი ნათესავებისათვის;

დ) თუ ის „რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონით ითვლება სპონსორობად.

საქონელი – მატერიალური ან არამატერიალური ქონება, მათ შორის, ელექტრო – და თბოენერგია, გაზი და წყალი. დღგ-ის მიზნებისათვის საქონელს არ განეკუთვნება ფული. საქართველოს ეკონომიკური საზღვრის გადაკვეთის მიზნებისათვის, საქონელი არის მატერიალური ქონება, მათ შორის ფული, ფასიანი ქაღალდები, ელექტრო და თბოენერგია, გაზი და წყალი.

საქონლის გამოსავლიანობა – გადამუშავებული საქონლის რაოდენობა ან პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც მიღებულია გადამუშავების პროცესში მოქცეული გარკვეული ოდენობის საქონლის გადამუშავების შედეგად.

საქონლის განკარგვა – შემოსავლების სამსახურის ან დეკლარანტის ინიციატივით ჩასატარებელი პროცედურები. კერძოდ, საქონლის შემოტანა – გატანის შესაბამისი პროცედურების დარღვევის დროს შემოსავლების სამსახურის მიერ საქონლის მიმართ განსახორციელებელი ღონისძიებები მოიცავს:

ა) საგადასახადო სამართალდარღვევის საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევას;

ბ) საქონლის რეალიზაციას;

გ) საქონლის განადგურებას;

დ) საქონლის გადაცემას სახელმწიფო საკუთრებაში.

დეკლარანტის ინიციატივით განკარგვის ღონისძიებები მოიცავს:

ა) საქონლის გადაცემას სახელმწიფო საკუთრებაში;

ბ) საქონლის განადგურებას.

საქონლის გაფორმება – საქონლის გაშვებისათვის აუცილებელი ღონისძიებების განხორციელება.

საქონლის გაშვება – დეკლარანტისათვის საქონლის განკარგვის ან/და საქონლით სარგებლობის უფლების მინიჭება საქონლის მიმართ გამოყენებული სასაქონლო ოპერაციის პირობების შესაბამისად.

საქონლის დეკლარირება – მოქმედება, რომლითაც პირი აცხადებს საქონლის მიმართ დამუშავების ოპერაციის გამოყენების განზრახვას.

საქონლის დროებითი შემოტანა – სასაქონლო ოპერაცია, რომელიც საშუალებას იძლევა, საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე დაბრუნების ვალდებულებით შემოტანილი უცხოური საქონელი შემოტანისას გადასახდელების გადახდისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლების პირობითა და არასატარიფო პოლიტიკის ღონისძიებების გამოყენებით, გარკვეული დროის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე უცვლელად იქნეს გამოყენებული, გარდა იმ ცვლილებებისა, რომლებიც გამოწვეულია ექსპლუატაციით, ტრანსპორტირებით ან შენახვის ნორმალური პირობებისათვის ბუნებრივი დანაკარგებით. საქონლის დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციაში შეიძლება მოექცეს ასევე ის უცხოური საქონელი, რომლის მიმართაც უკვე განსაზღვრული იყო სხვა სასაქონლო ოპერაცია.

საქონლის დროებითი შენახვა – კონტროლქვეშ არსებული საქონლის შენახვა სასაქონლო ოპერაციის შერჩევამდე ან შერჩეული სასაქონლო ოპერაციის გამოყენების შემდეგ.

საქონლის კლასიფიკაცია – საქონლის იდენტიფიცირება და სასაქონლო კოდის განსაზღვრა საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის მიხედვით.

საქონლის მიწოდება – პირის მიერ სხვა პირისთვის საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემა სასყიდლით (მათ შორის, საქონლის რეალიზაცია, გაცვლა, ხელფასის ან ნატურალური ფორმით ანაზღაურება) ან უსასყიდლოდ.

საქონლის მფლობელი – პირი, რომელიც საქართველოს ეკონომიკური საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებულ ოპერაციებში, არის საქონლის მესაკუთრე ან ვისაც აქვს საქონლის განკარგვის მსგავსი უფლება ან რომლის ფიზიკური კონტროლის ქვეშ არის საქონელი.

საქონლის რეექსპორტი – სასაქონლო ოპერაცია, რომელიც საშუალებას იძლევა, საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე შემოტანილი უცხოური საქონელი გატანილ იქნეს საქართველოს ეკონომიკური ტერიტორიის გარეთ გადასახდელების გადახდისაგან გათავისუფლებით ან გადახდილი თანხის დაბრუნებით ან/და მომავალ ვალდებულებათა ანგარიშში ჩათვლით, იმ სასაქონლო ოპერაციისათვის დადგენილი პირობების გათვალისწინებით, რომელშიც მოქცეული იყო საქონელი.

საქონლის სატარიფო ღირებულება – საქონლის ფასი ამ საქონლის დეკლარირების დღისათვის.

საქონლის სატარიფო ღირებულების განსაზღვრის მეთოდები – იმპორტის დროს საქონლის ფასის დადგენის შემდეგი 6 მეთოდი:

ა) გარიგების ფასის მეთოდი;

ბ) იდენტური საქონლის გარიგების ფასის მეთოდი;

გ) მსგავსი საქონლის გარიგების ფასის მეთოდი;

დ) საქონლის ერთეულის ფასის მეთოდი;

ე) შედგენილი ღირებულების მეთოდი;

ვ) სარეზერვო მეთოდი.

საქონლის ტრანზიტი – სასაქონლო ოპერაცია, რომელიც საშუალებას იძლევა, უცხოური საქონელი საქართველოს ეკონომიკური ტერიტორიის გავლით გადაადგილდეს სატარიფო ღონისძიებების განხორციელების გარეშე, სახელმწიფო კონტროლის ქვეშ.

საქონლის/მომსახურების საკონტროლო შესყიდვა – გადასახადის გადამხდელის საქმიანობაზე მიმდინარე კონტროლის პროცედურა, რომლის მიზანია გადასახადის გადამხდელის მიერ საქონლის მიწოდებით ან/და მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავლების რეალური მოცულობის დადგენა ან/და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების გამოვლენა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, განახორციელოს გადასახადის გადამხდელისაგან საქონლის/მომსახურების საკონტროლო შესყიდვა ან/და დაადგინოს საქონლის/მომსახურების ფასი საკონტროლო შესყიდვის შეთავაზებით ან/და საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტის გამოვლენის მიზნით გადასახადის გადამხდელს შესაძენად შესთავაზოს საქონელი/მომსახურება. საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი გადასახადის გადამხდელისაგან საქონლის/მომსახურების საკონტროლო შესყიდვის ან/და საკონტროლო შესყიდვის შეთავაზების პროცედურის განხორციელებისას გამოდის, როგორც ფსევდომომხმარებელი.

საქონლის წარდგენა – შემოსავლების სამსახურის მიერ განსაზღვრულ ადგილზე საქონლის მიტანის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

საშემოსავლო გადასახადი – ფიზიკური პირის გადასახადი, რომლის დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც, როგორც წესი, განისაზღვრება, როგორც სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ პერიოდისათვის გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის.

საშუალო შეწონილი შეფასების მეთოდი – სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საგადასახადო აღრიცხვის წესი, რომლის დროსაც რეალიზებული საქონლის თვითღირებულების დადგენა ხდება საქონლის ერთეულის საშუალო ფასის გამოყვანით. მაგ. თვის განმავლობაში სამჯერ იქნა შეძენილი 1, 2 და 3 ერთეულის ერთი და იგივე სახის საქონელი, რომელთა შეძენის ღირებულებებია შესაბამისად: 1, 2 და 3 ლარი. საწარმომ გაყიდა 2 ერთეული საქონელი, რომლის თვითღირებულება იქნება 2,3 x 2=4,6 ლარი. (2,3 არის ერთეულის საშუალო შეწონილი ფასი – 1x1+2x2+3x3=14:6=2,3).

საცალო ფასი – სავაჭრო ქსელში საერალიზაციო ანუ საბოლოო მოხმარებისათვის გამიზნული ფასი, რომელიც მოიცავს საწარმოს საბითუმო(გასაცემ) ფასსა და სავაჭრო(საშუამავლო) ფასნამატს.

საწარმო – საწარმოდ ითვლება შემდეგი წარმონაქმნები, რომლებიც ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას ან შექმნილნი არიან ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად:

ა) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირები;

ბ) უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი კორპორაციები, კომპანიები, ფირმები და სხვა მსგავსი წარმონაქმნები, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა იურიდიული პირის სტატუსი, აგრეთვე უცხოური სანარმოს მუდმივი დაწესებულება;

გ) გაერთიანებები, ამხანაგობები და სხვა მსგავსი წარმონაქმნები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ზემოაღნიშნული „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით.

საწარმოს არ განეკუთვნება ინდივიდუალური მეწარმე.

საწარმოს კაპიტალი – მატერიალური და არამატერიალური აქტივების ერთობლიობა. ბუღალტრულად კაპიტალს ინვესტორის მოთხოვნას უწოდებენ.

საწარმოს მართვის ადგილი – როგორც წესი, საწარმოს მართვის ადგილად ითვლება საწარმოს ფაქტობრივი მართვის ადგილი, ანუ ადგილი, სადაც საწარმოს სადამფუძნებლო დოკუმენტების (წესდების, ხელშეკრულების, დებულების) შესაბამისად საწარმოს დირექტორატი (მმართველობის სხვა ორგანო) ასრულებს მმართველობის ფუნქციას, ამ საწარმოს უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოების საქმიანობის ადგილისა და საქმიანობის განხორციელებით შემოსავლების მიღების ადგილის მიუხედავად.

საწარმოს რესტრუქტურიზაციის რეჟიმი – ვადაგადაცილებული საგადასახადო ან/და სასესხო დავალიანების რესტრუქტურიზაციის უფლება, რომელიც საწარმოს ეძლევა მხოლოდ გადახდისუუნარობის შემთხვევაში და მხოლოდ ერთხელ, გარდა განსაკუთრებული შემთხვევისა. იგი გულისხმობს ვადაგადაცილებული საგადასახადო/სასესხო დავალიანებების ჩამოწერას, გაყინვას გარკვეული ვადით, გარკვეული ოდენობის პატიებას, ცალკეული სასესხო დავალიანების მესამე პირისათვის გადაცისრებას, ცალკეული სასესხო დავალიანების დაფარვის მოთხოვნის უფლების სხვა იურიდიული პირისათვის გარკვეული დისკონტით დათმობას.

საწარმოს ფილიალები – ქვედანაყოფები, რომელიც არ არის იურიდიული პირი. საქართველოში რეგისტრირებული საწარმოს ფილიალი რეგისტრაციას არ ექვემდებარება. უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალის (მუდმივი დაწესებულების) საქართველოში დაარსების შემთხვევაში მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა წარედგინოს შემდეგი საბუთები:

ა) განცხადება ფილიალის რეგისტრაციის შესახებ;

ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამოწმებული, საწარმოს გადაწყვეტილება ფილიალის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ ან მინდობილობა პირისათვის ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ;

გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამოწმებული ამ კანონით დადგენილი მონაცემები საწარმოსა და მისი ხელმძღვანელის შესახებ.

საწარმოს საქმიანობის ადგილი – საწარმოს საქმიანობის ადგილად ითვლება საწარმოს სახელმწიფო რეგისტრაციის ადგილი, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში – იურიდიული მისამართი, რომელიც მითითებულია საწარმოს სადამფუძნებლო დოკუმენტებში (წესდებაში, ხელშეკრულებაში, დებულებაში). თუ საწარმო საქმიანობას ახორციელებს სახელმწიფო რეგისტრაციის გარეშე და მის სადამფუძნებლო დოკუმენტებში არ არის მითითებული საწარმოს საქმიანობის ადგილი, საწარმოს საქმიანობის ადგილად ითვლება მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელების ადგილი. საწარმოს ძირითადი საქმიანობის განხორციელების ადგილს განსაზღვრავს საგადასახადო ორგანო საწარმოს მიერ წარდგენილი მონაცემების საფუძველზე, ხოლო ასეთი მონაცემების წარუდგენლობის ან საეჭვო მონაცემების წარდგენის შემთხვევაში – არსებული ინფორმაციის საფუძველზე. სათანადო ინფორმაციის არარსებობისა და საწარმოს ძირითადი საქმიანობის ადგილის განსაზღვრის შეუძლებლობის შემთხვევაში საწარმოს საქმიანობის ადგილად ითვლება საწარმოს მართვის ადგილი.

საწარმოს სახელმწიფო რეგისტრაციის ადგილი – მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში მითითებული შესაბამისი ადგილი.

საწესდებო კაპიტალი – მოქმედი კანონმდებლობით საწესდებო კაპიტალის შექმნის ვალდებულება არ არსებობს. საქართველოს კანონმდებლობაში ტერმინი „საწესდებო კაპიტალი" შეიძლება გამოყენებული იყოს საზოგადოების დაფუძნებისას მისი კაპიტალის (შენატანების ჯამი), საზოგადოების საკუთარი კაპიტალის, საზოგადოების აქციების ნომინალური ღირებულების აქციების რაოდენობაზე ნამრავლის, საწარმოს პარტნიორთა ხმების სრული რაოდენობის მნიშვნელობით.

საწყობი – სასაქონლო ოპერაცია, რომელიც საშუალებას იძლევა საწყობში/ტერმინალში/შენახვის სხვა ადგილში დასაწყობდეს:

ა) უცხოური საქონელი საბარიფო და არასაბარიფო ღონისძიებების გატარების გარეშე;

ბ) ექსპორტში მოქცეული საქართველოს საქონელი.

სახელმწიფო – საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება(ორგანოები).

სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია – მეცნიერის ანუ იმ ფიზიკური პირის, რომელიც დასაქმებულია საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიურ თანამდებობაზე ან სამეცნიერო – კვლევით დაწესებულებაში სამეცნიერო თანამდებობაზე, ყოველთვიური ფულადი უზრუნველყოფა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესითა და ოდენობით;

სახელმწიფო ან/და საგადასახადო რეგისტრაციის მოწმობა – შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული დოკუმენტები.

სახელმწიფო ზედამხედველობა – შემოსავლების სამსახურის მიერ გასატარებელ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია საქონლის მიმართ სავაჭრო პოლიტიკით გათვალისწინებული ღონისძიებების, შეზღუდვებისა და აკრძალვების დაცვა.

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდი – ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გამოშვებულია თანხების მოზიდვის მიზნით საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ, მოკლევადიანი, საშუალოვადიანი ან გრძელვადიანი, პროცენტიანი ან უპროცენტო სახით, გამოსახული ეროვნული ან კონვერტირებადი ვალუტით.

სახელმწიფო კომპენსაცია – პირის ყოველთვიური ფულადი უზრუნველყოფა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესითა და ოდენობით;

სახელმწიფო კონტროლი – შემოსავლების სამსახურის მიერ განხორციელებული ცალკეული მოქმედებები, რომელთა მიზანია საქართველოს ეკონომიკური საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის უზრუნველყოფა.

სახელმწიფო კონტროლის ფორმები – შემოსატან-გასატანი საქონლის კონტროლის შემდეგი სახის ღონისძიებები:

ა) დოკუმენტებისა და მონაცემების შემოწმება;

ბ) ზეპირი გამოკითხვა;

გ) ახსნა – განმარტების მიღება;

დ) დაკვირვება(ვიდეო და აუდიო ჩაწერა);

ე) საქონლის, სატრანსპორტო საშუალებისა და ტერიტორიის დათვალიერება;

ვ) სინჯისა და ნიმუშის აღება ლაბორატორიული კვლევის მიზნით;

ზ) ფიზიკური პირის დათვალიერება;

თ) საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმება.

სახელმწიფო პენსია – „სახელმწიფო პენსიის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული პირობებით პირის ყოველთვიური ფულადი უზრუნველყოფა;

სახელმწიფო რეგისტრაცია – მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგისტრაცია.

სახელმწიფო სტიპენდია – საქართველოს პრეზიდენტის ან საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით ცალკეული პირებისადმი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ყოველთვიური თანხები.

სახელმწიფო ხელისუფლება – აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლება.

საჯარო ინფორმაცია – ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები) ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია;

საჯარო რეესტრი – ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა, ყადაღისა და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის წარმოშობის, მათში ცვლილებისა და მათი შეწყვეტის, ასევე უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვების წარმოშობისა და მასში ცვლილების შესახებ მონაცემთა ერთობლიობა.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას, აგრეთვე ავტონომიური

რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით შექმნილი, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას. ქალაქ თბილისში ქალაქ თბილისის მთავრობის ნორმატიული აქტით შეიძლება შეიქმნას საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით.

საჯარო ფასიანი ქაღალდი – იმ კლასის ფასიანი ქაღალდი, რომელიც განთავსდა საჯარო შეთავაზების გზით ან/და დაშვებულია სავაჭროდ საფონდო ბირჟაზე.

სერვიტუტი – სხვისი უძრავი ქონებით სარგებლობის უფლება. კერძოდ, მიწის ნაკვეთი ან სხვა უძრავი ქონება შეიძლება სხვა მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრის სასარგებლოდ ისე იქნეს გამოყენებული (დატვირთული), რომ ამ მესაკუთრეს უფლება ჰქონდეს, ცალკეულ შემთხვევებში ისარგებლოს ამ ნაკვეთით, ან აიკრძალოს ამ ნაკვეთზე ზოგიერთი მოქმედების განხორციელება, ანდა გამოირიცხოს დატვირთული ნაკვეთის მესაკუთრის ზოგიერთი უფლების გამოყენება სხვა ნაკვეთის მიმართ (სერვიტუტი). სერვიტუტის დადგენის მიმართ გამოიყენება უძრავი ნივთის შეძენისათვის გათვალისწინებული წესები. საზღაური შეიძლება განისაზღვროს პერიოდული გადასახდელის სახით. სერვიტუტი შეიძლება არსებობდეს მხოლოდ მაშინ, როცა იგი უფლებამოსილ პირს უქმნის თავისი მიწის ნაკვეთით სარგებლობის შეღავათს. სერვიტუტის განხორციელებისას უფლებამოსილი პირი უნდა გაუფრთხილდეს გამოყენებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ინტერესებს.

სვოპი – გარიგება უცხოური ვალუტის ყიდვის ან გაყიდვის შესახებ, მისი შემდგომი გაყიდვის ან გამოსყიდვის წინასწარ დათქმული პირობები.

სოფლის მეურნეობის პროდუქცია – სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული პროდუქტი. ამასთანავე, სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრენველო გადამუშავებად (სასაქონლო კოდის შეცვლად) არ ითვლება ბიოლოგიური ტრანსფორმაციის შედეგად სასაქონლო კოდის შეცვლა, აგრეთვე ბიოლოგიური აქტივიდან ნაყოფის მიღება (პროდუქციის მოცილება ან ბიოლოგიური აქტივის სიცოცხლის პროცესის შეწყვეტა).

სოფლის მეურნეობის პროდუქცია სამრეწველო გადამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე) – სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ პირველადი მიწოდებით რეალიზებული ის სოფლის მეურნეობის პროდუქცია, რომელიც მიწოდებამდე არ იცვლის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის კოდს.

სპეციალური სავაჭრო ზონა – იურიდიული პირის სტატუსი, რომელიც მას ენიჭება ვაჭრობის ორგანიზებისათვის. ვაჭრობის ორგანიზება არის პირის ან/და პირთა ჯგუფის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული ბაზრის ან/და შენობა-ნაგებობების ტერიტორიაზე განლაგებული სავაჭრო ობიექტებისა და სავაჭრო ადგილების გაქირავება.

სპონსორობა – ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ სხვა ფიზიკური და იურიდიული პირების საქმიანობაში წვლილის შეტანა (ფულადი სახსრების, ქონების, ინტელექტუალური მოღვაწეობის შედეგების, მომსახურების გაწევისა და გაწეული მომსახურების, სამუშაოს შესრულების სახით) სპონსორის მიერ წარმოებული საქონლის რეკლამის გავრცელების პირობით. სპონსორული შენატანი განიხილება რეკლამის ღირებულებად, ხოლო სპონსორი და დასპონსორებული, შესაბამისად, – რეკლამის დამკვეთად და რეკლამის გამავრცელებლად. სპონსორს უფლება არა აქვს, ჩაერიოს რეკლამის მწარმოებლისა და გამავრცელებლის საქმიანობაში. სპონსორობის უფლება არა აქვთ იმ პირებს, რომელთა ნაწარმის ან საქმიანობის გავრცელებაც აკრძალულია ამ კანონით. აკრძალულია თამბაქოს მწარმოებლების, იმპორტიორებისა და რეალიზატორების მიერ პირდაპირი ან/და არაპირდაპირი, ანუ სხვა იურიდიული თუ ფიზიკური პირის საშუალებით, სპონსორობა; პროგრამის მომზადების ან ეთერში გადაცემის პირდაპირი ან ირიბი დაფინანსება ან თანადაფინანსება პირის მიერ, მისი სახელის, სავაჭრო ნიშნის, იმიჯის, საქმიანობის განვითარების რეკლამირების მიზნით;

სუსტი კაპიტალიზაცია – პირის მიერ აღებული ვალის თანაფარდობა პირის კაპიტალთან, როდესაც პირის ვალის მისივე კაპიტალთან შეფარდება 3/1-ზე მეტია. სუსტი კაპიტალიზაციის შემთხვევაში პირის მიერ ვალზე გადახდილი ან/და გადასახდელი პროცენტები (განსხვავებული საპროცენტო განაკვეთების არსებობის შემთხვევაში – ყველაზე მაღალი საპროცენტო განაკვეთის მიხედვით) მისი ერთობლივი შემოსავლიდან არ გამოიქვითება.

სუფთა მარჟის მეთოდი – საწარმოს მიერ კონტროლირებული გარიგების ფარგლებში შესაბამის მაჩვენებელთან მიმართებაში(მაგ. ხარჯი, გაყიდვები, აქტივები) მიღებული სუფთა მოგების მარჟის შედარება იგივე მაჩვენებლებთან მიმართებაში დამოუკიდებელი გარიგების ფარგლებში მიღებული სუფთა მოგების მარჟასთან.

– ტ –

ტერიტორიული წყლები – გარკვეული სიგანის საზღვაო სარტყელი, რომელიც აკრავს ქვეყნის სახმელეთო ტერიტორიას. საქართველოს ტერიტორიული წყლები (ზღვა) შეადგენს 12 საზღვაო მილს ანუ დაახლოებით 22,2 კმ – ს.

ტერმინალი – შემოსავლების სამსახურის კონტროლის ზონა, სადაც ხორციელდება საქონლის გაფორმება და დასაწყობება.

ტექნიკური დახმარება – ყველა სახის დახმარება, გარდა ფინანსურისა.

ტრანზიტი – იხ. საქონლის ტრანზიტი.

ტურისტული მომსახურების პაკეტი – ტურისტული მომსახურების ძირითად ფორმათა (კვება, ღამის თევა განთავსების სხვადასხვა საშუალებებში, სატრანსპორტო მომსახურება, ექსკურსიები, ტურისტული ღაშქრობები და ა.შ.) არანაკლებ ორი კომპონენტისაგან შემდგარი კომპლექსი, რომელიც აუცილებელია ტურისტის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და რომლის ღირებულება შედის ტურისტული საგზურის ფასში.

– უ –

უგზო-უკვლოდ დაკარგული ფიზიკური პირის საგადასახადო ვალდებულება – სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული ფიზიკური პირის საგადასახადო დავალიანების გადახდა პირის მიერ, რომელიც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ უფლებამოსილია მართოს უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ქონება მისი უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებიდან სამი თვის განმავლობაში, უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ქონების ხარჯზე. პირი, რომელიც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ უფლებამოსილია მართოს უგზო-უკვლოდ დაკარგული ფიზიკური პირის ქონება, ვალდებულია დადგენილ ვადაში გადაიხადოს უგზო-უკვლოდ დაკარგული გადასახადის გადამხდელის მიერ გადაუხდელი გადასახადები, აგრეთვე მისი უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების დღისათვის დაკისრებული სანქციების თანხა უგზო-უკვლოდ დაკარგული ფიზიკური პირის ქონების (ფულადი სახსრების) ხარჯზე. საგადასახადო ორგანო ვალდებულია პირს, რომელიც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ უფლებამოსილია მართოს უგზო-უკვლოდ დაკარგული ფიზიკური პირის ქონება, გაუგზავნოს შეტყობინება უგზო-უკვლოდ დაკარგული ფიზიკური პირის ნაცვლად დაფაროს საგადასახადო დავალიანება.

უზუფრუქტი – უძრავი ნივთის გადაცემა სხვა პირის სარგებლობაში ისე, რომ იგი უფლებამოსილია, როგორც მესაკუთრემ, გამოიყენოს ეს ნივთი და არ დაუშვას მესამე პირთა მიერ მისით სარგებლობა, მაგრამ მესაკუთრისაგან განსხვავებით, მას არა აქვს ამ ნივთის გასხვისების, იპოთეკით დატვირთვის ან მემკვიდრეობით გადაცემის უფლება (უზუფრუქტი). ამ ნივთის გაქირავების ან იჯარით გადაცემისათვის საჭიროა მესაკუთრის თანხმობა. უზუფრუქტის გაუქმების შემდეგ მესაკუთრე ხდება არსებული ქირავნობის ან იჯარის ურთიერთობების მონაწილე. უზუფრუქტუარს მესაკუთრის თანხმობის გარეშე არა აქვს უფლება შეცვალოს სარგებლობის მიზანი. უზუფრუქტუარი უფლებამოსილია მიიღოს ამ ნივთის ის ნაყოფიცა და სარგებელიც, რომლებიც არ არის მიღებული ნივთის ჩვეულებრივი სამეურნეო გამოყენების შედეგად. ამ შემთხვევაში იგი ვალდებულია მესაკუთრეს აუნაზღაუროს ის ზიანი, რაც მიადგა ნივთს ასეთი გამოყენების შედეგად. უზუფრუქტუარი პასუხს არ აგებს ნივთის ნორმალური ცვეთისათვის. იგი ვალდებულია აანაზღაუროს მიმდინარე ხარჯები, გაარემონტოს ნივთი, აგრეთვე იზრუნოს ნივთის ნორმალური სამეურნეო მოვლისათვის. უზუფრუქტი შეიძლება იყოს სასყიდლიანი და უსასყიდლო.

უიმედო ვალი – საქონლის ან/და მომსახურების რეალიზაციის ან აღნიშნულის ფარგლებში წინასწარი გადახდის შედეგად გადასახადის გადამხდელის მიერ აღიარებული მოთხოვნა ან მისი ნაწილი, რომლის გადახდის ვადა გასულია და რომელიც არ იქნა ანაზღაურებული მიმდინარე საგადასახადო წლის ბოლომდე, ამასთანავე, არსებობს ერთ-ერთი შემდეგი დოკუმენტი:

ა) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;

ბ) ცნობა აღსრულების ორგანოდან სააღსრულებო ფურცლის აღსასრულებლად მიქცევის შედეგად კრედიტორის მიერ სასამართლოს გადაწყვეტილებით კუთვნილი თანხის მიუღებლობის ან ნაწილობრივ მიღების თაობაზე;

გ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განჩინება შესაბამისი პირის მიმართ გადახდისუუნარობის თაობაზე განცხადების წარმოებაში მიღების ან გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების ანდა რეაბილიტაციის დაწყების შესახებ, ამასთანავე, თუ მოსამართლის მიერ ამ კრედიტორის მოთხოვნა არ იქნა აღიარებული;

დ) ცნობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან რეგისტრაციის გაუქმების შესახებ ან გარდაცვალების ცნობა.

უიმედო საგადასახადო დავალიანება – სხვაობა გარდაცვლილი პირის საგადასახადო დავალიანების მოცულობის მეტობასა და მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულებას შორის.

უკუდაბეგვრა – არარეზიდენტი ფიზიკური პირის (გარდა საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირისა) ან არარეზიდენტი საწარმოს მიერ საგადასახადო აგენტისათვის(ნებისმიერი გადასახადის გადამხდელი რეზიდენტი ან არარეზიდენტის მუდმივი დანესებულება, გარდა არამეწარმე ფიზიკური პირისა და თავისუფალი ინდუსტრიული ზონის სანარმოსა) საქართველოს ტერიტორიაზე გაწეული მომსახურების დაბეგვრა დამატებული ღირებულების გადასახადით.

უპატრონო საქონელი – უნინდელი მესაკუთრის მიერ საკუთრებაზე უარის თქმის მიზნით საქონლის მფლობელობის მიტოვება.

ურთიერთდამოკიდებული პირები – პირები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობამ შეიძლება გაელენა მოახდინოს მათი ან მათ მიერ წარმოდგენილი პირების საქმიანობის პირობებზე ან ეკონომიკურ შედეგებზე. განსაკუთრებულ ურთიერთობებს განეკუთვნება ურთიერთობები, რომელთა დროსაც:

ა) პირები არიან ერთი საწარმოს დამფუძნებლები (მონაწილეები), თუ მათი ჯამური წილი არანაკლებ 20 პროცენტია;

ბ) ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს მეორე პირ – საწარმოში, თუ ასეთი მონაწილეობის წილი არანაკლებ 20 პროცენტია;

გ) პირი ახორციელებს საწარმოს კონტროლს;

დ) ფიზიკური პირი თანამდებობრივად ექვემდებარება სხვა ფიზიკურ პირს;

ე) ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მეორე პირს;

ვ) პირებს პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მესამე პირი;

ზ) პირები ერთად, პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებენ მესამე პირს;

თ) პირები ნათესავები არიან;

ი) პირები ამხანაგობის წევრები არიან.

ურთიერთდამოკიდებული პირები(საბაჟო მიზნებისათვის) – შემდეგი პირები:

ა) ისინი არიან ერთმანეთის საწარმოების/კომპანიების ხელმძღვანელი პირები ან დირექტორები;

ბ) ისინი არიან საქმიანობაში კანონიერად აღიარებული პარტნიორები;

გ) ისინი არიან დამსაქმებელი და დასაქმებული;

დ) არსებობს მესამე პირი, რომელიც პირდაპირ ან ირიბად ფლობს, აკონტროლებს ან აქვს ორივე პირის ხმის უფლების მქონე აქციების 5 ან მეტი პროცენტი;

ე) ერთ-ერთი მათგანი პირდაპირ ან ირიბად აკონტროლებს მეორეს;

ვ) ორივე პირს პირდაპირ ან ირიბად აკონტროლებს მესამე პირი;

ზ) ისინი ერთად პირდაპირ ან ირიბად აკონტროლებენ მესამე პირს;

თ) ისინი არიან ერთი ოჯახის წევრები.

უძრავი ქონება – ნივთები, რომელსაც მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე.

უცხოური საქონელი – საქონელი, რომელსაც არ აქვს საქართველოს საქონლის სტატუსი. უცხოურ საქონლად ითვლება ის საქართველოს საქონელიც, რომელმაც დატოვა საქართველოს ეკონომიკური ტერიტორია(გარდა თავისუფალ ზონაში მისი განთავსებისა).

უცხოური საწარმო – სანარმო, რომელიც არ არის საქართველოს საწარმო. (იხ. საქართველოს საწარმო).

უცხოეთში გადახდილი გადასახადის ჩათვლა – შემოსავალზე, რომელიც მიღებული არ არის საქართველოში არსებული წყაროდან, საქართველოს ფარგლებს გარეთ გადახდილი მოგების გადასახადის თანხები ჩაითვლება შესაბამისი საგადასახადო წლისათვის ამ მოგებაზე გადასახადის გადახდისას. ჩათვლილი თანხების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გადასახადების იმ თანხებს, რომლებიც დარიცხული იქნებოდა საქართველოში ამ მოგებაზე საქართველოში მოქმედი წესითა და განაკვეთებით.

– ფ –

ფასიანი ქაღალდები – მიმოქცევადი ფინანსური ინსტრუმენტები და უფლებები, რომელთა საჯარო შეთავაზებაც შესაძლებელია წილობრივი თუ სასესხო ფასიანი ქაღალდების სახით (ან მათი კომბინირებული ვარიანტით) ან რომლებიც შეიძლება გარდაიქმნას ასეთებად ან რომლებიც არიან

ასეთებზე ხელმონერისა თუ ასეთების შეძენის უფლების მატარებლები, საინვესტიციო ხელშეკრულებები და ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული სხვა ინსტრუმენტები და უფლებები.

ფასიანი ქაღალდების ემიტენტი – პირი, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით უშვებს ფასიან ქაღალდებს.

ფასნამატი – სავაჭრო (სავაჭრო – საშუამავლო) ორგანიზაციის მიერ საქონლის გასაყიდ და შესასყიდ ფასებს შორის სხვაობის თანხა.

ფასნამატის მეთოდი – ფასნამატის, რომელიც დადებულია კონტროლირებული გარიგების დროს საქონლის ან მომსახურების მიწოდებისას გაწეულ პირდაპირ ან არაპირდაპირ ხარჯზე, შედარება ფასნამატზე, რომელიც დადებულია შედარებადი დამოუკიდებელი გარიგების დროს საქონლის ან მომსახურების მიწოდებისას გაწეულ პირდაპირ ან არაპირდაპირ ხარჯზე.

ფაქტორინგი – სავაჭრო-საკომისიო ოპერაციის სახეობა, რომელიც შეხამებულია კლიენტის საბრუნავი კაპიტალის დაკრედიტებასთან, მოიცავს კლიენტის დებიტორული დავალიანების ინკასირებას, დაკრედიტებას და საკრედიტო და სავალუტო რისკის გარანტიებს;

ფინანსური ვალდებულება – ფულადი სავალო ვალდებულება. მაგ. თამასუქი.

ფინანსური ინსტიტუტი – იურიდიული პირები, რომელთა საქმიანობაა ფინანსური მომსახურების განხორციელება და რომლებიც მოქმედებენ კომერციული ბანკის, სადაზღვევო ორგანიზაციის, გადამზღვეველი კომპანიის, საინვესტიციო ბანკის, საფონდო ბირჟის, ცენტრალური დეპოზიტარის, საბროკერო კომპანიის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, საკრედიტო კავშირის, საინვესტიციო ფონდის ან/და ფინანსური მომსახურების განმახორციელებელი სხვა ორგანიზაციის სახით. საქართველოს ეროვნულ ბანკს შეუძლია გააფართოოს და განმარტოს ფინანსური ინსტიტუტების ჩამონათვალი.

ფინანსური ინსტრუმენტი – ნებისმიერი შეთანხმება (ხელშეკრულება), რომელიც წარმოშობს როგორც ერთი პირის ფინანსურ აქტივს, ისე მეორე პირის ფინანსურ ვალდებულებას. იგი მოიცავს: ფულად სახსრებს (ნაღდი და უნაღდო ფორმით), სესხებს (კრედიტებს), სასესხო ვალდებულებებს, თამასუქებსა და ფასიან ქაღალდებს, მათ შორის: კაპიტალში წილებს, აქციებს, ობლიგაციებს და ისეთ წარმოებულ ფასიან ქაღალდებს, როგორებიცაა: ოფციონი, ფიუჩერსი, ფორვარდი, სვოპი და სხვა. ფინანსური ინსტრუმენტი აგრეთვე მოიცავს ფულადი გამოსახვის მქონე, საქართველოს კანონმდებლობით დაშვებულ ნებისმიერ შეთანხმებას ორ სუბიექტს (კონტრაგენტს) შორის. ამასთანავე, თუ აღნიშნული შეთანხმების არსებობის პერიოდში მის ნებისმიერ ეტაპზე ამ შეთანხმების შედეგად განხორციელდა საქონლის ან/და მომსახურების მიწოდება, გარდა ფინანსური ოპერაციებისა და მომსახურების მიწოდებისა, ამ ფინანსური ინსტრუმენტის მფლობელ სუბიექტებს შორის ან/და მესამე პირებისათვის/მესამე პირებისაგან, ასეთი მიწოდების მომენტიდან იგი აღარ ითვლება ფინანსურ ინსტრუმენტად.

ფინანსური მომსახურება – ფინანსურ ინსტრუმენტებთან ან/და ფინანსურ ოპერაციებთან დაკავშირებული მომსახურება.

ფინანსური ოპერაციები – შემდეგი სახის ოპერაციები:

ა) ყველა სახის ანგარიშის (მათ შორის, საანგარიშსწორებო, სადეპოზიტო, საბროკერო და ა. შ.) გახსნა, განკარგვა, დახურვა, აგრეთვე ნებისმიერი საგადამხდელო ინსტრუმენტით სარგებლობა, მათ შორის, კლირინგი და ანგარიშსწორება ნაღდი ან უნაღდო ფორმით (მათ შორის, საინკასაციო მომსახურება);

ბ) ფინანსური ინსტრუმენტის მიმოქცევა და მიმოქცევასთან დაკავშირებული ოპერაციები ნაღდი და უნაღდო ფორმით და ნებისმიერი საგადამხდელო ინსტრუმენტით სარგებლობა;

გ) კრედიტის (სესხის) აღება/გაცემა/გადაცემა, სინდიცირება, სტრუქტურირება, მართვა და განკარგვა, მათ შორის, კრედიტის (სესხის) უზრუნველსაყოფად განხორციელებული ქმედებები (ქონების/აქტივის დაგირავება, საკრედიტო რისკის მესამე პირზე ნაწილობრივ ან მთლიანად გადაყიდვა, გარანტიების ან ანალოგიური შინაარსის ფინანსური ინსტრუმენტების გაცემა/დამონმება/მართვა/განკარგვა ან ასეთი ინსტრუმენტის შეძენა/მის ბენეფიციარად ყოფნა), აგრეთვე კრედიტის (სესხის) მომსახურება (საპროცენტო სარგებლისა და ძირის გადახდა) და კრედიტზე (სესხზე) საპროცენტო სარგებლისა და კრედიტის (ძირის) დაფარვის მიღება, ასევე ფაქტორინგი;

დ) კაპიტალში წილის, აქციის, ობლიგაციის, სერტიფიკატების, თამასუქებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან, შეძენასთან, მიმოქცევასთან და მიწოდებასთან (მათ შორის, მომავალში) დაკავშირებული ოპერაციები, მათ შორის, მათი მიმოქცევის უზრუნველყოფა;

ე) ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდების ან/და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების ემისია, მართვა (მათ შორის, საპენსიო და საინვესტიციო ფონდების ან დანაზოგთა სხვა კოლექტიური და ინდივიდუალური სქემების ფორმირება, მათში ფინანსური ინსტრუმენტების აკუმულირება), განკარგ-

ვა, განთავსება (მათ შორის, მესამე პირებთან, გარანტირებულ და არაგარანტირებულ საფუძველზე), ნომინალურ მფლობელობაში მიღება/გადაცემა, სესხება/გასესხება დროებით (რეპოს) საფუძველზე, ადმინისტრირება, მათ შორის, რეგისტრაცია (რეესტრის ფორმირება/წარმოება), გადაცემა, ბლოკირება/განბლოკვა, დატვირთვა/განტვირთვა, სხვა დეპოზიტარული (მათ შორის, სპეციალური დეპოზიტარის) და კასტოდიანური ოპერაციები (შენახვა და აღრიცხვის წარმოება), მათი სამართლიანი ღირებულების დადგენა;

ვ) ფინანსური ინსტრუმენტებით გარიგების პირობებისა და ანგარიშსწორების გარანტად (მათ შორის, მესამე მხარედ) გამოსვლა;

ზ) კორპორატიული ოპერაციები, კერძოდ, აქციების და კაპიტალში წილების დანაწევრება, კონსოლიდაცია, კაპიტალის გაზრდა/შემცირება (მათ შორის, კაპიტალის გაზრდაში მონაწილეობის უფლებების ემისია, შეძენა/გასხვისება და მიმოქცევა), ორი ან ორზე მეტი იურიდიული პირის შერწყმა/იურიდიული პირის ორ ან ორზე მეტ იურიდიულ პირად დაყოფა, ლიკვიდაცია, დივიდენდების დარიცხვასთან/აღრიცხვასთან და გადახდასთან დაკავშირებული მომსახურება (ფულადი ან კანონით დაშვებული ნებისმიერი სხვა ფორმით);

თ) დაზღვევა ან/და გადაზღვევა.

ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილი – ადგილი, რომელსაც იგი, ჩვეულებრივ, საცხოვრებლად ირჩევს, ან მისი ფაქტობრივად ყოფნის ადგილი. არასრულწლოვნის საცხოვრებელ ადგილად ითვლება მშობლის უფლების მქონე მშობლების საცხოვრებელი ადგილი, ხოლო სამეურვეო ან სამზრუნველო პირის საცხოვრებელ ადგილად – მეურვის ან მზრუნველის საცხოვრებელი ადგილი.

ფიზიკური პირის ფაქტობრივად ყოფნის ადგილი – მისი დროებითი საცხოვრებელი ადგილი. სამხედრო მოსამსახურის, აგრეთვე სამუშაოს ხასიათიდან და პირობებიდან გამომდინარე მუდმივად გადაადგილებადი ფიზიკური პირის ფაქტობრივად ყოფნის ადგილად ითვლება ადგილი, სადაც იგი ფაქტობრივად ცხოვრობს ან რეგისტრირებულია დადგენილი წესით (მათ შორის, სამხედრო ნაწილების დისლოკაციის ან შესაბამისი საწარმოების მდებარეობის ადგილი). თუ ფიზიკურ პირს რამდენიმე საცხოვრებელი (ბინა ან სხვა საცხოვრებელი) აქვს, მის საცხოვრებელ ადგილს ან ფაქტობრივად ყოფნის ადგილს განსაზღვრავს საგადასახადო ორგანო ამ ფიზიკურ პირთან შეთანხმებით.

ფიტოსანიტარული სასაზღვრო – საკარანტინო კონტროლი – მცენარეული წარმოშობის საქონლის კონტროლი სპეციალური პარამეტრების მიხედვით.

ფიუჩერსი – გარიგება საბირჟო საქონლის მიწოდების სტანდარტულ კონტრაქტებზე, საქონლის მიწოდების შესახებ კონტრაქტების ყიდვაზე, რომლის აუცილებელი პირობა ითვალისწინებს საქონლის რეალიზაციას კონტრაქტში მითითებული ფასით, გარიგების დადებიდან განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ; ოპერაციები – ნედლეულის, ოქროს, საფინანსო და საკრედიტო ინსტრუმენტების ყიდვა-გაყიდვის სწრაფი გარიგებები ბირჟებზე გარიგების დადების მომენტისათვის ფიქსირებული ფასით, ოპერაციის გარკვეული დროის შემდეგ შესრულების პირობით. გარიგების შესრულებამდე გარანტიის სახით შეიტანება გარკვეული თანხა; ბირჟაზე გარიგების განსაკუთრებული ნესი, როდესაც სავაჭროდ გამოაქვთ არა საქონელი ფიზიკურად, არამედ კონტრაქტი, ე.ი შეთანხმება საქონლის სამომავლო დამზადებასა და მიწოდებაზე.

ფორვარდი – საბირჟო გარიგება, რომელიც იდება როგორც რეალურ საქონელზე, ისე განსაზღვრულ ვადაში (მომავალში) დასამზადებელ საქონელზე ხელშეკრულების დადებისას შეთანხმებული და ხელშეკრულებაში მითითებული ფასის მიხედვით; გარიგება, რომლის ანგარიშსწორება ხორციელდება გარიგების დადების დღიდან 2 საბანკო დღეზე მეტი პერიოდის განმავლობაში.

ფრანჩაიზი – არამატერიალური აქტივი უფლების სახით. კერძოდ, ვაჭრობის ან წარმოების უფლება, რომელსაც ერთი საწარმო აძლევს – მეორეს; ქონების დამზღვევის დანაკარგების ნაწილი, რომელსაც მზღვეველი არ ანაზღაურებს.

ფსევდოდოკუმენტი – საგადასახადო დოკუმენტი, რომელსაც საგადასახადო ორგანო გასცემს საკონტროლო შესყიდვის მიზნებიდან გამომდინარე. ამ შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი გადასახადის გადამხდელისაგან საქონლის/მომსახურების საკონტროლო შესყიდვის შეთავაზების პროცედურის განხორციელებისას გამოდის, როგორც ფსევდომომხმარებელი.

ფული – გადახდის ან გაცვლის საყოველთაოდ აღიარებული ეკვივალენტი, რომელიც მოიცავს მიმოქცევაში არსებულ ნაღდ ფულს, მიმდინარე, ვადიან და სხვა საბანკო ანგარიშებს. განსხვავებით ფულისაგან, ფულის ნიშნები არის ეროვნული ბანკისა და სხვა ქვეყნის ემიტენტი დაწესებულებების მიერ გადახდის კანონიერი საშუალებების სახით გამოშვებული ბანკნოტები და მონეტები.

ქირა – ქირავნობის ხელშეკრულებით დამქირავებლის მიერ გამქირავებლისათვის გადასახდელი საფასური ნივთის განსაზღვრული ვადით სარგებლობაში გადაცემის სანაცლოდ.

ქირავნობა – ნივთის პირისადმი საფასურით დროებით სარგებლობაში გადაცემის ფორმა. ქირავნობის ხელშეკრულებით გამქირავებელი მოვალეა დამქირავებელს სარგებლობაში გადასცეს ნივთი განსაზღვრული ვადით. დამქირავებელი მოვალეა გამქირავებელს გადაუხადოს დათქმული ქირა.

ქონება – ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა შეუზღუდავად შეძენა, ფლობა, განკარგვა და სარგებლობა შეუძლიათ პირებს.

ქონებაზე უფლების წინასწარი რეგისტრაცია – უძრავი და მოძრავი ნივთების სარგებლობის იურიდიული დადასტურება. უძრავ ნივთზე უფლების რეგისტრაციის უზრუნველსაყოფად შეიძლება ამ უფლების წინასწარი რეგისტრაცია უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში. მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა რეესტრში რეგისტრირდება გირავნობა და ლიზინგი.

ქონებაზე ყადაღის დადება – საგადასახადო ორგანოს უფლება, აღიარებული საგადასახადო დავალიანების არსებობის შემთხვევაში საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე ყადაღა დაადოს პირის საკუთრებაში არსებულ ან/და ბალანსზე რიცხულ (გარდა ლიზინგით მიღებული ქონებისა და იმ ქონებისა, რომელიც სხვა პირის საკუთრებაა) ნებისმიერ ქონებას, აღიარებული საგადასახადო დავალიანების მოცულობის ფარგლებში. ქონებაზე ყადაღის დადება ნიშნავს პირის ქონების აღწერას, ამ ქონების განკარგვის (გადამხდელის მიერ ნებისმიერი ფორმით გასხვისების, დაგირავების, იპოთეკის, უზუფრუქტის, სერვიტუტის ან აღნაგობით დატვირთვის, თხოვების, ქირავნობისა და იჯარის ხელშეკრულებების დადების, სხვისთვის დროებით ან მუდმივ მფლობელობაში გადაცემის) აკრძალვას. ქონებაზე ყადაღის დადების შემთხვევაში პირს არა აქვს ამ ქონების გადაცემის, გაყიდვის, გაქირავების, იჯარით გადაცემის ან სხვა სახით განკარგვის უფლება საგადასახადო ორგანოს წერილობითი თანხმობის გარეშე, ისიც მხოლოდ იმ პირობით, რომ უზრუნველყოფილი იქნება ამის შედეგად ამონაგები თანხის შეტანა საგადასახადო დავალიანების დასაფარავად.

ქონებაზე ყადაღის დადების აქტი – საგადასახადო ორგანოს წარმომადგენლის მიერ საგადასახადო დავალიანების ფარგლებში ყადაღადადებული ნივთების აღნუსხვა. ქონებაზე ყადაღის დადების აქტში უნდა აღინიშნოს:

ა) აქტის შედგენის დრო და ადგილი;

ბ) ყადაღის დადების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები საგადასახადო ორგანოს დასახელება, საგადასახადო ორგანოს წარმომადგენლის სახელი, გვარი და ის პირები, რომლებიც ესწრებოდნენ აქტის შედგენას;

გ) მოვალის რეკვიზიტები (სახელი და გვარი/დასახელება, მისამართი), გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) აქტში შეტანილი თითოეული საგნის დასახელება და განმასხვავებელი ნიშნები (წონა, მეტრაჟი, ცვეთა და სხვა);

ე) აქტში შეტანილი თითოეული საგნის შეფასება და მთელი ქონების ღირებულება;

ვ) საგანი ან/და სადგომი, რომელიც დაილუქა, და მასზე დადებული ლუქების რაოდენობა და აღწერილობა;

ზ) იმ პირის დასახელება, რომელსაც შესანახად გადაეცა ქონება, და მისი მისამართი, თუ შენახვა თვით მოვალეს არ დაევალა;

თ) რომ მოვალესა და ქონების შემნახველს განემარტათ მათი მოვალეობა ქონების შენახვის თაობაზე და გადაცემული ქონების გაფლანგვისათვის, გასხვისებისათვის ან გადამალვისათვის პასუხისმგებლობის საკითხი;

ი) რომ მოვალესა და სხვა პირებს განემარტათ საგადასახადო ორგანოს მოქმედებათა გასაჩივრების წესი;

კ) საგადასახადო ორგანოს წარმომადგენლის ან/და მოვალის შენიშვნები.

ქონების/აქტივის დაგირავება – მოვალის ან მესამე პირის მოძრავი ნივთის ან/და არამატერიალური ქონებრივი სიკეთის, რომლის სხვა პირთათვის გადაცემა დასაშვებია, გამოყენება, როგორც ფულადი, ისე არაფულადი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად, ისე, რომ კრედიტორი (მოგირავნე) იძენს უფლებას, დაიკმაყოფილოს მოთხოვნა დაგირავებული ქონების (გირავნობის საგნის) რეალიზაციით ან მხარეთა შეთანხმებით – მისი საკუთრებაში მიღებით მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში.

ქონების გადასახადი – პირდაპირი გადასახადი, შესაბამისი დაბეგვრის სუბიექტების გათვალის-

წინებით შემდეგი ობიექტებით: რეზიდენტი საწარმოს/ორგანიზაციისათვის – მის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხული აქტივები, დაუმონტაჟებელი მონყობილობები, დაუმთავრებელი მშენებლობა და არამატერიალური აქტივები, აგრეთვე მის მიერ ლიზინგით გაცემული ქონება; არარეზიდენტი საწარმოსთვის – საქართველოს ტერიტორიაზე არსებული, ზემოაღნიშნული ქონება (მათ შორის, იჯარით, ქირით, უზუფრუქტით ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული და საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ქონება); ფიზიკური პირისათვის – მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (მათ შორის, დაუმთავრებელი მშენებლობა, შენობა-ნაგებობები ან მათი ნაწილები), იახტები (კატარღები), თვითმფრინავები, შვეულმფრენები, აგრეთვე არარეზიდენტისაგან ლიზინგით მიღებული ქონება, ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში მის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხული აქტივები, დაუმონტაჟებელი მონყობილობები და არამატერიალური აქტივები, აგრეთვე მის მიერ ლიზინგით გაცემული ქონება.

პირისთვის ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია:

ა) მის საკუთრებაში არსებული მიწა;

ბ) სახელმწიფო სარგებლობაში არსებული მინა, რომლითაც იგი სარგებლობს ან რომელსაც ფლობს;

გ) მის მფლობელობაში ან/და სარგებლობაში არსებული, გარდაცვლილი პირის სახელზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მიწის ნაკვეთით სარგებლობა ხორციელდება იჯარის, ქირის, უზუფრუქტის ან სხვა სახის ხელშეკრულების საფუძველზე.

ქრონომეტრაჟი – დროის გარკვეულ პერიოდში გადასახადის გადამხდელის შემოსავლების, საქონლის/მომსახურების მიწოდების მოცულობისა და დაქირავებულ ფიზიკურ პირთა რაოდენობის დადგენა გადასახადის გადამხდელის ეკონომიკურ საქმიანობაზე დაკვირვებისა და შესაბამისი ქრონოლოგიური მონაცემების აღნუსხვის მიზნით. ქრონომეტრაჟი ტარდება დღე – ღამის განმავლობაში გადასახადის გადამხდელის მიერ წარმოებული ან/და მიწოდებული საქონლის/მომსახურების მოცულობის შესახებ უწყვეტი ჩანაწერების წარმოებით. საჭიროების შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ პირს უფლება აქვს დააყენოს მრიცხველები და სხვა საზომი ხელსაწყოები და ქრონომეტრაჟის ჩატარების ყოველი დღის ბოლოს აწარმოოს მათი მაჩვენებლების რეგისტრაცია. საგადასახადო ორგანომ ქრონომეტრაჟის მიზნით შეიძლება შექმნას საგადასახადო საგუშაგო. (იხ. საგადასახადო საგუშაგო).

– ღ –

ღირებულებითი ბალანსი – ერთნაირი განაკვეთის ამორტიზაციული ანარიცხების ნორმის მქონე ძირითად საშუალებათა ჯგუფის ღირებულება საგადასახადო წლის ბოლოსათვის. იგი გაინგარიშება შემდეგი ფორმულით: X=A – B – G – D+E+V – Z, სადაც:

X – ღირებილებითი ბალანსის თანხა;

A – საანგარიშოს წინა საგადასახადო წლის ბოლოსთვის ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი;

B – საანგარიშოს წინა საგადასახადო წელს დარიცხული ამორტიზაციის თანხა;

G – 1000 ლარზე ნაკლები ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის თანხა წლის ბოლოსათვის;

D – წლის ბოლოსათვის ჯგუფის ყველა რეალიზებული ან ლიკვიდირებული ძირითადი საშუალების ღირებულებულებითი ბალანსის თანხა;

E – საანგარიშო საგადასახადო წლის განმავლობაში ჯგუფისათვის დამატებული ძირითად საშუალებათა (გარდა მინისა, ხელოვნების ნიმუშებისა, სამუზეუმო ექსპონატებისა, ისტორიული მნიშვნელობის მქონე ობიექტებისა (გარდა შენობა-ნაგებობებისა) სხვა არაამორტიზებად აქტივებისა, 1000 ლარამდე ღირებულების ძირითად საშუალებებისა და ბიოლოგიურ აქტივებისა) ღირებულება მათი შესყიდვის, წარმოების, მშენებლობის, მონტაჟისა და დადგმის ხარჯების (დანახარჯების), აგრეთვე სხვა ხარჯების (დანახარჯების), გათვალისწინებით, რომლებიც ზრდის მათ ღირებულებას, ხოლო ძირითადი საშუალებების უსასყიდლოდ მიღებისას – მათი საბაზრო ფასი;

V – საანგარიშო საგადასახადო წლის განმავლობაში ძირითად საშუალებებზე გაწეული რემონტის ხარჯები ზღვრული დონის ზემოთ;

Z – საანგარიშო საგადასახადო წლის განმავლობაში ჯგუფის ძირითად საშუალებათა რეალიზაციის თანხა.

– შ –

შედარებადი დამოუკიდებელი ფასის მეთოდი – კონტროლირებადი გარიგებით მიწოდებული საქონლისა და მომსახურების ფასის შედარება დამოუკიდებელი გარიგებით მიწოდებული საქონლისა

და მომსახურების ფასთან.

შემოწირულება – ორგანიზაციის მიერ უსასყიდლოდ მიღებული საქონელი/მომსახურება, მათ შორის, ფულადი სახსრები.

შემცვლელი საქონელი – გარე გადამუშავების სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული საქონლის გატანამდე საქართველოს ტერიტორიაზე შემოსატანი უცხოური საქონელი, რომელსაც ექნება იგივე მახასიათებლები, როგორც ექნებოდა შემოსატან გადამუშავებულ საქონელს.

შერეული ოპერაციები – საქონლისა და მომსახურების კომბინირებული მიწოდება დღგ-ით დაბეგვრის ასპექტით, როდესაც:

ა) საქონლის/მომსახურების მიწოდება, რომელიც ძირითადი საქონლის/მომსახურების მიწოდების მიმართ დამხმარე ხასიათისაა, ითვლება ამ საქონლის/მომსახურების ნაწილად;

ბ) მომსახურების გაწევა, რომელიც დამხმარე ხასიათისაა საქონლის იმპორტის მიმართ, ითვლება ამ საქონლის იმპორტის ნაწილად.

გ) დასაბეგრი და გათავისუფლებული საქონლის/მომსახურების ერთად მიწოდება განიხილება, როგორც დასაბეგრი და გათავისუფლებული საქონლის/მომსახურების მიწოდების ცალკე ოპერაციები.

დ) მიწისა და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობის მიწოდებისას ოპერაცია ითვლება შენობა-ნაგებობის მიწოდებად.

შიდა გადამუშავება – სასაქონლო ოპერაცია, რომელიც გამოიყენება:

ა) უცხოური საქონლის მიმართ, რომლის საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე შემოტანისას არ გადაიხდევინება იმპორტის გადასახდელები და არ ტარდება სატარიფო ღონისძიებები, ხოლო მისგან მიღებული გადამუშავებული საქონლის საქართველოს ეკონომიკური ტერიტორიიდან გატანისას არ გადაიხდევინება ექსპორტის გადასახდელები;

ბ) უცხოური საქონლის მიმართ, რომლის საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე შემოტანისას არ გადაიხდევინება იმპორტის გადასახდელები და არ ტარდება სატარიფო ღონისძიებები, ხოლო მისგან მიღებული გადამუშავებული საქონლის იმპორტში გაშვებისას გადაიხდევინება იმპორტის გადასახდელები და ტარდება სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებები.

გ) იმპორტში გაშვებული საქონლის მიმართ, რომელზედაც გადახდილი იმპორტის გადასახდელები უნდა დაექვემდებაროს დაბრუნებას ან ჩათვლას, თუ გადახდილი იმპორტის გადასახდელები უკვე არ არის დაბრუნებული ან ჩათვლილი და მისგან მიღებული გადამუშავებული საქონელი გაიტანება საქართველოს ეკონომიკური ტერიტორიიდან;

– ჩ –

ჩათვლილი თანხა(დღგ-ის მიზნებისათვის) – დღგ-ის ჩასათვლელი თანხა, რომელიც უკვე გამოაკლდა დასაბეგრ ბრუნვაზე დარიცხულ თანხას.

ჩეკთან გათანაბრებული დოკუმენტი(ჩგდ) – ტიპოგრაფიული წესით დაბეჭდილი საბუღალტრო აღრიცხვის პირველადი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მომხმარებლისაგან ნაღდი ფულის მიღების ფაქტისა და მასთან დაკავშირებული სხვა მონაცემების შესახებ. დღის განმავლობაში გამონერილი ჩგდ-ების მიხედვით გამოინერება ერთი შემოსავლის ორდერი, სადაც უნდა აისახოს ჩგდ-ების მიხედვით მიღებული თანხების ჯამური მაჩვენებელი. ჩეკთან გათანაბრებულად ჩაითვლება მხოლოდ ის დოკუმენტი, რომელიც აკმაყოფილებს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ პირობას:

ა) ჩგდ – ის ბლანკი შეიცავს შემდეგი რეკვიზიტების ამსახველ გრაფებს:

ა.ა) დოკუმენტის ნომერი (სადაც ტოპოგრაფიული წესით ჩაბეჭდილია დოკუმენტისათვის განკუთვნილი ნომერი);

ა.ბ) დოკუმენტის შედგენის თარიღი;

ა.გ) გადასახადის გადამხდელი(სადაც ტოპოგრაფიული წესით ჩაბეჭდილია საქონლის მიმწოდებლის/მომსახურების გამწევის საიდენტიფიკაციო ნომერი, მისი იურიდიული მისამართი და საკონტაქტო ტელეფონების გრაფა);

ა.დ) მიწოდებული საქონლის/გაწეული მომსახურების შინაარსის და ღირებულების ამსახველი;

ა.ე) საქონლის/მომსახურების მიმღების რეკვიზიტები(დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი. იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე საქონელი/მომსახურება მიეწოდება გადასახადის გადამხდელად არარეგისტრირებულ ფიზიკურ პირს, მაშინ ბლანკზე გათვალისწინებულ უნდა იქნეს მისი მისამართი, სახელი და გვარი);

ა. ვ) ფულის მიღებაზე პასუხუსმგებელი პირის ხელმონერა.

ბ) ზემოაღნიშნულ მოთხოვნათა გათვალისწინებით ჩგდ – ის ბლანკის ნიმუში უნდა იყოს რეგის-

ტრირებული საგადასახადო ორგანოში;

გ) მომხმარებლებზე ჩგდ – ის გაცემისას შევსებულ უნდა იყოს ზემოაღნიშნული ყველა რეკვიზიტის გრაფა.

დასაშვებია ჩგდ მოიცავდეს გადამხდელისათვის საჭირო სხვა დამატებით გრაფებსაც. ჩგდ შეიძლება იყოს, როგორც ერთმანეთთან დაკავშირებული თვითკოპირებადი ეგზემპლარების ფორმით (რომლის მინიმუმ ერთი პირი გადაეცემა მომხმარებელს), ასევე ერთი ფურცლის ფორმით, რომლის მოსახევი ნაწილი გადაეცემა მომხმარებელს. ასეთ შემთხვევაში ჩგდ – ის ბლანკისათვის დადგენილი რეკვიზიტები უნდა იყოს განთავსებული, როგორც გადამხდელთან, ასევე მომხმარებელთან დასატოვებელ ბლანკის ნაწილზე. ჩგდ-ზე არ ვრცელდება მკაცრი აღრიცხვის ფორმების მიმართ კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

ჩვეულებრივი აქცია – აქცია, რომელიც უზრუნველყოფს ერთი ხმის უფლებას აქციონერთა საერთო კრებაზე. განსხვავებით ჩვეულებრივისაგან – პრივილეგირებული აქცია არ იძლევა ხმის უფლებას. პრივილეგირებული აქცია უზრუნველყოფს დივიდენდის მიღებას დადგენილი განაკვეთით. დივიდენდის ოდენობა და მიღების წესი განისაზღვრება საწარმოს წესდებით. წესდებით შეიძლება დადგინდეს განსხვავებული წესი, რომელიც უზრუნველყოფს ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციების უფლებათა სხვაგვარად განსაზღვრას. ერთი კლასის აქციები თანაბარი უფლებებით უზრუნველყოფენ მათ მფლობელებს. დივიდენდების უცილობლად გაცემის შეპირება ბათილია.

– ც –

ცრუმაგიერი მფლობელობა (პირი) – პირი, რომელიც გამოყენებულია სხვა პირის ან პირების მიერ გადასახადისაგან თავის არიდების მიზნით. თუ სასამართლო დაადგენს, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია გადასახადის გადამხდელის განსხვავება სხვა პირისაგან იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი გამოყენებულია გადასახადებისაგან თავის ასარიდებლად, აღნიშნული პირები წარმოადგენენ ერთიმეორის ცრუმაგიერ პირებს. ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, თუ გადასახადის გადამხდელს აქვს აღიარებული საგადასახადო დავალიანება, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს ცრუმაგიერი პირის მიმართ გაატაროს გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები. (მაგ. პირის აქტივს ფორმალურად ფლობს სხვა პირი, ხოლო ამ აქტივის შედეგებით სარგებლობს – სხვა პირი).

– ძ –

ძირითადი საშუალება – მატერიალური აქტივი, რომელსაც პირი იყენებს საქონლის წარმოების, საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის, იჯარით (მათ შორის, ლიზინგით) გადაცემის ან/და ადმინისტრაციული მიზნებისათვის და რომლის სასარგებლო გამოყენების ვადა ერთ წელზე მეტია.

ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯები – ხარჯები, რომლებიც ამაღლებს ძირითადი საშუალებების ამოსავალ (თავდაპირველ, ნორმატიულ) მწარმოებლურობას (მათ შორის, შენობა-ნაგებობების ელემენტების მოდიფიკაცია (რეკონსტრუქცია) მათი სასარგებლო მომსახურების ვადის გახანგრძლივების მიზნით და მათი მწარმოებლურობის ამაღლების უზრუნველსაყოფად; მანქანა – დანადგარების ნაწილების გაუმჯობესება მათი მწარმოებლურობის ამაღლების უზრუნველსაყოფად და ახალი საწარმოო პროცესების დანერგვა, გარდა მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯებისა, რომლებიც გაიწევა ძირითადი საშუალებების ამოსავალი მწარმოებლურობის აღდგენის ან შენარჩუნების მიზნით.

– წ –

წარმოებული ფასიანი ქაღალდები – დერივატები (რისგანმე წარმოებული, რისამე პროდუქტი ანუ დამოკიდებული), რომლის ღირებულებაც დამოკიდებულია სხვა პირველადი აქტივების ღირებულებაზე. მაგ. ისეთი დერივატების ღირებულება, როგორიც არის ოფციონი, ფიუჩერსი, ფორვარდი და სვოპი დამოკიდებულია, ისეთი პირველადი აქტივების ღირებულებაზე, როგორიც არის საქონელი, ფული(ვალუტა), აქციები, ობლიგაციები და სხვა.

წარმომადგენელი – დღგ-ის მიზნებისათვის მესამე პირი, რომელიც, როგორც წესი, ასრულებს საშუამავლო ოპერაციას საქონლის/მომსახურების მესაკუთრესა და მყიდველს შორის. მაგალითად, წარმომადგენელი ახორციელებს დამკვეთის კუთვნილი საქონლის მიწოდებას სხვა პირისათვის. ასეთი მიწოდება არ განიხილება წარმომადგენლის ოპერაციად და იგი არის დამკვეთის ოპერაცია. იმ შემთხვევაში, თუ წარმომადგენელი რეზიდენტია და იგი ახორციელებს არარეზიდენტის კუთვნილი საქონლის მიწოდებას და არარეზიდენტი პირი არ არის დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული, მაშინ ეს მიწოდება დღგ-ის გადახდის მიზნებისათვის ითვლება წარმომადგენლის ოპერაციად.

წარმომადგენლობითი ხარჯი – პირის მიერ ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში განეული ხარჯი, რომელიც მოიცავს:

ა) პირის სახელით გამართული ღონისძიებებისათვის (პრეზენტაციები, მიღებები) გათვალისწინებულ (წვენები, მინერალური წყლები, ჩაი, ყავა, საუზმე, სადილი, ვახშამი, ბანკეტი) ხარჯებს;

ბ) საექსკურსიო და კულტურულ – სანახაობითი ღონისძიებების ხარჯებს;

გ) სუვენირების შეძენის ხარჯებს;

დ) სტუმრების მომსახურების უზრუნველყოფის ხარჯებს, მათ შორის:

დ.ა) საკონსულო მომსახურების (ვიზების გაფორმება, გაგრძელება) ხარჯებს;

დ.ბ) აეროპორტში დახვედრისა და გაცილების („ვიპ" – ის დარბაზის მომსახურება) ხარჯებს;

დ.გ) სატრანსპორტო მომსახურების ხარჯებს;

დ.დ) სასტუმრო მომსახურების (ადგილების დაჯავშნა, ცხოვრების ღირებულება) ხარჯებს;

დ.ე) მიღებების, წვეულებების (წვენები, მინერალური წყლები, ჩაი, ყავა, საუზმე, სადილი, ვახშამი, ბანკეტი) ხარჯებს.

წარმოშობის ქვეყანა – საქონლის წარმოების(დამზადების) დროს ამ საქონლისადმი მინიჭებული შესაბამისი სტატუსი მწარმოებელი ქვეყნის სახელის გათვალისწინებით ამ საქონლის სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებების გატარების მიზნებისათვის. საქონლის წარმოების(დამზადების) და წარმოშობის ქვეყნები ზოგჯერ ერთმანეთს არ ემთხვევა. მაგ. თუ, საქართველოში ვაწარმოებთ ჩაის, როგორც მზა დაფასოებულ პროდუქტს, რომლის შემადგენლობის 51% იქნება ინდური ჩაი, ხოლო 49%-ქართული, მაშინ ჩაითვლება, რომ საქონელი დამზადებულია(წარმოებულია) საქართველოში, ხოლო წარმოშობილია ინდოეთში.

წელი (გარდა კალენდარული წლისა) – დროის მონაკვეთი, რომელიც შედგება ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვისაგან.

წილი – წილი ანუ კაპიტალში წილი არის პირის მიერ საწარმოს მთელი კაპიტალის განსაზღვრული ნაწილის ფლობის უფლება. წილი შეიძლება არსებობდეს სააქციო საზოგადოების გარდა, ნებისმიერ იურიდიულ თუ იურიდიული პირის არმქონე პირში. სააქციო საზოგადოებაში წილის სანაცვლოდ გვაქვს აქციები, რომლებიც თავისი შინაარსით ასევე კაპიტალში განსაზღვრულ წილს წარმოადგენენ.

წინასწარი გადაწყვეტილება – შემოსავლების სამსახურის მიერ მიღებული ადმინისტრაციული აქტი, განსახორციელებელი ან განხორციელებული ოპერაციის მიხედვით საგადასახადო ანგარიშგების წესების ან/და შესასრულებელი საგადასახადო ვალდებულებების თაობაზე.

წლიური მოგების გადასახადის დეკლარაცია – პირის ფინანსური ანგარიშგების ფორმა, რომელიც, როგორც წესი, საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე წარედგინება საგადასახადო ორგანოს. მას, როგორც წესი, წარადგენენ იურიდიული პირები.

წლიური საშემოსავლო გადასახადის დეკლარაცია – პირის ფინანსური ანგარიშგების ფორმა, რომელიც, როგორც წესი, საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე წარედგინება საგადასახადო ორგანოს. მას, როგორც წესი, წარადგენენ ფიზიკური პირები.

წლიური ქონების გადასახადის დეკლარაცია – პირის ფინანსური ანგარიშგების ფორმა, რომელიც, როგორც წესი, არაუგვიანეს კალენდარული წლის 1 აპრილისა წარედგინება საგადასახადო ორგანოს.

წმინდა აქტივები – სხვაობა პირის აქტივებსა და მის ვალდებულებებს შორის.

– ხ –

ხარჯი – როგორც წესი, ყველა დოკუმენტურად დადასტურებელი გასავალი, რომელიც დაკავშირებულია ეკონომიკურ საქმიანობასთან.

ხელბარგი – მგზავრის მიერ პირადად გადასატანი საგანი.

ხელფასი – ფიზიკური პირის მიერ დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული ნებისმიერი საზღაური ან სარგებელი, მათ შორის, წინა სამუშაო ადგილიდან პენსიის ან სხვა სახით მიღებული შემოსავალი, ან შემოსავალი მომავალი სამუშაო ადგილიდან. სარგებლის ღირებულებად ითვლება ქვემოთ ჩამოთვლილი თანხა, რომელიც მცირდება დაქირავებულის მიერ ამ სარგებლის მიღებისას დამქირავებლისათვის გადახდილი თანხით:

ა) ნებისმიერი სახეობის ავტომობილის პირადი სარგებლობისათვის გამოსაყენებლად მიღებისას – შესაბამისი საგადასახადო წლის დასაწყისისათვის ამ ავტომობილის საბალანსო ღირებულების 0,1 პროცენტი დაქირავებულის მიერ ავტომობილის კერძო სარგებლობის მიზნით გამოყენების ყოველი დღისათვის;

ბ) დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრულ საპროცენტო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით სესხის გაცემისას – ფინანსთა მინისტრის მიერ

განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთით გადასახდელი პროცენტის შესაბამისი თანხა;

გ) დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის საქონლის/მომსახურების მიწოდებისას ან კომპენსაციის გარეშე გადაცემისას – ასეთი საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასი;

დ) დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის საცხოვრებლის სარგებლობაში გადაცემისას – საიჯარო ქირის წლიური საბაზრო ღირებულება (შესაბამისი პერიოდის პროპორციულად);

ე) დამქირავებლის მიერ დაქირავებულისთვის ან მის კმაყოფაზე მყოფთათვის განათლების მისაღებად დახმარების გაწევისას (დაქირავებულის ვალდებულებათა შესრულებასთან უშუალოდ დაკავშირებული მომზადების პროგრამის ჩაუთვლელად) – დამქირავებლის მიერ განათლების მისაღებად გაწეული დახმარების ღირებულება;

ვ) დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის ხარჯების ანაზღაურებისას – ანაზღაურების თანხა;

ზ) დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის ვალის ან ვალდებულების პატიებისას – ვალის ან ვალდებულების თანხა;

თ) დამქირაებლის მიერ დაქირავებულისათვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევის შემთხვევაში ან საპენსიო დაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით სადაზღვევო პრემიის ან სხვა თანხის გადახდისას – დამქირავებლის მიერ გადახდილი სადაზღვევო პრემიის ან სხვა თანხის მოცულობა;

ი) სხვა შემთხვევაში – სარგებლის საბაზრო ფასი.

ხელფასის სახით მიღებულ შემოსავალში არ შედის:

ა) დაქირავებულისათვის გადახდილი სამიელინებო ხარჯების ანაზღაურება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ განსაზღვრული ნორმის ფარგლებში;

ბ) წარმომადგენლობითი ხარჯების ანაზღაურება.

– ჯ –

ჯარიმა – საგადასახადო სანქციის კომპონენტი, რომელიც ითვალისწინებს პირის მიერ საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისი ნორმების დარღვევის დროს განსაზღვრული ფულადი თანხის ერთჯერადად გადახდას.

– ჰ –

ჰუმანიტარული დახმარება – ღონისძიებები, რომელიც ითვალისწინებს მიმღებისათვის საქონლით უსასყიდლოდ დახმარებას. საქონლისათვის ჰუმანიტარული დახმარების სტატუსის მინიჭება ხდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ.

25.2 საბაჟო ტერმინები

– ა –

აბსოლუტური უპირატესობის თეორია-ეკონომიკური თეორია, რომლის მიხედვით რეკომენდირებულია იმ საქონლის იმპორტი, რომლის წარმოებაზეც იმპორტიორ ქვეყანაში მაღალი წარმოების ხარჯებია და იმ საქონლის ექსპორტი, რომელზეც დაბალი წარმოების ხარჯებია ექსპორტიორ ქვეყანაში.

აგენტი გემის – პირი, რომელსაც მომსახურების ხელშეკრულება აქვს დადებული გემთან. აგენტი აცნობებს პორტის ორგანოებს(მაგ. საბაჟოს) გემის მოსვლისა და გასვლის შესახებ, აფორმებს სხვადასხვა დოკუმენტებს და წარმოადგენს გემის მფლობელს.

ადგილწარმოშობის დასახელება – გეოგრაფიული ადგილის თანამედროვე ან ისტორიული სახელი, რომელიც მიკუთვნებული აქვს ამ ადგილიდან წარმოშობილ საქონელს და მისი ხარისხი და თვისებები ამ ადგილით არის გაპირობებული(მაგ. კონიაკი, შამპანური, რომელიც წარმოადგენს საფრანგეთის გეოგრაფიულ ადგილებს).

ადენდუმი – კონტრაქტის ცვლილება, რომელიც თან ერთვის ძირითად კონტრაქტს.

ადვალური – ღირებულებითი.

ადვალური წილის კრიტერიუმი – საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის პრინციპი, რომლის მიხედვით ქვეყანა ადგენს საქონლის წარმოების დროს გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის ღირებულების ხვედრით პროცენტულ წილს საბოლოო საქონლის ღირებულებაში. მაგ. თუ, საქართველოში დამზადებული ჩაის ღირებულებაში ინდური ჩაის წილი შეადგენს 51%-ს, ხოლო ქართული ჩაის – 49 – ს მაშინ ითვლება, რომ ეს ჩაი წარმოშობილია ინდოეთში.

აკვატორია – ნავსადგურის საზღვრებში მოქცეული წყლის სივრცე. იგი განსხვავდება ტერიტორიული ზღვისაგან(წყლებისაგან)(იხ. ტერიტ. ზღვა).

აკრედიტივი(სასაქონლო) – იმპორტიორის დავალება თავისი ბანკის მიმართ, რათა ამ უკანასკნელმა ექსპორტიორის ბანკის მეშვეობით გადაუხადოს გარიგების ფასის თანხა ექსპორტიორს – იმპორტიორის მიერ ბანკში წარდგენილი სააკრედიტივო განცხადებაში აღნიშნული პირობებით. არსებობს სასაქონლო აკრედიტივის 5 ფორმა: გამოთხოვადი, არაგამოთხოვადი, დამტკიცებული, რევოლვერული, გადასაყვანი.

ალენდი – კონტრაქტი, რომლის მოქმედების ვადა დაფიქსირებული არ არის(უვადო კონტრაქტი).

ამბალაჟი – აქვს ორი მნიშვნელობა: ერთი, როგორც საქონლის შეფუთვის ხარჯები, რომელიც არ შედის საქონლის ღირებულებაში და მეორე – საქონლის შესაფუთი მასალები.

არასატარიფო პოლიტიკის ღონისძიებები – ის მოქმედებები, რომელიც ასახავს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებადი საქონლის მიმართ გასატარებელი საზედამხედველო, დაცვითი, აკრძალვითი ან შეზღუდვითი ზომების პროცესს(მაგ. საქონლის კვოტირება, ემბარგო, ლიცენზირება და ა.შ).

არიარსი – დავალიანება, გადაუხდელი თანხები ან გადახდის გადავადება.

არტიკული – საქონლის ტიპი, აგრეთვე მისი ციფრული და ასოითი აღნიშვნა.

ასიკუდა (ASYCUDA) – აბრევიატურა, რომელიც ნიშნავს საბაჟო მონაცემთა ავტომატიზირებულ სისტემას. კომპიუტერული პროგრამული სისტემა, რომლის საშუალებითაც საბაჟო ორგანოები ახორციელებენ შესაბამისი საბაჟო ინფორმაციის დამუშავებას.

ატა(ATA) – აბრევიატურა, რომელიც ნიშნავს საქონლის დროებით დაშვებას, შემოტანას.

აუცილებელი საწარმოო და ტექნოლოგიური ოპერაციების კრიტერიუმი – საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის პრინციპი, რომლის მიხედვით ქვეყანა ადგენს საქონლის წარმოშობის ქვეყანას მნიშვნელოვანი საწარმოო ოპერაციების მიხედვით. მაგ. ბრაზილიაში წარმოშობილი ყავის მარცვლების მოხალვის ოპერაცია საქართველოში საკმარისია ჩაითვალოს აუცილებელ ტექნოლოგიურ ოპერაციად, რომლის განხორციელების შედეგად ყავა ჩაითვლება საქართველოში წარმოშობილად.

აფინაჟი – მაღალი სიწმინდის კეთილშობილი ლითონების მიღება.

აფირმაცია – ამ შემთხვევაში კონტრაქტისა და სხვა დოკუმენტების დამოწმება.

აქციზი(Eccise) – ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „ჩამოჭრას". იგი ისტორიულად გამოიყენებოდა ე.წ „ფუფუნების საგნების" დასაბეგრად, ასევე ზოგიერთი ფართო მოხმარების საგნებიდან ბიუჯეტში თანხების ამოსაღებად(მაგ. ასანთი, მარილი და სხვა). აქციზი მსგავსად საბაჟო გადასახადისა და დღგ-ისა არის არაპირდაპირი გადასახადი. იგი შედის საქონლის ფასში და მისი გადამხდელი არის საქონლის ბოლო მომხმარებელი. მაგრამ განსხვავებით დღგ-ისაგან აქციზი ერთჯერადი გადასახადია ანუ იგი არ ამოიღება საქონლის მიწოდების ყველა სტადიაზე.

– ბ –

ბაი – ბეკი – ამ შემთხვევაში ექსპორტიორსა და იმპორტიორს შორის მოწყობილობების (ძირითადი საშუალებების) ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტი, რომლის მიხედვით ანგარიშსწორება ხორციელდება ამ მოწყობილობებზე დამზადებული საქონლით.

ბანდეროლი – საფოსტო გზავნილი, რომელშიც მოთავსებულია ნაბეჭდი გამოცემები, საქმიანი ქაღალდები და სხვა საგნები.

ბალკერი – ხომალდი, რომელიც გამოიყენება ნაყარი ტვირთების გადასაზიდად.

ბალასტი – სპეციალური ტვირთი გემის წონასწორობისა და მდგრადობის შესანარჩუნებლად. მაგ. წყალი, ქვიშა და სხვა.

ბაჟი – შენატანი სახელმწიფო ბიუჯეტში სახელმწიფოსაგან პირისადმი სხვადასხვა სახის ქმედებების განხორციელების დროს. მაგ. სასამართლო ბაჟი, სანოტარო ბაჟი და სხვა. ძველად საქართველოში ეს ტერმინი გამოიყენებოდა მხოლოდ საბაჟო გადასახადის სახით. თავისთავად „ბაჟი" სპარსული წარმოშობის სიტყვაა და ძველქართულად მას ერქვა „ზუერი".

ბარატრია – გემზე არსებული ტვირთისათვის ან გემისათვის გემის კაპიტნის ან პერსონალის მიერ წინასწარ განზრახულად მიყენებული ზარალი.

ბარგი(ხელბარგი) – ბარგი ეწოდება მგზავრებისაგან განცალკევებულად გადასაზიდ საგნებს, ხოლო ხელბარგი – მგზავრების მიერ პირადად გადასატან საგნებს.

ბარტერი – ამ შემთხვევაში საგარეო ვაჭრობაში ერთი სახის საქონლის გაცვლა მეორი სახის საქონელზე ფულადი ანგარიშსწორების გარეშე.

ბეითალმანი – ამ შემთხვევაში უპატრონო საქონელი, რომელიც გადაეცემა სახელმწიფოს (საბაჟო ორგანოს).

ბერბოუტ – ჩარტერი – გემის დაქირავება ეკიპაჟის გარეშე.

ბიდი – ამ შემთხვევაში საქონლის ყიდვის კონკრეტული ფასის შეთავაზება ან კონკრეტული ფასით საქონლის ყიდვის ვალდებულება.

ბილატერიზმი – საერთაშორისო ვაჭრობა, რომელიც ემყარება ორ სახელმწიფოს შორის საერთაშორისო შეთანხმებას. მაგ. ორმხრივი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება.

ბილიონი – მილიარდი.

ბიპატრიდი – პირი, რომელსაც აქვს ორი ან მეტი სახელმწიფოს მოქალაქეობა.

ბიჰევიორიზმი – ადამიანის ქცევის თეორია, რომლის მიხედვით საქონლის შეძენისა და მოხმარების წესები განისაზღვრება სუბიექტურად ადამინის მოტივაციის მიხედვით და მას განაპირობებს ნაციონალური და სოციალური ფსიქოლოგია, ჩვეულებები და ტრადიციები და განვითარების ეკონომიკური დონე.

ბლოკშივი – ამ შემთხვევაში ისეთი არათვითმავალი, საწყლისნო საშუალება, რომელიც წარმოადგენს მცურავ სანყობს.

ბოიენტი – საქონლის ფასების მკვეთრი ზრდა.

ბონდური საქონელი – საბაჟო სანყობში განთავსებული უცხოური საქონელი.

ბონიფიკაცია – ამ შემთხვევაში აქვს სამი მნიშვნელობა: პირველი, როგორც საქონელზე ფასსამატი, რაც გაპირობებულია კონტრაქტით გათვალისწინებული საქონლის ხარისხზე უფრო უკეთესი ხარისხით, მეორე, ფასდაკლება საქონელზე, რაც გაპირობებულია კონტრაქტით გათვალისწინებული საქონლის ხარისხზე უფრო დაბალი ხარისხით და მესამე, საექსპორტო საქონელზე გადახდილი გადასახადების დაბრუნება.

ბონუსი – ამ შემთხვევაში ექსპორტიორის მიერ იმპორტიორისადმი მიცემული დამატებითი ფასდაკლება.

ბორდი – გამყიდველის ხარჯით გემის ბორტზე საქონლის ატანა.

ბრაკერაჟი – საქონლის ხარისხის შედარება კონტრაქტით გათვალისწინებულ პირობებთან.

ბრეიკი – ამ შემთხვევაში საქონელთა ფასების მკვეთრი ვარდნა.

ბრენდი – სახელგანთქმული სავაჭრო მარკა.

ბუტლეგერი – ამ შემთხვევაში კონტრაბანდული სპირტიანი საქონლით მოვაჭრე.

ბუნკირება – საერთაშორისო საზღვაო რეისების განმახორციელებელ გემის ბორტზე საწვავისა და საპოხი სამუალებების მიწოდება.

– გ –

გადასახადი – პირების სავალდებულო შენატანი სახელმწიფო ბიუჯეტში, რომელსაც აქვს არაეკვივალენტური ხასიათი.

გადასახადის ელემენტები – გადასახადით დაბეგვრის სისტემა, რომელიც შედგება: გადასახადის სუბიექტის, ობიექტის, დაბეგვრის ერთეულის, საგადასახადო განაკვეთის და საგადასახადო შეღავათისაგან.

გადასამუშავებელი საქონელი – საბაჟო ტერიტორიაზე ან ტერიტორიის გარეთ გადამუშავების საბაჟო რეჟიმებში მოქცეული საქონელი.

გადამუშავების პროდუქტი – საბაჟო ტერიტორიაზე ან ტერიტორიის გარეთ გადამუშავების საბაჟო რეჟიმებში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებული ძირითადი საქონელი.

გადამუშავების ნარჩენი – საბაჟო ტერიტორიაზე ან ტერიტორიის გარეთ გადამუშავების საბაჟო რეჟიმებში მოქცეული საქონლის გადამუშავების დროს წარმოების ტექნოლოგიური ციკლის შედეგად წარმოქმნილი მასალა, რომელიც არის წარმოების პროცესის აუცილებელი თანმდევი. მაგ. ყურძნის გადამუშავების შედეგად მიიღება გადამუშავების პროდუქტი ღვინომასალა და ნარჩენი პროდუქტი – ჭაჭა.

გადამუშავების ნაშთი – საბაჟო ტერიტორიაზე ან ტერიტორიის გარეთ გადამუშავების საბაჟო რეჟიმებში მოქცეული და საბოლოოდ გადაუმუშავებელი საქონელი.

გამგზავნი – ამ შემთხვევაში სატრანსპორტო ზედნადებში მითითებული პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის გადატვირთვას და გადაცემას გადამზიდველისათვის.

გამოსავლიანობის ნორმა – გადამუშავების პროდუქტის ფიზიკური ან პროცენტული რაოდენობა, რომელიც მიღებულია გარკვეული ოდენობის გადასამუშავებელი საქონლის გადამუშავების შედეგად. მაგ. ერთი ტონა ყურძნის გამოსავლიანობის ნორმა არის 50% ანუ ერთი ტონა ყურძნიდან მიიღება დაახლოებით 500 ლიტრი ღვინო. ეს ტერმინი გამოიყენება გადამუშავების საბაჟო რეჟიმების დროს.

განადგურება – საბაჟო დამუშავების ოპერაცია, რომელიც ნიშნავს უცხოური საქონლის ისეთ

უვარგის მდგომარეობაში მოყვანას საბაჟო გადასახდელების გადახდის გარეშე, როდესაც შეუძლებელია მოცემული საქონლის აღდგენა თავდაპირველ მდგომარეობაში ეკონომიკურად მომგებიანი გზით.

განბაჟება – რუსული სიტყვის (Растаможка) კალკი. ქართულად შეესაბამება საბაჟო დამუშავება ან საბაჟო გაფორმება. საქონლის მოქცევა შესაბამის საბაჟო რეჟიმში და ამ რეჟიმის დასრულება.

გარიგების ფასი – საბაჟო მიზნებისათვის საქონლის ყიდვა-გაყიდვის ფასი, რომელიც იმპორტიორის მიერ რეალურად გადახდილია ან გადასახდელია მომავალში.

გარიგების ფასის მეთოდი – საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მეთოდი, რომლის მიხედვით საქონლის საბაჟო ღირებულება განისაზღვრება ინვოისში (კონტრაქტში) დაფიქსირებული გარიგების ფასის საფუძველზე.

განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა – საზღვაო ზონა, რომელიც დადგენილია გაერთიანებული ერების შესაბამისი კონვენციის მიხედვით და სადაც ქვეყანას შეუძლია განახორციელოს გარკვეული ეკონომიკური საქმიანობა. იგი შეადგენს 200 საზღვაო მილს.

გენერალური ტვირთი – გემებით გადაზიდული ტარიანი(შეფუთული) და ცალობითი ტვირთი.

გეოგრაფიული აღნიშვნა – ანალოგიურად ადგილწარმოშობისა, სახელი ან სხვა რაიმე სიმბოლო, რომელიც მიუთვნებული აქვს ამ ადგილიდან წარმოშობილ საქონელს და მისი ხარისხი და თვისებები ამ ადგილით არის გაპირობებული;

გრანტი – ამ შემთხვევაში საჩუქრის, უსასყიდლო სახით შემოტანილი საქონელი, რომელიც გათავისუფლებულია საბაჟო გადასახდელებისაგან.

„გრუზ-200“ – საბაჟო ჟარგონი, რომელიც პირველად გამოყენებულ იქნა საბჭოთა კავშირისა და ავღანეთის ომში დაღუპული და გადმოსვენებული პირების მიმართ.

„გრუზ-300“ – საბაჟო ჟარგონი, რომელიც პირველად გამოყენებულ იქნა საბჭოთა კავშირისა და ავღანეთის ომში დაჭრილი და გადმოყვანილი პირების მიმართ.

– დ –

დავალური საქონელი – საქონელი, რომელიც ექცევა საბაჟო ტერიტორიაზე ან საბაჟო კონტროლქვეშ ან საბაჟო ტერიტორიის გარეთ გადამუშავების საბაჟო რეჟიმებში.

დაკვირვების ელექტრონული საშუალებები – ელექტრონული ან მექანიკური მოწყობილობები, რომლითაც შესაძლებელია გამომჟღავნდეს დაფარული კავშირები ერთ-ერთი მხარის თანხმობის გარეშე. მაგ. ღამის ხედვის საშუალება, ტელეფონი, მიკროფონი, რადიოკავშირის სპეციალური ტექნიკა და სხვა.

დამატებული ღირებულების გადასახადი(დღგ) – არაპირდაპირი გადასახადი, რომელიც ამოიღება საქონლის მიწოდების ყველა სტადიაზე ან იმპორტის(ან დროებით შემოტანის) დროს. დამატებული ღირებულების გადასახადი(დღგ), როგორც დაბეგვრის მექანიზმი შემოღებულ იქნა საფრანგეთში 1958 წელს(საქართველოში დღგ შემოღებულ იქნა 1992 წელს). იგი შეიმუშავა ფრანგმა ეკონომისტმა ლორემ 1954 წელს.

დამპინგი – გემებისა და საფრენი აპარატების ნარჩენების ჩაძირვა ზღვაში.

დანაჟი – საქონლის შეფუთვის სახე, რომელიც იცავს ამ საქონელს გემის ტრიუმში ლითონის ნაწილებთან ან სხვა ტვირთთან შეხების დროს.

დაუძლეველი ძალა – იხ. ფორს-მაჟორი.

დაფასება – საქონლის შეფუთვა ცალ-ცალკე ეგზემპლარებად.

დებენტურა – საბაჟო ორგანოს მიერ გაცემული მოწმობა (დოკუმენტი) პირის მიერ გადახდილი საბაჟო გადასახდელების დაბრუნების შესახებ.

დევალვაცია – ეროვნული ვალუტის კურსის შემცირება უცხოური ვალუტის მიმართ. იგი იწვევს ექსპორტის ზრდას და იმპორტის შემცირებას.

დეკლარანტი – ნებისმიერი პირი(ფიზიკური, იურიდიული ან სხვა სტატუსის), რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლება აქვს თავისი სახელით წარადგინოს საბაჟო დეკლარაცია.

დეკორტი – ფასდაკლება საქონლის მიწოდებამდე ფასის წინასწარი გადახდის დროს.

დელივერ-ორდერი – საქონლის მფლობელის განკარგულება საბაჟო საწყობის ან გადამზიდველის მიმართ ამ საქონლის სხვა პირებზე გადაცემის შესახებ.

დემპინგი – საქონლის ექსპორტი და შესაბამისად იმპორტი ხელოვნურად შემცირებული ფასებით. იგი შეიძლება იყოს გამოწვეული ექსპორტიორის ხარჯით, სახელმწიფოს სუბსიდიებით ან ეროვნული ვალუტის დევალვაციით.

დემპინგი(სავალუტო) – ეროვნული ვალუტის კურსის შემცირების შედეგად მსოფლიო საბაზრო ფასებზე ნაკლები ფასით საქონლის ექსპორტი. ამ შემთხვევაში დაბალი ფასებით შეძენილი საქონ-

ლის რეალიზაცია საგარეო ბაზარზე ხდება შედარებით მცირე ფასებით, ხოლო მიღებული სავალუტო ამონაგების გადაცვლით ექსპორტიორი ქვეყნის ვალუტაზე მიიღება სავალუტო კურსით გაპირობებული მოგება.

დემპინგი (სოციალური) – იმპორტული საქონლის მიწოდება დაბალი ფასებით, რომელიც დაბალი გადახდისუნარიანი მოთხოვნით არის გაპირობებული.

დემპინგი(სპორადული) – საქონლის რეალიზაცია საგარეო ბაზარზე, რომლის შედეგადაც ადგილი აქვს ამ საქონლის გაუთვალისწინებელ სიჭარბეს.

დემპინგური მარჟა – სხვაობა შიდა და საექსპორტო ფასებს შორის.

დემერჯჯი – გადასახდელი შეთანხმებულ დროზე მეტი ხნის განმავლობაში გემზე საქონლის ჩატვირთვა – გადმოტვირთვის ოპერაციების განხორციელებისათვის. მას იხდის ფრახტის გადამხდელი გემის მფლობელის სასარგებლოდ.

დერილიქტი – ამ შემთხვევაში უპატრონო საქონელი.

დეზიგნაცია – ამ შემთხვევაში გაფუჭებული საქონლის ჩამონათვალი.

დიპლომატიური იმუნიტეტი – ამ შემთხვევაში მოცემულ ქვეყანაში დიპლომატიურ სამსახურში მყოფი უცხოელი პირის შეუვალობა საბაჟო კონტროლის, საბაჟო სამართალდარღვევების ან საბაჟო დანაშაულის მიმართ. დაუშვებელია დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირის საბაჟო კონტროლი.

დისმისლი – დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირის გამოცხადება კერძო პირად, რასაც საბაჟო თვალსაზრისით მოყვება მისი დაბეგვრა საბაჟო გადასახდელებით.

დისჰაჩი – გადასახდელი შეთანხმებულ დროზე ნაკლები ხნის განმავლობაში გემზე საქონლის ჩატვირთვა – გადმოტვირთვის ოპერაციების განხორციელებისათვის. მას იხდის გემის მფლობელი საქონლის მფლობელის სასარგებლოდ. დისჰაჩის თანხა, როგორც წესი, უდრის დემერჯჯის ნახევარს.

დისკონტი – ამ შემთხვევაში ფასდაკლება საქონელზე.

დისკრეციული უფლება – ამ შემთხვევაში შესაბამისი საბაჟო მოხელის უფლება თავისი შეხედულებისამებრ გადაწყვიტოს ისეთი საკითხები, რომლის დარეგულირებაც კანონმდებლობით შეუძლებელია ან რომელიც დელეგირებულია საბაჟო მოხელეზე.

დისქაუნთი – საქონლის გაყიდვა საბაზრო ფასებზე უფრო ნაკლები ფასებით, რაც გამოწვეულია მყიდველსა და გამყიდველს შორის განსაზღვრული შეთანხმებით. ჩვეულებრივ განასხვავებენ ხუთი სახის ფასდაკლებას:

ა) საქონლის რაოდენობის მიხედვით;

ბ) ექსკლუზიური აგენტის ფაქტორის მიხედვით;

გ) მუდმივი (რეგულარული) მყიდველის ფაქტორის მიხედვით;

დ) ახალი საქონლის ან სეზონის ფაქტორის მიხედვით;

ე) გადახდის დროის ფაქტორის მიხედვით.

"დიუთი ფრი" (Duti free) – იხ. უბაჟო ვაჭრობის პუნქტი.

დოკუტი – ამ შემთხვევაში აქვს ორი მნიშვნელობა: ერთი, როგორც საქონელზე მიკრული იარლიყი საქონლის მიმღების მისამართის ჩვენებით და მეორე, საბაჟო ორგანოს ან ბანკის მიერ გაცემული ქვითარი საბაჟო გადასახდელების გადახდის შესახებ.

დოკის ხელწერილი – გემის მფლობელის ან ექსპედიტორის მიერ გაცემული ცნობა ტვირთის საწყობში ან ნავმისადგომში მიღების შესახებ.

დროებით შემოტანის საბაჟო რეჟიმი – ქვეყნის საბაჟო ტერიტორიაზე უცხოური საქონლის შემოტანა საბაჟო გადასახდელებისაგან სრული ან ნაწილობრივი გათავისუფლების პირობით. ამასთან ეს საქონელი გატანილ უნდა იქნეს საბაჟო ტერიტორიიდან უცვლელ მდგომარეობაში(გარდა ბუნებრივი ცვეთისა, მათ შორის საწარმოო ექსპლოატაციით გამოწვეული ცვეთისა) წინასწარ განსაზღვრულ ვადაში.

დროებითი შენახვის საწყობი – შენობა-ნაგებობა ან გარკვეული შემორაგული ტერიტორია, სადაც ინახება საბაჟო კონტროლქვეშ არსებული ისეთი საქონელი, რომელზეც ჯერ არ არის წარდგენილი საბაჟო დეკლარაცია ან დასრულებული საბაჟო რეჟიმი(დამუშავების ოპერაცია).

დროებითი შენახვის ღია საბაჟო საწყობი – საწყობი, სადაც შეიძლება საქონელი განათავსოს ნებისმიერმა პირმა ან სადაც შეიძლება განთავსებულ იქნეს ნებისმიერი სახის საქონელი(შესაბამისი სპეციფიკის გათვალისწინებით).

დროებითი შენახვის დახურული საბაჟო საწყობი – საწყობი, სადაც შეიძლება საქონელი განათავსოს მხოლოდ ერთმა პირმა ან, სადაც შეიძლება განთავსდეს მხოლოდ განსაზღვრული სახის საქონელი.

დუოპსონია – ერთი და იგივე საქონლის მრავალი გამყიდველისა და მხოლოდ ორი მყიდველის ერთობლიობა ბაზარზე.

ევალვაცია – საქონლის ფასების, რაოდენობის, ხარისხის და სხვა მახასიათებლების განსაზღვრა.

ეკვივალენტური საქონელი – საქონელი, რომელიც თავისი იდენტური მახასიათებლების მიხედვით შეიძლება ჩაენაცვლოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების დროს გადასამუშავებელ საქონელს ან საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების დროს მისაღებ გადამუშავების პროდუქტს(ამ უკანასკნელს ზოგჯერ შემცვლელ პროდუქტსაც უწოდებენ).

ემბარგო – რომელიმე ქვეყანაში ნარმოშობილი გარკვეული სახის საქონლის ქვეყანაში შემოტანის ან გატანის აკრძალვა.

ერთეულის ფასის მეთოდი – საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მეთოდი, რომლის მიხედვით საქონლის საბაჟო ღირებულება განისაზღვრება ადრე შემოტანილი იგივე კლასისა და ტიპის საქონლის ადგილობრივ ბაზარზე საბითუმო ფასსა და შესაბამის ხარჯების, გადასახადების და მოგების ჯამს შორის სხვაობის საფუძველზე.

ერლანგი – ამ შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალებაში საქონლის ჩატვირთვის საერთაშორისო ერთეული. იგი გამოხატავს ჩატვირთვის ინტენსივობის ერთეულს და შეადგენს 3600 წამს.

ეტატიზმი – სახელმწიფოს აქტიური(მეტისმეტი) ჩარევა ეკონომიკაში.

ექსპანსია – ამ შემთხვევაში ცალკეული პირების ან სახელმწიფოების მიერ სხვა ქვეყნების საქონლო ბაზრების დაპყრობა.

ექსპედიტორი – გადამზიდველის აგენტი, რომელიც გამოდის გადამზიდველსა და საქონლის მიმღებს ან გამგზავნს შორის შუამავლად და ახორციელებს სატრანსპორტო – საექსპედიტორო მომსახურებას.

ექსპორტი – საქონლის გატანის საბაჟო რეჟიმი, რომელიც ნიშნავს მოცემული ქვეყნის საქონლის მოქცევას ისეთ პირობებში, რაც არ მოითხოვს საქონლის ამავე ექსპორტიორ ქვეყანაში დაბრუნების ვალდებულებას. სხვანაირად ამ რეჟიმში საქონლის მოქცევას საქონლის საბოლოო გატანას ან დაბრუნების რეჟიმსაც უწოდებენ.

ექსპორტი(ირიბი) – სხვა საქონლის მაკომპლექტებელი საქონლის ექსპორტი.

ექსპორტი(ცრუ) – საქონლის ფიქტიური ექსპორტი, რომლის დროსაც საბაჟო დოკუმენტების მიხედვით საქონელი გატანილია საბაჟო ტერიტორიიდან, ხოლო ფაქტობრივად იგი დარჩა ამ ტერიტორიაზე.

ექსპორტი(არაპროდუქტიული) – საექსპორტო ამონაგების უმეტესი ნაწილის დახარჯვა არა საიმპორტო საქონლის შესაძენად, არამედ ვალებისა და საკრედიტო პროცენტების დასაფარად.

ექსპორტი(უხილავი) – ქვეყნის საგადამხდელო ბალანსის საშემოსავლო ნაწილი, რომელიც შემოდის არა სასაქონლო ექსპორტის ამონაგების სახით, არამედ საბაჟო საზღვრისათვის უხილავი ისეთი ფორმებით, როგორიც არის მომსახურების, დაზღვევის, ტურიზმის, ინვესტიციების ექსპორტი.

ექსპორტისა და იმპორტის სტრუქტურა – ქვეყნის ექსპორტისა და იმპორტის მოცულობაში სხვადასხვა დასახელების საქონელთა ხვედრითი წილების ღირებულებითი თანაფარდობა.

ექსპორტის დივერსიფიკაცია – საექსპორტოდ გასატანის საქონლის სახეების ზრდა ანუ მრავალფეროვანი სახის საექსპორტო საქონლის წარმოება.

ექსპორტიორი – პირი, რომელსაც საკუთრებაში არსებული საქონელი ექსპორტის საბაჟო რეჟიმით გააქვს საბაჟო ტერიტორიის გარეთ. ფართო გაგებით, პირი, რომელსაც ნებისმიერი საბაჟო დამუშავების ოპერაციით გააქვს საქონელი საბაჟო ტერიტორიის გარეთ(მაგ. ექსპორტი, რეექსპორტი, ტრანზიტი და სხვა).

ვალიზა – დიპლომატიური კურიერის საფოსტო ტომარა, რომლის საბაჟო კონტროლი, როგორც წესი, დაუშვებელია.

ვალორიზაცია – ამ შემთხვევაში საქონლის ფასების ზრდა ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის შედეგად.

ვარანტი – ამ შემთხვევაში საბაჟო საწყობის მიერ გაცემული დოკუმენტი (მოწმობა), რომელიც ადასტურებს საქონლის საწყობში შესანახად მიღებას.

ვენდორი – სავაჭრო მარკის მატარებელი პირი.

ვექსელი(საპროდუქტო) – ამ შემთხვევაში დოკუმენტი, რომელიც მოიცავს საწყობში არსებულ და ხომალდის (გემის, თვითმფრინავის) ბორტზე ატანილი ტვირთის სიას, რომელიც განკუთვნილია რეისის დროს მოხმარებისათვის და, რომელიც წარედგინება საბაჟო ორგანოს.

ვეტერინარული საბაჟო კონტროლი–ცხოველური წარმოშობის საქონლის კონტროლი სპეციალური პარამეტრების მიხედვით. ვეტერინარული სასაზღვრო კონტროლი ქვეყნის ეკონომიკური, მათ

შორის სასურსათო და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველმყოფი ღონისძიებაა.

„ვინ – კოდი"(VIN – Vehicle Identification Number) – ავტომობილის საიდენტიფიკაციო ნომერი, რომელიც ამოტვიფრულია ავტომანქანის შესაბამის ნაწილზე და, რომელიც გამოიყენება ავტომობილების საბაჟო დამუშავების ოპერაციებში მოქცევის დროს მისი იდენტიფიცირების მიზნით.

– ზ –

ზედმეტად გადახდილი საბაჟო გადასახდელები – საბაჟო გადასახდელების გადახდილი თანხა, რომელიც აღემატება კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახდელ თანხას. იგი შეიძლება გაპირობებულ იყოს სხვადასხვა მიზეზით. მაგ. კანონმდებლობის უცოდინარობა, მექანიკური შეცდომა, საბაჟო ღირებულების განსაზღვრის ნიუანსები, საგადასახადო განაკვეთების ცვლილება და სხვა.

ზენორმატიული დატვირთვა – კანონმდებლობით დადგენილი ტვირთამწეობის ზევით ავტოსატრანსპორტო საშუალების დატვირთვა საქონლით, როგორც ზოგადად, ასევე ცალკეული ღერძების მიხედვით, რაც საფრთხეს უქმნის, როგორც სატრანსპორტო მოძრაობას, ასევე აზიანებს გზების საფარს.

ზოგადი დეკლარირება – საბაჟო დამუშავების ოპერაციის(საბაჟო რეჟიმის) შერჩევამდე დეკლარანტის(ან შესაბამისი პირის) მიერ განსახორციელებელი საბაჟო პროცედურა, რომელიც გულისხმობს საქონელზე არსებითი მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების(მაგ. სატრანსპორტო ზედდებული, ინვოისი, წარმოშობის სერტიფიკატი და სხვა) წარდგენას. როგორც წესი, ზოგადი დეკლარირება ხორციელდება საბაჟო საზღვარზე საქონლის შემოტანის დროს.

ზუერი(ზუერი) – ძვ. ქართულად ბაჟი ანუ საბაჟო გადასახადი. სიტყვები "საბაჟო" და "მებაჟე" ძველი ქართულით თარგმნილ ახალ აღთქმაში ყველგან მოხსენიებულია, როგორც "საზუერე" და „მეზუერე".

– თ –

თავისუფალი საბაჟო ზონა(საწყობი) – საბაჟო დამუშავების ოპერაცია, რომლის დროსაც ამ ზონაში (საწყობში)მოთავსებული საქონელი საბაჟო გადასახდელების გადახდის თვალსაზრისით განიხილება საბაჟო ტერიტორიის გარეთ არსებულად. თავისუფალ ზონაში (საწყობში) შეტანილ საქონელზე საბაჟო გადასახდელები არ გადაიხდევინება.

თავისუფალი საქონელი – საქონელი, რომელზეც მიწოდება აღემატება მოთხოვნას.

"თექს ფრი შოპინგ"(თახ ფრეე შპოპპინგ) – გადასახადისაგან თავისუფალი ვაჭრობა. ამ შემთხვევაში, როგორც წესი, გათავისუფლება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადისაგან(დღგ). გაათავისუფლების მექანიზმი შემდეგში მდგომარეობს: უცხოელი ფიზიკური პირი ყიდულობს ქვეყნის საბაჟო ტერიტორიის შიგნით სპეციალურად ამისათვის უფლებამოსილ მაღაზიაში შესაბამის საქონელს. მაღაზია ახდევინებს დღგ-ს საქონლის ფასის მეშვეობით და აძლევს სპეციალურ ქვითარს. ქვეყნიდან გასვლის დროს სასაზღვრო საბაჟო კონტროლის ზონაში მდებარე შესაბამის ბანკში უცხოელი წარადგენს ამ ქვითარს და შესაბამის საქონელს, რის საფუძველზეც მას უბრუნდება ყიდვის დროს გადახდილი დღგ-ს თანხა.

– ი –

იგივე კლასის და ტიპის საქონელი – საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მიზნებისათვის საქონელი, რომელიც არ არის არც იდენტური და არც მსგავსი, მაგრამ თავის ფიზიკური, სამომხმარებლო და სხვა თვისებებით მიეკუთვნება შესაფასებელი საქონლის ვინრო ჯგუფს და კომერციულად ენაცვლება მას. მაგ. კარაქისათვის – მარგარინი.

იდენტური საქონელი – საქონელი, რომელიც ერთდროულად აკმაყოფილებს შემდეგ საიდენტიფიკაციო ნიშნებს:

ა) ერთნაირი ფიზიკური მახასიათებლები;

ბ) ერთნაირი ხარისხი;

გ) ერთნაირი რეპუტაცია;

დ) ერთი და იგივე წარმოშობის ქვეყანა;

ე) ერთი და იგივე მწარმოებელი პირი (დასაშვებია სხვა მწარმოებელი პირიც, თუ ასეთი იდენტური საქონლის იგივე მწარმოებელი პირი არ მოიპოვება).

იდენტური საქონლის გარიგების ფასის მეთოდი – საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მეთოდი, რომლის მიხედვით საბაჟო ღირებულების განსაზღვრის დროს გამოიყენება ადრე შემოტანილი იდენტური საქონლის გარიგების ფასებიდან ყველაზე მცირე ფასი.

იმპორტი – ქვეყანაში უცხოური საქონლის, მომსახურების ან კაპიტალის შემოტანა. საბაჟო მიზნებისათვის იმპორტი არის საბაჟო რეჟიმი, რაც ნიშნავს უცხოური საქონლის მოქცევას ისეთ პირობებში, რომელიც არ მოითხოვს საქონლის ექსპორტის ქვეყანაში დაბრუნების ვალდებულებას. სხვანაირად ამ რეჟიმში საქონლის მოქცევას საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში ან საქონლის შიდა მოხმარებისათვის გაშვებასაც უწოდებენ.

იმპორტი(წმინდა) – სხვაობა მთლიანი იმპორტისა და იმ სახის საქონელთა ექსპორტის მოცულობებს შორის, რომელიც შემოდის იმპორტის სახით.

იმპორტი(ირიბი) – შემოტანილი მანქანა – დანადგარების მაკომპლექტებელი ნაწილების ან ნახევარფაბრიკატების იმპორტი.

იმპორტი(უხილავი) – მომსახურების იმპორტი.

იმპორტი(პარალელური) – იმპორტიორის მიერ ერთ ქვეყანაში საქონლის ყიდვა და მისი გაყიდვა მეორე ქვეყანაში.

იმპორტის ბიუჯეტური ეფექტურობა – იმპორტიორის მიერ რეალიზებული იმპორტირებული საქონლის ღირებულებისა და მისი საბაჟო ღირებულების თანაფარდობა.

იმპორტიორი – კანონმდებლობით განსაზღვრული ნებისმიერი პირი(ფიზიკური, იურიდიული და სხვა), რომელიც ახორციელებს საქონლის შემოტანას ქვეყანაში.

იმპოსტი – გადასახადი.

ინდემნიტეტი – ზარალის, დანაკარგების ანაზღაურება.

ინდოსამენტი – ამ შემთხვევაში წარწერა კონოსამენტის უკანა მხარეს, ამ კონოსამენტის სხვისთვის გადაცემის შესახებ.

ინვოისი – ამ შემთხვევაში ექსპორტიორის მიერ იმპორტიორისათვის გამოწერილი ანგარიშ-ფაქტურა, რომელიც ასახავს, როგორც წესი, შემდეგ მონაცემებს: საქონლის დასახელება, რაოდენობა, ღირებულება, ექსპორტიორისა და იმპორტიორის დასახელება, საქონლის მიწოდების პირობები ინკოტერმსის მიხედვით. ამასთან ინვოისი წარმოადგენს ექსპორტიორის დავალებას იმპორტიორისადმი მასში მითითებული ღირებულების სავალდებულო გადახდის შესახებ.

ინვოისი(პროფორმა) – ანგარიშ-ფაქტურა, რომელსაც ექსპორტიორი იმპორტიორს გამოუწერს წინასწარ საქონლის გაგზავნამდე (გადატვირთვამდე). იგი არ წარმოადგენს დავალებას მითითებული თანხების სავალდებულო გადახდის შესახებ. ამასთან, პროფორმა ინვოისში მითითებული მონაცემები(საქონლის რაოდენობა, ღირებულება) შეიძლება არ დაემთხვეს საქონლის გაგზავნის შემდეგ საბოლოო ორიგინალ ინვოისში მითითებულ მონაცემებს. პროფორმა ინვოისი, როგორც წესი, გამოიწერება შემდეგ შემთხვევებში: კონსიგნაციის დროს, აუქციონებზე საქონლის გატანის დროს, ნაყარი ტვირთების ტერიტორიის გარეთ გადამუშავების დროს ხელშეკრულების საფუძველზე, საჩუქრის ან უსასყიდლო დახმარების დროს და სხვა.

ინკოტერმსი – საგარეო ვაჭრობაში საქონლის მიწოდების პირობები. ტერმინი "ინკოტერმსი" აბრევიატურაა (INCOTERMS _ International Commerce Terms) და ნიშნავს „საერთაშორისო კომერციულ ტერმინებს". არსებობს საქონლის მიწოდების 11 საერთაშორისო პირობა, რომელიც შესაბამისად ასახულია 11 ტერმინში.

ინჟინირინგი(ინჟინერია) – საბაჟო ღირებულების ელემენტების ასპექტით, საინჟინრო – საკონსულტაციო კომერციული მომსახურების კომპლექსი, რომელიც მოიცავს წარმოების პროცესის, მონყობილობების, ობიექტების ფუნქციონირების და საქონლის რეალიზაციის უზრუნველყოფის საკითხებს.

ინსოლვენტი – გადახდისუუნარო მოვალე.

ინსტანტი – მიმდინარე კალენდარული თვე.

ინტროდუქცია ზღვიდან – ნებისმიერი სახის ცოცხალი ან არაცოცხალი მცენარის ან ცხოველის შეტანა ქვეყანაში, რომელიც მოპოვებულია იმ ზღვაში, რომელიც არ ეკუთვნის არცერთი სახელმწიფოს იურისდიქციას.

ინტეგრირებული საბაჟო ტარიფი – მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც საბაჟო გადასახადის განაკვეთს, სასაქონლო ნომენკლატურასა და პრეფერენციებთან ერთად მოიცავს სხვა გადასახდელების განაკვეთსაც, სხვადასხვა საჭირო დოკუმენტებს (სერტიფიკატი, კვოტა, ლიცენზიები, ნებართვები და ა.შ), აკრძალული საქონლის ნუსხას და ყველა იმ დოკუმენტალურ და შეზღუდვით რეგულაციას, რომელიც უკავშირდება სხვადასხვა საბაჟო რეჟიმების(დამუშავების ოპერაციების) მიხედვით მოცემულ საქონელს.

ირიბი წარმომადგენელი – პირი, რომელიც მოქმედებს და საბაჟო დეკლარაციას წარადგენს თავისი სახელით და სხვა პირის ანუ საქონლის მესაკუთრის (მფლობელის) დავალებით. შესაბამისად,

ირიბი წარმომადგენელი არის დეკლარანტი და მას საბაჟო ორგანოს წინაშე გააჩნია იგივე საბაჟო ვალდებულებები და პასუხისმგებლობები, რაც ექნებოდა საქონლის მესაკუთრეს (მფლობელს) იმ შემთხვევაში, თუ იგი თვითონ, უშუალოდ განახორციელებდა დეკლარირებას. ირიბ წარმომადგენელს აქვს აგრეთვე საბაჟო ორგანოების გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფლება.

იშაკი – საბაჟო ჟარგონი, რომელიც აღნიშნავს საბაჟო საზღვარზე იარაღის კონტრაბანდულად გადამტან დაქირავებულ პირს(შუამავალს).

– კ –

კაბოტაჟი – გემების გადაადგილება ნაპირთან ახლოს. ასხვავებენ ორი სახის კაბოტაჟს: დიდი და მცირე. დიდი კაბოტაჟი ეწოდება ტერიტორიული წყლებიდან გემის გასვლას, ხოლო მცირე – ტერიტორიულ წყლებში ცურვას.

კამერალური შემოწმება – ამ შემთხვევაში საბაჟო დოკუმენტების შემოწმება საბაჟო ორგანოს მიერ საბაჟო ორგანოდან გაუსვლელად, ადგილზე.

კანცელინგი – ჩარტერით დაქირავებული გემის საქონლის ჩატვირთვის პორტში გამოცხადების ბოლო ვადა.

კაპიტნის ხელწერილი(ჩვენება) – გემის კაპიტნის წერილობითი დოკუმენტი, რომელსაც იგი გადასცემს საბაჟო ორგანოს პორტში შემოსვლისა და გასვლის დროს. ჩვეულებრივ იგი მოიცავს მონაცემებს გემის, ტვირთისა და სატვირთო დოკუმენტების შესახებ.

კაპიტნის ფოსტა – საქონლის ჩატვირთვის პორტიდან ხომალდის კაპიტნის მიერ სატვირთო – სატრანსპორტო დოკუმენტების გამოგზავნა საქონლის მფლობელის, საბაჟო ორგანოს ან პორტის მისამართით.

კარანტინი – ამ შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ დაწესებული შეზღუდვითი არასატარიფო ღონისძიებები საქონლის შემოტანა – გატანის მიმართ, რომელიც უკავშირდება სხვადასხვა სამედიცინო, ფიტო და ვეტერინალური დავადებების ან მავნებლების გავრცელებას.

კარატი – 0,0002 კილოგრამი.

კარი – სასაქონლო ნომენკლატურის მიზნებისათვის ერთი გვარის საქონელთა ზოგადი დასახელება. მაგ. პირველი კარი არის: "ცოცხალი ცხოველები; ცხოველური წარმოშობის პროდუქტები".

კარგო – ტვირთი, საქონელი. მაგ. გენერალური, ნაყარი და სხვა სახის ტვირთები.

კარნეტ – დე – პასაჟი(CPD) – აბრევიატურა, რომელიც ნიშნავს საზღვრის გავლის წიგნაკს და გამოიყენება სატრანსპორტო საშუალებების დროებით შემოტანის დროს.

კვადრიპლიკატი – აქვს ორი მნიშვნელობა: ერთი, აღნიშნავს დოკუმენტის მეოთხე ეგზემპლარს, ხოლო მეორე – შტამპს, საერთაშორისო სავაჭრო კონტრაქტის მეოთხე ეგზემპლარზე.

კვალიმეტრია – მეცნიერება ხარისხის შესახებ.

კვაზიფასი – ფიქტიური ფასი, რომელიც არ გამოხატავს საქონლის რეალურ ფასს.

კვოტა – ამ შემთხვევაში შემოსატანი ან გასატანი საქონლის რაოდენობრივი ზღვრის დაწესება, რომლის გადამეტება, როგორც წესი, იწვევს აკრძალვას ან მაღალი გადასახდებით დაბეგვრას.

კლარირება – პორტიდან გემის გასვლის ნებართვის მისაღებად განხორციელებული შესაბამისი პროცედურები.

კლაიმი – იგივე რეკლამაცია.

კლირინსი – ამ ტერმინს ორი მნიშვნელობა აქვს: ერთი, როგორც საბაჟო პროცედურებისაგან გათავისუფლება და მეორე – გემების პორტში შესვლა – გასვლის და ტვირთების შემოტანა – გატანის წესების დაცვა.

კომერციული სატრანსპორტო საშუალება – სატრანსპორტო საშუალება, რომლითაც საქონლის გადატანა ან მგზავრების გადაყვანა საბაჟო საზღვრის გადაკვეთით ხორციელდება სასყიდლით ან უსასყიდლოდ.

კომერციული კრედიტი – საქონლის გაყიდვა განვადებით მასზე პროცენტის დარიცხვით ან მის გარეშე.

კომბინირებული სატარიფო – სტატისტიკური ნომენკლატურა–საბაჟო – სატარიფო და სტატისტიკური ნომენკლატურების გაერთიანება, რომელიც გამოიყენება შემოტანილი საქონლის დეკლარირების დროს.

კომპრადორი-ექსპორტიორი ქვეყნის ადგილობრივი კომერსანტი, რომელიც ყიდულობს ადგილობრივ საქონელს უცხოეთში გასაყიდად. იგი არის ერთგვარი შუამავალი ადგილობრივ და საზღვარგარეთის ბაზარს შორის.

კონტანტისტი – ვაჭარი, რომელიც მხოლოდ ნაღდ ფულზე ვაჭრობს.

კონტეინერი – სატრანსპორტო მონყობილობა(გალია, მოსახსნელი ცისტერნა ან მსგავსი მონყობილობა), რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

ა) წარმოადგენს მთლიანად ან ნაწილობრივ ჩაკეტილ მოცულობას, რომელიც გათვალისწინებულია საქონლის მოსათავსებლად;

ბ) აქვს მუდმივი ხასიათი და ამის გამო საკმაოდ გამძლეა იმისათვის, რომ მრავალჯერ იქნეს გამოყენებული;

გ) სპეციალურად არის კონსტრუირებული იმისათვის, რომ გაადვილოს საქონლის გადატანა ერთი ან რამოდენიმე სახის სატრანსპორტო საშუალებით საქონლის შუალედური გადატვირთვის გარეშე;

დ) კონსტრუირებულია იმგვარად, რომ გაადვილოს მისი გადატვირთვა ერთი სახის ტრანსპორტიდან მეორე სახის ტრანსპორტზე;

ე) კონსტრუირებულია იმგვარად, რომ იოლად შეიძლებოდეს მისი დატვირთვა და გადმოტვირთვა;

ვ) აქვს შიგა მოცულობა არანაკლებ ერთი კუბური მეტრისა(თუმცა, კონტეინერების შესახებ შესაბამისი კონვენციის წევრ ქვეყნებს უფლება აქვთ კონტეინერად ჩათვალონ უფრო ნაკლები მოცულობის მოწყობილობაც).

კონტრაბანდა – წარმოდგება იტალიური სიტყვებისაგან: ცონტრა – ნიშნავს „წინააღმდეგ", ხოლო ბანდო – „სამთავრობო ბრძანებულება" – ს. საბაჟო ურთიერთობებში ტერმინი აღნიშნავს საბაჟო საზღვარზე საქონლის უკანონო გადაადგილებას. ზოგიერთი ქვეყანა კონტრაბანდის ნაცვლად იყენებს „საბაჟო წესების დარღვევის" ტერმინს (მაგ. საქართველო). მაგ. საზღვარზე საქონლის საბაჟო ორგანოსაგან ფარულად შემოტანა – გატანა. იგი ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

კონტრაბანდა(უპატრონო) – ისეთი კონფისკებული საქონელი, რომელიც დამალული იყო საზოგადოებრივ ტრანსპორტში და, რომლის პატრონიც დაუდგენელია.

კონტრაბანდა(სამხედრო) – კონტრაბანდის სახე, რომელსაც ახორციელებს ნეიტრალური ქვეყანა ორი ქვეყნის ერთმანეთს შორის ომის დროს ერთ-ერთის სასარგებლოდ.

კონტრაფაქცია – სხვისი სასაქონლო ნიშნების უკანონო გამოყენება.

კონტროლირებადი მიწოდება – უკანონოდ გადაადგილებადი ნარკოტიკული ნივთიერებების ან იარაღის გატარება საბაჟო ორგანოების მიერ საბაჟო ტერიტორიაზე – დანიშნულების ადგილამდე, შესაბამისი პირების გამოვლენის მიზნით. ასეთი საქონელი შეიძლება გატარებულ იქნეს ტრანზიტით, თუ დანიშნულების ადგილი სხვა ქვეყანაა ან „უზრუნველყოფილ იქნეს" ამ საქონლის ქვეყნის შიგნით შესაბამის პირებამდე მიტანა.

კონსიგნაცია – საბაჟო მიზნებისათვის საქონლის შემოტანა საბაჟო ტერიტორიაზე, რომლის დროსაც საქონლის მესაკუთრე (კონსიგნანტი, ექსპორტიორი) საქონელს გადასცემს კომისიონერს (კონსიგნატორს, იმპორტიორს), რომელიც ამ საქონელს ყიდის სხვა პირებზე თავისი საწყობიდან და ამისათვის საქონლის მესაკუთრიდან ღებულობს საკომისიოს.

კონსიგნანტი – საქონლის მესაკუთრე, რომელიც ხელშეკრულების შესაბამისად საქონელს გადასცემს სხვა პირს (კონსიგნატორს) ამ უკანასკნელის მიერ თავისი საწყობიდან საქონლის გაყიდვის მიზნით.

კონსიგნატორი – პირი, რომელიც ხელშეკრულების შესაბამისად საქონელს იღებს საქონლის მესაკუთრისაგან თავისი (კონსიგნატორის) საწყობიდან საქონლის გაყიდვისა და საკომისიოს მიღების მიზნით.

კონოსამენტი – საზღვაო ზედნადები, რომელსაც გამოწერს გემის კაპიტანი ან შესაბამისი ექსპედიტორი საქონელგამგზავნზე გადასაცემად. იგი წარმოადგენს საქონლის გემის ბორტზე მიღებისა და ამავე დროს საქონლის განკარგვის უფლების მომნიჭებელ დოკუმენტსაც. ამასთან კონოსამენტი ითვლება ფასიან ქაღალდად (გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა).

კონოსამენტი(სახელობითი) – საზღვაო ზედნადები, რომლითაც საქონლის მიღების უფლება გადაეცემა მხოლოდ იმ პირს ვისი რეკვიზიტებიც არის აღნიშნული კონოსამენტში. ამ შემთხვევაში გადაცემა ხორციელდება ცესიით ანუ გემის კაპიტნის მიერ კონოსამენტის პირდაპირ გადაცემით. ("ცესია" (ცესსიონ) ლათინური სიტყვაა და ნიშნავს დათმობას, გადაცემას, ხოლო „ცესიონერი" (ლენდერ) – პირს, რომელიც ახორციელებს გადაცემას).

კონოსამენტი(ორდერული) – საზღვაო ზედნადები, რომელშიც საქონლის მიმღები აღნიშნული არ არის. ამდენად ამ სახის კონოსამენტით საქონლის მიღებაზე უფლების გადაცემა ხორციელდება ინდოსამენტის მეშვეობით.("ინდოსამენტი" ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „ზურგს", ამ შემთხვევაში კი – გადაცემის წარწერას ფასიანი ქაღალდის უკანა მხარეზე, რომელიც წარმოადგენს სხვა პირისათვის განსაზღვრული უფლებების გადაცემის დადასტურებას).

კონსამენტი(გამჭოლი) – საზღვაო ზედნადები, რომელიც გაიცემა იმ შემთხვევაში, როდესაც არ ხდება ბოლო დანიშნულების პორტამდე გემზე დატვირთული საქონლის სხვა გემებზე გადატვირთვა. მას აკისრია სატრანსპორტო ლოგისტიკის შემდგომი მართვა მითითებულ დანიშნულების პუნქტამდე.

კონოსამენტი(კომბინირებული სატრანსპორტო)-ზედნადები, რომელიც გაიცემა მულტიმოდალური ტრანსპორტის ოპერატორების მიერ. ამასთან, მას აკისრია საერთო სატრანსპორტო პროცესის განხორციელების პასუხისმგებლობა საქონლის გაგზავნის ადგილიდან მიღების ადგილამდე სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებებით(საზღვაო, სარკინიგზო, საჰაერო, საავტომობილო).

კონოსამენტი(სახაზო) – საზღვაო ზედნადები, რომელიც გაიცემა სანაოსნოების მიერ და გამოიყენება რეგულარული საზღვაო მიმოსვლის მარშრუტებზე.

კონოსამენტი(ექსპრესული) – საზღვაო ზედნადები, რომელიც წარმოადგენს სანაოსნოების მიერ საქონლის მიღების დასტურს. მისი მიზანია კონოსამენტების გრძელი საფოსტო გზის შემცირება. გაგზავნის (საქონლის გემზე დატვირთვის) თარიღი, აგრეთვე საქონლის ჩამოსვლის ვადა დანიშნულების პორტში, მიმღებს ეცნობება ელექტრონული ფოსტის საშუალებით. ეს კონოსამენტი არ წარმოადგენს ფასიან ქაღალდს.

კონოსამენტი(მულტიმოდალური)-ზედდებული, რომელიც წარმოადგენს გამჭოლი კონოსამენტის სახეს და, რომელიც გაიცემა შერეული გადაზიდვების ექსპედიტორის მიერ.

კონკლუდენტური დეკლარირება – მგზავრის მიერ მოქმედებით(ქცევით) ანუ უტყვად შესრულებული განცხადება. მაგ. ცივილიზებულ ქვეყნებში საბაჟო საზღვრებზე არსებობს ე. წ. „წითელი“ და „მწვანე“ კორიდორები. იმ შემთხვევაში, თუ მგზავრი შეგნებულად გადის „წითელ“ კორიდორს იგი „აცხადებს“, რომ მას აქვს დეკლარირებას დაქვემდებარებული საქონელი, ხოლო „მწვანე“ კორიდორის გავლისას, კი, პირიქით – იგი, „აცხადებს“, რომ მას არ აქვს დეკლარირებას დაქვემდებარებული საქონელი.

კონსომატიკა – მეცნიერება საქონლის მოხმარების შესახებ.

კონტრეილერი – ისეთი კონტეინერი, რომელიც დგას ბორბლებზე და, რომელსაც შეუძლია გადაადგილება, როგორც რკინიგზის პლატფორმაზე, ასევე საავტომობილო გზაზე.

კოპირაიტი – საავტორო უფლების დაცვის აღმნიშვნელი სპეციალური ნიშანი.

კრეცი – ოქროს მტვერი, რომელიც წარმოქმნება ოქროს ნაკეთობის დამუშავების დროს.

კრუმლინგი – გადახდა ინტერნეტით.

კროს – კურსი – ორი ვალუტის თანაფარდობის კურსი, რომელიც განსაზღვრულია მესამე ვალუტასთან თითოეული მათგანის თანაფარდობით.

კულაჟი – თხევადი საქონლის ყიდვის დროს მიცემული დათმობა საქონლის წონიდან ან/და სითხის გაჟონვა.

კურტიე – შუამავალი, აგენტი, ბროკერი, დილერი, მაკლერი.

– ლ –

ლეიბლი – ყარგონი, რომელიც აღნიშნავს საქონლის ეტიკეტს ან სავაჭრო მარკას.

ლეი-ეევი – საქონლის გაყიდვა წინასწარი გადახდით.

ლეიდეისი – გემის დასატვირთად წარდგენის უადრესი თარიღი, რომლის მიხედვით გემის უფრო ადრე წარდგენის შემთხვევაში, დამფრახტველი არ იღებს გემის მოცდენის ჯარიმების გადახდის ვალდებულებას.

ლეკაჟი – საქონლის წონითი ან მოცულობითი დანაკარგები მისი შენახვის ან ტრანსპორტირების დროს.

ლენდინგი – გემიდან დანიშნულების ადგილზე საქონლის გადმოტვირთვის საფასური.

ლიგატურა – ოქროს ან ვერცხლის მონეტაში არაკეთილშობილი ლითონის მინარევი (დანამატი).

ლიზ – ბეკი – საერთაშორისო ლიზინგი, რომლის დროსაც სალიზინგო კომპანია საზღვარგარეთ იძენს წარმოების საშუალებებს ამ საშუალებების მწარმოებელი ფირმისაგან და შემდგომ ასხვისებს მას ამავე ფირმაზე განვადებით.

ლიზინგი – საქონლის გადაცემა არენდით, როგორც წესი, მისი გამოსყიდვის პირობით.

ლიცენზია(ნებართვა) – ამ შემთხვევაში სხვადასხვა საბაჟო რეჟიმებში საქონლის მოქცევის ნებართვა, რომელიც გაიცემა, როგორც წესი, შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მიერ. მაგ. იარაღის იმპორტის ან ტრანზიტის ლიცენზია. ლიცენზირება განეკუთვნება არასატარიფო პოლიტიკის ღონისძიებებს და იგი ხორციელდება განსაზღვრული კატეგორიის საქონლის მიმართ. ლიცენზიის(ნებართვის) ქვეშ მოიაზრება აგრეთვე საბაჟო საწყობის ან უბაჟო ვაჭრობის პუნქტის დაარსების ან საბაჟო ბროკერის ან გადამზიდველის სტატუსის მოპოვების ნებართვაც.

ლოგისტიკა – მატერიალური, ენერგეტიკული, შრომითი და ინფორმაციული ნაკადების გადაადგილების მართვის შემსწავლელი მეცნიერება.

ლოგოტიპი – ნახაზი, გამოსახულება, რომელიც მოკლედ ასახავს ფირმის ან საქონლის დასახელებას.

ლოკო – ამ შემთხვევაში საქონლის ყიდვა-გაყიდვის პირობა, რომლის დროსაც საქონლის ფასში არ შედის შემდგომი ტრანსპორტირების ხარჯები.

ლუმპსუმი – გემის ფრახტის ფიქსირებული თანხა, რომელიც არ არის დაკავშირებული ტვირთის რაოდენობაზე.

– მ –

მანგონიზაცია – საქონლის გაყალბება, ფალსიფიკაცია.

მანიფესტი(საკონტეინერო) – დოკუმენტი, რომელიც შეიცავს შესაბამისი სატვირთო კონტეინერების ჩამონათვალს. მას გამოწერს კონტეინერში საქონლის ჩატვირთვაზე პასუხისმგებელი პირი.

მანიფესტი(საზღვაო) – გემის კაპიტნის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს კონოსამენტების ჩამონათვალს. იგი, როგორც წესი, გადაეცემა საბაჟო ორგანოს.

მარაგების გადაადგილება – საბაჟო დამუშავების ოპერაცია, რომელიც ნიშნავს საბაჟო ტერიტორიიდან გამსვლელი ამ შემომსვლელი საერთაშორისო საჰაერო, საზღვაო და სარკინიგზო ტრანსპორტის დროს ამ ტრანსპორტზე განსაზღვრული საქონლის მიწოდების ან იქ არსებული საქონლის გათავისუფლებას საბაჟო გადასახდელებისაგან.

მარკირება – ტვირთის შეფუთვაზე შესაბამისი პირობითი ნიშნების დასმა.

"მატყუარა სოკო" – პირი, რომელიც კანონდარღვევით ამზადებს ცნობილი, სხვისი სავაჭრო მარკების საქონელს.

მგზავრი – ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც კანონიერად გადაადგილდება მოცემული ქვეყნის საბაჟო საზღვარზე.

მებაჟის საერთაშორისო დღე – 26 იანვარი. საქართველოში მებაჟის დღედ დაწესებულია 15 თებერვალი.

მეზუერე(მეზვერე) – ძვ. ქართულად მებაჟე ანუ საბაჟო ორგანოს მოხელე.

მიმღები – ამ შემთხვევაში სატრანსპორტო ზედნადებში მითითებული პირი, რომლისთვისაც არის საქონელი განკუთვნილი.

მიწოდება საზღვრამდე(... მითითებული მიწოდების ადგილი) DAF – საქონლის მიწოდების პირობა, რომლის მიხედვით გამყიდველი გადმოუტვირთავ მდგომარეობაში მყოფ საქონელს აწვდის მყიდველს ნებისმიერი მითითებული ქვეყნის (მათ შორის ექსპორტიორი ქვეყნის) საზღვარზე. ამასთან გამყიდველი იხდის მითითებულ მიწოდების ადგილამდე საქონლის ტრანსპორტირების ხარჯებს.

მიწოდება გადასახადელების გადახდის გარეშე(... მითითებული დანიშნულების ადგილი) DDU – საქონლის მიწოდების პირობა, რომლის მიხედვით გამყიდველი გადმოუტვირთავ მდგომარეობაში მყოფ საქონელს აწვდის მყიდველს მითითებულ დანიშნულების ადგილზე. ამასთან გამყიდველი იხდის მითითებულ მიწოდების ადგილამდე საქონლის ტრანსპორტირების ხარჯებს.

მიწოდება გადასახადელების გადახდით(... მითითებული დანიშნულების ადგილი) DDP – საქონლის მიწოდების პირობა, რომლის მიხედვით გამყიდველი გადმოუტვირთავ მდგომარეობაში მყოფ საქონელს იმპორტის საბაჟო გადასახდელების გადახდით აწვდის მყიდველს მითითებულ დანიშნულების ადგილზე. ამასთან გამყიდველი იხდის მითითებულ მიწოდების ადგილამდე საქონლის ტრანსპორტირების ხარჯებს.

მიწოდება გემიდან(... დანიშნულების მითითებული პორტი) DES – საქონლის მიწოდების პირობა, რომლის მიხედვით გამყიდველი საქონელს აწვდის მყიდველს გემის ბორტზე დანიშნულების მითითებულ პორტში. ამასთან გამყიდველი იხდის მითითებულ მიწოდების ადგილამდე საქონლის ტრანსპორტირების ხარჯებს.

მიწოდება ნავმისადგომიდან(... დანიშნულების მითითებული პორტი) DEQ – საქონლის მიწოდების პირობა, რომლის მიხედვით გამყიდველი საქონელს აწვდის მყიდველს გემის ნავმისადგომიდან დანიშნულების მითითებულ პორტში. ამასთან გამყიდველი იხდის მითითებულ მიწოდების ადგილამდე საქონლის ტრანსპორტირების ხარჯებს.

მომიჯნავე უფლება – საავტორო უფლებისაგან წარმოებული განსაკუთრებული უფლების სახესხვაობა. შემსრულებლის, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლისა და მაუწყებლობის ორგანიზაციების უფლებები, რომლებიც ხორციელდება ფონოგრამაზე ან ვიდეოგრამაზე ჩაწერილი, ან ეთერში ან კაბელით გადაცემული ნაწარმოების ავტორსა და შემსრულებელთან დადებული ხე-

ლშეკრულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. მომიჯნავე უფლების განცხადებისათვის გამოიყენება მომიჯნავე უფლების დაცვის ნიშანი, რომელიც დაისმება ფონოგრამის ყოველ ეგზემპლარზე ან მის ფუტლიარზე და შედგება სამი ელემენტისაგან:

– ლათინური ასო P წრენირში;

– განსაკუთრებული მომიჯნავე უფლების მფლობელის სახელი(დასახელება);

– ფონოგრამის პირველი გამოცემის წელი.

მსგავსი საქონელი – საქონელი, თუ ერთდროულად არსებობს შემდეგი საიდენტიფიკაციო ნიშნები:

ა) მსგავსი ფიზიკური მახასიათებლები;

ბ) მსგავსი ხარისხი;

გ) მსგავსი რეპუტაცია;

დ) ერთი და იგივე წარმოშობის ქვეყანა;

ე) ერთი და იგივე მწარმოებელი პირი (დასაშვებია სხვა მწარმოებელი პირიც, თუ ასეთი მსგავსი საქონლის იგივე მწარმოებელი პირი არ მოიპოვება).

მსგავსი საქონლის გარიგების ფასის მეთოდი – საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მეთოდი, რომლის მიხედვით საბაჟო ღირებულების განსაზღვრის დროს გამოიყენება ადრე შემოტანილი მსგავსი საქონლის გარიგების ფასებიდან ყველაზე მცირე ფასი.

მულტილატერიზმი – მრავალმხრივი შეთანხმება ორზე მეტ სახელმწიფოს შორის საგარეო ვაჭრობის შესახებ(საპირისპირო იხ. ბილატერიზმი).

მულტიპაკი – კონტეინერში მოთავსებული რამოდენიმე ინდივიდუალურად შეფუთული საქონელი.

მულტიპლიკატორი – სხვადასხვა ეკონომიკურ მოვლენებს შორის დამოკიდებულებითი კოეფიციენტი, რომელიც აჩვენებს ერთი მოვლენის ზრდის ან შემცირების შედეგად, თუ როგორ იზრდება ან მცირდება მეორე მოვლენა. მაგ. ეროვნული შემოსავლის, მთლიანი შიდა პროდუქტის, ფულის მიმოქცევის ზრდა ან შემცირება, რამდენად იწვევს ინვესტიციების, საბიუჯეტო ხარჯების, გადასახადების, ანაბრებისა და დეპოზიტების ზრდას ან შემცირებას. ამასთან ცალკე გამოიყოფა საექსპორტო და საგადასახადო მულტიპლიკატორები.

მულტიპლიკატორი(საექსპორტო)–ექსპორტის ზრდასა და მისგან გამოწვეული ეროვნული შემოსავლის ზრდას შორის თანაფარდობა.

„მშვენე კორიდორი" – მგზავრის საბაჟო დეკლარირების ფორმა, რომლის გავლის დროსაც მგზავრი „ეუბნება" საბაჟო ორგანოს, რომ მას არ აქვს წერილობით დასადეკლარირებელი საქონელი. საპირისპირო იხ. „წითელი კოროდორი".

– ნ –

ნაყარი ტვირთი–ერთი და იგივე სახის საქონელი, რომელიც ჩატვირთულია შესაბამის სატრანსპორტო საშუალებაში შეფუთვის გარეშე. მაგ. ხორბალი, ქვანახშირი და სხვა. აქ იგულისხმება აგრეთვე ე.წ. „ჩასასხმელი" ტვირთი. მაგ. ნავთობი და სხვა.

ნეგოციანტი – საქონლის ბითუმად, დიდი პარტიებით მოვაჭრე.

ნეტო ბალანსი – საქონლის ექსპორტისა და იმპორტის ღირებულებითი ტოლობა.

ნიმუში – საქონლის ეგზემპლარი(ცალი) ან ნაყარი ტვირთების შემთხვევაში საქონლის გარკვეული რაოდენობა. რაც შეეხება ნაყარ ტვირთებს ან დაფასოებულ შედარებით დიდი ოდენობის ტვირთებს, რომელთა განცალკევება არ ცვლის მის ხასიათს, ამ შემთხვევაში ნიმუშის და სინჯის ცნება ერთმანეთს ემთხვევა. მაგ. ტომარაში დაფასოებული შაქრის სინჯი და ნიმუში იქნება ამ ტომრიდან ამოღებული რამდენიმე კილოგრამი შაქარი. კონტეინერიდან აღებული რამდენიმე კილოგრამი მარგანეცი, ასევე წარმოადგენს ერთდროულად სინჯს და ნიმუშს. სინჯისა და ნიმუშის განსხვავების მაგალითია, ვთქვათ, 10 ლიტრიან ჭურჭელში დაფასოებული ლუდი ან ზეთი. ამ შემთხვევაში სინჯი იქნება 10 ლიტრიდან ამოღებული ერთი ან ორი ლიტრი ლუდი ან ზეთი, ხოლო ნიმუში–მთლიანად 10 ლიტრიანი ჭურჭელი.

ნიუს – რელიზი – კონტრაქტის შედგენის დროს წარმოდგენილი ინფორმაცია საქონლის გამყიდველის, საქონლის და მწარმოებლის შესახებ.

ნონვალერი – გაუფასურებული საქონელი.

ნოტისი – ამ შემთხვევაში გემის კაპიტნის წერილობითი ცნობა გემის მზადყოფნის შესახებ საქონლის ჩატვირთვა – გადმოტვირთვის შესახებ, საიდანაც ხდება სტაღიური დროის ათვლა.

ნოუ-ჰაუ – ამ შემთხვევაში საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მიზნებისათვის გარკვეული

სამეცნიერო ან ტექნიკური ცოდნა, რომელიც წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას.

– ო –

ობროგაცია – ამ შემთხვევაში ექსპორტ – იმპორტის კონტრაქტში ან დოკუმენტებში ცვლილებების შეტანა.

ოვერტაიმი – საქონლის ჩატვირთვა – გადატვირთვა არასამუშაო დროს გაზრდილი ტარიფებით.

ოვერბოტი – ამ შემთხვევაში საქონლის ფასების მკვეთრი ზრდა ბაზარზე მისი დიდი ოდენობით შესყიდვის გამო.

ოვერსოლდი – ამ შემთხვევაში საქონლის ფასების მკვეთრი დაცემა ბაზარზე დიდი ოდენობით მიწოდების გამო.

ოზონდამშლელი ნივთიერებები – ქიმიურ ნივთიერებათა განსაზღვრული ჯგუფი, რომელთა მოხმარება იწვევს გაბნევას ატმოსფეროში და შემდგომ ოზონის შრის დაშლას. მათი ექსპორტი და იმპორტი ექვემდებარება არასატარიფო პოლიტიკის ღონისძიებებს.

ომოლოგაცია-ექსპორტიორის მიერ საექსპორტო საქონლის ტექნიკური მონაცემების მოყვანა შესაბამისობაში იმპორტიორი ქვეყნის მიერ დადგენილ სტანდარტებთან და მონაცემებთან.

ორმაგი საბაჟო ტარიფი – საბაჟო გადასახადის მინიმალური და მაქსიმალური განაკვეთები ერთი და იგივე სახის საქონელზე, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა ქვეყნებთან პოლიტ-ეკონომიკური ურთიერთობების გათვალისწინებით.

ორმაგი დანიშნულების საქონელი – საქონელი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც სამოქალაქო ასევე სამხედრო მიზნებისათვის. ასეთი საქონლის ნუსხა დგინდება კანონმდებლობით და მასზე ვრცელდება არასატარიფო პოლიტიკის ღონისძიებები. მაგ. ექსპორტის ან იმპორტის ნებართვა.

ოფერტა – საქონლის გამყიდველის მიერ მყიდველისადმი საქონლის ყიდვის შეთავაზება მყიდველის მიერ დადგენილი პირობებით.

ოქტურა – მოცემული სახელმწიფოს კონკრეტულ რაიონში საქონლის იმპორტის დროს გადასახდელი ადგილობრივი(და არა ფედერალური) საბაჟო გადასახადი ან ადგილობრივი საბაჟო ორგანო, რომელიც ახდევინებს ამ გადასახადს.

პ –

პაგამენტი – ანგარიშსწორება ნაღდი ფულით.

პაოლი – ხეფენილი სატვირთო გემის ტრიუმში.

პაკპაუსი – მცირე ხნით საქონლის შესანახი დახურული შენობა.

პარატარიფული გადასახდელები – საბაჟო გადასახდელები, გარდა საბაჟო გადასახადისა. მაგ. საბაჟო მოსაკრებელი, აქციზი, დღგ.

პარცელური ტვირთი – არაკომერციული დანიშნულების მცირე ოდენობის საქონელი, რომელიც არ გამოიყენება გასაყიდად. მაგ. სარეკლამო მასალები, საქონლის ნიმუშები და სხვა.

პირადი ნივთები – მგზავრობის დროს მგზავრის მიერ გამოსაყენებელი საგნები.

პირდაპირი წარმომადგენელი – პირი, რომელიც მოქმედებს და საბაჟო დეკლარაციას წარადგენს სხვა პირის სახელით და მისი დავალებით. შესაბამისად, პირდაპირი წარმომადგენელი არ არის დეკლარანტი და მას არ გააჩნია საბაჟო ორგანოს წინაშე შესაბამისი საბაჟო ვალდებულებები. იგი გვევლინება მხოლოდ ფიზიკურ შუამავლად(კურიერად) საქონლის მესაკუთრეს(მფლობელსა) და საბაჟო ორგანოს შორის საბაჟო პროცედურების განხორციელების დროს. პირდაპირი წარმომადგენლის ყველა ქმედება განიხილება საქონლის მესაკუთრის(მფლობელის) ქმედებად და ყველა სათანადო პასუხისმგებლობა ეკისრება ამ უკანასკნელს.

პოზიცია – სასაქონლო ნომენკლატურის მიზნებისათვის ჯგუფში შემავალი კონკრეტული გვარიდან კონკრეტული სახის საქონელი. მაგ. 0101 სასაქონლო პოზიცია არის „ცხენები, ვირები, ჯორები და ჯორცხენები ცოცხალი".

პოლისი – სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული, ამ შემთხვევაში საქონლის დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი.

პორტო – ფრანკო – ნავსადგურის ან აეროპორტის ტერიტორია, სადაც ხორციელდება საქონლის შეტანა – გატანა საბაჟო გადასახდელების გარეშე.

პოსტაუდიტური საბაჟო კონტროლი – საბაჟო რისკების სისტემაზე დაფუძნებული საბაჟო კონტროლის უმნიშვნელოვანეს ნაწილი, რომელიც ნიშნავს შერჩევითი საბაჟო კონტროლის განხორ-

ციელებას საბაჟო დამუშავების ოპერაციის დამთავრებისა და საქონლის გაშვების შემდეგ.

პრაის – ლისტი – ფირმის მიერ გასაყიდად წარმოდგენილ საქონელთა ფასების სია.

პრეისკურანტი – საქონლის ფასების ცნობარი.

პრეფერენცია – ამ შემთხვევაში საბაჟო შეღავათი, რომელიც გამოხატულებას პოულობს საგადასახადო შეღავათებში. მაგ. საბაჟო გადასახდელებისაგან გათავისუფლება, გადასახადების განაკვეთის შემცირება, გადახდილი გადასახადების დაბრუნება და ა.შ.

პრეფერენციების გენერალიზებული სისტემა(ჩშჳ) – შეღავათიანი საბაჟო გადასახადების განაკვეთების სისტემა, რომელსაც განვითარებული ქვეყნები ანიჭებენ განვითარებად ქვეყნებს. იგი ითვალისწინებს, განსაზღვრულ საქონელზე, როგორც განაკვეთების შემცირებას, ასევე საერთოდ გათავისუფლებასაც. შემოღებულ იქნა 1971 წელს.

ჟ –

ჟირო – უნაღდო ანგარიშსწორების ფორმა ან ინდოსამენტის მსგავსად რაიმეს გადაცემის წარწერა.

– რ –

რაბატი – ფასდაკლება (დისქაუნთი) დიდი ოდენობით საქონლის შესყიდვის დროს.

რადიაციული უსაფრთხოების კონტროლი – ამ შემთხვევაში, საბაჟო საზღვარზე საბაჟო ან სხვა შესაბამისი სასაზღვრო ორგანოების მიერ ბირთვული და რადიაციული ნივთიერებების აღმოჩენის და მათ მიმართ კანონმდებლობით დადგენილი ღონისძიებების გატარება.

რამბურსი – დიდი ოდენობით იმპორტირებული საქონლის ფასის გადახდა საბანკო კრედიტის მეშვეობით.

რაფაკცია – საქონლის მაღალი ხარისხის გამო იმპორტიორის მიერ ექსპორტიორისადმი გაკეთებული ფასდაკლება.

რედუქცია – ამ შემთხვევაში საქონლის ფასების შემცირება.

რეექსპორტი – საბაჟო დამუშავების ოპერაცია, რომლის დროსაც საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი, როგორც წესი, უცხოური საქონელი გადის ამ ტერიტორიიდან საბაჟო გადასახადელების გადახდის გარეშე ან ზოგიერთ შემთხვევაში შემოტანის დროს გადახდილი გადასახადების დაბრუნებით.

რევალვაცია – ეროვნული ვალუტის კურსის აწევა შესაბამისი უცხოური ვალუტის მიმართ. იგი იწვევს იმპორტის ზრდას და ექსპორტის შემცირებას.

რეიმპორტი – საბაჟო დამუშავების ოპერაცია (ზოგ ქვეყანაში საბაჟო რეჟიმი), რომლის დროსაც ქვეყნიდან ადრე გატანილი ამ ქვეყნის საქონელი ბრუნდება გარკვეული პერიოდის განმავლობაში უცვლელ მდგომარეობაში საბაჟო გადასახდელების გადაუხდელად.

რეინჟინირინგი – საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის თვალსაზრისით საწარმოს ტექნიკური პირობების და გადაწყვეტილებების გაუმჯობესება.

რეკლამაცია – ამ შემთხვევაში იმპორტიორის მიერ ექსპორტიორისადმი წაყენებული პრეტენზიები კონტრაქტით გათვალისწინებული საქონლის შესაბამისი პირობებით მოწოდების დარღვევის გამო. მაგ. უხარისხო ან სხვა ასორტიმენტის საქონლის მოწოდება.

რელენცი – საქონლის „ეკონომიკური სასიცოცხლო ციკლის“ ზრდა მისი გარეგანი ფორმის შეცვლით ან სხვა მახასიათებლების თანამედროვე მოთხოვნებთან მიახლოებით.

რემისია – ამ შემთხვევაში საბაჟო გადასახდელებისაგან მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლება ან საბაჟო გადასახდელების თანხის დამრგვალება შემცირების მიმართულებით(რემისა).

რეპო – ამ შემთხვევაში კონტრაქტი ექსპორტიორსა და იმპორტიორს შორის ადრე გაყიდული საქონლის უკან შესყიდვის შესახებ.

რეტორსია – ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს მიმართ გატარებული საპასუხო შეზღუდვითი ღონისძიებები(მაგ. საქონლის ლიცენზირება, ემბარგო და სხვა).

რეფაკცია (რეფაქცია) – როგორც წესი, ხორბლის გადაზიდვის დროს გადამზიდველის მიერ ტვირთგამგზავნისადმი გადაზიდვის ტარიფების შემცირება დიდი ოდენობით საქონლის გადაზიდვის გამო ან ფასდაკლება გაფუჭებულ საქონელზე.

რეფლაცია – საქონლის დაბალი ფასების აწევა წინანდელ მდგომარეობაში.

რეფრიჟერატორი – ისეთი სატრანსპორტო საშუალება, რომელსაც გააჩნია შესაბამისი საქონლის გაცივების(გაყინვის) მოწყობილობა.

რეცეპისა – წინასწარი დოკუმენტი, რომელიც საშუალებას იძლევა შემდგომში გაცვლილ იქნეს

კონოსამენტზე.

რეციკლინგი – გადამუშავების საბაჟო რეჟიმების ასპექტით, წარმოებისა და მოხმარების ნარჩენების ხელმეორედ საწარმოო გამოყენება.

რისკის ანალიზი – არსებული ინფორმაციის სისტემატური გამოყენება, რომელიც მიმართულია რისკების სიხშირისა და მისი შესაძლო შედეგების განსაზღვრისაკენ.

რისკის სფერო – იმ საბაჟო პროცედურების და საქონლის საერთაშორისო გადაადგილების სახეები, რომლებიც წარმოადგენენ რისკს.

რისკის შეფასება – რისკების მართვის პრიორიტეტების სისტემატური განსაზღვრა და რისკის დონის შედარება წინასწარ განსაზღვრულ სტანდარტულ რისკის დონესთან.

რისკის ინდიკატორები – გარკვეული კრიტერიუმების ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს საბაჟო კანონმდებლობის დარღვევის ობიექტის განსაზღვრის საშუალებას.

რისკის მართვა – იმ პროცედურების სისტემატიზებული გამოყენება, რომელიც იძლევა რისკის ობიექტის შესწავლის საშუალებას.

რისკის პროფილი – წინასწარ განსაზღვრული რისკის ფაქტორების ერთობლიობა.

როიალტი – საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მიზნებისათვის გადასახდელი ლიცენზიებზე, პატენტებზე, საავტორო უფლებებზე და სხვა.

რო – რო – ბორნის ტიპი, რომლითაც საქონელი საზღვაო გზით გადაადგილდება სხვა სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებაში ჩატვირთული ფორმით. მაგ. საქონელი, რომელიც ჩატვირთულია სარკინიგზო კონტეინერებში.

როლკერი – გემი, რომელსაც გადააქვს საქონლის მსხვილი პარტია და მასში საქონლის ჩატვირთვა და გადმოტვირთვა ხორციელდება ამწე ტექნიკის გარეშე.

– ს –

საავტორო უფლება – უფლება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, რომელიც წარმოადგენს ინტელექტუალური – შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს და, რომელიც არსებობს რაიმე ობიექტური ფორმით. განსაკუთრებული საავტორო უფლების მფლობელს თავისი უფლების განცხადებისათვის შეუძლია გამოიყენოს საავტორო უფლების დაცვის ნიშანი, რომელიც დაისმება ნაწარმოების ყოველ ეგზემპლარზე და შედგება სამი ელემენტისაგან:

– ლათინური ასო C წრეწირში;

– განსაკუთრებული მომიჯნავე უფლების მფლობელის სახელი(დასახელება);

– ნაწარმოების პირველი გამოცემის წელი.

საბაჟო – ადგილი, სადაც ხორციელდება საქონლისა და მგზავრების საბაჟო შემოწმება. ძველქართულად საბაჟოს საზუერი(საზვერე) ერქვა, ხოლო მებაჟეს – მეზუერე(მეზვერე). ინგლისურად – ჩოსტომს – „qastoms" – "ჩვეულება, ტრადიცია". შუა საუკუნეებში, ინგლისში საქონლის შემოტანასთან დაკავშირებით მეფეს უხდიდნენ გარკვეულ გადასახადს, ძღვენს, რაც ჩვეულებად იქცა. რუსულად – „Таможня" – "ტამოჟნია"-ეს სიტყვა წარმოშობილია მონღოლურიდან. მონღოლურად (ზოგიერთი მოსაზრებით თურქულად) „tamga" ნიშნავს – "დაღს, დადაღვას". შუა საუკუნეებში(მე-13 ს) რუსეთი მონღოლებმა დაიპყრეს. ისინი საზღვარზე შემოსულ საქონელს ადებდნენ ტამგას ანუ დამღას. ამასთან საქონელზე დასმული დამღა ადასტურებდა, რომ ამ საქონელზე გადახდილი იყო საბაჟო ფულადი გადასახადი.

საბაჟო ატაშე – მოცემული ქვეყნის საბაჟო ორგანოს წარმომადგენელი უცხო ქვეყანაში, რომლის ფუნქციასაც წარმოადგენს ადგილსამყოფელი ქვეყნის საბაჟო საქმის ანალიზი და ორ ქვეყანას შორის საბაჟო ურთიერთობების განვითარება. საბაჟო ატაშეს აქვს დიპლომატიური იმუნიტეტი.

საბაჟო მარშრუტი – გამგზავნი საბაჟო ორგანოს მიერ დანიშნულების საბაჟო ორგანოს მისამართით გადაადგილებული საქონლის ან სატრანსპორტო საშუალებისათვის გადაადგილების გზის წინასწარი განსაზღვრა.

საბაჟო საზღვარი – სახელმწიფო საზღვარი, რომელსაც ამ ფორმით მოიხსენიებენ საბაჟო ადმინისტრირების მიზნებისათვის. საბაჟო საზღვრის პერიმეტრი ემთხვევა სახელმწიფო საზღვრის პერიმეტრს. ამასთან, რეალური საბაჟო საზღვარი, რომელიც გადის სახელმწიფო საზღვარზე არ ემთხვევა ვირტუალურ საბაჟო საზღვარს, რამდენადაც საბაჟო ორგანოები არ არიან განლაგებული საბაჟო საზღვარზე(გარდა სახმელეთო საბაჟო ორგანოებისა) და შესაბამისად, ყველა საბაჟო პროცედურა ხორციელდება ქვეყნის სიღრმეში ვირტუალურ საბაჟო საზღვარზე(აეროპორტები და ნავსადგურები).

საბაჟო სამართალდარღვევა – საქონელზე უფლებამოსილი პირის მიერ საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ნორმების დარღვევა. იგი გამოიხატება ეროვნული კანონმდებლობით

გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებით და წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომელიც დაკავშირებულია საბაჟო კონტროლქვეშ არსებული საქონლის მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით გადაადგილებასთან ან განკარგვასთან. იგი ითვალისწინებს საბაჟო სანქციებს სხვადასხვა ფორმებით. მაგ. ჯარიმები, საქონლის კონფისკაცია

საბაჟო "გასუფთავება" – საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული საბაჟო ფორმალობების განხორციელება. იგი მოიცავს საქონლის საბაჟო რეჟიმში (დამუშავების ოპერაციაში) საქონლის მოქცევას, საბაჟო გადასახდელების გადახდას და ამ საქონლის გაშვებას.

საბაჟო პოლიტიკა – სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილი, რომელიც არეგულირებს საგარეო-სავაჭრო პოლიტიკის საბაჟო ურთიერთობების სეგმენტს. იგი გამოიხატება საბაჟო კონტროლქვეშ არსებული საქონლის მიმართ სატარიფო და არასატარიფო ღონისძიებების გატარებაში. მაგ. მაღალი საბაჟო გადასახადის განაკვეთის შემოღება რომელიმე სახის საქონელზე ან ემბარგო და სხვა.

საბაჟო გადასახადი – შენატანი, გადასახდელი სახელმწიფო ბიუჯეტში, რომელიც დაკავშირებულია საქონლის საბაჟო საზღვარზე გადაადგილებასთან. საბაჟო გადასახდს, როგორც წესი, ახდევინებენ საქონლის შემოტანის დროს. დარიცხვის ასპექტით არსებობს ადვალური, სპეციფიკური და კომბინირებული საბაჟო გადასახადები.

საბაჟო გადასახადი(ადვალური) – გადასახადი, რომელიც ერიცხება საქონლის საბაჟო ღირებულებას პროცენტულად. მაგ. 1000 ევროს 12%.

საბაჟო გადასახადი(სპეციფიკური) – გადასახადი, რომელიც დაბეგვრის ზომის ერთეულების მიხედვით გამოიანგარიშება არაღირებულებითი საფუძვლიდან. მაგ. 1000 ლიტრ ბენზინზე 100 ევრო.

საბაჟო გადასახადი(კომბინირებული) – გადასახადი რომელიც მოიცავს ადვალური და სპეციფიკური განაკვეთების კომბინაციას. მაგ. 1000 ევროს 12%, მაგრამ არანაკლებ 50 ევროსი ან 1000 ევროს 12%, ხოლო 1000 ევროზე ზემოთ ყოველ ევროზე – 0,2 ევრო და ა.შ.

საბაჟო გადასახადი(ანტიდემპინგური) – ხელოვნურად შემცირებული ფასით საქონლის იმპორტის დროს იმპორტიორი ქვეყნის მიერ შესაბამისი ზარალისაგან თავის არიდების მეთოდი. ანტიდემპინგური საბაჟო გადასახადის ცნება მომდინარეობს დემპინგის ცნებიდან. დემპინგს მაშინ აქვს ადგილი, თუ ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში ექსპორტირებული საქონლის ფასი:

ა) ნაკლებია ექსპორტიორ ქვეყანაში ვაჭრობის ჩვეულებრივ პირობებში მოხმარებისათვის განკუთვნილი ანალოგიური საქონლის შესადარ ფასზე;

ბ) ასეთი ადგილობრივი ფასის არარსებობის შემთხვევაში ნაკლებია, ვიდრე:

– ანალოგიური საქონლის ყველაზე მაღალი შესადარი ფასი ნებისმიერ მესამე ქვეყანაში ექსპორტისას ვაჭრობის ჩვეულებრივი პირობების დროს;

– ნარმოშობის ქვეყანაში საქონლის წარმოების ღირებულებას დამატებული შესაბამის ფარგლებში გაყიდვის ხარჯები და მოგება. ორივე შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს განსხვავება ვაჭრობის პირობებში, დაბეგვრის სისტემაში, ასევე სხვა განსხვავებები, რომლებიც გავლენას ახდენს ფასების შედარებაზე.

საბაჟო გადასახადი(საკომპენსაციო) – გადასახადი, რომელიც ანეიტრალებს ექსპორტიორი ქვეყნის მიერ საქონლის ექსპორტიორისადმი მიცემული სუბსიდიის საფუძველზე ქვეყანაში იმპორტირებული საქონლის ხელოვნურად შემცირებული საბაჟო ღირებულების, და შესაბამისად, ამ საქონლის დაბალი ფასებით ქვეყნის შიდა ბაზარზე შესაძლო შემცირებული ფასებით რეალიზაციით გამოწვეულ ზარალს.

საბაჟო გადასახადი(სპეციალური) – გადასახადი, რომელიც ანეიტრალებს წინასწარგანზრახულად დიდი ოდენობით საქონლის იმპორტის დროს იმპორტიორი ქვეყნის ბაზარზე შესაძლო შემცირებული ფასებით რეალიზაციით გამოწვეულ ზარალს.

საბაჟო გადასახადი(სეზონური) – გადასახადი, რომელიც წარმოადგენს შიდა ბაზრის დაცვის ბერკეტს. იგი ძირითადად გამიზნულია აგრარული საქონლის იმპორტის შესაზღუდად წელინადის იმ პერიოდებში, როდესაც ხდება ანალოგიური სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის აღება.

საბაჟო გადასახადი(აგრარული) – გადასახადი ძირითადად ევროკავშირის ქვეყნებში ზოგიერთი სახის აგრარული საქონლის იმპორტზე, რომელიც მიმართულია ანალოგიური ადგილობრივი საქონლის დაცვის ზეპროტექციონისტური მიზნებისათვის.

საბაჟო გადასახადი(დაბრუნებადი) – გადასახადის თანხა, რომელიც გადახდილ იქნა გადასამუშავებლად შემოტანილი საქონლის დროს და, რომელიც უნდა დაუბრუნდეს ექსპორტიორს გადასამუშავებლად შემოტანილი საქონლის გადამუშავების პროდუქტების ექსპორტის დროს.

საბაჟო გადასახადი(დიფერენცირებული) – გადასახადის განაკვეთი, რომელიც ერთი და იგივე

სახის საქონელზე სხვადასხვაა ამ საქონლის წარმოშობის ქვეყნის ან სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე.

საბაჟო გადასახადი(იმპორტის) – გადასახადი, რომელიც გადაიხდევინება ქვეყანაში უცხოური საქონლის იმპორტის დროს.

საბაჟო გადასახადები(განსაკუთრებული) – ანტიდემპინგური, საკომპენსაციო და სპეციალური საბაჟო გადასახადების ერთობლიობა.

საბაჟო მოსაკრებელი – შენატანი, გადასახდელი სახელმწიფო ბიუჯეტში, რომელიც დაკავშირებულია საბაჟო ორგანოს არასამუშაო დროს ან არასაბაჟო ადგილებში საბაჟო ორგანოს მიერ საქონლის გადამაადგილებელი პირისადმი გაწეულ საბაჟო მომსახურებასთან. ზოგიერთ ქვეყანაში მას ახდევინებენ სამუშაო დროსაც და საბაჟო ადგილებშიც გაწეული საბაჟო პროცედურებისათვის. განიხილება, როგორც საბაჟო მომსახურების საფასური.

საბაჟო სისტემა – საბაჟო ორგანოებისა და საბაჟო კანონმდებლობის მწყობრი ერთობლიობა, რომელიც მიმართულია ეფექტური საბაჟო კონტროლის განსახორციელებლად.

საბაჟო ტერიტორია – ფიზიკური სივრცე, სადაც შეიძლება განხორციელდეს შესაბამისი საბაჟო პროცედურები. იგი მოიცავს ქვეყნის სახმელეთო ტერიტორიას, საჰაერო სივრცეს, ტერიტორიულ და შიდა ნყლებს, განსაკუთრებულ საზღვაო ეკონომიკურ ზონაში განლაგებული ნაგებობებისა და ხელოვნური კუნძულების ტერიტორიას.

საბაჟო სამართალი – ადმინისტრაციული სამართლის ნაწილი, რომელიც სწავლობს საბაჟო ურთიერთობების დროს წარმოშობილ სამართლებრივ მხარეს.

საბაჟო დოკუმენტები – დოკუმენტები, რომელიც გამოიყენება საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებით შესაბამისი საბაჟო პროცედურების განხორციელების დროს საქონლის, სატრანსპორტო საშუალებების ან პირების სათანადო რეკვიზიტების მონაცემთა იდენტიფიკაციის მიზნით. მაგ. ინვოისი, წარმოშობის სერტიფიკატი, სატრანსპორტო ზედდებული და სხვა.

საბაჟო ორგანო – სახელმწიფო ორგანო, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის მიმართ შესაბამისი საბაჟო პროცედურები. ყველა ქვეყანაში საბაჟო ორგანოები ფედერალური(ცენტარალური) მართვის ორგანოებს წარმოადგენენ. საბაჟო ორგანო იცავს მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ საზღვარს. ზოგიერთ ქვეყანაში საბაჟო ორგანო და სახელმწიფო საზღვრის დაცვის ორგანო გაერთიანებულია ერთ სტრუქტურაში (მაგ. აშშ). სხვაგან საბაჟო ორგანო დამოუკიდებელი სტრუქტურაა ან შედის რომელიმე სხვა უწყების შემადგენლობაში(მაგ. ფინანსთა სამინისტროში ან ეკონომიკის სამინისტროში და ა.შ).

საბაჟო გადასახდელები – ყველა გადასახადისა და მოსაკრებლის ერთობლიობა, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაიხდევინება საქონლის საბაჟო საზღვარზე გადაადგილების მიზნებისათვის. მას მიეკუთვნება: საბაჟო მოსაკრებელი, საბაჟო გადასახადი, აგრარული საბაჟო გადასახადი(მაგ. ევროკავშირში), აქციზი, დამატებული ღირებულების გადასახადი.

საბაჟო ანკლავი – ტერიტორია ერთი სახელმწიფოს საზღვრებში, რომელიც არის სხვა სახელმწიფოს საბაჟო ტერიტორიის ნაწილი. ანკლავის შემთხვევაში მოცემულ საბაჟო ტერიტორიას ირგვლივ მთლიანად ესაზღვრება სხვა ერთი სახელმწიფო. ანკლავის ნიმუშია, მაგ. იტალიაში–ვატიკანი და სან – მარინო ან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში – ლესოტო.

საბაჟო ექსკლავი – ტერიტორია რამდენიმე სახელმწიფოს საზღვრებში, რომელიც არის სხვა სახელმწიფოს საბაჟო ტერიტორიის ნაწილი. ექსკლავის შემთხვევაში მოცემულ საბაჟო ტერიტორიას ირგვლივ მთლიანად ესაზღვრება სხვა სახელმწიფოები. ასხვავებენ აგრეთვე ნახევრადექსკლავს, რომელიც არის ისეთი ექსკლავი, რომელსაც აქვს გასასვლელი ზღვაზე. ექსკლავის ნიმუშია, მაგ. ნახიჩევანი, რომელიც შედის აზერბაიჯანის შემადგენლობაში, ხოლო ირგვლივ ესაზღვრება სომხეთი, თურქეთი და ირანი. რაც შეეხება ნახევრადექსკლავს, მისი მაგალითია – კალინინგრადი რუსეთისათვის, ხოლო ალიასკა – აშშ-სათვის.

საბაჟო ბროკერი – შუამავალი პირი საბაჟო ორგანოსა და საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის მესაკუთრეს (მფლობელს) შორის, რომელიც ახორციელებს საბაჟო ფორმალობებს. იგი, როგორც წესი, ლიცენზირებულია საბაჟო ორგანოს მიერ.

საბაჟო გადამზიდველი – პირი, რომელიც ლიცენზირებულია საბაჟო ორგანოს მიერ და, რომელიც ეწევა საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის საერთაშორისო ან შიდა გადაზიდვას (ტრანსპორტირებას).

საბაჟო რეჟიმი – საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილების წესი და ფორმა.

საბაჟო საქმე – საქონლის საბაჟო საზღვარზე გადაადგილების წესების ერთობლიობა. როგორც მეცნიერული დისციპლინა იგი სწავლობს იმ საბაჟო ურთიერთობებს, რომელიც ყალიბდება შესაბამის

პირებსა და საბაჟო ორგანოებს შორის.

საბაჟო ბლოკადა – სახელმწიფოს ან სახელმწიფოების ეკონომიკური იზოლაციის ფორმა, რომლის მიზანია ამ ქვეყნის(ქვეყნების) ექსპორტის აკრძალვა ან მინიმუმამდე დაყვანა. იგი, როგორც წესი ხორციელდება ემბარგოს, კოტირების, საბაჟო გადასახადის მაღალი განაკვეთების ან სხვა სატარიფო და არასატარიფო პოლიტიკის ღონისძიებების გატარების გზით.

საბაჟო ომი-ეროვნული საბაჟო ტარიფების მაღალი განაკვეთების გამოყენება მსოფლიო ბაზრების შესაბამის სეგმენტში ლიდერობის მიზნით.

საბაჟო კონვენცია – საერთაშორისო ხელშეკრულება (შეთანხმება) ორ ან მეტ ქვეყანას შორის საბაჟო ხასიათის საკითხებზე. არსებობს ორმხრივი და მრავალმხრივი საბაჟო კონვენციები.

საბაჟო კანონმდებლობა – ქვეყანაში მოქმედი ნორმატიული აქტების ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს საბაჟო ურთიერთობების სხვადასხვა მხარეს. მასში შედის მოცემული ქვეყნის საბაჟო კოდექსთან ერთად სხვა სპეციფიკური კანონები, კანონქვემდებარე აქტები და აგრეთვე საერთაშორისო საბაჟო კონვენციები, რომელსაც მიერთებულია ეს ქვეყანა.

საბაჟო პროტექციონიზმი – სამამულო წარმოების საქონლის დაცვა იმპორტირებული ანალოგიური საქონლისაგან ამ უკანასკნელზე საბაჟო გადასახადის მაღალი განაკვეთების დაწესებით ან არასატარიფო პოლიტიკის ღონისძიებების შემოღებით.

საბაჟო კავშირი – ორ ან მეტ სახელმწიფოს შორის შეთანხმება ერთიანი საბაჟო ტარიფის შემოღების, აგრეთვე ამ ქვეყნებში წარმოშობილი საქონლის საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლების შესახებ(ფაქტობრივად საბაჟო საზღვრების გაუქმება).

საბაჟო დეკლარაცია – დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს პირის განცხადებას მის მიერ საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლის შესაბამისი მონაცემების შესახებ. იგი მოიცავს დაახლოებით 55-მდე რეკვიზიტს სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობის შესაბამისად. არსებობს დეკლარირების ოთხი ძირითადი ფორმა:

ა) წერილობითი;

ბ) ელექტრონული;

გ) ზეპირი;

დ) კონკლუდენტური(ქცევითი).

საბაჟო დეკლარაცია(პერიოდული) – საბაჟო დეკლარაცია, რომელიც წარედგინება არა თითოეული საქონლის იმპორტის დროს, არამედ გარკვეული პერიოდის განმავლობაში რამდენჯერმე იმპორტირებულ საქონელზე ერთხელ. მაგ. ერთი წლის განმავლობაში პირის მიერ იმპორტირებულ საქონლებზე ერთხელ წარდგენილი ერთი საბაჟო დეკლარაცია.

საბაჟო გირავნობის სიგელი – საბაჟო გადასახდელების გადახდამდე მოცემული საქონლის საბაჟო ორგანოს მიერ გირაოდ მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი.

საბაჟო ლაბორატორია – საექსპერტო – კვლევითი დაწესებულება, რომელიც შედის საბაჟო ორგანოთა სისტემაში და ახორციელებს საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის ექსპერტიზას სხვადასხვა მონაცემების მიხედვით. მაგ. საქონლის ხარისხი, შემადგენლობა, ღირებულება და სხვა.

საბაჟო გამშვები პუნქტი(საბაჟო საგუშაგო) – საბაჟო ორგანო, სადაც ხორციელდება შესაბამისი საბაჟო პროცედურები.

საბაჟო საწყობი(დროებითი შენახვის საბაჟო საწყობი) – საბაჟო ორგანოს სპეციალური ნებართვით მოწყობილი შენობა-ნაგებობები, სათავსები ან შემოფარგლული ტერიტორია, რომელიც განკუთვნილია საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის განსათავსებლად. ანალოგიურად, დროებით შენახვის საბაჟო საწყობი არის იგივე პრინციპებით ჩამოყალიბებული საბაჟო საწყობი, რომელიც განკუთვნილია საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის განსაზღვრული ხნით შესანახად ამ საქონლის, რომელიმე საბაჟო დამუშავების ოპერაციაში მოქცევის მიზნით.

საბაჟო ტერმინალი – პუნქტი, სადაც ხორციელდება საქონლის ან მგზავრების საბაჟო შემოწმება. საქონლის შემთხვევაში იგი შეიძლება იყოს საბაჟო საწყობიც.

საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავება – საბაჟო რეჟიმი, რომელიც წარმოადგენს ისეთ საბაჟო დამუშავების ოპერაციას, რომლის დროსაც შემოტანილი უცხოური საქონელი პირობითად თავისუფლდება საბაჟო გადასახდელებისაგან, ხოლო ამ საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებული საქონელი განკუთვნილია საბაჟო ტერიტორიიდან გასატანად ან იმპორტის საბაჟო რეჟიმში მოსაქცევად(ზოგიერთ ქვეყანაში, როგორც წესი, საბაჟო ტერიტორიიდან გატანის პირობით).

საბაჟო ტერიტორის გარეთ საქონლის გადამუშავება – საბაჟო რეჟიმი, რომელიც წარმოადგენს ისეთ საბაჟო დამუშავების ოპერაციას, რომლის დროსაც მოცემული ქვეყნის საქონელი გაიტანება დროებით საბაჟო ტერიტორიის გარეთ გადასამუშავებლად, ხოლო გადამუშავების პროდუქტი გან-

კუთვნილია საბაჟო ტერიტორიაზე შემოსატანად საბაჟო გადასახდელებისაგან სრული ან ნაწილობრივი გათავისუფლების პირობით.

საბაჟო კაზუსი – ამ შემთხვევაში რთული საბაჟო საკითხი, რომლის გადაწყვეტა მოითხოვს მრავალი საკითხის ერთდროულ ცოდნას.

საბაჟო კონტროლი – საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის მიმართ კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი საბაჟო პროცედურების განხორციელება ან მგზავრების შემოწმება. მაგ. საქონლის დათვალიერება, სინჯების ან ნიმუშების აღება, საბაჟო დეკლარაციის შემოწმება და სხვა. ზოგჯერ საბაჟო კონტროლისაგან აცალკევებენ საბაჟო ზედამხედველობას, რომელიც ნიშნავს საბაჟო ორგანოს მიერ საქონლის მიმართ ზოგიერთი საბაჟო პროცედურის გატარების შესაძლებლობას. მაგ. მოცემული ქვეყნის საბაჟო ტერიტორიაზე ერთი საბაჟო ორგანოდან მეორე საბაჟო ორგანომდე გადაადგილებულ საქონელს ენოდება საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ გადაადგილებული საქონელი, ხოლო მეორე საბაჟო ორგანოში საქონლის მისვლის დროს განსახორციელებელ პროცედურებს საბაჟო კონტროლი. პრინციპში, საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ არსებულ საქონელს შეიძლება ეწოდოს საბაჟო კონტროლქვეშ მყოფი საქონელი.

საბაჟო კონტროლქვეშ საქონლის გადამუშავება – საბაჟო რეჟიმი, რომელიც წარმოადგენს ისეთ საბაჟო დამუშავების ოპერაციას, რომლის დროსაც შემოტანილი უცხოური საქონელი პირობითად თავისუფლდება საბაჟო გადასახდელებისაგან, ხოლო ამ საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებული საქონელი განკუთვნილია, როგორც წესი, იმპორტის საბაჟო რეჟიმში მოსაქცევად.

საბაჟო კონტროლის ზონა – საბაჟო ტერიტორიის სპეციალურად გამოყოფილი და მონიშნული ნაწილი, სადაც ხორციელდება საბაჟო კონტროლის ღონისძიებები. საბაჟო კონტროლის ზონას განეკუთვნება საბაჟო ორგანოს განლაგების სამოქმედო შემოფარგლული ტერიტორია, საბაჟო საწყობის ტერიტორია, უბაჟო ვაჭრობის პუნქტის ტერიტორია, თავისუფალი საბაჟო ზონისა და თავისუფალი საწყობის ტერიტორია და კანონმდებლობით დადგენილი სხვა ადგილები.

საბაჟო სამართალდარღვევა – საქონელზე უფლებამოსილი პირის მიერ საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ნორმების დარღვევა. იგი გამოიხატება ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებით.

საბაჟო გაფორმება – საქონლის მოქცევა საბაჟო რეჟიმში(დამუშავების ოპერაციაში) ამ რეჟიმის(ოპერაციის) დამთავრების მიზნით. საბაჟო გაფორმებას სხვანაირად საბაჟო დამუშავება ეწოდება.

საბაჟო შეღავათები – პირებისადმი მინიჭებული გარკვეული უპირატესობა, რომელიც განსხვავდება საერთო წესით დადგენილი ნორმებისაგან. არსებობს შეღავათების შემდეგი სახეები: გადასახადებისაგან გათავისუფლება, გამარტივებული საბაჟო პროცედურები, საბაჟო პროცედურებისაგან გათავისუფლება.

საბაჟო ბანდეროლი – საქონელზე ან ფუთაზე დაკრული მინაწები, იარლიყი, ეტიკეტი. რომელიც აღნიშნავს საბაჟო გადასახდელების გადახდას.

საბაჟო ღირებულება – საქონლის საბაჟო საზღვრის გადაკვეთის მომენტისათვის, ამ საქონელზე იმპორტიორის მიერ რეალურად გადახდილი ან გადასახდელი ფასი.

საბაჟო ღირებულების მეთოდები – საბაჟო ღირებულების დადგენის თანმიმდევრული წესების ერთობლიობა. არსებობს საბაჟო ღირებულების განსაზღვრის შემდეგი 6 მეთოდი:

ა) გარიგების ფასის მეთოდი;
ბ) იდენტური საქონლის გარიგების ფასის მეთოდი;
გ) მსგავსი საქონლის გარიგების ფასის მეთოდი;
დ) საქონლის ერთეულის ფასის მეთოდი;
ე) საქონლის შედგენილი ღირებულების მეთოდი;
ვ) სარეზერვო მეთოდი.

საბაჟო კრედიტი – საბაჟო ორგანოს მიერ დეკლარანტისადმი მიცემული საგადასახადო გადავადება, რომელიც ითვალისწინებს დამდგარი საბაჟო გადასახდელების გადახდის ვადის გაგრძელებას.

საბაჟო ტარიფი – მრავალპარამეტრიანი საბაჟო გადასახადი, რომელიც, როგორც წესი, შეიცავს შემდეგ ფუნქციონალურ პარამეტრებს:

ა) საბაჟო გადასახადის განაკვეთი;
ბ) სასაქონლო ნომენკლატურა;
გ) საბაჟო პრეფერენციები.

საბაჟო ტარიფი(ინტეგრირებული) – მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც საბაჟო გადასახადის განაკვეთს, სასაქონლო ნომენკლატურასა და პრეფერენციებთან ერთად მოიცავს სხვა გადასახდელების განაკვეთსაც, სხვადასხვა საჭირო დოკუმენტებს (სერტიფიკატი, კვოტა, ლიცენზიები, ნებართვები და

ა.შ), აკრძალული საქონლის ნუსხას და ყველა იმ დოკუმენტალურ და შეზღუდვით რეგულაციას, რომელიც უკავშირდება სხვადასხვა საბაჟო რეჟიმების(დამუშავების ოპერაციების) მიხედვით მოცემულ საქონელს.

საბაჟო ღირებულება – საქონლის ფასი ქვეყნის საბაჟო საზღვრის გადაკვეთის მომენტში. ზოგიერთ საბაჟო რეჟიმებში მოქცეული საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა ხასიათდება განსხვავებული სპეციფიკურობით.

საბაჟო დამუშავების ოპერაცია – საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილების წესი და ფორმა, რომელიც განსხვავდება საბაჟო რეჟიმისაგან მხოლოდ ზოგიერთი პროცედურული ნიშნით. მაგ. ყველა საბაჟო რეჟიმი თავისი შინაარსით წარმოადგენს საბაჟო დამუშავების ოპერაციას, ხოლო ზოგიერთი საბაჟო დამუშავების ოპერაცია არის საბაჟო რეჟიმი. მათ შორის ძირითადი განსხვავება, როგორც წესი, მდგომარეობს დეკლარირების ფორმებში(ზოგიერთი საბაჟო დამუშავების ოპერაცია არ საჭიროებს საბაჟო დეკლარაციის წარდგენას).

საბაჟო გარანტია – საბაჟო კონტროლქვეშ არსებული საქონლის გადამაადგილებადი უფლებამოსილი პირის მიერ საბაჟო ორგანოში წარსადგენი და კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული საბაჟო ორგანოს მიმართ წარმოშობილი (ან წარმოსაშობი) ფინანსური ვალდებულებების დაზღვევის ფორმა.

საბაჟო – სატარიფო ნომენკლატურა – მოცემული ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მიღებული და საქონლის შემოტანის დროს საბაჟო გადასახდელების გადახდისათვის გამოსაყენებელი ნომენკლატურა.

საბაჟო დათვალიერება – საბაჟო პროცედურა, რომელიც ნიშნავს საქონლის შემოწმებას მისი გარკვეული ნიშნების და პარამეტრების დადგენის მიზნით. ეს პარამეტრები შეიძლება იყოს საქონლის დასახელება, სასაქონლო კოდი, ხარისხი, ღირებულება, რაოდენობა, შემადგენლობა და ა.შ. საქონლის დათვალიერება შეიძლება გადავიდეს სინჯების ან ნიმუშების აღებაში. განასხვავებენ საქონლის დათვალიერების შემდეგ სახეებს: ა) საქონლის გარეგანი, ვიზუალური დათვალიერება; ბ) საქონლის შიდა დათვალიერება.

საბაჟო რისკი – საბაჟო კანონმდებლობის პოტენციური დარღვევის შესაძლებლობა. საბაჟო რისკების მართვის სისტემა შედგება შემდეგი ელემენტებისაგან:

ა) რისკი;
ბ) რისკის ანალიზი;
გ) რისკის სფერო;
დ) რისკის შეფასება;
ე) რისკის ინდიკატორები;
ვ) რისკის მართვა;
ზ) რისკის პროფილი.

საბაჟო სტატისტიკა – დისციპლინა, რომელიც სწავლობს ქვეყნის სავაჭრო ბალანსის საკითხებს და მის ფუნქციას განეკუთვნება ექსპორტისა და იმპორტის საბაჟო რეჟიმებში მოქცეულ საქონელთა თანაფარდობის აღრიცხვა, ანალიზი და შესაბამისი კანონზომიერებების შესწავლა.

საბაჟო ვალდებულება – დეკლარანტის ან სხვა შესაბამისი პირის მოვალეობა საბაჟო გადასახდელების ან საბაჟო სანქციების(ჯარიმა, საურავი) გადახდის თვალსაზრისით.

საბაჟო შეტყობინება – დოკუმენტი, რომელსაც საბაჟო ორგანო უგზავნის დეკლარანტს ან სხვა ვალდებულ პირს კანონმდებლობით გათვალისწინებული საბაჟო გადასახდელების ან საბაჟო სანქციების(ჯარიმა, საურავი) სავალდებულო გადახდის მოთხოვნის შესახებ.

საბაჟო ზედამხედველობა – კანონმდებლობით დადგენილი პირობების დაცვის უზრუნველმყოფი ღონისძიებების ერთობლიობა, რომელიც შეუძლია გაატაროს საბაჟო ორგანომ შესაბამისი საქონლის ან სატრანსპორტო საშუალების მიმართ. მაგ. შემოტანილ უცხოურ საქონელზე სათანადო დოკუმენტის გამოწერა და ამ საქონლის რეგისტრაცია, გაცილება, საბაჟო მარშრუტის დაწესება, დანიშნულების ადგილამდე მიტანის ვადების განსაზღვრა და ა.შ.

საბაჟო პროცედურები – დეკლარანტის ან/და საბაჟო ორგანოს მიერ საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული მოქმედებები. მაგ. დეკლარანტის მიერ საბაჟო დეკლარაციის წარდგენა, საბაჟო გადასახდელების გადახდა, საქონლის დათვალიერება საბაჟო კონტროლქვეშ, საბაჟო ორგანოს მიერ გასატარებელი საბაჟო კონტროლის ღონისძიებები.

საბაჟო ზედამხედველობიდან უკანონო გასვლა – პირის მიერ შესაბამისი საბაჟო ზედამხედველობას დაქვემდებარებული საქონლის ან სატრანსპორტო საშუალების განკარგვა საბაჟო კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევით.

საბაჟო დავალიანება – დეკლარანტის საბაჟო ვალდებულებებსა და ზედმეტად გადახდილ თანხებს შორის სხვაობა.

საგადასახადო ფარი – პირისადმი კანონმდებლობით მინიჭებული საგადასახადო შეღავათები.

საგარეო-სავაჭრო ბალანსი – გარკვეული პერიოდის განმავლობაში ქვეყნის ექსპორტისა და იმპორტის ღირებულებითი თანაფარდობა. იგი უდრის ექსპორტს მინუს იმპორტს.

საგარეო-სავაჭრო სალდო – გარკვეული პერიოდის განმავლობაში ქვეყნის ექსპორტისა და იმპორტის სხვაობა.

საგარეო-სავაჭრო სალდო(აქტიური) – გარკვეული პერიოდის განმავლობაში ქვეყნის ექსპორტის მეტობა იმპორტზე.

საგარეო-სავაჭრო სალდო(პასიური) – გარკვეული პერიოდის განმავლობაში ქვეყნის იმპორტის მეტობა ექსპორტზე.

საგარეო-სავაჭრო დეფიციტი – გარკვეული პერიოდის განმავლობაში ქვეყნის იმპორტის მეტობა ექსპორტზე.

საგარეო-სავაჭრო ბრუნვა – გარკვეული პერიოდის განმავლობაში ქვეყნის ექსპორტისა და იმპორტის მოცულობათა ჯამი.

საგარეო-სავაჭრო კონტრაქტი – პირებს შორის დადებული საგარეო ვაჭრობის ოპერაციის ამსახველი დოკუმენტი. იგი შეიძლება დადებულ იქნეს საქონლის ყიდვა-გაყიდვის, მომსახურების ყიდვა-გაყიდვის, კონსიგნაციის შესახებ და სხვა.

საგადამხდელო ბალანსი – გარკვეული პერიოდის განმავლობაში ქვეყანაში შემოსული ფულადი გადასახდელებისა და ქვეყნიდან გასული ფულადი გადასახდელების თანაფარდობა. საგადამხდელო ბალანსი მოიცავს: საგარეო-სავაჭრო, მომსახურების, კაპიტალებისა და კრედიტების ბალანსებს.

საექსპორტო კვოტა – თანაფარდობა ექსპორტირებული საქონლის მოცულობასა და ასეთი სახის საქონლის შიდა წარმოების მოცულობას შორის.

საექსპორტო ინკასო-ექსპორტიორისათვის საექსპორტო ამონაგების გადახდის ფორმა ექსპორტიორის ბანკის მიერ საქონლის გამყიდველის შესაბამისი სასაქონლო დოკუმენტების საფუძველზე.

საექსპორტო ლიზინგი – სალიზინგო ფირმის მიერ რეზიდენტი ფირმისაგან ძირითადი საშუალებების ყიდვა მისი შემდგომი ლიზინგის მიზნით საზღვარგარეთ.

საექსპორტო პრემია-ექსპორტის წახალისების სახელმწიფო ღონისძიების ფორმა(მაგ. სუბსიდირება).

საექსპორტო დეტაქსაცია – საექსპორტო საქონლის სრული გათავისუფლება ირიბი გადასახადებისაგან (საბაჟო გადასახადი, აქციზი, დღგ) ან მისი შემცირება.

საექსპორტო სუბსიდია – სხვადასხვა სახის საგადასახადო შეღავათები ან დოტაციების, სუბვენციების და სხვა სახის დახმარებების მიცემა საქონლის ექსპორტიორისათვის ექსპორტის სტიმულირების მიზნით.

საექსპორტო კრედიტი – საქონლის იმპორტიორისათვის ექსპორტიორის მიერ მიცემული კრედიტი, რომელიც ასტიმულირებს საქონლის ექსპორტს.

საექსპორტო გადახრა – საექსპორტო საქონლის მწარმოებელი დარგების ხვედრითი წილის ზრდა სამამულო წარმოებაში.

საექსპორტო ფაქტორინგი – ფაქტორინგული კომპანიების მიერ ექსპორტიორისათვის კრედიტის მიცემა მომავალი საექსპორტო ამონაგების გარანტიით.

საექსპორტო საბაჟო გადასახადი – საქონლის ექსპორტის დაბეგვრა საბაჟო გადასახადით, რაც ასტიმულირებს ამ საქონლის მიწოდებას ექსპორტიორი ქვეყნის შიდა ბაზარზე.

საექსპორტო ლიცენზია – სახელმწიფოს მიერ გაცემული ნებართვა კონკრეტული სახის საქონლის გატანაზე.

საერთაშორისო საფოსტო გზავნილები – საქონლის გადაადგილება სპეციალიზირებული საფოსტო დაწესებულებების მისამართით. საფოსტო გზავნილს შემდეგი სხვადასხვა სახე აქვს:

ა) წერილი – გზავნილი, რომელიც ენოდება წერილობით ცნობებს ან დოკუმენტებს;

ბ) საფოსტო ბარათი – გზავნილი, რომელიც ენოდება სპეციალურ ბლანკზე შესრულებულ წერილობით ცნობებს;

გ) ბანდეროლი – გზავნილი, რომელშიც მოთავსებულია ნაბეჭდი გამოცემები, საქმიანი ქაღალდები და სხვა საგნები;

დ) ტომარა "M" – გზავნილი, რომელიც შეიცავს ნაბეჭდ გამოცემებს (გაზეთები, წიგნები, პერიოდული გამოცემები და სხვა) და, რომელიც იგზავნება ერთი გამომგზავნის მიერ ერთი მიმღების მისამართით;

ე) სეკოგრამა – გზავნილი, რომელშიც მოთავსებულია სპეციალური შრიფტით შესრულებული და ბრმათათვის განკუთვნილი ნერილობითი ცნობები და გამოცემები;

ვ) წერილი პაკეტი – გზავნილი, რომელშიც მოთავსებულია საქონლის ნიმუშები;

ზ) ამანათი – გზავნილი, რომელიც განკუთვნილია მცირე რაოდენობის საქონლისათვის;

თ) საერთაშორისო ექსპრეს – ფოსტის გზავნილი – გზავნილი, რომლის მოძრაობა ხორციელდება დაჩქარებული წესით.

საერთაშორისო სასაქონლო-სატრანსპორტო ზედნადები (CMR) – საბაჟო დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს საქონლის გადაზიდვის ხელშეკრულებას საქონელგამგზავნსა და გადამზიდველს შორის. მას გამოწერს გადამზიდველი და ნარუდგენს საქონლის ექსპორტიორს ან იმპორტიორს ან მათ წარმომადგენელს.

საგალუტო კონტროლი – ფულადი ნაკადების მოძრაობის კანონიერების შესწავლა და მონიტორინგი სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოების მიერ. იგი დაკავშირებულია უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციასა და ე.წ „შავი ფულის“ ან სხვანაირად „ჭუჭყიანი ფულის“ „გათეთრებასთან“ ან ეროვნული უსაფრთხოების დაცვასთან(მაგ. ტერორიზმის დაფინანსება და სხვა).

საიდენტიფიკაციო საშუალებები – საქონლის საბაჟო კონტროლისა და იდენტიფიცირების მიზნით საბაჟო ორგანოს ან სხვა პირების მიერ საქონლის ან სატრანსპორტო საშუალების მონიშვნა რაიმე სახის ტექნიკური ნიშნით. მაგ. პლომბი, ლუქი, შტამპი, ბეჭედი, მარკა და სხვა.

საიმპორტო გადახრა-ეროვნულ ბაზარზე იმპორტული საქონლის მუდმივი ზრდა.

საიმპორტო კვოტა – თანაფარდობა იმპორტირებული საქონლის მოცულობასა და ასეთი სახის საქონლის შიდა მოხმარებას შორის.

საკმარისი გადამუშავების კრიტერიუმი – საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის პრინციპების (კრიტერიუმების) ერთობლიობა, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაში საქონელი ითვლება მოცემულ ქვეყანაში წარმოშობილად. იგი მოიცავს თავის მხრივ სამ კრიტერიუმს: ა) სასაქონლო ნომენკლატურის პირველი ოთხნიშნა ციფრის დონეზე ცვლილების კრიტერიუმი; ბ) ადვალური წილის კრიტერიუმი; გ) აუცილებელი სანარმოო და ტექნოლოგიური ოპერაციების კრიტერიუმი.

საკომპენსაციო საქონელი – გადამუშავების შედეგად მიიღებული საქონელი. იგი შედგება გადამუშავების პროდუქტის და ნარჩენებისაგან.

საკონსულო ფაქტურა-ექსპორტიორის მიერ გამოწერილი ინვოისი(ანგარიშ-ფაქტურა), რომელიც დადასტურებულია ექსპორტიორ ქვეყანაში არსებული იმპორტიორი ქვეყნის საკონსულო დაწესებულების მიერ.

სამედიცინო – სანიტარული საბაჟო კონტროლი – სანიტარულ – საკარანტინო კონტროლს დაქვემდებარებული პოტენციურად საშიში საქონლის, ასევე შესაბამისი მგზავრების კონტროლი საბაჟო საზღვარზე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უზრუნველყოფის მიზნით ქვეყნების მიერ დადგენილი სანიტარული ნორმების ანუ სავალდებულო ტექნიკური რეგლამენტების დაცვის მიზნით.

სარეზერვო მეთოდი – საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მეთოდი, რომლის მიხედვით საბაჟო ღირებულება განისაზღვრება ადრე უკვე განსაზღვრული საქონლის საბაჟო ღირებულებების ან გონივრული, მიზანშეწონილი საშუალებების გამოყენების საფუძველზე.

სასაქონლო ნიშანი (სავაჭრო მარკა) – დადგენილი წესით რეგისტრირებული, ორიგინალურად გაფორმებული გრაფიკული, ტექსტური ან სხვაგვარი ნიშანი, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა სანარმოთა მიერ წარმოებული ერთგვაროვანი ნაწარმის ერთმანეთისაგან გასამიჯნავად.

სასაზღვრო საბაჟო ორგანო – საბაჟო ორგანო, რომელიც მდებარეობს და ფუნქციონირებს სახელმწიფო საზღვარზე(საბაჟო საზღვარზე). ამასთან, ქვეყნის შიგნით არსებული ზოგიერთი საბაჟო ორგანოც სასაზღვრო საბაჟო ორგანოს განეკუთვნება. მაგ. აეროპორტებში განთავსებული საბაჟო ორგანოები.

სასაქონლო ნომენკლატურა – საბაჟო საზღვარზე გადაადგილებადი საქონლის იდენტიფიცირებია ციფრული საშუალება, რომელიც გამოიყენება ამ საქონლის მიმართ ადეკვატური საბაჟო პროცედურების განხორციელების მიზნებისათვის. ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურები ეფუძნება ჰარმონიზებული სისტემის ნომენკლატურას.

სასაქონლო ნომენკლატურის ჰარმონიზება – სხვადასხვა ასორტიმენტის საქონელთა დაახლოების (დაჯგუფების) ხარისხი მათი სახმარი თვისებების ასპექტით.

სასაქონლო ნომენკლატურის პირველ ოთხნიშნა დონეზე ცვლილების კრიტერიუმი – საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის პრინციპი, რომლის მიხედვით საქონელი ჩაითვლება მოცემულ ქვეყანაში წარმოშობილად, თუ ამ საქონელმა ამ ქვეყანაში გადამუშავების შედეგად სასაქონლო ნომენკლატურის პირველი ოთხი ნიშნიდან ერთ-ერთი მაინც შეიცვალა. მაგ. 2204 სასაქონლო პოზიციის

ნატურალურ ღვინოებს, თუ დავუმატებთ მცენარეულ ან არომატულ ექსტრატებს მივიღებთ 2205 პოზიციის ღვინოებს, რომელიც იმ ქვეყანაში იქნება წარმოშობილი, სადაც მოხდა ექსტრატების შერევა.

სასაქონლო პარტია-ერთი ან რამდენიმე დასახელების საქონელი, გაგზავნილი ერთი გამგზავნის მიერ, ერთი მიმღების მისამართით, ერთი ხელშეკრულების საფუძველზე, ერთი სახეობის სატრანსპორტო საშუალებით, ერთდროულად წარდგენილი საბაჟო დამუშავებისათვის.

საქონლის წარმოშობა – საქონლის წარმოების(დამზადების) დროს ამ საქონლისადმი მინიჭებული შესაბამისი სტატუსი მწარმოებელი ქვეყნის სახელის გათვალისწინებით ამ საქონლის მიმართ სატარიფო და არასატარიფო ღონისძიებების გატარების მიზნებისათვის. საქონლის წარმოების(დამზადების) და წარმოშობის ქვეყნები ზოგჯერ ერთმანეთს არ ემთხვევა.

საქონლის დათვალიერება – საბაჟო ორგანოს პროცედურულ მოქმედებათა კომპლექსი საქონლის ან მგზავრის მიმართ, რომლის მიზანია დეკლარირებული მონაცემების სისწორის შემოწმება ან მგზავრის მიერ გადაადგილებული დამალული საქონლის აღმოჩენა.

საქონლის საბაჟო სტატუსი – სატარიფო და არასატარიფო ღონისძიებების ან სხვა საბაჟო პროცედურების განხორციელების მიზნით საქონლისათვის საბაჟო ორგანოს მიერ მინიჭებული მდგომარეობა. მაგ. არსებობს ორი სახის სტატუსის საქონელი: მოცემული ქვეყნის საქონელი და უცხოური საქონელი. მოცემული ქვეყნის საქონელი ეწოდება ამ ქვეყნის სამამულო საქონელს და აგრეთვე, იმ უცხოურ საქონელს, რომელიც გაშვებულია თავისუფალ მიმოქცევაში. სხვა ყველა საქონელი ითვლება უცხოურ საქონლად. სპეციფიკურს წარმოადგენს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებული გადამუშავების პროდუქტი, რომელიც იმპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცევის დროს განიხილება უცხოურ საქონლად.

სატარიფო კვოტა – საქონლის რაოდენობა ან ღირებულება, რომლის ფარგლებშიც იმპორტირებული საქონელი გათავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან ან იბეგრება ჩვეულებრივი საბაჟო გადასახდით, ხოლო კვოტის გადაჭარბების შემთხვევაში: კვოტის ფარგლებში გათავისუფლებული საქონელი იბეგრება ჩვეულებრივი განაკვეთის საბაჟო გადასახადით, ხოლო კვოტის ფარგლებში ჩვეულებრივი საბაჟო გადასახადით დასაბეგრი საქონელი – ჩვეულებრივისაგან უფრო მაღალი საბაჟო გადასახადით.

სატარიფო კონტინგენტი – იმ საქონელთა კონტიგენტი, რომლის შემოტანის დროს კანონმდებლობა ითვალისწინებს საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლებას ან საბაჟო გადასახადის შეღავათიანი განაკვეთით დაბეგვრას, ხოლო სატარიფო კონტინგენტს ზემოთ შემოტანილი საქონელი იბეგრება ჩვეულებრივი საბაჟო გადასახადის განაკვეთით.

სატარიფო პოლიტიკის ღონისძიებები – მხოლოდ ის მოქმედებები, რომელიც ასახავს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებადი საქონლის საბაჟო გადასახდელებით დაბეგვრის პროცესს.

სატარიფო ესკალაცია – საბაჟო გადასახადის განაკვეთების ზრდა შემდეგი პრინციპით: „ნედლეული – ნახევარფაბრიკატი – მზა პროდუქტი".

საქონელი – ქვეყნის საბაჟო ტერიტორიაზე საბაჟო კონტროლქვეშ გადაადგილებული ნებისმიერი მატერიალური ქონება, მათ შორის ფული, ფასიანი ქაღალდები, ელექტრო და თბოენერგია, გაზი და წყალი.

საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება – შემოტანილი უცხოური საქონლის მოქცევა იმპორტში ან რეიმპორტში.

საქონლის გაშვება – საბაჟო კონტროლქვეშ არსებული საქონლის გადაცემა საბაჟო ორგანოს მიერ დეკლარანტისადმი ამ უკანასკნელის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით საქონლის განკარგვის მიზნით.

საქონლის ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტი – ამ შემთხვევაში ხელშეკრულება რეზიდენტსა და არარეზიდენტს შორის, რომელიც წარმოადგენს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების საფუძველს. კონტრაქტის ფორმა და შინაარსი კანონმდებლობით არ დგინდება და წარმოადგენს ექსპორტიორსა და იმპორტიორს შორის ნებაყოფლობით შედგენილ ტექსტს, რომელიც ექვემდებარება საერთაშორისო სამართალს.

სახელმწიფოს სასარგებლოდ საქონელზე უარის თქმა – საბაჟო დამუშავების ოპერაცია, რომლის დროსაც უცხოური საქონელი საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცემა საბაჟო ორგანოს (სახელმწიფოს) დეკლარანტის მიერ საბაჟო გადასახდელების გადაუხდელად.

სენსიტიური საქონელი – ამ შემთხვევაში საბაჟო გადასახადით დაბეგვრის ასპექტით „მგრძნობიარე" საქონელი. გამოიყენება პრეფერენციების გენერალიზებულ სისტემაში. ასეთი საქონელი არ თავისუფლდება საბაჟო გადასახადისაგან.

სერტიფიკატი(საკარანტინო)-ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ საქონელი არ არის დასნებოვნებული მცენარეული დაავადებებით.

სერტიფიკატი(პიგიენური)-ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ საქონელი ვარგისია ადამიანის მიერ შესაბამისი მოხმარებისათვის.

სერტიფიკატი(საქონლის წარმოშობის) – დოკუმენტი, რომელიც ცალსახად ადასტურებს, რომ მოცემული საქონელი წარმოშობილია მოცემულ ქვეყანაში. იგი გამოიყენება სატარიფო და არასატარიფო პოლიტიკის ღონისძიებათა მიზნებისათვის.

სერიფიკატი(შესაბამისობის) – დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ საქონელი შეესაბამება კონკრეტულ სტანდარტს ან განსაზღვრულ ნორმატივს.

სერტიფიკატი(წონის) – დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს კონკრეტულ საქონელთა მასას.

სერტიფიკატი(ხარისხის) – დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ექსპორტიორსა და იმპორტიორს შორის კონტრაქტის შესაბამისად მიწოდებული საქონლის სტანდარტულ მახასიათებლებს კონტრაქტის პირობებთან. ხარისხის სერტიფიკატი, როგორც წესი მოიცავს შემდეგ რეკვიზიტებს: შენახვის პირობები, შენახვის (ვარგისიანობის) ვადა, საქონლის აღწერილობა, ნეტო და ბრუტო წონა და სხვა.

სინჯი – საქონლის ეგზემპლარი ან ნაყარი ტვირთების ნანილი(იხ. ნიმუში).

სმუტ – ჰოულის კანონი ტარიფებზე – აშშ-ის პროტექციონისტური ხასიათის კანონი, რომლითაც შემოღებულ იქნა საბაჟო გადასახადის მაღალი განაკვეთები.

სტალიური დრო – გემზე საქონლის ჩატვირთვა – გადმოტვირთვისათვის წინასწარ შეთანხმებული დრო გემთმფლობელსა და ტვირთმფლობელს(ფრახტის გადამხდელს) შორის.

სტანდარტული გაცვლის სისტემა – საბაჟო ტერიტორიის გარეთ გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად მისაღები გადამუშავების პროდუქტების შეცვლა იგივე მახასიათებლების უცხოური საქონლით.

სტატუტი – წესი, დებულება პირის ან ორგანოს უფლება-მოვალეობის შესახებ.

სტატისტიკური ნომენკლატურა – კოდების სისტემა, რომელიც გამოიყენება მოცემული ქვეყნის მიერ შემოტანილი და გატანილი საქონლის შესაბამისი მონაცემების დასადგენად.

სტივიდორი – სპეციალიზირებული პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის ჩატვირთვა – გადმოტვირთვას გემზე.

სტოპ – პრომპტი – გემის ჩარტერი საქონლის ჩასატვირთად გემის დაუყონებლივი მზადყოფნის პირობით.

სუბპოზიცია – პოზიციაში შემავალი კონკრეტული სახის საქონლის სახე. მაგ. 0101 პოზიციის 010110 სუბპოზიცია არის „წმინდაჯიშიანი სანაშენე ცხოველები".

სურვეიერი – ამ შემთხვევაში პირი, რომელიც გემზე საქონლის ჩატვირთვა – გადმოტვირთვის მიზნებისათვის ამოწმებს საქონლის რაოდენობას (წონას), გემზე საწვავის რაოდენობას, გემის ტექნიკურ მდგომარეობას, იღებს ტვირთის, საწვავისა და ბალასტის ნიმუშებს, ჩატვირთვამდე და გადმოტვირთვამდე ათვალიერებს ტვირთს, ადებს და ხსნის პლომბებს, ატარებს საქონლის ნებისმიერ ექსპერტიზას შესაბამის საექსპერტო ლაბორატორიაში.

– ტ –

ტალმანი – პირი, რომელიც ახორციელებს გემზე საქონლის ჩატვირთვა – გადმოტვირთვის დროს ამ საქონლის დათვლას სატვირთო ადგილების მიხედვით. ამასთან ტალმანები ახორციელებენ სატვირთო ადგილის საკონტროლო აწონვასაც დოკუმენტებში მითითებული წონის რეალობის დასადგენად.

ტარა – საქონლის შენახვის, შეფუთვისა და ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი ტევადობა.

ტაქსაცია – საქონლის ფასების დადგენა.

ტელ – კელი – საქონლის ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტი, რომლის მიხედვით იმპორტიორი საქონელს ღებულობს ექსპორტიორისაგან მხოლოდ საქონლის სახელწოდების მიხედვით(მაგ. საქონლის ხარისხს მნიშვნელობა არ აქვს).

ტერიტორიული ზღვა(წყლები) – გარკვეული სიგანის საზღვაო სარტყელი, რომელიც აკრავს ქვეყნის სახმელეთო ტერიტორიას. მაგ. საქართველოს ტერიტორიული ზღვა შეადგენს 12 საზღვაო მილს ანუ დაახლოებით 22,2 კმ – ს.

ტექნიკური სტანდარტი – ნორმების ერთობლიობა, რომელიც ადგენს მოცემული პროდუქციისათვის და მასთან დაკავშირებული წარმოების მეთოდებისათვის წესებს, ზოგად პრინციპებს და

მახასიათებლებს. ტექნიკური სტანდარტი არის სამი სახის:

ა) საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც მიღებულია სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ (ISO);

ბ) უცხო ქვეყნის სტანდარტი, რომელიც წარმოადგენს სხვა ქვეყნის მიერ მიღებულ ან აღიარებულ სტანდარტს;

გ) მოცემული ქვეყნის სტანდარტი, რომელიც წარმოადგენს მოცემული ქვეყნის ეროვნულ სტანდარტს, რომელიც რეგისტრირებულია ამ ქვეყნის შესაბამისი კომპენტენტური ორგანოს მიერ.

ტირ (TIR) – აბრევიატურა, რომელიც ნიშნავს საერთაშორისო საგზაო გადაზიდვებს.

ტოლინგი – დავალური საქონლის გადაცემა საზღვარგარეთ გადამამუშავებელი ფირმისათვის, რის შედეგადაც საკომპენსაციო საქონლის ნაწილი ეკუთვნის გადამამუშავებელს, როგორც გადამუშავების საფასური, ხოლო დარჩენილი ნაწილი საქონლის მესაკუთრეს.

ტრანზიტი (საერთაშორისო) – უცხოური საქონლის გადაადგილება მოცემული ქვეყნის ორ საბაჟო ორგანოს შორის, როდესაც საწყისი გაგზავნისა და საბოლოო დანიშნულების საბაჟო ორგანოები ორ სხვადასხვა ქვეყანაში მდებარეობს (ანკლავის შემთხვევაში შესაძლებელია ისინი მდებარეობდეს ერთი და იგივე ქვეყანაში. მაგ. კალინინგრადიდან რუსეთის დანარჩენი ტერიტორიისკენ საქონლის გადაადგილება ლიტვის რესპუბლიკის გავლით).

ტრანზიტი (შიგა) – უცხოური საქონლის გადაადგილება მხოლოდ შიდა საბაჟო ორგანოებს შორის, ამ საქონლის საბაჟო ტერიტორიის გარეთ გაუსვლელად. ამ შემთხვევაში საქონელი განკუთვნილია სხვა საბაჟო რეჟიმში მოსაქცევად. მაგ. იმპორტისათვის შემოტანილი საქონელი სასაზღვრო საბაჟო ორგანოში ჯერ ექცევა შიდა საბაჟო ტრანზიტში, რათა საქონელი გადაადგილდეს საბაჟო ტერიტორიის სიღრმეში მდებარე საბაჟო დამუშავების ორგანოში, სადაც მოხდება იმპორტის საბაჟო პროცედურების განხორციელება და დასრულდება ტრანზიტის საბაჟო რეჟიმი.

ტრაქტაცია – საქონლის გამყიდველის მიერ მყიდველისადმი საქონლის წინასწარი შეთავაზება მყიდველის მსყიდველობითი უნარის გასარკვევად და ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტის დასადებად.

ტრეიდერი – ვაჭარი.

ტრექატრი – იალქნიანი გემი, რომლის ტვირთამწეობა შეადგენს არაუმეტეს 100 ტონას.

ტრიგერული დონე – საქონლის იმპორტის მოცულობის შეფარდება ასეთი საქონლის შესაბამისი შიდა მოხმარების მოცულობასთან.

ტრიუმი – გემის ყველაზე ქვედა გემბანის ქვეშ განთავსებული სათავსი. იგი, როგორც წესი, გამოიყენება ტვირთების გადასაზიდად.

– უ –

უბაჟო ვაჭრობის პუნქტი – საბაჟო დამუშავების ოპერაცია, რომლის დროსაც უცხოური ან/და მოცემული ქვეყნის საქონელი შეაქვთ სასაზღვრო საბაჟო ორგანოს საბაჟო კონტროლის ზონაში არსებულ საცალო ვაჭრობის ობიექტში საბაჟო გადასახდელების(მოცემული ქვეყნის საქონლის შემთხვევაში შიდა არაპირდაპირი გადასახადების) გადახდის გარეშე, საბაჟო ტერიტორიიდან გამსვლელ მგზავრებზე მიწოდების მიზნით.

უორანტი – საქონლის შესანახად მიღების დროს მიმღების მიერ გამოწერილი დოკუმენტი, სადაც აღნიშნულია საქონლის ზოგიერთი რეკვიზიტი(მაგ. წონა, ხარისხი, რაოდენობა).

უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი – ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის საბაჟო – სატარიფო დაბეგვრის პრინციპი, რომლის დროსაც წევრი ქვეყნები ერთმანეთის მიმართ, ერთი და იგივე სახის საქონელზე, გამოიყენებენ ერთი და იგივე დონის საბაჟო ტარიფს.

ურთიერთდაკავშირებულ პირები – პირები, თუ:

– ისინი არიან ერთმანეთის ბიზნესის ხელმძღვანელი პირები ან დირექტორები;

– ისინი არიან ბიზნესში კანონიერად აღიარებული პარტნიორები ანუ ორგანიზაციის თანამფლობელები;

– ისინი არიან ამ სამუშაოს მიმცემი(დამქირავებელი) და დასაქმებული(დაქირავებული);

– ესაა, თუ ის პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს, აკონტროლებს ან აქვს ორივე მათგანის ხმის უფლების მქონე აქციების ან წილის 5 ან მეტი პროცენტი;

– ერთ-ერთი მათგანი პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მეორეს;

– ორივეს პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მესამე პირი;

– ისინი ერთად პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებენ პირს;

– ისინი არიან ნათესავები;

– ისინი არიან ბიზნესით დაკავშირებული პირები, რომელთაგან ერთი არის მეორის აგენტი,

დისტრიბუტორი ან კონცესიონერი, თუკი ეს პირები აკმაყოფილებენ ზემოაღნიშნულ პუნქტებში მითითებულ ერთ-ერთ პირობას).

უზურა – ქრთამი.

– ფ –

ფასტინგი – ისეთი საქონელი, რომელიც უცბად იყიდება საცალო ქსელში.

ფაქტურული ფასი – ანგარიშ-ფაქტურაში (ინვოისში) მითითებული ფასი.

ფიზიკური პირი – ადამიანი, რომელსაც ნარმოეშობა სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები.

ფიო – საქონლის გადაზიდვის პირობა, როდესაც საქონლის გადატვირთვა – გადმოტვირთვის ღირებულებას იხდის არა დამფრახტველი, არამედ საქონლის გამყიდველი ან გემის მფლობელი.

ფიტოსანიტარული საბაჟო კონტროლი – მცენარეული ნარმოშობის საქონლის კონტროლი სპეციალური პარამეტრების მიხედვით. ფიტოსანიტარული სასაზღვრო კონტროლი ქვეყნის ეკონომიკური, მათ შორის სასურსათო და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველმყოფი ღონისძიებაა.

ფიუჩერსი – კონტრაქტი განსაზღვრული სახის, რაოდენობისა და ფასის საქონლის მომავალში მიწოდების შესახებ. როგორც წესი, ფიუჩერსული გარიგებებიდან, რეალურად საქონლის მიწოდებით მხოლოდ 1 – 2% სრულდება(შდრ. ხელშეკრულება(ფორვარდული).

ფორს – მაჟორი – დაუძლეველი ძალა, რომელიც ადამიანის ნებაზე არ არის დამოკიდებული. მაგ. მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, ეპიდემია, ომი, ავარია და ა.შ. საბაჟო მიზნებისათვის ფორს – მაჟორად არ ითვლება საქონლის ქურდობა ან ძარცვა – ყაჩაღობა.

ფრანკო ქარხანა (... დასახელებული ადგილი) EXW – საქონლის მიწოდების პირობა, რომლის მიხედვით გამყიდველი მყიდველს საქონელს გადასცემს თავის საწარმოში – ქარხანაში, ფაბრიკაში, სანყობში და ა.შ. ამ დროს გამყიდველი პასუხს არ აგებს გადაცემის შემდეგ საქონლის ჩატვირთვაზე სატრანსპორტო საშუალებაში. ამასთან საქონლის გადაცემის შემდეგ ყველა ვალდებულება(ტრანსპორტირება, რისკები, საბაჟო პროცედურები) ეკისრება მყიდველს.

ფრანკო გადამზიდველი (... დასახელებული ადგილი) FCA – საქონლის მიწოდების პირობა, რომლის მიხედვით გამყიდველი გადასცემს მყიდველის მიერ დასახელებულ გადამზიდველს, დასახელებულ ადგილზე საქონელს, რომელსაც უკვე გაელილი აქვს საბაჟო პროცედურები.

ფრანკო გემის ბორტთან (... ჩატვირთვის მითითებული პორტი) FAS – საქონლის მიწოდების პირობა, რომლის მიხედვით გამყიდველი საქონელს აწვდის მყიდველს გემის ბორტის გასწვრივ ანუ პორტის ნავმისადგომთან(ან ლიხტერებზე). ამასთან გამყიდველი იხდის მითითებულ მიწოდების ადგილამდე საქონლის ტრანსპორტირების ხარჯებს.

ფრანკო გემის ბორტი (... ჩატვირთვის მითითებული პორტი) FOB – საქონლის მიწოდების პირობა, რომლის მიხედვით გამყიდველი საქონელს აწვდის მყიდველს გემის ბორტზე ჩატვირთვის მითითებულ პორტში. ამასთან გამყიდველი იხდის მითითებულ მიწოდების ადგილამდე საქონლის ტრანსპორტირების ხარჯებს.

ფრახტი/გადაზიდვა გადახდილია...მდე (... მითითებული დანიშნულების ადგილი) CPT – საქონლის მიწოდების პირობა, რომლის მიხედვით გამყიდველი საქონელს აწვდის მის მიერ დასახელებულ გადამზიდველს. ამასთან გამყიდველი იხდის მითითებულ დანიშნულების ადგილამდე საქონლის ტრანსპორტირების ხარჯებს, ხოლო გადამზიდველისათვის საქონლის გადაცემის მომენტიდან საქონლის დაზიანების ან დაკარგვის ყველა რისკს ეწევა საქონლის მყიდველი.

ფრახტი/გადაზიდვა და დაზღვევა გადახდილია...მდე (... მითითებული დანიშნულების ადგილი) CIP – საქონლის მიწოდების პირობა, რომლის მიხედვით გამყიდველი საქონელს აწვდის მის მიერ დასახელებულ გადამზიდველს. ამასთან გამყიდველი იხდის მითითებულ დანიშნულების ადგილამდე საქონლის ტრანსპორტირების ხარჯებს, ხოლო გადამზიდველისათვის საქონლის გადაცემის მომენტიდან დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირებისას გამყიდველი ახდენს საქონლის დაზღვევას.

ფრიტრედერიზმი – ქვეყნებს შორის თავისუფალი ვაჭრობის თეორია, რომელიც ითვალისწინებს საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლებას.

ფუნტი – დაახლოებით 453,6 გრამი.

ფუტი – 0,3048 მეტრი.

– ქ –

ქვესუბპოზიცია – სუბპოზიციაში შემავალი კონკრეტული საქონლის ქვესახე. მაგ. 010110 სუბპოზიციის 010110100000 ქვესუბპოზიცია არის „ცხენები".

– ღ –

ღირებულება და ფრახტი (... დანიშნულების მითითებული პორტი) CFR – საქონლის მიწოდების პირობა, რომლის მიხედვით გამყიდველი საქონელს აწვდის მყიდველს გადატვირთვის მითითებულ პორტში, როდესაც საქონელი გადალახავს გემის სახელურს. ამასთან გამყიდველი იხდის მითითებულ მიწოდების ადგილამდე საქონლის ტრანსპორტირების ხარჯებს.

ღირებულება, დაზღვევა და ფრახტი(... დანიშნულების მითითებული პორტი)CIF – საქონლის მიწოდების პირობა, რომლის მიხედვით გამყიდველი საქონელს აწვდის მყიდველს გადატვირთვის მითითებულ პორტში, როდესაც საქონელი გადალახავს გემის სახელურს. ამასთან გამყიდველი იხდის მითითებულ მიწოდების ადგილამდე საქონლის ტრანსპორტირების და დაზღვევის ხარჯებს.

ღია აეროპორტი – საერთაშორისო აეროპორტი, სადაც საქონლის გადატვირთვა და გადმოტვირთვა არ იბეგრება საბაჟო გადასახდელებით და არ ხორციელდება საბაჟო კონტროლი.

– ყ –

ყადაღა – ამ შემთხვევაში იმპორტიორის ამ ექსპორტიორისათვის მის საკუთრებაში არსებული საქონლის ან ქონების განკარგვის უფლების აკრძალვა.

– შ –

შედგენილი ღირებულების მეთოდი – საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მეთოდი, რომლის მიხედვით საქონლის საბაჟო ღირებულება განისაზღვრება საქონლის წარმოების და იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო საზღვრამდე ტრანსპორტირების ხარჯებისა და ექსპორტიორის მოგების ჯამის საფუძველზე.

შეფუთვის ფურცელი – საბაჟო დოკუმენტი, რომელიც დეტალურად აღწერს საქონლის ბრუტო და ნეტო წონას, შეფუთვის სახეს სათანადო კლასიფიკატორების მიხედვით, საქონლის ტარის წონას, კონტეინერის ნომრებს. არსებობს საქონლის შეფუთვის 19 სახე, რომელიც კოდიფიცირდება შესაბამისი კლასიფიკატორის მიხედვით. შეფუთვის სახეებია:ა) ნაყარი; ბ) ნაყარი გრანულირებული; გ) ჩასხმით; დ) შეუფუთავი; ე) აეროზოლი; ვ) ტომარა; ზ) შეკვრა; თ) ჩარჩოები; ი) რულონი; კ) შესაფუთი; ლ) ცილინდრი: მ) პაკეტი; ნ) კასრი; ო) ამანათი; პ) მუყაოს ყუთი; ჟ) ყუთი; რ) სხვა; ს) ქვესადგამი; ტ) ბალონი.

შიკანერი – არაკეთილსინდისიერი ვაჭარი.

შოპ-ტური (შოპინგ – ტური) – ორგანიზებული მოგზაურობა საზღვარგარეთ ფართო მოხმარების საგნების შეძენის მიზნით კომერციული მიზნებისათვის.

შტრიხ-კოდი – ციფრებისა და სხვადასხვა სისქის პარალელური ხაზების ერთობლიობა, რომელიც გამიზნულია საქონლის მანქანური იდენტიფიცირებისათვის.

შტრიხ-კოდი (სტანდარტული) – შტრიხ-კოდი, რომელიც შედგება 13 ციფრისა და შესაბამისი ხაზებისაგან. პირველი 3 ციფრი აღნიშნავს საქონლის მწარმოებელ ქვეყანას, მომდევნო 4 – საქონლის მწარმოებელ პირს, მომდევნო 5 – საქონლის ნომერს საწარმოში, დარჩენილი 1 ციფრი კი – საკონტროლო ხასიათის არის.

შტურმანის ხელწერილი – გემზე საქონლის ჩატვირთვის შემდეგ საქონელგამგზავნისათვის (ექსპორტიორისათვის) გადაცემული დოკუმენტი საქონლის გემზე მიღების შესახებ.

– ჩ –

ჩარტერი – გემის ან თვითმფრინავის ან მათი ნაწილის იჯარით აღების შესახებ ხელშეკრულება ხომალდის მფლობელსა და დამქირავებელს შორის განსაზღვრული ვადით ან განსაზღვრულ რეისზე.

„ჩელნოკი" („მგზავარი რომელიც მაქოსავით ტრიალებს") – მგზავარი, რომელიც ხშირად კვეთს საბაჟო საზღვარს, რათა საზღვარგარეთ შეიძინოს გარკვეული საქონელი ადგილობრივ ბაზარზე გაყიდვის მიზნით.

– ც –

„ცელოვალნიკი" (რუს.) – ამ შემთხვევაში, მებაჟე ძველ რუსეთში. სიტყვასიტყვით "მკოცნელი". ცელოვალნიკები იყვნენ საზოგადოებისაგან არჩეული პატიოსანი და მცოდნე პირები, რომლებიც იღებდნენ საბაჟო გადასახადს და ჯვარზე კოცნით იფიცებდნენ, რომ წესიერად შეასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას. აღსანიშნავია, რომ უფროს ცელოვალნიკს ეწოდებოდა მოლარე ცელოვალნიკი და მხოლოდ მას ჰქონდა საბაჟო ხაზინასთან დაშვების უფლება, რომელიც თავის მხრივ ინახებოდა სპეციალურ ყუთში – ლარში(მდრ. ქართული ლარის დასახელება. სხვათა შორის ფულის ერთეული

"ლარი" მომდინარეობს ირანის პროვინციის ლარისტანის დედაქალაქ – ლარიდან).

ცოლფერენი – საერთო საბაჟო სისტემის შექმნის შესახებ სახელმწიფოების შეთანხმება.

– ძ –

ძალაში შესვლა(საბაჟო კანონმდებლობის) – საბაჟო ურთიერთობათა მარეგულირებელი ნორმატიული აქტების ძალაში შესვლის თარიღი, რომელიც დგინდება სხვადასხვა წესით. მაგ. კანონი ან კანონქვემდებარე აქტი ძალაში შედის შემდეგ შემთხვევებში: ა) გამოქვეყნებისთანავე; ბ) გამოქვეყნებიდან ამ აქტებში მითითებულ დღეს; გ) ამ აქტებში პირდაპირ მითითებულ დღეს; დ) კანონმდებლობით დადგენილ დღეს, თუ ზემოაღნიშნულ აქტებში ძალაში შესვლის თარიღი მითითებული არ არის. რაც შეეხება საერთაშორისო კონვენციას, როგორც ნორმატიულ აქტს, იგი ძალაში შედის შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების(რატიფიცირება და ნოტების გაცვლა) დამთავრების დღიდან ან ამ კონვენციების ხელმოწერის დღიდან ან ამ კონვენციებში დაფიქსირებული დღიდან.

– ნ –

წარმომადგენელი-ექსპორტიორის ან იმპორტიორის მიერ საბაჟო ორგანოსთან ურთიერთობის დროს საბაჟო პროცედურების განხორციელების მიზნით მინდობილობით წარდგენილი პირი. იგი შეიძლება იყოს პირდაპირი და ირიბი.

წარმომადგენელი(ირიბი) – პირი, რომელიც მოქმედებს და საბაჟო დეკლარაციას წარადგენს თავისი სახელით და სხვა პირის ანუ საქონლის მესაკუთრის (მფლობელის) დავალებით. შესაბამისად, ირიბი წარმომადგენელი არის დეკლარანტი და მას საბაჟო ორგანოს წინაშე გააჩნია იგივე საბაჟო ვალდებულებები და პასუხისმგებლობები, რაც ექნებოდა საქონლის მესაკუთრეს (მფლობელს) იმ შემთხვევაში, თუ იგი თვითონ, უშუალოდ განახორციელებდა დეკლარირებას. ირიბ წარმომადგენელს აქვს აგრეთვე საბაჟო ორგანოების გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფლება.

წარმომადგენელი(პირდაპირი) – პირი, რომელიც მოქმედებს და საბაჟო დეკლარაციას წარადგენს სხვა პირის სახელით და მისი დავალებით. შესაბამისად, პირდაპირი წარმომადგენელი არ არის დეკლარანტი და მას არ გააჩნია საბაჟო ორგანოს წინაშე შესაბამისი საბაჟო ვალდებულებები. იგი გვევლინება მხოლოდ ფიზიკურ შუამავლად(კურიერად) საქონლის მესაკუთრეს(მფლობელსა) და საბაჟო ორგანოს შორის საბაჟო პროცედურების განხორციელების დროს. პირდაპირი წარმომადგენლის ყველა ქმედება განიხილება საქონლის მესაკუთრის(მფლობელის) ქმედებად და ყველა სათანადო პასუხისმგებლობა ეკისრება ამ უკანასკნელს.

"წითელი კორიდორი" – მგზავრის საბაჟო დეკლარირების ფორმა, რომლის გავლის დროსაც მგზავრი "უბნება" საბაჟო ორგანოს, რომ მას აქვს წერილობით დასადეკლარირებელი საქონელი. საპირისპირო იხ. "მწვანე კოროდორი".

წონა(ბრუტო) – საქონლის წონა შეფუთვის ჩათვლით.

წონა(ნეტო) – საქონლის წონა შეფუთვის გარეშე

– ჭ –

ჭარბწარმოება – საქონლის წარმოება იმ ოდენობით, როდესაც მისი მიწოდება მკვეთრად აღემატება მოთხოვნას. იგი ძირითადად წარმოდგება აგრარული საქონლის ძლიერი სუბსიდირების ან მოსახლეობის დაბალი მსყიდველობითი უნარის გამო.

– ხ –

ხელშეკრულება(ფორვარდული) – ამ შემთხვევაში საქონლის ყიდვა–გაყიდვის ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს მომავალში საქონლის მიწოდებას და ანგარისშწორებას(იხ. ფიუჩერსი).

– ჯ –

ჯართი – საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ არსებული საქონლის განადგურების შედეგად დარჩენილი საქონელი ან/და ქვეყნის შიგნით არსებული შესაბამისი საქონელი, რომელსაც არ აქვს შენარჩუნებული თავდაპირველი სასაქონლო სახე შესაბამისი სასაქონლო ნომენკლატურის დონეზე ან უვარგისია ექსპლოატაციისათვის. მაგ. შავი და ფერადი ლითონების ჯართი.

ჯგუფი – სასაქონლო ნომენკლატურის მიზნებისათვის კარში შემავალი კონკრეტული გვარის საქონელი. მაგ. პირველი კარის 01 ჯგუფი არის "ცოცხალი ცხოველები".

ჯეის მრუდის ეფექტი-ეკონომიკური თეორია, რომლის მიხედვით ეროვნული ვალუტის გაუფასურება იწვევს სავაჭრო ბალანსის დეფიციტის შემცირებას ექსპორტის ზრდისა და იმპორტის შემ-

ცირების გზით.

– ჰ –

ჰუმანიტარული საქონელი – ამ შემთხვევაში ექსპორტიორის (დონორის) მიერ იმპორტიორისადმი უსასყიდლოდ გადაცემული საქონელი, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნეს მიზნობრივად ჰუმანიტარული მიზნებისათვის. მაგ. სტიქიური უბედურების, ავარიის, კატასტროფის ლიკვიდაციის ან მოსახლეობის დაუცველი ფენების დასახმარებლად განკუთვნილი საქონელი. იგი გათავისუფლებულია საბაჟო გადასახდელებისაგან.

სარჩევი

თავი 1. გადასახადის არსი და ფუნქციები 3
გადასახადების წარმოშობა, ცნება და ფუნქციები 3
გადასახადების სახეები და ელემენტები 7
საგადასახადო თეორიები 9

თავი 2. ნორმატიული აქტების იერარქია დაბეგვრის სფეროში 13
ნორმატიული აქტის ცნება და კლასიფიკაცია 13
ნორმატიული აქტის უპირატესი ძალის პრინციპი 14
საქართველოს კონსტიტუცია; საქართველოს კონსტიტუციური კანონი 14
საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება 15
საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება 15
საქართველოს ორგანული კანონი 16
საქართველოს კანონი; საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი 16
საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება 17
საქართველოს პარლამენტის დადგენილება 17
საქართველოს მთავრობის დადგენილება 17
საქართველოს მინისტრის ბრძანება 17
ადგილობრივი თვითმმართველობის ნორმატიული აქტები 17

თავი 3. გადასახადის გადამხდელის და საგადასახადო ორგანოს უფლებები და ვალდებულებები. 18
გადასახადის გადამხდელის წარმომადგენელი, პირადი საგადასახადო მრჩეველი 18
ინფორმაციის მოთხოვნის უფლება გადასახადის გადამხდელის მიერ 19
ინფორმაციის მოთხოვნა საგადასახადო ორგანოს მიერ 20
საგადასახადო საიდუმლოება და მისი გაცემის პრინციპები 21
გადასახადის გადამხდელის ვალდებულებები 23
კომუნიკაცია გადასახადის გადამხდელთან 23
წინასწარი გადაწყვეტილების მიღება საგადასახადო ორგანოს მიერ 25
საგადასახადო ორგანოთა უფლებები 26
საგადასახადო ორგანოთა ვალდებულებები 28

თავი 4. საგადასახადო ვალდებულება 30
საგადასახადო ვალდებულების ცნება და მისი შესრულება 30
საგადასახადო ვალდებულებები სანარმოს ლიკვიდაციის, რეორგანიზაციის დროს 40
გარდაცვლილი ან უგზო-უკვლოდ დაკარგული ან ქმედუუნარო პირის საგადასახადო ვალდებულებების შესრულება 40
საგადასახადო პერიოდი, საგადასახადო შეღავათი 43
გადასახადის დარიცხვა 44
ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნება 44
საგადასახადო მოთხოვნა, გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა 45
გადასახადის გადამხდელად აღრიცხვა 46
საგადასახადო დეკლარაცია 47
პირველადი საგადასახადო დოკუმენტი 48
ცალკეულ შემთხვევებში საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის პრინციპები 48

თავი 5. ერთობლივი შემოსავალი და გამოქვითვები 50
ერთობლივი შემოსავლის ცნება 50
ხელფასის სახით მიღებული შემოსავლები 51
ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები 52
შემოსავლები, რომლებიც არ არის დაკავშირებული დაქირავებით მუშაობასთან და ეკონომიკურ საქმიანობასთან 53
საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი 53

შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები 55
პროცენტების გამოქვითვა 56
უიმედო ვალების გამოქვითვა 57
სარეზერვო ფონდებში გადარიცხვების გამოქვითვა 58
სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საცდელ-საკონსტრუქტორო
მომსახურების ხარჯების გამოქვითვა 59
საამორტიზაციო ანარიცხების გამოქვითვა 59
ძირითად საშუალებათა რემონტის ხარჯების გამოქვითვა 64
წარმომადგენლობითი ხარჯების გამოქვითვა 64
საქველმოქმედო ხარჯების გამოქვითვა 65
სადაზღვევო ხარჯების გამოქვითვა 65
გეოლოგიური კვლევებისა და ბუნებრივი რესურსების მოპოვების მოსამზადებელი
მომსახურების ხარჯების გამოქვითვა 66
გადასახადებისა და ჯარიმების გამოქვითვა 66
ზარალის გადატანა 67
სუსტი კაპიტალიზაცია 68

თავი 6. საერთაშორისო დაბეგვრა და საერთაშორისო კონტროლირებული
ოპერაციები 69
უცხოეთში გადახდილი გადასახადების ჩათვლა საქართველოში 69
საერთაშორისო დაბეგვრის არსი 69
საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების პრინციპები 82
საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შეფასების მეთოდები 83
ტრანსფერული ფასწარმოქმნის მაგალითები 89

თავი 7. შემოსავლის დაბეგვრა გადახდის წყაროსთან 93
დივიდენდების დაბეგვრა გადახდის წყაროსთან 93
პროცენტების დაბეგვრა გადახდის წყაროსთან 93
როიალტის დაბეგვრა გადახდის წყაროსთან 94
სპეციალური სავაჭრო ზონის ტერიტორიაზე გადახდის წყაროსთან დაბეგვრა 95
არარეზიდენტის შემოსავლის დაბეგვრა გადახდის წყაროსთან 96
გადასახადის წყაროსთან დაკავების წესი 98

თავი 8. საგადასახადო დეკლარაციები და მიმდინარე გადასახდელები 99
საგადასახადო დეკლარაციების წარდგენა 99
მიმდინარე გადასახდელების გადახდა 149

თავი 9. საშემოსავლო გადასახადი 149
საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის სუბიექტი და ობიექტი 149
საშემოსავლო გადასახადისაგან გათავისუფლება 150

თავი 10. მოგების გადასახადი 153
მოგების გადასახადის დაბეგვრის სუბიექტი და ობიექტი 153
მოგების გადასახადისაგან გათავისუფლება 154

თავი 11. დამატებული ღირებულების გადასახადი 156
დღგ-ს არსი 156
დღგ-ს გადამხდელი 157
დღგ-ს გადამხდელად სავალდებულო და ნებაყოფლობითი რეგისტრაცია 157
დღგ-ით დაბეგვრის ობიექტი, დასაბეგრი თანხა, დაბეგვრის დრო 158
საქონლის(მომსახურების) მიწოდების ადგილი 161
დღგ-ის განაკვეთები და გადახდა 162
დღგ-ს ჩათვლა 163
საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა 165

უკუდაბეგვრა 166
დღგ-ით დაბეგვრის განსაკუთრებული შემთხვევები 167
შერეული ოპერაცია, წარმომადგენლის ოპერაცია და დასაბეგრი თანხის კორექტირება 169
გრანტით შეძენილ საქონელზე და უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე დღგ-ის თანხის დაბრუნება 170
დღგ-საგან გათავისუფლება 170

თავი 12. აქციზი 177
აქციზის არსი და გადამხდელი 177
აქციზით დაბეგვრის ობიექტი, დრო, თანხა 180
აქციზის განაკვეთები 183
აქციზის ჩათვლა 188
აქციზით დაბეგვრა ცალკეულ შემთხვევებში 189
აქციზის დეკლარაციის წარდგენა და აქციზური მარკები 190
აქციზისაგან გათავისუფლება 191

თავი 13. იმპორტის გადასახადი(საბაჟო გადასახადი) 193
იმპორტის გადასახადის ცნება, ფუნქცია და განაკვეთები 193
იმპორტის გადასახადის სახეები 206
იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლება 213

თავი 14. ქონების გადასახადი 215
ქონების გადასახადის სუბიექტი და ობიექტი 215
ქონების გადასახადის განაკვეთი და დასაბეგრი თანხის განსაზღვრა 215
მიწის გადასახადი 217
ქონების გადასახადის გადახდა 219
ქონების გადასახადისაგან გათავისუფლება 220

თავი 15. სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები 223
15.1. მიკრო ბიზნესი 223
მიკრო ბიზნესის ცნება 223
მიკრო ბიზნესის სტატუსის მინიჭება 223
მიკრო ბიზნესის ერთობლიეი შემოსავალი 225
მიკრო ბიზნესი და მიმდინარე გადასახდელები 227
მიკრო ბიზნესის საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაცია 227
მიკრო ბიზნესი და საგადასახადო ანგარიშგების სხვა ვალდებულებები 231
მიკრო ბიზნესი და საგადასახადო სანქციები 231
მიკრო ბიზნესის სტატუსის გაუქმება 232
მიკრო ბიზნესის სტატუსის შეცვლა 234
მიკრო ბიზნესის საგადასახადო კონტროლი 234
15.2. მცირე ბიზნესი 235
მცირე ბიზნესის ცნება 235
მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭება 235
მცირე ბიზნესის ერთობლიეი შემოსავალი 237
მცირე ბიზნესის დაბეგვრის განაკვეთები 238
მცირე ბიზნესის მიმდინარე გადასახდელები 239
მცირე ბიზნესი და გადასახადების წყაროსთან დაკავება 239
მცირე ბიზნესის ხარჯების აღრიცხვა 240
მცირე ბიზნესის სასაქონლო მარაგების აღრიცხვა 241
მცირე ბიზნესის საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაცია 243
მცირე ბიზნესი და საგადასახადო სანქციები 244
მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმება 245
მცირე ბიზნესის სტატუსის შეცვლა 247

მცირე ბიზნესი და დამატებული ღირებულების გადასახადი 247
მცირე ბიზნესის საგადასახადო კონტროლი 248
15.3. ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადი 248
ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადის ცნება 248
ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადის სტატუსის მინიჭება 249
ფიქსირებულ საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის მექანიზმი 252
საგადასახადო ანგარიშგება 253
ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადის გადამხდელის საგადასახადო კონტროლი 254
15.4. ფიქსირებული გადასახადი 254
ფიქსირებული გადასახადის ცნება 254
ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მინიჭება 256
ფიქსირებული გადასახადით დაბეგვრის წესი და საგადასახადო ანგარიშგება 258
ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის გაუქმება, შეცვლა 259
ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის საგადასახადო კონტროლი 261
15.5 პრაქტიკული მაგალითები მიკრო ბიზნესის, მცირე ბიზნესის, ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადის და ფიქსირებული გადასახადის შესახებ 261
მიკრო ბიზნესის მაგალითები 261
მცირე ბიზნესის მაგალითები 264
ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადის მაგალითები 268
ფიქსირებული გადასახადის მაგალითები 270

თავი 16. საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები 271
საგადასახადო დავალიანების გადახდევინების ზოგადი პრინციპები 271
საგადასახადო გირავნობა და იპოთეკა 271
მესამე პირზე გადახდევინების მიქცევა 273
ქონებაზე ყადაღის დადება 273
ყადაღადადებული ქონების რეალიზაცია 274
საბანკო ანგარიშზე საინკასო დავალების წარდგენა და გადამხდელის სალაროდან ნაღდი ფულის ამოღება 275
საგადასახადო დავალიანების უზრუნველყოფა საგადასახადო დავის პერიოდში 276
საგადასხადო დავალიანების გადახდევინების გადავადება და ჩამონერა 276

თავი 17. კორპორაციული ოპერაციების დაბეგვრა 277
17.1. კორპორაციული დაბეგვრის ეკონომიკური სუბიექტების სამართლებრივი ფორმები 277
ზოგადი დებულებები 277
ინდივიდუალური მეწარმე 278
სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება 278
კომანდიტური საზოგადოება 279
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება 280
სააქციო საზოგადოება 281
კოოპერატივი 284
ამხანაგობა 286
ორგანიზაციები 288
არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირები 288
არარეგისტრირებული კავშირი(გაერთიანება) 290
საბიუჯეტო ორგანიზაცია 290
საჯარო სამართლის იურიდიული პირი 290
რელიგიური ორგანიზაცია 291
საქველმოქმედო ორგანიზაცია 291
საჯარო რეესტრი. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 293
17.2. კორპორაციული გაერთიანებების ფორმები 297
ტრესტი 297

კონცერნი....297
კონსორციუმი....298
კარტელი....298
ჰოლდინგი....298
სინდიკატი....298
სამრეწველო-საფინანსო ჯგუფი....299
სტრატეგიული ალიანსი....299
პული....299
სამეურნეო ასოციაცია....299
კონგლომერატი....299
17.3. კაპიტალი, აქცია, წილი....299
კაპიტალი....299
კაპიტალის სტრუქტურა დაბეგვრის თვალსაზრისით მოდელიან-მილერის თეორიის მიხედვით და სუსტი კაპიტალიზაცია....301
აქცია....303
წილი....307
17.4. საწარმოს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია....308
საწარმოს რეორგანიზაციის ორგანიზაციული საკითხები....308
საწარმოთა გაერთიანების ზოგადი პრინციპები....309
საწარმოს რედომიცილება, როგორც რეორგანიზაციის სახე....309
პარტნიორის გასვლა საზოგადოებიდან....309
რეორგანიზაციის საგადასახადო ასპექტები....310
საგადასახადო ვალდებულების შესრულება საწარმოს/ორგანიზაციის რეორგანიზაციის დროს....311
იურიდიულ პირში წილის(აქციების) სანაცვლოდ აქტივების შეტანა....312
საწარმოს ლიკვიდაციის ორგანიზაციული საკითხები....312
სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს 50 პროცენტზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ლიკვიდაციის ორგანიზაციული საკითხები....314
იურიდიული პირის ლიკვიდაციის დაბეგვრის საკითხები....316
საგადასახადო ვალდებულების შესრულება საწარმოს/ორგანიზაციის ლიკვიდაციისას....318
17.5. საწარმოს ყველა აქტივის მიწოდება....319
17.6. დივიდენდების დაბეგვრა....321
დივიდენდების დაბეგვრის არსი და მაგალითები....321
რეკომენდაციები დივიდენდების დაბეგვრის კონტროლთან დაკავშირებით....331
კორპორაციული გადასახადის იმპუტაციური სისტემა....332
17.7. კორპორაციული ოპერაციების დაბეგვრის ცალკეული შემთხვევები....333
კორპორაციული დაბეგვრის ზოგადი საკანონმდებლო ნორმები....333
კორპორაციული ოპერაციების დროს საბაზრო ფასის გამოყენების (გამოუყენებლობის) შემთხვევები....335
კორპორაციული დაბეგვრის პრაქტიკული სიტუაციები....336
17.8. კორპორაციული დაბეგვრის ზოგადი საკითხები საზღვარგარეთის ქვეყნებში....350
17.9 კორპორაციულ დაბეგვრასთან დაკავშირებული ტერმინების არანორმატიული და ნორმატიული განსაზღვრებები....357

თავი 18. საგადასახადო აუდიტი....370
18.1. საგადასახადო აუდიტის ცნება და საგანი....370
18.2. საგადასახადო აუდიტის ზოგადი მეთოდოლოგია....371
რისკები, როგორც საგადასახადო აუდიტის ჩატარების საფუძველი....371
საგადასახადო აუდიტის დაგეგმვა....373
საგადასახადო აუდიტის მეთოდები....374
არსებული საარრიცხვო ჟურნალებისა და ჩანაწერების განსაზღვრა....374
განმარტებების მიღება საარრიცხვო ჟურნალებთან და ჩანაწერებთან დაკავშირებით....374
გადასახადის გადამხდელის საარრიცხვო მეთოდის განსაზღვრა....375

გადასახადის გადამხდელის შემოწმების სიღრმის განსაზღვრა 375
გადასახადის გადამხდელის სააღრიცხვო ჟურნალებისა და ჩანაწერების შედარება საგადასახადო დეკლარაციასთან 379
საბანკო ჩანაწერების შედარება 380
საბანკო დეპოზიტების ანალიზი 381
საბანკო დეპოზიტების შედარება მთლიან შემოსავლებთან 382
საბანკო ჩეკის ანალიზი 382
საბალანსო უწყისის ანალიზი 383
ერთობლივი შემოსავლების ან გაყიდვების ანალიზი 392
გაყიდული საქონლის ღირებულების ანალიზი 400
ნიმუშის შერჩევის მეთოდი 402
არაპირდაპირი მეთოდების განსაზღვრა 403
წყაროსა და ფულადი სახსრების გამოყენების მეთოდი 407
საბანკო დეპოზიტებისა და ნაღდი ფულადი დანახარჯების მეთოდი 410
ფასნამატის მეთოდი 416
საშუალო შეწონილი ფასნამატის მეთოდი 419
ერთეულისა და მოცულობის მეთოდი 419
ნმინდა კაპიტალი მეთოდი 421
არაპირდაპირი მეთოდების საწინააღმდეგო არგუმენტაცია 423
აუდიტის ანგარიშის მომზადება 425
აუდიტის ანგარიშის გადასინჯვა 431
აუდიტორული შემოწმების აქტების ხარისხის მონიტორინგი საგადასახადო ორგანოს მიერ 435
18.3. საგადასახადო შემოწმების სახეები 441
კამერალური საგადასახადო შემოწმება 441
გასვლითი საგადასახადო შემოწმება 441
გადაუდებელი გასვლითი საგადასახადო შემოწმება 442
საგადასახადო შემოწმება გადასახადის გადამხდელის ინიციატივით 443
პოსტაუდიტური შემოწმების არსი 444
საგადასახადო შემოწმების აქტი 450
18.4. ალტერნატიული საგადასახადო აუდიტი 451
ალტერნატიული აუდიტის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭება 451
ალტერნატიული აუდიტის განხორციელების უფლებამოსილების შეწყვეტა. აუდიტორისათვის გაფრთხილების მიცემა 452
ალტერნატიული აუდიტის ჩატარების პირობები 452
საგადასახადო ორგანოს მიერ ალტერნატიული აუდიტის ჩატარების ინიცირება 453
გადასახადის გადამხდელის მიერ ალტერნატიული აუდიტის ჩატარების ინიცირება 453
ხელშეკრულება ალტერნატიული აუდიტის ჩატარების შესახებ 454
ალტერნატიული აუდიტის ჩატარება 454
ალტერნატიული შემოწმების აქტის შედგენა 455
ალტერნატიული აუდიტის შედეგების აღიარება, მედიაცია და გასაჩივრება 456
ალტერნატიული აუდიტის შეწყვეტა 457
საგადასახადო ორგანოს მიერ ალტერნატიული აუდიტის შედეგების გადამოწმება 458
ალტერნატიული აუდიტის მეთოდოლოგიური უზრუნველყოფა და კოორდინაცია 458
18.5. პრევენციული საგადასახადო აუდიტი 459
პრევენციული საგადასახადო აუდიტის ზოგადი დებულებები 459
ქრონომეტრაჟი 461
საგადასახადო მონიტორინგი 463
საკონტროლო შესყიდვა 465
საკონტროლო შესყიდვის განხორციელება კერძო საგადასახადო ინსპექტორის მიერ 470
საკონტროლო – სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვის კონტროლი 472
დათვალიერება 481
ინვენტარიზაცია 483

თავი 19. საგადასახადო დავა და შეთანხმება 488
საგადასახადო დავის პრინციპები 488
საგადასახადო შეთანხმების გაფორმების პირობები 497

თავი 20. საგადასახადო აღრიცხვა 499
შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის პრინციპები 499
შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა საკასო მეთოდით 500
შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა დარიცხვის მეთოდით 501
აღრიცხვა თანამფლობელობის (ამხანაგობის) დროს 501
ამხანაგობის მიერ მიღებული მოგების (ზარალის) განაწილების დეკლარაციის შევსება 506
შემოსავლები და გამოქვითვები გრძელვადიანი კონტრაქტების მიხედვით 507
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის წესი 507
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების (სმფ) ჩამოწერა 509
შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა გამარტივებული წესით 513
კომპენსირებული გამოქვითვები 516
მოგება და ზარალი აქტივების მიწოდების დროს 516
20.12 კორპორაციული ოპერაციები (იურიდიული პირის ლიკვიდაცია,
იურიდიულ პირში წილის (აქციების) სანაცვლოდ აქტივების შეტანა,
იურიდიული პირის რეორგანიზაცია) 517
პირადი აღრიცხვის ბარათი 518

თავი 21. საგადასახადო და ადმინისტრაციული სამართალდარღვევები 524
საგადასახადო სამართალდარღვევები 524
ზოგადი პრინციპები 524
საგადასახადო სანქცია 525
საგადასახადო სამართალდარღვევის საქმის წარმოება 525
საგადასახადო სამართალდარღვევის აღმოფხვრა 530
საგადასახადო სამართალდარღვევათა სახეები და პასუხისმგებლობა 531
ადმინისტრაციული სამართალდარღვევები 542
ჯარიმები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე და სამართალდარღვევის ოქმის
შედგენა საგადასახადო ორგანოს მიერ 542
ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ოქმი და მისი განხილვა საგადასახადო
ორგანოს მიერ 550

თავი 22. საბაჟო რეჟიმები (სასაქონლო ოპერაციები) და საგადასახადო
ვალდებულების განსაზღვრასთან დაკავშირებული პროცედურები 553
სიტყვა „საბაჟოს“ ეტიმოლოგია 553
საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის არსი 554
საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის არსი დაკრიტერიუმები 558
საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა 562
საქონლის მიწოდების პირობები (ინკოტერმს-2010) 575
იმპორტი 585
ექსპორტი 586
რეექსპორტი 588
ტრანზიტი 589
საწყობი 593
თავისუფალი ზონა 595
დროებითი შემოტანა 597
შიგა გადამუშავება და გარე გადამუშავება 607
თავისუფალი ვაჭრობის პუნქტი 609
დაბრუნებული საქონლის დაბეგვრა 609

თავი 23. დაბეგვრის ზოგიერთი პრობლემური საკითხი და საერთაშორისო გამოცდილება ... 610
ცრუმაგიერი მფლობელობა და შემოსავლის ბენეფიციური მფლობელი 610

ლიზინგის დაბეგვრის პრობლემები 613
დაბეგვრის ზოგიერთი პრობლემური საკითხის რეტროსპექტული ასპექტები 620
მუდმივი დანესებულების განსაზღვრის მნიშვნელობა საგადასახადო ურთიერთობებში 624
ქონების გადასახადის პრაქსეოლოგიური ანალიზის საკითხისათვის 630
საშემოსავლო გადასახადის მოდელის საკითხისათვის 633
დაბეგვრის ევოლუცია აშშ-ში 639
აქციზური საქონლის დაბეგვრის განსხვავებული ასპექტები 645

თავი 24. სახალისო დაბეგვრა 649
24.1. საინტერესო გადასახადები 649
მონობისგან გათავისუფლების გადასახადი 649
გადასახადი მშვიდი ცხოვრებისათვის 649
გადასახადი სიცოცხლისათვის 649
საკვამლე მილზე გადასახადი 650
წვერის ტარების გადასახადი 650
ხელისუფალთან უთანხმოების გადასახადი 650
მარილის გადასახადი 650
ნარკოტიკებზე გადასახადი 650
ნობელის პრემიის გადასახადი 650
გადასახადი უცხოელებისათვის 650
ნადირობა, როგორც გადასახადი 651
ფანჯრის გადასახადი 651
საპირფარეშოს გადასახადი 651
ჯადოქრების და მკითხავების გადასახადი 651
ქარის გადასახადი 651
ჩაის გადასახადი და აშშ-ს წარმოშობა 651
ოქროს გვირგვინის მოსაკრებელი, რომელიც გამოხატავს უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ ქვეშევრდომული ერთგულების გრძნობას 652
ვირის იარლიყის მოსაკრებელი 652
პროსტიტუციის გადასახადი 652
გადასახადი ადამიანის თავით 652
საჭურისის გადასახადი 652
მშვიდობის გადასახადი 652
თაბაშირის გადასახადი 652
თვალების გადასახადი 652
მხატვრების გადასახადი 652
უცოლოების, მარტოხელებისა და უშვილოების გადასახადი 653
სიმხდალის გადასახადი 653
პარიკის და ქუდის გადასახადი 653
ძაღლების გადასახადი 653
ბანაობის გადასახადი 653
გადასახადი ხარებით 653
ბეღურების გადასახადი 653
გადასახადი საათზე 654
მტვრის გადასახადი 654
ჩრდილის გადასახადი 654
ჰაერის გადასახადი 654
სექსის გადასახადი 654
კბილების გადასახადი 654
ხელჯოხის გადასახადი 654
საჩაე გადასახადი 654
ჰიტლერი, ალ კაპონე და გადასახადები 654
პირველი გადასახადები 655
გზები და გადასახადები 655

ციცერონი და გადასახადები 655
არაბი მეკობრე და ტარიფი 655
სიტყვა „გადასახადის" ეტიმოლოგია სხვადასხვა ენებში 655
ბიბლიური ზაქე და გადასახადები 655
ძველი რომაელების მიერ საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილების პერიოდები 656
სიმსუქნის გადასახადი 656
ყურების გადასახადი 656
მუცლის ცეკვის გადასახადი 656
გადასახადი თავისუფალი ურთიერთობისთვის 656
ტურიზმის გადასახადი 656
ტელევიზორის გადასახადი 656
გადასახადი ქრთამზე 656
კიბის საფეხურების გადასახადი 656
დროშის გადასახადი 656
გადასახადის გადასახადი 656
ფრენის გადასახადი 657
ქორწინების გადასახადი 657
ტატუირების და პირსინგის გადასახადი 657
ფუნთუშის გადასახადი 657
სიმთვრალის გადასახადი 657
სულის გადასახადი 657
გადასახადი თეთრეულია გარეცხვასა და წყლის საზიდ ულელზე 657
გადასახადი გაუხსნელ დანაშაულზე 657
თანამდებობაზე დანიშვნის გადასახადი 657
გადასახადი სისხლით 657
უქმი კაპიტალის გადასახადი 657
ველოსიპედის გადასახადი 657
გადასახადი მონადირე ქორზე 657
გადასახადი სილიკონის მკერდზე 658
მწეველთა გადასახადი 658
გადასახადი ძროხების გამოყოფილ სიმყრალეზე და მეთანზე 658
"მეფის ფეხსაცმლის" გადასახადი 658
გადასახადი კვების დროს გამოყენებულ ჩხირებზე 658
ხმაურის გადასახადი 658
სტიქიური უბედურების გადასახადი 658
გადასახადი რუსული ენის გამოყენებაზე 658
ძაღლების გადასახადის ამოღების მეთოდები 658
ტიბეტის რეკორდული გადასახადები 658
ღვინის ძმრის გადასახადი 658
გადასახადი ქვაბებით და ცულებით 658
გადასახადი ჩვრებით 659
გადასახადი ტილებით 659
შენილბული ქრთამის გადასახადი 659
კონიაკი და გადასახადები 659
დობერმანის ჯიშის ძაღლი და გადასახადები 659
გადასახადი ებრაელობისათვის 659
გადასახადი მოსამსახურეების ყოლაზე 659
ყველაზე დიდი გადასახადი 659
მოწოდება გადასახადისაგან თავის არიდების შესახებ 659
გადასახადის გადამხდელების კლასიფიკაცია ჩინურად 659
საგადასახადო პერიოდი ძველრომაულად 659
საგადასახადო იურისდიქციის საინტერესო ცვლილება 660
გადასახადის გადამხდელების ყველაზე ძველი არქივი 660
გადასახადი ბარბექიუზე ანუ მწვადზე 660

გადასახადი აშშ-ს დოლარებზე 660
უშრომელი შემოსავლის გადასახადი 660
ქარის მოტანილი ქონების გადასახადი 660
სოლიდარობის გადასახადი 660
რომანტიკული გადასახადი 660
გადასახადებისაგან თავის არიდების საწინააღმდეგო ინგლისური კანონის „ლოგიკა" 660
დაკრძალვის აკრძალვა გადასახადების გამო 660
ჰამურაბის კანონები გადასახადების შესახებ 660
თბილისის აღება დავით აღმაშენებლის მიერ და მის მიერ დაწესებული გადასახადები 661
მალი 661
ყაფჩარი 661
ულუფა 661
მაზდი 661
დამღა 661
სამასპინძლო გადასახადი 661
ყალანი 661
თარხანი ანუ გადასახადისაგან გათავისუფლება 661
პატრონის ხლება და ლაშქრობით სამსახური 661
კულუხი 661
ღალა 662
ხარაჯა 662
საბანჯარი 662
სანიჭარი 662
შესაწევარი 662
ალაფი 662
სურსათის გადასახადი 662
კოდის პური 662
მახტა 662
საბალახე გადასახადი 662
საკომლო გადასახადი 662
შევარდენის გადასახადი 662
საქვრივო (საჩექმე) გადასახადი 662
ხარკი, საური, ყიშტი 662
მუშრიბი, მელვინეთუხუცესი, ნომარქი და გადასახადები 663
ბეგარა 663
ჭირი 663
ნარბევი 663
ქეშიკი 663
სატარულო 663
სამხედრო სასურსათო ბეგარა 663
საპოლიციო გადასახადი 663
უძრავი ქონების გადასახადი 663
ვაჭრობის გადასახადი 663
გადასახადი დაქირავებულებზე 663
გადასახადი მესაკლავეობაზე 663
კაბალა 663
რიგის პური 663
უდები 663
მდიდრების გადასახადი 664
24.2. საინტერესო აზრები გადასახადებზე 664
ალექსანდრ ალექსანდრეს ძე სოკოლოვი 664
არტურ გოდფრი 664
აბუ იუსუფი 664
ადამ სმიტი 664

აღა-მახმად-ხანი 664
არისტოტელე 665
ალექსანდრე რადიშევი 665
ალექსანდრე ციტკინი 665
ა.ვ. ივანოვი 665
ანდრეი ისაევი 665
არნოლდ შვარცნეგერი 665
ბუ სვენსონი 665
ბერნარდ ბერენსონი 665
გეორგ ვილგელმ ფრიდრიხ ჰეგელი 665
გიუნარდ მიურდალი 665
დავიდ რიკარდო 665
დენი დიდრო 666
ედვინ სელიგმანი 666
ვილიამ პეტი 667
ვილიამ გრემ სამნერი 667
ვლადიმერ ჩერნოვი 667
ვ. სალტიკოვი 667
ვლადიმერ პუტინი 667
ვლადიმერ ფროლოვი 667
ზიგმუნდ ფროიდი 667
თომას ჰობსი 667
თომა აქვინელი 668
თომას ფოული 668
იბნ ხალდუნი 668
იგორ ლიპსიცი 668
კლაიდი(დიდი ბრიტანეთის ლორდ-მოსამართლე) 668
კონფუცი 669
კარლ მარქსი 669
კლემენტ მეტერნიხი 669
კალიგულა 669
ლორენს პიტერი 669
ლუი დე ჟოკური 669
ლუდვიგ ერჰარდი 669
ლორანდ ეტვეში 670
მიურეი როტბარდი 670
მენკიუსი 670
მარკუს ვიფსანიუს აგრიპა 670
მილტონ ფრიდმანი 670
მარტინ ფელდშტეინი(ჯორჯ ფ. ბეიკერი) 670
მიხეილ მამჩიჩი 671
მორის ლორე 671
მაკ-კულოხი 671
მორის დრიუონი 671
ნიკოლაი ტურგენევი 671
ნიკოლო მაკიაველი 672
ნაპოლეონ ბონაპარტი 672
ნიკოლაი ჩერნიშევსკი 672
ოლივერ ჰოლმსი(უფროსი) 672
ონორე დე ბალზაკი 672
ოსკარ უაილდი 672
პუბლიუს ვირგილიუს მარო 672
პოლ ანრი გოლბახი 672
პიერ ჟოზეფ პრუდონი 672

პიერ დანინოსი 673
პოლ სამუელსონი 673
კოულმან ენდრიუსი 673
ჟან შარლ სისმონდ დე სისმონდი 673
ჟან-ჟაკ რუსო 673
ჟან ბატისტ სეი 673
ჟან ბატისტ კოლბერი 673
ჟან ბოდენი 673
რობერტ სარნოფი 674
რონალდ კოუზი 674
როგოზინი ს. 674
როლანდ რეიგანი 674
სირილ პარკინსონი 674
სტანისლავ ეჟი ლეცი 674
სოლ ბელოუ 674
ტიბერიუსი 674
უინსტონ ჩერჩილი 674
უცნობი ავტორი 674
ფრანკლინ დელანო რუზველტი 674
ფრანსუა მარი არუე ვოლტერი 674
ფრანსუა ვერონ დიუვერუე ფორბონე 675
ფრენსის ბეკონი 675
ფრედერიკ ბასტია 675
ფრანსუა კენე 675
ფრიდრიხ ფონ გარდენბერგი (ფსევდონიმი – „ნოვალისი“) 675
ფრანჩესკო ნიტი 675
ფრედ ალენი 675
შარლ ლუი დე სეკონდა მონტესკიე 675
მენანდრე პროტიქტორი 676
ჩ. ლემბი 676
ციცერონი და გადასახადები 676
ცოტნე დადიანი 676
ჯონ სტიუარტ მილი 676
ჯორჯ ბერნარდ შოუ 676
ჯოზეფ სტიგლიცი 676
ჯონ ლოკი 677
ჯონ მეინარდ კეინსი 677
ჯეიმს ნიუმენი 677
ჯონ მარშალი 677
ჯონათან სვიფტი 677
ჰენდი(აშშ-ს მოსამართლე) 677
ჰენრი ჯორჯი 677
ბ. ფრანკლინი 677
გ. გურევეი, ა.ისაევი, ვ. კამენეცკი 677
მარკუს პორციუს კატონი 678
მარკ ლაპიცკი 678
ჯ. ა. გოდრფი 678
გარი ბეკერი 678
კაუტალიე (ვაშნაგუპტა) ძველი ინდური ძეგლი არდახაშასტრა, მე-IV – მე-III ს.ს ძვ.წ 678
ძვ. ინდური კრებული „მანავადხარმაშასტრა“, ახ. წ. I ს 678

თავი 25. საგადასახადო და საბაჟო ტერმინები 678
25.1 საგადასახადო კოდექსში ტერმინები 678

– ა – 678
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები 678
ადმინისტრაციული აქტი 678
ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი 679
ადმინისტრაციული საჩივარი 679
ალიმენტი 679
ამონაგები 679
ამორტიზაცია 679
ამორტიზაციის ნორმა 679
ამხანაგობა 679
ანაბარი 679
არაამორტიზებადი ძირითადი საშუალება 679
არაპირდაპირი გადასახადი 679
არარეზიდენტი 679
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი 679
არამატერიალური აქტივი 680
არასასოფლო-სამეურნეო მინა 680
არაამორტიზებადი ძირითადი საშუალება 680
არასატარიფო ღონისძიებები 680
აუდიტორთა საბჭო 680
აუქციონი 680
აქტივი 680
აქტივების ღირებულება 680
აქცია 680
აქციზი 681
აქციზის ჩათვლა 681
აქციზური მარკა 681
აქციზური მარკის ნომინალური ღირებულება 681
აღიარებული საგადასახადო დავალიანება 681
აღნაგობა 681
აღრიცხვის(საკასო) მეთოდი 681
აღსრულების საფასური 681
ახალასათვისებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები 682

– ბ – 682
ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი 682
ბალანსი 682
ბარგი 682
ბარტერული ოპერაცია 682
ბენეფიციარი 682
ბიოლოგიური აქტივი 682
ბირჟა 682
ბიუჯეტი 682
ბროკერი 683
ბუღალტრული ანგარიშგება 683
ბუღალტრული აღრიცხვის რეგისტრები 683
ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები 683

– გ – 683
გადაზღვევა 683
გადამუშავების პროდუქტი 683
გადამუშავებული საქონელი 683
გადასახადებით დაბეგვრის ობიექტები 683
გადასახადების ადმინისტრირება 683

გადასახადი 684
გადასახადის გადამხდელი 684
გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა 684
გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათი 684
გადასახასის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი 684
გადასახადის გადამხდელის სალაროდან ნაღდი ფულადი სახსრების ამოღება 684
გადასახადის გადამხდელის საქმიანობაზე დაკვირვება 684
გადასახადის გადამხდელის წარმომადგენელი 684
გადასახადის განაკვეთი 684
გადასახადის თანხების დარიცხვა 684
გადასახადის მიმდინარე გადასახდელები 684
გადაუდებელი გასვლითი საგადასახადო შემოწმება 685
გადაუმუშავებელი საქონელი 685
გადახდისუუნარობა 685
გადაყიდვის ფასის მეთოდი 685
გაკოტრების საქმის წარმოება 685
გამოქვითვები 685
გარე გადამუშავება 685
გარიგების შეფასების მეთოდები 685
გასვლითი საგადასახადო შემოწმება 685
გრანტი 685
გრანტის ელემენტი 685
გრძელვადიანი კონტრაქტი 686
გუდვილი 686

– დ – 686
დაბრუნებული საქონელი 686
დავების განხილვის საბჭო 686
დაზღვევა 686
დაზღვეული 686
დათვალიერება 686
დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) 687
დამატებული ღირებულების გადასახადისაგან გათავისუფლება ჩათვლით ან ჩათვლის გარეშე 687
დამატებული ღირებულების გადასახადის საანგარიშო პერიოდი 687
დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლა 687
დამატებული ღირებულების გადასახადის ჩასათვლელი თანხა 687
დამოუკიდებელი აუდიტორი 687
დამოუკიდებელი გარიგება 687
დამოუკიდებელი პირები 687
დანაკლისი 687
დანაშაულის ნიშნები 687
დარიცხვის მეთოდი 687
დასაბეგრი ბრუნვა 688
დასაბეგრი იმპორტის თანხა. 688
დასაბეგრი მოგება 688
დასაბეგრი ოპერაციის თანხა 688
დასაბეგრი ქონების ადგილსამყოფელი 688
დასავარგებელი აქციზური საქონელი 688
დაუძლეველი ძალა 688
დაქირავებით მუშაობა 688
დაჩქარებული ამორტიზაციის ნორმა 688
დევნილი 688

დეკლარანტი 688
დეპოზიტი 688
დივიდენდი 688
დიპლომატიური ფოსტა 689
დისკონტირებული თანხა 689
დისკონტის სახით მიღებული შემოსავალი 689
დროებით შემოტანა 689

– ე – 689
ელექტრონულად განეული მომსახურება 689
ელექტრონული დეკლარირება 689
ელექტრონული ხელმოწერა 689
ეკვივალენტური საქონელი 689
ეკონომიკური საზღვარი 689
ეკონომიკური სამსახურის ვადა 689
ეკონომიკური საქმიანობა 689
ერთიანი საერთაშორისო სატრანსპორტო დოკუმენტი 690
ერთობლივი შემოსავალი 690
ექსპორტი 690
ექსპორტის გადასახდელი 690

– ვ – 690
ვებჰოსტინგი 690
ვეტერინალური სასაზღვროსაკარანტინო კონტროლი 690
ვირტუალური ზონის პირი 690

– ზ – 690
ზარალი 690
ზედმეტად გადახდილი გადასახადი 690
ზედმეტად გადახდილი გადასახადის თანხის ავტომატური დაბრუნება 690
ზოგადი დეკლარირება 690

– თ – 690
თავდებობა 690
თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტი 690
თავისუფალი ვაჭრობის პუნქტი 691
თავისუფალი ზონა 691
თავისუფალი ინდუსტრიული ზონა 691
თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ორგანიზატორი 691
თავისუფალი ინდუსტრიული ზონის სანარმო 691
თავისუფლად მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდი 691
თავისუფალი საწყობი 691
თამასუქი 691
თანამფლობელობა 691
თვითმმართველი ერთეული 691
თხოვება 691

ი 691
იდენტური საქონელი 691
იმპორტი 692
იმპორტიორი 692
იმპორტის გადასახადი 692
იმპორტის გადასახდელი 692
ინდივიდუალური საწარმო 692

ინვენტარიზაცია 692
ინვოისი 692
ინტეგრალური (ინტეგრირებული) სქემა 692
ინტელექტუალური საკუთრება 692
ინჟინირინგი 692
იურიდიული მისამართი 692
იურიდიული პირი 692
იჯარა 692
იჯარის უფლება 693

– კ – 693
კალენდარული წელი 693
კამერალური საგადასახადო შემოწმება 693
კაპიტალში წილი 693
კაპიტალიზებადი ხარჯები 693
კასტოდიანური ოპერაციები 693
კლირინგიკომანდიტი 693
კომერციულად ურთიერთშემცვლელი 693
კომპენსაცია 693
კომპენსირებული გამოქვითვები 693
კომპიუტერული პროგრამა 693
კონტროლირებული გარიგება 693
კონტროლის ზონა 693
კონტროლს დაქვემდებარებული მიწოდება 693
კომპლემენტარი 693
კოოპერატივის წევრი 694
კორექტირების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა 694
კორპორაციული ოპერაციები 694
კორპორაციები, კომპანიები, ფირმები 694
კრედიტი (სესხი) 694
კრედიტის (სესხის) სინდიცირება, სტრუქტურირება 694
კურატორიუმის წევრები 694

– ლ – 694
ლატარია 694
ლიზინგი 694
ლიკვიდაცია 695
ლიცენზია 695
ლიცენზირებული ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი 695
ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტი 695
ლტოლვილი ან იძულებით გადაადგილებული ფიზიკური პირი 695

– მ – 696
მაგროვებადი და დაბრუნებადი ხასიათის არასახელმწიფო საპენსიო სქემა 696
მარტოხელა დედა 696
მარჟა 696
მატერიალური აქტივი 696
მგზავრი 696
მემკვიდრე (მემკვიდრეები) 696
მეთოდი Fifo 696
მეიჯარე 696
მესამე და მეოთხე რიგის მემკვიდრეები 696
მესამე პირიზე გადახდევინების მიქცევა 696
მეურვე 696

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო 697
მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრი 697
მეწარმე ფიზიკური პირი 697
მეწარმე ფიზიკური პირის საქმიანობის ადგილი 697
მზღვეველი 697
მთლიანად წარმოებული ან მიღებული საქონელი 697
მიკრო ბიზნესი 697
მიკროსაფინანსო ორგანიზაცია 698
მიმდინარე კონტროლის პროცედურები 698
მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი 698
მნიშვნელოვანი ქონებით უზრუნველყოფილი პირი 698
მობილური საკომუნიკაციო მომსახურება 698
მოგების გადასახადი 698
მოგების გაყოფის მეთოდი 698
მოიჯარე 698
მომსახურება 698
მოძრავი ქონება 699
მსგავსი საქონელი 699
მუდმივი დაწესებულება 699
მცირე ბიზნესი 699

– ნ – 699
ნათესავი 699
ნარჩენი (გადამუშავების) 700
ნებაყოფლობითი რეგისტრაცია 700
ნოტარიუსის ანგარიშზე დეპონირებული ფული და ფასიან ქაღალდები 700
ნოუჰაუ 700
ნუმიზმატიკა 700

– ო – 700
ობლიგაცია 700
ორგანიზაცია 700
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა 701
ორი ქვეყნის გაგზავნისა და დანიშნულების პუნქტები 701
ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილება 701
ოფციონი 701
ოფშორულ ქვეყანა 701
ოქროს სია 701
ოჯახი 701

– პ – 701
პარტნიორი 701
პატენტი 702
პენსია 702
პირადი ნივთი 702
პირადი საგადასახადო აგენტი 702
პირგასამტეხლო 702
პირველადი დოკუმენტები 702
პირველადი საგადასახადო დოკუმენტი 702
პირველი და მეორე რიგის მემკვიდრეები 702
პირი 703
პირის ოჯახი 703
პორტალი 703
პრივატიზება 703

პროფესიონალური სტატუსის მქონე შუამავლი 703
პროცენტი 703

– რ – 703
რატიფიცირებული და ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულება 703
რეაბილიტაციის რეჟიმში მყოფი საწარმოები 703
რეალიზაცია 704
რეექსპორტი 704
რეზერვების შემცირება 704
რეზიდენტი 704
რელიგიური ორგანიზაციები (გაერთიანებები) 704
რელიგიური საქმიანობა 704
რეინვესტირება 705
რეპო 705
რეპუტაცია ბაზარზე 705
რეორგანიზაცია 705
როიალტი 705
რწმუნებული პირი – 705

– ს – 705
საავტორო უფლებები 705
საამორტიზაციო ანარიცხები 705
საანგარიშო წელი 706
საანგარიშო პერიოდი 706
სააღრიცხვო დოკუმენტაცია 706
სააღსრულებო ფურცელი 706
საბადოების დამუშავების უფლება 706
საბაზრო ფასი 706
საბალანსო ღირებულება 707
საბანკო ანგარიშებიდან გადასახადის, საურავისა და ჯარიმის თანხების ჩამოწერა 707
საბანკო გარანტია 707
საბითუმო ფასი 707
საბიუჯეტო ორგანიზაცია 707
საგადასახადო ორგანო 707
საგადასახადო აგენტი 707
საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა 708
საგადასახადო აღრიცხვის ადგილი 708
საგადასახადო გირავნობა 708
საგადასახადო დავა 708
საგადასახადო დავალიანება 708
საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები 708
საგადასახადო დეკლარაცია 708
საგადასახადო ვალდებულება 708
საგადასახადო იპოთეკა 708
საგადასახადო კანონმდებლობა 709
საგადასახადო კონტროლი 709
საგადასახადო მოთხოვნა 709
საგადასახადო ომბუდსმენი 709
საგადასახადო ორგანოს შესაგებელი 709
საგადასახადო პერიოდი 709
საგადასახადო პოლიტიკა 709
საგადასახადო საგუშაგო 709
საგადასახადო საიდუმლოება 709
საგადასახადო სამართალდარღვევა 709

საგადასახადო სამართალდარღვევის საქმის წარმოება 709
საგადასახადო შეთანხმება 709
საგადასახადო შემოწმება 710
საგადასახადო შემოწმების აქტი 710
საგადასახადო შეღავათი 710
საგადახდო დავალება 710
საგანგებო მდგომარეობა 710
საგანმანათლებლო დაწესებულება 710
საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა 710
სადაზღვევო ანაზღაურება (თანხა) 710
სადაზღვევო შენატანები 710
საემისიო კაპიტალი 710
საერთაშორისო გადაზიდვა 710
საერთაშორისო (სახელმწიფოთაშორისი, სამთავრობათაშორისო, დიპლომატიური) ორგანიზაციები 710
საერთაშორისო საწარმო 711
საერთაშორისო ფინანსური კომპანია 711
სავალდებულო რეგისტრაცია 711
სავაჭრო ნიშანი 711
სავაჭრო პოლიტიკა 711
საზოგადოებრივი ორგანიზაციები (გაერთიანებები) 711
სათამაშო ბიზნესი 711
სათამაშო ბიზნესით დაკავებული პირისაგან მიღებული მოგებები 711
საიდენტიფიკაციო ნომერი 711
საინკასაციო მომსახურება 711
საინკასო დავალება 711
საინოვაციო მომსახურება 711
საინფორმაციო ტექნოლოგიები 712
საიჯარო ქირა 712
საკონსულო ვალიზა 712
საკონტროლოსალარო აპარატი 712
საკონტროლოსალარო აპარატების მოდელების სახელმწიფო რეესტრი 712
საკრედიტო რისკის მესამე პირზე ნაწილობრივ ან მთლიანად გადაყიდვა 712
სალაროს ჩეკი 712
სალიკვიდაციო კომისია 712
სამიელინებო ხარჯები 712
სამკვიდრო ქონება 712
სამუშაო დღე 712
სანიტარულსაკარანტინო კონტროლი 712
სანქცია (საგადასახადო) 712
სარგებელი 713
სარეზერვო ფონდები 713
სასაქონლო დეკლარაცია 713
სასაქონლო ზედნადები 713
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები 713
სასაქონლო ოპერაცია 713
სასესხო ვალდებულებები 713
სასესხო ფასიანი ქაღალდები 713
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინა 713
სატარიფო ღონისძიებები 713
სატრანსპორტო საშუალება 713
საურავი 713
საფონდო ბირჟა 713
საფონდო ბირჟის ლისტინგი 714

საფოსტო გზავნილი....714
საქართველოს ეკონომიკური საზღვარი....714
საქართველოს ეკონომიკური ტერიტორია....714
საქართველოს ინტეგრირებული ტარიფი....714
საქართველოს საქონელი....714
საქართველოს სანარმო....714
საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი....714
საქველმოქმედო ორგანიზაცია....716
საქველმოქმედო ორგანიზაციების ერთიანი რეესტრი....716
საქველმოქმედო საქმიანობა....716
საქონელი....717
საქონლის გამოსავლიანობა....717
საქონლის განკარგვა....717
საქონლის გაფორმება....717
საქონლის გაშვება....717
საქონლის დეკლარირება....717
საქონლის დროებითი შემოტანა....717
საქონლის დროებითი შენახვა....718
საქონლის კლასიფიკაცია....718
საქონლის მიწოდება....718
საქონლის მფლობელი....718
საქონლის რეექსპორტი....718
საქონლის საბარიფო ღირებულება....718
საქონლის საბარიფო ღირებულების განსაზღვრის მეთოდები....718
საქონლის ტრანზიტი....718
საქონლის/მომსახურების საკონტროლო შესყიდვა....718
საქონლის წარდგენა....718
საშემოსავლო გადასახადი....718
საშუალო შეწონილი შეფასების მეთოდი....718
საცალო ფასი....718
საწარმო....718
საწარმოს კაპიტალი....719
საწარმოს მართვის ადგილი....719
საწარმოს რესტრუქტურიზაციის რეჟიმი....719
საწარმოს ფილიალები....719
საწარმოს საქმიანობის ადგილი....719
საწარმოს სახელმწიფო რეგისტრაციის ადგილი....719
საწესდებო კაპიტალი....719
საწყობი....719
სახელმწიფო....720
სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია....720
სახელმწიფო ან/და საგადასახადო რეგისტრაციის მოწმობა....720
სახელმწიფო ზედამხედველობა....720
სახელმწიფო კომპენსაცია....720
სახელმწიფო კონტროლი....720
სახელმწიფო კონტროლის ფორმები....720
სახელმწიფო პენსია....720
სახელმწიფო რეგისტრაცია....720
სახელმწიფო სტიპენდია....720
სახელმწიფო ხელისუფლება....720
საჯარო ინფორმაცია....720
საჯარო რეესტრი....720
საჯარო სამართლის იურიდიული პირი....721
სერვიტუტი....721

სეოპი 721
სოფლის მეურნეობის პროდუქცია 721
სოფლის მეურნეობის პროდუქცია სამრეწველო გადამუშავებამდე
(სასაქონლო კოდის შეცვლამდე) 721
სპეციალური სავაჭრო ზონა 721
სპონსორობა 721
სუსტი კაპიტალიზაცია 721
სუფთა მარჟის მეთოდი 721

– ტ – 722
ტერიტორიული წყლები 722
ტერმინალი 722
ტექნიკური დახმარება 722
ტრანზიტი 722

– უ – 722
უგზოუკვლოდ დაკარგული ფიზიკური პირის საგადასახადო ვალდებულება 722
უზუფრუქტი 722
უიმედო ვალი 722
უიმედო საგადასახადო დავალიანება 723
უკუდაბეგვრა 723
უპატრონო საქონელი 723
ურთიერთდამოკიდებული პირები 723
ურთიერთდამოკიდებული პირები (სატარიფო მიზნებისათვის) 723
უძრავ ქონება 723
უცხოური საქონელი 723
უცხოური სანარმო 723
უცხოეთში გადახდილი გადასახადის ჩათვლა 723

– ფ – 723
ფასიანი ქაღალდები 723
ფასიანი ქაღალდების ემიტენტი 724
ფასნამატის მეთოდი 724
ფაქტორინგი 724
ფინანსური ვალდებულება 724
ფინანსური ინსტრუმენტი 724
ფინანსური მომსახურება 724
ფინანსური ოპერაციები 724
ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილი 725
ფიზიკური პირის ფაქტობრივად ყოფნის ადგილი 725
ფიტოსანიტარული სასაზღვროსაკარანტინო კონტროლი 725
ფიუჩერსი 725
ფორვარდი 725
ფრანჩიზი 725
ფსევდოდოკუმენტი 725
ფული 725

– ქ – 726
ქირა 726
ქირავნობა 726
ქონება 726
ქონებაზე უფლების წინასწარი რეგისტრაცია 726
ქონებაზე ყადაღის დადება 726
ქონებაზე ყადაღის დადების აქტი 726

ქონების/აქტივის დაგირავება 726
ქონების გადასახადი 726
ქრონომეტრაჟი 727

– ღ – 727
ღირებულებითი ბალანსი – 727

– შ – 727
შედარებადი დამოუკიდებელი ფასის მეთოდი 727
შემონირულობა 728
შემცველი საქონელი 728
შერეული ოპერაციები 728
შიდა გადამუშავება 728

– ჩ – 728
ჩათვლილი თანხა (დღგ-ის მიზნებისათვის) 728
ჩეკთან გათანაბრებული დოკუმენტი (ჩგდ) 728
ჩვეულებრივი აქცია 729

– ც – 729
ცრუმაგიერი მფლობელობა (პირი) 729

– ძ – 729
ძირითადი საშუალება 729
ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯები 729

– წ – 729
წარმოებული ფასიანი ქაღალდები – 729
წარმომადგენელი 729
წარმომადგენლობითი ხარჯი 730
წარმოშობის ქვეყანა 730
წელი (გარდა კალენდარული წლისა) 730
წინასწარი გადაწყვეტილება 730
წლიური მოგების გადასახადის დეკლარაცია 730
წლიური საშემოსავლო გადასახადის დეკლარაცია 730
წლიური ქონების გადასახადის დეკლარაცია 730
წმინდა აქტივები 730

– ხ – 730
ხარჯი 730
ხელბარგი 730
ხელფასი 730

– ჯ – 731
ჯარიმა 731

– ჰ – 731
ჰუმანიტარული დახმარება – 731

25.2 საბაჟო ტერმინები 731

– ა – 731
აბსოლუტური უპირატესობის თეორია 731
აგენტი გემის 731

ადგილწარმოშობის დასახელება....731
ადენდუმი....731
ადვალური....731
ადვალური წილის კრიტერიუმი....731
აკვატორია....732
აკრედიტივი(სასაქონლო)....732
ალენდი....732
ამბალაჟი....732
არასატარიფო პოლიტიკის ღონისძიებები....732
არიარსი....732
არტიკული....732
ასიკუდა....732
ატა....732
აუცილებელი საწარმოო და ტექნოლოგიური ოპერაციების კრიტერიუმი....732
აფინაჟი....732
აფირმაცია....732
აქციზი....732

– ბ –....732
ბაი-ბეკი....732
ბანდეროლი....732
ბალკერი....732
ბალასტი....732
ბაჟი....732
ბარატრია....732
ბარგი(ხელბარგი)....732
ბარტერი....732
ბეითალმანი....732
ბერბოუტ-ჩარტერი....733
ბიდი....733
ბილატერიზმი....733
ბილიონი....733
ბიპატრიდი....733
ბიპევიორიზმი....733
ბლოკშივი....733
ბოიენტი....733
ბონდური საქონელი....733
ბონიფიკაცია....733
ბონუსი....733
ბორდი....733
ბრაკერაჟი....733
ბრეიკი....733
ბრენდი....733
ბუტლეგერი....733
ბუნკირება....733

– გ –....733
გადასახადი....733
გადასახადის ელემენტები....733
გადასამუშავებელი საქონელი....733
გადამუშავების პროდუქტი....733
გადამუშავების ნარჩენი....733
გადამუშავების ნაშთი....733
გამგზავნი....733

გამოსავლიანობის ნორმა 733
განადგურება 733
განბაჟება 734
გარიგების ფასი 734
გარიგების ფასის მეთოდი 734
განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა 734
გენერალური ტვირთი 734
გეოგრაფიული აღნიშვნა 734
გრანტი 734
„გრუზ-200" 734
„გრუზ-300" 734

– დ – 734
დავალური საქონელი 734
დაკვირვების ელექტრონული საშუალებები 734
დამატებული ღირებულების გადასახადი(დღგ) 734
დამპინგი 734
დანაჟი 734
დაუძლეველი ძალა 734
დაფასოება 734
დებენტურა 734
დევალვაცია 734
დეკლარანტი 734
დეკორტი 734
დელივერ-ორდერი 734
დემპინგი 734
დემპინგი(სავალუტო) 734
დემპინგი(სოციალური) 735
დემპინგი(სპორადული) 735
დემპინგური მარჟა 735
დემერეჯი 735
დერილიქტი 735
დეზიგნაცია 735
დიპლომატიური იმუნიტეტი 735
დისმისლი 735
დისპაჩი 735
დისკონტი 735
დისკრეციული უფლება 735
დისქაუნთი 735
„დიუთი ფრი" 735
დოკეტი 735
დოკის ხელწერილი 735
დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმი 735
დროებითი შენახვის საწყობი 735
დროებითი შენახვის ღია საბაჟო საწყობი 735
დროებითი შენახვის დახურული საბაჟო საწყობი 735
დუოპსონია 735

– ე – 736
ევალვაცია 736
ეკვივალენტური საქონელი 736
ემბარგო 736
ერთეულის ფასის მეთოდი 736
ერლანგი 736

ეტატიზმი....736
ექსპანსია....736
ექსპედიტორი....736
ექსპორტი....736
ექსპორტი (ირიბი)....736
ექსპორტი(ცრუ)....736
ექსპორტი (არაპროდუქტიული)....736
ექსპორტი (უხილავი)....736
ექსპორტისა და იმპორტის სტრუქტურა....736
ექსპორტის დივერსიფიკაცია....736
ექსპორტიორი....736

– ვ – 736
ვალიზა....736
ვალორიზაცია....736
ვარანტი....736
ვენდორი....736
ვექსელი (საპროდუქტო)....736
ვეტერინარული საბაჟო კონტროლი....736
„ვინ-კოდი“....737

– ზ – 737
ზედმეტად გადახდილი საბაჟო გადასახდელები....737
ზენორმატიული დატვირთვა....737
ზოგადი დეკლარირება....737
ზუერი(ზვერი)....737

– თ – 737
თავისუფალი საბაჟო ზონა (საწყობი)....737
თავისუფალი საქონელი....737
„თექს ფრი შოპინგ“....737

– ი – 737
იგივე კლასის და ტიპის საქონელი....737
იდენტური საქონელი....737
იდენტური საქონლის გარიგების ფასის მეთოდი....737
იმპორტი....738
იმპორტი (წმინდა)....738
იმპორტი (ირიბი)....738
იმპორტი (უხილავი)....738
იმპორტი (პარალელური)....738
იმპორტის ბიუჯეტური ეფექტურობა....738
იმპორტიორი....738
იმპოსტი....738
ინდემნიტეტი....738
ინდოსამენტი....738
ინვოისი....738
ინვოისი(პროფორმა)....738
ინკოტერმსი....738
ინჟინირინგი(ინჟინერია)....738
ინსოლვენტი....738
ინსტანტი....738
ინტროდუქცია ზღვიდან....738
ინტეგრირებული საბაჟო ტარიფი....738

ირიბი წარმომადგენელი 738
იშაკი 739

– კ – 739
კაბოტაჟი 739
კამერალური შემოწმება 739
კანცელინგი 739
კაპიტნის ხელწერილი(ჩვენება) 739
კაპიტნის ფოსტა 739
კარანტინი 739
კარატი 739
კარი 739
კარგო 739
კარნეტ-დე-პასაჟი 739
კვადრიპლიკატი 739
კვალიმეტრია 739
კვაზიფასი 739
კვოტა 739
კლარირება 739
კლაიმი 739
კლირინსი 739
კომერციული სატრანსპორტო საშუალება 739
კომერციული კრედიტი 739
კომბინირებული სატარიფო-სტატისტიკური ნომენკლატურა 739
კომპრადორი 739
კონტანტისტი 739
კონტეინერი 740
კონტრაბანდა 740
კონტრაბანდა(უპატრონო) 740
კონტრაბანდა(სამხედრო) 740
კონტრაფაქცია 740
კონტროლირებადი მიწოდება 740
კონსიგნაცია 740
კონსიგნანტი 740
კონსიგნატორი 740
კონოსამენტი 740
კონოსამენტი (სახელობითი) 740
კონოსამენტი (ორდერული) 740
კონოსამენტი (გამჭოლი) 741
კონოსამენტი (კომბინირებული სატრანსპორტო) 741
კონოსამენტი (სახაზო) 741
კონოსამენტი (ექსპრესული) 741
კონოსამენტი (მულტიმოდალური) 741
კონკლუდენტური დეკლარირება 741
კონსომატიკა 741
კონტრეილერი 741
კოპირაიტი 741
კრეცი 741
კრუმლინგი 741
კროს – კურსი 741
კულაჟი 741
კურტიე 741

– ლ – 741
ლეიბლი....741
ლეი-ეევი....741
ლეიდეისი....741
ლეკაჟი....741
ლენდინგი....741
ლიგატურა....741
ლიზ-ბეკი....741
ლიზინგი....741
ლიცენზია(ნებართვა)....741
ლოგისტიკა....742
ლოგოტიპი....742
ლოკო....742
ლუმპსუმი....742

– მ – 742
მანგონიზაცია....742
მანიფესტი(საკონტეინერო)....742
მანიფესტი(საზღვაო)....742
მარაგების გადაადგილება....742
მარკირება....742
„მატყუარა სოკო“....742
მგზავრი....742
მებაჟის საერთაშორისო დღე....742
მეზუერე (მეზვერე)....742
მიმღები....742
მინოდება საზღვრამდე (...მითითებული მინოდების ადგილი) DAF....742
მინოდება გადასახდელების გადახდის გარეშე (...მითითებული დანიშნულების ადგილი) DDU....742
მინოდება გადასახდელების გადახდით (...მითითებული დანიშნულების ადგილი)DDP....742
მინოდება გემიდან (...დანიშნულების მითითებული პორტი) DES....742
მინოდება ნავმისადგომიდან (...დანიშნულების მითითებული პორტი)DEQ....742
მომიჯნავე უფლება....742
მსგავსი საქონელი....743
მსგავსი საქონლის გარიგების ფასის მეთოდი....743
მულტილატერიზმი....743
მულტიპაკი....743
მულტიპლიკატორი....743
მულტიპლიკატორი (საექსპორტო)....743
„მწვანე კორიდორი“....743

– ნ – 743
ნაყარი ტვირთი....743
ნეგოციანტი....743
ნეტო ბალანსი....743
ნიმუში....743
ნიუს-რელიზი....743
ნონვალერი....743
ნოტისი....743
ნოუ-ჰაუ....743

– ო – 744
ობროგაცია....744
ოვერტაიმი....744
ოვერბოტი....744

ოვერსოლდი 744
ოზონდამშლელი ნივთიერება 744
ომოლოგაცია 744
ორმაგი საბაჟო ტარიფი 744
ორმაგი დანიშნულების საქონელი 744
ოფერტა 744
ოქტურა 744

– პ – 744
პაგამენტი 744
პაიოლი 744
პაკჰაუსი 744
პარატარიფული გადასახდელები 744
პარცელური ტვირთი 744
პირადი ნივთები 744
პირდაპირი წარმომადგენელი 744
პოზიცია 744
პოლისი 744
პორტო-ფრანკო 744
პოსტაუდიტური საბაჟო კონტროლი 744
პრაის-ლისტი 745
პრეისკურანტი 745
პრეფერენცია 745
პრეფერენციების გენერალიზებული სისტემა(GSP) 745

– ჟ – 745
ჟირო 745

– რ – 745
რაბატი 745
რადიაციული უსაფრთხოების კონტროლი 745
რამბურსი 745
რაფაკცია 745
რედუქცია 745
რეექსპორტი 745
რევალვაცია 745
რეიმპორტი 745
რეინჟინირინგი 745
რეკლამაცია 745
რელენცი 745
რემისია 745
რეპო 745
რეტორსია 745
რეფაკაცია (რეფაკცია) 745
რეფლაცია 745
რეცეპისა 745
რეფრიჟერატორი 746
რეციკლინგი 746
რისკის ანალიზი 746
რისკის სფერო 746
რისკის სფერო 746
რისკის შეფასება 746
რისკის ინდიკატორები 746
რისკის მართვა 746

რისკის პროფილი 746
როიალტი 746
რო-რო 746
როლკერი 746

– ს – 746
საავტორო უფლება 746
საბაჟო 746
საბაჟო ატაშე 746
საბაჟო მარშრუტი 746
საბაჟო საზღვარი 746
საბაჟო სამართალდარღვევა 746
საბაჟო „გასუფთავება" 747
საბაჟო პოლიტიკა 747
საბაჟო გადასახადი 747
საბაჟო გადასახადი (ადვალური) 747
საბაჟო გადასახადი (სპეციფიკური) 747
საბაჟო გადასახადი (კომბინირებული) 747
საბაჟო გადასახადი (ანტიდემპინგური) 747
საბაჟო გადასახადი (საკომპენსაციო) 747
საბაჟო გადასახადი (სპეციალური) 747
საბაჟო გადასახადი (სეზონური) 747
საბაჟო გადასახადი (აგრარული) 747
საბაჟო გადასახადი (დაბრუნებადი) 747
საბაჟო გადასახადი (დიფერენცირებული) 747
საბაჟო გადასახადი (იმპორტის) 748
საბაჟო გადასახადები (განსაკუთრებული) 748
საბაჟო მოსაკრებელი 748
საბაჟო სისტემა 748
საბაჟო ტერიტორია 748
საბაჟო სამართალი 748
საბაჟო დოკუმენტები 748
საბაჟო ორგანო 748
საბაჟო გადასახდელები 748
საბაჟო ანკლავი 748
საბაჟო ექსკლავი 748
საბაჟო ბროკერი 748
საბაჟო გადამზიდველი 748
საბაჟო რეჟიმი 748
საბაჟო საქმე 748
საბაჟო ბლოკადა 749
საბაჟო ომი 749
საბაჟო კონვენცია 749
საბაჟო კანონმდებლობა 749
საბაჟო პროტექციონიზმი 749
საბაჟო კავშირი 749
საბაჟო დეკლარაცია 749
საბაჟო დეკლარაცია(პერიოდული) 749
საბაჟო გირავნობის სიგელი 749
საბაჟო ლაბორატორია 749
საბაჟო გამშვები პუნქტი(საბაჟო საგუშაგო) 749
საბაჟო საწყობი(დროებითი შენახვის საბაჟო საწყობი) 749
საბაჟო ტერმინალი 749
საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავება 749

საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავება 749
საბაჟო კაზუსი 750
საბაჟო კონტროლი 750
საბაჟო კონტროლქვეშ საქონლის გადამუშავება 750
საბაჟო კონტროლის ზონა 750
საბაჟო სამართალდარღვევა 750
საბაჟო გაფორმება 750
საბაჟო შეღავათები 750
საბაჟო ბანდეროლი 750
საბაჟო ღირებულება 750
საბაჟო ღირებულების მეთოდები 750
საბაჟო კრედიტი 750
საბაჟო ტარიფი 750
საბაჟო ტარიფი (ინტეგრირებული) 750
საბაჟო ღირებულება 751
საბაჟო დამუშავების ოპერაცია 751
საბაჟო გარანტია 751
საბაჟო-სატარიფო ნომენკლატურა 751
საბაჟო დათვალიერება 751
საბაჟო რისკი 751
საბაჟო სტატისტიკა 751
საბაჟო ვალდებულება 751
საბაჟო შეტყობინება 751
საბაჟო ზედამხედველობა 751
საბაჟო პროცედურები 751
საბაჟო ზედამხედველობიდან უკანონო გასვლა 751
საბაჟო დავალიანება 752
საგადასახადო ფარი 752
საგარეო-სავაჭრო ბალანსი 752
საგარეო-სავაჭრო სალდო 752
საგარეო-სავაჭრო სალდო(აქტიური) 752
საგარეო-სავაჭრო სალდო(პასიური) 752
საგარეო-სავაჭრო დეფიციტი 752
საგარეო-სავაჭრო ბრუნვა 752
საგარეო-სავაჭრო კონტრაქტი 752
საგადამხდელო ბალანსი 752
საექსპორტო კვოტა 752
საექსპორტო ინკასო 752
საექსპორტო ლიზინგი 752
საექსპორტო პრემია 752
საექსპორტო დეტაქსაცია 752
საექსპორტო სუბსიდია 752
საექსპორტო კრედიტი 752
საექსპორტო გადახრა 752
საექსპორტო ფაქტორინგი 752
საექსპორტო საბაჟო გადასახადი 752
საექსპორტო ლიცენზია 752
საერთაშორისო საფოსტო გზავნილები 752
საერთაშორისო სასაქონლო-სატრანსპორტო ზედნადები (CMR) 753
სავალუტო კონტროლი 753
საიდენტიფიკაციო საშუალებები 753
საიმპორტო გადახრა 753
საიმპორტო კვოტა 753
საკმარისი გადამუშავების კრიტერიუმი 753

საკომპენსაციო საქონელი....753
საკონსულო ფაქტურა....753
სამედიცინო-სანიტარული საბაჟო კონტროლი....753
სარეზერვო მეთოდი....753
სასაქონლო ნიშანი(სავაჭრო მარკა)....753
სასაზღვრო საბაჟო ორგანო....753
სასაქონლო ნომენკლატურა....753
სასაქონლო ნომენკლატურის ჰარმონიზება....753
სასაქონლო ნომენკლატურის პირველ ოთხნიშნა დონეზე ცვლილების კრიტერიუმი....753
სასაქონლო პარტია....754
საქონლის წარმოშობა....754
საქონლის დათვალიერება....754
საქონლის საბაჟო სტატუსი....754
სატარიფო კვოტა....754
სატარიფო კონტიგენტი....754
სატარიფო პოლიტიკის ღონისძიებები....754
სატარიფო ესკალაცია....754
საქონელი....754
საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება....754
საქონლის გაშვება....754
საქონლის ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტი....754
სახელმწიფოს სასარგებლოდ საქონელზე უარის თქმა....754
სენსიტიური საქონელი....754
სერტიფიკატი (საკარანტინო)....755
სერტიფიკატი (ჰიგიენური)....755
სერტიფიკატი (საქონლის წარმოშობის)....755
სერტიფიკატი (შესაბამისობის)....755
სერტიფიკატი (წონის)....755
სერტიფიკატი (ხარისხის)....755
სინჯი....755
სმუტ-ჰოულის კანონი ტარიფებზე....755
სტალიური დრო....755
სტანდარტული გაცვლის სისტემა....755
სტატუტი....755
სტატისტიკური ნომენკლატურა....755
სტივიდორი....755
სტოპ-პრომპტი....755
სუბპოზიცია....755
სურვეიერი....755

– ტ –....755
ტალმანი....755
ტარა....755
ტაქსაცია....755
ტელ-კელი....755
ტერიტორიული ზღვა(წყლები)....755
ტექნიკური სტანდარტი....755
ტირ(TIR)....756
ტოლინგი....756
ტრანზიტი(საერთაშორისო)....756
ტრანზიტი(შიდა)....756
ტრაქტაცია....756
ტრეიდერი....756
ტრექატრი....756

ტრიგერული დონე 756
ტრიუმი 756
– უ – 756
უბაჟო ვაჭრობის პუნქტი 756
უორანტი 756
უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი 756
ურთიერთდაკავშირებული პირები 756
უზურა 757

– ფ – 757
ფასტინგი 757
ფაქტურული ფასი 757
ფიო 757
ფიტოსანიტარული საბაჟო კონტროლი 757
ფიუჩერსი 757
ფორს-მაჟორი 757
ფრანკო ქარხანა (...დასახელებული ადგილი) EXW 757
ფრანკო გადამზიდველი (...დასახელებული ადგილი) FCA 757
ფრანკო გემის ბორტთან (...ჩატვირთვის მითითებული პორტი) FAS 757
ფრანკო გემის ბორტი (...ჩატვირთვის მითითებული პორტი) FOB 757
ფრახტი/გადაზიდვა გადახდილია...მდე(...მითითებული დანიშნულების ადგილი) CPT 757
ფრახტი/გადაზიდვა და დაზღვევა გადახდილია...მდე (...მითითებული დანიშნულების ადგილი) CIP 757
ფრიტრედერიზმი 757
ფუნტი 757
ფუტი 757

– ქ – 757
ქვესუბპოზიცია 757

– ღ – 758
ღირებულება და ფრახტი (...დანიშნულების მითითებული პორტი) CFR 758
ღირებულება, დაზღვევა და ფრახტი)...დანიშნულების მითითებული პორტი) CIF 758
ღია აეროპორტი 758

– ყ – 758
ყადაღა 758

– შ – 758
შედგენილი ღირებულების მეთოდი 758
შეფუთვის ფურცელი 758
შიკანერი 758
შოპ-ტური (შოპინგ-ტური) 758
შტრიხ-კოდი 758
შტრიხ-კოდი (სტანდარტული) 758
შტურმანის ხელწერილი 758

– ჩ – 758
ჩარტერი 758
„ჩელნოკი" 758

– ც – 758
„ცელლოვალნიკი" 758
ცოლფერეინი 759

– ძ – 759
ძალაში შესვლა(საბაჟო კანონმდებლობის) 759

– წ – 759
წარმომადგენელი 759
წარმომადგენელი(ირიბი) 759
წარმომადგენელი(პირდაპირი) 759
„წითელი კორიდორი" 759
წონა(ბრუტო) 759
წონა(ნეტო) 759

– ჭ – 759
ჭარბწარმოება 759

– ხ – 759
ხელშეკრულება(ფორვარდული) 759

– ჯ – 759
ჯართი 759
ჯგუფი 759
ჯეის მრუდის ეფექტი 759

– ჰ – 760
ჰუმანიტარული საქონელი 760

რეკომენდებული ლიტერატურა

1. აბუსელიძე, გიორგი საგადასახადო დანაშაული და გადასახადის გადამხდელთა უფლებების დაცვა. ჟურნ. ეკონომიკა და ბიზნესი. – თბ, 2009.

2. ანანიაშვილი, იური, პაპავა ვლადიმერ გადასახადები, მოთხოვნა და მიწოდება: ლაფერ – კეინზიანური სინთეზი თბ. 2009.

3. ბასარია, ვლადიმერ გადასახადი: სიკეთე თუ უკეთურება? თბ., 2003.

4. ბასარია, რევაზ გადასახადი: არსი და მისი ეკონომიკურ პოლიტიკაში გამოყენებისადმი კონცეფციური მიდგომა ჟურნ. // გადასახადები : სამეცნიერო – პრაქტიკული ჟურნალი. – თბ, 2009

5. ბახტაძე ლ., კაკულია რ., ჩიკვილაძე მ., საგადასახადო საქმე. თბ., 2007

6. ბახტაძე, ლელა სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის სხვადასხვა დონეს შორის საგადასახადო უფლებამოსილებათა განაწილების საკითხები . // საერთაშორისო სამართლისა და მართვის ქართულ – ბრიტანული უნივერსიტეტი : სამეცნიერო შრომათა კრებული / საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. – თბ, 2009.

7. ბახტაძე, ლელა საგადასახადო დაგეგმვის თეორიულ – მეთოდოლოგიური საკითხები / ლელა ბახტაძე // საერთაშორისო სამართლისა და მართვის ქართულ – ბრიტანული უნივერსიტეტი : სამეცნიერო შრომათა კრებული / საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. – თბილისი, 2009

8. ბერძენიშვილი, გივი ქვემო ქართლის ელი მოსახლეობის სახელმწიფო გადასახადები XVII – ს – დან XIX ს – ის 40-იან წლებამდე : დის... ისტ.მეცნ.კანდ. თბ., 1988.

9. ბოგველიშვილი, ვ. კანკაძე ჯ, ბეგიაშვილი მ, გადასახადების არსი, წარმოშობა და ფუნქციები ./ საქართველოს საავტომობილო – საგზაო ინსტიტუტის შრომები. – თბ, 2007.

10. გამსახურდია, თამარ საქართველოს საგადასახადო – საბიუჯეტო სისტემის ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე თბ. 2003

11. გამსახურდია, თამარ საქართველოს საგადასახადო – საბიუჯეტო სისტემის ფუნქციონირების პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები გარდამავალი ეკონომიკის პირობებში : დის. ეკონ. მეცნ. დოქტ. 08.00.05 / თსუ. – თბ., 2003.

12. გვახარია, ლ. სახელმწიფო ბეგარა – გადასახადები აღმოსავლეთ საქართველოში XIX საუკუნის პირველ ნახევარში თბ. 1960.

13. გიგაშვილი, კოტე ფინანსები და გადასახადები ქრისტიანული საწყისებით თბ., 2008.

14. გიორგაძე, ბადრი საგადასახადო დაბეგვრის განვითარების ტენდენციები ევროკავშირის ქვეყნებში / შრომები / სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. – თბ, 2008.

15. გოგოლაძე, მაია ქონების გადასახადი თბ. 2011

16. გოგოხია, მამუკა პირდაპირი გადასახადების სოციალური ფუნქცია : დის... ეკონ. მეცნ. კანდ. / თბ., 2005

17. გრიგალაშვილი, ლევან აღრიცხვა და გადასახადები თბ. 2006.

18. დვალი თეიმურაზ, დამატებული ღირებულების გადასახადის ადგილი და როლი საქართველოს საგადასახადო სისტემაში, ავტორეფ.თბ.2004

19. ვაშაკიძე, ზურაბ კომენტარები შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმების მოდელის მუხლებთან დაკავშირებით თბ. 2002

20. ვაშაკიძე, თამაზ ზოგიერთი მოსაზრება გადასახადების არსის შესახებ ჟურნ. ახალი ეკონომისტი : პრაქტიკულ – სამეცნიერო ჟურნალი. – თბ, 2006.

21. ვერულიძე, ვაჟა გადასახადები და საგადასახადო დაბეგვრა თბ. 2008

22. თავართქილაძე, სიმონ საქართველოს საგადასახადო პოლიტიკის ჩამოყალიბების კანონზომიერებანი და წინააღმდეგობრიობა (1991 – 2000 წ.წ.) : დის. ეკონ. მეცნ. კანდ. – თბ., 2003.

23. თათეშვილი, როინ, საგადასახადო საქმე, ახალციხე 2011

24. თურმანიძე, ოთარ გადასახადები და საგადასახადო სისტემა სამხრეთ – დასავლეთ საქართველოს სოფლად (1901 – 1917 წ.წ.) / სამხრეთ – დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები / საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი. – ბათუმი, 2009.

25. თაქთაქიშვილი, ზაზა საშემოსავლო გადასახადი – თბ.2011

26. თაყაიშვილი, ექვთიმე დავთარი ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგრისა. შედგენილი 1578წ. / ტფილისი, 1915

27. იაშვილი ნ., ჭეიშვილი თ, საგადასახადო სამართალი, თბ.2007

28. კაკაბაძე, ვაჟა აქციზური საქონელი, მისი დაბეგვრის არსი, ფუნქციები და ჩრდილოვანი ეკონომიკა საქართველოში. – თბ., 2005

29. კანკაძე, ჯ. ბასილაძე, ნ. მოისწრაფიშვილი, მ. ნიჟარაძე თ. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების საგადასახადო სისტემა / საქართველოს საავტომობილო – საგზაო ინსტიტუტის შრომები. – თბ, 2007.

30. კანდელაკიშვილი, ლაშა გადასახადებით დაბეგვრის წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია. ორნატი : საზოგადოებრივ – სამეცნიერო ჟურნალი / საერო უნივერსიტეტი. – თბ, 2009.

31. კოპალეიშვილი, თეიმურაზ გადასახადები და დაბეგვრა თბ., 2011

32. კორძაძე, მარინე საგადასახადო სისტემის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები გარდამავალი ეკონომიკის პირობებში : დის... ეკონ. მეცნ. კანდ. – თბ., 2005.

33. კუცია, კარლო სეფიანთა ირანის ქალაქები და საქალაქო ცხოვრება : ვაჭრობა, საქალაქო გადასახადები. თბ.1966

34. ლორია, გიორგი საბაჟო გადასახდელებით დაბეგვრა საქართველოში თბ. 2009.

35. მალაშხია გ, გადასახადები, ეკონომიკური აღორძინება და ჩვენი ცხოვრება, ჟურნ. მაკრო – მიკრო ეკონომიკა, 1999, №1

36. მამალაძე, ირინე მოგების დაბეგვრის მექანიზმი საქართველოში თბ. 2008.

37. მაღლაკელიძე, თამაზ გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება თბ. 1999

38. მელქაძე, ოთარ საფინანსო კონტროლი ევროპულ ქვეყნებში თბ. 1999

39. მესხია, იაკობ საჯარო ფინანსები : გადასახადები და ბიუჯეტი : (სახელმძღვ.). თბ., 2012.

40. მესხია, იაკობ გადასახადები და დაბეგვრა თბ., 2002

41. მესხია ი., ურიდია გ., რუხაია ფ. საბაჟო გადასახდელები. თბ., 2004

42. მიქელაშვილი, მერაბ გადასახადები : [სალექციო კურსი სტუდენტებისათვის] თბ., 2009.

43. მღვდელაძე, ბეჟან საფრანგეთი : ადგილობრივი მმართველობა, ეკონომიკა, გადასახადები ქუთაისი 1997

44. ნადარაია, როგავა, რუხაძე, ბოლქვაძე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარები, ნიგნი პირველი-ნიგნი მეორე, თბ.,20125

45. ნათაძე ერეკლე საგადასახადო სისტემა და მისი გავლენა ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის საქართველოში. – თბ., 1998.

46. ნარმანია, დავით საქართველოს საგადასახადო სისტემა ჟურნ. ახალი ეკონომისტი : პრაქტიკულ – სამეცნიერო ჟურნალი. – თბ, 2006.

47. პაპავა, ვლადიმერ საგადასახადო ფედერალიზმი: თანხმობა, თუ სეპარატიზმი?. – თბ., 2000.

48. პაპავა ვლადიმერ, რას მოგვცემს გადასახადების შემცირება? ლაფერის მრუდი: მითი და რეალობა. მაკრო მიკრო ეკონომიკა, N 4, 2001.

49. პაპავა ვლადიმერ., კაკაბაძე ვ. ფრიტრედერული პოლიტიკის უპირატესობანი პოსტკომუნისტურ საქართველოში. მაკრო მიკრო ეკონომიკა, N 5 – 6, 2002.

50. პაპასკირი, რუსუდან საგადასახადო სისტემის რეფორმა საქართველოში / რუსუდან პაპასკირი ჟურნ. საქართველოს ეკონომიკა. – თბ, 2009.

51. პაპასქუა, იური გადავადებული გადასახადები... : გადაუდებელი გასაჭირი, თუ თავსმოხვეული პრობლემა. ჟურნ. / ბიზნესი და კანონმდებლობა : სამეცნიერო, ანალიტიკურ – პრაქტიკული ჟურნალი. – თბ, 2010.

52. პაპასქუა იური, როგორ გაეერკვეთ საკანონმდებლო ლაბირინთებში(კითხვა – პასუხების კრებული), თბ.2001

53. როგავა ზვიად, საგადასახადო სამართლის საფუძვლები, თბ, 2000.

54. როგავა, ზვიად გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი თბ. 2002.

55. როგავა, ზვიად საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემები თბ., 2003.

56. როგავა ზვიად, საგადასახადო სამართალი, თბ. 2009.

57. როგავა ზვიად, ამილახვარი ზაურ, საგადასახადო სამართალი, თბ.2013.

58. რიკარდო, დევიდ პოლიტიკური ეკონომიის და დაბეგვრის საფუძვლები თბ. 2007

59. საგადასახადო გარემოს სრულყოფის პრობლემები / საქ. ეკონ. ფორუმი ; [რედ.: ლეო ჩიქავა]. – თბ. 2001.

60. სადაღაშვილი, გივი, სადაღაშვილი ლალი, ქონების გადასახადი და მისი როლი ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებში / სუხიშვილის უნივერსიტეტი : სამეცნიერო ნაშრომთა კრებული / საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. – გორი, 2009.

61. სალია, რევაზ ოქროს კვეთი და საქართველოს საგადასახადო შემოსავლები / რევაზ სალია, მიხეილ ჩიკვილაძე ჟურნ. ეკონომიკა და ბიზნესი. – თბილისი, 2009.
62. სვანაძე, ს, გადასახადების ისტორია, ქუთ. 2000
63. სვანაძე, სერგო არაპირდაპირი გადასახადები საქართველოში თბ. 2010.
64. სიმსონი, ტომას შემოწმების მეთოდები : სამახსოვრო – თბ., 1999.
65. სილაგაძე, ავთანდილ, ბუღალტრული აღრიცხვის განმარტებითი ლექსიკონი, თბ. 2005.
66. სილაგაძე ავთანდილ, პოსტკომუნისტური ფინანსური პოლიტიკა, თბ. 2008.
67. სოხაძე, სოფიკო გადასახადების შემოღების აუცილებლობა და ისტორიული წინაპირობა / თბილისის უნივერსიტეტი წმიდა გრიგოლ ფერაძის სახელობისა : შრომების კრებული. – თბ, 2009.
68. ტერაშვილი ნარიმან, საგადასახადო პრაქტიკის აქტუალური საკითხები, თბ. 2005.
69. ტერაშვილი ნარიმან, საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკა, თბ. 2006.
70. ტერაშვილი, ნარიმან ბუღალტრული აღრიცხვისა და დაბეგვრის აქტუალური საკითხები – თბ., 2008
71. ტერაშვილი, ნარიმან მშენებლობა: სამართლებრივი რეგულირება, ბუღალტრული აღრიცხვა, დაბეგვრა თბ., 2011
72. ტერაშვილი ნარიმან, დამატებული ღირებულების გადასახადი: კომენტარები, კითხვა – პასუხები, თბ. 2013.
73. ტერაშვილი ნარიმან, ქიტიაშვილი ჯ, ბიბიჩაძე დ, დივიდენდის, პროცენტის, როიალტის აღრიცხვა და დაბეგვრა, თბ.2013
74. ტერაშვილი ნარიმან, ქიტიაშვილი ჯ, ბიბიჩაძე დ, აქტივების აღრიცხვა და დაბეგვრა, თბ.2013.
75. ურიდია, გონერ , ვადების ათვლა საგადასახადო კოდექსის მიხედვით ჟურნ./ გადასახადები და აღრიცხვა : მეთოდურ – პრაქტიკული ჟურნალი. – თბ, 2010.
76. ურიდია, გონერ, როიალტის დაბეგვრა ჟურნ. // გადასახადები და აღრიცხვა : მეთოდურ – პრაქტიკული ჟურნალი. – თბ, 2011.
77. ურიდია, გონერ, ნორმატიული აქტების იერარქია დაბეგვრის სფეროში . ჟურნ./ გადასახადები და აღრიცხვა : მეთოდურ – პრაქტიკული ჟურნალი. – თბილისი, 2009.
78. ურიდია, გონერ. ეკონომიკური კატეგორიის განსაზღვრისათვის ჟურნ/ ეკონომისტი. – 1990. – N7.
79. ურიდია, გონერ. კაპიტალის კატეგორიის ისტორიულ – გენეტიკური შინაარსი ჟურნ./ ეკონომიკა. – 1991. – N1.
80. ურიდია, გონერ. ღირებულება – სისტემაწარმომქმნელი კატეგორია ჟურნ/ ეკონომიკა. – 1991. – N4.
81. ურიდია, გონერ. პოლიტიკური ეკონომიის საგნის საკითხისათვის. ჟურნ./ ეკონომიკა. – 1992. – N4.
82. ურიდია, გონერ. ჯ.ნ. კეინსი პოლიტიკური ეკონომიის საგნის შესახებ. ჟურნ/ ეკონომიკა. – 1993. – N2 – 3.
83. ურიდია, გონერ, საბაჟო კონტროლის არსი და ფორმები ჟურნ./ მაკრო მიკრო ეკონომიკა. – , 1998. – N2. .
84. ურიდია გონერ, თვითღირებულების კალკულაციის კაუზუალური კავშირის საკითხისათვის, ჟურნ. მაკრო – მიკრო ეკონომიკა, დეკემბერი, 1997.
85. ურიდია გონერ, ქონების გადასახადის პრაქსეოლოგიური ანალიზის საკითხებისათვის, ჟურნ. აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები. 2012. №1
86. ურიდია გონერ, მუდმივი დანესებულების განსაზღვრის მნიშვნელობა საგადასახადო ურთიერთობებში, ჟურნ. აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები, 2012, №2
87. ურიდია გონერ, ცრუმაგიერი პირი და შემოსავლის ბენეფიციური მფლობელი, როგორც საგადასახადო კატეგორიები, ჟურნ. აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები, 2012, №6
88. ურიდია გონერ, საშემოსავლო გადასახადის მოდელის საკითხისათვის, ჟურნ. აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები, 2012, №10
89. ურიდია გონერ, ლიზინგის დაბეგვრის პრობლემები, ჟურნ. აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები, 2013 №
90. ურიდია გონერ, დაბეგვრის ზოგიერთი პრობლემური საკითხის რეტროსპექტული ასპექტები, ჟურნ. აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები, 2013 №3
91. ურიდია გონერ, დაბეგვრის ევოლუცია აშშ-ში, ჟურნ. აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები, 2013 №4

92. ურიდია გონერ, აქციზური საქონლის დაბეგვრის განსხვავებული ასპექტები, ჟურნ. აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები, 2012, №4
93. ურიდია გონერ, საერთაშორისო დაბეგვრა და ტრანსფერული ფასწარმოქმნა, ჟურნ. აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები, 2013 №11
94. ურიდია გონერ., დვალი თ. საგადასახადო განმარტებითი ლექსიკონი. თბ., 1997
95. ურიდია გონერ, საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა(კითხვა – პასუხებში). თბ., 2001.
96. ურიდია გონერ, საბაჟო ღირებულების განსაზღვრა. თბ., 2002.
97. ურიდია გონერ., არახამია მ. საბაჟო ურთიერთობათა მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები. თბ., 2003
98. ურიდია გონერ., რუხაია ფ., არახამია მ. საბაჟო გაფორმება თსღ და AთA(ჩჯD) კარნეტის პრინციპებით. თბ., 2004
99. ურიდია გონერ., რუხაია ფ., აბესაძე დ., არახამია მ. საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრა. თბ., 2004
100. ურიდია გონერ., არახამია მ., რუხაია ფ. საბაჟო რეჟიმები. თბ., 2005 .
101. ურიდია გონერ, საერთაშორისო საბაჟო კონვენციების კომენტარები. თბ., 2006.
102. ურიდია გონერ., რუხაია ფ. დღგ. თბ., 2007 .
103. ურიდია გონერ., რუხაია ფ., ბაკურიძე ა. საქართველოს საბაჟო კოდექსის კომენტარები. თბ., 2007.
104. ურიდია გონერ., რუხაია ფ. საბაჟო ტესტები. თბ., 2008 .
105. ურიდია გონერ., რუხაია ფ. საბაჟო გადასახადი და წარმოების სუბსიდირება. თბ., 2008 .
106. ურიდია გონერ., რუხაია ფ. საბაჟო ლექსიკონი. თბ., 2009
107. ურიდია გონერ., რუხაია ფ. საბაჟო საქმის თეორია. თბ., 2009
108. ურიდია გონერ., რუხაია ფ. საქართველოს საგადასახადო კოდექსის ტერმინთა განმარტება. თბ., 2010.
109. ურიდია გონერ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარები. თბ., 2011.
110. ურიდია გონერ, სახალისო დაბეგვრა. თბ., 2011.
111. ურიდია გონერ, საგადასახადო აუდიტი. თბ., 2012.
112. ურიდია გონერ, საგადასახადო ტესტები, თბ.2013.
113. ურიდია გონერ, მიკრო და მცირე ბიზნესის დაბეგვრა, თბ. 2013.
114. ურიდია გონერ, კორპორაციული დაბეგვრა, თბ. 2013.
115. ურიდია გონერ, საერთაშორისო დაბეგვრა, თბ. 2014.
116. ფიშერი ს. დორბუში რ. შმალენზი რ. ეკონომიკა(ტ – 1 – 4), თბ.1997 – 98.
117. ქებაძე ნ, აუდიტის საფუძვლები, თბ. 2005
118. ქეშელაშვილი, ომარ, მიხანაშვილი ნუკრი, საგადასახადო მექანიზმის სრულყოფის რეკომენდაციები / აგრარული ეკონომიკის მოამბე : სამეცნიერო შრომათა კრებული / აგრარული ეკონომიკის ინსტიტუტი. – თბ, 2009.
119. ყამარაული, სულიკო გადასახადები და დაბეგვრა თბ. 2010.
120. ყუფარაძე, გ. საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკა და ინვესტიციები. (ფტტტ/ნწწ.აცადემია.ედუ).
121. შაბურიშვილი, შოთა, სოფრომაძე თამთა, საგადასახადო ოაზისები. / ბიზნესი და საყოველთაო კეთილდღეობა : სამეცნიერო შრომების კრებული / ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. – თბ, 2009.
122. შევარდნაძე კ, ჩეჩელაშვილი რ, ჩოჩელი ე, ხადური ნ, საგადასახადო კორუფციის პაპავას ინდექსები, თბ. 2000.
123. ჩანტლაძე ვასილ, გადასახადები და სილარიბე. ჰენრი ჯორჯი და მისი თანამოაზრენი, ავტორეფ. თბ.1941
124. ჩანტლაძე ვასილ, ფულის კრედიტისა და ფინანსების ისტორია, თბ.1986
125. ჩანტლაძე ვასილ, ფინანსების თეორიის საკითხები, თბ.1987
126. ჩიბურდანიძე, ლავრენტი ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება ფერმერულ მეურნეობებში, მოქმედი გადასახადები და შეღავათები თბ. 2002
127. ჩიხლაძე, ნიკო გადასახადებისა და დაბეგვრის მართლმადიდებლური საწყისები . ჟურნ./ ბიზნესი და კანონმდებლობა : სამეცნიერო, ანალიტიკურ – პრაქტიკული ჟურნალი. – თბ, 2009.
128. ცირამუა ე, აუდიტი. თეორია. მეთოდიკა. ტექნიკა, თბ. 2009.
129. ცხადაია, გიორგი რატომ უნდა ვიხადოთ გადასახადები: მთავარი კითხვა ის კი არ არის,

რატომ უნდა ვიხადოთ გადასახადები, არამედ ის, თუ რაში იხარჯება ჩვენი ფული? : თვალსაზრისი : საუბრები ლიბერალიზმზე ჟურნ./ ლიბერალი. – თბ, 2010.

130. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, რედაქტ. გ. მელიქიშვილი, თბ. 1971

131. ჯიბუტი, ამირან არგუმენტირებული საგადასახადო განაკვეთები – ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საფუძველი ჟურნ. ეკონომიკა და ბიზნესი. – თბილისი, 2009.

132. ჭიკაძე, გ. მ. სულაშვილი, ნ. ფაილოძე, ს. ყიფიანი, ი. ფარსელაშვილი კორუფციის მოდელი საგადასახადო ორგანოებში ჟურნ. სოციალური ეკონომიკა – თბ, 2009.

133. Dictionary of taxation terms = Словарь терминов по налогообложению : English. Russian. German. French / Tacis. – [Brussels : Eiropean Commission, 1996].

134. Natadze, Erekle Taxation and its economic consequences for Georgia in transition / UNDP. – Tb. : UNDP, 1998.

135. Institutional elements of tax design and reform / ed. by John McLaren. – Washington : World Bank, 2003.

136. Pemartin, Daniel L'entreprise vue par ses salaries : systemes de valeurs, stereotypes, mythes, rumeurs / Daniel Pemartin. – [Paris] : Les ed. d'Organisation, 1990

137. Natadze, Erekle Taxation and its economic consequences for Georgia in transition / Erekle Natadze. – Tb., 1998.

138. Reforming tax systems : experience of the Baltics, Russia, and other countries of the former Soviet Union : abstract / IMF ; prep. by ahram Stepanyan. – Washington : IMF, 2003.

139. Some international issues in commodity taxation : Abstracts / Prep. by Michael Keen ; IMF. – Washington : IMF, 2002.

140. Alm, James et al. Stamps duties in Indian States : A case for reform / James Alm, Patricia Annez, a. Arbind Modi ; World Bank. – [Washington] : World bank, 2004.

141. Nicita, Alessandro Efficiency and equity of a marginal tax reform : Income, quality a. price elasticities for Mexico / Alessandro Nicita ; World bank. – Washington : World Bank, 2004.

142. Taxation of financial intermediation : Theory a. practice for emerging economies / World Bank, Oxford Univ. ; Ed. by Pastrick Honohan. – [New York : Oxford Univ. Press ; Washington : World Bank, 2002].

143. Effect of corruption on tax revenues in the Middle East : Abstract / IMF ; Prep. by Patrick A. Imam a. Davina F. Jacobs. – [Washongton] : IMF, 2007.

144. An analysis of South Africa's value added tax / Delfin S. Go, Marna Kearney, Sherman Robinson, Karen Thierfelder. – Washington : World Bank, 2005.

145. Martin, Will Costs of taxation and the benefits of public goods : The role of income effects. – Washington : World Bank, 2005.

146. Dean, Judith M. Quantifying the value of U.S. tariff preferences for developing countries. – Washington : World bank, 2006.

147. Designing a tax administration Reform stretegy : Experiences a. Guidelines / Prep. by Carlos Silvani a. Katherine Baer;Authoriz. for distribution by Vito Taszi; March 1997. – [S.L.], 1997.

148. Tax burden and migration : a polit. economy perspective / prep. by Assaf Razin a. Efraim Sedka ; Authoriz. for distribution by Vito Tanzi, June 1997. – [S.l.], 1997.

149. The tax treatment of government bonds / prep. by John Norregaard ; authoriz. for distribution by Liam Ebrill, March 1997. – [S.l.], 1997.

150. Tax effort in Sub _ Saharan Africa / prep. by Janet G. Stotsky a. Asegedech WoldeMariam ; authoriz. for distribution by Liam P. Ebrill, September 1997. – [S.l.], 1977.

151. Vertical tax externalities in the theory of fiscal federalism / prep. by Michael Keen. – [S.l.] : IMF, 1997.

152. The effect of expected effective corporate tax rates on incremental financing decisions / prep. by Reint E. Gropp. – [S.l.]., 1997.

153. Do tax rates encourage entrepreneurial activity? / prep. by Roger H. Gordon. – [S.l.] : IMF, 1997.

154. Taxation act and an act respecting the application of the taxation act. – [S.l. : Biblioth. nat. de Quebec], 1980.

155. Balance of payments manuel. – 5th ed.. – [Washington] : IMF, 1993.

156. Taxation in Latin America : Structural trends and impact of administration/IMF WP/99/19, Fiscal affairs dep. ; Prepared by Parthasarathi Shome,Feb.1999.

157. The macroeconomic effects of environmental taxes : A closer look at the feasibility of ~Win _ Win~ outcomes /IMF WP/98/75, Fiscal affairs dep. ; Prepared by Janny Liam P.Ebrill, May 1998.

158. Carbon taxes : Their macroeconomic effects and prospects for global adoption _ A survey of the literature /IMF WP/98/73, Fiscal affairs dep. ; Prepared by Jevier Cuervo a. Ved P.Gandhi ; Authoriz. for distribution by Vito Tanzi, May 1998.

159. Tax revenue in Sub _ Saharan Africa : Effects of econ.policies. a. corruption /IMF WP/98/135, Afr. dep. / Prepared by Dhaneshwar Ghura ; Authoriz. for distribution by Menachem Katz, Sept. 1998

160. The role of allocation in a globalized corporate income tax / IMF Fiscal affairs dep / prep. by Jack M. Mintz. – [S.L.] : IMF, 1998

161. Taxation and the household saving rate : Evidence from OECD countries /IMF WP/98/36, Fiscal affairs dep. ; Prepared by Vito Tanzi and Howell H.Zee, March 1998.

162. Evaluation of taxes and revenues from the energy sector to the Baltics, Russia, and other former Soviet Union countries /IMF WP/98/34, Fiscal affairs dep. ; Prepared by Dale F.Gray ; Authoriz. for distribution by Liam P.Ebrill, March 1998. – [S.L.] : IMF, 1998.

163. Tax smoothing in a financially repressed economy : evidence from India / Prep. by Paul Cashin, Nilss Olekalns, a. Ratna Sahay ; authoriz. for distribution by Peter Wickham a. Eduardo Borensztain, Aug. 1998.

164. United Nations model double texation convention between developed and developing countries. – New York : UN, 2001.

165. Effective avarage tax rates for permanent investment : Abstract / IMF ; Prep. by Alexander Klemm. – [Washington] : IMF, 2008.

166. Налогообложение : Теории, проблемы, Решения : Монография / Авт.: Вишневський В.П., Веткин ;. – Донецк, 2006.

167. Essama _ Nssah, B. A poverty _ focused evaluation of commodity tax options / B. Essama _ Nssah. – Washington : World Bank, 2007.

168. The value _ added tax : Its causes a. consequences : Abstract / IMF ; Prep. by Michael Keen a. Ben Lockwood. – [Washington] : IMF, 2007

169. Determinants of tax revenue efforts in developing countries : Abstract / IMF ; Prep. by Abhijit Sen Gupta. – [Washington] : IMF, 2007.

170. Tax reform and debt sustainability in Germany : An assessment using the global fiscal model : Abstract / IMF ; Prep. by Dennis Botman a. Stephan Danninger. – Washington : IMF, 2007

171. Capital structure and international debt _ shifting : Abstract / IMF ; Prep. by Harry Huizinga, Luc Laeven, a. Gaetan Nicodeme. – Washington : IMF, 2007.

172. Strategies for fiscal consolidation in Japan : Abstract / IMF ; Prep. by Dennis Botman, Hali Edison, a. Papa N'Diaye. – Washington : IMF, 2007.

173. VAT fraud and evasion : What do we know, and what can be done? : Abstract / IMF ; Prep. by Michael Keen a. Stephen Smith. – Washington : IMF, 2007.

174. VAT attacks! : Abstract / IMF ; Prep. by Michael Keen. – [Washington] : IMF, 2007.

175. Tax and welfare reforms in the Czech republic _ Structural implications and challenges : Abstract / IMF ; Prep. by Thomas Dalsgaard. – [Washington] : IMF, 2008.

176. Tax potential vs. tax effort : A cross _ country analysis of Armenia's stubbornly low tax collection : Abstract / IMF ; Prep. by Hamid R. Davoodi a. David A. Grigorian. – [Washington] : IMF, 2007.

177. Japan's corporate income tax _ overview and challenges : Abstract / IMF ; Prep. by Thomas Dalsgaard. – [Washington] : IMF, 2008.

178. Corporate income tax competition in the Caribbean : Abstract / IMF ; Prep. by Koffie Nassar. – [Washington] : IMF, 2008.

179. Tax rate cuts and tax compliance _ The Laffer curve revisited : Abstract / IMF ; Prep. by Tamas K. Papp a. Elod Takats. – [Washington] : IMF, 2008.

180. U.S. revenue surprises? : Are happy days here to stay? : Abstract / IMF ; Prep. by Andrew Swiston, Martin Muhleisen a. Koshy Mathai. – Washington : IMF, 2007.

181. Tax policy : Recent trends and coming challenges : Abstract / IMF ; Prep. by John Norregaard a. Tehmina S. Khan. – Washington : IMF, 2007.

182. Birnbaum, Jeffrey H. Showdown at Gucci Gulch : Lawmakers, lobbyists, a. the unlikely triumph of tax reform / Jeffrey H. Birnbaum, Alan S. Murray ; With an introd. by Albert R. Hunt. – New York : Vintage b., 1988.

183. Mirabeau, Victor Riqueti Theorie de l'impot : pour servir de suite au traite intitule L'ami des hommes, du meme auteur / par Mr. Le Marquis de Mirabeau. – La Haye : chez Benjamin Gibert, 1761

184. Firm investment, corporate finance, and taxation : abstract / IMF, Fiscal affairs dep. ; prep. by Geremia

Palomba. – [Washington] : IMF, 2002.
185. Fiscal incentive effects of the German equalization system : abstract / IMF, Fiscal Affairs dep. ; prep. by Sven Jari Stehn a. Annalisa Fedelino. – [Washington] : IMF, 2009.
186. Slovakia's 2004 tax and welfare reforms : abstract / IMF, European dep. ; prep. by David Moore. – [Washington] : IMF. 2005.
187. Burnham, David A law unto itself : the IRS and the abuse of power / David Burnham. – N.Y. : Vintage Books, [1991].
188. Dunlap, Susan Death and taxes : a Jill Smith mystery / Susan Dunlap. – [New York] : Delacorte press, 1992.
189. Richard L. Doernberg, international taxation in a nutshell, 1993, st.paul, minn. West publishing co.
190. United Nations model double texation convention between developed and developing countries. – New York : UN, 2001.
191. Taxation of financial intermediation : Theory a. practice for emerging economies / World Bank, Oxford Univ. ; Ed. by Pastrick Honohan. – [New York : Oxford Univ. Press ; Washington : World Bank, 2002].
192. Martin, Will Costs of taxation and the benefits of public goods : The role of income effects. – Washington : World Bank, 2005.
193. Model Tax Convention on income and on Capital. Condensed version. OECD, july 2008.
194. Baker Ph. Double Taxation Conventions and International Tax Law. L., 1994. P. 11.
195. Ogley A. Principles ofinternational Tax. A Multinational Perspective. L., 1996. P. 221.
196. Adams J.P.R., WhalleyJ. The International Taxation of Multinational Enterprises in Developed Countries. L., 1977.
197. worth J.S. The Finance, Investment & Taxation Decisions of Multinationals. Oxford, N.Y., 1988.
198. Baker Ph. Double Taxation Conventions and International Tax law. L., 1994.
199. Crundy M. World of International Tax Planning. Gambridge, 1984.
200. Davies D.R. Principles of International Double Taxation Relief. L., 1985.
201. Deperon P. Internationa! double Taxation. N.Y., 1945.
202. International Tax Glossary. Amsterdam, 1992.
203. Raad C. Van. Nondiscrimination in International Tax Law. Kluwer, 1986.
204. Seligman. Double Taxation & International Fiscal Cooperation. N.Y., 1928.
205. Sorenxen P.B. Issues in the Theory of International Tax Coordination. Helsinki, 1990.
206. Ласков О. Не стань Ходорковским! Налоговые схемы, за которые не посадят. М. 2007.
207. Ананиашвили, Юрий Папава Владимир Налоги и макроэкономическое равновесие : Лафферо _ кейнсианский синтез Стокгольм 2010.
208. Пушкарева В. История финансовой мысли и политики налогов. М. 1996.
209. Селигман Э. и Стурм Р. Этюды по теории обложения. СПб., 1908.
210. Тургенев Н. Опыт теории налогов, СПб., 1818.
211. Тривус, А.А. Налоги как орудие экономической политики. – Баку 1925
212. Налоги и налоговое право, под. Ред . А.В.Брызгалина, м.1998
213. Юткина, т. Ф, Налоги и налогообложение, м.1999
214. Глухов, в. в, долдьэ, и. в, Налоги: теория и практика, с _ п.1996
215. Дернберг, р. л, м еждународное налогообложение, м.1997
216. Папава, В.Г. Государство, рынок и экономика без налогов Тб.1992
217. Погорлецкий А.И. Международное налогообложение. СПб., 2006.
218. Погорлецкий А.И. Принципы международного налогообложения и международного налогового планирования. СПб., 2005.
219. Кашин В.А. Международные налоговые соглашения. М., 1983.
220. Конное О.Ю. Институт постоянного представительства в налоговом праве. М. 2002.
221. Шахмаметьев А. А. Международное налоговое право. М., 2009.